

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
IVANE JAVAKHISHVILI INSTITUTE OF HISTORY AND ETHNOLOGY

ISSN 1987-6564

**ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტის შრომები**

XIV-XV

**THE PROCEEDINGS OF THE INSTITUTE
OF HISTORY AND ETHNOLOGY**

XIV-XV

თბილისი

Tbilisi

2016-2017

მთავარი რედაქტორი: **ვაჟა კიკნაძე**

სარედაქციო კოლეგია: **გონელი არახამია, ვახტანგ გოილაძე, შოთა ვადაჭკორია, ჰუბერტუს იანი (დიდი ბრიტანეთი), ხათუნა იოსელიანი, ეკა კვაჭანტირაძე, სეიჩი კიტაგავა (იაპონია), გიორგი ქავთარაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ხათუნა ქოქრაშვილი, ნინო ღამბაშიძე, დოდო ჭუმბურიძე, ლავრენტი ჯანიაშვილი, თემო ჯოჯუა**

კრებული გამოსაცემად მოამზადეს: **თემო ჯოჯუამ და შალვა გლოველმა**

Editor-in-Chief: **Vazha Kiknadze**

Editorial Board: **Goneli Arakhamia, Dodo Chumburidze, Nino Gambashidze, Vakhtang Goiladze, Khatuna Ioseliani, Hubertus F Jahn (Great Britain), Lavrenti Janiashvili, Temo Jojua, Giorgi Kavtaradze (Deputy Chief editor), Seiichy Kitagawa (Japan), Khatuna Kokrashvili, Eka Kvachantiradze, Shota Vadachkoria**

Prepared for publishing by: **Temo Jojua, Shalva Gloveli**

ს ა რ ჩ ე ვ ი

კველი ისტორია

ნანა ხაზარაძე, ნანა ბახსოლიანი

აქადურენოვანი საღაჯვერვო ხასიათის

ღოკუმენტები როგორც საისტორიო წყარო..... 11

ნანა ბახსოლიანი

ტირმინ „კაპალოკიის“ სემანტიკისათვის..... 16

გიორგი ქავთარაძე

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტის

„ბუნ-თუბთა“ და „კონთა“ ვინაობის საკითხისათვის..... 19

შუა საუკუნეების ისტორია

ციალა ღვაგერიძე

ერთიანი საქართველოს სამეფოს სახელმწიფო დროშის შესახებ..... 44

ბონელი არახამია, მარინე ქარღვა

ქუთაისის მეფეები და მათი სამფლობელო XIII-XVI საუკუნეებში..... 59

თამაზ გოგოლაძე

მასალები ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის

ფეოდალური ოჯახის ისტორიისათვის..... 83

დავით ჭითანავა

ქონაძიძეთა სათავალო..... 121

ლელა მიქიაშვილი

ერეკლე II და ალექსანდრე ამილახვარი..... 133

წყაროთმცოდნეობა

თემო ჯოჯუა

წაღველი ბასილ მჯობაისძისა და ევთვიმეს მიერ მარია გოგელის

დაკვეთით იერუსალიმში გადაწერილი XII საუკუნის სვინაქსრის (H-886)

შენიშვნები ანდერძები, ალაკები და მინაწერები (ტექსტების კუბლიკაცია;

კოდიკოლოგიური და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა) 145

ვაჟა კიკნაძე

ახალი მასალა XIV საუკუნეში საქართველოში შავი ჭირის

ეპიდემიის გავრცელების შესახებ (სვანური საბუთები)..... 219

BRIGITTA SCHRADER

DIE ERFORSCHUNG SWANETIENS: LEGENDEN,

REISEBERICHTE, FORSCHUNGSLITERATUR..... 227

დავით მერკვილაძე

კათოლიკე მისიონერები კონსტანტინეპოლსა და თეოდოსიაში

არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთის“ მიხედვით..... 246

ეპიგრაფიკა

თამაზ გოგოლაძე, ირაკლი გელაშვილი, ნინო ხარშილაძე

ვოთოლეთის ეკლესიის ნაკაწრი წარწერები და

მათი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი..... 253

თემო ჯოჯუა

ნაქალაქარ ანისის ახლადგამოვლენილი ქართული და გერძული ეპიგრაფიკული ძეგლები (ლაპიდარული და ნაკაწრი წარწერები)..... 266

ირაკლი ბელაშვილი, თამაზ ბობოლაძე, თემო ჯოჯუა

სურამის ციხის წმ. გიორგის ეკლესიის უცნობი სააღმშენებლო წარწერა (XV-XVI სს.) მძვინვარეობის და პირის მწოდის გიორგი ღაღანიძისა და მისი მშენებლის თამარ ქუაბულისძის მოხსენიებით (წარწერის მიკვლევისა და შესწავლის ისტორია; ტექსტის კუბლიკაცია)..... 340

ირაკლი ბელაშვილი

გიორგი ბალატოზთა ზედა დამდეგის უცნობი წარწერა რუისის ღმრთისმშობლის ტაძრიდან..... 346

დიპლომატიკა

ნიკოლოზ ჟღენტო

საინტერესო ფაქტი ქართლის მეფე სვიმონ I-სა და ოსმალეთის სულთნის მურად III-ის დიპლომატიური ურთიერთობებიდან (საბუთი Qd-430 როგორც საისტორიო წყარო)..... 353

ნუმიზმატიკა

ირაკლი ფაღავა

არაბების პერიოდში თბილისში მოჭრილი ოქროს უნიკალური მონეტა..... 368

საისტორიო გეოგრაფია

ღაზით მერკვილაძე

კუხეთის ტერიტორიისა და საზღვრების შესახებ ლეონტი მროველის ცნობის გაბეჭვისათვის..... 375

სამხედრო ისტორია

მამუკა წურწუშია

სხეულის დამცავი საშუალებები ბვიანი შუასაუკუნეების საქართველოში..... 388

არჩილ ჩაჩხიანი

1918 წლის სოჭი-ტუაფსუს შეტევითი ოპერაცია და ბრძოლების ტაქტიკური ანალიზი..... 400

ახალი და უახლესი ისტორია

ოთარ ბობოლიშვილი

XIX საუკუნის ბათუმის საქალაქო ცხოვრების ისტორიიდან..... 418

ილია ნადიაშვილი

დიმიტრი ერმაკოვის წერილები ბრაზინია პრასკოვია უვაროვასადმი..... 424

დოდო ჭუმბურიძე

აკაკი ჩხენკელის რამდენიმე წერილი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და დასავლური ორიენტაციის შესახებ..... 436

შოთა ვადაჭკორია

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაცია და ოსიანობის განახლება შიდა ქართლში (1921-1924 წწ.)..... 445

ლელა სარალიძე ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და კავკასიის ბაქო-თბილისის იღმა (1921-1934 წწ.).....	470
--	-----

ALEXANDER MIKABERIDZE “WITH HONOR AND FIDELITY” LIFE AND CAREER OF COLONEL NICOLAS TOKHADZE (1901-1975) OF THE FRENCH FOREIGN LEGION.....	479
---	-----

ნიკო ჯავახიშვილი რაქვენ რუსიშვილი (ფოსტები, ტრადიციები, მოღვაწეობა)	515
--	-----

ნათო სონდულაშვილი დისიდენტური მოძრაობა საქართველოში (XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისი).....	523
--	-----

ეთნოლოგია

ნინო მინდაძე გურიის ტრადიციული ყოფის რამდენიმე ასპექტი ოსილორე რამიშვილის „მოგონებების“ მიხედვით.....	532
--	-----

ნინო დამბაშიძე ანდრია მოციქულის ქადაგება ქართული ხალხური ტრადიციის მიხედვით სამცხეში.....	541
--	-----

სალომე ბახია-ოქრუაშვილი სოციალური ურთიერთობის საკითხისათვის ოსებში.....	552
---	-----

ნუზარ მბელაძე „ბატონები“ და ბატონებთან დაკავშირებული ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.....	560
---	-----

დავით ჭითანავა მომთაბარებულებთან ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის პირითადად მიზეზები პირველყოფილ საზოგადოებაში.....	575
--	-----

მუსიკოლოგია

სოფო კოტრიკაძე დიმიტრი არაყიშვილის ერთი უცნობი ნაშრომის შესახებ.....	587
--	-----

თეონა ლომსაძე ქართული პოლიტიკური ფოლკლორი და ფოლკლორული პოლიტიკა: ფოლკლორული მუსიკისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართება საქართველოში.....	591
---	-----

ნინო მახარაძე საბავშვო და ბავშვთა სამუსიკო საკრავები საქართველოში.....	599
--	-----

მალხაზ რაზმაძე „მოღერნიშვილი ფოლკლორის“ შესახებ (ქართული ავთენტური მუსიკალური ფოლკლორის თანმდევი მოვლენების ზოგადი მიმოხილვა)	608
--	-----

ეკატერინე შოშიაშვილი სანთური.....	617
---	-----

ხელოვნების ისტორია

ღადო მირიანაშვილი

ბარეჯის უღაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთი ეგვიპტის (სადიაკონეს) მოხატულობის „არქაული ჯგუფის“ სიუჟეტთა ახლებური გააზრება..... 623

ვარლამ ღონღუასადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები

შალვა გლოველი

ხელნაწერები პროფესორ ვარლამ ღონღუას არქივიდან.....635

თემო ჯოჯუა

ღარბვისის მონასტრის დიაკონის ბრიბოლ ბანდაისძის მიერ ლომისის მონასტრის დეკანოზის შვილის ქსენეფორე ბურღულის დაკვეთით გადაწერილი 1410-იანი წლების კურთხევის ფრაგმენტი (Fr.216) პროფესორ ვარლამ ღონღუას პირადი კოლექციიდან..... 640

პოლემიკა

მამუკა წურჭუშია

კიდევ ერთხელ ვაველის მუხარაღის შესახებ..... 723

რეცენზია

ღადო მირიანაშვილი

რეცენზია წიგნზე: მამუკა წურჭუშია. შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700): ორბანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება. თბილისი: 2016. 782 გვ. ISBN 978 9941 0 9688 4..... 740

ნინო მაისურაძე

ნინო ლამბაშიძე – „მე ვინა და მე ვარქა“.....745

CONTENTS

ANCIENT HISTORY

NANA KHAZARADZE, NANA BAKHSOLIANI AKKADIAN-LANGUAGE DOCUMENTS OF THE RECONNAISSANCE CHARACTER AS A HISTORICAL SOURCE.....	11
NANA BAKHSOLIANI ON THE SEMANTICS OF THE TERM “CAPPADOCIA”	16
GIORGI L. KAVTARADZE ABOUT THE IDENTITY OF THE “BUN-TURKS” AND “HONS” OF THE <i>CONVERSION OF KARTLI</i>	19

MEMORIAL HISTORY

TSIALA GVABERIDZE FOR THE FLAG OF THE UNITED GEORGIAN KINGDOM.....	44
GONELI ARAKHAMIA, MARINE KARDAVA THE KUTAISI ROYAL THRONE AND ITS DOMAIN IN THE 13 TH -16 TH CENTURIES.....	59
TAMAZ GOGOLADZE MATERIALS FOR HISTORY OF FEUDAL FAMILY OF KAIKHOSRO BARATASHVIL-ABASHISHVILI.....	83
DAVID CHITANAVA QOCHAQIDZE NOBLEMEN.....	121
LELA MIKIASHVILI EREKLE II AND ALEXANDER AMILAKHVARI.....	133

SOURCE STUDIES

TEMO JOJUA UNKNOWN TESTAMENTS, COMMEMORATIVE AGAPES AND COLOPHONS FROM THE XII-CENTURY SYNAXARION (H-886) COPIED BY BASIL MJOBAISDZE FROM TSAGVLI AND EPTVIME IN JERUSALEM ON THE COMMISSION OF MARIAM MOGELI (PUBLICATION OF TEXTS; CODICOLOGICAL, HISTORICAL AND SOURCE STUDY RESEARCH)	145
VAZHA KIKNADZE NEW MATERIALS ABOUT SPREADING THE BLACK DEATH (PLAGUE) IN GEORGIA IN THE MIDDLE OF THE 14 TH CENTURY (SVANETIAN DOCUMENTS)	219
BRIGITTA SCHRADER DIE ERFORSCHUNG SWANETIENS: LEGENDEN, REISEBERICHTE, FORSCHUNGSLITERATUR.....	227
DAVID MERKVILADZE THE CATHOLIC MISSIONARIES IN CONSTANTINOPLE AND THEODOSIA ACCORDING TO “COLCHIDE SACRE” BY ARCHANGELO LAMBERTI.....	246

EPIGRAPHY

TAMAZ GOGOLADZE, IRAKLI GELASHVILI, NINO KHARSHILADZE
GRAFFITI FROM THE POTOLETI CHURCH AND THEIR
ANALYSIS BY MEANS OF HISTORICAL AND SOURCE STUDY METHODS..... 253

TEMO JOJUA
THE NEWLY REVEALED GEORGIAN AND GREEK EPIGRAPHIC MONUMENTS
(LAPIDARY INSCRIPTIONS AND GRAFFITI) FROM THE ANCIENT CITY OF ANI..... 266

IRAKLI GELASHVILI, TAMAZ GOGOLADZE, TEMO JOJUA
AN UNKNOWN CONSTRUCTION INSCRIPTION (XV-XVI CC.) ON THE WALL
OF ST. GEORGE CHURCH IN SURAMI FORTRESS WITH MENTIONING OF GIORGI
GAGANIDZE, MECHURCHLETUKHUTSESI AND PIRIS MTSDE, AND HIS SPOUSE TAMAR
KUABULISDZE (THE HISTORY OF REVEALING THE INSCRIPTION
AND ITS STUDYING, AND PUBLICATION OF THE TEXT) 340

IRAKLI GELASHVILI
AN UNKNOWN INSCRIPTION OF GIORGI, „THE OVERSEER OF MASONS“,
FROM THE CHURCH OF THE MOTHER OF GOD IN RUISI..... 346

DIPLOMATICS

NIKOLOZ ZHGENTI
AN INTERESTING FACT FROM DIPLOMATIC RELATIONS BETWEEN
KING OF KARTLI SVIMON I AND OTTOMAN SULTAN MURAD III
(DOCUMENT Qd-430 AS A HISTORICAL SOURCE) 353

NUMISMATICS

IRAKLI PAGHAVA
THE UNIQUE GOLD COIN MINTED IN TIFLIS IN
THE PERIOD OF ARAB DOMINANCE..... 368

HISTORICAL GEOGRAPHY

DAVID MERKVILADZE
UNDERSTANDING LEONTI MROVELI'S DATA
ABOUT TERRITORY AND BORDERS OF KUKHETI..... 375

MILITARY HISTORY

MAMUKA TSURTSUMIA
BODY DEFENSES IN LATE MEDIEVAL GEORGIA..... 388

ARCHIL CHACHKHIANI
OFFENSIVE OPERATION SOCHI-TUAPSE
1918 AND TACTICAL ANALYSIS OF THE BATTLES..... 400

MODERN AND CONTEMPORARY HISTORY

OTAR GOGOLISHVILI
FROM THE LIFE OF THE XIX-CENTURY URBAN LIFE OF BATUMI..... 418

ILIA NADIMASHVILI
THE FACSIMILE LETTERS OF THE FAMOUS PHOTOGRAPHER
DIMITRI ERMAKOV TO COUNTESS PRASKOVIA UVAROVA..... 424

DODO CHUMBURIDZE
SEVERAL LETTERS OF AKAKICHKHENKELI ABOUT OF STATE
INDEPENDENCE AND WESTERN ORIENTATION..... 436

SHOTA VADACHKORIA
OCCUPATION OF GEORGIA BY BOLSHEVIKS AND
RENEWAL OF “OSIANOBA” IN SHIDA KARTLI..... 445

LELA SARALIDZE
GEORGIAN POLITICAL EMIGRATION AND THE IDEA OF
CONSOLIDATION OF THE CAUCASUS (1921-1934 YEARS) 470

ALEXANDER MIKABERIDZE
“WITH HONOR AND FIDELITY” LIFE AND CAREER OF COLONEL
NICOLAS TOKHADZE (1901-1975) OF THE FRENCH FOREIGN LEGION..... 479

NIKO JAVAKHISHVILI
RAJ DEN RUSISHVILI (ROOTS, TRADITIONS, ACTIVITY) 515

NATO SONGULASHVILI
THE DISSIDENT MOVEMENT IN GEORGIA
(IN THE 80TH OF THE XX CENTURY) 523

ETHNOLOGY

NINO MINDADZE
SOME ASPECTS OF TRADITIONAL LIFE IN GURIA
ACCORDING TO THE “MEMOIRS” OF ISIDORE RAMISHVILI..... 532

NINO GHAMBASHIDZE
MISSION OF ST. ANDREW DISCIPLE IN SAMTSKHE
ACCORDING TO GEORGIAN FOLK TRADITION..... 541

SALOME BAKHIA-OKRUASHVILI
TO THE PROBLEM OF SOCIAL RELATIONS IN OSSETIANS..... 552

NUGZAR MGELADZE
“BATONEBI” - TRADITIONS AND BELIEFS
CONNECTED TO IT IN THE SOUTH-WESTERN GEORGIA..... 560

DAVID CHITANAVA
THE MAIN REASONS FOR THE TRANSITION FROM WANDERING
LIFESTYLE TO THE NOMADIC LIFE IN PRIMITIVE SOCIETY..... 575

MUSICOLOGY

SOPHO KOTRIKATDZE
ON ONE UNKNOWN WORK OF DIMITRI ARAKISHVILI..... 587

TEONA LOMSADZE
GEORGIAN POLITICAL FOLK AND FOLKLORIC POLITICS:
THE RELATIONSHIP BETWEEN FOLK MUSIC AND POLITICS IN GEORGIA..... 591

NINO MAKHARADZE
CHILDREN’S MUSICAL INSTRUMENTS IN GEORGIA..... 599

MALKHAZ RAZMADZE
“MODERNIZED FOLKLORE” AND OTHER ACCOMPANYING
OCCURRENCES OF GEORGIAN AUTHENTIC FOLKLORE MUSIC..... 608

EKATERINE SHOSHIASHVILI
SANTURI, THE MUSICAL INSTRUMENT.....617

ART HISTORY

LADO MIRIANASHVILI
SCENES OF AN “ARCHAIC GROUP” OF MURALS IN THE NORTH CHAPEL
OF THE MAIN CHURCH OF UDABNO MONASTERY IN GAREJI RECONSIDERED..... 623

PRESENTATIONS GIVEN AT THE SCIENTIFIC CONFERENCE DEDICATED TO VARLAM DONDUA

SHALVA GLOVELI
MANUSCRIPTS FROM THE ARCHIVE
OF PROFESSOR VARLAM DONDUA..... 635

TEMO JOJUA
A FRAGMENT OF THE BREVIARY (FR.216) COPIED BY GRIGOL BANDAISDZE,
THE DEACON OF THE LARGVISI MONASTERY, COMMISSIONED
BY KSENJEFOR BURDULI, SON OF THE ARCHPRIEST OF LOMISI
MONASTERY, DATED TO THE 1410S, FROM THE PERSONAL
COLLECTION OF PROFESSOR VARLAM DONDUA..... 640

POLEMIC

MAMUKA TSURTSUMIA
ONCE MORE ABOUT THE WAWEL HELMET..... 723

REVIEW

LADO MIRIANASHVILI
BOOK REVIEW: MAMUKA TSURTSUMIA. MEDIEVAL GEORGIAN
ARMY (900-1700): ORGANIZATION, TACTICS, ARMAMENT.
TBILISI: 2016, 782 PP., ISBN 978 9941 0 9688 4..... 740

NINO MAISURADZE
NINO GAMBASHIDZE – “THE SUN INDOORS AND OUTDOORS” 745

კველი ისტორია

ნანა ხაზარაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ნანა ბახსოლიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

აქადურენოვანი სადაზვერვო ხასიათის დოკუმენტები როგორც საისტორიო წყარო

ძვ. წ. II-I ათასწლეულების ახლო აღმოსავლეთის ისტორიის სხვადასხვა ასპექტების კვლევისას, ჯერ კიდევ 2012 წელს გამოქვეყნებულ ჩვენს ერთობლივ ნაშრომში „სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვის ძველახლოაღმოსავლური მოდელის რეკონსტრუქციისათვის“ ძირითადი ყურადღება ამ რეგიონის ცნობილი პოლიტიკური ერთეულების (ხეთების, ურარტუს, ასურეთის სამეფოების, გვიანხეთური პოლიტიკური გაერთიანებების: თაბალის, გურგუმის, კუმუხის, ქარხემიშის...) უსაფრთხოების სისტემასთან დაკავშირებული წერილობითი წყაროების ანალიზის შედეგად იმ დასკვნამდე მივედით, რომ ამ თვალსაზრისით ჩატარებული ღონისძიებები სტერეოტიპულია. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება ექცეოდა სახელმწიფოების, დედაქალაქების, მსხვილი დასახლებული პუნქტების, საკულტო ცენტრების საზღვრების დაცვას. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა სადაზვერვო სამსახურის გამართულ მუშაობას. ასევე, შევეცადეთ კონკრეტული მაგალითების მოძიებით გვეჩვენებინა სამხედრო ოპერაციების შედეგად ტყვედნაწარდნილთა (ქალები, მამაკაცები, ყრმები) ქვეყნის არა სასაზღვრო ზოლში, არამედ ცენტრალურ რაიონებში გადასახლების ტრადიციადქცეული პრაქტიკა. ასევე, ყურადღება მივაქციეთ სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან, საუკუნეთა მანძილზე გამოუმუშავებულ მექანიზმს – ქვეყნის ნაკლებად დაცული ერთ-ერთი სასაზღვრო ზოლიდან ხელისუფლების მიერ უკვე ათვისებულ მეორე სასაზღვრო რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობის დეპორტაციას ან ქვეყნიდან საერთოდ გაძევებას, ისევე როგორც, მეზობელ ქვეყნებთან დამყარებული დიპლომატიური ურთიერთობების ამსახველ ხელშეკრულებებს, პროვინციადქცეულ დაპყრობილ ქვეყნებში პირველ პირებად არა დომინანტი ეთნოსის წარმომადგენლების, არამედ დამპყრობლის შთამომავალთა, ან ახლო ნათესავების დანიშვნას¹.

ჩვენს მიერ მოძიებული ძველახლოაღმოსავლური, სხვადასხვაენოვან წერილობით ძეგლებში დამოწმებული მონაცემები, რომელთაც სისრულის პრეტენზია არ გააჩნია, საშუალებას გვაძლევს ქართულ ისტორიოგრაფიაში, ფაქტობრივად, პირველად დასმული პრობლემის ძველახლოაღმოსავლური სახელმწიფოების დაცვის მოდელის რეკონსტრუქციაში გარკვეული წვლილი შეიტანოს.

მაშინაც და ახლაც მიგვაჩნია, რომ საკვლევი პრობლემა აქტუალური და მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ძველახლოაღმოსავლური სახელმწიფოების ისტორიის, არამედ მსოფლიოში დღეს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების თვალსაზრისითაც.

ამჯერად, გადავწყვიტეთ საკვლევი პრობლემით დაინტერესებულ მკითხველს, შესაძლო სისრულეთ მივაწოდოთ ის აქადური წერილობითი წყაროები, რომლებიც ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება² და წარმოდგენას გვიქმნის ძველი ახლოაღმოსავლეთის ქვეყნებში სადაზვერვო მუშაობის ცალკეული მახასიათებლების შესახებ.

კვლევის ფოკუსშია ასურეთის სადაზვერვო სამსახურის ფუნქციონირების ამსახველი პირველწყაროები.

ჩვენს ხელთ არსებული სადაზვერვო ხასიათის დოკუმენტები ორი ასპექტითაა საყურადღებო: უპირველეს ყოვლისა, ეს წერილობითი წყაროები საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ასურეთში ჩამოყალიბებული სადაზვერვო სამსახურის სისტემას, მის მთავარ მოქმედ პირებს. ტექსტების ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ იგი საკმაოდ გააზრებული მექანიზმით იმართებოდა. ასურეთისათვის საინტერესო ქვეყნის სასაზღვრო ოლქის სადაზვერვო სამსა-

¹ ნ. ხაზარაძე, ნ. ბახსოლიანი, *ძველი ახლო აღმოსავლეთის ისტორიისა და კულტურის წყაროთმცოდნეობითი ძიებანი* (თბილისი, 2012), გვ. 54-73.

² გამოყენებულია: А. И. Иванчик, *Киммерийцы* (Москва, 1996), აქადურენოვანი ტექსტები, ქართული თარგმანები ერთვის 2015 წელს ნ. ბახსოლიანის მიერ შესრულებულ წლიურ თემას: „ასურეთის იმპერია და მისი ექსპანსია“ (თბილისი, 2015), რომელიც დაცულია ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში.

ხურს სათავეში მაჟორდორმი ედგა. მის დაქვემდებარებაში სახელმწიფო მაცნე, მისი დამხმარე პირი (პირები), იერარქიის შესაბამისად პირველად ინფორმაციას ადგილზე აგროვებდნენ და ზემდგომ ინსტანციას მყისიერად გადასცემდნენ. საბოლოოდ, ასურეთის მეფე, მომავალი სამოქმედო სტრატეგიის შესამუშავებლად სასაზღვრო ოლქებიდან გადამოწმებულ ინფორმაციას დებულობდა.

შემოთავაზებული აქადური ლურსმული წერილობითი ძეგლები იმ მხრივაცაა საყურადღებო და მნიშვნელოვანი, რომ საკმაოდ ღირებულ ინფორმაციას გვაწვდის ურარტუს მეფეთა მიერ გამირის (ძველბერძნული წერილობითი წყაროების კიმერიელების) წინააღმდეგ ჩატარებულ ოპერაციებთან დაკავშირებით, რასაც ქვემოთოყვანილი დოკუმენტური მასალა საყვებით ადასტურებს.

სინაქერიბის წერილი მეფე სარგონ II-ს (ბრიტანეთის მუზეუმი, Rm554): „მე მოვაწყვე თქვენი [მაჟორდორმი] [ჩემს] სახლში. ასეთია შეტყობინება აშურიცუის [შულმუ]ბელი, სახელმწიფო მაუწყებლის დამხმარე, მოვიდა ჩემთან და (მითხრა): „ურზანამ მომწერა: როდესაც ურარტუს მეფე მოვიდა გამირში, მისი ჯარი იყო დამარცხებული. ოლქის მმართველი უასი მოკლული. ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს ინფორმაცია, როგორც კი გვექნება, მაშინვე შეგატყობინებთ. შარულუდარის მეთაურობით გაქცეული ცხენოსანი ჯარი ურარტუში მოვიდა. სახელმწიფო მაუწყებლის [მზვერავები], რომლებმაც ხუბუშქიას საზღვართან დაიჭირეს ბირატე...“

K181. „მეფეს ჩემს ბატონს, შენი მონა სინაქერიბი. დაე მეფის კეთილდღეობა იყოს, ჩემი ბატონისათვის, კეთილდღეობა ასურეთს, კეთილდღეობა ტაძრებს, კეთილდღეობა მეფის ციხე-სიმაგრეს. მეფის, ჩემი ბატონის გული დაე იყოს ფრიად კმაყოფილი. უკიეცმა მომწერა: „ურარტუს მეფე როდესაც გამირში მოვიდა, მისი ჯარი იყო მთლიანად დამარცხებული. მისი 11 ოლქის მმართველი მათივე ჯარებით იქნა წაყვანილი. მისი ტურტანი და ორი ოლქის მმართველი ჩავარდა ტყვედ. ის მოვიდა (აქ), გაემართა ... [...] მოვიდა. მისი ქვეყნის დიდებულები [] [ასეთი] შეტყობინება უკიეცს. აშურიცუამ მომწერა: „ურარტუს შესახებ წინა შეტყობინება, რომელიც მე გამოვგზავნე – ის რომ მათი დამარცხების (ამბავი) იყო მოტანილი. ახლა მისი ქვეყანა დაწყნარდა, ყოველი მისი დიდებული მივიდა თავის ოლქში. კაკადანუ, მისი ტურტანი ტყვედ ჩავარდა ურარტუს მეფე უაცაუნის ოლქში“. ასეთია აშურიცუას შეტყობინება. ნაბუ-ლეი, ბირატას ოლქის მმართველი გწერს: „ციხე-სიმაგრეთა გარნიზონების უფროსები, რომლებიც საზღვარზეა, შეეფარდება შეტყობინებას ურარტუს მეფეზე მე რომ დაგწერე. როცა ის მოვიდა გამირში, მისი ჯარი მთლიანად დამარცხებული იყო. მისი სამი დიდებული მათივე ჯარებით განადგურებული. თავად ის გაიქცა და მოვიდა თავის ქვეყანაში. მისი ჯარი ჯერ კიდევ არ მიახლოებია“. ასეთია ნაბუ-ლეის შეტყობინება. მუცაცირეცი, მისი ძმა, მისი ვაჟი ურარტუს მეფესთან მისასალმებლად მივიდნენ. ხუბუშქიელის მდევარიც, ასევე, მისასალმებლად მასთან მივიდნენ. ყველა ციხე-სიმაგრის გარნიზონების უფროსები, რომლებიც საზღვარზეა გამოგზავნილი თაბალიდან, მე გავუგზავნე მეფეს, ჩემს ბატონს“.

ტექსტი დაცულია ბადდადის ეროვნულ მუზეუმში: „ჩემს ბატონს, მეფეს, თქვენი [მონა სინაქერიბი], დაე ჰქონდეს კეთილდღეობა მეფეს, ჩემს ბატონს, კეთილდღეობა ასურეთს, კეთილდღეობა ტაძრებს, მეფის ყველა [ციხე-სიმაგრე] კეთილდღეობა. მეფის გული, ჩემი ბატონისა, დაე იყოს ფრიად კმაყოფილი. იტუაეცი, იშტახუპის ქალქიდან [...] ახლა (ქალაქ) რატა ჩემთან მოიყვანეს. მე ვკითხე მას ურარტუს შესახებ. (მან მითხრა): ურარტუ (და) მისი დიდებულები, როცა ლაშქრობა მოაწყვეს გამირში, იქნა დამარცხებული (?) მათ ძალიან ეშინიათ მეფის, ჩემი ბატონის. ისინი ქალებივით კანკალებენ და უმოქმედოდ არიან. არავინ ჩემი ბატონის, მეფის ციხე-სიმაგრეში [არ] სრულიად მშვიდობიანად. (ეს) შეტყობინება ურარტუზე. ავადმყოფობა (?) [...] მანეის დიდებულის იუდეა [...] მთავარი ვექილის [...] მსხვილი კოჭები [...] რაცაპის ოლქის უფროსი [...] თილ-ბარსიფის ოლქის მმართველი [...] (ქალაქი) ადია“.

კუმეს ოლქის მმართველის აშურიცუას წერილი სარგონ II-ს, ბრიტანეთის მუზეუმი: „ჩემს ბატონს, თქვენი მონა აშურიცუა. დაე კეთილდღეობა ჰქონდეს მეფეს, ჩემს ბატონს, კეთილდღეობა მეფის ქვეყანას, კეთილდღეობა ციხე-სიმაგრეებს. დაე ჰქონდეს კეთილდღეობა მეფეს ჩემს ბატონს. გურიანა ოლქი ურარტუსა და გამირს შორის ურარტუს უხდის ხარკს. როცა ურარტუ გამირის წინააღმდეგ წავიდა, მაშინ ურარტუს დამარცხება მოუტანა. ყველა მეომარი, რომლებიც იქიდან გაიქცა? გურიანაში ამ ერთ-ერთმა [...] სხვებისგან მან აიღო [] დადგა. როცა ურარტუს მეფე თავისი მტრისაგან გაიქცა?... მისი გზის წინა (ლაშქრობის) [] ეს [] 8 ათასი [მებრძოლი...] თოვლი? [ოლქის უფროსები] ურარტელები, რომლებიც [...] ურარტუს მეფის (წინააღმდეგ) [...] ეს ოლქის უფროსები [...] მეფის თვალეში ციხე-სიმაგრეები [] მეფემ ჩემმა ბატონმა თქვა?...] მოვიდა [...] მდევრები მოდიან? მათ წინააღმდეგ ზურგში [...] ცნობა მეფეზე: ის ტუშპაშია“.

ურდა-სინის წერილი სახელმწიფო მაცნეს, ბრიტანეთის მუზეუმი: „სახელმწიფო მაცნეს, ჩემს ბატონს, შენი მონა ურდა-სინი. კიმერიელი [...] ეს (?) გაემართა მანიდან ურარტუში შევიდა.

ხუდიადეში (?) სარდური ტურუშპაში [...] მღევარი უესის ოლქის უფროსი ურზანასთან მივიდა დახმარებისათვის (?) (ამბობს): შენი ჯარი მოვიდეს აქ პულიელების, სურიანელების შესახებ მთელი ურარტუ ძალიან შეშინებულია. ისინი ამზადებენ ჯარს, (ამბობს): „შეიძლება, როცა დიდი თოვლი იქნება, ჩვენ გამოვალთ მის წინააღმდეგ“.

უცნობი ავტორის წერილი სარგონ II-ს, ბაღდადის ეროვნული მუზეუმი: „[ჩემი ბატონის, მეფის] [შენი მონა...] დაე მეფეს ჰქონდეს კეთილდღეობა, ჩემს [ბატონს] კეთილდღეობა [მეფის ქვეყანას], კეთილდღეობა [ციხე-სიმაგრეებს]. ურარტუს შესახებ ცნობა, რომლის შესახებ მეფემ, ჩემმა ბატონმა მომწერა: ზუსტი ცნობა უცუნალში [ბანაკი(?)] გაშალა. ინფორმაცია [მე ვერ ვნახე] ხუბუშქიდან ურზანას ვწერ: (?) ცნობა მომწერე მე ვერ გავიგე... ის რასაც მეფე ჩემი ბატონი მიბრძანებს, მომწერე“.

როგორც აღინიშნა, შესწავლილი სადაზვერვო ხასიათის დოკუმენტური პირველწყაროები ურარტუს ისტორიის თვალსაზრისითაცაა საყურადღებო და გასათვალისწინებელი, მითუმეტეს, რომ იგი ქართველთა განსახლების ტერიტორიასთანაა ორგანულად დაკავშირებული.

ზემომოყვანილი ტექსტიდან დაინახეთ, რომ ასურული გამირის ადგილმდებარეობის გასარკვევად ძირითად კოორდინატს გურიანიას ქვეყანა წარმოადგენს, რომელიც ურარტუს მოხარკე ყოფილა და გამირის ემეზობლებოდა¹.

სამეცნიერო ლიტერატურაში ასურული წყაროს გურიანიას ლოკალიზაციის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ი. დიაკონოვი ასურული ტექსტის გურიანიას სარდურ II-ის ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებულ კურიანისთან აიგივებს. ამ ქვეყანას იგი ურარტუს სამფლობელოების უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ საზღვართან ათავსებს, ივანის ქვეყნის მახლობლად². გ. მელიქიშვილის თანახმად, სარდურ II-ის წარწერის კურიანი საძიებელია ერიასს (დღევ. გიუმრი) და ივანის (ჩილდირის ტბასთან) შორის მდებარე ოლქში, ჩილდირის ტბის აღმოსავლეთით. იგივე ავტორი არ გამორიცხავს ვარაუდს, რომ კურიანის ქვეყნის სამფლობელოები ჩრდილოეთის მიმართულებით მდ. მტკვრის ზემო დინების მხარემდეც აღწევდა³. ა. ივანჩიკის აზრით, რომელიც იზიარებს ასურული წყაროების გურიანიას იდენტიფიკაციას სარდურ II-ის წარწერაში მოხსენიებულ კურიანისთან, ამ უკანასკნელს რუსა I-ის წოვინარის ურარტულ წარწერაში მოხსენიებულ გურიანისთან აიგივებს და ამ ეპიგრაფიკული ძეგლის მონაცემებიდან გამომდინარე, სევანის ტბის ჩრდილოეთ სანაპიროსთან ათავსებს⁴. ნ. არუთუნიანი რუსა I-ის წოვინარის წარწერაში მოხსენიებული ტბის „იქეთა მხარეს“, მაღალ მთებში მდებარე 19 ქვეყანას და მათ შორის გურიანის სევანის ტბის სამხრეთით და აღმოსავლეთით ათავსებს, დღევ. ვარდანისის და შამშადინის რაიონში⁵.

სადღეისოდ სამეცნიერო ლიტერატურაში გამირის ქვეყნის (კიმერიელების ქვეყნის) ლოკალიზაციის ასევე, რამდენიმე ვარიანტი არსებობს.

ბ. პიოტროვსკის თვალსაზრისით, გამირის ქვეყანა ურარტუს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა, კაპადოკიის აღმოსავლეთ რაიონში⁶. ი. დიაკონოვი მიიჩნევდა, რომ გამირის ქვეყანა ან საქართველოს ცენტრალურ რეგიონში, ან დღევ. აჭარასა და აღმოსავლეთ პონტოშია მოსათავსებელი. ი. დიაკონოვის მოწმობით, ს. ერემიანი გამირის კუთვნილ ტერიტორიას დღევ. გიუმრის მახლობლად მდებარე მხარეში ვარაუდობდა⁷. ს. პეტროსიანის თანახმად, იგივე ქვეყანა საძიებელია სომხეთის ზეგანის ჩრდილოეთ რეგიონში, გვიანდელი გოგარენეს ტერიტორიაზე, სადაც კიმერიელებთან ერთად მათი მონათესავე თრერები და გოგარები ბინადრობდნენ⁸. ი. ივანჩიკი გამირას ქვეყანას ცენტრალური კავკასიის სამხრეთ რეგიონში ათავსებს, უფრო ზუსტად, სევანის ტბის ჩრდილოეთით განლაგებული, ურარტული წყაროს (წოვინარის წარწერა) გურიანის ჩრდილოეთით⁹.

ჩვენი თვალსაზრისით, ასურული წყაროს გურიანია რუსა I-ის წოვინარის წარწერაში მოხსენიებულ გურიანისთანაა გასაიგივებელი. ამგვარ დასკვნამდე რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებას მივყავართ. პირველი ისაა, რომ სარდურ II-ის „ანალების“ კურიანი და რუსა I-ის წოვი-

¹ ნ. ხაზარაძე, კიმერიელები წერილობითი წყაროების მონაცემთა კონტექსტში, *ჯავახეთი, ისტორია და თანამედროვეობა* (ახალციხე, 2002), გვ. 15-23.

² ი. მ. Дьяконов, *Предистория армянского народа* (Ереван, 1968), с.169.

³ Г. А. Меликишвили, *Наири-Урарту* (Тбилиси, 1954), с. 61.

⁴ А. И. Иванчик, *Киммерийцы* (Москва, 1996), с. 28.

⁵ Н. В. Арутюнян, *Топонимика Урарту* (Ереван, 1985), с. 76, 258-259.

⁶ Б. Б. Пиотровский, *Ванское Царство* (Москва, 1959), с. 232-233.

⁷ ი. მ. Дьяконов, *История Мидии* (Ленинград, 1956), с. 236.

⁸ С. Г. Петросян, Фрако-киммерийские племенные союзы на Армянском нагорье (VI-V вв. До н. Э.), *Историко-Филологический Журнал*, 1 (76) (Ереван, 1977), с. 219-220.

⁹ А. И. Иванчик, *Киммерийцы*, с. 28-29.

ნარის წარწერის გურიანის ურარტელების მიერ კონტროლირებად სამხრეთ კავკასიის სხვადასხვა მხარეებში ლოკალიზდება: კურიანის ერიახის ჩრდილო-დასავლეთით (დღევ. გიუმრი) და ივანიქის (ჩილდირის ტბის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროსთან), ჩრდილოეთით, მდ. მტკვრის სათავეებთან, ხოლო გურიანის სხვა 18 ქვეყანასთან ერთად სევანის ტბის ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე „მაღალ მთებში (ბამბაკის მთებში)¹.

ყურადღებას იმსახურებს ჩვენთვის საინტერესო ტერმინთა ფონეტიკური მსგავსებაც ასურული ^{KUR}Guriania, ურარტული ^{KUR}Guriaini, შდრ. ურარტული ^{KUR}Quriani.

ასურული გურიანისა და ურარტული გურიანის იგივეობის წარმოსაჩენად, ჩვენი აზრით, შემდეგიცაა ანგარიშგასაწევი: რუსა I-ის ზეობის წლებში ჩრდილოეთის მიმართულებით ურარტელების აქტიური მოქმედების არეალი (სამხედრო ოპერაციები...) სევანის ტბის რეგიონით შემოიფარგლებოდა². სარდურ II-ისაგან განსხვავებით, რომლის ავტორობით შედგენილი ურარტული წარწერების გავრცელების უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი იზოლდუსთან და დაშ კერპისთან გადის, რუსა I-ის მეფობის დროინდელი ეპიგრაფიკული ძეგლების უმრავლესობა ვანში, სევანის ტბასთან და კარმირ ბლურზეა აღმოჩენილი³.

შემთხვევითობით ვერც იმას ავსენით, რომ არც ივანი და არც ერიახი, არც ამ ქვეყნების ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რომელიმე გეოგრაფიული ერთეული (მაგალითად, ზაბახა-ჯავახეთი, ამ უკანასკნელის სამხრეთ რეგიონში ლოკალიზებული ფუსუნიაფოსო, ცუდალა-წუნდა...), რომლებიც სარდურ II-ის წარწერებში იხსენიებიან⁴ და ჩრდილოეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ურარტელების აქტიურობაზე მიანიშნებენ, რუსა I-ის ურარტულ წარწერებში საერთოდ არ მოწმდებიან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ სარგონ II-ის დროინდელ ასურულ წერილობით წყაროებში, სადაზვერვო ხასიათის კორესპონდენციებში მოხსენიებული გურიანის მეზობელი გამირების (კიმერიელების) ადგილსამყოფელი სევანის ტბისა და ბამბაკის მთების ჩრდილოეთით მდებარე ქვემო ქართლის ტერიტორიაზეა საძიებელი.

ამგვარ ვარაუდს გარკვეულწილად ქვემო ქართლის, მკვლევართათვის კარგად ცნობილი ტოპონიმიაც უნდა უჭერდეს მხარს. ქვემო ქართლის ტერიტორიაზე სკვითურ-კიმერიული ტომების არსებობის შესაძლო ნაკვალევად მინეული „გოგარენე“, „თრიალეთი“ (სომხ. „თრელ“-ი) და სამშვილდესთან ახლომდებარე ქედის სახელწოდება „გომერ“⁵, რომელიც ზუსტად შეესატყვისება ბიბლიის მასორული ხელნაწერის G'omär-ს, სეპტუაგინტას „გამერ-გომერს“ და ეზეკიელისეულ „გომერს“ („გომერ და ყოველნი გარემონი მისნი, სახლი თარგამაისა, დასასრულითგან ჩრდილოისაითა“, ეზეკიელი 38,6).

ამგვარად, ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად, საშუალება გვეძლევა მოძიებული აქადური სადაზვერვო ხასიათის წერილობითი ძეგლების საფუძველზე, ერთი მხრივ, ასურეთის სამეფოს ძვ. წ. VIII ს. სადაზვერვო სამსახურის ისტორიაც წარმოვანიხოთ და, მეორე მხრივ, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე გამირების (კიმერიელების) არსებობა ვივარაუდოთ.

ბიბლიოგრაფია

1. დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (თბილისი, 1979).
2. ნ. ხაზარაძე, ნ. ბახსოლიანი, *ძველი ახლო აღმოსავლეთის ისტორიისა და კულტურის წყაროთმცოდნეობითი ძიებანი* (თბილისი, 2012)
3. ნ. ხაზარაძე, კიმერიელები წერილობითი წყაროების მონაცემთა კონტექსტში, *ჯავახეთი, ისტორია და თანამედროვეობა* (ახალციხე, 2002).
4. Н. В. Арутюнян, *Топонимика Урарту* (Ереван, 1985).
5. И. М. Дьяконов, *История Мидии* (Ленинград, 1956).
6. И. М. Дьяконов, *Предистория армянского народа* (Ереван, 1968).
7. А. И. Иванчик, *Киммерийцы* (Москва, 1996).
8. Г. А. Меликишвили, *Наири-Урарту* (Тбилиси, 1954).

¹ Г. А. Меликишвили, *Урартские клинообразные надписи* (Москва, 1960), с. 438.

² იქვე, გვ. 323-334.

³ იქვე, გვ. 273-322.

⁴ Н. В. Арутюнян, *Топонимика Урарту*, с. 76, 258-259.

⁵ დ. ბერძენიშვილი, *ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან* (თბილისი, 1979), გვ. 103.

9. Г. А. Меликишвили, Урартские клинообразные надписи, Москва, 1960.
10. С. Г. Петросян, Фрако-киммерийские племенные союзы на Армянском нагорье (VI-V вв. До н. Э.), *Историко-Филологический Журнал*, 1 (76) (Ереван, 1977).
11. Б. Б. Пиотровский, *Ванское Царство* (Москва, 1959).

NANA KHAZARADZE

Georgian National Academy of Sciences

NANA BAKHSOLIANI

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

AKKADIAN-LANGUAGE DOCUMENTS OF THE RECONNAISSANCE CHARACTER AS A HISTORICAL SOURCE

On the basis of the study of the obtained documentary written sources of the reconnaissance character, dated to the 8th c. BC, the authors arrive at the conclusion that these written sources are significant for reconstructing the history of the reconnaissance service of the Assyrian Kingdom, which was governed by a well thought-out mechanism: in the border district of a country of interest for Assyria the reconnaissance service had a majordomo. In the subordination of the latter were the state herald, his assistant(s) and secret service men, who, according to the service hierarchy collected primary information on the site and transferred it immediately to the higher instance. Finally, for working out the future action strategy, the King of Assyria received from border districts the verified information.

As a result of the conducted research, on the basis of the above-mentioned sources, the authors cannot rule out the assumption that the region of meeting of the Cimmerians and the Urartians may be localized on the territory of Lower Kartli.

ტერმინ „კაპადოკიის“ სემანტიკისათვის

ტერმინი „კაპადოკია“ პირველად დარიოს I-ის (ძვ. წ. 522-486 წწ.) დროინდელ სპარსულ ლურსმულ წერილობით ძეგლებში გვხვდება. ბეჰისტუნის კლდეზე ამოკვეთილ წარწერაში, რომელიც ძვ. წ. VI საუკუნეს განეკუთვნება, „კაპადოკია“ Katpatuka-ს ფორმით იხსენიება. წარწერებიდან ირკვევა, რომ ტერმინ „კაპადოკია“-ს („katpatuka-ს“) ძველი რაიმე შესატყვისი არ მეპოვება. სპარსული ტექსტის როგორც ელამურ, ასევე, აქადურ ვარიანტებში ეს ტერმინი უცვლელადაა გადატანილი (ელამური Qa-at-ba-du-qa, აქადური Ka-at-pa-tuk-ka)¹.

ამჯერად, ჩემი მიზანია მრავალგვარ ტურისტულ ბუკლეტებსა თუ სხვა სახის გამოცემებში დამოწმებული ჩვენთვის საინტერესო ტერმინის მნიშვნელობის გარკვევა, სადაც, ძველსპარსული Katpatuka „ლამაზი ცხენების ქვეყანაა“ წარმოჩენილი². ინტერნეტ რესურსში პირდაპირი მითითება გვხვდება იმის შესახებ, რომ ძველსპარსული Katpatuka-ს წარმოშობა გაურკვეველია³. თუმცა, იქვე ისიცაა აღნიშნული, რომ ძველი თეორიების მიხედვით, სახელწოდება ძველსპარსულიდან მომდინარეობს და, სავარაუდოდ, ორგვარი მნიშვნელობის მატარებელია: „Ducha/Tucha-ს ქვეყანა“, და „ლამაზი ცხენების ქვეყანა“⁴. ტიშლერი და დელ მონტე კატპატუკას სემანტიკასთან დაკავშირებით საყურადღებო ვარაუდს გამოთქვამს, რომლის თანახმად, კატპატუკა ხეთური ქი-ცუვათანას სპარსულიზირებული ფორმაა, რომელიც მოგვიანებით კილიკიას აღნიშნავდა და იგი ხეთური ან ლუვიური წარმოშობის უნდა იყოს⁵. ა. რუმსის თანახმად, რეგიონის სახელწოდება იმ ხალხისგან მომდინარეობს, რომელიც იქ ცხოვრობდა. იგი ნაწარმოებია ასურული Katpa Tuka-სგან – „Tuka-ს მხარე“. Tuka მეთაურის, ან წინაპრის სახელია, Katpa ებრაულ katef-თანახლო მდგომია, რომელიც „მხარეს“ აღნიშნავს. იქვე ისიცაა მითითებული, რომ სხვა თეორიის მიხედვით, სახელწოდებაში სპარსული სახელის – Hvaspadakhim კვალი შეინიშნება, რომელიც „ლამაზი ცხენების ქვეყანას“ აღნიშნავს. კაპადოკია განთქმული იყო თავისი ჯიშისანი ცხენებით⁶.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით ფრიად საყურადღებოა ასურული ლურსმული წარწერები და ანტიკური ხანის ავტორთა ცნობები. კაპადოკიაში ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში შემდეგი გვიანხეთური სამეფო-სამთავროები დომინირებს: მელიდე, თაბალი, მუშქების ქვეყანა, ხილაქუ, შინუხთუ, თუნა თუხანი, კუმუხი, გურგუმი. ამავე ხანის კილიკიაში ქუე, ადანა, კუნდუსა და სისუს პოლიტიკური გაერთიანებების არსებობა დასტურდება. ყველა ზემოხსენებულ ეთნო-პოლიტიკურ ერთეულებში იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობა და კულტურა იყო გავრცელებული. აღნიშნული პოლიტიკური გაერთიანებები ინტენსიურ ბრძოლას აწარმოებდნენ ასურეთის ძლიერი იმპერიის წინააღმდეგ. ამ მხრივ, ასურულ ლურსმულ წარწერებში საინტერესო ფაქტები მოწმდება. მაგალითად, ასარქადონის წარწერა „პრიზმა A-ზე“ და მის მიერვე შამაშის ორაკულისადმი დასმული შეკითხვები, გვამცნობს, რომ ხილაქუ მთებში იყო განლაგებული „თაბალის მეზობლად“. მასთან ერთად დუჟას ხალხიცაა მოხსენიებული, რომელიც „თავის მთებს დაენდო და დიდი ხანია აღარ ემორჩილება ასურეთს“⁷. ვფიქრობ, ზემოხსენებულ Duchu/Tucha-სთან, ფონეტიკურ სიახლოვეს დუჟას ხალხი უნდა ავლენდეს. თუ დავეუშვებთ ვარაუდს, იმის შესახებ, რომ ასურულ ლურსმულ წარწერებში მოხსენიებული დუჟას სახელწოდებამ მოგვიანებით გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა და გახდა ასოცირებული დუკა/ტუკას სახელთან, მაშინ ზემომოტანილი ვარაუდი ანგარიშგასაწევია და მის შესაძლო მართებულებაში დავრწმუნდებით. რაც შეეხება ასურულ სახელს katpa-ს, რომელიც ა. რუმსის თანახმად, მხარეს აღნიშნავს, ძველასურულ ლექსიკონში არ დასტურდება⁸.

ტერმინის სემანტიკური კოდის გასაღებს, ჩემი აზრით, ეპითეტი „ლამაზი ცხენების ქვეყანა“ უნდა წარმოადგენდეს. ჰეროდოტეს „ისტორიაში“ კაპადოკია სპარსელთა მიერ დაპყრობილ

¹ Kent R. G., *Old Persian, grammar, texts, lexikon* (New Haven, 1953), p. 178.

² *Каппадокия* (Анкара, 2011), с. 33.

³ https://en.wikipedia.org/wiki/Cappadociacite_note2

⁴ Ruge W., „Kappadokia“, *A.F. Pauly – G. Wissowa, Realencyclopädie der classischen Altertumswissenschaft*, vol. 10 (Stuttgart, 1919), col. 1911.

⁵ Giuseppe F. del Monte und Johann Tischler, *Répertoire Géographique des Textes Cunéiformes*, VI, Wiesbaden 1978; also mentioned in R. Schmitt, „Kappadoker“, *Reallexikon der Assyriologie und Vorderasiatischen Archäologie*, vol. 5 (Berlin, 1980), p. 399.

⁶ Room A., *Placenames of the World* (London, 1997), p. 78.

⁷ Иванчик А. И., *Кимерийцы* (Москва, 1996), с. 208.

⁸ *Old Assyrian Dictionary*, vol. 8 (Chicago, 1971), p. 617.

ქვეყანათა ნუსხაში ფიგურირებს, რომელსაც შეწერილი გადასახადი 360 ტალანტი ვერცხლის სახით ჰქონდა. ასევე, საინტერესოა, კილიკიასთან დაკავშირებით ჰეროდოტეს თხზულებაში დაცული ცნობები, რომლის თანახმად, „კილიკიელთაგან მოდიოდა 360 თეთრი ცხენი (წლის ყოველ დღეზე თითო ივარაუდებოდა) და 500 ტალანტი ვერცხლი. აქედან 140 ტალანტი იხარჯებოდა კილიკიის ქვეყნის დამცველ ცხენოსანთა რაზმის შესანახად, ხოლო 360 ტალანტი მისდიოდა დარიოსს. ესაა მეოთხე სატრაპია“. ჰეროდოტე აღნიშნულ ინფორმაციას კიდევ ერთ ადგილას იმეორებს და გვამცნობს: „ფრიგიელების მეზობლად არიან კაპადოკიელები, რომელთაც ჩვენ სირიელებს ვუწოდებთ, ხოლო ამათი მეზობლები არიან კილიკიელები, რომლებიც აღწევენ ამ ზღვას იქამდე, სადაც მდებარეობს კუნძული კვიპროსი“¹.

ისტორიის ცოდნაში, ამა თუ იმ ეპოქის მეცნიერულ შესწავლაში ისტორიული გეოგრაფიის გათვალისწინება სრულიად აუცილებელია და ამის გარეშე ასეთი ეპოქის ცოდნა შეუძლებელია. ყოველ საზოგადოებას, საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ ხანას თავისი ისტორიული გეოგრაფია აქვს. ასე რომ ისტორიული გეოგრაფია მკვდარი პუნქტებისა, ციხე-სასახლეთა ნანგრევებისა თუ გზების აღნიშვნა კი არ არის, არამედ მისი საშუალებით აღდგენა ამა თუ იმ დროის საზოგადოებრივი ცხოვრების სურათისა². კულტურული ურთიერთქმედება, დაპყრობები, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ძალით გადასახლება, ტყვეების გარეკვა ისეთ ვითარებას ქმნიდა, რომელიც ქვეყნების ისტორიული გეოგრაფიის ცვლილებას განაპირობებდა. მაგალითად, მარკუს ციცერონის (ძვ. წ. 106-43 წწ.) „აგარაულ კანონში“ კაპადოკია ძველი ომების შედეგად დაპყრობილ სამეფო მიწების სიაშია დამოწმებული და აქედან გამომდინარე, იგი რომის იმპერიაში ერთ-ერთ პროვინციადაა წარმოდგენილი. იმავე ავტორის ცნობით, დიდი კაპადოკია 10 ადმინისტრაციულ ოლქად იყოფოდა. ესენია: მელიტენა, კატაონია, კილიკია (მაზაკა-კაისერის ოლქი), ტიანიტიდა, მარსავრიტიდა, ლავიანსენა, სარგარავსენა, სარავენა, ქამანენა და მორიმენა³.

ანგარიშგასაწვავია ბერძენი მწერლის სტრაბონის (ძვ. წ. I ს. – ახ. წ. I ს.) თხზულებაში „გეოგრაფია“ დაცული ცნობაც: „...ქვეყნის სიდიდესა და ძალას ყოველწლიურად ფულად გადასახადს გარდა 1500 ცხენს, 2000 ჯორს, 50000 ცხვარს...“⁴. თუმცა, იქვე, რამდენიმე ადგილას ვხვდებით ცნობას იმის შესახებ, რომ კილიკია ტრაქეა დიდი კაპადოკიის შემადგენლობაშია⁵. ზემომოტანილ წყაროში შემდეგია გასათვალისწინებელი: სტრაბონი ერთადერთი მწერალია, რომელიც კაპადოკიას ცხენების სახით გაღებულ გადასახადს მიაწერს. საგულისხმოა, რომ იგი ჩვენთვის საინტერესო პერიოდს ხუთი საუკუნით მაინცაა დაშორებული და ამდენად, მისი თხზულების წყარო დროთა განმავლობაში ვერბალური კომუნიკაციის გზით განიცდიდა გარკვეულ ცვლილებას. როგორც ჩანს, მის დროს ცნობილი ადმინისტრაციული ერთეულები ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრების ცვლილების შედეგია. ვფიქრობ, სიმართლესთან ახლოს უნდა იდგეს მოსაზრება იმის შესახებ, რომ კილიკიის მიერ სპარსეთისათვის გაღებული გადასახადის შესახებ ცნობა კაპადოკიაზე მოგვიანებით გაავრცელეს, რომლის შემადგენლობაში კილიკია უკვე ადმინისტრაციულ ერთეულად შედიოდა.

ანგარიშგასაწვავი ისიცაა, რომ ძველი აღთქმის მონაცემებით, მეფე სოლომონის ვაჭრები ცხენებს კილიკიის ტერიტორიაზე მდებარე სამეფოში – ქუეში შოულობდნენ⁶. ბიბლიის მცხეთური ხელნაწერი გვამცნობს: „და გამოსვლა ცხენებისა სოლომონისათა ეგვიპტით და სასყიდელი ვაჭართა მეფისათა, მისულად და სყიდად. და აღმოვიდიან და მოიდიან ეგვიპტით ეტლი ერთი ექუსასი ვერცხლისა და ცხენი ასერგასის. და ეგრეთცა ყოველთა მეფეთა ქეტელთა და მეფეთა ასურეთისათა მოაქუნდა ჳელითა მათითა (III ნეშტა, 10, 17); „და მოვიდოდა ეტლები ეგვიპტით ეტლი ერთი არის სასწორისა ვერცხლისა და ცხენი ერთი ერგასის სასწორის ვერცხლისა, ეგრეთცა ყოველთა მათ მეფეთა ქეტელისა და მეფეთა მათ ასურასტანისათ ზღუთ კერძო აღმოსავლისათ (III მეფეთა, 10, 29)⁷.

როგორც ვხედავთ, დამოწმებულ წერილობით წყაროებში კილიკია დიდი კაპადოკიის ერთ-ერთ ადმინისტრაციულ ოლქადაა წარმოდგენილი. მაშასადამე, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ კილი-

¹ ჰეროდოტე, *ისტორია*, ტ. I. ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა (თბილისი, 1975), გვ. 225.

² ბერძენიშვილი ნ., *საქართველოს ისტორიის საკითხები* (თბილისი, 1990), გვ. 10.

³ *Вестник Древней истории*, 1 (Москва, 1949). с. 290.

⁴ ყაუხჩიშვილი თ., *სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ* (თბილისი, 1957), გვ. 183.

⁵ Страбон, *География*, в 17 книгах, перевод, статья и комментарии Г. А. Стратановского Москва, 1964, с. 503, 508.

⁶ Payne A., *Iron Age Hieroglyphic Luwian Inscriptions* (Society of Biblical Literature Writings from the Ancient World), Atlanta, 2012, p.5.

⁷ მცხეთური ხელნაწერი (მეფეთა I, II, III, IV, ნეშტა I, II, ერგას I, II, III წიგნები), გამოსაცემად მოამზადა ელ. დონანაშვილმა, თბილისი, 1982, გვ. 296, 164.

კის მიერ სპარსეთისთვის ცხენების სახით გაღებული გადასახადი, მოგვიანებით, სწორედ კაპადოკიაზე გავრცელდა და ქვეყნის აღმნიშვნელ ეპითეტად იქცა.

ბიბლიოგრაფია

1. ბერძენიშვილი ნ., *საქართველოს ისტორიის საკითხები* (თბილისი, 1990).
2. ყაუხჩიშვილი თ., *სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ* (თბილისი, 1957).
3. ჰეროდოტე, *ისტორია*, ტ. I. ბერძენულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა (თბილისი, 1975).
4. *Вестник Древней истории*, 1 (Москва, 1949).
5. Иванчик А. И., *Кимерийцы* (Москва, 1996).
6. *Каппадокия* (Анкара, 2011).
7. Страбон, *География*, в 17 книгах, перевод, статья и комментарии Г. А. Стратановского (Москва, 1964).
8. Giuseppe F. del Monte und Johann Tischler, *Répertoire Géographique des Textes Cunéiformes*, VI, Wiesbaden 1978; also mentioned in R. Schmitt, "Kappadoker", *Reallexikon der Assyriologie und Vorderasiatischen Archäologie*, vol. 5 (Berlin, 1980).
9. https://en.wikipedia.org/wiki/Cappadociacite_note2
10. Kent R. G., *Old Persian*, grammar, texts, lexikon (New Haven, 1953).
11. *Old Assyrian Dictionary*, vol. 8 (Chicago, 1971).
12. Room A., *Placenames of the World* (London, 1997).
13. Ruge W., "Kappadokia", *A.F. Pauly - G. Wissowa, Realencyclopädie der classischen Altertumswissenschaft*, vol. 10 (Stuttgart, 1919).
14. Payne A., *Iron Age Hieroglyphic Luwian Inscriptions* (Society of Biblical Literature Writings from the Ancient World), Atlanta, 2012.
15. მცხეთური ხელნაწერი (მეფეთა I, II, III, IV, ნემტთა I, II, ეზრას I, II, III წიგნები), გამოსაცემად მოამზადა ელ. დონანაშვილმა, თბილისი, 1982.

NANA BAKHSOLIANI

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ON THE SEMANTICS OF THE TERM "CAPPADOCIA"

The objective of the present author is to clarify the dual meaning of the designation "Cappadocia" – "the country of Ducha/Tucha" and the country of beautiful horses".

In connection with this problem, the author paid attention to Assyrian cuneiform inscriptions and evidence of authors of the ancient period. The researcher believes that the above-mentioned "Ducha/Tucha" bears phonetic resemblance to "the people of Du`ua", mentioned repeatedly in the Assyrian cuneiform inscriptions. Probably, the designation Du`ua, occurring in Assyrian cuneiform inscriptions, later on underwent certain transformation and became associated with the name of Duka/Tuka. Assyrian name "katpa", which according to A. Rooms denotes "side", is not recorded in the Old Assyrian vocabulary. On the basis of the comparison and analysis of the evidence preserved in the works of Herodotus and Strabo, the author has arrived at the conclusion that the evidence concerning the tribute in the form the horses paid by Cilicia to Persia was applied to Cappadocia later on, when the latter already included Cilicia as an administrative unit.

In another written source Cilicia appears as one of the administrative districts of Great Cappadocia. It must be assumed that the tribute paid by Cilicia to Persia in the form of horses was later applied exactly to Cappadocia, becoming the epithet denoting the country.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტის
„ბუნ-თურქთა“ და „ჰონთა“ შინაგონის საკითხისათვის*

უძველესი ქართული მატრიანების – „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს¹ და „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს² ტექსტში დადასტურებული ტერმინი – „ბუნ-თურქები“ უკვე საკმაოდ ხანია სამეცნიერო წრეების კვლევის საგანს წარმოადგენს. ამ ეთნონიმის ეტიმოლოგიისა და ინტერპრეტაციის საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმულია არა ერთი გონებამახვილური თუ არასათანადოდ დასაბუთებული აზრი³, რომელთა მიმოხილვა ჩვენი შეზღუდული მოცულობის სტატიის ფარგლებს სცილდება. აქვე შევნიშნავდი, რომ, ჩემი აზრით, სავსებით გამართლებული სკეპტიკური დამოკიდებულება „ბუნ-თურქთა“ რეალური, ისტორიული არსებობის თაობაზე, გვაქვს მხოლოდ ცალკეული ისტორიკოსების ნაშრომებში⁴. ალბათ ისიც საჭიროა განვმარტო, რომ არ მიმაჩნია გამართლებულად ბოლო ხანებში გავრცელებული მცდელობები, ქართულ მატრიანებში დაინახონ ის ინფორმაცია, რომელიც, შესაძლოა სავსებით შეესაბამება ბევრად უფრო ადრეული ხანების ამიერკავკასიაში ისტორიულად დადასტურებულ რომელიმე მოვლენას თუ რეალურად არსებულ ვითარებას, მაგრამ მისი კვალი, სამწუხაროდ, ამ მატრიანებში არ ჩანს და ვერც იქნებოდა იქ ასახული, ვინაიდან, მათი შეთხზვის ხანასთან შედარებით, ათასი და მეტი წლით უფრო ადრეულ ეპოქებს ეხება.

ზემოაღნიშნული ტენდენციის ზეგავლენით, „ბუნ-თურქებში“ არ გამოირიცხავენ ხოლმე „სკვითების“ დანახვის შესაძლებლობას⁵. ცნობილია, რომ სკვითები ძვ. წ. I ათასწლეულში მარ-

* წინამდებარე სტატიის ძირითადი დებულებები 2014 წლის 10 ივნისს, მოხსენების სახით („ბუნ-თურქები“ – ვინ იყვნენ და სად სახლობდნენ?) წარდგენილი იყო გიორგი ბოჭორიძის დაბადების 140 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციაზე ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში.

¹ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით: „პირველ ოდეს აღუქსანდრე მეფემან ნათესავნი ივი ღოთის შეილთანი წარიქცინა და შეჯანა ივინი კედარსა მას ქუეყანასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნ-თურქნი, მხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით, ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი: სარკინე-ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრაჯე, და ციხენი მათნი: ციხშ დიდი სარკინისაჲ, უფლის-ციხშ კასპისა, ურბნისსა და ოძრაქისაჲ. დაუკრდა აღუქსანდრეს და ცნა, რამეთუ იებოსელთა ნათესავნი იყვნეს ყოველსა ჯორციელსა ჭამდეს და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შეშ ჭამდეს. და ვერ ეძლო ბრძოლად მათი მეფესა და წარვიდა...“ (ბ. გივინეიშვილი, ელ. გიუნაშვილი, მოქცევაჲ ქართლისაჲ, შატბერდის კრებული X საუკუნისა. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გივინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა (თბილისი, 1979), გვ. 320: 2-9).

² „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს მიხედვით: „ამან აღუქსანდრე დაიპყრნა ყოველნი კიდენი ქუეყანისანი. ესე გამოვიდა დასავლით, და შევიდა სამჯრით, შემოვიდა ჩრდილოთ, გარდამოვლნა კავკასნი და მოვიდა ქართლად. და პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა. რამეთუ ცოლ-ქმრობისა და სიძვისათჳს არა უნდა ნათესაობა, ყოველსა სულიერსა ჭამდეს, მკუდარსა შესჭამდეს, ვითარცა მკეცნი და პირუტყენი, რომელთა ქცევისა წარმოთქმა უკმ არს. და იხილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა-ივი ჩუენ ბუნთურქად და ყიფაყად უწოდოთ, მხდომარენი მდინარესა მას მტკუარისასა მიხუევით, დაუკრდა ესე აღუქსანდრეს, რამეთუ არა რომელნი ნათესავნი იქმოდეს მას. და ენება რათამცა აღმოფხურნა ივინი ქალაქებისა მისგან, არამედ მას უაშსა ვერ უძლო, რამეთუ პოვნა ციხენი მაკარნი და ქალაქნი ძლიერნი...“ (ს. ყაუხჩიშვილი, ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტომი I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1955), გვ. 17: 6-15).

³ ამ საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის სათანადო ინფორმაცია ხელმისაწვდომია; იხ., მაგ., გ. ყორანაშვილი, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სა და „მეფეთა ცხოვრების“ ერთი ადგილის გაგებისათვის, გ. ყორანაშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ნაწილი I (თბილისი, 1994), გვ. 204-216; გ. აღასანიას. ქართული წერილობითი წყაროების ბუნ-თურქები (საკითხის ისტორიოგრაფია), ქართული წყაროთმცოდნეობა, IX (თბილისი, 2000), გვ. 19-29; C. Lerner, *The Wellspring of Georgian Historiography: The Early Medieval Historical Chronicle. The Conversion of K'art'li and The Life of St. Nino*. Translated with introduction, commentary and indices by Constantine B. Lerner (London: Bennett & Bloom, 2004), p. 224f.; ტ. ფუტკარაძე, *ქართველები, ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები*. ნაწილი I: ქრისტიანობამდელი ეპოქა (ქუთაისი, 2005), გვ. 211-219.

⁴ იხ. გ. მაბულია, *კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში* (თბილისი, 1979), გვ. 149-155; გ. ყორანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 216; ვ. გოილაძე, *ბუნ-თურქები კავკასიაში* (თბილისი, 2008), გვ. 11, 20; J. Gippert, *The "Bun-Turks" in Ancient Georgia, Studies on Iran and the Caucasus. Presented to Prof. Garnik S. Asatrian on the Occasion of his 60th birthday*. Uwe Bläsing, Victoria Arekelova, Matthias Weinreich (eds) (Leiden/Boston, 2015), p. 41.

⁵ თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ზოგიერთ ასეთ ავტორს იმავდროულად კარგად აქვს გაცნობიერებული „ველური ტომების“ შესახებ ქართული მატრიანების ცნობების წარმომავლობა შესაბამისი შინაარსის შემცველი სირიული

თლაც იყვნენ ამიერკავკასიაში შემოჭრილნი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ქართული მატრიანეები შეიცავენ ინფორმაციას ცენტრალურ ამიერკავკასიაში მათი განსახლების შესახებ „ბუნ-თურქებზე“ შემონახული ცნობის სახით, არამედ განპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ იმ მარტივი მიზეზით, რომ ქართული მატრიანეების „ბუნ-თურქებში“ არეკლილია ბიბლიური წარმომავლობის ინფორმაცია „გოგისა და მაგოგის ავზნიან ტომებზე“, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნებოდა ისტორიულ ფაქტს ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში მომთაბარე კიმერიელებისა და სკვითების ჩრდილოეთიდან (კავკასიონის გადაღახვით) ახლო აღმოსავლეთში შეჭრისა და მათ მიერ იქ გამოწვეული ნგრევისა და ხოცვა-ჟლეტის შესახებ (იხ. ქვემოთ)¹.

ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ უძველეს ხანებთან დაკავშირებით ქართველი მემატრიანეების მიერ გამოყენებული ცნობები ძირითადად ეყრდნობა მათი მოდერნიზაციის ხანაში გავრცელებულ ლიტერატურას (როგორც დასავლურს, ასევე აღმოსავლურს), და მეტ-ნაკლებად თანხვედრაშია მათში ასახულ ინფორმაციებთან.

საგანგებო მსჯელობის საკითხს წარმოადგენს ეთნონიმ „ბუნ-თურქის“ წაკითხვის სისწორე. თუმცა, ალბათ, არსებითი მნიშვნელობა არც უნდა ჰქონდეს იმას, თავდაპირველად „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს დედანში სიტყვა „ბუნ-თურქის“ პირველი ასო „ბანი“ იყო თუ „ჰაე“, და, შესაბამისად, ეს სიტყვა წაკითხული უნდა ყოფილიყო თუ არა, როგორც „ბუნ-თურქი“². იმის დასადგენად, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი ამ ხალხში, ჩემი აზრით, მნიშვნელობა აქვს იმ კონტექსტს, რომელშიც გვხვდება ეს სახელწოდება, კერძოდ, იმ ფაქტს, რომ როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს, ასევე „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ტექსტში, „ბუნ-თურქები“ მოხსენიებული არიან მხოლოდ და მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელთან და ქართლში მის ლეგენდარულ ლაშქრობასთან დაკავშირებით.

ვინაიდან, ალექსანდრე მაკედონელს კავკასიაში არასოდეს უღაშქრია და ადრეულ თხზულებათა მთელი ციკლი აქ მისი ლაშქრობის შესახებ ლეგენდებისა და მითოლოგიის სფეროს განეკუთვნება, ბუნებრივი იქნებოდა, თუ ასეთი სახის თხზულებათა შორის (და არა კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებთან პარალელების ძიებით), შევეცდებოდით ქართულ მატრიანეებში დაცული ცნობების პირველწყაროს დადგენას და არც „ბუნ-თურქების“ ვინაობისა და წარმომავლობის საკითხს არ განვიხილავდით ალექსანდრე დიდთან დაკავშირებული თხზულებებისგან მოწყვეტით.

ქართულ მატრიანეებში წარმოდგენილი ალექსანდრეს მითოლოგიური სახის გათვალისწინებით, საფიქრებელი ხდება, რომ ის პირველწყარო, საიდანაც იყო ნასესხები „ბუნ-თურქების“ თემა ქართულ წყაროებში, უნდა მომდინარეობდეს დიდი მეფის სახელთან დაკავშირებული საგმირო, ლეგენდარული ისტორიებიდან. ასეთი ნაწარმოები კლასიკური და მომდევნო ხანების მწერლობაში არაერთია, სადაც საუბარია ალექსანდრეს ბრძოლაზე ბიბლიურ „გოგისა და მაგოგის“ ველურ ტომებთან.

ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ახ. წ. III საუკუნის ალექსანდრიის ბერძნულ-ეგვიპტურ წრეში შექმნილი კომპილაცია, ე. წ. ფსევდო-კალისტენეს „ალექსანდრეს რომანი“³. რომანის თავდაპირველი ვერსია ბერძნულენოვანი იყო. მისგან მრავალი ვერსიაა ნათარგმნი სხვადასხვა ენაზე. აღმოსავლეთის ქვეყნებში განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული ფალაურენოვანი (შუასპარსული) ტექსტიდან გვიან VI თუ ადრეულ VII საუკუნეში სირიულად ნათარგმნი ვერსია⁴. მის დამატებად არის მიხნეული სირიული თხზულება: „ლეგენდა ალექსანდრეს, ფილიპე მაკედონელის ძის შესახებ, როგორ გაემართა იგი სამყაროს ბოლოსკენ და რკინის კარი აღმართა ჩრდილოეთის ქარის წინააღმდეგ, რათა იქითა მხრიდან ჰუნები არ გამოსულიყვნენ და არ ეპარცვათ ქვეყნები“, იგივე „ქრისტიანული ლეგენდა ალექსანდრეს შესახებ“. ამ თხზულების ყველა ხელნაწერი, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ იგი გამომდინარეობს „ალექსანდრეს რომანის“ სირიული ვერსიიდან, არ არის უშუალოდ მასზე დამოკიდებული და წარმოადგენს სირიულ ენაზე შექმნილ ორიგინალურ ნაწარმოებს, რომელიც არ იყო ნათარ-

ტექსტიდან; იხ., მაგ. S. H. Rapp, Jr, *The Sasanian World through Georgian Eyes: Caucasia and the Iranian Commonwealth in Late Antique Georgian Literature* (Farnham, Surrey, England; Burlington, VT, USA: Ashgate, 2014), p. 133.

¹ კიმერიელთა და სკვითების ვინაობისა და წარმომავლობაზე სრულიად განსხვავებული მოსაზრება, იხ. A. K. G. Kristensen, *Who Were the Cimmerians, and Where Did They Come From? Sargon II, the Cimmerians, and Rusa I*. The Royal Danish Academy of Sciences and Letters (Copenhagen, 1988).

² სხვებისაგან განსხვავებით, მ. ანდრონიკაშვილი „ბუნ“-ში ხედავს „ბუნების“, „თვისების“, „ხასიათის“, „ნამდვილის“, „ძირითადის“ მნიშვნელობის მქონე სპარსულ ძირს (მ. ანდრონიკაშვილი, *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*, I (თბილისი, 1966), გვ. 296-298).

³ B. Berg, *An Early Source of the Alexander Romance*, *Greek, Roman, and Byzantine Studies*, vol. 14, no. 4, 1973, pp. 381-387.

⁴ S. Gero, *The Legend of Alexander the Great in the Christian Orient*, *Bulletin of the John Rylands Library*, vol. 75, 1993, p. 5. უკანასკნელ ხანებში გამოითქვა ვარაუდი ზემოაღნიშნული სირიული ვერსიის უშუალოდ ბერძნული ენიდან თარგმნის თაობაზე (C. A. Ciancaglini, *The Syriac Version of The Alexander Romance*, *Le Muséon*, vol. 114, 2001, pp. 121-140).

გმნი ბერძნული ენიდან და რომელიც თავის მხრივ საფუძვლად დაედო სირიულ ენაზე 629 წ. შემდეგ შექმნილ სირიულ პოემას¹. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, მუსლიმთა მიერ შუამდინარეთისა და პალესტინის დაპყრობის წინა ხანით დათარიღებული ეს თხზულება შთაგონებულია ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს ომით ხაზართა წინააღმდეგ და მისი გამარჯვებით სასანიან ხოსრო ფარევეზზე. იგი უნდა შექმნილიყო როგორც პოლიტიკურ-რელიგიური პროპაგანდისტული ნაწარმოები, რომლის ძირითად მიზანს ჰერაკლეს მიერ წარმოებული საეკლესიო პოლიტიკის გამართლება წარმოადგენდა და, შესაბამისად, ხელი უნდა შეეწყო სირიელი ქრისტიანების დაბრუნებისათვის კონსტანტინეპოლის ეკლესიის წიაღში².

ი. გიპერტის აზრით, სწორედ ეს, სირიული „ალექსანდრეს რომანის“ პროზაული დამატება, განსაკუთრებით ახლოს დგას „უწმინდური ტომების“ შესახებ ქართული მატანეების ცნობებთან³. მიუხედავად იმისა, რომ „ალექსანდრეს რომანი“ ქართულ ენაზე გვიან შუა საუკუნეებამდე არ თარგმნილა (განსხვავებით სომხურისაგან, რომელიც ახ. წ. V ს. გვიან ხანებშია ბერძნულიდან ნათარგმნი)⁴, ძველი ქართველი მწერლები „უწმინდურ ტომებთან“ ალექსანდრე დიდის ბრძოლის თემას, როგორც ჩანს, კარგად იცნობდნენ და წარმატებითაც იყენებდნენ ქართლის უძველესი ისტორიის თხრობისას. თუმცა, მხედველობაშია მისაღები, რომ ზემოაღნიშნული თემის პირველწყაროს – ფსევდო-კალისტენეს „ალექსანდრეს რომანის“ ისტორიული ფასეულობა მეტად უმნიშვნელოა; მასში ისტორიული პიროვნება, დიდი დამპყრობელი, ფანტასტიურ ზეაღმიახად არის წარმოჩენილი⁵.

საყურადღებოა გ. მამულიას მოსაზრება, რომლის თანახმად, „გოგისა და მაგოგის“ ლეგენდების ციკლის სახელით ცნობილი „უწმინდურ ტომთა“ წინააღმდეგ კავკასიაში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის ლეგენდების შერწყმამ ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ტექსტში შემონახულ „აფრასიაბის გამოქვაბულის ლეგენდის“ ქართულ ვერსიასთან „მკვიდრ თურქებად ანუ ბუნ-თურქებად“ მიხნეულ თურანელთა (თურქების) შესახებ, დასაბამი მისცა არაუადრეს VI საუკუნისა კავკასიაში ალექსანდრეს ლაშქრობის იმ „ქართული ვერსიის“ ჩამოყალიბებას, სადაც ასახულია ალექსანდრეს ომები ქართლში მცხოვრებ „ბუნ-თურქთა“ წინააღმდეგ⁶.

თუმცა, უფრო საფიქრებელია, რომ მოხდა არა „გოგისა და მაგოგის“ ლეგენდების ციკლთან „აფრასიაბის გამოქვაბულის ლეგენდის“ შერწყმა, არამედ, „მოქცევა ქართლისა“-ს ტექსტისგან განსხვავებით, ქართველთა ავტოქთონობის ლეონტი მროველისეული კონცეფციიდან გამომდინარე, „ბუნ-თურქთა“ ქართლში ვითომდა მოსვლის დასაბუთება, ფირდოუსის შაჰნამესეული თურანელთა მეფის აფრასიაბის ბარდავში მდებარე თავშესაფარი გამოქვაბულის მცხეთის დასავლეთით მდებარე (და რაც მთავარია, ჯერ კიდევ „მოქცევა ქართლისა“-ს მატანეში მოხსენიებულ) სარკინეს მღვიმეებში „გადმოტანით“⁷.

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, წმინდა მწიგნობრული გზით ნასესხობაზე უნდა მივგანიშნებდეს „მოქცევა ქართლისა“-ს ტექსტის ერთი პასაჟი, სადაც საუბარია ალექსანდრეს მიერ „ბუნ-თურქთა“ აღქმაზე: „დაუკურდა ალექსანდრე და ცნა, რამეთუ იებოსელთა ნათესავნი იყვნეს“⁸. აქ გამოყენებული სიტყვა „იებოსელთა“, რა თქმა უნდა, არ უკავშირდება ადგილობრივ გარემოში შემონახულ გადმოცემებს, და ეს მაშინ, როდესაც, იგი გვხვდება IX საუკუნის მემატანის-გიორგი ჰამარტოლის ნაწარმოების არსენ იყალთოელისეულ თარგმანში („სრონოდრაფი გიორგი მონაზონისაჲ“): „ისრაიტელნი ვითარცა იტყვს იოსიპოს⁹, დამპყრობელობისათვის იუდაის ტომისა და მემკვდრეობისა ქალაქისა იერუსალჴმისა იგინი უკუე იუდეანად იწოდნეს, ხოლო ქა-

¹ S. Gero, დასახ. ნაშრ., გვ. 6, 7.

² S. Gero, დასახ. ნაშრ., გვ. 7; G. J. Reinink, Die Entstehung der syrischen Alexanderlegende als politisch-religiose Propagandaschrift für Herakleios' Kirchenpolitik, *Orientalia Lovaniensia Analecta*, XVIII, 1985, SS. 263-281.

³ J. Gippert, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

⁴ A. M. Wolohojian, *The Romance of Alexander the Great by Pseudo-Callisthenes*. Translated from the Armenian Version with an Introduction by Albert Murgdich Wolohojian (New York and London: Columbia University, 1969).

⁵ E. J. van Donzel, A. B. Schmidt, C. Ott, *Gog and Magog in Early Eastern Christian and Islamic Sources: Sallam's Quest for Alexander's Wall* (Leiden & Boston: Brill, 2010), p. 16; შდრ., I. Worthington, *Alexander the Great: Man and God* (London, New York: Routledge, 2014), pp. 4-7.

⁶ გ. მამულია, დასახ. ნაშრ., გვ. 151, 154, 155; შდრ. გ. არახამია, *ქართლის ცხოვრების პირველი მატანის წყარო-მცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული შესწავლის საკითხები*. სადოქტორო დისერტაცია, 1994 წ., გვ. 188.

⁷ ი. გიპერტი გარკვეულ მსგავსებას ხედავს „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს მიხედვით ქართლში (მცხეთა-სარკინეში) თურქთა პირველ გამოჩენისა და „მოქცევა ქართლისა“-ს „ქალღველთაგან გამოსხმული ჰონებისა“ და „ბუნ-თურქების“ ქართლში დასახლების სიუჟეტებს შორის (J. Gippert, დასახ. ნაშრ., გვ. 39, 40).

⁸ *მოქცევა ქართლისა*, გვ. 320: 7.

⁹ იგულისხმება იოსებ ფლავიუსი, ახ. წ. I ს. ბერძნულენოვანი, ებრაული წარმოშობის რომაელი ისტორიკოსი, პაგიორგრაფი და პოლიტიკური მოღვაწე.

ლაქი სიონად იუდეადასა, რომელსა ძუელ სადმე იებოსელ სახელ ედებოდა, ვინაიღვან იებოსელ-ნი მეკდრ იყვნეს ადვილსა მას¹.

მწიგნობრული გზით ნასესხობაზე შესაძლოა მიგვანიშნებდეს „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ტექსტის ის პასაჟიც, სადაც აღინიშნება, რომ ალექსანდრე ქართლში ჩრდილოეთიდან, კავკასიონის ქედის გადმოლახვის შედეგად შემოდის: „ამან ალექსანდრე დაიპყრნა ყოველნი კიდენი ქუეყანისანი. ესე გამოვიდა დასავლით, და შევიდა სამკრით, შემოვიდა ჩრდილოთ, გარდამოვლნა კავკასნი და მოვიდა ქართლად“². სავარაუდოა, რომ ქართველი ავტორისათვის კარგად იყო ცნობილი ალექსანდრე დიდის ლაშქრის მსვლელობა დასავლეთიდან აღმოსავლეთით, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთითა და იქიდან ჩრდილოეთით, ბაქტრიისაკენ, რაც ლაშქრობის მსვლელობისას ამიერკავკასიაში მისი შემოსვლისათვის ადვილს აღარ ტოვებდა, თუ არა ცენტრალური აზიიდან ჩრდილოეთ კასპიისპირეთის შემოვლითა და კავკასიონის ჩრდილოეთის მხრიდან გადმოლახვით. იმავედროულად ზემომოყვანილ პასაჟში არც ალექსანდრეს ტიტულის, „მსოფლიოს ოთხივე მხარის მეფის“, ზეგავლენაა გამოსარიცხი რომელიც მან ძვ. წ. 331 წლის სექტემბერში გავეგამელის ბრძოლაში დარიოს III-ის დამარცხების შემდეგ, ბაბილონში მიიღო და რომელიც იმეორებდა დიდი აქემენიანი მეფეების ტიტულატურას³.

დამორჩილებულ ბაბილონში ეტლზე ამხედრებული ალექსანდრეს ტრიუმფალური შესვლა⁴, იმეორებდა გამარჯვებული კიროსის 539 წლის ოფიციალურ შებრძანებას იმავე ქალაქში⁵. ბაბილონი ალექსანდრეს ბრძოლის გარეშე დაზარადა და ხალხი ისეთივე დიდი ზარ-ზემით ესალმებოდა მას, როგორც თავის დროზე კიროსს ხვდებოდა, გარშემო მიმობნეული ყვაველებითა და დანთებული საკმეველით. ალექსანდრემ კიროსის მსგავსად გამოაცხადა, რომ იგი მხოლოდ მშვიდობის დასამყარებლად იყო მოვლენილი ქალაქში, რომლის გადაქცევაც სურდა თავისი აზიური სამფლობელოების დედაქალაქად და მანვე კიროსის მსგავსადვე მიიღო ძველი ბაბილონური ოფიციალური ტიტულატურა: *მეფისა ბაბილონისა და მეუფისა მთელი ქვეყნიერებისა*⁶. ბაბილონში შესულმა ალექსანდრემ გააგრძელა დიდი აქემენიანი მეფეების პოლიტიკა დაპყრობილი ბაბილონის მიმართ, კიროსის მსგავსად დაიხლოვა მთავარი სამლოცველოების ქურუმები და ადგილობრივი ელიტა და მათ ყოველგვარი დახმარება აღუთქვა⁷, მანვე მსხვერპლი შესწირა ბაბილონის უზენაეს ღვთაებას მარდუკს და ამ ღვთაების შესახებ ხანგრძლივად ესაუბრებოდა ხოლმე ქალდეველებს⁸. ასეთი პოლიტიკით ალექსანდრემ მნიშვნელოვნად შეასუსტა ადგილობრივთა შორის მისთვის წინააღმდეგობის გაწევის მოსალოდნელი მისწრაფება.

მიუხედავად ყველაფრისა, ალექსანდრე დიდის დაპყრობების ხასიათი ძირითადად მაინც შემოიფარგლებოდა ერთი ქვეყნის, აქემენიანთა იმპერიის დაპყრობით⁹. სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება საინტერესო აზრი, რომლის თანახმად, მაკედონელებმა, მართალია ხანმოკლე

¹ ს. ყაუხჩიშვილი, *ხრონოლოგიური გიორგი მონაზონისა*. თფილისი, 1920, გვ. 117: 11-14. თუმცა, შესაძლოა, „მოქცევაი ქართლისა“-ს ტექსტის ავტორს ბერძნული ორიგინალი გამოყენებინა იმ შემთხვევაში თუ არ მოიპოვებოდა გიორგი ჰამარტლოს ნაწარმოების არსენ იყალთოელისეულზე უფრო ადრეული თარგმანი, რომელიც მას კონსტანტინოპოლში, მანგანას წმიდა გიორგის მონასტრის აკადემიაში 1114 წლამდე უნდა ეთარგმნა (იხ. კ. კეკელიძე, ძველი მწერლობა, *ქართული ლიტერატურის ისტორია 6 ტომად*, გ. ლეონიძე (მთ. რედ.); ტ. 1, აღ. ბარამიძე (რედ.). რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის. ინსტიტუტი (თბილისი, 1960), გვ. 270). ს. რეპის მიხედვით კი, ეს ფანტასტიური მინიშნება „იებოსელებზე“ ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს „წმიდა მიწასთან“ ჯერ კიდევ წინაქრისტიანული ქართლის კავშირზე (S. H. Rapp, Jr, *The Sasanian...*, p. 133).

² *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, გვ. 17: 6-8.

³ პლუტარქეს ცნობით, გავეგამელაში გამარჯვების შემდეგ ალექსანდრე აზიის მეფედ იყო გამოცხადებული (*ცხოვრება ალექსანდრის*, 31-33), ხოლო ბაბილონისა და ლარსას 330 წ. აღმინისტრაციული ტექსტების თანახმად, იგი „ქვეყანათა მეფეა“; ეს ის ტიტულია, რომელსაც სულ რამდენიმე თვით ადრე (331 წ. თებერვალ-მარტში) ატარებდა დარიოსი (P. Briant, J. M. Todd, *Darius in the Shadow of Alexander* (Cambridge, Massachusetts: Harvard University Press, 2015), p. 63). აღსანიშნავია, რომ აქემენიდები იწოდებოდნენ „ქვეყნების მეფედ“, ხოლო ძვ. წ. 331 წ. წარწერის მიხედვით, „მსოფლიოს მეფედ“ (P. Briant, *From Cyrus to Alexander: A History of the Persian Empire*. Translated by P. T. Daniels (Winona Lake, Indiana: Eisenbrauns, 2002), p. 726). კიროსსაც, თავის მხრივ, მითვისებული ჰქონია ბაბილონის მეფეების ტიტულატურა (იხ. ქვემოთ).

⁴ Quintus Curtius V, 1, 23.

⁵ იხ. P. Briant, დასახ. ნაშრ., გვ. 862.

⁶ A. Pagden, *Worlds at War: the 2,500-year Struggle between East and West* (Oxford, New York: Oxford University Press, 2008), p. 43; შდრ. M. W. Stolper, *Entrepreneurs and Empire. The Mursu Archive, the Mursu Firm, and Persian Rule in Babylonia*. Publications de l'institut historique et archéologique néerlandais de Stamboul sous la direction de E. van Donzel, Machteld J. Mellink, C. Nijland et J. J. Roodenberg, LIV (Leiden: Nederlands Historisch-Archaeologisch Instituut te Istanbul, 1985), p. 2.

⁷ შდრ. Arrian III, 16, 3; იხ. P. Briant, დასახ. ნაშრ., გვ. 862.

⁸ შდრ. Arrian III, 16, 5; იხ. P. Briant, დასახ. ნაშრ., გვ. 862.

⁹ R. J. van der Spek, *Coming to Terms with the Persian Empire: Some Concluding Remarks and Responses*, *Political Memory In and After the Persian Empire*. Jason M. Silverman and Caroline Waerzeggers (eds.). Society of Biblical Literature; Ancient Near East Monographs, no. 13 (Atlanta: SBL Press, 2015), გვ. 470.

დროით, მაგრამ მაინც გაახანგრძლივეს აქემენიანთა იმპერიის არსებობა, ხოლო თვით ალექსანდრე, ახლოაღმოსავლური იმპერიული გეოპოლიტიკის თვალთახედვიდან გამომდინარე, უკანასკნელ აქემენიან მეფედაც კი არის მიჩნეული, ვინაიდან ამ უზარმაზარმა იმპერიამ მხოლოდ მის სიკვდილთან ერთად შეწყვიტა თავისი ორსაუკუნენახევრიანი არსებობა¹. თავად ალექსანდრე თავის თავს აქემენიანთა შემცვლელად თვლიდა, ოღონდ არა როგორც სპარსეთის ახალი მეფე, არამედ როგორც აზიისა და ქვეყნიერების (ანუ მთელი სამყაროს) მეფე, მსგავსად აქემენიანი მეფეებისა².

სავარაუდოა, რომ სწორედ ალექსანდრე დიდის მიჩნევას ქვეყნიერების მეფედ და თვით ღვთაებადაც კი, უნდა განეპირობებინა, უპირველეს ყოვლისა, მისი ჩართვა ბიბლიური ხასიათის სიუჟეტებში და კერძოდ, მისი დაკავშირება „გოგისა და მაგოგის“ ტომების ირგვლივ არსებულ ესქატოლოგიური ხასიათის თემატიკასთან, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა კიდევ უძველეს ქართულ მატრიანებში.

რაც შეეხება, ქართლში კავკასიონის გადმოღახვით, „*მხოვლიოს ოთხივე მხარის მეფის*“ ჩრდილოეთიდან შემოსვლას, რასაც „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ გვამცნობს (იხ., ზემოთ), საყურადღებოა, რომ თვით ეს თხზულება, ჩრდილოეთიდან ამიერკავკასიაში შემოსატრეულ ორ გზაზე ამახვილებს ყურადღებას და შესაძლოა, იმავდროულად, მიგვანიშნებდეს ტექსტის ამ ფრაგმენტის შექმნის მოახლოებულ ხანაზეც, გვიან VII – ადრე VIII სს., ჩრდილოელი მოლაშქრეების ხაზარებად მოხსენიებით: „*და ისწავეს ხაზართა ორნივე ესე გზანი, რომელ არს ზღვსკარები, დარუბანდი და არაგვსკარები, რომელ არს დარიალა*“³. ვინაიდან „ბუნ-თურქები“ მოხსენიებულნი არიან მხოლოდ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს იმ ნაწილში, სადაც საუბარია კავკასიაში ალექსანდრეს ლაშქრობაზე, ხოლო ამავე ტექსტში უფრო ადრეულ და გვიანდელ ჩრდილოელ მომთაბარეებზე საუბრისას ძირითადად ხაზართა სახელი იხენს თავს⁴, ეს გარემოება დამატებით საბუთს უნდა წარმოადგენდეს „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს სწორედ ამ ნაწილის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტიდან (ანდა, რომელიდაც ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი მესამე წყაროდან ორივე ამ მატრიანეში) სესხების სავარაუდებლად⁵. „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ში ალექსანდრე დიდის წინააღმდეგელი მოვლენების აღწერისას ხაზარების მოხსენიება, ცხადია მოწმობს, რომ ეს ეთნონიმი, ისევე როგორც ალექსანდრესთან მეტროპოლი „ბუნ-თურქებისა“, აქ პირობითი მნიშვნელობით არის ნახმარი ამიერკავკასიაში მოსახლე მომთაბარე ტომების აღსანიშნავად.

თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგჯერ შედარებით გვიანდელ თხზულებებშიც გვხვდება ხოლმე უფრო ადრეული ვითარების ასახვა. კერძოდ, X ს. სომეხი ავტორი მოვსეს დასხურანცი, ქართული მატრიანებისაგან განსხვავებით, იუწყება ალექსანდრე დიდის მიერ არა „ბუნ-თურქების“, არამედ „ჰუნების“ დალაშქრის თაობაზე და ამით გარკვეულად გვეხმარება კიდევაც ჩვენი საკვლევი ეთნონიმის პირველი შემადგენელი კომპონენტის – „ბუნ“ ჰუნებად განმარტების ვარაუდის სასარგებლოდ. მისი ცნობით, როდესაც მესროპ მაშტოცმა ქრისტეს რჯულის ქადაგებით დერბენტის გადასასვლელს მიადწია, მან ჰუნებიც კი მოაქცია, რომლებიც ალექსანდრე დიდის მიერ ყოფილან დატყვევებულნი და კავკასიის მთებში განსახლებულნი⁶. მოვსეს დასხურანცის მიერ ალექსანდრეს *რკინის კარის* მოუხსენიებლობის (რაც ქართული მატრიანებისათვისაც არის დამახასიათებელი) ერთადერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო ის გარემოება, რომ როგორც „ალექსანდრეს რომანის“ სომხურ ვერსიაში, ისე მის უძველეს ბერძნულ პირველწყაროში (*recensio vetusta a*) არსად არ არის ნახსენები ალექსანდრეს მიერ „გოგისა და მაგოგის უწმიდური ტომების“ შემაკავებელი წინააღმდეგობის, რკინის კარისა თუ გალაგნის აგება. ხაზგასახმელია ის გარემოება, რომ შედარებით ადრეული ხანის სომეხი ავტორები, რომლებიც არცთუ იშვიათად მოიხსენიებენ ხოლმე თავის ნაწარმოებებში როგორც ალექსანდრე მაკედონელს, ასევე კავკასიონის უღელტეხილებს, მოვსეს დასხურანცისგან განსხვავებით, მათ არასოდეს არ აკავშირებენ ერთმანეთთან, და ბუნებრივია, რომ მათთვის სრულიად უცნობია „უწმიდური ტომების“ წინააღმდეგ ალექსანდრეს მიერ აგებული „რკინის კარის“ მოტივიც⁷.

¹ P. Briant, დასახ. ნაშრ., გვ. 876.

² R. J. van der Spek, დასახ. ნაშრ., გვ. 471.

³ *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, გვ. 12: 3-4.

⁴ *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, გვ. 11: 10, 11, 15, 19, 21, 22; გვ. 12: 3, 4, 6, 7, 14, 15, 22; გვ. 13: 8; გვ. 16: 22; გვ. 19: 10; გვ. 27: 6; გვ. 59: 14; გვ. 63: 17; გვ. 65: 13; გვ. 66: 9, 10, 12-14, 16, 17; გვ. 67: 11, 12; გვ. 68: 4, 6, 18.

⁵ შდრ. J. Gippert, დასახ. ნაშრ., გვ. 40.

⁶ C. J. F. Dowsett, Movses Dasxuranci. *The History of the Caucasian Albanians*. Translated by C. J. F. Dowsett. School of Oriental and African Studies University of London, Oriental Series, vol. 8 (London, New York, Toronto: Oxford University Press, 1961), p. 54f.

⁷ E. J. van Donzel, A. B. Schmidt, C. Ott, დასახ. ნაშრ., გვ. 37, 38.

ცოდნა ამ ტომების ესქატოლოგიური მნიშვნელობის, მათ წინააღმდეგ წინაღობების აგებისა და დაბრკოლებების შექმნის საჭიროების შესახებ მხოლოდ შედარებით გვიანდელ სომხურ წყაროებში გვხვდება და უნდა მომდინარეობდეს არაბთა შემოსევის ესქატოლოგიური ინტერპრეტაციისადმი მიძღვნილ ფსევდო-მეთოდის აპოკალიფის სირიული ტექსტიდან, რომლის ციტირებასაც გვიანდელი სომეხი ავტორები ხშირად ახდენენ¹. ეს თხზულება VII საუკუნის გვიან ხანაში უნდა იყოს შექმნილი და თავის მხრივ ეყრდნობა სირიულ „ალექსანდრეს ლეგენდას“². ამ თხზულებაში შთამბეჭდავად არის წარმოჩენილი „გოგისა და მაგოგის“ უწმიდური ტომების კანიბალური ბუნება, სათანადოდ ასახული ქართული მატრიანეების „ბუნ-თურქთა“ დახასიათებისას.

მაგრამ, როგორც ირკვევა, ალექსანდრეს მიერ აგებული „რკინის კარის“ თემა, რომელიც მხოლოდ „ალექსანდრეს რომანის“ გვიანდელ, შუა საუკუნეების ბიზანტიურ ვერსიებში ჩნდება, თავს იჩენს ჯერ კიდევ ალექსანდრეს შესახებ შეთხზულ სხვა, უფრო ადრეულ ლეგენდებში; შესაბამისად, სწორედ ეს თემაა მნიშვნელოვანი პიროვნულად მისთვის ქრისტიანულ-აპოკალიფსური მნიშვნელობის მინიჭების თვალთახედვით. მკვლევართა აზრით, ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს, ზემოხსენებული მცირე ზომის სირიული თხზულება „ქრისტიანული ლეგენდა ალექსანდრეს შესახებ“. როგორც ვხედავთ, პოლიტიკური კონიუნქტურის მიხედვით, თუ VII ს. ადრეულ ხანებში ალექსანდრესთან მეზობლად „უწმიდურ ხალხად“ ხაზარები მიიჩნეოდნენ, იმავე საუკუნის დამლევს ასეთებად უკვე არაბები გვევლინებიან.

„მთავარი გოგი და მისი ქვეყანა მაგოგი“ დასახელებულია ჯერ კიდევ ძველი აღთქმის „ეხეკიელის წინასწარმეტყველებაში“: „*ძო კაციხო, განიმტკიცე პირი შენი გოგსა ზედა და ქუყანასა ზედა მაგოგოთასა მთავარსა როსს, მოსოხს და თობელსა...*“³. ბიბლიის ეს ნაწილი სავარაუდოდ ძვ. წ. VI ს. უნდა თარიღდებოდეს, ანუ ახლო აღმოსავლეთში კიმერიელთა და სკვითების ლაშქრობების მომდევნო ხანით, როდესაც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო გადმოცემები მათი დამანგრეველი, ყველაფრის წამლეკავი შემოსევების შესახებ. იუდეური ესქატოლოგიური ტრადიციის თანახმად, „გოგი და მაგოგი“ ღვთის მოწინააღმდეგე მტრული ტომებია, თუმცა იმავდროულად ისინი წარმოადგენენ ღვთის რისხვის სიმბოლურ გამოხატულებასაც. სხვადასხვა ეპოქაში „გოგთან და მაგოგთან“ ხდებოდა ჯერ ებრაელთა მიმართ მტრულად განწყობილი ხალხებისა და ქვეყნების, ხოლო უფრო გვიან რომის იმპერიისა და საზოგადოდ ახლოაღმოსავლურ-ხმელთაშუაზღვისპირული ოიკუმენისადმი საფრთხის შემცველი ძალების გაიგივება: გარდა ზემოხსენებული კიმერიელების და სკვითებისა, ასირიელების, ბაბილონელების, მიდიელების, ალანების, ჰუნების, გოთების, ხაზარების, არაბების, თურქების, მონღოლების; უფრო ახლო ხანებში „გოგისა და მაგოგის“ პერსონიფიკაცია ხდებოდა ბონაპარტისტულ საფრანგეთთან, ნაცისტურ გერმანიასთან, კომუნისტებთან, მასონებთან, ალ-ყაიდასთან⁴. სულაც არ არის გამორიცხული, რომ ეს ჩამონათვალი არცთუ ისე შორეულ მომავალში კიდევ უფრო გაიზარდოს. მთლიანობაში, ეხეკიელისეული „გოგი“ წარმოჩენილია, როგორც მითოლოგიური არსება, რომელშიც განსახიერებულია კაცობრიობის ესქატოლოგიური მტერი და იმ ჩრდილოეთის წყვედიანი, სადაც არის მისი სამკვიდრებელი („*დასასრულისაგან ჩრდილოდა*“)⁵ და რომლის შესახებაც მინიშნებები უფრო ადრეული ხანების წინასწარმეტყველებთანაც არის მოცემული: „*პირისაგან ჩრდილოსა აღევ ზნენ ბოროტნი ყოველთა ზედა დამკვდრებელთა ქუყანისათა*“⁶.

იოსებ ფლავიუსის ხანიდან, ანუ ახ. წ. I ს., დაწყებული, „გოგი და მაგოგი“ ბერძნულ-რომაულ წერილობით წყაროებში ჩვეულებრივ იდენტიფიცირებულია შავი ზღვის ჩრდილოეთით მცხოვრებ სკვითებთან და მათ მონათესავე ალანებთან და, შესაბამისად, მათი ადგილმდებარეუ-

¹ შდრ. E. J. van Donzel, A. B. Schmidt, C. Ott, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

² სწორედ ის გარემოება, რომ ქართული მატრიანეებისათვის უცნობია „გოგისა და მაგოგის ტომების“ არსებობა და მათ წინააღმდეგ აგებული ჩრდილოეთის კარის თემა, საშუალებას აძლევს ს. რეპს იფიქროს, რომ ეს თხზულებები შექმნილი უნდა იყოს უფრო ადრე, ვიდრე ფსევდო-მეთოდის ნაწარმოები შეიქმნა ფართო პოპულარობას, ანუ ადრეულ VIII საუკუნემდე (S. H. Rapp, Jr, *The Sasanian...*, p. 136).

³ წინასწარმეტყველება ეხეკიელისი, 38: 2; იხ. ე. დოჩანაშვილი, *მცხეთური ხელნაწერი (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, წინასწარმეტყველება წიგნები – ესაია, იერემია, ბარუქი, ეხეკიელი)*. გამოსაცემად მოამზადა ე. დოჩანაშვილმა (თბილისი: „მეცნიერება“, 1985), გვ. 350; შდრ., აგრეთვე, 38: 3, 14, 17, 18; 39: 1, 6, 11, 15.

⁴ E. J. van Donzel, A. B. Schmidt, C. Ott, დასახ. ნაშრ., გვ. 4.

⁵ წინასწარმეტყველება ეხეკიელისი, 38: 15; იხ. ე. დოჩანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 351.

⁶ J. Lust, Gog, *Dictionary of Deities and Demons in the Bible*. Karel van der Toorn, Bob Becking, Pieter W. van der Horst (eds.). Second, extensively revised edition (Leiden, Boston, Köln: Brill, 1999), p. 374. მკვლევართა აზრით, ხან ხალხების, ხანაც ქვეყნების და, ამასთანავე, ყოველთვის ღვთისა და მისი რჩეული ერის ზებუნებრივი მოწინააღმდეგეების აღმნიშვნელ სახელწოდებებს – „გოგი“ და „მაგოგი“, ძირითადად მაინც ურთიერთშენაცვლებადი ხასიათი აქვთ (J. Lust, Magog, *Dictionary of Deities and Demons in the Bible*. Karel van der Toorn, Bob Becking, Pieter W. van der Horst (eds.). Second, extensively revised edition (Leiden, Boston, Köln: Brill, 1999), p. 535-537).

⁷ წინასწარმეტყველება იერემიასი, 1: 14; იხ. ე. დოჩანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 156.

ბა განისაზღვრებოდა ხოლმე კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე ტანაისისა (მდ. დონის) და მეოტიის ტბის (აზოვის ზღვა) სანაპიროებით¹. მიუხედავად იმისა, რომ იოსებ ფლავიუსი იუწყებოდა კავკასიონის მთებში ალექსანდრეს მიერ „ველური ტომების ჩამკეტი რკინის კარიბჭის“ აგებას, ამ კარიბჭეს ჯერ კიდევ არ ენიჭებოდა მომავალში შექმნილი ის აპოკალიფსური მნიშვნელობა, რაც შედარებით უფრო გვიანდელი ხანის ავტორებთან უკვე მკაფიოდ არის გამოკვეთილი. იოსებ ფლავიუსისათვის „ალექსანდრეს კარიბჭეს“ წმინდა სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება აქვს. ასე რომ, ამ მხრივ იგი გამონაკლისია იმ ძველ მწერალთა შორის, ვინც ბიბლიური „გოგისა და მაგოგის“ ლეგენდა დაუკავშირა ისტორიულად არსებულ ტომთა შემაკავებლად ალექსანდრეს მიერ ვითომდა აგებულ მითიურ „რკინის კარიბჭეს“².

აღსანიშნავია, რომ „რკინის კარის“ ცნება, როგორც წესი, უკავშირდება ტოპონიმს – „კასპიის კარი“, რომელიც სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში კასპიის ზღვის მახლობლად მდებარე სხვადასხვა უღელტეხილთან არის გაიგივებული. შენიშნულია, რომ „კასპიის კარი“ ძველთაგანვე განიხილებოდა ყველა თანადროული უმნიშვნელოვანესი მოვლენების ეპიცენტრად, საიდანაც ხდებოდა ხოლმე ჩრდილოელი ნომადების შესევა სამხრეთით მდებარე მხარეების ცივილიზებული მოსახლეობის გასანადგურებლად და საიდანაც იცვლებოდა სხვადასხვა ეპოქებში მსოფლიოს სახე³. თუ ეს ტერმინი – „კასპიის კარი“, და მასთან ერთად „რკინის კარის“ ცნება თავდაპირველად ჩრდილოეთ ირანში, სიღარის ხეობაში (ფირუზკუხი) მდებარე უღელტეხილს უკავშირდებოდა, სადაც ალექსანდრეს ლაშქარს ნამდვილად გაუვლია, ახ. წ. I ს. იგი უკვე დარიალს („კავკასიის კარს“) აღნიშნავდა, ხოლო უფრო გვიან ეს სახელწოდება დაუშკვიდრდა კასპიის ზღვის დასავლეთ ნაპირზე მდებარე დარუბანდის კარს (დერბენდს)⁴.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია, ის გარემოებაც, რომ დერბენდის კარის გამოყენების შესაძლებლობა ვერ იქნებოდა მაინცდამაინც ეფექტური ახ. წ. V საუკუნემდე, უფრო ადრეულ ხანებში კასპიის ზღვის ბევრად უფრო მაღალი ზღვის დონის გამო (მაგ. ძვ. წ. I ს.)⁵. ახ. წ. 32-37 წწ. დაკავშირებული მოვლენების აღწერისას, ტაციტუსი 109 წ. დაწერილ ანალებში შენიშნავს, რომ ვიწრობები კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, ალბანეთის საზღვართან, ზღვასა და მთებს შუა, საკომუნიკაციოდ მაინცდამაინც გამოსადეგარი არ იყო, ვინაიდან იგი მხოლოდ ზამთრობით იყო ღია, როდესაც ქარი ნაპირიდან ერეკებოდა ტალღებს და აშიშვლებდა მეჩენებს ამ ნაპირის გასწვრივ⁶. შესაძლოა ეს იყო მიზეზი, რომელმაც ალბათ განაპირობა ზემოაღნიშნული ფაქტი ტერმინ „კასპიის კარის“ გამოყენებისა დარიალის უღელტეხილის მნიშვნელობით. ჯერ კიდევ პლინიუს უფროსი აღნიშნავდა, რომ „კავკასიის კარს“, რომელიც იბერიული ქალაქის ჰარმასტიის (არმაზის) პირდაპირ მდებარეობს და სამყაროს ორ ნაწილად განყოფს (იხ. ქვემოთ), მისი თანამედროვენი შეცდომით უწოდებდნენ „კასპიის კარს“, რომელიც, სინამდვილეში, კასპიის ზღვის სამხრეთით, ირანში, მდებარეობდა⁷. თუმცა, როგორც ჩანს, კავკასიონის ცენტრალური ნაწილის აღმნიშვნელად იმთავითვე გამოიყენებოდა „კასპ“-ძირის მქონე თუ მასთან მიმსგავსებული სახელწოდება⁸.

„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ დერბენდის კარის გამაგრებას მიაწერს ალექსანდრეს წინა ხანის ლეგენდარულ სპარსელ სარდალს – არდამს: „ამან არდამ ერისთავმან აღაშენა ქალაქი ზღვს-კარს, და უწოდა სახელი დარუბანდი, რომელი ითარგმანების „დაკშა კარი“⁹. დერბენდის კარიბჭის (არაბული ბაბ-ალ-აბვაბი ანუ „კართა კარი“) დანიშნულება – ჩაეკეტა კასპიის ზღვის სანაპირო გასასვლელი ჩრდილოელი მომთაბარე დამპყრობლებისათვის – არ უნდა ყოფილიყო რამდენადმე აქტუალური ახ.წ. VI საუკუნემდე, როდესაც იგი გამაგრებული იქნა სპარსეთის შაჰის ხოსრო ანუშირვანის მიერ (531-579 წწ.). როგორც ჩანს, ამ დროისათვის კასპიის ზღვის ერთ დროს მაღალი დონე შედარებით დაეცა და გზა მისცა სანაპირო გასასვლელს, შესაბამისად საჭირო გახდა სანაპირო საფორტიფიკაციო ნაგებობების აღმართვა.

ახ. წ. V საუკუნიდან მკვიდრად იკიდებს ფეხს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც „გოგი და მაგოგი“ ზოგადად ისევ სკვითურ ტომებთან, ხოლო უფრო კონკრეტულად – ჰუნებთან არიან

¹ *იუდეველთა ობი*, 7: 7, 4; *იუდეგის ბიბლიები*, I, vi, 1. შდრ. J. Lust, Magog, p. 536.

² E. J. van Donzel, A. B. Schmidt, C. Ott, დასახ. ნაშრ., გვ. 11, 12.

³ M. Walckenaer, On Ancient Geography, *The Classical Journal*, for September and December 1817, vol. XIV, no. XXXII, 1817, p. 259.

⁴ შდრ. M. Walckenaer, დასახ. ნაშრ., გვ. 257-262.

⁵ იხ. С. Н. Муравьев, Птолемеява карта кавказской Албании и уровень Каспия, *Вестник древней истории*, 1, 1983, сс. 117-147.

⁶ Tac., *Ann.*, 6, 33.

⁷ Plin., *n.h.*, VI: 12, 15, 17, 21, 23, 39; იხ. J. Bostock, H. T. Riley (eds.). Pliny the Elder, *The Natural History* (London. Taylor and Francis, 1855), n. 193.

⁸ შდრ. M. Walckenaer, დასახ. ნაშრ., გვ. 261, 262. საინტერესოა, ხომ არ არის ორონიმი „ყაზბეგი“ (მყინვარწვერი) ამ ძველი სახელწოდების კონტამინაციის შედეგად მიღებული.

⁹ *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, გვ. 13: 9, 10.

გაიგივებულნი. აღსანიშნავია, რომ ახ. წ. IV ს. დამლევს კავკასიონის გადალახვის შედეგად ქედის სამხრეთით ჰუნების შემოსევის თანამედროვე და მომსწრე, წმიდა იერონიმე სტრიდონელი (347-420 წწ.) „გოგსა და მაგოგს“ უკვე ჰუნებთან აიგივებდა. „წინასწარმეტყველება ეზეკიელისას“ კომენტარებში იგი „გოგისა და მაგოგის“ საუფლოს, იოსებ ფლავიუსის მსგავსად, კავკასიონის გადაღმა და მეოტიის ტბასთან ათავსებს, ხოლო თავის 77-ე ეპისტოლეში განმარტავს, რომ ჰუნთა ორდები „გამოსხმულნი“ იყვნენ მეოტიიდან, სადაც ისინი ბინადრობდნენ ყინულოვან ტანაისსა და მასაგეტთა შორის და სადაც ალექსანდრეს მიერ აგებული კარიბჭე აკავებდა სისხლისმღვრელ და შიშისმთესველ კავკასიონის იქითა მხარეს მცხოვრებ, სწრაფ ცხენებზე ამხედრებულ ველურ ტომებს¹. ა. რ. ანდერსონის ვარაუდით, „ალექსანდრეს რომანში“ „გოგისა და მაგოგის ლეგენდის“ ჩართვა სწორედ ჰუნების ზემოდასახელებულ შემოსევას უნდა განეპირობებინა².

შეიძლება ითქვას, რომ გვიანი IV ს. ჰუნების შემოსევების მომდევნო ხანებში, არანაკლებ ორი-სამი საუკუნის მანძილზე „გოგი და მაგოგი“ პერსონიფიცირებული იყო ჰუნებთან და შესაბამისად ყველაზე უფრო „ეკონომიური ვარაუდი“ იქნებოდა ქართული წყაროების „ბუნ-თურქების“ სახელწოდების სწორედ მათთან დაკავშირება³. აღსანიშნავია, რომ სირიული „ალექსანდრეს რომანის“ დამატება – „ქრისტიანული ლეგენდა ალექსანდრეს შესახებ“, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, განსაკუთრებით ახლოს დგას „ველური ტომების“ შესახებ ქართული მატინეების მონაცემებთან, მოგვითხრობს, რომ კავკასიაში მოსული ალექსანდრეს მიერ დასმულ კითხვაზე აქ მობინადრე ველური, ავი ზნის ხალხის ვინაობის შესახებ, ადგილობრივები პასუხობდნენ, რომ ისინი ჰუნები არიან, ხოლო მათი მეფეებია გოგი, მაგოგი და ნავალი, ძენი იაფეტისაო⁴. ამ მხრივ, ისიც საგულისხმოა, რომ ბევრად უფრო გვიან (ხაზარების, არაბების, თურქ-სელჯუკების, ხვარაზმელების შემოსევების შემდეგაც კი) XII საუკუნის სომხურენოვანი თხზულება „შეკითხვა“ (*harc'umn*), სადაც ვრცელი ამონარიდია მოთავსებული ფსევდო-მეთოდის „აპოკალიფსისიდან“, ისევე ჰუნებთან აკავშირებს ალექსანდრეს მოწინააღმდეგე „უწმინდურ ხალხს“⁵.

დამატებით, არაპირდაპირ მინიშნებას „ბუნ-თურქების“ სახელწოდების ჰუნებისა და თურქების სახელწოდებათა კონტამინაციის შედეგად მიღების სასარგებლოდ, ი. ვიპერტის აზრით, წარმოადგენს ის გარემოება, რომ ქართლის ცხოვრების XII საუკუნის სომხურ ვერსიაში⁶ იქ, სადაც, საუბარია ყიფნალებთან დავით აღმაშენებლის დამოყვრებაზე, ქართული ორიგინალის მსგავსად, დასახელებული ყიფნალები⁷, ქართული ორიგინალისაგან განსხვავებით, განმარტე-

¹ იხ. E. J. van Donzel, A. B. Schmidt, C. Ott, დასახ. ნაშრ., გვ. 13, შენ. 16; *Epistula 77*, 6-8: "Ecce subito discurrentibus nuntiis oriens totus intremuit, ab ultima Maeotide inter glaciale Tanain et Massagetarum inmanes populos, ubi Caucasi rupibus feras gentes Alexandri claustra cohinent, erupisse Hunnorum examina, quae pernicibus equis hue illucque olitiantia caedis pariter ac terroris cuncta complerent".

² A. R. Anderson, *Alexander's Gate, Gog and Magog, and the Inclosed Nations* (Cambridge, Mass.: The Mediaeval Academy of America, 1932), pp. 17-19.

³ ამის საპირისპიროდ, ი. ვიპერტი მიიჩნევს, რომ საქართველოში „ბუნ-თურქების“ ბინადრობის თაობაზე მოსახრების აღმოცენებისათვის ისტორიულ საფუძველს იძლეოდა VI-VII საუკუნეების „ჰუნების“ ანუ სინამდვილეში ხაზართა შემოსევები, რომელთაც ადგილი უნდა ჰქონოდათ არაუადრეს ახ. წ. 515 წ., ანდა, შესაძლოა, ერთი საუკუნით უფრო გვიან, 628 წ., თუ გავითვალისწინებთ სირიული „ქრისტიანული ლეგენდის“ შექმნის ხანას; ეს მოვლენები მემატინეების მიერ გადატანილი იყო წინაისტორიულ ხანაში (J. Gippert, დასახ. ნაშრ., გვ. 37, 40-41).

⁴ აქედან გამომდინარე, ი. ვიპერტი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ტერმინი „ბუნი“ „ჰუნების“ სახელწოდების დამახინჯების შედეგად უნდა ყოფილიყო აღმოცენებული და ცდილობს ეს ქართული-ასომთავრული და სირიული დამწერლობების პალეოგრაფიული მონაცემებისა და ბერძნული ენისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით ახსნას, თუმცა, მათ შორის უპირატესობას ქართული-ასომთავრული დამწერლობის „ჰაე“ ასო-ნიშნის „ბანიო“ ჩანაცვლებას ანიჭებს (J. Gippert, დასახ. ნაშრ., გვ. 31-32, 37).

⁵ E. J. van Donzel, A. B. Schmidt, C. Ott, დასახ. ნაშრ., გვ. 39, 40.

⁶ უცნობი სასულიერო პირის მიერ ჯერ კიდევ XII საუკუნეში კლასიკურ სომხურ ენაზე ნათარგმნი „ქართლის ცხოვრების“ (ორიგინალის შემოკლებული ვარიანტი – "Patmut'iwn Vrac") ტექსტი, რომელშიც ზოგიერთი ახალი, სპეციფიკური სომხური მასალა იყო ჩართული, ცნობილია XIII საუკუნის მანუსკრიპტის საშუალებით. სომხური ვერსია უცილობლად უნდა დათარიღდეს 1125 წლიდან 1270 წლამდე; სავარაუდოდ, იგი ნათარგმნია XII საუკუნის პირველ ნახევარში (იხ. R. W. Thomson, *Rewriting Caucasian History: The Medieval Armenian Adaptation of the Georgian Chronicles. The Original Georgian Texts and the Armenian Adaptation. Translated with Introduction and Commentary by Robert W. Thomson* (Oxford: Clarendon Press, 1996). ს. რუპის დაკვირვებით, აღნიშნული სომხური ვერსია ერთდროულად წარმოადგენს ამჟამად დაკარგული ქართული ეკზემპლარის თარგმანს, ადაპტაციას, შემოკლებას და, ამასთანავე, ამ უკანასკნელის არაზუსტ გადმოცემასაც (S. H. Rapp, Jr (ed.), *K'art'lis c'xovreba. The Georgian Royal Annals and their Medieval Armenian Adaptation. Vol. I. Anatolian and Caucasian Studies* (Delmar, New York: Caravan Books, 1998, p. 31).

⁷ ს. ყაუხჩიშვილი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, *ქართლის ცხოვრება*, ტომი I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1955), გვ. 336: 1-23; შდრ. J. Gippert, დასახ. ნაშრ., გვ. 35, 36. ძველ სომხურ ლიტერატურაში გვხვდება ჰუნებთან ხაზარების გაიგივებაც, მაგ. მოვსეს დასხურანცი II, 11 (იხ. S. H. Rapp, Jr, *Studies in Medieval Georgian Historiography: Early Texts and Eurasian Contexts. Corpus scriptorum christianorum orientaliu*, vol. 601 (Louvain: Peeters, 2003), p. 150, n.188).

ბულნი არიან, „ჰუნებად“¹, ხოლო ლეონტი მროველთან, იქ, სადაც საუბარია ალექსანდრე დიდზე, „ბუნ-თურქები“ და ყივჩაღები გვერდი-გვერდ არიან მოხსენიებული². ი. გიპერტი თვლის, რომ ეს ორი ფრაგმენტი ერთმანეთთან უნდა იყოს კავშირში, ვინაიდან, ყივჩაღებთან დამოყვრების შესახებ ფრაგმენტს უშუალოდ წინ უსწრებდა დავით მეფის დახასიათება, როგორც მეორე ალექსანდრეს³.

„ბუნ-თურქების“ სახელწოდების ჰუნებისა თუ „ჰუნ-თურქების“ სახელწოდებებთან გაიგივების შემთხვევაში, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „ქალდეველთაგან გამოსხმულ ჰონებში“ ჰუნების დანახვა უკვე რთული გახდება. არც ის გვეგონია, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტში, განსაკუთრებით მის საწყის ნაწილში, რომელიც „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-საგან განსხვავებით, ნაკლებად ეკლექტიკური ხასიათისაა და არც სპარსული წარმომავლობის ლეგენდებისა და თხზულებების რამდენადმე საგრძნობ კვალს ატარებს⁴, ნაგულისხმევი ყოფილიყვნენ „სპარსელთაგან“ გამოქცეული და ქართლში დამკვიდრებული ჰუნები.

ბოლო ხანების ქართულ ისტორიოგრაფიაში ფეხი მოიკიდა აზრმა, რომ ქართული წერილობითი წყაროების „ქალდეველებით“ სპარსელები მოიხსენიებოდნენ ხოლმე. თუმცა, აქ გასარკვევია, თუ როდის, როგორ და რა მიზეზების გამო. კ. კეკელიძის შეხედულებით, ძველ ქართულ ლიტერატურაში შენიშნული ის გარემოება, რომ ირანს ხშირად ეწოდება ქალდეველთა ან ბაბილონელთა ქვეყანა, ხოლო ბაბილონი სპარსეთის ქვეყნად არის მიჩნეული, განპირობებული უნდა ყოფილიყო იმ ბიბლიური ტრადიციით, რომლის მიხედვითაც ბაბილონის ქვეყანას ქალდეველთა ქვეყანაც ეწოდება, ხოლო ორივენი გაიგივებული არიან სპარსეთთან, ვინაიდან იგი ქალდეველთა ან ბაბილონელთა ქვეყანასაც შეიცავდა ერთ დროს⁵.

ცნობილი ფაქტია, რომ აქემენიანთა სპარსული იმპერიის ხანიდან დაწყებული, ბაბილონელების გარდა, „ქალდეველთა“ სახელით მოიხსენიებოდნენ აგრეთვე, საზოგადოდ, სათანადო განათლების მქონე სასულიერო პირები. კერძოდ, კლასიკური ხანის მწერლობაში „ქალდეველთა“ სახელით ცნობილი არიან შუამდინარეთის რელიგიური განათლების მქონე ხალხი, ვარსკვლავმრიცხველები, წინასწარმეტყველნი⁶. საზოგადოდ, შუამდინარეთში ადგილი ჰქონდა მაზდეანურ/ზოროასტრიულ და ქალდეველთა რელიგიური მრწამსისა და წარმოდგენების შერწყმა-შედუღებას; ხდებოდა აღრევა მითრისა შამაშთან, ანაჰიტისა იშთართან და ა. შ.⁷. ხშირი იყო მოგვების აღრევაც ქალდეველებთან⁸. სწორედ ასეთი აღრევის შედეგი უნდა იყოს ქართული წყაროს („ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოსის“) ცნობა, რომ „ითრუშანა/ითრუჯანი“ „ქალდეველთა“ ღმერთი იყო: „*ეგე არმაზ და ქალდეველთა ღმერთი ითრუშანა ყოვლად-ვე მტერ არიან. ამან მის ზედა ზღუად მოადგინის და მან ამის ზედა ერთი ნუ რაამე მოაწიის, ვითარცა აქუს ჩუეულება სოფლის მპერობელთა*“⁹.

გასათვალისწინებელია, ისიც, რომ აქემენიანთა ხანიდან მოყოლებული, სპარსელებსა და ქალდეველ/ბაბილონელებს შორის განსაკუთრებული ურთიერთობა დამყარდა. როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, კიროს დიდს მითვისებული ჰქონდა ბაბილონის მეფეების ტიტულატურა. სპარსელი მეფეების მიერ ბაბილონური სამეფო ტიტულატურის გამოყენება გამომხატველი უნდა ყოფილიყო მათი სურვილისა – დაეკმაყოფილებინათ ბაბილონელთა მოლოდინი და ამის შესა-

¹ რ. თომსონისეული თარგმანის მიხედვით: *“His wife Guranduxt was the daughter of At’rak, chief of the Kipchaks, that is, of the Huns. With their assistance he subjected the king of Ossetia. He took hostages from them and made peace between the Ossetes and Huns”* (იხ. R. W. Thomson, დასახ. ნაშრ., გვ. 325, 326; აგრეთვე, გვ. xlvii). რ. თომსონი შენიშნავს, რომ ძველი სომეხი ავტორები ხშირად იყენებენ ამ ტერმინს, მაგ. ელიშე ქუშანებსაც „ჰუნებს“ უწოდებდა (R. W. Thomson, დასახ. ნაშრ., გვ. 325, შენ. 29).

² *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, გვ. 17: 11–13.

³ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 335: 16–20; შდრ. J. Gippert, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

⁴ გ. არახამია მართებულად შენიშნავს, რომ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ში ფაქტობრივად მთლიანად მოიცვა XI საუკუნისათვის არსებული მთელი ქართული ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა, რის შედეგადაც მის ტექსტში შეინიშნება სტრუქტურული სიჭრელე და ერთმანეთისაგან ქრონოლოგიურად საკმაოდ დაშორებული მოვლენების თანაარსებობა (გ. არახამია, დასახ. ნაშრ., გვ. 181).

⁵ იხ. კ. კეკელიძე, ძველი მწერლობა, გვ. 504, 505; კ. კეკელიძე, ითრუჯანი (ცდა მისი ეტიმოლოგიის გარკვევისა), *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, ტ. I (თბილისი, 1956), გვ. 269.

⁶ შდრ., მაგ., Strabo XVI, 1, 6; Pliny, *n.h.*, VI, 123; Diodorus XVII, 112, 2; Arrian III, 16, 5; შდრ. P. Briant, დასახ. ნაშრ., გვ. 722, 725, 726, 854, 862.

⁷ A. Cahill, *Paradise Rediscovered: The Roots of Civilisation*, vol. 2 (Brisbane: Carindale, Qld., 2012), p. 564.

⁸ იხ., მაგ., Justin XII, 13, 3–5; იხ. P. Briant, დასახ. ნაშრ., გვ. 725.

⁹ *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, გვ. 341: 3–5. ლეონტი მროველის „ნინოს მიერ ქართლის მოქცევის“ მიხედვით: „*ეგე არმაზ ქართველთა და ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან ყოვლადვე მტერ არიან. ამან მას ზედა ზღუად მოადგინა, და მან ამას ზედა ეხვეითარი ურვა მოაწია, ვითარ აქუს ჩუეულება სოფლის მპერობელთა*...“; იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, *ქართლის ცხოვრება*, ტომი I, ტექსტი დადავნილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1955), გვ. 106: 21–107: 1, 2; შდრ., აგრეთვე, გვ. 91: 18–92: 1, 2.

ბამისად საკუთარი ძალაუფლებისათვის მეტი ლეგიტიმაცია შეეძინათ¹. კიროსი განიხილებოდა ღვთაება მარდუკის მიერ ქვეყნის სამართავად დადგენილ ბაბილონის მეფედ². ჯერ კიდევ ძვ. წ. 539 წლის 12 ოქტომბერს დანებებულ ბაბილონში 9 ნოემბერს დიდი ზარ-ზეიმით შესულმა კიროსმა დაიმსახურა ბაბილონელების მხარდაჭერა, როგორც ძველი რელიგიური წესების აღმდგენელმა და საკულტო ტრადიციების უწყვეტობის მომხრემ; კერძოდ, მან აღიარა მარდუკი ბაბილონელებისა და, როგორც ჩანს, არა მხოლოდ მათ, უზენაეს ღვთაებად, აღუდგინა მოსახლეობას მანამდე ათი წლის განმავლობაში აკრძალული საახალწლო დღესასწაულები, ხოლო თავისი ძე ბაბილონის მეფედ აკურთხა³.

როგორც ვხედავთ, ქალდეელებისა და სპარსელების გაიგივება თითქმის უკლებლივ რელიგიურ და პოლიტიკურ სფეროებს მოიცავს და არ ეხება მათ ტომობრივსა თუ ეთნიკურ კუთვნილებას; ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია თვით კ. კეკელიძის მიერ მითითებული „დანიელის წინასწარმეტყველების“ ტექსტისეული: „*დარიოს ქსერქსეს ძე, მოდგმით მიდიელი, ქალდეელთა სამეფოზე გამეფდა*“⁴. შესაბამისად ამისა, ვფიქრობ, ცხადი უნდა იყოს, რომ ღვთაება „ითრუშანას“ „ქალდეელობაც“ არ უნდა სცდებოდეს რელიგიურ-პოლიტიკურ სფეროს და არ უნდა გვაძლევდეს იმის თქმის საშუალებას, რომ ტერმინ „ქალდეელით“ ძველ ქართულ ლიტერატურაში, როგორც წესი, „სპარსელები“ აღინიშნებოდნენ.

„ქალდეელთა“ ღვთაების სახელწოდება – „ითრუშანა/ითრუჯანი“ უნდა მომდინარეობდეს მაზდეანთა ცეცხლის დასანთები სამლოცველოს, ე. წ. „ათეშვას“, კ. კეკელიძის მიერ გამოყენებული ტერმინით „საცეცხლოს“⁵, ანუ „დანთებული ცეცხლის ადგილის“ პართული სახელწოდებიდან **atarōšan*, რომელმაც სომხურ ენაში თავი შემოინახა „ატრუშან/ატროშან“-ის ფორმით⁶. შესაბამისად, ამ გარემოების გათვალისწინებით უფრო ადვილად გასაგები ხდება, თუ რატომ არის, რომ არმაზმა „*მის ზედა ზღუა მოადგინის*“: კ. კეკელიძე შენიშნავდა, რომ „ითრუჯანი“ უნდა მივიჩნიოთ ისეთი სტიქიონის ღვთაებად, რომელიც წყლით შეიძლება მოსპობილ იქნეს⁷.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეტად რთული საგარაუდო ხდება, რომ „ქალდეელთაგან გამოსხმულ ჰონებში“ ნაგულისხმევი ყოფილიყვნენ თითქოს „სპარსელთაგან“ გამოქცეული და ქართლში დამკვიდრებული ჰუნები. შესაბამისად ამისა, ვფიქრობ, ძალაში უნდა დარჩეს ე. თაყაიშვილის კონიექტურა, რომლის თანახმადაც, „მოქცევა ქართლისად“-ს დედანში ქალდეელთაგან „გამოსხმულ/გამოყრილი“ „ჰურიანნი“ დაქარგებული უნდა ყოფილიყო როგორც „ჰონი“⁸. მითუმეტეს, რომ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ „მოქცევა ქართლისად“-ს „ჰონთა“ ნაცვლად, მათ შესატყვის ადგილას „ურიებს“ ასახელებს⁹. ამასთან დაკავშირებით, ყუ-

¹ J. P. Nielsen, "I Overwhelmed the King of Elam": Remembering Nebuchadnezzar I in Persian Babylonia, *Political Memory In and After the Persian Empire*. Jason M. Silverman and Caroline Waerzeggers (eds.). Society of Biblical Literature; Ancient Near East Monographs, no. 13 (Atlanta: SBL Press, 2015), p. 65.

² G. de Breucker, Heroes and Sinners: Babylonian Kings in Cuneiform Historiography of the Persian and Hellenistic Periods, *Political Memory In and After the Persian Empire*. Jason M. Silverman and Caroline Waerzeggers (eds.). Society of Biblical Literature; Ancient Near East Monographs, no. 13 (Atlanta: SBL Press, 2015), p. 88.

³ R. J. van der Spek, დასახ. ნაშრ., გვ. 451-453, 458, 460. მართალია, კიროსმა მშვიდობა დაამყარა ბაბილონში, ოღონდ საკუთარი ინტერესებიდან და პირობებიდან გამომდინარე (ე. წ. *Pax Cyriaca*), საბოლოო ჯამში კი ბაბილონი მან აქემენიანთა იმპერიის ერთ-ერთ რიგით პროვინციად გადააქცია; ალექსანდრესგან განსხვავებით, მას არასოდეს უფიქრია ბაბილონის გამოცხადება თავის ახალ დედაქალაქად (R. J. van der Spek, დასახ. ნაშრ., გვ. 451, 460).

⁴ *წინასწარმეტყველება დანიელისა*, 9: 1; იხ. კ. კეკელიძე, ძველი მწერლობა, გვ. 505; კ. კეკელიძე, ითრუჯანი..., გვ. 269.

⁵ კ. კეკელიძე, ითრუჯანი..., გვ. 269.

⁶ იხ. S. Wikander, *Feuerpriester in Kleinasien und Iran* (Lund, 1946), S. 98; M. Boyce, On the Zoroastrian Temple Cult of Fire, *Journal of the American Oriental Society*, vol. 95, no. 3, 1975, p. 456; შდრ., აგრეთვე, მ. ანდრონიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 225. კ. კეკელიძის აზრით, ეს ტერმინი ნაწარმოები უნდა იყოს ქართულ ნიადაგზე ფონეტიკურად სახემცველი და ცეცხლის მნიშვნელობის მქონე ფალაური „ატრუშან/ატროშან“-იდან, ვინაიდან, იგი უკვე გვხვდება იაკობ ხუცესის V ს. თხზულებაში „შუშანიის წამება“: „საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსკენ, რამეთუ უვარყო ჭეშმარიტი დმერთი და აღიარა ატროშანი“ (კ. კეკელიძე, ითრუჯანი..., გვ. 268-270).

⁷ კ. კეკელიძე, ითრუჯანი..., გვ. 268-270.

⁸ ე. თაყაიშვილი, *სამი ისტორიული ხრონიკა* (ტფილისი, 1890), გვ. CI. ლ. ჯანაშიას ეს მოსაზრება მისაღებად მიიჩნედა იმის გამო, რომ „ჰონები/ჰურიანი“ ქალდეელებთან, ე. ი. ბაბილონელებთან დაკავშირებით არიან მოხსენიებული (ლ. ჯანაშია, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს წყაროებისათვის, *კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები* (თბილისი, 1966), გვ. 137-138); იხ., იქვე, ლ. ჯანაშიას მოსაზრება, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ტექსტის დამოკიდებულების შესახებ „მოქცევა ქართლისად“-ს ტექსტზე (ლ. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 131-143).

⁹ ფიქრობენ, რომ ქარაგმის მოხსნა (ჯერ კიდევ შატბერდული ხელნაწერის შექმნამდე) უნდა გამოეწვიოთ იმ ფაქტს, რომ ძველ ქართულ ლიტერატურაში „ჰონი“-ს სახელწოდებით ცნობილი იყვნენ ჰუნები; ეს დასტურდება იაკობ ხუცესის შუშანიის ტექსტის მეშვეობით და განპირობებული უნდა ყოფილიყო სომხურ ისტორიოგრაფიულ ტექსტებში გავრცელებული ანალოგიური სახელწოდების ზეგავლენით (J. Gippert, დასახ. ნაშრ., გვ. 34). საკუთრივ ქართულში ალბათ „ჰონის“ პარალელურად უნდა გვექონოდა „ჰუნიც“, რაზედაც უნდა მიგვანიშნებდეს ფორმა „ბუნ-თურქი“ (და არა – „ბონ-თურქი“, რომელსაც მივიღებთ ზემოაღნიშნული პალეოგრაფიული ხასიათის ცდომილების შედეგად).

რადღებას იპყრობს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „ქალდეველი ჰონების“ მიერ დაკავებული მიწების ადგილმდებარეობისა და მათი აქ დამკვიდრების ხასიათისა და პირობების თითქმის სრული თანხვედრა „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს „ურიათა“ მცხეთაში დასახლების ამბავთან¹. აშკარაა, რომ ორივე ძეგლში ერთი და იგივე ამბავია აღწერილი, თუმცა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „ბუნ-თურქთა უფალი“ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ში „მამასახლისით“ არის შეცვლილი, რაც, ალბათ, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-სათვის დამახასიათებელი ქართველთა ავტოქტონობის კონცეფციის ზეგავლენით უნდა აიხსნას².

აღრე მიმაჩნდა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „ქალდეველთაგან გამოსხმულ ჰონებში“ ებრაელები არ იგულისხმებოდნენ³, თუმცა, სავარაუდოა, რომ ლეონტი მროველის ეპოქაში ჩვენზე უფრო უკეთ უნდა სცოდნოდათ, თუ ვინ იგულისხმებოდა „ქალდეველთაგან გამოსხმულ ჰონებში“ და ვინ არა. „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ცნობა ახალბაბილონური ხანის დიდი მეფის ნაბუქოდონოსორ II-ის (ზეობის წლები დაახლ. ძვ. წ. 605-562 წწ.) მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ „ოტეზული“ ებრაელების ქართლში დამკვიდრების შესახებ („მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოტყუენა იერუსალემი, და მუნით ოტეზულნი ურიანი მოვიდეს ქართლს“)⁴ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტს უნდა იყოს დასესხებული და „ქალდეველთაგან გამოსხმული ჰონების“ განმარტებაა, ოღონდ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტში ნახსენები და ჩვენთვის უკვე გაუგებარი, უფრო ზუსტად, ჯერ დაქარაგმებული და შემდეგ ქარაგმა დაკარგული „ჰონები“, სავსებით მართებულად „ურეიბად“ არიან წაკითხული⁵. მხედველობაშია მისაღები, რომ „დანიელის წინასწარმეტყველებაში“ ნაბუქოდონოსორის ძე „ქალდეველთა მეფედ“ არის მოხსენიებული⁶. გასათვალისწინებელია ალბათ ისიც, რომ ქართველი ებრაელები, მათ შესახებ არსებული ტრადიციული წარმოდგენის მიხედვით, ბაბილონური წარმომავლობის მქონედ არიან მიჩნეულნი⁷. როგორც ცნობილია, ნაბუქოდონოსორმა, ძვ. წ. 586 წელს, მის წინააღმდეგ აჯანყების შემდეგ, იერუსალიმი (რომელიც მან ძვ. წ. 597 წ. აიღო) მიწასთან გაასწორა, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობის რჩეული ნაწილი (მეომრები, ხელოსნები, სწავლულნი) იუდეის სამეფოდან („სახლი სადავითო“) ბაბილონში გადაასახლდა⁸; მან, ზოგიერთთა აზრით, ეგვიპტეშიც იმიტომ გაილაშქრა, რათა იუდეიდან ლტოლვილი ებრაელები დაეტყველებინა⁹.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სეულ ქალდეველთაგან „გამოსხმულ“, ანუ არაქალდეველ, მათთვის უცხოტომელ „ჰონებში“, „გამოსხმულ/გამოყრილ“ მებროლ ხალხად მათი დახასიათების გამო, როგორც ჩანს, უნდა იგულისხმებოდნენ ქალდეველებთან დაპირისპირებული და იმავდროულად მათთან ერთად მცხოვრები მოსახლეობა. როგორც ცნობილია, ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანების ბაბილონში მცხოვრები ებრაელები უკვე სანახევროდ გაქალდეველები იყვნენ¹⁰, ეს გარემოებაც ხელს უნდა უწყობდეს „ქალდეველთაგან გამოსხმულ ჰონებში“ „ურეიბის“ დანახვის შესაძლებლობას.

¹ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შატბერდისეული ტექსტის მიხედვით: „...მოვიდეს ნათესავნი მბროლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი, ჰონნი, და ითხოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ქვეყანად ხარკითა და დასხდეს ივინი ზანავს და ეპყრა იგი, რომელ ხარკითა აქუნდა, პრჭან მას ხერკი“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 320: 10-13), ხოლო „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს თანახმად: „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოტყუენა იერუსალემი, და მუნით ოტეზულნი პურიანი მოვიდეს ქართლსდა მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქვეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა პჭან ზანავი. და რომელი ქვეყანა აქუნდა მათ ხარკითა, აწ პჭან ხერკ ხარკისა მისიუს“ (ცხოვრება ქართველთა მეფეთა, გვ. 15: 23 - გვ. 16: 1-3). „ხერკად“ არის ცნობილი დღევანდელი საგურამთეხმის ხევი. ზოგიერთი მკვლევარი სახელწოდება „ზანავში“ ხედავს ძველადქმისეულ ებრაულ ტოპონიმს „ზანუსს“ („ზანოასს“), იხ. იესო ნავეს ძე, 15: 34, 56; წიგნი ნეემიასი, 3: 13 (R. Bielmeier, Sprachkontakt in der Bekehrung Kartlis, *Lingua Restituta Orientalis: Festgabe für Julius Assfalg*, R. Schulz, M. Gorg (Hrsg.) (Wiesbaden: 1990), SS. 30-44; J. Gippert, დასახ. ნაშრ., გვ. 34, შენ. 19.

² გ. ქავთარაძე, *ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის* (თბილისი, 1985), გვ. 46; შდრ. გ. არაზამია, დასახ. ნაშრ., გვ. 186-189.

³ გ. ქავთარაძე, *ანატოლიაში...*, გვ. 46.

⁴ *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, გვ. 15: 23, 24.

⁵ ის გარემოება, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „ჰონებს“ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ ერთმნიშვნელოვნად „ურეიბად“ მიიჩნევს, არაერთხელ იყო მინიშნებული სამეცნიერო ლიტერატურაში, იხ., მაგ., ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. CI; მ. სანაძე, საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, IX (თბილისი, 2000), გვ. 31-33; და სხვ.

⁶ „ამის დამესა შინა მოიკლა ვალტასარ, მეფე ქალდეველთა“ (წინასწარმეტყველება დანიელისა, 5: 30); შდრ. სიტყვები თქმული, იქვე, ვალტასარის მისამართით: „მეფე, ღმერთმან მაღალმან მეფობა, და სიდიდე და პატივი, და დიდება მისცა ნაბუქოდონოსორს, მამასა შენსა“ (5: 18).

⁷ იხ. J. Gippert, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

⁸ ოსებ ფლავიუსი, *იუდეის სიძველენი*, 8: 6-8.

⁹ D. J. Wiseman, *Nebuchadrezzar and Babylon* (London: Published for the British Academy by Oxford University Press, 1991), pp. 38, 39.

¹⁰ იხ., მაგ., W. Drummond, On the Science of the Egyptians and the Chaldeans, part II, *The Classical Journal*, for September and December 1817, vol. XIV, no. XXXII, 1817, p. 271.

ცენტრალურ ამიერკავკასიაში, ქართლში მოსახლეობის გადმონაცვლების დაკავშირება ნაბუქოდონოსორ II-ის სახელთან არ არის მხოლოდ „მეფეთა ცხოვრებისათვის“ ცნობილი, ამ საკითხთან მიმართებაში, ალბათ, გასახსენებელია მოვსეს ხორენაცის ლეგენდარული ცნობაც ნაბუქოდონოსორის მიერ „შორეული დასავლეთის“ ქვეყნებიდან (ლიბია, პირენეს იბერია) ტყვედ წამოყვანილი და პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს დასახლებული „ივერიელების მოდგმის“ შესახებ. მოვსეს ხორენაცი ახ. წ. II საუკუნის ბერძენი მწერლის აბიდენოსის სიტყვებზე დაყრდნობით აცხადებს: „ამის შესახებ აბიდენოსი ამბობს: „*ძლევა მოსილმა ნაბუქოდონოსორმა, რომელიც პერაკლეზე უფრო ღონიერი იყო, შეჰყარა ჯარი და მიადწია ლიბიელთა, აგრეთვე [ივერიელთა ქვეყნებს, შემუსრა და დაიმორჩილა ისინი, მათი ერთი ნაწილი წამოასხა იქიდან და პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს დაასახლა*“ [ივერია ქვეყნიერების დასავლეთ საზღვარზე მდებარეობს¹]. ვინაიდან, მოვსეს ხორენაცი შენიშნავს, რომ ივერია (ვერია) ქვეყნიერების დასავლეთ საზღვარზე მდებარეობს, აშკარა ხდება, რომ ივერიაში იგი პირენეს ნახევარკუნძულს გულისხმობდა. მოვსეს ხორენაცის გადმოცემითვე, დარეკის (იგულისხმება დარიოს III) ნახარარი მიპრდატი წამოიყვანა ალექსანდრე დიდმა და მთავრად დაუსვა სწორედ ნაბუქოდონოსორის მიერ ლიბიელთა და ივერთა ქვეყნებიდან ტყვედ მოყვანილ და, როგორც ითქვა, პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს დასახლებულ ივერიელთა მოდგმას, ხოლო მის ნაშეიერს, ასევე მიპრდატს სომეხთა მეფემ არტაშესმა ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს გამგებლობა მიანდო².

ამასთან შედარებით თითქოს უფრო ლოგიკური ჩანს ქართული ტრადიცია, რომელიც სტრაბონის, დიონისიოს პერიეგეტის, სოკრატე სქოლასტიკოსისა და სხვათა მსგავსად და აბიდენოსის, ევსები კესარიელის, მოვსეს ხორენაცისა და სხვათა მონაცემებისაგან განსხვავებით, პირენეებიდან იბერიელთა ლეგენდარულ გადმოსახლებას ნაბუქოდონოსორის ლაშქრობას არ უკავშირებს და, გარდა ამისა, მართებულად მიიჩნევს, რომ ბაბილონის მეფეს არა „შორეული დასავლეთი“, არამედ იერუსალიმი უნდა დაელაშქრა (იხ. ქვემოთ)³. თუმცა, მხედველობაშია მისაღები, რომ მოვსეს ხორენაცისათვისაც, ამავე დროს, ცნობილია, რომ ნაბუქოდონოსორი ებრაელთა დამტყვევებელიცაა; მისივე ცნობით, თითქოსდა ნაბუქოდონოსორის თანამედროვე სომეხთა მეფემ პრაჩიამ ნაბუქოდონოსორს სთხოვა დატყვევებულ ებრაელთა ერთი მეთაურთაგანი, სახელად შამბათი მის ქვეყანაში დაესახლებინა და რომ თითქოს მისგან მომდინარეობს ბაგრატუნთა გვარი⁴.

ცნობა შავიზღვისპირეთში შორეული დასავლეთიდან იბერების გადმოსახლების თაობაზე შემონახულია ევსები კესარიელის (დაახლ. 263-339 წწ.) თხზულებებში. ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში უთითებენ ხოლმე მის მიერ 314-318 წწ. დაწერილ ნაწარმოებს „სახარებისადმი წინამომზადებას“ (*Praeparatio Evangelica*)⁵, სადაც ნათქვამია: „*ვპოვე მე აგრეთვე აბიდენოსის თხზულებაში „ასურელთა შესახებ“ ნაბუქოდონოსორზე შემდეგი: „მევასთენე ამბობს, რომ ნაბუქოდონოსორი პერაკლეზე უფრო ძლევა მოსილი იყო, ლიბიასა და იბერიაზე გაილაშქრა, დაეუფლა და მათი ნაწილი პონტოს მარჯვნივ დაასახლა*“⁶. რამდენიმე წლით უფრო ადრე, 308-311 წწ. დაწერილ „ქრონიკების“ (*Παντοδμή Ιστορία*, – „უნივერსალური ისტორია“) პირველ წიგნში – „ქრონოგრაფია“ (*Χρονογραφία*) ევსები კესარიელი ასევე გადმოგვცემს, რომ „*აბიდენოსი ნაბუქოდონოსორს პერაკლეზე ძლევა მოსილად მიიჩნევს, როდესაც წერს შემდეგს: მევასთენე ამბობს, რომ ნაბუქოდონოსორი პერაკლეზე ძლევა მოსილი იყო, მან თავისი ჯარები შორს ლიბიამდე და იბერიაამდე მიუშვა. დაიპყრო ეს ქვეყნები და მათი მოსახლეობის ნაწილი ევქსინის ზღვის მარჯვენა ნაპირზე დაასახლა*“⁷.

როგორც ვხედავთ, დამთხვევა მოვსეს ხორენაცისა და ევსები კესარიელის ტექსტებს შორის ძალზე დიდია. შესაბამისად, მკვლევართა შორის უკვე დიდი ხანია სრული თანხმობაა, რომ მოვსეს ხორენაცის მიერ მოტანილი აბიდენოსის ცნობა ალბათ უნდა იყოს ევსები კესარიელის „ქრონიკების“ სომხური თარგმანიდან.

¹ მოვსეს ხორენაცი, II, 8; იხ. ა. აბდალაძე, მოვსეს ხორენაცი. *სომხეთის ისტორია*. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ (თბილისი, 1984), გვ. 107.

² მოვსეს ხორენაცი, II, 8, II; იხ. ა. აბდალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 106, 107, 111.

³ შდრ. გ. ქავთარაძე, „არიან-ქართლის“ საკითხისათვის, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, IX, 2009, გვ. 36.

⁴ მოვსეს ხორენაცი, I, 22; იხ. ა. აბდალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 86-87 შენ.

⁵ A. Carriker, *The Library of Eusebius of Caesarea. Texts and Studies of Early Christian Life and Language*, vol. LXVII (Leiden/Boston, 2003), p. 39.

⁶ Eusebii Pamphili. *Evangelicae praeparationis*, IX, 41, 1-3; იხ. გ. მელიქიშვილი, ძველი ქართული, სომხური და ბერძნული საისტორიო ტრადიცია და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის საკითხი, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე*, 1962, № 2, გვ. 231.

⁷ Des Eusebios, *Chronographie*, I, 40, 41.

71. J. P. Nielsen, "I Overwhelmed the King of Elam": Remembering Nebuchadnezzar I in Persian Babylonia, *Political Memory In and After the Persian Empire*. Jason M. Silverman and Caroline Waerzeggers (eds.). Society of Biblical Literature; Ancient Near East Monographs, no. 13 (Atlanta: SBL Press, 2015), pp. 53-73.
72. A. Pagden, *Worlds at War: the 2,500-year Struggle between East and West* (Oxford, New York: Oxford University Press, 2008).
73. S. H. Rapp, Jr (ed.), *K'art'lis c'xovreba. The Georgian Royal Annals and their Medieval Armenian Adaptation*. Vol. I. Anatolian and Caucasian Studies (Delmar, New York: Caravan Books, 1998).
74. S. H. Rapp, Jr, *Studies in Medieval Georgian Historiography: Early Texts and Eurasian Contexts*. Corpus scriptorum christianorum orientalium, vol. 601 (Louvain: Peeters, 2003).
75. S. H. Rapp, Jr, *The Sasanian World through Georgian Eyes: Caucasia and the Iranian Commonwealth in Late Antique Georgian Literature* (Farnham, Surrey, England; Burlington, VT, USA: Ashgate, 2014).
76. G. J. Reinink, Die Entstehung der syrischen Alexanderlegende als politisch-religiöse Propagandaschrift für Herakleios' Kirchenpolitik, *Orientalia Lovaniensia Analecta*, XVIII, 1985, SS. 263-281.
77. Ph. Schaff (ed.), *Socrates and Sozomenus Ecclesiastical Histories* (New York, 1886).
78. Schwanbeck, J. W. McCrindle, *Ancient India as Described by Megasthenês and Arrian*. Being a translation of the fragments of the Indika of Megasthenês collected by Dr. Schwanbeck, and of the first part of the Indika of Arrian by J. W. McCrindle (Calcutta, 1877).
79. R. J. van der Spek, Coming to Terms with the Persian Empire: Some Concluding Remarks and Responses, *Political Memory In and After the Persian Empire*. Jason M. Silverman and Caroline Waerzeggers (eds.). Society of Biblical Literature; Ancient Near East Monographs, no. 13 (Atlanta: SBL Press, 2015), pp. 447-477.
80. M. W. Stolper, *Entrepreneurs and Empire. The Murasu Archive, the Murasu Firm, and Persian Rule in Babylonia*. Publications de l'institut historique et archéologique néerlandais de Stamboul sous la direction de E. van Donzel, Machteld J. Mellink, C. Nijland et J. J. Roodenberg, LIV (Leiden: Nederlands Historisch-Archaeologisch Instituut te Istanbul, 1985);
81. M. Tezcan, Bab al-Suls (Sul-Gates) in Caucasia and Turkestan, Their Roles in Medieval Caucasian and Turkestan Studies, and the Sul Turks, *International Journal of Central Asian Studies*, vol. 16, 2012, pp. 121-146.
82. R. W. Thomson, *Rewriting Caucasian History: The Medieval Armenian Adaptation of the Georgian Chronicles*. The Original Georgian Texts and the Armenian Adaptation. Translated with Introduction and Commentary by R. W. Thomson (Oxford: Clarendon Press, 1996).
83. Toumanoff, Medieval Georgian Historical Literature (VIIth-XVth centuries), *Traditio*, vol. 1, 1943, pp. 139-182.
84. M. Walckenaer, On Ancient Geography, *The Classical Journal*, for September and December 1817, vol. XIV, no. XXXII, 1817, pp. 257-262.
85. S. Wikander, *Feuerpriester in Kleinasien und Iran* (Lund, 1946).
86. J. Wiseman, *Nebuchadnezzar and Babylon* (London: Published for the British Academy by Oxford University Press, 1991).
87. M. Wolohojian, *The Romance of Alexander the Great by Pseudo-Callisthenes*. Translated from the Armenian Version with an Introduction by Albert Murgdich Wolohojian (New York and London: Columbia University, 1969).
88. Worthington, *Alexander the Great: Man and God* (London, New York: Routledge, 2014).

ABOUT THE IDENTITY OF THE “BUN-TURKS” AND “HONS” OF THE *CONVERSION OF KARTLI*

In the *Conversion of Kartli* and Leonti Mroveli's *the Life of the Kings*, we have the description of the invasion of Iberia, eastern Georgia by Alexander the Great who saw there horrible barbarians, called "Bun-Turks". No other people acted in such a disgusting way as they did: "*the description of their way of life was inexpressible*". But they had strong towns and were fearless warriors.

To identify the “Bun-Turks”, the context in which their name occurs must be decisive. In both Georgian chronicles mentioned above, this ethnonym is found only in connection with the legendary campaign of Alexander the Great in Iberia. As far as it is known that Alexander the Great never marched towards the Caucasus, and the entire cycle of the early works on his campaign towards the Caucasus fall within the scope of legends and mythology, it would be more natural to search the primary source of the Georgian chronicles about Alexander the Great and “Bun-Turks” among compositions of such type, and not in the concrete historical events of that time.

Among such works, which contain legendary information about the heroic battle of Alexander with the wild tribes of *Gog* and *Magog*, mentioned in the Old Testament, one must first of all consider the compilation of Pseudo-Callisthenes “Alexander Romance”, composed in the 3rd century AD in Greek in the Egyptian city of Alexandria as well as its different versions and other compositions that descend from it. In consequence, we can say that the “Bun-Turks” mentioned in the ancient Georgian chronicle most likely, were not really existing people or tribe settled in the territory of modern eastern Georgia since ancient times, but seems to be a literary fiction that arose as a result of the selective interpretation or misinterpretation of foreign written sources, existing in the epoch of compilation of the above-mentioned Georgian chronicles.

At the same time, *the Life of the Kings* clearly indicates that the “Hons” of *the Conversion of Kartli* refers to the Jews who were allegedly captured by Nebuchadrezzar II in Jerusalem.

After the fall of the Roman Empire, Alexander the Great's name as a fighter against the northern nomadic tribes became most glorious. He, the suppressor of the barbarians, was an effective remedy to terrify savage tribes, and a long time after his death, when the civilized world was threatened by their invasion, the old legend about the *Iron Gate* erected by him against barbarians, was revived.

Regardless of the fact that we haven't any proof of the invasion of Macedonians in the Caucasus, the considerable interest of the Hellenistic states of the Near East in Iberia seems to have been doubtless. For the rulers of the states of the Eastern Mediterranean-Near Eastern area in all periods, faced with the necessity of effective control of the Caucasian passes, passes which barred the way of the northern invaders, were always eager to have in the central part of Transcaucasia, in Iberia, a political organisation with the sufficient strength to fulfill such a defensive function.

The *Caucasian* or the so-called *Caspian Gate* (modern Daryali pass) is frequently called the *Pillars, Stronghold* or *Iron Gate* of Alexander the Great by the Classical (Greco-Roman) authors. The connection of the name of Alexander the Great with the emergence of the Georgian statehood, known from old Georgian chronicles, indicates the *raison d'être* of this state, namely to be the outpost of the civilised world in its struggle with the realm of *Gog* and *Magog* lying beyond the Great Caucasian Ridge. Thus, the concept of Alexander's *Iron Gate* was a reflection of the specific political function of the Georgian State: to have control over one of the most important strategic passes of the world.

This function seems to have been one of the main decisive factors that challenged the emergence of the Georgian State in the Early Hellenistic period. It is interesting that the period of replacement of the *Pax Achaemena* by the *Pax Macedonica* marks out the emergence of Iberian Kingdom. At the same time, the control of the Caucasian passes could create the most favourable opportunity for the preservation of *Pax Romana* in the Middle East. The Iberians were the most important allies of the Romans in the region, having supremacy over the Caucasian Gate. The close collaboration between the Romans and the Iberians, based on their joint strategic interests as parts of one and the same *Orbis Terrarum*, was the *leit-motif* of their interrelations.

The long-term aspiration of the medieval Georgian monarchy, going back presumably to the times of the Roman Empire, to bring under its sovereignty not only the *Caucasian Gate*, but all existing Caucasian passes from the Black to the Caspian Sea, is expressed by the formula of its territorial integrity in the Georgian chronicle of the 13th century dedicated to Queen Tamar: “*from Nikopsia to Daruband*”, *i.e.* from the North-Eastern Black Sea littoral to the Derbent gateway (the second important pass of the Caucasus), on the western shore of the Caspian Sea. This formula, emphasising especially the northern borderline along the Caucasus, enables us to interpret the main function of that kingdom in a more general context.

ერთიანი საქართველოს სამეფოს სახელმწიფო დროშის შესახებ

ძველი ქართული ეროვნული დროშის შესახებ მრავალ ავტორს აქვს აზრი გამოთქმული და საკმაოდ ლიტერატურა არსებობს. გვაქვს საფუძველი, კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ და წარმოვადგინოთ ზოგიერთი დაკვირვება, რომელიც შეავსებს ჩვენს წარმოდგენას გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს დროშაზე. ჩვენი სტატია გამორჩეულია იმით, რომ განვიხილავთ შუა საუკუნეების სახელმწიფო დროშის პრობლემას ქართული ნუმიზმატიკური ძეგლების მოწვევლიებით. აგრეთვე, წარმოვადგენთ აქამდე, ამ საკითხთან დაკავშირებით, უწყურადღებოდ დატოვებულ მნიშვნელოვან ქართული წყაროს ცნობას ხუთჯვრიან დროშასთან დაკავშირებით.

გაერთიანებული სამეფოს დროშებზე ცნობები ფრაგმენტულად გვხვდება ძველ ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებში. რომელიმე ისტორიული ამბავის მოთხრობის დროს, ისტორიკოსი გაკვრით ახსენებს დროშას¹. ეროვნული დროშის აღწერილობა ქართულ წერილობით წყაროებს არ შემოუნახავთ. შემორჩენილია მხოლოდ ცალკეული მწირი ცნობები². საისტორიო წყაროების მიხედვით კი, ნათლად ჩანს საქართველოს ერთიანი სახელმწიფო დროშის არსებობა.

ის აზრი, რომ ხუთჯვრიანი დროშა ქართული სახელმწიფო დროშაა, გაჩნდა მაშინ, როდესაც 1982 წელს გამოქვეყნდა რუსი მეცნიერის ო. ტარნოვსკის წერილი³. ავტორმა 1375 წელს ბარსელონაში უცნობი კატალონიელი ბერის მიერ შედგენილ „კატალონიურ რუკას“ მიაკვლია. იქ მოცემული იყო იმ დროისათვის ცნობილი ევროპის, აზიის და ჩრდილოეთი აფრიკის სახელმწიფოების დროშების გამოსახულებანი. მათ შორის, მოყვანილია საქართველოს რამდენიმე დროშა⁴.

რუკაზე ყურადღებას იპყრობს ოთხი დროშა, რომელთა გამოსახულებების ქვეშ მიწერილია „საუქართო“, რაც, ავტორის აზრით, დამახინჯებულად „საქართველო“ უნდა იყოს⁵. ამ მასალაზე დაყრდნობით, ო. ტარნოვსკის გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფო დროშა წარმოადგენდა თეთრ ტილოს, რომლის შუაში მთელ სიგრძე-სიგანეზე გამოსახულია წითელი სწორი ჯვარი; დროშის ოთხივე ნაწილში კი, მოთავსებულია პატარა წითელი ჯვარი⁶. ფაქტიურად, ო. ტარნოვსკიმ პირველმა გამოთქვა მოსაზრება, რომ გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფო დროშაზე შუა საუკუნეებში მოთავსებული იყო ხუთი ჯვარი.

ო. ტარნოვსკის პუბლიკაციით გამოთქმული ვარაუდი დ. მუსხელიშვილის კვლევაზე უმჯობესი გახადა. მან მეცნიერულად გამოიკვლია და დაასაბუთა, როგორი იყო ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშის სახე.

¹ ს. ბარნაველი, *ქართული დროშები* (თბილისი, 1953), გვ. 10.

² დ. მუსხელიშვილი, ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშა შუა საუკუნეებში, *ლიტერატურული საქართველო*, 13-20 მარტი (თბილისი, 1998), გვ. 5-6.

³ ო. ტარნოვსკი, საქართველოს ისტორიული დროშები, *ისტორია და გეოგრაფია სკოლაში*, №4 (თბილისი, 1982), გვ. 57-75.

⁴ დასავლურ პორტოლანებზე დროშები ჩვენში 1980-იანი წლებიდან გახდა ცნობილი (ო. ტარნოვსკი, საქართველოს ისტორიული დროშები...; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ, *პარლამენტის უწყებანი*, №27-28 (თბილისი, 1997), გვ. 62-63; ალ. თვარაძე, *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში* (თბილისი, 2004), გვ. 97-98). სულ 180 ძველი პორტოლანია შემორჩენილი. რვა მათგანზე საქართველოს თავზე გამოსახულია იერუსალიმის ჯვრის მსგავსი ხუთჯვრიანი წითელი კომპოზიცია თეთრ ფონზე, რომელიც საქართველოს სახელმწიფო დროშად მიიჩნევა (იქვე, გვ. 94, 246, 285, 353). პორტოლანი ნიშნავს „პორტის, ნავსადგურის რუკას“. მათი დანიშნულება გემების მომსახურებაა, ამიტომ ასეთ რუკებს კარტოგრაფიაში პორტოლანებს უწოდებენ (იქვე, გვ. 94). ო. ტარნოვსკის აზრით, კატალონიელ ბერებს იმ დროის ქართულ დროშებზე ცნობები მიღებული ქონდათ იტალიის ქალაქრესპუბლიკების ვაჭრებისგან, რომელთა ხომალდებიც ხშირად შემოდის დასავლეთ საქართველოს პორტებში (ო. ტარნოვსკი, საქართველოს ისტორიული დროშები..., გვ. 62). დ. მუსხელიშვილის გამოკვლევით, ამ საზღვაო რუკების „ინფორმაცია ზუსტი და ფასეულია. ევროპული პორტულანები რეალურად ასახავენ პოლიტიკურ ვითარებას. კერძოდ, იმჟამინდელ სახელმწიფო სიმბოლიკას. ამდენად ისინი ისტორიკოსისათვის სრულიად სანდო წყაროდ უნდა მივიჩნიოთ“ (დ. მუსხელიშვილი, საქართველოს სახელმწიფო დროშა, *მნათობი*, №3 (თბილისი, 2007), გვ. 135).

⁵ ო. ტარნოვსკი, საქართველოს ისტორიული დროშები..., გვ. 62.

⁶ იქვე, ნახ. 4.

იყო თუ არა ხუთჯვრიანი ალამი საქართველოს ფეოდალური მონარქიის სახელმწიფო დროშაზე? ეს პრობლემა აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც 1996 წელს გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ 1367 წლის იტალიურ (ვენეციურ) საზღვაო რუკაზე¹, სადაც გამოსახულია საქართველოს, დასავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები – ქალაქ თბილისის ციხე-კოშკიანი ვინიეტის თავზე ამართულია დროშა თეთრი ალმით, რომელზეც მთელ სიგრძე-სიგანეზე გამოსახულია წითელი ფერის ხუთჯვრიანი სიმბოლო. დ. მუსხელიშვილმა გაითვალისწინა რა საზღვაო რუკების დანიშნულება, გამოთქვა დასაბუთებული ვარაუდი, რომ XIV საუკუნის ვენეციურ რუკაზე გამოსახული, საქართველოს დედაქალაქის თავზე ამართული ალამი, წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფო დროშას, ანუ თანადროულ ქართულ ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულ „სეფე დროშას“².

მოგვიანებით ცნობილი გახდა ხმელთაშუა ზღვის მეორე, 1339 წლის კატალონიური (კუნძულ მაიორკიდან) პორტულანი³. მისი ავტორია ანჯელინო დულჩერი⁴. ამ საზღვაო რუკაზეც (სადაც შავი და კასპიის ზღვების არეალიცაა წარმოდგენილი), ანალოგიური დროშაა გამოსახული. ამან კიდევ უფრო გაამყარა დ. მუსხელიშვილის ვარაუდი, რომ გაერთიანებული საქართველოს მონარქიის სახელმწიფო დროშის თეთრ ალამზე გამოსახული იყო წითელი ფერის ჯვარი, რომელიც ალამს ოთხ სექტორად ყოფდა. თითოეულ სექტორში, დამატებით, მოთავსებული იყო წითელი ფერისავე პატარა ჯვარი. მასალის შესწავლის საფუძველზე, დ. მუსხელიშვილის დასკვნა ასეთია: „აქ საქმე გვაქვს ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშის გამოსახულებასთან. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ დულჩერისა და პიციგანების რუკები სხვადასხვა კარტოგრაფიული სკოლის (კატალონიურისა და იტალიურის) ნიმუშებს წარმოადგენენ, რომლებზეც გამოსახულია, მაშინდელი ევროპისათვის ცნობილი ინფორმაციის საფუძველზე, სუვერენულ სახელმწიფოთა დროშები; თბილისის თავზე ფრიალებს თეთრი დროშა ხუთი წითელი ჯვრით“⁵.

ქართული, სომხური, ლათინური და არაბული პირველწყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე დ. მუსხელიშვილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იგივე სახელმწიფო ხუთჯვრიანი დროშა ჰქონდა საქართველოს XII საუკუნეშიც კერძოდ დავით აღმაშენებლის დროს. ეს დასტურდება XIII საუკუნის ცნობილი ისტორიკოსის სტეფანოს ორბელიანის „სივნიეთის ისტორიაში“ (1270-იან წწ-მდე). იქ დაცული ცნობის მიხედვით, საქართველოს სამეფო კარზე „...განწესებულ იყო მეფისა ქონებად თეთრისა ალმისა და წითლისა ნიშნისა“, ხოლო ორბელს „უბრძანეს წითლისა ალმისა ქონებად, დროშისა და თეთრისა ნიშნისა მას ზედა“⁶. XIII საუკუნის ეს უაღრესად საინტერესო ცნობა, აღნიშნავს დ. მუსხელიშვილი, დავით აღმაშენებლის დროინდელ ვითარებას ასახავს საქართველოში. სომხური სიტყვა „ნიშანი“ (ნიშანი, გამოსახულება) ამავე დროს „ჯვარს“ ნიშნავდა და ამდენად, ისტორიკოსი, საგულისხმოა, ამავე ჯვრიან დროშაზე საუბრობს⁷.

საქართველოს ისტორიისთვის მნიშვნელოვანია ერთიანი საქართველოს ოქროს ხანა. ამ დროს ქართველებს უამრავი დროშა ჰქონდათ. სახელმწიფო დროშის გარდა არსებობდა სხვადასხვა დროშები: მეფის პირადი დროშა, საეკლესიო, ლაშქრის დროშა... თავიანთი დროშები ამირსპასალარს, სპასალარებს, ერისთავთ-ერისთავებსა და ერისმთავრებსაც ჰქონდათ⁸. დროშების

¹ ძმები ფრანცისკო და დომინიკო პიციგანების რუკა დაცულია პარმის პალატინის ბიბლიოთეკაში (№162). იგი სახელმწიფო სიმბოლიკის კომისიას პირველად დ. მუსხელიშვილმა გააცნო. რუკის ფერადი ასლი ე. შენგელაიამ ჩამოიტანა და სახელმწიფო სიმბოლიკის კომისიის არქივში ინახება.

² დ. მუსხელიშვილი, საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ, *ტვილიხის უწყებანი*, №5 (თბილისი, 1996).

³ 1339 წლის რუკაზე გამოსახულია, აგრეთვე, იერუსალიმის ლათინური სამეფოს დროშა. 1099 წელს ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს და დააარსეს დასავლეთევროპული ტიპის მსხვილი სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო, რომელსაც იერუსალიმის სამეფო ეწოდებოდა. მათ იერუსალიმის ჯვარი თავის სიმბოლოდ გადააქციეს. დ. მუსხელიშვილის განმარტებით იერუსალიმის სამეფო დროშაზე ხუთჯვრიანი კომპოზიციაა გამოსახული. იგი თბილისურისგან განსხვავდება ფერით (ოქროსფერია ვერცხლისფერ ტილოზე), ფორმით (ცენტრალური ჯვრის მკლავების კიდებზე შევული მოკლე შერილებია) და ალამზე განთავსებითაც (მთელი გამოსახულება ცენტრალურ ნაწილშია – ე. წ. „მოტივტივე ჯვარი“). ჰერალდიკაში კი ცნობილია, რომ მცირე განსხვავებასაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს (დ. მუსხელიშვილი, საქართველოს სახელმწიფო დროშა..., გვ. 136).

⁴ ანჯელინო დულჩერის რუკა დაცულია პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. მისი ფერადი ასლი ელდარ შენგელაიამ ჩამოიტანა და სახელმწიფო სიმბოლიკის კომისიის არქივში ინახება.

⁵ დ. მუსხელიშვილი, საქართველოს სახელმწიფო დროშა..., გვ. 139.

⁶ *სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები*, გამოსაცემად მოამზადა ე. ცაგარეიშვილმა (თბილისი, 1978), გვ. 37-38.

⁷ დ. მუსხელიშვილი, საქართველოს სახელმწიფო დროშა..., გვ. 134.

⁸ ივ. ჯავახიშვილი, *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტომი VII (თბილისი, 1984), გვ. 158.

როლი ჩანს ჯარში: ლაშქრობის დროს მეფეს მიჰქონდა თან თავისი სახელმწიფო დროშა, როგორც მთავარსარდალს; თუ თვითონ ომში არ მიდიოდა, დროშა გადაეცემოდა ამირსპასალარს¹.

ერთიანი საქართველოს სამეფოს ხანაში, XII-XIV საუკუნეების თხზულებებში საქართველოს მონარქიის სახელმწიფო დროშა მოიხსენიება ძლევაშობილ ქართველ მეფეთა სახელებითა და ეპითეტებით: „გორგასლიანი“, „დავითიანი“, „ბაგრატონური“, „სვიანი დროშა“, „სეფე დროშა“.

„გორგასლიანი“ ან „გორგასლიანიური“ აღნიშნავს, რომ ეს არის წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის დროშა. ქართველი ბაგრატიონები ყოველთვის ხაზს უსვამენ იმას, რომ ისინი იყვნენ გორგასლიანთა სამეფოს სამართალ-მემკვიდრენი².

„ბაგრატონური“ აღნიშნავს, რომ ეს დროშა გორგასლიანთა დინასტიის შემდგომ, ბაგრატიონთა სამეფო სახლის კუთვნილება გახდა³.

„დავითიანი“ ვახტანგ გორგასლის დროშას ეწოდა წმ. მეფე დავით აღმაშენებლის შემდგომ⁴.

„სვიანი დროშა“ ძლევაშობილ ლაშქრობათა გამო ითვლებოდა „ბედნიერად“. ბასილ ეზოს-მოძღვარი მას ასე ახასიათებდა: „დროშა დავითისი, არაოდეს მობერილი წინააღმდეგომთაგან ნიავთა“⁵.

ქვეყნის მთავარ ეროვნულ სიმბოლოს წარმოადგენდა „სეფე დროშა“ ანუ „დიდი დროშა“, იგივე „გორგასლიან-დავითიანი“ დროშა⁶. „სეფე დროშა“ თანამედროვე ქართულით აღნიშნავს „სამეფო დროშას“⁷. „სეფე დროშა“ საისტორიო წყაროებში არსად მოიხსენიება მრავლობით რიცხვში, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ერთადერთი იყო⁸. მისი უზენაესი განმკარგველი, როგორც ჩანს, XII-XIV საუკუნეების ქართული წყაროებიდან, მხოლოდ საქართველოს მეფე იყო, რომელსაც ის გამოჰქონდა დიდი დღესასწაულების, მეფედ კურთხევის ცერემონიალის დროს⁹.

როდესაც მონღოლებმა 1220 წელს გიორგი IV ლაშა (1207-1223 წწ.) დაამარცხეს, გორგასლიან-დავითიანი დროშა „უკუიქცა“. ჟამთააღმწერლის ტექსტის თანახმად: „...და იქმნა უკუიქცევა სუესვიანისა ბედისა, მადლისა და საჩინოსა დავითიანისა დროშისა გამარჯვებულისა, რამეთუ ვინათგან მიეცა ღმერთსა დიდსუესა და დიდბედისა დავითისდა გამარჯუება, აქა ჟამამდე სვიანი იგი ბრძოლათა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი გამარჯვებული, არა-სადა ძლეულ იყო. ხოლო აქა, ვითარ იქმნა ცვალება ბედისა ქართველთა ნათესავისა, არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა ვიდრე ჟამამდე ჩვენთა“¹⁰. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, „ვიდრე ჟამამდე ჩვენთა“ – ეს ნიშნავს გიორგი V ბრწყინვალის (1318-1345 წწ.) დრომდე, რადგან ჟამთააღმწერელი ცხოვრობდა ამ დროს¹¹.

დ. მუსხელიშვილის აზრით, ჟამთააღმწერელი მისი დროის ერთიანი საქართველოს და მის თანამედროვე სახელმწიფო დროშას გულისხმობს. სწორედ ასეთი დროშა ჰქონდა „დიდსუესა და დიდბედისა“ დავით აღმაშენებელს. ჟამთააღმწერელი, გიორგი ბრწყინვალის უმცროსი თანამედროვე, კარგად იცნობდა იმჟამინდელ ქართულ სახელმწიფო დროშას ანუ ჯვრებიან ალამს. „გორგასლიან-დავითიანი“ დროშას „არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა ვიდრე ჟამამდე ჩვენთა“, აღნიშნავს იმას, რომ დროშა ნამდვილად იგივე იყო გიორგი ბრწყინვალის დროსაც. დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული ერთიანი საქართველოს მთელი პერიოდის განმავლობაში „გორგასლიან-დავითიანი“ დროშის სახე არ შეცვლილა¹².

მეფე თამარის პირველი ისტორიკოსი საქართველოს სახელმწიფო დროშას რამდენიმე ადგილას მოიხსენიებს ეპითეტით „ხმარებული“: „...აბეს დროშა სვიანი და ხმარებული, და წა-

¹ ს. ბარნაველი, *ქართული დროშები...*, გვ. 12.

² გ. მაჭარაშვილი, *დროშა გორგასლიანი* (თბილისი, 2011), გვ. 6, 30.

³ ალ. თვარაძე, *საქართველო და კავკასია ევროპულ...*, გვ. 76.

⁴ დ. მუსხელიშვილი, ერთიანი საქართველოს სახელმწიფო..., გვ. 5-6; გ. მაჭარაშვილი, *დროშა გორგასლიანი...*, გვ. 7.

⁵ ბასილი ეზოსმოძღვარი, *ცხოვრება მეფეთა მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II (თბილისი, 1959), გვ. 115-116; ს. ბარნაველი, *ქართული დროშები...*, გვ. 18.

⁶ იქვე, გვ. 17.

⁷ ივ. ჯავახიშვილი, *თხზულებანი თორმეტ ტომად...*, გვ. 158-159.

⁸ გ. მაჭარაშვილი, *დროშა გორგასლიანი...*, გვ. 37.

⁹ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექციის პრეს-რელიზი, *ანალები*, №1 (თბილისი, 2007), გვ. 438.

¹⁰ ჟამთააღმწერელი, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II (თბილისი, 1959), გვ. 165.

¹¹ ივ. ჯავახიშვილი, *ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა*, წიგნი I (თბილისი, 1945), გვ. 248.

¹² დ. მუსხელიშვილი, ერთიანი საქართველოს სახელმწიფო..., გვ. 5-6;

რიმდღუარეს ძელი ცხოვრებისა¹; შამქორის ბრძოლაში (1195 წ.) – „წარემართა დავით, წარმდღუანელი ძელისა ცხოვრებისა და შემყრელი დროშისა სვიანად მოხმარებულისა, ბაგრატონურისა და უფროსდა გორგასლიანურისა“²; სპარსეთის ძლევამოსილ ლაშქრობაში მეფე თამარმა „...მოიღო დროშა სვიანად ხმარებული, გორგასლიან-დავითიანი“³. ქართული წყარო დროშის შესახებ პირდაპირ მიუთითებს, რომ იგი მეფე თამარის წინაპრების მიერ იყო „სვიანად ხმარებული“ – ბედნიერად გამოყენებული. ამ დროშით მოიპოვეს გამარჯვებები თამარის მსგავსად, მისმა წინაპრებმა. ეს კი აშკარად მიუთითებს „გორგასლიან-დავითიანი“ დროშის სიძველეზე.

საქართველოს სახელმწიფო დროშა („დროშა სამეფო“), საქართველოს სახელმწიფოებრივი ხელისუფლებისა და დამოუკიდებლობის სიმბოლო იყო. ის, სხვა ძალაუფლების ნიშნებთან ერთად, მემკვიდრეობით იმის ხელში გადადიოდა, ვინც პირმშობის კანონის ძალით, საქართველოს სახელმწიფო ტახტზე ავიდოდა⁴. ახალი ხელმწიფის მეფობა ტახტზე ასვლითა და კურთხევით იწყებოდა⁵. ტახტის მემკვიდრეს, სხვა უმაღლეს ხელისუფლების სიმბოლოებთან ერთად, გადაეცემოდა სეფე დროშის ფლობის უფლება. მეფის კურთხევა დიდ საკათედრო ტაძარში აღესრულებოდა. ტაძრისკენ მიმავალ ტახტის მემკვიდრეს წინ მიუძღოდა „სეფე“ ანუ „დიდი დროშა“. „სეფე დროშა“ ორგვარი იყო: ერთი – „დიდი დროშა“, რომელსაც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოიტანდნენ ხოლმე, მეორე კი – პატარა. „დიდი დროშა“ ანუ „სეფე დროშა“ საქართველოს სახელმწიფო და ეროვნული დროშა უნდა ყოფილიყო. ამიტომაც არის, რომ მეფის კურთხევის წესში, როდესაც სახელმწიფოს უხენაესი ხელისუფლების გადაცემა სიმბოლურად უნდა აღნიშნულიყო, მხოლოდ ერთი დიდი დროშა იხსენიება. მეფედ გამზადებულს მხოლოდ ერთი „დიდი სამეფო“ დროშა მიუძღოდა წინ და ის შეჰქონდათ ეკლესიაში⁶.

მეფედ კურთხევის წესი მოცემული აქვს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს. დემეტრე I-ის (1125-1156 წწ.) მეფედ დასმა დავით აღმაშენებელს თავის უკანასკნელ ანდერძში აქვს აღწერილი: „წარუძღვანე წმიდა ძელი ცხოვრებისა და მივეც დროშა ჩემი სვიანი, აბჯარნი ჩემნი სამეფონი და საჭურჭლენი ჩემნი ზემონი და ქუემონი“⁷. კონტექსტიდან ჩანს, რომ მეფე დავითმა მემკვიდრეს თავისი „ბედნიერად ხმარებული“ დროშა გადასცა და არა წინაპართა მიერ „ხმარებული“, როგორც ამას მეფე თამარის თანამედროვე ისტორიკოსი აღნიშნავს „ააბეს დროშა სვიანი და ხმარებული“⁸ დავით აღმაშენებლის შემდგომ, ერთიანი საქართველოს მთელ მანძილზე გორგასლიან-დავითიანი დროშა სახე არ შეცვლილა. იგი იყო დროშა „დავითიანი“ (დავით აღმაშენებლის დროშა), რომელიც, მემკვიდრეობის წესის თანახმად, თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ამრიგად, მეფის კურთხევა განსაკუთრებული დღესასწაული იყო. ამ დროს ხდებოდა დიდი დროშის (გორგასლიან-დავითიანი) აღმართვა. თამარის გამეფების შესახებ მისი თანამედროვე ისტორიკოსი ბასილ ეზოსმოდგარი წერს: „დასცეს საყვირსა, ვითარცა ოდესმე სოლომონისთვის, და დადგეს სვიანი ტახტი ვახტანგეთი, საყდარი დავითიანი, ... აღმართეს სკიპტრა დიდებულთა, ძელი ჯუარისა და თანა დროშა დავითისი, არაოდეს მობერილი წინააღმდგომთაგან ნიავთა და ყოველთა ერთხმაქმნილთა აწვიეს თამარს ხრმალი, მამული თანა-საყდრითურთ მამისა მინიჭებული“⁹.

გიორგი IV ლაშას მეფედ კურთხევის შესახებ მეტად ღირებული ცნობა მოიპოვება XVII საუკუნის ქართველი მწიგნობრის ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებაში „საქართველოს ცხოვრება“¹⁰. იქ აღწერილია გიორგი-ლაშას პირველი გამეფების ცერემონიალი: „ღმრთით გამდიდრებულმან, ქვეყანათა ზედან სიკეთით და სიმართლით სახელგანთქმულმან, მტერთა მძლე-მან და არვისგან ძლეულმან, დედა[თა] შიგან მეფეთ-კურთხეულმან, მრავალჯერ სახელო[ვ]ნად ომგამარჯვებულმან, ...მადლმოქმედებით ქალწულმან, ზიარმან დავით-სოლომონიანთ მეფეთა-მეფემან თამარ [უ]წინარესა თავისავე სიცოცხლეში თავისი შვილი ლაშა-გიორგი მეფედ აკურთხა:

¹ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II (თბილისი, 1959), გვ. 38.

² იქვე, გვ. 68.

³ იქვე, გვ. 108.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, *თხზულებანი თორმეტ ტომად...*, გვ. 158-159.

⁵ იქვე, გვ. 148.

⁶ იქვე, გვ. 159.

⁷ *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა*, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი მეორე (1213 წლიდან 1700 წლამდე) (ტფილისი, 1897), გვ. 51.

⁸ ქართლის ცხოვრება, თხზულებათა ტ. II, გვ. 38, 68, 108.

⁹ ბასილი ეზოსმოდგარი, *ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი*, გვ. 115-116.

¹⁰ რ. კიკნაძე, *ფარსადან გორგიჯანიძე და ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი* (თბილისი, 1975), გვ. 3-159. რ. კიკნაძის დასკვნით, ფ. გორგიჯანიძის ჩვენებათა საფუძველზე შესაძლებელი ხდება თამარის ისტორიკოსის თხზულების ბევრი ადგილის დაზუსტება და უკეთ გამართვა (იქვე, გვ. 50).

დავითისი მამა-პაპათა სვიანი და ბედნიერი გვირგვინი თავს დაადგეს, შესვეს ტახტსა მისისა და ხელთ მისცეს სახელმწიფო სკიპტრა და აუმაღრეს წინა დროშა, მრავალჯერ სახელოვნად გამარჯვებული, ჯვარცმის სახელზედ ქმნილი“¹.

როგორც აღვნიშნეთ, ერთიანი საქართველოს სამეფოში, მეფედ კურთხევის დროს უფლისწულს, სხვა უმაღლეს ხელისუფლების სიმბოლოებთან ერთად, „დიდი დროშა“ ანუ „სეფე დროშაც“ გადაეცემოდა. ასე იყო დავით აღმაშენებლის დროს. მეფე დემეტრე I-ს გადასცემს თავის „დროშას-სვიანს“. თამარის მეფედ კურთხევის დროს აღმართეს „დროშა დავითისი“. ტახტის მემკვიდრე გიორგი-ლამა თამარმა მეფედ აკურთხა და „ხელთ მისცეს სახელმწიფო სკიპტრა და აუმაღრეს წინა დროშა. მრავალჯერ სახელოვნად გამარჯვებული, ჯვარცმის სახელზედ ქმნილი“. ქართული წყაროს თანახმად, მეფედ კურთხევის დროს მხოლოდ ერთი – „სეფე“ ანუ „დიდი დროშა“ შექმნდათ ეკლესიაში. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, გიორგი-ლამას მეფედ კურთხევის დროს აღმართეს დროშა „ჯვარცმის სახელზედ ქმნილი“. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საქართველოს ფეოდალური მონარქიის სახელმწიფო დროშაზე – „სეფე დროშაზე“ გამოსახული იყო ჯვრები². ეს იყო იგივე „გორგასლიანი“, „დავითიანი“, „სეფე“ დროშა, ჯვარცმის სახელზე შექმნილი. ამრიგად, ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშა ქართულ ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია: „გორგასლიანი“, „დავითიანი“, „სეფე“, „ჯვარცმის სახელზედ ქმნილი“, იგივე ხუთჯვრიანი ალაში.

ძველი ქართული ეროვნული დროშა – ხუთჯვრიანი ალაში, ქართული საისტორიო წყაროების პარალელურად, ამ ეპოქის XIII-XIV საუკუნეების ქართულ ფულზეც აისახა. აღ. თვარაძის დაკვირვებით, თითქმის იდენტური გამოსახულებანი მოთავსებულია მეფე თამარის მონეტაზე: ჯვარი, ოთხ მინდორში თითო წერტილით. იგი ფიქსირდება ვახტანგ III-სთან და ანონიმურ ქართულ-ჰულაგუიდურ მონეტაზე – მინდვრებში ოთხი წერტილით ან ვარსკვლავით³.

ჩვენ თანმიმდევრულად ვაჩვენებთ, ქართულ საფასეზე როდის აისახა ხუთჯვრიანი ალაში და აგრეთვე, დროშის თავი, განვსაზღვრავთ, რა პერიოდს მოიცავს იგი, როდის იწყება და როდის მთავრდება მათი გამოსახვა ქართულ ფულზე.

საისტორიო წყაროების მიხედვით, დავით IV აღმაშენებლის დროიდან საქართველოს სახელმწიფო დროშა ხუთჯვრიანი ალაშია. დავით აღმაშენებლის ვერცხლის ფულის ერთ-ერთ სამონეტო ტიპზე, მონეტის ცენტრში, გამოსახულია თანაბარტოტებიანი ჯვარი. გარშემოწერილში ასომთავრული ლეგენდაა: „ქრისტე, აღიდე დავით, მეფე და სევასტოსი“. სპილენძის უნიკალური მონეტის შუბლზე, კი გამოსახულია გვირგვინოსანი მეფე, მოცემულია ერთიანი საქართველოს მეფეთა სრული ტიტულატურა: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“. მონეტა ასახავს ქვეყნის რეალურ პოლიტიკურ მდგომარეობას. მონეტის ზურგზე, წრის შიგნით, ჩანატულია ერთი ფართო ჯვარი, ჯვარში მოთავსებულია მეორე, უფრო მცირე. მინდვრები შეუსებელია. ჩვენი დაკვირვებით, დავით აღმაშენებლის ვერცხლისა და სპილენძის ფულზე ხუთჯვრიანი კომპოზიცია და დროშის თავი არ არის გამოსახული, ისევე როგორც მისი მემკვიდრეების – დემეტრე I-სა და გიორგი III-ის (1157-1184 წწ.) საფასეებზე.

ვიძლევიტ იმ მონეტების აღწერილობებს, რომლებზედაც გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო დროშა (ხუთჯვრიანი ალაში) და დროშის თავი.

მეფე თამარი (1184-1207 წწ). 1200 წლის სპილენძის ფული

Av. შუაში მოთავსებულია ე. წ. საიდუმლო ნიშანი, მარცხნივ და მარჯვნივ ასომთავრულად დაქარაგმებულია თამარისა და დავითის ინიციალი. მონეტის არეზე, „საიდუმლო ნიშნის“ მარცხნივ, აღმართულია ჯვარი, რომლის ოთხივე მინდორზე მოთავსებულია თითო წერტილი. კუთხეებში – ქორონიკონი 420 (1200 წ.). ქვედა ნაწილში, იქ, სადაც ფიგურის ფეხია, მოთავსებულია დამდა. იგი წარმოადგენს ერთმანეთის გვერდით ორ ოთხკუთხედში არაბული დამწერლობით შესრულებულ მეფე თამარისა და დავითის სახელების ერთმანეთისადმი მიმართულ ინიციალებს.

¹ ფარსადან გორგიჯანიძე, *საქართველოს ცხოვრება*, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი H-2140, ფ. 33.

² ცნობილია, რომ ხუთჯვრიანი გერბი ჯერ ჯვაროსნებს, შემდეგ კი იერუსალიმის ქრისტიან მეფეებს ჰქონდათ. იდეა ჯვაროსნების მიერ აღებულია იერუსალიმის სიმბოლოდან, რომელიც თეთრ ფონზე გამოსახულ ხუთ წითელ ჯვარს წარმოადგენდა (ერთი დიდი და ოთხი პატარა) ჯვარცმული მაცხოვრის სხეულზე ხუთი სამსჭვალით მიყენებული ჭრილობების აღსანიშნავად.

³ აღ. თვარაძე, *საქართველო და კავკასია ევროპულ...*, გვ. 78-79; 104; 266.

Rv. ოთხსტრიქონად არაბული ზედწერილი: „დედოფალი დედოფალთა, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარი ასული გიორგისა. მესიის თავყანისმცემელი“¹ (ტაბ. I, სურ. 1, 2, 3).

1204-1205 წლებში მეფე თამარმა თანამმართველად თავისი მცირეწლოვანი ვაჟი გიორგი-ლაშა გამოაცხადა. გიორგი-ლაშამ ჯერ კიდევ დედის სიცოცხლეში მოჭრა თავისი სახელით მონეტა, სადაც ის „მეფის“ და „ჯავახთუფლის“ წოდებით მოიხსენიება.

გიორგი IV ლაშა (1207-1223 წწ.). სპილენძის ფული

Av. მონეტის არეზე, მარცხნივ, აღმართულია ჯვარი, რომლის ოთხივე მინდორი შევსებულია თითო წერტილით. შუაში ასომთავრული ზედწერილი: „გიორგი მეფისაი, თამარის ძისაისა, ჯავახთუფლისა“.

Rv. არაბული ზედწერილი: „მეფე უმაღლესი, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, გიორგი, ძე თამარისი, მესიის მახვილი“² (ტაბ. I, სურ. 4).

რუსუდან დედოფალი (1223-1245 წწ.). 1227 წლის სპილენძის ფული

Av. შუაში: ასომთავრული ზედწერილი „რუსუდანი“. სახელის ზემოთ მოთავსებულია მონოგრამა ხეულის სახით, სადაც რუსუდანის სახელის ხელრთვაა გამოსახული ასომთავრულით. მონეტის არეზე მოთავსებულ ხეულში წარმოდგენილია მონოგრამულად შერწყმული არაბული ასოები „რსუ“ ე.ი. „რუსუდანი“. ორნამენტის ექვს გარე ბუდეში – ქორონიკონი 447 (1227 წ.), ერთ-ერთ ბუდეში – ჯვარი, რომლის ოთხივე მინდორი შევსებულია თითო წერტილით.

Rv. არაბული ზედწერილი: „დედოფალი მეფეთა და დედოფალთა, მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თავყანისმცემელი. განადიდოს ღმერთმან ძლევენი მისნი“ (ტაბ. II, სურ. 5).

რუსუდან დედოფალი. 1230 წლის დრამა

Av. გამოსახულია ქრისტე სახარებით ხელში. გარშემო ასომთავრული ზედწერილი: „სახელითა ღვთისაითა ჭედაი ვეცხლი, ქორონიკონსა 450“ (1230 წ.). ერთ-ერთ სეგმენტში ჯვარი, მინდვრებში თითო წერტილით.

Rv. შუაში გამოსახულია „საიდუმლო ნიშანი“. ნიშნის შუა ბუდე გაფართოებულია და შიგ მოთავსებულია რუსუდანის სახელის მონოგრამა. გარშემოწერილში არაბულად: „დედოფალი დედოფალთა, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თავყანისმცემელი“ (ტაბ. II, სურ. 6, 7).

მონღოლთა საქართველოში დამკვიდრების შემდეგ, საქართველოში გამოშვებულ ფულზე 1280 წლიდან პირველად ჩნდება ილხანის სახელი. ეს ქართულ-ჰულაგუიდური ვერცხლის დრამებია. მონეტაზე გამოსახულია მომცრო ტანის ჯვარი, რომლის ოთხივე მინდორი შევსებულია წერტილით. ჯვარს ყველა მონეტაზე ერთი და იგივე ადგილი არ უკავია. ზოგ მონეტაზე ის ცენტრშია, უმეტეს შემთხვევაში კი, ბოლო სტრიქონის შუა ადგილი ან მარცხენა კუთხე უჭირავს.

ქართულ-ჰულაგუიდური დრამა ილხან ყაზანის (1295-1304 წწ.) სახელით

Av. ილხან ყაზანის სახელის შემცველი უიდურული წარწერა.

Rv. არაბულად ქრისტიანული ღოცვა: „სახელითა მამისათა, და ძისათა და სულისა წმიდისაითა, ღვთისა ერთისა“. შუაში ქრისტიანული ემბლემა-ჯვარი მინდვრებში თითო წერტილით (ტაბ. II, სურ. 8).

¹ აღნიშნულ პერიოდს ემთხვევა ის დიდი გლობალური ეკონომიკური მოვლენა, რომელიც ე. წ. ვერცხლის კრიზისის სახელითაა ცნობილი. იგი დამახასიათებელი გახდა მუსლიმური სამყაროსათვის. საქართველო განზე არ დარჩენილი ამ ფინანსური სიახლისგან. ქრონოლოგიურად იგი განისაზღვრა XII საუკუნითა და XIII საუკუნის I ნახევრით. საქართველოში ვერცხლის ფულიდან სპილენძის მონეტაზე გადასვლა დავით IV აღმაშენებლის მმართველობის ბოლო წლებიდან იწყება. საზგასამელია ის ფაქტი, რომ სამონეტო რეფორმა საქართველოში დავით აღმაშენებელმა ჩაატარა. მის დროს ხდება ეს დიდი საფინანსო რეფორმა. დაახლოებით, ამ დროიდან წყდება ვერცხლის ფულის ემისია მახლობელ აღმოსავლეთის სახელმწიფოებში, სამხრეთ კავკასიასა და კერძოდ საქართველოში. ამრიგად, საქართველოს ისტორიის ოქროს ხანას ემთხვევა მკვეთრად გამოსატული სპილენძის ხანა.

² ქართულ ფულზე არაბულ ენაზე შესრულებული „მესიის მახვილი“ XII საუკუნის დასაწყისიდან XIII საუკუნის I ნახევრის ჩათვლით აღინიშნება.

ამ სახელის გარდა, ასეთ მონეტებზე გვხვდება ილხანთა ყაენების აბაღას (1265-1282 წწ.) აჰმედის (1282-1284 წწ.), არღუნის (1284-1291 წწ.) და ქეილათუს (1291-1295 წწ.) სახელებიც. ასეთი სახის ქართულ-ჰულაგუიდური ფული იჭრებოდა დემეტრე II-ისა (1271-1289 წწ.) და ვახტანგ II-ის (1289-1292 წწ.) მეფობაში, აგრეთვე, დავით VIII-ის (1293-1311 წწ.) მეფობის დასაწყისში – 1298 წლამდე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ამ დროს ილხანთა სახელმწიფოს ვასალია, დემეტრე II თავდადებული იწყებს წმინდა ნაციონალური ხასიათის სპილენძის მონეტების ემისიას.

დემეტრე II თავდადებული (1271-1289 წწ.). სპილენძის ფული

Av. შუაში ასომთავრულით დემეტრეს სახელი. გარე ბუდეებში: „მეფე მეფეთა“ ქორონიკონი 500“ (1280 წ.).

Rv. შუაში გამოსახულია „საიდუმლო ნიშანი“. გარშემო ბუდეებში ასომთავრული ზედწერილი: „გვრწამს მამაი, ძე და სული წმიდაი“ (ტაბ. III, სურ. 9).

მეფე თამარის მონეტაზე მოთავსებული „საიდუმლო ნიშნის“ სქემა თითქმის უცვლელი რჩება. დემეტრე II-ის ფულზე ქრისტიანული ლოცვა ისეთივეა, როგორც ქართულ-ჰულაგუიდურ დირჰემზე და მათი სინქრონულობა ეჭვს არ იწვევს.

ვახტანგ III (1297-1308 წწ.). დრამა

ვახტანგ III-ის ვერცხლის მონეტები ქართულ-ჰულაგუიდური დირჰემის მსგავსია.

Av. წრეში ხუთ სტრიქონზე უიღურულად: „დიდი ხაყანის ნაცვლის ყაზანის სახელით ნაჰელი“.

Rv. წრეში მოთავსებულია ჯვარი. ჯვრის ტოტებს შორის ზოგჯერ ვარსკვლავი და ზოგჯერ კი თითო წერტილი ზის. გარშემოწერილში არაბულად ქრისტიანული ლოცვა: „სახელითა მამისაითა, და ძისაითა და, სულისა წმინდისა, ღვთისა ერთისა“. მონოგრამა „ვახტანგ მეფე“. თარიღი პიჯრით 697 (1297/1298 წ.) (ტაბ. III, სურ. 11).

დავით VIII (1293-1311 წწ.)

დავით VIII-ის სპილენძის მონეტები დემეტრე II-ის ფულის თითქმის სრულ ანალოგიას წარმოადგენს.

Av. შუაში: დავითის სახელი ასომთავრულით. გარე ბუდეებში: „მეფე მეფეთა“. ქორონიკონი 530“ (1310 წ.).

Rv. შუაში გამოსახულია „საიდუმლო ნიშანი“. გარშემო ბუდეებში ასომთავრული ზედწერილი: „გვრწამს მამაი, ძე და სული წმიდაი“ (ტაბ. III, სურ. 10).

ზემოთ განხილული მონეტების შესწავლის საფუძველზე, ნათლად გამოიკვეთა, რომ ხუთჯვრიანი ალაში, ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშა, პირველად სახელმწიფო ფულზე გამოისახა მეფე თამარის 1200 წლის, შემდეგ გიორგი IV ლაშას (ჯავახთუფალი), რუსუდანის (სპილენძის და ვერცხლის), ქართულ-ჰულაგუიდურ და ვახტანგ III-ის საფასეებზე.

მეფე თამარის დროს, მისი სახელით 1200 წელს მოჭრილ და ამავე ტიპის უთარილო სპილენძის მონეტის შუბლზე, შუაში მოთავსებულია რთული ფიგურული ნიშანი (ილუსტრ. IV, სურ. №14), რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „საიდუმლო ნიშნის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ამ სიმბოლოს (ე.წ. საიდუმლო ნიშანს) ვხვდებით აგრეთვე, რუსუდან მეფის ვერცხლის, დემეტრე II-ისა და დავით VIII-ის მიერ მოჭრილ სპილენძის მონეტებზეც. თამარის მონეტაზე ეს ნიშანი მარტივი ფორმისაა, შემდეგ იგი შემკულია ხვიებით და ორნამენტებით. ასეთივე ნიშანი ამოკვეთილია ამავე დროის ოთხ სამიჯნე ქვაზე: გუნია-ყალაში (წალკის რ-ნი), ჩხიკვთაში (თეთრი წყაროს რ-ნი), III და IV ხაჩიში (წალკის რ-ნი).

ე. წ. საიდუმლო ნიშნის შესახებ აზრი გამოთქმული აქვს ქართული ფულის თითქმის ყველა მკვლევარს, მაგრამ ფიგურის შინაარსი დღემდე გამოუცნობი დარჩა. მკვლევარნი ამ ნიშანს სხვადასხვანაირად განსაზღვრავენ. პირველი ცდა ქართული ნუმიზმატიკის ფუძემდებელს მ. ბარათაშვილს ეკუთვნის. მისი აზრით, ამ ნიშანში წარმოდგენილი იყო თამარისა და დავით სოსლანის ინიციალების ბერძნული ასოები. ნიშნის ქვემოთ მორჩს იგი განიხილავდა, როგორც

ტარს, რომლითაც ეს ვენზელი მაგრდებოდა დროშის ბუნზე¹. მ. ბროსეს აზრით, ეს ნიშანი წარმოადგენს გურჯის მსგავს საბრძოლო იარაღს². ე. პახომოვი არ ეთანხმება მათ აზრს, რადგან ეს ნიშანი მცირე ცვლილებით მეორდება სხვა ქართველ მეფეთა მიერ მოჭრილ მონეტებზეც. იგი ამ ფიგურაში ხედავს ნიშანს, რომელიც დროშის როლს ასრულებდა (რომაული სამხედრო ნიშნების მსგავსად). იგი დროშის ბუნის თავს უნდა წარმოადგენდეს, ნიშნის ქვემოთ დართული მორჩი კი დროშის ბუნზე ვენზელის დასამაგრებელი ტარია³.

დ. კაპანაძის აზრით, „საიდუმლო ნიშანი“ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნად. იგი ამ ნიშანს ადარებს კიევის სამთავროს ვერცხლის პირველ მონეტებზე აღნიშნულ ნიშანს, რომელიც მთავართა საგვარეულო ნიშნად იყო მიჩნეული⁴.

თ. ბარნაველი „საიდუმლო ნიშანს“ „შუბისპირული ფიგურა“ უწოდა და მასში ქართული ასომთავრულით დაქარაგმებული „თამარ“ და „დავითი“ ამოიკითხა. მისი აზრით „თამარის მონეტაზე წარმოდგენილი ფიგურული მონოგრამა და მისი სახესხვაობები არავითარ საფუძველს არ იძლევა, იმისათვის, რომ ის ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნად მივიჩნიოთ. ეს ნიშანი მხოლოდ მონოგრამაა, მონოგრამა აღმად ქცეული“⁵.

გ. ოთხმეზური განიხილავს რა თრიალეთსა და ჯავახეთში მიგნებულ სტელებსა და სამიჯნე ქვებზე გამოსახულ ჩვენთვის საინტერესო სიმბოლოს, მისი დასკვნა ასეთია: „ამ ნიშნის ხმარება მონეტებზე და სამეფო სტელებზე მოწმობს, რომ ის წარმოადგენს სამეფო ნიშანს. ის ფაქტი, რომ ეს ნიშანი გამოსახულია საუფლისწულო დომენის აღმნიშვნელ სტელებზე, არ ეწინააღმდეგება დასკვნას, რომ ეს ნიშანი სამეფოა“⁶.

დ. კლდიაშვილის გამოკვლევით, „აღნიშნული ნიშნის სტრუქტურული განხილვა, საშუალებას გვაძლევს, იგი წარმოვიდგინოთ, როგორც ქართული ასომთავრული „ჯ“-ს სტილიზებული გამოსახულება. მისი გრაფიკული მოხაზულობა ირიბი ჯვარია, სიმბოლოს სტრუქტურული განხილვა, ასევე საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ იგი დროშის ბუნიკსაც, იმავე დროშაკსაც წარმოადგენდა და მეფის პირადი სახელმწიფო დროშებისათვის გამოიყენებოდა“⁷.

საისტორიო წყაროებით ცნობილია, რომ საქართველოს სახელმწიფო დროშის ტარს „ბუნი“ ან „ბუნი დროშისა“ ერქვა. დროშები, რომლების აღაში ქსოვილისა იყო, მაგრდებოდა ბუნის სიგრძეზე. აღმის ზემოდან ბუნზე გაკეთებული იყო დროშის თავი⁸. დროშის თავები ამ დროს, ძირითადად ორგვარი ჩანს. ერთი სახე დროშის თავისა ჯვრის ფორმისაა. სამეფო დროშის თავის მეორე სახე შუბის პირია. ჯვრის მნიშვნელობის განცალკევება-გათიშვა დროშის მნიშვნელობისგან ძნელია. ქართულ სინამდვილეში შემუშავებულიც კი იყო საგანგებო ტერმინი – „დროშა ჯვარი“⁹.

სახელმწიფო დროშის თავის მოყვანილობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობა აქვს XIII საუკუნის არაბ ისტორიკოსს იბნ-ალ-ასირს. მისი სიტყვით, არზრუმის მბრძანებელს, რომელიც საქართველოს მეფის ყმადნაფიცი იყო, (მეფე რუსუდანის დროს, ც. დ.) ქართველებმა ისეთი დროშა გააკეთებინეს, რომელსაც თავზე ჯვარი ამკობდა. ივ. ჯავახიშვილის თანახმად, თუ ქართველები თავიანთ ყმადნაფიცის დროშის თავზე ჯვარს ათავსებდნენ, ეს იმას ამტკიცებს, რომ თვით ქართველებსაც სახელმწიფო დროშის თავზე ჯვარი ჰქონიათ¹⁰.

ქართველ მეფეებთან დაკვირვებით, „ჯვარი აშკარად დროშის ბუნს აბოლოვებდა, რისი მაგალითებიც მოიძიება ქრისტიანულ იკონოგრაფიაში. გარდა ამისა, ძველად დროშას შუბსაც შეაბამდნენ ხოლმე. ამ შემთხვევაში შუბს თავზე ჯვარი ჰქონდა. ასე იყო მაგალითად მეზობელ ბიზანტიაშიც“¹¹.

¹ М. Баратаев, *Нумизматические факты грузинского царства* (Санкт-Петербург, 1844), გვ. 37-41.

² M. Brosset, *Rapport sur l'ouvrage intitulé, Нумизматические факты грузинского царства, et revue de Numismatique Georgienne* (St.-Petersbourg, 1847), გვ. 83-84.

³ Е. Пахомов, *Монеты Грузии* (Санкт-Петербург, 1910), გვ. 104.

⁴ დ. კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა* (თბილისი, 1969), გვ. 77.

⁵ თ. ბარნაველი, ფიგურული ნიშნები განვითარებულ შუა საუკუნეების ქართულ მონეტებზე, *მაცნე*, ისტორიის სერია, №3 (თბილისი, 1974), გვ. 86-101.

⁶ გ. ოთხმეზური, *XII-XIII საუკუნეების მიჯნის ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო* (თბილისი, 1981), გვ. 46.

⁷ დ. კლდიაშვილი, *ქართული პერალდიკის ისტორია, საქართველოს სახელმწიფოებრიობის სიმბოლოები*, წიგნი I (თბილისი, 2003), გვ. 83-84.

⁸ ს. ბარნაველი, *ქართული დროშები...*, გვ. 13.

⁹ იქვე, გვ. 13, 39-40; 50.

¹⁰ ივ. ჯავახიშვილი, *თხზულებანი თორმეტ ტომად...*, გვ. 161.

¹¹ აპ. სილაგაძე, გ. ჯაფარიძე, *„ავმართე დროშა მეფისა, აღმითა წითელ-შავითა“* (თბილისი, 1999), გვ. 13.

ამრიგად, განხილული მასალიდან ჩანს, რომ ქართული დროშის თავი ძირითადად ორგვარია: ერთი სახე ჯვრის ფორმისაა, მეორე შუბის პირია. ზოგ შემთხვევაში, ორივე ერთად.

არსებობს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ჯვარი დაქარაგმებულია მთავრული ასო „X“-ით (ჯ). ამის ერთ-ერთი მაგალითია უნიკალური ქართულ-სასანური დრაქმა¹ (ტაბ. III, სურ. 12). იგი ისეთივეა, როგორც ერისმთავარ გურგენის მონეტები, ოღონდ გურგენის აღმნიშვნელი ასოების ნაცვლად, შაჰის ბიუსტის თავზე მოთავსებულია ორი მთავრული ასო „XQ“ (ჯო). წამოყენებულია „ჯო“-ს გაშიფვრის სხვადასხვა ვერსია.

ჯავახეთში აღმოჩნდა ქართულ-სასანური დრაქმის სრულიად ახალი სამონეტო ტიპი. მონეტის შუბლზე შაჰის გამოსახულების ზემოთ მოთავსებულია ჯვარი. მონეტა ტიპოლოგიურად მსგავსია გურგენისა და „ჯო“-ს სახელწოდებით არსებული დრაქმებისა. იგი შეისწავლა ი. ფაღავამ. მისი დასკვნით: დრაქმა, სადაც „ჯო“ ლეგენდის ადგილას მოთავსებულია ჯვარის გამოსახულება, სხვა ვერსიები საეჭვო ხდება. მონეტაზე გამოსახული ორი მთავრული ასონიშანი „XQ“ („ჯო“) აღნიშნავს „ჯვარო“-ს, ან „ჯვარო უფლისა“-ს. ჯვარის ან მისი სიტყვიერი მნიშვნელობის დაქარაგმება მონეტაზე ქართლის ეროვნული დამოუკიდებლობისა და ქრისტიანობისადმი ერთგულების დეკლარირებას გამოხატავდა².

საყურადღებოა აგრეთვე სოფ. ხუნძახში (დაღესტანი) 1970-1971 წლებში აღმოჩენილი ქვა-ჯვარი (ტაბ. IV, სურ. 13). იგი შეისწავლა და XII-XIII საუკუნეებით დაათარიღა გ. ლამბაშიძემ³. ქვა-ჯვარის ზედაპირზე საკმაოდ ღრმად ამოკვეთილია ასომთავრულით შესრულებული წარწერა: პირველ ხაზზე – „XT“ („ჯვარი“), მეორე ხაზზე – „XT“ („ქრისტე“).

ეს შემთხვევა კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ ჯვარი შემოკლებულად, სიტყვიერად აღნიშნა მთავრული ასონიშნით „XT“ („ჯვარი“).

ზემოთ განვიხილეთ ქართული ფულის მკვლევართა თითქმის ყველა მოსაზრება ე.წ. საიდუმლო ნიშნის შესახებ. ჩვენი დაკვირვებით, მ. ბარათაშვილმა „საიდუმლო ნიშნის“ ქვემოთ მოთავსებული მორჩი მართებულად მიიჩნია დროშის ტარად, რითაც ვენზელი მაგრდებოდა დროშის ბუნზე. ე. პახომოვმაც იგივე მოსაზრება გაიზიარა და დაუმატა, რომ „საიდუმლო ნიშანი“ დროშის თავს უნდა წარმოადგენდეს.

დ. კლდიაშვილმა სიმბოლოს სტრუქტურული განხილვისას „საიდუმლო ნიშანში“ ამოიკითხა ქართული ასომთავრული „X“-ს (ჯ) სტილიზებული გამოსახულება. მისი გრაფიკული მოხაზულობა ირიბი ჯვარია. ჩვენთვის ეს მოსაზრება ყველაზე სარწმუნო და მისაღები არგუმენტია, მაგრამ მკვლევარმა, რატომღაც, ამ თვალსაზრისის გვერდის ავლით, XII-XIV საუკუნეების საქართველოს ეროვნული დროშის თავი შუბის პირზე დადგმული ჯვრით გამოსახა⁴.

„საიდუმლო ნიშნის“ შინაარსის შესახებ ჩვენი დასკვნა ასეთია. ე. წ. საიდუმლო ნიშნის ქვემოთ დართულია მორჩი, რომელიც წარმოადგენს დროშის ტარს (ბუნს) ვენზელის დასამაგრებლად. ალამს ზემოდან ებმის დროშის თავი, ე. წ. საიდუმლო ნიშანი. მისი გრაფიკული მოხაზულობა შედგება ჯვარედინად ურთიერთგადამკვეთი ხაზებისაგან, რომელიც ზემოდან ნახევარწრით არის შემოფარგლული. იგი ასომთავრული „X“-ს (ჯ) სტილიზებულ გამოსახვას წარმოადგენს. მას თავზე ადგას სამკუთხედის სახით შუბის პირი⁵.

ამრიგად, საქართველოს ეროვნული დროშის თავი, ე. წ. საიდუმლო ნიშანი შედგება: ჯვრის მთავრული ასონიშნის „X“-ს (ჯ) სტილიზებული გამოსახულებისგან და მასზე (ჯვარზე) სამკუთხედად აღმართული შუბის პირისაგან. ასეთი იყო საქართველოს ფეოდალური მონარქიის სახელმწიფო დროშის თავი (ტაბ. IV, სურ. 14).

¹ ქართულ-სასანური მონეტები ან ქართლის ერისმთავართა დრაქმები VI-VII საუკუნეების მიჯნაზე მოჭრილი ვერცხლის ფულია. პირველად ქართული ფულის ისტორიაში მონეტაზე ქართული ზედწერილები და ქრისტიანული სიმბოლიკა – ჯვრის გამოსახულება ჩნდება. ერისმთავარ გურგენის (571-584 წწ.) სახელით მოიჭრა ეროვნული მონეტა ქართული ზედწერილით. მონეტის შუბლზე შაჰის გამოსახულების ზევით ორი მთავრული ასო „გნ“ (გურგენი) არის მოთავსებული. ერისმთავარმა სტეფანოს I-მა (593-604 წწ.) მეფის ბიუსტის ორივე მხარეს მოათავსა ოთხი მთავრული ასო „სფნს“ (სტეფანოს).

² Ир. Пагава, Новый тип грузино-сасанидских драхм с крестом, *კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა* (თბილისი, 2011), გვ. 195-197.

³ Г. Гамбашидзе, Грузинские надписи, XII-XIII вв. на каменном кресте из с. Хунзах (Дагестан), *კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა* (თბილისი, 2012), გვ. 113-116.

⁴ დ. კლდიაშვილი, *ქართული პერალდიკის ისტორია...*, გვ. 84-86.

⁵ როგორც აღნიშნული გვექონდა, საქართველოში სახელმწიფო დროშის თავის მოყვანილობა ჯვრის ან შუბის პირის ფორმისა იყო. ზოგ შემთხვევაში, იგი მოიცავდა ორივეს. ე. წ. საიდუმლო ნიშნის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, მის საფუძველს წარმოადგენს მთავრული ასონიშანი „X“ („ჯ“) – „ჯვარი“. ზემოაღწერილი მასალიდან ჩანს, რომ ჯვრის სიტყვიერად, შემოკლებულად გამოსახვის ტრადიცია საქართველოში ძველითგან არსებობდა. ამის მაგალითია ქართულ-სასანურ დრაქმაზე დაქარაგმებული „XQ“ („ჯო“) – „ჯვარო“; ქვა-ჯვარზე (სოფ. ხუნძახიდან) – „XT“ („ჯო“) – „ჯვარი“.

ქართული ნუმიზმატიკური ძეგლებისა და საისტორიო წყაროების შესწავლისა და ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი: საქართველოს სახელმწიფო მონეტაზე ქართული ფულის ისტორიაში პირველად მეფე თამარის დროიდან გამოსახა საქართველოს სახელმწიფო ხუთჯვრიანი დროშა და დროშის თავი. ხუთჯვრიანი ალაში (ჯვარი, ოთხ მინდორში თითო წერტილით) მოთავსებულია მეფე თამარის (1200 წლის), გიორგი IV ლაშას (ჯავახთუფლის), რუსუდან მეფის (სპილენძის და ვერცხლის), ქართულ-პულაგუიდურ და ვახტანგ III-ის საფასეებზე.

ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშის თავი პირველად მეფე თამარის სახელით 1200 წელს მოჭრილ და ამავე ტიპის უთარილო სპილენძის მონეტის შუბლზეა მოთავსებული. ამ ნიშანს ვხვდებით, აგრეთვე, რუსუდან მეფის ვერცხლის საფასეზე. დროის წყვეტილი შუალედით გამოსახულია დემეტრე II თავდადებულისა და დავით VIII-ის მიერ მოჭრილ სპილენძის ფულზე. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველო იღვანთა სახელმწიფოს ვასალია. დემეტრე II-მ და დავით VIII-მ მოჭრეს წმინდა ეროვნული ხასიათის მონეტა. მონეტაზე მხოლოდ ქართული ზედწერილები და საქართველოს სამეფოს სახელმწიფო დროშის თავია გამოსახული. მისი ემისია უნდა მომხდარიყო ჯავახეთში¹.

ამრიგად, ძველი ქართული ეროვნული დროშა, ხუთჯვრიანი ალაში და დროშის თავი, ქართული საისტორიო წყაროების პარალელურად, ამ ეპოქის, XIII-XIV საუკუნეების ქართულ ფულზეც აისახა. ქართულ საფასეებზე მოთავსებული საქართველოს სახელმწიფო ხუთჯვრიანი ალმისა და დროშის თავის გამოსახვის ქრონოლოგიური საზღვარი შემოიფარგლება XIII-XIV საუკუნეებით.

XV ს-დან გაერთიანებული საქართველოს ცალკე სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, ქართულ დროშათა ნაირსახეობა გამრავლდა. თითოეული სამეფო თუ სამთავრო სხვადასხვა სახის დროშას ღებულობს.²

ერთიანი საქართველოს მონარქიის ისეთი უმნიშვნელოვანესი სიმბოლო, როგორცაა სახელმწიფო დროშა – თეთრ ტილოზე გამოსახული ხუთჯვრიანი ალაშია. ეს იყო დროშა, სვიანად ხმარებული „გორგასლიანი და დავითიანი.“ ხუთჯვრიანი დროშა ჰქონდა საქართველოს XII საუკუნეში დავით აღმაშენებლის დროიდან, ანუ XII საუკუნის დასაწყისიდან. მისი სახე ერთიანი საქართველოს ხანაში არ შეცვლილა.

ამრიგად, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს ხუთჯვრიანი ალაში ცხრაასი წლისაა.

ბიბლიოგრაფია

1. თ. ბარნაველი, ფიგურული ნიშნები განვითარებულ შუა საუკუნეების ქართულ მონეტებზე, *მაცნე*, ისტორიის სერია, №3 (თბილისი, 1974).
2. ს. ბარნაველი, *ქართული დროშები* (თბილისი, 1953).
3. ბასილი ეზოსმოდგარი, ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II (თბილისი, 1959).
4. ს. გამსახურდია, ნ. შოშიაშვილი, ზ. ხიდურელი., *საქართველოს სახელმწიფო დროშები და გერბები*. თბილისი. 1990.
5. აღ. თვარაძე, *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში* (თბილისი, 2004).
6. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II (თბილისი, 1959).
7. დ. კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა* (თბილისი, 1969).
8. რ. კიკნაძე, *ფარსადან გორგიჯანიძე და ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი* (თბილისი, 1975).
9. დ. კლდიაშვილი, *ქართული პერალდიკის ისტორია, საქართველოს სახელმწიფოებრიობის სიმბოლოები*, წიგნი I, დროშა სვიანად მოხმარებული (თბილისი, 2003).
10. გ. მაჭარაშვილი, *დროშა გორგასლიანი* (თბილისი, 2011).
11. რ. მეტრეველი. *დავით IV აღმაშენებელი*. თბილისი. 1986.

¹ დ. ნინიძე, „პროვინციის მეფეები“ XIV-XV საუკუნეების საქართველოში (თბილისი, 1995), გვ. 37.

² გამსახურდია სვ., შოშიაშვილი ნ., ხიდურელი ზ., *საქართველოს სახელმწიფო დროშები და გერბები*, თბ., 1990.

12. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ, *ტფილისის უწყებანი*, №5 (თბილისი, 1996).
13. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ, *პარლამენტის უწყებანი*, №27-28 (თბილისი, 1997).
14. დ. მუსხელიშვილი, ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშა შუა საუკუნეებში, *ლიტერატურული საქართველო*, 13-20 მარტი (თბილისი, 1998).
15. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს სახელმწიფო დროშა, *მნათობი*, №3 (თბილისი, 2007).
16. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექციის პრეს-რელიზი, *ანალები*, №1 (თბილისი, 2007).
17. დ. ნინიძე, „პროვინციის მეფეები“ XIV-XV საუკუნეების საქართველოში (თბილისი, 1995).
18. გ. ოთხმეზური, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო (თბილისი, 1981).
19. ჟამთააღმწერელი, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II (თბილისი, 1959).
20. აპ. სილაგაძე, გ. ჯაფარიძე, „ავმართე დროშა მეფისა, აღმითა წითელ-შავითა“, *გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“*, 1 სექტემბერი, №240 (თბილისი, 1999).
21. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, გამოსაცემად მოამზადა ე. ცაგარეიშვილმა (თბილისი, 1978).
22. თ. ტარნოვსკი, საქართველოს ისტორიული დროშები, *ისტორია და გეოგრაფია სკოლაში*, №4 (თბილისი, 1982).
23. ფარსადან გორგიჯანიძე, *საქართველოს ცხოვრება*, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი H 2140.
24. *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა*, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი მეორე (1213 წლიდან 1700 წლამდე) (ტფილისი, 1897).
25. ივ. ჯავახიშვილი, *ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა*, წიგნი I (თბილისი, 1945).
26. ივ. ჯავახიშვილი, *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტომი VII (თბილისი, 1984).
27. М. Баратаев, *Нумизматические факты грузинского царства* (Санкт-Петербург, 1844).
28. Г. Гамбашидзе, *Грузинские надписи XII-XIII вв. на каменном кресте из с. Хунзах (Дагестан)*, *კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა* (თბილისი, 2012).
29. Ир. Пагава, *Новый тип грузинно-сасанидских драхм с крестом*, *კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა* (თბილისი, 2011).
30. Е. Пахомов, *Монеты Грузии* (Санкт-Петербург, 1910).
31. М. Brosset, *Rapport sur l'ouvrage intitulé, Нумизматические факты грузинского царства, et revue de Numismatique Georgienne* (St.-Petersbourg, 1847).

ტაბულები

ტაბულა I



ტაბულა II





6.



7.



8.

ტაბულა III



9.



10.





11.




12.

ტაბულა IV



13.



14.

ტაბულების აღწერილობა

ტაბულა I

1. თამარ და დავითი 1200 წლის სპილენძის ფული
2. თამარ და დავითი უქორნიკონო
3. თამარ და დავითი 1200 წლის სპილენძის ფული
4. გიორგი IV ლაშა ჯავახთუფალი

ტაბულა II

5. რუსუდან დედოფალი, სპილენძის მონეტა. 1227 წ.
6. რუსუდან დედოფალი დრამა. 1230 წ.
7. რუსუდან დედოფალი დრამა. 1230 წ.
8. ქართულ-ჰულაგუიდური დრამა

ტაბულა III

9. დემეტრე II თავდადებულის სპილენძის ფული
10. დავით VIII სპილენძის ფული
11. ვახტანგ III დრამა
12. ქართულ-სასანური „ჯო“-ს დაქარაგმებით

ტაბულა IV

13. ქვა-ჯვარი, სოფ. ხუნძახიდან (დაღესტანი)
14. ე. წ. საიდუმლო ნიშანი – ერთიანი საქართველოს სამეფოს სახელმწიფო დროშის თავი

TSIALA GVABERIDZE
Georgian National Museum
Simon Janashia Museum of Georgia

FOR THE FLAG OF THE UNITED GEORGIAN KINGDOM

The article deals with the problem connected with the Middle Ages Georgian state flag. The problem is discussed by means of numismatic evidences. An important information of the Georgian written source about five-crossed flag is given.

An old Georgian national flag with five crosses and its head together with the same period historical sources (the 13th-14th cc.) are illustrated on Georgian coins

Having compared historical sources and numismatic evidences the content (so-called a “mysterious mark”) on the Georgian flag has been identified.

ქუთაისის მეფეები და მათი სამფლობელო XIII-XVI საუკუნეებში

წარმოდგენილი სტატია ნაწილია შრომისა, სადაც განიხილება XV-XVI საუკუნეებში ქართული სეპარატისტული პოლიტიკური ერთეულების ბრძოლა შიდა ქართლში გასაბატონებლად და, ამ გზით, თბილისის ტახტის დასაუფლებლად. ამ მხრივ თავიდან ქუთაისის (იმერეთის) სამეფო აქტიურობდა, მოგვიანებით, 1466 წლიდან ამ ბრძოლაში ახალშექმნილი კახეთის სამეფოც ჩაერთო. მესამე სეპარატისტული რევიონის, სამცხე-საათაბაგოს მთავრები, სიტყვით თუ საქმით, ორსავე სამეფოს შეეწოდნენ თბილისის ტახტის პოზიციების შესასუსტებლად. ეს პროცესი რამდენადმე ჩამოჰგავს IX-X საუკუნეებში ქართული სამეფო-სამთავროების ქიშპობას შიდა ქართლის ხელში ჩასაგდებად¹. ეს ბრძოლა, როგორც ცნობილია, X-XI საუკუნეების მიჯნაზე ორი ქართული სამეფოს „აფხაზთა“ და „ქართველთა“ გაერთიანებით და, საბოლოოდ (XII ს-ის I მეოთხე), კახეთ-ჰერეთის, ქვემო ქართლისა და თბილისის მასთან შემოერთებით და საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებით დაგვირგვინდა, მაგრამ XV-XVI საუკუნეებში მიმდინარე ბრძოლა შიდა ქართლისა და თბილისის დასაუფლებლად ამ შედეგით არ დამთავრდა. მსგავსი პროცესების განსხვავებული შედეგებით დასრულება აღნიშნულ ორ ეპოქას შორის სამხრეთ კავკასიის გარშემო განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ვითარების არსებობამ განაპირობა. X-XII საუკუნეებში სამხრეთ კავკასიაში გასაბატონებლად ერთი პოლიტიკური ძალა (ჯერ ბიზანტია, შემდეგ თურქ-სელჩუკები) აქტიურობდა, რომელიც ქართული სამეფო სამთავროების გაერთიანებას ყველა შესაძლო საშუალებით აბრკოლებდა, მაგრამ გაერთიანებისთვის მეზობელმა ქართულმა ფეოდალურმა ელიტამ ეს წინააღმდეგობა საუკუნოვანი ბრძოლით გადააღახა. სხვაგვარი გეოპოლიტიკური ვითარება ჩამოყალიბდა სამხრეთ კავკასიის გარშემო XVI საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც აქ გასაბატონებლად ორი მზარდი აგრესორი – ირანი და ოსმალეთი დაუპირისპირდა ერთმანეთს, რომლებმაც 1555 წელს დადებული ამასიის ზავით სამხრეთ კავკასია გავლენის სფეროებად გაინაწილეს: ქართული სამეფო-სამთავროების ერთი ნაწილი (ქუთაისის სამეფო, სამცხე-საათაბაგო) ოსმალეთს ერგო, მეორე (ქართლისა და კახეთის სამეფოები) – ირანს. ამიერიდან ყოველგვარი მცდელობა ერთი აგრესორის ხელდებული ქართული სამეფოს გაბატონებისა მეორე აგრესორის ხელდებულ ქართულ სამეფოზე ძირშივე აღიკვეთებოდა საგარეო ძალის მიერ. ამ ვითარებამ ცალკეული სამეფო-სამთავროების „ურთიერთშთანთქმის“ გზით საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენის პერსპექტივა, რაც ამასიის ზავის დადებამდე ჯერ კიდევ არსებობდა, უიმედოდ მოსპო. ამ პროცესის შემავარსებელ ორ აგრესიულ მოწინააღმდეგესთან გასამკლავებლად საქართველოს ძალები არ ეყო. ქვემოთ შევხებით ამ რთული პროცესების ერთ-ერთი აქტიური მონაწილის, ქუთაისის სამეფოს ისტორიის ცალკეულ საკითხებს ზემოაღნიშნული რაკურსით.

ქუთაისის მეფეთა ქრონოლოგიური რიგი

X-XI საუკუნეების მიჯნაზე დაწყებული ქართული პოლიტიკური ერთეულების ერთიან მონარქიად გაერთიანების პროცესი XII საუკუნის პირველ მეოთხედში წარმატებით დაგვირგვინდა. ამ დროს მიღწეული პოლიტიკური მთლიანობა მონღოლთა ბატონობის პირველ ხანებშიც, ძირითადად, შენარჩუნებულ იქნა. საქართველოს, მართალია, ყმადნაფიცი ქვეყნები ჩამოშორდა, მაგრამ საკუთრივ საქართველო მონღოლებმა სრულიად პრაგმატული მოსაზრებით ერთიან პოლიტიკურ ორგანიზმად, ქართული სამეფო დინასტიით სათავეში, დატოვეს. ბიუროკრატიული აპარატის განუვითარებლობა კარნახობდა მათ დაპყრობილი ქვეყნების ადგილობრივი სახელმწიფო აპარატის შენარჩუნების საჭიროებას და გამოყენებას თავიანთი უმთავრესი მიზნის (ხარკი და სამხედრო ბეგარა) განსახორციელებლად. ასეთ ვითარებაში, როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, სრულიად შემთხვევით ქუთაისში შეიქმნა (თბილისის პარალელურად) მეორე სამეფო ტახ-

¹ ორი სხვადასხვა ეპოქის პოლიტიკურ რიტუალებს შორის მსგავსებაზე საუბრისას მათ შორის არსებული განსხვავებები, ცხადია, არ გვავიწყდება.

ტი, რამაც ბზარი გაუჩინა ქვეყნის პოლიტიკურ მთლიანობას, შემდგომში კი ლომის წილი დაი-
დო ამ მთლიანობის მოწლამში.

მონღოლთაგან დევნილმა დავით ნარინმა 1248 წელს თავი შეაფარა დასავლეთ საქარ-
თველოს¹, სადაც მონღოლთა საოკუპაციო ადმინისტრაციას თითქმის ხელი არ მიუწვდებოდა
(აქ არ იდგა მონღოლთა განრნიზონები და არც მონღოლი ნოინები). დავით ნარინის გამეფებას
ქუთაისში, ბუნებრივია, მოჰყვა შესაბამისი სამეფო კარის შექმნა ცენტრალური უწყებებით (ად-
გილობრივი მმართველობის აპარატი მზამზარეულად მიიღო) და, რაც თავისთავად იგულის-
ხმება, საბრძანებლის შემოსაზღვრა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიით.

დავით ნარინი გარდაიცვალა 1293 წელს. ვახუშტი ბაგრატიონისა და, მის კვალდავლად,
სამეცნიერო ლიტერატურაში გაერცვლებული თვალსაზრისით, დავით ნარინის გარდაცვალების
შემდეგ 1327 წლამდე ქუთაისის ტახტზე მისი მემკვიდრე კონსტანტინე იჯდა, რომელიც უმცროს-
მა ძმამ მიქაელმა (1327-1329 წწ.) შეცვალა. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ ტახტის
მემკვიდრედ დარჩა მისი მცირეწლოვანი ძე ბაგრატი. გიორგი V ბრწყინვალემ (1318-1346 წწ.) ეს
სიტუაცია კარგად გამოიყენა ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის აღსადგენად, 1330 წელს ქუ-
თაისის სამეფო ტახტი გააუქმა და ლიხთიმერეთში ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია
აღადგინა². ვახუშტი ბაგრატიონის ცნობებზე დამყარებული მოტანილი თვალსაზრისის ქრონო-
ლოგიაში მნიშვნელოვანი კორექტივი შეაქვს ერთი ქართული ხელნაწერის გადაშვების, აბრაჰამ
სავანის ანდერძის ცნობას, რომლის განხილვას ამ ბოლო დროს საგანგებოდ შეეხო თ. ჯოჯუა.
აღნიშნული ანდერძის თანახმად, დასახელებულ აბრაჰამს ხელნაწერი გადაუწესხავს 1336 წელს,
„მ(ე)ფ(ო)ბასა ღ(მ)თივგვრგვ(ო)ხნისა კოსტანტინესა“. თ. ჯოჯუა, სავსებით მართებულად, ამ
კონსტანტინეს აიგივებს დავით ნარინის ძესთან და, აქედან გამომდინარე, გიორგი ბრწყინვალის
მიერ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანების უკიდურეს ქვედა ქრონოლოგიურ
ზღვარს 1336 წელზე დებს³. ეს გარემოება, ბუნებრივია, მოითხოვს დავით ნარინის მემკვიდრეთა
ვახუშტისეული ქრონოლოგიის გადასინჯვას. ვინაიდან უცნობი რჩება კონსტანტინე იმერთა მე-
ფის გარდაცვალების ზუსტი თარიღი, ამ უკანასკნელისა და მისი ძმის, მიქაელის მეფობის და-
სასრული პირობითად 1330-ინი წლების მიწურულით უნდა განისაზღვროს.

იმის შესახებ, თუ რა ფორმით აღდგა პოლიტიკური მთლიანობა გიორგი ბრწყინვალის
დროს და ამის შემდეგ რა ბედი ეწია ქუთაისის სამეფო ტახტს, სამეცნიერო ლიტერატურაში
ორი განსხვავებული თვალსაზრისია გამოთქმული. დ. ნინიძის აზრით, ბაგრატ V-ის (1360-1393
წწ.) მეფობის დროიდან, დასავლეთ საქართველოს შემომტკიცების მიზნით, ერთიანი საქართვე-
ლოს მეფეები ამ რეგიონში მეფის ტიტულით მმართველებად თავიანთ შვილებს ნიშნავდნენ⁴. კ.
კახაძე ფიქრობს, რომ გიორგი ბრწყინვალის გამაერთიანებელი პოლიტიკის შედეგად ჩამოყა-
ლიბდა ქვეყნის თავისებური პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სისტემა, რომელმაც იარსება XV
საუკუნის 60-იან წლებამდე. მისი აზრით, გიორგი ბრწყინვალის დროიდან მოკიდებული ცენტრა-
ლური ხელისუფლების სანქციით დავით ნარინის შთამომავალთა საპირისპიროდ და მათი მეფუ-
რი პრეტენზიების გასანეიტრალებლად დასავლეთ საქართველოს მეფის ტიტულით და მეფის-
ნაცვლის უფლებით განაგებდნენ თბილისის სამეფო სახლის წარმომადგენლები, რაც ლიხთიმე-
რეთის აღმოსავლეთ საქართველოსთან პოლიტიკური ერთიანობისა და ცენტრისთვის დაქვემ-
დებარების თავისებურ ფორმას წარმოადგენდა⁵.

თ. ჯოჯუას აზრით გიორგი ბრწყინვალის, დავით X (1346-1367 წწ.) და ბაგრატ V (1367-1393 წწ.)
მეფობათა ხანაში მათი სანქციით ქუთაისის ტახტზე მეფის დასმა პრაქტიკულად არ ხდებოდა. ამ პე-
რიოდში დასავლეთ საქართველო ცენტრალური ხელისუფლების მიერ უშუალოდ იმართებოდა⁶.

¹ ბ. სილაგაძე, მონღოლთა მეორედ გამოჩენა ამიერკავკასიაში და საქართველოს დაპყრობა-დანაწილება, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 3 (თბილისი, 1992), გვ. 82-84.

² ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ვახუხიშვილის მიერ (თბილისი, 1973), გვ. 257, 802; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, *თხზულებანი 12 ტომად*, III (თბილისი, 1982), გვ. 170-171; ბ. ლომინაძე, საქართველო XIV საუკუნის პირველ ნახევარში, დონისძიებები ქვეყნის აღდგენისთვის, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, III (თბილისი, 1979), გვ. 629; ვ. კიკნაძე, *საქართველო XIV საუკუნეში* (თბილისი, 1989), გვ. 90.

³ თ. ჯოჯუა, აბრაჰამ სავანის მიერ 1336 წელს გადაწერილი „საკუროს“ (H-1328) ანდერძი დასავლეთ საქართველოს მეფის კონსტანტინე I-ის მოხსენიებით და საქართველოს XIV საუკუნის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, *საისტორიო კრებული*, III (თბილისი, 2013), გვ. 126-153.

⁴ დ. ნინიძე, „პროვინციის მეფეები“ XIV-XV საუკუნეების საქართველოში (თბილისი, 1995), გვ. 128.

⁵ კ. კახაძე, დასავლეთ საქართველოს უცნობი მეფეები, *კლიო*, 11 (თბილისი, 2001), გვ. 49.

⁶ თ. ჯოჯუა, ეცერის მოძღვრის ანტონ ონოფრიანის მიერ 1380 წელს იერუსალიმში „სპარსთაგან დახსნილი“ XII-XIII საუკუნეების უღვალის საწელიწდო სახარება (H-171) და მისი მინაწერი საქართველოს მეფეების, ბაგრატ V-ისა (1366/1367-1387 წწ.) და გიორგი VII-ის (1387-1407 წწ.) მოხსენიებით, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, XII-XIII (თბილისი, 2012/2013), გვ. 129-168.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, დღეისთვის ხელმისაწვდომი წყაროების მიხედვით, 1330 წლიდან XIV საუკუნის 80-იან წლებამდე დასავლეთ საქართველოში არ ჩანს არც ცენტრალური ხელისუფლების მიერ დასმული და არც თვითნებურად აღზევებული მეფე, რომლის ხელისუფლება ამა თუ იმ ფორმით მოიცავდა დასავლეთ საქართველოს ან ამაზე პრეტენზია ჰქონდა. ფაქტია, რომ გიორგი V ბრწყინვალემ ტახტს ჩამოცილებული ბაგრატ მიქაელის ძე, ვახუშტის ცნობით, შორაპნის ერისთავად დასვა, რომლის გარდაცვალების (1362 წ.) შემდეგ მის შვილს, ალექსანდრეს იგივე სტატუსი მიანიჭა ერთიანი საქართველოს მეფემ ბაგრატ V-მ (1367-1393 წწ.)¹. ვახუშტი ბაგრატიონის აღნიშნული ცნობებით სარგებლობისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, თუ რა შემთხვევაში უწოდებს ის მეფის შთამომავალს ერისთავს. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ვახუშტი ბაგრატიონი ბაგრატ II-ის სტატუსს იმერეთში ჩიხორის ბრძოლამდე (1463 წ.) ერისთავობით განსაზღვრავს², მაშინ, როდესაც ბაგრატ II 1463 წლამდეც მეფის ტიტულს ატარებდა (იხ. ქვემოთ). ვახუშტის წარმოდგენით, ბაგრატი, სანამ თბილისის ცენტრალური ტახტის მფლობელის მორჩილებაში იმყოფებოდა, ერისთავი იყო, ხოლო ცენტრალური ტახტის მორჩილებიდან გამოსვლის მომენტიდან მეფეა. აქ გვახსენდება ძველი ქართველი მემკვიდრეების კონცეფცია, რომლის თანახმად, დაქვემდებარებული ვასალი-მეფე პროვინციის გამგებლის – ერისთავის სტატუსს უთანაბრდება³. შესაძლოა, „იმერელ მეფეთა“ შტოს წარმომადგენლები (დავით ნარინის შთამომავლები), ბაგრატ მიქაელის ძე და ალექსანდრე გიორგი V ბრწყინვალის, დავით IX-ისა და ბაგრატ V-ის ნებით მეფის ტიტულსაც ატარებდნენ ცენტრალური ტახტისადმი მორჩილების პირობით და ლიხთიმერეთში არგვეთის მხარე (შორაპნის საერისთავო) „სარჩომად“ ჰქონდათ „მინებებულნი“. როგორც არ უნდა ყოფილიყო რეალური ვითარება, „იმერელ მეფეთა“ შტოს წარმომადგენლებმა ქუთაისის ტახტის აღდგენაზე ანუ ლიხთიმერეთში დამოუკიდებელ მეფობაზე პრეტენზიის გაცხადება მხოლოდ ოთხი ათეული წლის შემდეგ შეძლეს.

საქართველოსთვის უმძიმეს პერიოდში, როდესაც მეფე ბაგრატ V და მისი თანამოსაყდრე, უფლისწული გიორგი აღმოსავლეთ საქართველოში შემოჭრილი თემურ-ლენგის ურდოების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში იყვნენ ჩაბმული, დავით ნარინის შთამომავალმა ალექსანდრე ბაგრატის ძემ, ისარგებლა რა შექმნილი ვითარებით, 1387 წელს თავი მეფედ გამოაცხადა, მაგრამ ქუთაისის ცენტრალური ხელისუფლების მომხრე მოხელეებმა არ დაანებეს. ალექსანდრე, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, გარდაიცვალა 1389 წელს⁴, რაც ზუსტი არ უნდა იყოს, ვინაიდან ალექსანდრე მეფის სიგელი დავით გორგაძისადმი გაცემულია 1392 წელს⁵. აქედან გამომდინარე, მისი უმცროსი ძმა, გიორგი, რომელიც, ვახუშტის ცნობით, 1389 წელს, ლიხთიმერელ ერისთავებთან ბრძოლაში დაიღუპა⁶, გამეფებულა 1392 წელს ან მის ახლო ხანებში⁷. 1396-1401 წლებში იმერეთში მეფობდა ამ უკანასკნელის ძმა კონსტანტინე⁸.

XV საუკუნის 30-იან წლებში, ალექსანდრე I-ის (1412-1442 წწ.) მეფობის ხანაში, ქუთაისში მეფედ ჩანს ვახტანგ გორგასალი და თამარი. მოღწეულია მათი ერთობლივად და ცალ-ცალკე გაცემული რამდენიმე სიგელი.

კოტრიძეთა და ჭარელიძეთა სასისხლო საქმის გადაწყვედილობის სიგელი, რომელიც 1432 წლის 14 მაისით თარიღდება, გვაუწყებს: „...ჩვენ დავითიან-იესიან-სოლომონიან-ბაგრატიონისა მეფეთ-მეფისა ვახტანგ გორგასლისაგან..., მოვიდეს ქუთაისსა ჭარელიძენი და ბაქრისძენი და კოტრიძენი მეფეთ-მეფისა ვახტანგ გორგასლისა [წინაშე] და მისითა ბრძანებითა დასხნეს მართალნი მოურავნი“⁹.

1437 წლით არის დათარიღებული „მეფეთ-მეფე ვახტანგის“ მიერ ჩარაჩე გურალიძისადმი მიცემული სასისხლო სიგელი. საბუთი დასავლეთ საქართველოშია გაცემული, რაზედაც მიუთით-

¹ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 802-803.

² იქვე, გვ. 805.

³ თ.ბერაძე, მ. სანაძე, *საქართველოს ისტორია*, I (თბილისი, 2003), გვ.55.

⁴ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 803.

⁵ *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა*, ქრონოლოგიურად დაწვობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, II (ტფილისი, 1897), გვ. 195.

⁶ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 803.

⁷ თ. ჟორდანიას აზრით, გორგაძისა და მცხეთის 1392 წლის სიგელები გაცემულია იმერეთა მეფის ალექსანდრეს მიერ, რომელიც, წინააღმდეგ ვახუშტი ბაგრატიონის მტკიცებისა, ცოცხალი იყო 1392 წელს, როდესაც ის ძმის, გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ მეორედ გამეფებულა და აღნიშნული საბუთებიც ამ დროს გაუცია (*ქრონიკები და სხვა მასალა...*, გვ. 193). ამ მოსაზრებას არ იზიარებს დ. ნინიძე, რომელიც თვლის, რომ შესაძლოა, გორგაძისა და მცხეთის ტაძრის სიგელების გამცემი მეფე ერთი და იგივე იყოს, მაგრამ არა იმერეთის მეფე ალექსანდრე, რომელიც ვახუშტის ცნობით, 1389 წ. გარდაიცვალა, არამედ სხვა ალექსანდრე, თუმცა, პროვინციის მეფე (დ. ნინიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 98-112).

⁸ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 803-804; დ. ნინიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 124-125.

⁹ *საქართველოს სიძველენი*, II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით (ტფილისი, 1909), გვ. 34; გ. არახაძე, ქართული დიპლომატიის შესწავლისთვის, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XII (თბილისი, 2010), გვ. 45.

თებს არა იმდენად ადრესატის სადაურობა (ოდიშელ აზნაურს გურალიძეს სიგელი შეიძლება თბილისში მჯდომი მეფისგანაც მიეღო), რამდენადაც მეფის ნების დამამტკიცებელთა და მოწმეთა ვინაობა. ასეთებად ვახტანგ მეფე ასახელებს ჭყონდიდელ, დრანდელ-მოქველ, ცაიშელ-ხოფელ ეპისკოპოსებსა და ამირეჯიბ აფაქიძეს¹. ასე რომ, გურალიძის სიგელის გაცემის ადგილი და თარიღი გვიბიძგებს იქითკენ, რომ მისი მბოძებელი „მეფეთ-მეფე ვახტანგი“ გაგაიგივოთ ზემოთ ნახსენებ სასისხლო საქმის გარდაწყვედილობის სიგლის გამცემ „მეფეთ-მეფე ვახტანგ გორგასალთან“.

ქველი და არდაშელ ასათიანებისადმი ბოძებულ სასისხლო სიგელში ვკითხულობთ: „...ჩუენ იესიან-დავითიან-სოლომონიან ბაგრატიონიანმან... მეფეთ-მეფემან გორგასალ და დედოფალთ-დედოფალმან ბატონმა თამარ...“².

საბუთის გამცემი მეფის ზედწოდება „გორგასალი“ და საბუთის თარიღი გვაძლევს საფუძველს „გორგასალი“ გაგაიგივოთ ზემოთ ხსენებულ ქუთაისში მჯდომ მეფე ვახტანგ გორგასალთან (იმავე საბუთში დასახელებული თამარ დედოფლის ვინაობის შესახებ იხ. ქვემოთ).

ვახტანგ გორგასლის პიროვნებასთან კავშირში უნდა განვიხილოთ გელათისადმი შეწირულობის ერთი უთარიღო სიგელის ცნობა, რომელიც ასე იკითხება: „...მე დავითიან ბაგრატიონმან ღმრთივე გვირგვინოსანმან ხუასროთანგმან მეფეთ-მეფემან ვახტანგ გადრე და შემოგწირე...“³.

ვახტანგ მეფის ზედწოდება „ხუასროთანგი“, როგორც ქვემოთ ვნახავთ, „გორგასლის“ სინონიმური ცნებაა. ეს გარემოება და გელათისადმი შეწირული სოფლების მდებარეობა დასავლეთ საქართველოში (კვაშიეთი და საწირე – რაჭაში, რიონი – ქუთაისთან ახლოს) გვკარნახობს „ხოსროთანგ მეფეთ-მეფე ვახტანგის“ იგივეობას ზემოთ ხსენებულ ვახტანგ გორგასალთან.

იკორთის უამ-გულანის ქრონიკის არშიაზე მიწერილი ძველი შეწირულობის სიგელის პირი, შესრულებული XVIII საუკუნეში, მეფე გორგასლის აღმოსავლეთ საქართველოში, სახელდობრ, შიდა ქართლში მოღვაწეობის შესახებ გვამცნობს: „ქ. იკორთის მთავარანგელოზს შევსწირე მეფემ გორგასალმან სულისა ჩემისა სამეოხედ, რათა მსაჭურონ წმიდასა შენსა ეკლესიასა“⁴.

გორგასლის შიდა ქართლშივე საქმიანობის შესახებ ცნობა დაცულია 1565 წელს რობამ ფავნელიშვილის მიერ ნიქოზის ეკლესიისადმი მიცემულ შეწირულობის წიგნშიც, სადაც აღნიშნულია, რომ მეფე ვახტანგ გორგასალმა ნიქოზის ტაძარს შესწირა სოფელი ზემო ნიქოზი⁵. იკორთისა და ნიქოზის ტაძრებზე მზრუნველი აღნიშნული პირების იგივეობაზე მიუთითებს ზედწოდება გორგასალი. ცხადი უნდა იყოს ამ უკანასკნელის მიმართება ქუთაისის მეფე ვახტანგ გორგასალთან. ქართლის სახელგანთქმული მეფის ვახტანგ I გორგასლის შემდეგ ამ ზედწოდების მატარებელი ვახტანგ მეფე, გარდა ქუთაისის ზემოთ დასახელებული მეფისა, საქართველოს გვირგვინოსანთა შორის ცნობილი არ არის. ეს გარემოება გარკვეულ საფუძველს იძლევა ქუთაისის მეფის ვახტანგ გორგასლისა და იკორთა-ნიქოზის ტაძრებზე მზრუნველი მეფის ვახტანგ გორგასლის გაიგივებისთვის.

ვახტანგ გორგასლის გენეალოგიას სხვადასხვა დროს შეეხო ს.კაკაბაძე. ერთხანს ის ვარაუდობდა, რომ კოტრიძეთა და ჭარელიძეთა სასისხლო საქმის გარდაწყვედილობის წიგნის, გურალიძეთა სასისხლო და გელათის ტაძრისადმი შეწირულობის სიგელების გამცემი მეფე ვახტანგ გორგასალი დავით ნარინის ძის მიქაელის შთამომავალი უნდა ყოფილიყო⁶. ს. კაკაბაძემ სცადა ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღის დადგენა ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგი ცნობის საფუძველზე: ვახტანგ მეფე „გარდაიცვალა ქრონიკონსა რღვ. დაჯდა მეფედ ძმა ვახტანგ მეფისა და ძე ალექსანდრე მეფისა გიორგი“⁷. სინამდვილეში, ვახუშტის მოტანილი ცნობა ეხება საქართველოს მეფის ვახტანგ IV-ის გარდაცვალებას და გიორგი VIII-ის გამეფებას. მხოლოდ თარიღია არაზუსტი. აღნიშნული ფაქტი მოხდა 1446 წელს⁸. ამიტომ უმართებულოა ვახტანგ გორგასლის იმერეთის ტახტზე მეფობის ხანგრძლივობის განსაზღვრა ვახუშტის მოტანილი ცნობის საფუძველზე. თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, იმერთა მეფე ვახტანგ გორგასალი და ერთიანი საქართველოს მეფე ვახტანგ IV ერთი და იგივე პიროვნებაა, მაგრამ ის დავით ნარინის შთამომავალი არ ყოფილა. მოგვიანებით ს. კაკაბაძემ უარყო ადრინდელი მოსაზ-

¹ ს. კაკაბაძე, პატარა წერილები და შენიშვნები, *საისტორიო მოამბე*, I (ტფილისი, 1925), გვ.61-62.

² იქვე, გვ. 14.

³ ს. კაკაბაძე, *ვახტანგ, უცნობი XV საუკუნის აფხაზ-იმერეთის მეფეთაგანი და მისიმემკვიდრე მეფე ვიორგი* (ტფილისი, 1912), გვ. 3-4.

⁴ ს. კაკაბაძე, *უცნობი აფხაზ-იმერეთის მეფე თამარი* (ტფილისი, 1913), გვ. 16.

⁵ *პირთა ანოტირებული ლექსიკონი*, I, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა (თბილისი, 1991), გვ. 294.

⁶ ს. კაკაბაძე, *ბაგრატ მეფე, XV საუკუნის რაჭა-არგვეთის მფლობელი* (ტფილისი, 1913), გვ. 3-30; ს. კაკაბაძე, განჩინება მთის ყმათა სისხლის შესახებ, *საისტორიო მოამბე*, II (ტფილისი, 1924), გვ. 3-23.

⁷ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 283.

⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III., გვ. 272.

რება და ამჯერად ვახტანგ გორგასალი მიიხნია 1392 წლით დათარიღებული გორგასალი სასისხლო სიგელის¹ გამცემ ალექსანდრე მეფის ძედ². საბოლოოდ ს. კაკაბაძე ძველ მოსაზრებას დაუბრუნდა³.

ვახტანგ გორგასლის გენეალოგიის საკითხი განიხილა დ. ნინიძემ, რომელიც მას „პროვინციის მეფედ“ მიიხნევს დასავლეთ საქართველოში, მაგრამ მისი წარმომავლობის საკითხს ღიად ტოვებს⁴. კ. კახაძის აზრით, ვახტანგ გორგასალი ერთიანი საქართველოს მეფის ალექსანდრე I-ის (1413-1442 წწ.) ძეა, რომელიც მამის სიცოცხლეში მეფის ტიტულით განაგებდა დასავლეთ საქართველოს, ხოლო მამის გარდაცვალების შემდეგ ცენტრალური (თბილისის) ტახტი დაიკავა (1442-1446 წწ.). ჩვენ ეს მოსაზრება მისაღებად მიგვაჩნია. ამის სასარგებლოდ მეტყველებს „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების შემდეგი ცნობა: „ოდეს აღესრულა მეფე ალექსანდრე, მაშინ მოვიდა მეფე ბაგრატ იმერეთს, ძე იმერელ მეფისა კონსტანტინესი. გამოაძო ვახტანგ, ძე ალექსანდრე მეფისა და დაიპყრა იმერეთი“⁵. წყაროს ციტირებულ ფრაგმენტში მოტანილი ყველა ფაქტი სინამდვილის ადეკვატური არ არის. კერძოდ, არ დასტურდება დავით-ნარინის შთამომავლის, ბაგრატ კონსტანტინეს ძის მეფობა და, შესაბამისად, მის მიერ ვახტანგ ალექსანდრეს ძის გაძევება, მაგრამ განსახილველი საკითხისთვის მნიშვნელოვანია აღნიშნული ფრაგმენტის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ალექსანდრე მეფის (იგულისხმება ალექსანდრე I) სიცოცხლეში ლიხთიმერეთში მეფობს მისი ძე ვახტანგი, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ ტოვებს დასავლეთ საქართველოს ტახტს, რაც ესმიალება ვახტანგ გორგასლის მამის შვილობის შესახებ ჩვენს მიერ ზემოთ გაზიარებულ მოსაზრებას.

ვახტანგ გორგასალთან ერთად დასავლეთ საქართველოში მეფედ ჩანს თამარი. ზემოთ დასახელებული იყო ორივეს სახელით გაცემული სასისხლო სიგელი ასათიანებისა. მოღწეულია ცალკე თამარის მიერ 1433 წელს ბოძებული სასისხლო სიგელი იაკობიძეებისადმი, სადაც თამარი თავის თავს „მეფეთ-მეფეს“ და „ლიხთიმერისა და ლიხთამერისა ორისავე საკვლმწიფოსა მპყრობელს“ უწოდებს⁶. ფაქტია, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე ვახტანგ გორგასალი და თამარი ერთდროულად მეფობდნენ დასავლეთ საქართველოში.

თამარის ვინაობის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა. ს. კაკაბაძე ერთხანს ფიქრობდა, რომ აღნიშნული თამარი დავით-ნარინის შთამომავალი, კერძოდ, კონსტანტინე ბაგრატის ძის (1401 წ.) ასული და ტახტზე მისი მონაცვლე იყო⁷. მოგვიანებით მან, ზემოთ ხსენებულ ასათიანთა სასისხლო სიგელის ცნობების გათვალისწინებით, თამარი მიიხნია ვახტანგ გორგასლის თანამეცხედრედ და საქართველოს მეფის კონსტანტინე I-ის ასულად⁸. ამ გარემოებით ხსნიდა მკვლევარი ვახტანგ მეფის ზედწოდების – გორგასლის წარმოშობასაც. მისი აზრით, ვახტანგ მეფეს ეს ზედწოდება უნდა მიეღო თემურ ლენგის ტიტულის „გურგანის“ (ყაენის სიძეს ნიშნავს) ანალოგიით, რაც ამ უკანასკნელმა ჩინგიზ-ყაენის შთამომავლის ცოლად შერთვის შემდეგ მიიღო. მკვლევარი ფიქრობდა, რომ ვახტანგ მეფე, რომელსაც ის დავითნარინის შთამომავლად თვლიდა, თამართან შეუდლებით ერთიანი საქართველოს მმართველ დინასტიას სიძეობით დაუნათესავდა, რის ხაზგასასმელად ზემოთ აღნიშნული გურგანის ქართულ ნიშნულზე (ვახტანგ I-ის ზედწოდების გავლენით) გააზრებული ფორმა „გორგასალი“ მიიღო⁹. ქვემოთ ვნახავთ, რომ თამარი არც ვახტანგ გორგასლის მეუღლე ყოფილა და არც საქართველოს მეფის კონსტანტინე I-ის ასული, რაც საფუძველს აცლის ს. კაკაბაძის მიერ წარმოდგენილ უამისოდაც რთულ კონსტრუქციას.

ჩვენი აზრით, ვახტანგ მეფე თავის თავს გორგასალს უწოდებდა დიდი წინაპრის, ვახტანგ I-ის (V ს.) მიბაძვით. ამითვე აიხსნება ერთ-ერთ ზემოთ დასახელებულ სიგელში დაფიქსირებული ხოსროთანგი, როგორც ვახტანგ მეფის მეტსახელი, რომელიც მომდინარეობს V საუკუნის დიდი ქართველი მეფის სახელის ამოსავალი ფუძე-სიტყვიდან „ვარანხუასროთანგი“¹⁰.

ე. თაყაიშვილი, დ. ნინიძე და კ. კახაძე აღნიშნულ თამარს ალექსანდრე I-ის თანამეცხედრესთან აიგივებენ¹¹, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, დავით ნარინის შთამომავალი,

¹ ქრონიკები და სხვა მასალა..., გვ. 193.

² ს. კაკაბაძე, სვანები XV საუკუნეში, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I (ტფილისი, 1914), გვ. 131.

³ ს. კაკაბაძე, პატარა წერილები და შენიშვნები..., გვ. 243.

⁴ დ. ნინიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 150-153.

⁵ ჯ. ოღიშელი, ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევები (თბილისი, 2010), გვ. 476.

⁶ საქართველოს სიძველენი, II..., გვ. 371.

⁷ ს. კაკაბაძე, უცნობი აფხაზ-იმერეთის მეფე თამარი..., გვ. 3-8.

⁸ ს. კაკაბაძე, პატარა წერილები და შენიშვნები..., გვ. 243.

⁹ იქვე, გვ. 243.

¹⁰ ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით (თბილისი, 2008), გვ. 155.

¹¹ საქართველოს სიძველენი, II..., გვ. 371; დ. ნინიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 141-142; კ. კახაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

ალექსანდრე იმერთა მეფის ასული იყო¹. თამარ ალექსანდრეს ასული, ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, ალექსანდრე I-ის მეორე თანამეცხედრე იყო, რომელთანაც ჰყავდა ძეები, გიორგი და დავითი, ხოლო პირველი მეუღლისგან – პირმშო ვახტანგი და მომდევნო დიმიტრი². აქედან გამომდინარე, ვახტანგ გორგასლის თანადროული მეფე თამარი მისი დედინაცვალია და არა თანამეცხედრე (ს. კაკაბაძე) ან დედა (კ. კახაძე)³.

განსახილველი პერიოდის ქუთაისის მეფეთა ქრონოლოგიაზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით დიმიტრის პიროვნებას, რომელიც სწორედ ამ ხანაში ჩანს მეფედ დასავლეთ საქართველოში. ამას მოწმობს ლიხთიმერეთში შექმნილი რამდენიმე წერილობითი წყარო.

ცაიშის საწინამძღვრე ჯვრის წარწერაში ვკითხულობთ: „სისხლითა შენითა მოგებულსა ნუ უგულებელს-მყოფ დღესა მას განკითხვისასა მე დიმიტრი მეფეთა მეფესა, ძე[ს] ალექსანდრეს(ს)ა, რომელმან წარსუქდვანე ჯუარი ესე დანიელ ჩაისეღს... ამინ“⁴. დანიელ ცაიშელი ლაბსყელდაშის (სვანეთი) ტაძრის დაწერილში გვაუწყებს: „მე, ცაიშელი მთავარეპისკოპოსი დანიელი, ლაბსყელდასა მივედი. ვაკურთხე მთავარანგელოზი ლაბსყელდაშისა, დემეტრე მეფისა მეფობასა შიგა ერისთავთ-ერისთავისა დადიანისა ოზბეგისა ბრძანებითა...“⁵. დავით კაპანაძის სასისხლო სიგელი გაცემულია „მეფეთ-მეფის დიმიტრის“ მიერ, რომლის ბრძანების ერთ-ერთი დამამტკიცებელია მეფის „მეაფჳანდე დადიან-გურიელი“⁶.

სამივე წყარო უთარიღოა, რაც ართულებს მათში დასახელებული დიმიტრის ადგილის განსაზღვრას ქუთაისის მეფეთა რიგში.

ცნობილია დიმიტრი მეფის სახელით აღმოსავლეთ საქართველოში გაცემული რამდენიმე სიგელი, მათ შორის, თარიღიანიც. ესენია: 1. ნასყიდობის წიგნი ზაქარია დარიბეგაშვილისადმი ქალაქში, მეფის ზვრის თავში მდებარე სავენახე მიწის მიყიდვის შესახებ, რომელიც გაცემულია 1445 წლის 26 აგვისტოს⁷; 2. შეწირულობის განახლების სიგელი შიომღვიმის მონასტრისადმი, გაცემული 1451 წელს⁸; და 3. წყალობის წიგნი ბერძენი მიტროპოლიტის ხრისანთესადმი ზაქარია დარიბეგაშვილისეული მიწის ბოძების შესახებ⁹.

როგორც ვხედავთ, აღმოსავლეთ საქართველოში გაცემული თარიღიანი საბუთების მიხედვით, დიმიტრი მეფედ ჩანს 1445-1451 წლებში, მაგრამ ამ საბუთების რეგულაციის თემა და ადრესატები არ შეიძლება მოქცეული ყოფილიყო მისი, როგორც მეფის იურისდიქციის სფეროში. განვმარტავთ ნათქვამს: ქალაქში (თბილისში) დარიბეგაშვილისათვის მიყიდული, მოგვიანებით კი ბერძენი მიტროპოლიტისთვის ბოძებული მიწის ნაკვეთი არ შეიძლება მოქცეული ყოფილიყო დიმიტრის სამეფოს ტერიტორიულ საზღვრებში, ვინაიდან თბილისი ამ დროს ერთიანი საქართველოს მეფის ვახტანგ IV-ის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა. აშკარაა, რომ დიმიტრი აღნიშნული მიწის ნაკვეთს განკარგავს როგორც კერძო მესაკუთრე და ეს კერძო საკუთრება მისი საგანმგებლო ტერიტორიის გარეთაა.

მეფე დემეტრე, ალექსანდრე I-ის ძე, შიომღვიმის მონასტერს ყმა-მამულების შეუვალობას უმტკიცებს, რაც მიუთითებს მის მეფობაზე შიდა ქართლში, სადაც იყო განლაგებული, ძირითადად, აღნიშნული მონასტრის მამულები¹⁰.

დიმიტრი ალექსანდრეს ძის სამფლობელო ტერიტორიის შესახებ ცნობა დაცულია ჯავახიშვილების საჩივრის წიგნში (XV ს-ის ბოლო მეოთხე), სადაც ნათქვამია, რომ „ოდეს ვახტანგ მეფობა დაიჭირა, წყალს იქით მისსა ძმასა პატრონსა დემეტრეს მიანება“¹¹. ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევით, საბუთში მოხსენიებული ვახტანგ მეფე ერთიანი საქართველოს მეფე ვახტანგ IV-ია (1442-1446 წწ.), „წყალს იქით“ მდებარე ტერიტორია კი, რომელიც ახალგამეფებულმა ვახტანგმა ძმას დემეტრეს „მიანება“ ანუ სრულ განკარგულებაში გადასცა, შიდა ქართლის ნაწილია

¹ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 804.

² ივ. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, IV (თბილისი, 1967), გვ. 252-254.

³ კ. კახაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

⁴ *ქრონიკები და სხვა მასალა...*, გვ. 270.

⁵ *სვანეთის წერილობითი ძეგლები*, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ვ. სილოგავამ, I (თბილისი, 1989), გვ. 104.

⁶ ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ..., გვ. 10.

⁷ *ქრონიკები და სხვა მასალა...*, გვ. 257.

⁸ თ. ჟორდანიას, *ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძველი“ ვახტანგის ქვაბთა* (ტფილისი, 1896), გვ. 74.

⁹ *პირთა ანოტირებული დეკლარაციონი*, I..., გვ. 27.

¹⁰ ბ. ლომინაძე, *შიომღვიმე* (თბილისი, 1953), გვ. 35-36.

¹¹ ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით), *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის*, I (თბილისი, 1937), გვ. 50.

მტკვრის მარჯვენა მხარეს (გვიანდელი წყაროების „გაღმა მხარი“) და მოიცავდა თექმისა და ატენის ხეობებს¹.

ზემოთ დასახელებულ წყაროებში დასახელებული დიმიტრი (დემეტრე) მეფის გენეალოგიისა და მოღვაწეობის ქრონოლოგიის საკითხებმა დიდი ხანია მიიქცია მკვლევართა ყურადღება. ს. კაკაბაძის მოსაზრებით, კაპანაძის სასისხლო სიგელის გამცემი მეფეთ-მეფე დიმიტრი უნდა ყოფილიყო საქართველოს მეფის ალექსანდრე I-ის შვილი, რომელიც ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში 1429 წელს იხსენიება მეფედ². ს. კაკაბაძე, ამოდის რა ალექსანდრეს მიერ შვილებს შორის ქვეყნის სამეფოებად დანაწილების შესახებ ერთ დროს ფართოდ ფეხმოკიდებული კონცეფციიდან, თვლის, რომ დასავლეთ საქართველო სამეფოდ მიუღია დიმიტრი უფლისწულს, რომელიც აქ მეფობდა 1429 წლიდან გარდაცვალებამდე (1452 წ.)³.

დანიელ ცაიშელის სიგელი ლაბსყელდაშის ტაძრისადმი ე. თაყაიშვილმა, უნებლიე შეცდომით, დავით ნარინის დროს გაცემულად მიიჩნია და, შესაბამისად, ის 1258-1293 წლებით დაათარიღა⁴. პ. ინგოროყვას აზრით, საბუთში ნახსენები მეფეთ-მეფე დემეტრე ალექსანდრე I დიდის ძეა, რომლის ზეობა, რატომღაც, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ დავით ნარინის შთამომავლის, დიმიტრი ალექსანდრეს ძის ერისთავობის წლებით (1414-1455 წწ.), საბუთის გაცემა კი 1442-1452 წლებით განსაზღვრა⁵. ი. დოლიძემ სიგელი დემეტრე II თავდადებულის მეფობის წლებით 1271-1289 დაათარიღა⁶. ვ. სილოგავაც თვლის, რომ საბუთის გამცემია ალექსანდრე I დიდის ძე დიმიტრი და იზიარებს მისი მეფობის ჯ.ოდიშელის მიერ⁷ დადგენილ ქრონოლოგიას – 1445-1452 წლებს⁸. დ. ნინიძის აზრით, ზემოთ დასახელებულ დასავლურ-ქართულ და აღმოსავლურ-ქართულ წყაროებში (საბუთებსა და წარწერაში) დასახელებული მეფე დიმიტრი ერთი და იგივე პიროვნებაა და ის ალექსანდრე I-ის ძეა, რომლის ძირითად სამფლობელოს ძმის, ვახტანგ IV-ის მიერ „მინებუელი“ „გაღმა მხარი“ წარმოადგენდა და, ამავე დროს, მას გავლენა ჰქონდა დასავლეთ საქართველოს გარკვეულ ტერიტორიაზე⁹.

ზემოთ აღნიშნულ აღმოსავლურ-ქართულ და დასავლურ-ქართულ წყაროებში დასახელებული დიმიტრი მეფის ერთმანეთთან მიმართება მთლად ნათელი არ არის. მათი გაიგივება, არსებითად, სახელისა და მამის სახელის იგივეობას ემყარება. ამავე საფუძველით, დასავლურ-ქართულ წყაროებში მოხსენიებული მეფე დიმიტრი შეიძლება გავაიგივოთ დავით ნარინის შტამომავალ დიმიტრი ალექსანდრეს ძესთანაც, რომელიც, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ალექსანდრე I-მა იმერეთის ერისთავად დასვა და ამ სტატუსით გარდაიცვალა 1455 წელს¹⁰, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ ალექსანდრე I-ის გარდაცვალების შემდეგ გარკვეული დროით იმერეთის მეფობა მოეხვეჭა. დიმიტრი ალექსანდრე I-ის ძის სამფლობელო გამოკვეთილად ჩანს „გაღმა მხარი“ შიდა ქართლში, დასავლეთ საქართველოში კი მისი მეფობა ჰიპოთეტურია. ამიტომ ჩვენ დიდად ვტოვებთ სამ დასავლურ-ქართულ წყაროში (დანიელ ცაიშელის დაწერილი, ცაიშის საწინამძღვრე ჯვრის წარწერა და კაპანაძის სასისხლო სიგელი) დასახელებული უდაოდ დასავლეთ საქართველოს მეფის დიმიტრი ალექსანდრეს ძის წარმომავლობის საკითხს.

რაც შეეხება იმერეთში დიმიტრი ალექსანდრეს ძის მეფობის ქრონოლოგიას, ის უნდა განისაზღვროს 1442-1443/1444 წლებით. ამას მოწმობს შემდეგი: 1432 წლიდან (თუ უფრო ადრეული წლებიდან არა) 1442 წლამდე (ალექსანდრე I-ის ტახტიდან გადადგომამდე), როგორც ზემოთ ვნახეთ, ქუთაისის მეფეა ვახტანგ გორგასალი (მასთან ერთად გარკვეული დროით მეფობს თამარიც). 1443/1444 წლიდან 1466 წლამდე, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ქუთაისის ტახტზე ზის ბაგრატ II (1466-1478 წწ-ში ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI). ასე რომ, დიმიტრის მეფობისთვის ადგილი რჩება მხოლოდ აღნიშნულ წლებში.

1442 წელს ალექსანდრე I-ის ტახტიდან გადადგომისა და ბერად აღკვეცის შემდეგ, ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტი მისმა პირმშო ძემ, ვახტანგ IV-მ დაიკავა, რომელიც აქამდე ქუთაისის მეფედ იჯდა გორგასლის ზედწოდებით.

¹ იქვე, გვ. 11, 25; დ. გვრიტიშვილი, *ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან* (თბილისი, 1955), გვ. 121-131; დ. ნინიძე, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 134-138.

² ს. კაკაბაძე, *ისტორიული საბუთები*, III (ტფილისი, 1913), გვ. 14.

³ ს. კაკაბაძე, *სასისხლო სიგელების შესახებ...*, გვ. 12.

⁴ ე. თაყაიშვილი, *არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, დაბრუნება*, 2 (თბილისი, 1991), გვ. 458.

⁵ პ. ინგოროყვა, *სვანეთის საისტორიო ძეგლები*, II, ტექსტები (თბილისი, 1941), გვ. 28.

⁶ *ქართული სამართლის ძეგლები*, II, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ (თბილისი, 1965), გვ. 172.

⁷ ჯ. ოდიშელი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 175.

⁸ *სვანეთის წერილობითი ძეგლები...* გვ. 64.

⁹ დ. ნინიძე, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 134-138.

¹⁰ ვახუშტი ბატონიშვილი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 804-805.

ვახტანგ IV-ისა და გიორგი VIII-ის (1446-1465 წწ.) მეფობის ხანაში იმერეთში მეფის ტიტულით ჩანს ბაგრატი, რომელზეც ცნობებს გვაწვდის რამდენიმე საბუთი. ერთ-ერთი მათგანია თულასძეთა სასისხლო სიგელი, რომელიც გასცა „მეფეთ-მეფემან ბაგრატ გორგასლისაგან ბრძანებულ“-მა¹. სიგლის გამცემი მეფის ხელისუფლება დასავლეთ საქართველოზე ვრცელდება, რასაც მოწმობს როგორც სიგელის ადრესატის (თულასძის) სადაურობა (თულასძეები რაჭის აზნაურები იყვნენ), ისე საბუთში მეფის ბრძანების დამამტკიცებელთა ჩამონათვალი, სადაც ქართლის კათალიკოსის გარდა, მხოლოდ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იერარქები (გელათის მოძღვართ-მოძღვარი, მოქველი, ბედიელი, დრანდელი, ცაიშელი, ცაგარელი) და დიდებულე-ბია (დადიანი, გურიელი, ჭლაგიანი, გერგესელიანი) წარმოდგენილი².

სიგელი გაცემულია 1446 წელს, ბაგრატის მეფობის „ინდიკტიონსა ბ-სა“ (2)³. რადგანაც საბუთის გაცემის დროს ბაგრატის გამეფებიდან ორი სრული წელიწადია გასული და მიმდინარეობს მესამე, ის 1444 წელს გამეფებულა. ამ თარიღს ემორწმუნება ბაგრატ მეფის მიერ ახალბედი და გიორგი აჟვანდაძეებისადმი ბოძებული სასისხლო სიგელი, რომელიც გაცემულია 1452 წელს ბაგრატის მეფობის მეათე ინდიკტიონს⁴, ე. ი. 1452 წელს დასრულებულა ბაგრატის მეფობის სრული ცხრა წელიწადი და დაწყებულა მეათე, ხოლო ტახტზე ასულა 1443 წელს. როგორც ვხედავთ, ინდიკტიონებით ნაჩვენები თარიღები ერთი წლით სხვაობს. საკონტროლო მასალის უქონლობა შეუძლებელს ხდის გაირკვეს, თუ რომელი საბუთის შემდგენელმა დაუშვა შეცდომა ინდიკტიონის გამოანგარიშებაში. ამ სფეროში შეცდომები, ზოგადად, იშვიათი მოვლენა არ არის. რადგან ზემოთ აღნიშნულ ორ თარიღს შორის ზუსტის გამოვლენა პრაქტიკულად შეუძლებელია, ბაგრატის იმერეთში გამეფების თარიღად 1443 ან 1444 წელი უნდა მივიღოთ.

თულასძეთა სასისხლო სიგელის მიხედვით, ბაგრატის მეფობა „გორგასლისაგან ბრძანებულ“- ყოფილა. ამ ფრაზის შინაარსი ს.კაკაბაძეს და კ. კახაძეს ამგვარად ესმით: ბაგრატი გორგასლის ნებით გამეფებულა⁵.

როგორც ზემოთ ვნახეთ, დასავლეთ საქართველოში გორგასლის ზედწოდებით ცნობილი იყო უფლისწული ვახტანგი (შემდგომში თბილისის ტახტის მფლობელი ვახტანგ IV), რომელიც მამის, ალექსანდრე I-ის სიცოცხლეში მეფობდა იმერეთში.

ბაგრატის შესახებ ცნობა დაცულია ზაქარია ჯავახიშვილისა და მისი ძმების საჩივრის წიგნში (შედგენილია არაუადრეს 1563 წ-ისა) რომლის თანახმად, გიორგი VIII-ის მეფობის (1446-1465 წწ.) დროს „პატრონი ბაგრატ მეფე ქართლს ჩამოვიდა“ და თაყა ციციშვილის წინააღმდეგ გაილაშქრა. გამრეკელ ჯავახიშვილმა და მისმა შვილებმა გიორგი მეფისგან თაყა ფანასკერტელისთვის დახმარების ნებართვა ითხოვეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა თანხმობა არ მისცა. მიუხედავად ამისა, ჯავახიშვილები გიორგი მეფის ნების წინააღმდეგ („მისად უნდომად“) თაყა ციციშვილს მაინც მიეშველნენ და ბაგრატ მეფეს ციციშვილის „მამულისა ალაფი“ დააყრვენიეს⁶.

საჩივრის წიგნში ამ ამბის თარიღი მითითებული არ არის. ნ. ბერძენიშვილი, რომელიც ბაგრატ მეფის ლიხთიმერეთში გამეფების თარიღად 1453/1454 წლებს მიიჩნევდა (ამაზე ადრე ბაგრატი, მისი აზრით იმერეთის ერისთავი იყო), აღნიშნულ ფაქტს 1453/1454 წლის შემდგომ ხანაში ათავსებდა⁷.

ფიქრობთ, არის რამდენიმე გარემოება, რომელიც აღნიშნული დათარიღების გადასინჯვას მოითხოვს. ზაქარია ჯავახიშვილისა და მისი ძმების საჩივრის წიგნიდან აშკარად ჩანს, რომ გიორგი VIII თაყა ფანასკერტელის წინააღმდეგ ბაგრატის განზრახვასა და ქმედებას მხარს უჭერს და ბაგრატის შესაჩერებლად ფანასკერტელისათვის მხარდაჭერის წინააღმდეგია. თუ ამ დროს თაყა ციციშვილი გიორგი VIII-ის ვასალია, ხოლო ბაგრატი – მისი მოწინააღმდეგე, როგორც ნ. ბერძენიშვილი ფიქრობს, აუხსნელი რჩება გიორგი VIII-ის საქციელი. დაუშვათ, რომ თვითონ არ შეეძლო დაეცვა თავისი ვასალი, მაგრამ გაუგებარია, სხვებისთვის (ჯავახიშვილებისთვის) რატომ უნდა დაეშალა მისთვის დახმარების გაწევა? მართალია, უცნობი რჩება, თუ რა ანგარიში ჰქონდა გიორგი VIII-ს თაყა ფანასკერტელთან, მაგრამ აშკარაა, რომ ფანასკერტელის მიმართ გიორგი VIII-ისა და ბაგრატის დამოკიდებულება მათ შორის თანხმობისა და ინტერესთა თანხვედრის მანქანებელია. ასეთი თანხმობა წარმოუდგენელია 1453 წლის შემდგომ, როდესაც

¹ საქართველოს სიძველენი, II, გვ. 12.
² იქვე, გვ. 15.
³ იქვე.
⁴ იქვე, გვ. 44.
⁵ ს. კაკაბაძე, ვახტანგ, უცნობი XV საუკუნის..., გვ. 6; კ. კახაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 57. კ. კახაძეს თულასძეთა სიგელის გამცემი ბაგრატი მიაჩნია ვახტანგ IV-ის უფროს ძედ (იქვე), მაგრამ, როგორც ცნობილია, ვახტანგ IV-ს შვილი არ ჰყოლია.
⁶ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.
⁷ იქვე, გვ. 20-21.

გიორგი VIII-მ ბაგრატს „ქუთაისი წაართო“ და დაიწყო ხანგრძლივი და შეურიგებელი ბრძოლა მათ შორის (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

ეს გარემოება ბაგრატის გალაშქრებას თავა ციციშვილის წინააღმდეგ ათავსებს 1453 წლის წინა პერიოდში. აღნიშნული ფაქტის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი გასაგებს ხდის გიორგი VIII-ის პოზიციას თავა ფანასკერტელის მიმართ – ეს უკანასკნელი 1442-1452 წლებში დიმიტრი ალექსანდრე I-ის ძის ვასალია. დიმიტრი ალექსანდრეს ძეს ვახტანგ IV-მ თბილისის ტახტზე ასვლისთანავე (1442წ.) „წყალს იქით მიანება“. „წყალს იქით“ ტერიტორია (გვიანდელი ნომენკლატურით „გაღმა მხარი“) ფანასკერტელ-ციციშვილების მამულსაც მოიცავდა. ამ „მინებებულ“ რეგიონს დიმიტრი ალექსანდრეს ძე მეფის ტიტულით ფლობდა და ამ პროვინციის ფეოდალები, მათ შორის, თავა ფანასკერტელი მისი ყმა-ვასალი იყო¹.

ასე რომ, თავა ფანასკერტელის წინააღმდეგ ბაგრატის გალაშქრების თარიღის უკან (1453 წ-ის წინა ხანაში) გადაწევისას პასუხს ვპოულობთ იმაზეც, იყო თუ არა აღნიშნული ლაშქრობის დროს თავა ფანასკერტელი გიორგი VIII-ის ვასალი. პასუხი ცალსახაა – ამ დროს თავა ფანასკერტელი არა გიორგი VIII-ის, არამედ პროვინციის მეფის, დიმიტრის ვასალია. ეს მომენტი, თავის მხრივ, იმასაც გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული გალაშქრება ბაგრატისა და გიორგი VIII-ის შეთანხმებული ქმედება იყო მიმართული ფანასკერტელისა და მისი პატრონის დიმიტრის წინააღმდეგ.

ზემოთ ვნახეთ, რომ ჯავახიშვილების საჩივრის წიგნის განხილულ ცნობაში ბაგრატი იწოდება პატრონად და მეფედ („პატრონი ბაგრატ მეფე ქართლს ჩამოვიდა“). ვინაიდან აღნიშნული საჩივრის წიგნი იწერება მასში აღწერილი ამბებიდან საკმაოდ დროის გასვლის შემდეგ, როდესაც ბაგრატი უკვე კარგა ხნის მეფეა, ან შეიძლება გარდაცვლილიც იყო. ასეთ პირობებში აღნიშნავს, ნ. ბერძენიშვილი, შესაძლებელია საჩივრის წიგნის ავტორმა ერისთავი ან სხვა სტატუსის მქონე, ოღონდ არა მეფე ბაგრატი, მის მიერ მოგვიანებით მოპოვებული „მეფობით“ მოიხსენია. მაგრამ ეს შესაძლებლობა ნ. ბერძენიშვილმა მიუღებლად ცნო 1454 წლის შემდგომი ხანისთვის, როდესაც ბაგრატი, სხვა წყაროების მონაცემებით, უდაოდ მეფედ იწოდება². ზუსტად იგივე ვითარება იქმნება აღნიშნული ეპიზოდის ჩვენს მიერ წარმოდგენილი თარიღის შემთხვევაშიც. როგორც ვნახეთ, 1446 წლის თულასძეთა და 1452 წლის ავჯანდაძეთა სასისხლო სიგელებში ბაგრატი მეფედ იწოდება, ხოლო ჯავახიშვილების საჩივრის წიგნში ნახსენები „პატრონი ბაგრატ მეფე“ სწორედ ამ წლებს შორის მოქცეულ პერიოდში „ქართლს ჩამოვიდა“ და შეუტია თავა ფანასკერტელს. ასე, რომ ორი სასისხლო სიგელის ჩვენებას 1553/1454 წლამდე იმერეთში ბაგრატის მეფის ტიტულით გამგებლობის შესახებ მხარს უჭერს მესამე საბუთის ცნობაც. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ბაგრატი პოლიტიკური მოღვაწეობის არც ერთ ეტაპზე არ ყოფილა ერისთავი, რაც იმასაც გვიჩვენებს, რომ ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა გარკვეულ ეტაპზე ერისთავობის შესახებ სინამდვილეს არ შეეფერება.

შემდგომი ხანის მოვლენების, კერძოდ, ბაგრატისა და გიორგი VIII-ის ურთიერთობის შესახებ ცნობა დაცულია ზევდგინიძეთა საჩივრის წიგნში (XV ს. ბოლო მეოთხე), რომლის თანახმად გიორგი VIII-მ ბაგრატს „ქუთაისი წაართო“³. ეს ფაქტი ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევით, 1453 წელს მომხდარა⁴. ნ. ბერძენიშვილი ამ დრომდე ბაგრატს მიიჩნევდა რა იმერეთის ერისთავად, აღნიშნული კონფლიქტის მიზეზად ბაგრატის მიერ მეფობაზე პრეტენზიის გაცხადებას და გიორგი VIII-ის მორჩილებიდან გამოსვლას ვარაუდობდა⁵.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ბაგრატს ერისთავის სტატუსი იმერეთში პოლიტიკური მოღვაწეობის არც ერთ ეტაპზე არ ჰქონია. ის იმთავითვე, 1443/1444 წლიდან, მეფის ტიტულით მართავდა. ამიტომ 1453 წლის კონფლიქტის მიზეზი არ შეიძლებოდა მის მიერ მეფობის ტიტულის მითვისება ყოფილიყო. „ქუთაისის წართმევა“ ბაგრატისთვის მეფობის ჩამორთმევასაც ნიშნავდა. საქმის ვითარება ჩვენ ასე წარმოგვიდგება: ბაგრატი ქუთაისში მეფედ დასვა ერთიანი საქართველოს მეფემ ვახტანგ IV-მ, სახელმწიფოს პოლიტიკური მთლიანობის „მჭირავი“ თბილისის ცენტრალური ტახტისადმი ერთგულებისა და მორჩილების პირობით, რათა განეიტრალებულიყო დავით ნარინის მემკვიდრეთა პრეტენზიები და სწრაფვა ლიხთიმერეთში დამოუკიდებელი მეფობისაკენ. ბაგრატი გარკვეული დროის განმავლობაში ცენტრალურ ტახტთან თანხმობასა და მორჩილებაში განაგებდა მისთვის „მინებებულ“ ლიხთიმერეთს. მხოლოდ ასეთი თანხმობის ვითარებაში შეეძლო ვახტანგ IV-ს დალატის გამო შეპყრობილი ქართლელი თავადი ამილახორი „ლიხთიმერში“ გაეგზავნა საპატიმროდ, რაზედაც მოგვითხრობს ჯავახიშვილთა ზემოხსენებული საჩივრის წიგ-

¹ იქვე, გვ. 25; დ. ნინიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 136-137.

² ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

³ იქვე, გვ. 41.

⁴ იქვე, გვ. 14, 19.

⁵ იქვე, გვ. 15.

ნი¹. ბაგრატ ქუთაისის მეფე გიორგი VIII-ის მეფობის პირველ წლებშიც ცენტრალური ტახტის „მორჩილებასა შინა“ იყო, რასაც მოწმობს ფანასკერტელთა წინააღმდეგ მისი გალაშქრებისადმი გიორგი VIII-ის ყრუ თანხმობა (იხ. ზემოთ).

ასეთ ვითარებაში კონფლიქტი შეიძლებოდა გამოეწვია ქუთაისის მეფის გამოსვლას ცენტრალური (თბილისის) ტახტის მორჩილებიდან. გიორგი VIII-მ ურჩი პროვინციის მეფე დასაჯა და ქუთაისიდან გააძევა. მაღე 1454 წელს ბაგრატმა „ქუთაისის გაილაშქრა“, რასაც გიორგი VIII-ის საპასუხო ლაშქრობა მოჰყვა. ბრძოლაში გიორგი VIII დამარცხდა. შეტაკება მეტად სისხლისმღვრელი ყოფილა. მისი ერთ-ერთი მონაწილე მოგვითხრობს, რომ ბრძოლის ველიდან „გიორგი მეფე მე წამოვიყვანე და ოცდაოთხი შუბი და ისარი და კრძალი მესო, ისეთმან წამოვიყვანე“-ო². გამარჯვებულ ბაგრატს ტყვედ ჩავარდნია გიორგი მეფის აზნაურები, რომლებიც ამ უკანასკნელმა მოგვიანებით დიდი გაჭირვებით დაიხსნა³. ნათელია, რომ ბრძოლის შედეგის გადამწყვეტ მნიშვნელობას კარგად აცნობიერებდა ორივე მხარე – ცენტრალური ხელისუფლებაც და სეპარატისტული ძალებიც, რაც განაპირობებდა მის სისასტიკეს.

ამ გამარჯვების შემდეგ ბაგრატი დამოუკიდებელი მეფე გახდა. ამას მოწმობს „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში დაცული ცნობა: „ქორონიკონსა რმბ დაჯდა მეფედ ძე გიორგისა ბაგრატ და ძმა მეფისა ალექსანდრესი. და ჰყუანდა ცოლად დედოფალი ელენე, და ესხნეს ამათ ძენი ალექსანდრე და დავით“⁴. ამ ცნობაში გვაქვს ზოგიერთი უზუსტობა, კერძოდ, ბაგრატი იყო მეფე ალექსანდრეს არა ძმა, არამედ ძმისწული, 1454 წელს ბაგრატსა და ელენეს ჯერ კიდევ არ ჰყავდათ შვილები ალექსანდრე და დავითი. მაგრამ მითითება იმერეთში ბაგრატის მეფედ დაჯდომის შესახებ გვიჩვენებს შედეგს, რაც მოჰყვა, ამილახორთა ზემოთ მოტანილი საჩივრის წიგნის ცნობით, იმავე 1454 წ. ბაგრატსა და გიორგი VIII-ს შორის გამართულ ბრძოლას. ამიერიდან ის თავს თვლის ცენტრალურ ტახტზე მჯდომი მეფის თანასწორად და ცდილობს ხელისუფლების განმტკიცებას.

წერილობითი წყაროებით ცნობილია და, შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია გარკვეულია, რომ ბაგრატი, რომელმაც 1454 წელს ქუთაისისთვის ბრძოლაში გიორგი VIII დაამარცხა, არის შემდგომში, 1466-1478 წლებში ქართლისა და იმერეთის მეფე ბაგრატ VI⁵. მაგრამ გასარკვევია, ბაგრატი, 1443/1444-1452 წლებში ლიხთიმერის მეფე და ბაგრატი, რომელსაც 1453 წელს გიორგი VIII-მ „ქუთაისი წაართო“, ხოლო 1454 წელს ამ უკანასკნელთან ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ „დაჯდა მეფედ“ (მოგვიანებით თბილისის ტახტის მფლობელი) ერთი და იგივე ბაგრატია თუ სხვადასხვა. პირდაპირი და ცალსახა მითითება ამის შესახებ წყაროებს არ შემოუნახავთ, მაგრამ არის რამდენიმე გარემოება, რაც მათ იგივეობას ადასტურებს, სახელდობრ, თულასძეთა (1446 წ.) და ავუანდაძეთა (1452 წ.) სასისხლო სიგელებში ბაგრატის გამეფების ინდიკტიონებით ნაჩვენები თარიღების სიახლოვე (პირველის მიხედვით – 1444 წ., მეორის თანახმად – 1443 წ.), რაც ორივე სიგლის გამცემი ბაგრატის გაიგივებისკენ გვიბიძგებს. ამ ბაგრატის თანამეცხედრის ავუანდაძეთა სიგელში მითითებული სახელის დამთხვევა 1454 წელს გამეფებული ბაგრატის თანამეცხედრის „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში მითითებულ სახელთან (ელენე), აგრეთვე, ორივეგან ბაგრატ-ელენეს შვილის სახელის (ალექსანდრე) იგივეობა⁶.

ბაგრატის გენეალოგიის საკითხი წერილობით წყაროებში განსხვავებული ვერსიებითაა წარმოდგენილი. „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების ავტორის ცნობით, ბაგრატი, რომელიც 1454 წელს გამეფდა, გიორგის ძე და ალექსანდრე I დიდის ძმაა⁷. ვახუშტი ბაგრატონს ბაგრატი მიაჩნია იმერეთის მეფის დავით-ნარინის (1248-1293 წწ.) შთამომავლის – დიმიტრის ძედ, რომელიც გიორგი VIII-მ 1455 წელს დასვა იმერეთის ერისთავად⁸.

¹ იქვე, გვ. 41.

² იქვე, გვ. 42.

³ იქვე.

⁴ *ქართლის ცხოვრება*, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1959), გვ. 477.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, III, გვ. 320, 349; ნ. ბერძენიშვილი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 63; დ. ნინიძე, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 173-176.

⁶ ამ ბაგრატ მეფეს, სხვა წყაროების მიხედვით, ამ დროს (1454 წ.) არა, მაგრამ მოგვიანებით მართლაც ჰყავდა ძე ალექსანდრე, ხოლო დავითი მის შვილებს შორის სხვაგან არ ჩანს, მაგრამ ამ ცნობის ნამდვილობა არ გამოირიცხება.

⁷ *ქართლის ცხოვრება*, II, გვ. 476.

⁸ ვახუშტი ბატონიშვილი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 804.

სამეცნიერო ლიტერატურაში ბაგრატის გენეალოგიის შესახებ სხვადასხვა დროს განსხვავებული თვალსაზრისები გამოითქვა¹. დღეისათვის ჯვრის მონასტრის აღაპებისა და თვით ბაგრატ მეფის მიერ 1466 წელს გაცემული საბუთის ცნობის საფუძველზე ე. მეტრეველის მიერ გარკვეულია, რომ ბაგრატის მამა გიორგი კონსტანტინე I-ის (1407-1412 წწ.) ძე და ალექსანდრე I-ის (1412-1442 წწ.) უმცროსი ძმაა².

გიორგი VIII-ის ბრძოლას ბაგრატ იმერთა მეფის დასამხობად და ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის აღსადგენად ქუთაისთან მარცხიანი შეტაკების შემდეგაც განაგრძობდა.

გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა 1563 წელს სოფელ ჩიხორთან, სადაც ბაგრატ II-მ გაიმარჯვა³ და ტახტი შეინარჩუნა.

1465 წელს გიორგი VIII მეორე სეპარატისტული რეგიონის, სამცხე-საათაბაგოს მეთაურთან, ყვარყვარე ჯაყელთან ბრძოლაში დამარცხდა და გამარჯვებულს ტყვედ ჩაუვარდა. ამით დაუყოვნებლივ ისარგებლა ქუთაისის მეფემ ბაგრატ II-მ და თბილისის ტახტი დაიკავა (ერთიანი საქართველოს მეფეთა სათვალავით, ბაგრატ VI)⁴. ჯაყელის ტყვეობიდან გათავისუფლებული გიორგი მეფემ თბილისის ტახტის დაბრუნება ვერ შეძლო და კახეთში დამკვიდრდა მეფის ტიტულით. ბაგრატ VI-ს დაუპირისპირდა გიორგი VIII-ის ძმისწული კონსტანტინე დემეტრეს ძე, რომელიც მეფის ტიტულითაც აღიჭურვა, მაგრამ ბაგრატ VI გარდაცვალებამდე, 1478 წლამდე თბილისის ტახტზე უპირატეს მდგომარეობას ინარჩუნებდა და ქართლსა და იმერეთს ფლობდა. ის კახეთის ახალშექმნილი სამეფოს დასამორჩილებლადაც იბრძოდა, თუმცა, ამოდ⁴.

ბაგრატის მიერ თბილისის ტახტის დაუფლებით ქუთაისის სეპარატისტული ტახტი მოიშალა, მაგრამ მხოლოდ დროებით. ბაგრატ VI-ის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-იმერეთის მეფე კონსტანტინე II (1478-505 წწ.) გახდა, მაგრამ მას მალე დაუპირისპირდა ბაგრატ VI-ის ძე ალექსანდრე, რომელმაც ქუთაისის ტახტის აღდგენასა და იქ გამეფებაზე პრეტენზია განაცხადა. 1479 წელს კონსტანტინე II ჯარით შევიდა ქუთაისში, ალექსანდრე გაიქცა და „წარვიდა სიმაგრეთა შინა“, მაგრამ მოგვიანებით, სახელდობრ, 1484 წელს მან რაჭა-ლეჩხუმიდან გამოყვანილი ჯარის დახმარებით ქუთაისი დაიკავა და მეფედ ეკურთხა⁵. მალე კონსტანტინე II-მ ოდიშის ერისთავის ლიპარიტ დადიანის თანადგომით ალექსანდრე ქუთაისიდან კვლავ გააძევა და ლიხთიმერეთზე თავისი ძალაუფლება აღადგინა. ამ ფაქტს ვახუშტი ბაგრატიონი 1487 წლით ათარიღებს⁶.

ს. კაკაბაძე ვარაუდობს, რომ ეს ამბავი 1486 წელს უნდა მომხდარიყო⁷. ალექსანდრემ ქუთაისის ტახტი კიდევ ერთხელ დაიბრუნა, რაც ვახუშტისავე ცნობით, 1489 წელს მოხდა⁸. ვახუშტის მიერ მითითებული თარიღი მართებულად შეასწორა ს. კაკაბაძემ ალექსანდრე მეფის მიერ ფალავანდიშვილებისადმი ბოძებული სიგელის საფუძველზე, რომლის ცნობითაც 1488 წლის 1 ივლისს ალექსანდრე მეფე ქუთაისში ზის და სასისხლო საქმის გასარჩევად აქ სასამართლო სხდომას იწყებს⁹. საამისო ხელსაყრელი ვითარება ალექსანდრესთვის შეიძლება შეექმნა იაყუბ-ყაენის სარდლის, ხალილბეგის აღმოსავლეთ საქართველოში შემოჭრას 1487 წლის შემოდგომაზე, როდესაც მან თბილისი აიღო, ციხე კი ალყაში მოაქცია. ბრძოლა თბილისის ციხის ასაღებად და ქართლში თარეში გაგრძელდა 1489 წლის თებერვლამდე¹⁰. ალექსანდრეს

1 ს. კაკაბაძე, *ვახტანგ, უცნობი XV საუკუნის...*, გვ. 1-7; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 303-306; ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

2 ე. მეტრეველი, *მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის* (თბილისი, 1962), გვ. 170-171; ჯ. ოდიშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

3 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III..., გვ. 309.

4 ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 348; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 336; ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16-17; დ. ნინიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 168; ბ. ლომინაძე, საქართველო XV საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფოებად და სამთავროებად, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, III (თბილისი, 1979), გვ. 563-564. ბაგრატმა პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე სამჯერ შეცვალა თავისი მეფობის ინდიკტიონების ათვლის საწყისი წერტილი. 1454 წლამდე, ანუ ცენტრალური ხელისუფლების მორჩილებიდან გამოსვლამდე თავისი მეფობის ათვლას 1443/44 წლიდან იწყებდა (ასეა თულასძისა და აგვანდაძის სიგელებში), თბილისის ტახტის დაუფლებამდე (1466 წ.) – 1454 წლიდან (ასეა 1466 წ. მცხეთის საკათოლიკოსოსადმი ბოძებულ საბუთში იხ. *ქრონიკები და სხვა მასალა...*, გვ. 287), შემდგომ – თბილისის ტახტზე ასვლიდან (ასეა 1468 წ. 21 ნოემბრის სიგელში ჯავახიშვილებისადმი და 1472 წლის საბუთში (*საქართველოს სიძველენი*, II, გვ. 40-41).

5 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 355,365.

6 ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.808.

7 ს.კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ..., გვ. 26.

8 იქვე, გვ. 809.

9 იქვე, გვ. 23.

10 რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნის II ნახევარში, *ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, VII (თბილისი, 1963), გვ. 126-129.

მიერ ტახტის დაბრუნება 1487-1488 წლების მიჯნაზე უნდა მომხდარიყო. ამჯერად, კონსტანტინე II-ის გაბატონება იმერეთში ხანმოკლე ჩანს.

ს. კაკაბაძე ვარაუდობს, რომ კონსტანტინემ იმერეთში თავისი ძალაუფლების აღდგენის შემდეგ აქ მეფედ დასვა თავისი უფროსი ვაჟი დავითი. ამიტომ მკვლევარი ფიქრობდა, რომ დავით მეფე, მადნარაძეთა სიგელის გაცემი, იყო ამ კონსტანტინეს შვილი, რომელიც, ალბათ, მეფის ტიტულით იმერეთის მმართველად ყოფილა გამოცხადებული¹. ეს მოსაზრება, მართალია, მხოლოდ მადნარაძეთა სიგელს ემყარება, მაგრამ მას ამაგრებს, ერთი მხრივ, ალექსანდრე II იმერთა მეფის მიერ გაცემული ფალავანდიშვილების სასისხლო საქმის გარდაწყვედილობის წიგნისა (1488 წ.) და თოფურიძეების სასისხლო სიგელში (1484-1487 წწ.)² მოწმეებად დასახელებული პირების – XV საუკუნის 80-იანი წლების იმერეთის სამეფო კარის ვაზირ-მოხელეების და, მეორე მხრივ, დავით მეფის მიერ გაცემულ მადნარაძეთა სიგელში დასახელებული ვაზირ-მოხელეების პერსონალური შემადგენლობის იდენტურობა³. ამრიგად, დავითის იმერეთში მეფობა 1486-1487 წლებით შეიძლება შემოიფარგლოს.

1491 წლის 20 აგვისტოს კონსტანტინე II სიგელს აძლევს მთის წმ. გიორგის ეკლესიას ულაყის ამოკვეთის შესახებ⁴, რაც მოწმობას იმას, რომ მას კვლავ აღუდგენია იმერეთში თავისი ძალაუფლება.

ალექსანდრემ იმერეთის ტახტზე მეფობა მხოლოდ XV საუკუნის 90-იან წლებში განიმტკიცა. იგი გარდაიცვალა 1510 წელს. ალექსანდრე II-ის შემდგომ მისი ტახტი დაიკავა ბაგრატ III, რომელიც 1565 წლამდე მეფობდა⁵.

განსახილველ პერიოდში ქუთაისის მეფეთა ქრონოლოგია და გენეალოგია ასე წარმოგვიდგება:

- დავით ნარინი – 1248-1293 წწ.
- კონსტანტინე, დავით ნარინის ძე – 1293-1336 წწ.
- მიქაელ, დავით ნარინის ძე და ბაგრატ I, მიქაელის ძე – 1330-1340-იანი წწ-ის მიჯნა.
- ალექსანდრე I, ბაგრატ I-ის ძე – 1387-1392 წწ.
- გიორგი I, ბაგრატ I-ის ძე – 1392 წ.
- კონსტანტინე, დიმიტრის ძე – 1396-1401 წწ.
- ვახტანგ გორგასალი, ალექსანდრეს I დიდის ძე – 1429-1442 წწ. (ერთიანი საქართველოს მეფე ვახტანგ IV 1442-1446 წწ.).
- დიმიტრი ალექსანდრეს ძე – 1442-1443/1444 წწ.
- ბაგრატ II, გიორგის ძე – 1443/1444-1466 წწ. (ერთიანი საქართველოს მეფე ბაგრატ VI (1466-1478 წწ.)).
- ალექსანდრე II, ბაგრატ II-ის ძე – 1484-1487, 1488-1510 წწ.
- დავით, კონსტანტინე II-ის ძე – 1487-1488 წწ.
- ბაგრატ III, ალექსანდრე II-ის ძე – 1510-1565 წწ.

ქუთაისის მეფეთა განსაგებელი

დავით ნარინისა და მისი მემკვიდრეების – კონსტანტინესა და მიქაელის გამგებლობის ხანაში ქუთაისის ტახტის იურისდიქციის გავრცელების არეალი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიით შემოიფარგლა. ამ პოლიტიკური ერთეულის საზღვრები ჩრდილოეთით, ჩრდილო-დასავლეთითა და დასავლეთით საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის ხანაში არსებულ საზღვრებს ემთხვეოდა (კავკასიონის მთავარი ქედი, ნიკოფსია, შავი ზღვა). საზღვარი აღმოსავლეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით ანუ მიჯნა თბილისის ტახტის კონტროლირებად ტერიტორიასთან ლიხის ქედს მიჰყვებოდა, რომელიც ბუნებრივი მიჯნაა, ერთი მხრივ, დასავლეთ საქართველოსა და, მეორე მხრივ, ქართლ-სამცხე-აჭარას შორის. ლიხის ქედის აღმოსავლეთით მის ძირობაზე დავით ნარინის სამეფოს ფარგლებში ჩანს მოქცეული დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ ძირითად გზაზე მდებარე საბაჟო ციხე-ქალაქი ალი. ამაზე მიუთითებს „ხელმწიფის კარის გარიგების“ ცნობა, რომლის თანახმად,

¹ ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, გვ. 22.

² საქართველოს სიძველენი, II, გვ. 38.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 20-22.

⁴ ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, გვ. 25.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 213, 262.

დავით-ნარინი აქ (აღშ) ორჯერ შეხვდა თავის შვილს, თბილისის ტახტის მფლობელს ვახტანგ II-ს¹. უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთით დავით ნარინისა და მისი მემკვიდრეების სამფლობელოს გაფართოებას მონღოლები, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოში მყარად გრძნობდნენ თავს, არ დაუშვებდნენ. ასე რომ, აღნიშნული მეფეების ხანაში იმერეთის სამეფოს საზღვარი აღმოსავლეთით, ძირითადად, ლიხის ქედს გასდევდა. სამხრეთ-დასავლეთით, ზღვისსანაპიროზე, მაკრიალსაც მოიცავდა.

როგორც ითქვა, გიორგი ბრწყინვალემ (1318-1346 წწ.) ქუთაისის სამეფო ტახტი გააუქმა და ლიხთიმერის მეფეთა საგამგებლო თბილისის ტახტს დაუქვემდებარა. 1387 წელს აღდგენილი ქუთაისის სამეფო ტახტის (ალექსანდრე I, გიორგი I, კონსტანტინე II) სამფლობელოს საზღვრები იმეორებდა თუ არა დავით ნარინისა და მისი ძეგბის (კონსტანტინე I, მიქაელი) დროს ჩამოყალიბებულ კონფიგურაციას, ცნობების უქონლობის გამო, გაურკვეველი რჩება.

ქუთაისის სამეფო ტახტის სამფლობელო ტერიტორიის მოცულობის შესახებ ხელშესახები და კონკრეტული ხასიათის ცნობები XV საუკუნის 30-იანი წლებიდან – ვახტანგ გორგასლის მეფობის ხანიდან გაგვაჩნია. ამ დროს აშკარად იკვეთება ქუთაისის ტახტის იურისდიქციის გაფართოების ტენდენცია შიდა ქართლის მიმართულებით. ქუთაისის მეფის ვახტანგ გორგასლის ერთ-ერთ ზემოთ ხსენებულ საბუთში, სახელდობრ, კოტრიძეთა და ჭარელიძეთა სასისხლო საქმის გარდაწყვეტილობის სიგელში აღნიშნული მეფის ვასალ-ქვეშევრდომთა შორის, რომელთა უმრავლესობა ლიხთიმერის დიდებულებია, დასახელებულია „ქართლის ერისთავი ქვენიფეველი“². საყურადღებოა, გვიანდელი საბუთებიც. 1565 წელს რობამ ფავენელიშვილის მიერ ნიქოზის ეკლესიისთვის მიცემული შეწირულობის წიგნში აღნიშნულია, რომ მეფე ვახტანგ გორგასალს ნიქოზის ტაძრისთვის შეწირავს ზემო ნიქოზი³. იკორთის ძლისპირის მინაწერ საბუთში ვკითხულობთ: „ქ. იკორთის მთავარანგელოზს შევსწირე მეფემ გორგასალმან სულისა ჩემისა სამეოხოდ, რათა მსახურონ წმინდასა შენსა ეკლესიასა: იკორთა, ფლავი, ქვეში, ფლავისმანი. მხილველნო წმიდისა ამის ეკლესიისანო, შენდობა ითხოვეთ ჩემ[თვის]“ (საბუთი ძველი დედნიდან გადმოწერილია XVIII ს-ში)⁴. ვახტანგ გორგასლის მიერ ზემოთ დასახელებული სოფლები შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილში, მტკვრის მარცხენა მხარეს მდებარეობს.

ლიხთიმერის მეფე ბაგრატ II-მ 1457 წელს მცხეთის საკათალიკოსო საყდრის ყმა-აზნაურს მამისთვალა ელიოზისძე-სეფიშვილს განუახლა სასისხლო სიგელი⁵. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ელიოზისძე-სეფიშვილები ცხინვალისა და მის მიმდებარე სოფელ დღვრისში ფლობდნენ მამულებს, ცხადი ხდება, რომ აღნიშნული სიგელის გაცემის დროსაც ქუთაისის მეფეს შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილზე ხელი მიუწვდებოდა. ამასვე ადასტურებს ბაგრატ II-ის მიერ მთის წმ. გიორგის მონასტრისათვის (რაჭაში) მიცემული შეწირულობის უთარილო სიგელი⁶ რომლის ცნობებით, მისი ხელისუფლება შიდა ქართლის ციხე-ქალაქ სურამზე ვრცელდებოდა⁷.

ბაგრატ II-მ ქუთაისის ტახტზე ასვლის ახლო ხანებშივე, როგორც ჯავახიშვილების (XV ს-ის 60-70-იანი წწ.) საჩივრის წიგნი გვაუწყებს, „{თაყა} ციციშვილს ლაშქარი გაუძახა“, თავს დაესხა სამწვერისს და აილაფა იქაურობა, მაგრამ თაყა ციციშვილს ჯავახიშვილები მიეშველნენ და ბაგრატ მეფეს ციციშვილების ალაფი დააყრევინეს⁸. იმერთა მეფის მცდელობა მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე საციციანოზე თავისი სუვერენიტეტის გავრცელებისა მარცხით დამთავრდა, მაგრამ მოგვიანებით, ქუთაისის მეფეები ამ განზრახვას სისრულეში მოიყვანენ.

ალექსანდრე II-ის მიერ 1484-1486 წლებში გაცემულ თოფურიძეთა სასისხლო სიგელში, ლიხთიმერეთის დიდებულებთან ერთად მოწმედ დასახელებულია დავით ციციშვილი⁹. ციციშვილების სათაგადო, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, მდებარეობდა შიდა ქართლში მტკვრის მარჯვენა მხარეს, ქუთაისისა და თბილისის სამეფო ტახტებისა და ჯაყელთა სამფლობელოების საზღვრების შესაყარზე და მოიცავდა ძამის ხეობის სოფლებს: ხვედურეთს,

¹ ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 90; ი. ანთელავა, XI-XIV საუკუნეების ქართული ისტორიული წყაროები (თბილისი, 1988), გვ. 83.

² ს. კაკაბაძე, ვახტანგ, უცნობი XV საუკუნის, გვ. 10; გ. არახამია, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

³ პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I., გვ. 294.

⁴ ს. კაკაბაძე, ქრონიკა იკორთის №6 ჯამ-გულანისა (ტფილისი, 1912), გვ. 19-20.

⁵ ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, გვ. 17-19.

⁶ სიგელს ს.კაკაბაძე 1455-1467 წლებით ათარიღებს (ს. კაკაბაძე, განჩინება მთის ყმათა სისხლის შესახებ..., გვ. 252), ნ. ჟღენტი 1465-1467 წლებით (ნ. ჟღენტი, მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი გაცემული XV საუკუნის საბუთის თარიღის დაზუსტებისთვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, XII (თბილისი, 2010), გვ. 152). ჩემი აზრით, საბუთი გაცემულია ბაგრატის იმერეთში მეფობის პერიოდში, არაუგვიანეს 1466 წლისა.

⁷ ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, გვ. 249.

⁸ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

⁹ საქართველოს სიძველენი, II, გვ. 38.

ორბოძალს, ყინწვისს, კეხიჯვარს, სხვილოსს, სამწვერისს (აწინდელი ხაშურისა და ქარელის რაიონების სოფლებს)¹. ციციშვილების სათავადოზე სუვერენიტეტის გასაავრცელებლად ჯერ კიდევ ოთხი ათეული წლის წინ ბაგრატ II-ის მიერ დაწყობული ბრძოლა ალექსანდრე II-ის მეფობის პირველ წლებში წარმატებით დამთავრებულა. ამასვე ადასტურებს ქუთაისის ტახტზე დავით კონსტანტინეს ძის ხანმოკლე მეფობის (1487-1488 წწ.) დროს მაღნარაძეებისათვის ბოძებული სასისხლო სიგელი, სადაც მეფის ბრძანების მოწმე და დამამტკიცებელ ლიხთიმერის დიდებულებთან ერთად დასახელებულნი არიან „ქართლის ამირეჯიბი [და] ციციშვილი დავით“². მიუხედავად იმისა, რომ დავით მეფე ქუთაისის ტახტზე მამის, თბილისის ცენტრალური ტახტის მფლობელის კონსტანტინე II-ის ნებით იყო გამეფებული, ქუთაისის ტახტის სამფლობელო უცვლელი დარჩა. დამამტკიცებელთა შორის მოხსენიებული „ქართლის ამირეჯიბი“ გულისხმობს გაბელიძე-ამირეჯიბთა ცნობილი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელს. მათი მამულები განლაგებული იყო, როგორც ლიხთიმერეთში, ისე შიდა ქართლში, ლიხის ქედის მიმდებარედ. ამ უკანასკნელ რეგიონში გაბელიძე-ამირეჯიბები ყმა-მამულებს ფლობდნენ სოფლებში: წაღველში, ალში, ბროლოსანში, აძვისში, ნაბახტევში, უწლევიში, სტოცაში, დუმაცხოში, ფლევიში (აწინდელი ხაშურის რაიონი), ღოღეთში, აბანოში, ატოცში, ფრცაში, ზემო ბრეძაში, სალოლაშენში (აწინდელი ქარელის რაიონში), ახალდაბაში (აწინდელი გორის რაიონი), ქალეთში, აგრეთვე, ოქონას მონასტერს (ცხინვალისა და ყორნისის რაიონი)³. გაბელიძე-ამირეჯიბთა სათავადო სენიორია რომ ამ დროს ქუთაისის ტახტის ყმა-ვასალია, ამაზე მიგვითითებს გაბელიძეებისა და ფალავანდიშვილების სასისხლო საქმის შესახებ მეფის სასამართლო განაჩენი, რომელიც დათარიღებულია 1488 წლის 1 ივლისით. საქმე ეხებოდა იმას, რომ აბულახსარ გაბელიძეს⁴ მოუკლავს სიაოშ ფალავანდიშვილის მამა. მკვლელი და მისი ორი ბიძა საქართველოდან გაიქცა⁵, ამიტომ ფალავანდიშვილებისათვის სისხლის დაურეგება აღუსრულებელი რჩებოდა. საქართველოში დარჩენილმა რამინ გაბელიძემ, მკვლელის ძმამ, როგორც სისხლის დაურეგებისთვის პასუხისმგებელმა ახლო ნათესავმა, გადაწყვიტა თავისი წილი სისხლის საზღაური გადაეხადა ფალავანდიშვილებისათვის და ამით პირადად რამინ გაბელიძესა და ფალავანდიშვილებს შორის დავა დამთავრებულიყო. მეფე ალექსანდრე II-ისა და მისი კარისკაცების შუამდგომლობითა და მოწმობით რამინ გაბელიძემ ფალავანდიშვილებს სისხლი საზღაურად გადასცა „ოქონა მონასტერი და სოფელი სხვითა ეკლესიებითა, გლეხებითა“, რაც ქუთაისის მეფემ დაამტკიცა⁶. სიგელში საუბარია ყორნისთან ახლოს მდებარე სოფელ ოქონასა⁷ და მის მონასტერზე⁸.

აქამდე ფალავანდიშვილები ზემო იმერეთში მკვიდრობდნენ. 1401 წლით დათარიღებული სიგელის მიხედვით, გიორგი VII-მ (1393-1407 წწ.) ფალავანდიშვილებს უბოძა სოფლები ჩიხა და დუნთა (დღევანდელ საჩხერის რაიონში)⁹. გაბელიძეთა სასისხლო საქმის განხილვა და საბუთის დამტკიცება ქუთაისის მეფის მიერ კიდევ ერთხელ ადასტურებს გაბელიძეთა ვასალურ დამოკიდებულებას ლიხთიმერის მეფის მიმართ და, შესაბამისად, ამ უკანასკნელის ხელისუფლების გავრცელებას შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილზე. ამასვე ეხმიანება გაბელიძე-ამირეჯიბთა გაერთიანებული სიგელი, რომლის თანახმად, ფალავანდიშვილის მკვლელობის გამო ალექსანდრე მეფემ გაბელიძე-ამირეჯიბებს სოფელ ალის შემოსავალი დაუყადაღა („შეხუთა ალი“)¹⁰. ალექსანდრე II-ის მეფობის მთელ მანძილზე ვითარება უცვლელი რჩება: მის მიერ გაცემულ საბუთებში, სახელდობრ, ფონჯავიძეთა (1497 წ.) და მადლაქუელიძეთა (1504 წ.) სასისხლო სიგელებში მოწმე-დამამტკიცებელთა შორის დასახელებულნი არიან: პირველში –

¹ დ. გერიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 122-129.

² ს.კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, გვ. 21.

³ გ. ოთხმეზური, შეწირულობის წიგნი ქუცნა ამირეჯიბისა ულუმბოს ღვთისმშობლისადმი, *თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია*, 321 (თბილისი, 1996), გვ. 197-206; ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, გვ. 23-24.

⁴ საბუთში ამ გაბელიძის სახელი არ ჩანს. ის მეფე გიორგი VIII-ის 1451 წლის სიგელის საფუძველზე დაადგინა გ. ოთხმეზურმა (გ. ოთხმეზური, წყალობის განახლების სიგელი გიორგი VIII-ისა გაბელიძე-ამირეჯიბისადმი, *ახალელები*, 3 (თბილისი, 2008), გვ. 556-557).

⁵ გ. ოთხმეზური, წყალობის განახლების სიგელი, გვ. 557-558.

⁶ ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, გვ.23.

⁷ სოფელი და ტაძარი ოქონის სახელწოდებით ცნობილია, აგრეთვე, გორთან და ლიხთიმერეთში.

⁸ გ. ოთხმეზური, XV-XVI სს. ქართული წყაროების ცნობები ფალავანდიშვილთა სათავადოზე, *თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია*, 328 (თბილისი, 1999), გვ. 22.

⁹ იქვე, გვ. 29.

¹⁰ გ. ოთხმეზური, შეწირულობის წიგნი ქუცნა..., გვ. 199.

„ამირეჯიბი ხაზინადარი რამინი“ (გაბელიძე-ამირეჯიბთა საგვარეულოს წარმომადგენელი), ხოლო მეორეში – „ქართლის ერისთავები“¹.

ალექსანდრე II იმერთა მეფემ შიდა ქართლში პოზიციების განსამტკიცებლად და სამფლობელოს გაფართოების მიზნით, 1508 წლის აგვისტოში შიდა ქართლზე გაილაშქრა და გორი აიღო. ალექსანდრე მეფე ჯერ კიდევ შიდა ქართლის ამბებით იყო დაკავებული, როდესაც იმავე წლის ნოემბერში ოსმალები იმერეთში შემოიჭრნენ, გადაწვეს ქუთაისი და გელათი², რითაც ისარგებლა ქართლის მეფემ დავით X-მ და გორი დაიბრუნა³, მაგრამ შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი გორი-ცხინვალის ხაზის დასავლეთით, მდ. მტკვრის მარცხენა მხარე და საციციანო (ციციშვილების სათავადო) მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს („გალმა მხარში“) ამის შემდგომაც ქუთაისის მეფეთა მფლობელობაში რჩებოდა. ეს კარგად ჩანს იმერთა მეფის, ბაგრატ III-ის (1510-1565 წწ.) მეფობის პირველი წლების სინამდვილიდან. 1511 წელს ბაგრატ III-მ ზაქარია, ციცი და თაყა ფანასკერტელ-ციციშვილებს უწყალობა ყმა-მამულები სოფლებში რუისსა და ტინისკიდეში⁴. ციციშვილებს ბაგრატ III „ჩუენზედან დიდად ვაღებულ, თავადთა შიგან საჩინოს“ უწოდებს და იქვე მიმართავს მათ შემდეგი სიტყვებით: „ობლობაშიგან დიდი ვალი დაგვადევით და მოგვემარენით. აწე თქუენთვის ვალის სამსახურის სამუქფოდ ესე ოდენ მამულნი მოგახსენეთ“⁵. ყოველივე ეს კარგად უჩვენებს, რომ ბაგრატ III იმერთა მეფეც თავის წინამორბედთა მსგავსად, ფლობს შიდა ქართლს ზემოთ აღნიშნულ ხაზამდე (რუისი და ტინისკიდე ამ ხაზთან ახლოს, მის დასავლეთითაა) და თავადი ციციშვილებიც მისი ვასალები არიან. ეს გარემოება, თავის მხრივ, ნიშანდობლივად ეხმიანება ზემოთ დასახელებულ თოფურისძეთა და მალნარაძეთა სიგელების ცნობებს დავით ციციშვილის იმერთა მეფის ალექსანდრე II-ის ყმა-ვასალობის შესახებ⁶. 1526 წელს ბაგრატ იმერთა მეფე და დავით X ქართლის მეფე შეთანხმდნენ სამფლობელოთა გამიჯვნაზე: „ქორონიკონსა სიდ მოსცეს ბაგრატს ქართლი არადეთის წყალს გადმოღმა, ალი, სურამი და ახალდაბა“⁷.

ბაგრატ III-მ მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი სამფლობელო სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ირან-ოსმალეთის 1514 წლიდან მიმდინარე ომი განახლდა 1534 წელს, როდესაც ირანის წინააღმდეგ შეტევაზე გადასული ოსმალეთი სამცხე-საათაბაგოსაც დაემუქრა. სამცხის ათაბაგს ყვარყვარე III-ს (1516-1535 წწ.) შინააშლილობის გამო არ შეეძლო გამკლავებოდა მოსალოდნელ საფრთხეს. ბაგრატ III-მ დაასწრო ოსმალეთს, 1535 წელს საათაბაგოში ილაშქრა, ახალქალაქთან (სოფ. მურჯახეთი) ბრძოლაში ყვარყვარე ათაბაგი დაამარცხა და ტყვედ წაიყვანა, საათაბაგოს დიდი ნაწილი (ჭოროხის ხეობის მხარეები) დაიკავა, მეორე ნაწილი, კერძოდ, ჯავახეთი ქართლის მეფეს ლარსაბ პირველს (1527-1556 წწ.) დაუთმო. ბაგრატ მეფე დაუყოვნებლივ შეუდგა შემოერთებული მიწა-წყლის სამხრეთ საზღვრებზე ციხეების გამაგრებას. ამ და სხვა ზომებით, მან შეძლო საათაბაგოს აღნიშნული ნაწილის შენარჩუნება ათი წლის განმავლობაში. 1545 წელს ბასიანში, სოხოისტას ველზე გამართულ ბრძოლაში ბაგრატ III და ლუარსაბ I დამარცხდნენ ოსმალეთთან ბრძოლაში და ბაგრატ იმერთა მეფის მფლობელობას მესხეთში ბოლო მოეღო⁸.

1526 წელს თბილისისა და ქუთაისის ტახტებს შორის შიდა ქართლში გავლებული მიჯნა ძალაში დარჩა 1555 წლამდე, როდესაც ირან-ოსმალეთს შორის დადებული ამასიის ზავით ორმა

¹ ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ..., გვ. 67; კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საისტორიო საბუთების Qd კოლექცია, საბუთი №7877.

² ქართლის ცხოვრება, II, გვ. 487; ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ (თბილისი, 1980), გვ. 40; გ. ალასანია, სელიმ I და საქართველო, საისტორიო კრებული (თბილისი, 2007), გვ. 147-148. თარიღის სიზუსტისათვის იხ. იქვე, გვ. 138-149. ალექსანდრე II-ის მიერ გორის აღებისა და იმერეთში ოსმალთა შემოსევის შესახებ თარიღები წყაროებში განსხვავებულია. ქრონიკალური ჩანაწერები, გარდა 1508 წლისა, 1509, 1510 და 1512 წლებს უჩვენებენ (იხ. მცირე ქრონიკები (კინკოსების ისტორიული მინაწერები), ტექსტები გამოსცა და შესავალი წერილი დაურთო ჯ. ოდიშელმა (თბილისი, 1968), გვ. 37, 55, 68, 74). ვახუშტი ბაგრატიონი გორის აღებას 1509 წლით, ხოლო ოსმალთა („ნიხთა“) შემოსევას იმერეთში 1510 წლით ათარიღებს (ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 809); ივ. ჯავახიშვილი აღნიშნული ფაქტების თარიღად 1509 ან 1510 წელს მიიხსენივს (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 209-212), მ. სვანიძე ჯერ – 1510 წელს (მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.) (თბილისი, 1971), გვ. 44), ხოლო შემდგომ – 1509 წელს (მ. სვანიძე, უფლისწულ სელიმის დაშქრობები საქართველოში, პერსპექტივა, 8 (თბილისი, 2006), გვ. 105-110).

³ ვ. გუჩუა, ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის და აგრესორთაწინააღმდეგ XVI ს. I ნახევარში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV (თბილისი, 1973), გვ. 94.

⁴ ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, გვ. 30-31.

⁵ იქვე.

⁶ იქვე, გვ. 29.

⁷ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 493; ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა)..., გვ. 41.

⁸ ვ. გუჩუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 56-57.

ავრესორმა საქართველო (და კავკასიის სხვა ქვეყნები) გაინაწილეს: ქუთაისის სამეფო შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილითურთ და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი წილად ხვდა ოსმალეთს, სამცხე საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი, თბილისის ტახტის სამფლობელო და კახეთის სამეფო ირანს¹, რამაც ამიერიდან საზღვარი გაავლო არა მხოლოდ ქუთაისისა და თბილისის სამეფოებს შორის, არამედ ორ იმპერიას შორისაც². ამ განაწილებამ ძირფესვიანად შეცვალა განცალკევებულ ქართულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის ბრძოლა-დაპირისპირებისა და თანხმობა-თანამშრომლობის აქამდე მიმდინარე პროცესის ხასიათი.

ქუთაისის მეფეთა მფლობელობის ხასიათი და მისი ევოლუცია

აღნიშნულ მეფეთა მფლობელობის ხასიათში ვგულისხმობთ სუვერენიტეტის გავრცელების დონეს გეოგრაფიულ სივრცესა და სოციალურ ვერტიკალში. კონკრეტული ფაქტები გვიჩვენებენ, რომ აღნიშნული დონე ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ცვალებადი იყო, რაც, არსებითად, ამა თუ იმ მეფის ხელისუფლების წარმოშობის წინაპირობებით იყო განსაზღვრული. ევოლუციური ვასალიტეტის პირობებში, რომლის იერარქიული კიბის უმაღლეს საფეხურზე მონარქი დგას, ერთმეფობის წილში მეორე მეფის ხელისუფლების დამყარება ერთიანი მონარქიის გარკვეულ ნაწილში, შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მეფობას აღიარებს და მას პატრონად ცნობს მიწათმფლობელ და მოლაშქრე-მეომარ ვასალთა კონტიგენტი. ეს კი მიიღწევა როგორც მშვიდობიანი (მოლაპარაკება-შეთანხმების) გზით, ისე ძალდომრვობით (ან ორივე საშუალების კომბინაციით). გარკვეულ მნიშვნელობას იძენს ფსიქოლოგიური მომენტიც, კერძოდ, პრეტენდენტის მემკვიდრეობითი მიმართება სამეფო ტახტთან, მოქმედი კანონიერი მონარქის დამოკიდებულება მისი პრეროგატივების თანამოზიარის მიმართ და ა.შ. ქუთაისის სამეფო ტახტი 1248 წელს, როგორც ითქვა, შემთხვევით წარმოიშვა. დავით ნარინი, რომელიც ჯერ კიდევ 1230 წელს დედის, რუსუდანის თანამოსაყდრედ ნაკურთხი იყო და ორდინალურ ვითარებაში მეფე უნდა გამხდარიყო, მონღოლთა ყაენმა, მიანიჭა რა უპირატესობა დავით ლაშას ძეს, ტახტს ჩამოაშორა და მეფობის რიგში ჩააყენა. ასეთი „უპატიოდ ყოფნა“, ცხადია, დავით ნარინის უკმაყოფილებას იწვევდა, მაგრამ ამას მეორე ტახტის გაჩენა და ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობის ხელყოფა არ გამოუწვევია – დავით ნარინი ასე თუ ისე ბედს ურიგდებოდა. ვითარება იცვლება მას შემდეგ, რაც, მონღოლებთან კონფლიქტის გამო, დავით ნარინი დასავლეთ საქართველოში გადავიდა, სადაც მან თავი მეფედ გამოაცხადა და ქუთაისში მეორე სამეფო ტახტი შექმნა. თავისთავად იგულისხმება, რომ დასავლეთ საქართველოში იძულებით და მცირერიცხოვანი ამალით გახიზნულ დავით ნარინს ძალა არ შესწევდა იარაღით დაემორჩილებინა, კანონიერი მეფის დავით ლაშას ძის ვასალობიდან თავის ვასალებად და მოხელეებად ექცია ლიხთიმერეთის დიდებულ-აზნაურები და ერისთავები. ძნელია, არ ვენდოთ „ასწლოვანი მატიანის“ ავტორს, რომლის მიხედვით, ლიხთიმერეთის დიდებულებმა და ერისთავებმა ერთსულვნად „მეფე ჰყვეს დავით რუსუდანის ძე აფხაზთა, ვიდრე ლიხთამდე“³. არც დავით ლაშაც ძის მხრიდან ჩანს წინააღმდეგობა, ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ წყაროებს ცნობა არ შემოუნახავს. დავით ნარინის მშვიდობიანად, ერთიანი სამეფო ტახტის ვასალებთან და მოხელეებთან მოლაპარაკება-შეთანხმების გზით, გამეფებამ განაპირობა მისი სრული სუვერენიტეტის დამყარება ლიხთიმერეთში. აქ გვერდს ვერ ავუვლით „ასწლოვანი მატიანის“ ავტორის თვალსაზრისს დავით ნარინსა და დავით ლაშას ძეს შორის ქვეყნის გაყოფის ერთობ უცნაური ფორმის შესახებ. ჟამთააღმწერელი ირწმუნება, რომ დავით ნარინის ქუთაისში მეფედ დაჯდომას მაშინათვე არ მოჰყოლია ორ მეფეს შორის საბრძანებლის გამიჯვნა, გარკვეული დროის განმავლობაში, მემატინის სიტყვებით ლიხთიმერეთში გადასასვლელად გამზადებულ დავით ლაშას ძეს სარგის ჯაყელი მიმართავს, რომ „სწორად ორთავე არს სამეფო, იგი და ესეცა“⁴. მოგვიანებით (1259 წ.), როდესაც მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებაში დამარცხებულმა დავით ლაშას ძემ ლიხთიმერეთს შეაფარა თავი, ქუთაისში საქართველოს ორი მეფე ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდა. როგორც კი სიუხერენის არჩევანში ალტერნატივა გაჩნდა, დასავლეთ საქართველოს დიდებულები ორად გაიყვნენ – ერთმა ნაწილმა დავით ლაშას ძის გამეფება მოინდომა, მეორემ დავით ნარინის მხარე დაიჭირა, რამაც იმერეთში „აშლილობა და შფოთნი მრავალნი“ გამოიწვია. ასეთ ვითარებაში, ჟამთააღმწერლის ცნობით, „დაამტკიცეს რათა განყონ

¹ იქვე, გვ. 61. მ. სურგულაძე, ეპიზოდები XVI საუკუნის საქართველოს შიდა პოლიტიკური ცხოვრებიდან. ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, *მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, 23 (თბილისი, 2010).
² მ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.
³ *ქართლის ცხოვრება*, რ. მეტრეველის რედაქციით, გვ. 575.
⁴ იქვე, გვ. 587.

სამეფო და საჭურჭლე ორად, და აჩინეს თავადნი სამეფოსანი, და განყვეს ორად, ტფილისი ორად, ქუთაისი ორად, და თავადნი და ერისთავნი ურთიერთ შეასწორეს, ნიკოფსიით დარუბან-დამდე, და განყვეს სამეფო საჭურჭლენი... და აქათგან იქმნა ანყოფა სამეფოსა, და მიერთგან შეიქმნა ორ სამეფოდ¹. მემეტციანის მიხედვით, გამოდის, რომ დავით ნარინის სამეფო ტერიტორიულად მკვეთრი ფარგლებით შემოსაზღვრული არ ყოფილა. ორ მეფეს შორის ქვეყნის მიწა-წყალი მისი ქალაქებით, დიდებულ-ერისთავებით ისე გაიყო რომ ქუთაისში მეფედ მჯდომ დავით ნარინს თბილისის ნახევარი ეკუთვნოდა, ისევე როგორც თბილისის ტახტის მფლობელ დავით ლაშას ძეს ქუთაისის ნახევარი, ანალოგიურად განაწილდნენ ვასალებიც – ლიხთიმერეთის დიდებულ-ერისთავთა ნაწილი დავით ლაშას ძეს ერგო, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს დიდებულ-ერისთავთა ნაწილი დავით ნარინს.

ჟამთააღმწერლის მიერ წარმოდგენილი სურათი შორსაა რეალობისგან. მემეტციანე ცდილობს ერთიანი ქვეყნის ორ სამეფოდ გაყოფა, რაც, უწინარეს ყოვლისა, ტერიტორიების გამიჯვნას ნიშნავდა, ისე წარმოაჩინოს, თითქოს აქამდე ერთიანი ქვეყანა ცალკეულ ნაწილებად კი არ გაიხლინა, არამედ ორმა მეფემ ქვეყნის მთელი ტერიტორია (იმიერიც და ამიერიც) მასზე განსახლებული ვასალებით თანაბრად გაინაწილეს.

რეალობა ისაა, რომ დავით ნარინი ქუთაისში გამეფების დროიდან ლიხთიმერეთს სრულად აკონტროლებდა და თბილისის ტახტის მფლობელებს ამ ტერიტორიაზე ხელი არ მიუწვდებოდათ. ამ თვალსაზრისით, სხვათა შორის, ყურადსაღებია ის გარემოება, დავით ნარინის სიცოცხლეში გარდაცვლილი თბილისის ტახტის მეფეები დავით ლაშას ძე და დემეტრე II თავდადებული დასაფლავდნენ მცხეთაში და არა გელათში – ერთიანობის ხანის (დავით IV აღმაშენებლის დროიდან) საქართველოს მეფეთა საძვალეში (თბილისის ტახტის მეფეთა მცხეთაში დაკრძალვის ტრადიცია ამ დროიდან იღებს სათავეს).

დავით ნარინის ქუთაისში გამეფებამ მეფობის ლეგიტიმაცია შეუქმნა მის მემკვიდრეებს: მეფის შვილზე მამის ტახტის გადასვლა, ფეოდალური საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ქვაკუთხედის – მემკვიდრეობის წესის მიხედვით, ბუნებრივი მოვლენაა. ორდინალურ ვითარებაში ასეც მოხდა. დავით ნარინის ბერად აღკვეცის შემდეგ ქუთაისის ტახტზე მეფობდნენ მისი ძეები კონსტანტინე და მიქაელი, რომლებიც მამის მსგავსად სრულად აკონტროლებდნენ ლიხთიმერეთს. ძმებს შორის გაჩაღებული ბრძოლის პირობებშიც კი, როდესაც ქუთაისის ტახტის ვასალებიც ორად გაიყვნენ, ლიხთიმერეთზე კონტროლი იმავე სამეფო სახლის შიგნით რჩებოდა და თბილისის სამეფო სახლს ლიხთიმერეთზე, კვლავინდებურად, ხელი არ მიუწვდებოდა.

როგორც ითქვა, 1340 წლის ახლო ხანებში ქუთაისის ტახტის მცირეწლოვანი მემკვიდრის, ბაგრატ მიქაელის ძის ნაცვლად, ლიხთიმერეთის დიდებულებმა და ერისთავებმა გიორგი ბრწყინვალე ცნეს თავიანთ სუვერენად, რითაც აღდგა ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობა ანუ თბილისის ცენტრალური ტახტის კონტროლი დასავლეთ საქართველოზე. „იმერელ მეფეთა“ შტოს წარმომადგენელმა ალექსანდრე ბაგრატის ძემ, როგორც ითქვა, პრეტენზია განაცხადა დავით ნარინის მემკვიდრეობაზე და 1387 წელს მეფედ ეკურთხა. მის გამეფებას მხარი დაუჭირა ლიხთიმერეთის ფეოდალთა მხოლოდ ნაწილმა. მხარდამჭერთა რაოდენობა და გავლენა არ აღმოჩნდა საკმარისი არა თუ ლიხთიმერეთის სრული დაუფლებისათვის, არამედ ქუთაისის დასაკავებლადაც კი. ქუთაისის გარნიზონი და მისი მეტაური მტკიცედ დადგა ცენტრალური ხელისუფლების ერთგულებაზე, რომელსაც ბაგრატ V-ის ტყვედ ჩავარდნის შემდეგ მისი მემკვიდრე, გიორგი VII განასახიერებდა. ამის გამო მეფის გვირგვინზე მეოცნებე ალექსანდრე ბაგრატის ძემ ქუთაისის ტაძარში კურთხევა ვერ მოახერხა და ეს ცერემონიალი გელათში აღასრულა. ახალნაკურთხი მეფე ლიხთიმერეთის სამეფო ციხე-სიმაგრეებიდან ცენტრალური ხელისუფლების ერთგული გარნიზონების გამოყვანას ან თავის მხარეზე გადმობირებას შეუდგა, მაგრამ უშედეგოდ. მან მხოლოდ რამდენიმე ციხე-სიმაგრის ხელში ჩაგდება მოახერხა. ქუთაისის და სხვა ძირითადი ციხე-სიმაგრეების დაკავება ვერ შეძლო. ალექსანდრე „ეზრახა“ ოდიშის, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის ერისთავებს, რათა ეცნოთ მისი მეფობა, მაგრამ ეს მცდელობაც ამაო აღმოჩნდა². ალექსანდრე ისე გარდაიცვალა, რომ მისი მეფედ აღიარება იმერეთის ფეოდალური ელიტის ვიწრო წრეს არ გასცილებია. შედარებით „წარმატებული“ იყო ალექსანდრეს შემდგომ გამეფებული მისი ძმის, გიორგის მცდელობა ლიხთიმერეთში ყმა-ვასალების წრის გაფართოებისა. როგორც ვახუშტი ბაგრატიონი გვაუწყებს, „ამან გიორგი უმეტესად დაიპყრა იმერეთი და აღიხუნა ციხენი ბაგრატ მეფისა და გიორგისანი და უმეტესად მცდელობდა დამორჩილებასა

¹ იქვე, გვ. 589.

² ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 803.

და შეერთებასა მათ მთავართასა¹. მიუხედავად ამისა, გიორგი მეფემ მაინც ვერ დაამყარა სრული კონტროლი ქუთაისის ტახტის ოდინდელ სამფლობელოზე. მის მეფობას არ ცნობდა ლიხთიმერეთის ერთ-ერთი გავლენიანი ფეოდალი და ცენტრალური ხელისუფლების დიდმოხელე ოდიშის ერისთავი და მანდატურთუხუცესი ვამიყ დადიანი, რომელთან ბრძოლას ის შეეწირა კიდეც². თემურ-ლენგის ურდოებთან სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულმა გიორგი VII-მ ხანმოკლე მშვიდობის ჩამოვარდნისთანავე მოიცალა დასავლეთ საქართველოში სეპარატისტთა ასალაგმავად. იმერელი მეფის, გიორგი ბაგრატიძის დადიანთან ბრძოლაში დაღუპვის შემდეგ გიორგი VII-მ აღადგინა ცენტრალური ხელისუფლების პოზიციები რეგიონში. იმერელ მეფეთა შტოს წარმომადგენლებს, კონსტანტინე ბაგრატიძეს ძეს და დიმიტრი ალექსანდრეს ძეს ლიხთიმერეთში აღარ დაედგომებოდათ და საქართველოს უკიდურეს სამხრეთ საზღვრებთან მდებარე მხარეს, ბასიანს შეაფარეს თავი³. თემურ-ლენგის მორიგი შემოსევის შედეგად შექმნილი მძიმე ვითარებით კიდეც ერთხელ ისარგებლეს ბასიანში გახიზნულმა „იმერელ მეფეთა“ წარმომადგენლებმა და მათმა მომხრეებმა და „შტამოიყვანეს იმერთა კონსტანტინე, ძე ბაგრატიძისა, და ყვეს მეფედ იმერთა. ამან კონსტანტინემ დაიპყრა კუალად იმერეთი და აღიხუნა ციხენი, რამეთუ იყო გიორგი მეფე უცალო თემურ-ლენგისაგან და კონსტანტინე ამით მცდელობდა გამკვიდრებასა იმერეთისასა და შეერთებად თუსად დადიან-გურიელისა და სუანთასა“⁴. როგორც ვხედავთ, იმერეთის მნიშვნელოვანი ნაწილს, გურიას, ოდიშს (აფხაზეთითურთ) და სუანეთს კვლავ ცენტრალური ტახტი აკონტროლებდა და ამჯერადაც „იმერელი მეფის“, კონსტანტინეს პრეტენზია იმერეთის სრულ სუვერენიტეტზე განუხორციელებელი რჩებოდა.

კონსტანტინეს მოკვლის შემდეგ (1401 წ.) „იმერელი მეფის“ ტახტი დაიკავა მცირეწლოვანმა დიმიტრი ალექსანდრეს ძემ, რომლის მეფობა სიმბოლური ხასიათისა იყო, რამდენადაც „იყო ყმა და ვერა ღონიერ და არღარა ვინ დაემორჩილებოდნენ მეფობისათვის“⁵. დიმიტრი ალექსანდრეს ძე მცირერიცხოვანი მომხრეების ხელში ფაქტობრივად მეფის კრეატურას წარმოადგენდა, ამიტომ გიორგი VII-მ, როგორც კი მოიცალა თემურ-ლენგთან ბრძოლისაგან, „ჩამოვიდა სპითა თუსითა იმერეთს, მიერთო დადიანი მამია და ყოველნი იმერნი, შეიპყრეს დიმიტრი და მისცეს მეფესა გიორგის“⁶. შეპყრობილი დიმიტრი ალექსანდრეს ძე გიორგი VIII-მ იმერეთს მოაშორა და „დაასადგურა“ ქვემო ქართლში, სადაც იმყოფებოდა მანამ, სანამ ალექსანდრე I-მა 1414 წელს არ „მისცა კუალად ერისთაობა იმერეთს“. ამის შემდეგ დიმიტრი, ვახუშტის მტკიცებით, ცენტრალური ტახტის მორჩილებასა და „ერისთაობასა შინა“ გარდაიცვალა 1455 წელს⁷.

ალექსანდრე I დიდის მეფობის ხანაში, როგორც ითქვა, იმერეთს მეფედ მოეგვინა ამავე მეფის პირმშო ვახტანგი, ზედწოდებით გორგასალი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში მასთან ერთად ლიხთიქეთში მეფობს მისი დედინაცვალი, ალექსანდრე I-ის მეორე თანამეცხედრე, „იმერელ მეფეთა“ შტოს წარმომადგენელი თამარი. იმერეთში მათი მეფობა სანქცირებულია ცენტრალური ტახტის მიერ. ვახტანგ გორგასლის ხელისუფლება ვრცელდება როგორც ლიხთიმერეთზე, ისე შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილზე, რომელსაც ის მართავს როგორც ვიცე-მეფე.

ცენტრალური ხელისუფლების მორჩილება არ იწვევს ვიცე-მეფის განსაგებელ ტერიტორიაზე ვასალების დაყოფას დაპირისპირებულ ბანაკებად ცენტრალური ტახტისა და ადგილობრივი მეფის მომხრეებად და ანეიტრალებს „იმერელ მეფეთა“ შტოს წარმომადგენლების დამოუკიდებელი მეფობისკენ სწრაფვას. დავით ნარინის შთამომავალთა ამგვარი სწრაფვა ფეოდალ-ვასალებს არჩევანის წინაშე აყენებს და არღვევს ქვეყნის პოლიტიკურ მთლიანობას. ასეთ ვითარებაში ვახტანგ გორგასალი და თამარი ფაქტობრივად ცენტრალურ ხელისუფლებას განასახიერებდნენ სახელმწიფოს განსაზღვრულ ტერიტორიაზე. როგორც აღვნიშნეთ, მმართველობის ეს მოდელი (ცენტრალური ტახტის ოჯახის წევრის გამეფება ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში), დ. ნინიძისა და კ. კახაძის დაკვირვებით, ცენტრალურმა ხელისუფლებამ შეიმუშავა ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობისა და შინაური მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით, რაც კარგად გვიჩვენებს ვახტანგ გორგასლისა და თამარის მეფობის ხასიათს ქუთაისის ტახტზე.

1442 წელს, მას შემდეგ, რაც ვახტანგ გორგასალმა ცენტრალური სამეფო ტახტი დაიკავა, ქუთაისის სამეფო ტახტზე ვიცე-მეფის უფლებით და მეფის ტიტულით დასვა დიმიტრი ალექსანდრეს ძე, რომელიც თავდაპირველად სჯერდებოდა უფლებამოსილების იმ მოცულობას და ცენტრალური ტახტისადმი მორჩილების პირობას, რაც ალექსანდრე I დიდის დროს განისაზ-

1 იქვე.
2 იქვე, გვ. 804.
3 იქვე.
4 იქვე.
5 იქვე.
6 იქვე.
7 იქვე, გვ. 805.

ღვრა ქუთაისის ტახტისათვის. დიმიტრის მხრიდან ამ მოდელით გათვალისწინებული პირობისაგან თავის დაღწევისა და დამოუკიდებელი მეფობისკენ სწრაფვის გამო ვახტანგ IV-მ ის გადააყენა ქუთაისის ტახტიდან და 1443/1444წელს ვიცე-მეფედ დასვა ცენტრალური სამეფო სახლის წევრი, თავისი ბიძაშვილი ბაგრატ გიორგის ძე, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში ვიცე-მეფის უფლებამოსილების ფარგლებში მართავდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ მისთვის „მინებებულ“ ტერიტორიას. ვითარება იცვლება მას შემდეგ, რაც 1453 წელს ბაგრატმა თავი გამოაცხადა დამოუკიდებელ მეფედ და ცენტრალურმა ხელისუფლებამ, მიუხედავად მცდელობისა, მისი ტახტიდან გადააყენება ვერ შეძლო. დაიწყო გამუდმებული ბრძოლა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ბრძოლა ვასალებისათვის. ცენტრალური ტახტი ყველა შესაძლო საშუალებით ცდილობს შეინარჩუნოს თავისი ვასალებისა და საქვეყნოდ გამრიგე მოხელეების (ერისთავები და მათი ხელქვეითნი) ლოიალობა და სეპარატისტი მეფისგან გამიჯვნა, ხოლო ბაგრატი არაფერს ერიდება იმისათვის, რომ გაიმრავლოს მისი მეფობის მცნობი ვასალები, გამოიყვანოს ისინი ცენტრალური ხელისუფლების მორჩილებიდან და ამ გზით დაამყაროს სრული კონტროლი თავის სამფლობელოდ მოაზრებულ ტერიტორიაზე. სეპარატისტი მეფისა და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთბრძოლის სწორედ ამ ეტაპს ასახავს ვახუშტი ბაგრატიონის მონათხრობი იმის შესახებ, რომ ბაგრატმა როგორც კი „დაიპყრა იმერეთი, და ვინაძთგან მეციხოვნენი გიორგი მეფისანი არა ეკრძალოდნენ ბაგრატს, რამეთუ ბიძა იყო მეფისა და სანდო, გამოასხნა ყოველნი და დაიპყრა თუთ და შეაყენა მეციხოვნე გუშაგნი თუნსნი“¹. ბაგრატს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლისაკენ აქეზებდა და სათანადო რჩევა-დარიგებით სეპარატისტულ მისწრაფებას უღვივებდა მეორე სეპარატისტული რეგიონის, სამცხე-საათაბაგოს მეთაური ყვარყვარე ჯაყელი². რთული და ცვალებადი იყო ბაგრატის ურთიერთობა ლიხთიმერეთის ერისთავებთან (დადიანი, გურიელი, შერვაშიძე) მეფედ აღიარებას ბაგრატმა თითქმის ათი წლის განმავლობაში ვერ მიაღწია, მას შედარებით მყარად ჰქონდა ფეხი მოკიდებული რაჭაში. ვასალობაზე დაითანხმა ლეჩხუმის გავლენიანი აზნაურები ყიფიანები და ქვემო სვანეთის ერისთავი გელოვანი, რასაც მოწმობს მის მიერ თემნა ყიფიანისა და აბესალომ გელოვანისადმი ბოძებული სასისხლო სიგელები³. ძირითადად ლიხთიმერეთის ამ კუთხეებიდან გამოყვანილი შეიარაღებულ რაზმებს ემყარებოდა ბაგრატის ხელისუფლება. გიორგი VIII ცდილობს პოზიციების განმტკიცებას სწორედ იქ, სადაც მისი მოწინააღმდეგე ყველაზე მყარად გრძნობს თავს, კერძოდ რაჭაში, რის გამოსატყულებად მოხანს მის მიერ სასისხლო სიგელის ბოძება რაჭველი აზნაურების – გამყრელიძეებისა (1458 წ.) და ორალელისძე-კვიციანიშვილებისადმი (1463წ.)⁴. მიუხედავად გულმოდგინე მცდელობისა, რომ მისი სუვერენიტეტი ეცნო ლიხთიმერეთის ფეოდალურ ელიტას, ბაგრატმა ქუთაისში მეფობის ხანაში აღიარების სასურველ მასშტაბს მაინც ვერ მიაღწია – ლიხთიმერეთში კვლავ დიდი იყო ცენტრალური ტახტის სუვერენიტეტის მცნობი ფეოდალების ხვედრითი წილი. ამის დასტურია 1454-1465 წლებში გიორგი VIII-ის მიერ ლიხთიმერეთის ეკლესიამონასტრებისა და წარჩინებულებისადმი გაცემული საბუთები⁵. უნდა ითქვას, რომ ქუთაისის მეფისთვის არც ჩიხორთან (1463 წ.) ბრძოლაში გამარჯვებას მოუტანია სასურველი შედეგი – მისი სუვერენიტეტი თავისთვის საბატონოდ გამოცხადებულ ტერიტორიაზე ამის შემდეგაც არასრული რჩებოდა. გიორგი VIII ლიხთიმერეთში ვასალების შენარჩუნება-განმტკიცებაზე ზრუნავდა, ბაგრატ II მათს გადმობირება-გამრავლებაზე. შექმნილი ძალთა ბალანსი იმგვარი იყო, რომ გიორგი VIII-ს ძალა არ შესწევდა სეპარატისტი მეფის დასათრგუნად, ბაგრატ II-ს კი – საპრეტენზიო ტერიტორიაზე სრული კონტროლის დასამყარებლად.

ბაგრატი ცდილობს გავლენის შენარჩუნებას შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილში და იქაურ მსხვილ აზნაურებს, ელიოზისძე-სეფიშვილებს სასისხლო სიგელს უბოძებს (1557წ.)⁶.

ამირეჯიბ-გაბელიძეთა საგვარეულო, რომელთა მამულების დიდი ნაწილი შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილში იყო, უკვე ბაგრატის ყმაა⁷.

ცენტრალურმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა ბოლო მოეღო უზურპატორი მეფის ხელისუფლებისათვის. გიორგი VIII შეიარაღებული ძალებით ლიხთიმერეთში გადავიდა ბაგრატის დასასჯელად. 1463 წელს ჩიხორთან გამართულ ბრძოლაში ბაგრატმა და მისმა მომხრეებმა გიორგი VIII-სა და მის ლაშქარზე გაიმარჯვეს, მაგრამ ამას არ შეუნელებია გიორგი VIII-ის ბრძოლა ქუთაისის ტახტის წინააღმდეგ. ის მორიგი ლაშქრობისათვის ემზადებოდა და თავისი მომხრე-

¹ იქვე.

² იქვე.

³ *საქართველოს სიძველენი*, II, გვ. 398, 513.

⁴ იქვე; *საქართველოს სიძველენი*, III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით (ტფილისი, 1910), გვ. 435.

⁵ *პირთა ანოტირებული ლექსიკონი*, I, 244-246.

⁶ ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ..., გვ. 17.

⁷ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

ბისათვის მზაობის ბრძანება იმერეთშიც შეუთვლია. იმერეთის მეფის, ბაგრატის სახლთუხუცესი ჩხეტიძე „მისის კერძით მოყვრით შეიყარა“ და გიორგი VIII-ის „იმედული“ ჩხარს დადგა¹. გიორგი მეფის განზრახვა, უცნობი მიზეზებით, ჩაშლილა. ჩხარს დაბანაკებულ ჩხეტიძეს კი ბაგრატ მეფემ, რომელსაც „აბაშიძე და სრულად რაჭველნი ეახლნენ“, უთანასწორო ბრძოლა გაუმართა².

მიუხედავად დიდი მცდელობისა, ბაგრატმა ლიხთიმერეთში მეფობის ვერც ერთ ეტაპზე ცენტრალური ხელისუფლების სრული განდევნა და თავისი ძალაუფლების გავრცელება მთლიანად ლიხთიმერეთსა და შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილზე ვერ შეძლო. ამას თვალნათლივ მოწმობს, ერთი მხრივ, გიორგი VIII-ის და, მეორე მხრივ, ბაგრატის, ასე ვთქვათ, პარალელური სიგელები გაცემული 1454-1465 წლებში. გარდა უკვე დასახელებულისა, აღნიშნულ პერიოდში გიორგი VIII-მ სიგელი უბოძა გელათის მონასტერს (1464 წ.)³, ბაგრატმა – აზნაურებს, გირგალიძეებსა და გუგუნბერიძეებს⁴, მთის წმ. გიორგის ტაძარს რაჭაში⁵.

ნ. ბერძენიშვილის აზრით, იმერეთში მეფობის ხანაში ბაგრატს ქუთაისი არ ეჭირა⁶. ჩვენი აზრით, ძნელი დასაჯერებელია, ქუთაისისთვის ბრძოლაში გამარჯვებულ ბაგრატს ის არ დაეკავებინა. ბაგრატი ამ დროს ქუთაისს რომ ფლობს, ამაზე მიუთითებს ვენეციის დოქსადმი ყვარყვარე ჯაყელის მიერ გაგზავნილი წერილი (1460 წ.), სადაც ანტიოსმალური კოალიციის წევრ ქართველ მეფე-მთავრებს შორის დასახელებულია „ბაგრატი ქუთაისის მეფე“⁷. ქუთაისი მას მცირე ხნით დაუკარგავს 1465 წელს, როდესაც სამცხის ათაბაგის მიერ გიორგი VIII-ის შეპყრობის უმაღლესმა ძმისწულმა კონსტანტინე დიმიტრის ძემ სასწრაფოდ დაიკავა გორი, შემდეგ კი ქუთაისის ციხე, რის შესახებაც ის მოგვითხრობს ჯავახიშვილებისადმი ბოძებულ სიგელში (1466 წ.)⁸. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ კონსტანტინემ გორისა და ქუთაისის ციხეები მას შემდეგ დაიკავა, რაც ბაგრატი თბილისში გადმოვიდა⁹. ვფიქრობთ, რომ ბაგრატის თბილისში გადმოსვლისა და აქ ტახტზე ასვლის შემდეგ კონსტანტინეს ძალა არ შესწევდა გორისა და ქუთაისის ციხეების ასაღებად. ბაგრატმა, ცხადია, ჯერ ქუთაისის ციხე დაიბრუნა და შემდეგ, 1466 წელს, თბილისიც დაიკავა.

ბაგრატის თბილისში გამეფების შემდეგ ქუთაისის სამეფო კარი გაუქმდა.

ქართლისა და ლიხთიმერეთის პოლიტიკური მთლიანობა, რომელიც ბაგრატის პიროვნებას ემყარებოდა, მისი გარდაცვალებისთანავე დაირღვა. თბილისის ტახტი კონსტანტინე დიმიტრის ძემ დაიკავა. ბაგრატის მემკვიდრე ალექსანდრე, რომელიც გვირგვინის გარეშე დარჩა, ბრძოლას იწყებს ქუთაისის ტახტის აღსადგენად და იქ განსამტკიცებლად. 1479-1491 წლებში ბრძოლა ალექსანდრესა და კონსტანტინე II-ს შორის პირველის გამარჯვებით დამთავრდა. ამის შემდეგ ალექსანდრე II-ის სრული კონტროლი გავრცელდა დასავლეთ საქართველოს ერთ ნაწილზე, კერძოდ, ლიხის ქელიდან ცხენისწყლამდე – გვიანდელ იმერეთზე. ოდიშის, გურიისა და აფხაზეთის საერისთავოებზე მისი ხელისუფლება გაშუალებული იყო დადიანის, გურიელისა და შარვაშიძის ძალაუფლებით. ალექსანდრე II-ს და შემდგომ ბაგრატ III-ს ამასიის ზავამდე ჯერ კიდევ მიუწვდებოდათ ხელი აღნიშნული საერისთავოების აზნაურთა გარკვეულ ნაწილზე (მაგ. ჭილაძეები, შერგელაძეები, ქორთოძეები, ლიპარტიანი, გოშოძე, ანჩაბაძე – ოდიშში, ბერიძე, მაჭუტაძე, მახაძე – გურიაში), ამასთან, დადიანი, გურიელი და შარვაშიძე აღიარებდნენ მათ მეფედ. ამ უკანასკნელებს არჩევანი ცენტრალურ ტახტსა და ქუთაისის ტახტს შორის უკვე გაკეთებული აქვთ უკანასკნელის სასარგებლოდ. მაგრამ ისინი უკვე თავიანთი საგამგებლო ქვეყნების ფეოდალების სიუხერენები („პატრონები“) არიან, ერთ დროს მეფის ვასალები უკვე მათი ვასალები არიან და ქუთაისის მეფეს ეს უკანასკნელნი თავიანთი პატრონების მეშვეობით უკავშირდებიან და არა უშუალოდ. ოდიშ-გურია-აფხაზეთის ფეოდალები ქუთაისის მეფის პირდაპირი ვასალები უკვე აღარ არიან. ერისთავების მიერ საგანმგებლო ტერიტორიებიდან აკრეფილი სამეფო გადასახადები სამეფო ხაზინაში კი აღარ შედის, როგორც ამას კანონი მოითხოვდა, არამედ ერისთავების განკარგულებაში გადადის. ეს იყო მნიშვნელოვანი ტეხილი, რაც გურია-ოდიშ-აფხაზეთის ერისთავების ხელისუფლებამ განიცადა გახელმწიფებისაკენ ტრანს-

¹ ქრონიკები და სხვა მასალა..., გვ. 281-282.

² იქვე.

³ პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, გვ. 245.

⁴ ს. კაკაბაძე, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ (ტფილისი, 1920), გვ. 1-3; ი. ცინცაძე, გუგუნბერიძეთა სასისხლო სიგელი, საქართველოს არქივი, II (ტფილისი, 1927), გვ. 16-19.

⁵ ს. კაკაბაძე, განჩინება მთის ყმათა..., გვ. 247.

⁶ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 19-20.

⁷ დ. პაიჭაძე, ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო XV საუკუნის 60-იან წლებში (თბილისი, 1989), გვ. 94.

⁸ საქართველოს სიძველენი, III, გვ. 20-21.

⁹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 313-314.

ფორმაციის გზაზე XV საუკუნეში. დასახელებული ერისთავები ქუთაისის მეფის მხოლოდ ლაშქრობით სამსახურის ვალდებულებას აღიარებდნენ. ეს იყო ის „მონაპოვარი“, რაც დასავლეთ საქართველოს ერისთავებმა თავიანთ სასარგებლოდ მოიხვეჭეს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ქუთაისის ტახტს შორის მიმდინარე ხანგრძლივ ბრძოლაში¹. ამასიის ზავის შემდეგ კი ოსმალებმა საერთაშორისო გარანტიები შეუქმნა დადიანისა და გურიელის გახელმწიფებას და იმერეთის მეფისაგან დამოუკიდებელ მმართველებად ჩამოყალიბებას.

ამრიგად, თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში (1248-1340 წწ.) ქუთაისის სამეფოს, რომელიც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას მოიცავდა, განაგებდნენ ამ სამეფოს ფუძემდებელი დავით ნარინი და მისი მემკვიდრეები. დაახლოებით 1340 წელს თბილისის სამეფო ტახტის მფლობელმა გიორგი V-მ ქუთაისის მეფის ხელისუფლება გააუქმა და დასავლეთ საქართველოზე ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია აღადგინა. ამ დროიდან 1387 წლამდე დავით ნარინის შთამომავლები ცენტრალური ხელისუფლებისადმი მორჩილების პირობებში დასავლეთ საქართველოში მცირე ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის მმართველის სტატუსს სჯერდებოდნენ, თუმცა, შესაძლოა, როგორც მეფეთა შთამომავლები, მეფის ტიტულსაც ატარებდნენ. მოგვიანებით, აღმოსავლეთ საქართველოში თემურ-ლენგის პერმანენტული ლაშქრობების პერიოდში, სახელდობრ, 1387-1401 წლებში დავით ნარინის შთამომავლებმა მოახერხეს ქუთაისის სამეფო ტახტის განახლება და დასავლეთ საქართველოს ცალკე სამეფოდ შექმნაზე პრეტენზიაც განაცხადეს, მაგრამ მიუხედავად დიდი მცდელობისა, ცენტრალური ტახტის ვასალი ფეოდალების დამორჩილება და, შესაბამისად, თავიანთ საბრძანებლად მოაზრებულ ტერიტორიაზე (მთელ დასავლეთ საქართველოზე) კონტროლის დამყარება ვერ შეძლეს. შემდგომ ხანებში, დავით ნარინის შთამომავლების პრეტენზიების განეიტრალების მიზნით, ცენტრალური ხელისუფლება ქუთაისის ტახტზე, მორჩილების პირობით, ცენტრალური დინასტიის წარმომადგენლებს სვამდა. ვერც ამან მოიტანა სასურველი შედეგი და ქუთაისის სამეფო XV საუკუნის ბოლოს ცალკე სამეფოდ ჩამოყალიბდა. ქუთაისის მეფეების საგამგებლო ტერიტორიის საზღვრები და სუვერენიტეტის მოცულობა ყოველთვის ერთნაირი არ იყო. ეს ყოველთვის დამოკიდებული იყო აღნიშნულ ტერიტორიაზე მკვიდრი ფეოდალების პოზიციაზე, თუ რამდენად სცნობდნენ ისინი მეფობის პრეტენზიის მქონე პრეტენდენტის უზენაესობას. 1248-1340 წლებში ქუთაისის მეფეები სრულად აკონტროლებდნენ დასავლეთ საქართველოს და ცენტრალურ ხელისუფლებას იქ არანაირი გავლენა არ ჰქონდა. 1387-1401 წლებში ისინი მხოლოდ იმ ტერიტორიის ნაწილს აკონტროლებდნენ, რომლის მეფობაზეც პრეტენზია ჰქონდათ. XV საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ქუთაისის ტახტზე ცენტრალური ხელისუფლების მიერ დასმული მეფეები, ფაქტიურად ვიცე-მეფეები, ისხდნენ, მათი სამმართველო ტერიტორია გაფართოვდა აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონის – შიდა ქართლის ერთი ნაწილის ხარჯზე. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მათი ძალაუფლება ცენტრალური ხელისუფლების მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სრულად ვრცელდებოდა დასავლეთ საქართველოსა და შიდა ქართლის ერთ ნაწილზე, რაც განპირობებული იყო ცენტრალური ხელისუფლებისადმი მორჩილებით და მათ შორის ინტერესთა მეტ-ნაკლები ჰარმონიზაციით. ვითარება იცვლება 1453 წლიდან, როდესაც ცენტრალური ხელისუფლების მიერ ქუთაისის ტახტზე დასმული მეფე გამოვიდა ცენტრის მორჩილებიდან და თავი დამოუკიდებელ მეფედ გამოაცხადა, რასაც მოჰყვა თითქმის ნახევარსაუკუნოვანი დაპირისპირება ცენტრალურ სამეფო ხელისუფლებასა და ქუთაისის მეფეებს შორის. ამ დაპირისპირებამ გამოიწვია ვასალი ფეოდალების ორად დაყოფა და დაჯგუფება ორი სამეფო ტახტის გარშემო. შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როდესაც ვერც ერთი მხარე სრულად ვერ აკონტროლებდა სადავო ტერიტორიას. გარკვეულ ეტაპამდე გაიმარჯვა ქუთაისის ტახტმა, რომლის მეფეც ამა თუ იმ ფორმით თავიანთ სიუხერენად სრულად ცნეს სადავო ტერიტორიის (დასავლეთ საქართველოსა და შიდა ქართლის დასავლეთი ნაწილის) ფეოდალებმა.

¹ბ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

ბიბლიოგრაფია

1. გ. ალასანიძე, სელიმ I და საქართველო, *საისტორიო კრებული* (თბილისი, 2007).
2. ი. ანთელავა, *XI-XIV საუკუნეების ქართული ისტორიული წყაროები* (თბილისი, 1988).
3. გ. არახამია, ქართული დიპლომატიკის შესწავლისთვის, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XII (თბილისი, 2010).
4. თ. ბერაძე, მ. სანაძე, *საქართველოს ისტორია*, I (თბილისი, 2003).
5. ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით), *მასალები საქართველოსა დაკავკასიის ისტორიისთვის*, I (თბილისი, 1937).
6. დ. გვრიტიშვილი, *ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან* (თბილისი, 1955).
7. ვ. გუჩუა, ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის და აგრესორთა წინააღმდეგ XVI ს. I ნახევარში, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, IV (თბილისი, 1973).
8. ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1973).
9. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, *დაბრუნება*, 2 (თბილისი, 1991).
10. პ. ინგოროყვა, *სვანეთის საისტორიო ძეგლები*, II, ტექსტები (თბილისი, 1941).
11. ს. კაკაბაძე, *ბაგრატ მეფე, XV საუკ. რაჭა-არგვეთის მფლობელი* (ტფილისი, 1913).
12. ს. კაკაბაძე, განჩინება მთის ყმათა სისხლის შესახებ, *საისტორიო მოამბე*, II (ტფილისი, 1924).
13. ს. კაკაბაძე, *ვახტანგ, უცნობი XV საუკუნის აფხაზ-იმერეთის მეფეთაგანი და მისი მემკვიდრე მეფე გიორგი* (ტფილისი, 1912).
14. ს. კაკაბაძე, *ისტორიული საბუთები*, III (ტფილისი, 1913).
15. ს. კაკაბაძე, *კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ* (ტფილისი, 1920).
16. ს. კაკაბაძე, პატარა წერილები და შენიშვნები, *საისტორიო მოამბე*, I (ტფილისი, 1925).
17. ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, *საისტორიო მოამბე*, II (ტფილისი, 1924).
18. ს. კაკაბაძე, სვანები XV საუკუნეში, *წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის*, I (ტფილისი, 1914).
19. ს. კაკაბაძე, *უცნობი აფხაზ-იმერეთის მეფე თამარი* (ტფილისი, 1913).
20. ს. კაკაბაძე, *ქრონიკა იკორთის №6 ჟამნ-გულანისა* (ტფილისი, 1912).
21. კ. კახაძე, დასავლეთ საქართველოს უცნობი მეფეები, *კლიო*, 11 (თბილისი, 2001).
22. ვ. კიკნაძე, *საქართველი XIV საუკუნეში* (თბილისი, 1989).
23. რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნის II ნახევარში, *ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, VII (თბილისი, 1963).
24. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერა ეროვნული ცენტრი, საისტორიო საბუთების Qd კოლექცია, საბუთი №7877.
25. ბ. ლომინაძე, საქართველო XIV საუკუნის პირველ ნახევარში, ღონისძიებები ქვეყნის აღდგენისთვის, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, III (თბილისი, 1979).
26. ბ. ლომინაძე, საქართველო XV საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფოებად და სამთავროებად, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, III (თბილისი, 1979).
27. ბ. ლომინაძე, *შიომღვიმე* (თბილისი, 1953).
28. ე. მეტრეველი, *მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის* (თბილისი, 1962).
29. *მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები)*, ტექსტები გამოსცა და შესავალი წერილი დაურთო ჯ. ოდიშელმა (თბილისი, 1968).
30. დ. ნინიძე, „*პროვინციის მეფეები*“ XIV-XV საუკუნეების საქართველოში (თბილისი, 1995).
31. ჯ. ოდიშელი, *ისტორიულ-კუბლიცისტური ნარკვევები* (თბილისი, 2010).
32. გ. ოთხმეზური, XV-XVI სს. ქართული წყაროების ცნობები ფალავანდიშვილთა სათავადოზე, *თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია*, 328 (თბილისი, 1999).
33. გ. ოთხმეზური, შეწირულობის წიგნი ქუცნა ამირეჯიბისა ულუმბოს დეთისმშობლისადმი, *თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია*, 321 (თბილისი, 1996).
34. გ. ოთხმეზური, წყალობის განახლების სიგელი გიორგი VIII-ისა გაბელიძე-ამირეჯიბისადმი, *ანალები*, 3 (თბილისი, 2008).
35. დ. პაიჭაძე, *ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო XV საუკუნის 60-იან წლებში* (თბილისი, 1989).

36. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა (თბილისი, 1991).
37. თ. ჟორდანიას, *ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძველი“ ვაჰხანის ქვაბთა* (ტფილისი, 1896).
38. ნ. უდუნტი, მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი გაცემული XV საუკუნის საბუთის თარიღის დაზუსტებისთვის, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XII (თბილისი, 2010).
39. *საქართველოს სიძველენი*, II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით (ტფილისი, 1909).
40. *საქართველოს სიძველენი*, III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით (ტფილისი, 1910).
41. *სვანეთის წერილობითი ძეგლები*, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ვ. სილოგავამ, I (თბილისი, 1989).
42. მ. სვანიძე, *საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.)* (თბილისი, 1971).
43. მ. სვანიძე, უფლისწულ სელიმის ლაშქრობები საქართველოში, *პერსპექტივა*, 8 (თბილისი, 2006).
44. ბ. სილაგაძე, მონღოლთა მეორედ გამოსწრაფვა ამიერკავკასიაში და საქართველოს დაპყრობა-დანაწილება, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 3 (თბილისი, 1992).
45. მ. სურგულაძე, ეპიზოდები XVI საუკუნის საქართველოს შიდა პოლიტიკური ცხოვრებიდან. ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, *მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, 23 (თბილისი, 2010).
46. *ქართლის ცხოვრება*, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1959).
47. *ქართლის ცხოვრება*, რ. მეტრეველის რედაქციით (თბილისი, 2008).
48. *ქართული სამართლის ძეგლები*, II, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ (თბილისი, 1965).
49. *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა*, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, II (ტფილისი, 1897).
50. ი. ცინცაძე, გუგუნბერიძეთა სასისხლო სიგელი, *საქართველოს არქივი*, II (ტფილისი, 1927).
51. *ცხოვრება საქართველოდსა (პარიზის ქრონიკა)*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ (თბილისი, 1980).
52. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, *თხზულებანი 12 ტომად*, III (თბილისი, 1982).
53. ივ. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, IV (თბილისი, 1967).
54. თ. ჯოჯუა, აბრაჰამ სავანის მიერ 1336 წელს გადაწერილი „საკვრაოდს“ (H-1328) ანდერძი დასავლეთ საქართველოს მეფის კონსტანტინე I-ის მოხსენიებით და საქართველოს XIV საუკუნის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, *საისტორიო კრებული*, III (თბილისი, 2013).
55. თ. ჯოჯუა, ეცერის მოძღვრის ანტონ ონოფრიანის მიერ 1380 წელს იერუსალიმში „სპარსთაგან დახსნილი“ XII-XIII საუკუნეების უღვალის საწელიწდო სახარება (H-171) და მისი მინაწერი საქართველოს მეფეების ბაგრატ V-ისა (1366/1367-1387 წწ.) და გიორგი VII-ის (1387-1407 წწ.) მოხსენიებით, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, XII-XIII (თბილისი, 2012/2013).

GONELI ARAKHAMIA

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

MARINE KARDAVA

University of Georgia

THE KUTAISI ROYAL THRONE AND ITS DOMAIN IN THE 13TH-16TH CENTURIES

This paper deals with preconditions and political consequences of establishing the second throne in Kutaisi in 1248, parallel to the Tbilisi central royal throne on the territory of the unified Georgian feudal monarchy. For almost a century (1248-1330) the Kutaisi kingdom which occupied the territory of western Georgia, was ruled by the founder of this the kingdom, the ruler of the United Georgia, the representative of lateral branch of the Bagrationi dynasty David-Narin and his heirs. In 1330, the owner of the Tbilisi royal throne King Giorgi V abolished the authority of the Kutaisi king and restored the jurisdiction of the central government in western Georgia. From that time until 1387 the descendants of David-Narin in conditions of subjugation to the central authority were satisfied with the status of the ruler of a small territorial-administrative unit in the western Georgia, but it is possible that they formally also bore the title of king as the descendants of kings. Later, in the period of Timurlang's permanent raids to the eastern Georgia, namely in the years between 1387-1401, David-Narin's descendants managed to renew the Kutaisi throne and even made claims on establishment of a separate kingdom in the western Georgia, but in spite of great efforts, they failed to subjugate the vassal lords of the central throne and, accordingly, to establish control of the territory considered to be their kingdom, i.e. the entire western Georgia. In subsequent periods, to neutralize the claims of David-Narin's descendants, the central authority placed the representatives of the central dynasty on the Kutaisi throne on terms of their obedience. However, this did not give the desired result and at the end of the 15th century, the Kutaisi throne established as a separate kingdom. The boundaries of the Kutaisi kings' domain and the amount of sovereignty for ruling the territory considered by them their domain were not always uniform. It always depended on the position of feudal lords who lived on the mentioned territory, as to what extent they recognized the suzerainty of a person who claimed the throne. In 1248-1330, the Kutaisi kings totally controlled western Georgia and the power of central government did not extend there. In 1387-1401, they controlled only that part of the territory they had a claim to the throne. In the first half of the 15th century, when the kings placed by the central government to the Kutaisi throne were actually the vice-kings, the territory of their domain was expanded at the expense of one part of the Shida Kartli region of the eastern Georgia. At the same time it should be noted that their power fully extended to the western Georgia and one part of the Shida Kartli that was due to the loyalty to the central authority and more or less harmonization of their interests. The situation began to change since 1456, when the king placed by the central royal authority went out of subordination and declared himself an independent king, that was followed by almost half century confrontation between the central royal government and the Kutaisi kings. This confrontation led to splitting of vassal lords into two and grouped around two royal thrones. It created such a situation when neither party controlled the disputed territory. Finally, the winner appeared to be Kutaisi throne, whose king was fully recognized in one form or another as their suzerain by feudal lords from the disputed territory (western Georgia and the western part of Shida Kartli).

**მასალები ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის
ფეოდალური ოჯახის ისტორიისათვის¹**

ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი XVII საუკუნის I ნახევრის ქართლის სამეფოში მოღვაწე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა იყო. იგი ქართლის სამეფო კარზე ფლობდა ისეთ მაღალ თანამდებობებს, როგორებიცაა: ბოქაულთუხუცესობა (1619-1626 წწ.), სომხით-საბარათიანოს სარდლობა და მეკობრისმძებნელობა (1623 წ.), თბილისის მოურავობა (1626 წ.), დედოფლის სახლთუხუცესობა (1627-1642 წწ.) და სხვ.

მართალია, ქართულ ისტორიოგრაფიაში ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის მთელი რიგი საკითხები საფუძვლიანად არის შესწავლილი (გივი ჯამბურია, დავით გვრიტიშვილი), თუმცა მისი ბიოგრაფიის შესახებ საგანგებო გამოკვლევა, ჯერჯერობით, არ მოგვეპოვება. ჩვენი ნაშრომის მიზანია, ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის შესახებ ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში, ორენოვან (ქართულ-სპარსულ) საბუთებში, სპარსულ ფირმანებსა და ქართულ ნარატიულ თხზულებებში, აგრეთვე, პირდებულის მონასტერში გამოვლენილ ლაპიდარულ წარწერაში დაცული ცნობების შეჯერება და ქაიხოსროს ცხოვრება-მოღვაწეობის აქამდე უცნობი დეტალების დადგენა.

ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი ჩვენამდე მოღწეულ წერილობით წყაროებში პირველად 1609 წელს ჩნდება. ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის (1606-1614 წწ.) მიერ ქაიხოსროსათვის მიცემული 1609 წლის სიგელის თანახმად, მეფემ ქაიხოსროს მისი ბიძის, ვახტანგ ბატონიშვილის (1546-1595 წწ.) ნაქონი სოფელი კრკონი „მკვიდრად და სამამულედ“ უწყალობა. აღნიშნულ წყალობის წიგნში ქაიხოსრო მეფის ერთგულ და მრავალფერად ნამსახურ ყმას წარმოადგენს. იმავე წყალობის სიგელში ქაიხოსროს გვერდით მისი ძმა – თამაზ ბარათაშვილია მოხსენიებული².

1619 წელს ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილს წყალობის სიგელს ახლა უკვე ქართლის მეფის ბაგრატ VII-ის (1616-1619 წწ.) თანამეცხედრე, დედოფალი ანა აძლევს. ამ საბუთის თანახმად, ანა დედოფალმა მას ქვეშის ხევში მდებარე სოფელი სავანეთი და „ვარხუნას მცხოვრები ყმა შერმაზან არეშიშვილი“ სამკვიდროდ უბოძა. 1619 წლის საბუთში ანა დედოფალი სავანეებოდ შენიშნავს, რომ სიგელში მოხსენიებული ყმა შერმაზან არეშიშვილი აბაშიშვილთა სამკვიდრო ყმას წარმოადგენდა. გარდა ამისა, 1619 წლის საბუთში ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა მნიშვნელოვანმა გარემოებამ: ანა დედოფალი აღნიშნავს, რომ საბუთის გაცემამდე გარკვეული დროით ადრე სოფელი სავანეთი და ვარხუნაში მოსახლე შერმაზან არეშიშვილი ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილისათვის ვინმე „ბედნიერ ბატონს“ ჰქონდა ნაწყალობევი: „*მას ჟამსა, ოდეს მოგვიდგოთ კარსა და მამულისა წყალობასა დაგუეაჯენით, მოკითხული ვქენით და ბედნიერს ბატონსაცა თქვენთვის წყალობა ექნა*“³.

ჩნდება ლოგიკური კითხვა – ვინ არის ანა დედოფლის მიერ ნახსენები „ბედნიერი ბატონი“?

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით, შევნიშნავთ, რომ ირანის შაჰები ქართულ საისტორიო საბუთებში, როგორც წესი, „ბედნიერი ყაენის“ ტიტულით მოიხსენიებიან, ამიტომ ანა დედოფლის საბუთში დასახელებული „ბედნიერი ბატონი“ ირანის შაჰი არ უნდა ყოფილიყო. ვფიქრობთ, ანა დედოფალი „ბედნიერ ბატონში“ გულისხმობდა თავის თანამეცხედრეს, მეფე ბაგრატ VII-ს, რომელიც, როგორც ჩანს, ამ დროისათვის გარდაცვლილია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბაგრატ VII თავად იქნებოდა საბუთის გამცემი. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტიც, რომ ანა დედოფალი საბუთებში დამოუკიდებელ მმართველად, თავის ვაჟთან, შემდგომში ქართლის მეფე სიმონ II-სთან (1619-1631 წწ.) ერთად, სწორედ 1619 წლიდან ჩნდება. აქედან გამომდინარე, გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ სოფელი სავანეთი და ვარხუნაში მცხოვრები შერმაზან არეშიშვილი ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილს ბაგრატ VII-ემ უბოძა, ხოლო ანა დედოფალმა, თავის მხრივ, ქაიხოსროს აღნიშნული წყალობა განუახლა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ შეუძლებელია, შაჰის მიერ გაცემული ფირმანი იურიდიულად მასზე დაბლა მყოფ პირს, მისი სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ქვეყნის დედოფალს, ამ შემ-

¹ წინამდებარე ნაშრომი მოხსენების სახით იქნა წაკითხული 2015 წლის 25-27 ნოემბერს მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეულის „საქართველო – 2015“ ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე.

² საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 12, საქმე №113.

³ საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 12, საქმე №110.

თხვევაში, ანა დედოფალს განეახლებინა. შაჰის მიერ გაცემული წყალობის განახლების უფლება ან თავად წყალობის გამცემ შაჰს ან კიდევ მომდევნო შაჰსა თუ შაჰებს ჰქონდათ. 1619 წლის წყალობის წიგნში ქაიხოსრო ბოქაულთუხუცესის სახელოთი იხსენიება. აქვე, შევნიშნავთ იმასაც, რომ წყალობის სიგელში ქაიხოსროსა და მისი ძმის – თამაზის სახელების გვერდით, პირველად ჩნდება ქაიხოსროს უფროსი ვაჟის – გუგუნას სახელი.

1619 წლის წყალობის სიგელის განხილვის შემდეგ მოგვყავს მეფე სიმონ II-ის უთარილო განკარგულება, რომელიც „პირთა ანოტირებულ ლექსიკონში“ 1626-1631 წლებით არის დათარიღებული¹. ჩვენი აზრით, „ლექსიკონის“ შემდგენლებმა აღნიშნული საბუთის დათარიღებისას ამ სიგელის ქვედა ზღვრად 1626 წელი იმის გათვალისწინებით აიღეს, რომ ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი ქართულ დიპლომატიკურ ძეგლებში ბოქაულთუხუცესის სახელოთი სწორედ 1619-1626 წლებშია მოხსენიებული. რაც შეეხება სიგელის ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს, აქ „ლექსიკონის“ შემდგენლები, როგორც ჩანს, ხელმძღვანელობდნენ იმით, რომ საბუთის გამცემი 1631 წელს გარდაცვლილი სიმონ II და შესაბამისად, შეუძლებელია, საბუთი 1631 წლის შემდგომ პერიოდში ყოფილიყო გაცემული.

მართალია, „ლექსიკონის“ შემდგენლების არგუმენტაცია საკვებით სარწმუნო და მისაღებია, თუმცა სიგელის დათარიღებისას მისი შინაარსიდან უნდა ამოვიდეთ. ამ საბუთში ქართლის მეფე აღნიშნავს, რომ „ამილახორმა ანდუყაფარ ბედნიერის ყაენის (ირანის შაჰის აბას I-ის (1587-1629 წწ.) – თ. გ.) რაღამი მოგვიტანა, თავისი სამკვიდრო მამულები უბოძებია. აწუ, ბოქაულთუხუცესი ქაიხოსროვ გამოვკვივ ზაენია და ვისცა ამისი მამული გქონდეს, მოურავის მოსვლამდის ყველამ დაანებეთ და რა მოურავი მობძანდების, რარივადაც სჯობს, ისრე ვიქთ და რაც ან ქალაქს ან დიდუამს და ან არს საცილობელი არის, ისიც მოურავმა უნდა გარდასწყვიტოს“².

როგორც საბუთიდან ჩანს, ანდუყაფარ ამილახორს სიმონ II-სთან წარმოუდგენია აბას I-ისაგან მოტანილი რაყამი, რომლის საფუძველზეც მეფე ბოქაულთუხუცეს ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილს ანდუყაფარის მამულებში ამ უკანასკნელის კუთვნილი ადგილების დასაბრუნებლად აგზავნის. აქ გვინდა, საგანგებოდ შევნიშნოთ, რომ ამავე სიგელში სიმონ II ერთ მნიშვნელოვან გარემოებას უსვამს ხაზს, როცა ამბობს, რომ საცილობელი მამულები ანდუყაფარისათვის მოურავის მოსვლამდე უნდა დაენებებინათ.

ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1619 წელს ირანის შაჰმა აბას I-მა ქართლის მეფედ სიმონ II დაადგინა და მას ვეჭილად გიორგი სააკაძე დაუნიშნა³. აქედან გამომდინარე, აქ მოხსენიებული სიტყვა „მოურავის“ ქვეშ დიდი მოურავი – გიორგი სააკაძე უნდა ვიგულისხმოთ.

ვითვალისწინებთ რა, ერთი მხრივ, ქართულ დიპლომატიკურ ძეგლებში ანდუყაფარ ამილახორის 1619 წლიდან მოხსენიებისა და ანა დედოფლის 1619 წლის საბუთში ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ბოქაულთუხუცესის სახელოთი დასახელების ფაქტებს, ხოლო, მეორე მხრივ, იმ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ ანდუყაფარი სპარსეთიდან საქართველოში, სიმონ II-სთან ერთად, 1619 წელს დაბრუნდა და შაჰი აბას I-ისაგან ამილახორის საპატიო სახელოც იმავე 1619 წელს მიიღო, განსახილველი საბუთის გაცემის ქვედა ქრონოლოგიურ მიჯნას 1619 წლით განვსაზღვრავთ. რაც შეეხება საბუთის ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს, აქ ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი სიმონ II-ის 1626 წლის ერთ-ერთ საბუთში, თბილისის მოურავის საპატიო სახელოს პარალელურად, ბოქაულთუხუცესის თანამდებობასაც ფლობდა (ამ საბუთის შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ), საბუთის ზედა ქრონოლოგიურ მიჯნას 1626 წელზე ვდებთ და შესაბამისად, დოკუმენტის ქრონოლოგიას, ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული თარიღის – 1626-1631 წლების ნაცვლად, 1619-1626 წლებით განვსაზღვრავთ.

1623 წელს სიმონ II-ემ ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილს შესაბამისი დოკუმენტის ძალით, საბარათიანოს სარდლისა და მეკობრისმძებნელის სახელოები უბოძა⁴. აღნიშნულ საბუთ-

¹ პირთა ანოტირებული ლექსიკონი (XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით), ტ. I, გამოსაცემად მოამზადეს დ. კლიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, (თბილისი, 1991), გვ. 447.

² კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ისტორიული დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №2115.

³ ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში (თბილისი, 1958), გვ. 392.

⁴ როინ მეტრეველის აზრით, ქაიხოსრომ მეწინავე სადროშოს (სომხით-საბარათიანოს) სარდლობისა და მეკობრისმძებნელის სახელო 1625 წლის ბოლოს მიუღია, რაც, როგორც სიმონ II-ის 1623 წლის ზემოთ მოყვანილი წყალობის სიგელიდან ჩანს, რეალობას არ შეესაბამება. საგულისხმოა, რომ როინ მეტრეველს ეს მოსაზრება გამოთქმული აქვს გივი ჯამბურას ნაშრომზე „ქართული ფეოდალური ურთიერთობების ისტორიიდან“ დაყრდნობით. ჩვენ საგულდაგულოდ გავეცანით აღნიშნულ ნაშრომს, მაგრამ იქ ვერ ვნახეთ რაიმე ისეთი ცნობა თუ მოსაზრება, რომელიც მეტრეველს ზემოთ წარმოდგენილი აზრის გამოთქმის საფუძველს მისცემდა. ბუნდოვანია როინ მეტრეველის მოსაზრება ქაიხოსროს მიერ 1625 წლის ბოლოს მეწინავე სადროშოს (სომხით-საბარათიანოს) სარდლობისა და მე-

ში მეფე საგანგებოდ ასახელებს იმ მიზეზებს, რომელთა გათვალისწინებითაც ქაიხოსროს ეს თანამდებობები (განსაკუთრებით, საბარათიანოს სარდლის მაღალი სახელი) გადასცა: „*მას ჟამსა, ოდეს ბარათაშვილი ბარათა ბედნიერს ყაენსა და ჩუენ ყმობილამ წავუვიდა და ბედნიერის ყაენის ორგული¹ შეიქნა, მოვიყვანეთ ჩუენს კარზედა და სრულად საბარათიშვილოს სარდრობა და მეკობრისმძებნელობა გიბოძეთ²*. გარდა ამისა, მეფე ერთგულ ფეოდალს იმავე ბარათა ბარათაშვილის ნაქონ ქვემო ბოლნისის ზვარსაც უბოძებს.

ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის შესახებ შემდგომ ცნობას XVII საუკუნის II ნახევარში მოღვაწე იოსებ თბილელი (სააკაძე) (1620-1688 წწ.) გვაწვდის. ეს უკანასკნელი მის მიერ, დაახლოებით, 1683-1687 წლებში შედგენილ პოემაში „დიდმოურავიანი“ დაწვრილებით გადმოგვცემს XVII საუკუნის I ნახევრის ქართლის სამეფოში მომხდარ მოვლენებსა და ამ პროცესებში გიორგი სააკაძის მონაწილეობის ამბებს. იოსებ სააკაძე ჯერ დიდი მოურავის მიერ ლორის ციხიდან სომხითის მელიქის ათაბეგის გაძევების ამბავს გვაუწყებს, ხოლო შემდეგ ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის შესახებ მოგვითხრობს:

*„ქაიხოსროს ჰყვა მოყვარედ როსტომხან სპასალარია,
მრავალჯერ გამოუგ ზაენა ოქრო, ვერცხლი და ღარია,
მაგრა იმათგან შოგება ბოლოჟამ ერთობ მწარი,
და არც დაადგრების სამკვიდროდ, აღუტყდეს სითმე ქარია!
ხუთასი კაცი მეთოფე მან გამოგ ზაენა ბირთვისსა,
ამან ციხეში შეუშვა, თვითან გარ კაზმით ირთვისსა;
იმათმან ამან ფეშქაში თავთაჲდ კელავ მიირთვისსა,
გარ მოდგომილის მტრისაგან ადვილად არ წაირთვისა!
შემოუთვალე: „ნუ გვიზამ, ქართლს ნუ მოსტეხე ზურგია!“
ეს ეთქვა: „მათ მეტს სხვას ჩემთვის ნეტარ თუ ვის რა ურგია?“
გპოქვი: „სასახლეში მოვნახავ, სად რომე ცაცხვი ურგია,
და რად გვიშეგებს ამხანაგებსა, სამანი გარდაურგია?“
გორილამ წაველ საღამოს, ტბისს მიველ, რომე ინათა;
სასახლეს გარს შემოვერტყი, გაღაჲვანს გარ და შინათა,
გარ გამოვიდა დილაზე უღვაშდებული ინათა;
და შევსძახე: „კარგა დაგვიხვლი, ღვინო დაგვისხი მინათა!“
კელავ უთხარ: „რალას უშველის ხელისა გამოღებანი?
მოდი, შევრიგდეთ, ერთადვე გპქნათ ხმისა ამოღებანი;
ციხე კარგვარად ამართვი, გპქნა იქ მდგომთ სისხლთა ღებანი,
და ივინი მამეც, საქონლის შენვე ქენ კელავ წაღებანი!“
რა ღონე პქონდა არ ექნა იმ დღესა ჩემი ნებანი?
გამოიტყუა ერთპირად, იხმარა კარგი ცნებანი;
თოფები ყველას წავართვი, უყავ ერთს ადვილს ღებანი!
და მათ მოუვიდა იმ დღესა დღე აღსასრულის, ვებანი!
სულ გამოვასხი ერთ პირად, სიმაგრე დავავდებინე,
ხუთასსა კაცსა იმ დღესა მე თავი გავავდებინე,
ციხეს მეთოფე შეუშვი, მათ კარი მოვავდებინე,
და მძორები ხევში ჩავყარე, თავები გარდვაგდებინე!
იქ დავიჭირე ხოსია³, არ უყავ ტკბილად ხმობანი,*

კობრისმძებნელის სახელს მიღების შესახებაც (საქართველოს ისტორია, ლექსიკონი, ა-ვ, წგნ. 1, შემდგენელი რ. მეტრეველი (თბილისი, 1979), გვ. 122).

¹ დოკუმენტის ტექსტში ეს სიტყვა წარმოდგენილია „ერგული“-ს ფორმით. გივი ჯამბურია მართებულად მიიჩნევს, რომ აქ საბუთის დამწერის შეცდომასთან გვაქვს საქმე და სიტყვა „ორგული“-ს ფორმით უნდა წავიკითხოთ (გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობების ისტორიიდან (სომხით-საბარათიანოს სათავადოები) (თბილისი, 1955), გვ. 25).

² საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 12, საქმე №106.

³ აქ მოხსენიებული ხოსია ბარათაშვილისა და ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ნათესაობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. ვლადიმერ ფუთურაძის აზრით, ხოსია და ქაიხოსრო ერთი და იგივე პირია, კარლო ტაბატაძე და ზაზა ჭიაი ხოსიას ქაიხოსროს ძმად მიიჩნევენ, გივი ჯამბურია კი ფიქრობს, რომ ხოსია ქაიხოსროს ძმისშვილია. ამ მოსაზრებათაგან ჩვენ ვიზიარებთ გივი ჯამბურიას მოსაზრებას და ვფიქრობთ, რომ ხოსია ნამდვილად ქაიხოსროს ძმისშვილი იყო. აღნიშნული მოსაზრების მართებულობას, პირველ რიგში ადასტურებს როსტომ მეფის 1642 წლის წყალობის სიგელი ხოსია ბარათაშვილისადმი, რომლითაც მეფემ ხოსიას მისი ბიძის – ქაიხოსროს ნაქონი სოფელ ოძისი უბოძა (ამ საკითხის შესახებ დაწვრილებით იხ.: თ. გოგლაძე, კიდევ ერთხელ ნოდარ ციციშვილის გამოსვლისა და ქართლის ფეოდალთა შეთქმულებების შესახებ, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. X-XI (თბილისი, 2010/2011), გვ. 131). აქვე, აღვნიშნავთ, რომ ხოსიას ერთ-ერთმა ვაჟმა – საამბა XVII საუკუნის II ნახევარში აბაშიშვილთა საგვარეულოს ერთ-ერთ განშტოებას

თიკნაბერასა დავაბი: „იყავ, ვირ მოვლენ ცნობანი?“
მეფიცებოდეს ყოველნი: „აწყა ვჰქნათ მწვე დანდობანი,
აღარ გავიტეხთ ნამუსსა, თუ გეწამს აღდგომა, შობანი!“⁴.

როგორც ვხედავთ, იოსებ თბილელი დაწვრილებით მოგვითხრობს გიორგი სააკაძის მიერ ტბისის სასახლეში მყოფ ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილზე თავდასხმის, ამ უკანასკნელისათვის იძულებითი შეთანხმების თავს მოხვევის, ქაიხოსროს მიერ ბირთვისის ციხიდან 500 ყიზილბაშის გამოყვანის, დიდი მოურავის მიერ ამ ყიზილბაშების დახოცვისა და ხოსიას კიკანაბერის ციხეში გამომწყვდევის ამბებს. ვინაიდან იოსებ თბილელის პოემა ლიტერატურული ხასიათის თხზულებაა, ავტორი აღწერილი მოვლენების შესახებ არანაირ კონკრეტულ ქრონოლოგიურ მონაცემს არ გვაწვდის.

იოსებ თბილელის თხზულებაში მოთხრობილ ჩვენთვის საინტერესო ამბებს, ქრონოლოგიური და ფაქტოლოგიური თვალსაზრისით, აზუსტებს ქართველი ისტორიკოსის ვახუშტი ბატონიშვილის მიერ 1742-1745 წლებში შედგენილი ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

სწავლული ბატონიშვილი, აღწერს რა გიორგი სააკაძის სამცხიდან ქართლში გადმოსვლის, მისი და ზურაბ არაგვის ერისთავის მიერ ქართლის სამეფო ტახტზე ქაიხოსრო მუხრან-ბატონის დასმის, დიდი მოურავის მიერ შაჰი აბას I-ის ერთგული სომხითის მელიქების – ათაბეგისა და ზაქუმის ქვეყნიდან განდევნის ამბებს, აღნიშნავს, რომ: „ქაიხოსრო ბარათაშვილი მოყურობდა როსტომ სპასალარსა და უგლინებდა როსტომ საგანძურსა მრავალსა, ამისთვის არა ერხდა მოურავსა. ეუღლად მოიყვანნა ამან ხუთასნი მეთოფენი ყიზილბაშნი და შეაყენნა ბირთვისის ციხესა შინა. ესე შეუძნდა მოურავსა და დილასა ერთსა ტბისს და შეიპყრა ქაიხოსრო და ხოსია ძმა მისი მის თანა. მაშინ ქაიხოსროს გამოაყვანინა ყიზილბაშნი ბირთვისიდან და მოსწყვდნა ხუთასნივე და ხოსია პატიმარ-ჰყო ციხესა შინა კიკანაბერს“².

მემატეანეს აღნიშნული ამბები 1626 წლის მოვლენებთან დაკავშირებით აქვს გადმოცემული. ეს თარიღი გაზიარებულია ქართველი მკვლევრების მიერ, რომლებიც მიიჩნევენ, რომ გიორგი სააკაძე სამცხიდან 1626 წლის გაზაფხულზე დაბრუნდა და ქართლ-კახეთის ყიზილბაშებისაგან გაწმენდას იმავე წელს შეუდგა³.

გიორგი სააკაძესა და ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილს შორის დადებული იძულებითი შეთანხმება მალევე დაირღვა და ქაიხოსრო კვლავ ყიზილბაშებისა და სიმონ II-ის სამსახურში ჩადგა. ამაზე მეტყველებს თავად სიმონ II-ის 1626 წლის ორი სიგელი, რომელთაგანაც ერთი საბუთი საამ საგინაშვილის, ხოლო მეორე დოკუმენტი ქაიხოსროსადმია გაცემული.

პირველი საბუთიდან ჩვენთვის საინტერესოა შემდეგი ფრაგმენტი: „რომე ქართველთ ყარჩიხა-ხჯანს, რომ უღალატეს და მერმე ყორჩიბაშმან, რომ გაიმარჯუა, მაშინ ქალაქს ციხეში ვიყვენით და შენ ბარათაშვილი გუგუნა ჩუენთან მოიყუანე და მოგვიყენე და მემსახურეთ და ვალი დაგუდევი“⁴.

როგორც ვხედავთ, სიმონ II-ის ერთგულ ფეოდალს საამ საგინაშვილს ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის უფროსი ვაჟი გუგუნა მეფის სამსახურში ჩაუყენებია. ჩვენი აზრით, სწორედ ამის მოჰყვა ქაიხოსროს მიერ გიორგი სააკაძესთან დადებული იძულებითი შეთანხმების დარღვევა, ყიზილბაშების მხარეს გადასვლა და ამის სანაცვლოდ, სიმონ II-ისაგან მაღალი სახელმწიფო თანამდებობის მიღება, რაც, თავის მხრივ, უკვე ზემოხსენებულ მეორე საბუთში – სიმონ II-ის მიერ ქაიხოსროსადმი მიცემულ 1626 წლის 15 ივნისის წყალობის წიგნშია ასახული. როგორც ამ საბუთიდან ვიგებთ, ქაიხოსრო სიმონ II-ის კარზე სწრაფად დაწინაურდა და მეფისაგან თბილისის მოურავის სახელო მიიღო, რომელიც მანამდე, როგორც ცნობილია, გიორგი სააკაძეს ეჭირა.

აღნიშნულ სიგელში დიდ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ მის ტექსტში ქაიხოსრო სომხით-საბარათიანოს სარდლის წოდებით არ იხსენიება. ამ საკითხს საგანგებოდ მიაქცია ყურადღება გივი ჯამბურია: „ქაიხოსროს სარდლობის შესახებ არც შაჰ-აბასის ფირმანშია რაიმე მოხსენიებული. რომ არც სიმონისა და არც შაჰ-აბასის წყალობის წიგნებში ქაიხოსრო სარდლად არ იხსენიება, უთუოდ იმას მიუთითებს, რომ ქაიხოსრო უკვე აღარაა სარდალი. რამ გამოიწვია მის მიერ სარდლობის ასე მალე დაკარგვა ან ვინ მიიღო იგი, არ ჩანს. ბარათა ბარათაშვილი, მართალია, ვახუშტის ისტორიაში, 1624 წლის მარაბდის ომში, მოხსენიებულია სპას-

– საამიშვილთა ფეოდალურ სახლს ჩაუყარა საფუძველი (ამ ფეოდალური სახლის შესახებ იხ.: ზ. ჭაია, *ქვემო ქართლის სათავადოების ისტორია (გერმანოზიშვილი, იარალიშვილი, საამიშვილი)* (თბილისი, 2013).

¹ იოსებ თბილელი, *დიდმოურავიანი*, გ. ლეონიძის რედაქციით (თბილისი, 1939), გვ. 38-39.

² ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1973), გვ. 435.

³ გ. ჯამბურია, *ქართული ფეოდალური ურთიერთობების...*, გვ. 150.

⁴ საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 26, საქმე №96.

პეტად, მაგრამ ეს მხოლოდ ბარათას წინანდელი მდგომარეობის გამოხატულებაა; მით უმეტეს ვერ იქნებოდა იგი ქართლში არსებული ოფიციალური ხელისუფლების მიერ ცნობილ მოხელედ, რადგან მარაბდის ომში იგი სიმონისა და შაჰ-აბასის წინააღმდეგ გამოვიდა¹.

აღნიშნულ საკითხს გივი ჯამბურია საზურაბიშვილოს ისტორიაზე, უფრო ზუსტად, ამ ფეოდალური სახლის დამაარსებლის ზურაბ ბარათაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობაზე საუბრისასაც შეეხო: „ზურაბს სარდლობა (სომხით-საბარათიანოს სარდლობა – თ. გ.) უნდა მიეღოს მისივე სახლისკაცის ქაიხოსრო ბარათაშვილის შემდეგ, სიმონ II-სავე მეფობაში“².

როგორც ვხედავთ, მკვლევარი ორგზის აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის მიერ სომხით-საბარათიანოს სარდლობის დაკარგვასა და ამ სახელის ზურაბ ბარათაშვილისათვის გადაცემას სიმონ II-ის სიცოცხლეში ჰქონდა ადგილი, თუმცა კი, არ განმარტავს, თუ რა მიზეზის გამო დაკარგა ქაიხოსრომ აღნიშნული თანამდებობა.

თუკი კარგად ჩავუკვირდებით სიმონ II-ის 1626 წლის სიგელს ქაიხოსროსადმი, ნათლად დავინახავთ, თუ რატომ ჩამოართვეს ქაიხოსროს სომხით-საბარათიანოს სარდლობა. აქ მხედველობაში მაქვს დოკუმენტის ის ფრაგმენტი, რომელშიც სიმონ II ქაიხოსროს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: როცა „მოურავი ბედნიერს ყაქენს წამოუვიდა და უღალატა და თქვენი თავი და ქართლი უკუყენა და მერმე თქვენ კიდევ ბედნიერს ყაქენისა და ჩვენი ირჩივეთ და შისევანი შეიქენით, ამისადა ჯილდოდ გიბოძეთ ქალაქის მოურავობა თქვენ, ბოქაულთუხუცესს ქაიხოსროს და თქვენს ძმას თამაზს“³.

როგორც ვხედავთ, საბუთში გარკვევით არის ნათქვამი, რომ ქაიხოსროს თავდაპირველად გიორგი სააკაძის მიერ მოწყობილ აჯანყებაში მიუღია მონაწილეობა და ამბოხებულთა მხარეს ყოფილა, ხოლო შემდეგ კვლავ შაჰის ერთგული გამხდარა. ჩვენი აზრით, სწორედ გიორგი სააკაძის მიერ მოწყობილ აჯანყებაში მონაწილეობა გახდა მიზეზი იმისა, რომ ქაიხოსროსათვის სომხით-საბარათიანოს სარდლის სახელი ჩამოერთმიათ. იმავედროულად, საბუთიდან ვიგებთ, ქაიხოსრო კვლავ შაჰის ერთგული გამხდარა. სიმონ II-ემ ქაიხოსროს ერთგულება დაუფასა და ძალზედ მნიშვნელოვანი თანამდებობა – თბილისის მოურავობა უბოძა⁴. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქაიხოსრო, თბილისის მოურავის თანამდებობის პარალელურად, ბოქაულთუხუცესის თანამდებობასაც ფლობდა: იგი 1626 წლის საბუთში სწორედ ბოქაულთუხუცესად არის მოხსენიებული.

თბილისის მოურავად დადგენილი ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი იმავე 1626 წლის სექტემბერ-ოქტომბერში წყალობის კიდევ ერთ საბუთს იღებს, ოღონდ ამჯერად უკვე სიმონ II-ის სიუხერენის – შაჰი აბას I-საგან. შაჰის 1626 წლის ფირმანის თანახმად, ქაიხოსრო ქართლის დედოფლის ვექილად და სახლთუხუცესად დაინიშნა. მოვიტანთ ფრაგმენტს აღნიშნული ფირმანიდან: „საბუთი ებოძა ვექილობის საფარველ-მოთავე ქაიხოსრო-ბეგს, მისდამი ნდობისა, კეთილპატიოსნებისა, სიმართლისა და სახელმწიფო გამოცდილების გამჟღავნებით, ამჟამად ვებოძეთ კდემამოსილებით, პატიოსნებით, უმწიკვლოებით შემკობილი დედოფლის მაღალთანამდებობითი ვექილობა“⁵.

შაჰი აბას I-ის მიერ გაცემულ ამ ფირმანთან დაკავშირებით, გვახსენდება ამ დროს ირანის სამეფო კარზე დაწინაურებული როსტომ სააკაძე, რომლისთვისაც შაჰის კარზე „1626/1627 წელს მდივნის მაღალი სახელი ჩაუბარებიათ“⁶.

ჩვენი აზრით, სწორედ როსტომ სააკაძის დახმარებით მიადწია ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილმა ასეთ დიდ წარმატებას და სწორედ როსტომის შეწევნით მიიღო წყალობის ფირმანი უშუალოდ შაჰისაგან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქაიხოსროს დაწინაურებას როსტომ სააკაძის სახელს ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეების ისტორიკოსები – იოსებ თბილელი და ვა-

¹ გ. ჯამბურია, *ქართული ფეოდალური ურთიერთობების...*, გვ. 27.

² იქვე, გვ. 58.

³ საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 32, საქმე №341.

⁴ შოთა მესხია თავის ნაშრომში „საქალაქო წყობა გვიანფეოდალურ საქართველოში“ თბილისის მოურავების ცხოვრება-მოღვაწეობის განხილვისას 1626 წელს ამ თანამდებობაზე ასახელებს ბოქაულთუხუცესს ქაიხოსროს, რომელიც, ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაზე“ დაყრდნობით, ვახტანგ მუხრანბატონიშვილის ძედ მიანია. მკვლევარს, როგორც ჩანს, ერთმანეთში აერთია ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი და ქაიხოსრო მუხრანბატონი, რომელიც 1626 წელს, ბახალეთის ომის შემდეგ, გიორგი სააკაძეს ოსმალეთში გაჰყვა (შ. მესხია, *საისტორიო ძიებანი*, ტ. II (თბილისი, 1983), გვ. 401).

⁵ მ. ხუბუა, *საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და პოქმები* (თბილისი, 1949), გვ. 2. აღნიშნული სპარსული ფირმანი გამოქვეყნებული აქვს ვლადიმერ ფუთურიძესაც, რომელიც ფირმანის თარიღს კიდევ უფრო ავიწროვებს და 1626 წლის 22 სექტემბრიდან 21 ოქტომბრამდე პერიოდით განსაზღვრავს (ვლ. ფუთურიძე, *სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნსაცავებში*, წგნ. I, ნაკვ. I (თბილისი, 1961), გვ. 18).

⁶ ვლ. ფუთურიძე, ირანის სპასალარი როსტომ-ხან სააკაძე, *კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები* (თბილისი, 1966), გვ. 292.

ხუშტი ბატონიშვილი უკავშირებდნენ. როგორც ეს უკანასკნელი შენიშნავს, „*ქაიხოსრო ბარათაშვილი მოყურობდა როსტომ სპასალარსა და უვლინებდა როსტომ სავანძურსა მრავალსა, ამისთვის არა ერჩდა მოურავსა*“¹. ვფიქრობთ, როსტომ სააკაძის წყალობით მიღებულ ერთ-ერთ „სავანძურს“ უნდა წარმოადგენდეს შაჰი აბას I-ის ფირმანიც.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სულხან-საბა ორბელიანის „*ლექსიკონის*“ თანახმად, „*მოყუარე*“ იგივე „*მზახალია*“². შესაბამისად, საფიქრებელია, რომ ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი და როსტომ სააკაძე არა მხოლოდ თანამიმდგომები, არამედ ნათესავები, კერძოდ კი, მძახლებიც იყვნენ.

1627 წელს დედოფლის სახლთუხუცესის თანამდებობაზე მყოფმა ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილმა წყალობის წიგნი თავად ჯაჰანბანუ დედოფლისაგან მიიღო. ამ საბუთში ნათქვამია: „*ჩვენ, დედოფალმან პატრონმან ჯაჰანბანუქმ, ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიუწყალეთ და გიბოძეთ თქვენ... სახლისუხუცეს ბატონს ქაიხოსროს და შვილსა თქვენს გუგუნჯასა და ბარათასა და შვილთა და მომავალსა სახლისა თქვენისათა ყოველთავე*“.

მასაჲ ეამსა, როდეს მოვიდვით კარსა, სახლისა წყალობას გუიაჯენ, ვისმინეთა აჯა და მოხსენება თქვენი, გიბოძეთ საბარათიშვილონიცა სოფელი ღუეუბანი, ალათავის ნაქონი, სოლოდაშვილის ელიზბარის კერძი დღეს, რისაც მამულს მქონებელი იყვნენ“³.

როგორც საბუთიდან ჩანს, ქაიხოსრო ჯაჰანბანუ დედოფლისაგან წყალობის სახით იღებს ვინმე ალათავის ნაქონ სოფელ ღუეუბანს, რომელიც დოკუმენტის გაცემის დროს ელიზბარ სოლოდაშვილის ხელში ყოფილა. ჩვენი დაკვირვებით, საბუთში მოხსენიებული ალათავი XVII საუკუნის I ნახევრის ცნობილი ისტორიული მოღვაწე – ალათავ ხერხეულიძეა, რომელიც 1625 წელს გამართულ მარაბდის ბრძოლაში დაიღუპა. ამგვარი იდენტიფიკაციის საფუძველს გვაძლევს კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართული დოკუმენტების Hd კოლექციაში დაცული ერთი წყალობის წიგნი, რომელიც 2895-ე ნომრით არის რეგისტრირებული. აღნიშნული საბუთი ალათავ ხერხეულიძისა და მისი ძმების მიერ არის გაცემული. დოკუმენტიდან, რომელშიც ალათავი ბერუა ქებასშიღლსა და მის ძმისწულებს მიმართავს, ნათლად ჩანს, რომ სოფელი ღუეუბანი ალათავის საკუთრებას წარმოადგენდა: „*ღუეუბნიდამა იმერლები გამამეპარა და ბერუაჲ შენ დაგეჭირა*“⁴. ამგვარად, ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუკი დავასკვნით, რომ ჯაჰანბანუ დედოფლის 1627 წლის საბუთში ნახსენები ალათავი ნამდვილად XVII საუკუნის I ნახევრის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე – ალათავ ხერხეულიძეა.

დასასრულ, ჯაჰანბანუ დედოფლის 1627 წლის საბუთთან დაკავშირებით, აღვნიშნავთ იმასაც, ამ საბუთში ქაიხოსროს გვერდით აღარ იხსენიება მისი ძმა თამაზი, თუმცა კი, მეორე მხრივ, ქაიხოსროს უფროსი ვაჟის – გუგუნას გვერდით, კიდევ ერთი ვაჟის – ბარათას სახელი ჩნდება.

1627 წელს სიმონ II-ის ბრძანებით, ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სახელზე კიდევ ერთი წყალობის წიგნი შედგა, რომლის მიხედვითაც ქაიხოსროს ყაფარბეგის მიერ ტბისში ნაქონი მამული გადაეცა. აღნიშნული საბუთი ორენოვან დოკუმენტს წარმოადგენას, რომლის სპარსული ვარიანტიც შინაარსობრივად ავსებს ქართულ ვარიანტს. სპარსული ტექსტის მიხედვით, „*აბელის შვილმა ყაფარ-ბეგმა პირშავობა გამოიჩინა [და მსახურების ფართო გზას გადაუხვია, ამიტომ მისი თიულიდან ერთი ნაკვეთი ვენახი, ამასთან ერთად, რაც მას სოფელ ტბისში ეკუთვნოდა, სიდიადის თავშესაფარს, ძლიერების რწმუნებულებას, ქაიხოსრო-ბეგ ბარათაშვილს, გოგია-ბეგს, ნიკოლოზს და ბარათას*“⁵.

მაშასადამე, საბუთის ქართული და სპარსული ვარიანტების შეპირისპირების საფუძველზე, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ მაშინ, როცა ყაფარ-ბეგ ბარათაშვილი სიმონ II-ეს განუდგა, ტბისში მისი ნაქონი მამული ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილმა მეფეს სთხოვა. სიმონ II-ემ ქაიხოსროს თხოვნა დააკმაყოფილა და ყაფარ-ბეგის კუთვნილი ერთი ნაკვეთი ვენახი უბოძა.

1627 წლის საბუთის ქართულ ვარიანტში ქაიხოსრო კვლავ დედოფლის სახლთუხუცესად იხსენიება, მის გვერდით კი ვაჟები – გუგუნა და ბარათა არიან დასახელებულნი. რაც შეეხება საბუთის სპარსულ ვარიანტს, აქ, ქართული ვარიანტისაგან განსხვავებით, იხსენიება ქაიხოსროს კიდევ ერთი ვაჟი – ნიკოლოზი, რომელიც გუგუნას შემდეგ და ბარათას წინ არის დასახელებული.

¹ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., გვ. 435.

² სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, ტ. I, ავტორგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ (თბილისი 1991), გვ. 511.

³ საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 32, საქმე №351.

⁴ კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ისტორიული დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №2895.

⁵ *ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები*, ტექსტი დაადგინა, თარგმნა და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ (თბილისი, 1955), გვ. 67.

იმავე 1627 წლის 24 ივნისს სიმონ II-ემ ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილს უბოძებს შერმაზან სააკაძე, რომელიც, როგორც მეფე აღნიშნავს, ქაიხოსროს „სამკვიდრო ყოფილიყო“: „ჩვენ, მეფემან, პატრონმან სუიმონ, ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი ვიბოძეთ თქვენ... ბარათაშვილს, პატრონს ქაიხოსროს, თქვენთა შვილსა გუგუნასა, ბარათასა და ნიკოლოზს.

მას ჯამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და აზნაურისშვილის წყალობასა დაგუაჯუნით. ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და ვიბოძეთ სააკაძე შერმაზან. მოკითხული ვქენით. ამასწინათ თქვენივე სამკვიდრო ყოფილიყო და ახლა ჩუენცა თქვენ ვიბოძეთ“¹.

ციტირებულ 1627 წლის წყალობის წიგნში ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი დედოფლის სახლთუხუცესის სახელს გარეშეა მოხსენიებული. საბუთში, ქაიხოსროს გვერდით, მისი ვაჟები – გუგუნა, ბარათა და ნიკოლოზიც არიან დასახელებული. აქვე, დავძენთ, რომ თუ 1627 წლის პირველ, ორენოვან საბუთში ნიკოლოზი გუგუნას შემდეგ და ბარათას წინ იყო ნახსენები, 1627 წლის მეორე საბუთში იგი, პირიქით, გუგუნასა და ბარათას შემდეგ მოიხსენიება.

1628 წლის 21 თებერვლით არის დათარიღებული ჯაჰანბანუ დედოფლის მიერ ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილისათვის მიცემული წყალობის წიგნი, საიდანაც ვიგებთ, რომ დედოფალმა თავის სახლთუხუცესსა და ერთგულ ფეოდალს განუახლა ტბისში მისი ბიძაშვილის გიორგი ბარათაშვილის იმ მამულის წყალობა, რომელიც, როგორც თავად აღნიშნავს, „პირველთაღ თქვენის (ქაიხოსროს – თ. გ.) მამა-პაპისა ყოფილიყო“². აქვე, შევნიშნავთ, რომ ხსენებულ საბუთში ქაიხოსრო თავის სამ ვაჟთან – გუგუნასთან, ბარათასა და ნიკოლოზთან ერთად არის მოხსენიებული.

1628 წლის 27 თებერვალს ჯაჰანბანუ დედოფალმა ქაიხოსროს მისცა კიდევ ერთი წყალობის წიგნი, რომლითაც მას უბოძა სასახლისა და ქულბაქის ადგილი სათბილელოს საზღვრის შიგნით, „მღებარას ბაინდურას სამძღვრამდისინ, მისის სასახლითა და ჭურ-მარნითა და შესავლითა და გამოსავლითა, გზამდის“³. ამ საბუთში, წინა საბუთის მსგავსად, ქაიხოსრო დედოფლის სახლთუხუცესად არის მოხსენიებული, მისი სამი ვაჟი კი შემდეგი თანამიმდევრობით არის დასახელებული: გუგუნა, ნიკოლოზი და ბარათა.

ამავე 1628 წელს არის შედგენილი დავის გარიგების წიგნი, რომელშიც ვკითხულობთ შემდეგს: „მე, ბარათაშვილმა ქაიხოსრომ და ჩემთა ძმამა თამაზს და ჩემა შვილმა ნიკოლოზ და ბარათამა თქვენ, საგინაშვილთა: სამსონ(ს), დურმ(იშხა)ნს, ზალიას, თამაზასა, იორამს, სეხნიასა, ზუბიტასა, რევაზას და როსტომს, ასრე, რომ ვოლთეთს წყაროსთან რომ გზა გარდმოვა, იქ თქვენ ხოდაბუნს შემომესარჩლენით. გავხინჯეთ და არას მემართლებოდით, ძველიდგან თქვენი ყოფილიყო და დავანებეთ...“⁴.

როგორც დავის გარიგების წიგნიდან ჩანს, ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი სამსონ საგინაშვილსა და მის ძმებს ვოლთეთის წყაროსთან მღებარე ხოდაბუნის გამო შეღავებია. სადავო საქმე გაუსინჯავთ და გაურკვევიათ, რომ ქაიხოსროს ამ ხოდაბუნზე ხელი არ ჰქონია, რადგანაც იგი „ძველიდგან“ საგინაშვილთა საკუთრება ყოფილა. აღნიშნულ საბუთში ქაიხოსრო კვლავ თავის ძმასთან – თამაზთან და ვაჟებთან – ნიკოლოზსა და ბარათასთან ერთად არის მოხსენიებული. იმავდროულად, საბუთში აღარ გვხვდება ქაიხოსროს უფროსი ვაჟის – გუგუნას სახელი. საყურადღებოა, რომ ამ დოკუმენტში, 1627 წლის ზემოთ განხილული სამი საბუთისაგან განსხვავებით, ქაიხოსრო ყოველგვარი სახელს გარეშეა ნახსენები. რით შეიძლება აიხსნას ეს უცნაური ფაქტი?

დასმულ კითხვას პასუხს სცემს ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის (1625-1632 წწ.) 1629 წლის წყალობის წიგნი ქაიხოსროსადმი, რომელითაც მეფემ სოფელი ოძისი და ურუნბეხაშვილი ქაიხოსროს გადასცა: „სოფელი ოძისი, მისის სამართლიანის სამზღვრითა და საქმითა და ურუნბეხაშვილი, მისის მამულითა, სამკვიდროთ და სამამულით და საჯილდოოდ, ბარათაშვილის ქაიხოსროსათვის გვიბოძებია“⁵.

როგორც ჩანს, სიმონ II-ისა და თეიმურაზ I-ის შორის 1628 წელს დაწყებულ დაპირისპირებაში ქაიხოსრო სიმონ II-ეს განუდგა და თეიმურაზ I-ის მხარე დაიჭირა, რის სანაცვლოდაც ამ უკანასკნელისაგან, წყალობის სახით, სოფელი ოძისი და ურუნბეხაშვილი მიიღო.

განხილული საბუთის გაცემიდან მცირე ხნის შემდეგ ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი კვლავ სიმონ II-ის სამსახურში დაბრუნდა, რის სანაცვლოდაც 1630 წელს მეფემ ქაიხოსროს

¹ კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ისტორიული დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №14448.

² კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ისტორიული დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №10233.

³ საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 20, საქმე №63.

⁴ საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 26, საქმე №69.

⁵ საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 11, საქმე №59.

ორენოვანი – ქართულ-სპარსული წყალობის წიგნი მისცა და ამ, დღეისათვის დაზიანებული საბუთით, დიდი მახრალაჯი უბოძა. საინტერესოა, რომ სიმონ II-ის გადაწყვეტილებით, ქაიხოსროს ნაწყალობევი დიდი მახრალაჯი იმავე წესით უნდა ჰქონოდა, „როგორც [ც ამილახორს ჰქონებოდა]“⁴. დაისმის კითხვა – ვინ არის სიმონ II მიერ ნახსენები „ამილახორი“?

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით, საგანგებოდ გავეცანით ზევდგინიძე-ამილახორთა საგვარეულოს გენეალოგიას და ვცადეთ, გავგვერკვია, თუ კონკრეტულად, ვინ იღვა ამ ფეოდალური სახლის სათავეში სიმონ II-ის ზეობის დროს და შესაბამისად, ვინ ატარებდა ამილახორის გვარსა თუ წოდებას აღნიშნულ პერიოდში. ამ მიმართულებით მუშაობის შედეგად, მივედით დასკვნამდე, რომ საბუთში დასახელებული „ამილახორი“ ცნობილი ისტორიული მოღვაწე იოთამ ამილახორი იყო, რომელიც სიმონ II-სა და თეიმურაზ I-ს შორის გაჩაღებულ კონფლიქტს თავისი მამულების გასაფართოებლად იყენებდა და როგორც ერთი, ისე მეორე მეფისაგან წყალობისა და უგნებლობის ფიცის წიგნებს იღებდა². სავარაუდოა, რომ 1630 წელს, განსახილველი ორენოვანი საბუთის გაცემის დროს, იოთამი თეიმურაზ I-ის მხარეს იყო და მისი კუთვნილი დიდი მახრალაჯიც სიმონ II-ემ ქაიხოსროს სწორედ ამის გამო გადასცა. ყოველ შემთხვევაში, ამ საბუთის შემდეგი ფრაზა სხვა დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა: „*ვინ იცის, ამილახორიქ მოვიდეს და იმისი მამული იმასვე მივსცეთ, თქვენ უნაკლულო არ ცვაქიშუათ*“³.

იმავე 1630 წლის 22 აპრილის სიმონ II-ის ქაიხოსროს მამულის წყალობის წიგნი მისცა და ამ საბუთით მას ენაგეთში მემშვილდისეული მამული მისცა: „*ჩვენ, მეფემან, პატრონმან სუიმონ, ესე წყალობის წიგნი ვიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერდგულსა ემასა, ბარათაშვილს, ბატონს ქაიხოსროს და შვილთა თქვენთა – გუგუნასა და ბარათასა.*

მას ჟამსა, როდისაც მოგვიდევით კარსა და მამულის წყალობას დაგუიჯენით. ვისმინეთ მოხსენება თქვენი და შევიწყალეთ და ვიბოძეთ ენა<თ>გკეთს მემშვილდისშვილისეული მამული და საკუამლო...“⁴.

ციტირებულ საბუთში ქაიხოსრო ყოველგვარი სამოხელეო წოდების გარეშეა მოხსენიებული. გარდა ამისა, იგი დოკუმენტში ვაჟებთან – გუგუნასა და ბარათასთან ერთად იხსენიება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საბუთში დასახელებული არ არის ქაიხოსროს მესამე ვაჟი – ნიკოლოზი.

იმავე 1630 წელს სიმონ II-ემ ქაიხოსროს კიდევ ერთი წყალობის წიგნი მისცა. ამ სიგელიდან ვიგებთ, რომ მეფემ ქაიხოსროს, მახრალაჯის ნაცვლად, უბოძა ენაგეთი, ამ სოფელში მდებარე ალიყულიბეგისა და ყორღანაშვილების მამულების გამოკლებით. გარდა ამისა, სიმონ II-ემ ქაიხოსროს მკვიდრი აზნაურების – რევიშვილებისა და მემშვილდისშვილების მამულის წყალობაც განუახლა. აღნიშნულ საბუთში ვკითხულობთ: „...*ჩვენ, მეფემან, პატრონმან სუიმონ, ეს... წყალობის წიგნი და სიგელი შევიწყალეთ და ვიბოძეთ თქვენ... ბარათაშვილს ქაიხოსროს და თქვენთა ძმათა თამაზს და შვილთა თქვენთა: გუგუნასა, ბარათასა და შვილთა და მამავალითა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.*

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა დარბაზისასა და თქვენისავ სამკვიდროს მამულის წყალობას გვიჯენით და ჩვენცა მოკითხული ვქენით და შევიწყალეთ და ვიბოძეთ ენაგეთს, რაც ალიყულიბეგს მამული აქვს, იმას გარდაის და აგრევე, რაც ყორღანაშვილები, რისაც მამულის მქონებელნი იყუნენ, იმას გარდაისათ, თავად თქვენი სამკვიდრო ი<ა>ყო და მერმე რომ მახრალაჯი, რომ გამოგართუით, იმის სამუქფოდ ვიბოძეთ ენაგეთი, ალიყულიბეგის მამულისა და ყორღანთათ გარდაისათ... თქვენთუნ და თქვენთა შვილთათვს, სამკვიდროდ და საბოლოოდ ვვიბოძებთ და აგრევე კიდევ, თქვენივ სამკვიდრო აზნაურისშვილი – რევიშვილი შავერდა და რევი, მათის სამართლიანის მამულითა, რისაც მქონებელნი იყუნენ, ყოველითურთ და იქვე, ენაგეთს, ამას წინათ, რომე მემშვილდისშვილის მამული ვიბოძეთ...“⁵.

ციტირებულ საბუთში ქაიხოსროს გარდა, მისი ძმა – თამაზი და შვილები – გუგუნა და ბარათაც არიან მოხსენიებულნი. ამ დოკუმენტში, 1630 წლის 22 აპრილის ზემოთ განხილული საბუთის მსგავსად, არ იხსენიება ქაიხოსროს მესამე შვილი – ნიკოლოზი.

სიმონ II-ის მიერ ქაიხოსროსათვის მიცემულ 1630 წლის სამ საბუთზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ქაიხოსრო სამივე საბუთში სახლთუხუცესის წოდების გარეშეა მოხსენიებული. როგორც ჩანს, სიმონ II-ის სამსახურში კიდევ ერთხელ ჩამდგარმა ქაიხოსრომ უკან ვედარ და-

¹ საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1448, საქმე №598.

² პირთა ანოტირებული ლექსიკონი..., გვ. 123.

³ საქართველოს ეროვნული არქივი..., ფონდი 1448, საქმე №598.

⁴ საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 12, საქმე №107.

⁵ საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 12, საქმე №132.

ობრუნა დედოფლის სახლთუხუცესის სახელო, რომელიც მისთვის 1628-1630 წლებში, თეიმურაზ I-ის მხარეს გადასვლის გამო უნდა ჩამოერთმიათ.

შემდეგი საბუთი, რომელიც ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის შესახებ გვაწვდის ცნობებს, 1633 წლით თარიღდება. ეს არის ქართლის მეფეს როსტომის (1633-1658 წწ.) მიერ ქაიხოსროსათვის მიცემული წყალობის წიგნი. ამ დოკუმენტით მეფემ ქაიხოსროს ალიყულობების ყოფილი აზნაურიშვილი – ასიტა ჩაჩიკაშვილი ძმებითა და მამულით უბოძა.

1633 წლის სიგელში ქაიხოსრო კვლავ სახლთუხუცესის წოდებით არის მოხსენიებული. საბუთში, ქაიხოსროს გარდა, მისი ვაჟები – გუგუნა და ბარათა იხსენიებიან. აქვე, აღვნიშნავ, რომ დოკუმენტში აღარ გვხვდება ქაიხოსროს ძმის – თამაზის სახელი, რასაც თავისი მიზეზი აქვს. საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ საბუთის გაცემის დროს ანუ 1633 წელს ქაიხოსროსა და თამაზის ოჯახები უკვე გაყრილები არიან. სწორედ ამგვარი დასკვნისაკენ გვიბიძგებს როსტომ მეფის ერთი უთარილო გაყრის სიგელის ფრაგმენტი, რომელიც „პირთა ანოტირებულ ლექსიკონში“, ზოგადად, როსტომის მეფობის პერიოდით – 1633-1658 წლებით არის დათარიღებული. აღნიშნული გაყრის წიგნის ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტის დასაწყისში წერია: „...ამისი ჯუმალი ოცდაათი კომლი, ავი და კარგი“, რის შემდეგაც სხვა ხელით გრძელდება: „ქ. მიხუდა თამაზის და მათ შვილთა: სოფელი ბოციჯვარი; ხოხეთს – თეგაძე გულისადები, კვირიკაშვილი მაზიტა, ღონია; ახალშენს – შაქარაშვილი ზაქარია, მისი განაყოფი ქიტია; საბუზარას – კახუაშვილი გიორგი, კიდე, ხარატი გიორგი, იანვარაშვილის მამულითა; ნახშირისკორს – დუნიაშვილი, ქრისტესიაშვილები, მაჯანიძე ელიზბარა, პაპაშვილი გოგია, ჯავახაშვილი; წინვენაკს – პაპუნა, კუამლი ერთი; ენაგეთს – ფირამაზაშვილი ბერია, გამგებლიშვილი ფრიდოა, ქერუას კერძის მამულითა, პურმეკაშვილი მირიმანა; ახალშენს – ახიჯანაშვილი დათუა; ტბისქს – თანღრიაშვილი მაზიტა, მისი განაყოფი გოგია, ბოგანო ნადირაშვილი გოგია; მძოვრეთს – ნადთინაშვილის მამული; თაფანს – ოქრიაშვილი სადება და ბოგანო ჯობია; ანდრიათ – ამირამიზაშვილი ამბრია, ბარათას საფიხსულითა და საგოდრითა, არეშიშვილი შერმაზანა, მისის მამულითა, მისი განაყოფი სალუყაზანა; სავანეთს – ზეინკლიშვილი ზაქარია, პანცელაშვილი ვართანა, მკერვალი პაპუნა, მისის ყმითა, მკედელი ამირჯანა, მღებვარი ნურიკა, მისის მამულითა, ედიშერაული არის, გაღუსტა; ერთ წილად – ძამა; კიდევ ერთ წილად, კრკონს – ბაირამაშვილი ასლამაზა და მირზა“¹.

თუ ციტირებულ საბუთში ჩამოთვლილ მამულებს ყურადღებით დავაკვირდებით, სრულეებით ცხადი გახდება, რომ ტექსტში ნახსენები „თამაზა“ იგივე ქაიხოსროს ძმა – თამაზ აბაშიშვილია². ჩვენი აზრით, საბუთის პირველ ნაწილში, რომელმაც ჩვენამდე არ მოაღწია, ჩამოთვლილი იყო ის მამულები, რომლებიც გაყრის დროს ქაიხოსროს ხვდა წილად.

ამრიგად, განხილული გაყრის წიგნზე დაყრდნობით, გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი და მისი ძმა თამაზი როსტომის მეფობის დროს ანუ 1633-1658 წლებში გაიყარნენ. უფრო მეტიც, ჩვენ შეგვიძლია, ეს საკმაოდ ვრცელი ქრონოლოგიური მონაკვეთი კიდევ უფრო დავავიწროვოთ და, პრაქტიკულად, ზუსტად ვთქვათ, როდის ჰქონდა ქაიხოსროსა და თამაზის ოჯახების გაყრას ადგილი.

ამ მიზნით, მოვიტანთ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის ქართული დოკუმენტების Qd კოლექციაში დაცულ ერთ-ერთ საბუთს, რომელიც 1634 წლით არის დათარიღებული. ეს საბუთი წარმოადგენს ნასყიდობის სიგელს, რომელშიც ვკითხულობთ: „...ესე... ნასყიდობის წიგნი მოგართვი თქვენ, ბატონს თამაზს და შვილთა თქვენთა, მე, გაბაშვილმა გივმა და შვილმა ჩემქმა.

ასრე, რომ დამეგირა და მოგყიდეთ თაფანს ერთი საკომლო, მთელი ტალიური, რისაც მქონებელი ყოფილიყოს, მისის სამართლიანის საქმითა, კიდევ სავენახე მიწა ორის დღისა, ბაღიაშვილის ვენახს ზევით სავენახეთ... დაიწერა წიგნი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტპპ † †“³.

როგორც ვხედავთ, „ბატონი თამაზი“ ანუ თამაზ ბარათაშვილ-აბაშიშვილი გივი გაბაშვილისაგან თაფანს მდებარე ერთ საკომლოსა და ბაღაშვილის ვენახს ზევით მდებარე ორი დღის სავენახე მიწას ყიდულობს. ამ ნასყიდობის წიგნში თამაზი უკვე უფროსი ძმის – ქაიხოსროს გარეშე იხსენიება, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ საბუთის გაცემის დროს ანუ 1634 წელს მისი და ქაიხოსროს ოჯახები უკვე გაყოფილია.

¹ საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1448, საქმე №2318.

² „პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ ავტორები ითვალისწინებენ სიმონ მეფის მიერ თამაზ ბარათაშვილისათვის მიცემულ 1626 წლის საბუთს, რომლითაც თამაზმა მეფისაგან, წყალობის სახით, ელმადათ [ბარათაშვილის] ნაქონი სოფელი ბოცისჯვარი მიიღო და ჩვენთვის საინტერესო საბუთში მოხსენიებულ „თამაზ“-ს თამაზ ბარათაშვილთან აიგივებენ (პირთა ანოტირებული ლექსიკონი... გვ. 418).

³ კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ისტორიული დოკუმენტების Qd კოლექცია, დოკუმენტი №871-1.

მაშასადამე, დგინდება, რომ ქაიხოსრო და თამაზ ბარათაშვილ-აბაშიშვილების ოჯახების გაყრას, ერთი მხრივ, როსტომის მეფობის დროს, ხოლო, მეორე მხრივ, 1634 წლის ნასყიდობის წიგნის გაცემის წინარე ხანებში ანუ 1633 წელს ჰქონდა ადგილი.

იმავე 1633 წლის 25 დეკემბერს როსტომ მეფე ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილს კიდევ ერთ წყალობის სიგელს აძლევს. საბუთში ვკითხულობთ: „ჩუვენ, მეფეთ-მეფემან, პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფლითა-დედოფალმან, პატრონმან მარიაძ, ესე... წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ... სახლთუხუცეს, ბარათაშვილს ქაიხოსროს და შვილთა თქუენთა: გუგუნასა, ნიკოლოზს და ბარათასა, მომავალთა საქახლისა თქუენისათა ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და მამულის წყალობას და გუიჯენითა და ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და მოკითხული ვ<ა>ქენით და სოფელი ნახშირისგორის ჰვე<ა>ში, თავითგან თქუენი სამკუიდრო მამული ყოფილიყო და მერმე ჩუენი მეგ<ა>უიდრე ემა, ესე ერისთავი შემოგუარივით და თქუენის ქართულით შეკრიფეთ და მისთ მუქაფათ შეგიწყალეთ და გიბოძეთ ვერისჰვეში, სოფელი ნახშირისგორი, ჰვემოთი უბაკნი და ზემოთი უბანი...“⁴.

როგორც ვხედავთ, ციტირებული წყალობის წიგნის მიხედვით, ქაიხოსრო კვლავინდებურად ატარებს სახლთუხუცესის წოდებას. უფრო მეტიც, იგი მეფის ერთგული ფეოდალია და მისგან, წყალობის სახით, იღებს სოფელ ნახშირისგორს თავისი ზემო და ქვემო უბნებით. საგულისხმოა, რომ საბუთში პირდაპირ არის დასახელებული ის დამსახურება, რომლის სანაცვლოდაც ქაიხოსროს წყალობის წიგნი მისცეს. საბუთის ტექსტი გვაუწყებს, რომ ქაიხოსრომ როსტომ მეფე და ქსნის ერისთავი იესე ერთმანეთთან შეარიგა, რითაც მეფეს ძალიან დიდი სამსახური გაუწია. აქვე, აღვნიშნავ, რომ საბუთში წიგნში ქაიხოსროს გარდა, მისი ვაჟები – გუგუნა, ნიკოლოზი და ბარათაც არიან დასახელებული.

განხილულ 1633 წლის 25 დეკემბრის წყალობის წიგნს აქვს თავისი სპარსული ვარიანტიც, რომელიც ვლადიმერ ფუთურიძეს აქვს გამოქვეყნებული და რომელსაც, მეცნიერი 1636 წლით ათარიღებს². ამასთან, ჩანს, რომ მკვლევარი აღნიშნული თარიღის მართებულობაში ბოლომდე არ არის დარწმუნებული და თარიღი კითხვის ნიშნის ქვეშ მოაქვს. საბუთის სპარსული ტექსტი ქართულ ვარიანტს, ინფორმაციული თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად ავსებს. სწორედ სპარსული ვარიანტიდან ვიგებთ, რომ როსტომ მეფის მიერ ქაიხოსროსათვის ნაბოძები სოფელი ნახშირისგორი ადრე ქაიხოსროს წინაპრებს ეკუთვნოდათ, მოგვიანებით კი თურქისტანიშვილების კუთვნილება გამხდარა. საინტერესოა ისიც, რომ საბუთის სპარსულ ტექსტში ქაიხოსროს გვერდით, მხოლოდ მისი უმცროსი ვაჟი – ბარათაა დასახელებული, დანარჩენი ვაჟები – გუგუნა და ნიკოლოზი კი ტექსტში არ იხსენიებიან.

მომდევნო, 1634 წელს მეფე როსტომმა ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილს სახასო სოფელ ენავეთში გიორგი სადუნიშვილი და მისი შვილები თავიანთი მამულებით უბოძა. წყალობის წიგნში ქაიხოსრო კვლავინდებურად სახლთუხუცესად არის მოხსენიებული. დოკუმენტში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ მის ტექსტში, 1633 წლის 25 დეკემბრის ორენოვანი საბუთის ქართული ვარიანტისაგან განსხვავებით, ქაიხოსროს მხოლოდ უმცროსი ვაჟი – ბარათაა დასახელებული, უფროსი ვაჟები – გუგუნა და ნიკოლოზი კი საბუთში არ ჩანან.

იმ საკითხის შესახებ, თუ რატომ არ იხსენიება 1634 წლის წყალობის წიგნში ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ვაჟი – ნიკოლოზი, ქვემოთ საგანგებოდ გვექნება მსჯელობა. რაც შეეხება იმავე დოკუმენტში ქაიხოსროს უფროსი ვაჟის – გუგუნას მოუხსენებლობას, ვფიქრობთ, რომ საბუთის გაცემის დროს ანუ 1634 წლის 25 დეკემბერს გუგუნა უკვე გარდაცვლილი იყო. როგორც ჩანს, სწორედ ამ მიზეზით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ გუგუნას სახელი, მისი ძმის ნიკოლოზის სახელისაგან განსხვავებით, 1634 წლის შემდგომი პერიოდის წერილობით წყაროებში საერთოდ აღარ გვხვდება. სამწუხაროდ, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, არ შეგვიძლია, ვთქვათ, თუ, კონკრეტულად, რა ვახდა გუგუნას გარდაცვალების მიზეზი, თუმცა კი, სრულეობით ცხადია, რომ ამ ფაქტს 1633 წლის 25 დეკემბრის ორენოვანი საბუთის გაცემის შემდეგ და 1634 წლის წყალობის წიგნის შედგენის წინარე ხანებში ანუ 1634 წელს ჰქონდა ადგილი.

ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის შემდგომი პერიოდის შესახებ ცნობებს ირანის შაჰის სეფი I-ის (1629-1642 წწ.) მიერ ვინმე ქაიხოსრო-ბეგისათვის მიცემული 1635 წლის ფირმანი გვაწვდის³. დოკუმენტის თანახმად, ქაიხოსრო-ბეგმა „ვაჟკაცობა, თავდა-

¹ საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 12, საქმე №129.

² ვლ. ფუთურიძე, *სპარსული ისტორიული საბუთები...*, გვ. 18-19.

³ მ. ხუბუა, *საქართველოს მუზეუმის სპარსული...*, გვ. 5-6. 1635 წლის სპარსული ფირმანი გამოქვეყნებული აქვს ვლადიმერ ფუთურიძეს, რომელიც, წინა საბუთის მსგავსად, ამ დოკუმენტის ქრონოლოგიასაც აზუსტებს და ფირმანს, მაკარ ხუბუას მიერ შემოთავაზებული თარიღის – 1635 წლის ივნის-ივლისის ნაცვლად, 1635 წლის 17 ივნისიდან 16 ივლისამდე პერიოდით განსაზღვრავს (ვლ. ფუთურიძე, *სპარსული ისტორიული საბუთები...*, გვ. 32).

დება და ერთგულება“ გამოიჩინა მაშინ, როცა როსტომ მეფემ თეიმურაზ I სურამის მიდამოებში დაამარცხა და გააქცია.

ფირმანის გამომცემელმა მაკარ ხუბუამ ტექსტში ნახსენები ქაიხოსრო-ბეგი, რაიმე არგუმენტაციის მოტანის გარეშე, ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილთან გააიგივა¹.

ჩვენ მაკარ ხუბუას ამ მოსაზრებას სრულად ვიზიარებთ და ვფიქრობთ, რომ სეფი I-ის ფირმანში ნახსენები ქაიხოსრო-ბეგი სწორედ ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი უნდა იყოს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ლოგიკურად დაისმის კითხვა: როსტომ მეფესა და თეიმურაზ I-ს შორის მომხდარ, კონკრეტულად, რომელ დაპირისპირებაში გამოიჩინა ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილმა ფირმანში ხაზგასმით აღნიშნული „ვაჟაკობა, თავდადება და ერთგულება“?

თუ გავითვალისწინებთ, რომ ხსენებული დაპირისპირება როსტომ მეფესა და თეიმურაზ I-ს შორის 1635 წლის ფირმანის გაცემის წინარე ხანებში სურამის მიდამოებში გაიმართა და თეიმურაზ I-ის დასავლეთ საქართველოში განდევნით დასრულდა, ვფიქრობთ, დასმულ კითხვისათვის პასუხის გაცემა რთული საქმე არ უნდა იყოს. მართლაც, აღნიშნული რეაქციების გათვალისწინებით, დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ ფირმანში იგულისხმება 1633 წელს მომხდარი ისტორიული ფაქტი, რომელსაც XVII საუკუნის ქართველი მემატრიანე ფარსადან გორგიჯანიძე საკმაოდ დეტალურად გადმოგვცემს.

ეკრძოდ, ფარსადანი მოგვითხრობს, რომ მას შემდეგ, რაც როსტომ მეფე ირანიდან საქართველოსაკენ დაიძრა, ქართლელი ფეოდალები, იოთამ ამილახორის გარდა, თეიმურაზ I-თან აღარ გამოცხადდნენ. ამასობაში, „როსტომ მეფე ყარაბაღში შემოსულიყო. ომი აღარ მოკლა, დიდვამით აიყარა (იგულისხმება თეიმურაზ I – თ. გ.) და გორს მივიდა. ქართლის ლაშქარი აღარც იქ შემოეყარა და იმერეთით მოშველებას ელოდნენ. დადიანი ჩამოსდგომოდა, ველარც ისინი მოეშველნენ. ამისთანაზეა ნათქვამი: ვისაც ბედი გაუაუღდებისო, ფაფა კბილებს დაამტვრევსო. გორს ანბავი მოუვიდა, ერანის ლაშქარი აღჯაყალას შემოვიდაო და ბარათიანი სრულ მიუვიდნესო. ბატონი თეიმურაზ გორით აიყარა და ქვიშხეთს მივიდა. როსტომ მეფე ერანის ლაშქრით ქალაქში შემოვიდა და უფროსი ერთნი თავადნი მოეგებნენ და ბატონის თეიმურაზის ულაშქრობა მეფე როსტომს მოახსენეს. ქალაქით ორი ათასი ცხენკეთილი კაცი და რჩივეს და ქვიშხეთს გაუძახეს, რომ ბატონს თეიმურაზს დაესხან. იმათაც შეეცყო და ჯალაბნი და ბარგი წინ გაესტუმრებინა და თვითან სახმარის კაცებით უკან ასდევნოდეს და მდევართაც ზოვთ ცხენებიც დავარდნოდათ. ცოტა ვინმე წამოსწოდნენ და ომს დარიდებოდნენ, უკან დაე(ა)რდნილის კაცისა და ბარგისაგან ეშოვნათ, გორს მეფეს მოართვეს და ბატონი თეიმურაზ იმერეთს გარდვიდა“².

იმ ფაქტს, რომ როსტომ მეფესა და თეიმურაზ I-ს შორის 1632-1633 წლებში მომხდარი დაპირისპირების დროს ბარათაშვილები, მათ შორის კი, ცხადია, ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილიც, როსტომ მეფის მხარეზე იდგნენ და თეიმურაზ I-ს ღიად უპირისპირდებოდნენ, პირდაპირ აღნიშნავს XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი: „მაშინ ბატონმან თეიმურაზ, სცნა რა საქმე ესე (როსტომ მეფის ქართლში შემოსვლის ამბავი – თ. გ.) შემოიყარა სპანი თჳსნი, მივიდა და დადგა საფურცლეს და მოუწოდა ბარათიანთა ცოლშვილიანად და მოასხა მუხრანს და იყვნენ მუნ. და რა სცნეს ბარათიანთა მოსვლა როსტომ მეფისა ხუნანს, დაუტევეს ცოლშვილი და წარვიდნენ როსტომ მეფეს თანა. და რა სცნა ბატონმან თეიმურაზ წასვლა ბარათიანთი, განრისხნა ფრიად და ინება ცხვირ-პირის დაჭრა ბარათიანთ ცოლშვილისა, ხოლო ხორეშან დედოფალმან აღარ დაანება და ვერღარა დადგა ბატონი თეიმურაზ მუხრანსა“³.

ამგვარად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუკი დავასკვნით, რომ ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილმა როსტომ მეფის მიმართ „ვაჟაკობა, თავდადება და ერთგულება“ სწორედ 1633 წელს ქვიშხეთ-სურამის მიდამოებში გამართული დაპირისპირებისას გამოიჩინა და სეფი I-მაც მას სწორედ ამ სამსახურის სანაცვლოდ უბოძა თავისი 1635 წლის ფირმანი.

ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი ყველაზე გვიანდელი წერილობითი წყარო, რომელშიც ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი ცოცხლადაა მოხსენიებული, 1642 წლით თარიღდება. ეს არის როსტომ მეფის მიერ ქაიხოსროსათვის მიცემული წყალობის წიგნი. ამ საბუთში მეფე ქაიხოსროს ერთგულებასა და ნამსახურობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს და მას, წყალობის სახით, უბოძებს თუმიწს, მისი კუთვნილი ყმა-მამულით: „ჩვენ, მეფეთ მეფემან, პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემა ჩვენმა, დედოფალთ დედოფალმა, პატრონმა მარიამ, ესე... წყალობის წიგნი

¹ მ. ხუბუა, *საქართველოს მუზეუმის სპარსული...*, გვ. 8.

² ფარსადან გორგიჯანიძე, საქართველოს ისტორია, სარგის კაკაბაძის გამოცემა, *საისტორიო მოამბე*, ტ. II (თბილისი, 1925), გვ. 240.

³ ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), გვ. 417.

და სიგელი შევიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ... ბარათაშვილს, სახლის უხუცესს, ბატონს ქაიხოსროს და შვილსა თქვენსა ბარათასა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

მას კამსა, ოდეს თუშინ<ი>{ს} თავისავე ნებითა მისი თავი თქვენთვის მოებარებინა. თქვენცა მოგვიდექით კარსა, თუშინისა მობარებისა და იმისი მამულის: ბუკლულაშვილებისა და სრულად ბუკლულანისა და ელფიას – მანუკაშვილის წყალობასა დაგვიაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, თუშინიც თქვენ მოგაბარეთ და მისი მამული: ბუკლულანი და ელფიას – მანუკაშვილი...⁴.

ციტირებულ დოკუმენტში ქაიხოსრო ძველებურად სახლთუხუცესის წოდებით არის მოხსენიებული² და მის გვერდითაც კვლავინდებურად მხოლოდ უმცროსი ვაჟი – ბარათა დასახელებული.

განხილული საბუთის შემდეგ ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის შესახებ მხოლოდ ერთი დიპლომატიკური ძველი გვაწვდის ცნობებს. ეს არის როსტომ მეფის 1642 წლის წყალობის წიგნი ქაიხოსროს ძმისწულის – ხოსია ბარათაშვილისადმი. ამ დოკუმენტით მეფემ ხოსიას უწყალობა სოფელი ოძისი და იქ მოსახლე ურუბეხაშვილები, რომლებიც ხოსიას ბიძას – ქაიხოსროს, საბუთის თანახმად, ძალით ჰქონია მიტაცებული³.

ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის მიმოხილვისას განსაკუთრებულ ყურადღებას ფარსადან გორგიჯანიძისა და ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებებში დაცული ცნობები იპყრობს. ამ ცნობების თანახმად, ქაიხოსრო დაკავშირებული იყო ცნობილ ისტორიულ მოვლენასთან – ნოდარ ციციშვილის მიერ როსტომ მეფის წინააღმდეგ მოწყობილ გამოსვლასთან, რომლის დამარცხების შემდეგაც მეფემ ქაიხოსრო სიკვდილით დასაჯა. აღნიშნული გამოსვლის თვითმიხედვით ფარსადან გორგიჯანიძე ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ქაიხოსროს სიძე – ბახუტა ჰუსეინბეგიშვილი ბაგრატიონი იყო⁴, ქართლის სამეფო ტახტზე აცხადებდა პრეტენზიას და, შესაბამისად, ქაიხოსროს ნოდარ ციციშვილის გამოსვლაში მონაწილეობის მიღებისას საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სიკვდილით დასჯის დროსთან დაკავშირებით, ბოლო დრომდე ორი მოსაზრება არსებობდა: მკვლევართა ერთი ნაწილი (გივი ჯამბურია, დავით გვრიტიშვილი), ვახუშტი ბაგრატიონის ცნობებზე დაყრდნობით, ფიქრობდა, რომ ქაიხოსრო სიკვდილით 1636 წელს დასაჯეს, მეცნიერთა მეორე ნაწილს (გულქან ჟორჯოლიანი, დავით ნინიძე) კი, ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების გათვალისწინებით, მიაჩნდა, რომ ქაიხოსროს სიკვდილით დასჯას 1637 წელს ჰქონდა ადგილი.

ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სიკვდილით დასჯის ქრონოლოგიის საკითხი საგანგებოდ შევისწავლეთ 2009 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ქართლის დედოფლის სახლთუხუცესის ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის (XVII ს-ის I ნახ.) სიკვდილით დასჯის თარიღისათვის“ და გავარკვიეთ, რომ ქაიხოსრო სიკვდილით 1642 წელს დასაჯეს⁵. აღნიშნული მოსაზრების

¹ კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ისტორიული დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №14694.

² ზაზა ჭაიას აზრით, ქაიხოსრო ბარათაშვილი-აბაშიშვილი 1642 წლისათვის ბოქალთუხუცესობას ფლობდა. ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება როსტომ მეფის მიერ ქაიხოსროსათვის მიცემული 1642 წლის წყალობის სიგელი, რომელშიც ეს უკანასკნელი მხოლოდ სახლთუხუცესად იხსენიება. ზაზა ჭაიასავე აზრით, ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილს სახლთუხუცესის თანამდებობა 1647 წლის ჩათვლით ეკავა (ზ. ჭაია, *ქვემო ქართლის სათავადოების...*, გვ. 161). ჩვენი დაკვირვებით, არც ეს მოსაზრებაა მართებული, ვინაიდან ქაიხოსრო, როგორც ქვემოთ ვნახავთ ამას, სიკვდილით 1642 წელს დასაჯეს. ვფიქრობთ, რომ ზაზა ჭაია, მოცემულ შემთხვევაში, შეცდომაში შეიყვანა როსტომ მეფის 1642 წლის წყალობის წიგნის პირიდან გადაწერილმა კიდევ ერთმა პირმა, რომელსაც თარიღად, შეცდომით, ქრონიკონი ტლმ (335) ანუ 1647 (335+1312) წელი უხის.

³ კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ისტორიული დოკუმენტების Ad კოლექცია, დოკუმენტი №1138.

⁴ უახლოეს მომავალში დაგეგმილი გვაქვს ბახუტა ჰუსეინბეგიშვილისადმი მიძღვნილი ნაშრომის მომზადება, რომელშიც ნარატიულ წყაროებსა და ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, მისი საგვარეულო კუთვნილებაც გვეჩვენა გარკვეული.

⁵ თ. გოგოლაძე, ქართლის დედოფლის სახლთუხუცესის ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის (XVII ს-ის I ნახ.) სიკვდილით დასჯის თარიღისათვის, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, IX (თბილისი, 2009), გვ. 111-116. ისტორიკოსი ლადო მირიანაშვილი მიმოხილავს რა პირღებულის მონასტრის ინტერიერში არსებულ საფლავის ქვებს, იქვე დასძენს, რომ „XVII საუკუნეში ეს ეკლესია აბაშიშვილთა (ბარათაშვილთა გვარის ერთ-ერთი განშტოების) საგვარეულო საძვალე გამხდარა. პირველი მიცვალებული პირღებულში 1642 წელს დაუკრძალავთ. შეგვიძლია მოვიყვანოთ XVII საუკუნეში წარჩინებულ გვართა წარმომადგენელთათვის მონასტრის „სასაფლაოდ“ გადაცემის მაგალითი, რომელიც ამავე რეგიონს უკავშირდება: 1643 წლის 24 აგვისტოს როსტომ მეფეს (1632-1658) ყოფილი სამეფო მონასტერი გუდარეხი ერთგული და თავდადებული სამსახურისათვის გერმანოზ ბარათაშვილისა და მისი შვილებისათვის უბოძებია „სასაფლაოდ“. ამ გადაწყვეტილების მიღებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა 1642 წელს მეფე როსტომის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების დროს გერმანოზ ბარათაშვილთა მიერ მეფის მხარდამჭერთა რიგში ყოფნას. რაც შეეხება 1642 წელს პირღებულის მონასტრის მთავარ ტაძარში დაკრძალულ პირველ აბაშიშვილს – ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილს, იგი როსტომ მეფის მოწინააღმდეგეთა რიგში იყო, რასაც ემსხვერპლა კიდევ. ამის შესახებ ცნობები დაცულია ვახუშტი ბაგრატიონისა და ფარსადან გორგიჯანიძის შრომებ-

გამოთქმისას ვემყარებოდით ორ წერილობით ძეგლს: 1. როსტომ მეფის 1642 წლის წყალობის სიგელს ქაიხოსროსადმი, რომელიც ზემოთ უკვე განვიხილეთ; და 2. პირღებულის მონასტრის მთავარი ტაძრის ინტერიერში მიკვლეულ ქაიხოსროს საფლავის ქვაზე ამოკვეთილ ეპიტაფიას, რომელიც პირდაპირ გვაუწყებს, რომ ქაიხოსრო 1642 წელს აღესრულა

მოვიტანო ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ეპიტაფიის ტექსტს: „წ. ესე არს ს(ა)მკვიდ-
/რ(ე)ბელი ჩ(ემი), რ(ამეთუ) მ(ონ)ა(ვს) და ამ(ა)ს / მ(ი)ნა მდ(ე)ბარე / არს გვაში / დ(ი)დის აბ(ა)-
მ(ი)ს(მე)ლ(ი)სი, ავთ(ა)ხნდ(ი)ლ(ი)ს ძის ქაიხოსროსი. / ვინც აღმო(ი)კ(ი)თხვედეთ, / შენდობ(ა)ს /
უბდ(ა)ნებდეთ. / ქ(რონი)კ(ონ)ს ტლ (1312+330=1642 წ.)“¹.

როგორც ვხედავთ, ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ეპიტაფიაში პირდაპირ არის მი-
თითებული არა მხოლოდ ქაიხოსროს მამის სახელი – ავთანდილი, არამედ მისი პაპის სახელიც
– აბაში, რომელიც ტექსტში „დიდ აბაშად“ არის მოხსენიებული და რომელიც, აბაშიშვილთა
საგვარეულოს ფუძემდებელი უნდა ყოფილიყო².

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ დაისმის კითხვა – რა ბედი ეწიათ ქაიხოსრო ბარათაშ-
ვილ-აბაშიშვილის სიკვდილით დასჯის შემდეგ მის შთამომავლებს?

დასმულ კითხვასთან დაკავშირებით, საინტერესო ცნობებს გვაწვდის როსტომ მეფის 1649
წლის წყალობის წიგნი ბარათა ბარათაშვილისა და ვინმე „პატრონი მანგლელისადმი“: „...ჩვენ,
მეფემან, კვლმწიფემან, პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩუენმა, დედოფალთ დედო-
ფალმან, პატრონმა მარიამ, პირმშობა და სასურველმან ძემან ჩუენმა, პატრონმა ლუარსაბ, ეს...
წყალობისა წიგნი და სიგელი და ნიშანი შევიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩუენთა ერდგულთა

ში. მოგვყავს ამონარიდი ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრებიდან“, რომელშიც ჩვენთვის საინტე-
რესო ამბავი ვახუშტის ცნობისგან განსხვავებით დამატებითი დეტალებითაა გამდიდრებული: „ხოვლეთსა საჯა-
ვახიანოში ციციშვილი ნოდარ თავის ბატონს მეფე როსტომს შეება და გაიქცა... მეფემ გაიმარჯვა. ნოდარ ვერის
ციხეში შეიხვეწა და ჩხეიძენი დაჭრილნი და დარჩენილნი მეფეს წინ მოასხეს მკარწაკრულნი და გამარჯვება მიუ-
ლოცეს ქაიხოსროვ ბარათაშვილი, დედოფლის სახლოთხუცესი, დაიჭირეს და ციხეში აიყვანეს და ღამით კოშ-
კიდან გარდმოაგდეს და თქვეს – დამოურალა და თოითონ გარდმოვარდნილაო და ამის შვილები დააჭირვინეს და
გორის ციხეში დაატყვევეს“. ეს ცნობა თანხმობაშია ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის საფლავის ქვის ეპიტა-
ფიაში მითითებულ გარდაცვალების წელთან“ (ლ. მირიანაშვილი, პირღებულის მონასტრის აღწერა. ყოვლადწმინდა
ღმრთისმშობლის ტაძარი, მისი ხუროთმოძღვრება და ორნამენტული დეკორი, წგნ. ნ. ბახტაძე, კ. ზენდერი, ნ. კუპრა-
შვილი, ლ. მირიანაშვილი, თ. ჯოჯუა, პირღებულის მონასტერი 1989 და 2002-2003 წწ. კომპლექსური სამეცნიერო
ექსპედიციების შედეგები, (თბილისი, 2005), გვ. 79). როგორც ვხედავთ, ისტორიკოსმა ფარსადან გორგიჯანიძის
თხზულებაში მოხსენიებული სახლოთხუცესი ქაიხოსრო ბარათაშვილი სახვებით სამართლიანად გააგვიპირღე-
ბულის მონასტრის 1642 წლის ეპიტაფიაში მოხსენიებულ ქაიხოსრო აბაშიშვილთან. მისივე თქმით, ფარსადან გორ-
გიჯანიძის თხზულების ცნობა როსტომ მეფის მიერ ქაიხოსროს სიკვდილით დასჯის შესახებ სრულად შეესაბამება
ქაიხოსრო აბაშიშვილის საფლავის ქვის წარწერის თარიღს ანუ 1642 წელს. ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების
ის ქვეთავი, სადაც ქაიხოსროს სიკვდილით დასჯის ამბავია მოთხრობილი, 1637 წლით თარიღდება. სწორედ ამ
მნიშვნელოვანი გარემოების გათვალისწინებით, ქართველ ისტორიკოსთა ნაწილი (გულქან ჟორჟოლიანი, დავით ნი-
ნიძე) მისი სიკვდილით დასჯის ამბავს იმავე 1637 წლით ათარიღებდა. ამგვარად, ფარსადანის ცნობა არა თუ
შესაბამისობაში მოდის პირღებულის მონასტრის 1642 წლის ქაიხოსრო აბაშიშვილის საფლავის ქვის წარწერასთან,
არამედ, პირიქით, ეწინააღმდეგება აღნიშნული ეპიტაფიის წარწერის თარიღს – 1642 წელს. აქედან გამომდინარე,
ჩვენ ვერ დავეთანხმებით ისტორიკოსის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებისა და
პირღებულის მონასტრის 1642 წლის ეპიტაფიის ცნობების ქრონოლოგიური შესაბამისობის შესახებ. უფრო მეტიც,
მეცნიერს მიაჩნია, რომ გერმანოზ ბარათაშვილსა და ქაიხოსრო ბარათაშვილს 1642 წელს როსტომ მეფის წინა-
აღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში სხვადასხვა პოზიცია ეკავათ. გერმანოზ ბარათაშვილი მეფის მომხრეთა დასის
წარმომადგენელს წარმოადგენდა. ქაიხოსრო ბარათაშვილი კი ქართლის მეფის (იგულისხმება როსტომ მეფე – თ.
გ.) მოწინააღმდეგეთა რიგებში ირიცხებოდა. ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებისა და 1643 წლის 24 აგვისტოს
როსტომ მეფის წყალობის წიგნის ცნობების ურთერთშეჯერება ცალსახად აჩვენებს, რომ გერმანოზ ბარათაშვილმა
1643 წლის ქართლის ფეოდალთა მიერ დაგეგმილ მასშტაბური შეთქმულების დროს გამოიჩინა ქართლის მეფისადმი
ერთგულება. ქართველი ისტორიკოსები ჩვენამდე ამ ფაქტს 1642 წლით ათარიღებდნენ. ჩვენ ფარსადან გორგიჯა-
ნიძის თხზულებისა და ქართლ-სპარსული საზღოების მონაცემების ურთიერთშეჯერების შედეგად აღნიშნული მოვ-
ლენის თარიღი ერთი წლით გადავითარიღეთ და ამ ფაქტის თარიღი 1643 წლით განვსაზღვრეთ. (უფრო დაწვრილე-
ბით იხ. თ. გოგოლაძე, კიდევ ერთხელ ნოდარ ციციშვილის... გვ. 108-141). ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების,
1642 წლის როსტომ მეფის წყალობის წიგნისა და პირღებულის მონასტრის 1642 წლის საფლავის ქვის წარწერის
ურთიერთშეჯერების საფუძველზე გავარკვეეთ, რომ ქაიხოსრო ბარათაშვილი (გერმანოზ ბარათაშვილისაგან
განსხვავებით – თ.გ.) პირდაპირ იყო დაკავშირებული ნოდარ ციციშვილის გამოსვლასთან, რომელსაც ადგილი ჰქონ-
და ქართლის ფეოდალთა მასშტაბურ შეთქმულებამდე ერთი წლით ადრე – 1642 წელს (იხ. თ. გოგოლაძე, ქართლის
დედოფლის სახლოთხუცესის... გვ. 111-116), უფრო კონკრეტულად, 1642 წლის გვიან შემოდგომაზე (იხ. თ. გოგოლაძე,
კიდევ ერთხელ ნოდარ ციციშვილის... გვ. 131).

¹ თ. ჯოჯუა, პირღებულის მონასტრის ლაპიდარული წარწერები, წგნ. ნ. ბახტაძე, კ. ზენდერი, ნ. კუპრაშვილი, ლ.
მირიანაშვილი, თ. ჯოჯუა, პირღებულის მონასტერი 1989 და 2002-2003 წწ. კომპლექსური სამეცნიერო
ექსპედიციების შედეგები, (თბილისი, 2005), გვ. 195.

² თ. გოგოლაძე, აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ისტორია XVI-XVIII საუკუნეებში, სადოქტორო ნაშრომი შესრუ-
ლებულია დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, (თბილისი, 2012), გვ. 9-25.

და წესისჩაკებრივ თავდადებით ნამსახურსა ემასჯა, ბარათაშვილს ბარათასა, პატრონს მანგლელსა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და თქვენსავე ნაყმევს მაზმანაშვილს ჯანიასა მისი მამულით დაგვიქაჯენით. ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ, რისაც მამულისა მქონე იყოს უშეგჯახს და ანუ ს<ა>ხუაგან, მითთა, ბართთა, წყლითა, წისკვილითა, ველითა და ვენაკითა...⁴.

როგორც საბუთიდან ჩანს, როსტომ მეფემ თავის „თავდადებით ნამსახურევე ყმებს“ – ბარათა ბარათაშვილსა და „პატრონ მანგლელს“, რომლებიც ერთი ოჯახის წევრები არიან, წყალობის სახით, ჯანია მაზმანაშვილი და მისი მამული უბოძა. წყალობის მიმღები სახლიკაცებიდან ერთ-ერთი – ბარათა ბარათაშვილი ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ვაჟია, რომელიც ზემოთ განხილულ 1627-1642 წლების ისტორიულ დოკუმენტებში, მამისა და ოჯახის სხვა წევრების გვერდით, არაერთგზის არის მოხსენიებული. რაც შეეხება მეორე პირს – „პატრონ მანგლელს“ ანუ ვინმე მანგლელ ეპისკოპოსს, მის ვინაობას XVII საუკუნის II ნახევრით დათარიღებული ერთი საბუთი გვაძლავს. ეს არის ზაალ, ბეჟან და პაპუა ლიპარიტასშვილების ნასყიდობის წიგნი ოთარ ბარათაშვილისადმი, რომლის მოწმებდაც სამი პირია დასახელებული: მანგლელი მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი, სუფრაჯი ბარათა და წინამძღვარი საღუნაშვილი².

ჩვენი დაკვირვებით, ერთი მხრივ, 1649 წლის წყალობის სიგელში მოხსენიებული სახლიკაცები – ბარათა ბარათაშვილი და „პატრონი მანგლელი“, ხოლო, მეორე მხრივ, XVII საუკუნის II ნახევრის ნასყიდობის წიგნში გვერდიგვერდ დასახელებული სუფრაჯი ბარათა და მანგლელი მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი, ერთი და იგივე პირები არიან³.

თუ ჩვენი ეს დაკვირვება სწორია, მაშინ საყვებით ნათელია ისიც, რომ 1649 წლისა და XVII საუკუნის II ნახევრის საბუთებში მოხსენიებული მანგლელი მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ვაჟი ნიკოლოზი, რომელიც, როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ, მამასთან – ქაიხოსროსთან და ძმასთან – ბარათასთან ერთად, 1627-1633 წლების არაერთ დოკუმენტშია მოხსენიებული.

სხვათა შორის, ამ ბოლო დასკვნიდან ცხადი ხდება ისიც, თუ რატომ შეწყდა 1633 წლიდან ნიკოლოზის მოხსენება ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილთან დაკავშირებულ ისტორიულ დოკუმენტებში. როგორც ჩანს, 1633 წელს ნიკოლოზი ბერად აღიკვეცა, მამისეული ოჯახი დატოვა, ჯერჯერობით, დაუდგენელ მონასტერსა თუ ეკლესიაში დაემკვიდრა და სასულიერო მოღვაწეობას შეუდგა. 1649 წლის წინარე ხანებში ნიკოლოზმა მანგლელი ეპისკოპოსის კათედრა დაიკავა, აქტიურ ასპარეზს დაუბრუნდა და მისი სახელიც კვლავ გამოჩნდა ისტორიულ დოკუმენტებში.

XVII საუკუნის მანგლელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი დადგენილი აქვს გურამ ჯანდიერს, რომელიც მანგლელ ათანასე ტატიშვილის (1618-1646 წწ.) შემდეგ მანგლელ ეპისკოპოსად ვინმე ნიკოლოზს ასახელებს. ამასთან, მკვლევარი ნიკოლოზ მანგლელზე საუბრისას ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული 1652-1653 წლების ორ დოკუმენტს ეყრდნობა. ამათგან, პირველი საბუთი მანგლელი ნიკოლოზის მიერ როინ ჯავახიშვილსათვის მიცემული 1652 წლის გადაწყვეტილების წიგნია, ხოლო მეორე დოკუმენტი – უსუფბეგ ასანბეგიშვილის მიერ პაპუნა გოსტაშაბიშვილისათვის მიცემული 1653 წლის ნასყიდობის წიგნი, რომელშიც „მოწმედ და შუამდგომლად“ მანგლელი ნიკოლოზია დასახელებული⁴.

¹ საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 12, საქმე №99.

² საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 33, საქმე №310.

³ გურამ ჯანდიერის თანახმად, XVII საუკუნეში მოღვაწეობდა სახელი ნიკოლოზის მატარებელი ორი მანგლელი ეპისკოპოსი: 1. 1652-1653 წლებში მანგლელად მოხსენიებული ნიკოლოზი, რომლის საგვარეულო კუთვნილების საკითხი გარკვეული არ არის; და 2. მანგლელი ეპისკოპოსი ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი, რომელმაც მანგლისის საეპისკოპოსო კათედრა 1699 წელს დაიკავა (გ. ჯანდიერი, XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის (ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი), *მრავალთავი*, ფილოლოგიური და ისტორიული ძიებანი, ტ. I (თბილისი, 1971), გვ. 340, 342). ჩვენი დაკვირვებით, ერთი მხრივ, გურამ ჯანდიერის მიერ დასახელებული მეორე ნიკოლოზ მანგლელი, რომელიც XVII საუკუნის მიწურულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა და გვიანდელ გოსტაშაბიშვილი იყო, ხოლო, მეორე მხრივ, ჩვენთვის საინტერესო 1649 წლისა და XVII საუკუნის II ნახევრის საბუთებში მოხსენიებული მანგლელი ეპისკოპოსი ნიკოლოზი, რომელიც ბარათა ბარათაშვილის თანადროულად მოღვაწეობდა და მისი სახლიკაცი იყო, სხვადასხვა პირები არიან. ამ დასკვნისაკენ, პირველ რიგში, გვიბიძგებს ის გარემოება, რომ მანგლელი ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის მოღვაწეობის პერიოდის საქართველოს ისტორიიდან სახელი – ბარათასა და გვარი – ბარათაშვილის მატარებელი პირი საერთოდ არ არის ცნობილი. რაც შეეხება გურამ ჯანდიერის მიერ დასახელებულ პირველ ნიკოლოზ მანგლელს, რომელიც მანგლისის ეპისკოპოსის წოდებით 1652-1653 წლების დოკუმენტებშია მოხსენიებული და რომლის საგვარეულო კუთვნილების შესახებაც აქამდე არაფერი იყო ცნობილი, იგი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სწორედ ჩვენთვის საინტერესო მანგლელი ნიკოლოზ ბარათაშვილია.

⁴ გ. ჯანდიერი, XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს..., გვ. 340.

ჩვენ საგანგებოდ გავეცანით დასახელებულ ორ დოკუმენტს. გაირკვა, რომ პირველი საბუთი ნამდვილად ნიკოლოზ მანგლელის მიერ არის გაცემული, რასაც, ტექსტის გარდა, ადასტურებს დოკუმენტისათვის დასმული ოთხკუთხა ფორმის ბეჭედი, წარწერით: „მცა<ნ>გ<ნ>ლელი ნიკოლოზ“¹. რაც შეეხება მეორე საბუთს, აღმოჩნდა, რომ აქ მანგლელი ნიკოლოზი მოხსენიებული არ არის: როგორც ჩანს, გურამ ჯვანდიერი შეცდომაში საბუთის საღვთისმეტყველო ნაწილმა, რომელშიც, დოკუმენტის გამცემის მიერ „მოწმედ და შუამდგომლად“ დასახელებული სხვა წმინდანების გვერდით, „მიროლოგიის“ ანუ მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზიც არის მოხსენიებული. საფიქრებელია, რომ მკვლევარმა სწორედ ეს „მიროლოგიელი“ ნიკოლოზი მიიჩნია მანგლელ ნიკოლოზად.

სამწუხაროდ, მანგლელი ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, ზემოთ განხილული სამი დოკუმენტის გარდა, რაიმე სხვა ცნობა არ მოგვეპოვება.

ჩვენ ზემოთ უკვე არაერთგზის ვახსენეთ ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ვაჟი ბარათა, რომელიც უფროსი ძმის – გუგუნას გარდაცვალებისა და კიდევ ერთი ძმის – ნიკოლოზის შემონახვების შემდეგ ანუ 1633 წლის მიწურულიდან თუ 1634 წლიდან მოყოლებული, ქაიხოსროს მემკვიდრე და პირმშობის წესის თანახმად, მისი ფეოდალური სახლის მომავალი თავკაცი იყო. გარდა ამისა, ჩვენ ზემოთ ვნახეთ ისიც, რომ ბარათა, XVII საუკუნის II ნახევრით დათარიღებული ნასყიდობის წიგნის თანახმად, სუფრაჯის სახელოს ფლობდა.

ამ ბოლო ფაქტს, ერთი მხრივ, მთლიანად ადასტურებს, ხოლო, მეორე მხრივ, დამატებითი ცნობებით ავსებს „ქაიხოსროს შვილის“ – ქაიხოსრო ბარათაშვილის მიერ პაპუნა გოსტაშაბიშვილისათვის მიცემული 1680 წლის ნასყიდობის წიგნი: „ესე... ნასყიდობისა წიგნი და სიველი დავიწერეთ და მოვეცით ჩვენ, ბარათაშვილმან, ქაიხოსროს შვილმან, ქაიხოსრომ, ძმისწულმან ჩემ(მ)ან, სუფრა<ნ>ჯ<ჯ> ბარათას შვილმან, სუფრა<ნ>ჯ<ჯ>მა ქაიხოსრომ, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა ყოველთავე. ასრე, რომე დაგვეჭირა და ჩვენის მონდომითა და წადილითა მოგვიდეთ შენისავე მამა-პაპათა და შენი სამკვიდრო მამული და გლეხები თქვენ, ბარათაშვილს-გოსტაშაბიშვილს პაპუნასა, შვილსა შენსა გოსტაშაბს, თამაზსა და ბერსა. ასრე, რომე როდისაც მამაშენი გოსტაშაბ ურუმთ მოეკლა და შენი<ი> ცოტა ემაწვილი დარჩომილიყავ, მაშინ შენი სამკვიდრო მამული და გლეხები მამაჩემს დაეჭირა. მას უკან დაგვეჭირა ჩვენა და შენი სამკვიდროც იყო და არას გემართლებოდით, მაგრა ჯელახლა მოგვიდეთ და ავიდეთ შენგან ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩვენი გული შეს<ე>ჯერდებოდა და ჩვენი შენზე აღარა დარჩა-რა. მოგვიყიდი: ენაგეთს – საღუნაშვილი პაატა, რისაც ვენაჯისა და მამულის მქონებელი იყოს, თავისის ყმითა, თავისის კერძის მამულითა, რისაც მქონებელი არის; მისი განაყოფი სამნა, დღეს რისაც მამულის მქონებელი არის იმითა; კიდევ, იმისი განაყოფი გურგენა, დღეს რისაც მამულის მქონებელი არის; ენაგეთს – მემშვილდის შვილი, რისაც მამულის მქონებელი არის, იმითა; ენაგეთს, რაც შენი წილი მამული იყო და გლეხი და ჩვენ გვეჭირა, სულ უკლებლად მოგუიყიდა. საღუნაშვილები, სადაც აყ<ა>რილნი იყუნენ, მოიყუანო, ჩვენ ჯელი არა გვაქონდეს. ტბის – დოღენჯასშვილები ქიტია და ბერუკა, თავისის ძმითა. ტბის რომ ხოდაბუნის ნაჭერია, იმას გარდაის, რისაც მამულის მქონებელნი იყუნენ. ესეები ყუელა უკლებლად მოგუიყიდა...“².

როგორც ვხედავთ, ციტირებულ საბუთში არამხოლოდ დოკუმენტურად არის დადასტურებული ის ფაქტი, რომ ბარათა ბარათაშვილი სუფრაჯის სახელოს ფლობდა, არამედ, დამატებით, ისიც არის ნათქვამი, რომ ბარათას ჰყავდა ვაჟი, პაპის მოსახელე ქაიხოსრო, რომელსაც, მამის მსგავსად, აგრეთვე, სუფრაჯის თანამდებობა ეკავა.

1680 წლის ნასყიდობის წიგნიში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება: საბუთის გამცემი – ქაიხოსრო ბარათაშვილი საკუთარ თავს „ქაიხოსროს შვილად“ მოიხსენიებს, ბარათა ბარათაშვილს კი „ძმას“ უწოდებს.

აღნიშნული გარემოება, ვფიქრობთ, ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ 1680 წლის დოკუმენტის გამცემი ქაიხოსრო ბარათაშვილი ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ვაჟი და ბარათა ბარათაშვილის ძმა იყო. შესაბამისად, ირკვევა ისიც, რომ ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილს ზემოთ დასახელებული სამი ვაჟის – 1633 წელს გარდაცვლილი გუგუნას, მანგლელი ეპისკოპოსი ნიკოლოზისა და სუფრაჯი ბარათას გარდა, კიდევ ერთი ვაჟი, მამის მოსახელე, ქაიხოსრო ჰყავდა.

თუ ჩვენი ეს დასკვნა სწორია, მაშინ ლოგიკურად დაისმის კითხვა – რატომ არ არის მოხსენიებული ქაიხოსროს სახელი ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილთან დაკავშირებულ არც

¹ კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ისტორიული დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №8584.

² საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1448, საქმე №2942.

ერთ დოკუმენტში, პირველ რიგში კი, როსტომ მეფის 1642 წლის წყალობის წიგნში, რომელიც ქაიხოსროს დაღუპვის წელს არის შედგენილი და რომელშიც, ამ უკანასკნელის გვერდით, მისი მხოლოდ ერთი ვაჟი – ბარათაა დასახელებული?

ჩვენი დაკვირვებით, დასმულ კითხვას ერთადერთი პასუხი შეიძლება ჰქონდეს: 1642 წლის დოკუმენტის გაცემის დროს ქაიხოსრო ან მცირეწლოვანი იყო ან კიდევ, საერთოდ არ იყო დაბადებული. როგორც ჩანს, ქაიხოსროს სახელი სწორედ ამ მიზეზის გამო არ არის შეტანილი არც 1642 წლის წყალობის წიგნში და არც სხვა ადრეული პერიოდის დოკუმენტებში, რომლებშიც, როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ, ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სხვა ვაჟები არიან მოხსენიებული.

აღნიშნულის გარდა, 1680 წლის ნასყიდობის წიგნში კიდევ ერთი გარემოება იპყრობს ყურადღებას: საბუთის თანახმად, პაპუნა გოსტაშაბიშვილმა ქაიხოსრო ბარათაშვილისაგან იყიდა ის ყმა-მამული, რომელსაც ქაიხოსროს მამა – ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი მაშინ დაეპატრონა, როცა პაპუნას მამა – გოსტაშაბ ბარათაშვილი „ურუმებმა“ ანუ ოსმალებმა მოკლეს.

1680 წლის დოკუმენტში ნახსენები ისტორიული ფაქტის – ოსმალების მიერ გოსტაშაბ ბარათაშვილის მოკვლის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის როსტომ მეფის 1635 წლის წყალობის წიგნი პაპუნა გოსტაშაბიშვილისადმი, რომელშიც მეფე აღნიშნავს, რომ მან პაპუნას მამა – გოსტაშაბ ბარათაშვილი სამცხეში სალაშქროდ გაგზავნა. გოსტაშაბს ლაშქრობისას თავი გამოუჩენია და ვინმე ყარა მაჰმადაშვილი, „სხვა კაცებთან“ ერთად, ტყვედ შეუპყრია, თუმცა შემდეგ ოსმალებთან ბრძოლაში დაღუპულა¹.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ირკვევა, 1680 წლის წყალობის წიგნში დასახელებულ ამბავს – ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის გოსტაშაბ ბარათაშვილის კუთვნილი ყმა-მამულის დაკავებას გოსტაშაბის მოკვლიდან ქაიხოსროს დაღუპვამდე პერიოდში ანუ 1635-1642 წლებში ჰქონდა ადგილი.

1680 წლის ნასყიდობის წიგნში დაცული ცნობების შესწავლის შემდეგ ცოტა უფრო ვრცლად მიმოვიხილათ ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის უმცროსი ვაჟის – ქაიხოსრო ბარათაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის ძირითად საკითხებს, რომლებიც დაწვრილებით შევისწავლეთ 2012-2013 წლებში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ნაშრომში.

როგორც ირკვევა, 1660-იანი წლების წინარე ხანებში ქაიხოსრო შემონაზვნებული იყო და სასულიერო მოღვაწეობას არსენის სახელით ეწეოდა. 1660-1664 წლებში მან საბერო ჩოხა გაიხადა და საერო ცხოვრება დაიწყო. მოგვიანებით ქაიხოსრო-ყოფილი არსენი სასულიერო მოღვაწეობას დაუბრუნდა და მანგლელი ეპისკოპოსი გახდა. იგი მანგლისის საეპისკოპოსო კათედრას 1664/1667-1671 წლებში განაგებდა. 1671 წელს ქაიხოსრო-ყოფილმა არსენმა მანგლისის ეპისკოპოსობა დატოვა, სასულიერო ცხოვრებაზე საბოლოოდ თქვა უარი და საერო მოღვაწეობას შეუდგა. ქაიხოსრომ საფუძველი ჩაუყარა ბარათაშვილ-აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ახალ განშტოებას, რომელსაც, მისი დამაარსებლის ბიოგრაფიის მიხედვით, ნამანგლელაშიშვილთა საგვარეულო ეწოდა. ქაიხოსროს ჰყავდა დედა, რომელიც თანამეცხედრის – ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სიკვდილით დასჯის შემდეგ ანუ 1642 წლის შემდგომ ხანებში, ელენეს სახელით შემონაზვნდა².

ზემოხსენებულ ნაშრომში ქაიხოსრო ბარათაშვილის ბიოგრაფიაზე მუშაობისას, ძირითადად, ვემყარებოდით მანგლისის ტაძრის 1667 წლის საადმშენებლო წარწერასა და სამ ისტორიულ დოკუმენტს, რომლებიც 1669, 1670 და 1710-1720-იანი წლებით თარიღდება. წინამდებარე ნაშრომში საგანგებოდ განვიხილათ ერთ დოკუმენტს, რომელიც ქაიხოსრო ბარათაშვილის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის და რომელიც, ამ უკანასკნელის ბიოგრაფიის შესწავლის დროს არ გამოგვიყენებია.

აღნიშნული დოკუმენტი საქართველოს ეროვნულ არქივშია დაცული. ეს არის თავა, ასლამაზ, გიორგი, ასლან და იოსებ ასანბეგიშვილების მიერ რაჟამ, გოდერძი, პაატა და ოთარ კალაშვილებისათვის მიცემული უთარილო ნასყიდობის წიგნი, რომელშიც, სხვა მოწმეების გვერდით, ვინმე მანგლელი მთავარეპისკოპოსი არსენია დასახელებული: „*ქ. ნებითა და შეწვენიითა მღთისათა... ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოვეც მე, ასაბეგისაშვილმან თავამან და ძმამან ჩემმან ასლან-**<**მაზ და ძემან ჩემმან გიორგიმ, ასლან და იოსებ, თქვენ, კალაღაშვილებს: რაჟამსა და გოდერძის და პაქატის და ოთარსა. მოგვიდე ჩემი სამკვიდრო მამული მიწა შვილისა დლისა ბეზარაშვილის მიწას ქვეით, მისის სამართლიანის საქმითა.. არის ამისი მოწამე თავად*

¹ ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები..., გვ. 12-14.

² თ. გოგოლაძე, არსენ მანგლელის 1667 წლის სამშენებლო წარწერა მანგლისის ტაძრიდან და მისი მნიშვნელობა აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ისტორიისათვის, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, ტ. XII-XIII (თბილისი, 2012/2013), გვ. 332-350.

დმერთი და მერმე ყოელნი მქისნი წმინდანნი. არის კაცთაგან ამისი მოწამე – მანკლელ მთავარებისკოპოსი არსენ. არის ამისი მოწამე – პაპუნა გოსტაშაბისშიელი. არის ამისი მოწამე – პაატა გერმანოზისშიელი მეჯინბეთუხუცესი...⁴¹

ციტირებულ საბუთში მოხსენიებული არსენ მანგლელი მკვლევართა მიერ 1720-იან წლებში მოღვაწე მანგლელ ეპისკოპოს არსენ დოლენჯიშიელთან არის გაიგივებული და დოკუმენტის ქრონოლოგიაც ოსმალობამდე პერიოდით ანუ 1724 წლის წინარე ხანებით არის განსაზღვრული.

ჩვენი დაკვირვებით, აღნიშნული დოკუმენტის 1724 წლის წინარე ხანებით დათარიღება მართებული არ არის. დავიწყოთ იმით, რომ საბუთის გამცემი თაყა და ასლამაზ ასანბეგიშვილები არა XVIII საუკუნის I მეოთხედის, არამედ XVII საუკუნის მოღვაწეები იყვნენ: ისინი ქართლის მეფის როსტომის დისწულის – ასანბეგ ბარათაშვილის ვაჟები არიან და ქართულ დიპლომატიკურ ძეგლებშიც 1633-1647 წლებში იხსენიებიან. XVII საუკუნის მოღვაწე იყო განსახილველ საბუთში მოწმედ დასახელებული მეჯინბეთუხუცესი პაატა გერმანოზისშიელიც: ეს უკანასკნელი გერმანოზისშიელთა ფეოდალური სახლის დამაარსებლის – გერმანოზ ბარათაშვილის ვაჟია და ისტორიულ დოკუმენტებში მეჯინბეთუხუცესის წოდებით 1646-1689 წლებშია მოხსენიებული².

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სავსებით ნათელია, რომ თაყა, ასლამაზ, გიორგი, ასლან და იოსებ ასანბეგისაშვილების ნასყიდობის წიგნის 1724 წლით დათარიღება მართებული არ არის და ამ საბუთის ქრონოლოგია გაცილებით უფრო ადრეული პერიოდით – XVII საუკუნით უნდა განისაზღვროს.

უფრო მეტიც, ჩვენ შეგვიძლია, ნასყიდობის წიგნის ქრონოლოგია კიდევ უფრო დავაზუსტოთ. ამ მხრივ, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საბუთში მოხსენიებული თაყა ასანბეგიშვილის ერთ-ერთი ვაჟის – იოსების სახელი ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ დოკუმენტებში უკანასკნელად 1671 წლს გვხვდება, 1671 წლის შემდეგ კი საბუთებიდან იოსების სახელი ქრება და მის ნაცვლად, დოკუმენტებში უკვე თაყას მომდევნო სამი ვაჟის – იასეს, საჩინოსა და ზუას სახელები ჩნდება. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნასყიდობის წიგნში თაყა ასანბეგიშვილის ვაჟებს შორის დასახელებული არ არის თაყას კიდევ ერთი ვაჟი, პაპის სეხნია – ასანბეგი, რომელიც 1661 წლის ერთ-ერთ საბუთში ჯერ კიდევ ცოცხლად არის მოხსენიებული და რომელიც, ჩვენთვის საინტერესო დოკუმენტის გაცემის დროს, როგორც ჩანს, უკვე გარდაცვლილი იყო.

მაშასადამე, ირკვევა, რომ განსახილველი ნასყიდობის წიგნი, ერთი მხრივ, თაყა ასანბეგიშვილის ვაჟის – ასანბეგის გარდაცვალების შემდეგ, ხოლო, მეორე მხრივ, თაყას კიდევ ერთი ვაჟის – იოსების სიცოცხლეში ანუ 1661-1671 წლებშია შედგენილი.

მას შემდეგ, რაც ასანბეგიშვილების მიერ კალაღაშვილებისათვის მიცემული ნასყიდობის წიგნის ქრონოლოგია, სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული 1724 წლის წინარე ხანების ნაცვლად, 1661-1671 წლებით განუსაზღვრეთ, ავტომატურად დგინდება, რომ ამ დოკუმენტში მოხსენიებული არსენ მანგლელი ვერანაირად ვერ გაიგივდება მანგლელ ეპისკოპოს არსენ დოლენჯიშიელთან, რომელიც 1720-იანი წლების მოღვაწე იყო. გარდა ამისა, საბოლოოდ ირკვევა ისიც, რომ ამ, 1661-1671 წლების დოკუმენტში მოხსენიებული არსენ მანგლელი სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ვაჟი – ქაიხოსრო-ყოფილი არსენი, რომელიც მანგლელი ეპისკოპოსის კათედრას, როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ, სწორედ ნასყიდობის წიგნის გაცემის პერიოდში ანუ 1664/1667-1671 წლებში ფლობდა.

ნასყიდობის წიგნში მოხსენიებული არსენ მანგლელის იდენტიფიკაცია ამ საბუთის ქრონოლოგიას კიდევ უფრო მეტად აზუსტებს: ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, რომ ქაიხოსრო-ყოფილმა არსენმა მანგლელი ეპისკოპოსის კათედრა 1664-1667 წლებში დაიკავა. შესაბამისად, ცხადია ისიც, რომ ნასყიდობის წიგნი, რომელშიც ერთ-ერთ მოწმედ ეს არსენ მანგლელია დასახელებული, 1664-1667 წლების შემდგომ პერიოდშია გაცემული და 1664/1667-1671 წლებით თარიღდება.

დასასრულ, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შევსებით ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ვაჟის – ნიკოლოზის მანგლელ ეპისკოპოსად ყოფნის ქრონოლოგიის საკითხს. დღეისათვის დადგენილია, რომ XVII საუკუნის I ნახევარში მანგლელი ეპისკოპოსის კათედრას ათანასე ტატიშვილი განაგებდა. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ათანასე ტატიშვილის შემდეგ მანგლელი ეპისკოპოსი გახდა ნიკოლოზი, რომელიც ამ თანამდებობას 1652-1653 წლებში ფლობდა. ჩვენი კვლევის შედეგად, გაირკვა, რომ ეს ნიკოლოზ მანგლელი ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ვაჟი იყო და მანგლისის ეპარქიას 1649 წლის წინარე ხანებიდან განაგებდა. ნიკოლოზი მანგლელ ეპისკოპოსად მოხსენიებუ-

¹ საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1449, საქმე №1922.

² პირთა ანოტირებული ლექსიკონი..., გვ. 432.

ლია 1649 და 1652 წლების დოკუმენტებში, რომლებიც ზემოთ უკვე გვქონდა განხილული. გარდა ამისა, ნიკოლოზი მანგლელად არის დასახელებული ზაალ, ბეჟან და პაპუა ლიპარიტასშვილების მიერ ოთარ ბარათაშვილისათვის მიცემულ, ზემოთ განხილულ ნასყიდობის წიგნშიც, რომელშიც იგი ძმასთან – სუფრაჯ ბარათა ბარათაშვილთან ერთად იხსენიება. მართალია, ამ ნასყიდობის წიგნს თარიღი არ უხის, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ის 1661 წლის შემდგომ პერიოდშია შედგენილი, ვინაიდან მის ტექსტში სუფრაჯად მოხსენიებული ბარათა ბარათაშვილი ისტორიულ დოკუმენტებში სუფრაჯის წოდებით სწორედ 1661 წლიდან გვხვდება. ხსენებული სამი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ნიკოლოზი მანგლელი ეპისკოპოსის კათედრას, არამხოლოდ 1640-იანი წლების მიწურულსა და 1650-იანი წლების დასაწყისში, არამედ გაცილებით უფრო მოგვიანებით, 1661 წლის შემდგომ პერიოდშიც ფლობდა. მეორე მხრივ, ჩვენ უკვე ვახეხეთ ზემოთ, რომ 1664-1667 წლებში მანგლისის საეპისკოპოსო კათედრას არა ნიკოლოზი, არამედ მისი უმცროსი ძმა – ქაიხოსრო-ყოფილი არსენი განაგებდა. შესაბამისად, ნიკოლოზის მანგლელ ეპისკოპოსად ყოფნის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი 1664-1667 წლებით უნდა განისაზღვროს.

ამგვარად, დგინდება, რომ ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ვაჟი – ნიკოლოზი მანგლელი ეპისკოპოსის თანამდებობას არა 1652-1653 წლებში, არამედ 1649 წლის წინარე ხანებიდან 1664-1667 წლებამდე ფლობდა, 1664-1667 წლებში კი იგი ამ თანამდებობაზე მისმა უმცროსმა ძმამ – ქაიხოსრო-ყოფილმა არსენმა შეცვალა, რომელიც, თავის მხრივ, მანგლისის საეპისკოპოსო კათედრას 1671 წლამდე განაგებდა.

ამრიგად, ქართული ნარატიული წყაროებისა და დიპლომატიკური ძეგლების, ქართულ-სპარსული საისტორიო საბუთების, სპარსული ფირმანებისა და პირღებულის მონასტრის 1642 წლის ეპიტაფიის დეტალური შესწავლის საფუძველზე, სამეცნიერო საზოგადოებას ვთავაზობთ ცნობილი ისტორიული პირის – ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობასა და ზოგადად, XVII საუკუნის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული შემდეგ ძირითად დასკვნებს:

1. ქაიხოსრო ბარათაშვილს მისი კუთვნილი სოფელი სავანეთი და ვარხუნაში მცხოვრები გლეხი შერმაზან არეშიშვილი მეფე ბაგრატ VII-ემ უბოძა, ხოლო ანა დედოფალმა, თავის მხრივ, აღნიშნული წყალობის წიგნი განაახლა.

2. მეფე სიმონ II-ის განკარგულება ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე მიღებული 1626-1631 წლების ნაცვლად, 1619-1626 წლებით უნდა გადათარიღდეს.

3. ჯაჰანბანუ დედოფლის მიერ სახლთუხუცეს ქაიხოსროსათვის მიცემულ 1627 წლის წყალობის წიგნში მოხსენიებული ადათანგი XVII საუკუნის I ნახევრის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე – ადათანგ ხერხეულიძეა.

4. ქაიხოსრო ბარათაშვილისა და მისი ძმის თამაზის ოჯახების გაყრას ადგილი ჰქონდა 1633 წელს.

5. 1635-1642 წლებში ქაიხოსრო ბარათაშვილს გომტაშაბ ბარათაშვილის მამულების მიუტაცებია.

6. დადგინდა ქაიხოსრო აბაშიშვილის მეუღლის მონაზონობის სახელი. მისი თანამეცხედრე 1642 წლის შემდეგ ანუ როსტომ მეფის მიერ ქაიხოსროს სიკვდილით დასჯის შემდეგ ელენეს სახელით შემონახვებულა.

7. პირღებულის მონასტრის 1642 წლის ქაიხოსრო აბაშიშვილის საფლავის ქვის ეპიტაფიაზე დაყრდნობით, დავადგინეთ ქაიხოსროს მამის – ავთანდილის და პაპის – აბაშის სახელები.

8. ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილს ვაჟი ნიკოლოზი 1633 წლის შემდეგ სასულიერო პირი გახლდათ. უფრო მეტიც, იგი მანგლისის ეპარქიის მწყემსთაგარიც გამხდარა. მას მანგლელის სამწყსო ჩაუბარებია მისი წინამორბედის ათანასე ტატიშვილის შემდეგ და განაგებდა მანგლისის საწყსოს 1646-1649-1652-1667 წლებში, რომელიც შემდეგ მის უმცროსმა ძმამ არსენმა შეცვალა, რომელიც მოხსენიებულია მანგლისის ცნობილ 1667 წლის სამშენებლო წარწერაში.

9. კიდევ ერთი საბუთი დავუკავშირეთ ქაიხოსრო აბაშიშვილის ვაჟის – არსენ მანგლელს და მისი ქრონოლოგია 1664-1667-1671 წლებით განესაზღვრეთ.

ბიბლიოგრაფია

1. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), გვ. 417.
2. ვ. გაბაშვილი, *ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში* (თბილისი, 1958).
3. დ. გვრიტიშვილი, *ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობების ისტორიიდან*, (თბილისი, 1955)
4. თ. გოგოლაძე, ქართლის დედოფლის სახლთუხუცესის ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის (XVII ს-ის I ნახ.) სიკვდილით დასჯის თარიღისათვის, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, IX (თბილისი, 2009).
5. თ. გოგოლაძე, კიდევ ერთხელ ნოდარ ციციშვილის გამოსვლისა და ქართლის ფეოდალთა შეთქმულებების შესახებ, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, ტ. X-XI (თბილისი, 2010/2011).
6. თ. გოგოლაძე, აბაშ ბარათაშვილ-აბაშიშვილის ფეოდალური სახლის ისტორიიდან, *ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომები*, ტ. I, თბილისი 2012 წელი
7. თ. გოგოლაძე, *აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ისტორია XVI-XVIII საუკუნეებში*, სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, (თბილისი, 2012).
8. თ. გოგოლაძე, არსენ მანგლელის 1667 წლის სამშენებლო წარწერა მანგლისის ტაძრიდან და მისი მნიშვნელობა აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ისტორიისათვის, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, ტ. XII-XIII (თბილისი, 2012/2013).
9. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1973).
10. იოსებ თბილელი, *დიდმოურავიანი*, გ. ლეონიძის რედაქციით (თბილისი, 1939).
11. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ისტორიული დოკუმენტების Ad კოლექცია, დოკუმენტი №1138.
12. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ისტორიული დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №2115.
13. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ისტორიული დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №2895.
14. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ისტორიული დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №8584.
15. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ისტორიული დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №10233.
16. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ისტორიული დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №14448.
17. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ისტორიული დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №14694.
18. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ისტორიული დოკუმენტების Qd კოლექცია, დოკუმენტი №871-1.
19. შ. მესხია, *საისტორიო ძიებანი*, ტ. II (თბილისი, 1983).
20. ლ. მირიანაშვილი, პირღებულის მონასტრის აღწერა, ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ტაძარი, მისი ხუროთმოძღვრება და ორნამენტული დეკორი, წგნ. ბახტაძე ნ., ზენდერი კ., კუპრაშვილი ნ., მირიანაშვილი ლ., ჯოჯუა თ., პირღებულის მონასტერი 1989 და 2002-2003 წწ. კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციების შედეგები, მეცნიერების ფონდი „უდაბნო“, თბილისი 2005 წელი.
21. *პირთა ანოტირებული ლექსიკონი (XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით)*, ტ. I, გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა (თბილისი, 1991).
22. *საქართველოს ისტორია*, ლექსიკონი, ა-ვ, წგნ. 1, შემდგენელი რ. მეტრეველი (თბილისი, 1979).
23. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1448, საქმე №598.
24. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1448, საქმე №2318.
25. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1448, საქმე №2942.
26. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1449, საქმე №1922.
27. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 11, საქმე №59.

28. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 12, საქმე №99.
29. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 12, საქმე №106.
30. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 12, საქმე №107.
31. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 12, საქმე №110.
32. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 12, საქმე №113.
33. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 12, საქმე №129.
34. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 12, საქმე №132.
35. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 20, საქმე №63.
36. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 26, საქმე №69.
37. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 26, საქმე №96.
38. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 32, დოკუმენტი №341.
39. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 32, საქმე №351.
40. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 33, საქმე №310.
41. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, ტ. I, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ (თბილისი 1991).
42. ფარსადან გორგიჯანიძე, საქართველოს ისტორია, სარგის კაკაბაძის გამოცემა, *საისტორიო მოამბე*, ტ. II (თბილისი, 1925).
43. ვლ. ფუთურიძე, *სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნსაცავებში*, წგნ. I, ნაკვ. I (თბილისი, 1961).
44. ვლ. ფუთურიძე, ირანის სპასალარი როსტომ-ხან სააკაძე, *კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები* (თბილისი, 1966).
45. *ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები*, ტექსტი დაადგინა, თარგმნა და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ (თბილისი, 1955).
46. ზ. ჭაია, *ქვემო ქართლის სათავადოების ისტორია (გერმანოზიშვილი, იარალიშვილი, საამიშვილი)* (თბილისი, 2013).
47. გ. ჯამბურია, *ქართული ფეოდალური ურთიერთობების ისტორიიდან (სომხით-საბარათიანოს სათავადოები)* (თბილისი, 1955).
48. გ. ჯანდიერი, XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის (ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი), *მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, ტ. I (თბილისი, 1971).
49. მ. ხუბუა, *საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და პოქმები* (თბილისი, 1949).
50. თ. ჯოჯუა, პირდებულის მონასტრის ლაპიდარული წარწერები, ნ. ბახტაძე, კ. ზენდერი, ნ. კუპრაშვილი, ლ. მირიანაშვილი, თ. ჯოჯუა, პირდებულის *მონასტერი, 1989 და 2002-2003 წლების კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციების შედეგები* [გამომცემლობა მითითებული არ არის] (თბილისი, 2005).

MATERIALS FOR HISTORY OF FEUDAL FAMILY OF KAIKHOSRO BARATASHVIL-ABASHISHVILI

The paper presents a history of representative of the Royal Court of Kartli Kingdom Kaikhosro Baratashvil-Abashishvili and his feudal house (the first half of the 17th c.). The Georgian narrative sources, historical documents, Georgian-Persian historical acts, Persian documents and 1642 year's epitaph of Pirgebuli Monastery are studied in details. According to the comparative study of above-mentioned sources we came into important conclusions that were previously unknown about Kaikhosro Baratashvil-Abashishvili and his feudal family. Those conclusions are: The date of separation of property between Kaikhosro Baratashvili and his brother Tamaz (1633), monastic name of Kaikhosro Baratashvili's wife. She was tonsured as Elene after the execution of her husband in 1642 by king Rostom. We have established the names of father – Avtandil and grandfather – Abash of Kaikhosro and, also, clarified the fact that Kaikhosro Baratashvil-Abashishvili's son Nikoloz was a member of clergy after 1633. Moreover, he became the bishop of Manglisi Eparchy following his predecessor Atanase Tatishvili and ruled over this eparchy in 1646-1649-1652-1667. After that he was succeeded by his junior brother Arsen, who is mentioned in well-known Manglisi ktetorial inscription of 1667.

დ ა ნ ა რ თ ი

ისტორიული დოკუმენტები ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის (1609-1642 წწ.) შესახებ

ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის შესახებ დღეისათვის ცნობილი სულ 25 დიპლომატიკური ძეგლი გვაწვდის ცნობებს. ამთგან 2 დოკუმენტი სპარსულ ფირმანს წარმოადგენს, 7 დოკუმენტი ორენოვანი, ქართულ-სპარსული საბუთია, დანარჩენი 16 დოკუმენტი კი ქართული საბუთების რიგს მიეკუთვნება.

1. 1609 წ. წყალობის წიგნი ლუარსად მეფისა ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი: დაკარგულია.

პ ი რ ი: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 12, №113. საბუთმა ქართულ სასამართლო სისტემაში რეგისტრაცია გაიარა 1812 წლის 12 აპრილს.

ბეჭედი: საბუთს ბოლოში უხის ლუარსად მეფის ოთხკუთხა ფორმის ბეჭედი: „ლუარსად“.

„[ქ]. ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა.

ჩვენ, ღ(მრ)თივ-გვირგვინოსანმან მეფეთ მეფემან, პატრონმან ლუარსად ეს წყალობის წიგნი და ნიშანი შევიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერდგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა, ბარათაშვილსა, პატრონსა ქაიხოსროს, შენსა ძმასა, პატრონსა თამაზს, შვილსა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოვეიდევით კარსა და მამულის წყალობას გვიაჯენით, ვისძინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და შევიწყალეთ და გიბოძეთ მკვიდრად და სამამულეთ ქვეშისკვეში, სოფელი ერკონი, რისაც ბატონიშვილი ვახტანგ მქონებელი ყოფილიყოს, თქვენთს გვიბოძებია მისის სამართლიანის საქმითა და სამძღვრითა, მითთა და ბართთა, წყალითა, წისქვილითა, კელითა, ვენაჯითა. ყოვლის მისის სამძღვრითა თქვენთს გვიბოძებია.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერდგულად სამსახურში და აწუ, გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვეჟიდ-ვეზირხო, მდივანხო და სხვანხო მოსაქმენო, ვინ გინდა ვინ იყ<ა>ვნეთ და ანუ დღეის წაღმა იქნებოდეთ, მერმე, თქვენცა ასრე ვაუთავეთ, რარივადაც ამა ჩვენგან წაქწყალობევს ფარვანაში ეწეროს, თვინიერ თანადგომისა და შეწევნისაგან.

დაიწერა ნიშანი და ბრძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს სშზ, კელითა კარისა ჩვენისა მწიგნობრისა რევისშვილის ქუმსისითა [ადგილი ბეჭდისა] „ლუარსად“.

2. 1619.VIII.01. წყალობის წიგნი დედოფალი ანასი ბოქაულთუხუცეს ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი.

დ ე დ ა ნ ი: დაკარგულია.

პ ი რ ი: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 12, №110. საბუთმა ქართულ სასამართლო სისტემაში რეგისტრაცია გაიარა 1812 წლის 12 აპრილს.

მ ი ნ ა წ ე რ ე ბ ი: მინაწერი ფანქრით საბუთის recto-ზე: „1619-1629“. საბუთის verso-ზე: „სვიმონ მეფის მიცემული“.

ბ ე ჭ ე დ ი: საბუთს ბოლოში უზის ანა დედოფლისა და სვიმონ მეფის ოთხკუთხა ფორმის ბეჭდები: „ანამან“, „სვიმონ“.

„[ქ]. ნებითა და შეწვევითა ღ(მრ)თისათა.

ჩუენ, დედოფალმან, პატრონმან ანამან და შვილმან ჩუენმან, პატრონმან სვიმონ ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შევიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩუენს ერდგულსა ყმასა, ბარათაშვილს, ბოქაულთუხუცეს ქაიხოსროს და თქვენსა ძმასა, თამაზს, თქვენსა შვილსა, გუგუნასა და მამავალთა სახლისა თქვენისაათა.

მას უამს, ოდეს მოგვიდევით კარსა და მამულისა წყალობასა დაგუჟაჯენით, მოკითხული ვქენით და ბედნიერს ბატონსაცა თქვენთუის წყალობა ექნა, ჩუენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შევიწყალეთ და გიბოძეთ სამკვიდროდ და სამამულედ ქვეშისკვეში, სოფელი სავანეთის და ვარხუნას თქვენივ სამკვიდრო ყმა, არეშისშვილი შერმაზანა, ესები მათის სამართლიანის სამძღურითა და საქმითა, მითითა, ბართთა, წყლითა, წისქვილითა, ვენაჭითა, საცნავსათიბართითა და სანადიროთა, შესავლითა და გამოსავლითა, ყოვლითურ თქვენთუის გვიბოძებია, გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმან ჩუენსა ერდგულად სამსახურსცა შიგანც.

აწუ, გიბრძანებთ კარისა ჩუენისა ვეჭილ-ვაზირნო და სხუნანო მოსაქმენო, ვინ ვინდა ვინ იქნებოდეთ მერმე თქვენც ასრე გაუთავეთ, რარიგადც ამა ჩუენგან ნაწყალობევს სიგელში ეწეროს.

დაიწერა ნიშანი და ბ(რძანე)ბ>ბა ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტზ, მარიამობის თვესა, ჰელითა კარისა ჩუენისა მწიგნობრის თუმან(ი)სშვილის ნასრისითა, [ანამან] [სვიმონ]“.

3. 1619-1626 წწ. ბრძანების წიგნი სვიმონ მეფისა.

დ ე დ ა ნ ი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-2115; ღია ნაცრისფერი ქაღალდი; 1 ფურცელი; ზომა: 19X15 სმ.; შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშნები: ორწერტილი ან სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთის ხილვადობა მკაფიოა და თავიდან ბოლომდე კარგად იკითხება.

პ ი რ ი: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1461, დავთარი 14, №26.

თ ა რ ი დ ი: საბუთს თარიღი არ უზის.

ს ე ლ რ თ ე ა: საბუთს ბოლოში უზის სიმონ მეფის ხელრთვა.

„ქ. მეფე სვიმონ უზე<ე>შთაქესთა მოვახსენებთ და უქუედსაქესთა ვ(ი)ბ(რძანე)ბთ, ვინგინდავინ ბ(რძანე)ბისა ჩუენისა მორჩილნი იყუნეთ, მერმე, ამილახორმა ანდუყაფარ | ბედნიერის ყაენის რაღამი მოგვიტანსა თავისი საქმეიდრო მამულები უბოძებია, აწუ, ბოქაულთუხუცესი ქაიხოსროვ გამოგუიგზავნია და ვისცა ამისი მამული გქონდეს მოურავის მოსულამდის ყუელამ დაანებეთ და რა მოურავი | მობძანდების, რარიგადც სჯობს, ისრე ვიქ(მ)თ | და რაც ან ქაღაქს ან დიდუამს და ან აღს საქცილობელი არის, ისიც მოურავმა უნდა გარდასწვიტოს“.

4. 1623.VI.20. წყალობის წიგნი სვიმონ მეფისა ბოქაულთუხუცეს ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი.

დ ე დ ა ნ ი: დაკარგულია.

პ ი რ ი: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 12, №106. საბუთმა ქართულ სასამართლო სისტემაში რეგისტრაცია გაიარა 1812 წლის 12 აპრილს.

„[ქ] ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა.

ჩუენ, მეფემან, პატრონმან სუიმონ ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალებთ და გიბოძებთ თქვენ, ჩუენსა ერდგულსა და თავდადებით ნამსახურსა ემასა, ბოქაულთუხუცეს, ბარათაშვილს ქაიხოსროს.

მას ჟამა>სა, ოდეს ბარათაშვილი ბარათა ბედნიერს ყაენსა და ჩუენ ემობიდან წავუვიდა და ბედნიერის ყაენის <ე>ქორგული¹ შეიქნა, მოვიყვანეთ ჩუენს კარზედა და სრულად საბარათიშვილოს სარდრობა და მეკობრისძებნელობა გიბოძებთ და ქუემო ბოლნის ბარათას ზუარიც თქვენთვის გვიბოძებია და სრულ საბარათიშვილოს ავი და კარგი თქვენ გეკითხოვდეს და ჩუენს ერდგულობაზედ თქვენი მორჩილნი იყვენ, გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმან ბედნიერის ყაენის და ჩუენს ერდგულად სამსახურს შიგან.

აწე, უზეშთესთა მოგახსენებთ ერთობილნო ბარათიანო და საბარათიშვილნო, დიდნო და მცირენო, მერმე, თქვენად სარდრად და უფროსად ბოქაულთუხუცესი ქაიხოსროვ დაგვიყენებია ჩუენს ერდგულობაზედ, ამისნი მორჩილნი იყვენით და გუერდც მიუღევით და ჩუენს სამსახურს მაღლი მი<უ>ეცით.

დაიწერა ნიშანი და ბრძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიპ, თიბათვეს პ [სვიმონის ხელრთვა] ქ. ეს ბრძანება ასრე უნდა გათავდეს. [ადგილი ბეჭდისა].

5. 1626.VI.15. წყალობის წიგნი სვიმონ მეფის ბოქაულთუხუცეს ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი.

დ ე დ ა ნ ი: დაკარგულია.

პ ი რ ი: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 32, №341.

„[ქ] ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა და შამ-ჩაკაზ<ა> ყეენისათა.

ჩუენ, მეფემან, პატრონმა სივმონ ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალებთ და გიბოძებთ ასე-რე და ამა პირსა ზედა, რომე მოურავ ბედნიერს ყაენს წამოუვიდა და უღალატა და თქვენი თავი და ქართლი უკუყენა და მერმე თქვენ კიდევ ბედნიერს ყაენისა და ჩუენი ირჩივეთ და შაჰისეგანი შეიქენით, ამისადა ჯილდოდ გიბოძებთ ქალაქის მოურავობა თქვენ, ბოქაულთუხუცეს ქაიხოსროს და თქვენს ძმას, თამაზს, გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდგ<ი>ულად<ს> სამსახურსა შიგან.

[აწე] გიბრძანებთ კარისა ჩუენისა ვეზირ-ვექილნო და ქალაქის უფ<ა>როსნო და კარისა ჩუენისა მდგომელნო, რარიგადაც ამა ჩუენს ნაწყალობევს ფარვანაჩივა ეწეროს, თქვენც ასრე გაუთავეთ.

დაიწერა წიგნი ესე თუქინიერა თანადგომისა და შეწევნისაგან კიდევ ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიპ, თიბათვეს თხუთმეტს, კარის ჩუენის მუშრების, ყორღანაშვილჩის ბაჩატას კელითა. [ჩართული] [ადგილი ბეჭდისა].

6. 1626.IX.22-1926.X.21. შამ აბასის ფირმანი ქაიხოსრო-ბეგისადმი.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი:

1. ვლ. ფუთურიძე, სპარსული ისტორიული საბუთები..., გვ. 18-19.

2. მ. ხუბუა, საქართველოს მუზეუმის ფირმანები..., გვ. 2.

სპარსული ტექსტის ქართული თარგმანი:

„ის, ღმერთი! დიდება მას!

მეუფება ღვთისა!

ო, მოჰამედ! ო, ალი!

გამოქვეყნდა უავგუსტოესი ფირმანი მასზე, რომ ამჟამად სიმაღლისა და რწმუნებულის საფარველის, მომწესრიგებელი ქაიხოსრო-ბეგისადმი ხელმწიფური წყალობისა და კეთილგანწყობილების მიპყრობისა და ხსენებულის მიერ კეთილსაიმედლობის, პატიოსნების, სიმართლისა

¹ სამართლიანად აღნიშნავს გივი ჯამბურია, რომ ამ ადგილას სიტყვა „ერგული“-ს ნაცვლად უნდა იყოს სიტყვა „ორგული“, ამ ყოველივეს მეცნიერი საბუთის დამწერის უნებლიე შეცდომად მიიჩნევს (გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობების..., გვ. 25).

და საქმის ცოდნის გამომჟღავნების გამო, ჩვენ ვუწყალობთ და ვუბოძეთ მას სათნო, პატივცემული, კეთილშობილი დედოფლების რწმუნებულების მაღალღირსებიანი თანამდებობა, რათა სათანადოდ იღვაწოს ამ სამსახურში და წუთიც არ გააცდინოს. ხსენებულმა სათნო მანდილოსნებმა აღნიშნული რწმუნებულობისა და სიდიადის საფარველი (ქაიხოსრო-ბეგი) უნდა იცნონ თავის სრულფლებიან რწმუნებულად, მის კუთვნილებად მიიჩნიონ ყველაფერი, რაც რწმუნებულობის საქმისათვის არის საჭირო იმ წესის მიხედვით, რომელიც მათში არის მიღებული და ცნობილი და „მისი ხელი ხსენებულ სამსახურში ძლიერად და დამოუკიდებლად აღიარონ“.

დედოფლების ქვეშევრდომნი დაწერილის თანახმად უნდა მოიქცნენ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაუხვიონ მის (ქაიხოსრო-ბეგის) სიტყვას და გონიერ რჩევას, რომელსაც ის მათი საქმიანობისა და სარქრის საქმეთა მოწესრიგების შესახებ იტყვის და სრული მოწიწება, პატივისცემა და მორჩილება უნდა გამოიჩინონ მისადმი. ხსენებული რწმუნებულობის საფარველისათვის ცნობისა და შეტყობინების გარეშე ისინი ნუ ჩაერევიან მათ საქმიანობაში და რაც რწმუნებულობის შესახებ საქმე იქნება, მის კუთვნილებად აღიარონ. ამის შესახებ [გამოცემული] ბრძანება იცოდნენ, ყოველ წელიწადს ახალ ბრძანებულებას ნუ მოითხოვენ და როცა ფარვანა კეთილშობილი ბეჭდით დაიბეჭდება, ერწმუნონ. დაიწერა 1036 წ. მოჰარემის თვეს⁴.

7. 1627.01.18. წყალობის წიგნი ჯაჰანბანუ დედოფლისა სახლისუხუცეს ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი: დაკარგულია.

პ ი რ ი: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 32, №351.

„[ქ]. ნებითა ღ(მრ)თისათა.

ჩუენ, დედოფალმან, პატრონმან ჯაჰანბანუქმე ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შევი^ლყაღეთ და ვიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა და თავდადებით ნამსახურს ემას, სახლისუხუცეს, ბატონს ქაიხოსროს და შვილსა თქვენსაქ, გუგუნსა და ბარათასა და შვილთა და მომავალსა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

მას^ა ემას, როდეს მოგიდევით კარსა, სახლისა წყალობას გუიაჯენით, ვისმინეთა აჯა და მოხსენება თქვენი, ვიბოძეთ საბარათიშვილო <ჩ>წიგა სოფელი ღუეუბანი ალათაგის ნაქონი, სოლოლაშვილის ელიზბარის კერძი, დღეს, რისაც მამულაქს მქონებელი იყენენ მისითა მართლის სამართლიანის საქმითა და სამძღვრითა მთითა, ბართა, ველაქითა და ვენახითაქ, სახნავაქითა და სათიბით^აქ და საძებრითა და უძებრით, ნასყიდითა და უსყიდითა, შენითა და ოხერითა სასახლითა და ჭურ-მარნითა, ყოვლ^აითურა თქვენთვის სამკუიდროდ და სამამულედ გუიბოძებია^აქ ყ^აქოვლის კაცის უცილებლად, გქონდეს და ვიბედნიეროს ღ(მერ)თმ(ა)ნ ჩუენს ერდგულსა სამსახურსა შიგან.

[აწუქ] ვიბრძანებთ კარისა ჩვენის ვექილნო და ვეზირნო და ს^ახუანო მოსაქმენო მერმე, რარიგადაქც ამა ჩუვენს ნაწყალობევს ფარვანაჩიგა ეწეროს, თქვენც ასრე გაუთაგეთ და ნუ მოუშლით და ნუ შეეცილებით.

დაიწერა ნიშანი და ბრძანება ქ(ორონი)კ(ონ)ს ტომ, იანერის ომ, ჰელითა კარისა ჩვენის მწიგნობრის, ყორღანაშვილის ბაქაქტასათა. [ხელჩართული].“

8. 1627.V.23. წყალობის წიგნი სვიმონ მეფისა სახლისუხუცეს ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი.

დ ე დ ა ნ ი: დაკარგულია.

პ ი რ ე ბ ი:

1. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-10234.

2. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 12, №109; ღურჯი ფერის ქაღალდი; 1 ფურცელი; საბუთი გადაწერილია 1818 წლის 12 დეკემბერს მღვდელი მახარებელ ქურხულის მიერ. საბუთს ბოლოში, როგორც ჩანს, დასმული ჰქონდა მეფე სვიმონის ხელრთვა, რომელიც მახარებელ ქურხულს გადმოუხატავს.

მ ი ნ ა წ ე რ ე ბ ი: საბუთის თავზე ფანქრით შესრულებული მინაწერი: „1627, მაისის 23, წყალობის წიგნი მეფე სვიმონისა. ამ წიგნისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს ხელში 1818 წელს გადა-

⁴ ვლ. ფუთურიძე, *სპარსული ისტორიული საბუთები...*, გვ. 18-19. შდრ.: მ. ხუბუა, *საქართველოს მუზეუმის ფირმანები...*, გვ. 2.

წერილი მღვდლის მახარებელ ქურუხულის მიერ“. საბუთის recto-ზე მეტონით შესრულებული XIX საუკუნის მინაწერი: „ამისი ასლი ვნახე მე, მღვდელმან მახარებელმან ქურუხულმა და სისწორით გარდავსწერე, წელსა ჩჰ08-სა, დეკემბრის 0ა-სა, ქ(ორონი)კ(ონ)ს 33“3. საბუთის verso-ზე შესრულებული, არაუგვიანეს XIX საუკუნის მინაწერი: „ტბისის წყალობის წიგნი“.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი:

1. ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტომი I, ..., №413.

2. ვლ. ფუთურიძე, *სპარსული ისტორიული საბუთები...*, გვ. 66-68.

ქართული ტექსტი:

„ქ. ნებითა და შეწვევითა ღ(მრ)თისათა.

ჩვენ, მეფემან, პატრონმან სჯომნ ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ, ჩვენს ერთგულსა და მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა, ბატონის დედ<უ>ლოფლის სახლისუხუცესს, ბატონს ქაიხოსროს, თქვენთა შვილსა, გუგუნასა და ბარათასა.

მას კამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და ტბისს ყაფარ-ბეგის ნაქონის მამულის წყალობას დაგვეაჯენით, ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ტბისს, რისაც მამულის მქონებელი ყოფილიყოს მისის სამართლიანის საქმითა და სამძღვრითა, გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენს ერთგულად სამსახურსა შინა.

აწუ, უზეშთაესთა მოვახსენებ(თ) და უქვედესთა გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვ<ა>ქეჭილვაზირნო და სხვანო მოსაქმენო, ვინ ვინდა ვინ იყვნეთ და ნუ ვინ ვინდა ვინ იქმნებოდეთ, თქვენც ასე გაუთავეთ, რარიგადაც ამ ჩვენგან ნაწყალობევეს ფარვანში ეწეროს და ნურაოდეს ნუ შეუშლით და შეეცილებით თანადგომისა და შეწვევისაგან კიდე.

დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტ0მ, მაისის 33, ჳელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის, ოქრუაშვილის შერმაზანისათა [სვიმონ მეფის ხელრთვა]“.

სპარსული ტექსტის ქართული თარგმანი:

„გამოვიდა მაღალი ბრძანება, რომ, რადგანაც საბარათიანოს სოფლის [მცხოვრებმა] აბულის შვილმა ყაფარ-ბეგმა პირშავობა გამოიჩინა [და] მსახურების ფართო გზას გადაუხვია, ამიტომ მისი თიულდიან ერთი ნაკვეთი ვენახი, იმასთან ერთად, რაც მას სოფელ ტბისში ეკუთვნოდა, სიდიადის თავშესაფარს, ძლიერების რწმუნებულებას ქაიხოსრო-ბეგ ბარათაშვილს, გოგია-ბეგს, ნიკოლოზს და ბარათას და მის შვილებს ვუწყალობეთ და ვუბოძეთ. ამ ადგილების ქეთხულამ და გლეხებმა ხსენებული [პირი] უნდა იცნონ თავის თიულდარად [და] თავიანთი მაღუჯათი და [სხვა] გადასახადები მას უნდა გადასცენ და გადაუხადონ, თანახმად საქართველოს დასტურდამალისა. როცა [ეს ბრძანება] მზისებრ მაღალი ბეჭდით დამშვენდება და დაიბეჭდება, ერწმუნონ [მას და] ყოველ წელიწადს ახალ ბრძანებულებას ნუ მოითხოვენ. დაიწერა რამაზანის თვეს, 1036 წ.“¹.

9. 1627.VI.24. წყალობის წიგნი სვიმონ მეფისა ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი.

დ ე დ ა ნ ი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-14448; ორად გაკეცილი ღია ყავისფერი ლაქებიანი ქაღალდი; 1 ფურცელი; ზომა: 37,8X19,9 სმ.; შავი ფერის მეღანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი, სამი წერტილი ან ოთხი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ხილვადობა მკაფიოა, ტექსტი თავიდან ბოლომდე კარგად იკითხება.

პ ი რ ი: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 32, №324.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: საბუთს ბოლოში უზის მეფე სვიმონის ხელრთვა, რომლის ქვედა ნაწილი აღარ ჩანს.

მ ი ნ ა წ ე რ ი: საბუთის verso-ზე ვერტიკალურად მიწერილია: „ქ. ესე ბრძანება ასრე უნდა გათავდეს [სპარსული ოვალური ფორმის ბეჭედი]“.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი:

1. ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტომი II, ..., №334.

2. ვლ. ფუთურიძე, *სპარსული ისტორიული საბუთები...*, გვ. 68-70.

¹ ვლ. ფუთურიძე, *სპარსული ისტორიული საბუთები...*, გვ. 67-68)

ქართული ტექსტი:

„ქ. ნებითა შეწვენითა ღ(მრ)თისათა.

ჩუენ, მეფემან, პატრონმან სუიმონ ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი ვიბოძეთ თქვენ, ჩუენსა ერდგულსა და მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა ბარათაშვილს, პატრონს ქაიხოსროს, თქვენთა შვილსა, გუგუნასა, ბარათასა და ნიკოლოზს.

მა/ს ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და აზნაურის შვილი/ს წყალობასა დაგუეაჯენით, ჩუენ ვისმინეთ აჯა და მო/ხსენება თქვენი, შევიწყაღეთ და ვიბოძეთ სააკაძე შერმაზან, მოკითხული ვქენით ამასწინათ თქვენივე სამკუიძრო ყოფილიყო და ახლა ჩუენცა თქვენ ვიბოძეთ, რისაც | მამულის მქონებელი ყოფილიყოს ყოვლის მისის სამართლიანის | საქმითა და სამძღურითა, გქონდეს და ვიბედნიეროს | ღ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგან.

აწუ, უ/ზეშთესთა მოგახსენებთ და უქვედესთა გ(ი)ბ(რძან)ებთ კარისა | ჩუენისა ვეკილვაზირნო და სხუანო მოსაქმენო, ვინ ვინდა | ვინ იყვნეთ და ანუ ვინვინდავინ იქნებოდეთ, თქვენცა | ასრე გაუთაეთ, რარიგადცა ამა ჩუენგან ნაწყალო/ბევს ფარვანაშია ეწეროს და ნურაოდეს ნუ შეუშლით და შეეცილებით თანადგომისა და შეწვევისაგან კიდე.

დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტომ, | თიბათუეს კლ, კვლითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრისა, ოქრუასშვილის შერმაზანისათა. [სიმონ მეფის ხელრთვა]“.

სპარსული ტექსტის ქართული თარგმანი:

„ის (ე. ი. ღმერთი).

გამოვიდა მაღალი ბრძანება, რომ, რადგანაც შერმაზან სააკაძე და მისი წინაპრები ძველი დროიდანვე ეკუთვნოდნენ სიდიადის თავშესაფარს ქაიხოსრო-ბევ ბარათაშვილის, ამიტომ 1036 წლის შავალის – [საქმის] კეთილად და ბედნიერად დასრულების თვის 20-დან დაწყებული, კურდღლის წელიწადს, ხსენებული შერმაზან სააკაძე განაწესისამებრ მისთვის გვიწყალობებია, რათა ღაშქრობასა და ნადირობაში მის სამსახურში იყოს. არავითარ შემთხვევაში მაღალი კარის ვეკილებმა მას არ მოსთხოვონ [გამოსაღებები] და არ დააბრკოლონ და ღაშქრობისა და ნადირობის მოვალეობა...“⁴.

10. 1628.II.19. ემობის პირობის წიგნი გიორგი ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი

ღ ე დ ა ნ ი: დაკარგულია.

პ ი რ ი: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 12, №117.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საბუთს ბოლოში, როგორც ჩანს, დასმული პქონდა სამი ჯვარი, რომლებიც საბუთის პირის გადამწერს გადმოუხატავს.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი:

1. ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, ..., №25.
2. ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, VIII, ..., №848, გვ. 839-840.

„[ქ]. სახელითა ღ(მრ)თისათა მამისა და ძისა და სულისა წმინდისათა, მეოხებითა ყოვლად წ<ა>მინდის დედოფ<ა>ლისაქა ღმ(მრ)თისმშობელისა [და] ქალწულის მარიამისათაქა, თავსმდებობითა და მინდობითა და შუადგომლობითა და ზეცისა ძალთა და ქვეყანათა აწხგელოზ<ა>თა, ამათის მოწმობითა და შუადგომლობით ესე უთუო და უთომცაო, დრომლოკუდებელი და მიზეზ<ა>შემოუღებელი, ყოვლის ჩხუბისა და იღეთისაგან გამოსული, ჟამთა გასათავებელი ფიცი და პირობა მიგეცით ჩუენ, ვარამაშვილმა გიორგიმა და მამაჩემქმა წამალამა და ძმამა ჩემქმა ირემამა და ჩემქმა განაყოფმა ნადირამა და მამუკამა და ქიტიამა და გოვიამა და შვილთა და მამავალთა სახლისა ჩუენისათა ყოველთავე თქვენ, სახლისუხუცეს, ბატონს ქაიხოსროს და შვილს თქვენს, გუგუნას და ნიკოლოზს და ბარათას და შვილს და მამავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

მას<ა> ჟამსა, როდეს დაგუეჭირა და სიღარიბემა და შიმშილმა მიგუაჭირვა და ველარა ვ<ა>რჩებოდით და მოვედით და თქვენ გაყმევ(ი)თ, თქვენ დაივალევ(ი)თ და ჩუენ მოგუეცით და პურტკბილობა <ჩ>ქვიგანქ შეგვიჩნაქსეთ და ჩუენი თავი და შვილები ასრე გაყმევ(ი)თ, რომ ერთის ღ(მრ)თის მეტი ჩუენს თავს არაკაცი არ გეცილებოდეს, მოგვიცემია ამისად გასათავებლად პირველად ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი, ზეცისანი და ქვეყანისანი.

⁴ ვლ. ფუთურიძე, სპარსული ისტორიული საბუთები..., გვ. 70..

ვინცა და რამაც კაცმა ესა მოვიშალოს, ურიასამც რჯულზედა შეიცვალეების და კორცი მისი ჯოჯოხეთიდამ ნუ დაიხსნების.

მე, ყორღანაშვილს პაქატას დამიწერია და მოწამეცა ვარ<ა> ამ<ა> საქ<ა>მისა.

დაიწერა ნიშანი [ესე] ქორონიკონს ტიშ, თებერვალს 00 ++“.

11. 1628. II. 21. წყალობის წიგნი ჯაჰანბანუ დედოფალისა სახლთუხუცეს ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი.

დ ე დ ა ნ ი: დაკარგულია.

პ ი რ ი: კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-10233; პ ი - რ ი: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 12, №105.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საბუთს ბოლოში, როგორც ჩანს, დასმული ჰქონდა ჯაჰანბანუ დედოფლის ხელრთვა, რომლებიც საბუთის პირის გადამწერს გადმოუხატავს.

მ ი ნ ა წ ე რ ე ბ ი: საბუთის recto-ზე, სიგელის თავზე ფანქრით შესრულებილია შემდეგი შინაარსის მინაწერი: „1628, თებერვლის 21, წყალობის წიგნი დედოფლის ჯაჰანბანუმისა. ამ წიგნისა ჩვენ პირი გვაქვს მარტო ხელში“; საბუთის verso-ზე მოთავსებული შემდეგი მინაწერი: „ესე ასრე უნდა გათავდეს, ადგილი ბეჭდისა □“, ამის შემდეგ გადმოხატული აქვს აგრეთვე ბეჭდის ფორმა; საბუთის verso-ზე მოთავსებული გადამწერის მიერ შესრულებული მინაწერი: „ამისი ასლი ვნახე მე მღვდელმან მახარებელმან ქურუხულმა და სიმართლით გარდავსწერე, წელსა ჩჰ08 –სა, დეკენბრის 0-სა დღესა“; საბუთის verso-ზე გარდა ზემოთხამოთვლილი მინაწერებისა არის კიდევ ერთი მინაწერი: „ტბისის წყალობის წიგნი ჩვენის სახლის კაცისა“.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი:

1. ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, ..., №414.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა.

ჩვენ, დედოფალმან ჯაჰანბანუ ესე წყალობის წიგნი შევიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენს ერთგულსა და თავდადებით ნამსახურს ყმასა, სახლისუხუცესს, ბატონს ქაიხოსროს და თქვენს შვილს, გუგუნასა და ნიკოლოზს და ბარათასა და შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

მას ჟამსა, როდეს მოვკიდევით კარსა და თქვენს ნაქონსა და სამკვიდროს გვეაჯენით და მოკიუთხული ვქენით და პირველთაც თქვენის მამა-პაპისა ყოფილიყო და აწუ, წიგნით ამით ვავიახლეთ და გიბოძეთ ტბის, შენის ბიძაშვილის, გიორგის კერძი, რისაც მამულის მქონებელი ყოფილიყოს მისის სამართლიანის სასახლითა და ჭურ-მარნითა და ზვრითა და საგლეხოთა და გლეხებით, წყლით და წისქვილით, ველითა და ვენახითა, სახნავითა და სათიბითა, საძებრითა და უძებრითა, შენითა და ოხრითა, შესავლითა და გამოსავლითა, ნასყიდითა და უსყიდითა, ყოვლითურთ თქვენთვის სამკვიდროდ და სამამულედ გიბოძებია, გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენს ერთგულად სამსახურსა შინა.

აწუ, უზესთაესთა მოვასხენებთ და უქვედაესთაესთა გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვექილნო და ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, მერე რარიგადაც ამ ჩვენგან ნაწყალობევს ფარვანშიგან ეწეროს, თქვენც ასე ვაუთავეთ და ნუ მოუშლით და შეეცილებით, თვნიერ თანადგომისა და შეწევნისა კიდე.

დაიწერა ნიშანი დაბრძანება ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიშ, თებერვალს 21, ჴელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრის ყორღანაშვილის პაატასითა [ჯაჰანბანუ დედოფლის გადმოხატული ხელრთვა]

12.1628. II. 27. წყალობის წიგნი ჯაჰანბანუ დედოფლისა სახლთხუცეს ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი.

დ ე დ ა ნ ი: დაკარგულია.

პ ი რ ი: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 20, №63. საბუთმა ქართულ სასამართლო სისტემაში რეგისტრაცია გაიარა 1812 წლის 12 აპრილს.

[ქ]. ნებითა და შეწვევითა ღ(მრ)თისათა.

ჩვენ, დედოფალმაჩნ, ჯაჰანბანუ[მ] ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყაღეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურს ყმას, სახლისუხუცეს, პატრონს ქაიხოსროს, თქვენსა შვილსა – გუგუნასა და ნიკოლოზს და ბარათასა და შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

მას<ა> უამს, როდეს მოგვიდევით კარს და ქალაქს სასახლეს გვიაჯენით, ჩვენ ვისძინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ, რასაც ალაგი სასახლისა და ქულბაქის მქონებელი ყოფილიყოს სათბილელის სამძღვარის შიგნით, მღებარას ბაინდურას სამძღვრამდისინ მისის სასახლითა და ჭურ-მარნითა და შესავლითა და გამოსავლითა გზამდის, გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენს ერდგულად სამსახურსა შიგან.

აწუ, უუესთაესთა მოგახსენებ(თ) და უქუედესათა გიბძანებთ კარისა ჩვენის ვექილნო და ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო და ქალაქის ტარულავ და მელიქო და მამასახლისო, მერმე, რარიგათაც ამა ჩვენგან ნაწყალობევს ფარვანაშივა ეწუროს, თქვენც ასრე გაუთავეთ და ნუ შეიცილებით თანადგომასა და შეწვევისაგან კიდუ.

დაიწერა ნიშანი და ბრძანება ქ(ორონი)კ(ონ)ს **ტიზ**, თებერვალს **კზ** [ჯაჰანბანუ დედოფლის გადმოხატული ხელრთვა].

13.1628.III.12. წყალობის წიგნი ჯაჰანბანუ დედოფლისა სახლთხუცეს ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი.

დ ე დ ა ნ ი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Sd-525; ორად გაკეცილი ღია ყავისფერი ლაქებიანი ქაღალდი; 1 ფურცელი; ზომა: 37,7X15 სმ; შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი, სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ხილვადობა მკაფიოა, ტექსტი თავიდან ბოლომდე კარგად იკითხება.

პ ი რ ი: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 32, №324.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საბუთს ბოლოში უზის ჯაჰანბანუ დედოფლის ხელრთვა.

მ ი ნ ა წ ე რ ი: საბუთის verso-ზე: „აბულაშენის წყალობისა“.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი:

1. ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტომი II, ..., №95.

ქ. ნებითა და შეწვევითა ღ(მრ)თისა(დ)თა.

ჩვენ, დედოფალმაჩნ, პატრონმაჩნ ჯაჰანბანუ[მ] ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყაღეთ და გიბოძეთ თქვენ, | ჩვენსა ერდგულსა და თავდადებით ნამსახურს ყმას, სახლისუხუცეს, პატრონს ქაიხოსროს და თქვენსა შვილსა, გუგუნასა და ნიკოლოზს და ბარათა<ა>ს და შვილთა და მომავალსა სახლსა თქვენისათა | ყოველთავე.

მას<ა> უამს, როდეს მოგვიდევითა კა<ა>რსა და აბულაშენის ნაოხრას, ნასოფლარ(ი)ს წყალობას და გვიაჯენით და ჩვენ ვისძინეთა აჯა | და მოხსენება თქვენი და შეგიწყაღეთ და გიბოძეთ ნასოფლარი აბულაშენი მისის მართლის სამართლიანისა სამძღვრითა და საქა<ა>მითა, მითითა და სახნავ(ი)თა და სათიბითა, საძებრითა და უქებრითა, შესავლითა და გამოსავლითა ყოვლი(თ)ურთ თქვენთვინ სამკვიდროდ და სამამულედ გუიბოძებითა ყოვლის კაცისაგან უცილებლად და | შემოუსარჩლებლად, გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენს ერდგულად სამსახურსა შ(ი)გან.

აწუ, უუეს<ა>თეს<ა>თა მოგახსენებთ და უქუედესათა<ი> გ(ი)ბ(რძანებ)თ კარისა ჩვენის ვექილნო და ვეზირნო | და ს<ა>ხვანო მოსაქა<ა>მენო, მერმე, რარიგად<ა>ც ამა ჩვენგან ნაწყალობევს ფარვანაშივა ეწუროს, თქვენც ასრე გაუთავეთ და ნუ მოუშლით და შექცეცილებით თანადგომას<ა> და შეწვევისაგან კიდუ.

[ლაიწერა] ნიშანი და ბრძანება ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიზ, მარტს იზ [ჯაპანბანუ დედოფლის ხელრთვა].

14.1628 წ. ხოდაბუნის დავის წიგნი ქაიხოსრო ბარათაშვილსა საამ საგინაშვილს შორის.

დ ე დ ა ნ ი: დაკარგულია.

პ ი რ ი: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 26, №69. საბუთმა ქართულ სასამართლო სისტემაში რეგისტრაცია გაიარა 1812 წლის 12 აპრილს.

[ქ]. სახელითა სახიერისა, არსება დაუსაბამისა ღ(მრ)თისა მამისა, ძისა და სულისა წმინდისა, მეოხებითა ყოველადწმინდისა ღ(მრ)თისმშობელისათა, მარადის ქალწულის მარიამისათა, ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისათა, წმინდათა ზეცისა ძალთა მთავარანგელოზთა მიქაილ და გაბრიელისათა, წმინდისა წინასწარმეტყველისა წინამორბედისა ნათლისმცემელისა იოვანესითა და იოვანე ქალწული მახარობელისათა და ყოველთა წმინდათა ღ(მრ)თისათა ესე საბოლოოდ გასათავებელი ნიშანი მოგეც მე, ბარათაშვილმა ქაიხოსრომ და ჩემთა ძმამა, თამაზს და ჩემქმეა შვილმა, ნიკოლოზ და ბარათამა თქვენ, საგინაშვილთა სამსონ, დურმ(იშხან)ს, ზალიას, თამაზასა, იორამს, სეხნიასა, ზუბიტასა, რევაზას და როსტომს.

ასრე, რომ გოლთეთს წყაროსთან, რომ გზა გარდმოვა იქ თქვენ ხოდაბუნს შემომესარჩლენით, გავსინჯეთ და არას შემართლებოდით, ძველიდგან თქვენი ყოფილიყო და დავანებთ, რომ არას ჩვენს სახლის კაცს ხელი არა ჰქონდეს თელას ქუეშენი.

გქონდეს და ვიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ, რარიგადაც გინდოდეს, რავგარათაც სხუა შენი სამკუიდრო მამული გაქუს ღ(მერ)თ(მა)ნ ასრე ეს განმაროს, არიან ამ<ა>{ი}სნი დამხდომნი: ვიორგი ბარათაშვილი, ფალავანხოსრო ბარათაშვილი, ავთანდილ ბარათაშვილი და ჩვენი ყმანი: კოტორაშვილი ხახანა, თანღრიაშვილი ელისბარა და სრულა ჩემნი ყმანი, ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიზ. (ადგილი ბეჭდის) (ჩართული)

15.1629.IV.4. წყალობის წიგნი თეიმურაზ მეფისა ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი.

დ ე დ ა ნ ი: დაკარგულია.

პ ი რ ი: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 11, №59. საბუთმა ქართულ სასამართლო სისტემაში რეგისტრაცია გაიარა 1812 წლის 12 აპრილს.

ჩვენს, მეფესა, პატრონსა თეიმურაზს და დედოფალსა და პატრონსა ხვარაშანს და სასურველსა ძესა ჩვენსა, პატრონს დავითს სოფელი ოძისი მისის სამართლიანის სამზღვრითა და საქმითა და ურუნბესაშვილი მისის მამულითა სამკუიდროთ და სამამულთ და საჯილდოდ<ო>{ა}ოდ ბარათაშვილის ქაიხოსროსათვის ვეიბოდებია და ნურა კაცი ნუ ეცილებით, ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიზ, აპრილი{ს} 9. [თეიმურაზ] [ხორეშან]

16.1630.I.27. წყალობის წიგნი სვიმონ მეფისა ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი.

დ ე დ ა ნ ი: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1448, 598, ნაცრისფერი ფერის ლაქებიანი ქაღალდი, ეტყობა თავდაპირველი გადანაკეცები; 1 ფურცელი; ზომა: 24,4×21,5; შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთი თავნაკლულია, აკლია დასაწყისი ნაწილის რამოდენიმე სტრიქონი; გადარჩენილი ტექსტის პირველი სტრიქონი დასაწყისი ოდნავ გადახეულია, სიგელს მარჯვენა კიდე ძლიერ დაზიანებული აქვს, აკლია სიტყვები ან ასოები; წყალობის სიგელი ორენოვან საბუთთა რიგს მიეკუთვნება და გააჩნია როგორც ქართული, ასევე სპარსული ვერსია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საბუთს ბოლოში უზის მეფე სვიმონის ხელრთვა, რომლის დიდი ნაწილი სამწუხაროდ გადაშლილია. საბუთის verso-ზე მოთავსებული აღნიშნული დოკუმენტის სპარსული ვარიანტი.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი:

1. ვლ. ფუთურიძე, *სპარსული ისტორიული საბუთები...*, გვ. 80-81

ქართული ტექსტი.

...სა

მას უამსა, როდისაც მოგუიდევით კარსა და მამულის წყალობა[სა] [დაგუე]აჯენით, ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შევიწყალეთ და გიბოძეთ დიდი მახრალაჯი ზემოთის სახნავითა და ნაოხრითა მისის [ბარი]რითა, ველითა, ვენავითა, სახნავითა, უხნავითა, წყლითა, წისქვილითა, [საძებრითა და უძებრითა და ყოვლის მისის სამართლიანის სამძღურითა, როგორც [დაც ამილა]ხორს ჰქონებოდეს მახრალაჯი უკლებლით თქუენტუის გუიბოძებია, | მოგცეს და გიბედნიეროს ღ(მერთ)(მა)ნ ჩუენსა ერდგულად სამსახურსა [შინა.

აწუე, უზეშთესთა მოგახსენებთ და უქუედესთა გიბრძანებთ კარის ჩუენისა ვ<ა>{ექქილ-ვაზირნო და სომხითის ტარულავ და მელიქო და სხ[უანო] მოსაქმენო, თქუენცა ასრე გაუთავეთ და დაუბედნიერეთ, რარიგადაც ა[მა ჩუ]ენგან ნაწყალობევს ფარვანაშიგან ეწეროს, ნურავინ კვლს ნუ შეუშლით თანადგომისა და შეწევნისაგან კიდუ.

დაიწერა ესე მტკიცე და უქ[ც]ეველი ფარვანა ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიშ, იანვარსა ძზ, კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრის ყანდურალიშუილის ფირალის კელითა.

ვინ იცის, ამილახორ[ი] მოვიდეს და იმისი მამული იმასვე მივსცეთ, თქვენ უნაცულო არ [გა]გიშუათ.

სპარსული ტექსტი.

[„ის (ე. ი. ღმერთი)].

გამოვიდა მაღალი ბრძანება, რომ ამჟამად ქაიხოსრო-ბეგ ბარათაშვილისადმი მაღალი წაყლობის [მიპყრობის] გამო, ჩვენ ჩავაბარეთ და გუწყალობეთ მას სამუდამო თიულად, ქვემოთ [აღნიშნული] თარიღიდან, ქართლის გურჯისტანს დამოკიდებული სომხითის სახანების [სოფელ ...ის] მალუჯათი და [სხვა] გამოსადეგები. აღნიშნული სოფლის გლეხებმა უნდა იცნონ ხსენებული [ქაიხოსრო-ბეგი] თავის სრულ-უფლებიან თიულდარად და თავისი მალუჯათი, გამოსადეგები და სახელმწიფოს გადასახადი, რა წესითაც არ იქნება [ეს], თანახმად საქართველოს დასტურლამალისა, ხსენებული თიულდარის კუთვნილებად იცნონ, წლითი-წლამდე უკლებლად გადასცენ და გადაუხადონ მას და არაფერი დააკლონ და დაუზიანონ. [სასამართლოს] საქმეები, გარდა [სისიხლის სამართლის] საქმეებისა, მას მიანდონ, რათა სამართლიანად გამოიძიოს. ხსენებული თიულდარის მოვალეობა ის არის, რომ გლეხებს სინდისიერად და პატიოსნად მოეპყრას და ისე მოიქცეს, რომ მას აქებდნენ. და როცა [ეს ბრძანება] მაღალი ბეჭდით შეიმკობა – ერწმუნონ. დაიწერა ჯომადი II თვეს, [1]039 წ.“

17. 1630.IV.22. წყალობის წიგნი სვიმონ მეფისა ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი

ღ ე დ ა ნ ი: დაკარგულია.

პ ი რ ი: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 12, №107. საბუთმა ქართულ სასამართლო სისტემაში რეგისტრაცია გაიარა 1812 წლის 12 აპრილს.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი:

1. ვლ. ფუთურიძე, *სპარსული ისტორიული საბუთები...*, გვ. 81-82.

ქართული ტექსტი.

[ქ]. ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა.

ჩუენ, მეფემან, პატრონმან სვიმონ ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ, ჩუენსა ერდგულსა ყმასა, ბარათაშვილს, ბატონს ქაიხოსრო<ვ>ს და შვილთა თქუენტა – გუგუნასა და ბარათასა.

მას უამსა, როდისაც მოგუიდევით კარსა და მამულის წყალობას დაგუიჯენით, ვისმინეთ მოხსენება თქუენი და შევიწყალეთ და გიბოძეთ ენა<თ>{გქეთს, მემშუილდის შუილისეული მამული და საკუამლო მითთა, ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, სახნავითა და უჭნავითა, ყოვლის მისის სამართლიანის სამძღურითა ერთი საკუამლო თქუენტუის გუიბოძებია, გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერთ)(მა)ნ.

აწე, მოგახსენებთ ენაგეთს მოურავო, მერმე თქვენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩუენგან ნაწყალობევს სიგელშიგან ეწეროს, ნურავინ კელს ნუ შეუშლით შეწეენისაგან კიდე. დაიწერა ესე წიგნი ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიშ, აპრილისა კბ, კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრის კელითა ფირალითა [სვიმონ მეფის გადმოხატული ხელრთვა]

სპარსული ტექსტი.

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, სოფელ ენაგეთის ქეთხუდებმა და გლეხებმა იცოდნენ, რომ, რადგანაც მემშვილდის ვაჟი გარდაიცვალა, რაც მამული, ვენახი და სახლი ხსენებულს ჰქონდა, სილიადის საფარველს, დიდებულ ქაიხოსრო-ბევს ეუწყალობეთ. არავინ ხელი არ შეუშალოს [და] ხსენებულ დიდებულს და სილიადის თავშესაფარს [ქაიხოსრო-ბევს] დაანებონ (ეს ქონება). ამის შესახებ ბრძანება სავალდებულოდ იცნონ და პასუხისმგებლობა [მისი შესრულებისათვის] იკისრონ. დაიწერა კურთხეული რამაზანის თვეს, 1[03]9 წ.“

18. 1630 წ. წყალობის განახლების წიგნი სვიმონ მეფისა ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი.

დ ე დ ა ნ ი: დაკარგულია.

პ ი რ ი: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 12, №132. საბუთმა ქართულ სასამართლო სისტემაში რეგისტრაცია გაიარა 1812 წლის 12 აპრილს.

[ქ]. ნებითა და შეწეენითა ღმ(რ)თისათა.

ჩვენ, მეფემან, პატრონმან სვიმონ ესე უკუნისამდე ჯამთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი შევიწყაღეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩუენთა ერდგულთა და თავდადებით მრავალფერად ნამსახურთა ყა<ა>მათა, ბარათაშვილს ქაიხოსროს და თქვენთა ძმათა, თამაზს და შვილთა თქვენთა – გუგუნასა, ბარათასა და შვილთა და მამავალ<ი>თა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

მას ჯამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა დარბაზისასა და თქუენისავ სამკვიდროს მამულის წყალობას გვიჯგენით და ჩვენცა მოკითხული ვქენით და შევიწყაღეთ და გიბოძეთ ენაგეთს, რაც ალიყულიბევს მამული აქვს, იმას გარდაის და აგრევე, რაც ყორღანაშვილები, რისაც მამულის მქონებელნი იყუნენ, იმას გარდაისათ თავად თქვენი სამკვიდრო ი<ა>ყო და მერმე რომ მახრადაჯი, რომ გამოვართუით იმის სამუქფოდ გიბოძეთ ენაგეთი ალიყულიბევს მამულისა და ყორღანთათ გარდაისათ, მითთა, ბართთა, წყლითა, წისქულითა, ველითა, ვენახითა, საკნავითა და უკნავითა, შესავლითა და გამოსავლითა ყოვლი<ი>თური მართლის სამართლიანის საქმითა და სამძღურითა თქვენთუნი და თქვენთა შვილთათუნი სამკვიდროდ და საბოლოოდ გიბოძებია და აგრევე კიდევე თქვენევე სამკვიდრო აზნაურისშვილი – რევიშვილი შავერდა და რევი მათის სამართლიანის მამულითა, რისაც მქონებელნი იყუნენ ყოვლითურთ და იქვე ენაგეთს ამას წინათ, რომე მემშვლდიშვილის მამული გიბოძეთ, ესეები ყოვლითურ სამკვიდროდ და საბოლოოთ გიბოძებია ყოვლის კაცისაგან უცილებრად, ვქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შინა და არა ოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა სხუათა მეპატრონეთაგან.

აწე, გიბ(რ)ძ(ანებ)თ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო, ვინ ვინდა ვინ იყენეთ და ანუ დღეის წად<ა>მა იქნებ(ო)დეთ, თქვენ(ც) და ასრე გაუთავეთ და ნურას მოუშლით თუქინიერ თანადგომისა და შეწეენისაგან.

დაიწერა ბ(რძანებ)ბა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტიშ, კელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრის – თუმანიშვილის ბირთუელისათა [სვიმონ] ქ. ესე ბძანება ასრე უნდა გაუთავდეს [ადგილი ბეჭდისა].

19.1633 წ. წყალობი წიგნი როსტომ მეფისა სახლთხუცეს ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-14651; ღია ყავისფერი ლაქებიანი ქაღალდი; 1 ფურცელი; ზომა: 39,2X19 სმ.; შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი, სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ხილვადობა მკაფიოა, ტექსტი თავიდან ბოლომდე კარგად იკითხება. წყალობის სიგელი ორენოვან საბუთთა რიგს მიეკუთვნება და გააჩნია როგორც ქართული, ასევე სპარსული ვერსია.

პ ი რ ი: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დათარი 32, №348.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: საბუთის ქართულ ვერსიას არანაირი ხელრთვა ან ბეჭედი არ უზის, რაც შეეხება სპარსულ ვერსიას უზის ოთკუთხედის ფორმის სპარსული ბეჭედი.

მ ი ნ ა წ ე რ ი: საბუთის verso-ზე: „ჩაჩიკასშვილის წყალობის წიგნი“.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი:

1.ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტომი I, ..., №415.

2.ვლ. ფუთურძე, სპარსული ისტორიული საბუთები..., გვ. 100-102

საბუთის verso-ზე მოთავსებული აღნიშნული დოკუმენტის სპარსული ვარიანტი.

ქართული ტექსტი.

ქ. ნებითა და შეწვევა>ნითა ღ(მრ)თისათა.

ჩუენ, მეფემან, ჰატრონმან / როსტომ ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შევიწყალეთ და ვიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა და მარვაღფერად თავდადებით ნამსახურსა ყმასა, ბარათაშვილს, სახლთხუცეს ქაიხო/სროს, შვილთა თქუენტა, გუგუნასა და ბარათასა, მომავალთა / სახლისა თქუენისათა ყოველთავე.

მას უამსა, ოდეს მოგუიდევით კარსა და აღიყუიბევის ნაქონს, აზნაქურიშვილს, ჩაჩიკაშვილს ასიტჯას გუიჯენით, ჩუენცა ვისმინეთ აჯა და / მოხსენება თქუენი და შევიწყალეთ და ვიბოძეთ დღეს ჩაჩიკა>აშვილი ასიტა და მისნი ძმანი, რისჯაც მამულის მქონებელნი იყუნენ, უკა>ღებრივა წყალითა, წისქუილითა, ველითა და ვენაკ>ით, მათის სოფ>აღებითა, საძებრითა და უძებრითა, ნასყიდითა და უსყიდითა, ყოვ>აღლის მისის სამართლიანის მამულითა / და სამძღურითა თქუენთუის და თქუენტა შვილთა/თუის გუიბოძებია.

აწე, უზედესთა მოვასხსენებთ და უქვედესთა / ვ(ი)ბ(რძანებ)თ კარისა ჩუენის ვეჟილ-ვეზირ-ნო დღეს, ვინ გინდა ვინ იყ>ა/ვ>ანეთ და ანუ დღეის წაღმა, ვინგინდავინ იქნებოდეთ, მერმე, / ესე ჩუენგან ნაწყალობევი სიგელი თქუენცა ასრე გაუთავე/თ, რომე რარიგადჯაც ამა ჩუენგან ნაწყალობეუ>ას ფარვანჯაქში ეწე/როს, ნუოდეს ნუ შეუშლით და შექეცილებით თანდად/ვომისა და შეწვევა>ნისგან კიდე.

დაიწერა ბ>არძანება და ნიშანი ესე / ქ(ორონი)კ(ონ)ს ტბა, კელითა. ყორღანაშვილის მერჯაბისჯათა.

სპარსული ტექსტი.

[ის (ე. ი. ღმერთი)]

„გამოვიდა მაღალი ბრძანებულება მასზე, რომ სიდიადის თავშესაფარის ქაიხოსრო-ბეგ ბარათაშვილის მიმართ მაღალი ყურადღების [მიპყრობის] გამო, ჩვენ დავეუმტკიცეთ თიულად ხსენებულ სიდიადის საფარველს, ქათმის წელიწადის ექვსთვეობის დასაწყისიდან, ასღამაზ და პაპუნა ჩაჩიკაშვილები. იცნობენ რა ხსენებულ სიდიადის საფარველს თავის სრულყოფილებიან თიულდარად, [ისინი] ქართლის გურჯისტანის დასტურლამადლის მიხედვით გადასცემენ მას თავის მალუჯათს, გამოსაღებებს და სახელმწიფო გადასახადს და არ დაუჭერენ წესის წინააღმდეგ. მაღალი კარის მუსტოფი, [ჩასწერს] რა ამ ბრძანებულებას, ყოველწლივ ნუ მოითხოვს ახალ ბრძანებულებას. ამის შესახებ [გამოცემული] ბრძანება იცოდნენ, წინააღმდეგობა არ გასწიონ და როდესაც [ეს] სიგელი აღჭურვილი იქნება მაღალი ბეჭდით, ერწმუნონ მას. დაიწერა 28 რაბი' I თვეს, წელსა 1043“.

20.1633.XII.25. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა სახლთხუცეს ქაიხოსრო ბარათა-შვილისადმი.

დ ე დ ა ნ ი: დაკარგულია.

პ ი რ ი: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 12, №129. საბუთმა ქართულ სასამართლო სისტემაში რეგისტრაცია გაიარა 1812 წლის 12 აპრილს.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი:

1.ვლ. ფუთურიძე, *სპარსული ისტორიული საბუთები...*, გვ. 106-108.

ქართული ტექსტი.

[ქ. ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა.

ჩუენ, მეფეთ-მეფემან, პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფლითა-დედოფალმან, პატრონმან მარიამ ესე ამიერთ უკუნისამდე ჟამთა და ხანთა სამკუდროთ და [სა]ხოლოვოთ გას[ა]ქთ[ა]ვებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა და მრავალფერად ერდგულებით და თავდადებით ნამკეს[ა]ხურსა ყმასა, სახლთხუცეს, ბარათაშვიკლს ქაიხოსროს და შვილთა თქუენთა – გუგუნასა, ნიკოლოზს და ბარათასა, მომავალთა ს[ა]ქსლისა თქუენისათა ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოვიდევით კარსა და მამულის წყალობას და გუიჯენითა და ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და მოკითხული ვ<ა>ქენით და სოფელი ნახშირისგორის ქვე<ა>ში, თავითგან თქუენი სამკუიდრო მამული ყოფილიყო და მერმე ჩუენი მემკ<ა>უიდრე ყმა, იესე ერისთავი შემოგუარიგეთ და თქუენის ქართულით შეკრიფეთ და მისთ მუქაფათ შეგიწყალეთ და გიბოძეთ ვერისკვეში, სოფელი ნახშირისგორი ქვემოთი უბ[ა]ნი და ზემოთი უბანი, ვიდრე მთით ბარ[ა]ქმდეს უნაკლულთ წყალითა, წისქულითა, ველითა და ვენახითა, ს[ა]ქსნაითა და უხნ[ა]კითა შენითა და ოკრითა და უსყიდითა, ყოვლის მისის სამართლიანის სქემითა და სამზღურითა უნკ<ა>ლულთ, გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმან ჩუენსა ერდგულათ სამსახურსა შიგან, აროდეს არ მოგეშალოს, არა ჩუენგან და არცა შემდგომათა სახუათა მეფეთა და მეპატრონეთაგანა.

აწე, მოგახსენებთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და მდივანო და ვინგინდავის იყოთ და ანუ დღევის წაღმა ვინ გინდა ვინ იქნებოდეთ, მერმე ესე ჩუენგან ნ[ა]ქბოძები მამულის სიგელი თქვენცა ასრე დაუმკიდრეთ და დაუმტკიცეთ, რომე <ა>რარიგადც ამა ჩუენგან ნ[ა]ქწყალობევას ფარვანში ეწეროს, ნუ ოდეს ნუ მოუშლით და შეცილებით თუნჩიერ თანად<ა>გომისა და შეწყენისაგან კიდე.

დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტბა, ქარისშობის თუვესა ოცდახუთსა, კვლისა მდივან-მწიგნობრისა ყორღან[ა]ქშვილის მერაბისათა. [როსტომ] [მარიამ]

სპარსული ტექსტი

„გამოვიდა მაღალი ბრძანებულება მასზე, რომ დიდებული ქაიხოსრო-ბეგ ბარათაშვილისა და მისი შვილის ბარათასადმი მაღალი ყურადღების გამო, ჩვენ დაეუმტკიცეთ თიულად ხსენებულ სიდიადის საფარველს, ქათმის წელიწადის წესისამებრ დაეუმტკიცეთ ხსენებული სიდიადის თვშესაფარს [ქაიხოსრო-ბეგს] და მის შვილს ბარათას, ღორის წლის სამთვეობის დასაწყისიდან, სოფელი ნახშირგორა..., რომელიც წინათ ხსენებულის [ქაიხოსრო-ბეგის] წინაპრების იყო და ერთ ხანს აგრეთვე... თურქისტანიშვილის მფლობელობაში იყო. ხსენებული სოფლის გლეხებმა, დაწერილის თანახმად დამტკიცებულად იცნონ [ეს და] მაღუჯათი და სახელმწიფო გადასახადი [თვისი], საქართველოს დასტურლამალის თანახმად [მას, ქაიხოსრო-ბეგს] გადასცენ და გადაუხადონ ამის შესახებ [გამოცემული] ბრძანება იცოდნენ და სავალდებულოდ აღიარონ [მისი შესრულება]. დაიწერა დიდებული შაჰნის თვეს 1[0]45 წ.“

21. 1634 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა სახლთხუცეს ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი.

დ ე დ ა ნ ი: დაკარგულია.

პ ი რ ი: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 12, №119. საბუთმა ქართულ სასამართლო სისტემაში რეგისტრაცია გაიარა 1812 წლის 12 აპრილს.

[ქ.] ნებითა და შეწვევითა ღ(მრ)თისათა.

ჩუენ, მეფემან, პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩუენ, დედოფალმან მარიამ ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყაღეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩუენსა ერდგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა, სახლთხუცესა ქაიხოსროს და შვილთა თქუენთა ბარათასა და მამავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდევით კარსა და მამულის წყალობას გუიაჯენით, ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და შეგიწყაღეთ და გიბოძეთ ჩუენს სახასოს სოფელში, ენაქგეთს სქადუნაშვილის გიორგის შვილები ერთობით, რისჯაც მამულის მქონებელნი არიან წყალითა, წისქულითა, ველითა, ვენაკითა, სახნაქითა და უხნავითა შენითა და ოკარიითა, ნასყიდითა და უსყიდითა, სქაქებრითა და უძებრითა, ყოვ<ა>ლის მისის სამართლიანის საქმითა და სამძღურითა, მთით ბარამდის უნ<ა>ღულოთ სამკ<ა>უქიდროთ და საბოლოოვ<ა>ჯოთ, გ<ა>ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა ერთგულათ სამსახურსა შიგან.

აწუ. გ(ი)ბ(რ)ძანებთ კარისა ჩუენის ვექილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო დღეს, ვინ გინდა ვინ იყ<ა>ვ<ა>ნეთ და ანუ დღევის წაღ<ა>მა ვინ გინდა ვინ იქნებოდეთ, მერმე ჩუენი ესე ნაწყალობევი წყალობისა წიგნი თქუენ<ა>ქი ასრე გაუთავეთ, რომე რარიგჯაქჯაც ამა ჩუვენგან ნქაბოძებს ფარვქანში ეწეროს და <ი>ნუოდეს ნუ შეუშლით და შეცილებით თანადგომისა და შეწვევ<ა>ნისაგან კიდე.

დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტბბ, კვლითა მწიგნობრისა ყორღანქაშუიქლის მერაბისათა. [როსტომ] [მარიამ].

22. 1635.VI.17 – 1635.VII.16. ფირმანი შაჰ-სეფი I-სა ქაიხოსრო ბეგისადმი (ბარათაშვილისადმი).

წინამდებარე საბუთს გთავაზობთ ვლადიმერ ფუთურიძის პუბლიკაციაზე დაყრდნობით.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი:

1.მ. ხუბუა, საქართველოს მუზეუმის ფირმანები ..., გვ. 4.

2.ვლ. ფუთურიძე, სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნსაცავებში, ..., გვ. 32-33.

მეუფება ღვთისა!

გამოქვეყნდა უავგუსტოესი ფირმანი მასზე, რომ სიდიადისა და აღმატებულების საფარველმა, მომწესრიგებელმა ქაიხოსრო-ბეგმა, ხელმწიფური წყალობით გაამაყებულმა და განდიდებულმა, უწყოდეს, რომ მმართველობის, ხელმწიფობის და ბრწყინვალების საფარველმა, სიდიადისა და ძლიერების ძალამ, მაღალადგილოვანმა, დიდებული ხელმწიფეების შთამომავალმა, ქველმა ხელმწიფემ, დიდებულმა და ბედნიერმა ჩემმა მამ როსტომ-ხანმა, საქართველოს ვალიმ, მოგვახსენა იმ სიდიადის საფარველის ვაჟკაცობის, თავდადებისა და ერთგულების შესახებ. ამჟამად, როცა თეიმურაზი დამარცხებული იქნა სურამის სანახებში და გაიქცა. ეს იყო მიზეზი იმ სიდიადის საფარველის მიმართ ხელმწიფისაგან წყალობის მომატებისა.

იმ სიდიადის საფარველისა და საქართველოს მთელი ხალხისათვის ცხადია, რომ ხსენებული თეიმურაზი იყო და არის საქართველოს აოხრების მიზეზი და მისი მავნებლობის უკუგდება საქართველოს მთელი ხალხისათვის არის საჭირო. საჭიროა, რომ წინანდელზე უფრო მეტად იღვაწონ ერთგულად და გულწრფელად ხსენებული მაღალადგილოვანის, მმართველობისა და ხელმწიფობის საფარველობის სამსახურში [და] თუ [თეიმურაზმა] ამის შემდეგ [კიდევ] განიზრახა საქართველოში მოსვლა, [მაშინ] ქართლის აზნაურებთან და მთელ ხალხთან ერთად, ერთგულად და ერთსულოვნად მოინდომებენ რა მის უკუგდებასა და მოსპობას, მოიქცევიან ისე, რომ საქართველოს ხალხმა მოისვენოს მისი ჯანყის ბოროტებისაგან. და თუ ვინმე აღმოჩნდება

ჩვენთვის არაკეთილისმსურველი, ამის შესახებ ჭეშმარიტება აცნობონ ხსენებულ მმართველობისა და ხელმწიფობის საფარველს, რათა როგორც სასარგებლოდ დაინახავს დღითიდღე მზარდი [ჩვენი] სახელმწიფოსათვის, ისე გადაწყვიტოს მოქმედება. ის, რაც საჭირო იქნება სიმამაცისა და თავდადებისათვის, შესრულებული უნდა იქნეს, რომ თითოეულის მამაცობისა და თავდადების ჭეშმარიტება ხსენებულმა ხელმწიფობის საფარველმა მომახსენოს, [და] მას გავხდით უსაზვრო ხელმწიფური წყალობის საგნად. ამის შესახებ გამოცემული ბრძანება იცოდნენ [და] თავის მოვალეობად აღიარონ [მისი შესრულება]. დაიწერა 1045 წლის კურთხეული მოჰარემის თვეს.

23.1642 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა სახლთხუცეს ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი.

პ ი რ ი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-14694; პ ი რ ი: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1450, დავთარი 12, №103. საბუთმა ქართულ სასამართლო სისტემაში რეგისტრაცია გაიარა 1812 წლის 12 აპრილს.

მ ი ნ ა წ ე რ ე ბ ი: საბუთის recto-ზე, სიგელის თავზე ფანქრითა შესრულებული შემდეგი მინაწერი: „წყალობის წიგნი მეფე როსტომისა. ამ წიგნისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს ხელში“; საბუთის verso-ზე არის მეღნიტ შესრულებული შემდეგი მინაწერები: ა) „ამისი ასლი ვნახე მე, მღვდელმა, ქურუხულოვმა მახარებელმა და სისწორით გარდმოვწერე წელსა ჩჰიშ-სა, დეკემბრის 00-სა დღესა“. ბ) „ბუქლუღეთის და ელფიას“.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი:

1. ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტომი I, ..., №417.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა.

ჩვენ, მეფეთ მეფემან, პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემა ჩვენმა, დედოფალთ დედოფალმა, პატრონმა მარიამ ესე საბოლოოდ გასათაებელი მტკიცე და შეუცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერთგულთა და მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა ყმათა: ბარათაშვილს, სახლის უხუცესს, ბატონს ქაიხოსროს და შვილსა თქვენსა ბარათასა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს თუმინ<ი>{ს} თავისავე ნებითა მისი თავი თქვენთვის მოებარებინა, თქვენცა მოგვიდევით კარსა, თუმინისა მობარებისა და იმისი მამულის: ბუქლუღაშვილებისა და სრულად ბუქლუღანისა და ელფიას – მანუკაშვილის წყალობასა დაგვიჯგენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, თუმჩიხნიც თქვენ მოგაბარეთ და მისი მამული: ბუქლუღანი და ელფიას – მანუკაშვილი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ მისითა მითთა, ბართთა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, ჭაღლითა, სათიბითა, ეკლესიითა, სასაფლაოთი, ტყითა, სანადიროთა, ყოვლისა მისის სამართლიანის შესავლითა და გასავლითა, სამძღვრითა და ფუ<ზ>{ძ}ითა, თქვენთვის და თქვენთა შვილთათვის სამკვიდროთ და სამამულოდ გვიბოძებია, ყოვლის კაცისაგან უცილებლად, ასრე და ამა წესითა: სადამდი თუმინ<ო>{ი} ცოცხალი იყოს, ეგეც თქუენი გაუყრელი არის, და რა სოფელმა მისი ბეგარა არ დაივალოს და თუმჩიხნი მის მეუფეს მიებაროს, როგორცა თქვენს სიკეთესა მართებდეს, სულის საქმე იმ რიგათ კარგათ გაურიგეთ და მამული სამკვიდროდ და საბოლოოდ თქვენთვის დაგვიმკვიდრებია, გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმან, ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შიგან, არა ოდეს არ მოგეშალოს, არა ჩუენგან და არცა შემდგომად სხვათა მეპატრონეთაგან.

აწუ, უზედაესთა მოგახსენებთ და უქვედაესთა გიბძანებთ, კარისა ჩვენისა ვეჟილ-ვეზირხო, მდივანხო და სხვა მოსაქმენხო, ვინ გინდ ვინ იყვნეთ და ანუ დღეის წაღმა ვინ გინდ ვინ იქნებოდეთ, ბძანება და ნიშანი ესე თქუენცა ასრე გაუთავეთ და დაუშკვიდრეთ, რა რიგადაც ამა ჩუენგან ბოძებულს სიგელსა შიგან ეწეროს, ნურას შეუშლით და შეეცილებით, თვინიერ თანადგომისა და შეწევნისაგან კიდუ.

დაიწერა ბძანება და სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტლ, ჳელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრისა მარტირუზაშვილი შალვასითა. როსტომ. მარიამ

24.1642 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა ხოსია ბარათაშვილისადმი.

დ ე დ ა ნ ი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Ad-1138; მუქი ყავისფერი ფერის ქაღალდი, ორად გაკეცილი; 1 ფურცელი; ზომა: 52,3×19,3; შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ტექსტის ხილვადობა მკაფიო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ფაქტს, რომ საბუთის მე-10, მე-12 და მე-17 სტრიქონებზე ამოშლილ სიტყვებსა თუ ასოებს; წყალობის სიგელი ორენოვან საბუთთა რიგს მიეკუთვნება და გააჩნია როგორც ქართული, ასევე სპარსული ვერსია; სიგელის სპარსული ვერსია მოთავსებულია დოკუმენტის recto-ზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საბუთს უზის თარიღი ქორონიკონი ტლ (1642 წ.). საბუთს ქართულ ვერსიას უზის როსტომ მეფის მსხლისებრი ფორმის ბეჭედი: „ქ. ყაენის ფეკთა მტუერი, როსტომ მეფე ვამტკიცებ“, რაც შეეხება სპარსულ ვერსიას უზის ოთხკუთხედის ფორმის სპარსული ბეჭედი. გარდა ამისა, საბუთის recto-ზე, მე-23 სტრიქონზე არის მოთავსებული ოთხკუთხედის ფორმის სპარსული ბეჭედი.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი:

1. ვლ. ფუთურიძე, *სპარსული ისტორიული საბუთები...*, გვ. 226-229.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა.

ჩუენ, მეფეთ მეფემან, | პატრონმან როსტომ ესე უკუნისამდი ჟამთა და ხანთა გასაქათავე-ბელი წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყაღეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩუენთა ერდგულთა და წესისაებრივ მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა ყმათა, ბარათაშვილს ხოსიასა, შეიქმნათა შენთა, ოთარს, საქაქმს, ბერუკასა და მომავალთა სახლისა შენისათა ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და | მამულის წყალობას გუიაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, | შეგიწყაღეთ და მოკითხული გიყავთ და ნოსტის ოძისი თავად ამაქს წინათ თქვენი სახლისკაცი ჯავახიშვილს ე[პყრა] და სანახში[~~ე~~]რედ დადებული გქონებია და მას უკან კიდევ, ყაქენის უღურზედ ციხე | აგელო და კაცნი დაგრჩომია და ახლა კიდევაც ნოდარ და არაგვის ერისთავი უკუგუიდეგნეს, იმერელნი დარბაისელნი გუერც ახლდეს, მოუკვდით | ქალაქიდაძე და თქვენ მოწინავედ მოგვიძეღით და ჩუენს უღურზედ თავი აქრ დაიწყალობეთ, გააქციეთ და მრავალი სახელი ჰქენით, აწ, ამისად სა[მ]უქფოდ და საჯილდაოდ, რაც ნაძალადეგად ბიძათქვენს, ქახოს[როს] ოძისა ჰქონდა ულუმბეხაშვილიანად ესეცეპი ისრევ თქუენ შეგიწყაღეთ და გიბოძეთ მთით ბარამდისინ, რისაც მქონებელი ოძისი ყოფილიყოს, ყოვლითურთ თქვენთუის და თქვენთა შვილთათვის გუიბოძებია სამკვიდროდ და საბოლოოდ, გქონდეს და გიბუნდნიეროს ღ(მერ)თ(მან) ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოვქეშალოს, არა ჩუენგან და არა სხუათა მეპატრონეთაგან.

აწუ, გიბძანებთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო, ვინცა ვინ იყვნეთ და ანუ დღეის წაღმა იქნებოდეთ, თქვენცა | ასრე დაუმტკიცეთ და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შეცეცილებით, თუნიერ შეწევნისა და თანადგომისაგან კიდე.

დაიწერა ბ(რძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლ, ჳელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობარის, თუმანიშვილის ბირთუელისითაქ. როსტომ მეფის მსხლისებრი ფორმის ბეჭედი: „ქ. ყაენის ფეკთა მტუერი, როსტომ მეფე ვამტკიცებ“.

სპარსული ტექსტი.

„გამოვიდა მაღალი ბრძანებულება, რომ სიდიადის საფარველის ხოსია ბარათაშვილის მიმართ მაღალი წყალობის გამო [და] იმ საფუძველზე, რომელიც ჭკემით ქართულად არის აღნიშნული, ჩვენ დავუმტკიცეთ და ვუწყალობეთ მას თიულად, ცხენის წლის სამთვეობის დასაწყისიდან, ქართლს დამოკიდებული სოფელი ოძისი. მაღალი კარის მისტოფიმ, ჩასწერს რა [ამ ბრძანებას] დაეთარში, გადასხვაფერებისა და შეცვლის მანკისაგან დაცულად იცნოს ის და როცა მაღალი ბეჭდით იქნება აღჭურვილი – ერწმუნონ მას, თავის მოვალეობად აღიარონ [მისი შესრულება] და ყოველ წელიწადს ახალ ბრძანებას ნუ მოითხოვენ. დაიწერა 1052 წ. რამაზანის თვის 10“.

(ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, გამომცემლობა „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, თბილისი 1955, გვ. 229).

25.1680 წ. ნასყიდობის წიგნი ქაიხოსრო ბარათაშვილისა პაპუნა გოსტაშაბიშვილისადმი.

დ ე დ ა ნ ი: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1448, 2942: კ ი რ ი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-4152 (პ), კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-8764 (პ), საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1448, 589; ღია ყავისფერი ქაღალდი სამად გაკეცილი; 1 ფურცელი; ზომა: 53,5×23,5; შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ტექსტის ხილვადობა მკაფიოა; რესტავრირებული, საბუთის მექ სტრიქონზე სიტყვა “ძლიერისა” ამოკითხვისას პირველი ასო “ძ” არ იკითხება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თარიღი: საბუთს უზის თარიღი ქორონიკონი 1680 (1680). საბუთს ბოლოში უზის ქაიხოსრო (ქაიხოსროშვილის) ბარათაშვილის ოვალური ფორმის სპარსული ბეჭედი „ქაიხოსრო“; მღვდელ-მონაზონ იესეს დამტკიცება ჯვარი: †. საბუთის veqto-ზე მოთავსებული ქართული მინაწერი, რომელსაც მისი სიმკრთალის გამო ვერ ვკითხულობთ.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი:

- 1.ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტომი I, ..., №358.
- 2.ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, ..., №95.

[ქ] სახელითა სახიერისა, არსება დაუსაბამოსა დაუსრულებელისა, უხილავისა, უკვდავისა, უსულოსა, ურაბამოსა ყოველთა დამბადებელისა, გარე შემოუწერელისა ზღვათა, კმელთა დამსხმელისა, [ძლიერისა და უძლეველისა, ღ(მრ)თისა მამისა, ღ(მრ)თისა ძისა და ღ(მრ)თისა სულისა ცხოველისა სამებისა და ერთარსებისა, მეოხებითა ყ(ოვლა)დ წმიდისა უხრწნელისა, უფროსად კურხეულისა, დედოფლისა ჩვექნისა ღ(მრ)თისმშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისათა, ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯვარისათა, წმიდათა მთავრანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა, წმიდისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა ნათლისმცემელისა იოვანესითა და იოვანე ქალწულ მახარებელისათა, წმიდათა თავთა მოციქულთა: პეტრესითა და პავლესითა, წმიდათა მთავარმოწამეთა: გიორგი, თევდორე, დიმიტრი და ევსტატიისითა, წმიდათა მღვწეველთ-მოძღვართა: ბასილი, გრიგოლი, ათანასი, კირილე და იოვანე ოქროპირისათა, წმიდათა დედათა ქალწულ მოწამეთა: თეკლე, ეკატერინე, ირინე და მარინესითა, წმიდისა სვეტი-საცხოველისა მირონისა, წმიდისა და ყოველთა წმიდათა ღ(მრ)თისათა, ამათითა მინდობითა და შუამდგომელობითა ესე უთუო და უთუმცაო დროდაუდებელი და მიზეზ-შემოუღებელი ყოვლის ხლათისა და ილათისაგან გამოსული მოუშლელი, დამტკიცებული | ნასყიდობისა წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ბარათაშვილმან, ქაიხოსროს შვილმან, ქაიხოსრომ, ძმისწულმან ჩემ(მ)ან, სუფრა<ჩ>ჯ<ს> ბარათას შვილმან, სუფრა<ჩ>ჯ<ს> ქაიხოსრომ, | შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა ყოველთავე.

ასრე, რომე დაგვეჭირა და ჩვენის მონდომითა და წადილითა მოგვიდეთ შენისავე მამა-პაპათა და შენი სამკვიდრო მამული და გლეხები თქვენ, ბარათაშვილს, გოსტაშაბიშვილს პაპუნასა, შვილსა შენსა გოსტაშაბს, თამაზსა და ბერსა.

ასრე | რომე, როდისაც მამაშენი გოსტაშაბ ურუმთ მოეკლა და შენი ცოტა ყმაწვილი დარჩომილიყავ, მაშინ შენი სამკვიდრო მამული და გლეხები მამაჩემს დაეჭირა, მას უკან დაგვეჭირა ჩვენა | და შენი სამკვიდროც იყო და არას ვემართლებოდით, მაგრა კელახლა მოგვიდეთ და ავიდეთ შენგან ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა და ჩვენი შენზე აღა<ა>რა დარჩა-რა, მოგვიყიდა ენაგეთს სადუნაშვილი პაატა, რისაც ვენაჭისა და მამულის მქონებელი იყოს, თავისის ყმითა, თავისის კერძის მამულითა, რისაც მქონებელი არის, მისი განაყოფი სამჯანა დღეს, რისაც მამულის მქონებელი არის იმითა კიდევ, იმისი განაყოფი გურგენა დღეს, რისაც მამულის მქონებელი არის, ენაგეთს მემშვილდის შვილი, რისაც მამულის მქონებელი არის იმითა, ენაგეთს, რაც შენი წილი მამული იყო და გლეხი და ჩვენ | გვეჭირა სულ უკლებლად მოგუიყიდა სადუნაშვილები, სადაც აყრილ<ი>ნი იყუნენ და მოიყუანო, | ჩვენ კელი არა გვაქონდეს, ტბის დოღენჯასშვილები ქიტია და ბერუკა, თავისის ძმითა, ტბის, რომ ხოდაბუნის ნაჭურია იმას გარდაის, რისაც მამულის მქონებელნი იყუნენ, ესეები ყუელა | უკლებლად მოგუიყიდა.

თუ, ვინმე იმ ჩვენს მოსყიდულს მამულს შემოგეცილოს და წამოგედავოს, პირისა და პასუხის გამცემნი ჩვენ ვიყუნეთ. არიან ამისნი მოწამენი და დამხდომნი: თბილელ ეფისკოპოსი იოსებ ბარათაშვილი, მეჯინბეთუხუცესი პაატა, მისი ძმა, ოთარა და ვარაზა, ბოქაულთ-უხუცესი საამ, მეჯინბეთუხუცესი სეხნია, ბოქაულთუხუცესი შიოშ, ქავთარიქსშვილი იონათამ

და მანუჩარ, საგინაშვილი ქაიხოსრო, საგინაშვილი ზაალ, ყორღანაშვილი ლამა/ზა, რევიშვილი შალვა, რევისშვილი ადამ, ბლორძელი ოტია და ზურაბ, სარაჯი, ჯიმშიტა. |

ვინცა და რამანცა კაცმან ეს ჩვენგან მოსყიდული გლეხები და მამული მოგეშალოს, რისხავსმცა დაუსაბამო ღ(მერ)თი, მამა, ძე და სულიწმიდა და ყოველნი წმიდანი ღ(მრ)თისანი, ჳორციელნი და უჯორციონი, ნურა რათამცა სინანულითა ნუ იქმნების ჳსნა სულისა მისისა, მასმცა მიეცემის კეთრი გეზისა, შიშთუილი იუდასი, ცოცხლივ დანთქმა დათან და აბირონისა, | შეჩვენება საფირასი და ცოლისა მისისა, ყოველიმც მისი კეთილად გაგებული ბოროტად მოე<ა>ქცევის, ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღ(მერ)თმ(ა)ნ აკურთხნეს.

დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა **ტნიშ**, ჳელითა მღვდელ-მონ<ო>{ა}ზ-ვ<ა>ნის ელისესითა [ქაიხოსრო (ქაიხოსროშვილის) ბარათაშვილის ოვალური ფორმის სპარსული ბეჭედი: „ქაიხოსრო“, მღვდელ-მონაზონ ელისეს დამტკიცება ჳვარი: ო.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ქონაქიძეთა სათავადო

სამეგრელოს და საერთოდ დასავლეთ საქართველოს სათავადო სახლებზე სპეციალური გამოკვლევები ო. სოსელიას ეკუთვნის, თუმცა მის ნაშრომები ამ მიმართულებით არ არის სრული და დღემდე არ არსებობს გამოკვლევები იმ სათავადო სახლებზე, რომლებიც გარკვეულ დროს დაემცრნენ და XVIII-XIX საუკუნეებში ოდიშის სამთავრო კარზე არ გააჩნდათ პრივილეგირებული მდგომარეობა. ასეთი სამეგრელოში სხვებთან ერთად იყო თავად ქონაქიძეთა საგვარეულო, რომელთა ცალკეული წარმომადგენლები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ სამთავროს პოლიტიკურ ცხოვრებაში და თავის დროზე დიდ სათავადოთა რიგში შედიოდნენ.

ბოლო დროის აღწერების მიხედვით, ქონაქიძეები საქართველოს მასშტაბით შეადგენენ 46 სულს (თბილისი – 21, გარდაბანი – 7, რუსთავი – 3). პ. ცხადაიას მასალებით, მისი მეგრული ვარიანტია ქონაქია¹.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ თავად ქონაქიძეთა გვარის წარმომადგენლები XVIII-XIX საუკუნეებში სახლობდნენ სოფელ ჭალადიდის მუხურში და როგორც ამ სოფელში, ისე სხვა ახლომახლო სოფლებში ფლობდნენ არც თუ ისე დიდი რაოდენობით ყმებს და როგორც ჩანს არ გააჩნდათ საკუთარი ციხე-სიმაგრე. თუმცა, მათი თავდაპირველი განსახლების და მფლობელობის არეალი თანამედროვე სენაკის რაიონის ჭალადიდის მუხური არ უნდა ყოფილიყო; მათი „სამფლობელო“ XV-XVII საუკუნეებში უფრო ვრცელი და სამეგრელოს სამთავროსათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილას მდებარეობდა, სადაც გააჩნდათ მძლავრი ციხე-სიმაგრე და ყმათა საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა.

ლეგენდარული ხასიათის ცნობას თავად ქონაქიძეთა წარმომავლობაზე ვხვდებით იოანე ბატონიშვილთან, რომელიც აღნიშნავს, რომ „თავად ჩოქაქიძეთა გვარი მომდინარეობს ქუშანგ ანუ ქონანგ-იდან, რომელიც „არის ადგილსა ხორასნის მხარეს ხორაზმისასა და, ოდეს ზაქარია მხარგრძელმან ბრძო ხორასნელთა დროსა თამარ მეფისასა, მაშინ ქონანგელი მთავრის ძე, მცირე ყრმა მოიყვანა მძევლად; ესე ყრმა მონათლეს ქრისტიანედ და დაასახლეს ოდიშში და იწოდა თავადად ქონაქიძედ“².

ყველაზე ადრეული დოკუმენტი, სადაც ქონაქიძეთა გვარის წარმომადგენელი იხსენიება, XV საუკუნის მიწურულით თარიღდება. კერძოდ, ეს არის საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული ხელნაწერი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს მეფეთ-მეფე დავითის მიერ ინდოეთიდან ჩამოსული მადნარაძეებისადმი გაცემულ სასისხლო სიგელს. მასში მოწმედ (სხვებთან ერთად) მოხსენიებულია **როსტომან** (იგივე **როსტომ** – დ. ჭ.) **ქონაქიძე**³. ტექსტი ძალიან დაზიანებულია და მისი წაკითხვა მცირე მონაკვეთის გარდა, თითქმის შეუძლებელია; თუმცა, იქვე იხსენიება სხვადასხვა ხელით XVIII საუკუნის II ნახევარში გადაწერილი მისი ორი სრული ასლი⁴.

ა. ტულუში, ეყრდნობა ამ სიგელის პირველ გამომქვეყნებელს მ. ბროსეს და აღნიშნავს, რომ იქ მოხსენიებულ დავით მეფეს ის 1490 წელს გაუცია⁵. მადნარაძეებისადმი სასისხლო სიგელის გაცემა და მეფეთ-მეფედ წოდებული დავითი, როგორც ჩანს, არის საქართველოს მეფის კონსტანტინე II-ის (ქართლის მეფე 1478/79-1484 წწ-ში) შვილი, რომელიც არის მომავალი ქართლის მეფე დავით X (1505-1525 წწ.) (დავით X, როგორც ამ, ისე სხვა საბუთებში, თავის თავს მეფეთა-მეფეს უწოდებს)⁶. დავითი ქართლში უნდა გამეფებულიყო არაუადრეს 1503 წლისა, თუმცა ამ წყალობის სიგელში ის უკვე მეფეთ-მეფედ იწოდება. საქმე ისაა, რომ როგორც სამართლიანადაა შენიშნული, სხვა წყაროთა მონაცემებითაც დავითი მამის სიცოცხლეშიც მეფის ტიტულით მოღვაწეობდა⁷, რომლის განსაკუთრებული გავლენა ჩანს ლიხთ-იმერეთში და შესაძლე-

¹ პ. ცხადაია, *გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში* (თბილისი, 2000), გვ. 141.
² იოანე ბაგრატიონი, *შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა* (თბილისი, 1997), გვ. 131.
³ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1448, საქ. №5040.
⁴ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1449, საქ. №750, საქ. №259.
⁵ ა. ტულუში, *ცაიშის საეპისკოპოსო* (ზუგდიდი, 2001), გვ. 21.
⁶ ივ. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, წიგნი მეოთხე (თბილისი, 1948), გვ. 209-211.
⁷ დ. ნინიძე, *პროვინციის მეფეები XIV-XV სს. საქართველოში (ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიიდან)* (თბილისი, 1995), გვ. 172.

ბელია კონსტანტინე II-ის მეფობის პერიოდში მისი შვილი დავითი 1486-1488 წლებამდე და ზოგიერთი მოსაზრებით, 1489 წლამდეც, ლიხთ-იმერეთის მმართველი ყოფილიყო და იქ მფლობელობის უპირატესობით უნდა უპირისპირდებოდეს ბაგრატ VI-ის (იმერეთში – ბაგრატ II, ქართლ-იმერეთის მეფე 1466-1478 წწ-ში) ძეს ალექსანდრეს (იმერეთის მეფე 1484-1510 წწ-ში), რომელიც რაჭველ-არგველთა დახმარებით ცდილობს ქუთაისის ტახტის დაპატრონებას¹.

დავით კონსტანტინეს ძის სწორედ ამ დიდი გავლენით დასაველეთ საქართველოს ფეოდალებზე უნდა აიხსნას მადრანაძეების სასისხლო სიგელის დამამტკიცებლად სამეგრელოს ეპისკოპოსების – ცაიშელის, ჭყონდიდელის, და ბიჭვინთელის, ასევე გენათელის, ამავე დროს, ფეოდალური საგვარეულოების – ჭილაძეების, ქორთოძეების და მათ შორის ჩვენთვის ამჟერად საინტერესო ქონაქიძეთა წარმომადგენლის მოხსენიება. როგორც ჩანს, სხვებთან ერთად, როსტეან ქონაქიძე და მისი საგვარეულო სახლი დავითის მხარეზეა იმ დროინდელი დასაველეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდში ქონაქიძეთა საგვარეულო ანგარიშგასაწვევი ძალა უნდა ყოფილიყო.

ქრონოლოგიურად შემდგომ ცნობას ქონაქიძეთა გვარზე ვპოულობთ 1616-1621 წლებით დათარიღებულ აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში, სადაც მოცემულია „ჯგალის ციხის საკათალიკოსო გამოსავლის ნუსხა“. კერძოდ, აქ მოცემულია ამ შინაარსის აბზაცი: „ქ. წყალობითა და შეწვევითა ღმრთისათა და შვიდ ცათა უმაღლესისა ბიჭვინთისა ღმრთისმშობლისათა. არის საქონაქიძეო დადიანის ბატონის ლევანის წყალობა მამული თავს ჯგალის ციხე, სასახლე“².

ამ ცნობიდან არ ჩანს აქ მოხსენიებული **ქონაქიძის** სახელი. ნათელია ის, რომ მისთვის ჯგალის ციხე თავისი გლეხობითურთ, რომელიც ამ დოკუმენტის მიხედვით 38 კომლს შეადგენდა, ლევან II დადიანს უბოძებია. როგორც ჩანს, ქონაქიძეები XVII საუკუნის დასაწყისში ჯგალის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე სახლობდნენ და არა სენაკის ჭალადიდის მუხურში, სადაც XVIII საუკუნიდან XX საუკუნის პირველ მეოთხედამდე არ ჩანან. აქ მოხსენიებული ჯგალის ციხე, მდებარეობს დღევანდელ სოფელ ჯგალში (წალენჯიხის რაიონი), რომელსაც დღეს ჩვენ იმ უბნის სახელწოდების მიხედვით სადაც სალიების გვარი სახლობს, ლესალეს ციხის სახელწოდებით ვიცნობთ. ჯგალში რამოდენიმე ციხე-სიმაგრე იყო, მაგრამ წყაროებში მოხსენიებული ჯგალის ციხის იდენტურობას დღეს შემორჩენილი ლესალეს ციხესთან ადასტურებს ამ პერიოდის (XVII საუკუნის დასაწყისი) ჯგალის ციხის გლეხობის გამოსავლის ნუსხა, სადაც სალიების გვარის მოსახლეობა დასტურდება საკლია-სავლიას ფორმით³.

საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია კიდევ ერთი გარემოება. კერძოდ, ვახუშტი ბატონიშვილი სამეგრელოს ადგილების აღწერილობის დროს აღნიშნავს, რომ ენგურის ზემო წელში, სათავიდან მდებარეობდა გარკვეული ფეოდალური ერთეული „სააფაციო“. თავის რუკებზე სააფაციოს იგი ხან მდინარის მარცხენა ნაპირზე ათავსებს, ხან მის ორივე მხარეს. თ. ბერაძის მართებული აღნიშვნით, ფეოდალური გვარი აფაცია წერილობით წყაროებში არსად გვხვდება და მათზე გადმოცემებიც სამეგრელოში არ ფიქსირდება (მსგავსი გადმოცემები ვერც ჩვენ დავაფიქსირეთ – დ. ჭ.); ავტორი, ზოგიერთ გადმოცემაზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ თავად აფაქიძეთა სამფლობელო ერთ დროს მდინარე მაგანამდე აღწევდა რაც, ემთხვევა ვახუშტის მიერ მოცემული სააფაციოს ტერიტორიის ნაწილს. მისივე აღნიშვნით, ადვილი შესაძლებელია, რომ ვახუშტისეულ სააფაციოში **სააფაქიო** დაეინახიოთ⁴. თ. ბერაძე საკითხთან მიმართებაში აქვე მეორე განსხვავებულ მოსაზრებასაც გვთავაზობს. ავტორი ყურადღებას აქცევს ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილ საბუთს, სადაც საქონაქიძეო დასახელებულია, როგორც „დადიანის ლევანის წყალობა მამული თავს ჯგალის ციხე-სასახლე“; და აღნიშნავს, რომ მას ტოპონიმი საქონაქიძეო ჩაუწერია სოფელ ჩქვალერში. გამომდინარე აქედან, ავტორისავე აზრით, შესაძლოა ვახუშტისეული „სააფაციო“ დამახინჯებული საქონაქიძეო იყოს⁵.

¹ იქვე, გვ. 172; ს. კაკაბაძე, *სიგელი ქართლის მეფე კონსტანტინე II 1488 წ.* (თბილისი, 1913), გვ. 3-8; მისივე, სასისხლო სიგელების შესახებ, *საისტორიო მოამბე*, II (თბილისი, 1924).

² ს. კაკაბაძე, *საცაიშლო გამოსავლის დავთარი* (თბილისი, 1913), გვ. 43-44; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ (თბილისი, 1970), გვ. 478; იხ. დ. ჭითანავა, პირსახელები და გვარსახელები „ჯგალის ციხის საკათალიკოსო გამოსავლის ნუსხის მიხედვით (1616-1621 წწ.)“, კრ. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XVIII (თბილისი, 2016), გვ. 67-80).

³ დ. ჭითანავა, *გლეხები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე)* (თბილისი, 2010), გვ. 359-360.

⁴ თ. ბერაძე, ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*, IV (თბილისი, 1971), გვ. 61-62.

⁵ იქვე, გვ. 61-62.

თ. ბერაძის მიერ დადასტურებული ტოპონიმი „საქონაქიძეო“ უფრო ზუსტი ფორმით ფიქსირებული აქვს პ. ცხადაიას სოფელ ლეშამუგეში (ჩქვალერის თემი) ლექონაქე/ლექონაგეს ფორმით, რომელიც მდ. ნოჟალის მარცხენა მხარეს მდებარე ტყის, ხევის და ბორცვის სახელწოდებაა¹.

ამჯერად ჩვენ თავს შევიკავებთ „სააფაციოს“ ლოკალიზაციასთან დაკავშირებით, რამდენადაც საკითხი ცალკე კვლევას მოითხოვს. ამ ეტაპზე კი აღვნიშნავთ, რომ ამ ერთეულს არანაირი კავშირი არა აქვს საქონაქიძეოსთან. ამდენად, ვერ გავიზიარებთ თ. ბერაძის მეორე მოსაზრებას ვახუშტის „სააფაციოს“ დამახინჯებულ საქონაქიძეოდ წარმოდგენის შესახებ და სააფაქიოსთან (აფაქიძეების სამფლობელო) მისი გაიგივება უფრო მართებული უნდა იყოს.

ძალზედ რთულია იმის თქმა თუ რა პერიოდიდან ხდება ქონაქიძეთა გვარის ამ ადგილებიდან გადასახლება და ჯგალის ციხეზე უარის თქმა, რომელიც „მშვიდობიანად“ არ მოხდებოდა. ლევან II დადიანი, მისი გამთავრების პირველსავე წლებში უბოძებს ქონაქიძეებს ამ ტერიტორიებს და მათი დამცრობა ჩვენ უნდა დავუკავშიროთ ლევან მეორე დადიანის გარდაცვალების (1657 წ.) შემდგომ პერიოდს, როდესაც მისი ერთგული თავადების და საერთოდ მისი პოლიტიკის წინააღმდეგ დიდი ბრძოლები მიმდინარეობს. კერძოდ, გაჩაღდა ტახტისათვის ბრძოლა. ოდიშის მთავრად 1657 წელს დაჯდა ლიპარიტ III, მანუჩარ დადიანის შვილიშვილი, თუმცა იმერეთის მეფე ალექსანდრემ ილაშქრა სამეგრელოში და იქ თავისი მომხრე ვამეყ III (1658-1661 წწ.) დასვა მთავრად². ვამეყმა რეპრესიები დაიწყო მათ წინააღმდეგ ვინც მის ხელისუფლებას არ ცნობდა³. ჩვენ არანაირი ცნობები არ გავგაჩნია ამ პერიოდში ქონაქიძეთა გვარის მდგომარეობის შესახებ, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ მოკლე პერიოდში მათი დამცრობა და მათი კუთვნილი ჯგალის ციხის თუ სხვა ტერიტორიების წართმევა ვერ მოხდებოდა. ჩვენი აზრით, მათი მდგომარეობის შესუსტება უფრო უკავშირდება ჩიქვანთა გვარის გადადიანების შემდგომ პერიოდს, ანუ XVIII საუკუნის პირველ ნახევარს. ამაზე ირიბი მინიშნება შესაძლოა იყოს ის, რომ XVIII საუკუნიდან ჩიქვანთა გვარის ზოგიერთი თავადური შტოს წარმომადგენლები სწორედ იმ ტერიტორიებზე ფლობდნენ ყმა-მამულებს და ციხე-სიმაგრეებს, სადაც ადრე ქონაქიძეები. ეს არის ტერიტორია ჯგალის ციხის გასწვრის და სოფელ მედანში, რომელი უკანასკნელიც ჯგალის თემში შედიოდა.

ო. სოსელიას აღნიშვნით, ჩიქოვანთა სათავადო დაახლოებით იმ დროს უნდა წარმოქმნილიყო, როცა ამ საგვარეულოს ერთი შტო გადადიანდა. ეს კი XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე მოხდა⁴. კაცია დადიანის დროს კაცი ჩიქვანი, რომელიც გორდელი აზნაური იყო სამეგრელოს სამთავრო „სახლის უფროსი ვაზირი გახდა“ და ოდიშის მოურავმა მას სალიპარტიანოც უბოძა⁵. პირველი ჩიქვანი რომელიც 1704 წელს დადიანად დაჯდა („გადადიანდა“) იყო გიორგი ჩიქვანის ძე – კაცია. გიორგის დანარჩენმა მემკვიდრეებმა და ძმებმა (იესე, ოტია) ჩიქვანთა გვარი შეინარჩუნეს და შექმნეს თავიანთი სათავადოები. მათი სათავადო წარმოიქმნა ძველი სალიპარტიანოს ერთ ნაწილზე. მასში შედიოდნენ შემდეგი სოფლები: 1. კვაუთი, 2. ლესაჯე, 3. თარგამული (ნაწილობრივ), 4. ჯოლევი (ნაწილობრივ), 5. ნამიკოლუ (ნაწილობრივ), 6. ლეძაძამე (ნაწილობრივ)⁶. ჩიქვანები ყმა-მამულებს ფლობდნენ აგრეთვე თამაკონს, ნოქალაქევსა და ლეჩხუმს. მათი რეზიდენცია სოფელ კვაუთში იყო. აქ იყო მათი სასახლე, კარის ეკლესია. ციხე-სიმაგრე ლეძაძამეში ჰქონდათ, ხოლო საგვარეულო სასაფლაო იყო მარტვილში, მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთით, თლილი ქვისგან გაკეთებულ პატარა სამსართულიან ეკლესიაში, რომელსაც ასახელებენ ჩიქვანების ეკლესიად⁷.

კვაუთიდან, ჩიქვანების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები სწორედ შემდეგ მკვიდრდებიან ზუმს, ჩვენთვის საინტერესო მედანს, ნაგურუს, და ტყაიას⁸.

ჩიქვანების სათავადო, დღესდღეობით ჩვენს ხელთ არსებული მასალების საფუძველზე, სოფელ მედანში (ჯგალის თემი) ფლობდა ციხე-სიმაგრეს მდ. ჭანისწყლის მარჯვენა მხარეს (იხ. ქვემოთ), სადაც იქვე მახლობლად იდგა ხის კარის ეკლესია, რომელიც ეკუთვნოდა გოგი და მის შვილს სიკო ჩიქვანს⁹. ეს სწორედ ის ტერიტორიაა სადაც მიმდებარედ მდებარეობს ჯგალის, ანუ ლესალეს ციხე და ტოპონიმი ლექონაქე. ამდენად, ვფიქრობთ, რომ ქონაქიძეთა საგ-

¹ პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 141.

² ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია (თბილისი, 1992), გვ. 102.

³ ი. ანთელავა, ლევან II დადიანი (თბილისი, 1990), გვ. 133.

⁴ ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური დროის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), III (თბილისი, 1990), გვ. 309.

⁵ იქვე, გვ. 310.

⁶ იქვე, გვ. 317.

⁷ იქვე, გვ. 318; იხ. დ. ჭითანავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 186.

⁸ ო. სოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 320.

⁹ დ. ჭითანავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 362-363.

ვარეულს კუთვნილ ადგილებს ამ მიდამოებში XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედიდან ჩიქვანთა სათავადო უნდა დაუფლებოდა.

ლევან II დადიანის დროს ქონაქიძეთა გვარის მაღალ მდგომარეობას და დადიანისადმი მათ ერთგულებას მოწმობს კიდევ ერთი წყარო სადაც, ჩვენი აზრით, ქონაქიძის გვარი იკითხება. კერძოდ, რუსეთის ელჩების ფედოტ ელჩინის და პავლე ზახარიევის 1639-1640 წლების ანგარიშში აღნიშნულია, რომ „1 მარტს ლევან მეფემ ყაბარდოში გააგზავნა ოლეკე მურზესთან თავისი აზნაური **ქუნალიანის** გვარიდან, რომლის სახელია **თავგი**. მას თავისი უფროსი ვაჟიშვილისთვის ცოლად უნდა ეთხოვა მისი ქალიშვილის ხელი“¹. ვფიქრობთ, აქ მოხსენიებული ქუნალიანი იგივე ქონაქიძეა, რომელიც მეტად დაახლოებული პიროვნება ჩანს ლევან დადიანთან და შესაძლოა, ჯგაფის ციხის მფლობელი ქონაქიძის (რომლის სახელიც წყაროდან არ ჩანს) იდენტური პიროვნება იყოს. ის უნდა ყოფილიყო ამ პერიოდში ქონაქიძეთა სათავადოს უფროსიც. აქ მოხსენიებული მისი სახელი თავი ანუ ტავგი, იგივე **ტაია (=ტარიელი)** უნდა იყოს, რომელი სახელიც შემდგომ XIX საუკუნეში ჭალადიდის მუხურში მცხოვრებ ამ გვარის ერთ-ერთ წარმომადგენელსაც ერქვა.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული კიდევ ერთი ხელნაწერი დოკუმენტი წარმოადგენს **ბეკო ქონაქიძის** ნასყიდობის წიგნს სეხნია სხვიტარიასადმი, რომელსაც მიწა უყიდია სოფელ ეწერში².

ეს დოკუმენტი უთარიღოა, თუმცა ის ჩვენი აზრით, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში უნდა იყოს შედგენილი, რამდენადაც აქ მოხსენიებული ბეკო ქონაქიძე უნდა იყოს მამა ჩვენთვის კარგად ცნობილი **ტარიელ ქონაქიძისა**, რომელი უკანასკნელიც 1833 წელს დაიბადა.

ამ დოკუმენტის მიხედვით არ ჩანს თუ სად მდებარეობდა ბეკო ქონაქიძის მიერ გასხვისებული მამული სოფელ ეწერში, რამდენადაც ეწერის ფორმის ტოპონიმები სოფლის სახელწოდებად სამეგრელოში ბევრ ადგილას არის ფიქსირებული. თუ ვიმსჯელებთ ამ დოკუმენტში მოხსენიებული სხვიტარიების გვარის მიხედვით, ეს უნდა იყოს მდინარე რიონთან – დღევანდელი აბაშის რაიონში მდებარე სოფელი ეწერი, რომლის გვერდით მდებარე სოფელ წყალიძგაში, სადაც აფხაზეთის კათალიკოსს ქონია სასახლე, XVIII საუკუნის წყაროებში იხსენიება სხვიტარიების გვარი, კერძოდ მამიგული სხვიტარია, რომელიც აფხაზეთის კათალიკოსს (გრიგოლს) შეუწირავს ცაიშის მონასტრისათვის³. აღსანიშნავია, რომ აქვე ახლოს მდებარეობს ქონაქიძეთა გვარის ძირითადი სამკვიდრო სოფლები ჭალადიდის მუხური და სარიანქონი. ამას ამტკიცებს ისიც, რომ XIX საუკუნის ბოლო მოთხედში მაქსიმე ქონაქიძის ყმებს შორის იხსენიებიან სოფელ ჭალადიდის მუხურსა და სოფელ ეკში მცხოვრები ცხვიტავეები (იხ. ქვემოთ), რომელიც გვარსახელ სხვიტარიას იდენტური გვიანდელი ფორმა ჩანს.

1768-1772 წლებით დათარიღებულ წყალობის წიგნში კაცია დადიანისა გიორგი დადიანის შვილისადმი, რომლებიც ძმები იყვნენ, მოხსენიებულია **დეისმა ქონაქიძე**⁴.

ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ დეისმა ქონაქიძის სასახლე, ალაგ-მამული და იქ მოსახლე კაცები – კონაია მკედლისშვილი, ხოსიელა მკედლისშვილი, სეხნია სურგულაია, პაატელა სურგულაია და კიდევ ორი მოჯალაბე კონობია და მეთაგილუ გადაუცია კაცია II (1745-1788 წწ.) დადიანს თავისი ძმა გიორგი დადიანიშვილისთვის. ამ დოკუმენტის შინაარსი გვაფიქრებინებს, რომ ქონაქიძეთა სათავადო მფლობელობა და სიძლიერე ამ პერიოდში შესუსტებული ჩანს. სწორედ ამით აიხსნება მთავრის მიერ თავის ოჯახის წევრებზე ამ მამულების ასე ადვილად გადაცემის ფაქტი. ამ დოკუმენტიდან არ ჩანს თუ რომელ სოფლებზეა საუბარი და სად უნდა ყოფილიყო დეისმა ქონაქიძისადმი ჩამორთმეული მისი კუთვნილი სასახლე და ადგილ-მამული, თუმცა ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს ჭალადიდის მუხურში და მის მიმდებარედ რიონისპირას მდებარე სოფლებში (სარიანქონი, პატარა ფოთი), სადაც ქონაქიძეები XVIII საუკუნიდან არიან განსახლებულნი და ფლობენ ძირითად ყმა-მამულებს. ამას გვაფიქრებინებს XIX საუკუნის 70-იან წლებში ქვემოთ წარმოდგენილი ქონაქიძეთა ყმა-მამულების აღწერილობა, რომელ სოფლებშიც მათ ყმებს შორის არიან ის გვარები (ხვიჩია, სურგულაია, იგივე სურგულაძე), რომლებიც ზემოთ წარმოდგენილ დოკუმენტშია ნახსენები.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული ხელნაწერი დოკუმენტი, რომელიც თარიღდება 1758 წლით, წარმოადგენს კაცია II დადიანის (1745-1788 წწ.) წყალობის წიგნს ყმის გადაცემის თაობაზე აზნაურ აღშიბაიებისადმი, სადაც მოწმედ და „გამრიგედ“ (სხვა პირებთან

¹ Посольства Федота Елчина и Павла Захариева в Менгрелию (1639-1640), *Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии*, Для изучения подготовил, предисловием, комментариями и словарем снабдил Дж. Гамахария, (Тбилиси, 2005), с. 224.

² საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1448, საქ. №2049.

³ ს. კაკაბაძე, *დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები*, წ. I-II, (ტფილისი, 1914), გვ. 143.

⁴ ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770), წ. I, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ (თბილისი, 1958), გვ. 158.

ერთად), მოხსენიებულია **გიორგი ქონაქიძე**¹. როგორც ჩანს, იგივე **გიორგი ქონაქიძე**ა მოხსენიებულია მოწმედ 1759 წლით დათარიღებულ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულ კიდევ ერთ ხელნაწერ დოკუმენტში (სხვა პირებთან ერთად), რომელიც წარმოადგენს კაცია II (1745-1788 წწ.) დადიანის წყალობის წიგნს ყმების გადაცემის თაობაზე თავად ბერი აფაქიძისადმი².

ქონაქიძეთა გვარის წარმომადგენელი (სახელის გარეშე), სამეგრელოს და იმერეთის თავადებს შორის იხსენიება 1759 წლის 30 დეკემბრით დათარიღებულ ცნობილ დოკუმენტშიც, რომელიც წარმოადგენს იმერეთის მთავართა და თავადაზნაურთა ხელწერილის წიგნს სოლომონ I-ისადმი ტყვის გაუსყიდველობის თაობაზე³.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულია XIX საუკუნის შუა პერიოდის კიდევ ათამდე სხვადასხვა შინაარსის ხელნაწერი დოკუმენტი, რომელშიც უმთავრესად ფიგურირებს ჭალადიდის მუხურში მცხოვრები თავადი **მანუჩარ ქონაქიძე**⁴.

ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული 1852 წლით დათარიღებული ხელნაწერი საბუთი გვამცნობს, რომ ამ დროს მარტვილის მაზრის მდივანბეგი ყოფილა თავადი **მაქსიმე ქონაქიძე**. იქ დაცულია მისი ხელმოწერა⁵.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცული მასალების მიხედვით ჩვენთვის ცნობილია XIX საუკუნეში ჭალადიდის მუხურში მცხოვრებ თავად ქონაქიძეთა ყველა წარმომადგენელი მათი დაბადების და გარდაცვალების წლებით და ოჯახების სრული შემადგენლობით. ის 1866 წლის აღწერის მიხედვით ამ სახის არის:

1) პოდპორუჩიკი **მაქსიმე ბერის ძე ქონაქიძე**, დაბ. 1816 წ.

მეუღლე: **მართა**, დაბ. 1826 წ.

შვილები:

1. **გიორგი**, დაბ. 1839 წ.
2. **მაკრინა**, დაბ. 1840 წ.
3. **ელიზავეტა**, დაბ. 1852 წ.
4. **ნინო**, დაბ. 1857 წ.
5. **ანტონი**, დაბ. 1856 წ.
6. **ალექსანდრე**, დაბ. 1858 წ.
7. **მელიტონი**, დაბ. 1859 წ.

2) **მანუჩარ ბეჟანის ძე ქონაქიძე**, დაბ. 1811 წ.

მეუღლე: **ელიზავეტა**, დაბ. 1831 წ.

შვილები:

1. **დავითი**, დაბ. 1847 წ.
2. **მატრონა**, დაბ. 1851 წ.
3. **დესპინა**, დაბ. 1853 წ.
4. **ნატალია**, დაბ. 1855 წ.
5. **ლევანი**, დაბ. 1861 წ.

3) **ტარიელ ბეკოს ძე ქონაქიძე**, დაბ. 1833 წ.

მეუღლე: **პუპი**, დაბ. 1838 წ.

შვილები:

1. **ვარვარა**, დაბ. 1858 წ.
2. **მაკრინა**, დაბ. 1860 წ.

4) პოდპორუჩიკი **მანუჩარ ვახტანგის ძე ქონაქიძე**, დაბ. 1818 წ.

მეუღლე: **ელიზავეტა**, დაბ. 1826 წ.

შვილები:

1. **ბართლომე**, დაბ. 1859 წ.
2. **ვლადიმერი**, დაბ. 1862 წ.
3. **ვარვარა**, დაბ. 1860 წ.

¹ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, საბ. 1507.

² ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, საბ. 1073.

³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ (თბილისი, 1977), გვ. 712-715.

⁴ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, საბ. 2358, საბ. 2360, საბ. 1701, საბ. 2367, საბ. 2365, საბ. 2366, საბ. 2364, საბ. 2363, საბ. 2362, საბ. 2361.

⁵ ფ. აფაქიძე, ა. ტულუში, *მასალები განათლების ისტორიისათვის სამეგრელოს სამთავროში* (ზუგდიდი, 2001), გვ. 50; ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საბ. 8222.

4. მარია, დაბ. 1864 წ.

5) ბესარიონ კაკუს ძე ქონაქიძე, დაბ. 1841 წ.

მისი ძმა ბახვა, დაბ. 1843 წ.¹

აღსანიშნავია, რომ 1908 წლის მასალებით, ნიკო და დადიანის დროს ზუგდიდის ქალაქის მმართველი ყოფილა თავადი ქონაქიძე (ალექსანდრე მანუჩარის ძე ქონაქიძე – დ. ჭ.). კერძოდ, 1906 წელს, ზუგდიდის ქალაქად დამტკიცება-არდამტკიცების საკითხის გადაწყვეტა კავკასიის მეფისნაცვალს მიენდო, მაგრამ ამას მნიშვნელოვნად ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ ნიკო დადიანს სურდა თავისი სასახლე, ეზო და ბაღი მომავალი ქალაქის ფარგლებში მოქცეულიყო. ამიტომ ზუგდიდის ეს ნაწილი ამოღებულ იქნა ქალაქის გეგმიდან. ხოლო 1908 წელს მენ-გრელსკის (ნიკო დადიანი) მამულების მმართველი თავადი ქონაქიძე (ალექსანდრე – დ. ჭ.) დაეთანხმა მომავალი ქალაქის საზღვრებში მოქცეულიყო ნამთავრალის კუთვნილი მიწები მისი სასახლის ეზოსა და ბაღის გამოკლებით. ამ მიწებს დადიანი უსასყიდლოდ უთმობდა ქალაქს².

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცული მასალების მიხედვით, ჩვენს ხელთ არსებობს ქონაქიძეთა გვარის წარმომადგენლთა მიერ სამეგრელოს სხვადასხვა სოფლებში მათ მფლობელობაში მყოფი ყმების ზუსტი კომლობრივი სია სულთა რაოდენობით. ის 1870 წლისათვის ამ სახის არის:

სოფელ ეკში (სენაკის რაიონი) მაქსიმე ქონაქიძე ფლობს ორ კომლ ყმას (თვრამეტი სული):

1. ცხვიტავა მაქსიმე, ოჯახის შემადგენლობა – თერთმეტი სული
2. ცხვიტავა მახუია, ოჯახის შემადგენლობა – შვიდი სული.

სოფელ ჭალადიდის მუხურში (სენაკის რაიონი) მაქსიმე ქონაქიძე ფლობს ექვს კომლ ყმას (ოცდაათი სული):

1. რუსია მათე, ოჯახის შემადგენლობა – რვა სული.
2. რუსია სვიმონია, ოჯახის შემადგენლობა – ხუთი სული.
3. გაბელია შამაია, ოჯახის შემადგენლობა – სამი სული.
4. ჯიქიძე ნიკო, ოჯახის შემადგენლობა – სამი სული.
5. ცხვიტავა ბეკოია, ოჯახის შემადგენლობა – ოთხი სული.
6. ბაჯალაძე ეგნატე, ოჯახის შემადგენლობა – შვიდი სული.

სოფელ ჭალადიდის მუხურში (სენაკის რაიონი) ბახვა ქონაქიძე ფლობს ხუთ კომლ ყმას (თექვსმეტი სული):

1. ხვინია სტეფანე, ოჯახის შემადგენლობა – ოთხი სული.
2. ჯიქიძე ზურაბი, ოჯახის შემადგენლობა – სამი სული.
3. ჯარჯალაძე გიორგი, ოჯახის შემადგენლობა – ორი სული.
4. გარუნავა ნიკოია, ოჯახის შემადგენლობა – ოთხი სული.
5. გარუნავა გიგოია, ოჯახის შემადგენლობა – ოთხი სული.

სოფელ ჭალადიდის მუხურში (სენაკის რაიონი) მანუჩარ ქონაქიძე ფლობს თვრამეტ კომლ ყმას (სამოცი სული):

1. ხვინია ჯარუკია, ოჯახის შემადგენლობა – ორი სული.
2. ხვინია ბეჟანიკა, ოჯახის შემადგენლობა – სამი სული.
3. ხვინია გახუნია, ოჯახის შემადგენლობა – სამი სული.
4. თოლორდავა კონა, ოჯახის შემადგენლობა – ოთხი სული.
5. თოლორდავა ქუთარი, ოჯახის შემადგენლობა – ექვსი სული.
6. თოლორდავა გვანი, ოჯახის შემადგენლობა – ორი სული.
7. სურგულაძე გოგია, ოჯახის შემადგენლობა – ოთხი სული.
8. ჯოლია მიხაილი, ოჯახის შემადგენლობა – ერთი სული.
9. ყურუა პეტრია, ოჯახის შემადგენლობა – ოთხი სული.
10. ყურუა ხახულია, ოჯახის შემადგენლობა – რვა სული.
11. ბაბლათურია მახარობელა, ოჯახის შემადგენლობა – ორი სული.
12. ნანეიშვილი გაბრიელი, ოჯახის შემადგენლობა – ოთხი სული.
13. ნანეიშვილი გოგიელა, ოჯახის შემადგენლობა – ექვსი სული.
14. ხურცია ბოშაია, ოჯახის შემადგენლობა – ხუთი სული.
15. სალაყაია ქუჩუ, ოჯახის შემადგენლობა – სამი სული.
16. აღანია ლახარე, ოჯახის შემადგენლობა – ერთი სული.
17. ხურცია ქუთათი, ოჯახის შემადგენლობა – ერთი სული.

¹ ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 184, აღწ. 1, საქ. 7184.

² ა. ტულუში, *ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან* (თბილისი, 2012); საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 12, აღწ. 6, საქ. 251, ფ. 89-90, 92-96.

18. ხურცია გონა, ოჯახის შემადგენლობა – ერთი სული.

სოფელ სარიანქონში **მანუჩარ ქონაქიძე** ფლობს ხუთ კომლ ყმას (ცხრამეტი სული):

1. ბარამიძე უტუია, ოჯახის შემადგენლობა – ხუთი სული.
2. ბარამია კვიციანი, ოჯახის შემადგენლობა – ორი სული.
3. ბაჯალაძე კოსტა, ოჯახის შემადგენლობა – ხუთი სული.
4. უნდილაია კოსტა, ოჯახის შემადგენლობა – სამი სული.
5. პინუტავა პეპუაია, ოჯახის შემადგენლობა – ოთხი სული.

სოფელ სარიანქონში **ტარიელ ქონაქიძე** ფლობს ოთხ კომლ ყმას (თორმეტი სული):

1. გელოზია მიქელია, ოჯახის შემადგენლობა – ოთხი სული.
2. გელოზია მათე, ოჯახის შემადგენლობა – ოთხი სული.
3. ხვინია ბათია, ოჯახის შემადგენლობა – ორი სული.
4. ხვინია ნესტორი, ოჯახის შემადგენლობა – ორი სული.

სოფელ პატარა ფოთში **მანუჩარ ქონაქიძე** ფლობს ერთ კომლ ყმას: ჭყონია ოსმანი, ოჯახის შემადგენლობა – სამი სული.

სოფელ თეკლათში (სენაკის რაიონი) **მაქსიმე ქონაქიძე** ფლობს ორ კომლ ყმას (თერთმეტი სული):

1. ცანავა იორდანე, ოჯახის შემადგენლობა – ოთხი სული.
2. ცანავა მათიელა, ოჯახის შემადგენლობა – შვიდი სული.

სოფელ თაიაში (ჩხოროწყუს რაიონი) **ელიზავეტა ქონაქიძე** (თავად აფაქიძის მეუღლე) ფლობს ორ კომლ ყმას (ცამეტი სული):

1. თოლორდავა ბიჯგვა, ოჯახის შემადგენლობა – ექვსი სული.
2. თოლორდავა უტუია, ოჯახის შემადგენლობა – შვიდი სული¹.

მაშასადამე, 1870-იან წლებში **ქონაქიძეები**, მთლიანობაში, ფლობენ ორმოცდახუთ კომლ ყმას, რომელთა ოჯახები ას ოთხმოცდასამ სულს ითვლის.

მნიშვნელოვანი ცნობები გაგვაჩნია ქონაქიძეთა გვარის ოჯახების ძირითად შემოსავლის წყაროზე XIX საუკუნეში. ამ მხრივ, აღსანიშნავია კ. ბოროზდინის ცნობა იმის შესახებ, რომ სოფელ ჭალადიდის მუხურში მცხოვრები თავადი **ქონაქიძეები** (თავად მხეიძეების და მიქაძეების გვარის წარმომადგენლებთან ერთად) ძირითადად ხე-ტყის წარმოებას მისდევდნენ². ამას გვიდასტურებს ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული საბუთიც, რომელიც ვგამცნობს, რომ ზუგდიდში დედოფლის სასახლისათვის საჭირო ფიცრის ორასი ღერი კოპიტი უყიდათ **მანუჩარ და მაქსი ქონაქიძეებისგან**³.

სამწუხაროდ ჩვენ არ გაგვაჩნია ზუსტი მონაცემები **ქონაქიძეთა სათავადოს მამულების** შესახებ. XIX საუკუნის რეალობაზე, ამ მხრივ, ერთადერთი არასრულად ხელმოსაჭიდი გახლავთ კ. ბოროზდინის ცნობა სადაც აღნიშნულია, რომ „...მარჯვენა ნაწილი ცივის-წყლიდან (ზუგდიდის ოლქის საზღვარი) სოფელ თეკლათიდან იწყებოდა, სადაც, თავადნი მხეიძენი ცხოვრობდნენ. მათს იქით ზღვისკენ თავადნი ჯაიანნი, ქონაქიძეები და მიქაძეები ცხოვრობდნენ. მათი მამული მდ. რიონამდე სწვდებოდა, მერე იწყებოდა დიდი საეკლესიო მამული, საჭყონდიდლო, რომელიც რაიონის ნაპირად იდო, სოფ. ჭალადიდთან. საეკლესიო მამულის სამხრეთით, რაიონის აყოლებზე, ქუთათისის გუბერნიის საზღვრამდე, საჭილაო იყო, სადაც ცხოვრობდნენ აზნაურები: კორძაიები, ნანეიშვილები და სხვა...“⁴.

XIX საუკუნის საარქივო მასალების მიხედვით, ქონაქიძეთა გვარის ძირითადი სალოცავი იყო სოფელ ჭალადიდის მუხურის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც დღეს დანგრეულია. იქ მღვდლები იყვნენ ბაბილუების აზნაურული და სამღვდლო წარმოშობის გვარის წარმომადგენლები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ **ქონაქიძეთა საგვარეულო საძვალე** იყო არა ამ ეკლესიასთან მდებარე სასაფლაო, არამედ ამ ეკლესიისადმი ზედმიწერილ საქონაქიძეოში მდგარ იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიასთან გამართული სასაფლაო. როგორც ჩანს, სწორედ ეს იყო ქონაქიძეთა სათავადოს კარის ეკლესია. ეს ხის ეკლესიაც გასაბჭოების დროს დაანგრეს.

არ გაგვაჩნია ცნობები იმის შესახებ, ფლობდნენ თუ არა ქონაქიძეები მათი განსახლების ამ არეალში (ჭალადიდის მუხური) **ციხე-სიმაგრეს**, რაც შემდგომ კვლევას მოითხოვს. სოლო

¹ Подворная опись по-обязанным крестьянам Сенакского уезда. 1870-1873 г., ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო არქივი.

² კ. ბოროზდინი, *სამეგრელო და სვანეთი 1854-1861, მოგონებანი*, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ (თბილისი, 1934), გვ. 234.

³ ა. ტულუში, *ნარკვევები ზუგდიდის...*, გვ. 36.

⁴ კ. ბოროზდინი, *სამეგრელო და სვანეთი (1854-1861), მოგონებანი*, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, მეორე გამოცემა (თბილისი, 2004), გვ. 233.

XVII საუკუნის დასაწყისში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ისინი ფლობდნენ ჯგალის ანუ დღევანდელ ლესაღეს ციხეს და იქ მდებარე სასახლეს ყმებითურთ.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც საქართველოში რუსული მმართველობა დამყარდა, საქართველოს თავადაზნაურთა მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ I-ის ბრძანებით, სენატს დაევალა აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის თავადაზნაურობის დამდგენი დროებითი კომისიების შექმნა თბილისსა და ქუთაისში. ამ ბრძანების შესაბამისად სათანადო კომისიები შეიქმნა 1846 წლის 30 მარტს. რეალურად ამ კომისიამ მუშაობა დაიწყო 1850 წლის 1 აგვისტოს და თავისი დასკვნა კავკასიის დროებითმა კომისიამ წარუდგინა კავკასიის კომიტეტს. 1850 წლის 6 დეკემბერს, როგორც ქართლ-კახეთის, ისე იმერეთისა და გურიის თავადაზნაურთა სიები დაამტკიცა იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა, რომლის ბრძანებითაც იმერეთისა და გურიის თავადაზნაურთა დეპუტატობის საკრებულო შეიქმნა ქუთაისში. ამ საკრებულოს უფლება ეძლეოდა განეხილა წოდების მაძიებელთა საქმეები და გადაეცა წოდებაში დამტკიცების საბუთები. თავადაზნაურთა სიებში მოხვდნენ მხოლოდ ისეთები, ვისაც წოდების დამადასტურებელი უეჭველი საბუთები ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ სიებში არ შეუტანიათ ბევრი ისეთი ოჯახი თუ პირი, რომლებიც ნამდვილად ეკუთვნოდნენ პრივილეგირებულ წოდებას, მაგრამ სათანადო საბუთები არ აღმოაჩნდათ. მათ დაუტოვეს უფლება გაეგრძელებინათ წოდების ძიება. ზოგმა „მაძიებელმა“ შემდგომში მიაღწია კიდევ სასურველ მიზანს, მაგრამ ასეთები ცოტანი იყვნენ. ამ „ძიებას“ ბოლო მოეღო რუსეთის იმპერიაში რევოლუციის შედეგად¹.

ჩვენ გაგვჩინია ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტები თავად ქონაქიძეთა გვარის წარმომადგენლების თავადურ წოდებაში აღიარების შესახებ.

1895 წლის 18 სექტემბერს თავადაზნაურთა წოდების განმხილველი კომისიის წინაშე წარდგენილ იქნა ნიკოლოზ ქონაქიძის თავადობის დამადასტურებელი შვიდი დოკუმენტი, რომელიც კომისიისთვის წარსადგენად ნათარგმნი იყო რუსულ ენაზე. მასში წარმოდგენილია სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის წერილი დათარიღებული 1853 წლის 2 მარტით, რომელშიც ტარიელ ქონაქიძე და ბიძამისი მანუჩარი სახელდებიან თავადებად.

თავადაზნაურთა საგვარეულოების შემსწავლელ კომისიის სხდომაზე, თავადმა შ. ი. მხეიძემ (რომელიც ამ დროს სამეგრელოს უმაღლესი წოდების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე იყო) და მდივანმა ნ. ი. გამრეკელმა განიხილეს ნიკოლოზ ტარიელის ძე ქონაქიძის განაცხადი მათი თავადთა რიგებში აღიარების თაობაზე.

ამავე დროს ამ დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ნიკოლოზ ქონაქიძეს წარუდგენია მეტრიკული საბუთი, რომლის მიხედვით ის 1876 წელს ყოფილა დაბადებული. მამამისი იყო ტაია (იგივე ტარიელი) ქონაქიძე. ამავე დროს დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ტარიელს ჰქონია რუსული ჩინები და ორდენები. ასევე დადასტურებულია, რომ ის სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის გარდაცვალებამდეც ყოველთვის ატარებდა თავადის წოდებას.

1895 წლის 15 სექტემბრით დათარიღებულ მასალებში წარმოდგენილია სენაკის მაზრის სოფელ ჭალადიდის თავადის ნიკოლოზ ტარიელის ძე ქონაქიძის თავადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, საიდანაც ჩანს, რომ გვარი ქონაქიძე, მთავრის დავით დადიანის გარდაცვალებამდე და მას შემდეგაც ყოველთვის ატარებდა თავადის ღირსებას. არსებული გრიგოლ დადიანის (1788-1804 წწ.) მიერ გაცემული ამის დამადასტურებელი სიგელიც, თუმცა როგორც აღნიშნულია, მათდამი სამეგრელოს მთავრებისაგან სათავადო ან სააზნაურო მამული ბოძებული არ ყოფილა, ასევე, სამეგრელოს მთავრების დროს მათი რომელი გვარის წევრი არ ყოფილა ერთ-ერთი კარის კაცის თანამდებობაზე, არც მდივანბეგად და არც სამთავროს მოურავადაც აყვანილნი არ ყოფილან. ჩვენი აზრით, ქონაქიძეთა საგვარეულოს ეს შედარებით დამცრობილი მდგომარეობა ასახავს ვითარებას XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული XX საუკუნის ჩათვლით, ხოლო მათი გვარის ძველი „ღიდება“, რომელიც ლევან II დადიანის დროისად უნდა მივიჩნიოთ (ზემოთ წარმოდგენილი წყაროებით ეს ნათლად დასტურდება), უკვე მივიწყებული იყო.

კიდევ ერთი დოკუმენტიდან ჩანს, რომ ტარიელ ბეკოს ძე ქონაქიძის მეუღლეა ნინია ნიკოს ასული, ხოლო მათი შვილი ნიკოლოზი დაბადებულია 1868 წლის 5 ნოემბერს; მოუნათლავთ 1871 წლის 14 ნოემბერს (ნათლია – ქალაქ ფოთის პირველი გილდიის ვაჭარი დიმიტრი დანიელის ძე სმირნოვი, ნათლობის საიდუმლო შეასრულა სოფელ ჭალადიდის მუხურის ეკლესიის მღვდელმა ათანასე ბაბილუამ, მედავითნე იესე გაგუა). 1898 წელს კი, ნიკოლოზ ტარიელის ძე ქონაქიძე შეიტანეს რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო წიგნის მესხეთე ნაწილში².

¹ ზ. ჭუმბურიძე, შესავალი, *იმერეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები* (თბილისი, 1999), გვ. 3-4.


² ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1, საქ. 4866.

1867 წლით დათარიღებულ, თავადაზნაურთა გვარების შემსწავლელი კომისიის მიერ შედგენილ დოკუმენტში, რომელსაც ხელს აწერენ ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრის თავადაზნაურთა გვარის წარმომადგენლები, რომლებიც შედიოდნენ სამეგრელოს, სამურზაყანოს და სვანეთის გვართა შემსწავლელ დროებით კომისიაში (იხ. ქვემოთ), აღნიშნულია, რომ ქონაქიძეები (უკლებლივ ყველა ოჯახი რომლებიც ჩვენ ზემოთ ჩამოვთვალეთ) თავადებად იხსენიებიან სამეგრელოს მთავარ გრიგოლის დროს (უნდა იგულისხმებოდეს სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი – დ. ჭ.) და ისინი ამ კომისიის წევრების ხელმოწერით ერთხმად იქნენ აღიარებულნი თავადთა რიგებში. ამ დოკუმენტს ხელს აწერენ: თავადები – პეტრე მხეიძე, ივანე ჩიქოვანი, ბათა შერვაშიძე, ნიკო ჩიქოვანი, ბექირბი დადეშქელიანი, ივანე მხეიძე, კოსტა აფაქიძე, ოთარ გარდაფხაძე. აზნაურები – ივანე ჩიქოვანი, ხახუ ჯოლია, ალექსი შენგელაია, ტაგუ ჯიჯიხია, ნიკო ყრუაშვილი, ივანე ახვლედიანი; ასევე, უჩანა მარღანია და მურზა ქურდიანი.

ამ დოკუმენტაციაში დევს 1872 წლის 10 ივლისით დათარიღებული საბუთი, რომელიც გვამცნობს, რომ **გიორგი მაქსიმეს ძე ქონაქიძეს** კომისიისაგან მოუთხოვია წარედგინა სასწავლებელში გრაფ ვლადიმერ ვასილის ძისათვის ინფორმაცია იმის თაობაზე, ირიცხებოდა თუ არა იგი თავადთა რიგებში და რომელი ნომრით იყო იქ¹.

გაზეთ „მწყემის“ ცნობით, 1883 წლამდე სენაკში არსებობდა მამათა მონასტერი, რომელიც დედათა მონასტრად 1884 წელს გადაუკეთებიათ. ის აკურთხა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგორიმ. მონასტრისათვის ხალხს უამრავი შესაწირავი გაუღია. მათ შორის იყვნენ ქონაქიძეთა გვარის წარმომადგენლებიც, რომლებიც იქ თავადებად არიან მოხსენიებული: „თავ. მანუჩარ ქონაქიძემ აღუთქვა ყოველ წლებით მონასტერს თითო თუმანი; თავადმა ივანე გრიგორის ძემ შარვაშიძემ ერთი წყვილი დიდი შანდლები; აზნაურმა გრიგორი გატუს ძე ჩაჩიბაიამ 6 მ., თავ. გიორგი ივანეს ძე დადიანმა თხუთმეტი მანეთის საღირალი ნივთი; აზნაურმა ბასა ფულარიამ 3 მ., აზნაურმა ვარდან სალაყაიამ 3 მ., თავადმა **ვლადიმერ ქონაქიძემ** 1 მან., სენაკის მაზრის სამმართველოს სეკრეტარმა ნიკო დგებუაძემ 3 მ., ზედა თეკლათის შტატის მღვდელმა ვასილ ხეცურიაძემ 10 მ.“².

საგვარეულოს ცნობილი წარმომადგენელი იყო პოეტი **გიორგი ჭალადიდელი (გიორგი ქონაქიძე, 1847-1898 წწ.)**. თავად გ. ჭალადიდელი დასაფლავებულია ქ. სენაკში, ქალაქის ბაღში³.



¹ ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1, საქ. 230.

² დამსწრე, *მწყემი*, 20 (თბილისი, 1889); დ. ჭითანავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.


³ თ. სახოკია, *ჩემი საუკუნის ადამიანები* (თბილისი, 1969), გვ. 52-56.

გიორგი

ბერი

მაქსიმე

(პოდპორუჩიკი დაბ.1811წ. გარდ. 1889წ.
18 აპრილს. მეუღლე - მართა, დაბ. 1826წ.)




ბეუანი

მანუჩარი

(დაბ.1810წ. გარდ.1888წ. 2 იანვარს.
მეუღლე - ელისაბედი, დაბ.1831წ.)

ბეკო

ტარიელი იგივე ტაია
(პოდპორუჩიკი. დაბ.1833წ. გარდ.1880წ. 30 დეკემბერს
მეუღლე-პუპი, იგივე ნინია ნიკოლოზის ას შელია,
დაბ.1838წ. გარდ. 1881წ. 15 სექტემბერს



ბიბლიოგრაფია

1. ი. ანთელავა, *ლევან II დადიანი* (თბილისი, 1990).
2. ფ. აფაქიძე, ა. ტულუში, *მასალები განათლების ისტორიისათვის სამეგრელოს სამთავროში* (ზუგდიდი, 2001).
3. იოანე ბაგრატიონი, *შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა* (თბილისი, 1997).
4. თ. ბერაძე, ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*, IV (თბილისი, 1971).
5. კ. ბოროზდინი, *სამეგრელო და სვანეთი 1854-1861, მოგონებანი*, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ (თბილისი, 1934).
6. კ. ბოროზდინი, *სამეგრელო და სვანეთი (1854-1861), მოგონებანი*, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, მეორე გამოცემა (თბილისი, 2004).
7. დამსწრე, *მწეშხი*, 20 (თბილისი, 1889).
8. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საბ. 8222.
9. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770), წ. I, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ (თბილისი, 1958).
10. ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, *საისტორიო მოამბე*, II (თბილისი, 1924).
11. ს. კაკაბაძე, *საცაიშლო გამოსავლის დაუთარი* (თბილისი, 1913).
12. ს. კაკაბაძე, *სიგელი ქართლის მეფე კონსტანტინესი 1488 წ.* (თბილისი, 1913).
13. ს. მაკალათია, *სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია* (თბილისი, 1992).
14. დ. ნინიძე, *პროვინციის მეფეები XIV-XV სს. საქართველოში (ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიიდან)* (თბილისი, 1995).
15. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 12, აღწ. 6, საქ. №251, ფ. 89-90, 92-96.
16. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1448, საქ. №2049.
17. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1448, საქ. №5040.
18. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1449, საქ. №750, საქ. №259
19. თ. სახოკია, *ჩემი საუკუნის ადამიანები* (თბილისი, 1969).
20. ო. სოსელია, *ნარკვევები ფეოდალური დროის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები)*, III (თბილისი, 1990).
21. ა. ტულუში, *ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან* (თბილისი, 2012).
22. ა. ტულუში, *ცაიშის საეპისკოპოსო* (ზუგდიდი, 2001).
23. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ (თბილისი, 1970).
24. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ (თბილისი, 1977).
25. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, საბ. 1073.
26. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, საბ. 1507.
27. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, საბ. 1701.
28. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, საბ. 2358.
29. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, საბ. 2360.
30. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, საბ. 2361.
31. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, საბ. 2362.
32. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, საბ. 2363.
33. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, საბ. 2364.
34. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, საბ. 2365.
35. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, საბ. 2366.
36. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, საბ. 2367.
37. ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1, საქ. 230.
38. ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1, საქ. 4866.
39. ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 184, აღწ. 1, საქ. 7184.
40. პ. ცხადაია, *გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში* (თბილისი, 2000).
41. დ. ჭითანავა, *ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე)* (თბილისი, 2010).
42. დ. ჭითანავა, *პირსახელები და გვარსახელები „ჯგალის ციხის საკათალიკოსო გამოსავლის“ ნუსხის მიხედვით (1616-1621 წწ.) ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი*, ტ. XVIII (თბილისი, 2016).

43. ზ. ჭუმბურიძე, შესავალი, *იმერეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები* (თბილისი, 1999).
44. ივ. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, წიგნი მეოთხე (თბილისი, 1948).
45. Подворная опись по-обязанным крестьянам Сенакского уезда. 1870-1873 г., ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო არქივი.
46. Посольства Федота Елчина и Павла Захариева в Менгрелию (1639-1640), *Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии*, Для изучения подготовил, предисловием, комментариями и словарем снабдил Дж. Гамахрия (Тбилиси, 2005).

DAVID CHITANAVA

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

QOCHAQIDZE NOBLEMEN

In this article, history of the Mengrelian noblemen from Qochaqidze house is investigated for the first time - based on archival materials.

The representatives of the Qochaqidze genus lived in the village Chaladidi-Mukhuri in XVIII-XIX centuries and in this village as well as in other nearby villages, possessed small number of serfs and it also seems that they did not have their own fortress. In XV-XVII century's ownership of the area by them was more extensive and strategically located for Samegrelo principality, where they had a strong fortress and quite a significant number of serfs.

The earliest document which refers to Rostean (same as Rostom D. Ch.) Qochaqidze is from the late XV century.

Chronologically, next reference about surname Qochaqidze is found in great ledger of Abkhazia's Catholic peasants dated 1616-1621 years, where the Jgale castle's list of Patriarchal 'solution' is given. This document does not seem to mention here Qochaqidze name mentioned above. It is clear, that the Jgale castle together with its peasants – which, according to this document comprised of 38 households, has been granted to him by Levan II Dadiani.

It seems that Qochaqidze owned the Jgale castle and the surrounding area, and lived there in the beginning of the XVII century; while they populated Chaladidi-Mukhuri village of Senaki district, from XVIII century, until the first quarter of XX century. Jgale castle referred to here, is situated in the present-day village of Jgali (Tsalendjikha district), which is known by Lesale castle's name today, named after the district where Saliebi's genus lives. Right here, in the village Leshamuge (Chqvaleri community) toponyms in form of Leqochaqe//Leqochage is fixed, which indicates that the population of this family has lived in these places. After derogation of Qochaqidze noble house, Chiqvani noblemen had to take over their rightful places in the area in the last quarter of XVIII century. The paper presents about fifty handwritten archival documents of Qochaqidze genus, many of which are being published for the first time. In the 70's of XIX century, Qochaqidze own a total of 45 servants' families, which in total included 183 souls.

According to the archival materials of XIX century, the main place of worship for the Qochaqidze genus was the St. George's church, situated in the Chaladidi-Mukhuri village, which is no longer standing. Here they also had court church. They did not possess a fortress in Chaladidi-Mukhuri. According to the archival documents, it is clear that in the second half of the XIX century Russian Empire has unanimously recognized and put in the recognized noble book absolutely all of the representatives of the Qochaqidze genus.

ერეკლე II და ალექსანდრე ამილახვარი

„თუ ვინმემ მოინდომოს მეფის ირაკლის მეორის ისტორიის დაწერა, ღვთის გულისათვის, ისე ადვილად ნუ შეუდგები იმის დაწერასა, მინამ კარგათ არ გამოიკითხო, მინამ სრული ფაქტები ხელში არ ჩაიგდო, იმაზედ ნურას დაწერ... მაგრამ მართალი კაცი უნდა იყო, ვინც მეფის ირაკლის მეორის ისტორიას დასწერ, თორემ თუ თუალმიხედვით დაიწყო წერა, სხუების სასიამოვნოდ, აღარ ევარგები და შენს ისტორიას ქარი მოიტაცებს მტვერსავითა“ (ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი)

ქართულ ისტორიოგრაფიაში ერეკლე II-ის ეპოქას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. ბუნებრივია, რომ ქვეყნის ისტორიაში ეს ერთ-ერთი ურთულესი პერიოდია და მის მიმართ მკვლევართა (და არა მარტო მკვლევართა) ინტერესი კვლავაც აქტუალურია. იმ პრობლემებს შორის, რომელნიც მუდმივად თან სდევდნენ „პატარა კახის“ მმართველობას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქართლში მისი მეფობის ლეგიტიმურობის საკითხი. იმდენად, რამდენადაც ეს პრობლემა სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ აქტიურად განიხილებოდა და, ამასთანავე, ავტორთა აბსოლუტური უმრავლესობა ცალსახად იზიარებს და ეყრდნობა ნ. ბერძენიშვილის შეხედულებას ვახტანგ VI-ს რუსეთში გამგზავრებასთან დაკავშირებით, ჩვენი მხრიდან მიზანშეწონილად მივიჩნით ქართლის სამეფოში ერეკლეს გამეფებამდე განვითარებული მოვლენების შესაფასებლად მოვიტანოთ რამდენიმე ამონარიდი ამ უკანასკნელის ნაშრომებიდან.

ნ. ბერძენიშვილი წერდა: „ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები ყველანი როდი იზიარებდნენ ვახტანგის ამ ნაბიჯს. ზოგიერთი ამ საქმეში ქართლისთვის ზარალის მეტს არაფერს ჰხედავდა. სხვები კიდევ გონივრულად აფრთხილებდნენ ემიგრანტ მეფეს, რომ უცხოეთში ქართული საქმის წარმატებისათვის აუცილებელი იყო მეფის ქართლშივე დარჩენა ან, ყოველ შემთხვევაში, შვილის აქ დატოვება: „ბაქარ დააბრუნე, სულ ნუ დააგდებთ ამ ქვეყანას. არ გიჯობთ, დამიჯერე, ...თუ თქვენი შვილი ამ ქვეყანას არის, გინდა რუსეთსაც და სხვას ქვეყანასაც უფრო ძალიანობაც გამოგიჩნდება და უფრო დიდურათაც დაგიჭერენ“ – სამართლიანად ურჩევდა მეფეს შანშე ქსნის ერისთავი... ვახტანგი შეცდა... პეტრე ხელმწიფე და მისი მემკვიდრეები ქართლიდან ემიგრანტებს უპირველეს ყოვლისა იმისთვის ეპატიუებოდნენ, რომ ისინი კასპიის ზღვის ერანული სანაპიროების დაჭერა-ათვისებაში გამოეყენებინათ“¹.

ამაო ლოდინის შემდეგ მწარედ იმედგაცრუებული ვახტანგი 1737 წელს უცხოეთში გარდაიცვალა და ასტრახანში ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი. ამასობაში „სამშობლოს მოწყვეტილმა ემიგრანტებმა თანდათან დაკარგეს პოლიტიკური ფასი და მასპინძელმაც 1738 წ. ხანმოთეულ სტუმრებს მუქტი პურისჭამა შეუწყვიტა. ემიგრანტების წინაშე სხვა არჩევანი არ იყო: ან უნდა რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღოთ და სამსახური დაეწყოთ, ან თავიანთ სახლში დაბრუნებულიყვნენ. 15 წელი იყო, ემიგრანტები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ, ბოლომოუღებელი ომებისა და აჯანყებათა ცეცხლით მოცულ საქართველოში დაბრუნება მათ აღარ ეხალისებოდათ. მიიღეს რუსეთის მთავრობისაგან ყმა-მამულები და ხელმწიფის სამსახურში შევიდნენ“².

აღნიშნავს რა, რომ ვახტანგის გადაწყვეტილების შედეგად „ქართლი ერთბაშად დაიცვალა მოწინავე გონებრივ მუშაკათაგან და ქვეყანაში დიდი ხნით შეწყდა აგრე გაცხოველებული კულტურული მოღვაწეობა“, ნ. ბერძენიშვილი სავსებით სამართლიანად, პოზიტიურად აფასებს რუსეთში გადახვეწილ ქართველთა სამეცნიერო-ლიტერატურულ საქმიანობას, თუმცა იქვე დასძენს, რომ „მათი ეს მოღვაწეობა იმ დროის საქართველოს მეტად მცირედა რგებდა; სამშობლოში მათი ნამუშავენი ერთობ მცირე მოდიოდა და ოსმალობა-ყიზილბაშობის პირობებში აქ ის ვერც სათანადო გამოძახილს პოულობდა. და, რაც უმთავრესი იყო, ორი თაობის სიგრძეზე ინტენსიური მუშაობის შედეგად შექმნილი ქართული კულტურის კერა უმემკვიდრეოდ გადასაშენებლად

¹ ნ. ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, II (თბილისი, 1965), გვ. 158.

² იქვე, გვ. 158-159.

იყო განწირული: საქართველოს ნიადავს მოწყვეტილი მოსკოვის ქართველთა კოლონია კულტურულ მოღვაწეთა ახალ თაობას ვერ ქმნიდა³.

ნიშანდობლივია, რომ ერთიანი საქართველოს აღდგენის იდეა, რომელიც მოგვიანებით თეიმურაზ-ერეკლეს პოლიტიკის ქვაკუთხედი გახდა, ვახტანგის ჯანიშინობის პერიოდში უკვე საფუძვლიანად განიხილებოდა: ვახტანგის მოღვაწეობის ეს მონაკვეთი საქართველოს გაერთიანების იდეოლოგიური შემზადების ხანა იყო, რაც სათანადოდ არის დადასტურებული ქართული ისტორიოგრაფიაში; მოგვიანებით სწორედ ამ ნიშნით იყო მიღებული გადაწყვეტილება ვახტანგის მიერ პეტრე I-თან ერთობლივი ლაშქრობის თაობაზე⁴.

ამ მხრივ XVIII საუკუნის დამდეგს ქართლის სამეფო საკმაოდ ხელსაყრელ ვითარებაში აღმოჩნდა და მას უკვე შესწევდა ძალა საქართველოს სხვა პროვინციებზე პოლიტიკური ზემოქმედებისათვის. ნიშანდობლივია, რომ ჯერ კიდევ ირანს გამგზავრებამდე ვახტანგმა თავისი ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად ერთგვარი ნიადავი მოამზადა კახეთისა და იმერეთის სამეფოებთან: თავისი ასული თამარი ერეკლე I-ის ვაჟს – თეიმურაზს, მეორე ასული – ანუკა კი იმერეთის გავლენიან თავადს, ვახუშტი აბაშიძეს მიათხოვა⁵.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან პარალელის გასაგებად საგულისხმოა ქვეყნის გაერთიანების ვახტანგისეული გეგმის მიმართ ქართველი მეფე-მთავრების დამოკიდებულება; 1719 წელს ქართლში დაბრუნებულმა ვახტანგმა მნიშვნელოვნად განიმტკიცა პოზიციები და მოკლე ხანში ყურადღება გადაიტანა მეზობელ ქართულ სამეფოებზე. იმ დროისათვის იმერეთშიც და კახეთშიც ვახტანგის იდეის მომხრე ძლიერი დასები მოქმედებდნენ და 1720-1721 წლებისათვის საქართველოში ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ გაერთიანების საქმეს ქვეყნის შიგნით თითქოს რაიმე დაბრკოლება არ ეშუქებოდა; თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ იდეას სერიოზული მოწინააღმდეგენიც ჰყავდა მმართველ წრეებში: მთელი ქვეყნის ერთი ხელისუფლის მმართველობაში მოქცევა მათი მხრიდან უსამართლო ქმედებად, ტახტის მიტაცებად და უღირს საქციელად აღიქმებოდა⁶. ალბათ ბედის ირონიად უნდა მივიჩნიოთ, რომ მოგვიანებით იგივე იდეის განხორციელებისას ზუსტად ანალოგიური პრობლემა შეექმნათ თეიმურაზსა და ერეკლეს ქართლის თავადების მხრიდან.

დღეისათვის საკამათო არ არის, რომ თეიმურაზისა და ერეკლეს მიერ ირანთან მიმართებით გატარებულმა სწორმა პოლიტიკამ სათანადო შედეგი გამოიღო და 1744 წელს ქართლისა და კახეთის ფაქტობრივი გაერთიანებით დაგვირგვინდა, რაც არსებულ სიტუაციაში უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო; თუმცა, გაერთიანებული ქართლი და კახეთი იურიდიულად კვლავ ცალკე სამეფოებად დარჩნენ თავისი სამოხელეო აპარატით თუ სხვა ატრიბუტიკით, რადგან ნადირ-შაჰმა, სრულიად გამიზნულად, თეიმურაზი ქართლის, ხოლო ერეკლე – კახეთის მეფეებად დაამტკიცა. ცხადია, ეს არ იყო შემთხვევითი გადაწყვეტილება: გარდა იმისა, რომ არსებულ სიტუაციაში შაჰი იძულებული იყო თავისი ქრისტიანი ქვეშევრდომების მიმართ დათმობაზე წასულიყო, იგი იმასაც ითვალისწინებდა, რომ შეცვლილ ვითარებაში მათ მიმართ სხვა, სრულიად საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარება დასჭირდებოდა; შესაბამისად, ქართლისა და კახეთის გაძლიერება მას მხოლოდ გარკვეულ ფარგლებსა და გარკვეულ პერიოდში აინტერესებდა. სავარაუდოდ, ნადირ-შაჰი სხვა გარემოებასაც უწევდა ანგარიშს: ეს იყო რეშტისა (1732 წ.) და განჯის (1735 წ.) ხელშეკრულებები, რომელთა ძალითაც ირანმა (და თვით ნადირ-შაჰმაც!) ქართლის ტახტის მემკვიდრედ ვახტანგი და მისი შთამომავლები აღიარა⁷ (განჯის ტრაქტატის მეხუთე მუხლი ამტკიცებდა რეშტის ხელშეკრულების პირობას იმის შესახებ, რომ ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ ირანი ქართლის სამეფოს კვლავ ვახტანგ VI-ს ან მის მემკვიდრეებს გადასცემდა). ფაქტია, რომ საქართველოსათვის უმჯობესი იყო ქართლისა და კახეთის მეფობაც თეიმურაზს შეეთავსებინა: მაშინ ეს ორივე სამეფო ფაქტობრივად და იურიდიულად გაერთიანდებოდა და მემკვიდრეობის საკითხიც თავისთავად გადაწყდებოდა. ცხადია, ქართლ-კახეთის გაერთიანების თეიმურაზისა და თამარისეული გეგმა მარტო მამაშვილს შორის მეფობის განაწილებას არ გულისხმობდა. ეს ამ რთული პროცესის მხოლოდ პირველი ეტაპი იყო, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა ამ აქტის იურიდიულად გაფორმება, მაგრამ ნადირ-შაჰის სიცოცხლეში ეს ვერ მოესწრო.

როგორც ჩანს, თეიმურაზისათვის ქართლის ტახტის გადაცემის პირობებში რაღაც ფორმით გათვალისწინებული იყო, რომ ერეკლეს ამ ტახტის მემკვიდრეობა არ მიეღო. ამ თვალსაზრისით ალბათ მიზანშეწონილია გავისხენოთ პ. ბუტკოვის ცნობა თამარისა და მისი ძმების

³ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 159.

⁴ მ. სამსონაძე, *საქართველოს გაერთიანების პრობლემა და სავარუო ორიენტაცია XVIII საუკუნეში* (თბილისი, 1988), გვ. 29-57.

⁵ ნ. შოშიტაშვილი, *ვახტანგ VI* (თბილისი, 2015), გვ. 24.

⁶ მ. სამსონაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50-51.

⁷ იქვე, გვ. 89-90.

შეთანხმებაზე; თამარ დედოფალმა დაითანხმა ქართლის თავადები, რუსეთიდან მისი ძმების დაბრუნებამდე თავად ემართა ქართლი ისე, რომ თეიმურაზს და ერეკლეს შეხება არ ჰქონოდათ. ამის შესახებ მან თითქოს რუსეთშიც შეატყობინა თავის ძმებს და დაითანხმა ისინი, რის შემდეგაც ერთი წლის მანძილზე თითქოს დამოუკიდებლად მართავდა ქართლს⁸. ამის თაობაზე მ. სამსონაძე წერს: „არ ვიცი, რა წყაროებით სარგებლობდა პ. ბუტკოვი, როცა ამგვარად წარმოსახავდა ვითარებას; სხვა ცნობებით ქართლის ტახტი თავიდანვე თეიმურაზმა მიიღო“⁹. ეს მართლაც არ დასტურდება დოკუმენტური მასალით, თუმცა ჩვენ დავადგინეთ, რომ ამ შემთხვევაში პ. ბუტკოვმა წყაროდ გამოიყენა ა. ამილახვრის თხზულება „გეორგიანული ისტორია“...“¹⁰.

მ. სამსონაძის აზრით, „ყველაფერი თუ არა, სიმართლის გარკვეული მარცვალნი ამ ცნობაში არის; სხვაგვარად ძნელია აიხსნას ის გარემოება, რომ 1747 წელს, როცა თეიმურაზი საქართველოზე გუნებაშეცვლილ ნადირთან გაემგზავრა ისპაანში, მან ქართლის გამგებლობა გამაჰმადიანებულ აბდულა-ბეგს (იესე ვაჟს) მისცა (თამარ დედოფალი უკვე გარდაცვლილი იყო)“¹¹. ჩვენ უფრო მისაღებად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ თეიმურაზს იმ მომენტისათვის არ აწყობდა აბდულა-ბეგთან ურთიერთობის გამწვავება ქართლში და ეს მხოლოდ ტაქტიკური სვლა იყო მისი მხრიდან (გარემოებათა გამო). სავარაუდოდ, იგი აბდულა-ბეგის განეიტრალებას სამომავლოდ გეგმავდა¹².

იმისათვის, რომ ობიექტურად შევაფასოთ თეიმურაზისა და ერეკლეს მმართველობა, უნდა გავითვალისწინოთ ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ მუდმივად არსებული წინააღმდეგობები, რომელთა გადალახვაც დიდ ძალისხმევას მოითხოვდა: მიუხედავად იმისა, რომ XVIII საუკუნის 50-იანი წლებისათვის ქართლისა და კახეთის სამეფოებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ასპარეზზე (ქართველმა მეფეებმა ზედიზედ დაამარცხეს რეგიონში ჰეგემონობისათვის მებრძოლი ხანები და უპირობო ლიდერებად ჩამოყალიბდნენ), კვლავაც გადაუჭრელი რჩებოდა ლეკთა თარეშის აღკვეთის საკითხი, რისთვისაც აუცილებელ პირობად ჩანდა ჭარ-ბელაქნისა და კაკ-ენისელის დაბრუნება. ამ პრობლემის მოსაგვარებლად თეიმურაზმა და ერეკლემ გადაწყვიტეს რუსეთისათვის ეთხოვათ დახმარება, რადგანაც, გაითვალისწინეს რა იმ დროისათვის აღმოსავლეთში არსებული ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება (კერძოდ, ირანის სახელმწიფო კრიზისი და თურქეთის აგრესიასთან დაკავშირებული რუსეთის საგარეო პოლიტიკური ვექტორი), მიიჩნიეს, რომ კასპიისპირეთის პროვინციების საკითხი კვლავაც აქტუალურად დადგებოდა და, შესაბამისად, საქართველოს ფაქტორიც ამოქმედდებოდა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ათანასე თბილელისა და სვიმონ მაყაშვილის 1752-1754 წლების ელჩობის წარგზავნა რუსეთს.

ელჩობის ხელმძღვანელებად ეს ორი პიროვნება შემთხვევით არ შეურჩევიათ: ათანასე თბილელი (ამილახვარი) ქართლის ერთ-ერთი გავლენიანი საგვარეულოს წარმომადგენელი იყო, მაგრამ წყაროების მიხედვით, საქართველოში ცხოვრების პერიოდში (თავის დროზე იგი ვახტანგ VI-ს ახლდა რუსეთში და 1733 წელს დაბრუნდა სამშობლოში) მისი მოღვაწეობა თეიმურაზ-ერეკლეს სასარგებლოდ იყო მიმართული¹³. განსწავლული კახელი თავადიშვილი სიმონ მაყაშვილი ტახტის მემკვიდრის – გიორგის ერთ-ერთი აღმზრდელი იყო.

ამ საკითხს ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი ნაშრომი მიეძღვნა¹⁴; დადგენილია, რომ ამ ელჩობის მისიის შემუშავებისას მეფეებმა (სრულიად გასაგები მოსაზრებით) უპირატესობა მიანიჭეს ათანასეს და მას ერთგვარად „დაუქვემდებარეს“ კახთა წარმომადგენელი – მაყაშვილი.

ნიშანდობლივია, რომ მკვლევართა აზრით, გაერთიანებული ელჩობის რუსეთში გაგზავნას ლეკთა საკითხის მოგვარების გარდა კიდევ ერთი, ძალზე მნიშვნელოვანი მისია ჰქონდა: ქართლისა და კახეთის იურიდიული ფორმით გაერთიანებისათვის საჭირო იყო ამ აქტის ცნობა რომელიმე დიდი სახელმწიფოს მხრიდან; იმ დროისათვის ასეთ კანდიდატურებად მოიაზრებოდნენ ირანი და რუსეთი (ამ შემთხვევაში კავკასიისადმი მათი დამოკიდებულების გარდა გადამ-

⁸ Бутков П. Г., *Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год*, 1 (СПБ, 1869), გვ. 229.

⁹ მ. სამსონაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

¹⁰ *История Georgianская о юноше князе Амилахорове с кратким прибавлением истории тамошней земли от начала до нынешнего века, которую рассказывает Усим - купец анатольский сотоварищам своим между разными известиями* (СПБ, 1779), с. 33-34.

¹¹ მ. სამსონაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 90-91.

¹² *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, IV (თბილისი, 1973), გვ. 607-608.

¹³ პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ე. ცაგარეიშვილმა (თბილისი, 1981), გვ. 129-130.

¹⁴ ივ. ჯავახიშვილი, *დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში* (თბილისი, 1919); ი. ცინცაძე, ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში (1752-1754 წწ.), *საისტორიო მოამბე*, 6 (თბილისი, 1952); გ. პაიჭაძე, ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან XVIII საუკუნის 50-60-იან წლებში, *ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან*, II (თბილისი, 1973); მ. სამსონაძე, დასახ. ნაშრომი; მ. ბულიაშვილი, *ქართველი ეკლესიის მსახურები რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში* (თბილისი, 1991) და სხვ.

წყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა რეშტისა და განჯის ხელშეკრულებების ზემოთ აღნიშნულ მუხლს), მაგრამ ირანში შექმნილი ვითარება თავისთავად გამორიცხავდა ამ აქტში მის მონაწილეობას, შესაბამისად – ერთადერთ შესაძლო ვარიანტად რჩებოდა რუსეთი, მით უფრო, რომ ქართლის ტახტის ძირითადი პრეტენდენტები სწორედ აქ ცხოვრობდნენ¹⁵.

თეიმურაზსა და ერეკლეს უნდა შეესვენებინათ რუსეთის მთავრობისათვის, რომ ისინი ქართლისა და კახეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრეები იყვნენ, რადგან ამ სამეფოებს თავის დროზე მათი უშუალო წინაპრები – თეიმურაზ I და ერეკლე I ფლობდნენ; შესაბამისად, ახლანდელი მეფეებიც რუსეთის იმპერატორს დახმარებისათვის მიმართავდნენ მათივე წინაპრების მიერ რუსეთის მეფეებთან ადრე დადებული შეთანხმების საფუძველზე (ამის დამადასტურებლად ელჩებს თან ჰქონდათ ალექსი მიხეილის ძის სიგელის ტექსტი, რომელშიც თეიმურაზ I და ერეკლე I არა კახეთის, არამედ „მთელი ივერიის მეფეებად“ იხსენიებიან); ამასთანავე, ამ ელჩობის მეშვეობით თეიმურაზი და ერეკლე ცდილობდნენ რუსეთისგან მიეღოთ თეიმურაზის ოფიციალური აღიარება ქართლის მეფედ და ამით იმპერიის მხრიდან აღეკვეთათ მხარდაჭერა ვახტანგ VI-ის შთამომავალთათვის, გაენეიტრალებინათ ოპოზიციურად განწყობილი ქართლელი თავადები, რომლებიც ვახტანგ VI-ს მემკვიდრეების ტახტზე აყვანას ესწრაფოდნენ (რადგანაც ქართლში თეიმურაზის გამეფება თავისთავად გულისხმობდა, რომ მის შემდეგ ტახტის მემკვიდრედ ერეკლე მოიაზრებოდა, ამას კი ისინი ვერ ურიგდებოდნენ); საცხებით მართებულად მიგვაჩნია გ. პაიჭაძის შეხედულება, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც თეიმურაზისა და ერეკლეს ყველა მისწრაფება მხოლოდ პირადი, ვიწროდინასტიური ინტერესებით იყო ნაკარნახევი, არსებითად, ის მაინც პროგრესულ ხასიათს ატარებდა, რადგან მათი საქმიანობა ხელს უწყობდა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოების გაერთიანებას და ამით სახელმწიფოებრივ ინტერესებს ემსახურებოდა¹⁶.

როგორც ცნობილია, ელჩობა წარუმატებლად დამთავრდა, აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ ამ დიპლომატიური მარცხის მიზეზებზე (ეს საკითხი ამომწურავად არის შესწავლილი ზემოთ მითითებულ სამეცნიერო ნაშრომებში), აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იმ დროისათვის რუსეთის მთავრობის ინტერესებში არ შედიოდა საქართველოს საქმეებში ჩარევა. ამავე დროს, რუსეთი აჭიანურებდა ქართველ მეფეთათვის ოფიციალური პასუხის გამოგზავნას, რათა ისე მოეგვარებინა ეს საკითხი, რომ არც საქართველოს ტახტის რეალური მფლობელი მამა-შვილი გამოსცლოდა ხელიდან და არც რუსეთში მცხოვრები ქართლელი ბაგრატიონები. ამ საქმეში კი რუსეთს ქმედითი დახმარება გაუწია სწორედ ათანასე თბილელმა, რომელიც ქართლელი ბაგრატიონების გავლენის ქვეშ მოექცა: ცნობილია, რომ ათანასე თბილელი მოსკოვში ცხოვრობდა თავისი გარდაცვლილი ძმის – ვახტანგის ოჯახში, მისი ძმისწული გიორგი (ეგორ) ამილახვარი იმპერატორის კარის მრჩეველი იყო. როგორც ირკვევა, სწორედ ქართლის მუხრანბატონთა (ბაქარისა და ალექსანდრეს) მომხრე სანათესაოს ზეგავლენით, ათანასე გამოცხადდა არა კანცლერ ბესტუჟევ-რიუშინთან (როგორც ეს დავალებული ჰქონდა), არამედ – ქართლის ბაგრატიონების მხარდამჭერ ვორონცოვთან, რის შემდეგაც თითქმის ორი წელი სრულ უმოქმედობაში გაატარა; სიმონ მაყაშიღმა დიდი დაგვიანებით შეიტყო ამის შესახებ და ათანასესთან სერიოზული კონფლიქტის შემდეგ თვითონ წარუდგინა ბესტუჟევ-რიუშინს მოხსენებითი ბარათი და გადასცა მეფეთა სიტყვიერი დანაბარებიც. სწორედ ამ მოხსენების საფუძველზე შეადგინა კანცლერმა საპასუხო წერილი.

ამ დამსახურებისათვის იყო, რომ როდესაც ათანასე თბილელმა მოსკოვში დარჩენა მოითხოვა, ელისაბედის მთავრობამ იგი ღიად აიყვანა მფარველობაში და მიუხედავად ქართველი მეფეების კატეგორიული მოთხოვნისა, იგი მოსკოვში დატოვა¹⁷; რაღა თქმა უნდა, აქ მხოლოდ ათანასეს სურვილი არ იყო გადამწყვეტი – მიზეზი იმისა, რომ მას ასე მფარველობდა სინოდი და საგარეო საქმეთა კოლეგია, სრულიად ნათელია: მას, საქართველოდან ახლად ჩასულ განსწავლულ მღვდელს ბევრი რამ უნდა სცოდნოდა იმდროინდელი საქართველოსა და საერთოდ, მთელი კავკასიის პოლიტიკური ვითარების შესახებ. შესაბამისად, ათანასეს მფარველი სინოდი დაინტერესებული იყო მსგავსი მოხელეებით, რომელნიც თავის სასულიერო სამსახურს წარმატებით უთავსებდნენ რუსეთის სადაზვერვო უწყებაში მუშაობას (ცნობილია, რომ ათანასეს უფროსი თანამედროვე პროკოპოვიჩი, ცნობილი რუსი ღვთისმეტყველი თეორეტიკოსი და პეტრე I-ის უახლოესი გარემოცვის წევრი, მეფის რუსეთის სადაზვერვო უწყების აქტიური თანამშრომელი იყო). რუსეთში ათანასეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არსებული ფაქტები აშკარად მოწმობენ იმპერიის მხრიდან გამოხატულ „მადლიერებაზე“ მის მიერ გაწეული სამსახურისათვის¹⁸.

15 მ. სამსონაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

16 გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 68-70.

17 იქვე, გვ. 74-75.

18 მ. ბუღეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 36-40.

ელჩობის წარუმატებლობა სათანადოდ აისახა რუსეთის მთავრობის საპასუხო წერილში (რომელიც შედგენილი იყო ქართულ ენაზე, ადრესატის მიუთითებლად და ხელმოწერის გარეშე), ანუ – ქართველ მეფეებს გადაეცათ არაოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც ზოგადად იყო აღნიშნული, რომ რუსეთის საიმპერატორო კარი შეწუხებულია საქართველოს მიმდებარეობით, თუმცა დამხმარე ძალის გამოგზავნა არ შეუძლია; ამავე დროს, აიძულებდნენ ქართველ მეფეებს, რომ „მათ რწმენა არ დაეკარგათ რუსეთის მხარდაჭერისა, რომ რუსეთის მთავრობა პირველი შესაძლებლობისთანავე დახმარებას გაუწევდა ქართველ მეფეებს, ცხადია, თუკი ისინი რუსეთისადმი ერთგულებას გამოიჩენდნენ“¹⁹. საგულისხმოა ელჩობის მისიისა და მისი შედეგების პაპუნა ორბელიანისეული შეფასება, რომელიც ოფიციალური ვერსიის გახმოვანებას წარმოადგენს²⁰; უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველ მეფეთა თხოვნაზე უარის მიუხედავად რუსეთის ინტერესი საქართველოსადმი არ შენეებულა: იმის დასაზუსტებლად, თუ როგორ შეხვდებოდნენ ქართველი მეფეები ელჩობის შედეგებს, ან როგორი იქნებოდა სამომავლოდ მათი საგარეო ორიენტაცია, რუსებმა 1754 წელს საგანგებო მზვერავი მოავლინეს საქართველოში კაპიტან ოთარ თუმანოვის სახით²¹.

როგორც ჩანს, სწორედ ამ ელჩობის მარცხმა განაპირობა 1760 წელს დიპლომატიური მისიით პირადად თეიმურაზის გამგზავრება რუსეთს, რაც უდავოდ ზრდიდა მის მნიშვნელობას. გარდა ამისა, თუკი რუსეთის მთავრობა საქართველოსთან მიმართებით კვლავაც ჩაურევლობის პოლიტიკას განაგრძობდა, ელჩობის შედეგების მიუხედავად, მისი მთავარი ამოცანა მაინც მიღწეული იქნებოდა: რუსეთის საიმპერატორო კარზე თეიმურაზის ოფიციალური მიღებისას თავისთავად მოხდებოდა ქართლის მეფედ მისი აღიარება. ელჩობის გასამგზავრებლად 1760 წელიც მიზანმიმართულად შეარჩიეს: იმ დროისათვის ირანში შექმნილი ვითარება არ გამორიცხავდა ქართველი მეფეების აქტიურ ჩარევას ტახტის ამა თუ იმ მემკვიდრის მხარდასაჭერად, რაც თავისთავად რუსეთის დაინტერესების საგანიც იყო. მაგრამ რუსეთი ამ დროს შვიდწლიან ომში იყო ჩაბმული და თეიმურაზის ჩასვლა, თურქეთთან ურთიერთობის გამწვავების შიშით, მისთვის არასასურველი იყო²². მკვლევართა მიერ შესწავლილი უხვი დოკუმენტური მასალით დასტურდება, რამდენად სერიოზულად მოემზადნენ ქართველი მეფეები ამ მისიისათვის და როგორი დაბრკოლებები შეუქმნეს რუსებმა თეიმურაზს ელჩობის ჩასაშლელად; აღსანიშნავია ისიც, რომ მეფეთათვის ცნობილი ყოფილა რუსეთიდან საგანგებოდ გამოგზავნილი ოთარ თუმანოვისა და პრაპორშიკ დიმიტრი მანდოვის აგენტურული საქმიანობის შესახებ, რაც ნათლად მეტყველებს ქართული დიპლომატიური სამსახურების გამართულ მუშაობაზე²³.

რუსეთში თეიმურაზის ვიზიტისას გათვალისწინებული იყო შემდეგი ძირითადი საკითხები:

1. ირანთან და თურქეთთან ურთიერთობის გამწვავების ასარიდებლად თეიმურაზის ელჩობის მიზნად ოფიციალურად დასახელებული იყო იმპერატორთან მეგობრული, ე. წ. „თავაზიანობის ვიზიტი“.

2. რუსეთის მთავრობასთან საიდუმლო მოლაპარაკებების დროს თეიმურაზს უნდა მიეღწია, რომ რუსეთი ირანის პრობლემებში აქტიურად ჩარეულიყო, რათა ირანის ტახტზე ორივე კვეყნისათვის სასურველი კანდიდატი აეყვანათ.

3. შედეგების მიუხედავად, ელჩობის ძირითადი მიზანი მაინც მიღწეული იქნებოდა, რადგანაც რუსეთის მთავრობის მიერ თეიმურაზის ოფიციალურ დონეზე მიღება ქართლის სამეფო ტახტზე მისი უფლების აღიარებას ნიშნავდა²⁴.

მაგრამ 1761 წლის დეკემბერში ელისაბედ პეტრეს ასულის გარდაცვალებას და პეტრე III-ის გამეფებას რუსეთის საგარეო პოლიტიკაში მკვეთრი ცვლილებები მოჰყვა, რამაც საქართველოს საკითხი კვლავ უკანა პლანზე გადასწია. ელისაბედის გარდაცვალებიდან ორი დღის შემდეგ ფაქტიურად უკვე გადაწყდა სამშობლოში თეიმურაზის ხელცარიელი გამოსტუმრების საკითხი. თუმცა 1762 წლის 8 იანვარს თეიმურაზი მოულოდნელად გარდაიცვალა. საერთო წარუმატებლობის მიუხედავად, ამ ელჩობას მაინც ჰქონდა არსებითი შედეგი: კანცლერმა ვორონცოვმა ერეკლე II-ს დაუდასტურა იმპერატორის მფარველობა და წერილში იგი ქართლ-კახეთის მეფედ მოიხსენია, რაც რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანებისა და მემკვიდრეობის

¹⁹ ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 157-162; გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 75-76.

²⁰ პაპუნა ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 222.

²¹ გ. მაჭარაძე, *მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის*, II (თბილისი, 1968), გვ. 41.

²² გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 79-81.

²³ გ. მაჭარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 42-93, 132-135; მ. სამსონაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 128-131; მ. ბუღეიშვილი, დასახ. ნაშრომი; ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი, მეფის ირაკლს დროის ცოცრება ანბები, ანუ ზოგიერთი მამინდელი პირნი, *ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის*, I (თბილისი, 1914) და სხვ.

²⁴ გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 83-84.

უფლებით მეფედ ერეკლეს აღიარებას ნიშნავდა. ეს დიდი წარმატება იყო და იმდროინდელმა ქართულმა საზოგადოებამაც ასე შეაფასა. ამით რუსეთმა უარი თქვა მოსკოვში მცხოვრებ ვახტანგ VI-ს შთამომავლებისათვის, როგორც ქართლის ტახტის კნონიერი მემკვიდრეებისათვის დახმარებაზე²⁵.

ამრიგად, XVIII საუკუნის 60-იანი წლებისათვის ერეკლეს პოლიტიკის წყალობით ქართლ-კახეთის საგარეო მდგომარეობა შედარებით განმტკიცდა, მაგრამ ქვეყნის შიგნით ვითარება კვლავ არასამძლე იყო: მეფის მოწინააღმდეგენი ამჯერად ვახტანგ VI-ის უკანონო ვაჟის – პაატას გარშემო გაერთიანდნენ და კვლავ დააყენეს ქართლის ტახტზე მუხრანელ ბაგრატიონთა გამეფების საკითხი.

თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ, 1762 წლიდან ერეკლე ქართლ-კახეთის სამეფოს ერთპიროვნულ და ოფიციალურად აღიარებულ ხელისუფლად იქცა და უმაღლესი „გარდამავალი პერიოდისათვის“ დამახასიათებელი კომპრომისული პოლიტიკა ქართლელი ფეოდალების მიმართ; იგი უკვე „ყოველი საქართველოს“ აღსადგენად ემზადებოდა და ამ სამზადისმა სოციალური სფეროც მოიცვა: საგადასახადო რეგლამენტაცია, „უღების დაღების“ მოხსნა, ბატონყმური რიგის დაცვა, ფეოდალებისაგან სახელმწიფო და სამეფო სამსახურის მოთხოვნა, 1765 წელს თელავში გამოცხადებული მანიფესტი ტყვეობიდან დაბრუნებულთათვის თავისუფლების მინიჭების შესახებ და სხვ. ეს ყველაფერი მიანიშნებდა სახელმწიფო დისციპლინის ოფიციალურ განმტკიცებაზე, რაც ფეოდალური არისტოკრატისათვის მიუღებელი აღმოჩნდა და მუხრანელი ბაგრატიონების მომხრეთა ბანაკში წინააღმდეგობის ახალი ტალღის გამომწვევი მიზეზიც გახდა²⁶. ეს წინააღმდეგობა 1765 წლისათვის გადაიზარდა საკმაოდ კარგად ორგანიზებულ შეთქმულებათ;

შეთქმულთა შორის ორი ძირითადი დაჯგუფება გამოიკვეთა: მთავარი და წამყვანი ძალა – ე. წ. არისტოკრატული ფენა (შედგებოდა ძირითადად ქართლელი თავადებისაგან, თუმცა, სავარაუდოდ, მასში კახელი ფეოდალებიც იყვნენ გარეულნი) და დემოკრატიული ფენა (გლეხები და მოქალაქეები). ამ დაჯგუფებაში აღმოჩნდა ცნობილი აშული საიათნოვაც²⁷. სამწუხაროდ, დღემდე არ არის მიკვლეული „განჩინების“ დედანი, სადაც შეთქმულების მონაწილეთა სია აუცილებლად იქნებოდა დაცული, თუმცა, როგორც ლ. ტუხაშვილი აღნიშნავს, ყველა ის პიროვნება, ვისი ვინაობაც ნარატიულმა ძეგლებმა თუ XVIII საუკუნის კვინკლოსებმა შემოგვინახეს – დიმიტრი ამილახვარი, ალექსანდრე ამილახვარი, ელიზბარ თაქთაქიშვილი, გლახა ციციშვილი, დავით აბდულაბეგის ძე და სხვ. – ქართლელია.

პაატა ბატონიშვილისა და მის მიერ ორგანიზებული შეთქმულების შესახებ ისტორიულ წყაროებში მეტად მწირი მონაცემებია შემონახული; ნიშანდობლივია, რომ ომან ხერხეულიძე, რომელმაც დეტალურად აღწერა ერეკლეს მეფობის ხანა, სავსებით შეგნებულად ერიდება ამ თემაზე საუბარს²⁸. რაც შეეხება პაპუნა ორბელიანს, მისი თხზულების ქრონოლოგიური ჩარჩოებში უშუალოდ შეთქმულების ეპიზოდი ვერც მოხვდებოდა, თუმცა მასში ვხვდებით რამდენიმე ცნობას პაატა ბატონიშვილის „ურჩობის“ შესახებ²⁹. თეიმურაზ ბატონიშვილის „ახალ ისტორიაში“ ძალზე მოკლედ არის გადმოცემული შეთქმულების გამჟღავნება, საჯარო სასამართლო და დამნაშავეთა დასჯა³⁰. ნარატიული წყაროების ამ ნაკლს შეძლებისდაგვარად ავსებს სხვა სახის დოკუმენტური მასალა, რაც საფუძვლად დაედო ქართველ მკვლევართა ნაშრომებს. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს შეთქმულების დეტალური განხილვა (ეს საკითხი უკვე გაშუქებულია სამეცნიერო ლიტერატურაში). ჩვენი ინტერესის საგანია კონკრეტულად ალექსანდრე ამილახვრის მსოფლმხედველობის პროგრესულობისა და პირადად ერეკლე II-ის მიმართ მის დამოკიდებულების საკითხი.

სავარაუდოდ, 1762 წლისათვის მეფის საწინააღმდეგო ოპოზიციური დაჯგუფება უკვე რეალურად ჩამოყალიბებული იყო: როგორც იოსებ ემინის ავტობიოგრაფიიდან ჩანს, თავისი სამოქმედო გეგმა პაატა ბატონიშვილს 1765 წელზე გაცილებით ადრე ჰქონდა შემუშავებული, რასაც ადასტურებს ემინის ცნობა პაატას მიერ მისთვის თანამშრომლობის შეთავაზების თაობაზე. ლ. ტუხაშვილის მართებული დასკვნით, ეს 1763 წლის აპრილიდან 1764 წლის გაზაფხულამდე უნდა მომხდარიყო, ანუ იმ პერიოდში, როცა ემინი საქართველოში იმყოფებოდა, რადგან ამის შემდეგ ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებისათვის ერეკლე II-მ ემინი ქვეყნიდან გააძევა, ეს უკანასკნელი შეთქმულების მომენტში ჭარში იმყოფებოდა³¹.

²⁵ ვ. მაჭარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 113; გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.
²⁶ ლ. ტუხაშვილი, *რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში* (თბილისი, 1983), გვ. 83.
²⁷ იქვე, გვ. 110; ა. იოსელიანი, პაატა ბატონიშვილის შეთქმულებისადმი საიათნოვას დამოკიდებულების საკითხისათვის, *კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები* (თბილისი, 1966), გვ. 357-364.
²⁸ ომან ხერხეულიძე, *მეფობა ირაკლი მეორისა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ლ. მიქიაშვილმა (თბილისი, 1989), გვ. 34.
²⁹ პაპუნა ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 191, 196.
³⁰ თეიმურაზ ბაგრატიონი, *ახალი ისტორია*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ლ. მიქიაშვილმა (თბილისი, 1983), გვ. 52.
³¹ ლ. ტუხაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

გეგმის თანახმად, შეთქმულებს უეცარი შეტევით უნდა აეღოთ მეფის სასახლე და ერთიანად – დედა-წულიანად (!) ამოეწყვიტათ სამეფო ოჯახი; შეთქმულები მთელ იმედებს დარტყმის მოულოდნელობაზე ამყარებდნენ. რაც შეეხება მათ მიერ ამ გამოსვლისათვის შერჩეულ თარიღს – დეკემბრის თვეს, აქაც გარკვეული გათვლა იყო: საზამთროდ მეფის ოჯახის თავმოყრა თბილისში, ჩრდილოეთის გზების ჩაკეცვა ზამთრის პირობებში და შესაბამისად – პაატასთვის არასასურველი აღექსანდრე ბაქარის ძის სწრაფად ჩამოსვლის შეუძლებლობა და ა. შ.³².

სადავო არ არის, რომ პაატა ბატონიშვილი თავისთავად საინტერესო და მრავალმხრივი პიროვნებაა, ისიც ნათელია, რომ პრიმიტიულად მოაზროვნე და გაუნათლებელი ადამიანი ვერ მოახდენდა ზეგავლენას საზოგადოების საკმაოდ მრავალფეროვან ნაწილზე, თუმცა გასაკვირია მისი გადაჭარბებული და გარკვეულწილად შელამაზებული შეფასება ზ. ჭიჭინაძის მიერ, რომელიც მიიხნევდა მას პროგრესულ მოღვაწედ, ერეკლე II-ის მიერ შემუშავებული საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის ახალი, უფრო სწორი მიმართულების მთავარ იდეოლოგად („ამ პირებმა ეს იმიტომ განიზრახეს, რადგანაც ისინი ამჩნევდნენ, რომ ერეკლე მეფის მეფობა საქართველოს დასაღუპად გარდაიქცეოდა“, რომ „საქართველოსთვის საჭიროა შორსმხედველი მეფე, განათლებული და ევროპის სახელმწიფო წესებით მცნობიო“ და ა.შ.)³³. ბუნებრივია, ზ. ჭიჭინაძე გამოხატავდა XIX საუკუნის ქართული ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის პოზიციას, ხოლო იმას, თუ რამ განაპირობა ამგვარი შეხედულებების ჩამოყალიბება, საინტერესოდ განმარტავს ლ ტუხაშვილი: „XIX საუკუნის მოღვაწეთა თვალში სახელოვანი ერეკლე II „სახელგატეხილია“; საქმე ის არის, რომ იმდროინდელი ქართველი ნაციონალური ბურჟუაზიის აზრით, ამ მეფის საგარეო პოლიტიკას მთავარ შედეგად ქართული სახელმწიფოებრიობის დაცემა მოჰყვა, ამიტომაც ნაციონალისტურად განწყობილი ინტელიგენცია ცდილობდა გამოსავლის ძიებას. ამ „პატრიოტულ“ მისწრაფებაში ყველაზე კუროსული ის იყო, რომ ეს ძიება ერთი საუკუნის შემდეგ ხდებოდა, როდესაც დიდი ხნის „გადაბრუნებული ურმის“ მიღმა კარგად გამოჩნდა გზა, რომელზეც შეეძლო ამ ურემს „გადაუბრუნებლად“ გაეგლო. ერეკლე II-ის ასეთი კრიტიკა დაიწყო გასული (XIX) საუკუნის დასასრულიდან“³⁴.

არ გამოვირცხავთ, რომ ერეკლე II-ის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება სულაც აღექსანდრე ამილახვრის პოლიტიკური პამფლეტების ზეგავლენის შედეგიც ყოფილიყო. შეთქმულების მონაწილეთა მიმართ სასამართლომ მკაცრი განაჩენი გამოიტანა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა მეფის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი: ერეკლე II-ს ერთპიროვნულად არ მიუღია გადაწყვეტილება – საქმე საჯაროდ იქნა განხილული გაფართოებულ დარბაზობაზე; უჩვეულო იყო თვით „დარბაზის“ შემადგენლობა – როგორც აღ. ორბელიანი წერს აქ იყვნენ „ქართლ-კახეთიდან თავადაზნაურნი და პირველი სახლის შვილნი გლეხნი, რაც მთებში პირველნი კაცნი ყოფილან“, შეკრებილან აგრეთვე „სასულიერო წოდება და მთელი საეროვანი“. გამოძიება 10 დღეში დასრულდა. შემთხვევითი არ ყოფილა ერეკლეს გადაწყვეტილება ამგვარი გაფართოებული, საჯარო სასამართლოს მეშვეობით საქმის გარჩევის თაობაზე: ამ სხდომაზე ფაქტიურად ირჩეოდა არა პაატა ბაგრატიონის დანაშაული, არამედ ზოგადად ქართლის ტახტის პრეტენდენტთა ლეგიტიმურობის იურიდიული საბუთიანობა³⁵. საგულისხმოა, რომ მეფე არა ბრალმდებლის, არამედ მომხივანის როლში წარსდგა და დაჩოქილმა მოახსენა სასამართლოს თავისი საჩივარი. აღ. ორბელიანის გადმოცემით, თავის გამოსვლაში ერეკლე ასაბუთებდა საკუთარ უფლებებს ქართლის ტახტზე, აღნიშნა, რომ „თავისი ხმლით დაიცვა ქართლი“ და ამისთვის სისხლი არ დაუზოგავს („ღმერთს თავდებად გაძღვევთ, თუ ჩემზე უკეთეს მეფეს იშოვით საქართველოს ბედნიერებისათვის, მე ჩემს გვირგვინს იმას დაულოცავ“). ანალოგიურად აღწერს ამას იოსებ ემინი. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი არგუმენტი იყო კახი ბაგრატიონებისადმი ქართლის საზოგადოებრიობის ღოიადობის მოსაპოვებლად... გაუთავებელი ომიანობისაგან დაღლილ მოსახლეობას სიმშვიდე ენატრებოდა, სიმშვიდის გარანტია კი ერეკლე II ხელისუფლების სიმტკიცე იძლეოდა მხოლოდ³⁶.

ერეკლეს საჩივარში განიხილებოდა უმძიმესი ბრალდება – მეფის ოჯახის მთლიანად (ქალ-ბავშვიანად) ამოწვევა, რის შესახებაც შეკრებილთ ხმამაღლა წაუკითხეს პაატას წერილები თავის კახელ თანამოაზრებთან. ამან იმდენად აღაშფოთა მთის წარმოგზავნილები, რომ მოისურვეს ადგილზევე გასწორებოდნენ განსასჯელებს. პატრიარქმა ანტონმა საჯაროდ შეაჩვენა

³² ლ. ტუხაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 119-120.

³³ ზ. ჭიჭინაძე, *საქართველოს შესახებ ევროპიელ მოძღვართა და მოგზაურთა ცნობები, ვახტანგ მეფის წერილები საფრანგეთის მეფესთან, მეფე ერეკლეს მიწერ-მოწერა ინგლისის წარმომადგენელთან და ქართველი კათოლიკენი* (ტფილისი, 1895), გვ. 34-37.

³⁴ ლ. ტუხაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114-115.

³⁵ იქვე, გვ. 123.

³⁶ იქვე; აღ. ჯამბაკურ-ორბელიანი, *შეთქმა მეფის ირაკლის მეორეზე საქართველოში*, *ცისკარი*, №4 (თბილისი, 1859).

ნა შეთქმულები; „განჩინების“ ძალით „მოჰკვეთეს პაატას თავი და დაწვეს ცეცხლსა შინა თავი თავის შვილი ელისბარ და დიმიტრი პატიმარ ჰყვეს და შეურაცხყვეს აღჯდომითა მისითა კარაულსა ზედა, და მოჰკვეთეს ძესა მისსა ალექსანდრეს ცხვირი და გლახა ციციშვილსაცა მოჰკვეთეს ენა“³⁷. როგორც აღვნიშნეთ, „განჩინების“ დედანი არ შემონახულა (მისი შედარებით ვრცელი ვარიანტი მოცემული აქვს ალ. ორბელიანს).

დამნაშავეები მართლაც რომ მკაცრად დაისაჯნენ, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომელ ეპოქაზე ვსაუბრობთ: XVIII საუკუნეში ძნელად მოიძებნება მოწინავე, ძლიერი და განვითარებული სახელმწიფო, სადაც მეფის ოჯახიანად ამოწვევების მსურველთ მსუბუქ სასჯელს აკმარებდნენ (დღემდე რუსეთის ისტორიაში სამარცხვინო ლაქად შემორჩა რომანოვების ოჯახის მიმართ გამოჩენილი სისასტიკე).

შეთქმულთა შორის ერეკლეს ყველაზე აქტიური მოწინააღმდეგე იყო დიმიტრი ამილახვარი, ხოლო მისი ვაჟი, ასევე შეთქმულების მონაწილე – ალექსანდრე შემდგომში ცნობილი გახდა თავისი ორი თხზულებით „ბრძენი აღმოსავლეთისა“³⁸ და „გეორგიანული ისტორია“³⁹.

1779 წელს პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა „გეორგიანული ისტორია ჭაბუკ თავად ამილახვარზე“. ეს თხზულება ეძღვნება გრ. პოტიომკინს, ტექსტის ქართულიდან რუსულად თარგმნა და რედაქტირება ეკუთვნის რუსეთში მოღვაწე ქართველ მწერალს, მთარგმნელსა და დიპლომატს სიმონ იაგორის ძე ეგნატაშვილს (იგნატიევს). ავტორი მოგვითხრობს საკუთარ თავგადასავალს XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლის პოლიტიკური ისტორიის ფონზე და, როგორც მოსალოდნელი იყო, უარყოფითად აფასებს ერეკლე II-ს მთელ მოღვაწეობას და მისი, როგორც შეუზღუდველი თვითმპყრობელი მმართველისადმი, სიძულვილით არის გამსჭვალული. ორივე თხზულება განსაკუთრებით საინტერესოა ავტორის პოლიტიკური შეხედულებების დასახასიათებლად. სწორედ მისი თხზულებების მეშვეობით შევეცადეთ დაგვედგინა რამდენად პროგრესულია ალ. ამილახვრის მსოფლმხედველობა და ობიექტურია თუ არა ავტორის პოზიცია ერეკლეს მმართველობის შეფასებისას.

ალ. ამილახვრის ნაშრომებში ზოგადად მართლაც არის ასახული ფრანგი განმანათლებლების ზოგიერთი პროგრესული იდეა, მაგრამ ეს იდეები ნაკლებად უკავშირდებიან ავტორის პრაქტიკულ მოღვაწეობას.

ჩვენი ყურადღება მიიქცია რამდენიმე შეუსაბამობამ (სახგასმა ყველგან ჩვენია):

1. „გეორგიანული ისტორიის“ დასაწყისშივე ალ. ამილახვარი მოკლედ გადმოგვცემს ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიულ მიმოხილვას და იქვე წერს: „ახლა იქ არც ერთი სოფელი არაა დარჩენილი დაურბეველი და მთელი მოსახლეობა შემუსვრილია; ყოველივე ეს მოხდა ახლანდელი მეფის დროს, მანამდე საქართველო აყვავებული იყო. ყოველ თავადიშვილს შეეძლო... ბრძოლის ველზე 10-დან 13 ათასამდე ჯარისკაცი გამოეყვანა... დღეს კი მთელ ქვეყანას 5 ათასი მეომრის შენახვაც აღარ შეუძლია. შუდლისა და რბევის წყალობით მოსახლეობის ერთი მეოცდაათედიც კი ვერ გადარჩა. ჩვენი ახლანდელი მეფე ცდილობს, რომ ქვეყანა დააუძღუროს და შუდლით გასთიშოს, რათა იგი ტახტიდან არ ჩამოაგდონ მისი ბოროტმოქმედებისათვის“⁴⁰.

2. ძალიან „თავისებურად“ გადმოსცემს ავტორი საქართველოს ისტორიის იმ მონაკვეთს, სადაც საუბარია ვახტანგის მეფობაზე, გივი ამილახვარზე, შანშე ერისთავსა და ა. შ. ანუ XVIII საუკუნის I ნახევრის ისტორიას; საილუსტრაციოდ გთავაზობთ მხოლოდ რამდენიმე ამონარიდს:

„ჩვენი ქვეყანა გაყოფის შემდეგ წილად ხვდა სპარსეთის შაჰს... მაგრამ კახეთი, რომელიც ჩვენთან ერთად სპარსელებს ერგო, გამოეთიშა ჩვენს ქვეყანას, მას თავისი მეფე ჰყავდა. ქართლის სამეფო ხშირად ცდილობდა კახელების დამორჩილებას და იპყრობდა კიდევ მათ, მაგრამ სპარსელების დახმარებით ისინი ხელახლა გვეთიშებოდნენ... და მრავალი მეფე გამოიცვალეს... მაშინ ჩვენმა მეფემ (ვახტანგ VI – ლ. მ.)... წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია ამდენ მტერს და მთელი ქართლი თურქეთის სულთანს მისცა, რათა იგი სპარსელებსა და კახეთის მფლობელებს არ დარჩენოდა, ხოლო თვით რუსეთში გადასახლდა“⁴¹.

3. აღსანიშნავია, რომ თამარ დედოფლის შესახებ ავტორი ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებს აკეთებს: ჯერ აღნიშნავს, რომ „ამ ქალმა თავისი მოხერხებული თხოვნითა და აღერსით ყველა დააჯერა, რომ შაჰისთვის მისი მმართველად დაყენება ჩაეგონებინათ“, შემდეგ წერს, რომ როდესაც მისი მამა-ბიძა თეიმურაზს განუდგნენ, „ჩვენმა უფლისწულებმა ვერ შეძლეს რუსეთიდან წამოსვლა, ჩვენებს კი ბრძოლის დაწყება მოუხდათ სპარსეთის შაჰის წინააღ-

³⁷ თეიმურაზ ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

³⁸ ალექსანდრე ამილახვარი, *ბრძენი აღმოსავლეთისა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ვ. კიკნაძემ (თბილისი, 1997).

³⁹ *История Georgianская о юноше...*, დასახ. გამოცემა.

⁴⁰ ალექსანდრე ამილახვარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

⁴¹ იქვე, გვ. 37-39.

მდეგ, რომელმაც თამარ დედოფლისა და მისი ქმარ-შვილის ჩაგონებით, ჯარი შემოგვისია“, და ბოლოს, იგივე თამარ დედოფალს ერთადერთ სანდო პიროვნებად ასახელებს, ვის ფიცსაც გივი ამილახვარი პატივს სცემს, თუმცა ორიოდვე გვერდის შემდეგ თამარ დედოფალს უკვე მოღალატედ და ფიცის გამტეხად იხსენიებს⁴².

4. ნიშანდობლივია, რომ თეიმურაზის ელჩობასთან დაკავშირებით, ალექსანდრე ამილახვარი ასეთ შენიშვნას გვთავაზობს სქოლიოში: „Царевна Грузинская, называемая Тамар) которая была еще при отце своем - царе Вахтанге отдана в замужество за владельца Кахетинского именем Теймураса, брата вышеупомянутого Константина, разорителя нашей земли, и который по причине сего брака зделался Царем Грузинским, а наконец обманут от своего сына и выслан в Россию, где и умер“⁴³.

5. „იმითაა ბედნიერი ქართლ-კახეთის მეფედ წოდებული ერეკლე, რომ სპარსეთი გათიშულია, რომ სპარსეთის ტახტზე არ ზის შაჰი, რომელსაც შეეძლება საქართველოს სამეფო დაიცვას თვითნებობისა და სამართლის შებღალტვისაგან; თუ სპარსეთში არეგ-დარევა არ დაწყებულიყო, ერეკლე ქართლ-კახეთს ვერ დაეფუძლებოდა შაჰისა და დიდგვაროვანი ქართველი თავადების ნებადაურთველად. იგი თავის თავს ქართლის მეფეების მემკვიდრედ სთვლის დედის მხრით, მაგრამ ნამდვილად ამის უფლება არა აქვს, ვინაიდან, ჩვენი კანონით, ქალი მემკვიდრედ არ ითვლება“⁴⁴.

6. თხზულების დასასრულს ალ. ამილახვარი კიდევ უფრო „საინტერესო“ დასკვნას გვთავაზობს: „...თავს გააწირავდი ჩემი სამშობლოსათვის, თუ იგი კეთილდღეობაში ყოფილიყო, მაგრამ ახლანდელი მისი მფლობელი, ჩვენი ერეკლე, მას არა თუ არ იცავს, პირიქით, აწიოებს... თავის ქვეყანა ისეთ სიღატაკეში ჩააგდო, რომ უსახელოვანესი ერი უბეჩავეს მდგომარეობაში იმყოფება; საქართველოს სამეფო კი დღეს უბრალო სამთავროდაც კი ვერ ჩაითვლება, რასაც მთელი იქ დაბანაკებული რუსის ჯარი დაამოწმებს... სამწუხაროა მხოლოდ, რომ რუსებს ჩვენი ქვეყანა არ უნახავთ მისი დამრბევლის გამეფებამდე; დიდს განსხვავებას აღმოაჩენდნენ მის წინანდელ და დღევანდელ მდგომარეობას შორის და შეიბრალებდნენ სახელოვან ერს, დამხობილს მისივე თანამემამულეების მიერ; მაგრამ... ჩემს თავს ბედნიერად ვთვლი და ზენაარს მადლობას ვწირავ, რომ ჩემი მტრისაგან მისხნა და ისეთ სახელმწიფოში მომიყვანა, სადაც დედოფალი მეფობს, ვითარცა ნამდვილი დედა: გულმოწყალე, მზრუნველი და მფარველი თავისი ქვეშევრდომებისა. ამ ბრძნული მმართველობის ქვეშ... მსცოვანნი მის მიერ უზრუნველყოფილნი არიან, ყრმანნი – გამხიარულებულნი, ობოლნი გამოზრდილნი, ქვრივნი შენახულნი, მხედარნი გამხნეებულნი, ხოლო წინააღმდეგომნი მის ფეხქვეშ გართხმულნი...“; „აწ მეც მის ფერხთ ქვეშ ვვარდები და ვიმედოვნებ, რომ ყოვლად ბრძენი თქვენი დედოფალი მოწყალეებას მოიღებს და ჩემზეც განავრცობს თავის დედობრივ მზრუნველობას...“⁴⁵.

ცოტა უცნაურია რუსული „სამოთხისათვის“ ხოტბის შესხმა, მაშინ როდესაც ალ. ამილახვარი მხურვალედ გულშემატკივრობდა პაატა ბატონიშვილს (ამ უკანასკნელის იდეებმა მასზე დიდ ზეგავლენაც მოახდინეს), რომელიც თავის ცნობილ წერილში აღშფოთებით საუბრობს რუსეთზე და მის ბიუროკრატიულ მმართველობაზე⁴⁶.

მსგავსი მაგალითები უხვად არის მიმოხილული „გეორგიანულ ისტორიაში“, და ვფიქრობთ, ავტორის ამგვარი აზროვნების ნიმუშებს ვედარ გააბათილებს მისივე დასავლურ-განმანათლებლური იდეებით გამსჭვალული ტრაქტატი „ბრძენი აღმოსავლეთისა“: საკამათო არ არის, რომ ამ ნაწარმოების მიხედვით ავტორი გვევლინება „ვეროპელ მოაზროვნეთა მიმდევრად და მათი იდეების დამცველად... განათლებულ, მოაზროვნე ჰუმანისტად“ და ა. შ.⁴⁷. მაგრამ როგორ შევათავსოთ ერთმანეთთან ალ. ამილახვრის ჰუმანისტური მსჯელობა სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებით („რაც შეეხება დამნაშავეთ, მათ ყოველივე უნდა ზღონ დამსახურებისამებრ. იმას კი ნუ წავართმევთ, რისი მიცემაც არ შეგვიძლია, და თუ თითონ სხვისთვის წაერთვას [სიცოცხლე], მაშინ კანონის შესაბამისად [დამნაშავეს] ამის ზღვევაც მართებს. ძველი კანონების მიხედვით სისხლი – სისხლისა წილ და ა. შ. და რომელიც არც ბუნების კანონს ეწინააღმდეგება. და მაინც, ამ შემთხვევაშიც კი, ვფიქრობ, თუ [დამნაშავეს] სიცოცხლეს შევუნარჩუნებთ და სამუდამო გადასახლებას მივუსჯით [უფრო სწორი იქნება], რადგან სიცოცხლის წართმევა ყველას შეუძლია, [მკვდრეთით] აღდგინება კი – არავის“) ⁴⁸ და ის, რომ იგი აქტიურად მონაწილეობს შეთქმულებაში, რომლის მიზანია მეფის ოჯახის ამოწყვეტა მცირეწლოვანი ბავშვების ჩათვლით?

42 იქვე, გვ. 42, 44-45, 48-49.

43 *История Георгианская о юноше...*, с. 33.

44 ალექსანდრე ამილახვარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

45 იქვე, გვ. 107-108, 109.

46 ლ. ტუხაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

47 ალექსანდრე ამილახვარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

48 იქვე, გვ. 22.

ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ნაკლებ სარწმუნოა ალექსანდრე ამილახვრის მტკიცებაც საკუთარი უდანაშაულობის თაობაზე: შეთქმულებაში მისი მონაწილეობა დღეისათვის დადგენილი ფაქტია და ამაზე არავინ დაობს. ამ მხრივ ნიშანდობლივია მის მიერ გამოყენებული ცნობილი მეთოდი პაატა ბატონიშვილთან პირისპირ შეხვედრისას: „როგორც კი ბატონიშვილთან შემიყვანეს, არავის ლაპარაკი არ დავაცალე, მაშინვე ვკითხე, როდის იყო, რომ ან თქვენ ჩვენთან, ან ჩვენ თქვენთან მეფის მკვლელობაზე გვეთქვას რამე-მეთქი (ამით მან პირდაპირ მიანიშნა პაატას, თუ როგორი უნდა ყოფილიყო პასუხი – ლ. მ.). მან მიპასუხა, ერთი ღმერთია მოწამე, რომ არც თქვენ, არც მე არაფერი არ გვეთქვამს მის მკვლელობაზეო. თუ ეს მდომებოდა, ხშირად მქონდა ამის შემთხვევა, როცა ღამე ერთად გაგვითევია კარავშიო“⁴⁹. მაგრამ სხვა წყაროების თანახმად, პაატამ არათუ აღიარა მეფის მოკვლის განზრახვა, არამედ საჯაროდ გამოხატა სინანული იმის გამო, რომ ეს ვერ განხორციელდა⁵⁰.

ასევე უსაფუძვლოდ გვეჩვენება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდი ალ. ამილახვრის ანტირუსული ორიენტაციის თაობაზე⁵¹. ეს უკანასკნელი თავადვე აღნიშნავს, რომ ერეკლემ მათ ოჯახს შესთავაზა „რომელიმე უცხო ქვეყანაში გაიხიზნეთ ჩემს ხარჯზეო“, რაზეც უარით უპასუხეს⁵²; აქედან გამომდინარე, გაუგებარია მომდევნო გვერდებზე მის მიერვე ვრცლად და ემოციურად გადმოცემული ამბავი, თუ რა დიდი განსაცდელის ფასად მოახერხა თბილისიდან გაპარვა (?). ამის შემდეგ იგი ცხინვალის მახლობლად ხვდება სოლომონ I-ს, რომელიც სთავაზობს: „თუ გნებავთ, ჩემს სამეფოში გადაგიყვანთ და ღრობით სოფლებს მოგცემთ, ხოლო თუ ეს არ გსურთ, სადაც გინდათ, იქით გაგისტუმრებთ“; და ალ. ამილახვარი სპარსეთში წასვლას ირჩევს, „ვინაიდან შაჰს შეუძლია არა მარტო ჩვენი ქონება დაგვიბრუნოს, არამედ ჩვენი დამრბეველიც დატუქსოს...“; თუმცა, იქვე, ყოველგვარი კომენტარის გარეშე, თითქოსდა ანტირუსული ორიენტაციის ამილახვარი აღწერს, თუ როგორ გაემგზავრა რუსეთს და რა ბედნიერია, რომ იქ იმყოფება⁵³ (აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მისი ძმა იოანე სპარსეთში წავიდა).

ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ერეკლე II-ის პოლიტიკა უშეცდომო და ყოველმხრივ გამართლებული იყო, მაგრამ გვინდოდა ყურადღება გაგვემახვილებინა მოცემული ეპოქის სპეციფიკაზე, იმ ობიექტურ გარემოებებზე, რომლებსაც, მეფის დიდი მცდელობის მიუხედავად, მაინც სავალალო შედეგებამდე უნდა მიეყვანათ ქვეყანა და ეს ასეც მოხდა. რაც შეეხება ერეკლეს „დესპოტიზმს“, აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ: მეფისა და მისი ოჯახის წევრების მოღვაწეობა მოწმობს იმაზე, რომ ისინი სრული შეგნებით უდგებიან ქვეყნის მმართველობაში რეფორმების აუცილებლობას; ამის დასტურია თვით ერეკლეს მიდგომა კონკრეტული საკითხებისადმი: მაგ. ზემოთ აღწერილი სასამართლო პროცესი (დესპოტიზმსაკენ მიდრეკილ მეფეს ყოველგვარი სასამართლოს გარეშე შეეძლო შეთქმულთა დასჯა და არც არავინ შეედავებოდა), ან ერეკლეს რეაქცია ლეონ ბატონიშვილის დაღუპვაზე: „თუ მართლა ჩემი შვილი ლევან ხანჯლით გაგმირულია დედაკაცზე ქმრისაგან, ჭეშმარიტებას ვფიცავ, სახალხოდ ვათრევივებ“ და მართლაც საგანგებოდ შეამოწმებინა ეს ფაქტი და მხოლოდ ამის შემდეგ დაიტირა შვილი (ცალკე საკითხია, რომ არა უდიდესი დანაკარგი ვახტანგ და ლეონ ბატონიშვილების სახით, იქნებ მართლაც სხვაგვარად წარმართულიყო ქვეყნის მომავალი)⁵⁴. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მიუხედავად პირადი ტრაგედიისა თუ ქვეყნის მძიმე საშინაო ან საგარეო პოლიტიკური მდგომარეობისა, ერეკლეს მმართველობისას სამართლებრივი ინსტიტუტები გამართულად და ეფექტურად მუშაობდნენ⁵⁵; რაც შეეხება კანონმდებლობასა და დასავლურ ღირებულებებს, სამეფო ოჯახის წევრთა ნამოღვაწარი ამ მხრივ მართლაც რომ მათ პროგრესულ აზროვნებაზე მეტყველებს (მხედველობაში გვაქვს დავით და იოანე ბატონიშვილების ცნობილი ნაშრომები საკანონმდებლო სფეროში, თეიმურაზ ბატონიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა და ევროპულ სკოლასთან მისი სიახლოვე და სხვ.)⁵⁶. შესაბამისად, რეფორმების აუცილებლობაში სამეფო ოჯახი თავადაც იყო დარწმუნებული, თუმცა

⁴⁹ ალ. ამილახვარი, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

⁵⁰ ლ. ტუხაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 124.

⁵¹ გ. აკოფაშვილი, საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან საქართველოში XVIII საუკუნის დასასრულს, *ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, I (თბილისი, 1955), გვ. 283; ალექსანდრე ამილახვარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 116-117.

⁵² იქვე, გვ. 90-91.

⁵³ იქვე, გვ. 104-107.

⁵⁴ ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი, მეფის ირაკლის დროის..., გვ. 18-19.

⁵⁵ ლ. მიქიაშვილი, რამდენიმე დოკუმენტი ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წევრთა მიერ სასამართლო დავების გადაწყვეტის თაობაზე, *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, №2 (თბილისი, 2014).

⁵⁶ იოანე ბაგრატიონი, *სჯულდება, ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ (თბილისი, 1957); *სამოქალაქოს სჯულდები*, 2, ტექსტი, ლექსიკონი და საძიებლები გამოსცა დ. ფურცელაძემ (თბილისი, 1966); *სამართალი ბატონიშვილის დავითისა*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ (თბილისი, 1964); *Давить Багратионы, Обзорение Грузии по части прав и законовдения* (Тбилиси, 1959); და ა. შ.

გარემოებათა გამო ეს აღარ დასცალდათ; ამ გარემოებათა შორის არცთუ უმნიშვნელოა ვახტანგ VI-ის დროს რუსეთში გადასახლებულ ქართველ ემიგრანტთა როლი, რომელთა შესახებაც ნ. ბერძენიშვილი წერდა: „მეფის რუსეთი მარჯვედ სარგებლობდა ხელმწიფის ქვეშევრდომად ქცეული ქართველებით არა მარტო რუსეთის სასარგებლო განწყობილების პროპაგანდისათვის საქართველოში, არამედ პოლიტიკური ინტრიგებისათვის ქართლ-კახეთის მეფის წინააღმდეგ; ამ კოლონიიდან გამოდიოდნენ XVIII საუკუნეში ქართლის მეფობის მაძიებლები, რუსეთის დიპლომატიური მოხელეები საქართველოს მეფესთან და სხვა წვრილი პოლიტიკური აგენტები. ხოლო XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც მეფის რუსეთმა საქართველო რუსეთის გუბერნიად აქცია, ამავე კოლონიამ სამშობლოს არა ერთი პავლე ციციანოვი და დიმიტრი ორბელიანი მისცა“⁵⁷.

იმას, რომ რუსეთი უკიდურესად „რთული“ მეზობელი და პარტნიორი ქვეყანაა, თვალნათლივ ადასტურებს თანამედროვე პოლიტიკური ვითარება არა მარტო რეგიონის, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამიტომ დღეს, როცა „ურემი მართლაც დიდი ხნის გადაბრუნებულია“, სირთულეს აღარ წარმოადგენს ერეკლეს მმართველობის ობიექტური შეფასება იმ პოლიტიკური მოვლენების გათვალისწინებით, რომელთაც ჩვენი სტატიის ფორმატიდან გამომდინარე, აღარ ჩამოვთვლით.

რაც შეეხება ალ. ამილახვრის პროგრესულ იდეებს, ამის შესახებ ჯერ კიდევ გ. ქიქოძე წერდა: „...ეს პროგრესული და ჰუმანისტური აზრები არანაკლებ ცნობილი იყო იმ მოწინავე წრეში, რომელიც ერეკლე მეფეს ერტყა გარშემო, [ისევე] როგორც ის ცნობილი იყო ეკატერინე II-ისა და მისი თანამოდგავეებისათვის. მხოლოდ მათი განხორციელება ფეოდალურ საქართველოში არანაკლებ ძნელი იყო, ვიდრე ბიუროკრატიულ რუსეთში. პრაქტიკულად კი ალექსანდრე ამილახვრის პოლიტიკა დიდად მავნებელი იყო ქართველი ერისათვის იმიტომ, რომ თუ თავქარიანი და ავანტურისტულად განწყობილი ალექსანდრე ბატონიშვილი უცხო ძალების დახმარებით ქართლ-კახეთის სამეფოში შემოიჭრებოდა, თურქების ფაშები და ლეკების ბელადები მას მონტესკიეს და ჟან-ჟაკ რუსოს ტრაქტატებით არ შემოჰყვებოდნენ და არც ზოგიერთი მოღალატე ქართველი ფეოდალი დახვდებოდა დემოკრატიული და ჰუმანისტური იდეებით აღჭურვილი“⁵⁸. ჩვენი მხრიდან მხოლოდ დავამატებთ, რომ როგორც 1765 წლის შეთქმულების მონაწილე და სასჯელის შედეგად დაზარალებული, ალექსანდრე ამილახვარი უკიდურესად სუბიექტურად მსჯელობს, რაც მისი თხზულების, როგორც პირველწყაროს, მნიშვნელობას საგრძნობლად აკნინებს. რაც უმთავრესია, მის მსჯელობაში არ ჩანს საკითხებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა და სრულიად აშკარად იკვეთება მხოლოდ სუბიექტური, პირადი მტრობით განპირობებული სიძულვილი ერეკლე II-ის მიმართ.

ბიბლიოგრაფია

1. გ. აკოფაშვილი, საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან საქართველოში XVIII საუკუნის დასასრულს, *ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, I (თბილისი, 1955).
2. ალექსანდრე ამილახვარი, *ბრძენი აღმოსავლეთისა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გ. კიკნაძემ (თბილისი, 1997).
3. თეიმურაზ ბაგრატიონი, *ახალი ისტორია*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ლ. მიქიაშვილმა (თბილისი, 1983).
4. იოანე ბაგრატიონი, *სჯულდება, ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ (თბილისი, 1957).
5. ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, I (თბილისი, 1944).
6. ნ. ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, II (თბილისი, 1965).
7. მ. ბულეიშვილი, *ქართველი ეკლესიის მსახურები რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში* (თბილისი, 1991).
8. ა. იოსელიანი, პაატა ბატონიშვილის შეთქმულებისადმი საიათნოვას დამოკიდებულების საკითხისათვის, *კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები* (თბილისი, 1966).

⁵⁷ ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, I (თბილისი, 1944), გვ. 174-211.

⁵⁸ გ. ქიქოძე, *ერეკლე მეორე* (თბილისი, 1983), გვ. 128.

9. ვ. მაჭარაძე, *მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის*, II (თბილისი, 1968).
10. ლ. მიქიაშვილი, რამდენიმე დოკუმენტი ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წევრთა მიერ სასამართლო დავების გადაწყვეტის თაობაზე, *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, №2 (თბილისი, 2014).
11. პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ე. ცაგარეიშვილმა (თბილისი, 1981).
12. *სამართალი ბატონიშვილის დავითისა*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ (თბილისი, 1964).
13. *სამოქალაქოს სჯულთაგან*, ტექსტი, ლექსიკონი და საძიებლები გამოსცა დ. ფურცელაძემ (თბილისი, 1966).
14. გ. ქიქოძე, *ერეკლე მეორე* (თბილისი, 1983).
15. ვ. პაიჭაძე, ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან XVIII საუკუნის 50-60-იან წლებში, *ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან*, II (თბილისი, 1973).
16. მ. სამსონაძე, *საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში* (თბილისი, 1988).
17. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, IV (თბილისი, 1973).
18. ლ. ტუხაშვილი, *რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში* (თბილისი, 1983).
19. ნ. შოშიტაშვილი, *ვახტანგ VI* (თბილისი, 2015).
20. ი. ცინცაძე, ათანასე თბილელისა და სიმონ მაცაშვილის ელჩობა რუსეთში (1752-1754 წწ.), *საისტორიო მოამბე* (თბილისი, 1952).
21. ზ. ჭიჭინაძე, *საქართველოს შესახებ ევროპიელ მოძღვართა და მოგზაურთა ცნობები, ვახტანგ მეფის წერილები საფრანგეთის მეფესთან, მეფე ერეკლეს მიწერ-მოწერა ინგლისის წარმომადგენელთან და ქართველი კათოლიკენი* (ტფილისი, 1895).
22. ომან ხერხეულიძე, *მეფობა ირაკლი მეორისა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ლ. მიქიაშვილმა (თბილისი, 1989).
23. ივ. ჯავახიშვილი, *დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში* (თბილისი, 1919).
24. ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი, მეფის ირაკლს დროის ცოცოტა ანბები, ანუ ზოგიერთი მაშინდელი პირნი, *ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის*, I (თბილისი, 1914).
25. ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი, შეთქმა მეფის ირაკლის მეორეზე საქართველოში, *ცისკარი*, №4 (თბილისი, 1859).
26. Давид Багратион, *Обозрение Грузии по части прав и законовдения* (Тбилиси, 1959).
27. Бутков П. Г., *Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год*, 1 (СПБ, 1869).
28. *История Георгианская о юноше князе Амилахорове с кратким прибавлением истории тамошней земли от начала до нынешнего века, которую рассказывает Усим - купец анатольский сотоварищам своим между разными известиями* (СПБ, 1779).

LELA MIKIASHVILI

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

EREKLE II AND ALEXANDER AMILAKHVARI

Among the historical facts related to the legitimacy problem of reign of Erekle II in Kartli significant was the 1765 coup, where Alexander Amilakhvari was a participant. Later, he became known for his political writings, where he negatively characterized the king's entire career.

Based on historical sources and scientific literature the article discusses the issue of attitude of Alexander Amilakhvari to Erekle II and objectivity of his reasoning.

**წაღწეული ბასილ მჯობისძისა და ეფთვიმის მიერ მარიამ მოზელის
დაკვეთით იერუსალიმში გადაწერილი XII საუკუნის სვინაქსრის (H-886)
უცნობი ანდერძები, აღაპები და მინაწერები (ტიმსტების კუბლიკაცია;
კოდიკოლოგიური და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა)¹**

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექციაში 886-ე ნომრით დაცულია ეტრატზე დაწერილი სვინაქსარი, იგივე, H-886 ხელნაწერი, რომელიც სამეცნიერო საზოგადოების ყურადღებას, პირველ რიგში, იმით იპყრობს, რომ მის შედგენილობაში ანონიმი ქართველი ავტორის მიერ 1066-1070 წლებში შექმნილი ორიგინალური ჰაგიოგრაფიული თხზულების, წმ. პროხორე შავშელის „ცხოვრების“ სვინაქსარული რედაქციის ერთ-ერთი უძველესი ნუსხაა წარმოდგენილი².

2014 წელს H-886 ხელნაწერი საფუძვლიანად შევისწავლე. კვლევამ აჩვენა, რომ სვინაქსრის ფურცლებზე შესრულებულია ანდერძები, აღაპები და მინაწერები, რომლებიც სპეციალისტებისათვის აქამდე სრულებით უცნობი იყო. წინამდებარე ნაშრომში აკადემიური სახით წარმოვადგენ ამ ანდერძების, აღაპებისა და მინაწერების ტექსტებს, აგრეთვე, მათი კოდიკოლოგიური და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზის ძირითად შედეგებს.

I. სვინაქსრის სამეცნიერო შესწავლის ისტორია

**1. ლილი ქუთათელაძის მიერ ჩატარებული
კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური კვლევა-ძიება**

სვინაქსრის სამეცნიერო შესწავლის საქმეს ლილი ქუთათელაძემ ჩაუყარა საფუძველი. მკვლევარმა XX საუკუნის შუახანებში ხელნაწერის მეცნიერული აღწერილობა შეადგინა და ეს აღწერილობა 1951 წელს, H ფონდის ხელნაწერთა აკადემიური „აღწერილობის“ II ტომში გამოაქვეყნა.

აღწერილობაში სვინაქსრის ტექნიკური მონაცემები შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: „252 ფ.; 27,8X21; ეტრატი; ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა (ზედა გატეხილია); ნაკლული (დანაკლისი ზოგან აღდგენილია [XVII] საუკუნის ხელით – ქაღალდსა და ეტრატზე); დაზიანებული (აქა-იქ ფურცლები ამოცვენილია); ფ.ფ. 145, 187, 188 გაკერილია ძაფით, ტექსტის ზედა ნაწილი შემოჭრილია); ნუსხური... ხელნაწერს გააჩნია მოგვიანო გრაფიკული გამოსატულება ძაღლისა და თევზისა (29v, 30v)... მთარგმნელი – [გიორგი მთაწმიდელი]; შემოწირულია იოსებ ნიკოლოზის ძე წერეთლისაგან“³.

სვინაქსრის აღწერილობაში ხელნაწერის შედგენილობა მოკლედ არის დახასიათებული: „[სვინაქსარი]... „თუშსა სეკდემბერსა აქუს დღე ლ, დღეთა აქუს ჟამი იბ და ღამეთა ჟამი იბ. თუშსა სეკდემბერსა ა. – დაწყება ინდიკტიონისა, ესე იგი არს ახლისა წელიწდისა, და ვსენებად წმიდისა დისმშობელისა [მასინეს შინა] და ღვაწლთა ორმეოცთა დედათა მოწესე-მოწამეთა, რომელნი იყვნეს ერთსა მონასტერსა შინა და იწამნეს და მათ თანა იწამა ამონაცა დიაკონი...“ Ir-251v. წყდება:

¹ ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული პროექტის „ქართველთა საგანგებო და სამონასტრო თემი წმინდა მიწაზე XI-XVIII საუკუნეებში (არაბული ნარატიული და უნიკალური დოკუმენტური წყაროების მიხედვით)“ (HE15-025) ფარგლებში.

² ამასვე დღესაც მიცვალებად ნეტარისა მამისა ჩუენისა პროხორესი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, სვინაქსარული რედაქციები (XI-XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით (თბილისი, 1968), გვ. 345-346; ე. გაბიძაშვილი, ბიბლიოგრაფია ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, V, დასაბუჯდად მოამზადეს, გამოკვლევა, ბიბლიოგრაფია, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ, რედაქტორი მ. შანიძე (თბილისი, 1989), გვ. 235.

³ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), II, შედგენილია და დასაბუჯდად დამზადებული ლ. ქუთათელაძის მიერ, ი. აბულაძის რედაქციით (თბილისი, 1951), გვ. 258.

...და კანდიდატად აყუედრა ლიკინიოზ მეფესა, ვითარცა განმრყუნელსა ბერძენთა გუნდისასა, მიზეზითა ქრისტეანეთა დევნულებისათა, ხოლო მან რად აგრძნა ვითარმედ ქრისტეანე არს“... (თავიდან: „თუშსა აგვისტოსა ლ, წმიდისა მღვდელ-მოწამისა ფილონიდო ეპისკოპოსისა...“, „ამასვე დღესა სხვსაცა მოწამისა ანდრიანესივე...“). შენიშვნა: 1. შედარებულია სვინაქსართან № 1661-მ, იგი ზუსტად მისდევს მას. აკლია: ა. დასაწყისი: „სვინაქსარი, რომელ არიან კრებანი და წესნი და განგებანი, დაწესებულნი წმიდათა მღვდელთ-მოდღუართა მიერ...“. ბ. „განგებაჲ წმიდათა მარხვათაჲ კვრიაკითგან ყოველთა წმიდათა“. გ. საძიებელი „სახელები და რიცხვ დღესასწაულთაჲ და, თუ რომელთა დღეთა შინა დაეცადების, საქმე თითოეულისა თუსაჲ ესრეთ გუჭუწყოს“¹.

სვინაქსრის აღწერილობაში მისი გადამწერის ხელით შესრულებული არც ერთი ანდერძი არ არის ნახსენები, რის გამოც იქმნება მცდარი შთაბეჭდილება, რომ ხელნაწერს ანდერძები საერთოდ არ ახლავს. იმავედროულად, აღწერილობაში შეტანილია სვინაქსრისათვის დართული მოგვიანო ხანის ოცდასამი კოლოფონის ტექსტი, რომელთა უმეტესობა წერეთელთა სათავადო სახლის წევრების მიერ არის შესრულებული და XIX-XX საუკუნეებით თარიღდება².

დასახელებული ოცდასამი კოლოფონიდან საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ნუსხურით შესრულებული ორი კოლოფონი – ერთი ალაპი და ერთიც სავედრებელი მინაწერი, რომელთაგან პირველ კოლოფონში ამირეჯიბი შანშე, ხოლო მეორე კოლოფონში ამილახორი თაყა ზევდგინიძეა მოხსენიებული: „მინაწერები... 7. „ამა ნიკოლოზობასა ალაპი პატრონისა ამირეჯიბისა შანშესი, ვინცა მოშალოს, რისხავსცა მამა, ძე და სულიწმიდა[“]... 8. „დედაო ღთისაო, ქალწულო მარიამ, იხსენ ყოველთა ცოდვათაგან ამილახორი, ზევდგინიძე თაყა და მისი მეუღლე პატრონი...“³.

დასასრულ, აღვნიშნავ, რომ სვინაქსრის აღწერილობაში მისი გადამწერისა და მომგებლის ვინაობის შესახებ არაფერია ნათქვამი და მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ ხელნაწერი XII საუკუნეში იერუსალიმშია გადაწერილი: „სვინაქსარი... [XII ს.]... ადგილი – [იერუსალიმი]“⁴.

მართალია, სვინაქსრის აღწერილობაში ღილი ქუთათელაძეს პირდაპირ არ აქვს განმარტებული, თუ, კონკრეტულად, რა არგუმენტაციაზე დაყრდნობით გამოთქვა მოსაზრება ხელნაწერის გადაწერის დროისა და ადგილის შესახებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღნიშნული საკითხების გარკვევა რთული ამოცანა არ არის.

დავიწყებ სვინაქსრის გადაწერის ქრონოლოგიის საკითხით. ხელნაწერის აღწერილობაში მისი გადაწერის თარიღი (XII ს.) დაკუთხულ კავებშია ჩასმული. თავად დაკუთხული კავები, როგორც სპეციალური ტექნიკური ნიშანი, ქართული ხელნაწერი წიგნების აკადემიურ აღწერილობებში შესაბამისი წიგნის გადაწერის თარიღის, უფრო ზუსტად კი, საუკუნის მითითებისას ხშირად გამოიყენება და გვაუწყებს, რომ ამ ხელნაწერის ქრონოლოგია მისი ტექსტის პალეოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით არის განსაზღვრული. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ღილი ქუთათელაძემ სვინაქსარი XII საუკუნით მისი ტექსტის პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით დაათარიღა.

რაც შეეხება სვინაქსრის გადაწერის ადგილს, ამასთან დაკავშირებით, საინტერესო მითითებას გვაწვდის ღილი ქუთათელაძის მიერ აღწერილობისათვის დართული პირველი შენიშვნა, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ სვინაქსარი საგანგებოდ შეადარა H-1661 ხელნაწერს ანუ იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერში გადაწერილ 1155 წლის ჯრუჭის სვინაქსარს და დაადგინა, რომ მის მიერ აღწერილი სვინაქსრის შედგენილობა და ტექსტი სწორედ H-1661 ხელნაწერის შედგენილობასა და ტექსტს მისდევს: „შედარებულია სვინაქსართან №1661-მ, იგი ზუსტად მისდევს მას“⁵. ჩემი დაკვირვებით, ღილი ქუთათელაძემ სწორედ იერუსალიმში გადაწერილი H-1661 ხელნაწერისა და მის მიერ აღწერილი სვინაქსრის ურთიერთმიმართებაზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ სვინაქსარი, H-1661 ხელნაწერის მსგავსად, აგრეთვე, იერუსალიმში იყო გადაწერილი.

¹ იქვე.
² იქვე, გვ. 258-259.
³ იქვე, გვ. 259.
⁴ იქვე, გვ. 258.
⁵ იქვე. ბოლო პერიოდში H-1661 ხელნაწერის დათარიღების საკითხს საგანგებოდ შეეხო ვლადიმერ კეკელია, რომელმაც გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს ხელნაწერი არა 1155 წელს, არამედ 1155-1156 წლებშია გადაწერილი (ვლ. კეკელია, ქართულ სინდიკონებში დაცულ ჯვაროსანთა მოსახსენებლების პროსოპოგრაფიული შესწავლის საკითხისათვის, *საისტორიო კრებული*, 1, წელიწადუელი (თბილისი, 2011), გვ. 391-392). ჩემი დაკვირვებით, ვლადიმერ კეკელიას მიერ შემოთავაზებული დათარიღება მართებული არ არის და ამიტომ წინამდებარე ნაშრომში H-1661 ხელნაწერის გადაწერის თარიღად კვლავ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული 1155 წელი მექნება მოტანილი (შდრ.: მ. წურჭუბია, H1661 სვინაქსრის შესახებ, *საისტორიო კრებული*, 1, წელიწადუელი (თბილისი, 2011), გვ. 398-401).

2. ენრიკო გაბიძაშვილის მიერ ჩატარებული კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური კვლევა-ძიება

ლილი ქუთათელაძის შემდეგ სვინაქსრით ენრიკო გაბიძაშვილი დაინტერესდა. მკვლევარმა ხელნაწერთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი საფუძვლიანად განიხილა 1968 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „XI-XIV საუკუნეების სვინაქსარული ცხოვრებანი“, რომლის ერთ-ერთი ნაკვეთიც წმ. პროხორე შავშელის „ცხოვრების“ შესწავლას დაუთმო.

ენრიკო გაბიძაშვილმა, პირველ რიგში, გაარკვია, რომ წმ. პროხორეს „ცხოვრების“ ტექსტი ჩვენამდე მოღწეულ სულ ხუთ ხელნაწერ წიგნშია დაცული. ესენია: 1. XI საუკუნის II ნახევარში იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერში გადაწერილი და იმავე მონასტრისათვის განკუთვნილი იერუსალიმის სვინაქსარი (Jer.24-25); 2. 1155 წელს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გადაწერილი და მაცხოვრის აღდგომის ტაძრისათვის განკუთვნილი ჯრუჭის სვინაქსარი (H-1661)¹; 3. ჩვენთვის საინტერესო H-886 ხელნაწერი; 4. Q-105ა ხელნაწერი ანუ XVIII საუკუნის I ნახევარში, ჯერჯერობით, დაუდგენელ ადგილას გადაწერილი ჩხარული გულანის²; და ბოლოს, 5. Q-75 ხელნაწერი ანუ XIX საუკუნის დასაწყისში მარტვილის მონასტერში გადაწერილი დიდი სვინაქსარი³.

ენრიკო გაბიძაშვილმა სვინაქსართან დაკავშირებული საკითხების განხილვისას უპირობოდ გაიზიარა ლილი ქუთათელაძის მიერ გამოთქმული ორი მოსაზრება: 1. H-886 ხელნაწერი, მისი ტექსტის პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, XII საუკუნეშია გადაწერილი; და 2. სვინაქსარს მისი გადამწერის ხელით შესრულებული ანდერძები არ ახლავს: „H-886 ხელნაწერი... პალეოგრაფიული ნიშნებით XII საუკუნით არის დათარიღებული... თავბოლო აკლია და არავითარი ანდერძი არ გააჩნია“⁴.

პარალელურად ამისა, ენრიკო გაბიძაშვილმა მართებულად არ მიიჩნია ლილი ქუთათელაძის მიერ გამოთქმული მესამე მოსაზრება, რომლის თანახმადაც H-886 ხელნაწერი H-1661 ხელნაწერს ანუ ჯრუჭის სვინაქსარს „ზუსტად მისდევს“ და საპირისპიროდ ამისა, წმ. პროხორეს „ცხოვრებისათვის“ ბოლოში დართულ შენიშვნაზე დაკვირვების საფუძველზე (ამ შენიშვნაში წმიდანის ხსენებისა და ალაპის 17 იანვარზე დადების თაობაზეა საუბარი), დაასკვნა, რომ H-886 ხელნაწერი არა ჯრუჭის სვინაქსრიდან, არამედ ჯრუჭის სვინაქსრის დედნიდან ანუ იერუსალიმის სვინაქსრიდან არის გადაწერილი: „H-886 ხელნაწერი... გადაწერილია Jer.-24-25-დან. იგი შეიცავს იმავე ხსენებებსა და მასალას, როგორც H-1661 და Jer.-24-25 ხელნაწერები. პროხორეს სვინაქსარული ცხოვრების ბოლოს Jer.-24-25-ში დაცული შენიშვნის ნაწილი, რომელიც არ გადასულა H-1661-ში, H-886-ში ნაწილობრივ დაცულია. აქ გამოტოვებულია მხოლოდ ტრაპეზის „შეკაზმვისა“ და „ჟამის წირვის“ დეტალები: „ხოლო დავაწესეთ, რაფთა იანვარსა ი¹ზ გარდაიკვდიეს საკსენებელსა მისსა, ვინცა წინამძღუარ იყოს ჯუარისა მონასტერსა. ესე ამისთვის

¹ ენრიკო გაბიძაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმადაც 1155 წელს ჯვრის მონასტერში გადაწერილი ჯრუჭის სვინაქსარი იმთავითვე აღდგომის ტაძრის ანუ გოლგოთისათვის იყო განკუთვნილი, მოგვიანებით, ოლონდ, რატომღაც, ენრიკო გაბიძაშვილზე მითითების გარეშე, თითქმის უცვლელი სახით გაიმეორა ვლადიმერ კეკელიამ: ენრიკო გაბიძაშვილი – „[ჯრუჭის სვინაქსრის] გადამწერის, გიორგი დოდოსის ანდერძით ცნობილია, რომ ის გადაიწერა ჯვრის მონასტერში, საფიქრებელია, Jer.-24-25 ნუსხიდან. იგი განკუთვნილი ყოფილა ქრისტეს საფლავის ეკლესიისათვის, როგორც ამას ხელნაწერის ძირითადი ტექსტის ხელით მინაწერი ადასტურებს: „ესე სწინარი აღდგომის საფლავსა არს“ (ხაზი, აქაც და ქვემოთაც, ჩემია – თ. ჯ.) (ე. გაბიძაშვილი, XI-XIV საუკუნეების სვინაქსარული ცხოვრებანი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, სვინაქსარული რედაქციები (XI-XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით (თბილისი, 1968), გვ. 100); ვლადიმერ კეკელია – „H-1661 ხელნაწერი გიორგი დოდოსმა გოლგოთისათვის გადაწერა, გოლგოთის საკუთრება იყო და შესაბამისად, გოლგოთაზე ინახებოდა. ამას ხელნაწერის 2v გვერდზე არსებული მინაწერი მოწმობს. „ესე ს(ვ)ნ(ა)ქს(ა)რი აღდგ(ო)მის ს(ა)ფლ(ა)ვ(ი)სა არ(ი)ს“. მინაწერი ტექსტის ხელითაა შესრულებული, ამდენად, ძირითადი ტექსტის გადაწერის თანადროულია“ (ვლ. კეკელია, ქართულ სინდიკონებში დაცულ... გვ. 393). განსახილველი საკითხის თაობაზე განსხვავებული მოსაზრება აქვთ ელენე მეტრეველსა და მამუკა წურწუშიას, რომლებიც, შესაბამის არგუმენტაციაზე დაყრდნობით, ფიქრობენ, რომ ჯრუჭის სვინაქსარი თავდაპირველად არა აღდგომის ტაძარში, არამედ ჯვრის მონასტერში ინახებოდა და ის გოლგოთაზე მხოლოდ მოგვიანებით გადაიტანეს (ვლ. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი (მეცნიერული აღწერილობის ცდა), ელ. მეტრეველი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I (თბილისი, 2007), გვ. 129, 138; მ. წურწუშია, H1661 სვინაქსრის შესახებ, გვ. 401-406).

² Q-105ა ხელნაწერის შესახებ იხ.: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, I, შედგენილი ელ. მეტრეველისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ი. აბულაძის რედაქციით (თბილისი, 1957), გვ. 127-128.

³ ე. გაბიძაშვილი, XI-XIV საუკუნეების სვინაქსარული..., გვ. 100-101, 103-104. Q-75 ხელნაწერის შესახებ იხ.: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია, I, გვ. 90.

⁴ ე. გაბიძაშვილი, XI-XIV საუკუნეების სვინაქსარული..., გვ. 100-101, 103-104.

დავაწესეთ მუნ, რამეთუ მიცვალებიისა მისისა დღს უფროდჯერ მარხვათა მიხედების¹. როგორც ჩანს, H-886 ხელნაწერის გადამწერს პროხორეს ხსენების დღის შეცვლის ფაქტი უყურადღებოდ არ დაუტოვებია წინააღმდეგ H-1661 ხელნაწერის გადამწერისა, რომელსაც ეს შენიშვნა მთლიანად გამოუტოვებია. სამაგიეროდ, H-886-ის გადამწერს საჭიროდ არ მიუჩნევია ტრაპეზის „შეკაზმვის“ და პროხორესთვის „ჟამის წირვის“ დეტალების გადმოწერა, რადგან ეს რიტუალი, მართლაც მხოლოდ ჯვარის მონასტრის „ძმათა“ კრებულს ეხებოდა, ხოლო სხვა მონასტრებში მისი აღნიშვნა საჭიროებას არ წარმოადგენდა, ამიტომ გადამწერმაც არ შეიტანა თავის ხელნაწერში. ამჟამად ცნობილი პროხორეს სვინაქსარული ცხოვრების შემცველი ნუსხები ურთიერთმიმართების თვალსაზრისით ამგვარ სურათს წარმოგვიდგენს: უძველესი, შეიძლება ითქვას, პროხორეს გარდაცვალების უმაღლეს შექმნილი მისი სვინაქსარული ცხოვრების პირველი ნუსხა შევიდა Jer.-24-25 ხელნაწერში. H-1661 მომდინარეობს ამ ნუსხიდან, ხოლო მასზე დამოკიდებულია Q-75, რომელიც გადამწერილია, ალბათ H-1661 ხელნაწერის საქართველოში ჩამოტანის შემდეგ (1806-1812 წ.). იმავე Jer.-24-25-დან მომდინარეობს H-886, ოღონდ H-1661-ისაგან განსხვავებული რედაქციით².

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ენრიკო გაბიძაშვილმა, ერთი მხრივ, სრულად გაიზიარა ელენე მეტრეველის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმადაც წმ. პროხორეს „ცხოვრების“ შემცველი ხელნაწერი წიგნები ანუ იერუსალიმისა და ჯრუჭის სვინაქსარები საკუთრივ იერუსალიმშია შექმნილი³, ხოლო, მეორე მხრივ, ერთგვარად გააგრძელა ეს მოსაზრება და დამატებით, აღნიშნა, რომ წმ. პროხორეს „ცხოვრების“ შემცველი ადრეული ხანის მესამე ხელნაწერი წიგნიც ანუ H-886 ხელნაწერი, აგრეთვე, იერუსალიმშია გადაწერილი: „ეჭვიც არ არის, რომ პროხორეს ცხოვრება პალესტინაშია შექმნილი და არა საქართველოში, ამას ადასტურებს, ელ. მეტრეველის მართებული შენიშვნით, ის გარემობაც, რომ პროხორეს სვინაქსარული ცხოვრების შემცველი ხელნაწერები მხოლოდ იერუსალიმის გარემოშია შექმნილი (Jer.-24-25, H-1661, H-886)⁴.

დასასრულ, ენრიკო გაბიძაშვილმა წმ. პროხორეს „ცხოვრების“ ტექსტის შემცველ ერთ-ერთ ხელნაწერ წიგნზე, XVIII საუკუნის I ნახევარში გადაწერილ გულანზეც (Q-105a) გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ამ ხელნაწერში შეტანილი წმ. პროხორეს „ცხოვრება“ H-886 ხელნაწერიდან არის გადაწერილი: „პროხორეს... სვინაქსარული ცხოვრების პირველი ნუსხა შევიდა Jer.-24-25 ხელნაწერში... იმავე Jer.-24-25-დან მომდინარეობს H-886... ხოლო ამ ხელნაწერზე არის დამყარებული და, ალბათ, მისგან გადმოწერილი Q-105a გულანის სვინაქსარული ნაწილი, რადგან ეს ხელნაწერიც პროხორეს სვინაქსარული ცხოვრების ბოლოს მოთავსებულ შენიშვნას იმავე სახით შეიცავს, როგორც ეს H-886-შია⁵.

¹ ენრიკო გაბიძაშვილის მიერ ციტირებული შენიშვნა იერუსალიმის სვინაქსარში ცოტა უფრო სრული სახით არის შეტანილი: „ხოლო დავაწესეთ, რათა იანვარსა იზ გარდაიკვიდეს საკხენებელსა მისსა, ვინცა წინამძღუარ იყო ჯვარისა მონასტერსა. ძმათა ტრაპეზსა შეუკაზმიდეს კარვსა და მამასა პროხორის ულოცვიდენ და ხუცესნი ჟამსა უწირვიდენ. ეგრე ამისთვის დავაწესეთ მუნ, რამეთუ მიცვალებიისა მისისა დღს უფროდჯერ მარხვათა მიხედების“ (ე. გაბიძაშვილი, XI-XIV საუკუნეების სვინაქსარული..., გვ. 99). რაც შეეხება ჯრუჭის სვინაქსარს, მის შედგენილობაში შეტანილი წმ. პროხორეს „ცხოვრების“ ტექსტს ციტირებული შენიშვნა საერთოდ არ ერობს, რასაც, ელენე მეტრეველისა და ენრიკო გაბიძაშვილის დაკვირვებით, თავისი მიზეზი აქვს: ელენე მეტრეველი – „სავსებით კანონზომიერია, რომ ზემოთმოყვანილი მინაწერი აქვს მხოლოდ იერუსალიმის სვინაქსარს და არა აქვს ჯრუჭის სვინაქსარს. ეს მინაწერი ცნობა საჭირო იყო სწორედ იერუსალიმის სვინაქსარისათვის, სადაც პირველად ჩაიწერა პროხორეს აღაპი, რათა ახსნილიყო შეუსაბამობა პროხორეს გარდაცვალების თარიღსა და აღაპისათვის განწესებულ დღეს შორის. ამ განმარტებას არ საჭიროებდა ჯრუჭის სვინაქსარი, ვინაიდან მისი გადაწერის დროისათვის პროხორეს აღაპის განწესების დღე დიდი ხნის დადგენილი იყო, ვინაიდან ხელნაწერი გადაიწერა პროხორეს გარდაცვალების თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ“ (ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.) (თბილისი, 1962), გვ. 30); ენრიკო გაბიძაშვილი – „[ჯრუჭის სვინაქსარის] გადამწერის, გიორგი დოღოსის ანდერძით ცნობილია, რომ ის გადაიწერა ჯვარის მონასტერში, საფიქრებელია, Jer.-24-25 ნუსხიდან. იგი განკუთვნილი ყოფილა ქრისტეს საფლავის ეკლესიისათვის, როგორც ამას ხელნაწერის ძირითადი ტექსტის ხელით მინაწერი ადასტურებს: „ესე სწავსარი აღდგომის საფლავსა არს“ (26 ფ.). ამდენად გასაგებია, რომ პროხორეს სვინაქსარული ცხოვრების შენიშვნის სახით მინაწერს Jer.-24-25-ში კავშირი ჰქონდა ჯვარის მონასტრის დღესასწაულის განგებასთან და საჭიროებას არ წარმოადგენდა მეორე მონასტრისათვის, რადგან პროხორეს აღაპის აღნიშვნა სავალდებულო არ იქნებოდა აღდგომის ეკლესიისათვის“ (ე. გაბიძაშვილი, XI-XIV საუკუნეების სვინაქსარული..., გვ. 100).

² იქვე, გვ. 100-101.

³ „პროხორეს ცხოვრება რომ სწორედ პალესტინის ქართველ მოღვაწეთა და პროხორეს თანამედროვეთა წრეში შეიქმნა, ამას ისიც მოწმობს, რომ ორივე ხელნაწერი (იგულისხმება Jer.-24-25 და H-1661 ხელნაწერები – თ. ჯ.), რომელთაც შემოგვინახეს პროხორეს ცხოვრება, იერუსალიმშია გადაწერილი“ (ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული..., გვ. 31).

⁴ ე. გაბიძაშვილი, XI-XIV საუკუნეების სვინაქსარული..., გვ. 103-104.

⁵ იქვე, გვ. 101.

ენრიკო გაბიძაშვილის შემდეგ სხვა ქართველ თუ უცხოელ მკვლევრებს H-886 ხელნაწერის შესახებ რაიმე ორიგინალური მოსაზრება, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, აღარ გამოუთქვამთ.

II. სვინაქსრის ტექნიკური ღახასიათება და შედგენილობა

1. სვინაქსრის ამჟამინდელ შედგენილობაში წარმოდგენილი ფურცლების რაოდენობა

სვინაქსარი, მისი ლილი ქუთათელაძის მიერ შედგენილი აღწერილობის მიხედვით, ამჟამად 252 ფურცელს შეიცავს: „სვინაქსარი... 252 ფ.“¹.

საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ აღნიშნული ტექნიკური მონაცემი მთლად მართებული არ არის: სვინაქსრის ამჟამინდელ შედგენილობაში არა 252, არამედ 253 ფურცელია წარმოდგენილი.

აქვე შევნიშნავ, რომ სვინაქსრის ამჟამინდელი შედგენილობის უკანასკნელი ფურცელი ხელნაწერის ფურცლობრივი სათვალავის ავტორის მიერ რიცხვი 251-ით არის პაგინირებული, რის გამოც იქმნება მცდარი შთაბეჭდილება, რომ სვინაქსარი 251 ფურცელს შეიცავს. სინამდვილეში, ხელნაწერში, ამ 251 ფურცლის გარდა, კიდევ ორი ფურცელია წარმოდგენილი. ამ ორი ფურცლიდან პირველი ფურცელი 7rv-სა და 8rv-ს შორისაა ჩაკინძული და შეცდომით, აგრეთვე, რიცხვი 7-ით არის პაგინირებული, ხოლო მეორე ფურცელი 12rv-სა და 13rv-ს შორისაა ჩაკინძული და რიცხვი 12^ა-ით არის დანომრილი.

2. სვინაქსრის ამჟამინდელ შედგენილობაში წარმოდგენილი ფურცლების კლასიფიკაცია მათი დამწერის ხელისა და დაწერის დროის მიხედვით

სვინაქსრის ლილი ქუთათელაძის მიერ შედგენილი აღწერილობის თანახმად, ხელნაწერის ამჟამინდელ შედგენილობაში წარმოდგენილი ფურცლები ორ ნაწილად იყოფა. ესენია: 1. სვინაქსრის თავდაპირველი, XII საუკუნეში დაწერილი ტექსტის შემცველი ეტრატის ფურცლები; და 2. ხელნაწერის ნაკლული ტექსტის აღმდგენელ-განმასხლებლის მიერ XVII საუკუნეში დაწერილი ქაღალდისა და ეტრატის ფურცლები: „სვინაქსარი. XII... ეტრატი... ნაკლული (დანაკლისი ზოგან აღდგენილია [XVII] საუკუნის ხელით – ქაღალდსა და ეტრატზე)“².

სვინაქსრის კოდიკოლოგიური ანალიზი აჩვენებს, რომ ლილი ქუთათელაძის ეს ცნობა ორ აუცილებელ დაზუსტებას საჭიროებს: 1. ხელნაწერის თავდაპირველი შედგენილობის ეტრატის ფურცლები ორი სხვადასხვა გადამწერის ხელით არის დაწერილი; და 2. სვინაქსარში, მისი თავდაპირველი შედგენილობის ნაკლული ფურცლების ნაცვლად, ორი სხვადასხვა პირის მიერ ორ სხვადასხვა პერიოდში დაწერილი ქაღალდის ფურცლებია ჩაკინძული.

აღნიშნული ორი დაზუსტების გათვალისწინებით, აგრეთვე, სვინაქსრის დეტალური კოდიკოლოგიური ანალიზის შედეგად, ირკვევა, რომ ხელნაწერის ამჟამინდელ შედგენილობაში წარმოდგენილი 253 ფურცელი, მათი დამწერის ხელისა და დაწერის დროის მიხედვით, არა ორ, არამედ ოთხ ნაწილად იყოფა. ესენია:

I. სვინაქსრის I გადამწერის მიერ XII საუკუნის ხელით დაწერილი ეტრატის 125 ფურცელი (5rv-7rv, 11rv, 12^აrv, 13rv, 16rv, 19rv-134rv, 136rv-137rv) და კიდევ ერთი ფურცელი (138rv), რომლის 1/3-იც ხელნაწერის I გადამწერის ხელით არის დაწერილი (სურ. 1 და სურ. 2).

II. სვინაქსრის II გადამწერის მიერ XII საუკუნის ხელით დაწერილი ეტრატის 100 ფურცელი (139rv-146rv, 148rv-149rv, 151rv, 153rv-154rv, 160rv-179rv, 182rv-188rv, 190rv, 193rv-251rv) და კიდევ ერთი ფურცელი (138rv), რომლის 2/3-იც ხელნაწერის II გადამწერის ხელით არის დაწერილი (სურ. 3 და სურ. 4).


III. სვინაქსრის ნაკლული ტექსტის I აღმდგენელ-განმასხლებლის მიერ XV-XVI საუკუნეების ხელით დაწერილი ქაღალდის 6 ფურცელი (14rv-15rv, 17rv-18rv, 147rv, 150rv) (სურ. 5 და სურ. 6).

IV. სვინაქსრის ნაკლული ტექსტის II აღმდგენელ-განმასხლებლის მიერ XVIII საუკუნის ხელით დაწერილი ქაღალდის 21 ფურცელი (1rv-4rv, 7rv³, 8rv-10rv, 12rv¹, 135rv, 152rv, 155rv-159rv, 180rv-181rv, 189rv, 191rv-192rv) (სურ. 7 და სურ. 8).


¹ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, (H კოლექცია), II, გვ. 259.

² იქვე.

³ ეს ფურცელი, რეალურად, სვინაქსრის რიგით მერვე ფურცელს წარმოადგენს და ამიტომ ის რიცხვი 8-ით უნდა იყოს პაგინირებული. თუმცა, ხელნაწერის ფურცლობრივი პაგინაციის ავტორმა მექანიკური შეცდომა დაუშვა და ეს




სურ. 1
სვინაქსრის I გადამწერის ხელით დაწერილი ერთ-ერთი გვერდი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 54v)




სურ. 2
სვინაქსრის I გადამწერის ხელით დაწერილი ერთ-ერთი გვერდი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 55r)


ფურცელი, რიცხვი 8-ის ნაცვლად, რიცხვი 7-ით დანომრა. შესაბამისად, ხელნაწერში ერთდროულად აღმოჩნდა ორი ფურცელი, რომლებიც ერთი და იმავე რიცხვი 7-ით არის პაგინირებული.
1 XX საუკუნის შუახანებში ეს ფურცელი სვინაქსარს, შეცდომით, ბოლოში ჰქონდა მიკინძული და რიცხვი 252-ით იყო პაგინირებული (როგორც ჩანს, ლილი ქუთათელაძე სწორედ ამ ფურცელზე დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ ხელნაწერის ამჟამინდელ შედგენილობაში 252 ფურცელია წარმოდგენილი). მოგვიანებით, ფურცელს, მისი ტექსტის გათვალისწინებით, ადგილი შეუცვალეს, 11rv-სა და 12rv-ს შორის ჩაკინძეს და რიცხვი 252-ის ნაცვლად, რიცხვი 12-ით დანომრეს. რაც შეეხება ყოფილ 12rv-ს, ის, აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, რიცხვი 12-ით გადანომრეს.




სურ. 3
სვინაქსრის II გადამწერის ხელით დაწერილი ერთ-ერთი გვერდი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 173v)




სურ. 4
სვინაქსრის II გადამწერის ხელით დაწერილი ერთ-ერთი გვერდი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 174r)



სურ. 5
სვინაქსრის ნაკლული ტექსტის I აღმდგენელ-განმაახლებლის ხელით დაწერილი ერთ-ერთი გვერდი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 14v)




სურ. 6
სვინაქსრის ნაკლული ტექსტის I აღმდგენელ-განმაახლებლის ხელით დაწერილი ერთ-ერთი გვერდი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 15r)



სურ. 7
სვინაქსრის ნაკლები ტექსტის II აღმდგენელ-განმაახლებლის ხელით დაწერილი ერთ-ერთი გვერდი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 155v)

სურ. 8
სვინაქსრის ნაკლები ტექსტის I აღმდგენელ-განმაახლებლის ხელით დაწერილი ერთ-ერთი გვერდი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 156r)



როგორც ვხედავთ, სვინაქსრის ამჟამინდელ შედგენილობაში წარმოდგენილი 253 ფურცლის I და II ნაწილები ხელნაწერის თავდაპირველ პლასტს, ხოლო III და IV ნაწილები სვინაქსრის მოგვიანო ფენებს მიეკუთვნება. ქვემოთ ხელნაწერის თავდაპირველი პლასტის ორივე ნაწილსა და მისი მოგვიანო ფენის I ნაწილს ცალ-ცალკე განვიხილავ.

3. სვინაქსრის თავდაპირველ შედგენილობაში წარმოდგენილი, ჩვენამდე მოღწეული და დღეისათვის დაკარგული რვეულებისა და ფურცლების რაოდენობა

სვინაქსრის თავდაპირველი პლასტის ანუ ხელნაწერის I და II ნაწილების დეტალური კოდიკოლოგიური ანალიზის შედეგად, ირკვევა, რომ სვინაქსარი თავდაპირველად, მინიმუმ, 35 რვეულს ანუ, სულ მცირე, 280 ფურცელს შეიცავდა. აქედან, ხელნაწერის I-XIX რვეულები და XX რვეულის I ფურცლის 1/3 ნაწილი ანუ საერთო ჯამში, 152 ფურცელი და I ფურცლის 1/3 ნაწილი სვინაქსრის I გადამწერის ხელით იყო დაწერილი, ხოლო XX რვეულის I ფურცლის 2/3 ნაწილი, იმავე XX რვეულის II-VIII ფურცლები და XXI-XXXV რვეულები ანუ, საერთო ჯამში, 127 ფურცელი და I ფურცლის 2/3 ნაწილი – ხელნაწერის II გადამწერის ხელით. რაც შეეხება სვინაქსრის თავდაპირველი შედგენილობის ბოლო ნაწილს ანუ XXXV რვეულის მომდევნო რვეულებსა თუ რვეულებს, რომლებიც უკვალოდ არის დაკარგული და რომელთა ფურცლების რაოდენობის დადგენაც დღეისათვის ვეღარ ხერხდება, ისინი, როგორც ჩანს, ხელნაწერის II გადამწერის ხელით იყო დაწერილი.

სვინაქსრის თავდაპირველ შედგენილობაში წარმოდგენილი 280-ზე მეტი ფურცლიდან ჩვენამდე მხოლოდ 226-მა ფურცელმა მოაღწია. ეს ფურცლებია:

- II რვეულის 2 ფურცელი (VII-VIII ფურცლები – 5rv-6rv).
- III რვეულის 2 ფურცელი (I, VIII ფურცლები – 7rv, 11rv).
- IV რვეულის 3 ფურცელი (II-III, VI ფურცლები – 12^orv-13rv, 16rv).
- V რვეულის 8 ფურცელი (I-VIII ფურცლები – 19rv-26rv).
- VI რვეულის 8 ფურცელი (I-VIII ფურცლები – 27rv-34rv).
- VII რვეულის 8 ფურცელი (I-VIII ფურცლები – 35rv-42rv).
- VIII რვეულის 8 ფურცელი (I-VIII ფურცლები – 43rv-50rv).
- IX რვეულის 8 ფურცელი (I-VIII ფურცლები – 51rv-58rv).
- X რვეულის 8 ფურცელი (I-VIII ფურცლები – 59rv-66rv).
- XI რვეულის 8 ფურცელი (I-VIII ფურცლები – 67rv-74rv).
- XII რვეულის 8 ფურცელი (I-VIII ფურცლები – 75rv-82rv).
- XIII რვეულის 8 ფურცელი (I-VIII ფურცლები – 83rv-90rv).
- XIV რვეულის 8 ფურცელი (I-VIII ფურცლები – 91rv-98rv).
- XV რვეულის 8 ფურცელი (I-VIII ფურცლები – 99rv-106rv).
- XVI რვეულის 8 ფურცელი (I-VIII ფურცლები – 107rv-114rv).
- XVII რვეულის 8 ფურცელი (I-VIII ფურცლები – 115rv-122rv).
- XVIII რვეულის 8 ფურცელი (I-VIII ფურცლები – 123rv-130).
- XIX რვეულის 6 ფურცელი (I-II, IV-V, VII-VIII ფურცლები – 131rv-132rv, 133rv-134rv, 136rv-137rv).
- XX რვეულის 8 ფურცელი (I-VIII ფურცლები – 138rv-145rv).
- XXI რვეულის 5 ფურცელი (I, III-IV, VI, VIII ფურცლები – 146rv, 148rv-149rv, 151rv, 153rv).
- XXII რვეულის 2 ფურცელი (I, VIII ფურცლები – 154rv, 160rv).
- XXIII რვეულის 7 ფურცელი (I-VI, VIII ფურცლები – 161rv-166rv, 167rv).
- XXIV რვეულის 6 ფურცელი (III-VIII ფურცლები – 168rv-173rv).
- XXV რვეულის 6 ფურცელი (I-VI ფურცლები – 174rv-179rv).
- XXVI რვეულის 7 ფურცელი (I-VII ფურცლები – 182rv-188rv).
- XXVII რვეულის 4 ფურცელი (I, IV-V, VIII ფურცლები – 190rv, 193rv-194rv, 195rv).
- XXVIII რვეულის 6 ფურცელი (III-VIII ფურცლები – 196rv-201rv).
- XXIX რვეულის 8 ფურცელი (I-VIII ფურცლები – 202rv-209rv).
- XXX რვეულის 8 ფურცელი (I-VIII ფურცლები – 210rv-217rv).
- XXXI რვეულის 8 ფურცელი (I-VIII ფურცლები – 218rv-225rv).

- XXXII რვეულის 8 ფურცელი (I-VIII ფურცლები – 226rv-233rv).
 - XXXIII რვეულის 6 ფურცელი (I ან II, III-VI, VII ან VIII ფურცლები – 234rv, 235rv-238rv, 239rv).
 - XXXIV რვეულის 8 ფურცელი (I-VIII ფურცლები – 240rv-247rv).
 - XXXV რვეულის 4 ფურცელი (I-IV ფურცლები – 248rv-251rv)¹.
- სვინაქსრის თავდაპირველ შედგენილობაში წარმოდგენილი 280-ზე მეტი ფურცლიდან 54-ზე მეტი ფურცელი დღეისათვის უკვალოდ არის დაკარგული. ეს ფურცლებია:
- I რვეულის 8 ფურცელი (I-VIII ფურცლები).
 - II რვეულის 6 ფურცელი (I-VI ფურცლები).
 - III რვეულის 6 ფურცელი (II-VII ფურცლები).
 - IV რვეულის 5 ფურცელი (I, IV-V, VII-VIII ფურცლები).
 - XIX რვეულის 2 ფურცელი (III, VI ფურცლები).
 - XXI რვეულის 3 ფურცელი (II, V, VII ფურცლები).
 - XXII რვეულის 6 ფურცელი (II-VII ფურცლები).
 - XXIII რვეულის 1 ფურცელი (VII ფურცელი).
 - XXIV რვეულის 2 ფურცელი (I-II ფურცლები).
 - XXV რვეულის 2 ფურცელი (VII-VIII ფურცლები).
 - XXVI რვეულის 1 ფურცელი (VIII ფურცელი).
 - XXVII რვეულის 4 ფურცელი (II-III, VI-VII ფურცლები).
 - XXVIII რვეულის 2 ფურცელი (I-II ფურცლები).
 - XXXIII რვეულის 2 ფურცელი (I ან II, VII ან VIII ფურცლები).
 - XXXV რვეულის 4 ფურცელი (V-VIII ფურცლები).
 - XXXV რვეულის მომდევნო რვეულისა თუ რვეულების დაუდგენელი რაოდენობის ფურცლები.

4. სვინაქსრის თავდაპირველი შედგენილობის ფურცლებისა და ტექსტის ზოგიერთი ტექნიკური მონაცემი

მე უკვე აღვნიშნე ზემოთ, რომ სვინაქსრის თავდაპირველ შედგენილობაში წარმოდგენილი 280-ზე მეტი ფურცლიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ 226-მა ფურცელმა, რომლებიც, თავის მხრივ, ორი სხვადასხვა გადამწერის მიერ არის დაწერილი. მოვიტან ამ 226 ფურცლისა და მათ-ზე დაწერილი ტექსტის ზოგიერთ ტექნიკურ მონაცემს.

1. ხელნაწერის I გადამწერის ხელით დაწერილი ფურცლები და ტექსტი (5rv-7rv, 11rv, 12^აrv, 13rv, 16rv, 19rv-134rv, 136rv-137rv, 138rv (ნაწილობრივ)):

- ფურცლის მასალა: თეთრი-მოყვითალო ფერის ეტრატი.
- ფურცლის საშუალო ზომა: 28X21 სმ.
- ტექსტის განლაგება ფურცელზე: ერთი სვეტი.
- სტრიქონების რაოდენობა სვეტში: 30 სტრიქონი.
- სვეტის საშუალო ზომა: 24X17 სმ.
- არშიების საშუალო ზომა: ზედა არშია – 1,5 სმ., მარცხენა არშია – 3 სმ., მარჯვენა არშია – 1 სმ., ქვედა არშია – 2,5 სმ.
- საშუალო მანძილი სტრიქონებს შორის: 0,1 სმ.
- საშუალო მანძილი სიტყვებს შორის: 0,2 სმ.
- დამწერლობის სახეობა: ძირითადი ტექსტი – ნუსხურით, საზედაო ასოები – ასომთავრულით.
- ნუსხური გრაფემების ზომა: ყველაზე მაღალი გრაფემის სიმაღლე: **Ϛ** – 0,7 სმ., ყველაზე დაბალი გრაფემის სიმაღლე: **ⲓ** – 0,2 სმ.
- მელანი: ძირითადი ტექსტი – მოშავო-მოყავისფრო მელნით, სათაურები და საზედაო ასოები – წითელი ფერის საწერ-საღებავით.
- საზედაო ასოები: გრაფიკული მოხაზულობის მქონე ასომთავრული გრაფემები.

¹ ეს ოთხი ფურცელი, მათი ტექსტის გათვალისწინებით, მცდარი თანამიმდევრობით არის დალაგებული. სინამდვილეში, ეს ფურცლები შემდეგი თანამიმდევრობით უნდა იყოს დალაგებული: 248rv-251rv-249rv-250rv.

- განკვეთილობის ნიშნები: ძირითადად – წერტილი, შედარებით, იშვიათად – ორწერტილი, სამი წერტილი, ორწერტილი და ხაზი.

- ქარაგმის ნიშანი: პატარა განივი კლაკნილი ხაზი.

2. სვინაქსრის II გადამწერის ხელით დაწერილი ფურცლები და ტექსტი (138rv (ნაწილობრივ), 139rv-146rv, 148rv-149rv, 151rv, 153rv-154rv, 160rv-179rv, 182rv-188rv, 190rv, 193rv-251rv):

- ფურცლის მასალა: თეთრი-მოყვითალო ფერის ეტრატი.

- ფურცლის საშუალო ზომა: 28X21 სმ.

- ტექსტის განლაგება ფურცელზე: ერთი სვეტი.

- სტრიქონების რაოდენობა სვეტში: 31 სტრიქონი.

- სვეტის საშუალო ზომა: 26X16 სმ.

- არშიების საშუალო ზომა: ზედა არშია – 0,5 სმ., მარცხენა არშია – 3 სმ., მარჯვენა არშია – 2 სმ., ქვედა არშია – 1,5 სმ.

- საშუალო მანძილი სტრიქონებს შორის: 0,1 სმ.

- საშუალო მანძილი სიტყვებს შორის: 0,2 სმ.

- დამწერლობის სახეობა: ძირითადი ტექსტი – ნუსხურით, საზედაო ასოები – ასომთავრულით.

- ნუსხური გრაფემების ზომა: ყველაზე მაღალი გრაფემის სიმაღლე: q – 0,7 სმ., ყველაზე დაბალი გრაფემის სიმაღლე: i – 0,2 სმ.

- მელანი: ძირითადი ტექსტი – მოშავო-მოყავისფრო მელნით, სათაურები და საზედაო ასოები – წითელი ფერის საწერ-საღებავით.

- საზედაო ასოები: გრაფიკული მოხაზულობის მქონე ასომთავრული გრაფემები.

- განკვეთილობის ნიშნები: ძირითადად – წერტილი, შედარებით, იშვიათად – ორწერტილი, სამი წერტილი, ორწერტილი და ხაზი.

- ქარაგმის ნიშანი: პატარა განივი კლაკნილი ხაზი.

როგორც ვხედავთ, სვინაქსრის ფურცლების ამჟამინდელი საშუალო ზომა 28X21 სმ-ია. იმავედროულად, ამ ფურცლებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ მათი ზედა, ქვედა და მარჯვენა არშიები ხელნაწერის აღმდგენელ-განმაახლებელთა მიერ ჩამოჭრილია და ფურცლები თავდაპირველად უფრო დიდი ზომისა იყო.

სვინაქსრის ფურცლების თავდაპირველი მიახლოებითი ზომის დადგენა მაინცდამაინც რთულ ამოცანას არ წარმოადგენს. ამ მხრივ, ყურადღებას, პირველ რიგში, ის ფაქტი იპყრობს, რომ ფურცლების მარცხენა არშიები, რომლითაც ისინი ხელნაწერშია ჩაკინძული, ჩამოჭრილი არ არის. ამასთან, ამ მარცხენა არშიების საშუალო სიგანე 3 სმ-ია. შესაბამისად, თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნების ფურცლების ზედა და ქვედა არშიების სიმაღლე, აგრეთვე, მარჯვენა არშიის სიგანე, როგორც წესი, დაახლოებით, ფურცლის მარცხენა არშიის სიგანის ტოლი ან მასზე ცოტა უფრო მეტი იყო, მაშინ, გამოდის, რომ თავდაპირველად სვინაქსრის ფურცლების ზედა და ქვედა არშიების სიმაღლე, აგრეთვე, მათი მარცხენა და მარჯვენა არშიების სიგანე, სულ მცირე, 3-3 სმ-ს შეადგენდა.

მაშასადამე, ირკვევა, რომ სვინაქსრის ფურცლების თავდაპირველი მინიმალური ზომა, მათი ერთ სვეტად დაწერილი ტექსტის საშუალო ზომებისა (24X17 სმ.; 26X16 სმ.) და არშიების მინიმალური სიმაღლე-სიგანის (3-3 სმ.) გათვალისწინებით, დაახლოებით, 31X22,5 სმ. იყო.

5. სვინაქსრის თავდაპირველი შედგენილობის ფურცლების რვეულებრივი პაგინაცია

სვინაქსრის თავდაპირველი შედგენილობის ფურცლები, შუა საუკუნეების სხვა ქართული ხელნაწერი წიგნების ფურცლების მსგავსად, რვეულებრივი სათვალავით არის პაგინირებული: რვეულის დასაწყისის აღმნიშვნელი ასომთავრული გრაფემა და მის ზემოთ დასმული პატარა განივი კლაკნილი ხაზი ამ რვეულის I ფურცლის recto-ს ზედა არშიაზე, ხოლო რვეულის დასასრულის აღმნიშვნელი ასომთავრული გრაფემა ამ რვეულის VIII ფურცლის verso-ს ქვედა არშიაზეა დასმული.

დღეისათვის სვინაქსრის რვეულებრივი პაგინაციის აღმნიშვნელი ასომთავრული გრაფემებისა და მათ ზემოთ დასმული პატარა განივი კლაკნილი ხაზების უმეტესობა, ფურცლების არშიების ჩამოჭრის გამო, დაკარგულია. ჩვენამდე, სრული ან ფრაგმენტული სახით, მხოლოდ

რამდენიმე რვეულის დასაწყისისა თუ დასასრულის აღმნიშვნელმა ასომთავრულმა გრაფემამ და მათ ზემოთ დასმულმა პატარა განივმა კლაკნილმა ხაზმა მოაღწია. ესენია: II (6v), III (11v), V (26v), VI (34v), VII (42v), VIII (50v), XI (74v), XII (82v), XIV (98v), XVI (114v), XVII (122v), XXI (153v) და XXIII (167v) რვეულების დასასრულის, XXVII რვეულის დასაწყისისა (190r) და დასასრულის (195v), XXIX (202r) და XXX (210r)¹ რვეულების დასაწყისის აღმნიშვნელი ასომთავრული გრაფემები და/ან მათ ზემოთ დასმული პატარა განივი კლაკნილი ხაზები.

მე უკვე აღვნიშნე ზემოთ, რომ სვინაქსრის თავდაპირველი ტექსტი ორი გადამწერის ხელით არის შესრულებული. ხელნაწერის რვეულებრივი სათვალავის აღმნიშვნელ ასომთავრულ გრაფემებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ სვინაქსრის გადამწერებს ეს გრაფემები ფურცლების არშიების არა ერთსა და იმავე არეზე, არამედ, ერთმანეთისაგან განსხვავებით, სხვადასხვა ადგილას აქვთ დაწერილი: I გადამწერის მიერ შესრულებული რვეულის დასაწყისისა (?) და დასასრულის აღმნიშვნელი ასომთავრული გრაფემები შესაბამისი რვეულის I ფურცლის recto-ს ზედა არშიისა და VIII ფურცლის verso-ს ქვედა არშიის შუა არეზეა გამოყვანილი, ხოლო II გადამწერის მიერ შესრულებული რვეულის დასაწყისის აღმნიშვნელი ასომთავრული გრაფემა შესაბამისი რვეულის I ფურცლის recto-ს ზედა არშიის მარჯვენა კუთხეში, რვეულის დასასრულის აღმნიშვნელი ასომთავრული გრაფემა კი შესაბამისი რვეულის VIII ფურცლის verso-ს ქვედა არშიის მარცხენა კიდეთან არის დაწერილი.

6. სვინაქსრის I განმარტების მიერ დაწერილი ფურცლებისა და ტექსტის ტექნიკური მონაცემები

მე უკვე აღვნიშნე ზემოთ, რომ სვინაქსრის ამჟამინდელ შეგენილობაში წარმოდგენილია ქალაქის 6 ფურცელი (14rv-15rv, 17rv-18rv, 147rv, 150rv), რომლებიც ხელნაწერის ნაკლები ტექსტის I აღმდგენელ-განმარტების მიერ XV-XXVI საუკუნეების ხელით არის დაწერილი. მოვიტან ამ 6 ფურცლისა და მათზე დაწერილი ტექსტის ზოგიერთ ტექნიკურ მონაცემს:

- ფურცლის მასალა: რუხი-მოვარდისფრო ქალაქი.
- ფურცლის საშუალო ზომა: 28X21 სმ.
- ტექსტის განლაგება ფურცელზე: ერთი სვეტი.
- სტრიქონების რაოდენობა სვეტში: 28 სტრიქონი.
- სვეტის საშუალო ზომა: 25X17,5 სმ.
- არშიების საშუალო ზომა: ზედა არშია – 1,5 სმ., მარცხენა არშია – 2 სმ., მარჯვენა არშია – 1,5 სმ., ქვედა არშია – 1,5 სმ.
- საშუალო მანძილი სტრიქონებს შორის: 0,2 სმ.
- საშუალო მანძილი სიტყვებს შორის: 0,4 სმ.
- დამწერლობის სახეობა: ძირითადი ტექსტი – ნუსხურით, საზედაო ასოები – ასომთავრულით.
- ნუსხური გრაფემების ზომა: ყველაზე მაღალი გრაფემის სიმაღლე: q – 0,6 სმ., ყველაზე დაბალი გრაფემის სიმაღლე: i – 0,1 სმ.
- მელანი: ძირითადი ტექსტი – მოშავო-მოყავისფრო მელნით, სათაურები და საზედაო ასოები – წითელი ფერის საწერ-საღებავით.
- საზედაო ასოები: გრაფიკული მოხაზულობის მქონე ასომთავრული გრაფემები.
- განკვეთილობის ნიშნები: ძირითადად – წერტილი, შედარებით, იშვიათად – ორწერტილი, სამი წერტილი, ორწერტილი და ხაზი, ორწერტილი და მათ შორის დასმული განივი კლაკნილი ხაზი.
- ქარაგმის ნიშანი: პატარა განივი კლაკნილი ხაზი.

7. სვინაქსრის თავდაპირველი და ამჟამინდელი შედგენილობა

სვინაქსრის თავდაპირველი შედგენილობის საკითხს, ქართველ მეცნიერთა შორის, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, მხოლოდ ლილი ქუთათელაძე შეეხო. მკვლევარმა ხელნაწერი

¹ სვინაქსრის II გადამწერმა ხელნაწერის ამჟამინდელი შედგენილობის 210r-ს ზედა არშიაზე, XXX რვეულის დასაწყისის აღსანიშნავად, ჯერ ორი ასომთავრული გრაფემა ρ (20+10) დაწერა, შემდეგ კი ეს გრაფემები გადაშალა და მათ ნაცვლად, უკვე ერთი გრაფემა ρ (30) შეასრულა.

1155 წლის ჯრუჭის სვინაქსარს (H-1661) შეადარა და დაადგინა, რომ სვინაქსარის შედგენილობა ჯრუჭის სვინაქსარის შედგენილობას ხედმიწევნით ზუსტად მისდევს. ამის შემდეგ ლილი ქუთათელაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერს, ჯრუჭის სვინაქსარის შედგენილობის გათვალისწინებით, თავსა და ბოლოში სამი ტექსტი აკლია: 1. დასაწყისი „სვინაქსარი, რომელ არიან კრებანი და წესნი და განგებანი, დაწესებულნი წმიდათა მღვდელთ-მოძღუართა მიერ...“; 2. „განგებამ წმიდათა მარხვათამ კურიაკითგან ყოველთა წმიდათა“; და 3. საძიებელი „სახელები და რიცხვ დღესასწაულთამ და, თუ რომელთა დღეთა შინა დაეცადების, საქმე თითოეულისა თვსად ესრეთ გუჭეუწყოს“¹.

ლილი ქუთათელაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, არსებითად, სარწმუნო და მისაღებია, თუმცა კი ამ მოსაზრების ცალკეული დებულებები დაზუსტებას საჭიროებს. დავიწყებ სვინაქსარის თავდაპირველი შედგენილობის დასაწყის ნაწილთან დაკავშირებული საკითხების განხილვით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, პირველ რიგში, ორი გარემოება იპყრობს ყურადღებას: 1. დღეისათვის ხელნაწერის თავდაპირველი შედგენილობის I რვეულის I-VIII და II რვეულის I-VI ფურცლები ანუ, საერთო ჯამში, 14 ფურცელი, უკვალოდ არის დაკარგული; და 2. ჩვენამდე მოაღწია სვინაქსარის II რვეულის VII ფურცელმა, რომლის recto-ს პირველ სტრიქონებზეც 0მ (15) სექტემბრის საკითხავის ბოლო ნაწივგვტია წარმოდგენილი.

ამ ორ გარემოებაზე დაყრდნობით, ვფიქრობ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სვინაქსარს დასაწყისში აკლია 14 ფურცელი, რომლებზეც ლილი ქუთათელაძის მიერ დასახელებული ე. წ. სვინაქსარის დასაწყისის („სვინაქსარი, რომელ არიან...“) გარდა, სვინაქსარის ძირითადი ანუ სათვეო ნაწილის პირველი 15 დღის ანუ 1-15 სექტემბრის სვინაქსარული საკითხავების ტექსტებიც იყო დაწერილი.

მიღებული დასკვნის შემდეგ კიდევ ერთი საინტერესო გარემოება იპყრობს ყურადღებას: ჯრუჭის სვინაქსარის აკადემიური აღწერილობის შემდგენლის ელენე მეტრეველის ცნობით, ამ ხელნაწერში სვინაქსარის დასაწყის ტექსტს კიდევ ერთი ტექსტი, ე. წ. სვინაქსარის გამოყენების წესი უძღვის წინ: „ტექსტს წინ უძღვის სვინაქსარის გამოყენების წესი: „უწყებამ ჯერ არს, რამეთუ საუფლოთა დღესასწაულთა, რომელ არიან: ქეშობამ, განცხადებამ, ბზობამ, ამალღებამ...“².

მაშასადამე, თუ ლილი ქუთათელაძის დაკვირვება სწორია და სვინაქსარისა და ჯრუჭის სვინაქსარის შედგენილობები იდენტურია, რაც ნამდვილად ასე ჩანს, მაშინ გამოდის, რომ სვინაქსარს დასაწყისში აკლია 14 ფურცელი, რომლებიც შემდეგ ტექსტებს შეიცავდა: 1. სვინაქსარის გამოყენების წესი („უწყებამ ჯერ არს...“); 2. სვინაქსარის დასაწყისი („სვინაქსარი, რომელ არიან...“); და 3. სვინაქსარის ძირითადი, სათვეო ნაწილის პირველი 15 დღის – 1-15 სექტემბრის სვინაქსარული საკითხავები.

ცოტა უფრო განსხვავებული სურათი გვაქვს სვინაქსარის თავდაპირველი შედგენილობის ბოლო ნაწილთან დაკავშირებით. მე უკვე აღვნიშნე ზემოთ, რომ სვინაქსარის თავდაპირველ შედგენილობაში წარმოდგენილი იყო, მინიმუმ, 35 რვეული, რომელთაგან უკანასკნელი, XXXV რვეულის ბოლო, V-VIII ფურცლები და მომდევნო რვეულისა თუ რვეულების დაუდგენელი რაოდენობის ფურცლები დღეისათვის უკვალოდ არის დაკარგული. ახლა, დამატებით, აღვნიშნავ იმასაც, რომ ჩვენამდე მოღწეული XXXV რვეულის IV ფურცლის verso-ს ბოლო სტრიქონებზე ლ (30) აგვისტოს საკითხავის დასაწყისია შესრულებული.

შესაბამისად, ირკვევა, რომ სვინაქსარის თავდაპირველი შედგენილობის უკანასკნელი, XXXV რვეულის დღეისათვის დაკარგულ V-VIII ფურცლებსა და მომდევნო, აგრეთვე, დაკარგული რვეულისა თუ რვეულების დაუდგენელი რაოდენობის ფურცლებზე, ლილი ქუთათელაძის მიერ დასახელებული ორი ტექსტის, ე. წ. სვინაქსარის განგებისა („განგებამ წმიდათა მარხვათამ...“) და ე. წ. სვინაქსარის საძიებლის („სახელები და რიცხვ...“) გარდა, ლიტურგიკული წლის ბოლო ორი დღის საკითხავებიც, უფრო ზუსტად კი, 30 აგვისტოს საკითხავის ძირითადი ნაწილი და 31 აგვისტოს საკითხავის სრული ტექსტი იყო დაწერილი.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სვინაქსარის თავდაპირველ შედგენილობაში წარმოდგენილი იყო არა ოთხი, არამედ ხუთი ტექსტი, რომლებიც შემდეგი თანამიმდევრობით იყო დალაგებული:

¹ იქვე.
² საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, IV, შედგენილია და დასაბუჯდად დამზადებული ელ. მეტრეველის მიერ (თბილისი, 1950). გვ. 82.

1. სვინაქსრის გამოყენების წესი („უწყება ჯერ არს...“), რომელსაც, იმავე ტექსტის ჯრუჭის სვინაქსარში წარმოდგენილი ნუსხის მოცულობის გათვალისწინებით, ხელნაწერის I რვეულის I ფურცლის, დაახლოებით, 1 გვერდი ეჭირა.

2. სვინაქსრის დასაწყისი („სვინაქსარი, რომელ არიან...“), რომელსაც იმავე ტექსტის ჯრუჭის სვინაქსარში წარმოდგენილი ნუსხის მოცულობის გათვალისწინებით, ხელნაწერის I რვეულის I ფურცლის, დაახლოებით, 1 გვერდის 1/3 ნაწილი ეკავა.

3. საკუთრივ სვინაქსრის ტექსტი ანუ ლიტურგიკული წლის უკლებლივ ყველა დღის საკითხავები, რომლებსაც, ხელნაწერის დეტალური კოდიკოლოგიური ანალიზის თანახმად, სვინაქსრის I რვეულის I ფურცლის, დაახლოებით, 1 გვერდის 2/3 ნაწილი, იმავე I რვეულის II-VIII ფურცლები, II-XXXIV რვეულების უკლებლივ ყველა ფურცელი, XXXV რვეულის I-IV ფურცლები და XXXV რვეულის V ფურცლის, დაახლოებით, 1 გვერდი ეჭირა.

4. სვინაქსრის განგება („განგება წმიდათა მარხვათა...“), რომელსაც, სავარაუდოდ, სვინაქსრის XXXV რვეულის V ფურცლის 1 გვერდი ეკავა.

5. სვინაქსრის საძიებელი („სახელები და რიცხვ...“), რომელსაც, იმავე ტექსტის ჯრუჭის სვინაქსარში წარმოდგენილი ნუსხის მოცულობის გათვალისწინებით, ხელნაწერის XXXV რვეულის, დაახლოებით, VI-VIII ფურცლები და მომდევნო რვეულის რამდენიმე ფურცელი ეკავა.

დღეისათვის სვინაქსრის შედგენილობაში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ტექსტი, საკუთრივ სვინაქსარი, რომელსაც, როგორც თავსა და ბოლოში, ისე შუა ნაწილში, ფურცლების დაკარგვის გამო, ლიტურგიკული წლის ათეულობით დღის საკითხავი აკლია (ამ ნაკლული საკითხავების შესახებ ვრცლად იხ.: ქვემოთ). რაც შეეხება ხელნაწერის თავდაპირველი შედგენილობის დანარჩენ ოთხ ტექსტს: სვინაქსრის გამოყენების წესს, სვინაქსრის დასაწყისს, სვინაქსრის განგებასა და სვინაქსრის საძიებელს, ისინი, სვინაქსრის ნაკლულ ფურცლებთან ერთად არის დაკარგული¹.

8. სვინაქსრის რედაქციული კუთვნილება

სვინაქსრის ლილი ქუთათელაძის მიერ შედგენილი აღწერილობის თანახმად, ხელნაწერის ტექსტი ბერძნულიდან ქართულად გიორგი მთაწმიდელის მიერ არის ნათარგმნი: „სვინაქსარი... მთარგმნელი – [გიორგი მთაწმიდელი]“².

ლილი ქუთათელაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება სავსებით მართებულია: სვინაქსრის შედგენილობასა და ტექსტზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ხელნაწერი ე. წ. დიდ სვინაქსარს წარმოადგენს და ქართული სვინაქსრის II რედაქციას მიეკუთვნება, რომელიც გიორგი მთაწმიდელმა ბერძნულიდან 1042-1044 წლებში თარგმნა³.

ლილი ქუთათელაძის მიერ გამოთქმული მოსაზრების მართებულობას, სვინაქსრის შედგენილობასა და ტექსტზე დაკვირვების გარდა, თვალსაჩინოდ ადასტურებს ხელნაწერის ტექსტი-

¹ დღეისათვის დადგენილია, რომ ქართული სვინაქსრის ჩვენამდე მოღწეულ ნუსხებში ძირითად ტექსტს ანუ სათვეო ნაწილს მისდევს თვრამეტი ტექსტი, რომლებიც ამ ნუსხების ბოლო ნაწილში სხვადასხვა სისრულითა და განსხვავებული თანამიმდევრობით არის წარმოდგენილი. ეს ტექსტებია: 1. „განგება წმიდათა მარხვათა კურიაკითხვან მეზუერისა და ფარსეველისათ ვიდრე კურიაკედმე ყოველთა წმიდათა“; 2. „თავნი და დასასრულნი საკითხავსახარებათანი...“; 3. „სახარებანი აღდგომისანი საცისკრნი“; 4. „განგება სატფურებისა...“; 5. „წარდგომანი ჟამისწირვისანი აღდგომისანი...“; 6. „აღილუი-ფსალმუნნი თითოეულისა კმისანი...“; 7. „წარდგომანი, რომელნი მწუხრისათა ზედა ითქუმიან...“; 8. „უწყება ჯერ-არს, რამეთუ ახლაკურიაკითხვან ვიდრე სეკედნბერისა კმ (26) ყოველთა ცისკართა ერთსა კანონსა ვიტყუთ“; 9. „უწყება ჯერ-არს, რამეთუ თანა-აც მეკარესა გინა დეკანოზისა შემწესა, რათა იყოს მოსწრაფე შეკრებად მათა ღოცვად და მღვდებელნი ცისკრისა წიგნის კითხვასა“ (№2, №3, №4, №5, №6, №7, №8 და №9 ტექსტები ქმნის სვინაქსრის ცალკე თავს, რომელსაც, პირობითად, ტიპიკონური მითითებები ეწოდება); 10. „საჭმელთათვის და სასუმელთა და ვითარობისა და რავდენობისა და სატრაპეზოსისა წესიერებისა“; 11. „წმიდათა დიდთა მარხვათათვის“; 12. „საზომისათვის მორჩილებასა შინა მყოფთა საქმისა და ჭამისა“; 13. „ხარებისათვის“; 14. „შესამოსელისათვის“ (№10, №11, №12, №13 და №14 ტექსტები ქმნის სვინაქსრის ცალკე თავს, რომელსაც, პირობითად, დისციპლინური ნაწილი ეწოდება); 15. „სახელები და რიცხვ დღესასწაულთა და თუ რომელსა დღეს შინა დაეცადების საქმე თუთოეულისა თუსად ესრეთ“; 16. მეფეთა და პატრიარქთა სიები; 17. „აღწერილი საეკლესიო (7) (70) მათთვის, მოწაფეთა უფლისათა, დროთეომს მიერ ეპისკოპოსისა, პირველისა მის კაცისა მოხუცებულისა და სულითა შემოსილისა, რომელი იწამა ჟამთა ივლიანე მეფისათა“; და 18. „გამოავლინენი წელიწდისა საუფლოთა დღესასწაულთანი და საჩინოთა წმიდათანი და წმიდათა მარხვათანი“ (დიდი სვინაქსარი, გიორგი მთაწმიდელი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და სამეცნიერო აპარატი დაურთეს მ. დოლატიძემ და დ. ჩიტუნაშვილმა (თბილისი, 2017), გვ. 333-462). შესაბამისად, გამოდის, რომ სვინაქსრის ჩვენთვის საინტერესო ნუსხის თავდაპირველი შედგენილობის ბოლო ნაწილში ზემოთ ჩამოთვლილი თვრამეტი ტექსტიდან მხოლოდ ორი ტექსტი – №1 და №15 ტექსტები იყო შეტანილი.

² საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, (H კოლექცია), II, გვ. 258.

³ სვინაქსარი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტორ-შემდგენელი: ე. გაბიაშვილი (ხელმძღვანელი), მ. მამაცაშვილი, ა. ღამბაშიძე (თბილისი, 2007), გვ. 838; დიდი სვინაქსარი, გვ. 005.

სათვის დართული ლიტურგიკული ხასიათის შენიშვნები, რომლებიც სწორედ გიორგი მთაწმიდელს ეკუთვნის და რომლებიც, სვინაქსარში დედნიდან არის გადასული.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიტან სვინაქსრისათვის დართული ორი ლიტურგიკული შენიშვნის ტექსტს:

1. 10 ნომბრის საკითხავის ბოლოს: „წმიდანო ღმრთის(ა)ნო, ამ(ა)ს დღესა დაღაცათუ ბერძენნი წმიდისა / გიორგის(ა)თ(ა)ს არა დიად დღეს(ა)სწ(ა)ულობენ, არარ(ა)დ არს ყენებ(ა)დ. რ(ა)თა ჩ(უ)ენ ვდღეს(ა)სწ(ა)ულობდეთ, რ(ა)მეთუ ჩ(უ)ენ პირველითგ(ა)ნ ესრეთ გუ(ა)ქ(უ)ს / ჩუეულ(ა)ბ(ა)დ. ხ(ო)ლო ესე საცნაურ არს: თ(ა)ვ(ა)დი დღეს(ა)სწ(ა)ული წმიდისა / გიორგისი აპრილსა კბ (23) არს. აწ, რ(ა)მელნი დღეს(ა)სწ(ა)ულობდეთ, გ(ა)ნგ(ე)ბ(ა)დ ყ(ო)ველი / მუნ მოიძიეთ და ლ(ა)ცვა ყ(ა)ვთ გიორგის(ა)თ(ა)ს“ (39r)¹.

2. 24 დეკემბრის საკითხავებთან: „წმიდანო მ(ა)მ(ა)ნო, ესე ზემოწერილი ე(ა)მთა გ(ა)ნგ(ე)ბ(ა)დ / ბერძულ(ა)დცა გ(ა)ნბნეულ(ა)დ იყო და საძებნელ(ა)დ და მე ერთგ(ა)ნ დაეწერე, რ(ა)მელ არავინ იჭირვოდის ძებნისათ(ა)ს. / ღმრთისათ(ა)ს, ლ(ა)ცვა ყ(ა)ვთ გლახაკისა გ(ა)ნგ(ა)თ(ა)ს, წმიდანო ღმრთის(ა)ნო: „შ(ე)უნდვენ ღმერთმან“ (80v)².

9. სვინაქსრის თავდაპირველი შედგენილობიდან დაკარგული და ხელნაწერის I და II განმარტებლების მიერ აღდგენილი ტექსტები

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ სვინაქსრის თავდაპირველი შედგენილობის 280-ზე მეტი ფურცლიდან 54-ზე მეტი ფურცელი დღეისათვის უკვალოდ არის დაკარგული. აქ კიდევ ერთხელ წარმოვადგენ ამ 54-ზე მეტი ფურცლის ჩამონათვალს და აქვე, დამატებით, მივუთითებ სვინაქსრის ყველა იმ ტექსტს, რომლებიც აღნიშნულ ფურცლებთან ერთად არის დაკარგული:

- I რვეულის 8 ფურცელი (I-VIII ფურცლები) და II რვეულის 6 ფურცელი (I-VI ფურცლები): სვინაქსრის გამოყენების წესი („უწყებად ჯერ არს...“); სვინაქსრის დასაწყისი („სვინაქსარი, რომელ არიან...“); ა (1), ბ (2), გ (3), დ (4), ე (5), ვ (6), ზ (7), ჟ (8), თ (9), ი (10), ია (11), იბ (12), იპ (13) და იდ (14) სექტემბრის საკითხავები, იმ (15) სექტემბრის საკითხავის ძირითადი ნაწილი.

- III რვეულის 6 ფურცელი (II-VII ფურცლები): 00 (19) სექტემბრის საკითხავის დასასრული, კ (20), კა (21), კბ (22), კგ (23), კდ (24), კე (25), კვ (26) და კზ (27) სექტემბრის საკითხავები, კჟ (28) სექტემბრის საკითხავის დიდი ნაწილი.

- IV რვეულის 5 ფურცელი (I, IV-V, VII-VIII ფურცლები): ლ (30) სექტემბრის საკითხავის შუა ნაწილი, ბ (3), დ (4), ე (5) და ვ (6) ოქტომბრის საკითხავები, ზ (7) ოქტომბრის საკითხავის დასაწყისი, თ (9) ოქტომბრის საკითხავის თითქმის მთელი ტექსტი, ი (10) ოქტომბრის საკითხავი და ია (11) ოქტომბრის საკითხავის დასაწყისი.

- XIX რვეულის 2 ფურცელი (III, VI ფურცლები): კე (25) მარტის საკითხავის მნიშვნელოვანი ნაწილი, კვ (26), კზ (27) და კჟ (28) მარტის საკითხავები, კთ (29) მარტის საკითხავის დასაწყისი.

- XXI რვეულის 3 ფურცელი (II, V, VII ფურცლები): ივ (16) აპრილის საკითხავის დასასრული, იზ (17) და იჟ (18) აპრილის საკითხავები, ით (19) აპრილის საკითხავის დასაწყისი, კბ (23) აპრილის საკითხავის დასასრული, კდ (24) აპრილის საკითხავის ძირითადი ნაწილი, კე (25) აპრილის საკითხავის დასასრული და კვ (26) აპრილის საკითხავის ძირითადი ნაწილი.

- XXII რვეულის 6 ფურცელი (II-VII ფურცლები): ა (1) მაისის საკითხავის ძირითადი ნაწილი, ბ (2), გ (3) და დ (4) მაისის საკითხავები, ე (5) მაისის საკითხავის ძირითადი ნაწილი.

- XXIII რვეულის 1 ფურცელი (VII ფურცელი): იბ (12) აპრილის საკითხავის შუა ნაწილი.

- XXIV რვეულის 2 ფურცელი (I-II ფურცლები): იბ (13) მაისის საკითხავის შუა ნაწილი.

- XXV რვეულის 2 ფურცელი (VII-VIII ფურცლები): კზ (27) მაისის საკითხავის დასასრული, კჟ (28), კთ (29), ლ (30) და ლა (31) მაისის საკითხავები, ა (1) ივნისის საკითხავის დასაწყისი.

- XXVI რვეულის 1 ფურცელი (VIII ფურცელი): იბ (13) ივნისის საკითხავის დასასრული, იბ (13) ივნისის საკითხავი და იდ (14) ივნისის საკითხავის დასაწყისი.

¹ შდრ.: „წმიდანო მამანო, ამას დღესა დაღაცათუ ბერძენნი წმიდისა გიორგისთვს არა დიად დღესასწაულობენ, არარად არს ყენებად, რათა ჩუენ ვდღესასწაულობდეთ, რამეთუ ჩუენ პირველითგან ესრეთ გუაქუს ჩუეულობად. ხოლო ესე საცნაურ არს, რომელ თავადი დღესასწაული წმიდისა გიორგისი აპრილსა 51 არს. აწ, რომელნი სდღესასწაულობდეთ, განგებად ყოველი აპრილსა ოცდასამსა მოიძიეთ [და ლოცვა ყავთ ჩემ გიორგისთვს]“ (იქვე, გვ. 64).

² შდრ.: „წმიდანო მამანო, ესე ზემოწერილი ეამთა განგებად ბერძულადცა განბნეულად იყო და საძებნარად და მე ერთგან დაეწერე, რომელ არავინ იჭირვოდის ძებნისთვს. ღმრთისათვს ლოცვა ყავთ გიორგისთვს მთარგმნელისა“ (იქვე, გვ. 114).

• XXVII რვეულის 4 ფურცელი (II-III, VI-VII ფურცლები): 0მ (15) იენისის საკითხავის დასასრული, 0ზ (16) იენისის საკითხავი, 0ზ (17) იენისის საკითხავის დასაწყისი, 00 (19) იენისის საკითხავის დასასრული, კ (20) იენისის საკითხავი და კპ (21) იენისის საკითხავის დასაწყისი.

• XXVIII რვეულის 2 ფურცელი (I-II ფურცლები): კპ (22) იენისის საკითხავის დასასრული, კპ (23) იენისის საკითხავი და კლ (24) იენისის საკითხავის დასაწყისი.

• XXXIII რვეულის 2 ფურცელი (I ან II, VII ან VIII ფურცლები): ეს ფურცლები, როგორც ჩანს, დაუწერლად იყო დატოვებული, რადგან სვინაქსრის ამ ნაწილში ტექსტი ნაკლები არ არის.

• XXXV რვეულის 4 ფურცელი (V-VIII ფურცლები): ლ (30) აგვისტოს საკითხავის დასასრული და ლა (31) აგვისტოს საკითხავი; სვინაქსრის განგება („განგებაჲ წმიდათა მარხვათა...“); და სვინაქსრის საძიებელი („სახელები და რიცხვ...“).

• XXXV რვეულის მომდევნო რვეულისა თუ რვეულების დაუდგენელი როდენობის ფურცლები: სვინაქსრის ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერი ნუსხების ბოლო ნაკვეთებში წარმოდგენილი დაუდგენელი ტექსტი ან ტექსტები (ამ, შესაძლო ტექსტების ჩამონათვალი იხ. ზემოთ).

სვინაქსრის ამ, დაკარგული ტექსტების ერთი ნაწილი ხელნაწერის I განმარტებლის ხელით დაწერილ 6 ფურცელზეა აღდგენილი, ტექსტების მეორე ნაწილი – II განმარტებლის ხელით დაწერილ 21 ფურცელზე, ხოლო ტექსტების მესამე ნაწილი საერთოდ არ არის აღდგენილი. ქვემოთ ცალ-ცალკე წარმოვადგენ იმ ტექსტების ჩამონათვალს, რომლებიც სვინაქსრის I და II განმარტებლების მიერ აღდგენილი, აგრეთვე, იმ ტექსტების ნუსხას, რომლებიც აღუდგენლად არის დატოვებული.

1. სვინაქსრის I განმარტებლის მიერ დაწერილი 6 ფურცელი და ამ ფურცლებზე აღდგენილი ტექსტები:

• 14rv-15rv: ბ (3), ლ (4), მ (5) და მ (6) ოქტომბრის საკითხავები, ზ (7) ოქტომბრის საკითხავის დასაწყისი.

• 17rv-18rv: თ (9) ოქტომბრის საკითხავის თითქმის მთელი ტექსტი, ი (10) ოქტომბრის საკითხავი და ია (11) ოქტომბრის საკითხავის დასაწყისი.

• 147rv: 0ზ (16) აპრილის საკითხავის დასასრული, 0ზ (17) და 0მ (18) აპრილის საკითხავები, 00 (19) აპრილის საკითხავის დასაწყისი.

• 150rv: კპ (23) აპრილის საკითხავის დასასრული და კლ (24) აპრილის საკითხავის ძირითადი ნაწილი.

2. სვინაქსრის II განმარტებლის მიერ დაწერილი 21 ფურცელი და ამ ფურცლებზე აღდგენილი ტექსტები:

• 1rv-4rv: ა (1), ბ (2), გ (3), ლ (4), მ (5), ნ (6), ზ (7), ჟ (8), თ (9), ი (10), ია (11), იბ (12), იგ (13) და იდ (14) სექტემბრის საკითხავები, 0მ (15) სექტემბრის საკითხავის ძირითადი ნაწილი.

• 7rv-10rv: 00 (19) სექტემბრის საკითხავის დასასრული, კ (20), კა (21), კპ (22), კპ (23), კლ (24), კმ (25), კნ (26) და კზ (27) სექტემბრის საკითხავები, კმ (28) სექტემბრის საკითხავის დიდი ნაწილი.

• 135rv: ლ (30) სექტემბრის საკითხავის შუა ნაწილი (12rv); კმ (25) მარტის საკითხავის მნიშვნელოვანი ნაწილი, კპ (26), კზ (27) და კმ (28) მარტის საკითხავები, კთ (29) მარტის საკითხავის დასაწყისი.

• 152rv: კმ (25) აპრილის საკითხავის დასასრული და კპ (26) აპრილის საკითხავის ძირითადი ნაწილი.

• 155rv-159rv: ა (1) მაისის საკითხავის ძირითადი ნაწილი, ბ (2), გ (3) და ლ (4) მაისის საკითხავები, მ (5) მაისის საკითხავის ძირითადი ნაწილი.

• 180rv-181rv: კზ (27) მაისის საკითხავის დასასრული, კმ (28), კთ (29), ლ (30) და ლა (31) მაისის საკითხავები, ა (1) იენისის საკითხავის დასაწყისი.

• 189rv: 0ბ (13) იენისის საკითხავის დასასრული, 0ბ (13) იენისის საკითხავი და 0დ (14) იენისის საკითხავის დასაწყისი.

• 191rv-192rv: 0მ (15) იენისის საკითხავის დასასრული, 0მ (16) იენისის საკითხავი და 0ზ (17) იენისის საკითხავის დასაწყისი.

3. სვინაქსრის თავდაპირველი შედგენილობიდან დაკარგული ტექსტები, რომლებიც აღდგენილი არ არის:

• სვინაქსრის გამოყენების წესი („უწყებაჲ ჯერ არს...“).

- სვინაქსრის დასაწყისი („სვინაქსარი, რომელ არიან...“).
- კმ (25) მარტის საკითხავის მნიშვნელოვანი ნაწილი.
- იბ (12) აპრილის საკითხავის შუა ნაწილი.
- იბ (13) მაისის საკითხავის შუა ნაწილი.
- იბ (19) ივნისის საკითხავის დასასრული, კ (20) ივნისის საკითხავი და კპ (21) ივნისის საკითხავის დასაწყისი.
- კპ (22) ივნისის საკითხავის დასასრული, კპ (23) ივნისის საკითხავი და კლ (24) ივნისის საკითხავის დასაწყისი.
- ლ (30) აგვისტოს საკითხავის დასასრული და ლპ (31) აგვისტოს საკითხავი.
- სვინაქსრის განგება („განგებად წმიდათა მარხვათაჲ...“).
- სვინაქსრის საძიებელი („სახელები და რიცხვ...“).
- სვინაქსრის ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერი ნუსხების ბოლო ნაკვეთებში წარმოდგენილი დაუდგენელი ტექსტი ან ტექსტები (ამ ტექსტების ჩამონათვალი იხ. ზემოთ).

10. სვინაქსარში შეტანილი საქართველოს ეკლესიის წმიდანთა „ცხოვრებები“ და ხსენებები

სვინაქსარში საქართველოს ეკლესიის სულ ოთხი წმიდანის „ცხოვრება“ თუ ხსენებაა შეტანილი. ამ „ცხოვრებებსა“ და ხსენებებს ქვემოთ ცალ-ცალკე განვიხილავ.

I. წმ. ნინოს განმანათლებლის ხსენება¹.

სვინაქსარში 15 იანვარზე ერთი თხზულება და ერთი ხსენებაა დადებული:

1. წმ. სინელ მამათა „მარტვილობა“: „თ(უეს)ა ი(ა)ნვ(ა)რსა ილ (14). / წ(მიდა)თა მ(ა)მ(ა)თა, რ(ომელ)ნი სინას მოისრნეს ბარბაროსთავ(ა)ნ...“.

2. წმ. ნინოს ხსენება: „ამ(ა)სვე დღესა წ(მიდ)ისა მ(ო)ც(ო)ქ(უ)ლისა ნინოსნი, რ(ომელ)მან ქართლი მოაქცია“².

წმ. ნინოს ხსენება მცირე მოცულობის ტექსტს წარმოადგენს და მას 101v-ს მხოლოდ ერთი, V სტრიქონი უჭირავს.

II. წმ. პროხორე შავშელის „ცხოვრება“³.

სვინაქსარში 12 თებერვალზე ორი თხზულება და სამი ხსენებაა დადებული:

1. წმ. მოწამეების პლოტინესა და სატორნინეს ხსენება: „თ(უეს)ა ვ(ე)ბ(ერვალ)სა იბ (12). წ(მიდა)თა / მ(ო)წ(ა)მეთ(ა)ჲ პლოტინესი და სატორნინესი...“.

2. წმ. მარიამ-მარინოსის „ცხოვრება“: „კს(ე)ნ(ე)ბ(ა)ჲ ნ(ე)ტ(ა)რისა / მ(ა)რ(ია)მისი, რ(ომელ)მან უწოდა თ(ა)ვსა თ(უ)სსა მარინოს...“.

3. კონსტანტინოპოლის პატრიარქის წმ. ანტონის ხსენება: „ამ(ა)სვე დღესა წ(მიდ)ისა ანტონი კოსტ(ანტ)ონეპოლელ პ(ა)ტრი(ა)ქის(ა)ჲ“.

4. ანტიოქიის ეპისკოპოსის წმ. მელეტის ხსენება: „მელეტი ანტი(ო)ქიისა ეპისკ(ო)პ(ო)სის(ა)ჲ“.

5. წმ. პროხორე შავშელის „ცხოვრება“: ამ(ა)სვე დღესა მიცვალებ(ა)ჲ / ღირსისა და ნ(ე)ტ(ა)რისა მ(ა)მისა ჩ(უ)ენისა პროხორესი...“⁴.

წმ. პროხორეს „ცხოვრების“ ტექსტმა ჩვენამდე სრული სახით მოაღწია. მას სვინაქსრის 117v-ს XXV სტრიქონის მარჯვენა ნაწილი, XXVI-XXX სტრიქონები, მთელი 118r, 118v-ს I-II სტრიქონები და III სტრიქონის მარცხენა კიდე უჭირავს.

წმ. პროხორეს „ცხოვრების“ სვინაქსარში შეტანილი ტექსტი თითქმის სიტყვასიტყვით მისდევს ამ თხზულების ორ სხვა უძველეს ნუსხას, რომლებიც, როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ, XI საუკუნის II ნახევრის იერუსალიმის სვინაქსარსა (Jer.24-25) და 1155 წლის ჯრუჭის სვინაქსარშია (H-1661) დაცული⁵. ამ მხრივ, ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს წმ. პროხორეს „ცხოვ-

¹ როგორც ცნობილია, ნინოს „ცხოვრება“ და ხსენება სვინაქსარში გიორგი მთაწმიდელს არ შეუტანია. ისინი სვინაქსარში მოგვიანებით, დაახლოებით, XI საუკუნის II ნახევარში შეიტანეს (იქვე, გვ. 029, 031).

² შდრ.: „ამასვე დღესა წმიდისა მოციქულისა ნინოსნი, რომელმან ქართლი მოაქცია“ (იქვე, გვ. 147).

³ პროხორე შავშელის „ცხოვრება“, ნინოს ხსენებისა და „ცხოვრების“ მსგავსად, სვინაქსარში გიორგი მთაწმიდელს არ შეუტანია. ეს ტექსტი სვინაქსარში, მოგვიანებით, 1066 წლის ახლოხანებში შეიტანეს (იქვე, გვ. 029, 031-032).

⁴ შდრ.: „ამასვე დღესა მიცვალებად ნეტარისა მამისა ჩუენისა პროხორესი...“ (იქვე, გვ. 170-171).

⁵ ამასვე დღესა მიცვალებად... გვ. 345-346.

რების“ ბოლო ფრაგმენტი, რომელიც სვინაქსარში დასახელებული ორი ხელნაწერისაგან მცირედ განსხვავებული სახით არის მოტანილი: „...ხოლო დავაწესეთ, რ(აფთ)ა იანვ(ა)რსა იზ (17) გარდაიკდიდეს საკს(ენ)ებ(ელ)სა 118r||118v მისსა ვინცა წინამძღ(უ)არი იყოს ჯ(უარ)ისა მ(ო)ნასტრის(ა)დ. ესე ამის(თ)ს დავაწესეთ მუნ, რ(ამეთუ) მიცვალ(ებ)ისა მისისა დღე უფროდსჯერ / მარხვათა მიხუდების“⁴.

III. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის „ცხოვრება“².

სვინაქსარში 13 მაისზე ორი თხზულებაა დადებული:

1. წმ. ალექსანდრეს „მარტვილობა“: „თ(უეს)ა მაისსა იზ (13). წ(მიდ)ისა მ(ო)წ(ა)მისა ალექსანდრესი...“

2. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის „ცხოვრება“, რომელსაც ბოლოში 13 მაისის ლიტურგიკული განგება აქვს დართული.

ამ ორი თხზულების ტექსტს თავდაპირველად სვინაქსარის XXIII რვეულის VIII ფურცლის recto-ს უმეტესი ნაწილი, იმავე VIII ფურცლის მთელი verso, XXIV რვეულის I-IV ფურცლები და იმავე რვეულის V ფურცლის recto-ს ნაწილი ეჭირა. მოგვიანებით ხელნაწერის XXIV რვეულის I-II ფურცლები დაუდგენელ ვითარებაში დაიკარგა, III ფურცლის recto-ს I სტრიქონი კი, ამ ფურცლის ზედა არშიის ჩამოჭრის გამო, განადგურდა. ამ ორ ფურცელთან და მესამე ფურცლის recto-ს I სტრიქონთან ერთად, უკვალოდ დაიკარგა წმ. ალექსანდრეს „მარტვილობის“ ბოლო ნაწილი და წმ. ეფთვიმეს „ცხოვრების“ თითქმის მთელი I ნახევარი.

დღეისათვის წმ. ეფთვიმეს „ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეულ II ნახევარს, მისთვის ბოლოში დართულ, 13 მაისის ლიტურგიკულ განგებასთან ერთად, ხელნაწერის ამჟამინდელი შედგენილობის 168r-169r და 170r-ს პირველი რამდენიმე სტრიქონი უჭირავს.

მოვიტან წმ. ეფთვიმეს „ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეული ტექსტის დასაწყის და დასასრულ ფრაგმენტებს.

დასაწყისი: „ს(უ)ლნი წარჰკდეს. იქმნა ოდესმე უწუმროებად ფ(რია)დი მთასა ათონისასა. მ(ა)შინ ჰ(რ)ქ(უ)ა ღირსმ(ა)ნ ი(ოვან)ე / ნეტ(ა)რსა ეფთვმის...“ (168r)³.

დასასრული: „...რ(ომელ)ნი ს(ა)რწმ(უ)ნ(ო)ებით / მოუკდებიან, აღმოივსებენ მ(ა)დლსა კურნებათასა უხუებით კადნიერებითა მისითა წ(ინა)შე ღ(მრ)თისა“ (169v)⁴.

აქვე, წარმოვადგენ წმ. ეფთვიმეს „ცხოვრების“ დაკარგული I ნახევრის ტექსტის დასაწყის და დასასრულ ფრაგმენტებს. დასაწყისი: „ამასვე დღესა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეფთვმისი. ესე სამგ ზის სანატრელი მამად ჩუენი ეფთვმი აღმოეცენა ქუეყანასა ტაოისასა, მშობელთაგან მორწმუნეთა...“⁵. დასასრული: „ვინაფთვან კულა გმობასა მადლისა მიმართ იტყუ, დაიყავნ პირი შენი, რომელი იტყუს სიცრუევსა“. და მეყსეულად უტყუ იქმნა მგმობარი პირი მისი და ხვალისა დღე“⁶.

წმ. ეფთვიმეს „ცხოვრების“ ტექსტს, მისი I ნახევრის გარდა, აკლია ოთხი სხვა ფრაგმენტიც, რომლებიც სვინაქსარის ზედა არშიების ჩამოჭრის გამო, უკვალოდ არის დაკარგული. ესენია: ა) „წმიდად ვამის-წირვად. და ვითარცა თქუეს: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს“⁷; ბ) „ხოლო ნეტარმან მან ძმამან იწყო სიტყუად ეშმაკეულისა მის“⁸; გ) „და ეკლესიას დგომასა

¹ შდრ.: იქვე, გვ. 346.

² ეფთვიმე მთაწმიდელის „ცხოვრება“ და ხსენება სვინაქსარში, სავარაუდოდ, თავად გიორგი მთაწმიდელს ჰქონდა შეტანილი (დიდი სვინაქსარი, გვ. 029).

³ შდრ.: „სულნი წარჰკდეს. იქმნა ოდესმე უწუმროებად ფრიადი მთასა ათონისასა. მამის პრქუა ღირსმან იოვანე ნეტარსა ეფთვმის...“ (იქვე, გვ. 239).

⁴ შდრ.: „...რომელნი სარწმუნოებით მოუკდებიან, აღმოივსებენ მადლსა კურნებათასა უხუებით კადნიერებითა მისითა წინაშე ღმრთისა“ (იქვე, გვ. 241).

⁵ ამასვე დღესა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეფთვმისი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, სვინაქსარული რედაქციები (XI-XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიაშვილმა, ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით (თბილისი, 1968), გვ. 331.

⁶ იქვე, გვ. 335.

⁷ იქვე, გვ. 336. ფრაგმენტი დაკარგულია XXIV რვეულის III ფურცლის (168r) verso-ს ზედა არშიისა და მასთან ერთად, I სტრიქონის ჩამოჭრის გამო.

⁸ იქვე, გვ. 337-338. ფრაგმენტი დაკარგულია XXIV რვეულის IV ფურცლის (169r) recto-ს ზედა არშიისა და მასთან ერთად, I სტრიქონის ჩამოჭრის გამო.

მკნე, რამეთუ დგან იგი თვნიერ კუერთისა და კედელსა მიერდ⁴; და დ) „რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნიითი უკუნისამდე, ამინ“².

დასასრულ, აღვნიშნავ, რომ სვინაქსარში შეტანილი ტექსტი წმიდანის „ცხოვრების“ I სვინაქსარულ რედაქციას მიეკუთვნება³ და ამ რედაქციის შემცველი XI-XIII საუკუნეების თხუთმეტი სხვა ნუსხის ტექსტს ზედმიწევნით ზუსტად მისდევს⁴.

IV. წმ. იოანე მთაწმიდელის ხსენება⁵.

სვინაქსარში 14 ივნისზე ორი თხზულება და ერთი ხსენებაა დადებული:

1. წმ. ელისე წინასწარმეტყველის „ცხოვრება“: „თ(უეს)ა ივნისსა 14 (14). წ(მიდ)ისა ელისე წ(ინა)წ(არმეტ)ყ(უე)ლისაჲ...“.

2. წმ. იოანე მთაწმიდელის ხსენება: „ამასვე დღესა მიცვალებ(ა)ჲ წ(მიდ)ისა მამისა ჩ(უე)ნისა ი(ოვან)ესი, ეფთჳმის / მამისა, ჳ(ეშმარი)ტისა მის მონაზონისა და ქ(რისტ)ეს ნებისყოფელისა. პ(ირუ)ელ / აბოლეთ ერქუა ერისმთავრობასა“⁶.

3. გოსტინის ეპისკოპოსის წმ. კირილეს „მარტვილობა“: „ამასვე დღესა წ(მიდ)ისა / მღდ(ე)ლმოწ(ა)მისა კურილე გოსტინელ ეპისკოპოსისა, 189v||190r კრიტელთა ჳალაკისაჲ...“.

წმ. იოანეს ხსენება მცირე მოცულობის ტექსტს წარმოადგენს და მას 189v-ს X სტრიქონის მარჯვენა კიდე, XI-XII სტრიქონები, XIII სტრიქონის მარცხენა და შუა მონაკვეთები უჭირავს.

აქვე, ხაზგასმით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ წმ. იოანეს ხსენების ტექსტი, საქართველოს ეკლესიის ზემოთ განხილული სამი წმიდანის „ცხოვრებებისა“ და ხსენებისაგან განსხვავებით, არა სვინაქსარის გადამწერების ხელით, არამედ მისი II განმარტებლის მიერ არის დაწერილი და შესაბამისად, არა ხელნაწერის თავდაპირველ პლასტს, არამედ მის მოგვიანო, XVIII საუკუნის ფენას მიეკუთვნება

III. სვინაქსარის I და II გადაწერების ხელით შესრულებული ანდერძები და ალაკები, ხელნაწერზე მოზვიანებით მიწერილი ალაკი და სვინაქსარის პირველი განმარტებლის ხელით შესრულებული მინაწერები

1. სვინაქსარის მეორე გადამწერის ხელით შესრულებული ხუთი ანდერძი

დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ სვინაქსარს ანდერძები არ ახლავს⁷. ხელნაწერის დეტალური შესწავლა აჩვენებს, რომ ეს მოსაზრება მართებული არ არის და სვინაქსარს მისი II ნაწილის დამწერის ანუ მეორე გადამწერის ხელით შესრულებული ხუთი ანდერძი აქვს დართული.

ქვემოთ მოვიტან ამ ხუთი ანდერძის ტექნიკურ აღწერილობას, მათი ტექსტების გადმონაწერს დედნის შრიფტის დაცვით და ამ ტექსტების ჩემუელ წაკითხვებს.

I. ანდერძი შესრულებულია 138v-ს V სტრიქონის შუა და მარჯვენა მონაკვეთებსა და VI-IX სტრიქონებზე, 31 მარტის ძირითადი საკითხავისა⁸ და სხვა საკითხავებზე მითითების⁹ შემდეგ; ხუთი სტრიქონი; კოლოფონის ზომა (საზედაო ასოს ზომის ჩათვლით): 4X17,8 სმ; ნუსხური; პირველი გრაფემა, საზედაო ასო **ⴚ** (თ) – ასომთავრულით; ყავისფერი მეღანი; პირველი სიტყვა („თჳთჳთ ონ“) – წითელი ფერის საწერ-საღებავით; განკვეთილობის ნიშნები: წერტილი ან ორწერტილი ალაგ-ალაგ; ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი; ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკნილი ხაზი; ანდერძის ტექსტი აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა (სურ. 9 და სურ. 10).

¹ იქვე, გვ. 339. ფრაგმენტი დაკარგულია XXIV რეგულის IV ფურცლის (169rv) verso-ს ზედა არშიის, მასთან ერთად კი, I სტრიქონისა და II სტრიქონის მარცხენა ნახევრის ჩამოჭრის გამო.

² იქვე, გვ. 340. ფრაგმენტი დაკარგულია XXIV რეგულის V ფურცლის (170r) ზედა არშიისა და I სტრიქონის ჩამოჭრის გამო.

³ ე. გაბიძაშვილი, ბიბლიოგრაფია ძველი ქართული..., გვ. 227-229.

⁴ ამასვე დღესა წმიდისა..., გვ. 331-349.


⁵ იოანე მთაწმიდელის ხსენება, ეფთჳმე მთაწმიდელის „ცხოვრებისა“ და ხსენების მსგავსად, სვინაქსარში, სავარაუდოდ, თავად გიორგი მთაწმიდელს ჰქონდა შეტანილი (დიდი სვინაქსარი, გვ. 029).

⁶ შდრ.: „ამასვე დღესა მიცვალებ(ა)ჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი, ეფთჳმის მამისაჲ, ჳეშმარიტისა მის მონაზონისა და ქრისტეს ნებისყოფელისაჲ, რომელსა პირველ აბულჳერით ერქუა ერისმთავრობასა“ (იქვე, გვ. 262).


⁷ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, (H კოლექცია), II, გვ. 258-260; ე. გაბიძაშვილი, XI-XIV საუკუნეების სვინაქსარული..., გვ. 100.

⁸ „თ(უეს)ა მ(არ)ტსა ჳა (31), წ(მიდ)ათა მოწამეთა ავღა ებისკ(ო)პ(ო)სისა და ბენიამენ დიაკონის(ა)ჲ“ (137v-138v).

⁹ „ამასვე დღესა წ(მიდ)ათა ოცდაათრეამეტა / მ(ო)წ(ა)მეთა და წ(მიდ)ისა მ(ო)წ(ა)მისა მენანდროსი და წ(მიდ)ათა მ(ა)მათაჲ, / რ(ომელ)ნი საბაწ(მი)დას დაიწუნეს ბარბ(ა)როზთავ(ა)ნ და წ(მი)დისა თეოფილეს მ(ო)წ(ა)მისაჲ“ (138v).



სურ. 9
 სვინაქსრის I ანდერდის ტექსტის შემცველი გვერდი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 138v)




სურ. 10
 სვინაქსრის I ანდერდი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 138v)


ᄒᄐᄐ v i ᄐ ᄒ ᄒ n a m a f u r c l a m d e d a a s r ᄆ l a w e r a Y b a
 s i l m ᄆ n w a R u l e l m ᄆ n m j o b a Y s Z e m ᄆ n u s a s y i d l o d . d a ᄐ ᄐ a m d e b i
 b ᄆ n b i s a Y P r ᄆ c T a g ᄆ n g ᄆ n s l v a Y m i e P a d a . r ᄆ l i s a ᄐ ᄐ s P ᄆ l a d m i m R e
 b n i d a a R m o m k i T x ᄆ v l n i a m i s w ᄆ s a s K n a q s r i a n i l c v ᄆ s a w ᄆ a ᄐ ᄐ q n
 s a m o i P s e n ᄆ ᄆ d i T : r ᄆ a R ᄆ n ᄐ ᄐ q n c a k ᄐ ᄐ l d w ᄆ r m a t e b ᄆ l g y v n e s s k ᄆ n ᄐ ᄐ a m r ᄆ ᄐ ᄐ T :-

„თთ(ა)გიოტგ(ა)ნ ამა ფურცლამდე დაასრ(უ)ლა წერაჲ ბა/სიღმ(ა)ნ, წაღუღელმ(ა)ნ, მჯობაჲსდემ(ა)ნ, უსაწყიდლოდ და თ(ა)ნამდეები / ბ(უ)ნ(ე)ბისაჲ ვ(ო)რცთაგ(ა)ნ გ(ა)ნსლეჲა მიეკადა, რ(ო)მლისათ(უ)ს ვ(ე)ლად მიმდეგბნი და აღმოგებითხე(ე)ლნი ამის წ(მიღ)ისა სვნაქსრი(ს)სანი ლ(ო)ცვასა წ(მიდას)ა თქ(უ)ენ(ს)ა მოიკსენ(ებ)დით, რ(ადთ)ა ღ(მერთმა)ნ თქ(უ)ენცა კ(ე)თ(ი)ლ(ა)დ წ(ა)რმატებ(უ)ლ გეგნეს ს(აუ)კ(უ)ნ(ო)თა მ(იმა)როთ“.

II. ანდერძი შესრულებულია 202r-ს ბოლო, XXX სტრიქონის მარჯვენა კიდეზე, 30 იენისის საკითხავზე მითითების¹ და შესაბამისი ლიტურგიკული განგების შემდეგ; ერთი სტრიქონი; კოლოფონის ზომა (სახელო ასოს ზომის ჩათვლით): 0,7X5,5 სმ.; ნუსხური; პირველი გრაფემა, სახელო ასო Q (ო) – ასომთავრულით; ქვეისფერი მელანი; პირველი გრაფემა, სახელო ასო Q (ო) – წითელი ფერის საწერ-სადებავით; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი; ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკნილი ხაზი; ანდერძის ტექსტი აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა (სურ. 11 და სურ. 12).



სურ. 11
სვინაქსრის II ანდერძის ტექსტის შემცველი გვერდი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 202r)



სურ. 12
სვინაქსრის II ანდერძი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 202r)


Q̄o S̄e ef TKmi:-

„ო(ეფალო), შ(ეიწყაღ)ე ეფთუმი“.


III. ანდერძი შესრულებულია 232r-ს XII სტრიქონის მარჯვენა კიდეზე, 9 აგვისტოს საკითხავებზე მითითების² და შესაბამისი ლიტურგიკული განგების შემდეგ შემდეგ; ერთი სტრიქონი; ტექსტის ბოლოს დასმული განივი ხაზი, ფურცლის მარჯვენა არშიის ჩამოჭრის გამო, დაკარგულია; კოლოფონის ზომა (სახელო ასოს ზომის ჩათვლით): 1X6,6 სმ.; ნუსხური; პირველი გრაფემა, სახელო ასო † (ქ) – ასომთავრულით; წითელი ფერის საწერ-სადებავი; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი; ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკნილი ხაზი; ანდერძის ტექსტი აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა (სურ. 13 და სურ. 14).

¹ „თ(უეს)ა იენისსა ლ (30), წ(მიდა)თა ათორმეტთა მ(ო)ც(ო)ქ(უ)ლთა / და სხ(უ)ათა ყ(ოვე)ლთა: პეტრე, პავლე, ი(ოვ)ანე, ანდრეა, / იაკ(ო)ბ, ფილიპე, თომა, ბართლომე, მატეო, იაკ(ო)ბ, / სიმონ, იუდა, ლუკა, მარკოზ და სხ(უ)ათა ყ(ოვე)ლთა“ (202r).

² „თ(უეს)ა აგვისტოსსა მ (9), წ(მიდ)ისა მ(ო)ც(ო)ქ(უ)ლისა მატათიასი... ამ(ა)სვე დღესა წ(მიდ)ისა მ(ო)წ(ა)მისა ანტონისი... და წ(მიდ)ისა კონსტ(ან)ტინესი, კანსტანტინეპოლელ მთ(ავე)რეპისკოპოსისა და წ(მიდ)ისა მ(ა)მისა / თევდოსისი, ორობისა მამასახლისისა“ (231v-232r).



სურ. 13
 სვინაქსრის III ანდერძის ტექსტის შემცველი გვერდი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 232r)




სურ. 14
 სვინაქსრის III ანდერძი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 232r)

ჭ̄e R̄o S̄e ans̄tsia:[-]


„ქ(რისტე), ღ(მერთო), შ(ეიწყალე) ან(ასტ(ა)სია“.

IV. ანდერძი შესრულებულია 237r-ს XVI-XVII სტრიქონებზე, 15 აგვისტოს საკითხავის¹ შემდეგ და შესაბამისი ლიტურგიული განგების წინ; ორი სტრიქონი; ტექსტის ბოლოს დასმული განივი ხაზი, ფურცლის მარჯვენა არშიის ჩამოჭრის გამო, დაკარგულია; კოლოფონის ზომა (საზედაო ასოს ზომის ჩათვლით): 1,5X18,2 სმ; ნუსხური; პირველი გრაფემა, საზედაო ასო **დ** (დ) – ასომთავრულით; ყავისფერი მეღანი; პირველი გრაფემა, საზედაო ასო **დ** (დ) – წითელი ფერის საწერ-საღებავით; განკვეთილობის ნიშნები: ორწერტილი ერთგან; ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი; ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკნული ხაზი; ანდერძის II სტრიქონის ბოლო ხუთი სიტყვა ჩართულია მიძინების საკითხავის ბოლოს. II სტრიქონის მეხუთე-მეგრვე სიტყვებისა და მეცხრე სიტყვის პირველი ორი გრაფემის („ესე წ̄e სვინაქსარი მწ̄ იგ̄~) ადგილას თავდაპირველად სხვა, ჯერჯერობით, დაუდგენელი ტექსტი იყო დაწერილი. ოდნავ მოგვიანებით, კოლოფონის დამწერმა ეს ტექსტი, ჩემთვის უცნობი მიზეზების გამო, ამოფხიკა და მის ნაცვლად, საკუთარი ხელითვე, ამაჰამინდელი ტექსტი დაწერა; ანდერძის ტექსტი აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა. დასასრული, აღვნიშნავ, რომ ანდერძის შესრულების ადგილი საგანგებოდ არის შერჩეული: კოლოფონი დაწერილია 15 აგვისტოს ანუ იმ კონკრეტულ დღის საკითხავსა და ლიტურგიულ განგებასთან, რომელი დღეც ანდერძში მოხსენიებული პირის – ანასტასიას გაზრდილი მარიამის სეხნია წმიდანის – ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინების დღესასწაული აღინიშნება (სურ. 15 და სურ. 16).

¹ „თ(უეს)ა ავგსტოსსა [02] (15), | მიცვ(ა)ლებ(ა)ე წ(მიდ)ისა და უხრწ(ე)ლისა, უფრ(ო)ისად კ(ურთ)ხ(ეუ)ლისა დე-ღ(ო)ფლისა ხ(უენ)ისა ღ(მრ)თისმშ(ო)ბ(ე)ლისა და მ(არ)აღის ქ(ალ)წ(უ)ლისა | მ(ა)რ(ია)მისი“ (236v-237r).



სურ. 15
 სვინაქსრის IV ანდერძის ტექსტის შემკველი გვერდი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 237r)




სურ. 16
 სვინაქსრის IV ანდერძი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 237r)

Ծedao RT̄isao m̄x eqmen w̄e Zisa S̄nisa anastsias
 da missa gazr dil sa mr̄ms: ese w̄Y sknaqsar i m̄n iḡneba:[-]


„დედაო ღ(მრ)თისაო, მ(ერ)ხ ექმენ წ(ინაშე) ძისა შ(ენის)ა ანასტაქსიას / და მისსა გაზრდილსა მ(ა)რ(ია)მს. ესე წ(მიდა)ე სვინაქსარი მ(ა)ნ იგ(ო)ნება“.

V. ანდერძი შესრულებულია 240r-ს VII სტრიქონის მარჯვენა კიდეზე. 18 აგვისტოს პირველი საკითხავის¹ შემდეგ; ერთი სტრიქონი; კოლოფონის ზომა: IX3,5 სმ; ნუსხური; წითელი ფერის საწერ-საღებავი; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი; ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკნილი ხაზი; ანდერძის ტექსტი აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა (სურ. 17 და სურ. 18).

¹ „თ(უეს)ა აგვისტოსსა 02 (15), წ(მიდა)თა მ(ო)წ(ა)მეთა ფლოროს და ლავროსი“ (239v-240r).



სურ. 17
 სვინაქსრის V ანდერძის ტექსტის შემცველი გვერდი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 240r)



სურ. 18
 სვინაქსრის V ანდერძი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 240r)

w̃no S̃eT:-

„წ(მიდა)ნო, შ(ემიწყაღ)ეთ“.

2. სვინაქსრის პირველი გადამწერის ხელით შესრულებული სამი ალაპი

სვინაქსრის დეტალური შესწავლა აჩვენებს, რომ მას, ზემოთ მოტანილი ხუთი ანდერძის გარდა, დართული აქვს სამი ალაპის ტექსტიც, რომლებიც ხელნაწერის I ნაწილის დამწერის ანუ პირველი გადამწერის ხელით არის შესრულებული. სამეცნიერო საზოგადოებისათვის ეს ალაპები, სვინაქსრის ანდერძების, მსგავსად, სრულებით უცნობია.

ქვემოთ წარმოვადგენ ამ სამი ალაპის ტექნიკურ აღწერილობას, მათი ტექსტების გადმონაწერს დედნის შრიფტის დაცვით და ამ ტექსტების ჩემეულ წაკითხვებს.


I ალაპი შესრულებულია 56v-ს XXVIII სტრიქონის შუა და მარჯვენა მონაკვეთებზე, XIX-XX სტრიქონებსა და 57r-ს I სტრიქონზე, 5 დეკემბრის საკითხავის¹ შემდეგ და შესაბამისი ლიტურგიკული განგების წინ; ოთხი სტრიქონი;

¹ „თ(უეს)ა დ(ე)კ(ე)ნბერსა შ (5), წ(მიდა)ისა და ღ(მერთ)შ(ე)მ(ო)სილისა მ(ა)მისა ჩ(უე)ნისა / საბ(ა)ისი, რ(ომელ)ი იყო ნათ(ე)ს(ა)ვით კაბადუკიელი“ (56rv).

IV სტრიქონის ზედა ნახევარი, ფურცლის ზედა არშის ჩამოჭრის გამო, დაკარგულია; კოლოფონის ზომა: ა) 56v-ზე წარმოდგენილი ტექსტის ზომა (სახედაო ასოს ზომის ჩათვლით) – 2,7X16,4 სმ., 57r-ზე წარმოდგენილი ტექსტის ზომა: 0,5X15,5 სმ.; ნუსხური; პირველი გრაფემა, სახედაო ასო Ⴀ (ა) – ასომთავრულით; ყავისფერი მეღანი; პირველი გრაფემა, სახედაო ასო Ⴀ (ა) – წითელი ფერის საწერ-საღებავით; განკვეთილობის ნიშნები: წერტილი ალაგ-ალაგ; ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკნილი ხაზი; IV სტრიქონზე წარმოდგენილი, სანახევროდ დაკარგული ტექსტი გრაფემათა შემორჩენილი ფრაგმენტებისა და კონტექსტის გათვალისწინებით მაქვს აღდგენილი; აღაპის ტექსტი აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა. დასასრულ, აღვნიშნავ, რომ აღაპის შესრულების ადგილი საგანგებოდ არის შერჩეული: მისი ტექსტი დაწერილია 5 ღვეკმბრის ანუ იმ კონკრეტული დღის საკითხავსა და ლიტურგიკულ განგებასთან, რომელ დღესაც აღაპში მოხსენიებული პირის – მონასტრის მამულების საბა-სანივაჯის სეხნია წმიდანის – წმ. საბა განწმედილის ხსენება აღინიშნება (სურ. 19, სურ. 20 და სურ. 21).



სურ. 19
სვინაქსრის I აღაპის ტექსტის შემცველი გვერდები (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 56v-57r)



სურ. 20
სვინაქსრის I აღაპის პირველი ნაწილი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 56v)




სურ. 21
სვინაქსრის I აღაპის მეორე ნაწილი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 57r)


ომ̃sv e dResa aRapi m̃nastr isa ma
 Senb̃l isa. saba saniv aj isi. r̃a wl Tiwl̃ d
 gar daiPdebodis. k̃Tl Ta uxuebiTa. x̃csTa 56v||57r
 [simr̃ v l i Ta da gl̃ xakTa nugeSiñscemiTa]

„ამ(ა)სვე დღესა (5 დეკემბერს – თ. წ.) აღაპი მ(ო)ნასტრისა მა/შენ(ე)ბლისა საბა-
 სანივაჯისი. რ(ადი)ა წლ(ი)თიწლ(ა)დ / გარდაიკვდებოდის ე(ე)თ(ი)ლ(ი)თა უხუებითა, ხ(უ)ც(ე)სთა
 56v||57r [სიმრ(ა)ვლითა და გლ(ა)ხაკთა ნუგეშინ(ი)სცემითა]“.

II აღაპი შესრულებულია 73-ს XXIV სტრიქონის შუა და მარჯვენა მონაკვეთებზე XV-XVI სტრიქონებსა და XXVII სტრიქონის მარცხენა და შუა მონაკვეთებზე 24 დეკემბრის საკითხავებზე მითითების¹ შემდეგ და და შესაბამისი ლიტურგიკული განგების წინ, ოთხი სტრიქონი, კოლოფონის ზომა 34X168 სმ, ნუსხური, პირველი გრაფიკა, სახელად ასო ო (ა) – ასომთავრულით; ყველაფერი მელანო, პირველი გრაფიკა, სახელად ასო ო (ა) – წითელი ფერის სავსურ-საღებავით; განკეთილობის ნიშნები წერტილი ალაგალაგ; ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხახი; ქრამელ გამოყენებულია პატარა განივი კლანილი ხახი; ტექსტი აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა (სურ. 22 და სურ. 23).



სურ. 22
 სვინაქსრის II აღაპის ტექსტის შემცველი გვერდი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 72v)




სურ. 23
 სვინაქსრის II აღაპი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 72v)

¹ „თ(უ)ესა დ(ე)ე(ნ)ბ(ერ)სა პდ (24), წინაღვე ქ(რის)ტ(ე)შ(ო)ბის(ა)დ და / წ(მი)დისა ვევენიაეხი, რ(ომელ)ი იყო კომოდ მე-
 ვისა ზს, ას(უ)ლი / ფილიპე პრომისა ეპარხოზის(ა)დ და წ(მი)დათა მ(ო)წ(ა)მეთაჲ აქიკისი და ქსინოსისი“ (73v).

Tmasv e dResa sal ~cav i da aRapi u
 Zl ur isa is~bisi. v~a g~nweseb~l ar s r~l egr eT egos.
 r~igi am~s dResa mna~znad kx~l iyo. da aRTq~mad daedv a
 ese. r~a R~n sr~l yos g~l smodgineb~Y misi:-


„ამასვე დღესა (24 დეკემბერს – თ. ჯ.) საღ(ო)ცავი და აღაპი უძღურისა ი(ო)ს(ე)ბისი. ვ(ითარცა) ვ(ა)ნწესებ(უ)ლ არს, რ(ომე)ლ ვერეთ ეგოს, / რ(ამეთუ) იგი ამ(ა)ს დღესა მ(ო)ნა ზ(ო)ნად კ(ურთ)ხ(ე)ლ იყო და აღთქ(უ)მად დაედვა / ესე, რ(ადთ)ა ღ(მერთმა)ნ სრ(უ)ლ ყოს გ(უ)ლსმოდგინებ(ა)დ მისი“.

III. აღაპი შესრულებულია 89r-ს XXVII სტრიქონის მარჯვენა მონაკვეთზე, XVIII-XX სტრიქონებსა და 89v-ს I-IV სტრიქონებზე, 5 იანვრის საკითხავებზე მითითების¹ შემდეგ და შესაბამისი ლიტურგიკული განგების წინ; რვა სტრიქონი; კოლოფონის ზომა: ა) 89r-ზე წარმოდგენილი ტექსტის ზომა (საზედაო ასოების ზომების ჩათვლით) – 3,2X16,7 სმ., 89v-ზე წარმოდგენილი ტექსტის ზომა: 2,5X16,5 სმ.; ნუსხური; პირველი სიტყვის პირველი გრაფემა, საზედაო ასო Ⴀ (ო), მეორე სიტყვის, უფრო ზუსტად კი, რიცხვის აღმნიშვნელი გრაფემა Ⴀ (ე) და მესამე სიტყვის პირველი გრაფემა, საზედაო ასო Ⴀ (ა) – ასომთავრულით; ყავისფერი მელანი; პირველი სიტყვა („ინ ვრსა“), განკვეთილობის ორწერტილისა და ქარაგმის ნიშნის გამოკლებით და მესამე სიტყვის პირველი გრაფემა, საზედაო ასო Ⴀ (ა) – წითელი ფერის საწერ-სადებაით; განკვეთილობის ნიშნები: წერტილი ან ორწერტილი ალაგ-ალაგ; ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი, ამ წერტილებს შორის შესრულებული განივი კლაკნილი ხაზი და ორწერტილის შემდეგ გამოყვანილი ხაზი; ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკნილი ხაზი; ტექსტი აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა (სურ. 24, სურ. 25, სურ. 26 და სურ. 27).




სურ. 24
 სვინაქსრის III აღაპის ტექსტის პირველი ნაწილის შემცველი გვერდი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 89r)


¹ „თ(უეს)ა ი(ა)ნვ(ა)რსა Ⴀ (5), / წ(მიდ)ისა Ⴀ(ა)ვლე თებელის(ა)დ და წ(მიდ)ისა ვრ(ი)გ(ო)ლი აკრელის(ა)დ და წ(მიდ)ისა / აბოლინარისი“ (89r).



სურ. 25
სვინაქსრის III აღაბის ტექსტის მეორე ნაწილის შემცველი გვერდი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 89v)



სურ. 26
სვინაქსრის III აღაბის პირველი ნაწილი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 89r)



სურ. 27
სვინაქსრის III აღაბის მეორე ნაწილი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 89v)

Tmil axor Tayas: S̃ns R̃n:-

„ამილახორ თაყას შ(ეუ)ნ(ღეს ღ(მერთმა)ნ“.

IV. მინაწერი შესრულებულია 15r-ს XVIII სტრიქონზე; სამი სტრიქონი; კოლოფონის ბოლო რამდენიმე გრაფემა, ფურცლის მარჯვენა არშის ჩამოჭრის გამო, დაკარგულია; მინაწერის შემორჩენილი ნაწილის ზომა: 2,2X19,9 სმ.; ნუსხური; ტექსტის დასაწყისში დასმულია ქანწილი; ყავისფერი მელანი; ქანწილი – წითელი ფერის საწერ-საღებავით; განკვეთილობის ნიშნები: წერტილი ალაგ-ალაგ; ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკნილი ხაზი; კოლოფონის II და III სტრიქონები შესრულებულია მისი I სტრიქონის ზედა ხაზში, შესაბამისი ადგილის ზემოთ, ყვეტილი ხაზებით შექმნილ მორკალულკიდებთან ჩარჩოში; მინაწერის დაკარგული გრაფემები კონტექსტის მიხედვით მაქვს აღდგენილი; კოლოფონი აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა.

† qẽo R̃o SenT ỹTa wĩTa madl iTa. daicev mSuidobiT. patr oni amil axo[...]
da miec dRe g[...]
e[...]


„†. ქ(რისტ)ე<ო>, ღ(მერთ)ო, შენთაჲ ყ(ოველ)თა წ(მ)ი(და)თა მადლითა, დაიცევ მშუიდობით პატრონი ამილახო[რი] | და მიეც დღე გ[რძ]ქ[ელი]“.

V. მინაწერი შესრულებულია 15v-ს XXII სტრიქონზე; ერთი სტრიქონი; კოლოფონის ზომა: 1,1X17,2 სმ.; ნუსხური; პირველი გრაფემა, საზედაო ასო Ⴀ (ა) – ასომთავრულით; ყავისფერი მელანი; პირველი გრაფემა, საზედაო ასო Ⴀ (ა) – წითელი ფერის საწერ-საღებავით; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი; ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკნილი ხაზი; მეექვსე სიტყვის („შეუნდეს“) V გრაფემა d (დ) კოლოფონის შესაბამისი ადგილის ზემოთ არის შესრულებული; მინაწერი აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა.


Tmil axoor s Tayasa da misTa mSobel Ta Seundes R̃n:-

„ამილახო<ო>რს თაყასა და მისთა მშობელთა შეუნდეს ღ(მერთმა)ნ“.

VI. მინაწერი შესრულებულია 17v-ს XXVII სტრიქონის მარჯვენა ნახევარსა და XVIII-XIX სტრიქონებზე; სამი სტრიქონი; მინაწერის ბოლო რამდენიმე გრაფემა, ფურცლის მარჯვენა არშის ჩამოჭრის გამო, დაკარგულია; კოლოფონის შემორჩენილი ნაწილის ზომა: 2,3X16,2 სმ.; ნუსხური; პირველი გრაფემა, საზედაო ასო Ⴀ (ა) – ასომთავრულით; ყავისფერი მელანი; პირველი გრაფემა, საზედაო ასო Ⴀ (ა) – წითელი ფერის საწერ-საღებავით; განკვეთილობის ნიშნები: ორწერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ; ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკნილი ხაზი; კოლოფონის დაკარგული გრაფემები კონტექსტის მიხედვით მაქვს აღდგენილი; მინაწერი აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა (სურ. 28 და სურ. 29).



სურ. 28
სვინაქსრის პირველი განმახლებლის ხელით შესრულებული VI მინაწერის ტექსტის შემცველი გვერდი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 17v)




სურ. 29

სვინაქსრის პირველი განმარტების ხელით შესრულებული VI მინაწერი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 17v)

Tma wignisa meor e[-]
g̃naxl ebel sa: da nakl ebisa: damwer el sa: patr [-]
nsa: amil axor s Tayasa: da misTa mSobel Ta: S̃ns R̃[-]

„ამა წიგნისა მეორედ / გ(ა)ნ(მა)ახლებელსა და ნაკლებისა დამწერელსა, პატრონსა ამილახორს თაყსა და მისთა მშობელთა შეუნდეს დ(მერთმა)ნ“.


VII. მინაწერი შესრულებულია 81v-ს ქვედა არშიაზე; სამი სტრიქონი; კოლოფონის III სტრიქონის ქვედა ნახევარი, ფურცლის ქვედა არშის ჩამოჭრის გამო, დაკარგულია; მინაწერის შემორჩენილი ნაწილის ზომა: 2,2X17,6 სმ; ნუსხური; პირველი გრაფემა, სახედაო ასო Ⴀ (ა) – ასომთავრულით; ყავისფერი მელანი; პირველი გრაფემა, სახედაო ასო Ⴀ (ა) და მეორე სიტყვის („დთისაო“) V გრაფემა Ⴀ (ო) – წითელი ფერის საწერ-საღებავით; განკვეთილობის ნიშნები: წერტილი ან ორწერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ; ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ამ წერტილებს შორის შესრულებული განივი კლაკნილი ხაზი; II სტრიქონის წინ გამოყვანილია მარჯვნივ გასხნილი ფრჩხილი; ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკნილი ხაზი; მინაწერის III სტრიქონის სანახევროდ ან სრულად დაკარგული გრაფემები ამ გრაფემათა შემორჩენილი ფრაგმენტებისა და კონტექსტის მიხედვით მაქვს აღდგენილი; მინაწერი გამოქვეყნებულია ერთხელ, 1951 წელს, ლილი ქუთათელაძის მიერ¹ (სურ. 30 და სურ. 31).



სურ. 30

სვინაქსრის პირველი განმარტების ხელით შესრულებული VII მინაწერის ტექსტის შემცველი გვერდი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 81v)

¹ „დედაო დთისაო, ქალწულო მარიაჲ, იხსენ ყოველთა ცოდვათაგან ამილახორი, ზვედვინიძე თაყა და მისი მეუღლე პატრონი...“ (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, (H კოლექცია), II, გვ. 259).



სურ. 31
სვინაქსრის პირველი განმარტებლის ხელით შესრულებული VII მინაწერი
(კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,
ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 81v)

Ეedao: R̄Tsao: qal w̄l m̄r miam. ixsen ȳTa: codv aTaḡn: ami
l axor i: zev dgineZe: Taya: da misi meuRl e: patr oni
m[-]mqan:-


„დედაო ღ(მრ)თ(ი)საო, ქალწ(უ)ლ(ო) მ(ა)რ<მ>იამ, იხსენ ყ(ოველ)თა ცოდვათაგ(ა)ნ
ამილახორი ზევდგინ<ე>{ი}ქე თაყა და მისი მეუღლე, პატრონი / მ[ა]მქან“.

VIII. მინაწერი შესრულებულია 147v-ს XXVI სტრიქონის მარჯვენა კიდეზე; ორი სტრიქონი; კოლოფონის II სტრიქონი მისი I სტრიქონის მარჯვენა კიდის ქვემოთ, 147v-ს XXVI-XXVII სტრიქონებს შორის არეხვა წარმოდგენილი; მინაწერის ზომა: 1X6,4 სმ.; ნუსხური; პირველი გრაფემა, სახელო ასო Ⴀ (ა) – ასომთავრულით; ყავისფერი მელანი; პირველი გრაფემა, სახელო ასო Ⴀ (ა) – წითელი ფერის საწერ-სადეგავით; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; II სტრიქონის წინ გამოყვანილია მარჯვნივ გახსნილი ფრჩხილი; ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ამ წერტილებს შორის შესრულებული განივი კლაკნილი ხაზი; ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკნილი ხაზი; მინაწერი აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა.


Ⴀmil axor TayaṣY
S̄n R̄n:-

„ამილახორ თაყას<ე> / შეუნდგენ ღ(მერთმა)ნ“.

IX. მინაწერი შესრულებულია 150r-ს XXX სტრიქონის მარჯვენა კიდეზე და XXXI სტრიქონზე; ორი სტრიქონი; კოლოფონის ზომა: 19X17,2 სმ.; ნუსხური; პირველი გრაფემა, სახელო ასო Ⴀ (ა) – ასომთავრულით; ყავისფერი მელანი; პირველი გრაფემა, სახელო ასო Ⴀ (ა) და ამ სიტყვის ზემოთ შესრულებული ქარაგმის ნიშანი – წითელი ფერის საწერ-სადეგავით; განკვეთილობის ნიშნები: ორწერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ; ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკნილი ხაზი; პირველი სიტყვის („ამ“^ა) III გრაფემა Y (ე) I სტრიქონის ზედა ხაზში, შესაბამისი ადგილის ზემოთ არის შესრულებული; მინაწერი აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა. დასასრულ, აღვნიშნავ, რომ კოლოფონის დამწერი სვინაქსრის პატრონის – [თაყა] ამილახორის გამარჯვებისათვის შემთხვევით არ ევედრება მაინცადამინც წმ. გიორგის – მინაწერი შესრულებულია 150r-ზე, რომელზეც, თავის მხრივ, 23 აპრილის მასალა ანუ წმ. გიორგის საკითხავია წარმოდგენილი (სურ. 32 და სურ. 33).



სურ. 32
სვინაქსრის პირველი განმარტებლის ხელით შესრულებული IX
მინაწერის ტექსტის შემცველი გვერდი (კორნელი კეკელიძის
სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,
ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 150r)



სურ. 33

სვინაქსრის პირველი განმარტების ხელით შესრულებული IX მინაწერი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 150r)

ტმ̃Y: w̃gnisa:

pat̃ r onsa: amil axor s̃Y: gaumr j uH: w̃o g̃i: mT̃v r o:

„ამ(ა)კად > წ(ი)გინისა / პატრონსა, ამილახორს<ად> გაუმ(ა)კრჯუმს, წ(მიდა)ო გ(იორგ)ო მთ(ა)ვ(ა)რო“.

4. სვინაქსარზე მოგვიანებით მიწერილი ალაპი

სვინაქსარს, მისი პირველი გადაწერის ხელით შესრულებული ალაპების გარდა, დართული აქვს კიდევ ერთი, XV-XVI საუკუნეების ხელით შესრულებული ალაპი, რომელიც ხელნაწერის არშიაზე მოგვიანებით არის დაწერილი. ამ ალაპში შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოს მაღალი რანგის მოხელე, ქვეყნის ერთ-ერთი უპირველესი ვაზირის – მანდატურთუხუცესის თანაშემწე, ამირეჯიბი შანშეა მოხსენიებული. ქვემოთ მოვიტან ამ ალაპის ტექნიკურ აღწერილობას, მისი ტექსტის გადმონაწერს დედნის შრიფტის დაცვით და ამ ტექსტის ჩემუელ წაკითხვებს.

ალაპი შესრულებულია 56v-ს ქვედა არშიაზე; ორი სტრიქონი; კოლოფონის ზომა: (სახელო ასოს ზომის ჩათვლით) – 1,5X1,6 სმ; ნუსხური; პირველი გრაფიკა, სახელო ასო ტ (ა) – ასომთავრულით; ბაცი ყავისფერი მელანი; განკვეთილობის ნიშნები: ორწერტილი ერთგანი; ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკინილი ხაზი; ტექსტი, მელნის გადასვლის გამო, ძნელად იკითხება; ალაპი გამოქვეყნებულია ერთხელ, 1951 წელს, ლილი ქუთათელაძის მიერ¹ (სურ. 34 და სურ. 35).



სურ. 34

სვინაქსარზე მოგვიანებით მიწერილი ალაპის ტექსტის შემცველი გვერდი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 56v-57r)

¹ „ამა ნიკოლოზობასა ალაპი პატრონისა ამირეჯიბისა შანშესი, ვინცა მოშალოს, რისხავსმცა მამა, ძე და სული-წმიდა“ (იქვე).



სურ. 35

სვინაქსარზე მოგვიანებით მიწერილი ალაპი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი №886, 56v)

**Tma niki z`obasa aRapi patr onisa amir ej ibisa San
Sesi: v nca moSl os r isxav smca m`ma Ze da s`l i w`a**

„ამა ნიკ(ო)ლ(ო)ზობასა ალაპი პატრონისა ამირეჯობისა შანშესი. ვჩინცა მოშჩაკლოს, რისხავსმცა მ(ა)მა, ძე და ს(უ)ლი წ(მიდა)“.

**IV. სვინაქსრის გადაწერებისა და მომგებლის
ვინაობა, გადაწერის ალბილი და ღრო**

1. სვინაქსრის გადაწერთა ვინაობა

სვინაქსრის გადაწერთა ვინაობა სამეცნიერო საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი იყო. ხელნაწერის ანდერძების გამოვლენის შემდეგ აღნიშნული საკითხის გარკვევა იოლ ამოცანას წარმოადგენს. სვინაქსრის I და II ანდერძები პირდაპირ გვაუწყებს, რომ ხელნაწერი ორი მწიგნობრის – წადელელი ბასილ მჯობაისძისა და ეფთვიმეს მიერ არის გადაწერილი: I ანდერძი: *„თთავითგან ამა ფურცლამდე დაასრულა წერაი ბასილმან, წადელელმან, მჯობაისძემან“*; და II ანდერძი: *„უფალო, შეიწყალე ეფთვიძი“*.

ბასილ მჯობაისძე და ეფთვიმე, სვინაქსრის გადაწერის დღეისათვის მიღებული ღროის (XII ს.) გათვალისწინებით, XII საუკუნის მოღვაწეები იყვნენ. სამწუხაროდ, მათ სახელსა და სამწიგნობრე საქმიანობასთან დაკავშირებულ რაიმე სხვა ცნობებს ჩემთვის ცნობილ წერილობით ძეგლებსა თუ სამეცნიერო ლიტერატურაში, ჯერჯერობით, ვერ მივაკვლიე. შესაბამისად, ვფიქრობ, არ შეეცდები, თუკი დავასკენი, რომ სვინაქსრის ანდერძების წყალობით, ცნობილი ხდება XII საუკუნეში მოღვაწე ორი ქართველი კალიგრაფის – ბასილ მჯობაისძისა და ეფთვიმეს სახელები, რომელთა შესახებაც სამეცნიერო საზოგადოებამ აქამდე არაფერი იცოდა.

მაშასადამე, ირკვევა, რომ სვინაქსარი გადაწერილია XII საუკუნის ორი უცნობი ქართველი მწიგნობრის – ბასილ მჯობაისძისა და ეფთვიმეს მიერ.

2. სვინაქსრის მომგებლის ვინაობა

სვინაქსრის მომგებლის ვინაობა, მისი გადაწერთა ვინაობის მსგავსად, სამეცნიერო საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი იყო. დღეისათვის ამ საკითხის გარკვევა სიმძნელეს აღარ წარმოადგენს, რადგან ხელნაწერის ახლადგამოვლენილ კოლოფონებში მისი მომგებლის ვინაობა პირდაპირ არის დასახელებული. კერძოდ, სვინაქსრის მეორე გადაწერის ეფთვიმეს ხელით დაწერილი IV ანდერძი გვაუწყებს, რომ ხელნაწერის შექმნა მარიამმა „იგონება“ ანუ განიზრახა, სვინაქსრის პირველი გადაწერის ბასილ მჯობაისძის მიერ შესრულებული III ალაპი კი გვამცნობს, რომ ხელნაწერის ნახევარი მარიამ მოგელეთის ანუ მოგელთა საგვარეულოს ასულის (ამის შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ) „წარსაგებლით“ ანუ საფასით იყო გადაწერილი: IV ანდერძი – *„დედაო ღმრთისაო, მეოხ ექმენ წინაშე ძისა შენისა... მარიამს. ესე წმიდაი სვინაქსარი მან იგონება“*; და III ალაპი – *„ალაპი არს... მარიამ მოგელეთისა... ამის სვინაქსრისა ნახევარი მისითა წარსაგებელითა დაიწერა“*.

სამწუხაროდ, სვინაქსრის შექმნის ინიციატორი და მომგებელი მარიამ მოგელი, რომელიც, სვინაქსრის გადაწერის დღეისათვის მიღებული ღროის (XII ს.) გათვალისწინებით, XII საუკუნის მოღვაწე იყო, ამ ხელნაწერის კოლოფონების გარდა, ჩემთვის ცნობილ სხვა წერილობით ძეგლებში მოხსენიებული არ არის. შესაბამისად, გამოდის, რომ სვინაქსრის კოლოფონები წარმოგვიდგენს XII საუკუნეში მოღვაწე, მწიგნობრობის მოყვარე ქტიტორი-ქალის მარიამ მოგელის სახელს, რომლის შესახებაც სამეცნიერო საზოგადოებამ აქამდე არაფერი იცოდა.

მაშასადამე, ირკვევა, რომ სვინაქსარი გადაწერილია XII საუკუნეში მოღვაწე უცნობი ქტიტორი-ქალის მარიამ მოგელის დაკვეთით.

3. სვინაქსრის გადაწერის ადგილი

მე უკვე აღვნიშნე ზემოთ, რომ სვინაქსრის გადაწერის ადგილის შესახებ მოსაზრება პირველად ლილი ქუთათელაძემ გამოთქვა. მკვლევრის დაკვირვებით, H-886 ხელნაწერის დედანს 1155 წელს იერუსალიმში გადაწერილი ჯრუჭის სვინაქსარი წარმოადგენდა და შესაბამისად, თავად H-886 ხელნაწერიც იერუსალიმში იყო გადაწერილი¹.

ლილი ქუთათელაძის მიერ გამოთქმული ამ მოსაზრების ის ნაწილი, რომლის თანახმადაც H-886 ხელნაწერი იერუსალიმში იყო გადაწერილი, ენრიკო გაბიძაშვილმა სრულად გაიზიარა. რაც შეეხება ლილი ქუთათელაძის მოსაზრების მეორე ნაწილს, რომლის მიხედვითაც H-886 ხელნაწერი 1155 წლის ჯრუჭის სვინაქსრიდან იყო გადაწერილი, ენრიკო გაბიძაშვილმა არ გაიზიარა და საპირისპიროდ ამისა, საესებით არგუმენტირებულად დაადგინა, რომ H-886 ხელნაწერი არა ჯრუჭის სვინაქსრიდან, არამედ ამ უკანასკნელის დედნიდან, იმავე იერუსალიმში შექმნილი სხვა ხელნაწერი წიგნიდან, XI საუკუნის მეორე ნახევრის იერუსალიმის სვინაქსრიდან იყო გადაწერილი².

სვინაქსრის ახლადგამოვლენილი კოლოფონი, უფრო ზუსტად კი, ხელნაწერის პირველი გადამწერის ბასილ მჯობაისძის ხელით დაწერილი III ალაპი მთლიანად ადასტურებს ლილი ქუთათელაძის მიერ გამოთქმულ და ენრიკო გაბიძაშვილის მიერ დაზუსტებულ იმ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც H-886 ხელნაწერი იერუსალიმში იყო გადაწერილი. III ალაპში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ხელნაწერის მომგებელმა მარიამ მოგელმა, ძმასთან, ბედელა მოგელთან ერთად, „მრავალი ქველის საქმე ქმნა“ ანუ დიდი ქტიტორული ღვაწლი გასწია იერუსალიმში მოღვაწე ბასილ მჯობაისძისა და სხვა ქართველი მოწესეების მიმართ: „*ალაპი არს... მარიამ მოგელეთისა... მრავალი ქველის საქმე ქმნეს ლეონ ზედა ივრუსალჴმს შინა მან და ძმამან მისმან ბედელამან*“.

სვინაქსრის III ალაპის ციტირებულ ცნობას კიდევ უფრო მეტად აზუსტებს ბასილ მჯობაისძის მიერ შესრულებული II ალაპის ტექსტი, რომელიც გვაუწყებს, რომ სვინაქსარი გადაწერილი იყო იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ მონასტერში, რომლის „მაშენებელიც“ ვინმე საბა-სანივაჯი იყო: „*ამსვე დღესა ალაპი მონასტრისა მაშენებლისა საბა-სანივაჯისი*“.

სამწუხაროდ, დღეისათვის ქართული ისტორიოგრაფიისათვის სრულებით უცნობია იერუსალიმის ქართული მონასტერი, რომელიც ვინმე საბა-სანივაჯის ქტიტორობით, სვინაქსრის გადაწერის დღეისათვის მიღებული დროის (XII ს.) გათვალისწინებით, XII საუკუნესა თუ XII საუკუნის წინარე ხანებში იყო აღშენებული³. შესაბამისად, ვფიქრობ, არ შეეცდები, თუკი დავასკენი, რომ ხელნაწერის III და II ალაპები არამხოლოდ იმას გვაუწყებს, რომ ხელნაწერი იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ მონასტერში იყო გადაწერილი, არამედ, იმავედროულად, უძვირფასეს ცნობებსაც გვაწვდის იერუსალიმის XII საუკუნისა თუ XII საუკუნის წინარე ხანების უცნობი ქართული მონასტრისა და მისი სრულებით უცნობი ქტიტორის შესახებ.

მაშასადამე, ირკვევა, რომ სვინაქსარი გადაწერილია იერუსალიმში (ლილი ქუთათელაძე), აქამდე უცნობ ქართულ მონასტერში, რომელიც საბა-სანივაჯის ქტიტორობით იყო აღშენებული.

4. სვინაქსრის გადაწერის დრო

მე უკვე აღვნიშნე ზემოთ, რომ სვინაქსრის გადაწერის დღეისათვის მიღებული დრო ლილი ქუთათელაძემ განსაზღვრა: მკვლევარმა ხელნაწერი, მისი პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, XII საუკუნით დაათარიდა⁴.

ლილი ქუთათელაძის მიერ შემოთავაზებული დათარიღება ჩემთვის საესებით მისაღება: სვინაქსარი, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ნამდვილად XII საუკუნეს მიეკუთვნება.

პარალელურად ამისა, სვინაქსრის ახლადგამოვლენილ კოლოფონებში, უფრო ზუსტად კი, ხელნაწერის პირველი გადამწერის ბასილ მჯობაისძის მიერ შესრულებულ III ალაპში დაცულია ცნობა, რომელიც თითქოსდა საშუალებას გვაძლევს, სვინაქსრის გადაწერის ვრცელი, ასი წლის მომცველი ქრონოლოგიური მონაკვეთი მნიშვნელოვნად დავავიწროვოთ და ხელნაწერი არა, ზოგადად, XII საუკუნით, არამედ ბევრად უფრო კონკრეტული დროით დავათარილოთ.

¹ იქვე, გვ. 258.

² ე. გაბიძაშვილი, XI-XIV საუკუნეების სვინაქსარული..., გვ. 100-101.

³ იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრების მეტნაკლებად სრული ჩამონათვალი იხ.: თ. მგალობლიშვილი, პალესტინის ქართული მონასტრები, ქართული ენა, ენციკლოპედია (თბილისი, 2008), გვ. 365-366.

⁴ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, (H კოლექცია), II, გვ. 258.

აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისას მხედველობაში მაქვს სვინაქსრის III ალაპის ბოლო ფრაგმენტი, რომელიც გვაუწყებს, რომ ხელნაწერის მომგებელმა მარიამ მოგელმა იერუსალიმის იმ ქართული მონასტრის ეკლესიისათვის, სადაც ბასილ მჯობაისძემ და ეფთვიმემ სვინაქსარი გადაწერეს, საქართველოში ვინმე ტაოელებისაგან ვენახი შეიძინა: „ალაპი არს... მარიამ მოგელეთისადა... მრავალი ქველის საქმე ქმნეს ჩუენ ზედა ისრუსალმშმ შინა... და მანდა თუთ ეკლესიათს ვენაჳი უყიღია ტაოელეთგან“:

III ალაპის ციტირებულ ფრაგმენტთან დაკავშირებით, ლოგიკურად დაისმის კითხვა: ვინ არიან კოლოფონში მოხსენიებული ტაოელები, რომელთაგანაც მარიამ მოგელმა საქართველოს ერთ-ერთ პროვინციაში ვენახი შეიძინა?

ჩემი დაკვირვებით, დასმული კითხვის საპასუხოდ, შეიძლება, გამოითქვას ორი ჰიპოთეტური მოსაზრება: 1. ტაოელებად იწოდება საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინციის – ტაოს მოსახლეობა; და 2. ტაოელებად მოხსენიებულია კონკრეტული ფეოდალური სახლი – ტაოელთა გვარი. სწორედ ეს მეორე ჰიპოთეტური მოსაზრება იძლევა იმის საშუალებას, რომ სვინაქსრის გადაწერის ვრცელი ქრონოლოგიური მონაკვეთი მნიშვნელოვნად დავავიწროვოთ. შესაბამისად, მსჯელობას სწორად ამ მიმართულებით წარვმართავ.

ჩემს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, შუა საუკუნეების საქართველოში ტაოელთა გვართ მხოლოდ ერთი ფეოდალური სახლი იყო ცნობილი. თავად ეს გვარი მეფე თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ XIII საუკუნის დასაწყისში შედგენილი თხზულების „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ერთ-ერთ ფრაგმენტშია მოხსენიებული. მემატყანე მოგვითხრობს, რომ მეფე თამარისა (1184-1210 წწ.) და მისი პირველი ქმრის, იური ანდრიას ძის, იგივე გიორგი რუსის ქორწინების ანუ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული ქრონოლოგიით, 1185 წლის შემდგომ ახლოხანებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, უფრო ზუსტად კი, შავშეთისა და კლარჯეთის პროვინციებში, მუსლიმთა კოალიციური ლაშქარი შემოიჭრა. მათ წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ვინმე გუზან აბულასანის ძე, რომელიც ტექსტში ტაოელად არის მოხსენიებული. გუზან ტაოელმა, მის დაქვემდებარებაში მყოფი სამხედრო ძალებით, ბოცო [ბოცოსძისა] და მესხი მეომრების დახმარებით, მტერი სასტიკად დაამარცხა: „და მასვე ჟამსა მოვიდეს კარნუქალაქელნი, შამელნი და თურქნი ვარძიაქისანი, ცხენოსანნი და ქუეითნი, და აივსო შავშეთისა და კლარჯეთისა ქუეყანა. აქათ შეიყარნეს გუზან აბულასანის ძე ტაოელი და მის ქუეყანისა ლაშქარნი, და ბოცო და ვინცადა იახლა, მიესწრნეს მესხნი და მარბიელ-გაშუებულთა შეებნეს მუნვე. ბედმან და სუემან თამარისმან სძლია, გააქცივნეს მუნცა და დაჯოცნეს“¹.

გუზან ტაოელი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ციტირებული ფრაგმენტის გარდა, მოხსენიებულია ამავე თხზულების კიდევ ექვს სხვა ნაწილში, რომელთაგანაც პირველ ხუთ ნაწილში 1191 წლის მოვლენებია გადმოცემული, ხოლო მეექვსე ნაწილში, ზოგადად, მეფე თამარის გულმოწყალების ამბებია მოთხრობილი. სამწუხაროდ, ამ ექვს ნაწილში გუზანი გვარის გარეშე, მხოლოდ სახელით არის მოხსენიებული: 1. „პირველად მიერთო გუზან, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა, რომელი ძუელთა მეფეთა ტაოელთა დიდებულთა ადგილსა ზე და შეეწყალა პატრონსა“²; 2. „გაგ ზავნა ლაშქარნი ქუეყანისანი და მივიდეს გუზანისად“³; 3. „ვინაცა გუზან პირველითგანვე წარმწყმედელი თავისა, აწცა გამტანელი ტაოსკარისა, ვაშლოვანისა და სხუათა ციხეთა მრავალთა, წარვიდა ქუეყანასა შაჰარმენისასა“⁴; 4. „მოვეგბნეს წინა ზაქარია ფანასკერტელი და ძინიელნი, კალმახელნი, ყრმანი კარვნი და პატრონისაგან შეწყალებულნი. და შეყრასავე თანა ცნეს გუზანის შეილისა და შაჰარმენის ლაშქრითა მისლვა გუზანის ცოლისა და შეილისა წარსხმად და ციხეთა შინა თურქთა შეეყნებად“⁵; 5. „ბოლოდ, მათთა გამქცეველთა და ამომწყვედელთა, კელთამყრელთა გუზანის ცოლ-შვილთა, თანა შემოქცეულთა აიხუნეს ციხენი და სიმაგრენი“⁶; და 6. „მოწყალებისათვის კმა გეყავნ დადიანი ვარდან, გუზან

¹ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II (თბილისი, 1959), გვ. 38. შდრ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გ. კარტოზიამ და ც. კიკვიძემ, *ქართლის ცხოვრება* (თბილისი, 2008), გვ. 413.

² ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 49. შდრ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს..., გვ. 422.

³ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 49. შდრ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს..., გვ. 423.

⁴ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 55. შდრ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს..., გვ. 428.

⁵ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 55-56. შდრ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს..., გვ. 428.

⁶ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 56. შდრ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს..., გვ. 428.

რომელი თვალ-მრუმე ოდენ-ყვეს, ბოცოს-ძე ბოცო და ამათნი მიმდგომნი დიდებულნი და აზნაურნი, რომელნი ჩანან შეწყალებულნი⁴.

მიუხედავად იმისა, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ზემოთ ციტირებულ ექვს ნაწყვეტში გუზანის გვარი მითითებული არ არის, ეს ნაწყვეტები მაინც უძვირფასეს ცნობებს გვაწვდის, ერთი მხრივ, ტაოელთა გვარის წარმოშობის, ხოლო, მეორე მხრივ, ამ გვარის დამცრობისა და ამოვარდნის შესახებ. თავდაპირველად შევეხები ტაოელთა გვარის წარმოშობის დროსა და ისტორიულ ვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ზემოთ ციტირებული ერთ-ერთი ნაწყვეტი მოგვითხრობს, რომ თავდაპირველად გუზანი მხოლოდ კლარჯეთისა და შავშეთის პროვინციების „პატრონი“ ანუ ერისთავი იყო, მოგვიანებით კი იგი „პატრონმა“ ანუ მეფემ „ძველ ტაოელ ხელმწიფეთა“ ანუ ტაოს ბაგრატიონ მეფეთა „ადგილას“ დაადგინა: „პირველად მიერთო გუზან, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა, რომელი ძუელთა მეფეთა ტაოელთა დიდებულთა ადგილსა ზედა შეეწყალა პატრონსა“.

სამწუხაროდ, ციტირებული ნაწყვეტიდან არ ჩანს, თუ, კონკრეტულად, რას გულისხმობს მეფის მიერ გუზანის „ძველ ტაოელ ხელმწიფეთა ადგილას“ დადგენა: ა) იმას, რომ გუზანს ტაოს პროვინცია, კლარჯეთისა და შავშეთის პროვინციების მსგავსად, საგამგებლოდ გადაეცა და შესაბამისად, იგი ტაო-კლარჯეთ-შავშეთის ერისთავი გახდა; ბ) იმას, რომ გუზანმა ტაოს პროვინცია, კლარჯეთისა და შავშეთის პროვინციებისაგან განსხვავებით, არა საგამგებლოდ, არამედ სამამულო მფლობელობაში მიიღო და ამ გზით, იგი „ძველ ტაოელ ხელმწიფეთა“ მემკვიდრედ იქცა; თუ გ) იმას, რომ გუზანს ტაოს პროვინციის ძირითადი ნაწილი, როგორც ტაო-კლარჯეთ-შავშეთის ერისთავს, საგამგებლოდ უბოძეს, ხოლო ტაოს პროვინციის ცალკეული რაიონები, რომლებიც ოდესღაც ტაოს ბაგრატიონ მეფეთა საკუთრება იყო, სამამულოდ უწყალობეს.

ამ მეტად საინტერესო საკითხის საბოლოოდ გადაჭრა საგანგებო შესწავლას საჭიროებს. აღნიშნული კვლევა-ძიების წარმოება სამომავლოდ მაქვს დაგეგმილი, აქ კი წინმსწრებად გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ როგორც არ უნდა გადაწყდეს ხსენებული საკითხი და რასაც არ უნდა გულისხმობდეს მეფის მიერ გუზანის „ძველ ტაოელ ხელმწიფეთა ადგილას“ დადგენა, ერთი რამ სრულებით უეჭველია: გუზანმა ტაოელის გვარი მიიღო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ტაოს პროვინციაზე საკუთარი უფლებები გაავრცელა და ამ ვრცელი რეგიონისა თუ მისი რომელიმე რაიონის გამგებელი ან მფლობელი გახდა.

თუ ჩემს მიერ გამოთქმული ეს ბოლო მოსაზრება სწორია და გუზანმა ტაოელის გვარი მართლაც მას შემდეგ მიიღო, რაც ტაოს პროვინციაზე საკუთარი უფლებები გაავრცელა, მაშინ იოლად შეგვიძლია, გავარკვიოთ ისიც, თუ როდის წარმოიშვა ტაოელთა გვარი.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ზემოთ ციტირებულ ერთ-ერთ ნაწყვეტში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „პატრონმა“ ანუ საქართველოს მეფემ „ძველ ტაოელ ხელმწიფეთა ადგილას“ დაადგინა არა გუზანის მამა – შავშეთის (ციხიას) ახლადგამოვლენილ ქართულ ასომთავრულ წარწერაში მოხსენიებული ერისთავთერისთავი აბულასანი² ან კიდევ, გუზანის რომელიმე უფრო შორეული წინაპარი, არამედ საკუთრივ გუზანი: „პირველად მიერთო გუზან, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა, რომელი ძუელთა მეფეთა ტაოელთა დიდებულთა ადგილსა ზედა შეეწყალა პატრონსა“.

მართალია, ციტირებულ ნაწყვეტში მითითებული არ არის, თუ ზუსტად როდის დაადგინეს გუზანი „ძველ ტაოელ ხელმწიფეთა ადგილას“, მაგრამ მისი მოღვაწეობის დროის (1180-იანი წწ. – 1190-იანი წწ-ის დასაწყ.) გათვალისწინებით, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ფაქტს, დაახლოებით, 1160-1180-იან წლებში, ან მეფე გიორგი III-ის (1157-1184 წწ.) ან კიდევ, მეფე თამარის მმართველობის დროს ჰქონდა ადგილი.

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ირკვევა, რომ გუზანმა ტაოს პროვინციაზე საკუთარი უფლებები, დაახლოებით, 1160-1180-იან წლებში მეფე გიორგი III-ის ან მეფე თამარის ბრძანებით გაავრცელა და ტაოელის გვარიც იმავე პერიოდში მიიღო. შესაბამისად, საბოლოოდ დგინდება ისიც, რომ ტაოელთა ჩვენთვის საინტერესო გვარი 1160-1180-იან წლებში, გუზან აბულასანის ძის მიერ იყო დაარსებული.

¹ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 81. შდრ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს..., გვ. 451-452.

² აღნიშნული წარწერისა და მის ტექსტში მოხსენიებული ერისთავთერისთავ აბულასანის შესახებ იხ.: ბ. კუდავა, გ. საითიძე, თ. ჯოჯუა, ერისთავთერისთავ აბულასანის უცნობი წარწერა შავშეთიდან (XII ს.), *გელათის მეცნიერებათა აკადემიის კურნალი*, 2, თებერვალი, ისტორია, ფილოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ფილოსოფია, თეოლოგია, კრეაციონიზმი, ეთნოგრაფია, ეკონომიკა, სამართალი (თბილისი, 2005), გვ. 34-50.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ზემოთ ციტირებულ ნაწყვეტები არანაკლებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ტაოელთა საგვარეულოს დამცრობა-ამოვარდნის დროისა და ისტორიული ვითარების შესახებაც.

როგორც ამ ნაწყვეტებიდან ირკვევა, 1191 წელს, როცა საქართველოში მეფე თამარისა და მისი ქმარ-ყოფილის გიორგი რუსის მომხრე სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის სისხლისმღვრელი ომი დაიწყო, გუზან ტაოელი თამარის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა და გიორგი რუსის ერთ-ერთი უპირველესი თანამებრძოლი გახდა: „*პირველად მიერთო გუზან, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა, რომელი ძუელთა მეფეთა ტაოელთა დიდებულთა ადვილსა ზედა შეეწყალა პატრონსა*“.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ციტირებული ნაწყვეტები მოგვითხრობს, რომ მეფე თამარის მიერ გიორგი რუსის მომხრეთა დამარცხების შემდეგ გუზან ტაოელი, თანამოაზრეებთან ერთად, შაჰ-არმენტა სახელმწიფოში გაიქცა და თავის დაქვემდებარებაში მყოფი ტაოსკარისა და ვაშლოვანის ციხეები, აგრეთვე, ტაოს სხვა ციხე-სიმაგრეები, იმუამინდელ შაჰ-არმენტს ანუ ბეგ-თიმურს გადასცა: „*ვინაცა გუზან პირველითგანვე წარმწყმედელი თავისა, აწცა გამტანელი ტაოსკარისა, ვაშლოვანისა და სხუათა ციხეთა მრავალთა, წარვიდა ქუეყანასა შაჰარმენტისასა*...“⁴.

იმავე „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ციტირებული ნაწყვეტების თანახმად, გუზანი და მისი მომხრე ქართველი ფეოდალები შაჰ-არმენტა სახელმწიფოში ჩასვლიდან მცირე ხნის შემდეგ საქართველოში დაბრუნდნენ და კოლას პროვინციაში დაბანაკდნენ. შაჰ-არმენტმა მათ დასახმარებლად გამოგზავნა გუზანის ვაჟი და ლაშქარი, რომლის ერთ ნაწილს საქართველოდან გუზანის ცოლისა და შვილების გაყვანა, ხოლო მეორე ნაწილს გუზანის მიერ გადაცემულ ციხეებში ჩადგომა დაავალა. მეფე თამარის ერთგულმა სარდალმა ზაქარია ფანასკერტელმა, ძინიელების, კალმახელებისა და სხვა ქართველი მეომრების დახმარებით, გუზანი და მის დასახმარებლად მისული შაჰ-არმენტის ლაშქარი სასტიკად დაამარცხა. გამარჯვების შემდეგ ქართველებმა არამხოლოდ გუზანის მიერ შაჰ-არმენტა სახელმწიფოსათვის გადაცემული ციხეები დაიბრუნეს უკან, არამედ თავად გუზანის ცოლ-შვილიც ტყვედ ჩაიგდეს: „*მოუგებნეს წინა ზაქარია ფანასკერტელი და ძინიელნი, კალმახელნი, ყრმანი კარგნი და პატრონისაგან შეწყალებულნი. და შეყრასავე თანა ცნეს გუზანის შვილისა და შაჰარმენტის ლაშქრითა მისლვა გუზანის ცოლისა და შვილისა წარსხმად და ციხეთა შინა თურქთა შეყენებად... ბოლოდ, მათთა გამტკვევლთა და ამომწყუედელთა, კვლთამყრელთა გუზანის ცოლ-შვილთა, თანა შემოქცეულთა აიხუნეს ციხენი და სიმაგრენი*“.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ციტირებულ ნაწყვეტებში გუზან ტაოელის შემდგომი ბედის შესახებ დაწვრილებითი ცნობები აღარ გვხვდება. აქ მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ მეფე თამარმა გუზანის მიმართ გულმოწყალება გამოიჩინა, შეიწყალა და მას, სასჯელად, მხოლოდ თვალების დათხრა აკმარა: „*მოწყალებისათვის ემა გეყავნ დადიანი ვარდან, გუზან, რომელი თვალ-მრუმე ოდენ-ყვეს, ბოცოს-ძე ბოცო და ამათნი მიმდგომნი დიდებულნი და აზნაურნი, რომელნი ჩანან შეწყალებულნი*“.

მართალია, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ტექსტი არაფერს გვამცნობს იმის თაობაზე, თუ როგორ აღმოჩნდა შაჰ-არმენტა სახელმწიფოში გაქცეული გუზან ტაოელი მეფე თამარის კარზე, მაგრამ ამ ხარვეზს მთლიანად ავსებს თამარის მეორე ისტორიკოსის – ბასილი ეზოსმოდვრის მიერ XIII საუკუნის დასაწყისში შედგენილი „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ და ლაშა-გიორგისდროინდელი მემატინის მიერ 1222-1223 წლებში შედგენილი თხზულება, რომლებიც აღნიშნული საკითხის შესახებ ძალზედ საინტერესო, თუმცა კი, ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებულ ცნობებს გვაწვდის.

კერძოდ, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა“ მოგვითხრობს, რომ გუზან ტაოელი კოლას მთიანეთში იმალებოდა და „ავაზაკობით“ ანუ ძარცვა-რბევით იყო დაკავებული. თხზულების ცნობით, გუზანი თივის მთიბავებმა შეიპყრეს და მეფე თამარის მეორე ქმართან – დავით სოსლანთან მიიყვანეს. ამ უკანასკნელმა იცოდა, რომ თამარი გუზანს შეიწყალებდა და ამიტომ გუზანს მანამ დასწვა თვალები, სანამ მას თამარის წინაშე წარადგენდნენ: „*დღეთა შინა თამარისთა არავინ გამოჩნდა მიმძღაერებული მეცნიერებითა მისითა, არცა-ვინ დასჯილი... და არცა სიბრმითა დაისაჯა, თვნიერ გუზან, ღირსი სიკუდილისა, რომელი ორგულებით განდგა და კოლას სადმე მათთა შინა ავაზაკობდა ძაღვითა. ესე შეიპყრეს მთიბავთა თივისათა, და დავით*

⁴ გუზან ტაოელის შაჰ-არმენტა სახელმწიფოში გაქცევისა და შემდგომი ისტორიული მოვლენების შესახებ იხ.: გ. ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში* (თბილისი, 1995), გვ. 120-121.

მეფისა წინაშე მოიყვანეს. ხოლო მან იცოდა დიდი მოწყალება თამარისი, ამისთვის მისსა შეკითხვამდის თუალნი დასწუნა, ნაცვლად მრავალთა სისხლთა ქრისტეანეთასა¹.

საკმაოდ განსხვავებულ სურათს ვხედავთ ლაშა-გიორგისდროინდელი მემბტიანის თხზულებაში, რომელიც გვაუწყებს, რომ გუზანი „გაღმა, სპარსეთში“ იყო „გასული“ ანუ საქართველოს სამეფოს ფარგლებს გარეთ, ერთ-ერთ მეზობელ მუსლიმურ სახელმწიფოში იმყოფებოდა. თხზულების თანახმად, გუზანი ზაქარია ასპანის-ძემ, იგივე ზაქარია ფანასკერტელმა შეიპყრო და სამეფო დარბაზს წარუდგინა. გუზანი დასაჯეს – თვალები დასწვეს: „...მისსა (იგულისხმება მეფე თამარი – თ. ჯ.) სამეფოსა შინა ერთიცა მსახური არ გაპატიებულა, თვნიერ გუზან ტაოსკარელისაგან კიდუ: მას თუალნი დასწუნეს. გაღმა გასული სპარსეთს ზაქარია ასპანის ძემან შეიპყრა და დარბაზს მოგუარეს“².

მართალია, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, არ შემიძლია, გადაჭრით ვთქვა, ციტირებულ ორ წერილობით წყაროს შორის რომელი წყაროს ცნობები უფრო სარწმუნო და დამაჯერებელია, თუმცა, მიუხედავად ამისა, სრულებით ცხადია, რომ გუზან ტაოელის ტყვედ შეპყრობასა და თვალების დაწვით დასჯას გიორგი რუსის 1191 წლის გამოსვლის შემდგომ ახლოხანებში ანუ, დაახლოებით, 1190-იან წლების I ნახევარში ჰქონდა ადგილი.

სამწუხაროდ, 1190-იანი წლების I ნახევრის შემდგომ პერიოდში გუზან ტაოელის შესახებ რაიმე ცნობები აღარ მოგვეპოვება. აღნიშნული მიზეზის გამო დღეისათვის უცნობია, თუ რა ბედი ეწია როგორც პირადად გუზანს, ისე მის მიერ დაარსებულ ტაოელთა გვარს. საკითხის შესწავლის მოცემულ ეტაპზე, შემიძლია, მხოლოდ ვივარაუდო, რომ გუზანმა და მისმა შვილებმა ძველი მდგომარეობის აღდგენა ვეღარ შეძლეს და ტაოელთა გვარმა საერთოდ შეწყვიტა არსებობა.

თავად ის ფაქტი, რომ XII საუკუნის მიწურულს ტაოელთა გვარი მთლიანად ამოვარდა, ვფიქრობ, არანაირ ეჭვს არ იწვევს: XII საუკუნის შემდგომი პერიოდის ქართულ წერილობით წყაროებში აღარც ტაოელთა გვარის მოხსენიება გვხვდება და აღარც ამ ფეოდალურ სახლში გავრცელებული ტრადიციული საგვარეულო სახელების – გუზანის და აბულასანისა.

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ირკვევა, რომ გუზან აბულასანის ძის მიერ 1160-1180-იან წლებში დაარსებულმა ტაოელთა გვარმა, დაახლოებით, სამი-ოთხი ათწლეული იარსება და მისი წარმოშობიდან მცირე ხნის შემდეგ, 1190-იან წლებში საერთოდ დაასრულა არსებობა. ტაოელთა წარჩინებული ფეოდალური სახლის დაცემის მიზეზს გუზან ტაოელის მიერ საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი ორი დანაშაული: 1. 1191 წელს გიორგი რუსის მიერ მეფე თამარის წინააღმდეგ მოწყობილ გამოსვლაში აქტიური მონაწილეობა; და 2. 1191 წლის შემდგომ ახლოხანებში ტაოს ციხეების შაჰ-არმენთა სახელმწიფოსათვის გადაცემა წარმოადგენდა. ამ დანაშაულებათა გამო სამეფო კარმა გუზანი სამაგალითოდ დასაჯა – შეიპყრო და თვალები დასწვა, მისი ოჯახის წევრები – ცოლი და შვილები კი ტყვედ შეიპყრო. ტაოელთა გვარის დამცრობა და ამოვარდნა სწორედ აღნიშნული ისტორიული მოვლენების შედეგი იყო.

ტაოელთა გვარის არსებობის მეტნაკლებად ზუსტი ქრონოლოგიის დადგენას ჩვენთვის საინტერესო სვინაქსრის გადაწერის დროის დაზუსტებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მართლაც, ტაოელთა გვარის არსებობის ქრონოლოგია – 1160-1190-იანი წლები, ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ სვინაქსრის III აღაპში მოთხრობილ ამბავს – ხელნაწერის მომგებლის მარიამ მოგელის მიერ ტაოელებისაგან ანუ ტაოელთა გვარის წარმომადგენლებისაგან ვენახის შექმნის ფაქტს იმავე 1160-1190-იან წლებში ჰქონდა ადგილი. აღნიშნული დასკვნიდან ლოგიკურად გამომდინარეობს კიდევ ერთი დასკვნა: სვინაქსრის მომგებელი მარიამ მოგელი 1160-1190-იანი წლების მოღვაწე იყო. აქედან კი, უკვე ავტომატურად დგინდება ისიც, რომ მარიამ მოგელის დაკვეთით შექმნილი სვინაქსარი იმავე 1160-1190-იან წლებში იყო გადაწერილი და არა ზოგადად, XII საუკუნეში, როგორც ამას ლილი ქუთათელაძე ფიქრობდა.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თითქოს, ლოგიკური იქნებოდა, რომ სვინაქსრის ქრონოლოგიაზე საუბარი ამით დამესრულებინა და ხელნაწერი 1160-1190-იანი წლებით დამეთარიღებინა. თუმცა, არის ერთი გარემოება, რომელიც ამ დათარიღების მართებულობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

¹ ბასილი ეზოსმოდვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II (თბილისი, 1959), გვ. 141. შდრ.: ბასილი ეზოსმოდვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მზექალა შანიძემ, *ქართლის ცხოვრება* (თბილისი, 2008), გვ. 506.

² ლაშა გიორგის-დროინდელი მემბტიანე, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I (თბილისი, 1955), გვ. 368. შდრ.: ლაშა-გიორგის დროინდელი მემბტიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ც. ქურციკიძემ, *ქართლის ცხოვრება* (თბილისი, 2008), გვ. 353.

ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ სვინაქსრის დათარიღების საკითხი ორგანულად არის დაკავშირებული ხელნაწერის III აღაპში მოხსენიებული ტაოელების ვინაობის საკითხთან. გარდა ამისა, ზემოთ ვნახეთ ისიც, რომ III აღაპში მოხსენიებული ტაოელების ვინაობის შესახებ, შეიძლება, გამოითქვას ორი ჰიპოთეტური მოსაზრება: 1. III აღაპში ტაოელებად იწოდება საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინციის – ტაოს მოსახლეობა; და 2. ტაოელებად მოხსენიებულია კონკრეტული ფეოდალური სახლი – ტაოელთა გვარი.

სამწუხაროდ, სათანადო მასალისა და არგუმენტაციის უქონლობის გამო, ჯერჯერობით, ვერ დავადგინე, ამ ორ ჰიპოთეტურ მოსაზრებას შორის რომელი მოსაზრებაა მართებული და რომელი – მცდარი. შესაბამისად, ცხადია ისიც, რომ დღეისათვის ორივე ჰიპოთეტურ მოსაზრებას არსებობის თანაბარი უფლება აქვს და ამიტომ სვინაქსრის III აღაპში მოხსენიებული ტაოელების ვინაობის საკითხზე მსჯელობის დროსაც როგორც ერთი, ისე მეორე მოსაზრება აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.

სვინაქსრის შემოთავაზებული დათარიღება – 1160-1190-იანი წლები მხოლოდ და მხოლოდ მეორე ჰიპოთეტურ მოსაზრებაზეა დამყარებული. ეს გარემოება შემოთავაზებული დათარიღების მართებულობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. მართლაც, თუკი სამომავლო კვლევა-ძიების შედეგად, გაირკვევა, რომ მეორე ჰიპოთეტური მოსაზრება მცდარია, მაშინ ავტომატურად დადგინდება ისიც, რომ სვინაქსრის 1160-1190-იანი წლებით დათარიღება, რომელიც მთლიანად ამ მეორე მოსაზრებაზეა დამყარებული, აგრეთვე, მცდარია.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სვინაქსრის გადაწერის დროის შესახებ რაიმე კატეგორიული დასკვნისაგან, ჯერჯერობით, თავს შევიკავებ და მხოლოდ ვარაუდის სახით გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ ხელნაწერი, შესაძლოა, 1160-1190-იანი წლებში იყო გადაწერილი. გარდა ამისა, აქვე, დამატებით აღვნიშნავ იმასაც, რომ სვინაქსრის ამ საგარაუდო დათარიღების გაზიარება საბოლოოდ მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, რაც არგუმენტირებულად დადგინდება, რომ ზემოხსენებული მეორე ჰიპოთეტური მოსაზრება სწორია და ხელნაწერის III აღაპში მოხსენიებულ ტაოელებში არა, ზოგადად, ტაოს პროვინციის მოსახლეობა, არამედ კონკრეტული ფეოდალური გვარი იგულისხმება¹.

მაშასადამე, ირკვევა, რომ სვინაქსარი გადაწერილია XII საუკუნეში (ლილი ქუთათელაძე), შესაძლოა, 1160-1190-იან წლებში.

V. სვინაქსრის ანდერძების, აღაპებისა და მინაწერების კოდიკოლოგიური და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი

1. სვინაქსრის პირველი გადამწერის წადვლელი ბასილ მჯობაისძის ცხოვრება-მოღვაწეობის დრო, სადაურობა, საგვარეულო კუთვნილება, სოციალური წარმომავლობა, სამოღვაწეო ადგილი და კალიგრაფიული ოსტატობა

სვინაქსრის პირველი გადამწერის ბასილის ცხოვრების მეტნაკლებად ზუსტი დროის შესახებ რაიმე მითითება, ჯერჯერობით, არ მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ ის, რომ ბასილის მიერ გადაწერილი სვინაქსარი, მისი ტექსტის პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, XII საუკუნით თარიღდება. შესაბამისად, ირკვევა ისიც, რომ ბასილი იმავე XII საუკუნის მოღვაწე იყო.

ბასილი ხელნაწერის მეორე გადამწერის ეფთვიმეს ხელით დაწერილ I ანდერძში „წადვლელად“ ანუ წადვლელად არის მოხსენიებული: „*თავითვან ამა ფურცლამდე დაასრულა წერა ბასილმან, წადვლელმან, მჯობაისძემან*“.

¹ მეორე ჰიპოთეტური მოსაზრების მართებულობისა თუ მცდარობის საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანის თხზულების ზემოთ ციტირებული ფრაგმენტი, რომელშიც გუზანი ტაოსკარელად არის მოხსენიებული: „...*მისსა სამეფოსა შინა ერთიცა მსახური არ გაპატივებულა, თუნიერ გუზან ტაოსკარელისაგან კიდუ: მას თუაღნი დასწუნეს. ვაღმა ვასული სპარსეთს ზაქარია ასპანის ძემან შეიპყრა და დარბაზს მოგუარეს*“. ჩემი დაკვირვებით, ის ფაქტი, რომ გუზან აბულასანის ძე „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში“ ტაოელად, ხოლო ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანის თხზულებაში ტაოსკარელად არის მოხსენიებული, საკმაოდ საფუძვლიან ეჭვს აჩენს მეორე ჰიპოთეტური მოსაზრების მიმართ, რომლის თანახმადაც გუზანი ტაოელის გვარს ატარებდა. მართლაც, თუკი გუზანი გვარად ნამდვილად ტაოელი იყო, მაშინ გაუგებარია, რატომ იხსენიებდა მას ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანე ტაოსკარელად. სამწუხაროდ, აღნიშნული საკითხი, ისევე, როგორც გუზანის ცხოვრება-მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, დღემდე გადაუწყვეტელია და საფუძვლიან შესწავლას საჭიროებს.

ციტირებული კოლოფონის ცნობა, ვფიქრობ, ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ბასილი, წარმომავლობით, სოფელ წაღვლიდან იყო და ამიტომაც მას თანამედროვენი „წაღვლელ“-ად ანუ წაღვლელად მოიხსენიებდნენ¹.

თავად სოფელი წაღვლი შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილში, ხაშურის მუნიციპალიტეტში, მდინარე დასავლეთი ფრონეს მარჯვენა შენაკადის, მდინარე ლოპანისწყლის ხეობაში, შიდა ქართლიდან ზემო იმერეთისაკენ მიმავალ უძველეს ისტორიულ გზაზე (ქვენატკოცა-აბისი-წაღვლი-ჩორჩანა-ჭერათხევი-კორბოული) მდებარეობს².

წაღვლი წერილობით ძეგლებში პირველად დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ 1130-იან წლებში შედგენილ თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ იხსენიება. მემატინე საქართველოს მეფის დავით IV აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) მმართველობის პირველი ოთხი წლის ანუ 1189-1193 წლების ამბების გადმოცემისას გვაუწყებს, რომ იმხანად „წაღვლის-თავს“ ანუ სოფელ წაღვლის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით, 1,5 კმ-ის დაშორებით, ადგილ წაღვლისთავში „სამეფო სადგომი“ ანუ მცირე სასახლე თუ ციხე-დარბაზი არსებობდა: „და იყო მაშინ საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლისთა, და სადგომი სამეფო წაღვლის-თავი“³.

როგორც ვხედავთ, წაღვლისთავის სამეფო რეზიდენციის, მასთან ერთად კი, წაღვლის, როგორც დასახლებული პუნქტის, არსებობის ფაქტი 1089-1093 წლებში ანუ XI საუკუნის მიწურულს, დოკუმენტურად არის დადასტურებული. შესაბამისად, სოფელ წაღვლის ისტორიის ამ ეპიზოდის გათვალისწინებით, სრული უფლება გვაქვს, დავასკვნათ, რომ XII საუკუნეში მცხოვრები კალიგრაფი ბასილი, რომელსაც თანამედროვენი წაღვლელად მოიხსენიებდნენ, წარმომავლობით, სწორედ ამ სოფლიდან იყო.

სვინაქსრის I ანდერძი, ბასილის სადაურობის გარდა, მისი საგვარეულო კუთვნილების შესახებაც პირდაპირ ცნობას გვაწვდის. კოლოფონი გვაუწყებს, რომ ბასილი, გვარად, მჯობაისძე იყო: „თთავითგან ამა ფურცლამდე დაასრულა წერა ბასილმან, წაღვლელმან, მჯობაისძემან“.

ჩემი დაკვირვებით, ბასილის გვარი „მჯობაისძე“ ვინმე მჯობაის სახელიდან ანუ ანთროპონიმი „მჯობაი“-დან არის წარმომდგარი: „მჯობაი“ → „მჯობაის-ძე“; თავად ანთროპონიმი „მჯობაი“ კი სიტყვა „მჯობი“-დან („მჯობნი“, „მჯობნელი“) ჩანს ნაწარმოები: „მჯობი“ → „მჯობაი“.

გარდა ამისა, საფიქრებელია, რომ სვინაქსრის I ანდერძში დადასტურებული გვარი „მჯობაისძე“ და XVII-XVIII საუკუნეების ქართულ წერილობით ძეგლებში მოხსენიებული გვარი „ჯობაძე“⁴ ერთი და იმავე გვარის სხვადასხვა ფორმები იყო. როგორც ჩანს, გვარი „ჯობაძე“ გვარი „მჯობაისძე“-დან შემდეგი ტრანსფორმაციის გზით არის მიღებული: „მჯობაისძე“ → „მჯობასძე“ → „ჯობასძე“ → „ჯობაძე“.

ჩემს მიერ გამოთქმულ იმ მოსაზრების მართებულობას, რომ თანამედროვე გვარი „ჯობაძე“ ძველი გვარი „მჯობაისძიდან“ არის წარმომდგარი მთლიანად ადასტურებს ის ფაქტი, რომ გვიანი შუა საუკუნეების, აგრეთვე, XIX-XX საუკუნეების წერილობით ძეგლებში მოხსენიებული ჯობაძეები, ძირითადად, ციხე-ქალაქ სურამსა და მის მიდამოებში სახლობდნენ⁵, ბასილ მჯობაისძის სამკვიდრო სოფელი წაღვლი კი სწორედ სურამის მახლობლად, მისგან სულ თხუთმეტიოდე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.

¹ ერთი შეხედვით, აქ თითქოს შეიძლება, გვეფიქრა, რომ ბასილის წოდება „წაღვლელი“ მის სოფელ წაღვლიდან წარმომავლობას კი არ აღნიშნავს, არამედ იმაზე მიუთითებს, რომ იგი სოფელ წაღვლში მდებარე მონასტრის წინამძღვრი იყო. ვფიქრობ, ამგვარი დაშვება მართებული არ უნდა იყოს, რადგან წაღვლში მონასტრის არსებობა, ჯერჯერობით, საერთოდ არ არის დადასტურებული.

² ჯ. გვასალია, დ. თუშაბრამიშვილი, წაღვლი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 11, შინდი-ჰუხი (თბილისი, 1987), გვ. 301; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, გორის, კასპის, მცხეთის, ქარელის, ხაშურის რაიონები (თბილისი, 1990), გვ. 454-457; საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში (საქართველოს ისტორიული ტოპონიმების კორპუსი), ტომი პირველი, შემდგენლები: დ. ბერძენიშვილი, მ. კანდელაკი, დ. მუსხელიშვილი, მ. სურგულაძე, ნ. შიოლაშვილი, გ. ჭეიშვილი, რედაქტორი: დ. მუსხელიშვილი (თბილისი, 2010), გვ. 553; საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში (საქართველოს ისტორიული ტოპონიმების კორპუსი), ტომი მეორე, შემდგენლები: დ. ბერძენიშვილი, მ. კანდელაკი, დ. მუსხელიშვილი, მ. სურგულაძე, ნ. შიოლაშვილი, გ. ჭეიშვილი, რედაქტორი: დ. მუსხელიშვილი (თბილისი, 2010), გვ. 3, 211, 400, 423; გ. გამყრელიძე, დ. მინდორაშვილი, ზ. ბრაგვაძე, მ. კვაჭაძე, ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი (თბილისი, 2013), გვ. 607-608.

³ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს, გაუხნიშვილის მიერ, I (თბილისი, 1955), გვ. 324; საქართველოს ისტორიისა და კულტურის..., გვ. 457; გ. გამყრელიძე, დ. მინდორაშვილი, ზ. ბრაგვაძე, მ. კვაჭაძე, ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური..., გვ. 607-608. ციტირებულ ფრაგმენტში დადასტურებული ტოპონიმი „წაღვლის-თავი“, რატომღაც, შეტანილი არ არის „ქართლის ცხოვრების“ ბოლო, 2008 წლის გამოცემისათვის დართულ გეოგრაფიული სახელების საძიებელში (ქართლის ცხოვრება (თბილისი, 2008), გვ. 822).

⁴ საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში..., ტომი მეორე, გვ. 169; პირთა ანოტირებული ლექსიკონი, V, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, ნ. მშივიდობაძემ, გ. მჭედლიძემ, მ. სურგულაძემ, ტომი შეადგინა და რედაქცია გაუკეთა მ. სურგულაძემ (თბილისი, 2015), გვ. 506.

⁵ საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში..., ტომი მეორე, გვ. 169; პირთა ანოტირებული ლექსიკონი, V, გვ. 506; და სხვ.

თუ ჩემი დაკვირვება სწორია და „მჯობაისძე“ და „ჯობაძე“ ნამდვილად ერთი და იმავე გვარის სხვადასხვა ფორმებს წარმოადგენს, მაშინ შეგვიძლია, დიდი ალბათობით გავარკვიოთ ბასილ მჯობაისძის სოციალური წარმომავლობის საკითხიც. როგორც XVII-XVIII საუკუნეების წერილობითი ძეგლებიდან ვიგებთ, ამ პერიოდში მოღვაწე ჯობაძეები გლეხები იყვნენ. შესაბამისად, საფიქრებელია ისიც, რომ XII საუკუნეში მოღვაწე ბასილ მჯობაისძე, მისი შთამომავლების, გვიან შუა საუკუნეებში მოღვაწე ჯობაძეების მსგავსად, დაბალ სოციალურ ფენას, უფრო ზუსტად კი, გლეხთა წოდებას ეკუთვნოდა.

ცალკე საუბრის თემაა ის საკითხი, თუ გლეხური წარმომავლობის ბასილ მჯობაისძე, კონკრეტულად, რომელი ფეოდალური სენიორის ყმა იყო. აღნიშნული საკითხის შესახებ ირიბ მითითებას გვაწვდის დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების ზემოთ ციტირებული ფრაგმენტი, რომელიც გვაუწყებს, რომ 1089-1093 წლებში სოფელ წაღვლის მიმდებარედ, ადგილ წაღვლისთავში საქართველოს მეფეთა „სადგომი“ ანუ მცირე სასახლე თუ ციხე-დარბაზი არსებობდა.

ვფიქრობ, ყოველგვარ ეჭვგარეშეა, რომ წაღვლისთავის სამეფო სადგომი საქართველოს მეფეთა კუთვნილ მამულში ანუ სამეფო დომენში მდებარეობდა. შესაბამისად, სრულებით ცხადია ისიც, რომ 1089-1093 წლებში წაღვლისთავიცა და სოფელი წაღვლიც საქართველოს მეფეების საკუთრებას წარმოადგენდა, სოფელ წაღვლში მოსახლე გლეხები კი უშუალოდ საქართველოს სამეფო სახლის ყმები იყვნენ. ასე, რომ თუკი 1089-1093 წლებიდან სვინაქსრის გადაწერის დრომდე ანუ ყველაზე გვიან, XII საუკუნის მიწურულამდე, სოფელ წაღვლის სენიორიალური დაქვემდებარების საკითხში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ იყო მომხდარი და საქართველოს მეფეებსაც ეს სოფელი რომელიმე სხვა საერო თუ საეკლესიო სენიორიისათვის არ ჰქონდათ გადაცემული, მაშინ გამოდის, რომ სვინაქსრის გადაწერილი ბასილ მჯობაისძე, სოფელ წაღვლში მოსახლე სხვა გლეხების მსგავსად, აგრეთვე, საქართველოს სამეფო სახლის ყმა ანუ სახასო გლეხი იყო¹.

სვინაქსრის კოლოფონები, ბასილ მჯობაისძის მოღვაწეობის ადგილის შესახებ, მისი სოციალური წარმომავლობისაგან განსხვავებით, პრაქტიკულად, პირდაპირ მითითებას გვაწვდის: მე უკვე აღვნიშნე ზემოთ, რომ ხელნაწერის მეორე გადაწერის ეფთვიმეს მიერ შესრულებული III ადაპის თანახმად, ბასილი სვინაქსრის გადაწერაზე მუშაობისას იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ მონასტერში იმყოფებოდა. შესაბამისად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას ისიც, რომ ბასილი წმიდა მიწაზე მოღვაწეობდა და იერუსალიმის ერთ-ერთი ქართული მონასტრის მოწესე იყო.

სამწუხაროდ, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, ჯერჯერობით, არ შემიძლია იმის თქმა, თუ, ზუსტად, როდის მოღვაწეობდა ბასილ მჯობაისძე წმიდა მიწაზე. დღეისათვის შემიძლია, ვთქვა მხოლოდ ის, რომ სვინაქსრის გადაწერის პერიოდსა თუ ამ ხელნაწერის შექმნის წინარე ხანებში ანუ XII საუკუნეში ბასილი უკვე იერუსალიმში იმყოფებოდა და აქტიურ სამწიგნობრო მოღვაწეობას ეწეოდა.

სვინაქსრის I ნაწილზე დაკვირვება აჩვენებს, რომ მისი დამწერი ბასილ მჯობაისძე საკმაოდ დახელოვნებული კალიგრაფი იყო: ხელნაწერის I ნაწილის ძირითადი ტექსტი თანაბარი ზომის, მსხვილი, მკაფიო მოხაზულობის მქონე, მარჯვნივ გადახრილი, იოლად წასაკითხი ნუსხური გრაფემებით არის დაწერილი. ცოტა უფრო განსხვავებული სურათი გვაქვს სვინაქსრის I ნაწილში ჩართულ ასომთავრულ სახედაო ასოებთან დაკავშირებით: ამ გრაფემებს მარტივი და სად მოხაზულობა აქვს, მხატვრული გამომსახველობით არ გამოირჩევა და ამ თვალსაზრისით, „ოქროს ხანის“ საუკეთესო ქართული ხელნაწერი წიგნების სახედაო ასოების დეკორატიულ გაფორმებას მნიშვნელოვნად ჩამორჩება. ასე, რომ, ბასილ მჯობაისძე სამხატვრო ხელოვნებაში, კალიგრაფიული ოსტატობისაგან განსხვავებით, მაინცადამაინც გაწაფული არ იყო.

სვინაქსრის კოლოფონებში ბასილ მჯობაისძის გარდაცვალების შესახებ დაცულია უაღრესად საინტერესო ცნობა, რომლის მსგავსი მითითებაც ჩვენამდე მოღწეული ქართული ხელნაწერი წიგნების ანდერძ-მინაწერებში ძალზედ იშვიათად გვხვდება. სვინაქსრის I ანდერძი გვაუწყებს, რომ ბასილი ხელნაწერის გადაწერაზე მუშაობის დროს, მოულოდნელად გარდაიცვალა: „თთავითგან ამა ფურცლამდე დაასრულა წერა ბასილმან, წაღულელმან, მჯობაისძემან... და თანამდები ბუნებისა ვორცთავან განსლვად მიეკადა“.

სამწუხაროდ, ციტირებული I ანდერძში ბასილ მჯობაისძის გარდაცვალების მეტნაკლებად ზუსტი დრო მითითებული არ არის. შესაბამისად, დღეისათვის მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ბასილი XII საუკუნეში იყო გარდაცვლილი.

¹ ჩემს მიერ გამოთქმული ამ ბოლო მოსაზრების მართებულობას მთლიანად ადასტურებს გვიანი შუა საუკუნეების ქართული წერილობითი ძეგლები, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ბასილის ცხოვრება-მოღვაწეობის დროიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგაც კი ჯობაძეთა გვარის ცალკეული წარმომადგენლები, მაგალითად, 1774 წლის დოკუმენტში მოხსენიებული სურამის მკვიდრი თომა ჯობაძე, კვლავინდებურად სახასო გლეხები იყვნენ (საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში..., ტომი მეორე, გვ. 169).

მაშასადამე, ირკვევა, რომ სვინაქსრის პირველი გადამწერი ბასილი XII საუკუნეში ცხოვრობდა. იგი შიდა ქართლის სოფელ წაღვლის მკვიდრი იყო, მჯობაისძის გვარს ატარებდა, დაბალ სოციალურ ფენას, გლეხთა წოდებას ეკუთვნოდა და სამეფო სახლის ყმა იყო. ბასილი მისი ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე წმიდა მიწაზე, იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ მონასტერში მოღვაწეობდა და საკმაოდ დახელოვნებული კალიგრაფი იყო. იგი წმიდა მიწაზე ყოფნისას, სვინაქსრის გადაწერაზე მუშაობის პერიოდში, მოულოდნელად გარდაიცვალა¹.

2. სვინაქსრის მეორე გადამწერის ეფთვიმეს ცხოვრება-მოღვაწეობის დრო, სამოღვაწეო ადგილი და კალიგრაფიული ოსტატობა

სვინაქსრის კოლოფონები მისი მეორე გადამწერის ეფთვიმეს ცხოვრება-მოღვაწეობის ზუსტი ქრონოლოგიის, სადაურობის, საგვარეულო კუთვნილებისა და სოციალური წარმომავლობის შესახებ რაიმე პირდაპირ ცნობასა თუ ირიბ მითითებას არ გვაწვდის. ამ მიზეზის გამო აღნიშნული საკითხების შესახებ, ჯერჯერობით, არაფრის თქმა არ შემოიძლია. განსხვავებული სურათი გვაქვს ეფთვიმეს ცხოვრება-მოღვაწეობის მიახლოებით დროსა და სამოღვაწეო ადგილთან დაკავშირებით.

დავიწყოთ ეფთვიმეს ცხოვრება-მოღვაწეობის მიახლოებითი ქრონოლოგიის საკითხით. ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ სვინაქსრის I ნაწილის გადამწერი ბასილ მჯობაისძე XII საუკუნის მოღვაწე იყო. შესაბამისად, სრულებით ცხადია ისიც, რომ იმავე XII საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სვინაქსრის II ნაწილის გადამწერი ეფთვიმეც.

საკმაოდ იოლად გადასაწყვეტია ეფთვიმეს სამოღვაწეო ადგილის საკითხიც. ზემოთ უკვე გავარკვიე, რომ სვინაქსრის I ნაწილის გადამწერი ბასილ მჯობაისძე წმიდა მიწაზე, იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ მონასტერში მოღვაწეობდა. აქედან, ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ წმიდა მიწაზე მოღვაწეობდა სვინაქსრის II გადამწერი ეფთვიმეც, რომელიც, სავარაუდოდ, ბასილ მჯობაისძის სამოღვაწეო სავანის – იერუსალიმის ერთ-ერთი ქართული მონასტრის მოწესე იყო.

სვინაქსრის II ნაწილზე დაკვირვება აჩვენებს, რომ მისი დამწერი ეფთვიმე საკმაოდ გაწაფული კალიგრაფი იყო: მისი ხელიდან გამოსული ტექსტი, ძირითადად, თანაბარი ზომის, მეტნაკლებად მკაფიო მოხაზულობის მქონე, ოდნავ მარჯვნივ გადახრილი, საკმაოდ იოლად წასაკითხი ნუსხური გრაფემებით არის დაწერილი. რაც შეეხება ეფთვიმეს მიერ შესრულებულ ასომთავრულ სახედაო ასოებს, ისინი, ბასილ მჯობაისძის მიერ შესრულებული ასომთავრული სახედაო ასოების მსგავსად, მარტივი და სადა მოხაზულობისაა. ეს სახედაო ასოები, მხატვრული გამომსახველობის თვალსაზრისით, „ოქროს ხანის“ საუკეთესო ქართული ხელნაწერი წიგნების სახედაო ასოების დეკორატიულ გაფორმებას მნიშვნელოვნად ჩამორჩება და მიუთითებს, რომ ეფთვიმე, ისევე როგორც ბასილ მჯობაისძე, სამხატვრო ოსტატობაში დახელოვნებული კალიგრაფი არ იყო.

მაშასადამე, ირკვევა, რომ სვინაქსრის მეორე გადამწერი ეფთვიმე XII საუკუნეში წმიდა მიწაზე, იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ მონასტერში მოღვაწეობდა და საკმაოდ გაწაფული კალიგრაფი იყო.

¹ დასასრულ, აუცილებლად უნდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ სვინაქსრის კოლოფონების შესწავლამ ბასილ მჯობაისძის ცხოვრება-მოღვაწეობის დროსთან, სადაურობასთან, საგვარეულო კუთვნილებასთან, სოციალურ წარმომავლობასთან, სამოღვაწეო ადგილსა და კალიგრაფიულ ოსტატობასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევის გარდა, სოფელ წაღვლისა და მჯობაისძე-ჯობაძეთა გვარის ისტორიის თვალსაზრისით საინტერესო სიახლეებიც წარმოაჩინა. აქ გამოვეყოფ მხოლოდ ძირითად სიახლეებს: 1. სვინაქსრის I ანდერძი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებასთან ერთად, უძველესი წერილობითი ძეგლია, რომელშიც სოფელი წაღვლია მოხსენიებული; 2. აღნიშნული კოლოფონი გვაუწყებს, რომ XII საუკუნეში სოფელ წაღვლში მოსახლე ერთ-ერთი ოჯახი მჯობაისძის გვარს ატარებდა; 3. I ანდერძი გვამცნობს, რომ XII საუკუნეში სოფელ წაღვლის ერთ-ერთი მკვიდრი – ბასილ მჯობაისძე კალიგრაფი იყო და ხელნაწერი წიგნების გადაწერაზე მუშაობდა; 4. გვიან შუა საუკუნეებში მოღვაწე ჯობაძეების გვარის თავდაპირველი ფორმა „მჯობაისძე“ იყო; და 5. მჯობაისძე-ჯობაძეთა გვარის წარმომადგენელი ჩვენამდე მოღწეულ წერილობით ძეგლებში პირველად XII საუკუნეშია მოხსენიებული (ფვიქრობ, ეს ბოლო სიახლე განსაკუთრებით გაახარებდა უცხოეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერს, აწ გარდაცვლილ ვახტანგ ჯობაძეს, რომელიც, როგორც ცნობილია, საკუთარი გვარის ისტორიით დიდად იყო დაინტერესებული).

3. სვინაქსრის გადამწერების ბასილ მჯობაისძისა და ეფთვიმეს მიერ შესრულებული სამუშაო და მომგებლის მარიამ მოგელის მიერ გაცემული გასამრჯელო

სვინაქსრის კოლოფონები ხელნაწერის გადამწერთა მიერ შესრულებული სამუშაოსა და მომგებლის მიერ გაცემული გასამრჯელოს შესახებ უპირდაპირ ცნობებს გვაწვდის. მოვიტან სვინაქსრის მეორე გადამწერის ეფთვიმეს ხელით დაწერილი I და II ანდერძების, აგრეთვე, ხელნაწერის პირველი გადამწერის ბასილ მჯობაისძის მიერ შესრულებული III ალაპის შესაბამის ფრაგმენტებს: I ანდერძი – „*თთავითგან ამ ფურცლამდე დაასრულა წერად ბასილმან, წაღულელმან, მჯობაისძემან, უსასყიდლოდ*“; II ანდერძი – „*უფალო, შეიწყალე ეფთვიმი*“; და III ალაპი – „*ალაპი არს... მარიამ მოგელეთისაჲ... ამის სვინაქსრისა ნახევარი მისითა წარსაგებელითა დაიწერა*“.

ციტირებული კოლოფონებისა და სვინაქსრის შედგენილობის ანალიზი აჩვენებს, რომ ხელნაწერის თავდაპირველი შედგენილობის I-XIX რვეულები და XX რვეულის I ფურცლის 1/3 ნაწილი ანუ საერთო ჯამში, 152 ფურცელი და 1 ფურცლის ნაწილი სვინაქსრის პირველი გადამწერის ბასილ მჯობაისძის მიერ იყო გადაწერილი.

ხელნაწერის ეს, ბასილ მჯობაისძის მიერ გადაწერილი I ნაწილი შეიცავდა შემდეგ ტექსტებს: 1. სვინაქსრის გამოყენების წესს („*უწყებაჲ ჯერ არს...*“); 2. სვინაქსრის დასაწყისს („*სვინაქსარი, რომელ არიან...*“); და 3. საკუთრივ სვინაქსრის ტექსტს, უფრო ზუსტად კი, სექტემბერ-თებერვლის თვეების უკლებლივ ყველა დღისა და მარტის თვის პირველი ოცდაათი დღის საკითხავებს, აგრეთვე, 31 მარტის საკითხავების დასაწყისს.

ბასილ მჯობაისძის მიერ გადაწერილი 152 ფურცლიდან და 1 ფურცლის ნაწილიდან ჩვენამდე 125 ფურცელმა (5rv-7rv, 11rv, 12^orv, 13rv, 16rv, 19rv-134rv, 136rv-137rv) და 1 ფურცლის (138rv) ნაწილმა მოაღწია, დანარჩენი 27 ფურცელი კი, სხვადასხვა დროს დაიკარგა.

სვინაქსრის I ნაწილის ჩვენამდე მოღწეულ 152 ფურცელსა და 1 ფურცლის ნაწილს ბასილ მჯობაისძის ხელით დაწერილი სამი ალაპის ტექსტი აქვს დართული. ამ სამ ალაპს შორის, I ალაპი 5 დეკემბრის, II ალაპი 24 დეკემბრის, ხოლო III ალაპი 5 იანვრის საკითხავებთან ან საკითხავებზე მითითებთან არის შესრულებული. აქვე, შევნიშნავ, რომ I ალაპი „*მონასტრის მამუნებლის*“, ვინმე საბა-სანივაჯისათვის, II ალაპი ვინმე მონაზონი იოსებ უძღურის, ხოლო III ალაპი სვინაქსრის მომგებლის მარიამ მოგელისათვის არის განწესებული.

სვინაქსრის კოლოფონების ანალიზი ცხადყოფს, რომ ხელნაწერის შექმნის ინიციატორისა და მომგებლის მარიამ მოგელის გადაწყვეტილებით, ბასილ მჯობაისძეს მთელი სვინაქსარი უნდა გადაეწერა. თუმცა, ხელნაწერზე მუშაობის პროცესში, უფრო ზუსტად კი, 31 მარტის საკითხავების გადაწერაზე მუშაობისას, ბასილ მჯობაისძემ მოულოდნელად გარდაიცვალა და სვინაქსრის ბოლომდე გადაწერა ვეღარ შეძლო: „*თთავითგან ამ ფურცლამდე დაასრულა წერად ბასილმან, წაღულელმან, მჯობაისძემან, უსასყიდლოდ და თანამდები ბუნებისაჲ კორცთაგან განსლვაჲ მიეჭადა*“.

როგორც სვინაქსრის კოლოფონებიდან ირკვევა, ბასილ მჯობაისძემ მარიამ მოგელთან შეთანხმებული იყო, რომ იგი ხელნაწერის I ნაწილს ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე გადაწერდა, II ნაწილის გადაწერისათვის კი მას შესაბამისი ანაზღაურება უნდა მიეღო.

ამ საინტერესო შეთანხმების შესახებ პირდაპირ ცნობებს გვაწვდის, ერთი მხრივ, ბასილ მჯობაისძის მიერ 5 იანვრის საკითხავებთან შესრულებული III ალაპი, რომელშიც წინმსწრებად არის აღნიშნული, რომ მარიამ მოგელის „*წარსაგებლით*“ სვინაქსრის მხოლოდ „*ნახევარი*“ ანუ ხელნაწერის II ნაწილი იყო გადაწერილი: „*ალაპი არს... მარიამ მოგელეთისაჲ... ამის სვინაქსრისა ნახევარი მისითა წარსაგებელითა დაიწერა*“; ხოლო, მეორე მხრივ, ეფთვიმეს მიერ 31 მარტის საკითხავებთან შესრულებული I ანდერძი, რომელშიც ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ გარდაცვლილმა ბასილ მჯობაისძემ ხელნაწერის I ნაწილი ანუ სვინაქსრის გამოყენების წესი, სვინაქსრის დასაწყისი და საკუთრივ სვინაქსარი, უფრო ზუსტად კი, სექტემბერ-თებერვლისა და 1-30 მარტის მარტის საკითხავები, აგრეთვე, 31 მარტის საკითხავების ნაწილი, „*უსასყიდლოდ*“ გადაწერა: „*თთავითგან ამ ფურცლამდე დაასრულა წერად ბასილმან, წაღულელმან, მჯობაისძემან, უსასყიდლოდ*“.

ბასილ მჯობაისძის გარდაცვალების შემდეგ სვინაქსრის გადაწერის საქმე ეფთვიმემ განაგრძო. მან ხელნაწერის თავდაპირველი შედგენილობის XX რვეულის I ფურცლის 2/3 ნაწილი და II-VIII ფურცლები, XXI-XXXV რვეულები და XXXV რვეულის მომდევნო, დაუდგენელი რაოდენების რვეულები გადაწერა, რაც, საერთო ჯამში, სულ მცირე, 127 ფურცელსა და 1 ფურცლის 2/3 ნაწილს შეადგენდა.

ეფთვიმეს მიერ გადაწერილი ტექსტი ანუ სვინაქსრის II ნაწილი შეიცავდა შემდეგ ტექსტებს: 1. 31 მარტის საკითხავების დასასრულსა და აპრილი-აგვისტოს თვეების უკლებლივ ყველა დღის საკითხავებს; 2. სვინაქსრის განგებას („განგებაჲ წმიდათა მარხვათაჲ...“); და 3. სვინაქსრის საძიებელს („სახელები და რიცხუ...“).

ეფთვიმეს მიერ გადაწერილი 127-ზე მეტი ფურცლიდან და 1 ფურცლის ნაწილიდან ჩვენამდე 100 ფურცელი (139rv-146rv, 148rv-149rv, 151rv, 153rv-154rv, 160rv-179rv, 182rv-188rv, 190rv, 193rv-251rv) და 1 ფურცლის (138rv) ნაწილია მოაღწია, დანარჩენი 27 ფურცელი კი, სხვადასხვა დროს დაიკარგა.

სვინაქსრის II ნაწილის ჩვენამდე მოღწეულ 100 ფურცელსა და 1 ფურცლის ნაწილს ეფთვიმეს მიერ შესრულებული ხუთი ანდერძის ტექსტი აქვს დართული. ამ ხუთ ანდერძს შორის, I ანდერძი 31 მარტის, II ანდერძი 30 ივნისის, III ანდერძი 9 აგვისტოს, IV ანდერძი 15 აგვისტოს, ხოლო V ანდერძი 18 აგვისტოს საკითხავებთან ან საკითხავებზე მითითებთან არის შესრულებული. აქვე, შევნიშნავ, რომ I ანდერძი სვინაქსრის პირველი გადამწერის ბასილ მჯობაისძის, II და V ანდერძები მათი დამწერის ეფთვიმეს, III ანდერძი ხელნაწერის მომგებლის მარიამ მოგელის გამზრდელის ანასტასიას, ხოლო IV ანდერძი იმავე მარიამ მოგელისა და ანასტასიას სავედრებლებს წარმოადგენს.

სვინაქსრის კოლოფონებში პირდაპირ არ არის აღნიშნული, ეფთვიმემ ხელნაწერის გადაწერისათვის გასამრჯელო მიიღო თუ არა. მიუხედავად ამისა, საფიქრებელია, რომ მარიამ მოგელმა ეფთვიმეს გაწეული შრომის სასყიდელი დადგენილი წესისამებრ გადაუხადა. ამგვარი დასკვნისაკენ, ორი ირიბი გარემოება მიბიძგებს: 1. ბასილ მჯობაისძის III ალაპიდან ჩანს, რომ მარიამ მოგელს სვინაქსრის „ნახევრის“ ანუ II ნაწილის გადაწერისათვის საჭირო თანხა იმთავითვე გამოყოფილი ჰქონდა; და 2. ეფთვიმეს თავის I ანდერძში იმდენად ხაზგასმულად აქვს აღნიშნული ბასილ მჯობაისძის მიერ სვინაქსრის I ნაწილის უსასყიდლოდ გადაწერის ფაქტი, რომ ძნელი წარმოსადგენია, სვინაქსრის II ნაწილი მასაც გასამრჯელოს გარეშე გადაეწერა და ეს ფაქტი თავის კოლოფონებში გაკვრითაც არ აღენიშნა.

ასე, რომ ეფთვიმემ სვინაქსრის II ნაწილის გადაწერის გასამრჯელო, როგორც ჩანს, მართლაც მიიღო. სამწუხაროდ, ამ გასამრჯელოს ოდენობა დაუდგენელია.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, მსურს, კიდევ ერთ საინტერესო საკითხზე გავამახვილო ყურადღება. სვინაქსრის კოლოფონების დამწერთა ვინაობასა და მათი შესრულების ადგილზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ეს კოლოფონები ბასილ მჯობაისძისა და ეფთვიმეს მიერ გარკვეული კანონზომიერების დაცვით არის შესრულებული: სვინაქსრის I ნაწილს, რომელიც ბასილ მჯობაისძის ხელით არის დაწერილი, მხოლოდ ალაპების ტექსტები ახლავს, ხოლო ხელნაწერის II ნაწილს, რომელიც ეფთვიმეს მიერ არის შესრულებული, მხოლოდ ანდერძების ტექსტები აქვს დართული.

თეორიულად, აქ შეიძლება გაჩნდეს მოსაზრება, რომ თავის დროზე ბასილ მჯობაისძემ სვინაქსრის ფურცლებზე, ალაპების გარდა, ანდერძებიც შეასრულა, ეფთვიმემ კი, პირიქით, ხელნაწერს, ანდერძების გარდა, ალაპებიც დაურთო, ოღონდ მოგვიანებით ეს ანდერძები და ალაპები, სვინაქსრის ნაკლულ ფურცლებთან ერთად, დაიკარგა.

მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი დაშვება, ერთი შეხედვით, ლოგიკური ჩანს, მისი გაზიარება მართებულად არ მიმანია: პრაქტიკულად, წარმოუდგენელია, რომ სვინაქსრის I ნაწილს მაინცადამაინც ის ფურცლები დაკლებოდა, რომლებზეც ბასილ მჯობაისძის ხელით დაწერილი ანდერძები იყო წარმოდგენილი, ხოლო ხელნაწერის II ნაწილიდან სწორედ ის ფურცლები დაკარგულიყო, რომლებსაც ეფთვიმეს მიერ შესრულებული ალაპები ჰქონდა დართული.

ამგვარად, ვფიქრობ, არ შეეცდები, თუკი დავასკვნი, რომ ბასილ მჯობაისძემ და ეფთვიმემ სვინაქსრის ფურცლებზე კოლოფონებს მართლაც გარკვეული კანონზომიერების დაცვით ასრულებდნენ.

სამწუხაროდ, ამ საინტერესო მოვლენის გამომწვევი მიზეზების შესახებ რაიმე კატეგორიული მოსაზრების გამოთქმა, ჯერჯერობით, არ შემიძლია. თუმცა კი, ვფიქრობ, რომ ეს მოვლენა, ძირითადად, ბასილ მჯობაისძისა და ეფთვიმეს სამწიგნობრე საქმიანობის თანამდევ ჩვეულებებს შორის არსებული განსხვავებითა და მათ წინაშე მდგომი ამოცანების სხვადასხვაობით იყო განპირობებული.

მაშასადამე, ირკვევა, რომ ბასილ მჯობაისძემ სვინაქსრის I ნაწილი ანუ ხელნაწერის თავდაპირველი შედგენილობის 152 ფურცელი და 1 ფურცლის 1/3 ნაწილი მომგებელთან – მარიამ მოგელთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, უსასყიდლოდ გადაწერა, სვინაქსრის II ნაწილის გადაწერისათვის კი მას მარიამ მოგელისაგან გარკვეული გასამრჯელო უნდა მიეღო. 31 მარტის საკითხავების გადაწერაზე მუშაობისას ბასილ მჯობაისძემ მოულოდნელად გარდაიცვალა და სვინაქსრის გადაწერის საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. ხელნაწერის II ნაწილი ანუ მისი თავდაპირველი შედგენილობის ბოლო, სულ მცირე, 127 ფურცელი და 1 ფურცლის 2/3 ნა-

წილი სხვა მწიგნობარმა, ეფთვიმემ გადაწერა, რისთვისაც მას მარიამ მოგელმა დაუდგენელი ოდენობის გასამრჯელო გადაუხადა.

4. სვინაქსრის მომგებლის მარიამ მოგელის საგვარეულო კუთვნილება, სოციალური წარმომავლობა, სადაურობა და ცხოვრება-მოღვაწეობის დრო

სვინაქსრის მეორე გადამწერის ეფთვიმეს ხელით დაწერილ III ალაპში ხელნაწერის მომგებელი „მოგელეთ“-ის ფორმით არის მოხსენიებული: „ალაპი არს... მარიამ მოგელეთისად... ამის სვინაქსრისა ნახევარი მისითა წარსაგებელითა დაიწერა“.

ჩემი დაკვირვებით, სიტყვა მოგელეთ“-ში აშკარად გამოიყოფა ორი ნაწილი: 1. გვარსახელი „მოგელ“-ი (შდრ.: „თმოგველ“-ი, „გაბელ“-ი, „სურამელ“-ი და სხვ.); და 2. მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსი „ეთ“-ი: „მოგელ-ეთ“-ი. თავად გვარსახელი „მოგელ“-ი გეოგრაფიულ სახელ „მოგ“-ზე სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსი „ელ“-ის დართვით ჩანს ნაწარმოები: „მოგელ“-ი (შდრ.: „თმოგველ“-ი, „გაბ-ელ“-ი, „სურამ-ელ“-ი და სხვ.). შესაბამისად, III ალაპის ფრაზა „ალაპი... მარიამ მოგელეთისად“ გვაუწყებს, რომ ალაპი განწესებულია ვინმე მარიამისათვის, რომელიც „მოგელეთ“ ასული ანუ მოგელების საგვარეულოს წარმომადგენელი იყო.

ჩემს ამ ბოლო მოსაზრებასთან დაკავშირებით, საინტერესოა იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის ალაპების ე. წ. ტიშენდორფისეული ნუსხის №43 ალაპი, რომელშიც ჭიაურებისა თუ ჭიაურელების ნაკლებად ცნობილი ფეოდალური სახლის წარმომადგენელი ხუაშა „ჭიაურთა“-ს ფორმით არის მოხსენიებული: „ახალ კურიაკესა წირვაჲ და ალაპი საუკუნო ხუაშად სი ჭიაურთაჲსად, შეუნდვენ ღმერთმან“¹. გარდა ამისა, ჩემს მიერ გამოთქმულ მოსაზრებასთან დაკავშირებით, საინტერესო უნდა იყოს 1195 წელს გადაწერილი წყაროსთავის სახარების მოგვიანო ხანის მინაწერიც, რომელშიც გაბელისძეთა ცნობილი ფეოდალური სახლის გარდაცვლილი წარმომადგენლები „გაბელეთ“ მიცვალებულებად არიან მოხსენიებულნი: „სულსა ამირ[ე]ჯიბისა შანშესსა შ(ეუნდვენ)ს ღ(მერთმან)ს. მისა მუღლესა, მეფის ასულსა ელენეს შ(ეუნდვენ)ს ღ(მერთმან)ს. მ(ა)თსა შვილსა დავითს <მ>შ(ეუნდვენ)ს ღ(მერთმან)ს. მისა მუღლესა ანატასა შ(ეუნდვენ)ს ღ(მერთმან)ს და გაბელეთ მიცვალებულთა ე(ოვე)ლთავე შ(ეუნდვენ)ს ღ(მერთმან)ს“².

სამწუხაროდ, სვინაქსრის III ალაპში მოხსენიებული გეოგრაფიული პუნქტი – „მოგ“-ისა და მისგან ნაწარმოები გვარის – „მოგელ“-ის შესახებ რაიმე ცნობას ჩემთვის ცნობილ წერილობით ძეგლებში, ჯერჯერობით, ვერ მივაკვლიე. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ მოგელთა საგვარეულოს არსებობის ფაქტი ეჭვს არ უნდა იწვევდეს: ჯერ ერთი, ეს გვარი სვინაქსრის III ალაპში პირდაპირ არის დასახელებული; და მეორე, მეორეც, დღეისათვის ცნობილია შუა საუკუნეების საქართველოში დოკუმენტურად დადასტურებული არაერთი ფეოდალური გვარი, რომელიც ჩვენამდე მოღწეულ მხოლოდ ერთ რომელიმე წერილობით ძეგლშია მოხსენიებული.

მაგალითისათვის, შემიძლია, დავასახელო XII-XIII საუკუნეებში გადაწერილი გრიგოლ ღმრთისმეტყველის კრებულის (Jer.43) ანდერძში მოხსენიებული მესხი აზნაურის გაბა არყისციხელის გვარი: „...წარმოვე ზავნე წ(მიდა)ჲ ესე წივნი გრიგოლის ღ(მრ)თისმეტყ(უე)ლისა მ(იერ)თქმ(უ)ლი მე, მესხმან აზნაურმან, არყისციხელმან გაბამან. აღწერა წივნი ესე მამის ბიბამან ჩემმან, საფარჩის წინამ<ლ>დღაჲსაჲს ეფრემმან“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩემია – თ. ჯ)³, მეფე თამარის ე. წ. პირველი ისტორიკოსის მიერ XIII საუკუნის დასაწყისში შედგენილ „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი“ მოხსენიებული დიდი ფეოდალების ზარტიბისძეთა საგვარეულო: „...და ქუემოთ წირქუალელნი, ზარტიბის ძენი, გრიგოლოს ძენი, ჭიაბერის ძენი და მახატლის ძენი, და თავნი კახეთისანი თორღას ძენი, – შეიწყალნეს თუთოელნი თუხითა წესითა: რომელნიმე ახლად დალოცვიოთ, რომელნიმე მომატებოთა...“⁴; ქობაირის მონასტრის მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთი კარიბჭის იატაკში ჩადგმული საფლავის ქვის XIII-XIV საუკუნეების ეპი-

¹ ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული..., გვ. 74.

² ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექციისა, II, შედგენილია და დასაბუჯდა და მზადებული თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ელ. მეტრეველის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშაძის მიერ, ი. აბულაძის რედაქციით (თბილისი, 1958), გვ. 327.

³ R. P. Blake, Catalogue des Manuscrits Géorgiens de la Bibliothèque Patriarcale Grecque a Jérusalem, *Revue de l'Orient Chrétien*, 3^e série, III (XXIII), #^{os} 3 et 4 (1922-23) (Paris, 1924), p. 87.

⁴ ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი, გვ. 55. შდრ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს..., გვ. 427.

ტავიაში მოხსენიებული დიდებულის შალვა ეგეგომელის გვარი: „*ჩ. ესე საფლავი ეგეგომელისა შალვაძისი, შეუნდვენ ღმერთმან*“⁴; და სხვ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, არ შეეცდები, თუკი დავასკენი, რომ სვინაქსრის III ალაპში მოხსენიებული მოგელები, სხენებული არყისციხელების, ზარტიბისძეებისა და ეგეგომელების მსგავსად, შუა საუკუნეების საქართველოში დოკუმენტურად დადასტურებული, ოღონდ დღეისათვის ნაკლებად ცნობილი გვარი იყო.

სვინაქსრის კოლოფონებში მარიამ მოგელის სოციალური წარმომავლობის შესახებ პირდაპირ არაფერია ნათქვამი. მიუხედავად ამისა, აღნიშნული საკითხის გარკვევა რთულ ამოცანას არ წარმოადგენს. ხელნაწერის III ალაპში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ სვინაქსრის მომგებელმა მარიამ მოგელმა არამხოლოდ ამ ხელნაწერის გადაწერისათვის საჭირო თანხის ნახევარი გადაიხადა, არამედ ძმასთან ერთად (ამ უკანასკნელის შესახებ ვრცლად ქვემოთ მექნება საუბარი), სხვა ხელნაწერი წიგნების დამზადებისათვის საჭირო „წარსაგებელი“ ანუ თანხაც გაიღო და გარდა ამისა, „ეკლესიისათვის“ ანუ იერუსალიმის იმ ქართული მონასტრის ტაძრისათვის, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო სვინაქსარი იყო გადაწერილი, ვენახიც შეიძინა: „*ალაპი არს... მარიამ მოგელეთისაჲ... მრავალი ქველის საქმე ქმნეს ჩუენ ზედა იმრუსალშმს შინა მან და ძმამან მისმან ბედელამან. ამის სვინაქსრისა ნახევარი მისითა წარსაგებელითა დაიწერა და სხუათაცა... წიგნთა ზედა დიდად იღუაწეს და მანდა თუთ ეკლესიისათვის ვენახი უყიდა ტაოელეთგან*“.

ჩემი დაკვირვებით, ის გარემოება, რომ მარიამ მოგელს რამდენიმე ქართული ხელნაწერი წიგნის გადაწერის საფასურის გადახდისა და წმიდა მიწის ერთ-ერთი ქართული მონასტრის ეკლესიისათვის განკუთვნილი ვენახის შესაძენად საჭირო თანხის გაღების მატერიალური შესაძლებლობა ჰქონდა, ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ იგი წარჩინებული და შეძლებული ფეოდალური სახლის ასული იყო. სხვა შემთხვევაში, მარიამ მოგელი სვინაქსრის III ალაპში გადმოცემული ქტიტორული ღვაწლის გაწევას, ცხადია, ვერ შეძლებდა.

ამგვარად, ირკვევა, რომ სვინაქსრის გადაწერის პერიოდში ანუ XII საუკუნეში მოგელები წარჩინებული და მდიდარი ფეოდალები იყვნენ და მარიამ მოგელიც, როგორც ამ არისტოკრატიული სახლის წარმომადგენელი, მაღალ სოციალურ ფენას – ფეოდალთა წოდებას ეკუთვნოდა.

სვინაქსრის კოლოფონები მარიამ მოგელის სადაურობის შესახებ რაიმე პირდაპირ ცნობას არ გვაწვდის. სამაგიეროდ, ხელნაწერის III ალაპში დაცულია ირიბი მითითება, რომელიც საშუალებას გვაძლევს, რომ ამ საკითხის შესახებ გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ. სხენებულ კოლოფონში აღნიშნულია, რომ მარიამ მოგელმა იერუსალიმის იმ ქართული მონასტრის ეკლესიისათვის, რომელშიც სვინაქსარი იყო გადაწერილი, საქართველოში ვენახი იყიდა. ამასთან, ტექსტში დაკონკრეტებულია, რომ ვენახის ძველი მფლობელები „ტაოელები“ იყვნენ და მარიამ მოგელმაც ვენახი სწორედ მათგან შეიძინა: „*ალაპი არს... მარიამ მოგელეთისაჲ... მანდა თუთ ეკლესიისათვის ვენახი უყიდა ტაოელეთგან*“.

ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ სვინაქსრის III ალაპის ციტირებულ ტექსტში მოხსენიებულ ტაოელებში შეიძლება იგულისხმებოდეს ან ზოგადად, ტაოს პროვინციის მოსახლეობა ან კიდევ, კონკრეტული საგვარეულო – ტაოელთა ფეოდალური სახლი. მართალია, საკითხის შესწავლის მოცემულ ეტაპზე არ შემიძლია ვთქვა, ამ ორ ჰიპოთეტურ მოსაზრებას შორის რომელი მოსაზრება უფრო მართებულია, მაგრამ ამ გარემოებას ჩემთვის საინტერესო საკითხის გადაწყვეტისათვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს: III ალაპში მოხსენიებული ტაოელები, ნებისმიერ შემთხვევაში, ისტორიულ ტაოს პროვინციასთან არიან დაკავშირებული.

თუ ჩემი მსჯელობა სწორია და სვინაქსრის III ალაპში მოხსენიებული ტაოელები მართლაც ისტორიულ ტაოს პროვინციასთან არიან დაკავშირებული, რაც ნამდვილად ასე ჩანს, მაშინ, დიდი ალბათობით, შეიძლება ითქვას ისიც, რომ მარიამ მოგელის მიერ ტაოელებისაგან ნაყიდი ვენახიც იმავე ტაოს პროვინციაში მდებარეობდა.

მარიამ მოგელის მიერ ნაყიდი ვენახის მდებარეობისა და ამ ვენახის ძველი მფლობელების მკვიდრობის გეოგრაფიული არეალის განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს მარიამ მოგელის სადაურობის გარკვევისათვის: როგორც ჩანს, მარიამ მოგელი, მის მიერ შექმნილი ვენახის ძველი მფლობელების – ტაოელების მსგავსად, აგრეთვე, ტაოს პროვინციაში ცხოვრობდა.

სამწუხაროდ, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, ჯერჯერობით, არ შემიძლია ვთქვა, მარიამ მოგელს, უფრო ზუსტად კი მის ოჯახს ანუ მოგელთა ფეოდალურ სახლს ტაოს პრო-

⁴ თ. ჯოჯუა, გ. გაგოშიძე, ქობაირის, პნევანქისა და ახტალის მონასტრების ქართული ლაპიდარული წარწერები, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, XII-XIII, ეძღვნება პროფესორ თ. ბერაძის დაბადებიდან 75 წლის იუბილეს (თბილისი, 2012/2013), გვ. 287.

ვინციაში, კონკრეტულად, რომელი მიწები, ციხე-რეზიდენციები, ეკლესია-მონასტრები თუ ყმა-მამულები ეკუთვნოდა. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხს, კვლევის ამ ეტაპზე, ღიად ვტოვებ.

დასასრულ, შევეხები მარიამ მოგელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროის საკითხს, რომლის გარკვევაც საკმაოდ იოლ ამოცანას წარმოადგენს. ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ მარიამ მოგელის დაკვეთით შექმნილი სვინაქსარი XII საუკუნეში იყო გადაწერილი. შესაბამისად, ავტომატურად დგინდება ისიც, რომ თავად მარიამ მოგელიც, სვინაქსრის გადამწერების – ბასილი მჯობაისძისა და ეფთვიმეს მსგავსად, იმავე XII საუკუნეში ცხოვრობდა.

მაშასადამე, ირკვევა, რომ სვინაქსრის მომგებელი მარიამი მოგელის ნაკლებად ცნობილ გვარს ატარებდა, ფეოდალთა წოდებას ეკუთვნოდა, ისტორიული ტაოს პროვინციის მკვიდრი იყო და XII საუკუნეში მოღვაწეობდა.

5. სვინაქსრის მომგებლის მარიამ მოგელის ძმის ბედელა მოგელისა და მარიამის გამზრდელების ასფასა და ანასტასიას საგვარეულო კუთვნილება, სოციალური წარმომავლობა, სადაურობა და ცხოვრება-მოღვაწეობის დრო

სვინაქსრის კოლოფონებში, მისი მომგებლის – მარიამ მოგელის გარდა, ამ უკანასკნელის ოჯახის წევრებიც არიან მოხსენიებული. კერძოდ, სვინაქსრის მეორე გადამწერის ეფთვიმეს ხელით დაწერილი III და IV ანდერძებში დასახელებულია მარიამ მოგელის ერთ-ერთი გამზრდელი – ანასტასია, ხოლო სვინაქსრის პირველი გადამწერის ბასილ მჯობაისძის მიერ შესრულებულ III ალაპში მოხსენიებული არიან მარიამ მოგელის მშობლები, „თჳსნი“ ანუ ნათესავეები, ძმა – ბედელა მოგელი და მეორე გამზრდელი – ასფა: III ანდერძი – *„ქრისტე, ღმერთო, შეიწყალე ანასტასია“*; IV ანდერძი – *„ღედაო ღმრთისაო, მეოხ ექმენ წინაშე ძისა შენისა ანასტასიას და მისსა გაზრდილსა მარიამს“*; და III ალაპი – *„ალაპი არს ასფასა გაზრდილისა მარიამ მოგელეთისაჲ... ღმერთმან აკურთხოს იგი და მშობელნი მისნი და ყოველნი თჳსნი მისნი. მრავალი ქველის საქმე ქმნეს ჩუენ ზედა იმრუსალტმს შინა მან და ძმამან მისმან ბედელამან“*.

როგორც ვხედავთ, სვინაქსრის კოლოფონებში მარიამ მოგელის მშობლები და ნათესავეები სახელების მითითებისა გარეშე არიან მოხსენიებული. აღნიშნული მიზეზის გამო ამ პირთა ვინაობის დადგენა და ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლა, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება.

სვინაქსრის კოლოფონებში მარიამ მოგელის ძმა, მისი მშობლებისა და ნათესავეებისაგან განსხვავებით, სახელით არის მოხსენიებული. III ალაპი პირდაპირ გვაუწყებს, რომ მარიამ მოგელის ძმას სახელად ბედელა ერქვა: *„ალაპი არს ასფასა გაზრდილისა მარიამ მოგელეთისაჲ... მრავალი ქველის საქმე ქმნეს ჩუენ ზედა იმრუსალტმს შინა მან და ძმამან მისმან ბედელამან“*.

სვინაქსრის III ალაპში მოხსენიებული ბედელას საგვარეულო კუთვნილების, სოციალური წარმომავლობის, სადაურობისა და მოღვაწეობის დროის დადგენა საკმაოდ იოლ ამოცანას წარმოადგენს: სრულებით ცხადია, რომ ბედელა, მისი დის – მარიამ მოგელის მსგავსად, ისტორიული ტაოს პროვინციის მკვიდრი იყო, მოგელის ნაკლებად ცნობილ გვარს ატარებდა, ფეოდალთა წოდებას ეკუთვნოდა და XII საუკუნეში მოღვაწეობდა.

ბედელა მოგელი დღეისათვის ცნობილ ქართულ თუ უცხოურ წერილობით ძეგლებში მოხსენიებული არ არის. შესაბამისად, ირკვევა, რომ სვინაქსრის III ალაპი წარმოგვიდგენს XII საუკუნეში მოღვაწე ქართველ ფეოდალს, რომლის შესახებაც სამეცნიერო საზოგადოებისათვის აქამდე არაფერი იყო ცნობილი.

ბედელა მოგელთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მის სახელი. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, მამაკაცის სახელი „ბედელა“ დღეისათვის ცნობილ არც ერთ ქართულ წერილობით ძეგლში არ არის დადასტურებული. ამგვარად, გამოდის, რომ სვინაქსრის III ალაპი შუა საუკუნეების ქართულ ანთროპონიმიკას მამაკაცის აქამდე უცნობი სახელით ამდიდრებს.

სვინაქსრის III და IV ანდერძებში, აგრეთვე, III ალაპში, მარიამ მოგელის ორი გამზრდელია მოხსენიებული. ამასთან, კოლოფონებიდან ვიგებთ, რომ ერთ-ერთი გამზრდელს, სახელად ასფა ერქვა და, როგორც ჩანს, მამაკაცი იყო, ხოლო მეორე გამზრდელს ანასტასია ერქვა და ქალი იყო: III ანდერძი – *„ქრისტე, ღმერთო, შეიწყალე ანასტასია“*; IV ანდერძი – *„ღედაო ღმრთისაო, მეოხ ექმენ წინაშე ძისა შენისა ანასტასიას და მისსა გაზრდილსა მარიამს“*; და III ალაპი – *„ალაპი არს ასფასა გაზრდილისა მარიამ მოგელეთისაჲ...“*

როგორც ვხედავთ, სვინაქსრის კოლოფონებში ასფასა და ანასტასიას შესახებ საკმაოდ მწირი ინფორმაციაა დაცული. სამწუხაროდ, ამ ისტორიული პირების შესახებ არც ჩემთვის ცნობილი სხვა წერილობითი ძეგლები გვაწვდის რაიმე მითითებებს. აღნიშნული მიზეზების გამო ასფასა და ანასტასიას ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვი და

მხოლოდ მათი სოციალურ წარმომავლობაზე, მოღვაწეობის დროსა და სადაურობაზე, აგრეთვე, მათ ურთიერთმიმართებასა და სახელებზე გავამახვილებ ყურადღებას.

დავიწყებ ასფასა და ანასტასიას სოციალური წარმომავლობის საკითხით. მართალია, სვინაქსრის კოლოფონებში ამ საკითხის შესახებ რაიმე პირდაპირი ცნობა დაცული არ არის, მაგრამ ვითვალისწინებ იმ გარემოებას, რომ მარიამ მოგელი მაღალი სოციალური ფენის – ფეოდალური წოდების წარმომადგენელი იყო და გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ მისი გამზრდელებიც – ასფა და ანასტასია, აგრეთვე, ფეოდალთა წოდებას ეკუთვნოდნენ.

საკმაოდ იოლი გასარკვევია ასფასა და ანასტასია ცხოვრება-მოღვაწეობის დროის საკითხი. ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ სვინაქსრის მომგებელი მარიამ მოგელი XII საუკუნის მოღვაწე იყო. შესაბამისად, სავსებით ცხადია ისიც, რომ მარიამ მოგელის გამზრდელები – ასფა და ანასტასია იმავე XII საუკუნის მოღვაწეები იყვნენ.

ერთი შეხედვით, საკმაოდ იოლად გადასაწყვეტი ჩანს ასფასა და ანასტასიას წარმომავლობის საკითხიც. მართლაც, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მარიამ მოგელი ტაოს პროვინციის მკვიდრი იყო, თითქოს ავტომატურად უნდა მივიდეთ დასკვნამდე, რომ მარიამის გამზრდელები – ასფა და ანასტასია, აგრეთვე, ტაოს პროვინციაში სახლობდნენ.

თუმცა, არის ერთი გარემოება, რომელიც ამ დასკვნის მართებულობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს: შუა საუკუნეების საქართველოში ფართოდ გავრცელებულ სოციალურ მოვლენაზე – გაზრდილობაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ამ მოვლენის ძირითადი მონაწილეები – გამზრდელი და გაზრდილი, ხშირად, არა ერთ რომელიმე პროვინციაში, არამედ სხვადასხვა, ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ პროვინციებში მცხოვრები ფეოდალური სახლების წარმომადგენლები უყვნენ.

მაგალითისათვის, მოვიტან ქობაირის მონასტრის ეზოში, სამრეკლო-საძვალის მახლობლად გამოვლენილი საფლავის ქვის XIII საუკუნის ეპიტაფიას, რომელიც შემდეგი სახით იკითხება: „*წ. ესე საფლ(ა)ვი დიდესა პ(ა)ტრ(ო)ნისა შ(ა)პ(ან)შ(ა)ს ძის [ზაქ]ა[რი]ს ამი(რ)სპ(ა)ს(ა)ლ(არ)ის გ(ა)ზრდ(ი)ლისა, ჯ(ა)ყ(ე)კლისა ასულ(ი)სა რ(უ)ს(უ)დ(ან)ის(ი), შ(ე)უნდვენ დ(მერთმ)ნ⁴.*

როგორც ვხედავთ, ციტირებული ეპიტაფია მოგვითხრობს, რომ მის ტექსტში მოხსენიებული ისტორიული პირი, სამცხის პროვინციაში მოსახლე ჯაყელთა ფეოდალური სახლის ასული – რუსუდანი სულ სხვა რეგიონში, ლორე-ტაშირის პროვინციაში მოსახლე მხარგრძელთა ფეოდალური სახლის შანშეს განშტოების ერთ-ერთი წარმომადგენლის, ამირსპასალარ ზაქარია II-ის მიერ იყო გაზრდილი.

გფიქრობ, ყოველივე ზემოთქმულიდან სავსებით ნათლად ჩანს, რომ ტაოს პროვინციაში მოსახლე მარიამ მოგელის გამზრდელების – ასფასა და ანასტასიას ცალსახად ტაოს პროვინციის მკვიდრებად გამოცხადება მართებული არ არის და ამ მოსაზრების გამოთქმა მხოლოდ ვარაუდის სახითაა შესაძლებელი.

ამგვარად, ირკვევა, რომ მარიამ მოგელის გამზრდელების – ასფასა და ანასტასიას სადაურობის საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის. ამ ეტაპზე, შემიძლია, მხოლოდ ვივარაუდო, რომ ისინი ტაოს პროვინციაში ცხოვრობდნენ.

ცალკე მსჯელობის საგანია ასფასა და ანასტასიას ურთიერთმიმართების საკითხი. ამ საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას ერთი საინტერესო გარემოება იპყრობს: სვინაქსრის კოლოფონების მიხედვით, მარიამი მხოლოდ ასფას ან მხოლოდ ანასტასიას გაზრდილი კი არ არის, არამედ ორივე მათგანის გაზრდილად გვევლინება.

ჩემი დაკვირვებით, ამ უცნაურ მოვლენას მხოლოდ ერთი ლოგიკური ახსნა შეიძლება ჰქონდეს: ასფა და ანასტასია ცოლ-ქმარი იყვნენ და მარიამ მოგელიც მათ საერთო ოჯახში იყო გაზრდილი. შესაბამისად, თუ ეს დაკვირვება სწორია, მაშინ გამოდის, რომ სვინაქსრის კოლოფონებში მოხსენიებული არიან XII საუკუნის უცნობი ქართული ფეოდალური ოჯახის წევრები, ცოლ-ქმარი ასფა და ანასტასია, რომლებიც სხვა ფეოდალური სახლის ასულის – მარიამ მოგელის გამზრდელები იყვნენ.

მარიამ მოგელის გამზრდელებზე – ასფასა და ანასტასიაზე საუბრის ბოლოს აუცილებლად უნდა შევეხები მათ სახელებს. დავიწყებ ასფას სახელით, რომელიც ქართულ წერილობით ძეგლებში ძალზედ იშვიათად გვხვდება. ამ იშვიათი ძეგლებიდან შემიძლია, დავასახელო იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის სვინაქსრის (Jer. 24-25) №91 ალაპი, რომელიც XIII საუკუნის მიწურულითა და XIV საუკუნის პირველი მეოთხედით თარიღდება. ალაპში ვინმე ასფა მოდელია მოხსენიებული: „*[თუესა დეკენბერსა ლ (4)]... ამ(ა)სვე დღ(ე)სა ალაპი ასფასა ძოდელის(ა)დ. ვინ არ გარდაიკადოს, კრულმცა არს უკუნისამდე².*

¹ იქვე, გვ. 276.

² ელ. მეტრეველი, *მასალები იერუსალიმის ქართული...*, გვ. 87.

როგორც ვხედავთ, ციტირებულ ადაპში ასფა ძოდელის შესახებ საკმაოდ მწირი ცნობები დაცული. სამწუხაროდ, მის შესახებ არც ჩემთვის ცნობილი სხვა წერილობითი ძეგლები გვაწვდის რაიმე მითითებას. აღნიშნული მიზეზების გამო, ჯერჯერობით, არ შემიძლია ვთქვა, თუ რა ურთიერთმიმართება არსებობდა ამ ძალზედ იშვიათი სახელის მატარებელ ისტორიულ პირებს – ერთი მხრივ, მარიამ მოგელის გამზრდელს, XII საუკუნეში მოღვაწე ასფას, ხოლო, მეორე მხრივ, XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ასფა ძოდელს შორის: ისინი ერთსა და იმავე საგვარეულოს ეკუთვნოდნენ და იდენტურ სახელსაც ამიტომ ატარებდნენ თუ მათ შორის რაიმე ნათესაური კავშირი არ არსებობდა და უბრალოდ, სეხნიები იყვნენ.

აქვე, ხაზგასმით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ მამაკაცის საკუთარ სახელ ასფასთან, ფონეტიკური თვალსაზრისით, ძალზედ ახლოს დგას ანთროპონიმი ასფან//ასფაინ//ასპანი, რომელიც შუა საუკუნეებში გავრცელებული ქალის სახელი იყო. სახელი ასფან//ასფაინ//ასპანი, მაგალითად, დადასტურებულია ქვემო ქართლში, ალგეთის ხეობაში მდებარე ვაკის ეკლესიის 1116-1117 წლების დაზიანებულ ქართულ ასომთავრულ წარწერაში, რომელიც მოგვითხრობს, რომ ვაკის ტაძარი დიდგვაროვანი ქალის, ვინმე ასფანის მიერ იყო აგებული (ამ წარწერის შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ) და XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის სტეფანოს ორბელიანის თხზულების „სისაკანის სახლის ისტორიის“ 66-ე თავის – „ცხოვრება ორბელიანთას“ ორ ძველ ქართულ თარგმანში, რომელიც გვაუწყებს, რომ ასფაინ//ასპანი XIII საუკუნეში მოღვაწე ისტორიული პირის სუმბატ ორბელიანის დედას ერქვა, ქვემოთ მოვიტან ამ წერილობითი ძეგლების შესაბამის ფარგმენტებს.

1. ვაკის ეკლესიის წარწერა: „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა, მეოხებითა ღმრთისმშობელისა, მე. ასფან, სქთქელისა ასულმან... აღვაშენე სამკვდრებელი წმიდისა...“ (პუნქტუაცია ჩემია – თ. ჯ.)¹.

2. „ცხოვრება ორბელიანთას“ ძველი ქართული თარგმანები: I თარგმანი – „ხოლო შემდგომად მათსა გარდაიცვალა ყოვლად კურთხეული დედა მათი (იგულისხმებიან სუმბატ, იოანე და ფახრადულა ორბელიანები – თ. ჯ.) ასფაინ რიცხვსა შეიდას ათორმეტსა (712+551=1263 წ.) და დაიდვა ძეთა თანა თვისთა“; II თარგმანი – „ხოლო ამისა შემდგომად მიიცვალა ყოვლად კურთხეული დედა მათი ასპან² რიცხვსა ჩს³ (1263 წ.) და დაეფლა ძეთა თვსთა თანა“³.

მარიამ მოგელის მეორე გამზრდელის ანასტასიას სახელი, მისი მეუღლის ასფას სახელთან შედარებით, ქართულ წერილობით ძეგლებში უფრო ხშირად გვხვდება. ამ წერილობით ძეგლებს შორის განსაკუთრებით საინტერესოა სამი წერლობითი ძეგლი, რომელთა ტექსტებსაც ქვემოთ სათანადო სისრულით წარმოვადგენ: 1. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნის №94 ადაპი: „თუესა ივლისსა კბ (22). ადაპი არს ანასტასიაჲსი და მარიაჲსი, დედისა მისისაჲ. და ყოველივე ზემოწერილი აღესრულენ. და ოთხ-ოთხი სასუმელი ეწდიენ ტრაპეზსა“⁴; 2. იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის 1066 წლის ოქტომბრის თთვენის (Jer. 75) მოგვიანო ხანის მინაწერი: „ესე წიგნი აქიმის ძისა ნიკოლოზის დამან ანასტასია დადვა აღდგომის [ეკლესიასა] მისისა სულისა სახსენებლად, მისგან ნასყიდი, და შეუნდევს ღ(მერთმ)ან, ა(მი)ნ“ (ქარაგმის გახსნა ჩემია – თ. ჯ.)⁵; და 3. იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის XI საუკუნის (?) სვინაქსრის მოგვიანო ხანის მინაწერი: „ს(უ)ლსა ანასტასიასსა შეუნდვენენ ღ(მერთმ)ან. ესე წიგნი ს(უ)ლთა გ(ა)ნმანათლებელი დიდი სუნაქსარი გ(ა)ნქრეული მან შეაკაზმევინა. ს(უ)ლსა თეკლასაცა შეუნდვენენ ღ(მერთმ)ან“ (ქარაგმის გახსნა ჩემია – თ. ჯ.)⁶.

¹ კ. ზაქარია, XIV საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი სოფელ ვაკეში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XI, №3, ძირითადი, ქართული გამოცემა (თბილისი, 1950), გვ. 201.

² სახელი ასპან, რომელიც „ცხოვრება ორბელიანთას“ II ძველი ქართული თარგმანის დედაში სწორედ ამ ფორმით არის დადასტურებული, თხზულების გამომცემელს ელენე ცაგარეიშვილს, რატომღაც, ჩანაცვლებული აქვს ამავე სახელის სხვა ფორმით – ასფაი: „...ყოვლად კურთხეული დედა მათი ასფაი“ (სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთას“-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძებლები დაურთო ელ. ცაგარეიშვილმა (თბილისი, 1978), გვ. 22, 89).

³ იქვე, გვ. 89. სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების წერილობითი წყაროების თანახმად, სახელ ასპანს, ირივ შემთხვევებში, მამაკაცებიც ატარებდნენ. მაგალითისათვის შემიძლია, დავასახელო ლაშა-გიორგისდროინდელი მემატინის მიერ 1222-1223 წლებში შედგენილი თხზულება, რომელიც გვაუწყებს, რომ მეფე თამარის ეპოქაში მოღვაწე ქართველი დიდბულის, შემდგომში, ტაო-კლარჯეთ-შავშეთის ერისთავის ზაქარია ფანას-კერტელის მამას ან ზაქარიას გვარის ფუძემდებელს სახელად ასპანი ერქვა: „...მისსა (მეფე თამარის – თ. ჯ.) სამეფოსა შინა ერთიცა მსახური არ გაპატიეებულა, თვნიერ გუზან ტაოსკარელისაგან კიდუ: მას თუაღნი დასწუნეს. გაღმა გასული სპარსეთს ზაქარია ასპანის ძემან შეიპყრა და დარბაზს მოგუარეს“ (ლაშა გიორგის-დროინდელი მემატინი, გვ. 368. შტრ.: ლაშა-გიორგის დროინდელი მემატინი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა..., გვ. 353).

⁴ ელ. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი (თბილისი, 1998), გვ. 159. შტრ.: ნ. ბერძენიშვილი, ათონის ივერთა მონასტრის ალაპები (თბილისი, 2007), გვ. 248.

⁵ Ал. Цагарели, Памятники Грузинской Старины в Святой Земле и на Синае, Православный Палестинский Сборник, IV (С.-Петербург, 1888), стр. 158.

⁶ შტრ.: Ал. Цагарели, Памятники Грузинской Старины..., стр. 164.

ციტირებული სამი წერილობითი ძეგლიდან პირველ ძეგლში – №94 ალაპში მოხსენიებულ ანასტასიასა და მის დედასთან – მარიასთან დაკავშირებული საკითხები საფუძვლიანად შეისწავლა ელენე მეტრეველი. მეცნიერმა კვლევის შედეგები ორი ძირითადი დასკვნის სახით ჩამოაყალიბა: 1. ანასტასია და მისი დედა მარია, სავარაუდოდ, ბერძნები იყვნენ, რადგან ალაპის ტექსტში ანასტასიას დედის სახელი არა ქართული „მარიამ“-ის, არამედ ბერძნული „მარია“-ს ფორმით არის მოტანილი; და 2. ანასტასიასა და მისი დედის მარიას ალაპი სააღაპე წიგნის თავდაპირველ, მიქაელ დადალისონელის მიერ 1074 წელს შედგენილ რედაქციაში უკვე შეტანილი იყო და ის სააღაპე წიგნის მეორე, დეკანოზ იოანე თაფლაისძის მიერ 1120-1140-იან წლებში შედგენილ რედაქციაში პირველი რედაქციის ტექსტიდან გადაიტანეს¹.

განსხვავებული სურათი გვაქვს ციტირებული სამი წერილობითი ძეგლიდან ბოლო ორ ძეგლში მოხსენიებულ პირებთან – ოქტომბრის თვეების აღდგომის ტაძრისათვის შემწირველ ანასტასიასა და სვინაქსრის შეკაზმვის ინიციატორ ანასტასიასთან დაკავშირებით. ამ ისტორიული პირების ვინაობასა და ცხოვრება-მოდვაწებობასთან დაკავშირებული საკითხები აქამდე შესწავლილი არ ყოფილა, რის გამოც მათ შესახებ დღეისათვის, პრაქტიკულად, არაფერია ცნობილი.

სამწუხაროდ, კვლევის ამ ეტაპზე, არ შემიძლია, რაიმე არგუმენტირებული მოსაზრება გამოვთქვა, ერთი მხრივ, მარიამ მოგელის გამზრდელი ანასტასიას, ხოლო, მეორე მხრივ, ზემოთ ციტირებულ წერილობით ძეგლებში მოხსენიებული, სახელი ანასტასიას მატარებელი სამი ისტორიული პირის ურთიერთმიმართების შესახებ. შესაბამისად, ამ საინტერესო საკითხს, ჯერ-ჯერობით, ღიად ვტოვებ.

მაშასადამე, ირკვევა, რომ სვინაქსრის მომგებლის მარიამ მოგელის ძმა ბედელა, დის მსგავსად, მოგელის ნაკლებად ცნობილ გვარს ატარებდა, ფეოდალთა წოდებას ეკუთვნოდა, ისტორიული ტაოს პროვინციის მკვიდრი იყო და XII საუკუნეში მოღვაწეობდა. რაც შეეხება მარიამ მოგელის გამზრდელებს – ასფასა და ანასტასიას, ისინი თანამეცხედრეები იყვნენ, ფეოდალთა წოდებას ეკუთვნოდნენ, სავარაუდოდ, ტაოს პროვინციაში ცხოვრობდნენ და XII საუკუნეში მოღვაწეობდნენ.

6. სვინაქსრის მომგებლის მარიამ მოგელისა და მისი ძმის ბედელა მოგელის ქტიტორული მოღვაწეობა, მარიამ მოგელისათვის ალაპის განწესება

სვინაქსრის მეორე გადამწერის ეფთვიმეს ხელით დაწერილ IV ანდერძსა და ხელნაწერის პირველი გადამწერის ბასილ მჯობაისძის მიერ შესრულებულ III ალაპში სვინაქსრის მომგებლისა და მისი ძმის, მარიამ და ბედელა მოგელების ქტიტორული მოღვაწეობის შესახებ ძალზედ საინტერესო ცნობებია დაცული: IV ანდერძი – „*დედაო ღმრთისაო, მეოხ ექვენ წინაშე ძისა შენისა... მარიამს. ესე წმიდა სვინაქსარი მან ივონება*“; და III ალაპი – „*ალაპი არს... მარიამ მოგელეთისა... მრავალი ქველის საქმე ქმნეს ჩუენ ზედა ივრუსალჴმს შინა მან და ძმამან მისმან ბედელამან. ამის სვინაქსრისა ნახევარი მისითა წარსაგებელითა დაიწერა და სხუათაცა სამანდალთა წიგნთა ზედა დიდად იღუაწეს და მანდა თუთ ეკლესისათუხ ვენაჯი უყიდა ტაოელეთგან*“.

როგორც ვხედავთ, ციტირებული კოლოფონების დახმარებით, ჩვენთვის ცნობილი ხდება მარიამ და ბედელა მოგელების ქტიტორული საქმიანობის ოთხი ძირითადი მიმართულება თუ კონკრეტული ფაქტი:

1. მარიამ და ბედელა მოგელებმა იერუსალიმის იმ ქართულ მონასტერს, რომელშიც ბასილ მჯობაისძემ და ეფთვიმემ სვინაქსარი გადაწერეს, უშუალოდ წმიდა მიწაზე დიდი და მრავალმხრივი დახმარება გაუწიეს: „*მრავალი ქველის საქმე ქმნეს ჩუენ ზედა ივრუსალჴმს შინა მან და ძმამან მისმან ბედელამან*“.

2. მარიამ და ბედელა მოგელებმა იერუსალიმში მოღვაწე ქართველ კალიგრაფებს გადააწერინეს არაერთი ხელნაწერი წიგნი, რომლებიც საქართველოში გასაგზავნად იყო განკუთვნილი: „*ამის სვინაქსრისა ნახევარი მისითა წარსაგებელითა დაიწერა და სხუათაცა სამანდალთა წიგნთა ზედა დიდად იღუაწეს*“.

3. მარიამ მოგელმა იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ მონასტერში მოღვაწე ბასილ მჯობაისძესა და ეფთვიმეს გადააწერინა სვინაქსარი, რომელიც, მისი და მისი ძმის დაკვეთით შექმნილი სხვა ხელნაწერი წიგნების მსგავსად, აგრეთვე, საქართველოში გასაგზავნად იყო განკუთვნილი: „*ამის სვინაქსრისა ნახევარი მისითა წარსაგებელითა დაიწერა და სხუათაცა სამანდალთა წიგნთა ზედა დიდად იღუაწეს*“.

¹ ელ. მეტრეველი, *ათონის ქართველთა მონასტრის...*, გვ. 235. შტრ.: ნ. ბერძენიშვილი, *ათონის ივერთა მონასტრის...*, გვ. 144.

4. მარიამ მოგელმა „ეკლესიის“ ანუ იერუსალიმის ქართული მონასტრის ტაძრისათვის, რომელშიც ბასილ მჯობაისძემ და ეფთვიმემ სვინაქსარი გადაწერეს, საქართველოში ვენახი შეიძინა: „და მანდა თუთ ეკლესისათუზ ვენაჳი უყიღია ტაოელეთგან“.

სვინაქსრის III ალაპი გვაუწყებს, რომ წმიდა მიწაზე მოღვაწე ქართველმა მოწესებმა მარიამ და ბედელა მოგელების მიერ გაწეული დიდი ქტიტორული ღვაწლი ჯეროვნად დააფასეს და მარიამ მოგელს იერუსალიმის იმ ქართულ მონასტერში, რომელშიც მან ბასილ მჯობაისძესა და ეფთვიმეს საქართველოში გასაგზავნი სვინაქსარი გადააწერინა, 5 იანვარს ალაპი განუწესეს.

მართალია, იერუსალიმის ამ უცნობი ქართული მონასტრის სააღაპე წიგნმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველგვარ ეჭვგარეშეა, რომ მარიამ მოგელისათვის განწესებული ალაპი ამ სააღაპე წიგნში სათანადო წესის დაცვით იქნებოდა ჩაწერილი.

ამასთან, იერუსალიმის ხსენებული მონასტრის მოწესებმა მარიამ მოგელის ალაპი მხოლოდ მათი მონასტრის სააღაპე წიგნში კი არ ჩაწერეს, არამედ მარიამის დაკვეთით გადაწერილ სვინაქსარშიც შეიტანეს და ეს ალაპი ხელნაწერის პირველი გადამწერის ბასილ მჯობაისძის ხელით, სვინაქსრის ძირითად ტექსტში, 5 იანვრის საკითხავებზე მითითების შემდეგ ჩაწერეს.

მარიამ მოგელის ალაპი, რომელსაც წინამდებარე ნაშრომში III ალაპის სახელით მაქვს აღნიშნული და რომელიც, ზემოთ უკვე არაერთგზის მქონდა ციტირებული, სტრუქტურული თვალსაზრისით, ოთხი ნაკვეთისაგან შედგება. ეს ნაკვეთებია:

1. მარიამ მოგელის ვინაობაზე, მისი ალაპის გადახდის თვესა და რიცხვზე მითითება: „იანვარსა 2 (5). ალაპი არს ასფაღსა გაზრდილისა მარიამ მოგელეთისაჲ“.

2. მარიამ მოგელის ალაპის გადახდის პარალელურად, მისთვის წირვა-ლოცვის აღსრულებაზე მითითება: „წირვაჲ და ხალოცავი მისი“.

3. მარიამ მოგელის, მისი მშობლებისა და ნათესავების დალოცვა: „ღმერთმან აკურთხოს იგი და მშობელნი მისნი და ყოველნი თუხნი მისნი“.

4. მარიამ მოგელისა და მისი ძმის ბედელა მოგელის მიერ გაწეული იმ ქტიტორული ღვაწლის დახასიათება, რომლის სანაცვლოდაც მარიამ მოგელისათვის ალაპია განწესებული: „მრავალი ქველის საქმე ქმნეს ჩუენ ზედა იმრუსალშმს შინა მან და ძმამან მისმან ბედელამან. ამის სვინაქსრისა ნახევარი მისითა წარსაგებელითა დაიწერა და სხუათაცა სამანდალთა წიგნთა ზედა ღიდად იღუაწეს და მანდა თუთ ეკლესისათუზ ვენაჳი უყიღია ტაოელეთგან“.

როგორც ვხედავთ, იერუსალიმის ერთ-ერთი უცნობი ქართული მონასტრის მიერ მარიამ მოგელისათვის განწესებული XII საუკუნის ალაპი ამ ტიპის წერილობითი ძეგლების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს და სტრუქტურული სრულყოფისა თუ ინფორმაციული სისრულის თვალსაზრისით, იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის სვინაქსარში (Jer. 24-25) ჩაწერილ XII-XVII საუკუნეების სახელგანთქმულ ალაპებს არაფრით ჩამოუვარდება.

დასასრულ, ორიოდ სიტყვით შევეხები მარიამ მოგელის ალაპის 5 იანვარზე განწესების საკითხს. ჩვენ ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ სვინაქსრის დანარჩენი ორი ალაპის დასადებად წლის მოცემული თვე და რიცხვი სავსებით კონკრეტული მიზეზების გამო იყო შერჩეული. ამ ალაპებისაგან განსხვავებით, მარიამ მოგელის ალაპის მაინცადამაინც 5 იანვარზე განწესების ზუსტი მიზეზი, ჯერჯერობით, ვერ დავადგინებ. ერთადერთი ვარაუდი, რომლის დაშვებაც ამ ეტაპზე შემიძლია, ის არის, რომ 5 იანვარი ერთ-ერთი უდიდესი საუფლო დღესასწაულის – ნათლისღების წინა დღეს წარმოადგენს და არ არის გამორიცხული, მარიამ მოგელის ალაპის დასადებად ეს დღე სწორედ ამ ნიშნის მიხედვით შერჩიათ.

მაშასადამე, ირკვევა, რომ სვინაქსრის მომგებელმა მარიამ მოგელმა და მისმა ძმამ ბედელა მოგელმა იერუსალიმის იმ ქართულ მონასტერს, რომელშიც ბასილ მჯობაისძემ და ეფთვიმემ ეს სვინაქსარი გადაწერეს, დიდი დახმარება გაუწიეს. მონასტრის მოწესებმა მარიამ მოგელს, გაწეული ქტიტორული ღვაწლის სანაცვლოდ, 5 იანვარს ალაპი განუწესეს და ეს ალაპი, ერთი მხრივ, მონასტრის დღეისათვის დაკარგულ სააღაპე წიგნში, ხოლო, მეორე მხრივ, ბასილ მჯობაისძის ხელით, მარიამ მოგელის დაკვეთით გადაწერილი სვინაქსრის ძირითად ტექსტში ჩაწერეს.

7. სვინაქსრის პირველი გადამწერის ბასილ მჯობაისძის მიერ შესრულებული I და II ალაპები მონასტრის მაშენებლის საბა-სანივაჯისა და იოსებ უძღურის მოხსენიებით

სვინაქსარს, მარიამ მოგელის ალაპის გარდა, მისი პირველი გადამწერის ბასილ მჯობაისძის ხელით დაწერილი კიდევ ორი აქვს დართული. აქედან, I ალაპი საბა-სანივაჯის, ხოლო II ალაპი იოსებისათვის არის განწესებული. ქვემოთ ორივე ამ ალაპს ცალ-ცალკე განვიხილავ.

დავიწყებ საბა-სანივაჯისათვის განწესებული აღაპით. ამ აღაპის ტექსტში, ყურადღებას, პირველ რიგში, თავად საბა-სანივაჯის ორმაგი სახელი იწვევს: „ამასვე დღესა (5 დეკემბერს – თ. ჯ.) აღაპი... საბა-სანივაჯისი“.

განსახილველ სახელში ორი დამოუკიდებელი ანთროპონიმი გამოიყოფა: საბა და სანივაჯი. აქედან, პირველი სახელი – საბა, როგორც ჩანს, აღაპში მოხსენიებული პირის საეკლესიო, ბერად აღკვეცის შემდეგ მიღებული სამონაზვნო სახელია, ხოლო სანივაჯი – მის საერისკაცო სახელს წარმოადგენს.

საბა-სანივაჯის საერო სახელი – სანივაჯი ჩემთვის ცნობილ მხოლოდ სამ ქართულ წერილობით ძეგლში გვხვდება. ეს ძეგლებია: 1. ქართლში, მდინარე შაბ-წყალის (იგივე, გოსტიბეს-წყლის) ხეობაში მდებარე გოსტიბეს ეკლესიის X-XI საუკუნეების მიჯნის ასომთავრული სავედრებელი წარწერა; 2. იმავე ქართლში, გოსტიბეს ეკლესიის მახლობლად მდებარე კაბერის წმ. გიორგის ეკლესიის 1014-1027 წლების ასომთავრული საადმშენებლო წარწერა; და 3. ქვემო ქართლში, მდინარე ალგეთის ხეობაში მდებარე ვაკის ეკლესიის 1116-1117 წლების დაზიანებული ასომთავრული საადმშენებლო წარწერა. მოვიტან ამ წარწერათა ტექსტებს:

1. გოსტიბეს ეკლესიის X-XI საუკუნეების მიჯნის წარწერა: „წმიდაჲო ეკლესი(ი)ო, შვიწყალე სანივაჯ დღესა მას განსკითხვისასა“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩემია – თ. ჯ.)¹.

2. კაბერის ეკლესიის 1014-1027 წლების წარწერა: „ჩ. ს(ა)ხ(ე)ლ(ი)თა დ(მ)რ(ი)ს(ა)დთა, ავაშენე წმიდაჲ ეხე ეკლესი(ი)აჲ მე, ას(ა)დ ს(ა)ხ(ი)ც(ა)ც(ი)ს ძემან, ძმამან ს(ო)ფრ(ონ) ბ(ე)დ(ი)ელ მთ(ა)ვ(ა)რებ(ი)სკ(ოპო)სისამ(ა)ნ, ზე გ(ი)ორგი მ(ე)ფ(ი)სა და მ(ე)ლქ(ი)ზ(ე)დ(ე)კ კ(ა)ტ(ა)ქ(ი)კ(ო)ზ(ი)სა. ქრ(ი)სტი(ა)ნ(ი) იყო... ჩ. ოღეს ქსე [დ]ქავწერე, მე, ას(ა)დ, ვ(ი)ეწ(ა)ვ წლ(ი)საი ძხ (67). აღიდენ დ(მ)რ(ი)ს(ა)დ ს(ო)ფრ(ონ) ბ(ე)დ(ი)ელი ებ(ი)სკოპო(ს)ი, წლ(ი)სა 60 (59)...“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩემია – თ. ჯ.)².

3. ვაკის ეკლესიის 1116-1117 წლების წარწერა: „ჩ. სახელითა ღმრთისადთა, მეოხებითა ღმრთისმშობლისა, მე, ასფან, სვ[ო]ტელისა ასულმან, ცოლმან ბენ სან(ი)ც(ა)ცი(ი)სა ძისამან, აღვაშენე სამკვდრებელი წმიდისა [-]ლისა, სალოცველად მამისა და დედისა [ჩემისა], ზითვესა [შინა ნაბოძარსა მათსა, სალოცველად ძმისა ჩემისა] [---]მსა[---] ჩემისა] [-]წ[ართისა] დღ[---]ვა[-]მისა] ა[-----]ლა[---] [არს] ე[-----]ე[---] მეფობასა [-----] [მეფეთა მეფისა აფხაზთა, ქართველთა, კახთა, რანთა და სომეხთა, ინდიქციონსა 27 (27) მეფობასა მათისასა“ (ქარაგმის გახსნა (ერთგან) და პუნქტუაცია ჩემია – თ. ჯ.)³.

¹ Р. Меписашвили, Памятники архитектуры X-XI веков в сел. Кабери и Гостибе, *ქართული ხელოვნება, გ. ნუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, სერია А – ძველი ხელოვნება, 8 (თბილისი, 1979), გვ. 62, ტაბ. 33, სურ. 2.

² იქვე, გვ. 52, ნახ. 3, ტაბ. 25, სურ. 2.

³ კ. ზაქარაია. XIV საუკუნის სურთომოდგურული..., გვ. 201. როგორც ვხედავთ, ვაკის ეკლესიის წარწერას თარიღი არ უხის. წარწერის ტექსტის პირველგამოცემელმა – პარმენ ზაქარიამ ვაკის ეკლესია, მისი არქიტექტურული თავისებურებების ანალიზის საფუძველზე, XIV საუკუნის I ნახევარს მიაკუთვნა, ამ დათარიღებაზე დაყრდნობით, ტაძრის საადმშენებლო წარწერაში მოხსენიებული „აფხაზთა, ქართველთა, კახთა, რანთა და სომეხთა მეფეთმეფე“, რომლის სახელიც წარწერის დაზიანების გამო, აღარ იკითხება, მეფე გიორგი V ბრწყინვალესთან გააიგივა, ამ უკანასკნელის მეფობის დასაწყისად 1314 წელი მიიჩნია, წარწერაში მითითებული მეფობის 27-ე ინდიქციონი სწორედ ამ, 1314 წლიდან ათვალა და საბოლოოდ, საადმშენებლო წარწერა, მასთან ერთად კი, მთლიანად ვაკის ეკლესიაც, 1341 წლით დაათარიღა (იქვე). ვაკის ეკლესიის წარწერის დათარიღების თაობაზე მე პარმენ ზაქარიასაგან განსხვავებული მოსაზრება მაქვს და ვფიქრობ, რომ წარწერა არა 1341 წლით, არამედ ბევრად უფრო ადრეული პერიოდით თარიღდება. ამ მოსაზრების გამოთქმისას, პირველ რიგში, ვგმარებ წარწერის იმ ფრაგმენტს, რომელშიც პარმენ ზაქარიას მიერ გიორგი V ბრწყინვალედ მიჩნეული მეფის ტიტულატურა დასახელებული: „მეფეთა მეფე აფხაზთა, ქართველთა, კახთა, რანთა და სომეხთა“. ჩემი დაკვირვებით, განსახილველ ტიტულატურაში ნათლად არის ასახული ის ისტორიული რეალები, რომლებსაც საქართველოს მეფის დავით IV აღმაშენებლის (1189-1125 წწ.) მმართველობის კონკრეტულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში, უფრო ზუსტად კი, 1110-1118 წლებში ტაშირ-ძორაგეტის სომეხთა სამეფოს შემოერთების (გ. ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის...*, გვ. 27, 31-36) ანუ სომეხთა მეფის ტიტულის მიღების შემდგომ პერიოდსა და 1120-1123 წლებში შარვანის დაპყრობის ანუ შარვანშაჰის ტიტულის მიღების წინარე ხანებში ადგილი (ჩემი დაკვირვებით, დავით IV-ემ სომეხთა მეფის ტიტული მიიღო არა 1118 წელს, ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს მხრე დედაქალაქის – ლორეს ადგილის შემდეგ, არამედ ცოტა უფრო ადრე, ერთი მხრივ, 1110 წელს ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს ძველი დედაქალაქის – სამშვილდის ადგილსა და ქვემო ქართლის „უმრავლეს ციხეებზე“ საკუთარი კონტროლის დაწესების, ხოლო, მეორე მხრივ, 1111-1113 წლებში ტაშირ-ძორაგეტის მეფეების – დავით და აბას ბაგრატიონების საკუთარი ქვეყნიდან გაქცევის შემდგომ ახლოხანებში ანუ დაახლოებით, 1111/1113-1114/1115 წლებში) (იქვე, გვ. 38, 53). თუ ჩემი ეს დაკვირვება სწორია და ვაკის ეკლესიის წარწერაში ნამდვილად მეფე დავით IV აღმაშენებელია მოხსენიებული, რაც ასეც ჩანს კიდევ, მაშინ ამ წარწერის თარიღის განსაზღვრა რაიმე სირთულეს აღარ წარმოადგენს: დგინდება, რომ წარწერა მეფე დავით IV აღმაშენებლის მმართველობის მეფობის 27-ე ინდიქციონს ანუ 1116-1117 წლებში იყო ამოკვეთილი და არა 1341 წელს, როგორც ამას პარმენ ზაქარაია ფიქრობდა. ვაკის ეკლესიის წარწერა წინამდებარე ნაშრომში სწორედ სწორედ ამ არგუმენტაციაზე დაყრდნობით მაქვს დათარიღებული 1116-1117 წლებით. ცალკე მსჯელობის საგანია ვაკის ეკლესიის პარმენ ზაქარიას დათარიღების (XIV ს-ის I ნახ.) საკითხი. ვფიქრობ, რომ ეს საკითხი, ეკლესიის საადმშენებლო წარწერის ახლებური დათარიღების (1116-1117 წწ.) გათვალისწინებით, გადახედვას საჭიროებს და თავიდან უნდა იქნეს შეს-

ციტირებული წარწერებიდან, პირველ რიგში, კაბერის ეკლესიის წარწერას შევხები. ამ წარწერაში მოხსენიებულია კაბერის ტაძრის აღმშენებელი, საქართველოს მეფის გიორგი I-ისა (1014-1027 წწ.) და ქართლის კათოლიკოსის მელქისედეკ I-ის (1010-1033 წწ.) თანამედროვე ქართველი ფეოდალი, ბედიელი მთავარეპისკოპოსის სოფრონის ძმა – ასადი, რომელიც საკუთარ თავს „სანივაჯის ძეს“ ანუ ვინმე სანივაჯის ვაჟს უწოდებს.

კაბერის წარწერაში მოხსენიებული ასადი, რომელიც წარწერის ამოკვეთის ქამს 67 წლისა იყო, ამავე წარწერაში მოხსენიებული მეფე გიორგი I-ის და კათოლიკოსი მელქისედეკ I-ის ზეობის ქრონოლოგიის გათვალისწინებით, X საუკუნის მიწურულსა და XI საუკუნის I მესამედში მოღვაწეობდა. შესაბამისად, სავსებით ნათელია ისიც, რომ ასადის მამა, ჩვენთვის საინტერესო სანივაჯი ცოტა უფრო ადრეული პერიოდის ანუ X საუკუნის მოღვაწე იყო.

თუ კაბერის წარწერაში მოხსენიებული სანივაჯის მოღვაწეობის ჩემს მიერ განსაზღვრული ქრონოლოგია სწორია, მაშინ საბოლოოდ ირკვევა ისიც, რომ კაბერის ტაძრის მახლობლად მდებარე გოსტიბეს ეკლესიის X-XI საუკუნეების მიჯნით დათარიღებულ წარწერაში მოხსენიებული სანივაჯი, სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა კაბერის ეკლესიის აღმშენებლის ასადისა და ბედიელი მთავარეპისკოპოსის სოფრონის მამა – სანივაჯი.

ამგვარად, დგინდება, რომ კაბერისა და გოსტიბეს ეკლესიების წარწერებში მოხსენიებულია ქართველი ფეოდალი – სანივაჯი, რომელიც X საუკუნეში მოღვაწეობდა.

კაბერისა და გოსტიბეს ეკლესიების წარწერებთან შედარებით, ცოტა უფრო მოგვიანო პერიოდის რეალიებია ასახული ვაკის ეკლესიის წარწერაში. როგორც ეს წარწერა მოგვითხრობს, დიდგვაროვანმა ქალმა ასფანმა, რომლის მამის სახელიც – სვ[თ]ქელი წარწერის ტექსტის პარამენ ზაქარაის წაკითხვაში აშკარად შეცდომით არის გადმოცემული, ვინმე „აფხაზთა, ქართველთ, რანთა, კახთა და სომეხთა მეფეთა მეფის“ ანუ მეფე დავით IV აღმაშენებლის მმართველობის 27-ე წელს ანუ 1116-1117 წლებში, დედ-მამისაგან მზითვად ნაბოძებ მიწაზე „ეკლესია“ ანუ ვაკის ამჟამინდელი ტაძარი ააგო. წარწერის ტექსტში ასფანი მისი მეუღლის ვინაობასაც გვაძნობს: იგი ჯერ დაქარგმებული სახით უთითებს ქმრის სახელს – ბენ, ხოლო შემდეგ, დამატებით გვაუწყებს იმასაც, რომ ეს ბენი – „სანივაჯის ძე“ ანუ ვინმე სანივაჯის ვაჟი იყო.

ვაკის ეკლესიის წარწერა ირიბ, მაგრამ სარწმუნო მითითებას გვაწვდის მის ტექსტში მოხსენიებული სანივაჯის ცხოვრება-მოღვაწეობის დროის შესახებ. წარწერიდან ირკვევა, რომ სანივაჯის რძალი ასფანი და მისი მეუღლე, სანივაჯის ვაჟი – ბენი 1110-იან წლებში, უფრო ზოგადად კი, XII საუკუნის I მესამედში მოღვაწეობდნენ. აქედან, უკვე ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ბენის მამა და ასფანის მამამთილი, ჩვენთვის საინტერესო სანივაჯი ცოტა უფრო ადრეული პერიოდის ანუ XI საუკუნის მოღვაწე იყო.

ვაკის ეკლესიის წარწერაზე ზედაპირული დაკვირვების შედეგად, შეიძლება განჩნდეს მოსაზრება, რომ სანივაჯის ფეოდალური სახლი მამულებს ვაკის ტაძრის მიმდებარე მხარეში ფლობდა და ქვემო ქართლში, უფრო ზუსტად კი, ალგეთის ხეობაში მკვიდრობდა.

საკითხის საფუძვლიანი შესწავლა აჩვენებს, რომ ამგვარი მოსაზრების გამოთქმა მართებული არის: წარწერაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ვაკის ეკლესიის მიმდებარე მიწა სანივაჯის ოჯახის საგვარეულო მამულს კი არ წარმოადგენდა, არამედ ის სანივაჯის რძალს – ასფანს თავისი მშობლებისაგან მზითვად ჰქონდა მიღებული. შესაბამისად, ირკვევა, რომ ვაკის ეკლესიის წარწერა სანივაჯის ფეოდალური სახლის მკვიდრობის გეოგრაფიული არეალის დადგენაში ვერაფრით გვეხმარება და მხოლოდ იმას გვაუწყებს, რომ ვაკის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე ანუ ალგეთის ხეობაში საგვარეულო მამულებს ასფანის მამის ოჯახი ფლობდა.

სამწუხაროდ, ჩემს ხელთ არსებული მასალა, ჯერჯერობით, არ მაძლევს საშუალებას, რაიმე კატეგორიული მოსაზრება გამოვთქვა ზემოთ ნახსენები სამი ისტორიული პირის: 1. გოსტიბესა და კაბერის ეკლესიების წარწერებში მოხსენიებული სანივაჯის (X ს.); 2. ვაკის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული სანივაჯისა (XI ს.); და 3. ბასილ მჯობაისძისა და ეფთვიძის მიერ გადაწერილი XII საუკუნის სვინაქსრის ალაპში მოხსენიებული საბა-სანივაჯის ურთიერთ-მიმართების შესახებ. საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე, შემიძლია, მხოლოდ ვივარაუდო, რომ ისინი ერთი და იმავე ფეოდალური სახლის სხვადასხვა თაობათა წარმომადგენლები იყვნენ და ამ ოჯახში გავრცელებულ საგვარეულო სახელს – სანივაჯს ატარებდნენ.

მე უკვე აღვნიშნე ზემოთ, რომ სვინაქსრის პირველი გადამწერის ბასილ მჯობაისძის მიერ შესრულებულ I ალაპში მოხსენიებულია სანივაჯის მეორე სახელიც – საბა, რომელიც ამ

წავლილი. დასასრულ, აღვნიშნავ იმასაც, რომ ვაკის ეკლესიის წარწერის ტექსტს გამოსაცემად ამზადებს თამაზ გოგოლაძე, რომელსაც, მისივე ცნობით, წარწერის ტექსტის პარამენ ზაქარაიას წაკითხვაში არაერთი მნიშვნელოვანი დაზუსტება აქვს შეტანილი.

უკანასკნელს შემონახვების შემდეგ უნდა მიეღო: „ამასვე დღესა (5 დეკემბერს – თ. ჯ.) ალაპი... საბა-სანივაჯისი“.

სანივაჯის შემონახვებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სვინაქსრის I ალაპის ის ფრაგმენტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ საბა-სანივაჯი ანუ საბა სანივაჯ-ყოფილი „მონასტრის მაშენებელი“ ანუ იერუსალიმის იმ ქართული, ჯერჯერობით, დაუდგენელი მონასტრის აღმშენებელი იყო, სადაც ბასილ მჯობაისძესა და ეფთვიმეს თავად ამ I ალაპის შემცველი სვინაქსარი ჰქონდათ გადაწერილი: „ამასვე დღესა (5 დეკემბერს – თ. ჯ.) ალაპი მონასტრისა მაშენებლისა საბა-სანივაჯისი“.

ჩემი დაკვირვებით, ერთი მხრივ, სანივაჯის საბას სახელით შემონახვება, ხოლო, მეორე მხრივ, მის მიერ იერუსალიმში ქართული მონასტრის აღშენება, საშუალებას მაძლევს, რომ საბა-სანივაჯის ცხოვრება-მოღვაწეობის ბოლო ეპიზოდი შემდეგი სახით აღვადგინო: ქართველი ფეოდალი სანივაჯი, სავარაუდოდ, მსცოვან ასაკში, ბერად აღიკვეცა და სამონაზვნო სახელი – საბა მიიღო. სანივაჯის ბერად აღკვეცის დეტალები უცნობია: იგი ან საქართველოში შემონახვდა და უკვე შემდეგ გაემგზავრა წმიდა მიწაზე ან კიდევ, იგი ერისკაცის სტატუსით ჩავიდა წმიდა მიწაზე და ბერად უკვე იქ აღიკვეცა. ასეა თუ ისე, საბა-სანივაჯმა მისი ცხოვრების უკანასკნელი წლები ან ამ წლების გარკვეული ნაწილი იერუსალიმში გაატარა. მან წმიდა მიწაზე ყოფნისას იერუსალიმში ააგო ქართული მონასტერი, რომლის იდენტიფიკაციაც, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება. ახლადდარსებული სავანის ძმობამ საბა-სანივაჯს, როგორც მონასტრის აღმშენებელს, ჯეროვანი პატივი მიაგო და მას სეხნია წმიდანის – წმ. საბა განწმედილის ხსენების დღეს ანუ 5 დეკემბერს ალაპი განუწესა.

ბასილ მჯობაისძის მიერ გადაწერილი სვინაქსრის I ალაპი საინტერესო ცნობებს გვაწვდის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაეხადა საბა-სანივაჯისათვის განწესებული ალაპი მის მიერ აღშენებული მონასტრის ძმობას: „ამასვე დღესა (5 დეკემბერს – თ. ჯ.) ალაპი მონასტრისა მაშენებლისა საბა-სანივაჯისი. რათა წლითიწლად გარდაიკვდებოდის კეთილითა უხუებითა. ხუცესთა სიმრავლითა და გლახაკთა ნუგეშინისცემითა“.

როგორც ვხედავთ, მონასტრის ძმობას საბა-სანივაჯის ალაპი „წლითიწლად“ ანუ ყოველწლიურად, ე. ი. წელიწადში ერთხელ, 5 დეკემბერს უნდა გადაეხადა. ალაპის ჯეროვანად გადახდისათვის საჭირო იყო სამი წესის დაცვა: 1. ალაპი „კეთილითა უხუებით“ უნდა გადაეხადათ ანუ საბა-სანივაჯის სულის საოხად გამართული სააღაპე პურობის მონაწილეებისათვის სასმელ-საჭმელი უხვად უნდა მიერთმიათ; 2. ალაპით გათვალისწინებული ლიტურგიული მსახურება „ხუცესთა სიმრავლით“ უნდა წარმართულიყო ანუ საბა-სანივაჯის სულის მოსახსენიებელ ღმრთისმსახურებაში რაც შეიძლება მეტ მღვდელს უნდა მიეღო მონაწილეობა; და 3. ალაპის ფარგლებში „გლახაკთა ნუგეშინისცემა“ უნდა მომხდარიყო ანუ მონასტრის ძმობა საბა-სანივაჯის ალაპის გადახდის დღეს სავანის კარზე მისულ გლახაკებსა და უპოვარებს სათანადოდ უნდა გამასპინძლებოდა.

სამწუხაროდ, საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე, ჩემთვის უცნობია, თუ როდის ან სად გარდაიცვალა საბა-სანივაჯი – იერუსალიმში ყოფნის დროს ანუ წმიდა მიწაზე თუ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ანუ საქართველოში. გარდა ამისა, ჩემთვის უცნობია ისიც, თუ სად დაიკრძალა საბა-სანივაჯი – იერუსალიმში, მის მიერ დაარსებულ ქართულ მონასტერში თუ საქართველოში, მისი ფეოდალური სახლის კუთვნილ საგვარეულო საძვალეში. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხებს, ჯერჯერობით, ღიად ვტოვებ.

სვინაქსრის პირველი გადამწერის ბასილ მჯობაისძის მიერ შესრულებული I ალაპის მსგავსად, საინტერესო ცნობებს გვაწვდის ბასილისავე ხელით დაწერილი II ალაპი, რომელიც ვინმე იოსებ უძღურისათვის არის განწესებული: „ამასვე დღესა (24 დეკემბერს – თ. ჯ.) სალოცავი და ალაპი უძღურისა იოსებისი“.

სვინაქსრის II ალაპში, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს იოსების მისამართით გამოყენებული სიტყვა „უძღური“. გასახილველი სიტყვა სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ თანახმად, სწეულების ან სიბერის გამო შეუძლოდ მყოფს ნიშნავს: „შეუძლებელი... სწეული, გინა ბერი“¹, ხოლო ილია აბულაძის მიერ შედგენილი „ძველი ქართული ლექსიკონის“ მიხედვით, – დაუძღურებულს, უძალოს, შეუძლოს, „ვერშემძლებელს“, „სწეულს“ ან ღარიბს².

სამწუხაროდ, სვინაქსრის II ალაპიდან არ ჩანს, თუ, კონკრეტულად, რას გულისხმობს იოსების მიმართ გამოყენებული სიტყვა „უძღური“: იმას, რომ იოსები ავადმყოფობით იყო დაძაბუნებული, იმას, რომ იგი მოხუცებულობით იყო დაუძღურებული, თუ იმას, რომ იოსები სიღა-

¹ სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, ავტორგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ (თბილისი, 1993), გვ. 177.

² ი. აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები)* (თბილისი, 1973), გვ. 439.

ტაკით იყო დაგლახაკებული. გარდა ამისა, II ალაპიდან არც ის ჩანს, სიტყვა „უძღური“ რეალური მნიშვნელობით იყო გამოყენებული თუ ის იოსების ნართაულ ანუ ზედმეტ სახელს წარმოადგენდა.

სვინაქსრის II ალაპის ტექსტში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის ფრაგმენტი, რომელშიც პირდაპირ არის განმარტებული, თუ ვისი მოთხოვნით და რატომ განაწესეს იოსებ უძღურის ალაპი მაინცადამაინც 24 დეკემბერს. II ალაპი, პირველ რიგში, გვამცნობს, რომ ალაპის განსაწესებლად 24 დეკემბერი თავად იოსების „გულსმოდგინებით“ ანუ მისი პირადი სურვილით იყო შერჩეული. გარდა ამისა, II ალაპი გვაუწყებს იმასაც, რომ 24 დეკემბერი იოსების „მონაზუნად კურთხევის“ ანუ ბერად აღკვეცის დღე იყო და მასაც დადებული ჰქონდა აღთქმა, რომ თავისი ალაპი სწორედ ამ დღეს განეწესებინა: „ამასვე დღესა (24 დეკემბერს – თ. ჯ) სალოცავი და ალაპი უძღურისა იოსებისი. ვითარცა განწესებულ არს, რომელ ეგრეთ ევოს, რამეთუ იგი ამას დღესა მონაზუნად კურთხეულ იყო და აღთქმად დაედვა ესე, რაითა ღმერთმან სრულ ყოს გულსმოდგინებაჲ მისი“.

სვინაქსრის II ალაპის განხილულ ფრაგმენტს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს შუა საუკუნეების საქართველოში ალაპის განწესებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისათვის. მართლაც, დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ ამა თუ იმ პირისათვის ალაპის განსაწესებელ დღედ, ძირითადად, ან ამ პირის გარდაცვალების დღეს ან კიდევ, მისი სეხნია წმიდანის ხსენების დღეს არჩევდნენ.

სვინაქსრის II ალაპი აღნიშნულ მოსაზრებას ახალი მონაცემებით ავსებს და გვაუწყებს, რომ ამა თუ იმ პირისათვის ალაპის განსაწესებელი დღის შერჩევისას, რიგ შემთხვევებში, გადამწყვეტ როლს თამაშობდა თავად ალაპის განმწესებლის სუბიექტური მოსაზრებები, რომლებსაც, სრულებით სხვადასხვაგვარი საფუძველი შეიძლება ჰქონდა. II ალაპი სწორედ ერთ ასეთ შემთხვევას წარმოგვიდგენს და გვაუწყებს, რომ იოსებ უძღურმა თავისი ალაპის განსაწესებელ დღედ მისი ბერად აღკვეცის დღე შეარჩია.

აქვე, ხაზგასმით აღვნიშნავ იმ ფაქტსაც, რომ ამა თუ იმ პირისათვის ალაპის განსაწესებელ დღედ არა ამ პირის გარდაცვალების ან კიდევ, მისი სეხნია წმიდანის ხსენების დღის, არამედ რომელიმე სხვა დღის, ვთქვათ, აღნიშნული პირის შემონაზუნების დღის შერჩევა შუა საუკუნეების საქართველოში იმდენად იშვიათი მოვლენა იყო, რომ ამგვარი შერჩევის მართებულობაში ეჭვი შეჰქონდათ და ზოგჯერ, ამ შერჩეული დღის შეცვლასაც კი ცდილობდნენ. სწორედ ასეთი მოსაზრებისაკენ მიბიძგებს სვინაქსრის II ალაპის ის ფრაგმენტი, რომელიც საგანგებოდ აფრთხილებს ალაპის აღსრულებაზე პასუხისმგებელ პირებს, რომ იოსებ უძღურის ალაპი, რომელიც მისი შემონაზუნების დღეს არის განწესებული, უცვლელად დატოვონ და დადგენილი წესისამებრ აღასრულონ: „ამასვე დღესა (24 დეკემბერს – თ. ჯ) სალოცავი და ალაპი უძღურისა იოსებისი. ვითარცა განწესებულ არს, რომელ ეგრეთ ევოს, რამეთუ იგი ამას დღესა მონაზუნად კურთხეულ იყო და აღთქმად დაედვა ესე, რაითა ღმერთმან სრულ ყოს გულსმოდგინებაჲ მისი“.

სამწუხაროდ, სვინაქსრის II ალაპი იოსებ უძღურის შესახებ რაიმე ცნობებს არ გვაწვდის. ამ მიზეზის გამო იოსების ვინაობისა და ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, ჯერჯერობით, ვერაფერს ვიტყვი. გამოვთქვამ მხოლოდ მოსაზრებას, რომ იოსები, სვინაქსრის I ალაპში მოხსენიებული საბა-სანივაჯის მსგავსად, წმიდა მიწაზე, უფრო ზუსტად კი, იმავე საბა-სანივაჯის მიერ იერუსალიმში დაარსებულ ქართულ მონასტერში მოღვაწეობდა და ამ სავანის მოწესეთა შორის გარკვეული ნიშნით გამორჩეული, განსაკუთრებულად საპატიო ადგილი ეკავა. როგორც ჩანს, სწორედ ამ ორი გარემოების გათვალისწინებით აღმოჩნდა იოსებ უძღურის ალაპი ჩვენთვის საინტერესო სვინაქსარში, რომელიც, როგორც უკვე გავარკვიე ზემოთ, ბასილ მჯობაისძესა და ფთვიძემს საბა-სანივაჯის მონასტერში ჰქონდათ გადაწერილი.

თუ ჩემს მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება სწორია და იოსებ უძღური, ერთი მხრივ, მართლაც მოღვაწეობდა საბა-სანივაჯის მიერ იერუსალიმში დაარსებულ ქართულ მონასტერში, ხოლო, მეორე მხრივ, ნამდვილად ეკავა ამ სავანეში რაიმე ნიშნით გამორჩეული და საპატიო ადგილი, მაშინ ლოგიკურად დაისმის კითხვა – ხომ არ არის იოსებ უძღური საბა-სანივაჯის ნათესავი, უფრო ზუსტად კი, მისი ოჯახის წევრი?

დასმულ კითხვასთან დაკავშირებით, მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ერთი ლათინური წერილობითი ძეგლი, რომელიც მოგვითხრობს, რომ, დაახლოებით, 1160 წელს იერუსალიმში მყოფმა ქართველებმა, ვინმე საბა ქართველის (Sabae Georgiani) ვაჟებმა – იოსებმა და იოანემ ჰოსპიტალიერებს სახლი შესწირეს¹.

¹ მ. წურჭუბია, ჯვაროსანთა მოსახსენებლები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში, *მ. წურჭუბია, საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები*, I (თბილისი, 2013), გვ. 381.

აღნიშნულ წერილობით ძეგლთან დაკავშირებულ საკითხებს დაწვრილებით ჩემს სხვა ნაშრომში განვიხილავ, აქ კი, წინმსწრებად, გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ, ერთი მხრივ, ხსენებულ წერილობით ძეგლში დასახელებული ისტორიული პირები, XII საუკუნეში წმიდა მიწაზე მოღვაწე ქართველები – საბა ქართველი და მისი ვაჟი, ჰოსპიტალიერებისთვის სახლის შემწირველი იოსები, ხოლო, მეორე მხრივ, XII საუკუნეში გადაწერილი სვინაქსრის I და II აღაპებში მოხსენიებული ისტორიული პირები, წმიდა მიწაზე მოღვაწე ქართველები – იერუსალიმის, ჯერჯერობით, დაუდგენელი ქართული მონასტრის აღმშენებელი საბა-სანივაჯი და იმავე მონასტერში მოსაგრე იოსებ უძღური ერთი და იგივე პირები არიან.

ამგვარად, ზემოთ დასმული კითხვის საპასუხოდ, ირკვევა, სვინაქსრის I აღაპში მოხსენიებული საბა-სანივაჯი და II აღაპში მოხსენიებული იოსებ უძღური ერთი და იმავე ოჯახის წევრები, უფრო ზუსტად კი, მამა-შვილი იყვნენ¹.

სამწუხაროდ, სვინაქსრის II აღაპიდან არ ჩანს, თუ რატომ ერგო იოსებ უძღურს აღაპის განმწესებელი მონასტრის ძმობის მხრიდან გამორჩეული პატივი და რატომ შეიტანეს მისი აღაპი სავანეში გადაწერილ იმ სვინაქსარში, რომელშიც მხოლოდ მონასტრის აღმშენებლის – საბა-სანივაჯისა და სავანისადმი დიდი ღვაწლის მქონე პირების – მარიამ და ბედელა მოგვლუბის აღაპები იყო შეტანილი. შემიძლია, მხოლოდ, ვივარაუდო, რომ იოსებ უძღურს ეს გამორჩეული პატივი მისი ოჯახური კუთვნილების გამო ერგო: იგი მონასტრის აღმშენებლის ვაჟი იყო და მამის მიერ დაარსებულ სავანეში გარკვეული პრვილეგიებით სარგებლობდა.

სვინაქსრის II აღაპში, ზემოთ განხილული I აღაპისაგან განსხვავებით, არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად, რას ითვალისწინებდა იოსებ უძღურის აღაპი. მიუხედავად ამისა, საფიქრებელია, რომ აღაპის განმწესებელ მონასტერს იოსებ უძღურის მიმართ, დაახლოებით, ისეთივე ვალდებულებები ჰქონდა აღებული, რა ვალდებულებებიც მას იოსების მამის – საბა-სანივაჯის მიმართ ეკისრებოდა.

მაშასადამე, ირკვევა, რომ სვინაქსრის I აღაპში მოხსენიებულია საბას სახელით შემონახვებული ქართველი ფეოდალი სანივაჯი, რომელიც ქართლში, სოფლების – გოსტიბესა და კაბერის მიდამოებში მოსახლე არისტოკრატიულ საგვარეულოს ეკუთვნოდა. საბა-სანივაჯმა სიცოცხლის უკანასკნელი წლები ან ამ წლების გარკვეული ნაწილი წმიდა მიწაზე გაატარა და იქ, უფრო ზუსტად კი, იერუსლიმში, ჯერჯერობით, დაუდგენელი ქართული მონასტერი აღაშენა. ახლადდაარსებული სავანის ძმობამ, საბა-სანივაჯს, როგორც მონასტრის აღმშენებელს, ჯეროვანი პატივი მიაგო და მისი სეხნია წმიდანის – წმ. საბა განწმედილის ხსენების დღეს ანუ 5 დეკემბერს აღაპი განუწესა. თავად აღაპი ითვალისწინებდა სამ ძირითად პუნქტს: ა) საბა-სანივაჯის სულის საოხად გამართული სააღაპე პურობის მონაწილეებისათვის სასმელ-საჭმელი უხვად მირთმევა; ბ) საბა-სანივაჯის სულის მოსახსენიებელ ღმრთისმსახურებაში რაც შეიძლება მეტი მღვდლის მონაწილეობას; და გ) მონასტრის ძმობის მიერ საბა-სანივაჯის აღაპის გადახდის დღეს სავანის კარზე მისული გლახაკებისა და უპოვრების სათანადოდ გამასპინძლებას. სვინაქსრის II აღაპში მოხსენიებულია საბა-სანივაჯის ვაჟი, წმიდა მიწაზე მოღვაწე მონაზონი – იოსები, რომელიც, დაუდგენელი მიზეზების გამო, აღაპის ტექსტში უძღურად იწოდება. იოსების აღაპი, ამ უკანასკნელისავე სურვილით, მისი ბერად აღკვეცის დღეს ანუ 24 დეკემბერს არის განწესებული. საბა-სანივაჯი და მისი ორი ვაჟი – ხსენებული იოსები და იოანე მოხსენიებული არიან ერთ უცხოურ წერილობით ძეგლში, რომელიც გვაუწყებს, რომ 1160 წლის ახლოსანებში იერუსალიმში მყოფმა იოსებმა და იოანემ ჰოსპიტალიერებს სახლი შესწირეს.

8. ამილახორი თაყა ზევდგინისძე – სვინაქსრის პატრონი და მისი პირველი განახლების ინიციატორი

როგორც უკვე აღვნიშნე ზემოთ, სვინაქსარს დართული აქვს მისი პირველი განმაახლების მიერ XV-XVI საუკუნეების ხელით ხელით შესრულებული ცხრა მინაწერი, რომლებშიც შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოს მაღალი რანგის მოხელე, ქვეყნის ერთ-ერთი

¹ აქვე, წინმსწრებად აღვნიშნავ იმასაც, რომ საბა-სანივაჯის ვაჟები – იოსები და იოანე მოხსენიებული არიან კიდევ ერთ წერილობით ძეგლში – პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერის Géorg. 28-ის XII საუკუნის შუახანების მოსახსენებელში: „ქ. უფალო ღმერთო, დაიცვენ და შეიწყალონ ძმანი ჩუენნი იოსებ და იოანე, გაბრიელ შეჰანისა მაშენებლისა შეილისშვილნი, და ღირს ყვენ ჩუენ ჯუარელთა ძმობისა და შეჰანისასე“ (ელ. მეტრეველი, შეჰანის უდაბნო – XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში, ელ. მეტრეველი, ვილელოგიურ-ისტორიული ძიებანი, I (თბილისი, 2007), გვ. 235). როგორც ვხედავთ, ციტირებული მოსახსენებელი გვაუწყებს, რომ ტექსტში მოხსენიებული იოსებისა და იოანეს პაპა, შესაბამისად კი, საბა-სანივაჯის მამა, XI საუკუნეში მოღვაწე ცნობილი სასულიერო პირი, წმიდა მიწის ერთ-ერთი ქართული სავანის – შეჰანის მონასტრის მაშენებელი - გაბრიელ ტვილელი იყო.

უპირველესი ვაზირის – ამირსპასალარის თანაშემწე, ამილახორი თაყა ზევდგინისძეა მოხსენიებული: I. „ოუფალო ღმერთო... ამილახორს შეუნდეს ღმერთმან“; II. „ამილახორს თაყასა შეუნდეს ღმერთმან...“; III. „ამილახორ თაყას შეუნდეს ღმერთმან“; IV. „ჩ. ქრისტე, ღმერთო... დაიცევ მშუილობით პატრონი ამილახორი და მიეც დღე გრძელი“; V. „ამილახორს თაყასა... შეუნდეს ღმერთმან“; VI. „...პატრონსა ამილახორს თაყასა... შეუნდეს ღმერთმან“; VII. „დედაო ღმრთისაო, ქალწულო მარიამ, იხსენ ყოველთა ცოდვათაგან ამილახორი ზევდგინიძე თაყა...“; VIII. „ამილახორ თაყას შეუნდვენ ღმერთმან“; და IX. „...ამილახორს გაუმარჯუშ, წმიდაო გიორგი მთავარო“.

როგორც ვხედავთ, სვინაქსრის ციტირებული ცხრავე მინაწერი სავედრებელი ხასიათისაა. ამათგან, ცხრა მინაწერიდან შვიდი კოლოფონი (I, II, III, IV, V, VI და VIII მინაწერები) უშუალოდ უფლისადმია მიმართული: I. „ოუფალო ღმერთო, ამა წმიდათა მადლითა, ამილახორს შეუნდეს ღმერთმან“; II. „ამილახორს თაყასა შეუნდეს ღმერთმან... ამინ“; III. „ამილახორ თაყას შეუნდეს ღმერთმან“; IV. „ჩ. ქრისტე, ღმერთო, შენთა ყოველთა წმიდათა მადლითა, დაიცევ მშუილობით პატრონი ამილახორი და მიეც დღე გრძელი“; V. „ამილახორს თაყასა... შეუნდეს ღმერთმან“; VI. „...პატრონსა ამილახორს თაყასა... შეუნდეს ღმერთმან“; და VIII. „ამილახორ თაყას შეუნდვენ ღმერთმან“. რაც შეეხება დანარჩენ ორ მინაწერს, მათგან ერთი კოლოფონი (VII მინაწერი) ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელს მიემართება, ხოლო მეორე კოლოფონი (IX მინაწერი) – წმ. გიორგი მთავარმწამეს: VII. „დედაო ღმრთისაო, ქალწულო მარიამ, იხსენ ყოველთა ცოდვათაგან ამილახორი ზევდგინიძე თაყა...“; და IX. „...ამილახორს გაუმარჯუშ, წმიდაო გიორგი მთავარო“.

სვინაქსრის განსახილველი ცხრა მინაწერიდან ექვს კოლოფონში (I, II, III, V, VI და VIII მინაწერები) სავედრებელი ტექსტი გადმოცემულია ტრადიციული მარტივი ფორმულების სახით: „შეუნდეს ღმერთმან“ ან „შეუნდვენ ღმერთმან“: I. „ოუფალო ღმერთო, ამა წმიდათა მადლითა, ამილახორს შეუნდეს ღმერთმან“; II. „ამილახორს თაყასა შეუნდეს ღმერთმან... ამინ“; III. „ამილახორ თაყას შეუნდეს ღმერთმან“; V. „ამილახორს თაყასა... შეუნდეს ღმერთმან“; VI. „...პატრონსა ამილახორს თაყასა... შეუნდეს ღმერთმან“; და VIII. „ამილახორ თაყას შეუნდვენ ღმერთმან“. განსხვავებულ სურათს ვხედავთ დანარჩენ სამ მინაწერში, რომელთაგან ერთ-ერთ კოლოფონში (IV მინაწერი) მაცხოვარს ვედრებით მიმართავენ, რომ ამილახორი მშუილობით დაიცვას და მას „გრძელი დღე“ ანუ ხანგრძლივი სიცოცხლე მისცეს, მეორე კოლოფონში (VII მინაწერი) ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელს შესთხოვენ, რომ ამილახორი თაყა ზევდგინისძე „ცოდვებისაგან“ ანუ შეცოდებებისაგან იხსნას, ხოლო მესამე კოლოფონში (IX მინაწერი) წმ. გიორგის მიმართავენ და ევედრებიან, რომ ამილახორს „გაუმარჯუოს“ ანუ გამარჯვება მიანიჭოს: IV. „ჩ. ქრისტე, ღმერთო, შენთა ყოველთა წმიდათა მადლითა, დაიცევ მშუილობით პატრონი ამილახორი და მიეც დღე გრძელი“; VII. „დედაო ღმრთისაო, ქალწულო მარიამ, იხსენ ყოველთა ცოდვათაგან ამილახორი ზევდგინიძე თაყა...“; და IX. „...ამილახორს გაუმარჯუშ, წმიდაო გიორგი მთავარო“.

აქვე, აღვნიშნავ, რომ ბოლოს ციტირებული სამი კოლოფონი (IV, VII და IX მინაწერები) მხოლოდ სავედრებელი ფორმულების თავისებურებებით არ იპყრობს ყურადღებას. ეს სამი კოლოფონი პრაქტიკულად, პირდაპირ ცნობას გვაწვდის იმის თაობაზე, რომ მათი დაწერის დროს ამილახორი თაყა ზევდგინისძე ცოცხალი იყო. სწორედ ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ხსენებულ სამ მინაწერში მათი დამწერი უფაღს, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელსა და წმ. გიორგის თაყას სულის ცხონებას კი არ შესთხოვს, არამედ მის „მშუილობით დაცვას“, „დღეგრძელობას“, „ცოდვებისაგან ხსნასა“ და „გამარჯვებით“ ყოფნას ევედრება.

სვინაქსრის ციტირებული ცხრა მინაწერიდან სამ კოლოფონში (II, V და VI მინაწერები), ამილახორ თაყა ზევდგინისძის გარდა, მისი მშობლებიც არიან მოხსენიებულნი. სამწუხაროდ, მინაწერებში თაყას მშობლების სახელები მითითებული არ არის II. „ამილახორს თაყასა შეუნდეს ღმერთმან და მისთა მშობელთა, ამინ“; V. „ამილახორს თაყასა და მისთა მშობელთა შეუნდეს ღმერთმან“; და VI. „...პატრონსა ამილახორს თაყასა და მისთა მშობელთა შეუნდეს ღმერთმან“.

სვინაქსრის განსახილველი მინაწერებიდან ამილახორ თაყა ზევდგინისძის ოჯახური წრის შესახებ განსაკუთრებით საინტერესო ცნობას გვაწვდის VII მინაწერი, რომელშიც თაყას მეუღლე მოხსენიებული. კოლოფონი გვაუწყებს, რომ თაყას თანამეცხედრეს სახელად მამქანი ერქვა: „დედაო ღმრთისაო, ქალწულო მარიამ, იხსენ ყოველთა ცოდვათაგან ამილახორი ზევდგინიძე თაყა და მისი მეუღლე, პატრონი მამქან“.

ამილახორ თაყა ზევდგინისძის მეუღლის სახელის გარკვევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თავად თაყას იდენტიფიკაციის საკითხის გადაწყვეტისათვის. მართლაც შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან ცნობილია ამილახორის სამოხელეო წოდების მატარებელი მხოლოდ ერთი თაყა ზევდგინისძე, რომლის თანამეცხედრესაც სახელად მამქანი ერქვა. ეს არის

ცნობილი ისტორიული პირი – ამილახორი თაყა I ზევდგინისძე, რომელიც XV საუკუნის I ნახევარსა და შუახანებში მოღვაწეობდა.

თაყა I ზევდგინისძის მეუღლის სახელი ჩემთვის ცნობილ მხოლოდ ერთ წერილობით ძეგლშია დადასტურებული. მხედველობაში მაქვს იმავე თაყა I-ის მიერ მღვიმის მონასტრისათვის მიცემული 1433 წლის ახლოხანებით დათარიღებული დაწერილის ძლიერ დაზიანებული ტექსტი, რომელშიც თაყა I პირდაპირ აღნიშნავს, რომ მის თანამეცხედრეს სახელად მამქანი ერქვა: „აწ... მე ზევდგინიძე თაყა... მოლტოღვილ ვიქმენ... მონასტერსა თქუნესა... და, რომელ პირველ ჩუენნი მამანი დასაფლავებული იქმნეს, მათ თანა დასაფლავებად... ვერ მკადრე ვიქმენ და ცალკე ახალი ეკუდერი ავაგე... ორი კანდელი დაუესებელი და ოთხი ალაპი ჩემთვის... და მეუღლისა ჩუენისა მამქანისათუს“¹.

ცალკე მსჯელობის საგანია თაყა I ზევდგინისძის ამილახორობის ქრონოლოგიის საკითხი. თაყა I-ის სახელთან დაკავშირებული წერილობითი ძეგლების, უფრო ზუსტად კი, ქართული ისტორიული დოკუმენტების შესწავლა აჩვენებს, რომ მას 1420-იანი წლების II ნახევარსა და 1430-იან წლებში ამილახორის წოდება ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული და იგი ამ პერიოდში მხოლოდ მოღარეთუხუცესის სამოსელეო თანამდებობას ფლობდა.

პირველი დოკუმენტი, რომელშიც თაყა I ზევდგინისძე მოღარეთუხუცესად იხსენიება, 1429 წელს მიეკუთვნება, ხოლო ბოლო დოკუმენტი, რომელშიც თაყა I მოღარეთუხუცესად იწოდება, 1435-1439 წლებით თარიღდება. მოვიტან ამ ორი დოკუმენტის შესაბამის ფრაგმენტებს: 1. საქართველოს მეფის ალექსანდრე I-ის (1412-1442 წწ.) მიერ ავთანდილ, თაყა და ზევდგინ ზევდგინისძეებისათვის მიცემული 1429 წლის წყალობის სიგელი: „გუიბოძებია და მოვ[უიციქმია თქუნ, ჩუენთა ერდგუქლთა და თავადავით ნამსახურთა ზევდგინისძეთა: ეზოს [ჩუხჩარესსა] და გორის მოურავსა ავთანდილსა და ჩუენთა თანა შეზრდილ და [ვაზრდილთა მოღარეთუხუცესსა თაყას და ზევდგინს... კასპი და იგოეთი ქალისა ნასისხლად...“²; და 2. მოღარეთუხუცეს თაყა ზევდგინისძის მიერ სვეტიცხოვლისათვის მიცემული 1435-1439 წლების შეწირულების წიგნი: „მე, ყოვლითავე ცოდვითა შეფრინებულმან და ყოველთა ცოდვილთა უცოდვილესმან ზევდგინისძემან მოღარეთუხუცესმან თაყა, ვიგულე და ვიგულსმოდვინე მცირე ესე შესაწირავი და მოვახსენე დედაქალაქსა საყდარსა მცხეთისასა, სუეტსა ღ(მრ)თივ-აღმართებულსა და მათსა მპყრობელსა კ(ათალი)კ(ო)ზსა დავითს ქვეში...“³.

ჩვენამდე მოღწეული პირველი დოკუმენტი, რომელშიც თაყა I ზევდგინისძე ამილახორად არის მოხსენიებული 1478 წლის ახლოხანებით თარიღდება. ეს არის ავთანდილ ზევდგინისძის 1478 წლის ახლოხანების საჩივრის წიგნის ერთ-ერთი ფრაგმენტი, რომელშიც XV საუკუნის I ნახევრის ისტორიული მოვლენებია გადმოცემული: „...და ავთანდილ[ი] (გორის მოურავი და ეზოს ჩუხჩარეხი ავთანდილ I ზევდგინისძე – თ. ჯ.) [სხუილოსურსა] მამულზედა დადგა. ავთანდილს [...] ცხენი წაექცა და დედაკაცსა ველარა და[...]. მოიყვანა მისი ტანი ძმისწული [მამა] ჩემი (ზევდგინ (?) ზევდგინისძე – თ. ჯ.) და [იმა] მკუიდრსა მამულზედა დასუა და ბიძასა ჩემსა თაყას (ჩვენთვის საინტერესო თაყა I ზევდგინისძე – თ. ჯ.) ბარათა ზრდიდა. გაუწერა მე[ფე] [კოსტანტინე] [საქართველოს მეფე კონსტანტინე I (1407-1412 წწ.) – თ. ჯ.] შეილსა – მეფესა ალექსანდრეს (საქართველოს მეფეს ალექსანდრე I-ს (1412-1442 წწ.) – თ. ჯ.) [და] [ალექსანდრე მეფე ათაბაგსა ივანესთანა (სამცხის ათაბაგთან ივანე I-თან (1390-1440-იანი წწ.) – თ. ჯ.) წავიდა [და] [მამა] ჩემი თან წაჰყვა ღარიბობას. ხუთსა წე[ლი]წადსა ღარიბობას იახლა. კოსტანტინე მე-

¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, II, ქართული ისტორიული საბუთები, XIV-XV საუკუნეები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ნ. თარხნიშვილმა, ბ. ლომინაძემ (თბილისი, 2013), გვ. 188-189. ჩემი დაკვირვებით, ციტირებული დოკუმენტი არა 1433 წლის ახლოხანებში, არამედ ცოტა უფრო მოგვიანებით, თაყა I ზევდგინისძის ცხოვრება-მოღვაწეობის ბოლო პერიოდში ანუ 1440-1450-იან წლებშია გაცემული. ამ საკითხის შესახებ დაწერილებით ჩემს სხვა ნაშრომში მექნება საუბარი, წინამდებარე ნაშრომში კი ყოველგვარი კრიტიკის გარეშე გაეიუმერებ დოკუმენტის სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულ დათარიღებას.

² იქვე, გვ. 155-156. ციტირებულ დოკუმენტზე ცოტა უფრო ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება თაყა I ზევდგინისძის სახელთან დაკავშირებული კიდევ ერთი დოკუმენტი – მეფე ალექსანდრე I-ის მიერ ავთანდილ, ზევდგინ და თაყა ზევდგინისძეებისათვის მიცემული 1425 წლის წყალობის სიგელი, რომელშიც თაყა I მოღარეთუხუცესის სახელს გარეშე, მხოლოდ სახელითა და გვარით არის მოხსენიებული (იქვე, გვ. 139-140). შესაბამისად, ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ თაყა I-ს მოღარეთუხუცესის წოდება, ერთი მხრივ, 1425 წლის დოკუმენტის გაცემის შემდგომ პერიოდში, ხოლო მეორე მხრივ, ზემოთ ციტირებული 1429 წლის დოკუმენტის შედგენის წინარე ხანებში ანუ 1425-1429 წლებში ჰქონდა მიღებული.

³ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, III, ქართული ისტორიული საბუთები, XV საუკუნის მეორე ნახევარი, შეადგინეს თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ (თბილისი, 2014), გვ. 12. თაყა I ზევდგინისძე მოღარეთუხუცესის სახელთი, ციტირებული ორი დოკუმენტის გარდა, კიდევ ორ საბუთშია მოხსენიებული. ესენია: 1. მეფე ალექსანდრე I-ის მიერ ავთანდილ, თაყა და ზევდგინ ზევდგინისძეებისათვის მიცემული 1430 წლის წყალობის სიგელი (ქართული ისტორიული საბუთების..., II, გვ. 164-165); და 2. თაყა ზევდგინისძის მიერ სვეტიცხოვლისათვის მიცემული 1433 წლის შეწირულების წიგნი (დაწერილი) (იქვე, გვ. 185-187).

ფემან] ხალაღანს გაილაშქრა და იქი მოკლეს. მოვიდა მეფე ალექსანდრე და მის ტახტზედა დაჯდა. [მოვიდა მამა ჩემი იმავე მეუღრსა მამულზედა, სხუილოზედა, დაჯდა. მაშინდელი აღარავინ ცოცხალა [ზაქარიას მეტი და ზაქარიას პკითხეთ, როგორა ჰყვესა მეფესა ალექსანდრეს მამა ჩემი. მერმე თაყაღა მოიწიფა და ორნივე კამყოლად ჰყვეს და მსახურებდეს ამავე ჩუენითა მეუღრითა მამულითა. მერმე დაჯდა ვახტანგ (საქართველოს მეფე ვახტანგ IV (1442-1446 წწ.) – თ. ჯ.) ბატონად და ბიძა ჩემი ამილახორი მისი ქუისლი იყო და კვლთა შეიპყრა ვახტანგ მეფემან და არცა ერთი გლეხი შეუცვალა მამა ჩემსა. ასრე უბრძანა: „შენ არა შეგიცოდებიარა, არას წავართომ“ და ისრევე აქონა მისი მეუღრი მამული. ბიძა ჩემი ლეხთ-იმერით ტყუედ ჰყუანდა და მამა ჩემი გორს ციხეს უდგა“ (პუნქტუაცია ჩემია – თ. ჯ.)¹.

როგორც ვხედავთ, ციტირებულ დოკუმენტში მისი გამცემი – შემდგენელი ავთანდილ ზევდგინისძე საინტერესოდ მოგვითხრობს XV საუკუნის I ნახევარში ზევდგინისძეთა ფეოდალურ სახლში მომხდარ მთავარ მოვლენებს და ამ თხრობის ფონზე, მოკლედ გადმოგვცემს მისი ბიძის, უფრო ზუსტად კი, მამის ბიძაშვილის, თაყა I ზევდგინისძის ცხოვრება-მოღვაწეობის პირველი პერიოდის ამბებს. ავთანდილ ზევდგინისძე გვაუწყებს, რომ საქართველოს მეფე ვახტანგ IV-ემ თაყა I, რომელიც მას ქვისლად ერგებოდა, ტყვედ შეიპყრო და დასავლეთ საქართველოში გადაიყვანა. ავთანდილ ზევდგინისძე თაყა I-ს სწორედ ამ კონკრეტული ამბის გადმოცემისას იხსენიებს ამილახორად: „...ბიძასა ჩემსა თაყას ბარათა ზრდიდა... მერმე დაჯდა ვახტანგ ბატონად და ბიძა ჩემი ამილახორი მისი ქუისლი იყო და კვლთა შეიპყრა ვახტანგ მეფემან... ბიძა ჩემი ლეხთ-იმერით ტყუედ ჰყუანდა...“.

ამგვარად, განხილული დოკუმენტიდან დგინდება, რომ თაყა I ზევდგინისძე მეფე ვახტანგ IV-ის მმართველობის დროს ანუ 1442-1446 წლებში ამილახორის სახელს უკვე ნამდვილად ფლობდა.

მართალია, ჩემთვის ცნობილ დოკუმენტებში მითითებული არ არის, თუ ზუსტად როდის დაიკავა თაყა I ზევდგინისძემ ამილახორის თანამდებობა – მეფე ვახტანგ IV-ის მმართველობის დროს თუ მისი წინამორბედი მონარქის – მეფე ალექსანდრე I-ის მმართველობის უკანასკნელ წლებში, მაგრამ, სავსებით ნათელია, რომ ამ ფაქტს ადგილი ჰქონდა, ერთი მხრივ, თაყა I-ის მიერ მოღარეთუხუცესის სახელს ფლობის (1425/1429-1435/1439 წწ.) შემდგომ პერიოდში, ხოლო, მეორე მხრივ, მეფე ვახტანგ IV-ის მიერ მისი ტყვედ შეპყრობის (1442-1446 წწ.) წინარე ხანებში ანუ 1440-იანი წლების I ნახევარში².

სამწუხაროდ, ჩემს ხელთ არსებული მასალიდან არ ჩანს, თუ როდემდე ფლობდა თაყა I ზევდგინისძე 1440-იანი წლების I ნახევარში მიღებულ ამილახორის სახელს – მეფე ვახტანგ IV-ის მიერ მის ტყვედ შეპყრობამდე ანუ, ყველაზე გვიან, 1440-იანი წლების შუახანებამდე თუ გარდაცვალებამდე. საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე უფრო იმ აზრისაკენ ვიხრები, რომ თაყა I-მა ამილახორის თანამდებობა დატყვევებისთანავე დაკარგა: პრაქტიკულად, წარმოუდგენელია, რომ ვახტანგ IV-ეს თაყა I დაეტყვევებინა, დასავლეთ საქართველოში პატიმრად გაეგზავნა და იმავდროულად, მისთვის ამილახორის ანუ ქვეყნის ერთ-ერთი უპირველესი სახელმწიფო მოხელის თანამდებობა შეენარჩუნებინა. პირიქით, უფრო ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ ვახტანგ IV-ემ თაყა I-ს ტყვედ შეპყრობისთანავე ჩამოართვა ამილახორობა და ეს მნიშვნელოვანი თანამდებობა ვინმე სხვა პირს გადასცა.

¹ ქართული ისტორიული საბუთების..., III, გვ. 230.

² ჩვენამდე მოაღწია ავთანდილ ზევდგინისძის 1478 წლის ახლოხანების საჩივრის წიგნის კიდევ ერთმა ფრაგმენტმა, რომელშიც ვინმე უცნობი პირის, სავარაუდოდ, ზევდგინისძეთა ფეოდალური სახლის ერთ-ერთი წარმომადგენლის ამილახორად დადგინების ამბავია მოთხრობილი. მართალია, ამავე დოკუმენტში, სხვა ისტორიული პირების – მეფე გიორგი VIII-ის, ზაად და ავთანდილ ზევდგინისძეების, ვინმე საამის, ქარუმიძისა და ხიმშიშვილის გარდა, ჩვენთვის საინტერესო თაყა I ზევდგინისძეც არის მოხსენიებული, მაგრამ ტექსტიდან არ ჩანს, რომ, ერთი მხრივ, ამილახორი, ხოლო, მეორე მხრივ, თაყა I, ნამდვილად ერთი და იგივე პირია. შესაბამისად, ეს დოკუმენტი თაყა I-ის ამილახორად დადგინების დროსა და ვითარებაზე, აგრეთვე, თაყა I-ის ამილახორად ყოფნის დროს მომხდარ მოვლენებზე მსჯელობისათვის არ გამოდგება. მოვიტან სხენებული დოკუმენტის შესაბამის ნაწყვეტს: „ადარცა იმას დამაჯერა თაყამან. ნადირობას ჩუენსა შუა საამ იყო. შევირდით ერთმანერთსა ყუელა [ყოველთავე. წამოვედით ნადირობილქამ]. [წიწა]შურს მოვედით და იქ ქარუმიძე მოვზავნა და ასრე ებძანა: „სთუელი დამანგებე კასპურიო“. მე [მოვაკ]სენე. განადამცა აგრე ვიყავო. [ამას] [არას] დასჯერდა. შეიყარა და გამოილაშქრა [სასიკუ]ლილოდ. მე [მერთ]მან შემიწაღა [და] [შინა] არა დაჯხუდი. თუმცა დაჯხუდომოდი [ი], [მაკლავ]ედეს ჩემისა მეუღრისა ნასისხლისა [მამული]სათუის. არცა ამილახორის ედგა [შინა]?. ს[ა]მნი ძმანი ვიყვენიო და ჩუენ დაგ[ურჩა] მამული, ნასისხლიცა და მეუღარიცა. [ყუელ]ასა ვადებებლობასა [რას] [მემართ]ლეობდა ზაქალ სიკუდილსა? ბატონო დარბაზისეონო! როგორც [თქუენ] [გაგუი]ჩენთ, ბატონი ხართ. ჩემისა მამულისა [მეუღრისა] [და] [ნა]სისხლისა გულისათუის რასათუის [მომკლევდა]? ამილახორობის ეს ვიკადრო. [ოდეს] [ხიმ]შიაშვილი მოკლეს თათართა, [მას] [კაქსა] უბოძა ამილახორობა [...]. უბოძა მამული მეუღრი და [ნასისხლი] ვიორგი მეფემან, ამილახორსა უბოძა. [...] [რა]სათუის არ უბოძა [...] თუ მამული განენილი [...] [ზაქალისა იყო და ცარიელი კელი...“ (იქვე, გვ. 237-238).

სწორედ ამ მოსაზრების სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ავთანდილ ზევდგინისძის 1478 წლის ახლოხანების საჩივრის წიგნის კიდევ ერთი ფრაგმენტი, რომელშიც ავთანდილი თაყა I ზევდგინისძის მიერ მისი ერთ-ერთი ძმის – ზაალის (?) შვილად აყვანის საკითხს ეხება. ავთანდილს ეჭვი შეაქვს იმ ფაქტში, რომ თაყა I-მა ზაალი ნამდვილად იშვილა და აღნიშნავს, რომ ამ ფაქტის დამადასტურებლად წარმოდგენილი დოკუმენტი ყალბია. ავთანდილის თქმით, დოკუმენტი ნამდვილი რომ ყოფილიყო, მაშინ მასზე ან მეფე ალექსანდრე I-ის ან კიდევ, მეფე გიორგი VIII-ის (1446-1466 წწ.) ხელმოწერა უნდა ყოფილიყო, რეალურად კი, დოკუმენტს მხოლოდ ვინმე გაბელისძის ხელმოწერა ახლავს: „თუ თაყამან ჩემი ძმა იშვილა, [თავადთა] მოწმობითა უნდოდა, თუ არა, გაბელისძის] დივნის დაწერილითა და გაბელისძის] [კვლხართულითა. ჯაკულობითა შეიღობა იქნა]... თუ თაყამან ჩემი ძმა იშვილა]... დია ადვილი იყო, რომე მეფეთა ერთი ნიშანიცა აელო და მოეცა. ანუ მე[ფე] [ალექსანდრეს კელი ყოფილიყო და ანუ გ(იორგი)ს [მეფის] კელი, მაგრა აგრე ტყული არის, რომე [მეფეთა] კვლხართუის მაგიერი გაბელისძის [კვლხართული და ნიშანი აქუს. ესეც თქვენ [გას]ინჯეთ, პატრონ[ნ]ო, გაბელისძის მდივნის დაწერილია“¹.

ციტირებულ დოკუმენტში თაყა I ზევდგინისძის ამილახორობის საკითხთან დაკავშირებით, ორი გარემოება იპყრობს ყურადღებას: 1. თაყა I მეფე გიორგი VIII-ის მმართველობის დროს ანუ მეფე ვახტანგ IV-ის გარდაცვალების შემდგომ პერიოდში ჯერ კიდევ ცოცხალია; და 2. თაყა I ციტირებულ დოკუმენტში მოხსენიებული ორგან, ორივეგან – ამილახორის წოდების გარეშე, მხოლოდ სახელით.

ვფიქრობ, ამ ორ გარემოებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ მეფე ვახტანგ IV-ის გარდაცვალების შემდეგ თაყა I ზევდგინისძე პატიმრობიდან გათავისუფლდა, თუმცა მომდევნო მონარქმა მეფე გიორგი VIII-ემ მას ამილახორის თანამდებობა უკან აღარ დაუბრუნა.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ თაყა I ზევდგინისძე ამილახორის სახელს საკმაოდ მცირე ხნის მანძილზე – 1440-იანი წლების I ნახევარში ფლობდა.

მიღებული დასკვნის შემდეგ აუცილებლად უნდა შევეხო თაყა I ზევდგინისძის ამილახორობის ქრონოლოგიასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ საკითხს. 2017 წელს დაიბეჭდა ენციკლოპედიური ლექსიკონი „ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში“, რომელშიც, სხვა მოხელეთა ქრონოლოგიურ რიგებთან ერთად, ამილახორთა ქრონოლოგიური რიგიც არის წარმოდგენილი². ამილახორთა ქრონოლოგიურ რიგში, რომელიც ვლადიმერ კეკელიას მიერ არის შედგენილი, შეტანილია თაყა I ზევდგინისძის სახელიც და იქვე, მითითებულია, რომ იგი ამილახორის სახელს 1450-იან წლებში ფლობდა: „ზევდგინისძე [თაყა] – ა[მილახორი] 1450-იანი წწ. წწ.“^{3,4}.

თაყა I ზევდგინისძის ამილახორობის ქრონოლოგიის საკითხზე მუშაობისას, გადავწყვიტე, გავცნობოდი იმ არგუმენტაციას, რომელზე დაყრდნობითაც, ვლადიმერ კეკელიამ თაყა I-ის ამილახორობის ქრონოლოგია 1450-იანი წლებით განსაზღვრა. აღმოჩნდა რომ მკვლევარი აღნიშნული თარიღის შემოთავაზებისას ეყრდნობა ორ წერილობით ძეგლს – „ქისკ“-ს ანუ „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ „2013“ წლის გამოცემის 121-ე და 238-ე გვერდებზე წარმოდგენილ ორ დოკუმენტს: „ზევდგინისძე [თაყა] – ა[მილახორი] 1450-იანი წწ. წწ. (ქსიკ. 2013: 121, 238)“⁵.

ვიდრე უშუალოდ დოკუმენტებზე გადავიდოდე, აღნიშნავ, რომ ვლადიმერ კეკელიას „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ გამოცემის წელი შეცდომით აქვს დასახელებული: მის მიერ მითითებული 2013 წლის გამოცემა „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ II ტომს წარმოადგენს და მის 121-ე და 238-ე გვერდებზე თაყა I ზევდგინისძე საერთოდ არ არის ნახსენები⁶. სამაგიეროდ, ვინმე ამილახორისა და თაყა I-ის მოხსენიებას ვხვდებით „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ III ტომის 121-ე და 238-ე გვერდებზე⁷. ოღონდ, ეს, III ტომი 2014 წელს არის გამოცემული და არა 2013 წელს, როგორც ამას ვლადიმერ კეკელია გვამცნობს.

გადავიდეთ უშუალოდ დოკუმენტებზე. „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ III ტომის ვლადიმერ კეკელიას მიერ მითითებულ 121-ე გვერდზე წარმოდგენილია ძლიერ დაზიანებული დოკუმენტი – მეფე გიორგი VIII-ის მიერ [ზევდგინისძე-ამილახორისათვის] მიცემული

¹ იქვე, გვ. 234.

² ვლ. კეკელია, ამირახორი, ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში (ენციკლოპედიური ლექსიკონი) (თბილისი, 2017), გვ. 107-108.

³ „წწ“-ს ორჯერ გამეორება კორექტურულ შეცდომას წარმოადგენს.

⁴ იქვე, გვ. 108.

⁵ იქვე.

⁶ ქართული ისტორიული საბუთების..., II, გვ. 121, 238.

⁷ ქართული ისტორიული საბუთების..., III, გვ. 121, 238.

1460-1465 წლებით დათარიღებული ფიცის წიგნის ტექსტი. დოკუმენტის გაცნობა აჩვენებს, რომ მის ტექსტში თაყა I ზევდგინისძე საერთოდ არ არის მოხსენიებული¹. უფრო მეტიც, ამ დოკუმენტის ტექსტში არც ზევდგინისძეთა გვარი და არც ამილახორის სახელი არ არის მოხსენიებული: ეს გვარი და სახელი ტექსტის 2014 წლის გამოცემაში ექვთიმე თაყაიშვილის საგარეულო იდენტიფიკაციაზე დაყრდნობით არის აღდგენილი².

ამგვარად, დგინდება, რომ ვლადიმერ კეკელიას მიერ მითითებულ პირველ დოკუმენტში თაყა I ზევდგინისძე საერთოდ არ არის მოხსენიებული. შესაბამისად, ეს დოკუმენტი მისი ამილახორობის ქრონოლოგიის შესახებ რაიმე ინფორმაციას არ გვაწვდის. უფრო მეტიც, სამომავლოდ, რომც გაირკვეს კიდევ, რომ განხილულ დოკუმენტში ნამდვილად თაყა I-ია მოხსენიებული, ეს ფაქტი მის ამილახორობას ვლადიმერ კეკელიას მიერ მითითებული 1450-იანი წლებით მაინც ვერ დაათარიღებს, ვინაიდან დოკუმენტში ცოტა უფრო მოგვიანო პერიოდის – 1460-იანი წლების I ნახევრის ისტორიული რეალებია ასახული.

დაახლოებით, ანალოგიურ სურათს ვხედავთ ვლადიმერ კეკელიას მიერ მითითებულ 238-ე გვერდზეც, სადაც წარმოდგენილია ავთანდილ ზევდგინისძის 1478 წლის ახლოხანების საჩივრის წიგნის ის ფრაგმენტი³, რომლის ნაწყვეტიც ზემოთ უკვე მქონდა მოხმობილი. ამ ფრაგმენტში მართლაც არის მოხსენიებული თაყა I ზევდგინისძე. გარდა ამისა, ამ ფრაგმენტში ნამდვილად არის საუბარი ვინმე ამილახორზე. თუმცა, დოკუმენტიდან არ ჩანს, რომ ტექსტში მოხსენიებული ეს ორი სუბიექტი, ერთი მხრივ, თაყა I, ხოლო, მეორე მხრივ, ვინმე ამილახორი, ნამდვილად ერთი და იგივე პირია⁴.

ამგვარად, დგინდება, რომ ვლადიმერ კეკელიას მიერ მითითებულ მეორე დოკუმენტში მოხსენიებული თაყა I ზევდგინისძის მაინცადამაინც იმავე საბუთში მოხსენიებულ ამილახორთან გაიგივება მართებული არ არის. შესაბამისად, ამ დოკუმენტის თაყა I-ის ამილახორობის სამტკიცებლად გამოყენება მხოლოდ დამატებითი არგუმენტაციის მოხმობის შემდეგ იქნება შესაძლებელი. ასეთი დამატებითი არგუმენტაცია კი ვლადიმერ კეკელიას მოტანილი არ აქვს. უფრო მეტიც, სამომავლოდ, რომც გაირკვეს კიდევ, რომ დოკუმენტში მოხსენიებული ორი სუბიექტი, ერთი მხრივ, თაყა I, ხოლო, მეორე მხრივ, ვინმე ამილახორი, ნამდვილად ერთი და იგივე პირია, ეს გარემოება თაყა I-ის ამილახორობის ქრონოლოგიას, a priori, ვლადიმერ კეკელიას მიერ მითითებული 1450-იანი წლებით მაინც ვერ განსაზღვრავს, რადგან დოკუმენტში ასახული რეალების დათარიღებისათვის მხოლოდ ერთი მონაცემი გაგვანჩია – ტექსტში მეფე გიორგი VIII-ის მოხსენიება. ამ მონაცემზე დაყრდნობით კი, დოკუმენტის ქრონოლოგია თანაბარი წარმატებით შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც 1450-იანი წლებით, ისე მეფე გიორგი VIII-ის მმართველობის ცოტა უფრო ადრეული ან, პირიქით, ცოტა უფრო მოგვიანო პერიოდებით, შესაბამისად, 1440-იანი წლების II ნახევრით ან 1460-იანი წლების I ნახევრითა და შუახანებით.

მაშასადამე, საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ ვლადიმერ კეკელიას მიერ გამოთქმულ მოსაზრება, რომლის თანახმადაც თაყა I ზევდგინისძე ამილახორის სახელს 1450-იან წლებში ფლობდა, მცდარია და მისი გაზიარებისათვის რაიმე საფუძველი არ არსებობს.

სვინაქსრის მინაწერებში მოხსენიებული ამილახორი თაყა ზევდგინისძის XV საუკუნის I ნახევარსა და შუახანებში მოღვაწე ცნობილ ისტორიულ პირთან – ამილახორ თაყა I ზევდგინისძესთან იდენტიფიცირებისა და მისი ამილახორობის ქრონოლოგიის 1440-იანი წლების I ნახევრით განსაზღვრის შემდეგ თავად ამ მინაწერების დათარიღება რთულ ამოცანას აღარ წარმოადგენს. მართლაც, მე უკვე გავარკვეე ზემოთ, რომ განსახილველი მინაწერები თაყა ზევდგინისძის სიცოცხლეშია შესრულებული. შესაბამისად, ავტომატურად დგინდება ისიც, რომ კოლოფონები თაყა I-ის სიცოცხლეში, უფრო ზუსტად კი, მისი ამილახორის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ანუ 1440-იანი წლების I ნახევარშია დაწერილი.

სვინაქსრის განსახილველ მინაწერებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს IX მინაწერი, რომელშიც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „ამა წიგნის“ ანუ სვინაქსრის „პატრონი“ ანუ კანონიერი მფლობელი „ამილახორი“ ანუ ამილახორი თაყა I ზევდგინისძე იყო: „ამა წიგნისა პატრონსა, ამილახორს გაუმარჯუელ, წმიდაო გიორგი მთავარო“.

სამწუხაროდ, სვინაქსრის IX მინაწერი არ განმარტავს, თუ, კონკრეტულად, რა იგულისხმება ამილახორი თაყა I ზევდგინისძის „წიგნის პატრონად“ ანუ ხელნაწერის კანონიერ მფლობელად მოხსენიებაში: ის, რომ სვინაქსარს თაყა I პირადად ფლობდა და ხელნაწერიც უშუ-

¹ იქვე, გვ. 121-122.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 237-238.

⁴ იქვე.

ალოდ მის კერძო საოჯახო წიგნთსაცავში ინახებოდა, თუ ის, რომ სვინაქსარი თაყა I-ის ფეოდალური ოჯახის კუთვნილ რომელიმე ეკლესიასა თუ მონასტერს ჰქონდა გადაცემული და ხელნაწერიც ამ სავანის ბიბლიოთეკაში იყო დაცული.

საკითხის შესწავლის მოცემულ ეტაპზე, უფრო იმ აზრისაკენ ვიხრები, რომ განსახილველი მინაწერების შესრულების პერიოდში ანუ 1440-იანი წლების I ნახევარში სვინაქსარი ზევდგინისძეთა საგვარეულოს კუთვნილ, ჯერჯერობით, დაუდგენელ სავანეში, ამ ფეოდალური სახლის კუთვნილი სხვა ეკლესია-მონასტრების მდებარეობის გათვალისწინებით, ქართლში, უფროს ზუსტად კი, შიდა ქართლში მდებარე ერთ-ერთ ეკლესიასა თუ მონასტერში ინახებოდა და იმ სავანესთან ერთად, ამილახორი თაყა I ზევდგინისძის საკუთრებას წარმოადგენდა.

ამგვარი მოსაზრებისაკენ, ძირითადად, ორი გარემოება მიბიძგებს: 1. როგორც ცნობილია, სვინაქსარი საღმრთისმსახურო დანიშნულების მქონე წიგნს წარმოადგენს. შესაბამისად, ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ სვინაქსარი მისი განსახილველი მინაწერების შესრულების დროს ანუ 1440-იანი წლების I ნახევარში სადმე ისეთ ადგილას იყო დაცული, სადაც ღმრთისმსახურება სრულდებოდა. ასეთი ადგილი კი, ცხადია, არა ამილახორ თაყა I ზევდგინისძის საოჯახო წიგნთსაცავი, არამედ სწორედ ეკლესია ან მონასტერი იყო; და 2. სვინაქსარს დართული აქვს ამირეჯიბ შანშე I გაბელისძის ალაპი, რომელიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, 1450-იან წლებშია დაწერილი. ჩემი დაკვირვებით, 1450-იან წლებში სვინაქსარში ალაპის ჩაწერა ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ აღნიშნულ პერიოდში ანუ ჩვენთვის საინტერესო 1440-იანი წლების I ნახევარში სვინაქსარი ნამდვილად ეკლესიასა თუ მონასტერში ინახებოდა: სავსებით ნათელია, რომ თაყა I ზევდგინისძის ოჯახურ წიგნთსაცავში შენახული ხელნაწერი წიგნის ფურცლებზე არავინ დაწერდა ალაპს, რომელიც არა თაყა I-ის ოჯახის წევრების, არამედ კონკრეტული ეკლესიისა თუ მონასტრის კრებულისათვის იყო განკუთვნილი და რომლის გადახდაც, სწორედ ამ კრებულის სამართლებრივ ვალდებულებას წარმოადგენდა.

სვინაქსრის განსახილველ მინაწერებს შორის, ბოლოს განხილული IX მინაწერის გარდა, კიდევ ერთი კოლოფონი – VI მინაწერიც იპყრობს ყურადღებას. კოლოფონი, ერთი მხრივ, გვაუწყებს, რომ „წიგნი“ ანუ სვინაქსარი „მეორედ განახლებული“ იყო ანუ მას ჩატარებული ჰქონდა გარკვეული საკონსერვაციო ხასიათის სამუშაოები, ხოლო, მეორე მხრივ, გვამცნობს, რომ ხელნაწერის „მეორედ განახლება“, დამატებით, მისი „ნაკლების“ ანუ ნაკლულის „დაწერას“ ე.ი. სვინაქსრის შედგენილობიდან ფურცლების ნაკლულობის მიზეზით დაკარგული ტექსტების ახალ ფურცლებზე დაწერასა და ამ ახლდაწერილი ფურცლების ხელნაწერში ჩაკინძვასაც გულისხმობდა. გარდა ამისა, VI მინაწერი პირდაპირ გვაუწყებს იმასაც, რომ სვინაქსრის „მეორედ განმარტებული“ და მისი „ნაკლები“ ანუ ნაკლული ტექსტის აღმდგენელი, უფრო ზუსტად კი, ამ სამწიგნობრე-განახლებითი სამუშაოების დამკვეთი ამილახორი თაყა I ზევდგინისძე იყო „ამა წიგნისა მეორედ განმარტებელსა და ნაკლებისა დამწერელსა, პატრონსა ამილახორს თაყასა... შეუნდეს ღმერთმან“.

ამილახორ თაყა I ზევდგინისძის დაკვეთით ჩატარებული სამწიგნობრე-განახლებითი სამუშაოების შესახებ აქ არაფერს ვიტყვით, ვინაიდან ეს საკითხი ზემოთ, სვინაქსრის ტექნიკური დახასიათებაზე და შედგენილობაზე საუბრისას, უკვე დაწვრილებით განვიხილე. აღვნიშნავ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ხელნაწერის I განახლებას, რომელიც თაყა I ზევდგინისძის დაკვეთით განხორციელდა, ამ უკანასკნელის სახელთან დაკავშირებული, ზემოთ მოხსნილი ცხრა მინაწერის დაწერის თანადროულად ანუ 1440-იანი წლების I ნახევარში ჰქონდა ადგილი.

სამწუხაროდ, სვინაქსრის მინაწერებში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე თუ ვინ იყო ის მწიგნობარი, რომელმაც ხელნაწერის I განახლებითი სამუშაოები ჩაატარა. შესაბამისად, ამ მწიგნობრის ვინაობის საკითხს, ჯერჯერობით, ღიად ვტოვებ და მას წინამდებარე ნაშრომში, პირობითად, სვინაქსრის I განმარტებლად მოვიხსენიებ.

სვინაქსრის I განმარტებლის ხელით დაწერილ ტექსტებზე (14rv-15rv, 17rv-18rv, 147rv და 150rv) დაკვირვება აჩვენებს, რომ იგი მეტნაკლებად გაწაფული მწიგნობარი იყო, თუმცა კი თავის დროის საუკეთესო კალიგრაფებს, ოსტატობის მხრივ, აშკარად ჩამორჩებოდა.

სწორედ სვინაქსრის I განმარტებლის ხელით არის დაწერილი ის ცხრა მინაწერი, რომლებიც ხელნაწერის სამწიგნობრე-განახლებითი სამუშაოების დამკვეთის – ამილახორ თაყა I ზევდგინისძის სავედრებლებს წარმოადგენს. ამასთან, საყურადღებოა, რომ ეს ცხრა სავედრებელი მინაწერი მხოლოდ იმ ფურცლებზეა შესრულებული, რომლებიც სვინაქსრის I განმარტებლის ხელით არის დაწერილი და რომლებიც, შესაბამისად, ამ მინაწერებში მოხსენიებული თაყა I-ის საფასით არის შექმნილი.

მაშასადამე, ირკვევა, რომ სვინაქსრის 6v-ზე, 14r-ზე, 14v-ზე, 15r-ზე, 15v-ზე, 17v-ზე, 81v-ზე, 147v-სა და 150r-ზე ერთი და იმავე ხელით შესრულებული ცხრა სავედრებელ მინაწერზე მოხ-

სენიებული არიან ცნობილი ისტორიული პირები: ამილახორი თაყა I ზევდგინისძე და მისი თანამეცხედრე მამქანი, აგრეთვე, თაყა I-ის მშობლები, სახელების მითითების გარეშე. მინაწერები შესრულებულია 1440-იანი წლების I ნახევარში. აღნიშნულ პერიოდში სვინაქსარი შიდა ქართლში, ზევდგინისძეთა ფეოდალური სახლის კუთვნილ, ჯერჯერობით, დაუდგენელ ეკლესიასა თუ მონასტერში იყო დაცული და მთელს ამ სავანესთან ერთად, თაყა I-ის საკუთრებას წარმოადგენდა. 1440-იანი წლების I ნახევარში ვინმე უცნობმა მწიგნობარმა, თაყა I-ის დაკვეთით, სვინაქსარი პირველად განაახლა: მან ხელნაწერზე არამხოლოდ საკონსერვაციო სამუშაოები შეასრულა, არამედ, სვინაქსრის შედგენილობიდან ფურცლების ნაკლულობის გამო დაკარგული ტექსტები ახალ ფურცლებზეც დაწერა და ეს ახლდაწერილი ფურცლები ხელნაწერში ჩაკინდა. გარდა ამისა, სვინაქსრის I განმარტებლმა თავისი ხელით დაწერილ ფურცლებზე საგანგებოდ შეასრულა ცხრა მინაწერი, რომლებიც მის მიერ ჩატარებული სამწიგნობრე-განახლებითი სამუშაოების დამკვეთის – თაყა I-ის სავედრებლებს წარმოადგენს.

9. ამირეჯობ შანშესათვის განწესებული გვიანდელი ალაპი

მე უკვე აღვნიშნე ზემოთ, რომ სვინაქსრის 56v-ს ქვედა არშიაზე XV-XVI საუკუნეების ხელით შესრულებულია ალაპი, რომელიც შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოს მაღალი რანგის მოხელის, ქვეყნის ერთ-ერთი უპირველესი ვაზირის – მანდატურთუხუცესის თანაშემწის, ამირეჯობი შანშესათვის არის განწესებული: „ამა ნიკოლოზობასა ალაპი პატრონისა ამირეჯობისა შანშესი. ვინცა მოშალოს, რისხავსმცა მამა, ძე და სული წმიდა“.

ალაპში მოხსენიებული ამირეჯობი შანშეს ვინაობის დადგენა მაინცადამაინც რთული ამოცანა არ არის, ვინაიდან საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიიდან ცნობილია სახელი შანშეს მატარებელი მხოლოდ ერთი ამირეჯობი: ამირეჯობი შანშე I გაბელისძე, რომელიც ამირეჯობის სახელს 1450-იან წლებში ფლობდა¹. შესაბამისად, სრულებით ცხადია ისიც, რომ სვინაქსრის ალაპში მოხსენიებული ამირეჯობი შანშე სწორედ ამირეჯობი შანშე I გაბელისძეა.

ამირეჯობი შანშე I გაბელისძე, სვინაქსრის ალაპის გარდა, კიდევ ორ სხვა წერილობით ძეგლშიც არის მოხსენიებული. ეს წერილობითი ძეგლებია: 1. საქართველოს მეფის გიორგი VIII-ის (1466-1466 წწ.) მიერ ამირეჯობი რამინ I გაბელისძისა (1430-1450-იანი წწ.) და მისი შვილების: ამირეჯობ შანშეს, ქუცნას, გიორგისა და აბესალამასათვის მიცემული 1451 წლის წყალობის განახლების სიგელის, სავარაუდოდ, XIX საუკუნის პირი; და 2. 1195 წელს გადაწერილი წყაროს-თავის სახარების მოგვიანო ხანის ერთ-ერთი მინაწერი, რომელიც ზემოთ უკვე მქონდა ციტირებული. მოვიტან ორივე წერილობითი ძეგლის შესაბამის ფრაგმენტებს.

1. მეფის გიორგი VIII-ის 1451 წლის წყალობის განახლების სიგელი: „[ქ. სახელითა ღმრთისაჲთა, გიორგი მეფეთა მეფისაგან, იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბავრატონიანისა, ნებითა ღმრთისაჲთა, აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შანშა და შარვანქშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა, ჩრდილოეთისა, ვიდრე დასავლეთამდის ფლობით მტკიცედ თვთ ხელმწიფედ] მფლობელ-მაყრობელთასა.

მოვიდესა წინაშეჲ ჩვენსა ჩვენნი და გვარეულად ჩვენთა პაპათაგან და მამათაგან შეწყალებული და ყოველსა საქმეზედა დიდათ ერთგულნი და თავდადებით ნამსახურნი, ჩვენსა (თანაჲ) აღზრდილ-შეზრდილნი, ჩვენისა მორჭმისათჳს მომჭირნე და თავგამომეტებულნი, ჩვენგან პატივცემულნი, თავადთა, ვეზირთა და დარბაზის ერთა შიგან საჩინ და გამორჩეულნი, ჳელდიდნი და ლაშქარ-ქაშჩნი – გაბ<რი>ელისძე, ამირეჯობი რამინ და მათნი შვილნი: ამირეჯობი შანშე, ქუცნა, გიორგი და აბესალამ, (მოგვართვეს) ჩვენისა ბედნიერისა სახლისაგან შეწყალებულობისა პიტაკნი და სიგელნი (და გვეაჯნეს და მოგვახსენეს, რათაჲ ჩვენცა გაგვეახლა და დაგვემტკიცნეს. ვისმინეთ პაჯა და მოხსენება მათი, მიუბოძედ და ჩვენცა ახლად დაუმტკიცეთ და მათისა მამულისა სიგელნი გაუახლეთ და შევიწყალებთ და დაუმტკიცეთ და დაუმკვიდრეთ დღეს რისაცა მქონებულნი არიან... ვქონდეს ესე თემნი და ქვეყანანი, ციხენი და სიმაგრენი, მონასტერნი და სასაფლაონი, სოფელნი და აზნაურნი შვილები მათითა მამულითა საქართველოს და ლიხთიმერით თქვენ, ჩვენთა პაპათა და მამათაგან შეწყალებულთა და ყოველსა საქმესა ზედა ჩვენთა დიდად ერთგულთა და თავდადებით ნამსახურთა, ჩვენთა თანა აღზრდილ-შეზრდილთა და ჩვენისა მორჭმისა და უზეშთაეჩსაჲდ ყოფისათჳს მომჭირნე და თავგამომეტებულთა, ჩვენგან პატივცემულთა და ბედნიერისა სახლისა ჩვენისაგან გაზედაებულთა, თავადთა, ვეზირ-

¹ გ. ოთხმეზური, წყალობის განახლების სიგელი გიორგი VIII-სა გაბელიძე-ამირეჯობთადმი, ანალები, №3 (თბილისი, 2008), გვ. 552-558; გ. ოთხმეზური, ქართული ფეოდალური სავარაუდოების ისტორიიდან, ამირეჯობი (თბილისი, 2009), გვ. 24-29; დ. კლიაშვილი, ამირეჯობი, ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წიგნები შუა საუკუნეების საქართველოში (ენციკლოპედიური ლექსიკონი) (თბილისი, 2017), გვ. 109-111.

თა და დარბაზისერთა შივან სახინო-გამორჩეულთა, კელ-დიდთა და ლაშქარ-ქაშთა – გაბელის-
ძესა, ამირეჯიბს რ<ო>ჩ<ა>მ<ა>ჩ<ი>ნს და თქვენთა შვილთა: ამირეჯიბსა შანშეს, ამირეჯიბს ქუც-
ნას, გიორგის და აბესალ<ო>ჩ<ა>მ<ა>ჩ<ი>ნს, ყოვლისაგან დაბადებულისა კაცისაგან მოუდევარ-მოუ-
სარჩლეულად და შემოუცილებლად დღესა რასაც მქონებელნი ხართ, დაგვიმტკიცებია და გვიბო-
ძებია... დაიწერა მტკიცე სიგელი ესე ინდიკაციონსა მეფობისა ჩუენისა მეექვსესა (1451-1452 წწ.),
ქ(ორონი)კ(ო)ნსა რლმ (1451 წ.), დეკემბრის კლ (24), ხელითა წირქვალელისძისა, <მაშრიყის>
ქმუშრიბის} შვილისა რატიხათა“ (პუნქტუაცია და ტექსტის გამართვა ჩემია – თ. ჯ.)¹.

2. წყაროსთავის სახარების მინაწერი: „სულსა ამირ[ე]ჯიბისა შანშესსა შ(ეუნდენე)ს დ(მერ-
თმა)ნ. მისა მუღღესა, მეფის ასულსა ელენეს შ(ეუნდენე)ს დ(მერთმა)ნ. მ(ა)თსა შვილსა დაეთოს
<მ>ქ(ეუნდენე)ს დ(მერთმა)ნ. მისა მეუღლესა ანატასა შ(ეუნდენე)ს დ(მერთმა)ნ და გაბელეთ
მიცვლ[ა]ლებ[უ]ლთა ყ(ოვე)ლთავე შ(ეუნდენე)ს დ(მერთმა)ნ“².

ამირეჯიბ შანშე I გაბელისძის ცხოვრება-მოღვაწეობის საკითხები დარეჯან კლდიაშვილი-
სა და გიორგი ოთხმეზურის მიერ საფუძვლიანად არის შესწავლილი³. ამასთან, აღსანიშნავია,
რომ ეს კვლევა-ძიება მთლიანად ზემოთ ციტირებულ ორ წერილობით ძეგლზეა დამყარებული.
რაც შეეხება მესამე წერილობით ძეგლს – ბასილ მჯობაისძისა და ეფთვიმეს მიერ გადაწერილი
სვინაქსრის ალაპს, ის, მიუხედავად იმისა, რომ მისი ტექსტი ლილი ქუთათელაძის მიერ ჯერ
კიდევ 1951 წელს იყო გამოცემული, ამირეჯიბ შანშე I გაბელისძის ცხოვრება-მოღვაწეობის
საკითხების შესწავლისას, რატომღაც, არასოდეს ყოფილა გამოყენებული. წინამდებარე ნაშრომ-
ში შევეცდები, ეს ხარვეზი დავძლიო და ალაპის ტექსტთან დაკავშირებული საკითხები
მეტნაკლები სისრულით შევისწავლო.

განსახილველი ალაპიდან ირკვევა, რომ სვინაქსრის მფლობელი ეკლესიისა თუ მონასტრის
კრებულმა ამირეჯიბ შანშე I გაბელისძეს ალაპი „ნიკოლოზობას“ ანუ საეკლესიო წელიწადის
ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ დღესასწაულზე – წმ. ნიკოლოზის ხსენების დღეს, ე. ი. 6 დე-
კემბერს განუწესა: „ამა ნიკოლოზობასა ალაპი პატრონისა ამირეჯიბისა შანშესი. ვინცა მოშა-
ლოს, რისხავსმცა მამა, ძე და სული წმიდა“.

როგორც ვხედავთ, ალაპს, შუა საუკუნეების საქართველოში დამკვიდრებული ტრადიციის
შესაბამისად, თარიღი არ უზის. ამ მიზეზის გამო ალაპის განწესების ზუსტი დროის დადგენა
შეუძლებელია. რაც შეეხება ალაპის განწესების მიახლოებით ქრონოლოგიას, მისი დადგენა საკ-
მოდ იოლ ამოცანას წარმოადგენს. მე უკვე აღნიშნე ზემოთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურის
თანახმად, შანშე I გაბელისძე ამირეჯიბის სახელს 1450-იან წლებში ფლობდა. შესაბამისად,
სავსებით ნათელია ისიც, რომ შანშე I იმავე 1450-იან წლებში გარდაიცვალა. ხოლო, თუ აქ
გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ალაპს, როგორც წესი,
გარდაცვლილი პირისათვის, მისი გარდაცვალების ახლოხანებში განაწესებდნენ ხოლმე, მაშინ
ლოგიკურად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ სვინაქსრის ჩვენთვის საინტერესო ალაპი, აგრეთვე,
1450-იან წლებში იყო დაწერილი.

სამწუხაროდ, კვლევა-ძიების ამ ეტაპზე, სათანადო მასალის უქონლობის გამო, არ შემიძ-
ლია ვთქვა, თუ ამირეჯიბ შანშე I გაბელისძის ალაპის განწესების დროს, კონკრეტულად, რო-
მელ ეკლესიასა თუ მონასტერში ინახებოდა სვინაქსარი. შესაბამისად, ჯერჯერობით, ვერც იმას
ვიტყვი, თუ, სახელდობრ, რომელი ეკლესიისა თუ მონასტრის კრებულმა განუწესა ალაპი შანშე
I გაბელისძეს. დღეისათვის აღნიშნული საკითხების თაობაზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ
შანშე I გაბელისძისათვის ალაპის განწესების ჟამს ანუ 1450-იან წლებში სვინაქსარი შიდა ქარ-
თლში მდებარე, ამილახორ თაყა I ზევედგინისძის ფეოდალური სახლის კუთვნილ, ჯერჯერობით,
დაუდგენელ ეკლესიასა თუ მონასტერში ინახებოდა (ამის შესახებ ვრცლად იხ. ზემოთ) და შე-
საბამისად, შანშე I გაბელისძის ალაპიც სწორედ ამ ეკლესიასა თუ მონასტერში იყო განწესებული.

ამირეჯიბ შანშე I გაბელისძის ალაპი, ბასილ მჯობაისძის მიერ დაწერილი, ზემოთ განხი-
ლული სამი ალაპისაგან განსხვავებით, მეტად მწირ ინფორმაციას შეიცავს და ალაპის გაჩენასა
თუ აღსრულებასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხების შესახებ რაიმე ცნობას არ
გვაწვდის. აღნიშნული მიზეზის გამო, ჩემთვის უცნობია, თუ რა შეწირულება მისცა ან რა სამ-
სახური გაუწია შანშე I გაბელისძის ოჯახმა ალაპის განმწესებელ ეკლესიასა თუ მონასტერს
შანშესათვის ალაპის გაჩენის სანაცვლოდ. გარდა ამისა, ჩემთვის უცნობია ისიც, თუ რას გუ-
ლისხმობდა შანშე I გაბელისძისათვის განწესებული ალაპი: მხოლოდ მისი სულის საოხად გამარ-

¹ გ. ოთხმეზური, წყალობის განახლების სიგელი..., გვ. 561-565. შდრ: გ. ოთხმეზური, ქართული ფეოდალური საგ-
ვარეულობის..., გვ. 63-66.

² ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექციისა, II, გვ. 327.

³ დ. კლდიაშვილი, ქართული სამონასტრო სულთა მატანეები, I, სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის
სულთა მატანე (თბილისი, 2008), გვ. 152; გ. ოთხმეზური, წყალობის განახლების სიგელი..., გვ. 552-558; გ. ოთხმეზური,
ქართული ფეოდალური საგვარეულობის..., გვ. 24-29.

თული სააღაპე პურობის გადახდას თუ, დამატებით, შანშე I-ის სულის მოსახსენიებელი ლიტურგიული მსახურების აღსრულებასაც.

სვინაქსრის განსახილველ ალაპში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთი უცნაური ფაქტი: ამირეჯიბი შანშე I გაბელისძის ალაპი, რომელიც, ტექსტის თანახმად, წმ. ნიკოლოზის ხსენების დღეს ანუ 6 დეკემბერს არის განწესებული, სვინაქსრის 56v-ის ქვედა არშიაზე დაწერილი, ხოლო თავად წმ. ნიკოლოზის ხსენების დღის მასალა, ანუ 6 დეკემბერს წასაკითხი ჰაგიოგრაფიული თხზულება და მისი თანამდევი ლიტურგიკული განგება, ხელნაწერის არა იმავე გვერდზე ანუ 56v-ზე, არამედ მომდევნო გვერდზე ანუ 57r-ზე იწყება: „თ(უეს)ა დ(ე)კ(ე)ნბ(ერ)სა პ (6). წ(მიდ)ი[სა] / და საკრვ(ე)ლთმოქმედისა მ(ა)მ(ი)სა ჩ(უე)ნისა ნიკ(ო)ლ(ო)ზისი, / მთ(ა)ვ(ა)რე-ბისკ(ო)პ(ო)სისაჲ მირონ-ქ(ა)ლ(ა)ქის(ა)ი, რ(ომელ)ი იყო უ(ა)მთა / დიდისა კონსტ(ანტ)ინესთა“¹.

ამგვარად, გამოდის, რომ 6 დეკემბერს განწესებული ამირეჯიბი შანშე I გაბელისძის ალაპი დაწერილია სვინაქსრის არა იმ გვერდზე, რომელზეც 6 დეკემბრის ჰაგიოგრაფიული და ლიტურგიკული მასალაა წარმოდგენილი, არამედ იმ გვერდზე, რომელიც წინა დღის ანუ 5 დეკემბრის ჰაგიოგრაფიულ და ლიტურგიკულ მასალას შეიცავს².

ალაპის შესრულების ადგილის ამგვარი შერჩევა წინააღმდეგობაში მოდის შუა საუკუნეების საქართველოში ხელნაწერი წიგნების ფურცლებზე ალაპის შესრულების საყოველთაოდ მიღებულ წესთან, რომლის თანახმადაც, ალაპის ტექსტი იწერება ხელნაწერის იმ კონკრეტული გვერდის არშიაზე, რომელ გვერდზეც ალაპის გადახდის დღის შესაბამისი კალენდარული დღის ჰაგიოგრაფიული და ლიტურგიკული მასალა, უფრო ზუსტად კი, ამ მასალის დასაწყისია წარმოდგენილი.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობ, ბუნებრივად დაისმის კითხვა – რატომ მიიღეს ალაპის განმწესებლებმა უცნაური გადაწყვეტილება და რატომ დაწერეს ამირეჯიბი შანშე I გაბელისძისათვის 6 დეკემბერს განწესებული ალაპის ტექსტი სვინაქსრის იმ გვერდზე, რომელზეც 5 დეკემბრის ჰაგიოგრაფიული და ლიტურგიკული მასალაა წარმოდგენილი და არა იმ გვერდზე, რომელიც 6 დეკემბრის ჰაგიოგრაფიული და ლიტურგიკული მასალას შეიცავს?

დასმულ კითხვაზე, პრაქტიკულად, პირდაპირ პასუხს გვაძლევს სვინაქსრის 57r-ზე ანუ ხელნაწერის იმ გვერდზე დაკვირვება, რომელზეც 6 დეკემბრის ჰაგიოგრაფიული და ლიტურგიკული მასალის დასაწყისია წარმოდგენილი. როგორც ირკვევა, 57r-ის ქვედა არშია მთლიანად ჩამოჭრილია და იქ ამირეჯიბი შანშე I გაბელისძისათვის განწესებული ალაპის დასაწერი ადგილი, უბრალოდ, არ არის.

ამგვარად, დგინდება, რომ ამირეჯიბი შანშე I გაბელისძის ალაპის დასაწერად უცნაური ადგილის შერჩევას თავისი კონკრეტული მიზეზები ჰქონდა: 1450-იან წლებში, როცა სვინაქსრის მფლობელი ეკლესიისა თუ მონასტრის კრებულმა შანშე I გაბელისძეს წმ. ნიკოლოზის ხსენების დღეს ანუ 6 დეკემბერს ალაპი განუწესა და შემდეგ ამ ალაპის ხელნაწერში ჩაწერა გადაწყვიტა, აღმოჩნდა, რომ სვინაქსრის 57r-ს ანუ იმ გვერდს, რომელზეც 6 დეკემბრის ჰაგიოგრაფიული და ლიტურგიკული მასალის დასაწყისია წარმოდგენილი, ქვედა არშია ჩამოჭრილი ჰქონდა და იქ ალაპის დაწერა ვერ მოხერხდებოდა. კრებულმა შექმნილი ვითარებიდან შემდეგი გამოსავალი მონახა: შანშე I გაბელისძის ალაპი 6 დეკემბრის ჰაგიოგრაფიული და ლიტურგიკული მასალის შემცველი გვერდის ანუ 57r-ის წინა გვერდის ანუ 56v-ს ქვედა არშიაზე დაწერა და რაიმე გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ალაპის დასაწყისში თვე და რიცხვი კი არ მიუთითა, არამედ პირდაპირ სიტყვებით აღნიშნა, რომ ალაპი „ნიკოლოზობას“ იყო განწესებული: „ამა ნიკოლოზობასა ალაპი პატრონისა ამირეჯიბისა შანშესი. ვინცა მოშალოს, რისხავსმცა მამა, ძე და სული წმიდა“.

სამწუხაროდ, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, არ შემიძლია, ზუსტად ვთქვა, სვინაქსრის 57r-ის ქვედა, დღეისათვის ჩამოჭრილ არშიაზე თავდაპირველად რაიმე ტექსტი დაწერილი იყო თუ არა. მიუხედავად ამისა, უფრო იმ აზრისაკენ ვიხრები, რომ აქ, როგორც ჩანს, მართლაც იყო შესრულებული ვინმე დაუდგენელი პირისათვის განწესებული ალაპი, რომელიც მოგვიანებით სხვა

¹ 6 დეკემბრის ჰაგიოგრაფიული და ლიტურგიკული მასალა იწყება 57r-ს IV სტრიქონის მარჯვენა მონაკვეთზე და მთავრდება 58r-ს IX სტრიქონის შუა მონაკვეთზე. აქვე, აღვნიშნავ, რომ 6 დეკემბერს მხოლოდ ერთი წმიდანის – წმ. ნიკოლოზისადმი მიძღვნილი ჰაგიოგრაფიული თხზულება და მისი თანამდევი ლიტურგიკული განგებაა წარმოდგენილი.

² 5 დეკემბრის ჰაგიოგრაფიული და ლიტურგიკული მასალა, რომელიც ერთ ჰაგიოგრაფიულ ტექსტს – წმ. საბა განწმედილისადმი მიძღვნილ თხზულებასა და მის თანამდევ ლიტურგიკულ მსახურებას მოიცავს, იწყება 56r-ს XXIII სტრიქონზე და მთავრდება 57r-ს IV სტრიქონის შუა მონაკვეთზე: „თ(უეს)ა დ(ე)კ(ე)ნბ(ერ)სა პ (5). წ(მიდ)ისა და დ(მერ)თშ(ე)მ(ო)სილისა მ(ა)მ(ი)სა ჩ(უე)ნისა / საბ(ა)ძისი, რ(ომელ)ი იყო ნათ(ეს)ავით კაბადოკიელი, შვილი / მშობ(ე)ლთა ქ(რისტ)ე(ან)ეთ(ა)ჲ, რ(ომელ)თა ეწოდებოდა იოვანე და სოფია“.

დაუდგენელმა პირებმა გარკვეული მიზეზების გამო ხელნაწერიდან საერთოდ ამოიღეს, უფრო ზუსტად კი, მისი ტექსტი, 57r-ის ქვედა არშიასთან ერთად, მთლიანად ჩამოჭრეს.

თუ ჩემი ეს მოსაზრება სწორია, მაშინ გამოდის, რომ სვინაქსრის 57r-ის ქვედა არშიაზე ალაპის დაწერასა და შემდგომში, ამ ალაპის ხელნაწერიდან ამოღებას 1450-იან წლებამდე ჰქონდა ადგილი, რადგან 1450-იან წლებში, როცა სვინაქსარში ამილახორ შანშე I გაბელისძის ალაპის ჩაწერა გადაწყვიტეს, ხელნაწერის 57r-დან ქვედა არშია უკვე ჩამოჭრილი იყო¹.

მაშასადამე, ირკვევა, რომ სვინაქსრის 56v-ზე შესრულებულ ალაპში მოხსენიებულია ცნობილი ისტორიული პირი შანშე I გაბელისძე. ალაპი დაწერილია 1450-იან წლებში.

10. სვინაქსრის თავგადასავალი

ზემოთ უკვე გავარკვიე, რომ სვინაქსარი გადაწერილი იყო XII საუკუნეში, წმიდა მიწაზე, იერუსალიმის ერთ-ერთ, ჯერჯერობით, დაუდგენელ ქართულ მონასტერში, მარიამ მოგელის დაკვეთით, ბასილ მჯობაისძისა და ეფთვიმეს მიერ. გარდა ამისა, ზემოთ გავარკვიე ისიც, რომ ხელნაწერი, მარიამ მოგელისა და მისი ძმის – ბედელას დაკვეთით იერუსალიმის სხენებულ ქართულ მონასტერში გადაწერილი სხვა ხელნაწერი წიგნების მსგავსად, საქართველოში გასაგზავნად იყო განკუთვნილი.

სამწუხაროდ, სვინაქსრის ანდერძებსა და ალაპებში დაცული არ არის რაიმე პირდაპირი ცნობა იმის თაობაზე, თუ იერუსალიმიდან, კონკრეტულად, სად, საქართველოს რომელ რეგიონში გაიგზავნა ახლადგადაწერილი ხელნაწერი. სამაგიეროდ, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ წმიდა მიწიდან საქართველოში გაგზავნილი სვინაქსრის მფლობელი არა ვინმე კერძო პირი, არამედ რომელიმე ეკლესია თუ მონასტერი გახდა. ამგვარი დასკვნისაკენ, პირველ რიგში, თავად ხელნაწერის რაობა და დანიშნულება მიიძღვება: ხელნაწერი, როგორც უკვე ვიცით, სვინაქსარია, სვინაქსარი კი, თავის მხრივ, კალენდარული პრინციპით დალაგებულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა კრებულს წარმოადგენს, რომლის წაკითხვის გარეშეც, ღმრთისმსახურების სრულყოფილად ჩატარება შეუძლებელია. ამ მიზეზის გამო შუა საუკუნეების საქართველოში სვინაქსრები, ძირითადად, ეკლესია-მონასტრების საკუთრება იყო და არა კერძო პირთა ბიბლიოთეკებში, არამედ საეკლესიო თუ სამონასტრო წიგნთსაცავებში ინახებოდა.

ცალკე მსჯელობის საგანია ის საკითხი, თუ რა სახის ურთიერთმიმართება არსებობდა, ერთი მხრივ, საბა-სანივაჯის მონასტერს, ხოლო, მეორე მხრივ, სვინაქსრის მფლობელ ეკლესიასა თუ მონასტერს შორის.

ვიდრე უშუალოდ ამ საკითხის განხილვაზე გადავიდოდე, აღვნიშნავ, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ალაპი, უფრო ზუსტად კი, ალაპის სახლით ცნობილი მცირე მოცულობის წერილობითი ძეგლი, წარმოადგენდა იურიდიულ აქტს, რომლის ძალითაც ალაპის განმწესებელ კონკრეტულ ეკლესიასა თუ მონასტერს რომელიმე კონკრეტული პირისა თუ კორპორაციის მიმართ, ამ უკანასკნელის მიერ მოცემული სავანისადმი გაწეული რაიმე ღვაწლის სანაცვლოდ, კონკრეტული ვალდებულებები ეკისრებოდა. კერძოდ, ალაპის განმწესებელი ეკლესია თუ მონასტერი ვალდებული იყო, ალაპით გათვალისწინებული ქმედებები, მაგალითად, ღვაწლის გამწევი პირის სულის მოსახსენებლად გადახდილი ღმრთისმსახურება, ღვაწლის გამწევი პირის სულის საოხად გამართული პურობა და სხვ., ალაპით განსაზღვრულ დღესა თუ დღეებში ალაპითვე გათვალისწინებული წესით აღესრულებინა. ალაპი, ძირითადად, მისი განმწესებელი ეკლესიისა თუ მონასტრის კუთვნილი ხელნაწერი წიგნების ფურცლებზე, უპირატესად, ოთხთავებისა და სვინაქსრების არშიებზე იწერებოდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობ, არ შევცდები, თუკი დავასკვნი, რომ მას შემდეგ, რაც საბა-სანივაჯის მონასტრის კრებულმა თავად საბა-სანივაჯის, იოსებ უძღურისა და მარიამ მოგელისათვის ალაპები განაწესა, მას დასახელებული სამი პირის მიმართ ავტომატურად დაეკისრა გარკვეული სახის ვალდებულებები, რომლებიც წელიწადში ერთხელ, საბა-სანივაჯის შემთხვევაში – 5 დეკემბერს, იოსებ უძღურის შემთხვევაში – 24 დეკემბერს, ხოლო მარიამ მოგელის შემთხვევაში – 5 იანვარს უნდა შეესრულებინა.

თუ ჩემი ეს დასკვნა სწორია, რაც ასეც ჩანს კიდევ, მაშინ ბუნებრივად დაისმის ორი კითხვა: 1. რატომ ჩაწერეს საბა-სანივაჯის მონასტრის კრებულის მიერ საბა-სანივაჯის, იოსებ უძღურისა და მარიამ მოგელისათვის განმწესებული ალაპები იმ სვინაქსარში, რომელიც საბა-სანივაჯის მონასტერში კი არ უნდა დაეტოვებინათ, არამედ საქართველოში მდებარე ერთ-ერთ ეკლესიასა თუ მონასტერში უნდა გაეგზავნათ? და 2. რატომ უნდა გადაეხადა სვინაქსრის მფლობელი ეკლესიისა თუ მონასტრის კრებულს ის ალაპები, რომლებიც არა მისი, არამედ სა-

¹ შდრ.: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H) კოლექცია, II, გვ. 259.

ბა-სანივაჯის მონასტრის კრებულის მიერ იყო განწესებული და რომელთა გადახდაც, შესაბამისად, არა მის, არამედ საბა-სანივაჯის მონასტრის კრებულის ვალდებულებას წარმოადგენდა?

ჩემი დაკვირვებით, აქ დასმულ კითხვებს ერთადერთი ლოგიკური პასუხი შეიძლება ჰქონდეს: საქართველოში მდებარე ის ეკლესია თუ მონასტერი, რომლისათვისაც სვინაქსარი იყო განკუთვნილი, საბა-სანივაჯის მონასტრის მეტოქს წარმოადგენდა, ეს ორი სავანე ერთსა და იმავე ფეოდალურ სენიორიას ეკუთვნოდა და შესაბამისად, საბა-სანივაჯის მონასტრის კრებულის მიერ განწესებული აღაპების გადახდა სვინაქსარის მფლობელი ეკლესიისა თუ მონასტრის კრებულისათვისაც სავალდებულო იყო.

ამგვარად, დგინდება, რომ, ერთი მხრივ, საბა-სანივაჯის მიერ იერუსალიმში დაარსებული მონასტერი, ხოლო, მეორე მხრივ, სვინაქსარის მფლობელი საქართველოში მდებარე ეკლესია თუ მონასტერი, ორგანიზაციული თვალსაზრისით, ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული: სვინაქსარის მფლობელი სავანე საბა-სანივაჯის მონასტრის მეტოქს წარმოადგენდა.

სამწუხაროდ, საკითხის შესწავლის მოცემულ ეტაპზე, არ შემიძლია, ვთქვა, თუ საქართველოში, კონკრეტულად, სად მდებარეობდა საბა-სანივაჯის მონასტრის მეტოქი სავანე. უფრო მეტიც, ჯერჯერობით, იმის თქმაც კი არ შემიძლია, ეს სავანე ეკლესია იყო თუ მონასტერი. შესაბამისად, ამ საკითხებს, ჯერჯერობით, ღიად ვტოვებ.

სვინაქსარის წმიდა მიწიდან საქართველოში გაგზავნასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობის ბოლოს აუცილებლად უნდა შევეხო კიდევ ერთ საკითხს. მე უკვე გავარკვიე ზემოთ, რომ სვინაქსარის მომგებელმა მარიამ მოგელმა იერუსალიმში, საბა-სანივაჯის მონასტერში მოღვაწე მწიგნობრებს გადააწერინა არამხოლოდ სვინაქსარი, არამედ სხვა ხელნაწერი წიგნებიც, რომლებიც, სვინაქსარის მსგავსად, აგრეთვე, საქართველოში გასავანად იყო განკუთვნილი.

სამწუხაროდ, დღეისათვის უცნობია, მარიამ მოგელმა მისი დაკვეთით იერუსალიმში გადაწერილი და საქართველოში გაგზავნილი ხელნაწერი წიგნები, სვინაქსარის მსგავსად, მხოლოდ ერთ კონკრეტულ სავანეს – საბა-სანივაჯის მონასტრის მეტოქს გადასცა თუ ისინი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოქმედ ეკლესიებსა და მონასტრებსაც შესწირა. შესაბამისად, ეს საინტერესო საკითხი, ჯერჯერობით, ღიად რჩება.

ამით სვინაქსარის ისტორიის პირველ პერიოდზე საუბარს საბოლოოდ ვამთავრებ და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ წმიდა მიწაზე მოღვაწე ქართველი მწიგნობრების – ბასილ მჯობაისძისა და ეფთვიმეს მიერ XII საუკუნეში, საბა-სანივაჯის მიერ იერუსალიმში დაარსებულ, აქამდე უცნობ ქართულ მონასტერში გადაწერილი ხელნაწერი, მისი დამკვეთის – მარიამ მოგელის გადაწვეტილებით, იმავე XII საუკუნეში საქართველოში გამოგზავნეს. საქართველოში ჩამოტანილი სვინაქსარი გადაეცა, ჯერჯერობით, დაუდგენელ ეკლესიასა თუ მონასტერს, რომელიც საბა-სანივაჯის მონასტრის მეტოქს წარმოადგენდა.

XII საუკუნიდან XV საუკუნის შუახანებამდე სვინაქსარის შესახებ რაიმე ცნობები არ მოგვეპოვება. შესაბამისად, ხელნაწერის ამ პერიოდის ისტორიის შესახებ არაფერი ვიცით.

რაც შეეხება XV საუკუნის შუახანებს, ზემოთ უკვე გავარკვიე, რომ ამ პერიოდში, უფრო ზუსტად კი 1440-იანი წლების I ნახევარში, სვინაქსარი ცნობილი ისტორიული პირის, ქართლელი ფეოდალის, ამილახორ თაყა I ზევდგინისძის საკუთრებას წარმოადგენდა და შიდა ქართლში, ზევდგინისძეთა ფეოდალური სახლის კუთვნილ ერთ-ერთ ეკლესიასა თუ მონასტერში ინახებოდა. გარდა ამისა, ზემოთ გავარკვიე ისიც, რომ იმავე 1440-იან წლებში ვინმე უცნობმა მწიგნობარმა, სვინაქსარზე, თაყა I-ის დაკვეთით, საკმაოდ საფუძვლიანი სამწიგნობრო-განახლებითი სამუშაოები ჩაატარა და მის მიერ ახლადდაწერილ ფურცლებზე იმავე თაყა I-ის მოხსენიებით, ცხრა სავედრებელი მინაწერი შეასრულა. სამწუხაროდ, სვინაქსარის კოლოფონებიდან არ ჩანს, თუ როდის და რა ვითარებაში აღმოჩნდა ხელნაწერი თაყა I-ის მფლობელობაში.

იმავე XV საუკუნის შუახანებში, უფრო ზუსტად კი, 1450-იან წლებში, სვინაქსარის ერთ-ერთ ფურცელზე კიდევ ერთი ცნობილი ისტორიული პირის, ქართლელი ფეოდალის, ამირეჯიბ შანშე I გაბელისძის აღაპი შეასრულეს. როგორც ჩანს, აღნიშნულ პერიოდში ხელნაწერი კვლავ შიდა ქართლში, ერთ-ერთ ეკლესიასა თუ მონასტერში ინახებოდა.

XV საუკუნის შუახანებიდან XVIII საუკუნის I ნახევარამდე სვინაქსარის შესახებ რაიმე ცნობები კვლავ არ მოგვეპოვება. შესაბამისად, ხელნაწერის ამ პერიოდის ისტორიის შესახებ, აგრეთვე, არაფერი ვიცით. რაც შეეხება XVIII საუკუნის I ნახევარს, სვინაქსარის ამ პერიოდის ისტორიის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა ფონდის Q კოლექციაში 105ა ნომრით დაცული ხელნაწერი წიგნი – მახარებელ გვიჩიას, დავითისა და პეტრე პატარიძის მიერ, ზურაბ აბაშიძის დაკვეთით, XVIII საუკუნის I ნახევარში გადაწერილი ჩხარული გულანი

(Q-105a)¹, რომლის შედგენილობაში შემავალ სვინაქსარში შეტანილი ერთ-ერთი ტექსტიც – წმ. პროხორე შავშელის „ცხოვრება“, ენრიკო გაბიდაშვილის მიერ გამოთქმული, ზემოთ უკვე განხილული მოსაზრების თანახმად, სწორედ ჩვენთვის საინტერესო, ბასილ მჯობაისძისა და ეფთვიმეს მიერ გადაწერილი სვინაქსარის შედგენილობაში წარმოდგენილი წმ. პროხორეს „ცხოვრება“ არის გადაწერილი².

ჩემი დაკვირვებით, ენრიკო გაბიდაშვილის ამ მოსაზრებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ XVIII საუკუნის I ნახევარში ჩხარული გულანის გადაწერაზე მომუშავე მწიგნობრებს ხელთ ჰქონდათ ბასილ მჯობაისძისა და ეფთვიმეს მიერ იერუსალიმში გადაწერილი სვინაქსარი. ხოლო, თუ აქ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩხარული გულანის მოგებელი, ცნობილი ისტორიული პირი – ზურაბ I აბაშიძე დასავლეთ საქართველოში, უფრო ზუსტად კი, იმერეთის სამეფოში მოღვაწეობდა, ხელნაწერის გადამწერები – მახარებელ გვიჩნია და პეტრე პატარიძე კი, სამწიგნობრე საქმიანობას, დიდი ალბათობით, იმავე დასავლეთ საქართველოში ეწეოდნენ, მაშინ საბოლოოდ დგინდება ისიც, რომ ჩხარული გულანის გადაწერის დროს ანუ XVIII საუკუნის I ნახევარში ბასილ მჯობაისძისა და ეფთვიმეს მიერ გადაწერილი სვინაქსარი დასავლეთ საქართველოში ინახებოდა.

სამწუხაროდ, საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე, არ შემიძლია ვთქვა, თუ როდის და რა ვითარებაში აღმოჩნდა XV საუკუნის შუახანებში შიდა ქართლში, ზევედგინისძეთა ფეოდალური სახლის კუთვნილ ერთ-ერთ ეკლესიასა თუ მონასტერში დაცული სვინაქსარი XVIII საუკუნის I ნახევარში დასავლეთ საქართველოში. გარდა ამისა, ჯერჯერობით, არც იმის თქმა შემიძლია, თუ დასავლეთ საქართველოს, კონკრეტულად, რომელ რეგიონში, სახელდობრ, სად, რომელი ეკლესიასა თუ მონასტერის წიგნთსაცავში ან კიდევ, რომელი კერძო პირის საოჯახო ბიბლიოთეკაში ინახებოდა აღნიშნულ პერიოდში სვინაქსარი.

სვინაქსარის ისტორიის მომდევნო ეპიზოდი, რომლის შესახებაც რაიმე ინფორმაცია გაგვაჩნია, XIX საუკუნის II ნახევრით თარიღდება. ამ ეპიზოდის შესახებ ცნობებს სვინაქსარის ფურცლებზე შესრულებული 1870-1900-იანი წლების ათი მინაწერი გვაწვდის. თავდაპირველად მოვიტან ამ მინაწერების ტექსტებს მათი შესრულების ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვით:

1. 1877 წელი: „*ივანე გრიგოლის ძე წერეთელი მოძღვრისშვილი აღესრულა 1877 წელს*“³.
2. 1889 წლის 30 დეკემბერი: „*გიორგი ივანეს ძე წერეთელი გარდაიცვალა 1882 წ., ქრისტობისთვის 30 დღეს*“⁴.
3. 1889 წლის 1 ნოემბერი: „*ალექსანდრე იოსების ძე წერეთელი დაიბადა 1889 წელს, გიორგობისთვის 1-სა*“⁵.
4. 1892 წლის 17 ნოემბერი: „*ბეჟან ივანეს ძის მოძღვრისშვილის წერეთლის ასული რახიელ გარდაიცვალა ჩუქ-ს, 1892 წელს, ნოენბრის ჩვიდმეტს რიცხვსა*“⁶.
5. 1894 წლის 15 სექტემბერი: „*მარინე იაშვილის ქალი, მეუღლე ბეჟან მოძღვრისშვილის წერეთლისა, გარდაიცვალა ჩუქ, 1894 წელს, სექტემბრის იე-ს, 15-სა*“⁷.
6. 1897 წლის 18 მარტის შემდგომი პერიოდი: „*დავით ნიკოლოზის ძე წერეთელი, სტუდენტი კიევის უნივერსიტეტისა, გარდაიცვალა 1897 წელს, მარტის თორამეტსა, კიევშიდ, რომელიც გვამი გადმოსვენებულ არს თავის მშობელთა და ძმათავან თავის ეკლესიაზედ*“⁸.
7. 1899 წლის 29 აგვისტო: „*ბეჟან ივანეს ძე წერეთელი გარდაიცვალა 1899, ჩუქ-ს წელს, აგვისტოს 29, კო-სა დღესა, 79 წლისა*“⁹.
8. 1899 წლის 23 ოქტომბერი: „*იოვანე ილიკოს ძე წერეთელი დაიბადა ოცდასამს ოკდონბერს, ჩუქ-სა წელსა. 1899 ჯიდა, 23 октября. გაზარდს ამ სვინაქსარის მაღლმა*“¹⁰.
9. 1907 წლის 24 თებერვალი: „*მღვდლის ნიკოლოზ წერეთლის მეუღლე ნატალია გედევან აბაშიძის ასული გარდაიცვალა 1907 წელს, ფებერვლის 24-ს, კლ-სა. (72) სამოცდათორმეტის წლის, შენდობას გვედრებით*“¹¹.

¹ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია, I, გვ. 127-128; ე. გაბიდაშვილი, XI-XIV საუკუნეების სვინაქსარული..., გვ. 101-101.

² იქვე.

³ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, (H კოლექცია), II, გვ. 259.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

⁶ იქვე.

⁷ იქვე.

⁸ იქვე.

⁹ იქვე.

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე.

10. 1907 წლის 4 ივლისი: „ვიორჯი ივანეს ძე წერეთლის მეუღლე მაია, ფარსადან იაშვილის ასული, გარდაიცვალა 1907 წელსა, ივლისის 4 დღესა“¹.

როგორც ვხედავთ, ათივე ციტირებული მინაწერი წერეთელთა ფეოდალური სახლის სხვადასხვა წარმომადგენლებისადმი მიძღვნილი. აქედან, ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ მინაწერების შესრულების დროს ანუ 1870-1900-იან წლებში სვინაქსარი წერეთელთა საგვარეულოს საკუთრებას წარმოადგენდა და ან ამ ფეოდალური სახლის ერთ-ერთი განშტოების საგვარეულო საძვალეში, ჯერჯერობით, დაუდგენელ ეკლესიისა თუ მონასტრის წიგნთსაცავში ან კიდევ, ხსენებული განშტოების ერთ-ერთი წარმომადგენლის ოჯახში მოწყობილ კერძო ბიბლიოთეკაში ინახებოდა.

ჩემს მიერ გამოთქმული იმ მოსაზრების მართებულობას, რომ 1870-1900-იან წლებში სვინაქსარი წერეთელთა ფეოდალური სახლის კუთვნილება იყო, მთლიანად ადასტურებს ხელნაწერის პირველი აკადემიური აღწერილობის შემდგენლის – ლილი ქუთათელაძის ცნობა, რომლის თანახმადაც, XX საუკუნის დასაწყისში სვინაქსარი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმს სწორედ წერეთელთა საგვარეულოს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა – იოსებ ნიკოლოზის ძე წერეთელმა შესწირა: „შემოწირულია იოსებ ნიკოლოზის ძე წერეთლისაგან“².

სამწუხაროდ, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, ჯერჯერობით, უცნობია, როდის და რა ვითარებაში აღმოჩნდა სვინაქსარი წერეთელთა ფეოდალური სახლის საკუთრებაში. ვიცით მხოლოდ ის, რომ ამ ფაქტს 1870-იანი წლების წინარე ხანებში ჰქონდა ადგილი.

ამით სვინაქსარის ისტორიაზე საუბარს საბოლოოდ ვასრულებ და აქვე, გამოვთქვამ იმედს, რომ სამომავლო კვლევა-ძიება ამ უადრესად საინტერესო ხელნაწერის თავგადასავლის თაობაზე უფრო ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის.

ბიბლიოგრაფია

1. ი. აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები)* (თბილისი, 1973).
2. ამასვე დღესა მიცვალებად ნეტარისა მამისა ჩუენისა პროხოორესი, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, IV, სვინაქსარული რედაქციები (XI-XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით (თბილისი, 1968).
3. ამასვე დღესა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეფთჳმისი, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, IV, სვინაქსარული რედაქციები (XI-XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით (თბილისი, 1968).
4. ბასილი ეხოხმოდღარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II (თბილისი, 1959).
5. ბასილი ეხოხმოდღარი, ცხოვრებად მეფეთ-მეფისა თამარისი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მ. შანიძემ, *ქართლის ცხოვრება* (თბილისი, 2008).
6. ნ. ბერძენიშვილი, *ათონის ივერთა მონასტრის აღაპები* (თბილისი, 2007).
7. ე. გაბიძაშვილი, ბიბლიოგრაფია ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებისა, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, V, დასაბეჭდად მოამზადეს, გამოკვლევა, ბიბლიოგრაფია, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ, რედაქტორი მ. შანიძე (თბილისი, 1989).
8. ე. გაბიძაშვილი, XI-XIV საუკუნეების სვინაქსარული ცხოვრებანი, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, IV, სვინაქსარული რედაქციები (XI-XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით (თბილისი, 1968).
9. გ. გამყრელიძე, დ. მინდორაშვილი, ზ. ბრაგვაძე, მ. კვაჭაძე, *ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი* (თბილისი, 2013).
10. ჯ. გვასალია, დ. თუშაბრამიშვილი, წაღვლი, *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, 11, შინდიჰუხი (თბილისი, 1987).

¹ იქვე, გვ. 260.

² იქვე, გვ. 258.

11. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I (თბილისი, 1955).
12. დიდი სენაქარი, გიორგი მთაწმიდელი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და სამეცნიერო აპარატი დაურთეს მ. დოლაძიძემ და დ. ჩიტუნაშვილმა (თბილისი, 2017).
13. პ. ზაქარაია, XIV საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი სოფელ ვაკეში, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, XI, №3, ძირითადი, ქართული გამოცემა (თბილისი, 1950).
14. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გ. კარტოზიამ და ც. კიკვიძემ, *ქართლის ცხოვრება* (თბილისი, 2008).
15. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II (თბილისი, 1959).
16. ვლ. კეკელია, ამირახორი, *ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წეობა შუა საუკუნეების საქართველოში (ენციკლოპედიური ლექსიკონი)* (თბილისი, 2017).
17. ვლ. კეკელია, ქართულ სინდიკონებში დაცულ ჯვაროსანთა მოსახსენებლების პროსოპოგრაფიული შესწავლის საკითხისათვის, *საისტორიო კრებული*, 1, წელიწდეული (თბილისი, 2011).
18. დ. კლდიაშვილი, ამირეჯიბი, *ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წეობა შუა საუკუნეების საქართველოში (ენციკლოპედიური ლექსიკონი)* (თბილისი, 2017).
19. დ. კლდიაშვილი, *ქართული სამონასტრო სულთა მატიანეები*, I, სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე (თბილისი, 2008).
20. ბ. კუდავა, გ. საითიძე, თ. ჯოჯუა, ერისთავთერისთავ აბულასანის უცნობი წარწერა შავშეთიდან (XII ს.), *გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი*, 2, თებერვალი, ისტორია, ფილოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ფილოსოფია, თეოლოგია, კრეაციონიზმი, ეთნოგრაფია, ეკონომიკა, სამართალი (თბილისი, 2005).
21. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ც. ქურციკიძემ, *ქართლის ცხოვრება* (თბილისი, 2008).
22. ლაშა გიორგის-დროინდელი მემატანე, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I (თბილისი, 1955).
23. თ. მგალობლიშვილი, პალესტინის ქართული მონასტრები, *ქართული ენა, ენციკლოპედია* (თბილისი, 2008).
24. ელ. მეტრეველი, *ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი* (თბილისი, 1998).
25. ელ. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი (მეცნიერული აღწერილობის ცდა), *ელ. მეტრეველი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, I (თბილისი, 2007).
26. ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.) (თბილისი, 1962).
27. ელ. მეტრეველი, შეჰანის უდაბნო – XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში, *ელ. მეტრეველი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, I (თბილისი, 2007).
28. გ. ოთხმეზური, *ქართული ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან, ამირეჯიბი* (თბილისი, 2009).
29. გ. ოთხმეზური, წყალობის განახლების სიგელი გიორგი VIII-სა გაბელიძე-ამირეჯიბთაღმი, *ანალები*, №3 (თბილისი, 2008).
30. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, V, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, ნ. მშვიდლობაძემ, გ. მჭედლიძემ, მ. სურგულაძემ, ტომი შეადგინა და რედაქცია გაუკეთა მ. სურგულაძემ (თბილისი, 2015).
31. *საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში (საქართველოს ისტორიული ტოპონიმების კორპუსი)*, ტომი პირველი, შემდგენლები: დ. ბერძენიშვილი, მ. კანდელაკი, დ. მუსხელიშვილი, მ. სურგულაძე, ნ. შიოლაშვილი, გ. ჭეიშვილი, რედაქტორი: დ. მუსხელიშვილი (თბილისი, 2010).
32. *საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში (საქართველოს ისტორიული ტოპონიმების კორპუსი)*, ტომი მეორე, შემდგენლები: დ. ბერძენიშვილი, მ. კანდელაკი, დ. მუსხელიშვილი, მ. სურგულაძე, ნ. შიოლაშვილი, გ. ჭეიშვილი, რედაქტორი: დ. მუსხელიშვილი (თბილისი, 2010).
33. *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*, 5, გორის, კასპის, მცხეთის, ქარელის, ხაშურის რაიონები (თბილისი, 1990).
34. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია*, I, შედგენილი ელ. მეტრეველისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ი. აბულაძის რედაქციით (თბილისი, 1957).
35. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია)*

- ცია), კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, IV, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ელ. მეტრეველის მიერ (თბილისი, 1950).
36. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია)*, II, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ლ. ქუთათელაძის მიერ, ი. აბულაძის რედაქციით (თბილისი, 1951).
 37. სვინაქსარი, *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი*, ავტორ-შემდგენელი: ე. გაბიაშვილი (ხელმძღვანელი), მ. მამაცაშვილი, ა. ღამბაშიძე (თბილისი, 2007).
 38. *სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები*, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძებლები დაურთო ელ. ცაგარეიშვილმა (თბილისი, 1978).
 39. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ (თბილისი, 1993).
 40. *ქართლის ცხოვრება* (თბილისი, 2008).
 41. *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი*, II, ქართული ისტორიული საბუთები, XIV-XV საუკუნეები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ნ. თარხნიშვილმა, ბ. ლომინაძემ (თბილისი, 2013).
 42. *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი*, III, ქართული ისტორიული საბუთები, XV საუკუნის მეორე ნახევარი, შეადგინეს თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ (თბილისი, 2014).
 43. *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექციისა*, II, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ელ. მეტრეველის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშაძის მიერ, ი. აბულაძის რედაქციით (თბილისი, 1958).
 44. მ. წურწუშია, H1661 სვინაქსრის შესახებ, *საისტორიო კრებული*, 1, წელიწადეული (თბილისი, 2011).
 45. მ. წურწუშია, ჯვაროსანთა მოსახსენებლები იერსულიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში, მ. წურწუშია, *საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები*, I (თბილისი, 2013).
 46. გ. ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში* (თბილისი, 1995).
 47. თ. ჯოჯუა, გ. გაგოშიძე, ქობაირის, ჰნევანქისა და ახტალის მონასტრების ქართული ლაპიდარული წარწერები, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, XII-XIII, ეძღვნება პროფესორ თ. ბერაძის დაბადებიდან 75 წლის იუბილეს (თბილისი, 2012/2013).
 48. R. P. Blake, Catalogue des Manuscrits Géorgiens de la Bibliothèque Patriarcale Grecque a Jérusalem, *Revue de l'Orient Chrétien*, 3^e série, III (XXIII), #^{os} 3 et 4 (1922-23) (Paris, 1924).
 49. P. Меписашвили, Памятники архитектуры X-XI веков в сел. Кабери и Гостибе, *ქართული ხელოვნება*, გ. *ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, სერია A – ძველი ხელოვნება, 8 (თბილისი, 1979).
 50. Ал. Цагарели, Памятники Грузинской Старины в Святой Земле и на Синае, *Православный Палестинский Сборник*, IV (С.-Петербург, 1888).

**UNKNOWN TESTAMENTS, COMMEMORATIVE AGAPES AND COLOPHONS
FROM THE XII-CENTURY SYNAXARION (H-886) COPIED BY BASIL MJOBASDZE
FROM TSAGVLI AND EPTVIME IN JERUSALEM ON THE COMMISSION
OF MARIAM MOGELI (PUBLICATION OF TEXTS; CODICOLOGICAL,
HISTORICAL AND SOURCE STUDY RESEARCH)**

- Synaxarion H-886 is held in H collection of the Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts. It contains one of the oldest redactions of a synaxary life of St. Prokhore Shavsheli, founder of the Georgian Cross Monastery in Jerusalem. It was held by the scholarship that the synaxarion lacked testaments of the copyist; therefore names of the copyist and commissioner, as well as precise time and place of its copying were considered to be unknown. Based on palaeographic features, the synaxarion was dated to the XII century. It was considered that the synaxarion was copied in Jerusalem (taking into consideration that redactions of St. Prokhore's Life are found in manuscripts copied in Jerusalem).

- The study of the synaxarion has shown that the manuscript was copied by two copyists. The first copyist had executed three commemoration agapes (agapes 1, 2 and 3), while the second one – five testaments (testaments 1, 2, 3, 4 and 5). These commemoration agapes and testaments, earlier unknown to the scholarship, provide valuable information not only about the history of copying the synaxarion, but also about certain issues of history of a Georgian colony in the Holy Land and history of medieval Georgia.

- From testaments 1 and 2 we learn that the manuscript was copied by Basil Mjobaisdze, by descent from the village of Tsagvli in Kartli, and Eptvime. Testament 1 and a commemoration agape 1 narrate that on a basis of preliminary agreement with the commissioner of the manuscript, Basil Mjobaisdze had copied the first half of the manuscript free. He had to receive the reimbursement for copying the second half of the manuscript. When copying the second half of the manuscript, Basil Mjobaisdze unexpectedly died. Eptvime continued to copy the second half of the manuscript. The commissioner paid him a certain amount of money for the job. It is worth mentioning that until recently nothing was known about Basil Mjobaisdze and Eptvime and about their copying activities.

- Commemoration agapes 1 and 2 of the synaxarion provide information that the manuscript was copied in Jerusalem in a monastery founded by certain Saba-Sanivaji, i.e. Saba, the tonsured Georgian feudal lord. Information about this monastery earlier was unknown. Saba-Sanivaji was from a little known feudal house in Kartli. Evidently, the above Saba-Sanivaji and his son Ioseb, mentioned in commemoration agape 2 of the synaxarion, are the same persons as those who are mentioned in one of the foreign written sources (Latin), according to which in ca. 1160, Georgians in Jerusalem – certain Ioseb and Ioane, sons of Saba the Georgian (Sabae Georgiani), donated a house to the Knights Hospitalier.

- From testament 4 and commemoration agape 3 we learn that the synaxarion was commissioned by Mariam Mogeli, woman from a noble family of Tao. The latter intended to send the manuscript from Jerusalem, the place of its copying, to Georgia. We also learn that Maria had a brother – Bedela Mogeli, and guardians – spouses Aspa and Anastasia. Commemoration agape 3 contains interesting accounts about donations of Mariam and Bedela Mogelies: a) Mariam and Bedela Mogelies granted various kinds of financial assistance to Saba-Sanivaji's Monastery in Jerusalem; b) They commissioned copying of several manuscripts by Georgian calligraphers in Jerusalem. These copies were intended for sending to Georgia; c) Mariam Mogeli bought a vineyard in Georgia and donated it to Saba-Sanivaji's Monastery in Jerusalem.

- The manuscript has nine colophons of a later period. According to them, in the first half of the 1440s, the manuscript belonged to the famous feudal lord – *amilakhor* Taka I Zevdginisdze. It was held in a monastery or church belonging to the feudal family of the Zevdginiszdes. We also learn that in the first half of the 1440s, the synaxarion was essentially renovated on the initiative of Taka I. Approximately in the same period, namely in 1450s, a commemoration agape for *amirejibi* Shanshe Gabelisdze was added to the manuscript.

**ახალი მასალა XIV საუკუნეში საქართველოში შავი ჭირის
ეპიდემიის გავრცელების შესახებ (სმანური საბუთები)**

XIV საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს, საქართველოს ახალი დიდი უბედურება მოეწვინა. ეს იყო შავი ჭირის ეპიდემია.

შავი ჭირი, პირველად 1338-1339 წლებში გაჩნდა შუა აზიაში. ამას მოწმობს ისიყ-ყულის ტბის მიდამოებში („შივიდ მდინარისპირეთში“) აღმოჩენილი ათასობით საფლავი¹. შემდეგში, 1346 წლისთვის, შავი ჭირი, ურგენხიდან (ხორეზმი) სავაჭრო გზით გავრცელდა შავი ზღვის ყირიმის სანაპიროზე, შემდეგ კი მოედო ჩრდილო აფრიკას, ევროპას (ინგლისის ჩათვლით), მთელ კავკასიას, რუსეთის სამთავროთა ნაწილს. აი, რას წერს რუსული ე. წ. „ერმოლინის მატინაჟი“: *“В лето 6854... (1346) быст мор силен под Восточную страну: на Орначь, на Хозторокань, на Сарай, на Бездежь, на прочия грады в странах тех, на Бесермены, на Татары, на Ормены, на Обезы, на Фразы, на Ч(е)рькасы, яко не бысть кому погребати их”*².

ეს ტექსტი ქართული თარგმანის და გეოგრაფიული პუნქტების იდენტიფიკაციის გარეშე, პირველად მოიტანა მკვლევარმა იასე ცინცაძემ. ამჟამად, წარმოვადგენთ მის ქართულ თარგმანს (ხაზი და ფრჩხილები ყველგან ჩვენია – ვ. კ.), თითოეული გეოგრაფიული პუნქტის განმარტებითურთ: *„6854 წელს (1346 წ.)³, საშინელი სენი გავრცელდა აღმოსავლეთის ქვეყნებში, (კერძოდ) ორნაჩში, ხოზტოროკანში, სარაიში, ბეზდეჟში, და იმ ქვეყნების სხვა ქალაქებში; (ასევე) ბუსურმანებში, თათრებში, ორმენებში, ობეზებში, ფრიაზებში, ჩერქეზებში, ასე რომ აღარავინ დარჩა, ვინც დაკრძალავდა მათ (მიცვალებულებს)“*.

ვიდრე გეოგრაფიული პუნქტების იდენტიფიკაციას მოვახდენდეთ, წყაროში დასახელებული ეთნიკური და რელიგიური სახელწოდებები განვმარტოთ: **„ბუსურმანი“**, ზოგადად, ურწმუნოს, კონკრეტულად კი, მუსლიმს აღნიშნავს; **„თათრებში“**, ზოგადად, მონღოლები იგულისხმებიან; **„ორმენები“** იგივე „არმენები“ ანუ სომხები არიან; **„ობეზებად“** იმ პერიოდში (XII-XIV სს.) რუსული მატინაჟები ქართველებს მოიხსენიებდნენ; **„ფრიაზები“** ფრანგებს, ანუ ზოგადად ევროპელებს შეესაბამება. ამ შემთხვევაში, ალბათ, საგულისხმებელია ყირიმის იტალიური ქალაქები. **„ჩერქეზები“**, გარდა საკუთრივ ჩერქეზებისა, ამ კონტექსტში, ზოგადად ჩრდილო კავკასიის მთელ დასავლეთ ნაწილს შეესაბამება. ახლა რაც შეეხება გეოგრაფიულ პუნქტებს: **„ორნაჩი“** გახლავთ ხორეზმის მთავარი ქალაქი ურგენხი⁴. შავი ჭირის ეპიდემია, თავდაპირველად, მართლაც, ამ რეგიონში გაჩნდა. **„ხოზტოროკანი“** უნდა იყოს ხაჯიტარხანი, ერთ-ერთი ცენტრალური სავაჭრო ცენტრი კასპიის ზღვის ჩრდილო სანაპიროზე. იგი მდებარეობდა შუა აზიიდან ყირიმისკენ მიმავალ სავაჭრო გზაზე იქ, სადაც დღევანდელი ასტრახანია. **„ბეზდეჟი“** ესაა მდინარე ვოლგის (იტილის) შუა წელზე მდებარე ქალაქი ბელჟამენი⁵. **„სარაი“** კი ოქროს ურდოს და ბათოს ულუსის კარგად ცნობილი დედაქალაქია. ყველა ამ პუნქტს შუა აზიასთან მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები აკავშირებდა და შავი ჭირიც სწორედ ამ გზით გავრცელდა.

არსებობს ანონიმური სომხური ქრონიკის ცნობაც, რომლის შინაარსი ასეთია: *„797 წელს (1348), საშინელი შიმშილობა იყო. სამი წელი ზედიზედ, სომხურ მიწაზე, მგლები ესხმოდნენ თავს ადამიანებს. რის შემდგომაც, სიკვდილი მძვინვარებდა. უდაბნოდ იქცა მრავალრიცხოვანი სომხური ქვეყანა. ბევრის სამარედ ცხოველთა შივნეული გადაიქცა, ხოლო მრავალნი, დაუკრძალავი დარჩნენ, ზოგმა კი საერთოდ ვერ მოასწრო დაბადება“*⁶.

სავარაუდოდ, ეს „ქრონიკა“ მცირე სომხეთში, ე. წ. კილიკიაში უნდა იყოს შედგენილი. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ ქრონიკაში უმეტესწილად კილიკიის ამბებია მოთხრობილი. მაგალი-

¹ Lang D. M., Georgia in the Reign of Giorgi the Brilliant, BSOAS (Bulletin of Society of Oriental and African Studies), XVII #1 (London, 1955), p. 74, note N2.

² Полное собрание русских летописей, т. 23 (Ермолинская летопись) (Москва, 1910), с. 108.

³ რუსულ სამთავროებში მიღებული „დასაბამითგან ქვეყნისა“ წელთაღრიცხვის საბაზისო რიცხვი შეადგენს 5508 წელს, ამგვარად, 5854-5508=1346 წელს.

⁴ Егоров В. Л. Историческая география Золотой Орды в XIII-XIV вв. (Москва, 1985), сс. 30, 45, 55, 125, 126, 130.

⁵ იქვე, გვ. 15, 18, 62, 137-139 და სხვ.

⁶ “Хроника” неизвестного автора, Армянские источники о монголах, перевод с древнеармянского и издание Галстяна А. Г. (Москва, 1962), с. 87.

თად, 1321 წელს ჩობან ნოინის ვაჟის თიმურტაშის შეჭრა კილიკიაში, მეფეთა და კათოლიკოსთა ცვლა მცირე სომხეთში და ა. შ. მართალია, „ქრონიკაში“ არის ზოგიერთი ცნობა „დიდ სომხეთზე“-ც და თბილისზეც (რომ იქ ბატონი „პარონი“) უმეკი გარდაიცვალა¹, მაგრამ ასეთი ცნობები, მცირეა და მხოლოდ გამონაკლისის სახით გვხვდება. ამგვარად, უნდა ვივარაუდოდ, რომ შავი ჭირის მძვინვარება, ამ „ქრონიკის“ მიხედვით მცირე სომხეთში ყოფილა.

შავი ჭირი, მკვლევართა აზრით, გენუელთა კოლონია კაფაში (თეოდოსიაში) მონღოლებმა შეიტანეს. ისინი კაფას ალყის დროს, კედლებს მიღმა ისროდნენ ჭირით დაღუპულთა სხეულებს. კაფიდან კი შავი ჭირი ევროპაში სავაჭრო გემებმა ჩაიტანეს².

ეგვიპტეში, შავმა ჭირმა ასეთივე კატასტროფული შედეგები გამოიწვია. არაბი მემატიანის სიტყვით (აღ აინი), 1348 წელს გარდაცვლილთა რიცხვმა ეგვიპტეში 900 ათასს მიაღწია. ამასთან ერთად, მემატიანე ამ ეპიდემიის შესახებ შემდეგს წერს: „*მან (ჭირმა – ვ. კ.) მოიცვა მუსლიმებიცა და ქრისტიანებიც, ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ფრანკთა ქვეყნებში (ევროპაში – ვ. კ.) და ქვეყანათა დიდი ნაწილი გააუკაცრიელა. ყველა ნივთებისა და საქონლის ნაკლებობა შეიქმნა, რადგან მცირე რაოდენობით შემოჰქონდათ ისინი*“³. XIV საუკუნის მეორე არაბი ავტორი იბნ ალ ვარდი, ჭირის შესახებ წერდა: „*747 წელს (1346 წლის 2 აპრილი – 1347 წლის 12 აპრილი) უზბეკის (ოქროს ურდოს ყაენი უზბეკი – ვ. კ.) მიწებზე გაჩნდა ჭირი, რომლისგანაც გაუკაცრიელდა სოფლები და ქალაქები; შემდგომში, ჭირი ყირიმში გადავიდა, სადაც ყოველდღიურად 1000 გვამს თუ დაახლოებით ამდენს იწირავდა... აქედან, ჭირი გავრცელდა რუმში, სადაც მრავალი ადამიანი დაიღუპა... ამჟამად, ჭირი (მძვინვარებს) კ. კვიპროსზე და (იქ) დიდი შიმშილობაა... 749 წ. რაჯაბის თვეში (1348 წლის 25 სექტემბერი – 24 ოქტომბერი) ჭირი გავრცელდა კალეში (ალექსოში – ვ. კ.)*“⁴.

ევროპაში, ჭირმა საშინელი კვალი დატოვა, გარდა დიდი სიკვდილიანობისა, მოიშალა ეკონომიკის მრავალი დარგი, გამწვავდა სოციალური ურთიერთობები, თავი იჩინა ანტისემიტურმა გამოსვლებმა გერმანიაში, შვეიცარიაში, იტალიაში, ესპანეთში⁵. ჭირმა მრავალი ცნობილი ადამიანი და სამეფო კარის წევრი (ან თვით მეფე) იმსხვერპლა. მაგალითად, ალფონსო XI („მართალი“), კასტილიის მეფე (1350 წ.); ჯოვანი ანდრეა, ლევისტი, კანონიკური სამართლის სპეციალისტი (ბოლონია, 1348 წ.); ანდრონიკე კანტაკუზენე, ბიზანტიელი უფლისწული (კონსტანტინოპოლი, 1347 წ.); თომას ბრანვარდინი, კენტერბერის არქიეპისკოპოსი (ინგლისი, 1349 წ.); ჯოანა ინგლისელი, ინგლისის პრინცესა (ინგლისი, 1348 წ.); ელეონორა პორტუგალიელი, არაგონის დედოფალი (პორტუგალია, 1348 წ.)⁶ და ასობით სხვა ცნობილი პირი. აქვე, გვინდა, გავიხსენოთ ჩვენი ადრე გამოთქმული მოსაზრება, რომ გიორგი ბრწყინვალე, 1346 წელს, შესაძლოა საქართველოში გავრცელებული შავი ჭირის შედეგად გარდაიცვალა⁷. ამ პერიოდის შესახებ საქართველოს ისტორიის აღსადგენად, არავითარი წყარო არ გაგვანჩინა⁸.

ევროპიდან შავი ჭირი 1352-1353 წლებში ბალტიის ზღვით ნოვგოროდისა და ფსკოვის სამთავროებში გავრცელდა, აქედან კი მოსკოვის სამთავროშიც შეაღწია. ამ სამთავროებში ჭირმა ისეთივე დიდი მსხვერპლი გამოიწვია, როგორც სხვა ქვეყნებში. 1353 წელს შავმა ჭირმა მოსკოვის დიდი მთავრის, ივან კალიტას ძე – სემიონ ივანეს ძე და კალიტას ოჯახის სხვა წევრებიც იმსხვერპლა⁹.

ასეთი მდგომარეობაა ევროპასა და აზიაში, მაგრამ რა ვითარებაა ამ დროის საქართველოში? ამის შესახებ, ჩვენ ფაქტობრივად არაფერი ვიცით. არსებობს ერთად-ერთი 1348 წლის ავგაროზ ბანდაის ძის მინაწერი რომელიც, ლარგვისის მონასტერში (ქსნის ხეობის ზედა წელი) გადაწერილ პარაკლიტონს ერთვის. მინაწერში ვკითხულობთ: „*ველყაე და ვიწყე წერად დიდსა*

¹ იქვე, გვ. 88.

² Ле Гофф Жак, *Рождение Европы*, перевод с французского Поповой А. (Санкт-Петербург, 2007), с. 42.

³ Эль-Айни, Извлечения из “Связки Жемчужин”, *Сборник материалов относящихся к истории Золотой Орды (Арабские источники)*, том I (Санкт-Петербург, 1884), с. 531-539.

⁴ Эль-Варди (Ибн эль Варди), *Сборник материалов относящихся к истории Золотой Орды (Арабские источники)*, том I (Санкт-Петербург, 1884), с. 530, №1.

⁵ Kelly John, *The Great Mortality, An intimate history of the Black Death – the most devastating plague of all time* (NY, 2006), p. 93-96.

⁶ Супотницкий М. В., Супотницкая Н. С., *Очерки истории чумы, очерк V «Черная смерть», второе пришествие чумы в Европу (1346-1351)*, *Энвайронментальная эпидемиология*, №1-2 (Москва, 2007), с. 136-146.

⁷ ვ. კიკნაძე, *საქართველო XIV საუკუნეში* (თბილისი, 1989), გვ. 115.

⁸ მკვლევარ თ. ჯოჯუას ზეპირი ცნობის თანახმად, არსებობს 1348 წლის მინაწერი, სადაც „მეფე გიორგი“ ცოცხლად იხსენიება. მინაწერის გამოქვეყნებამდე, დამატებითი კომენტარის გაკეთება შეუძლებელია.

⁹ Базилевич В. А., Усиление московского княжества, *История СССР (с древнейших времен до конца XVIII века)*, том I (Москва, 1948), с. 197.

სიგლახაეკსა და ეტრატის სიძვირესა და შფოთსა და უცალოებასა შინა, წელსა მას რომელსა იყო დიდი სიკუდილობაჲ; ქორონიკონი იყო ლვ (1348)⁴¹.

ამ მინაწერის მიხედვით აშკარა ხდება, რომ ქსნის ხეობის ამ ნაწილში (თუ მთლიანად ხეობაში არა), 1348 წელს მასობრივი სიკვდილის გამომწვევი სენი, სავარაუდოდ, შავი ჭირი გავრცელებულა. ამ ეპიდემიას დიდი სიკვდილიანობა, არეულობა და სხვადასხვა პროდუქტის ნაკლებობა გამოუწვევია (გადამწერი ავგაროზ ბანდაისძე, პირველ რიგში, თავის პროფესიონალურ წუხილს აფიქსირებს, ანუ ეტრატის სიძვირესა და მის ნაკლებობას ახსენებს)². ჩვენი აზრით, ჭირი, ქსნის ხეობის ზედა წელზე, კავკასიის ქედის ჩრდილოეთიდან, „ოქროს ურდოს“ ტერიტორიიდან უნდა გავრცელებულიყო. სხვა რაიმე ცნობა რომელიც ამ პერიოდის საქართველოში შავი ჭირის გავრცელებას შეეხება, ცნობილი არ არის., ამ შემთხვევაში, არ ვგულისხმობთ 1363-1367 წწ. ამ სენის რეციდივებს, რომელსაც ვახუშტი ბაგრატიონი ახსენებს³. ამ კუთხით, ჩვენი ყურადღება მიიქცია სამმა, აშიაზე მინაწერმა საბუთმა, რომლებმაც სვანეთში სეტის და ლაღამის თემებს შეუდგენიათ. ერთ-ერთ მათგანში ვკითხულობთ: **„ესე დაწერილი, დაუწერეთ სეტისა სოფელმან, მტკიცე და უქცეველი, მას ჟამსა, ოდეს ჩვენად უკითხავად (თემის წევრი – ვ. კ.) ოსეთს წავიდეს, ორასისა თეთრისა იბარა წაუღოთ, თუ ვინ ჰავისა სენითა დასწულდეს, იგივე ორასისა თეთრი იბარა გარდავახდევინოთ. რაიც ქნილა, თუ რაი(მე) სამტრო საქმე მოჰყვეს პირი და პასუხვისა გამცემი სეტისა და ლაღამისა ხევი ვართ. ამისა გათავებისა თაუხდებად დაგვიწერია სამება სკარეშისა, მთავარმოწამე სეტისა“⁴ (XIV ს. I ნახევარი).**

საბუთიდან ჩანს, რომ თემი შეშფოთებულია იმით, რომ აკრძალვის მიუხედავად, თემის წევრები „ოსეთში“, ანუ კავკასიის ქედს გაღმა მიდიან, სადაც როგორც ვაჩვენეთ, შავი ჭირის ეპიდემია მძვინვარებს (ამ ცნობიდან ისიც კარგად დასტურდება, როგორი ინტენსიური ეკონომიკური ურთიერთობანი არსებობდა სვანეთსა და ჩრდილო კავკასიას შორის). „ერთობილი“ თემი მკაცრ ღონისძიებას მიმართავს და აკრძალვის დამრღვევისთვის ჯარიმას („იბარას“) აწესებს, 200 თეთრის ოდენობით. იმას, ვისაც დაავადება აღმოაჩნდებოდა (არ ჩანს, მხოლოდ ეს დამატებითი იბარა „ოსეთში“ ნამყოფს ეხებოდა, თუ ზოგადად იმას, ვინც დაავადდებოდა; ანუ ირიბად დაუმტკიცდებოდა ქედს გაღმა ყოფნა) კიდევ 200 თეთრის „იბარა“ უნდა გადაეხადა. 200 თეთრი მაღალი მთის პირობებში, სავარაუდოდ, ადვილი გადასახდელი არ იყო.

ამ და ორი მსგავსი შინაარსის საბუთის (ანუ იმ საბუთების, რომლებშიც საშინელი სენის გავრცელებაზე, მის შედეგებზე და მასთან ბრძოლაზეა საუბარი), დათარიღება ძალიან მნიშვნელოვანია. ეს მინაწერი საბუთები სამეცნიერო ბრუნვაში ჯერ კიდევ 1904 წელს იქნა შემოტანილი, ბესარიონ ნიჟარაძისა⁵ და ალექსანდრე ხახანაშვილის⁶ მიერ, მაგრამ მათი მეტნაკლები სიზუსტით დათარიღება პავლე ინგოროყვამ სცადა⁷. პავლე ინგოროყვა სამივე საბუთს XIV საუკუნის მიწურულით და XV საუკუნის დასაწყისით ათარიღებდა (წერის მანერის, ანუ ხელის მიხედვით). სვანური საბუთების დიდი ჯგუფის დათარიღებაში, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლეხთავის ეკლესიის ქტიტორული პორტრეტების შესრულების გადათარიღებამ (XIII საუკუნის მიწურული – XIV საუკუნის I ნახევარი)⁸. ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საბუთები (კერძოდ, ორი მათგანი, ვალერი სილოგავას ნუმერაციით, №65 და №66 საბუთები, ხოლო პავლე ინგოროყვას ნუმერაციით №35 და №51) ვალერი სილოგავამ უცილობლად XIV საუკუნის I ნახევრით დაათარიღა⁹. ეს დათარიღება ემყარება №65-ის საბუთის სავარაუდო გადამწერის – კილაშვილი ქერუბინისა და №66 საბუთის სავარაუდო გადამწერის – დემეტრე უხოჯელიანის ცხოვრება-მოღვაწეობას ხანას, რომელიც მკვლევარმა XIV საუკუნის I ნახევრით განსაზღვრა¹⁰.

¹ „ძველი ერისთავთა“ (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატინანე), გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ, *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ. 30 (თბილისი, 1950), გვ. 319.

² ვ. კიკნაძე, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 86-87.

³ ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1973), გვ. 262.

⁴ *დაწერილი სეტის სოფლისა, ოსეთს უკითხავად წამხვლელთადმი*, სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. I, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ (თბილისი, 1986), გვ. 159-160.

⁵ ბ. ნიჟარაძე, სვანეთის ხელნაწერები, *მოამბე*, №9 (ტფილისი, 1904), გვ. 56, 57, 60.

⁶ Хаханов А., Сванетские рукописные евангелия, *Материалы по Археологии Кавказа*, X (Тифлис, 1904), сс. 20, 28, 29.

⁷ პ. ინგოროყვა, *სვანეთის საისტორიო ძეგლები*, ნაკვ. I (ტექსტები) (თბილისი, 1941), გვ. 46, 55.

⁸ ე. კაველაშვილი, ლეხთავის მოხატულობა (ქტიტორული პორტრეტები), *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია*, №1 (თბილისი, 1980).

⁹ *სვანეთის წერილობითი ძეგლები*, ტ. I, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ (თბილისი, 1986), გვ. 159.

¹⁰ იქვე, გვ. 84, 95.

Im Zusammenhang mit dem sich langsam wandelnden Verhältnis zwischen Swanen und „Fremden“ änderte sich auch deren Meinung über das „wilde, anarchistische“ Bergvolk. Manches Vorurteil erwies sich allerdings als recht langlebig. Von seinen Vorgängern beeinflusst, zeigte selbst der herausragende Bergsteiger und Geograph Gottfried Merzbacher anfangs wenig Verständnis für die Bergbewohner. Vielmehr fühlte er sich bei seiner ersten Reise durch Swanetien in höchstem Maße belästigt von dem „zudringlichen Begaffen des ekelhaften Menschenknäuels“ und beklagte, dass die göttliche Landschaft von einem „so unwürdigen Volke“ bewohnt sei. Erst bei seinen weiteren Reisen bekam er tiefere Einblicke in das Leben der oberswanischen Dorfgemeinschaften, das er letzten Endes sogar als „sozialistisches Ideal“ ansah.³

Ebenso geisterte eine von Gustav Radde geschilderte Begebenheit lange durch die Köpfe. Bei seinem Aufenthalt im Freien Swanetien erlebte der deutsche Forscher eine bewaffnete Auseinandersetzung zwischen den Dörfern von Uschguli. Bis an die Zähne bewaffnet, meinte daher auch Freshfield bei seiner Reise 1868 vor den grimmig blickenden Einwohnern von Uschguli die Flucht ergreifen zu müssen. Erst als ihm und anderen auf mehrmaligen Reisen nichts Ernsthaftes zustieß, gab er seine Vorsicht auf. Gut dreißig Jahre nach seiner ersten Fahrt, schreibt er, kann er sich in Swanetien allein und unbewaffnet „so frei wie in der Schweiz bewegen.“⁴

Für viele Europäer war es auf den kurzen Reisen ebenso nicht möglich, die tatsächliche Bedeutung der russischen Herrschaft in Kaukasien zu begreifen. Sie sahen die Hand des mächtigen Zaren und später die kommunistische Macht lediglich als stabilisierenden, ordnungsschaffenden Faktor und als Schutz gegen die alten Bedrohungen. Letztere hatten in Gestalt von rivalisierenden Großmächten, aber auch konkurrierenden einheimischen Fürsten lange Zeit eine Entwicklung Kaukasiens hin zur Moderne verhindert. Auch die meisten Swanetien-Reisenden bemerkten nur die positiven Seiten des neuen Systems: dass die Swanen ihm eine erste öffentliche Schule und einen Arzt verdankten oder dass junge Leute auf Staatskosten als Beamte ausgebildet wurden. Außerdem war mit dem Ausbau der Wege in das Flachland begonnen worden. Im Jahre 1937 konnte die wichtige Verbindungsstraße zwischen Dshwari in der Kolchischen Tiefebene und Mestia, dem Zentrum Oberswanetiens, eröffnet werden. Angesichts dieses unbestrittenen Fortschritts wurde der zähe Widerstand der Swanen gegen die Obrigkeit oft als Undank aufgefasst. Ihre Weigerung, Fremden die Kirchen zu öffnen, wurde häufig mit Verstocktheit gleichgesetzt. Und nur allmählich setzte sich die Erkenntnis durch, dass gerade im Freien Swanetien durch äußere Eingriffe ein lange bestehendes soziales Gleichgewicht bedroht war. Auch sprach es sich herum, dass russische „Offizielle“ alte Handschriften und Ikonen, also den Swanen heilige Gegenstände, weggebracht hatten und diese deshalb die Kirchen verschlossen hielten.⁵

Mit den Jahren wurde die Einmaligkeit der swanischen Kulturlandschaft innerhalb Kaukasiens immer besser erkannt. Dazu trugen auch die Bilder aus der Bergregion bei: die Zeichnungen des Münchener Kunstmalers Ernst Plat, die Fotos von Moriz von Déchy, Vittorio Sella und anderen. Vor allem die Aufnahmen des italienischen Bergsteigers und Hochgebirgsfotografen Vittorio Sella erweckten Aufmerksamkeit. Zeigten sie doch nicht nur eine einmalige Berg- und Gletscherwelt, sondern ebenso das Leben ihrer Bewohner. Sie erschienen in allen großen Publikationen zum Kaukasus und vermittelten so wohl auch eine Wunschvorstellung der Bergforscher. Denn diese

¹ Déchy, *Kaukasus*, Bd.1, 321-325.

² H. v. Ficker, A. Schulze u. G. Leuchs, Uschbafahrten 1903. In: *Zeitschrift des Deutschen und Österreichischen Alpenvereins*, Bd. XXXV. Innsbruck 1904, 127-155.

³ Merzbacher, *Hochregionen*, Bd. 1, 470-510, 373.

⁴ Freshfield, *Exploration*, 228.

⁵ Besonders übel nahmen es die Swanen der russischen Gräfin Uwarowa, dass sie gegen Quittung eine Handschrift aus der Lagurka, ihrer wichtigsten Kirche, mit nach St. Petersburg nahm und diese nie wieder zurückbrachte.

wollten nicht nur ihre Forschungsergebnisse verbreiten. In Swanetien hatten sie noch etwas anderes entdeckt: einen Schatz, ihr Goldenes Vlies. Sie sahen besonders in Oberswanetien, in dessen reizvoller Kulisse aus schneebedeckten Gipfeln und saftig-grünen Wiesen, gegen die sich die weißgetünchten Türme der Swanen abhoben, das touristische Ziel der Zukunft. So erkennt Douglas W. Freshfield in Swanetien das „Land für Reisende, Künstler und Bergsteiger, welches Raum, Vielfalt und viel Sonnenschein bietet – eine Szenerie, für die es weder in den Alpen noch sonstwo im Kaukasus eine Parallele gibt.“¹ Vittorio Sella widmet Oberswanetien eine ganze Serie seiner Fotos.² Und Gottfried Merzbacher bezeichnet Swanetien als „eines der merkwürdigsten und schönsten Alpenländer.“ Er findet für die swanischen Hochtäler keinen Vergleich ebensowenig wie für den gewaltigen Uschba, der ganz Oberswanetien überragt. Weder vom Himalaya noch vom Tian Shan weiß sich Merzbacher eines Gipfels zu erinnern, „dessen Anblick an Kühnheit und Schönheit der Form den Uschba übertreffen würde.“³ Moriz von Déchy schließlich sieht im Latpari-Pass „die Touristenroute der Zukunft.“ Sein Panorama, schreibt er, wird eines Tages mit Recht in Poesie und Prosa gefeiert werden.⁴

Soweit die Zukunftsvisionen der Bergsteiger und Forscher, die den nahezu unglaublichen Reichtum Swanetiens erkannt hatten. Die vielfältige Landschaft mit zahllosen Mineralquellen und den meisten Gletschern des Kaukasus, darunter dem Zanner-Gletscher mit 55 qkm und einer Länge von 11,5 km auch einem der größten, sollte jedoch weiterhin im Dornröschenschlaf bleiben. Der erste Weltkrieg, der Sturz des Zarenreiches und die Errichtung der Sowjetmacht mit allen damit verbundenen Wirren ließen eine Entwicklung des europäischen Kaukasus-Tourismus nicht zu. Auch einzelne Expeditionen waren bald nicht mehr möglich. Zwei Gruppen fuhren noch 1914 in den Kaukasus. Eine davon, mit zwei Schweizer Bergsteigern, musste die Heimreise antreten. Die andere, mit den Dresdenern Schuster und Fischer, wurde in die Gefangenschaft geführt, wo Schuster starb.

Dass Swanetien in den Jahren der nun folgenden Isolation dennoch nicht in Vergessenheit geriet, war nicht zuletzt den Bergsteigerverbänden zu danken. In London hatten Bezwinger des Uschba einen „Klub der Uschbisten“ gegründet, der weitreichende Beziehungen unterhielt. In Deutschland unternahm nach dem Ende des ersten Weltkrieges und dem Rückzug der deutschen Truppen aus Südkaukasien erstmals 1928 die Sektion Hochland München des Deutschen und Oesterreichischen Alpenvereins wieder eine Expedition nach dem Kaukasus. Die Reise über Moskau und Naltschik, eine ehemalige Kosakenstanitzka am Nordrand des Kaukasus und nun Hauptstadt des autonomen kabardinisch-balkarischen Gebietes, glich schon nicht mehr ganz den Reisen von Merzbacher und seinen Zeitgenossen. Mit leichterem Gepäck folgten die Bergsteiger den inzwischen bekannten Routen. Von einigen Abweichungen abgesehen – vor allem den sich verändernden Gletschern - standen zuverlässige Karten zur Verfügung. Es existierten erste freundschaftliche Beziehungen zu einheimischen Bergsteigern, die begannen die Gipfel des Kaukasus zu erstürmen. Ganz anders war auch der Empfang in Mestia, der „Hauptstadt“ Oberswanetiens. Die nun in den Händen von Swanen liegende Verwaltung zeigte sich hilfsbereit. Selbst die früher so schwierige Beschaffung von Pferden wurde organisiert. Die bereitgestellte Unterkunft und erste russische Bergtouristen ließen die Bergsteiger ahnen, dass sich Swanetien bald mehr nach außen öffnen würde.⁵

Die Deutschen Bauer, Beigel, Niesner und Tillmann sollten recht behalten. Mit der Fertigstellung der Straße entlang des Enguri-Tals gut zehn Jahre später und der Einrichtung einer – wenn auch unregelmäßigen – Flugverbindung bis Mestia im nachfolgenden Jahrzehnt, war Oberswanetien innerhalb Georgiens bald einfacher zu erreichen. Dass die Träume von Freshfield, Merzbacher und Déchy trotzdem nicht in Erfüllung gingen, hing mit den weiteren politischen Ereignissen zusammen.

Die Ereignisse des zweiten Weltkrieges und die Verfestigung der beiden neuen Machtblöcke hatten Georgien erneut von Westeuropa getrennt. Allein osteuropäische, darunter zahlreiche ostdeutsche Bergsteiger und -wanderer, konnten seit den 1960er Jahren wieder nach Swanetien fahren. Selbst das war nicht ohne Probleme möglich, weil Swanetien innerhalb Georgiens inzwischen zum genehmigungspflichtigen Gebiet erklärt worden war. Doch blieb auf diese Weise dem „Kleinod des Kaukasus“ auch ein Massentourismus erspart. Und vielleicht konnte Swanetien gerade deshalb seinen ursprünglichen Reiz bis heute, wo es eine neue Öffnung gibt, so gut bewahren.

Doch noch einmal zurück zu der Wissenschaft. Seit Karl Koch, Hermann Abich und Gustav Radde hatten besonders deutsche Wissenschaftler das in jeder Hinsicht interessante Swanetien nicht mehr aus den Augen verloren. Auf der Grundlage der philologischen Forschungen Gustav Rosens, einem Mitglied der Expedition von Karl Koch, setzten Sprachforscher wie Gerhard Deeters und später Winfried Boeder, Heinz Fähnrich und Jost

¹ Freshfield, *Exploration*, 239.

² Seine Erben stellten sie dem Museum in Mestia zur Verfügung.

³ Merzbacher, *Hochregionen*, Bd. 1, 390, 423.

⁴ Déchy, *Kaukasus*, 155.

⁵ *Kaukasus-Expedition 1928 der Sektion Hochland München des Deutschen und Oesterreichischen Alpenvereins*. München 1931.

Gippert die Untersuchung der swanischen Sprache fort. Die Philologen Alfred Dirr und Robert Bleichsteiner, später auch Heinz Fähnrich publizierten swanische Märchen, Lieder und Gesänge.¹

Vor allem aber waren es georgische und swanische, daneben zahlreiche russische Wissenschaftler, die sich seit den 1930er Jahren Swanetien zuwandten. Ethnologen, unter ihnen Wera Bardawelidse,² Egnate Gabliani,³ Aleksej Robakidse⁴ und Micheil Tschartolani,⁵ beschäftigten sich mit den Lebensformen und Bräuchen des alten Swanetien, Philologen mit der Sprache⁶ oder der Sammlung von Texten⁷ und Historiker, wie Pawle Ingoroqwa und später Waleri Silogawa,⁸ mit Inschriften und Texten. Seit den ersten Reisen von Bartolomej und Bakradse standen insbesondere jedoch die in den swanischen Kirchen aufbewahrten christlichen Kunstwerke im Blickpunkt der Forschung. Jahrzehntelange Bemühungen hatten einen wahrhaften Schatz an das Licht der Öffentlichkeit gebracht. Die von den großen Expeditionen der Gräfin Uwarowa, von Ekwtime Takaischwili und Giorgi Tschubinaschwili und seinen Schülern registrierten mehr als 600 Ikonen, Kreuze, Handschriften und liturgisches Gerät zählen zu dem wertvollsten Kulturgut Georgiens.⁹ Giorgi Tschubinaschwili (1885-1973), dem Nestor der georgischen Kunstwissenschaft, sowie der georgischen Kunstwissenschaftlerin Renée Schmerling und später Rusudan Kenia, ist es auch zuzuschreiben, dass diese einmaligen Kunstwerke in Gemeindekirchen gesammelt und viele von ihnen Platz im 1936 gegründeten Museum von Mestia – später auch in einem als Museum genutzten Festungshaus in Ušguli¹⁰ – fanden. Ein zweites Museum wurde später von dem Begründer der Archäologie Swanetiens, Schota Tschartolani, eingerichtet.¹¹ Nicht weniger reich erwies sich Swanetien an mittelalterlichen Wandmalereien. Noch Freshfield meinte, nur einige „rohe Fresken“ entdeckt zu haben, als er eine der ansonsten verschlossenen swanischen Kirchen betrat. Georgische Kunstwissenschaftler, wie Tinatin Wirsaladse, Natela Aladaschwili, Gajaneh Alibegaschwili und Aneli Wolskaja, haben inzwischen eine eigene swanische Malschule definiert.¹²

Swanetien und seine Schätze sind heute weitgehend bekannt. Dennoch ist manche Frage geblieben, werden noch immer Ikonen, Kreuze oder alte Inschriften entdeckt. Die Erforschung Swanetiens und ihre Fixierung in der Literatur sind bei weitem noch nicht abgeschlossen.

¹ G. Deeters, *Die kaukasischen Sprachen*. In: *Handbuch der Orientalistik*, Bd.VII. Leiden/Köln 1963; *Sprachen Kaukasiens*. Wiss. bearbeitet von H. Fähnrich. Wissenschaftliche Beiträge der Friedrich-Schiller-Universität Jena. Jena 1984; A. Dirr, Neunzehn swanische Lieder. In: *Anthropos* 9 (1914); R. Bleichsteiner, *Kaukasische Forschungen. Georgische und mingrelische Texte*. Wien 1919.

² V. V., Bardawelidze, *Drevnejšije religioznye verovanija i obrjadovoje grafičeskoje iskusstvo Gruzinskich plemen*. Tbilisi 1957.

³ Egn. Gabliani, *Jveli da axali swanet`i* (Altes und neues Swanetien). Tbilisi 1925.

⁴ A. I. Robakidse, *Svaneti*. Tbilisi 1984.

⁵ M. Č`art`olani, Svanet`is materialuri da sulieri kulturis jeglebis šescavlisat`vis (Zur Erforschung der Denkmäler der materiellen und geistigen Kultur Swanetiens). In: *Svanet`i*. I. Tbilisi 1977, 6-15; Ders., Č`xudani – svanuri saxlis kerpi (Tschchudani – Idol des swanischen Hauses). In: *Svanet`i*. op. cit. (mit russ. Resumée).

⁶ Dazu Winfried Boeder, Jost Gippert und Bernard Outtier, die in ihren Aufsätzen zum Swanischen auch die Entwicklung der umfangreichen georgischen Sprachforschung behandeln, auf die hier nicht eingegangen werden kann. Zus.fass. zum Swan. Deeters, op. cit.

⁷ A. Šanije, *Svanuri poezia*. Tbilisi 1939.

⁸ P. Ingoroqva, *Svanet`is istoriuli jeglebi*. II: *tek`stebi* (Geschichtliche Denkmäler Swanetiens. II: Texte). Tbilisi 1941; V. Silogava, *Svanet`is cerilobit`i jeglebi (X-XVIII ss.)*. I (*istoriuli sabut`ebi da sult`a matianeebi*), II (*epigrap`ikuli jeglebi*) (Schriftdenkmäler Swanetiens (10.-18. Jh.) I (Historische Dokumente und Kirchenbücher), II (Epigraphische Denkmäler)). Tbilisi 1986-1988.

⁹ P. Uvarova, *Poezdka v Pšaviju, Chevsuretiju i Svanetiju*. In: *MAK*. Vyp. X. Moskau 1904; Ek`.T`aqaišvili, *Arkeologiuri ekspedizija leč`xum-svanet`ši 1910 cels* (auch E. Takaichvili, *Expédition archéologique en Letchkhroum et en Svanethie en 1910*). Paris 1937 (in Georg.); G. N., Čubinašvili, *Gruszinskoe čekannoe iskusstvo*. Tbilisi 1959.

¹⁰ R. Qenia, V. Silogava, *Ušguli*. Tbilisi 1986.

¹¹ Š. Č`art`olani, *Svanet`is ark`eologiisat`vis*. Tbilisi 1976; Ders., Svant`a ujvelesi religiuri rcmena-carmodgenebi ark`eologiuri masalebis šuk`ze (Die alten religiösen Glaubensvorstellungen der Swanen im Lichte des archäologischen Materials). In: *Svanet`i* (Swanetien) I. Tbilisi 1977, 83-109; Sch. Tschartolani, Alter Bergbau in Swanetien. In: I. Gambaschidze, A. Hauptmann, R. Slotta, Ü. Yalçin, *Georgien. Schätze aus dem Land des Goldenen Vlies*. Bochum 2001.

¹² N. Aladašvili, G. Alibegašvili, N. Volskaja, *Živopisnaja škola Svaneti*. Tbilisi 1983. (mit frz. Resumée).

**სვანეთი ლეგენდებში, მოზაიკოებში, მოზაიკოებში
ჩანაწერებსა და სამეცნიერო გამოკვლევებში**


სტატიაში განხილულია საქართველოს ერთ-ერთი უნიკალური კუთხის – სვანეთის შესწავლისა და წარმოჩენის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე.

ავტორი სვანეთის შესახებ ცნობებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განიხილავს არგონავტების მითიდან დაწყებული XX საუკუნის ბოლომდე. კერძოდ, ბრიგიტა შრადე საფუძვლიანად მიმოიხილავს: სტრაბონის, პლინიუს უფროსის, კლავდიოს პტოლემეაიოსის, პრისკოს პანიონელის, პროკოფი კესარიელის, მენანდრე პროტიქტორის ცნობებს სვანეთის შესახებ. ცალკე ადგილი ეთმობა XVI-XX საუკუნეების ავტორებს და ქართველ მეცნიერებს.

ავტორის თანახმად, სწორედ XIX საუკუნეში გახდა ევროპასა და მსოფლიოში ცნობილი სვანეთის თავისებური ფენომენი.



1. Ipari, frontispiece to Vol. II*



2. Querschnitt eines Turmes in Obersvanetien /
Cross-section of a tower in Upper Svanetia, p. 78



3. Ein „unabhängiger Swane“ / An „independent Svan“, p. 121

* Illustrations from: J. B. Telfer, Commander R.N., F.R.G.S., *The Crimea and Transcaucasia. A journey in the Kouban, in Gouria, Georgia, Armenia, Ossety, Imeritia, Swannety, and Mingrelia, and in the Tauric range.* Vol. II. London 1876.

**კათოლიკე მისიონერები კონსტანტინეპოლსა და თეოდოსიაში
არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთის“ მიხედვით**

1631-1649 წლებში საქართველოში სამისიონერო მიზნით მოღვაწე თეატინელმა ბერმა, არქანჯელო ლამბერტიმ თავისი თხზულება „წმინდა კოლხეთი“ გამოაქვეყნა მშობლიურ ქალაქ ნეაპოლში 1657 წელს. ეს საყურადღებო ნაშრომი გასული საუკუნის 80-იან წლებში ქართულად უთარგმნია ბეჟან გიორგაძეს, თუმცა სხვადასხვა მიზეზების გამო თარგმანს დღის შუქი აღარ ეღირსა. აწ განსვენებული მეცნიერის, თამაზ ბერაძის პირად არქივში აღმოჩენილი ამ თხზულების თავნაკლული თარგმანის ძირითადი ნაწილი სტილისტური გამართვისა და ორთოგრაფიული შესწორების შემდეგ, შენიშვნებისა და განმარტებების დართვით ჩვენს მიერ იქნა გამოქვეყნებული ორ ნაწილად: ჯერ – მეორე ნაწილი (XXVI-XXXVIII თავები), სადაც აღწერილია ლამბერტის სამეგრელოში მოღვაწეობის ხანა, მისიონერის სამშობლოში დაბრუნების ჩათვლით¹, შემდეგ კი – საქართველოსაკენ მომავალი არქანჯელო ლამბერტისა და ჯუზეპე ჯუდიჩეს დამასკოდან გორამდე მოგზაურობის ამსახველი ნაწილი (XIV-XVII თავები)².

ლამბერტის ეს ნაშრომი სხვა საგულისხმო ცნობებთან ერთად, შეიცავს კონსტანტინეპოლსა³ და თეოდოსიაში კათოლიკე მისიონერთა თავს გადამხდარი დრამატული ამბების სამეცნიერო საზოგადოებისათვის უცნობ დეტალებსაც (XXXIV-XXXVI თავები). ეს ცნობები საინტერესო წყაროს წარმოადგენს ოსმალეთის იმპერიის ამ ქალაქებში (და არა მარტო ამ ქალაქებში) არსებული ვითარების შესწავლისათვის. ლამბერტი აქ აღწერილი ისტორიის უშუალო თვითმხილველი არ ყოფილა, მაგრამ შეტყვევია, რომ მან ეს ყოველივე შეიტყო უშუალოდ ამ ამბების მონაწილე პირებისაგან, თეატინელი მისიონერებისაგან მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი რთული თავგადასავლების შემდეგ ჩამოვიდნენ სამეგრელოში, სადაც იმ დროს იმყოფებოდა კიდევ წყაროს ავტორი – არქანჯელო ლამბერტი.

ეს ისტორია კი მას შემდეგ დაიწყო, რაც სამეგრელოს თეატინელთა კათოლიკურ მისიონში მიაღწია რომის პაპის ბულამ, რომელიც იუწყებოდა, რომ ვატიკანის თაოსნობით არსდებოდა „სარწმუნოების პროპაგანდის კოლეჯი“, სადაც სხვადასხვა ქვეყნიდან საგანგებოდ შერჩეულ ემაწვილებს, მეცნიერებებთან ერთად, უნდა შეესწავლათ კათოლიკური სარწმუნოებაც. ამ კოლეჯისათვის მოსწავლეების შერჩევასა და გაგზავნის საკითხების მოგვარებას კი პაპი შესაბამის ქვეყნებში მოქმედ კათოლიკურ მისიონს აკისრებდა.

სამეგრელოში მოღვაწე მისიონერებმა პაპის ბულა წარუდგინეს ლევან II დადიანს, რომელიც იმ ხანებში ოდიშის მთავრის ტიტულს ფლობდა და თან ურჩიეს „თავისი ქვეყნიდან კიდევ ორი ემაწვილი გაეგზავნა თანამედროვე მეცნიერების შესასწავლად“. ლევან II-მ გადაწყვიტა ეს შემთხვევა თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოეყენებინა: მან ორი ადგილობრივი ემაწვილი გადასცა მისიონერებს⁴ და მათი რომში წაყვანა სთხოვა მისიონის უხუცეს წევრს, მამა ჯუზეპე ჯუდიჩეს და თან დაავალა მთავრის წერილის წარდგენა რომის პაპისათვის. ჯუდიჩე, არქანჯელო ლამბერტისთან ერთად, სამეგრელოს მისიონის დამაარსებელი იყო და ამ დღიდან მოყოლებული უკვე წლების განმავლობაში, მთავართან საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა⁵. ურბან VIII-სადმი (1622-1644 წწ.) გასაგზავნი წერილი ბერძნულ ენაზე შეუდგენია იმ დროს დადიანის კარზე მყოფ ტრაპიზონის მიტროპოლიტს, რომლის სახელს ლამბერტი არ ასახელებს.

¹ დ. მერკვილაძე, პ. გაბისონია, არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთი“, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, XII-XIII (თბილისი, 2012-2013), გვ. 234-256.
² დ. მერკვილაძე, პ. გაბისონია, არქანჯელო ლამბერტის მოგზაურობა დამასკოდან გორამდე, ქართული წყაროთმცოდნეობა, XV-XVI (თბილისი, 2013-2014), გვ. 144-153.
³ ლამბერტი ოსმალეთის დედაქალაქს ყოველთვის ამ სახელით მოიხსენიებს და ჩვენც მისი უცვლელად გადმოტანა ვაბეჯობინეთ.
⁴ კათოლიკურად მონათვლის შემდეგ მათთვის დაურქმევიათ ანდრეა და ანტონიო. ლამბერტის გადმოცემით, ანდრეა ნიჭიერი ემაწვილი გამოდგარა, იტალიაში ჩასულს კარგად აუთვისებია იტალიური და ლათინური ენები, კოლეჯში წარმატებით სწავლობდა ფილოსოფიასა და თეოლოგიასაც, მაგრამ მესამე წელს ავადმყოფობას უმსხვერპლია. რაც შეეხება ანტონიოს, მას კოლეჯში სწავლის სათანადო უნარი არ აღმოაჩნდა და რომელიღაც დიდი სასულიერო იერარქის სამსახურში ჩამდგარა (დ. მერკვილაძე, პ. გაბისონია, არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთი“..., გვ. 247).
⁵ მოიპოვება საქართველოდან ვატიკანში გაგზავნილი ჯუზეპე ჯუდიჩეს მოხსენებები, ე. წ. რელაციონი (დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, იტალიურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ (თბილისი, 1964).

თუმცა, უეჭველია, იგი უნდა იყოს ავტორის სხვა თანამედროვე მისიონერებთან (კრისტოფორო კასტელი, პიეტრო ავიტაბილე) მოხსენიებული ტრაპიზონის (// ტრაპეზუნტელი) მიტროპოლიტი კირილე¹.

მაღე ჯუზეპე ჯუდიჩე, კათოლიკურად მონათლულ ორ მეგრულ ყმაწვილთან ერთად, არც-თუ იოლი საზღვაო მგზავრობის შემდეგ კონსტანტინეპოლის ნავსადგურს მიაღვა. მიუხედავად იმისა, რომ ჯუდიჩეს გამგზავრების მიზანი ოდიშის მთავრის წერილისა და თანმხლები ორი ახალგაზრდის რომში პაპის კარზე წარდგენა იყო, თითქოს უცნაურად გამოიყურება ლამბერტის განმარტება, რომ იგი კონსტანტინეპოლში „იმ განზრახვით ჩავიდა, რომ აქ მისიონი დაეარსებინა“². ძნელი სათქმელია, როდის გაუჩნდა ასეთი განზრახვა ჯუდიჩეს, კონსტანტინეპოლში ჩასვლის შემდეგ თუ მანამდე, მაგრამ ფაქტია: დადიანის მიერ ელჩობადაკისრებულს, ჩანს, მისიონერის გრძნობებმა გადასძალა. მან რომისკენ გამგზავრება და თავისი მოვალეობის შესრულება რამდენიმე თვით გადადო და აქ მისიონის დაარსება გადაწყვიტა.

ლამბერტის გადმოცემით, ამ მიზნით ჯუდიჩეს სახლიც კი შეუძენია გალათაში, კონსტანტინეპოლის გარეუბანში, ვენეციის ბაილოს³ და საფრანგეთის საელჩოს სიახლოვეს. ოქროს რქის ჩრდილოეთ სანაპიროზე გვიანბიზანტიურ ხანაში გენუელთა მიერ დაარსებული ეს რაიონი წინასწარგამიზნულად იქნა შერჩეული: ლამბერტი შენიშნავს, რომ აქ დასახლებით ჯუდიჩე იმედოვნებდა, რომ ოსმალთაგან მოსალოდნელი დევნის შემთხვევაში იგი თავს შეაფარებდა ან ერთ ან მეორე დიპლომატიურ წარმომადგენლობას. ცხადია, ჯუდიჩეს კარგად ჰქონდა გააზრებული მის მიერ დასახული მოღვაწეობის მთელი საშიშროება. ქრისტიანობის ქადაგება ოსმალეთის იმპერიაში მეტად სარისკო საქმე იყო. ლამბერტი გვამცნობს, რომ ოსმალური კანონმდებლობით სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული მათთვის, ვინც „თურქს ქრისტიანად გახდომას შთააგონებდა, ან რენეგატს ძველ სარწმუნოებაზე დააბრუნებდა“. ანუ სასტიკად იკრძალებოდა როგორც დაბადებით მუსლიმისათვის ქრისტიანობის ქადაგება, ასევე უკვე თუნდაც იძულებით გამუსლიმებულის ძველი რწმუნის დაბრუნებაზე დაყოლიება. როგორც ჩანს, გალათაში ჯუზეპე ჯუდიჩეს დაარსებულმა კონსტანტინეპოლის მისიონმა ვატიკანისაგან სანქცია მიიღო, რაკი იტალიიდან საგანგებოდ ამ მისიონს სამსახურისათვის ახალი მისიონერი მოეწვინა შემწვედ. მისი სახელია მამა კაეტანო და ალესანდრი, ლამბერტი მას ახასიათებს როგორც „ღირსეულ მოქალაქეს და სათნოებით შემკულ“ პიროვნებას⁴.

პატრები, ჯუზეპე და კაეტანო თავდაუზოგავად იღწვოდნენ, რათა ქრისტიანობაში დაებრუნებინათ გამაჰმადიანებული ქრისტიანები და ქრისტესადმი რწმენა გაემყარებინათ ახლადჩამოყვანილ, ჯერ კიდევ ქრისტიან ტყვეთა გულებში, რომელთა შორის მრავლად ყოფილან დასავლეთ საქართველოდან წაყვანილნიც. ამიტომ აღნიშნავს ლამბერტი, რომ „ამ ქალაქში უამრავი იმერელი და მეგრელი ტყვე იყო. დონ ჯუზეპე არიგებდა მათ და ამაგრებდა მათ რწმენას“. უნდა ვივარაუდოთ, საქართველოში წლობით ნამოღვაწარი ჯუდიჩე, რომელსაც კარგად ჰქონდა შეწავლილი ქართულ-მეგრული ენები, ქართველ ტყვეებს მათ მშობლიურ ენაზე ამხნევებდა, რასაც განსაკუთრებით ნაყოფიერი უნდა გაეხადა ამ მხრივ მისი მოღვაწეობა⁵.

კონსტანტინეპოლში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის ხანიდან ლამბერტი ასევე ახსენებს ერთ ეპიზოდსაც: „დონ ჯუზეპემ შეიტყო, რომ სამ ქრისტიანს, ორ მღვდელს და ერთ ერისკაცს, ქრისტიანობა მიეტოვებინათ და გამაჰმადიანებულიყვნენ“. შეწუხებული პატრი მოსალოდნელი სასიკვდილო სასჯელის მიუხედავად, „გულმხურვალედ არწმუნებდა მათ, დაბრუნებოდნენ ქრისტიანობას“. აქ საუბარი უნდა იყოს ევროპული წარმომავლობის პირებზე. ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი მღვდელთაგანი იტალიელადაც შეიძლება მოვიაროთ. ლამბერტის ცნობით, იგი კონსტანტინეპოლიდან სამეგრელოს მისიონში ჩამოსულა (მის ამ ნაბიჯში უეჭველად პატრ ჯუზეპეს ხელი ურევია), სადაც ლამბერტის ის „ღმერთთან შეურიგებია“. სამეგრელოში ერთი წლის გატარების შემდეგ კი ვინაიდან „კვლავ ქრისტიანად მოქცეულს თურქეთზე გაველით სამშობლოში დაბრუნების ეშინოდა“, ლამბერტის შემოვლითი გზა შეუთავაზებია: სპარსეთიდან ინდოეთში, რათა იქიდან „ჩვენს მხარეში გამგზავრებულიყო“. ცხადია, ავტორისათვის „ჩვენი მხარე“ მშობლიური იტალია იქნებოდა⁶.

¹ დონ კრისტოფორო კასტელი, *ცნობები და აღბობი საქართველოს შესახებ*, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ (თბილისი, 1976), გვ. 62-63, 72-73, 165; დონ პიეტრო ავიტაბილე, *ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე)*, შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა (თბილისი, 1977), გვ. 76.

² დავით მერკვილაძე, პაპუნა გაბისონია, არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთი“..., გვ. 247.

³ ასე უწოდებდნენ ვენეციის დიპლომატიურ წარმომადგენელს კონსტანტინეპოლში, რომელსაც ევალებოდა თავისი ქალაქის პოლიტიკური და სავაჭრო ინტერესების დაცვა ოსმალეთის იმპერიაში.

⁴ დავით მერკვილაძე, პაპუნა გაბისონია, არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთი“..., გვ. 247.

⁵ იქვე.

⁶ იქვე, გვ. 247-248.

კონსტანტინეპოლის კათოლიკური მისიონის შემადგენლობა, როგორც ირკვევა, დიდი არ უნდა ყოფილიყო. აქ ჩანს მხოლოდ ორი მოძღვარი: ზემოდსახელბუღი ჯუზეპე ჯუდიჩე, მისიონის დამაარსებელი და უეჭველად მისი ხელმძღვანელიც და მასთან ერთად, კაეტანო და ალესანდრი. არ უნდა დაგვავიწყდეს ჯუდიჩეს თანმხლები ორი გაკათოლიკებული მეგრელი ყმაწვილიც. ლამბერტი მოგვიანებით, კონსტანტინეპოლიდან გამომგზავრებულ მისიონერთა შორის ასხენებს „*მორჩილ ძმა კათალიოსაც*“; როგორც პატრ კაეტანოს თანმხლებს (მასთან „ერთად იყო“), „*რომელმაც ანაფორით შემოსვის შემდეგ სახელად ნიკოლო მიიღო და კონსტანტინეპოლში იმყოფებოდა*“. სავარაუდოდ, კათალიო თან უნდა ჩამოჰყოლოდა პატრ კაეტანოს იტალიიდან და შესაძლებელია, ბერად აღიკვეცა პატრ ჯუზეპე ჯუდიჩეს კონსტანტინეპოლიდან გამგზავრების შემდეგ (იმის გათვალისწინებით, რომ მანამდე ლამბერტი ამ პიროვნებას საერთოდ არ ასხენებს).

ლამბერტი გვამცნობს, რომ მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც რომში ჩასულმა ჯუდიჩემ მეგრელი ყმაწვილები მთავრის წერილთან ერთად წარუდგინა პაპს, „*მისიონისათვის წმინდა კონგრეგაციიდან ორი ბერი მიიღო: მამა დონ ჯოვანი ბატისტა მონტი მილანელი და დონ ჯაკომო ანტონიო მარცი კრემონელი. იგი მათთან ერთად ჩავიდა ლივორნოში*“¹, საიდანაც ინგლისური ხომალდით კონსტანტინეპოლისკენ გაემართა². თუმცა როგორც ირკვევა, ეს ბერები მას ლევან II-ის თხოვნის თანახმად (რაც დაფიქსირებული ყოფილა პაპისადმი მიწერილ მთავრის წერილში), სამეგრელოს მისიონის გასაძლიერებლად წამოუყვანია.

კონსტანტინეპოლის კათოლიკური მისიონის დაარსება 1644 წლისათვის, ურბან VIII-ის პაპობის უკანასკნელ წელიწადს არის სავარაუდებელი, ვინაიდან როგორც „*წმინდა კოლხეთიდან*“ ვიგებთ, იმპერიის დედაქალაქში რამდენიმეთვიანი მოღვაწეობის შემდეგ რომში გამგზავრებულ ჯუზეპე ჯუდიჩეს ურბან VIII გარდაცვლილი დახვედრია, პაპის საყდარი კი უკვე ინოკენტი X-ს (1644-1655 წწ.) ჰქონია ახალი დაკავებული.³

ლამბერტის დასახელებულ თხზულებაში არ მოიპოვება პირდაპირი მითითება, რა ბედი ეწია კონსტანტინეპოლის მისიონს მისი დამაარსებლის რომში გამგზავრების შემდეგ: კვლავ განაგრძობდა არსებობას გარკვეული დროით, თუ მაშინვე შეწყვიტა არსებობა. თუმცა უპრიანია ვიფიქროთ, რომ მას არსებობა არ შეუწყვეტია, ვინაიდან ჯუდიჩეს რომიდან კონსტანტინეპოლში თანმხლებ პატრებთან ერთად დაბრუნებისა და მათი ტყვეობიდან განთავისუფლებისას აქაური მისიონის ორი ზემოდსახელბუღი წევრი ისევ დედაქალაქში იმყოფება და მხოლოდ ამის შემდეგ მოემგზავრებიან სამეგრელოში. სავარაუდოდ, კონსტანტინეპოლის კათოლიკური მისიონი სწორედ ამ დროს უნდა გაუქმებულიყო. ეს ლოგიკურიცაა: ოსმალეთში, ევროპულ სახელმწიფოებთან უკიდურესად დაძაბული ურთიერთობის ფონზე, კათოლიკე მისიონერები მეტისმეტად შეავიწროვეს, რამაც სამისიონერო მოღვაწეობა აქ უკიდურესად საშიში გახადა.

ჯუდიჩესა და მისი თანამგზავრების კონსტანტინეპოლისაკენ გამომგზავრებას ლამბერტი „*1647 წლის დიდი მარხვის დასაწყისში*“ მიუთითებს, ხოლო „*თვრამეტი დღის უხიფათო მგზავრობის შემდეგ*“ მიდგომიან ისინი კონსტანტინეპოლის სრუტეს. მაშასადამე, პატრების კონსტანტინეპოლში შესვლა 1647 წლის მარტის ბოლოსათვის უნდა მომხდარიყო.

მანამდე გზად გემზე თეატინელებს ოთხი დომინიკანელი ბერი შეუერთდა, რომლებიც ლამბერტის თქმით, „*მისიონერებად მიდიოდნენ კავასა და სათათრეთში*“⁴. კავა, იგივე თეოდოსია, საზღვაო ქალაქია ყირიმის ნახევარკუნძულზე⁵, ხოლო „*სათათრეთში*“ უდავოდ ყირიმის სახანო უნდა იგულისხმებოდეს.

დარდანელში, კონსტანტინეპოლის სრუტის შესასვლელში, მისიონერები უკვე მადლობას სწირავდნენ ღმერთს დედაქალაქში მშვიდობიანად მოღწევისათვის. „*ყველაზე მეტად მეკობრეებისა ეშინოდათ, რომლებსაც ციხის მცველნი უფლებას არ აძლევდნენ, სრუტეში ეყაჩაღნათ*“-ო, დასძენს ლამბერტი. თუმცა მათთვის მოულოდნელად, სწორედ აქედან დაიწყო მათი მოგზაურობის ყველაზე მძიმე ეტაპი. ნაპირზე გადასულ კათოლიკე ბერებს აქ დახვდათ ვინმე სამხედრო ჩინოსანი, რომელმაც გულდასმით გამოიკითხა მათი ვინაობა და მგზავრობის მიზანი. შემდეგ კი თურქი სამხედრო ჩინოსნის ბრძანებით, ყველანი ერთიანად დააკავეს და იანიჩართა თანხლებით ქალაქში, პირველ ვეზირთან გააგზავნეს ნავით.

1 ლივორნო სანავსადგურო ქალაქია იტალიაში, ტირენის ზღვის პირას, ტოსკანის დასავლეთ სანაპიროზე.
2 დავით მერკვილაძე, პაპუნა გაბისონია, არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთი“..., გვ. 248.
3 იქვე.
4 იქვე.
5 XIII ს-ის დამდეგიდან თეოდოსია გენუელთა ხელში იყო. წარმოადგენდა შავ ზღვაში გენუელთა მთავარ სავაჭრო მონოპოლისტ ქალაქს და ჩრდილო შავი ზღვისპირეთის გენუის კოლონიების მართვის ცენტრს. 1475 წელს დაიპყრეს ოსმალებმა და აქციეს თურქულ პორტად.

კონსტანტინეპოლში „უკვე ხმა დაეყარათ ფაშას მიერ შეპყრობილი ვენეციის შვიდი მსტოვარის შესახებ“. ხალხი დიდი ცნობისწადილით ელოდა მათ გამოჩენას. ცხენოსანთა რაზმითა და პოლიციელებით გარშემორტყმული მისიონერები ფეხით გაუყენეს გზას. ქალაქის ქუჩებში მათ „თან მისდევდა გააფთრებული ბრბო, რომელსაც შეეძლო, ისინი ნაწილ-ნაწილ აეკუწა“. ლამბერტის ამ სიტყვებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მისიონერები ვენეციელ მსტოვრებად მიუჩნევიან. ეს ეჭვი განსაკუთრებით სახიფათო იყო, ვინაიდან ოსმალეთი ვენეციასთან იმ დროს საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ვეზირმა თავიდან გამოიკითხა ბერების მოგზაურობის მიზანი. თეატინელებმა ასეთ მიზნად სამეგრელოში დადიანისაგან გადმოცემულ ეკლესიაში მსახურება დაასახელეს, დომინიკანელებმა კი – კაფასა და სათათრეთში საეკლესიო რიტუალების აღსრულება. ამის მიუხედავად, ვეზირის ბრძანებით, ისინი ორმოში ჩაყარეს, სადაც ათი დღის განმავლობაში მხოლოდ პური და წყალი ჰქონდათ საკვებად. შემდეგ ისინი ასევე ნავით წაიყვანეს გალათაში¹.

ლამბერტი აქ კიდევ ერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის: გზად მისიონერები დიდ შიშს აუტანია, „რადგან, როცა თურქებს ვინმე ციხიდან გამოჰყავთ და მიზეზს არ ეუბნებიან, სად მიჰყავთ, ჩვეულებრივ, ან სახრჩობელაზე მიჰყავთ, ან სარზე ჩამოსაცემლად, ან კაუჭზე ჩამოსაკიდებლად, ან კატარღაზე მენიხბედ“².

ბერებმა მას შემდეგ ამოისუნთქეს შვებით, რაც გაირკვა, რომ ტყვე-მენიხბეებად ყოფილან გამწესებულნი. „კატარღებზე მენიხბეებად განწირული მონების“ სამყოფელში შეყვანის წინ მისიონერებს ბორკილები დაადეს და თითო დომინიკანელი თითო თეატინელს გადააბეს ჯაჭვით. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ამ ადგილის არქანჯელო ლამბერტისეული აღწერაც: „დიდი მენობის მსგავსი ეს ადგილი ერთი მთლიანი მაღალი კლდით ორ ნაწილად არის გაყოფილი. ერთი ნაწილი ღია ეზოს მავვარია, მეორე გადახურულია და ღამით იკეტება. აქ იმყოფება კატარღების ყველა ტყვე. როცა ფლოტი კონსტანტინეპოლში ბრუნდება, კატარღების მენიხბეები აქ მოჰყავთ, ხოლო კატარღებს ნავსაშენში მიათრევენ. დღისით ტყვეები ღია ეზოში არიან, სადაც ვაჭრობა შეუძლიათ. საღამოს ისინი გადახურულში შეჰყავთ და იქ კეტავენ. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ აქ ჯოჯოხეთის ცოცხალი ასლია: სხვადასხვა ეროვნების ტყვეები მთელი ღამე მღერიან, ტირიან, ყვირიან, ჩივიან. სიმყრალე და აუტანელი კვამლი დვას, რადგან ყველა ცეცხლს ანთებს ვახშმის მოსამზადებლად. ამას თან ერთვის ჯაჭვების გამაყრუებელი ჩხარაჩხური. საწოლად ფიცრებს იყენებენ, რომლებიც ბაღლინჯოებითაა სავსე და ღამით არავის აძინებს“.

ასეთ თავზარდამცემ ადგილას უკრეს თავი კათოლიკე ბერებს. რომელთაც მცირე შეღავათი მიუღიათ ამ „დაწესებულებაში“ მწერლად მომუშავე „ერთი ფრანკისაგან“: მან, როგორც „თავისიანებს“, ბერებს ცალკე ალაგი გამოუყო, სადაც ღამით მოსვენების მეტი საშუალება ექნებოდათ³.

დატყვევებული ბერების გამოსხნას ბევრს ეცადა იმ დროს კონსტანტინეპოლში მყოფი იქაურ მისიონში ჯუდიჩეს თანამოღვაწე, ზემოდასახელებული პატრი კაეტანო. მან დახმარებისათვის მიმართა ევროპული სახელმწიფოების საელჩოებსაც კონსტანტინეპოლში. თან ელჩებს ურჩევდა, ოსმალებს არ შეემჩნიათ მისიონერებისადმი მათი ინტერესი, თორემ ბერებს საპატიო პირებად მიიჩნევენ და მათი განთავისუფლების სანაცვლოდ, დიდხალ გამოსასყიდსაც მოითხოვდნენ. ამის თაობაზე ლამბერტის პირველ პირში ნათქვამი: „ასეთი თანხა ჩვენს შესაძლებლობებს აღემატებოდა და მათი განთავისუფლების იმედს დაგვიკარგავდა“, – გვაფიქრებინებს, რომ გამოსასყიდი თანხა ან რელიგიურ ორდენს, ან, რაც უფრო სარწმუნოა, სამეგრელოს მისიონს უნდა გადაეხადა. როგორც ჩანს, კაეტანოს შიში გამართლდა: გამოსასყიდი თანხა ნელ-ნელა გაიზარდა. ვენეციის წარმომადგენელი უძღური იყო, რაიმე ელონა, რადგან მისი რესპუბლიკის ოსმალეთთან ომის გამო, შინაპატიმრობაში იმყოფებოდა საკუთარ რეზიდენციაში. შედეგი არ გამოიღო საფრანგეთის ელჩის შენიღბულმა („სულთანს რომ არ გაეღიზიანებინა“) ძალისხმევამაც⁴.

ჯუზეპე ჯუდიჩეს, მისიონერთა შორის ყველაზე ასაკოვანს, განსაკუთრებით გაუჭირდა ტყვეობის ასეთი უმძიმესი პირობების ატანა. პატრი ტყვეობაში გარდაიცვალა, ციებ-ცხელებით მძიმედ დაავადებული. სიკვდილის წინ მან პატიება სთხოვა ბერებს, „რადგან მან წამოიყვანა ისინი ამ უბედურებაში და იგია მათი პატიმრობის მიზეზი, ურჩია მოთმინებით შეგუებოდნენ მონობას. სთხოვა მათ, ყოფილიყვნენ კეთილნი და არ მიატოვებდა მათ უფალი, რომლის სახელისთვისაც იტანჯებოდნენ“ – გულისტკივილით გადმოგვცემს ლამბერტი თავის საუკეთესო მეგობ-

¹ დავით მერკვილაძე, პაპუნა გაბისონია, არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთი“... გვ. 248.

² იქვე, გვ. 248-249.

³ იქვე, გვ. 249.

⁴ იქვე, გვ. 249-250.

რის შესახებ. ამ ორმა პატრმა ხომ ერთად გამოიარეს გრძელი გზა იტალიიდან, წმინდა მიწის გავლით, საქართველოსაკენ, ერთად დაიწვეს სამისიონერო მოღვაწეობა გორში და შემდეგ, ასევე ერთად, განაგრძეს იგივე საქმიანობა სამეგრელოში, ერთად გადაიტანეს მრავალი გაჭირვება თუ განსაცდელი წლების განმავლობაში. მცხოვანი პატრის სხეული იქაური მონების დასამარხად გამოყოფილ მინდორში დაკრძალეს.

ლევან II დადიანი პატრ ჯუზეპეს ტრაგიკული ხვედრის შეტყობას ძალზე დაუმწუხრებია. გამორიცხული არაა, ლამბერტის პირადად მთავრისგან მოესმინა ამ უკანასკნელის მზადყოფნის შესახებ, „ნებისმიერი სახლაური“ გადაეხადა ჯუდიჩეს გამოსახსნელად (სხვა საკითხია, რამდენად გულწრფელი შეიძლება ყოფილიყო ამ დროს სამეგრელოს მთავარი)¹.

მძიმე მდგომარეობაში მყოფ ბერებთან, ლამბერტის ცნობით, მისულა ვიღაც გამუსლიმებული ყოფილი ქრისტიანი ღვთისმსახური (ლამბერტი მას უწოდებს „უტიფარ“ „მამას, რომელსაც ქრისტიანობა დაეგმო“), როგორც ჩანს, სხვა სჯულშეცველი ყოფილი ქრისტიანების თანხლებით, და შეეცადა დატყვევებული მისიონერები ისლამის აღიარებაზე დაეყოლიებინა იმ მოტივით, რომ ეს იყო მათი განთავისუფლების ერთადერთი გზა. საფიქრებელია, ისინი ევროპული წარმომავლის პირები ყოფილიყვნენ, მათ მაგალითს და რჩევას მეტი დამაჯერებლობა რომ ჰქონოდა და ასევე მათი მოქმედება ადგილობრივი ოსმალური ხელისუფლებისაგან უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. ამ მცდელობამ არ გაჭრა: დაბორკილ ბერებს რჯულის შეცვლას მონობაში სიკვდილი ერჩინათ².

ამასობაში მისიონერებს განთავისუფლების იმედი თითქმის სულ გადაწურვოდათ: ოსმალებმა სამხედრო ფლოტის შესავსებად ახალი კატარღები განამზადეს, სადაც მათ მენიხბის მძიმე ხვედრი ელოდა. მანამდე კი შიმშილის განცდას მამა კაეტანოს შემოგზავნილი ორცხო ბილებით იმსუბუქებდნენ.

საბედნიეროდ, ბერებს ნიხბის თრევაში კატარღაზე სულის ამოხდომა არ ეწერათ. დატყვევებულთა შორის ერთ-ერთი დომინიკანელი ღვთისმსახური პოლონური არისტოკრატიული საგვარეულოს წარმომადგენელი აღმოჩნდა. ამ უკანასკნელის დატყვევების შესახებ შეიტყო კონსტანტინეპოლში პოლონეთის მეფის წარმომადგენელმა. მან თავად მოინახულა ბერები, რომელთა მდგომარეობამ მასზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა და თავის მეფეს ამაღელვებელი წერილით შეატყობინა ქრისტიანობის მოამაგე მისიონერთა და მათ შორის მეფისავე ქვეშევრდომი დომინიკანელი ბერის მძიმე ხვედრის შესახებ³.

ამ „პოლონეთის მეფეში“ უნდა მოიაზრებოდეს რეჩ-პოსპოლიტას მმართველი, ვლადისლავ IV (1632-1648 წწ.), რომელიც ერთდროულად ფლობდა პოლონეთის მეფისა და ლიტვის დიდი მთავრის ტიტულებს. მისი ბრძანებით, თავი გამოიღო კონსტანტინეპოლში ახალჩამოსულმა პოლონელმა ელჩმაც. მან, საფრანგეთის ელჩთან ერთად, საერთო ძალისხმევით „გატეხა თურქთა სიჯიუტე“, რამაც მისიონერებს ოცნებადქცეული თავისუფლება არგუნა. აქ ტყვეთა ერთგვარ გაცვლასაც ჰქონია ადგილი: თავის მხრივ ვლადისლავ IV-მ თავის სახელმწიფოში ტყვედ მყოფი „რამდენიმე საპატიო თურქი და თათარი გაათავისუფლა“⁴. აქ საუბარი უნდა იყოს სულთნისა და მისი მოკავშირის, ყირიმის ხანის ქვეშევრდომებზე, რომლებიც პოლონელთა ტყვეობაში შეიძლება აღმოჩენილიყვნენ რეჩ-პოსპოლიტასა და ოსმალეთის იმპერიას შორის 1633-1634 წლებში მიმდინარე ომის დროს.

განთავისუფლებულ თეატინელ მისიონერებს ერთი სული ჰქონდათ, მათთვის მძიმედ მოსაგონებელი კონსტანტინეპოლი, რაც შეიძლება, სწრაფად დაეტოვებინათ. ამიტომ „პირველივე გემით სამეგრელოსკენ გამოემართნენ“, დაემგზავრნენ რა იტალიელ ვაჭრებს (ლამბერტი მათ „ჩვენს ვაჭრებს“ უწოდებს, რაც მათ იტალიელობას გვაფიქრებინებს ავტორის ეროვნებიდან გამომდინარე) მეტი უსაფრთხოებისთვის. ამასთანავე პოლონეთის მეფის რჩევით, როგორც ჩანს, მეტი საიმედოობისათვის ვეზირისათვის საგანგებო საბუთიც გამოუთმევიათ, რომელიც „ადასტურებდა, რომ ისინი ბერები არიან და მიდიან ეკლესიის სამსახურში დადიანების ქვეყანაში“⁵.

კონსტანტინეპოლში კათოლიკე მისიონერთა ტყვეობა 1647 წლის ივლისის შუა ხანებამდე უნდა გაგრძელებულიყო. ვინაიდან ლამბერტის ცნობით, თეატინელებმა 6 აგვისტოს მოაღწიეს ოდიშს. საზღვაო მგზავრობას კი კონსტანტინეპოლიდან თეოდოსიის გავლით ორიოდე კვირა (ან ოდნავ მეტი) უნდა დასჭირებოდა.

ყარამუსალედან, რომელიც წარმოდგენდა ქალაქს მარმარილოს ზღვის სანაპიროზე, იზმირის ყურეში, მისიონერებმა გზა განაგრძეს სხვა ხომალდით. რამდენიმე დღეში მათ მშვიდობია-

¹ იქვე, გვ. 249.

² იქვე, გვ. 249-250.

³ იქვე, გვ. 250.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

ნად მიადწიეს კაფას, როგორც თურქები უწოდებდნენ ქალაქ თეოდოსიას. ლამბერტის გადმოცემით, გემის კაპიტანს, რომელსაც ავტორი „სომეხ რენეგატს“ უწოდებს, რაც გამუსლიმებულ სომეხს უნდა ნიშნავდეს, ადგილობრივი ხელისუფალისათვის (ლამბერტი მას „ფაშად“ მოიხსენიებს) მოუხსენებია, რომ მისი გემის მგზავრთა შორის არიან ქრისტიანი მხატვრები და მათი ბარგიანად დაპატიმრება ურჩევია¹. როგორც ჩანს, იმ ეპოქის მისიონერთათვის მხატვრობის უნარი უცხო არ ყოფილა. სავარაუდოდ, შესანიშნავი ჩანახატებით სახელგანთქმული კასტელი ერთადერთი მხატვარი არ უნდა ყოფილიყო. არსებობს გარკვეული ცნობები, რაც ლამბერტის მხატვრობის ნიჭზეც მიუთითებს.

ფაშას ბრძანებით, მისიონერები თავის ბარგიანად გემზევე დააპატიმრეს. არ გაჭრა კათოლიკე ბერების ასსნა-განმარტებამ, რომ „*ისინი ოდიშიში მიდიან იმ ეკლესიების მოსამსახურებლად, რომლებიც ამ მხარეში აქვთ*“, არც ვეზირის მიერ გაცემულმა საბუთმა, რაც მათი მოგზაურობის მიზანს ადასტურებდა და თითქოს თავისუფალი გადაადგილების საშუალებაც უნდა მიეცა.

ფაშამ თავს უფლება მისცა, როგორც იმ მხარის ბატონ-პატრონს, არად ჩაეგდო ვეზირის მოწმობა. ამას გარდა, ამ დიდმოხელის სიტყვები, რომ „*ცუდ ხალხსაც შეუძლია ფულით შეიძინოს ასეთი პასპორტი ვეზირისაგან*“, ოსმალეთში კორუპციის ფართო და უმაღლეს დონეზე კი გავრცელების მიმანიშნებლად შეიძლება გამოდგეს. მისიონერების დაკავების მიზეზად კი დასახელებული იქნა ეჭვი, რომ მათ შეიძლება თან ჰქონოდათ ევროპელი მონარქების მიერ სპარსეთის შაჰისადმი მიწერილი წერილები. ეს უკანასკნელი მითითება კარგად ასახავს იმდროინდელ საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებას: ოსმალეთის გაძლიერებით შემოფოთებული ევროპელი ხელმძღვანელები სეფიანთა ირანში, როგორც ოსმალთა მუდმივ აღმოსავლელ მეტოქეში თავიანთ ბუნებრივ მოკავშირეს ხედავდნენ და მათ შორის ასეთი ანტიოსმალური დატვირთვის მიწერ-მოწერა იმ ხანებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ასეთი ტიპის პოლიტიკური დანიშნულების წერილების გადატანა არცთუ იშვიათად მისიონერების ხელითაც ხდებოდა ხოლმე².

მისიონერები ირწმუნებოდნენ, რომ მათი ერთადერთი ამოცანა რელიგიური საქმიანობა იყო და „პოლიტიკურ ინტრიგებში“ ჩარევა პაპის ბრძანებითაც ეკრძალებოდათ. გადაწყდა დაკავებული ბარგის გაჩხრეკა. მსგავსი წერილის პოვნის შემთხვევაში ფაშა მათი სიკვდილით დასჯით იმუქრებოდა. აქვე ისიც ჩანს, რომ ამ შემთხვევაშიც სასიკვდილო სასჯელისაგან თავის დაღწევის ერთადერთი გზა ისლამის მიღება („გათურქება“) იქნებოდა. იძულებითი გამუსლიმების ეს მეთოდი ოსმალეთისთვის მიღებული ხერხი ჩანს. გულმომოდგინე ჩხრეკამაც კი ბარგში ვერაფერი საეჭვო ვერ აღმოაჩინა, რასაც ბერებისათვის მათი ნივთების დაბრუნება და განთავისუფლება მოჰყვა. თუმცა ეს თავისუფლება მათ ორმოცდაათი სკუდო მაინც დაუჯდათ. ეს თანხა ფაშას აჩუქეს „მადლიერების“ ნიშნად. როგორც ეტყობა, ბერების უდანაშაულობის დადასტურების შემთხვევაშიც ოსმალ დიდმოხელეს წინასწარ გათვლილი ჰქონდა შესაძლო სარფიანი სარგებელი. ამის შემდეგ მისიონერებმა ფათერაკების გარეშე იმგზავრეს ოდიშამდე – „დადიანის ქვეყნამდე“³.

ამრიგად, არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთში“ დაცული საგულისხმო ცნობები უმნიშვნელოვანესი წყაროა ოსმალეთის დედაქალაქში XVII საუკუნის 40-იან წლებში თეატინელთა კათოლიკური მისიონის მოღვაწეობის შესახებ. გარდა ამისა, ლამბერტის მიერ მოწოდებული ეს მონაცემები მეტად საყურადღებო მასალას იძლევა ოსმალეთის იმპერიაში ამ ეპოქაში არსებული ვითარების შესწავლის თვალსაზრისით.

¹ კაპიტანის ამ საქციელის შესახებ ლამბერტის შეუტყვია მოგვიანებით ნაცნობი მეზღვაურებისაგან, რომელთაც მას ასევე აუწყეს, რომ კაპიტანმა „თავისი ბოროტმოქმედებისათვის პასუხი ავო თავისი გემის დამსხვრევითა და დაკარგვით“ (იქვე, გვ. 251).

² არქანჯელო ლამბერტი ამავე თხზულებაში აღნიშნავს, რომ ერთხელ სამეგრელოში შემოსულ თურქულ გემით თეატინელ მამა ჯოვანისთან ერთად ჩამოსულ ერთ დომინიკანელ ბერს „პოლონეთის მეფის წერილი მიჰქონდა სპარსეთის შაჰთან“ (იქვე, გვ. 252).

³ იქვე, გვ. 250-251.

ბიბლიოგრაფია

1. დონ კრიტოფორო კასტელი, *ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ*, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ (თბილისი, 1976).
2. დონ პიეტრო ავიტაბილე, *ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე)*, შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა (თბილისი, 1977).
3. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, *წერილები საქართველოზე*, იტალიურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ (თბილისი, 1964).
4. დ. მერკვილაძე, პ. გაბისონია, არქანჯელო ლამბერტის მოგზაურობა დამასკოდან გორამდე, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XV-XVI (თბილისი, 2013-2014).
5. დ. მერკვილაძე, პ. გაბისონია, არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთი“, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, XII-XIII (თბილისი, 2012-2013).

DAVID MERKVILADZE

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

THE CATHOLIC MISSIONARIES IN CONSTANTINOPLE AND THEODOSIA ACCORDING TO “COLCHIDE SACRE” BY ARCHANGELO LAMBERTI

Theatinian monk Arcangelo Lamberti, been in Georgia in 1631-1649 years as a religious missionary, published his work “Sacred Colchis” in Naples in 1657. In the 80s of the last century, this work was translated into Georgian by Bejan Giorgadze. However, for various reasons, the translation was never published.

This article presents the details of the unknown to the scientific community a dramatic adventure of Catholic missionaries in Constantinople and Theodosia, which is an interesting source to study the situation in these cities by the middle of 17th century. And what is the most important, there is given significant information about the existence and activities of the Catholic mission of Theatines in the capital of the Ottoman Empire in the 40s of 17th century. Lamberti was not self-evident of the above history, but there is no doubt, about all of the details he was informed directly from the participants in these events missionaries.

თამაზ ბობოლაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
ირაკლი ბელაშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
ნიკო ხარშილაძე
ისტორიის მაგისტრი

**ფოთოლეთის მონასტრის ნაგაწრი წარწერები და
მათი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი**

ფოთოლეთის მონასტერი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფელ ახალდაბიდან სამხრეთით, 5 კილომეტრის დაშორებით, მთის ოდნავ გადაკებულ ფერდზე მდებარეობს. ტაძარი, მისი არქიტექტურული მონაცემების საფუძველზე, IX საუკუნითა და X საუკუნის I ნახევრით თარიღდება.

1939 წელს სიძველეთა კომიტეტმა ფოთოლეთის ეკლესიაში ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები, რომელსაც რუსუდან მეფისაშვილი და ზაქარია მაისურაძე ხელმძღვანელობდნენ. გათხრების დროს ტაძარში გამოვლინდა X საუკუნის კანკელი¹ და კარნიზის დეკორატიული მორთულობისათვის განკუთვნილი სამკუთხა ფორმის ბოლოების მქონე კრამიტები, რომელთა დადაბლებულ სამკუთხა არეებზე ერთმანეთის პირისპირ მდგომი ირმების რელიეფური გამოსახულებებია წარმოდგენილი. ფოთოლეთის ეკლესიის ძველი კანკელის ფრაგმენტები ამჟამად შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება². ფოთოლეთის კანკელის მარცხენა ბოძის მთელს სიგრძეზე ნაკაწრი წარწერებია შესრულებული³.

2007-2008 წლებში ფოთოლეთის ეკლესიაში რესტავრაციის საპროექტო სამუშაოებისათვის აუცილებელი არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა. არქეოლოგიურ გათხრებს 2007 წელს რევაზ დავლიანიძე, ხოლო 2008 წელს რევაზ ხვისტიანი ხელმძღვანელობდა. 2008 წლის არქეოლოგიური გათხრების დროს ეკლესიის ჩრდილო გარშემოსავლელში, სამკვეთლოს დასავლეთით, კედლის ძირას, გამოვლენილ იქნა აკლდამა, რომლის გადამხურავ ქვის ფილაზეც ნუსხური და მხედრული ნაკაწრი წარწერებია შესრულებული⁴.

¹ აღნიშნული კანკელის თარიღი პირველად რენე შმერლინგმა განსაზღვრა (რ. შმერლინგი, *ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი*, ტექსტი, მასალის შერჩევა და ნახატები რ. შმერლინგისა, ტაბულები შეადგინა ა. კრავჩენკომ (თბილისი, 1954), გვ. 46. აგრეთვე, Шмерлинг Р., *Малые формы в архитектуре средневековой Грузии* (Тбилиси, 1962), გვ. 53-54).

² ფოთოლეთის კანკელის შავ-თეთრი ფოტოები იხ.: Mepisaschwili R., Zinzadze W., *Die Kunst des alten Georgien* (Leipzig, 1977), გვ. 240-241.

³ აღნიშნული ნაკაწრი წარწერების შესახებ ინფორმაცია ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორმა დავით ხოშტარიაშვილმა მოგვამოდა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვანხნებთ. მეცნიერმა, ამასთან ერთად, გვაცნობა, რომ აღნიშნული წარწერების წაკითხვაში მას ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორმა გიორგი გაგოშიძემ გაუწვია დახმარება. ფოთოლეთის ეკლესიის კანკელის წარწერების ნაწილი დავით ხოშტარიას შეტანილი აქვს თავის საკანდიდატო დისერტაციაში „IX-X საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლები ბორჯომის ხეობაში“. ავტორი საუბრობს რა ფოთოლეთის ეკლესიის X საუკუნით დათარიღებული კანკელის შესახებ, შენიშვნის სახით, შემდეგს აღნიშნავს: „ფოთოლეთის კანკელზე საინტერესოა წერილი ნუსხური ასოებით შესრულებული წარწერები. ისინი შესრულებულია აღსავლის კარების ჩრდილოეთ წირობზე. სულ შემოინახა შვიდი წარწერა. მოგვყავს ქარაგმების გასწვრივ: 1. გაკეთებულია ძირიდან დაახლოებით 80 სმ-ზე: „ხატო ღვთაებისაო შეიწყალე დამიანე ბდე...“ (ბოლო სამი გრაფემა აღარ იკითხება. უკანასკნელი „ენ“-ის თავზე ქარაგმა); 2. პირველი წარწერიდან ცოტა ქვემოთ უფრო გაკრული ხელით ორ სტრიქონად ამოკვეთილია ქართული ანბანი: ა ბ გ დ ე ვ ... და ა. შ.; 3. ძირიდან 50-იოდე სმ-ზე: „ხატო ღვთაებისაო შემიწყალე“; 4. ზედ წინა წარწერის ქვეშ: „ხატო ღვთაებისაო () შეიწყალე ბასილი კახი“; 5. ძირიდან დაახლოებით 20 სმ-ზე: „ქრისტე კვირიკე (ან კონსტანტინე) შეიწყალე“; 6. სულ ქვემოთ, თითქმის ზედ იატაკთან: „ხატი მოვიდა“. ეს წარწერა განსაკუთრებით საყურადღებოდ გვეჩვენება. ეტყობა ის ეხმარება რომელიღაც ცნობილი ხატის გადმოსვენებას ფოთოლეთის ეკლესიაში; 7. იმავე სვეტის პირითა წახნაგზე მიხლოებით მეხუთე წარწერის დონეზე ორნამენტებს შორის ამოკვეთილია ორი ასო ქარაგმით – კე ე. ი. ისევ კვირიკე ან კონსტანტინე. ფოთოლეთის კანკელის წარწერები დღემდე შესწავლილი და გამოცემული არ არის. წინასწარული შეფასებით ისინი შეიძლება X-XII საუკუნეებს მიეკუთვნოს“ (დ. ხოშტარია, *IX-X საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლები ბორჯომის ხეობაში*, საკანდიდატო დისერტაცია და ავტორეფერატი (თბილისი, 1987), გვ. 108-109). ჩვენ 2014 წლის ზაფხულში აღნიშნული კანკელის ქვა და მისი წარწერები მოვიხილეთ, კანკელის ქვის სვეტზე შესრულებული ნაკაწრი წარწერები ამოვიკითხეთ და მათი ფოტოფიქსაცია მოვახდინეთ. ფოთოლეთის კანკელის წარწერების ჩვენებულ წაკითხვებსა და მათი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზის შედეგებს ფართო სამეცნიერო წრეებს უახლოეს მომავალში გავაცნობთ.

⁴ რ. ხვისტიანი, *მასალები საქართველოს ქრისტიანული არქეოლოგიისათვის* (თბილისი, 2009), გვ. 98.

ამჟამად აკლდამის ქვის ფილა ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება. ის მოყავისფრო ფერის ქვისაგან არის გამოთლილი და საკმაოდ დიდი ზომისაა (101X178,5 სმ). ქვის ფილა დაზიანებულია და სამ ნაწილად არის გატეხილი. 2014 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ჩვენ აკლდამის ქვის ფილაზე ამოკაწრული წარწერები ადგილზე შევისწავლეთ: წავიკითხეთ წარწერები, დავამზადეთ მათი პალეოგრაფიული პირები და მოვახდინეთ ტექსტების ფოტოფიქსაცია. წარწერების შესწავლამ აჩვენა, რომ ისინი, შინაარსობლივი თვალსაზრისით, სავდრებელ წარწერათა რიცხვს მიეკუთვნება და პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით, XI საუკუნით თარიღდება.

I. ნაკაწრი წარწერები, მათი ტექნიკური აღწერილობა და პალეოგრაფიული დახასიათება

1. სავდრებელი წარწერა ნიკოლოზისა (XI ს.)

წარწერა ამოკაწრულია საფლავის ქვის ფილის I ფრაგმენტის ზედა მხარეს; გარდამავალი მხედრული; 1 სტრიქონი; ამოკაწრულია დაბალი კვეთით, თუმცა წარწერის ბოლო გრაფემა ზენი ქვის დაზიანებულ ნაწილშია მოთავსებული და ფრაგმენტულად ჩანს; წარწერის ფართობი: 11,7X27,5 სმ; ყველაზე დიდი გრაფემა კანის ზომა: 11,7X2,5 სმ; ყველაზე პატარა გრაფემა ნარის ზომა: 2X0,5 სმ; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია სწორი განივი ხაზი ან პატარა მარყუჟი.

ქე შე ნიკოლოზ



„ქრისტე, შეიწყალე ნიკოლოზ“.

პალეოგრაფიული დახასიათება: წარწერაში გრაფემები ოთხხაზოვან ბადეშია განთავსებული. ტექსტი გარდამავალი მხედრულითაა შესრულებული. ერთ-ერთი გრაფემა შინი ნუსხურია. წარწერაში გრაფემა ენი ორჯერ დასტურდება და ორივე შემთხვევაში, გარდამავალი მხედრულისათვის ტიპური მოხაზულობით – დაკუთხული, ორკილა ზედა განივი ხაზითა და გრძელი, ოდნავ მარცხნივ შეხუქილი ვერტიკალური ხაზითაა გადმოცემული. ამგვარი მოხაზულობის ენი XI საუკუნის გარდამავალი მხედრულით შესრულებული წარწერებისათვის არის დამახასიათებელი. პარალელის სახით, შეგვიძლია, დავასახელოთ სვანეთის XI საუკუნის წარწერა-გრაფიტები (მაგ.: ბერდო ამროლაისძის, გიორგი ტგელაის და იოვანეს II წარწერა აცის მთავარანგელოზის ეკლესიიდან; გეორგეს წარწერა თეკალის მაცხოვრის ეკლესიიდან; იოვანეს III წარწერა იელის მაცხოვრის ეკლესიიდან)¹. განსაკუთრებით, აღსანიშნავია წარწერის მესამე გრაფემის ნუსხური შინის მოხაზულობა: ამ გრაფემის ზედა ნაწილი მორკალულია, რაც იმის მანიშნებელია, რომ ის, ნელ-ნელა, მხედრულ შინს ემსგავსება. წარწერაში გარდამავალი მხედრული გრაფემები ერთმანეთზეა გადაბმული. გამონაკლისია სიტყვა „ნიკოლოზ“-ის პირველი გრაფემა ნარი, მეოთხე გრაფემონი და ბოლო გრაფემა ზენი.

ტექსტის ანალიზი: ტექსტი სამი სიტყვისაგან შედგება. ის ვინმე ნიკოლოზის სავდრებელს წარმოადგენს. წარწერა იწყება ტრაფარეტული ფორმულით „ქრისტე, შეიწყალე“, რომელიც, ტრადიციულად, შუაკვეცილობითი დაქარაგმებითაა გადმოცემული.

2. სავდრებელი წარწერა შალვასი (XI ს.)

წარწერა ამოკაწრულია საფლავის ქვის ფილის II და III ფრაგმენტების ზედა მხარეს; ეპიგრაფიული ნუსხური, გარდამავალი მხედრული ასოების შერევით; 1 სტრიქონი; ამოკაწრულია დაბალი კვეთით; ზოგ ადგილას აღინიშნება დაზიანების ნიშნები; წარწერაში ბგერა უნი გრაფემა ონის მეშვეობით არის გადმოცემული; წარწერის ფართობი: 5,1X76,4 სმ; ყველაზე დიდი გრაფემა ქანის ზომა: 5X1 სმ; ყველაზე პატარა გრაფემა ინის ზომა: 0,3X0,3 სმ; წარწერას განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია სწორი განივი ხაზი.

¹ სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. II ეპიგრაფიული ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ (თბილისი, 1988), გვ. 238-239, 243, 245, 251, 260-262, 278.

ქ. უფალო, შეიწყალოე საწყალობელი სული შალვასი, ღოცვა ყავთ, ღმრთისათუქის, ღმრთისა მოყუარენო.

„ქ. უფალო, შეიწყალოე საწყალობელი სული შალვასი, ღოცვა ყავთ, ღმრთისათუქის, ღმრთისა მოყუარენო“.

პალეოგრაფიული დახასიათება: წარწერის ასოები განლაგებულია ოთხხაზოვან ბადეში. იგი შესრულებულია სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურითა და გარდამავალი მხედრული დამწერლობით. კერძოდ, ნუსხურია: ქანი, ფანი, ანი, შინი, ენი, ანი, წილი, ყარი, ანი, სანი, შინი, ანი, ვინი, ანი, სანი, ინი, ცინი, ვინი, ანი, ყარი, ანი, ვინი, სანი, ანი, ონი, სანი, სანი, ანი, მანი, ონი, ყარი, ანი, რაე, ხოლო გარდამავალი მხედრულია: ონი, ღასი, ონი, სანი, ღასი, ონი, ბანი, ენი, ღასი, ონი, ღასი, ინი, ღასი, ღასი, ონი, თანი, დანი, თანი, თანი, დანი, თანი, ენი, ნარი, ონი. განსაკუთრებით აღსანიშნავია წარწერის მესამე გრაფემის – ნუსხური შინის მოხაზულობა, სახედლობრ, ასოს ზედა ნაწილი მომრგვალებულია, რაც იმის მანიშნებელია, რომ ნელნელა ის ემსგავსება მხედრულ შინს. ტექსტის დასაწყისში ასო ქანი ამოკაწრულია სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურით. ამის შემდეგ ყურადღებას იქცევს გრაფემა ონის მოხაზულობა, რომელიც წარწერაში რვაჯერ არის გადმოცემული. პირველ ექვს შემთხვევაში, ის გარდამავალი მხედრულითაა მოცემული და დიდ მსგავსებას ამჟღავნებს აცის (იელის) მთავარანგელოზთა ეკლესიის ბეორდო ამროლაისძის XI საუკუნის წარწერაში¹ გამოყენებულ გრაფემებთან. გარდა ამისა, გრაფემა ონის მეშვეობით გადმოცემულია ბგერა უნი. ასევე, ყურადღებას იქცევს წარწერაში ექვსჯერ გამოყენებული ღასის მოხაზულობა, რომელიც შემდგომში მდგომარეობს: იგი მხოლოდ გარდამავალი მხედრულისათვის დამახასიათებელი სამი კბილის სახითაა წარმოდგენილი და ქვედა ხაზი არ აქვს. ასეთივე ღანი გვხვდება აცის (იელის) მთავარანგელოზთა ეკლესიის გიორგი ჯავიანის XI საუკუნის ნაკაწრ წარწერაში². ასეთივე იფრარის მთავარანგელოზის ეკლესიის XI საუკუნის ქავთარის მოხახსენებელ წარწერაში მოცემული ღანის მოხაზულობა³. ჩვენთვის საინტერესო წარწერის ტექსტში გრაფემა თანი სამჯერ არის მოცემული და დიდ მსგავსებას ამჟღავნებს იფრარის მთავარანგელოზის ეკლესიის XI საუკუნის იოვანეს სავედრებელ წარწერაში გამოყენებულ თანთან. რაც შეეხება ასო ფარს, ის დიდ მსგავსებას ამჟღავნებს იფარის წმიდა გიორგის ეკლესიის XI საუკუნის მეფოველთა ჰელით ცნობილ წარწერაში⁴ დაფიქსირებულ ფართან. ძალიან საინტერესო მოხაზულობა აქვს ასო ბანს, კერძოდ, თავი აქვს წარწერის შუა ნაწილში, ხოლო მისი დიდი მუცელი შეკრული აქვს წარწერის ქვედა ნაწილში. დაახლოებით, ასეთივე ბანი გვხვდება ღამარიას ღმრთისმშობლის ეკლესიის XI საუკუნის იოვანეს სავედრებელ ნაკაწრ წარწერაში⁵. ასევე, გასათვალისწინებელია მუჟალის მთავარანგელოზთა ეკლესიის X-XI საუკუნეების ხარებას წარწერის⁶ ბანი, რომელიც მოხაზულობათა დახვეწილობით საგრძნობლად ჩამოუვარდება ჩვენთვის საინტერესო წარწერის ბანი მოხაზულობას. ზუსტად ანალოგიური ბანი ამოკვეთილია ღიხნის ტაძრის აღმოსავლეთ ქორედზე მოთავსებულ ორ მდივან-მწიგნობრულ წარწერათა ფრაგმენტებში⁷. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული წარწერას XI საუკუნით ვათარიღებთ.

ტექსტის ანალიზი: ტექსტი შედგება თერთმეტი სიტყვისაგან. იგი ვინმე შალვას მოხახსენებელ ტექსტს წარმოადგენს. წარწერა იწყება ტრაფარეტული ფორმულით უფალო შეიწყალო, რომლის პირველი სიტყვა უფალო დაქარაგმების გარეშე არის მოცემული, ხოლო მეორე სიტყვა შეიწყალო, ტრადიციულად შუაკვეცილობითი დაქარაგმებითაა წარმოდგენილი. ამის შემდეგ მოდის შემდეგი სიტყვები საწყალობელ სული შალვასი ანუ მოხახსენებულია ის პიროვნება ვისი სულის მეოხებასაც შესთხოვენ უფალს, რასაც მოსდევს ღოცვითი ნაწილი: ღოცვა ყავთ ღმრთისათვის ღმრთისა მოყუარენო.

¹ იქვე, გვ. 238-239.
² იქვე, გვ. 240-241.
³ იქვე, გვ. 267.
⁴ იქვე, გვ. 333.
⁵ იქვე, გვ. 352.
⁶ იქვე, გვ. 369.
⁷ ვ. სილოგავა, *სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა* (თბილისი, 2004), გვ. 214-215.

3. სავედრებელი წარწერა იოვანესი (XI ს.)

წარწერა ამოკაწრულია დაზიანებული ქვის ფილაზე; სწორი ეპიგრაფიკული ნუსხური; 1 სტრიქონი; ამოკაწრულია დაბალი კვეთით; წარწერის მეორე და მესამე გრაფემები ფრაგმენტულად იკითხება; წარწერის ფართობი: 9,5X12 სმ; ყველაზე დიდი გრაფემის – ქანის ზომა: 9,5X0,8 სმ; ყველაზე პატარა გრაფემის – ინის ზომა: 0,3X0,4 სმ; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია სწორი განივი ხაზი.

q̄ēS̄e ivane




„ქ(რისტე) შეიწყალე ი(ო)ვანე“.

პალეოგრაფიული დახასიათება: წარწერის ასოები განლაგებულია ოთხხაზოვან ბადეში. იგი შესრულებულია სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურით. განსაკუთრებით აღსანიშნავია წარწერის პირველი გრაფემის ქანის მოხაზულობა, რომელსაც მარცხენა მხარეს ზედა ნაწილი ზევით აქვს მიმართული, ხოლო მარჯვენა მკლავი ქვევით აქვს მიმართული. გრაფემა ენი ტექსტში დასტურდება სამჯერ. ის პირველ ორ შემთხვევაში გადმოცემულია სწორი მოხაზულობით, ხოლო მესამედ სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურითაა გადმოცემული, თუმცა პორიზონტალური ხაზები დახრილია მარჯვნიდან მარცხნივ. ასევე, აღნიშვნის ღირსია, გრაფემების შინის და ვინის მოხაზულობა, კერძოდ, ორივე ასო სხვა ასოებთან (მხედველობაში გვაქვს გრაფემები: ქანი, ენი) შედარებით, მცირე ზომისაა, თუმცა სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურით არის გადმოცემული. ასევე, ყურადღებას იქცევს გრაფემა ნარის მოხაზულობა, რომლის ზედა ნაწილს ჩამოუდის სწორი ხაზი ქვემოთ, ასეთივე ანალოგიას ვპოულობთ გარეჯის მრავალწაროს XI საუკუნის გიორგი ლავრელის წარწერაში¹ მოყვანილ ნართან, რომელსაც ზედა ნაწილის ხაზი ქვევით ჩამოუდის, თუმცა ჩვენთვის საინტერესო ნარისგან განსხვავებით, ზედა ნაწილი მომრგვალებული აქვს და გამხედრულებისაკენ არის მიმართული. ზუსტად ასეთივე ნარი არის იფარის წმიდა გიორგის ეკლესიის XI საუკუნის მეფოველთა კვლით ცნობილ წარწერაში ამოკაწრული². წარწერის მეორე და მესამე გრაფემები ენი და შინი დაზიანებულია: აღარ იკითხება ენის კბილები და შინის ზედა ნაწილი. გრაფემა შინი ოთხხაზოვან ბადის ზედა რეგისტრშია წარმოდგენილი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული წარწერას XI საუკუნით ვათარიღებთ.

ტექსტის ანალიზი: ტექსტი შედგება სამი სიტყვისაგან. იგი ვინმე იოვანეს მოსახსენებელია. წარწერა იწყება ტრაფარეტული ფორმულით ქრისტე შეიწყალე, რომელიც, ტრადიციულად შუა-კვეცილობითი დაქარაგმებით არ არის წარმოდგენილი.

4. სავედრებელი წარწერა მნათესი (XI ს.)

წარწერა ამოკაწრულია დაზიანებული ქვის შუა წელზე, სამივე ფილაზე; სწორი ეპიგრაფიკული ნუსხური; 2 სტრიქონი; ამოკაწრულია დაბალი კვეთით, ზოგ ადგილას აღენიშნება მცირე დაზიანებები; წარწერის ფართობი: 8X9,3 სმ; ყველაზე დიდი გრაფემა ცანის ზომა: 4,7X2 სმ; ყველაზე პატარა გრაფემა ინის ზომა: 1,1X1 სმ; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია სწორი განივი ხაზი.



მTm̄n nu ზეუᄃnes coᄃv ᄆni mnᄃesa | r l cxoᄆr , ᄆr ,s,

„ღ(მერ)თმ(ა)ნ ნუ შეუღნეს ცოდვანი მნ(ა)თესა, | რ(ომ)ელ ცხოარ არს“.

¹ ვ. სილოგავა, წარწერები გარეჯის მრავალწაროდან (IX-XIII სს.), პალეოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა (თბილისი, 1999), გვ. 149.
² სვანეთის წერილობითი ძეგლები, გვ. 333.

პალეოგრაფიული დახასიათება: წარწერის ასოები განლაგებულია ოთხხაზოვან ბადეში. იგი შესრულებულია სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურით, რომელშიც შერეულია ასომთავრული გრაფემები: ღარი, შინი, დონი, ანი და რაე. აღსანიშნავია, რომ თანი პირველ შემთხვევაში გამოცემულია სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურით, ხოლო მეორე შემთხვევაში ასომთავრულით. ასო მანი წარწერაში ორჯერ არის მოცემული. გრაფემა მანის ზედა ნაწილი ზევით არის მიმართული და მუცელი მომრგვალებული აქვს, კერძოდ, პირველ შემთხვევაში შეუკრავი, ხოლო მეორე შემთხვევაში შეკრული სახით. გრაფემა უნი წარწერაში ორჯერ გვხვდება. პირველ შემთხვევაში სამი კბილით, რომელსაც ჩამოუდის ოდნავ დახრილი სწორი ხაზი, ხოლო მეორე შემთხვევაში ორი კბილი ასევე ოდნავ დახრილი სწორი ხაზით. წარწერაში გრაფემა დონი ორჯერ გვხვდება და ოთხხაზოვანი ბადის ქვედა რეგისტრშია წარმოდგენილი, უფრო კონკრეტულად, დონი მართალია ასომთავრულია, მაგრამ მისი მუცელი მოკლე ყელთან დაკავშირებისას (თითქმის არ ჩანს ყელი) მარცხნივ გახსნილია და ამით გარდამავალი მხედრული დონის მოხაზულობისაკენ მიდრეკილებით არის გადმოცემული. დონი წარწერაში ორჯერ გვხვდება და ორივეჯერ ერთი და იმავე მოხაზულობით. მსგავსი მოხაზულობის დონი გვხვდება XI საუკუნის სხვა ეპიგრაფიკულ ძეგლებში: დარკვეთის ეკლესიისა¹ და მრავალძალის კეთილად მოღუაწეთა² წარწერებში. ასო ონი წარწერაში ორჯერ არის მოყვანილი და ორი დახრილი კბილით არის წარმოდგენილი. ასევე, რაეს მარცხენა მკლავი არსად არ უერთდება მთავარ ხაზს, რაც აღნიშნული წარწერის ერთ-ერთ მთავარ თავისებურებას წარმოადგენს. წარწერაში ცანის და ხანის ფეხი მორკალულია და ჩამოდის ოთხხაზოვანი ბადის ქვედა რეგისტრში. წარწერაში მხოლოდ ერთი სიტყვა „ღ(მერ)თმ(ა)ნ“ არის დაქარაგმებული და აღნიშნულ სიტყვას ქარაგმა (სწორი განივი, მარცხნიდან მარჯვნივ ზევით აწეული ხაზი) უზის გრაფემების – მანსა და ნარს შორის. აღნიშნული პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, წარწერა XI საუკუნით უნდა დათარიღდეს.

ტექსტის ანალიზი: ტექსტი შედგება რვა სიტყვისაგან. იგი ვინმე მნათეს ანუ სტიქაროსანის მოსახსენებელია. წარწერა არ იწყება ტრაფარეტული ფორმულით: „ქრისტე, შეიწყალე“ ან „უფალო, შეიწყალე“. პირიქით, აქ არის მიმართვა უფლისადმი, რომ არ შეუნდოს ცოდვანი მნათესა, რომელიც წარწერისავე შინაარსის მიხედვით, ცხუარია. ჩვენი აზრით, ამ წარწერიდან ჩანს დიდი სულიერება მნათესი, რომელიც იმდენად უღირსად თვლის თავის თავს უფლის წინაშე, რომ თავდამბლობის ნიშნად ცოდვების არ შენდობას თხოვს, თუმცა წარწერის ბოლოს დასძენს, რომ ის უფლის ცხუარია მისი ქრისტიანობის დადასტურების ნიშნად. აღნიშნული წარწერის ანალოგიას წარმოადგენს ბეთანიის ტაძრის ერთ-ერთი მხატვრის – სოფრომის წარწერა, რომელიც შემდგომი შინაარსისაა: „უფალო, ნუ შეუნდობ სოფრომს“³; ასევე, განძის წმიდა იოვანეს ეკლესიის XIII-XIV საუკუნეების ასომთავრული წარწერა: „უ(ფალო), არ შეიწყალე“⁴.

5. შარიაქას სავედრებელი წარწერა (XI ს.)

წარწერა ამოკაწრულია დაზიანებული ქვის პირველ ფილაზე; სწორი ეპიგრაფიკული ნუსხური; 5 სტრიქონი; ამოკაწრულია დაბალი კვეთით; ზოგ ადგილას აღენიშნება დაზიანებები, განსაკუთრებით – წარწერის მეოთხე და მესამე სტრიქონებზე; წარწერის ბოლო ნაწილი გადაშლილია და შესაბამისად აღარ იკითხება; წარწერის ფართობი: 13,5X22 სმ.; ყველაზე დიდი გრაფემა წილის ზომია: 2,8X1 სმ.; ყველაზე პატარა გრაფემა ანის ზომია: 0,3X0,3 სმ.; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია სწორი განივი ხაზი.

¹ დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ (თბილისი, 1980), გვ. 76; 79; 80.

² იქვე, გვ. 95.

³ არქიმანდრიტი ლაზარე, ივერიის ბეთანია (თბილისი, 1994). წელი, გვ. 18.

⁴ ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტოპონიმია, ხალხთა მემკვიდრეო ლიტერატურული ცენტრები, გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევები დაურთეს ვ. სილოგავამ, ლ. ახალაძემ, მ. ბერიძემ, ნ. სულავამ და რ. ყავრელიშვილმა (თბილისი, 2012), გვ. 42.


q wmida g'i Seiwyal e mon|ai Seni
Sar iaqa da Seondv en | codv ani da sxoani
zr axv ien | r aime gr qoa Sen gonier o xeo |
f al o Suenier o samyar o sa[...].

„ქ. წმიდა გ(იორგი), შეიწყალე მონაი შენი
შარიაქა და შეუნდვენ / ცოდვანი და სხუანი
ზრახვიენ / რაიმე, გრქოა შენ, გონიერო ხეო, /
[უ]ფალო, შეუნიერო სამყარო, სა...“.

პალეოგრაფიული დახასიათება: წარწერა
შესრულებულია მაღალი და წვრილი ასოებით,
გრაფემები განლაგებულია ოთხხაზოვან საწერ ბადეში, პირველი სამი სტრიქონი დაცულია ჰორიზონტალურობა, ხოლო მეოთხე და მეხუთე სტრიქონები ამოკაწრულია ოდნავ გასწვრივ. წარწერაში მოცემული ნუსხური ასოების უმეტესობა (ქანი, წილი, ინი, ენი, ყარი, რაე, სანი...) გადმოცემულია სწორი და არა გვერდზე გადახრილი მოხაზულობით. აქედან გამომდინარე, წარწერის დამწერლობა შეიძლება ჩაითვალოს როგორც სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურად, თუმცა შერეულია ასომთავრული ანი. სწორი, ტანგამართული ნუსხური დამახასიათებელია XI საუკუნისათვის. პარალელის სახით, შეიძლება დასახელდეს როგორც ხელნაწერები (A-1769, H-1741, S-1276, A-996, A-844), ისე ეპიგრაფიკული ძეგლები (მრავალწეროს XI ს-ის წარწერები, ატენის X-XI სს-ის წარწერები).

გრაფემა ანი წარწერის ტექსტში თექვსმეტჯერ არის გამოყენებული. აქედან, პირველ ექვს შემთხვევაში იგი გადმოცემულია ასომთავრული ანის სახით, ხოლო დანარჩენ ათ შემთხვევაში ნუსხური დამწერლობითაა შესრულებული. გრაფემა განი წარწერაში სამჯერ არის ამოკაწრული, რომელსაც მარჯვნივ გაზიდული მუცელი აქვს. მისი მუცლის ზედა ნაწილი საკმაოდ მკვეთრ რკალს აკეთებს. მკვეთრად არის გაზიდული მარჯვნივ გრაფემა შინის ქვედა ვერტიკალური ხაზებიც, რომლებიც დაკუთხული, ან მომრგვალებული ფორმითაა გადმოცემული, ხოლო მუცელი ღრმა რკალს ხაზავს. ასო მანი წარწერაში ოთხჯერ არის მოცემული. ამ გრაფემის ზედა ნაწილი ზევით არის მიმართული. მას მუცელი ორ შემთხვევაში მომრგვალებული აქვს, ხოლო დანარჩენ ორ შემთხვევაში ოთხკუთხედი ფორმის მუცელი აქვს. აღნიშვნის ღირსია გრაფემა ქანის მოხაზულობა, რომელიც სამგზის არის ამოკაწრული. პირველ შემთხვევაში იგი ქანწილის სახითაა მოცემული და შესრულებულია სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურით, ხოლო დანარჩენ ორ შემთხვევაში ასო ქანის მთავარი ხაზი მორკალული ფორმითაა წარმოდგენილი და მის ვერტიკალურ, განივ ხაზს დამატებით, მცირე ზომის, ხაზები აქვს წარმოდგენილი (მარჯვენა მხარეს დაბლა მიმართული, ხოლო მარცხენა ნაწილში ზევით აზიდული). ასო უნი წარწერაში ორი კბილითაა შესრულებული. გრაფემის ვინის მთავარი ვერტიკალური ხაზი მკვეთრად არის გაზიდული მარჯვნივ. საინტერესოა გრაფემა სანის მოხაზულობაც. იგი არ იკეთებს მუცლის რკალს და მცირე ზომის მარჯვნივ გაზიდული ჰორიზონტალური ხაზით არის გადმოცემული, რომელსაც ქვევით მიმართული მცირე, ვერტიკალური ხაზი აქვს. ასო ცანის ფეხი საკმაოდ გრძელია. წარწერაში მხოლოდ ერთი სიტყვა „გ(იორგი)“ არის დაქარაგმებული. აღნიშნულ სიტყვას ქარაგმა (სწორი განივი ხაზი) უზის გრაფემებს – განსა და ინს შორის. ჩვენთვის საინტერესო წარწერა, პალეოგრაფიული თვალსაზრისით, დიდი მსგავსებას ამჟღავნებს გარეჯის მრავალწეროს XI საუკუნის დავითის წარწერასთან¹ და სხვ. აღნიშნული პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, წარწერა XI საუკუნით უნდა დათარიღდეს.

ტექსტის ანალიზი: ტექსტი შედგება ოცდამეორე სიტყვისაგან. ის ვინმე შარიაქას სავედრებელ ტექსტს წარმოადგენს. წარწერის დასაწყის ნაწილში შარიაქა შეწყალებას სთხოვს წმიდა გიორგის და ცოდვებისა თუ სხვა ზრახვების შენდობას სთხოვს: „ქ. წმიდა გ(იორგი) შეიწყალე მონაი შენი შარიაქა და შეუნდვენ ცოდვანი და სხუანი ზრახვიენ რაი“. ამის შემდეგ მიმართვის ადრესატი არის თავად უფალი, რომელსაც მოიხსნიებს, როგორც გონიერ ხესა და მშვენიერ სამყაროს: „მე გრქოა შენ, გონიერო ხეო, [უ]ფალო, შეუნიერო სამყარო“. როგორც ცნობილია, ხე უძველესი დროიდან სიცოცხლის ანუ ქრისტეს სიმბოლოა და აქედან გამომდინარეა, რომ წარწერის ამომკაწრელი უფალს „გონიერი ხის“ ეპითეტით მოიხსენიებს.



ქ. წმიდა გ(იორგი)
შეიწყალე მონაი შენი
შარიაქა და შეუნდვენ
ცოდვანი და სხუანი
ზრახვიენ რაიმე
გრქოა შენ
გონიერო ხეო
[უ]ფალო
შეუნიერო სამყარო
სა...

¹ ვ. ხილოგავა, წარწერები გარეჯის მრავალწეროდან..., გვ. 98-103.
258

6. თორნიკეს სავედრებელი წარწერა (XI ს.)

წარწერა ამოკაწრულია დაზიანებული ქვის მეორე და მესამე ფილაზე; მდივან-მწიგნობრული მხედრული; 1 სტრიქონი; ამოკაწრულია მკაფიო კვეთით; წარწერის ფართობი: 11X30,5 სმ.; ყველაზე დიდი გრაფემა კანის ზომა: 9,7X1 სმ.; ყველაზე პატარა გრაფემა ონის ზომა: 0,3X2,2 სმ.; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია სწორი განივი ხაზი.

წო გ-ი შე თორნიკ

„წ(მიდა)ო გ(იორგი), შ(ეიწყალ)ე
თორნიკ“.

პალეოგრაფიული დახასიათება: წარწერის ასოები განლაგებულია ოთხხაზოვან ბადეში. იგი შესრულებულია მდივან-მწიგნობრული მხედრულით. წარწერაში პირველი (წილი) და ბოლო (კანი) გრაფემები სხვა ასოებთან შედარებით, გრძელია. წარწერის პირველი გრაფემა წილი გადმოცემულია სამი კბილის მეშვეობით. ასეთივე წილი შესრულებულია 1072/1073 წლების ვახე პროტოსპატარისა და იპატოსის და პეტრიკ პატრიკისა და მწიგნობართუხუცესის სახელით ცნობილ წარწერაში¹, კერძოდ, წარწერის მეორე სტრიქონის დასაწყის სიტყვა „შემეწიე“-სა და ამავე სტრიქონის სიტყვა „წინამიმდებარარეთა“-ში. ასევე, საინტერესო მოხაზულობით გამოირჩევა გრაფემა კანი, რომელსაც მუცელი არ ეკვრის. ასეთივე კანი გვხვდება ლიხნის ტაძრის XI საუკუნის 60-იანი წლებით დათარიღებულ პეტრიკოპულის წარწერაში². ჩვენთვის საინტერესო წარწერაში ამოკაწრული განი და შინი დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ლიხნის ტაძრის აღმოსავლეთ ქორედის XI საუკუნის წარწერის განთან და შინთან³. წარწერაში ასო ონი ორჯერ არის ამოკაწრული. პირველ შემთხვევაში თანამედროვე ონის მოხაზულობისა, ხოლო მეორე შემთხვევაში უფრო გარდამავალი მხედრულის რაეს წააგავს. ასეთივე ონი ამოკაწრულია XI საუკუნის ბეორდო არმროლაისძის წარწერაშიც⁴. აღნიშნული პარალელებისა და პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, წარწერა XI საუკუნით უნდა დათარიღდეს.

ტექსტის ანალიზი: ტექსტი შედგება ოთხი სიტყვისაგან. იგი ვინმე თორნიკეს სავედრებელ ტექსტს წარმოადგენს. თორნიკეს სავედრებელი, შარიაქას სავედრებელი წარწერის მსგავსად, წმ. გიორგისადმი მიმართული. სწორედ ამ წმიდანისაგან ითხოვს ჩვენთვის საინტერესო პირი შეწყალებას. წარწერა იწყება ფორმულით: „წ(მიდა)ო გ(იორგი), შ(ეიწყალ)ე“. ეს სიტყვები ტრადიციულად, შუაკვეცილობითი დაქარაგმებით არის წარმოდგენილი. ამის შემდეგ მოდის ანთროპონიმი თორნიკე, „თორნიკ“-ის ფორმით.

7. სავედრებელი წარწერის ფრაგმენტი (XI ს.)

წარწერა ამოკაწრულია დაზიანებული ქვის მეორე ფილაზე; გარდამავალი მხედრული; 1 სტრიქონი; ამოკაწრულია მკაფიო კვეთით; წარწერის ფართობი: 9X11,3 სმ.; ყველაზე დიდი გრაფემა ქანის ზომა: 8X2 სმ.; ყველაზე პატარა გრაფემა დანის ზომა: 0,4X0,5 სმ.; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია მარცხნიდან მარჯვნივ დახრილი სწორი განივი ხაზი.

ქე ღთო

„ქ(რისტ)ე ღ(მერ)თო“.

¹ ვ. სილოგავა, *სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა...*, გვ. 208.

² იქვე, გვ. 202.

³ იქვე, გვ. 219.

⁴ *სვანეთის წერილობითი ძეგლები*, გვ. 238-239.

პალეოგრაფიული დახასიათება: წარწერის ასოები განლაგებულია ოთხხაზოვან ბადეში. შესრულებულია გარდამავალი მხედრულით. წარწერის პირველი გრაფემა ქანი გადმოცემულია სწორი ვერტიკალური ხაზით. მისი პორიზონტალური ხაზი აზიდულია მარცხნიდან მარჯვნივ. გრაფემა ენი გადმოცემულია გარდამავალი მხედრულისათვის დამახასიათებელი დაკუთხული, ორკბილა ზედა განივი ხაზით და გრძელი, ოდნავ მარცხნივ შეღუნული ვერტიკალური ხაზით. ასეთივე ენი ამოკაწრულია ნიკოლოზის სავედრებელ წარწერაში (იხ. ზემოთ: წარწერა №1). შემდეგი სამი გრაფემა – დანი, თანი და ონი ამოკაწრულია გადაბმით.

ტექსტის ანალიზი: ტექსტი შედგება ორი სიტყვისაგან, რომლებიც გადმოცემულია შუაგვე-ცილობითი დაქარაგმებით და იკითხება შემდეგი სახით: „ქრისტე ღმერთო“. იგი ვინმე ანონიმის სავედრებელ ტექსტს წარმოადგენს და არ შეიცავს არანაირ ინფორმაციას დამწერის ვინაობის შესახებ. მსგავსი ფორმულირებები გვხვდება როგორც ადრეულ, X-XI საუკუნეების (დაღეთის ეკლესიის წარწერა)¹, ასევე გვიანდელ, XVII-XVIII საუკუნეების ძეგლებში (უდაბნოს მონასტრის წარწერები)².

ფოტოლექტის ნაკაწრ წარწერათა
ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი

როგორც ცნობილია, IX საუკუნის 40-იან წლებში გრიგოლ ხანცთელის მოწაფეებმა – თეოდორემ და ქრისტეფორემ ქართლში, სამცხის მოსაზღვრე მხარეში, დაარსეს ორ მონასტერი: ნეძვი და კვირიკეწმიდა.

გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების მიხედვით, გრიგოლი და მისი მოწაფეები – თეოდორე და ქრისტეფორე „წარვიდეს ზოგად სამცხისა და ქართლისა არეთა მათ უდაბნოთა, და პოვნეს ორნი ადგილნი სამონასტრედ და აღაშენეს სენაკები ორგანვე. და უწოდეს თევდორცს ვანსა ნეძვ, ხოლო ქრისტეფორცსა კვრიკე-წმიდად, და მოწაფენი დაუტევენს“³.

პირველი სავანის – ნეძვის ადგილმდებარეობის საკითხი ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში გადაჭრილია და მას ახალდაბიდან 12 კილომეტრით დაშორებით მდებარე, თითქმის დანგრეულ სამონასტრო კომპლექს – ნეძვთან აიგივებენ⁴. რაც შეეხება კვირიკეწმიდის ადგილმდებარეობის საკითხს, აქ საქმე უფრო რთულადაა⁵.

ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი (ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი სერგი მაკალათია, გიორგი ზედგინიძე, ვალერიან აბულაძე) გრიგოლ ხანცთელის „ცხოვრებაში“ დასა-

¹ ქართული წარწერების კორპუსი, ტ. I, (აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო V-X სს.), შეადგინა და გამო-საცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა (თბილისი, 1980), გვ. 246.

² გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, ტ. I, ნაკვეთი პირველი, წმ. დავითის ღვაწლი, უდაბნოს მონასტერი (XI-XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა და ზ. სხირტლაძემ (თბილისი, 1999), გვ. 124, 160, 339.

³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგნ. I (V-X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელ-მძღვანელობითა და რედაქციით (თბილისი, 1963), გვ. 279. იხ. აგრეთვე: ძველი ქართული მოთხრობა V-XII საუკუნეებში, შეადგინა, წინასიტყვაობა დაურთო და რედაქცია გაუკეთა რ. თვარაძემ (თბილისი, 1979), გვ. 230.

⁴ რ. მეფისაშვილი, გრიგოლ ხანცთელის მოწაფეთა საადამიანებლო მოღვაწეობა ქართლში, საქართველო სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, №4 (თბილისი, 1963), გვ. 232-241.

⁵ ქართულ ისტორიოგრაფიაში მეცნიერთა ერთი ნაწილი ქრისტეფორეს მიერ აშენებულ კვირიკეწმიდის მდებარეობას ბორჯომ-ახალციხის სსახზღვრო ზოლში, უფრო კონკრეტულად, სოფელ საყუნეთის სექტორში, სოფელ კოპაძესთან განსაზღვრავს (პ. ინგოროყვა, გიორგი მერხულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან (თბილისი, 1954), გვ. 393-395); ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, გამოკვლევა (თბილისი, 1958), გვ. 124-125), მეცნიერთა მეორე ნაწილი (რუსუდან მეფოსაშვილი) კვირიკეწმიდას ჩითახევის ეკლესიასთან (დ. ხოშტარია, ჩითახევის მონასტრის ეკლესია (IX საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი), მეცნიერებათა აკადემიის მაცნე - ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 4 (თბილისი, 1983)) აიგივებს (Меписашвили Р., Основные особенности трехцерковных базилик Грузии, доклад на международном симпозиуме по грузинскому искусству (Тбилиси, 1977), გვ. 6-7), მესამე ნაწილი (დავით ხოშტარია) ფოთოლეთის ეკლესიასთან აიგივებს, ხოლო მეოთხე ნაწილი ნიკო ბერძენიშვილი (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, ისტორიული გეოგრაფია (თბილისი, 1964), გვ. 250); გიორგი ჩუბინაშვილი (გ. ჩუბინაშვილი, ქვაბის-ხევის ხეობის ძველი ბაზილიკა, სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტომი 34 a-b (თბილისი, 1948), გვ. 396); სერგი მაკალათია, (ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი) (თბილისი, 1957), გვ. 41-42; იხ. აგრეთვე: Макалатия С., Боржомское ущелье (Историко-Этнографический очерк) (Тбилиси, 1958), გვ. 47-49); გიორგი ზედგინიძე (გ. ზედგინიძე, სამხრეთ საქართველოს რამდენიმე ისტორიული პუნქტის ლოკალიზაციისათვის, მაცნე - ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 3 (თბილისი, 1972), გვ. 165-166), ვალერიან აბულაძე (ვ. აბულაძე, ბორჯომის ხეობის წარსული და აწმყო (თბილისი, 1983), გვ. 23-27); კი კვირიკეწმიდაში ქვაბისხევის პირდაპირ მდებარე საკვირიკეს კომპლექსს მოიაზრებენ.

ხელებულ კვირიკეშიდას ქვაბისხევის პირდაპირ მდებარე საკვირიკეს კომპლექსთან აიგივებს¹, მეცნიერთა მეორე ნაწილი (პავლე ინგოროყვა, სერგი ჯიქია) კვირიკეშიდის მდებარეობას ბორჯომ-ახალციხის სასაზღვრო ზოლში, უფრო ზუსტად, სოფელ საყუნეთის სექტორში, სოფელ კოპაძესთან განსაზღვრავს², ხოლო მეცნიერთა მესამე ნაწილი (რუსუდან მეფისაშვილი) კვირიკეშიდას ჩითახევის ეკლესიად მიიჩნევს³.

კვირიკეშიდის ლოკალიზაციის საკითხს სულ ბოლოს შეეხო დავით ხოშტარია, რომელმაც 1985 წელს ჟურნალ „მაცნეს“ პირველ ნომერში გამოაქვეყნა საგანგებოდ ამ საკითხისადმი მიძღვნილი სტატია „კვირიკეშიდის მდებარეობის საკითხისათვის“.

მკვლევარი სტატიის დასაწყისში აღნიშნავს, რომ კვირიკეშიდის „ლოკალიზაციის საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის. ამ საკითხის გადაჭრა უკავშირდება მთელ რიგ პრობლემებს, ერთი მხრივ, ისტორიული გეოგრაფიის, ხოლო, მეორე მხრივ, არქიტექტურის ისტორიის სფეროებიდან“⁴.

ამის შემდეგ ავტორს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოჰყავს ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებები კვირიკეშიდის ლოკალიზაციის შესახებ.

მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს გრიგოლ ხანცთელის „ცხოვრების“ იმ ფრაზაზე, რომლიდანაც ვიგებთ, რომ ნექვი და კვირიკეშიდა დაარსებულა „ზოგად სამცხისა და ქართლისა არეთა მათ უდაბნოთა... ქართლსა შინა“. ეს ფრაზა ავტორს აფიქრებინებს, რომ „აღნიშნული მონასტრები გაშენდა ერთიმეორის უშუალო სიახლოვეს“⁵. ამის პარალელურად, მეცნიერი ითვალისწინებს იმ ფაქტსაც, რომ ქართლ-სამცხის სასაზღვრო პუნქტი მტკვარზე VIII-X საუკუნეებში იყო ტაშისკართან, რაც სავსებით შეესაბამება ნექვის ადგილმდებარეობას. იგი ასევე ითვალისწინებს იმ მოსაზრებასაც, რომ ქართლ-სამცხის საზღვარი VIII-X საუკუნეებში სულ ტაშისკარზე არ გადიოდა და ის სოფელ დვირზეც ინაცვლებდა ხოლმე. მისი აზრით, ამ შემთხვევაში, კვირიკეშიდა და ჩითახევის ეკლესია კი ჯდება სასაზღვრო ზოლში, მაგრამ ნექვი ძალზედ სცილდება მას. აქედან გამომდინარე, მას ნაკლებად დამაჯერებლად მიაჩნია ქრისტეფორეს მიერ აშენებული ეკლესიის საკვირიკესა და ჩითახევის მონასტრებთან აიგივების შესაძლებლობა. უფრო მეტიც, მას მიაჩნია, რომ კვირიკეშიდა უნდა მდებარეობდეს ნექვის მახლობლად, ახალდაბის სექტორში.

აღნიშნულ სექტორში მკვლევარს ყველაზე მეტად საყურადღებოდ ფოთოლეთის მონასტერი მიაჩნია, რასაც მოსდევს ტაძრის მისეული დეტალური არქიტექტურული აღწერა. საბოლოოდ ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ „ფოთოლეთის ეკლესია, რომელსაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ზუსტად უდგება კვირიკეშიდის მდებარეობის მერხულესეული განსაზღვრა, არქიტექტურითაც შეეფერება ქრისტეფორეს სავანის დაარსების ხანას და თანაც, ძლიერ წააგავს ნექვის ტაძარს. ამ მომენტების დამთხვევა, ვფიქრობთ, საფუძველს გვაძლევს გავაიგივოთ კვირიკეშიდის მონასტერი დღევანდელ ფოთოლეთთან. რა თქმა უნდა, იდენტიფიკაციის ეს ვერსია უეჭველი არ არის და ზოგიერთ პირობითობასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ჩვენი დღევანდელი ცოდნის დონეზე, ყველა არსებული მონაცემის გათვალისწინებით ის ყველაზე სარწმუნო უნდა იყოს“⁶.

დავით ხოშტარიამ თავისი აზრს კვირიკეშიდის ადგილმდებარეობის შესახებ კიდევ ერთხელ საზი გაუსვა თავის 1986 წლის ნაშრომში „X საუკუნის სამონასტრო ეკლესიები ტაძრის-საკირის მიდამოებში“.

ავტორი სანამ უშაულოდ აღნიშნული მონასტრების ხუროთმოძღვრულ აღწერაზე გადავიდოდეს შესავალ ნაწილში ამბობს, რომ X საუკუნის 40-იან წლებში აგებული მონასტრების

¹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წგნ. I, ისტორიული გეოგრაფია (თბილისი, 1964), გვ. 250; გ. ჩუბინაშვილი, ქვაბის-ხევის ხეობის ძველი ბაზილიკა, *სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, ტ. 34 a-b (თბილისი, 1948), გვ. 396; ს. მაკალათია, *ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი)* (თბილისი, 1957), გვ. 41-42; Макалатия С., *Боржомское ушелье (Историко-Этнографический очерк)* (Тбилиси, 1958), გვ. 47-49; გ. ზედგინიძე, სამხრეთ საქართველოს რამდენიმე ისტორიული პუნქტის ლოკალიზაციისათვის, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, №3 (თბილისი, 1972), გვ. 165-166; ვ. აბულაძე, *ბორჯომის ხეობის წარსული და აწმყო* (თბილისი, 1983), გვ. 23-27.

² პ. ინგოროყვა, *ვიორგი მერხულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან* (თბილისი, 1954), გვ. 393-395; ს. ჯიქია, *გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი*, წიგნი III, გამოკვეთვა (თბილისი, 1958), გვ. 124-125.

³ Меписашвили Р., *Основные особенности трехцерковных базилик Грузии*, доклад на международном симпозиуме по грузинскому искусству (Тбилиси, 1977), გვ. 6-7. შდრ.: დ. ხოშტარია, ჩითახევის მონასტრის ეკლესია (IX საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი), *მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, №4 (თბილისი, 1983).

⁴ დ. ხოშტარია, კვირიკეშიდის ადგილმდებარეობის საკითხისათვის, *მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, № 1 (თბილისი, 1985), გვ. 72.

⁵ იქვე, გვ. 75.

⁶ იქვე, გვ. 80.

„უადრესი წარმომადგენლები... არის თეოდორეს მიერ დაარსებული ნეძვის „დიდებული ლავრა“ და, ალბათ, ამჟამად ფოთოლეთის სახელით ცნობილი ნამონასტრალი, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ქრისტეფორესეული კვირიკეწმიდის სავანე“¹.

ამის შემდეგ დავით ხოშტარია სქოლიოში უთითებს თავის სტატიას კვირიკეწმიდის ადგილმდებარეობის შესახებ და იქვე, დასძენს, რომ „ამ წერილის დაბეჭდვის შემდეგ გამოვიდა დ. ბერძენიშვილის ზემოთ დასახელებული ნაშრომი თორ-ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ, რომელშიც შემოთავაზებულია ნაწილობრივ ახალი გეგმა გიორგი მერჩულეს ცნობებისა კვირიკეწმიდის მდებარეობის თაობაზე (გვ. 16). დ. ბერძენიშვილი საესებით სწორად შენიშნავს, ფრაზაში „და წარვიდეს ზოგად ქართლისა და სამცხისა არეთა მათ უდაბნოთა და პოვნეს ორნი ადგილნი სამონასტრედ...“ (ლაპარაკია თეოდორესა და ქრისტეფორეს წასვლაზე ხანძთიდან გრიგოლის თანხლებით ახალი მონასტრების დასაარსებლად. „ზოგად“ ვითარების გარემოება („წარვიდეს ზოგად“, ე.ი. ერთად) და არა განსაზღვრება („ზოგადი არე“, როგორც საზოგადო, სასაზღვრო არე – ასე ესმოდათ ეს ადგილი ი. ჯავახიშვილს, პ. ინგოროყვას და მათს კვლადაკვალ მთელ რიგ სხვა მკვლევარებსაც, მათ შორის ჩვენც). ამით საფუძველი გამოეცალა მოსაზრებას, თითქოს კვირიკეწმიდა მაინცდამაინც ქართლ-სამცხის საზღვრის მიდამოებში მდებარეობდეს, მაგრამ სხვა არგუმენტები ფოთოლეთ-კვირიკეწმიდის იგივეობის სასარგებლოდ რჩება და დღესდღეობით, ვფიქრობთ, ეს მაინც ყველაზე მისაღები ვერსია კვირიკეწმიდის ლოკალიზაციისა, სხვათა შორის, დ. ბერძენიშვილიც შენიშნავს, რომ ფოთოლეთი თეოდორეს თანამშრომელთა გაშენებული უნდა იყოს“².

მართალია, დევი ბერძენიშვილი, დავით ხოშტარიას წიგნიდან ციტირებული ფრაგმენტის შესაბამისად, მართლაც შენიშნავს, რომ „ნეძვის მიდამოებში არის კიდევ ორი მონასტერი: ივანე ნათლისმცემლისა სარმანიშვილის ხევში და ფოთოლეთისა – ახალდაბის ციხის დასავლეთით. ორივე ძლიერ წააგავს ნეძვის მონასტერს და მისი თანადროულნი უნდა იყვნენ, შესაძლოა გრიგოლ ხანძთელის მოწაფის – თევდორეს თანამშრომელთა დეაწლით ნაგებიც კი“³, თუმცა ის არ აკონკრეტებს იმ ფაქტს, რომ აღნიშნული ორი მონასტერი ქრისტეფორეს მიერ იყო აგებული. ჩვენი აზრით, მკვლევარი თევდორეს „თანამშრომლებში“ გულისხმობს მის სხვა დამხმარე პირებს და არა მაინცდამაინც ქრისტეფორეს, როგორც ეს აქვს გაგებული დავით ხოშტარიას. უფრო მეტიც, დევი ბერძენიშვილი იზიარებს იმ აზრს, რომ ქრისტეფორესეული კვირიკეწმიდა ქვაბისხევის პირდაპირ მდებარე საკვირიკეს სამონასტრო კომპლექსთან უნდა იქნეს გაიგივებული. ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ „...საკვირიკეს მიჩნევა კვირიკეწმიდად; სახელის სამონასტრო კომპლექსის, სოფლის არსებობის გარდა, ამას მხარს უჭერს მისი ქართლ-სამცხის საზღვარზე არსებობაც, რაც გადამწყვეტი მნიშვნელობისა ჩანს“⁴.

1987 წელს დავით ხოშტარიას საკანდიდატო დისერტაციაში „IX-X საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლები ბორჯომის ხეობაში“ იგივე აზრი აქვს გატარებული. აქ მკვლევარი კიდევ ერთხელ გამოთქვამს მოსაზრებას ფოთოლეთის ეკლესიის კვირიკეწმიდის მონასტერთან გაიგივების შესახებ⁵.

როგორც ვნახეთ, დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში კვირიკეწმიდის მონასტრის ლოკალიზაციის შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობს. მეცნიერთა ერთი ნაწილი (პ. ინგოროყვა, ს. ჯიქია) ქრისტეფორეს მიერ დაარსებულ კვირიკეწმიდას სოფელ საყუნეთის სექტორში მდებარე სოფელ კოპაძესთან აკავშირებს, მეორე ნაწილი (ნ. ბერძენიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ს. მაკალათია, გ. ზედგინიძე, დ. ბერძენიშვილი, ვ. აბულაძე) აღნიშნულ მონასტერს სოფელ დვირთან მოიაზრებს, მესამე ნაწილი (რ. მეფისაშვილი) კვირიკეწმიდას, არქიტექტურული მონაცემების საფუძველზე, ჩითახევის მონასტერთან აიგივებს, ხოლო მეოთხე ნაწილი (დ. ხოშტარია) კვირიკეწმინდას, ისტორიულ-გეოგრაფიული და არქიტექტურული მონაცემების გათვალისწინებით, ფოთოლეთის ეკლესიად მიიჩნევს.

მას შემდეგ, რაც გავეცანით ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარშემო გამოთქმულ მოსაზრებებს, ჩნდება ლოგიკური კითხვა – რამდენად შეესაბამება რეალობას ქრისტეფორეს მიერ დაარსებული კვირიკეწმიდის ფოთოლეთის ეკლესიასთან გაიგივება?

აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნის კიდევ ერთხელ მოვიტანთ ფოთოლეთის ნაკაწრ წარწერათა ტექსტების ჩვენებულ წაკითხვებს:

¹ დ. ხოშტარია, X საუკუნის სამონასტრო ეკლესიები ტაძრის – საკირის მიდამოებში, *მეცნიერებათა აკადემიის მაცნე - ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, № 3 (თბილისი, 1986), გვ. 135.

² იქვე.

³ დ. ბერძენიშვილი, *ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი* (თბილისი, 1985), გვ. 19.

⁴ იქვე, გვ. 15.

⁵ დ. ხოშტარია, IX-X საუკუნეების..., გვ. 15-23.

„ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე ნიკოლოზ“.

„ქ. უფალო, შ(ეიწყალ)ე საწყალობელ(ი) სული შალვასი, ლოცვა ყავთ ღქმრ(თისათუ)იქს ღ(მრ)თისა მოყვარენო“.

„ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე ი(ლო)ვანე“.

„ღ(მერ)თმ(ან) ნუ შეუდნეს ცოდვანი მნ(ა)ტესა, რ(ქ)მე(ლ) ცხოარ არს“.

„ქ. წმიდა გ(იორგი), შეიწყალე მონაი შენი შარიაქა და შეუხდვენ ცოდვანი და სხუანი ზრახვიენ რაიმე, გრქოა შენ, გონიერო ხეო, ჯუ(ფა)ლო, შეუნიერო სამყარო, სა...“.

„წ(მიდა)ო გ(იორგი), შ(ეიწყალ)ე თორნიკ“.

„ქ(რისტ)ე ღქმერ(თ)ო“.

როგორც ვხედავთ, მოტანილი შვიდი წარწერიდან მეხუთე და მეექვსე წარწერებში ვედრება მიმართულია წმ. გიორგისადმი, რაც ეწინააღმდეგება დავით ხოშტარიას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას კვირიკეწმიდის ფოთოლეთის მონასტერთან გაიგივების შესახებ. პირიქით, ამ ორი წარწერიდან ლოგიკურად გამომდინარეობს აზრი, რომ ფოთოლეთის ეკლესია წმ. გიორგის სახელობის მონასტერი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, წარწერათა სავედრებელი ფორმულები წმ. კვირიკესაკენ იქნებოდა მიმართული. ნაკლებად სარწმუნოა ისიც, რომ IX საუკუნესა თუ X საუკუნის I ნახევარში წმ. კვირიკეს სახელზე აგებული მონასტრის ზეციური პატრონის ვინაობა ერთი საუკუნის შემდეგ დაივიწყებოდათ და ეს სავანე XI საუკუნის წარწერებში წმ. გიორგის სახელობისად მიეჩნიათ.

მართალია, წინამდებარე ნაშრომში განხილული წარწერების შემცველი ქვა არქეოლოგიური გათხრების დროს სარკოფაგის თავზე იყო განთავსებული, თუმცა, ვფიქრობთ, რომ ის, ამ შემთხვევაში, მეორადი დანიშნულებით უნდა ყოფილიყო გამოყენებული. მართლაც, სრულებით დაუჯერებელია, რომ იატაკში ჩადგმული საფლავის ქვაზე ნაკაწრი წარწერები XI საუკუნეში შეესრულებინათ და მათ ჩვენამდე დაუზიანებლად მოედწია. მსგავსი შემთხვევა ჩვენთვის უცნობია. სამაგიეროდ, სავედრებელი წარწერები ხშირად გვხვდება ეკლესია-მონასტრების კედლებზე, როგორც ექსტერიერში, ისე ინტერიერში. ფოთოლეთის ეკლესიაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ წარწერებიანი ქვის მსგავსი ქვები მის კედლებში მრავალგან გვხვდება. როგორც ჩანს, თავდაპირველად წარწერიანი ქვაც ეკლესიის კედელში იყო ჩადგმული.

ამრიგად, ფოთოლეთის ეკლესიის ნაკაწრი წარწერების შესწავლის შედეგად, ბათილდება დავით ხოშტარიას მიერ გამოთქმული მოსაზრება გრიგოლ ხანცთელის „ცხოვრებაში“ მოხსენიებული კვირიკეწმიდის ფოთოლეთის მონასტერთან გაიგივების შესახებ. შესაბამისად, კვირიკეწმიდის ლოკალიზაციის პრობლემა კვლავინდებურად ღია რჩება და მისი გადაწყვეტა შემდგომ კვლევა-ძიებას საჭიროებს¹.

ბიბლიოგრაფია

1. ვ. აბულაძე, *ბორჯომის ხეობის წარსული და აწმყო* (თბილისი, 1983).
2. არქიმანდრიტი ლაზარე, *ივერიის ბეთანია* (თბილისი, 1994).
3. დ. ბერძენიშვილი, *ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჭავჭავთი* (თბილისი, 1985).
4. ნ. ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, წგნ. I, ისტორიული გეოგრაფია (თბილისი, 1964).
5. *გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები*, ტ. I, ნაკვეთი პირველი, წმ. დავითის ლავრა, უდაბნოს მონასტერი (XI-XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადეს დარეჯან კლდიაშვილმა და ზაზა სხირტლაძემ (თბილისი, 1999).
6. თ. გოგოლაძე, ანტეფიქსის წარწერა წმინდა გიორგის მოხსენიებით ჩათახევის ეკლესიიდან (მწვანე მონასტრიდან) და მისი მნიშვნელობა „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“-ში მოხსენიებულ კვირიკეწმინის ლოკალიზაციისათვის, წგნ.: თ. გოგოლაძე, ბორჯომის ხეობის ისტორიული და ხუროთმოძღვრული ძეგლები (გზამკვლევი) (თბილისი, 2014).

¹ კვირიკეწმინდის საბოლოო ლოკალიზაციის შესახებ იხ. თ. გოგოლაძე, ანტეფიქსის წარწერა წმინდა გიორგის მოხსენიებით ჩათახევის ეკლესიიდან (მწვანე მონასტრიდან) და მისი მნიშვნელობა „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“-ში მოხსენიებულ კვირიკეწმინდის ლოკალიზაციისათვის, წგნ. თ. გოგოლაძე, ბორჯომის ხეობის ისტორიული და ხუროთმოძღვრული ძეგლები (გზამკვლევი) (თბილისი, 2014), გვ. 162-184.

7. დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ (თბილისი, 1980).
8. გ. ზედგინიძე, სამხრეთ საქართველოს რამდენიმე ისტორიული პუნქტის ლოკალიზაციისათვის, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, №3 (თბილისი, 1972).
9. პ. ინგოროყვა, *გიორგი მერხულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან* (თბილისი, 1954).
10. ს. მაკალათია, *ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი)* (თბილისი, 1957).
11. რ. მეფისაშვილი, გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა სააღმშენებლო მოღვაწეობა ქართლში, *საქსსრ მეცნ. აკად. სახ. განყ. მოამბე*, №4 (თბილისი, 1963).
12. *სვანეთის წერილობითი ძეგლები*, ტ. II ეპიგრაფიკული ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ (თბილისი, 1988).
13. ვ. სილოგავა, *სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა* (თბილისი, 2004)
14. ვ. სილოგავა, *წარწერები ვარეჯის მრავალწიაროდან (IX-XIII სს.), პალეოგრაფიული და წყროთმცოდნეობითი გამოკვლევა* (თბილისი, 1999).
15. *ქართული წარწერების კორპუსი*, ტ. I (აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა (თბილისი, 1980).
16. რ. შმერლინგი, *ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი*, ტექსტი, მასალის შერჩევა და ნახატები რენე შმერლინგისა, ტაბულები შეადგინა ა. კრაფჩენკომ (თბილისი, 1954).
17. გ. ჩუბინაშვილი, ქვაბის-ხევის ხეობის ძველი ბაზილიკა, *სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, ტ. 34 a-b (თბილისი, 1948).
18. *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წგნ. I (V-X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით (თბილისი, 1963).
19. *ძველი ქართული მოთხრობა V-XII საუკუნეებში*, შეადგინა, წინასიტყვაობა დაურთო და რედაქცია გაუკეთა რ. თვარაძემ (თბილისი, 1979).
20. რ. ხვისტანი, *მასალები საქართველოს ქრისტიანული არქეოლოგიისათვის* (თბილისი, 2009).
21. დ. ხოშტარია, კვირიაკეწმიდის ადგილმდებარეობის საკითხისათვის, *მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, №1 (თბილისი, 1985).
22. დ. ხოშტარია, X საუკუნის სამონასტრო ეკლესიები ტაძრის – საკირის მიდამოებში, *მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, №3 (თბილისი, 1986).
23. დ. ხოშტარია, *IX-X საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლები ბორჯომის ხეობაში*, საკანდიდატო დისერტაცია და ავტორეფერატი (თბილისი, 1987).
24. დ. ხოშტარია, ჩითახევის მონასტრის ეკლესია (IX საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი), *მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, №4 (თბილისი, 1983).
25. *ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტოპონიმია, საღვთისმეტყველო ლიტერატურული ცენტრები*, გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევები დაურთეს ვალერი სილოგავამ, ლია ახალაძემ, მერაბ ბერიძემ, ნესტან სულავამ და როინ ყავრელიშვილმა (თბილისი, 2012).
26. ს. ჯიქია, *გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი*, წიგნი III, გამოკვლევა (თბილისი, 1958).
27. Макалатия С., *Боржомское ушелье (Историко-Этнографический очерк)* (Тбилиси, 1958).
28. Мепишашვილი Р., *Основные особенности трехцерковных базилик Грузии*, доклад на международном симпозиуме по грузинскому искусству (Тбилиси, 1977).
29. Шмерлинг Р, *Малые формы в архитектуре средневековой Грузии* (Тбилиси, 1962).
30. Mepisashvili R., Zinzadze W., *Die Kunst des alten Georgien* (Leipzig, 1977).

TAMAZ GOGOLADZE
Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts
IRAKLI GELASHVILI
Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts
NINO KHARSHILADZE
Master of History

GRAFFITI FROM THE POTOLETI CHURCH AND THEIR ANALYSIS BY MEANS OF HISTORICAL AND SOURCE STUDY METHODS

Several opinions have been circulating among Georgian scholars about location of the Kviriketsmida Monastery until now. Based on historical-geographical and architectural analysis, certain scholars (D. Khoshtaria) identified Kviriketsmida with Potoleti church.

In a course of archaeological excavations of the monastery in 2008, a cist was unearthed within the north cloister, to the west of the prothesis. Seven graffiti in mixed *nuskhuri* and *mkhedruli* scripts were found on the cist lead-tombstone. In spring and summer 2014 we have visited the site several times with the purpose of studying these inscriptions. We have made paleographic copies of the graffiti and have photographed them. In situ study of the graffiti has shown that by content they belong to supplication inscriptions. Based on paleographic peculiarities, we have dated the graffiti to the 11th century.

Supplications found in the fifth and sixth inscriptions out of the seven graffiti on the cist lead are addressed to St. George. This fact contradicts to identification of Kviriketsmida with Potoleti church (D. Khoshtaria) accepted by Georgian scholars lately. On the contrary, the both above-mentioned inscriptions indicate that the Potoleti church was a branch of St. George Monastery. Otherwise, individuals mentioned in the inscriptions would have asked for assistance from St. Kvirike. But as we have noted above, their supplications are addressed to St. George. It is hard to believe that the name of the monastery built in the 9th c. - first half of the 10th century, by the 11th century was already forgotten.

In spite of the fact that the unearthed slab with graffiti was used as a tombstone, we consider it a secondary use stone, because it is hard to believe that the 11th-century graffiti on a tombstone could have survived till now. We are not aware of such cases in the Georgian epigraphy. On the other hand, supplication inscriptions were often scratched on exterior and interior walls of churches. We have examined walls of the Potoleti church and found out that the stones similar to the tombstone under consideration are abundantly used in the masonry of the church interior. Based on this, we consider that initially the slab with graffiti was a part of the church interior decoration.

Thus, based on the analysis of graffiti from Potoleti church we have refuted consideration about identification of Kviriketsmida with Potoleti church (D. Khoshtaria) accepted by Georgian scholars lately.

**ნაქალაქარ ანისის ახლადგამოვლენილი ქართული და ბერძნული
ეპიგრაფიკული ძეგლები (ლაპიდარული და ნაკაწრი წარწერები)¹**

2013-2016 წლებში ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა ხელფონებამცოდნეობითი და ისტორიულ-წყარომცოდნეობითი კუთხით შეისწავლა ამჟამინდელი სომხეთის რესპუბლიკის ლორესა და ტავუშის მარზებში, ისტორიული ქართული პროვინციების – ლორეს, სომხითისა და გაგის ტერიტორიაზე მდებარე ექვსი ქალკედონური მონასტრის – ახტალის, აქორის, ქობაირის, ჰნევანქის, ჰუჯაბისა და კირანცის ხუროთმოძღვრება, ფერწერა და ეპიგრაფიკა. კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული პროექტის „ქართულ-სომხური კულტურული ურთიერთობები – XII-XIII საუკუნეების ქალკედონური ტაძრები დღევანდელი ჩრდილოეთი სომხეთის ტერიტორიაზე“ ფარგლებში. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო გიორგი გაგოშიძე (ხუროთმოძღვრება, ეპიგრაფიკა), ძირითადი შემსრულებლები იყვნენ: ქეთევან აბაშიძე (ხუროთმოძღვრება), მარინე ბულია (მხატვრობა), მზია ჯანჯალია (მხატვრობა) და წინამდებარე ნაშრომის ავტორი (ეპიგრაფიკა, ისტორია).

2014 წლის 21-22 ივლისს პროექტის მონაწილეებმა სამეცნიერო ექსპედიცია მოვაწყვეთ თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიულ ციხე-ქალაქ ანისში, რომლის XIII-XIV საუკუნეების საეკლესიო არქიტექტურა, კედლის მხატვრობა და ქართულ-სომხური ეპიგრაფიკა ზემოთ დასახელებული ექვსი ქალკედონური მონასტრის ხუროთმოძღვრებასთან, ფერწერასა და ეპიგრაფიკასთან არამხოლოდ დიდ მსგავსებას ავლენს, არამედ, რიგ შემთხვევებში, მათთან ორგანულადაც არის დაკავშირებული.

2014 წლის ექსპედიციის დროს ადგილზე გავეცანინე და ისტორიულ-წყარომცოდნეობითი თვალსაზრისით შევისწავლე ნაქალაქარ ანისის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები – ფრესკული, ლაპიდარული და ნაკაწრი წარწერები, რომელთა ერთი ნაწილი წინამორბედ მკვლევართა მიერ სხვადასხვა კუთხითა და სისრულით არის შესწავლილი.

ამ, ნაქალაქარ ანისის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებით დაინტერესებულ, XIX-XXI საუკუნეებში მოღვაწე მკვლევართაგან შემოიძლია, დავასახელო: ანდრეი მურავიოვი², ნიკოლაი ხანიკოვი³, მარი ბროსე⁴, დიმიტრი ბაქრაძე⁵, ნიკო მარი⁶, იოსებ ორბელი⁷, ვასილი ბარტოლდი⁸,

¹ ნაშრომზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის მადლობას მოვასხენებ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებს – დალი ჩიტუნაშვილს, ხათუნა გაფრინდაშვილს, დიმიტრი გურგენიძეს, ესმა მანას, ნესტან ბაგაურს, ნინო მევენეიშვილსა და დავით შენგელიას, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელს ქეთევან ოთარაშვილს.

² А. Муравьев, *Грузия и Армения*, II (Санкт-Петербург, 1848), стр. 277.

³ N. Khanykof, *Excursion à Ani, en 1848, Rapports sur un Voyage Archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, Exécute en 1847-1848*, par M.-F. Brosset, Membre de l'Académie Impériale des Sciences, 1^{re} livraison, Avec un Atlas de 18 planches lithographiées (Sankt-Petersbourg, 1849), pp. 137-142.

⁴ იქვე, გვ. 140-141; *Les ruines d'Ani, capitale de l'Arménie*, Sous les rois Bagratides, aux X^e et XI^e s, histoire et description, par M.-F. Brosset, 1^{re} partie, Description, avec un atlas de 24 planches lithographiées (Sankt-Petersbourg, 1860), pp. 14, 31.

⁵ Дм. Бакрадзе, Кавказ в археологическом отношении, *Записки Общества Любителей Кавказской Археологии*, I, изданная под редакциею помощника председателя общества А. Берже и члена комитета общества Дм. Бакрадзе (Тифлис, 1875), Стр. 56; კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დ. ბაქრაძის პირადი არქივი, №32, 53rv, 79r-80v; Дм. Бакрадзе, Историческо-этнографический очерк Карсской области, *Известия Кавказскаго Отдела Императорскаго Русскаго Географическаго Общества*, VII, #1, I, Статьи и заметки (Тифлис, 1881), Стр. 202; ვახუშტი, *საქართველოს ისტორია*, განმარტებული და შევსებული ახლად შექმნილის არხეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ბაქრაძის მიერ, ნაწილი პირველი, ძველის საქართველოს საზოგადო ქარტიით (ტფილისი, 1885), გვ. 146.

⁶ Н. Марр, Надпись Епифания, католикоса Грузии (Из раскопок в Ани 1910 г.), *Известия Императорской Академии Наук*, #17, VI серия, 1 декабря (Санкт-Петербург, 1910), стр. 1433-1442; Н. Марр, *Ани, Книжная история города и раскопки на месте городища* (Ленинград-Москва, 1934), Стр. 46, 85, 128, 131-132. Табл. XLII. Рис. 180, 181, 182, Табл. XLIII. Рис. 188.

⁷ *Краткий путеводитель по городищу Ани (с планом)*, Составил И. Орбели (Санкт-Петербург, 1910), Стр. 30, 43; И. Орбели, Краткий путеводитель по городищу Ани, И. Орбели, *Избранные труды* (Ереван, 1963), Стр. 120, 126; *Դիվանի հայ պիմարությունի*, I, Անի քաղաք, կազմել է Օրբելի (Երևան, 1966), էջ 61, №187, տախ. XX:

⁸ В. Бартольд, *Персидская надпись на стене анийской мечети Мануче, с 2 таблицами* (Санкт-Петербург, 1911), Табл. I; В. Бартольд, *Персидская надпись на стене анийской мечети Мануче, В. Бартольд, Сочинения*, IV, Работы по археологии, нумизматике, эпиграфике и этнографии (Москва, 1966), Стр. 315.

დიმიტრი გორდევი¹, ივანე ჯავახიშვილი², ვარლამ დონდუა³, ექვთიმე თაყაიშვილი⁴, ისიდორე დოლიძე⁵, მამისა ბერძნიშვილი⁶, პარუირ მურადიანი⁷, ნიკოლ ტიერი⁸, ჟან-პიერ მაე⁹, ვალერი სილოგავა¹⁰, ნინო მელიქიშვილი¹¹, კორნელი დანელია¹², მიშელ ტიერი¹³, გიორგი კალანდია და ქეთევან ასათიანი¹⁴, გიორგი ჭეიშვილი¹⁵, ირინე გივიაშვილი¹⁶, ვლადიმერ კეკელია¹⁷, ქეთევან ნადირაძე¹⁸, ბუბა კულავა¹⁹, ზაზა სხირტლაძე¹ და სხვ.

- ¹ Дм. Гордеев, Отчет о поездке в Ахалцихский уезд в 1917 году, *Известия Кавказского Историко-Археологического Института в Тифлисе*, I (Петроград, 1923), Стр. 3.
- ² ივ. ჯავახიშვილი, *სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX-XIII საუკუნეებში*, (ტფილისი, 1934), გვ. 9-21; ივ. ჯავახიშვილი, *სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX-XIII საუკუნეებში*, ივ. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, წიგნი მეხუთე, დამატება I (თბილისი, 1953), გვ. 138-145; ივ. ჯავახიშვილი, *სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX-XIII საუკუნეებში*, ივ. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, წიგნი მესამე, დამატება მეორე (თბილისი, 1966), გვ. 474-481; ივ. ჯავახიშვილი, *სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX-XIII საუკუნეებში*, ივ. ჯავახიშვილი, *თხზულებანი თორმეტ ტომად*, VI, დამატებანი (თბილისი, 1982), გვ. 346-352.
- ³ В. Дондуа, К социально-экономической жизни средневековой Грузии по Анийской надписи (1218) Епифания, *Академия наук СССР Академику Николаю Марру*, XLV (Москва-Ленинград, 1935), стр. 643-670; В. Дондуа, К социально-экономической жизни средневековой Грузии по Анийской надписи (1218) Епифания, *გ. დონდუა, საისტორიო ძეგლები*, I (თბილისი, 1967), გვ. 48-78.
- ⁴ ექ. თაყაიშვილი, აკადემიკოსი ნიკო იაკობის ძე მარრი (სამეცნიერო მუშაობა და ღვაწლი), *დაბრუნება, მრავალტომეული*, I, ექ. თაყაიშვილი, ემიგრანტული ნაშრომები (თბილისი, 1991), გვ. 121; Ek. Takhaichvili, L'inscription d'Épiphanie, *Catholicos de Géorgie, Revue de L'orient Chrétien, Dirigée par R. Graffin, Troisième série, X (XXX), 1935-1936, N°s 1 et 2 (Paris, 1938)*, pp. 216-224.
- ⁵ *ქართული სამართლის ძეგლები*, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფესორმა ი. დოლიძემ (თბილისი, 1970), გვ. 153-154, 1147.
- ⁶ მ. ბერძნიშვილი, ანისის ქართული წარწერა 1218, *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, I, ა-ატოცი (თბილისი, 1975), გვ. 466; მ. ბერძნიშვილი, ანისის ქართული წარწერა 1218, *საქართველო, ენციკლოპედია*, I, ა-გიგლია (თბილისი, 1997), გვ. 161.
- ⁷ Պ. Մուրադյան, *Հայաստանի փրագեղեն արձանագրությունները*, աղբյուրագիտական քննություն (Երևան, 1977), Էջ 35-64, 283-288, 291-292, 294-295, աղ. I და II; П. Мурадян, К критике и интерпретации грузинской эпиграфики Армении, *მაცნე*, ენისა და ლიტერატურის სერია, 3 (თბილისი, 1981), გვ. 174-178; П. Мурадян, Проблема конфессиональной ориентации церкви Оненца (критический анализ источников и литературы), *Кавказ и Византия*, 5 (Ереван, 1987), Стр. 37-38, 51, 55-57, 60-66.
- ⁸ Н. Тьерри, *Роспись церкви св. Григория Тиграна Хоненца в Ани (1215)*, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სიმპოზიუმი (თბილისი, 1977), გვ. 1.
- ⁹ J.-P. Mahe, L'étude de P. M. Muradyan sur les inscriptions géorgiennes d'Arménie, *Bedi Kartlisa, Revue de kartvélogie*, XXXVIII, Études géorgiennes et caucasiennes (Paris, 1980), pp. 295-298.
- ¹⁰ ვ. სილოგავა, ქართული ეპიგრაფიკა და პალეოგრაფია ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობაში, *მნათობი*, №3, მარტი (თბილისი, 1977), გვ. 149; ვ. სილოგავა, სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ, *მაცნე*, ენისა და ლიტერატურის სერია, 2 (თბილისი, 1980), გვ. 145-151, 174, 177-178; A propos de l'édition des inscriptions géorgiennes d'Arménie par V. Silogava, *Bedi Kartlisa. Revue de kartvélogie*, XXXVIII, Études géorgiennes et caucasiennes (Paris, 1980), pp. 367, 374-381, 393-394; ვ. სილოგავა, ანისის ქართული წარწერა 1288, *საქართველო, ენციკლოპედია*, I, ა-გიგლია (თბილისი, 1997), გვ. 2; ვ. სილოგავა, ანისის წარწერები, *ნურგა*, №4 (3358), 16-28 თებერვალი (თბილისი, 1998), გვ. 2; ვ. სილოგავა, ანისისა და ყარსის ქართული ეპიგრაფიკა (მოკლე მიმოხილვა), *ახალციხე-ყარსი (სიმპოზიუმის მასალები)* (ახალციხე-ყარსი, 2001); ვ. სილოგავა, ანისის წარწერა 1218, ივ. ჯავახიშვილი, *ენციკლოპედიური ლექსიკონი* (თბილისი, 2002), გვ. 130-131; В. Силогава, Анийская епархия, *Православная Энциклопедия*, Под редакцией Патриарха Московского и всея Руси Алексия II, II, Алексий, человек божий - Анфим Анхилинский (Москва, 2001), Стр. 443-444; ვ. სილოგავა, ანისის ქართული წარწერები, *ქართული ენა, ენციკლოპედია* (თბილისი, 2008), გვ. 37-39; ვ. სილოგავა, ანისის ეპარქია, წარწერები, *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ენციკლოპედია*, I, აბაათა-ბურნაშეთი (თბილისი, 2015), გვ. 216-219.
- ¹¹ Н. Меликишвили, Повествуют камни, *Вечерний Тбилиси*, №201 (8672), 28 августа (Тбилиси, 1973), г. Стр. 3.
- ¹² კ. დანელია, ქართული წარწერები სომხეთში, *კომუნისტა*, №181 (17526), 5 აგვისტო (თბილისი, 1979), გვ. 3.
- ¹³ M. Thierry, L' Histoire de Saint Gregoire, Peinte dans L'église Saint-Grégoire de Tigran Honenc' à Ani (1215), *International Simposium "The Christianization of Caucasia (Armenia, Georgia, Albania)*, Vienna, Austrian Academy of Sciences, December 9-12, 1999 (Wien, 2002).
- ¹⁴ გ. კალანდია, ქ. ასათიანი, ტიგრან ჰონენცის ტაძრის ქართული წარწერები (ანისის პირველი ექსპედიციის ანგარიში), *ლიტერატურა და ხელოვნება*, №9 (57) (თბილისი, 2010), გვ. 53-57; გ. კალანდია, ქ. ასათიანი, ანისის ნაქალაქარის ქართული წარწერები (ანისის I და II ექსპედიციების ანგარიშები), *ვ. სილოგავა, მოგონებები, სამეცნიერო სტატიები* (თბილისი, 2011), გვ. 85-92.
- ¹⁵ გ. ჭეიშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიების ეპარქიები სომხეთში, *ლოვოსი*, №7 (თბილისი, 2013), გვ. 249-250; გ. ჭეიშვილი, ანისის ეპარქია, ისტორია, *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ენციკლოპედია*, I, აბაათა-ბურნაშეთი (თბილისი, 2015), გვ. 211-213.
- ¹⁶ ირ. გივიაშვილი, ანისის ეპარქია, ანისის ეპარქიის ქართული სიძველეები, *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ენციკლოპედია*, I, აბაათა-ბურნაშეთი (თბილისი, 2015), გვ. 214-216.
- ¹⁷ ვლ. კეკელია, ანისის ტიგრან ჰონენცის ეკლესიის კონფესიონალური კუთვნილების საკითხისათვის, *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, V (თბილისი, 2012), გვ. 106.
- ¹⁸ ქ. ნადირაძე, ანისი, *კავკასია ქართულ წყაროებში: უცხო სახელმწიფოები, ტომები, ისტორიული პირები, ენციკლოპედიური ლექსიკონი* (თბილისი, 2012), გვ. 21-22.
- ¹⁹ ბ. კულავა, ტიგრან ჰონენცის ქართული წარწერა ანისში, *ძველი ხელოვნება დღეს*, 7 (თბილისი, 2016), გვ. 118-131.

ნაქალაქარ ანისის ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებზე, პირველ რიგში კი, ლაპიდარულ და ნაკაწრ წარწერებზე მუშაობა საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა:

I. გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაში ანუ ე. წ. ტიგრან ჰონენცის ტაძარში გამოვავლინე დაკარგულად მიჩნეული ერთი ქართული ლაპიდარული წარწერა.

II. გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაში მივაკვლიე მანამდე უცნობ სამ ქართულ ნაკაწრ წარწერას.

III. იმავე გრიგოლ განმანათლებლის ტაძარში გამოვავლინე ქანვისფერი საწერ-საღებავით შესრულებული, მინიმუმ, სამსტრიქონიანი უცნობი ქართული წარწერის ფრაგმენტი, რომლის ტექსტის ძირითადი ნაწილიც, ბათქაშის ჩამოცვენის გამო, დაკარგულია.

IV. ანისის კიდევ ერთ, ე. წ. ქართველთა ეკლესიაში მივაკვლიე მანამდე უცნობი ორსტრიქონიანი ბერძნული ლაპიდარული წარწერის შემცველ ქვის ფილას, რომელიც ტაძრის აგებისას სამშენებლო მასალად იყო გამოყენებული.

წინამდებარე ნაშრომში აკადემიური სახით მოვიტან ახლადგამოვლენილი ქართული და ბერძნული ლაპიდარული და ნაკაწრი წარწერების ტექსტებს, გარდა ამისა, წარმოვადგენ მათი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი შესწავლის შედეგებს.

I. შანშის ამირახორ თაყას ეპიტაფია (1302-1310 წწ.)

2014 წლის 21-22 ივლისამდე ნაქალაქარ ანისის ტერიტორიაზე თოთხმეტი ქართული ლაპიდარული წარწერა იყო გამოვლენილი. მოვიტან ამ თოთხმეტი წარწერის ჩამონათვალს იმ თანამიმდევრობით, რა თანამიმდევრობითაც ეს წარწერები წინამორბედა მკვლევრებმა გამოაქვეყნეს².

№1. ე. წ. მანუჩეს მეჩეთის ფასადზე, 1890-იან წლებში ჩამონგრეულ ჩრდილოეთ კედელზე წარმოდგენილი ყაენი აბუ საიდ ბაჰადურის იურიდიული ხასიათის სპარსული წარწერის (იარლიყის) ქვემოთ ამოკვეთილი ათაბაგ ზაქარიას 1330 წლის ასომთავრული დამტკიცება³.

№2. ქართველთა ეკლესიის ფასადზე, სამხრეთი კედლის 1910 წლის წინარე ხანებში ჩამონგრეულ დასავლეთ ნაწილში ამოკვეთილი კათოლიკოს ეტიფანეს 1218 წლის იურიდიული ხასიათის ასომთავრული წარწერა (დაწერილი)⁴.

¹ ზ. სხირტლაძე, საჰადინის 1288 წლის ქართული წარწერა ანისში: ფრაგმენტული ტექსტის დადგენის ცდა, *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე*, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 2 (თბილისი, 2017), გვ. 101-117.

² ნაქალაქარ ანისის ქართული ლაპიდარული წარწერების გამოქვეყნებაზე საუბრისას, აქაც და ქვემოთაც, მხედველობაში მაქვს წარწერის ტექსტის გადმონაწერის (დედნის შრიფტის დაცვით ან დაუცველად) ან წაკითხვის (დედნის ენაზე ან ნათარგმნი სახით) პუბლიკაცია და არა წარწერის ტექნიკური აღწერილობის, გრაფიკული მონახაზის, ფოტოანაბეჭდის, მოკლე შინაარსის, შესწავლის შედეგებისა და სხვა მსგავსი ტექსტური თუ ვიზუალური მასალის გამოცემა.

³ წარწერა პირველად გამოქვეყნდა 1849 წელს, ნიკოლოზ ხანიკოვის მიერ, დედანზე დაყრდნობით (N. Khanykof, *Excursion à Ani, en 1848*, pp. 139-140) და მარი ბროსეს მიერ, ნიკოლოზ ხანიკოვის გადმონაწერსა თუ გრაფიკულ მონახაზზე დაყრდნობით (იქვე, გვ. 141). ამის შემდეგ წარწერა კიდევ რამდენიმეჯერ გამოქვეყნდა: 1860 წელს – იმავე მარი ბროსეს მიერ, ნიკოლოზ ხანიკოვის გადმონაწერსა თუ გრაფიკულ მონახაზზე დაყრდნობით (*Les ruines d'Ani, capitale...*, p. 31); 1977 წელს – პარუირ მურადიანის მიერ, სავარაუდოდ, ვასილი ბარტოლდის 1911 წლის სტატიაში და/ან იოსებ ორბელის 1966 წლის წიგნში დაბეჭდილ ფოტოსა თუ ფოტოებზე დაყრდნობით (წიგნი *Մուրադյան, Հայաստանի պրագმენტი არძანագրություններ*, էջ 56. შტრ.: В. Бартольд, *Персидская надпись на стене...*, Табл. I; *ჩქიანს ხაყ ქიანაგრიქას*, თაქ. XX); 2001 წელს – ვალერი სილოგავას მიერ, სავარაუდოდ, ვასილი ბარტოლდის 1911 წლის სტატიაში და/ან იოსებ ორბელის 1966 წლის წიგნში დაბეჭდილ ფოტოსა თუ ფოტოებზე დაყრდნობით (ვ. სილოგავა, *ანისისა და ყარსის ქართული...*, გვ. 12-13, 47. შტრ.: В. Бартольд, *Персидская надпись на стене...*, Табл. I; *ჩქიანს ხაყ ქიანაგრიქას*, თაქ. XX); და სხვ.

⁴ წარწერა პირველად გამოქვეყნდა 1910 წელს, ნიკო მარის მიერ, დედანზე დაყრდნობით (Н. Марр, *Надпись Епифания, католикоса...*, стр. 1436-1439). ამის შემდეგ წარწერა კიდევ რამდენიმეჯერ გამოქვეყნდა: 1934 წელს – ივანე ჯავახიშვილის მიერ, ნიკო მარის 1910 წელს გამოქვეყნებული წაკითხვის სახით (ივ. ჯავახიშვილი, *სოციალური ბრძოლის ისტორია...*, (1934), გვ. 10-11); 1935 წელს – ვარლამ დონდუას მიერ, ნიკო მარის 1910 წლის პუბლიკაციაზე დაყრდნობით (В. Дондуа, *К социально-экономической жизни средневековой...*, (1935), стр. 646-652); 1935-1936 წლებში – ექვთიმე თაყაიშვილის მიერ, ნიკო მარის 1910 წლის პუბლიკაციაზე დაყრდნობით (Ek. Takhaichvili, *L'inscription d'Épiphane, Catholicos...*, pp. 220-221); 1953 წელს – ივანე ჯავახიშვილის წიგნში, ნიკო მარის 1910 წელს გამოქვეყნებული წაკითხვის სახით (ივ. ჯავახიშვილი, *სოციალური ბრძოლის ისტორია...*, (1953), გვ. 139); 1966 წელს – ივანე ჯავახიშვილის წიგნში, ნიკო მარის 1910 წელს გამოქვეყნებული წაკითხვის სახით (ივ. ჯავახიშვილი, *სოციალური ბრძოლის ისტორია...*, (1966), გვ. 475); 1966 წელს – იოსებ ორბელის მიერ, დედანზე ან დედნიდან გადაღებულ ფოტოზე დაყრდნობით, ფარგმენტული სახით (მხოლოდ სომხური დამტკიცების ტექსტი) (*ჩქიანს ხაყ ქიანაგრიქას*, էჯ 61, №187, თაქ. XX); 1967 წელს – ვარლამ დონდუას მიერ, ნიკო მარის 1910 წლის პუბლიკაციაზე დაყრდნობით (В. Дондуа, *К социально-экономической жизни средневековой...*, (1967), გვ. 51-58); 1970 წელს – ისიდორე დოლიძის მიერ, ნიკო მარის 1910 წელს გამოქვეყნებული წაკითხვის სახით (*ქართული სამართლის ძეგლები*, III, გვ. 153-154, 1147); 1977 წელს – პარუირ მურადიანის მიერ, ნიკო მარის 1910 წლის პუბლიკაციაზე დაყრდნობით (წიგნი *Մուրադյան*,

№3. ქართველთა ეკლესიის ნანგრევებში 1910 წლის არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლენილი XIII საუკუნის (?) იურიდიული ხასიათის წარწერის დასკვნითი მონაკვეთის სამნაწილიანი ფრაგმენტი (E-B-A)¹.

№4. ქართველთა ეკლესიის ნანგრევებში, 1910 წლის არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლენილი 1287 წლის იურიდიული ხასიათის წარწერის ორნაწილიანი ფრაგმენტი (C-D)².

№5. ქართველთა ეკლესიის ნანგრევებში, 1910 წლის არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლენილი XIII საუკუნის (?) I ერთნაწილიანი წარწერის ფრაგმენტი (F)³.

№6. ქართველთა ეკლესიის ნანგრევებში, 1910 წლის არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლენილი XIII საუკუნის (?) II ერთნაწილიანი წარწერის ფრაგმენტი (G)⁴.

№7. ქართველთა ეკლესიის ნანგრევებში, 1910 წლის არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლენილი XIII საუკუნის (?) III ერთნაწილიანი წარწერის ფრაგმენტი (J)⁵.

№8. ქართველთა ეკლესიის ნანგრევებში, 1910 წლის არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლენილი XIII საუკუნის (?) IV ერთნაწილიანი წარწერის ფრაგმენტი (K)⁶.

№9. ქართველთა ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან, ზემოთ, ქვების გროვაზე (?) ამოკვეთილი XIII საუკუნის (?) V ერთნაწილიანი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი (N)⁷.

№10. ქართველთა ეკლესიის ფასადზე, სამხრეთი კედლის 1910 წლის შემდგომ პერიოდში ჩამონგრეულ აღმოსავლეთ ნაწილში ამოკვეთილი პატრონი სამადინის 1288 წლის იურიდიული ხასიათის ასომთავრული წარწერა⁸.

Հայաստանի վրացերեն արձանագրությունները, էջ 41-43, 294-295); 1982 წელს – ივანე ჯავახიშვილის წიგნში, ნიკო მარის 1910 წელს გამოქვეყნებული წაკითხვის სახით (ივ. ჯავახიშვილი, სოციალური ბრძოლის ისტორია..., (1982), გვ. 347); 2001 წელს – ვალერი სილოგავას მიერ, ნიკო მარის 1910 წელს გამოქვეყნებული წაკითხვის სახით (ვ. სილოგავა, ანისისა და ყარსის ქართული..., გვ. 41-43); 2008 წელს – იმავე ვალერი სილოგავას მიერ, ნიკო მარის 1910 წელს გამოქვეყნებული წაკითხვის ფრაგმენტების სახით (ვ. სილოგავა, ანისის ქართული წარწერები, გვ. 38); 2015 წელს – კვლავ ვალერი სილოგავას სტატიაში, ნიკო მარის 1910 წელს გამოქვეყნებული წაკითხვის სახით (ვ. სილოგავა, ანისის ეპარქია, წარწერები, გვ. 218); და სხვ.

¹ ამ (№3) და მომდევნო ექვს წარწერასთან (№4, №5, №6, №7, №8 და №9) მითითებული ლათინური ლიტერები, შესაბამისად: E-B-A (№3), C-D (№4), F (№5), G (№6), J (№7), K (№8) და N (№9) ეკუთვნის ამ წარწერების აღმოჩენს – ნიკო მარს (ან მათი ტექსტების პირველ გამოცემულს – პარუიერ მურადიანს), რომელმაც აღნიშნული წარწერები, რამე აღრევის თავიდან აცილების მიზნით, სწორედ ამ ლათინური ლიტერებით დანომრა (Պ. Մուրադյան, *Հայաստանի վրացերեն արձանագրությունները*, էջ 51-54). №3 წარწერა პირველად გამოქვეყნდა 1977 წელს, პარუიერ მურადიანის მიერ, ნიკო მარის საარქივო ჩანაწერებსა და მისსავე გადმონაწერზე დაყრდნობით (იქვე, გვ. 51, 53). ამის შემდეგ წარწერა კიდევ ერთხელ გამოქვეყნდა: 2001 წელს – ვალერი სილოგავას მიერ, პარუიერ მურადიანის 1977 წელს გამოქვეყნებულ გადმონაწერსა და წაკითხვაზე დაყრდნობით (ვ. სილოგავა, ანისისა და ყარსის ქართული..., გვ. 23). ამასთან, ვალერი სილოგავამ შეცდომით მიიჩნია, რომ პარუიერ მურადიანის მიერ გამოქვეყნებული ეს, №3 და მომდევნო, №4 წარწერები ერთი და იმავე წარწერის ფრაგმენტებია (იქვე). სინამდვილეში, ნიკო მარსაც და პარუიერ მურადიანსაც ხაზგასმით აქვთ აღნიშნული, რომ №3 და №4 წარწერები ორი სხვადასხვა წარწერის ფრაგმენტებს წარმოადგენს (Պ. Մուրադյան, *Հայաստանի վրացերեն արձանագրությունները*, էջ 51-53).

² წარწერა პირველად გამოქვეყნდა 1977 წელს, პარუიერ მურადიანის მიერ, ნიკო მარის საარქივო ჩანაწერებსა და მისსავე გადმონაწერზე დაყრდნობით (იქვე, გვ. 51, 53-54). აქვე, შევნიშნავ, რომ პარუიერ მურადიანმა თავის პუბლიკაციაში, წარწერის ტექსტის წაკითხვისას, მცირე უზუსტობა დაუშვა და წარწერის I ნაწილი, C ლიტერის ნაცვლად, შეცდომით, G ლიტერით აღნიშნა (იქვე, გვ. 53). ამის შემდეგ წარწერა კიდევ ერთხელ გამოქვეყნდა: 2001 წელს – ვალერი სილოგავას მიერ, პარუიერ მურადიანის 1977 წელს გამოქვეყნებულ გადმონაწერსა და წაკითხვაზე დაყრდნობით (ვ. სილოგავა, ანისისა და ყარსის ქართული..., გვ. 23). აქ კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ვალერი სილოგავამ ეს, №4 და წინა, №4 წარწერები, შეცდომით, ერთი და იმავე წარწერის ფრაგმენტებად მიიჩნია (ამის შესახებ იხ. ზემოთ).

³ წარწერა პირველად გამოქვეყნდა 1977 წელს, პარუიერ მურადიანის მიერ, ნიკო მარის საარქივო ჩანაწერებსა და მისსავე გადმონაწერზე დაყრდნობით (Պ. Մուրադյան, *Հայաստանի վրացերեն արձանագրությունները*, էջ 51-52). ამის შემდეგ წარწერა აღარ გამოქვეყნებულა. პარუიერ მურადიანის ვარაუდით, ეს, №5 წარწერა, შესაძლოა, წინა, №4 წარწერის ნაწილი იყოს (იქვე, გვ. 54).

⁴ წარწერა პირველად გამოქვეყნდა 1977 წელს, პარუიერ მურადიანის მიერ, ნიკო მარის საარქივო ჩანაწერებსა და მისსავე გადმონაწერზე დაყრდნობით (იქვე, გვ. 52). ამის შემდეგ წარწერა აღარ გამოქვეყნებულა.

⁵ წარწერა პირველად გამოქვეყნდა 1977 წელს, პარუიერ მურადიანის მიერ, ნიკო მარის საარქივო ჩანაწერებსა და მისსავე გადმონაწერზე დაყრდნობით (იქვე). ამის შემდეგ წარწერა აღარ გამოქვეყნებულა.

⁶ წარწერა პირველად გამოქვეყნდა 1977 წელს, პარუიერ მურადიანის მიერ, ნიკო მარის საარქივო ჩანაწერებსა და მისსავე გადმონაწერზე დაყრდნობით (იქვე). ამის შემდეგ წარწერა აღარ გამოქვეყნებულა.

⁷ წარწერა პირველად გამოქვეყნდა 1977 წელს, პარუიერ მურადიანის მიერ, ნიკო მარის საარქივო ჩანაწერებსა და მისსავე გადმონაწერზე დაყრდნობით (იქვე). ამის შემდეგ წარწერა აღარ გამოქვეყნებულა.

⁸ წარწერა პირველად გამოქვეყნდა 1977 წელს, ვალერი სილოგავას მიერ, ფოტოსა და ივანე ჯავახიშვილის გადმონაწერებზე დაყრდნობით (ვ. სილოგავა, ქართული ეპიგრაფიკა და პალეოგრაფია..., გვ. 149). ამის შემდეგ წარწერა კიდევ რამდენიმეჯერ გამოქვეყნდა: 1980 წელს – ვალერი სილოგავას მიერ, ფოტონეგატივსა და ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის გადმონაწერებზე დაყრდნობით (ვ. სილოგავა, სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული..., გვ. 149-150); იმავე 1980 წელს – აგრეთვე, ვალერი სილოგავას მიერ, ფოტონეგატივსა და ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის გადმონაწერებზე დაყრდნობით (A propos de l'édition des inscriptions..., pp. 377, 380); 1981 წელს

№11. გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის ფასადზე, სამხრეთი კედლის შემამკობელი დეკორატიული თაღნარის აღმოსავლეთ კიდესთან (?) ამოკვეთილი ნათელის სავედრებელი ასომთავრული წარწერა¹.

№12. გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის ფასადზე, დასავლეთი კედლის ზედა ნაწილში, 1910 წლის შემდგომ პერიოდში დანგრეული დასავლეთი მინაშენის გადახურვის ზემოთ ჩადგმულ ქვაჯვარზე ამოკვეთილი ტიგრანის სავედრებელი ნუსხურნარევი ასომთავრული წარწერა².

№13. გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის ინტერიერში, საკურთხეველის წინ, იატაკში ჩადგმულ საფლავის ქვაზე ამოკვეთილი ასომთავრული ეპიტაფია, რომლის ტექსტის წაკითხვის თაობაზეც სამეცნიერო საზოგადოებაში აზრთა დიდი სხვადასხვაობა არსებობს³.

№14. გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის დასავლეთი კედლის ფასადზე, კედლის ქვედა ნაწილში, ტაძარში შესასვლელი კარის ჩრდილოეთით ამოკვეთილი ეკლესიის დასავლეთი მინაშენის ერთ-ერთი მაშენებლისა თუ ხელოსნის (ქვისმთლელის) (?) 1215 წლის ახლო დროის (?) დაუმთავრებელი ასომთავრული წარწერა⁴.

ნაქალაქარ ანისის ზემოთ ჩამოთვლილ ქართულ ლაპიდარულ წარწერებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაში გამოვლენილი ეპიტაფია (№13) იპყრობს.

ეს წარწერა, პირველ რიგში, იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მის ტექსტში ორი ისტორიული პირია მოხსენიებული. ამ ორი პირიდან ერთ-ერთს – ვინმე შანშეს მკვლევართა ერთი ნაწილი XIII საუკუნეში მოღვაწე ცნობილ ისტორიულ პირთან, ჯერ საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს ერთ-ერთ უპირველეს ვაზირთან, მანდატურთუხუცეს შანშე I მხარგრძელთან (პარუირ მურადიანი), ხოლო მეორე ნაწილი XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე სხვა ისტორიულ პირთან, აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს პირველ ვაზირთან, ათაბაგ-ამირსპასალარ შანშე II მხარგრძელთან (ვალერი სილოგავა, ვლადიმერ კეკელია, ირინე გივიაშვილი) აიგივებს. რაც შეეხება ეპიტაფიაში მოხსენიებულ მეორე ისტორიულ პირს, მის სახელსა და სამოსხელეო წოდებასთან დაკავშირებით, რამდენიმე განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული. ამათგან, ყველაზე უფრო სარწმუნო და დამაჯერებელი ჩანს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ეპიტაფიაში მოხსენიებული ეს პირი იმავე წარწერაში ნახსენები შანშესადმი დაქვემდებარებული მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე იყო და ქვეყნის სამხედრო უწყების ერთ-ერთი ხელმძღვანელის – ამირახორის წოდებას ატარებდა (პარუირ მურადიანი, ვლადიმერ კეკელია).

ზემოთქმულის გარდა, ეპიტაფია იმითაც არის საყურადღებო, რომ ის ნაქალაქარ ანისში დღემდე გამოვლენილ ერთადერთ ქართულენოვან საფლავის ზედწერილს წარმოადგენს და შუა

– პარუირ მურადიანის მიერ, ვალერი სილოგავას 1980 წელს გამოქვეყნებული წაკითხვის სახით (П. Мурадян, К критике и интерпретации грузинской..., გვ. 175); 2001 წელს – ვალერი სილოგავას მიერ, ფოტონეგატივსა და ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის გადმონაწერებზე დაყრდნობით (ვ. სილოგავა, ანისისა და ყარსის ქართული..., გვ. 45-46); 2015 წელს – იმავე ვალერი სილოგავას სტატიაში, ფოტონეგატივსა და ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის გადმონაწერებზე დაყრდნობით (ვ. სილოგავა, ანისის ეპარქია, წარწერები, გვ. 218-219); 2017 წელს – ზაზა სხირტლაძის მიერ, ფოტონეგატივსა და ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის გადმონაწერებზე დაყრდნობით (ზ. სხირტლაძე, საჰმადინის 1288 წლის ქართული..., გვ. 110, 113); და სხვ.

¹ წარწერა პირველად გამოქვეყნდა 1980 წელს, ვალერი სილოგავას მიერ, დიმიტრი ბაქრაძის გადმონაწერისა და წაკითხვის სახით (ვ. სილოგავა, სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული..., გვ. 151). ამის შემდეგ წარწერა კიდევ რამდენიმეჯერ გამოქვეყნდა: 1981 წელს – პარუირ მურადიანის მიერ, დიმიტრი ბაქრაძის 1980 წელს გამოქვეყნებული წაკითხვის სახით (П. Мурадян, К критике и интерпретации грузинской..., გვ. 175); 1987 წელს – იმავე პარუირ მურადიანის მიერ, კვლავ დიმიტრი ბაქრაძის 1980 წელს გამოქვეყნებული წაკითხვის სახით (П. Мурадян, Проблема конфессиональной ориентации..., Стр. 61); 2001 წელს – ვალერი სილოგავას მიერ, დიმიტრი ბაქრაძის გადმონაწერისა და წაკითხვის სახით (ვ. სილოგავა, ანისისა და ყარსის ქართული..., გვ. 16, 32); 2010 წელს – გიორგი კალანდიასა და ქეთევან ასათიანის მიერ, დედანზე (?) დაყრდნობით (გ. კალანდია, ქ. ასათიანი, ტიგრან ჰონენცის ტაძრის..., გვ. 55); 2011 წელს – იმავე გიორგი კალანდიასა და ქეთევან ასათიანის მიერ, დედანზე (?) დაყრდნობით (გ. კალანდია, ქ. ასათიანი, ანისის ნაქალაქარის ქართული..., გვ. 87); და სხვ.

² წარწერა პირველად გამოქვეყნდა 1980 წელს, ვალერი სილოგავას მიერ, დიმიტრი ბაქრაძის გადმონაწერისა და წაკითხვის სახით (ვ. სილოგავა, სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული..., გვ. 151). ამის შემდეგ წარწერა კიდევ რამდენიმეჯერ გამოქვეყნდა: 1981 წელს – პარუირ მურადიანის მიერ, დიმიტრი ბაქრაძის 1980 წელს გამოქვეყნებული წაკითხვის სახით (П. Мурадян, К критике и интерпретации грузинской..., გვ. 175); 1987 წელს – იმავე პარუირ მურადიანის მიერ, კვლავ დიმიტრი ბაქრაძის 1980 წელს გამოქვეყნებული წაკითხვის სახით (П. Мурадян, Проблема конфессиональной ориентации..., Стр. 61); 2001 წელს – ვალერი სილოგავას მიერ, დიმიტრი ბაქრაძის გადმონაწერისა და წაკითხვის სახით (ვ. სილოგავა, ანისისა და ყარსის ქართული..., გვ. 16-17, 32); 2016 წელს – ბუბა კუდავას მიერ, დედანზე დაყრდნობით (ბ. კუდავა, ტიგრან ჰონენცის ქართული..., გვ. 118-131); და სხვ.

³ ამ წარწერის გამოცემებისა და შესწავლის ისტორიის შესახებ ვრცლად ქვემოთ მექნება საუბარი.

⁴ წარწერა პირველად გამოქვეყნდა 2016 წელს, ბუბა კუდავას მიერ, დედანზე დაყრდნობით (იქვე, გვ. 126-127). ამის შემდეგ წარწერა აღარ გამოქვეყნებულა.

საუკუნეების ქართული ეპიტაფიების რეგიონალური თავისებურებების გამოყოფა-შესწავლისათვის საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის.

ეპიტაფიის სამეცნიერო შესწავლის საქმეს საკმაოდ ხანგრძლივი, საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ეპიტაფიით, ჩემთვის ცნობილ მკვლევართა შორის, პირველად დიმიტრი ბაქრაძე დაინტერესდა, რომელმაც 1881 წლის ზაფხულში ყარსის ოლქში სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო და ამ ექსპედიციის ფარგლებში, ნაქალაქარ ანისის ქართული სიძველეებიც შეისწავლა¹.

დიმიტრი ბაქრაძემ ანისში წარმოებულ კვლევა-ძიების ძირითადი შედეგების ამსახველი ტექსტური და გრაფიკული ინფორმაცია, რამდენიმე ჩანაწერის სახით, საკუთარი ხელით შეიტანა პირად საველე-საექსპედიციო დღიურში, რომელიც ამჟამად კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება და დიმიტრი ბაქრაძის პირად არქივში 32-ე ნომრითაა რეგისტრირებული².

დღიურში ეპიტაფიის შესახებ საინტერესო ტექსტური და გრაფიკული ინფორმაციაა წარმოდგენილი. თავად ეს ინფორმაცია დღიურის ორ სხვადასხვა ადგილას – 139-ე (ახალი პაგინაციით, 53v) და 188-ე (ახალი პაგინაციით, 80r) გვერდებზე, ორი სხვადასხვა – I და II ჩანაწერების სახით არის შეტანილი. აქედან, დღიურის 139-ე გვერდზე შეტანილი I ჩანაწერი 1881 წლის 26 ივლისით, ხოლო 188-ე გვერდზე შეტანილი II ჩანაწერი 1881 წლის 24 აგვისტოთა დათარიღებული³.

როგორც დღიურიდან ირკვევა, დიმიტრი ბაქრაძემ ეპიტაფიას 1881 წლის 26 ივლისს მიაკვლია და შესაბამისი რუსულენოვანი ჩანაწერი დღიურის 139-ე გვერდზე იმავე 26 ივლისს, ღია ყავისფერი მელნიით შეიტანა.

მეცნიერმა ამ, I ჩანაწერის დასაწყისში აღნიშნა, რომ ეპიტაფია გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაში, საკურთხეველის წინ მდებარეობს.

ამის შემდეგ, დიმიტრი ბაქრაძემ მიუთითა, რომ ეპიტაფია ქართულ ენაზეა შედგენილი და იქვე, წარწერის ტექსტის მის მიერ შესრულებული გრაფიკული მონახაზიც მოიტანა. ამასთან, მკვლევარი, როგორც ჩანს, უკმაყოფილო დარჩა გრაფიკული მონახაზის სისრულითა თუ სიზუსტით და დამატებით, აღნიშნა, რომ მონახაზის მართებულობას მოგვიანებით, ოლთისიდან დაბრუნების შემდეგ შეამოწმებდა.

დიმიტრი ბაქრაძემ ეპიტაფიაზე ხელმეორედ 1881 წლის 24 აგვისტოს, ოლთისიდან დაბრუნების შემდეგ იმუშავა და შესაბამისი რუსულენოვანი ჩანაწერი დღიურის 188-ე გვერდზე იმავე 24 აგვისტოს, მუქი ყავისფერი მელნიით შეიტანა.

მკვლევარმა ამ, II ჩანაწერის დასაწყისში კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ეპიტაფია წმ. გრიგოლის ეკლესიაში მდებარეობს.

ამის შემდეგ დიმიტრი ბაქრაძემ მოიტანა ეპიტაფიის მის მიერ შესრულებული მეორე გრაფიკული მონახაზი, რომელიც, მისსავე პირველ გრაფიკულ მონახაზთან შედარებით, მნიშვნელოვნად არის დაზუსტებული.

გარდა ამისა, იმავე 24 აგვისტოს მკვლევარი კიდევ ერთხელ მიუბრუნდა მის მიერ დღიურის 139-ე გვერდზე 26 ივლისს შეტანილ I ჩანაწერს და ამ ჩანაწერთან, რუსულენოვანი შენიშვნის სახით, მიუთითა, რომ ეპიტაფიის დაზუსტებული გრაფიკული მონახაზი დღიურის 188-ე გვერდზეა წარმოდგენილი.


დასასრულ, აღვნიშნავ იმასაც, რომ დიმიტრი ბაქრაძემ ეპიტაფიის მეორე გრაფიკულ მონახაზს დაურთო წარწერის ტექსტის მისეული, ქართული მხედრული ანბანით გადმოცემული წაკითხვაც, რომელიც მთლიანად მეორე გრაფიკულ მონახაზზეა დამყარებული. საყურადღებოა, რომ ეპიტაფიის ტექსტის დიმიტრი ბაქრაძის წაკითხვა, I და II ჩანაწერებისაგან განსხვავებით, ღია ან მუქი ყავისფერი მელნიით კი არ არის დაწერილი, არამედ ფანქრითაა შესრულებული, რაც მაფიქრებინებს, რომ მკვლევარმა ეპიტაფია არა უშუალოდ ექსპედიციაში ყოფნის დროს, არამედ მოგვიანებით, სავარაუდოდ, ექსპედიციიდან თბილისში დაბრუნების შემდეგ წაკითხა და ეს წაკითხვა დღიურში ფანქრით სწორედ ამ დროს შეიტანა.

მოვიტან დიმიტრი ბაქრაძის მიერ პირად საველე-საექსპედიციო დღიურში შეტანილი I და II ჩანაწერების ტექსტებსა და შესაბამის გრაფიკულ მონახაზებს.

¹ Дм. Бахрадзе, Историческо-этнографический очерк Карсской..., Стр. 202.


² კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დ. ბაქრაძის პირადი არქივი, №32, 53rv, 79r-80v.

³ იქვე, 53rv, 79r-80r.



სურ. 1
 დიმიტრი ბაქრაძის I ჩანაწერი.
 (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
 დიმიტრი ბაქრაძის პირადი არქივი. №32. 53v)

I ჩანაწერი (1881 წლის 26 ივლისი) (სურ. 1):
 “26 июля{,} воскр{e}с{e}ньe.} [...] 53r|53v
 [...] П{e}ред алтарем мог{и}льн{ый} камен{ь} с груз{инской} | надп{и}сью{:}
 Еще раз проверит{ь} по возвр{а}|щ{e}н{ии}¹ из Олты”².



¹ ამ სიტყვის მეორე ნაწილის (შ{e}ნ{იი}) წაკითხვა სათუთა.

² იქვე, 53rv. ღია ყავისფერი მეღნიშვნით შესრულებული 26 ივლისის I ჩანაწერის ციტირებულ ტექსტს 24 აგვისტოს შესრულებული II ჩანაწერის მუქი ყავისფერი მეღნიშვნით დართული აქვს შემდეგი შენიშვნა: “Эта н{а}дп{и}сь исправлено. См. стр{.} 188” (იქვე, 53v).


II ჩანაწერი (1881 წლის 24 აგვისტო) (სურ. 2):

“24 августа, понедельник [...] 79r||79v

[...] 79v||80r

[...] Внутри см.¹ На мог{и}льн{ой} к{а}мне{:}

ესე საფლავი შანშე ამირხარის ათბავისა: შნ ღნ:”².




სურ. 2

დიმიტრი ბაქრაძის II ჩანაწერი.

(კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

დიმიტრი ბაქრაძის პირადი არქივი. №32. 80r)



¹ ამ ორი გრაფემის (см.) წაკითხვა სათუღა.

² კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმიტრი ბაქრაძის პირადი არქივი. №32. 79r-80r. ეპიტაფიის ტექსტის დიმიტრი ბაქრაძის წაკითხვა (ესე საფლავი | შანშე ამირხარის | ათბავისა: შნ ღნ:“) დღიურში, როგორც უკვე აღვნიშნე ზემოთ, ფანქრით არის შეტანილი.

დიმიტრი ბაქრაძე ეპიტაფიასთან დაკავშირებულ საკითხებს, პირადი საველე-საექსპედიციო დღიურის გარდა, იმავე 1881 წელს გამოქვეყნებულ რუსულენოვან სტატიაშიც “Историческо-этнографический очерк Карсской области” შეეხო. მკვლევარმა დასახელებულ პუბლიკაციაში ყარსის ოლქში მოწყობილი 1881 წლის ექსპედიციის წინასწარი შედეგები წარმოადგინა და იქვე, სტატიის ბოლო ნაწილში, მის მიერ ნაქალაქარ ანისში გამოვლენილი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებიც მიმოიხილა¹.

მიმოხილვაში დიმიტრი ბაქრაძე ჩვენთვის საინტერესო ეპიტაფიასაც შეეხო. მკვლევარმა თავდაპირველად აღნიშნა, რომ „ბერძნული ეკლესიის“ სახელით ცნობილ ტაძარში ანუ გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაში, კანკელის წინ, მდებარეობს საფლავის ქვა, რომელზეც ქართული „ხუცური“ ანუ, XIX საუკუნის ტერმინოლოგიით, ასომთავრული ანბანით შესრულებული წარწერაა ამოკვეთილი.

ამის შემდეგ დიმიტრი ბაქრაძემ, ხსენებულ წარწერაზე დაყრდნობით, გამოთქვა მოსაზრება, რომ ეპიტაფიიანი საფლავის ქვის ქვეშ ვინმე „ათაბეგი ამირხარი“ (“атабег Амирхари”) ანუ „ათაბაგის“ სამოხელეო წოდებისა და სახელი „ამირხარის“ მატარებელი პირია დაკრძალული:

“Грузинские церковные памятники я проследил до самого перевала в Зарушадский округ. Дале-же хотя они и встречаются только местами, но тем не менее, подтверждают исторический факт... о влиянии грузинских царей в период времени между X-XIII вв. на Аракский бассейн. Там я нашел: ... б) в Ани наилучше сохранившуюся грузинскую церковь, неправильно названную г. Абигом греческою... Могильная плита пред иконостасом с надписью хуцури положена над прахом какого-то “атабега Амирхари”².

დიმიტრი ბაქრაძის შემდეგ ეპიტაფიას გაკვრით შეეხო იოსებ ორბელი, რომელმაც 1910 წელს დაბეჭდილ რუსულენოვან წიგნაკში “Краткий путеводитель по городищу Ани” აღნიშნა, რომ ნაქალაქარ ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაში, საკურთხეველის შემადღების წინ მდებარე ერთ-ერთ საფლავის ქვაზე ამოკვეთილია ქართული ასომთავრული წარწერა, რომლის ტექსტშიც საკუთარი სახელი „ამილახორია“ (“Амилахори”) მოხსენიებული: “Церковь Тиграна h Оненца... На одной из могил, находящихся перед алтарным возвышением, имеется грузинская инициальная надпись с именем Амилахори”³.

დიმიტრი ბაქრაძისა და იოსებ ორბელის შემდეგ ეპიტაფიით, დიდი ხნის განმავლობაში, არც ერთი მკვლევარი აღარ დაინტერესებულა. წარწერის სამეცნიერო შესწავლის საქმე მხოლოდ 1980 წელს განახლდა, როცა ვალერი სილოგავამ გამოაქვეყნა სტატია „სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ“.

აღნიშნულ პუბლიკაციაში ავტორმა კრიტიკულად განიხილა პარუირ მურადიანის მიერ 1977 წელს სომხურ ენაზე გამოცემული წიგნი „ქართულნი წარწერანი სომხეთისანი“ და იქვე, წარმოადგინა ტექსტური, ფოტო და გრაფიკული ინფორმაცია სომხეთის იმ ქართული წარწერების შესახებ, რომლებიც პარუირ მურადიანის წიგნში შეტანილი არ არის⁴.

აღნიშნულ ქართულ წარწერებს შორის ვალერი სილოგავამ ჩვენთვის საინტერესო ეპიტაფიასაც შეეხო. მკვლევარი ეპიტაფიაზე საუბრისას მთლიანად დიმიტრი ბაქრაძის პირად საველე-საექსპედიციო დღიურში შეტანილ, ზემოთ განხილულ II ჩანაწერს დაყრდნობდა და ეს ჩანაწერი სტატიაში ბრჭყალებში ჩასმული ციტატის სახით, რაიმე კომენტარისა თუ შენიშვნის გარეშე მოიხმო.

აქვე, საზგასმით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ ვალერი სილოგავამ წარწერის დიმიტრი ბაქრაძის წაკითხვაში საკმაოდ მნიშვნელოვანი აზრობრივი თუ ტექნიკური ცვლილებები შეიტანა და საბოლოოდ, ეს წაკითხვა არა ავთენტური, არამედ საკმაოდ შეცვლილი სახით გამოაქვეყნა.

¹ Дм. Бакрадзе, Историческо-этнографический очерк Карсской..., Стр. 202.

² იქვე. ის ფაქტი, რომ დიმიტრი ბაქრაძეს აღნიშნული ორი სიტყვიდან “атабег Амирхари” პირველი სიტყვა “атабег” სამოხელეო წოდების ანუ საზოგადო სახელის მნიშვნელობით ესმოდა, ხოლო მეორე სიტყვას “Амирхари” ანთროპონიმის ანუ საკუთარი სახელის მნიშვნელობით მოიაზრებდა, ვფიქრობ, არანაირ ეჭვს არ იწვევს: მკვლევარს თავის რუსულენოვან სტატიაში სიტყვა “атабег”, რუსულ ენაში საზოგადო სახელების გადმოსაცემად მიღებული წესის შესაბამისად, პატარა ასოთი, ხოლო სიტყვა “Амирхари” იმავე რუსულ ენაში საკუთარი სახელების გადმოსაცემად მიღებული წესის შესაბამისად, დიდი ასოთი აქვს დაწვეული. აქვე, საზგასმით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ დიმიტრი ბაქრაძის 1882 წლის სტატია, ჩემთვის უცნობი მიზეზების გამო, ეპიტაფიით დაინტერესებულ მკვლევართა თვალსაწიერის მიღმა დარჩა და ის არავის არ გამოუყენებია. არადა, დიმიტრი ბაქრაძის 1882 წლის სტატია წარმოადგენს პირველ პუბლიკაციას, რომელშიც ნაქალაქარ ანისის ქართული წარწერები მეტნაკლებად სრულად არის მიმოხილული.

³ Краткий путеводитель по городищу..., Стр. 41, 43. შტრ.: И. Орбели., Краткий путеводитель по городищу..., Стр. 126. ის გარემოება, რომ იოსებ ორბელმა ეპიტაფიაში დადასტურებული სიტყვა „ამილახორი“ (“Амилахори”) არა სამოხელეო წოდების, არამედ საკუთარი სახელის მნიშვნელობით გაიაზრა, ჯერ კიდევ ვალერი სილოგავამ შენიშნა (ვ. სილოგავა, ანისისა და ყარსის ქართული ეპიგრაფიკა..., გვ. 17).

⁴ ვ. სილოგავა, სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული...

ამასთან, მკვლევარმა სტატიაში საერთოდ არ მიუთითა, რომ წარწერის დიმიტრი ბაქრაძის წაკითხვა მის მიერ არის სახეცვლილი. შედეგად, სამეცნიერო საზოგადოებამ მიიჩნია, რომ სტატიაში ეპიტაფიის დიმიტრი ბაქრაძის წაკითხვა გამოქვეყნდა. არადა, სინამდვილეში, აქ წარწერის დიმიტრი ბაქრაძის წაკითხვის ვალერი სილოგავას მიერ სახეცვლილი ვარიანტი ანუ ეპიტაფიის დიმიტრი ბაქრაძისა და ვალერი სილოგავას, ერთგვარი, კომბინირებული წაკითხვაა წარმოდგენილი¹:

„ანისის ერთ-ერთი ქართული ეკლესიის (ტიგრან ჰონენცის ეკლესია?) ლაპიდარული და ფრესკული წარწერების შესახებ დ. ბაქრაძემ ჯერ კიდევ 1885 წ. გამოაქვეყნა ცნობა², ხოლო თვით წარწერების გადმონაწერები დაცულია მის დღიურში. სამწუხაროდ, ეს მასალა პ. მურადიანისათვის, როგორც ჩანს... უცნობი დარჩა. დ. ბაქრაძის ცნობით, ამ ეკლესიაზე მოიპოვება შემდეგი ქართული წარწერები...

4. `Внутри; на могиле:

ԴՆՆԺՖՆԴԻԿ
ԲԿՆԸԳԴԿԵՂ
ՂՏԳԼՆԴԿԻՆԻ

ესე საფლავი შანშეს ამირ(ა)ხ(ო)რის, ათ(ა)ბ(აგ)ისი; შ(ე)უნდ(ე)ნ დ(მ)ერთ(მ)ან³.

ვალერი სილოგავას სტატიის დაბეჭდვიდან მცირე ხნის შემდეგ, 1981 წელს, პარუირ მურადიანმა გამოაქვეყნა რუსულენოვანი სტატია “К критике и интерпретации грузинской эпиграфики Армении”, რომელშიც მან ვალერი სილოგავას მიერ მის მიმართ გამოთქმულ სხვადასხვა კრიტიკულ შენიშვნებს უპასუხა⁴.

პარუირ მურადიანი სტატიაში ჩვენთვის საინტერესო ეპიტაფიასაც შეეხო. მკვლევარმა თავდაპირველად ეპიტაფიის ვალერი სილოგავას მიერ გამოქვეყნებული დიმიტრი ბაქრაძის წაკითხვა

¹ ვალერი სილოგავას მიერ ეპიტაფიის დიმიტრი ბაქრაძის წაკითხვაში შეტანილ აზრობრივი და ტექნიკური ხასიათის ცვლილებებს შორის, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის აზრობრივი ცვლილება, რომელიც წარწერის რიგით მეოთხე, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან, პრაქტიკულად, საკვანძო მნიშვნელობის მქონე სიტყვაში „ამირხარის“ შეიცვალა. ვალერი სილოგავამ ამ სიტყვის დიმიტრი ბაქრაძის წაკითხვაში, დედნის ჩვენების საწინააღმდეგოდ, ერთი მხრივ, IV და V გრაფემებს – რ-სა და ხ-ს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, V და VI გრაფემებს – ხ-სა და რ-ს შორის, თითო გრაფემა – ა და ო აღადგინა, რის შედეგადაც მიიღო სიტყვა „ამირ(ა)ხ(ო)რის“, რომელსაც დიმიტრი ბაქრაძის მიერ წაკითხული სიტყვის „ამირხარის“-აგან სრულებით განსხვავებული შინაარსი აქვს. მართლაც, ვალერი სილოგავას სტატიიდან გამომდინარეობს, რომ დიმიტრი ბაქრაძე ეპიტაფიაში კითხულობდა სიტყვა „ამირახორს“, რომელიც შუა საუკუნეების საქართველოში ერთ-ერთი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელის წოდება იყო და ქვეყნის სამხედრო უწყების ხელმძღვანელის – ამირსპასალარის თანაშემწის აღმნიშვნელ ტერმინს წარმოადგენდა. არადა, სინამდვილეში, დიმიტრი ბაქრაძე განსახილველ სიტყვას არა „ამირახორის“, არამედ „ამირხარის“ ფორმით კითხულობდა და ამ სიტყვას არა სამოხელეო წოდებად, არამედ მამაკაცის საკუთარ სახელად მიიჩნევდა. რაც შეეხება, ვალერი სილოგავას მიერ ეპიტაფიის დიმიტრი ბაქრაძის წაკითხვაში შეტანილ ტექნიკური ხასიათის ცვლილებებს, მათგან, მაგალითისათვის, შემოიღია, დავასახელო სამი ცვლილება: 1. დიმიტრი ბაქრაძის წაკითხვის ავთენტურ ვარიანტში სტრიქონების დასაწყისი და დასასრული აღნიშნული არ არის, ვალერი სილოგავას სტატიაში კი სტრიქონების დასაწყისი და დასასრული სათანადო ტექნიკური ნიშნებით ანუ სწორი, შევული ხაზებითაა აღნიშნული. ამასთან, სტატიაში მითითებული არ არის, რომ ეს ტექნიკური ნიშნები გამომცემელს ეკუთვნის და ისინი წარწერის წაკითხვაში ეპიტაფიის დიმიტრი ბაქრაძის მიერ შესრულებულ II გრაფიკულ მონახაზზე დაყრდნობით არის შეტანილი; 2. დიმიტრი ბაქრაძის წაკითხვის ავთენტურ ვარიანტში არც ქარაგმის ნიშნებია მითითებული და არც დაქარაგმებული სიტყვებია გახსნილი, ვალერი სილოგავას სტატიაში კი დაქარაგმებული სიტყვები გახსნილია და ამასთან, მითითებული არ არის, რომ ქარაგმების გახსნა გამომცემელს ეკუთვნის; და 3. დიმიტრი ბაქრაძის წაკითხვის ავთენტურ ვარიანტში მესამე და მეხუთე სიტყვები დადასტურებულია შემდეგი ფორმით: „შანშე“ და „ათბაგისა“, ვალერი სილოგავას სტატიაში კი ეს სიტყვები საკმაოდ სახეცვლილი ფორმით არის მოტანილი: „შანშეს“ და „ათბაგისი“. ამასთან, სტატიაში მითითებული არ არის, რომ სიტყვების ფორმები სახეცვლილია გამომცემლის მიერ, რომელიც ამ ფორმების ცვლილებისას ეპიტაფიის დიმიტრი ბაქრაძის მიერ შესრულებულ II გრაფიკულ მონახაზს ეყრდნობოდა.

² აქ ვალერი სილოგავას მხედველობაში აქვს დიმიტრი ბაქრაძის მიერ 1885 წელს გამოცემული ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ისტორია“, რომლის 146-ე გვერდზე, სქოლიოში ჩატანილ შენიშვნაში, გამომცემელი გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიას ეხება და იქვე, ამ ტაძრის ქართული წარწერების შესახებაც საუბრობს: „ბაგრატ III მივაწეროთ ჩვენ კიდევ ორ მშვენიერს ეკლესიას: ... 2) ქართულ ეკლესიას დიდ სომხეთში, ანის ქალაქში. ეს ეკლესია აქამომდე შეცდომით არის ცნობილი ბერძნულ ეკლესიად; მაგრამ იმის ქვაზე შერჩენილა მხედრულ-ხუცური წარწერა, რომელიც პალეოგრაფიულის თვისებით უძველეს დროს (IX-X საუკ.) ეკუთნის და აგრეთვე შიგნითი ქართული მე-XI-XIII საუკ. მხატრობა, იმათ შორის წმ. ნინოს სურათი ქართული წარწერებით. ვფიქრობთ, რომ ეს ეკლესია უნდა იყოს კათედრა ქართველის ეპისკოპოსის ანელისა, რომელიც აქ იჯდა, როგორც კარში (არზრუშში) და ალაშქერტში იმ დროს, როდესაც არაქსის ბასილიის ნაწილი ქართველების მეფეებს ეჭირათ და სადაც აქამომდე ადგილ-ადგილ დარჩენილია ქართული ეკლესიები ქართულის წარწერებითვე. ზემოდ-ხსენებულის ანის ეკლესიის ქვის წარწერა ძნელად იკითხვის, თუმცა ჩემის აზრით იგი შეიცავს ბაგრატის სახელს და ქორონიკონს სი 280 – 990 წელს. თვით არხიტექტურული მისი ხელოვნება მიემსგავსება ზარზმის ხელოვნებას (ჩემი დღიური, №4 გვ. 188)“ (ვახუშტი, საქართველოს ისტორია, გვ. 146).

³ ვ. სილოგავა, სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული..., გვ. 150-151.

⁴ П. Мурадян, К критике и интерпретации грузинской...

მოიტანა (ამ წაკითხვის შესახებ ვრცლად იხ. ზემოთ) და იქვე, აღნიშნა, რომ ეპიტაფიის არსებობის ფაქტი მისთვის ჯერ კიდევ იოსებ ორბელის 1910 წლის ზემოთ განხილული წიგნაკიდან იყო ცნობილი.

ამის შემდეგ პარუირ მურადიანმა ოპონენტის მიმართ საპასუხო შენიშვნა გამოთქვა და ხარვეზად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ვალერი სილოგავას მიერ გამოქვეყნებულ ეპიტაფიის წაკითხვაში სიტყვები „ამირახორი“ და „ათაბაგისა“ ერთმანეთისაგან მძიმით არის გამოყოფილი. პარუირ მურადიანის თქმით, ამ, უადგილოდ დასმული მძიმის გამო საქმეში ჩაუხედავი მკითხველი იფიქრებს, რომ ეპიტაფიიანი საფლავის ქვის ქვეშ ერთდროულად ორი პირი – ამირახორი და ათაბაგი არიან დაკრძალული, სპეციალისტს კი გაუჭირდება, გაარკვიოს, თუ, კონკრეტულად, ვის ეკუთვნის საფლავი – ამირახორს თუ ათაბაგს.

დასასრულ, პარუირ მურადიანმა ეპიტაფიის საკუთარი ინტერპრეტაციაც წარმოადგინა და აღნიშნა, რომ ეპიტაფიიანი საფლავის ქვის ქვეშ, სინამდვილეში, დაკრძალულია პირი, რომელსაც სახელად ათაბაგი ერქვა და რომელიც, „შანშეს სახლის“ ანუ მანდატურთუხუცეს შანშე I მხარგრძელის მიერ XIII საუკუნის I ნახევარსა თუ შუახანებში დაარსებული ფეოდალური სენიორიის ამირახორი იყო:

“Ради большей четкости и ясности считаю нужным привести все вновь опубликованные тексты...”

4. Та же церковь, “внутри; на могиле” – Д. З. Бакрадзе (по той же архивной единице):

ესე საფლავი შანშეს ამირ(ა)ხ(ო)რის, ათ(ა)ბ(ა)გისი;

შ(ე)უნდვენ ღ(მერ)თმან! (там же)* (*Существование этой надписи отмечено акад. И. А. Орбели:

“На одной из могил, находящихся перед алтарным возвышением, имеется грузинская инициальная надпись с именем Амилахори” (см. “Избр. тр.,” Ереван. 1963, с. 126))...

Вот все те лапидарные надписи, которые представлены в публикации В. И. Силогава и тексты которых отсутствуют в моей монографии. Относительно двух из них (№ 1, 5), как уже было отмечено, мною сказано то, что можно было извлечь из имеющейся литературы по предмету, о существовании третьей же (№ 4) я знал по справке И. А. Орбели, об остальных трех (№ 2, 3, 6) узнаю в первые по названной публикации...

Итак, В. И. Силогава опубликовал шесть новых текстов, из коих о существовании трех я не знал. Это немало и делает честь рецензенту. Иное дело, что он их издал без малейшей критики, без попытки разобраться в их сообщениях... При издании трафаретной эпитафии из церкви того же Оненца слова ამირახორის и ათაბაგისი – разделены запятой, вследствие чего неискушенный читатель может понять так, что под одной плитой покоятся двое – Амирахори и Атабаги, специалисту же трудно будет разобраться, кто тут похоронен – Амирахори или Атабаги? В действительности же усопшего называли Атабаги/Атабаг, и он являлся амирахором дома Шанше (это вполне заслуживающий внимания факт)”¹.

პარუირ მურადიანმა ეპიტაფიასთან დაკავშირებული საკითხები კიდევ ერთხელ განიხილა 1987 წელს დაბეჭდილ რუსულენოვან სტატიაში “Проблема конфессиональной ориентации церкви Оненца”². მკვლევარმა მთელი ეს ნაშრომი გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის კონფესიური კუთვნილების საკითხის გარკვევას მიუძღვნა და საბოლოოდ, დაასკვნა, რომ ტიგრან ჰონენცის მიერ 1215 წელს აგებული ტაძარი თავდაპირველად, უფრო ზუსტად კი, XIII საუკუნის I ნახევარში, მონოფიზიტებს ეკუთვნოდა და ის ქალკედონიტთა ხელში მხოლოდ მოგვიანებით, XIII საუკუნის შუახანებში გადავიდა.

პარუირ მურადიანმა აღნიშნული მოსაზრების ფარგლებში სამეცნიერო საზოგადოებას შესთავაზა ერთი კონკრეტული თეზა, რომლის თანახმადაც XIII საუკუნის შუახანებში გრიგოლ განმანათლებლის ეკლესია უკვე ქალკედონური მრწამსის აღმსარებლებს ეკუთვნოდა. მკვლევარმა ამ თეზის დასასაბუთებელ ერთ-ერთ არგუმენტად სწორედ ჩვენთვის საინტერესო ეპიტაფია მოიხმო.

მკვლევარმა, პირველ რიგში, ეპიტაფიის ადგილმდებარეობაზე გაამახვილა ყურადღება და ციტატის სახით მოიხმო იოსებ ორბელის 1910 წლის წიგნაკის ის ფრაგმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ ეპიტაფიის შემცველი საფლავის ქვა გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაში, საკურთხევლის შემადლების წინ დევს.

ამის შემდეგ პარუირ მურადიანმა უკვე თავად ეპიტაფიის ტექსტი მოიტანა. კერძოდ, მკვლევარმა წარმოადგინა: 1. ეპიტაფიის ქართული ტექსტი, მხედრული შრიფტით, ქარაგმების გახსნილია და პუნქტუაციის გამართვით; და 2. წარწერის მისეული, რუსულენოვანი თარგმანი, საიდანაც გამოდის, რომ ეპიტაფია ეკუთვნოდა შანშეს ამირახორს, რომელსაც სახელად ათაბაგი ერქვა.

¹ იქვე, გვ. 175-177.

² П. Мурадян, Проблема конфессиональной ориентации....

აქვე, აღნიშნავ, რომ მართალია, პარუირ მურადიანმა არ დააკონკრეტა, რომ თუ, სახელდობრ, რომელ პირველწყაროზე დაყრდნობით მოიტანა ეპიტაფიის ქართული ტექსტი, მაგრამ სრულებით აშკარაა, რომ იგი, ამ შემთხვევაში, ისევე როგორც 1981 წლის სტატიაში, წარწერის დიმიტრი ბაქრაძის გადმონაწერს ეყარებოდა.

სტატიის მომდევნო ნაწილში პარუირ მურადიანმა ეპიტაფიაში მოხსენიებული შანშე, რაიმე არგუმენტაციის მოტანის გარეშე, ქალკედონური მრწამსის აღმსარებელ შანშე (შაჰანშა) I მხარგრძელთან გააიგივა, წარწერაში ნახსენები მეორე პირი, რომლის სახელიც მკვლევარმა ათაბაგის ფორმით წაიკითხა, შანშეს სახლისა თუ შანშე I-ის ადმინისტრაციის მაღალი რანგის მოხელედ – ამირახორად მიიჩნია და გამოთქვა მოსაზრება, რომ გრიგოლ განმანათლებლის ეკლესია, რომლის ინტერიერშიც არაერთი უწარწერო საფლავის ქვა გვხვდება, 1250-იანი წლებიდან მოყოლებული ამირახორი ათაბაგის საგვარეულო საძვალეს წარმოადგენდა.

ამის შემდეგ პარუირ მურადიანი ამირახორ ათაბაგის ვინაობის საკითხსაც შეეხო. მკვლევარმა, ერთი მხრივ, აღნიშნა, რომ ათაბაგის პიროვნებისა და ეთნიკური კუთვნილების შესახებ, ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი, ხოლო, მეორე მხრივ, გამოთქვა მოსაზრება, რომ ათაბაგი, კონფესიური თვალსაზრისით, ქალკედონური მრწამსის აღმსარებელი იყო.

აღნიშნული მოსაზრებების გამოთქმის შემდეგ პარუირ მურადიანმა გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის ისტორიის განხილვა განაგრძო და ამ კონტექსტში, ამირახორ ათაბაგის საკითხს კიდევ ერთხელ დაუბრუნდა. მკვლევარმა აღნიშნა, რომ XIII საუკუნის II ნახევარსა და XIV საუკუნის დასაწყისში გრიგოლ განმანათლებლის ეკლესია ეკუთვნოდა ციხე-ქალაქ ანისისა და მისი მიმდგომი რეგიონის მფლობელებს – შანშეს სახლის წარმომადგენლებს, რომლებიც ტაძარი გადასცეს ჯერ ამირახორ ათაბაგს, ხოლო შემდეგ – შანშეს სახლის უფრო მაღალი რანგის მოხელეს, გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის 1310 წლის სომხურ წარწერაში მოხსენიებულ მწიგნობართუხუცეს მათეს (ამ უკანასკნელის შესახებ დაწვრილებით იხ. ქვემოთ), რომლებიც შანშეს სახლის წარმომადგენელთა მსგავსად, ქალკედონიტები იყვნენ და ანისში მკვიდრობდნენ. მკვლევრის აზრით, ძნელი სათქმელია, თუ, კონკრეტულად, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაზე კონფესიური თუ სხვა სახის კონტროლის გამახორციელებელი პირები – შანშე I მხარგრძელის ჩამომავლები: ივანე II მხარგრძელი, შანშე (შაჰანშა) II მხარგრძელი და ზაქარია IV მხარგრძელი, როცა ტაძარს ერთ სუბიექტს ართმევდნენ და მეორე სუბიექტს გადასცემდნენ, თუმცა კი, საფიქრებელია, რომ ისინი ამ გზით, ცდილობდნენ, ეკლესიის რეალური მეურვე თუ პატრონი ჰყოლოდა და სავანე „უთავობის“ გამო არ მოშლილიყო.

სტატიის მომდევნო ნაწილი პარუირ მურადიანმა გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის ქართული ლაპიდარული წარწერების მიმოხილვას დაუთმო და ამ მიმოხილვის დასაწყისშივე კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ეპიტაფიაში მოხსენიებული ათაბაგი შანშე I მხარგრძელის ამირახორი იყო:

“Но, пожалуй, лучшим доказательством как халкедонитской конфессии новых патронов, так и их внимания к этой обители является факт захоронения амирахора двора Шахншаха Атабека в самой церкви, “перед алтарным возвышением”* (*И. А. Орбели, указ. соч., с. 126¹...). Грузинская эпитафия гласит:

ესე ს(ა)ფლ(ა)ვი შანშეს ამირ(ა)ხ(ო)რ-

ისა ათ(ა)ბ(აგი)სი. შ(ე)უნდვენდ(მერთმა)ნ.

Перевод: “Это могила амирахора Шанше Атабака. Да помилует бог”.

Следовательно, церковь Тиграна Оненца с 50-х годов была обращена в родовую усыпальницу Атабака, занимающего должность амирахора в администрации Шахншаха. Тут же имеются и другие могилы, но без сохранившихся эпитафий. О личности Атабака и его этнической принадлежности пока ничего не известно, кроме того, что он являлся амирахором, был халкедонитом...

Мцигნобартухуцес Мათэ получает церковь Тиграна Оненца от самого Шахншаха II, а это значит, что до того она принадлежала самим владетелям края, которые могли ее передать то амирахору, то чиновнику более высокого ранга – мцигნобартухуцесу, единоверным халкедонитам из Ани. В силу каких обстоятельств они ее отнимали у одного и передавали другому – трудно сказать, но, кажется, конфессиональный и иного характера контроль осуществляли потомки Шахншаха I – Иване II, Шахншах II и Закарэ, дабы “из-за безначалия” (ქანაქრობის)² обитель не была бы запущена...

¹ აქ პარუირ მურადიანს იოსებ ორბელიის ზემოთ განხილული 1910 წლის რუსულენოვანი წიგნაკი აქვს დამოწმებული.

² ეს ფრაზა (“из-за безначалия”) პარუირ მურადიანს გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის 1310 წლის სომხური წარწერიდან აქვს ციტირებული (ამ წარწერის ტექსტი იხ. ქვემოთ).

Выше мы привели эпитафию амирахора Шахшаха I Атабака, тут же считаем нужным привести остальные лапидарные тексты...”¹.

პარუი მურადიანის შემდეგ ეპიტაფიას მეორედ შეეხო ვალერი სილოგავა 2001 წელს დაბეჭდილ ორენოვან (ქართულ-თურქულ) სტატიაში „ანისისა და ყარსის ქართული ეპიგრაფიკა“.

მკვლევარმა სტატიის შესაბამისი ნაკვეთის დასაწყისშივე ხაზგასმით დააფიქსირა საკუთარი პოზიცია ეპიტაფიიანი საფლავის ქვის ქვეშ დაკრძალული პირის ვინაობის შესახებ და აღნიშნა, რომ საფლავი ეკუთვნის შანშეს, რომელიც, ერთდროულად, ათაბაგი და ამირახორი იყო.

ამის შემდეგ ვალერი სილოგავამ მოკლედ მიმოიხილა ეპიტაფიის შესწავლის ისტორია და ერთი მხრივ, აღნიშნა, რომ წარწერის არსებობა ჯერ კიდევ დიმიტრი ბაქრაძის, ნიკო მარისა და იოსებ ორბელის იყო ცნობილი, ხოლო, მეორე მხრივ, საგანგებოდ შენიშნა ისიც, რომ ეპიტაფიის პუბლიკაცია მხოლოდ მოგვიანებით, 1980 წელს, მის მიერ განხორციელდა.

პარალელურად ამისა, მკვლევარმა, იოსებ ორბელზე საუბრისას მცირე კრიტიკული შენიშვნაც გამოთქვა იმის თაობაზე, რომ ამ უკანასკნელმა თავის 1910 წლის წიგნაკში წარწერაში დადასტურებული სიტყვა „ამილახორი“ არა ათაბაგ შანშეს სამოხელეო წოდებად, არამედ მის სახელად მიიჩნია.

ეპიტაფიის სამეცნიერო შესწავლის ისტორიის მიმოხილვის შემდეგ ვალერი სილოგავამ მის ადგილმდებარეობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ეპიტაფიიანი საფლავის ქვა, რომელიც იოსებ ორბელის 1910 წლის წიგნაკის გამოცემის დროს გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაში, საკურთხევლის წინ იხილვებოდა, მის დროსაც იმავე ადგილას – ტაძარში, კანკელის წინ, აღსავლის კარების პირდაპირ იდო, ოღონდ ამ დროისათვის საფლავის ქვა უკვე ძლიერ იყო დაზიანებული და კიდეები ჩამოტეხილი ჰქონდა.

სტატიის შესაბამისი ნაკვეთის მომდევნო ნაწილში ვალერი სილოგავა ეპიტაფიაში მოხსენიებული ათაბაგ-ამირახორი შანშეს იდენტიფიკაციის საკითხს შეეხო. მკვლევრის დაკვირვებით, სწორედ ეს შანშეა დასახელებული გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის კედელზე ამოკვეთილ 1310 წლის სომხურ ლაპიდარულ წარწერაშიც, რომელშიც იგი ათაბაგ-ამირახორის სახელად იხსენიება.

ვალერი სილოგავას თქმით, გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის ქართულ და სომხურ წარწერებში მოხსენიებული შანშე სამართლიანად არის გაიგივებული „დიდი“ შანშე მანდატურთუხუცესის შვილიშვილთან და ივანე II-ის ვაჟთან – შანშე II-სთან, რომელიც XIV საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

მკვლევრის აზრით, ეპიტაფიიდან ირკვევა, რომ შანშე II გარდაცვალების შემდეგ გრიგოლ განმანათლებლის ტაძარში დაკრძალეს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ვალერი სილოგავა ეპიტაფიის დათარიღების საკითხსაც შეეხო და წარწერის ქრონოლოგია, შანშე II-ის ბიოგრაფიის გათვალისწინებით, XIV საუკუნის დასაწყისით – 1310-იანი წლების შემდგომი ახლო დროით განსაზღვრა.

დასასრულ, მკვლევარმა სტატიის ბოლო ნაწილში, №3 დანართის სახით, დიმიტრი ბაქრაძის პირად საველე-საექსპედიციო დღიურში შეტანილ, ზემოთ განხილულ II ჩანაწერზე დაფრდნობით, წარმოადგინა: 1. მოკლე ინფორმაცია ეპიტაფიის შესახებ (წარწერის რაობა, დაცულობის ადგილზე მითითება და თარიღი); და 2. ეპიტაფიის ტექსტი (წარწერის გადმონაწერი დედნის შრიფტის დაცვით და ტექსტის წაკითხვა):

„ტიგრან ჰონენცის ეკლესიასთან დაკავშირებულია კიდევ ერთი ლაპიდარული წარწერა – ათაბაგ შანშე ამირახორის საფლავის ქვაზე ამოკვეთილი ეპიტაფია, რომლის ტექსტი გადმოუწერია ჯერ კიდევ დ. ბაქრაძეს, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი ცნობილი იყო ნ. მარისა და ი. ორბელისთვისაც* (*И. Орбели. Краткий путеводитель..., с. 43; მისივე, Избранные труды. с. 126. ი. ორბელს ზაქარია (ტექნიკური შეცდომაა, უნდა იყოს „შანშე“ – თ. ჯ.) ათაბაგის თანამდებობა „ამილახორი“ მის საკუთარ სახელად მიუჩნევია: „имеется грузинская инициальная надпись с именем Амилахори“ – წერს იგი (იქვე)), გამოქვეყნდა მხოლოდ 1980 წელს* (*ვ. სილოგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 151, №4). წარწერიანი საფლავის ქვა, ძლიერ დაზიანებული და კიდეებშემოტეხილი, ამჟამად ტაძარში დევს, კანკელის წინ, აღსავლის კარების პირდაპირ, როგორც ეს იყო ი. ორბელის დროს (1910). ეს შანშე დასახელებულია ტიგრან ჰონენცის ეკლესიაზე ამოკვეთილ კიდევ ერთ ლაპიდარულ სომხურ წარწერაში 1310 წლისა, სადაც იგი „ათაბაგ ამირახორის“ ტიტულს ატარებს* (*სომხური წარწერების კრებული, I, გვ. 64, №189 (იქვე ბიბლიოგრაფია)). საუბრით სწორად, იგი მიჩნეულია ივანე II-ის ძედ და „დიდი შანშე“ (1262) მანდატურთუხუცესის შვილიშვილად* (*შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979, გვ. 317). ეს შანშე II აქტიურად მონაწილეობდა XIV ს-ის სა-

¹ იქვე, გვ. 57, 59-60.

ქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. როგორც ჩანს, იგი დაუკრძალავთ ტიგრან ჰონენცის ეკლესიაში და მისი ეპიტაფიაც XIV ს-ის დამდეგით, 1310 წლის შემდგომი ახლო დროით უნდა დათარიღდეს (წარწერის ტექსტი იხ. აქვე, დამატება, №3)...

სტატიაში განხილული ანისისა და ყარსის ქართული წარწერები:

I. ანისის ძველი ქართული წარწერები.

1. ტიგრან ჰონენცის ტაძრის წარწერები...

გ) შანშე ათაბაგის ეპიტაფია (1310 წ. ახლო დრო)...

[დამატება] 3.

ანისი. ტიგრან ჰონენცის ეკლესია; ათაბაგ შანშე ამირახორის ეპიტაფია; 1310 წლის შემდეგ...

სტატიაში

წარწერები

სტატიაში

ესე საფლავი შანშეს ამირახორის, ათაბაგის; შეუნდვენ ღმერთმან!...¹.

ვალერი სილოგავას შემდეგ ეპიტაფიით ვლადიმერ კეკელიაც დაინტერესდა. ამ უკანასკნელმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 2014 წლის 9 ივლისს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კორნელი კეკელიძის სახელობის სამეცნიერო სემინარზე წაიკითხა მოხსენება „რამდენიმე დაკვირვება ანისის ქართულ წარწერებზე“².

ვლადიმერ კეკელიამ მოხსენების ფარგლებში, ეპიტაფიის დიმიტრი ბაქრაძის მიერ შესრულებულ მეორე გრაფიკულ მონახაზზე დაყრდნობით, გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ წარწერის წინამორბედ მკვლევართა წაკითხვები მართებული არ არის და სამეცნიერო საზოგადოებას ეპიტაფიის საკუთარი, ახლებური წაკითხვა შესთავაზა: „ესე საფლ(ა)ვი შანშეს ამირ(ა)ხ(ო)რი-სათუს<ი>, შ(ე)უნდვენ ღ(მ)ერთმან“.

გარდა ამისა, მკვლევარმა წარწერის მისეულ წაკითხვაზე დაყრდნობით, გამოთქვა მოსაზრება, რომ ეპიტაფიიანი საფლავის ქვა ეკუთვნის ათაბაგ-ამირსპასალარის შანშე II მხარგრძელის ამირახორს, რომლის სახელიც ტექსტში მოხსენიებული არ არის³.

ჩემთვის ცნობილი ბოლო მკვლევარი, რომელიც ეპიტაფიით დაინტერესდა, ირინე გივიაშვილი იყო. მკვლევარმა 2015 წელს გამოქვეყნებულ საენციკლოპედიო სტატიაში „ანისის ეპარქია. ანისის ეპარქიის ქართული სიძველეები“ მოკლედ მიმოიხილა ნაქალაქარ ანისის ქართული წარწერები და ამ მიმოხილვაში ეპიტაფიასთან დაკავშირებულ საკითხებსაც შეეხო.

ირინე გივიაშვილმა თავდაპირველად აღნიშნა, რომ ეპიტაფია, იოსებ ორბელის ცნობით, გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაში, საკურთხეველის წინ იყო დასვენებული.

ამის შემდეგ მკვლევარმა უცვლელი სახით გაიმეორა ვალერი სილოგავას მიერ 2001 წლის ზემოთ განხილულ სტატიაში გამოთქმული ორი მოსაზრება: 1. ეპიტაფია ათაბაგ შანშე ამირახორს ეკუთვნოდა; და 2. ეპიტაფია XIV საუკუნის დასაწყისით თარიღდება.

დასასრულ, ირინე გივიაშვილმა აღნიშნა ისიც, რომ ამჟამად ეპიტაფია მისი თავდაპირველი დაცულობის ადგილას აღარ ჩანს და უკვალოდ არის დაკარგული:

„ი. ორბელის თანახმად, საკურთხეველის წინ დასვენებული იყო საფლავის ქვა ათაბაგ შანშე ამირახორისა ქართ. ეპიტაფიით (XIV ს. დასაწყისით დათარიღებული), მაგრამ მათი (იგულისხმება ეპიტაფია და წმ. გრიგოლის ეკლესიის ფასადზე შესრულებული „მცირე ლაპიდარული წარწერები“ – თ. ჯ.) კვალი ახლა აღარ ჩანს“⁴.

როგორც ვხედავთ, ეპიტაფია XIX-XXI საუკუნეების მკვლევრების – დიმიტრი ბაქრაძის, იოსებ ორბელის, ვალერი სილოგავას, პარუირ მურადიანის, ვლადიმერ კეკელიასა და ირინე გივიაშვილის მიერ სხვადასხვა კუთხითა და სიღრმით არის შესწავლილი თუ დახასიათებული. დღეისათვის დასახლებულ მკვლევართა მიერ შემოთავაზებულია ეპიტაფიის რამდენიმე განსხვავებული წაკითხვა და ამ წაკითხვებზე დამყარებული ტექსტის რამდენიმე განსხვავებული ინტერპრეტაცია. ქვემოთ, კიდევ ერთხელ წარმოვადგენ ამ წაკითხვებსა და ინტერპრეტაციებს:

¹ ვ. სილოგავა, ანისისა და ყარსის ქართული..., გვ. 17-18, 25, 29, 47.

² <http://manuscript.ge/kekelidzis-seminari/>

³ ვლ. კეკელია, რამდენიმე დაკვირვება ანისის ქართულ წარწერებზე, მოხსენება, წაკითხული ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კ. კეკელიძის სახელობის სამეცნიერო სემინარზე, 9 ივლისი, 2014 წ.

⁴ ირ. გივიაშვილი, ანისის ეპარქია, ანისის..., გვ. 216. ვალერი სილოგავას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ განსახილველი ეპიტაფია ათაბაგ შანშე ამირახორს ეკუთვნოდა, როგორც ჩანს, იზიარებს გიორგი ჭეიშვილიც, რომელიც 2015 წელს გამოქვეყნებულ საენციკლოპედიო სტატიაში „ანისის ეპარქია. ისტორია“, სავარაუდოდ, სწორედ ვალერი სილოგავას სხენებულ მოსაზრებაზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ XIII-XIV საუკუნეების მიჯნის შემდგომ პერიოდში მოღვაწე მხარგრძელები ქართული სამოხელეო წოდებების – ათაბაგისა და ამირსპასალარის გარდა, ამირახორის ტიტულსაც ატარებდნენ: „თავად მხარგრძელებიც კვლავინდებურად ქართულ სამოხელეო წოდებებს (ათაბაგი, ამირსპასალარი, ამილახორი) ატარებდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ საქართვ. შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში“ (გ. ჭეიშვილი, ანისის ეპარქია, ისტორია, გვ. 212).

„ესე სჯაფლჯაკვი შანშეს ამირ(ა)ხ(ო)რისა თჯაყჯაკსი, შქუნდვენენ ღმერთმაჲნ“.

ეპიტაფიის წაკითხვის შემდეგ მეორე მიმართულებით განვავრდეთ მუშაობა და ვცადო, გამოვკვლია, რამდენად მართებულად კითხულობდნენ წარწერას დიმიტრი ბაქრაძე, ვალერი სილოგავა და პარუირ მურადიანი.

აღნიშნული მიმართულებით კვლევა-ძიებამ აჩვენა, რომ ეპიტაფიის ტექსტის უმეტესი ნაწილი, უფრო ზუსტად კი, წარწერის I და II სტრიქონები, აგრეთვე, III სტრიქონის დასასრული ფრაგმენტი სამივე მკვლევარს, არსებითად, სწორად აქვს წაკითხული.

• დიმიტრი ბაქრაძის მიერ შესრულებული მეორე გრაფიკული მონახაზის ჩემეული გადმონაწერი (2013 წ.): *„სქუნდვენენ ღმერთმაჲნ“*.

• დიმიტრი ბაქრაძე (1881 წ.): *„ესე საფლავი შანშე ამირხარ... შნ ღნ“*.

• დიმიტრი ბაქრაძე და ვალერი სილოგავა (1980 წ.): *„ესე საფლავი შანშეს ამირ(ა)ხ(ო)რ... შქუნდვენენ ღმერთმაჲნ“*.

• პარუირ მურადიანი (1981 წ.): *„ესე საფლავი შანშეს ამირ(ა)ხ(ო)რ... შქუნდვენენ ღმერთმაჲნ“*.

• პარუირ მურადიანი (1987 წ.): *„ესე ს(ა)ფლ(ა)ვი შანშეს ამირ(ა)ხ(ო)რ... შქუნდვენენ ღმერთმაჲნ“* (“Это могила амирахор... Да помилует бог”).

• ვალერი სილოგავა (2001 წ.): *„ესე საფლავი შანშეს ამირახორ... შქუნდვენენ ღმერთმაჲნ“*.

• ჩემეული წინასწარული წაკითხვა (2013 წ.): *„ესე სჯაფლჯაკვი შანშეს ამირ(ა)ხ(ო)რ... შქუნდვენენ ღმერთმაჲნ“*.

სრულებით საპირისპირო სურათი მომცა დიმიტრი ბაქრაძის, ვალერი სილოგავასა და პარუირ მურადიანის მიერ ეპიტაფიის III სტრიქონის დასაწყისი და შუა ფრაგმენტების წაკითხვის მართებულობის საკითხის შესწავლამ. აქ მხედველობაში მაქვს ფრაგმენტები, რომლებიც წარწერის დიმიტრი ბაქრაძის მიერ შესრულებულ მეორე გრაფიკულ მონახაზზე შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: *„სქუნდვენენ ღმერთმაჲნ“* (ისა თყსი).

აღნიშნული ფრაგმენტების წაკითხვა პირველად დიმიტრი ბაქრაძემ სცადა. მკვლევარმა ეპიტაფიაზე მუშაობისას სამი არსებითი ხასიათის უზუსტობა დაუშვა: 1. დიმიტრი ბაქრაძემ III სტრიქონის მესამე გრაფემა *„სქუნდვენენ ღმერთმაჲნ“* იმავე სტრიქონის პირველი ორი გრაფემისაგან – *„სქუნდვენენ ღმერთმაჲნ“* და ის მომდევნო გრაფემათა ჯგუფს მიაკუთვნა; 2. მკვლევარმა III სტრიქონის მეხუთე გრაფემა *„სქუნდვენენ ღმერთმაჲნ“* (ყ), რომელიც მომდევნო, მეექვსე გრაფემა *„სქუნდვენენ ღმერთმაჲნ“* (ს) გრაფიკული შერწყმის გზით ანუ ლიგატურით არის გადმოცემული, თავგახსნილ გრაფემა *„სქუნდვენენ ღმერთმაჲნ“* (ბ) მიიჩნია; და 3. მეცნიერმა III სტრიქონის მეშვიდე გრაფემა *„სქუნდვენენ ღმერთმაჲნ“* (ო), გრაფიკული მონახაზის ჩვენების საპირისპიროდ, გრაფემა *„სქუნდვენენ ღმერთმაჲნ“* (ა) გაიაზრა.

ამ უზუსტობათა შედეგად, დიმიტრი ბაქრაძემ ეპიტაფიის III სტრიქონის დასაწყისი და შუა ფრაგმენტებზე წარმოდგენილი შვიდი გრაფემა *„სქუნდვენენ ღმერთმაჲნ“* (ისა თყსი) მცდარი სახით წაკითხა: *„სქუნდვენენ ღმერთმაჲნ“* (ის ათბსა).

ამის შემდეგ მკვლევარმა კიდევ ერთი არსებითი ხასიათის უზუსტობა დაუშვა. მან მის მიერ ისედაც შეცდომით წაკითხულ გრაფემათა ჯგუფში *„სქუნდვენენ ღმერთმაჲნ“* (ათბსა), გრაფემებს *„სქუნდვენენ ღმერთმაჲნ“* (ბ) და *„სქუნდვენენ ღმერთმაჲნ“* (ს) შორის, რაიმე დასაბუთებისა თუ არგუმენტაციის მოხმობის გარეშე, სამი გრაფემა *„სქუნდვენენ ღმერთმაჲნ“* (აგი) აღადგინა, რის შედეგადაც წარწერის III სტრიქონზე სრულებით ხელოვნურად ნაწარმოები სიტყვა *„სქუნდვენენ ღმერთმაჲნ“* (ათბაგისა) მიიღო.

საბოლოოდ, დიმიტრი ბაქრაძემ ეპიტაფიის III სტრიქონის დასაწყისი და შუა ფრაგმენტების ტექსტზე მუშაობის შედეგები ერთგვარად შეაჯამა და ეს ფრაგმენტები, წარწერის მისსავე მიერ შესრულებული მეორე გრაფიკული მონახაზის საფუძველზე აშკარა ჩვენების საპირისპიროდ, მცდარი სახით წაკითხა: *„ის ათბაგისა“*.

მომდევნო ხანის მკვლევარებმა – ვალერი სილოგავამ და პარუირ მურადიანმა დიმიტრი ბაქრაძის მიერ ეპიტაფიის III სტრიქონის დასაწყისი და შუა ფრაგმენტების წაკითხვისას დაშვებული ზემოთ დასახელებული უზუსტობები ვერ შენიშნეს და აღნიშნული ფრაგმენტების დიმიტრი ბაქრაძის მცდარი წაკითხვა საკუთარ პუბლიკაციებში, პრაქტიკულად, უცვლელი სახით გაიმეორეს:

• დიმიტრი ბაქრაძის მიერ შესრულებული მეორე გრაფიკული მონახაზის ჩემეული გადმონაწერი (2013 წ.): *„სქუნდვენენ ღმერთმაჲნ“*.

• დიმიტრი ბაქრაძე (1881 წ.): *„ის ათბაგისა“*.

• დიმიტრი ბაქრაძე და ვალერი სილოგავა (1980 წ.): *„ის, ათ(ა)ბ(აგი)სი“*.

• პარუირ მურადიანი (1981 წ.): *„ის ათ(ა)ბ(აგი)სი“*.

• პარუირ მურადიანი (1987 წ.): *„ის ათ(ა)ბ(აგი)სი“* (“Атабака”).

• ვალერი სილოგავას წაკითხვა (2001 წ.): *„ის, ათბაგისი“*.

- ჩემუელი წინასწარული წაკითხვა (2013 წ.): „ისა თქაქცაქსი“.

ამგვარად, კვლევის შედეგად, დავადგინე, რომ ეპიტაფიის III სტრიქონის დასაწყისი და შუა ფრაგმენტების დიმიტრი ბაქრაძის, ვალერი სილოგავასა და პარუირ მურადიანის წაკითხვები, ამ ფრაგმენტების წაკითხვებთან ერთად კი, მთლიანად წარწერის წაკითხვაც, ეპიტაფიის დიმიტრი ბაქრაძის მიერ შესრულებულ მეორე გრაფიკულ მონახაზთან წინააღმდეგობაში მოდის, ამ გრაფიკული მონახაზის შესაბამისი ფრაგმენტების არასწორი წაკითხვის შედეგს წარმოადგენს და ცალსახად მცდარია.

ჩემს მიერ 2013 წელს წარმოებული კვლევა-ძიების დასრულების შემდეგ, ანისის ექსპედიციის დაწყებამდე ორიოდე კვირით ადრე, 2014 წლის 9 ივლისს, ვლადიმერ კეკელიამ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა ზემოთ უკვე განხილული მოხსენება, რომლის ფარგლებშიც, ეპიტაფიის წაკითხვის თაობაზე ორი ძირითადი მოსაზრება გამოთქვა: 1. წარწერის წინამორბედი მკვლევრების – დიმიტრი ბაქრაძის, ვალერი სილოგავასა და პარუირ მურადიანის წაკითხვები მართებული არ არის; და 2. ეპიტაფია, წარწერის დიმიტრი ბაქრაძის მიერ შესრულებულ მეორე გრაფიკულ მონახაზზე დაყრდნობით, შემდეგი სახით იკითხება: „ესე ს(ა)ფლ(ა)ვი შანშეს ამირ(ა)ხ(ო)რისათვს<ი>, შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ“.

ვლადიმერ კეკელიას მიერ გამოთქმულ ამ ორ მოსაზრებას შორის, პირველი მოსაზრება, რომლის თანახმადაც ეპიტაფიის დიმიტრი ბაქრაძის, ვალერი სილოგავასა და პარუირ მურადიანის წაკითხვები მართებული არ არის, სავსებით სწორია. ამ საკითხის თაობაზე ზემოთ უკვე ვისაუბრე, მასზე აქ აღარ შევხერდები და მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ვლადიმერ კეკელიამ აღნიშნულ მოსაზრებამდე ჩემგან დამოუკიდებლად, საკუთარი კვლევა-ძიების შედეგად მივიდა.

სრულებით საპირისპირო სურათი გვაქვს ვლადიმერ კეკელიას მიერ გამოთქმულ მეორე მოსაზრებასთან, უფრო ზუსტად კი, ეპიტაფიის მის მიერ შემოთავაზებულ ახლებურ წაკითხვასთან დაკავშირებით.

აღნიშნული წაკითხვის ანალიზი აჩვენებს, რომ ვლადიმერ კეკელიამ, ერთი მხრივ, სწორად შენიშნა წარწერის III სტრიქონის დასაწყისი და შუა ფრაგმენტების დიმიტრი ბაქრაძის, ვალერი სილოგავასა და პარუირ მურადიანის წაკითხვებში დაშვებული უზუსტობები, თუმცა კი, მეორე მხრივ, იმავე ფრაგმენტების წაკითხვისას ახლა უკვე თავად დაუშვა უზუსტობები და აღნიშნული ფრაგმენტები, ამ ფრაგმენტებთან ერთად კი, მთლიანად წარწერაც, აგრეთვე, მცდარი სახით წაკითხა.

ვლადიმერ კეკელიას მიერ დაშვებულ შეცდომებზე საუბრისას, ძირითადად, სამი არსებითი ხასიათის უზუსტობა მაქვს მხედველობაში: 1. მკვლევარმა III სტრიქონის პირველი სამი გრაფემა 𐌖𐌗 (ისა) და მომდევნო ოთხი გრაფემა 𐌕𐌙𐌖 (თყსი), რომლებიც ორ სხვადასხვა სიტყვას ეკუთვნის, ერთი და იმავე სიტყვის ნაწილებად გაიაზრა; 2. ვლადიმერ კეკელიამ III სტრიქონის მეხუთე გრაფემა 𐌕 (ყ) თავგახსნილ გრაფემა 𐌕 (ყ) მიიჩნია; და 3. მკვლევარმა III სტრიქონის მეშვიდე გრაფემა 𐌖 (ო), რომელიც ეპიტაფიის სასურველი სახით წაკითხვაში ხელს უშლიდა, ზედმეტად ჩათვალა და ტექსტიდან ამოიღო.

დასახელებული უზუსტობების შედეგად, ვლადიმერ კეკელიამ ეპიტაფიის II სტრიქონის მარჯვენა და III სტრიქონის მარცხენა ფრაგმენტებზე მიიღო სიტყვა „ამირ(ა)ხ(ო)რისათვს<ი>“, რომელიც სრულებით ხელოვნურად არის ნაწარმოები და რომელიც, წარწერის დიმიტრი ბაქრაძის მიერ შესრულებულ მეორე გრაფიკულ მონახაზში, უბრალოდ, არ დასტურდება.

აღნიშნული სიტყვის მცდარმა წაკითხვამ, თავის მხრივ, მთლიანად წარწერის წაკითხვაზე მოახდინა გავლენა და საბოლოოდ, ვლადიმერ კეკელიამ ეპიტაფია წინამორბედ მკვლევართაგან განსხვავებულად, თუმცა კი, კვლავინდებურად, მცდარი სახით წაკითხა.

ჩემს მიერ აქ წარმოდგენილი მსჯელობა და შესაბამისი დასკვნა, რომლის თანახმადაც ეპიტაფიის ვლადიმერ კეკელიას წაკითხვა, წარწერის წინამორბედი მკვლევრების მიერ შემოთავაზებული წაკითხვების მსგავსად, აგრეთვე, მცდარია, თავად ვლადიმერ კეკელიასა და სამეცნიერო საზოგადოებას იმავე 2014 წლის 9 ივლისს, მოხსენების დასრულების შემდეგ გამართული დისკუსიის დროს გავაცანი.

გარდა ამისა, ხსენებული დისკუსიის დროს დამსწრე აუდიტორიას პირველად წარმოვუდგინე ეპიტაფიის ჩემს მიერ წინასწარულად წაკითხული ტექსტიც, რომელიც წარწერის დიმიტრი ბაქრაძის, ვალერი სილოგავას, პარუირ მურადიანისა და ვლადიმერ კეკელიას წაკითხვებისაგან მნიშვნელოვნად არის განსხვავებული.

ეპიტაფიის საფუძვლიანი, გეგმაზომიერი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევა 2014 წლის 21-22 ივლისს, ანისის ზემოხსენებული სამეცნიერო ექსპედიციის ფარგლებში დაიწყო.

ნაქალაქარ ანისის ტერიტორიაზე მოწყობილი სავლელ სამუშაოების პირველ ეტაპზე გადავწყვიტე, დამეძებნა ეპიტაფიის შემცველი საფლავის ქვა, რომელიც XIX-XX საუკუნეების მკვლევრების – დიმიტრი ბაქრაძის, იოსებ ორბელისა და ვალერი სილოგავას ცნობით, გრიგოლ

განმანათლებლის ეკლესიის ინტერიერში, საკურთხევლის შემადგენლის წინ, იატაკში იყო ჩადგმული¹ და რომელსაც უკანასკნელ პერიოდში ნაქალაქარ ანისში მოწყობილი ექსპედიციებისა თუ ექსკურსიების მონაწილეებმა ადგილზე უკვე ვეღარ მიაკვლიეს² (სურ. 3 და სურ. 4).



სურ. 3. ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესია (ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან)



სურ. 4
საფლავის ქვები გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის საკურთხევლის შემადგენლის წინ (ხედი დასავლეთიდან)

¹ კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დ. ბაქრაძის პირადი არქივი, №32, 53v, 79v; Дм. Бакрадзе, Историческо-этнографический очерк Карсской..., Стр. 202; *Краткий путеводитель по городищу...*, Стр. 43; И. Орбели, *Краткий путеводитель по городищу...*, Стр. 126; ვ. სილოგავა, ანისისა და ვარსის ქართული..., გვ. 17.

² ირ. გვიანაშვილი, ანისის ეპარქია, ანისის..., გვ. 216.

აღნიშნული მიმართულებით მუშაობა წარმატებული აღმოჩნდა და 22 ივლისს დაკარგულად მიჩნეულ ეპიტაფიან საფლავის ქვას გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის ინტერიერში მივაკვლიე. აღმოჩნდა, რომ საფლავის ქვა სამ ნაწილად არის გატეხილი. ამ სამი ნაწილიდან, I და III ნაწილები მათი თავდაპირველი დაცულობის ადგილას დევს, უფრო ზუსტად კი, გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის ნაოსის აღმოსავლეთ კიდის შუა ნაწილში, საკურთხევლის შემადლების წინ, იატაკშია ჩადგმული და 2-3 სმ. სისქის მიწის ნაყარით არის დაფარული. რაც შეეხება საფლავის ქვის II ნაწილს, ის ამჟამად იატაკიდან ამოღებულია, იმავე საფლავის ქვის მიწით დაფარულ I ნაწილზე თავდაყირა დევს და საკურთხევლის შემადლებაზე ასასვლელი საფეხურის მოვალეობას ასრულებს (სურ. 5 და სურ. 6).



სურ. 5
ამირახორ თაყას ეპიტაფიის შემცველი, სამ ნაწილად გატეხილი საფლავის ქვა გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის საკურთხევლის შემადლების წინ (ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან)



სურ. 6
ამირახორ თაყას ეპიტაფიის I და II ნაწილები (I ნაწილის ზედაპირი მიწის ნაყარისაგან არის გაწმენდილი, ხოლო II ნაწილი გადაბრუნებულია და I და III ნაწილებს შორის, იატაკზეა დადებული) (ხედი სამხრეთიდან)

ეპიტაფიანი საფლავის ქვის მიკვლევის შემდეგ, იმავე 22 ივლისს, საველე-საექსპედიციო II ეტაპის სამუშაოებს შევუდექი და ეს მრავალმხრივ საინტერესო ეპიგრაფიკული ძეგლი ადგილზე შევისწავლე: ა) შევადგინე წარწერის ტექნიკური აღწერილობა; ბ) გადმოვიწერე ეპიტაფიის ტექსტი, დედნის შრიფტის დაცვით; გ) წავიკითხე წარწერა; დ) გადმოვიღე ეპიტაფიის პალეოგრაფიული პირი; და ე) გადავიღე წარწერის ფოტოები¹.

ქვემოთ წარმოვადგენ ეპიტაფიის ტექნიკურ აღწერილობას, მისი ტექსტის გადმონაწერს დედნის შრიფტის დაცვით და ამ ტექსტის ჩემეულ წაკითხვას, აგრეთვე, წარწერის ფოტოებსა და პალეოგრაფიულ პირს (სურ. 7 და სურ. 8).




სურ. 7. ამირახორ თაყას ეპიტაფიის I ნაწილი



სურ. 8. ამირახორ თაყას ეპიტაფიის II ნაწილი

¹ გარდა ამისა, ეპიტაფიის ფოტოები გადავიღე 2016 წლის 31 ივლისსაც, როცა ტურისტული ექსკურსიის ფარგლებში, ციხე-ქალაქ ანისს ხელმეორედ ვეწვიე და გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის ქართული წარწერები კიდევ ერთხელ მოვიხილე. საექსკურსიო ჯგუფის წევრები იყვნენ: ალექსი ალექსიშვილი, თამარ ახოზაძე, ზაზა ბროლაძე, ლევან გუჯაბიძე, ვახტანგ კუნცევი-გაბაშვილი, მაკა ლევიციკი, დელა მანაიძე, თეონა მიქაძე, არჩილ ჟორჟოლიანი, თინათინ ქაროსანიძე, ელენა შვარცი, სოფიო ჩაჩანიძე და რატი ჯაფარიძე. აქვე, ვსარგებლობ შემთხვევით და საექსკურსიო ჯგუფის თითოეულ წევრს გულითად მადლობას მოვასხენებ ეპიტაფიის ფოტოების გადაღებისას გაწეული დახმარებისათვის.

წარწერა ამოკვეთილია მოვარდისფრო რუხი ფერის ოთხკუთხა საფლავის ქვაზე, რომელიც გრივად განმანათლებლის ეკლესიის ნაოსის აღმოსავლეთ კიდის შუა ნაწილში, საკურთხევლის შემადგენლის წინ, იატაკშია ჩადგმული; დღეისათვის საფლავის ქვა სამ ნაწილად არის გატეხილი. აქედან, I და III ნაწილები თავ-თავის ადგილას დევს და 2-3 სმ. სისქის მიწის ფენითაა დაფარული. რაც შეეხება II ნაწილს, ის იატაკიდან ამოღებულია, საფლავის ქვის მიწით დაფარულ I ნაწილზე თავდაყირაა დადებული და საკურთხევლის შემადგენლობაზე ასახველი საფეხურის მოვალეობას ასრულებს; საფლავის ქვის ზომა: 184X82 სმ. (მისი ცალკეული ნაწილების ზომებია: I ნაწილი – 60X82 სმ., II ნაწილი – 38X82 სმ., ხოლო III ნაწილი – 86X82 სმ.); წარწერა შესრულებულია საფლავის ქვის აღმოსავლეთ ნახევარზე, მისი აღმოსავლეთი კიდიდან 37,5 სმ-ის დაშორებით; წარწერის ფართობი: 62,5X34,5 სმ.; სამი სტრიქონი (I-II სტრიქონები საფლავის ქვის I ნაწილზე, ხოლო III სტრიქონი საფლავის ქვის II ნაწილზეა წარმოდგენილი); ასომთავრული; ყველაზე დიდი გრაფემის სიმაღლე: 11 სმ. (III სტრიქონის VI გრაფემა ყ (ყ)); ყველაზე პატარა გრაფემის სიმაღლე 6 სმ. (I სტრიქონის VII გრაფემა ტ (ა)); განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან წერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ; ქარაგმის ნიშანი: პატარა განივი კლაკნის ხაზი; ტექსტში ხშირად გვხვდება ლიგატურის შემთხვევები; წარწერის II სტრიქონის გრაფემათა ქვედა ფრაგმენტები, საფლავის ქვის I ნაწილის დასავლეთი კიდის ჩამოტეხვის გამო, დაკარგულია (გამონაკლისი მხოლოდ ბოლო ორი გრაფემის ღჟ-ს (ხრ) ქვედა ფრაგმენტებია, რომლებიც საფლავის ქვის II ნაწილზეა წარმოდგენილი); ტექსტის III სტრიქონის პირველი ორი გრაფემის უს-ს (ის) ზედა ფრაგმენტები, საფლავის ქვის II ნაწილის აღმოსავლეთი კიდის ჩამოტეხვის გამო, დაკარგულია; წარწერის გრაფემათა ნაკლები ფრაგმენტები ამ გრაფემების შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით მაქვს აღდგენილი.



უს: სწუნუს: ქ
 ღჟუს: უს: უს: [ღჟ]
 ღს: ძს: ყს: ყნ: რ.

„ესე ს(ა)ფლავი შანშეს ამირ(ა)ხ(ო)რ(ი)სა თაყ(ა)სი, შეუნდგნენ ღმერთმაჲნ“.

როგორც ვხედავთ, დაკარგულად მიჩნეული ეპიტაფიური საფლავის ქვის გამოვლენამ და მასზე ამოკვეთილი წარწერის წაკითხვამ, ერთი მხრივ, დაადასტურა, რომ ეპიტაფიის ჩემუელი წინასწარული წაკითხვა სწორი იყო, ხოლო, მეორე მხრივ, ხელსაყრელი ნიადაგი შემოქმნა იმისათვის, რათა წარწერაში დაცული ცნობების ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი მართებულად წაკითხულ ტექსტზე დამემყარებინა და ეპიტაფიის არასწორი წაკითხვიდან მომდინარე მცდარი ინტერპრეტაციებისათვის თავი ამერიდებინა. ქვემოთ, სწორედ ამ ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზის ძირითად შედეგებს წარმოვადგენ. თავად ანალიზი, ცხადია, ანისის ექსპედიციიდან თბილისში დაბრუნების შემდეგ, 2014-2015 წლებში შევასრულე.

ეპიტაფიის ტექსტის სწორად წაკითხვის შედეგად, პირველ რიგში, ირკვევა, რომ ამ წარწერიანი ქვის ქვეშ მოქცეული საფლავი ეკუთვნოდა თავას, რომელიც შანშეს ამირახორი იყო: „ესე საფლავი შანშეს ამირახორისა თავასი...“.

ეპიტაფიის მართებული სახით წაკითხვა ცხადყოფს, რომ დიმიტრი ბაქრაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმადაც ეპიტაფიური საფლავის ქვეშ ვინმე ათაბაგი ამირახორია დაკრძალული¹, იოსებ ორბელის მიერ 1910 წელს გამოთქმული მოსაზრება, რომ ეპიტაფიაში მოხსენიებულ პირს სახელად ამილახორი ერქვა², აგრეთვე, ვალერი სილოგავას მიერ გამოთქმული³ და ირინე გივიაშვილის მიერ გაზიარებული⁴ მოსაზრება, რომ ეპიტაფია ათაბაგ-ამირახორ შანშე II-ეს ეკუთვნის, საფუძველშივე მცდარია. გარდა ამისა, ეპიტაფიის ჩემუელი წაკითხვიდან ირკვევა ისიც, რომ პარუირ მურადიანის მიერ გამოთქმული⁵ და ვლადიმერ კეკელიას მიერ გამეორებული⁶ მოსაზრება, რომლის თანახმადაც ეპიტაფიური საფლავის ქვეშ შანშეს ამირახორია დაკრძალული, საესებით სწორია. მეორე მხრივ, ეპიტაფიის მართებული სახით წაკითხვა აჩვენებს, რომ იმავე პარუირ მურადიანის მიერ გამოთქმული კიდევ ერთი მოსაზრება, რომლის თანახმადაც ეპიტაფიაში მოხსენიებულ ამირახორს სახელად ათაბაგი ერქვა⁷ და ვლადიმერ კეკელიას მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ეპიტაფიაში ამირახორის სახელი საერთოდ არ არის მოხსენიებული⁸, დიმიტრი ბაქრაძის, იოსებ ორბელისა და ვალერი სილოგავას მიერ გამოთქმული, ზემოთ ნახსენები მოსაზრებების მსგავსად, აგრეთვე, მცდარია.

ეპიტაფიაში მოხსენიებული პირველი პირის – შანშეს ვინაობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ორი მოსაზრებაა გამოთქმული. ამათგან, პირველი მოსაზრება პარუირ მურადიანს ეკუთვნის. მკვლევარმა თავის 1987 წლის სტატიაში შანშე რაიმე არგუმენტაციის მოხმობის გარეშე გააიგივა შანშე I მხარგრძელთან და ამ უკანასკნელის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ რამდენიმე საინტერესო მოსაზრება გამოთქვა. ამ მოსაზრებებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა პარუირ მურადიანის მოსაზრება შანშე I-ის სამოსელეო წოდებების შესახებ. მკვლევრის დაკვირვებით, შანშე I თავისი ბიძის (მამის ძმის) – ათაბაგ ივანე I მხარგრძელისა და მისი ვაჟის – ათაბაგ ავაგ-სარგის II, იგივე ავაგ მხარგრძელის სიცოცხლეში, უფრო ზუსტად კი, 1215-1250 წლებში მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის თანამდებობებს ფლობდა. 1250 წელს, როცა ავაგი გარდაიცვალა, ათაბაგის გამოთავისუფლებული სახელო გადაეცა იმავე შანშე I-ს და არა ამ უკანასკნელის ვაჟს – ზაქარია III-ეს, როგორც ამას XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის კირაკოს განძაკეცის „სომხეთის ისტორია“ გვაუწყებს⁹. ამგვარად, 1250 წელს შანშე I ათაბაგ-ამირსპასალარი გახდა. პარუირ მურადიანმა ამ ბოლო დებულების დასასაბუთებლად მოიტანა იოსებ ორბელის მიერ 1966 წელს გამოქვეყნებული სომხური წარწერა, რომელიც იმავე იოსებ ორბელის ცნობით, ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზეა ამოკვეთილი: „В лето 700 (=1251 г.). При атабеке амирспасаларе Шахниахе была построена сия святая церковь“¹⁰.

ეპიტაფიაში მოხსენიებული შანშეს ვინაობის შესახებ გამოთქმული მეორე მოსაზრება ვალერი სილოგავას ეკუთვნის. მკვლევარმა თავის 2001 წლის სტატიაში წარწერაში ნახსენები

¹ Дм. Баградзе, Историческо-этнографический очерк Карсской..., Стр. 202.

² *Краткий путеводитель по городищу...*, Стр. 43. Sdr.: И. Орбели, Краткий путеводитель по городищу..., Стр. 126.

³ ვ. სილოგავა, ანისისა და ყარსის ქართული..., გვ. 17-18, 25, 29, 47.

⁴ ირ. გივიაშვილი, ანისის ეპარქია, ანისის..., გვ. 216.

⁵ П. Мурадян, К критике и интерпретации грузинской..., gv. 177; П. Мурадян, Проблема конфессиональной ориентации..., Стр. 57, 59-60.

⁶ ვლ. კეკელია, რამდენიმე დაკვირვება ანისის ქართულ წარწერებზე, მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კ. კეკელიძის სახელობის სამეცნიერო სემინარზე, 9 ივლისი, 2014 წ.

⁷ П. Мурадян, К критике и интерпретации грузинской..., gv. 177; П. Мурадян, Проблема конфессиональной ориентации..., Стр. 57, 59-60.

⁸ ვლ. კეკელია, რამდენიმე დაკვირვება ანისის ქართულ წარწერებზე, მოხსენება, წაკითხული ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კ. კეკელიძის სახელობის სამეცნიერო სემინარზე, 9 ივლისი, 2014 წ.

⁹ კირაკოს განძაკეცის თხზულების ეს ფარგმენტი ქვემოთ დაწვრილებით მექნება განხილული.

¹⁰ П. Мурадян, Проблема конфессиональной ориентации..., Стр. 46, 50, 53, 56. Sdr.: *Դիպյան հայ վիճակագրության*, էջ 64, №191; G. Uluhogian, The evidence of inscriptions, *Documents of Armenian architecture*, 12, Ani (Venezia, 1984), p. 81.

შანშე რაიმე არგუმენტაციის მოტანის გარეშე გააიგივა ანისის გრივოლ განმანათლებლის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე ამოკვეთილ 1310 წლის სომხურ წარწერაში დასახელებულ ათაბაგ-ამირსპასალარ შანშესთან და იქვე, დასძინა, რომ 1310 წლის წარწერაში ნახსენები შანშე სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად არის გაიგივებული ცნობილ ისტორიულ პირთან – ათაბაგ-ამირსპასალარ შანშე II-სთან, რომელიც სხვა ცნობილი ისტორიული პირების – მანდატურთუხუცეს შანშე I მხარგრძელის შვილიშვილი და მანდატურთუხუცეს ივანე II მხარგრძელის ვაჟი იყო და რომელიც, აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას XIV საუკუნეში ეწეოდა¹. ვალერი სილოგავას მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება მართებულად მიიჩნეეს და სრულად გაიზიარეს შემდგომი პერიოდის მეცნიერებმა – ვლადიმერ კეკელიამ² და ირინე გივიაშვილმა³.

ვიდრე პარუირ მურადიანისა და ვალერი სილოგავას მიერ ეპიტაფიაში მოხსენიებული შანშეს ვინაობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებების განხილვაზე გადავიდოდე, აუცილებლად უნდა შევეხო ერთ კონკრეტულ საკითხს, რომლის გარკვევასაც შანშეს ვინაობის დადგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

როგორც ეპიტაფიიდან ირკვევა, წარწერაში მოხსენიებული თაყა შანშესადმი დაქვემდებარებული მოხელე იყო და ამირახორის ტიტულს ატარებდა. დღეისათვის დადგენილია, რომ ამირახორი (ამილახორი), იგივე მეჯინბეთუხუცესი (არაბული „ამირ“ – უფროსი, სპარსული „ახორ“ – საჯინბო) შუა საუკუნეების საქართველოში ეწოდებოდა სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობის აპარატის ერთ-ერთ დიდმოხელეს, ქვეყნის სამხედრო უწყების მაღალი რანგის თანამდებობის პირს, რომლის დაქვემდებარებაშიც იყო სამი დაწესებულება, თავისი სამოხელეო შტატებით: 1. საჯინბო (მოხელეები: მეჯინბეები, მისრატულთუხუცესი, მისრატულები); 2. ზარდახანა (მოხელეები: მეაბჯრეთუხუცესი, მეაბჯრეები, ზარდახნისუხუცესი, ზარდახნის მწიგნობარი, მოლარე და მეჯინბე); და 3. სარემო (მოხელეები: მერემეთუხუცესი, სარემოს ნაცვალი, მერემეები). გარდა ამისა, სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია ისიც, რომ ამირახორის ტიტულის მატარებელი მოხელე შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი უპირველესი ვაზირის, ქვეყნის სამხედრო უწყების პირველი პირის – ამირსპასალარის თანაშემწე, მოადგილე, მრჩეველი თუ ნაცვალი იყო⁴.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეპიტაფიაში მოხსენიებული შანშე, რომელსაც თაყას სახით, მისდამი დაქვემდებარებული ამირახორი ჰყავდა, შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოს სამხედრო უწყების პირველი პირი იყო და ამირსპასალარის თანამდებობას ფლობდა.

აღნიშნული საკითხის შესახებ განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა პარუირ მურადიანმა, რომელმაც რაიმე არგუმენტაციის მოხმობის გარეშე დაასკვნა, რომ ეპიტაფიაში მოხსენიებული ამირახორი, გრივოლ განმანათლებლის ეკლესიის 1310 წლის სომხურ წარწერაში მოხსენიებული მწიგნობართუხუცესი მათეს მსგავსად, არა ქართული სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობის აპარატის ერთ-ერთი დიდმოხელე, არამედ, სახელდობრ, შანშეს სახლის ანუ კონკრეტულად, ამ კერძო ფეოდალური ოჯახის სამსახურში მდგომი ადმინისტრაციის მოხელე იყო.

საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ პარუირ მურადიანის მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება მართებული არ არის. დღეისათვის ცნობილია მწიგნობართუხუცესის, მსახურთუხუცესისა და სხვა სამოხელეო წოდებების მატარებელი არაერთი პირი, რომლებიც ამა თუ იმ კერძო ფეოდალური ოჯახის – ბაღვაშების, მხარგრძელების, ჯაყელებისა და სხვა არისტოკრატიული საგვარეულოების სამსახურში მდგომი ადმინისტრაციის მოხელეები იყვნენ, მაგრამ ამ მოხელეთა შორის, ამირახორის (მეჯინბეთუხუცესის) წოდების მატარებელი მოხელე საერთოდ არ გვხვდება. შესაბამისად, პარუირ მურადიანის მოსაზრებას, რომ შანშეს სახლს საკუთარი ამირახორი (მეჯინბეთუხუცესი) ჰყავდა, ჯერჯერობით, რაიმე საფუძველი არ გააჩნია და მისი გაზიარება მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როცა საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიიდან ცნობილი რომელიმე ფეოდალური საგვარეულოს სამსახურში მდგომი კერძო სამოხელეო აპარატის შემადგენლობაში ამირახორის (მეჯინბეთუხუცესის) წოდების მატარებელი მოხელის არსებობის ფაქტი დოკუმენტურად დადასტურდება.

ამგვარად, თუ ჩემს მიერ წარმოდგენილი მსჯელობა სწორია, მაშინ დგინდება, რომ ეპიტაფიაში მოხსენიებული შანშე უეჭველად ამირსპასალარი იყო.

¹ ვ. სილოგავა, ანისისა და ყარსის ქართული..., გვ. 17-18, 25, 29, 47.

² ვლ. კეკელია, რამდენიმე დაკვირვება ანისის ქართულ წარწერებზე, მოხსენება, წაკითხული ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კ. კეკელიძის სახელობის სამეცნიერო სემინარზე, 9 ივლისი, 2014 წ.

³ ირ. გივიაშვილი, ანისის ეპარქია, ანისის..., გვ. 216.

⁴ ი. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში (თბილისი, 1983), გვ. 58-67. შდრ.: ნ. შოშიაშვილი, ამილახორი, საქართველო, ენციკლოპედია, 1, ა-ვილდია (თბილისი, 1997), გვ. 130.

ამ ბოლო დასკვნის გათვალისწინებით, ეპიტაფიაში მოხსენიებული შანშეს ვინაობის გარკვევა, ერთი შეხედვით, რთულ ამოცანას აღარ უნდა წარმოადგენდეს: ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული მოსაზრების თანახმად, შუა საუკუნეების საქართველოში მოღვაწეობდა მხოლოდ ერთი ამირსპასალარი, რომელსაც სახელად შანშე ერქვა: ათაბაგ-ამირსპასალარი შანშე II მხარგრძელი, რომელიც ათაბაგისა და ამირსპასალარის შეწყვილებულ სახელოებს XIII საუკუნის დასაწყისიდან 1320 წლამდე ფლობდა¹.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თითქოს სრულებით ცხადია, რომ ეპიტაფიაში მოხსენიებული შანშე სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა შანშე II მხარგრძელი. თუმცა, არსებობს ერთი წერილობითი წყარო, რომელიც ამგვარი დასკვნის მართებულობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. მხედველობაში მაქვს პარუირ მურადიანის მიერ მოხმობილი, ზემოთ უკვე ციტირებული 1251 წლის სომხური წარწერა, რომელიც მისი ტექსტის პირველი გამომცემლის – იოსებ ორბელის ცნობით, ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზეა ამოკვეთილი და რომელშიც, ვინმე ათაბაგ-ამირსპასალარი შანშეა მოხსენიებული. კიდევ ერთხელ მოვიტან ამ წარწერის ტექსტის პარუირ მურადიანის მიერ შესრულებულ რუსულენოვან თარგმანს: *“В лето 700 (=1251 г.). При атабеке амирспасаларе Шахнишахе была построена сия святая церковь”*².

ციტირებული წარწერა პარუირ მურადიანმა საგანგებოდ განიხილა თავის 1987 წლის სტატიაში, რომელშიც ამ წარწერასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე რამდენიმე საინტერესო მოსაზრება გამოთქვა:

1. გრიგოლ განმანათლებლის ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე ამოკვეთილ წარწერაში მოხსენიებული ათაბაგ-ამირსპასალარი შანშე, რომელმაც 1251 წელს „ეკლესია“ ანუ, მკვლევრის დაკვირვებით, ტაძრის დასავლეთი მინაშენი ააგო, თავად ეკლესიაში კი გარკვეული განახლებითი სამუშაოები ჩაატარა, ანისისა და მისი მიმდგომი მხარის იმჟამინდელი მფლობელი – ქალკედონური მრწამსის აღმსარებელი შანშე I მხარგრძელი იყო³.

2. წარწერაში მოხსენიებულმა შანშე I-მა 1215 წელს ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის თანამდებობები მიიღო. პარუირ მურადიანის აზრით, ამაზე პირდაპირ მიუთითებს, ერთი მხრივ, გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის სამხრეთ კედელზე ამოკვეთილი, ტიგრან ჰონენცის სახელით შედგენილი 1215 წლის ვრცელი სომხური საადმშენებლო წარწერა, რომელშიც შანშე ჯერ კიდევ სამოხელეო წოდებების გარეშეა მოხსენიებული, ხოლო, მეორე მხრივ, ანისის მხითარჩის კოშკზე ამოკვეთილი იმავე 1215 წლის სომხური წარწერა, რომელშიც შანშე უკვე ამირსპასალარად და მანდატურთუხუცესად იხსენიება⁴.

3. 1250 წელს ათაბაგი ავაგ მხარგრძელი გარდაიცვალა და ათაბაგის გამოთავისუფლებული თანამდებობა ამირსპასალარმა შანშე I-მა დაიკავა. შედეგად, შანშე I ათაბაგ-ამირსპასალარი გახდა. პარუირ მურადიანის დაკვირვებით, შანშე I-ის მიერ ათაბაგის სახელოს მიღების ფაქტს დოკუმენტურად ადასტურებს 1251 წლის განსახილველი სომხური წარწერა, რომელშიც შანშე I სწორედ ათაბაგ-ამირსპასალარად არის მოხსენიებული⁵.

4. პარუირ მურადიანის აზრით, კირაკოს განძაკეცის „სომხეთის ისტორიაში“ დაცული ცნობა, რომლის თანახმადაც ათაბაგ ავაგ მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ ათაბაგის თანამდებობა შანშე I-ის ვაჟს – ზაქარია III მხარგრძელმა დაიკავა, მართებული არ არის. სინამდვილეში, ათაბაგის სახელო თავად შანშე I-მა მიიღო, რასაც 1251 წლის წარწერა დოკუმენტურად ადასტურებს⁶.

პარუირ მურადიანის მიერ გამოთქმულ ამ მოსაზრებებს ეპიტაფიაში მოხსენიებული შანშეს ვინაობის დადგენისათვის ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს. მართლაც, თუკი გაირკვევა, რომ შანშე I მხარგრძელი ამირსპასალარის სახელოს ნამდვილად ფლობდა, მაშინ ეპიტაფიაში მოხსენიებული შანშე, რომელსაც მისდამი დაქვემდებარებული ამირახორი ჰყავდა და შესაბამისად, ამირსპასალარი იყო, თანაბარი წარმატებით შეგვიძლია გავაიგიოთ, როგორც ათაბაგ-ამირსპასალარ შანშე II მხარგრძელთან, ისე მის პაპასთან – შანშე I მხარგრძელთან, რომლის ამირ-

¹ ელ. მეტრეველი, *მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII საუკუნეები)* (თბილისი, 1962), გვ. 125; შ. მესხია, *საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წესობა XII საუკუნის საქართველოში* (თბილისი, 1979), გვ. 317-318; П. Мурадян, Проблема конфессиональной ориентации..., Стр. 58; ნ. შოშიაშვილი, ათაბაგი, *საქართველო, ენციკლოპედია*, 1. ა-გილდია (თბილისი, 1997), გვ. 73; ნ. შოშიაშვილი, ამირსპასალარი, *საქართველო, ენციკლოპედია*, 1. ა-გილდია (თბილისი, 1997), გვ. 136; ი. ბერიძე, მკარგრძელთა საკვლოები XII-XIII საუკუნეების საქართველოში, *სტუდენტური ძიებანი*, I (თბილისი, 2001), გვ. 28-30; და სხვ.

² П. Мурадян, Проблема конфессиональной ориентации..., Стр. 53.

³ იქვე, გვ. 53-54, 56-57.

⁴ იქვე, გვ. 46.

⁵ იქვე, გვ. 53-56.

⁶ იქვე, გვ. 56.

სპასაღარობის შესახებ მოსაზრებაც ჩემთვის ცნობილ მკვლევართა შორის მხოლოდ პარუირ მურადიანს აქვს გამოთქმული.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, პარუირ მურადიანის მიერ გამოთქმული ამ მოსაზრებების მართებულობის საკითხს ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავ.

პარუირ მურადიანის მიერ გამოთქმული პირველი მოსაზრება ხუთ ძირითად თეზას შეიცავს: 1. განსახილველი წარწერა ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის აღმოსავლეთი კედლის ფასადზეა ამოკვეთილი; 2. წარწერას უზის თარიღი – სომხური წელთაღრიცხვის 700 ანუ ქრისტეშობიდან 1251 წელი; 3. ტექსტში მოხსენიებულია ათაბაგ-ამირსპასალარი შანშე; 4. წარწერაში ნახსენები ათაბაგ-ამირსპასალარი შანშე იგივე შანშე I მხარგრძელია; და 5. წარწერაში მოთხრობილი „ეკლესიის“ აღშენების ამბავი გულისხმობს არა მთლიანად გრიგოლ განმანათლებლის ტაძრის, არამედ მისი მხოლოდ დასავლეთი მინაშენის აგებას, აგრეთვე, ეკლესიაში გარკვეული განახლებითი სამუშაოების ჩატარებას.

ამ ხუთი თეზიდან პირველი თეზა, რომლის თანახმადაც განსახილველი წარწერა ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის აღმოსავლეთი კედლის ფასადზეა ამოკვეთილი, სინამდვილეში, არა პარუირ მურადიანს, არამედ იოსებ ორბელს ეკუთვნის.

თავად იოსებ ორბელმა აღნიშნული თეზა შეიტანა მის მიერ გამოსაცემად მომზადებული სომხურენოვანი წიგნის „სომხური წარწერების კორპუსის“ I ტომში¹, რომელიც 1966 წელს გამოქვეყნდა და რომელიც, მთლიანად ნაქალაქარ ანისის სომხურ წარწერებს ეთმობა. ხსენებული თეზის შემოთავაზებისას იოსებ ორბელი ემყარებოდა უშუალოდ წარწერას, რომელიც მან, ანისის სხვა სომხური წარწერების მსგავსად, XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში, ანისის სამეცნიერო ექსპედიციის ფარგლებში წარმოებული კვლევითი სამუშაოების დროს, ადგილზე შეისწავლა.

რაც შეეხება პარუირ მურადიანს, მან ციხე-ქალაქ ანისში სავლეთ-კვლევითი სამუშაოების წარმოება და მისთვის საინტერესო წარწერების ადგილზე შესწავლა, საყოველთაოდ ცნობილი მიზეზების გამო, ვერ შეძლო. შესაბამისად, იგი ანისის სომხურ ეპიგრაფიკულ ძეგლებსა და მათ შორის, განსახილველ წარწერაზე მსჯელობისას, ძირითადად, „სომხური წარწერების კორპუსის“ I ტომს დაეყრდნო და იოსებ ორბელის მიერ განსახილველი წარწერის ადგილმდებარეობის შესახებ შემოთავაზებული თეზაც უკრიტიკოდ გაიზიარა.

აღნიშნულ თეზას, საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე, მეც ვიზიარებ. ცხადია, უკეთესი იქნებოდა, რომ განსახილველი წარწერის ადგილმდებარეობა პირადად დამეფიქსირებინა და ამით, საბოლოოდ დაგვრწმუნებულიყავი იმაში, რომ წარწერა ნამდვილად გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის კედელზეა ამოკვეთილი, თუმცა ციხე-ქალაქ ანისში მოწყობილი 2014 წლის სამეცნიერო ექსპედიციის, აგრეთვე, 2016 წლის ტურისტული ექსკურსიის დროს მხოლოდ ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებზე ვიმუშავე და განსახილველი სომხური წარწერისათვის ყურადღება არ მიმიქცევია. აღნიშნულიდან გამომდინარე, იოსებ ორბელის მიერ შემოთავაზებული თეზის მართებულობაში ეჭვის შეტანისათვის რაიმე საფუძველი, ჯერჯერობით, არ მაქვს და ამიტომ მას, პარუირ მურადიანის მსგავსად, მეც უკრიტიკოდ ვიზიარებ.

მაშასადამე, ირკვევა, რომ პარუირ მურადიანის პირველი მოსაზრების ფარგლებში შემოთავაზებული პირველი თეზა, რომელიც, თავის მხრივ, იოსებ ორბელის მიერ შემოთავაზებული თეზის გამეორებას წარმოადგენს, მართებულია და განსახილველი სომხური წარწერა ნამდვილად ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზეა ამოკვეთილი.

პარუირ მურადიანის მიერ შემოთავაზებული მეორე და მესამე თეზების თანახმად, განსახილველ წარწერას თარიღად სომხური წელთაღრიცხვის 700 ანუ ქრისტეშობიდან 1251 წელი უზის, მის ტექსტში კი ათაბაგ-ამირსპასალარი შანშეა მოხსენიებული.

საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ ეს ორი თეზა მთლიანად განსახილველ სომხურ წარწერას ემყარება და მის ტექსტში დაცული შესაბამისი ცნობების მექანიკურ კონსტატაციას წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეორე და მესამე თეზების მართებულობისა თუ მცდარობის საკითხის გარკვევისათვის, საჭიროა, კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ წარწერას და დაგვრწმუნდეთ, რომ მის ტექსტში ამ თეზების საფუძველად აღებული ცნობები ნამდვილად დასტურდება.

პარუირ მურადიანს თავის 1987 წლის სტატიაში განსახილველი სომხური წარწერის ტექსტი ორი სახით აქვს მოტანილი: 1. წარწერის გადმონაწერი დედნის შრიფტის დაცვით, რომელიც იოსებ ორბელის მიერ 1966 წელს გამოცემული, ზემოთ უკვე ნახსენები „სომხური წარწერების კორპუსის“ I ტომიდან არის აღებული; და 2. წარწერის რუსულენოვანი თარგმანი, რომე-

¹ *Հիվան հայ վիճագրության*, էջ 64, №191.

ლიც მისი ტექსტის გადმონაწერზე დაყრდნობით, თავად პარუირ მურადიანის მიერაა შესრულებული¹.

რაც შეეხება იოსებ ორბელის მიერ გამოცემული „სომხური წარწერების კორპუსის“ I ტომს, აქ წარწერის ტექსტი, აგრეთვე, ორი სახით არის წარმოდგენილი: 1. წარწერის გადმონაწერი დედნის შრიფტის დაცვით, რომელიც იოსებ ორბელს, როგორც ჩანს, XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში, ანისის ექსპედიციაში მუშაობის დროს, უშუალოდ წარწერის დედანზე დაყრდნობით აქვს შესრულებული; და 2. წარწერის სომხური ტექსტის წაკითხვა, რომელიც იმავე იოსებ ორბელს ეკუთვნის და რომელიც, წარწერის ტექსტის იოსებ ორბელისავე გადმონაწერზეა დამყარებული².

აღნიშნული რეალიების გათვალისწინებით, სახეზე ვიღებთ შემდეგ სურათს: 1. XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში იოსებ ორბელმა განსახილველი სამხური წარწერის ტექსტი უშუალოდ დედნიდან, დედნისავე შრიფტის დაცვით გადმოწერა; 2. იმავე XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში ან კიდევ, უფრო მოგვიანო პერიოდში იოსებ ორბელმა მის მიერ გადმოწერილი წარწერის ტექსტი წაკითხა და გამოსაცემად მოამზადა; 3. 1966 წელს იოსებ ორბელმა „სომხური წარწერების კორპუსის“ I ტომში გამოაქვეყნა: ა) განსახილველი წარწერის ტექსტის მის მიერ შესრულებული გადმონაწერი დედნის შრიფტის დაცვით; და ბ) ამავე ტექსტის მისეული წაკითხვა სომხურ ენაზე; 4. 1987 წელს პარუირ მურადიანმა თავის რუსულენოვან სტატიაში გამოაქვეყნა: ა) განსახილველი წარწერის ტექსტის იოსებ ორბელის გადმონაწერი დედნის შრიფტის დაცვით; და ბ) ამ ტექსტის რუსულენოვანი თარგმანი, რომელიც წარწერის იოსებ ორბელისეულ გადმონაწერზე დაყრდნობით, თავად შეასრულა; და 5. პარუირ მურადიანმა თავის 1987 წლის სტატიაში, განსახილველი წარწერის ტექსტის იოსებ ორბელის გადმონაწერსა და მის მიერ ამ გადმონაწერის მიხედვით შესრულებულ რუსულენოვან თარგმანზე დაყრდნობით, სამეცნიერო საზოგადოებას შესათავაზა ორი თეზა: ა) წარწერას თარიღად სომხური წელთაღრიცხვის 700 ანუ ქრისტეშობიდან 1251 წელი უზის; და ბ) წარწერაში ათაბაგ-ამირსპასალარი შანშეა მოხსენიებული.

იმისათვის, რათა საბოლოოდ დავრწმუნებულიყავი, რომ პარუირ მურადიანის მიერ შემოთავაზებული მეორე და მესამე თეზები ნამდვილად წარწერის ტექსტში დაცულ ცნობებზეა დამყარებული და ამ ცნობების მექანიკურ კონსტატაციას წარმოადგენს, გადავწყვიტე, ერთმანეთისათვის შემედარებინა: 1. წარწერის ტექსტის იოსებ ორბელის გადმონაწერი; 2. წარწერის ტექსტის იოსებ ორბელის წაკითხვა; და 3. წარწერის ტექსტის პარუირ მურადიანის რუსულენოვანი თარგმანი.

აღნიშნულ საკითხში დახმარება ჩემს კოლეგასა და მეგობარს, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს, არმენოლოგ დალი ჩიტუნაშვილს ვთხოვე. მკვლევარმა შესადარებლად აღებული ტექსტების საფუძვლიანად განიხილვის შემდეგ დაასკვნა, რომ ისინი, პრაქტიკულად, ზუსტად მისდევს ერთმანეთს და მათ შორის რაიმე მნიშვნელოვანი შეუსაბამობა არ დასტურდება.

დალი ჩიტუნაშვილის დასკვნას ჩემი შემდგომი მსჯელობისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. მართლაც, ამ დასკვნიდან საბოლოოდ დგინდება, რომ განსახილველ წარწერაში რეალურად გვხვდება როგორც თარიღი – სომხური წელთაღრიცხვის 700 ანუ ქრისტეშობიდან 1251 წელი, ისე ათაბაგ-ამირსპასალარ შანშეს სახელი.

მაშასადამე, ირკვევა, რომ პარუირ მურადიანის მიერ პირველი მოსაზრების ფარგლებში შემოთავაზებული მეორე და მესამე თეზები მართებულია და განსახილველ სომხურ წარწერას ნამდვილად უზის თარიღი – სომხური წელთაღრიცხვის 700 ანუ ქრისტეშობიდან 1251 წელი, ხოლო მის ტექსტში ნამდვილად არის მოხსენიებული ისტორიული პირი – ვინმე ათაბაგ-ამირსპასალარი შანშე.

პარუირ მურადიანის მიერ შემოთავაზებული მეოთხე თეზის თანახმად, 1251 წლის სომხურ წარწერაში მოხსენიებული ნახსენები ათაბაგ-ამირსპასალარი შანშე იგივე შანშე I მხარგრძელია.

პარუირ მურადიანს აღნიშნული თეზის შესამაგრებლად რაიმე არგუმენტი მოტანილი არ აქვს. თუმცა, მიუხედავად ამისა, საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ მკვლევრის ეს თეზა საყვებით სარწმუნო და მისაღებია.

ამგვარი დასკვნისაკენ ავტომატურად მიბიძგებს ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: 1251 წლის სომხური წარწერის ამოკვეთის ახლო პერიოდის ანუ XIII საუკუნის შუახანების საქართველოს ისტორიიდან ცნობილია მხოლოდ ერთი პირი, რომელსაც სახელად შანშე (შაჰანშა) ერქვა და რომელსაც, თავისი საგვარეულო წარმომავლობისა თუ პირადი თვისებების გამო, შე-

¹ П. Мурадян, Проблема профессиональной ориентации..., Стр. 53.

² Հիվան հայ վիճակագրական, էջ 64, №191.

ეძლო, საქართველოს სამეფოს ორი უპირველესი ვაზირის – ათაბაგისა და ამირსპასალარის შეწყვილებული თანამდებობები დაეკავებინა. აქ მხედველობაში მყავს ზემოთ უკვე არაერთგზის ნახსენები ისტორიული პირი, მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარ ზაქარია II-ის ერთადერთი ვაჟი, XIII საუკუნის I ნახევრისა და შუახანების ცნობილი სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწე – მანდატურთუხუცესი შანშე I მხარგრძელი, რომელიც ციხე-ქალაქ ანისის მემკვიდრობით მფლობელი იყო და რომლის მოხსენიებაც იმავე ანისში მდებარე გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის კედელზე ამოკვეთილ წარწერაში სავსებით ლოგიკურ და მოსალოდნელ მოვლენას წარმოადგენს.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ვფიქრობ, სრულებით ცხადია, რომ 1251 წლის სომხურ წარწერაში მოხსენიებული ათაბაგ-ამირსპასალარი შანშე სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა შანშე I მხარგრძელი.

ცალკე მსჯელობის საგანია ის საკითხი, თუ როდის ან რა ვითარებაში მიიღო შანშე I-მა ათაბაგისა და ამირსპასალარის სახელოები. თუმცა, ამ საკითხის თაობაზე ვრცლად ქვემოთ მექნება საუბარი და ამიტომ მასზე აქ აღარ შევხერდები.

მაშასადამე, ირკვევა, რომ პარუირ მურადიანის მიერ პირველი მოსაზრების ფარგლებში შემოთავაზებული მეოთხე თეზა მართებულია და განსახილველ სომხურ წარწერაში მოხსენიებული ათაბაგ-ამირსპასალარი შანშე ნამდვილად შანშე I მხარგრძელია.

პარუირ მურადიანის მიერ შემოთავაზებული მეხუთე თეზის თანახმად, 1251 წლის სომხურ წარწერაში მოთხრობილი „ეკლესიის“ აღშენების ამბავი გულისხმობს არა მთლიანად გრიგოლ განმანათლებლის ტაძრის, არამედ მისი მხოლოდ დასავლეთი მინაშენის აგებას, აგრეთვე, ეკლესიაში გარკვეული განახლებითი სამუშაოების ჩატარებას.

აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისას პარუირ მურადიანი ემყარება ოთხ ძირითად არგუმენტს: 1. 1251 წლის სომხური წარწერა გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის კედელზეა ამოკვეთილი. ეს გარემოება მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ წარწერაში გადმოცემული აღმშენებლობის ამბავი ეხება უშუალოდ ამ ეკლესიას და არა რომელიმე სხვა ცალკე მდგომ ტაძარსა თუ საეკლესიო ნაგებობას; 2. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ 1215 წელს აგებული გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის დასავლეთი მინაშენი ტაძრის თანადროული არ არის და ის ეკლესიას მოგვიანებით მიადგეს. შესაბამისად, 1251 წლის სომხურ წარწერაშიც სწორედ დასავლეთი მინაშენის აგების ამბავი უნდა იყოს მოთხრობილი; 3. 1251 წლის სომხური წარწერა ამოკვეთილია არა გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის დასავლეთი მინაშენის, არამედ უშუალოდ ტაძრის კედელზე. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, აშკარაა, რომ წარწერაში გადმოცემული მშენებლობის ამბავი არამხოლოდ დასავლეთ მინაშენს, არამედ საკუთრივ ეკლესიასაც შეეხო; და 4. სომხურ წერილობით წყაროებში ტერმინი „მშენებლობა“ („შენებლობა“) აღნიშნავს როგორც რაიმეს აგებას, ისე მის განახლებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ 1251 წლის სომხურ წარწერაში გადმოცემული აღმშენებლობის ფაქტი არამხოლოდ გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის დასავლეთი მინაშენის აგებას, არამედ, დამატებით, ტაძარში გარკვეული განახლებითი სამუშაოების ჩატარებასაც გულისხმობს.

მიუხედავად იმისა, რომ პარუირ მურადიანის მიერ მოხმობილი არგუმენტები საკმაოდ მწყობრივ და ლოგიკურია, მათ მიმართ მაინც ჩნდება რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა: 1. თუ 1251 წლის სომხურ წარწერაში ნამდვილად გრიგოლ განმანათლებლის ტაძრის დასავლეთი მინაშენის აღშენების ამბავია მოთხრობილი, მაშინ ტექსტში რატომ საერთოდ არ არის ნახსენები ეს ახლადაგებული მინაშენი და მის ნაცვლად, რატომ არის დასახელებული ეკლესია? 2. თუ 1251 წლის სომხური წარწერა, ძირითადად, გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის დასავლეთი მინაშენის აგების ამბავს მოგვითხრობს და მხოლოდ დამატებით გვაუწყებს საკუთრივ ტაძარში ჩატარებული განახლებითი სამუშაოების თაობაზე, მაშინ ეს წარწერა რატომ არის ამოკვეთილი ეკლესიის და არა დასავლეთი მინაშენის კედელზე?; და 3. თუ 1251 წლის სომხური წარწერა ნამდვილად გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის დასავლეთი მინაშენის, უფრო ზუსტად კი, მინაშენის ფარგლებში მოქცეული ორი დიდი ზომის ნაგებობის – თაღოვანი კარიბჭისა (სამხრეთით) და საძვალე-ეგვტერის (ჩრდილოეთით) აგების შესახებ მოგვითხრობს და გარდა ამისა, დამატებით, საკუთრივ ტაძარში ჩატარებული განახლებითი სამუშაოების შესახებაც გვაუწყებს, მაშინ რატომ არის ამ საკმაოდ მასშტაბური აღმშენებლობის ამბავი გადმოცემული მწირი შინაარსის მქონე მცირე ზომის ტექსტის დახმარებით და არა საზეიმო ხასიათის ვრცელი წარწერის საშუალებით, როგორც ამას იმავე ეკლესიის კედლებზე ამოკვეთილი ტიგრან ჰონენცის 1215 წლისა და მწიგნობართუხუცეს მათეს 1310 წლის სომხური ქტიტორული წარწერების შემთხვევაში ვხედავთ?

სამწუხაროდ, პარუირ მურადიანს თავის 1987 წლის სტატიაში აღნიშნული კითხვები არ დაუსვამს, ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხების გაცემის გარეშე კი მკვლევრის მიერ შემოთავაზებული მეხუთე თეზის გახიარება მართებულად არ მიმაჩნია. შესაბამისად, ხსენებული

მეხუთე თეზის მართებულობისა თუ მცდარობის საკითხს, ჯერჯერობით, ღიად ვტოვებ და გამოვთქვამ იმედს, რომ ამ საკმაოდ საინტერესო საკითხს საბოლოოდ სამომავლო კვლევა-ძიება გადაწყვეტს.

მაშასადამე, ირკვევა, რომ პარუირ მურადიანის მიერ პირველი მოსაზრების ფარგლებში შემოთავაზებული მეხუთე თეზა, რომლის თანახმადაც 1251 წლის სომხურ წარწერაში მოთხრობილი „ეკლესიის“ აღნიშვნის ამბავი არა მოლიანად გრიგოლ განმანათლებლის ტადრის, არამედ მისი მხოლოდ დასავლეთი მინაშენის აგებასა და ეკლესიაში გარკვეული განახლებითი სამუშაოების ჩატარებას გულისხმობს, დამატებით კვლევას საჭიროებს. შესაბამისად, საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე, აღნიშნულ თეზას ვერც გავიზიარებ და ვერც უარყოფ.

პარუირ მურადიანის მიერ გამოთქმული მეორე მოსაზრება ერთადერთ თეზას შეიცავს. ამ თეზის თანახმად, შანშე I-მა ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის სახელოები 1215 წელს მიიღო. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისას მკვლევარი, ერთი მხრივ, ემყარება გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის 1215 წლის სომხურ წარწერას, რომელშიც წარწერის შედგენის ინიციატორის – ტიგრან ჰონენცის მიერ „მეუფედ“ წოდებული ანუ ციხე-ქალაქ ანისის სრულყოფილებიანი მეპატრონე – შანშე I, იმ დროისათვის უკვე გარდაცვლილი მამის, წარწერაში ამირსპასალარად და მანდატურთუხუცესად წოდებული ზაქარია II მხარგრძელისაგან განსხვავებით, ჯერ კიდევ სამოხელეო ტიტულების გარეშე, მხოლოდ სახელით არის მოხსენიებული, ხოლო, მეორე მხრივ, ანისის მხითარის კოშკის 1215 წლის სომხურ წარწერას, რომელშიც შანშე I უკვე ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის სამოხელეო წოდებებით იხსენიება.

მხითარის კოშკის წარწერაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ მისი ტექსტის პარუირ მურადიანის მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაცია მცდარია და ამ წარწერაში, ისევე როგორც გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის 1215 წლის წარწერაში, მანდატურთუხუცესად და ამირსპასალარად იწოდება არა შანშე I, რომელიც წარწერაში შაჰანშა-სარგისის სახელით იხსენიება, არამედ მისი მამა – ზაქარია II, რომელიც წარწერაში, დამატებით, შაჰანშაჰის ანუ ციხე-ქალაქ ანისის მფლობელის ძველი საპატიო ტიტულითაც არის მოხსენიებული.

მოვიტან ანისის 1215 წლის ორივე სომხური წარწერის შესაბამისი ფრაგმენტების შანშე დარჩიაშვილის მიერ შესრულებულ ქართულ თარგმანებს: 1. გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის 1215 წლის წარწერა: „წელსა „ოკდ“ მადლითა და წყალობითა ღმრთისა, როდესაც დაეუფლა ქალაქ ანისს ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი ზაქარია და ძე მისი შაჰანშაჰი“ (ხაზი, აქაც და ქვემოთაც, ჩემია – თ. ჯ.)¹; და 2. მხითარის კოშკის 1215 წლის წარწერა: „წელსა „ოკდ“ მთავრობასა მანდატურთუხუცეს ამირსპასალარ შაჰანშაჰ ზაქარიას ძის შაჰანშაჰ სარგისისა...“².

მაშასადამე, ირკვევა, რომ პარუირ მურადიანის მიერ გამოთქმული მეორე მოსაზრება მცდარია და მის მიერ დასახელებული ორი წერილობითი წყარო – გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიისა და მხითარის კოშკის 1215 წლის სომხური წარწერები კი, არათუ არ ადასტურებს მკვლევრის განხილული მოსაზრების ფარგლებში შემოთავაზებულ ერთადერთ თეზას, რომ შანშე I-მა ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის შეწყვეტილებული თანამდებობები 1215 წელს დაიკავა, არამედ, საპირისპიროდ ამისა, აჩვენებს, რომ შანშე I-ს აღნიშნული სახელოები 1215 წელს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული.

პარუირ მურადიანის მიერ გამოთქმული მეორე მოსაზრების განხილვის შემდეგ, ვფიქრობ, ლოგიკურად დაისმის კითხვა: თუ 1215 წელს შანშე I ჯერ კიდევ არ ფლობდა მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის სახელოებს, მაშინ როდის დაიკავა მან სავაზირო თანამდებობა თუ თანამდებობები და რომელი სავაზირო სახელო თუ სახელოები გადაეცა მას?

დასმულ კითხვასთან დაკავშირებით, საინტერესო ცნობას გვაწვდის ნორავანქის 1223 წლის სომხური წარწერა, რომელშიც შანშე I ამირსპასალარის („ქართველთა და სომეხთა ამირსპასალარის“) წოდებით, ხოლო მისი ბიძა, ივანე I მხარგრძელი ათაბაგის ტიტულით არის მოხსენიებული. მოვიტან ამ წარწერის შანშე დარჩიაშვილის მიერ შესრულებულ ქართულ თარგმანს: „თამარის ძის ღაშას მეფობაში. ამირსპასალარობასა სომეხთა და ქართველთა შაჰანშაჰისა და ათაბეგობასა ივანესი, მისი ბიძისა. მე, ცოდვილი მონა ქრისტესი, ბუპაკ იშხანაც იშხანი, მოვედი ნორავანის წმიდა ეკლესიის დღესასწაულზე... წელსა სომეხთა „ოჰბ“ (1223)³.

როგორც ვხედავთ, ნორავანქის სომხური წარწერა პირდაპირ გვაუწყებს, რომ მისი ამოკვეთის დროს ანუ 1223 წელს შანშე I უკვე ფლობდა ამირსპასალარის თანამდებობას.

¹ შ. დარჩიაშვილი, *ძიებანი ქართულ-სომხური ურთიერთობების ისტორიიდან, სომხური ლაპიდარული წარწერების ცნობები საქართველოს შესახებ XII-XIII საუკუნეების პირველ მესამედში* (თბილისი, 2010), გვ. 93.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 162.

ნორვანაქის წარწერის ამ ცნობის მართებულობას ერთგვარად ადასტურებს ახპატის მონასტერში გადაწერილი სომხური ხელნაწერი წიგნის – 1218-1219 წლების სადღესასწაულოს ანდერძი, რომელშიც ივანე I მხარგრძელი და მცირეწლოვანი შანშე I „სომეხთა და ქართველთა მხედართმთავრებად“ არიან მოხსენიებულნი. მოვიტან ამ ანდერძის შესაბამისი ფრაგმენტის ალექსანდრე აბდალაძის მიერ შესრულებულ ქართულ თარგმანს: „სომეხთა წელთადრიცხვის „ოკწ“-ს (1218 წ. 26/1 – 1219 წ. 25/1), პაბატის წმიდა მონასტერში მშვიდი და მხნე უფალ პოვანესის მამამთავრობისას, სომეხებსა და ქართველებზე ივანესა და ყრმა შაჰნაშაჰის მხედართმთავრობისას...“¹.

ჩემი დაკვირვებით, ის გარემოება, რომ ციტირებულ ანდერძში შანშე I, ათაბაგ ივანე I-ის მსგავსად, „სომეხთა და ქართველთა მხედართმთავრად“ არის მოხსენიებული, ლოგიკურად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ იგი ანდერძის შედგენის დროს უკვე ფლობდა ისეთ სამოხელეო თანამდებობას, რომელიც ანდერძის დამწერს უფლებას აძლევდა, შანშე I, ქვეყნის უპირველესი ვაზირის – ივანე I მხარგრძელის გვერდით, საქართველოს სამეფოს მხედართმთავრად მოეხსენიებინა. ასეთი სამოხელეო თანამდებობა კი, ნორვანაქის წარწერის გათვალისწინებით, სხვა არაფერი შეიძლება ყოფილიყო, თუ არა ამირსპასალარობა.

თუ ჩემს მიერ ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა სწორია, მაშინ ირკვევა, რომ 1218-1219 წლების სომხური სადღესასწაულოს ანდერძი არამხოლოდ ადასტურებს ნორვანაქის 1223 წლის სომხური წარწერის ცნობის მართებულობას, არამედ, თავის მხრივ, კიდევ უფრო აზუსტებს შანშე I-ის მიერ ამირსპასალარის სახელის მიღების დროს და გვაუწყებს, რომ ამ ფაქტს, ერთი მხრივ, ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიისა და მხითარის კოშკის 1215 წლის სომხური წარწერების ამოკვეთის შემდგომ პერიოდში, ხოლო, მეორე მხრივ, 1218-1219 წლების სომხური სადღესასწაულოს ანდერძისა და ნორვანაქის 1223 წლის სომხური წარწერის შედგენის წინარე ხანებში ანუ 1215-1223 წლებში ჰქონდა ადგილი.

განსახილველი საკითხის თაობაზე განსხვავებულ ცნობას გვაწვდის კიდევ ერთი სომხური ხელნაწერი წიგნის – ბაგნაირის მონასტერში გადაწერილი 1232-1233 წლების სახარების ანდერძი, რომელიც გვაუწყებს, რომ ზაქარია II მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ მის „სამეფო ტახტს“ ანუ სომხეთის ძველ სამეფო ქალაქ ანისს დაპატრონა ზაქარია II-ის ვაჟი – შანშე I, რომელიც იმ დროს მანდატურთუხუცესის სახელის ფლობდა. მოვიტან ამ ანდერძის შესაბამისი ფრაგმენტის ალექსანდრე აბდალაძის მიერ შესრულებულ ქართულ თარგმანს: „...დიდი ზაქარიას უდროო მიცვალების შემდგომ... მისმა დიდებულმა ნაშვირმა, მემკვიდრემ და გვარის გამგრძელებელმა, ჭაბუკმა, დეთივ შეეყარებულმა და განდიდებულმა, დიდი სამეფოს მანდატოროთა ხუცესმა შაჰნაშაჰმა დაიჭირა თავისი მამის სამეფო ტახტი...“².

მართალია, ანდერძში დაკონკრეტებული არ არის, თუ, სახელდობრ, როდის დაეპატრონა შანშე I მამის კუთვნილ ციხე-ქალაქ ანისსა და როდის გადაეცა მას მამისავე კუთვნილი მანდატურთუხუცესის სავაზირო სახელო, მაგრამ ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიისა და მხითარის კოშკის 1215 წლის ზემოთ განხილული სომხური წარწერებიდან ნათლად ჩანს, რომ ეს ორი მოვლენა თანადროულად არ მომხდარა და ისინი ერთმანეთს გარკვეული ქრონოლოგიური ინტერვალით იყო დაშორებული: 1215 წელს შანშე I უკვე ფლობდა ციხე-ქალაქ ანისს, თუმცა მამის კუთვნილი სავაზირო სახელოები – მანდატურთუხუცესობა და ამირსპასალარობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული. შესაბამისად, სავსებით ცხადია ისიც, რომ შანშე I-მა მანდატურთუხუცესის თანამდებობა ზაქარია II-ის გარდაცვალებიდან გარკვეული დროის შემდეგ, უფრო ზუსტად კი, 1215 წლის შემდგომ ახლო პერიოდში დაიკავა.

როგორც ვხედავთ, ბაგნაირის სომხური სახარების 1232-1233 წლების ანდერძის ანალიზი აჩვენებს, რომ შანშე I-მა მანდატურთუხუცესის სახელო 1215 წლის შემდგომ ახლო პერიოდში მიიღო. ეს ქრონოლოგიური მონაკვეთი კი, პრაქტიკულად, ზუსტად ემთხვევა 1215-1223 წლებს, როცა, ზემოთ განხილული 1218-1219 წლების სომხური სადღესასწაულოს ანდერძისა და ნორვანაქის 1223 წლის სომხური წარწერის ცნობით, შანშე I სულ სხვა სავაზირო სახელოს – ამირსპასალარობას ფლობდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შანშე I-ის მიერ 1215 წლის შემდგომ ახლო პერიოდში სავაზირო სახელოსა თუ სახელოების მიღების საკითხის თაობაზე შესაძლებელია, გამოითქვას სამი მოსაზრება: 1. შანშე I-მა დაიკავა მანდატურთუხუცესის თანამდებობა; 2. შანშე I-ს უბოძეს ამირსპასალარის სახელო; და 3. შანშე I-მა მიიღო მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის თანამდებობები.

¹ ალ. აბდალაძე, სომხურ ხელნაწერთა X-XIII საუკუნეების ანდერძ-მინაწერების ცნობები საქართველოს შესახებ (თბილისი, 2005), გვ. 51.

² იქვე, გვ. 56.

საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე, უფრო იმ მოსაზრებისაკენ ვიხრები, რომ შანშე I-მა 1215 წლის შემდგომ პერიოდში, უფრო ზუსტად კი, 1215-1223 წლებში მამის – ზაქარია II-ის კუთვნილი ორივე სავაზირო სახელო მიიღო და ამ უკანასკნელის მსგავსად, მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარი გახდა. თუმცა, არის ორი გარემოება, რომელიც ამგვარი მოსაზრების კატეგორიულად გამოთქმის საშუალებას არ მაძლევს.

1. XIII საუკუნის სომეხი მემატიანის ვარდან არეველცის მიერ შედგენილი „მსოფლიო ისტორიის“ ცნობით, მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარ ზაქარია II-ის გარდაცვალების დროს ანუ 1212 წელს შანშე I მხოლოდ 5 წლისა იყო: „[ზაქარია] აღსრულდა... 661 (1212) წელს. მას დარჩა ერთი 5 წლის ვაჟი შაჰან-შაჰი...“¹. აქედან, გამომდინარეობს, რომ შანშე I 1207 წელს იყო დაბადებული. შესაბამისად, თუ მართებულად მივიჩნევთ იმ მოსაზრებას, რომ შანშე I-მა მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარის შეწყვილებული სავაზირო სახელოები 1215-1223 წლებში მიიღო, მაშინ მივიღებთ მეტად უჩვეულო სურათს, რომელსაც ერთიანი ქართული სახელმწიფოს ისტორიაში ანალოგი არ ეძებნება: სამხედრო-პოლიტიკური ძლიერების მწვერვალზე მყოფი საქართველოს სამეფოს პირველმა პირმა – მეფე გიორგი IV ლაშამ (1210-1223 წწ.) ქვეყნის ორი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო დაწესებულების – შინაგან საქმეთა და სამხედრო უწყებათა ხელმძღვანელების გაერთიანებული თანამდებობა უბოძა პირს, რომელიც იმ დროისათვის, უკეთეს შემთხვევაში, სრულწლოვანების ასაკს ახლად მიღწეული 16 წლის ჭაბუკი, ხოლო, უარეს შემთხვევაში, 6 წლის უასაკო ყრმა იყო და რომლის ვაზირობაც, მისი მცირე ასაკიდან გამომდინარე, წმინდად ფორმალური ხასიათის მოვლენას წარმოადგენდა.

2. ქართველი ანონიმი ჟამთააღმწერლის მიერ 1336 წლის შემდგომ პერიოდში შედგენილი „ასწლოვანი მატიანის“² ერთი ფრაგმენტი, რომელშიც 1220 წელს მეფე გიორგი IV ლაშასა და მონღოლებს შორის გამართული საგიმის ბრძოლის ამბებია გადმოცემული, მოგვითხრობს, რომ ამ ბრძოლაში, სხვა ქართველი დიდებულების გვერდით, შანშე I-მაც მიიღო მონაწილეობა. ამასთან, საყურადღებოა, რომ დასახელებულ ფრაგმენტში შანშე I არა ამირსპასალარად, არამედ ამირსპასალარ ზაქარიას შვილად არის მოხსენიებული: „*მეფემან (გიორგი IV-მ – თ. ჯ.) მოუწოდა სპათა თვსთა, იმერთა და ამერთა... და წარემართნეს თათართა კერძ, გავისა ბოლოს მდგომთა. იქით ივანე ათაბაგი და ძისწული მისი, ზაქარიას ძე ამირსპასალარისა, შანშე, და ვარამ გაველი, მსახურთუხუცესი, მოერთნეს დიდითა ლაშქრითა*“³. ჩემი დაკვირვებით, ის გარემოება, რომ 1220 წელს გამართული საგიმის ბრძოლის პერიპეტიების გადმოცემისას შანშე I მხოლოდ ამირსპასალარ ზაქარია II-ის შვილად არის მოხსენიებული, ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ 1220 წლისათვის შანშე I მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის სახელოებს ჯერ კიდევ არ ფლობდა. საწინააღმდეგო შემთხვევაში, იგი არა ამირსპასალარის ვაჟად, არამედ მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარად იქნებოდა მოხსენიებული.

როგორც ვხედავთ, მოხმობილი ორი გარემოება არაერთ მნიშვნელოვან და ანგარიშგასაწევ საკითხებს წამოჭრის და მართლაც არ მაძლევს საშუალებას, კატეგორიულად ვამტკიცო, რომ შანშე I-მა მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარის სახელოები 1215-1223 წლებში მიიღო. მიუხედავად ამისა, საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე, მაინც ზემოთ მოხმობილი სამი წერილობითი წყაროს – 1218-1219 წლების სომხური სადღესასწაულოს ანდერძის, ნორავანქის 1223 წლის სომხური წარწერისა და ბაგნაირის სომხური სახარების 1232-1233 წლების ანდერძის ჩვენებებს ვაძლევ უპირატესობას და ზემოთ დასმული კითხვის საპასუხოდ, გამოვთქვამ ფრთხილ მოსაზრებას, რომ შანშე I-მა 1215 წლის შემდგომ ახლო პერიოდში სავაზირო სახელოები, სავარაუდოდ, მართლაც მიიღო, უფრო ზუსტად კი, 1215-1223 წლებში მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის თანამდებობები დაიკავა.

თუ ჩემს მიერ გამოთქმული ეს ფრთხილი მოსაზრება სწორია, მაშინ დაბეჯითებით შემიძლია იმის თქმაც, რომ შანშე I მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის შეწყვილებულ სახელოებს მაინცადამაინც ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ფლობდა და მას ამირსპასალარის თანამდებობა საკმოდ მოკლე ხანში ჩამოართვეს. მართლაც, ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ შირაკავანის 1228 და 1231 წლების სომხურ წარწერებში ამირსპასალარად უკვე არა შანშე I,

¹ ვარდან არეველცი, *მსოფლიო ისტორია*, ძველი სომხურიდან თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ე. კვაჭანტირაძემ (თბილისი, 2002), გვ. 157-158.

² ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანის“ 1336 წლის შემდგომი პერიოდით დათარიღების შესახებ იხ.: თ. ჯოჯუა, აბრაჰამ სავანის მიერ 1336 წელს გადაწერილი „საკერაოს“ (H-1328) ანდერძი დასავლეთ საქართველოს მეფის კონსტანტინე I-ის მოხსენიებით და საქართველოს XIV საუკუნის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, *სახსტორიო კრებული*, 3, წელიწადუფი (თბილისი, 2013), გვ. 153-155.

³ ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გ. ალასანიამ, *ქართლის ცხოვრება* (თბილისი, 2008), გვ. 533. შდრ.: ჟამთააღმწერელი, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II (თბილისი, 1959), გვ. 164.

არამედ მისი ბიძაშვილი, ათაბაგ ივანე I-ის ვაჟი – ავაგ მხარგრძელია მოხსენიებული, თავად შანშე I კი, დასახელებულ წარწერებში, ისევე როგორც მარმაშენის 1225 წლის სომხურ წარწერაში, მხოლოდ მანდატურთუხუცესის წოდებით იხსენიება.

მართალია, ჩემთვის ცნობილ წერილობით წყაროებში ამირსპასალარის თანამდებობის შანშე I-სათვის ჩამორთმევისა და ავაგისათვის გადაცემის მიზეზებისა და ზუსტი დროის შესახებ რაიმე ცნობები დაცული არ არის, მაგრამ ის გარემოება, რომ შირაკავანის 1228 და 1231 წლების სომხურ წარწერებში ამირსპასალარად ავაგი იხსენიება, ხოლო იმავე შირაკავანის 1228 და 1231 წლების სომხურ წარწერებში, აგრეთვე, მარმაშენის 1225 წლის სომხურ წარწერაში, შანშე I მხოლოდ მანდატურთუხუცესად არის მოხსენიებული, ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ამირსპასალარის სახელოს შანშე I-სათვის ჩამორთმევისა და ავაგისათვის გადაცემის ფაქტს 1225-1228 წლების წინარე ახლოხანებში ჰქონდა ადგილი. რაც შეეხება ამ საკმაროდ უცნაური მოვლენის გამომწვევ მიზეზებს, მათი დადგენისათვის შესაბამისი ისტორიული ვითარების საფუძვლიანი შესწავლაა საჭირო, ამგვარი კვლევა-ძიების წარმოება კი წინამდებარე ნაშრომის ინტერესების სფეროს მნიშვნელოვნად სცდება. შესაბამისად, საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე, ხსენებულ მოვლენაზე მსჯელობისაგან თავს შევიკავებ და მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ამირსპასალარის სახელოს შანშე I-სათვის ჩამორთმევა და ავაგისათვის გადაცემა 1210-1220-იან წლებში მხარგრძელთა ფეოდალურ სახლში ატეხილი შიდაღინასტიური დაპირისპირებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ მართალია, პარუირ მურადიანის მიერ გამოთქმული მეორე მოსაზრება მცდარია და შანშე I-ს მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარის სახელოები 1215 წელს არ მიუღია, მაგრამ აღნიშნულ მოვლენას 1215 წლის შემდგომ ახლო პერიოდში, სავარაუდოდ, მართლაც ჰქონდა ადგილი. როგორც ჩანს, შანშე I-მა 1215-1223 წლებში მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის შეწყვილებული სავაზირო თანამდებობები დაიკავა და მამის – ზაქარია II-ის მსგავსად, მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარი გახდა. შანშე I დასახელებულ სავაზირო სახელოებს საკმაროდ მცირე დროის განმავლობაში ფლობდა. 1225-1228 წლების წინარე ახლოხანებში მას ამირსპასალარის თანამდებობა ჩამოართვის და ის ათაბაგ ივანე I-ის ვაჟს – ავაგს გადასცეს¹. შედეგად, იმავე 1225-1228 წლების წინარე ახლოხანებში შანშე I-ს ხელთ მხოლოდ მანდატურთუხუცესის თანამდებობა და დარჩა.

¹ ავაგის მიერ ამირსპასალარის სახელოს მიღების დროის შესახებ საინტერესო ცნობაა დაცული ჟამთააღმწერლის „ასწლოვან მატიანეში“, რომელიც გვაუწყებს, რომ 1225 წელს გამართული გარნისის ბრძოლიდან ორი წლის შემდეგ, როცა ათაბაგი ივანე I გარდაიცვალა, ამირსპასალარის თანამდებობა მის ვაჟს ავაგს გადასცეს: „*შემდგომად ორისა წლისა მიიცვალა ივანე ათაბაგი და მთავარ ყვეს ძე მისი ავაგ და უბოძეს ამირსპასალარობა*“ (ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, გვ. 537. შდრ.: ჟამთააღმწერელი, გვ. 171). როგორც ვხედავთ, ჟამთააღმწერელი პირდაპირ გვამცნობს, რომ ავაგმა ამირსპასალარის სახელო მიიღო მამის გარდაცვალების შემდეგ, რასაც, თავის მხრივ, 1225 წელს გამართული გარნისის ბრძოლიდან ორი წლის შემდეგ ანუ 1227 წელს ჰქონდა ადგილი. აღნიშნულის გათვალისწინებით, თითქოს ლოგიკური იქნებოდა, რომ ავაგის მიერ ამირსპასალარის თანამდებობის დაკავების ქრონოლოგიაზე მსჯელობისას, ძირითადად, „ასწლოვან მატიანეში“ დაცულ ამ ცნობას დავეყრდნობოდა და ეს ფაქტი 1227 წლით განმესაზღვრა, თუმცა, კვლევა აჩვენებს, რომ ჟამთააღმწერლის ციტირებულ ფრაგმენტში იმდენი ფაქტობრივი და ქრონოლოგიური უზუსტობაა გაპარული, რომ მასზე დაყრდნობით ისტორიული სურათის რეკონსტრუირება, უბრალოდ, შეუძლებელია. ასე, მაგალითად, „ასწლოვანი მატიანის“ ციტირებული ფრაგმენტის ცნობით, ათაბაგი ივანე I 1227 წელს გარდაიცვალა. ეს ცნობა ცალსახად მცდარია, ვინაიდან ჩვენამდე მოღწეულია მთელი რიგი სინქრონული პერიოდის წერილობითი წყაროები, რომლებიც გვაუწყებს, რომ ივანე I 1227 წლის შემდეგაც ცოცხალი იყო და იგი მხოლოდ 1230-იანი წლების დასაწყისში გარდაიცვალა (ახლო მომავალში გამოქვეყნდება ჩემი ნაშრომი, რომელშიც ივანე I-ის გარდაცვალების დროის საკითხი საფუძვლიანად მაქვს შესწავლილი). გარდა ამისა, ცალსახად მცდარია „ასწლოვანი მატიანის“ ის ცნობაც, რომ ავაგმა ამირსპასალარის თანამდებობა მხოლოდ მამის გარდაცვალების შემდეგ მიიღო. მე ქვემოთ მოვიტან შირაკავანის 1228 და 1231 წლების სომხურ წარწერებს, რომლებიც უშუალოდ ივანე I-ის სახელით შედგენილ იურიდიულ ეპიგრაფიკულ აქტებს წარმოადგენს და განსაკუთრებული სანდოობით გამოირჩევა. ამ წარწერებში ივანე I ათაბაგის წოდებით, ხოლო ავაგი ამირსპასალარის ტიტულით არის მოხსენიებული. შესაბამისად, ხსენებული წარწერები დოკუმენტურად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ავაგს ამირსპასალარის თანამდებობა, ჟამთააღმწერლის ცნობის საპირისპიროდ, არა ივანე I-ის გარდაცვალების შემდეგ, არამედ ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში ჰქონდა მიღებული. უფრო მეტიც, „ასწლოვან მატიანის“ იმ ცნობასთან, რომლის თანახმადაც ავაგმა ამირსპასალარის თანამდებობა 1227 წელს დაიკავა, სრულ წინააღმდეგობაში მოდის თავად „ასწლოვანი მატიანის“ სხვა ფრაგმენტი, რომელშიც 1225-1226 წლების ამბებია მოთხრობილი. ამ ფრაგმენტში ავაგი, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, არა მხოლოდ ამირსპასალარად, არამედ ათაბაგ-ამირსპასალარად არის მოხსენიებული: „*მაშინ ცნა სულტანმან ჯალალდინ ავაგ ათაბაგისა და ამირსპასალარისა ბიჯის(ს) ყოფა, ინება ნახვა მისი...*“ (ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, გვ. 538. შდრ.: ჟამთააღმწერელი, გვ. 172). ვფიქრობ, ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ჟამთააღმწერლის „ასწლოვან მატიანეში“ დაცული ცნობა, რომ ავაგმა ამირსპასალარის სახელო 1227 წელს, მამის – ათაბაგ ივანე I გარდაცვალების შემდეგ მიიღო, აშკარად მცდარია და ავაგის მიერ ამირსპასალარის თანამდებობის დაკავების საკითხზე მსჯელობისას მასზე დაყრდნობა მართებული არ არის.

დავუბრუნდეთ პარუირ მურადიანის მიერ გამოთქმული მოსაზრებების განხილვას. მკვლევარის მესამე მოსაზრების თანახმად, ათაბაგ ავაგ მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ ანუ 1250 წელს ათაბაგის გამოთავისუფლებული თანამდებობა დაიკავა ამირსპასალარმა შანშე I-მა, რის შემდეგაც იგი უკვე ათაბაგ-ამირსპასალარი გახდა. მკვლევრის დაკვირვებით, შანშე I-ის მიერ ათაბაგის სახელის მიღების ფაქტს დოკუმენტურად ადასტურებს ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის 1251 წლის სომხური წარწერა, რომელშიც შანშე I სწორედ ათაბაგ-ამირსპასალარად არის მოხსენიებული.

პარუირ მურადიანის მესამე მოსაზრება სამ ძირითად თეზას შეიცავს: 1. ავაგი მისი გარდაცვალების დროს ანუ 1250 წელს მხოლოდ ათაბაგის სახელის ფლობდა; 2. იმავე 1250 წლისათვის შანშე I-ს მხოლოდ ამირსპასალარის თანამდებობა ეკავა; და 3. 1250 წელს ამირსპასალარმა შანშე I-მა ავაგის გარდაცვალების შედეგად გამოთავისუფლებული ათაბაგის სახელი მიიღო და ათაბაგ-ამირსპალარი გახდა.

საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ პარუირ მურადიანის მესამე მოსაზრების ფარგლებში შემოთავაზებული პირველი ორი თეზა მცდარია. სწორედ ამგვარი დასკვნისაკენ მიბიძგებს ჩვენამდე მოღწეული ქართული და სომხური წერილობითი წყაროები, რომელთა შესაბამის ფრაგმენტებსაც ქვემოთ ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვით მოვიტან.

თავდაპირველად მოვიტან ზემოთ უკვე ნახსენები მარმაშენის 1225 წლის, შირაკავანის 1228 წლისა და იმავე შირაკავანის 1231 წლების სომხურ წარწერებს, უფრო ზუსტად კი, ამ სომხური წარწერების შანშე დარჩიაშვილის მიერ შესრულებულ ქართულ თარგმანებს, რომლებიც, ერთი მხრივ, გვაუწყებს, რომ 1225-1231 წლებში შანშე I მანდატურთუხუცესის სახელის ფლობდა, ხოლო, მეორე მხრივ, გვამცნობს, რომ დაახლოებით, იმავე პერიოდში, უფრო ზუსტად კი, 1228-1231 წლებში ავაგს ამირსპასალარის თანამდებობა ეკავა: 1. მარმაშენის 1225 წლის სომხური წარწერა: „დროებასა... ათაბაგ ივანესი და მანდატურთუხუცეს შაჰანშაჰისა, (რომელთა) ბრძანებით ეკლავ განახლდა მარმაშენის წმიდა კათოლიკე...¹“; 2. შირაკავანის 1228 წლის სომხური წარწერა: „წელსა (1228)... მე, ივანე ათაბაგმა... ჩვენ ღვიძლ შვილთა მანდატურთუხუცეს შაჰანშაჰისა და ამირსპასალარ ავაგის ხანგრძლივი სიცოცხლისთვის დაუტევეთ შირაკის ეს სოფელი სახედარისა და წელის გადასახადისაგან შვილთა შვილამდე...²“; და 3. იმავე შირაკავანის 1231 წლის სომხური წარწერა: „წელსა „ოძ“ (1231)... მე, ივანე ათაბაგმა... მრავალი სიცოცხლე ღვიძლთა შვილთა ჩვენთა მანდატურთუხუცეს შაჰანშაჰისა და ამირსპასალარ ავაგ... ზემო შირაკის წისკვილის ხარაჯა... ვათავისუფლეთ...³“.

ციტირებული სომხური წერილობითი წყაროების შემდეგ მოვიტან ქართველი ანონიმი ჟამთააღმწერლის მიერ 1336 წლის შემდგომ პერიოდში შედგენილი „ასწლოვანი მატიანის“⁴ ათ ფრაგმენტს, რომლებიც გვამცნობს, რომ შანშე I-ს მანდატურთუხუცესის სახელი 1225 წლიდან 1240-იანი წლების შუახანების ჩათვლით, უწყვეტად ეპყრო, ხოლო ავაგი ამირსპასალარის თანამდებობას 1228-1229 წლებიდან იმავე 1240-იანი წლების შუახანების ჩათვლით ფლობდა⁵: 1. 1225 წელს გამართული გარნისის ბრძოლის წინარე ახლოხანები: „და მოიწივნეს ქუეყანად მკარგრძელთა, რამეთუ ივანე ათაბაგსა ეპყრა ღვინი, და ანისი მიეცა ძმისწულისა მისისა შანშე მანდატურთუხუცესისათჳს⁶“; 2. 1228-1229 წლებში გამართული ბოლნისის ბრძოლის წინარე ახლოხანები: „...მოუწოდა (მეფე რუსუდანმა – თ. ჯ.) ყოველსა სპათა თჳსთა, იმერთა და ამერთა, შანშეს მანდატურთუხუცესსა, ავაგს ამირსპასალარსა...⁷“; 3. 1230 წელს მეფე რუსუდანის (1223-1245 წწ.) ვაჟის – დავით VI ნარინის თანამოსაყდრედ გამოცხადების შემდგომი ახლო პერიოდი: „ხოლო ამიერ ესე სამეფო უცალო იყო ხუარაზმელთაგან, რამეთუ მანდატურთუხუცესი შანშე იყო ანისსა და ამირსპასალარი ავაგ ბიჯნისსა...⁸“; 4. 1235 წელს მონღოლების მიერ ქალაქ თბილისის აღების შემდგომი ახლო პერიოდი: „მანდატურთუხუცესი შანშე შეივლტოდა ქუეყანად აჭარისასა, და ამირსპასალარი ავაგ შევიდა ციხესა კაენისასა...⁹“; 5. 1230-იანი წლების II ნახე-

¹ შანშე დარჩიაშვილი, *ძიებანი ქართულ-სომხური ურთიერთობების...*, გვ. 93.

² იქვე, გვ. 162.

³ იქვე, გვ. 163.

⁴ ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანის“ 1336 წლის შემდგომი პერიოდით დათარიღების შესახებ იხ.: თ. ჯოჯუა, *აბრაჰამ სავანის მიერ...*, გვ. 153-155.

⁵ აქვე, შევნიშნავ, რომ ქვემოთ არ მოვიხმობ „ასწლოვანი მატიანის“ იმ ნაწილებებს, რომლებშიც ავაგი არა ამირსპასალარის ან ათაბაგ-ამირსპასალარის, არამედ მხოლოდ ათაბაგის ტიტულით არის მოხსენიებული: პარუირ მურადიანს ავაგის ათაბაგად ყოფნის საკითხში ეჭვი არ შეაქვს და ამიტომ აღნიშნული საკითხის კრიტიკულად განხილვის საჭიროება არ არსებობს.

⁶ ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, გვ. 535. შდრ.: ჟამთააღმწერელი, გვ. 169.

⁷ ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, გვ. 544. შდრ.: ჟამთააღმწერელი, გვ. 182-182.

⁸ ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, გვ. 543. შდრ.: ჟამთააღმწერელი, გვ. 180.

⁹ ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, გვ. 548. შდრ.: ჟამთააღმწერელი, გვ. 187.

ვარში ავავ მხარგრძელის მიერ მონღოლებისათვის მორჩილების გამოცხადების წინარე ახლო-ხანები: „ამათ რა ბოროტსა ხედვიდა ამირსპასალარი ავავ, ძე ივანე ათაბაგისა, წარმოავლინა მოციქულნი ბარდავს... წარვიდა ამირსპასალარი ავავ, დამღები სულსა მისისა ქუყყანისა მისისათვის...“⁴; 6. 1230-იანი წლების II ნახევარში შანშე I მხარგრძელის მიერ მონღოლებისათვის მორჩილების გამოცხადების წინარე ახლო-ხანები: „...ცნა შანშე მანდატურთუხუცესმან ზავი ავავისი და თათართა...“²; 7. 1243 წელს გამართული ქოსედაღის ბრძოლის შემდგომი ახლო პერიოდი: „ესე მოციქული რა მოიწია, ავავ, რომელი ამირსპასალარობისაგან ათაბაგ იქმნა მეფისა რუსუდანის მიერ, წარავლინა ჩაღატა ნოინმან წინაშე დიდისა ყაენისა ბათოსა...“³; 8. 1245 წელს მეფე რუსუდანის გარდაცვალების შემდგომი ახლო პერიოდი: „...და ყოველი ქართველთა ნათესავი ბრძანებასა მისსა (ეგარსლან ბაკურციხელისას – თ. ჯ.) მორჩილობდეს... თვთ დიდი და პატიოსანი შანშე მანდატურთუხუცესი...“⁴; 9. 1245 წელს მეფე რუსუდანის გარდაცვალების შემდგომი ახლო პერიოდი: „...და იყო (თურქთა ღაშქარმა – თ. ჯ.) ოკრებად ვალაშკერტისა და რაკსს იქით ქუყყანათა ვიდრე სურმანადმდე, რომელი-იგიცა ოდენ დაეპყრა შანშეს მანდატურთუხუცესსა“⁵; და 10. 1246 წელს მონღოლების მიერ საქართველოს სამეფო ტახტზე დავით VII-ისა (1246-1270 წწ.) და დავით VI ნარინის (1246-1249/1259 წწ.) დამტკიცების ახლო წინარე ხანები: „და ვითარ განგრძელდა ცილობა, ავავ ამირსპასალარი წარმოავლინეს... და ვითარ ცნეს ქართველთა მოსლვა ავავისი, ამირსპასალარისა, წინა-მოვეგებნეს...“⁶.

ზემოთ მოტანილი სომხური და ქართული წერილობითი წყაროების გარდა, აუცილებლად უნდა მოვიხმო კიდევ ორი წერილობითი წყარო, რომლებიც საკუთრივ ავავისა და შანშე I-ის ავტოგრაფებს წარმოადგენს და განსაკუთრებული სანდოობით გამოირჩევა. მხედველობაში მაქვს 1241 წლისა და 1241/1242 წლების ორი ქართული დოკუმენტისათვის დართული ოთხი დამტკიცება, რომლებიც პირდაპირ გვაუწყებს, რომ დოკუმენტების შედგენის დროს ანუ 1240-იანი წლების დასაწყისში ათაბაგ-ამირსპასალარის შეწყვილებული თანამდებობები ავავს ეკავა, შანშე I კი მხოლოდ მანდატურთუხუცესის სახელს ფლობდა: 1. ქართლის კათოლიკოსის მიქაელ V-ის (1240-იანი წწ-ის დასაწყ.) მიერ ვახე გუარამისძისათვის მიცემული 1241 წლის დაწერილის №4 და №5 დამტკიცებები: „[4.] ქ. ამის ღ(მრ)თისა სწორთაგან დამტკიცებულისა მოწამე ვარ და დაწერილისა დამამტკიცებელი ავავ ათაბაგი და ამირსპასალარი. [5.] ამა ღ(მრ)თისა სწორთაგან [6.] დამტკიცებულისა სივლისა მე, შაჰანშა მანდატურთუხუცესიცა დამამტკიცებელი ვარ“⁷; და 2. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცეს არსენის მიერ მეგლა აბულახტარისძისათვის მიცემული 1241-1242 წლების დაწერილის №7 და №8 დამტკიცებები: „[7.] ქ. ესე დაწერილი მე, ავავ ათაბაგსა დამიმტკიცებია. [8.] ქ. მე, შაჰანშა მანდატურთუხუცესსა დამიმტკიცებია ესე დაწერილი“⁸.

როგორც ვხედავთ, ზემოთ მოტანილი სომხური და ქართული წერილობითი წყაროების ანალიზი აჩვენებს, რომ პარაფრაზული მესამე მოსაზრების ფარგლებში შემოთავაზებული პირველი და მეორე თეზები, რომელთა თანახმადაც 1250 წელს ავავ მხარგრძელს მხოლოდ ათაბაგის თანამდებობა ეკავა, ხოლო შანშე I მხარგრძელი ამირსპასალარის სახელს ფლობდა, ცალსახად მცდარია. ამ ორი თეზის საპირისპიროდ, ირკვევა შემდეგი: 1. ავავმა ამირსპასალარის თანამდებობა 1225-1228 წლების წინარე ხანებში დაიკავა, მამის – ათაბაგ ივანე I მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ კი ანუ 1230-იანი წლების დასაწყისში, იგი, დამატებით, ათაბაგიც გახდა. ავავი ათაბაგ-ამირსპასალარის შეწყვილებულ თანამდებობებს გარდაცვალებამდე ანუ 1250 წლამდე ფლობდა⁹; და 2. შანშე I-მა მანდატურთუხუცესის სახელს 1215-1223 წლებში მიიღო და ეს თანამდებობა ავავის გარდაცვალებამდე ანუ 1250 წლამდე უწყვეტად ეკავა.

¹ ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატეანე, გვ. 548-549. შდრ.: ჟამთააღმწერელი, გვ. 189-190.
² ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატეანე, გვ. 549. შდრ.: ჟამთააღმწერელი, გვ. 190.
³ ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატეანე, გვ. 554. შდრ.: ჟამთააღმწერელი, გვ. 197.
⁴ ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატეანე, გვ. 564. შდრ.: ჟამთააღმწერელი, გვ. 212.
⁵ ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატეანე, გვ. 564. შდრ.: ჟამთააღმწერელი, გვ. 212.
⁶ ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატეანე, გვ. 572. შდრ.: ჟამთააღმწერელი, გვ. 225. შანშე I მანდატურთუხუცესად არის მოხსენიებული ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატეანის“ კიდევ ერთ ფრაგმენტში, რომელშიც 1245 წელს მეფე რუსუდანის გარდაცვალების შემდგომი ახლო პერიოდის მოვლენებია მოთხრობილი: „...შანშე მანდატურთუხუცესსა ქორწილი ქონდა ასულისა თვისისა მანაბელთანა“ (იქვე, გვ. 213). საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ ეს ფრაგმენტი „ასწლოვანი მატეანის“ მხოლოდ ერთ ხელნაწერში – 1736 წლის მანაბლისეულ ნუსხაში გვხვდება, თხზულების ძირითად ტექსტს არ მიეკუთვნება და სავარაუდოდ, მოგვიანო ჩანართს წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ციტირებული ფრაგმენტი აღარ მოვიტანე „ასწლოვანი მატეანის“ ზემოთ მოხმობილი ათი ფრაგმენტის გვერდით, რომლებიც, თავის მხრივ, თხზულების ძირითადი ტექსტიდან მაქვს მოხმობილი.
⁷ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, ქართული ისტორიული საბუთები, IX-XIII საუკუნეები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა (თბილისი, 1984), გვ. 116.
⁸ იქვე, გვ. 120.
⁹ ავავის მიერ 1228 წლის წინარე ხანებიდან 1250 წლამდე ამირსპასალარის სახელს ფლობასთან დაკავშირებით, საინტერესო ცნობას ვაწყდებით ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატეანის“ ერთ ფრაგმენტში, რომელშიც 1245 წელს

ცალკე განხილვის საგანია პარუირ მურადიანის მესამე მოსაზრების ფარგლებში შემოთავაზებული მესამე თეზა, რომლის თანახმადაც 1250 წელს ავაგის გარდაცვალების შემდეგ ათაბაგის გამოთავისუფლებული თანამდებობა გადაეცა შანშე I მხარგრძელს, რომელიც იმ დროისათვის ამირსპასალარის სახელოს ფლობდა. შედეგად, იმავე 1250 წელს შანშე I ათაბაგ-ამირსპასალარი გახდა. მკვლევარი აღნიშნული თეზის შემოთავაზებისას მთლიანად ემყარება ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის 1251 წლის სომხურ წარწერას, რომელშიც, როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ, ათაბაგ-ამირსპასალარი შანშეა მოხსენიებული.

მე ზემოთ, 1251 წლის სომხური წარწერის განხილვისას, უკვე აღვნიშნე, რომ ამ წარწერისა თუ მისი წაკითხვის სანდოობის თაობაზე მთელი რიგი კითხვის ნიშნები არსებობს და მის ტექსტში ასახული რეალიების უტყუარობაც საკმაოდ საფუძვლიან გჭვს იწვევს. მიუხედავად ამისა, ვითვალისწინებ იმ გარემოებას, რომ განსახილველი წარწერის პარუირ მურადიანის ინტერპრეტაციის მართებულობა-მცდარობის საკითხი საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის გარკვეული და ამიტომ დიდი სიფრთხილით ვუშვებ ჰიპოთეტურ ვარიანტს, რომ 1251 წლის წარწერაში დაცული ცნობები, შესაძლოა, მართლაც ისტორიულ რეალობას ასახავს.

თუ ეს ჰიპოთეტური დაშვება სწორია და ისტორიული მოვლენები ნამდვილად ისე განვითარდა, როგორც ამას პარუირ მურადიანის ფიქრობდა ანუ 1250 წელს ათაბაგის სახელო (ჩემი კვლევის თანახმად, ათაბაგ-ამირსპასალარის სახელოები) მართლაც მიიღო ამირსპასალარმა (ჩემი კვლევის მიხედვით, მანდატურთუხუცესმა) შანშე I-მა, რომელიც ამის შემდეგ მართლაც ათაბაგ-ამირსპასალარი (ჩემი კვლევის გათვალისწინებით, ათაბაგ-ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი) გახდა, მაშინ ლოგიკურად დაისმის ერთი მნიშვნელოვანი კითხვა – როდემდე ფლობდა იგი ათაბაგ-ამირსპასალარის სახელოებს?

აღნიშნული საკითხის თაობაზე პარუირ მურადიანი რაიმე მოსაზრებას არ გამოთქვამს. სამაგიეროდ, დასმულ კითხვაზე, პრაქტიკულად, პირდაპირ პასუხს გვაძლევს სამი წერილობითი წყარო – ჰოვჰანავანქის მონასტრის 1258 წლის სომხური წარწერა, ქობაირის მონასტრის 1258-1261/1262 წლების ქართული ეპიტაფია და ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანის“ ერთი ნაწილი, რომლებიც პირდაპირ გვაუწყებს, რომ შანშე I-ს მისი გარდაცვალების წინარე ახლო ხანებში, უფრო ზუსტად კი, 1258-1261/1262 წლებში, მხოლოდ მანდატურთუხუცესის თანამდებობა ეკავა, მისი ვაჟი – ზაქარია III მხარგრძელი კი ამირსპასალარის სახელოს ფლობდა. მოვიტან სსენებული წერილობითი წყაროების შესაბამის ფრაგმენტებს: 1. ჰოვჰანავანქის 1258 წლის სომხური წარწერა: *“В 707 (1258) г. волею всемогущего господа это мое повеление и непреклонное ус-тановление мандантортаухуцеса Шахиншаха, сына амир спасалара Великой Армении и Грузии Закария, что написал я на построенной мною часовне, передал село Шалвашен [обителю] святого Карапета...”*¹; 2. შანშე I-ის თანამეცხედრის – ხვაშაქ ლაკლაკის 1258-1261/1262 წლების ეპიტაფია ქობაირის

მეფე რუსუდანის გარდაცვალების შემდგომი ახლო პერიოდის ამბებია გადმოცემული. მემატინე მოგვითხრობს, რომ ქართველი დიდებულების ერთმა ნაწილმა, მონღოლებთან შეთანხმებით, რუმის სელჩუკთა სახელმწიფოდან ჩამოიყვანა მეფე გიორგი IV ლაშას ვაჟი, უფლისწული დავითი, შემდგომში აღმოსავლეთ საქართველოს მეფე დავით VII, რომელსაც სხვა ფეოდალებთან ერთად, წინ მიეგებნენ შანშე I და მისი ვაჟი – ამირსპასალარი ზაქარია III: *„...მიეგებნეს ყოველნი წარხინებულნი საქართველოსანი, შანშე და ძე მისი ზაქარია ამირსპასალარი, კაცი სიკეთითა აღმატებული...“* (ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, გვ. 569. შდრ.: ჟამთააღმწერელი, გვ. 219). როგორც ვხედავთ, ჟამთააღმწერლის ცნობით, 1245 წლის შემდგომ ახლო პერიოდში ამირსპასალარის სახელოს არა ავაგი, არამედ ზაქარია III ფლობდა. ამ ცნობის გათვალისწინებით, თითქოს, ლოგიკური იქნებოდა, რომ ავაგის ამირსპასალარობის ქრონოლოგიაში, რომელიც ზემოთ 1228 წლის წინარე ხანებიდან 1250 წლამდე პერიოდით განვსაზღვრე, გარკვეული კორექტივი შემეტანა და ამ ქრონოლოგიური მონაკვეთის ზედა ზღვარი 1245 წლის შემდგომ ახლო პერიოდზე დამედო. თუმცა, იმავე „ასწლოვანი მატიანეში“ დაცულია კიდევ ერთი ცნობა, რომელიც ბოლოს ციტირებულ ცნობასთან წინააღმდეგობაში მოდის და ამ უკანასკნელის საპირისპიროდ, გვაუწყებს, რომ განსახილველ ქრონოლოგიურ მონაკვეთში, უფრო ზუსტად კი, რუმადან ჩამოყვანილი დავით ლაშას ძის ურდოში გამგზავრებისა და მისი მონღოლთა ყაენის კარზე ყოფნის დროს ანუ 1246 წლის წინარე ახლო ხანებში, ამირსპასალარის სახელოს არა ზაქარია III, არამედ ჯერ კიდევ ავაგი ფლობდა: *„ხოლო იყვნეს ორნივე დავით და დავით (დავით რუსუდანის ძე და დავით ლაშას ძე – თ. ჯ.) ყუბიდ ყაენს წინაშე და იურვოდეს ორნივე მეფობას... და ვითარ განგრძელდა ცილობა, ავაგ ამირსპასალარი წარმოავლინეს და მისცეს იურდაყი შეწყალებისა... და ვითარ ცნეს ქართველთა მოსლვა ავაგისი, ამირსპასალარისა, წინა-მოვეგებნეს...“* (ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, გვ. 572. შდრ.: ჟამთააღმწერელი, გვ. 224-225). როგორც ჩანს, ჟამთააღმწერლის თხზულებაში უფლისწული დავითის რუმადან საქართველოში ჩამოყვანის ამბების გადმოცემისას ქრონოლოგიური უზუსტობაა გაპარული და ამირსპასალარად ავაგის ნაცვლად, შეცდომით, დასახელებულია ზაქარია III, რომელმაც, როგორც ცნობილია, ამირსპასალარის თანამდებობა სწორედ ავაგის სიკვდილის შემდეგ დაიკავა. სხვათა შორის, ამ ტიპის ქრონოლოგიური უზუსტობები „ასწლოვანი მატიანეში“ სხვაგანაც გვხვდება და განხილული შემთხვევა გამონაკლისი სულაც არ არის. მეორე მხრივ, ცხადაა, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ჟამთააღმწერელი ისტორიულ მოვლენებს სწორად გადმოსცემს და ზაქარია III ავაგის ურდოში რამდენიმეწლიანი ყოფნის დროს, მცირე ხნით, მართლაც ფლობდა ამირსპასალარის სახელოს. თუმცა, ასეთი დაშვების მართებულობის დადგენა შემდგომ შესწავლას საჭიროებს, ამგვარი კვლევა-ძიების წარმოება კი წინამდებარე ნაშრომის ინტერესების სფეროს მნიშვნელოვნად სცდება.

¹ Закарий Канакерци, *Хроника*, Перевод с армянского, предисловие и комментарий М. О. Дарбинян-Меликян (Москва, 1969), стр. 248.

მონასტრიდან: „ქ. ესე საფლავეი [აქმა ეკლესიისა და მქონ(ა)სტერისა აღმშენებ(ე)ლისა, შ(ა)ქ-
პანშა მანდატ(ურთ)უხუცესისა [ცოლისა, ზ(ა)ქ(არ)ი] ამირსპასალარისა დედისა, ლ(ა)კ-
ლ(ა)კთა ასულისა ხ(უა)შ(ა)ქისაი“⁴; და 3. ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატინის“ ფრაგმენტი,
რომელშიც 1261-1262 წლების მოვლენებია აღწერილი: „მას ჟამსა გაადგა ულო ყაენს (ყაენ ჰუ-
ლაგუს (1261-1265 წწ.) – თ. ჯ.) შანშეს ძე ზაქარია ამირსპასალარი, კაცი ყოვლითა სათნოებითა
შემკული და სახინო... გარნა არცა ეგრეთ დამშვდა გული ულოსი და მოკლა ზაქარია ამირ-
სპასალარი, კაცი პატიოსანი და სახელოვანი“⁵.

ჩემს მიერ გამოთქმულ იმ მოსაზრების მართებულობას, რომ შანშე I მისი სიცოცხლის
ბოლო წლებში მხოლოდ მანდატურთუხუცესის სახელოს ფლობდა, ციტირებული სამი წერი-
ლობითი წყაროს გარდა, დამატებით, ადასტურებს სხვა წერილობითი წყაროებიც, კერძოდ კი,
ქობაირის მონასტრის ოთხი ქართული წარწერა, რომლებიც შანშე I გარდაცვალების შემდეგ
არის ამოკვეთილი. ამ წარწერებში შანშე I არა ათაბაგ-ამირსპასალარად, არამედ მანდატურთ-
უხუცესად არის მოხსენიებული, რაც ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ შანშე I გარდაც-
ვალების ჟამს ანუ 1261-1262 წლებში არა ათაბაგ-ამირსპასალარის, არამედ მანდატურთუხუცესის
სახელოს ფლობდა. მოვიტან ქობაირის მონასტრის ოთხივე წარწერის შესაბამის ფრაგმენტებს:
1. შანშე I-ის ვაჟის – ბერი გიორგის 1276 წლის სააღმშენებლო წარწერა: „ქ(ორონი)კ(ო)ნსა
[ხ]ეჟე (1276 წ.)... მე, შ(ა)ქნშა მანდატ(ურთ)უხუცესისა ძემ(ან) ბერმ(ან) გ(იორგი)... დიდსა იწ-
როებ(ა)სა შ(ინ)ა ქ(ამთ)ასა დაეფიქლე ეკლესიად ესე ქუემთ კარის-ბჭითურთ და დაღეწილნი
ზედაით ქვის(ა)გ(ან) მევე შევჰკ(ა)ზმ(ე)ნ...“⁶; 2. შანშე I-ის კიდევ ერთი ვაჟის – მხარგრძელის
1279 წლის სააღმშენებლო წარწერა: „ქ(ორონი)კ(ო)ნსა უჟთ (1279 წ.)... მე უღირ[ხ]ი, შ(ა)ქნშა
მანდატ(ურთ)უხ(უ)ც(ე)ს[ხ]ისა ძე მკ(არ)გრძ(ე)ლი და თ(ან)ამ(ე)ცხ(ე)დრე ჩ(ემ)ი ათ(ა)ბ(ა)ქისა
და ამირსპ(ა)ს(ა)ლ(ა)რისა საღუნ(ო)სა ას(უ)ლი ვ(ან)ენ ღ(ირ)ს ვიქმნ(ენ)ით აღშენებ(ა)ლ[ს] ს(ა)მ-
რ(ე)კ(ე)ლ-სამ(არ)ხ(ო)სა ამ(ო)ს ჩ(უ)ენ(ო)სა...“⁷; 3. ზემოთ უკვე ნახსენები ბერი გიორგის 1282
წლის სააღმშენებლო წარწერა: „ქ. ქ(ორონი)კ(ო)ნსა ჟეჟ (1276 წ.)... მე, შ(ა)ქნშე მანდატ(ურთ)-
უხ(უ)ც(ე)ს(ი)სა ძე ბ(ე)რი გ(იორგი)... დ(ა)ეფ(ი)ქლე ეკლ(ე)სიად ესე ყ(ოვლი)თ კ(არ)ის-
ბჭ(ო)თ(ურთ) და დაღ(ე)წ(ი)ლნი ზ(ე)დაით ქვის(ა)გ(ან) მევე შევჰკ(ა)ზმ(ე)ნ... შემდგომად ვ (6)
წლ(ო)სა, ს(ა)ს(ო)ებით ჰ(ე)ლ-ვე(ა)ვ ხ(ა)ტვ(ა)დ კ(არ)ის-ბჭეთა ამ(ა)თ...“⁸; და 4. იმავე ბერი
გიორგის 1282 წლის შემდგომი პერიოდის ეპიტაფია: „ესეჟ [საფლავეი] [ჩემ] [ც(ო)დვ(ი)ლისა],
[შაქანშა] [მანდატურთ(ურთ)უხუცესისა] ძ[ი]სა, ბერისა გ(იორგი)ისა“⁹.

როგორც ვხედავთ, ზემოთ მოხმობილი სომხური და ქართული წერილობითი წყაროების
ანალიზი აჩვენებს, რომ შანშე I მხარგრძელი 1250-იანი წლების II ნახევარსა და 1260-იანი წლე-
ბის დასაწყისში არც ათაბაგის და არც ამირსპასალარის სახელოებს არ ფლობდა და მას მხო-
ლოდ მანდატურთუხუცესის თანამდებობა ეკავა. რაც შეეხება ათაბაგისა და ამირსპასალარის
სახელოებს, შესწავლილ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, დაბეჯითებით შეიძლება ით-
ქვას, რომ იმავე 1250-იანი წლების II ნახევარსა და 1260-იანი წლების დასაწყისში ამირსპასა-
ლარის თანამდებობას შანშე I-ის ვაჟი – ზაქარია III მხარგრძელი ფლობდა, ათაბაგის სახელოს
მფლობელი პირის ვინაობა კი არც ზემოთ განხილული და არც ჩემთვის ცნობილი სხვა წე-
რილობითი წყაროებიდან, ჯერჯერობით, არ ჩანს⁷.

⁴ თ. ჯოჯუა, გ. გაგოშიძე, ქობაირის, ჰნევანქისა და ახტალის მონასტრების ქართული ლაპიდარული წარწერები. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, XII-XIII, ეძღვნება პროფესორ თ. ბერაძის დაბადებიდან 75 წლის იუბილეს (თბილისი, 2012/2013), გვ. 266. შდრ.: „წელსა „1258“... ეს ჩემი ბრძანება... სომეხთა და ქართველთა ამირსპასალარის დიდი ზაქარიას ძის მანდატურთუხუცეს შაქანშაჰისა, რომელიც დაწერე ჩამს აგებულ კა-მატუნზე...“ (შ. დარჩიაშვილი. ძიებანი ქართულ-სომხური ურთიერთობების... გვ. 94).

⁵ ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატინაჲ, გვ. 593. შდრ.: ჟამთააღმწერელი, გვ. 250.

⁶ Գ. Մուրադյան, Հայաստանի վրացիքն արձանագրությունները, էջ 172.

⁷ იქვე, გვ. 177.

⁸ იქვე, გვ. 174-175.

⁹ თ. ჯოჯუა, გ. გაგოშიძე, ქობაირის, ჰნევანქისა და ახტალის..., გვ. 271)

⁷ ნოდარ შოშიაშვილის აზრით, განსახილველ პერიოდში ათაბაგის სახელოს, ამირსპასალარის თანამდებობის პა-რალელურად, ზაქარია III ფლობდა (ნ. შოშიაშვილი, ათაბაგი, გვ. 73; ნ. შოშიაშვილი, ამირსპასალარი, გვ. 136). აღ-ნიშნული მოსაზრების გამოთქმისას მკვლევარი ემყარება არა რომელიმე კონკრეტულ წერილობით წყაროს, რომელშიც ამირსპასალარ ზაქარია III-ის მიერ ათაბაგის სახელოს ფლობის ფაქტი პირდაპირ ან ირიბად არის დადასტურებული, არამედ მისსავე მიერ შემოთავაზებულ თეზას, რომ მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარ ზაქარია II-ის გარდაცვალების დროიდან მოყოლებული, ამირსპასალარის სახელო ათაბაგის სახელოსთან იყო შეწყვეილე-ბული და ამ ორ თანამდებობას ყოველთვის ერთი პირი ფლობდა (ნ. შოშიაშვილი, ათაბაგი, გვ. 73; ნ. შოშიაშვილი, ამირსპასალარი, გვ. 136). ჩვენამდე მოღწეული წერილობითი წყაროების შესწავლა აჩვენებს, რომ ნოდარ შოშიაშ-ვილის მიერ შემოთავაზებული თეზა მართებული არ არის და აღნიშნული თეზის საპირისპიროდ, საქართველოს განსახილველი პერიოდის ისტორიაში ხშირად გვხვდება შემთხვევები, როდესაც ათაბაგისა და ამირსპასალარის თანამდებობები სხვადასხვა პირებს უკავიათ. ასე, მაგალითად, ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ 1230-იანი წლების

მაშასადამე, ირკვევა, რომ პარუირ მურადიანის მესამე მოსაზრების ფარგლებში შემოთავაზებული მესამე თეზის მართებულობა-მცდარობის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება. შესაბამისად, საკითხის შესწავლის მოცემულ ეტაპზე ამ თეზას, მის მიმართ მთელი რიგი კითხვის ნიშნების არსებობის გამო, ვერ გავიზიარებ, თუმცა, მეორე მხრივ, ვერც იმას გამოვრიცხავ, რომ თეზა მართებულია და ისტორიულ მოვლენებს სწორად გადმოსცემს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი სიფრთხილით ვუშვებ ჰიპოთეტურ ვარიანტს, რომ შანშე I მხარგრძელმა 1250 წელს, ავაგ მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ, შესაძლოა, მართლაც მიიღო ათაბაგისა და ამირსპასალარის შეწყვილებული თანამდებობები. ამასთან, ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ თუ ეს ჰიპოთეტური დაშვება სწორია, მაშინ შანშე I-ის ათაბაგ-ამირსპასალარობის ქრონოლოგია საკმაოდ მცირე დროითი შუალედით – 1250-იანი წლების I ნახევართა და შუახანებით უნდა შემოიფარგლოს, ვინაიდან უფრო მოგვიანო პერიოდში, უფრო ზუსტად კი, 1250-იანი წლების II ნახევარსა და 1260-იანი წლების დასაწყისში, შანშე I მხოლოდ მანდატურთუხუცესის სახელს ფლობდა, ამირსპასალარის თანამდებობა კი მის ვაჟს – ზაქარია III მხარგრძელს ეკავა. რაც შეეხება იმას, თუ ვინ ფლობდა ათაბაგის სახელს 1250-იანი წლების II ნახევარსა და 1260-იანი წლების დასაწყისში, ეს საკითხი, ჯერჯერობით, გარკვეული არ არის და შემდგომ შესწავლას საჭიროებს.

პარუირ მურადიანის მიერ გამოთქმული ბოლო, მეოთხე მოსაზრება ორ ძირითად თეზას შეიცავს: 1. სომეხი ისტორიკოსის კირაკოს განძაკეცის „სომხეთის ისტორიაში“ დაცული ცნობა, რომ ათაბაგ ავაგ მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ ათაბაგის თანამდებობა შანშე I მხარგრძელის ვაჟმა – ზაქარია III მხარგრძელმა დაიკავა, მართებული არ არის; და 2. ავაგის გარდაცვალების შემდეგ ათაბაგის გამოთავისუფლებული სახელო ამირსპასალარმა შანშე I-მა მიიღო და ათაბაგ-ამირსპასალარი გახდა. აღნიშნულ ფაქტს დოკუმენტურად ადასტურებს ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის 1251 წლის სომხური წარწერა, რომელშიც შანშე I სწორედ ათაბაგ-ამირსპასალარად არის მოხსენიებული.

პარუირ მურადიანის მეოთხე მოსაზრების ფარგლებში შემოთავაზებული პირველი თეზა აშკარა გაუგებრობის შედეგია. კირაკოს განძაკეცის „სომხეთის ისტორიაში“ საერთოდ არ არის ნათქვამი, რომ ავაგის გარდაცვალების შემდეგ ათაბაგის თანამდებობა ზაქარია III-მ დაიკავა და ტექსტში მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ ზაქარია III-ეს გარდაცვლილი ავაგის კუთვნილი ფეოდალური სენიორია (Владения) ანუ ქართული წერილობითი წყაროების „ავაგის სახლი“ გადასცეს. გარდა ამისა, კირაკოს განძაკეცის თხზულებაში, დამატებით, ისიც არის ნათქვამი, რომ მოგვიანებით ზაქარია III-ეს ავაგის კუთვნილ სენიორია ჩამოართვეს და ის ავაგის ცოლს – გვანცას გადასცეს: *“Потом скончался ишханац-ишхан Аваг и был погребен в Пхиндзаанке, в склепе отца своего Иванэ. Владения его были переданы Закарэ - сыну Шахинишаха, двоюродного брата Авага, поскольку у Авага не было сыновей... Позже, отняв у Закарэ [владения эти], передали их жене Авага, которую звали Гонцей”*¹.

როგორც ვხედავთ, კირაკოს განძაკეცის თხზულების ციტირებულ ფრაგმენტში ათაბაგის თანამდებობის ზაქარია III-ისათვის გადაცემის შესახებ მართლაც არაფერია ნათქვამი და განსახილველი ტექსტის ასეთი ინტერპრეტაცია მთლიანად პარუირ მურადიანს ეკუთვნის.

ცალკე მსჯელობის საგანია თავად ამ ინტერპრეტაციის მართებულობა-მცდარობის საკითხი. ცხადია, პარუირ მურადიანს სრული უფლება ჰქონდა, რომ კირაკოს განძაკეცის თხზულების ციტირებულ ფრაგმენტზე დაყრდნობით, არა მტკიცებითი ფორმით, არამედ ვარაუდის სახით, გამოეთქვა ფრთხილი მოსაზრება, რომ განსახილველი ფრაგმენტის მიხედვით, ზაქარია III-ეს გადაეცა არამხოლოდ გარდაცვლილი ავაგის კუთვნილი ფეოდალური სენიორია, არამედ მისი სავაზირო სახელოებიც. თუმცა, იმავედროულად, მკვლევარს არ ჰქონდა არანაირი საფუძველი იმისათვის, რომ აღნიშნული ვარაუდი თუ ფრთხილი მოსაზრება ჯერ კირაკოს განძაკეცის ცნობად გამოეცხადებინა, ხოლო შემდეგ ეს, ვითომდა ავტორისეული ცნობა შეცდომად მიეჩნია.

დასაწყისამდე ათაბაგის სახელს ივანე I ფლობდა, იმავე პერიოდში კი ამირსპასალარის თანამდებობა ჯერ – 1215-1223 წლებიდან 1225-1228 წლების წინარე ახლოხანებამდე, შანშე I-ს, ხოლო შემდეგ – 1225-1228 წლების წინარე ახლოხანებიდან 1230-იანი წლების დასაწყისამდე, ავაგს ეკავა. გარდა ამისა, ცნობილია ისიც, რომ 1281 წლიდან 1289 წლამდე ამირსპასალარის სახელს ხუტლუბუღა მანკაბერდელი ფლობდა, იმავე პერიოდში კი ათაბაგის თანამდებობა ჯერ – 1281 წლიდან 1280-იანი წლების შუახანებამდე სარგის I ჯაყელს, ხოლო შემდეგ – 1280-იანი წლების შუახანებიდან 1289 წლამდე ტარსაიჭ ორბელს ეკავა. მსგავსი მაგალითების მოხმობა XIV საუკუნის ისტორიიდანაც შემიძლია, თუმცა ამის საჭიროებას ვერ ვხედავ, ვინაიდან სურათი მოტანილი მაგალითებიდანაც ნათლად ჩანს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ნოდარ შოშიაშვილის მიერ გამოთქმულ იმ მოსაზრებას, რომ რადგან ზაქარია III ამირსპასალარი იყო, იგი აუცილებლად ათაბაგიც უნდა ყოფილიყო, ვერ გავიზიარებ და განსახილველ პერიოდში ათაბაგის სახელს მფლობელი პირის ვინაობის საკითხსაც კვლავინდებურად ღიად ვტოვებ.

¹ Киракос Гандзакци, *История Армении*, Перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л. Ханларян (Москва, 1976), Стр. 198.

მაშასადამე, ირკვევა, რომ პარუირ მურადიანის მეოთხე მოსაზრების ფარგლებში გამოთქმული პირველი თეზა, რომ კირაკოს განძაკეცის ცნობით, ამირსპასალარის სახელო ავაგის გარდაცვალების შემდეგ ზაქარია III-ს გადაეცა, აშკარა გაუგებრობის შედეგია. საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ კირაკოს განძაკეცის „სომხეთის ისტორიაში“ ამგვარი ცნობა დაცული არ არის და ის მთლიანად სომეხი მემატიანის მონათხრობის პარუირ მურადიანის ინტერპრეტაციის შედეგს წარმოადგენს.

პარუირ მურადიანის მეოთხე მოსაზრების მეორე თეზის მიხედვით, ავაგის გარდაცვალების შემდეგ ანუ 1250 წელს ათაბაგის გამოთავისუფლებული თანამდებობა ამირსპასალარმა შანშე I-მა მიიღო. შედეგად, შანშე I ათაბაგ-ამირსპასალარი გახდა, რაც ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის 1251 წლის სომხურ წარწერაში დოკუმენტურად არის დადასტურებული.

როგორც ვხედავთ, ეს თეზა პარუირ მურადიანის მესამე მოსაზრების ფარგლებში შემოთავაზებული პირველი, მეორე და მესამე თეზების ერთგვარ კომპილაციას წარმოადგენს და რაიმე ახალ დაკვირვებას არ შეიცავს. აღნიშნული სამი თეზა ზემოთ უკვე დაწვრილებით განვიხილე და ამიტომ მისი ხელმეორედ განხილვისაგან თავს შევიკავებ. აღნიშნავ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ამ სამი თეზიდან პირველ და მეორე თეზებში მთელი რიგი უზუსტობებია დაშვებული და მათი გაზიარება მართებული არ არის. რაც შეეხება მესამე თეზას, რომლის თანახმადაც ავაგის გარდაცვალების შემდეგ ანუ 1250 წელს ამირსპასალარმა (ჩემი აზრით, მანდატურთუხუცესმა) შანშე I-მა ათაბაგის სახელო (ჩემი აზრით, ათაბაგ-ამირსპასალარის სახელოები) დაიკავა, ის, შესაძლოა, სწორია და სავარაუდოდ, რეალურ ისტორიულ ვითარებას ასახავს.

ამით პარუირ მურადიანის მიერ გამოთქმული მოსაზრებების განხილვას საბოლოოდ ვამთავრებ და სამეცნიერო საზოგადოებას ვთავაზობ ექვს ძირითად თეზას, რომლებიც, არსებითად, სწორედ განხილულ მოსაზრებათა ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით ანალიზზეა დამყარებული. აქვე, ხაზგასმით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ ჩემს მიერ შემოთავაზებულ თეზებს კატეგორიული ხასიათი არ აქვს და ისინი უფრო ვარაუდებსა თუ ფრთხილ მოსაზრებებს წარმოადგენს.

1. შანშე I-მა მხარგრძელება მამის – მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარ ზაქარია II მხარგრძელის კუთვნილი მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის თანამდებობები 1215 წლის შემდგომ ახლო პერიოდსა და 1223 წლის წინარე ახლოხანებში დაიკავა (პარუირ მურადიანის აზრით, ამ მოვლენას 1215 წელს ჰქონდა ადგილი).

2. შანშე I მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის სახელოებს საკმაოდ მცირე დროის მანძილზე ფლობდა. 1225-1228 წლების წინარე ახლოხანებში მას ამირსპასალარის თანამდებობა ჩამოართვეს და ის ათაბაგ ივანე I მხარგრძელის ვაჟს – ავაგ მხარგრძელს გადასცეს (პარუირ მურადიანის აზრით, შანშე I-სათვის ამირსპასალარობა არ ჩამოურთმევიათ და მას ეს თანამდებობა 1250 წელსაც ეკავა).

3. შანშე I მანდატურთუხუცესის სახელოს გარდაცვალებამდე ანუ 1261-1262 წლებამდე უწყვეტად ფლობდა. რაც შეეხება ავაგს, მას ამირსპასალარის თანამდებობა მამის – ათაბაგ ივანე I-ის გარდაცვალებამდე ანუ 1230-იანი წლების დასაწყისამდე ეკავა. 1230-იანი წლების დასაწყისში ავაგმა, დამატებით, ათაბაგის გამოთავისუფლებული სახელოც მიიღო და ათაბაგ-ამირსპასალარი გახდა. ავაგი ათაბაგ-ამირსპასალარის თანამდებობებს გარდაცვალებამდე ანუ 1250 წლამდე ფლობდა (პარუირ მურადიანის აზრით, 1250 წლისთვის ავაგს მხოლოდ ათაბაგის თანამდებობა ეკავა, ამირსპასალარის სახელოს კი შანშე I ფლობდა).

4. ათაბაგ-ამირსპასალარ ავაგის გარდაცვალების შემდეგ ანუ 1250 წელს მანდატურთუხუცესმა შანშე I-მა, დამატებით, ათაბაგისა და ამირსპასალარის გამოთავისუფლებული სახელოებიც მიიღო. შედეგად, იგი ათაბაგ-ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი გახდა (პარუირ მურადიანის აზრით, შანშე I 1250 წელს ათაბაგ-ამირსპასალარი გახდა. ვინ ფლობდა აღნიშნულ პერიოდში მანდატურთუხუცესის თანამდებობას, ამის შესახებ მკვლევარი არაფერს ამბობს.)

5. შანშე I ათაბაგ-ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის თანამდებობებს საკმაოდ მცირე დროის მანძილზე – 1250-იანი წლების I ნახევარსა და შუახანებში ფლობდა. 1250-იანი წლების შუახანებში შანშე I-ს ათაბაგისა და ამირსპასალარის სახელოები ჩამოართვეს და ამ ორი სახელოდან ერთ-ერთი – ამირსპასალარობა მის ვაჟს – ზაქარია III მხარგრძელს გადასცეს. ვინ დაიკავა ათაბაგის თანამდებობა აღნიშნულ პერიოდში, ჯერჯერობით, უცნობია. (პარუირ მურადიანს ამ მოვლენების შესახებ რაიმე მოსაზრება გამოთქმული არ აქვს).

6. შანშე I მანდატურთუხუცესის სახელოს გარდაცვალებამდე ანუ 1261-1262 წლებამდე ფლობდა. იმავე 1261-1262 წლებამდე ანუ სიკვდილით დასჯამდე ეკავა ამირსპასალარის თანამდებობა ზაქარია III-საც (პარუირ მურადიანს არც ამ მოვლენების შესახებ აქვს რაიმე მოსაზრება გამოთქმული).

როგორც ვხედავთ, სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც შუა საუკუნეების საქართველოს ისტორია სახელი შანშეს მატარებელ მხოლოდ ერთ ამირსპასალარს – XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ათაბაგ-ამირსპასალარ შანშე II მხარგრძელს იცნობს, დიდი ალბათობით, მცდარია. სავარაუდოდ, შუა საუკუნეების საქართველოში მოღვაწეობდა სახელი შანშეს მატარებელი სხვა ამირსპასალარიც – შანშე I მხარგრძელი, რომელიც 1215-1223 წლებში მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის სახელოებს, ხოლო 1250-იანი წლების I ნახევარსა და შუახანებში ათაბაგისა და ამირსპასალარის თანამდებობებს ფლობდა. შესაბამისად, ცხადია ისიც, რომ ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის ეპიტაფიაში მოხსენიებული შანშე თანაბარი წარმატებით შეგვიძლია გავაიგივოთ როგორც შანშე I-თან, ისე შანშე II-სთან.

საკითხის შესწავლის მოცემულ ეტაპზე ამ, ორ შესაძლო ვარიანტს შორის უპირატესობას ცალსახად მეორე ვარიანტს ვაძლევ და იმ მოსაზრებისაკენ ვიხრები, რომ ეპიტაფიაში არა შანშე I მხარგრძელი, არამედ მისი შვილიშვილი, ათაბაგ-ამირსპასალარი შანშე II-ეა მოხსენიებული. ამასთან, ორ შესაძლო ვარიანტს შორის უპირატესობის ცალსახად მეორე ვარიანტისათვის მიცემისას მთლიანად ვემყარები იმ გარემოებას, რომ შანშე II-ის მიერ ამირსპასალარის სახელოს ფლობის ფაქტი ქართული და უცხოური წყაროებით დოკუმენტურად არის დადასტურებული, შანშე I-ის ამირსპასალარობის თაობაზე კი, ჯერჯერობით, მხოლოდ გარაუდებისა თუ ფრთხილი მოსაზრებების გამოთქმა შემიძლია.

ზემოთ წარმოდგენილი ვრცელი მსჯელობის შემდეგ კიდევ ერთ დეტალზე გავამახვილებ ყურადღებას. ვაღვრის სილოგავამ თავის 2001 წლის ზემოთ განხილულ სტატიაში, ეპიტაფიაში მოხსენიებული შანშეს ათაბაგ-ამირსპასალარ შანშე II-თან გაიგივების საკითხზე მსჯელობისას, აღნიშნა, შანშე II XIV საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა¹.

აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისას ვაღვრის სილოგავა, მის მიერ სტატიის სქოლიოში ჩატანილი ბიბლიოგრაფიული მითითების მიხედვით, ერთი მხრივ, შოთა მესხიას მიერ 1979 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „საშინაო პოლიტიკური ვიტარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში“ გამოთქმულ მოსაზრებას იმეორებდა², ხოლო, მეორე მხრივ, ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანის“ ექვს ფრაგმენტს ემყარებოდა. ქვემოთ სათანადო სისრულით მოვიტან „ასწლოვანი მატიანის“ ხსენებულ ექვს ფრაგმენტს³: 1. 1297-1298 წლები: „კეთილად ბრძოდეს შინაური მეფისანი (აღმოსავლეთ საქართველოს მეფე დავით VIII – თ. ჯ.), კადელნი და ჳეკით მოსრულნი რჩეულნი... და ქუეითად იბრძოდეს თათარნი, რომელთა შემწედ ჳევა ივა-ნეს ძე შანშე და ოვსნი, რომელ სხდეს გორს, მესხნი ლაშქარნი, რომელნი წარმოველინნეს სამცხის მთავარსა ბექას – თორელნი, თმოგუელნი და ტაოელნი“⁴; 2. 1297-1298 წლები: „...და მოვიდა (იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ვახტანგ III – თ. ჯ.) ტფილისს. და მუნ შემოეყარნეს ყოველნი თათარნი და ქართველნი, და სამცხის ბატონის ბექას შვილი სარგის სპასალარი, ტაოელნი, თორელნი, თმოგუელნი და სომხითარნი, რამეთუ შანშე პირველვე იყო“⁵; 3. 1298 წელი: „და ვითარ მივიდეს ხუტლუშას (ილხანთა უღუსის ამირა ხუტლუშაჰი – თ. ჯ.) თანა, ცნა არა მოსლვა მეფისა, რქუა ბურსელსა: „კაცო, სატყუარი რა არს? ...აწ მიიღე ტყუილისა ნაცვალი პატიუი“: და განრისხებულმან მოაკუდინა ბურსელი, რომლისა გუამი აღიღო შანშე და წარგზავნა სამარხოსა მისსა“⁶; 4. 1299 წელი: „აცნობა ყაზანს (ილხანთა ყაენი ყაზანი – თ. ჯ.), ხოლო იგი ვანწყრა და წარმოავლინა ყურუმჩი და ერინჯი ვინმე, შინაური მისი, და შანშე მჯარგრძელი, და მოუწოდეს ძმასა დავითისასა, მცირესა გიორგის, რომელი ეშვა ასულსა ბექასასა და მას აღეზარდა... წარიყვანეს და დასუეს მეფედ“⁷; 5. 1310-იანი წლების დასაწყისი: „ამან ოღჯათ სულტანმან (ილხანთა ყაენი ოღჯათიუ (1304-1316 წწ.) – თ. ჯ.) წარმოავლინა მცირე გიორგი (აღმოსავლეთ საქართველოს მეფე გიორგი VI მცირე – თ. ჯ.) მეფედ, და ზაად მელიქი, ვინმე სპარსი ხუარასნელი, და ახრუნი, მამისძმა ჩოვანისა, თანა წარმოიტანა... და

¹ ვ. სილოგავა, ანისისა და ყარსის ქართული..., გვ. 17-18.

² შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება..., გვ. 317.

³ შოთა მესხია: „1310 წლის წარწერაში კი (იგულისხმება ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე ამოკვეთილი, ზემოთ უკვე არაერთგზის ნახსენები 1310 წლის სომხური წარწერა – თ. ჯ.) ნახსენებია „ათაბაგ ამირსპასალარი შაჰანშა“, როგორც ჩანს, შანშე II, ივანეს ძე, „დიდი შანშეს“ შვილიშვილი. ეს ის შანშეა რომელიც, ჟამთააღმწერლის მიხედვითაც, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მე-14 ს. დამდეგის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში“ (იქვე).

⁴ ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, გვ. 638. შდრ.: ჟამთააღმწერელი, გვ. 306.

⁵ ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, გვ. 640. შდრ.: ჟამთააღმწერელი, გვ. 308.

⁶ ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, გვ. 640. შდრ.: ჟამთააღმწერელი, გვ. 309.

⁷ ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, გვ. 637. შდრ.: ჟამთააღმწერელი, გვ. 304.

ახინეს ამით შანშე მკარგრძელი და ზაქარია, ავაგის ასულის, ხუაშაქის, ნაშობი⁴; 1310-იანი წლების დასაწყისი: „მაშინ წარავლინა ყაენმან ჩოფან (ილხანთა ულუსის ამირა ჩობან სულდუსი – თ. ჯ.) სპითა მისითა საბერძნეთს და თანა წარატანა ქართველნიცა. და წარპყვა ვიორგი ჩოფანს, ხოლო ვიორგი [მცირე], ზაალ მელიქ, შანშე და ზაქარია არა წარპყვეს თანა, წარვიდეს და აიყარნეს და ტფილისს შევიდეს“².

როგორც ვხედავთ, ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანის“ ციტირებული ექვსი ფრაგმენტიდან მხოლოდ ბოლო ორი ფრაგმენტი ეხება XIV საუკუნის ამბებს, დანარჩენ ოთხ ფრაგმენტში კი 1297-1299 წლების ისტორიული მოვლენებია გადმოცემული. შესაბამისად, ირკვევა, რომ „ასწლოვანი მატიანის“ მიხედვით, შანშე II აქტიურ სამხედრო-პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა არამხოლოდ XIV საუკუნეში, როგორც ამას ვალერი სილოგავა აღნიშნავდა, არამედ ცოტა უფრო ადრეულ პერიოდშიც – 1290-იანი წლების მიწურულს.

უფრო მეტიც, იმავე ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანეში“ დაცულია კიდევ ერთი ცნობა, რომელიც ვალერი სილოგავას, რატომღაც, დამოწმებული არ აქვს და რომელიც, პირდაპირ გვაუწყებს, რომ შანშე II აქტიურ სამხედრო-პოლიტიკურ მოღვაწეობას არათუ 1290-იანი წლების მიწურულს, არამედ კიდევ უფრო ადრეულ პერიოდში ეწეოდა. აქ მხედველობაში მაქვს „ასწლოვანი მატიანის“ ცნობა, რომელიც 1293 წელს მომხდარ მოვლენას – აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე დავით VIII-ის (1293-1311 წწ.) ასვლას ეხება: „და ვითარ მოიწივნეს შინა, მოუწოდა ყაენმან (ილხანთა ყაენი ქელათუ (1291-1295 წწ.) – თ. ჯ.) დავითს და რქუა: „ვინათვან დასდევთ თავი შენი მსახურებად ჩემთვის... მომიცემია მეფობა და სამეფო შენთვის“. და წარმოვ ზავნა ტფილისს და დასუა ტახტსა მამისა მისისასა. და თანა-წარმოატანნა სპანი საქართველოსანი, შანშე და ხუტლუბუღა და ყოველნი დიდებულნი“³.

როგორც ვხედავთ, ჟამთააღმწერლის თხზულების ციტირებული ფრაგმენტი, ერთი მხრივ, გვაუწყებს, რომ 1293 წელს შანშე II უკვე აქტიურად იყო ჩართული ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში, ხოლო, მეორე მხრივ, კიდევ უფრო მეტად აზუსტებს ამ ფაქტს და გვამცნობს, რომ იმავე 1293 წელს შანშე II, ათაბაგ-ამირსპასალარ ხუტლუბუღა მანკაბერდელთან ერთად, აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს ცხოვრებაში მონაწილე მთავარი სამხედრო-პოლიტიკური ფიგურა იყო.

ფიქრობ, ყოველივე ზემოთქმულიდან სავსებით ნათლად ჩანს, რომ შანშე II აქტიურ სამხედრო-პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა 1293 წლის ახლოხანებიდან და არა XIV საუკუნის დასაწყისიდან, როგორც ამას ვალერი სილოგავა ფიქრობდა.

შანშე II-ის აქტიური სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობის ქრონოლოგიის განსაზღვრის ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხის გარკვევისათვის, თუ როდის დაიკავა მან ათაბაგისა და ამირსპასალარის თანამდებობები.

დღეისათვის დადგენილია, რომ XIII საუკუნის მიწურულს მოღვაწე ათაბაგ-ამირსპასალარი ხუტლუბუღა მანკაბერდელი მონღოლებმა 1293 წლის აგვისტოში დასაჯეს სიკვდილით⁴. პარალელურად ამისა, სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ შანშე II ათაბაგისა და ამირსპასალარის სახელოებს XIII საუკუნის დასაწყისში ფლობდა⁵.

ხუტლუბუღასა და შანშე II-ის ათაბაგ-ამირსპასალარობის დღეისათვის მიღებული ქრონოლოგიის ურთიერთიმარტების გათვალისწინებით, ფიქრობ, ლოგიკურად დაისმის კითხვა: ვის ეკავა აღნიშნული თანამდებობები ხუტლუბუღას სიკვდილით დასჯიდან ანუ 1293 წლიდან ამ სახელოების შანშე II-ისათვის გადაცემამდე ანუ მიღებული ქრონოლოგიით, XIV საუკუნის დასაწყისამდე?

ჩემი დაკვირვებით, აღნიშნულ პერიოდში ანუ 1293 წლიდან 1300-იანი წლების დასაწყისამდე ათაბაგისა და ამირსპასალარის თანამდებობებს შანშე II ფლობდა.

ამგვარი დასკვნისაკენ ლოგიკურად მიბიძგებს 1293 წლის შემდგომ ახლო პერიოდში შედგენილი „ხელმწიფის კარის გარიგების“ ერთი ფრაგმენტი, რომელშიც ამირსპასალართან დაკავშირებული ცნობებია წარმოდგენილი: „ამირსპასალარი საბატო ვეზირი არის და თავადი ლაშქართა; და უმისოდ ქვეყანა არ გაიცემის, არცა ვინ სამამულოდ შეიწყალების; და პატივი მისი

¹ ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, გვ. 652. შდრ.: ჟამთააღმწერელი, გვ. 324.

² ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, გვ. 652. შდრ.: ჟამთააღმწერელი, გვ. 324.

³ ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, გვ. 631. შდრ.: ჟამთააღმწერელი, გვ. 297.

⁴ რ. კიკნაძე, ახალი მასალა XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიისათვის, რ. კიკნაძე, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, I (თბილისი, 1982), გვ. 196; რ. კიკნაძე, ხუტლუბუღა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 11, შინდი-პუხი (თბილისი, 1987), გვ. 519.

⁵ ნ. შოშიაშვილი, ათაბაგი, გვ. 73; ნ. შოშიაშვილი, ამირსპასალარი, გვ. 136.

და მანდატურთუხუცესისა სწორი არის, და ესეც იქნების, რომე ორივე ერთსა ქონდეს. და უფრო შანშეთ სახლისა არის, ესევე ორივე ჰელი ერთსა აქეს და თუ ორთა⁴.

როგორც ვხედავთ, „ხელმწიფის კარის გარიგების“ ციტირებული ფრაგმენტი გვაწვდის ცნობას, რომ ამირსპასალარის სახელოს, უმეტესად, „შანშეთ სახლის“ წარმომადგენლები ანუ მანდატურთუხუცეს შანშე I-ის შთამომავლები ფლობდნენ. ამასთან, განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ტექსტში აღნიშნული ცნობა აწმყო დროშია მოტანილი: „და უფრო შანშეთ სახლისა არის“.

ჩემი დაკვირვებით, ეს ბოლო გარემოება ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ „ხელმწიფის კარის გარიგების“ შედგენის დროს ანუ ილია ანთელავას საფუძვლით მართებული დაკვირვებით, 1293 წლის შემდგომ ახლო პერიოდში², ამირსპასალარის სახელოს „შანშეს სახლის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი ფლობდა. აღნიშნულ პერიოდში კი ამ ფეოდალური საგვარეულოს ის ერთადერთი წარმომადგენელი, რომელსაც შეეძლო, ათაბაგისა და ამირსპასალარის თანამდებობები დაეკავებინა, სხვა არავინ შეიძლება ყოფილიყო, თუ არა შანშე II. მართლაც, დღეისათვის დადგენილია, რომ შანშე II მანდატურთუხუცეს ივანე II-ის უფროსი ვაჟი იყო³. აქედან, ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ივანე II-ის გარდაცვალების შემდეგ ანუ, დაახლოებით, 1293 წლის წინარე ახლოხანებში⁴, „შანშეს სახლის“ თავკაცი შანშე II გახდა. შესაბამისად, სრულებით ცხადია ისიც, რომ თუ ქვეყნის სამეფო კარი გადაწყვეტდა, რომ ათაბაგისა და ამირსპასალარის თანამდებობები მაინცადამაინც „შანშეს სახლის“ წარმომადგენლისათვის გადაეცა, რაც, „ხელმწიფის კარის გარიგების“ თანახმად, ასე მოხდა კიდევ, მაშინ ამ სახელოებს აუცილებლად შანშე II მიიღებდა: ეს უკანასკნელი, როგორც უკვე აღვნიშნე ზემოთ, „შანშეს სახლის“ თავკაცი იყო და შუა საუკუნეების საქართველოში მიღებული ფეოდალური ეტიკეტის თანახმად, ათაბაგისა და ამირსპასალარის თანამდებობების დაკავებაც, მისი, როგორც ოჯახის უფროსის პრეროგატივას წარმოადგენდა.

მაშასადამე, ირკვევა, რომ შანშე II მხარგრძელმა ათაბაგისა და ამირსპასალარის შეწყვეტილებული თანამდებობები დაიკავა 1293 წელს, ათაბაგ-ამირსპასალარ ხუტლუბუღა მანკაბერდელის სიკვდილით დასჯის შემდეგ და არა XIV საუკუნის დასაწყისში, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე იყო მიღებული.

აქვე, დამატებით, აღვნიშნავ იმასაც, რომ ჩემს მიერ მიღებული ბოლო დასკვნა არამხოლოდ აზუსტებს შანშე II-ის ცხოვრება-მოღვაწეობის ცალკეულ საკითხებს, არამედ გარკვეული ქრონოლოგიური კორექტივიც შეაქვს ათაბაგ-ამირსპასალართა ნოდარ შოშიაშვილის მიერ დადგენილი ქრონოლოგიური რიგის XIII საუკუნის ბოლო ოცწლეულისა და XIV საუკუნის I მეხუთედის მომცველ მონაკვეთშიც. აღნიშნულ მონაკვეთს აქამდე ასეთი სახე ჰქონდა:

- ხუტლუბუღა (1289-1293 წწ.).
- შანშე II (XIV ს-ის დასაწყ.)⁵.

ამიერიდან, ხუტლუბუღასა და შანშე II-ის ათაბაგ-ამირსპასალარობის მომცველ მონაკვეთებს შორის არსებული შვიდწლიანი ქრონოლოგიური ლაკუნის (1293-1300 წწ.) საკითხი დღის წესრიგიდან საბოლოოდ იხსნება და ქრონოლოგიური რიგის განსახილველი მონაკვეთი შემდეგი სახით დგინდება:

- ხუტლუბუღა მანკაბერდელი (1289-1293 წწ.).
- შანშე II მხარგრძელი (1293 წ. – დაახლ. 1320 წ.)¹.

¹ ქართული სამართლის ძეგლები, 1, ჰელმწიფის კარის გარიგება, 2, დასტურდამალი, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ (თბილისი, 1970), გვ. 49.

² ი. ანთელავა, „ხელმწიფის კარის გარიგების“ დათარიღებისა და ავტორის შესახებ, ი. ანთელავა, საქართველოს საისტორიო-წაროთმცოდნეობითი ძიებანი (თბილისი, 2002), გვ. 313-314; ი. ანთელავა, შენიშვნები „ხელმწიფის კარის გარიგების“ ტექსტისათვის, ი. ანთელავა, საქართველოს საისტორიო-წაროთმცოდნეობითი ძიებანი (თბილისი, 2002), გვ. 317.

³ შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება..., გვ. 318; ი. ბერიძე, მკარგრძელთა საკვლეობი XII-XIII საუკუნეების..., გვ. 230.

⁴ მანდატურთუხუცეს ივანე II-ის გარდაცვალების ზუსტი დრო უცნობია. წინამდებარე ნაშრომში ვითვალისწინებ, ერთი მხრივ, იმ ფაქტს, რომ ივანე II ჩვენამდე მოღწეულ წერილობით წყაროებში უკანასკნელად ჟამთააღმწერლის „ასწლოვან მატთანეში“ 1284 წელს ირანის ილხანთა მონღოლური სახელმწიფოს ყაენის ტახტზე არღუნის (1284-1291 წწ.) ასვლის ამბების გადმოცემისას არის მოხსენიებული (ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატთანე, გვ. 621. შდრ.: ჟამთააღმწერელი, გვ. 284), ხოლო, მეორე მხრივ, იმ გარემოებას, რომ იმავე ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატთანის“ ცნობით, 1293 წელს აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე დავით VIII-ის ასვლის ამბების გადმოცემისას, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ ფიგურად არა ივანე II, არამედ უკვე მისი ვაჟი – შანშე II ჩანს (ამის შესახებ იხ. ზემოთ) და ივანე II-ის გარდაცვალებას 1284 წლის შემდგომი პერიოდითა და 1293 წლის წინარე ხანებით განვსაზღვრავ.

⁵ 5. შოშიაშვილი, ათაბაგი, გვ. 73; 6. შოშიაშვილი, ამირსპასალარი, გვ. 136.

ამით ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის ახლადგამოვლენილ ეპიტაფიაში მოხსენიებული პირველი პირის – შანშეს ვინაობასთან დაკავშირებული საკითხების ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით შესწავლას საბოლოოდ ვასრულებ. ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად, დგინდება, რომ ვალერი სილოგავას მიერ გამოთქმული მოსაზრება სწორია და ეპიტაფიაში მოხსენიებულია XIII-XIV საუკუნეებში მოღვაწე შანშე II მხარგრძელი, რომელიც ათაბაგისა და ამირსპასალარის სახელოებს, ჩემი კვლევის თანახმად, 1293 წლიდან, დაახლოებით, 1320 წლამდე ფლობდა.

ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის ახლადგამოვლენილ ეპიტაფიაში მოხსენიებული მეორე პირის – ამირახორი თავას ვინაობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რაიმე მოსაზრება აქამდე გამოთქმული არ ყოფილა. აღნიშნული გარემოება გასაკვირი სულაც არ არის, ვინაიდან დღემდე მხოლოდ ორ მკვლევარს მიაჩნდა, რომ ეპიტაფიაში ამირახორის ტიტულის მატარებელი პირია მოხსენიებული და ამ ორი მკვლევრიდანაც ერთ-ერთი – პარჟირ მურადიანი, შეცდომით ფიქრობდა, რომ ამ ამირახორს სახელად ათაბაგი ერქვა, ხოლო მეორე მკვლევარი – ვლადიმერ კეკელია, აგრეთვე, შეცდომით თვლიდა, რომ ეპიტაფიაში ამირახორის სახელი საერთოდ არ არის მითითებული.

ამირახორი თავას შესახებ რაიმე ცნობას ჩემთვის ცნობილ წერილობით წყაროებში, ჯერჯერობით, ვერ მივაკვლიე. შესაბამისად, გამოდის, რომ ეპიტაფიაში მოხსენიებულია აქამდე უცნობი ისტორიული პირი, რომლის შესახებაც წარწერა მხოლოდ სამ პირდაპირ ცნობას გვაწვდის:

1. უცნობ ისტორიულ პირს სახელად თავა ერქვა.

2. იგი ამირსპასალარ შანშე I თუ შანშე II მხარგრძელისადმი დაქვემდებარებული მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელის – ამირახორის თანამდებობას ფლობდა.

3. ამირახორი თავა ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაში იყო დაკრძალული.

ეპიტაფიაში ამირახორი თავას ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროის შესახებ რაიმე პირდაპირი მითითება დაცული არ არის. მიუხედავად ამისა, აღნიშნული საკითხის მიახლოებით გარკვევა რთული ამოცანა არ არის.

ეპიტაფიაში თავა „შანშეს“ ანუ ათაბაგ-ამირსპასალარ შანშე II მხარგრძელის ამირახორად არის მოხსენიებული. ეს გარემოება ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ, ერთი მხრივ, თავა, ხოლო, მეორე მხრივ, XIII საუკუნის ბოლო ათწლეულსა და XIV საუკუნის I მეხუთედში მოღვაწე შანშე II თანამედროვეები იყვნენ.

მაშასადამე, ირკვევა, რომ ამირახორი თავა XIII საუკუნის ბოლო ათწლეულსა და XIV საუკუნის I მეხუთედში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

ამირახორი თავას ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროის განსაზღვრას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს შუა საუკუნეების ქართულ სახელმწიფო-სამოხელეო აპარატსა და ამ აპარატში დასაქმებულ სახელმწიფო მოხელეებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შესწავლისათვის. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია XV საუკუნის წინარე ხანებში ანუ ზევდგინისძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელთა მიერ ამირახორის სამოხელეო წოდების საგვარეულო წოდებად დამკვიდრებამდე პერიოდში ამირახორთა, იგივე მეჯინბეთუხუცესთა ქრონოლოგიური რიგის შევსება-დაზუსტების საკითხი.

ჩვენამდე მოღწეულ წერილობით წყაროებში ამირახორის წოდებით პირველად მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარ სუმბატ I ორბელის უმცროსი ვაჟი ლიპარიტ ორბელი იხსენიება. მეფე თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ XIII საუკუნის დასაწყისში შედგენილი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ მოგვითხრობს, რომ 1161 წელს საქართველოს მეფემ გიორგი III-ემ (1157-1184 წწ.) ციხე-ქალაქ ანისის კედლებთან დაბანაკებულ მუსლიმთა კოალიციურ ლაშქარზე იერიშის მიტანა გადაწყვიტა. ბრძოლის დაწყების წინ მეფემ თავისთან მოიხმო სამი ქართველი სარდალი – ამირახორი ლიპარიტ სუმბატის ძე ორბელი, ბექა სურამელი და ქირქიშ აბულეთისძე და მათ ერთგვარი შეჯიბრი შესთავაზა: იერიშზე გადასულ მეფესა და ხსენებულ სამ სარდალს შორის გამარჯვებულად ის ჩაითვლებოდა, ვინც მტრის მედროშეს პირველი განგმირავდა: „[მეფე გიორგი III-ემ] წარმომთქმელმან უკანასკნელთა ლოცვათამან მოუწოდა ამირახორსა მისსა სუმბატის ძესა ლიპარიტს, ბექასა სურამელსა, ქირქიშს აბულეთის ძესა და სამ ათასთა

¹ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ ათაბაგ-ამირსპასალარი შანშე II მხარგრძელი 1320 წელს გარდაიცვალა (ელ. მეტრეველი, *მასალები იერუსალიმის ქართული...*, გვ. 125; П. Мурадян, Проблема конфессиональной ориентации..., Стр. 58; და სხვ.). საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე აღნიშნულ მოსაზრებას გარკვეული სიფრთხილით ვიზიარებ და წინამდებარე ნაშრომში შანშე II-ის გარდაცვალების ფაქტს სწორედ 1320 წლით განესაზღვრავ.

თანა, მბრძანებელმან, მუნცა ღიმილითა და სიცილითა მღალღებელმან: „მოემენო, ივიცა ვჯობთ, რომელმანცა უმსწრაფეს უხეთქნეთ დროშის მქონესა, და დაცემითა მისითა დავსცეთ ბანაკი...“⁴.

შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, ჯერჯერობით, არ შემიძლია, ვთქვა, თუ ზუსტად როდის მიიღო ამირახორის სახელო ლიპარიტ ორბელმა, თუმცა კი, ვფიქრობ, რომ ამ ფაქტს 1161 წლის წინარე ხანებში ანუ, დაახლოებით, 1150-იან წლებში უნდა ჰქონოდა ადგილი.

შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, ჯერჯერობით, არც იმის თქმა შემიძლია, თუ ზუსტად როდემდე ატარებდა ამირახორის წოდებას ლიპარიტ ორბელი. ამ საკითხთან დაკავშირებით, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ 1177-1178 წლებისათვის ლიპარიტ ორბელს უკვე ქართლის ერისთავის თანამდებობა ეკავა, ამირახორის (მეფინბეთუხუცესის) სახელოს კი მისი ძმისწული ქავთარ ორბელი ფლობდა (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ლიპარიტ ორბელი ამირახორად, დაახლოებით, 1160-1170-იან წლების მიჯნამდე უნდა ყოფილიყო.

ლიპარიტ ორბელი ამირახორის თანამდებობაზე, როგორც ჩანს, მისმა ძმისწულმა, მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარის ივანე II ორბელის ვაჟმა ქავთარ ორბელმა შეცვალა. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ გვაუწყებს, რომ 1177-1178 წლებში, მეფე გიორგი III-ის მიერ მის წინააღმდეგ ამბოხებული ორბელების მთავარი რეზიდენციის – ციხე-ქალაქი ლორესათვის აღყის შემორტყმამდე გარკვეული ხნით ადრე, ქართლის ერისთავი ლიპარიტ სუმბატის ძე ორბელი და მეფინბეთუხუცესი (ამირახორი) ქავთარ ივანეს ძე ორბელი, რომლებსაც თავიანთი სამოხელეო წოდებები იმავე მეფე გიორგი III-ისაგან ჰქონდათ მიღებული, აგრეთვე, ანანია დვინელი, დახმარების სათხოვნელად, „სპარსეთში“, უფრო ზუსტად კი, ახერბაიჯანის ათაბაგთან გაემგზავრნენ: „მაშინ მეფე (მეფე გიორგი III – თ. ჯ.) აგარას მყოფი აღვიდა და მოადგა ლორესა. მუნიდაღმან წარსრულ იყვნეს სპარსეთს ქართლის ერისთავი სუმბატის ძე ლიპარიტ, მეფინბეთ-უხუცესი ქავთარ ივანეს ძე, რომელნი-ესე გიორგისაგანვე იყვნეს კელისუფალნი, და ანანია დვინელი“².

ქავთარ ორბელის მიერ მეფინბეთუხუცესის (ამირახორის) სახელოს მიღების ზუსტი დროის დასახელება, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, ჯერჯერობით, არ შემიძლია, თუმცა კი, ვფიქრობ, რომ მას ამ თანამდებობაზე ლიპარიტ ორბელი, დაახლოებით, 1160-1170-იანი წლების მიჯნაზე უნდა შეეცვალა.

ბევრად უფრო იოლი დასადგენია, თუ, ზუსტად როდემდე ფლობდა მეფინბეთუხუცესის (ამირახორის) სახელოს ქავთარ ორბელი. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ 1177-1178 წლებში მეფე გიორგი III-ისა და ამბოხებულ ორბელებს შორის მიმდინარე სამხედრო დაპირისპირების ამბების გადმოცემისას მოგვითხრობს, რომ მეფემ მის წინააღმდეგ გამოსულ ჰერ დიდებულებთან და მათ მოკავშირეებთან საბრძოლველად სამცხიდან, თორიდან, ქართლიდან და სომხეთიდან გამოყვანილი ლაშქარი, აგრეთვე, თავისი გაზრდილი – მეფინბეთუხუცესი (ამირახორი) ჭიაბერი გაგზავნა: „[მეფე გიორგი III-ემ] გაგზავნა ლაშქარნი, რომელნი დარჩომილ იყვნეს ერთგულად მისად და სხუა თემისა და თემის: მესხნი, თორელნი, ქართლელნი, სომხთარნი და თვთ გაზრდილი მისი მეფინბეთ-უხუცესი ჭიაბერი, და მივიდეს ქუეყანასა ჰერეთისასა“³.

მართალია, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ციტირებულ ფრაგმენტში პირდაპირ არ არის ნათქვამი, თუ როდის და რა ვითარებაში მიიღო მეფინბეთუხუცესის (ამირახორის) წოდება ჭიაბერმა, თუმცა კი, ვფიქრობ, რომ აქ ყველაფერი სავსებით ცხადია: როგორც ჩანს, 1177-1178 წლებში მეფე გიორგი III-ემ მის წინააღმდეგ ამბოხებულ ქავთარ ორბელს მეფინბეთუხუცესის (ამირახორის) სახელო ჩამოართვა და ეს თანამდებობა თავის ერთგულ ჭიაბერს უბოძა. შესაბამისად, ირკვევა ისიც, რომ ქავთარ ორბელი მეფინბეთუხუცესის (ამირახორის) თანამდებობას 1177-1178 წლებამდე ფლობდა.

1177-1178 წლებიდან ამირახორის წოდებას, როგორც უკვე აღვნიშნე, მეფე გიორგი III-ის გაზრდილი ჭიაბერი ატარებდა. ეს უკანასკნელი ამირახორის წოდებით, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ზემოთ ციტირებული ფრაგმენტის გარდა, იმავე თხზულების სხვა ფრაგმენტშიც არის მოხსენიებული. თხზულება მოგვითხრობს, რომ 1184 წელს, როცა მეფე გიორგი III გარდაიცვალა, ციხე-ქალაქი სამშვილდიდან სატახტო ქალაქი თბილისში დაბრუნებულ მეფე თამარსა (1184-1210 წწ.) და მის მამიდას, დედოფალ რუსუდანს სამეფო სასახლეში ქართლის კათო-

¹ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II (თბილისი, 1959), გვ. 8-9. შდრ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გ. კარტოზიამ და ც. კიკვიძემ, ქართლის ცხოვრება (თბილისი, 2008), გვ. 384.

² ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, გვ. 19. შდრ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს..., გვ. 395.

³ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, გვ. 19. შდრ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს..., გვ. 394-395.

ლიკოსი მიქაელ IV მირიანისძე, ეპისკოპოსები, „ვაზირი“ ანუ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ანტონ გლონისთავისძე, მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარი ყუბასარი, მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი, ჩუხჩარხი ვარდან დადიანი, მეჯინბეთუხუცესი (ამირახორი) ჭიაბერი, მსახურთუხუცესი აფრიდონი და სხვა დიდებულები დახვდნენ: „მეფე თამარმა და დედოფალმა რუსუდანმა მიმოიხილეს გარემოს და იხილეს მიქაელ პატრიარქი, ყოველთა ეპისკოპოსითურთ მდგომი, და ვაზირი ანტონი, და ამირსპასალარი ყუბასარი, და სხუანი კელისუფალნი: ყუთლუ-არსლანი მეჭურჭლეთ-უხუცესი, ვარდან დადიანი ჩუხჩარხი, ჭიაბერი მეჯინბეთ-უხუცესი, აფრიდონ მსახურთ-უხუცესი... და დიდებულნი, აზნაურნი, მონანი და მოყმენი...“¹.

ჭიაბერის ამირახორობა 1184 წლის შემდეგ დიდხანს აღარ გაგრძელებულა. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ცნობით, 1185 წელს მეფე თამარმა ჭიაბერი სახელმწიფო იერარქიაში დააწინაურა და მას მანდატურთუხუცესის თანამდებობა უბოძა: „მეფე თამარმა განაჩინა და უბოძა ჭიაბერსა მანდატურთ-უხუცესობა, და მისცა არგანი ოქროსა კვლსა მისთა, და შთა-აცუეს ტანსა მისსა სკარამანგი, და დასუეს სელებითა ოქრო-ჭედილითა...“².

იმავე 1185 წელს მეფე თამარმა ამირახორის გამოთავისუფლებული სახელო გამრეკელ თორელს გადასცა. ეს ფაქტი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ პირდაპირ არის აღნიშნული: „მეფე თამარმა უბოძა ამილახორობა გამრეკელსა თორელსა...“³.

გამრეკელ თორელის ამირახორობა სულ ორ წელიწადს გაგრძელდა. 1187 წელს ამირსპასალარი სარგის მხარგრძელი გარდაიცვალა და მისი თანამდებობა გამრეკელ თორელმა დაიკავა. აქვე, აღნიშნავ, რომ გამრეკელ თორელის მიერ ამირსპასალარობის მიღების ფაქტი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ არა 1187 წლის მოვლენების გადმოცემისას, არამედ 1185 წლის ამბების მოთხრობისას, წინმსწრებად არის აღნიშნული: „მეფე თამარმა უბოძა ამილახორობა გამრეკელსა თორელსა, რომელი ამირსპასალარცა იქმნა შემდგომად სარგის მკარგრძელისა“⁴.

სამწუხაროდ, ჩვენამდე მოღწეული წერილობითი წყაროებიდან არ ჩანს, თუ ვინ დაიკავა ამირახორის თანამდებობა გამრეკელ თორელის მიერ შემდეგ. უფრო მეტიც, დღეისათვის, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, ისიც კი უცნობია, თუ ვინ ფლობდა ამირახორის სახელოს 1187 წლიდან თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში.

XIII საუკუნის II ნახევრიდან ქართულ წერილობით ძეგლებში ამირახორების შესახებ ცნობები ისევ ჩნდება. აქ, პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს IX საუკუნის ბერძნული ხელნაწერი წიგნის – კორიდეთის ოთხთავისათვის დართული, 1266-1270 წლებით დათარიღებული ქართული მინაწერი დოკუმენტი – ჟან ჩიასძის დაწერილი კორიდეთის ღმრთისმშობლისადმი, რომელიც მოგვითხრობს, რომ ამირახორმა ჟან ჩიასძემ ქართველი ფეოდალების – ღობიარების მიერ კორიდეთის ტაძრიდან გატაცებული ოთხთავი უკან დაიბრუნა და კვლავ კორიდეთის ეკლესიას შესწირა: „[...] [დაგიწერე] დაწერილი ესე თქვენ, ყოვლად წმიდასა ღმრთისმ[შო]ბელსა კორიდეთისასა მე, ჟანმან ჩიასძემან] – ამირსპასაჰლისა ამირახორმან, მ[ას] [ჟამ]სა, ოდეს პატრონისა ჩემისა, ამირს[პასა]ჰლისა წყალობითა მქონდა [დ]ურჩსა მ[ამ]ული[თ] ორთავე მეფეთაგან: თუით დავით მეფეთა [მეფისაგან და ბ[ერძ]დ[ენ]თა მეფისა გიორგისაგან, [პა]ტრონისა ჩემისა წყალობითა. დ[ამ]წიწუეს ღობ[იერ]თ ესე კორიდეთი. მ[ას] [ჟამ]სა ოდ[ეს]ს ოთხთავი წაიღეს და ეკლესი[ა] გატეხეს, მე ჟანმან-გ[ემ] მოვჰკიდე კელი და ამავე ეკლესიასა დავედე“⁵.

ჟან ჩიასძის ამირახორობის ზუსტი ქრონოლოგიის განსაზღვრა, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, ჯერჯერობით, არ შემოიძლია, თუმცა კი, ვფიქრობ, რომ იგი ამირახორის თანამდებობას 1266-1270 წლების ციტირებული მინაწერი დოკუმენტის გაცემის ახლოხანებში ანუ, დაახლოებით, 1260-1270-იან წლებში ფლობდა.

ჩემთვის ცნობილი წერილობითი ძეგლების მიხედვით, ჟან ჩიასძის მომდევნო ამირახორი იყო ნავროზ აბაზასძე, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მეფის დავით VIII-ის მიერ გრიგოლ ჭარმაულისათვის ნაბოძები 1297-1298 წლების სიგელის №3 დამოწმებაში ამირეჯიბისა და

¹ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, *ქართლის ცხოვრება*, გვ. 25. შდრ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს..., გვ. 400.
² ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, *ქართლის ცხოვრება*, გვ. 33. შდრ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს..., გვ. 408.
³ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, *ქართლის ცხოვრება*, გვ. 33. შდრ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს..., გვ. 408.
⁴ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, *ქართლის ცხოვრება*, გვ. 33. შდრ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს..., გვ. 408.
⁵ *კორიდეთის საბუთები (X-XIII საუკუნეები)*, გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ (თბილისი, 1989), გვ. 31. მინაწერი დოკუმენტის აქ წარმოდგენილი დათარიღება – 1266-1270 წლები ნესტან ბაგაურს ეკუთვნის (ნ. ბაგაური, „დავით მეფეთა მეფის“ იდენტიფიკაციისათვის (კორიდეთის ოთხთავის მინაწერი ჟან ჩიას ძისა), *ბიზანტიოლოგია საქართველოში* – 3, ქდვნება აკადემიკოს გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დაარსების 50-ე წლისთავს, რედაქტორები: ნ. მახარაძე, ნ. სულავა, I (თბილისი, 2011), გვ. 52-59).

ამირახორის შეწყვილებული სამოხელეო წოდებებით არის მოხსენიებული: „[№3]. ქ. ღმრთის სწორთა ბრძანების მოწამე ვარ მიწაი ამირე[ჯი]ბი და ამირახორი ნავროზ აბაზასძე“¹.

ნავროზ აბაზასძის მიერ ამირახორის თანამდებობის მიღების ზუსტი დროის დასახელება, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, ჯერჯერობით, არ შემოიძლია, თუმცა კი, ვფიქრობ, რომ მას ამირახორის სახელო 1297-1298 წლების დოკუმენტის შედგენის წინარე ხანებში, დაახლოებით, 1290-იან წლებში უნდა მიეღო.

რაც შეეხება იმ საკითხს, თუ როდემდე ფლობდა ამირახორის თანამდებობას ნავროზ აბაზასძე, ამის შესახებ ცნობას გრიგოლ ბანდაისძის მიერ 1403/1404-1422 წლებში შედგენილი ცხრაზმის ერისთავთა საგვარეულო მატიანის „ძეგლი ერისთავთას“ ერთ-ერთი ფრაგმენტი გვაწვდის. თხზულება მოგვითხრობს, რომ მეფე დავით VIII-ის ვაჟის – აღმოსავლეთ საქართველოს მეფის გიორგი VI მცირის (1308, 1314-1318 წწ.) აღსაყდრებისთანავე ანუ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული ქრონოლოგიის თანახმად, 1308 წელს, ქართველი ფეოდალი ნავროზ აბაზასძე, რომელიც, ცხადია, იგივე 1297-1298 წლების სიგელის №3 დამოწმებაში მოხსენიებული ამირეჯიბი და ამირახორი ნავროზ აბაზასძეა, „სპარსეთში“, სავარაუდოდ, ირანის ილხანთა მონღოლურ სახელმწიფოში გაიქცა. მეფე გიორგი VI-ემ ცხრაზმის ერისთავს შალვა I ქვენიფნეველს, რომელიც აბაზასძეთა ფეოდალურ სახლთან ადრიდგანვე დაპირისპირებული იყო, ნავროზ აბაზასძის კუთვნილი ღოწობნის ციხისათვის ალყის შემორტყმა უბრძანა. შალვა I-მა ხუთდღიანი სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ ღოწობნის ციხე აიღო და იქ მოაღაფებული ორი „ფრიად შუენიერი ხატი“ საკუთარ საგვარეულო საძვალეში – ღარგვისის მონასტერში წაასვენა: „მაშინ დაიპყრა მეფობაჲ გიორგი, ძემან დავითისმან. ხოლო აბაზასძე ნავროზ წარვიდა სპარსეთად. მაშინ მეფემან უბრძანა შალვას მოღვომად ციხესა ღოწობნისასა. მაშინ შალვა მოადგა ღოწობანს და პბრძოდა სასტიკად ოთხ დღე და მეხუთესა დღესა აიღო იგი. მაშინ მოიყვანნა ორნი ხატნი ფრიად შუენიერნი“².

ვფიქრობ, „ძეგლი ერისთავთას“ ციტირებულ ფრაგმენტზე დაყრდნობით, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ 1308 წელს „სპარსეთში“ გაქცეული ნავროზ აბაზასძე, რომლის კუთვნილი ღოწობნის ციხეც მეფე გიორგი VI-ის ბრძანებით აიღეს და გაძარცვეს, ამ ამბის შემდეგ ამირეჯიბისა და ამირახორის სახელოებს ვეღარ შეინარჩუნებდა და სამეფო კარი მას ამ თანამდებობებს აუცილებლად ჩამოართმევდა. შესაბამისად, ნავროზ აბაზასძის ამირახორობის ზედა ქრონოლოგიური მიჯნა 1308 წლით უნდა განისაზღვროს.

აღნიშნული დასკვნის მართებულობას, ერთი მხრივ, მთლიანად ადასტურებს, ხოლო, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად აზუსტებს „ძეგლი ერისთავთას“ კიდევ ერთი ფრაგმენტი, რომელშიც სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, 1308 წლის წინარე ხანების, უფრო ზუსტად კი, 1302 წლის მოვლენებია გადმოცემული. აღნიშნული ფრაგმენტი მოგვითხრობს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეებს – დავით VIII-სა და ვახტანგ III-ეს (1298, 1302-1308 წწ.) შორის მიმდინარე რამდენიმეწლიანი სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირება ვახტანგ III-ის გამარჯვებით დასრულდა. ამ უკანასკნელმა დავით VIII ხევში მდებარე გველეთის ციხიდან გამოიყვანა და საგანმგებლოდ ჯავახეთის პროვინცია და მისი ერთ-ერთი ცენტრი – ალასტანი გადასცა, თავის ერთგულ თანამებრძოლს, ზემოთ უკვე ნახსენებ შალვა I ქვენიფნეველს კი, გაწეული სამსახურის სანაცვლოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა ხევები და სოფლები უბოძა. ვახტანგ III-ემ შალვა I-ს გადასცა „აბაზასძეთა მამულიც“ ანუ აბაზასძეთა ფეოდალური სახლის კუთვნილი ციხეები, სოფლები, ყმა-მამულები და სხვ., რომელთა ძეგლი პატრონებიც – XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ჭილა და ნავროზ აბაზასძეები, როგორც ანონიმი ქართველი ჟამთააღმწერლის მიერ 1336 წლის შემდგომ ხანებში შედგენილი „ასწლოვანი მატიანიდან“, აგრეთვე, ზემოთ ციტირებული 1297-1298 წლების სიგელის საბუთიდან ჩანს, დამარცხებული დავით VIII-ის უპირველესი მომხრეები და ერთგული

¹ ქართული ისტორიული საბუთების..., გვ. 185. ის ფაქტი, რომ ნავროზ აბაზასძე ციტირებულ დოკუმენტში ამირეჯიბად და ამირახორად არის მოხსენიებული, უადრესად საინტერესო მოვლენას წარმოადგენს. აღნიშნული ფაქტიდან ირკვევა, რომ ნავროზი ერთსა და იმავე დროს ქვეყნის ორ, პარალელურ სავაზირო უწყებაში თითო მაღალ თანამდებობას ფლობდა და ერთდროულად, ორი სხვადასხვა ვაზირის – მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის თანაშემწე იყო. საინტერესოა, როგორ უთავსებდა ნავროზ აბაზასძე ერთმანეთს ამირეჯიბისა და ამირახორის მოვალეობების შესრულებას. გარდა ამისა, საინტერესოა ისიც, თუ, სახელდობრ, რაზე მიუთითებს ნავროზის მიერ ამირეჯიბისა და ამირახორის სახელოების ერთდროულად ფლობის ფაქტი – იმაზე ხომ არა, რომ XIII საუკუნის მიწურულს აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს ცენტრალური მმართველობის სისტემა იმდენად იყო მოშლილ-მორღვეული, რომ ამირეჯიბობა და ამირახორობა მარტოოდენ ფორმალურ წოდებებსა წარმოადგენდა და ამ, ოდესღაც მნიშვნელოვან სახელმწიფო თანამდებობებს რაიმე რეალური შინაარსი უკვე დაკარგული ჰქონდა?

² ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო შ. მესხიამ, *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, 30 (თბილისი, 1954), გვ. 348.

თანამებროლები იყვნენ¹: „მაშინ მისცა ვახტანგ დავითს ჯავახეთი და ალასტანი და გამოიყვანა გუგულით... მაშინ მეფემან მიუბოძა შალვას თრუსუი, ღუღაჲ, გაგასქენი, მლეოთე, არაჯუეთი, ჭანდოჲ, ყანჩათი, აბაზასქეთა მამული, ძაგნაკორნანი, დიდუამი, გავაზი [...] აწერისკვეი, ბეკუშე, და ყოველთა დიდებულთა მისთა უმჯობეს ხედვიდა“².

როგორც ვხედავთ, „ძველი ერისთავთა“ ციტირებული ფრაგმენტი პირდაპირ გვაუწყებს, რომ 1302 წელს აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტისათვის მიმდინარე შიდადინასტიურ დაპირისპირებაში გამარჯვებულმა მეფე ვახტანგ III-ემ დამარცხებული მეფე დავით VIII-ის მომხრე ფეოდალებს – აბაზასქეებს მათი კუთვნილი მამულები ჩამოართვა და ეს მამულები თავის ერთგულ ფეოდალს – შალვა I ქვენიფნეველს გადასცა. აქვე, ხაზგასმით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ 1302 წელს მეფე ვახტანგ III-ემ შალვა I ქვენიფნეველს აბაზასქეთა მამულების მხოლოდ ერთი ნაწილი გადასცა, მამულების მეორე ნაწილი კი კვლავ ძველი პატრონების საკუთრებაში დატოვა. სწორედ მამულებს ამ, მეორე ნაწილს მიეკუთვნებოდა ღოწობნის ციხე, რომელიც, როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ, 1308 წლამდე ნაგროზ აბაზასქის მფლობელობაში იყო.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ვფიქრობ, სრულებით ცხადია, რომ ვახტანგ III მასთან დაპირისპირებაში დამარცხებულ ნაგროზ აბაზასქეს ამირეჯიბად და ამირახორად აღარ დატოვებდა, მას დასახელებულ მაღალ თანამდებობებს იმავე 1302 წელს ჩამოართმევდა და ამ სახელელებს თავის მომხრე ფეოდალებს გადასცემდა.

მაშასადამე, ირკვევა, რომ ნაგროზ აბაზასქემ ამირახორის თანამდებობა არა 1308 წელს, არამედ კიდევ უფრო ადრე, 1302 წელს დაკარგა.

XV საუკუნის წინარე ხანებში მოღვაწე აქამდე ცნობილი ბოლო ამირახორი ცხრაზმის ერისთავი ქვენიფნეველ I ქვენიფნეველი იყო. იგი ამირახორის (ამილახორის) წოდებით ჩვენამდე მოღწეულ ორ წერილობით წყაროშია მოხსენიებული. ესენია: 1. იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის კუთვნილი, XI საუკუნის II ნახევარში გადაწერილი სვინაქსრისათვის (Jer.24-24) დართული №291 ალაპი, რომელიც XIV საუკუნის ბოლო მეოთხედით თარიღდება; და 2. ნიკოლოზ კატარაწისძის მიერ გადაწერილი XIII საუკუნის ოთხთავისათვის (A-26) დართული ქვენიფნეველთა ფეოდალური სახლის საოჯახო მოსახსენებელი, რომელიც, ჩემი დაკვირვებით, ვირშელ II ქვენიფნეველის ერისთავობის პერიოდში ანუ დაახლოებით, 1390-1410-იან წლებში ჩანს შედგენილი. მოვიტან დასახელებული წერილობითი წყაროების შესაბამის ფრაგმენტებს:

1. №291 ალაპი: „[*თუესა აგვსტოსა ი და ია*]... *ამ(ა)სვე დღ(ე)სა წირვა და აღ(ა)პი საუკუნო ამ(ი)ლ(ა)ხ(ლ)რისა ქუნიფნე(ე)ლისა, გ(ა)ნ(უ)ს(უ)ნ(ო)ს დმერთმან*“³.

2. ქვენიფნეველთა მოსახსენებელი: „*სულსა... ამირახორისა და ერისთავისა ქუწნიფნეველისასა შ(ე)უნდუნენ დ(მერთმან)*“ (ქარაგმის გახსნა ჩემია – თ. ჯ.)⁴.

ქვენიფნეველ I ქვენიფნეველის მიერ ამირახორის სახელის მიღების ზუსტი დროის დასახელება, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, ჯერჯერობით, არ შემიძლია. რაც შეეხება მისი ამირახორად დადგენის მიახლოებით ქრონოლოგიას, აქ ვითვალისწინებ იმ გარემოებას, რომ ქვენიფნეველ I-მა ცხრაზმის ერისთავის თანამდებობა, სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, 1350-იან წლებში დაიკავა⁵ და მის მიერ ამირახორის წოდების მიღების მიახლოებით დროსაც იმავე 1350-იანი წლებით განვსაზღვრავ.

¹ ჟამთააღმწერელის „ასწლოვანი მატიანე“ პირდაპირ გვამცნობს, რომ ყაენი ყაზანის მიერ მეფე დავით VIII-ის დასამორჩილებლად გამოგზავნილი ლაშქრის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემოჭრის დროს მეფეს, მსახურთუხუცესს და ქართლის ერისთავს ჰამადა სურამელთან ერთად, პირველ რიგში, სწორედ ნაგროზ აბაზასქის მამამ ან უფროსმა ძმამ, ჭილა აბაზასქემ უერთგულა: „ხოლო მეფე ციკარეს იყო. დაამტკიცეს და დადგეს ერთგულობასა მეფისასა სურამელი ჰამადა, ამირეჯიბი აბაზას ქილა და აზნაურნი ქართველნი და სომხითარნი, და დიდი ერთგულობა აჩუენეს“ (ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, გვ. 638. შდრ.: ჟამთააღმწერელი, გვ. 305). ჟამთააღმწერლის ამ ცნობის მართებულობას დოკუმენტურად ადასტურებს დავით VIII-ის მიერ გრიგოლ ჭარმაული-სათვის ნაბოძები 1297-1298 წლების სიგელი, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გახიზნულ მეფესთან ერთად მყოფი მაღალი რანგის საეკლესიო თუ სახელმწიფო მოხელეებიდან, ქართლის კათოლიკოსის აბრაჰამ I-ისა (დაახლ. 1282-1310 წწ.) და ზემოთ უკვე ნახსენები ჰამადა სურამელის გარდა, მხოლოდ ჭილა და ნაგროზ აბაზასქეები ამტკიცებენ: №2 დამტკიცება: „*ქ. დმრთის სწორთა ბრძანების მოწამე ვარ მიწაი მუაბჯრეთაუხუცესი ჭილაი აბაზასქე*“ (ქართული ისტორიული საბუთების..., გვ. 185); და №3 დამტკიცება: „*ქ. დმრთის სწორთა ბრძანების მოწამე ვარ მიწაი ამირეჯიბი და ამირახორი ნაგროზ აბაზასქე*“ (იქვე, გვ. 185).

² ძველი ერისთავთა..., გვ. 348.

³ ელ. მეტრეველი, მსალები იერუსალიმის ქართული..., გვ. 106.

⁴ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I, შეადგინეს და დასაბუჟდად მოამზადეს: თ. ბრეგვაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედაქციით (თბილისი, 1973), გვ. 89.

⁵ გ. არახაძია, ძველი ქართული საგვარეულო მატიანეები (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა) (თბილისი, 1988), გვ. 94-95; მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში (თბილისი, 2003), გვ. 202-203. შდრ.: ელ. ღუნაშვილი, ქნის სა-ერისთავოს პოლიტიკური ისტორია (VI საუკუნის 70-იანი წლებიდან 1777 წლის ჩათვლით) (თბილისი, 2005), გვ. 71-72, 81.

ქვენიფნეველ I ქვენიფნეველი ამირახორის სახელს 1373 წლამდე ფლობდა. მითითებულ წელს მან „მეფე გიორგის“ ანუ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, პროვინციის მეფე ანდრონიკეს ვაჟს, იმხანად საქართველოს მეფე გიორგი ალასტანელსა და „ხოხია ბაიდარის ძეს“ ანუ ვაჟა კიკნაძის აზრით, თურქმან ამირა ხაჯიმირ ბაირამის ძეს შორის გამართულ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა და მეფე გიორგისა და სხვა ქართველი დიდებულების მსგავსად, ბრძოლის ველზე დაიღუპა: „ამბთ ჟამთა მოვიდეს თურქნი წინაძლომითა ბაიდარის ძისა ხოხიადხითა და მოკლეს მეფე გიორგი და ყოველნი მთავარნი და დიდებულნი ქართველნი. და მუნ(ვე) მოკუდა ერისთავი ქვენიფნეველი [ქრონიკონი: ԺԾ (1373 წ.)]“¹.

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ აქამდე სამეცნიერო ლიტერატურიდან XV საუკუნის წინარე ხანებში მოღვაწე სულ შვიდი ამირახორის, იგივე მეჯინბეთუხუცესის ვინაობა იყო ცნობილი. ესენი არიან:

1. ლიპარიტ ორბელი (1150-იანი წწ. – 1160-1170-იანი წწ-ის მიჯნა).
2. ქავთარ ორბელი (1160-1170-იანი წწ-ის მიჯნა – 1177-1178 წწ.).
3. ჭიაბერი (1177-1178 წწ. – 1185 წ.).
4. გამრეკელ თორელი (1185-1187 წწ.).
5. ჟან ჩიასძე (დაახლ. 1260-1270-იანი წწ.).
6. ნავროზ აბაზასძე (1290-იანი წწ. – 1302 წ.).
7. ქვენიფნეველ I ქვენიფნეველი (1350-იანი წწ. – 1373 წ.).

ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაში გამოვლენილი ეპიტაფიის მართებულად წაკითხვის შემდეგ სამეცნიერო საზოგადოებისათვის ცნობილი ხდება კიდევ ერთი, აქამდე უცნობი ამირახორის ვინაობა, რომლის ჩათვლითაც XV საუკუნის წინარე ხანებში მოღვაწე დღეისათვის ცნობილი ამირახორების საერთო რაოდენობა რვას აღწევს.

იმისათვის, რათა თავას სახელი ამირახორთა ჩემს მიერ დადგენილ, ზემოთ მოტანილ ქრონოლოგიურ რიგში შევიტანოთ და ამ ქრონოლოგიურ რიგს კიდევ უფრო შევსებულ-დაზუსტებული სახე მივცეთ, საჭიროა, მეტნაკლებად ზუსტად განვსაზღვროთ, როდის ფლობდა იგი ამირახორის თანამდებობას.

დავიწყოთ იმით, რომ ეპიტაფიის თანახმად, თავა „შანშეს“ ანუ ათაბაგ-ამირსპასალარ შანშე II მხარგრძელის ამირახორი იყო. შესაბამისად, სრულებით ცხადია ისიც, რომ თავას ამირახორის თანამდებობა შანშე II-ის ამირსპასალარობის დროს ეჭირა. ხოლო, თუ აქ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შანშე II ათაბაგ-ამირსპასალარის სახელოებს 1293 წლიდან, დაახლოებით, 1320 წლამდე ფლობდა, მაშინ ლოგიკურად მივალთ იმ დასკვნამდეც, რომ თავას ამირახორის თანამდებობა იმავე 1293-1320 წლებში ეკავა.

მიღებულ ქრონოლოგიურ მონაკვეთს, რომელიც თითქმის საუკუნის მესამედს მოიცავს, მნიშვნელოვნად ავიწროვებს აქამდე ცნობილ ამირახორთა მოღვაწეობის დროზე დაკვირვება. მე უკვე ვაჩვენე ზემოთ, რომ 1290-იანი წლებიდან 1302 წლამდე ანუ შანშე II-ის ამირსპასალარობის პირველ ათწლეულში ამირახორის სახელს ნავროზ აბაზასძე ფლობდა. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, დგინდება, რომ ეპიტაფიაში მოხსენიებული თავა ამირახორის თანამდებობას 1302 წელზე ადრე ვერ დაიკავებდა და ამიტომ მისი ამირახორობის ქვედა ქრონოლოგიური მიჯნა 1302 წლით უნდა განისაზღვროს.

თავას ამირახორობის ზედა ქრონოლოგიური მიჯნის განსაზღვრაში დახმარებას გვიწევს ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე ამოკვეთილი, ზემოთ უკვე არაერთგზის ნახსენები 1310 წლის სომხური წარწერა, რომელიც მოგვითხრობს, რომ 1310 წელს ათაბაგ-ამირსპასალარმა „შაჰნშაჰმა“ ანუ შანშე II მხარგრძელმა „მონასტერი“ ანუ გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის შემცველი სავანე საკუთრებაში გადასცა თავის მწიგნობართუხუცეს მათეს, რომელმაც, მეუღლესთან – სთენთან და ძმასთან – მარკოზთან ერთად, აღადგინა და განაახლა მონასტრისათვის განკუთვნილი, იმხანად მოშლილი წყალსადენი, რომელიც, თავის დროზე, ტიგრანის ანუ გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის აღმშენებლის – XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ანისელი ვაჭრის ტიგრან ჰონენცის მიერ იყო გაყვანილი: *“В лето (759 (=1310)). Я – мцигнобартухуцес атабага-амирспасалара Шахншаха Матэ, и моя супруга – Стэни, и мой брат – Маркос. В настоящее время, когда парон смилостивился, нам передал сей*

¹ ძველი ერისთავთა..., გვ. 354. 1373 წლის ბრძოლასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები ახლებურად არის გააზრებული ვაჟა კიკნაძის მიერ 2014 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ძველი ერისთავთას“ ერთი ადგილის განმარტებისათვის („ხოხია ბაიდარის ძე“) და პოლიტიკური სიტუაცია XIV საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში“ (ვ. კიკნაძე, „ძველი ერისთავთას“ ერთი ადგილის განმარტებისათვის („ხოხია ბაიდარის ძე“) და პოლიტიკური სიტუაცია XIV საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, საქართველოს უნივერსიტეტის V ყოველწლიური კონფერენცია პუბლიცარულ მეცნიერებებში, 19 მაისი, 2013 (თბილისი, 2014), გვ. 137-146.

монастырь, в который ранее богоугодный Тигран провел воду, но из-за безначалия [водоснабжение] было нарушено и прекращено. Во имя долгоденствия парона Шахншаха и Хундзи и их сына Закара и ради памяти наших душ, мы привели воду сию и утвердили. Помяните во христе”¹.

ჩემი დაკვირვებით, ის გარემოება, რომ გრიგოლ განმანათლებლის ეკლესია და მონასტერი 1310 წელს მწიგნობართუხუცეს მათეს ოჯახის საგვარეულო საკუთრება გახდა, ლოგიკურად გვიბიძგებს იმ დასკვნისაკენ, რომ, იმავე 1310 წელს ამირახორი თაყა უკვე გარდაცვლილი იყო. მართლაც, აღნიშნულ ეკლესიაში თაყას საფლავი შეიძლება გაჩენილიყო მხოლოდ და მხოლოდ იმ პერიოდში, როცა ტაძარი და მონასტერი არა რომელიმე სხვა არისტოკრატიული საგვარეულოს, ამ შემთხვევაში, მწიგნობართუხუცეს მათეს ოჯახის, არამედ თავად თაყასა და მისი ფეოდალური სახლის მფლობელობაში იყო. სხვა შემთხვევაში, ცხადია, თაყას არავინ მისცემდა იმის უფლებას, რომ თავის საუკუნო განსასვენებლად გრიგოლ განმანათლებლის ეკლესია ექცია და თანაც, საკუთარი საფლავი ტაძრის ყველაზე გამორჩეულ ადგილას – ეკლესიის მთავარ ნავში, უშუალოდ საკურთხეველთან, პირდაპირ აღსავლის კარის წინ მოეწყო.

ჩემს ამ დასკვნასთან დაკავშირებით, ლოგიკურად დაისმის კითხვა – იქნებ ამირახორი თაყა მწიგნობართუხუცეს მათეს ოჯახის წევრი იყო და გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაშიც ამიტომ დაკრძალეს?

დასმულ კითხვაზე, პრაქტიკულად, პირდაპირ პასუხს გვაძლევს, ერთი მხრივ, ზემოთ დადგენილი ის ფაქტი, რომ თაყა ამირახორის თანამდებობას 1302-1320 წლებში ფლობდა, ხოლო, მეორე მხრივ, ის გარემოება, რომ 1310 წლის წარწერაში თაყა საერთოდ არ არის მოხსენიებული. ვფიქრობ, სავსებით ცხადია, რომ 1302-1320 წლებში მოღვაწე თაყა მწიგნობართუხუცეს მათეს ოჯახის წევრი არ იყო, რადგან, საპირისპირო შემთხვევაში, მას აუცილებლად მოიხსენიებდნენ 1310 წლის წარწერაში, რომელშიც, მათეს გარდა, მისი ოჯახის წევრებიც – მეუღლე – სთენი და ძმა – მარკოზი არიან მოხსენიებული.

თეორიულად, აქ შეიძლება გაჩნდეს კიდევ ერთი კითხვა – იქნებ ამირახორი თაყა მწიგნობართუხუცეს მათეს ოჯახის წევრი იყო, ოღონდ იგი 1310 წლის წარწერის შედგენის წინარე ხანებში გარდაიცვალა და მისი სახელიც ამიტომ არ არის მოხსენიებული წარწერაში?

საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ ზემოთ დასმული კითხვის მსგავსად, არც ამ კითხვაზე პასუხის გაცემაა რთული საქმე. მართლაც 1310 წლის წარწერაში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ მწიგნობართუხუცეს მათეს ფეოდალურ სახლს გრიგოლ განმანათლებლის ეკლესია და მონასტერი სწორედ ამ წარწერის შედგენის დროს გადაეცა. შესაბამისად, სრულებით ცხადია ისიც, რომ მათეს ოჯახის 1310 წლის წინარე ხანებში გარდაცვლილ ერთ-ერთ წევრს, მოცემული დაშვების შემთხვევაში, ამირახორ თაყას, გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაში არ დაკრძალავდნენ, რადგან იმ პერიოდში ეს ტაძარი არა მათეს საგვარეულოს, არამედ სულ სხვა სუბიექტის მფლობელობაში იყო.

დასასრულ, აღვნიშნავ იმასაც, რომ ამირახორ თაყას მწიგნობართუხუცესი მათეს ფეოდალური სახლის წევრად გამოცხადება კიდევ ერთი გარემოებასთან მოდის გარკვეულ წინააღმდეგობაში. დღეისათვის ჰნევეანქის, ქობაირისა და ანისის ლაპიდარული წარწერებიდან ცნობილია მათეს ოჯახის სამი თაობის ექვსი წარმომადგენელი: 1. მათეს მამა – ჰნევეანქის მონასტრის №8 ქართულ ლაპიდარულ წარწერაში მოხსენიებული მამათმთავარი გიორგი²; 2. მათეს დედა – ჰნევეანქის მონასტრის №5 ქართულ ლაპიდარულ წარწერაში მოხსენიებული მართა³; 3. თავად მწიგნობართუხუცესი მათე, რომელიც მოხსენიებულია ქობაირის მონასტრის №19 და №31 და ჰნევეანქის მონასტრის №8 და №5 ქართულ ლაპიდარულ წარწერებში⁴, აგრეთვე, ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის 1310 წლის სომხურ ლაპიდარულ წარწერაში (იხ. ზემოთ); 4. მათეს ძმა – გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის 1310 წლის სომხურ ლაპიდარულ წარწერაში მოხსენიებული მარკოზი (იხ. ზემოთ); 5. მათეს მეუღლე – ქობაირის მონასტრის №19 ქართულ ლაპიდარულ წარწერასა⁵ და გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის 1310 წლის სომხურ ლაპიდარულ

¹ П. Мурадян, Проблема конфессиональной ориентации..., Стр. 58. შდრ.: „წელსა ჩწო (=1310) მე, ათაბაგ-ამირსპასალარ შანშეს მწიგნობართუხუცესი მათეს და ჩემი მეუღლე სთენი და ჩემი ძმა მარკოზი. ამ დროს, როცა პარონი გულმოწყალე იქნა, ვადმოვეცა ჩვენ სხენებული მონასტერი, რომელშიც ადრე ღვთისნიერმა ტიგრანმა წყალი გაიყვანა, მაგრამ უთაობისაგან [წყლით მომარაგება] დაირღვა და შეწყდა. პარონ შანშესა და [მისი მეუღლის] ხუანდზის და მათი ძის ზაქარის მრავალკამიერობისა და ჩვენი სულების ხსოვნისათვის, ჩვენ გაიყვანეთ ეს წყალი და გაავამტკიცეთ. მოვეხსენიეთ ქრისტეში“ (ვლ. კეკელია, ანისის ტიგრან ჰონენცის..., გვ. 105).

² თ. ჯოჯუა, გ. გაგოშიძე, ქობაირის, ჰნევეანქისა და ახტალის..., გვ. 312-316.

³ იქვე, გვ. 316-317.

⁴ იქვე, გვ. 280-283, 312-317.

⁵ იქვე, გვ. 280-282.

წარწერაში (იხ. ზემოთ) მოხსენიებული თენი (სთენი); და 6. მათეს ვაჟი – ქობაირის მონასტრის №31 ქართულ ლაპიდარულ წარწერაში მოხსენიებული ასაფი¹.

როგორც ვხედავთ, მწიგნობართუხუცეს მათეს ფეოდალური ოჯახის წევრთა შორის ამირახორი თაყა მოხსენიებული არ არის, რაც, ცხადია, არ ადასტურებს იმ დაშვებას, რომ თაყა მათეს ოჯახის წევრი იყო და საპირისპიროდ ამისა, უფრო იმ მოსაზრებისაკენ გვიბიძგებს, რომ თაყა სულ სხვა ფეოდალურ სახლს ეკუთვნოდა.

ჩემს მიერ შემოთავაზებულ იმ დასკვნასთან დაკავშირებით, რომ 1310 წელს, გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიისა და მონასტრის მწიგნობართუხუცეს მათეს ოჯახისათვის გადაცემის დროს, ამირახორი თაყა უკვე გარდაცვლილი იყო, ზემოთ დასმული და პასუხგაცემული ორი კითხვის გარდა, შეიძლება დაისვას კიდევ ერთი კითხვა – იქნებ გრიგოლ განმანათლებლის ეკლესია თაყას ფეოდალური სახლის კუთვნილება 1310 წლის შემდგომ პერიოდში გახდა და შესაბამისად, ამ ტაძარში დაკრძალული თაყას გარდაცვალებასაც, აგრეთვე, 1310 წლის შემდგომ პერიოდში ჰქონდა ადგილი?

დასმულ კითხვაზე მსჯელობისას, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თაყა ეპიტაფიაში ათაბაგ-ამირსპასალარ შანშე II-ის ამირახორად არის მოხსენიებული, რაც, ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ იგი შანშე II-ზე უფრო ადრე ანუ 1320 წლის წინარე ხანებში იყო გარდაცვლილი. შესაბამისად, ამ გარემოების გათვალისწინებით და დასმული კითხვის თანახმად, დგინდება, რომ გრიგოლ განმანათლებლის ეკლესია თაყას ფეოდალური სახლის მფლობელობაში შეიძლება გადასულიყო მხოლოდ ტაძრის მწიგნობართუხუცეს მათეს სახლისათვის გადაცემის შემდგომ პერიოდსა და თაყას გარდაცვალების წინარე ხანებში ანუ 1310-1320 წლებში.

აღნიშნული ქრონოლოგიური მონაკვეთის დადგენას დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. მართლაც, ირკვევა, რომ ამ საკმარის მცირე, დაახლოებით, ათი წლის მომცველ, ქრონოლოგიურ მონაკვეთში ადგილი უნდა ჰქონოდა, სულ მცირე, ოთხ მნიშვნელოვან მოვლენას: 1. გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიისა და მონასტრის მწიგნობართუხუცეს მათეს ფეოდალური სახლისათვის გადაცემას; 2. მათეს ოჯახის უმემკვიდრეოდ ამოვარდნას ან ათაბაგ-ამირსპასალარ შანშე II-ის მიერ მათეს შერისხვას და ამ მიზეზისა თუ მიზეზების გამო, გრიგოლ განმანათლებლის ტაძრისა და მონასტრის პატრონის გარეშე დარჩენას; 3. გრიგოლ განმანათლებლის მფლობელის გარეშე დარჩენილი ეკლესიისა და მონასტრის ამირახორ თაყას ფეოდალური სახლისათვის გადაცემას; და 4. თაყას გარდაცვალებას.

ჩემი დაკვირვებით, დასახელებული ოთხი მოვლენისათვის, დაახლოებით, ათწლიანი პერიოდი მეტისმეტად მცირე ქრონოლოგიურ მონაკვეთს წარმოადგენს და ამ მოვლენების განვითარებისათვის ბევრად უფრო დიდი დრო იყო საჭირო. ეს, პირველ რიგში, ეხება გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიისა და მონასტრის მფლობელი სუბიექტის შეცვლას, რაც რთულ სამხედრო-პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ პროცესებთან დაკავშირებული მოვლენა იყო და პრაქტიკულად, წარმოუდგენელია, მას, დაახლოებით, ათწლიან პერიოდში ორჯერ ჰქონოდა ადგილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, არ შეეცდები, თუკი დასმული ბოლო კითხვის საპასუხოდ, გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიისა და მონასტრის ამირახორ თაყას ფეოდალური სახლის კუთვნილებაში გადასვლას, აგრეთვე, თაყას გარდაცვალებასა და მის გრიგოლ განმანათლებლის ტაძარში დაკრძალვას არა 1310 წლის შემდგომ პერიოდში, არამედ პირიქით, 1310 წლის წინარე ხანებში ჰქონდა ადგილი.

მაშასადამე, საკითხის შესწავლის შედეგად, ირკვევა, რომ ჩემს მიერ ზემოთ შემოთავაზებული დასკვნა სწორია და 1310 წელს, როცა ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესია და მონასტერი მწიგნობართუხუცეს მათეს ოჯახის საგვარეულო საკუთრება გახდა, ამირახორი თაყა უკვე გარდაცვლილი იყო.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, დგინდება, რომ ამირახორი თაყას გარდაცვალების ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს 1310 წელი წარმოადგენდა. შესაბამისად, საბოლოოდ დგინდება ისიც, რომ თაყა ამირახორის სახელოს 1302 წლის შემდგომ პერიოდსა და 1310 წლის წინარე ხანებში ანუ 1302-1310 წლებში ფლობდა.

ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის ახლადგამოვლენილ ეპიტაფიაში მოხსენიებული თაყას ამირახორობის დროის განსაზღვრის შემდეგ უკვე შემიძლია, მისი სახელი XV საუკუნის წინარე ხანებში მოღვაწე ამირახორების, იგივე მეჯინბეთუხუცესების ქრონოლოგიურ რიგში შევიტანო. აღნიშნული კორექციის გათვალისწინებით, ეს ქრონოლოგიური რიგი, საბოლოოდ, შემდეგი სახით დგინდება:

¹ იქვე, გვ. 282-283.

1. ლიპარიტ ორბელი (1150-იანი წწ. – 1160-1170-იანი წწ-ის მიჯნა).
2. ქავთარ ორბელი (1160-1170-იანი წწ-ის მიჯნა – 1177-1178 წწ.).
3. ჭიბერი (1177-1178 წწ. – 1185 წ.).
4. გამრეკელ თორელი (1185-1187 წწ.).
5. ჟან ჩიასძე (დაახლ. 1260-1270-იანი წწ.).
6. ნავროზ აბაზასძე (1290-იანი წწ. – 1302 წ.).
7. თაყა (1302-1310 წწ.).
8. ქვენიფნეველ I ქვენიფნეველი (1350-იანი წწ. – 1373 წ.)¹.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, დგინდება, რომ ამირახორი თავის გარდაცვალების ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს 1310 წელი წარმოადგენდა. შესაბამისად, საბოლოოდ დგინდება ისიც, რომ თაყა ამირახორის სახელს 1302 წლის შემდგომ პერიოდსა და 1310 წლის წინარე ხანებში ანუ 1302-1310 წლებში ფლობდა.

ამირახორ თავისთან დაკავშირებული საკითხების ზემოთ წარმოდგენილ განხილვასა და ამ განხილვის საფუძველზე მიღებულ დასკვნებს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის XIV საუკუნის დასაწყისის ისტორიის შესწავლისათვის. მართლაც, აღნიშნული განხილვისა და დასკვნების დახმარებით, ჩვენთვის ცნობილი ხდება რამდენიმე ფაქტი თუ მოვლენა გრიგოლ განმანათლებლის ტაძრის აღნიშნული პერიოდის ისტორიიდან.

- XIV საუკუნის დასაწყისში ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესია და მონასტერი ეკუთვნოდა ვინმე თაყას, რომელიც ციხე-ქალაქ ანისის იმჟამინდელი მფლობელის, ათაბაგ-ამირსპასალარის შანშე II მხარგრძელის ვასალი იყო. სამწუხაროდ, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, ჯერჯერობით, უცნობია, თუ რომელ ფეოდალურ სახლს ეკუთვნოდა თაყა². გარდა ამისა, საკითხის შესწავლის მოცემულ ეტაპზე, უცნობია ისიც თუ, ზუსტად, როდის გადაეცა თაყას გრიგოლ განმანათლებლის სავანე. ჩემი დაკვირვებით, აღნიშნულ მოვლენას XIV საუკუნის დასაწყისის წინარე ხანებში ანუ, დაახლოებით, XIII საუკუნის მიწურულს ჰქონდა ადგილი. თუ ეს დაკვირვება სწორია, მაშინ გამოდის, რომ თაყას ფეოდალური სახლი გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიასა და მონასტერს, ყველაზე გვიან, XIII საუკუნის მიწურულიდან ფლობდა.

- 1302 წელს გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიისა და მონასტრის პატრონი თაყა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს სახელმწიფო-სამოხელეო იერარქიაში მნიშვნელოვნად დაწინაურდა და ამირახორის თანამდებობა დაიკავა. რამდენიმე წლის შემდეგ, უფრო ზუსტად კი, 1310 წლის წინარე ხანებში ამირახორი თაყა გარდაიცვალა და იგი თავის კუთვნილ გრიგოლ

¹ წინამდებარე ნაშრომი უკვე დასრულებული იყო, როდესაც გამოქვეყნდა წიგნი „ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში (ენციკლოპედიური ლექსიკონი)“. წიგნში შეტანილია სტატია „ამირახორი“, რომელიც ვლადიმერ კეკელიას მიერ არის მომზადებული. სტატიაში წარმოდგენილია ამირახორთა ქრონოლოგიური რიგი, რომელშიც XII-XIII საუკუნეებში მოღვაწე ოთხი ამირახორის სახელია შეტანილი: 1. ლიპარიტ ორბელი (1160-იანი წწ.); 2. გამრეკელ თორელი (1185-1187 წწ.); 3. ჟან ჩიასძე (1266-1280 წწ.); და 4. ნავროზ აბაზასძე (1297/1298 წწ.) (ვლ. კეკელია, ამირახორი, *ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში (ენციკლოპედიური ლექსიკონი)* (თბილისი, 2017), გვ. 107). აქვე, აღვნიშნავ, რომ წიგნზე მომუშავე მეკლევართა ჯგუფი არ იზიარებს მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ამირახორი და მეჯინბეთუხუცესი ერთი და იგივე მოხელის აღმნიშვნელი სინონიმური ტერმინებია და ფიქრობს, რომ ისინი სხვადასხვა მოხელეები იყვნენ. შესაბამისად, წიგნში მეჯინბეთუხუცესთა ქრონოლოგიური რიგი ამირახორთა ქრონოლოგიური რიგის პარალელურად არის წარმოდგენილი. თავად მეჯინბეთუხუცესთა ქრონოლოგიური რიგში, რომელიც ზემოთ ნახსენები ვლადიმერ კეკელიას მიერ არის შედგენილი, XII-XIV საუკუნეებში მოღვაწე ერთადერთი მეჯინბეთუხუცესის სახელია შეტანილი: 1. ქავთარ ორბელი (1170-1177/1178 წწ.) (ვლ. კეკელია, მეჯინბეთუხუცესი, *ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში (ენციკლოპედიური ლექსიკონი)* (თბილისი, 2017), გვ. 230). როგორც ვხედავთ, დასახელებულ წიგნში ამირახორთა და მეჯინბეთუხუცესთა ქრონოლოგიური რიგები საკმაოდ ნაკლები სახით არის წარმოდგენილი. კერძოდ, აქ შეტანილი არ არის მეჯინბეთუხუცეს ჭიბერისა და ამირახორ ქვენიფნეველ I ქვენიფნეველის სახელები, რომლებიც, როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ, სამეცნიერო საზოგადოებისათვის კარგად ნაცნობ წერილობით ძეგლებშია დადასტურებული (იხ. ზემოთ). გარდა ამისა, წიგნში, რატომღაც, შეტანილი არ არის ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის ახლადგამოვლენილ ეპიტაფიაში მოხსენიებული ამირახორი თაყას სახელი, რომლის შესახებაც ინფორმაცია ხსენებული ქრონოლოგიური რიგების შემდგენელს – ვლადიმერ კეკელიას 2014 წლის 9 ივლისს, მის მიერ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კორნელი კეკელიძის სახელობის სამეცნიერო სემინარზე მოხსენების წაკითხვის შემდეგ მივაწოდე (ამის შესახებ იხ. ზემოთ).

² მართალია, XIII-XIV საუკუნეების მიჯნის საქართველოს ისტორიიდან კარგად არის ცნობილი სახელი თაყას მატარებელი ფეოდალი – ტაოს ერისთავი თაყა I ფანასკერტელი (თ. ჯოჯუა, ფერემ მცირის პომილეტიკური კრებულის (S-1276ა) 1370-1390-იანი წლების მინაწერის ცნობები მონღოლ სარდლებს – ულუსის ამირა შეის ჰასან ბოზორგსა და ამირა ალი ფადიშაჰს შორის 1336 წელს გამართულ ეარა დარას ბრძოლაში ტაოს ერისთავის ამირდამბარ I ფანასკერტელის ვასალის, ტაოელი ფეოდალის ბოცო წმედისძის მონაწილეობის შესახებ, *საისტორიო კრებული*, 5 (თბილისი, 2015), გვ. 266-281), მაგრამ ამ უკანასკნელის ჩვენთვის საინტერესო თაყასთან გაიგივებისათვის რაიმე საფუძველი, ჯერჯერობით, არ გამჩნია.

განმანათლებლის ეკლესიაში, ტაძრის ყველაზე გამორჩეულ ადგილას – ეკლესიის მთავარ ნაგ-ში, უშუალოდ საკურთხეველთან, პირდაპირ აღსავლის კარის წინ დაკრძალეს. თაყას დაკრძალვის ადგილას დადეს საფლავის ქვა, რომელზეც შესაბამისი ეპიტაფიის ტექსტი იყო ამოკვეთილი. ეპიტაფიიანი საფლავის ქვა დიდი ხნის განმავლობაში დაკარგულად ითვლებოდა და მისი გამოვლენა მხოლოდ 2014 წელს მოხერხდა.

• ამირახორ თაყას, როგორც ჩანს, მემკვიდრე არ ჰყავდა და ამიტომ მისი გარდაცვალების შემდეგ გრიგოლ განმანათლებლის ეკლესია და მონასტერი მფლობელის გარეშე დარჩა. 1310 წელს ანისის პატრონმა ათაბაგ-ამირსპასალარმა შანშე II მხარგრძელმა ჩვენთვის საინტერესო საგანე თავის სხვა ვასალს – მწიგნობართუხუცეს მათეს გადასცა. ამიერიდან გრიგოლ განმანათლებლის ეკლესია და მონასტერი მათეს ფეოდალური სახლის კუთვნილება გახდა. იმავე 1310 წელს მათემ და მისი ოჯახის წევრებმა: მეუღლემ – სთენმა (//თენმა) და ძმამ – მარკოზმა გრიგოლ განმანათლებლის საგანის პირველადმშენებლის, ანისელი დიდვაჭრის ტიგრან ჰონენცის მიერ XIII საუკუნის დასაწყისში მონასტრისათვის გაყვანილი, შემდგომში დაზიანებული თუ მოშლილი წყალსადენი შეაკეთეს და ამ ამბის აღმნიშვნელი სომხური წარწერა ეკლესიის აღმოსავლეთი კედლის ფასადზე ამოკვეთეს.

ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის ახლადგამოვლენილი ეპიტაფია, ზემოთ განხილული საკითხების გარდა, კიდევ ერთი საინტერესო საკითხის შესახებ გვაწვდის ცნობებს. მხედველობაში მაქვს ამირახორის სახელოს, ერთი მხრივ, მეფის, ხოლო, მეორე მხრივ, ამირსპასალარის ინსტიტუტებთან მიმართების საკითხი.

ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ ამირახორის სახელო დღეისათვის ცნობილ ქართულ წერილობით წყაროებში პირველად მეფე თამარის პირველი ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ 1161 წლის სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების ამსახველ ფრაგმენტშია დადასტურებული. ამასთან, განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ მემატრიანე აღნიშნულ ფრაგმენტში ამირახორ ლიპარიტ ორბელს არა ზოგადად, ამირახორად, არამედ საკუთრივ მეფის ამირახორად მოიხსენიებს: „*[მეფე გიორგი III-ემ] წარმოძქუმელმან უკანასკნელთა ლოცვათამან მოუწოდა ამირახორსა მისსა სუბბატის ძესა ლიპარიტს, ბექასა სურამელსა, ქირქიშს აბულეთის ძესა და სამ ათასთა თანა...*“¹.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ყურადღებას ბუნებრივად იპყრობს ზემოთ განხილული კიდევ ერთი წერილობითი წყარო – კორიდეთის ოთხთავის 1266-1270 წლების ქართული მინაწერი დოკუმენტი, რომელშიც ამირახორი უან ჩიასძე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანისაგან“ განსხვავებით, არა მეფის ამირახორად, ან კიდევ, ზოგადად, ამირახორად, არამედ, კონკრეტულად, „ამირსპასაჰლის“ ანუ ამირსპასალარის ამირახორად არის მოხსენიებული: „*[.../დაავიწერე] დაწერილი ესე თქვენ, ყოვლად წმიდასა ღმრთისმ[ო]ბელსა კორიდეთისასა მე, უანმან ჩიასძემან] – ამირსპასაჰლისა ამირახორმან, მ[ას] [უამ]სა, ოდეს პატრონისა ჩემისა, ამირს[პასაჰლისა წყალობითა მქონდა] [დ]ურჩსა მ[აშუ]ლი...“².*

გვიჩრობ, სრულებით ცხადია, რომ 1161 წლიდან 1266-1270 წლებამდე პერიოდში ანუ ზუსტად ერთსაუკუნოვან ქრონოლოგიურ მონაკვეთში ამირახორის სახელომ გარკვეული ინსტიტუციური და სავარაუდოდ, ფუნქციური სახეცვლილება განიცადა. მართლაც, ციტირებული წერილობითი წყაროებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ თუკი 1161 წელს ამირახორის წოდების მატარებელი მოხელე უშუალოდ მეფეს ექვემდებარებოდა, 1266-1270 წლებში ამ ტიტულის მატარებელი პირი უკვე არა საკუთრივ მეფის, არამედ მისი ერთ-ერთი ვაზირის – ამირსპალარისადმი უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი მოხელე იყო.

წინამდებარე ნაშრომში საგანგებოდ არ შევეხები იმ მნიშვნელოვან საკითხს, თუ რომელმა კონკრეტულმა მიზეზებმა განაპირობა ამირახორის სახელოს ამგვარი ინსტიტუციური და სავარაუდოდ, ფუნქციური სახეცვლილება. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ეს სახეცვლილება XIII საუკუნის III მესამედში უკვე მომხდარი ფაქტია, რაზეც, კორიდეთის ოთხთავის ციტირებული მინაწერი დოკუმენტის გარდა, კიდევ ერთი წერილობითი ძეგლი – 1293 წლის შემდგომ ახლო პერიოდში შედგენილი „ხელმწიფის კარის გარიგება“ მიუთითებს. ამ საინტერესო წერილობით წყაროში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ამირახორი საკუთრივ ამირსპასალარის „ვეზირი“ ანუ უშუალოდ ამირსპასალარისადმი დაქვემდებარებული მოხელე იყო: „*და ამიღახორი ვეზირი არის ამირსპასალარისა...*“³.

¹ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის, *ქართლის ცხოვრება*, გვ. 8-9. შტრ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედ-თანის, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს..., გვ. 384.

² *კორიდეთის საბუთები (X-XIII საუკუნეები)*, გვ. 31.

³ ქართული სამართლის ძეგლები, 1, გვ. 40.

ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის ახლადგამოვლენილი ეპიტაფია მთლიანად ადასტურებს კორიდეთის ოთხთავის მინაწერი დოკუმენტისა და „ხელმწიფის კარის გარიგების“ ცნობების მართებულობას და გვაუწყებს, რომ ეპიტაფიაში მოხსენიებული თაყას ამირახორად ყოფნის დროს ანუ 1302-1310 წლებში, ისევე როგორც ცოტა უფრო ადრეულ პერიოდში ანუ XIII საუკუნის III მესამედში, ამირახორი საკუთრივ ამირსპასალარისადმი დაქვემდებარებულ მოხელეს წარმოადგენდა.

ამით ამირახორ თაყასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას ვამთავრებ და ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის ახლადგამოვლენილი ეპიტაფიის დათარიღების საკითხზე გადავდივარ. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა რთული ამოცანა არ არის. მართლაც, ზემოთ უკვე გავარკვიე, რომ ეპიტაფიაში მოხსენიებული თაყა 1302-1310 წლებში გარდაიცვალა. შესაბამისად, ავტომატურად დგინდება ისიც, რომ თავად ეპიტაფიაც იმავე 1302-1310 წლებში იყო ამოკვეთილი.

II. ანისის, აღიკ-იაკობისა და კსათის ნაპაწრი წარწერები (XIII-XIV სს.)

2014 წლის 21-22 ივლისამდე ნაქალაქარ ანისის ტერიტორიაზე ოთხი ქართული ნაკაწრი წარწერა იყო გამოვლენილი. მოვიტან ამ ოთხი წარწერის ჩამონათვალს იმ თანამიმდევრობით, რა თანამიმდევრობითაც ეს წარწერები წინამორბედმა მეკვლევებმა გამოაქვეყნეს¹.

№1. ქართველთა ეკლესიის ნანგრევებში 1910 წლის არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლენილ მოგრძო ფორმის ქვაზე ამოკაწრული I უცნობი პირის XIII საუკუნის (?) სავედრებელი ხასიათის წარწერის ფრაგმენტი (H)².

№2. ქართველთა ეკლესიის ნანგრევებში 1910 წლის არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლენილ, №1 ნაკაწრი წარწერის შემცველ მოგრძო ფორმის ქვაზე ამოკაწრული II უცნობი პირის XIII საუკუნის (?) სავედრებელი (?) ხასიათის წარწერის ფრაგმენტი (I)³.

№3. ქართველთა ეკლესიის ნანგრევებში 1910 წლის არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლენილ ერთ-ერთ ქვაზე ამოკაწრული ნიკოფორის (?) XIII საუკუნის (?) ტრილინგუური – სომხურ-ბერძნულ-ქართულენოვანი სავედრებელი ხასიათის წარწერის ქართული ნაწილის ასომთავრული (?) ფრაგმენტი (L)⁴.

№4. ქართველთა ეკლესიის ნანგრევებში 1910 წლის არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლენილ ერთ-ერთ ქვაზე ამოკაწრული III უცნობი პირის XIII საუკუნის (?) სავედრებელი (?) ხასიათის ასომთავრული (?) წარწერის ფრაგმენტი (M)⁵.

2014 წლის 21-22 ივლისს ანისში მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციის დროს გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაში მანამდე უცნობ სამ ქართულ ნაკაწრ წარწერას მივაკვლიე, რის შემდეგაც ნაქალაქარ ანისის დღეისათვის ცნობილი ქართული ნაკაწრი წარწერების საერთო რიცხვი ოთხი ერთეულიდან შვიდ ერთეულამდე გაიზარდა⁶. ეს ახლადმოკვლეული ნაკაწრი წარწერებია:

¹ ნაქალაქარ ანისის ქართული ნაკაწრი წარწერების გამოქვეყნებაზე საუბრისას, ისევე როგორც ლაპიდარული წარწერების პუბლიკაციაზე საუბრისას, მხედველობაში მაქვს წარწერის ტექსტის გადმონაწერის (დედნის შრიფტის დაცვით ან დაუცველად) ან წაკითხვის (დედნის ენაზე ან ნათარგმნი სახით) პუბლიკაცია და არა წარწერის ტექსტის აღწერილობის, გრაფიკული მონახაზის, ფოტოანაბეჭდის, მოკლე შინაარსის, შესწავლის შედეგებისა და სხვა მსგავსი ტექსტური თუ ვიზუალური მასალის გამოცემა.

² ამ (№1) და მომდევნო სამ წარწერასთან (№2, №3 და №4) მითითებული ლათინური ლიტერები, შესაბამისად: I (№2), L (№3) და M (№4) ეკუთვნის ამ წარწერების აღმოჩენს – ნიკო მარს (ან მათი ტექსტების პირველ გამოცემულს – პარუირ მურადიანს), რომელმაც აღნიშნული წარწერები, რაიმე ადრევის თავიდან აცილების მიზნით, სწორედ ამ ლათინური ლიტერებით დანომრა (წი. Մուրադյան, Հայաստանի վրացերեն արձանագրություններ, էջ 52). №1 წარწერა პირველად გამოქვეყნდა 1977 წელს, პარუირ მურადიანის მიერ, ნიკო მარის საარქივო ჩანაწერებსა და მისსავე გადმონაწერზე დაყრდნობით (იქვე). ამის შემდეგ წარწერა აღარ გამოქვეყნებულა.

³ წარწერა პირველად გამოქვეყნდა 1977 წელს, პარუირ მურადიანის მიერ, ნიკო მარის საარქივო ჩანაწერებსა და მისსავე გადმონაწერზე დაყრდნობით (იქვე). ამის შემდეგ წარწერა აღარ გამოქვეყნებულა.

⁴ წარწერა პირველად გამოქვეყნდა 1977 წელს, პარუირ მურადიანის მიერ, ნიკო მარის საარქივო ჩანაწერებსა და მისსავე გადმონაწერზე დაყრდნობით (იქვე). ამის შემდეგ წარწერა აღარ გამოქვეყნებულა.

⁵ წარწერა პირველად გამოქვეყნდა 1977 წელს, პარუირ მურადიანის მიერ, ნიკო მარის საარქივო ჩანაწერებსა და მისსავე გადმონაწერზე დაყრდნობით (იქვე). ამის შემდეგ წარწერა აღარ გამოქვეყნებულა.

⁶ 2010-2011 წლებში დაიბეჭდა გიორგი კალანდიასა და ქეთევან ასათიანის ორი სტატია: 1. „ტიგრან პონენცის ტაძრის ქართული წარწერები (ანისის პირველი ექსპედიციის ანგარიში)“; და 2. „ანისის ნაქალაქარის ქართული წარწერები (ანისის I და II ექსპედიციების ანგარიშები)“, რომლებშიც ავტორებმა, ნაქალაქარ ანისის ქართული წარწერების გვერდით, მათ მიერ მიკვლეული, ქართველთა ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის ზედა ნაწილში ამოკაწრული წარწერის გრაფიკული მონახაზიც გამოქვეყნეს. გიორგი კალანდიასა და ქეთევან ასათიანის დაკვირვებით, ეს ახლადმოკვლეული ნაკაწრი წარწერა ქართული მხედრული დამწერლობით არის გადმოცემული და ვინმე პროსორეს

№5. გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის სამხრეთი მკლავის სამხრეთი კედლის მოხატულობაზე ამოკაწრული ახოანის (იგივე, ახოვანის) სავედრებელი ხასიათის ასომთავრული წარწერა.

№6. გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის სამხრეთი მკლავის დასავლეთი პილასტრის მოხატულობაზე ამოკაწრული ადიპ-იაკობის სავედრებელი ხასიათის მხედრული წარწერა.

№7. გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის დასავლეთი მინაშენის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნახევარსვეტზე ამოკაწრული კსათის დედ-მამის სავედრებელი ხასიათის მხედრული წარწერა.

გარდა ამისა, 2014 წლის 21-22 ივლისს ანისში მოწყობილი ექსპედიციის დროს გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაში მივაკვლიე მანამდე უცნობი კიდევ ერთი ქართული წარწერის ფარგმენტს, რომელიც ჟანგისფერი საწერ-საღებავით არის შესრულებული.

იმავე 2014 წლის 21-22 ივლისს ახლადმიკვლეული ნაკაწრი ეპიგრაფიკული ძეგლები, აგრეთვე, საღებავით შესრულებული წარწერა, ადგილზე შევისწავლე: ა) შევადგინე წარწერების ტექნიკური აღწერილობა; ბ) გადმოვიწერე მათი ტექსტები, დედნის შრიფტის დაცვით; გ) წავიკითხე წარწერები; დ) გადმოვიღე მათი პალეოგრაფიული პირები; და ე) გადავიღე წარწერების ფოტოები¹.

ქვემოთ წარმოვადგენ ახლადმიკვლეული ნაკაწრი წარწერების ტექნიკურ აღწერილობას, მათი ტექსტების გადმონაწერებს, დედნის შრიფტის დაცვით და ამ ტექსტების ჩემეულ წაკითხვებს, აგრეთვე, წარწერის ფოტოებსა და პალეოგრაფიულ პირებს.

ახოანის სავედრებელი წარწერა (№5)

წარწერა ამოკაწრულია ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის სამხრეთი მკლავის სამხრეთ კედელზე, ამ მკლავის დასავლეთი პილასტრის აღმოსავლეთი წახნაგიდან 6 სმ-ის დაშორებით, იატაკიდან 156 სმ-ის სიმაღლეზე, მოხატულობის I რეგისტრის ქვემოდან მომფარგლავ შინდისფერ ზოლზე; წარწერის ფართობი: 9X3,4 სმ.; ერთი სტრიქონი; ასომთავრული; ყველაზე დიდი გრაფემის სიმაღლე: 2,3 სმ. (მესამე სიტყვის II გრაფემა ნ (6)); ყველაზე პატარა გრაფემის სიმაღლე: 1,6 სმ. (პირველი სიტყვის V გრაფემა ს (ს)); განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ; ქარაგმის ნიშანი: პატარა განივი კლაკნილი ხაზი; ტექსტის დასაწყისში დასმულია ქანწილი; წარწერა არასოდეს ყოფილა გამოქვეყნებული (სურ. 9, სურ. 10, სურ. 11 და სურ. 12).



ურ. 9
გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის სამხრეთი მკლავის დასავლეთი ნაწილი (ხედი ჩრდილოეთიდან)



სურ. 10
გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის სამხრეთი მკლავის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე (ხედი ჩრდილოეთიდან)

სავედრებელს წარმოადგენს (გ. კალანდია, ქ. ასათიანი, ტიგრან ჰონენცის ტაძრის..., გვ. 57; გ. კალანდია, ქ. ასათიანი, ანისის ნაქალაქარის ქართული..., გვ. 91-92). სამწუხაროდ, ხსენებული ნაკაწრი წარწერის გიორგი კალანდიასა და ქეთევან ასათიანის მიერ გამოქვეყნებული გრაფიკული მონახაზიდან მაინცდამაინც ნათლად არ ჩანს, ეს წარწერა ნამდვილად ქართული მხედრული დამწერლობით არის გადმოცემული თუ არა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე ვერც გავიზიარებ და ვერც უარვეოვ დასახელებულ მკვლევართა მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ახლადმიკვლეული წარწერა ქართული ეპიგრაფიკის ნიმუშს წარმოადგენს. შესაბამისად, ამ ნაკაწრი წარწერის ციხე-ქალაქ ანისის ქართული ნაკაწრი წარწერების ჩამონათვალში შეტანისაგანაც, ჯერჯერობით, თავს შევიკავებ.

¹ გარდა ამისა, ახლადმიკვლეული ქართული ნაკაწრი წარწერების ფოტოები გადავიღე 2016 წლის 31 ივლისსაც, როცა ტურისტული ექსკურსიის ფარგლებში, მეორედ ვწვიე ციხე-ქალაქ ანისს (ამ ექსკურსიის შესახებ იხ. ზემოთ).



სურ. 11. მოხატულობის I რეგისტრის ქვემოდან მომფარგლავ შინდისფერი ზოლი



სურ. 12. ახონის სავედრებელი წარწერა

ჩქონსჴ:ჩ:

† ႠႡႣႤ: ႥႦ: ႦႧ:

„†. ახო(ა)ნს შ(ეუნდენენ) ღ(მერთმა)ნ“.

ადიპ-იაკობის დაუმთავრებელი სავედრებელი (?) წარწერა (№6)

წარწერა ამოკაწრულია ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის სამხრეთი მკლავის დასავლეთი პილასტრის ჩრდილოეთ წახნაგზე, იმავე მკლავის დასავლეთი კედლიდან 22 სმ-ის დაშორებით, იატაკიდან 156 სმ-ის სიმაღლეზე, მოხატულობის I რეგისტრის ქვემოდან მომფარგლავ შინდისფერ ზოლზე; დაუმთავრებელი; წარწერის ფართობი: 21,6X3,7 სმ.; ერთი სტრიქონი; მთავრულნარევი მხედრული; ყველაზე დიდი გრაფემის სიმაღლე: 3,4 სმ. (მეორე სიტყვის VIII გრაფემა ბ (ბ)); ყველაზე პატარა გრაფემის სიმაღლე: 0,5 სმ. (პირველი სიტყვის II გრაფემა Ⴆ (თ)); განკვეთილობის ნიშანი: Ⴆრი პატარა განივი ხაზი ერთგან; ქარაგმის ნიშანი: დიდი ზომის მარჯუნი; ტექსტის დასაწყისში დასმულია ქანწილი; წარწერა არასოდეს ყოფილა გამოქვეყნებული (სურ. 13 და სურ. 14)



სურ. 13

გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის სამხრეთი მკლავის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე (ხედი ჩრდილოეთიდან)



სურ. 14. ადიპ-იაკობის სავედრებელი წარწერა

ქ.ოთი = სე იძუკაჲს

† ლთწი: ადიპიკობს

„†. ღ(მერ)თ<ი>{ო}, ადიპ-ი(ა)კობს {შ(ეუნდენ)ენ(?)“.

კსათის დედ-მამის სავედრებელი წარწერა (№7)

წარწერა მოკაწრულია ანისის გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის დასავლეთი მინაშენის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნახევარსვეტის სამხრეთ მონაკვეთზე, ამ მონაკვეთის აღმოსავლეთი კიდიდან 7 სმ-ის დაშორებით, ნახევარსვეტის ბაზისიდან 145 სმ-ის სიმაღლეზე; წარწერის ფართობი: 12X6,5 სმ.; ორი სტრიქონი; მხედრული; ყველაზე დიდი გრაფემის სიმაღლე: 1.6 სმ. (ტექსტის დასაწყისში დასმული †); ყველაზე პატარა გრაფემის სიმაღლე: 0,3 სმ. (პირველი სიტყვის IV გრაფემა ო (ო)); განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს; წარწერის დასაწყისში დასმულია ქანწილი, ხოლო ტექსტის ბოლოს – შვეული სწორი ხაზი; I სტრიქონის ბოლო სიტყვის რამდენიმე გრაფემა, ბათქაშის ჩამოცვენის გამო, სანახევროდ დაკარგულია; ტექსტი ამოკაწრულია მწიგნობრობაში მეტნაკლებად გაწაფული ხელით. წარწერა არასოდეს ყოფილა გამოქვეყნებული. (სურ. 15, სურ. 16, სურ. 17 და სურ. 18).




სურ. 15. გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის
დასავლეთი მინაშენი (ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან)



სურ. 16
გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის
დასავლეთი მინაშენის ჩრდილო-აღმოსავლეთი
ნახევარსვეტი (ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან)



სურ. 17. გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის დასავლეთი მინაშენის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნახევარსვეტის სამხრეთი მონაკვეთის ზედა ნაწილი (ხედი სამხრეთიდან)



სურ. 18. კსათის მშობლების სავედრებელი წარწერა

ჩქობრიანების
მშობლები

† კსათის ღმრთის შუენდნი
ღმრთის ამს

„†. კსათის დეკლავ-მავამასსავ შქეუნდვენენ | დმქერთმასენ, ამვენ“.

აქ მოტანილი ნაკაწრი წარწერების შემდეგ, დამატებით, წარმოვადგენ ახლადმიკვლეული ჟანგისფერი საღებავით შესრულებული წარწერის ტექნიკურ აღწერილობას, მისი ტექსტის გადმონაწერს, დედნის შრიფტის დაცვით და ამ ტექსტის ჩემეულ წაკითხვას, აგრეთვე, წარწერის ფოტოსა და პალეოგრაფიულ პირს.

დაუდგენელი პირის მიერ ჟანგისფერი საწერ-საღებავით შესრულებული წარწერის ფრაგმენტი


წარწერა შესრულებულია ანისის გრივოლ განმანათლებლის ეკლესიის დასავლეთი მინაშენის ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ კიდეზე და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნახევარსვეტს შორის მოქცეული სივრცის ამოსავსებად ნაწყობილი ქვის ფილებიდან კიდურა ზედა ქვის ფილის დასავლეთისაკენ მიმართული სიბრტყის შელესილობაზე, ნახევარსვეტთან მიჯრით, ნახევარსვეტის ბაზისიდან 139 სმ-ის სიმაღლეზე; წარწერის ძირითადი ნაწილი, ბათქაშის ჩამოცვენის გამო, დაკარგულია. შემორჩენილია ტექსტის მხოლოდ კიდურა მარჯვენა ფრაგმენტი. წარწერის ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტის ფართობი: 1,3X2,6 სმ.; სამი სტრიქონი; ჟანგისფერი საწერ-საღებავი; ნუსხური; ყველაზე დიდი გრაფემის სიმაღლე: 0,8 სმ. (I სტრიქონის ბოლო გრაფემა e (ე)); ყველაზე პატარა გრაფემის სიმაღლე: 0,4 სმ. (III სტრიქონის ბოლო გრაფემა T (თ)); განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს; წარწერის დასაწყისში დასმულია ქანწილი, ხოლო ტექსტის ბოლოს – შეგული სწორი ხაზი; ტექსტის წაკითხვა, მისი ნაკლებობის გამო, ვერ ხერხდება; წარწერა შესრულებულია მწიგნობრობაში მეტნაკლებად გაწაფული ხელით. წარწერა არასოდეს ყოფილა გამოქვეყნებული (სურ. 19 და სურ. 20).



სურ. 19. გრივოლ განმანათლებლის ეკლესიის დასავლეთი მინაშენის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნახევარსვეტი (ხედი დასავლეთიდან)



სურ. 20. უანგისფერი საღებავით შესრულებული წარწერის ფრაგმენტი



[...]-]ce
[...]-]
[...]-]T

„[...]-]ცე[...]-]T“

ქვემოთ თანამიმდევრობით განვიხილავ ახლადმიკვლეულ წარწერებთან დაკავშირებული ძირითად საკითხებს. თავდაპირველად შევეხები №5 წარწერას.

№5 წარწერა, როგორც უკვე აღვნიშნე ზემოთ, ვინმე ახოანის (//ახოვანის) სავედრებელს წარმოადგენს. მართალია, წარწერის ტექსტში ახოანი მესამე პირშია მოხსენიებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საფიქრებელია, რომ წარწერა სწორედ მის მიერ არის ამოკაწრული. ამგვარი მოსაზრებისაკენ ლოგიკურად მიბიძგებს შუა საუკუნეების ქართული ნაკაწრი (და არამხოლოდ ნაკაწრი) წარწერები, რომელთა ტექსტებშიც მათი შემსრულებლები საკუთარ თავს, როგორც წესი, მესამე პირში მოიხსენიებენ ხოლმე.

№5 წარწერის ტექსტი საკმაოდ დახვეწილი მოხაზულობის მქონე ასომთავრული გრაფიკებით არის შესრულებული, რაც ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ წარწერის ამოკაწრავი – ახოანი, ქართულ მწიგნობრობაში საკმაოდ გაწაფული პირი იყო.

ახოანის სავედრებელ წარწერას თარიღი არ უზის, რის გამოც მისი ამოკაწრის ზუსტი დროის დადგენა შეუძლებელია. რაც შეეხება წარწერის შესრულების მიახლოებით ქრონოლოგიას, ამის გარკვევა რთული ამოცანა არ არის: ტექსტის პალეოგრაფიულ ნიშნებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ №5 წარწერა XIII-XIV საუკუნეებშია ამოკაწრული.

№5 წარწერაში მოხსენიებული ახოანი, მისი სახელის გათვალისწინებით (ამის შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ), საერო პირი იყო. სამწუხაროდ, ახოანის იდენტიფიკაცია, ჯერჯერობით, ვერ შევძელი და ამიტომ მისი ვინაობისა თუ ბიოგრაფიის შესახებ არაფრის თქმა არ შემიძლია. შესაბამისად, საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე დიად რჩება ის საკითხი, თუ ვინ იყო ახოანი – გრიგოლ განმანათლებლის სამონასტრო სენიორიის აპარატში დასაქმებული მოხელე, ციხე-ქალაქ ანისის ადგილობრივი მცხოვრები, რომელიც ეკლესიაში მოლოცვის მიზნით იმყოფებოდა

თუ საქართველოს სამეფოს რომელიმე სხვა პროვინციიდან ციხე-ქალაქ ანისში რაიმე მიზეზის გამო მოსული პირი.

სამაგიეროდ, დაბეჯითებით შემოიძლია ვთქვა, რომ ახოანმა საკუთარი სავედრებელი წარწერა გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის სამხრეთი მკლავის სამხრეთი კედლის საგანგებოდ შერჩეულ ადგილას, ამოკაწრა: მან გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მის მიერ შელესილობაზე ამოკაწრულ გრაფიკათა თეთრი ფერის ხაზები მუქი ფერის საღებავის ფონზე უფრო მკაფიოდ გამოჩნდებოდა, ვიდრე შედარებით ღია ფერის საღებავის ფონზე და ამიტომ წარწერის ტექსტი მოხატულობის I რეგისტრის ქვემოდან მომფარგლავ შინდისფერ ზოლზე შეასრულა. შედეგად, ახოანის წარწერა ეკლესიაში შემსვლელთათვის იოლად შესამჩნევი და თვალში ადვილად მოსახვედრი გახდა. გარდა ამისა, ახოანმა ამ გადაწყვეტილებით ეკლესიის მოხატულობის მიმართაც ერთგვარი კრძალულება გამოიჩინა და თავისი სავედრებელი წარწერა რომელიმე ფრესკულ სცენასა თუ წმიდანის გამოსახულებაზე კი არ ამოკაწრა, არამედ მოხატულობის ერთ-ერთ ყველაზე უფრო „ნეიტრალურ“ ადგილას, მისი I რეგისტრის ქვემოდან მომსაზღვრელ შინდისფერ ზოლზე განათავსა.

№5 წარწერაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მასში მოხსენიებული მამაკაცის საკუთარი სახელი – „ახოანი“. ეს სახელი, ცხადია, ზედსართავი სახელი „ახოანი“//„ახოვანიდან“ არის წარმომდგარი. თავად ზედსართავი სახელი „ახოანი“//„ახოვანი“ სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ თანახმად, „ტანად დიდსა“, „ძლიერს“, „ტან-დიდსა“ და „ტანოვანს“¹, დავით ჩუბინაშვილის მიხედვით, „ბრგეს“, „ტანოვანს“, ძლიერსა“ და „გულოვანს“², ხოლო „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ცნობით, „ტანად დიდს“, „მოხდენილი აგებულებისას“, „ბრგესა“ თუ „წარმოსადგეს“, გადატანითი მნიშვნელობით, „მამაცს“, ვაჟკაცსა“ და „მძღავრს“ ნიშნავს³.

ილია აბულაძის დაკვირვებით, სიტყვა „ახოანი“//„ახოვანი“ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ჯერ კიდევ IX-XI საუკუნეებში და, შესაძლოა, კიდევ უფრო ადრეულ პერიოდშიც გვხვდება. მკვლევრის თანახმად, ეს წერილობითი ძეგლებია: „მამათა სწავლანის“ სახელით ცნობილი პატერიკული თხრობების კრებულის ორი ტექსტი და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართული ხელნაწერი წიგნების კოლექციის 341-ე ხელნაწერის ერთი საკითხავი, აგრეთვე, ორი ჰაგიოგრაფიული თხზულება – წმ. იზიდბოზიდის „წამება“ და წმ. რიფსიმესა და გაიანეს „წამება“. ილია აბულაძის განმარტებით, დასახელებულ წერილობით ძეგლებში სიტყვა „ახოანი“//„ახოვანი“ „ძლიერის“, „მძღავრის“, „მამაცის“, „შეჭურვილისა“ და „მხედრის“ მნიშვნელობით არის გამოყენებული⁴.

ზედსართავი სახელი „ახოანი“//„ახოვანისაგან“ სრულებით განსხვავებული სურათი გვაქვს მამაკაცის საკუთარ სახელ „ახოანთან“ დაკავშირებით. ეს სახელი ჩემთვის ცნობილ ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურებული არ არის. შესაბამისად, გამოდის, რომ გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაში მიკვლეული №5 ნაკაწრი წარწერა შუა საუკუნეების ქართულ ანთროპონიმკას კიდევ ერთი ახალი ანთროპონიმით ამდიდრებს და გვაუწყებს, რომ XIII-XIV საუკუნეების საქართველოში მამაკაცები, სხვა ცნობილი საკუთარი სახელების პარალელურად, აქამდე უცნობ სახელს – „ახოანსაც“ ატარებდნენ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ აუცილებლად უნდა შევეხო XIII საუკუნის ცნობილი ქართველი მწიგნობრისა და მეცნიერის ტბელ აბუსერისძის მიერ 1233 წლის წინარე ახლოსანებში შედგენილ თხზულებას „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“, უფრო ზუსტად კი, ამ თხზულებისათვის დართულ ანდერძს, რომელიც ტბელის წინაპრებისა და ოჯახის წევრთა მოსახსენებელს წარმოადგენს.

ტბელ აბუსერიძე ანდერძის ერთ-ერთ ფრაგმენტში მოიხსენიებს თავის პაპას, ლევან მუსხელიშვილის დაკვირვებით, XII საუკუნის II ნახევარში მოღვაწე – აბუსერ აბუსერისძესა და ამ უკანასკნელის ძმას – უცოლოდ და უშვილოდ გადაგებულ სანანო აბუსერისძეს, რომლებმაც „პატრონის“ ანუ საქართველოს მეფე თამარის ბრძანებით, „მტრის“ ანუ გუზან ტაოსკარელის მიერ სამხრეთ საქართველოში მოღალატურად შემოყვანილი თურქების მიერ მიტაცებული ხიხანის ციხე უკან დაიბრუნეს: „...მე, არადირსი... აბუსერისძე ტბელი... კვლ-ყვავ შენებაჲ ეკლესიისაჲ, სალოცველად გარდასრულთა ჩუენთა და ცოცხალთა და მშობელთა ჩუენთა და საჭ-

¹ სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ (თბილისი, 1991), გვ. 85.

² დ. ჩუბინაშვილი, *ქართულ-რუსული ლექსიკონი*, მეორე გამოცემა, ადღგენილი ოფსეტის წესით, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ (თბილისი, 1984) გვ. 87.

³ *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, I, ა-ბ, პირველი ტომის რედაქტორი – პროფესორი ა. ჩიქობავა (თბილისი, 1950), გვ. 923.

⁴ ი. აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები)* (თბილისი, 1973), გვ. 27.

სენებლად პაპისა ჩუენისა აბუსერისსა და ძმისა მისისა სანანოსათჳს, რომელმან ნეფსით თჳსით თავი თჳსი უცოლო და უშვილო ყო ჩუენისა წყალობისათჳს ამათ წაიხუნეს ხიხანი, მტერთა ზედა გაცემულნი, ბრძანებითა ღმრთისა სწორთა პატრონთათა¹.

ტბელ აბუსერისძე იმავე ანდერძის მეორე ფრაგმენტში კიდევ ერთხელ მოიხსენიებს თავისი პაპის ძმას – სანანო აბუსერისძეს, ოღონდ, ამ შემთხვევაში, მას არა უბრალოდ სანანოს, არამედ „სანანო ახოანს“ უწოდებს: „და ესე უწინარეს ჯერ-იყო: სულსა პატრონისა ხუაშაძესა, ერისთავთ-ერისთავით, მისით ქმრით გრიგოლითურთ, რომელნი იყვნეს მშობელნი აბუსერისნი, პაპისა ჩუენისანი და სანანო ახოანისანი, პატრონთა დათა მათთა – ცუარისა და აგუტისნი, რომელთა სულნი ეგრეთვე მოკსენებითა დიდებულ ყოს ღმერთმან...“².

ტბელ აბუსერისძის მიერ სანანო აბუსერისძის მიმართ გამოყენებული სიტყვა „ახოანს“ მნიშვნელობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რაიმე მოსაზრება, ჯერჯერობით, გამოთქმული არ არის. ტბელის თხზულებით დაინტერესებული მკვლევრები – ლევან მუსხელიშვილი, ნარგიზა გოგუაძე, მიხეილ ქავთარია, რაულ ჩაგუნავა და სხვები, სანანოს, რიგ შემთხვევებში, მხოლოდ სანანოდ მოიხსენიებენ, რაც, თითქოს, იმაზე მიუთითებს, რომ ისინი სიტყვა „ახოანს“ ტბელის მიერ სანანოს მიმართ გამოყენებულ ეპითეტად მიიჩნევენ, სხვა შემთხვევებში კი, მას არა უბრალოდ სანანოს, არამედ, კონკრეტულად, „სანანო ახოანს“ უწოდებენ, რაც, იმ მოსაზრებისაკენ მიბიძგებს, რომ ისინი სიტყვა „ახოანს“ სანანოს ნართაულ სახელად ანუ ზედმეტსახელად მოიაზრებენ³.

ჩემი დაკვირვებით, ტბელ აბუსერისძის თხზულების ციტირებული ფრაგმენტი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ გადაჭრით ვთქვათ, თუ, სახელდობრ, რა მნიშვნელობით გამოიყენა ტბელმა სანანო აბუსერისძის მიმართ სიტყვა „ახოანი“ – ეპითეტის მნიშვნელობით თუ ნართაული სახელის მნიშვნელობით. თუმცა კი, იმის გათვალისწინებით, რომ გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის ახლადმიკვლევულ №5 ნაკაწრ წარწერაში მამაკაცის საკუთარი სახელი „ახოანი“ დოკუმენტურად არის დადასტურებული, უფრო იმ მოსაზრებისაკენ ვიხრები, რომ ტბელის მიერ გამოყენებული სიტყვა „ახოანი“ სანანოს ნართაულ სახელს წარმოადგენდა.

ამით, გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაში მიკვლევულ №5 წარწერაზე მსჯელობას ვამთავრებ და მომდევნო, №6 წარწერასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაზე გადავდივარ.

№6 წარწერა ვინმე ადიპ-იაკობის სავედრებელს წარმოადგენს. წარწერის შემსრულებლის ვინაობის თაობაზე ზუსტად ისეთივე მოსაზრება მაქვს, როგორი მოსაზრებაც №5 წარწერის შემსრულებლის ვინაობაზე მსჯელობის დროს მქონდა: მართალია, ადიპ-იაკობი ტექსტში მესამე პირშია მოხსენიებული, მაგრამ, ვფიქრობ, რომ წარწერა სწორედ მის მიერ არის ამოკაწრული.

№6 წარწერა მეტნაკლებად გაწაფული ხელით შესრულებული მხედრული გრაფემებით არის ამოკაწრული. ტექსტში გვხვდება ორი შეცდომა: 1. წარწერის პირველი სიტყვის ბოლოს, გრაფემა ო-ს ნაცვლად, გრაფემა ი არის გამოყვანილი; და 2. ტექსტის ბოლო სიტყვაში გრაფემა ბ მხოლოდ მეორე მცდელობით არის მოხაზული. აღნიშნული გარემოებები მაფიქრებინებს, რომ წარწერის ამოკაწრავი – ადიპ-იაკობი მაინცადამაინც დახელოვნებული მწიგნობარი არ იყო.

ადიპ-იაკობის სავედრებელ წარწერას თარიღი არ უხის, რის გამოც მისი შესრულების ზუსტი დროის დადგენა ვერ ხერხდება. საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე შემიძლია მხოლოდ იმის თქმა, რომ წარწერა, მისი პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, XIII-XIV საუკუნეებშია ამოკაწრული.

№6 წარწერაში განსაკუთრებით საინტერესოა ტექსტში მოხსენიებული მამაკაცის საკუთარი სახელი – „ადიპ-იაკობი“. ვფიქრობ, სრულებით ცხადია, რომ „ადიპ-იაკობი“ შედგენილ ანთროპონიმს წარმოადგენს და მასში გამოიყოფა ორი დამოუკიდებელი საკუთარი სახელი: „ადიპი“ და „იაკობი“.

ჩემი დაკვირვებით, „ადიპ-იაკობის“ შედგენილობაში წარმოდგენილი პირველი საკუთარი სახელი – „ადიპი“ შუა საუკუნეების სომხურ ანთროპონიმიკაში დადასტურებული საკუთარი სა-

¹ აბუსერისძე ტბელი, *თხზულებანი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს: ნ. გოგუაძემ, მ. ქავთარიამ და რ. ჩაგუნავამ (ბათუმი, 1998), გვ. 67-68. შდრ.: აბუსერისძე ტბელი, *ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა სავედრეულო მატეანე*. 1233 წლის ტექსტი, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა (თბილისი, 1941), გვ. 66-67; ტბელ აბუსერისძე, *ცხოვრება ქეთხუროისა ბასილისა*, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. სიხარულიძემ (ბათუმი, 1981), გვ. 12.

² აბუსერისძე ტბელი, *თხზულებანი*, გვ. 69; აბუსერისძე ტბელი, *ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში...*, გვ. 22; ტბელ აბუსერისძე, *ცხოვრება ქეთხუროისა ბასილისა*, გვ. 14.

³ აბუსერისძე ტბელი, *ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში...*, გვ. 22, 89, აბუსერისძეთა გენეალოგიური ხე (1028/30-1355 წ.წ.); აბუსერისძე ტბელი, *თხზულებანი*, გვ. 82-83, 85, 532. შდრ.: ტბელ აბუსერისძე, *ცხოვრება ქეთხუროისა ბასილისა*, გვ. 58-59, 71.

ხელის – „აჯიბის“ გაქართულებულ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს¹. რაც შეეხება „ადიპ-იაკობის“ შედგენილობაში წარმოდგენილ მეორე სახელს – „იაკობს“, ის შუა საუკუნეების ქართულ ანთროპონიმიკაში ფართოდ იყო გავრცელებული. აქვე, შევნიშნავ, რომ ეს ანთროპონიმი ხშირად გვხვდება შუა საუკუნეების სომხურ წერილობით ძეგლებშიც, ოღონდ, უპირატესად, „აკობის“ ან „ჰაკობის“ ფორმებით.

№6 წარწერაში მოხსენიებული ადიპ-იაკობი, როგორც ჩანს, საერო პირი იყო. სამწუხაროდ, მისი იდენტიფიკაცია, ჯერჯერობით, ვერ შევძელი და ამიტომ ადიპ-იაკობის ვინაობისა თუ ბიოგრაფიის შესახებ ვერაფერს ვიტყვი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე ღიად ვტოვებ იმ საკითხსაც, თუ რა მიზნით იმყოფებოდა ადიპ-იაკობი გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაში.

დასასრულ, ხაზგასმით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ ადიპ-იაკობმა საკუთარი სავედრებელი წარწერის შესასრულებელი ადგილი, ახოანის მსგავსად, საგანგებოდ შეარჩია და ტექსტი, იმავე ახოანის წარწერის ახლოს, გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის სამხრეთი მკლავის სამხრეთი მკლავის დასავლეთი პილასტრის ჩრდილოეთ წახნაგზე, მოხატულობის I რეგისტრის ქვემოდან მომფარგლავ შინდისფერ ზოლზე ამოკაწრა. ამ გზით, ადიპ-იაკობმა მისი წარწერის გრაფემათა შინდისფერ ფონზე მკვეთრად გამოყოფილი თეთრი ხაზები ტაძარში შემსვლელთათვის თვალში იოლად მოსახვედრი გახადა. გარდა ამისა, მან, ისევე როგორც ახოანმა, ეკლესიის მოხატულობის მიმართ კრძალულება გამოიჩინა და თავისი სავედრებელი წარწერა არა რომელიმე ფრესკულ სცენასა თუ წმიდანის გამოსახულებაზე, არამედ მოხატულობის I რეგისტრის ქვემოდან მომსაზღვრელ შინდისფერ ზოლზე შეასრულა.

გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაში მიკვლეული კიდევ ერთი, №7 ნაკაწრის წარწერა ვინმე კსათის დედ-მამის სავედრებელს წარმოადგენს. წარწერაში მისი შემსრულებლის ვინაობა მითითებული არ არის, თუმცა ამ საკითხის მიმართ ზუსტად ისეთივე პოზიცია მაქვს, როგორი პოზიციაც №5 და №6 წარწერების შემსრულებლების ვინაობის მიმართ მქონდა: მართალია, კსათი ტექსტში მესამე პირშია მოხსენიებული, მაგრამ, ვფიქრობ, რომ წარწერა სწორედ მის მიერ არის ამოკაწრული.

№7 წარწერა, №6 წარწერის მსგავსად, მეტნაკლებად გაწაფული ხელით შესრულებული მხედრული გრაფემებით არის ამოკაწრული. როგორც ჩანს, მისი ამომკაწრავი – კსათი, ისევე როგორც №6 წარწერის ამომკაწრავი ადიპ-იაკობი, მაინცადამაინც დახელოვნებული მწიგნობარი არ იყო.

კსათის დედ-მამის სავედრებელ წარწერას თარიღი არ უხის. ამ მიზეზის გამო წარწერის შესრულების ზუსტი დროის დადგენა ვერ ხერხდება. რაც შეეხება მის მიახლოებით ქრონოლოგიას, წარწერა, პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, XIII-XIV საუკუნეებს მიეკუთვნება და დაახლოებით, №5 და №6 წარწერების თანადროულად არის ამოკაწრული.

№7 წარწერაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სახელი – „კსათი“, რომელიც ჩემთვის ცნობილ ქართულ წერილობით ძეგლებში მოხსენიებული არ არის. სამწუხაროდ, საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე ანთროპონიმ „კსათის“ ეტიმოლოგიის შესახებ, ვერაფერს ვიტყვი. უფრო მეტიც, მოცემულ ეტაპზე, იმასაც კი ვერ ვიტყვი, „კსათი“ მამაკაცის სახელია თუ ქალის. მიუხედავად ამისა, ერთი რამ სრულებით ცხადია: გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაში მიკვლეულ №7 წარწერაში დადასტურებულია შუა საუკუნეების ქართულ ანთროპონიმიკაში გავრცელებული კიდევ ერთი საკუთარი სახელი – „კსათი“, რომლის არსებობაც, №5 წარწერაში დადასტურებული საკუთარი სახელის – „ახოანის“ არსებობის მსგავსად, აქამდე უცნობი იყო.

№7 წარწერაში მოხსენიებული კსათის იდენტიფიკაცია, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება. შესაბამისად, საკითხის შესწავლის მოცემულ ეტაპზე ღიად რჩება ის საკითხიც, თუ რა მიზნით იმყოფებოდა იგი გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაში.

№7 წარწერის შესრულების ადგილზე დაკვირვება აჩვენებს, რომ მის ამომკაწრავს – კსათს, №5 და №6 წარწერათა ამომკაწრავების – ახოანისა და ადიპ-იაკობისაგან განსხვავებით, სურდა, თავისი სავედრებელი წარწერა თვალში ნაკლებად მოსახვედრ ადგილას შეესრულებინა. როგორც ჩანს, მან სწორედ ამ მიზეზის გამო განათავსა საკუთარი წარწერა გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის დასავლეთი მინაშენის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნახევარსვეტზე: ეს ნახევარსვეტი მოთეთრო-მოყვითალო ფერის საღებავით არის შეღებილი და მასზე შესრულებული კსა-

¹ მაგალითისათვის, აღვნიშნავ, რომ ანთროპონიმი „აჯიბი“ დადასტურებულია პოვანესის მიერ თბილისში გადაწერილი 1452 წლის სომხური სახარების I ანდერძში: „გვედრებით ვეელას... გულითადად მოიხსენეთ... ღვთისმსახური დედაკაცი ჯპანი, ქრისტეს მიმართ მიცვალებული [მისი] ქმარი აჯიბი...“ (სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (პიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ (თბილისი, 1978), გვ. 72).

თის სავედრებელი წარწერის გრაფიკათა თეთრი ნაკაწრი ხაზები ეკლესიის დასავლეთ მინაშენში შემსვლელთათვის, პრაქტიკულად, შეუმჩნეველი რჩება.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ მოკლედ შევეხები კიდევ ერთ წარწერას, რომელსაც გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის დასავლეთ მინაშენში მივაკვლიე. სამწუხაროდ, წარწერა, შელესილობის ჩამოცვენის გამო, იმდენად ნაკლები, რომ მისი ტექსტიდან მხოლოდ ორიოდე გრაფიკადა განირჩევა. აღნიშნული მიზეზის გამო, წარწერის შინაარსის განსაზღვრა და მისი დამწერის ვინაობის დადგენა ვეღარ ხერხდება. საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე, მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ წარწერა ქართული ნუსხური დამწერლობით არის შესრულებული. გარდა ამისა, სავარაუდებელია ისიც, რომ წარწერა, №5, №6 და №7 ნაკაწრი წარწერების მსგავსად, XIII-XIV საუკუნეებს მიეკუთვნება.

პარალელურად ამისა, წარწერასთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს ერთი საინტერესო გარემოება: განსახილველი წარწერა, ზემოთ განხილული №5, №6 და №7 წარწერებისაგან განსხვავებით, ამოკაწრული კი არ არის, არამედ ბათქაშზე ჟანგისფერი საწერ-საღებავით არის დაწერილი. ვფიქრობ, აღნიშნული გარემოება ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ წარწერის დამწერი მწიგნობრობაში გაწაფული პირი იყო და თან დაჰქონდა სათანადო საწერ-საღებავი, აგრეთვე, შესაბამისი კალამი, რომლებსაც, საჭიროების შემთხვევაში, თავისუფლად იყენებდა.

გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაში მიკვლეულ ქართულ ნაკაწრ წარწერებთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების განხილვის შემდეგ ლოგიკურად დაისმის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო კითხვა: რომელ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებიან და რომელი კონფესიის მიმდევრები არიან ამ წარწერებში მოხსენიებული პირები – ახოანი, ადიპ-იაკობი, კსათი და კსათის დედ-მამა, აგრეთვე, ჟანგისფერი საწერ-საღებავით დაწერილი წარწერის შემსრულებელი ანონიმი მწიგნობარი?

დასმული კითხვის პირველი ნაწილისათვის რაიმე საბოლოო, კატეგორიული პასუხის გაცემა, დამატებითი მასალის არქონის გამო, ჯერჯერობით, არ შემიძლია, თუმცა კი, უფრო იმ მოსაზრებისაკენ ვიხრები, რომ განსახილველ წარწერებში მოხსენიებული პირები ქართველები იყვნენ.

ამგვარი მოსაზრებისაკენ, ძირითადად, ერთი გარემოება მიბიძგებს: გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაში მიკვლეული ქართული ნაკაწრი წარწერები კერძო პირთა სავედრებლებს წარმოადგენს, არაოფიციალური შინაარსის მქონე, პირადი ხასიათის ტექსტებია და საკუთრივ დამწერის შინაგან განცდებსა თუ სურვილებს გამოხატავს. ჩემი დაკვირვებით, აღნიშნული ტიპის წარწერები, ლოგიკურად, მათი დამწერის მშობლიურ ენაზე, მისივე მშობლიური დამწერლობით უნდა იყოს შესრულებული. შესაბამისად, თუ ეს დაკვირვება სწორია, მაშინ გამოდის, რომ განსახილველი ქართული წარწერების ამომკაწრავი პირები – ახოანი, ადიპ-იაკობი და კსათი, აგრეთვე, კსათის მშობლები, მათთან ერთად კი, ჟანგისფერი საწერ-საღებავით დაწერილი წარწერის შემსრულებელი ანონიმი მწიგნობარიც, ეთნიკური თვალსაზრისით, მართლაც ქართველები იყვნენ.

ერთი შეხედვით, ჩემი ამ მოსაზრების სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ის გარემოებაც, რომ გრიგოლ განმანათლებლის ტაძრის ახლადმიკვლეულ ქართულ ნაკაწრ წარწერებში მოხსენიებული ერთ-ერთი პირის – ახოანის სახელი უეჭველად ქართულ ნიდაგზეა წარმოქმნილი, ხოლო მეორე პირის – ადიპ-იაკობის სახელი ქართული ანთროპონიმიკის აშკარა გავლენას განიცდის. თუმცა, საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ ამ სახელების „ქართულობა“ საკმარისი საფუძველი არ არის იმისათვის, რათა მათი მატარებელი პირები მაინცადამაინც ქართველებად მივიჩნიოთ: საქართველოს (და არამხოლოდ საქართველოს) ისტორიიდან ცნობილია ასეულობით შემთხვევა, როცა ესა თუ ის კონკრეტული პირი ერთ ეთნიკურ ჯგუფს ეკუთვნოდა, ხოლო მისი სახელი მეორე ეთნიკური ჯგუფის ანთროპონიმიკიდან იყო აღებული.

ზემოთ დასმული კითხვის პირველი ნაწილისაგან განსხვავებით, მისი მეორე ნაწილისათვის პასუხის გაცემა ბევრად უფრო იოლ ამოცანას წარმოადგენს: გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაში მიკვლეულ ქართულ ნაკაწრ წარწერებში მოხსენიებული პირები ქალკედონური მრწამსის აღმსარებლები იყვნენ.

აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისას ორ ძირითად არგუმენტს ვემყარები: 1. დღეისათვის დადგენილია, რომ გრიგოლ განმანათლებლის ეკლესია, ყველაზე გვიან, XIII საუკუნის შუახანებიდან მაინც, ქალკედონურ ტაძარს წარმოადგენდა. შესაბამისად, ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ ამ ეკლესიის კედლებზე წარწერების ამომკაწრავი პირებიც, ძირითადად, ქალკედონური მრწამსის აღმსარებლები იყვნენ; და 2. ახლადგამოვლენილი წარწერები ქართულ ენაზეა შედგენილი და ქართული დამწერლობით არის გადმოცემული. აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს წარწერები არაქალკედონიტებს, მაგალითად, სომხური მონოფიზი-

ტური მრწამსის აღმსარებლებს შეესრულებინათ და მათ გადმოსაცემად, არა სომხური, არამედ ქართული ენა და დამწერლობა გამოეყენებინათ.

ჩემს მიერ გამოთქმული იმ მოსაზრების მართებულობას, რომ გრიგოლ განმანათლებლის ქალკედონურ ეკლესიაში მიკვლეული ქართული წარწერები არაქალკედონიტა მიერ არ არის ამოკაწრული, თვალნათლივ ადასტურებს სხვა ქალკედონური სავანეების – გარეჯის უდაბნოსა და ბერთუბნის მონასტრების ეპიგრაფიკულ ძეგლებზე დაკვირვება. დღეისათვის დასახელებულ მონასტრებში XIII-XVIII საუკუნეების 20-ზე მეტი სომხური ნაკაწრი წარწერაა გამოვლენილი. როგორც ამ წარწერების შესწავლა აჩვენებს, მათი უმეტესი ნაწილი მონოფიზიტური მრწამსის აღმსარებელი სომხების მიერ არის შესრულებული¹.

ჩემი დაკვირვებით, ის ფაქტი, რომ სომეხი მონოფიზიტები წმინდად ქართულ ეთნიკურ გარემოში მოქცეულ გარეჯის ქალკედონურ მონასტრებში ნაკაწრ წარწერებს სომხურ ენაზე ასრულებდნენ, სწორედ იმ მოსაზრებას უჭერს მხარს, რომ იგივე სომეხი მონოფიზიტები, ძირითადად, სომხებით დასახელებული ციხე-ქალაქ ანისის გრიგოლ განმანათლებლის ქალკედონურ ტაძარში ანალოგიურ წარწერებს ქართულ ენაზე არ შეადგენდნენ და მათ, გარეჯის უდაბნოსა და ბერთუბნის მონასტრებში ამოკაწრული წარწერების მსგავსად, აგრეთვე, სომხურ ენაზე შესრულებდნენ.

გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაში არაოფიციალური შინაარსის, პირადი ხასიათის ქართული სავედრებელი ნაკაწრი წარწერების გამოვლენას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს თავად ამ ტაძრის ისტორიისათვის. მართლაც, აქამდე სამეცნიერო საზოგადოებისათვის ცნობილი იყო გრიგოლ განმანათლებლის მონასტერში გამოვლენილი აღნიშნული ტიპის მხოლოდ 2 წარწერა, რომლებიც სომხურ ენაზეა შედგენილი და სომხური დამწერლობით არის გადმოცემული. მოვიტან ამ წარწერათა ტექსტების პარაფრაზის მიერ შესრულებულ რუსულ თარგმანებს:

1. *“В лето 794 (=1345 г.) Помяните меня – Спандиара в святых молитвах ваших, дабы помянул бы вас бог”*².

2. *“Меня – Чаруха, помяните во Христе”*³.

ამიერიდან ციტირებულ 2 სომხურ წარწერას ემატება არაოფიციალური შინაარსის, პირადი ხასიათის 4 ქართული წარწერა, რომლებზე დაკვირვებაც აჩვენებს, რომ შუა საუკუნეებში, უფრო ზუსტად კი, XIII-XIV საუკუნეებში, გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიას, მოლოცვისა თუ რაიმე სხვა მიზეზის გამო, საკმაოდ ხშირად სტუმრობდნენ ქართველი ქალკედონიტები, რომლებიც საკუთარ სავედრებელ წარწერებს ტაძრის სხვადასხვა ადგილს ასრულებდნენ.

III. ქართველთა ეკლესიის კედლის წყობაში ჩაყოლებული ბერძნული წარწერა

2014 წელს ნაქალაქარ ანისში მოწყობილი ექსპედიციის დროს ქართული წარწერების გამოვლენის, დოკუმენტირების, ფიქსაციისა და ადგილზე შესწავლის მიზნით, საგანგებოდ დავათვალიერე ქართველთა ეკლესია, რომელიც თითქმის მთლიანად ჩამოქცეულია და ნანგრევებით არის გარემოცული. დღეისათვის ამ, დარბაზული გეგმარების მქონე ტაძრიდან შემორჩენილია მხოლოდ ნაოსის ჩრდილოეთი კედელი და მის ქვემოთ, ეკლესიის ქვედა სართულზე მოწყობილი თაღოვანი კრიპტის ჩრდილოეთი ნაწილი.

ქართველთა ეკლესიის ინტერიერში მუშაობის დროს ყურადღება მივაქციე ჩრდილოეთი კედლის ძირის წყობას, რომელსაც ოდესღაც ნაოსის იატაკის ჩრდილოეთი კიდე ფარავდა და რომელიც, დღეისათვის, იატაკის ჩანგრევის გამო, მთლიანად გაშიშვლებულია. კედლის წყობაში განიხილვა სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის ნათალი ქვის ფილები, რომლებიც თავდაპირველად სხვა ნაგებობას ეკუთვნოდა. მოგვიანებით ეს ქვის ფილები ქართველთა ეკლესიის მშე-

¹ ლ. მელიქსეთ-ბეგი, გარესჯის „მრავალმთის“ სომხური ეპიგრაფიკა და პოლიგლოტური წარწერა – ქართულ-სომხურ-სპარსულ-უიღურული, *აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე*, V-VI (თბილისი, 1940), გვ. 151-174; თ. ჯოჯუა, გარეჯის უდაბნოს მონასტრის 1467 წლის ქართული და სომხური წარწერების ავტორის ვინაობისათვის, *ANALECTA IBERICA, ისტორიის, რელიგიისა და კულტურის საკითხები*, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის კლდის ძეგლები (თბილისი, 2001), გვ. 146-155.

² П. Мурадян, Проблема конфессиональной ориентации..., Стр. 59.

³ იქვე. ამ 2 სომხური წარწერისაგან, შინაარსის კუთხით, მნიშვნელოვნად განსხვავდება გრიგოლ განმანათლებლის მონასტერში გამოვლენილი დანარჩენი 4 სომხური წარწერა, რომელთაგან 3 წარწერა – ტიგრან ჰონენცის 1215 წლის, ანონიმი პირის 1251 წლისა და მწიგნობართუხუცეს მათეს 1310 წლის წარწერები, როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ, სააღმშენებლო-განახლებითი ხასიათისაა, ხოლო 1 წარწერა ჯვრის აღმართვის შესახებ მოგვითხრობს. მოვიტან ამ, ბოლო წარწერის ტექსტის რუსულ თარგმანს, რომელიც პარაფრაზის მიერ არის შესრულებული: *“Во имя бога я, Иова(н)э... сын Чортваника, водрузил этот крест”* (იქვე).

ნებლობის დროს, მეორედი დანიშნულებით, სამშენებლო მასალად გამოიყენეს და ჩრდილოეთი კედლის ძირის წყობაში ჩააყოფიეს. აღნიშნულ ქვის ფილებს შორის გვხვდება მოყვითალო ფერის მოზრდილი კვადრი, რომელიც ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის შუა თაღის ქვემოთ, ამ თაღის დასავლეთიდან მომფარგლავი პილასტრის ბაზიდან 40 სმ-ის დაშორებით მდებარეობს. კვადრის ჩრდილოეთი და შუა ნაწილები კედლის წყობაშია მოქცეული და მთლიანად არის დაფარული. ამჟამად თავისუფლად იხილვება კვადრის მხოლოდ სამხრეთი ნაწილი, რომლის სამხრეთისაკენ მიმართული, გლუვი, კარგად დამუშავებული ზედაპირის მქონე წახნაგის ფართობი 35X28 სმ-ია. კვადრის დათვალიერების შედეგად, აღმოჩნდა, რომ მის ქვედა წახნაგზე ბერძნული ლაპიდარული წარწერაა ამოკვეთილი.

კვადრის ქვედა წახნაგის იმ მონაკვეთის ფართობი, რომელიც დღეისათვის თავისუფლად იხილვება, 35X13 სმ-ია. თავად ქვედა წახნაგი მისი სიბრტყიდან ამოზიდული, ჩრდილოეთი-სამხრეთი ღერძის გასწვრივ მიმართული, 7,5 სმ. სიგანის ზოლისებური მოცულობის დახმარებით, ორ მონაკვეთად არის გაყოფილი. ამათგან, დასავლეთი მონაკვეთის ფართობი 10X13 სმ, ხოლო აღმოსავლეთი მონაკვეთის ფართობი 17,5X13 სმ-ია. სწორედ კვადრის ქვედა წახნაგის დასავლეთ მონაკვეთზეა ამოკვეთილი ზემოხსენებული ბერძნული ლაპიდარული წარწერა. წარწერა, სავარაუდოდ, ორ სტრიქონს შეიცავს და კვადრის ამჟამინდელი მდებარეობის გათვალისწინებით, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ იკითხება. სტრიქონების შუა და დასასრული ფრაგმენტები, კვადრის ჩრდილოეთ და შუა ნაწილებთან ერთად, კედლის წყობაშია მოქცეული და არ იხილვება. განიჩევა სტრიქონების მხოლოდ დასაწყისი ფრაგმენტი, რომელიც 8 ბერძნულ გრაფემას შეიცავს. გრაფემების სიმაღლე, საშუალოდ, 3 სმ-ს შეადგენს. გრაფემათა ხაზების საშუალო სიგანე 0,2-0,3 სმ, ხოლო კვეთის სიღრმე 0,1-0,2 სმ-ია (სურ. 21, სურ. 22, სურ. 23, სურ. 24, სურ. 25 და სურ. 26).



სურ. 21. ანისის ქართველთა ეკლესია (ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან)



სურ. 22. ქართველთა ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის ქვედა ნაწილი და ტაძრის ქვედა სართულზე მოწყობილი თაღოვანი კრიპტის ჩრდილოეთი ნაწილი (ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან)



სურ. 23. ქართველთა ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის ძირის გაშიშვლებული წყობა და მასში ჩაყოლებული კვადრი (ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან)



სურ. 24. ქართველთა ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის ძირის წყობაში ჩაყოლებული კვადრი (ხედი სამხრეთიდან)



სურ. 25. კვადრის ქვედა წახნაგის სამხრეთი ნაწილი



სურ. 26. კვადრის ქვედა წახნაგზე ამოკვეთილი ბერძნული წარწერის ფრაგმენტი

მოვიტან წარწერის ტექსტის დასაწყისი ფრაგმენტის გადმონაწერს:

1. [--]Θ[...]
2. ΔΗ[--]Ω[...]

როგორც ვხედავთ, ახლადმიკვლეული ბერძნული წარწერის ტექსტის ჩემს მიერ შესრულებული გადმონაწერი იმდენად ფრაგმენტული სახისაა, რომ მისი არათუ გაბმული ტექსტის წაკითხვა, არამედ ზოგადად, შინაარსის გარკვევაც კი ვერ ხერხდება. მიუხედავად ამისა, სრულებით აშკარაა, რომ წარწერა ძალზედ საინტერესო მითითებებს გვაწვდის ქართველთა ეკლესიის აგების დროსა და ისტორიულ ვითარებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისათვის.

ვიდრე ხსენებულ მითითებებზე გადავიდოდე, აღვნიშნავ, რომ ქართველთა ეკლესიის აგების დროსა და ისტორიული ვითარების შესახებ უკანასკნელ პერიოდში საინტერესო მოსაზრებები გამოთქმეს ქართველმა მკვლევრებმა – გიორგი ჭეიშვილმა და ირინე გივიაშვილმა.

გიორგი ჭეიშვილმა 2015 წელს გამოაქვეყნა საენციკლოპედიო სტატია „ანისის ეპარქია. ისტორია“, რომელშიც, ერთი მხრივ, ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ 1045 წელს ციხე-ქალაქ ანისი საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) დედას, სომეხ მეფეთა ჩამომავალს, დედოფალ მარიაშს გადაეცა, მეორე მხრივ, გაითვალისწინა ის გარემოება, რომ იმავე 1045 წელს ანისის სამეფო ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა და გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართველთა ეკლესია ანისში დედოფალ მარიაშის მკვიდრობისა და ქართველთა ბატონობის ხანმოკლე პერიოდში ანუ 1045 წელს იყო აგებული¹.

ირინე გივიაშვილმა იმავე 2015 წელს დაბეჭდილ საენციკლოპედიო სტატიაში „ანისის ეპარქია. ანისის ეპარქიის ქართული სიძველეები“, გიორგი ჭეიშვილის მსგავსად, ყურადღება გაამახვილა წერილობით წყაროების ცნობებზე, რომელთა თანახმადაც 1044 წელს ციხე-ქალაქი

¹ გ. ჭეიშვილი, ანისის ეპარქია, გვ. 210.

ანისი დედოფალ მარიამს გადაეცა. ამის შემდეგ მკვლევარმა საგანგებოდ განიხილა ქართველთა ეკლესიის ინტერიერში, ჩრდილოეთი კედლის თაღნარში წარმოდგენილი ორი რელიეფი – ხარება და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ელისაბედთან შეხვედრა, გარდა ამისა, ზოგადად შეეხო ტაძრის არქიტექტურას და დაასკვნა, რომ რელიეფები XI საუკუნის ქართულ კედლის მხატვრობასთან პოულობს პარალელებს, ხოლო ეკლესია X საუკუნის ნამუშევრებს უახლოვდება. დასასრულ, ირინე გივიაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართველთა ეკლესია ანისში ქართველების გამოჩენისა და დედოფალ მარიამის მოღვაწეობის პერიოდით – XI საუკუნის II ნახევრით თარიღდება და იქვე, დამატებით აღნიშნა ისიც, რომ ტაძარი, შესაძლოა, უშუალოდ დედოფალ მარიამის კაპელა და სამარხი იყო¹.

საკითხის შესწავლის მოცემულ ეტაპზე გიორგი ჭეიშვილისა და ირინე გივიაშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ვერც გავიზიარებ და ვერც უარყოფ, თუმცა კი, ჩემი მხრივ, ახლადმიკვლეულ ბერძნულ წარწერაზე დაყრდნობით, ქართველთა ეკლესიის აგების დროისა და ისტორიული ვითარების შესახებ რამდენიმე ახალ მოსაზრებას გამოვთქვამ:

- ის გარემოება, რომ ქართველთა ეკლესიის კედლის წყობაში ბერძნული ლაპიდარული წარწერის შემცველი ქვის კვადრია ჩაყოლებული, ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ქართველთა ეკლესიის აგებისას ქვითხუროები სამშენებლო მასალად იყენებდნენ იმ კონკრეტული ნაგებობის ნაშთებს, რომლის კედლებზეც ბერძნული წარწერები იყო ამოკვეთილი და რომელიც, ამ წარწერების ენის გათვალისწინებით, დიდი ალბათობით, ბერძნული ქალკედონური ტაძარი უნდა ყოფილიყო.

- თუ ჩემს მიერ გამოთქმული პირველი მოსაზრება სწორია და ქართველთა ეკლესიის აგებისას ქვითხუროები სამშენებლო მასალად ნამდვილად იყენებდნენ ბერძნული ქალკედონური ტაძრის ნაშთებს, მაშინ ლოგიკურად ირკვევა შემდეგი: ა) ქართველთა ეკლესიის აგების დროს ბერძნული ქალკედონური ტაძარი ან ძლიერ დაზიანებული იყო და დემონტაჟს საჭიროებდა ან კიდევ, უკვე დანგრეული იყო; და ბ) ბერძნული ქალკედონური ტაძარი ან ქართველთა ეკლესიის მახლობლად ან კიდევ, რაც უფრო სარწმუნო ჩანს, უშუალოდ მისი აგების ადგილას მდებარეობდა.

- ჩემი პირველი და მეორე მოსაზრებების გათვალისწინებით, სავსებით გასაგები ხდება, თუ რა პრინციპით იქნა შერჩეული ქართველთა ეკლესიის ასაგები ადგილი. როგორც ჩანს, ციხე-ქალაქ ანისის მმართველებმა ქართველთა ეკლესიის ანუ ქართული ქალკედონური ტაძრის ასაშენებლად ქალაქის ტერიტორიაზე გამოიყვეს ის კონკრეტული მიწის ნაკვეთი, რომელიც ან დანგრევის პირას მყოფ ან კიდევ, უკვე დანგრეულ ბერძნულ ქალკედონურ ეკლესიას ეკავა.

- ბერძნული ლაპიდარული წარწერის მიკვლევის ადგილზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ქართველთა ეკლესია ამ წარწერის ამოკვეთის შემდგომ პერიოდში იყო აგებული. შესაბამისად, ბერძნული წარწერის თარიღის განსაზღვრის შემდეგ ავტომატურად დადგინდება ქართველთა ეკლესიის აშენების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი და საბოლოოდ გაირკვევა ისიც, ეს ტაძარი ნამდვილად XI საუკუნეში იყო აგებული, თუ უფრო ადრეულ ან უფრო მოგვიანო პერიოდში.

ამით ციხე-ქალაქ ანისის ქართველთა ეკლესიის კედლის წყობაში მიკვლეულ ბერძნულ ლაპიდარულ წარწერაზე საუბარს საბოლოოდ ვასრულებ და გამოვთქვამ იმედს, რომ ბერძნული ეპიგრაფიკული ძეგლებით დაინტერესებული მკვლევრები ამ წარწერას საფუძვლიანად შეისწავლიან.

¹ ირ. გივიაშვილი, ანისის ეპარქია..., გვ. 214-215.

1. ალ. აბდალაძე, *სომხურ ხელნაწერთა X-XIII საუკუნეების ანდერძ-მინაწერების ცნობები საქართველოს შესახებ* (თბილისი, 2005).
2. ი. აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები)* (თბილისი, 1973).
3. აბუსერიძე ტბელი, *ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატთანე, 1233 წლის ტექსტი*, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა (თბილისი, 1941).
4. აბუსერიძე ტბელი, *თხზულებანი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს: ნ. გოგუაძემ, მ. ქავთარიამ და რ. ჩაგუნავამ (ბათუმი, 1998).
5. ი. ანთელავა, *საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში* (თბილისი, 1983).
6. ი. ანთელავა, *შენიშვნები „ხელმწიფის კარის გარიგების“ ტექსტისათვის, ი. ანთელავა, საქართველოს საისტორიო-წყაროთმცოდნეობითი ძიებანი* (თბილისი, 2002).
7. ი. ანთელავა, *„ხელმწიფის კარის გარიგების“ დათარიღებისა და ავტორის შესახებ, ი. ანთელავა, საქართველოს საისტორიო-წყაროთმცოდნეობითი ძიებანი* (თბილისი, 2002).
8. გ. არახაშია, *ძველი ქართული საგვარეულო მატთანეები (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა)* (თბილისი, 1988).
9. ნ. ბაგაური, *„დავით მეფეთა მეფის“ იდენტიფიკაციისათვის (კორიდეთის ოთხთავის მინაწერი უან ჩიას ძისა), ბიზანტიოლოგია საქართველოში – 3, ეძღვნება აკადემიკოს გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დაარსების 50-ე წლისთავს, რედაქტორები: ნ. მახარაძე, ნ. სულავა, I* (თბილისი, 2011).
10. მ. ბახტაძე, *ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში* (თბილისი, 2003).
11. ი. ბერიძე, *მკარგრძელთა საკველოები XII-XIII საუკუნეების საქართველოში, სტუდენტური ძიებანი, I* (თბილისი, 2001).
12. მ. ბერძნიშვილი, *ანისის ქართული წარწერა 1218, საქართველო, ენციკლოპედია, 1, ა-გილდია* (თბილისი, 1997).
13. მ. ბერძნიშვილი, *ანისის ქართული წარწერა 1218, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1, ა-ატოცი* (თბილისი, 1975).
14. ი. გივიაშვილი, *ანისის ეპარქია, ანისის ეპარქიის ქართული სიძველეები, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ენციკლოპედია, I, აბათა-ბურნაშეთი* (თბილისი, 2015).
15. კ. დანელია, *ქართული წარწერები სომხეთში, კომუნისტი, №181 (17526), 5 აგვისტო* (თბილისი, 1979).
16. შ. დარჩიაშვილი, *ძიებანი ქართულ-სომხური ურთიერთობების ისტორიიდან, სომხური ლაპიდარული წარწერების ცნობები საქართველოს შესახებ XII-XIII საუკუნეების პირველ მესამედში* (თბილისი, 2010).
17. ვარდან არეველცი, *მსოფლიო ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ე. კვაჭანტირაძემ* (თბილისი, 2002).
18. ვახუშტი, *საქართველოს ისტორია, განმარტებული და შევსებული ახლად შექმნილის არხეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ბაქრაძის მიერ, ნაწილი პირველი, ძველის საქართველოს საზოგადო ქარტით* (ტფილისი, 1885).
19. ექ. თაყაიშვილი, *აკადემიკოსი ნიკო იაკობის ძე მარრი (სამეცნიერო მუშაობა და ღვაწლი), დაბრუნება, მრავალტომეული, 1, ექ. თაყაიშვილი, ემიგრანტული ნაშრომები* (თბილისი, 1991).
20. ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი, *ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გ. კარტოზიამ და ც. კიკვიძემ, ქართლის ცხოვრება* (თბილისი, 2008).
21. ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი, *ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II* (თბილისი, 1959).
22. გ. კალანდია, *ქ. ასათიანი, ანისის ნაქალაქარის ქართული წარწერები (ანისის I და II ექსპედიციების ანგარიშები), ვალერი სილოგავა, მოვონებები, სამეცნიერო სტატიები* (თბილისი, 2011).
23. გ. კალანდია, *ქ. ასათიანი, ტიგრან ჰონენცის ტაძრის ქართული წარწერები (ანისის პირველი ექსპედიციის ანგარიში), ლიტერატურა და ხელოვნება, №9 (57)* (თბილისი, 2010).
24. ვლ. კეკელია, *ამირახორი, ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში (ენციკლოპედიური ლექსიკონი)* (თბილისი, 2017).
25. ვლ. კეკელია, *ანისის ტიგრან ჰონენცის ეკლესიის კონფესიონალური კუთვნილების საკითხისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V* (თბილისი, 2012).

26. ვლ. კეკელია, მეჯინიბეთუხუცესი, *ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში (ენციკლოპედიური ლექსიკონი)* (თბილისი, 2017).
27. ვლ. კეკელია, რამდენიმე დაკვირვება ანისის ქართულ წარწერებზე, მოხსენება, წაკითხული ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კორნელი კეკელიძის სახელობის სამეცნიერო სემინარზე, 9 ივლისი, 2014 წ.
28. ვ. კიკნაძე, „ძველი ერისთავთა“ ერთი ადგილის განმარტებისათვის („ხოხია ბაიდარის ძე“) და პოლიტიკური სიტუაცია XIV საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, *საქართველოს უნივერსიტეტის V ყოველწლიური კონფერენცია პუბლიცისტურ მეცნიერებებში, 19 მაისი, 2013* (თბილისი, 2014).
29. რ. კიკნაძე, ახალი მასალა XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიისათვის, რ. კიკნაძე, *საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები*, I (თბილისი, 1982).
30. რ. კიკნაძე, ხუტლუბუღა, *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, 11, შინდი-ჰუხი (თბილისი, 1987).
31. *კორიდეთის საბუთები (X-XIII საუკუნეები)*, გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ (თბილისი, 1989).
32. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დიმიტრი ბაქრაძის პირადი არქივი, №32.
33. ბ. კუდავა, ტიგრან პონენცის ქართული წარწერა ანისში, *ძველი ხელოვნება დღეს*, 7 (თბილისი, 2016).
34. ლ. მელიქსეთ-ბეგი, გარესჯის „მრავალმთის“ სომხური ეპიგრაფიკა და პოლიგლოტური წარწერა – ქართულ-სომხურ-სპარსულ-უიღურული, *აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე*, V-VI (თბილისი, 1940).
35. შ. მესხია, *საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში* (თბილისი, 1979).
36. ვლ. მეტრეველი, *მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII საუკუნეები)* (თბილისი, 1962).
37. ქ. ნადირაძე, ანისი, *კავკასია ქართულ წყაროებში: უცხო სახელმწიფოები, ტომები, ისტორიული პირები*, ენციკლოპედიური ლექსიკონი (თბილისი, 2012).
38. ჟამთააღმწერელი, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II (თბილისი, 1959).
39. ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატინანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გ. ალასანიამ, *ქართლის ცხოვრება* (თბილისი, 2008).
40. ვ. სილოგავა, ანისისა და ყარსის ქართული ეპიგრაფიკა (მოკლე მიმოხილვა), *ახალციხე-ყარსი (სიმპოზიუმის მასალები)* (ახალციხე-ყარსი, 2001).
41. ვ. სილოგავა, ანისის ეპარქია, წარწერები, *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ენციკლოპედია*, I, აბათა-ბურნაშეთი (თბილისი, 2015).
42. ვ. სილოგავა, ანისის ქართული წარწერა 1288, *საქართველო, ენციკლოპედია*, 1, ა-გილდია (თბილისი, 1997).
43. ვ. სილოგავა, ანისის ქართული წარწერები, ქართული ენა, ენციკლოპედია (თბილისი, 2008).
44. ვ. სილოგავა, ანისის წარწერა 1218, *ივ. ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი* (თბილისი, 2002).
45. ვ. სილოგავა, ანისის წარწერები, *ნურგი*, №4 (3358), 16-28 თებერვალი (თბილისი, 1998).
46. ვ. სილოგავა, სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ, *მაცნე*, ენისა და ლიტერატურის სერია, 2 (თბილისი, 1980).
47. ვ. სილოგავა, ქართული ეპიგრაფიკა და პალეოგრაფია ივ. ჯავახიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობაში, *მნათობი*, №3. მარტი (თბილისი, 1977).
48. *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (პიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ (თბილისი, 1978).
49. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საბიბლიოთეკის დაურთო ი. აბულაძემ (თბილისი, 1991).
50. ზ. სხირტლაძე, საპმადინის 1288 წლის ქართული წარწერა ანისში: ფრაგმენტული ტექსტის დადგენის ცდა, *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე*, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 2 (თბილისი, 2017).
51. ტბელ აბუსერისძე, *ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა*, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. სიხარულიძემ (ბათუმი, 1981).

52. *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტომი I, შეადგინეს და დასაბუჟდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედაქციით (თბილისი, 1973).
53. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, I, ა-ბ, პირველი ტომის რედაქტორი – პროფესორი არნ. ჩიქობავა (თბილისი, 1950).
54. *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი*, I, ქართული ისტორიული საბუთები, IX-XIII საუკუნეები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა (თბილისი, 1984).
55. *ქართული სამართლის ძეგლები*, 1, ჰელმწიფის კარის გარიგება, 2, დასტურლამალი, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ (თბილისი, 1970).
56. *ქართული სამართლის ძეგლები*, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფესორმა ი. დოლიძემ (თბილისი, 1970).
57. ვლ. ღუნაშვილი, *ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია (VI საუკუნის 70-იანი წლებიდან 1777 წლის ჩათვლით)* (თბილისი, 2005).
58. ნ. შოშიაშვილი, ათაბაგი, *საქართველო, ენციკლოპედია*, 1, ა-გილდია (თბილისი, 1997).
59. ნ. შოშიაშვილი, ამილახორი, *საქართველო, ენციკლოპედია*, 1, ა-გილდია (თბილისი, 1997).
60. ნ. შოშიაშვილი, ამირსპასალარი, *საქართველო, ენციკლოპედია*, 1, ა-გილდია (თბილისი, 1997).
61. დ. ჩუბინაშვილი, *ქართულ-რუსული ლექსიკონი*, მეორე გამოცემა, აღდგენილი ოფსეტის წესით, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ (თბილისი, 1984).
62. ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატინანე), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო შ. მესხიამ, *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, 3 (თბილისი, 1954).
63. გ. ჭეიშვილი, ანისის ეპარქია, ისტორია, *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ენციკლოპედია*, I, აბათა-ბურნაშეთი (თბილისი, 2015).
64. გ. ჭეიშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიების ეპარქიები სომხეთში, *ლოგოსი*, №7 (თბილისი, 2013).
65. ივ. ჯავახიშვილი, *სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX-XIII საუკუნეებში* (ტფილისი, 1934).
66. ივ. ჯავახიშვილი, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX-XIII საუკუნეებში, *ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად*, VI, დამატებანი (თბილისი, 1982).
67. ივ. ჯავახიშვილი, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX-XIII საუკუნეებში, *ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია*, წიგნი მესამე, დამატება მეორე (თბილისი, 1966).
68. ივ. ჯავახიშვილი, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX-XIII საუკუნეებში, *ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია*, წიგნი მეხუთე, დამატება I (თბილისი, 1953).
69. თ. ჯოჯუა, აბრაჰამ სავანის მიერ 1336 წელს გადაწერილი „საკურაოს“ (H-1328) ანდერძი დასავლეთ საქართველოს მეფის კონსტანტინე I-ის მოხსენიებით და საქართველოს XIV საუკუნის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, *საისტორიო კრებული*, 3, წელიწდეული (თბილისი, 2013).
70. თ. ჯოჯუა, გარეჯის უდაბნოს მონასტრის 1467 წლის ქართული და სომხური წარწერების ავტორის ვინაობისათვის, *ANALECTA IBERICA, ისტორიის, რელიგიისა და კულტურის საკითხები*, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის კლდის ძეგლები (თბილისი, 2001).
71. თ. ჯოჯუა, ევრემ მცირის ჰომილეტიკური კრებულის (S-1276a) 1370-1390-იანი წლების მინაწერის ცნობები მონღოლ სარდლებს – ულუსის ამირა შეის ჰასან ბოზორგსა და ამირა ალი ფადიშაჰს შორის 1336 წელს გამართულ ყარა დარას ბრძოლაში ტაოს ერისთავის ამირდამბარ I ფანასკერტელის ვასალის, ტაოელი ფეოდალის ბოცო წმედისძის მონაწილეობის შესახებ, *საისტორიო კრებული*, 5 (თბილისი, 2015).
72. თ. ჯოჯუა, გ. გაგოშიძე, ქობაირის, ჰნევეანქისა და ახტალის მონასტრების ქართული ლაპიდარული წარწერები, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, XII-XIII, ეძღვნება პროფესორ თ. ბერაძის დაბადებიდან 75 წლის იუბილეს (თბილისი, 2012/2013).
73. N. Khanykof, Excursion à Ani, en 1848, *Rapports sur un Voyage Archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, Exécute en 1847-1848*, par M.-F. Brosset, Membre de l'Académie Impériale des Sciences, 1^{re} livraison, Avec un Atlas de 18 planches lithographiées (Sankt-Petersbourg, 1849).
74. J.-P. Mahe, L'étude de P. M. Muradyan sur les inscriptions géorgiennes d'Arménie, *Bedi Kartlisa, Revue de kartvelologie*, XXXVIII, Études géorgiennes et caucasiennes (Paris, 1980).

75. A propos de l'édition des inscriptions géorgiennes d'Arménie par V. Silogava, *Bedi Kartlisa, Revue de kartvélologie*, XXXVIII, Études géorgiennes et caucasiennes (Paris, 1980).
76. *Les ruines d'Ani, capitale de l'Arménie, Sous les rois Bagratides, aux X^e et XI^e s, histoire et description*, par M.-F. Brosset, 1^{re} partie, Discription, avec un atlas de 24 planches lithographiées (Sankt-Pétersbourg, 1860).
77. E. Takhaichvili, L'inscription d'Épiphané, Catholicos de Géorgie, *Revue de L'orient Chrétien*, Dirigée par R. Graffin, Troisième série, X (XXX), 1935-1636, N^{os} 1 et 2 (Paris, 1938).
78. M. Thierry, L' Histoire de Saint Gregoire, Peinte dans L'église Saint-Grégoire de Tigran Honenc' à Ani (1215), *International Simposium "The Christianization of Caucasia (Armenia, Georgia, Albania), Vienna, Austrian Academy of Sciences, December 9-12, 1999* (Wien, 2002).
79. G. Uluhogian, The evidence of inscriptions, *Documents of Armenian architecture*, 12 Ani (Venezia, 1984).
80. Дм. Бакрадзе, Историческо-этнографический очерк Карсской области, *Известия Кавказского Отдела Императорского Русского Географического Общества*, VII, #1, I, Статьи и заметки (Тифлис, 1881).
81. Дм. Бакрадзе, Кавказ в археологическом отношении, *Записки Общества Любителей Кавказской Археологии*, I, изданная под редакцию помощника председателя общества А. Берже и члена комитета общества Дм. Бакрадзе (Тифлис, 1875).
82. В. Бартольд, Персидская надпись на стене анийской мечети Мануче, *В. Бартольд, Сочинения*, IV, Работы по археологии, нумизматике, эпиграфике и этнографии (Москва, 1966).
83. В. Бартольд, *Персидская надпись на стене анийской мечети Мануче*, с 2 таблицами (Санкт-Петербург, 1911).
84. Дм. Гордеев, Отчет о поездке в Ахалцихский уезд в 1917 году, *Известия Кавказского Историко-Археологического Института в Тифлисе*, I (Петроград, 1923).
85. В. Дондуа, К социально-экономической жизни средневековой Грузии по Анийской надписи (1218) Епифания, *გ. დონდუა, საბუნებისმეტყველო ძეგლები*, I (თბილისი, 1967).
86. В. Дондуа, К социально-экономической жизни средневековой Грузии по Анийской надписи (1218) Епифания, *Академия наук СССР Академику Н. Марру*, XLV (Москва-Ленинград, 1935).
87. Закарий Канакерци, *Хроника*, Перевод с армянского, предисловие и комментарий М. О. Дарбинян-Меликян (Москва, 1969).
88. Киракос Гандзакечи, *История Армении*, Перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л. Ханларян (Москва, 1976).
89. *Краткий путеводитель по городищу Ани (с планом)*, Составил И. Орбели (Санкт-Петербург, 1910).
90. Н. Марр, *Ани, Книжная история города и раскопки на месте городища* (Ленинград-Москва, 1934).
91. Н. Марр, Надпись Епифания, католикоса Грузии (Из раскопок в Ани 1910 г.), *Известия Императорской Академии Наук*, #17, VI серия, 1 декабря (Санкт-Петербург, 1910).
92. Н. Меликишвили, Повествуют камни, *Вечерний Тбилиси*, №201 (8672), 28 августа (Тбилиси, 1973).
93. А. Муравьев, *Грузия и Армения*, II (Санкт-Петербург, 1848).
94. П. Мурадян, К критике и интерпретации грузинской эпиграфики Армении, *მაცნე, ეხისა და ლიტერატურის სერია*, 3 (თბილისი, 1981).
95. П. Мурадян, Проблема конфессиональной ориентации церкви Оненца (критический анализ источников и литературы), *Кавказ и Византия*, 5 (Ереван, 1987).
96. И. Орбели, *Краткий путеводитель по городищу Ани*, И. Орбели, *Избранные труды* (Ереван. 1963).
97. В. Силогава, Анийская епархия, *Православная Энциклопедия*, Под редакцией Патриарха Московского и всея Руси Алексия II, II, Алексей, человек божий-Анфим Анхиальский (Москва, 2001).
98. Н. Тьерри, Роспись церкви св. Григория Тиграна Хоненца в Ани (1215), *ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სიმპოზიუმი* (თბილისი, 1977).
99. *Դիվանի հայ վիմագրության*, I, Անի քաղաք, կազմեց Հ. Օրբելի (Երևան, 1966).
100. Պ. Մուրադյան, *Հայաստանի վրացերեն արձանագրությունները*, աղբյուրագիտական քննություն (Երևան, 1977).

THE NEWLY REVEALED GEORGIAN AND GREEK EPIGRAPHIC MONUMENTS (LAPIDARY INSCRIPTIONS AND GRAFFITI) FROM THE ANCIENT CITY OF ANI

- Fourteen Georgian lapidary inscriptions have been revealed at the site of an ancient city of Ani until today. Among them is an epitaph executed in Georgian asomtavruli script. According to the scholars of the end of the XIX century and beginning of the XX century (D. Bakradze, I. Orbeli), the gravestone bearing the inscription lay on the floor of the Church of Gregory the Enlightener (the so called Tigran Honentsi), opposite the sanctuary. Many Georgian and foreign scholars have visited the above church in the end of the XX century - beginning of the XXI century, and none of them have seen the epitaph. Correspondingly, it was considered to be lost.

- On 21-22 June, 2014, a team of scholars (K. Abashidze, M. Bulia, G. Gagoshidze, M. Janjalia and T. Jojua) was on a scientific expedition to Ani. As a member of the team, I studied the Georgian inscriptions *in situ* and attempted to find the above-mentioned epitaph. The attempt was successful: I discovered the epitaph that was considered to be lost. The gravestone under consideration with an epitaph is inserted into the floor of the church interior, in the middle of east side of the nave of the Church of Gregory the Enlightener, opposite the sanctuary, straight before the raised sanctuary floor. Recently, the gravestone is broken into three fragments. Fragments 1 and 3 still lie *in situ*. They are covered with 2-3 mm layer of earth. Someone removed the fragment 2 from the site it belonged, turned it over and put on the fragment 1, creating a step before the raised sanctuary floor.

- Considerations suggested by Georgian and foreign scholars (D. Bakradze, I. Orbeli, P. Muradyan, V. Silogava, VI. Kekelia) about content of the epitaph, that were based on an unpublished text copied by D. Bakradze in 1881 (preserved in a collection of the K. Kekelidze Georgian National Center of Manuscripts), differ significantly. After discovering the gravestone and studying the epitaph, it turned out that all considerations suggested concerning content of the text were erroneous. In fact, the epitaph narrates that “Taka, *amirakhori* of Shanshe” lies in the tomb. Historical person *amirakhori* Taka (13012-1310), subordinated to *atabeg-amirspasalari* Shanshe II (1293-1320), has been unknown until now. The study has shown that the epitaph must be dated to 1302-1310. Re-discovery of the epitaph is of special importance: on the one hand, it assists in establishing confessional belonging of the Church of Gregory the Enlightener and of its owner; on the other hand, it assist in perfecting the chronological list of *amirakhories* of the Georgian kingdom.

- During the expedition to Ani on 21-22 June, 2014, I have discovered four Georgian inscriptions unknown earlier. They date to XIII-XIV centuris. Among them are three Georgian graffiti: supplication of Akhovani executed in asomtavruli script, supplication of Adip-Iakob in mkhedruli script, and supplication for the parents of Ksati (?), also in mkhedruli script. One more inscription is executed in brown ink with the use of the Georgian nuskhuri script. Its text is damaged to such extent that it cannot be read out. The newly revealed inscriptions are of special importance for establishing confessional belonging of the St. Gregory Church flock and probably for defining their nationality as well.

- During the same expedition of 21-22 June, 2014, when studying another church in Ani known under the name of the “Church of the Georgians”, I paid attention to a yellowish block used as a construction material, bearing a Greek lapidary inscription on one of its sides. Only several graphemes of the inscription are visible, since the larger part of it is hidden within the course of stones. The study shows that the Georgian masons used stones bearing Greek inscriptions, selected from the ruins, for construction of the “Church of the Georgians” in Ani. Taking into consideration language of these inscriptions, one can assume with high probability that secondary stones belonged to a Greek chalcedonic church.

ირაკლი ბელაშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
თამაზ გოგოლაძე
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
თემო ჯოჯუა
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სურამის ციხის წმ. გიორგის ეკლესიის უცნობი სააღმშენებლო
წარწერა (XV-XVI სს.) მიჯურჭლეთუხუცესისა და პირის მფლის გიორგი
დაღანისძისა და მისი მეუღლის თამარ ქუაბულისძის მოხსენიებით
(წარწერის მიკვლევისა და შესწავლის ისტორია; ტექსტის კუბლიკაცია)¹**

**1. სურამის ციხის წმ. გიორგის ეკლესიის
წარწერის მიკვლევისა და შესწავლის ისტორია**

2015 წლის 10 მარტს წინამდებარე ნაშრომის ავტორებმა დაბა სურამში მცირე ეპიგრაფიკული ექსპედიცია მოვაწვეთ და გვერდისუბნის ღმრთაების ეკლესიის 1180-1210-იანი წლების უცნობი ასომთავრული სააღმშენებლო წარწერის პალეოგრაფიული პირი გადმოვიღეთ².

იმავე 10 მარტს, გვერდისუბნის ეკლესიის წარწერაზე მუშაობის დასრულების შემდეგ, სურამის ციხეში ავედით და მისი შემორჩენილი ნაგებობები დავათვალიერეთ. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც ციხის ქვედა ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს (სურ. 1 და სურ. 2).



სურ. 1. სურამის ციხე,
ხედი დასავლეთისაკენ
(ფოტო ი. გელაშვილისა)

¹ წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს 2016 წლის 20 მაისს ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მიერ მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამუზეუმო კვირეულის ფარგლებში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების „სურამის ციხის წმინდა გიორგის ეკლესიის უცნობი სააღმშენებლო წარწერა მეჭურჭლეთუხუცეს გიორგი დაღანისძისა და მისი მეუღლის ქუაბულისძის ასულის თამარის მოხსენიებით“ მცირედ სახეცვლილ ვარიანტს.

² ამ წარწერის შესახებ იხ.: თ. ჯოჯუა, თ. გოგოლაძე, 1180-1210-იანი წლების უცნობი სააღმშენებლო წარწერა სურამის გვერდისუბნის ღმრთაების ეკლესიიდან ქართლის ერისთავების ბეგა I და რატი II სურამელების მოხსენიებით, *საისტორიო კრებული*, 4 (თბილისი, 2014), გვ. 273-322.



სურ. 2. სურამის ციხის
 წმ. გიორგის ეკლესია, ხედი
 ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ
 (ფოტო ი. გელაშვილისა)

არსებობს ამ ეკლესიის 1990 წელს გამოქვეყნებული აღწერილობა, რომელიც ფლორ დეე-დარიანისა და პარმენ ზაქარაიას მიერ არის შედგენილი. აღწერილობაში ვკითხულობთ: „წმ. გიორგის ეკლესია... აგებულია XI-XII სს-ში. ეკლ. დარბაზულია (5,9X6,1 მ), ნაგებია თლილი ქვით. შესასვლელი ორი აქვს – დას-ით და ჩრდ-ით. ეკლ. ორნაწილიანია, ორივე ნაწილი თანაბარია. სამხრ. ნაწილი აფსიდიანია, ჩრდ. ნაწილი – სწორკუთხა. დარბაზები ერთმანეთთან დაკავშირებულია განიერი თალით. ორივე ნაწილი გადახურულია ერთი ცილინდრული კამარით, რ-იც მათ ერთ დიდ დარბაზად აერთიანებს. თითოეულ დარბაზში თითო სარკმელია აღმ-ით და დას-ით. ინტერიერში შემორჩენილია ფოთლ. ხანის... მოხატულობის დახიანებული ფრაგმენტები. საკურთხევლის კონქში ვედრების კომპოზიციას; მის ჩრდ. კუთხეში ღვთისმშობლისა და ექვსფრთხის ფიგურებია, ქვემოთ – მოციქულთა ზიარება. ასევე ცალკეული ფრაგმენტებია შემორჩენილი დარბაზში: კამარის ჩრდ. მხარეს, თაღის თავზე ამადლების კომპოზიციის ნაწილი; ქვემოთ, ჩრდ.-დას. კუთხეში წმინდანთა მჯდომარე ფიგურებია; დას. კედლის ჩრდ. მონაკვეთი, ზემოთ, ლაზარეს აღდგინებას უჭირავს; ჩრდ. ნაგის კამარაში ჩანს მხოლოდ ანგელოზთა ფრთები; ქვემოთ, სამხრ. და ჩრდ. კედლების აღმ. ნაწილში მთავარანგელოზთა ორ-ორი ფიგურაა. მოხატულობისათვის დამახასიათებელია გამოსახულებათა მცირე ზომები და შესრულების გრაფიკულობა. კოლორიტში ჭარბობს მოწითალო-აგურისფერი, მუქი ლურჯი, მოწითალო-ყავისფერი, მონაცრისფრო-თეთრი და ყვითელი ფერები. ეკლესიის ფასადებზე დეკორის ფრაგმენტები ჩანს. სარკმლების მორთულობიდან შემორჩენილია თაღების და რელიეფური დილაკის ფრაგმენტები. სახურავი ორფერდაა. ეკლესიაზე ჩრდ-დან მიშენებულია კამარით გადახურული პატარა (2X3 მ) სათავსი, რ-საც შესასვლელი დას-დან აქვს. კარის თავზე გაჭრილია სარკმელი“¹.

ციტირებული აღწერილობის გამოქვეყნებიდან სულ რამდენიმე თვის შემდეგ, 1991 წლის 29 აპრილს, საქართველოში მოხდა მძლავრი მიწისძვრა, რომელმაც რაჭა-იმერეთსა და შიდა ქართლში დიდი ნგრევა გამოიწვია. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის თამაზ ლაცაბიძის ცნობით, 1991 წლის მიწისძვრამ ძლიერ დააზიანა სურამის ციხის წმ. გიორგის ეკლესიაც: „მთლიანად ჩამოიქცა მისი გადახურვა, დაინგრა კედლები და განადგურდა შემორჩენილი მხატვრობის ფრაგმენტები“². სამწუხაროდ, ეკლესია დღემდე მძიმე მდგომარეობაში რჩება და გადაუდებელ საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოებს საჭიროებს.

სურამის ციხის წმ. გიორგის ეკლესიის დათვალიერების დროს წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთმა ავტორმა – ირაკლი გელაშვილმა ტაძრის ჩრდილოეთი კედლის დასავლეთი კიდის ზედა ნაწილში ჩადგმულ კვადრატული მოყვანილობის საფასადო ქვაზე ასომთავრული ლაპიდარული წარწერის მცირე ფრაგმენტი შენიშნა. როგორც გაირკვა, თავდაპირველად წარწერა ეკლესიაზე ჩრდილოეთიდან მიდგმული სათავსის სამხრეთი კედლის კარნიზით თითქმის მთლიანად იყო დაფარული. მოგვიანებით, სავარაუდოდ, 1991 წლის მიწისძვრის დროს, კარნიზი ჩამოინგრა და წარწერა მთლიანად გამოჩნდა, თუმცა რამდენიმე წელიწადში მისი ტექსტის უმეტესი ნაწილი ახლა უკვე ჩრდილოეთი სათავსის სახურავზე ამოსულმა ბალახმა დაფარა.

¹ ფ. დეედარიანი, პ. ზაქარაია, სურამის ციხე, წმ. გიორგის ეკლესია, *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*, 5, გორის, კასპის, მცხეთის, ქარელის, ხაშურის რაიონები (თბილისი, 1990), გვ. 447.

² თ. ლაცაბიძე, *ამბავი სურამის ციხისა* (ხაშური, 2012), გვ. 21.

წარწერის გამოჩენის მიზნით, ქვას ბალახი მოვაშორეთ და იქვე, ეკლესიის წინ დავდეთ. წარწერის ტექსტის ძირითადი ნაწილი დღის სინათლეზე წავიკითხეთ და რამდენიმე ფოტოც გადავიღეთ. იმ ეტაპზე, წასაკითხი დაგვრჩა წარწერის მხოლოდ ორი მცირე ფრაგმენტი, რომელთა გარჩევაც, დაღამებისა და სპეციალური განათების უქონლობის გამო, ვეღარ მოვასწარი. მიუხედავად ამისა, უკვე სრულებით ცხადი იყო, რომ წარწერის სახით ხელთ გვქონდა შუა საუკუნეების ქართული ეპიგრაფიკის შესანიშნავი ძეგლი, რომლის შესახებაც სამეცნიერო საზოგადოებისათვის არაფერი იყო ცნობილი.

ტექსტზე მუშაობის შემდეგ ახლადმიკვლეული წარწერიანი ქვა წმ. გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთ სათავსში შევიტანეთ. გადაწყდა, რომ დაწყებული კვლევა-ძიების დასამთავრებლად რამდენიმე დღის შემდეგ სურამის ციხეში კიდევ ერთხელ ავიდოდით.

2015 წლის 14 მარტს სურამის ციხეში მართლაც დაგბრუნდით, თუმცა წარწერა ადგილზე აღარ დაგვხვდა. როგორც გაირკვა, ჩვენი თბილისში დაბრუნების შემდეგ წმ. გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთ სათავსში შეტანილ წარწერიან ქვას შემთხვევით წააწყდა სურამის №2 საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე დავით ცვლაძე, რომელმაც ეს ამბავი იმავე სკოლის ისტორიის პედაგოგს ჯაბა ლაბაძეს გააგებინა, ამ უკანასკნელმა კი 12 მარტს წარწერიანი ქვა, მისი უკეთ დაცვის მიზნით, სკოლაში გადაიტანა.

სწორედ სურამის №2 საშუალო სკოლაში შევასრულეთ წარწერაზე მუშაობის მეორე ეტაპის სამუშაოები, რაშიც დიდი დახმარება გაგვიწიეს: სკოლის დირექტორმა დალი ბროლიძემ, ისტორიის პედაგოგმა ჯაბა ლაბაძემ და სხვა თანამშრომლებმა. ამ დახმარებისათვის მათ გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ.

14 მარტს ჩატარებული კვლევა-ძიების დროს წარწერის ტექსტი უკვე სრულად წავიკითხეთ. გარდა ამისა, დავაზუსტეთ ტექსტის იმ ფრაგმენტების წაკითხვაც, რომელთა მართებულობა გარკვეულ ეჭვს იწვევდა. იმავე დღეს შევადგინეთ წარწერის დეტალური ტექნიკური აღწერილობაც, დავამზადეთ ტექსტის პალეოგრაფიული პირი და გადავიღეთ წარწერის ფოტოები. ამით, წარწერის დედანზე მუშაობა საბოლოოდ დავასრულეთ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ აღვნიშნავთ იმასაც, რომ სურამის ციხის წმ. გიორგის ეკლესიის ლაპიდარული წარწერა ამჟამად კვლავ სურამის №2 საშუალო სკოლაში ინახება. როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, საშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს მიღებული აქვს გადაწყვეტილება, რომ წარწერა მუზეუმში გადაიტანოს. იმედი გვაქვს, რომ ეს გადაწყვეტილება არ შეიცვლება და წარწერას დროულად გადაიტანენ მუზეუმში, სადაც მისი დაცვა სრულად იქნება უზრუნველყოფილი¹.

2. სურამის ციხის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერის პუბლიკაცია




წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგენთ სურამის ციხის წმ. გიორგის ეკლესიის ლაპიდარული წარწერის ტექნიკურ აღწერილობას, მისი ტექსტის გადმონაწერს, დედნის შრიფტის დაცვით და ამ ტექსტის ჩვენულ წაკითხვას, აგრეთვე, წარწერის ფოტოსა (სურ. 3) და პალეოგრაფიულ პირს.

სურ. 3. სურამის ციხის წმ. გიორგის ეკლესიის ახლადმიკვლეული წარწერა (ფოტო ი. გელაშვილისა)

¹ სასურველია, რომ საშურის მხარეთმცოდნეობით მუზეუმში გადაიტანონ დაბა სურამის ტერიტორიაზე გამოვლენილი კიდევ ერთი უნიკალური ეპიგრაფიკული ძეგლი – 1180-1210-იანი წლების სააღმშენებლო ლაპიდარული წარწერა ქართლის ერისთავების ბეგა I და რატი II სურამელების მოხსენიებით, რომელიც, დაახლოებით, 15 წელია სურამის გვერდისუბნის ღმრთაების ეკლესიის ეზოში, ღია ცის ქვეშ დევს და ატმოსფერული ნალექების ზემოქმედების გამო, განადგურების რეალური საფრთხის წინაშე დგას.

წარწერა ამოკვეთილია კვადრატული მოყვანილობის მქონე რუხი ფერის ქვაზე, რომელიც
 წმ. გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის დასავლეთი კედის ზედა ნაწილში, მიწის დონი-
 დან, დაახლოებით, 2,5 მ-ის სიმაღლეზე იყო ჩადგმული. ქვის ზომებია: სიგრძე – 57 სმ., სიგანე
 – 57 სმ, სისქე – 27 სმ. ქვის საფასადო წახნაგი მთლიანად წარწერის ტექსტს უკავია. წარწერა
 ასომთავრულია და შვიდ სტრიქონს შეიცავს. სტრიქონები ერთმანეთისაგან წვრილად ამოღა-
 რული განივი სწორი ხაზებითაა გამოყოფილი. წარწერის დასაწყისში წარმოდგენილია ქანწი-
 ლი, რომლის მკლავთაშორის არეებზეც თითო წერტილია დასმული. ტექსტში ყველაზე მაღალი
 და დაბალი გრაფემებია: II სტრიქონის ოცდამეერთე გრაფემა **Ⲅ** (თ) – 8,5 X 4,2 სმ. და VII
 სტრიქონის მეცამეტე გრაფემა **Ⲉ** (ა) – 1,5 X 1,4 სმ. ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი
 სწორი ხაზი, რომელიც წარწერაში მხოლოდ ერთ ადგილას გვხვდება. განკვეთილობის ნიშნე-
 ბად გამოყენებული თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ დასმული ორწერტილი ან წერტილი. ტექ-
 სტში რამდენიმე ადგილას გვხვდება ანმეტობისა და ბგერა უ-ს გრაფემა Q-ს (ო) საშუალებით
 გადმოცემის, აგრეთვე, ლიგატურისა და შეწიალების შემთხვევები. წარწერის I სტრიქონის
 ბოლო გრაფემა, აგრეთვე, I, IV, V და VI სტრიქონების რამდენიმე გრაფემის ზედა ფრაგმენტი,
 ქვის ზედაპირის დაზიანების გამო, დაკარგულია. ნაკლები და დაზიანებული გრაფემები მათი
 შემორჩენილი ფრაგმენტებისა და კონტექსტის მიხედვით გვაქვს აღდგენილი.



1. ⲛⲥ: ႣⲏⲞⲟⲛⲏⲛⲟⲨ: Ⲡⲏⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛ
2. Ⲡⲏⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛ
3. ႠⲟⲞⲛⲟⲛⲟⲛ: Ⴀⲟ Ⴀⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛ: Ⴀⲟ:
4. Ⴀⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛ:
5. Ⴀⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛ
6. Ⴀⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛ
7. Ⴀⲟⲛⲟⲛ Ⴀⲟ Ⴀⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛ. Ⴀⲟⲛⲟⲛ: Ⴀⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛⲟⲛ Ⴀⲟ Ⴀⲟⲛⲟⲛⲟⲛ Ⴀⲟⲛ

„ქ. შეწვევნითა ღმრთისაჲთა.

მ[ე] / დაღანისძემან ვციორგი, მეჭურჭლეთუხუცესმან და პირისმწდემან და მეუღლემან ჩემმან თამარ, ქვაბულისძისა / ასულმან, აღაშენეთ ეკლესია ესე ძლევისა მთავარმცოქესაჲსაჲ სჯალთცველად საწყალობელისასულისა / ჩუენისა და მშობელთა ჩუენთა, შემდგომთა და მომავალთა ჩუენთა“.

როგორც ვხედავთ, სურამის ციხის წმ. გიორგის ეკლესიის ლაპიდარული წარწერა სააღმშენებლო ხასიათისაა. მის ტექსტში, შინაარსობლივი თვალსაზრისით, ორი ნაწილი გამოიყოფა. ამათგან, წარწერის I, შესავალი ნაწილი ძალზედ მოკლეა და ტრაფარეტულ საღმრთისმეტყველო ტექსტს შეიცავს: „ქ. შეწვევნითა ღმრთისაჲთა“.

წარწერის II, ძირითადი ნაწილის ტექსტი ბევრად უფრო ვრცელია. ეს ტექსტი მოგვითხრობს, რომ მეჭურჭლეთუხუცესმა და პირის მწდემ გიორგი დაღანისძემ (//დაღანისძემ), მეუღლესთან – თამარ ქვაბულისძესთან (//ქვაბულისძესთან) ერთად, ძლევის წმ. გიორგის სახელზე ეკლესია აღაშენა ანუ სურამის ციხის წმ. გიორგის ტაძარი ააგო თუ განაახლა. წარწერის თანახმად, ეკლესია გიორგი დაღანისძისა და თამარ ქვაბულისძის, აგრეთვე, მათი მშობლებისა და შთამომავლების სულის სალოცველად იყო აღშენებული: „მე, დაღანისძემან გიორგი, მეჭურჭლეთუხუცესმან და პირის მწდემან და მეუღლემან ჩემმან თამარ, ქვაბულისძისა ასულმან, აღაშენეთ ეკლესია ესე ძლევისა მთავარმცოქამისა სალოცველად საწყალობელისა სულისა ჩუენისა და მშობელთა ჩუენთა, შემდგომთა და მომავალთა ჩუენთა“.

სურამის ციხის წმ. გიორგის ეკლესიის ახლადმოკვლეული ლაპიდარული წარწერა, მისი პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, წინასწარულად, XV-XVI საუკუნეებით თარიღდება. წარწერა უაღრესად საინტერესო ცნობებს გვაწვდის სურამის ციხისა და მისი მიმდგომი მხარის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაქვემდებარების, მეჭურჭლეთუხუცესისა და პირის მწდის სახელოების გენეზისის, დაღანისძეთა და ქვაბულისძეთა ფეოდალური სახლების გენეალოგიისა და სხვა მნიშვნელოვანი საისტორიო საკითხების შესწავლისათვის.

აღნიშნული საკითხები და სხვა თანამდევი პრობლემები დაწვრილებით იქნება განხილული წინამდებარე ნაშრომის ავტორთა სხვა პუბლიკაციებში, რომლებსაც სამეცნიერო საზოგადოებას ახლო მომავალში წარმოვუდგენთ.

ბიბლიოგრაფია

1. ფ. დევდარიანი, პ. ზაქარაია, სურამის ციხე, წმ. გიორგის ეკლესია, *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*, 5, გორის, კასპის, მცხეთის, ქარელის, ხაშურის რაიონები (თბილისი, 1990).
2. თ. ლაცაბიძე, ამბავი სურამის ციხისა (ხაშური, 2012).
3. თ. ჯოჯუა, თ. გოგოლაძე, 1180-1210-იანი წლების უცნობი სააღმშენებლო წარწერა სურამის გვერდისუბნის ღმრთაების ეკლესიიდან ქართლის ერისთავების ბეგა I და რატი II სურამელების მოხსენიებით, *საისტორიო კრებული*, 4 (თბილისი, 2014).

IRAKLI GELASHVILI
Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts
TAMAZ GOGOLADZE
Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts
TEMO JOJUA
Ilia State University

**AN UNKNOWN CONSTRUCTION INSCRIPTION (XV-XVI CC.) ON THE WALL
OF ST. GEORGE CHURCH IN SURAMI FORTRESS WITH MENTIONING OF GIORGI
GAGANIDZE, MECHURCHLETUKHUTSESI AND PIRIS MTSDE, AND HIS SPOUSE TAMAR
KUABULISDZE (THE HISTORY OF REVEALING THE INSCRIPTION
AND ITS STUDYING, AND PUBLICATION OF THE TEXT)**

On March 10, 2015, during an epigraphical expedition to Surami, the authors of the paper found an unknown lapidary inscription executed in Georgian *asomtavruli* script on the north wall of the significantly damaged church of St. George in Surami Fortress. Currently, the stone slab with inscription is stored at the Surami high school № 2. In future, the slab will be transported to Khashuri Museum of Local History.

The newly found inscription narrates that one of the wazirs of the Georgian state and *mechurchletukhutsesi* and *piris mtsde* Giorgi Gaganidze, together with his spouse Tamar Kvabulisdze (//Kuabulisdze), has built or renovated church of St. George of Dzleva, i.e. St. George church of Surami Fortress. According to the inscription, the church was built *for the salvation of the souls* of Giorgi Gaganidze, Tamar Kvabulisdze, their parents and descendants. Text of the inscription, supplied with *apparatus criticus*, is published in the proposed article.

Based on palaeographic peculiarities, inscription from St. George Church of Surami Fortress can be preliminary dated to the XV-XVI centuries. The inscription provides interesting accounts for studying political and administrative powers of the unit over the region, genesis of the positions of *mechurchletukhutsesi* and *piris mtsde*, genealogy of the feudal families of the Gaganidzes and Kvabulisdzes, and other significant issues of history.

The above-mentioned issues and associated problems will be discussed in detail in an article that will be published in near future.

ბიორგი ბალატოზთა ზედა დამღების უცნობი წარწერა რუისის ღმრთისმშობლის ტაძრიდან

სოფელი რუისი მდებარეობს ისტორიულ შიდა ქართლში, ეხლანდელი ქარელის რაიონში, ქარელიდან 5კმ-ზე, გორი ხაშურის საავტომობილო გზაზე. სოფელი მდიდარია ისტორიული ძეგლებით. შემორჩენილია ერთი ნასოფლარი, ექვსი ეკლესია და ერთი ღმრთისმშობლის ტაძრის კომპლექსი. სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს.

ღმრთისმშობლის ტაძრის კომპლექსი მდებარეობს სოფლის ცენტრში, მასში შედის ღმრთისმშობლის სახელობის ტაძარი, კოშკი-სამრეკლო და გალავანი. შუა საუკუნეებში აქ იყო მროველ ეპისკოპოსთა კათედრა. ღმრთისმშობლის ეკლესიაში მეფედ ეკურთხა გიორგი II (1072-1089 წწ.), რომლის დროსაც რუისი ქართლის დედაქალაქის როლს ასრულებდა¹.

გადმოცემის თანახმად რუისის ტაძრის აგება ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება თუმცა ამ ხანის ნაგებობას ჩვენამდე არ მოუღწევია. გიორგი ჩუბინაშვილი, რომლის ხელმძღვანელობითაც 1939-1940 წლებში აზომვებს აწარმოებდნენ ლევან რჩეულიშვილი და ნიკო ჩუბინაშვილი, აღნიშნავს: „რუისის ტაძარი წარმოგვიდგება როგორც ხუროთმოძღვრული კომპოზიცია, რომელიც შექმნილია არა რომელიმე გარკვეულ ისტორიულ პერიოდში ერთბაშად და მთლიანად, არამედ შემაერთებელია თავის თავში სხვა და სხვა ეპოქისა და ელემენტებისა, რომელიც კარგად ერწყმის ერთმანეთს“². გიორგი ჩუბინაშვილის დასკვნით, რუისის ღმრთისმშობლის ტაძრის კომპლექსში უძველესი სამშენებლო ფენა VIII-IX საუკუნეებს მიეკუთვნება, მეორე ფენა – X საუკუნეს, მესამე ფენა კი – XI საუკუნის დასაწყისს. „მესამე ფენა განსხვავებით მეორე ფენისაგან, არ იყო გამოწვეული შენობის წინასწარი დანგრევით. არამედ სურდათ ეჩვენებინათ სიძლიერე ამ ფეოდალური ცენტრისა, ძველი ტაძარი აღარ აკმაყოფილებდა ხუროთმოძღვრებაში ახლად დამკვიდრებულ ფორმებსა და ნორმებს“³, – აღნიშნავს გიორგი ჩუბინაშვილი.

თემურ-ლენგის დაშქრობების შემდეგ კომპლექსი ძლიერ დაზიანდა. მეფე ალექსანდრე I-მა დიდი სამშენებლო სამუშაოები ჩაატარა და მთლიანად აღადგინა კომპლექსი. აღდგენითი სამუშაოები უწარმოებიათ ასევე XVI-XVII საუკუნეებშიც.

ტაძარი მნიშვნელოვანი და საინტერესოა ეპიგრაფიკის თვალსაზრისით, მის კედლებზე მრავლადაა როგორც ლაპიდარული, ისე ნაკაწრი წარწერები, რომლებიც შესწავლას მოითხოვს. ჩვენი ინტერესის სფეროს სწორედ რუისის ტაძრის ეპიგრაფიკული ფონდი წარმოადგენს. წარწერების ნაწილი ბათქაშით იყო დაფარული ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში. აი, რას წერს გაზეთ ივერიის კორესპონდენტი გარსო სიკოძე 1878 წლის აგვისტოს ნომერში: „უფრო მეტად საყურადღებო და შესანიშნავია „ფერის-ცვალობის“ ეკლესია, რომელშიაც წირვა-ლოცვა სრულდება, როგორც ძველის შესანიშნავის არხიტექტურით, ისე მრავლის ძვირფასის ჩუქურთმით და ზედწარწერით; შიგნიდან გაუღესიათ კირით და დაუფარავთ ყოველივე... გარედანაც, უმეტესი ნაწილი წარწერებისა, კირით ამოუღესიათ შებათქაშების დროს. აქებენ ამ ეკლესიის მდიდარს ბიბლიოთეკას... იმედია დიდად პატივცემული დიმიტრი ბაქრაძე, ან სხვა ვინმე, არ დასტოვებენ ამ შესანიშნავს წარწერებსა და ბიბლიოთეკას უყურადღებოდ“⁴.

XX საუკუნის დასაწყისში რუისის ტაძრის მდგომარეობის შესახებ ამავე გაზეთ „ივერიაში“ ვკითხულობთ: „სადაც წვეთს უდენია, შეღესილი კირი მთლად მოჰშორებია; ზოგან ამობურცულია, დღეს არა ხვალ მოიმზღვლევა. ჩრდილოეთითა და სამხრეთით მიდგმული საღაროები დარღვეულები არიან; ჩრდილოეთის საღარო მაინც ცუდ მდგომარეობაშია. შუა კედელი ჩამონგრეულა თუ ჩამოუნგრევიათ, ასე რომ კაცი ადვილად შევა და გამოვა“⁵.

ალექსანდრე მეფის წარწერის განხილვისას, შენიშვნებში, შეეთეთრებებზე საუბრობს გიორგი ჩუბინაშვილიც. იგი აღნიშნავს, რომ „წარწერა გაურკვევლად იკითხება შეეთეთრების გამო, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივია ჩამოცილებული“⁶. ალბათ სწორედ ეს გახლდათ მიზეზი,

¹ ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ვახუჩიშვილის მიერ (თბილისი, 1973), გვ. 148.
² გ. ჩუბინაშვილი, რუისის ტაძრის ისტორიისათვის, *ენძიკის მოამბე*, V-VI (თბილისი, 1940), გვ. 429.
³ იქვე, გვ. 446.
⁴ გარსო სიკოძე, სოფელი რუისი, მარიაამობისთვის 11-ს, *ივერია*, 17 აგვისტო, №178 (1886), გვ.3.
⁵ დროებითი მეთვალყურე, სოფელი რუისი, *ივერია*, 14 აგვისტო, №173 (1903), გვ.1.
⁶ გ. ჩუბინაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 462.

რომ გიორგი გალატოზთა ზედა დამდევის წარწერამ ვერ მიიქცია მკვლევართა ყურადღება. წარწერა იმდენად ახლოსაა ალექსანდრე მეფის სააღმშენებლო წარწერასთან (მის მარცხნივ, ქვედა მხარეს, დაახლოებით, 70 სმ-ის მოშორებით), რომ წარმოუდგენელია, არ მოხვედრილიყო მკვლევართა მხედველობის არეში. ამასთანავე, საყურადღებოა, რომ შეთეთრების კვალი დღესაც კარგად ეტყობა ტაძარს.

რუისის ღმრთისმშობლის სახელობის ტაძრის კომპლექს სპირველად ვეწვიეთ 2014 წლის ივნისში, რა დროსაც გამოვაკვლიეთ რამდენიმე უცნობი ნაკაწრი წარწერა, გადმოვიღეთ როგორც მათი, ასევე ცნობილი წარწერების პალეოგრაფიული ასლები და დავიწვეთ მათი შესწავლა. ამჟამად გადმოღებული გვაქვს 30-მდე წარწერის პალეოგრაფიული ასლი (აქედან, მხოლოდ სამია ცნობილი) და მიმდინარეობს მათზე მუშაობა, ახლო მომავალში იგეგმება ამ წარწერების გამოცემა სტატიების სახით და ისინი მალე გახდება ცნობილი სამეცნიერო საზოგადოების ფართო წერეებისათვის.

წინამდებარე სტატიაში წარმოგიდგენთ რუისის ტაძრის სამ წარწერას. რომელთაგან ერთ-ერთი, გიორგი გალატოზთა ზედა დამდევის უცნობი წარწერა, სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოგვაქვს. წარწერას, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, XVII საუკუნით ვათარიღებთ. წარწერაში მოხსენიებული გიორგი ხელმძღვანელობდა რუისის ტაძრის კომპლექსის აღდგენით სამუშაოებს, რომელიც წარმოებდა XVII საუკუნის 60-70-იან წლებში დედოფალ მარიამ დადიანის ინიციატივით. ამ წარწერის პალეოგრაფიული პირი პირველად ქვეყნდება. ტექსტს თან ახლავს სრული არქეოგრაფიული და პალეოგრაფიული დახასიათება.


ასევე, პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში XV საუკუნის ორი წარწერის: ალექსანდრე მეფის სააღმშენებლო წარწერისა და შალვა გალატოზთა ზედადამდევის წარწერის პალეოგრაფიული პირები. წარწერების ტექსტები რამდენჯერმე არის გამოქვეყნებული მცირე უზუსტობებით. წინამდებარე სტატიაში ვიძლევი ზემოთ ხსენებული წარწერების დახუსტებულ წაკითხვებს.

წარმოგიდგენთ გიორგი გალატოზთა ზედა დამდევის წარწერას რომელმაც პირველი ვიზიტისთანავე მიიქცია ჩვენი ყურადღება.

არქეოგრაფიული დახასიათება: ასომთავრული; 3 სტრიქონი; დარღვეულია წარწერის ჰორიზონტალური მდებარეობა, პირველი და მეორე სტრიქონები დაწერილია ასწერივ მარცხნიდან მარჯვნივ ხოლო მესამე სტრიქონი პირიქით, ქვემოთ ეშვება. ნაკვეთია დიდი ასოებით, ღრმა კვეთით, ტაძრის დასავლეთის კარის მარცხენა მხარეს, თვალსაჩინო ადგილას, იატაკიდან 198 სმ. სიმაღლეზე. უჭირავს ფართობი 45,0X25,0 სმ.; ყველაზე დიდი გრაფემა *ქნის* ზომა: 7,6X2,3 სმ.; ყველაზე პატარა გრაფემა *ანი* ზომა: 2,6X2,0 სმ.; წარწერა კიდურწაისრულია. გრაფემებისათვის დამახასიათებელია ლიგატურა. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი. გამოყენებულია შუაკვეცილობითი დაქარაგმება. ქარაგმის ნიშნია განივი კლაკნილი ხაზი.

† ჩ: ყ: უ: ლ: სტეზი: ობჟ
 ლტზუზტ | კიოკაზ. ტიზწყინსტ: სტ
 ზტპტულ: ზტ.ყნ:ინ: ტნ

† ქ(რისტე) შეიწყალე გ(იორგი),
 სახელით ოდენ გალ(ა)ტ(ო)ზთა, /
 მეორედ აღმაშენებელთა, ზ(ედა)
 დამდევი, და შეუხდეს ლ(მერთმ)ან
 ამიხ.



პალეოგრაფიული დახასიათება: ასომთავრული წარწერა მოთავსებულია ორხაზოვან ბადეში. თუმცა, ბადის გარეთ გადასულია *ონისა* და *განის* ქუსლი, *ქანის*, *ტარის*, *ხანის* და *ენის* ფეხი. წარწერაში *ანი* ათჯერ დასტურდება, რვა შემთხვევაში თავი ტანს მოცილებულია და კიდურწაისრულია, ტანის ქვედა რკალი ზემოთკენაა მოკაუჭებული, მხოლოდ მეორე სტრიქონის ბოლო სიტყვაში *ანი*, სხვებისგან განსხვავებით, გადმოცემულია ძირს დაშვებული და ფართოდ გახსნილი ტანის ქვედა რკალით რომელიც ასევე წაისრულია. ზედა ხაზი ათივე შემთხვევაში მოხრილია, ბოლოები ქვემოთაა დაშვებული. *ღონი* წარწერაში დადასტურებულია ხუთჯერ, ორი სხვა და სხვა მახასიათებლებით. პირველ და მეორე სტრიქონებში *ღონი* გადმოცემულია მრგვალი, ოდნავ წაგრძელებული, მუცლით, რომელიც მაღალი ყელით უკავშირდება ზედა განივ ხაზს, განივი ხაზი მოხრილია და ბოლოები დაშვებულია ქვემოთ; მესამე სტრიქონის პირველ

და მეორე სიტყვაში კი *ღონის* წაგრძელებული მუცელი წაწვეტებულია რაც ამ გრაფემის განვითარების მომდევნო ეტაპს წარმოადგენს. ზედა განივი ხაზების მარცხენა კიდის ზემოთ აგრესია დამახასიათებელია *განის*, *ინის*, *ლასის*, *ენის*, *ზენისა* და *მანისათვის*. *ნარი* წარწერაში დადასტურებულია ხუთჯერ, რომლის თავი საკმაოდ დაგრძელებულია და მორკალული. *ონი* წარწერაში ორჯერ დასტურდება და ორივე შემთხვევაში გადმოცემულია წაგრძელებული ტანით რომელსაც მარჯვნიდან აქვს მიდგმული ძირს დახრილი მარჯუპი. საინტერესოა *თანის* მოხაზულობაც, იგი წარწერაში დადასტურებულია სამჯერ, ერთ შემთხვევაში მოცემულია კლასიკური ფორმით: მოგრძო ნახევარწრეს – მუცელს, მარჯვნიდან მიდგმული აქვს მოკაუჭებული ტარი. ხოლო დანარჩენ ორ შემთხვევაში სამკბილა თანია მოცემული (მსგავსი შემთხვევა გვაქვს როკითის მაცხოვრის ეკლესიის დასავლეთის შესასვლელის თავზე არსებულ ასომთავრულ წარწერაში. სადაც ოსტატი ერთ შემთხვევაში ჩვეულებრივ კლასიკური ფორმით გადმოსცემს *თანს*, ხოლო სხვა შემთხვევაში სამკბილა *თანია* ამოკვეთილი)¹.

ზემოთ ჩამოთვლილი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, წარწერა მსგავსებას იჩენს XVII საუკუნის ძეგლებთან (მჭადიჯვრის ეკლესიის სააღმშენებლო წარწერა (1668 წ.)², როკითის მაცხოვრის ეკლესიის წარწერა (1661 წ.)³, ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ეპიტაფია პირღებულის მონასტრიდან (1642 წ.)⁴ და ა. შ. აქედან გამომდინარე, გიორგი გალატოხთა ზედა დამდევის წარწერა XVII საუკუნით უნდა დათარიღდეს. თუმცა, შესაძლებელია წარწერის ქრონოლოგიური ჩარჩოების კიდევ უფრო დავიწროება. XVII საუკუნეში რუისის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი განაახლეს და შეამკეს დედოფალ მარიამ დადიანის ბრძანებით. ამის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „სამკრით ურბნისისა არს რუისის მთის ძირს, დაბა დიდი რუისი და ეკლესია ღვთაებისა, გუმბათიანი, დიდი, დიდშენი... შემუსრა ლანგთემურ; ალაშენა ეკლესია ესე ოჭ მეფემან ალექსანდრე. შემდგომად კუალად განაახლა და შეამკო პთ დედოფალმან მარიამ“⁵.

როგორც ჩანს, სწორედ ამ პერიოდის სამშენებლო სამუშაოებს ხელმძღვანელობდა გიორგი გალატოხთა ზედა დამდევი⁶. აქედან გამომდინარე, წარწერაც მარიამ დედოფლის ქართლში მოღვაწეობის პერიოდით უნდა განისაზღვროს. მარიამ დადიანი გახლდათ ქართლის მეფის როსტომ ხანის მეუღლე. იგი ქართლის დედოფალი გახდა 1634 წელს. როსტომ ხანის გარდაცვალების შემდეგ შაჰმა ქართლის სამეფო ტახტი ვახტანგ მუხრან-ბატონს უბოძა და უბრძანა, ცოლად მარიამ დედოფალი შეერთო. ვახტანგ V გაშორდა თავის მეუღლეს როდამ ყაფლანის ასულ ორბელიანს, სულხან საბას მამიდას და ცოლად მარიამ დედოფალი შეირთო. როდამ ორბელიანი შემონაზვნებულა ეკატერინეს სახელით და გარდაიცვალა 1681 წელს. დაკრძალულია რუისის ტაძარში⁷.

მარიამ დადიანმა ბევრი იღვაწა ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისა და ქართული მწიგნობრობის აღორძინებისათვის. სახსრებს არ იშურებდა გატაცებულ ჯვარ-ხატთა თუ ხელნაწერი წიგნების გამოსახსნელად, ახალი საერო თუ საეკლესიო წიგნების გადასახსნელად (სწორედ მის სახელს უკავშირდება XVII საუკუნეში გადაწერილი „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ხელნაწერი, რომელიც მარიამისეული ქართლის ცხოვრების სახელით არის ცნობილი). მისი ბრძანებითა და საფასით არის აღდგენილ-განაახლებული თუ აშენებული აღმოსავლეთ საქართველოს არაერთი ტაძარი.

აზრთა სხვადასხვაობა არსებობს მარიამ დედოფლის გარდაცვალების თარიღის თაობაზე. წყაროები სხვადასხვა თარიღს ასახელებენ, თუმცა ყველა მათგანი XVII საუკუნის 80-იანი წლების პირველ ნახევარში თავსდება⁸. მაშასადამე, მარიამ დედოფლის ქართლში მოღვაწეობის პერიოდი XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან 80-იანი წლების პირველ ნახევრამდე პერიოდს მოიცავს. აქედან გამომდინარე, წარწერაც იმავე პერიოდით უნდა დათარიღდეს. თუ კიდევ უფრო

1 ვ. ბერიძე, *XVI-XVIII სს. ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება* (თბილისი, 1994), გვ. 181, ტაბ.251.
2 იქვე, გვ.35; ტაბ.52.
3 იქვე, გვ. 181; ტაბ.251.
4 ნ. ბახტაძე, ნ. კუპრაშვილი, ლ. მირიანაშვილი, კ. ზენდერი, თ. ჯოჯუა, *პირღებულის მონასტერი, 1989 და 2002-2003 წლების კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციის შედეგები* (თბილისი, 2005), გვ. 195.
5 ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 373-374.
6 ტერმინი „გალატოხი“, „გალატოხთუხუცესი“ ადრინდელი ფორმაა იგი გვხვდება შორთას, ბედიის, დისაზურგის ეპიგრაფიკულ ძეგლებში. მოგვიანებით გვხვდება სხვა ტერმინებიც: „ზედამდგომელი“, ან „ზედამდგომი“. გვიანფეოდალურ ხანაში მშენებელი თავისთავს უმეტესად ოსტატს უწოდებს. მაგ.; ბარაკონის, მანგლისის, ვაშლოვანის, და სხვა წარწერებში. ამის პარალელურად როსტომ მეფის დროს ხმარებაში შემოდის სპარსული სიტყვა „სარიდარი“, რომელმაც ქართული ხუროთმოძღვარი შეცვალა. იხ. წგნ. ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევები დაურთეს: ვალერი სილოგავამ, ლია ახალაძემ, მერაბ ბერიძემ (თბილისი, 2012), გვ. 154-155.
7ა. ტულუში, *ცხოვრება და ღვაწლი დედოფალ მარიამ დადიანისა* (თბილისი, 1992), გვ.40.
8 იქვე, გვ.53-54.


ჩავუღრმავდებით საკითხს და გადავხედავთ მარიამ დედოფლის ინიციატივით წარმოებული სააღმშენებლო სამუშაოების ქრონოლოგიას აღნიშნულ რეგიონში, შეგვიძლია, კიდევ უფრო დაავიწროვოთ ეს ქრონოლოგიური ჩარჩო. მარიამ დედოფლის ბრძანებით ტაძრის აგების შესახებ მოგვითხრობს ზღუდერის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ასომთავრული სააღმშენებლო წარწერა (XVII ს. II ნახევარი)¹, არადეთის ეკლესიის სააღმშენებლო წარწერა (1666 წ.)² და ურბნისის ტაძრის მხედრული სააღმშენებლო წარწერა (1668 წ.)³. აქედან გამომდინარე, მარიამ დედოფლის ინიციატივით ამ რეგიონში ეკლესია-მონასტრების აღდგენითი სამუშაოები უწარმოებიათ XVII საუკუნის 60-70-იან წლებში. საფიქრებელია, რომ ამავე პერიოდში უნდა ჩაეტარებინათ აღდგენითი სამუშაოები რუისის ტაძრის კომპლექსზეც. აქედან გამომდინარე, წარწერაც XVII საუკუნის 60-70-იანი წლებით შეიძლება დათარიღდეს.

რუისის ღვთისმშობლის ტაძრიდან სამეცნიერო საზოგადოებისათვის ცნობილია შალვა გალათოზთა ზედა მღვდის წარწერა, რომელიც მოთავსებულია ტაძრის სამხრეთ ფასადზე, შესასვლელი კარის მარცხენა მხარეს, იატაკის დონიდან დაახლოებით, 220 სმ. სიმაღლეზე. წარწერის ტექსტი რამდენჯერმეა გამოქვეყნებული, თუმცა მისი დეტალური აღწერა და პალეოგრაფიული ასლი პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო წრე-ბრუნვაში. ასევე, დაზუსტებები შეგვაქვს წაკითხვაშიც.

არქეოგრაფიული დახასიათება: ასომთავრული; 4 სტრიქონი; დაცულია წარწერის ჰორიზონტალური მდებარეობა. ნაკვეთია დიდი ასოებით, ღრმა კვეთით, ტაძრის სამხრეთ კარის მარცხენა მხარეს, თვალსაჩინო ადგილას, იატაკიდან 220 სმ. სიმაღლეზე. უჭირავს ფართობი 45,0X27,0 სმ.; ყველაზე დიდი გრაფემა „განი“-ის ზომა: 14,0X6,5 სმ.; ყველაზე პატარა გრაფემა „ანი“-ის ზომა: 3,0X2,5 სმ.; წარწერა კიდურწაისრულია. გრაფემებისათვის დამახასიათებელია ლიგატურა. გამოყენებულია ხმოვანკვეცილობითი და შუაკვეცილობითი დაქარაგმება, ქარაგმის ნიშნის წყორი განივი ხაზი.

ღ ზ რ ი ლ ხ ბ | ზ ც ჭ თ უ ლ ს | ყ უ ხ ჯ ტ ს ყ ნ ს | ი რ ტ ო ნ

გ(ა)ლ(ა)ტ(ო)ზ(ო)თ / ზ(ე)დ(ა) მ(ღ)ვ(დ)ს(ა) / შ(ა)ლ(ვ)ა ს(ე)უნ(დ)ნ(ე)ს / ღ(მ)ერ(თ)მ(ა)ნ ა(მ)ი(ნ).



პალეოგრაფიული დახასიათება: ასომთავრული წარწერა მოთავსებულია ორხაზოვან ბადეში, მხოლოდ განის ქუსლი ჩამოდის ოდნავ ქვემოთ. შესრულებულია ღრმა, მკაფიო კვეთით. მაღალი გრაფემები გამოყვანილია ღამაზი ხელით, დაფერილია სინგურით, ხასიათდება ასომთავრულისთვის დამახასიათებელი მრგვალი ფორმებით. წარწერაში ანი ოთხჯერ დასტურდება, ოთხივე შემთხვევაში თავი ტანს მოცილებულია, გრაფემა გადმოცემულია ორი ნახევარწრის სახით ზედა ნახევარწრე ოდნავ პატარაა, ნახევარწრეების მარცხენა კიდეები წაისრულია. წარწერაში დონი მეორე სტრიქონის მეორე სიტყვაში დასტურდება, პატარა გრაფემაა და ჩაწერილია მანის მუცელში, დაზიანებულია, გადმოცემულია მრგვალი ოდნავ წაგრძელებული მუცლით, ზედა განივი ხაზი კი არ იკითხება. ზედა განივი ხაზების მარცხენა კიდის ზემოთ აგრესა დამახასიათებელია განის, ლასის, ზენისა და მანისათვის. ნარი წარწერაში დადასტურებულია სამჯერ, რომლის თავი საკმაოდ დაგრძელებულია და მორკალური. ონი გადმოცემულია წაგრძელებული ტანით რომელსაც მარჯვნიდან აქვს მიდგმული ძირს დახრილი მარყუჟი.

ტექსტის დადგენა და ანალიზი: წარწერა მცირედ დაზიანებულია, თუმცა ტექსტის წაკითხვა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. იგი რამდენჯერმეა გამოცემული. ძირითადი ტექსტის წაკითხვა ეჭვს არ იწვევს, თუმცა მეორე სტრიქონის მეორე სიტყვას მკვლევარები განსხვავებულად კითხულობენ. მარი ბროსე, რომელმაც პირველმა გამოსცა ტექსტი ქარაგმების გახსნით, პირდაპირ კითხულობს „მომგესა“, თუმცა სქოლიოში აღნიშნავს, რომ წერია სიტყვა „მოგესა“⁴, ხოლო ექვთიმე თაყაიშვილი 1907 წელს გამოცემულ წიგნში „არქეოლოგიური მოგზაურობანი და

¹ Меписашвили Р., Цинцадзе В., Архитектура нагорной части – исторической провинции Грузии – Шида Картли (Тбилиси, 1975), с.138.
² პ. ზაქარაია, საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, (თბილისი, 1973), გვ.130.
³ პ. ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება (თბილისი, 1965), გვ.93.
⁴ Brosset M., Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie et dans l'Arménie, execute en 1847-1848 (sixieme rapport) (1851), p.7.

შენიშვნანი“, კითხულობს „მოგესა“¹, გიორგი ჩუბინაშვილმა კი (რომელიც პირველად 1923 წელს ეწვია ტაძარს, 1938-1940 წლებში კი მისი ხელმძღვანელობით, აქ აზომვითი სამუშაოები ჩაატარეს ლევან რჩეულიშვილმა და ნიკო ჩუბინაშვილმა) გაიზიარა მარი ბროსესეული წაკითხვა და ფიქრობდა, რომ სწორი წაკითხვაა „მომგესა“². შემდგომში თუკი ვინმე შეეხოს აღნიშნულ საკითხს, მექანიკურად გაიმეორა წარწერის ან ერთი ან მეორე წაკითხვა.

ჩვენი აზრით, მკვლევარები შეცდომაში შეიყვანა მანის მუცელში ჩაწერილი დაზიანებული გრაფემის არასწორმა წაკითხვამ. ამ გრაფემას ისინი კითხულობდნენ როგორც *ონი*. თუ დავუშვებთ, რომ დაზიანებული გრაფემა *ონია*, მაშინ ნამდვილად გამოვა სიტყვა „მოგესა“, როგორც ამას ექვთიმე თაყაიშვილი ფიქრობდა. მაგრამ, რადგან ამ სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარია, მკვლევარებმა ადგილები შეუცვალეს *ენს* და *განს* და მიიღეს სიტყვა „მოგესა“, რომლის ქარაგმების გახსნის შემდეგაც მიიღეს სიტყვა „მომგესა“, იგივე „მომგებელსა“. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში, სიტყვამ კი შეიძინა მნიშვნელობა, მაგრამ ბუნდოვანი გახდა ტექსტის შინაარსი: „გალატოზთა ზედა მომგესა შალვას...“.


ფიქრობთ, უფრო მართებული უნდა იყოს, თუ *მანის* მუცელში ჩაწერილ გრაფემას წაკითხვითხვეთ როგორც დონი (რაც ეჭვგარეშეა). ამ შემთხვევაში, მივიღებთ სიტყვა „მდეგესა“ და ტექსტის აზრიც გასაგები გახდება: „გალატოზთა ზედა მდეგესა შალვას შეუნდნეს ღმერთმან“.

რაც შეეხება წარწერის დათარიღებას. შალვა კალატოზთა ზედა მდეგის წარწერა მეფე ალექსანდრე I დიდის სააღმშენებლო წარწერის თანადროულია და სავარაუდოდ, იმავე ოსტატის ხელითაა შესრულებული. ამდენად, მისი ქრონოლოგია მეფე ალექსანდრე I-ის ზეობის წლებით (1412-1442 წწ.) უნდა განისაზღვროს, უფრო კონკრეტულად კი, XV საუკუნის II მეოთხედით. როგორც ცნობილია, ამ პერიოდში ქვეყანა მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა და სამეფო კარმა აღმშენებლობას მიჰყო ხელი. ცნობილია ისიც, რომ მეფე ალექსანდრე I-მა 1425 წელს შემოიღო სპეციალური დროებითი საკომლო გადასახადი, რომელიც განკუთვნილი იყო დანგრეული ეკლესია-მონასტრებისა თუ ციხეების აღსადგენად. გადასახადი 1440 წელს გაუქმდა.

შედარებისათვის, აქვე მოვიტანთ მეფე ალექსანდრე I-ის სააღმშენებლო წარწერას, რომელიც მოთავსებულია კარიბჭეში, ტაძრის დასავლეთის შესასვლელი კარის თავზე, იატაკის დონიდან 278 სმ. სიმაღლეზე.

წარწერა სამეცნიერო საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი. ის რამდენჯერმე გამოქვეყნებული სხვადასხვა მკვლევართა მიერ, თუმცა პალეოგრაფიული პირი პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო წრე-ბრუნვაში. ასევე, მცირე დაზუსტება შეგვაქვს წაკითხვაში, რომელიც ტექსტის საერთო შინაარსს არ ცვლის.

არქეოგრაფიული დახასიათება: ასომთავრული; 2 სტრიქონი; დაცულია წარწერის პორიზონტალური მდებარეობა. ნაკვეთია დიდი ასოებით, ღრმა კვეთით, კარიბჭეში, ტაძრის დასავლეთის შესასვლელი კარის თავზე, იატაკის დონიდან 278 სმ. სიმაღლეზე. უჭირავს ფართობი 235X36 სმ.; ყველაზე დიდი გრაფემა *ხანის* ზომა: 17,5X6,5 სმ.; ყველაზე პატარა გრაფემა *ანის* ზომა: 4,0X4,0 სმ.; წარწერა კიდურწაისრულია. გრაფემებისათვის დამახასიათებელია ლიგატურა. განკვეთილობის ნიშანია ორწერტილი. გამოყენებულია ხმოვანკვეცილობითი და შუაკვეცილობითი დაქარაგმება, ქარაგმის ნიშნია კლაკნილი განივი ხაზი.



†: ხ: ც ბ ზ რ: ი ნ კ ჟ ძ: გ ჴ ლ: ტ ზ ლ: ც ხ ქ ნ ბ ჯ ო | ა ლ: გ: გ: ხ: ზ: ც ი ყ რ: ს ჟ ბ ჯ: ო ლ: ც ბ ზ რ ი ნ ბ ც ს ხ ო გ ო ე ზ ყ ლ

ქ. ზე აღიღენ ღ(ღმერთმა)ნ მეფ(ე)თა მეფ(ო)ბა დიდისა ალ(ე)ქს(ან)დრეს(ი) | რ(ომლ)ისა მ(ი)ერ კ(უალა)დ აღეშენა ს(ა)ყდ(ა)რი ესე აღ(ი)დენ ღ(ღმერთმა)ნ და ს(უ)ლი მ(ა)თი კ(ურთ)ხ(ე)ულ ყოს.

¹ ე. თაყაიშვილი, *არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი* (ტფილისი, 1907), გვ.107.
² გ. ჩუბინაშვილი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 466.

წარწერის პალეოგრაფიულ დახასიათებაზე აღარ შეეჩერდებით, რადგან ალექსანდრეს სააღმშენებლო წარწერა და შალვა კალატოზთა ზედა მდევის წარწერა ერთი ხელითაა შესრულებული და ზუსტად იგივე მახასიათებლები აქვს, რაზეც უკვე გვქონდა საუბარი ზემოთ, შალვა კალატოზთა ზედა მდევის წარწერის განხილვისას. ამიტომ პირდაპირ გადავალთ ტექსტის ანალიზზე.

ტექსტის დადგენა და ანალიზი: წარწერა მოთავსებულია ორხაზოვან ბადეში. შესრულებულია ღრმა, მკაფიო კვეთით. მაღალი გრაფემები გამოყვანილია ლამაზი ხელით, დაფერილია სინგურით, ხასიათდება ასომთავრულისთვის დამახასიათებელი მრგვალი ფორმებით. წარწერა მცირედ დაზიანებულია, თუმცა ტექსტი გარკვევით იკითხება. პირველი სტრიქონი ჩაწერილია ორ პარალელურ ხაზს შორის რომელიც ოსტატს გაუვლია რათა წარწერის კვეთის დროს დაეცვა პორიზონტალობა.

წარწერა რამდენჯერმეა გამოცემული. მარი ბროსეს წარწერა გადმოცემული აქვს ქარაგმების გახსნილი¹, ექვთიმე თაყაიშვილი კი დაქარაგმებულ სიტყვებს ზოგჯერ ისე გადმოსცემს, როგორც წარწერაშია, ზოგჯერ კი ქარაგმების გახსნილი, რაც მცირე გაურკვეველობას იწვევს (ტექსტის აზრი არ იცვლება, მაგრამ არ ჩანს, რეალურად რა გრაფემებს ხელადა მკვლევარი)². გიორგი ჩუბინაშვილს შედარებით ზუსტად აქვს გადმოცემული ტექსტი, თუმცა ორი მცირე უზუსტობა აქაც შეინიშნება³: 1. მეორე სტრიქონის პირველ სიტყვა დაქარაგმებულია შემდეგი სახით: „რისს“, ხოლო გიორგი ჩუბინაშვილი კითხულობს, როგორც „რლისა“ ანუ ამ წაკითხვის მიხედვით, *ლასი* წარწერაში არ არის; და 2. იმავე სტრიქონის მეხუთე სიტყვა დაქარაგმებულია შემდეგი სახით „სყდრი“, ხოლო გიორგი ჩუბინაშვილი კითხულობს როგორც „სყდარი“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს შენიშვნები ტექსტის შინაარსს არ ცვლის, თუმცა საყურადღებოა.

ამდენად, ჩვენს მიერ ზემოთ განხილული წარწერების სახით, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოგვაქვს დღემდე უცნობი გიორგი კალატოზთა ზედა მდევის XVII საუკუნის 60-70-იანი წლების წარწერა, ასევე, მეფე ალექსანდრე I დიდის სამშენებლო წარწერისა და შალვა კალატოზთა ზედა მდევის წარწერის პალეოგრაფიული ასლები, არქეოგრაფიული და პალეოგრაფიული დახასიათებით. გარდა ამისა, ვასწორებთ წარწერების დღემდე არსებულ გამოცემებში ტექსტის წაკითხვისას დაშვებულ შეცდომებს.

ზემოთ განხილული სამივე წარწერა მნიშვნელოვანი და საინტერესოა როგორც ეპიგრაფიკული ძეგლი, ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი პალეოგრაფიული ნიშნებით და საკუთარი, ინდივიდუალური თავისებურებებით. გარდა ამისა, წარწერები შეიცავს შინაარსობრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვან ცნობებს საქართველოს შესაბამისი პერიოდების ისტორიის შესასწავლად.

ბიბლიოგრაფია

1. ნ. ბახტაძე, ნ. კუპრაშვილი, ლ. მირიანაშვილი, კ. ზენდერი, თ. ჯოჯუა, *პირღებულის მონასტერი, 1989 და 2002-2003 წლების კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციის შედეგები* (თბილისი, 2005).
2. ვ. ბერიძე, *XVI-XVIII სს. ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება* (თბილისი, 1994).
3. დროებითი მეთვალყურე, სოფელი რუისი, *ივერია*, 14 აგვისტო, №173 (1903).
4. ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1973).
5. პ. ზაქარაია, *ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება* (თბილისი, 1965).
6. პ. ზაქარაია, *საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები* (თბილისი, 1973).
7. ე. თაყაიშვილი, *არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი* (ტფილისი, 1907).
8. სიკოძე გარსო, სოფელი რუისი, მარიამობისთვის 11-ს, *ივერია*, 17 აგვისტო, №178 (1886).
9. ა. ტულუში, *ცხოვრება და ღვაწლი დედოფალ მარიამ დადიანისა* (თბილისი, 1992).
10. გ. ჩუბინაშვილი, რუისის ტაძრის ისტორიისათვის, *ენიმიკის მოამბე*, V-VI (თბილისი, 1940).
11. ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევები დაურთეს: ვალერი სილოგავამ, ლია ახალაძემ, მერაბ ბერიძემ (თბილისი, 2012).
12. Меписашвили П., Цинцадзе В., Архитектура нагорной части – исторической провинции Грузии – Шида Картли (Тбилиси, 1975).
13. Brosset M., Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie et dans l'Arménie, execute en 1847-1848 (sixieme rapport) (1851).

¹ Brosset M., დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

² ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

³ გ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 462.

**AN UNKNOWN INSCRIPTION OF GIORGI, „THE OVERSEER OF MASONS“,
FROM THE CHURCH OF THE MOTHER OF GOD IN RUISI**

The Ruisi Church of the Mother of God lies in historical Shida Kartli (now the Kareli region), in the center of the village of Ruisi. The church is of interest from the viewpoint of epigraphy: there is a big number of both lapidary inscriptions and graffiti on its walls. These inscriptions deserve special study. Exactly the inscriptions of the Ruisi Church fall within the scope of my interest.

In June 2014 I visited the church for the first time. Several unknown graffiti were revealed. I made paleographic copies of both known and unknown inscriptions, some 30 outlines, and started to work on them. In near future these inscriptions will be published in a series of articles, thus introducing them into scientific circulation.

The present article concerns three construction inscriptions from the Ruisi Church, including an unknown inscription of Giorgi, “the overseer of masons”, which is first time introduced into the scientific circulation. I date this inscription to the 17th century. Giorgi mentioned in the inscription managed restoration work on the Ruisi Church complex carried out in 1660s-1670s on the commitment of Queen Mariam Dadiani. The paleographic copy of the inscription is first time published. The text is equipped with exhaustive *apparatus criticus* - archaeological and paleographic descriptions.

Apart from that, I introduce paleographic copies of two more construction inscriptions into scientific circulation for the first time. These are King Aleksandre’s construction inscription and an inscription of Shalva, “the overseer of masons”. Texts of these inscriptions were published several times with minor inaccuracies. In the proposed article I suggest more precise readings of the above inscriptions.

ნიკოლოზ ჟღენტი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

საინტერესო ფაქტი ქართლის მეფე სვიმონ I-სა და ოსმალების სულთნის მურად III-ის დიპლომატიური ურთიერთობებიდან (საბუთი Qd-430 როგორც საისტორიო წყარო)¹

თავაქალაშივილ/თავაქარაშივილთა იმერეთის სამეფო კარის მდივან-მწიგნობართა საგვარეულოზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო საისტორიო საბუთი. მათ შორისაა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საბუთი Qd-430: შეწირულობა სვიმონ მეფისა გორისჯვრისადმი.

საბუთის ტექნიკური აღწერილობა:

დედანი, ხეც, Qd-430; ქაღალდი; 49,6X17,5; მხედრული; ყავისფერი მეღანი, II სტრიქონი და სამეფო სახლის წევრების სახელები სინგურით; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყველა სიტყვას შორის; დაზიანებული: კიდები და გადაკეცვის ადგილები გაცვეთილია; რესტავრირებულია: ნაკლული და გაცვეთილი ადგილები აღდგენილია სარესტავრაციო ქაღალდით; საბუთის recto-ზე ზედა მარჯვენა კუთხეში ნაკლული ფრაგმენტი და ტექსტი (II, III და IV სტრიქონის ბოლო სიტყვები) XIX საუკუნეში (?) უნდა იყოს აღდგენილი, ისევე როგორც IX სტრიქონის მარჯვენა ფრაგმენტი და ბოლო სიტყვა; საბუთს უზის თარიღი – ქორონიკონი სოშ (1590 წ.). საბუთს ახლავს სვიმონ მეფის და დარეჯან დედოფლის შავი მეღნით შესრულებული ხელრთვები (სურ. 1 და სურ. 2).

საბუთს მარჯვენა მხარეს, 21-29 სტრიქონებს გასწვრივ მიწებებულია XVIII საუკუნის ხელით დაწერილი საბუთი. ზომა: 11,5X9,5 სმ. შემორჩენილია 10 სტრ. ფრაგმენტის 1/3 შევუღად ორად ყოფილა გახეული და რესტავრაციის დროს, როგორც ჩანს, არასწორად მიაწებეს, რადგან შინაარსობრივად სიტყვები არ ებმის ერთმანეთს. ტექსტის დაზიანების გამო შინაარსი გაუგებარია. ტექსტის დაზიანების გამო ზუსტი შინაარსი გაუგებარია, თუმცა ადგილ-ადგილ იკითხება: ფარსადან (III სტრ.), [წმინდა გი]ორგის დეკან[ოზი] (IV სტრ.), წმინდა გიორგის საქონელ[ი] (VII სტრ.), [წმინდა გი]ორგის საქონელი არა დაეკარგ[ოს] (IX სტრ.). ეს გარემოება გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ 1590 წლის საბუთზე მიბმული ეს ფრაგმენტი წარმოადგენს XVIII ს-ში (?) მოღვაწე რომელიმე მეფის მიერ შეწირულობის განახლების იურიდიული აქტის ნაშთს.

საბუთი გამოცემულია ერთხელ². კითხვა-სხვაობები მოცემულია ამ გამოცემასთან მიმართებაში.

ტექსტი:

წყალობითა დ[მრთისაითა] ზ

ქ. ჩუენ, დ(მრ)თივ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან ზ პატრონმან სვიმონ, და თანამეცხედრემან ჩვენმან ლ დედოფალთა-დედოფალმან ბატონმა ნესტან-დარეჯან, ზ ძეთა ჩუენტა პატრონმან გი(ორ)გი, და მომავალთა ჩუენტა ყოველ^რთავე. ასრე რომე ვიგულებთ და ვიგულსმოდგინეთ და შევე^წწირეთ მცირე ესე შესაწირავი საა[დ]აპოდ მამული თავ^ქქალაშივილის ფარ<ი>სისი და ზურაბისი და გორის ციხ[ისთა]^წწვის მამული, ამათი კერძი რასაცა მქონებელნი ყოფილ^იიყვნეს და ანუ ყოფილან ანუ ფარსი, ანუ ზურაბ და ანუ ^ქციხისთავი დემეტრე, მათისა მამულითა, საწნავითა, სახლ-^ქკარითა და სასაფლაოთა, მთითა, ბართა, ტინისკიდისა ჭა^ქლითა, სახარითა და საწყლისპირთა ყოფილიყოს, მის^ქისა სამართლიანითა საქმითა, შეგვიწირავ მცირე ესე ^ქსაადაპოდ და მოვასხენეთ საშინელს და ყ(ოვლა)დ ქებულსა დ^ქწაწლ მრავალსა, საჩინოსა, მკნესა მკვდარსა, ახოვანსა ხესა, ^ქვარდსა

¹ მოხსენება, წაკითხული პროფესორ ვარლამ დონდუასადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე „საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხები – უახლესი კვლევები, უახლესი შედეგები“, თბილისი, 2014 წლის 29 მაისი.

² ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. IV, ქართული ისტორიული საბუთები XIV-XV საუკუნეები შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ (თბილისი, 2016). გვ. 409-410.

შუენიერსა კომსსა პატიონსა (sic) წმიდასა გი(ორ)გისა მთავა¹⁸რ-მოწამესა გორისჯვარისასა სულის ჩუენისა სააღაპოდ და ¹⁹ საუკუნოდ საცხოვრებელად და შვილთა და მომავალთა ჩუენთა ²⁰ სადღეგრძელოდ. ასრე და ამა პირსა ზედა, რომე წ(მიდ)ისა გი(ორ)გისა ²¹ დეკანოხსა გოგობსა და მისსა შვილსა ი(ო)ანეს მივეციით ²² ესე ტინისკიდური მამული, რაცა ამაშიგან დაგვიწერია, ²³ მიიღებდენ ყოელთა წელიწადთა შინჯა: წმიდასა გი(ორ)გის წი²⁴წამე დღესა გიორგობისთუესა ათ<ა>სა დღესა სულსა წმიდისა ²⁵ ამის დღისასა ერთსა საპალნესა ღვინოსა, და ერთსა საპალნესა ²⁶ პურსა, და ერთსა ჩარექსა სანთელსა მისით გულითა, და ნახე²⁷ვარ ჩარექსა საკმელსა, და სამსა ცხუარსა და რაცა გორიჯვარ²⁸სა ხუცესი იქნებოდეს და ანუ იყოფებოდეს ამათ ქა²⁹მსა, აწირვებდით დაუცადებელად და ამითა აღაპსა გარდიჭდიდით ³⁰ ჩუენთუის სულისათუის, ესე ჩუენი მცირე შესაწირვისა და ³¹ არაოდეს არა მოგუეშალოს, არცა ჩუენ და არცა წმიდასა ³² გიორგის. ვინცა რამანცა გუარმან კაცმან ანუ დიდმან ³³ და ანუ მცირემან და ანუ მოადაპემან ესე ჩუენი სააღაპე ³⁴ შესაწირავი მოგიშალოს ანუ შეგვიცვალოს თავადამ³⁵ცა ღ(მერ)თი რისხავს, მერმე საშინელი წმიდა გი(ორ)გი ჩუენთ³⁶ამცა ცოდვათა მზულუელი არის მას მეორედ მოსულჯასა, ³⁷ მათმცა ედების კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი, ³⁸ წრძოლა კაინისი, მეხდატეხილობა დეოსკორიოსი, და ნუარათამცა ³⁹ სინანულითა ნუ იხსნების სული მისი, გამთავებელნი ღ(მერ)თ(მა)ნ ⁴⁰ აკურთხნეს. დაიწერა წიგნი ესე გუჯარი კელითა კარისა ⁴¹ ჩუენისა მდივნისა მწიგნობრის აბაშიძის ესტატესითა და ⁴² ქ(ორო-ნი)კ(ო)ნსა სოწ. მეფე სვიმონ † დარეჯან.

საბუთი საკმაოდ საინტერესო ცნობების შემცველია: მასში იხსენიება გორის ციხისთავი, ტინისხიდელი დემეტრე თავაქალაშვილი. XVI საუკუნის ბოლო მეოთხედში კი გორის ციხე ოსმალებსა და ქართველებს შორის ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი ცხელი წერტილი იყო.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1587 წელს გორის ციხეში ოსმალური გარნიზონი იდგა, ხოლო 1589-1590 წლებში დაიღო ზავი სულთან მურად III-სა და მეფე სვიმონს შორის. ზავი ემყარებოდა *Utī possidentis* პრინციპს, რის თანახმადაც ოსმალების დაპყრობილ ქართლის ციხე-ქალაქებში მათივე გარნიზონები რჩებოდნენ, ხოლო სვიმონს ეკუთვნოდა დანარჩენი ტერიტორია. ამასვე ადასტურებს ფარსადან გორგიჯანიძე¹.

როგორც ზემომოყვანილი საბუთი Qd-430 მიხედვით ირკვევა, სვიმონ მეფემ, სწორედ ამ ზავის დადების პერიოდში (1590 წ-ს) გორიჯვარს² შესწირა ძმების – ფარსი, ზურაბ და გორის ციხისთავის დემეტრე თავაქალაშვილის მამულები სოფელ ტინისხიდში³, რის სანაცვლოდ აღაპიც გაიჩინა.

ამ მხრივ, საინტერესოა, რომ მანამდე, ფერჰად ფაშასთან ზავის დადების შემდეგ, 1589 წ-ს სვიმონ მეფემ მურად III-ს გაუგზავნა არზა, სადაც ჩამოთვლილია გორის, თბილისის, დმანისისა და ლორეს ციხეების გარშემო მდებარე 106 სოფელი. ამ სიას ახლავს სვიმონ მეფის ორი წერილი სულთნისადმი, სადაც ვკითხულობთ:

„უავგუსტოესი სასახლისათვის დასამალი არ არის, რომ ხსენებული ციხეების გარშემო მდებარე სოფლები ესენია, რომლებიც ზემოთ იქნა დასახელებული – სხვა არ არის. რადგანაც ესენი სამართლიანობის თავშესაფრის ზღურბლის ხალასი და გულწრფელი ქვეშევრდომები არიან, ცალცალკე იქნა ჩაწერილი და მაღალ სამეფო ტახტს გაეგზავნა. [თავიანთ] მხარეზე კი არა და, სიცოცხლეზეც უარს იტყვიან უზენაესი ხელმწიფისათვის.

კითხვა-სხვაობები: ¹ გამოცემაში ეს ფრაზა გამოტოვებულია. ² ჩვენ, დ(მრთი)ვ-გუირგუინოსანმან მეფ[ეთ]-მეფემან. ³ სვიმონ, [ჩვენმან]. ⁷ სააღაპოდ. ⁸⁻⁹ ციხის[თა]წვიის, რასაც მქონებელი. ⁹⁻¹⁰ ყოფილიყუნეს. ¹¹ მათის. ¹³ სასართია. ¹³⁻¹⁴ [მის]სა. ¹⁴ შემგუიწირავს. ¹⁷ კომ[ი]სასა პატრონსა, გი(ორ)გის, [მთავა]. ¹⁸ გორისჯვარისასა, სულისა. ¹⁹ ჩუენჯისა. ²⁰ წ(მი)დისა. ²¹ გოგობჯასა. ²² ზესეს, რაც, დაგუიწერია. ²³ წმიდისა. ²⁴ სულჯისა წმიდის. ²⁵ საპალნეს. ²⁷⁻²⁸ გორიჯვარ²⁷სა. ²⁹ უწირვებდით. ³⁰ შესაწირავი. ³⁰⁻³¹ აღარ³⁰ოდეს. ³⁴ შეგვიცვალოს, თავ[ვად]მცა. ³⁶ მზულუელი არს, მოსულჯას. ³⁸ წრძოლა, ნუარათაცა. ³⁹ იხსენების. ⁴¹ აბაშიძის. ⁴² ქ(ორონი)კ(ო)ნსა.

¹ მ. სვანიძე, ს. ჯიქია, *საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან 1588-1590 წწ., მაცნე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო*, №6 (თბილისი, 1966), გვ. 223-235; მ. სვანიძე, 1588 წელს ქართლის მეფე სვიმონ I-ისა და ოსმალების სარდალ ფერჰად ფაშას შორის დადებული საზავო ხელშეკრულება, *ქართული დიპლომატია (წელიწადუელი)*, 10 (თბილისი, 2003), გვ. 138-153.

² გორიჯვარი, არქიტექტურული ისტორიული ძეგლი, ღვას მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მთაზე (*საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*, 5 (თბილისი, 1990), გვ. 38).

³ ტინისხიდი. ნასოფლარი, არქეოლოგიური ძეგლი. მდებარეობს ადგილ. გრძელეებში. თარიღდება გვიანფეოდალური ხანით. შემორჩენილია რიყის ქვით ნაგები ნასახლარები, შენობათა საძირკვლის ფრაგმენტები. აქვე ზედაპირულად იპოვება წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, დიდი ქვევრებისა და თონეების ფრაგმენტები და სხვ. (*საქართველოს ისტორიისა და კულტურის...გვ.* 85).

თავსელობაა, მაგრამ ყმებსა და თქვენს მონა-მორჩილ ჩემს აზნაურებს ხსენებული სოფლებიდან რამდენს უწყალობებთ სარგოდ და ციხეებისათვის რამდენს გადადებთ, ამის გადაწყვეტა დიდებული ფადიშაჰის ნება-სურვილზეა. რაც შეეხება დანარჩენს – ბრძანება მართლმსაჯულების კარისაა.

[თქვენი] მონა-მორჩილი
სიმონი.

ფიციავ ღმერთს, რომ ყველა ჩვენი ქვეშევრდომებითურთ სულითა და გულით ხალასი, წრფელი და ერთგული მონა-მორჩილი ყმები გავხდით ბედნიერი, დიდებული, ქვეყნის-მფარველი მისი უდიდებულესობისა. დავიხოცებით, მაგრამ ბედნიერებითმოსილი ზღურბლის ბრძანებას არ განვუდგებით. ყოველგვარი სამსახურის შესასრულებლად, რაც კი გვებრძანება – თუ ძალა გვექნება და ცოცხლები დავრჩებით – თავს არ დავიზოგავთ, დიდ სიბეჯითეს გამოვიჩენთ.

ღმერთმა ნუ ქნას, რომ თქვენ ჩვენზე უარი თქვათ და ამით თქვენი მონა-მორჩილი მოაკლდეს და მოშორდეს ქვეყნის მფარველის სასახლეს. ჩვენი იმედი ის არის, რომ ღვთის გულისათვის და ბედნიერი, სათნო და პატიოსანი პირებისათვის, თქვენი მონა-მორჩილნი არ მოაკლდებიან ბედნიერებითმოსილი ზღურბლის სიგელს. ბოროტმზრახველთა (ღვარძლიანთა) ფუჭ სიტყვებს ყურს ნუ უგდებთ.

რაც შეეხება დანარჩენს, ბრძანება და ფირმანი, ჩემი სვებედნიერი და მოწყალე ფადიშაჰისაა.

[თქვენი] მონა-მორჩილი
სიმონი.¹

ამ არზის შინაარსის შესახებ მეცნიერთა აზრი ორადაა გაყოფილი. ც. აბულაძე მიიჩნევს, რომ ამ არზით სვიმონ მეფე სულთანს სთხოვდა დაემტკიცებინა მისთვის ჩამოთვლილი სოფლები². მ. სვანიძის აზრით, ამით სვიმონ მეფეს სურდა, სულთნისაგან მიეღო გარანტია, რომ დაუთ ხანი მას არ შესცილებოდა ამ სოფლების მფლობელობაზე. მით უფრო, რომ 1585 წ-ს სულთანმა დაუთ ხანს დაუმტკიცა სიმონ მეფის მამულები, რომლებიც ოსმალებს ქართლში ჰქონდათ დაპყრობილი³. ნ. შენგელია და მ. მახარაძე კი მიიჩნევენ, რომ ეს 106 სოფელი სვიმონ მეფემ ოსმალო ხელისუფალთ გადასცა და გლეხებს მორჩილებისკენ მოუწოდა⁴.

არზაზე დართული სვიმონის წერილების შინაარსიდან გამომდინარე რთულია გადაჭრით გავიზიაროთ რომელიმე მოსაზრება. თუმცა, ამას, ჩვენთვის საინტერესო საბუთთან დაკავშირებული საკითხების შესწავლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც არა აქვს. ორივე მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში რეალობა მაინც ერთია: იურიდიულად სვიმონ მეფეს ხელი აღარ მიუწვდება აღნიშნულ სოფლებზე.

გორის ციხის სანახებში ჩამოთვლილია სულ 36 სოფელი, მათ შორის ტინისხიდიც⁵, რომლის კონკრეტულ მიწებსაც სვიმონი უკვე 1590 წ-ს გორისჯვრის ტაძარს სწირავს. ჩნდება კითხვა:

მიუწვდებოდა თუ არა ხელი რეალურად სვიმონ მეფეს სოფ. ტინისხიდის მამულებზე 1590 წ-ს?

ხემოთმოყვანილი საბუთის (Qd-430) მიხედვით შეიძლება გვეფიქრა, რომ სულთანმა აღნიშნული სოფლების ჩამონათვალიდან სვიმონს ტინისხიდი მაინც დანამდვილებით დაუქვემდებარა, რადგან მეფე ამ სოფლის მამულებს უკვე 1590 წ-ს თავისი ნებასურვილით განაგებს. თუმცა ეს ასე არ აღმოჩნდა.

¹ ც. აბულაძე, სიმონ მეფის არზა სულთან მურად III-ს. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ტ. VII, (თბილისი, 1980), გვ. 164

² ც. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 156.

³ მ. სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 149.

⁴ ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ, XVI-XVIII საუკუნეები, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, მცირე შენიშვნებითა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადა პროფ. ნოდარ შენგელიამ, (თბილისი, 2013), გვ. 5-6, 12.

⁵ ც. აბულაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 152-166. შინაარსის გარდა მკვლევარები ასევე განსხვავებულად თარგმნიან ტოპონიმების სახელებს. არზის დედანში, ც. აბულაძის გამოცემის მიხედვით, სოფლის სახელი „ტინისხიდი“ ფორმით გვხვდება (გვ. 156). შენგელიას გამოცემაში კი ფორმით „გორის კითი“ (ნ. შენგელია, დასახ. ნაშრ., გვ. 12). ეს არაა ერთადერთი შემთხვევა, როცა წყაროს ორივე ქართულ თარგმანში ვხვდებით განსხვავებულად ნათარგმნ ტოპონიმების სახელებს.

1966 წელს, სერგი ჯიქიამ და მიხეილ სვანიძემ ქართულად თარგმნეს და გამოაქვეყნეს სულთან მურად III-ის წერილი სვიმონ მეფისადმი სახელწოდებით „ქართლის მბრძანებლისადმი გაცემული უავგუსტოესი ხელშეკრულების პირი“. შინაარსობრივად ეს წერილი პასუხობს სვიმონის მიერ სულთანთან გაგზავნილ არხებს. გარდა ამისა, სვიმონის გაგზავნილ არხებს სულთნის პასუხის სავარაუდო თარიღიც ემთხვევა (1589-1590 წწ.)¹. წერილი ძალზედ საინტერესო და მრავალფეროვან ცნობებს გვაწვდის, რომელთაგან ქვემოთ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ნაწილებს მოვიყვან:

„ამას წინეთ შენც მას (ფერად ფაშას), აღნიშნულ ჩვენს სარდალს, წერილი გამოუგზავნე და ჩემს სვებდნიერ სამეფო ტახტს ყოველმხრივი მორჩილება და გამგონობა გამოუცხადე, მისი მოხარაჯეობა ბედნიერების წყაროდ მიიხინე და ზემოსხენებულ [სარდალს] შენი წლიური ხარაჯა გამოუგზავნე და [ამრიგად] ერთგულად და გულწრფელად მიენდვე და შემოაფარე თავი ჩემს უზენაეს კარს. ამიტომ აღნიშნულმა ჩემმა სარდალმაც ყოველმხრივ შეგიწყნარა და მოგეცა შენ [სარდალისაგან] ხელშეკრულება იმაზე, რომ შენს უფლებაში მყოფი შენი ქვეყანა უწინდებურად შენს ხელში იყოს, შთამომავლიდან შთამომავლამდე შენ იყო მისი მფლობელი და სხვა ვინმეს ამაში ხელი არ ჰქონდეს და [ამ საქმეში] არ ჩაერიოს. [ამ ხელშეკრულების] შესაბამისად თქვენ ჩემი ბედნიერების ბუდე სასახლიდანაც გითხოვიათ სამეფო პირობის წიგნი. ამგვარად, გარდა იმისა, რომ შენი სურვილი და საწადელი კეთილად იქნა [ჩვენს მიერ] დაკმაყოფილებული, შენი ძმა და სხვა შენი კაცები ჩემი მაღალი ოსმალთა სახელმწიფოსათვის შესაფერისი პატივით იქნენ მიღებული და მათ მიმართ გამოჩენილ იქნა მზრუნველობა და მფარველობა და უწინ მოცემული ხელშეკრულების შესაბამისად, ჩემი უზენაესი კარიდანაც ეს-ეს იყო მტკიცე საბუთი უნდა მოგვეცა, რომ მაგ მხარეში მყოფ მესაზღვრე ბეგლარბეგებისაგან ზედიზედ წერილები მოვიდა. [ამ წერილებით] მომასხენეს და შემატყობინეს, რომ შენ ხშირად მორჩილებიდან გამოდიხარ, ციხეში მომსვლელებსა და სხვა გამგელ-გამომგელეებს ავიწროებ და, გარდა ამისა, აქაო და მე მოხარაჯე ვარო, *ციხესთან ახლოს მდებარე ნათესებიდან უშურს ითხოვ და ამბობ, რომ ციხეების გარშემო განლაგებული და ჩემი სამეფო უძლიერესი ჯარის მიერ დაპყრობილი სოფლები და ნათესები უწინდელივით ჩემს მფლობელობაში უნდა იყოსო*, ჩხუბობ და საქმეში ერევი... *არც შენ შეგფერის, მხოლოდ იმიტომ, რომ მოხარაჯე ვარო და ციხეები რომ შენდებოდა ჩემი ძლიერი და სამეფო ჯარებით დაპყრობილი და დამორჩილებული სოფლებისა და ნათესების საქმეებში ერევი და ციხის მიდამოებში მდებარე ყანებიდან უშურს ითხოვ. ყველა ციხის გარშემო მდებარე სოფელი და ნათესი გალაგებით არაა შემოზღუდული*“².

სულთნის საპასუხო წერილიდან ნათლად ჩანს, რომ სვიმონის მოთხოვნა ციხეების გარშემო მდებარე სოფლების მის დაქვემდებარებაში გადასვლის შესახებ არ დაკმაყოფილებულა. შედეგად კი ვიღებთ არსებული სურათის ორ ვარიანტს: 1. სვიმონ მეფე არ ემორჩილება სულთნის უარს მის თხოვნასთან დაკავშირებით და ძალით იბრუნებს ძალაუფლებას ციხეების გარშემო მდებარე სოფლებზე, ყოველშემთხვევაში სოფ. ტინისხიდზე მაინც, და სწირავს სოფლის მამულებს გორიჯვარს; 2. სვიმონ მეფე, მიუხედავად იმისა, რომ რეალურად ხელი არ მიუწვდებოდა სოფელ ტინისხიდზე, მაინც გასცემს ამ შეწირულობას ნიშნად მისი პრეტენზიისა, როგორც სოფლის კანონიერი მფლობელისა. პირადად მე ამ ორი მოსაზრებიდან უფრო პირველისკენ ვიხრები და მიმაჩნია, რომ საბუთი გაცემულია იმ პერიოდში, როცა სვიმონი, სულთნის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ჩხუბობს და საქმეში ერევა“.

ახლა კი უნდა შევეხოთ არანაკლებ საინტერესო მეორე საკითხს, რაზეც საბუთი გვაწვდის ცნობებს – თავაქალაშვილების საკითხს.

ვინ იყვნენ ტინისხიდელი ძმები თავაქალაშვილები, რომლებისგანაც ერთ-ერთი – დემეტრე გორის ციხისთავის თანამდებობასაც ფლობდა?

საბუთის მიხედვით, სვიმონ მეფე სწორედ მათ ნაქონ მამულებს სწირავს გორიჯვარს. ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ ერთ-ერთი ძმა – დემეტრე გორის ციხისთავის ტიტულით იხსენიება³. ლოგიკურად, ტინისხიდელი თავაქალაშვილების სურათი ასე უნდა აღდგეს: როგორც

¹ მ. სვანიძე, ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 229.

² იქვე, გვ. 234-235.

³ ციხისთავი – სამხედრო ადმინისტრაციული ფუნქციების ადგილობრივი (საქვეყნოდ გამრიგე) მოხელე, თავდაცვითი ნაგებობის – ციხესიმაგრეებისა და მათ გარშემო არსებული საფორტიფიკაციო ქსელის გამგებელი, ციხის გარნიზონის მეთაური, ციხესიმაგრესთან დაკავშირებული სამხედრო, სამეურნეო და ფინანსური საქმიანობის (საბაჟო საქმე) ხელმძღვანელი (მ. სურგულაძე, ციხისთავი, წიგნი: ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში, (ენციკლოპედიური ლექსიკონი), (თბილისი, 2017), გვ. 318. უფრო ვრცლად ციხისთავის თანამდებობის და ციხისთავების შესახებ იხ.: იქვე, გვ. 318-319.

ზემოთაც აღვნიშნე, გორის ციხე ოსმალებსა და ქართველებს შორის ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი ცხელი წერტილი იყო. სამწუხაროდ ვერ დგინდება, თუ როდის იყო დემეტრე თავაქლაშვილი გორის ციხისთავი. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ეს შეიძლება მომხდარიყო 1580/82-1585 წლებს შორის – 1580 წელს ლალა-მუსტაფა ფაშა საქართველოს ტოვებს, ხოლო სპარსელებისგან გათავისუფლებული სვიმონი გორის ციხეს იბრუნებს¹. გორი სვიმონის დაქვემდებარებაში ჩანს 1582 წ-ის 13 მარტის საბუთის მიხედვით, რითიც მეფე ვინმე ფილიონს წყალობას უახლებს ოქონისა და მისი კარის („კარის ჩუენისა“) – გორის ციხის დეკანოზს. ამავე საბუთში მეფე გორის მოურავს და სხვა მოხელეებს უბრძანებს ასევე გაითვალისწინონ მისი განჩინება. საბუთზე დართულ სპარსულ ტექსტში კი პირდაპირაა აღნიშნული, რომ მეფეს ფილიონისთვის გორის ციხის ეკლესიის ზედამხედველობა და დეკანოზობა უბოძებია². 1585 წ-ს კი გორის ციხე კვლავ ოსმალებმა აიღეს³. ამგვარად, დემეტრე თავაქლაშვილის გორის ციხისთავობა შეიძლება 1580/82-1585 წწ-ით განვსაზღვროთ. სვიმონ მეფე გორიჯვარს სწორედ ამ თავაქლაშვილების მიწას სწირავს, რამაც შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ისინი, გორთან მიმდინარე გაუთავებელი ბრძოლების დროს (1585 წ-ს?) ამოწყდნენ, ხოლო მეფემ უმემკვიდრედ დარჩენილი ტინისხიდის მამული თავისი ნება-სურვილით განკარგა.

ასეთი სურათი სრულებით მისაღები იქნებოდა, რომ არა რამდენიმე ბუნდოვანი საკითხი.

საბუთების კატეგორიაში, რომელთა შინაარსი უკავშირდება სწორედ საგვარეულოს ამოწყვეტას და უმემკვიდრედ დარჩენას, მეფე თავისი ნება-სურვილით განკარგავს უპატრონოდ დარჩენილ მამულებს. უმრავლეს შემთხვევაში ტექსტში აღნიშნულია, რომ გვარი ამოწყდა, ხოლო მათი მამული „უმკვიდროდ“ დარჩა, მეფე კი ამ მამულს მის ერთგულ მსახურს აძლევს წაყლობად. თვალსაჩინოებისთვის მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: 1417 წელს, ალექსანდრე დიდმა სუმბატ ურდოველაშვილს უწყალობა დაფირისძისეული მამული და დასვა დაფირისძე, რადგან „დაფირასძედ და მათისა გუარისა აღარავინ იპოვებოდა“⁴; 1446-1476 წლების სიგელში გიორგი მეფე მის ყმას ბერინას აძლევს სულაშვილისეულ ვენახს, „ვინათგან სოფლისა ამის უხანობისაგან სულაშვილი უნათესოდ გარდავლინდა და ამისი აღარავინ დარჩა...“⁵; 1476 წლისთვის „მას ჟამსა ოდეს სოფლისა ვითარებისაგან პატიოსანი ივანისძე გაბრიელ უმკვიდრო იქნა და მისი სახლი და მამულნი ოკერი დაშთა“ ალექსანდრე მეფემ ეს მამულები ამიღბარ მადლაძეს უწყალობა⁶; კოსტანტინე მეფემ 1487 წელს, „მას ჟამსა ოდეს მირიანისძე დაბოლოვდა და უმკვიდრო იქმნა“, მირიანისძისეული მამული უწყალობა ქავთარისძეებს⁷; იმერთა მეფე გიორგი II-მ 1573 წელს გელათის მონასტერს შესწირა ამოწყვეტილი მხეციძისეული მამული⁸.

ჩვენს შემთხვევაში მსგავსი ფორმულირება არ გვხვდება – არც თავაქლაშვილების ამოწყვეტის ფაქტია აღნიშნული, და არც მათი მამულების უმემკვიდრედ დარჩენა. მეტიც, სხვა სა-

¹ ვ. გუჩუა, მ. სვანიძე, ირან-ოსმალეთის მეორე ომის დაწყება. ქართლის ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ სიმონ I-ის მეთაურობით. სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გამომცემლობა „მეცნიერება“, (თბილისი 1973), გვ. 131. ამავე დროს, საინტერესოა, რომ იგივე 1590 წელს, 18 ოქტომბერს, იგივე სვიმონ მეფე გასცემს განჩინებას მეკობრეთმძებნელების შესახებ, სადაც ერთ ადგილას წერს: „...ვისცა გორის ციხის აღების წინათ რამ მოეპაროს, ის სამეულად აზღვევინონ: ერთი პატრონსა, ერთი და ნახევარი ჩუენ და ნახევარი მეკობრეთმძებნელსა.“ საბუთს verso-ზე დართული აქვს იგივე შინაარსის სპარსული ტექსტი, სადაც ასევე იხსენიება გორის დაპყრობა (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IV... გვ. 404-407). გორის ციხის აღებაში/დაპყრობაში კონკრეტულად რომელი ისტორიული ფაქტი იგულისხმება, საბუთის მჭირი მონაცემების მიხედვით, უცნობია. ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სვიმონმა 1590 წლის 18 ოქტომბრამდე აიღო გორი? ჩვენს ხელთ არსებული საისტორიო ცნობებით ეს არ დასტურდება. ქართველებმა გორის ციხე 1585 წლიდან 1599 წ-მდე ვერ გაათავისუფლეს (იხ. ვ. გუჩუა, მ. სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 147-148). საბუთში, სავარაუდოდ, ოსმალების მიერ გორის ციხის აღება უნდა იგულისხმებოდეს ან ლალა-მუსტაფა ფაშას მიერ 1578-79 წწ-ში, ან ფაშას წასვლის შემდეგ სამცხიდან დაბრუნებული სვიმონის მიერ 1580-1582 წწ-ში, ან კვლავ ოსმალების მიერ აღებული გორის ციხე, რაც 1585 წლისთვის უნდა მომხდარიყო.

² ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IV... გვ. 332-333.

³ იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ. გამომცემლობა მეცნიერება, (თბილისი, 1964). გვ. 77.

⁴ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Ad კოლექცია, დოკუმენტი №1601.

⁵ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Qd კოლექცია, დოკუმენტი №10121.

⁶ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1449, საბუთი №777.

⁷ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №1349 და №14695.

⁸ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1448, საბუთი №3324.

მსგავსი პროცედურა მიღებული მეთოდი იყო ფეოდალიზმში, რომელსაც მეფის გარდა იყენებდნენ სხვა საერო და სასულიერო ფეოდალებიც (იხ. 1448-5024; Hd-1352; Ad-1498გ)

ბუთების მიხედვით თავაქალაშიელები ტინისხიდში მკვიდრი საგვარეულოა 1590 წლამდე და მის შემდგომაც:

1511 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ ფანასკერტელების ოჯახს უწყალობა მამულები, მათ შორის „ტინისხიდა თავაქალიშიელებისეული“ მიწა¹. 1620 წელს ეკუთვნის სვიმონ II-ის (1619-1631 წწ.) უწყალობის წიგნი ტინისხიდელ თავაქალაშიელებისადმი². 1629 წელს როსტომ მეფემ უწყალობა ვახტანგ თავაქალაშიელს სამკვიდრო სახლები³. 1631 წელს სამნა, შიოშ და ზაქარია ნადირაძეებმა მიჰყიდეს საბოსტნე და ნაფუზარი უმეკა და ნასყიდა ბარაშიელებს, რომელიც ესაზღვრებოდა თავაქალაშიელის ბოსტანს⁴. 1632 წლის ნასყიდობის სიგელში, რომლითაც დავითა და ხატისა ჩალაბაშიელებმა უმეკა და ნასყიდა ბახჩიაშიელებს მიყიდეს მიწები (რომელიც ესაზღვრებოდა ატენის მოურავის მიწებს), მოწმეებად დასახელებულნი არიან: ტინისხიდის მამასახლისი აზორბეგა, ბაინდურასშიელი ივანა, ნასყიდაშიელი ბერა, თავაქალაშიელი დავითა, ბადრიგულაშიელი ძულია და იოთელაშიელი ზუბია⁵. 1636 წელს გოგიბაშიელებმა მიყიდეს ბახრაშიელებს ტინისხიდის სამკვიდრო მამული, რომელიც ესაზღვრებოდა თავაქალაშიელის მიწას. ამავე საბუთის მოწმეა თავაქალაშიელი მამუკა⁶. 1645 წელს საკასშიელებმა ოსკანას და გრიქოლას მიჰყიდეს თავაქალაშიელისეული სახლ-კარი⁷. 1664 წელს შაჰნავაზმა თუმანიშიელებს უწყალობა ტინისხიდს ხემოსხენებუელი მამუკა თავაქალაშიელის ობლები⁸. 1664-1675 წლების სიგელში არჩილ მეფე უთვლის თავის ძმებს, რომ დაუბრუნონ მის მდივანს ზურაბ თუმანიშიელს ტინისხიდში მცხოვრები თავაქალაშიელების ერთი კომლი⁹. 1671 წელს ტინისხიდელმა ლაღასშიელმა პაპუნამ გორელ ამირლახასშიელებს მიჰყიდა მკვირდი მიწა, რომელიც ესაზღვრებოდა თავაქალაშიელის მიწას¹⁰. 1674 წლის ნასყიდობის სიგელის მიხედვით ბახჩიაშიელების მიწა ესაზღვრებოდა თავაქალაშიელის ყმის მიწას¹¹. 1677 წლის ნასყიდობის წიგნის მოწმეა თავაქალაშიელი მერაბა, რომლითაც ტინისხიდელი მამასახლისი გემანამ მიჰყიდა სიმონგულა მამუკას შვილს თავის სამკვიდრო მამული¹². 1680 წელს ტინისხიდელმა მეხრიშიელებმა მიყიდეს ბახჩასშიელებს მიწა, რომელიც ესაზღვრებოდა თავაქალაშიელების მიწას¹³. 1681 წელს ტინისხიდელმა შავერდაშიელებმა გოგანაშიელებს მიყიდეს მიწა, რომელიც ესაზღვრებოდა თავაქალაშიელის მიწას¹⁴. ამავე წელს, ზურაბ თავაქალაშიელს იხსენიებს ბეჟან სააკაძე, როგორც მის აზ-

¹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №2118. არის კიდევ ერთი, 1527 წლის საბუთი, სადაც ბაინდურ ერისთავმა დიღომში იყიდა თავაქალაშიელისეული ვენახი (*პირთა ანოტირებული ლექსიკონი*, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, II, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშიელმა, მ. სურგულაძემ (თბილისი, 1993), გვ. 262). თუმცა, საბუთის ტექსტში, რომელიც მხოლოდ თედო ჟორდანიას წყალობით შემოგვრჩა, იკითხება არა თავაქალაშიელისეული, არამედ თავაქალასეული ვენახი (*ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო თ. ჟორდანიამ, II (1213 წლიდან 1700 წლამდე) (ტფილისი, 1897), გვ. 371), რის გამოც ამ ქონებას ვერ მივაკუთვნებ თავაქალაშიელთა მიწათმფლობელობას.

² საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1449, საბუთი №2090.

³ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1448, საბუთი №83. სამწუხაროდ, ზუსტი ტოპონიმი არ იხსენიება, თუმცა, იმის გათვალისწინებით რომ ყველა თავაქალაშიელი ტინისხიდში მოსახლეობს, ვახტანგ თავაქალაშიელის სამემკვიდრო სახლებიც ამ ადგილას უნდა ვიგულისხმოთ.

⁴ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Ad კოლექცია, დოკუმენტი №1567. საბუთის ტექსტში არ იხსენიება სოფელი ტინისხიდი, თუმცა, სხვა ქვემოთ ჩამოთვლილ საბუთების მსგავსად, სადაც დაფიქსირებულია ეს ტოპონიმი, ამ საბუთის შესავალშიც იხსენიება გორისჯვარი და ოქონის ხატი.

⁵ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Ad კოლექცია, დოკუმენტი №1568.

⁶ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №14888.

⁷ ა. ხახანაშიელი, *გუჯრები (საისტორიო მასალა)*, გამოსცემა დეკ. დ. ღამბაშიძისა (ქუთაისი, 1891). გვ. 173-4. საბუთში არ იხსენიება არც ერთი ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი, თუმცა, წინასიტყვაობაში აღეკსანდრე ხახანაშიელი აღნიშნავს შემდეგს: „აქ დაბეჭდილი „გუჯრები“ გადმოწერილია „საეკლესიო მუზეუმის“ გუჯრიდგან. ზოგიერთი კი გადმოწერე ქ. გორში კერძო პირების საკუთარ გუჯრებიდან“ (იქვე, გვ. XXX). ამგვარად, ჩემი აზრით, აქაც ტინისხიდელ თავაქალაშიელებთან გვაქვს საქმე.

⁸ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №14538.

⁹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №11016

¹⁰ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №5270

¹¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1448, საბუთი №10000. საბუთი დაზიანებულია, შემორჩენილ ტექსტში არ იხსენიება ტინისხიდი, თუმცა, ეს მიწა რომ ნამდვილად ტინისხიდშია ადარსტურებს ამ საბუთში მოხსენიებული გვარები, რომლებიც სხვა საბუთების მიხედვით ტინისხიდის მკვიდრები არიან.

¹² ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №5303

¹³ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1448, საბუთი №4595.

¹⁴ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №9390.

ნაურიშიველს ყორღანაშვილისადმი მიცემულ ნასყიდობის წიგნში¹. XVII საუკუნისაა ასევე ამირ-ლაშვილების ნასყიდობის წიგნი ენდრონიკაშვილებისადმი, რომელთა ნაყიდი მიწა ესაზღვრებოდა თავაქალასშვილის ვენახს და რომლის მოწმეცაა სხვა საბუთებიდან ცნობილი ტინისხიდელი თავაქალასშვილი ზურაბა. იგივე პიროვნება იხსენიება ტინისხიდელი ბერია ოთელასშვილის მიერ ბეჟუა გასპარაშვილისადმი², ასევე 1715 წლის ნასყიდობის წიგნში, რომელიც მიცემულია გორისჯვარის დეკანოზის ნიკოლოზ გოგობაშვილის მიერ გიორგი ბარამიშვილისადმი³. ტინისხიდელ თავაქალასშვილებს 1717 წელს გემანაშვილებმა მიჰყიდეს მიწა⁴. ერთი წლის შემდეგ, 1718 წელს იგივე თავაქალასშვილებს ტინისხიდელმა მემანისშვილმაც მიჰყიდა საწისქვილო მიწა⁵. 1734 წელს თავაქალასშვილი ფარსადან იხსენიება ტინისხიდელი ბერა ბაღანიასშვილის ნასყიდობის წიგნში⁶. ამის შემდეგ, 1737 წელს ისევ ტინისხიდელ თავაქალასშვილებს მოძღვრიანთ გოგობისშვილებმა მიჰყიდეს მიწა გაძელში⁷. 1738 წელს ტინისხიდელ თავაქალასშვილებს უკვე ფოცხვერიშვილებმა მისცეს ნასყიდობის წიგნი⁸. ამავე წელს ტინისხიდელ თავაქალასშვილებს უკვე ადუაშვილებმაც მიჰყიდეს მიწა⁹. იგივე პიროვნებებს ვხვდებით უთარილო ნასყიდობის წიგნში, რომლითაც გიგელანთ თამაზასშვილებმა მიჰყიდეს მათ მატეას შავერდაშვილისეული სანანაურის ძირის მიწა¹⁰. მათვე მიჰყიდა ტინისხიდელმა ბახნიაშვილმა მამულასშვილისეული მიწა¹¹. უთარილოა ასევე მათთვის მიცემული ნასყიდობის წიგნი, მიცემული ჯოხელი ხახანაშვილების მიერ¹². 1739 წელს თავაქალანთ ზურაბის შვილმა ფარსადანმა გორის მელიქს მისცა ნასყიდობის წიგნი¹³. ამავე წელს ზაზა ციციშვილის შვილებმა იმავე ტინისხიდელ თავაქალასშვილებს მიჰყიდეს რუისელი გლეხები¹⁴. მათვე იყიდეს შავერდაშვილისეული მამული ვანთელი ადუაშვილებისგან 1740 წელს¹⁵. 1742 წელს გერმანოზიშვილებმა მისცეს ნასყიდობის სიგელი თავაქალასშვილ გიორგის, რომელიც ამავე დროს ერისთავის ნაზირი ყოფილა¹⁶. 1752 წელს ედიშერ დავითისშვილმა მისცა ნასყიდობის წიგნი თავაქალასშვილ არუთინას¹⁷. 1759 წელს ტინისხიდელმა არუთინა თავაქალასშვილმა მისცა ნასყიდობის სიგელი მამაცასშვილ ქაიხოსროს, ხოლო ერთ-ერთი მოწმეა ტინისხიდელი თავაქალასშვილი თაყა¹⁸. ამავე წელს ტინისხიდელ თავაქალასშვილებს ბერი პაპისშვილმა მიჰყიდა „გაძელა“ მიწა¹⁹. 1763 წელს ტინისხიდელმა თავაქალა-

¹ ნ. ბერძენიშვილი, *დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან*, წ. 1, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.) (თბილისი, 1940), გვ. 68-69.

² ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №5305.

³ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №5338.

⁴ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №48/121.

⁵ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №48/122.

⁶ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №5308.

⁷ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №48/117.

⁸ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №48/124.

⁹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №48/126.

¹⁰ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №48/118.

¹¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №48/119.

¹² საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №48/125.

¹³ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №5348.

¹⁴ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №48/115.

¹⁵ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №48/116.

¹⁶ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №1811 (დედანი); საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №24/12 (პირი). ამ საბუთში არ იხსენიება ტინისხიდი, თუმცა იხსენიება გორისჯვარი, ხოლო დამწერი აუფლისციხელი ხუცისშვილი. ამგვარად, ამ შემთხვევაშიც ტინისხიდელ თავაქალასშვილზე უნდა იყოს საუბარი.

¹⁷ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №46/67.

¹⁸ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №46.

¹⁹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №48/120.

შვილმა ზურაბმა მისცა ნასყიდობის წიგნი ბაღდასარასშვილს იოსეფს¹. თავაქალასშვილები ტინისხიდში ჩანან XIX საუკუნეშიც².

ამგვარად, 1590 წლისათვის ტინისხიდელი თავაქალასშვილების ამოწვევების და მათი მამულების უმემკვიდრეოდ დარჩენის შესაძლებლობას მხოლოდ ვარაუდის და არა მტკიცების დონეზე გამოვთქვამ. საბუთის ტექსტში ტინისხიდელი თავაქალასშვილები არც იხსენიებიან გარდაცვლილებად ანდა წარსულ ფორმაში. წარსული ფორმა გამოყენებულია მხოლოდ მათ მამულებთან დაკავშირებით (...რასაცა მქონებელნი ყოფილ¹⁰ყვენეს და ანუ ყოფილან ანუ ფარსი, ანუ ზურაბ და ანუ ¹¹ციხისთავი დემეტრე...).

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენს ხელთ არსებული, ზემოთ დასახელებული საისტორიო საბუთების მიხედვით, ტინისხიდელი თავაქალასშვილები არ ეკუთვნოდნენ დიდგვაროვან ფეოდალთა წრეს და ვერც დემეტრე თავაქალასშვილის ციხისთავობის შემდეგ აღზევდნენ. დემეტრე თავაქალასშვილი არის მის საგვარეულოში ყველაზე მაღალი სტატუსის მქონდე ისტორიული პიროვნება, ვის შემდეგაც ტინისხიდელი თავაქალასშვილები, თითქოს, დამცრობის გზას დაადგნენ. ყოველ შემთხვევაში, საისტორიო საბუთებში ისინი ძირითადად ტინისხიდელი მემამულეები არიან და მსგავსი მაღალი სამხედრო-ადმინისტრაციული თანამდებობა, როგორც ციხისთავი იყო, აღარ მოუპოვებიათ³ (გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს გიორგი თავაქალასშვილი, რომელიც 1742 წელს ერისთავის ნაზირად⁴ იხსენიება, იხ. ზემოთ).

მოყვანილი მასალისა და არგუმენტების მიხედვით შეიძლება დავეუშვათ შემდეგი ვარაუდიც: ზემოთ მოყვანილი საბუთი Qd-430 შეიძლება გვაწვდიდეს ცნობებს შესაძლო კონფლიქტის შესახებ, რომელიც სვიმონ მეფესა და თავაქალასშვილებს, განსაკუთრებით კი გორის ციხისთავ დემეტრე თავაქალასშვილს შორის იყო. თუ ამ ვარაუდს დავეუშვებთ, გამოდის, რომ სვიმონს არამარტო ჩამორთმეული აქვს ტინისხიდელი თავაქალასშვილების მამულები, არამედ სწირავს ამ მამულებს გორისჯვარს და იხენს ალაქს, როგორც კერძო შეწირულობის აქტი მოითხოვდა⁵. ეს კი ნიშნავს, რომ მეფე ცდილობს სამუდამოდ დააკარგინოს ტინისხიდელ თავაქალასშვილებს მათი მამულები, რადგან ეკლესიისათვის შეწირული მამულების გამოწირვა უკანონოდ ითვლებოდა. თუ ეს ვარაუდი სწორია, ციხისთავი დემეტრე თავაქალასშვილი დაუთ-ხანის მომხრეთა შორის უნდა ჩავთვალოთ, რამაც გამოიწვია სვიმონ მეფის ანტიპათია მათდამი.

თუმცა, ამ ვარაუდის შემთხვევაშიც არსებობს საპირისპირო არგუმენტები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავაქალასშვილების ამოწვევების შესაძლებლობას ხელს უშლის გარემოება, რომ სხვა მსგავსი საბუთებისგან განსხვავებით, საბუთი Qd-430 არ იხსენიებს მათი სიკვდილის ფაქტს. ანალოგიურად, თავაქალასშვილების შესაძლო დალატის შემთხვევაში, ეს გარემოებაც უნდა ასახულიყო საბუთში, ისევე როგორც სხვა საბუთებში გვხვდება. თვალსაჩინოებისთვის ამ შემთხვევაშიც მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: გიორგი II იმერთა მეფემ 1568 წელს გელათის მონასტერს შესწირა ბეჟან ნემსაძის მამულები, რომელმაც მეფეს უდალატა და მეფის ბიძაშვილი ხოსრო „თავს დაახსა“⁶; მოგვიანებით 1570 წელს მეფემ დავით წულუკიძეს უწყალობა თვით ხოსროს სასახლე ხონში⁷; ალექსანდრე II კახთა მეფემ 1601 წელს სვეტიცხოველს შესწირა სოფლები ჯიმიტია და ღანუხი, რომლებიც გარსევან ანდრონიკასშვილს ჩამოარ-

¹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი წიგნების H კოლექცია, ხელნაწერი №1611, 38v.

² საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1449, საბუთი №2090.

³ განსხვავებული ბედი ეწიათ, სავარაუდოდ, იგივე საგვარეულოს იმერთში მოღვაწე განშტოებას – თავაქალასშვილ/თავაქარასშვილებს, რომლებიც დაახლ. XV-XVIII სს-ის განმავლობაში იმერეთის სამეფო კარის მდივან-მწიგნობრების თანამდებობას ფლობდნენ. უფრო ვრცლად იხ.: ნ. ჟღენტი, თავაქალასშვილ/თავაქარასშვილთა იმერეთის სამეფო კარის მდივან-მწიგნობართა საგვარეულო, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, 24, (თბილისი 2015), გვ. 272-292.

⁴ ნაზირი – (არაბ.-სპარს. nāzer-მეთვალყურე, ზედამხედველი); ცენტრალური აპარატის მოხელე, სასახლის საღაროს, სამეურნეო დაწესებულებათა და საწოლების გამგებელი. (თ. აბულაძე, ნაზირი, წიგნ.: ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში, (ენციკლოპედიური ლექსიკონი), (თბილისი, 2017), გვ. 276. უფრო ვრცლად ნაზირის თანამდებობის და ნაზირების შესახებ იხ.: იქვე, გვ. 276-77.

⁵ „კერძო შეწირულებების დამახასიათებელი ნიშანია მხარეთა ორმხრივი ვალდებულებების ზუსტი აღნუსხვა. კერძო შეწირულების აქტში აუცილებლად არის მითითებული წირვა-აღაპისა თუ მოსახსენებლის დღე, შემწირველის სახელზე დაწესებული სათანადო სასულიერო სამსახურის წესი და რიგი“ (მ. სურგულაძე, ქართული საისტორიო აქტები, XI-XV სს.(თბილისი, 2006), გვ. 91).

⁶ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1449, საბუთი №267.

⁷ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №2270.

თვა¹; როსტომ მეფემ 1643 წელს იორამ სააკაძეს უწყალობა მეფის დალატში გარეული ივანე სააკაძის მამულეები².

ამასთანავე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეროვნებით და სარწმუნოებით ქართველი გორის ციხისთავის – დემეტრე თავაქალაშვილის შესაძლო დალატის და ოსმალების მხარეზე გადასვლის შემთხვევაში, მას უნდა შეეცვალა სარწმუნოება, რაც აუცილებლად აისახებოდა მის სახელზე.

მსგავსი პრეცედენტის შესახებ, ძალზედ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ოსმალო ისტორიკოსი რაჰიმიზადე იბრაჰიმ ჩაფუში სწორედ გორთან დაკავშირებული მოვლენების აღწერისას 1587 წელს:

„იმ უბანში მყოფი დამორჩილებული კიზიკ-ხანის მეგობარი და უსაქმური შაჰის ეშმაკი ლაშქრის პატივცემული პირი ვარაზა ოღლუ-მაჰმუდ ხანი, წარსულში გორის ბეგლარბეგ ფუტურე ალი ფაშას შუამავლობით მოვიდა და მორჩილება გამოუცხადა. ვეზირის, რომელიც ლომივით შიშა და პატივისცემას იწვევდა, ფეხზე მთხვევით გაპატიოსნდა. უმაქნისი გვირგვინი თავიდან მოიძრო და მიწაზე დაანარცხა. მრავალ ისლამის მიმდევართან ერთად გაპატიოსნდა, ხალათი უბოძეს და ამით პატივი იპოვნა. იმ დამორჩილებულებს, რომლებისთვისაც უცილობლად უნდა მიეგოთ პატივი, ჩინი და ცხოვრების სახსარი ეწყალობათ...

გაკეთდა გორის ციხე, გატყდა სიმონის გული. ციხის მოწყობის სრულად დასრულების შემდეგ ისლამის ფადიშაჰის წმინდა განზრახვის შესაბამისად ერთი დიდი ეკლესიის წმინდა მჩეთად გადაკეთება იქნა ნაბრძანები... დასრულების შემდეგ, ერთ კურთხეულ დღეს ჯგუფი მუსლიმებისა და კრებული მაჰმადიანებისა გაემზადა და კურთხეული შევალის თვის ოცდამეცხვ, პარასკევ დღეს ალაჰის ჩრდილ ფადიშაჰის უდიდებულესობის სახელზე წმინდა ხუტბა წაიკითხეს, სასიამოვნო ხმის მქონდე ყურანის ზეპირად მცოდნეებმა კი შემოქმედი აღიდგეს. ამგვარად ისეთი ქება და ლოცვა აღავლინეს, როგორც ჭეშმარიტ მცოდნეს შეეფერება, ყვირილის, ათასი მოთქმისა და გოდებისაგან ცა, მიწა და დრო შეინძრა. ადრიდანვე, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რაფიზიების სისამაგლითა და ვერაგობით გადასვლები ქაფირებისა და გზააბნულების ვერაგული შეუპოვრობა გატყდა, საცხოვრებელი და თავშესაფარი კი უზენაესი ღმერთის თანხმობითა და წყალობით ისლამის ხალხისთვის – დიდება მუჰამედს და ქება ოთხ მეგობარს – გაცხადდა. დიდება მუჰამედს, კვლავაც დიდება! მისი ძალით ჩვენი სულთანი გამარჯვების ხმლად იქცა. გამოაშკარავებულ კერპების სახლში მინბარის ბზარი ამოავსებინა, ბაღახი გაათიბინა და „დიდ არს ალაჰის“ ძახილით ურჯულთა ზარის ადგილი ამოავსებინა, მაჰმუდ-ხანი კი, რომელიც გზააბნეული ვარაზას ძეა, მორჩილების გზას დაადგა. მას საბეგლარბეგო ებოძა“³.

ამგვარად, ოსმალო ისტორიკოსის მიხედვით, გორის ციხეში ოსმალებმა ფეხის მოკიდება სწორედ რელიგიური, ტოლერანტობას მოკლებული ღონისძიებებით სცადეს, ხოლო გორის ბეგლარბეგად⁴ გამაჰმადიანებული ქართველი – ვარაზა შალიკაშვილის ვაჟი მაჰმუდ-ხანი დანიშნეს, რომელიც ქრისტიანობაში კიკოლად იწოდებოდა⁵. ამგვარად, ძნელად წარმოსადგენია, რომ ოსმალების სამსახურში მყოფი გორის ციხისთავი დემეტრე თავაქალაშვილი ციხისთავობის თანამდებობას ქრისტიანულ რწმენას შეუთავსებდა. ამ ეტაპზე, რთული სათქმელია ისიც, შეითავსებდა თუ არა ბეგლარბეგი ციხისთავობის ფუნქციასაც, რაც გამიჯნავდა დემეტრე თავაქალაშვილის ციხისთავობის პერიოდს მაჰმუდ-ხანის ბეგლარბეგობის პერიოდისგან და უფრო ზუსტი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას მოგვცემდა.

ფაქტია, რომ სვიმონ მეფე ფარსი, ზურაბ და დემეტრე თავაქალაშვილების მამულს კერძო საკუთრებად აღიქვამს, რადგან, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, სწორედ კერძო შეწირულობის აქტი განსაზღვრავდა ალაჰის გაჩენას.

¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1448, საბუთი №5526.

² ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №14478.

³ რაჰიმიზადე იბრაჰიმ ჩაფუში, *განჯის დაპყრობის წიგნი*, ქართული თარგმანი, შესავალი და შენიშვნები გამოსაცემად მოამზადა მარინა ილურიძემ (თბილისი, 2012), გვ. 46, 49.

⁴ მოცემულ ციტატაში მაჰმუდ-ხანი კონკრეტულად გორის ბეგლარბეგად არ იხსენიება, თუმცა, რადგანაც მისი ბეგლარბეგად დანიშვნის ამბავი სწორედ გორის ციხეში განვითარებულ ამბებზეა მიბმული, ბეგლარბეგობაც გორს უნდა უკავშირდებოდეს. გორის ბეგლარბეგად მიიჩნევენ მაჰმუდ-ხანს ასევე წყაროს გამომცემელი მ. ილურიძე, იხ. რაჰიმიზადე იბრაჰიმ ჩაფუში, დასახ. ნაშრ. გვ. 15.

⁵ იქვე, გვ. 95. წყაროს მიხედვით მაჰმუდ-ხანი უკვე გამაჰმადიანებული იყო, როცა ირანის შაჰის მორჩილებაში იყო.

დასკვნა:

ამგვარად, ზემოთ განხილული საბუთის Qd-430 ანალიზის შედეგად გამოვთქვამ ორ დასკვნას და ერთ ვარაუდს:

1. საბუთის Qd-430 მიხედვით უკვე დოკუმენტურადაც მტკიცდება სვიმონ მეფის დაუმორჩილებლობის ფაქტი სულთან მურად III-ისადმი. უფრო კონკრეტულად კი დასტურდება მისი პრეტენზია იმ სოფლებზე, რომლებზედაც მისი იურისდიქცია თვით სულთნის მიერ იყო შეზღუდული. ამის შესახებ აქამდე მხოლოდ ნარატიული და ეპისტოლარული წყაროებიდან იყო ცნობილი. როგორც ჩანს, მეფემ 1590 წლისთვის ძალით დაიბრუნა ძალაუფლება სოფ. ტინისხიდზე და მისი კონკრეტული მიწები (ძმები თავაქალაშვილების მიწები) საკუთარი ნებასურვილით განკარგა.

2. ცნობილი ხდება გორის ციხისთავის ვინაობა XVI ს-ის მეორე ნახევრისთვის, უფრო კონკრეტულად კი XVI საუკუნის ბოლო მეოთხედისთვის (1580/82-1585 წწ. ?). ეს იყო გორთან, სოფ. ტინისხიდში რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში არსებული თავაქალაშვილების საგვარეულოს წარმომადგენელი – დემეტრე თავაქალაშვილი.

3. საბუთის ტექსტის ფორმულირება არ გვაძლავს საკმარის ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა ტინისხიდელი თავაქალაშვილების მამულები სვიმონ მეფის პირად საკუთრებაში – საგვარეულოს კონკრეტულად ამ ოჯახის ამოწვევების შედეგად თუ სვიმონ მეფის დალატის გამო. ზემოთ განხილული არგუმენტები ერთმანეთს აბათილებს და ორივე მოსაზრება დასაშვებად მიმაჩნია, თუმცა, უფრო რეალური, არსებული წინააღმდეგობების მიუხედავად, პირველი მოსაზრება უნდა იყოს¹. როგორც ჩანს, დემეტრე თავაქალაშვილი სვიმონის დადგენილი ციხისთავი იყო და გორის ციხის ოსმალების მიერ დაპყრობის დროს 1585 წელს, ან უფრო ადრე, ბრძოლისას დაიღუპა ძმებთან ერთად.

ბიბლიოგრაფია

1. თ. აბულაძე, ნაზირი, წიგნი: ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში, (ენციკლოპედიური ლექსიკონი), (თბილისი, 2017), გვ. 276-77.
2. ც. აბულაძე, სიმონ მეფის არზა სულთან მურად III-ს, *მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, ტ. VII (თბილისი, 1980).
3. ნ. ბერძენიშვილი, *დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან*, წ. 1, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.) (თბილისი, 1940).
4. ვ. გუჩუა, მ. სვანიძე, ირან-ოსმალეთის მეორე ომის დაწყება. ქართლის ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ სიმონ I-ის მეთაურობით. სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. IV (თბილისი, 1973).
5. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ. *გამომცემლობა მეცნიერება*, (თბილისი, 1964).
6. ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ, XVI-XVIII საუკუნეები, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, მცირე შენიშვნებითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადა პროფ. ნოდარ შენგელიამ, (თბილისი, 2013).
7. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, II, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ (თბილისი, 1993).
8. ნ. ჟღენტი, თავაქალაშვილ/თავაქარაშვილთა იმერეთის სამეფო კარის მდივან-მწიგნობართა საგვარეულო, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, 24, (თბილისი 2015), გვ. 272-292.
9. რაჰიმიზადე იბრაჰიმ ჩაუუში, *ვანჯის დაპყრობის წიგნი*, ქართული თარგმანი, შესავალი და შენიშვნები გამოსაცემად მოამზადა მარინა ილურიძემ (თბილისი, 2012).
10. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1448, საბუთი №83.

¹ გაწეული კონსულტაციისთვის დიდ მადლობას ვუხდით ბ-ნ თემო ჯოჯუას და ქ-ნ ცისანა აბულაძეს.

11. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1448, საბუთი №3324.
12. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1448, საბუთი №4595.
13. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1448, საბუთი №5024
14. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1448, საბუთი №5526.
15. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1448, საბუთი №10000.
16. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1449, საბუთი №267.
17. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1449, საბუთი №777.
18. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1449, საბუთი №2090.
19. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №24/12 (პირი).
20. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №46/67.
21. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №46.
22. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №48/115.
23. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №48/116.
24. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №48/117.
25. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №48/118.
26. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №48/119.
27. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №48/120.
28. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №48/121.
29. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №48/122.
30. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №48/124.
31. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №48/125.
32. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1450, საბუთი №48/126.
33. მ. სვანიძე, 1588 წელს ქართლის მეფე სიმონ I-ისა და ოსმალეთის სარდალ ფერჰად ფაშას შორის დადებული საზავო ხელშეკრულება, *ქართული დიპლომატია (წელიწადეული)*, 10 (თბილისი, 2003).
34. მ. სვანიძე, ს. ჯიქია, საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან 1588-1590 წწ. *მაგნე*, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, №6 (თბილისი, 1966).
35. მ. სურგულაძე, *ქართული საისტორიო აქტები, XI-XV სს.* (თბილისი, 2006).
36. მ. სურგულაძე, ციხისთავი, წიგნ.: ცენტრალური და ადგილობრივი სამოსხველო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში, (ენციკლოპედიური ლექსიკონი), (თბილისი, 2017), გვ. 318.
37. *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*, 5 (თბილისი, 1990).

38. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. IV, ქართული ისტორიული საბუთები XIV-XV საუკუნეები შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ (თბილისი, 2016).
39. *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო თ. ჟორდანიამ, II (1213 წლიდან 1700 წლამდე) (ტფილისი, 1897).
40. ა. ხახანაშვილი, *გუჯრები (საისტორიო მასალა)*, გამოცემა დეკ. დ. ლამბაშიძისა (ქუთაისი, 1891).
41. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Ad კოლექცია, დოკუმენტი №1498გ.
42. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Ad კოლექცია, დოკუმენტი №1567.
43. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Ad კოლექცია, დოკუმენტი №1568.
44. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Ad კოლექცია, დოკუმენტი №1601.
45. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Qd კოლექცია, დოკუმენტი №430.
46. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Qd კოლექცია, დოკუმენტი №10121.
47. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №1349.
48. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №1352.
49. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №14695.
50. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №1811 (დედანი).
51. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №2118.
52. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი № 2270.
53. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №5270.
54. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №5303.
55. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №5305.
56. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №5308.
57. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №5338.
58. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №5348.
59. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №9390.
60. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №11016.
61. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №14538.
62. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №14478.
63. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, დოკუმენტი №14888.
64. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი წიგნების H კოლექცია, ხელნაწერი №1611.

**AN INTERESTING FACT FROM DIPLOMATIC RELATIONS BETWEEN
KING OF KARTLI SVIMON I AND OTTOMAN SULTAN MURAD III
(DOCUMENT Qd-430 AS A HISTORICAL SOURCE)**

In 1590, king of Kartli Svimon I donated lands of village Tiniskhidi, that before belonged to representatives of Tavakalashvili ancestral – Pharsi, Zurab and Demetre, to Gorijvari monastery. In that period the village of Tiniskhidi and the monastery of Gorijvari administratively belonged to the city of Gori. There is mentioned, that Demetre Tavakalashvili was the chief of the garrison of the city. Gori remained as one of the main zone of conflict between Georgians and Ottomans.


The document is quite interesting source, as the date of its issue and content matches with the date of the peace treaty and epistolary correspondence between king of Kartli Svimon I and Ottoman sultan Murad III.

During the research I compared these sources with each other and made several conclusions:

1. In addition to narrative and epistolary sources, now we have a documentary evidence about disobedience of king Svimon towards sultan Murad, even after peace treaty.


2. Now we know the name of chief of the garrison of Gori in the last quarter of 16th century – Demetre Tavakalashvili.

3. Because of the lack of information, I can't say exactly when, why or how did the lands of Tavakalashvilis appear into private property of king Svimon. As assumptions I consider: 1. Pharsi, Zurab and Demetre Tavakalashvilis died during the battles with Turks, leaving no heirs. That was the reason why king Svimon donated these lands to Gorijvari monastery; 2. These persons betrayed king Svimon and were on the side of his Muslim brother Daud-Khan. As a punishment the king confiscated their lands and donated them to Gorijvari monastery. According to the text of the document and other sources the first consideration seems to be more truthfull.



სურ. 1

მეფე სვიმონ I-ის 1590 წლის შეწირულების წიგნი გორისჯვრისადმი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Qd კოლექცია, დოკუმენტი №430, recto



სურ. 2
მეფე სვიმონ I-ის 1590 წლის შეწირულების წიგნი გორისჯვრისადმი,
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი
დოკუმენტების Qd კოლექცია, დოკუმენტი №430, verso

**არაბობის პერიოდში თბილისში
მოჭრილი ოქროს უნიკალური მონეტა**

ცნობილია, რომ თბილისის საქართველოში არაბების ძალაუფლების ფორპოსტიც და ცენტრიც საკმაოდ ადრე გახდა: 2014-2016 წლებში ვახვენეთ, რომ საქართველოსა და თბილისში არაბთა უშუალო ძალაუფლება უკვე VIII საუკუნის დასაწყისისთვის დამყარდა, რასაც ადასტურებს მათ მიერ თბილისისა და მიმდებარე რეგიონის უკვე ამ პერიოდში საკუთარი ადმინისტრაციისადმი დაქვემდებარება (ქალაქში და მიმდებარე ტერიტორიაზე ისეთი ადმინისტრაციული ღონისძიებების ჩატარება, როგორც იყო ზარაფხანის გახსნა და ამუშავება, გზების მონიშვნა)¹.

თბილისში პირველი არაბული სამონეტო ემისია ჰ. 85 წლით თარიღდება. მას შემდეგ, მართალია, საკმაოდ ხანგრძლივი წყვეტილებით, თბილისში იჭრებოდა სტანდარტული ტიპის ქუფური საფასე, ჯერ ომაიანი (ჰ. 85 და 86 წწ.)², შემდეგ კი 'აბასიანი ხალიფების სახელით (ჰ. 210, 248, 249, 287, 294, 295, 297, 298?, 304?, 307, 311, 312, 314, 321, 323, 330, 331, 332-334?, 335 წწ.)³; ვიდრე პირველი ჯა'ფარიანიული მონეტის გამოშვებამდე (ჰ. 342 / 953/4 წწ.)⁴.

საყურადღებოა, რომ თბილისის ზარაფხანა ძირითადად სტანდარტულ ქუფურ ვერცხლის დირჰემს ჭრიდა; ყოველ შემთხვევაში, ომაიანი და 'აბასიანი დირჰემები კარგი ვერცხლისგან დამზადებულის შთაბეჭდილებას ტოვებს, ისევე როგორც ჯა'ფარიანიული დირჰემები ვიდრე 'ალი ბ. ჯა'ფარის ხეობამდე (ჰ. 386-418? / 996/7-1027/8), რომლის დროსაც, ჩანს, მოახლოებულ ვერცხლის კრიზისთან (და თბილისის საამიროს დაკნინებასთან?)⁵ დაკავშირებით, დაიწყო მონეტის სინჯის გაუარესება და დირჰემის გადაქცევა უწესო ჭედვის ბილონის, შემდგომში კი სპილენძის მონეტად⁶.

არცთუ დიდი ხნის წინ აღმოვაჩინეთ და სათანადო ანალიზის შედეგებთან ერთად გამოვაქვეყნეთ თბილისის ზარაფხანის გამოშვებული უკვე სპილენძის მონეტაც. კერძოდ, მურვან ყრუს მიერ თბილისში, ჰ. 114-126/7 (732/3-744) წლების შუალედში მოჭრილი სპილენძის ფელსიც⁷. ასევე გამოვაქვეყნეთ 'აბასიანი მმართველის, იასიდ ბ. ასიდის ჰ. 164 წლით (780/1) დათარიღებული სპეციფიური ტიპის ფელსები, რომელზედაც, მართალია, მოჭრის ადგილი არ არის მითითებული, მაგრამ თითქმის ყველა ცნობილი ეგზემპლარი მტკვრის კალაპოტშია ნაპოვნი, თბილისის ტერიტორიაზე; ამრიგად, არცთუ მცირე ალბათობით, ამ ტიპის ფელსებიც თბილისის ზარაფხანის ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს⁸.

¹ ი. ფაღავა, საქართველოში არაბთა ბატონობის პერიოდიზაცია (ნუმიზმატიკური მონაცემების გათვალისწინებით), აკად. გიორგი წერეთლის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია „ახლო აღმოსავლეთი და კავკასია: ისტორია, კულტურა, პოლიტიკა“; პროგრამა და თეზისები, თბილისი, 19-20.12.2014 (თბილისი, 2014), გვ. 42-43; ი. ფაღავა, საქართველოში არაბთა ბატონობის პერიოდიზაცია (ნუმიზმატიკური მონაცემების გათვალისწინებით), *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, VIII (თბილისი, 2014), გვ. 251-254; Пагава И., Периодизация арабского владычества в Грузии (с учетом новых данных), *Нумизматические чтения Государственного исторического музея 2016 года*, Москва, 22 и 23 ноября 2016 г. *Материалы докладов и сообщений* (Москва, 2016), с. 86-88.

² ი. ფაღავა, *შუასაუკუნოვან საქართველოში ნუმიზმატიკური ევოლუციის ანალიზი (VIII-XIII სს.)*, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადისერტაციო ნაშრომი (2015), გვ. 22-24.

³ Джалаганиа И., *Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв.* (Тбилиси, 1987), с. 59-62; Turkia S., Paghava I., *The Coinage of Ja'far III B. 'Alī, Emir of Tiflis*, *Journal of Oriental Numismatic Society*, 197 (2008), p. 6.

⁴ Джалаганиа И., დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

⁵ არ არის გამორიცხული, რომ დაკნინებას სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სულაც არ ახლავდა ქალაქ თბილისის გამოხატული ეკონომიკური დაკნინება.

⁶ გ. ჯაფარიძე, თბილისის ამირას 'ალი იბნ ჯა'ფარის მონეტები, *ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები* (თბილისი, 1991), გვ. 132-150; Paghava I., Turkia S., *A New Early Coin Type of 'Alī b. Ja'far, Emir of Tiflis, Citing the Caliph Al-Ta'ī li-llāh*, *Journal of Oriental Numismatic Society*, 199 (2009), p. 7-9.

⁷ Paghava I., Turkia S., *The Umayyad Fulus Minted in the Name of Marwan b. Muhammad (the Deaf) in Georgia and Elsewhere in South Caucasus*, *Journal of Oriental Numismatic Society*, 201 (2009), p. 16-18; ი. ფაღავა, *შუასაუკუნოვან საქართველოში ნუმიზმატიკური ევოლუციის ანალიზი (VIII-XIII სს.)*, გვ. 24-27.

⁸ Turkia S., Paghava I., *The Prolongation of Yazid b. Usayd's Reign in the North-West of the Caliphate*, *Journal of Oriental Numismatic Society*, 198 (2009), p. 4-6; ი. ფაღავა, *შუასაუკუნოვან საქართველოში ნუმიზმატიკური ევოლუციის ანალიზი (VIII-XIII სს.)*, გვ. 27-33.

ამრიგად, დადგინდა, რომ თბილისის ზარაფხანა უშვებდა საფასეს ორ წამყვან სამონეტო ლითონში – ვერცხლსა და სპილენძში. რაც შეეხება მესამე ძირითად სამონეტო ლითონს, ოქროს, რომელიც სამონეტო მიმოქცევის სხვა სფეროს ემსახურებოდა, აქამდე თბილისში მოჭრილი ოქროს დინარები არ ჩანდა; ერთადერთ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს გონა ჯაფარიძის მიერ მიკვლეული ცნობა, შემონახული ერთ-ერთი ძველ, XX საუკუნის დასაწყისის სააუქციონო კატალოგში, თბილისური ოქროს დინარის შესახებ, რომელიც „ხალიფა ალ-მუთაჰი ბილ-ლაჰს (940-944) ეკუთვნის“¹. მაგრამ ამ კატალოგსაც, საფიქრებელია, ილუსტრაცია არ ახლავდა თან. ამრიგად, ამ ცნობის ნივთიერი დადასტურება არ გაგვანჩნია.

საბედნიეროდ, ახალმა მონაცემებმა დაადასტურა, რომ თბილისის ზარაფხანა ოქროს დინარსაც ნამდვილად უშვებდა. ჩვენი ნაშრომის მიზანი სწორედ არაბთა ხელში ჩაგარდნილ თბილისში ოქროს მონეტის მოჭრის საკითხის განხილვაა; კერძოდ, იმ, ჯერჯერობით მაინც, უნიკალური ოქროს მონეტის პირველადი პუბლიკაციაა, რომლის ემისიაც სახალიფოს ადმინისტრაციამ სწორედ თბილისში განახორციელა.

*

მონეტა იყიდებოდა (სტატიის დაწერის მომენტისთვის, აპრილი 2017) ბრიტანულ აუქციონზე: Morton & Eden Ltd, Auction No. 85, 26 April 2017, Lot 40.²

მოვიყვანო მონეტის აღწერილობას (ცენტრიდანული მიმართულებით):
AV, წონა 4.21 გ.

შუბლი:

მონეტის ცენტრში ისლამის რელიგიური ფორმულის საწყისი ნაწილია –

لا اله الا

الله وحده

لا شريك له

არ არის ღმერთი, გარდა

აღლაჰისა, ერთისა

არ ყავს მას მოზიარე

ირგვლივ წრიული ლეგენდა, რომელიც მოჭრის ადგილსა (ბი-თიფლის) და თარიღს (ჰ. 248 წ.) იუწყება:

بسم الله ضرب هذا الدينير بتفليس سنة ثمان و اربعين و مئتين

სახელითა ღვთისათა მოიჭრა ესე დინარი თბილისში წელსა ორას ორმოცდა რვა

ირგვლივ, გარეთ, კიდევ ერთი წრიული ლეგენდა, ყურანი 30:3-4: ყურანის 30-ე სურის მე-3 აია (თითქმის მთლიანად, დასაწყისის გარდა) და მე-4 აიას დასაწყისი:

الله الامر من قبل ومن بعد وتومئذ يفرح المؤمنون بنصر الله

აღლაჰისაა ბრძანება ამაზე უწინ და ამის შემდგომაც და იმ დღეს იხარებენ მორწმუნენი, აღლაჰის შეწვენით³.

ზურგი: სიტყვა აღლაჰს, რომლის ქვემოთაც ისლამური რელიგიური ფორმულის მეორე ნაწილია (მუჰამმადის, როგორც მოციქულის მითითებით), სამ სტრიქონად, რომლის ქვემოთაც, მესხეთე სტრიქონის სახით, ხალიფას სახელია (ალ-მუსთა'ინ ბილლაჰი).

الله

محمد

رسول

الله

المستعين بالله

აღლაჰს

მუჰამმადი

მოციქულია

¹ Collection White-King. Troisième partie. Monnaies des Khalifes Arabes, de Maroc et d'Egypte etc. Collection du Dr. White-King vente à Amsterdam le 26 jin 1905, No 2139 (Amsterdam, 1905). გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 132, სქოლიო 2.

² <http://www.mortonandeden.com/> გულისხმობს მადლობას მოვასხენებთ ბატონ სთივენ ლლოდს გამოსახულებების პუბლიკაციის ნებართვისთვის.

³ თარგმანი მოყვანილია გიორგი ლობჯანიძის მიხედვით: ყურანი, არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო გიორგი ლობჯანიძემ (თბილისი, 2006), გვ. 271. აქვე მოვიყვანო XX საუკუნის დასაწყისის პეტრე მირიანაშვილის თარგმანსაც (ფრანგულიდან): „უწინ, როგორც შემდგომ, საქმე ღმერთზე ჰქონდა. იმ დღეს მორწმუნებმა გაიხარონ, ღვთის შემწევობით მიღებულის გამარჯვებითა“ *ყურანი მუჰამმადისა...*, გვ. 393.

ირგვლივ წრიული ლეგენდაა, ყურანი 9:33: ყურანის მე-9 სურის 33-ე აია –

محمد رسول الله لرسله بالهدى ودين الحق ليظهره على الدين كله ولو كره المشركون

ივია, ვინც წარმოაგზავნა თავისი მოციქული წრფელი გზითა და ჭეშმარიტების სარწმუნოებით, რათა გაამარჯვებინოს მას ყველა რწმენაზე, თუნდაც ეს სძავედეთ წარმართთ¹.

ამ მონეტის სახით ჩვენს წინაშე ნივთიერი მტკიცებაა, რომ თბილისში ოქროს მონეტა – არაბული ქუფური დინარი, არაბთა ბატონობის პერიოდშიც იჭრებოდა. კონკრეტულად ეს ეგზემპლარი მოიჭრა ხალიფა აღ-მუსთა'ინ ბილლაჰის (ჰ. 248-251 / 862-866) ხანმოკლე ზეობაში².

*

თბილისში არაბების მიერ ოქროს მონეტის გამოშვების ფაქტი ძვირფასი შენაძენია ქართული ნუმიზმატიკისთვის; საქმე იმაშია, რომ ქართული (ქართველი ემიგრენტისა თუ საქართველოში მოჭრილი) ოქროს მონეტები, საზოგადოდ, საკმაო იშვიათობას წარმოადგენს. ნარატიული წყაროების ცნობებს თუ არ ჩავთვლით, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ, ერთის მხრივ, ელინიზმის პერიოდის ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ადგილობრივმა, ქართულმა მინაბაძებმა, ე.წ. აკეს სტატერთან ერთად³; მეორეს მხრივ კი – 16-17-საუკუნიანი პაუზის შემდეგ, უკვე XVIII საუკუნეში თბილისში გამოშვებულმა ოქროს მონეტებმა, როგორც უცხოელი დამპყრობლების მიერ მოჭრილმა (ოსმალური და ავშარული ოქროს ემისიებმა)⁴, ასევე ქართლ-კახეთის სამეფოს მესვეურთა, მეფე ირაკლი II-სა და გიორგი XII-ის ოქროს შაურმა⁵. ჩვენს მიერ გამოქვეყნებული მონეტა ნაწილობრივ მაინც ავსებს ამ შუალებს.

საყურადღებოა აღმოჩენის ზოგად-ისტორიული მნიშვნელობაც. თბილისში ოქროს მონეტის გამოშვება მიუთითებს ქალაქის მნიშვნელობაზე სახალიფოს გამგებლობის სისტემაში, ირიბად, მაგრამ მჭევრმეტყველად ახასიათებს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებულობას.

ვეცდებით თბილისში ჰ. 248 (862/3) წელს დინარის ემისიის ფაქტი ზოგად ისტორიულ კონტექსტშიც მოვათავსოთ. ცნობილია, რომ არაბეთის ნახევარკუნძულის ფარგლებს გამცდარი სახალიფოს ტერიტორიულმა ბირთვმა როგორც ბიზანტიის იმპერიისაგან წართმეული პროვინციები, ასევე ყოფილი სასანური ირანის სამფლობელოები მოიცავდა. სახალიფოს ფულად ბაზარზე და სამონეტო საქმესაც კარგა ხანია გაყვა შესაბამისი დუალიზმი: დასავლეთ (ყოფილ ბიზანტიურ) პროვინციებში გაბატონებული მდგომარეობა ოქროს საფასეს (დინარს) ეჭირა (როგორც ეს ბიზანტიის იმპერიას ახასიათებდა), ხოლო აღმოსავლეთ პროვინციებში (სამხრეთ კავკასიის ჩათვლით) კი უფრო ვერცხლის დირჰემს (სასანიანთა ირანის ვერცხლის დრაჰმის მემკვიდრეს). ოქრომ გაცილებით მეტი მნიშვნელობა შეიძინა აღმოსავლეთ რეგიონებშიც IX საუკუნის ბოლო მეოთხედისთვის; ამაზე ცხადად მიუთითებს ის ფაქტი, რომ 870-იან წლებში ერაყის შემოსავლები ჯერ კიდევ ვერცხლში აღირიცხებოდა, ხოლო X საუკუნის დასაწყისში ერაყის სამხრეთი პროვინციების გადასახადების შეგროვება იჯარით ყოველწლიურ 2.5 მილიონ დინარად გაიცა; ჰ. 306 წლის (918/9) ბიუჯეტში კი შემოსავალი უკვე დინარებშია გამოსახული. საფიქრებელია, რომ გადასვლა ოქროზე, უფრო სწორედ, ოქროს დინარზე, როგორც წამყვან საანგარიშო ერთეულზე, საბოლოოდ სწორედ ამ შუალებში მოხდა⁶.

¹ გიორგი ლობჯანიძის მიხედვით, *ყურანი*, არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო გიორგი ლობჯანიძემ..., გვ. 181. პეტრე მირიანაშვილის თარგმანში: „თავისი მოციქული მოავლინა წარმართებითა და ჭეშმარიტების სარწმუნოებითა, მათდა დასაყენებლად ყოველის სხვა სარწმუნოების უმადლეს, თუნდაც რო ჯავრი მოუვიდესთ კერპთაყვანისმცემლებსა“. *ყურანი მუჰამადისა* [თარგმანი პეტრე მირიანაშვილისა] (ტფილისი, 1906), გვ. 174.

² მისი ზეობა ე.წ. *სამარის არეულობას* ემთხვევა, თავად ხალიფა უმეტესწილად სხვადასხვა სამხედრო დაჯგუფებების მარიონეტი იყო.

³ Дундуа Г., *Нумизматика античной Грузии* (Тбилиси, 1987), с. 55-102.

⁴ ი. ფაღავა, ოსმალური სამყაროსა და საქართველოს ურთიერთობა ახალი ნუმიზმატიკური მონაცემების მიხედვით, *კონსტანტინე ფაღავა 90* (თბილისი, 2012), გვ. 133-136; Paghava I., Turkia S., Janjgava G., Some New Denomination Coins of Nadir Shah Minted in Georgia, *Journal of Oriental Numismatic Society*, 202 (2010), p. 13-15; ი. ფაღავა, თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი), *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, №1 (7) (თბილისი, 2010), გვ. 528-529.

⁵ Paghava I., The Minting of Gold Shauris in Eighteenth Century Georgia: Monetary Evidence, *Journal of Oriental Numismatic Society*, 204 (2010), p. 15-17; ი. ფაღავა, ი. ბიჭიკაშვილი, რ. ჩაგუნავა, ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია), *სახისტორიო კრებული*, ტომი 4 (თბილისი, 2014), გვ. 200-272.

⁶ Kremer A., Über das Einnahmebudget des Abbasiden-Reiches vom Jahre 306 H. (918-919), *Separatabdruck aus dem XXXVI Bande der Denkschriften der Philosophisch-historischen Classe der Kaiserlichen Akademie der Wissenschaften* (Wien, 1887); Мец А., *Мусульманский ренессанс*, перевод с немецкого, предисловие, библиография и указатель Д. Е. Бертеля (Москва, 1973), с. 376-

როგორც ჩანს, სწორედ ოქროს საფასის მზარდ მნიშვნელობას, ისევე როგორც მასზე მოთხოვნილების მატებას უნდა დავუკავშიროთ დინარის ემისიის განმახორციელებელი ზარაფხანების რიცხვის ზრდაც. თუ აქამდე დინარს მხოლოდ ერაყსა და ეგვიპტეში ჭრიდნენ, ახლა განხორციელდა ოქროს საფასის გამოშვების დეცენტრალიზაცია; ეს უკანასკნელი, არსებული მონაცემებით, 830-40-იან წლებში მოხდა; მეტწილად გოჩა ჯაფარიძის მიერ სისტემატიზირებული ინფორმაციის მიხედვით:

- მერვეში დინარის ემისია დაიწყო ჰ. 215 წელს (830/1) (სურ. 2); მუჰამმადიაში ჰ. 234 წელს (848/9), სამარკანდში ჰ. 248 წელს (861/2), აშ-შაშში ჰ. 250 წელს (864/5), მოგვიანებით – სხვა მსხვილ ქალაქებშიც¹;
- თავად ერაყში / სავადში – სურრა მან რა'აში დინარის მოჭრა დაიწყო ჰ. 226 წელს (840/1), ბასრაში – ჰ. 227 წელს (841/2); ვასიტსა და ქუფაში ოქროს მონეტის გამოშვება – უფრო მოგვიანებით, შესაბამისად ჰ. 254 (868) და 266 (879/80) წელს²;
- საყურადღებოა, რომ ამიერკავკასიის ურბანულმა ცენტრებმა დინარის ემისია დაიწყეს საკმაოდ ადრე, დაახლოებით იმავე პერიოდში: პირველი დაბილი იყო – ჩვენთვის ცნობილია მოჭრის მხოლოდ ერთი წელი – ჰ. 241 (855/6), ხალიფა ალ-მუთავაქქილისა და ალ-მუთაზზ ბილლაჰის, როგორც მემკვიდრის, სახელით³; შემდეგ არმინია – ჰ. 243 (857/8) და 246 (860/1) (სურ. 3) წლებში, ასევე, ხალიფა ალ-მუთავაქქილისა და ალ-მუთაზზ ბილლაჰის, როგორც მემკვიდრის, სახელით⁴; თბილისი – როგორც დაგინახეთ – ჰ. 248 წელს (862/3), ალ-მუსთაინის სახელით (სურ. 1); ისევ არმინია, ჰ. 249 (863/4)⁵ და 269 (882/3) (ალ-მუთავაქის, ხალიფის ძმის სახელით)⁶ წლების ემისიები.

ამრიგად, თბილისში ოქროს მონეტის, დინარის გამოშვება საკმაოდ კანონზომიერ მოვლენად წარმოგვიდგება. ეს ფაქტი სახალიფოს შემადგენლობაში ამ ქართული ურბანული ცენტრის მნიშვნელობაზე მიუთითებს. საყურადღებოა, რომ ამიერკავკასიის სხვა მსხვილ ქალაქებში ამ წლით დათარიღებული ოქროს მონეტის ემისიის ფაქტები, ჯერჯერობით მაინც, არ ფიქსირდება. თუმცა, ბუნებრივია, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ზემოთ გამოქვეყნებული ოქროს მონეტაც ამ ეტაპზე მაინც, უნიკალურია (ეს, ირიბად მაინც, შეიძლება მიუთითებდეს ემისიის სპორადულობაზე და ნაკლებ მასშტაბზე, რაც რეგიონის სხვა ურბანული ცენტრებისთვისაც შეიძლება ვივარაუდოთ).

ვიჭირობთ, ჰ. 248 წლის თბილისური ოქროს დინარი ქართული (ნუმიზმატიკური) ისტორიის უკიდურესად ღირსშესანიშნავ პირველწყაროდ და ძეგლად უნდა ჩაითვალოს.

ბიბლიოგრაფია

1. *კურანი მუჰამმადისა* [თარგმანი პეტრე მირიანაშვილისა] (ტფილისი, 1906).
2. ი. ფაღავა, თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი), *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, №1 (7) (თბილისი, 2010).
3. ი. ფაღავა, ოსმალური სამყაროსა და საქართველოს ურთიერთობა ახალი ნუმიზმატიკური მონაცემების მიხედვით, *კონსტანტინე ფაღავა 90* (თბილისი, 2012).
4. ი. ფაღავა, საქართველოში არაბთა ბატონობის პერიოდიზაცია (ნუმიზმატიკური მონაცემების გათვალისწინებით), *აკად. ვიორგი წერეთლის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი*

377; Джапаридзе Г., Золотая монета в денежном обращении Закавказья в X в., *მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები*, II (თბილისი, 1972), с. 29; Джапаридзе Г., Золотые монеты в Ираке в VIII-XI вв., *Восточное историческое источниковедение и специальные исторические дисциплины*, Выпуск 2 (Москва, 1994), с. 211.

¹ Джапаридзе Г., Золотая монета в денежном обращении Закавказья в X в., с. 27.

² Джапаридзе Г., Золотые монеты в Ираке в VIII-XI вв., с. 202-203.

³ Vardanyan A., *Islamic Coins Struck in Historic Armenia. I. Armīniya, Arrān (Madīnat Arrān), Barda'a, Dabīl, Hārūnābād / al-Hārūniya and Ma'dan Bājūnays, Early 'Abbāsīd Period (142-277 AH / 759-891 AD)* (Yerevan, 2011), p. 19, #1.

⁴ იქვე, p. 19-20, #2-3.

⁵ Джапаридзе Г., Золотая монета в денежном обращении Закавказья в X в., с. 30.

⁶ Vardanyan A., *დასახ. ნაშრომი*, გვ. 20, #4.

- საერთაშორისო კონფერენცია „ახლო აღმოსავლეთი და კავკასია: ისტორია, კულტურა, პოლიტიკა“, პროგრამა და თეზისები, თბილისი, 19-20.12.2014 (თბილისი, 2014).
5. ი. ფალავა, საქართველოში არაბთა ბატონობის პერიოდიზაცია (ნუმიზმატიკური მონაცემების გათვალისწინებით), *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, VIII (თბილისი, 2014).
 6. ი. ფალავა, *შუახუკუნოვან საქართველოში ნუმიზმატიკური ევოლუციის ანალიზი (VIII-XIII სს.). ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადისერტაციო ნაშრომი* (2015).
 7. ი. ფალავა, ი. ბიჭიკაშვილი, რ. ჩაგუნავა, ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია), *საისტორიო კრებული*, ტომი 4 (თბილისი, 2014).
 8. *ყურანი*, არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო გიორგი ლობჯანიძემ (თბილისი, 2006).
 9. გ. ჯაფარიძე, თბილისის ამირას 'ალი იბნ ჯა'ფარის მონეტები, *ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები* (თბილისი, 1991).
 10. Collection White-King. Troisième partie. Monnaies des Khalifes Arabes, de Maroc et d'Egypte etc. Collection du Dr. White-King vente à Amsterdam le 26 jin 1905, No 2139 (Amsterdam, 1905).
 11. Kremer A., Über das Einnahmebudget des Abbasiden-Reiches vom Jahre 306 H. (918-919), *Separatabdruck aus dem XXXVI Bande der Denkschriften der Pholosophisch-historischen Classe der Kaiserlichen Akademie der Wissenschaften* (Wien, 1887).
 12. Morton & Eden Ltd, Auction No. 85, 26 April 2017, Lot 40 <http://www.mortonandeden.com/>
 13. Paghava I., The Minting of Gold Shauris in Eighteenth Century Georgia: Monetary Evidence, *Journal of Oriental Numismatic Society*, 204 (2010).
 14. Paghava I., Turkia S., A New Early Coin Type of 'Alī b. Ja'far, Emir of Tiflis, Citing the Caliph Al-Tā'ī' li-llāh, *Journal of Oriental Numismatic Society*, 199 (2009).
 15. Paghava I., Turkia S., The Umayyad Fulus Minted in the Name of Marwan b. Muhammad (the Deaf) in Georgia and Elsewhere in South Caucasus, *Journal of Oriental Numismatic Society*, 201 (2009).
 16. Paghava I., Turkia S., Janjgava G., Some New Denomination Coins of Nadir Shah Minted in Georgia, *Journal of Oriental Numismatic Society*, 202 (2010).
 17. Turkia S., Paghava I., The Coinage of Ja'far III B. 'Alī, Emir of Tiflis, *Journal of Oriental Numismatic Society*, 197 (2008).
 18. Turkia S., Paghava I., The Prolongation of Yazīd b. Usayd's Reign in the North-West of the Caliphate, *Journal of Oriental Numismatic Society*, 198 (2009).
 19. Vardanyan A., *Islamic Coins Struck in Historic Armenia. I. Armīniya, Arrān (Madīnat Arrān), Barda'a, Dabīl, Hārūnābād / al-Hārūniya and Ma'dan Bājunays, Early 'Abbāsīd Period (142-277 AH / 759-891 AD)* (Yerevan, 2011).
 20. Джалаганиа И., *Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв.* (Тбилиси, 1987).
 21. Джапаридзе Г., Золотая монета в денежном обращении Закавказья в X в., *მხლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები*, II (თბილისი, 1972).
 22. Джапаридзе Г., Золотые монеты в Ираке в VIII-XI вв., *Восточное историческое источниковедение и специальные исторические дисциплины*, Выпуск 2 (Москва, 1994).
 23. Дундуа Г., *Нумизматика античной Грузии* (Тбилиси, 1987).
 24. Мец А., *Мусульманский ренессанс*, перевод с немецкого, предисловие, библиография и указатель Д. Е. Бертельса (Москва, 1973).
 25. Пагава И., Периодизация арабского владычества в Грузии (с учетом новых данных), *Нумизматические чтения Государственного исторического музея 2016 года. Москва, 22 и 23 ноября 2016 г. Материалы докладов и сообщений* (Москва, 2016).

THE UNIQUE GOLD COIN MINTED IN TIFLĪS IN THE PERIOD OF ARAB DOMINANCE

Tiflīs (modern Tbilisi) became the administrative and military center of Arab dominions in Georgia already by the early 8th century. Understandably, the Arab mint was operating there (actually, *inter alia* its very existence proves the direct incorporation of east-Georgian provinces into the Caliphate). The latter produced silver coinage, as well as (rarely), copper coins. However, no Kufic gold coins of Tiflīs have been published before, save for the indication (without illustration?) for the gold dinar minted in Tiflīs in the name of the Caliph al-Muttaqi (940-944) mentioned in the early 20th century catalogue (cf. *Collection White-King. Troisième partie. Monnaies des Khalifes Arabes, de Maroc et d’Egypte etc. Collection du Dr. White-King vente à Amsterdam le 26 jin 1905, Amsterdam, 1905, No 2139.*).

Fortunately, we have discovered yet another Tiflīs dinar, and now there can be no doubts that the Tiflīs mint controlled by the Arabs was normally striking coins in all three major coin metals. Our short article is devoted to publishing and reviewing the so far unique Tiflīs dinar of AH 248.

The coin was auctioned in April 2017 by Morton & Eden Ltd (*Auction No. 85, 26 April 2017, Lot 40*) and constituted a dinar minted at Tiflīs in AH 248 (862/3) in the name of the Caliph al-Musta‘in billah (AH 248-251 / 862-866): AV, weight 4.21 g.

Obverse center: لا اله الا / الله وحده / لا شريك له

Obverse margin 1: بسم الله ضرب هذا الدين بتفليس سنة ثمان و اربعين و مئتين

Obverse margin 2: لله الامر من قبل ومن بعد و تومئذ يفرح المومنون بنصر الله: Quran XXX:3-4

Reverse center: الله / محمد / رسل / الله / المستعين بالله

Reverse margin: محمد رسل الله لرسله بالهدى ودين الحق ليظهره على الدين كله ولو كره المشركون: Quran IX:33

We reproduced the image published initially within the auction catalogue with kind permission of Mr. Stephen Lloyd.

Taking into account the rarity of Georgian (i.e. minted by Georgian authorities, or foreign overlords but in Georgia / Georgian Kingdom) gold coinage, this coin should be considered a significant typological addition to Georgian numismatic history.

Moreover, minting of gold coinage testifies eloquently to the prosperity that Tiflīs enjoyed in the period of the Arab dominance, as well as to Tiflīs’ significance within the economic framework of the Caliphate.

Initiation of minting gold coinage in Tiflīs fits well into the general trend of eastern provinces of the Caliphate switching from silver dirhams to gold dinars as principal unit of account, and, possibly, also predominant currency. The transfer from silver to gold dates back to the 870s-900s (judging by the tax registers). This process was accompanied by the proliferation of gold-issuing mints: Initially the gold was minted only in Iraq and Egypt, but later on the minting of gold became decentralized, already in the 830s-840s and henceforward.

Hopefully, the discovery of the Tiflīs dinar of AH 248 (862/3) in the name of the Caliph al-Musta‘in billah (AH 248-251 / 862-866) would provide its mite into further clarification in the history of Georgia in the period of the Arab dominance.



სურ. 1. თბილისი, კ. 248 წ. Morton & Eden Ltd, Auction No. 85, 26 April 2017, Lot 40



სურ. 2. მერგი, კ. 215 წ. Morton & Eden Ltd, Auction No. 85, 26 April 2017, Lot 33



სურ. 3. არმინია, კ. 246 წ. Morton & Eden Ltd, Auction No. 85, 26 April 2017, Lot 39

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

**კუხეთის ტერიტორიისა და საზღვრების შესახებ
ლეონტი მროველის ცნობის ბაზაზე**

ლეონტი მროველის ცნობა კუხეთის ტერიტორიისა და საზღვრების შესახებ

კუხეთის ქვეყნის საზღვრების მონახაზს ლეონტი მროველი იძლევა ქართლოსის შვილებს შორის ტერიტორიების გადანაწილების შესახებ თხრობისას, როდესაც მიუთითებს კუხოსის წილი ქვეყნის საზღვრებს. ამ ეპიზოდს „ქართლის ცხოვრების“ საწყისი, პირველი მონაკვეთი მოიცავს, სადაც გადმოცემულია „ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“:

პირველ რიგში, გავარკვიოთ, როგორ არის ეს ადგილი გადმოცემული „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგ VI-ის დრომდე შექმნილ ნუსხებში. სამწუხაროდ, ვინაიდან „ქართლის ცხოვრების“ დღემდე მოღწეულ ხელნაწერთაგან უძველესი, ანა დედოფლისეული ნუსხა თავნაკლებია, ამის გამო აღნიშნული ამბები ამ ხელნაწერში არ მოიპოვება¹. დასაწყისის ნაკლებობის გამო ამ ეპიზოდს ვერ ვნახულობთ ვერც კლიმათმეცნიერულ ნუსხაში. არჩილ მეფის ნაქონ „ქართლის ცხოვრებიდან“ გიორგი მახაბლის გადაწერილ ნუსხაშიც ნაკლები თავი გადამწერმა სხვა ნუსხიდან (სავარაუდოდ ჭალაშიელისეულიდან) შეავსო. თავად ჭალაშიელისეული ნუსხის ასევე ნაკლები თავი ერაჯ ჭალაშიელს ვახტანგისეული ნუსხიდან აქვს გადაწერილი². ტექსტის სიზუსტის დასადგენად ვერც XII საუკუნის II ნახევარში შესრულებული „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანი გვიწევს სათანადო სამსახურს. ამ მნიშვნელოვანი ქართული მატანის დღესდღეობით უძველესი სომხურენოვანი ნუსხა კუხოსს ახსენებს ქართლოსის შვილთა ჩამოთვლისას: ქართლოსს „დარჩა ხუთი ძლიერი შვილი: მცხეთოსი, გარდ[ა]ქოსი, კახოსი, კუხოსი და გაჯი[ო]სი. მცხეთოსი იყო მათი უფროსი“³. მაგრამ ვინაიდან სომხური თარგმანი თავის ქართულ დედანთან შედარებით გარკვეულწილად შემოკლებულია, მომდევნო ამბის შესახებ თხრობისას კუხოსს (ისევე როგორც გარდაბოსს) იგი უკვე აღარ მოიხსენიებს.

ამგვარად, XVIII საუკუნემდე შექმნილ „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებიდან ერთადერთი, სადაც ტექსტის დასაწყისი და შესაბამისად ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი შემორჩა, არის მარიამ დედოფლისეული ნუსხა.

მარიამ დედოფლისეულ ნუსხაში კი ვკითხულობთ, რომ ქართლოსის სიკვდილის შემდეგ, როდესაც მის ხუთ ძეს დედამ განუჩინა თავთავიანთი წილი მიწა-წყალი, „*კახოსს მისცა ბოსტანქალაქი, რომელსა აწ ჰქუიან რუსთავი, მისცა ევრითგან ვიდრე თავადმდე მთასა კახეთისასა და მტკუარს შუა. ხლო კახოსს მისცა კაკასიასა და კახეთისა მთას შორის არავიდგან ვიდრე ტყეებამდე, რომელი არს საზღვარი პერეთისა*“⁴. ამ მონაკვეთის თაობაზე ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ ამ ნუსხაში „*კახეთ-კუხეთის საზღვრები... არეულია*“, „*აქ საკუთარი სახელებიცა და საგეოგრაფიოც დამახინჯებულია და არაფრის გაგება არ შეიძლება*“⁵. ჩამონათვალში ორი სხვადასხვა მიწა-წყლის მფლობელად ზედიზედ ერთი და იგივე მამამთავრის (კახოსის) დასახელება აშკარა უზუსტობაა. როგორც ეს ვახტანგ მეფის შემდგომდროინდელი ხელნაწერებიდან დასტურდება, პირველ მათგანში უეჭველად კუხოსი მოიაზრება⁶. ამას გარდა, აღ-

¹ ხელნაწერი იწყება ადრეკის ქართულთა მეფედ აღიარების ამბით (სიტყვებით: „*შენ გამოსხნდი უმჯობესი ყოველთა ნათესავთა*“). იხ. *ქართლის ცხოვრება*, ანა დედოფლისეული ნუსხა, დასაბუქდად მოამზადა ფილოლოგიის განყოფილებამ ს. ყაუხჩიშვილის რედ. (თბილისი, 1942), გვ. II, 25.
² *ქართლის ცხოვრება*, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი (თბილისი, 2008), გვ. 9-10.
³ *ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი*, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ (თბილისი, 1953), გვ. 12.
⁴ *ქართლის ცხოვრება*, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით (ტფილისი, 1906), გვ. 6. შდრ., *ქართლის ცხოვრება*, ანა დედოფლისეული ნუსხა..., გვ. 5.
⁵ ივ. ჯავახიშვილი, *თსულებანი თორმეტ ტომად*, ტ. II (თბილისი, 1983), გვ. 40. ეს საკითხი მკვლევართა შორის სადავოდ არ ქცეულა. ამის თაობაზე დაწერილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.
⁶ ამის თაობაზე პირველად ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა: „*პირველ შემთხვევაში ავტორს კუხოსის სამფლობელოზე უნდა ელაპარაკა, მეორეში – კახოსისაზე*“, *თსულებანი*, ტ. II, გვ. 40. შდრ.: ნ. ბერძენიშვილი, ერთი ისტორიულ-გეო-

სანიშნავია ასევე, რომ დასახელებული ნუსხის გადამწერი კუხოსს აშკარად „არ სწყალობს“. იგი მას ასხენებს მხოლოდ ქართლოსის გამორჩეულ ძეთა ჩამოთვლისას: „შვილთა შორის მისთა გამორჩედეს ხუთნი გმირნი, რომელთა სახელები საგარდაბოს¹, მესამესა კახოს, მეოთხესა კუხოს, მეხუთესა გაჩიოს“. კუხოსის კახოსად მოხსენიებას მიწა-წყლის განაწილების უშუალოდ მომდევნო ამბის გადმოცემისასაც ვაწყდებით: „და მან კიხოსი აღაშენა ჩელეთი. კახოსს შეეწია შენებასა მისსა რამეთუ დედა ციხე კახოს ხუედრი იყო და მისცა კახოს შეწევნისათვის და შეეწია შენებასა ჩელეთისასა“². აქ „კიხოსი“ კახოსის ნაცვლად წერია, მაშინ როცა „კუხოსს“ კვლავ „კახოსი“ ენაცვლება. „კუხოსს“ თავის კუთვნილ ადგილს ორივეგან უტყუარად უბრუნებს „ქართლის ცხოვრების“ მოგვიანო ნუსხები (ისევე როგორც „კიხოსის“ ნაცვლად აქ საჭიროებისამებრ წერია „კახოსი“), როგორცაა მაგ., რუმინაცვეისეული და მანაბლისეული: „ხოლო კუხოსს მისცა ბოსტან ქალაქი, რომელ არს რუსთავი“ და ასევე „ამან კახოს აღაშენა ჩელეთი და კუხოს შეეწია შენებასა ჩელეთისასა“³.

ამგვარად, ცხადია, ქართლოსის ცოლმა შვილთაგან სწორედ კუხოსს „მისცა ბოსტან ქალაქი, რომელსა აწ ჰქუიან რუსთავი, მისცა ეგრითვან ვიდრე თავადმდე მთასა კახეთისასა და მტკუარს შუა“. მაგრამ აქ კიდევ ერთი აშკარა უხეში შეცდომა გვხვდება თვალში: შეუძლებელია, კუხოსის სამფლობელო ეგრისამდე ვრცელდებოდეს. ასეთ შემთხვევაში მას მთელი შიდა ქართლიც უნდა მოეცვა, რომელიც იმავე წყაროს ცნობით, ეჭვმიუტანლად კუხოსის უფროსი ძმის – მცხეთოსის წილია. ამ გაუგებრობას ისევ მოგვიანო ხანის ნუსხები ასწორებენ, როცა სიტყვას „ეგრითვან“ ანაცვლებენ სიტყვით „არაგვითვან“. არც ამ ცვლილებაში შეიძლება ეჭვის შეტანა⁴: მარიამისეულ ნუსხაში ეს შეცდომა სახელწოდების („არაგვითვან“) აშკარად მცდარი წაკითხვის შედეგად ჩანს მიღებული.

როგორც დადგენილია, „მარიამ დედოფლის ნუსხის“ სახელით ცნობილი ჩვენს ხელთ არსებული ხელნაწერი სინამდვილეში არა უშუალოდ 1633-1646 წლებში მარიამ ქართლის დედოფლის (როსტომ ხანის მეუღლის) ბრძანებით გადაწერილ ნუსხას, არამედ ამ უკანასკნელის XVIII საუკუნის 30-იან წლებში გადაწერილ პირს წარმოადგენს⁵. ამიტომ ვფიქრობთ, აღნიშნული უზუსტობები (და სავარაუდოდ ზოგიერთი სხვა) ამ გადამწერის კალმის შეცდომის ნაყოფი უფრო უნდა იყოს. ძნელი წარმოსადგენია, ამ საპასუხისმგებლო დავალების შესასრულებლად ქართლის სამეფო კარს უფრო მეტად დახელოვნებული მწერალი ვერ შეერჩია, ანდა დედოფლის ბრძანების შესრულებისას გადამწერს ტექსტის დასაწყისშივე ერთბაშად ამდენი უხეში შეცდომა დაეშვას.

ლენტი მროველის აღნიშნული ცნობის შესწორების მცდელობები

ლენტი მროველის ცნობა კუხოსის სამფლობელოს ტერიტორიისა და საზღვრების შესახებ, როგორც აღვნიშნეთ, ფაქტობრივად, მთავარ ამოსავალ წყაროს წარმოადგენს კუხეთის თავდაპირველი საზღვრების დასადგენად.

მარიამ დედოფლისეულ ნუსხაში საკუთარი სახელების არასწორი წაკითხვის შედეგად გაჩენილი აშკარა შეცდომების (კახოსი/კუხოსი, ეგრი/არაგვი) სამართლიანი შესწორების გარდა, ჯერ კიდევ „ქართლის ცხოვრების“ სხვა ნუსხებში ვხვდებით კუხოსის სამფლობელოს განსაზღვრის საკითხში მეტი სიცხადის შეტანის მცდელობას. მაგ., „ქართლის ცხოვრების“ მარი ბროსესა და ზაქარია ჭიჭინაძის გამოცემებში, რომლებიც ასევე გვიანდელ ნუსხებს ემყარებიან, წერია: „ხოლო კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქუიან რუს-თავი: მისცა არაგვით-ვან

გრაფიული მოვლენის გამო, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I (თბილისი, 1964), გვ. 333, შენ. 4; მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან (კახეთის სამთავრო VIII-IX სს.), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31 (თბილისი, 1954), გვ. 20; დ. მუსხელიშვილი, კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII-XIII სს-ში, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III (თბილისი, 1967), გვ. 57.

¹ ნუსხაში ამ ადგილას გამორჩენილია სიტყვები: „პირველსა მცხეთოს, მეორესა“. აქედან ბოლო სიტყვის ბოლო ორი ასო (სა) კი შემდეგ სიტყვასთან (გარდაბოს) არის გადამბული. აღსანიშნავია, რომ ხელნაწერში ცალკეული სიტყვები ერთმანეთისაგან ჩვეულებრივ ორწერტილით არის გამოყოფილი.

² ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი..., გვ. 6.

³ ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1955), გვ. 9.

⁴ „რომ „ეგრითვან“-ის მაგიერ დედანში ეწერებოდა „არაგვითვან“, როგორც ქართლის ცხოვრებაც ასწორებს, ისედაც ცხადია და დასაბუთება არა სჭირია“ (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40); „ტექსტში „ეგრის“ „არაგვით“ შეცვლა საეჭვო მიზანშეწონილია და არ იწვევს დავას“ (დ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი (ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი) (თბილისი, 1958), გვ. 6. შდრ.: მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 20 და დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა (ივერია-ალვანეთის ურთიერთობის ისტორიიდან) (თბილისი, 1966), გვ. 18).

⁵ ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი..., გვ. 8-9.

ვიდრე წერეთამდე, თავადმდე მთასა კახეთისასა და მტკუარს შუა⁴. როგორც ვხედავთ, აქ ჩამატებულია სიტყვა „ჰერეთი“, როგორც ტერიტორიის დამატებითი მსახღვრელი.

აღნიშნულ შესწორებას ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევართა ნაწილი ეთანხმება, თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს ცნობა კუხეთის საზღვრების დასადგენად ასეთი სახითაც არ ეწინააღმდეგება დაძველებულ მხარეებს. ზოგიერთი მათგანი შეეცადა თავად გამოეცნო ის „გამორჩენილი“ გეოგრაფიული სახელწოდება, რომელიც, მათი აზრით, დაფიქსირებული უნდა ყოფილიყო თხზულების თავდაპირველ ვარიანტში.

„ქართლის ცხოვრების“ ამ შესწორებული ვარიანტის შესახებ პირველად ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა აზრი, რომ „აქაც შეცდომებია შერჩენილი, ზოგან კიდევ დედანი სწორად ვერ არის გასწორებული“. მისივე წარმოდგენით, ტექსტში ფრაზას – „და მტკუარს შუა“-ს წინ რომელიც სიტყვა უნდა ჰქვოდეს, რასაც „ნათლად ამტკიცებს კავშირი „და“ და თანდებული „შუა“; იმიტომ რომ უძველესად არა სჩანს, რისა და „მტკუარსა შუა“-აო“. ავტორმა მიიჩნია, რომ ყველაზე ბუნებრივი იქნებოდა ასეთი გამორჩენილი სიტყვა „ალაზანი“ ყოფილიყო. საბოლოოდ, ჯავახიშვილმა წყაროს ცნობის ასეთი შესწორება შემოგვთავაზა: „კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ პრქვან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე თავადმდე მთისა კახეთისასა [ალაზნისა] და მტკუარს შუა“².

მ. ლორთქიფანიძე ასევე დარწმუნებულია, რომ „ლეონტი მროველის ტექსტის ეს ადგილი ყველა ნუსხაში შერყვნილია“³. იგი პრიციპში დაეთანხმა ივ. ჯავახიშვილს, რომ „და მტკუარს შუა“-ს წინ რომელიც სახელი უნდა ჩამატებულიყო. ვინაიდან ლეონტისთან ნახსენებ კახეთის მთას, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „ერწო-თიანეთს განკვეთს იორი“⁴, მისი აზრით, „ტექსტში „და შუას“ წინ უნდა იყოს არა „ალაზანი“, არამედ „იორი“ ან „მცირე ალაზანი“⁵.

1955 წელს „ქართლის ცხოვრების“ ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დადგენილი ტექსტის გამოცემისას, ს. ყაუხჩიშვილმა ეს ადგილი ერთგვარი კონიექტურის სახით მოგვავლია: „ხოლო კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ პრქვან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე პერეთამდე, [...შესარ]თავადმდე მთასა კახეთისასა და მტკუარსა შუა“⁶. ჩანს, რედაქტორმა მიიჩნია, რომ ტექსტისეული „თავადმდე“ შესაძლებელია ყოფილიყო ნაშთი (მეორე ნაწილის სახით), სიტყვისა „შესართავადმდე“ (ჩანს, რედაქტორი ასევე არ გამორიცხავს მის წინ კიდევ რაიმე სიტყვის გამორჩენასაც).

კუხეთის საზღვრების დამატებით ნიშნულად ტექსტში „იორისა“ და „ალაზნის“ დამატებას არ დაეთანხმა ლ. ჭილაშვილი. მისი თვალთხედვით, ეს შესწორებები ეწინააღმდეგება საზღვრების გადმოცემის ლეონტი მროველისეულ წესს, სადაც შეძლებისდაგვარად მოცემულია ქვეყნების ოთხივე მხარის საზღვრები, მაშინ როცა ჯავახიშვილის „შესწორებული ტექსტი კუხეთის საზღვრებს ორ ხაზზე წარმოგვიდგენს, კერძოდ, არაგვიდან კახეთის მთამდე და ალაზნიდან მტკვრამდე. ჩრდილოეთის და სამხრეთის საზღვრები აქ არაა მოცემული, რასაც ლეონტი მროველი აღუნიშნავს არ დატოვებდა“⁷. მან ასევე ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ტექსტისეულ სიტყვას „მთასა“, რომელიც ივანე ჯავახიშვილთან შესწორებულია როგორც „მთისა“, ვერ დაერთებოდა მსახღვრელი – „კახეთისა“. ლევან ჭილაშვილის დასკვნით, ლეონტი მროველის ტექსტის ეს ნაწილი შემდეგნაირად უნდა გაიყოს: „მთასა კახეთისასა და მტკუარს შუა“ მეორე ნაწილია, ტექსტის პირველი ნაწილი კი არის – „არაგვითგან ვიდრე თავადმდე“, რომელსაც აკლია სიტყვები „მთისა კახეთისასა“, რაც ნიშნავს: „არაგვიდან კახეთის მთის დასაწყისამდე“. ავტორის განმარტებით, ტექსტში „კახეთის მთის“ განმეორება უნდა განეპირობებინა იმას, რომ ეს მთა (მისი დასაწყისი) კუხეთს აღმოსავლეთიდან საზღვრავდა, ხოლო იმავე მთის სხვა ნაწილი – ჩრდილოეთიდანაც (აქ იმომეებს ვახუშტის შესაბამის ცნობას). შემდგომ გადაწყვეტებმა კი

¹ ქართლის ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, [წიგნი პირველი (ტფილისი, 1897)], გვ. 22; ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან შეათცხრამეტე საუკუნემდე, მ. ბროსეს გამოც., ნაწილი პირველი, ძველი მოთხრობა, 1469 წლამდის ქრისტეს აქვთ (პეტროგრადი, 1923), გვ. 20.

² ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

³ მარიამ ლორთქიფანიძე აქვე ოდნავ წინ წერს, რომ „ლეონტი მროველის თხზულების ამ ადგილის ისეთ წაკითხვას, როგორც მარიამისეულ ნუსხაშია, იძლევა ანასეული ნუსხაც“ (მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 20). მაგრამ მას მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ ეს ადგილი მატინის დასაწყისთან ერთად ნუსხის თავნაკულულობის გამო ანასეული ნუსხაში საერთოდ არ მოიპოვება და მის შესაბამის გამოცემაში რედაქტორის (ს. ყაუხჩიშვილის) მიერ მოხედილი ეს საწყისი მონაკვეთი მარიამისეული ნუსხიდან უბრალოდ უცვლელად არის გადმოტანილი გამოცემის სისრულის მიზნით (ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა..., გვ. VIII).

⁴ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1973), გვ. 523.

⁵ მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

⁶ ქართლის ცხოვრება, I., გვ. 9.

⁷ ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6-7.

„მთისა კახეთისასა“ და „მთასა კახეთისასა“ ერთი და იგივე სიტყვების გამოვლენად მიიჩნიეს და მხოლოდ ერთი გადმოწერეს, მაშინ როცა „სინამდვილეში ისინი მხარის სხვადასხვა საზღვრებს გადმოსცემდნენ“. მისი შესწორებული ტექსტი კი მთლიანობაში ასე გამოიყურება: „კუხოსს მისცა ბოსტან ქალაქი, რომელსა აწ ჰქუიან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე თავადმდე (მთისა კახეთისასა), მთასა კახეთისასა და მტკუარსა შუა“⁴.

ელდშერ ხოშტარიაც შენიშნავს, რომ „მოცემული ცნობა ამ სახით... ნაკლებია. ცხადია, აქ რომელიღაც მეოთხე გეოგრაფიული სახელწოდებაა გამორჩენილი, რომლის აღდგენა აუცილებელია, რათა მოხერხდეს კუხეთის საზღვრების მოხაზვა ოთხივე მხრით“, როგორც ამას კახეთის შემთხვევაში აკეთებს ლეონტი მროველიო. „ანასეულ და მარიამისეულ ნუსხებისაგან განსხვავებით, რუმინცვეისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებში მოცემულია ცდა ტექსტში ამ მეოთხე სახელწოდების შემოტანისა“², – განაგრძობს იგი, – და თუმცა აქ „ჰერეთის“ შემოტანაში შინაარსობრივ წინააღმდეგობას ვერ ხედავს, მაგრამ ეს ფორმა არც ძველი ტექსტის აღდგენად მიაჩნია, რადგან ასეთ შემთხვევაში გამოუყენებლად რჩება სიტყვა „თავადმდე“, რომელსაც სწორედ იმ „გამორჩენილ საგეოგრაფიო სახელწოდებასთან დაკავშირებულად“ აღიქვამს³.

ელდშერ ხოშტარიას მიუღებლად მიაჩნია ტექსტში ივანე ჯავახიშვილისა და მარიამ ლორთქიფანიძის შეტანილი შესწორებები. რადგან ტექსტის „ალაზნისა და მტკუარს შუა“ აღდგენის შემთხვევაში „მდ. ალაზნის მთელი მარჯვენა სანაპირო კუხეთის ფარგლებში ექცევა, მაშინ, როდესაც წყაროების თანახმად, აღნიშნული ტერიტორია მდინარის ზემო წელში კახეთს ეკუთვნოდა, ქვეით კი, გულგულადან მოკიდებული... ჰერეთსო“: ასევე გამართლებულად არ მიაჩნია „ალაზნის“ მაგივრად „მცირე ალაზნის“ (იგივე „იორის“) ჩასმა. ასეთ შემთხვევაში „გაურკვეველი რჩება, რა უნდა ივლისხმებოდეს თვით გამოთქმაში „თავადმდე მთასა კახეთისასა“, მითუმეტეს, თუ ამ შესწორების ავტორები იზიარებენ კახეთის მთის ვახუშტისეულ ლოკალიზაციას⁴. მისი აზრით, სიტყვას „თავადმდე“ არაფერი აქვს საერთო სიტყვასთან „მთასა კახეთისასა“, ამიტომ ივანე ჯავახიშვილის მიერ „მთასა“-ს „მთისა“-დ შეცვლაც არ ჰგონია მართებულად⁵.

ელდშერ ხოშტარია გვთავაზობს, რომ „ნაკლები ტექსტის აღდგენა უნდა მოხდეს... იმავე წესით, როგორც ეს „ქართლის ცხოვრების“ რუმინცვეისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებშია მოცემული, ე. ი. გამორჩენილი მეოთხე გეოგრაფიული სახელწოდება ტექსტში უნდა შეტანილ იქნას იქ, სადაც ნუსხებში სიტყვა „ჰერეთია“ ჩართული, თუმცა არა ამ სახით, არამედ შემდეგნაირად: „მისცა არაგვითგან ვიდრე თავადმდე ჰერეთისა...“⁶.

დავით მუსხელიშვილი კუხეთის საზღვრების საკითხით დაინტერესდა ქართლსა და ჰერეთს შორის საზღვრების დადგენის მცდელობისას, როდესაც კუხეთ-ჰერეთის საზღვრების საკითხს ეხებოდა. მეცნიერი განიხილავს ლეონტი მროველის მეთოდს, „რომლის საშუალებითაც იგი ახდენს თავისი ისტორიულ-გეოგრაფიული კონცეფციის კონკრეტიზაციას“: ეს კი შემდეგნაირად გამოიხატება: „საცა ხერხდება, ან უკეთ, საცა საზღვარი ბუნებრივ ზღვარზე გადის (მდინარე, ქედი), ლეონტი მროველი ასახელებს მას“ (მაგ., ქართლოსის წილის საზღვარი). „მაგრამ საცა საზღვრის ხაზი არ მიჰყვება ბუნებრივ ზღვარს, იქ ლეონტი მროველი ემაყოფილდება ერთი პუნქტის დასახელებით, რომელიც ამ ხაზზე მდებარეობს და რომელიც, ამდაგვარად, ერთგვარი ორიენტირის როლს თამაშობს“ (მაგალითად მოჰყავს მოგაკანის წილი). „მეორე მხრივ, ლეონტი მროველისათვის დამახასიათებელია საზღვრების აღნიშვნა საპირისპირო ქვეყნების საზღვრების მიხედვით“ (მაგალითად მოჰყავს გარდაბოსის წილი)⁷.

დავით მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ კუხეთის საზღვრების ორიენტირებიდან ლეონტისთან „დასახელებულია მხოლოდ სამი: არაგვი (შეცდომით – ვერი), კახეთის მთა და მტკუარი“, მეოთხე ორიენტირი კი აკლიაო⁸. ლეონტი მროველის მეთოდიკური თავისებურების (მოპირდაპირე მხარეების ორიენტირების წყვილებად დასახელება) გათვალისწინებით, მკვლევარმა „კახეთის მთის, როგორც კუხეთის საზღვრის დაკავშირება არაგვთან“ მართებულად არ მიიჩნია. ამ თვალთვლევას მას უმყარებს მსაზღვრელ-საზღვრულის არსებული შეთანხმება: „არაგვითგან ვიდრე თავადმდე

¹ იქვე, გვ. 7-9.

² ე. ხოშტარია, ძველი ქართული საისტორიო წყაროების „კახეთის მთის“ ლოკალიზაციისათვის, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები (თბილისი, 1966), გვ. 173. როგორც ჩანს, არც ელდშერ ხოშტარიას მიუქცევია ყურადღება იმ გარემოებისათვის, რომ თავნაკლებად ანა დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ ეს მონაკვეთი არ მოიპოვება და გამომცემელს მთელ დასაწესთან ერთად მარიამ დედოფლისეული ნუსხიდან აქვს გადმოტანილი. ამიტომ აქაც და კიდევ ერთი-ორგან (იქვე, გვ. 173, შენ. 16; გვ. 174) ანასეული ნუსხის დასახელება უადგილოა.

³ იქვე, გვ. 173-174.

⁴ იქვე, გვ. 174.

⁵ იქვე, გვ. 174-175.

⁶ იქვე, გვ. 174.

⁷ დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა..., გვ. 9.

⁸ იქვე, გვ. 18-19.

მთასა კახეთისასა“ („მთა“ მიცემითშია), რაც „ქართული სინტაქსისათვის შეუწყნარებელია“ და წესით „თავადმდე მთისა კახეთისასა“ (ნათესაობითში) უნდა ყოფილიყო. ამიტომ კახეთის მთა მდ. მტკვართან ერთად შეადგენს ჩრდილოეთისა და სამხრეთის საზღვრების წყვილს. როგორც ჩანს, ძირითადად სწორედ იმის გამო, რომ მტკვრის მოპირდაპირე წყვილი კახეთის მთაა, დავით მუსხელიშვილმა მტკვრის ამდაგვარ „მიწვევილედ“ ივანე ჯავახიშვილის მიერ ალაზნის დასახელების ვერსია არ გაიზიარა¹. მკვლევარი არც მარიამ ლორთქიფანიძის ვერსიას (იორს) ეთანხმება, ვინაიდან ლეონტისავე ცნობით, ჰერეთის სამხრეთი საზღვარი მტკვარია (ჰერეთი „ქუეყანა მტკვრისა ჩრდილოთ“) „და არა იორი, როგორც ამ შემთხვევაში გამოვიდოდა“².

დავით მუსხელიშვილის შეფასებით სიმონ ყაუხჩიშვილის კონიექტურა „ძირითადად სწორია“, თუმცა ბოლომდე არაზუსტი³. ლეონტის ზემოაღნიშნული პრინციპის შესაბამისად, გამორჩენილი მეოთხე კომპონენტი არაგვის წყვილი უნდა ყოფილიყო: „არაგვიდგან ვიდრე თავადმდე“, მაგრამ „რის თავადმდე ანუ დასაწყისამდე ან ეგების [შესარ]თავადმდე, ჩვენთვის დაუდგენელიაო“ – წერს დავით მუსხელიშვილი, ასკვნის რომ „შესადგებელია აქ „თავადმდე“ თავიდან სრულეობითაც არა ყოფილა და ლეონტი მროველის თავდაპირველი ტექსტი ასეთი იყო: „ხოლო კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქუიან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე მთასა კახეთისასა და მტკუარს შუა“⁴.

როგორც ვნახეთ, ლეონტი მროველის თხზულებაში კუხოსის წილის საზღვრების გააზრება თუ მისი ინტერპრეტაციები მართლაც გამოირჩევა ნაირგვარობით. შევეცდებით, შეძლებისდაგვარად დეტალურად განვიხილოთ და გავაანალიზოთ ყოველი მათგანი.

1. კონიექტურა „[შესარ]თავადმდე“.

სხვადასხვა მამამთავართა წილხვედრი მიწა-წყლის განსაზღვრად ლეონტი მროველი მართლაც იყენებს სიტყვა „შესართავს“ (ოდნავ განსხვავებული ფორმით – „შესართავითგან“):

ა) „ხოლო მოვაკანს მისცა მტკუარსა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ზღაუდმდე“.

ბ) „ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკუარისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეებამდე, რომელსა აწ ჰქუან გულგულა“⁵.

აღსანიშნავია, რომ მარიამისეულ ნუსხაში ორივე დასახელებულ შემთხვევაში გვაქვს „მცირისა ალაზნისა თავიდგან“⁶, რაც უეჭველად გაგებულ უნდა იქნას, როგორც „მცირე ალაზნის სათავიდან“. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ჰეროსისა და მოვაკანის ქვეყნების საზღვრების შესახებ რეალური წარმოდგენის შექმნა ვეღარ ხერხდება. ალაზნის სათავეებიდან ტყეება-გულგულამდე ხაზი ჰერეთისა და მოვაკანის საზღვარი ვერაფრით იქნება. თუ ჰერეთს ამ ხაზის დასავლეთით წარმოვიდგენთ (მისი სხვა მხარეს წარმოდგენა გამორიცხებულია – აღმოსავლეთით უდავოდ მოვაკანია „ზღუადმდე“, სადაც ასევე უდავოდ კასპიის ზღვა მოიაზრება), მაშინ კახეთისათვის საერთოდ აღარ რჩება ადგილი. ამასთანავე ლეონტისაგან ვიცით, რომ ტყეება სწორედ კახეთსა და ჰერეთს შორის სასაზღვრო პუნქტია და არა ჰერეთ-მოვაკანისა: „ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთას შორის, არაგვითგან ვიდრე ტყეებამდე, რომელი არს საზღვარი ჰერეთისა“⁷.

აი, თუ კი ჰეროსის ქვეყნის სასაზღვრო პუნქტად „მცირისა ალაზნის შესართავს“ წავიკითხავთ, როგორც ამას დანარჩენი ნუსხები გვთავაზობენ, ყველაფერი თავის ადგილას დგება: მტკვრის ჩრდილოეთი სივრცე (მარჯვენა სანაპირო) მცირე ალაზნის (ივრის) შესართავიდან აღმოსავლეთით მოვაკანის ტერიტორიაა, დასავლეთით კი – ჰეროსისა.

ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ „ორთავე ალაზნითა შესაკრებელი“ (ალაზნისა და ივრის შესართავი), სადაც აშენებს ქალაქს ჰეროსი, ჰერეთის ფარგლებს გარეთ მოექცევა, თუ მარიამისეული ნუსხის „თავიდგან“ აქ უცვლელი სახით დარჩებოდა⁸.

¹ იქვე, გვ. 19.

² იქვე, გვ. 20, შენ. 54.

³ დ. მუსხელიშვილი, კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები..., გვ. 57.

⁴ დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა..., გვ. 20; მისივე, კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები..., გვ. 57-58.

⁵ ქართლის ცხოვრება, I..., გვ. 5.

⁶ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი..., გვ. 5.

⁷ იქვე, გვ. 6.

⁸ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40. მეორე მხრივ გაუმართლებელია „მცირე ალაზნის შესართავის“ ჩანა „არაგვის“ მაგიერ კახეთის საზღვრების ჩვენებაში („არაგვიდან ვიდრე ტყეებამდე“) იმ მოსაზრებით, რომ „ჰერეთის საზღვარი მცირე ალაზანი და ტყეება იყო და არა არაგვი და ტყეება“ (იქვე, გვ. 41). ამის თაობაზე სწორად შენიშნავს მ. ლორთქიფანიძე, რომ „გამოთქმა „რომელ არს საზღვარი ჰერეთისა“ ტყეებას-გულგულას ეხება“ და არა მდ. არაგვს, რომელიც კახეთის დასავლეთი საზღვარი იყო (მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 22).

მაშასადამე, ჰეროსისა და მოვაკანის საზღვრების განმარტებისას მარიამისეული ნუსხის „თავითგან“ სრულიად უმართებულოა და გვიანდელ ნუსხებში დაფიქსირებული „შესართავითგან“ აშკარად შესაფერისად გამოიყურება. ვფიქრობ, ჰეროსისა და მოვაკანის ქვეყნების საზღვრებთან დაკავშირებით სწორედ ეს სიტყვა უნდა ყოფილიყო დაფიქსირებული ჩვენამდე მოუღწევად მარიამისეულ ნუსხა-დედანიშიც. ჩანს, ამ ნუსხის გადამწერმა, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტექსტში ისედაც არა ერთ აშკარა უხემ შეცდომას უშვებს, დედნისეული „შესართავითგან“ მისდაუნებურად აღიქვა როგორც „თავითგან“ (ანდა განგებ შეცვალა, მისი აზრით, უფრო სწორი ფორმით, რაც ნაკლებ მოსალოდნელია) და შესაბამისად დაწერა კიდევ. მითუმეტეს, რომ ლეონტი იქვე ტექსტში ასევე იყენებს სიტყვას „თავადმდე“: „ხოლო გაჩიოს მისცა ორბის ციხე და სკურეთის მდინარითგან ვიდრე თავადმდე აბოცისა“; „ხოლო ჯავახოს მისცა ფანვართგან ვიდრე თავადმდე მტკუარისა“¹.

შესაძლებელია, ჰეროსისა და მოვაკანის წილი ქვეყნების საზღვრების ჩვენებისას „თავითგან“-თან შედარებით „შესართავითგან“-ის აშკარა უპირატესობის გამო გადაწყვიტა ს. ყაუხჩიშვილმა, რომ კუხოსის შემთხვევაშიც იგივე შინაარსობრივი აღდგენა განეხორცილებინა. მაგრამ სულ სხვა საკითხია, რამდენად გამართლებულია ეს ცვლილება ამ უკანასკნელ შემთხვევაში.

საყურადღებოა, რომ გაჩიოსის წილის ჩვენების აღვილას ყველა ნუსხაში გვაქვს „თავადმდე“, ისევე როგორც კუხოსის სამფლობელოს შემთხვევაში, განსხვავებით მოვაკანისა და ჰეროსის შემთხვევებისაგან, სადაც „თავითგან“-ს ცვლის „შესართავითგან“. ვფიქრობ, კონტექსტებზე დაკვირვება ნათელს მოჰფენს ამ გარემოებას.

იქ, სადაც მარიამისეული ნუსხის „თავი“ („თავითგან“) დანარჩენ ნუსხებში დაფიქსირებულია როგორც „შესართავი“ („შესართავითგან“), ლაპარაკია მდინარეზე („მცირე ალაზნისა შესართავითგან“), რითაც ლეონტი ქვეყნების საზღვრის ერთ-ერთ ორიენტირად მდინარის (ორივე შემთხვევაში ივრის) შესართავს გვიჩვენებს. ხოლო სადაც ყველა ნუსხა ერთმნიშვნელოვნად წერს „თავადმდე“, ორ შემთხვევაში ეს უკანასკნელი მიემართება მთას (მთაგრეხილს) („თავადმდე აბოცისა“², „თავადმდე მთასა კახეთისასა“), ერთ შემთხვევაში კი მდინარეს („თავადმდე მტკუარისა“), რითაც ავტორი მის სათავეზე მიგვითითებს.

მაშასადამე, სიმონ ყაუხჩიშვილის კონიექტურა („შესართავადმდე“) გამართლებას ვერ პოულობს. ამას გარდა, თუ დავუშვებთ ტექსტში ამ აღვილას აღნიშნული სიტყვის არსებობას, თავისთავად გაჩნდება კითხვა: რის შესართავადმდე? ს. ყაუხჩიშვილს თავისი აღდგენა მოცემული აქვს „ჰერეთთან“ ერთად. მაგრამ დასძული კითხვის პასუხად „ჰერეთი“ სრულიად გამოუსადეგარია – „ჰერეთის შესართავადმდე“ უაზრობა გამოდის. ხომ არ შეიძლება „შესართავის“ წინ ასევე მოიაზრებოდეს გადაწერისას დაკარგული რაიმე გეოგრაფიული მსაზღვრელიც, მაგ., მდინარის სახელწოდების სახით, როგორც ამას მოითხოვს თვით „შესართავადმდე“ და რასაც უნდა მიაწინებდეს აღდგენილი სიტყვის წინ გამომცემლის მიერ მოთავსებული სამი წერტილი? არც ეს არის მოსალოდნელი. ვინაიდან თუ აქ „ჰერეთის“ ჩანმას დავეთანხმებით (როგორც ესაა ს. ყაუხჩიშვილის რედაქციაში), მაშინ კუხოსის სამფლობელოს მიმართ მსაზღვრელთა ორი ურთიერთსაპირისპირო წყვილი უკვე ისედაც არსებობს: არაგვი-ჰერეთი და კახეთის მთა-მტკვარი. რაიმე დამატებითი მსაზღვრელისათვის აქ აღვილი აღარ რჩება. მაგრამ მარიამისეულ ნუსხის პირში „ჰერეთი“ არ არის³. იქნებ მის დედანი ეწერა „შესართავისათვის“ აუცილებელი მდინარის სახელი (როგორც მაგ., „მცირისა ალაზნისა შესართავითგან“)? მაგრამ ამის აღბათობაც ძალზე მცირეა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ქართლის ცხოვრების არც ერთი ნუსხა აღნიშნული კონიექტურის მსგავსი ინტერპრეტაციის საშუალებას არ გვაძლევს, მითუმეტეს, რომ სხვა ნუსხები, ხშირ შემთხვევაში, მარიამისეული ნუსხის პირის შეცდომების (ყოველ შემთხვევაში ლეონტის აღნიშნული თხზულების) სწორ წაკითხვას იძლევა.

2. ჩამატებები „და მტკუარს შუა“-ს წინ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი მოსაზრება, რომ კუხოსის წილი ქვეყნის სრულად შემოსახაზად, ლეონტის ფრაზას „და მტკუარს შუა“-ს წინ რომელიდაც გეოგრაფიული მსაზღვრელი

¹ ქართლის ცხოვრება, I., გვ. 9.

² აქ რომ აბოცი ნამდვილად მთის სახელწოდებაა, დაზუსტებულია ვახუშტი ბატონიშვილთან: „გაჩიოს მისცა ორბის ციხე და გარდაბანს სკურეთს ზეითი აბოცის მთამდე და ფანავრამდე“ (ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 50).

³ ჩვენ არ გვაქვს იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ ჰერეთი ვახტანგ მეფის სწავლული კაცების რედაქციის შედგადაა დამატებული. გარდა იმისა, რომ შინაარსობრივად ჰერეთი სავსებით ამართლებს თავის აღვილს (ე. ხოშტარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 173), ასევე შეგვეძლო დაგვეშვა, რომ ეს სიტყვა მოიპოვებოდა ვახტანგამდელი ქართლის ცხოვრების ნუსხებშიც და აქედან მოხვდა უფრო გვიანდლებში. თუმცა, როგორც შემდეგში ვნახავთ, ამ აღვილის წაკითხვა „ჰერეთის“ გარეშეც შესაძლებელია.

აკლია და ასეთი შეიძლება ყოფილიყო „ალაზანი“, გამოთქვა ივ. ჯავახიშვილმა. მ. ლორთქიფანიძემ კი „ალაზნის“ ნაცვლად „იორის“, ანუ „მცირე ალაზნის“ ჩამატება მიიჩნია უფრო მიზანშეწონილად.

დავიწყოთ „ალაზნით“. პირველ რიგში აღვნიშნავ, რომ ამგვარი ჩამატების უარსაყოფად არ გამოდგება არგუმენტი, რომ კუხეთის აღმოსავლეთი საზღვარი კახეთის მთაა და არა ალაზანი¹. აქ „კახეთის მთის“ არასწორ ლოკალიზაციასთან გვაქვს საქმე, რაზეც ქვემოთ უფრო დავწვრილებით ვისაუბრებთ. „ალაზნის“ გამოუსადეგრობის დასადასტურებლად არც ის დასაბუთება გამოიყურება დამაჯერებლად, თითქოს აღნიშნული შესწორებით კუხეთის საზღვრები, ლეონტის მროველის პრინციპების დარღვევით, წარმოდგენილია ორ ხაზზე (არაგვიდან კახეთის მთამდე და ალაზნიდან მტკვრამდე) და იმდაგვარად, რომ ჩრდილოეთი და სამხრეთი საზღვრები არ არის მოცემული, რასაც მემბტიანე აღვნიშნავს არ დატოვებდა². თუმცა რუკაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მდ. ალაზნის მთელი შუა წელი (მისი მთლიანი სიგრძის დიდი ნაწილი) მთლიანობაში დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიედინება (მცირე დახრით სამხრეთისაკენ) და ამის შემდეგ უხვევს მკვეთრად სამხრეთისაკენ. ეს კი ნიშნავს, რომ ალაზანი თავისუფლად შეიძლება ბოდა გამომდგარიყო მის მარჯვენა სანაპიროზე განფენილი ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვრადაც. მსგავსი რამ შეიძლება ითქვას მტკვრის მიმართაც: მართალია, არაგვის შერთვის შემდეგ იგი მთლიანობაში სამხრეთისაკენ მიედინება, მაგრამ ხრამის შესართავის შემდეგ დასავლეთისაკენ უხვევს (ასევე სამხრეთისაკენ დახრილობით). ამიტომ მტკვარს ალაზნის სამხრეთით მდებარე ქვეყნისათვის სამხრეთი საზღვრის ფუნქციის გაწევაც არ გაუჭირდებოდა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, „ალაზნის“ ჩამატება მაინც უადგილოდ გამოიყურება. მთავარი მიზეზი კი, რის გამოც ასეთი ჩასწორება გამართლებას ვერ პოულობს, არის შემდეგი გარემოება: ალაზნის კუხეთის საზღვრად დასახვის შემთხვევაში ამ მდინარის მთელი მარჯვენა სანაპირო კუხეთის ფარგლებში ექცევა და ეს იმ დროს, როცა იმავე წყაროს ცნობით, გულგულას ზემოთ იგი კახეთის შემადგენლობაშია, ხოლო ამ პუნქტის ქვემოთ – ჰერეთისა³.

ხომ არ შეიძლება უფრო შესაფერისი იყოს „და მტკვარ შუა“-ს წინ „იორის“ ან „მცირე ალაზნის“ ჩამატება? ასეთ შემთხვევაში კუხეთი იორსა და მტკვარს შორის მოქცეულ ქვეყნად წარმოგვიდგება. ეს რომ ასე ყოფილიყო, იორზე უნდა გაეგვლო საზღვრებს, ერთი მხრივ კუხეთსა და კახეთს შორის (მდინარის შუა წელზე), მეორე მხრივ კი კუხეთსა და ჰერეთს შორის (მდინარის ქვემო წელზე) და შესაბამისად, ეს ჰიდროგრაფიული ერთეული კუხეთის ამ მოსაზღვრე ქვეყნების საზღვრადაც უნდა ყოფილიყო დასახელებული. როგორც მაგ., კუხეთის საზღვრად მოცემული „კახეთის მთას“ წყარო კახეთის შემომსაზღვრელ ერთეულადაც ასახელებს. ისევე როგორც მტკვარს მემბტიანე ერთი მხრივ ჰერეთისა და მოვაკნის სამხრეთ საზღვრად გვისახავს, მეორე მხრივ კი – ბარდოსის ქვეყნის ჩრდილოეთ მიჯნად.

„იორის“ ჩამატების მართებულობას სრულიად ეწინააღმდეგება იგივე მონაცემები: ა) ჰერეთი მოიცავს მიწა-წყალს „მტკვრისა ჩრდილოთ“, ანუ მის სამხრეთ საზღვრად იორი ვერანაირად ვერ იქნება⁴; ბ) იმავე დროს ჰერეთი განვრცობილია „მცირისა ალაზნის შესართავითგან“ დასავლეთით (ტყეობამდე), რაც ნიშნავს, რომ სწორედ ჰეროსის ქვეყნის და არა კუხეთის შემადგენელი ნაწილია იორის ქვემო წელსა და მტკვარს შორის არსებული სიგრცე; გ) ერთი მხრივ კახეთის და მეორე მხრივ კუხეთის საზღვრად „კახეთის მთის“ დასახელება მას ამ ორი ქვეყნის გამყოფ მიჯნად წარმოგვიდგენს, რაც თავისთავად გამორიცხავს კახეთ-კუხეთს შორის საზღვრის იორზე დადების შესაძლებლობას.

თუ არც „ალაზნის“ ჩამატება ამართლებს და „იორის“ („მცირე ალაზნის“), მაშ რა გეოგრაფიული მსაზღვრელი შეიძლება ჩაისვას „და მტკვარს შუა“-ს წინ? როგორც მართებულად არის შენიშნული, კახეთის მთა და მტკვარი კუხეთის საპირისპირო საზღვრების მარჯვენაგანი გეოგრაფიული ერთეულების ერთი წყვილია⁵. ამიტომ ვფიქრობ, ტექსტში ამ ადგილას ნებისმიერი ახალი ერთეულის ჩამატება არანაკლებ ხელოვნური იქნება და საკითხის გარკვევაშიც ვერ დაგვეხმარება.

3. ჩამატება „მთისა კახეთისას“.

პირველ რიგში განვიხილოთ კახეთის მთის ლოკალიზაციის საკითხი.

ვახუშტის აღწერილობის მიხედვით, კახეთის მთა შემადგენელი ნაწილია აწინდელი კახეთის შუაში („საშუალ“) მდებარე მთაგრეხილისა, „რომელი გამოხდების ფშაე-დლიღვსსა-შორისის კაკასიდამ და გამოვლის მახვლის ჰევსა და ფშავს შორის, კუალად ერწო-თიანეთსა და

¹ შდრ. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

² შდრ. ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

³ ე. ხოშტარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

⁴ დ. მუსხელიშვილი, *ციხე-ქალაქი უჯარმა...*, გვ. 20, შენ. 54.

⁵ ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 7-8; დ. მუსხელიშვილი, *ციხე-ქალაქი უჯარმა...*, გვ. 19.

ირტო-საყდრიონს შორის, და ქალეთის ბოლომდე მდებარებს ჩრდილოდამ სამკრით, მერმე წარმოვალს და მივალს მადარო-ხორნაბუჯამდე, აღმოსავლეთ-სამკრეთს შუა მდებარებს და უძეს აღმოსავლით შიგნით-კახეთი, სამკრით ქისიცი, დასავლით გარეთ-კახეთი და ერწო-თიანეთი. და ერწოდების მთასა ამას კავკასის კერძოსაკენ მთა კახეთისა, მერმე გომბორი, შუამთა და ცივი¹.

ამ აღწერიდან ცხადია, რომ ვახუშტის „კახეთის მთა“ ეს თანამედროვე კახეთის ქედია², რომლის ერთგვარ შემდგომ გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ ცივ-გომბორის მთები. ვახუშტის ამგვარი ლოკალიზაციის მიხედვით აქეთ გააზრებული კახეთის მთის ადგილმდებარეობა ივანე ჯავახიშვილსა³ და მარიამ ლორთქიფანიძესა⁴.

ცნობილია, რომ „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით, „კახეთის მთა“ კახეთისა და კუხეთის გამოყოფი საზღვარია. კახეთი კი იმავე წყაროს თანახმად, მდებარეობს „კავკასიასა და კახეთის მთას“ შორის⁵, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ კახეთის მთა ამ ქვეყნის სამხრეთი საზღვარი უნდა იყოს, ვინაიდან კავკასიონის ქედი კახეთს ჩრდილოეთიდან საზღვრავდა, კახეთის მთა კი მის საპირისპირო მხარეს მოიაზრება (კახეთის მიწა-წყალი ხომ ამ ორ ქედს შორის ყოფილა მოქცეული). შესაბამისად, იგივე მთა (მთაგრეხილი) კუხეთისათვის მხოლოდ ჩრდილოეთ საზღვარს შეიძლება წარმოადგენდეს⁶. ვახუშტის მიერ ლოკალიზებული, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მომართული კახეთის მთა კი, რომელიც კავკასიონის ერთ-ერთი განტოტებად წარმოიჩინდება, თავისთავად კახეთის დასავლეთ და კუხეთისათვის აღმოსავლეთ საზღვრად ისახება⁷. „მეფეთა ცხოვრებაში“ დასახელებული „კახეთის მთის“ ამგვარი ლოკალიზაცია საზღვრების გარკვევაში არაერთ წინააღმდეგობას ქმნის. ამის შესახებ მიუთითა ედ. ხოშტარიამ: „თუ კი დავუშვებთ, რომ კახეთის მთა კახეთს შემოფარგლავდა დასავლეთიდან, გაუგებარი ხდება ლეონტი მროველის მიერ ამავე მხრით კახეთის საზღვრად არაგვის მითითება. მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში ისტორიული კახეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი (არაგვისა და ვახუშტისეულ კახეთის მთას შორის) კახეთის საზღვრებს გარეთ რჩება“⁸. თუმცა უნდა აღინიშნოს, ვახუშტის შესაბამის რუკაზე კახეთისა და კუხეთის საერთო საზღვარი, ჟინვალიდან სამხრეთით, არაგვისა და იორის წყალგამყოფ ქედზე გადის. ეს კი დღევანდელი ქართლის ქედია, რომელიც ამჟამინდელ კახეთის ქედის დასავლეთით მდებარეობს. ცხადია, ვახუშტი „კახეთის მთაში“ ქართლის ქედსაც მოიაზრებს. ამის მიმანიშნებელი უნდა იყოს ბატონიშვილის თქმული, რომ კახეთის მთას „განკვეთს, ერწო-თიანეთს, იორის მდინარე“⁹. ამის გათვალისწინებით, უძველესი კახეთის გარეთ რჩება არაგვისა და ქართლის ქედს შორის არსებული ტერიტორია. ესაა არაგვის ხეობის მარცხენა სანაპირო თეთრი და შავი არაგვის შესართავამდე.

ნებისმიერ შემთხვევაში, უცილობლად შეიძლება დავასკვნათ, რომ ვახუშტის ლოკალიზებული კახეთის მთა არ შეესაბამება „მეფეთა ცხოვრებაში“ ნახსენებ „კახეთის მთას“¹⁰.

„მეფეთა ცხოვრებაში“ ნახსენები „კახეთის მთის“ უტყუარი ლოკალიზაცია გადმოგვცა ედ. ხოშტარიამ, როცა ამ „მთაში“ იალნო-საგურამოს ქედი ამოიცივნო. ეს ერთადერთი მთაგრეხილია, რომელსაც შესაფერისი მდებარეობა გააჩნია, ანუ რომელიც შეიძლება ყოფილიყო კუხეთის ჩრდილოეთი და ამავდროულად კახეთის სამხრეთი საზღვარი. მეცნიერი თავის შეხედულებას ამაგრებს ასევე „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ დაცული ერთი ცნობით. წმ. ნინო მოუწოდებს მირიან მეფეს და ხალხს: „განავლინეთ კაცნი მთათა ზედა მადალთა აღმოსავლად ვიდრე კახეთისა

¹ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 524-525.

² ედ. ხოშტარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 171, დ. მუსხელიშვილი, *ციხე-ქალაქი უჯარმა...*, გვ. 16. ივ. ჯავახიშვილიც, როგორც ჩანს, ვახუშტის ამ მონაცემებზე დაყრდნობით კახეთის მთას ამ ადგილას უთითებს თავის 1923 წელს გამოცემულ რუკაზეც.

³ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 19

⁴ მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 20-22.

⁵ *ქართლის ცხოვრება*, I, გვ. 9. ქვეყნების საზღვრების წარმოსახენად ლეონტი მროველი მოპირდაპირე ორიენტირების წყვილად დასახელებას არაერთხელ მიმართავს (დ. მუსხელიშვილი, *ციხე-ქალაქი უჯარმა...*, გვ. 19).

⁶ ედ. ხოშტარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 170-171, დ. მუსხელიშვილი, *ციხე-ქალაქი უჯარმა...*, გვ. 18-19.

⁷ შდრ. კახოსის საზღვარი იყო „დასავლით მთა კახეთისა“, ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 523.

⁸ ედ. ხოშტარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 171.

⁹ ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 523. ამ ფრაზამ შეიყვანა შეცდომაში მ. ლორთქიფანიძე, როცა ივ. ჯავახიშვილის შემოთავაზებულ „ალაზნის“ ნაცვლად კახეთის საზღვრად იორი წარმოიდგინა (იხ. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 22). ვინაიდან იორი კახეთის მთას არსად არ განკვეთს, დ. მუსხელიშვილი თავის დროზე ვარაუდის სახით აღნიშნავდა, რომ თუ ტექსტი დამახინჯებული არ არის და ყველაფერი სწორად არის გაგებული, „ამ შემთხვევაში ვახუშტის „კახეთის მთა“ უდრის ქედების სისტემას, წარმოდგენილს დღევანდელი კახეთის, ქართლისა და, ეგვიპ. იალნოს ქედივით“ (დ. მუსხელიშვილი, *ციხე-ქალაქი უჯარმა...*, გვ. 17).

¹⁰ დ. მუსხელიშვილი, *ციხე-ქალაქი უჯარმა...*, გვ. 18.

მთადმდე და დასავლეთით ვიდრე მიაწევდეს სამეფო მენი⁴. ეს ცნობა მიგვანიშნებს, რომ „კახეთის მთა“ მცხეთაში მყოფათათვის აღმოსავლეთით მდებარეობდა. ასეთი კი მხოლოდ იალნოსაგურამოს ანუ ზედაზნის მთა შეიძლება ყოფილიყო². ამ მთას კი ვახუშტი „ზედაძნის ანუ კუხეთის მთად“ მოიხსენიებს³. მაშასადამე, ვახუშტიმ სწორად ვერ განსაზღვრა „მეფეთა ცხოვრების“ „კახეთის მთის“ ლოკალიზაცია და იგი შემდეგდროინდელ კახეთის ქედთან გააიგივა. ვახუშტის ეს უნებლიე შეცდომა ერთგან ასწილია შემდეგი გარემოებით: კახეთის მთად წარმოიდგინებოდა ის მთაგრეხილი, რომლის იქითაც (ქართლიდან დანახულად) მდებარეობდა კახეთი. ადრინდელ ხანაში ეს იყო ზედაზნის ქედი, გვიან-შუასაუკუნეებში, ვახუშტის დროს კი – ამჟამინდელი კახეთის ქედი⁴. ამის თაობაზე კი უნდა ითქვას, რომ გვიან შუა საუკუნეებში ქართლისა და კახეთის სამეფოებს შორის საზღვარი ჩვეულებრივ, ამ კახეთის ქედზე მნიშვნელოვნად დასავლეთით, მდინარე არაგვზე გადაიოდა. ასე რომ კახეთის ფარგლებში რჩებოდა არათუ კახეთის, არამედ ამ უკანასკნელის კიდევ უფრო დასავლეთით მდებარე დღევანდელი ქართლის ქედიც. კახეთის ქედი (ვახუშტისეული „კახეთის მთა“) იმდროინდელი კახეთის მიჯნას რომ არ წარმოადგენს ვახუშტის ეპოქაში ადასტურებს თავად ბატონიშვილის სიტყვები: ერთი მხრივ, რომ ეს მთა (ციფ-გომბორის ქედითურთ) „ქუეენისა ამის (კახეთის – დ. მ.) საშუალ არს“, რაც ნიშნავს, რომ მას კახეთის შუაში, ანუ ფარგლებს შიგნით მოიაზრებს და მეორე მხრივ კი პირდაპირი მითითება, რომ „მდინარე არაგვ განწყოვს ქართლსა და კახეთსა“⁵.

მართალია, ლევან ჭილაშვილიც აღნიშნავს, რომ „როგორც ირკვევა, ლეონტი მროველის კახეთის მთა იგივე იალნოსაგურამოს ქედი უნდა იყოს“⁶ და შემდეგ დასძენს, რომ „ვახუშტი იმავე მთას იცნობს კუხეთის მთის სახელით... საყურადღებოა ისიც, რომ ლეონტი მროველი არ იცნობს კუხეთის მთას. მან აქ კახეთის მთა იცის მხოლოდ“⁷, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამავე დროს, რატომღაც არათუ აღარ უთითებს, რაღას წარმოადგენს მაშინ ვახუშტისეული „კახეთის მთა“, არამედ ვახუშტის „კუხეთის მთასა“ და ლეონტის „კახეთის მთას“ მაინც ერთმანეთთან აიგივებს (შესაბამისად ტოლობის ნიშანი ესმება ვახუშტისეულ ორ სხვადასხვა მთაგრეხილსაც – „კახეთის მთასა“ და „კუხეთის მთას“, რაც სრული ნონსენსია). ამიტომ უნდა იყოს, რომ მეცნიერი კუხეთის საზღვრების შემდგომ დაზუსტებასაც კვლავ „კახეთის მთის“ ვახუშტისეული არასწორი ლოკალიზაციის მიხედვით ცდილობს⁸.

იმ მოსაზრებით, რომ „მთასა კახეთისასა და მტკუარს შუა“ წინადადების მეორე ნაწილის სახით საზღვრების ერთ წყვილს წარმოადგენს და შესაბამისად, არა სჩანს, „არაგვითგან“ რის „თავადმდე“ ვრცელდებოდა კუხეთის მიწა-წყალი, ლევან ჭილაშვილმა მიიჩნია, რომ გამორჩენილი სიტყვა ტექსტში სწორედ „თავადმდე“-ს შემდეგ არის საძიებელი. ტექსტისეული „კახეთის მთის“ განსხვავებული ლოკალიზაციისა და ვახუშტის მონაცემების გათვალისწინებით მეცნიერმა ტექსტის ასეთი აღდგენა შემოგვთავაზა: „ხოლო კუხოსს მისცა ბოსტან-ქაღაქი, რომელსა აწჳქუიან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე თავადმდე [მთისა კახეთისასა], მთასა კახეთისასა და მტკუარსა შუა“. ავტორის აზრით, ტექსტის შემდგომი დამახინჯება უნდა მოეწვია იმ გარემოებას, რომ „მთისა კახეთისასა“ და „მთასა კახეთისასა“ „გადამწერებს ერთი და იმავე სიტყვის გამეორება ეგონებოდათ და ამიტომ გადმოწერეს ერთი („მთასა კახეთისასა“), მეორე კი ამოიღეს. სინამდვილეში ისინი მხარის სხვადასხვა საზღვრებს გადმოსცემდნენ“⁹. განმარტება თითქოს ლოგიკურია, თუმცა პასუხგაუცემელი რჩება ერთი საკითხი: როგორ მოხდა, რომ გადამწერებმა მიიჩნიეს რა ტექსტში ერთმანეთის გვერდი-გვერდ ორჯერ ნახსენები „კახეთის მთა“ ერთი და იმავე სიტყვის ორჯერ მექანიკურ გამეორებად, რატომ ამოიღეს მისი არა მეორე ხსენება („მთასა კახეთისასა“), რაც უფრო ლოგიკური იქნებოდა ასეთ შემთხვევაში, არამედ პირველივე ხსენება – „მთისა კახეთისასა“; მით უფრო, რომ ამ მოქმედებით აღნიშნულ წინადადებაში გრამატიკული გაუმართაობაც შემოუტანიათ (როგორც ამას ხაზს უსვამენ ზემოდასახელებული მკვლევარები), რასაც არ ექნებოდა ადგილი მეორე ხსენების („მთასა კახეთისასა“) ამოღების შემთხვევაში.

4. ჩამატება „ჭერეთი“.

¹ მოქცევა ქართლისად, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I (V-X სს.), ი. აბულაძის რედ. (თბილისი, 1963), გვ. 150.

² ედ. ხოშტარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 172. შდრ. დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქაღაქი უჯარმა..., გვ. 19.

³ ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 525, 536.

⁴ ედ. ხოშტარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

⁵ ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 350. არაგვი წარმოადგენს ქართლისა და კახეთის სამეფოებს შორის საზღვარს ვახუშტის შედგენილ რუკებზეც (იხ. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ატლასი (XVIII ს.) (თბილისი, 1997).

⁶ ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

⁷ იქვე, გვ. 8-9.

⁸ იხ. იქვე, გვ. 9-10.

⁹ იქვე, გვ. 7-9.

„ჰერეთის“, როგორც ქვეყნის დამატებით მსაზღვრელი ერთეულის ჩამატებას, ვხედავთ ჯერ კიდევ XVIII ს-ის ზოგიერთ ნუსხაში (მაგ., მაჩაბლისეული, რუმინცვესეული ნუსხები). ამ სახით („ჰერეთის“ დართვით) არის ტექსტის ეს ადგილი „ქართლის ცხოვრების“ როგორც ადრინდელ (მ. ბროსეს, ზ. ჭიჭინაძის), ისე გვიანდელ (ს. ყაუხჩიშვილის, რ. მეტრეველის რედ.) გამოცემებში.

ტექსტში „ჰერეთის“ გამოჩენის მართებულობას იზიარებენ და ამ სიტყვის ჩასმით აგებენ თავიანთ ადღეულებს ზოგიერთი სხვა მკვლევარებიც. დ. მუსხელიშვილის აზრით, ტექსტიდან ამოვარდნილი მეოთხე მსაზღვრელი „არაგვის“ მეწყვილე უნდა ყოფილიყო. თუმცა მას გაურკვევლად მიაჩნია არაგვიდან რის თავამდე (ანუ დასაწყისამდე) თუ შესართავამდე ვრცელდებოდა კუხეთის საზღვრები და ამიტომ დაასკვნა, რომ „შესაძლებელია აქ „თავადმდე“ თავიდან სრულებითაც არა ყოფილა და ლეონტი მროველის თავდაპირველი ტექსტი ასეთი იყო: „ხოლო კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქუიან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე მთასა კახეთისასა და მტკუარს შუა“¹.

ე. ხოშტარიას აზრით კი სიტყვა „თავადმდე“ უნდა დაუკავშირდეს სწორედ „ჰერეთს“ და არა „მთასა კახეთისასა“-ს. ამდენად მისთვის სრულიად მისაღებია რუმინცვესეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებში მოცემული „ჰერეთის“ ჩამატება, ოღონდ გარკვეული სახეცვლილებით: „მისცა არაგვითგან ვიდრე თავადმდე ჰერეთისა მთასა კახეთისასა და მტკუარს შუა“².

როგორც ვხედავთ, ერთი მხრივ, ადღეულის ამ ორ უკანასკნელ ვარიანტსა და მეორე მხრივ „ქართლის ცხოვრების“ „ჰერეთიან“ ნუსხებს შორის რაიმე მნიშვნელოვანი შინაარსობრივი განსხვავება არ შეინიშნება. დასახელებული ორი მკვლევარის შესწორებაში განსხვავება გამოიხატება მხოლოდ სიტყვა „თავადმდე“-სთან დამოკიდებულებაში – ე. ხოშტარიამ იგი ჰერეთს მიუსადაგა, მაშინ როცა დ. მუსხელიშვილმა „თავადმდე“ ზედმეტად მიიჩნია და საერთოდ უგულვებელყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საზღვრებთან დაკავშირებით „თავადმდე“ მიემართება ან მთას ან მდინარეს (როგორც მდინარის სათავის ან მთაგრეხილის დასაწყისის აღმნიშვნელი), მაგრამ არცერთ შემთხვევაში – ქვეყანას. გაურკვეველია, რა შეიძლება იგულისხმებოდეს სიტყვებში – „თავადმდე ჰერეთისასა“. ჰერეთის დასაწყისი მეტისმეტად არადამაჯერებელია. ვფიქრობ, სიტყვათა შეთანხმების – „თავადმდე ჰერეთისა“-ს მიზანშეწონილობა ძალზე საეჭვოდ გამოიყურება. ამასთანავე საჭიროებს ახსნას: როგორ და გარემოების გამო აღმოჩნდა ტექსტში ამ ადგილას სიტყვა „თავადმდე“, თუ ეს სიტყვა მანამდე აქ საერთოდ არ არსებობდა.

ლეონტი მროველის ცნობის გაგებისათვის

თუ წარმოვიდგენთ, რომ ლეონტი კუხეთის საზღვრებს ორ საპირისპირო წყვილად წარმოვიდგენს, ზოგადად „ჰერეთის“, როგორც არაგვის საპირისპირო წყვილის ჩასმა აქ შინაარსობრივად სწორი გამოდის³: თუ არაგვს კუხეთის დასავლეთ საზღვრად მივიღებთ, ჰერეთი მისი მოპირდაპირე, აღმოსავლეთი მხარის საზღვარი გამოვიდოდა. მაგრამ მანამდე ვნახოთ, რამდენად არის დამახასიათებელი ლეონტისათვის ქვეყნის საზღვრების გადმოცემისას საზღვრად სხვა ქვეყნის დასახელება. ასეთი სულ ორიოდ შემთხვევაა და ორივე ჯერზე, სხვათა შორის, სწორედ ჰერეთია ნახსენები: ქართლოსის ქვეყნის აღმოსავლეთი საზღვარი ყოფილა „ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისი“; კახოსის მიწა-წყალი კი ვრცელდებოდა „არაგვითგან ვიდრე ტყეცბადმდე, რომელ არს საზღვარი ჰერეთისა“: მაგრამ თუ პირველ შემთხვევაში მდინარე ბერდუჯთან ერთად ქართლის აღმოსავლეთ საზღვრად მართლაც ჰერეთია დასახელებული, მეორეში – ასეთად მითითებულია ტყეცბა, როგორც სასაზღვრო პუნქტი ჰერეთთან და არა თვითონ ჰერეთი. ე.ი. ასეთი სულ ერთადერთი შემთხვევა გვაქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ლეონტისათვის საზღვრად ქვეყნის დასახელება ზოგადად დამახასიათებელი არ არის⁴. ჩვეულებრივ, ლეონტი არ მიუთითებს ქვეყნის საზღვრად მეორე ქვეყანას და ჩანს, იმ მიზეზით, რომ ასეთ დროს გაურკვეველი დარჩებოდა, მაინც სად გადიოდა საზღვარი ამ ორ ქვეყანას შორის, რის ჩვენებასაც ისახავს მიზნად მემატინე. ზემოდასახელებულ იმ ერთადერთ შემთხვევასაც ეძებნება ახსნა: ვფიქრობ, ქართლოსის ქვეყნის მიჯნად მეორე ქვეყნის (მდინარესთან ერთად) დასახელებით ქართლის აღმოსავლეთი საზღვარი შედარებით ზოგადი შტრიხებითაა მითითებული, ვინაიდან ამ მონაკვეთის საზღვრის მონახაზს ლეონტი უფრო დეტალურად გადმოგვცემს იქვე, ქართლში შემავალი ქვეყნების: კახეთისა და კუხეთის საზღვრების შესახებ საუბრისას და მასზე მეორე-

¹ დ. მუსხელიშვილი, *ციხე-ქალაქი უჯარმა...*, გვ. 20; მისივე, *კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები...*, გვ. 57-58.

² ედ. ხოშტარია, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 174.

³ შდრ. იქვე, გვ. 173.

⁴ ლეონტის მიერ ჰერეთის საზღვრად ჩვენების სწორედ ამ შემთხვევას იშველიებს დ. მუსხელიშვილი თავისი ზემოაღნიშნული ვარაუდის გასამყარებლად (დ. მუსხელიშვილი, *ციხე-ქალაქი უჯარმა...*, გვ. 21).

ჯერ საგანგებოდ შეჩერებას საჭიროდ აღარ მიიჩნევს. ამ უკანასკნელთა აღმოსავლეთი საზღვრებიც ხომ ამასთანავე ქართლის სახელმწიფოს აღმოსავლეთ საზღვარსაც წარმოადგენდა.

ეხლა ვნახოთ, რამდენად არის ლეონტისათვის დამახასიათებელი ქვეყნის საზღვრების ორ საპირისპირო წყვილად წარმოჩენა. საზღვრები „მეფეთა ცხოვრებაში“ მართლაც ხან ქვეყნის მხარეების (დასავლეთი, აღმოსავლეთი და ა.შ.) მიხედვით არის მოცემული (მაგ., გარდაბოსის წილი)¹, ხანაც – საპირისპირო მსაზღვრელების მიხედვით (მაგ., კახოსის წილი). მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევებში საზღვრები ოთხივე მხრით, ანდა ორი საპირისპირო წყვილის სახით სულაც არ არის მოცემული. ხშირად ერთ-ერთი საზღვარი (ჩვეულებრივ, კავკასიონის ქედი) უბრალოდ იგულისხმება (მაგ., ჰეროსისა და მოვაკანის ქვეყნები) ან ბოლომდე გაურკვეველია (მაგ., ბარდოსის ქვეყანა). ხანაც საზღვრები მხოლოდ ორი მსაზღვრელის საშუალებით არის გადმოცემული. ამის ნიმუშია გაჩიოსის ქვეყნის საზღვრები: „სკურეთის მდინარითგან ვიდრე თავადმდე აბოცისა“².

მაშასადამე, ლეონტი ქვეყნების საზღვრების ყოველთვის ცალსახად ოთხივე მხრით არ წარმოგვიდგენს³. ეს თავისთავად საეჭვოდ აქცევს ჯერ ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმულ და შემდეგ ჩვენს ისტორიოგრაფიაში დღემდე გაზიარებულ დებულებას, რომ კუხეთის საზღვრების ჩვენებისას მარიამისეული ნუსხის პირში რომელიღაც (აღბათ აღმოსავლეთი) მსაზღვრელი გამორჩენილია⁴.

ასეთ ვითარებაში არ უნდა გამოირიცხოს აღნიშნულ ნუსხაში კუხეთის საზღვრების მონაცემების იმდაგვარად წაკითხვა, რომ რაიმე ჩამატების გარეშე შეიქმნას შეძლებისდაგვარად სრული შთაბეჭდილება მის ირგვლივ. ვნახოთ, რამდენად იძლევა ამის შესაძლებლობას ტექსტის შესაბამისი მონაკვეთი.

მაშ ასე, კიდევ ერთხელ გადავხედოთ წყაროს (ტექსტი მოგვყავს ორიოდ აშკარა კალმის-მიერი შეცდომის გასწორებით: „კახოსს“ – „კუხოსს“, „ვერითგან“ – „არაგვითგან“). აქ წერია: „კუხოსს მისცა ბოსტან ქალაქი, რომელსა აწ ჰქუიან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე თავადმდე მთასა კახეთისასა და მტკუარს შუა.“ აქ ჩანს სამი მსაზღვრელი: არაგვი, კახეთის მთა და მტკვარი. საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა მთელი ძალისხმევა კი მიმართული იყო მეოთხე მსაზღვრელის დადგენისაკენ. ვინაიდან ისტორიულ-გეოგრაფიული გამოკვლევით დადგინდა, რომ აქ კახეთის მთა ამჟამინდელ ზედაზნის ანუ იაღნო-საგურამოს ქედს წარმოადგენს და ეს უკანასკნელი მტკვართან ერთად კუხეთის საზღვრის ორ საპირისპირო, ჩრდილოეთ და სამხრეთ საზღვრებს წარმოადგენს, საძიებელ ობიექტად იქცა არაგვის მოპირდაპირე, აღმოსავლეთი მსაზღვრელი. მაგრამ რამდენადაა შესაძლებელი არაგვი კუხეთის დასავლეთი საზღვარი იყოს, როცა იგივე მდინარე ამავე დროს იმავე მემბტიანის მიერ კახეთის დასავლეთ საზღვრადაც არის მითითებული? ვერ გავიზიარებ მოსაზრებას, რომ არაგვის ქვემო წელი ჟინვალთან მოკიდებული კუხეთის საზღვარია, აქედან ზემოთ კი (თეთრი არაგვი) კახეთის საზღვარს წარმოადგენს⁵. ეს შეხედულება ვახუშტის მიერ კახეთის მთის თავისებურ, თავის წყაროსაგან განსხვავებულ ლოკალიზაციაზეა დამყარებული და სხვა საფუძველი მას არ გააჩნია⁶.

ვფიქრობ, მემბტიანე აქ კუხეთის საზღვრების არა ორ, არამედ ერთ წყვილს წარმოგვიდგენს: ერთი მხრივ არაგვი-კახეთის მთა და მეორე მხრივ მდინარე მტკვარი. თუ კუხეთის ჩრდილოეთი საზღვარი იაღნო-საგურამოს ქედია, როგორც ეს უკვე გარკვეულია, მის ჩრდილოეთით კუხეთის მიწა-წყალი აღარაა სავარაუდებელი (იქით უპირობოდ კახეთის ტერიტორიაა საგულევბელი). მაშასადამე, კუხეთის მიჯნად არაგვის მხოლოდ შესართავი (ან მისი მოკლე მონაკვეთი მტკვართან შესართავის მიდამოებში) რჩება. ეს კი ნიშნავს, რომ ტექსტში საზღვრის აღმნიშვნელად იქ სადაც არაგვია ნახსენები უნდა ვიგულისხმოთ არა როგორც მდინარის ხაზი, არამედ როგორც პუნქტი – არაგვის შესართავის მიდამოები.

აქ უცილობლად იშვება კითხვა: მაშინ რატომ არ მიუთითებს მემბტიანე არაგვის შესართავს („არაგვის შესართავითგან“), როგორც ამას სხვა შემთხვევებში აკეთებს, როცა მდინარეთა შესართავთან ათავსებს საზღვარს (მაგ.: „ხოლო მოვაკანს მისცა მტკუარსა ჩრდილოეთ, მცირი-

¹ ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6-7.

² ქართლის ცხოვრება, I., გვ. 9.

³ შდრ. დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა..., გვ. 21, შენ. 55. ამ მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ არ ვიზიარებ კუხეთის საზღვრების ჩვენებაში ივ. ჯავახიშვილის მიერ „აღაზნის“ ჩამატების მართებულობას, ამავე დროს აღნიშნული ვერსიის საწინააღმდეგო არგუმენტად მიუღებლად მიმჩნია მოსაზრება, რომ ამ შესწორებით კუხეთის საზღვრები მხოლოდ ორ ხაზზეა წარმოდგენილი, ხოლო „ჩრდილოეთის და სამხრეთის საზღვრები აქ არაა მოცემული, რასაც ლეონტი მროველი აღუნიშნავს არ დატოვებდა“ (ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 7).

⁴ შდრ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40, ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 7-8, ედ. ხოშტარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 173, დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა..., გვ. 20.

⁵ შდრ. დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა..., გვ. 20.

⁶ იხ. დ. მერკვილაძე, კახეთის, კუხეთისა და ჰერეთის საზღვრების შესახებ ლეონტი მროველის ცნობების ვახუშტი ბატონიშვილისეული ინტერპრეტაცია, ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი (თბილისი, 2014).

სა ალაზნის შესართავითგან ვიდრე ზღუადდე“? როგორც ლეონტის საზღვრების ჩვენებებზე დაკვირვება გვიჩვენებს, მემატთანე შესართავს მიუთითებს, როგორც დამოუკიდებელ სასაზღვრო წერტილს. კუხეთის შემთხვევაში კი, საფიქრებელია, არაგვის შესართავს კახეთის მთასთან მთლიანობაში წარმოადგენს, როგორც ერთიან სასაზღვრო ხაზს (და არა ცალკეულ პუნქტს. ამასთან კუხეთის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი შესაძლებელია მტკვარ-არაგვის შესართავიდან არაგვის დინების აყოლებით კიდევ მცირე მანძილზეც ვრცელდებოდა).

აქვე კიდევ ერთხელ წამოიჭრება საკითხი, როგორ შეიძლება გავიგოთ სიტყვები – „თავადმდე მთასა კახეთისასა“. მთავრეხილის თავი თავისუფლად შეიძლება ეწოდოს მის ორივე კიდეს, ვინაიდან მათა სისტემას, მდინარისაგან განსხვავებით, ერთმანეთისაგან ცალსახად გამორჩეული დასაწყისი ან დასასრული არ გააჩნია. მას შემდეგ, რაც გაირკვა „მეფეთა ცხოვრების“ „კახეთის მთის“ ზედაზნის ქედთან მიმართების საკითხი, მკვლევართა უმრავლესობამ აღნიშნულ სიტყვებში დაინახა ამ ქედის დასავლეთი კიდე. ამიტომაც კუხეთის საზღვრებზე ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად ტექსტში ცვლილებების შეტანა მოუწიათ. მაგრამ ზედაზნის ქედის დასავლეთი ბოლო იმდენად ახლოს მდის არაგვთან, საზღვრების წარმოსადგენად ტექსტში მათი ცალკე წყვილად დასახვა ყოველგვარ აზრს მოკლებული ხდება. ვფიქრობ, უპრიანი იქნება „თავადმდე მთასა კახეთისასა“-ში დავინახოთ ქედის მეორე, აღმოსავლეთი ბოლო¹. აი, მაშინ ცხადად მივიღებთ საზღვრების შესაბამის საპირისპირო წყვილს: არაგვი-კახეთის მთა და მდ. მტკვარი. კუხეთი მდებარეობდა ერთი მხრივ არაგვიდან, კერძოდ არაგვის იმ ადგილიდან, სადაც მას თავს ადგას ზედაზნის მთა (ანუ მასთან ყველაზე ახლოს მდის ქედის დასავლეთი კიდე), მთელი ქედის სიგრძეზე მის უკიდურეს აღმოსავლეთ კიდემდე გაყოლებულ ხაზსა და მეორე მხრივ, მდ. მტკვარს შორის მდებარე მიწა-წყალზე.

არ უნდა დაგვრჩეს შთაბეჭდილება, რომ საზღვრების ამ სახით წარმონეხა მასზე ასე თუ ისე სრული წარმოდგენის შესაქმნელად საკმარისი არაა. მისი საშუალებით ჩვენ ვარკვევთ კუხეთის არა მარტო ჩრდილოეთ (ზედაზნის ქედი) და სამხრეთ (მტკვარი) საზღვრებს, არამედ დასავლეთ საზღვარსაც, რომელსაც მემატთანე სრულად გვიხაზავს მდინარე მტკვრის დასახელებით. თვალნათელია, რომ მტკვარი, მისი დინების მიმართულების ცვალებადობის შესაბამისად, წარმოადგენდა ამ ქვეყნის ერთდროულად დასავლეთ და სამხრეთ საზღვარსაც. რაც შეეხება აღმოსავლეთ მიჯნას, ამის აღმნიშვნელი ცალკე აღებული პუნქტი ან რაიმე გეოგრაფიული ერთეული მითითებული არ არის. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ლეონტი ყოველი მხარის საზღვარს ყოველთვის პირდაპირ არ ასახელებს. ხშირად ასეთი საზღვარი მეტ-ნაკლები სიცხადით იკითხება ქვეტექსტში. ამ შემთხვევაში კუხეთის აღმოსავლეთი საზღვარი უნდა დავინახოთ „კახეთის მთის“ აღმოსავლეთ კიდესა და მდ. მტკვრის შემავრთებელ ჩრდილოეთ-სამხრეთ ხაზზე. იმის დასადგენად, უფრო ზუსტად თუ სად გადიოდა ეს პირობითი ხაზი, საჭიროა გავარკვიოთ, რომელი კონკრეტული ადგილი იგულისხმება „თავადმდე მთასა კახეთისასა“-ში, ანუ აღმოსავლეთით სადამდე ვრცელდებოდა ლეონტის „კახეთის მთა“².

ამრიგად, ტექსტში ყოველგვარი ზედმეტი ჩამატებების გარეშე (რაც ტექსტზე ძალადობის სახეს იძენს ხოლმე) შესაძლებელია გარკვევით ამოვიკითხოთ კუხეთის საზღვრები და გავიგოთ, როგორ და რა საშუალებებით ცდილობს მემატთანე მკითხველის წინაშე მის წარმოდგენას. დამატებითი მეოთხე მსაზღვრელის არსებობა კი თავდაპირველ ტექსტში საგულვეტბელი არ უნდა იყოს. შესაბამისად, ფუჭია ყოველი ძალისხმევა ასეთი მსაზღვრელის ძიებისა და მისი ჩამატებით ტექსტის აღდგენისა.

ბიბლიოგრაფია

1. ვახუშტი ბაგრატიონი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1973).
2. ვახუშტი ბაგრატიონი, *საქართველოს ატლასი (XVIII ს.)* (თბილისი, 1997).
3. ნ. ბერძენიშვილი, ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული მოვლენის გამო, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, წ. I (თბილისი, 1964)

¹ ამგვარადვე წაუკითხავს ეს ცნობა ლ. ჭილაშვილსაც (ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 9, შენ. 1), მაგრამ იმის გამო, რომ ამ მონაცემში საზღვრების მე-2 წყვილი არსებობა აუცილებლად ესახებოდა, ტექსტის ჩასწორების თავისი ვარიანტი შემოიტანა.

² ამ საკითხს განვიხილავ შემდეგ პუბლიკაციაში კუხეთის ტერიტორიისა და საზღვრების დაზუსტების ფარგლებში.

4. ლეონტი მროველი, *მეფეთა ცხოვრება*, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1955).
5. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან (კახეთის სამთავრო VIII-IX სს.), *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ. 31 (თბილისი, 1954).
6. დ. მერკვილაძე, კახეთის, კუხეთისა და ჰერეთის საზღვრების შესახებ ლეონტი მროველის ცნობების ვახუშტი ბატონიშვილისეული ინტერპრეტაცია, *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი* (თბილისი, 2014).
7. *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I (V-X სს.), ი. აბულაძის რედ. (თბილისი, 1963).
8. დ. მუსხელიშვილი, კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII-XIII სს-ში, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*, III (თბილისი, 1967).
9. დ. მუსხელიშვილი, *ციხე-ქალაქი უჯარმა (ივერია-აღვანეთის ურთიერთობის ისტორიიდან)* (თბილისი, 1966).
10. *ქართლის ცხოვრება*, ანა დედოფლისეული ნუსხა, დასაბეჭდად მოამზადა ფილოლოგიის განყოფილებამ ს. ყაუხჩიშვილის რედ. (თბილისი, 1942).
11. *ქართლის ცხოვრება*, დასაბამითგან *მეათცხრამეტე საუკუნემდე*, მ. ბროსეს გამოც., ნაწილი პირველი, ძველი მოთხრობა, 1469 წლამდის ქრისტეს აქეთ (პეტროგრადი, 1923).
12. *ქართლის ცხოვრება*, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, [წიგნი პირველი (ტფილისი, 1897)].
13. *ქართლის ცხოვრება*, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით (ტფილისი, 1906).
14. *ქართლის ცხოვრება*, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი (თბილისი, 2008).
15. *ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი*, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევიითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ (თბილისი, 1953).
16. ლ. ჭილაშვილი, *ქალაქი რუსთავი (ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი)* (თბილისი, 1958).
17. ე. ხოშტარია, ძველი ქართული საისტორიო წყაროების „კახეთის მთის“ ლოკალიზაციისათვის, *კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები* (თბილისი, 1966).
18. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II (თბილისი, 1983).

DAVID MERKVILADZE

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

UNDERSTANDING LEONTI MROVELI'S DATA ABOUT TERRITORY AND BORDERS OF KUKHETI

The old Georgian historian Leonti Mroveli gives an outline of the boundaries of the old Kukheti country indicating the borders of one of the Georgians' ethnarch Kukhosi's lands. Among the manuscripts of "Life of Kartli" created before the 18th century, the mentioned episode is preserved in the manuscript made by the order of the Queen of Kartli - Mary.

The researchers attempted to understand Kukheti's boundaries by adding the different locators in the text. So the interpretations of the text nowadays is very diverse. In the present article complete analyses in detail each of the interpretations is given.

Because Leonti Mroveli did not presents borders of the countries always uniquely with all four sides, the common idea that one determinant of the border is missing in the manuscript, can be disputed.

The chronicle presents borders of Kukheti country not two, but with one pair of determinants: it's river Aragvi and Kakheti range on the one hand and the river Mtkvari (Kura) on the other.

In this way we can find out not only the North (Zedazeni ridge) and the South (Mtkvari river) borders of the country, but also the West one (Mtkvari river again). The East border of Kukheti should be imagined on the line from North to South connecting the very Eastern side of "Kakheti mountain" and river Mtkvari.

Thus, Kukheti boundaries can be clearly seen without any extra additions to the text. Forth determinant in the original text should not be supposed.

სხეულის ღამცავი საშუალებები
ბზინი შუასაუკუნეების საქართველოში*

ჯაჭვის აბჯრის გაძლიერების მეთოდები.

XIV საუკუნის მანძილზე შეიმჩნევა დაცვითი აღჭურვილობის გაძლიერების გლობალური ტენდენცია, რომელიც საერთოა ევროპისა და აზიისათვის. ევროპასა და აზიაშიც ჯაჭვის აბჯარს ლითონის ფირფიტებით აძლიერებენ და ანაცვლებენ. XIV საუკუნეში ევროპაში მიმდინარეობს მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტები აბჯარზე, რომელიც მიზნად ისახავს უფრო ეფექტური დაცვის შემუშავებას¹. ეს პროცესი XV საუკუნის დასაწყისში (1410-20) სრული ფირფიტოვანი აბჯრის შექმნით დასრულდა და ევროპა ჯაჭვს თავს ანებებს. ორი საუკუნის განმავლობაში ევროპელი რაინდი თავით-ფეხებამდე საუკეთესო ფირფიტოვანი აბჯრით დაფარული იბრძვის. არსად სხვაგან მსოფლიოში, არც ერთ კულტურას არ შეუქმნია ასეთი ჰომოგენური ფოლადის აბჯარი². აღმოსავლეთში, ფირფიტოვანი აბჯრის განვითარება ლამელარს, ბეგთარს და ჩარაინას ვერ გაცდა³. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, არ გახლავთ ევროპული სრული აბჯრის ყბადღებული „სიმძიმე“ ან გაზვიადებული „მოუქნელობა“⁴. აზიელი მხედრები, მათ შორის ქართველებიც, არანაკლებ მძიმე თავდაცვითი აღჭურვილობის მთელ კომპლექსს ატარებდნენ, რომელიც საერთო სიმძიმით ხანდახან აღემატებოდა კიდევ ევროპულს (ჯაჭვზე ჩაცმული ლამელარი ან, მოგვიანებით, ჯაჭვის აბჯარზე დამატებული ჩარაინა, სამკლავე და სავიოვე). უკვე დამკვიდრებული ტრადიციების გარდა, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც აზიაში ვერ შეიქმნა სრული ფირფიტოვანი აბჯარი, ევროპასთან შედარებით ტექნოლოგიური ჩამორჩენა გახლდათ. აზიური რკინა ორი მიზეზის გამო არ გამოდგებოდა აბჯრის დიდი ფურცლების დასამზადებლად: 1) აზიის ქურებში გამოდნობილი რკინის გუნდა (ლუგვი) პატარა იყო და ბევრ წიდას შეიცავდა. ევროპული აბჯრის ფურცლების დამზადებას, სულ ცოტა, 10-კილოგრამიანი რკინის ლუგვი სჭირდებოდა; 2) ამასთანავე, პატარა მოცულობის აზიურ ქურებში გამოდნობილი რკინა, წილის მაღალი შემცველობით, მყიფე იყო და დიდი ფურცლის დასამზადებლად არ ვარგოდა⁵. საჭირო რაოდენობისა და ხარისხის ფოლადის ნედლეულის დამზადება იყო ერთ-ერთი ძირითა-

* ნაშრომი რედაქციაში შემოვიდა 2015 წელს.

¹ Thordeman Bengt, *Armour from the Battle of Wisby* (Uppsala, 1939), p. 301-302.

² Williams Alan, *Ottoman Military Technology: The Metallurgy of Turkish Armour, War and Society in the Eastern Mediterranean, 7th-15th Centuries*, Ed. by Yacoov Lev (Leiden, 1997), p. 371; მისივე, *The Metallurgy of Medieval Arms and Armour, A Companion to Medieval Arms and Armour*, Ed. by D. Nicolle (Woodbridge, 2002), p. 51.

³ ისინი ხარისხობრივადაც ჩამოუვარდებოდნენ ევროპულ ფირფიტოვან აბჯარს. აღმოსავლური აბჯრის დაწვრილებითი მეტალურგიული კვლევა და შეფასება იხ. ა. უილიამსის ნაშრომში: Williams Alan, *Ottoman Military Technology: The Metallurgy of Turkish Armour*, p. 361-398.

⁴ ა. უილიამსის კვლევებმა ცხადყო, რომ გაერცვლებული მითი ფირფიტოვანი აბჯრის სიმძიმის ან მოუქნელობის შესახებ მცდარია. Williams A. R., *Metallographic Examination of 16th-century Armour, Bulletin of the Historical Metallurgy Group*, 6 (1972), p. 15. ფირფიტოვანი აბჯარი ჯაჭვის სრულ კომპლექსზე ცოტათი მძიმე თუ იყო და მასთან შედარებით თანაბრად განაწილებული წონით გამოირჩეოდა, რაც მფლობელს დიდ თავისუფლებას ანიჭებდა. მეტროპოლიტენის მუზეუმში ჩატარებულმა ცდებმა აჩვენა, რომ ფირფიტოვანი აბჯრით აღჭურვილ ადამიანს თავისუფლად შეეძლო სირბილი, ხტომა, მიწაზე დაწოლა ან ადგომა. Wise Terence, *Medieval Warfare* (New York, 1976), p. 48. თანამედროვე ექსპერიმენტებით ასევე დადასტურებულია, რომ სრულ ფირფიტოვან აბჯარში ჩამჯდარი ადამიანი უფრო მობილურია, ვიდრე გრძელი ჯაჭვით და ფართო აღჭურვილი მისი მოწინააღმდეგე. Vale Malcolm, *War and Chivalry: Warfare and Aristocratic Culture in England, France and Burgundy at the End of the Middle Ages* (London, 1981), p. 119; Clements J., *Wielding the Weapons of War: Arms, Armor and Training Manuals During the Later Middle Ages, The Hundred Years War: A Wider Focus*. Ed. by L. J. Andrew Villalon and Donald J. Kagay (Leiden, 2005), p. 464-466. ფირფიტოვანი აბჯრის ძირითადი პრობლემა ორგანიზმის გადახურება იყო. Wise Terence, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 49; Vale Malcolm, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 119; Nicolle David, *Medieval Warfare Source Book: Warfare in Western Christendom* (London, 1999), p. 188; მისივე, *Fighting for the Faith: The Many Fronts of Medieval Crusade and Jihad 1000-1500 AD* (Barnsley, 2007), p. 134.

⁵ Williams Alan, *The Metallurgy of Medieval Arms and Armour...*, p. 51-52.

დი შემზღუდავი ფაქტორი აბჯრის განვითარებისათვის შუა საუკუნეებში¹. საჭირო რაოდენობის ფოლადის დამზადების პრობლემა დასავლეთ ევროპაში სხვადასხვა ტექნიკური ინოვაციის ფართოდ დანერგვით გადაიჭრა. XII საუკუნიდან ევროპაში ფართოდ იყენებენ წყლის ბორბალს, რომელიც საბერველს და სამჭედლო უროს ამოძრავებდა და ხელით შრომას გარკვეულწილად მექანიკურით ანაცვლებდა. მჭედლისაგან განსხვავებით, მექანიკურ უროს ბევრად დიდი ზომის რკინაზე ზემოქმედება შეეძლო. ბრძმელის შემოღებამ კი, რომელიც 1340 წლიდან მაინც გამოიყენება ევროპაში, შესაძლებელი გახდა მაღალ ტემპერატურაზე (+1500°C) რკინის გამოდნობა და ლითონისა და წილის განცალკევება².

მიუხედავად ამისა, აზიაში მიმდინარე აბჯრის გაძლიერების პროცესმა მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო და სხეულის ცალკეული ნაწილები ლითონის ფირფიტებით შეიმოსა. შედეგად, აზიური თავდაცვითი კომპლექსი დიდად არც ჩამორჩებოდა ევროპულს. XIV საუკუნეში აზიურ ჯაჭვის აბჯარს ემატება ლითონის ფირფიტისაგან დამზადებული სამკლავე და საწვივე; XV საუკუნეში ჩნდება კომბინირებული ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯარი – ბეგთარი; XVI საუკუნეში კი მათ რიცხვს დაემატა მთლიანფირფიტოვანი ჩარ-აინა.

პოლოტიკი.

ძირითადი აბჯრის გასაძლიერებლად მებრძოლის მკერდის დაფარვას მთლიანი ლითონის ფირფიტით წინა აზიაში ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში მიმართავდნენ. შუა საუკუნეებში განსაკუთრებით პოპულარული იყო დისკოს ფორმის ფირფიტები, რომლებიც ხშირად გვხვდება XIII-XIV საუკუნეების ირანულ მინიატურებზე გამოსახულ მონღოლურ აბჯარზე³ აბჯრის გასაძლიერებელი ლითონის დიდი დისკოები შეინიშნება, აგრეთვე, XIII საუკუნის *ვარკა და გულშას* აზერბაიჯანულ მინიატურებზე⁴. 1300 წლისათვის რუსულ მინიატურაშიც ჩნდება მკერდის დასაცავი მოზრდილი ფირფიტები, რომელსაც აბჯარზე ზემოდან იმაგრებდნენ⁵. დისკოსებურთან ერთად ირანში შეიმჩნევა მართკუთხა ფორმის ფირფიტებიც, რომლის გამოსახულებას ვპოულობთ XIV საუკუნის 30-იანი წლების შირაზულ მინიატურაზე. მათ ყოველთვის სხეულის სხვა აბჯარს ზემოთ იკეთებდნენ⁶.

ლითონის ფირფიტებს, რომელსაც სხეულის დასაცავად იყენებდნენ, ქართულად *პოლოტიკი* ეწოდება. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ *პოლოტიკი* არის „რკინის ფიცარი ბრძოლაში მკერდთა და ღლიათა დასაკრავი; პოლოტიკი ეწოდების ბრტყელთა რკინათა საომრად საფარად მკერდთა (და ღლიათა), გინა სხვათა სასიკვდილოთა და დიდად სატკივართა ადგილთა დასაკრავთა“⁷. საბას განმარტებით, *პოლოტიკი* ლითონის ფირფიტაა, რომელსაც სხეულის ყველაზე მოწყველადი ადგილების დასაფარად იყენებენ. როგორც ჩანს, ეს ტერმინი XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე იკიდებს ფეხს, ფირფიტოვანი აბჯრის პირველი ნიმუშების შემოღების კვალდაკვალ: „ვეფხისტყაოსანში“ *პოლოტიკი* არ გვხვდება, მის ნაცვლად გამოყენებულია *რკინანი* („ჯაჭვნი მაბიან, რკინანი!“)⁸, „ამირანდარეჯანიანში“ კი *რკინანი* იშვიათი⁹ და ხშირად გვხვდება *პოლოტიკნი რკინანი*¹⁰.

¹ Johnson Craig, Some Aspects of the Metallurgy and Production of European Armor, *Armored Proceedings Symposium Notes*, The Oakeshott Institute (Minneapolis, 2002). <http://www.oakeshott.org/metal.html> (accessed 8 February 2014).

² Richardson Harry Craig, Iron, Prehistoric and Ancient, *American Journal of Archaeology*, vol. 38, N 4 (1934), p. 573, n. 4; Fisher Douglas Alan, *The Epic of Steel* (New York, 1963), p. 27-29.

³ Бобров Л. А., Худяков Ю. С., Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья, *Военное дело nomadov Северной и Центральной Азии* (Новосибирск, 2002), с. 124.

⁴ Gorelik Michael, Oriental Armour of the Near and Middle East from the Eight to the Fifteenth Centuries as Shown in Works of Art, *Islamic Arms and Armour*, Ed. by Robert Elgood (London, 1979), p. 34, fig. 64.

⁵ Кирпичников А. Н., Древнерусское оружие, вып. 3, доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв., *Археология СССР* (Ленинград, 1971), с. 21.

⁶ Горелик М. В., Ранний монгольский доспех (IX – первая половина XIV в.), *Археология, этнография и антропология Монголии* (Новосибирск, 1987), с. 184, рис. 9.1; Бобров Л. А., Худяков Ю. С., *Вооружение и тактика кочевников Центральной Азии и Южной Сибири в эпоху позднего Средневековья и раннего Нового времени (XV - первая половина XVIII в.)* (Санкт-Петербург, 2008) с. 125.

⁷ სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, ავტორგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. I (თბილისი, 1991), გვ. 628.

⁸ შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ (თბილისი, 2009), გვ. 840.

⁹ მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელი-შვილმა (თბილისი, 1967), გვ. 149. სავსებით სწორად შენიშნავს გ. აკოფაშვილი, რომ „ამირანდარეჯანიანში“ და „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებული „რკინანი“ ნიშნავს რკინის ფირფიტებს, რომლებიც ჯაჭვთან ერთად იცავს მეომრის სხეულს: გ. აკოფაშვილი, *რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში* (თბილისი, 1992), გვ. 43.

¹⁰ მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, გვ. 67, 167, 169, 249, 358, 478, 560.

თავდაპირველად, როდესაც ლითონის ფირფიტები ახალი გამოჩენილი იყო, მათ აბჯრის ქვეშაც იმაგრებდნენ. შერკინების წინ ამირან დარეჯანისძემ „ითხოვნა პოლოტიკნი რკინანი და აბჯრისა ქუეშე დაიპყრნა უჩინრად“¹. როგორც ვხედავთ, XIII საუკუნისათვის საქართველოში რკინის ფირფიტას ჯაჭვის ქვეშ იმაგრებდნენ. იგივე ხდება ამ პერიოდის ევროპაშიც. გიომ ბრეტონელი მოგვითხრობს, რომ ერთ ორთაბრძოლაში რინარდ ლომგულს და მის მოწინააღმდეგესაც ჯაჭვის ქვეშ რკინის ფირფიტები ეკეთათ, რაც ნიშნავს, რომ XIII საუკუნის დამდეგისათვის მაინც, ჯაჭვის აბჯარს უკვე აძლიერებდნენ².

პოლოტიკის გავრცელებასთან ერთად, მას, როგორც წესი, უკვე ჯაჭვის აბჯარზე ზემოდან იმაგრებდნენ, რაშიც „ამირანდარეჯანიანიც“ გვარწმუნებს: „შემოუტივა, ჰკრა ოროლი და გატეხნა იგი პოლოტიკნი რკინანი, აბჯარი და რაცა იყო ტანსა მისსა, ყუელა, და დაკოდა ცოტად“³. იარაღმა ჯერ რკინის ფირფიტა გატეხა, შემდეგ გახვრიტა ჯაჭვის აბჯარი, მის ქვეშ საცვამი და პატრონიც დაჭრა. ასეთივე თანმიმდევრობითაა აბჯარი ჩამოთვლილი სხვა ეპიზოდებშიც: „გაუტეხნა პოლოტიკნი რკინანი, ჯაჭუი და ჯავშანი და მკერდსა დიდი შეჰკუთა“⁴. ცხადია, რომ აქ ლითონის ფირფიტა უკვე ჯაჭვზე ზემოდანაა დამაგრებული.

„ამირანდარეჯანიანიში“ შეინიშნება ერთი საინტერესო თავისებურებაც, რაც *პოლოტიკის* ახასიათებს: ბრძოლისათვის მზადების პროცესში ადამიანსა და ცხენსაც რკინის *პოლოტიკებს* ჰკიდებენ ანუ მათ სხეულზე ღვედებით ამაგრებენ. ასეთი მაგალითები ნაწარმოებში მრავლადაა: „სატკივართა ადგილთა პოლოტიკნი რკინანი დაიკიდნეს“⁵; „ეკიდნეს რკინანი სატკივართა ადგილთა თავისასა და ცხენისადაცა“⁶; „გამოვიდა მესამეცა ბუმბერაზი, დაეკიდნეს რკინანი ცხენისად სატკივართა ადგილთა და თუითცა ჩამოეკიდნეს რკინანი“⁷; „აწ ხვალე გაჯედ შენსა ცხენსა და დაიკიდნ პოლოტიკნი რკინანი სატკივართა ადგილთა, და მეცა აგრე ვიქმ“⁸; „შეჯდა იგი მისსა შავსა ტაიჭსა და დაიკიდნა პოლოტიკნი რკინანი“⁹; „შეეკაზმა, გამოვიდა, და ეკიდნეს პოლოტიკნი რკინანი სატკივართა ადგილთა“¹⁰. *პოლოტიკის* დაკიდება აბჯრის გაძლიერების ადრეულ სტადიაზე მიუთითებს, როდესაც რკინის ფირფიტები ჯაჭვში არ იყო ინტეგრირებული (ჩაქსოვილი), როგორც ეს ბეგთარის შემთხვევაშია და მას ჯაჭვს ზემოდან იმაგრებდნენ. ამ მხრივ ისიც საყურადღებოა, რომ აღნიშნული შემთხვევები „ამირანდარეჯანიანის“ ადრეულ რედაქციებში გვხვდება.

ტერმინი *პოლოტიკი* გვხვდება გვიანდელი ხანის ლიტერატურაშიც. ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის „ომანიანიში“ ვკითხულობთ: „მკერდსა ჰკრა, პოლოტიკი და ჯაჭვი ორივე გაუკვეთა და ზედან დაასვა“¹¹. აქ *პოლოტიკი* უკვე ჩარ-აინას ფირფიტა უნდა ვიგულისხმოთ, რადგანაც XVII საუკუნის ავტორი მისი ეპოქის რეალობას გადმოგვცემს.

პოლოტიკის, რომელიც არც დიდი გამომსახველობით ხასიათდებოდა და არც დამკვიდრებული იკონოგრაფიის ნაწილს წარმოადგენდა, მეტად მწირი გამოსახულებები მოგვეპოვება. ასეთია უბისის სამხრეთ კედელზე, XIV საუკუნის უკიდურესად სტილიზებულ ფრესკაზე წმ. გიორგის მკერდზე ღვედებით დამაგრებული მეტად ორნამენტული, რომბის ფორმის პოლოტიკი. გელათის ჩრდილოეთის კედელზე XVI საუკუნის ფრესკაზე წმ. თევდორე სტრატელატი მკერდზე მრგვალი პოლოტიკითაა წარმოდგენილი¹². ასეთივე, მკერდზე დამაგრებული მრგვალი პოლოტიკებია გამოსახული ორი წმინდა მებრძოლის ჯაჭვის აბჯარზე სოლომონ I-ის შეკვეთით 1779-80 წლებში გაკეთებულ ჩხარის კარედზე¹³ (სურ. 1აბგ).

ბეგთარი.

ჯაჭვის რგოლების და ლითონის ფირფიტების შეერთების პირველი ცდები შეინიშნება XIV საუკუნის მიწურულს – XV საუკუნის დასაწყისში. ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯრის სამშობლოდ ახ-

¹ იქვე, გვ. 249.

² Blair C., *European Armour, circa 1066 to circa 1700* (London, 1958), p. 37-38; DeVries Kelly, *Medieval Military Technology* (Peterborough, 1992), p. 75-76.

³ მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, გვ. 169.

⁴ იქვე, გვ. 249. იხ. აგრეთვე, გვ. 478.

⁵ იქვე, გვ. 67.

⁶ იქვე, გვ. 68-69.

⁷ იქვე, გვ. 149.

⁸ იქვე, გვ. 167.

⁹ იქვე, გვ. 167.

¹⁰ იქვე, გვ. 358.

¹¹ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომანიანი*, გამოსაცემად მოამზადა ლიანა კეკელიძემ (თბილისი, 1979), გვ. 53.

¹² გელათი: არქიტექტურა, მოზაიკა, ფრესკები (თბილისი, 1982), სურ. 73.

¹³ Чубинашвили Г. Н., *Грузинское чеканное искусство* (Тбилиси, 1959), с. 643, таб. 587.

ლო აღმოსავლეთი ითვლება, თუმცა ფირფიტებს ჯაჭვის რგოლებით პოულობენ XIV-XV საუკუნეების მიჯნის ოქროს ურდოს მებრძოლთა სამარხებშიც¹. ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯრის ყველაზე ადრეული გამოსახულებები XIV საუკუნის 70-იანი წლების ჯალაირიანთა ირანიდან გვაქვს, თავად აბჯრის ნაშთები კი ნაპოვნია ოქროს ურდოს ტერიტორიაზე, ნოვო-კუმაკის XIV საუკუნის შუახანების სამარხში და უსტ-ლაბინსკაიას XIV-XV საუკუნეების მიჯნის ყორღანში². კიდევ უფრო ადრინდელი შეიძლება იყოს ბარტიში (პერმის მხარე) აღმოჩენილი ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯარი, რომელიც XIII ს. მეორე ნახევრით – XIV ს. პირველი ნახევრით თარიღდება³.

XV საუკუნის მიწურულისათვის ირანულ მინიატურებზე მრავლად ჩნდება ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯარი. თუ XV საუკუნის დამლევის ირანულ მინიატურაში ლამინარული და ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯარი ჯერ კიდევ ერთად გვხვდება, XVI საუკუნეში მხოლოდ ამ უკანასკნელს გამოსახავენ. განსაკუთრებით ეს შეინიშნება ჩრდილოეთ ირანში და ემთხვევა სეფიანთა დინასტიის გაძლიერებას. XVI საუკუნეში, სეფიანთა მიერ ირანის დაპყრობის კვალდაკვალ, თავდაცვით აღჭურვილობაში „მონღოლური ნიშნები“ ქრება და ყალიბდება საერთოირანული თავდაცვითი კომპლექსი, რომელიც საბოლოო სახეს XVII საუკუნეში იღებს⁴.

XV საუკუნეში ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯარი საბოლოოდ ყალიბდება ირანსა და ოსმალეთში, საიდანაც ვრცელდება აღმოსავლეთ ევროპასა და შუა აზიაში⁵. ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯარი ევრაზიის აღმოსავლეთ ნაწილში თავდაცვითი საჭურვლის განვითარების უმაღლეს საფეხურად ითვლება. მასში ფირფიტოვანი აბჯრის მაღალი დაცვითი თვისებები შერწყმულია ჯაჭვის სიმსუბუქესა და მოქნილობასთან⁶. ამავე დროს, რკინის ფირფიტების ჩამატება აჩქარებდა აბჯრის დამზადებასაც, რადგან ჯაჭვის ქსოვა ყოველთვის ხანგრძლივი პროცესი იყო⁷. ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯრის შემოდების შემდეგ ორი აბჯრის – ლამელარული და ჯაჭვის – ერთად ტარება საჭირო აღარ იყო⁸.

რუსული სამხედრო ტერმინოლოგია განასხვავებს ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯრის სხვადასხვა სახეებს: *бехтерец* (ბეგთარი) წარმოადგება სპარსული სიტყვისაგან *ბეგთურ*, *юшман* კი სპარსული სიტყვისაგან *ჯავშან*⁹. ბეგთარი და იუშმანი ერთმანეთისაგან ფირფიტების ზომით განსხვავდებიან. მათი უადრესი ნიმუშები გვხვდება 1370-80 წლების თავრიზულ და XIV საუკუნის დამლევის ბაღდადურ მინიატურებზე¹⁰. *ბეგთარი* წარმოადგენს ჯაჭვის რგოლებით შეერთებულ, ერთმანეთის გადაფარვით ვერტიკალურ ზოლებად აწყობილ პატარა ზომის მართკუთხა ფირფიტებს; ეს ზოლები, თავის მხრივ, ჯაჭვით იყო შეერთებული (სურ. 2). *იუშმანი* შუაში გასხნილი ჯაჭვის აბჯარია, რომელიც მკერდის არეში გაძლიერებული იყო დიდი ზომის მართკუთხა ფირფიტებით, ზურგი კი ბეგთარის ტიპის პატარა ფირფიტებით ჰქონდა აწყობილი. ორივე ეს აბჯარი ძვირად ფასობდა და ფართოდ იყო გავრცელებული ისლამურ სამყაროსა და ახლო აღმოსავლეთში¹¹. ბეგთარს 1500-მდე პატარა ფირფიტა სჭირდებოდა და მისი დაცვის ხარისხი მაღალი იყო, ადრეული ცეცხლსასროლი იარაღის წინააღმდეგაც კი. იუშმანი დაცვითი თვისებებით ცოტათი ჩამორჩებოდა ბეგთარს, თუმცა უფრო ადვილი დასამზადებელი იყო¹².

¹ Бобров Л. А., Худяков Ю.С., Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья..., с. 120.

² Горелик М. В., Монголо-татарское оборонительное вооружение второй половины XIV – начала XV в., *Куликовская битва в истории и культуре нашей Родины* (Москва, 1983), с. 247, рис. 1.4; მისივე, Ранний монгольский доспех (IX – первая половина XIV в.)..., с. 186.

³ Пастушенко И. Ю., Доспех-бехтерец из Бартынского I селища, *Вестник Удмуртского университета*, 3 (2010), с. 150-152.

⁴ Бобров Л. А., Худяков Ю.С., Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья..., с. 112-113.

⁵ Бобров Л. А., Худяков Ю.С., *Вооружение и тактика кочевников...*, с. 390.

⁶ Бобров Л. А., Худяков Ю. С., Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья..., с. 120. მაღალი საბრძოლო თვისებების გამო ჯაჭვ-ფირფიტოვანი კონსტრუქციას, ჯაჭვის უბრალო ზარადის ნაცვლად, იყენებდნენ მუზარადებშიც. ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯარი მუზარადებში გამოიყენება XV-XVI საუკუნეებიდან, როდესაც ის მყარად დასტურდება ოსმალურ საომარ აღჭურვილობაში. Кулешов Ю.А., О позднем защитном вооружении народов Северного Кавказа, *Военная Археология*, 1 (2008), с. 96.

⁷ Robinson H. Russell, *Oriental Armour* (New York, 1967), p. 11. ჯაჭვთან შედარებით ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯრის დამზადებას ორჯერ ნაკლები დროს სჭირდებოდა. Гордеев Н.В., Русский оборонительный доспех, *Сборник научных трудов по материалам Государственной оружейной палаты* (Москва, 1954), с. 96.

⁸ Nicolle David, *The Age of Tamerlane* (Oxford, 1990), p. 39. ჯაჭვ-ფირფიტოვანმა აბჯარმა ჩაანაცვლა ლამელარი და ასევე მიიღო მისი სახელწოდებაც – ჯავშანი. Gorelik Michael, *Oriental Armour...*, p. 48. არ არის გამორიცხული, რომ გვიანდელი ქართული წყაროებიც ჯავშანში ჯაჭვ-ფირფიტოვან აბჯარს გულისხმობდეს.

⁹ Кирпичников А. Н., *Военное дело на Руси в XIII-XV вв.* (Ленинград, 1976), с. 38-9; Бобров Л. А., Худяков Ю.С., Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья..., с. 120. გამორიცხული არ არის ბეგთარის მონღოლური წარმომავლობაც. Зайцев И.В., “Бектерь сыдавной”, *Батыр*, 1 (2010), с. 126.

¹⁰ Аствацатурян Э. Г., *Турецкое оружие* (Санкт-Петербург, 2002), с. 72.

¹¹ Бобров Л. А., Худяков Ю. С., Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья..., с. 120.

¹² Кирпичников А. Н., *Военное дело на Руси...*, с. 38-40.

ბეგთარი ქართულ ენაშიც ჯაჭვ-ფირფიტოვან აბჯარს აღნიშნავს და არა მთლიანფირფიტოვან აბჯარს, როგორც ეს ხშირად ეწმლება ხოლმე. ბეგთარი საბას მიხედვით „მორკინული საცმელია საომარი“¹. მართალია, ავტორი არ განმარტავს, თუ როგორია ეს „მორკინული საცმელი“, მაგრამ ცხადია, რომ საბა არ გულისხმობს მთლიანი რკინის ფურცლებისაგან შედგენილ აბჯარს (საცმელს), არამედ მხოლოდ ნაწილობრივ რკინის ფურცლოვანს ანუ მორკინულს. საბასთვის (და იმ ეპოქისათვის) უპირველესი საომარი საცმელი ჯაჭვი იყო ანუ საბასივე ტერმინოლოგიით რომ ვისარგებლოთ, ბეგთარი „მორკინული“ ჯაჭვია; ანუ, ბეგთარი კომბინირებული აბჯარია – ჯაჭვის პერანგი, რომელიც მოწყველად ადგილებში (მკერდი, ზურგი) გაძლიერებულია (მორკინულია) ბრტყელი რკინის ფირფიტებით (პოლოტიკით). ბეგთარი რომ ჯაჭვთან კომბინირებული ფირფიტოვანი აბჯარია და არა მთლიანი რკინის კირასა, ნათლად ჩანს „შაჰნამეს“ ქართული თარგმანიდან, სადაც ბეგთარი ჯაჭვის აბჯრის სახეობად არის წარმოდგენილი: „ჯაჭვი ბეგთარი დევ-ქაჯთა მას დღესა დაიხვევისა“². იგივე კონსტრუქცია გვაქვს ხალხურ პოეზიაშიც: „ჯაჭვი დაწყვიტა, ბექთარი, როგორც გუდაი შვლისაო“³. ცხადია, რომ ქართული ბეგთარი შეესაბამება სპარსულ ბეგთერს, რუსულ ბეხტერეცს და წარმოადგენს ჯაჭვ-ფირფიტოვან აბჯარს. ჩანს, საქართველოში ბეგთარს და იუშმანს არ განასხვავებდნენ.

ბეგთარისათვის დამახასიათებელი ჯაჭვ-ფირფიტოვანი დამაგრების ნიმუშები უკვე გვხვდება XIV საუკუნის მეორე ნახევრის H1665 დავითნის მინიატურებზე – სამუხლე ინტეგრირებულია ჯაჭვის საბარკულში, ჯაჭვის რგოლებითაა დამაგრებული აბჯარზე ფირფიტოვანი ქვედაბოლო და ქაფის ფირფიტაზე – აბჯრის სახელო (მანიკია). ლ. შერვაშიძე საერთოდ თვლის, რომ ამავე დავითნის რიგ მინიატურებზე (204r, 213v) მეომრების ჯაჭვზე გამოსახული რკინის ფირფიტები შესაძლოა ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯრის ნიმუშიც კი იყოს⁴. თუმცა, ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ ფირფიტები არ ფარავენ ყველაზე მოწყველად არეს მკერდზე, პირიქით, მის პერიფერიაზე არიან მოთავსებული; ასევე, გადაბმის ადგილებში არ ჩანს ჯაჭვის რგოლები, რომლებიც სხვა (ქაფის და ფირფიტოვანი ქვედაბოლოს დამაგრების) შემთხვევაში ყოველთვის ცხადად არის გამოკვეთილი.

ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯარი XV საუკუნის მეორე ნახევარში მაინც დანამდვილებით ექნებოდათ საქართველოში. ჯოსაფატ ბარბარო, რომელიც 1474-77 წლებში იმყოფებოდა ირანში, აღწერს აყ-ყოიუნლუს არმიის ცხენის აბჯარს, რომელიც ოქრო-ვერცხლით მოვარაყებული ფირფიტებისაგან შედგებოდა და ერთმანეთთან ჯაჭვის რგოლებით იყო დაკავშირებული⁵. ეჭვგარეშეა, რომ ბარბარო ჯაჭვ-ფირფიტოვან აბჯარს აღწერს. ამავე დროს, ცნობილია, რომ ქართველებიც იყვნენ უზუნ პასანის მოკავშირეები და მონაწილეობდნენ ოსმალებთან 1473 წლის ომში⁶. ცხადია, რომ ამ დროისათვის ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯარი ქართველებსაც ექნებოდათ. მით უმეტეს, რომ აყ-ყოიუნლუს არმიას ასეთი აბჯრებით კავკასიიდან ამარაგებდნენ. ბარბაროს მოწმობით, ჯაჭვ-ფირფიტოვან აბჯარს აკეთებდნენ ბესთენში, რომელიც მინორსკის მიხედვით დაღესტნური სოფელი ყუბაჩია⁷.

ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯრის გამოსახულებას ვხედავთ XV ს. II ნახევრის – XVI ს. დასაწყისის ბუგეულის მთავარანგელოზთა ეკლესიის სამსრეთის კედელზე – წმინდა თევდორეს აბჯარი ლითონის პატარა, ერთმანეთის გადაფარვით, ზოლებად შედგენილ ფირფიტებს წარმოადგენს, რომლებიც ერთმანეთთან ჯაჭვის რგოლებით უნდა იყვნენ შეერთებული (რგოლები ფრესკაზე გარკვევით არ იკითხება)⁸ (სურ. 3). ასეთი წყობის აბჯარი არ არის იკონოგრაფიულად კანონიკური, პრაქტიკულად არ გვხვდება ქართულ ხატწერაში და ახალი სახის (ჯაჭვ-ფირფიტოვანი) აბჯრის საქართველოში შემოსვლას უნდა აღნიშნავდეს.

ჩარ-აინა.

¹ სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, ტ. I, გვ. 100.

² შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ტ. I, ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ი. აბულაძემ (თბილისი, 1916), გვ. 1513.

³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. I (თბილისი, 2008), გვ. 1001.

⁴ Шервашидзе Л., *К вопросу о Средневековой Грузинской Светской Миниатюре (Миниатюры Батальной Тематики в Джрუцкой Псалтыри)* (Тбилиси, 1964), с. 58.

⁵ Travels of Josafa Barbaro, *Travels to Tana and Persia*. Translated from the Italian by William Thomas and S. A. Roy, ed. by Lord Stanley of Alderley (London, 1873); repr. (New York, 2009), p. 66.

⁶ Caterino Zeno, *Travels in Persia, Travels to Tana and Persia*. Translated from the Italian by William Thomas and S. A. Roy, ed. by Lord Stanley of Alderley (London, 1873); repr. (New York, 2009), p. 24, 27.

⁷ Alexander D. G., Two Aspects of Islamic Arms and Armor, *Metropolitan Museum Journal*, 18 (1984), p. 99.

⁸ რაჭა: 1991 მიწისძვრით დაზიანებული ძეგლები (თბილისი, 2008), გვ. 120-121.

პოლოტიკი, რომელიც თავდაპირველად სხეულის დასაცავი ლითონის ფირფიტა იყო, შემდგომში განვითარდა კირასის ტიპის აბჯარში, რომელიც ოთხი (ან ხუთი) ფირფიტისაგან შედგებოდა. ოთხი ფირფიტისაგან შედგენილ სხეულის აბჯარს სპარსულად *ჩარ-აინა* ანუ ოთხი სარკე ეწოდება¹. ის შედგება მკერდის, ზურგის და გვერდების დასაცავი ოთხი მონოლითი, მართკუთხა ფირფიტისაგან². ჩარ-აინა ჩნდება XVI საუკუნის დასაწყისში. როგორც წესი, მას ჯაჭვზე იცვამდნენ³. მ. გორელიკი თვლის, რომ ჩარ-აინა განვითარდა მონღოლური, აბჯარზე დასამაგრებული, დიდი ზომის მართკუთხა ლითონის ფირფიტისაგან⁴. რობინსონი და ალექსანდერი ფიქრობენ, რომ ჩარ-აინა ოსმალური მკერდის დისკოსებური აბჯრისაგან განვითარდა⁵. საფიქრებელია, რომ ოსმალური დისკოსებური აბჯრის წინამორბედიც, თავის დროზე, მონღოლების მიერ დამკვიდრებული აბჯრის გამაძლიერებელი ფირფიტები იქნებოდა.

როგორც ჩანს, ჩარ-აინა მართლაც ლითონის ფირფიტის, პოლოტიკისაგან არის განვითარებული, რის დასტურს ქართულ ლექსიკონშიც ვპოულობთ: საბას მიხედვით პოლოტიკს თურქულად შეესაბამება „ჩარაინი“⁶, რაც ნიშნავს, რომ ქართულში ახალმა აბჯრის ტიპმა *ჩარ-აინამ* ძველი *პოლოტიკის* სახელი დაისაკუთრა.

მართკუთხა ფირფიტებისაგან განვითარებულ ჩარ-აინას სხეულზე სამხრე და სხვა ღვედებით იმაგრებდნენ. მისი ფირფიტების ზედაპირი გაფორმების კარგ შესაძლებლობას იძლეოდა და მათ ხშირად ფარავდნენ ოქროს ორნამენტით⁷. ჩარ-აინას ლითონის ნაჭრები ერთმანეთს ანჯამებით ან აბზინდებში გაყრილი ღვედებით უკავშირდება⁸. ანჯამებით დაკავშირებული ჩარ-აინა უფრო დიდი ზომისაა, რათა მთელი სხეული მოეცვა და მისი მკერდის ფირფიტა ხშირად ორად არის გაყოფილი, რაც უკვე 5-ნაჭრიან აბჯარს წარმოქმნის⁹. ჩარ-აინას ფირფიტები ოდნავ გამრუდებულია, რომ უკეთ შეესაბამებოდეს სხეულის მოხაზულობას¹⁰. ამავე მიზნით, გვერდის ფირფიტები, ხშირად, იღლიებშია ამოღებული, რათა მაქსიმალურად გაადვილოს ხელის მოძრაობა.

დიდი ზომის ფოლადის ფირფიტებისაგან დამზადებული ჩარ-აინა ყველაზე ახლოს იდგა ევროპულ მთლიანფირფიტოვან აბჯართან და, შესაბამისად, ყველაზე უფრო მაღალი ხარისხის დაცვას (ჯაჭვთან კომბინაციაში) განაპირობებდა აღმოსავლეთში. მართალია, კ. რიკინი და ო. პინჩო თვლიან, რომ ჩარ-აინა კავკასიაში არ გამოიყენებოდა¹¹, მაგრამ ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებ. სხვადასხვა მონაცემებიდან უტყუარად შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ჩარ-აინა საქართველოში საკმაოდ იყო გავრცელებული: ალექსანდრე არჩილის ძეს (1674-1711), რუსეთის არმიის პირველი გენერალ-ფელდცეიხმეისტერს, უცნობი ავტორის მიერ 1696 წელს შესრულებულ პორტრეტზე აღმოსავლური, მდიდრულად ორნამენტირებული ჩარ-აინა უჩანს სამოსის ქვეშ (სურ. 4). 1910 წელს ბრემენში გამოცემულ წიგნში *Konstantinopel – Schwarzes Meer: Eine Reise in Bildern*, სადაც შავი ზღვის რეგიონში მოგზაურობა სურათებით არის გადმოცემული, ერთ-ერთ ფოტოზე ვხედავთ ხევსურ მეომარს საომარი აღჭურვილობით, სადაც მას ოთხნაჭრიანი ჩარ-აინა აცვია (სურ. 5). ის ფაქტი, რომ ჩარ-აინამ საქართველოს მთაშიც კი აადწია, ნიშნავს იმას, რომ ის საკმაოდ იყო გავრცელებული იმდროინდელ საქართველოში.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია ირანული წარმოშობის 5-ნაჭრიანი ჩარ-აინა (ექსპონატი 813). XIX საუკუნეში კავკასიის მუზეუმის დირექტორის გ. რადეს მიხედვით, ის ეკუთვნოდა ერეკლე II-ის სარდალს ივანე მუხრანბატონს¹² (სურ. 6). აბჯარი შედგება ხუთი – ორი სამკერდე, მარცხენა და მარჯვენა საგვერდე და საზურგე – ფირფიტისაგან¹³. ფოლადის

¹ ამ ტიპის აბჯარს რუსულადაც *зерцало* ეწოდება, რაც ასევე სარკეს ნიშნავს. Гордеев Н.В., დასახ. ნაშრომი, გვ. 105; Gorelik M., დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

² Alexander D., Jihad and Islamic Arms and Armour, *Gladius*, XXII (2002), p. 229.

³ Zaky A., Rahman, *Islamic Armour: An Introduction*, *Gladius*, II (1963), p. 73; Nicolle D., The Age of Tamerlane..., p. 39; Allan James and Brian Gilmour, *Persian Steel: The Tanavoli Collection* (Oxford, 2000), p. 133; Alexander D., Jihad and Islamic Arms and Armour..., p. 229.

⁴ Gorelik M., დასახ. ნაშრომი, გვ. 38-40, fig. 127.

⁵ Robinson H. Russell, *Oriental Armour* ..., p. 35-38; Alexander D., Jihad and Islamic Arms and Armour..., p. 229.

⁶ სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საბიბლიოთეკის დაურთო ი. აბულაძემ, ტ. II (თბილისი, 1993), გვ. 547.

⁷ Бобров Л. А., Худяков Ю. С., *Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья*..., с. 125.

⁸ Moshtagh Khorasani, Manouchehr, *Arms and Armor from Iran: The Bronze Age to the End of the Qajar Period* (Tubingen, 2006), p. 281-282.

⁹ Robinson H. Russell, *Oriental Armour* ..., p. 39.

¹⁰ Jaiwant E. Paul, *Arms and Armour: Traditional Weapons of India* (New Delhi, 2004), p. 115.

¹¹ Ривкин К., Пинчо Оливер, *Оружие и военная история Кавказа* (Запорожье, 2011), с. 80.

¹² კ. ჩოლოყაშვილი, ქართული საჭურველი: ჯაჭვი, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, ტ. XIX- (თბილისი, 1956), გვ. 281-282.

¹³ კ. ჩოლოყაშვილი შეცდომით მიიჩნევს აბჯრის საზურგეს მის წინა მხარედ – საგულედ. იქვე, გვ. 282.

ფირფიტები მორთულია ვაზის და ჩიტის გამოსახულებიანი ოქროს ორნამენტით. აბჯრის ყოველ ნაჭერზე ოქროცურვილი სპარსული წარწერები არშიას ქმნიან. ჩარ-აინა დასარჩულეულია ბამბით და აბრეშუმით¹. 5-ნაჭრიანი ჩარ-აინას სამკერდე ფიცრები ანჯამებით მკვიდრად ერთდებოდა, ისე რომ შეერთების ადგილში ძლიერ დარტყმასაც გაუძლებდა. საზურგე და სამკერდე მხარეები ერთმანეთს აბზინდებში გაყრილი და მხარზე გადაგდებული ორი ღვედის საშუალებით უკავშირდებიან. მკერდის ფირფიტის (შეერთებული) ზომაა – 40X60 სმ, ზურგის – 33X32,5 სმ, გვერდების კი – 25X19 სმ. სამკერდე და საზურგე ფირფიტები დამშვენებულია ჩიტის თავის ორ-ორი ფიგურით.

ივანე მუხრანბატონის ჩარ-აინა ძალიან ჰგავს (განსაკუთრებით საზურგის ფორმით, ორნამენტით და ჩიტის თავის ფიგურებით) ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმში და ირანში, ბანდარ ანზალის სამხედრო მუზეუმში დაცულ აბჯრებს, რომლებსაც XVII საუკუნით ათარიღებენ². ჩიტის თავებით დამშვენებული ჩარ-აინები ინახება თეირანისა და შირაზის სამხედრო მუზეუმებში. ყველა ისინი სეფიანთა პერიოდს და XVII საუკუნეს ეკუთვნიან³. შესაბამისად, ივანე მუხრანბატონის აბჯარიც XVII საუკუნის ნაკეთობა უნდა იყოს.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება ოთხნაჭრიანი ჩარ-აინას ტიპის აბჯრები, ისეთივე, როგორც აცვია ზემოთმოყვანილ ფოტოზე ხევესურს. 812-ე ექსპონატი გამოირჩევა მაღალ დონეზე შესრულებული, რომლებში ჩასმული ყვავილოვანი ორნამენტით, რომელთაც ცენტრში და კიდეებზე სხვადასხვა ცხოველების გამოსახულებები შემოუყვება (სურ. 7). აბჯრის ფოლადზე კარგად შემორჩენილი ოქროს ზარნიშია. მკერდის ფირფიტის ზომაა – 26,5X21,8 სმ; ზურგის – 26,6X22 სმ, გვერდების კი – 23,8X19,5 სმ.

ექსპონატი 10-27/176-ის ფოლადის ფირფიტები გეომეტრიულ ხაზებში ყვავილოვანი ორნამენტითაა მორთული, აქა-იქ შერჩენილი ოქროს ზარნიშით (სურ. 8). მკერდის და ზურგის ფირფიტების ზომები თითქმის ერთნაირია – 26,6X20,6-21 სმ, გვერდების – 25,6X20,5 სმ.

ხუთნაწილიანისაგან განსხვავებით, ოთხნაწილიანი აბჯრის ფირფიტები ერთმანეთთან მჭიდროდ, ანჯამებით არ არის გადაბმული; მათ მხოლოდ აბზინდებში გაყრილი ორი ღვედის საშუალებით იმაგრებდნენ ტანზე (ჯაჭვზე): მკერდის და ზურგის ფირფიტებზე 6-6 ცალი აბზინდაა, გვერდებზე კი – 4-4 ცალი. ფირფიტების ასეთი არამჭიდრო კავშირის გამო, მათი დაცვის ხარისხი უფრო დაბალი იყო, ვიდრე 5-ნაწილიანი კონსტრუქციის აბჯრისა.

როგორც შემორჩენილი ექსპონატებიდან და სხვა მონაცემებიდან ირკვევა, საქართველოში გამოყენებული ჩარ-აინას უმთავრეს წყაროს ექსპორტი წარმოადგენდა და აბჯრის ეს სახეობა უცხოეთიდან, ძირითადად კი ირანიდან შემოდოდა⁴. ჯაჭვზე ჩაცმული ჩარ-აინა, განსაკუთრებით მისი 5-ნაწილიანი სახეობა, მთლიანობაში დაცულობის უადრესად მაღალ დონეს განაპირობებდა. ცხადია, რომ ასეთი აბჯარი, უმთავრესად, ფეოდალური წრეების ზედა ფენების კუთვნილება იქნებოდა.

ბიბლიოგრაფია

1. გ. აკოფაშვილი, *რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში* (თბილისი, 1992).
2. გელათი: არქიტექტურა, მოზაიკა, ფრესკები (თბილისი, 1982).
3. მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელიშვილმა (თბილისი, 1967).
4. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. I (თბილისი, 1991).

¹ იქვე, გვ. 282.

² Grancsay Stephen V., The New Galleries of Oriental Arms and Armor, *The Metropolitan Museum of Art Bulletin*, vol. 16, N 9 (1958), p. 245; Khorasani, *Arms and Armor from Iran*, cat. 400.

³ იქვე, cat. 397, 399, 402.

⁴ ეს სულაც არ არის გასაკვირი: დონ ხუან სპარსელის მოწმობით, XVI საუკუნის ბოლოსთვის ირანში, სხვა აღჭურვილობასთან ერთად, ისეთი დიდი რაოდენობით იწარმოებოდა მკერდის ფირფიტოვანი აბჯარი ანუ ჩარ-აინა, რომ მის დიდ ნაწილს რუსეთში აგზავნიდნენ. Don Juan of Persia: A Shi'ah Catholic, 1560-1604, Translated and Edited with an Introduction by G. Le Strange (London, 1926), p. 50-51.

5. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. II (თბილისი, 1993).
6. რაჭა: 1991 მიწისძვრით დაზიანებული ძეგლები (თბილისი, 2008).
7. შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ (თბილისი, 2009).
8. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. I (თბილისი, 2008).
9. შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ტ. I, ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ი. აბულაძემ (თბილისი, 1916).
10. კ. ჩოლოყაშვილი, ქართული საჭურველი: ჯაჭვი, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, ტ. XIX-B (თბილისი, 1956).
11. ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომიანიანი*, გამოსაცემად მოამზადა ლიანა კეკელიძემ (თბილისი, 1979).
12. Alexander D. G., Two Aspects of Islamic Arms and Armor, *Metropolitan Museum Journal*, 18 (1984).
13. Alexander D., Jihad and Islamic Arms and Armour, *Gladius*, XXII (2002).
14. Allan James and Brian Gilmour, Persian Steel: The Tanavoli Collection (Oxford, 2000).
15. Blair C., European Armour, circa 1066 to circa 1700 (London, 1958).
16. Caterino Zeno, Travels in Persia, *Travels to Tana and Persia*. Translated from the Italian by William Thomas and S. A. Roy, ed. by Lord Stanley of Alderley (London, 1873); repr. (New York, 2009).
17. Clements J., Wielding the Weapons of War: Arms, Armor and Training Manuals During the Later Middle Ages, *The Hundred Years War: A Wider Focus*. Ed. by L. J. Andrew Villalon and Donald J. Kagay (Leiden, 2005).
18. DeVries Kelly, Medieval Military Technology (Peterborough, 1992).
19. Don Juan of Persia: A Shi'ah Catholic, 1560-1604, Translated and Edited with an Introduction by G. Le Strange (London, 1926).
20. Fisher Douglas Alan, *The Epic of Steel* (New York, 1963).
21. Gorelik M., Oriental Armour of the Near and Middle East from the Eight to the Fifteenth Centuries as Shown in Works of Art, *Islamic Arms and Armour*, Ed. by Robert Elgood (London, 1979).
22. Grancsay Stephen V., The New Galleries of Oriental Arms and Armor, *The Metropolitan Museum of Art Bulletin*, vol. 16, N 9 (1958).
23. Jaiwant E. Paul, Arms and Armour: Traditional Weapons of India (New Delhi, 2004).
24. Johnson Craig, Some Aspects of the Metallurgy and Production of European Armor, *Armored Proceedings Symposium Notes*, The Oakeshott Institute (Minneapolis, 2002). <http://www.oakeshott.org/metal.html>
25. Moshtagh Khorasani, Manouchehr, Arms and Armor from Iran: The Bronze Age to the End of the Qajar Period (Tubingen, 2006).
26. Nicolle D., Medieval Warfare Source Book: Warfare in Western Christendom (London, 1999).
27. Nicolle D., The Age of Tamerlane (Oxford, 1990).
28. Nicolle David, Fighting for the Faith: The Many Fronts of Medieval Crusade and Jihad 1000-1500 AD (Barnsley, 2007).
29. Richardson Harry Craig, Iron, Prehistoric and Ancient, *American Journal of Archaeology*, vol. 38, N 4 (1934).
30. Robinson H. Russell, *Oriental Armour* (New York, 1967).
31. Thordeman Bengt, *Armour from the Battle of Wisby* (Uppsala, 1939).
32. Travels of Josafa Barbaro, *Travels to Tana and Persia*. Translated from the Italian by William Thomas and S. A. Roy, ed. by Lord Stanley of Alderley (London, 1873); repr. (New York, 2009).
33. Vale Malcolm, War and Chivalry: Warfare and Aristocratic Culture in England, France and Burgundy at the End of the Middle Ages (London, 1981).
34. Williams A. R., Metallographic Examination of 16th-century Armour, *Bulletin of the Historical Metallurgy Group*, 6 (1972).
35. Williams Alan, Ottoman Military Technology: The Metallurgy of Turkish Armour, *War and Society in the Eastern Mediterranean, 7th-15th Centuries*, Ed. by Yacoov Lev (Leiden, 1997).
36. Williams Alan, The Metallurgy of Medieval Arms and Armour, *A Companion to Medieval Arms and Armour*, Ed. by D. Nicolle (Woodbridge, 2002).
37. Wise Terence, *Medieval Warfare* (New York, 1976).
38. Zaky A., Rahman, *Islamic Armour: An Introduction*, *Gladius*, II (1963).
39. Аствацатурян Э.Г., *Турецкое оружие* (Санкт-Петербург, 2002).
40. Бобров Л.А., Худяков Ю.С., *Вооружение и тактика кочевников Центральной Азии и Южной Сибири в эпоху позднего Средневековья и раннего Нового времени (XV - первая половина XVIII в.)* (Санкт-Петербург, 2008).

41. Бобров Л.А., Худяков Ю.С., *Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья, Военное дело кочевников Северной и Центральной Азии* (Новосибирск, 2002).
42. Гордеев Н.В., *Русский оборонительный доспех, Сборник научных трудов по материалам Государственной оружейной палаты* (Москва, 1954).
43. Горелик М.В., *Монголо-татарское оборонительное вооружение второй половины XIV – начала XV в., Куликовская битва в истории и культуре нашей Родины* (Москва, 1983).
44. Горелик М.В., *Ранний монгольский доспех (IX – первая половина XIV в.), Археология, этнография и антропология Монголии* (Новосибирск, 1987).
45. Зайцев И.В., “Бектерь сыдавной”, *Батыр*, 1 (2010).
46. Кирпичников А.Н., *Военное дело на Руси в XIII-XV вв.* (Ленинград, 1976).
47. Кирпичников А.Н., *Древнерусское оружие, вып. 3, доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв., Археология СССР* (Ленинград, 1971).
48. Кулешов Ю.А., *О позднем защитном вооружении народов Северного Кавказа, Военная Археология*, 1 (2008).
49. Пастушенко И.Ю., *Доспех-бехтерец из Бартымского I селища, Вестник Удмуртского университета*, 3 (2010).
50. Ривкин К., Пинчо Оливер, *Оружие и военная история Кавказа* (Запорожье, 2011).
51. Чубинашвили Г.Н., *Грузинское чеканное искусство* (Тбилиси, 1959).
52. Шервашидзе Л., *К вопросу о Средневековой Грузинской Светской Миниатюре (Миниатюры Батальной Тематики в Джручской Псалтыри)* (Тбилиси, 1964).



სურ. 1. პოლოტიკის გამოსახულებები: ა) წმ. გიორგი რომის ფორმის პოლოტიკით უბისაში, ბ) წმ. თევდორე სტრატელატი მრგვალი პოლოტიკით გელათში, გ) წმინდა მეომრები მრგვალი პოლოტიკებით ჩხარის კარელზე



სურ. 2. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული აღმოსავლური ბეგთარი. ავტორის ფოტო



სურ. 3. წმ. თევდორეს ბეგთარი ბუგეულის მთავარანგელოზთა ეკლესიის სამხრეთის კედელზე (რაჭა, გვ. 121)



სურ. 4. ალექსანდრე ბატონიშვილის პორტრეტი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი



სურ. 5. ხევსური მეომარი ჩარ-აინით.



სურ. 7. ოთხნაჭრიანი ჩარ-აინა (ექსპონატი 812).
საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ავტორის ფოტო



სურ. 8. ოთხნაჭრიანი ჩარ-აინა (ექსპონატი 10-27/176).
საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ავტორის ფოტო

BODY DEFENSES IN LATE MEDIEVAL GEORGIA

The article examines the various types of body defenses spread in medieval Georgia.

In the 14th century a global tendency for increasing defensive capabilities of armour can be noticed. Both in Europe and Asia mail armour is enhanced or substituted by steel plates.

In the turn of the 12th to 13th centuries steel plates were spread in Georgia, which were used to strengthen mail armour and cover most vulnerable body parts. These plates were called *polotiki* in Georgian.

In the 15th century the first mail-and-plate armour appeared in Georgia. *Begtari*, a variety of the mail-and-plate armour was made up of small rectangular plates arranged in vertical rows and covering each other. The plates as well as rows were linked by means of mail. In *begtari* the protective capabilities of plate armour is combined with the lightness and flexibility of mail. The Georgian word *begtari* corresponds to the Persian *begteri* and Russian *bekhterets* armour.

A steel plate *polotiki* which was used for the protection of the body was developed in the beginning of 16th century in the cuirass type of armour, which consisted of four or five plates. The armour with four plates was referred to in Persian as *Char-aina* or *four mirrors*. *Char-aina*, especially its five-piece variety, worn on top of mail, provided an exceptionally high degree of protection. Clearly, mostly the higher circles of feudal society would be able to afford such armours.

1918 წლის სოჭი-ტუაფსუს შებენითი ოპერაციის და ბრძოლების ტაქტიკური ანალიზი

1918 წლის 28 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამთავრობო ჯარები გენერალ მაზნიაშვილის¹ სარდლობით ბოლშევიკებისაგან სოხუმსა და გაგრას ათავისუფლებენ. მიუხედავად ქართული მხარის მიერ წარმატებულად ჩატარებული სამხედრო კამპანიისა, საერთო მდგომარეობა აფხაზეთში მაინც გაუსაძლისი იყო, განსაკუთრებით იქ შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური ფონი. საქმე იმაშია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედ ბოლშევიკებს ფაქტობრივ ბლოკადაში ჰყავდათ მოქცეული შავიზღვისპირეთის რეგიონი, რის გამოც აფხაზეთისა და მთლიანად საქართველოს მოსახლეობა უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფებოდა. საუბარი ძირითადად ნავთობსა და პურს ეხება. გარდა ამისა, ცხადი იყო, რომ აფხაზეთიდან ბოლშევიკური ბანდების განდევნითა და მათი სოჭის ოლქსა და ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლით, ბოლშევიკთაგან მომავალი საფრთხე საბოლოოდ ვერ იქნებოდა აღკვეთილი. მდგომარეობის დასტაბილურების მიზნით საჭირო იყო აქ გამაგრებული ბოლშევიკური ბანდების ნეიტრალიზება, ბლოკადის გარღვევა და ანარქიის მოსპობა.

შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე, 1918 წლის 24 ივნისს აფხაზეთა სახალხო საბჭო იღებს დადგენილებას ეთხოვოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს დახმარება არსებული პრობლემის გადაჭრაში. აფხაზეთა სახალხო საბჭოს ამ დადგენილებას, მისი თავმჯდომარის, ვარლამ შარვაშიძის ხელმოწერით, შემდეგი სახე ჰქონდა:

„აფხაზეთა სახალხო საბჭოს დადგენილება სოჭისა და ტუაფსუს ოლქების დაკავების შესახებ. 1918 წლის 24 ივნისი.

აფხაზეთა სახალხო საბჭომ, შეაფასა რა შექმნილი პოლიტიკური მომენტი და მხედველობაში მიიღო ის, რომ ბოლშევიკური ანარქია, რომელიც უკვე სამი თვეა ფლეთს აფხაზეთს, საზღვრობს სოჭისა და ტუაფსუს ოლქებიდან. ბოლშევიკური განწყობები შეიქმნა და მხარდაჭერილია სასურსათო კრიზისის ნიადაგზე, რაც გამოწვეულია ბოლშევიკთა მიერ ტუაფსუს დაკავებით, რითაც გაწყვეტილ იქნა კავშირი ჩრდილოეთ კავკასიასთან და აღარ ხდება სასურსათო ტვირთების გამოტარება ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზეთსა და საქართველოსაკენ. სრული წესრიგის აღდგენისათვის, როგორც აფხაზეთში, ასევე საქართველოში და სასურსათო კრიზისის აღმოფხვრის მიზნით, გადაუდებლად ჩაითვალოს სოჭისა და ტუაფსუს ოლქების დაკავება ტუაფსუს პორტის ჩათვლით. დადგენილების შესახებ ეცნობოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და ქართული მხარის სარდალს, გენერალ-მაიორ მაზნიაშვილს. აფხაზეთა სახალხო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ა. შერვაშიძე“².

¹ გიორგი მაზნიაშვილი (1870-1937) – გამოჩენილი ქართველი მხედართმთავარი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი და ქართული არმიის გენერალი. გიორგის ჯვრის კავალერი. I მსოფლიო ომის დასავლეთის ფრონტზე დივიზიის მეთაური. 1917 წლის ბოლოდან საქართველოშია. მონაწილეობს ქართული არმიის აღმშენებლობის საქმეში. ინიშნება ქართული ნაციონალური საარმიო კორპუსის მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაურად. 1918 წლის დასაწყისიდან თბილისის გარნიზონის და ბორჩალოს მაზრის დაცვის უფროსი. 1918 წლის მაისიდან აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორი და შავიზღვისპირეთის ჯარების სარდალი. 1918 წლის ნოემბრიდან ქალაქ თბილისისა და თბილისის გუბერნიის სამხედრო ოლქისა და აღმოსავლეთ საქართველოს რკინიგზების გენერალ-გუბერნატორი. 1918 წლის დეკემბრიდან სომხეთ-საქართველოს ომის შულავერის ფრონტის სარდალი. 1919 წლის თებერვლიდან ახალციხისა და ახალქალქის მაზრების გენერალ-გუბერნატორი და რეგიონში დისლოცირებული ჯარების სარდალი. 1919 წლის მარტიდან 1920 წლის დეკემბრამდე ჩამოშორებული იყო აქტიურ სამხედრო სამსახურს. 1920 წლის დეკემბერში ინიშნება თბილისის გამაგრებული რაიონისა და ქალაქის გარნიზონის უფროსად. ბოლშევიკურ სამხედრო ინტერვენციასთან დაკავშირებით, 1921 წლის თებერვალში ინიშნება რუსეთ-საქართველოს ომის სოღანლუდის ფრონტის სარდალად, 1921 წლის მარტში დასავლეთ საქართველოს ფრონტის ქატიური სარდალი და ბათუმის გარნიზონის ჯარების სარდალი. უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქემალისტური ქვედანაყოფებისგან ბათუმის განთავისუფლების ოპერაციას. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ არ მიდის ემიგრაციაში და რჩება საქართველოში. მონაწილეობს ქართული წითელი შენაერთის ფორმირებაში. ინიშნება საბჭოთა საქართველოს წითელი ქვეითი დივიზიის მეთაურად, შემდეგ – რესპუბლიკის ჯარების მთავარ სამხედრო ინსპექტორად. მკირე ხნით იმყოფებოდა ემიგრაციაში, საფრანგეთში, საიდანაც საქართველოში ბრუნდება 1925 წელს. ბოლშევიკთა მიერ რეპრესირებული, შვილთან ერთად დახვრეტილ იქნა 1937 წელს.

² აფხაზეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი И-39, ანაწერი 1, საქმე 6, ფ. 13, Гамахария Дж., Гогия Б., Абхазия, историческая область Грузии (историография, документы и материалы, комментарии) с древнейших времен до 30-х годов XX века (Тбилиси, 1997).

რა თქმა უნდა, აფხაზეთისა და შავიზღვისპირეთის რეგიონი ოდითგანვე წარმოადგენდა ამ თუ იმ ფორმით არსებული ქართული სახელმწიფოს ისტორიულ ნაწილს, მაგრამ მცდარია ქართულ და რუსულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ის მოსაზრება, რომ ქართული შეიარაღებული ძალების მიერ საბრძოლო აქტივობის გადატანა სოჭი-ტუაფსეს მიმართულებაზე, მხოლოდ ამ ტერიტორიებზე მოსახლე ქართველების დაცვის მიზნით მოხდა, და იგი ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთის საქართველოსთან ერთიანობის მხოლოდ ისტორიული, მემკვიდრეობითი და ეთნოკულტურული მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი. ყველაფერთან ერთად, ასეთი გადაწყვეტილების მყარ საფუძველს აფხაზთა სახალხო საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება და საქართველოს ცენტრალური მთავრობისადმი გაგზავნილი თხოვნა წარმოადგენდა ქართული ქვედანაყოფების მიერ სოჭი-ტუაფსეს ოლქის დაკავებისა და ბოლშევიკთა მიერ ორგანიზებული სასურსათო-ეკონომიკური ბლოკადის ლიკვიდაციის შესახებ და არა მხოლოდ სოჭი-ტუაფსეს ოლქის ტერიტორიების საქართველოსთან მისი ისტორიული კუთვნილების ფაქტი.

აფხაზთა სახალხო საბჭოს თხოვნისა და თბილისიდან მიღებული ბრძანების შესაბამისად, ბოლშევიკებისგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, გენერალ მაზნიაშვილს შავიზღვისპირეთში შეტევითი მოქმედებების შემდგომი განვითარება და სოჭის აღება დაევადა. მიუხედავად ქართული ჯარის სიმცირისა, „ძლიერი შეტევითი ხასიათი“ სოჭის მიმართულებით წარმოებულ ბრძოლებს აღარ ჰქონია. მასში ძირითადად სახმელეთო ნაწილების მეწინავე ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ. ამიტომ ქვედანაყოფების „გადაჯგუფება-გადმოჯგუფების“ აუცილებლობა არ ყოფილა¹.

28 ივნისს, გაგრის ბრძოლებით აღების შემდეგ, ქართულმა ქვედანაყოფებმა მდინარე მეხადირის ფორსირება მოახდინეს, შევიდნენ სოფელ პილენკოვოში (განთიადი) და მდინარე ფსოუს მიაღწენ. აუცილებელი გახდა ძალების თავმოყრა და გადაჯგუფება, რადგან „აფხაზეთის ცხენოსანი ჯარი გახრწნის გზას დაადგა. გაგრაში რომ მივედით, მათში დარჩა არა უმეტეს 60-70 ცხენისა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც შევეუდექი მზადებას სოჭის ასაღებად“², – წერდა გენერალი მაზნიაშვილი. სოჭიდან ჩამოსული დელეგატები კი ატყობინებდნენ გენერალ მაზნიაშვილს, რომ სოჭის მთელი მოსახლეობა მოუთმენლად ელოდა ქართული ქვედანაყოფების ქალაქში შესვლას, და უფრო მეტიც – ისინი მზად იყვნენ გენერლის დასახმარებლად 2000 კაციც კი გამოეყვანათ³.

1918 წლის 29 ივნისს ქართულმა შენაერთებმა შეტევითი მოქმედებები დაიწყეს. იმავე დღეს მდ. მზიმთას ფორსირების შემდეგ გათავისუფლებულ იქნა ადლერი. მეწინავე ნაწილის, თბილისის საგანგებო ბატალიონის მეტაური, პორუჩიკი ფირცხალავა იტყობინებოდა: „მიუხედავად მტრის სასტიკი წინააღმდეგობისა, ჩვენი ბატალიონი 29 ივნისს გადავიდა მდ. მაგიმკოშზე და დაიკავა ქ. ადლერი. ჩვენი ჯარისაკაცებისა და აფიცრების მამაცობა გამბედაობას საზღვარი არა აქვს. მოწინააღმდეგის მხარით მოკლულია 200, ტყვედ წამოყვანილია 100, დიდძალი თოფები და ტყვიები. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ჯარისკაცს ციება გამოაჩნდა აქ, რაზმს მაინც არ სტოვებენ და უარს ამბობენ საექიმოთ წასვლაზე ზურგში“⁴.

ადლერის გათავისუფლების შემდეგ, გვარდიის საგანგებო ბატალიონმა სანაპიროს გასწვრივ გააგრძელა წინსვლა და 2 ივლისს სოჭის მისადგომებთან ბრძოლაში ჩაერთო ბოლშევიკთა არიერგარდთან. ბრძოლა ქართული მხარის გამარჯვებით დასრულდა, ბოლშევიკთა ძირითადმა ძალებმა სოჭისაკენ დაიხიეს უკან. ამ ბრძოლაში გუდაუთაში ადრე დატყვევებულ ქართველ მებრძოლთა ნაწილიც იქნა განთავისუფლებული. გაზეთ „დროების“ 4 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ ოპერატიულ შეტყობინებას შემდეგი სახე ჰქონდა: „ქართული საგანგებო ბატალიონის უფროსის თანაშემწე პოდ. ესაკია 2 ივლისს ღამის 2 საათზე ელაპარაკა სოხუმში პირდაპირი მავთულით გენ. მაზნიაშვილს, რომელმაც გადმოსცა შემდეგი: „...ხარალი მოუვიდა ილიკო ჯუღელის რაზმს, რომელმაც გუდაუთიდან უკან დახვევის დროს დაჰკარგა 60 კაცი ტყვე, 11 მოკლული. ტყვეების ნაწილი, რიცხვით 14 კაცი მე გავანთავისუფლე. 46 კაცი ტყვეები კი, ბოლშევიკებმა თან წაიყვანეს. ამჟამად ჩვენი ჯარი სოჩიდან 10 ვერსზეა დაბანაკებული“⁵.

წარმატებით დაწყებული შეტევითი ოპერაცია გაგრძელდა. 5 ივლისს დაკავებულ იქნა ხოსტა. მოწინააღმდეგის აღმატებულ ძალებთან დაპირისპირებაში ქართულმა მხარემ დიდი საბრძოლო ალაფი მოიპოვა. მისი საბრძოლო დანაკარგები ცოცხალ ძალაში კი, მინიმალური იყო. თუმცა, ამ ბრძოლაში დაიღუპა საგანგებო ბატალიონის მეტაური, პორუჩიკი ფირცხალავა. გაგრიდან მთავარ შტაბს ატყობინებდნენ: „5 ივლისს ჩვენმა ჯარმა ხოსტასთან, ადლერიდან 12

¹ ვიორჯი მაზნიაშვილი, *მოგონებანი, 1917-1925* (ბათუმი, 1990), გვ. 79.

² იქვე, გვ. 69.

³ იქვე, გვ. 69.

⁴ *ერთობა*, №138, 5 ივლისი (1918), გვ. 2.

⁵ *ერთობა*, №137, 4 ივლისი (1918), გვ. 2.

ვერსის მანძილზე, მოწინააღმდეგე უკუაქცია. ჩვენ წამოვიდეთ 6 ზარბაზანი, 8 ტყვისმფრქვეველი და 200 კაცამდე ტყვე. ჩვენის მხრივ მოკლულია ქართული ბატალიონის მეთაური ფირცხალავა და მე-3 ქართული პოლკის 2 აფიცერი. სულ დაჭრილი და დახოცილი ჩვენის მხრიდან არის 10 კაცი. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მივაყენეთ. ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო ტფილისის რაზმმა, ყვირილის განსაკუთრებულმა რაზმმა და ადგილობრივმა სახალხო გვარდიამ... 9 კაცი დაიღუპა საგანგებო ქართული ბატალიონიდან: პორუჩიკი ფირცხალავა, პრაპორშიკი მასხულია და ჯარისკაცები – ანტონ ტაბიძე, გრიგოლ კუხალაშვილი, ვარლამ გამცემლიძე, ლევან ჯალაღანია, ნესტორ მიმინოშვილი, კალისტრატე კორძახია, გაგნიძე ვალერიანი“¹.

ხოსტის ბოლშევიკთაგან გათავისუფლებას დიდი სიხარულით შეხვდა ადგილობრივი მოსახლეობა. ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტო იუწყებოდა: „11 ივლისი. ხოსტა. (სოხუმის ოლქი). მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას შემდეგი დეპეშა გაეგზავნა: ხოსტის მოქალაქენი სამადლობელი პარაკლისის გადახდის შემდეგ გულითად საღამოს უძღვნიან საქართველოს რესპუბლიკას, რომელმაც გვიხსნა ანარქიისა და სამარცხვინო უღლისაგან. გისურვებთ წარმატებას“².

ხოსტასთან გამართულ ბრძოლაში ერთი საინტერესო ეპიზოდიც უნდა გამოიყოს. საუბარი ქართველ მოწყალეების დას და მისი გმირობის ამბავს ეხება. ამ ბრძოლის მონაწილე, რიგითი შალვა ჭიჭინაძე იხსენებს: „1918 წელს, როდესაც სოხუმზე თავდამსხმელ მტერს ზურგი ვაბრუნებინეთ (ბალშევიკების სახით), თავზარდაცემულებმა მხოლოდ სოფელ ხოსტასთან (სოჭის ახლოს) შესძლეს წინააღმდეგობის გაწევა. აქ ვხედავთ ელენეს თავდადებულ მუშაობას, იგი მწკრივში არ გეშორდება და დაჭრილ ძმებს შესაბამის დახმარებას უჩენს. „ყოჩაღ ძმებო, მტრის ტყვიამ იკლო, მტრის ზარბაზნებსაც ხმა ჩაუწყდა, მალე სანგრებსაც დაგვიტოვებენო“! – ასეთ ამხნეველად დაჭრილ ძმებს და ჩვენგან ითხოვდა ძველი ქართველის სიმამაცეს.

ამ დროს მოხვდა მტრის ტყვია მკლავში და ასეთი ძვირფასი დანაკლისი რომ არ შეგვემჩინია, ჭრილობაზე ხელი დაიფარა, რომ სისხლი არ ეჩვენებინა და წარბ შეუხრებად ასრულებდა თავის მოვალეობას ჯვარედინა ცეცხლის სეტყვაში, რომელიც გაეჩაღებინა ჩვენსა და მოპირდაპირის ტყვიის მფრქვეველებს. ბრძოლა გათავდა ჩვენის გამარჯვებით. ელენემ მხოლოდ მერე შეიხვია ჭრილობა“³.

სამწუხაროდ, ქართველი მოწყალეების დის პიროვნების სრული იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. მემუარის ავტორი მხოლოდ მის სახელს ახსენებს – ელენე...

მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგემ ხოსტასთან მოახდინა ძალების გადაჯგუფება და ახალ ძალებს მოუყარა თავი, გენერალმა მაზნიაშვილმა მაინც გადაწყვიტა 6000-იანი შენაერთით დაეწყო სოჭზე შეტევა. ოპერაციის პირველ ფაზაში მცურავი საშუალებები იქნა ჩართული. ქართულმა კატარღებმა ჩატარებული დაზვერვითი სამუშაოების შემდეგ სოჭის მისადგომებთან ცეცხლი გაუხსნეს მოწინააღმდეგეს. სატრანსპორტო გემმა „წმ. მიხეილი“ „დერზკის“ თანხლებით შემოუარა მოწინააღმდეგის ფლანგს და ბრძოლაში ჩაება წითლების 5 შორსმსროლელი ქვემეხისგან შემდგარ ბატარეასთან. „წმ. მიხეილმა“ მწყობრიდან გამოიყვანა რამდენიმე ქვემეხი და ისეთი პანიკა გამოიწვია მოწინააღმდეგის რიგებში, რომ ქართულმა ქვედანაყოფებმა ადვილად განავითარეს მიღწეული წარმატება.

აღსანიშნავია, რომ სოჭის აღების ოპერაციაში ვალოდია გოგუაძის⁴ ჯავშანმატარებლების საბრძოლო ეკიპაჟის წევრები და ჯავშნოსანი მანქანებიც იქნა ჩართული, რომელთა მოქმედე-

¹ ერთობა, №145, 13 ივლისი (1918), გვ. 2.

² იქვე გვ. 2.

³ ჯარის კაცი შალვა ჭიჭინაძე, ჩვენი ქალი ომში, მხედარი, №3, 13 ივნისი (1920) გვ. 13-14.

⁴ ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძე (1880-1954) – ცნობილი ქართველი რევოლუციონერი და სამხედრო მოღვაწე, ტერორისტი. ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის ლეგენდარული სამხედრო მეთაური, სოციალ-დემოკრატი, მენშევიკი. მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი, პორუჩიკი. რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. ქართველი სამხედრო მოღვაწე, რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე კავკასიაში. საქართველოს სახალხო გვარდიის ჯავშანმატარებლების უცვლელი უფროსი, ამიერკავკასიის მთავრობის მიერ „რევოლუციის რაინდად“ წოდებული. რსდმპ წევრი 1904 წლიდან. 1905-1907 წლების საპროტესტო გამოსვლებისა და რევოლუციის აქტიური მონაწილე ბაქოსა და ამიერკავკასიაში. 1917 წლიდან საქართველოშია. ამიერკავკასიის წითელი (მოგვიანებით სახალხო) გვარდიის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და ხელმძღვანელი. 1917 წლის 12 დეკემბერს, კავკასიის ფრონტის შეიარაღების სტრატეგიული მარაგების ბაზის, არსენალის აღების ოპერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1918 წლის დასაწყისში კავკასიის ფრონტის „რევოლუციონერი“ ჯარისკაცების შეიარაღებული აგრესიისაგან თბილისის დაცვის ოპერაციის აქტიური მონაწილე. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მიერ წარმოებული ყველა დიდ-პატარა ომისა და ბრძოლის აქტიური მონაწილე და წარმატებული მეთაური. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან ემიგრაციაშია.

ბები ერთობ ეფექტური გამოდგა¹. ბოლშევიკთა დეზორგანიზებულმა რაზმებმა პანიკით დაიხიეს უკან, ტუაფსესა და ყუბანისაკენ. „აქ იყო უფრო მეწინავე რაზმების ბრძოლა. მოწინააღმდეგე, სხვა რაღაც მოსაზრებით, შეტაკებას გაუბრძოდა, ჩვენი მიახლოებისთანავე უკან იხევდა ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორეზე“² – წერდა შემდგომში გენერალი მაზნიაშვილი.

ისევე გენერალი მაზნიაშვილი: „...მეწინავე რაზმის უფროსს, დადიანს ვუბრძანე მიეტანა იერიში სოჭზე. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ სოფელ ხოსტასთან ჩვენმა მეწინავე რაზმმა ეს ქალაქიც აიღო“³.

ივლისს ქართული ჯარის მეწინავე ნაწილები სოჭში შევიდნენ... ქალაქი სოჭი და სოჭის ოლქი ისევე თავის ისტორიულ სამშობლოს, საქართველოს დაუბრუნდა.

გენერალ მაზნიაშვილს სოჭში ძირითადი ძალები არ შეუყვანია, ისინი ქალაქგარეთ დააბანაკა. ქალაქში პოლიციური ფუნქციებით აღჭურვილი მხოლოდ მცირე გარნიზონი იქნა ჩაყენებული. გენერალ მაზნიაშვილს, როგორც პროფესიონალ სამხედროსა და ნამდვილ მეომარს, კარგად ესმოდა, რომ ბრძოლებით გაწამებული მეზობელი მასა ძნელად კონტროლირებადი იქნებოდა და მათი ქალაქში შეყვანა მრავალ გაუთვალისწინებელ სირთულეს გამოიწვევდა. ზუსტად ასე მოიქცა გენერალი ოდნავ მოგვიანებით, უკვე სომხეთ-საქართველოს ომის შულავერის ოპერაციის დროს. 1918 წლის დეკემბრის ბოლოს, ქართულმა ქვედანაყოფებმა სომხური ნაწილებისა და დაშნაკური რაზმების მიერ ოკუპირებული ქალაქი გაათავისუფლეს. და აქაც, მძიმე ბრძოლების შედეგად აღებულ შულავერში, გენერალ მაზნიაშვილს ჯარები არ შეუყვანია⁴.

სოჭის გათავისუფლების შემდეგ ქართული მხარის მიერ გამოშვებულ პროკლამაციაში ნათქვამი იყო, რომ „საქართველოს რესპუბლიკის ჯარი არავითარ სხვა მიზანს არ ემსახურება, გარდა მცხოვრებთა დარბევისაგან დაცვისა და წესრიგის აღდგენისა. ჩვენ ვიცავთ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ბუნებრივ საზღვრებს... ჩვენ დავრჩებით მანამდე, სანამ არ იქნება აღდგენილი სრული მშვიდობიანი ცხოვრება და დემოკრატიული წეს-წყობილება, რომელიც ბოლშევიკების ბრბოების შემოსევამდე იყო“⁵.

ქართული ქვედანაყოფების მიერ სოჭის ბოლშევიკებისაგან განთავისუფლებას დიდი სიხარულით შეეგება ქალაქის რუსული და ქართული მოსახლეობა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ კი, სოჭიდან ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის, ხოფერიასაგან შემდეგი შინაარსის დეკლარაცია მიიღო: „საბჭოების მთავრობა გაგაუქმეთ. ათი დღის წინ საბჭოს გაუქმებამდე, სოხუმის ოლქის მცხოვრებლებმა კრებაზე უნდობლობა გამოუცხადეს საბჭოს, უარი განაცხადეს მიეცა მათთვის სალდათები და სხვა საჭირო მასალები. საქართველოს ჯარის მოსვლამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ხალხში. სოხის ოლქის მუშების საერთო კრებაზე სახალხო გვარდიის თავმჯდომარის, ამხ. ტუმარკინის მოხსენების შემდეგ ერთხმად იქნა გამოტანილი რეზოლუცია – მხარი დაუჭირონ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას. ასეთივე დადგენილება გამოიტანეს ოლქის სხვადასხვა ადგილებშიაც. ჩვენმა ჯარმა თავისი მოქმედებებით და მცხოვრებლებთან დამოკიდებულებით მათი დიდი სიყვარული დაიმსახურა. ჩვენი ჯარის წესრიგი ხელს უწყობს ახალი ძალის სიძლიერეს. გადაეცით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას სალამი“⁶.

სოჭის ბოლშევიკთაგან გათავისუფლების მიუხედავად, ისტორიული ქართული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი ქალაქ ტუაფსემდე ისევე ქართული სახელმწიფოს კონტროლგარეთ იყო დარჩენილი. აქ უკანდახეული ბოლშევიკური რაზმები იყვნენ თავმოყრილნი, რომლებიც ძალების მოკრების შემდეგ, მზად იყვნენ ახალი აგრესიის განხორციელებისათვის. ბოლშევიკთაგან მომავალი საფრთხის ნეიტრალიზაციისა და წითელი აგრესიის საბოლოოდ აღსაკვეთად, ქართული სარდლობის წინაშე შეტევითი მოქმედებების შემდგომი გაგრძელება დადგა დღის წესრიგში. ამ ბრძოლაში ქართველი და აფხაზი ხალხები ერთად იდგნენ, როგორც იდეოლოგიური, ასევე სამხედრო თვალსაზრისით. საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთში, ისიდორე რამიშვილი⁷, 1918 წლის 18 ივლისს გამართულ აფხაზთა სა-

¹ ეს ჯავშანმატარებელი, ტექნიკურად სრულიად გამართული ქართული მხარის მიერ ძალიან მალე, სექტემბრის პირველ რიცხვებში, ჯერ კიდევ ეკატერინოდარის ცნობილ შეხვედრამდე გადაეცა გენერალ ალექსეევის „მოსხლისეთა არმიას“ ბოლშევიკთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლების საწარმოებლად.

² გიორგი მაზნიაშვილი, *მოვლენები, 1917-1925* (ბათუმი, 1990), გვ. 64.

³ იქვე, გვ. 65.

⁴ ა. ჩაჩხიანი, *დაშნაკთა ნაციონალისტურ-ეკსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი* (თბილისი, 2007), გვ. 400.

⁵ საუბარი გენ. მაზნიაშვილთან, *ერთობა*, №173, 17 აგვისტო (1918), გვ. 2.

⁶ *ერთობა*, №145, 13 ივლისი (1918), გვ. 2.

⁷ ისიდორე რამიშვილი (1859-1937) – ძველი მარქსისტი და რევოლუციონერი, ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის პატრიარქი. ეგნატე ნინოშვილთან, ნოე ჟორდანიასა და სილიბისტრო (სილვა) ჯიბლაძესთან ერთად საქართველოში პირველი მარქსისტული ტიპის პარტიული ჯგუფის – „მესამე დასის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და ლი-

ხალხო საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას, აცხადებდა: "...Абхазский народ рассматривается не как нация, которая должна быть ниже и хуже, а как одно целое с грузинским народом, как это было с русским народом и персидским народом, которому кавказская демократия старалась всеми силами помочь в деле свержения шаха и установления республиканского строя. Поэтому необходимо единение и с абхазским народом для обоюдной совместной работы на благо демократии. Кроме этого, представляется опасность со стороны узконационалистических и шовинистических элементов, которые, объединившись с так называемыми "большевиками", могут пойти рука об руку против демократизма"¹.

სოჭის აღების შემდეგ ბოლშევიკთა წინააღმდეგობა არ დასრულებულა. 9-10 ივლისს ტუაფსეში შედგა რსდმპ(ბ) საოლქო კომიტეტისა და აღმასკომის გაერთიანებული სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სოჭის ოლქში, ქართული ქვედანაყოფების ზურგში შეგზავნილიყო ბოლშევიკ აგიტატორ-დივერსანტთა ჯგუფი – ლ. მოსკვიჩოვი, პ. გორელოვი, ფ. ცხომარია, ი. ხიოტი და სხვა².

ამავე დროს, ჩრდილოკავკასიელ ბოლშევიკთა მიერ მორიგი სტრატეგიული მასშტაბის სამხედრო-პოლიტიკური გადაწყვეტილებაც იქნა მიღებული. ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ძალების შემდგომი კონსოლიდაციის მიზნით, 1918 წლის ივლისში ხდება ჩრდილო კავკასიაში არსებული ე. წ. „საბჭოთა რესპუბლიკების“ მორიგი გაერთიანება. კერძოდ, ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოების I ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებით ე. წ. „ყუბანი-შავიზღვისპირეთის“, „სტავროპოლისა“ და „თერგის“ ე. წ. საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებით იქმნება ე. წ. „ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, ცენტრით ეკატერინოდარი³.

ხემათ აღნიშნული მიზეზების გამო, სოჭის აღების შემდეგ, ქართული მხარის შეტევითი ოპერაცია ტუაფსეს მიმართულებით განვითარდა. ამ ოპერაციის აღსრულებისას, გენერალ მაზნიაშვილის შენაერთში დიდი წარმატებით იბრძოდნენ ბოლშევიკთაგან დევნილი ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული კახაკთა რაზმებიც. ამ საკითხთან მიმართებაში მეტად ნიშანდობლივია საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ კვინიტაძის⁴ შემდეგი დასკვნა, რომელიც განსჯისათვის საინტერესო მასალას იძლევა: „რუსებმა შეუძლებლად მიიჩნიეს ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოსვლა და მოქმედება; მართალია ყველა არა, მგრამ უდიდესი უმრავლესობა ამ აზრისა გახლდათ. უცნაური ის იყო, რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად ხალხით მიდიოდნენ, ხოლო ამიერკავკასიის არმიის რიგებში ბაქოელი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა მიუღებლად მიანდათ“⁵.

ბუნებრივად იკვეთება ის სურათი, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლშევიკთა შეუზღუდავი თარეში იმდენად დაუნდობელი და სისხლიანი იყო, რომ აქ მოსახლე თვით რუსული მოსახლე-

დერი, ცნობილი სოციალ-დემოკრატი. რუსეთის I მოწვევის დუმის დეპუტატი სოხუმის ოლქიდან, რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრი, პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელი ბიუროს წევრი 1917 წელს. 1917 წლის ბოლოდან საქართველოშია. 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებული დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთში. 1919 წლიდან საქართველოს დამფუძნებელი კრების (პარლამენტი) წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში აფხაზეთა სახალხო საბჭოში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი, აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი 1919-1921 წლებში.

¹ Из протокола заседания АНС - о положении в крае, 18 июля 1918 г. ЦГАА, ф.И-39, оп. 1, д.3, лл. 9-9об.

² Архив музея истории города-курорта Сочи, ф. 4, оп. 1, д. 6, 8. л. 1.

³ Осадчий И. П., *Октябрь на Кубани* (Краснодар, 1977), стр. 27.

⁴ გიორგი კვინიტაძე (1874-1970) – ქართველი ოფიცერი და სამხედრო მოღვაწე, რუსეთის არმიის პოლკოვნიკი და ქართული არმიის გენერალი. გიორგის ჯვრის კავალერი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების პირველი და ფაქტობრივად ბოლო მთავარსარდალი, რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს წევრი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე. რუსეთის არმიის პოლკოვნიკი 1916 წლიდან. 1915 წლის დეკემბრიდან კავკასიის ფრონტზე მოქმედი მე-4 მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსი. კავკასიის ფრონტის არზრუმის ოპერაციის აქტიური მონაწილე და გმირი. 1917 წლის მაისიდან კავკასიის მე-15 ქვეითი პოლკის მეთაური. 1918 წლის იანვრიდან კავკასიის ფრონტის შტაბის გენერალ-კვარტერმეისტერის მოადგილე. 1918 წლის დასაწყისიდან ქართული საარმიო კორპუსის 1-ლი ქართული დივიზიის მეთაური. 1918 წლის აპრილიდან ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და სამხედრო მინისტრის თანაშემწე. 1918 წლის მაისიდან 1918 წლის სექტემბრამდე, 1920 წლის მაისიდან 1920 წლის ოქტომბრამდე, და 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. 1918 წლის დეკემბერ-იანვარში სომხეთ-საქართველოს ომის სადახლო-შულავერის ფრონტის საველე შტაბის უფროსი. 1919 წლის მარტიდან იმავე წლის ივნისამდე ახალციხე-ახალქალაქის მახრების გენერალ-გუბერნატორი და რეგიონის ქართული გარნიზონის სარდალი. 1919 წლის სექტემბრიდან ქართული სამხედრო სკოლის უფროსი. 1920 წლის მაისიდან ბოლშევიკურ სამხედრო აგრესიასთან დაკავშირებით ისევ ინიშნება საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალად. თანამდებობიდან გადადგა იმავე წლის ოქტომბერში და დაუბრუნდა სამხედრო სკოლას. 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკთა ახალ სამხედრო ინტერვენციასთან დაკავშირებით მთავრობის თავმჯდომარის მიერ ისევ ინიშნება საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალად. ბოლშევიკთა მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან მთავრობასთან ერთად ტოვებს საქართველოს და მიდის ემიგრაციაში. ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა საფრანგეთში, 1970 წელს.

⁵ *გიორგი კვინიტაძე, მოვლენები, საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921*, ნაწილი I (თბილისი, 1998), გვ. 56.

ობაც კი, მზად იყო დიდი თავგანწირვით ებრძოლა თანამემამულე ბოლშევიკთა წინააღმდეგ. ბოლშევიკებმა კი მართლაც სისხლიანი კალო გალევს ჩრდილოეთ კავკასიაში. მასალები უამრავია. და ყველაფერ ამას ე. წ. „აფხაზეთის რევკომის“ თავმჯდომარის, ეფრემ ეშბას მოადგილე, ჩამოყალიბებული პათოლოგი მკვლეელი და ჯალათი, გეგორქ ათარბეგოვი¹ იდგა სათავეში, რომელსაც ამ დროისათვის უკვე „ჩრდილოეთ კავკასიის კონტრრევოლუციისათან ბრძოლის საგანგებო კომისიის“, სრულიად რუსეთის სამხარეო ВЧК-ს თავმჯდომარის პოსტი ეკავა.

ჩვენ მხოლოდ ერთ ამონარიდს მოვიტანთ მისი „რევოლუციური მოღვაწეობის“ ამსახველი გრძელი ნუსხიდან: „...არმავირის, პიატიგორსკის, კისლოვოდსკის, ესენტუკის არაპროლეტარული მოსახლეობა სისხლიანი ანგარიშსწორებისათვის იქნა განწირული. ათარბეგოვმა ამ ქალაქებში საგანგებო კომისიები შექმნა, რომლებმაც წითელი ტერორის ჯერ კიდევ ოფიციალურ გამოცხადებამდე, ათასობით ადამიანი დახოცეს – სასულიერო პირები, ოფიცრები, ინტელიგენცია... აი ერთ-ერთი თვითმხილველის მონათხრობი: ჯალათები გამოუცდელეები იყვნენ და ხმლის ერთი მოქნევით ვერ ახერხებდნენ მსხვერპლის მოკვლას. თითოეულ მძევალს ერთი ხუთჯერ მაინც ურტყამდნენ, ზოგს კი უფრო მეტჯერაც. ზოგიერთი კვნესოდა, მაგრამ უმეტესობა უწუმრად კვებოდა... საფლავებს შორის სისხლის გუბებები იდგა. აქა-იქ ადამიანის ძვლები ეყარა. საფლავის ქვები და ჯვრები კი, სისხლისა და ტვინის შეფეებით იყო მოსვრილი... ათარბეგოვი არა მარტო ხელმძღვანელობდა ამ მოქმედებებს, არამედ პირადადაც მონაწილეობდა მასში და ძალიან ტრაბახოდა კიდევ თანამებრძოლების წინაშე იმით, თუ საკუთარი ხელით როგორ ჩეხავდა ამა თუ იმ გენერალს“².

დიას, „მგზნებარე რევოლუციონერი“ აფხაზეთში მიღებულ მდიდარ გამოცდილებას დღითიდღე ხვეწდა... იგი ერთგული შემსრულებელი აღმოჩნდა ლენინური ტერორის იმ ტალღისა, რომლის შესახებაც პროლეტარიატის დიდი ბელადი უკვე 1918 წლის 9 აგვისტოს წერდა: „...აუცილებელია მოეწიოს გაძლიერებული რაზმი უაღრესად სანდო ადამიანებისაგან, გატარდეს უღმობელი მასობრივი ტერორი კულაკების, მღვდლებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ... საეჭვონი დაამწყვდიეთ საკონცენტრაციო ბანაკებში...“³.

დაუბრუნდეთ ისევ სოჭის ფრონტსა და ტუაფსეს, აქ დაწყებულ საბრძოლო მოქმედებებს. ტუაფსეს მიმართულეზაზე, მიუხედავად ბოლშევიკთა მიერ განხორციელებული კონტრშეტევისა და ინტენსიური საარტილერიო ცეცხლისა, 15-26 ივლისს წარმოებულ ბრძოლებში, ინიციატივას ისევ ქართული ქვედანაყოფები დაეუფლნენ. წითლებმა უკან, ტუაფსესაკენ დაიხიეს.

ახლა კი, ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დოკუმენტი. ტუაფსეს მისადგომებთან გამართული ბრძოლების შესახებ გენერალი მაზნიაშვილი სამხედრო მინისტრს ატყობინებდა: „23 ივლისს, დილის 9 საათზე ჩვენ ბრძოლით მივიწვედით სოფ. ლოლდან სოფ. გოლოვინკაზედ. აქ მოგვისდა შეტაკება მოწინააღმდეგის უმთავრეს ძალებთან. მოწინააღმდეგე დავამარცხეთ, ისინი უწესრიგოდ გაიქცნენ ტუაფსეში. ხელთ ვიგდეთ ერთი ზარბაზანი, ორი ტყვიისმფრქვეველი, ერთი ავტომობილი და ტყვიები, რომელთა რაოდენობა ჯერ გამორკვეული არ არის. მოწინააღმდეგეს დაახლოებით 800 კაცამდე ჰყავს, აქვს ჯავშნიანი ავტომობილები და მატარებლები. მოწინააღმდეგის არტილერია ისროდა ყუმბარებს მხრჩოლაგი „გაზით“. ჩვენი ყველა რაზმელი ჩინებულად იქცევა. სულიერი განწყობილება კარგია“.

გენ. მაზნიაშვილი შუამდგომლობს, რომ მეწინავე რაზმის უფროსი, მე-3 ქართული პოლკის კაპიტანი დავით ჭკადუა დაჯილდოებულ იქნას“⁴.

ამ შეტყობინებაში ყურადსაღები არა ქართული მხარის მიერ მიღწეული დიდი წარმატება და მოპოვებული სამხედრო აღაფის რაოდენობა, არამედ სულ სხვა რამაა. საუბარი ბოლშევიკთა მიერ ქიმიური იარაღის, მხუთავი აირის გამოყენებას ეხება. სავარაუდოდ, ეს ნივთიერება უნ-

¹ გეგორქ ათარბეგოვი (ათარბეგოვი) (1892-1925) – „რკინის გეგორქი“, საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო უშიშროების (ВЧК) ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკი, პროფესიონალი ჯალათი, ცნობილი თავისი საღიზმითა და დაუნდობლობით. 1918 წელს სოხუმის საოლქო რევკომის წევრი და აფხაზეთის რევკომის თავმჯდომარის მოადგილე. 1918 წლის ოქტომბრიდან სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის წევრი. 1919 წლის 1 თებერვლიდან ბოლშევიკთა კასპიისპირეთი-კავკასიის ფრონტის რევკომის პოლიტგანყოფილების წევრი. 1920 წლიდან ბოლშევიკთა მე-9 არმიის განსაკუთრებული განყოფილების უფროსი, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ყუბანი-შავიზღვისპირეთის ოლქის, შემდეგ კი ბაქოს ოლქის საგანგებო რწმუნებული. 1920 წლიდან სომხეთის რევკომის წევრი და სომხეთის ჩრდილოეთ რაიონების რევკომის თავმჯდომარე. 1921 წლიდან სომხეთის, ხოლო 1923 წლიდან ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ფოსტისა და ტელეგრაფის სახალხო კომისარი. დაიღუპა ავიაკატასტროფაში 1925 წლის 22 მარტს, ამიერკავკასიის საგარეო დაზვერვის (ГПУ) უფროსთან, მოგილვესკისთან და სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარესთან, მიასნიკოვთან (მიასნიკიანი) ერთად თბილისთან ახლოს.

² *Черная книга имен, которым не место на карте России*, сост. С. В. Волков (Москва, 2004).

³ *გ. ი. ლენინი, თხზულებანი*, ტ. 36, გამოცემა მეოთხე (თბილისი, 1959), გვ. 564.

⁴ *ერთობა*, №155, 25 ივლისი (1918), გვ. 1.

და ყოფილიყო თხევადი ქლორი, ფოსგენი ან ქლორპიკრინი. მომწამლავი ქიმიური საშუალებების სწორედ ამ არსენალს ფლობდა I მსოფლიო ომის დროს რუსეთის არმია¹.

ღიას, საბჭოთა რუსეთი და რუსი ბოლშევიკები პირველები იყვნენ მსოფლიოში, ვინც ყოფილი თანამემამულეების წინააღმდეგ ქიმიური იარაღი გამოიყენეს. ასევე მათ მიერ პირველად იქნა გამოყენებული საავიაციო დაბომბვა ამიერკავკასიაში „აფხაზეთის პირველი ბოლშევიკური რევოლუციის“ დროს, 1918 წლის თებერვალში, როდესაც ქალაქი სოხუმი და ეშერა ბოლშევიკთა ჰიდროპლანებით იბომბებოდა. თუმცა, ლენინისა და მისი გუნდისათვის არათუ ყოფილი თანამემამულეების, არამედ თვით რუსეთის „ურჩი“ მოქალაქეებისა და რუსი ხალხის, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლისა და დასჯის ფორმად ქიმიური იარაღის გამოყენება ძალიან მალე ჩვეულ საქმედ იქცა. ათეული წლების განმავლობაში საბჭოთა იდეოლოგიის მიერ ტაბუდადებულმა და მკაცრად გასაიდუმლოებულმა, ფაქტიურად ისტორიიდან ამოშანთულმა მრავალმა მოვლენამ თუ ფაქტმა მხოლოდ უკანასკნელ წლებში იხილა დღის სინათლე. გავუსწრებთ მოვლენებს წინ და ვიტყვი, რომ 1921 წლის ზაფხულში ტამბოვის გუბერნიაში დაწყებული გლეხთა აჯანყების ჩასახშობად ბოლშევიკთა მიერ ისევ ქიმიური იარაღი – მხუთავი აირები იქნა გამოყენებული. ამ ოპერაციას წითელი არმიის ლეგენდარული მეთაური, მიხაილ ტუხაჩევსკი² ხელმძღვანელობდა³.

როგორც ვხედავთ, ბოლშევიკები არა მხოლოდ „პროლეტარული რევოლუციის“ აპოლოგეტებსა და პიონერებს, არამედ ბრძოლის ახალი ტექნოლოგიური საშუალებებისა და მეთოდების „ინოვაციური“ დანერგვა-გამოყენების პიონერებსაც წარმოადგენდნენ. ამ ინოვაციური მეთოდების გამოცდისა და შემდგომი დახვეწის პოლიგონად კი, ბოლშევიკებმა საქართველო და აფხაზეთი აქციეს. მათ პირველად დაბომბეს ჰაერიდან სოხუმი და ეშერა პირველად გამოიყენეს ქიმიური იარაღი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. დღეს რუსი ისტორიკოსები წერენ, რომ ბოლშევიკთა მიერ ქიმიური იარაღის საბრძოლო გამოყენება არ ეწინააღმდეგებოდა ომის სამართლის ნორმების იმდროინდელ მოთხოვნებს, და იგი არ წარმოადგენდა სამხედრო დანაშაულს, რამეთუ მაშინ, 1918 წელს, ჯერ კიდევ არ არსებობდა საერთაშორისო სამართლის ის ნორმები, რომლებიც ქიმიური იარაღის საბრძოლო გამოყენებას კრძალავდნენ. ღიას, წმინდათ იურიდიული თვალსაზრისით, ეს მართლაც ასეა. ქიმიური იარაღის გამოყენებაზე აკრძალვა მხოლოდ 1925 წელს იქნა მიღებული ჟენევის პროტოკოლით, ხოლო მისი რატიფიცირება საბჭოელების მიერ 1928 წელს მოხდა⁴.

ვერაფერს ვერ ვიტყვი, მართლაც რკინისებური ლოგიკაა... მაგრამ ერთია საკითხის იურიდიული მხარე, და მეორეა – პრობლემის მორალურ-ზნეობრივი ასპექტი. თუმცა, აქ საქმე მარტივადაა მოწყობილი – „რევოლუციები“ მორალს, ზნეობას, ეთიკას და მსგავს ქიმერებს არ სცნობს.

ახლა კი, რაც შეეხება გენერალ მაზნიაშვილის ზემოთ მოყვანილი პატაკის მეორე ნაწილს, კაპიტან ჭკადუას დაჯილდოების შესახებ. რა თქმა უნდა, გამოჩენილი მხედრული მამაცობისათვის კაპიტანი ჭკადუა ალბათ მართლაც იმსახურებდა ღირსეულ დაჯილდოებას. აქსიომაა, რომ ყოველ ღირსეულ მემარს ღირსეული მხედრული ჯილდო ეკუთვნის და ამაში არც

¹ Супотницкий М. В., “Забытая химическая война 1915–1918 гг”, Химическая война в России, Применение химического оружия в операциях Первой мировой войны, *Офицеры*, №5 (49) (2010). <http://www.supotnitskiy.ru/stat/stat74.htm>

² მიხაილ ნიკოლაევიჩ ტუხაჩევსკი (1893-1937) – რუსი და საბჭოთა სამხედრო მოღვაწე, I მსოფლიო ომის მონაწილე, მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი, პოდპორუჩიკი. რუსეთის სამოქალაქო ომის გმირი, სხვადასხვა ბოლშევიკური ფრონტების სარდალი. სამხედრო თეორეტიკოსი და პუბლიცისტი, სტრატეგიული „სიდრმისეული“ შეტევით ოპერაციის“ კონცეფციის ერთ-ერთი ავტორი და აპოლოგეტი. შემდგომში ყველაზე ახალგაზრდა საბჭოთა კავშირის მარშალი. I მსოფლიო ომში იბრძოდა დასავლეთის ფრონტის 1-ლი გვარდიული დივიზიის შემადგენლობაში. 1915 წელს გერმანელთა მიერ აყვანილ იქნა ტყვედ. გაგზავნილ იქნა ინვოლუნტარის ციხეში, სადაც მასთან ერთ საკანში იჯდა ფრანგი ოფიცერი, კაპიტანი შარლ დე გოლი. 1917 წლის სექტემბერში ახერხებს გაქცევას და გადადის შვეიცარიაში. იმავე წლის ოქტომბერში ბრუნდება რუსეთში. დაინიშნა ასეულის მეთაურად სემიონოვსკის პოლკში. 1918 წლის გაზაფხულიდან გადადის ბოლშევიკთა მხარეზე, რკ(ბ) წევრი 1918 წლიდან, მუშაობს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სამხედრო განყოფილებაში, შემდეგ ინიშნება მოსკოვის რაიონის სამხედრო კომისრად. 1918 წლის ივნისიდან ბოლშევიკთა მუშურ-გლეხური წითელი არმიის ერთ-ერთი მეთაური და არმიების სარდალი. თავდაპირველად ფორმირების პროცესში მყოფი აღმოსავლეთის ფრონტის 1-ლი არმიის სარდალი. 1918 წლის დეკემბერში სამხრეთის ფრონტის სარდლის თანაშემწე, 1919 წლის 24 იანვრიდან 15 მარტამდე – სამხრეთის ფრონტის მე-8 არმიის სარდალი, შემდეგ, 1919 წლის 5 აპრილიდან აღმოსავლეთის ფრონტის მე-5 არმიის წარმატებული სარდალი. 1919 წლის ბოლოს აღმირად კოლჩაკის წინააღმდეგ მებრძოლი აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი, 1920 წლის 4 თებერვლიდან კავკასიის ფრონტის სარდალი, ხოლო იმავე წლის აპრილიდან – საბჭოთა რუსეთ-პოლონეთის ომის დასავლეთის ფრონტის სარდალი. ზედმეტად დაჯერებული და სტრატეგიულად გაუმართლებელი ოპერატიული გადაწყვეტილებების გამო, 1920 წლის შემოდგომისათვის, საბჭოთა რუსეთ-პოლონეთის ომი წითელი არმიის სრული კატასტროფით დასრულდა.

³ Бобков А. С., Тамбовское восстание: Вымыслы и факты об использовании удушающих газов, *Военно-исторический журнал Министерства обороны РФ*, <http://history.milportal.ru/2011/06/tambovskoe-vosstanie-vymysly-i-fakty-ob-ispolzovanii-udushayushhix-gazov/>

⁴ Калнина Н. И., Конвенция о запрещении биологического оружия, История появления и современное состояние, <http://www.armscontrol.ru/course/lectures05a/nik050317.htm>

არაფერია გასაკვირი, მით უმეტეს, როცა დაჯილდოებაზე წარდგინებას თვით გენერალი მაზნიაშვილი აწერს ხელს. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ ქართველ მეომართა დაჯილდოება-არდაჯილდოების თემა პირველი ქართული რესპუბლიკის სინამდვილეში მართლაც უკიდურესად ექსტრემალურ ფორმებს იღებდა ხოლმე.

გამოჩენილი მამაცობისა და მხედრული დამსახურებისათვის სოხუმის სახალხო გვარდიის რაზმის უფროსის, ლევ ტუმარკინის მიერ გვარდიის საგანგებო ბატალიონის პირადი შემადგენლობაც იქნა წარდგენილი. მაგრამ ამ შემთხვევაში, საქმე ცოტა განსხვავებულად წარმართა – პირადად შემადგენლობამ უარი განაცხადა დამსახურებული ჯილდოს მიღებაზე. მიზეზი კი, მართლაც ძალიან საინტერესოა. პასუხს ამ საკითხზე ქვემოთ მოყვანილი ერთი დოკუმენტი იძლევა. 1918 წლის 12 ივლისს გაგრაში შედგა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების სახალხო გვარდიის საგანგებო ბატალიონის სამეთაურო შემადგენლობის კრება. კრებაზე მიღებულ იქნა შემდეგი შინაარსის რეზოლუცია: „ვინაიდან აღმასრულებელი კომიტეტის რაზმი არის პარტიული და ნამდვილი რევოლუციონერებისაგან შემდგარი, რომელიც თავის წმინდა მოვალეობად თვლის თავისუფლების გულისთვის უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ბრძოლას და თავის გაწირვას, ვინაიდან ის იბრძვის იდეისათვის და ემსახურება ამას და არა პატივმოყვარეობას ან ჯილდოს, ამასთანავე დებულობს რა, მხედველობაში ჩვენი რესპუბლიკის სიღარიბეს, რაზმი უარს აცხადებს ყოველგვარ კერძო ან ზედმეტი ჯილდოს მიღებაზე, ვინაიდან რაზმი ერთსულოვანი მებრძოლია და რაზმში არც ერთი ისეთი არ არის, რომელსაც თავი არ ესახელებიოს ან მამაცობა არ გამოეჩინოს ბრძოლაში, ამიტომ რაზმის კრება სასურველად სთვლის მიეცეს მთელ რაზმს ერთი რევოლუციონერული დროშა შესაფერი წარწერით მთავრობისაგან და წმინდა გიორგის ლენტის ნიშნად გმირობისა და მამაცობისა, თავისუფლებისათვის ბრძოლაში...“¹.

ამ რეზოლუციასთან დაკავშირებით კომენტარების გაკეთება ზედმეტად ჩავთვალეთ. მისი გაახრება მკითხველისათვის მიგვიჩნია...

დავუბრუნდეთ ისევ სოჭის ფრონტს და იქ მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებს. სოჭიტუაფსეს შეტევითი ოპერაცია გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა. წარმატებით განხორციელდა მაზნიაშვილის მხარდამჭერი ადგილობრივი და ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული კაზაკებისაგან შემდგარი რაზმის დესანტირება და ქალაქის კომუნიკაციების ბლოკირება. დამატებით, არხიპოსიპოვკასთან განხორციელდა ქართული დესანტის გადასხმის იმიტაციაც, რითაც ტუაფსესთან გამაგრებული წითლების რაზმის ნაწილი იქნა მიზიდული, ღამით კი, „წმ. მიხეილი“ უხმაუროდ მიაღება ნაპირზე განლაგებულ მოწინააღმდეგის ბატარეას და ცეცხლი გაუხსნა მას. შემდეგ კი, ნოვოროსიისკის შუქურასთან მოწყობილი ბატარეაც დაბომბა, რითაც გზა გაუხსნა ქართული ქვედანაყოფების წინსვლას.

12 საათიანი მომქანცველი ბრძოლის შემდეგ, 1918 წლის 26 ივლისს ქართული ქვედანაყოფები ტუაფსეში შევიდნენ და საქართველოს ისტორიულ საზღვარს მიაღწიეს შავიზღვისპირეთში. ამ მიმართულებაზე ბოლშევიკური წითელგვარდიული რაზმები ლიკვიდირებულ იქნენ და ქართული ქვედანაყოფების შემდგომი წინსვლა დასრულდა. ბოლშევიკური რაზმების გადარჩენილმა ნაწილმა კი, ჩრდილოეთისაკენ და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დაიხია. ქალაქის გენერალ-გუბერნატორად გაგრის ფრონტის სარდალი, გენერალი ტარას ვაშაკიძე² დაინიშნა. ქართულმა ჯარმა წითლებს ტუაფსეს ნავსადგურიც დაატოვებინეს, სადაც სხვადასხვა სახეობის 28 ხომალდი იდგა. ისინი ფოთის სავაჭრო ნავსადგურსა და სამხედრო ფლოტში გადანაწილდა³.

27 ივლისს, გენერალი მაზნიაშვილი რესპუბლიკის სამხედრო მინისტრს, გრიგოლ გიორგაძეს⁴ შემდეგი შინაარსის ტელეგრამას უგზავნის: „გატყობინებთ, რომ 12 საათიანი მძიმე

¹ ერთობა, №182, 28 აგვისტო (1918), გვ. 3.

² ტარას ვაშაკიძე (1876-1937) – ქართველი ოფიცერი, რუსეთის არმიის კაპიტანი, ლეგენდარული „მათიან-კაპიტანი“. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალი. I მსოფლიო ომის მონაწილე. იბრძოდა კავკასიის ფრონტზე, ირიცხებოდა 154-ე დერბენდის პოლკში – სადაზვერვო ასეულის მეთაური. კავკასიის ფრონტის სარიყამიშის ოპერაციის ლეგენდარული გმირი. თავისი ასეულის ძალებითა და მოხერხებული მოქმედებით ტყვედ აიყვანა ოსმალთა მე-3 არმიის მე-9 საარმიო კორპუსის სარდალი და შტაბი მისი სამივე დივიზიის მეთაურებთან და შტაბებთან ერთად. ასეთი საარაკო გმირობის მაგალითები უიშვიათეს შემთხვევას წარმოადგენს ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. 1918 წლიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაშია, ქართული არმიის გენერალი. 1918 წლის ზაფხულში გაგრის ფრონტის სარდალი და ქალაქ ტუაფსეს გენერალ-გუბერნატორი. 1919 წლის მაისიდან ახალციხე-ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორი. 1920 წლიდან მე-3 ქვეითი დივიზიის მეთაურის მოადგილე. გიორგის ჯვრის კავალერი.

³ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 2081ა, ანაწერი 1, საქმე 637, ფ. 3.

⁴ გრიგოლ გიორგაძე (1879-1937) – ცნობილი ქართველი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, ორთოდოქსი მარქსისტი. რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი. რესპუბლიკის პირველი სამხედრო მინისტრი, 1920 წლის აგვისტოდან საქართველოს

ბრძოლების შემდეგ, 26 ივლისის 20 საათზე ჩემს დაქვემდებარებაში მყოფი ჯარები ტუაფსეში შევიდნენ. მიწინააღმდეგე გაათრეულ ვინააღმდეგობას გვიწევდა. თითოეული სიმაღლის აღება ბრძოლებით გვიხდებოდა. ავიყვანეთ მრავალი ტყვე, ალაფად ავიღეთ 4 ქვემეხი, 12 ტყვიამფრქვევი, საბრძოლო მასალების დიდი რაოდენობა, სხვადასხვა ტიპის სომალდი, ავტომობილები, 5 ორთქლმავალი ვაგონებით და დიდი საინტენდანტო ქონება“¹.

ჩვენს მიერ იგივე ბრძოლების აღწერისა და ლაზარევესკიას დაკავების შესახებ არქივში მიკვლეულ იქნა ძალიან საინტერესო კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელშიც ვკითხულობთ:

„სამხედრო მინისტრს. ტელეგრამა სოხუმიდან. გადმოცემულია 27 ივლისს, 17 საათსა და 20 წუთზე.

დამარცხებული მოწინააღმდეგის დევნის შემდეგ, დღეს, 15 საათზე დავიკავე ლაზარევეს ვერტილი მოწინააღმდეგე უკან დახევის გზაზე დაყარა სამხედრო სამოსელი მძიმე აღჭურვილობა და ავტომობილები ვერტილი ხელში ჩავიგდეთ კიდევ ერთი ქვემეხი და მხუთავი აირების 50 ჭურვი მძიმე ტყვეები მძიმე ასევე ვაგონების დიდი რაოდენობა ვერტილი დევნას განვაგრძობთ წვეტილი მოწინააღმდეგე დიდი დანაკლისებს განიცდის ვერტილი ტუაფსეში ჩვენი სომალდებს ცეცხლი გაუხსნეს სანაპირო არტილერიის ექვსდუმიანი ქვემეხებიდან ვერტილი.

გენერალი მაზნიევი. დედანთან სწორია: როტმისტრი უშვერიძე“².

როგორც ვხედავთ, გენერალი მაზნიაშვილის ეს პატაკში კიდევ ერთხელ ადასტურებს ბოლშევიკთა მიერ ქიმიური იარაღის ფლობისა და მისი საბრძოლო გამოყენების ფაქტს. საბჭოთა, რუსული და პრორუსული პოზიციის ავტორები და მკვლევრები კი, რა თქმა უნდა, სდუმან ამ მოვლენების შესახებ. მათთვის არანაირად არაა მომგებიანი ქიმიური იარაღის საბრძოლო გამოყენების ფაქტების გამომზეურება, მით უმეტეს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ 1921 წლის ზაფხულში ტამბოვის გლეხთა ანტისაბჭოთა გამოსვლებსა და შეიარაღებულ აჯანყებას.

ტუაფსესთან გამართული ბრძოლების შესახებ კი, გაზეთი „ერთობა“ კი წერდა: „ჩვენი არტილერიის მოხდენილი მოქმედებით ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა, – იტყობინებოდა გენერალი მაზნიაშვილი, – ჩვენის მხრით დაჭრილია 10, მოკლულია ერთი. დაჭრილთა შორის არიან მე-3 ქართული პოლკის შტაბს-კაპიტანი დოლაბერიძე და სახალხო გვარდიელი, პორუჩიკი ნოვიკოვი. მტერი, რიცხვით 1200 კაცამდე სამი ჯავშნიანი მატარებლით და ავტომობილებით გაიქცა არმავირის მიმართულებით.

მოგახსენებთ რა, ზემოთ აღნიშნულს, ვშუამდგომლობ ებოძოს პოლკოვნიკ ამირეჯიბს გენერლობა, მე-6 ბატარეის უფროსს, კაპიტან იაშვილს პოდპოლკოვნიკობა და 1-ლი ბატარეის უფროსს, შტაბს-კაპიტან ქუთათელაძეს – კაპიტნობა. ივლისის 28-ს სამხედრო მინისტრმა დეკრეტით დააკმაყოფილა გენ. მაზნიაშვილის შუამდგომლობა და დაავალა მას მადლობა გადასცეს მებრძოლთა საქართველოს რესპუბლიკის სამსახურისა და სიმამაცისათვის“³.

ტუაფსესთან გამართული ბრძოლების შემდეგ ფლოტი დაეხმარა სახალხო გვარდიას ოჩამჩირის რაიონში მოთარეშე „კიარაზის“ წითელი ბანდებისა და ბოლშევიკების განადგურებაშიც.

აღწერილი ამბების პარალელურად ბოლშევიკური ბანდების თარეშმა საქართველოს სხვა კუთხეებშიც, განსაკუთრებით სამურზაყანო მოიცვა. ვითარება იმდენად საგანგაშო იყო, რომ აფხაზთა სახალხო საბჭოს თავმჯდომარე, ვარლამ შარვაშიძე იძულებული გახდა ოფიციალურად მიემართა საქართველოს სამხედრო მინისტრისათვის: „სამურზაყანოს უბანზე არსებული ანარქიის გამო აფხაზთა სახალხო საბჭო თხოვნით მიმართავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, რათა დახმარებისა და სამურზაყანოში წესრიგის აღსადგენად გამოგზავნილ იქნას რაზმი“. სახალხო საბჭოს იგივე შინაარსის თხოვნა უშუალოდ გენერალ მაზნიაშვილსაც გაეგზავნა⁴.

საბჭოთა ისტორიოგრაფია კი, გალი-ოჩამჩირის რაიონში ჩაბუდებული ბოლშევიკების თარეშს „საბჭოთა ხელისუფლების“ დამყარებად ნათლავდა სამურზაყანოში. თავის ნაშრომში „Нестор Лакоба“, მიხაილ ბლაჟბა აღნიშნავს – „სამურზაყანოს უბანზე საბჭოთა ხელისუფლებამ ექვს თვეს გასტანა“⁵. სამურზაყანოსა და საერთოდ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში (სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი, დუშეთის მაზრა, ცხინვალი) 1918 წლის განმავლობაში დამყარებული ეს ე. წ. „საბჭოთა ხელისუფლებები“ კი, რეალურად ბოლშევიკურ-კრიმინალური ბანდების თარეშს წარმოადგენდა.

მთავრობის საგანგებო რწმუნებული ბათუმის ოლქში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, ემიგრაციაშია.

¹ საქართველოს რესპუბლიკა, 30 ივლისი (1918).

² საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფ. 6.

³ ერთობა, №159, 30 ივლისი (1918), გვ. 2.

⁴ Гамахария Дж., Гогия Б., Абхазия, историческая область..., стр. 76.

⁵ Бгажба М., Нестор Лакоба (Тбилиси, 1965). http://apsnyteka.org/1178-bgazhba_m_nestor_lakoba.html

ოპერატიული ვითარებიდან გამომდინარე, შავიზღვისპირეთიდან ბოლშევიკთა განდევნისა და სოჭის ოლქზე სრული კონტროლის მოპოვების მიზნით, ქართული სარდლობის მიერ ბოლშევიკთა წინააღმდეგობის ცალკეული კერების ლიკვიდაცია პრევენციული დარტყმის მიყენებით გადაწყდა. ქართული მხარის მიერ დასმული ამოცანა წარმატებით იქნა განხორციელებული. რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი, გრიგოლ გიორგაძე გენერალ მაზნიაშვილის კიდევ ერთ ტელეგრამას იღებს, სადაც სრულადაა წარმოდგენილი ბრძოლის დინამიკა, პერიპეტეები და მისი შედეგები:

„მტრისათვის წინმსწრები დარტყმის მიყენების მიზნით, რომელიც სადგურ ბელორენესკა-იასთან იყო თავმოყრილი, ჩემდამი დაქვემდებარებული ჯარები 4 აგვისტოს 13 საათზე შეტევაზე გადავიდნენ და გაფანტეს მტრის მეწინავე რაზმები, რომლებიც ტუაფსედან 6 ვერსზე იყვნენ გამაგრებულნი. შეტევის მსვლელობისას ჩვენი ჯარები მტრის ძირითად ძალებს შეხვდნენ – მიხეილისა და მაიკოპის პოლკებს, საერთო რიცხვით 4 ათასი კაცი, ანტონოვის მეთაურობით. ამ ჯარებს ჰქონდათ სამი ზარბაზანი, ჯავშანმატარებელი დასახელებით „თავისუფლებისათვის მებრძოლი №2“ და მრავალი ტყვიამფრქვევი.

ბრძოლა სოფ. გრემესკოდან ოთხ ვერსზე დაიწყო. ექვსსაათიანი გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ანტონოვის ჯარებმა მარცხი განიცადეს და დაიფანტნენ. ბოლშევიკებმა ასეულობით მებრძოლი დაკარგეს მოკლულებისა და დაჭრილების სახით. ჯავშანმატარებელი განადგურებულია, ორთქლმავალი – დამწვარი. მატარებლის მთელი პირადი შემადგენლობა დაკავებულია, მოპოვებულია ოცი ზარბაზანი, 30 ტყვიამფრქვევი, ვაზნების დიდი რაოდენობა, ყუმბარები და შაშხანები. ხელში ჩავიგდეთ აგრეთვე გამართული საველე სამზარეულო, მატარებლის მთელი შემადგენლობა, თხრილების ამოსათხრელი მანქანები, ფქვილი, კონსერვები, კავშირგაბმულობის საშუალებები, ცხვრის ფარა, მატარებლის ოთხი შემადგენლობა. მტრის საბოლოო განადგურების მიზნით დადგენებულებმა 4 აგვისტოს 20 საათზე ავიღეთ სადგური კრივენკოვსკაია, 5 კილომეტრზე წავიწიეთ წინ და მოცემულ მომენტში იქა ვართ გამაგრებულები“¹.

საერთო ჯამში, ქართული შენაერთის მიერ რკინიგზის გასწვრივ დაწყებული შეტევითი ოპერაცია დიდი წარმატებით დასრულდა, შავიზღვისპირეთის ბოლშევიკთა 4000 კაციანი ანტონოვის საბრძოლო ძალა, მაიკოპისა და მიხეილის პოლკები, ფაქტობრივად განადგურდა და ქართული მხარის მიერ დიდი საბრძოლო ალაფიც იქნა მოპოვებული.

სოჭის ოლქის საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთში, ისიდორე რამიშვილი მთავრობის თავმჯდომარეს წერდა:

„ტელეგრამა №210. თბილისის სასახლე. პრემიერ მინისტრ ჟორდანიას. სოჭიდან. პირდაპირი სამხედრო ხაზით.

აუცილებელია დაუყოვნებლივ ჩამოვყალიბდეთ სოჭის ოლქთან დაკავშირებით – იქნება თუ არა ის საქართველოს რესპუბლიკის ნაწილი. თუ – კი, მაშინ დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ იქ ახალი ცხოვრების აღმშენებლობას, უნდა გამოავაზანოთ მითითებები მიწის რეფორმასთან დაკავშირებით, უნდა ჩამოვიდნენ ის ხალხი, რომლებიც ყველაფერ ამას განახორციელებენ. რას ფიქრობთ რკინიგზაზე. გავაგრძელებთ თუ არა მის მშენებლობას და რომელ ადგილამდე. მოკლედ, მთელი რიგი საკითხებია დაგროვილი, რომლებიც სასწრაფოდ მოითხოვენ გადაჭრას. საჭიროა ფინანსირება. საჭირო არის კანონებითა და დადგენილებებით შეიარაღებული კომპეტენტური წარმომადგენლის გამოგზავნა. ან უარი უნდა ვთქვათ ყველაფერზე. აქაური ხაზინა ერთ მილიონს ითხოვს, თანხებს ითხოვენ სხვა უწყებებიც.

პასუხი გამოავაზანეთ სოჭის საოლქო კომისრის, ფერაძის სახელზე. მე გავდივარ სოხუმი-საკენ. იქ აფხაზთა საბჭოსთან მიმართებაში სირთულეებია. შემდეგ ვფიქრობ ჩამოვიდე ტფილისში ორი დღით, მოხსენების გასაკეთებლად.

ახლა ოლქზე უარის თქმა არაფრით არ შეიძლება და საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. ასეთია ჩემი აზრი.

ისიდორე რამიშვილი“².

სოჭის ოლქთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, სოჭის ოლქში მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულად, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, გიზო ანჯაფარიძე³ ინიშნება. 1918 წლის აგვისტოში კი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები ჩატარდა¹.

¹ საქართველოს რესპუბლიკა, 8 აგვისტო (1918).

² საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფ. 5.

³ გიორგი (გიზო) ანჯაფარიძე (1891-1924) – ქართველი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, პროფესიით იურისტი, რსდმპ წევრი 1905 წლიდან, მენშევიკი. მოგვიანებით დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაცია – „სხივის“ წევრი. 1917-1919 წლებში საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, 1919 წლიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. 1918 წელს, საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული

შავიზღვისპირეთში მიღწეული დიდი წარმატების შემდეგ, 22 აგვისტოს თბილისში გამართული სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის გაფართოებულ სხდომაზე შემდგომი მოქმედებების გეგმა იქნა დასახული. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გამოცხადებულიყო გვარდიის მობილიზაცია, გაგზავნილიყო რაზმები ცხელ წერტილებში და შენარჩუნებულიყო აქტიური მზადყოფნის მდგომარეობა ბოლშევიკთა მოსალოდნელი აგრესიის აღსაკვეთად როგორც შავიზღვისპირეთში, ასევე სხვა მიმართულებებზე, კერძოდ, შიდა ქართლსა და ლეჩხუმში.

„გვარდიის მთავარი შტაბის ერთობლივი სხდომა რაიონულ შტაბებთან ერთად. ოქმი ნომრის გარეშე. 1918 წლის 22 აგვისტო.

თავმჯდომარე: ჯუღელი;

მდივანი: აუშტროვი;

მოსმინეს ჯუღელის მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი შემდგომი ქმედებები – დავრჩეთ აქტიური მოქმედებების გარეშე და ვაწარმოთ გაძლიერებული საორგანიზაციო მუშაობა. მომენტი მოითხოვს მობილიზაციის სასწრაფოდ გამოცხადებას და ოპერაციების დაწყებას როგორც ოსეთის მიმართულებაზე, ასევე სხვა ფრონტებზე.

დაადგინეს:

1. ორშაბათიდან, 26 აგვისტოდან გამოცხადდეს სახალხო გვარდიის სრული მობილიზაცია; გედევანოვის² (აქ გენერალ იოსებ გედევანიშვილზეა საუბარი – ა. ჩ.)³ რაზმი გაიგზავნოს ლეჩხუმში;

2. სახალხო გვარდიელები გაიგზავნონ სამეგრელოსა და შავი ზღვის სანაპიროზე;

3. სახალხო გვარდიელებს პროვინციებიდან, განსაკუთრებით გორის მაზრიდან გაუკეთდეს მობილიზაცია და იყვნენ სრულ მზადყოფნაში ოსეთის წინააღმდეგ.

მდივანი აუშტროვი⁴.

ბოლშევიკებისაგან სოჭისა და სოჭის ოლქის გასუფთავების ოპერაცია, მიუხედავად კარგად შეიარაღებული წითელგვარდიული ბოლშევიკური რაზმებისა და ადგილობრივი „კიარაზის“ ბანდოვორშირების შეთანხმებული მოქმედებებისა, ქართული შენაერთის მიერ დიდი წარმატებით იქნა განხორციელებული. ქართული მხარის შეტევით ოპერაციაში ჯარების ორი სახეობა და სახმელეთო ჯარების სამივე გვარეობა მონაწილეობდა – ქვეითები, არტილერია, კავალერია. უშუალოდ სოჭი-ტუაფსეს ბრძოლებში – ჯავშანმატარებელი და ჯავშნოსანი ავტომობილები.

ქართულმა მხარემ საბრძოლო მოქმედებათა წარმართვის კარგი გამოცდილება მიიღო. შეტევითი ოპერაციის ტემპები და სიღრმე ძალიან მაღალი იყო, ჯარების მართვა – ეფექტური. მთელი საომარი კამპანიის განმავლობაში, დაწყებული 1918 წლის 17 მაისის კოდორის ბრძოლიდან, დამთავრებული იმავე წლის 4 აგვისტოს ბელორეჩენსკაიასთან გამართული ბრძოლით, როგორც სოხუმის, ასევე სოჭი-ტუაფსეს შეტევით ოპერაციებში, ქართულ მხრესთან შედარებით მოწინააღმდეგე დიდ რიცხოვრივ უპირატესობას ფლობდა. მიუხედავად ქართული მხარის მცირერიცხოვნობისა, მოწინააღმდეგის საბრძოლო დანაკარგები, როგორც ცოცხალ ძალაში, ასევე საბრძოლო მასალებში, აღჭურვილობასა და სხვა საშუალებებში დიდი იყო. ქართული მხარისა – მინიმალური.

სოჭის ოლქში. 1920 წლის თებერვლიდან 1921 წლის მარტის ჩათვლით ბათუმის ქალაქის თავი. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ იგი ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა საქართველოში. 1921-1924 წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ანტისაოკუპაციო მოძრაობის აქტიური წევრი და მისი ერთ-ერთი ლიდერი. ბოლშევიკთა მიერ დახვრეტილ იქნა 1924 წელს.

¹ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1863, ანაწერი 1, საქმე 900, ფ. 24.

² იოსებ (სოსო) გედევანიშვილი (1873-1939) – ქართველის ოფიცერი და პოლიტიკური მოღვაწე. რუსეთის არმიის შტაბს-კაპიტანი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწისა და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილისა და გენშტაბის ოპერატიული სექციის უფროსის, პოლკოვნიკ ნიკოლოზ გედევანიშვილის ძმა. რევოლუციონერი ოფიცერი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი 1905-1923 წლებში. რკპ(ბ) წევრი 1924 წლიდან. დუშეთის კომენდანტი. 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე. რის გამოც კაპიტნის წოდებით დათხოვნილ იქნა რუსეთის არმიიდან. მას შემდეგ ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ და რევოლუციურ საქმიანობას. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის ნაციონალური არმიისა და ქართული საარმიო კორპუსის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და ხელმძღვანელი. საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, პარტიის აღმასკომის წევრი. 1919 წლიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. 1918 წლის დასაწყისიდან ფედერალისტთა ბათუმის საბრძოლო ე. წ. „პარტიზანული რაზმის“ მეთაური. 1918 წლის აგვისტოდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების უფროსი. 1919 წლის დასაწყისიდან აფხაზეთისა და შავიზღვისპირეთის ქართული გარნიზონის სარდალი, 1920 წლის დეკემბრიდან ბორჩალოს მაზრის ქართული გარნიზონის სარდალი. 1921 წლის ბოლშევიკურს სამხედრო ინტერვენციის დროს სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში.

³ Гогитидзе М. Д., *Военная элита Кавказа, генералы и адмиралы из Грузии* (Тбилиси, 2007), стр. 103.

⁴ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, პარვარდისა და ლევილის ფონდები, ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფ. 4.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ბოლშევიკთა მიერ საჰაერო დაბომბვისა და ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ არც ერთს და არც მეორეს, საბრძოლო მოქმედებების ხასიათზე და არც ბრძოლის შედეგებზე არსებითი ზეგავლენა არ მოუხდენია. და მიუხედავად ამისა, მთავარი მაინც ბოლშევიკთა მიერ მოსახლეობის საჰაერო დაბომბვისა და ქიმიური იარაღის საბრძოლო გამოყენების ფაქტებია.

ქართული მხარის მიერ შეტევითი ოპერაციის დაგეგმვისა და აღსრულების საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საზღვაო ფლოტის გამოყენება და სახმელეთო ძალებთან მათი ორგანიზებული ურთიერთქმედება. ამ მხრივ, ცალკე გამოყოფის ღირსია მცირე დესანტირების წარმატებული ოპერაციის ჩატარება, ასევე, საბრძოლო პატრულირების დროს ოსმალური სადესანტო რაზმის აღმოჩენა და დანაკარგების გარეშე მისი გაუვნებელყოფა.

კატარღებისა და სატრანსპორტო გემის „წმ. მიხეილი“ მოქმედებებმა, მისმა ეფექტურმა გამოყენებამ ადგილმდებარეობის რელიეფური და ლანდშაფტური თავისებურებების გათვალისწინებით, შეზღუდა მოწინააღმდეგის მოქმედებების სამანევრო სივრცე, დიდი დანაკლისი მიაყენა მის სანაპირო არტილერიას და საცეცხლე მხარდაჭერით ქართული ქვედანაყოფების წინსვლა უზრუნველყო. სოხუმისა და სოჭი-ტუაფსეს კამპანიაში ბოლშევიკთა მიერ ბომბამშენი ავიაცია და ქიმიური იარაღი იქნა გამოყენებული, რაც თავისთავად უნიკალურ შემთხვევას წარმოადგენდა კავკასიის ომების ისტორიაში. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ქმედებებს საბრძოლო მოქმედებების მსვლელობაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

ზემოთ მოყვანილი დასკვნები საომარი ოპერაციების პროზაულ აღწერა-ანალიზის სქემაში ჯდება. მაგრამ თუ წმინდათ სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით მივეუდგებით განსახილველ საკითხს, ასეთ შემთხვევაში იგი საბრძოლო ფუნქციებისა და ომის პრინციპების ჭრილში უნდა გაეშალათ იგი.

კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე, საუკუნეებისა და ათასწლეულების განმავლობაში მრავალი სამხედრო სტრატეგოსი ცდილობდა ომის წარმოების წესებისა და წარმატებული სამხედრო სტრატეგიების სისტემატიზირებას გარკვეულ პრინციპებში. სუნ-ძი, მაგალითად, თავის „ომის ხელოვნებაში“¹ 13 პრინციპს გამოყოფდა, კარლ ფონ კლაუზევიცი – 10-ს², ნაპოლეონი – 115-ს³, ამერიკის სამოქალაქო ომის წარმატებული გენერალი ნათან ბედფორდ ფორესტი კი მხოლოდ ერთს – „აღმოჩნდე იქ სალხის მეტი რაოდენობით“⁴.

საბრძოლო ფუნქციებისა და ომის წარმოების თანამედროვე პრინციპები, ცხადია, არ მოიცავს ნაპოლეონისეული თეორიების ათეულობით პუნქტს და არც გენერალ ფორესტის ერთ პუნქტს. კონცეპტუალური თვალსაზრისით იგი სულ ცხრა პუნქტშია გაერთიანებული. ეს პუნქტები ამერიკის შეერთებული შტატების არმიის (სახმელეთო ჯარების) ერთ-ერთი დოქტრინალური სახელმძღვანელოს – საველე წესდებების (Field Manuals) ერთ-ერთ ნორმატიულ აქტშია მოყვანილი, კერძოდ – “FM (Field Manual) 3_0. Operations”⁵, – „საველე წესდება 3-0 – სამხედრო ოპერაციები“. ამ დოქტრინით განსაზღვრულ ომის პრინციპებს შემდეგი სახე აქვს:

– მიზანი (ყოველ სამხედრო ოპერაციას უნდა გააჩნდეს ნათლად განსაზღვრული, მყარი და მიღწევადი მიზანი);

– შეტევა (მიღწევა, შენარჩუნება, ექსპლუატაცია);

– ძალთა მასირება (საბრძოლო ძალების კონცენტრაცია გადამწყვეტ დროსა და ადგილას);

– ძალთა ეკონომია (მინიმალურად ეფექტური საბრძოლო ძალის გამოყენება);

– მანევრი (ჩააყენე მტერი არახელსაყრელ მდგომარეობაში საკუთარი ძალების მოქნილი გამოყენებით);

– მართვის ერთიანობა (ყოველი მიზნის მიღწევისათვის მოქმედებების ერთიანობა ერთი პასუხისმგებელი ხელმძღვანელის მეთაურობით);

– უსაფრთხოება (არასდროს არ დაუშვა მტრის მიერ მოულოდნელი უპირატესობის მოპოვება);

– მოულოდნელობა (დაარტყი მტერს საჭირო დროსა და საჭირო ადგილას, და ისეთი სახით, რისთვისაც ის ყველაზე ნაკლებადაა მზად);

– სიმარტივე (მოამზადე ნათელი, მარტივი გეგმა და ადვილად გასაგები მოკლე ბრძანებები)⁶;

სწორედ სამხედრო ხელოვნების კუთხითაა საინტერესო განვიხილოთ სოხუმისა და სოჭი-ტუაფსეს შეტევითი ოპერაციების აღსრულება, და რა თქმა უნდა, აქ წარმოდგენილი ომის პრინციპების თვალსაზრისით.

¹ The Art of War, translated and annotated by L. Giles (El Paso 2005).

² Carl Von Clausewitz, Principles of War, Translated and edited with an introduction by H. W. Gatzke (New York, 1942).

³ Napoleon and the Jews, by B. Weider (Tallahassee, 1998). http://www.napoleonseries.Org/ins/weider/c_jews.html

⁴ <http://query.nytimes.com/mem/archivefree/pdf?res=9907EFDE1238EE32A2575BC2A9639C946996D6CF>

⁵ Catton Br., The Civil War (New York, 1971).

⁶ იქვე.

მიზანი – როგორც სოხუმის, ასევე სოჭი-ტუაფსეს ოპერაციებში ქართული სარდლობის წინაშე მკაფიოდ განსაზღვრული პოლიტიკური მიზნები იყო დასახული. პირველ შემთხვევაში – სოხუმის ოლქში ბოლშევიკთა თარეშის აღკვეთა, ხოლო მეორეში – იგივე ამოცანის განხორციელება სოჭის ოლქთან დაკავშირებით, და დამატებით – ბოლშევიკთა ახალი აგრესიის პრევენცია. ქართული მხარის შეტევითი ოპერაციები სცილდებოდა წმინდათ სამხედრო ოპერატიული ხასიათის მოქმედებებს და აქ წინა პლანზე უკვე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები გამოდიოდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ქართული სარდლობის წინაშე დასმული პოლიტიკური მიზნები სოჭი-ტუაფსეს შეტევითი ოპერაციის დროს, ნათელი და მკაფიო იყო. შესაბამისად, განსაზღვრული იყო სამხედრო ოპერაციების ხასიათიც;

შეტევა – ოპერაციის დროს ქართული შენაერთების შეტევითი ოპერაცია ძალიან მაღალი ტემპით განხორციელდა. ოპერაციის სიღრმე მაღალი იყო. დასახული შუალედური მიზნები მიღწეულ იქნა, მიღწეული წარმატებები კი, ეფექტურად იქნა რეალიზებული. ექპლუატაციის დონეც მაღალი იყო.

ძალთა მასირება – ქართული სარდლობის მიერ შეტევითი მოქმედებები დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოწინააღმდეგის შესახებ მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, მოხდა შესაბამისი ძალებისა და საშუალებების თავმოყრა და გადაჯგუფება. გენერალმა მაზნიაშვილმა, ოპერაციების წარმოების საწყის ეტაპზე, სოხუმზე შეტევის წინ, შეტევის დაწყება მთელი ერთი კვირით გადადო – მანამ, სანამ საკმარისი ძალებისა და საშუალებების თავმოყრა არ მოხდა გვარდიული რაზმების, საჯარისო ქვედანაყოფებისა და აფხაზური კავალერიის სახით. შუალედური ამოცანების შესრულების დროსაც, მასიურობის პრინციპის მოთხოვნები დაცული იყო;

ძალთა ეკონომია – ამ პუნქტთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღსანიშნავია სოჭის ოპერაცია, სადაც ძალთა ეკონომიის მიზნით გენერალ მაზნიაშვილის მიერ დამატებითი ძალების თავმოყრას არ ჰქონდა ადგილი, რადგან „სოჭის მიმართულებით ბრძოლებს აღარ ჰქონდა ძლიერი შეტაკების ხასიათი და ჯარების გადაჯგუფება-გადმოჯგუფების აუცილებლობა აღარ არსებობდა“¹. ძალთა ეკონომიის პრინციპის კარგი დემონსტრირება იყო ტუაფსეს მეწინავე პოზიციებზე გენერალ მაზნიაშვილის მიერ კაზაკთა მცირე ქვედანაყოფის დაყენება თავდაცვის მარჯვენა ფრთაზე, ტუაფსეს ჩრდილოეთით მდებარე უღელტეხილზე. ძირითადი ძალების თავმოყრა კი თავდაცვის მარცხენა ფრთაზე, ზღვის ხოლში მოხდა².

მანევრი – ომის პრინციპების ეს პუნქტი სრულად იქნა დაცულ ქართული მხარის მიერ. სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის არც ერთ ფაზაში მოწინააღმდეგეს არ მიეცა საშუალება მოეპოვებინა თუნდაც მცირე ტაქტიკური ხასიათის უპირატესობაც კი. ყოველივე ეს, კარგად მეტყველებს ოპერაციის დაგეგმვის, მართვისა და აღსრულების მაღალ დონეზე.

მართვის ერთიანობა – გენერალ მაზნიაშვილის მიერ სოხუმში ჩასვლისთანავე განხორციელდა ჯარების ერთმმართველობის პრინციპის გატარება. კერძოდ, სოხუმის გარნიზონისა და პოზიციებზე მყოფი გვარდიელების საკუთარი სარდლობის ქვეშ დაქვემდებარება. გვარდიულ ნაწილებთან მიმართებაში ამ გადაწყვეტილების რეალიზაცია კი, სრულებითაც არ წარმოადგენდა მარტივ ამოცანას. გენერალ მაზნიაშვილის სოხუმში ჩასვლის მომენტში, 1918 წლის 19 ივნისს, გვარდიულ ქვედანაყოფებს ეროვნებით რუსი გვარდიელი „ამხ. ტუმარკინი“ ხელმძღვანელობდა. გენერალი მაზნიაშვილი: „ტუმარკინს განვუცხადე, რომ ამ დღიდან, წესდების თანახმად, გარნიზონის უფროსად მე უნდა ვიყვე და ვუბრძანე დაუყოვნებლივ შეეგროვებინა გვარდიის ყველა ნაწილები, რომელნიც კი ქალაქში იყვნენ, წასულიყო მეწინავე რაზმის დასახმარებლად და მიეღო ენერგიული ზომები ფოთიდან მთავარი ძალების მოსვლამდე მოწინააღმდეგის შესაჩერებლად.

ისიდორე რამიშვილს ვთხოვე, როგორც პოლიტიკურ წარმომადგენელს, დაედასტურებინა ჩემი სიტყვები და აეხსნა ტუმარკინისათვის, რომ ამიერიდან მე ვარ ერთადერთი უფროსი, რომლის ბრძანებანი უნდა შესრულდებოდეს იქნეს ყველას მიერ, სახალხო გვარდიის გამოუკლებლად“³. რუსი ეროვნების გვარდიელის, ტუმარკინის სოხუმის გარნიზონის უფროსად ყოფნის ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებასაც, რომ სახალხო გვარდია არა ქართველთა ნაციონალურ, არამედ სოციალ-დემოკრატიულ ინტერნაციონალურ საბრძოლო ორგანიზაციას წარმოადგენდა. მასში სხვადასხვა ეროვნების მებრძოლები იყვნენ ჩართულნი.

უსაფრთხოება – უსაფრთხოების დონისძიებები კარგად იყო დაგეგმილი და რეალიზებული. ქართული მხარის შეტევითი სტრატეგიული ოპერაციის არც ერთ ეტაპზე, მოწინააღმდეგეს უპირატესობისათვის არ მიუღწევია – ყველაფერი გაწერილი გეგმის შესაბამისად ხორციელდებოდა.

¹ გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი..., გვ. 63-64.

² იქვე, გვ. 77.

³ იქვე, გვ. 62-63.

მოულოდნელობა – ქართული შენაერთის თითოეული ბრძოლა მოულოდნელობის ეფექტზე იყო გათვლილი, რაც წარმატებული შედეგის მომტანი აღმოჩნდა. ამავე პრინციპის წარმატებული გატარებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ყოველი ბრძოლის შემდეგ ქართული მხარის საბრძოლო დანაკარგები მინიმალური იყო, მოწინააღმდეგისა კი – ძალიან დიდი. დიდი იყო ქართული მხარის მიერ მოპოვებული საბრძოლო ალაფიც. ამავე პრინციპის გატარებად უნდა ჩაითვალოს პირადად გენერალ მაზნიაშვილის უშუალო მონაწილეობითა და ნულოვანი დანაკარგებით სოხუმთან გადმომსხდარი ოსმალური დესანტის განეიტრალება.

სიმარტივე – სამწუხაროდ, ჩვენი კვლევის პროცესში ვერ მივაკვლიეთ უტყუარ და სარწმუნო დოკუმენტაციას, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა რომელიმე დაპირისპირებული მხარის ამა თუ იმ ეტაპის საბრძოლო ბრძანებები, საომარ მოქმედებათა ჟურნალებიდან ამონაწერები ან მსგავსი ხასიათის საშტაბო დოკუმენტაცია. ის დოკუმენტაცია, რომელიც საშუალებას მოგვცემდა დეტალურად განგვეხილა ომის პრინციპების ბოლო, მეცხრე პუნქტი. ამ მიმართებაში ერთი რამის თქმა კი, ნამდვილად შეიძლება – წინა რვა პუნქტის აღსრულება თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ პრინციპი – „სიმარტივე“, ისეთივე წარმატებით იყო აღსრულებული ქართული სარდლობისა და შენაერთების მეთაურების მიერ, როგორც წინა რვა.

საერთო ჯამში, გენერალ მაზნიაშვილის სარდლობით კარგად დაგეგმილი და წარმატებულად განხორციელებული შეტევითი ოპერაციის შედეგად ამ ეტაპზე ბოლშევიკური აგრესიის საფრთხე აღიკვეთა, ხოლო ქართულმა სახელმწიფომ თავისი ისტორიული ტერიტორიების დიდი ნაწილი ისევ უკან დაიბრუნა, სადაც მისი დე-ფაქტო იურისდიქცია აღსდგა. „ოქროს ხანის“ პერიოდის შემდეგ საქართველოს ერთიანი სახელმწიფოსათვის ეს იყო ყველაზე დიდი ტერიტორიული შენაძენი XII საუკუნის დამდეგიდან.

მოგვიანებით, ანალიზებდა რა შავიზღვისპირეთში, აფხაზეთსა და მთელს ამიერკავკასიაში 1918 წლისათვის არსებულ მდგომარეობას, აფხაზეთის ე. წ. „რევკომის“ თავმჯდომარე, ევრემ ეშბა წერდა: „1918 წელს ოქტომბრის რევოლუციის პირველმა ტალღამ აფხაზეთს მოადწია... ოქტომბრის რევოლუციის მეორე ტალღა კი, რომელიც განსაკუთრებული სიმძლავრით კასპიის ნაპირებზე აგორდა, ბაქომდე მივიდა... ეს ორი ტალღა მზად იყო თბილისში შეერთებულიყო. მაგრამ მათ შორის ხიშტების კედელი აღიმართა, რომელიც წვრილბურჟუაზიული მთავრობის მიერ იქნა მომზადებული. ეს ორი ტალღა დამსხვრეულ იქნა იმპერიალისტური ძალების მიერ ორგანიზებული წინააღმდეგობით ჯერ მენშევიკების ნიღბით, შემდეგ კი – უკვე თავად იმპერიალისტურმა ჯარებმა დაიკავეს ამიერკავკასია“¹.

ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ 1918-1921 წლების ამიერკავკასიისა და საქართველოს ისტორია დამახინჯებულად და ტენდენციურად განიხილებოდა. თითქოს აქ მიმდინარე „რევოლუციური პროცესები“ მშრომელთა მასების ბრძოლა იყო სისხლისმსმელი ბურჟუაზიისა და ექვლატატორული კლასების წინააღმდეგ და არა ქართველი და სხვა ხალხების მიერ დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ბრძოლა რუს ბოლშევიკთა მიერ ინსპირირებული შეიარაღებული აგრესიის წინააღმდეგ. ამავე კონტექსტში, ზოგიერთი აფხაზი პოლიტიკოსის ბრძოლა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ გატარებული პოლიტიკური კურსის წინააღმდეგ და ამ პოლიტიკოსების კარგად შენიღბული ნაციონალისტურ-სეპარატისტული მისწრაფებები კი, აფხაზეთის ე. წ. „ეროვნული დამოუკიდებლობისათვის“ ბრძოლადაა მონათლული.

ჩვენს მიერ მოყვანილი დოკუმენტური მასალები, რომლებსაც სხვათა შორის, საბჭოთა პერიოდში ფართო პროპაგანდა ეწეოდა როგორც საბჭოთა რუსეთის მიერ გაწეული ძმური სოლიდარობის ნიმუშს თავისი აფხაზი და ქართველი „მშრომელთა მასების“ მიმართ, საპირისპიროს ამტკიცებენ. ხოლო კრემლისა და წითელი არმიის „მეხუთე კოლონის“ – ბოლშევიკების მიერ აფხაზეთში მოწყობილი სამხედრო პუტჩების სერია ნათლად აჩვენებს მოსკოვის „მმართველ“ და „წარმმართველ“ როლს 1918 წლის ზამთარსა და ზაფხულში აფხაზეთში დატრიალებულ მოვლენებზე. თუმცა, ლენინისა და მისი გუნდის ეს მცდელობები მაშინ ამაო აღმოჩნდა. მაშინ აფხაზეთის ბოლშევიკი პროვოკატორებისაგან აფხაზეთის გამიჯვნა მოხერხდა. აფხაზეთის დამოუკიდებლობისათვის ეს ე. წ. „მებრძოლები“ კრემლის უბრალო აგენტებს წარმოადგენდნენ, რომლებიც მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად იბრძოდნენ, რომ ნებისმიერი საშუალებებით აღედგინათ „საბჭოთა რუსეთად“ წოდებული ერთიანი და განუყოფელი ახალი ნეოცარისტული რუსეთის იმპერია².

ეს კარგად ჩანს იმდროინდელი აფხაზეთის პოლიტიკური ელიტის ერთ-ერთი წარმომადგენლის, ყოფილი სოციალ-დემოკრატის, მიხეილ ტარნავას მოგონებებში: „აფხაზეთის ეროვნულ

¹ Дзидзария Г. А., *Ефрем Эшба* (Москва, 1967), стр. 36.

² Папаскири З., *О т. н. "праве нации на самоопределение" и имперской политике большевистской России на южном Кавказе* (1921 г.). <http://abkhazeti.info/news/1264893439.php>

საკითხთან საქართველოს მენშევიკური პარტიის პოლიტიკასთან შეურიგებელი პოზიციის გამო, მე გამოვედი საქართველოს მენშევიკური პარტიდან... და ჩემი პარტია ჩამოვყალიბე სოციალ-დემოკრატი ინტერნაციონალისტების დასახელებით... ესდევნი სოციალისტები იდეოლოგიურად გავერთიანდით დამოუკიდებელ სოციალისტებთან, ანუ, ფაქტიურად: მე, ალანია, მარდანი, ჭანბა და ცაგურია, რომლებიც ყველანი ერთად ვატარებდით საბჭოთა რუსეთთან (რსფსრ) შეერთების პოლიტიკას და ტაქტიკას. ამისათვის ოფიციალურ ბოიკოტირებას ვუწვევდით საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებს აფხაზეთში, რათა არ დაგვეშვა აფხაზეთის სახლმწიფოებრივად უფრო ძლიერი შეერთება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან ურთიერთობებში აფხაზეთის ავტონომიისა და კონსტიტუციის საკითხებში ვაწარმოებდით შეთანხმების ჩაშლის პოლიტიკასა და მენშევიკური მთავრობის მოქმედებების კრიტიკას. ასეთ ქმედებებთან ერთად, ვეძებდით რსფსრ-თან ურთიერთობებსა და მასში შესვლის გზებს¹.

ვერაფერს ვერ ვიტყვით, ძალიან გულწრფელი აღიარებითი ჩვენებაა... აფხაზეთის აი, ასეთ დამოუკიდებლობას აღწევდნენ მაშინ მიხეილ ტარნავა და ძმანნი მისნი. აფხაზეთის დამოუკიდებლობის მოსპობისა და მისი საბჭოთა რუსეთთან შეერთების ბრძოლის ტაქტიკად კი, მათ დესტრუქციული მოქმედებები და პოლიტიკური საბოტაჟის წარმოება ჰქონდათ არჩეული. თავი კი, სამშობლოს „პატრიოტებად“ და აფხაზი ხალხის მსხნელებად მოჰქონდათ. ზუსტად მათზე, აგრეთვე ნესტორ ლაკობას, ურუშაძისა და სიოვა კუხალეიშვილის ბოლშევიკურ საბრძოლო რაზმებზე აკეთებდნენ მაშინ გათვლებს კრემლის მესვეურნი საქართველოში „მშრომელთა შეიარაღებული აჯანყების“ მომზადებისას.

თანამედროვე აფხაზურ და რუსულ ისტორიოგრაფიაში კი, რუსული იმპერიული და სეპარატისტული იდეოლოგიების მიერ ამ ამბების დღევანდელი აღწერისას, მოვლენებსა და ამ მოვლენების შეფასებას, უკვე მკვეთრად გამოხატული გრუზონოფობული ელფერი გასდევს.

ზუსტად იგივე პოლიტიკური სქემით განვითარდა მოვლენები უკვე 90-იანი წლების დასაწყისში იგივე აფხაზეთში. ამჯერად აფხაზი ხალხის მორიგი მსხნელი მოველია აფხაზეთს, აფხაზეთის „დამოუკიდებლობისათვის“ მებრძოლად შენიღბული სეპარატისტის, რეალურად კი პირწავარდნილი პროვოკატორისა და კრემლის აგენტის, ვლადისლავ არძინბას სახით. ამჯერად მოსკოვმა შეძლო თავისი ნეოიმპერიული გეგმების განხორციელება „რუსეთის ამ რიგიერასთან“ მიმართებაში. დღეისათვის აფხაზეთი რუსეთის საოკუპაციო ჯარებითაა დაკავებული და მის მოხვედრებით „დამოუკიდებლობას“ ნიშან-წყალიც აღარ შერჩენია. რუსების მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება ინტენსიურად ხორციელდება, აფხაზეთის „ათვისება“ კი, ისევ გამაღებული ტემპებით მიმდინარეობს.

თანამედროვე რუსული და პრორუსული ისტორიოგრაფია დღესაც უხვადაა გაჯერებული „გრუზინოფობული“ შტრიხებით. იგი ერთგული გამგრძელებელი აღმოჩნდა ისტორიის ფალსიფიკატორული საბჭოური სკოლის კურსისა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ პოლიტიკურ-იდეოლოგიური მომენტები უკვე უკანა პლანზეა გადაწეული და ეს არცაა გასაკვირი. დღეს ხომ მარქსიზმ-ლენინიზმის, „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისა“ და „კლასთა ბრძოლის“ მოძველებული თეორიები უკვე გაცამტვერებულია, ისინი აღარ არსებობენ, და შესაბამისად ნეოიმპერიული იდეოლოგიის ბაზისადაც აღარ გამოდგებიან. სამაგიეროდ ახლა ეროვნული საკითხებია წინ წამოწეული და აქცენტები ქართველთა „ნაციონალისტურ“ (Sic!) მიდრეკილებებზე კეთდება. თითქოს საქართველოში, ამ „მინი-იმპერიაში“ 1918-1920 წლებში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის საპროტესტო პროცესები ეროვნული უმცირესობებისა და სხვადასხვა დიასპორების მიერ თავისუფლებისა და თვითგამორკვევისათვის წარმოებულ ბრძოლას წარმოადგენდა, რომელიც ქართველთა მხრიდან ჩაგვრის წინააღმდეგ იყო მიმართული.

მაშინ, 1918-1920 წლებში, საქართველოს აფხაზეთისა და შავი ზღვისპირეთის რეგიონებში განვითარებული სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები ეთნიკურ ჭრილში არ განიხილებოდა, იგი გვერდზე იყო გადადებული და ეპოქის მამოძრავებელ ძალას მხოლოდ იდეოლოგიური მომენტები წარმოადგენდა. დღეს კი, იდეოლოგიური ვექტორების მიმართულება და აქცენტები უკვე შეცვლილია. საბჭოური და რუსული ისტორიოგრაფიით თითქოს ეს იყო აფხაზთა და ქართველთა შორის არსებული შეიარაღებული დაპირისპირება და არა ლენინისა და მისი თანამოაზრეების მიერ ცარისტული იმპერიის ნამსხვრევებზე ახალი ბოლშევიკური იმპერიის შეკოწიწების სისხლიანი პროცესის დასაწყისი.

საზგასმითაა აღსანიშნავი ის ფაქტი, რომ საქართველოს წითელი (სახალხო) გვარდია და გენერალ მაზნიაშვილის სამხედრო შენაერთი სამთავრობო ჯარებს წარმოადგენდნენ და ისინი ჯერ ამიერკავკასიის, შემდეგ კი, საქართველოს მთავრობების შესაბამისი მანდატით იყვნენ აღ-

¹ Тойдзе Л., К вопросу о политическом статусе Абхазии, *Разыскания по истории Абхазии/ Грузия* (Тбилиси, 1999), стр. 293.

ჭურვილნი. უფრო მნიშვნელოვანი კი, ისაა, რომ როგორც ვალიკო ჯუღელის, ასევე გენერალ მაზნიაშვილის შენაერთები არა „ქართველ მენშევიკთა და ნაციონალისტთა“ საბრძოლო რაზმებს, არამედ მრავალეროვნულ სამხედრო ფორმირებებს წარმოადგენდნენ. გენერალ მაზნიაშვილის შენაერთი შედგებოდა როგორც ქართული საჯარისო და გვარდიული ქვედანაყოფებისაგან, ასევე, ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული კაზაკთა რაზმისაგან, აფხაზური კავალერიისაგან და სოხუმისა და სოჭის ოლქების სხვადასხვა ეროვნების ადგილობრივი მაცხოვრებელი მოხალისე-პარტიზანებისაგან. ქართველი გენერლის რაზმში განსაკუთრებით დიდი იყო აფხაზი მოსახლეობის წილი. ცნობილი ფაქტია, რომ 1918 წლის აგვისტოს თვეში მხოლოდ დრანდის მოსახლეობამ გენერალ მაზნიაშვილის რაზმში 600 კაცი გაგზავნა¹.

ასე, რომ რუსულ და საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ინტენსიურად კულტივირებული ის იდეა, თითქოს გვარდიის მთავარი შტაბის უფროსის, ვალიკო ჯუღელისა და გენერალ მაზნიაშვილის სარდლობით საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ 1918 წლის განმავლობაში სოხუმი-სოჭი-ტყაფსეს წარმატებულად ჩატარებული საომარი კამპანია ქართველ ნაციონალისტთა მიერ იყო აღსრულებული, მტკნარი სიცრუეა. რეალურად, ეს იყო ქართველი და საქართველოში მაცხოვრებელი ეთნიკურად არაქართველი ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლა ბოლშევიკური სისხლიანი აგრესიისა და ოკუპაციის წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომისარიატის არსებობის პერიოდში, კავკასიის ფრონტიდან მომავალი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად 1917 წლის დეკემბერში ამიერკავკასიაში ჩამოყალიბება დაიწყო ინტერნაციონალურმა პარამილიტარულმა ორგანიზაციამ და მისმა მმართველობითმა ორგანომ, რომელსაც თავდაპირველად „საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომისია“ ერქვა. მოგვიანებით, 1918 წლის 4 მარტს გამართული სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე (კატალოგი №1285, ფურცელი 6, ლიტერი 2) მას „წითელი გვარდია“ ეწოდა², ხოლო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1918 წლის 2 ივლისს, ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი გვარდიის შესახებ, რომლის ძალითაც „წითელ გვარდიას“ „სახალხო გვარდია“ ეწოდა³. „სახალხო გვარდია“ და არა „ეროვნული გვარდია“, როგორც ამას ზოგიერთი პრორუსი ავტორი აღნიშნავს. აშკარაა, რომ „ეროვნული გვარდიის“ მუდმივი მოხსენიებით ისინი ცდილობენ ხაზი გაუსვან ქართველთა ე. წ. „ნაციონალიზმს“. არადა ყველაფერი ზუსტადაც რომ პირიქით იყო. გვარდიის მთავარი შტაბის პირველ შემადგენლობას შემდეგი სახე ჰქონდა: ვ. ჯუღელი (თავმჯდომარე), ალ. დგებუაძე (თავმჯდომარის მოადგილე), ალ. მაისურაძე (თავმჯდომარის მოადგილე), ს. ჯიბლაძე (საპატიო წევრი), ვლ. ჯიბლაძე (თავმჯდომარის მოადგილე), ან. ჭიაბერაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), დ. საღირაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), რ. აუშტროვი (მდივანი), გ. ფაღავა (მდივანი), ალ. ფარნიევი, ი. ქარცივაძე, ზ. გურული, ვ. გოგეშვილი, ემ. სირბილაძე, ი. ხარაში, თ. შენგელია, მ. ვარდლიანი, ტ. ფარქოსაძე, ლ. რუხაძე, ვ. მუხარინსკი.⁴ როგორც ვხედავთ, ეროვნული შემადგენლობით გვარდიის მთავარი შტაბი მართლაც ინტერნაციონალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. საქართველოს ხელისუფალნი და მმართველი პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები დაჯერებული, ორთოდოქსი მარქსისტები და ინტერნაციონალისტები იყვნენ, და ისინი ძალიან შორს იდგნენ ნაციონალური იდეისაგან. სახალხო გვარდია კი სწორედ პარტიის, ამიერკავკასიის და მოგვიანებით ქართველ სოციალ-დემოკრატთა ინტერნაციონალური იდეოლოგიის მატარებელ პარტიულ ჯარს, პარტიის პრეტორიანულ სამხედრო შენაერთს წარმოადგენდა, რომელიც მმართველი პარტიის წევრებით იყო დაკომპლექტებული.

ჩვენ დიდხანს აღარ გავაგრძელებთ ამ თემაზე საუბარს, იმდენად, რამდენადაც, ჩვენი ეს მსჯელობები ღია კარის მტვრევას დაემსგავსება. თემის დახურვისათვის კი იმასაც აღვნიშნავთ, რომ წითელი (სახალხო) გვარდიის უმაღლესი მმართველობითი-დირექტიული ორგანოს – მთავარი შტაბის წევრებად უკვე 1919-1921 წლებში ირიცხებოდნენ სომხები, უკრაინელები, პოლონელები, რუსები. შტაბის არაქართველ წევრებს წარმოადგენდნენ: ვარდლიანი, გლახოიანი, მუხარინსკი, კაპტანჯიანი, ვოიტინსკი, ფარნიევი, ვოდინეცი, ხარაში, ფელიცინი. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი, მეფის არმიის ყოფილ გენერალს წარმოადგენდა და მას სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ე. წ. „ფორმირების“ (პირადი შემადგენლობისა და სამობილიზაციო) განყოფილების უფროსის თანამდებობა ეკავა⁵. უკრაინელი იაკობ ხარაში, გვარდიის მთავარი შტაბის უფ-

¹ ორი კვირე შავი ზღვის პირეთ, *ერთობა*, №177, 22 აგვისტო (1918), გვ. 3.

² საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, პარვარდისა და ლევილის ფონდები, ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფ. 50.

³ *საქართველოს რესპუბლიკის კანონთა კრებული*, 2-3 (თბილისი, 1919).

⁴ *სახალხო გვარდიელი*, №1, 12 დეკემბერი (1920), გვ. 3.

⁵ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, პარვარდისა და ლევილის ფონდები, ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 12, ფ. 78.

როსის, ვალიკო ჯუღელის მოადგილე იყო, ხოლო გვარდიის მთავარი შტაბის მდივნის პოსტი მუდმივად ეკავა სომეხი ეროვნების სოციალ-დემოკრატს, რუბენ აუშტროვს.

ბიბლიოგრაფია

1. აფხაზეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი И-39, ანაწერი 1, საქმე 6, ფ. 13, Гама-хария Дж., Гогия Б., *Абхазия, историческая область Грузии (историография, документы и материалы, комментарии) с древнейших времен до 30-х годов XX века* (Тбилиси, 1997).
2. *ერთობა*, №137, 4 ივლისი (1918).
3. *ერთობა*, №138, 5 ივლისი (1918).
4. *ერთობა*, №145, 13 ივლისი (1918).
5. *ერთობა*, №182, 28 აგვისტო (1918).
6. *ერთობა*, №159, 30 ივლისი (1918).
7. *ერთობა*, №155, 25 ივლისი (1918).
8. გ. კვინიტაძე, *მოგონებები, საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921*, ნაწილი I (თბი-ლისი, 1998).
9. ვ. ი. ლენინი, *თხზულებანი*, ტ. 36, გამოცემა მეოთხე (თბილისი, 1959).
10. გ. მაზნიაშვილი, *მოგონებანი, 1917-1925* (ბათუმი, 1990).
11. ორი კვირე შავი ზღვის პირეთ, *ერთობა*, №177, 22 აგვისტო (1918).
12. საუბარი გენ. მაზნიაშვილთან, *ერთობა*, №173, 17 აგვისტო (1918).
13. *საქართველოს რესპუბლიკა*, 30 ივლისი (1918).
14. *საქართველოს რესპუბლიკა*, 8 აგვისტო (1918).
15. *საქართველოს რესპუბლიკის კანონთა კრებული*, 2-3 (თბილისი, 1919).
16. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1863, ანაწერი 1, საქმე 900, ფ. 24.
17. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფ. 6.
18. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფ. 5.
19. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 2081ა, ანაწერი 1, საქმე 637, ფ. 3.
20. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ჰარვარდისა და ლევილის ფონდები, ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფ. 4.
21. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ჰარვარდისა და ლევილის ფონდები, ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფ. 50.
22. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ჰარვარდისა და ლევილის ფონდები, ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 12, ფ. 78.
23. *სახალხო გვარდიელი*, №1, 12 დეკემბერი (1920).
24. ა. ჩაჩხიანი, *დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართვე-ლოს 1918-1919 წლების ომი* (თბილისი, 2007).
25. ჯარის კაცი შალვა ჭიჭინაძე, ჩვენი ქალი ომში, *მხედარი*, №3, 13 ივნისი (1920).
26. Carl Von Clausewitz, *Principles of War*, Translated and edited with an introduction by H. W. Gatzke (New York, 1942).
27. Catton Br., *The Civil War* (New York, 1971).
28. Napoleon and the Jews, by B. Weider (Tallahassee, 1998). http://www.napoleonseries.Org/ins/weider/c_jews.html
29. *The Art of War*, translated and annotated by L. Giles (El Paso 2005).
30. Архив музея истории города-курорта Сочи, ф. 4, оп. 1, д. 6, 8. л. 1.
31. Бражба М., Нестор Лакоба (Тбилиси, 1965). http://apsnyteka.org/1178-bgazhba_m_nestor_lakoba.html
32. Бобков А. С., Тамбовское восстание: Вымыслы и факты об использовании удушающих газов, *Военно-ис-торический журнал Министерства обороны РФ*. <http://history.milportal.ru/2011/06/tambovskoe-vosstanie-vymysly-i-fakty-ob-ispolzovanii-udushayushhix-gazov/>
33. Гогитидзе М. Д., *Военная элита Кавказа, генералы и адмиралы из Грузии* (Тбилиси, 2007).
34. Дзидзария Г. А., *Ефрем Эшба* (Москва, 1967).
35. Из протокола заседания АНС - о положении в крае, 18 июля 1918 г. ЦГАА, ф. И-39, оп. 1, д. 3, лл. 9-9об.

36. Калнина Н. И., Конвенция о запрещении биологического оружия, История появления и современное состояние. <http://www.armscontrol.ru/course/lectures05a/nik050317.htm>
37. Осадчий И. П., *Октябрь на Кубани* (Краснодар, 1977).
38. Папаскири З., О т. н. “праве нации на самоопределение” и имперской политике большевистской России на южном Кавказе (1921 г.). <http://abkhazeti.info/news/1264893439.php>
39. Супотницкий М. В., „Забытая химическая война 1915–1918 гг.“ Химическая война в России, Применение химического оружия в операциях Первой мировой войны, *Офицеры*, № 5 (49) (2010). <http://www.supotnitskiy.ru/stat/stat74.htm>
40. Тоидзе Л., К вопросу о политическом статусе Абхазии, *Разыскания по истории Абхазии/ Грузия* (Тбилиси, 1999).
41. *Черная книга имен, которым не место на карте России*, сост. С. В. Волков (Москва, 2004).

ARCHIL CHACHKHIANI

David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgian

OFFENSIVE OPERATION SOCHI-TUAPSE 1918 AND TACTICAL ANALYSIS OF THE BATTLES

The spring of 1918 was marked as a hard and long period of experiment, namely the period of Bolshevik “Sovietization” of Abkhazia, turned into a torturing and shooting polygon of Cheka (All-Russian Commission for Combatting Counter-Revolution). The article concerns the combat operations conducted in the Black Sea region by the government military units and regular army against the bolshevik bands. Conduct of this campaign is observed and the tactical analysis of the battles is given on the basis of the principles of war.

The Georgian side obtained good experiences of conducting combat operations. The tempo and depth of the offensive operation were quite high and leading troops was effective. Despite the forces were small, Georgian troops afforded to cause great losses of the enemy in strengths, in munitions, equipment and other combat means, while their own losses proved to be minimal.

The facts of aerial bombing of the civilian population and using the chemical weapon in the battle by the Bolsheviks deserve special attention, particularly mentioning that neither of them had any substantial influence on the effects of the battle.

In those years of 1918-1920, the events taking place in Abkhazia and other Black sea regions of Georgia, were not discussed from the ethnic viewpoint. Ethnic problems were neglected and only the ideological opposition represented the main driving force of the era. But nowadays, the ideological vector lines and their emphases have changed— some people try to argue that in the above mentioned armed conflict Georgian and Abkhaz people fought against each other, dissembling the fact that this conflict was an onset of the bloodshed process of forming the new Bolshevik empire, on the ruins of the Russian Tsarist Empire, led by Lenin and his associates.

The fact that the Red (People’s) Guard of Georgia and the military troops led by General Mazniashvili were mandated governmental troops, should be mentioned, and even more important is the fact that the formations led by Jugheli and General Mazniashvili were not the combat troops of “georgian Mensheviks and nationalists” as someone call them, but the multinational military forces. The force under the command of General Mazniashvili consisted of the Georgian military troops and People’s Guard, and besides, there were the units of kazaks, originated from the North Caucasus, of Abkhaz Cavalry and of the volunteer partisans from Sokhumi and Sochi districts.

Thus, the idea, intensively cultivated in the Soviet and Russian historiography, that the troops, led by the Commander of the Georgian People’s Guard Valiko Jugheli and General Mazniashvili, who executed the successful, Sochi-Tuapse military campaign through 1918, were the troops of Georgian nationalists, is simply a false story, in the sense that actually, this campaign was the battle for liberation, conducted by ethnically Georgian together with the ethnically non-Georgian forces, inhabiting Georgia, against the Bolsheviks’ bloody aggression and occupation.

XIX საუკუნის ბათუმის საქალაქო ცხოვრების ისტორიიდან

ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამდეგისათვის ბათუმი წარმოადგენდა პატარა, სოფლის მსგავს ზღვისპირა დასახლებას. დასახლებული იყო მხოლოდ ბათუმის ყურეს ახლომდებარე ტერიტორია. დანარჩენი ნაწილი ხშირი ტყითა და გაუვალი ჭაობით იყო დაფარული.

როგორც ირკვევა, ადრე ბათუმი მდებარეობდა ყოროლისწყლის შესართავთან. იგი წარმოადგენდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქალაქო პუნქტს, რომელიც ფუნქციონირებდა დაახლოებით XVIII საუკუნის ბოლომდე. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, XVIII საუკუნის 40-იანი წლებისათვის ბათუმი წარმოადგენდა საკმაოდ გამაგრებულ პატარა ციხე-ქალაქს. „ბათომი მცირე ქალაქი და ციხე კარგი“, – მიუთითებდა იგი¹.

უკვე XVIII საუკუნეში იწყება თანდათანობით საქალაქო ცენტრის გადანაცვლება სამხრეთით ზღვისპირა ყურეს მიმართულებით, რაც ინტენსიურ ხასიათს იღებს XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან. აღნიშნული გადანაცვლება განპირობებული იყო იმით, რომ მდ. ყოროლისწყლის შესართავთან მოწყობილი ქალაქის ძველი ნავსაყუდელი, თუ ადრე საკმარისი იყო პატარა ხომალდებისათვის, თავისი წყალმარჩხობისა და სივიწროვის გამო, უკვე ყოველად მოუხერხებელი გახდა დიდი იალქნიანი გემებისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სულ ახლოს, სამხრეთით მდებარეობდა უაღრესად მოხერხებული ბუნებრივი ნავსაყუდელი. ოსმალთა გემები ღუზას სწორედ ყურეში უშვებდნენ. ამავ დროს, ყურეს გარშემო მდებარე ვრცელი დაბლობი შესაძლებლობას იძლეოდა ახალი საქალაქო დასახლების გასაშენებლად.

XIX საუკუნის დამდეგისათვის უკვე ძირითადად დამთავრებული ჩანს საქალაქო ცენტრის ზღვისპირა ყურეს მიმართულებით გადანაცვლების პროცესი. მაგრამ ბათუმის ციხე ჯერ კიდევ განგრძობდა მოქმედებას და, როგორც ირკვევა, ფუნქციონირებდა XIX საუკუნის 10-იან წლებშიც². აღნიშნული პერიოდის ბათუმის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ფრანგი მოგზაური ადრიან დიუპრე. მან ბათუმში იმოგზაურა 1807 წელს. ამ დროისათვის ახლად დაწყებული უნდა ყოფილიყო აღნიშნულ რაიონში საქალაქო პუნქტის ფორმირების პროცესი. ა. დიუპრე ბათუმს ახასიათებს როგორც მოზრდილ ზღვისპირა სოფელს, თავისი 2000-მდე მცხოვრებით. იგი ბათუმის შესახებ წერდა: „აქა-იქ მიმოფანტული სახლებით იგი უფრო ვრცელ სოფელს წააგავს, ვიდრე ქალაქს. ბათუმი გაშენებულია ზღვის სანაპიროზე. რეიდი დაცული არ არის სიმაგრეებით. ბაზრის შესასვლელთან მხოლოდ ერთი, თხრილით გარშემოვლებული, უქვემეხო, ქვის საძირკვლიანი და ხის ნაშენი კოშკი დგას. ბაზარში ორმოცდაათიოდე უხეირო დუქანია, სადაც იაფფასიანი საქონლით ვაჭრობენ. აქ შემოსულ პატარა და დიდი ზომის ხომალდებს ძირითადად შემოაქვთ რკინა, მარილი, საპონი და ქსოვილი“.

აღნიშნული ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ მიუხედავად ჯერ კიდევ თავისი სუსტი ხასიათისა, ბათუმში უკვე იგრძნობა საქალაქო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი პირველი ნიშნები: მოქმედებს ბაზარი, დუქნები, წარმოებს ალებ-მიცემობა, გემებით შემოაქვთ და გააქვთ სხვადასხვა საქონელი. ქალაქს ჰყავს კომენდანტი.

ბათუმის ახალი დასახლების ათვისების მიზნით, 1807 წელს ოსმალეთის ხელისუფლებამ ნება დართო თურქ და ბერძენ ემიგრანტებს არენდით აეღოთ მიწის ნაკვეთები ქალაქის ტერიტორიაზე. 1826 წელს გამოცემული სულთნის ფირმანით ვგებულობთ, რომ ბათუმის წლიური შემოსავალი უდრიდა ორასი ათას პიასტრს, რაც უდრიდა დაახლოებით 18181 მანეთს.

ქალაქის ფორმირების პროცესი გრძელდება შემდგომ წლებშიც. ბათუმის საქალაქო ცხოვრების განვითარება შედარებით ინტენსიურ ხასიათს ღებულობს 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან, რასაც ბიძგი მისცა ნაოსნობის გამოცოცხლებამ.

¹ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1973).
² ს. ყაუხჩიშვილი, ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის, *ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები*, ტომი V (1950-1951).

ბათუმის მთელი ისტორია, მისი საქალაქო ცხოვრების განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული ზღვაოსნობასთან, რასაც ხელი შეუწყო ბათუმის გეოგრაფიულმა მდებარეობამ და უაღრესად მოხერხებულმა ბუნებრივ-სანავსადგურო პირობებმა.

კაპიტალისტური წარმოების განვითარებამ მანამდე გაუგონარი ბიძგი მისცა ვაჭრობისა და ნაოსნობის განვითარებას.

XIX საუკუნიდან იწყება დასავლეთის სახელმწიფოთა სწრაფვა, ბათუმის გზით დაემყარებინათ ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა აღმოსავლეთის მდიდარ რაიონებთან. ეს იმით აიხსნება, რომ ჯერ ერთი, შავიზღვისპირეთის პუნქტებს შორის ბათუმი გამოირჩეოდა თავისი საზღვაო-სანავსადგურო პირობებით, კერძოდ, იგი ფლობდა მყუდრო ბუნებრივ ნავსაყუდელს. მეორეც, ბათუმიდან უმოკლესი და შედარებით უხიფათო გზით შეიძლებოდა მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება აღმოსავლეთის თითქმის ყველა ქვეყანასთან, პირველ რიგში ამიერკავკასიის რაიონებთან.

აგრარულ-ფეოდალური ოსმალეთის კოლონიური რეჟიმის მიუხედავად, რომელმაც სასტიკად დასცა მხარის სამეურნეო ცხოვრება, მაინც იგრძნობოდა საზღვაო ნაოსნობის გამოცოცხლება. მასზე გავლენა იქონია ბათუმის გზით დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ აღმოსავლეთის შავიზღვისპირეთის რაიონებთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებამ და ამის შესაბამისად ბათუმის ნავსადგურში გემების საკმაოდ ხშირმა მიმოსვლამ.

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან კაპიტალისტური წარმოებისა და ვაჭრობის შემდგომი განვითარების შედეგად იზრდება ბათუმის, როგორც სანავსადგურო პუნქტის კომერციული მნიშვნელობა, რადგან ბათუმის გარდა, თითქმის მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არ მოიპოვებოდა ისეთი მოხერხებული საზღვაო პუნქტი, სადაც გემებს შეეძლებოდათ ყოველგვარ ამინდში შესვლა და სატვირთო ოპერაციების წარმოება. ინგლისური გაზეთი „დეილი ნიუსი“ 1878 წელს წერდა: „ბათუმის ნავსადგური ერთადერთი უსაფრთხო ნავსაყუდელია შავი ზღვის მთელ სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე ყირიმამდე. აქ წყალი იმდენად ღრმაა, რომ ყველა დიდ გემებს შეუძლიათ ჩაუშვან ღუზა ნაპირის ახლოს. გემების დატვირთვა და გადმოტვირთვა შეიძლება ყოველგვარ ამინდში. ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი ქარები, რომლებიც აღწევენ კავკასიის ნაპირებს, არასოდეს არ უბერავენ ბათუმის ნავსაყუდელის სანაპიროს“.

თავისი მოხერხებული სანავსადგურო პირობების გამო გემები ფოთსა და სხვა საზღვაო პუნქტებში ღია რეიდზე დგომას ამჯობინებდნენ ბათუმის უსაფრთხო ნავსადგურში შესვლას. გახშირდა გემების მიმოსვლა ბათუმში. თუ ადრე აქ მხოლოდ თურქეთის გემები შემოდისოდნენ, უკვე 60-იანი წლებიდან სისტემატურად შემოდის რუსეთის სანაოსნო საზოგადოების, ინგლისის, საფრანგეთის, ნორვეგიის, იტალიის, ავსტრიის და სხვა ქვეყნების სავაჭრო გემები. ამის შესახებ წერდა ინგლისის ტრაპიზონელი კონსული ჯ. პალგრევი 1876-1868 წლების ანგარიშში: „ბათუმში ხშირად შემოდის და გადის რუსეთის სანაოსნო საზოგადოების გემები, აგრეთვე ინგლისის გემები, ფოთში მიმავალნი თუ უკან დაბრუნებისას, აუცილებლად შემოდის ბათუმში... და სხვა ბევრი გემი სხვადასხვა ქვეყნის აღმებით“.

ბათუმის საბაჟოს 1867 წლის ცნობებით, წელიწადში ბათუმში შემოდის და გადის სხვადასხვა ქვეყნის დაახლოებით 470-მდე სავაჭრო გემი, რომელთა 98 პროცენტს შეადგენდა ორთქლის, ხოლო 2 პროცენტს იალქიანი გემები. წელიწადში ბათუმის ნავსადგურით გემთბრუნვის საერთო რაოდენობა უდრიდა 938 გემს, რაც შესაბამისი პერიოდის ამიერკავკასიის შავი ზღვის პორტების გემთბრუნვის დაახლოებით 40 პროცენტს შეადგენდა.

ყოველივე ეს ზრდიდა ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვას. ძირითადად შემოჰქონდათ სხვადასხვა მანუფაქტურული ნაწარმი, სპირტიანი სასმელები და სხვა. მაგალითად, ინგლისიდან შემოჰქონდათ მანჩესტერის საფეიქრო ნაწარმი, რუსეთიდან ქვანახშირი, რკინა, მარცვლეული, საფრანგეთიდან შაქარი და სხვა. გაჰქონდათ ხე-ტყე, აბრეშუმი, სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი.

1859 წლისათვის ტვირთბრუნვამ ბათუმის ნავსადგურით შეადგინა 1 717 953 მანეთი. ბათუმის საბაჟოს მონაცემებით, 1867 წლისათვის ტვირთბრუნვის წლიური მოცულობა უდრიდა 2 268 000 მანეთს, აქედან 1 194 000 მანეთი შემოტანაზე მოდის, 1 074 000 მანეთი გატანაზე.

საკმაოდ ინტენსიურმა ნაოსნობამ და აქედან დასავლეთის ქვეყნებსა და შავი ზღვისპირეთის აღმოსავლეთ რაიონებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ზრდამ თავის მხრივ ბიძგი მისცა ბათუმის საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებას. „ბათუმში ყოველდღე სულ უფრო იგრძნობა გამოცოცხლება და ზრდა, როგორც მოსახლეობის, ისე ვაჭრობის მხრივ“, – წერდა იტალიის კონსული ბათუმში – მალმუზი.

სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების კვალობაზე ბათუმში გაიხსნა მთელი რიგი საკონსულოები. 1856 წელს ბათუმში გაიხსნა რუსეთის საკონსულო. ვიცე კონსულად დანიშნული იქნა გ. ჯუდიჩი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბათუმში რუსეთის საკონსულოს გახსნის საკითხი დაიწყო ჯერ კიდევ XIX საუკუნის 40-იან წლებში. 1846 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა მ. ვორონცოვი სამხედრო მინისტრს ჩერნიშოვს წერდა: „თურქეთის ნავსადგურ ბათუმში რუსეთის საკონსულოს დაარსების შესახებ“. ამ პერიოდში აღმოსავლეთში არსებულმა რთულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, პირველ ყოვლისა, რუსეთსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობამ, ყირიმის ომის დამთავრებამდე გადადო აღნიშნული საკითხის მოგვარება. შემდეგ გაიხსნა სპარსეთისა იტალიის საკონსულოები. იტალიის კონსული ბათუმში იყო მაღმუზი. მან დაგვიტოვა საინტერესო ჩანაწერები 70-იანი წლების დამდეგის ბათუმის შესახებ. ბათუმში გაიხსნა აგრეთვე სავაჭრო და სანაოსნო საზოგადოებათა სააგენტოები, საბაჟო, საკარანტინო სახლი. პალგრევეის ცნობით, მოქმედებდა სატელეგრაფო სადგური, ფოსტა. შესამჩნევად იზრდება ქალაქის მოსახლეობა. ჯერ კიდევ 50-იანი წლებისათვის იგი შედარებით უმნიშვნელო იყო, უკვე 1872 წლისათვის ქალაქის მოსახლეობა უდრიდა 4 970 კაცს. ამას უნდა დაემატოს ბათუმში დროებით საცხოვრებლად ჩამოსულთა რიცხვი, რომლებიც, როგორც ირკვევა, საკმაოდ დიდი იყო. ბათუმში ცხოვრობდნენ ქართველები, აფხაზები, ჩერქეზები, ბერძნები, სომხები, თურქები¹.

მნიშვნელოვან ხასიათს იძენს ბათუმის სანაოსნო გზით მგზავრთა გადაყვანა-გადმოყვანაც, რასაც ბიძგი მისცა ბათუმში გემების მიმოსვლის ზრდამ და, შესაბამისად, საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებამ. მგზავრები ჩამოდიოდნენ თურქეთიდან, დასავლეთ საქართველოდან, აგრეთვე უცხო ქვეყნიდანაც. მგზავრთა ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იყო როგორც ორთქლის, ისე იალქნიანი გემები. ბათუმის საბაჟოს მონაცემებით, 1887 წელს ბათუმში ზღვით ტრანსპორტირებული იქნა 32 ათასი კაცი, აქედან ბათუმში გადმოყვანილ მგზავრთა რიცხვი უდრიდა 8 ათას კაცს, ხოლო ბათუმიდან გადაიყვანეს 24 ათასი მგზავრი.

აღსანიშნავია, რომ მგზავრთა ტრანსპორტირება საკმაოდ ინტენსიურ ხასიათს ატარებდა ბათუმ-ფოთის სანაოსნო ხაზით, რასაც ხელს უწყობდა „მოხერხებული სასაზღვრო მდგომარეობა და ის განსაკუთრებული ურთიერთობა, რომელიც არსებობდა ოსმალის საქართველოსა და რუსეთს შორის“. აღნიშნულ ხაზზე მგზავრთა ტრანსპორტირებას ძირითადად ემსახურებოდა რუსეთის სანაოსნო საზოგადოების გემი „რიონი“. ბათუმის საბაჟოს ცნობით, 1867 წლის ერთ თვეში აღნიშნული გემით ბათუმიდან ფოთში გადაიყვანილ იქნა 44 მგზავრი, ერთი წლის განმავლობაში ბათუმ-ფოთს შორის ტრანსპორტირებული იქნა სულ დაახლოებით 16 700 მგზავრი, აქედან, ფოთიდან ბათუმში გადმოყვანილი იქნა 3 700 მგზავრი, ხოლო ბათუმიდან ფოთში 13 ათასი კაცი.

მგზავრთა მოძრაობის ასეთი მაღალი დონე ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ აღნიშნული პერიოდისათვის საკმაოდ გამოცოცხლებულია ბათუმის საქალაქო ცხოვრება.

როგორც ირკვევა, დასავლეთ საქართველოდან ჩამოსულთა დიდ ნაწილს შეადგენდა მოსახლეობის ღარიბი ფენა – „ლატაკთა კლასი“, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ გაჭირვებული ქართველი გლეხობა ორიოდე გროშის შოვნის იმედით ჩამოდიოდა ბათუმში, ძირითადად სეზონურად სამუშაოდ. თავის მხრივ ბათუმი, სადაც საქალაქო ცხოვრება ახლად იდგამდა ფეხს, საჭიროებდა მუშახელს, განსაკუთრებით გემების დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის².

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, ბათუმში ჩამოსულ მგზავრთა რაოდენობას საგრძობლად სჭარბობდა გასვლა. გასულ მგზავრთა დიდ ნაწილს შეადგენდა ბათუმის ოლქის მოსახლეობის ის ნაწილი, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ ოსმალთა კოლონიური რეჟიმით და ცდილობდნენ თავი შეეფარებინათ დედაქალაქისათვის. როგორც ჩანს, აჭარის მოსახლეობის მიერ ოსმალთა კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტის აღნიშნული მეთოდი საკმაოდ ფართო ხასიათს ატარებდა.

შესაბამისად იზრდებოდა ქალაქი. 70-იანი წლებისათვის ქალაქის საზღვრები აღწევდა ნურის ტბამდე, მაგრამ ფაქტობრივად დასახლებული იყო ტერიტორია ნავსადგურის ზოლიდან მოყოლებული, დაახლოებით დღევანდელი ბარათაშვილის ქუჩის ჩათვლით. ამას იქით იწყებოდა გაუვადი, ჭაობიანი ადგილები. ქალაქის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენდა ყურე და მისი მიმდებარე ტერიტორია. ქალაქი იყოფოდა ოთხ უბნად: აზიზიეს, ნურის, ახმედიეს და მუფთიეს უბნებად.

პალგრევეის ცნობით, 1867-1878 წლებისათვის ბათუმში ითვლებოდა 246 სახლი. რომელთა რიცხვი შემდგომ წლებში კიდევ უფრო გაიზარდა. ძირითადად გავრცელებული იყო ორსართულიანი ხის სახლები, იყო აგრეთვე ქვის შენობებიც – რუსეთის ვიცე-კონსულის სახლი, ლაზი მაჰმუდის სასტუმრო და სხვა. „სახლები, – წერდა ა. ფრენკელი, – თითოეული თავისთავად, წარმოადგენენ მოხერხებულ და მყუდრო ბინებს, ყველა სახლთან შეიმჩნეოდა გაშენებული ბაღი“.

¹ ჟ. ფ. გამბა, *მოგზაურობა ამიერკავკასიაში* (თბილისი, 1987).

² რ. უზნაძე, *საზღვაო ნაოსნობის ისტორიიდან ბათუმის ოლქში* (XIX ს. 60-70-იანი წლები), *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა* (თბილისი, 1988).

მოსახლეობის ზრდასთან ერთად ქალაქში საგრძნობლად აიწია მიწის ნაკვეთების ფასმა.

70-იანი წლებიდან ბათუმი წარმოადგენდა ლაზისტანის საფაშოს მთავარ ადმინისტრაციულ ცენტრს. აქ მოთავსებული იყო მუთესერიფის (გუბერნატორის) რეზიდენცია, მეჯლისი, სასამართლო და სხვა ადმინისტრაციული დაწესებულება.

ბათუმში დღითიდღე იზრდებოდა ვაჭრობა, ქალაქი მოფენილი იყო დუქნებით, მაღაზიებით. ა. ფრენკელი წერდა: „ბათუმში ძალიან ბევრი სავაჭრო ფარდულია, რომლებიც განლაგებული არიან ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე“.

დიმიტრი ბაქრაძის ცნობით, 1873 წლისათვის ბათუმში ითვლებოდა 800-მდე დუქანი. ვაჭრობას ეწეოდნენ ლაზები, ბერძნები, თურქები, სომხები და ზოგიერთი ადგილობრივი მცხოვრებნი. ვაჭრობდნენ როგორც ადგილობრივი, ასევე შემოტანილი საქონლით.

ქალაქის ცენტრალურ სავაჭრო უბანს წარმოადგენდა ბაზარი, სადაც მოქმედებდა 200-ზე მეტი დუქანი. აქ ყოველდღე თავს იყრიდა ასობით ადამიანი და იმართებოდა გაცხოველებული ვაჭრობა. აღნიშნული პერიოდის ბათუმის, მისი აღმოსავლური ტიპის ბაზრისათვის დამახასიათებელ მსკეფარე, ხმაურიან, სისხლსავსე ცხოვრებას საინტერესოდ აგვიწერს ნიკო ნიკოლაძე. აღსანიშნავია, რომ ნიკო ნიკოლაძემ 1872 წელს რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების გემ „იუნონათი“ სპეციალურად იმოგზაურა ბათუმში. 1873 წელს თავისი მოგზაურობის შტაბკვდილებები გამოაქვეყნა ჟურნალ „კრებულში“, სადაც ჩანაწერების მეორე თავი მთლიანად ეთმობა ბათუმს. ნიკო ნიკოლაძე წერს: „ბათუმის ბაზარს რომ მივუახლოვდი, ჯერ კიდევ არ დაღამებულყო, ხალხი ბაზარში ცოტა ნაკლებად იპოვებოდა, მაგრამ ვაჭრები კი დიდ ამბებში იყვნენ: ზოგი დუქანს ჰკეცავდა, ზოგი მოგებას ითვლიდა, ზოგი მეზობელს ებრძოდა, ზოგი მუშტარზე ლაზღანდარობდა“. იგი აქ შეხვდა ერთ ადგილობრივ მოხუცს, რომელიც კვერნის ტყავით ვაჭრობდა. მოხუცთან საუბარში ნათლად იგრძნობოდა აჭარის მოსახლეობის შეურიგებლობა ოსმალთა დამპყრობლებისადმი. ნიკო ნიკოლაძე ასე გადმოგვცემს შეხვედრას: „ერთი მოხუცებული აჭარელი კვერნის ტყავს ითვლიდა თავის დუქანში და თავის შეგირდს, თუ შვილს დუქანს ახვეტინებდა, დასაკეტად ამზადებდა. მე იმას შევევაჭრე, და სანამ ის კვერნას მასინჯვინებდა, აჭარაზე და ქართულ ენაზე ლაპარაკი ჩამოვუგდე, მოხუცმაც ლაპარაკი გამიმართა და მითხრა იმ რწმუნებით და უეჭველობით, რომელიც მოხუცის ნაამბობს და ნათქვამს ნიდაგ აბეჭდია: – რაის იქს კაცი, თვარა ამ აბდალაი თათრებს რავა გავაღლეტინებდით. აქ არიან დიდგულაი ი დედაგაქუცულები, თვარა აჭარაში, მთაში რავა მოგვეკარება: კაი გულის პატრონი უნდა, რომ იქ მოიჭრას. მაშ ხარჯს როგორ ჰკრეფენ-მეთქი – ვკითხე, – რავა და ბეგები ჰყავთ, თავადები, იგი ბოჭს (კრეფს) და თათარს აძლევს... გადგომაც იცის ბეგმა, მარა თათარი ჩხუბს უქმს, ჯარს შეუსევს, მის თავს ფასად გაცემს“¹.

ბათუმის ზრდის გავლენით შეიმჩნევა აგრეთვე ქალაქის კეთილმოწყობის ნიშნები. ნაოსნობის ინტენსიური ზრდა, პირველყოფლისა, მოითხოვდა ნავსადგურის კეთილმოწყობას. იგი დაექვემდებარა უშუალოდ ლაზისტანის მუთესერიფს. ნავსადგურის დასავლეთ კონცხზე დაიდგა ხის შუქურა, ორმაგი სინათლით, აიგო ხის სანაპირო ნავსადგომი, ბაქანი, მიმდინარეობდა აგრეთვე ყურეს ნაპირების გამაგრება, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. ბათუმის ნავსადგურის მნიშვნელობის ზრდა და ნაოსნობის ინტენსიური ხასიათი მოითხოვდა მის კეთილმოსაწყობად სერიოზული სამუშაოების ჩატარებას. ერთ-ერთი ინგლისური გაზეთი წერდა, რომ „ქალაქში არ არის ერთი წესიერი ნავსადგომიც კი“, მაგრამ თურქეთის მთავრობა და ასევე ლაზისტანის საფაშოს ადმინისტრაცია აღნიშნული საკითხისადმი არ იჩენდა არავითარ ყურადღებას. უფრო მეტიც, როგორც პალერევევი წერდა, თურქეთის მთავრობა არა მხოლოდ არაფერს აკეთებდა ნავსაყუდელის უსაფრთხოებისა და კეთილმოწყობისათვის, არამედ თვითონ მუდმივად ქმნიდა დაბრკოლებებს და ცდილობდა მოესპო ნავსადგურის ყოველგვარი ტექნიკური გაუმჯობესება.

გარკვეულად კეთილმოეწყო აგრეთვე ქალაქის ტერიტორია. გამოყვანილ იქნა სასმელი წყალი. ქალაქის მცხოვრებლები იყენებდნენ ჭის წყალსაც. „ქალაქს კარგი ჭის წყალი აქვს“, – მიუთითებდა დიმიტრი ბაქრაძე². მოქმედებდა საკმაოდ კეთილმოწყობილი რამდენიმე საერთო აბანო, სამი მეჩეთი, წმინდა ნიკოლოზის სახელობის მართლმადიდებელი ეკლესია. ქალაქში იყო ორსართულიანი სატუმრო, იგი ერთ-ერთ ყველაზე კეთილმოწყობილ შენობას წარმოადგენდა. „სხვა შენობებს შორის გამოირჩეოდა ლაზი მაჰმუდის სასტუმრო, სასტუმრო თურქულ-ევროპული გემოვნებით იყო მოწყობილი, შადრევნით, აბანოთი, ყავახანითა და საბილიარდო დარბაზით“, – წერდა ფრანგი მოგზაური ჟან მურიე³.

ქალაქში გაიხსნა აგრეთვე თურქული და ლათინური სკოლა.

¹ ნ. ნიკოლაძე, *თხზულებანი*, ტ. III (თბილისი, 1963).

² დ. ბაქრაძე, *არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში* (ბათუმი, 1987).

³ ჯ. მურიე, *ბათუმი და ჭოროხის აუზი* (ბათუმი, 1962).

შედარებით კეთილმოწყობილი იყო ქალაქის ზღვისპირა უბანი. ქუჩები ქვიშით იყო მოფენილი. სანაპიროზე ჩამწკრივებული იყო მაღაზიები, დუქნები, ყავახანები. აქ განლაგებული იყო ადმინისტრაციული შენობები, გუბერნატორის რეზიდენცია, რუსეთის ვიცე კონსულის სახლი, სასტუმრო. ა. ფრენკელის თქმით, ისინი უმეტესად აგებული იყო ევროპული გემოვნებით.

სანაპიროდან ქუჩები მიემართებოდა ქალაქის ცენტრალური ბაზრისაკენ, (თბილისის მოედანი). ამას იქით იწყებოდა ე.წ. „გაფანტული უბანი“. აღნიშნული პერიოდისათვის ბათუმი მაინც ტოვებდა აზიური ქალაქის შთაბეჭდილებას, თავისი მიმოფანტული, უგემოვნოდ ნაგები ხის შენობებით, ვიწრო, ჭუჭყიანი ქუჩებით, ცხოვრების ხასიათით, ოსმალეთის ხელისუფლება არავითარ ზომას არ ღებულობდა ქალაქის კეთილმოწყობად, როგორც ინგლისური გაზეთი „დეილი ნიუსი“ წერდა, „ოსმალებისაგან არ შეიძლება მოველოდეთ რაიმე არსებით გაუმჯობესებას ბათუმისათვის, ოსმალეთს ბათუმი და მისი ოლქი სჭირდება მხოლოდ საძარცველად“.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად გარკვეული ძვრებისა, ოსმალთა მფლობელობაში ბათუმი ვერ შესძლო გამოვევლინებინა თავისი დიდი უნარი და შესაძლებლობანი, რაც გააჩნდა მას, როგორც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ერთ-ერთ ძალზე მოხერხებულ საზღვაო პუნქტს. საზღვაო ნაოსნობა ძირითადად ატარებდა უმნიშვნელო, სტიქიურ, არარეგულარულ ხასიათს. ნიკო ნიკოლაძე გულისტკივილით წერდა: „ცოდვა არ არის, ამისთანა ბუნებისაგან მდიდრათ დაჯილდოებული ბოლაზი, რომელიც ალებ-მიცემობით აყვავებული და გაბიბინებული უნდა იყოს, ასე ღარიბად გამოიყურებოდეს?“ ამის მიზეზი ის იყო, რომ ჯერ ერთი, ოსმალეთი წარმოადგენდა ეკონომიკურად ჩამორჩენილ, აგრარულ ქვეყანას, სადაც ძალზე ნელი ტემპით ვითარდებოდა როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობა. მეორეც, შესაბამისად ძალზე სუსტი იყო ეკონომიკური კავშირი ბათუმსა და ქვეყნის შიგა რაიონებს შორის. იგი ფაქტობრივად მოწყვეტილი იყო ამიერკავკასიის რაიონებს. დედასამშობლოსთან ჩამოცილებულ უმნიშვნელოვანეს ნავსადგურს გადაკეტილი ჰქონდა ის სასიცოცხლო არტერიები, რომლებსაც მთავარი როლი უნდა შეესრულებინა ქვეყნის ეკონომიკური კავშირების დამყარებაში. ეს გარემოება დიდად აფერხებდა მაშინდელი ბათუმის დაწინაურებას. გაზეთი „დეილი ნიუსი“ წერდა: „ბათუმის პორტი ამჟამად უსარგებლოა მსოფლიოსათვის და ასეთნაირად იქნება იგი ყოველთვის, თუ იგი თურქების ხელში დარჩება, საუკეთესო მთავრობის ხელში კი იგი მალე მიაღწევს დიდ წარმატებებს თავის განვითარებაში“.

ბათუმში საქალაქო ცხოვრების შემდგომი განვითარებისა და მის დიდ სავაჭრო სანავსადგურო პუნქტად გადაქცევისათვის საჭირო იყო რუსეთის იმპერიაში მყოფ საქართველოსთან შეერთება. ბათუმის შემოერთებას თავის მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისა და ამიერკავკასიის მზარდი კაპიტალისტური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის.

1878 წლის 25 აგვისტოს ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებით დაიწყო დიდმნიშვნელოვანი ეტაპი ბათუმის ისტორიაში, მისი საქალაქო ცხოვრების შემდგომი განვითარებისა და მისი როგორც ამიერკავკასიის ერთ-ერთი უმსხვილესი სანავსადგურო-სამრეწველო ცენტრად გადაქცევისათვის.

ბიბლიოგრაფია

1. დ. ბაქრაძე, *არქეოლოგიური მოვზაურობა გურიასა და აჭარაში* (ბათუმი, 1987).
2. ჟ. ფ. გამბა, *მოვზაურობა ამიერკავკასიაში* (თბილისი, 1987).
3. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1973).
4. ჯ. მურიე, *ბათუმი და ჭოროხის აუზი* (ბათუმი, 1962).
5. ნ. ნიკოლაძე, *თხზულებანი*, ტ. III (თბილისი, 1963).
6. რ. უზნაძე, საზღვაო ნაოსნობის ისტორიიდან ბათუმის ოლქში (XIX ს. 60-70-იანი წლები), *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა* (თბილისი, 1988).
7. ს. ყაუხჩიშვილი, ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის, *ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები*, ტ. V (1950-1951).

FROM THE LIFE OF THE XIX-CENTURY URBAN LIFE OF BATUMI

By the beginning of the XIX century Batumi was still a small, rural, seaside settlement, where only the surrounding of bay was inhabited. The rest part was covered by thick forest and impassable bog.

It was cleared out that before Batumi was situated at the estuary of the river Korolistskali. It was one of the important urban points functioning until the end of the 18th century. According to the data of V. Batonishvili, by the 50s of the 18th century Batumi was a well fortified small stronghold town. "Batomi - a small town and a good fortress", he denoted.

In the 18th century the center started to move to the direction of south sea bay, which became more intense in the second half of the 18th century. The mentioned movement was stipulated by the fact that the old haven at the estuary of the river Korolistskali for its shallow water and crush was absolutely inconvenient for larger sailing vessels, though it was quite enough for smaller boats. Moreover, there was an exceptionally handy natural haven quite nearby to the south. Turkish ships dropped anchor just in this bay. And there was a vast lowland around for the building a new urban settlement.

**დიმიტრი ერმაკოვის წერილები
ბრახინია პრასკოვია უზაროვასადმი**

შესავალი

დიმიტრი ერმაკოვის საავტორო ფოტოანაბეჭდებისგან განსხვავებით, რომლებიც ათასობით არის შემონახული საქართველოს და მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში, მისი ხელნაწერი წერილები ძალიან ცოტაა გადარჩენილი სრულიად გასაგები მიზეზით.

ჯერჯერობით მიკვლეულია დიმიტრი ერმაკოვის 10 ფაქსიმილური წერილი მოსკოვში, სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში (წითელ მოედანზე). წერილების ადრესატია მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე გრაფინია პრასკოვია უვაროვა. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება ამ წერილების მიკროფილმები (პრასკოვია უვაროვას ფონდი 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71).

ცნობილია, რომ დიმიტრი ერმაკოვი სმირად ასრულებდა „მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოებისა“ და მისი თავმჯდომარის გრაფინია პრასკოვია უვაროვას დავალებით, ისტორიული, არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლების და იქ დაგანებული საეკლესიო ნივთებისა და წიგნების ფოტოგრაფიულ ფიქსაციას. სწორედ ამ ფოტოფიქსაციასთან დაკავშირებული თანამშრომლობის ფაქტებს ასახავს დიმიტრი ერმაკოვის ფაქსიმილური წერილები.

წერილებში მოხსენიებული არიან მეცნიერები: დიმიტრი ბაქრაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ლევ ლოპატინსკი და სხვ.

წერილები დაწერილია 1892 და 1911 წლებს შორის. ზოგიერთი შესრულებულია დიმიტრი ერმაკოვის სატიტულო ფურცელზე.

წერილები საკმაოდ ლაკონურია, რაც მათი საქმიანი ხასიათითაა განპირობებული. დიმიტრი ერმაკოვი მისთვის დამახასიათებელი სიზუსტით მოახსენებს პრასკოვია უვაროვას შესრულებული ფოტო სამუშაოების და მათი ფინანსური მხარეების შესახებ, რაც თავისთავად უტყუარი და მნიშვნელოვანი ცნობებია.

ჩვენს მიერ შესწავლილი ათივე წერილი შესრულებულია დიმიტრი ერმაკოვის მიერ გაკრული ხელით, რაც მეტნაკლებად ართულებდა ტექსტის ზუსტ წაკითხვას.

მიუხედავად ამისა, დიმიტრი ერმაკოვის კალიგრაფიის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ჩვენს მიერ მოხერხდა ყველა წერილის სრულად ამოკითხვა.

მკითხველს წერილებს ვთავაზობთ უმნიშვნელო ცვლილებებით, თანამედროვე რუსული ენის გრამატიკული ნორმების გათვალისწინებით.

№1.

„Ваше Сиятельство,

При жизни Д. З. Бакрадзе, много было сделано по его поручению для Вашего Сиятельства фотографических снимков с древних находок, кажется в Сухум Кале, изображавших бронзовые предметы. Не припомню хорошо, почему часть предметов этих осталось у меня, а именно:

1. Бронзовое ко(п)ѣ
2. “-----” ятагань
3. рукоятка сабли.
4. глиняный горшок.

За высланные Вашему Сиятельству снимки мне следовало получить 18 руб., которых я не получил.

Доводя до Вашего сведения об имеющихся у меня предметах древности, прошу приказать к(ому) их передать, или выслать.

А так же, от кого могу по(лу)чить следуемые мне 18 (руб.).

С истинным почтением и таковою же преданностью
Имею Честь быть Вашего
Сиятельства покорной слугой

25^{го} января (18)92 г.
Д. Ермаков Тифлиς”.

№2.

„Тифлиς, Марта 15 дня 1905 г.
Ваше Сиятельство,
Милостивая Государыня
Прасковья Сергеевна!

Высланные Вам г. Такаишвили, Оконский образ и Тбетское евангелие, те самые, которые я должен был выслать Вам. Он взял у меня с тем, что бы сделать описания и вернуть обратно мне. Но, почему то он предпочел выслать Вам.

На лето у меня есть приглашение архитекторов. Но, так как от Вас не имею ответа относительно моей командировки, я не смею ее принять, а потому покорнейше прошу Ваше Сиятельство не отказать уведомить меня состоится ли моя командировка?

С совершенным почтением
Д. Ермаков”.

№3.

„Тифлиς, Марта 26 дня 1905 г.
Ваше Сиятельство,
Милостивая Государыня
Прасковья Сергеевна!

Желая услужить Вам, я посылаю еще одну коллекцию из 22 снимков – Оконский образ и Тбетское евангелие. Еще раз повторяю, г. Такаишвили взял у меня 22 снимка для описания и должен был их вернуть мне для отправки Вашему Сиятельству. Почему он отправил снимки сам, а не передал мне, как это было условлено, когда он брал их от меня, я не умею Вам сказать. Деньги за снимки Оконского образа и Тбетского евангелия я получил, но только за первые снимки, а за посланные не получал и не знаю кому их поставить в счет?

С совершенным почтением,
Д. Ермаков”.

№4.

„Тифлиς, Мая 24 дня 1907 г.
Ваше Сиятельство,
Прасковья Сергеевна!

Имею честь сообщить Вам, что уже заказанные Вами снимки я сделал, как в Тифлисе в Метехском замке, церковь, ровно и Мцхетские три церкви. Осталось снять в церкви Пресвятого Креста на скале против Мцхета, три иконы на алтарной стене для которых мне нужно сделать леса, так как они (находятся) очень высоко. Не откажите выслать обещанный 27^{го} прошлого апреля аванс в сто руб.

Не найдете ли Ваше Сиятельство возможным отпустить мне 500 руб. на поездку с г. Такаишвили в Тортумский округ, куда он выезжает 1^{го} июля.

За эти деньги я обещаю Вам привезти 200 снимков. Я уже был там 20 лет тому назад, когда был еще мокрый способ фотографирования. Эти три церкви Эешк Ванкь, Хахо Ванкь и Ишхан Ванкь, это что то особенное, как по архитектуре, так же и (по) орнаментам высшей степени красивый. Их нужно снять детально, я уверен что снимков придется сделать до 300. Вам каждая стоимость обойдется по 2 р. 50 к. Зная всю пр(елесть) этих снимков, я охотно в Тифлисе закрою свою фотографию на полтора месяца. По получению моего письма, если Вы прими(те) мое предложение, прошу Вас телеграфировать мне Ваше согласие, дабы я мог ра(спо)рядится заранее подготовиться к отъезду.

С совершенным почтением
Д. Ермаков”.

№5.

„Тифлиς, Сентябрь 22 дня 1910 г.

Императорскому Археологическому обществу в Москве

Имею честь сообщить, что нынешним летом, Е.С. Такаишвили, Архитектор С.Г. Клдияшвили и я совершили путешествие по Сванетии где снято много церквей, образов, церковной утвари, виды, типы, древности; а так же Адышское евангелие девятого века (на пергаменте). Снято оно начиная с переплета и все страницы, которых в евангелие 400. Величина пластинки 18x24 сант. Кроме всех снимков сняты много все(го) находящиеся в церкви Квирике и Ивлиты о(бра)за и церковная утварь.

Доводя до Вашего сведения о нашем пр(ебы)вании в Сванетии, где снято более тысячи с(ним)ков, есть между ними такие, которые фотографированы впервые. Величина снимко(в) есть 24x30, 18x24, 15x21, 13x18 сан. Все они очень удачные.

С совершенным почтением
Д. Ермаков”.

№6.

„Тифлиς, Ноября 14 дня 1910 г.

Ваше Сиятельство,
Милостивая Государыня
Прасковья Сергеевна!

Сегодня выслал 12 миниатюр, которые Вы поручили мне снять в Сионском музе(е). При всем прилагаю счет и покорнейше прошу приказать выслать мне следуемые деньги, по возможности не задерживая их. В счет я добавил один снимок, который я забыл внести в первый счет. Это были два рисунка, из которых один я переснял, а другой, Ваше Сиятельство приказали снять.

С совершенным почтением
Д. Ермаков”.

№7.

„Тифлиς, Декабрь 1 дня 1910 г.

Ваше Сиятельство,
Милостивая Государыня
Прасковья Сергеевна!

Вчера отправил Вашему Сиятельству письмо, относительно возможной по Вашему усмотрению увеличению цены за высланные мною снимки Адышского евангелия, а сегодня получил Ваше письмо о высылке (мною) видов Эриванского Сардаровского Дворца, которые и высылаю.

Пользуясь случаем, еще раз позволяю себе повторить мою покорнейшую просьбу выраженную во вчерашнем моем письме.

С совершенным почтением
Д. Ермаков

Большой ----- 80 к.
Малый ----- 60 к.

1 р. 40 к.

P.S. Посылаю снимки Сардаровского Дворца в Эриване, один, как это было в старину с спускающимися, а другой, в том виде, как он теперь”.

№8.

„Тифлиси, Января 28 дня 1911 г.

Ваше Сиятельство,
Милостивая Государыня
Прасковья Сергеевна!

Сегодня высылаю Ваш заказ, который задержался не по зависящим от меня обстоятельствам.

№517 евангелие находится в соборе. Я совершил все формальности, чтобы получить его, но к сожалению, одного из членов, г. Станишевского нет в городе, а без него нельзя вскрыть сундук, где имеется его печать. Как только он приедет, я не медля сделаю два снимка, которые не достают для дополнения вашего заказа.

С совершенными почестиями
Д. Ермаков”.

№9.

„Тифлиси, Февраль 14 дня 1911 г.

Ваше Сиятельство,
Милостивая Государыня
Прасковья Сергеевна!

Приношу Вам мою глубокую благодарность за высланные мне деньги через Л.Г. Лопатинского, которые я получил. При сем посылаю два снимка из Евангелия №517. В январь 28^{го} я выслал Вам снимки и счет на 58 р. 40 к., за два высылаемых сегодня 6 руб., и того 64 р. 40 коп., которых покорнейше прошу выслать мне.

Высланные 30 января 10 больших и 16 малых негативов надеюсь получили в целости. Так как они внесены в мои каталоги, то прошу по окончании их надобности прислать мне.

Ваше Сиятельство, позвольте Вам рекомендовать художника Юлия Карловича Стр(а)уме. Он замечательно копирует всевозможные митиатюры и заглавные буквы из Евангелия. Он может быть в Эчмиадзине, где сделал несколько копии армянских заглавных букв, дивно хорошо. Он служил в Кавказском Кустарном отделе и все его работы принадлежат отделу. Ефимий Семенович обещал дать ему для пробы миниатюру из Евангелия, которую как образец его работы вышлем Вам. Надеюсь, что Вы как знаток таких работ, оцените его.

С совершенными почтениями
Д. Ермаков”.

№10.

„Тифлиси, Март 3 дня 1911 г.

Ваше Сиятельство,
Милостивая Государыня
Прасковья Сергеевна!

Вчера выслал Вам работу художника Ю.К. Страуме, а так же список имеющихся у него в этом роде рисунков. Каждый рисунок он считает по 15 руб. в красках, а которые без красок по 10 руб. Таковых рисунков он Вам повысылал. Смею надеяться, что Ваше Сиятельство не будете мною недовольны за мою рекомендацию.

Если они Вам не пригодятся, покорнейше прошу Вас приказать выслать их мне обратно. Высланные деньги я получил. Приношу мою благодарность.

С совершенным почестиями
Д. Ермаков”.

კომენტარები

დიმიტრი ერმაკოვის პირველივე წერილიდან (№1) ირკვევა, რომ იგი 1892 წლამდე ახორციელებდა ფოტოგადაღებებს გრაფინია პრასკოვია უვაროვასთვის, ცნობილი ისტორიკოსის, არქეოლოგის და ეთნოგრაფის დიმიტრი ბაქრაძის დაკვეთით.

დიმიტრი ბაქრაძე 1892 წლისათვის უკვე ორი წლის გარდაცვლილი იყო და ამიტომ დიმიტრი ერმაკოვი უშუალოდ დაუკავშირდა პრასკოვია უვაროვას (თუმცა წყვეტის ინტერვალი საკმაოდ დიდია) და მოახსენა მასთან დაცული არქეოლოგიური არტეფაქტების და მათი ფოტოების შესახებ. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს უფრო საბაბი იყო პრასკოვია უვაროვასთან და მოსკოვის საიმპერატორო საზოგადოებასთან თანამშრომლობის აღდგენისათვის. როგორ გადაწყდა ამ წერილში აღნიშნული პრობლემები, ჩვენთვის უცნობია, რადგანაც შემდეგი წერილი (№2) უკვე 1905 წლითაა დათარიღებული. მასში საუბარია ოქონის ხატისა და ტბეთის სახარების შესახებ. ამ რელიქვიების ფოტოგადაღებასთან დაკავშირებით აშკარად შეინიშნება დაძაბული ურთიერთობა დიმიტრი ერმაკოვსა და ექვთიმე თაყაიშვილს შორის, რომელიც შემდეგშიც, დროდადრო, თავს იჩენდა ხოლმე.

უნდა ითქვას, რომ ოქონის ხატის იდენტიფიკაციის მიზნით, კვლევა-ძიებას აწარმოებდა ბევრი მეცნიერი: მარი ბროსე, დიმიტრი ბაქრაძე, მოსე ჯანაშიელი, პრასკოვია უვაროვა და სხვ. ცნობილია ოქონის ოთხი ხატი: 1. პრასკოვია უვაროვას მიერ გორში, ოქონის ღმრთისმშობლის ეკლესიაში ნანახი ხატი, რომელიც წარმოადგენს ფერწერულ ტრიპტიხს დეისუსის გამოსახულებით; 2. გორის მაზრის სოფელ ოქონაში, ახალ ეკლესიაში პრასკოვია უვაროვას მიერ ნანახი ღმრთისმშობლის ჭედური ხატი ქართული მხედრული წარწერით; 3. პრასკოვია უვაროვას მიერ იქვე ნანახი ხატი – სპილოს ძვალზე ინკრუსტირებული ტრიპტიხი, შუა კარედზე დეისუსის გამოსახულებით. ეს, მესამე ხატი მიიჩნია პრასკოვია უვაროვამ ნამდვილ, ბიზანტიურ ხატად¹; და 4. ოქონის ჭედური ჯვარცმა, ძვირფასი ქვებით შემკული და წმინდა ნაწილების უჯრებით. ექვთიმე თაყაიშვილმა კვლევა-ძიების შემდეგ აღნიშნული ოქონის ჯვარცმა მიიჩნია დედოფალ ელენესეულ ხატად, რომელიც მას XI საუკუნეში ბიზანტიიდან საქართველოში მზითვად ჩამოუტანია. სწორედ ამ ოქონის ჯვარცმის ერმაკოვისეული ფოტოები გამოაქვეყნა ექვთიმე თაყაიშვილმა MAK-ში².

ასევე მნიშვნელოვანი კვლევა-ძიება ჩაატარა დიმიტრი ერმაკოვის ფოტოების მიხედვით ექვთიმე თაყაიშვილმა ტბეთის სახარების შესწავლისათვის და მიიჩნია, რომ იგი შავშეთის (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა) ტბეთის ეპისკოპოსის იოანე მტბევარის დაკვეთით, გადაწერა იოანე ფუკარალის ძემ მეფე გიორგი III-ის მეფობის დროს, სავარაუდოდ, 1161 წლის შემდეგ. ექვთიმე თაყაიშვილმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ტბეთის სახარების ჭედური ყდა დამზადებულია ოქრომჭედლების ბეშქენ და ბექა ოპიზარების მიერ, რომლებიც, თავის მხრივ, მამა-შვილად ჩათვალა³.

ოქონის ხატისა და ტბეთის სახარების ფოტოგადაღება დიმიტრი ერმაკოვმა თბილისში განახორციელა. ცნობილია, რომ ეს რელიქვიები 1724 წელს მეფე ვახტანგ VI-მ რუსეთში ემიგრირებისას წაიღო სხვა საგანძურთან ერთად და მხოლოდ 1889 წელს დაბრუნდა უკან, საქართველოში, ვახტანგ VI-ის შვილთაშვილის ანა ტოლსტაიას მეოხებით და ბინა დაიღო მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში. 1905 წლისათვის, როდესაც ისინი დიმიტრი ერმაკოვმა ფოტოებზე აღბეჭდა, რელიქვიები დროებით მიბარებული ჰქონდა თავად-აზნაურთა გიმნაზიის კომიტეტს, გიმნაზიის ეკლესიისათვის (მისი აშენების შემდეგ) გადასაცემად⁴.

ამჟამად ოქონის ჯვარცმის ხატი ინახება საქართველოს ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში, ტბეთის სახარება კი – საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

№4 წერილში დიმიტრი ერმაკოვი ჩამოთვლის იმ ისტორიულ ძეგლებს, რომელთა ფოტოგადაღებაც შეასრულა პრასკოვია უვაროვას დავალებით 1907 წელს თბილისსა და მცხეთაში. ასევე, დიმიტრი ერმაკოვი ატყობინებს პრასკოვია უვაროვას ექვთიმე თაყაიშვილის მოსალოდნელი ექსპედიციის შესახებ თურქეთში, თორთუმის ხეობაში (კოლა-ოლთისში). როგორც ცნობილია, დიმიტრი ერმაკოვი ამ მხარეში ადრეც იმყოფებოდა და მოხიბლული იყო ოშკის, ხახულის და იშხანის არქიტექტურული სილამაზით და სურდა მათი დეტალური ფოტოფიქსაცია.

ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით ექსპედიცია კოლა-ოლთისში შედგა 1907 წელს და მიმდინარეობდა 1 ივლისიდან 20 აგვისტომდე. ექსპედიციის დამფინანსებელი მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოება და მისი თავმჯდომარე პრასკოვია უვაროვა გახლ-

¹ Материалы по Археологии Кавказа, вып. IV (Москва, 1894), с. 172.

² Материалы по Археологии Кавказа, вып. XII (Москва, 1909), с. 117-172.

³ იქვე, გვ. 151-162.

⁴ იქვე, გვ. 162.

დათ. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ექსპედიციის ფოტოგრაფად არა ცნობილი და გამოცდილი დიმიტრი ერმაკოვი იქნა მიწვეული, არამედ მოყვარული ფოტოგრაფი, თბილისის ვაჟთა მე-2 გიმნაზიის ფრანგული ენის მასწავლებელი ედუარდ ლიოზენი¹. საესეებით ცხადია, რომ ეს არჩევანი ფინანსური პრობლემების გამო გააკეთდა. დიმიტრი ერმაკოვი ამ პერიოდისთვის უკვე საყოველთაოდ აღიარებული პროფესიონალი იყო და, შესაბამისად, მისი მომსახურება ძვირი ღირდა. მაგრამ, არ არის გამორიცხული, რომ მისი არ მიწვევა სხვა (პირადი) მოტივებითაც ყოფილიყო გამოწვეული.

აქვე უნდა ითქვას, რომ ედუარდ ლიოზენი საქართველოს ისტორიით და, განსაკუთრებით, ქართული ენის შესწავლით ძალიან იყო გატაცებული. იგი არჩეული იყო მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების ნამდვილ წევრად, რომლის სხდომებშიც იგი მუდმივად იღებდა აქტიურ მონაწილეობას. ედუარდ ლიოზენმა კოლა-ოლთისის ექსპედიციაში დაკისრებულ მოვალეობას თავი წარმატებით გაართვა და 100-მდე ფოტო გადაიღო².

აღსანიშნავია, რომ 1907 წლის 28 მაისს (აქტი 35) დიმიტრი ერმაკოვი არჩეულ იქნა „მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების“ კავკასიის განყოფილების ნამდვილ წევრად³. საინტერესოა, რომ იმავე სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, მოსე ჯანაშვილი და სხვ., „საზოგადოების“ წევრებად არჩეულ იქნენ, ასევე, ცნობილი ენათმეცნიერი კორნელი კეკელიძე და არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილი. საინტერესოა ასევე ის ფაქტიც, რომ დიმიტრი ერმაკოვი „საზოგადოების“ წევრობის კანდიდატად წარდგენილი იქნა წინა სხდომაზე, 1907 წლის 11 იანვარს, რომელსაც ესწრებოდა თვით პრასკოვია უვაროვა, როგორც „მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების“ თავმჯდომარე⁴. ცხადია, რომ დიმიტრი ერმაკოვს მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა პრასკოვია უვაროვასთან. ამ უკანასკნელმა მშვენივრად იცოდა დიმიტრი ერმაკოვის შემოქმედებითი ღვაწლის შესახებ და, შესაბამისად, მიიღო გადაწყვეტილება, პირადად წარედგინა იგი „საზოგადოების“ წევრობის კანდიდატად. აქვე, უნდა ითქვას, რომ განსხვავებით ედუარდ ლიოზენისა, რომელიც ბეჯითად და მუდმივად ესწრებოდა „საზოგადოების“ ყველა სხდომას, დიმიტრი ერმაკოვი იშვიათად მიდიოდა ამ სხდომებზე. ცნობილია „საზოგადოების“ კავკასიის განყოფილების სხდომებზე დიმიტრი ერმაკოვის, როგორც ამ საზოგადოების ნამდვილი წევრის, დასწრების სულ სამი შემთხვევა. იგი დაესწრო: 1910 წლის 9 ოქტომბრის⁵, 1911 წლის 29 იანვრისა⁶ და 1915 წლის 16 აპრილის⁷ სხდომებს. ასეთი პასიური დასწრება ალბათ განპირობებული იყო დიმიტრი ერმაკოვის მოუცლელობითა და მისი მუდმივი მოგზაურობით.

მოგვიანებით, 1910 წელს, დიმიტრი ერმაკოვის და ექვთიმე თაყაიშვილის ერთობლივი ექსპედიცია მაინც შედგა, მაგრამ ამჯერად უკვე ლენხუმ-სვანეთში. ექვთიმე თაყაიშვილი წერდა: „ექსპედიციაში მოვიწვიე მთელს კავკასიაში კარგად ცნობილი ფოტოგრაფი დიმიტრი ერმაკოვი“⁸. ძვირადღირებული ფოტოგრაფის სვანეთის ექსპედიციაში მიწვევა შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ ექსპედიციის ხარჯები მთლიანად დაფარა ცნობილმა მეცენატმა, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალმა პავლე თუმანიშვილმა⁹, რომლის ინიციატივითაც შეირჩა დიმიტრი ერმაკოვი.

ლენხუმ-სვანეთის 1910 წლის ექსპედიცია მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა და დიმიტრი ერმაკოვის მიერ, მისივე ცნობით, 1000-ზე მეტი ფოტო იქნა გადაღებული – არქიტექტურული და ისტორიული ძეგლები, ტიპაჟები, პეიზაჟები და სხვ. ამავე ექსპედიციის დროს დეტალურად, ფურცელ-ფურცელ (400 გვერდი) იქნა გადაღებული ცნობილი 897 წლის ადიშის ოთხთავი (სულ 200 ფოტო)¹⁰.

ადიშის სახარების ფოტოგადაღებასთან დაკავშირებით ექვთიმე თაყაიშვილი საინტერესო ცნობას იძლევა. თურმე ექსპედიციის წევრები, რომლებიც დაბანაკებული იყვნენ მესტიაში, სოფელ ადიშში ვერ ასულან, რადგანაც მოულოდნელად ზაფხულში დიდი თოვლი მოსულა. ექ-

¹ ე. თაყაიშვილი, *არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს* (პარიზი, 1938), გვ. 4.

² იქვე, გვ. 7.

³ Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества, под общей редакцией Л. Г. Лопатинского и Е. С. Такашвили, вып. III (Тифлис, 1913), с. 20, протокол №35.

⁴ იქვე, გვ. 20, протокол №34.

⁵ იქვე, გვ. 47, протокол №53.

⁶ იქვე, გვ. 50, протокол №55.

⁷ Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества, под общей редакцией Л. Г. Лопатинского и Е. С. Такашвили, вып. IV (Тифлис, 1915), с. 11, протокол №74.

⁸ ე. თაყაიშვილი, *არქეოლოგიური ექსპედიცია ლენხუმ-სვანეთში 1910 წელს* (პარიზი, 1937), გვ. 3.

⁹ იქვე, გვ. 3.

¹⁰ Материалы по Археологии Кавказа, вып. XIV (Москва, 1916).

ვთიმე თაყაიშვილის თხოვნით, სვანებს სახარება მესტიაში ჩამოუტანიათ, რაც თავისთავად არა-ორდინარული ფაქტი იყო, ვინაიდან სვანები ერთდებოდნენ რელიქვიების ადგილმონაცვლეობას. ასე და ამგვარად, სწორედ მესტიაში შეუსრულდება ადიშის ოთხთავის ფოტოგადაღება დიმიტრი ერმაკოვს¹. ადიშის ოთხთავი ამჟამად მესტიის სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

ცალკე თემაა ექვთიმე თაყაიშვილისა და დიმიტრი ერმაკოვის ურთიერთობა, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივად გრძელდებოდა და ხშირად დაძაბულადაც მიმდინარეობდა. დიმიტრი ერმაკოვსა და ექვთიმე თაყაიშვილს შორის 1905 წელს ოქონის ხატის და ტბეთის სახარების ფოტოებთან დაკავშირებით მომხდარმა უთანხმოებამ 1910 წლის სვანეთის ექსპედიციის დროს იწინა თავი. გულნატკენი ექვთიმე მოგვიანებით ნიკო მარს წერდა: „დიდი შრომა გამოვიარე. უჩემოთ არავის ეკლესიაში არ შეუშობდნენ. ერმაკოვის მიზეზობას და „პრეტენზიას“ საძღვარი აღარ ჰქონდა, სამჯერ ისეთი სკანდალი მოახდინა, რომ კინაღამ მოკლეს. მე დავაშოშმინე სვანები... მასალა დიდძალი შეგვრებე. ესლა ერმაკოვი მე კი არ მაძღვეს სურათებს, უნდა კიდევ ბევრი ფული დასტყუოს თუმანოვს და ჩემი მოსაცემი სურათების ფული მას გადაახდევინოს, სხვებზე კი სურათებს ყიდის“².

განსაცვიფრებელია ცნობა იმის შესახებ, რომ დიმიტრი ერმაკოვი სვანეთის ექსპედიციაში მოუძნადებელი წასულა, თუმცა იგი წინასწარ იყო გაფრთხილებული ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მოსალოდნელი სირთულეების შესახებ. კერძოდ, რომ სვანეთის პატარა ეკლესიებში შიდა გადაღებებისთვის მცირე ზომის ფოტოკამერა და სპეციალური ფოტობიექტივის წადება იყო საჭირო. ლატალის თემის სოფელ მაცხოვრის ეკლესიაში მუშაობასთან დაკავშირებით ექვთიმე თაყაიშვილი წერდა: „ფოტოგრაფიულად გადმოღება ფრესკების შეუძლებელი იყო, ვინაიდან შესაფერისი აპარატები არ ჰქონდა ერმაკოვს“³.

ასევე საკვირველია ცნობა იმის შესახებ, რომ დიმიტრი ერმაკოვს სვანეთის ექსპედიციაში წაუღია ზომით დიდი ნეგატივების „პლასტინკები“, რომლებიც მის კამერაში არ ეტეოდა და იგი იძულებული იყო დიდი ჯაფის ფასად ხერხით დაეპატარაებინა ისინი⁴.

მიუხედავად სირთულეებისა, 1910 წლის ლენხუმ-სვანეთის ექსპედიცია წარმატებით ჩატარდა და უდიდესი და უმნიშვნელოვანესი მასალა იქნა მოპოვებული.

შემდეგ წერილში (№6) დიმიტრი ერმაკოვი აღნიშნავს სიონის საეკლესიო მუზეუმში დაცული მინიატურების ფოტოგადაღებების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ეს მუზეუმი შექმნილი იყო ქართველი მეცნიერების დიმიტრი ბაქრაძის და მოსე ჯანაშიელის ინიციატივით.

№7 წერილში საუბარია ისევ ადიშის ოთხთავის ფოტოების ანაზღაურებაზე. როგორც ჩანს, ვინაიდან ადიშის სახარების 200 ფოტოზე მეტი იქნა გადაღებული, პრასკოვია უვაროვამ დიმიტრი ერმაკოვს პუბლიკაციისათვის ანაზღაურება აღუთქვა. სამწუხაროა, რომ წინააღმდეგ, 30 ნოემბრის წერილი შემონახული არ არის.

დიმიტრი ერმაკოვი ასევე ახსენებს ერევნის სარდარის სასახლის ფოტოებს, რომელთა საფასური – 80 კაპიკი დიდ ფოტოში და 60 კაპიკი პატარაში, საკმაოდ დაბალი ფასი იყო, რადგანაც დიმიტრი ერმაკოვი ფოტოებს, ჩვეულებრივად, 1,5-2 მანეთად და უფრო ძვირადაც ჰყიდდა. ექვთიმე თაყაიშვილი ნიკო მარს წერდა: „ხანძელის სურათი შესანიშნავად კარგად გავაკეთებინე. როინოვის ფოტო ესლა აღარ არის, ერმაკოვს გადავადებინე და ძვირათ გადაიღო, ორ-ორ მანეთად თითო“⁵.

შემდეგ წერილში (№8) დიმიტრი ერმაკოვი N517 სახარების ფოტოგადაღებასთან დაკავშირებით მოიხსენიებს ივანე სემიონოვის ძე სტანიშევსკის, რომელიც მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების ნამდვილი წევრი იყო. N517 სახარება ამჟამად ინახება საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში⁶.

¹ ე. თაყაიშვილი, *არქეოლოგიური ექსპედიცია ლენხუმ-სვანეთში...*, გვ. 4.

² *ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა (1888-1931 წწ.)*, გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს რ. კავილაძემ და მ. მამაცაშვილმა (თბილისი, 1991), გვ. 246. ექვთიმე თაყაიშვილის ეს წერილი თარიღის გარეშეა. ჩემი აზრით, იგი დაწერილი უნდა იყოს 1910 წლის 4 ნოემბრის შემდეგ, რადგანაც ექვთიმე თაყაიშვილი ახსენებს: „უვაროვას ქალი ესლახან აქ (თბილისში) იყო“. პრასკოვია უვაროვა ნამდვილად იყო 1910 წლის 4 ნოემბერს თბილისში და ესწრებოდა მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების ხელმძღვანელ ბიბლიოთეკის შენობაში (იხ. Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества, под общей редакцией Л. Г. Лопатинского и Е. С. Такайшвили, вып. III..., протокол №54, с. 49. წერილი დაწერილია არა უვიანეს 1910 წლის 10 დეკემბრისა, რადგანაც ამ დღით დათარიღებულია ნიკო მარის პასუხი ექვთიმე თაყაიშვილის აღნიშნულ წერილზე. ე.ი. ექვთიმე თაყაიშვილის აღნიშნული წერილი დაწერილი უნდა იყოს 1910 წლის 4 ნოემბრის შემდეგ და 1910 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში.

³ ე. თაყაიშვილი, *არქეოლოგიური ექსპედიცია ლენხუმ-სვანეთში...*, გვ. 351.

⁴ იქვე, გვ. 3.

⁵ ნიკო მარის და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა..., გვ. 193.

⁶ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, II, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა (თბილისი, 2004).

შემდეგ წერილში (№9) დიმიტრი ერმაკოვი იხსენიებს ცნობილ ენათმეცნიერს და კავკასი-ოლოგს ლევ გრიგორის ძე ლოპატინსკის. იგი თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ლევ ლოპატინსკი დღიდან დაარსებისა ანუ 1901 წლის 21 მარტიდან იყო უცვლელი თავმჯდომარე მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა. მისი საერთო რედაქტორობით გამოვიდა შრომათა კრებულის ხუთი ტომი¹, რომლებიც ფასდაუდებელ წაყროს წარმოადგენს კავკასიის ისტორიით დაინტერესებული მეცნიერებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

ამავე №9 წერილში დიმიტრი ერმაკოვი მოიხსენიებს ამ პერიოდისთვის სრულიად უცნობ მხატვარ იული კარლის ძე სტრაუმეს, რომელიც, როგორც დიმიტრი ერმაკოვი აღნიშნავს, საკმაოდ კვალიფიცირებული და ნიჭიერი იყო. როგორც ჩანს, დიმიტრი ერმაკოვს იული სტრაუმე ექვთიმე თაყაიშვილისთვისაც წარუდგენია, რომელსაც, თავის მხრივ, საცდელად მიუცია მინიატურები გადასახატავად.

შემდეგში იული სტრაუმეს წილად ხვდა შეესრულებინა უზარმაზარი როლი კავკასიის ხალხთა შემოქმედების აღნუსხვა-ჩახატვისა და თბილისში „კავკასიის ხალხთა გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის“ შექმნის საქმეში². ამჟამად თბილისში, ხალხური გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში, ინახება იული სტრაუმეს მიერ შესრულებული კავკასიური ხალიჩების და სხვა ნაწარმის პირი-ნახატები ორ ალბომად. იული სტრაუმე წარმოშობით ლატვიელი იყო და 1921-1922 წლებში ჰქონდა პატივი, ყოფილიყო საქართველოში ლატვიის ვიცე-კონსული³.

ბოლო, №10 წერილში დიმიტრი ერმაკოვი ისევ იული სტრაუმეს უწევს რეკომენდაციას პრასკოვია უვაროვას წინაშე. უნდა ვიფიქროთ, რომ დიმიტრი ერმაკოვს იული სტრაუმესთან ახლო, მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა და ძალიან იყო მოწადინებული მისი შრომითი მოწყობით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იული სტრაუმეს მატერიალურად ძალიან უჭირდა, განსაკუთრებით, უჭირდა ახალგაზრდა ფრანგი მეუღლის შენახვა და დამატებითი შემოსავალი მისთვის ჰპერივით საჭირო იყო⁴.

განხილული წერილებიდან ირკვევა, რომ დიმიტრი ერმაკოვს პრასკოვია უვაროვასთან და „მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიურ საზოგადოებასთან“ აქტიური საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დიმიტრი ბაქრაძის საშუალებით, ხოლო 1892 წლიდან – უშუალოდ. წერილებში შეინიშნება დიმიტრი ერმაკოვის ორგანიზაციული ნიჭი და პასუხისმგებლობის გრძნობა (თუმცა, არა ყოველთვის) – იგი ჩვეული პედანტობით ყოველ წერილში ატყობინებდა გრაფინია პრასკოვია უვაროვას შესრულებული სამუშაოების და მათი ღირებულების შესახებ.

დიმიტრი ერმაკოვი საკმაოდ ძვირადღირებული და სიცოცხლეშივე ძალიან ცნობილი ფოტოგრაფი იყო. ამაზე მეტყველებს მის მიერ 1896 და 1901 წლებში გამოცემული თავისი ფოტოკოლექციების კატალოგები, რომელთა საშუალებითაც იგი თავის ბიზნესს ახორციელებდა⁵.

¹ Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества, под общей редакцией Л. Г. Лопатинского и Е. С. Такайшвили, вып. I (Тифлис, 1904); Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества, под общей редакцией Л. Г. Лопатинского и Е. С. Такайшвили, вып. II (Тифлис, 1907); Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества, под общей редакцией Л. Г. Лопатинского и Е. С. Такайшвили, вып. III...; Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества, под общей редакцией Л. Г. Лопатинского и Е. С. Такайшвили, вып. IV...; Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества, под общей редакцией Л. Г. Лопатинского и Л. М. Меликсет-Бекова, вып. V (Тифлис, 1919); Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества, под общей редакцией Л. М. Меликсет-Бекова и Д. П. Гордеева, вып. VI (Тифлис, 1921 г.).

² კარლ სტრაუმეს შესახებ დაწვრილებით იხ.: I. Klavina, *iuli straume* (riga, 2004).

³ იქვე.

⁴ იქვე.


⁵ Фотографии Д. И. Ермакова, каталог фотографических видов и типов Кавказа, Персии, Европейской и Азиатской Турции, Тифлис, Паровая типография Штаба Кавказского военного округа (1896); Фотографии Д. И. Ермакова, каталог фотографических видов и типов Кавказа, Персии, Европейской и Азиатской Турции, продолжение каталога 1896 года, Тифлис, Паровая типография Штаба Кавказского военного округа (1901).

ბიბლიოგრაფია

1. ე. თაყაიშვილი, *არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს* (პარიზი, 1938).
2. ე. თაყაიშვილი, *არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს* (პარიზი, 1937).
3. ლ. კლავინა, *იული სტრაუბე* (რიგა, 2004).
4. *ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა (1888-1931 წწ.)*, გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს რ. კავილაძემ და მ. მამაცაშვილმა (თბილისი, 1991).
5. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, II, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა (თბილისი, 2004).
6. Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества, под общей редакцией Л.Г. Лопатинского и Е.С. Такаишвили, вып. I (Тифлис, 1904).
7. Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества, под общей редакцией Л.Г. Лопатинского и Е.С. Такаишвили, вып. II (Тифлис, 1907).
8. Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества, под общей редакцией Л.Г. Лопатинского и Е.С. Такаишвили, вып. III (Тифлис, 1913).
9. Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества, под общей редакцией Л.Г. Лопатинского и Е.С. Такаишвили, вып. IV (Тифлис, 1915).
10. Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества, под общей редакцией Л.Г. Лопатинского и Л.М. Меликсет-Бекова, вып. V (Тифлис, 1919).
11. Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества, под общей редакцией Л.М. Меликсет-Бекова и Д.П. Гордеева, вып. VI (Тифлис, 1921 г.).
12. Материалы по Археологии Кавказа, вып. IV (Москва, 1894).
13. Материалы по Археологии Кавказа, вып. XII (Москва, 1909).
14. Материалы по Археологии Кавказа, вып. XIV (Москва, 1916).
15. Фотографии Д.И. Ермакова, каталог фотографических видов и типов Кавказа, Персии, Европейской и Азиатской Турции, Тифлис, Паровая типография Штаба Кавказского военного округа (1896).
16. Фотографии Д.И. Ермакова, каталог фотографических видов и типов Кавказа, Персии, Европейской и Азиатской Турции, продолжение каталога 1896 года, Тифлис, Паровая типография Штаба Кавказского военного округа (1901).




№7




№8



№9



№10



არქეოლოგიური ექსპედიცია
 ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს.
 ცენტრში ზის ექვთიმე
 თაყაიშვილი, მარჯვნიდან
 პირველი დგას დიმიტრი
 ერმაკოვი (თეთრი წვერით)

**THE FACSIMILE LETTERS OF THE FAMOUS PHOTOGRAPHER
DIMITRI ERMAKOV TO COUNTESS PRASKOVIA UVAROVA**

The facsimile letters of the famous photographer Dimitri Ermakov to Countess Praskovia Uvarova, the Head of the “Emperor's Moscow Archaeological Society”, represent the business-like relations between the photographer and “The Archaeological Society”.

Since the 1880's D. Ermakov has taken photographs of historical artifacts for “The Archaeological Society” by the mediation of the well-known historian and archaeologist Dimitri Bakradze (1826-1890); And from 1892 he continued working directly under the direction of Praskovia Uvarova.

In the letters D. Ermakov reports to P. Uvarova with his own characteristic accuracy about fulfilled photography and their financial worth. Some information is about details of photography of the unique historical artifacts: the Oqona Icon, the Tbeti and Adishy (897year) Gospels.

Also, in the letters there are notes about photography of the historical and architectural monuments in Tbilisi and Mtskheta. Largely, they depicted the relations between D. Ermakov and famous scientist, founder and first president of the Historical and Ethnographical Society of Georgia, academician Eqvtime Takaishvili (1863-1953) and their well-known joint expedition to Svaneti in 1910 as well.

In the letters the reader will find some information about other scholars too: the well known linguist and caucasialogist, Lev Lopatinski (1842-1922) the only head of the Caucasian branch of the Emperor's Moscow Archaeological Society; As well as another member of the same organization and an employee of the Sioni Church Museum, Lev Stanishevski; Also another member, architect Simon Kldiashvili (1865-1920) and one of the creators of the Applied Art of the Peoples of Caucasus State Museum in Tbilisi, painter and photographer Juli Straume (1874-1970).

The original letters are retained at the Moscow State Historical Museum (in Russia) and the microfilms of them are kept in the National Center of Manuscripts of Georgia.

The given letters are important sources for the researchers of the artistic heritage of Dimitri Ermakov and for the people at large.

**აკაკი ჩხენკელის რამდენიმე წერილი სახელმწიფოებრივი
დამოუკიდებლობისა და დასავლური ორიენტაციის შესახებ**

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებას იმდროინდელ რუსეთის საზოგადოებაში ბევრი კრიტიკოსი ჰყავდა. მის შემდეგაც, ხშირად გაისმოდა ასეთი ფრაზა თვით ქართულ საზოგადოებაშიც კი: საქართველოს დამოუკიდებლობა იყო შემთხვევითი აქტი, ის გააზრებული არ ჰქონია მაშინდელ მმართველ პარტიას, მათ არ სურდათ ასეთი რამ, ისინი ბოლშევიკებისგან არც განსხვავდებოდნენ და ა. შ. ამ კრიტიკას მაშინვე სცემდა პასუხს საქართველოს მოწინავე საზოგადოება. ზ. ავალიშვილი წიგნში „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“, განიხილავდა ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ეტაპებს, ასკენიდა, რომ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ტრადიციას საქართველო განვლილი ისტორიის მანძილზე არ მოწყვეტილა და 1918 წელს მან ბუნებრივად აღადგინა დამოუკიდებლობა, რაც ნაყოფი იყო 1801 წლიდან ქართველი ხალხის თავდადებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა. „წარსულთან ასეთი კავშირისა და წარსულის ასე გათვალისწინების შემდეგ, – წერდა ავტორი, – უნაყოფო და ამოიქნებოდა, საქართველოსა და კავკასიის სხვა ერების დღევანდელ პოლიტიკურ მოძრაობაში ვხედავდეთ გარეშე გარემოებათა, ინტრიგებისა და პატივმოყვარეობის შემთხვევით ნაყოფს. იგი უეჭველად, ვესვებით ღრმად ნიდავში ჩასული ძველი ხის ახალი ელორტია“¹.

ამასთანავე, ავალიშვილი დამოუკიდებლობის დაკარგვის მრავალ მიზეზთა შორის ასახელებდა მმართველი პარტიის სოციალ-დემოკრატიულ დიქტატურას, პარტიული ინტერესების სახელმწიფო ინტერესებზე წინ დაყენებას. ამ ფაქტს და მისგან მომდინარე საშიშროებას თვით საქართველოს ხელისუფლებაში მყოფი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებიც ხედავდნენ. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ ამგვარი შეფასება არაობიექტურია, რადგან მმართველ პარტიაშიც იყვნენ დამოუკიდებლობისა და ევროპული ორიენტაციის მტკიცე დამცველები, ისინი არამარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც იღვწოდნენ საქართველოს ევროპული სახელმწიფოების თანამეგობრობაში გასაწევრიანებლად, რაც თავისთავად ნიშნავს ამ პოზიციის სიმყარეს. მეორეც, მათაც კი, ვინც ქვეყნის დამოუკიდებლობამდე მართლაცდა პრორუსულად აზროვნებდნენ, ან მერყეობდნენ ამ ორ პოზიციას შორის, საბოლოოდ დაგმეს რუსული სახელმწიფოს აგრესიული ინტერესები საქართველოს მიმართ და სიკვდილამდე დამოუკიდებლობისა და დასავლური ორიენტაციის მომხრედ დარჩნენ.

რუსულ აგრესიასა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საშუალებებზე, მის სამრეწველო-ეკონომიკურ, კულტურულ და სულიერ ასპექტებზე, პოლიტიკურ მეთოდებზე ძალიან ბევრს ფიქრობდნენ და წერდნენ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პატრიოტი მოღვაწენი, მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი აკაკი ჩხენკელს ეჭირა.

მისი მდიდარი ეპისტოლური და მეშუარული ნაწერების გაცნობა გვარწმუნებს იმ ჭეშმარიტებაში, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეაც და ევროპული ორიენტაციაც ქართველი პოლიტიკოსების ისტორიული ნააზრევია და ეროვნული ინტერესების მტკიცედ დამცველი მოღვაწეები მუდამ ერთგულებდნენ ამ მიმართულებას. ეს ისტორიული საბუთებით ცხადზე ცხადია, მაგრამ რეალობას ხშირად ამახინჯებენ არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის ძველი და ახალი კრიტიკოსები, არამედ თვით ზოგიერთი თანამედროვე ქართველი ისტორიკოსიც იმით, რომ ამტკიცებს, თითქოს დამოუკიდებლობის აქტი გერმანიის ინიციატივით მომზადდა, საქართველოს მაშინდელ ლიდერებს (სოციალ-დემოკრატებს) არ სურდათ დამოუკიდებელი საქართველო, თითქოს ისინი ბევრით არაფრით განსხვავდებოდნენ ბოლშევიკებისგან და რუსული ორიენტაციის ერთგულები იყვნენ. **სინამდვილეში, 1918 წლის 26 მაისის აქტი იყო: 1. 117 წლის მანძილზე ქართველი ერის დაუცხრომელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგი ქართული სახელმწიფოს აღსადგენად და რუსეთის კოლონიური უღლის გადასაგდებად; 2. ეს აქტი მოამზადეს ქართველმა პოლიტიკოსებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, პატრიოტებმა, რომელთა კუთვნილება მარტო ერთ პარტიას და ერთ სოციალურ ჯგუფს არ მიეწერება; 3. შექმნილი პოლიტიკური ვითარება მხოლოდ მაპროვოცირებელი და დამაჩქარებელი იყო დამოუკიდებლობის იდეის განსახორციელებლად, გერმანია კი, ქართველი ერის საერთო**

¹ ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბილისი, 2011.

მიზნიდან გამომდინარე, პოლიტიკურად ყველაზე ხელსაყრელი მოკავშირე; 4. პოლიტიკური და პრაქტიკული ხელმძღვანელობა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღდგენის საქმეში გასწია სოციალ-დემოკრატიზმს, საერთო-ეროვნული ინტერესების გამტარებელმა პიროვნებამ – აკაკი ჩხენკელმა, რომელმაც მთელი ქართული საზოგადოება გააერთიანა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის გარშემო, დაარწმუნა თავისი პარტიის მერყევი და პრორუსული ნაწილი ამ იდეის განხორციელების აუცილებლობაში; 5. ისინიც, ვინც მერყეობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და რუსეთისგან თავდახსნის შესაძლებლობაში, საბოლოოდ ვეროპული ორიენტაციისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის მტკიცე დამცველები გახდნენ.

ჯერ კიდევ ტრაპიზონსა და ბათუმში აკაკი ჩხენკელი მტკიცედ დარწმუნდა იმაში, რაც მანამდეც სწამდა: 1. ამიერკავკასიის ფედერაციაში გაერთიანებული საქართველო ინტერესთა კონფლიქტის გამო ვერ შეინარჩუნებდა მთლიანობას; 2. სოციალისტური იდეოლოგია ვერ გამოადგებოდა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დემოკრატიულ სახელმწიფოს, საჭირო იყო ყველა სოციალური კლასისა და ფენის ინტერესების დაცვა, საჭირო იყო პარტიულ პრინციპებზე მაღლა დადგომა. ეს კარგად ჩანს 1918 წლის 15 მაისს გამოგზავნილი მისი წერილიდან ნოე ჟორდანიასადმი, სადაც ვკითხულობთ: *„თქვენ ვაღდეგებელი ხართ ქართველ ერს უხელმძღვანელოთ, თუ არ შეგიძლიათ, უკეთესია გადადგომა, მაგრამ ამ შემთხვევაში ერთი დაიღუპება. თქვენ უნდა ითამაშოთ რადიკალური ბურჟუაზიის როლი, სხვა არავინ არის თქვენსაგანთ გაფლენიანი. საჭიროა ამ წუთშივე გათვალისწინება ყველა ამისა, საჭიროა გამბედაობა, ნუ აქცევთ ერისა და სახელმწიფოს საქმეს პარტიის საქმედ. პარტია, ეროვნული გრძნობით განმსჭვალული, შეძლებს ერის ხსნას“.*

ჩხენკელმა კარგად იცოდა, რომ გერმანიას თავისი დამპყრობლური მიზნები ჰქონდა, მაგრამ ეს მიზნები გაცილებით ასატანი იქნებოდა, ვიდრე რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა ქართველი ხალხის მიმართ. ოსმალეთის აგრესიის პირისპირ დამდგარ საქართველოს ამჯერად ხსნა არსაიდან ეგულებოდა, გარდა ოსმალთა მოკავშირე გერმანიისა. ცივილიზებული გერმანია არ შეიძლებოდა ყოფილიყო ისე დაუნდობელი, როგორც რუსეთის ბოლშევიკური სახელმწიფო, რომელიც კომუნისტური დროშის ქვეშ ძველი იმპერიის აღდგენას გეგმავდა, რომელმაც ბრესტის ზავით დაუნანებლად გასცა საქართველოს ისტორიული მიწები, გაამწვავა ოსმალთა აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. ის აკრიტიკებდა საქართველოში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებს, რომლებიც გამოდნენ გერმანულ იმპერიალიზმს და აბრკოლებდნენ გერმანიასთან მომავალი პოლიტიკური კავშირის გაფორმებას. იმავე საიღუმლო წერილში ის ამაზეც წერდა ნოე ჟორდანიას: *„ბორბას“ და „იზვესტიას“ უნდა ჩააგონოთ, რომ გერმანიის იმპერიალიზმი, რომელზედაც ასე ჭყვიან, უკეთესია რუსეთის იმპერიალიზმზე, რომ ჩვენი მდგომარეობა გვაიძულებს პირველს შევურიგდეთ, ვინაიდან გერმანიამ თუ გვიხსნა, მხოლოდ თავის იმპერიალისტური მადის დასასაბუთებლად და არა რუსი ამხანაგების ღამაზ თვალისათვის“.* მისთვის ცხადზე ცხადი იყო, რომ დამოუკიდებლობა იყო ერთადერთი ხსნის გზა უფსკრულის პირას დამდგარი ქვეყნისათვის. ამ დროს სოციალისტური ფრაზეოლოგია ზედმეტი იყო და დამღუპველი. *„ჩვენ ვდგევართ უფსკრულის წინ: უნდა გადაწყდეს, გაყვება თუ არა ამ გზას ქართველებიც, როგორც ამას აქამდისინ ჩადიოდნენ რევოლუციურ ფრაზეოლოგიით დამთვრალნი. მე ვამბობ: არას გზით, ვერ გაყვება, სანამ ინგლისელები მოვიდოდნენ ამიერკავკასიაში, რაც საეჭვოა, ჩვენ დავკარგავთ ყველაფერს, სიცოცხლესაც, დამოუკიდებლობას კი შეუძლია ჩვენი ხსნა“;* – ირწმუნებოდა ჩხენკელი¹

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე აკაკი ჩხენკელი დაინიშნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩად ევროპაში. მისი ამოცანა იყო ევროპის სახელმწიფოებში დამოუკიდებელი საქართველოს, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარი ვექტორების შესახებ ცნობების გავრცელება, ხელის შეწყობა ევროპულ სახელმწიფოთა მიერ მისი აღიარებისათვის, ევროპულ ოჯახში ინტეგრირებისათვის, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების საერთაშორისო ბერკეტებით მოგვარებისათვის და სხვ. ბათუმის კონფერენციიდან ის სხვა ქართველ დიპლომატებთან ერთად (ნიკო ნიკოლაძე, ზურაბ ავალიშვილი, სპირდონ კეღია) ბერლინში გაემგზავრა. გარდა იმ დიდი დიპლამატიური მუშაობისა, რასაც მისი ხელმძღვანელობით იქ აწარმოებდა ქართული დელეგაცია, ჩხენკელი მუდმივად აღევნებდა თვალს საქართველოსა და სხვა ქვეყნებში იმ თანაპარტიელთა საქმიანობას, რომელთა პრორუსულ პოზიციას დიდი ხანია აკრიტიკებდა და რომელთა „მერყევი ნაბიჯების“ მუდამ ეშინოდა: არ შეეცვალათ საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი და გათავისუფლებულიყვნენ მარქსისტული იდეოლოგიისაგან.

¹ saqarTvelos centraluri saxelmwifo saistorio arqivi, fondi 1861, aRwera 2, saqme 23, f. 5-8.

გერმანიიდან და ევროპის სხვა ქალაქებიდან (ბერნი, გენუა, ჟენევა, პარიზი და სხვ.) გამოვ-
ზავნილი მისი წერილებიდან ჩანს, აკაკი ჩხენკელის ერთგულება საქართველოს დამოუკიდებ-
ლობისადმი, მისი შეურთებლობა იმ თანაპარტიელებთან, რომლებიც კვლავ რუსეთისკენ იხედუ-
ბოდნენ, ამიტომ გაუბედავი და არაეფექტური იყო მათი ეროვნული პოლიტიკა. ჩხენკელისთვის
მთავარი ფასეულობა იყო ქვეყნის დამოუკიდებლობა და ევროპული ორიენტაცია. ის ევროპაში
მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს დიდი ინტერესით ადევნებდა
თვალს და ყველასა და ყველაფერში ეძებდა საქართველოსთვის გამოსაყენებელ მომენტს. ახალ-
გაზრდა ქართულ სახელმწიფოს უნდა ესარგებლა ევროპულ სახელმწიფოთა მხარდაჭერითა და
დახმარებით, უნდა გამოეყენებინა ყველა ბერკეტი, დაეხმარებინა სოციალისტური ორგანიზაცი-
ები დასახული მიზნების განხორციელებისათვის. ამ ყოველივეს ჭირდებოდა მტკიცე პოლიტიკუ-
რი ნება, დამოუკიდებლობის იდეის ერთგულება და დასავლეთისკენ გადაგმული შეუდრეკელი
ნაბიჯები, რაც ბევრ ქართველ პოლიტიკოსს აკლდა. ის ენდობოდა ნოე რამიშვილს, საქართვე-
ლოს ხელისუფლებაში ყველაზე თამამ და ძლიერ პოლიტიკოსად მიაჩნდა, ამიტომ უზიარებდა
მას თავის ეჭვებსა და აზრებს. ჩხენკელის მთავარი აქცენტები კარგად იკითხება ქვემოთ
წარმოდგენილ საკმაოდ ვრცელ ბარათში, რომელიც ბერლინიდან საიდუმლოდ გადმოუგზავნა
ნოე რამიშვილს, როგორც მის თანამოაზრეს და საქართველოს დამოუკიდებლობის მტრების
წინააღმდეგ შეუპოვარ მებრძოლს:

„29. IX.18, ბერლინი.

პირადათ საიდუმლოთ. ძვირფასო ნოე

შენი წერილი მივიღე. მე აქ მინდა შევეხო მხოლოდ ერთ დიდ საკითხს, რომელსაც კავში-
რი აქვს ყველა სხვა საკითხებთან. ეს არის **საქართველოს დამოუკიდებლობა და ჩვენი პოზიცია**
მის მიმართ. უნდა გამოვტყდე, არათუ ჩვენი პარტია საერთოთ, არამედ ხელმძღვანელებიც რაღაც
რყევაში არიან, მათ თითქო არ სჯერათ გულის სიღრმეში დამოუკიდებლობის შესაძლებლობა,
ზოგს შეიძლება არცა სურს ეს. ასეთი ფსიხოლოგიური მიდრეკილება მთავარი მიზეზია ჩვენი
უძლურებისა. ჩვენს შორის ჯერ კიდევ ვერ წარმოუდგენიათ ნათლათ, თუ რა მოუვიდა რუსეთს,
თორემ მასთან ხელახლა გაერთიანება თუგინდ რომ შესაძლებელი იყოს ეს, სასტიკ პროტესტს
უნდა იწვევდეს მათ არსებაში. მთლიანი რუსეთი შესაძლებელია, როგორც რეაქციონური, ეს
იცის ყველამ, მაგრამ არავინ უწევს ანგარიშს იმას, რომ რუსეთი უკვე გადასროლილია რამდენ-
იმე ათეული წლით უკან, ამიტომ ის მხოლოდ კოლონიადაა ქცეული, სულ ერთია, ვინც უნ-
და იყოს ბოლოს გამარჯვებული. ისობა მისი მრეწველობა, ფინანსები, თვით ინტელექტი. სა-
ხელმწიფოს მექანიზმის მოსაბობას თქვენ ახლა კარგად გრძნობთ, რა შედეგი მოხდევს, ხალხი
გადაეჩვია თანდათან სახელმწიფოებრივ ცხოვრებას და უბრუნდება პირველყოფილ მდგომარე-
ობას. რუსეთის გლეხობა, საუბედუროთ მუშათა კლასიც, წარმოადგენს სრულიად დარღვეულ-
დაუკავშირებელ ბრბოთა ნაწილებს, რომლის ისევ თავმოყრას და დაქვემდებარებას საჯარო
ნორმების წინაშე შესძლებს ერთადერთი – **ფიზიკური შიში**, სხვა არაფერი... **საქართველოს**
შეუძლია და მისთვის უფრო ხელსაყრელია პირდაპირი კავშირი იქონიოს დასავლეთ ევროპას-
თან, ამ გზით ის უფრო ადვილად შესძლებს ყველა თავისი ძალების განვითარებას. საერთა-
შორისო კონიუნქტურა უეჭველათ ხელს უწყობს მის განვითარებას და დამოუკიდებლობის უზ-
რუნველყოფას. ორივე კოალიცია, სულ ერთია ვინც მოიგებს, უფრო მოსალოდნელია ვერცერ-
თმა ვერ მოიგოს ომი, – უეჭველათ დაინტერესებულია იმაში, რომ საქართველო და აქედან ამ-
იერკავკასია მთიელებთან – შეიძლება დამოუკიდებელი და ნეიტრალური დარჩეს, ვინაიდან ეს
დიდი შარავზაა ევროპასა და აზიას შორის. ამავე დროს, ოსმალეთი რომ დასუსტებული გამოვა
ამ ომიდან, ეს თავისთავად ცხადია, ასე რომ, ის მიზეზი, რომელმაც ასოცი წლის წინათ რუ-
სეთს შეგვაერთა, გაქრება. მეორეს მხრით, თუგინდ ეს ომი უკანასკნელი არ იქნეს, მეორე ომი
ჩქარა მომავალში ყოვლად შეუძლებელია. ამ პირობებში ჩვენი დამოუკიდებლობა შეიძლება კი-
დეც განმტკიცდეს სამუდამოთ. ამბობენ, პატარა სახელმწიფოს არსებობა ძნელიაო, ეს მარ-
თალია, მაგრამ შესაძლებელი კი არის. ასე წარმოიდგინე, ჩვენ იმდენად არ გველის გარედან
შიში, რამდენათ შიგნით. ჩვენ თვითონ ძაბუნი ვართ, არ გვიდვივის ეროვნული თავისუფლების
ცეცხლი გულში, არ გვასულღმულებს მისწრაფება დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი
საქმიანობისადმი, რომელიც ერთადერთი საფუძველია ჩვენი ინდივიდუალურობის ყოველმხრივ
დაწინაურებისა. ჩვენ ვართ ზარმაცნიც იმავე დროს, სისტემატურათ თავნაქინდრული მუშაობა,
რომელსაც მოითხოვს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ჩვენ არ გვეხერხება. გარწმუნებ,
ჩემო უძვირფასესო ამხანაგო, ჩემში არ ლაპარაკობს პირადული მომენტის ერთი ნატამალიც, მე
მზად ვარ ყველაფერი დავეთხო, არ მინდა არავითარი თანამდებობა, მამუშავეთ როგორც შავი
მუშა, ოღონდ იდეა დამოუკიდებლობისა ადღვეს ჩვენში. ჩვენი მუშაობა უიდეოა, რუსეთის
დარღვევასთან ერთად დაკარგეთ უნარი ენერგიული მუშაობისა ჩვენს ხალხში. რუსოფილური

მიდრეკილება ჩვენი ერისა ემყარება ინერციას, ჩვენს პარტიას მაინც მართებს განთავისუფლდეს ამ ინერციისაგან, ჩაერიოს ხალხში თავისებურათ-ახლებურათ, ჩაუნერგოს მას ეროვნული გრძნობა, პასუხისმგებლობის შეგნება, ისა რომ, ის ახლა თვითონაა თავის ბედ-იღბალის გამომძღველი... აბა გადაშალე ჩვენი პრესა – მარტო გული გიკვდება, სხვა არაფერი. ჩვენი პარტია ისეთი ძლიერია, რომ მას ბევრი შეუძლია, მაგრამ შეათედსაც არ აკეთებს, არ აკეთებს იმიტომ, რომ თვით დამოუკიდებლობის იდეა დოქტრინალურათ აქვს შეთვისებული, გარეშე ძალისაგან თავზე მოხვეული, ის არ შეადგენს მისი არსების ნაწილს.

კრესთან¹ დამოკიდებულების ვაცელება, იმედია, გარდამავალი ხასიათისაა. ლოსოვი² მისწერს მას მეგობრულ დარიგებას, ის არაა ურიგო კაცი. შენი შიში გერმანიის განზრახვების შესახებ ობიექტურათ უსაფუძვლოა. რა თქმა უნდა, თქვენ უნდა იცოდეთ, რამდენი ჯარი მოჰყავთ, სად, რისთვის, ერთი კია, ვინაიდან ომი კიდევ მიჰინვარებს, კრესი არ იქნება ხშირათ იმ მდგომარეობაში, რომ ყველაფერი გაცნობონ. რომ გერმანიისაგან ჩვენ დაპყრობა არ მოგველის, ეს ცხადია არა მარტო იმიტომ, რომ მის იმპერიალისტებს ეს არ უნდათ, არამედ იმიტომ, რომ ეს არ ძალუძს მას და არც ხელსაყრელია მისთვის. ახლა აქ დიდი მიდრეკილებაა დემოკრატიზაციისადმი, თუ სისტემა მმართველობისა არ შეიცვალა, თუ რეისტავს მეტი ვავლენა არ მიეცა, გერმანიას განსაცდელი მოეღოს. რეისტავის ყველა დეპუტატებს კარგად ესმით ჩვენი კითხვა, ისინი მხარს უჭერენ და მომავალშიც დაუჭერენ ჩვენს და საზოგადოთ კავკასიის დამოუკიდებლობას.

თავი და თავი, ვიმეორებ, ისევ ჩვენ ვართ, როგორ ვაფასებთ ჩვენ თვითონ ჩვენს დამოუკიდებლობას. აი, ამაში ეჭვი შეაქვთ გერმანელებს. ისინი აღეგნებენ დიდის სიბეჯითით ჩვენს მიდრეკილებათ თვალყურს. ეს ბუნებრივია, რომ გერმანიის სამხედრო პირებს არ მოსწონთ ჩვენი რადიკალიზმი... მაგრამ ომის დაბოლოება მოასწავებს ჯარების ჩვენი ქვეყნიდან გაყვანას. დღეს კი ძლიერ საჭიროა გერმანიის ჯარების ყოფნა ჩვენში, სანამ საკუთარ ძალებს არ შევქმნით. გერმანელებს იჭვი შეაქვთ ჩვენს აგრარულ კანონმდებლობაშიც. მე ვფიქრობ, თქვენ დაუბრუნდით ჩვენს ძველ პროგრამას, რომ კულტურული მამული პატრონს დარჩება, თუგინდ არ აღემატებოდეს ნორმას. ეს აუცილებელია ქვეყნის განვითარებისათვის. არას გზით არ გაიყვანოთ მადნეულების წარმოების ნაციონალიზაცია, ეს ჩვენს მდგომარეობაში განვითარების დახშევაა. რაც შეეხება მადნების საკუთრებას და საზოგადოთ სამთო კანონმდებლობას, ჩვენ უნდა ავიღოთ გერმანიის კანონდება, რომლის ძირითადი პრინციპი ისაა, რომ მიწისქვეშ არსებულს სახელმწიფოს აკუთვნებს. სინჯარე ამ მხრივ, სრულიად მეტია.

შენ გაწევს, ნოე, დიდი პასუხისმგებლობა, იმავე დროს შენი მხრით... განმტკიცება პარტიაში და იქედან ერში დამოუკიდებლობის ღრმა რწმენისა, სხვა დანარჩენი... დიდის ჭაბანწყვეტით თავისთავათ მოვა.

დიდი მოკითხვა, შენი აკ. ჩხენკელი³.

ეროპის ქვეყნებთან მეტი კონტაქტი, იქ პოლიტიკოსების გაგზავნა და საქართველოს პრობლემებზე ინფორმირება იყო აკაკი ჩხენკელის მთავარი მოთხოვნა. ევროპასთან კავშირი ითხოვდა ევროპულ ფასეულობათა ერთგულებას, ამიტომ ამახვილებდა ყურადღებას აგრარული და სამთამადნო კანონების სოციალისტურ და ევროპელთათვის მიუღებელ ხასიათზე, ურჩევდა ხელისუფლებას მის დახვეწა-შეცვლას. ეროპაში ომის შემდეგ სოციალისტური პარტიების გავლენა გაიზარდა, ზოგადად მემარცხენე იდეები გააქტიურდა, ჩხენკელს უნდოდა ამის გამოყენება და ითხოვდა ცნობილი და ევროპაში პოპულარული ჩხეიძისა და წერეთლის გაგზავნას:

„10. X.18, ბერლინი

ძვირფასო ნოე

გიორგი⁴ ეხლავე უნდა წამოვიდეს და მოგწერ მხოლოდ რამდენიმე სიტყვით კანდიდატებზე ჩვენი პარტიიდან, რომელნიც უნდა გამოიგზავნონ აქეთ, თანახმათ ჩემი

¹ კრესი – კრეს ფონ კრესენშტაინი, გერმანელი (ბავარიელი) გენერალი, რომელიც მეთაურობდა 1918 წელს საქართველოში მყოფ გერმანულ კორპუსს. აქტიურად თანამშრომლობდა ქართველ პოლიტიკოსებთან, იყო საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე და იმდროინდელი მოვლენების მონაწილე. ბარონმა ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინმა მოგვიანებით მემუარები გამოსცა, სათაურით „ჩემი მისია კავკასიაში“, საიდანაც ირკვევა, რომ გერმანიის მთავრობა 26 მაისის შემდეგაც აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში.

² ლოსოვი – გენერალი ოტო ფონ ლოსოვი, 1918 წლის 28 მაისს ფოთში დადებული ხელშეკრულების ხელისმომწერი, გერმანიის წარმომადგენელი საქართველოში.

³ saqarTvelos centraluri saxelmwifo saistorio arqivi, fondi 1831, aRwera 2, saqme 83, f. 1-3.

⁴ გიორგი – იგულისხმება გიორგი მაჩაბელი (1885-1935), ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ივანე მაჩაბლის უფროსი ძმის – ვასილის შვილი. სწავლობდა ბერლინის სამთო აკადემიაში, დავით ლოღობერიძესთან ერთად იყო ტექტონური ორდენის წევრი. მსახურობდა ევროპის სხვადასხვა ქალაქებში. იყო საქართველო-გერმანიის დაახლოების ინიციატორი. I მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ გერმანიაში დააარსა „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“, დაუკავშირდა 1914 წელს ქუენევაში დაარსებულ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს“, მისი ფილიალი გახსნა საქართველოშიც. იყო წყალქვეშა ნავებით იარაღის შემოტანის ორგანიზატორი, გვემავდა გერ-

წერილისა მთავრობის სახელზე. შენ, კაკი¹ და კარლო² ხართ ჩემი კანდიდატები, კითხვა მხოლოდ იმაშია, რომელს უფრო შეეღებოთ ამ საშიშ მომენტში. მე ვფიქრობ, კარლოს ყველაზე ადვილათ შეეღებოთ, ვინაიდან ის მხოლოდ თავმჯდომარეა საბჭოსი და სხვაში მაინცდამაინც არ უნდა იყოს გართული. სამაგიეროთ მას აქვს დიდი სახელი ევროპაში, თან პარლამენტის თავმჯდომარეა. ენის არცოდნა არაა საფიქრებელი, თარჯიმნით მშვენივრათ შეიძლება მუშაობა, თავი და თავი წარმომადგენლობაა. შენსა და კაკის შესახებ აბა რა უნდა ვთქვა! ორივე კარგი ხართ, ვისაც შეგელონ, ის წამოვიდეს. წერეთელი და ჩხეიძე ევროპაში პატარა ბაღლებმაც კი იციან. მე ვფიქრობ, ერთი კარლო უნდა იქნეს, მეორე კი შენ ან კაკი. თუ გაიხსენებ, რა დიდი მნიშვნელობა აქვთ სოციალ. პარტიებს, განსაკუთრებით ახლა, დამიჯერებთ, რომ მე მართალი ვარ. შეიძლება და სასარგებლოც იქნება კოლია ქარცივაძეც გამოავახნოთ, ენა იცის, განათლება აქვს და კარგი დამხმარე იქნება მუშაობაში. სხვა პარტიებზე არას ვამბობ. ყველა აიძულეთ, მართლაც შესაფერი გამოვზავნონ. იცოდეთ, ახლანდელ ჩვენ მუშაობას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მაქსიმუმ 5, მეტი არაა საჭირო,

ნიკოს³ სახელით მოგწერეთ. საღამო. აკ. ჩხენკელი⁴.

აკაკი ჩხენკელი თანაპარტიელების ჩასვლას ევროპაში ითხოვდა იმ მიზნით, რომ მათ ბევრი პირადი ნაცნობი ჰყავდათ ევროპულ სოციალისტებს შორის, რომელთაც გარკვეული საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავათ ინგლისში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში. ბევრი მათგანი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სოციალისტური იდეოლოგიის განხორციელების წარმატებულ მოდელად თვლიდა. ჩხენკელმა ისიც იცოდა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები ევროპულისგან განსხვავდებოდნენ „მემარცხენეობის სენით“, ზოგიერთი საქართველოს დამოუკიდებლობის იდეასაც კარგა ხანს ეჭვით უყურებდა და, დასავლეთზე მეტად, რუსეთზე ახდენდა ორიენტირებას, მათ ვერ წარმოედგინათ საქართველოს მომავალი რუსეთის გარეშე. ერთი ამათგანი ირაკლი (კაკი) წერეთელი იყო. საოცრად მჭერმეტყველი, ნიჭიერი და აუდიტორიის დამპყრობი წერეთელი აგიტაციას საუკეთესოდ წარმართავდა. მაგრამ პრობლემა მისი დამოუკიდებლობისადმი ერთგულება იყო, თუ აქ მტკიცე არ იქნებოდა წერეთლის პოზიცია. მისი პროპაგანდაც აღარაფერში გამოდგებოდა. ნოე რამიშვილს ჩხენკელი მთავარ პირობად ამას

მანის დახმარებით საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას. 1916 წელს იქორწინა იტალიელ მსახიობ – ნორინა ჯილზე. 20-იან წლებში ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა აშშ-ში, სადაც დააარსა სუნამოების საწარმო, იქცა ე. წ. „სუნამოების პრინცად“. მოულოდნელად, ფილტვების ანთებით, გარდაიცვალა 50 წლის ასაკში. დაკრძალულია ნიუ-იორკში.

¹ კაკი – ირაკლი წერეთელი, 1881-1959 წ.წ. სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი), ცნობილი მწერლის – გიორგი წერეთლისა და ოლიმპიადა ნიკოლაძის ვაჟი, ნიკო ნიკოლაძის დისშვილი. სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და ბერლინის უნივერსიტეტში, იყო რუსეთის II სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი (1907 წ.), სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე და აგარარული კომისიის წევრი. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისა და იმპერიის დამხობის შემდეგ დაინიშნა რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრად. გამოდიოდა ბოლშევიკებისა და მათი ლიდერების წინააღმდეგ. 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში, 1919 წელს იყო ქართული დელეგაციის წევრი პარიზის (ევრსალის) საზავო კონფერენციაზე კარლო ჩხეიძესთან ერთად. 1921 წელს წავიდა ემიგრაციაში, პარიზში, 1940 წლიდან გადასახლდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც გარდაიცვალა. 1995 წელს. გადმოასვენეს პარიზში, დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

² კარლო – ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, 1864-1926, ცნობილი სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი), რუსეთის III (1907-1912) და IV (1912-1917) სახელმწიფო სათათბიროების დეპუტატი თბილისის გუბერნიიდან. ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ოქტომბრის გადატრიალებამდე კარლო ჩხეიძე იყო პეტერბურგის, ხოლო შემდეგ სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცაკის თავმჯდომარე. 1918 წლის აპრილში გახდა ამიერკავკასიის საკანონმდებლო ორგანოს – სეიმის თავმჯდომარე. ამავე წლის 26 მაისიდან საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე. 1919-1920 წლებში კ. ჩხეიძე ირაკლი წერეთელთან ერთად იმყოფებოდა პარიზის საზავო კონფერენციაზე, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს წარმომადგენელი. 1919 წლის მარტში აირჩიეს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ, ამ მოვალეობის შესრულებას შეუდგა პარიზის კონფერენციიდან დაბრუნების შემდეგ. 1921 წელს წავიდა ემიგრაციაში, ცხოვრობდა ლევილში, სადაც გარდაიცვალა (თავი მოიკლა) 1926 წელს, დაკრძალულია პერ-ლაშეზის სასაფლაოზე.

³ ნიკო – იგულისხმება ნიკო ნიკოლაძე, 1843-1928 წ.წ., დიდი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, თერგდალეულთა დასის წარმომადგენელი, იღია ჭავჭავაძის თანამოაზრე, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი 1919-1920 წებში, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპატიო თავმჯდომარე. 1860 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ახალგაზრდობიდან ბეჭდავდა სტატიებს როგორც ქართულ, ასევე რუსულ პრესაში. იყო რამდენიმე რუსული და ქართული გამოცემის რედაქტორი („ნაროდნოე ბოგატსტვო“, „სოფრემენოსტ“, „ობზორ“, „ნოვოე ობოზრენიე“ და სხვ.). 1868 წელს ციურიხის უნივერსიტეტში ფრანგულ ენაზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. იყო ქალაქ ფოთის თავი და ნავსადგურის მშენებლობის ინიციატორი, ჭიათურის მანგანუმისა და ტყიბულის ქვანახშირის ექსპლოატაციის ორგანიზატორი. 1917 წელს გახდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპატიო თავმჯდომარე, 1918 წელს მონაწილეობდა დამოუკიდებლობის აქტის შედგენაში და იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი ოფიციალური დელეგაციის წევრი ბერლინში. 1919 წელს აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. გარდაიცვალა 1928 წელს.

⁴ saqarTvelos centraluri saxelmwifo saistorio arqivi, fondi 1831, arwera 2, saqme 83, f. 4.

უყენებდა. ამასთანავე, მას არასდროს ჰქონია პრობლემა სხვა პარტიების წარმომადგენლებთან მეგობრობისა, ყოველთვის გამოარჩევდა მათ, ვინც საქართველოს მომავლისთვის დაუზოგავად ზრუნავდა. ზურაბ ავალიშვილს, ნიკო ნიკოლაძეს, გიორგი მაჩაბელს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრ ქართველ გენერლებს ყოველთვის აქებდა და ისინიც მასთან სიამოვნებით მუშაობდნენ. ჩხენკელის თვალსაწიერს არცერთი სახელმწიფოებრივი პრობლემა არ ცილდებოდა, ყველაფერი ერთ პრიზმაში – ქართული სახელმწიფოს ინტერესებში – ჰქონდა მოქცეული:

**„16. XI.18, ბერლინი
ბერლინის ნოე,**

მე უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ მომავალი საერთაშორისო მოლაპარაკების დროს დიდ როლს ითამაშებენ სოციალისტური, საზოგადოთ მუშათა ორგანიზაციები. ამისათვის საჭიროა აუცილებლათ, რომ ჩვენი ცნობილი ამხანაგები ჩამოვიდნენ აქ სამუშაოთ. მე უკვე მოვწერე მაჩაბლის ხელით (სხვათა შორის მაჩაბელი ისევ უკან უნდა დაბრუნდეს, ის ძალიან ყოჩაღია) რომ თქვენ სამიდან (ნოე, კაკი, კარლო) ორი უნდა წამოვიდეს. კარლო არ არის თქვენთვის ისე აუცილებელი ჩემი წარმოდგენით. აქ კი, საზოგადოთ ევროპაში, მისი სახელი ძალიან გამოვადგება. თქვენ ორიდან არ ვიცი, რომელი უფრო საჭირო ხართ მანდ. მე ვფიქრობ შენ, ამ შემთხვევაში კაკი უნდა წამოვიდეს. მხოლოდ ერთი პრეზუმცია: თუ ის თავის რწმენით საესებით შეურიგდა საქართველოს დამოუკიდებლობას!

მე დამავიწყდა წინა წერილში შენთვის მეპასუხნა ერთ კითხვაზე: ფოთის ხელშეკრულებით ჩვენ სრულიად არ ვიყავით მოვალე ჩვენი გემები გერმანიისათვის გადაგვეცა ფაქტიურათ. ეს იყო ფიქტიური ქალაქი, რომ ამით ოსმალებით არ დაპატრონებოდა ჩვენს გემებს. გაუწყებთ, რომ ამ ხელშეკრულებას, ახლა მაინც, არავითარი ძალა არა აქვს, ვინაიდან აქ ის არ დაგვიდასტურებია. უნდა შექმნათ განსაკუთრებული განყოფილება სამინისტროში, რომელმაც უნდა იკისროს სანავოსნო კადრის შეგროვება და ახლად შექმნა და გემები მას გადაეცით, კრესი თუ არ დაგეთანხმათ, ტელეგრაფით მაცნობეთ. საზოგადოთ ფოთი სრულიად უყურადღებოთაა თურმე, საქონელი არავის არ გაატანოთ, თუ სამავიერო საქონლის შემოტანას წერილობით არ შეგპირდებიან. კარგი განწყობილება გერმანელებთან ამით არ ჩაიშლება.

სალამი. შენი აკ. ჩხენკელი⁴.

ყველა წერილი, რომელსაც ის წერდა ნოე რამიშვილსა თუ სხვა თანაპარტიელებს, განმსჭვალული იყო დამოუკიდებლობის იდეის დრმა რწმენით, რუსეთისგან საქართველოს სამუდამოდ ჩამოშორებისა და ევროპულ ოჯახში მისი აუცილებლად გაერთიანების სურვილით. რა წინააღმდეგობაც არ უნდა დახვედროდათ ქართველ პოლიტიკოსებს, მათ მაინც არ უნდა დაეყარათ ფარ-ხმალი, უკან არ უნდა დაეხიათ არჩეული გზიდან, ყოყმანი არ უნდა დატყობოდათ ამ გზის სისწორეში. თუ ვინმეს ამას შეატყობდა, ანდა გაიგებდა, რომ ამა და ამ სახელმწიფო მოღვაწეს კვლავ რუსეთისკენ დაბრუნების ეჭვი შერჩენოდა, ის ვრცელი წერილით ძირისძირამდე უხსნიდა მას პოლიტიკურ ვითარებას, არწმუნებდა საკუთარ შეცდომაში, ურჩევდა მეტ პრინციპულობას. ეს ყველაფერი კარგად ჩანს მისი მრავალრიცხოვანი წერილებიდან:

**„25. XI.18, ბერლინი
ბერლინის ნოე,**

გერმანიის დიდი რევოლუცია განავრძობს თავის მსვლელობას მწყობრათ და შეუშფოთებლათ. არის ნიშნები უთანხმოებისა ზედაპირზე, მაგრამ იმედია, აქაური ორგანიზატორული გენია სძლევს სტიქიას. გერმანიამ ქვეყანა განაცვიფრა თავის ტეხნიკით და მეცნიერებით, შესაძლოა მან კიდევ უფრო გაანცვიფროს ის თავის პოლიტიკურ და სოციალურ ნაბიჯებით. სოციალიზმი დღის წესრიგშია. ამას ამბობენ ყოველი მიმდინარეობანი სოციალ-დემოკრატიისა, კამათია მხოლოდ მეთოდზე, როგორ უნდა განახორციელონ ის. ყოველ შემთხვევაში ერთი აშკარაა: თუ გერმანიამ საბოლოოთ შეინარჩუნა თავის თავისუფლებანი, ის გახდება ცენტრი საკაცობრიო განმათავისუფლებელი მოძრაობისა...

რა გავლენა იქონია ჩვენებზე აქაურმა ამბებმა, პირველ ყოვლისა, გერმანიის დამარცხებამ, მე არ ვიცი, თუმცა კოწიას ნაამბობმა ძალზე დამამშვიდა ამ მხრივ. ჩვენი მდგომარეობა, მე ვფიქრობ, არ არის ცუდი. ჩვენ გადავარჩინეთ ქვეყანა აოხრებას, ანარქიას, ამ ბრძოლაში გააკაჟებულნი ჩვენი ამხანაგები ალღოს აუღებენ, იმედია, ახალ მდგომარეობას და ბოლომდე მტკიცეთ გაყვებიან ერთხელ არჩეულ თავისუფლების და დამოუკიდებლობის გზას. იმ დროს, როცა ყოველი ქვეყნის დემოკრატია ძლიერდება და სახელმწიფოების მთავარ ფაქტორად ხდება, ჩვენ არა გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ჩვენს დამოუკიდებლობას ვერ შევინარჩუნებთ. ახლა დღიურ წესრიგში, როგორც კაუცკი ამბობს, არა მრავალერიანი სახელმწიფოებია, არამედ ეროვნულ სახელმწიფოთა კავშირი.

¹ saqarTvelos centraluri saxelmwifo saistorio arqivi, fondi 1831, aRwera 2, saqme 83, f. 5

დიდი პასუხისმგებლობა აწევს ჩვენს პარტიას კისერზე, რყევა და ხასიათის სისუსტე მომაკვლინებელი იქნებოდა ახლა მისთვის. რუსეთისაკენ პირის გაკეთება ეროვნულათ სახიფათო იქნებოდა, ხოლო ეკონომიურათ და პოლიტიკურათ უკანსვლას მოასწავებდა ჩვენთვის. სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, საკუთარ ძალაზე დაყრდნობა და ამრიგათ ქვეყნის მოვლა ანვითარებს უმწვერვალესათ ერის შემოქმედებით ნიჭს ყოველ დარგში, ის აღწევს ამ გზით უფრო ჩქარა და აღვილათ თავის მიზნებს.

ფიქრი იმაზე, რომ ჩვენ ძალათ შეგვაერთებენ რუსეთს, შეუძლებელია, დაუშვებელია. არასგზით არ უნდა შეიცვალოს პარტიამ თავისი პოზიცია, თუგინდ პირველ შეხვედრაზე ანტანტის წარმომადგენლები ცივად შეხვდნენ ჩვენს დამოუკიდებლობას, ეს ტაქტიკა, საზოგადოთ, მიღებულია დიპლომატიაში, ამან არ უნდა შეგვაშინოს. მედგრათ, უკომპრომისოთ უნდა დავიცვათ მათ წინაშე ჩვენი დამოუკიდებლობა. ყოველი თავის მართლება, ბოდიში, სრულიად მეტია, როგორც ეს გამოსტყვივის კაკის მემუარიდან. იქ ყველაფერია, მხოლოდ ერთი არაა – ესაა მტკიცე და შეურყეველი მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი. მე ვწერ მას დაწვრილებით...

ეს სტრუქტურები მეტია, იტყვი შენ, მეც გეთანხმები, მხოლოდ რაღაც უჩინარი ძალა ჩამძახებს სულ ერთსა და იმავეს: გეშინოდეს, შენთანებმა არ გადაუხვიონ გზას!

სალამი. აკ. ჩხენკელი⁴.

პრინციპულად იცავდა ამავე იდეას ჩხენკელი ბერლინიდან გაგზავნილ სხვა წერილებშიც. საქართველოს წარმომადგენელს უკრაინაში – ბიქტორ თევზაიას უმკაცრეს წერილს წერდა და საყვედურობდა რუსეთის მონარქისტული პარტიების კონფერენციაზე დასწრებას, რუსული ორიენტაციის ერთგულებას, არწმუნებდა, რომ ეს საქართველოს ინტერესების დალატი იყო. ამ წერილით მართლაც კარგად ჩანს ჩხენკელის მთელი პოლიტიკური კრედო, მისი სწორი აქცენტები საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის სფეროში, შეურიგებლობა პრორუსული ორიენტაციის აზროვნებასთან, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას ეწინააღმდეგებოდა:

„თქვენმა გუშინდელმა დეპეშამ ცოტათი გამაკვირვა. საზოგადოდ გეთანხმებით, ეს არაა, ჩემი აზრით, საკმარისი სახელმწიფო მოღვაწეობაში. მე ამას არ მივაქცევდი ყურადღებას, კოწიასგან² რომ არ გამეგო თქვენი რყევის შესახებ ჩვენი ერის ძირითად საკითხში. თქვენ თურმე იმ აზრის ხართ, რომ საქართველო ამათუიმ სახით ისევ უნდა შეუერთდეს რუსეთს! მე, რა თქმა უნდა, არა მაქვს უფლება თქვენი რწმენის საქმეში ჩავერიო, მხოლოდ მაინტერესებს ერთი მხარე, – ეს არის ის, რომ ჩვენი მთავრობა დამოუკიდებლობის ნიადაგზე სდგას და ფიქრობს, მტკიცედ დაიცვას ის ყველგან, მაშასადამე კიევშიც. რა მიზანი აქვს კიევის კონფერენციას? თქვენ არ იწერებით ამას, მაგრამ ცხადია, რა: რუსეთის გაერთიანება. სხვა მიზნით დონის და ყუბანის დელეგატები ვერ მოვლენ მანდ. ჩვენი მათთან თათბირი ამ ნიადაგზე უადგილოა, მე ვიტყვოდ, მაგნეც, ვინაიდან ეს იქონიებს ძალიან ცუდ გავლენას ჩვენს მუშაობაზე ევროპაში. აქედან დიდი ხანია დაგზავნილია ხალხი, გადაცემულია ნოტები, მემუარები, ყველას ყური გამოვუტყდეთ, მთავრობის დავალებით, საქართველოს დამოუკიდებლობაზე, და ამ დროს ჩვენი წარმომადგენელი კიევში რუსეთის გამაერთიანებელ კონფერენციას ესწრება! ეს მიუღებელია ჩვენთვის. მეორე მიზანი კონფერენციისა, ალბათ ბოლშევიკებთან ბრძოლა იქნება. ეს სულ შეუწყნარებელი იქნებოდა ჩვენთვის. ახსნა სრულიად მეტია. ჩვენ ვებრძვით ბოლშევიკებს ჩვენს ქვეყანაში, რაც შეეხება რუსეთს, ის უცხოეთია ჩვენთვის, იქ ჩვენ ხელი არა გვაქვს.

მე გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ დღევანდელ საპასუხისმგებლო მომენტს, პატარა შეცდომა დიდ ზიანს მოგვიტანს, ვინაიდან ჯერ არ ვართ ცნობილი. ახლანდელ მომენტში, როცა დემოკრატია იმარჯვებს ყველგან, ჩვენ უფრო არ გემართებს ისევ რუსეთის გერობა ვარჩიოთ, ჩვენ გვეხსნება საშუალება შევიდეთ განათლებულ მსოფლიოს ერთა კავშირში. მრავალერიანი სახელმწიფოთნი ინგრევიან, ეროვნული სახელმწიფოთნი ფუძნდებიან და ჩვენ ამწუთში არასგზით არ გემართებს დამოუკიდებლობის გზას გადაუხვიოთ. მე გთხოვთ თავი შეიკავოთ კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებისაგან, სანამ მთავრობის განკარგულება არ მოგივათ, და თუ არ მოგივიდათ, – შეიძლება მიმოსვლა შეწყდეს, – მაშინაც ნუ მიიღებთ მონაწილეობას. მხურვალე სალამი თქვენ და მათეს³.

¹ saqarTvelos centraluri saxelmwifo saistorio arqivi, fondi 1831, aRwera 2, saqme 83, f. 6.

² კოწია – უნდა იგულისხმებოდეს კონსტანტინე გვარჯალაძე, სოციალ-დემოკრატი, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი ქართულ ემიგრაციაში მოღვაწეობდა სხვადასხვა დიპლომატიურ თანამდებობებზე.

³ მათე – მათე იანქოშვილი, სოციალ-დემოკრატი, რომელმაც ჯერ კიდევ 1917 წლის 19 ნოემბერს აკაკი ჩხენკელს მიულოცა ეროვნული საბჭოს წევრობა და ისურვა საქართველოს სრული დამოუკიდებლობა. „პატივცემულო ძმად აკაკი! წმინდის გულით მოგილოცავ ახალს დანიშნულებას და დემეტოს ვსთხოვ, რომ მოგცეს ჯანი და სიბრძნე ამ ძნელი საქმის გასაძლიერებლად. დემეტომა ბრძანოს დღევანდელი დღე ჩვენ საყვარელ ტურფა სამშობლოს აღდგომად გაუთენდეს და მეტეხზედ აფრიალდეს საქართველოს განთავისუფლების დროშა. ვისთანაც პირობა ჰქონდათ შეკრული ქართველებს, ივინი აღარ არიან ბატონ-პატრონად, მაშასადამე საქართველო თავისუფალია და მისი პატ-

აკ. ჩხენკელი“.

მსგავსი განცდები იკითხება შვეიცარიიდან პარიზში საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ მის ზოგიერთ წერილშიც: „*ძალიან მეშინია, რომ თქვენი პირველი საჯარო გამოსვლები ვერ მოახდენდა კარგ შთაბეჭდილებას მანდაურ ფაქტორებზე, – წერდა ჩხენკელი ერთ-ერთ წერილში. – თვითონ კაკი მწერდა, ჩვენი საქმე დიპლომატიურათ და დახურულ კაბინეტში წყდებოდა. სწორედ ამიტომ უნდა აგეცდინათ თავიდან საჯარო მუსაიფი სოციალისტებთან „ინტერვენციაზე“; ჩვენი „საბჭოების“ ძლიერებაზე და სხ. სოციალისტებმაც დაამახინჯეს თქვენი ნათქვამი, „ვისარგებლეს“, როგორც კარლო იწერებოდა. თქვენ დაგავიწყდათ, რომ სახელმწიფომ გამოგვზავნათ და არა პარტიამ. ამას იმიტომ კი არ გეუბნებით, რომ არ უნდა გენახათ სოციალისტები, პირიქით, მხოლოდ სხვა სახით. მათი პრესის ალაპარაკება ჩვენს შესახებ თავის თავათ საჭირო იყო, უნდა ეცადოთ ხშირათ აწერინოთ ბოლშევიზმის შეუხებლათ...“.*

ჩხენკელს მიაჩნდა, რომ ბოლშევიკების აგრესიას საქართველოში უნდა შებრძოლებოდნენ, რუსეთი უცხო სახელმწიფო იყო და მის საშინაო მოწყობას ქართველი პოლიტიკოსები არ უნდა შეხებოდნენ.

აკაკი ჩხენკელი ბერლინის დელეგაციის მოღვაწეობას წარმატებულს უწოდებდა მისი შემადგენლობის გამო, რადგან დელეგაციაში მოღვაწეობდნენ არასოციალისტებიც, ასახელებდა ავალიშვილსა და ნიკოლაძეს, წუხდა, რომ მათ „ბურჟუაზიად“ თვლიდნენ მთავრობაში, სინამდვილეში კი ისინი პროფესიონალები და პატრიოტები იყვნენ: „*მე დავრწმუნდი, რომ ხშირათ ძალიან სასარგებლოა, როცა ჩვენს გარდა მოქმედებენ ჩვენი „ბურჟუაზიის“ წარმომადგენლებიც, ამ მხრივ ბევრი გააკეთეს ზურაბმა და ნიკომ ბერლინში. საზოგადოთ, მე ვამჩნევ, თქვენ არცკი აჩენთ გარეთ ზურაბს, მაშინ, როდესაც ის ძალიან თავდაჭერილი, მტკიცე და მცოდნე მომალაპარაკებელია, არცერთ რუსეთიდან ჩამოსულ დელეგაციას არ ყავს მაგისთანა მრჩეველი, თქვენ კი არ სარგებლობთ, ასეთია ჩემი შთაბეჭდილება“.*

დასკვნა: 1. ამწერილებიდან ჩანს, თუ რაოდენ ერთგული და დამცველი იყო აკაკი ჩხენკელი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეისა; 2. აკაკი ჩხენკელი ცდილობდა ამ იდეის განმტკიცებასა და მის გარშემო არამარტო მისი პარტიის ლიდერების, არამედ მთელი ერის გაერთიანებას; 3. აკაკი ჩხენკელი მაღლა იდგა პარტიულ ინტერესებზე, მას არ მოსწონდა მართვის დიქტატორული სტილი, მიაჩნდა, რომ ყველა ნიჭიერ ადამიანს უნდა მისცემოდა ასპარეზი სახელმწიფო ორგანოებში, პოლიტიკურ არენაზე, ზოგჯერ თანაპარტიელებზე მაღლა აყენებდა სხვა პარტიების წარმომადგენლებს, იცავდა მათ ინტერესებს. 4. თანაპარტიელებს ის უწუნებდა დიპლომატიას, ბოლშევიზმისადმი გაურკვეველ ლოიალობას, უპრინციპობას. 5. ჩხენკელმა კარგად იცოდა ევროპის სახელმწიფოებში შექმნილი ვითარება და ცდილობდა ქართული ინტერესებისათვის გამოეყენებინა ზოგიერთი მომენტი. 6. მისი ნაწერებიდან ზოგადად და კონკრეტულად, ბერლინიდან გამოგზავნილი მისი წერილებიდან იკვეთება, რომ ჩვენს წინაშეა არა მხოლოდ სოციალ-დემოკრატი, მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი, არამედ ქართველი პატრიოტი, ილია ჭავჭავაძის იდეების მიმდევარი, ნიჭიერი პოლიტიკოსი, დიპლომატი და პატრიოტი მოღვაწე.

რონი მისივე ხალხია. ჩვენს ქვეყანაში თუკი უცხონი თავს ბედნიერად გრძნობენ და ვეღარ სთმობენ, მით უფრო ჩვენ უნდა ვგრძნობდეთ აქ ბედნიერებას. მაშ, წავგიძიებ წინ გაბედულად და ჩვენც შეუდრკველად მოგვევებით. უკვე დროა! მარად თქვენი პარტივისმცემელი მათე იანქოშვილი, 19-XI-17, თბილისი“ [saqarTvelos centraluri saxelmwifo saistorio arqivi, fondi 1831, aRwera 2, saqme 4, f. 1]. მათე იანქოშვილი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სხვადასხვა დიპლომატიურ თანამდებობაზე მუშაობდა.

¹saqarTvelos centraluri saxelmwifo saistorio arqivi, fondi 1831, aRwera 2, saqme 51, f. 9.

ბიბლიოგრაფია

1. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბილისი, 2011.
2. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 4, ფ. 1.
3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 51, ფ. 9.
4. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 83, ფ. 1-3.
5. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 83, ფ. 4.
6. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 83, ფ. 5.
7. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 83, ფ. 6.
8. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1861, აღწერა 2, საქმე 23, ფ. 5-8.

DODO CHUMBURIDZE

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SEVERAL LETTERS OF AKAKI CHKHENKELI ABOUT OF STATE INDEPENDENCE AND WESTERN ORIENTATION

The letters, which sent Akaki Chkhenkeli to his Coalition comrades from Berlin, shows how faithful he defended the idea of independence. Chkhenkeli sought to strengthen this idea and unite around the idea not only the leaders of his party, but the entire nation. Chkhenkeli stood above the interests of the party, he did not like the dictatorial management style, he thought that all the talented people should be allowed to place their bodies in the political arena. Sometimes he stood higher than the interests of the members of other parties and protected them. He disliked the members of his party diplomacy, uncertain loyalties to Bolsheviks, lack of principle. Chkhenkeli knew the situation in the European countries, and tried to use some of their Georgian interests.

His writings in general and in particular, his letters which he sent from Berlin, seems, that before us is not a Social-Democrat, a government official, but the Patriots, a follower of the ideas of Ilia Chavchavadze, a talented politician, diplomat and patriotic figure.

His writings in general and in particular, his letters to the Berlinis submitted, it seems, that is before us is not a Social-Democrat, a government official, but the Patriots, a follower of the ideas of Ilia Chavchavadze, a talented politician, diplomat and patriotic figure.

**საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაცია და
ოსიანობის განახლება შიდა ქართლში (1921-1924 წწ.)**

დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების მიერ ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად და სეპარატიზმის აღმოსაფხვრელად 1918-1920 წლებში გატარებული ღონისძიებები მხოლოდ იმ შემთხვევაში აღმოჩნდებოდა შედეგის მომტანი, თუკი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან ქვეყანა გარკვეულ მხარდაჭერას მიიღებდა. მხედველობაში მაქვს იარაღით, ფულადი სესხით დახმარება და ერთა ლიგაში გაწევრიანების შესახებ საქართველოსათვის მიცემული პირობის შესრულება. ევროპის ქვეყნების მთავრობების მხრიდან ამ მიმართულებით პრაგმატული ნაბიჯის გადადგმა, საქართველოს პირველ რესპუბლიკას უსაფრთხოების გარანტიას შეუქმნიდა და აღმშენებლობის მიზნით დაწყებული რეფორმების ბოლომდე მიყვანის შესაძლებლობას მისცემდა. სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ საქართველოს დიპლომატიური კორპუსის მუხლჩაუხრელი ბრძოლის მიუხედავად, ევროპიდან საქართველოს სიტყვიერი დაპირების გარდა, რეალურად არანაირი დახმარება არ მიუღია. **ევროპის სახელმწიფოების უმეტესობის „წაჯექუკუჯექის“ პოლიტიკური კურსის შედეგად, ერთა ლიგაში საქართველოს არგაწევრიანებით და ამ პროცესის 1921 წლის სექტემბრისათვის გადადებით, იმ ძნელბედობის ჟამს ქართველი ერის მიმართ მიზანმიმართული პოლიტიკური და იდეოლოგიური მკვლევლება განხორციელდა.** ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი როლი ინგლისისა და მისი სატელიტი ქვეყნების მიერ საქართველოს საწინააღმდეგოდ აღებული კურსმა განაპირობა. ამ ფაქტით, ევროპამ საქართველო გაწირა და საბჭოთა რუსეთს „საჯიჯგნად“ მიუგღო. მეორე მხრივ, იმავე რუსეთს, 1921 წლის სექტემბრამდე საქართველოს წინააღმდეგ მოქმედების გარკვეული დრო მისცა. XX საუკუნის 20-იანი წლების ურთულესი პოლიტიკური მოვლენების ფონზე, საქართველო, საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთის პირისპირ მარტოდმარტო აღმოჩნდა. საერთაშორისო არენაზე ძალთა ბალანსის ცვალებადობა, საბჭოთა რუსეთს იმპერიული ამბიციების დასაკმაყოფილებლად აქტიური მოქმედების შესაძლებლობას აძლევდა. ამ შემთხვევაში მის ამოცანას სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დაწყება წარმოადგენდა. დასახული გეგმის წარმატებით განხორციელების გარანტიას შემდეგი ფაქტორები განაპირობებდა: 1) რუსეთ-ოსმალეთის ალიანსი; 2) გასაბჭოებული აზერბაიჯანი და სომხეთი; 3) დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მხრიდან სამხრეთ კავკასიისადმი, კერძოდ საქართველოსადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება. ამ ბოლო საკითხთან მიმართებაში გადამწყვეტი როლი ინგლისის მთავრობის პროსაბჭოურმა პოლიტიკურმა კურსმა შეასრულა. დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ 1920 წლის მეორე ნახევრიდან, **საბჭოთა რუსეთთან ინგლისის მიერ დაწყებული ეკონომიკური მოლაპარაკება და კავკასიის საქმეებით არდაინტერესების შესახებ კომერციული ხელშეკრულებით ოფიციალურად აღიარება, საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის წაქეზებას ნიშნავდა. ინგლისის მაშინდელმა პოლიტიკურად მეძავმა ხელისუფლებამ, საქართველო გასაწირად გაიმეტა და საბჭოთა რუსეთის ახლოაღმოსავლური პოლიტიკური ინტერესების სამსხვერპლოზე მიიტანა¹.**

საქართველოს გარშემო შექმნილ რთულ პოლიტიკურ სიტუაციას, აზერბაიჯანისა და სომხეთის გასაბჭოება (1920 წლის 28 აპრილი, 1920 წლის 19 ნოემბერი) კიდევ უფრო ამძიმებდა. ევროპის სახელმწიფოებმა იმ ეტაპზე საქართველოსადმი არა თუ მფარველობა, ოფიციალური პოლიტიკური თანადგომაც არ იკისრა. ეს ფაქტი და საქართველოსთვის ერთა ლიგის წევრობაზე უარის თქმა, გასაბჭოებული რუსეთის ხელისუფლებას დაუყოვნებლივი მოქმედებისაკენ უბიძგებდა. ქართველი ისტორიკოსების მიერ ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ სამეცნიერო შრომებში დადასტურებულია, რომ 1921 წლის თებერვლისათვის საბჭოთა რუსეთი საქართველოზე თავდასხმისათვის სერიოზულად იყო მომზადებული. სამხედრო ოპერაციების დასაწყებად მხოლოდ საბაბს ეძებდა. ამ მხრივ, საბჭოთა რუსეთის მიერ ხელჩასაჭიდ არგუმენტად, ლორეში 11 თებერვალს მოწყობილი „აჯანყების“ ინსცენირება იქნა გამოყენებული. მართალია, მომხდარი ფაქტი უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა იგი „საქართველოს მშრომელი ხალხის აჯანყებად“ გამოაცხადა². ამ შემთხვე-

¹ შ. ვადაჯორია, *ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში* (თბილისი, 2001), გვ. 431.
² ლ. თოიძე, *ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც ფაქტობრივი ანექსიაც* (თბილისი, 1991), გვ. 87.

ვაში, საბჭოთა რუსეთი საქართველოში წითელი არმიის შესვლის „სამართლებრივი“ ფონის შექმნას ცდილობდა. უცხო სახელმწიფოს მხრიდან აგრესიული ქმედების შეფუთვის მიზნით, საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ „აჯანყებულებისადმი“ XI არმიის დახმარების მოტივაციას ეჭიდებოდა. ამის დადასტურებას ვ. ლენინის მიერ XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოსადმი გაგზავნილი 1921 წლის 15 თებერვლით დათარიღებული დეკრემი წარმოადგენს. „ცუკას მიანია – ვკითხულობთ დოკუმენტში, – რომ მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ოპერაციები ნეიტრალური ზონის აჯანყებულთა ადგილობრივი დაცვაა თეთრგვარდიელთა მხრივ მოსალოდნელი განადგურებისაგან. ანგარიში გაუწიეთ თქვენი ოპერაციის პოლიტიკურ ხასიათს ყველა თქვენს საჯარო გამოსვლაში“¹. ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია, რომ ლორეს „აჯანყებულებს“ თეთრგვარდიელთა არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა, იგი საქართველოს წინააღმდეგ XI არმიის მოქმედების დაწყების გამართლების პოლიტიკური შირმა უნდა ყოფილიყო².

შესაბამისი იდეოლოგიური ბაზის მომზადების შედეგად, XI არმიის საქართველოს წინააღმდეგ შეტევითი სამხედრო ღონისძიებების დაწყება, საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობის მხრიდან აუცილებლობად იქნა მიჩნეული. ამის შესახებ ი. სტალინის მიერ ს. ორჯონიკიძისადმი გაგზავნილ დეკრემში ვკითხულობთ: „Ахлаве шеутие, дастуриа, аиге калаки“. ამ ნებართვის მიღებისთანავე, XI არმიის ნაწილებმა აზერბაიჯანიდან საქართველოზე თავდასხმა განახორციელეს. იმავე დროულად, საბჭოთა რუსეთმა სამხედრო ოპერაციები დაიწყო ვლადიკავკაზიდან, მამისონის უღელტეხილიდან და შავი ზღვის სანაპიროდან. ბრძოლაში ჩაბმული იქნა მე-8, მე-9, მე-13 არმიები, ბუდიონისა და ჟლობას კავალერიის ნაწილები. ამ ურთულეს სიტუაციაში მყოფ ქვეყანას, ოსმალეთმა შესაფერისი მომენტი შეურჩია და საქართველოს ხელისუფლებას ართვინ-არდაგანის ოკრუგების დაცლა (1921 წლის 22 თებერვალი) კატეგორიული ფორმით მოსთხოვა. მოწინააღმდეგისადმი ახალი ფრონტის გახსნის საბაზის არმიცემის მიზნით, ქართულმა მხარემ აღნიშნული ოკრუგებიდან ჯარის ნაწილები გამოიყვანა. ამ გადაწყვეტილების მიღება იმით იყო „გამართლებული“, რომ ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი შესაძლებლობა იმ ეტაპზე მხოლოდ ბოლშევიკური რუსეთის წინსვლის შეჩერებით ისახებოდა³.

ქართული მხედრობის მიერ 15 თებერვლიდან 23 თებერვლის ჩათვლით ჩატარებული გმირული ბრძოლების მიუხედავად, გამარჯვება შეუძლებელი იყო. ჩრდილოელი დამპყრობელი, პატარა საქართველოს თითქმის ყოველი მხრიდან ჰყავდა შემოსეული. უმაღლესი მთავარსარდლის გ. კვინიტაძის მიერ 24 თებერვალს გაცემული №131 ბრძანების საფუძველზე, ფრონტიდან ქართული საჯარისო შენაერთები მოიხსნა და თბილისი დატოვებული იქნა. XI არმია, ს. ორჯონიკიძის, შ. ელიავასა და სხვა ქართველი რენეგატების სარდლობით, თბილისში 25 თებერვალს შევიდა და ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გამოაცხადა. დამოუკიდებელი საქართველო აღარ არსებობდა. მომხდარი ფაქტით, საბჭოთა რუსეთმა ნანატრი ოცნება აისრულა და ქართველ ერს მონობის საბჭოური უღელი დაადგა ქედზე⁴.

ქართველი ერისადმი თავსდატეხილი ამ უბედურებიდან გამომდინარე, კონკრეტულად ისმება კითხვა: როცა ქართული სამხედრო შენაერთები ქვეყნის დამოუკიდებლობის გადასარჩენად XI არმიას თბილისის მისადგომებთან ერკინებოდა და ქართველი ახალგაზრდების სისხლი იღვრებოდა, ქართველი ერისათვის ამ უშიშმეს პერიოდში რას აკეთებდა შიდა ქართლის საქართველოს მოქალაქე ოსები? ამ კითხვაზე მხოლოდ ერთადერთი პასუხი არსებობს: ქართველ ერთან მიმართებაში დაჩვეული დალატის „ოსურ ტრადიციას“ აგრძელებდა. არცერთ მათგანს ჩრდილოელი დამპყრობლის წინაარმდეგ იარაღი არ აღუმართავს. ქართველების დაცემისა და გაუბედურების ხარჯზე, საბჭოთა რუსეთის მფარველობით შიდა ქართლის სავანეში ოსური სახელმწიფოს სოკოსავით აღმოცენების გეგმას ადგენდა. ამის დადასტურებას, არარსებული „სამხრეთ ოსეთის“ რკპ (ბ) საოლქო კომიტეტის მიერ ვლადიკავკაზში გამართული სხდომა (1921 წლის 25 თებერვალი) წარმოადგენს. იგი საქართველოში „სამხრეთ ოსეთის“ პოლიტიკური ერთეულის შექმნას, მის თვითგამორკვევასა და მმართველობითი ორგანოს ჩამოყალიბების საკითხის გადაწყვეტას ისახავდა მიზნად. ამასთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ: „ვიღებთ რა მხედველობაში სამხრეთ ოსეთის დარიბთა შეურყეველ სურვილს, რომელიც გამოთქმულია: 1) სამხრეთ ოსეთის მშრომელთა მემორანდუმში 1920 წლის 28 მაისს, 2) სამხრეთ ოსეთის ხალხის დეკლარაციაში მთის ხალხთა ყრილობაზე 1920 წლის 15 ნოემბერს, 3) სამხრეთ ოსეთის რევოლუციონურ ემიგრანტთა ყრილობის დადგენილებაში 1921 წლის 15 თებერვალს ქ.

¹ ვ. ლენინი, *თხზულებანი*, ტ. 45 (თბილისი, 1974), გვ. 50.

² შ. ვადაჭკორია, *ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში (1921-1923 წწ.)* (თბილისი, 1998), გვ. 14.

³ შ. ვადაჭკორია, *ქართული სოციალ-დემოკრატია...*, გვ. 437.

⁴ იქვე, გვ. 442.

კავკაზში, 4) საბჭოთა ხელისუფლებისათვის განუწყვეტელი, თითქმის სამი წლის ბრძოლაში სამხრეთ ოსეთის მშრომელი ხალხისა საქართველოს სოციალ-მოდლატეთა წინააღმდეგ, სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი ადგენს: ა) ხელახლა გამოცხადდეს საბჭოთა ხელისუფლება სამხრეთ ოსეთში; ბ) სამხრეთ ოსეთისგან შეიქმნას ცალკე პოლიტიკური ერთეული ცენტრით ცხინვალში; გ) სამხრეთ ოსეთის რეგომი დაარსდეს შემდეგი ამხანაგებისგან: ვ. სანაკოვევი, რ. კოზავევი, ა. ჯატივევი, ყ. ბუტავევი, ს. გაგლოვევი, ნ. გაღივევი და ა. პლივევი; დ) სამხრეთ ოსეთის მშრომელთა მასის ნების საბოლოოდ გამორკვევამდე, საბჭოთა ყრილობამდე მთელი ძალა-უფლება გადაეცეს სამხრეთ ოსეთის რეგომს; ე) შედგეს პარტიურ შემდეგი ამხანაგებისგან: ა. ჯატივევი, ა. პლივევი, ვ. სანაკოვევი, ს. გაგლოვევი, რ. კოზავევი¹.

აღნიშნული დოკუმენტი პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: 1) დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში ოსების მიერ მიღებული იმ დადგენილებების შეგნებულად წინ წამოწევა, რომლებიც სინამდვილის გაყალბებას ემსახურებოდა, ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის სიძულვილის ელფერს ატარებდა. მეორე მხრივ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიზანშეუწონლობას, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სტატუსით შეყვანის აუცილებლობის „დასაბუთების“ მცდელობას შეიცავდა. ამ ფაქტით, ოსი სეპარატისტები საბჭოთა ხელისუფლებას იმ დამსახურებას შეახსენებდნენ, რომელიც გასაბჭოებულ რუსეთთან შეერთების მიზნით, დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ 1918-1920 წლებში მოწყობილი აჯანყებებით მიუძღოდათ. 2) იგივე რეზოლუცია, ქართველი ერის ხარჯზე, ოსების განსაკუთრებულ პრივილეგიებულ ფორმებში ჩაყენების აუცილებლობის საკითხს ოფიციალური ფორმით აყენებდა და ამ ფონზე; ა) შიდა ქართლის „სამხრეთ ოსეთად“ მთავრებული ტერიტორიის საქართველოსაგან შეგნებულად გაუცხოების სამართლებრივი ბაზის მომზადებას ისახავდა მიზნად. აქედან გამომდინარე, ისეთ იდეოლოგიურ გარემოს ქმნიდა, თითქოს „სამხრეთ ოსეთი“ გასაბჭოებულ საქართველოს შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენდა და იქ საბჭოთა ხელისუფლების თავიდან გამოცხადება აუცილებლობით იყო ნაკარნახევი; ბ) ამ მიმართულებით ნაბიჯის გადადგმა, ოსების მორიგ მზაკვრულ გეგმას უკავშირდებოდა. იგი „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებელი რეგომის შექმნაზე და შიდა ქართლში მთელი ძალაუფლების ამ ორგანოსადმი დაქვემდებარებაზე იყო გათვლილი.

დასახული გეგმის განსახორციელებლად, შეიარაღებულმა ოსებმა წითელი არმიის ნაწილებთან ერთად საქართველოს დალაშქვრა ჩრდილოეთიდან დაიწყო. „ნახევრად მშვიერ-ტიტველმა მეომრებმა – წერს ა. სურგულაძე, – უჩვეულო სიმამაცე გამოიჩინეს და პირნათლად შეასრულეს სარდლობის დავალება. სამხრეთ ოსეთის პარტიზანთა ერთმა ჯგუფმა გადმოლახა როკის, ჯომაგის და თრუსოს უღელტეხილები“². ადვილი წარმოსადგენია თუ რა მდგომარეობაში ჩააყენებდა შიდა ქართლის ქართულ მოსახლეობას წითელ ფარაჯაში გამოწყობილი ჩრდილოეთიდან შემოჭრილი „ნახევრად მშვიერ-ტიტველი“ შეიარაღებული ოსური რაზმები, რომლებსაც საბჭოური ისტორიოგრაფია რატომღაც პარტიზანებად ასაღებდა. ამ „მშვიერ-ტიტველმა პარტიზანებმა“ 1921 წლის 2 მარტს როკი, ხოლო 5 მარტს ცხინვალი დაიკავეს. იმავე წლის მარტში „სამხრეთ ოსეთის“ რევოლუციური კომიტეტის შექმნა, უკვე საქართველოს ტერიტორიაზე ხელმეორედ გამოაცხადეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ვინმე ოსის ფსევდონიმით გახეთ „სოციალისტ-ფედერალისტში“ დაბეჭდილ სტატიაში „მთლიანი ფრონტი თუ რევოლუციის დეზერტირობა?“ ხაზგასმით იყო მითითებული: „თუ ეს ხალხი მართლა გულწრფელი რევოლუციონერებია, მაშინ მათ გადაწყვეტილებაში ბევრი რამაა გაუგებარი. რა საჭიროა საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნების მიხედვით რეგომების დაარსება? ეს ხომ მთლიანი ფრონტის დაშლაა, ნაციონალური ბრძოლის და შეუღლის გაღრმავება?... არავითარი საჭიროება არაა იმაში, რომ „დომოროშნიე“ რეგომები ღია კარებში შეიჭრან და საქართველოს ტერიტორიის ერთ ნაჭერზე თავისი იარღიყით საბჭოთა სისტემა გამოაცხადონ“. სტატიის ავტორის ეს გულისწყრომა სავსებით კანონზომიერი იყო, მაგრამ აუხსნელი რჩებოდა ის ძირითად მიზეზი, რომელსაც ოსი სეპარატისტების მიერ გადადგმული აღნიშნული ნაბიჯი და მათი მხრიდან სამომავლოდ გათვლილი გეგმები ემყარებოდა. მომხდარი ფაქტის ერთ-ერთ გასაღებს, „სამხრეთ ოსეთის“ რეგომის ხელმოწერით ვლენინისადმი გაგზავნილი დეპეშა წარმოადგენს. ეს დოკუმენტი ყურადღებას იმით იპყრობს, რომ იგი შიდა ქართლს, ოსების კუთვნილ ტერიტორიად აცხადებდა და მის სამომავლო ბედს, სხვისგან – ქართველებისაგან დაუკითხავად ოსების შეხედულებისამებრ გადაწყვეტას უკავშირებდა. „სამხრეთ ოსეთის დარბი გლეხობა, – ვკითხულობთ დოკუმენტში, – თავის მიწა-წყალზე

¹ „სამხრეთ ოსეთის“ რკპ(ბ) საოლქო კომიტეტის 1921 წლის 25 თებერვლის რეზოლუცია, *სოციალისტ-ფედერალისტი*, 18 მარტი (1921).

² ა. სურგულაძე, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. VI (თბილისი, 1972), გვ. 698.

დაამკვიდრებს საბჭოთა ხელისუფლებას... მას ვერავინ... შეუშლის ხელს თავისი ცხოვრება მოაწყოს საკუთარი შეხედულებათა მიხედვით და არა სხვათა კარნახით“¹.

ეს დეპეშა იმ დროს დაიწერა, როცა ჩრდილო კავკასიის ოსეთი გასაბჭოებული იყო, მაგრამ ოსებისთვის იქ ოსური პოლიტიკური ერთეული არ შეუქმნიათ და არც ცხოვრების საკუთარი შეხედულებისამებრ მოწყობის უფლება მიუციათ. საბჭოთა ხელისუფლების მესვეურებმა კარგად იცოდნენ, საათის ზამბარასავით მომართული ოსური სეპარატიზმი, ქართველი ერის წინააღმდეგ რა ფორმითა და მიმართულებით აემოქმედებინათ. ისიც შესანიშნავად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ 1920 წლის აჯანყების გამო დასჯილი ოსობა, საქართველოში ქართველთა შურისსაძიებლად ბრუნდებოდა. ამ პროცესების დაჩქარებას, ქართველთა დალატისათვის 1920 წელს დეპორტირებული ოსების ს. ორჯონიკიძის ინიციატივით საქართველოში უსისტემოდ დაბრუნებამ და მათი ქმედების მაკონტროლებელი მექანიზმის წინასწარ შეუქმნელობამ შეუწყო ხელი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, ყურადღებას ორი დოკუმენტი იქცევს: 1) თერგის ოლქის ჯარების სარდლის სმირნოვისა და გენშტაბის უფროსის შავროვის მიერ ს. ორჯონიკიძისადმი 14 მარტს გამოგზავნილი დეპეშა, რომელშიაც რკპ (ბ) ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის სახელით იყო დასმული შეკითხვა – ცალკეულ ოს ემიგრანტებს „სამხრეთ ოსეთში“ დაბრუნების ნებას მისცემდნენ თუ არა; 2) თერგის ოლქის ჯარების სარდლისა და რკპ (ბ) თერგის საოლქო კომიტეტისადმი ს. ორჯონიკიძის მიერ 1921 წლის 17 მარტს გაგზავნილი საპასუხო დეპეშა. ამ დოკუმენტში ვკითხულობთ: „მენშევიკების მიერ გადასახლებულ ოსთა დაბრუნების აბსოლუტურ თავისუფლებას თავისთავად წყვეტს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება. ოსთა საკითხი აღარ არსებობს, ოსები თავიანთ ბედ-იბლის სრული ბატონ-პატრონები არიან. საქართველოს საბჭოთა მთავრობამ მილიარდი მანეთი გაიღო მენშევიკთა მიერ გაჩანაგებულ სამხრეთ ოსეთის ოსთა დასახმარებლად. გადაეცით გეთაყვა, სამხრეთ ოსეთის ყველა ოსს, რომ თავიანთ კერებში მათ დაბრუნებას ხელს სრულიად არაფერი უშლის“².

მართალია, დამნაშავე ოსების საქართველოში დაბრუნებაზე ს. ორჯონიკიძე თანხმობას აცხადებდა და მათ დასახმარებლად ერთი მილიარდი მანეთის გამოყოფის პირობასაც იძლეოდა, მაგრამ, უყურადღებოდ ტოვებდა 1919 წლის იანვარში ოსების მიერ ალაგირიდან დეპორტირებული უდანაშაულო 500 ქართული ოჯახის (2700 სული) ბედის საკითხს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ალაგირელ ქართველთა ქონება და სახლ-კარი ოსებს ათვისებული ჰქონდა, ხოლო კოსმოპოლიტიზმის სენით დაავადებული ნაქართველარი, ქართველთა ინტერესების ელემენტარულ დაცვას გადამეტებულ ნაციონალიზმად და შოვინიზმად აღიქვამდა. აქედან გამომდინარე, ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით საქართველოში გატარებული ეროვნული პოლიტიკური კურსი, ქართველთა სიძულვილზე და შეგნებულად მის დამცრობაზე იყო გათვლილი. ამ პრინციპებზე აგებდა იგი ოსებთან ლოიალურ დამოკიდებულებას და მისადმი მფარველობას. ამის საუკეთესო მაგალითს წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების გარეშე, „დეპორტირებული“ ოსების საქართველოში დაბრუნების ნებართვის გაცემა წარმოადგენს. ს. ორჯონიკიძის ზემოაღნიშნული დეპეშა სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ „მშიერტიტველი“ ოსების უზარმაზარი მასა ჩრდილოეთიდან შიდა ქართლის ქართულ სოფლებს შესეოდა და ქართველი გლეხებისგან გადანახული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მეწილე გამხდარიყო. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ საქართველოს რევკომისადმი 1921 წელს წარდგენილი მოხსენების მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, ოსების შემოსევის პროცესი 1921 წლის მარტში დაწყებულა. ეს ის პერიოდია, როცა საქართველოში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მიმდინარეობს და საშემოდგომო მოსავლის მისაღებად ქართველი გლეხი შესაბამის ნიადაგს ამზადებს. ადგილობრივ მოსახლეობას თუ რა მდგომარეობაში ჩააყენებდა ქართველებზე განაწყენებული და დამშეული ოსების ასეთ დროს ქვეყანაში უკონტროლოდ შემოსვლა, ადვილი წარმოსადგენია. საარქივო მასალების მიხედვით, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედება აშკარად იკვეთება. იმ შემთხვევაში, თუკი 1920 წელს ქვეყნის დალატის გამო დეპორტირებული ოსების შიდა ქართლში დაბრუნება აუცილებლობას წარმოადგენდა, სახელისუფლებო წრეებს წინასწარი პროგრამა უნდა შეემუშავებინა, სათანადო ბაზა მოემზადებინა და ეს პროცესი ეტაპობრივად განეხორციელებინა. საარქივო მასალით დასტურდება, რომ ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმის მცდელობას მხოლოდ მას შემდეგ ჰქონდა ადგილი, როცა ტაბარუკად შემოხიზნული ოსები შიმშილის წინაშე აღმოჩნდა და ქართველ მოსახლეობას კისერზე დააწვა. მხედველობაში მაქვს საქართველოს რევკომის პრეზიდიუმის 1921

¹ გ. ხაჭაპურიძე, *ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის* (თბილისი, 1957), გვ. 450.

² გ. ორჯონიკიძე, *ამიერკავკასიის შესახებ* (თბილისი, 1986), გვ. 144.

წლის 7 აპრილის დადგენილება, რომლის მიხედვითაც, საჭიროებისათვის „სამხრეთ ოსეთის“ რეკომს 200 მილიონი მანეთი, ხოლო „სამხრეთ ოსეთში“ დაბრუნებული „დეპორტირებული“ ოსებისათვის საცხოვრებელი პირობების მოსამზადებლად ერთი მილიარდი მანეთი უნდა გამოყოფილიყო. იმავე დოკუმენტით აღნიშნული თანხის მიზანმიმართულად განკარგვის სახედამხედველო უფლებები შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს დაევა¹.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ამიერკავკასიის ფულის ნიშნების შემოღებამდე (1923 წ.), იმ ეტაპზე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ძირითადად დამოუკიდებელი საქართველოს ბონი იყო მიმოქცევაში. სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ ერთი ქართული ბონი საბჭოთა რუსეთის 100 მანეთს უდრიდა. მართალია, ზემოაღნიშნული თანხა ოსებისათვის სათანადო საცხოვრებელი პირობების შექმნას ისახავდა მიზნად, მაგრამ გაურკვეველი რჩება, ერთ მილიარდში ქართულ ბონს გულისხმობდა საქართველოს რეკომი თუ რუსულ საბჭოთა მანეთს. რაც შეეხება ოსებისათვის დანაპირები მილიარდი მანეთის პრაქტიკულად გამოყოფას, გარკვეულ დროს მოითხოვდა. მითუმეტეს, ჩემს მიერ მოტანილი დადგენილების ოპერატიულად შესრულებას არშესრულება, რესპუბლიკის ბიუჯეტის შესაძლებლობის გათვალისწინებით, ფინანსთა სახალხო კომისარიატზე იყო დამოკიდებული. ამასთან ერთად, საბჭოური ბიუროკრატიული აპარატის სპეციფიკასაც თუკი გავითვალისწინებთ, ოსებისადმი ერთი მილიარდი მანეთით დახმარება – სამომავლო პერსპექტივას წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის აღნიშნული მოხსენება კიდევ უფრო ამყარებს. „ერთი მილიარდი მანეთის გადაღებით... – ვკითხულობთ დოკუმენტში, – დღევანდელ მთავრობას სახელმწიფო ხაზინიდან ოსების დაკმაყოფილება სურდა. მაგრამ ეს გზა, როგორც უფრო შორეული, ოსებს სწრაფ დახმარებას ვერ აღმოუჩენდა. ჩრდილო კავკასიიდან დაბრუნებულ ოსებს ესაჭიროებოდათ სურსათ-სანოვაგე და სხვა პირველადი მოთხოვნილებების საგნები. ეს კი მათ არ გააჩნდათ და ვერც ადგილობრივმა რეკომმა შეძლო საჭირო სანოვაგით ოსების მომარაგება“. აქედან გამომდინარე, ს.ორჯონიკიძის დანაპირების მიუხედავად, უქონელი და ღატაკი ოსების ჩრდილოეთიდან შიდა ქართლში მასობრივად შემოსევის გამო, ისინი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამის დამადასტურებლად „სამხრეთ ოსეთის“ რეკომის თავმჯდომარის ა. ჯატიევისა და იმავე რეკომის ოთხი წევრის ხელმოწერით საქართველოს ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს რეკომისადმი 1921 წლის 12 მაისს წარდგენილ მოხსენებაში მოტანილი ფაქტები გამოდგება. ამ დოკუმენტის მიხედვით; 1) მშვიერი, ჩამოქონილი და უსახლკარო ოსები, ლუკმაპურის საშოვნელად ქართულ სოფლებში დადიოდნენ; 2) ფიზიკურად და სულიერად გამოფიტულ ოსებს, შიდა ქართლში ტიფი და შავი ჭირი შემოჰქონდა; 3) ოსები იმ საქონელისა და ინვენტარის უკან დაბრუნებას ითხოვდნენ, რომლებსაც სოფლებში პოულობდნენ; 4) საქართველოს რეკომი და ცენტრალური კომიტეტი თუკი ცხინვალის რაიონს დამშეული ოსებისათვის შესაბამის პროდუქტებს დაუყოვნებლივ არ მიაწვდიდა, ფართომასშტაბიანი ძარცვის დაწყება გარდუვალი იქნებოდა; 5) ცოცხალი საქონელი და შესაბამისი ინვენტარი ოსებისთვის დაუყოვნებლივ უნდა მიეცათ².

სიტუაცია იმდენად დაძაბული იყო, რომ საქართველოს რეკომის პრეზიდიუმი იძულებული გახდა, ამ საკითხების შესახებ საგანგებოდ ემსჯელა. მხედველობაში მაქვს „სამხრეთ ოსეთის“ რეკომისადმი სურსათით დახმარების მიზნით, საქართველოს რეკომის პრეზიდიუმის 1921 წლის 11 მაისის სხდომის დადგენილება. ამ დოკუმენტის მიხედვით, „სამხრეთ ოსეთის“ რეკომისათვის სასწრაფოდ ერთი ვაგონი მარილი და ორი ვაგონი სიმინდი უნდა გაეგზავნათ. აღნიშნული დოკუმენტის მიღებიდან ორ თვეში, იმავე საქართველოს რეკომის პრეზიდიუმის 1921 წლის 11 ივლისის დადგენილებით, შიდა ქართლში შემოხიზნული დამშეული ოსების დასაპურებლად, „სამხრეთ ოსეთის“ რეკომისათვის 200 ფუთი (3200 კილო) ფქვილის გამოყოფის საკითხი დაისვა. ჩემს ხელთ არსებული საარქივო მასალის ანალიზი საფუძველს მაძლევს განვაცხადო, რომ ზემოაღნიშნული დადგენილებები, პიარკამპანიისათვის გამიზნულ ერთჯერად ღონისძიებას წარმოადგენდა, რადგან დასახელებული პროდუქტის რაოდენობა, ჩრდილოეთიდან შიდა ქართლში გადმოხვეწილ ათიათასობით დამშეულ ოსს, უმნიშვნელო შეღავათსაც ვერ მისცემდა. იმავე (11 ივლისის) დადგენილების მესამე მუხლის მიხედვით, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, მუშა პირუტყვის განაწილების დროს, პირველ რიგში „სამხრეთ ოსეთის“ ოსური მოსახლეობის დაკმაყოფილება დაევა³. გაურკვეველი რჩებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი; მუშა პირუტყვი ხელისუფლებას საიდან უნდა მოეყვანა. ასეთი არაპრაგმატული ხასიათის დადგენილებით

¹ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 281, აღწ. 1, საქმე 23, ფ. 5.

² შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, აღწ. 1, საქმე 48, ფ. 167; ლ. სარალიძე, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნის ისტორიიდან (1917-1922 წწ.), *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, №1 (7) (თბილისი, 2010), გვ. 157.

³ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 281, აღწ. 1, საქმე 23, ფ. 68.

განპირობებულმა უარყოფითმა შედეგებმა მალევე იჩინა თავი. ამის დადასტურებას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოხსენებაში მოტანილი ფაქტები წარმოადგენს. ამ დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ რესპუბლიკის რეგკომმა, ოსური მოსახლეობის საჭირო სურსათით მომარაგება ვერ შეძლო, და რაც მთავარია, ოსების საქართველოში „დაბრუნების“ პროცესს სრულიად მოუმზადებელი, საფეხურებრივად გათვლილი წინასწარი გეგმის გარეშე შეხვდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ შესაბამის სახელისუფლებო სტრუქტურებს, შურისმაძიებელი ოსი მმართველებისაგან შიდა ქართლის ქართული მოსახლეობის დამცავი მექანიზმი იმ ეტაპზე არ შეუმუშავებია. ეს ფაქტორი, ოსებს, ქართველთა წინააღმდეგ მოქმედების მეტ შესაძლებლობას აძლევდა, რამაც შიდა ქართლის ქართული მოსახლეობა გაუსაძლის მდგომარეობაში ჩააყენა. ამასთან დაკავშირებით არსებულ ზოგიერთ ფაქტს ყურადღება ა.სონდულაშვილმაც მიაქცია¹. წინამორბედ მკვლევართაგან განსხვავებით, ჩვენ შევეცადეთ სამეცნიერო ბრუნვაში ახალი დამატებითი სარქივო მასალა შემოგვეტანა და მისი ანალიზის საფუძველზე შიდა ქართლში ოსიანობის საფეხურებრივად განახლების მიმდინარე პროცესი მკითხველისათვის შედარებით ამომწურავი ფორმით შეგვეთავაზებინა. **დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ ოსებმა, ქართველებზე შურისძიების ორი გზა აირჩია: 1) ქართველთა მიზანმიმართულად შევიწროება და 2) ქართველების მამაპაპეული საცხოვრისიდან გამოდევნა.**

რაც შეეხება პირველ საკითხს – ქართველთა მიზანმიმართულად შევიწროებას, იგი შიდა ქართლის ქართველების ქონების ოსების მხრიდან მიტაცებაში გამოვლინდა. ამის შესახებ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ფონდში საყურადღებო მასალებია დაცული. ამ დოკუმენტებით ირკვევა, რომ ოსების მიერ ქართული სოფლებიდან ძალდატანების გზით გამოდევნილი ქართველების უპატრონოდ დარჩენილი ქონება, ოსმა მმართველებმა დაიტაცეს და ადგილობრივი ხელისუფლების დასანახად დატვირთული ურმებით ჯავისკენ წაიღეს. იმავე სარქივო მასალების მიხედვით, ქართველთა კუთვნილი შინაური პირუტყვის მისათვისებლად, ოსებმა „ორიგინალურ“ მეთოდს მიმართეს. კონკრეტულად თუ რაში მდგომარეობდა იგი, ამის შესახებ საყურადღებო მასალას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული საგანგებო კომისიის წევრთა (რატიშვილი, იობიძე) მიერ მოტანილი ფაქტები და მასზე დაყრდნობით გაკეთებული დასკვნები იძლევა. ამ დოკუმენტებში გარკვევითაა მითითებული, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარების მიზნით, ოსებმა პირველ რიგში ქართველებისათვის მუშა პირუტყვის წართმევა დაისახეს მიზნად. ამ შემთხვევაში ისინი მთავრობის იმ განკარგულების მიხედვით მოქმედებდნენ, რომელიც ოსებს 1920 წელს დაკარგული ქონების, მათ შორის, საქონლის დაბრუნების შესაძლებლობას აძლევდა. თუ როგორ იყენებდა ოსები ამ უფლებას, ამასთან დაკავშირებით, იმავე კომისიასთან არსებული ერთ-ერთი ქვეკომისიის თავმჯდომარე რატიშვილი თავის მოხსენებაში წერდა: „თუ რომელიმე ოსმა ოდესმე ქართველს მიჰყიდა რაიმე პირუტყვი, ცხინვალის ადმინისტრაციას უცხადებს, რომ ვითომ მისი საქონელი ამა და ამ ქართველს ჰყავს გატაცებული და ამ საშუალებით საქონელს „უკანვე იბრუნებს“. ყოფილა აგრეთვე მრავალი შემთხვევა, როდესაც ოსი სოფლის ნახირში მისულა, დაუთვალა ირგვლივ და დაუსწავლია რომელიმე საქონლის ნიშნები, შემდეგ განუცხადებია, რომ ის გატაცებული საქონელია“. ოსების ეს ქმედება მიზანმიმართულ და მასიურ ხასიათს ატარებდა. ოსი მტაცებლებისგან ქართული ოჯახების დაცვის მიზნით, ხელისუფლებას იმ ეტაპზე არანაირი კანონი არ მიუღია. ამასთან დაკავშირებით, გორის მაზრის რეგკომის თავმჯდომარის გაბუნიას მიერ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი 1921 წლის 18 მაისს გაგზავნილ წერილში ხაზგასმით იყო მითითებული. „**ოსები-გკითხულობთ დოკუმენტში – განუწყვეტილად დაიარებიან ქართულ სოფლებში და ეძებენ საქონელს. შეათვალა ირგვლივ რა მოსაწონ საქონელს, იხსომებენ ნიშნებს და შემდეგ მოაქვთ სამხრეთ ოსეთიდან მოწობა, სადაც დაწვრილებით წერია გვარი და სახელი მაძიებელი ოსისა, საქონლის ნიშნების აღწერა და თანდართულია – დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს კუთვნილებისამებრ. არის ხშირად იმისთანა მაგალითები, რომ ოსები ხელს ადებენ და ჩემულობენ ისეთ საქონელს, რომელსაც თავის დღეში ნაბიჯიც არ დაუდგამს ცხინვალის რაიონის ფარგლებში... ამისთანა მოვლენა ხშირია და ქართველი გლეხკაცობა... არასასურველ მდგომარეობაშია ჩავარდნილი... საჭიროა გაიცეს განკარგულება, რათა ოსებს აეკრძალოს საქონლის ძებნა და ისინი დაკმაყოფილებული იქნან ან ფულით, ან სხვა რაიმე საშუალებით“.**

ჩემს მიერ მოტანილი მასალებიდან გამომდინარე თუკი ვიმსჯელებთ, იგი სრულად ასახავს ოსების მხრიდან ქართველთა ქონების მითვისების ტრადიციულ დაუოკებელ სწრაფვას და ამ მაგნიტურ ტენდენციისადმი გასაბჭოებელი საქართველოს ხელისუფლების ინდიფერენტულ დამოკიდებულებას. მითუმეტეს, გორის სამაზრო რეგკომის თავმჯდომარის მიერ ხელისუფლების

¹ ა. სონდულაშვილი, *საქართველოს პოლიტიკური პორტრეტი* (თბილისი, 2004), გვ. 177-179; მისივე, *სამხრეთ ოსეთი საქართველოში?!* (თბილისი, 2009), გვ. 152-154.

წინაშე დასმული თხოვნა – ოსებისათვის საქონლის ძებნა აეკრძალათ და ფულით დაეკმაყოფილებინათ – შეუსრულებელი დარჩა. ასეთ დანაშაულებრივ ფაქტზე, ხელისუფლებისაგან მკაცრი რეაგირების არგატარება, შიდა ქართლში მცხოვრებ ქართველთა უყურადღებოდ მიტოვებას და გარკვეული ფორმით ოსი სეპარატისტების წახალისებას ნიშნავდა. დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ ქართველთა წინააღმდეგ ოსების მოქმედება, საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის კონიუნქტურაზე იყო გათვლილი. რამდენადაც იმ ეტაპზე ოსი მტაცებლების მიმართ შესაბამისი დასჯადი მექანიზმი არ მოქმედებდა, ეს ფაქტორი ჩრდილოეთიდან საქართველოში შემოხიზნულ ოსებს, ქართველთა საძარცვადად უფრო აქტიური მოქმედებისაკენ უბიძგებდა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული საგანგებო კომისიის მოხსენებებიდან ირკვევა, რომ ქართულ სოფლებში შეიარაღებული ოსები ურმებით დადიოდნენ და ქართული მოსახლეობისგან მუქარის ძალით მიქონდათ სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ტანსაცმელი, თეთრეული, ავეჯი, მიყავდათ საქონელი. აღნიშნულ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით, იმავე კომისიის ერთ-ერთ მოხსენებაში ვკითხულობთ: „ცხინვალის ჩრდილოეთით, ლიახვის მარჯვენა მხარეს შვიდი ქართული სოფელია: დგვრისი, აჩაბეთი, თამარაშენი, თამარაშენი მეორე, მონასტერი, ქურთა და კეხვი, რომლებიც ამჟამად განიცდიან მწარე წუთებს და უნუგეშო მდგომარეობას. მოხსენებულ სოფლებში თარეშობენ ბნელი პირები, რომლებიც არ ინდობენ მშვიდობიან მცხოვრებლებს და ყოველი მხრიდან აწიოკებენ მათ“. ამის დამადასტურებლად, იმავე დოკუმენტში ჩამოთვლილი სოფლების მოსახლეობის მიერ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი 1921 წლის 17 მაისს წარდგენილ განცხადებაში მოტანილი ფაქტებია დამოწმებული. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ოსი მძარცველების მიერ ქართული სოფლების მცხოვრებთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე. „სოფლის გლეხებს – ვკითხულობთ დოკუმენტში, – ავაზაკები საშუალებას არ აძლევენ გავიდეს და დამუშაოს თავისი მიწა და ამით საშუალება მისცეს თავის თავს მთელი წელიწადი მშვიერი არ დარჩეს. ავაზაკთა თარეში წრეს გადასულია: 1) მაისის თერთმეტს ბოროტმოქმედები დაეცნენ სოფელ კეხვის ახლოს მთელ გუთნეულს და სროლა აუტეხეს. მათ საქონლის გატაცება უნდოდათ, მაგრამ მხერებმა საქონელი სასწრაფოდ გამოუშვეს და სოფელში უვნებლად ჩამორეკეს; 2) აღდგომა დღეს, უცნობმა ავაზაკებმა სოფელ კეხვიდან სამი ძროხა მოიტაცა; 3) ცხრაში სოფელ კეხვიდან გაიტაცეს ოთხი ძროხა. მათ ათი ადგილობრივი მილოციელი დაედევნა. მიჰყვნენ ავაზაკების კვალს და გადავიდნენ ოსების სოფელ ეგრაში (აღბათ ედისაში შ.გ.), სადაც გატაცებული საქონელი აღმოჩნდა... საქონლის დაბრუნების დროს, ოსების ხსენებული სოფლიდან მილიციელებს სროლა კვლავ დაუწყეს, მაგრამ საქონელი მაინც დაბრუნებული იქნა. 4) ათში საქონელი და ცხვარი იქნა გატაცებული, ბოროტმოქმედნი მიიმაღნენ; 5) აპრილის ბოლო რიცხვებში ქურთაში ბოლოტაშვილის ქვრივს დაეცნენ და წაიღეს რაც ებადა. ავაზაკები მიიმაღნენ; 6) მაისის პირველ რიცხვებში სოფელ ქურთაში ავაზაკები ყაჩიშვილს დაეცნენ, წაიღეს რის წაღებაც შეძლეს. ავაზაკები მიიმაღნენ; 7) ამავე რიცხვებში კვლავ დაეცნენ ხსენებულ ბოლოტაშვილის ქვრივს, მოუკლეს ძროხა, ორი ხარი და დასჭრეს 80 წლის მოხუცი.“ ჩემს მიერ მოტანილი ფაქტებიდან და ქართველი ერის მძიმე წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე, ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება; თუკი XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობის დარბევითა და ძარცვით ლეკებმა „ისახელეს“ თავი, XX საუკუნის 20-იან წლებში, გასაბჭოებულ საქართველოში, შუა საუკუნეების ლეკიანობა ოსიანობამ ჩაანაცვლა. ეს პროცესი იმდენად მძლავრი ფორმით მიმდინარეობდა, რომ შიდა ქართლის უდრეკი ქართული მოსახლეობა შიშმა და პანიკამ მოიცვა. „მთელი ეს არემარე – ვკითხულობთ იმავე დოკუმენტში, – შიშის ზარით არის მოცული. არცერთი ღამე დამშვიდებული არ თენდება, რადგან ყოველთვის ელიან დაცემას და აწიოკებას. საქონელს ტყეში და მინდორში ვერ მიდენიან, რადგანაც ბრბოების ეშინიათ. ვართ ასეთ მდგომარეობაში და განვიცდით მწარე დღეებს“. ოსებისაგან საფუძვლიანად გაძარცვული და დაშინებული შიდა ქართლის ქართველობა, ხელისუფლებისაგან დახმარებას ითხოვდა. „გთხოვთ გასცეთ განკარგულება, რათა ოსებმა დაგვიბრუნონ ჩვენი საქონელი, რომელიც იმყოფება ჯავისკენ: ხარი, კამეჩი, ძროხა, ცხვარი, თხა, ღორი, ცხენი და ავეჯი“. გასაბჭოებული საქართველოს მმართველი წრეების წაყრუებისა და ოსი მძარცველების ძალისხმევის შედეგად, ცხინვალის რაიონის ქართველობა ულუკმაპუროდ, ტანსაცმლისა და მარჩენალი საქონლის გარეშე დარჩა.

ჩემს მიერ მოტანილ ფაქტებს, ქვეყნის სამთავრობო უწყებები და მისადმი დაქვემდებარებული მასმედიის საშუალებები შეგნებულად ასაიდუმლოებდა. ერთადერთი ბეჭდვითი ორგანო, რომელიც იმ ეტაპზე შიდა ქართლის ქართველთა გასაჭირს ახმაურებდა და მკითხველ საზოგადოებამდე მიქონდა, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“ იყო. იგი ოსებისგან ქართველთა ძარცვის პერმანენტულ პროცესებს შეეხო და ოსების მხრიდან ქართული ოჯახებიდან ჭირნახულის, ტანსაცმლის, საქონლისა და ძვირფასი ნივთების

დატაცების ფაქტები თანმიმდევრულად აღწერა. ოსების თავდასხმებისაგან ქართველთა დაცვის საქმეს, რამდენადაც გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები თავს ვერ ართმევდა, ოსი მძარცველებისადმი ქართველთა ღირსეულად დახვედრის მიზნით, ქართული სოფლების მცხოვრებთა შეიარაღებას აუცილებლობას, გაზეთი თანადგომით ეკიდებოდა.

დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტის“ მიერ 1) ოსების, როგორც მძარცველების მამხილებელი ფაქტების წინ წამოწევა, საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანა, შესაბამისი სამთავრობო კომისიებისგან მისი დადასტურება, და 2) მოძალადე ოსების წინააღმდეგ გაწამებული ქართველებისაგან იარაღის გამოყენების დიდი ალბათობისადმი ყურადღების გამახვილება, ქვეყნის ძალოვან სტრუქტურებს, ოსებთან მიმართებაში მკაცრი ღონისძიებების გატარების სრულ საფუძველს აძლევდა. მიუხედავად ამისა, საარქივო მასალებით არ დასტურდება, რომ გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლების შესაბამის უწყებას, ქართულ სოფლებში ოსების თარეშის ასალაგმად ფართომასშტაბიანი დროული ოპერატიული ღონისძიებები გაეტარებინოს. შიდა ქართლში არსებული ურთულესი პრობლემისადმი ძალოვანი უწყებების მაღალჩინოსანთა დამოკიდებულება, იმ ეტაპზე მხოლოდ კომისიების შექმნით და მათ მიერ გაკეთებული მოხსენება-დასკვნების მოსმენით შემოიფარგლა. სამთავრობო უწყებებმა, რამდენადაც არსებული სიტუაციის შესატყვისი დროული პრაგმატული გადაწყვეტილებები ვერ მიიღო, ეს ფაქტი, ქართველთა მოძულე ოსებს, ჩაფიქრებული შურისძიების ასასრულებლად მეტ შესაძლებლობას უქმნიდა. მითუმეტეს, მათი მფარველობა „სამხრეთ-ოსეთის“ რეგომსა და მილიციას თავის თავზე ჰქონდა აღებული. ამის დამადასტურებლად ქართული სოფლების მოსახლეობის მიერ საქართველოს მთავრობისადმი 1921 წლის მაისში გაგზავნილი სპეციალური განცხადება გამოდგება. ამ დოკუმენტის მიხედვით, ქართული სოფლების; ვანათის, ბელოთის, საცხენეთის და აწრისხევის სოფლის მოსახლეობის წარმომადგენლები, შესაბამისი ფაქტების დასახელებით იმ უკანონობას ამხედდა, რომელსაც ოსების რეგომი და ოსური მილიციის ხელმძღვანელობა შეიარაღებული ოსი ყაჩაღებისა და მძარცველების მფარველობასთან მიმართებაში იხენდა. ამის შესახებ იმავე განცხადებაში 18 შეიარაღებული ოსი ყაჩაღის მიერ სოფელ სვერის ქართული მოსახლეობის გაძარცვის შესახებაა საუბარი. იქვე ამ ყაჩაღების დაჭერისა და მათდამი „სამხრეთ ოსეთის“ რეგომის წარმომადგენელთა მზრუნველობაზე ყურადღება გამახვილებული. ამასთან დაკავშირებით იმავე წერილში ვკითხულობთ: „18 ოსი დაჭერილი მძარცველი ჩამოიყვანეს დაბა ცხინვალის მილიციის უფროსთან. ამ დროს მოვიდა ოსეთის რეგომიდან განკარგულება, რომ დაჭერილი ოსები გაენთავისუფლებინათ. ტუსაღები გაუშვეს. დღესაც არ ვიცით რატომ მოხდა ასე“. „სამხრეთ ოსეთის“ მილიციის უფროსის ჯიჯიკაევის მხრიდან ოს მძარცველებთან დაკავშირებით ანალოგიური სახის მზრუნველობის ფაქტზეა ყურადღება გამახვილებული იმავე განცხადებაში. საქმე ეხება სოფელ ერედვის მოსახლეობის მიერ დაჭერილი ყაჩაღების განთავისუფლებასა და თვით მილიციის უფროსის ჯიჯიკაევის თვითნებობას. „ყაჩაღების დაჭერაში – ვკითხულობთ დოკუმენტში, – სოფელ ერედვის რეგომისადმი დახმარების ნაცვლად, ოსების მილიციამ სოფელ ერედვის რეგომის თავმჯდომარე დაატუსაღა... ოსების მილიციის უფროსი ჯიჯიკაევი მისი სურვილისამებრ მოქმედებს. მას სიტყვას ვერავინ უბედავს... რაც სურს იმას სჩადის. არაფერს ეკითხება ცხინვალის რეგომს, რომელსაც ფაქტიურად არავითარი უფლებები არ აქვს. ცხინვალის რაიონში ამისთანა უწყისობა უნდა აილაგოს“.

ყოველივე ზემოთქმული იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქართველოს რეგომი და ქვეყნის ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლება, შიდა ქართლში ხელოვნურად შექმნილი „სამხრეთ ოსეთის“ რეგომის მიმართ, ქმედითი ღონისძიებების გატარებას გაუზრბოდა. ეს იქედანაც ჩანს, რომ საქართველოს რეგომსა და ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს იმ ეტაპზე ოსების რეგომის თვითნებობის შესაჩერებლად არანაირი გამაფრთხილებელი დადგენილება არ მიუღია. ამიტომ იყო, რომ „სამხრეთ ოსეთის“ რეგომი მოქმედებდა როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის და არა საქართველოს რეგომის ქვემდებარე ორგანო. მომხდარი ფაქტი გასაბჭოებული საქართველოს სახელისუფლებო შტოების უპასუხისმგებლობით იყო განპირობებული. ასეთი განცხადების გაკეთების საფუძველს, ზემოაღნიშნული სოფლების მიერ საქართველოს მთავრობისადმი 1921 წლის 25 აპრილს წარდგენილ განცხადებაზე 35 დღის დაგვიანებით გაკეთებული რეაგირება იძლევა. ამის დამადასტურებლად შესაბამის საარქივო დოკუმენტს მოვიტან და თავად მკითხველმა განსაჯოს, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება თუ რამდენად გულისხმიერებით ეკიდებოდა შიდა ქართლში მაცხოვრებელ ქართველთა გასაჭირს. ქართული სოფლების განცხადებას, საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის ხელმოწერით დადასტურებული შემდეგი სახის მცირე მოცულობის წერილი ერთვის: „საქართველოს სსრ საბჭოთა მთავრობის კანცელარია №5721. 1921 წ. ივნისის 2. ტფილისი. სასახლე. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს. თანახმად რეზოლუციისა გეგზავნებათ განკარგულებისათვის განცხადება იმ უწყისობის შესახებ, რომელსაც ადგილი აქვს ცხინვალის რაიონში“. როგორც ირკვევა, 25 აპრილს

დარევისტრირებული ქართველთა განცხადება, საქართველოს მთავრობის კანცელარიამ 2 ივნისს განიხილა და რეაგირებისათვის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს გადაუგზავნა. იმ პერიოდის საბჭოთა ბიუროკრატიული აპარატის დამახასიათებელ სპეციფიკასაც თუ გავითვალისწინებთ, ოსებისაგან შევიწროებული ქართველებისადმი ოპერატიული ხასიათის დროული დახმარების აღმოჩენა გამორიცხებული იყო. ამას ისიც ადასტურებს, რომ ხელისუფლებისაგან უპატრონოდ მიტოვებული და ოსი სეპარატისტების საჯიჯგნად განწირული უიარაღო ქართველობა, თავდაცვის მიზნით მომხდურისადმი წინააღმდეგობის გასაწევად, ხელისუფლებისაგან იარაღს, ან უკიდურეს შემთხვევაში სოფლებში რუსი წითელარმიელების ნაცვლად ქართული ჯარის ქვედანაყოფის ჩაყენებას მოითხოვდა. ამის შესახებ დეწილობაში მყოფი ქართველების მიერ ხელისუფლებისადმი ოფიციალურად გაგზავნილ წერილებში ხაზგასმით იყო მითითებული: „უმორჩილესად გთხოვთ მოგვცეთ იარაღი, რომ დავიცვათ ჩვენი თავი და მივიღეთ ჩვენს სახლებში.“ ქართული სოფლების; სვერის, მინდიანის, ყაფლანის, კასრანის და მონასტერის მცხოვრებლები ცხინვალის რეგკომს უყურადღებობაში და უმოქმედობაში ადანაშაულებდა. „სამი თვეა რაც სთხოვენ ცხინვალის რეგკომს, – ვკითხულობთ წერილში – თუ თქვენ არ გამოგზავნით ვისმეს, მაშინ მოგვეცით იარაღი რათა ჩვენი თავი ჩვენვე დავიცვათ. მაგრამ რეგკომმა ვერ შეძლო ამის მოგვარება. დღესაც არის ხუთი სოფელი მიტოვებული. ეს სოფლები დაუნნავდა-უთესავი რჩება. საჭიროა რეგკომმა მიიღოს შესაბამისი ზომები“. აღნიშნული ფაქტები იმ განუკითხაობაზე მიგვანიშნებს, რომელიც გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლების უმოქმედობითა და ოსი სეპარატისტების თავგასულობის შედეგად იყო დამკვიდრებული შიდა ქართლში. ჩემს მიერ მიკვლეული საარქივო მასალებიდან დასტურდება, რომ „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიურ ოლქად მოაზრებული ტერიტორიის ფარგლებში მოქცეული ქართული სოფლების საფუძვლიანად გაძარცვის შემდეგ, ოსები მეზობელი მაზრების ქართულ სოფლებსაც შეესია. ამის ერთ-ერთ დადასტურებას, შორაპნის მაზრის მილიციის უფროსის მიერ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი 1923 წლის 25 მაისს გაგზავნილი ორი წერილი (№1989; №1994) წარმოადგენს. პირველ მათგანში (№1989) ჭალის თემის სოფ. პერევის ქართულ მოსახლეობაზე თედელეთის ოსების თავდასხმებით განპირობებული ველური ნამოქმედარია წინა პლანზე წამოწეული. „ველური თავდასხმა სოფ. თედელეთის ოსებისგან – ვკითხულობთ დოკუმენტში – რომლებიც არ აძლევენ მოსვენებას მშვიდობიან მცხოვრებთ... მოსალოდნელია სისხლის ღვრა... სოფელ პერევის მცხოვრებლებისა, თუ არ იქნა მიღებული ზომები თედელეთის ოსების წინააღმდეგ“. რაც შეეხება მეორე წერილს (№1994), მასში შორაპნის მაზრის სათემო მილიციის განყოფილებაზე შეიარაღებული ოსების თავდასხმის, მილიციის ცხენის გატაცების, მძარცველ-თავდასხმელთა და მილიციის თანამშრომელთა იარაღით დაპირისპირების ფაქტებია დაფიქსირებული. ეს დოკუმენტი იმითაცაა საყურადღებო, რომ მასში მძარცველებისადმი „სამხრეთ ოსეთის“ ქოთინაკოს თემის აღმასკომისა და ოსური მილიციის აშკარა მხარდაჭერაა დადასტურებული. „ამ გარემოებას – ვკითხულობთ წერილში, – უყურებდნენ ადგილობრივი ოსეთის თემის აღმასკომი და მილიცია, მაგრამ არავითარი დახმარება ჩვენი მილიციისათვის არ აღმოუჩენიათ. პირიქით, დახმარება გაუწევიათ ქურდ-ბაცაცებისათვის“¹.

საარქივო მასალების საფუძვლიანი და მიუკერძოებელი ანალიზის მიხედვით თუკი განვიხილავთ ქართულ სოფლებზე ოსი შეიარაღებული მძარცველების თავდასხმების მიმდინარე პროცესებს, მისი პერმანენტული ხასიათი აშკარად იკვეთება. ამის შესახებ ხაზგასმითაა მითითებული გორის სამაზრო პარტიული კომიტეტის პლენუმის 1924 წლის 30 ივლისის სხდომის საოქმოდ (ოქმი №2) ჩანაწერებში. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საგანგებო განცხადება გორის სამაზრო კომიტეტის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ფსიტიქემ გააკეთა. მისი მტკიცებით, რამდენადაც გორის მაზრის ქართულ სოფლებში ოსები საქურდლად და საქონლის მოსატაცებლად გამუდმებით გადადიოდნენ, არსებული მდგომარეობის განსამუხტად და ოსი მძარცველების ასალაგმავად, სამაზრო კომიტეტს რამდენიმე დადგენილება ქონდა მიღებული. იმავე საოქმოდ ჩანაწერების მიხედვით, არცერთი მათგანი პრაქტიკულად არ განხორციელებულა. მიუხედავად ამისა, ვერც იმავე სხდომამ მიიღო არსებული მძიმე სიტუაციის განმუხტვის პრაგმატული გადაწყვეტილება. იგი მხოლოდ პრობლემის შემსწავლელი კომისიის შექმნის მოთხოვნით დაკმაყოფილდა. „ეთხოვოს ცეკას, – ვკითხულობთ დოკუმენტში – რათა ამ საკითხის ერთხელ და სამუდამოდ მოსაგვარებლად გამოყოფილი იქნას კომისია, რომელიც ადგილზე გამოარკვევს ყოველგვარ უთანხმოებას და მიიღებს საჭირო ზომებს“. ეს დადგენილება შესაბამისი წერილის დართვით გორის სამაზრო რეგკომმა ცხოვრებაშიღისა და პარკადის ხელმოწერით (13 დღის შემდეგ) 12 აგვისტოს საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს გადაუგზავ-

¹ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 285, აღწ. 1, საქმე 550, ფ. 22-23; ა. სონდულაშვილი, „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში..., გვ. 155.

ნა. „გაახლებთ რა ამასთანავე ერთად გორმაზრკომის პლენუმის სხდომის ოქმიდან №2 ამონა-
წერს, იმის შესახებ, რომ სამხრეთ ოსეთიდან გადმოსული ოსები დიდ ზიანს აყენებენ ქართველ
გლეხობას და ეს მდგომარეობა დღემდე არ არის მოგვარებული, ამიტომ გორმაზრკომი გთხოვთ
პლენუმის დადგენილება ამ საკითხის შესახებ მოყვანილი იქნას სისრულეში“. საარქივო მასა-
ლებიდან ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილება და წერილი ცენტრალური კომიტეტის
განხილვის საგანი არ გამხდარა. ამის დადასტურებას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური
კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგის ალ.ბობოხიძის მიერ იმავე დოკუმენტებზე
თანდართული რეზოლუცია წარმოადგენს. „შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს. გიგზავნით რა
გორის სამაზრო კომიტეტის მომართვას 12/VIII- 24 წ. №2008 ც.კ. წინადადებას გაძღვეთ მიიღოთ
სათანადო ზომები. თქვენს მიერ მიღებულ ზომებზე აცნობეთ ცეკას“.

ამ რეზოლუციის მიხედვით, ცენტრალური კომიტეტი პასუხისმგებლობას იხსნიდა და
საქმის მოგვარებას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს აკისრებდა. იგი აღნიშნული უწყ-
ებებისგან არა უმკაცრესი, არამედ სათანადო ზომების მიღებას მოითხოვდა. სხვადასხვა მედნიერ
შესრულებული და პრაქტიკული შედეგის არმომტანი ასეთი სახის რეზოლუციებით, იმ პე-
რიოდის დოკუმენტები მრავლადაა აჭრელებული. მაგრამ, 1921-1924 წლების პერიოდში, ჩვენ ვერ
წავაწყდით უმკაცრესი ხასიათის ისეთ დადგენილებას, რომელიც ოსი მმართველების ასალაგ-
მად იქნებოდა მიმართული. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ გასაბჭოებული საქართველოს
ხელისუფლება, გარკვეული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ოსებისადმი ღობისტის როლში
გამოდიოდა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ოსების დანაშაულებრივ ქმედებებთან მიმარ-
თებაში იმ ეტაპზე გატარებული ადეკვატური ღონისძიებები, დეპორტირებული ოსების შიდა
ქართლში დაბრუნების ს.ორჯონიკიძისეულ გადაწყვეტილებას შეცდომად წარმოაჩენდა. ამ
რეალობის გათვალისწინებიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლება არსებული სი-
ნამდვილის ყოველმხრივ მიფუჩჩებებს ცდილობდა, თუნდაც იგი შიდა ქართლის ქართული მო-
სახლეობის გაუბედურების ხარჯზე მომხდარიყო. ამიტომ, უსამართლობისა და განუკითხაობის
პოლიტიკური კურსი, ქართულ მოსახლეობასთან მიმართებაში შეგნებულად მიმდინარეობდა.
ამის ერთ-ერთ მაგალითს, საქართველოს რევკომის პრეზიდიუმის 1921 წლის 5 მაისის დადგენი-
ლების IV მუხლის (გ) პუნქტის საფუძველზე (ოქმი № 11), შიდა ქართლის ქართული სოფლების
გლეხების ოჯახებში XI არმიის ცხენოსანი სამხედრო ნაწილის ჯარისკაცთა ჩაყენება წარმო-
ადგენს. ოსი მმართველებისგან გაღატაკებული და გაუბედურების ზღვრამდე მისული ქართველი
გლეხის ოჯახებს, ოსების დამხმარე წითელარმიელების რჩენა გაუხადეს სავალდებულოდ. თუ
რამდენად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ამის გამო ქართული მოსახლეობა, ამასთან დაკავ-
შირებით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ საქართველოს რევკომისადმი 1921
წელს წარდგენილ მოხსენებაში ვკითხულობთ: „ცხინვალის რაიონში 200 კაცისგან შემდგარი
წითელი არმიის ნაწილია დაბანაკებული, რომლებიც სხვადასხვა სოფლებშია გაფანტული და
გლეხკაცობის ბინებშია ჩასახლებული. ამ ბინების მამაკაცები სახლს ვერ ტოვებენ და მინდორ-
ში სამუშაოდ ვერ მიდიან. ეს გარემოება კარგს არაფერს უქადის მომავალში ცხინვალის რაი-
ონს. საზოგადოდ, ჯარისკაცების ცხოვრება კერძო ბინებში არ არის სასურველი, მითუმეტეს,
რომ ამ რაიონში, სადაც პურის მოსავალი მცირეა, სურსათ-სანოვავის მოყვანა ხალხისა და
ცხენების გამოსაკვებად ძნელია“. ასეთი გაფრთხილების მიუხედავად, არსებული პრობლემის
მოსაგვარებლად ხელისუფლებას იოტისოდენა ნაბიჯიც არ გადაუდგამს. ეს არცაა გასაკვირი,
რადგან ჯარისკაცების რჩენა ახლადშექმნილ „სახელმწიფოს“ არ შეეძლო და ეს ფუნქცია ბეგა-
რის წესით შიდა ქართლის ქართულ მოსახლეობას დააკისრეს. ხელისუფალთა წაყრუებით, რუ-
სი ჯარისკაცებიც სარგებლობდნენ და ქართული მოსახლეობისაგან საკვები პროდუქტების ამო-
ღებას მაქსიმალურად ცდილობდნენ. ამასთან დაკავშირებით, ქართული სოფლების მიერ საქარ-
თველოს მთავრობისადმი 1921 წლის 25 აპრილით დათარიღებულ წერილში ვკითხულობთ: „შეგ-
ვაწუხა ჯარმა, რომელიც დღეს ცხინვალში დგას. მოდიან სახლებში და გვაწუხებენ, გვთხოვენ
ჭირნახულს, საკლავს და აფუჭებენ ნათესებს, ვენახებს და არ გვაქვს დამე ძილი“. ასეთი
სიტუაციიდან გამომდინარე, ქართულ მოსახლეობაში რუსი წითელარმიელებისადმი არა მარტო
უნდობლობამ, არამედ ზიზღმაც დაისადგურა. ეს ფაქტი, შინაგან საქმეთა სახალხო კო-
მისარიატთან შექმნილი კომისიის წევრებს შეუმჩნეველი არ დარჩენია და ამის შესახებ იმავე
მოხსენებაში ხაზგასმით მიუთითეს. „რაც შეეხება ჯარს – ვკითხულობთ დოკუმენტში, – ვერც
ამან მოიპოვა ხალხის პატივისცემა. ცხინვალის რაიონს არ შეუძლია ორასი ჯარისკაცის შე-
ნახვა. ამასთანავე ნახევარი მათგანი ცხენოსანია. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას,
რომ ეს ჯარი ჩასახლებულია გლეხობის კერძო ბინებში, მაშინ გლეხობასა და ჯარს შორის
დამოკიდებულება ნათელი გახდება... ისიც აღსანიშნავია, რომ არც სამხედრო უწყება და არც
სასურსათო კომიტეტი რაიონში მყოფ ჯარს და მათ ცხენებს საჭირო სურსათ-სანოვავებს არ აძ-
ლევს და მაშასადამე, ისინი არსებობენ ადგილობრივი გლეხკაცობის ხარჯზე. ამგვარად, გა-

ბოროტება ქართველ გლეხკაცობაში ძლიერდება და საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟი ეცემა“. ასეთი დასკვნის მიუხედავად, ჩვენ ვერ მივაკვლიეთ ისეთი სახის დოკუმენტს, რომელიც ქართული სოფლებიდან იმ ეტაპზე რუსი ჯარისკაცების გაყვანის ფაქტს დაადასტურებდა. ყოველმხრივ შევიწროებული და გაწამებული შიდა ქართლის ქართული მოსახლეობა იმედს არ კარგავდა, საქართველოს მთავრობისა და რევკომისადმი გაგზავნილ წერილებში წითელი არმიის ჯარის ნაწილების გაყვანას კატეგორიული ფორმით მოითხოვდა. „ამჟამად სოფელ კეხვში – ვკითხულობთ ერთ-ერთ დოკუმენტში, – დგას სამხედრო ძალა, რომელსაც ჰკვებავს ისედაც გამწარებული და დაბეჩავებული გლეხკაცობა. ამ სამხედრო ძალის შენახვა ჩვენ არ შეგვიძლია და გთხოვთ გაგვანთავისუფლოთ ამ ხარჯისაგან“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ხელისუფლების სამხილი მასალები გაზეთმა „სოციალისტ-ფედერალისტმა“ გამოაქვეყნა. მხედველობაში მაქვს იმავე გაზეთში მიმინოს ფსევდონიმით დაბეჭდილი სტატია „ცხინვალის რაიონი საფრთხეშია“. ქართული სოფლების გლეხის ოჯახებში ორ-ორი რუსის ჯარისკაცის ჩაყენების ფაქტი მასში ხაზგასმით არის მითითებული. „ყოველი ხარჯი ამ ჯარისკაცების გამოკვებისა – ვკითხულობთ წერილში – აწევს ოჯახის პატრონს, რომელსაც ჯარისკაცები ხშირად არ ერიდებიან და შერჩეულ საჭმელებს სთხოვენ. გარდა ამისა, ყველამ იცის თუ რა გაცხარებული მუშაობაა ეხლა სოფლად და ამ დროს ბევრი ოჯახის პატრონი მამაკაცი ოჯახს თავს ვერ ანებებს და სამუშაოს სცდება იმ მიზეზით, რომ მას არ შეუძლია მანდილოსნები სახლში დატოვოს უცხო სტუმრების ამარა“. ჩემს მიერ მოტანილი ფაქტებიდან კარგად ჩანს, რომ ქართულ სოფლებში ჩაყენებული წითელარმიელები, ქართული მოსახლეობის დასაცავად არ იყო გათვალისწინებული. მას ოსი მძარცველების წინააღმდეგ ქართველების მხრიდან იარაღით გალაშქრების ხელშემშლელი და ადგილობრივი ქართული მოსახლეობის ეკონომიკურად გადატაკების ფუნქცია უნდა შეესრულებინა. საარქივო მასალით დასტურდება, რომ შიდა ქართლის ქართული მოსახლეობის მიმართ გატარებულმა განუკითხაობისა და უსამართლობის პოლიტიკურმა კურსმა, ოსი მძარცველების შეგნებულად არშეჩერებამ და XI არმიის 200 ცხენოსანი ჯარისკაცის შენახვა-გამოკვების ქართული სოფლებისადმი იძულებით დაკისრებამ, ქართველი გლეხობის მეურნეობის ნგრევას და მის სრულ გაჩანაგებას შეუწყო ხელი. შიდა ქართლში „მშიერ-ტიტველი“ ოსების შემოსევამ და მისადმი საბჭოთა ხელისუფლების მფარველობამ, ერთდროს წელში გამართული ქართველი გლეხის ოჯახი მათხოვრის დონემდე დაიყვანა. ამის დადასტურებას ქართული სოფლების: სვერის, ქემერტის, მინდიანის, ყაფლანის, კასრანის, მონასტერის მცხოვრებთა მიერ საქართველოს მთავრობისადმი წარდგენილი განცხადება წარმოადგენს. „გთხოვთ – ვკითხულობთ დოკუმენტში – აღმოგვიჩინოთ დახმარება სანოვაგით, ავეჯით და ფართლით. განვიცდით აუტანელ მდგომარეობას, არ გვყავს საქონელი, არ გვაქვს ჩასაცმელი და საჭმელი“. ასეთ უძძიმეს პირობებში ჩავარდნილ ქართველ გლეხობას, ოსები მიწის დამუშავების და საშემოდგომო მოსავლის მისაღებად სათანადო პირობების მომზადების საშუალებას არ აძლევდა. ძალდატანების გზით ქართველების უფასო მოჯამაგირებად გამოყენებას ცდილობდა. ამასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ახალი გადასახადი შემოიღეს; ჩვენი ხარჯით, საქონლით, ხალხით და თესლით გვახნევიანებენ და გვათესინებენ ოსების მიწებს და ეს ხდება მაშინ, როცა ჩვენი საკუთარი საქმე ვერ გაგვიკეთებია. მოგახსენებთ რა ამას, გთხოვთ გვიპატრონოთ, მოგვცეთ ტყე-მინდორში თავისუფლად სიარულის საშუალება. ჩამოგვაცილეთ ზედმეტი უკანონო ხარჯები“. ასეთ გაუსაძლის ყოფაში მყოფი ქართველი გლეხობა ოსებს ხარ-ურმით ძალით უფასო ბეგარაზე მიყავდა ჯავაში და თავიანთ საქმეს აკეთებინებდა. ამ და ზემოაღნიშნულ სხვა უკანონო ქმედებებთან მიმართებაში, „სამხრეთ ოსეთის“ რევკომი (მისადმი დაქვემდებარებული ადგილობრივი რევკომებიც) და ქართულ სოფლებში ჩაყენებული რუსი ჯარისკაცები არანაირ რეაგირებას არ აკეთებდა. პირიქით, ისინი ოს მძარცველებს ქართული ოჯახების დარბევაში უწყობდნენ ხელს და ხშირად მათდამი მხარდაჭერას აშკარად ავლენდნენ. ამის ძირითად მიზეზს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შექმნილი კომისიის ერთ-ერთი ქვეკომისიის თავმჯდომარე იობიძე თავის მოხსენებაში შემდეგნაირად ხსნიდა: „რამდენადაც ოსები უფრო დარიბები არიან ვიდრე ადგილობრივი მცხოვრები ქართველები, ამიტომ, მთელი სიმპათია, როგორც სამხრეთ ოსეთის რევკომისა, ისე მთელი მომუშავე ამხანაგებისა და ჯარისა – ოსების მხარეზეა. აი სწორედ ამიტომ არის, რომ ქართველები სტოვებენ სოფლებს და გარბიან აქედან“.

„სამხრეთ ოსეთის“ რევკომისადმი დაქვემდებარებული უწყებებისა და რუსი ჯარისკაცების ხელშეწყობით, ოსების მხრიდან ქართული მოსახლეობის მიმართ მიზანმიმართულად შექმნილ აუტანელ ყოფას იგივე იობიძე შემდეგნაირად აღწერდა: „ქართველები – წერდა იგი – ძალიან დამონებული და დატანჯულნი არიან საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან საქართველოში... ოსები კი არიან ისეთი პირნი, რომელნიც ბოროტმოქმედებას სჩადიან და პასუხის-

გებაში მიუცემელი რჩებიან“. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს, რომ ჩადენილი დანაშაულისათვის ოსების დაუსჯელობა, არსებული ხელისუფლების მხრიდან არაოფიციალური ფორმით შეგნებულად ხორციელდებოდა. იგი ოსი სეპარატისტების მიერ ჩაფიქრებული საბოლოო მიზნის მიღწევის პირველი საფეხურის მომზადებას – შიდა ქართლის ქართული მოსახლეობის გალატაკებას და მათი ქონების ოსებისგან მიტაცების დაახქარებას ითვალისწინებდა. თუკი ეს ანტიქართული პოლიტიკური კურსი კავშირსა და გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლების ფარული ხელშეწყობით არ ხორციელდებოდა, მაშინ გაუგებარი რჩება, პასუხისგებაში რატომ არ აძლევდნენ „სამხრეთ ოსეთის“ თემის, რაიონის, ქალაქის და მაზრის რეგომების წევრებსა და ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკებს, რომლებიც ელემენტარული წესრიგის დაცვას შეგნებულად გაურბოდნენ? იმასთან დაკავშირებით, თუ რა უფლებები ქონდა მინიჭებული ზემოაღნიშნულ რეგომებს, ამის საილუსტრაციოდ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტის მიერ 1921 წლის 15 აპრილს მიღებული დეკრეტი № 23 გამოდგება. ამ დოკუმენტის მიხედვით: 1) თემის, რაიონის, ქალაქისა და მაზრის რეგომები თავიანთი მოქმედების საზღვრებში უმაღლესი ხელისუფლების ორგანოს წარმოადგენდა. მათი მხრიდან მიღებული დადგენილება და კანონი, მისაღმი ქვემდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებლებისათვის სავალდებულო იყო; 2) თითოეული რეგომის ძირითად მოვალეობას წარმოადგენდა: ყოველგვარი ზომები მიეღო წესრიგის დასაცავად, დანაშაულებრივი ქმედებების წინააღმდეგ საბრძოლველად და ადგილობრივი მცხოვრებლების სამეურნეო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; 3) პასუხისგებაში მიეცა ყველა ის მოქალაქე, რომელიც საბჭოთა მთავრობის განკარგულებებს დაარღვევდა და კანონის აღმსრულებლების მოთხოვნებს წინააღმდეგობას გაუწევდა; 4) მაზრის რეგომი, მისაღმი დაქვემდებარებული რაიონებისა და თემების რეგომების მუშაობის აგეარგიანობის პასუხისმგებელი იყო; 5) მაზრისა და ქალაქის რეგომები კანონის წინაშე მთელი სიმკაცრით აგებდნენ პასუხს ურჩობის, საბჭოთა კანონების ცხოვრებაში გაუტარებლობის, უმოქმედობის, ბორცტმოქმედების, სამსახურებრივი უფლებების გადაშეცემისა და მცხოვრებლებისადმი უხეშად მოპყრობისათვის¹.

ზემოთ მოტანილი მასალებიდან კარგად ჩანს, რომ დეკრეტით გათვალისწინებული ჩამოთვლილი მოთხოვნები „სამხრეთ ოსეთის“ სათემო, სარაიონო და სამაზრო რეგომების მხრიდან ქართულ მოსახლეობასთან მიმართებაში მაქსიმალურად ირღვეოდა. მიუხედავად ამისა, ისინი არავის დაუსჯია. ამ პოზიციიდან თუკი განვიხილავთ აღნიშნულ დოკუმენტს, იგი შიდა ქართლის ქართული მოსახლეობისთვის უბრალო ფარატინა ქაღალდს წარმოადგენდა და არა მოქმედ საკანონმდებლო აქტს. რაგინდ უცნაურადაც არ უნდა მოჩანდეს, იმ პერიოდის შიდა ქართლის ქართული მოსახლეობის გოდება და ხევწნა-მუდარა, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მიერ (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, საქართველოს რეგომი) შეუსმენელი დარჩა. ამ საკითხთან მიმართებაში მისი დამოკიდებულება 1921 წლის ბოლოსაც არ შეცვლილა. იგი მხოლოდ, ოსების მიერ ქართული მოსახლეობის გაუბედურების დამადასტურებელი მასალის ისევე შეგროვებით და მასზე დაყრდნობით შესაბამისი მოხსენების დაწერით იფარგლებოდა. საარქივო მასალებით არ დასტურდება, რომ ქართველთა დამცავი მექანიზმის შესამუშავებლად და ოპერატიულად გასატარებლად, შესაბამის უწყებებს ქართველთა უსაფრთხოებას თუნდაც ელემენტარული ფორმით უზრუნველსაყოფად რაიმე სახის დადგენილება მიეღო. ერთი შეხედვით, ეს იმდენად არის გასაკვირი, რამდენადაც იმ ეტაპზე საქართველოს ხელისუფლებას „ნაციონალ-უკლონისტებად“ წოდებული ადამიანები ედგა სათავეში. თუკი ამ საკითხთან დაკავშირებით უახლესი პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში გატარებულ თვალსაზრისს და შესაბამის საარქივო მასალებს გავეცნობით, საქართველოს ხელისუფლების უმოქმედობის მიზეზიც გასაგები გახდება. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას ფ.მახარაძის მიერ ვ. ლენინისადმი 1921 წლის 6 დეკემბერს გაგზავნილი წერილი „საქართველოში მუშაობის შესახებ“ იქცევს. ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, მასში გარკვევითაა მითითებული, რომ საქართველოს გასაბჭოებისთანავე, ქვეყნის მართვის პრეტენზიას იმ ეტაპზე რამდენიმე ორგანო აცხადებდა; „ერთის მხრივ, საქართველოს ცენტრალური კომიტეტი და რეგომი, რომლებიც მხოლოდ ნომინალურად წარმოადგენენ უმაღლეს ორგანოებს ქვეყანაში, მეორე მხრივ, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავშირით, სრულიად რუსეთის პროფკავშირების ცენტრალური საბჭო და მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭო, რომლებიც ფაქტობრივად არიან ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები. ეს უკანასკნელი უმეტეს შემთხვევაში სრულიად უაპელაციოდ, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის და რეგომის დაუკითხავად წვევტენ ყველა პოლიტიკურ საკითხს, რომლებიც უშუალოდ საქართველოს შეეხება“².

¹ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რეგომის დეკრეტი №23, *მოამბე*, №2 (თბილისი, 1921), გვ. 1-5.

² ფ. მახარაძე, საქართველოში მუშაობის შესახებ, *საქართველოს კომუნისტი*, №2 (თბილისი, 1990), გვ. 88.

ფ. მახარაძის მიერ გლენინთან დასმენის ამ დოკუმენტს თუკი დავეყრდნობით, გასაგები გახდება, რომ საქართველოში იმ ეტაპზე მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ქართველთა მოძულე საჭურისი ს. ორჯონიკიძე და მისი თანამებრძოლი რუსი სამხედრო მაღალჩინოსნები მართავდნენ. სწორედ მათი მხრიდან ხდებოდა ოსი სეპარატისტი დამნაშავეების ლობირება. შიდა ქართლში შექმნილი ურთულესი პრობლემისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულების და დამნაშავეთა დაუსჯელობის პოლიტიკური ფონი, ოს სეპარატისტებს დასახული პროგრამის განხორციელების მეორე საფეხურის – მამაპაპეული საცხოვრისიდან ქართველთა გამოდევნის დაწყების შესაძლებლობას აძლევდა.

ჩემს მიერ მიკვლეული საარქივო მასალების მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, ს. ორჯონიკიძის მიერ შიდა ქართლში „მოპატიუბლმა“ ოსებმა, ზემოაღნიშნული მძარცველური საქმიანობის პარალელურად, ქართველთა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მოქმედების ვანდალური მეთოდები აირჩიეს. მხედველობაში მაქვს წითელარმიელთა ფარაჯაში გამოწყობილი ოსების მიერ სოფელ ბარწემსა და ქემერტში ქართველების 80 სახლის დაწვა, 32 სოფლის მცხოვრებთა უმეტესობის დახვრეტა, ზოგი მათგანის ცეცხლში დაწვა, ზოგისაც ცემაში მოკვლა. არასრულწლოვანი ბავშვებიდან დაწყებული, დიდების ჩათვლით, ქალების გაუპატიურება. კიდევ უფრო ამაზრზენი ფაქტებია მოტანილი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ საქართველოს რევკომისადმი 1921 წელს წარდგენილ მოხსენებაში. ამ დოკუმენტის მიხედვით, ჯავის ხეობიდან წამოსულ ქართულ ოჯახებს „გაბოროტებული ოსების ბრბო გზაში დაეწია, ყველას ალყა შემოარტყა... და სიკვდილის განაჩენი გამოუცხადა. მაგრამ, თათბირის შემდეგ, დატოვებულთა შორის 41 მამაკაცი გამოარჩიეს, საბძელში შერეკეს, ყველა დახოცეს, შემდეგ საბძელს ცეცხლი წაუკიდეს და დახოცილები შიგ გამოწვეს. დანარჩენი ტყვეები სრულიად გააშიშვლეს, განურჩევლად წლოვანებისა, ქალები რვა წლიდან დაწყებული ყველა გააუპატიურეს, ნაძარცვით და ნადავლით შინ დაბრუნდნენ“. ასეთი დანაშაულის ჩადენისათვის, ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლება ოსების ქმედებებს უმკაცრესი სადამსჯელო ღონისძიების გატარებით უპასუხებდა. XI არმიის ჯარისკაცებს, ქართველი გლეხების ოჯახების ნაცვლად ოსების საცხოვრებელ სახლებში ჩააყენებდა და ქართულ სოფლებზე ოსების გამუდმებულ თავდასხმებს სამუდამოდ აღკვეთდა. ურჩებს და გამოუსწორებლებს ისევ ჩრდილოეთისკენ გაისტუმრებდა. ასეთი სახის გადაწყვეტილების მიღებას მხოლოდ ქართველთა გასაჭირის შესმენა და შიდა ქართლში მიმდინარე პროცესების ობიექტური შეფასება სჭირდებოდა. სამწუხაროდ, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს ხელმძღვანელობას – პირადად ს. ორჯონიკიძეს, შიდა ქართლის ქართველთა ბედი დიდად არ აწუხებდა. პირიქით, წითელფარაჯაში გამოწყობილ ზემოაღნიშნულ ოსურ შეიარაღებულ რაზმებს, პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად, ქართველებზე შურისძიების მაქსიმალურ შესაძლებლობას აძლევდა. მხედველობაში მაქვს: ა) 1924 წლის აგვისტოს ქართველთა ცნობილი აჯანყების დამარცხების შემდეგ, იმავე ოსური შეიარაღებული რაზმების მიერ ხევსურეთის რამდენიმე სოფლის დარბევა, ოსებისათვის დამახასიათებელი ფორმით გაძარცვა და საცხოვრებელი სახლების გადაწვა; ბ) ამ ბარბაროსულ ფაქტთან მიმართებაში წინააღმდეგობის გაწევის გამო, ხევსურთა თავკაცის – 80 წლის ხევისბერის გაგა გოგოჭურის ცეცხლზე ცოცხლად დაწვა¹. აღნიშნული არაადამიანური ქმედების „გამართლების“ ძირითად მოტივად, იმავე ოსური რაზმების ხელმძღვანელობამ, ხევსურეთის სოფლების მოსახლეობის მხრიდან 1924 წლის აჯანყებულებისადმი თანადგომა და ქაქუცა ჩოლოყაშვილისადმი მფარველობა დაასახელა. ხევსურთა სოფლებისა და მისი მოსახლეობის განადგურებასთან დაკავშირებით, ოსების მიერ ჩადენილ ზემოთ დასახელებულ დანაშაულებრივ ფაქტთან მიმართებაში, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა და კავბიუროს ხელმძღვანელობამ – პირადად ს. ორჯონიკიძემ, მომხდარი დანაშაულის მიფუჩქების მიზნით დუმილის გზა აირჩია. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ასეთი ქმედებით, საბჭოთა რუსეთის ხელისუფალთა წინაშე იგი თავის მისიას პირნათლად ასრულებდა. ამიტომ იყო, ჩრდილოეთიდან გადმოსხვეწილი და ქართველთა ქონებაზე დახარბებული შეიარაღებული ოსი ბარბაროსების შიდა ქართლში მისი ძალისხმევით შემოსევის, ოსიანობის განახლებისათვის სათავის დადებას – „ნაციონალური მშვიდობის“ წამოსასხამში რომ ფუთავდა. „ის ნაციონალური მშვიდობა – ამბობდა ს. ორჯონიკიძე – რომლითაც მენშევიკური ხელისუფლების დაცემის მომენტიდან სარგებლობენ საქართველოს მშრომელი მასები, საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია იმ ყველაზე რთული და დახლართული პრობლემის სწორი გადაწყვეტისა, რომელსაც ნაციონალური საკითხი ეწოდება“². თუ რა დონის „ნაციონალური მშვიდობა“ მიიღო საქართველოს საბჭოებით შიდა ქართლის ქართულმა მოსახლეობამ და ამ ფონზე, რამდენად დიდ სიყალბეს

¹ დ. გოგოჭური, ღია წერილი კოლევებს..., ლიტერატურული საქართველო, 15 დეკემბერი, №15 (თბილისი, 1989), გვ. 14.
² გ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. 1 (თბილისი, 1957), გვ. 280.

შეიცავდა ს.ორჯონიკიძის მიერ საქართველოს კომპარტიის პირველ ყრილობაზე (1922 წ. იანვარი) გაკეთებული ეს განცხადება, ამის დადასტურებას, ზემოთ მოტანილი ფაქტები წარმოადგენს. ერთი რამ ცხადია, ამ შემთხვევაში იგი საზოგადოებისათვის სინამდვილის დამალვას და საბჭოთა ხელისუფლების გაფეტიშებას ცდილობდა.

იმ საბჭოურ ექსპერიმენტს, რომელიც შიდა ქართლის ქართველებთან მიმართებაში ტარდებოდა, არცერთი თავმოყვარე ერი არ მოითმენდა. სამწუხაროდ, ზემოაღნიშნულ შემხარავ ფაქტებზე ქართული ინტელიგენცია რატომღაც დუმდა. თითქოს შიდა ქართლის ქართველთა უბედურება, სრულიად საქართველოს ტრაგედიას არ წარმოადგენდა. შიდა ქართლში ქართული მოსახლეობის უმძიმესი ყოფისა და ოსი სეპარატისტების ველური ნამოქმედარის ფართო სამსჯავროზე გამოტანა, მხოლოდ გაზეთმა „სოციალისტ-ფედერალისტმა“ შეძლო. მხედველობაში მაქვს მიმინოს ფსევდონიმით დაბეჭდილი სტატია „ცხინვალის რაიონი საფრთხეშია“. თუ რა აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდა ქართული მოსახლეობა და რა დანაშაული ქონდა ჩადენილი ოსებს, ამის შესახებ სტატიის ავტორი მომხდარი ფაქტებისადმი საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მიზნით ხაზგასმით წერდა: „რამდენიმე ქართული სოფელი გადამწვარია ოსებიგან, ასამდე კაცი საბძელშია გამოძვარი და მოკლული, მათი ქონება მთლიანად გატაცებულია, ხოლო სახლები დანგრეული“. აქედან გამომდინარე, სტატიის ავტორი საზოგადოებისა და ხელისუფლების საყურადღებოდ აცხადებდა: „დღეს ქართული მოსახლეობა კენესის და გმინავს. ის ჯოჯოხეთი, რომელიც გამეფებულია... ამ სოფლებში კარგის მომასწავებელი არ არის და თუ მას დროზე წამალი არ დაედო, ჩვენ დარწმუნებული ვართ, მეტად მძიმე შედეგს მივიღებთ. შეიძლება ჩვენში დღეს კიდევ მოპოვებიან ისეთი გულუბრყვილო პირები, რომელნიც გამოდგებიან და ეხლანდელი ოს-ქართველთა მდგომარეობა იდეალურად დასახონ, ანდა შეიძლება წინასწარვე ჰქონდეთ განზრახული სურვილი, რომ ოს-ქართველთა ეხლანდელი გამწვავებული მდგომარეობა კატასტროფით გათავდეს“. ამ შემთხვევაში, ოსების მიერ შიდა ქართლში ქართულ მოსახლეობასთან მიმართებაში ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები, რომლის დამალვასა და არგამჟღავნებას საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა, სააშკარაოზე იქნა გამოტანილი. აღნიშნული სტატიის ღირსება იმაშია, რომ მან გასაბჭოებული საქართველოს მმართველი პარტიის ლიდერთა უმოქმედობის მხილების პარალელურად, „სამხრეთ ოსეთის“ რეგკომის სახეც აჩვენა. „ამ დროს – ვკითხულობთ იმავე სტატიაში – სამხრეთ ოსეთის რეგკომის წარმომადგენლები მუსიკით დასეირნობენ ქართულ სოფლებში და შაბლონური შინაარსის მიტინგებს აწყობენ, სადაც ხალხი ვითომდა აღტაცებას და კმაყოფილებას გამოთქვამს ეხლანდელი თავის მდგომარეობით“. თუკი ჩემს მიერ ზემოთ მოტანილი მასალების მიხედვით ვიმსჯელებთ, ოს სეპარატისტებსა და მის რეგკომს, მართლაცდა საზემოდ ჰქონდათ საქმე. ისტორიის ბედუკუღმართობიდან გამომდინარე, ისინი შიდა ქართლის ქართველებზე გამარჯვებულები იყვნენ. დამარცხებული და ღირსებაშეგახული ქართველობა, მომხდურისადმი იარაღით დაპირისპირების ნაცვლად, „არზების“ წერით იყო დაკავებული და საქართველოს ძალოვანი სტრუქტურებისგან შეგლას ითხოვდა. დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით, პრობლემის შესწავლის მიზნით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ცხინვალის რაიონში მხოლოდ საგანგებო უფლებებით აღჭურვილი სამეული გაგზავნა.

ოსებისგან შევიწროებული, გაძარცვული და აოხრებული შიდა ქართლის ქართული სოფლის მოსახლეობა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და ქვეყნის მთავრობისადმი გაგზავნილ წერილებში ხაზგასმით მიუთითებდნენ: „გვიპატრონეთ ქართველებს!“ „უზრუნველყავით ჩვენი სიცოცხლე!“ ქართველთა ამ სამართლიან მოთხოვნასა და გოდებას, საქართველოს ხელისუფლება და რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურო, რომლის ხელშიაც უზენაესი ძალაუფლება იყო თავმოყრილი, დუმდითა და სრული უმოქმედობით შეხვდა. ასეთი განცხადების გაკეთების შესაძლებლობას ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები იძლევა. უნდა განვახადო, რომ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ისეთი საარქივო დოკუმენტის მიკვლევა, რომელიც ოსებისაგან განაწამები შიდა ქართლის ქართული მოსახლეობის მხარდასაჭერად და ოსი დანაშაულების სანიმუშოთ დასასჯელად იქნებოდა მიღებული. ამ მიმართულებით იმ ეტაპზე რომელიმე უწყება თუკი რაიმეს აკეთებდა, შედარებით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი იყო. სამწუხაროდ, მისი უფლებები კომისიების შექმნით, შესაბამისი მოხსენებების, რეკომენდაციებისა და დასკვნების გაკეთებით იფარგლებოდა. ამის ერთ-ერთ დადასტურებას საქართველოს რეგკომისადმი 1921 წელს გადაგზავნილი მოხსენება წარმოადგენს. მასში ხაზგასმით იყო მითითებული, რომ „საბჭოთა ხელისუფლების საქართველოში დამყარების დღიდან – დღემდის, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში თითქმის ყოველდღე შემოდის საჩივარი ქართველებისგან, მაგრამ არცერთი საჩივარი ოსებისაგან ქართველებზე. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ოსები თვითონ ასამართლებენ ქართველებს და ამ გასამართლებით კმაყოფილნი არიან“. ეს

ფაქტი ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს, თუ რა ღონის თვითნებობა და განუკითხაობა იყო დამკვიდრებული ცხინვალის რაიონში. ქართველებთან მიმართებაში ოსების მიერ ჩადენილი დანაშაულებების საფუძველიანი ანალიზიდან გამომდინარე, ამ დოკუმენტის დასკვნითი ნაწილი, შიდა ქართლში არსებული ურთულესი სიტუაციის განმუხტვის და ქართული მოსახლეობის უსაფრთხოების დამცავი მექანიზმის შექმნის რეკომენდაციებს შეიცავდა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, საქართველოს რევკომისაგან შემდეგი ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა: „1) დაუყოვნებლივ იქნას გადაყენებული ცხინვალის რაიონის რევკომი და მის ნაცვლად ხალხმა საერთო ყრილობაზე პატიოსანი და უანგარო მუშაკთაგან ისეთი რევკომი აირჩიოს, რომელსაც ის ენდობა. ცხინვალის რაიონის განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, ამ რევკომის თავმჯდომარედ დაინიშნოს ლოიალური ტაქტიკის მქონე პარტიული კომუნისტი, გამოცდილი და პატიოსანი ადამიანი. ცხინვალის რევკომის გადაყენების და მის ნაცვლად შესაფერი პირების დაყენების საჭიროება, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს აცნობა, მაგრამ უკანასკნელს დღემდის არავითარი განკარგულება არ მოუხდენია; 2) ცხინვალის რაიონიდან დაუყოვნებლივ უნდა იქნას გაყვანილი წითელი არმიის ნაწილები და მათ მაგიერ გაიგზავნოს ქართული ჯარის ერთი როტა, რომლის სათავეში უნდა დაინიშნოს პატიოსანი და მიუდგომელი კომუნისტი. ამ ჯარის არსებობა, ცხინვალის რაიონში ბოროტმემქმედი ოსების მადას ძირშივე აღკვეთს და ქართლის სოფლებს დაამშვიდებს; 3) ოსეთის რევკომი დაუყოვნებლივ უნდა იქნას გადაყვანილი სოფ. ჯავაში, სადაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ მიღებული უტყუარი ფაქტებით არცერთი სახლი არ არის დამწვარი ან განადგურებული. ბინები კი რევკომის მოსათავსებლად სრულად საკმარისია. საქართველოს რევკომს მოვახსენებ რა ამას, ვშუამდგომლობ, რათა ზემოაღნიშნული ზომები დაუყოვნებლივ და სასწრაფოდ იქნას ცხონებაში გატარებული“.

თუკი ამ რეკომენდაციებს საფუძველიანად გავანალიზებთ, დავრწმუნდებით, რომ მისი დროულად გატარება, შიდა ქართლში შექმნილ ურთულეს სიტუაციას რადიკალურად შეცვლიდა. ოს სეპარატისტ მმარცველებს „სამხრეთ ოსეთის“ რევკომისა და XI არმიის ჯარისკაცთა სახით მფარველი აღარ ეყოლებოდა. რეგიონის კონტროლი ქართულ სამხედრო შენაერთებსა და ქართული მოსახლეობის მიერ არჩეულ რევკომებს დაექვემდებარებოდა. ამის აუცილებლობა იმითაც იყო განპირობებული, რომ ცხინვალის რევკომი, რომელიც „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა და რატომღაც ქართულ რევკომად იწოდებოდა, მისი ეროვნული შემადგენლობა (7 კაციდან – ერთი ქართველი და ერთი ოსი) ძირითადად სომხური იყო. ბუნებრივია, ქართველთა გასაჭირი მას დიდად არ ადარდებდა და მთელ საქმიანობას ოსების სასარგებლოდ წარმართავდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით, პრაგმატიზმზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებას არა მარტო ქართული მოსახლეობა, არამედ სახელმწიფოებრივი ინტერესებიც მოითხოვდა. მითუმეტეს, ზემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციების მესამე პუნქტის – „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის ჯავაში გადატანის შესრულება, ცხინვალის რაიონის ქართული სოფლის მოსახლეობას ოსური რევკომის მბრძანებლური მმართველობისაგან გაანთავისუფლებდა. ამის შესაძლებლობის საფუძველს, საქართველოს რევკომის 1921 წლის 11 ივლისის დადგენილების მეხუთე მუხლი იძლეოდა. „წინადადება მიეცეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს – ვკითხულობთ დოკუმენტში – დაუყოვნებლივ შეუდგეს სამხრეთ ოსეთის რევკომის საჭიროებისათვის შენობის მოწყობას ჯავაში“. დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ კავშირში და საქართველოს რევკომის ხელმძღვანელობამ, შიდა ქართლის ქართული მოსახლეობისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან და ქართველთა დემოგრაფიული ბალანსის უპირატესობის შენარჩუნების დამცავი მექანიზმის პრაქტიკულ ამოქმედებას თავი აარიდა, რის გამოც, აღნიშნულ დოკუმენტებში დასმული საკითხები ყოველგვარი განხილვის გარეშე დატოვა. ქართველთა ინტერესების ასეთმა იგნორირებამ და ოსი დამნაშავეების დაუსჯელობის ტენდენციის დამკვიდრებამ, ოს სეპარატისტთა კიდევ უფრო გააქტიურება განაპირობა.

რამდენადაც 1918, 1919, 1920 წლებში ოსებმა გორის მაზრის ცხინვალის რაიონიდან ქართველთა ეთნოწმენდის დასახული პროგრამის განხორციელება ვერ შეძლო, მის აღსრულებას 1921 წლის მარტიდან შეუდგა. ამ მიმართულებით დაწყებული საქმის წარმატებით დასრულების მყარ გარანტიას, მათ სასარგებლოდ საქართველოში შექმნილი ხელსაყრელი პოლიტიკური სიტუაცია იძლეოდა. დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ დემოგრაფიული ბალანსის ოსების სასარგებლოდ ხელფონურად შექმნას, ოსი სეპარატისტები დაჩქარებული ტემპით ცდილობდა. ამ „პროგრამის“ უმთავრესი ნაწილი, როგორც აღნიშნული მქონდა, შიდა ქართლის მთიანი ზოლის ქართული მოსახლეობისაგან „გაწმენდას“ ისახავდა მიზნად. საარქივო მასალების მიხედვით, 1921 წლის მარტიდან 25 აპრილამდე, შიდა ქართლის 13 ქართული სოფელი – სვერი, ქემერტი, მინდიანი, ყაფლანი, კასრანი, მონასტერი, აწრისხევი, საცხენეთი, ბელთი, ქვემო

და ზემო ნიქოზა, ქვემო და ზემო ხვითი ქართული მოსახლეობის მიერ მიტოვებული იქნა და ერთ დროს შიდა ქართლის მკვიდრი ქართველობა, საქართველოში დევნილებად იქცა. ოსი სეპარატისტების მხრიდან ქართველთა ოჯახების ამოწყვეტის რეალური ალბათობიდან გამომდინარე, დევნილი ქართველები თავიანთ სახლებში ვეღარ ბრუნდებოდა. ამ ფაქტით, ოსები სარგებლობდნენ, ქართველთა მიტოვებულ სახლებს მასიურად არღვევდნენ და ჯავის რაიონისკენ მიქონდათ. ერთ დროს შიდა ქართლის მთიანი ზოლის აღორძინებული და ქართული მოსახლეობით დატვირთული სოფლები, ოსმა სეპარატისტებმა ნამოსახლარებად აქცია. ამ დანაშაულებრივ ქმედებას გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლება მაღავედა და სამთავრობო დონეზე არანაირ ქმედით რეაგირებას არ ახდენდა. ფაქტიურად, შიდა ქართლის ქართული მოსახლეობა კავბიუროსა და საქართველოს მთავრობის შემაწახებულ დანაშაუტ ტვირთად გადაიქცა. ის, ვინც შიდა ქართლის ქართულ სოფლებში დარჩა და მამაპაპეული კარმიდამოსადმი ერთგულებით პირადი სიცოცხლე სასწორზე დადო, ოსების შეიარაღებულ ყაჩაღთა რაზმების გამუდმებული თავდასხმების ობიექტად იქცა. „ოსის ყაჩაღები – ვკითხულობთ ერთ-ერთ დოკუმენტში, – ფართოდ დათარეშობენ სოფელში, დღე არ გავა, რომ ისინი ქართულ სოფლებს არ დაეცნენ, არის კაცის კვლა“.

ჩემს მიერ ზემოთ მოტანილ ამაზრხენ ფაქტებს თუ რა ახსნას უძებნიდა „სამხრეთ ოსეთის“ რეგომი, ამის საილუსტრაციოდ იმავე „სამხრეთ ოსეთის“ რეგომის მიერ საქართველოს რეგომისადმი 1921 წლის 5 ივლისს გაგზავნილი მოხსენება გამოდგება. მას „სამხრეთ ოსეთის“ რეგომის თავმჯდომარის მოადგილე ნიკოლაი გადიევი აწერდა ხელს. ამ დოკუმენტის მიხედვით: 1) ცხინვალის რაიონის სოფლებში თითქოს შეიარაღებული ოსები არ მოქმედებდნენ; 2) ცხინვალისა და „სამხრეთ ოსეთის“ რეგომებს ასეთი შეიარაღებული ჯგუფების შესახებ არავითარი ინფორმაცია არ გააჩნდა; 3) იგი მენშევიკებისა და სხვა კონტრრევოლუციონერების მიერ შედგენილი ჯგუფებისგან ხელოვნურად მოწყობილი პროვოკაცია იყო¹. „სამხრეთ ოსეთის“ რეგომის თავმჯდომარის მოადგილის ეს არგუმენტები, თავის მართლების უსუსურ ფორმას წარმოადგენდა და ოსებისაგან ჩადენილი დანაშაულის „მენშევიკებისადმი“ გადაბრალების მცდელობას შეიცავდა. ნ.გადიევის მტკიცებით ისე გამოდის, თითქოს ქართველთა ქონების დატაცებას, ქართულ სოფლებში მიტოვებული სახლების დაშლას და დატვირთული ურმებით ჯავაში წაღებას, ქართველების დახვრეტას და ცეცხლში დაწვას, ქართველი მანდილოსნების გაუპატიურებას, შიდა ქართლის ქართული სოფლებიდან ქართველთა მასობრივად გამოდევნას და ა. შ. თურმე მენშევიკები ეწეოდნენ. „სამხრეთ ოსეთის“ რეგომი, მისი ხელქვეითი ორგანიზაციები, ოსური მილიცია და თვით ოსი სეპარატისტები არაფერ შუაში ყოფილან. ამ ტყუილზე, მაშინდელი საქართველოს რეგომის ხელმძღვანელობას არანაირი რეაგირება არ გაუკეთებია. ასეთი განცხადების გაკეთების შესაძლებლობას საქართველოს რეგომის პრეზიდენტის 1921 წლის 11 ივლისის სხდომის დადგენილება იძლევა. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ნ.გადიევის მოხსენებაში დასმული საკითხების გარშემო, საქართველოს რეგომის პრეზიდენტს საგანგებოდ უმსჯელია და შესაბამისი დადგენილებაც მიუღია. მაგრამ, იმავე მოხსენებაში მოტანილი ზემოაღნიშნული ტყუილის მხილების თვალსაზრისით, 6 პუნქტიან დადგენილებაში არაფერია ნათქვამი. არც „სამხრეთ ოსეთის“ რეგომისადმი ელემენტარული ფორმით გამაფრთხილებელი მინიშნებაც არ არის დაფიქსირებული. არადა, ოსი სეპარატისტების ძალისხმევით, შიდა ქართლში ქართველთა გაუსაძლისი ყოფიდან გამომდინარე, ამის საჭიროება აუცილებელი იყო. მითუმეტეს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული კომისიის მიერ უმძიმეს ფაქტებზე დაყრდნობით გაკეთებული მოხსენებები, საქართველოს რეგომს ხელთ ჰქონდა, სადაც „სამხრეთ ოსეთის“ რეგომისა და ოსური მილიციის დანაშაულებრივი ქმედებები აშკარად იყო გამოკვეთილი.

დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ ქართველთა მხრიდან გამუდმებული საჩივრების შეჩერებისა და ოსების ნამოქმედარის არგანზაურების მიზნით, „სამხრეთ ოსეთის“ რეგომი და მისადმი დაქვემდებარებული უწყებები შეუზღუდავი უფლებებით მოქმედებდნენ. ამ ფაქტთან მიმართებაში, საქართველოს მთავრობა და რესპუბლიკის რეგომი ქმედით რეაგირებას შეგნებულად არ აკეთებდა. „სამხრეთ ოსეთის“ რეგომი ამით სარგებლობდა, „მაგნე ელემენტების“ მოტივაციით იმ გამორჩეულ ქართველებს აპატიმრებდა და ასამართლებდა, რომლებიც ოსი სეპარატისტების სამხილი საჩივრების შედგენას, მთავრობასთან გასაგზავნი დელეგაციებისა და შიდა ქართლში ქართველთა ინტერესების დაცვას ედგა სათავეში. ასეთი კურსის გატარებით, „სამხრეთ ოსეთის“ რეგომს ქართველთა დაბეჩავება და ყოველგვარი სახის უსამართლობისადმი შეგუების ტენდენციის დამკვიდრება ჰქონდა მიზნად დასახული. საქართველოს ხელისუფლების წაყრუების პოლიტიკური კურსიდან გამომდინარე, „სამხრეთ ოსეთის“ რეგომმა ამ მიმართულებით დასახულ მიზანს გარკვეულწილად მიაღწია. ამას ქართველთა წერილებში მოტა-

¹ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 281, აღწ. 1, საქმე 50, ფურც.71^ბ

ნილი ფაქტებიც ადასტურებს. ამის შესახებ ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: „საქონლის მძიმეარ ქართველებს რევკომის კანცელარიაში სცემეს, მაგრამ ამის შესახებ სულაც არ განუცხადებიათ“. ან კიდევ; „ჩვენ ბევრი რამ გვაქვს სათქმელი, მაგრამ გვეშინიან“. ეს შიში შემთხვევით არ იყო განპირობებული. მის ძირითად საფუძველს რესპუბლიკის ხელისუფლებისაგან ქართული მოსახლეობის მიმართ კონკრეტული დახმარების გაუწევლობა და „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის განსაკუთრებული თვითნებობა განაპირობებდა. შიდა ქართლში შექმნილ ამ განუკითხაობასთან დაკავშირებით, გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტში“ დაბეჭდილ წერილში „ცხინვალის რაიონის ქართველობა მოითხოვს მთავრობის ყურადღებას“ გარკვევით იყო მითითებული: „ყოველივე ამას უნდა მიექცეს სათანადო და სერიოზული ყურადღება, ხალხი იტანჯება, მას დღეს თუ არა, ხვალ აევსება მოთმინების ფიალა და არასასურველი შედეგების მომსწრე გაგხდებით, თუ სათანადო ზომები არ იქნა მიღებული ვისგანაც ჯერ არს. უბედურების ცეცხლი ანთია, მას ჩაქრობა ესაჭიროება, თორემ შემდეგ გვიან იქნება“. შესაბამისი ფაქტების ანალიზის საფუძველზე გაკეთებულ ამ გაფრთხილებას, საქართველოს ხელისუფლება და მისი საინფორმაციო საშუალებები სასხვათაშორისო პოზიციიდან მოეკიდა, შიდა ქართლში შექმნილი ურთულესი სიტუაციის მიფუჩეჩებას შეეცადა. ამის დადასტურებას გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული სტატია „ჩვენი ნაციონალური პოლიტიკა“ წარმოადგენს. მისი ავტორი, სინამდვილის გაყალბებით, მკითხველ საზოგადოებას „არწმუნებდა“, თითქოს საქართველოში, განსაკუთრებით შიდა ქართლში ეროვნული თვალსაზრისით სრული სიმშვიდე იყო დამყარებული. „გერავინ უარყოფს – ვკითხულობთ წერილში – რომ დღეს საქართველო წარმოადგენს მშვიდობიანობით მოცულ მხარეს. თუ აქ დაწყნარებულია ეროვნული შუღლი და სხვა, ეს შედეგია საბჭოთა ხელისუფლების, კომუნისტური პარტიისა“. სამთავრობო გაზეთმა, შიდა ქართლში ოსი სეპარატისტების მხრიდან ქართველთა დაწიოკებისა და ეთნოწმენდის დაწყების ფაქტებს შეგნებულად გვერდი აუარა და მკითხველი საზოგადოების წინაშე საბჭოური ეროვნული პოლიტიკა ვარდისფრად წარმოადგინა. ამ ფაქტთან მიმართებაში საღად მოაზროვნე ქართული პოლიტიკური აზრის წარმომადგენლებმა დუმილი დანაშაულად ჩათვალეს და აღნიშნული სიყალბისადმი პასუხის გაცემა პირველხარისხოვან ამოცანად მიიჩნიეს. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას გაზეთ „ტრიბუნაში“ პრესის მიმოხილვაში დაბეჭდილი პუბლიკაცია იქცევს. მასში კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით ობიექტური პოზიციიდანაა დანახული საქართველოში ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სფეროში შექმნილი დაძაბული მდგომარეობა. ამ ფონზე, წერილის ავტორი გაზეთ „კომუნისტის“ წინაშე სასავესებით კანონზომიერად სვამდა კითხვას: „სად ხედავს გაზეთი „კომუნისტი“ ეროვნული შუღლის დაწყნარებას და სოლიდარობას? თანამშრომლობის დაწყებას? როდესაც სინამდვილეში საწინააღმდეგოს ვხედავთ? ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ გაიზარდა საქართველოში ეროვნული შუღლი და მტრობა... ყოველივე ამის დასანახად საჭიროა გაზეთი განიკურნოს პარტიული დაღტონიზმისგან, რომ მის თვალში მოვლენები აღიბეჭდოს ისე, როგორც სინამდვილეშია და არა გადასხვაფერებული. იცის თუ არა გაზეთმა, რა საშინელი უბედურება დაატეხა თავს ცხინვალის რაიონის ქართველებს ბოლშევიკების გაბატონებამ საქართველოში? იცის თუ არა „კომუნისტმა“ რამდენი ქართული სოფელი გაანადგურეს ოსებმა ამ კუთხეში? იცის თუ არა... დღეს ეს კუთხე ორად გაყოფილ მტრულ ბანაკს წარმოადგენს. განა ამის დამალვა პოლიტიკაა და საქმეს უშველის?“¹. შეკითხვის ფორმით საკითხის ასე მწვავედ დაყენების მიუხედავად, გაზეთ „კომუნისტის“ რედკოლეგია პასუხს თავს არიდებდა და ეროვნული საკითხის ჭრილში, ზოგადფრაზეოლოგიური ფორმით საქართველოს ხელისუფლების ანტიქართული პოლიტიკური კურსის, „გამართლებას“ ცდილობდა. ამის ერთ-ერთ დადასტურებას იმავე გაზეთში გამოქვეყნებული სარედაქციო წერილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომია“ წარმოადგენს. აღნიშნული პუბლიკაცია გაზეთში დაბეჭდილი ლექსის ფორმით იმეორებდა: „საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში სრული ეროვნული მშვიდობის ჩამოგდება მოყვა“. ხოლო ოსებისადმი საქართველოს მთავრობის მხრიდან გაწეული ნივთიერი დახმარება, ქართველებსა და ოსებს შორის უნდობლობის აღმოიფხვრისა და ერთმანეთთან დაახლოების განახლების საფუძველად მიაჩნდა. „ამ მომენტიდან – წერს გაზეთი, – იწყება ხალხთა შორის არსებული უნდობლობის და სიძულვილის თანდათან დაძლევა, მათი ერთმანეთთან დაახლოება“².

საქართველოში შექმნილი რეალობის მრუდე სარკეში წარმოჩენამ, შიდა ქართლის ქართული მოსახლეობის მოთხოვნებთან მიმართებაში ხელისუფლების წაყრუების პოლიტიკურმა კურსმა, ქართველთა უსაფრთხოების დამცავი მექანიზმის დროულად არშემუშავებამ, ოსი სეპარატისტები კიდევ უფრო გაათამამა. მხედველობაში მაქვს შიდა ქართლში მცხოვრები ქართველების წინააღმდეგ მებრძოლი ოსური შეიარაღებული რაზმების აქტიური მოქმედება. ამ

¹ პრესის მიმოხილვა, ტრიბუნა, 15 სექტემბერი (1921).

² „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომია, კომუნისტი, 23 აპრილი (თბილისი, 1922).

მხრივ განსაკუთრებით ოსი ეროვნების პეტრე გოგეშვილის რაზმი გამოირჩეოდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას სოფელ წუნარის 35 წარმომადგენლის ხელმოწერილი საჩივარი იქცევს. იგი 1921 წლის დეკემბერში საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში იქნა შეტანილი. ამ დოკუმენტის მიხედვით, პ.გოგეშვილის მეთაურობით ოსი ბანდოვორძირებები 5 დღის განმავლობაში (13-17 დეკემბერი) ძარცვავენ და არბევდნენ ქართულ სოფლებს, არასრულწლოვანიდან დიდების ჩათვლით, აუპატიურებდნენ ქართველ ქალებს. ოჯახის ღირსების დაცვის შემთხვევაში, ქართველ მამაკაცებს წამებით კლავდნენ. ამ შემზარავი ფაქტებიდან გამომდინარე, ქართული მოსახლეობა ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვდა. იმის ნაცვლად, რომ საქართველოს ხელისუფლებას საგანგაშო ზარები დაერისხებინა, ოსების არწყენების მოტივით, დუმილის გზა აირჩია და ქართველთა ეს გასაჭირი უყურადღებოდ დატოვა. ასეთი განცხადების გაკეთების საფუძველს თუნდაც ის გარემოებაც იძლევა, რომ ხელისუფლების მხრიდან ქართველთა ამ საჩივარის განხილვის დამადასტურებელი დოკუმენტი არ შექმნილა. შიდა ქართლის ქართული მოსახლეობისადმი ასეთი სასხვათაშორისო დამოკიდებულება, ოს სეპარატისტებს სამოქმედო არეალის გაფართოების პერსპექტივას უსახავდა.

ოსების მხრიდან ქართველებზე თავდასხმამ და ძარცვამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ ცხინვალის რაიონის ქართულ მოსახლეობაში ოსებისადმი იარაღით ანგარიშსწორების აუცილებლობის ტენდენცია მოამწიფა. იმ შემთხვევაში, თუკი ხელისუფლება ოსების თარეშს არ აღკვეთდა და მათ ქმედებას კანონის ჩარჩოში არ მოაქცევდა, ოს-ქართველთა სისხლისღვრა გარდუვალი გახდებოდა. მითუმეტეს, ოსებისაგან შევიწროებული, ქონებრივად გაძარცვული, მიზანმიმართულად გადატაკებული და დამცრობილი შიდა ქართლის ქართველთა მოთმინების ფილა ავსებული იყო. ეს ფეთქებადი სიტუაცია, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს მხედველობის მიღმა არ დარჩენია და იძულებული გახდა ოსების თვითნებობის აღაგმვის მიზნით შესაბამისი ღონისძიების გატარების გზას დადგომოდა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას საქართველოს რეგომის პრეზიდიუმის 1921 წლის 5 მაისის დადგენილების IV მუხლის (დ) პუნქტი იქცევს. ამ დოკუმენტის მიხედვით, ოს-ქართველთა შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის მოსაგვარებლად, ცხინვალში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი და სახალხო კომისარის მოადგილე ხუტულაშვილი იქნა გაგზავნილი. ჯერჯერობით შეუძლებელი ხდება იმის გარკვევა თუ რა სახის სამუშაო ჩატარა მან ცხინვალში ჩასვლისა და არსებული პრობლემის შესწავლიდან გამომდინარე. საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილებიდან 25 დღის შემდეგ, იმავე რეგომის პრეზიდიუმის სხდომას (1921 წ. 30 მაისი) ცხინვალის რაიონის მდგომარეობის შესახებ ხუტულაშვილის მოხსენება მოუსმენია. სამწუხაროდ, ამ მოხსენების ტექსტის მიკვლევა შეუძლებელი გახდა. რაც შეეხება მიღებულ დადგენილებას, იგი ზედაპირულ ხასიათს ატარებს და არსებულ პრობლემასთან მიმართებაში არანაირ ინფორმაციას არ შეიცავს. იმავე დოკუმენტით მხოლოდ იმას ვგებულობთ, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, „სამხრეთ ოსეთის“ დაზარალებული რაიონების შესახებ მოხსენების დაწერა დაევალა. „მიეცეს წინადადება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს – ვკითხულობთ დოკუმენტში, – წარმოადგინოს მოხსენება, რა ზომები არის მიღებული რეკოლუციონური კომიტეტის დადგენილების განხორციელებისათვის სამხრეთ-ოსეთის დაზარალებული რაიონებისათვის საჭირო მასალის მიწოდების შესახებ“. რამდენადაც ზემოაღნიშნულმა დადგენილებებმა დადებითი შედეგი ვერ გამოიღო, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი იძულებული გახდა, არსებული სიტუაციის შესატყვისი პრაგმატული გადაწყვეტილება მიეღო. ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად მას წელიწადი და ოთხი თვე (1921 წლის მარტი – 1922 წლის ივნისი) დასჭირდა. ამის დადასტურებას, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილის ხუტულაშვილის მიერ მილიციის სამმართველოსადმი 1922 წლის 8 ივნისს გაგზავნილი წერილი წარმოადგენს. ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით აღნიშნულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „როგორც კომისარიატში შემოსული ცნობებიდან ჩანს, შესაძლოა ოსთა და ქართველთა შორის დამოკიდებულებამ მწვავე ხასიათი მიიღოს. გატყობინებთ რა ამას, წინადადებას გაძღვეთ მიიღოთ საჭირო ზომები რათა გაძლიერებული იქნას ცხინვალის რაიონის მილიციის შემადგენლობა განაპირა სოფლებში ორასი კაცი“. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ცხინვალის რაიონში შექმნილ ურთულეს სიტუაციასთან მიმართებაში რეაგირება მხოლოდ მას შემდეგ გააკეთა, როცა ოსების თავგასულობისადმი ქართველთა ძალისმიერი მეთოდის გამოყენების რეალური საფრთხე დაინახა. უსამართლობით გაწამებული ქართული მოსახლეობის მხრიდან მოსალოდნელი საპროტესტო ცეცხლის არგადვივებას, ოსებისადმი ქართველების იარაღით დაპირისპირების სათავეშივე აღკვეთას და არა ოსი ყაჩაღების განადგურებას ისახავდა მიზნად ზემოაღნიშნული დოკუმენტის შექმნა. როგორც ჩანს, იმ ეტაპზე ქართველთა მხრიდან ოსების საწინააღმდეგოდ მშვილდი იმდენად დაჭიმული იყო, რომ ზემოაღნიშნულ წერილზე, მილიციის მთავარი სამმართველოს უფროსს კ. ხარატი-

შვილს დროული რეაგირება გაუკეთებია. ამასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი 1922 წლის 18 ივნისს გაგზავნილ საპასუხო წერილში ხაზგასმით იყო მითითებული; „პასუხად თქვენი მოწერილობისა მოგახსენებთ; გორის მაზრაში ოსთა და ქართველთა შორის უარყოფითი ურთიერთობის თავიდან ასაცილებლად და მათ შორის ნორმალური დამოკიდებულების დასამყარებლად მიღებულია შემდეგი ზომები: 1) საქმის ყოველმხრივ გამოსარკვევად და ადგილობრივი ზომების მისაღებად სამხრეთ ოსეთში გაიგზავნა ადმინისტრაციის ინსპექტორი მისაილოვსკი; 2) მილიციის გასაძლიერებლად და საქმის მოსაგვარებლად, გუნდის 200 მილიციელის შემადგენლობით მოსაწყობად, მაზრის მილიციის უფროსის დასახმარებლად გორის მაზრაში გაიგზავნა მარქაფა რაზმის უფროსის თანაშემწე ამხ. თუშმალაშვილი; 3) გორის მაზრის რეკომს წერილობით ეთხოვა, ზემოაღნიშნულ თანამდებობათა პირებს აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება მათზე დაკისრებულ მინდობილობათა აღსრულებაში და კერძოდ გუნდის შესადგენად სათანადო პირების დანიშვნაში“. მართალია, ცხინვალის რაიონში ოსი მძარცველებისა და ყაჩაღების თვითნებობის შეჩერების მიზნით გარკვეული ნაბიჯის გადადგმის მცდელობას ქონდა ადგილი, მაგრამ, ჯერ-ჯერობით შეუძლებელი ხდება იმის დადგენა, გორის მაზრაში თუშმალაშვილის ხელმძღვანელობით მართლაც შეიქმნა თუ არა 200 კაციანი მილიციის დამატებითი ქვედანაყოფი. ისიც ანგარიშგასაწვეია, რომ ასეთი სახის მილიციის რაზმის შედგენა და მისი წევრების ტანსაცმლით, ხელფასითა და იარაღით უზრუნველყოფა, შესაბამის ხარჯთაღრიცხვას საჭიროებდა. ასეთი სახის დოკუმენტი იმ ეტაპზე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს არ შეუქმნია. აღნიშნული მილიციის ქვედანაყოფი მართლაც რომ შექმნილიყო და ოსი მძარცველების წინააღმდეგ რაიმე სახის ღონისძიება განეხორციელებინა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, მილიციის სამმართველოს და გორის მაზრის მილიციის ხელმძღვანელობის მიმწერებში, მოხსენებებში, პატაკებში იგი აუცილებლად აისახებოდა. სამწუხაროდ, ამის შესახებ ჩემს მიერ ჩამოთვლილი უწყებების მიერ შედგენილ დოკუმენტებში არაფერია ნათქვამი.

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას, „სამხრეთ ოსეთის“ პარტიის საოლქო კომიტეტი „შემოქმედებითად“ მიუდგა და მის გამოყენებას ისევ ქართველთა საწინააღმდეგოდ შეეცადა. ამის საფუძველს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1922 წლის 8 ივნისის დადგენილებიდან 10 დღის შემდეგ, „სამხრეთ ოსეთის“ პარტიის საოლქო კომიტეტის მიერ 1922 წლის 22 ივნისს მიღებული დადგენილება (ოქმი №18) იძლევა. ამ დოკუმენტის მიხედვით; ა) ქართული სოფლები: დვანი, შინდისი, ზემო და ქვემო ხვითი, ზემო და ქვემო ნიქოზი, დიცი, ფლავისმანი და მერეთი გაქცეული კონტრრევოლუციონერების თავშესაფრად და არასაიმედო სოფლებად იყო გამოცხადებული; ბ) დასახლებული სოფლების მოსახლეობის თითქოს გამაღებელი შეიარაღება მიმდინარეობდა და მისი დაუყოვნებლივი განიარაღება აუცილებლობას წარმოადგენდა¹. ამ შემთხვევაში, „სამხრეთ ოსეთის“ პარტიის საოლქო კომიტეტი, ქართულ სოფლებზე მორიგი დარტყმის განხორციელებას ისახავდა მიზნად. იგი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს პირდაპირ მიანიშნებდა, რომ მთელი ძალისხმევა „კონტრრევოლუციონერთა ბუდეთ“ ქცეული და „შეიარაღების პროცესში“ მყოფი ქართული სოფლების წინააღმდეგ წარემართა. ამ მავნებლური ჩანაფიქრის საღი გონებით შეფასება და სწორი გადაწყვეტილების მიღება, მხოლოდ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობაზე იყო დამოკიდებული. რამდენად სანდოდ მიიჩნევა „სამხრეთ ოსეთის“ პარტიული კომიტეტის დადგენილებაში მოტანილ ფაქტებს.

რაც შეეხება ოსების მხრიდან ქართული მოსახლეობის ძარცვისა და აწიოკების გავრძელების დადასტურებას, ამის შესახებ ქართული მოსახლეობის მიერ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში შეტანილ საჩივრებში და მაზრის მილიციის შესაბამისი განყოფილების ოპერატიულ მონაცემებში ხაზგასმითაა მითითებული. დოკუმენტური მასალის შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ ქართული მოსახლეობის მაქსიმალურად შესავიწროებლად, ოსმა სეპარტისტებმა ოსური შეიარაღებული ბანდოორმირებები ამოქმედა. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას **ჯატინ კოკოევის** 15 კაციანი შეიარაღებული რაზმი იქცევს. ცხინვალის რაიონის ქართული მოსახლეობის საფუძვლიანად გაძარცვისა და დარბევის შემდეგ, **ჯ. კოკოემა** მოქმედება დუშეთის მაზრაში გადაიტანა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და დუშეთის მაზრის მილიციის სამმართველოს ოპერატიული მონაცემებიდან ირკვევა, რომ **ჯ. კოკოევის** შეიარაღებული რაზმი არა მარტო დუშეთის მაზრის ქართულ მოსახლეობას არბევდა, არამედ მან საქართველოს რეკომის მიერ დანიშნულ, ეროვნებით ქართველ ადგილობრივ სახელმწიფო მოხელეებსაც შეუტია. ისინი თანამდებობიდან გადააყენა, პატიმრობაში აიყვანა, ხოლო დუშეთის მაზრის ჩრდილო-დასავლეთი – ლეხურის, მონასტერისა და ქსნის ხეობები ჩრდილო-ოსეთის ტერიტორიის შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა. აღნიშნული ქმედებით, **ჯ. კოკოევი** არსებულ ხელისუფლებას დაუპი-

¹ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, აღწ. 1, საქმე 263, ფ. 21.

რისპირდა. ამ ფაქტმა და არა ქართული მოსახლეობის დარბევა-აწიოკებამ, ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსნები წონასწორობიდან გამოიყვანა და ჯ. კოკოევის წინააღმდეგ ქმედითი სადამსჯელო ღონისძიების გასატარებელი ნაბიჯი გადაადგმევინა. ოსი ყაჩაღებისაგან შევიწროებული ქართული სოფლის მოსახლეობის განცხადებები თუკი უყურადღებოდ და განხილვის გარეშე რჩებოდა, ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისა და მისი თანამშრომლებისადმი საფრთხის შექმნისთანავე, ჯ. კოკოევის ბანდფორმირების თარეშის აღკვეთის მიზნით, ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა ოპერატიულ ღონისძიებებს მაშინვე მიმართა. ამის დამადასტურებლად, დუშეთის მაზრის რევეკომის თავმჯდომარის მიერ საქართველოს რევეკომის თავმჯდომარისადმი გაგზავნილი წერილი გამოდგება. აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით, საქართველოს რევეკომის საქმეთა მმართველმა ბ.გიგინეიშვილმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს (1921 წლის 28 მაისი) შემდეგი შინაარსის დეკრეტით №331 გაუგზავნა: „დუშეთის მაზრის ზოგიერთ რაიონებში თავისი თავი უფროსად გამოუცხადებია გორის მაზრიდან შეიარაღებული ჯგუფით გადმოსულ ვინმე კოკოევის, როელიც სცემს განკარგულებებს, არბევს და აწიოკებს მცხოვრებლებს და დუშეთის მაზრის ნაწილს აცხადებს ჩრდილო-ოსეთის ტერიტორიის ნაწილად. საქართველოს რევეკომის თავმჯდომარის განკარგულების თანახმად გეგალეობათ მიიღოთ სასწრაფო ზომები მდგომარეობის გამორკვევისა და დ.კოკოევის ლიკვიდაციისათვის და ამასთანავე შედეგები აცნობოთ საქართველოს რევეკომს“. ამ დოკუმენტს 1921 წლის 31 მაისის რიცხვით შემდეგი სახის რეზოლუცია ადევს: „გაიგზავნოს ტრაპაიძე და დაევალოს მას ამ ბანდის ლიკვიდაცია. მიეწეროს ოსეთის რევეკომს დააპატიმროს კოკოევი და თბილისში გამოგზავნოს“. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ „სამხრეთ ოსეთის“ რევეკომისადმი 1921 წლის 27 ივნისს გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „როგორც დუშეთის მაზრის რევეკომის თავმჯდომარე იტყობინება, ვინმე კოკოევის შეიარაღებული ბანდების მეოხებით დაუკავებია აღნიშნული მაზრის რამდენიმე რაიონი, გამოუცხადებია თავისი თავი უფროსად და ცდილობს დაუქვემდებაროს დუშეთის მაზრის ნაწილი ჩრდილო ოსეთს. შეიარაღებული ბანდები უმოწყალოდ არბევენ და აწიოკებენ ადგილობრივ მცხოვრებთ. გაცნობებთ რა ამას, წინადადებას გაძღვეთ დაუყოვნებლივ დაატყვევოთ კოკოევი, წარმოადგინოთ ის თბილისში და აგრეთვე მიიღოთ უსასტიკესი ზომები წესრიგის აღსადგენად“.

ამ დოკუმენტიდან კარგად ჩანს, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ჯ. კოკოევიში პირველ რიგში ხელისუფლების საწინააღმდეგო ძალა დაინახა. ამიტომ იყო, რომ მის მიმართ უმკაცრესი სადამსჯელო ღონისძიებების გატარება მოითხოვა. თუ რამდენად შესრულდა აღნიშნული მოთხოვნა, ან რა ბედი ეწია ჯ. კოკოევის 15 კაციან შეიარაღებულ ყაჩაღთა რაზმს, ამის შესახებ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ფონდში დაცულ საარქივო მასალებში არაფერია ნათქვამი. ჯ. კოკოევი რომ დაეჭირათ, ან მისი რაზმი გაენადგურებინათ, ეს ფაქტი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და დუშეთის მაზრის მილიციის ხელმძღვანელთა მიმწერებში აუცილებლად აისახებოდა. რამდენადაც „სამხრეთ ოსეთის“ რევეკომს ჯ. კოკოევის დაპატიმრების და თბილისში გადაგზავნის კატეგორიული მითითება მიეცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ მისივე ძალისხმევით ჯ.კოკოევი და მისი რაზმი საქართველოდან ჩრდილო ოსეთში გაიყვანეს. ამის საფუძველს, დუშეთის მაზრის მილიციის მიერ 1921 წლის ნოემბრის ბოლოდან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოსადმი მიწოდებულ ოპერატიულ მონაცემებში, ჯ. კოკოევისა და მისი ბანდფორმირების არფიგურირების ფაქტი იძლევა. მიუხედავად ამისა, ქართული სოფლების მარბიელი შეიარაღებული ოსური ბანდფორმირებები მოქმედებდას არ წყვეტდა. საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ 1921 წლის დასასრულიდან დუშეთის მაზრაში დიანოზა ძახოევის მეთაურობით შექმნილი ოსების შეიარაღებული ახალი ბანდფორმირება იწყებს მოქმედებას. მის ძირითად მიზანს, ქართული სოფლების მოსახლეობის ყოველმხრივი შევიწროება (ძარცვა, ქალების გაუპატიურება, ოჯახის ღირსების დამცავი მამაკაცების მკვლელობა) წარმოადგენდა. ამ ფაქტის შესახებ, დუშეთის მაზრის მილიციის უფროსი ჭურღულია, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრაციული განყოფილების უფროსის სახელზე 1924 წლის 2 დეკემბრით დათარიღებულ მოხსენებაში ხაზგასმით მიუთითებდა. მის მიერ შედგენილ დოკუმენტში დიანოზა ძახოევი მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის შეურიგებელ და დაუძინებელ მტრადაა გამოცხადებული. იქვე დასახელებულია მეორე ყაჩაღი გურგენა გულარაშვილი. „დუშეთის მაზრის მშრომელ გლეხობას – ვკითხულობთ მოხსენებაში, – თავზარი ჰქონდა დაცემული ცნობილი ყაჩაღების დიანოზა ძახოევის და გურგენა გულარაშვილის მხეცური მოქმედებებით. ხსენებულმა ყაჩაღებმა დუშეთის მაზრაში რამდენიმე წელიწადს (1921 წლის დეკემბრიდან 1924 წლის ნოემბერი – შ. ვ.) ითარეშეს“. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, გურგენა გულარაშვილი 1924 წლის 23 ნოემბერს სოფ. ხოფცაში შეიპყრეს, ხო-

ლო იმავე წლის 30 ნოემბერს თრუსოს ხეობაში (კობის რაიონი) დიანოზა ძახოვეი სოფლის განაპირას მცხოვრები ერთ-ერთი ოსი გლეხის ოჯახში შეჩიხეს და მოკლეს. ამ ოპერაციის ჩატარებასთან დაკავშირებით, იმავე ჭურღულიას მიერ 1925 წლის 11 თებერვალს შედგენილ პატაკში ხაზგასმით იყო მითითებული. „ცნობილი ბანდიტების დიანოზა ძახოვეის და გურგენა გულარაშვილის მოსასპობად – წერდა იგი, – ყოველგვარი ზომები იყო მიღებული, რაც სასურველად დამთავრდა, მათ თარეშს ბოლო მოვლო დუშეთის მაზრაში“. ასეთი პრეამბულის შემდეგ, ზემოთ დასახელებული ყაჩაღების სალიკვიდაციოდ ჩატარებული ოპერაციისათვის, ვალის სახით სესხად აღებული 600 მანეთის დაფარვას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს სთხოვდა. ეს ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ოსი ყაჩაღების წინააღმდეგ გატარებული ოპერატიული ღონისძიება, არა ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების, არამედ დუშეთის სამაზრო პოლიციის ხელმძღვანელობის ინდივიდუალური გადაწყვეტილებით, ნასესხები ფულით განხორციელდა.

ამ შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება ერთ მეტად მნიშვნელოვან ნიუანს უნდა მიექცეს. მხედველობაში მაქვს აღნიშნული ყაჩაღების მისამართით გაკეთებული განცხადება: „დუშეთის მაზრაში რამდენიმე წელიწადს ითარეშეს.“ ეს „რამდენიმე წელიწადი“, 1921 წლის დეკემბრიდან 1924 წლის ნოემბრის ჩათვლით, პერიოდს მოიცავს. ე.ი. თითქმის სამ წელს. ისმება კითხვა; ქართული მოსახლეობის ამომგდები ოსური ბანდფორმირებების ხელმძღვანელთა მიმართ, უმკაცრესი ოპერატიული ზომები რატომ დროულად არ იქნა გატარებული და მათი ლიკვიდაციის საკითხი მხოლოდ 1924 წლის ნოემბერში დაისვა? შესაბამისი საარქივო დოკუმენტების მიუკვლეველობის გამო, ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემა შეუძლებელი ხდება. იმ ეტაპზე საქართველოში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინება მხოლოდ ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას იძლევა. მხედველობაში მაქვს; ა) 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილეთა და მათ თანამგრძობთა წინააღმდეგ დაწყებული უმკაცრესი რეპრესიები; ბ) არსებული ხელისუფლებისადმი დუშეთის მაზრის მცხოვრებთა შინაგანად მტრული დამოკიდებულება. ასეთ ფონზე, შესაბამის სამთავრობო უწყებებს მოსახლეობისათვის უნდა ეჩვენებინა, რომ იგი არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეებს, არამედ, ადგილობრივი გლეხკაცობის მძარცველ ოს ყაჩაღებსაც ებრძოდა. ამ მიმართულებით დუშეთის მაზრის შესაბამისი ძალოვანი უწყების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, იძულებითი პოლიტიკური და იდეოლოგიური ფაქტორებით იყო განპირობებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული ყაჩაღების ნეიტრალიზებას 1922 ან 1923 წელს მოახდენდა. საარქივო მასალებით არ დასტურდება, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მითითებით, დუშეთის მაზრის მილიციის განყოფილებას 1922-1923 წლებში მათ წინააღმდეგ რაიმე მნიშვნელოვანი ოპერაცია ჩატარებინოს.

ქართული სოფლების გლეხკაცობის შემაწუხებელი ოსური ბანდფორმირების მეთაურთა (დიანოზა ძახოვეი, გურგენა გულარაშვილი) განადგურება, იმ ეტაპზე, დუშეთის მაზრის ხელმძღვანელობამ, მოსახლეობის ინტერესების დაცვის იდეოლოგიური პროპაგანდის ხელნახაჭიდ საშუალებად გამოიყენა. ამის შესახებ გარკვეული მინიშნებაა გაკეთებული იმავე მაზრის მილიციის უფროსის ჭურღულიას მოხსენებაში. „მართალია – ვკითხულობთ დოკუმენტში – მაზრის მილიციას... ბევრი შრომის და ენერჯის დახარჯვა დასჭირდა... სანამ გლეხობის გულს მოიგებდა და მათში ნდობასა და თანადგომას განიმტკიცებდა, მაგრამ, ჩვენი საქმიანობის ნაყოფი ნათლად ჩანს. ჩვენს შრომას მუქთად არ ჩაუვლია, რაც გაცილებით უფრო საგრძნობ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე თვით ყაჩაღების შეპყრობა“.

ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ოსი ყაჩაღების – დიანოზა ძახოვეის და გურგენა გულარაშვილის სალიკვიდაციოდ ჩატარებული ოპერაცია არსებული ხელისუფლებით უკმაყოფილო დუშეთის მაზრის გლეხკაცობის გულისმოსაგებ პიარკამპანიაზე იყო გათვლილი.

საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი უწყებებისაგან ოსების მიერ ქართული მოსახლეობის გაძარცვის, დარბევისა და საცხოვრისიდან გამოძევების აღიარებას თუკი გავითვალისწინებთ, ადვილი წარმოსადგენია, რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა შიდა ქართლის ჩრდილოეთის მთიანი ზოლის ქართველობა. ამ ფონზე პასუხი უნდა გაეცეს კითხვას; დაზარალებულ ქართველთა დასახმარებლად და შიდა ქართლში ქართველთა დემოგრაფიული უპირატესობის შესანარჩუნებლად, რა ქმედით ღონისძიებებს მიმართავდა გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლება. ამასთან დაკავშირებით საგანგებოდ შევისწავლე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, საქართველოს რევკომის, საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ფონდებში დაცული მასალები. სამწუხაროდ, ზემოაღნიშნულ უწყებებს, გაძარცვული და ლტოლვილებად ქცეული ქართველების დასახმარებლად დიდად თავი არ შეუწუხებია. 1921-1925 წლების საოქმო ჩანაწერებში ჯერჯერობით ვერ მივაკვლიე ვერცერთი სახის დადგენილებას, რომელიც დევნილი ქართველების სახლებში დაბრუნებისა და უსაფრთხო ცხოვრების პირობების შექმნის გარანტიის ფაქტს დაადასტურებდა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მასალებში მხოლოდ ზოგადი ხასიათის ოთხი დოკუმენტი აღმოჩნდა, რომელიც

ოსების მიერ ცხინვალის რაიონში დაზარალებული ქართველების ზარალის გამორკვევასა და მის ანაზღაურებას ეხება. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას საქართველოს რევკომის პრეზიდიუმის 1921 წლის 13 ივლისის სხდომის საოქმო ჩანაწერი იქცევს. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, აღნიშნულ სხდომას ი.სტალინი და ს.ორჯონიკიძე დასწრებია. განხილვის 26-ე საკითხად, ოსებისგან დაზარალებული ქართველებისადმი დახმარების აღმოჩენის შესახებ, საქართველოს რევკომისადმი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა იქნა სხდომაზე გატანილი. მიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ: „1. მიეცეს უფლება შინაგან საქმეთა სახ. კომისარს დაზარალებულთაგან განცხადების მიღება განაგრძოს; 2. მასვე მიეცეს წინადადება დაზარალებულთა რიცხვის გამორკვევის შემდეგ, შუამდგომლობა აღძრას რევკომის წინაშე დაზარალებულთა დასაკმაყოფილებლად საჭირო თანხის გადაღების შესახებ.“ ერთი შეხედვით, აღნიშნული დოკუმენტი საქმიან შთაბეჭდილებას ტოვებს. მითუმეტეს, ამ დადგენილებიდან მე-16 დღეს, საქართველოს რევკომის 1921 წლის 29 ივლისის სხდომაზე საგანგებოდ იქნა განხილული შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა ოსებისგან დაზარალებული ქართული სოფლების მცხოვრებთა დასახმარებლად 500 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ. მიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ: „1. შინაგან საქმეთა კომისარის შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნას; 2. წინადადება მიეცეს ფინანსთა სახალხო კომისარს, გასსნას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის განკარგულებისათვის 500 მილ. მან. კრედიტი ოსებისგან დაზარალებული ქართული სოფლების მცხოვრებლებისათვის დახმარების აღმოსაჩენად“. ჩემს მიერ მოტანილ დადგენილებებს, შემდგომ ეტაპზე მიღებულ დოკუმენტებს თუკი შევეუდარებთ და მის ერთობლივ ანალიზს მოვახდენთ, აღმოჩნდება, რომ საქართველოს რევკომის 1921 წლის 13 და 29 ივლისის დადგენილებები პიარკამპანიაზე იყო გათვლილი და მოხვედრით-ზედაპირულ ხასიათს ატარებდა. ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას, დაზარალებული ქართული სოფლების მოსახლეობის ზარალის გამომრკვევი და ანაზღაურებელი კომისიის მასალების შესწავლა იძლევა. იმავე კომისიის თავმჯდომარის ყეფიანის მიერ 1922 წლის 30 იანვარს საქართველოს რევკომისადმი გაგზავნილი მოკლე ანგარიშის მიხედვით, ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი დადგენილებების შესრულებისა და კომისიის მხრიდან ფართომასშტაბიანი სამუშაოს ჩატარების ფაქტი არ დასტურდება. კომისიას მხოლოდ მესამე ჯგუფის დაზარალებულთა 87 კაციანი სია შეუდგენია, რომელთა საერთო ზარალი 2 007 400 000 მანეთს აღემატებოდა. რამდენადაც დაზარალებულების ამ მოთხოვნას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა უარით უპასუხა, ქართულმა მოსახლეობამ დახმარებისათვის საქართველოს რევკომს მიმართა. დოკუმენტური მასალით არ დასტურდება, რომ იმავე რევკომს, 87 მოსოვნელი ქართული ოჯახების სასარგებლოდ რაიმე სახის გადაწყვეტილება მიეღო. აქ ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. მხედველობაში მაქვს კომისიის მიერ დაზარალებულთა კატეგორიებად დაყოფა და განსაკუთრებული ყურადღების მესამე ჯგუფისადმი გამახვილება. **დოკუმენტში არსად არ ფიგურირებს: 1) თუ რა პრინციპს ემყარებოდა აღნიშნული კლასიფიკაცია; 2) რატომ გაუკეთდა იგნორირება პირველი და მეორე ჯგუფის დაზარალებულებს, რაოდენობრივად რამდენ ოჯახს შეადგენდა იგი; 3) დაზარალებულთა რომელ ჯგუფს მიეკუთვნებოდა შიდა ქართლიდან გამოდევნილი და უსახლკაროდ დარჩენილი ქართველობა, ან ის ოჯახები, რომლებსაც ოსებმა სახლკარი დაუნგრეს, მამაპაპათა შრომის შედეგად შეძენილი ქონება წაართვეს და წელში გამართული ქართველი მეურნე გლეხი ღუმპერპროლეტარის მდგომარეობაში ჩააყენა. რამდენადაც აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში კომისიას შესაბამისი დოკუმენტაცია არ შეუქმნია (ყოველ შემთხვევაში ჩვენ ასეთ მასალებს ვერ მივაკვლიეთ), მისი არსებობა ფორმალურად უნდა ჩაითვალოს. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს, რომ შიდა ქართლის ქართულ მოსახლეობაზე ზრუნვა და მისადმი ყურადღების გამოჩენა, გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლებას მეორეხარისხოვან საკითხად მიაჩნდა და ამას ოს სეპარატისტებს აშკარად აგრძნობინებდა.**

საბედნიეროდ ისტორია იმ მეცნიერებათა დარგს განეკუთნება, რომელიც წარსულის მოვლენების ამსახველი მტვერწაყრილი, გახუნებული და შთამომავლობისათვის გადანახული საარქივო ფოლიანტების შესწავლის საფუძველზე ჭეშმარიტების დადგენას ცდილობს. საჭიროების შემთხვევაში ამა თუ იმ მოვლენას წინა პლანზე წამოსწევს და საზოგადოების განსჯის საგნად აქცევს. მასვე უნდა ვუმაღლოდეთ, რომ დოკუმენტური მასალის მიუკერძოებელი შესწავლის შედეგად, იმ ბარბაროსული ნამოქმედარის „გამომხეურების“ შესაძლებლობას ქმნის, რომელიც შიდა ქართლის ქართულ მოსახლეობასთან მიმართებაში საქართველოს გასაბჭოების პირველ და მომდევნო წლებში ოსმა სეპარატისტებმა ჩაიდინეს!

ამრიგად, ჩემს მიერ მოტანილი მასალების ანალიზიდან გამომდინარე, დაბეჯითებით შეიძლება ვამტკიცოთ: 1) დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების მიერ ტერიტორიული

¹ შ. ვადაჭკორია, *ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი...*, გვ. 124.

მთლიანობის შესანარჩუნებლად და ოსური სეპარატიზმის საბოლოოდ აღმოსაფხვრელად დაწყობული ღონისძიებების ბოლომდე მიყვანა, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ მხარდაჭერაზე იყო დამოკიდებული. ევროპის დიდი სახელმწიფოების პროსაბჭოურმა ორიენტაციამ და საქართველოსადმი მიცემული პირობის არშესრულებამ, საბჭოთა რუსეთს საქართველოს დაპყრობის ხელსაყრელი პოლიტიკური გარემო შეუქმნა; 2) საქართველოდან 1920 წელს „დეპორტირებული“ დამნაშავე ოსების 1921 წლის მარტიდან ს. ორჯონიკიძის ინიციატივით შიდა ქართლში ქაოტურად დაბრუნებამ და შურისმაძიებელი ოსებისაგან ქართული მოსახლეობის დამცავი მექანიზმის წინასწარ არმომზადებამ, ტრაგიკული შედეგები გამოიღო. მხედველობაში მაქვს: ა) შიდა ქართლის ქართული მოსახლეობის ოსებისაგან ძარცვა (საქონლის, მუშა პირუტყვის, ტანსაცმელის, თეთრეულის, ავეჯის, სასოფლიო-სამეურნეო პროდუქტების დატაცება) და მიზანმიმართულად შევიწროება; ბ) მამაპაპეული საცხოვრისიდან ქართველთა გამოდევნა. დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ ოსების ამ დანაშაულებრივ ქმედებებს, გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლებამ შესაბამისი სადამსჯელო მექანიზმი არ დაუპირისპირა. აღნიშნული ფაქტი, ქართველთა ქონების საძარცვავად ოსებს ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა. მითუმეტეს, ოსებისადმი იფიციალური მფარველის როლს, „სამხრეთ ოსეთის“ რეგენი, ოსური მილიცია და ქართულ სოფლებში ჩაყენებული XI არმიის ნაწილები ასრულებდა; 3) გასაბჭოებულ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ფონი, ოს სეპარატისტებს ქართველთა წინააღმდეგ ძალისმიერი მეთოდის გამოსაყენებლად აქტიური მოქმედებისაკენ უბიძგებდა, მამაპაპეული საცხოვრისიდან ქართველთა გამოდევნის რეალურ შესაძლებლობას უქმნიდა. მძარცველობითი საქმიანობის პარალელურად, ოსების მხრიდან ვანდალური მეთოდების გამოყენებამ (ქართველების სახლკარის გადაწვა, მკვლელობა, მოსახლეობის ცეცხლში დაწვა, არასრულწლოვანიდან დიდების ჩათვლით ქალების გაუპატიურება) და ამ ფორმისადმი პერმანენტული სახის მიცემამ, ოსი სეპარატისტების ჩანაფიქრის პირველი საფეხურის მომზადების მყარი საფუძველი შექმნა. ოსების ამ დანაშაულებრივ ქმედებაზე კავშირობა და გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი უწყებები მკაცრ რეაგირებას არ აკეთებდა. ისინი მხოლოდ კომისიების შექმნითა და სათანადო მოხსენება-დასკვნების მომზადებით ივარგლებოდა. ქვეყნის მმართველი ორგანოების მხრიდან ქართველთა სიძულვილზე აგებულმა არაერთგულმა პოლიტიკურმა კურსმა, შიდა ქართლში ოსიანობის განახლებას და ქართველთა ეთნოწმენდას დაუდო სათავე; 4) გასაბჭოებული საქართველოს მარიონეტული მთავრობის ხელშეწყობით, ოსი სეპარატისტები შიდა ქართლში დემოგრაფიული ბალანსის ოსების სასარგებლოდ შეცვლას დაჩქარებული ტემპით მაქსიმალურად ცდილობდა. მათი ძალისხმევით, 1921 წლის მარტიდან 25 აპრილის ჩათვლით, დროის ამ მცირე მონაკვეთში, შიდა ქართლის 13 ქართული სოფელი (სვერი, ქემერტი, მინდიანი, ყაფლანი, კასრანი, მონასტერი, აწრისხევი, საცხენეთი, ბელოთი, ქვემო და ზემო ნიქოზა, ქვემო და ზემო ხვითი) ქართველებისაგან დაიცალა. ამ დანაშაულებრივ ფაქტს, საქართველოს ხელისუფლება შეგნებულად მალავდა და სამთავრობო დონეზე შესაბამის რეაგირებას არ აკეთებდა. შიდა ქართლის ქართული მოსახლეობა კავშირობსა და საბჭოთა საქართველოს მთავრობის შემაწახეხველ დანაშაულად იქცა; 5) შიდა ქართლიდან ქართველთა იძულებითი გამოდევნის ერთ-ერთ ფორმად, ქართველთა წინააღმდეგ ოსი სეპარატისტების მიერ, ოსური შეიარაღებული რაზმების (მეთაურები: ოსი პეტრე გოგეშვილი, ჯატინ კოკოევი, დიანოზა ძახოევი) აქტიური მოქმედება იქნა გამოყენებული. დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ, შიდა ქართლის ქართული მოსახლეობა გასაწირად გაიმეტა და ოს სეპარატისტებს წლების მანძილზე „საჯიჯგნად“ მიუგდო.

ბიბლიოგრაფია

1. დ. გოგოჭური, ღია წერილი კოლეგებს..., *ლიტერატურული საქართველო*, 15 დეკემბერი, №15 (თბილისი, 1989).
2. შ. ვადაჭკორია, *ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში (1921-1923 წწ.)* (თბილისი, 1998).
3. შ. ვადაჭკორია, *ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში* (თბილისი, 2001).
4. ლ. თოიძე, *ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც ფაქტობრივი ანექსიაც* (თბილისი, 1991).
5. ვ. ლენინი, *თხზულებანი*, ტ. 45, (თბილისი, 1974).
6. ფ. მახარაძე, საქართველოში მუშაობის შესახებ, *საქართველოს კომუნისტი*, №2 (თბილისი, 1990).
7. გ. ორჯონიკიძე, *ამიერკავკასიის შესახებ* (თბილისი, 1986).
8. გ. ორჯონიკიძე, *სტატიები და სიტყვები*, ტ. 1 (თბილისი, 1957).
9. პრესის მიმოხილვა, *ტრიბუნა*, 15 სექტემბერი (1921).
10. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომია, *კომუნისტი*, 23 აპრილი (თბილისი, 1922).
11. „სამხრეთ ოსეთის“ რკ(ბ) საოლქო კომიტეტის 1921 წლის 25 თებერვლის რეზოლუცია, *სოციალისტ-ფედერალისტი*, 18 მარტი (1921).
12. ლ. სარალიძე, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნის ისტორიიდან (1917-1922 წწ.), *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, №1 (7) (თბილისი, 2010).
13. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევკომის დეკრეტი №23, *მოამბე*, №2 (თბილისი, 1921).
14. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 281, აღწ. 1, საქმე 23.
15. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 281, აღწ. 1, საქმე 50.
16. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 285, აღწ. 1, საქმე 550.
17. ა. სონღულაშვილი, *სამხრეთ ოსეთი საქართველოში?!* (თბილისი, 2009).
18. ა. სონღულაშვილი, *საქართველოს პოლიტიკური პორტრეტი* (თბილისი, 2004).
19. ა. სურგულაძე, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. VI (თბილისი, 1972).
20. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, აღწ. 1, საქმე 48.
21. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, აღწ. 1, საქმე 263, ფ. 21.
22. გ. ხაჭაპურიძე, *ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის* (თბილისი, 1957).

SHOTA VADACHKORIA

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

OCCUPATION OF GEORGIA BY BOLSHEVIKS AND RENEWAL OF “OSIANOBA” IN SHIDA KARTLI

On the basis of the documentary materials it is stated that: 1) maintenance of the territorial unity and bringing to the end of the measures for final defeat of the Ossetian separatism which were started by the government of the independent Georgia was up to the political and economic support of the western European countries. Pro-Soviet orientation of the big countries and non-fulfillment of a promise they gave to Georgia, made a suitable environment for Soviet Russia to capture Georgia; 2) by the initiative of S. Orjonikidze, from March, 1921, culprit Ossetians “deported” in 1920 returned back chaotically in Shida Kartli. The government did not made beforehand mechanism for supporting the Georgian population from the Ossetians who wanted revenge that caused tragic results. I mean: a) Ossetians robbed the Georgian population of Shida Kartli (they stole domestic animals, cloths, linen, furniture, product of agriculture) and purposely oppressed them; b) the expulsion of the population from their homes. According to documentary materials it is proved that the government of Soviet Georgia did not opposed adequate mechanism of punishment to above mentioned crimes. This fact gave birth to advantageous conditions for

Ossetians to rob the Georgian population. All the more, official protectors of Ossetians were revolutionary comity of “South Ossetia”, Ossetian Militia and the military units of the 11th army that were located in the Georgian villages. 3) The political background in Soviet Georgia promoted Ossetian separatists to use actively forced, coercion methods against Georgians and thus, made real possibilities that Georgians had to leave their ancestral lands belonging to their distant ancestors. In parallel with robbery, using barbaric methods against the Georgian population (burning houses of Georgians, murder, burning population in fire, raping women, both adults and under age as well) constantly gave Ossetian separatists stable opportunity to prepare the first stage for their project. The Bureau of the Caucasus and the government of Soviet Georgia did not react strictly. They were only forming commissions and were preparing reports and resolutions. Antinational political course of the ruling organs of the country contributed to the beginning of the renewal of Osianoba in Shida Kartli. 4) With the help of the puppet government of Soviet Georgia Ossetian separatists try to change demographic balance rapidly in favor of Ossetians in Shida Kartli. With their effort from March till April, 25, 1921 13 Georgian villages (Sveri, Kemerti, Mindiani, Kaplani, Kasrani, Monasteri, Acriskhevi, Satskheneti, Beloti, Kvemo and Zemo Nikozi, Kvemo and Zemo Khviti) became empty from the Georgian population. Georgian government consciously hid this criminal, felonious fact and did not react. The Georgian population of Shida Kartli became an uneasy burden for the Bureau of the Caucasus and the government of Soviet Georgia. 5) One of the forms of forced banish of Georgians from Shida Kartli was activities of the armed Ossetian bands (leaders: Ossetian Petre Gogeshvili, Jatin Kokoev and Dianoza Dzakhoev). Documentary materials prove that Soviet government doomed to death Georgian population and gave them to Ossetian separatists for “torment” for years.

**ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და
კავკასიის გაერთიანების იდეა (1921-1934 წწ.)**

რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის 18 მარტს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა ევროპაში გახიზნულიყო, საიდანაც აქტიურად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ აუცილებელ პირობად მიიჩნია მეზობელი რესპუბლიკების წარმომადგენელ ემიგრანტ პოლიტიკოსებთან ურთიერთობის დამყარება. 1921 წლის 8 მაისს, პარიზში, კავკასიელი ემიგრანტების თათბირი შედგა. მათ ბოლშევიკური რეჟიმის დამსობის და საერთო-კავკასიური ბლოკის შექმნის გზები დასახეს. როგორც სხდომის ოქმიდან ჩანს, კრებას თავმჯდომარეობდა აზერბაიჯანის წარმომადგენელი ალი მარდან თოფჩიბაშევი. სხდომას ესწრებოდნენ, აზერბაიჯანის მხრიდან: ა. ისლამოვი, დ. გაჯიბეკოვი, მ. მაგერამოვი; სომხეთის მხრიდან: ა. აგარონიანი, ა. ხატისოვი, ნ. ბეკუაღიანი; საქართველოს წარმომადგენდნენ ემიგრაციაში მყოფი: ე. გეგეჭკორი, კ. ჩხეიძე, ნ. რამიშვილი, კ. საბახტარაშვილი, მ. სუმბათაშვილი, ჩრდილოეთ კავკასიას – ა. ჩერმოვეი. კრების მდივანი ა. ათამალიბეკოვი იყო. ემიგრანტმა პოლიტიკოსებმა დაადასტურეს, რომ შეკრების მთავარი აზრი, კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობისთვის ერთობლივი მუშაობის წარმართვა იყო. ასევე, ხაზი გაუსვეს, რომ ეს იდეა ახალი არ იყო და თავის დროზე, ამ მიმართულებით არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, შედეგი ვერ მიიღეს. ა. ჩერმოვემა კრებას მიაწოდა ინფორმაცია, რომ კავკასიის გაერთიანების იდეის მხარდასაჭერად, ისინი 2-3-ჯერ უკვე შეხვდნენ საფრანგეთის გამოჩენილ წარმომადგენლებს. ერთ-ერთ ამ შეხვედრას გენერალი ვეიგამი ესწრებოდა. საფრანგეთის ხელისუფლების მხრიდან, კავკასიის კავშირისადმი, მორალური მხარდაჭერის სურვილი გამოიკვეთა, თუმცა არ იყო გამორიცხული, ასევე, მატერიალური დახმარებაც მიეღოთ. ა. ჩერმოვემა დააყენა საკითხი, სანამ კავკასიის კონფედერაცია შეიქმნებოდა, უნდა გადაწყდეს სომხეთ-ოსმალეთის საკითხი. ამასთან დაკავშირებით, ა. ჩერმოვეი ესაუბრა ოსმალეთის წარმომადგენელს – ბექირ სამი ბეის, რომელმაც დაადასტურა, რომ მათ კავკასიურ სომხეთზე არავითარი პრეტენზია არ ჰქონდათ. როდესაც მან დაუსვა კითხვა თურქეთელ სომხებზე, პასუხად მიიღო, რომ ეს საკითხი ხელსაყრელად გადაწყდებოდა, კავკასიის კონფედერაციის შექმნის პირობებში. ა. ჩერმოვეი, ოსმალეთის წინაშე აღნიშნული საკითხის თავიდან დასაყენებლად, კავკასიის კონფედერაციის შექმნას გარდაუვალ პირობად მიიჩნევდა. სომხეთის წარმომადგენელ ა. ხატისოვის აზრით, შეცდომის დაშვება აღარ შეიძლებოდა, რადგან მაშინ როდესაც ევროპის სახელმწიფოები მათ ჩააგონებდნენ, რომ რუსეთი დაიშალა, ოსმალეთის იმპერია საბოლოოდ დაიმსხვრა, ეს ასე არ აღმოჩნდა. მან თქვა: „ახლა, როცა მომავალზე ვსაუბრობთ, ჩვენ უნდა შევეცადოთ არ გავიმეოროთ ეს შეცდომები და ვივარაუდოთ ჩვენთვის უარესი საგარეო პირობები. პირველ რიგში მე აქცენტს გავაკეთებ იმაზე, რომ ჩვენ, ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი და საქართველო, ყოველთვის რუსოფილებად მიგვიჩნევდნენ. თუ გსურთ იცოდეთ, ეს რუსოფილობა ჩვენს ხალხში არის, ანალოგიურად არის ის ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხში, მაგრამ ეს რუსოფილობა მაშინ გამოქვდავდებ, როდესაც ხალხზე სხვა მხრიდან ხდება ზეწოლა“¹. თათბირზე სიტყვით გამოვიდნენ ქართველი ემიგრანტები: ე. გეგეჭკორი, კ. ჩხეიძე, ნ. რამიშვილი. ისინი აუცილებლად მიიჩნევდნენ კავკასიის როლის წარმოჩენას მსოფლიო საზოგადოების წინაშე. ნოე რამიშვილმა განაცხადა: „პირველმა მსოფლიო ომმა საერთაშორისო მდგომარეობაში დიდი ცვლილებები შეიტანა და თუ აქამდე სომხეთის საკითხი საერთაშორისო საკითხად ითვლებოდა, ახლა ასეთად კავკასიის საკითხი იქცა. ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ ახლა, როცა ევროპული სახელმწიფოები მესოპოტამიის და სხვა ადგილების ნავთობზე ფიქრით არიან დაკავებულნი, ბაქოს ნავთობს უყურადღებოდ დატოვებენ?“². მან აუცილებელ პირობად კავკასიის გაერთიანება მიიჩნია.

ბოლშევიკური რუსეთისგან კავკასიის გათავისუფლებას, მხარს უჭერდა ფრანგი დეპუტატი ერნესტ უტრეი. მან ფრანგულ გაზეთ „Echo de Paris“-ში საინტერესო წერილი გამოაქვეყნა, სადაც წერდა: „ჩვენ ვიღებთ თავზე სითამამეს განვაცხადოთ, რომ წითელი რუსეთი კავკასიაში იქცევა,

¹ Протокол общего совещания представителей Кавказских Республик, 8 мая 1921 г., Париж, საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №1864, ანაწერი №2, საქმე 551, ფ. 1-2.

² იქვე, ფ. 13.

როგორც უზურპატორი, ხოლო ამ სახელმწიფოთ უნდა ანგარიში გაეწიოთ, როგორც დამოუკიდებელ ქვეყნებს და მათი უფლების საერთაშორისო ცნობით უზრუნველყოთ ის პირობები, კერძო პირთა, ისე დიდი კომპანიების, რომელნიც წინათ მიღებული ჰქონდათ ამ ქვეყნებში ფრანგებს, ბელგიელებს და თვით ინგლისელებს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს განცხადება შეაჩერებს ამ მყვლეფელი სინდიკატების წადილს უსირცხვილო საშუალებით ჩაიგდონ ხელში კავკასიის ნავთი... თუ უდიდესი და უძვირფასესი წარმოებანი ბაქოს და გროზნოს რაიონისა, რომელიც ჩამორთმეული აქვთ მათ კანონიერ მესაკუთრეთ და საბჭოების ხელში იმყოფებიან, ისევე მათ დარჩებათ, ბოლშევიკებს მიეცემათ უძლიერესი ფაქტორი მათი რეჟიმის გამაგრებისთვის¹.

ცნობილი ქართველი ეროვნულ-დემოკრატი დავით ვაჩნაძე, კავკასიის ერთიანობის აუცილებლობასთან დაკავშირებით წერდა: „კავკასიის რესპუბლიკების მარცხი ნაყოფია იმ დიდი ისტორიული შეცდომისა, რომ კავკასიის ერებს შინაგანი და საგარეო ერთობა არ ჰქონდათ. ჯერ კიდევ ათეული წლების წინათ, ვიდრე კავკასიის ერებს დღევანდელი ბრძოლის ხანა დაუდგებოდათ რუსეთის წინააღმდეგ, ზოგიერთი შორსმჭვრეტელი მოღვაწე კავკასიისა, წინასწარ გრძნობდა ამ ერთობის აუცილებლობას და ცდილობდნენ მთლიანი კავკასიის ფრონტის შექმნას... უსხეულო და უსულო ჩონჩხში სიცოცხლე ვერ დაისადგურებს, აქამდე წარმოებული სისტემა შეთანხმებისა და პერმანენტული მორიგებებისა, უნდა ითქვას მხოლოდ თავის მოტყუებაა, რომელიც მხოლოდ მესამეს ახარებდა. ეს ნაცადი გზა არ ვარგა. არის მეორე გზა – გზა ხსნისა, განთავისუფლებისა და აღორძინებისა, დღევანდელი ვითარების მიერ დასახული გზა კავკასიის ერთა სახელმწიფოთა კავშირისა, რომელსაც კავკასიის კონფედერაცია ეწოდება“².

1921 წლის 10 ივნისს კავკასიელმა ემიგრანტებმა, ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე, საკავშირო დეკლარაციას მოაწერეს ხელი. დაარსდა მუდმივი ორგანო კავშირის საბჭო, რომელშიც კავკასიის ქვეყნების დელეგაციის მათაურები შევიდნენ, საქართველოს წარმომადგენელ ევროპის ქვეყნებში მისი ელჩი აკაკი ჩხენკელი. მსგავსი ორგანიზაციები დაარსდა ლონდონში და სტამბოლში. დეკლარაცია 4 ძირითად პუნქტს შეიცავდა: 1. ტერიტორიული სადავო საკითხების სავალდებულო არბიტრაჟით გადაჭრა; 2. საბაჟოს საზღვრების გაუქმება და მთელი კავკასიის ეკონომიკურ ერთეულად ქცევა საერთაშორისო მიმოსვლისთვის; 3. სამხედრო კავშირი თავდაცვისთვის; 4. შეთანხმებული გეზი საგარეო პოლიტიკაში. დიდი კამათის შემდეგ, იქვე შეიტანეს ერთი მუხლი, რომელიც ოსმალეთში სომხეთის საკითხს ეხებოდა. ამასთან დაკავშირებით აკაკი ჩხენკელი თავის მემუარში წერს: „...მან, შეიძლება ითქვას, უფრო ვნება მოგვიტანა, ვინემ სარგებლობა, რადგან თურქები მას ოსმალეთის შინაურ საქმეებში ჩარევად თვლიდნენ, მაგრამ სომხეთის დელეგაცია მხოლოდ ამ მუხლის მიღებიდან ხდიდა დამოუკიდებლად თვით მის შესვლას კავშირში... არც ისე ადვილი იყო ეს თანამშრომლობა და ხშირად დაღებით მხარედ შეიძლებოდა ჩათვლილიყო მხოლოდ ის, რომ კავკასიის რესპუბლიკათა დელეგატები არ მოქმედებდნენ მაინც ერთმანეთის წინააღმდეგ... საქართველოს საელჩოთ და წარმომადგენლობებს ერთი წუთითაც არ უფიქრიათ დაყრდნობოდნენ მარტო კავკასიის რესპუბლიკათა კავშირს. პირიქით, ისინი მუშაობდნენ პირველ ყოვლისა საქართველოს სახელით და ეს მუშაობა არ ეწინააღმდეგებოდა არასდროს კავკასიის საერთო და თვითეული ერის ინტერესებს“³.

თავის მხრივ, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აქტიურად მუშაობდა ევროპის მმართველ წრეებთან, რათა რუსი ოკუპანტებისგან კავკასიის გათავისუფლება დაეჩქარებინა. საფრანგეთის ხელისუფლება ცდილობდა ოსმალეთი ჩამოეცილებინა რუსეთისათვის და იგი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენებინა. ამ მიზნით, 1921 წლის 20 ოქტომბერს, საფრანგეთის ხელისუფლებამ ქემალისტებთან ხელშეკრულება გააფორმა. საფრანგეთის მხრიდან მას ხელი მოაწერა ჰენრი ფრანკლინ-ბუიონმა, ხოლო ოსმალეთის მხრიდან ანკარის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა, იუსეფ ქემალ ბეიმ⁴. შეთანხმების მიხედვით, საფრანგეთი ცნობდა ოსმალეთის უფლებას კილიკიაზე, ხოლო ალექსანდრიტის სანჯაყი საფრანგეთის მფარველობაში რჩებოდა. ა. ჩხენკელი და ჩერმოვეი იმედოვნებდნენ, რომ ეს ხელშეკრულება ანკარას მოსკოვისგან ჩამოაშორებდა და შეეცადნენ საფრანგეთის პრემიერ მინისტრი არისტიდ ბრიანი კავკასიის საკითხით დაეინტერესებიათ. ამ მიზნით, 1921 წლის 28 ოქტომბერს, კავკასიის 4 რესპუბლიკის წარმომადგენელი: ჩხენკელი, აგარონიანი, ჩერმოვეი და

¹ ე. უტრეი, ნავთის პრობლემა – გენუის კონფერენცია და კავკასიის სახელმწიფოები, *თავისუფალი საქართველო*, №21 (პარიზი, 1922).

² დ. ვაჩნაძე, კავკასიის კონფედერაცია, *სამშობლო*, №2 (პარიზი, 1929).

³ მემუარი საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის აკ. ჩხენკელის დიპლომატიური მუშაობის შესახებ 1921-1922 წლებში, საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, პარვარდის უნივერსიტეტის მიკროფიზების ასლები, საქმე №872.

⁴ Mamoullia G., Les combats indépendantistes des Caucasiens entre URSS et puissances occidentales, Le cas de la Géorgie, 1921-1945, p.54, éd. L'Harmattan (Paris, 2009).

თოფიბაშვიცი, საფრანგეთის მთავრობის მეთაურს და საგარეო საქმეთა მინისტრ არისტიდ ბრიანს შეხვდნენ. ა. ჩხენკელმა მადლობა გადაუხადა ა. ბრიანს კავკასიის რესპუბლიკების მხარდაჭერისთვის და სთხოვა მას კავკასიელთა ინტერესების დაცვა ვაშინგტონის მთავრობის წინაშე. ა. ბრიანმა განმარტა, რომ რუსეთთან დაკავშირებით, ამერიკის მთავრობას საკუთარი ხედვები ჰქონდა. ისინი ვერ იფიქრებდნენ მეფის რუსეთთან კავშირს პირველ მსოფლიო ომამდე. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და დადგა დრო, რათა სახელმწიფოებმა შეცვალონ თავიანთი პოლიტიკა და რუსეთს ჩამოცილდნენ. თავის მხრივ, მან მზადყოფნა გამოთქვა, რომ საერთაშორისო კონფერენციებზე, კავკასიის სახელმწიფოების ინტერესებს დაიცავდა. ჩერმოვემა ბრიანს კავკასიის ქვეყნების მნიშვნელობა განუმარტა და შეახსენა, რომ რუსეთის ნავთობპროდუქტების წილის 85% სწორედ კავკასიაზე – ბაქოსა და გროზნოზე მოდიოდა. მან იმედი გამოთქვა, რომ საფრანგეთი თავის ხელში აიღებდა ნავთობპროდუქტების კონტროლს და კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობის აუცილებლობაში, ამერიკის ხელისუფლებასაც დაარწმუნებდა. ა. ბრიანმა კავკასიელ ემიგრანტებს დახმარება აღუთქვა¹.

1921 წლის 29 დეკემბერს, აკაკი ჩხენკელმა ოფიციალური წერილით მიმართა დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს: ლორდ კერზონს და არისტიდ ბრიანს. მიმართვაში აღნიშნულია: „...საქართველო და საზოგადოდ კავკასია არის მსხვერპლი საერთაშორისო არანორმალური კონიუნქტურისა, რომელიც შეიქმნა დიდი ომის შემდეგ (იგულისხმება I მსოფლიო ომი – ლ. ს.). ამ კონიუნქტურამ გახადა შესაძლებლად საუკუნოებით ანტაგონისტ რუსეთ-ოსმალეთის კავშირი, რაც თავის მხრივ, გარდაუვლად ხდიდა გეოგრაფიულად მათ გამნაცალკევებელ კავკასიის რესპუბლიკათა ბარბაროსულად დანგრევას. თუ არა ეს ღრმა მიზეზები, ისტორიის მწარე ირონიად შეგვეძლო ჩაგვეთვალა ის არაჩვეულებრივი მოვლენა, რომ დამარცხებული ოსმალეთი არც კი ეპეება გამარჯვებულ დიდ სახელმწიფოებს, თავს ესხმის, სხვათა შორის პატარა საქართველოს, რომელმაც ამდენი სისხლი დაღვარა დიდი ომის დროს, სწორედ მოკავშირეების მხარეზე... რაც შეეხება რუსეთს, მისთვის ხომ ნამდვილ სამხედრო ბაზას წარმოადგენდა კავკასია თავისი ექსპანსიური პოლიტიკის საწარმოებლად მეზობელ ქვეყნებში. მოსკოვის დღევანდელი მთავრობა განიცდის ისეთ მწვავე ეკონომიკურ კრიზისს, რომ ის ვერ შეძლებს დიდხანს გასტანოს, თუ ევროპამ არ აღმოუჩინა მას დახმარება. ასეთ პირობებში ძნელი არ უნდა იყოს მოსკოვის მთავრობის დათანხმება, რათა დაცალოს კავკასია, მხოლოდ აუცილებელი იქნება საგსებით უზრუნველყოფილ იქნას რუსეთის საჭიროება ნავთისა და ნავთობპროდუქტებისა, რისთვისაც შეიძლება გამოინახოს შესაფერისი გზა... ბოლშევიზმს არავითარი ნიადაგი არა აქვს კავკასიაში სოციალურად. აქ არ იცნობენ რუსი გლეხობის სათემო მიწათმფლობელობას. ბოლშევიზმი იმავე დროს მოსისხლე მტერია კავკასიის არასლავიანი ხალხების ნაციონალურად. უსაფუძვლოა ის აზრი, თითქოს კავკასიის ხალხები ერთმანეთზე იყვნენ გადაკიდებული და არ შეეძლოთ კეთილმეზობლობა. ისინი მთელი საუკუნეები ცხოვრობდნენ მშვიდობიანად ერთი მეორის გვერდით, ხოლო თათარ-სომხების უთანხმოება მიეწერება უფრო იმ მაგნე გაგლენას, რომელსაც ახდენდნენ მათზე გარედან რუსეთი და ოსმალეთი. განვლილი მწარე გამოცდილება თავდება, რომ წარსული ბნელი ამბები არ განმეორდება. ევროპაშიც ბევრია ისეთი კუთხე, სადაც შუღლი და ბრძოლა არსებობს ერთი და იმავე სახელმწიფოს ფარგლებში, მაგრამ ეს არ არის კიდევ საკმაო საბუთი, რომ ერს ღირსება აეხადოს. ამჟამად, უკვე არსებობს კავშირი კავკასიის ერებისა, რომლის შესახებ ოფიციალურად ეცნობა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს. კავკასიის ხალხები მოელიან, რომ დიდი ბრიტანეთი და მისი მოკავშირეები, როცა დაისმება რუსეთის საკითხი, ცალკე გამოყოფენ კავკასიის საკითხს... და მისცემენ მას საშუალებას გახდეს თავისუფალი თავისთვის და სასარგებლო ფაქტორი საერთაშორისო მშვიდობიანობისთვის“².

ემიგრაციაში მოღვაწე საქართველოს მთავრობა, წინ აღუდგა რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების გადაწყვეტილებას 1922 წელს, გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე, კავკასიის სიმდიდრის მეპატრონედ ბოლშევიკების მიერ წარგზავნილი ჩიჩერინი, კრასინი და ლიტვინოვი გამოსულიყვნენ³.

¹ Entrevue des representants des 4 Republiques Caucasiennes avec monsieur A. Briand, Le 28 Octobre, 1921, საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №1864, ანაწერი №2, საქმე 550, ფ. 74.

² ა. ჩხენკელის მიმართვები დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს ლორდ კერზონისა და არისტიდ ბრიანისადმი რუსი ოკუპანტებისგან საქართველოს გათავისუფლებაში დახმარების აღმოჩენის შესახებ, საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №1864, ანაწერი №2, საქმე 104, ფ. 1-3.

³ ევროპაში საქართველოს საგანგებო ელჩის ა. ჩხენკელის მოხსენება მთავრობისადმი „საქართველოს საკითხი გენუის კონფერენციაზე“, საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №1864, ანაწერი №2, საქმე 64, ფ. 2.

1924 წლის ნოემბერში, სტამბოლში, „კავკასიის განმათავისუფლებელი კომიტეტი“ დაარსდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელობის მიზნით, პარიზში, აზერბაიჯანის, საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენლები შეიკრიბნენ და შექმნეს კავკასიური კომიტეტი, რომელსაც უნდა მოეხდინა რუსეთის საბჭოთა საოკუპაციო ჯარებისგან, კავკასიის განმათავისუფლებისთვის ბრძოლის ორგანიზება. კომიტეტის შექმნის შესახებ, დოკუმენტს საქართველოს სახელით ხელი მოაწერეს: აკაკი ჩხენკელმა (ევროპის ქვეყნებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი), ნოე რამიშვილმა (შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი), სპირიდონ კედიამ (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი); აზერბაიჯანის მხრიდან: ალი მარდან ბეკ თოფჩიბაშევი¹ (პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე აზერბაიჯანის დელეგაციის მეთაური), ჯეინუნ გაჯიბეილმა (იმავე დელეგაციის წევრი), ჩრდილო კავკასიის სახელით: აბდულ მეჯიდ ჩერმოევმა, იბრაგიმ გაიდარმა, გაიდარ ბამატმა (ჩრდ. კავკასიის მთიელთა და დაღესტნის კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი)². 1925 წელს, სომხებმა უარი განაცხადეს კავკასიურ კომიტეტში მონაწილეობაზე.

რუსული საფრთხის წინააღმდეგ, ფედერაციის შექმნის იდეით გამოვიდა პოლონეთის მარშალი იუზუფ პილსუდსკი. იგი 1918-1922 და 1926-1935 წლებში პოლონეთის ფაქტიური მმართველი იყო. პილსუდსკის გეგმით, მასში ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ფინეთი, ბელორუსია და უკრაინა უნდა გაერთიანებულიყვნენ. ფედერაციას მჭიდრო კავშირი ექნებოდა არა მარტო უნგრეთთან, რუმინეთთან, იუგოსლავიასთან, ბულგარეთთან და თურქეთთან, არამედ კავკასიის სახელმწიფოებთანაც. 1925 წლის დასაწყისში პოლონელთა ინიციატივით, კონსტანტინოპოლში დაარსდა კონფედერაციული კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ კავკასიის რუსეთისგან გამოყოფის მომხრეები, ასევე, ოთხი დამოუკიდებელი სახელმწიფოს: აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენლები. კომიტეტში საქართველოს მხრიდან წარმოდგენილი იყვნენ ეროვნულ-დემოკრატები: ალექსანდრე ასათიანი და დავით ვაჩნაძე, ასევე, მიხეილ წერეთელი (პირველი მსოფლიო ომის დროს ბერლინში მოღვაწე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ერთ-ერთი წევრი); აზერბაიჯანის მხრიდან: ხოსროვ ბეგ სულთან ზადე, აბდულ ალი ემირჯანი და ისლამ ზადე; ჩრდ. კავკასიიდან: ვასან გირეი ჯაბაგი (მთიელთა რესპუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი), ალიხან კანტემირი და აიტეკ ნამიტოკი. კომიტეტის ხელმძღვანელ ორგანოს პრეზიდიუმი წარმოადგენდა. მასში შედიოდნენ: დ. ვაჩნაძე, სულთან ზადე და ჯაბაგი. 1925 წლის მარტში კავკასიის კომიტეტმა პოლონეთიდან ფინანსური დახმარება მიიღო და კონკრეტული გეგმების განხორციელებას შეუდგა. კავკასიის რესპუბლიკებთან საილუმლო კავშირის დასამყარებლად კანტემირი ყარსში გაემგზავრა, დავით ვაჩნაძე არდაგან-ხოფის რაიონში, სულთან ზადე ირანში, ხოლო ჯაბაგი სტამბოლში დარჩა, რათა კომიტეტის სახელით ჟურნალი გამოეცა.

1926-1928 წლებში, პოლონეთში, შეიქმნა კლუბი „პრომეთე“, რომელშიც ჩრდილოეთ კავკასიის, ამიერკავკასიის, დონის, ყუბანის, კარელიის, ვოლგისპირეთის, ყირიმის, თურქესტანის და უკრაინის წარმომადგენლები შევიდნენ. იგი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული კავკასიური ემიგრანტული პოლიტიკური ორგანიზაციებიდან, ყველაზე უფრო ორგანიზებული იყო. აღნიშნულ გაერთიანებაში გამორჩეული ადგილი ეკავა იმამ შამილის შვილიშვილს, მუჰამად საიდ შამილს, რომელიც ჩრდილო კავკასიური დიასპორის აღიარებული ლიდერი და კავკასიის მთიელთა სახალხო პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. 1926-1939 წლებში, პარიზში, ფრანგულ ენაზე გამოიცემოდა ჟურნალი „პრომეთე“, რომლის რედაქტორი ცნობილი ქართველი ეროვნულ-დემოკრატი, გიორგი გვაზავა იყო. კავკასიის კონფედერაციის იდეა „პრომეთეში“, 1927 წლიდან გაჩნდა. ეს იდეა ვარშავაში ჩამოყალიბდა, რომლის აქტიური მხარდამჭერები იყვნენ: მუსტაფა ვეჟილი, იოსებ სალაყაია, ტამბი ელეკოტი³. თავის მხრივ, საბჭოთა ხელისუფლების, ასევე, მეფის რუსეთის პოლიტიკური ემიგრაცია აცხადებდა, რომ კავკასიის კონფედერაციის თუ ფედერაციის იდეა, პანთურქისტების, ასევე, თურქეთის მიერ მანიპულირებული ბუფერული სახელმწიფოს პროექტი იყო, რასაც სომეხი ემიგრანტი პოლიტიკოსებიც ეთანხმებოდნენ.

1930 წელს შეიქმნა „ჩრდილოეთ კავკასიის სახალხო პარტია“, რომლის ხელმძღვანელი ოსი ალიხან კანტემიროვი გახდა. მისი რედაქტორობით 1934-1939 წლებში, პარიზში, გამოდიოდა ჟურნალი „ჩრდილოეთ კავკასია“. პარიზში, ასევე, გამოდიოდა ჟურნალი „დამოუკიდებელი კავკასია“, რომელიც კავკასიის კონფედერაციის იდეას აქტიურად იცავდა. აღნიშნულმა ორგანომ დი-

¹ Топчибашев А. М., Меморандум, предъявленный находящимся в Константинополе почетным представителям держав Антанты, членом правительства Азербайджанской Республики, Чрезвычайным Министром-посланником при правительствах Блистательной Порты, Армении и Грузии Али Мардан беком Тончибашевым (ноябрь 1918г.). (Баку, 1993).

² Мамулия Г. Г., Кавказская Конфедерация в официальных декларациях, тайной переписке и секретных документах, движения „Прометей“, Сборник документов, 9 (Москва, 2012).

³ Etienne Copeaux, Le mouvement promethéen, Cahiers d'études sur la Méditerranée et le monde turco-iranien (CEMOTI), №16 (1993).

დი როლი შეასრულა ემიგრაციაში მყოფი კავკასიის ერთა შეთანხმებული პოლიტიკური აზროვნების ჩამოყალიბების საქმეში¹.

კავკასიის კონფედერაციის შექმნა კიდევ უფრო აქტუალური 1930-იან წლებში გახდა. 1930 წლის 18 ნოემბერს, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის სახელით, ა. ჩერმოვემა და ნ. ბამატმა, ხოლო აზერბაიჯანის სახელით, მ. იაკუბა ოფიციალური მიმართვა გაუგზავნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩს აკაკი ჩხენკელს, რათა საქართველოს ეროვნული მთავრობის წინაშე კავკასიის რესპუბლიკების კონფედერაციის საკითხი დაეყენებია. მიმართვიდან ჩანს, რომ ისინი შექმნილი საერთაშორისო სიტუაციიდან გამომდინარე სასიცოცხლოდ აუცილებლად მიიჩნევენ საკუთარი ძალების გაერთიანებას².

„მახვილი და ცქვითი გონება, მხნე ხასიათი, ფანტასტიური იუმორის გრძნობა და უზომო სათნოება,“ სწორედ ასე ახასიათებდნენ ახლობლები და მეგობრები ნიკოლოზ თოხაძეს, რომელმაც ბრწყინვალე სამხედრო კარიერა გაააყეთა საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში. ოცდათხუთმეტწლიანი მსახურების შედეგად თოხაძემ პოლკოვნიკის წოდებას მიაღწია და საფრანგეთის თითქმის ყველა უმაღლესი სამხედრო ჯილდო მოიპოვა. თადარიგში გასვლისას ის იყო საფრანგეთის ჯარში ყველა მაღალი წოდების ქართველი ოფიცერი რომლის რეპუტაცია იმდენად დიდი იყო რომ უცხოურ ლეგიონში მას დღემდე თბილად იხსენიებენ და სცემენ პატივს. „Le Colonel,“ როგორც მას სიყვარულით ეძახდნენ მეგობრები, დაიბადა და გაიზარდა საქართველოში და სამხედრო სამსახურს იუნკერთა სკოლაში დაიწყო. 1921 წელს წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის მერე, თოხაძე საქართველოს მტავრობასთან ერთად სტამბულში გაემგზავრა, საიდანაც ის, ოთხ სხვა კადეტთან ერთად, სასწავლებლად საფრანგეთში მიაგვლინეს. მომდევნო 35 წელი თოხაძემ სწორედ ფრანგულ ჯარს შეაღწია და თავდადებით იცავდა უცხოური ლეგიონის სახელგანთქმულ დევიზს, „ღირსება და ერთგულება.“

ნიკოლოზ თოხაძე დაიბადა ქ. ოზურგეთში 1901 წლის 13 თებერვალს. მის ბავშვობის წლებზე მეტად მწირი მონაცემები მოგვეპოვება. მამამისი, გიორგი თოხაძე, სასულიერო პირი იყო ხოლო დედა, რაისა დუმბაძე, სკოლაში მუშაობდა. ოჯახი ეტყობა საკმარისად შეძლებული იყო რომ ახალგაზრდა კუკური, როგორც ნიკოლოზს სიყვარულით ეძახდნენ ოჯახში, თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში ჩაირიცხა. 1919 წლის სექტემბერში თოხაძე ახლად დაარსებულ იუნკერთა სკოლაში მირებულ 90 იუნკერთა შორის აღმოჩნდა და საარტილერიო განყოფილებაში მოხდა, სადაც დანარჩენ თოთხმეტ იუნკერთან ერთად ეწაფებოდა საარტილერიო საქმეს. 1920 წლის 2-3 მაისს მან თავი გამოიჩინა ბოლშევიკების მიერ იუნკერთა სკოლაზე მოწყობილი თავდასხმის მოგერიების დროს. შემდეგში მონაწილეობა მიიღო ლაგოდენში მეექვსე პოლკის ბოლშევიკი აგიტატორების შეპყრობის და განიარაღების ოპერაციაში. 1921 წლის თებერვალში იუნკერთა სკოლის სხვა კურსანტებთან ერთად ებრძოდა საქართველოში შემოჭრილ წითელ არმიას კოჯორ-თაბახმელასთან. წითელი ოკუპაციის შემდეგ 1921 წლის მარტში თოხაძე გენერალ გიორგი კვინიტაძესთან ერთად ბათუმიდან სტამბოლში გაემგზავრა.

კვინიტაძესთან ერთად სტამბოლში ჩასული 69 იუნკერიდან 14 სამშობლოში დაბრუნდა. დანარჩენებს ცხოვრება მოუწიათ სტამბოლში, დენიკინის არმიის ყოფილ ყაზარმებში, ჯერ ბეიუკდერეში, ხოლო შემდეგ ბეიუკლიმანში ევროპის მხარეზე. ამერიკული წითელი ჯვარი ქართველ იუნკერებს საკვები პროდუქტებით ამარაგებდა. ქართული ხელისუფლების ძალისხმევით 5 იუნკერი – ალექსანდრე ჯინჭარაძე, ივანე ვაჩნაძე, გიორგი ოდიშელიძე, ალექსანდრე კინწურაშვილი და ნიკოლოზ თოხაძე – საფრანგეთში, სენ-მექსენის სამხედრო სკოლაში გაგზავნეს. 1922 წლის 1 ოქტონბერს, იგი ჩაირიცხა უცხოური ლეგიონში პირველ პოლკში უმცროსი ლეიტენანტის წოდებით.

უცხოურ ლეგიონში წასვლამდე, თოხაძე ჯერ ახლად დაარსებულ სატანკო ცენტრში (Centre d'Etudes des chars de combat) და 513-ე სატანკო პოლკში (513-ე Régiment de Chars de Combat) გაიარა წვრთნა. 1923 წლის ოქტონბერში თოხაძე მიაგვლინეს 36-ე საავიაციო პოლკში (36-ე Régiment d'Aviation) სადაც მან ორი წლის განმავლობაში ეუფლებოდა თვითფრინავის მართვის და საჰაერო ბრძოლის უნარებს. 1925 წლის ოქტომბერში თოხაძე მოროკოში ჩავიდა და უცხოურ ლეგიონის პირველ პოლკში მსახურობას შეუდგა, თუმცა 1925-1938 წლებში იგი მივლინებული იქნა 37-ე საავიაციო პოლკში სადაც ბრევე XIV და XIX ტიპის თვითფრინავებით ასორციელებდა სადაზვერვო და დაბომბვით ოპერაციებს მოროკოელ მებრძოლების წინააღმდეგ. ცამეტი წლიანი საბრძოლო მოქმედებებში მან დაიმსახურა ნიჭიერი და თავდადებული ოფიცრის სახელი და შეასრულა ასობით საბრძოლო და დაზვერვითი გაფრენა, რითაც დიდად შეუწყო ხელი ფრანგული ჯარის მიერ აღმოსავლეთ და სამხრეთ მოროკოს დამორჩილებას. წარჩინებით მსახურებისათვის თოხაძემ მოიპოვა ლეიტენანტის (1924) და კაპიტანის წოდებები (1934 წ.) და არაერთი საბრძოლო მედალი და ორდენი, მათ შორის სამხედრო ჯვარი (Croix de Guerre TOE). 1929 წელს მათ თავი გამოიჩინა მოროკოელი მებრძოლების მიერ აიტ იაქუბთან დამარცხებული და არღყა შემორ-

ტყეული ლეგიონერების გადასარჩენად მოყწობილ ოპერაციაში, რომლის დროსაც მან არაერთი საბრძოლო გაფრენა შეასრულა და რთული საფრენი პირობების მიუხედავად შეძლო ლეგიონერებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სურსათ-სანოვაგის მიწოდება. 1931 წელს თოხაძე გახდა საფრანგეთის უმაღლესი ჯილდოს საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი. იმავე წელს დაქორწინდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის და ექიმის ვახტანგ ღამბაშიძის ქალიშვილზე, თამარ (სუნანა) ღამბაშიძეზე, რომელთანაც მალევე შეეძინა შვილი გიორგი. ამავე პერიოდში თოხაძემ ჟურნალ „მხედარში“ გამოსცა რამოდენიმე სტატია რომლებშიც განიხილა მოროკოს მთა-გორიან რეგიონებში მიმდინარე ომის თავისებურებები რათა „გამოეწვია ქართველ მხედრებში ერთგვარი მსჯელობა და შედარება მაროკოსა და რომელიმე სხვა ქვეყანაში ომის წარმოების პირობათა.“

1939 წელს პარიზში გამართულ გრანდიოზულ სამხედრო პარადზე პირველად მოიწვიეს უცხოური ლეგიონის ნაწილებიც, რომელთაც სათავეში ორი ქართველი ოფიცერი, დიმიტრი ამილახვარი და ნიკოლოზ თოხაძე, ედგათ.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ თოხაძე თავდაპირველად ალჟირში მსახურობდა მაგრამ იგი მალე დაინიშნა უცხოური ლეგიონის მეხუთე პოლკში რომელიც ინდონეზიაში (დღევანდელი ვიეტნამი) იმყოფებოდა. 1941 წლის ზაფხულში თოხაძე ჩავიდა ტონკინის რეგიონში და სათავეში ჩაუდგა დაბა ტონგში განლაგებულ გარნიზონს, რომელიც მე-5 პოლკის ორი ბატალიონისგან შედგებოდა. მომდევნო ოთხი წელი იგი სწორედ საგარნიზონო მოვალეობებით იყო დაკავებული, რასაც წარმატებით გაართვა თავი და მაიორის წოდება მოიპოვა.

1945 წლის 9 მარტის საღამოს იაპონურმა ჯარმა მოულოდნელი იერში მიიტანა ინდონეზიაში განლაგებულ ფრანგული ჯარის ნაწილებზე. პირველი ორი დღის განმავლობაში ფრანგული ჯარის დიდი ნაწილი განადგურებული ან ტყვედ აყვანილი აღმოჩნდა, მაგრამ ტონკინის რეგიონში გადარჩა უცხოური ლეგიონის მეხუთე პოლკი, რომელმაც ჩინეთისკენ უკან დახევა დაიწყო. მომდევნო ორმოცდათორმეტი დღის განმავლობაში თოხაძემ და მისმა ლეგიონერებმა თითქმის 1000 კილომეტრის მანძილზე ბრძოლით გაიკაფეს გზა მთა-გორიან რეგიონში და მიუხედავად იმისა რომ თავისი შემადგენლობის მესამედი დაკარგეს, მაინც შეძლეს სამშვიდობოს გაღწევა. თოხაძე თავდაპირველად მეორე ბატალიონს ახლდა თან მაგრამ დრო და დრო სხვადასხვა ტაქტიკურ შენაერთებს მეთაურობდა და იაპონელებთან შეტაკებებში მან არაერთხელ გამოიჩინა თავი, რისთვისაც შემდგომში საპატიო ლეგიონის ოფიცრის რანგით დაჯილდოვდა; დაჯილდოვების საბუთებში აღნიშნულია რომ თოხაძემ „მტერთან ბრძოლაში გამოავლინა საუკეთესო საბრძოლო სულისკვეთება [და] არასოდეს უყოყმანია რიგით ლეგიონერებთან გვერდიგვერდ ებრძოლა მოწინავე ხაზში; იგი უშუალოდ უზრუნველყოფდა არიერგარდის უსაფრთხოებას.“ ამ ლაშქრობაში გამოჩენილი მამაცობისაგან თოხაძემ ასევე მოიპოვა საფრანგეთის ერთ-ერთი უმაღლესი სამხედრო ჯილდო, სამხედრო ჯვარის ორდენი (პალმის რტოთი).

1945 წლის მაისის დასაწყისში, მეხუთე პოლკის ნარჩენებმა გადააკვეთა ჩინეთის საზღვარი და სამშვიდობოს გააღწია. თოხაძე თავში ჩაუდგა ლეგიონერთა ახლად შექმნილ შენაერთს და მომდევნო შვიდი თვის განმავლობაში ზრუნავდა თავისი ხელქვეითების კეთილდღეობაზე. 1946 წლის გაზაფხულზე თოხაძე გადაიყვანეს ინდოეთში სადაც იგი ქალაქ ჩანდერნაგორში განლაგებულ ფრანგულ შენაერთებს ხელმძღვანელობდა. იმავე წლის 12 ივნისს, ხუთწლიანი არყოფნის შემდეგ, თოხაძე საფრანგეთში დაბრუნდა.

დასვენება ხანმოკლე აღმოჩნდა. 1946 წლის შემოდგომაზე თოხაძე ჩრდილოეთ აფრიკაში მიავლინეს და მომდევნო ორი წლის განმავლობაში იგი ალჟირში და მოროკოში განლაგებული უცხოური ლეგიონის სამხედრო ბაზებს ამოწმებდა. 1949 წელს მას დაევალა მადაგასკარის კუნძულზე უცხოური ლეგიონის ნაწილების ჩაყვანა, რაც მან წარმატებით შეასრულა და ორი წლის განმავლობაში მსახურობდა კუნძულზე.

1951 წლის დეკემბერში უკვე ლეიტენანტ პოლკოვნიკი თოხაძე დაბრუნდა მოროკოში სადაც მან ჩაიბარა უცხოური ლეგიონის მოტო-ქვეითი ქვედანაყოფი (Groupement des Compagnies Portées de Légion Étrangère du Maroc) და დიდი წარმატებით მეთაურობდა მას მომდევნო ორი წლის განმავლობაში. 1955 წელს ხანგრძლივი წარჩინებული სამხედრო სამსახურისათვის თოხაძე დაჯილდოვდა საპატიო ლეგიონის კომანდორის წოდებით, ქართველის მიერ მიღებული ყველაზე მაღალი რანგის ფრანგული ჯილდო.

1956 წელს თოხაძე გადაიყვანეს ქალაქ პარიზში უცხოური ლეგიონის შტაბში სადაც იგი ერთი წლის განმავლობაში მსახურობდა. 1957 წლის 17 თებერვალს, ოცდათხუტმეტ წლიანი სამხედრო სამსახურის შემდეგ, თოხაძე გავიდა თადარიგში და, მომდევნო წლის 1 ოქტომბერს, მოიპოვა პოლკოვნიკის წოდება. ამ დროისათვის თოხაძე იყო ფრანგულის ჯარის ყველაზე მაღალ წოდებიანი ქართველი ოფიცერი. თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში მან მოიპოვა საფრანგეთის თითქმის ყველა უმაღლესი სამხედრო ჯილდო, მათ შორის საპატიო ლეგიონის ორ-

დენი ს სამი რანგი (კავალერი, ოფიცერი და კომანდორი), ანუანის ვარსკლავის ორდენი (კოლონიალური ორდენი რომელიც შემდგომში დამსახურების ეროვნული ორდენის ტოლფასი გახდა), სამხედრო ჯვარი 1939-1945 წწ. ორდენი (Croix de Guerre 1939-1945, პალმის რტოთი) და სამხედრო ჯვრის ორდენი (Croix de Guerre TOE, ხუთი პალმის რტოთი, 2 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს ვარსკლავით).

ცხოვრების უკანასკნელი წლები თოხაძემ გაატარა დაბა პალასოში, პარიზის მახლობლად. იგი აქტიურად მონაწილეობდა ქართული სათვისტომოს საქმიანობაში, მისი თაოსნობით 1957 წელს ჩამოყალიბდა ქართველ კიუნკერთა საზოგადოება. თოხაძემ გამოსცა მთელი რიგი პუბლიკაციებისა რომელთა მიზანს წარმოადგენდა ქართულ ემიგრანტულ წრეებში ქართული წერაკითხვის გავრცელება. ქართული ენის სახელმძღვანელოს (Manuel pratique de la langue Géorgienne) პირველივე ფურცელზე თოხაძე აღნიშნავდა: „ეს პატარა წიგნი ეძღვნება საფრანგეთში დაბადებულ ახალგაზრდებს და მათ ქართველ და ფრანგ მშობლებს. იმედი მაქვს რომ ეს მოკრძალებული ნამუშევარი მათ გაუდვივებს თავისი წინაპრების ენის შესწავლის სურვილს. დაე ამ წიგნმა დაგეხმაროს საქართველოს გმირული ისტორიის შესწავლაში და არ დავიწყებაში, საქართველოსი რომელიც მუდამ ჩაგრული და ნაწამები იყო მაგრამ მუდამ განაგრძობს არსებობას.“

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ პოლკოვნიკი ნიკოლოზ თოხაძე გარდაიცვალა 1975 წელს და დასაფლავებულია ქართული სათვისტომოს სასაფლაოზე დაბა ლევილში.

რაჟდენ რუსიშვილი
(ფუსვები, ტრადიციები, მოღვაწეობა)

თბილისის ერთ-ერთ მშვენიერ უბანში – ვერაზე, ბელინსკის ქუჩის დასაწყისში, მარჯვენა მხარეს, დღესაც დგას აგურით აშენებული კოპწია, ორსართულიანი სახლი. ამ სახლის პირველ სართულზე ამ ბოლო დრომდე ცხოვრობდა გამოჩენილი მოქანდაკის ბიძინა ავალიშვილისა (1922-2002) და მისი ვაჟის, პროფესორ გია ავალიშვილის (1941-2004) შთამომავლობა.

ამავე სახლის მეორე სართულზე დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა ქალბატონი დარია (დარიკო) გრიგოლის ასული რუსიშვილი (1904-1992), რომელიც 90 წელს მიღწეული გარდაიცვალა. არაერთხელ მქონდა პატივი, რომ მისი ოჯახის სტუმარი ვყოფილიყავი. ამ წარჩინებული საგვარეულოს ჭეშმარიტად ღირსეულ წარმომადგენელ მანდილოსანს, სამწუხაროდ, შთამომავალი არ დარჩენია. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ქალბატონმა დარიამ საჩუქრად გადმომცა თავის საოჯახო არქივში დიდი რუდუნებით შემონახული რამდენიმე საყურადღებო დოკუმენტი. მათ შორის იყო მისი ძმის, უცხოეთში მოღვაწე მეცნიერის – რაჟდენ რუსიშვილის ცხოვრების ამსახველი მასალაც.

წინამდებარე სტატიაში მოთხრობილია ხსენებული მეცნიერის წარმომავლობის, საგვარეულო ტრადიციებისა და უცხოეთში მოღვაწეობის შესახებ.

* * *

თავად რუსიშვილთა საგვარეულო სათავეს ძველი დროიდან იღებს.

უფლისწულმა ვახუშტი ვახტანგის ძე ბაგრატიონმა (1696-1756) თავის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ჩამოთვლილ კახეთის 13 სათავადო გვარს შორის რუსიშვილთა საგვარეულო მერვე ადგილას დაასახელა. მისივე განმარტებით, ეს გვარი გახლდათ ერთ-ერთი „უწარჩინებულეს და შემძლებელ“ ქართულ თავადურ საგვარეულოთა შორის¹.

უფლისწულმა იოანე გიორგის ძე ბაგრატიონმა თავის თხზულებაში „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ ჩამოთვლილ კახეთის 24 სათავადო გვარს შორის რუსიშვილების საგვარეულო ასევე მერვე ადგილას მოიხსენია.

რუსიშვილთა წარმომავლობის შესახებ იოანე ბატონიშვილმა ასეთი ცნობა მოგვაწოდა: „ესენი არიან დროსა თამარ მეფისასა, რომელიცა მოჰყვნენ რუსთა მეფისა ძესა ვსევოლოდიისსა სვიაჯად წოდებულის ქალაქით, რომელიც ექორწინა თამარ მეფესა ქრისტეს აქეთ 1177 წელსა და თამარ მეფემან ამა რუსის შვილს რუსოვად წოდებულისა გვართა უბოძა რუსისშვილობა და თავადობა და აწ არიან შილდას მოსახლენი ესენი: 1) ბარამის შვილები, 2) ქაიხოსროს შვილები“².

საქართველოში ასევე ცხოვრობდნენ აზნაური რუსაშვილები, რომლებიც იყვნენ იმერეთიდან შიდა ქართლში გადასახლებულ თავად აბაშიძეთა აზნაურნი. მათ არავითარი ნათესაობა არ ჰქონდათ თავად რუსიშვილებთან, რომლებიც კახეთში მკვიდრობდნენ.

იოანე ბაგრატიონის ცნობით, „რუსაშვილთა წინაპარი არიან რუსეთით მოსრულნი ადრევე და მიღებულ მდაბალ აზნაურად, რომლისა გამო ადგილისა რუსეთითა ეწოდათ რუსას შვილობა და არიან მოხსენებულ ტრაქტატსა შინა“³.

1783 წლის 24 ივლისს, გეორგიევსკში, ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დადებულ მფარველობით ტრაქტატს დართულ აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა ნუსხაში იხსენიებიან კახეთის თავადი რუსიშვილები და ქართლის თავადების – აბაშიძეთა აზნაური რუსაშვილები⁴.

¹ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1973), გვ. 35.
² იოანე ბაგრატიონი, *შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა* (მასალა ისტორიისათვის), ზ. კაცელაშვილის გამოცემა (თბილისი, 1997), გვ. 42.
³ იოანე ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.
⁴ *გეორგიევსკის ტრაქტატი*, 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. პაიჭაძემ (თბილისი, 1983), გვ. 59-63.

ჩვენთვის უცნობია, თუ რომელ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით მოგვაწოდა იოანე ბაგრატიონმა რუსიშვილთა და რუსაშვილთა საგვარეულოს წარმომავლობის ზემოთ მოყვანილი ვერსიები. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ არაერთი ქართველი ფეოდალი საკუთარი გვარის ფუძემდებლად უცხო ქვეყნიდან მოსულ წარჩინებულს აცხადებდა.

თავადი რუსიშვილები სხვადასხვა საისტორიო დოკუმენტში იწოდებიან: ყორჩიბაშ-რუსიშვილებად, რუსიშვილებად, ყორჩიბაშიშვილებად, ანდა ყორჩიბაშებად.

აქვე განვმარტავთ, რომ ყორჩიბაში ეწოდებოდა სპარსეთის შაჰინშაჰის პირადი დაცვისა და სამეფო კავალერიის უფროსს. აღმოსავლეთ საქართველოში ეს თანამდებობა შემოიღო ქართლის მეფე როსტომმა, რომელიც ერთხანს კახეთსაც განაგებდა. შეესაბამებოდა მანამდე არსებულ მსახურთუხუცესის თანამდებობას, რომელიც იყო სამეფო კარის მინისტრი და მეფის დომენის გამგებელი¹.

კახეთის სამეფო კარზე რუსიშვილებს სხვადასხვა დროს ეკავათ: ყორჩიბაშის, მდივანბეგის, მოღარეთუხუცესის (მთავარი ხაზინადარის), ბოქაულთუხუცესის, ბაზიერთუხუცესის, მოურავის და ნაზირის თანამდებობები. რუსიშვილნი წარმატებით მოღვაწეობდნენ სასულიერო ასპარეზზეც, ხოლო ზოგიერთი მათგანი ნეკრესის ეპისკოპოსიც იყო.

XV-XVIII საუკუნეების ქართულ საისტორიო წყაროებში მოიხსენიებიან რუსიშვილთა საგვარეულოს შემდეგი წარმომადგენლები (რომლებიც ზოგჯერ იწოდებოდნენ რუსისშვილებად): **სეფედავლე**, რომელიც იყო მოწმე კათოლიკოს-პატრიარქ აბრაამ II აბალაკის მიერ სვეტიცხოვლის კახური მამულების მოხილვისას შედგენილი სასაზღვრო მიჯნების წიგნისა (დათარიღებულია 1492-1497 წლებით); **ინდო**, რომელიც იყო მოწმე კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის მიერ სვეტიცხოვლისათვის მიცემული შეწირულების განახლების წიგნისა (1579 წ.); მოღარეთუხუცესი **პატი**, მისი ვაჟები – **ქაიხოსრო**, **გირგელდი**, **რუსი** და შვილიშვილი **ზურაბ ქაიხოსროს ძე**, რომლებიც XVI საუკუნის მეორე ნახევარში გაცემულ საბუთებში იხსენიებიან; მოღარეთუხუცესი **რუსი**, რომელმაც კათოლიკოს-პატრიარქ დომენტი III-ის ზეობის დროს, სვეტიცხოველს შესწირა ვეძისხევში მდებარე მამული თავისი მამის სულის საოხად (1664 წ.); მოღარეთუხუცესი **შერმაზან** და ბაზიერთუხუცესი **გიორგი რუსის ძენი**; ჭერემელი ეპისკოპოსი **ეპიფანე**, რომელიც XVII საუკუნის შუა ხანებში მოღვაწეობდა²; **გუნა**, **აბიბო შერმაზანის ძე** დამისი ბიძაშვილი – **ზაალი**³, რომლებიც XVIII საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებულ საბუთებში მოიხსენიებიან; ბოქაულთუხუცესი **ბარამ ბეჟანის ძე**; მდივანბეგები **დიმიტრიბეჟანის ძე** და მისი ვაჟი **პაპუნა დიმიტრის ძე**; ნაზირი **ივანე პაპუნას ძე**; მოურავები **რამაზ ბეჟანის ძე** დამისი ვაჟი **ბეჟან რამაზის ძე**⁴ და სხვ.

თავად ყორჩიბაშ-რუსიშვილთა მფლობელობაში იყო კახეთის სოფლებში – ქვემო ხოდაშენში, კურდღელაურსა (ამჟამად ეკუთვნის თელავის რაიონს) და შილდაში (ამჟამად ეკუთვნის ყვარლის რაიონს) მდებარე მამულები მათში დასახლებული ყმებითურთ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსიშვილის გვარის მატარებელთა შორის იყვნენ როგორც თავადები და აზნაურები, ასევე გლეხებიც, რომლებსაც ერთმანეთთან გენეტიკურად არაფერი აკავშირებდათ⁵.

კახეთის სამეფოს სატახტო ქალაქ თელავში თავად რუსიშვილებს საკუთარი ციხესიმაგრე ჰქონდათ, რის შესახებაც მიუთითებდნენ XVIII საუკუნის ბოლო მესამედში საქართველოში ჩამოსული გერმანელი მოგზაურები – იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, რომელიც ქალაქ რიგაში დაიბადა და აღიზარდა და იაკობ რაინეგსი ანუ ქრისტიან-რუდოლფ ელისი, რომელიც წარმოშობით საქსონიიდან იყო.

გიულდენშტედტის ცნობით, თელავში სამი გალაგნიანი ციხე იყო. ქალაქის ცენტრში მდებარეობდა მეფის რეზიდენცია, რომლის წრეწირიც 700 ნაბიჯს შეადგენდა. მისგან აღმოსავლეთით მდგარი თავად ვახვახიშვილთა ციხის წრეწირი 500 ნაბიჯს უდრიდა. თელავის დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა თავად ყორჩიბაშიშვილთა ანუ რუსიშვილთა ციხე, რომლის წრეწირიც 600 ნაბიჯს შეადგენდა.

¹ Думин С., Гребельский П., *Дворянские роды Российской империи*, том IV, Князья Царства Грузинского, под редакцией С. Думин и Ю. Чиковани (Москва, 1998), с. 15-16.

² *პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVIII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით*, ტ. IV, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: გ. ოთხმეხურმა, გ. მჭედლიძემ, მ. სურგულაძემ, დ. ულენტმა, ა. ბაქრაძემ, თ. ენუქიძემ და დ. კლდიაშვილმა, ტომი შეადგინეს მ. სურგულაძემ და დ. კლდიაშვილმა (თბილისი, 2007), გვ. 84-85.

³ *ქართული სამართლის ძეგლები*, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ (თბილისი, 1972), გვ. 320-377.

⁴ Думин С., Гребельский П., დასახ. ნაშრომი, გვ. 194-197.

⁵ რ. თოფჩიშვილი, *საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია* (თბილისი, 2011), გვ. 284-285.

ამ საყურადღებო ცნობიდან ჩანს, რომ ყორჩიბაშ-რუსიშვილების ციხე სიდიდით ოდნავ ჩამორჩებოდა სამეფო ციხეს, მაგრამ აღემატებოდა ვახვახიშვილთა ციხეს¹.

რაინეგსი წერდა, რომ კახეთის ტერიტორიაზე ყველაზე ღირსშესანიშნავ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა „თელავი (ცაცხეების ქალაქი), სამმაგად გამაგრებული და ზარბაზნებით შეიარაღებული, მტრისათვის აუღებელი ციხე.

იგი სამი ნაწილისაგან შედგება. თითოეული შემოვლებულია მაღალი, მტკიცე კედლით და ოცდაათი ფუტი სიღრმისა და ასთვრამეტი ფუტი სიგანის თხრილით. შუა და ყველაზე დიდი ციხე ეკუთვნის მეფე ერეკლეს და ამიტომაც ჰქვია მას ბატონის ციხე. მეორე ეკუთვნის ყორჩი ბეის გვარს (აქ იგულისხმებიან თავადი ყორჩიბაშ-რუსიშვილები. ნ. ჯ.), მესამე კი – ვახვახიშვილებს².

ექვთიმე თაყაიშვილი მიუთითებდა, რომ თელავის ფერისცვალების ეკლესია, რომელიც რუსიშვილებს ეკუთვნოდათ და რომლის სამრეკლოც XVI საუკუნით თარიღდება, განუახლებია ბეჟან რუსიშვილს. ამ ეკლესიაში დიდ მეცნიერს 25 დასახელების სიძველე უნახავს³.

1766 წელს, როდესაც თელავში, კახთმეფეთა სასახლის რეზიდენციასთან დაიწყო საზარბაზნე ბურჯის აგება, სამშენებლო მასალის (კირის) გარკვეული ნაწილი ძმების – ბეჟან და დავით რუსიშვილებისაგან იხესხეს. იმ წელს, დედოფალი დარეჯან დადიანი შუამთის მონასტრის წინამძღვარს ნიკოლოზს წერდა: „ქ. მისს მაღალს ღირსებას, მოძღვართ-მოძღვარს ნიკოლოზს დედოფალი დარეჯან მარჯვენას ხელს მთხვევენას მოვასხენებთ. მერმე აქ ზარბაზნის ბურჯისათვის კირი ბეჟან ყორჩიბაშის-შვილმა მოგვცა და ამის ძმის დავით ყორჩიბაშის-შვილისაგანაც ვისესხეთ კირი და კიდევ შესმარდა“⁴.

ყორჩიბაშ-რუსიშვილები კახეთის მეფეთა ერთგული თავადები იყვნენ, რის გამოც მათ ხელმწიფეთა წყალობაც არ აკლდათ.

1772 წლის 1 აპრილს, თავადმა ყორჩიბაშ-რუსიშვილებმა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს წარუდგინეს არზა მამულის თაობაზე, რომელიც ასეთი სიტყვებით იწყება: „ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი სულ ერთობლივ რუსიანთ მოსცეს“⁵.

1793 წლის 16 აგვისტოს, თავადმა ყორჩიბაშ-რუსიშვილებმა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს წარუდგინეს არზა ღალის თაობაზე, რომელიც ასეთი სიტყვებით იწყება: „ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს ერთობით ყორჩიბაშის შვილებს“⁶.

1800 წლის 16 ივნისს, ყორჩიბაშ-რუსიშვილებმა ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-ს წარუდგინეს არზა ღალის თაობაზე, რომელშიც ვკითხულობთ:

„მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის, ერთობლივ ყორჩიბაშისათვის. მოგესხენებათ, არაშენდა ჩვენი არის. მამის თქვენის განაჩენიცა გვაქვს და ოქმიც არის. გვედრებით თქვენს შვილს ბაგრატზედ და იოანე მდივანზედ ერთი ოქმი გვიბოძოთ, წლევანდელი დალა მოგვცენ“⁷.

ამ არზაზე მეფე გიორგი XII-მ დაადო რეზოლუცია, რომელშიც მიმართა თავის ვაჟს, იმხანად კახეთის ჯანიშინად (მეფისნაცვლად) დანიშნულ უფლისწულ ბაგრატს და მდივან იოანეს:

„უგანათლებულესო შვილო, ბატონო ბაგრატ და მდივანო იოანე.

მერე ამ არხით ყორჩიბაშის შვილები ასე რომ ჩივიან, რადგან არაშენდა მათი მამული არის, ხომ ვერ წავართმევთ. ამ საქმეზედ კურთხეულის ბატონის ოქმებიცა აქვს და ამ მამულის დალას ყოველწლივ თქვენ უნდა გაურიგებდეთ და ამათ მოსცემდეთ... თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე ან თქვენს სასამართლოში ალაპარაკეთ და რიგიანად მოარიგეთ და თუ მანდ ვერ მოარიგოთ, ორნივე ჩვენს სამართალში გამოისტუმრეთ“⁸.

რუსეთის მესვეურთა მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, ყორჩიბაშ-რუსიშვილები – აღნიშნული იმპერიის თავადებად იქცნენ. ამის შემდეგ, ისინი ძირითადად რუსეთის საიმპერიო არმიის ოფიცრებად ანდა ჩინოვნიკებად მსახურობდნენ.

¹ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა (თბილისი, 1962), გვ. 37-39.

² იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა (თბილისი, 2002), გვ. 165-166.

³ ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი I (ტფილისი, 1907).

⁴ *Акты, собранные Кавказской Археологической комиссией. Архив Главного управления наместника Кавказского* (под редакцией А. Берже), том I (Тифлис, 1866), გვ. 45.

⁵ *ქართული სამართლის ძეგლები*, ტ. VII, სასამართლო არზა-ოქმები, ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ (თბილისი, 1981), გვ. 208.

⁶ *ქართული სამართლის ძეგლები*, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ (თბილისი, 1985), გვ. 235.

⁷ იქვე, გვ. 655.

⁸ იქვე, გვ. 656.

თავად ყორჩიბაშ-რუსიშვილებს ჰქონდათ თავიანთი საგვარეულო გერბი, რომელიც საიმპერორო ხელისუფლების მიერ ოფიციალურად დამტკიცებული არ იყო. ამ გერბზე გამოსახული იყო რქიანი ცხენი – რინოცეროზი¹.

რუსეთის ხელისუფლების მიერ 1850 წელს დამტკიცებულ ქართველ თავადთა და აზნაურთა ნუსხაში თავად ყორჩიბაშ-რუსიშვილთა საგვარეულოს წარმომადგენლებიც იხსენიებიან².

ზემოსხენებულ ნუსხაში იხსენიებიან თავად რუსიშვილთა გვარის შემდეგი წარმომადგენლები: ლუარსაბ ბარამის ძე, მისი ვაჟი – აბელი, ასული – თამარი; პრაპორშნიკი სპირიდონ ბარამის ძე; პრაპორშნიკი რევაზ ქაიხოსროს ძე; გიორგი გრიგოლის ძე, მისი ვაჟები – თამაზი და კონსტანტინე, ასული თებრონია; გიორგი გრიგოლის ძე, მისი ძმა რაჟდენი და მათი და – ნინო; სოლომონ დავითის ძე, მისი ვაჟები – პრაპორშნიკი დავითი, კოლეგიის რეგისტრატორი მიხეილი, ესტატე (ევსტაფი) და კონსტანტინე, ასულები – ანასტასია და ეფემია; კოლეგიის რეგისტრატორი ივანე დავითის ძე, მისი ვაჟები – ალექსანდრე, ზაქარია, გრიგოლი, დიმიტრი და ასული – ნინო; ევგენი დიმიტრის ძე, მისი ვაჟები – ივანე, ალექსანდრე და მიხეილი, ასულები – ელისაბედი და მელანია; პრაპორშნიკი რამაზ დავითის ძე, მისი ვაჟები – დავითი, ივანე და ნიკოლოზი, ასულები – დარია და მარია; პრაპორშნიკი ივანე ბარამის ძე; პრაპორშნიკი ქაიხოსრო აბიბოს ძე, მისი ვაჟები: გიორგი, ნიკოლოზი, შერმაზანი, ასული – თამარი; შერმაზან აბიბოს ძის ასული – ნინო³.

ზემოსხენებულ სიაში მოხსენიებული თავად გრიგოლ ყორჩიბაშ-რუსიშვილის უფროსი ვაჟი – გიორგი გრიგოლის ძე დაბადებული იყო 1833 წელს, ხოლო უმცროსი ვაჟი, რუსეთის საიმპერიო არმიის მაიორი რაჟდენ გრიგოლის ძე – 1837 წელს. ვინაიდან ეს უკანასკნელი უმეკვიდრედ გადაეგო, მისმა ძმისწულმა გრიგოლ (გოგლო) გიორგის ძე რუსიშვილმა (1864-1928) 1900 წლის 5 ოქტომბერს დაბადებულ თავის ერთ-ერთ ვაჟს ბიძის სახელი – რაჟდენი დაარქვა.

თელავში მცხოვრებ თავად გრიგოლ (გოგლო) გიორგის ძე რუსიშვილს და მის მეუღლეს, თავად ილია ჯანდიერის ასულს – ნატალიას ექვსი შვილი ჰყავდათ: ილია (1889-1969), ნინო (1890-1955), გიორგი (1892-1958), რაჟდენი (1900-1984), ვასილი (1901-1902) და დარია/დარიკო (1904-1992), რომლის შესახებაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ.

სამწუხაროდ, გენეტიკური შთამომავალი არცერთ მათგანს არ დარჩენია...

დაძმებს შორის ყველაზე გამოჩენილი რაჟდენ გრიგოლის ძე რუსიშვილის წინაპართა გენეალოგიურ ნუსხა ასე გამოიყურება: თავადი ბეჟანი რუსიშვილი – დიმიტრი (მდივანბეგი) – ბეჟანი – რამაზი (მოურავი) – ბეჟანი (მოურავი) (1766-1820) – გრიგოლი/გლახა (1791-1846) – გიორგი (1833-1903) – გრიგოლი/გოგლო (1864-1928) – რაჟდენი (1900-1984).

ზემოსხენებული ნუსხა საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით შეადგინა ქართული გენეალოგიური საზოგადოების პრეზიდენტმა იური ჩიქოვანმა⁴.

რაჟდენ რუსიშვილმა დაწყებითი განათლება მშობლიურ თელავში მიიღო.

17 წლის ასაკში რაჟდენი ახლადდაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

ქართულ უნივერსიტეტში გატარებულმა სამმა წელმა რაჟდენ რუსიშვილს ბევრი რამ შესძინა. ამ ხნის განმავლობაში მას ურთიერთობა ჰქონდა უნივერსიტეტში იმხანად მოღვაწე შესანიშნავ ქართველ მეცნიერებთან. მათ შორის იყვნენ უმაღლესი განათლების ამ უპირველესი ეროვნული კერის დაარსების მოთავე – ივანე ჯავახიშვილი, პირველი რექტორი – პეტრე მელიქიშვილი, რომელიც პროფესიით ქიმიკოსი გახლდათ და სხვები.

შემდგომში რაჟდენი განსაკუთრებული პატივისცემით იხსენებდა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს, რომელიც დედით (სოფიო ათანასეს ასული ვახვახიშვილი) თელაველი იყო და კარგად იცნობდა ამ ქალაქში მცხოვრებ რუსიშვილებს. სწორედ ამ უდიდესი მეცნიერის რჩევით გადაწყვიტა რაჟდენმა, რომ ქიმიკოსი გამხდარიყო. მას მუდამ ახსოვდა ივანე ჯავახიშვილის შემდეგი სიტყვები: „XX საუკუნე ტექნიკის საუკუნე იქნება და ამ სფეროში საქართველოს კვალიფიციური სპეციალისტები დასჭირდება“.

ყმაწვილობიდან ქიმიით გატაცებულ რაჟდენ რუსიშვილს ერთ-ერთი ქიმიური ცდის დროს დაუზიანდა თვალი, რის გამოც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო-სამედიცინო კომისიამ იგი სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან გაანთავისუფლა.

¹ Думин С., Гребельский П., დასახ. ნაშრომი, გვ. 194-197.

² ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, ფოტოტიპური გამოცემა ზ. ჭუმბურიძის რედაქციით (თბილისი, 2005), გვ. 261-262.

³ იქვე.

⁴ Думин С., Гребельский П., დასახ. ნაშრომი, გვ. 194-197.

1921 წელს, რექტორ ივანე ჯავახიშვილის რეკომენდაციით, თბილისის უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტები ცოდნის გასაღრმავებლად მიავლინეს დასავლეთ ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში. მათ შორის იყო რაჟდენ რუსიშვილიც, რომელიც გერმანიაში გაემგზავრა. მასთან ერთად ყოფილან: მაქს ქიქოძე, და-ძმა ბაბეცა და გოგი ერისთავები, მაღალაშვილები, ფორაქიშვილები, ხუხუნი და სხვები.

გერმანიაში ჩასაულ ქართველ სტუდენტებს იქ დახვედრიან ძმები ივანე და ალექსანდრე ნიკურაძეები, რომლებიც ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ 1919 წელს ჩავიდნენ ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის რეკომენდაციით.

რაჟდენი ერთხანს გიოტინგენში ცხოვრობდა. იმხანად, ამ ქალაქის უნივერსიტეტში სწავლობდა შემდგომში გამოჩენილი მეცნიერი, ჰიდრაულიკოსი ივანე (იგივე იოჰან) ნიკურაძე, რომელმაც სადოქტორო დისერტაცია 1923 წელს დაიცვა.

ძმები ნიკურაძეები რაჟდენის უახლოესი მეგობრები გახდნენ. რაჟდენი განსაკუთრებით დაუახლოვდა შემდგომში ასევე გამოჩენილ მეცნიერს ალექსანდრე ნიკურაძეს (1901-1981). იგი თავისი ძირითადი სპეციალობის (მყარი სხეულების ფიზიკა და ენერგეტიკა) გარდა, კაპიტალურ ნაშრომებს ისტორიისა და გეოპოლიტიკის საკითხებზეც აქვეყნებდა. ზოგჯერ ის წერდა ფსევდონიმით: A. Sanders.

რაჟდენ რუსიშვილმა მიუნხენის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის დაასრულა. 1928 წელს მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია ქიმიის დარგში და დოქტორ-ინჟინრის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა¹.

აღნიშნული წლიდან გერმანიაში იმხანად გამოშავალ სამეცნიერო ჟურნალებში: „ფიზიკა“, „ფიზიკური ქიმია“, „ელექტროტექნიკა“ და სხვ. სისტემატურად ქვეყნდებოდა ალექსანდრე ნიკურაძის ნაშრომები, რომელთა თანაავტორიც ზოგჯერ რაჟდენ რუსიშვილი იყო².

რაჟდენი ახლო მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის გამოჩენილ წარმომადგენელთან გრიგოლ რობაქიძესთან და ევროპაში სახელგანთქმულ ხუნძ (ავარიელ) მხატვართან ჰალილ მუსაიასულთან (იგივე მუსაევთან).

საგულისხმოა, რომ 1935 წელს, მიუნხენში გადაღებულ ფოტოზე ხსენებული პიროვნებანი ერთად არიან გამოსახულნი.

აქვე, დავსძენთ, რომ ირანის უკანასკნელმა შაჰინშაჰმა მოჰამად რეზა ფაჰლავიმ ჰალილ მუსაიასულს თავისი ქვეყნის ქვეშევრდომობა და ბეგის წოდება უბოძა. ამის შემდეგ, აღნიშნული პიროვნება იწოდებოდა ჰალილ-ბეგ მუსაიასულად³.

გერმანიის ხელისუფლების სათავეში ნაციონალ-სოციალისტების მოსვლის (1933 წელი) შემდეგ, ამ ქვეყანაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა ერთი ნაწილი მათ სამსახურში ჩადგა.

მოქმედებდნენ რა პრინციპით: „ჩემი მტრის მტერი – ჩემი მეგობარია“, ქართველთა ამ ნაწილს სურდა და გულწრფელადაც სწამდა, რომ II მსოფლიო ომში სსრ კავშირის დამარცხების შემთხვევაში, ძლევამოსილი გერმანია მფარველად მოველინებოდა ბოლშევიკური ხუნდებისაგან თავდახსნილ საქართველოს. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ I მსოფლიო ომის მიწურულს, კავკასიაში შემოსულმა გერმანულმა არმიამ მართლაც გადაარჩინა ახლადდაღვანილი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო, როგორც ოსმალურ ოკუპაციას, ასევე შინაგან არეულობასაც, რასაც ქართველი ერის ღირსეული ნაწილი ყოველთვის მაღლიერებით იგონებდა.

გერმანიაში იმხანად მოღვაწე ქართველ ემიგრანტთა შორის იყვნენ პიროვნებანი, რომლებიც ამ ქვეყნის მესვეურთა ნდობით სარგებლობდნენ. მათ შორის სერიოზული პოლიტიკური გავლენითა და მაღალი ავტორიტეტით გამოირჩეოდნენ (მათგან პირველი ორი იყო გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ცნობილი წევრი):

1) „ევროპის კონტინენტური კვლევის ინსტიტუტის“ დირექტორი, ფიზიკოსი და გეოპოლიტიკოსი, დოქტორი **ალექსანდრე ნიკურაძე** (1901-1981). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1919 წელს ის თავის ძმასთან ერთად ჩავიდა გერმანიაში სასწავლებლად და უკან აღარ დაბრუნებულა. მეგობრობდა III რაიხის იდეოლოგთან ალფრედ როზენბერგთან და არნო შიკედანცთან, რომელსაც გერმანიის ხელისუფლება საქართველოს მომავალ გენერალ-გუბერნატორად ამზადებდა;

2) აღმოსავლეთის (ანუ „ვანზეეს“) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, დოქტორი **მიხეილ ახმეტელი** (1895-1963). იგი იყო გერმანიაში საქართველოს ელჩის ვლადიმერ ახმეტელის ძმისწული. 1924 წელს მან იენის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ამიერკავკასიის ეკონომიკური მნიშვნელობა“. ითვლე-

¹ ნ.ჯავახიშვილი, რაჟდენ რუსიშვილი – ქართველი მეცნიერი უცხოეთის ცის ქვეშ (ფესვები, ტრადიციები, მოღვაწეობა), *ისტორიანი*, № 12 (თბილისი, 2014), გვ. 16-21.

² გ. შარაძე, *უცხოეთის ცის ქვეშ*, ტომი I (თბილისი, 1991), გვ. 443-444.

³ მ. ხომერიკი, *წერილები* (თბილისი, 2006), გვ. 225.

ბა სოვეტოლოგიის გერმანული სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებლად. ძოგჯერ წერდა ფსევდონიმით „კონსტანტინ მიხაილი“. მეგობრობდა როზენბერგთან;

3) **შალვა მაღლაკელიძე**, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში თბილისის გენერალ-გუბერნატორად მსახურობდა. II მსოფლიო ომის დაწყებამდე დაინიშნა გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო მრჩეველად. 1944 წელს მიენიჭა ვერმახტის გენერალ-მაიორის წოდება. ახლო ურთიერთობა ჰქონდა გერმანიის სამხედრო მესვეურებთან, მათ შორის, „აბვერის“ (სამხედრო დაზვერვა და კონტრდაზვერვა) ხელმძღვანელთან, ადმირალ ფრიდრიხ კანარისთან;

4) ყველაზე შეძლებული ქართველი ემიგრანტი გერმანიაში, ექიმი **გიორგი მაღალაშვილი**. მისი მეუღლე მონიკა უიტი იყო ასული უმდიდრესი გერმანელი მრეწველისა;

5) საქართველოს არმიის ყოფილი პოლკოვნიკი **ფრიდონ წულუკიძე**, რომელიც შტანდარტენფიურერის წოდებით ხელმძღვანელობდა სამხედრო შენაერთს – „ქართულ ცხენოსან შშ“-ს, რომელიც დისლოცირებული იყო ჩრდილოეთ იტალიაში.

ზემოსხენებული პიროვნებების გარდა, გერმანელთა ნდობით ასევე სარგებლობდნენ შემდეგი ქართველი ემიგრანტები: „აბვერისა“ და „გესტაპოს“ (საიდუმლო პოლიცია) თანამშრომელი **მიხეილ კედიას**; გერმანული შეიარაღებული ძალების ოფიცრები: **დიმიტრი შალიკაშვილი**, **გივი გაბლიანი**, **მიხეილ აღშიბაია**, **მიხეილ ქავთარაძე**; „კავკასიის საგანგებო შტაბის“ თანამშრომელი **ალექსანდრე ცომაია**; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი ელჩი გერმანიაში **ვლადიმერ (ლადო) ახმეტელი**; ქართული ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე **მიხეილ წერეთელი**, **კიტა ჩხენკელი** (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენკელის ძმა), **შალვა ამირეჯიბი** და სხვები.

ზემოსხენებულ ქართველებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ყველასთან, ვინც ამა თუ იმ კუთხით უკავშირდებოდნენ ქართულ საკითხს. მათ შორის იყვნენ: გერმანიის ყოფილი ელჩი სსრკ-ში ფრიდრიხ ფონ დერ შულენბურგი; როზენბერგის ხელმძღვანელობით მოქმედი აღმოსავლეთის სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი გერჰარდ ფონ მენდეს; შშ-ის კავკასიური დეპარტამენტის უფროსი ერის ენგელჰაუპტი და სხვები.

აღნიშნული სამივე პიროვნება დაკავშირებული იყო 1944 წლის ივლისში ადოლფ ჰიტლერის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებასთან. მათგან პირველი სიკვდილით დასაჯეს¹.

თავის ქართველ მეგობართაგან განსხვავებით, რაჟდენ რუსიშვილი არასოდეს ჩარეულა პოლიტიკაში და მხოლოდ ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა. მის მიერ მიუნხენში მოწყობილი ლაბორატორიის სტუმართა შორის იყვნენ, როგორც ძმები ნიკურაძეები, ასევე, დიდი გერმანელი მოაზროვნე თომას მანი, გრიგოლ რობაქიძე, გიორგი მაღალაშვილი, გერმანისტი ნიკო ქადაგიძე, მხატვარი ჰალილ-ბეგ მუსაიასული და სხვები.

II მსოფლიო ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, რაჟდენ რუსიშვილმა დატოვა გერმანია და საცხოვრებლად გადავიდა დიდ ბრიტანეთში სადაც ქალაქ ილში დასახლდა. მან იქაც ნაყოფიერად განაგრძო სამეცნიერო მოღვაწეობა ქიმიასა და ფიზიკაში.

საგულისხმოა, რომ ქ. ილში, ფიელდსაიდის ქუჩაზე ქუჩაზე მდებარე ორსართულიანი კოპ-წია სახლის ეზოში რაჟდენმა ვაზი ახარა და მშვენიერი ვენახი გააშენა. კახელმა თავადიშვილი, რომელსაც განგებამ ცხოვრება ნისლიან ალბიონზე არგუნა, სამშობლოს მონატრებას ვენახის მოვლით იქარვებდა...

რაჟდენმა არაერთხელ სცადა საქართველოში დარჩენილ დაძმებთან დაკავშირება, მაგრამ ამოდ. მან ეს მხოლოდ 1963 წელს მოახერხა და თავის დას ტელეფონით ესაუბრა. ქალბატონი დარიკო ცრემლებს გარეშე ვერ იხსენებდა იმ წუთს, როდესაც ყურმილიდან 42 წლის უნახავი ძმის ხმა ჩაესმა...

1966 წელს დარია რუსიშვილს უფლება დარჩეს, რომ აესრულებინა დიდი ხნის ნატვრა, კერძოდ, მოსკოვიდან დიდ ბრიტანეთში გამგზავრებულიყო და ძმა მოენახულებინა.

1973 წელს რაჟდენ რუსიშვილსაც აუხდა სანუკვარი ოცნება და მარიამობისთვის საქართველოს ეწვია. ნახევარსაუკუნოვანი განშორების შემდეგ, თბილისში ჩამოსულმა რაჟდენმა დაიწყო და ქართულ მიწას ეამბორა. შემდეგ იგი თავისი ცოცხლადდარჩენილი ერთადერთი დედამამიშვილის, ქალბატონი დარიკოს თანხლებით მშობლიურ თელავში ჩავიდა. იმ საღამოს, რაჟდენმა ქალაქში ფეხით გაისეირნა და კახთმეფეთა სასახლის ეზოში ძველებური მოკრძალებით შევიდა. მოულოდნელად ის შეეჩეხა თავისი ბავშვობის მეგობრებს – არჩილ ელიზბარაშვილს და ალექსანდრე ცისკარიშვილს. მოზღვავებული გრძნობებისაგან სამივე აქვითინებულა...

¹ნ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21-23.

„მათი შეხვედრა განუმეორებელი იყო – ივონებდა ქალბატონი დარიკო, – საოცარია, როგორ ჩქარა იცნეს მათ ერთმანეთი ამდენი ხნის განშორების შემდეგ.“

1984 წლის იანვარში დარია რუსიშვილმა მეხუთედ ინახულა თავისი ძმა, რომელიც უკვე მძიმედ ავადმყოფობდა. დის ჩასვლიდან მეათე დღეს, რაჟდენი გარდაიცვალა...

83 წლის რ. რუსიშვილის გარდაცვალების შესახებ ადგილობრივი ინგლისური გაზეთი ასე იუწყებოდა: „მისი გვარი ქართული არისტოკრატიული წარმომავლობისა იყო... ცხოვრობდა და სწავლობდა გერმანიაში, სადაც მეცნიერებათა დოქტორი გახდა. II მსოფლიო ომის დაწყებამდე დასახლდა ინგლისში, სადაც ქალაქ ილში, მარტოხელა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. საქმიანობდა მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, ინდოეთსა და თურქეთში... იყო სასურსათო ფირმების საგანგებო ტექნიკური კონსულტანტი. მისი სახლი გადაქცეული იყო ლაბორატორიად, სადაც მრავალი ქიმიური ექსპერიმენტი ტარდებოდა. რაჟდენ რუსიშვილი დაკრძალეს დღეს, ხუთშაბათს – 1984 წლის 19 იანვარს“.

ქალბატონმა დარიკო რუსიშვილმა არ მოისურვა ძმის ნეშტის დატოვება ჩრდილოეთის ცივ მიწაში და სამშობლოში გადმოასვენა. უცხოეთში მოღვაწე მეცნიერის ფერფლი მიწას მიაბარეს ვაკის სასაფლაოზე, თავისი ძმის, ცნობილი თერაპევტის, პროფესორ გიორგი რუსიშვილის გვერდით¹.

ასე დასრულდა ცხოვრება და მოღვაწეობა თავად რუსიშვილთა საგვარეულოს ბრწყინვალე წარმომადგენლისა, რომელიც განგებამ სამშობლოდან შორს გადაისროლა და უცხოეთის ცის ქვეშ 63-წლიანი ცხოვრება არგუნა.

ბიბლიოგრაფია

1. იოანე ბაგრატიონი, *შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა* (მასალა ისტორიისათვის), ზ. კაცელაშვილის გამოცემა (თბილისი, 1997).
2. *გეორგიევსკის ტრაქტატი*, 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. პაიჭაძემ (თბილისი, 1983).
3. *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*, ტ. I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა (თბილისი, 1962).
4. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1973).
5. ე. თაყაიშვილი, *არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი*, წიგნი I (ტფილისი, 1907).
6. რ. თოფჩიშვილი, *საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია* (თბილისი, 2011).
7. *პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით*, ტ. IV, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: გ. ოთხმეზურმა, გ. მჭედლიძემ, მ. სურგულაძემ, დ. ჟღენტმა, ა. ბაქრაძემ, თ. ენუქიძემ და დ. კლდიაშვილმა, ტომი შეადგინეს მ. სურგულაძემ და დ. კლდიაშვილმა (თბილისი, 2007).
8. იაკობ რაინეგსი, *მოგზაურობა საქართველოში*, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა (თბილისი, 2002).
9. *ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები*, ფოტოტიპირი გამოცემა ზ. ჭუმბურიძის რედაქციით (თბილისი, 2005).
10. *ქართული სამართლის ძეგლები*, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ (თბილისი, 1972).
11. *ქართული სამართლის ძეგლები*, ტ. VII, სასამართლო არზა-ოქმები, ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ (თბილისი, 1981).
12. *ქართული სამართლის ძეგლები*, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ (თბილისი, 1985).
13. გ. შარაძე, *უცხოეთის ცის ქვეშ*, ტ. I (თბილისი, 1991).
14. მ. ხომერიკი, *წერილები* (თბილისი, 2006).

¹ იქვე, გვ. 24-25.

15. ნ. ჯავახიშვილი, რაჟდენ რუსიშვილი – ქართველი მეცნიერი უცხოეთის ცის ქვეშ (ფესვები, ტრადიციები, მოღვაწეობა), *ისტორიანი*, № 12 (თბილისი, 2014).
16. *Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Архив Главного управления наместника Кавказского* (под редакцией А. Берже), том I (Тифлис, 1866).
17. Думин С., Гребельский П., *Дворянские роды Российской империи*, том IV, Князя Царства Грузинского, под редакцией С. Думин и Ю. Чиковани (Москва, 1998).

NIKO JAVAKHISHVILI

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

RAJDEN RUSISHVILI
(Roots, traditions, activity)

The present paper, based on documents found by author sheds light on some significant details – hitherto little studied or unidentified and hence unstudied in the biographies of famous representative of Georgian nobility, Dr. of chemistry – **Rajden Rusishvili** (1900-1984).

Attention is also focused on the provenance of the house of the Rusishvilis and its prominent representatives.

**დისიდენტური მოძრაობა საქართველოში
(XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისი)¹**

ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეული ადგილი უკავია დისიდენტური მოძრაობის შეფასებას. ამ მხრივ, აღსანიშნავია ივანე კვსელავას „საქართველოს ისტორიის ქრონიკები (1970-1990)“, ტომი I², დოდო ჭუმბურიძის, ვაჟა კიკნაძის, ხათუნა ქოქრაშვილის და ლელა სარალიძის „საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში“, წიგნი II³, ლელა სარალიძის „საქართველოს ჰელსინკის კავშირის მოღვაწეობის ისტორიიდან“⁴, ომარ თუშურაშვილისა და ვლადიმერ ლუარსაბიშვილის „ქართული დისიდენტური მოძრაობის ისტორია“⁵. XX საუკუნის 70-იანი წლების დისიდენტური მოძრაობის გაშუქებას მიეძღვნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს „საარქივო მოამბის“ მე-12 ნომერი⁶. თუმცა ნაკლებად არის გაშუქებული XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისის დისიდენტური მოძრაობა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მოვიძიეთ დოკუმენტური წყაროები, რომელთა ანალიზი მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს.

ეროვნული მოძრაობის ახალი აღმავლობა უკავშირდება ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას სახელებს. მათ, თავისი მოღვაწეობით ახალი ერა დაიწყო საქართველოს ისტორიაში. ბუნებრივია, რთული იყო საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლა, თუმცა ეროვნული ძალები მაქსიმალურად ცდილობდნენ დასახული მიზნის მიღწევას. ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთი თამამი ნაბიჯი იყო 70-იან წლებში ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ და „ოქროს საწმისის“ გამოშვება, რომელიც არალეგალურად ვრცელდებოდა. საბჭოთა რეჟიმის წარმომადგენლები მუდმივად ცდილობდნენ არ დაეშვათ ეროვნული ძალების საქმიანობის განვითარება-აღმავლობა, მიუხედავად იმისა, რომ 70-იანი წლებიდან მოყოლებული სულ უფრო იკვეთებოდა საბჭოთა რეჟიმის სისუსტე. თავის მხრივ, აღნიშნული ვითარების გამოყენებას ცდილობდა ეროვნულად მოაზროვნე ნაწილი.

დისიდენტური მოძრაობისთვის დამახასიათებელი იყო საკუთარი თვითგამოცემების არსებობა. ეს პროცესი ეხებოდა, როგორც საქართველოს, ასევე მთლიანად საბჭოთა კავშირს. როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოში XX საუკუნის 70-იან წლებში გამოიცა „საქართველოს მოამბე“ და „ოქროს საწმისი“, რომელიც არალეგალურად ვრცელდებოდა, ვიწრო წრეების მასშტაბით და საზოგადოების ფართო ფენებში ასახვა არ ჰქონია.

საბჭოთა კავშირში არსებული დისიდენტური მოძრაობისგან განსხვავებით საქართველოში დისიდენტები ადამიანის უფლებების დაცვასთან ერთად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საქართველოს საბჭოთა სისტემისაგან გამოყოფას. დასახული მიზანი კი მარტივად მისაღწევი ნამდვილად არ იყო. მართალია XX საუკუნის 70-იან წლებში უკვე ნათლად გამოიკვეთა საბჭოთა რეჟიმის კრიზისი, თუმცა მისი მძლავრი პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური რესურსი ჯერ კიდევ არ იძლეოდა მასში შემავალი სახელმწიფოების განთავისუფლების საშუალებას.

XX საუკუნის 80-იან წლების საქართველოში დისიდენტური მოძრაობის მიმართულებით ახალი ეტაპი იწყება. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ახალი ჯგუფი, რომელსაც ბრძოლის თავისებური მეთოდები და სტილი გააჩნდა, თუმცა მიზანი ერთი იყო: დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო.

XX საუკუნის 80-იანი წლები გარდამტეხი ეტაპია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოსთვის და მათ შორის საბჭოთა კავშირისთვის. ერთი მხრივ, დასასრულისკენ მიდის „ცივი ომი“ და ნათლად იკვეთება საბჭოთა სისტემის კრიზისი. აშშ, რომელიც განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა II მსოფლიო ომის პერიოდიდან მოყოლებული, მსოფლიოში

¹ სტატია დაიწერა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის (NFR/148/2-101/14) ფარგლებში.
² ი. კვსელავა, *საქართველოს ისტორიის ქრონიკები (1970-1990)*, ტ. I (თბილისი, 2004).
³ დ. ჭუმბურიძე, ვ. კიკნაძე, ხ. ქოქრაშვილი, ლ. სარალიძე, *საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში*, წგნ. II (თბილისი, 2016).
⁴ ლ. სარალიძე, *საქართველოს ჰელსინკის კავშირის მოღვაწეობის ისტორიიდან, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, №1 (16) (თბილისი, 2015).
⁵ ო. თუშურაშვილი, ვლ. ლუარსაბიშვილი, *ქართული დისიდენტური მოძრაობის ისტორია* (თბილისი, 2016).
⁶ *საარქივო მოამბე*, №12 (თბილისი, 2012).

პირველობაზე აცხადებს პრეტენზიას, ეს გამოიხატებოდა მისი მხრიდან, როგორც შეიარაღებული ბრძოლის წარმოებით, ასევე იდეოლოგიური კუთხითაც. II მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ აშშ მთელი ძალებით იწყებს ბრძოლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომელსაც მის მთავარ მოწინააღმდეგედ მიიჩნევდა. აშშ-ის პოლიტიკა უფრო რადიკალური ნაბიჯების გადადგმით გამოირჩეოდა საბჭოთა კავშირთან მიმართებაში, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში ჰარი ტრუმენი მოვიდა. თუმცა, აშშ-ს ბრძოლა საბჭოთა სისტემის მიმართ მხოლოდ ვიეტნამსა და კორეაში წარმოებული საბრძოლო მოქმედებებით არ გამოიხატებოდა. აშშ-ს ხელისუფლებამ ევროპაში მტკიცედ დამკვიდრებისათვის აქტიური ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. „მარშალის გეგმის“ ფარგლებში დასავლეთ ევროპის მიმართ ფინანსური დახმარების შემდეგ საკუთარი პოზიციები საკმაოდ გაიმყარა და ბრძოლა ახალი მიმართულებით წარმართა. ამ ორ მხარეს, კერძოდ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის დაპირისპირება გამოიხატებოდა არა მხოლოდ შეიარაღებული ბრძოლის ფორმებით, არამედ კულტურული, ეკონომიკური თუ იდეოლოგიური კუთხით.

1980 წლიდან მოყოლებული საბჭოთა სისტემის კრიზისი თვალსაჩინო ხდება. შეიძლება ითქვას, რომ აშშ გაიმყარა საკუთარი პოზიციები დასავლეთ ევროპაში. მისი ფინანსური დახმარებით დასავლეთ ევროპა ფეხზე მყარად დადგა, ევროკავშირის ჩამოყალიბებამ კი მასში გაწევრიანებული სახელმწიფოების გაძლიერებას შეუწყო ხელი, სამაგიეროდ აშშ ერთი მხრივ ევროპაზე მოიპოვა გავლენა, იდეოლოგიური ბრძოლის შედეგად საბჭოთა სისტემის სახელის უარყოფით აფიშირებას შეუწყო ხელი საერთაშორისო არენაზე და მეორე მხრივ, დაიწყო საკუთარი ძალების მობილიზება აღმოსავლეთში. ერთი სიტყვით, XX საუკუნის 80-იან წლებში საბჭოთა რეჟიმის ნამდვილი სახე და შესაძლებლობები ყველასთვის ცნობილი გახდა. ისიც ფაქტი იყო, რომ ნელ-ნელა საბჭოთა სისტემა დასასრულს უახლოვდებოდა და საერთაშორისო ასპარეზზე ახალი ეტაპი იწყებოდა და მასში საბჭოთა კავშირის ადგილი უკვე აღარ იყო. ფაქტობრივად აშშ საბჭოთა კავშირთან იდეოლოგიურ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა.

რაც შეეხება აღნიშნული გამოწვევების ქართულ სინამდვილეზე ასახვას. როგორც განხილული მასალა მოწმობს, 1980 წლიდან მოყოლებული საქართველო განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა. თუმცა, დამატებით შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მოღვაწეების გარკვეულ ნაწილს არ აღმოაჩნდა შორსმჭვრეტელობის უნარი და პოლიტიკური აღღო. ერთია თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა და მეორეა გარემო პირობების, ქვეყნის შესაძლებლობების გათვალისწინება. ალბათ, აღნიშნული პერიოდის პოლიტიკური სპექტრის ერთ-ერთ ნეგატიურ მახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ ერთიანობის ნაკლებობა და გეგმაზომიერი მოქმედების არქონა, რაც შესაძლოა განპირობებული ყოფილიყო ხანგრძლივად დამკვიდრებული იდეოლოგიის და სისტემის გავლენით და იმ ფაქტითაც, რომ გარკვეული გამოწვევების გარდა საზოგადოება დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრებას და დამოუკიდებელ მოქმედებას გადაჩვეული იყო და მეორე – დასავლეთი აქტიური ნაბიჯების გადადგმისაგან თავს იკავებდა.

შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას გააჩნდა, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, თუმცა ერთი რამ ფაქტია, რომ აღნიშნული მოძრაობით ახალი ეტაპი დაიწყო საქართველოს ისტორიაში, რაც გახდა საფუძველი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა.

XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში დისიდენტური მოძრაობის ახალი ეტაპი იწყება, რომელსაც ახალი ძალა წარმოადგენდა. ქართული დისიდენტური მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი ზაქარია (ჯონი) ლაშქარაშვილი აღნიშნავდა: „...როგორც ჩემი ერის ინტერესების გულშემატკივარმა, ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მქონდა სურვილი რომ საქართველო გამოსულიყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან, გამხდარიყო დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყანა... ამისთვის, მე რომ გამიჩნდა ასეთი სურვილი მხოლოდ ამით არ ვკმაყოფილდებოდი და მაინტერესებდა ქართველი საზოგადოების აზრი და ამისთვის თუ იყო შესაძლებლობა, მე ვიგებდი ხალხის აზრს. ბოლო ოთხი წლის მანძილზე ვმუშაობდი ტაქსზე, სადაც ურთიერთობაში ვიყავი ხალხთან და თუ სიტუაცია იყო იმისა რომ შევკითხოდი რა აზრისა იყვნენ საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფისა, უმეტეს შემთხვევისა პასუხობდნენ, რომ მათ ჰქონდათ სურვილი რომ საქართველო გამხდარიყო დამოუკიდებელი ქვეყანა, ზოგჯერ ყოფილა ბევრი შემთხვევა, რომ დავლაპარაკებოვარ მგზავრებს, მომისმენია ლაპარაკი ამ თემაზე, რომ საქართველოს აქვს უფლება გახდეს დამოუკიდებელი და ურთიერთსაზღვარში გამოუთქვამთ აზრი, რომ ვინ არის ისეთი რომ არ სურდეს საქართველოს თავისუფლება, დამოუკიდებლობა, მარა რა გინდა ვინ გაგიშვებს ნებითო, ხოლო ძალით ამის გაკეთება არ მოხერხდებაო. ადამიანები რომლებიც გამოხატავდნენ ასეთ სურვილს იყვნენ ქალებიც და კაცებიც, ახალგაზრდები და მოხუცები, თითქმის ყველა კატეგორიის, წლოვანების ხალხი... მე შემექმნა ისეთი შეხედულება,

რომ თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ეს ხალხი იყვნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეების წარმომადგენლები და არა მარტო თბილისის მკვიდრნი, ქართველი ერის უმრავლეს ნაწილს სურდა საქართველოს დამოუკიდებლობა, საბჭოთა კავშირიდან გამოყოფა“¹.

ზაქარია ლაშქარაშვილის ჩვენება მეტად მნიშვნელოვანია. ჯერ ერთი, ეს კარგად გამოხატავს მის დამოკიდებულებას საქართველოს და ზოგადად ეროვნული საკითხისადმი. მეორეც, აქ ნათლად ჩანს საზოგადოების აზრის გამოვლინება ქვეყნის თავისუფლებასთან დაკავშირებით. მართალია, ეს არის პერიოდი (1983 წ. – ნ.ს.), როდესაც საბჭოთა იმპერიის რღვევის ნიშნები იკვეთება, თუმცა რადიკალური ნაბიჯის გადადგმა მაინც შეუძლებლად ესახება მოსახლეობას. მაგრამ მთავარი ის არის, რომ საზოგადოების ფართო ფენებში მომწიფებულია აზრი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე. ქართველი ეროვნული მოღვაწეების ბრძოლას გარკვეული შედეგი უკვე გააჩნია.

ზაქარია ლაშქარაშვილის განცხადებიდან შესაძლებელი ხდება ქართული საზოგადოების დამოკიდებულების გარკვევა საქართველოს თავისუფლებასთან მიმართებაში. აქ საინტერესო ისაა, რომ ლაშქარაშვილი არ კმაყოფილდება მხოლოდ საკუთარი შეხედულებით და ბრძოლით დამოუკიდებლობის აღდგენისადმი და ცდილობს მოსახლეობის თვალსაზრისის გარკვევას, რათა ბრძოლა შედეგიანი ყოფილიყო.

ზაქარია ლაშქარაშვილი აღნიშნავს: „...საუბრის დროს მე ხანდახან გადავუკრავდი ხოლმე სიტყვას საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის შესაძლებლობაზე, რომ საქართველო ყოფილიყო დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამით მინდოდა გამეგო, თუ ვინ რა შეხედულებისა იყო ამ საკითხზე. ბევრი ამას გულგრილად უყურებდა, ხოლო ვისაც მოსწონდა ეს აზრი მე მათ უფრო ვუახლოვდებოდი. ამგვარად მე ავირჩიე პირთა გარკვეული წრე. ესენი იყვნენ: შიო გელენიძე, ამირან მდინარაძე, გივი ახლოური, მიშა ბეჟიტაშვილი, დათო ფირანიშვილი, არჩილ ხახვიაშვილი და მალხაზ მაისურაძე, აგრეთვე ნოდარ მეგველია. დაახლოებით 1981 წლის აპრილში თუ მაისში მე მათ გავუზიარე აზრი შეგვექმნა ორგანიზაცია, რომელიც იბრძოლებდა საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფისათვის და ამით ჩვენი წვლილი შეგვეტანა საქართველოს განთავისუფლების საქმეში, რაზედაც ისინი დამთანხმდნენ. ჩვენ გადავწყვიტეთ შევეკრებილიყავით და გვემსჯელა თუ როგორ გვემუშავა და რა გზით განგვეხორციელებინა დასახული მიზანი. როგორც მოვილაპარაკეთ, ყოველ თვის 15 რიცხვში უნდა შევეკრებილიყავით „მუშტიდის ბაღში“, სადაც განვიხილავდით აღნიშნულ საკითხებს. ჩემი წინადადებით ჩვენს ორგანიზაციას ვუწოდეთ „სეგო“ – „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია“. მოლაპარაკებისამებრ ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს და ვმსჯელობდით თუ როგორ გვემოქმედა. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გაგვეზარდა ჩვენი ორგანიზაციის წევრთა რიცხვი და მოგვეზიდა ხალხი ნაცნობ-ამხანაგების წრიდან. ვინც ჩვენს აზრს იზიარებდა. ამ გზით ჩვენი ორგანიზაციის წევრები გახდნენ: ტარიელ ღვინიაშვილი, გურამ გოგბაიძე, მალხაზ კვინიკაძე და სულიკო ჭულაყიძე თუ ჯულახიძე...“².

როგორც მისი ჩვენებიდან ირკვევა: „ჯერ კიდევ საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურის დროს გამიჩნდა აზრი შემექმნა ჯგუფი ან ორგანიზაცია, რომელიც იბრძოლებდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ე. ი. საბჭოთა კავშირიდან მისი გამოყოფისათვის. მაშინ ეს აზრი გავუზიარე ჩემს ჯარის ამხანაგებს: თამაზ ბიბიაშვილს და სოსო ჩიხლაძეს. ეს იყო 1974-1975 წლებში. ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვექმნა ორგანიზაცია, რომლისთვისაც გვეწოდებინა „საქართველოს ეროვნული პარტია“. მე გადმოვაქართულე საბჭოთა არმიის მეომრის ფიცი. შევცვალე რა მასში ზოგიერთი სიტყვები. ფიცი იყო დაახლოებით შემდეგი შინაარსის: „მე ესა და ეს, ნებაყოფლობით შევდივარ რა საქართველოს პარტიაში ვფიცავ ერთგულად ვემსახურო ჩემ სამშობლოს – საქართველოს ინტერესებს და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლო მისი განთავისუფლებისათვის. თუ ამ ფიცს არ შევასრულებ დავიმსახურო ხალხის სიძულვილი და სასჯელის უმაღლესი ზომა“. თამაზმა და სოსომ დაწერეს ეს ფიცი ფურცლებზე, მოაწერეს ხელი, ხოლო შემდეგ ქიმიური ფანქრის საშუალებით დაუსვეს თითების ანაბეჭდები. პრაქტიკულად ჩვენ არ გვიმოქმედია, რადგანაც არ ვიცოდით თუ რა და როგორ გავგვეკეთებინა. საბჭოთა არმიის რიგებიდან მე და თამაზი დაგბრუნდით ერთად, ხოლო სოსოს კიდევ უნდა ემსახურა 1 წელი. ეს იყო 1975 წლის შემოდგომაზე. ამის შემდეგ თამაზ ბიბიაშვილს შევხვდი რამდენჯერმე, ხოლო სოსო ჩიხლაძე აღარ მინახავს“³.

„სეგო“, ესე იგი „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია არის არალეგალური, მისი მიზანია ეროვნული თავისუფლებისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობი-

¹ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 6, საქ. №29301, ტ. 1, ფურც. 81-83.

² იქვე, ფურც. 104.

³ იქვე, ფურც. 102-103.

სათვის ბრძოლა, ხოლო ამოცანაა საქართველოს განთავისუფლება კოლონიური მდგომარეობიდან და სრულყოფილებიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. მასში აგრეთვე ჩაწერილი იყო, რომ ორგანიზაციის წევრების ვალია, არალეგალურად განუმარტონ ხალხის მასებს ორგანიზაციის საქმიანობა, მისი პოლიტიკა და მიეზიდათ ისინი თავის რიგებში, აგრეთვე ებრძოლათ რუსული ნაციონალიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ, დაეცვათ ორგანიზაციის საიდუმლოება. წესდება ითვალისწინებდა აგრეთვე ახალი წევრის მიღების პირობებსაც. წევრად შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ქართველი, ვინც მხარს უჭერდა ჩვენს საქმიანობას და მიიღებოდა ორგანიზაციის რომელიმე წევრის რეკომენდაციით გაცნობისა და შესწავლის შემდეგ¹.

XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისის დისიდენტური მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი ტარიელ ღვინიაშვილი თავის ჩვენებაში აღნიშნავს: „კრებებზე ვმსჯელობდით სხვადასხვა საკითხებზე, რომელიც ეხებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას მისი საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოყოფის გზით, ვმსჯელობდით დისციპლინაზე, კონსპირაციაზე, რათა ჩვენი ორგანიზაციის არსებობა ცნობილი არ გამხდარიყო სათანადო ორგანოებისათვის. თუ როგორ უნდა განგვეხორციელებინა ჩვენი მიზანი. ამაზე ბევრს ვთათბირობდით, მაგრამ კონკრეტულ გზებს ვერ ვხედავდით. ერთადერთი რის გაკეთებაც შეგვეძლო ეს იყო ფურცლების დაბეჭდვა და მათი გავრცელებით ხალხში აგიტაციის ჩატარება, რადგანაც ვფიქრობდით, რომ ჩვენს გარდა კიდევ არსებობდნენ არალეგალური ორგანიზაციები არამარტო საქართველოში, არამედ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც, რომ ყველგან მოხდებოდა მთავრობის საწინააღმდეგო ორგანიზებული გამოსვლები, რასაც მოჰყვებოდა საბჭოთა კავშირის დაშლა და როგორც ეს ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოხდა საქართველოში მოიპოვებდა დამოუკიდებლობას. ამ მომენტისთვის ჩვენ მზად უნდა ვყოფილიყავით, რათა უფრო ორგანიზებული მოქმედებით მონაწილეობა მიგვეღო გამოსვლებში და ამ საქმეში ჩვენი წვლილიც შეგვეტანა. ჩვენი ორგანიზაციის ყოველ წევრს შეგვექონდა გადასახადი საწევროს სახით 10 მანეთის რაოდენობით, ხოლო ის წევრები, რომლებიც არსად არ მუშაობდნენ იხდიდნენ 2 მანეთს, რათა ორგანიზაციას ჰქონოდა გარკვეული ფულადი თანხა, რომელსაც პრაქტიკულ საქმიანობაში საჭიროებისამებრ გამოვიყენებდით. ჩვენს ორგანიზაციას ჰქონდა საკუთარი სამფეროვანი დროშა: წითელი, ლურჯი და მწვანე ზოლებით, რომელიც წარმოადგენდა მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს დროშის ნიმუშს².

ხაქარია ლაშქარაშვილი აღნიშნავს: „...შევეკრე სამფეროვანი დროშა. წითელ, ლურჯ და მწვანე ფერებს შორის ჩავხატე თეთრი ზოლები. ლურჯი ფერი ნიშნავდა წყალს, მწვანე – მიწას, თეთრი – ჰაერს, ხოლო წითელი – საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღვრილ სისხლს. დავხატე აგრეთვე სახაზავი ფორმატის ქაღალდზე მომავალი „დამოუკიდებელი“ საქართველოს დერბის ნიმუშიც. იგი მსგავსი იყო საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის დერბისა იმ განსხვავებით, რომ იმ ადგილას, სადაც წარწერაა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“ ჩემს მიერ დამზადებულ ნიმუშში ეხატა თორმეტი ხუთქიმიანი ვარსკვლავი. ჩემს ნიმუშში არ იყო აგრეთვე, ნამგალი და ურო. ვარსკვლავები ნიშნავდა საქართველოს კუთხეებს. დერბის ცენტრში მზისა და მთის ფონზე ჩავხატე თავთავები და ვაზის რტო ყურძნის მტევნით. ვაზის რტა გამოხატული იყო ჯვრის სახით, როგორც ქართული ქრისტიანობის სიმბოლო³.

სეგო-ს გაწერილი ჰქონდა წევრების სტრუქტურა და ორგანიზაციის უფლება-მოვალეობანი. მისი წვრი შეიძლებოდა ყოფილიყო ეროვნებით ქართველი, ვისთვისაც მისაღები იქნებოდა ორგანიზაციის პროგრამა, წესდება და აღიარებდა ფიცის ტექსტს. ამასთან იბრძოლებდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და ხელს შეუწყობდა ორგანიზაციის გაძლიერებას და გამრავლებას და პატრიოტულად მოაზროვნე პირების ჯგუფში მიღებას. „აქტიურად ავრცელებდეს ეროვნული პატრიოტიზმის იდეებს ქართველ ხალხში, იბრძოდეს რუსული ნაციონალიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ, არალეგალურად, სიტყვით და საქმით უწყობდეს ხელს ქართველი ხალხის კავშირის განმტკიცებას. ორგანიზაციის წევრებად მიიღებიან შეგნებული, აქტიური, ეროვნული საქმის ერთგული, ეროვნებით ქართველი ხალხი განურჩევლად სქესისა და სოციალური მდგომარეობისა. ახალი წევრები მიიღებიან ორგანიზაციაში შემავალი წევრის რეკომენდაციით, გაცნობისა და შესწავლის შემდეგ. ორგანიზაციაში მიიღებიან ის პირნი, რომელთაც 18 წელი შეუსრულდათ⁴.

1 იქვე, ფურც. 121.

2 იქვე, ფურც. 286-287.

3 იქვე, ფურც. 122.

4 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 6, საქ. №29301-84, ტ. 3, ფურც. 116-126.

ორგანიზაციაში წევრად მიღების საკითხს განიხილა და საერთო კრება და ამტკიცებდა ორგანიზაციის კომიტეტი. განსაზღვრული იყო სპეციალური სასჯელი იმ პირებისთვის, რომლებიც მოვალეობას არ შეასრულებდნენ და შესაძლებელი გახდებოდა მისი გარიცხვა ჯგუფიდან.

სეგო-ში გაწევრიანების მსურველი დებდა ფიცს, რომელიც შემდგენიარად იყო ფორმული-რებული:

„მე... პირადი სურვილითა და ნებაყოფლობით ვხდები არალეგალური საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაციის წევრი.

ვფიცავ ვიყო ორგანიზაციისა და სამშობლოს წინაშე ერთგული, მამაცი, თავდადებული, დისციპლინირებული მებრძოლი. პირნათლად შევასრულებ ორგანიზაციის წესდებითა და პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ დავალებას, მტკიცედ დავიცავ ჩემს ორგანიზაციის საიდუმლოებას, ვიბრძოლებთ თანამოაზრეთა გვერდით სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. თუ მე დავარღვიე ჩემი ფიცი მაშინ მომეხლოს ერის ზიზდი და სიძულვილი, დავისაჯო ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული სასჯელით“¹.

მართალია, ჯგუფის წევრთა მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება და საბჭოთა კავშირის დაქვემდებარებიდან განთავისუფლება იყო, რადიკალური ნაბიჯების გადადგმისაგან მაინც თავს იკავებდნენ, რადგან მათ აკლდათ გამოცდილება და შესაძლებლობაც უფრო მაქსიმალური ნაბიჯების გადასადგმელად. ამას თავადაც აღიარებდნენ. თუმცა არსებული რეჟიმი იმდენად მიუღებელი იყო, რომ თუნდაც მინიმალური ქმედებებით ბრძოლა მაინც მნიშვნელოვანი იყო. მათი მოღვაწეობის ძირითად სფეროს პროკლამაციების ბეჭდვა და გავრცელება წარმოადგენდა, ამავდროულად ისინი იმედოვნებდნენ, რომ საბჭოთა კავშირის დაქვემდებარებულ სახელმწიფოებში დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და დამოუკიდებლობის მოპოვება საქართველოზეც დადებით გავლენას მოახდენდა და დასახულ მიზანს – სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას მიაღწევდა. აღნიშნული გეგმა რომ განხორციელებულიყო, საჭიროდ მიაჩნდათ მაქსიმალურად დაეფარათ საკუთარი ორგანიზაციის არსებობა ხელისუფლებისათვის, რათა შეძლებოდათ ეროვნული საქმის კეთება დიდი ხნის განმავლობაში, რაც პროკლამაციების გავრცელებით გამოიხატებოდა. მხოლოდ ვიწრო ჯგუფური მუშაობა ვერაფერს გახდებოდა თუ საზოგადოების ფართო ფენები არ ჩაერთვებოდნენ ამ საქმიანობაში, თუ მათი ეროვნული ცნობიერება არ ამადლებოდა და განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობას არ მიიღებდნენ. ამიტომ საჭიროებას წარმოადგენდა აღნიშნულ ორგანიზაციას რაც შეიძლება დიდხანს ეარსება კონსპირაციულად და საკუთარი წვლილი შეეტანა ეროვნული მოძრაობის განვითარებაში.

აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენლები ცდილობდნენ კავშირის დამყარებას სხვადასხვა ცნობილ სახეებთან, რათა მათი ბრძოლა უფრო მეტად შედეგიანი ყოფილიყო. დისიდენტური მოძრაობის და ორგანიზაცია სეგო-ს ერთ-ერთ წარმომადგენელს ზაქარია ლაშქარაშვილს ჰქონდა მცდელობა დაკავშირებოდა თამარ ჩხეიძეს, რომელთან შეხვედრასაც იგი შემდგენიარად იხსენებს: „მე შევეკითხე თამარიკოს რა აზრისა იყო რომ შექმნილიყო არალეგალური ორგანიზაცია, რომელიც იბრძოლებდა საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფისათვის. აგრეთვე აგუხსენი, რომ ამისი სურვილი გექონდა ჩემი მხრიდან იქ მყოფთ, მაგრამ არ მითქვია გექონდა თუ არა შექმნილი რაიმე ამდაგვარი. თამარიკომ ეს აზრი არ მოიწონა და თქვა, რომ არალეგალურად არაფერი გამოვიდოდა, რომ ყველაფერი აშკარად უნდა გაკეთებულიყო და მაგალითად მოიყვანა საქართველოს კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით მოწყობილი დემონსტრაცია... საბოლოოდ ჩვენ ერთ აზრამდე ვერ მივედით და დავეშორდით ერთმანეთს“².

აგრეთვე, საინტერესოა ტარიელ ღვინიაშვილის ჩვენება. იგი აღნიშნავს, რომ 1983 წლის თებერვალში ზაქარია ლაშქარაშვილთან ერთად წავიდა უცნობ პირთან შესახვედრად, რომელმაც მათ უპურნადა „საქართველოს მოამბის“ ნომრები და ივანე ჯავახიშვილის „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა“ გადასცა. „გავხსენით გაზეთში შეხვეულები და ვნახეთ, რომ ესენი იყო უპურნალი „საქართველოს მოამბე“ №1 და ივანე ჯავახიშვილის „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVIII საუკუნეში“ და კიდევ რაღაც პატარა ბროშურები, რამდენადაც მანსოვს სკკპ ყრილობის შესახებ. ყველა ჩამოთვლილი ლიტერატურა იყო დაახლოებით თანაბარი რაოდენობით, ასე 20-25 ცალი... ზუსტად არ მახსოვს, იმ დღეს თუ შემდეგში ჯონიმ მითხრა, რომ უცნობი, რომელმაც ეს ლიტერატურა გადმოგვცა იყო ზვიად გამსახურდია. საიდან იცნობდა ჯონი ზვიად გამსახურდიას, ან როდის შეთანხმდნენ ისინი შეხვედრაზე და ლიტერატურის გადაცემაზე მე არ ვიცი. ამის შესახებ ჯონის ჩემთვის არაფერი უთქვამს და არც მე მიმიცია შეკითხვა“³.

¹ იქვე, ფურც. 127.

² საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 6, საქ. №29301, ტ. 1, ფურც. 99.

³ იქვე, ფურც. 289-290.

ამასთან დაკავშირებით ზაქარია ლაშქარაშვილი აღნიშნავს: „მართალია, მე ვუთხარი ღვინიაშვილს, რომ ის უცნობი, რომელმაც ლიტერატურა გადმოგვცა ზვიად გამსახურდია იყო, მაგრამ ეს არასწორია. მე მინდა ვთქვა, რომ მინდოდა შემექმნა აზრი, რომ თითქოს ჩვენს გარდა სხვებიც არსებობდნენ, რომლებიც ჩვენაირად ფიქრობდნენ. მხოლოდ ამის დასამტკიცებლად მე მოვიშველიე ავტორიტეტი – როგორც სიმართლისათვის მებრძოლი და ჩემს მეგობრებს ვუთხარი, რომ უცნობი, რომელმაც ლიტერატურა გადმოგვცა იყო ზვიად გამსახურდია“¹.

მოყვანილი ჩვენებიდან ჩანს, რომ ორგანიზაციის წევრები მუდმივად ფიქრობდნენ საქართველოს მდგომარეობაზე, როგორც მის წარსულზე, ისე აწმყოზე და მომავალზე. მათი მიზანი საქართველოს თავისუფლება იყო. როგორც ლაშქარაშვილის ჩვენებიდანაც იკვეთება და ამის შესახებ ზემოთ უკვე აღვნიშნე, ორგანიზაციაში გაწევრიანებული პირები, რომლებიც მძღოლები იყვნენ, ხალხის ფართო ფენებში ატარებდნენ გამოკითხვით საუბრებს, საიდანაც ჩანს, რომ საზოგადოებაში სულ უფრო იკვეთებოდა საბჭოთა კავშირისგან გამოყოფის სურვილი.

მათ მიზანს აგრეთვე წარმოადგენდა კავშირი დაემყარებინათ ადგილობრივ ორგანიზაციებთან, მაგრამ მათი არაკვალიფიციურობის გამო ყველა მცდელობა, როგორც ტარიელ ღვინიაშვილი აღნიშნავს კრახით სრულდებოდა. ტარიელ ღვინიაშვილი აღნიშნავს: „ორგანიზაციის წევრები ვიკრიბებოდით თვეში ერთხელ, უმეტესად ვიკრიბებოდით ბაღებში და თუ შესაძლებელი იყო ჯონი ლაშქარაშვილის ბინაში ან ჩემს სახლში. ყოველთვიურად ვიხდიდით საწევრო გადასახადს ათი მანეთის ოდენობით. შეკრებებზე ვსაუბრობდით საქართველოს შესახებ. ჩვენი აზრით, საქართველოს მცხოვრებთ სურდათ, საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ არსებობდა სხვა ორგანიზაციები და გადავწყვიტეთ მათთან კავშირი გვექონოდა, მაგრამ ჩვენი ყოველი ცდა მარცხით მთავრდებოდა. ჩვენს ორგანიზაციაში, რომელშიც ოც კაცამდის შედიოდა ძირითადად საშუალო განათლების ხალხი იყო, რომლებსაც პრაქტიკულად არაფრის გაკეთება არ შეეძლო და ჩვენც მხოლოდ საუბრით ვკმაყოფილდებოდით“².

XX საუკუნის 70-იანი წლების დისიდენტური მოძრაობისგან განსხვავებით, 80-იანი წლების დისიდენტებს ნაკლები გამოცდილება, პოლიტიკური აღლო და კავშირები გააჩნდა. როგორც არსებული საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, ორგანიზაცია „სეგო“-ს წევრები, მართალია ეროვნული ცნობიერების მაღალი დონით, საქართველოს საბჭოთა კავშირისგან განთავისუფლების და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილით გამოირჩეოდნენ, თუმცა მოქმედების არეალისა და იდეების საზოგადოების ფართო ფენებში გაერცვლების შეზღუდული შესაძლებლობებით ხასიათდებოდნენ. 1. სავარაუდოა, რომ ეს ყოველივე განპირობებული ყოფილიყო იმ პერიოდის ქართულ პოლიტიკურ ელიტასა და საზღვარგარეთთან ნაკლები კონტაქტით. და 2. საბჭოთა ხელისუფლების მკაცრი ზეწოლისა და მეთვალყურეობის პირობებიდან გამომდინარე, აღნიშნული ორგანიზაციის არსებობა დიდხანს არ გაგრძელდებულა და შესაბამისად, მათი ჩანაფიქრი სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი და საბოლოო მიზანი – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ვერ განხორციელდა იმ კონკრეტულ ეტაპზე. როგორც ერთ-ერთი ჩვენებიდან ირკვევა, ჯგუფის წევრები გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი მიმართვის გაგზავნას გეგმავენ. ზაქარია ლაშქარაშვილი აღნიშნავდა: „თუ რა მიზნით ჩამოვაყალიბე ე.წ. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია“ ამაზე თვით სახელწოდება მიუთითებს. მე ვთვლიდი და ვთვლი კიდევაც, რომ საქართველო იმყოფება კოლონიურ მდგომარეობაში, არ გვაქვს ეროვნული თვითგამორკვევის უფლება, უფრო სწორად ჩამორთმეული გვაქვს იგი და განვიცდით ეროვნულ ჩაგვრას. რუსეთის მხრიდან, რადგანაც ჩვენში ტარდება რუსიფიკატორული პოლიტიკა. ტაქსზე მუშაობის პერიოდში ვხვდებოდი მრავალ ადამიანს, ეროვნებით ქართველს, რომელთაც ასევე მიაჩნდათ და სურდათ საქართველოს გამოყოფა საბჭოთა კავშირიდან. სწორედ ამ მიზნით ჩამოვაყალიბე „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია“. მე განზრახული მქონდა და ვაპირებდი ოფიციალური წევრით მიგვემართა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის მთავრობებისათვის და მოგვეთხოვა, რომ საქართველო ყოფილიყო დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, სუვერენული სახელმწიფო, რომლის მთავრობაც გარდა საკუთარი ხალხის ნება-სურვილისა არავის დაემორჩილებოდა, ხოლო ყოველივე ეს მომხდარიყო ერის პოლიტიკური თვითგამორკვევის გზით. თუ ეს თხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნებოდა, მაშინ მივმართავდი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას“³.

აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა 1981 წელს დაამზადეს შემდეგი შინაარსის შემცველი პროკლამაცია: „ქართველებო, თუ კიდევ შეგრჩათ სინდისი, თუ კიდევ გირჩქვთ ძარღვებში ქართული სისხლი, თუ კიდევ გიცემთ გული, როგორც ქართველს შეშვენის, თუ კიდევ

¹ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 6, საქ. №29301-84, ტ. 2, ფურც. 309.
² საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 6, საქ. №29301, ტ. 1, ფურც. 298-299.
³ იქვე, ფურც. 195-196.

გინდათ თავი დაიხსნათ რუსეთის მონობისაგან, თუ კიდევ გსურთ ნახოთ საქართველო თავისუფალი და ძლიერი, იბრძოლეთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. არაფრის გულისათვის ნუ დავიღუპებით, თუ დაღუპვა გვიწერია საქართველოსთვის დავიღუპოთ, ჩვენი მომავლისათვის და ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის. ვისაც ეს არ სურს, ის ქართველი არ არის და არც აქვს უფლება იცხოვროს საქართველოში“¹.

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში აგრეთვე დაცულია შემდეგი შინაარსის შემცველი პროკლამაცია:

„მოვიწოდებთ ყველა კავკასიელ ხალხს, რომლის საერთო რიცხვი დღეს დაახლოებით 17 მილიონია, შევკავშირდეთ, გავერთიანდეთ კავკასიელი ხალხი, ყველას ერთი მიზანი გვქონდეს, კავკასიის დამოუკიდებლობა, კავკასიელთა თავისუფლება, ძალა ერთობაშიაო და საჭიროა გაერთიანება, თორემ ცალ-ცალკე მცირერიცხოვანი ვართ და უძლურები ვიქნებით 145 მილიონი რუსის წინაშე.

მოგმართავთ თხოვნით კავკასიელ ხალხს, საქართველოს მოსახლეობას, ყველა მოქალაქეს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სქესისა და სოციალური მდგომარეობისა, სამართლიანობისათვის მებრძოლ ადამიანებს. გეორგიევსკის ტრაქტატის აღნიშვნის დღეს პროტესტით შევხვდეთ. იმ დღეს სახლებიდან არ გამოხვიდეთ და ქუჩები ცარიელი იყოს, ეს თარიღი მარტო რუსეთის მარიონეტებმა, ერის მოღალატეებმა იხეიძონ. თუ შესაძლებლობა გვექნება იმ დღეებში გლოვის ნიშნად შავი ტანსაცმელი ჩაიცვათ...

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! თავისუფლება კავკასიას!“²

აღნიშნული ტექსტი მეტად მნიშვნელოვანია. ჯერ ერთი, იმიტომ, ქართველებს ერთიანობისაკენ მოუწოდებს და მეორე, კავკასიელ ერებს ერთობლივი ბრძოლის აუცილებლობაში არწმუნებს. რაც მთავარია, XX საუკუნის 80-იანი წლები აქტიურობით გამოირჩევა. ეს აღარ არის პერიოდი, როცა ვერაჟინ ვერ ბედავდა ეროვნული საკითხის წინა პლანზე წამოწევას და იატაკ-ქვეშა მოქმედებაც მეტად მცირე იყო. ამ პერიოდში ქართული პოლიტიკური და კულტურული ელიტა და არა მხოლოდ, შესამჩნევად აქტიურდება, ეს მოწოდებაც ამის დასტურია. მართალია, „სეგო“-ს წევრები ფართო კავშირებით არ გამოირჩეოდნენ, თუმცა მათ ერთი, საერთო მიზანი ჰქონდათ – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

რაც მთავარია, მიმართვა გამოირჩევა იმითაც, რომ კავკასიის ერთიანობაზეა საუბარი. საერთო მტრის – რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლა მათი აზრით, უფრო შედეგიანი იქნებოდა. მით უფრო, რომ საბჭოთა რეჟიმის გავლენა ეხებოდა ყველას, განურჩევლად ეროვნებისა.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა პერიოდის ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის განმავლობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია დისიდენტური მოძრაობა, რომელიც ახალი ფორმით ყალიბდება და ვითარდება XX საუკუნის 80-იან წლებში. როგორც განხილული მასალა მოწმობს, ქართველი დისიდენტების მთავარი იდეა ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა იყო, თუმცა დასახულ მიზანამდე მისვლა არც თუ ისე მარტივ საკითხს წარმოადგენდა. ამიტომ ქართველი ეროვნული მოღვაწეების თითოეული ნაბიჯი, ქმედება მნიშვნელოვანი და აქტუალურია და მათ შორის აღნიშნული პერიოდის დისიდენტების მით უმეტეს, რომ საქართველოს ნამდვილად სჭირდებოდა ახალი სისხლი და ახალი ძალა.

1921 წლიდან მოყოლებული ქართველმა ინტელიგენციამ დიდი დარტყმა განიცადა საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან. ქართველ ეროვნულ ძალებს შეზღუდული და შეიძლება ითქვას, ჩამორთმეული ჰქონდა უფლება გარკვეული წვლილი შეეტანა საზოგადოების ეროვნული ცნობიერების განვითარებაში. საბჭოთა რეჟიმის დამყარებიდან მოყოლებული საქართველოში ყოველგვარი ეროვნული იდეებოდა და ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა საკუთარი გავლენის დამყარებას, რის მისაღწევადაც ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა. არ ერიდებოდა ძალადობრივი მეთოდების გამოყენებასაც. ქართველი ინტელიგენცია, რომელმაც მეფის რუსეთის დროს უფრო მეტი როლი ითამაშა ქართველი ერის ერთიანობის ჩამოყალიბებაში, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული რეპრესიების მსხვერპლი აღმოჩნდა, რაც განსაკუთრებული გამოძახტველობით გამოჩნდა 30-იან წლებში. მართალია, ეროვნული იდეა მეფის რუსეთის დროსაც იდეებოდა, თუმცა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული 1921 წლამდე (1918-1921 წწ. – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა) ქართველმა ინტელიგენციამ, რომელიც იდეოლოგიას ქმნიდა საქართველოში გარკვეული წვლილი შეიტანა ეროვნული ცნობიერების ამაღლებაში და ეროვნული ძალების მობილიზებაში.

XX საუკუნის 30-იანი წლების მასობრივმა რეპრესიებმა ქართული კულტურული ელიტის არაერთი წარმომადგენლის სიცოცხლე შეიწირა. ეს ფაქტი შემთხვევითი არ ყოფილა. საბჭოთა

¹ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 6, საქ. №29301-84, ტ. 3, ფურც. 114.

² საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 6, საქ. №29301-84, ტ. 2, ფურც. 421.

ხელისუფლებამ მთავარი დარტყმა იმ ადამიანების წინააღმდეგ მიმართა, რომელთაც შესწევდათ იმის ძალა და გააჩნდა ის აზროვნება, საკუთარი რესურსი ქართველი ერის ერთიანობის გაძლიერებაში დაეხარჯა. საბჭოთა იმპერიამ, ფაქტობრივად საქართველოს საღად მოაზროვნე ნაწილი წაართვა, რათა დაპყრობისა და დამონების პროცესი მარტივად განსახორციელებელი ყოფილიყო.

XX საუკუნის 40-50-იან წლებში გარკვეული გამოცოცხლება შეინიშნება ეროვნულ მოძრაობაში, განსაკუთრებით სტალინის სიკვდილის შემდეგ. მართალია, 1956 წლის 9 მარტის „სტალინის კულტის“ კრიტიკით ხრუშჩოვი და მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები შეეცადნენ ყველაფერი მხოლოდ სტალინისთვის დაებრალეხინათ, თუმცა საზოგადოება და განსაკუთრებით მისი მოაზროვნე ნაწილი ასე ადვილად უკვე აღარ ტყუვდებოდა. მათთვის ნათელი იყო, რომ ახალი ხელისუფლებაც წინამორბედის გამგრძელებელი იყო და ისევ ძველი წესებით აპირებდა ცხოვრებას. თუმცა ეროვნული ძალების ერთიანობის აუცილობლობასაც ნათლად აცნობიერებდნენ. სწორედ აღნიშნული იდეის ქადაგებას ისახავდა მიზნად ახალგაზრდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას პროტესტი არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. შეიძლება ითქვას, რომ მათმა მოღვაწეობამ საფუძველი ჩაუყარა დისიდენტურ მოძრაობას საქართველოში, რაც ახალი ფორმით აღორძინდა 80-იან წლებში და როგორც ზემოთ განხილული მასალები მოწმობს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შემადგენელი ნაწილი გახდა.

ბიბლიოგრაფია

1. ო. თუშურაშვილი, ვლ. ლუარსაბიშვილი, *ქართული დისიდენტური მოძრაობის ისტორია* (თბილისი, 2016).
2. ი. კვესელავა, *საქართველოს ისტორიის ქრონიკები (1970-1990)*, ტ. I (თბილისი, 2004).
3. *საარქივო მოამბე*, №12 (თბილისი, 2012).
4. ლ. სარალიძე, საქართველოს ჰელსინკის კავშირის მოღვაწეობის ისტორიიდან, *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, №1 (16) (თბილისი, 2015).
5. დ. ჭუმბურიძე, ვ. კიკნაძე, ხ. ქოქრაშვილი, ლ. სარალიძე, *საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში*, წგნ. II (თბილისი, 2016).
6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 6, საქ. №29301, ტ. 1.
7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 6, საქ. №29301-84, ტ. 2.
8. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 6, საქ. №29301-84, ტ. 3.

NATO SONGULASHVILI

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

THE DISSIDENT MOVEMENT IN GEORGIA (IN THE 80TH OF THE XX CENTURY)

From the 20s of the XX century, when the representatives of the national-liberation movement were not able to achieve their goal to free Georgia from the Soviet regime, any large-scale armed action did not occur afterwards. However, national forces did not stop to fight in Georgia and beyond its borders. After the World War II the National Movement became extremely active giving the national forces the hope of liberation.

The new rise of the National Movement is connected to Zviad Gamsakhurdia and Merab Kostava. They began a new era in the history of Georgia. Naturally, it was difficult to act against the Soviet regime, nevertheless the national forces tried hard to achieve their true goals. One of the bold steps of Zviad Gamsakhurdia was publishing the magazines “Saqatvelos Moambe” and “Oqros Satsmisi” that were distributed illegally in the 70s of the XX century. The Soviet regime officials repeatedly prevented development and growth of the national forces

despite the fact that evident weakness of the soviet regime began to grow to a greater extent from the 70s. For its part, the national forces tried to take advantage of the situation.

In the 80th of the XX century started new era of national-liberation movement in Georgia. There was new phase of formation. It will be actual idea of national liberation, but this phenomenon was always important and interesting.

In the 80th of the XX century crisis of Soviet system will be clear. Different social layers and social groups had their position, which was negative towards of Soviet Union and this movement entered new phase.

In general and specific in this period, all social layers and social groups had their perceptions of national liberation and they had their strategy to restore independence of Georgia. For example, goal of Georgian dissidents was distributed of illegal media, literatures and proclamations and they wanted to force national idea of society. In the 80th of the XX century, Georgian political and cultural elite started movements, which were goal of restoration of Georgian independence.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

**გურიის ტრადიციული ყოფის რამდენიმე ასპექტი
ისიდორე რამიშვილის „მოგონებების“ მიხედვით**

ისიდორე რამიშვილი XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის I ნახევრის ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეა. იგი შესანიშნავი მწერალიცაა. მისი „მოგონებები“ მემუარული ჟანრის ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. „მოგონებები“ ისიდორე რამიშვილის შვილიშვილის ქეთევან რამიშვილისა და ბატონ გელა საითიძის ძალისხმევით, 2012 წელს გამოქვეყნდა. ავტორი გვაცნობს ამ პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას. იმავდროულად იგი გვევლინება შესანიშნავ ეთნოგრაფად და გურიის, კერძოდ კი სოფელ სურების, სადაც მან ბავშვობა გაატარა, ტრადიციული ყოფის შესახებ მრავალ საინტერესო ცნობას გვაწვდის. წიგნში აღწერილია გურიის მაღალმთიანი სოფლის მკვიდრთა ყოფის მრავალი მხარე და რეალია. გვხვდება ცნობები გურულების სამეურნეო საქმიანობის (ნადირობა, მეფუტკრეობა, სიმინდის მარგვლა, ტყევა, ღომის მოსავლის აღება, კაკლის ბერტყევა...), საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის (სტუმარმასპინძლობა, აღზრდა), რწმენა-წარმოდგენების, წეს-ჩვეულებების და დღესასწაულების (დაკრძალვის წესები, ბოსლობა, აღდგომა, შობა, ახალი წელი...), სამედიცინო ტრადიციების (ტრავმის მკურნალობა, ავადმყოფის იზოლირება...) შესახებ და სხვა. რად ღირს თუნდაც ნადირობის ეპიზოდები, ან ხალხური თამაშობების, ცეკვების, სიმღერების აღწერა და მათი ანალიზი. მოკლედ რომ ვთქვა, ეთნოგრაფიული მასალა წიგნში საკმაოდ ბევრია. მაგრამ ამჯერად მხოლოდ ერთ საკითხს შევეხები – შრომა-დასვენების ტრადიციულ კულტურას.

ქართველ გლეხს ოჯახის შესანახად მძიმე სამუშაოს შესრულება უხდებოდა. ეს იყო მიწათმოქმედებასთან და მესაქონლეობასთან დაკავშირებული სამუშაო. ისიდორე რამიშვილი დეტალურად აღწერს სხვადასხვა სახის სამეურნეო საქმიანობას, რომელსაც ძირითადად ოჯახის უფროსი (თავი) მამაკაცი უძღვებოდა და შრომის განაწილებასაც ის თაობდა, საშინაო საქმეს კი ოჯახის უფროსი (თავი) ქალი განაგებდა: „ყოველთვის მამაჩემი ადგენდა გარეთ სამუშაოების გეგმას თუ სად და რომელ ყანაში ვინ უნდა წასულიყო, რომელი სამუშაო უფრო თხოვლობდა ყურადღებას და სხვა. დედაჩემი საშინაო საქმეთა გეგმას მამაკაცებისგან მიღებულ გადაწყვეტილებას უთანხმებდა, სად და რომელ ყანაში გაეგზავნა სადილები – ცალცალკე თუ ერთად. ხუთი მამაკაცი ტრიალებდა ჩვენს ყანაში და მათთვის სადილის დამზადება და თავისდროზე მიწოდება არც ეგრე ადვილი საქმე იყო. საღამოზე გაგვინაწილებდნენ ჩვენ, ბავშვებს, ხვალინდელ საქმეს, ვის ცხენები წაეყვანა „ჩასახაირებლად“ ე.ი. ბალახში ჩასაბმელად და ერთი ბალახიანი ადგილიდან მეორეში გადასანაცვლებლად; ვის საქონელი ტყიდან მოერეკა; ვინ დარაჯად ყოფილიყო საფუტკრეში და ვის სადილი მიეტანა მუშებთან“¹. ამგვარად, ოჯახში სამუშაო სქესის და ასაკის მიხედვით ნაწილდებოდა. „გეგმის გამომუშავების შემდეგ, უმაღლეს მიეცემოდნენ, რომ გათენებამდის მთელი ოჯახი ფეხზე მდგარიყო“².

ისიდორე რამიშვილის სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ ტრადიციული ოჯახური ცხოვრება გურიაში გარკვეულ წესებს ემორჩილებოდა. მამაკაცი, ე.წ. გარე, მიწის სამუშაოებს განაგებდა და ამ სამუშაოს შესრულების გეგმას წინასწარ ადგენდა, ქალი კი საოჯახო საქმიანობას ხელმძღვანელობდა და ისიც წინასწარ შედგენილი გეგმის საფუძველზე მოქმედებდა. ეს გეგმები ურთიერთშეთანხმებით დგებოდა, რაც ოჯახის წევრთა ნორმალურ, ჰარმონიულ ურთიერთობებს განაპირობებდა. ამგვარად, „გენდერული ბალანსიც“ ოჯახში მეტნაკლებად დაცული იყო. გურიაში „საოჯახო საქმიანობის გარდა, ქალის უფლება-მოვალეობას, ძირითადად, მამაკაცი განსაზღვრავდა. მიუხედავად ამისა, ორთაობიან ოჯახში მამაკაცი ცოლთან შეთანხმებით წყვეტდა ამა თუ იმ საკითხს და ეს არამცთუ უხერხული, არამედ სასაურველიც კი იყო“³.

გურული გლეხი სამუშაოს დილაადრიან იწყებდა – „მზის ამოსვლამდე“. ხატოვნად არის აღწერილი წიგნში განთიადის სურათი. მოვიყვან ერთ მაგალითს: „მე არ ვიცოდი, ორშაბათს

¹ ი. რამიშვილი, *მოგონებები* (თბილისი, 2012), გვ.76.
² იქვე.
³ გ. ცეცხლაძე, *გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა* (თბილისი, 1991), გვ. 77.

ფრინველები უფრო ადრე იღვიპებდნენ და სტეხდნენ ჟრამულს თუ კაცები. კაცების ფაცა-ფუცი, ხმაურობა, სამზადისი შრომისათვის ხელს მიშლიდა და ვმტკობარიყავი ფრინველთა ათასნაირი ჟღერტულით... რაღაც სასაწაულით თითქოს საიდუმლო ხელი დაუქნიაო – და ყველგან ერთბაშად შეწყდებოდა მათი ხმა. ეს აძლიერებდა ჩემში ცრუმორწმუნეობას, რომელიც ხშირად მესმოდა, ვითომც ფრინველებს განთიადის მოახლოების ნიშნად ზეციდან რეკვა მოესმოდათ და ისინიც ერთბაშად ლოცვას შეუდგებოდნენ, ვითომც ციდანვე მიიღებდნენ ცნობას და ისევ ერთბაშად სწყვეტდნენ“¹.

ამ ამონარიდიდან ვეცნობით გურულების წარმოდგენას ჩიტების დილის ჟღერტულის – „ჩიტების ლოცვის“ შესახებ, რაც უძველესი და უნივერსალური რწმენა-წარმოდგენების სისტემაში ერთიანდება. როგორც ცნობილია, ჩიტი, ძირითადად, ზეციურ სიმბოლოს წარმოდგენს, იგი ადამიანის სულსაც განასახიერებს, ქრისტიანულ რელიგიაში კი მტრედის სახით – სულიწმინდას.

გურული გლეხი დილას ლოცვით იწყებდა. ლოცულობდა ყველგან, სადაც კი მოუხერხდებოდა და როგორც მოუხერხდებოდა: „ჩიტი ლოცულობსო“, იტყოდა რომელიმე უფროსთაგანი და პირჯვარს გადაიწერდა. კაცებიც ფრინველთა მიბაძვით, დილით, პირველ ყოვლისა, ლოცვას შეუდგებოდნენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ფრინველები ერთად – საზოგადოებრივად ლოცულობდნენ, კაცები კი ცალკე-ცალკე, ყველა მისთვის: ერთი კედელს აყუდებული და ხელემაღლააშვერილი რაღაცას ბუტბუტებდა, მეორე ხის ძირში დაჩოქილი მეტანიას აკეთებდა და სახედალრეჯილი ზეცას რაღაცას შესთხოვდა, მესამე საქმეზე მიმავალი გზადაგზა ლოცულობდა, ამას შეერთებული ჰქონდა ცა და მიწა, ღმერთსაც ემსახურებოდა და თავის საქმესაც აკეთებდა...“².

დილის ლოცვის შემდეგ გლეხები მუშაობას შეუდგებოდნენ. შუადღეს ბავშვებს ყანაში სადილი აჰქონდათ, იწყებოდა სადილი და მცირე ხნით დასვენება. ხშირად სადილის მოლოდინში სიმღერას წამოიწყებდნენ:

„მიმინოსა მწყერი უყვარს, შევარდენსა ნადირობა,
თუ დედასა შვილი უყვარს, ეხლა კია სადილობა“³.

აღწერილია სუფრა: „სუფრაზე ჭადის სქელი ნაჭრები იმდენი იყო, რამდენიც მუშები ვიყავით, ერთი ქოთანს ღობიო გვედგა. ბოლოკი გზაში გაგვათხრევინეს. ამ მაღლიან გლეხურ შეჭამადს მაღიანად შევექცეოდით. თუნგის პირზე მოყუდებით ხან ერთი, ხან მეორე წყაროს ცივ წყალს ეწაფებოდა. სადილის შემდეგ ნაშთი მესადილემ აალაგა და პატარა „გორიცაში“ (პატარა გოდორი – ნ.მ.) ჩააწყო. ყველანი, სადაც იყვნენ, იქავე მიწვნენ თვალის მოსატყუებლად (მართლაც, რომ თვალის მოტყუება იყო მათი ძილი. ის 5-10 წუთს არ აღემატებოდა)... სადილისა და დასვენების შემდეგ წამოცოცხლებული კაცები მხიარულად ლაპარაკობდნენ ამ მთისა – იმ მთისა, ამ ყანისა – იმ ყანისა, ამ მეზობლისა – იმ მეზობლისა“⁴.

მუშაობაში ბავშვებიც იღებდნენ მონაწილეობას: „მე ორმა დიდმა ჩამიყენა შუაში, ონისე (ისი-ღორეს ძმა – ნ.მ.) – სხვა ორმა. გახურდა მუშაობა, მივდივართ აღმა-დაღმა და როცა ერთი ნაპირი გავიტანეთ, ზოგი ბალახზე ჩამოჯდა დასასვენებლად, ზოგმაც პირი გაისველა მაყვლით და მარწყვით... (შემდეგ ისევ – ნ.მ.) გახურდებოდა მუშაობა, ვინმე კიდევაც წამოიკრიმანჭულებდა, მაგრამ ყველაზე უფრო თოხების მიწაზე ცემის ხმა ისმოდა. აგვექონდა სწრაფად ნაპირი ნაპირზე“⁵.

ამ ამონარიდში ორი მომენტია საინტერესო. ბავშვების შრომითი საქმიანობა უფროსების მეთვალყურეობის ქვეშ, რაც ითვალისწინებდა, ერთი მხრივ, მათთვის გამოცდილების გაზიარებას, მეორე მხრივ კი, მათი ცუდლუტობის თავიდან აცილებას. ასევე, შრომის პროცესის შემსუბუქებას სიმღერითა თუ მცირე ხნით, სულ ალბათ რამდენიმე წუთიანი, შესვენებებით, რაც მიწის მუშაკთ ახალი ენერგიით აღავსებდა.

სურების ტყე სავსე იყო ნადირით, განსაკუთრებით, დათვებით, რომლებიც შრომით და დაგვიტ მოწვეულ ყანას ანადგურებდნენ. მოსავალს დაცვა სჭირდებოდა და გლეხებიც ათასგვარ ზომას მიმართავდნენ. ამ პროცესში მონაწილეობდნენ ბავშვებიც. ყანასთან „...მაღალ აღვილზე ოთხ ბარჯზე გადმოსურული კარავი გვედგა. კარვის პირას დიდ ცეცხლს გავაჩაღებდით, მთელი დამე ვხმაურობდით, ვყიჟინებდით და როდესაც საიდანმე ლაწალუწი შემოგვესმოდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ იქიდან ყანას დათვი ეპარებოდა, იქითკენ ანთებულ მუგუზლებს გადავისროდით. ჩვენს ყვირილზე ძაღლებიც ჰყეფდნენ, დარბოდნენ, ნადირს ეძებდნენ. უფრო შეუპოვარი ხდებოდნენ დათვები წვიმიან დამეში. ჩვენს ყვირილს და მუგუზლებს სრულიად არ ეპუებოდნენ

¹ ი. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 78.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

და ყანაში თავხედურად მოჯლაჯუნებდნენ. მაშინ საჭირო ხდებოდა თოფის დახმარება. დაიქუხებდა თუ არა თოფი, ყოველივე მიწყნარდებოდა¹.

ხუთდღიანი მძიმე მუშაობის შემდეგ შაბათი დგებოდა. შაბათს შუადღემდე მუშაობდნენ. შუადღის შემდეგ იწყებოდა უქმე. ქრისტიანული რელიგიური კალენდრით გათვალისწინებულ მარხვებსა და უქმეებს გურიის მოსახლეობა მკაცრად იცავდა – „კვირის უქმის გატეხვა“, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, გურიაშიც ცოდვად ითვლებოდა.

ისევ ისიღორე რამიშვილის შესანიშნავ აღწერილობას მოვუსმინოთ: „შაბათს თავდებოდა ექვსი დღის გამუდმებული შრომა და იწყებოდა დრო დასვენებისა და მხიარულების... მარტო ის რად ღირდა, რომ ამ დღეს სადილი ყანაში არ მიჰქონდათ და ყანიდან ნაადრევად დაბრუნებული მუშები მთელ ოჯახთან ერთად ჩვეულებრივზე გვიან შინ სადილობდნენ... ამ დღეს ყველა კაი გუნებაზე იყო და ყველანი ბეჯითად მუშაობდნენ... გადაიხრებოდა თუ არა მზე საშუადღეოდ, მამაჩემი თოსს მხარზე შეიღებდა, „უქმის ძალა“-ო დაიძახებდა და მუშაობა ერთბაშად შეწყდებოდა. ჩვენი ყანიდან სხვა მეზობელ ყანებში გადასძახებდნენ: „უქმის ძალია, ცოდვაა უქმის გატეხვა“-ო და იქაც მუშაობაზე მაშინვე ხელს აიღებდნენ. ისინიც თავის ყანიდან სხვა მეზობელ ყანებში გადასძახებდნენ და ატყდებოდა ხმამაღალი გადაძახებ-გადმოძახება, მხიარული გამოლაპარაკება ყანიდან ყანაში. ბოლოს ყველანი თავთავიანთი ყანის ბილიკებით სოფლისკენ დაემშვებოდნენ, თანდათან შეერთებოდნენ და მხიარული ბაასით საკუთარ სახლს დაუბრუნდებოდნენ. დაგვხვდებოდა დაგვიღ-დაკრიალებული ეზო, სადღესასწაულოდ გამოწყობილი სახეგაბრწყინებული ქალები და გამზადებული სადილი. ხელათ მშვენიერი სუფრა გაიშლებოდა. ყველანი ირგვლივ შემოუსხდებოდნენ და ტკბილი საუბრით საერთო სადილს შევექცევოდით. სადილის შემდეგ მამაკაცები, მათი ცოლებისაგან უკვე დამზადებული საცვლებით, მდინარე სუფსისკენ გაექანებოდნენ, იბანავებდნენ, დასუფთავდებოდნენ, ჭუჭყიან და ოფლიან საცვლებს გამოიცვლიდნენ და იქვე, წყლის პირად, კაკლებით დაჩრდილულ ჭალაში თავშეყრილ მოთამაშეებს შეუერთებოდნენ. თამაშს ჯერ ბავშვები დაიწყებდით, მერე მოზრდილებიც შემოგვერეოდნენ და, ბოლოს, ყველანი თავგამოდებით ებრძოდნენ ერთმანეთს ლელოს გასატანად... ბურთის თამაშობის შემდეგ, გაიმართებოდა შეჯიბრება გაქცევა-გადახტომაში, ვინ ვის გაასწრებდა, ვინ უფრო მარად გადახტებოდა და სხვა. ხანდახან ჭიდაობაც გაიმართებოდა და მოზვრებსავით ყელმოდერებული ბიჭები ერთმანეთს დაეტაკებოდნენ. სულ დაღამებულში ეს პატარა დროსტარება სიმღერით სრულდებოდა“².

შაბათ საღამოსვე „მეზობლები სამუსაიფოდ ერთმანეთთან მიდი-მოდოდნენ... და მთლად დაბნელებამდის ერთმანეთს მსუბუქ-მხიარული ლაპარაკით ართობდნენ. მაშინ აფასებდნენ განვლილი ექვსი დღის მუშაობას, ზომავდნენ მოსავლის პირს, ზოგის ნამუშევარს იწუნებდნენ, ზოგისაც მოსწონდათ. გამოცდილები სუსტ მუშებს ყანის მოვლას ასწავლიდნენ. მამაჩემი კი ყოველ შაბათ საღამოს, დაბანილი, დავარცხნილი, სუფთად აკრული უღვაშებით და მოპარსული წვერით საღვთო მოქმედებას შეუდგებოდა, წმინდა სანთელს დიდხანს ზელდა, ბოლოს დამრგვალებული სანთლის ცომისგან სახვალთ სანთლებს ჩამოქნიდა. იმ წყვილს დასტრიდა მოკლე-მოკლედ და ააჭედებდა კედელზე, რამდენი სულიც ოჯახში ვიყავით“³.

ეს ამონარიდებიც რამდენიმე ინფორმაციას გვაწვდის: სხვადასხვა სახის დასვენების, ხალხური სპორტის სახეობების, ჰიგიენური ნორმების შესახებ... ყველაფერი ეს კი გურული გლეხის შრომის რაციონალურ კულტურაზე მეტყველებს, შრომისა და დასვენების სწორ მონაცვლეობაზე.

შაბათსვე ხდებოდა საკურთხის მიტანა ეკლესიაში, რომლისგან ნაწილი სასულიერო პირებს რჩებოდა, ნაწილი კი, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ალბათ მოწყალებას ხმარდებოდა, უპოვართა და უქონელთა შორის რიგდებოდა. შაბათს „ჩვეულება იყო მთელ სოფელში, რომ ყოველ ოჯახს, რომელსაც ეკლესიის გაღავანაში ახალი მიცვალებული ჰყავდა და ერთი წლის მგლოვიარება ჯერ კიდევ არ გათავებოდა, შაბათ დღეს ეკლესიაზე უსათუოდ საკურთხი უნდა გაეზავნა. ჩვენც გვყავდა მიცვალებული – ჩემი ძმა სიკო, რომელსაც დედაჩემი ყოველ შაბათს ნაირ-ნაირ საჭმელებს უგზავნიდა. ჩემს სიკოს „რძის ფაფა უყვარდაო“ – იტყოდა დედა და შემწვარ ქათამს, ჩვილ ყველს, ნადუღარს და ხაჭაპურებს სუფთად გაკეთებულ გამრიელ ფაფასაც დაუმატებდა“⁴.

საკურთხის მიტანის წესს შაბათობით, განსაკუთრებით, წლისთავამდე, გურულები მკაცრად იცავდნენ, მათი წარმოდგენით გარდაცვლილს საიქიოში საკურთხი შაბათიდან შაბათამდე უნდა გამოეზოგა, ამიტომ მშვიერი რომ არ დარჩენილიყო, საკურთხის არაფერი უნდა მოკლებო-

1 იქვე, გვ. 96.
2 იქვე, გვ. 86.
3 იქვე, გვ. 88.
4 იქვე, გვ. 90.

და, რაც „მიცვალებულს სიცოცხლეში უყვარდა, არ ივიწყებდნენ“¹. ისიდორე რამიშვილის აღწერილი ეს ტრადიცია რელიგიურ სინკრეტიზმსა და არქაული რწმენა-წარმოდგენების მდგრადობაზე მეტყველებს.

კვირის – „მთავარი მხიარულების“ დღის შესახებ ისიდორე რამიშვილი წერს: „კვირა დღით (მამა – ნ.მ.) დაგვირიგებდა წყვილ-წყვილ სანთელს და ეს იყო ნიშანი, რომ ყველა, დიდც და პატარაც, ეკლესიაში უნდა წავსულიყავით. თვითონ მამა ქილებში ოთხ სანთელს ჩაირჭობდა და ისიც ეკლესიის გზას გაუდგებოდა. გზაბილიკი, როგორც ყველგან, ჩვენს ხეობაში, აქაც ტყით იყო დაფარული, გამწკრივდებოდნენ ამ ბილიკზე ჩვენი მხრის მლოცველები – ქალი, კაცი, მოხუცებული, ახალგაზრდები – სადღესასწაულოდ გამოწყობილნი, მოკრძალებითა და ღმობიერი სულის განწყობილებით აღმოსავლეთით მიემართებოდნენ. გაღვინის კარი ფართოდ გაღებული დაგვიხვდებოდა. წინეთ მოსული ხალხი მიცვალებულთა ქვებზე იყვნენ ჩამომჯდარი და წყნარ მუსაიფს ეწეოდნენ, ზოგი ყალიონსაც აბოლებდა. ახლად მოსულები კი ამ ხალხს ყურადღებას არ აქცევდნენ, გვერდზე არ იყურებოდნენ და თავშიშველები, ფუტკრებით, შედიგამოდრიოდნენ ეკლესიაში. ყოველი შემსვლელი სათითაოდ დაუჩოქებდა ჯერ ძირითად სალოცავს – წმინდა გიორგის ხატს, აუნთებდა მას სანთელს, და მერე მაცხოვარს. გამოსულები ჯერ მღვდლებს ემთხვეოდნენ ხელზე (ორი მღვდელი იყო) და შემდეგ ხალხს მიესალმებოდნენ... ეკლესიის გაღვინაში წირვის დაწყებამდე აუღელვებელი და მშვიდი ლაპარაკი სწარმოებდა, და აქ მეთაური მამაჩემი იყო. მან ტკბილი, მხიარული და იუმორით შეზავებული ლაპარაკი იცოდა“². მაგრამ გურულს ალბათ არ შეეძლო, თუნდაც ეკლესიის კარზე, დიდხანს ყოფილიყო მშვიდი და აუღელვებელი. სწორედ ამიტომ წირვის შემდეგ მას ხასიათი ეცვლებოდა, მშვიდ განწყობას აგზნება მოჰყვებოდა: „გასაკვირი იყო, რომ წირვის შემდეგ ხალხს სრულიად ეცვლებოდა გუნება, აღარ იყო ისეთი მოკრძალება და მორიდება იმ ადგილისადმი, სადაც ის შეკრებილი იყო, როგორც წირვის დაწყებამდე. აქამდე თუ ღმერთზე და ხატზე ფიქრობდნენ, უცებ ძირს ჩამოცვივდებოდნენ ხოლმე და შეუდგებოდნენ მიწიერ საქმეებზე ზრუნვას, ლაპარაკს და დავას. თუ ვინმეს ვინმესთან რაიმე ნიადაგზე მეზობლური ურთიერთობა ჰქონდა, აქ, სახალხოდ, ამაზე ხმამაღლა და უკმეხ ლაპარაკს ასტეხდა. ხშირად ლაპარაკი ჩხუბადაც გადაიქცეოდა ხოლმე და ერთი-მეორესკენ გაიწევდნენ ხოლმე“³.

ამ ამონარიდიდან ნათლად ჩანს გურულის ხასიათის თავისებურება, მომეტებული აქტიურობა, სიმკვირცხლე და სიფიცხე.

კვირას ეკლესიის კარზე სხვადასხვანაირად ერთობოდნენ. ეწყობოდა სანახაობებიც. საინტერესოდ გვეჩვენება ე.წ. სასეირო ნადირობა. რომელსაც, ერთი მხრივ, სანახაობრივი ხასიათი ჰქონდა, მეორე მხრივ კი, მოზარდებს ნადირობის ანაბანას ასწავლიდა: „კვირა დღეს, ეკლესიის ეზოში იმართებოდა სიმღერა, თოფების სროლა – დათვია დაკვლეული და მსურველს შეუძლია მონაწილეობა მიიღოსო. ერთ კვირა დღეს ასეთი სასეირო (სანახაობრივი – ნ.მ.) ნადირობა გაიმართა ჩვენი სახლის პირდაპირ, მდინარის გაღმა, ტყეში. ჩვენი ეზო გაივსო აუარებელი ბავშვებით და ქალებით. აქედან კარგად მოხანდა. ყოველი მხრიდან თოფიანები მოდიოდნენ. სუფსაზე გაღებული ხილით ჩუმად გავიდნენ ტყეში და ჩასაფრდნენ. თავისუფალი დარჩა მხოლოდ მდინარის ნაპირი, საიდანაც ტყე იწყებოდა. ამ ნაპირიდან რამოდენიმე კაცი ყვირილით და ძაღლების ყეფით შეესიენ ტყეს, რომ ნადირი დაეფრთხოთ, საწოლიდან გამოეგდოთ და საფარის რომელიმე მხარეს გაედევნათ, სადაც მას უთუოდ ტყე მოელოდა. ბევრი იყვირეს ტყის მომრეკელებმა, ბევრი იყეფეს ძაღლებმა, მაგრამ ნადირი არსად სჩანდა, თოფის ხმა არსაიდან ისმოდა“⁴.

წიგნში აღწერილია სპორტული თამაშობებიც, რომელთაც დიდი და პატარა ერთად თამაშობდა: „ბევრნაირისა იყო ჩვენი თამაშობა, მაგრამ ყველაზე უფრო აჩემებული გვქონდა „მაიობა“ და „ჭაკუნ“... მაიობა... წარმოადგენდა ორ საომარ ბანაკს, რომელთაც სათავეში თავთავიანთი სარდლები ედგათ. ჰქონდათ ციხესიმაგრენი და მხედრები დარაჯობდნენ. მინდორი ორი ბანაკისათვის შუაზე გადაიხაზებოდა და დაიწყებოდა ომი. ერთი ბანაკიდან მეორე ბანაკამდე მიდიოდა ვინმე, სარდლისაგან ამ საქმისათვის საგულდაგულოდ ამორჩეული ბიჭი და გზადაგზა მოპირდაპირე ბანაკს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა... მას კვალდაკვალ გამოუდგებოდა წინდაწინ მომზადებული კარგი მუხლის ბიჭი. ამის წინააღმდეგ ეხლა პირველი ბანაკი და მინდორი მეომრებით აივსებოდა. ყველა ჩვენთაგანი თავის მიჩემებულ მტერს მისდევდა, სარდლები კი იდგნენ თავიანთ ბანაკებში და თვალყურს ადევნებდნენ, რომ ომის წესი არ დარღვეულიყო. დაჭრილ ტყვეს თითოეული ბანაკი მოათავსებდა ამისათვის დანიშნულ ადგილზე და მცველს

¹ ა. წულაძე, *ეთნოგრაფიული გურია* (თბილისი, 1971), გვ. 200.

² ი. რამიშვილი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 88.

³ იქვე, გვ. 89.

⁴ ი. რამიშვილი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 91.

მიუჩნდა... ბანაკი შეუდგებოდა ტყვეების დახსნას. თუ მტრის ბანაკში შეიპარებოდა ვინმე და დატყვევებულს ხელს სტაცებდა ისე, რომ მცველი ხელს ვერ შეუშლიდა, ტყვე განთავისუფლებულად ითვლებოდა. ბრძოლა გრძელდებოდა მანამდე, სანამდის გამარჯვებული ბანაკი არ შეიპყრობდა მტრის მთელ ბანაკს, გარდა სარდლისა. სარდალი როდესაც უჯაროდ დარჩებოდა, ომი უკვე დასრულებულად ჩაითვლებოდა¹.

შემდეგ აღწერილია ჭაკუნის²: „მინდორში ორად გაყოფილი ბანაკი ბურთს შუაადგილზე გააგდებდა. ყველა მონაწილე შეიარაღებული იყო მოკლე ჯოხით, რომელსაც თავი მოკაუჭებულნი ჰქონდა. მოსდებდნენ ბურთს ამ მოკაუჭებულ თავს და თავის ლელოსკენ მიაქანებდნენ. მოწინააღმდეგეებიც ბურთს თავისკენ ეზიდებოდნენ და იყო გამართული ჯოხების ჯოხებზე ცემა და ჭახა-ჭუხი. ბევრს აჩნდა ფეხებზე, მუხლისთავებზე დალილავებული ადგილები, მაგრამ თამაშიდან მხოლოდ ის გადიოდა, ვინც ძალიან დაშავდებოდა. დაშავება კი ამ თამაშის დროს ერთობ ხშირი იყო, მათ უფრო მაშინ, როცა თამაშობაში „დიდები“-ც ჩამოერეოდნენ“³.

აღწერილია „გატან-ბურთიც“ (ლელი - ნ.მ.): „ერთ ბანაკად ცოლიანები დადგებოდნენ, მეორე ბანაკად უცოლოები, აისვრიდნენ მალლა მემის დიდ ბურთს და ერთმანეთს ქორებივით დაეტაკებოდნენ, რომ ბურთი თავის ლელოსკენ გაეტანათ. ბურთის წამლებს მოწინააღმდეგეები წინ გადაუდგებოდნენ, ფეხს დაუდებდნენ, იქვე წააქცევდნენ და ორივე მხრიდან შემოესეოდნენ, ყველა ცდილობდა ბრბოს შუაში შემძვრალიყო და ბურთი გამოეტანა, და რადგან ორივე მხრივ თითქმის თანასწორი მოწინააღმდეგე ძალები იყვნენ, ხალხის ამოდენა მთა ერთ ადგილზე ტრიალებდა. ამ მრისხანე თამაშის დროს სხვა ყოველნაირი თამაში შეწყდებოდა... ქალებიც მყისვე ორ ბანაკად გაიყოფოდნენ. გასათხოვარი ქალები უცოლო ბიჭებს მიუდგებოდნენ, აქეზებდნენ და ათამაშებდნენ, ქმრიანები კი თავის ქმრებს თავს დასტრიალებდნენ და ამხნევენენ. გამარჯვებული ბანაკი ასტეხდა მხიარულ ყოყინას და ჟრიამულს... ბრძოლა-თამაშის შემდეგ, ბევრს ჩამოსდიოდა ცხვირ-პირიდან სისხლი და ბევრიცა დაკოჭლებული და ხელგულს ჩამოკიდებული სახლში მიდიოდა. რასაკვირველია, თამაშის ასეთი შედეგები ხალხში არავითარ მტრულ განწყობილებას არ იწვევდა“⁴. სიტბოს დადგომისთანავე, როცა მარხვაც თავდებოდა, სოფლის თავყრილობები უფრო ხალხმრავალი იყო და გართობა-დროსტარებაც უფრო აქტიური და მრავალფეროვანი.

„აღდგომის დღეებიდან დაწყებული თვით კრეფამდის, ე.ი. გაზაფხულიდან შემოდგომამდის, კვირა დღეებით დიდი „ჯარიანობა“ (თავყრილობა - ნ.მ.) იცოდნენ სოფლის მარჯვენა ნაპირის ლამაზსა და ვაკე ადგილზე. ყოველ კვირა დღეს, სადილის შემდეგ, მთელი ხალხი - დიდი და პატარა, ქალი და კაცი - თავს იყრიდა. იმართებოდა სხვადასხვანაირი თამაში და დროსტარება. ქალები და კაცები შეკრავდნენ წრეს, დასძახებდნენ სიმღერას, დასცხებდნენ დაირას და გაიმართებოდა ცეკვა-თამაში. მოცეკვავეებად ჯერ მამაკაცები გამოჩნდებოდნენ წრეში, შემდეგ ისინი ქალებს გამოიწვევდნენ, წრეში ელვასავით ტრიალებდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. კაცები ცდილობდნენ, წრეში მოცეკვავე ქალებისთვის გზა შეეკრათ, მაგრამ ქალები მოხდენილად გაუსხლტებოდნენ და სხვა მიმართულებას აიღებდნენ. თუ მოცეკვავე კაცი მოახერხებდა მოცეკვავე ქალისათვის წრეში გზა შეეკრა, ქალი დამარცხებულად ითვლებოდა, წრიდან გადიოდა და თავის ტოლ-ამხანაგებს უერთდებოდა. გამარჯვებული მამაკაცები ასტეხდნენ სიცილს და ხარხარს. ხელახლა დაუვლიდა წრეში რომელიმე მამაკაცი, კვლავ გამოიწვევდა საცეკვაოდ რომელიმე ქალს და გაიმართებოდა მათ შორის შეჯიბრი და ბრძოლა, ისე როგორც წინა მოცეკვავეთა შორის, ასე გრძელდებოდა დიდხანს. ახლად შემოდებული „ხასანბეგურა“, ცეკვა, დაირა, ტაშის ცემა ერთმანეთში არეული ქმნიდა საერთო მხიარულებას. როდესაც ცეკვით გულს იჯერებდნენ, გადავიდოდნენ სხვა თამაშებზე“⁵.

ამ ამონარიდიდან ჩანს, რომ უქმე დღეებში გურულები სპორტული შეჯიბრებების გარდა, ცეკვა-სიმღერით ერთობოდნენ. ისიდორე რამიშვილი იმდენად ცოცხლად აღწერს წყვილთა ცეკვას, რომ იგი უმაღლესად დაგიდგება. მისივე სიტყვებიდან ჩანს, რომ მოღალატე ჰასან-ბეგ თავდგირიძეზე დაწერილი სიმღერა მის ბავშვობაში პოპულარული იყო.

დასვენება შებინდებისას სრულდებოდა: „დაღამებისას, როცა ჯარი დაშლას დააპირებდა, ვინმე მოხუცებულთაგანი დაიძახებდა: „გაათავეთ, არ დაგავიწყდეთ, რომ ხვალ ორშაბათია“-ო... თამაშს თავს დაანებებდნენ და სამი კუთხისაკენ წასასვლელად დაირაზმებოდნენ, მაგრამ სანამ ჯერ კიდევ არ დაშლილიყვნენ, ყველა კუთხის მომღერლები ერთად შეჯგუფდებოდნენ და „ნადურს“ დააგუგუნებდნენ... ასე ატარებდნენ დროს ყველა კვირაობით. უქმის მხიარული გატარე-

1 იქვე, გვ. 87.
2 ჭაკუნი, ჭაკუნობა აპოლონ წულაძეს, რომელსაც აღწერილი აქვს ხალხური სპორტის ეს სახეობა, ბალახის პოკის ნაირსახეობად მიიჩნია (ა. წულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 94).
3 ი. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.
4 იქვე, გვ. 87-88.
5 იქვე, გვ. 92.

ბის შემდეგ ჯარი დაიშლებოდა და ყველანი სიმღერებით თავიანთ კუთხეებისკენ გაემართებოდნენ. ყველა დაღლილი მიდიოდა შინ, მაგრამ დაღლილობა არ იყო შრომისგან გამოწვეული, მასში ცეკვა-თამაშში გატარებული დღის აუარებელი სიამოვნება იყო ჩართული“¹.

ისიღორე რამიშვილი შემოდგომის სამუშაოებსაც აღწერს: „შემოდგომა მაშინაც საუკეთესო დროდ ითვლებოდა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. საჭმელ-სასმელი სხვა დროსაც არ აკლდათ, მაგრამ შემოდგომაზე, განსაკუთრებით, რთველის შემდეგ, გახშირდებოდა სიმღერა, ქეიფი, ქორწილი, სტუმრიანობა. მაშინ ვერ გაიგონებდი ნაღვლიან სიტყვებს... შრომა და სიამოვნება ისე დაკავშირებული ერთმანეთთან, როგორც შემოდგომაზე, არც ერთ სხვა დროს არ მახსოვს. ყველაფერი, რაც შემოდგომაზე კეთდებოდა, კეთდებოდა სიამოვნებით“². ამას აღნიშნავს აპოლონ წულაძეც, „ეთნოგრაფიული გურიის“ ავტორი: „გურული ცდილობდა სიამოვნება ენახა და მით თავისი შრომა გაეადვილებინა, მწუხარება შეემსუბუქებინა. გურულმა იცოდა ყოველგვარი შრომის შესაფერი სიმღერა, სიმღერითვე ერთობოდა ყოველგვარი ნაბიჯის გადადგმის დროს“³.

აღწერილია კაკლის ბერტყვა: „მთელი ოჯახი შეესეოდა შემოსულ ნიგვზებს მოსარეკად, ასაკრეფად და შესანახად. აქ დაგვიანება არ შეიძლებოდა. საკმარისი იყო ერთი ძლიერი ქარი, ან წვიმა, რომ პირდაღებული კაკლები ძირს ჩამოეყარა და ღორების ხვედრად გაეხადა. ამ დროს გაისმოდა მთელ სოფელში კაკლების მაღალ ხეებზე გრძელი ჭოკების ცემა, ბარტყა-ბურტყი და ძირს ღორებსა და ამკრეფლებს შორის ბრძოლა. გავსებული გოდრები ხელიდან ხელში გადადიოდა, სახლში შეჰქონდათ და იქ ალაგებდნენ“⁴.

აღწერილია ღომის კრეფაც და მისი შენახვის დეტალები⁵, აგრეთვე, სიმინდის ტყეხვა: „სიმინდის ტყეხვის დრო მთელი დღესასწაული იყო სოფელში, გაიკრიფებოდნენ ყანებში მთელი ოჯახები: ქალები, კაცები, ბავშვები, შეესეოდნენ ასე ყანებს ახალი გათენებიდან და დაუცხრომლად მუშაობდნენ მთელი დღე და ხშირად მთელი ღამე. იყო სიმინდის ტაროების გამაღებული მტვრევა. ყველა მტეხელს კალათი ედგა. მათ ჩამოუვლიდნენ მოხვავეები გოდრებით ზურგზე, დაუცლიდნენ მტეხლებს კალათებს და მიჰქონდათ სიმინდი ნაღის გვერდზე – კალოზე. ისმოდა ხმაურობა, სიცილი, სიმღერა. თუ ყანის დამუშავების დროს მთავარი სიმღერა „ნადური“ იყო, ესეც სიმინდის ტყეხვის დროს მის მაგივრობას „ხელხვავი“ ასრულებდა“⁶.

სრულიად განსაკუთრებულია ისიღორე რამიშვილის გურული სიმღერების ანალიზი. „ნადურის“ შესახებ იგი წერს: „საოცარი ჰარმონიით იყვნენ შეზავებული ამ სიმღერაში ნაზი და ზაფთიანი ხმები. გვრგვინასავით გაისმოდა ძლიერი ბანის ხმა, ხოლო წკრიალა დამწვეები და მაღალი კრიმანტული მას გარს უვლიდა და ეხვეოდა. ეს სიმღერა მსმენელთ საბრძოლო გუნებაზე აყენებდა. რაღაც გამირული გაბედული გაისმოდა მასში. მას განსაკუთრებულ, საყურადღებო შემთხვევებში მღეროდნენ. ის იმ შემთხვევისთვის იყო გაჩენილი, როდესაც რამიშვილმა დაბრკოლებასთან იერიში უნდა მიეტანათ. ყანაში ნაღს რომ შეიწვედნენ და მაგარი ნაპირი იყო ასატანი, შრომის ნაყოფიერების ასაწევად ამ სიმღერას მიმართავდნენ. მისი გუგუნე მუშებს ხალისს მატებდა და წინ, საქმისკენ თავდადებისაკენ ეწეოდა“⁷.

პროფესიონალი მუსიკოსის დონეზე, სიმღერა „ნადურის“ მიმართებაში განიხილავს ისიღორე რამიშვილი „ხელხვავის“: „ეგ ხელხვავი სულ სხვა იყო, ვიდრე დღევანდელი „ალიფაშა“... ის უფრო ტკბილი და ზარფიანი იყო... უფრო სასიამოვნო და საგრძნობელი. თუ „ნადური“ აჩქარებდა და მუშაობაზე ასწრაფებდა, ძველი „ხელხვავი“ ატკობდა და ამშვიდებდა ადამიანს, თითქოს ეუბნებოდა, ნუღა გეშინია, მოსავალი უკვე შენსა ხელშიაო:

„ჩვენ მშვიდობა, გამარჯვება,
ღმერთო მოგვიმართე ხელი“.

დაიძახებდა ერთი, ამას მოაყოლებდა მეორე და ორივეს უკნიდან მოსდევდა ბანი, სამივე ცალკე-ცალკე იწეებდნენ, მაგრამ მაღე შეერთებოდნენ, ერთმანეთს ჩაეგრძნობდნენ და ასე ადიოდა სამივე ხმა უმაღლეს წერტილამდე. ასეთივე სიტკბოებით და სინაზით ჩამოდიოდნენ ძირს და მაღე მათი ხმა სულ გაინაბებოდა.

კარგი იყო, როცა მოტეხილ ყანაში ნაღის პირდაპირ თეთრი ტაროების მთელი მთა იდგა და მას ირგვლივ მრჩეველები შემოუსხდებოდნენ, არჩევდნენ ტაროებს და ერთ ადგილისკენ ისროდნენ...

¹ იქვე, გვ. 93.

² იქვე.

³ ა. წულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

⁴ ი. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

⁵ იქვე.

⁶ იქვე, გვ. 106.

⁷ იქვე.

მოელი ღამის განმავლობაში, სიმინდის რჩევის დროს, იყო ხარხარი, სიმღერა. მღეროდნენ ქალებიც, კაცებიც. ხან ერთი იტყოდა სასაცილო-გასართობ რამეს, ხან – მეორე, ზღაპარს კი ყველანი ერთდებოდნენ – დაგვაძინებსო, ჩვენი კალოდან სიმღერით მეზობელ კალოს გაეკამათებოდნენ:

„ბერი აკვანს ფეერება,
აკვანსა და აკვანის ფესსა“

და ამაზე აგებდნენ „ხელხვავის“ ჰანგებს. მეორე კალოდან შესწორება შემოჰქონდათ.

კამათში მესამე კალო ჩაერეოდა და ასე მოელი ღამე მეზობლები მეზობლებთან სიმღერით ღაპარაკობდნენ. ყოველ კალოსთან განაღებულ იყო დიდი კოცონი, რომელზედაც პატარები სიმინდს, კარტოფილს და კვასს ვწეწავდით დამრჩეველებს ვაწოდებდით. დიდებს კოცებით მაჭარი ედგათ და ჩვენს მონაწილეობზე დააყოლებდნენ. დილით სადილი და ღამით ვახშამი სოფლიდან მოსდიოდათ. სადილზე და ვახშამზე კარგად შეზარხოსდებოდნენ¹.

შესანიშნავი აღწერილობა, შედარებითი ანალიზი, თვალნათლივ აჩვენებს გურული სიმღერის, რომელიც ქართული პოლიფონიის მწვერვალად ითვლება², მრავალფეროვნებასა და უნიკალურობას, რისი მიზეზიც, როგორც მუსიკათმცოდნე ედიშერ გარაყანიძე წერს: „თვით გურულთა ხასიათში უნდა ვეძებოთ. დაუოკებელი ლტოლვა მუსიკალური ენის გამშვენება-გართულებისადმი, ნებისმიერი ჟანრის სიმღერებში, ესთეტიკური საწყისის წინ წამიწევა“³.

ისიღორე რამიშვილის „მოგონებების“ მიხედვით, ნათელი წარმოდგენა გვექმნება გურიის ერთ-ერთი სოფლის შრომის ტრადიციულ კულტურაზე. შრომისა და დასვენების ურთიეთშენაცვლება, რასაც, ძირითადად, ქრისტიანული რელიგიური კალენდარი აწესრიგებდა, შრომის პროცესის სიმღერით, ოხუნჯობით შემსუბუქება, ბავშვების ჩართვა მუშაობის პროცესში დაზოგვით, რაც მათ გადაჭარბებულ ფიზიკურ დატვირთვის გამორიცხავდა, დასვენება-გართობის ჯანსაღი ფორმები: სპორტული შეჯიბრებები, ცეკვა, სიმღერა და სხვ., ემსახურებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ფიზიკურ და სულიერ სიჯანსაღეს. ყოველივე ეს კი ამ სოფლის მოსახლეობის ტრადიციული შრომის კულტურის რაციონალურობასა და მათი ცხოვრების ჯანსაღ წესზე მეტყველებს. უქმეები და დღესასწაულები, გარდა იმისა, რომ ადამიანის დასვენებასა და გართობას უწყობდა ხელს, იყო ადამიანის როგორც სულიერი, ისე ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება. მათში სოლიდარობის გრძნობის გაღვივებისა და ინტენსიური კომუნიკაციის საუკეთესო გზა.

ისიღორე რამიშვილის მიერ აღწერილი მარცვლეული კულტურების – სიმინდის, ღომის მოვლა-აღებასთან დაკავშირებული საქმიანობა, მოსავლის დაცვის ტრადიციები, სპორტული თამაშობები, სასეირო, სანახაოებრივი ნადირობა, მუსიკალური ფოლკლორი, ქორეოგრაფია და სხვ., სურების და საერთოდ, გურიის მკვიდრთა ტრადიციული ყოფის თავისებურებებს ავლენს.

წინამდებარე სტატიაში წარმოვადგინეთ მხოლოდ მცირე ნაწილი ისიღორე რამიშვილის ეთნოგრაფიული აღწერილობებისა. ვფიქრობ, ამ მცირე მასალიდანაც ნათლად ჩანს მათი მეცნიერული ღირებულება. ასეთი მასალა დღეს, გლობალიზაციის ხანაში, როდესაც ხალხური ტრადიციები საერთოდ გამქრალია ან გაქრობის გზაზეა, განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს. აი, რას წერდა გიორგი ჩიტაია ჯერ კიდევ 1925 წელს: „ხოლო დღეს მით უფრო ნათელია, რომ ჩვენი ეთნოგრაფიულ თავისებურებათა გაქრობის ტემპი ბევრად უფრო ძლიერია იმ სისწრაფესა და ინტენსივობასთან შედარებით, რომელიც მათ შეგროვება-შესწავლას თან ახლავს. და თუ ეს ასე იყო გუშინ, ახლა ხომ მით უფრო სავალალო ყოფაში ვართ ჩაცვენილი, დღეს ჩვენი თავისებურებათა გაქრობა ელვის სისწრაფით ხდება. გაივლის კიდევ ცოტა ხანი და ძველებური თავისებურებებიდან აღარაფერი დაგვრჩება“⁴. რა თქმა უნდა, დღეს ეს პროცესი ბევრად უფრო დაჩქარებულია. მართალია, ისიღორე რამიშვილი პროფესიით არც ეთნოგრაფი იყო და არც ეთნოლოგი, მაგრამ მისი აღწერილობა არც ერთი პროფესიონალის აღწერილობას არ ჩამოუვარდება. მისი მოგონებების ამ პატარა ნაწილშიც კი, რომელიც მხოლოდ შრომა-დასვენების კულტურას ეხება, სხვადასხვა სახის სამეურნეო საქმიანობასთან ერთად, დეტალურად არის აღწერილი სპორტული თამაშობანი, ცეკვები, სიმღერები... ასეთი აღწერა სპეციალისტ ეთნოლოგსაც კი შემურდებოდა – „მსოფლიო ლიტერატურამ, თუმცა იშვითად, მაგრამ მაინც იცის ისეთი მწერლები, რომლებსაც უკეთ შეუმჩნევიათ და უკეთ აღუწერიათ ამა თუ იმ ხალხის ეთნოგრაფიული თავისებურება, ვიდრე ეთნოგრაფ-სპეციალისტს. მწერალმა რენე მარანმა თავის სახელგანთქმულ რომანში „შატუალში“ შესანიშნავად აღწერა ურთულესი აფრიკული ხალხური

¹ იქვე.

² ედ. გარაყანიძე, გურული მუსიკალური დიალექტის შესახებ, *გურია* (თბილისი, 1997), გვ.187.

³ იქვე.

⁴ გ. ჩიტაია, *შრომები*, 5, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები, წერილები, რეცენზიები, ტომი გამოსაცემად მოამზადეს ზურაბ წერეთელმა და თამილა ცაგარეიშვილმა (თბილისი, 2001), გვ. 15.

ცეკვა „კორობორი“. „მეცნიერები „კორობორის“ შესწავლისას რ. მარანის რომანში მოცემულ აღწერილობას იყენებენ როგორც პირველწყაროს“ – წერს გიორგი ჩიტაია¹.

ისიღორე რამიშვილის მასალა განსაკუთრებით დასაფასებელია კიდევ ერთი გარემოების გამო. იგი მხოლოდ აღწერილობით არ იფარგლება, მის აღწერილობებს ხშირად ახლავს ეთნოგრაფიული ფაქტების შეფასება და ანალიზი. იმავედროულად, მის მიერ აღწერილი გურულების ტრადიციული ყოფის სხვადასხვა მხარე, სამეურნეო საქმიანობა იქნება ეს, უქმე-დასვენებები, რელიგიური დღესასწაულები, სპორტული თამაშობანი, ცეკვები, სიმღერები თუ სხვ., არ წარმოადგენს მშრალ გადმოცემას, არამედ ეს თითქოს ცოცხალი სურათებია, რომელშიც ძალიან კარგად ჩანს მონაწილეთა ხასიათი, მათი განწყობა, რაც განსაკუთრებით საინტერესოა ეთნოფსიქოლოგიის თვალსაზრისითაც. დღეს, როდესაც ეთნოლოგიაში, რომელიც უკვე ხშირად სოციოკულტურული ანთროპოლოგიის სახელით მოიხსენიება, უფრო დიდ ადგილს იკავებს ადამიანის ფაქტორი. ამ ასპექტით ისიღორე რამიშვილის ეთნოგრაფიული აღწერილობები, რომლებიც გამოირჩევა სიზუსტითა და მაღალმხატვრულობით, საქართველოს ერთ-ერთი კუთხის მკვიდრთა – გურულების ხასიათის თავისებურებათა გამოვლენითა და გადმოცემით, განსაკუთრებით საინტერესო და ღირებულია. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტრადიციული ყოფის ამა თუ იმ მხარის მხატვრულ აღწერას ხშირად ვხვდებით ქართული ლიტერატურის კლასიკოსების თხზულებებში. მათთან ერთად მოვიხსენიებდი ექვთიმე თაყაიშვილს და მის შესანიშნავ „მოგონებებს“, ეთნოლოგების მიერ შექმნილ მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, რომელთა შორის გამორჩეულია თინათინ ოჩიაურის, ჯუღიეტი რუხაძის, ანდრო ლეკიაშვილის, თედო სახოკიას ნაშრომები და სხვათა წიგნები, უპირველეს ყოვლისა კი, ვერა ბარდაველიძის დღიურები „ივრის ფშავლებში“. ეს ნაშრომები ეთნოგრაფიული პროზის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს. ეთნოგრაფიული პროზა, როგორც სპეციალისტი ეთნოლოგების, ისე სხვათა შემოქმედებსაც მოიცავს. ამ უკანასკნელთა შორის გამოვყოფდი ნათელა ბალიაურის „ხევესურულ ქრონიკებს“, გიორგი ცოცხანიძის, გოდერძი ჩოხელის, რევაზ ინანიშვილის, ნუგზარ შატაიძისა და სხვათა ნაწარმოებებს. ამ ჟანრის ლიტერატურის ერთ-ერთ ადრეული და საუკეთესო ნიმუშია ისიღორე რამიშვილის „მოგონებების“ პირველი ნაწილი, რომელშიც მისი ბავშვობის წლებია აღწერილი, ხოლო თავად ავტორი საქართველოში ამ ჟანრის განვითარების ერთ-ერთ პიონერად უნდა ჩაითვალოს.

ბიბლიოგრაფია

1. ედ. გარაყანიძე, გურული მუსიკალური დიალექტის შესახებ, *გურია* (თბილისი, 1997).
2. ი. რამიშვილი, *მოგონებები* (თბილისი, 2012).
3. გ. ჩიტაია, დავით კლდიაშვილი – მწერალი-ეთნოგრაფი, *შრომები*, 5, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები, წერილები, რეცენზიები, ტომი გამოსაცემად მოამზადეს ზ. წერეთელმა და თ. ცაგარეიშვილმა (თბილისი, 2001).
4. გ. ჩიტაია, *შრომები*, 5, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები, წერილები, რეცენზიები, ტომი გამოსაცემად მოამზადეს ზ. წერეთელმა და თ. ცაგარეიშვილმა (თბილისი, 2001).
5. გ. ცეცხლაძე, *გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა* (თბილისი, 1991).
6. ა. წულაძე, *ეთნოგრაფიული გურია* (თბილისი, 1971).

¹ გ. ჩიტაია, დავით კლდიაშვილი – მწერალი-ეთნოგრაფი, *შრომები*, 5, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები, წერილები, რეცენზიები, ტომი გამოსაცემად მოამზადეს ზ. წერეთელმა და თ. ცაგარეიშვილმა (თბილისი, 2001), გვ. 62.

**SOME ASPECTS OF TRADITIONAL LIFE IN GURIA
ACCORDING TO THE “MEMOIRS” OF ISIDORE RAMISHVILI**

The famous Georgian political figure Isidore Ramishvili played a key role in the beginning of the XX century in Georgian politics. Together with this, he is also the author of one of the best works in the memoir genre, which is published by the name of “Memories”. In this work of literature, he tells the reader about the political life of that time, and at that time, while describing his childhood memories, he reveals himself as a brilliant ethnographer, giving us great information about traditional life in Guria, in particular, the village Surebi. This book describes many traditions of inhabitants of a mountainous place in Guria. Here, we are given a lot of information about agriculture (Bee-keeping, hunting), religious beliefs and many more customs. Isidore Ramishvili should be regarded as one of the pioneers of ethnographic prose in Georgia.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

**ანდრია მოციქულის ძაღაგება ქართული
ხალხური ტრადიციის მიხედვით სამცხეში¹**

მოცემული საკითხის კვლევის მიზანი იყო, შეგვესწავლა ხალხში შემორჩენილი გადმოცემები წმ. ანდრია მოციქულის მისიონერული მოღვაწეობის შესახებ მესხეთში. ნაშრომი აგებულია იმ საველე ეთნოგრაფიულ მასალაზე, რომელიც ორი წლის განმავლობაში, 2010 და 2013 წლებში, ახალციხისა და ადიგენის რაიონებში მუშაობის დროს მოვიპოვეთ. საველე მონაცემები შედგება ფოტო, ვიდეო და რა თქმა უნდა ტექსტური მასალისაგან.

კვლევის პროცესში დავეყრდნით საკითხთან არსებულ საისტორიო წყაროებს, ძველ ქართულ ლიტერატურაში, ისტორიულ გეოგრაფიასა და არქეოლოგიაში არსებულ გამოკვლევებს. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მესხური ეთნოგრაფიული მასალა ჩვენთვის უცნობია. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, უკიდურესად მწირია და მხოლოდ ერთ სოფელს ეხება.

მეთოლოგიური თვალსაზრისით, საკითხზე მსჯელობისას, ძირითადად ვეყრდნობით საისტორიო წყაროებს. ვარკვევთ, თუ რას ამბობენ საისტორიო წყაროებში დაცულ ინფორმაციაზე ისტორიულ-გეოგრაფიული და არქეოლოგიური მონაცემები და კვლევები.

ამოსავალ წყაროდ „ქართლის ცხოვრების“ ცნობილი ჩანართი ავიღეთ, სადაც ვკითხულობთ: წმ. ანდრიამ რკინის ჯვრიდან „ვითარცა შთავლო ხევი ოძრახისა და მოვიდა საზღუართა სამცხისათა, დაივანა სოფელსა, რომელსა ეწოდების ზადენგორა. მიხედნა მოციქულმა და იხილა კაცნი მის ადგილისანი რამეთუ უზორვიდეს კერპთა ერუთა, და ილოცა მოციქულმან წმიდისა მის ხატისა მიმართ. და ყოველნი იგი კერპნი დაემხუნეს და შეიმხსრნეს. ხოლო წმიდა მოციქული წარმოემართა და მოიწია აწყვერს, რომელსაც პირველად ეწოდებოდა სოსანგეთი, და პირისპირ საქრისი. და დაივანა ადგილსა ერთსა, სადა იგი იყო ტაძარი საკერპო, რომელსა აწ ძველ-ეკლესია ეწოდების, და მას შინა იმსახურებოდეს კერპნი მათნი“. აქვეა მოთხრობილი განმგებელის, ქვრივი სამძივარის შესახებ ცნობილი ისტორია. როდესაც წმ. ანდრია და მისი თანმხლებნი აწყურში მივიდნენ, სამძივარი უნუგემო იყო, ვინაიდან ერთადერთი ვაჟი გარდაცვლიდა. ღამე ციხიდან, სადაც ღვთისმშობლის ხატი იყო დაბრძანებული, რომელიც თავად წმ. მარიამმა გამოატანა წმ. ანდრიას, ნათელი გამოდიოდა, რამაც ყველა გააკვირვა. დილით სამძივარმა კაცები გაგზავნა ამბის გასარკვევად. დაბრუნებულებმა დედოფალს უამბეს, რომ უცხო კაცები უცხო ღმერთს ეთაყვანებიან და ამბობენ, რომ ეს ღმერთი ქვეყნის შემოქმედი, დამბადებელი, სიცოცხლის მიმნიჭებელი, მკვდართა აღმადგინებელია. და რომ მათ თან მშვენიერი ხატი აქვთ და პატივს სცემენ. სამძივარმა წმ. ანდრიასთან მონები გააგზავნა და თავისთან მისვლა სთხოვა. როდესაც წმ. ანდრია მასთან მივიდა, ქვრივმა გამოკითხა თუ ვინ იყო, საიდან მოდიოდა და რას ქადაგებდა. წმ. ანდრიამ მას ყოველივე უამბო. შენი ღმერთის მიმართ ილოცე და თხოვე, რომ შვილი აღმიდგინოსო. თუ იწამებ და რწმენით შესთხოვ, ადგიდგენსო – მიუგო მოციქულმა. ჭეშმარიტად მწამსო, აღიარა სამძივარმა. მაშინ წმ. ანდრიამ ქვრივის გარდა ყველა გაუშვა გარეთ, დაადო მიცვალებულს ხატი, ხელაპყრობით ილოცა, შემდეგ შეეხო მიცვალებულს, რომელმაც მიინარესავით გაიღვიძა. გახარებულმა დედამ, ძით და სახლეულით ნათელილო. ამის შემდეგ სამძივარმა სამცხის მთავართან წერილი გააგზავნა, სადაც ამცნობდა მომხდარის შესახებ და სთხოვდა ჩასვლას აწყურში, რათა „უმჯობესი წესი და რჯული გამოვარჩიოთ და ვსცნათ, თუ რაი ჯერ არს“. მართლაც დაიძრა ხალხი სასწაულის ადგილისაკენ და იმდენმა მოიყარა თავი, რომ საქრისის ველი გაივსო. აქ, ქალაქში, იყო საკერპო, რომელშიც „არტემისა“ და აპოლონის ბომონები იდგა და ხალხი მათ სცემდა თაყვანს. ამდენად, ხალხის აზრი გაიყო, თუ ვინ უფრო დიდი ღმერთი იყო, იესო ქრისტე თუ არტემისი და აპოლონი. მაშინ წმ. ანდრიამ ქურუმებს შესთავაზა ღვთისმშობლის ხატი კერპებ შუა დაებრძანებინათ, ტაძრის ორივე კარი დაეხშოთ და მცველებიც დაეყენებინათ. მართლაც ასე მოიქცნენ და ორივე მხარემ თავის მხრივ ილოცა. როდესაც დილით ტაძრის კარი გააღეს, ორივე კერპი დამსხვრეული ნახეს, ხატი კი ბრწყინავდა, როგორც მზე დიდებით და პატივით. ამ სასწაულის შემდგომ ყველამ აღიარა იესო ქრისტე. წმ. ანდრიამ გადაწყვიტა სხვა ქალაქებშიც მისულიყო საქადაგებლად, მაგრამ ქვრივი და ხალხი შევედრნენ მათთან დარჩენილიყო და განემტკიცებინა სარწმუნოებაში. მოციქული გარკვეული ხა-

¹ უღრმესი მადლობა გვინდა მოვასხნოთ ექვთიმე კოჭლამაზაშვილს ძალზე საგულისხმო შენიშვნებისა და ტექსტის რედაქტირებისათვის.

ნი დარჩა მათთან, ასწავლა ყოველივე, დაუდგინა ეპისკოპოსი, მღვდლები, დიაკვნები და გაეშურა თავის გზაზე. მანამ კი უარი უთხრა დარჩენაზე და უამბო, რომ ღვთისმშობლის ხატი, წმ. მარიამის მითითებით აქ უნდა დარჩენილიყო. ამ ამბავმა სოსანგეთელებსა და მესხებში დიდი სიხრული გამოიწვია. ხატი დიდი პატივით ეკვდერში დაასვენეს. როდესაც მეფე ადერკიმ შეიტყო, რომ კლარჯეთის ერისთავმა მშვიდობიანად გაუშვა წმ. ანდრია, „შერისხა“ იგი¹.

ვრცელ კანონიკურ „ცხოვრებებს“ შორის, რომლებიც მოციქულთა აქტების და აპოკრიფების გადამუშავების შემდეგ დაიწერა, უადრესია VI საუკუნის. მათ შორის ყველაზე პოპულარული იყო ეპიფანე მონაზვნის „ანდრია პირველწოდებულის ცხოვრება“ (815-843 წწ.), რომელშიც საქართველოს გაქრისტიანებას დიდი ადგილი ეთმობა². როგორც ცნობილია, ნიკიტა-დავით პაფლაგონელის (†890 წ.) „ანდრია მოციქულის მიმოსვლა“ ქართულად ეფთვიმე ათონელმა თარგმნა.

ეფთვიმე მთაწმინდელისეული ანდრია მოციქულის „მიმოსვლის“ მიხედვით³, მოციქულს, მესამეჯერ ჩვენში მოგზაურობისას, გარკვეული ხნის განმავლობაში, თან ახლდნენ მოციქულები: მატათა, სვიმონ კანანელი და თადეოზი. იგივეს ამბობს არსენ ბერის „ნინოს ცხოვრება“⁴. ავგაროზ მეფესთან ედესაში ყოფნის შემდეგ, ისინი ჭოროხის ხეობით ქართლში მოვიდნენ⁵. იქადაგეს სოსანგეთში/აწყურში⁶, რომლის გამგებელი, მთავარი, ქალი იყო. მოციქულთა ქადაგების შედეგად, იგი მოექცა⁷. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, სოსანგეთი სვანეთი უნდა იყოს⁸.

„ქართლის ცხოვრებაში“ ვრცლად მოთხრობილი მესხური გადმოცემის უადრესი ლიტერატურული ვერსია ჩვენამდე მოვიდა ბერძნული თხზულების „კონსტანტინოპოლის უწმინდესი საღვთო ეკლესიის დიდი რიტორის მანუელის თხრობა აწყურში მყოფი ყოველწმინდა ღვთისმშობლის, ქალწული მარიამის ხატსა და სასწაულებზე, რომლებიც მან სხვადასხვა ჟამს მოიმოქმედა“ სახით. ფიქრობენ, რომ თხზულების ავტორის, რიტორ მანუელ კორინთელის თხრობას საფუძვლად აწყურული მატთანეს საგანგებო ბერძნული თარგმანი უნდა დადებოდა, რომელიც მხეჭაბუკ ათაბაგის (1500-1516 წწ.) დაკვეთით, აწყურის იმდროინდელ ეპისკოპოსს, ტრაპიზონელ ბერძენ სიმეონს, უნდა დაეწერა⁹.

ქართველმა არქეოლოგმა ვახტანგ ლიხელმა არქეოლოგიური გათხრების გზით შეისწავლა აწყური და მრავალწლიანი მუშაობის შედეგად მოპოვებული მასალების მიხედვით, დაასკვნა შემდეგი:

1. აწყურში იყო ღვთისმშობლის სახელზე აღმართული ტაძარი.

2. ჩვ. წ. I საუკუნეში, წმ. ანდრიას მოსვლისთვის, დღევანდელ აწყურში იყო წინაქრისტიანული ტიპის, ელინიზირებული, დიდი დასახლება, ციხე-სიმაგრით და არტემისის და აპოლონის ტაძრით. არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აჩვენა, რომ „აწყურის ციხის ქვედა სამშენებლო ფენები ტიპოლოგიური თვალსაზრისით გარკვეულ სიახლოვეს ავლენს გვიანელინისტურ-რომაულ სამშენებლო ტექნიკასთან, რაც სწორედ ანდრია მოციქულის... მოსვლის ხანას შეესაბამება“. გათხრების შედეგად აღმოჩენილია ქარონის ობოლი, რაც აქ არტემისის და აპოლონის კულტის და ტაძრის არსებობის ერთ-ერთი დასტურია.

3. მდიდარი არქეოლოგიური მასალის საფუძველზე, სოსანგეთი/აწყური რეგიონის ადმინისტრაციული და რელიგიური ცენტრი ჩანს, რის გამოც მოციქული უნდა მოსულიყო აქ. სამარხებში აღმოჩენილი ინსიგნიების მიხედვით, ვ. ლიხელი თვლის, რომ აწყურში/სოსანგეთში „მმართველი ელიტარული საზოგადოება ცხოვრობდა“, რაც, თავის მხრივ, „ქართლის ცხოვრებას“ შეესაბამება.

4. წერილობითი წყაროს მიხედვით, მოციქული აწყურამდე ბენარას დასახლებაში მივიდა, სადაც ზადენის კერპი იყო აღმართული. ზადენის მთაზე, სადაც უშუალოდ კერპი იყო აღმარ-

¹ ლეონტი მროველი, *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, ქართლის ცხოვრება, ტომი I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1955), გვ. 38-42.

² რ. ხალვაში, *ანდრია პირველწოდებული საქართველოში* (ბათუმი, 2011), გვ. 20.

³ ამ თხზულებით შეიტყო „ქართველმა საზოგადოებრიობამ“ მოციქულის ჩვენში ქადაგების შესახებ. *მიმოსვლა ანდრია მოციქულისა*, ძველი ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო მალხაზ კობიაშვილმა (თბილისი, 2008), გვ. 155.

⁴ *მიმოსვლა ანდრია მოციქულისა*, დასახ. გამოცემა, გვ. 37.

⁵ იოანე ანჩელის „გალობანი ანჩისხატისანის“ მიხედვით, იეროპოლიდან მოსულმა ანდრია მოციქულმა და პირველწოდებულმა ანჩისხატი კლარჯეთში მოიტანა. ნ. სულავა, *XII-XIII საუკუნეების ქართული პიწნოგრაფია* (თბილისი, 2003), გვ. 299.

⁶ იგივეს გვამცნობს არსენ ბერისეული „ნინოს ცხოვრება“. წმ. ანდრიამ „მესხთა და ჯავახთა შორის“ რომ იქადაგა, ამას თეიმურაზ ბატონიშვილის „ცხოვრება ივერიისა“ ადნიშნავს. *მიმოსვლა ანდრია მოციქულისა...*, გვ. 120, 38, 136.

⁷ მიხეილ-გობრონ საბინინი, *საქართველოს სამთხვე* (პეტერბურგი, 1882), გვ. 36.

⁸ *მიმოსვლა ანდრია მოციქულისა*, გვ. 105; რ. ხალვაში, *ანდრია პირველწოდებული საქართველოში*, გვ. 23-24.

⁹ იქვე, გვ. 75-76.

თული, გაიწმინდა გორაკი მონოლითური ქვებით, რის შედეგადაც დიდი საგნის დასამაგრებლად განკუთვნილი ოთხკუთხა ჭრილი გამოვლინდა.

5. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ვახტანგ ლიხელი მიიხსენებს, რომ ქართულ საისტორიო წყაროში რეალური ფაქტებია მოთხრობილი და წმ. ანდრიას მისიონერული მოღვაწეობა არქეოლოგიურადაც მტკიცდება¹.

საკითხი ისტორიული გეოგრაფიის კუთხით შეისწავლა დევი ბერძენიშვილმა. წყაროების მიხედვით, წმ. ანდრიამ გადმოიარა რკინის ჯვარი (ზეკარი), ოძრახის ხევი, სოფელი ზადენგორა და მივიდა სოსანგეთში/აწყურში. თუმცა, მდინარე ურავლისწყლის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სოფელ ანდრიაწმინდასთან დაკავშირებულ გადმოცემაზე საუბრისას დევი ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ ხსენებული გადმოცემის მიხედვით, მოციქულმა ზადენგორიდან მდინარე ფოცხოვი გადმოიარა და ანდრიაწმინდაში ავიდა, აქედან კი კვალთახევის და ორფოლას გავლით, აწყურში მივიდა².

ჩვენც, ეთნოგრაფიული მასალებისა და გადმოცემების მოშველიებით, ამ გზას გავყვით და ვნახოთ, რამდენად სხვაობს თუ ემთხვევა ისინი წყაროთმცოდნეობით, არქეოლოგიურ და ისტორიული გეოგრაფიის მონაცემებს.

როგორც აღვნიშნეთ, სამცხეში, კერძოდ, ახალციხისა და ადიგენის რაიონებში, 2010 და 2013 წლებში ვიმყოფებოდით მივლინებაში. შეგროვილმა მასალამ შემდეგი სურათი გვიჩვენა:

აბასთუმნის (ოძრახეს) დასახელების წარმომავლობა ერთი ვერსიით „ხაბაზთ უბანს“ ნიშნავს. აქ ცხოვრობდნენ აბაზადები, რომლებიც ხაბაზები იყვნენ³. არსებობს აბასთუმნის წარმოშობის მეორე ახსნაც. ძველ ოძრახე/აბასთუმანს ოსმალეთის ბატონობის შემდგომ, XVIII საუკუნიდან, აბას-ფაშას გამო, „აბასანთ ბანი“ ეწოდა⁴. დღევანდელ აბასთუმანში დემოგრაფიული სურათი შეცვლილია. აქ 1940-იან წლებში იმერეთიდან გადმოსახლებულია მოსახლეობა. ასევე, აბასთუმანში უდიდან გადმოსახლებული უძელებიც სახლობენ. იმერეთიდან გადმოსახლებული ერთ-ერთი მკვიდრი მოსახლის – 76 წლის თინა აღექსანდრეს ასული დემეტრადე-ნათელაშვილის თქმით, ისინი იმერეთის სოფელ ზეკარიდან 1944 წელს გადმოსახლდნენ. „ჩემი ბაბუა ზეკარის უძელტეხილის ნაცვლად, იტყოდა, რკინის ჯვარიანო. მოხუცები ამბობდნენ, მართალია, ის ჯვარი (წმ. ანდრიას მიერ აღმართული) აღარ არის, მაგრამ ვიცით, სადაც იყო“, – გვითხრა მან. მისივე თქმით, 1960-1970-იან წლებში აბასთუმნის კურორტ-სამმართველოს დირექტორი, კარგი სამხედრო ექიმი, ქირურგი გივი აპოლონის ძე ფანცულაია ყოფილა. ამ პერიოდში აბასთუმანში ერთი მძიმე ავადმყოფი გამოჯანმრთელებულა და როდესაც გაუვლია, ყველას ძალიან გააკვირვებია. გივი ფანცულაიას უთქვამს, „აქ აბასთუმანში ანდრია მოციქული დადიოდა და ვინ არ გაივლისო“⁵.

გადმოცემის მიხედვით, წმ. ანდრია ოძრახედან (დღევანდელი აბასთუმანი), ლოცვითა და გალობით წამოსულა და ზადენგორაზე ჩამოსულა. დღეს ზადენგორა სოფელ ბენარას (მთხრობლის თქმით, ბერნარას) თავზეა⁶. ადრე ზადენგორა ერთი სოფელი ყოფილა, რომელიც შუა საუკუნეებში გაზრდილა, რის შედეგადაც გაყოფილა და XVI საუკუნის ბოლოს ორ სოფლად – ზადენად და გორად ჩამოყალიბებულა⁷. სოფელმა ზადენმა XX საუკუნის დასაწყისამდე იარსება⁸. აქ ზადენგორზე (ზოგიერთი მთხრობელი მას სოფელ ბენარას მთასაც უწოდებს), დღესაცაა მონოლითური ქვები, არის ნასოფლარი, გვირაბი, დარანი. ქვაჯვარიც აქ უნდა ყოფილიყო აღმართული⁹. შეგროვებული საველე მასალის მიხედვით, ზადენი ხუთმეტრიანი, ოქროსფრად დაფერილი მამაკაცის ქანდაკება იყო. ანდრია მოციქულსა და ზადენის მსახურებს შორის მშვიდობიანი კამათი გამართულა, თუ ვისი ღმერთი უფრო სარწმუნო იყო. მთხრობლის თქმით, უფალს ყველასთვის ასეთი გონება მიუცია. ერთი კვირის მარხულობისა და ლოცვის შემდეგ, დილით ადრე, როდესაც მზის უხარმაზარი დისკო ამოვიდა, მოციქული გამოსულა კარვიდან. მთხრობლისავე თქმით, მაისში, 21 ივნისამდე, თრიალეთის მხრიდან აქ მზის დიდი დისკო ამოდის. კარვიდან გამოსული მოციქული ზადენის კერპთან მისულა, ხელი შეუხია და უთქვამს: „უფლის

¹ Licheli V., St. Andrew in Samtskhe – Archeological Proof?, *Ancient Christianity in the Caucasus, Iberica Caucasicca, volum I, Curzon Caucasus world* (1999), p.36-37; ვ. ლიხელი, კულტის საკითხი ანტიკური ხანის სამცხეში, *საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი“*, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, 25-26 ნოემბერი (თბილისი, 2005), გვ. 155-156.

² დ. ბერძენიშვილი, *ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე* (თბილისი, 2009), გვ. 137.

³ ნ. ღამბაშიძე, *ახალციხე-ადიგენის 2013 წლის საველე ეთნოგრაფიული მასალები*, ხელნაწერი.

⁴ ხ. ლობჯანიძე, *აბასთუმანი* (თბილისი, 2009), გვ. 11.

⁵ ნ. ღამბაშიძე, *ახალციხე-ადიგენის 2013 წლის...*

⁶ ნ. ღამბაშიძე, *ახალციხე-ადიგენის 2010 წლის საველე ეთნოგრაფიული მასალები*, ხელნაწერი.

⁷ დ. ბერძენიშვილი, *ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე*, გვ. 135.

⁸ ნ. ღამბაშიძე, *ახალციხე-ადიგენის 2010 წლის...*

⁹ დ. ბერძენიშვილი, *ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე*, გვ. 135.

ნებით დაექვეცა¹. ზადენიც დაქცეულა. ხალხს წმ. ანდრიას მარხულობის შესახებ სცოდნია და ზადენგორაზე მისულა იმის სანახავად, თუ რა მოხდებოდა. ხალხი მუხლებზე დაცემულა. შიშმა მოიცვა ისინი, ვინაიდან ამდენი ხანი ზადენს ლოცულობდნენ, ის კი დაეცა. ხეობაში ხმა გავრცელდა, რომ მოსულია ადამიანი, რომელიც ახალ ღმერთს ქადაგებს. ამ დროისათვის მოგზაურებს, ვაჭრებს იესო ქრისტეზე უკვე ჰქონდათ ამბავი მოტანილი. ეს არისო ახალი ღვთაება, ახალი ღმერთი, რომელიც უფრო ძლიერია ვიდრე ზადენიო. გადმოცემის მიხედვით, წმ. ანდრიას მოსვლამდე ზადენს ადამიანს სწირავდნენ. მოციქულმა ხალხს ახალი რწმენა მიადებინა და ადამიანის ნაცვლად, ცხოველებს აწირინებდაო.

დღეს კიდევ ახსოვთ ერთი ხალხური ლექსი, რომელსაც წმ. ანდრიას დროს უკავშირებენ და რომელიც „ვინმე მესხს“ ანუ ივანე გვარამაძეს აქვს ჩაწერილიო:

„ოჯორჯალელი ხუცესი
ჭალას იყო მიმავალი.
ჭორად ჭანმგლებს გადეყარა,
ზადენ ყელი გადუგდო¹
სულ არ მიმიძღვის ბრალიო“.

მთხრობლის თქმით, ხუცესი, რომელზედაც ლექსშია საუბარი, ახლადგაქრისტიანებული უნდა ყოფილიყო და ზადენმა რჯულის შეცვლისათვის დასაჯა. იგი წარმართმა ჭანებმა დაიჭირეს და მოკლესო.

მოციქული ზადენგორიდან სოფელ არალისაკენ დაიძრა და როდესაც მიდგომია ადგილს, რომელსაც დღეს ზიარეთიგვერდს ეძახიან, გადმომდგარა. შეკრებილა ხალხი და მოციქულს ულოცია და უქადაგია. მთხრობლის თქმით, მოხუცები ამბობდნენ, რომ ამ ადგილს იმიტომ ჰქვია ზიარეთი, რომ ხალხი აქ ეზიარა ახალ რელიგიასო, აქ გაიგეს ახალი რელიგიის შესახებო. სანამ სოფელ არალში შეხვალთ, არის ე.წ. შუასერი, რომელიც, ფაქტობრივად, ზადენგორა-სა და არალს შუაა. დღეს აქ ეკლესიაა, რომელსაც მეშურნეთს ეძახიან. აქ ამავე სახელწოდების სოფელი იყო. მის გაყოფებით, არცთუისე შორს, არის ნასოფლარი ზემო ფარეხი, სადაც წმ. ანდრია მოციქულის სახელზე სალოცავია, ეკლესიაო, ამბობენ. დღეს აქ მცირე ფარდული და ქვებია, სადაც ხატები აწყვია.

მეშურნეთიდან წმ. ანდრია სოფელ არალში შევიდა. ამ სოფელში თეთრ სვეტებზე შემდგარი უკედლებო ტაძარი იდგა, რომელიც ღვთაება ჰარალეს სახელზე იყო აღმართული და სოფელსაც ამ ღვთაების სახელიდან გამომდინარე ჰქვია არალიო, მანამდე მისი სახელი ბრუთიეთი იყო. თუმცა, ზოგის თქმით, ერთხელ კაცს ჩამოუვლია და ქალისთვის კვერცხი უთხოვია. არ უდევსო, ე.ი. არ არისო – უთქვამს ქალს, რის გამოც სოფელსაც არალი დარქმევია. ეს ტაძარი იმხელა იყო, რომ ახალციხიდანაც ჩანდაო, ცხენიანი კაცი რომ გაივლიდა, იმის ჩრდილზე ფეხს არ დაადგამდაო. დღემდე შემორჩენილი გადმოცემის მიხედვით, ამ ტაძარში, დღესასწაულზე, წელიწადში ერთხელ, მოდიოდა ირემი, რომელსაც ერთი საათით უნდა დაესვენა, რის შემდეგაც მას კლავდნენ და მის ხორცს მრევლი ინაწილებდა. ერთხელაც, ირემმა დაიგვიანა და ძალიან დაღლილი მოვიდა. მოლოდინით დაღლილმა და გაბრაზებულმა მრევლმა ირემს დასვენება არ აცალა და მაშინათვე დაკლა. სანამ ყელზე დანას დაუსვამდნენ, ირემმა ადამიანის ხმით თქვა: „დაღალული რატომ დამკალით? ამ ეკლესიას ძირი აღმა და პირი დაღმაო“. მას მერე ეკლესია დანგრეულია. მთხრობლის თქმით, მოხუცები ამბობდნენ, ასე შეფარვითაა ქრისტიანობა ჩვენ სოფელში გავრცელებულიო. ჩვენმა მთხრობელმა, გვიამბო რა გადმოცემა, იქვე დასძინა, რომ ამ ლეგენდებში აღარ სჩანს, სად დამთავრდა წარმართობა და სად დაიწყო ქრისტიანობაო. მართლაც, ბევრი შეკითხვა ჩნდება. მაგალითად, ირმის მოსვლის წესს უკავშირებენ, როგორც წარმართობის დროს, ასევე ქრისტიანულ პერიოდს. ის ერთი დღესასწაული, როდესაც წელიწადში ერთხელ ჩნდებოდა სამსხვერპლო ირემი, ხალხის თქმით, ან ხორციელის კვირას იყო, ან აღდგომას, კერძოდ, მთხრობლის თქმით, აღდგომა რომ თენდებოდა, მაშინ. ნამარხულებ ხალხს ირმის ხორციით უნდა გაეხსნილა. დაკლული ირმის ხორცი ხალხს სახლში მიჰქონდა. არალის ძველი ეკლესიის შესახებ, რომელსაც ირმის ეკლესიის სახელითაც მოიხსენიებენ, ოდნავ განსხვავებული ვერსიაც ჩავწერეთ. სანამ არალის ქვედა, ძველ ეკლესიას, იგივე ირმის ეკლესიას დაანგრევდნენ, ყოველ დილით ეკლესიასთან ირემი მოდიოდა, გარს უვლიდა, თაყვანს სცემდა და მიდიოდა. ერთ დღესაც ირემი ჩამოსულა და ეკლესია დანგრეული დახვედრია. მთხრობელმა არ იცოდა, ვის გამო ან რის გამო დაინგრა ეკლესია. ამ დანგრეული ეკლესიის ორი ქვა, ორი სვეტი ერთმანეთზეა დადებული. ეს ხალხმა დადო. ქვები სასწაულმოქმედად ითვლება. ირემი რომ მოსულა და ეკლესია დანგრეული დახვედრია, კედლისთვის სულ

¹ ნიშნავს ყელის გამოწვევას, როდესაც ვინმეს რამეს ეხვეწები.

თავი ურტყამს. ამ გადებული სვეტების ქვეშ ხალხი სამჯერ გადის და სურვილს შესთხოვს ღმერთს. თუ ბავშვს ბატონები ჰქონდა, ამ ქვების ქვეშ გააძვრენდნენ.

სოფელ არალთან და მესხეთის ზოგიერთ კუთხესთან დაკავშირებით ამგვარი ლექსი არსებობს:

„პური კლდეს,
ღვინო ბოგასა,
თევზი ტობასა,
წითელი ვაშლი
გაღმა-გამოდმა წყორძასა.
ღამაზი ქალი იკითხე,
ან ფულა, ან ახდილასა,
ქრისტეს რჯული,
სოფელ არალსა“.

მთხრობლის თქმით, არალიდან წმ. ანდრია უკან ჭიხელისა და ქიქინეთის მიმართულებით წავიდა და ხერხემის ციხე გაიარა. დასავლეთ საქართველოში უნდოდა გადასვლა, მაგრამ აღარ გადასულა. გორებით უვლია და ჩამოსულა წინუბნის ხეობაში (ახალციხის რაიონი), სადაც ბიეთის ტაძარია და იქვე გაჩერებულა. იქიდან გზა ბილიკის სახით გადმოდის მთებზე, ღელეებზე და ჩამოდის მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, გამოდმა აწყურში. შემდეგ, გაღმა აწყურში, სადაც დღეს დიდი ტაძარია, იქ გადმოსულა. აქ, სადაც დაუბრძანებია ღვთისმშობლის ხატი. გადმოცემის მიხედვით, აწყურში ანდრია მოციქულს უთხრეს: „აქ, მგონი, ბერები არიან, შენ რომ რელიგიას ქადაგებ, მაგნაირებით“. მოციქულმა მათი ნახვა მოინდომა. ურავლის ხეობაში, სოფელ წყორძასთან, არის ნასოფლარი, რომელსაც დღეს ბაიებს ეძახიან. სინამდვილეში მათ ბერდიკათუბანი ჰქვია. აქ ბერულ-მღვიმური ცხოვრების ბერები იყვნენო, აღნიშნა მთხრობელმა. აქ გამოქვაბულები იყო და ბერები ყველასგან მოწყვეტილები ცხოვრობდნენ. ამ ბერების ძიებაში მოციქული დღევანდელ ანდრიაწმინდაში ასულა. იმის გამო, რომ აქ გაჩერებულა, სოფლისთვის ანდრიაწმინდა შეურქმევიათ. ძველად ანდრიაწმინდას სატალაო რქმევია. შემდგომ რა გზით წასულა მოციქული, მთხრობელმა აღარ იცოდა¹.

ღვეი ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ გადმოცემის მიხედვით, ანდრია მოციქული არალიდან მდინარე ფოცხოვზე გადმოვიდა და სოფელ ანდრიაწმინდაში მივიდა. „აქ სასწაულები მოახდინა: დაბადებით უსინათლო ქალს თვალი აუხილა; პიტალო კლდეს კვეთხი დაჰკრა და წყარო გადმოედინა, რომელსაც დღესაც ანდრიას წყაროს უწოდებენ. აქ ანდრია კვათახევისა დაორფოლას გავლით, აწყვერს მოსულა“. სოფელში წმ. ანდრიას სახელზე X საუკუნის ბაზილიკაა აგებული. ღვეი ბერძენიშვილის თქმით, სოფელს სახელი სწორედ მოციქულის სახელობის ეკლესიამ მისცა. აქ დღეობას წმ. ანდრიას შემოსვლის დღეს, დიდმარხვის მეხუთე ხუთშაბათს იხდიან².

ჩვენი მასალების მიხედვით, სოფელ ანდრიაწმინდაში არის სამი უბანი: პირდაპირის, შუა და გაღმა უბნები. წმ. ანდრიას ეკლესია პირდაპირის უბანშია. მთხრობლების მიხედვით, როდესაც ისინი შუა უბანში დგანან, მათ წინ პირდაპირი უბანია, რის გამოც დაერქვა სოფლის ამ ნაწილს ეს სახელი. წინაპართა გადმოცემით, წმ. ანდრია იუდეველებს უწამებიათ. ორმო გაუთხრიათ და შიგ ჩაუგდიათ, მაგრამ მოციქულს არაფერი მოსვლია, ისე იყო, თითქოს, ცეცხლს ეფიცებოდნენ. ღვეი ბერძენიშვილი ამ ამბავთან დაკავშირებით, დამატებით ინფორმაციას გვაწვდის. იმ ორმოსთვის, სადაც მოციქული ჩაუგდიათ, საქონლის ტყავი გადაუფარებიათ, საიდანაც ნათელი ამოსულა, რის გამოც ადგილობრივ ბელადს წმ. ანდრია გაუთავისუფლებია³. ხალხის თქმით, წმ. ანდრია აწყურში მისვლამდე, სადაც ხატი დააბრძანა, აჭარიდან მოვიდა. პირველად ანდრიაწმინდაში, სოფლის ქვედა შემოსასვლელიდან შემოვიდა და ერთი ღამე გაათენა. წმ. ანდრიას დღესასწაულიც სწორედ ამის აღსანიშნავად, აღდგომამდე, ხუთშაბათს (ღვეი ბერძენიშვილის მიხედვით, დიდმარხვის მეხუთე ხუთშაბათს) ან ზოგის თქმით, აღდგომამდე ორმოცი დღით ადრე, ხუთშაბათს იმართება⁴. აღსანიშნავია, რომ ანდრიაწმინდა ერთადერთი სოფელია, რომელიც საფლავებზე აღდგომის მეხუთე ხუთშაბათს გადის, რასაც თავად სოფლებიც აღნიშნავენ. ხალხური გადმოცემის მიხედვით, წმ. ანდრია სხვაგან გარდაიცვალა და შემდეგ ამ სოფლის ეკლესიასთან დაკრძალეს. მთხრობლის თქმით, ბერიკაცები იტყოდნენ, რომ სხვაგან გარდაცვლილი წმ. ანდრიას ნაწილები – ხელი და ფეხი მესხეთ-ჯავახეთში გამოუგზავნიათ და იმიტომ დაერქვა მოციქულის სახელი სოფელს და იმიტომაც გავდივართ მის დღეობას საფლავებზეო.

¹ ნ. ღამბაშიძე, *ახალციხე-ადიგენის 2010 წლის...*; ნ. ღამბაშიძე, *ახალციხე-ადიგენის 2013 წლის...*

² ღ. ბერძენიშვილი, *ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე*, გვ. 137, 150.

³ იქვე, გვ. 20.

⁴ მთხრობელს დღეობის ზუსტი თარიღი აღარ ახსოვდა.

ხალხი ანდრობაზე, დილით, 6-7 საათზე მიდის ეკლესიაში (ოჯახიდან ერთი კაცი მაინც უნდა წავიდეს) და ანთებს სანთლებს. შემდეგ, როდესაც ხალხიც გროვდება, იშლება სუფრა. სანთლებს საფლავეებზე მიცვალებულებსაც უნთებენ. 7-6 ოჯახი ერთად სხდება. სუფრაზე, ძირითადად, ღობიო და კოლიო უნდა იყოს. ახლა ხორცეულსაც ჭამენ, მარხვის მიუხედავად. წინა დღით ფურნეში ქადებს აცხობენ, ექნებათ ხაჭაპურიც. ხალხი 3-4 საათი მაინც ჩერდება ხოლმე, მაგრამ გააჩნია, თუ აღდგომა ადრეა, შესაძლოა, თოვლისა და უამინდობის გამო, ცოტახანს მოუწიოთ დარჩენა. ამბობენ, ეს ეკლესია IV საუკუნისააო, გვითხრა მთხრობელმა. ზოგის თქმით, გადმოცემის მიხედვით, თავად ანდრიას აუშენებია, ზოგის თქმით კი, ვინმე მდიდარი კაცი მიხელა ყოფილა სოფლად და ანდრიაწმინდას ეკლესია და სხვებიც მისი გაშენებულია. სოფლის შემოგარენი სულ ტყით ყოფილა დაფარული. როდესაც სოფელი დასახლებულა, ტყეც განადგურებულა. ხალხის თქმით, შავშეთის ანდრიაწმინდელები აქ გადმოსახლდნენ. ეკლესიასთან წმინდა ფიჭვი ყოფილა. ხალხი, როგორც ეკლესიაზე, ისე იმ ფიჭვის ხეზე, ანთებდა სანთლებს. ხე ეკლესიასავით სალოცავად ითვლებოდა. კომუნისტების დროს ეს ფიჭვი მოაჭრევეს. ხე რომ იჭვე, დღეში გადავარდნილა, თითქოს დაიძახა „მიშველეთო“, ამბობს ხალხი. ამ ხის მომჭრელს, ვინც ეს ცოდვა ჩაიდინა, ახალგაზრდა, დასაოჯახებელი შვილები დაეღუპა და აღარავინ დარჩა. ღმერთმა დასაჯა. ამის მომსწრე არის ხალხი. ფიჭვის ადგილზე ხალხმა ისევ დარგო ხე¹.

აწყურში, საისტორიო წყაროების იმ პუნქტში, სადაც წმ. ანდრიამ ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი დააბრძანა და მრავალი სასწაული აღასრულა, ჩვენთვის საინტერესო ეთნოგრაფიული მასალის მოპოვება ვერ შევძელით, რისი მიზეზიც, ვფიქრობთ, აქ დემოგრაფიული სურათის ცვლილება უნდა იყოს. დღეს აწყურში ძირითადად იმერეთიდან გადმოსახლებული მოსახლეობა ცხოვრობს.

აწყურთან დაკავშირებით, წმ. ანდრიას მოღვაწეობის კონტექსტში, დევი ბერძენიშვილი ერთ დეტალზე ამახვილებს ყურადღებას. იგი წერს: „სამცხის ძველ სოფელ უღეში ერთ ნაეკლესიარსა და უბანს „შუშან ქალას“ ეტყვიან, რაც შესაძლოა კავშირში იყოს სუსანია-სოსანგეთთან“² ანუ აწყურის ძველ სახელწოდებასთან, რომელსაც წყაროებში ვხვდებით.

ჩვენი მასალების მიხედვით, სოფელ უღის ნაეკლესიარი „შუშან ქალა“, რომლის ადგილასაც ეკლესია იყო, ხელახლა აუგია შუშანა ხურციძეს, მისი გარდაცვლილი ქმრის სულის საოხად, მურვან ყრუს დროს. ეს „შუშან ქალაქია“ ანუ ამ ქალის მიერ აშენებული, ამბობდა მთხრობელი. ზოგის თქმით, შუშანა შაბურიძე იყო ის ქალი, რომელსაც იმერეთისკენ მიმავალი თემურ-ლენგის მიერ დანგრეული ეკლესიის ადგილზე ეკლესია აუშენებია და რომელსაც „შუშან ქალასაც“ და „შუშან ქალაქსაც“ ეძახიან. „შუშან ქალადან“ გვირაბი გადიოდაო. ზოგის თქმით, „შუშან ქალა“ სასწაულიანი ადგილია. აქ ილოცებენ, სანთლებს დაანთებენ და იკურნებიან. ეს ისეთი წმინდა ადგილი იყო, რომ ბავშვსაც კი არ უნდა მოეშარდა. ეს სოფელი ყოფილა, რომელიც მურვან ყრუს ნასოფლარად უქცევია. ხალხი აქედან წასულა და მადლა სოფლებში, რომლებსაც თათრის სოფლებს უძახიან, გადასახლებულა, აქ კი ყველაფერი გაუქმებულა, ნასოფლარის ადგილზე ტყე გაზრდილა. ერთხელაც, ერთ მოხუც ქალს ხბო გამოქცევია. მის საძებრად გამოსული, შემდგარა სერზე და ტყეში ეკლესიის პატარა წვერი დაუნახავს. ხალხისთვის უთქვამს, ჩემი ბებია 100 წლის გარდაიცვალა და მისგან ვიცი, რომ აქ ეკლესია იყო. მართლაც წამოსულან და ტყეში პატარა ეკლესია უპოვიათ. ხალხს ტყე გაუჩხია და სოფელიც მოშენებულაო. ყველა სახლში ძველი ჭურები ამოდიოდა, ვინაიდან ეს ადგილი ნასახლარი იყო. მთხრობელს ახსოვდა დედის მონათხრობი, რომ მისთვის ერთ მოხუცს უთქვამს, აქ მურვან ყრუს დროს სოფელი იყო და ჩაფლული ჭურები იმ დროინდელიაო.

ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევის მიხედვით, როგორც ზემოთ ითქვა, სამცხეში წმ. ანდრია შემოვიდა და გაიარა: ზეკარის უღელტეხილი/რკინის ჯვარი – ოძრახის ხევი – ოძრხე/ოძრახე (აბასთუმანი) – ზადენგორა (სადაც ორი სოფელი იყო ზადენი და გორა), რომელიც სოფელ ბენარას თავზე მდებარეობს – სოსანგეთი/აწყური. თუმცა, დევი ბერძენიშვილი იშველიებს ხალხურ გადმოცემას, რომელიც მდინარე ურავლისწყლის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სოფელ ანდრიაწმინდასთანაა დაკავშირებული და აღნიშნავს, რომ ხსენებული გადმოცემის მიხედვით, მოციქულმა ზადენგორიდან მდინარე ფოცხოვი გადმოიარა და ანდრიაწმინდაში მოვიდა, აქედან კი კვალთახევის და ორფოლას გავლით, აწყურში მივიდა³.

ხალხური გადმოცემა მოციქულის სამცხეში შემოსვლის და მოგზაურობის ამგვარ მარშრუტს გვაძლევს: ზეკარი/რკინის ჯვარი – ოძრახე/აბასთუმანი – ზადენგორა – ზიარეთიგვერდი

¹ ნ. ლამბაშიძე, *ახალციხე-ადიგენის 2010 წლის...*

² დ. ბერძენიშვილი, *ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე*, გვ. 150.

³ იქვე, გვ. 137.

– შუასერი – არალი¹. არალიდან წმ. ანდრია უკან, ჭიხელისა და ქიქინეთის მიმართულებით წავიდა და ხერხემის ციხე გაიარა, გორებით ჩავიდა წინუბნის ხეობაში (ახალციხის რაიონი) და ბიეთის ტაძართან გაჩერდა, ბილიკით მთებზე, ღელეებზე გადავიდა და მტკვრის მარცხენა სანაპიროთი გამოდმა აწყურში ჩავიდა, გადავიდა გაღმა აწყურში, გაიარა ურავლის ხეობა, სოფელ წყორძასთან ნასოფლარ ბერდიკათუბანში (დღეს ბაიები) მივიდა და ავიდა სოფელ ანდრიაწმინდაში (ძველი სატალაო).

ისტორიულ-გეოგრაფიული მარშრუტისაგან ეთნოგრაფიული მარშრუტი შემდეგი პუნქტებით სხვაობს: ზიარეთიგვერდი – შუასერი/მეშურნეთი – არალი – შესაძლოა, უდე – ხერხემის ციხე – ახალციხის წინუბანი – ბიეთის ტაძარი – წყორძასთან ბერდიკათუბანი (ბაიები) – სოფელი ანდრიაწმინდა/სატალაო.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ ემთხვევა ან სხვაობს საისტორიო წყაროსგან წმ. ანდრიას სამცხეში მოღვაწეობის და მიმოსვლის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალა.

ვინაიდან დღეს აბასთუმანში XX საუკუნის 40-იანი წლებში იმერეთიდან გადმოსახლებული და სოფელ უდიდან ამოსული მოსახლეობა ცხოვრობს, ტრადიციული ცოდნა ანდრია მოციქულის ამ გეოგრაფიულ პუნქტში მოღვაწეობის შესახებ, ფაქტობრივად, გამჭრალია, მაგრამ, ვფიქრობთ, იგი უნდა არსებულებოდა, ვინაიდან იმერეთიდან მოსული უხუცესები, ტრადიციული ცოდნის მიხედვით, უთითებდნენ ზეკარის უღელტეხილზე მოციქულის მიერ რკინის ჯვრის აღმართვის ადგილს ანუ გადმოცემით იცოდნენ, სად იყო იგი. ეს ფაქტი ჯერ კიდევ ცოცხალია მათი შთამომავლების მეხსიერებაში. ის, რომ დღევანდელი აბასთუმნის ტერიტორია წმიდა მიწაა, სადაც სასწაულები შეიძლება მოხდეს, ვინაიდან აქ წმ. ანდრია დადიოდა, ქადაგებდა და სასწაულებს ახდენდა, XX საუკუნის 60-70 წლებში აქ მოღვაწე პირებმა იცოდნენ, რაც, ვფიქრობთ, უკვე საისტორიო წყაროდან მომდინარე ცოდნა უნდა იყოს.

გადმოცემის მიხედვითაც, მოციქული ოძრახე/აბასთუმნიდან ლოცვითა და გალობით წამოსულა და ზადენგორაზე ჩამოსულა. ზოგიერთი მთხრობელი მას სოფელ ბენარას მთასაც უწოდებს. დღეს ზადენგორა სოფელ ბენარას (მთხრობლის თქმით, ბერნარას) თავზეა. გადმოცემა იმეორებს წყაროში დადასტურებულ ცნობებს ზადენგორაზე მისული მოციქულის შესახებ და დამატებით, გვაუწყებს, რომ კერპი ხუთმეტრიანი, ოქროსფრად დაფერილი მამაკაცის ქანდაკება იყო. გადმოცემის თანახმად, წმ. ანდრიასა და ზადენის კერპის მსახურებს შორის კამათი იმის შესახებ თუ ვისი ღმერთი უფრო სარწმუნო იყო, მშვიდობიანად გამართულა. გარდა ამისა, გადმოცემის მიხედვით, წმ. ანდრიას ერთკვირიანი მარხვისა და ლოცვის შემდეგ, დილით ადრე, როდესაც მზის უზარმაზარი დისკო ამოვიდა, კარავიდან გამოსულმა მოციქულმა ხელის შეხებით დაანგრია კერპი. წერილობითი წყაროს თანახმად კი წმ. ანდრიამ მხოლოდ ილოცა და ისე დაანგრია კერპი. ფაქტობრივად, გადმოცემა მიუთითებს ანდრიას ზადენზე მისვლის დროსაც: ვინაიდან აღნიშნულ რეგიონში მზის დისკო ზემოთ აღწერილი სახით მაისიდან შუა ივნისამდე ამოდის, ირკვევა, რომ წმ. ანდრია იქ გაზაფხულ-ზაფხულში იყო მისული. გადმოცემის მიხედვით, ხალხს წმ. ანდრიას მარხვის შესახებ კარგად სცოდნია და ზადენგორაზე იმის სანახავად მისულა, თუ რა მოხდებოდა. მანამდე ხეობაში ხმა გაგრცვლებულა, რომ მოვიდა ადამიანი, რომელიც ახალ ღმერთს ქადაგებდა. იმ დროისათვის მოგზაურებსა და ვაჭრებს იესო ქრისტეს ამბავი უკვე ჰქონდათ მოტანილი და ხალხმაც იცოდა, რომ არსებობს ახალი ღვთაება, ახალი ღმერთი, რომელიც უფრო ძლიერია ვიდრე ზადენი. გადმოცემის მიხედვით, წმ. ანდრიას მოსვლამდე ზადენს ადამიანს სწირავდნენ. მოციქულმა ხალხს ახალი რწმენა მიაღებინა და ადამიანის ნაცვლად ცხოველებს აწირინებდა. ჩვენი აზრით, ცოდნა იესო ქრისტესა და ადამიანური მსხვერპლის ცხოველური მსხვერპლით შეცვლის შესახებ გადმოცემაში „ქართლის ცხოვრებიდან“ უნდა იყოს შესული. რაც შეეხება ზემოთ მოტანილ ლექსს ზადენის მიერ დასჯილი, ახლადმოქცეული ოჯორჯალელი ხუცესის შესახებ, ის, შესაძლოა, რეალური ისტორიის ანარეკლი იყოს, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე. ამ მხრივ, გადმოცემა, ვფიქრობთ, ქრისტიანობისა და წარმართობის დაპირისპირების ამსახველიცაა.

როგორც ითქვა, მოციქული ზადენგორიდან სოფელ იარალისაკენ დაიძრა, ზიარეთიგვერდით ჩამოვიდა და მიაღმა ადგილს, რომელსაც დღეს შუასერს ეძახიან. მოციქული ზიარეთიგვერდზე გადმომდგარა. ხალხი შეკრებილა. მოციქულს ულოცია და უქადაგია. ზიარეთი იმიტომაა, რომ ხალხი აქ ეზიარა ახალ რელიგიასო, აქ გაიგეს ახალი რელიგიის შესახებო. შუასერი, რომელიც გადაჭრილ გორას ჰგავს, ზადენგორასა და არალს შუაა. დღეს აქ ეკლესიაა, რომელსაც მეშურნეთს ეძახიან. სოფელსაც ასე რქმევია.

¹ თუ დევი ბერძენიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ უდის ნაეკლესიარი „შუშან ქალა“ სოსანგეთს ანუ აწყურის ძველ სახელს უკავშირდება, სწორია, მაშინ, შესაძლოა, სოფელი უდეც, გარკვეულწილად, მოციქულის ტრადიციულ მარშრუტში აღმოჩნდეს.

დევი ბერძენიშვილი დღიურებში მიუთითებს, რომ შავშეთში ექსპედიციის დროს სოფელ არდიაწმინდაში (ანდრიაწმინდაში) მივიდა. ეს მთის საზაფხულო სოფელია მესაქონლეთათვის. საინტერესო ისაა, რომ სოფლის შესასვლელთან გზით გადაჭრილი გორაკია, სადაც ძველი და ახალი საფლავეები ყოფილა. „ამბობენ, აქვე იყო „ზიარათი“, რომელიც ოქროსმადიებლებმა გადათხარესო“. მკვლევარი ცოტა ქვემოთ აღნიშნავს, რომ ამ მხარეში (ტაო-კლარჯეთში) ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევს და საერთოდ, სალოცავს „ზიარათს“ ეძახიან¹. ნაეკლესიარს, სალოცავის ადგილს ქართველები საინგილოშიც ზიარათს ეძახიან². როგორც ჩანს, მოციქულის სამცხეში ქადაგების ადგილი ზიარეთიგვერდიც რაღაც სალოცავთან იყო დაკავშირებული.

მეშურნეთის ეკლესია, ფაქტობრივად, მდებარეობს სოფელ არალში შესასვლელ გზაზე, რომელიც მეშურნეთის ნასოფლარსა და ზემო ფარეხას ნასოფლარს შორის გადის. მეშურნეთის ეკლესია და ზემო ფარეხაში მდებარე წმ. ანდრიას ნაეკლესიარი გარკვეული კუთხით ერთმანეთსაც უყურებს. რატომ მეშურნეთი? ჩვენ ზუსტად ვერ გავარკვიეთ, თუ რატომ ერქვა სოფელს ეს სახელი. თუმცა კი ვფიქრობთ, ხომ არ შეიძლება მეშურნეთი უკავშირდებოდეს წმ. სვიმონ კანანელს სახელს, რომელიც, მატათასთან ერთად, თან ახლდა სამცხეში მისულ წმ. ანდრიას? წმ. სვიმონი ხომ სწორედ მოშურნედ მოიხსენიება ახალი აღთქმის წიგნებში³.

როგორც ითქვა, მეშურნეთიდან წმ. ანდრია სოფელ არალში შევიდა. აქ მოთხრობილი ამბავი წერილობით წყაროში არ დასტურდება. ამბავს, რომელიც ჩვენ ჩავიწერეთ, აშკარად აკლია გარკვეული შინაარსობრივი ბმები, რომლებიც, თავის მხრივ, დაკარგული ჩანს.

დევი ბერძენიშვილის მიერ გამოთქმული მოსახრება, რომ უდის ნაეკლესიარი „შუშან ქალა“, შესაძლოა, სოსანგეთს, აწყურის ძველ სახელს უკავშირდებოდეს, ჯერჯერობით, რაიმე მონაცემებით არ დასტურდება. ხალხში დაცული ამბავი ნაეკლესიარს ქმრის სულის საოხად აგებულ ტაძარსა და მტრისგან ამ კუთხის აოხრებას უკავშირებს.

სოფელ ანდრიაწმინდასთან დაკავშირებული გადმოცემების, უფრო ზუსტად კი, დევი ბერძენიშვილის მიერ გამოქვეყნებული და ჩვენს მიერ 2010 წელს მოპოვებული მასალების შეჯერება აჩვენებს, რომ დიდაჭარიდან წამოსული მოციქული პირდაპირ სოფელ ანდრიაწმინდაში მივიდა, იქადაგა და სასწაულები მოახდინა. ერთ-ერთი სასწაულის აღსრულებისას იგი, სიკვდილით დასჯის ნაცვლად, გაათავისუფლეს. მის სახელზე აღმართეს ეკლესია და დიდმარხვაში დააწესეს მისი სახელობის დღესასწაული, რომელიც დიდმარხვის მეხუთე ხუთშაბათს აღინიშნება. აქ განსაკუთრებით ნიშანდობლივი გვეჩვენება ის ფაქტი, რომ ამ დღეს მხოლოდ სოფელი ანდრიაწმინდა მოიხსენიებს მიცვალებულებს და მხოლოდ მისი მოსახელობა გადის საფლავეებზე. მთხრობლების თქმით, ისინი აღდგომის ორშაბათის ნაცვლად, ამ დღეს გადიან საფლავეებზე. ასევე ნიშანდობლივი გვეჩვენება ხალხში ჯერ კიდევ შემორჩენილი ამბავი, რომლის მიხედვითაც ანდრია მოციქული აწამეს სხვაგან, სხვა ქვეყანაში, მაგრამ მისი ხელი და ფეხი მოაბრძანეს სოფელ ანდრიაწმინდაში. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დიდმარხვის ხუთშაბათი სოფელში არა თავად წმ. ანდრიას მისვლის, არამედ მისი წმინდა ნაწილების მობრძანების თარიღს წარმოადგენს და როგორც ეკლესიის აგება, ისე მიცვალებულების მოხსენიების ამ დღეს დაწესება მოწამებრივად აღსრულებული მოციქულის წმინდა ნაწილებს უკავშირდება? ამ კონტექსტში, საინტერესოა, რომ სოფლის მთავარ სალოცავად და დღესასწაულად ხალხი არა წმ. ანდრიას სახელობის ტაძარს და დიდმარხვის ხუთშაბათს, არამედ სოფელთან არსებულ წმ. ელიას სახელობის სალოცავსა და მის დღესასწაულს – 2 აგვისტოს ასახელებს. ამასთანავე, შემორჩენილია სოფლის ძველი სახელწოდებაც – სატალაო. თუ როდის შეიძლება მოებრძანებინათ წმინდა ნაწილები, ამის თქმა, ძნელია.

ანდრიობა სოფელ ანდრიაწმინდაში დიდმარხვის მეხუთე ხუთშაბათს იმართება. მართლმადიდებელი ეკლესია ანდრია კრიტელის სინანულის დიდ კანონს დიდმარხვის მეხუთე ხუთშაბათს, ერთი მსახურების განმავლობაში, სრულად კითხულობს. ასეთი რამ წელიწადში ერთხელ ხდება. ასევე იკითხება მარიამ ეგვიპტელის კანონიც. აქედან გამომდინარე, ამ დღის ლიტურგიას

¹ იქვე, გვ. 75, 107.
² ნ. ლამბაშიძე, *დედოფლისწყაროს 2014 წლის საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური*, ხელნაწერი.
³ წმ. სვიმონი ორ შემთხვევაში მოიხსენიება „მოშურნედ“ (ლუკა 6,15; საქმე მოც. 1,13), ორ სხვა შემთხვევაში კი – „კანანელად“ (მათე 10,4; მარკოზი 3,18). „მოშურნის“ ბერძენული შესატყვისია „ზილოტი“ რაც, თარგმანში, „მეზნე-ბარე მოსწრაფეს“, „თავგამოდებულს“, „გულმოდგინე დამცველს“ ნიშნავს. სიტყვა „კანანელი“ არამეულია („კან-ან“; მრ. რ. „კან-ნაიმ“) და „მოშურნეს“ ნიშნავს. „კან-ნაიმ“ ანუ „მოშურნენი“ ებრაელთა ერთ-ერთი სარწმუნოებრივი დაჯგუფების წევრებს ეწოდებოდათ. ჩანს, წმ. სვიმონი, სანამ ქრისტეს შეუდგებოდა, ამ პარტიის წევრი იყო (ე. კოჭლამაზაშვილი, სიმონ კანანელის ზედწოდების განმარტებისათვის, *საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2005 წლისთვის, ნათლისცემლის წელიწადეული*, (თბილისი, 2004), გვ. 396-397).

ანდრიას და მარიამ ეგვიპტელის დაუჯდომელს უწოდებენ. ამ დღეს ანდრია კრიტელისა და მარიამ მაგდალინელის კანონის კითხვა VI მსოფლიო კრების პერიოდშია დადგენილი¹.

იმის გამო, რომ აწყურში დემოგრაფიული სურათი მთლიანად შეცვლილია, წერილობით წყაროში ასახული ისტორია აქ აღარ დასტურდება. თუმცა, არქეოლოგიური მონაცემები აწყურში წმ. ანდრიას ქადაგების შესაძლებლობასა და ზადენგორაზე საკულტო ობიექტის არსებობას ადასტურებს.

დასასრულ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. „ქართლის ცხოვრების“ ჩანართსა და სხვა წყაროებში დადასტურებული ეპიზოდები წმ. ანდრია პირველწოდებულის მესხეთში მოღვაწეობის შესახებ, რაც მათში მეტ-ნაკლები სისრულითაა ასახული, ეხება მოციქულის რკინის ჯვრიდან, ზეკარის უღელტეხილიდან და ოძრახედან შემოსვლის ამბავს, ზადენზე კერპის დაქცევის ფაქტსა და განსაკუთრებით, წმ. ანდრიას მიერ აწყურში აღსრულებულ სასწაულებს, აგრეთვე, მოციქულის მიერ აწყურში ღვთისმშობლის ხატის დაბრძანების ამბავს. აქ არაფერს ვამბობთ იმ გადმოცემაზე, რომელიც წმ. ანდრიას მიერ ანჩის ხატის მობრძანების ამბავს მოგვითხრობს და რომელიც, ფაქტობრივად, ერთადერთ, წყაროში გვხვდება.

ჩვენს მიერ 2010 და 2013 წლებში შეგროვილი ეთნოგრაფიული მასალებით ჯერ კიდევ დასტურდება გადმოცემა, რომ სამცხეში შემოსული წმ. ანდრია ზეკარიდან, ოძრახე/აბასთუმნის გაგლით, ზადენგორაზე მოხვდა და აქ ზადენის კერპი დაამხო. საგულისხმოა, რომ ამ ამბების შესახებ ეთნოგრაფიული მასალა წერილობითი წყაროებისაგან განსხვავებულ დამატებით მასალას იძლევა. რაც შეეხება წერილობით წყაროებში ასახულ ამბებს მოციქულის აწყურში ყოფნისა და მოღვაწეობის შესახებ, ისინი ეთნოგრაფიულ სინამდვილეში აღარ ჩანან.

2. ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევის მიხედვით, როგორც უკვე ითქვა ზემოთ, სამცხეში შემოსულმა წმ. ანდრიამ შემდეგი გზა გაიარა: ზეკარის უღელტეხილი/რკინის ჯვარი – ოძრახის ხევი – ოძრხე/ოძრახე (აბასთუმანი) – ზადენგორა (აქ ორი სოფელი იყო: ზადენი და გორა), რომელიც სოფელ ბენარას თავზე მდებარეობს – სოსანგეთი/აწყური. ამასთან, დევი ბერძენიშვილი იშველიებს ხალხურ გადმოცემას, რომელიც მდინარე ურავლისწყლის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფელ ანდრიაწმინდასთანაა დაკავშირებული და აღნიშნავს, რომ ამ გადმოცემის თანახმად, მოციქულმა ზადენგორიდან მდინარე ფოცხოვს გაუყვა და ანდრიაწმინდაში მივიდა, აქედან კი, კვალთახევის და ორფოლას გაგლით, აწყურში მივიდა.

ხალხური გადმოცემა მოციქულის სამცხეში შემოსვლისა და მოგზაურობის მარშრუტს ნაწილობრივ ემთხვევა: ზეკარი/რკინის ჯვარი – ოძრახე/აბასთუმანი – ზადენგორა – გადმოცემისეული სოფელი ანდრიაწმინდა – აწყური. მეორე მხრივ, ხალხური გადმოცემის მარშრუტი ისტორიულ-გეოგრაფიული მარშრუტისაგან შემდეგი პუნქტებით სხვაობს: ზიარეთიგვერდი – შუასერ/მეშურნეთი – არალი – შესაძლოა, უდე – ხერხემის ციხე – ახალციხის წინუბანი – ბიეთის ტაძარი – წყორძასთან მდებარე ბერდიკათ უბანი (ბაიები) – სოფელი ანდრიაწმინდა/სატალაო.

ზადენგორაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგები და მონაცემები ადასტურებენ ანდრია მოციქულის ხსენებულ პუნქტში ქადაგებასთან დაკავშირებულ, ჯერ კიდევ ხალხში შემორჩენილ, ეთნოგრაფიულ მასალას.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც წერილობით წყაროებში დაცული ცნობებისაგან განსხვავდება, შემდეგია: ა) წმ. ანდრიას მიერ ზიარეთი გვერდიდან ქადაგება და ლოცვა; და ბ) არალში კერპის დამხობა, აგრეთვე, იმავე არალში დიდი წარმართული ტაძრისა ფურირმის ეკლესიის არსებობა. მართალია, ამ ისტორიას გარკვეული შინაარსობრივი ბმები და თხრობის ლოგიკა აკლია, მაგრამ იგი წმ. ანდრიას ქადაგების კონტექსტში განიხილება და ამიტომ შესაძლებელია, მასთან ყოფილიყო დაკავშირებული. სოფელ ანდრიაწმინდაში ფიქსირდება დამატებითი მასალა, საიდანაც, სხვა დეტალებთან ერთად, ირკვევა, რომ სხვაგან ნაწამები და აღსრულებული მოციქულის წმინდა ნაწილები, უფრო ზუსტად კი, ხელი და ფეხი, მიიტანეს ანდრიაწმინდაში, სადაც წმიდანის სახელობის ეკლესია დაარსეს. რაც მთავარია, სოფელ ანდრიაწმინდაში ფიქსირდება მხოლოდ ამ სოფლისთვის დამახასიათებელი დღესასწაული, რომელიც წმ. ანდრიას სოფელში მოსვლას და მიცვალებულთა მოხსენიებას ერთდროულად უკავშირდება. თავის მხრივ, ამ დღეს მიცვალებულთა მოხსენიება დიდმარხვის ორშაბათს საფლავებზე გასვლის ტოლფასია. შესაბამისად, სოფელი მიცვალებულების საფლავებზე არა აღდგომის ორშაბათს, არამედ დიდმარხვის მეხუთე ხუთშაბათს გადის.

წმ. ანდრიას მარშრუტის იმ მონაკვეთზე, რომელიც ზიარეთი გვერდსა და სოფელ არალს შორის მდებარეობს, გვხვდება ადგილი, რომელსაც ხალხი შუასერს უწოდებს და სადაც, ე.წ. მოშურნეთის განახლებული ეკლესია და ნასოფლარი მდებარეობს. სოფელ არალში შესასვლელ

¹ Булгаков С. В., *Настольная книга для священно-церковно-служителей* (Москва, 1993), сс.578, 562-563.

მეორე გზას გადაჰყურებს ნასოფლარი ზემო ფარეხა, სადაც წმ. ანდრიას სახელობის ნაეკლესიარია. ამ ნაეკლესიარში, რომელსაც მთხრობელი ნასოფლარად მოიხსენიებს, კათოლიკური აღმსარებლობის მქონე მოსახლეობას ხატები აქვს დაბრძანებული. თავად მოშურნეთის ეკლესიაც კათოლიკურადაა გადაკეთებული. ფაქტობრივად, გამოდის, რომ ამ ორ ნასოფლარს შუაში ჩაუდის გზა, რომელიც სოფელი არაღისაკენ და ზემოთ, სოფელი უდისაკენ მიემართება. შესაბამისად, როდესაც პირით გზისაკენ ვდგევართ, ჩვენგან მარჯვნივ მეშურნეთ/მოშურნეთია, ხოლო მარცხნივ – ზემო ფარეხა, წმ. ანდრიას ეკლესიით. წერილობითი წყაროს მიხედვით, წმ. ანდრიას მესხეთში, სხვა მოციქულებთან ერთად, სვიმონ კანანელიც ახლდა. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეშურნეთ/მოშურნეთის ეკლესია წმ. სიმონის სახელობის იყო? ვფიქრობთ, რომ ამ ორი ნასოფლარის არქეოლოგიური შესწავლა ძალიან საინტერესო იქნება.

სოფელ უდის „შუშან ქალას“ სახელწოდება, შესაძლოა, გარკვეული სახით სოსანგეთს/სუსანგეთს უკავშირდებოდეს, მაგრამ ხალხური გადმოცემა ამის შესახებ არაფერს ამბობს. ხალხურ გადმოცემაში მხოლოდ ქვრივის მიერ ქმრის სულის საოხად ტაძრის აგების, ამ კუთხის აგებულების, მისი მტრისგან გავერანებისა და ხელახლად აღდგენის ისტორია ჩანს. თავად შუშანად წოდებული ქვრივი შეძლებული ქალი უნდა ყოფილიყო, რადგან მან ეკლესიის აგება შეძლო.

წმ. ანდრიას სახელთან დაკავშირებული ზემოთ განხილული გადმოცემები, მათი დათარიღების საშუალებას არ იძლევა (ერთგვარ გამოწაკლისს წარმოადგენს „შუშან ქალასა“ თუ „შუშან ქალაქის“ შესახებ არსებული გადმოცემები, რომლებიც მურვან ყრუსა და თემურ-ლენგის ლაშქრობებს უკავშირდება). შესაბამისად, ხალხური გადმოცემებიდან არ დგინდება, თუ რა დროს იყო აგებული წმ. ანდრიას სახელთან დაკავშირებული ეკლესიები. გარდა ამისა, ხალხური გადმოცემებიდან არც ის ჩანს, თუ როდის და რატომ შეწყვიტეს არსებობა წმ. ანდრიას ამ ტაძრების მიმდებარე სოფლებმა, რომლებმაც ჩვენამდე ნასოფლარების სახით მოაღწიეს.

ბიბლიოგრაფია

1. დ. ბერძენიშვილი, *ანდრია პირველწოდებულის ნაკვალავზე* (თბილისი, 2009).
2. ე. კოჭლამაზაშვილი, სიმონ კანანელის ზედწოდების განმარტებისათვის, *საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2005 წლისთვის, ნათლისმცემლის წელიწადული*, (თბილისი, 2004).
3. ლეონტი მროველი, *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, ქართლის ცხოვრება, ტომი I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1955).
4. ვ. ლიხელი, კულტის საკითხი ანტიკური ხანის სამცხეში, *საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი“*, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, 25-26 ნომბერი (თბილისი, 2005).
5. ზ. ლობჯანიძე, *აბასთუმანი* (თბილისი, 2009).
6. *მიმოსვლა ანდრია მოციქულისა*, ძველი ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო მალხაზ კობიაშვილმა (თბილისი, 2008).
7. მ.-გ. საბინინი, *საქართველოს სამოთხე* (პეტერბურდი, 1882).
8. ნ. სულავა, *XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია* (თბილისი, 2003),
9. ნ. ღამბაშიძე, *ახალციხე-ადიგენის 2010 წლის საველე ეთნოგრაფიული მასალები*, ხელნაწერი.
10. ნ. ღამბაშიძე, *ახალციხე-ადიგენის 2013 წლის საველე ეთნოგრაფიული მასალები*, ხელნაწერი.
11. ნ. ღამბაშიძე, *დედოფლისწყაროს 2014 წლის საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური*, ხელნაწერი.
12. რ. ხალვაში, *ანდრია პირველწოდებული საქართველოში* (ბათუმი, 2011).
13. V. Licheli, St. Andrew in Samtskhe – Archeological Proof?, *Ancient Christianity in the Caucasus, Iberica Caucasicca*, Volum One, Curzon Caucasus world (1999).
14. С. В. Булгаков, *Настольная книга для священно-церковно-служителей* (Москва, 1993).

**MISSION OF ST. ANDREW DISCIPLE IN SAMTSKHE
ACCORDING TO GEORGIAN FOLK TRADITION**

The given article is based on the ethnographic materials we gathered in 2010, 2013 during our field works in Akhaltsikhe – Adigeni regions. Methodologically we decided to compare data of our field works, which are preserved in folk tradition with historical chronicle Kartlis Tskhovreba, the achievements of modern studies in the old Georgian literature, archeology and historical geography.

According to ethnographical material, that follows the chronicle, archeological and of historical geography-data, St. Andrew came to Meskheta from Zekari pass to Odzrakhe, now Abastumani, passed it, found himself in Zadengora where there was an idol of Zadeni and overthrew it. Folk story gave us additional material, mainly how St. Andrew overthrew the idol and what has happened. How he preached and prayed from Ziaretigverdi, the story of Irmis Eklesia (Church of dear) – pagan temple, about the festival of village Andriatsminda (Holy Andrew) etc.

Folk tradition gives us additional geographic points of St. Andrew's missionary route in Meskheta.

In Samtskhe there is a village Andriatsminda (Holy Andrew) where even today is preserved a story how St. Andrew preached there and what has happened to him. There is a unique local festival dedicated to St. Andrew, the feast day of which is the fifth Thursday of the Lent. This day is unique all over Georgia also, because the villagers go to the cemetery on this very day instead of Easter Monday or Easter. They also pray at the village church named after St. Andrew in this very day which is the village church festival as well. Also, according to our hypothesis based on ethnographic materials the mentioned village should have been one of the places where St. Andrew's relics were brought.

სოციალური ურთიერთობის საკითხისათვის ოსაუში

თანამედროვე ოსების სოციალური ურთიერთობები ხანგრძლივი და რთული ისტორიული პროცესის შედეგად ყალიბდებოდა. მათ დაარსებაში მნიშვნელოვანი როლი ნათესაურ გაერთიანებებს ეკავა. ერთ-ერთი ასეთი გაერთიანება ერთი დიდი ოჯახიდან გამოყოფილი ინდივიდუალური ოჯახების ჯგუფის ახალი, უფრო ფართო ნათესაური კავშირი ოსებში აღწერილობითი – „იუფდფრთა“ (ერთი მამის შვილები) და „იუ ართაი ბაიუარგა“ (ერთი ცეცხლიდან, ერთი კერიდან გამონაყოფი) ტერმინით დასტურდება. ასეთ სოციალურ ინსტიტუტს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში პატრონიმიული ორგანიზაციის სახელით არის ცნობილი, როგორც ჩანს, ძველად, სრულიად გარკვეული ფუნქციები ეკისრებოდა ოსების ცხოვრების ყველა მომენტში – სოციალურ, მეურნეობრივსა თუ რწმენა-წარმოდგენათა სფეროში და მათზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა.

ოსური პატრონიმია, როგორც ნათესაური გაერთიანება კვლევისათვის უშუალო დაკვირვების საგანს XX საუკუნიდან წარმოადგენს. ოსურ ლიტერატურაში ამ ინსტიტუტის შესახებ სხვადასხვა ცნობები და არათანაბარი ეთნოგრაფიული მასალა უფრო ადრეული ხანიდან მ. კოვალევსკის¹, ვ. პფაფის², კ. ხეთაგუროვის³ ნაშრომებშია მოცემული. მ. კოსვენმა⁴ საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურაში პატრონიმიის ცნება პირველმა შემოიტანა და იგი, სწორედ კავკასიის რეგიონების და მათ შორის ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ მასალა გამოიყენა, თუმცა, ამ სოციალური ინსტიტუტის ბუნება და ევოლუცია სამწუხაროდ, პატრიარქალურ-გვაროვნული წყობისაგან არ გამოიყვანა. ამიტომ, თავიდანვე შეიქმნა შთაბეჭდილება გვარისა და პატრონიმიის იგივეობის შესახებ, გარეგნულად მსგავსი ნიშნების (ეგზოგამია, სისხლ-მესისხლეობა და სხვ.) გამო. მაგრამ მალე საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლად ადრეკლასობრივი წყობა (ვ. ბარდაველიძე, აღ. რობაქიძე) იქნა დადგენილი. ამ სოციალური ინსტიტუტის შესახებ მონაცემებით, ეს ვარაუდი მოგვიანებით, აღ. რობაქიძის⁵, ბ. კალოევისა⁶ და ზ. გაგლოევას⁷ ნაშრომებშიც დადასტურდა. თუმცა, ბ. კალოევისა და ზ. გაგლოევას მიერ შექმნილ ნაშრომებში მრავალ უზუსტობას ვაწყდებით. გარდა, ამისა, მათ მიერ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ოსების საზოგადოებრივი ყოფის შესახებ შექმნილ ნაშრომებში საქართველოს და კერძოდ, შიდა ქართლის, XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ისტორიულ-პოლიტიკური ვითარება არასწორად არის გაანალიზებული. ქართული მოსახლეობის მკვიდრობა, საკუთარ ტერიტორიაზე უგულვებელყოფილიცაა.

როგორც ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხების პატრონიმიულ ორგანიზაციას, ოსურსაც რთული და თავისებური სტრუქტურა გააჩნდა. მისი ნიშანდობლივი თვისებები იყო: შვიდი თაობის ფარგლებში მკაცრი ეგზოგამიის დაცვა; მამაკაცის აღმავალი ხაზით წასულ ნათესაობაში, პატრონიმიის ფარგლებში, ნათესაური კატეგორიების მიხედვით უეჭველი უფლება-მოვალეობათა ნორმების არსებობა; პატრონიმიული ორგანიზაციის ტერიტორიული მთლიანობა; მეურნეობრივი ცხოვრების ცალკეულ სფეროში ინტერესების ერთიანობა, კოლექტიური შრომის ორგანიზაცია; მატერიალური და მორალური ურთიერთდახმარების ფორმათა არსებობა; იდეოლოგიური ერთობლიობის გამოხატულება. ოსური პატრონიმიული ორგანიზაციის წევრებად მამაკაცების გარდა დები და ქალიშვილებიც ითვლებოდნენ. მართალია, ისინი ქორწინების თანახმად, თავიანთ მამისეულ ოჯახებს ტერიტორიულად შესაძლოა ტოვებდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი მამებისა და ძმების პატრონიმიის წევრებად სიკვდილამდე რჩებოდნენ. ქმრის ოჯახშიც, მათ საკუთარი პატრონიმიული სახელით მოიხსენიებდნენ. ცხადია, აქედან გამომდინარე, მოყვრობით ე.ი. ქორწინების შედეგად, ქმრის კერძას ნაზიარები და ქმრის ოჯახის საქმიანობაში ჩართული ქალები, მათი პატრონიმიის წევრებად მაინც არ ითვლებოდნენ. ამავე დროს, პატრონიმიის უხუ-

¹ Ковалевский М., *Современный обычай и древний закон, в двух томах, репринтное воспроизведение* (Владикавказ, 1995).
² Пфаф В.Б., *Этнологическое исследование об осетинах, Сборник сведений о Кавказе.*, вып. II (Москва, 1872).
³ Хетагуров К., *Быт горных осетин* (Сталинир, 1939).
⁴ Косвен М.О., *Семейная община и патронимия* (Москва, 1963).
⁵ Робакидзе А.И., Особенности патронимической организации у народов горного Кавказа, *Советская этнография*, №5 (1968), с. 93-104.
⁶ Калоев Б.А., *Осетины (историко-этнографическое исследование)* (Москва, 1967), с. 164-168.
⁷ Гаглоева З.Д., *Осетинский “Рвалдата”, доклад на VII международном конгрессе антропологических и этнографических наук* (Москва, 1964).

ცესი ქალის მოვალეობას, პატრონიმიული რელიგიური დღეობებისათვის რიტუალური კვერების დამზადება წარმოადგენდა. თუმცა, ქალებს და მათ შორის უხუცესს დედა-ქალსაც სამსხვერპლო ზვარაკის ხორცზე და რიტუალურ საკვებზე კბილის დადგმის უფლება არ ჰქონდათ. ამრიგად, პატრონიმიული ორგანიზაციის სტრუქტურას მამაკაცების ხაზით წასული ნათესავეების კოლექტივი ქმნიდა. მამაკაცები გვარის გამგრძელებლებს წარმოადგენდნენ, ისინი საერთო ქონების დამცველნი იყვნენ, ქონების, რომლის მემკვიდრეებიც თვითვე იყვნენ. ამ კოლექტივის ეპონიმად მე-6-5 და მოგვიანებით მე-5-4 თაობის რეალური მამის სახელი გამოიყენებოდა, რომელსაც –თა ნაწილაკი ერთვოდა. ასე მაგ.: ტუგან-თა, სანაკო-თა, მრზაგან-თა, ბიცი-თა, გაგლო-თა, თაიმაზ-თა და ა.შ. პატრონიმიის სახელწოდებები თაობათა ზრდისა და გაფართოების შედეგად, თანდათან იცვლებოდა. ძველი სახელწოდება ხმარებიდან ვარდებოდა და კვლავ მე-5-4 თაობის ახალი წინაპრის სახელი შედიოდა გამოყენებაში (თაობათა ცვლის მიუხედავად, მემკვიდრეობითი სახელები გენეალოგიურ ხეზე ხშირად მეორდებოდა).

თავდაპირველად, პირველი რიგის პატრონიმიაში, როგორც დიდი, ისე ნუკლეარული ოჯახებიც შედიოდა. მეორეული დიდი ოჯახების ხელახალი სეგმენტაცია და შემდგომი ზრდა, ნათესაური წრის გაფართოებას იწვევდა. XX საუკუნის დასაწყისისათვის ოსეთში დიდი ოჯახების რაოდენობა უკვე შემცირებული იყო. თითოეული პატრონიმია გენეალოგიური პირდაპირი და გვერდითი ხაზის ნათესაობას ქმნიდა, რომელთაც ტერიტორიული, ეკონომიკურ-მეურნეობრივი და იდეოლოგიური ურთიერთობა უყალიბდებოდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ოსური პატრონიმიების გაფართოებისა და მეორეული პატრონიმიის ჩამოყალიბების შედეგად ნათესაობის უფრო ფართო წრე – „მგაგ“ ე.ი. გვარი ფუძნდებოდა. მგაგზე უფრო დიდ ნათესაურ გაერთიანებას „არვად“ ეწოდებოდა, რომელიც ერთი საერთო წინაპრისაგან წარმოშობილი, ოთხი-ხუთი გვარის მოსახლეობას აერთიანებდა.

XVIII საუკუნეში მ. კოვალევსკის, ვ. პვაფფისა და სხვათა ეთნოლოგიური ნაშრომებიდან, დიდი ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილების შემდეგ, საცხოვრებელი ფართის სეგმენტაციის პრინციპი და ხარისხი, სხვადასხვა ხეობაში სხვადასხვაგვარი იყო. თავდაპირველად, მსხვილ საცხოვრებელ კომპლექსებში ერთგან, საცხოვრებელი ფართის გამოყოფა, ხოლო მეორეგან თავდაცვითი კოშკების გარშემო ჩვეულებრივი ხაძარის ტიპის საცხოვრებლების დაფუძნება, ხოლო სხვაგან ერთ ან ორსართულიან ხაძარებში ცალკე ფართობების გამოყოფა დაიწყო. რაც თავისთავად, სხვადასხვა ხეობაში უშუალოდ ოჯახისა და ამ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფორმას გამოხატავდა. მათ რჩებოდათ, ერთიანი ფართობიდან არასეგმენტირებული ერთი ოთახი (განაყარი ოჯახის წევრების თავშეყრის ადგილი, კერიანი ოთახი). სადაც, სტუმრების მიღების, შრომის პერიოდის შემდგომი, ტრაპეზის და დასვენების დროს ურთიერთობის უკვე გარკვეული ახალი სისტემა უყალიბდებოდათ. ეს სისტემა, ერთი მხრივ, ერთიანი ოჯახის ინტერესებს, ხოლო მეორე მხრივ, საცხოვრებლის დამოუკიდებელი ოთახების მიშენება ან შიგვე ფართის გამოყოფა, მთლიანად ინდივიდუალური ოჯახების ინტერესებს შეესაბამებოდა. ამდენად, ერთი გარკვეული, გაღაფნიან საკარმიდამოში დასახლებული, ინდივიდუალური ოჯახები ერთ პატრონიმიულ უბანს ქმნიდნენ. აქედან გამომდინარე კი, პატრონიმიის ტერიტორიული ერთობლიობა იშვიათად ირღვეოდა. ქურთათის ხეობის დამახასიათებელი ნიშანი ის იყო, რომ იგი მატერიალური მსხვილი კულტურის ძეგლებით არ გამოირჩეოდა. აქ ჩვეულებრივი ხაძარის ტიპის ერთ- და ორსართულიანი ქვის საცხოვრებლები მოიპოვებოდა, თუმცა, თავდაცვითი ნაკებობების გარეშე. ამრიგად, ეს საცხოვრებელი კომპლექსები მართალია, განსხვავებას იძლეოდნენ, მაგრამ დიდი ოჯახის სეგმენტაციის თვალსაზრისით, გამოყოფის სისტემა იგივე რჩებოდა (საქორწინო წყვილებისათვის საცხოვრებლის შიგნით დამოუკიდებელი ფართები გამოიყოფოდა)¹.

ზოგიერთი მეცნიერი, კვლევის შედეგად, განსხვავებულ საცხოვრებელ კომპლექსში – კოშკებში, ციხე-სახლებში, ხაძრებში დასახლებული მოსახლეობის ყოფას, რომელიც კლდოვან და მიუწვდომელ ადგილებში იყო განფენილი, „შინაურ და გარეშე საშიშროებასთან“ გამკლავების, გვართა შორის სისხლ-მესისხლეობის, ყანაღური რაზმების თარეშის, „კლასობრივი ბრძოლის“, არა მარტო უცხოტომელების, არამედ საკუთარი ტომის წევრთა ექსპლუატაციის ფორმებს მიაწერდნენ². ქართველი მეცნიერის, აღ. რობაქიძის თვალსაზრისით კი, დასახლება ეთნიკური შემადგენლობით, ენით, მეურნეობის პირობებითა და თავდაცვითი ინტერესებით ისტორიულად ჩამოყალიბებულ ერთობლიობას წარმოადგენდა. ოსური მთური დასახლება გარკვეული საზოგა-

¹ Робакидзе А.И., Гегечкори Г.Г., Формы жилища и структура поселения горной Осетии, *Кавказский Этнографический Сборник*, V-1 (Тбилиси, 1975), с. 41-64.

² Косвен М.О., Из истории родового строя в Юго-Осетии, *Советская этнография*, №2, 1936; Калоев Б.А., *dasax. naSromi, gv. 167-168*; Гаглойти З.Д., *Очерки по этнографии осетин* (Тбилиси, 1974), с. 81-83; Магомедов А.Х., *Культура и быт осетинского народа* (Орджоникидзе, 1968), с. 488-489; Бедзенов Н., *Кровная месть у осетин, Кавказ*, №67 (1852).

დოებრივი და ეკონომიკური ფორმაციის განმსაზღვრელი უნდა ყოფილიყო, რომელიც კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ გარემოს შეესაბამებოდა. მთა კავკასიის დასახლების ფორმა სწორედ, ამ გარეგნული ნიშნებით – საკმაოდ მკვეთრი, მსხვილგაბარიტიანი ნაგებობებით და აშკარად თავდაცვითი ფუნქციებით, შეჯგუფული დასახლების საფუძვლით და მიწის ტერასული სახის ფორმებით ხასიათდებოდა. თუმცა, ცალკეულ ხეობებს თავისი დამახასიათებელი ლოკალური ნიშნებიც გააჩნდა. დასახლების ფორმაში ყურადღებას თავდაცვითი კოშკები იპყრობდნენ. ისინი თითქოს პატრონიმიული ორგანიზაციის ორგანიზაციულ ცენტრს და მათ გარშემო თავმოყრილი საცხოვრებლების ჯგუფს, ერთი დიდი ოჯახის ფილიაციებს წარმოადგენდნენ. თვით კოშკი სეგმენტაციას არ ექვემდებარებოდა. ამრიგად, ერთ საკარმიდამო კომპლექსში ახალი სამოსახლო ერთეულების გაჩენა, პატრონიმიული განსახლების პრინციპს ეყრდნობოდა¹.

მოსახლეობის ძირითადი ნაწილის კომპაქტური პატრონიმიული განსახლება თავდაცვის საერთო ინტერესები, სამეურნეო პირობების და შრომის ორგანიზაციის ერთიანობა, მთური ოსური სოფლის დამახასიათებელი ნიშანი იყო. ხოლო საკარმიდამო ეზო თავდაცვით კოშკთან ერთად, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, პატრონიმიული ორგანიზაციის ცენტრი და ერთიანობის სიმბოლო ხდებოდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ჩაკეტილი ხეობების განთავისუფლების შემდეგ, დასახლების ზემოთ აღწერილმა ფორმამ რღვევა დაიწყო. მოსახლეობა შეეხება სახმარი მიწების გაფართოებაში, მთიდან ბარში გადასახლებაში ეძიებდა. ამრიგად, ცხადია, პატრონიმიული დასახლების ფორმა, ორგანიზაციული ცენტრი და ერთიანობის სიმბოლო იშლებოდა. XX საუკუნის დასაწყისში მთა ოსეთის ხეობების უმეტესი ნაწილი თითქმის დაცლილი იყო, რადგან ისინი ბარის რეგიონებში გადასახლდნენ. ეთნოგრაფიული მასალების, ლიტერატურისა და წყაროების თანახმად, მაღალმთიანი სოფლები მოსახლეობისაგან დაიცალა და ბარში ჩასახლდა. ამ პროცესმა საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. ამრიგად, XX საუკუნის 60-იანი წლებისათვის უკვე პატრონიმიათა ფიქსირება ცალკეული გენეალოგიური ხაზით მიმდინარეობდა. ისე არათანაბრად, რომ მომდევნო თაობების მახსოვრობაში, სხვადასხვა რიგის პატრონიმიები უკვე ერთმანეთში გადახლართული და ზოგი დავიწყებას მიცემული იყო. სხვადასხვა ინფორმატორებისაგან ერთ ადგილზე ჩაწერილი მასალა განსხვავებას იძლეოდა. ამდენად, კოშკების რაოდენობა პატრონიმიული ორგანიზაციების რაოდენობას აღარ ემთხვეოდა. ცალკეულ შემთხვევებში ერთი კოშკი, ორი, ზოგჯერ სამიც ერთი პატრონიმიის საკუთრებას წარმოადგენდა. მ. კოსვენის მასალის გათვალისწინებით კი, კოშკი იმდენი იყო, რამდენიც პატრონიმიია. ამრიგად, სოფლების ტოპოგრაფიის შესწავლის შედეგად, როგორც ჩანს, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ჯერ კიდევ შეიძლებოდა XVIII საუკუნის დასასრულის, პატრონიმიული დასახლების სურათის აქა-იქ რეკონსტრუქცია. ამის საშუალებას თავდაცვის კოშკები და აკლდამების წყობაც იძლეოდა, რომლებიც პატრონიმიული პრინციპით იყო განლაგებული. აკლდამების ეს განლაგება ძველად, პატრონიმიული ორგანიზაციის ყველაზე მდგრად, ტერიტორიული ერთობლიობის ნიშანს წარმოადგენდა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაკრძალვის ჩვეულება იცვლება, სოფელს ერთი საერთო სასაფლაო უჩნდება, რომელზეც პატრონიმიული ნაკვეთბია გამოყოფილი.

დიდი ოჯახის წარმოების საშუალება ეკონომიკური არსი იყო. ამ შემთხვევაში, მხედველობაში მიწასთან დაკავშირებულ საკუთრების ფორმას ვგულისხმობთ. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, ოსეთში, სახნავი და სათიბი მიწების უმეტესობა დიდი ოჯახის მფლობელობაში იყო, ხოლო მთისა თუ სოფლის საძოვარს, ზოგიერთ სათიბს და ტყეს თემი განაგებდა. ისინი საერთო სახალხო საკუთრებად ითვლებოდნენ. უნდა ისიც ითქვას, რომ სწორედ, საერთო სასოფლო, სათემო საკუთრება მიწაზე ტერიტორიული ერთიანობის შედეგს წარმოადგენდა. ჩაკეტილ ხეობებში მცხოვრებ მოსახლეობაში მიწის ფართობები დიდი ოჯახის სეგმენტაციასთან ერთად, გარკვეული დროის მანძილზე იშვიათად ნაწილდებოდა. ამიტომ, სახნავ-სათესი მიწები პატრონიმიულ მფლობელობაში რჩებოდა. მიწა ერთობლივად მუშავდებოდა და მოწეული მოსავალი კი, ცალკეულ ინდივიდუალურ ოჯახებზე იყოფოდა. ამრიგად, მთავარი მიზეზი ისევ თავდაცვის მიზანი და უმიწობა იყო. მაგრამ, ხეობების განთავისუფლებასთან ერთად მოსახლეობის ნაწილი ბარში დასახლდა, ხოლო ნაწილმა ბარში მიწა ქირით აიღო დასამუშავებლად. ბუნებრივია, ამას მალე მიწის ყიდვა-გაყიდვის პროცესი მოჰყვა. მიწის გასხვისების შემთხვევაში, ჩვეულებითი თუ ადათობრივი სამართლის ნორმების თანახმად, პატრონიმიის წევრებს გამოსყიდვის პრივილეგია ენიჭებოდათ, თუ ისინი უარს იტყოდნენ, მაშინ შემდეგი საფეხური უფრო ფართო ნათესაური კოლექტივის წევრებს ეკუთვნოდათ და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა უცხოზე მიწის გას-

¹ Робакидзе А.И., Гегечкори Г.Г., dasax. naSromi, gv. 65.

ხვისება. რაც, ვარაუდით, ძველად არსებული პატრონიმიული ტერიტორიის ერთობლიობის, საკუთრების ფორმის არსებობის დამადასტურებელი ფაქტიც უნდა ყოფილიყო.

XX საუკუნის 60-იან წლებში, რეტროსპექტიული მეთოდის შედეგად, ოსეთის ხეობებში, მთხრობლების მახსოვრობის დახმარებით, ნაკვეთების სახელწოდებების აღდგენა მოხდა. ზოგან ეს სახელწოდებები ნამდვილად ემთხვეოდა პატრონიმიული ორგანიზაციის სახელწოდებებს, ზოგიერთ სოფელში კი, ამ სურათის აღდგენა შეუძლებელი გახდა. მიზეზი გადასახლება-გადმოსახლებისა და ყიდვა-გაყიდვის პირობებში პატრონიმიული ცალკეული გენეალოგიური ხაზების დაშორიშორება და წყვეტილი განვითარებაც გახდა. შემდგომი თაობის მახსოვრობაში სხვადასხვა რიგის პატრონიმიები აშკარად არეული და დასახლების პატრონიმიული ფორმა, დარღვეული იყო. ამდენად, პატრონიმიული ორგანიზაციის სამეურნეო სავარგულების განლაგების ცვლილებამ, მიწის დაქსაქსულობა, სამეურნეო ინტერესების რღვევაც გამოიწვია. სამეურნეო ერთობლიობის ინტერესების შემონახვას ჯერ კიდევ, ერთი წესი უწყობდა ხელს, ეს იყო მთაზე არსებული სამეურნეო ბაზებით სარგებლობის ჩვეულება.¹ ქონების განაწილების დროს, უმეტეს შემთხვევაში, მთის ბაზა გაუყოფელი რჩებოდა იქ არსებული სახნავითა და სათიბი მიწით. პატრონიმიის წევრები საქონელს ბაზაზე ერთად უვლიდნენ, ხოლო მიწას ერთად ამუშავებდნენ, მოსავალს კი სულადობის მიხედვით იყოფდნენ. ამდენად, პატრონიმიული სამეურნეო ერთობლიობის ერთ-ერთი საშუალება მთის სამეურნეო ბაზა იყო. უკვე აღინიშნა, რომ დიდი ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილების პირობას უძრავ-მოძრავი დოვლათის თანაფარდობა წარმოადგენდა. მაგრამ, საოჯახო დოვლათის გარკვეული ნაწილი, რომლის გაყოფა ვერ ხერხდებოდა ან განაყრებს არ სურდათ, იგი მათ საზიარო სარგებლობაში რჩებოდა. ასეთ ქონებას წარმოადგენდა – კალო, სანეხვე ტერიტორია, სამეურნეო ბაზა, ზოგჯერ სახნავი და სათიბი მიწა, წისქვილი, სოფლის მეურნეობის იარაღები, სატრანსპორტო საშუალებები, ძნელად გასაკეთებელი და საშოვნო (იმ დროისათვის) საოჯახო ინვენტარი (დიდი ქვაბები...) და ა.შ. აქ ჩამოთვლილი ქონების კოლექტიური ფლობა, ბუნებრივია, მეურნეობისა და სოციალური ურთიერთობების, ურთიერთვალდებულებათა ნორმების ჩამოყალიბებასა და მათ მოწესრიგებას უწყობდა ხელს. ეს კი, ერთობლივი შრომის ორგანიზაციას, ფიზიკური, მატერიალური და მორალური ურთიერთდახმარების ფორმას აწესებდა.²

ურთიერთობაში, სისხლით ნათესაური კატეგორიების თანახმად, ქცევის ტრადიციული ნორმები გამომუშავდებოდა. ყველაზე დიდ პატივისცემას, მორიდებასა და მოწიწებას პატრონიმიის ორგანიზაციის მეთაურის მიმართ ამჟღავნებდნენ. თუ იგი ფეხზე წამოდებოდა, ქალიცა და კაციც ვალდებული იყო ფეხზე წამომდგარიყვნენ. მკაცრად იყო დაცული სქესთა შორის ურთიერთობა და მიმართვის ნორმები. ქალები მამაკაცების მიმართ მორიდებას და პატივისცემას იჩენდნენ, როგორც თვით კაცებიც. ქალებს ეკრძალებოდათ მამამთილის, უფროსი მამების, პატრონიმიის ხელმძღვანელის და ა.შ. სახელის წარმოთქმა და მათი თანდასწრებით ხმამაღლა საუბარი. უფროს-უმცროსობის პრინციპსაც უსათუოდ ითვალისწინებდნენ.

პატრონიმიის წევრთა სოლიდარობა პატრონიმიის თავდაცვას, ერთმანეთის მხარდაჭერას სხვადასხვა სახის ურთიერთდახმარებაში აძლიერებდა.

ოსებში, როგორც შრომითი, ისე არაშრომითი ურთიერთდახმარების ტრადიცია მყარი იყო. ამ ჩვეულებას ოსური ტერმინი „ზიუ“ შეესატყვისებოდა. ცხადია, სამიწათმოქმედო სამუშაოები მთიელთაგან ყოველთვის მიძიმე შრომას მოითხოვდა. ამიტომ, პატრონიმიული ორგანიზაციის წევრები ერთად იწყებდნენ შრომას, რომელსაც გამასპინძლება და მხიარულებაც მოჰყვებოდა. შრომა იმ ოჯახიდან იწყებოდა, რომელსაც იგი ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა, სადაც ობლები ან ავადმყოფი ეგულებოდათ. ფიზიკური ურთიერთდახმარება – ხენის, სახლის მშენებლობის, მოსავლის აღების, თიბვის და ა.შ. ხდებოდა. პატრონიმიის შემავალი ოჯახების შრომისუნარიანი წევრების აუცილებელ ვალდებულებას წარმოადგენდა ურთიერთდახმარების ჩვეულებაში მონაწილეობა. ურთიერთდახმარებას და მასთან დაკავშირებულ ქცევის ნორმებს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა პატრონიმიის ცხოვრებაში, რადგან დიდი ოჯახის დიფერენციაციის შემდეგ გამოყოფილ ინდივიდუალურ ერთეულებს არაშრომითი ე.ი. მატერიალურ-მორალური და ფიზიკური დახმარება ყოველთვის ესაჭიროებოდათ. მსგავსი მატერიალურ-მორალური დახმარების ნორმები ქორწინების, გლოვისა და დაკრძალვის, სისხლ-მესისხლეობის, სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული ოჯახების, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებულ და სხვა ჩვეულებებში ვლინდებოდა. პატრონიმიის შიგნით ურთიერთდახმარების ყველა ფორმა სავალდებულო ხასი-

¹ Кантария М.В., Некоторые вопросы земледельческого быта в Горной Осетии, *Кавказский Этнографический Сборник*, V-3 (Тбилиси, 1980), с. 163-214.

² b. gamyrelize, *centraluri kavkasiis mTielTa alpuri mesaqonleoba* (Tbilisi, 1982), გვ. 173-181; Чиковани Г.Д., Осетинский ныхас, *Кавказский Этнографический Сборник*, V-2 (Тбилиси, 1979), с. 60-63.

ათს ატარებდა. ამიტომ, ასეთ შემწეობაზე უარს ვერავინ იტყოდა, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დახმარების ფორმა მეტ-ნაკლებ ხარჯებს მოითხოვდა.

სისხლ-მესისხლეობის შემთხვევაში ნიხასის წევრების ჩარევით მხარეთა შერიგებამ და დამნაშავეის მიერ ქონებრივმა ანაზღაურებამ, პატრონიმის შიგნით, სისხლის საფასურის ერთობლივი გადახდის პრაქტიკას ჩაუყარა საფუძველი. სისხლის ღირებულება მკვლელობის ხასიათზე, შეურაცხყოფის ხარისხზე იყო დამოკიდებული. ამავე დროს, სისხლის საფასური მოკლულის მხრიდანაც პატრონიმის ინდივიდუალურ ოჯახებზე ნაწილდებოდა. პატრონიმის ყველა წევრი მოკლულის ჭირისუფლად ითვლებოდა¹.

ამრიგად, ურთიერთდახმარების უნივერსალური წესი, საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე უნდა ჩამოყალიბებულიყო. დიდი ოჯახის სეგმენტაციის შემდეგ წარმოქმნილი მცირე სოციალურ-ეკონომიკური ერთეულები ერთმანეთისაგან, როგორც სამეურნეო, ისე მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას გრძნობდნენ, რაც სანქცირებულ უფლება-მოვალეობათა ნორმების და ქცევის რეგლამენტაციის, სოციალურ ეთიკურ-მორალურ ასპექტებს ემყარებოდა.

თანამედროვე ოსი ხალხის, საერთო წინაპრისაგან წარმომავლობის იდეამ, სხვადასხვა სალოცავების, მათ შორის კერიის (წინაპრის) კულტი წინ წამოსწია. ტრადიციული სოციალური ორგანიზაციების საერთო სარგებლობის აკლდამებმა (ზაპპად) და სასაფლაოებმა იდეოლოგიური მნიშვნელობა შეიძინა. მართალია, ოსები, ორ მსოფლიო რელიგიას ქრისტიანობას (VI-X სს) და მუსლიმობას (XIII-XIV სს) ეზიარნენ, მაგრამ, მხოლოდ ნაწილობრივ. მართალია, ისინი ძველად იხსენიებოდნენ „ქრისტიანებად“ ან შემდგომ „მუსლიმანებად“, მაგრამ, სინამდვილეში, რ. შტაკელბერგის² სიტყვებით რომ ვთქვათ – სამი სხვადასხვა რელიგიური სისტემის ხასიათს ავითარებდნენ. ამ თვალსაზრისს, ოსი მეცნიერებიც იზიარებდნენ, თუმცა სხვა რელიგიებთან შედარებით წინ ყოველთვის პირველყოფილ რწმენა-წარმოდგენებს აყენებდნენ³.

პატრონიმული ორგანიზაციის იდეოლოგიური ერთობლიობა, ორივე კომპონენტის, სოციალურისა და რელიგიურის საშუალებით ყალიბდებოდა. მათ ყოფაში ოსური მსოფლმხედველობა უფრო მეტად, ადრე არსებული რწმენის სისტემას გამოხატავდა. ხალხურ წარმოდგენებში ბევრი წესი გვხვდებოდა, რომელიც სათავეს ძველი, წარმართული დროიდან იღებდა. ამავე დროს, იდეოლოგიური ერთობლიობის გამოხატულება პატრონიმის მონოლითობის განმტკიცებას, საერთო წარმოშობის დღეობა-დღესასწაულის ჩამოყალიბების, ერთობლივად ჩატარების პრაქტიკას და დაკრძალვის გარკვეულ ტრადიციას ითვალისწინებდა.

საერთო წარმოშობის საფუძველში, ნათესაურ კავშირში, სოციალური ასპექტი იღო. აქედან გამომდინარე კი, სახელწოდებას ეპონიმი განსაზღვრავდა. ეპონიმი წინაპრის სახელს ემთხვეოდა, რომელიც ერთ-ერთ მოქმედ გენეალოგიურ შტოს ედებოდა სახელწოდებად. სოციალური ერთობლიობა, წინაპრის მიმართ, სისხლისმიერ ნათესავეებს, პატივისცემას ავალდებულებდა. ოსური პატრონიმული ორგანიზაცია მის მამაკაც წევრებს შორის იერარქიულ ურთიერთობას ქმნიდა. მამაკაცები უხუცეს წევრს ემორჩილებოდნენ, რომელიც ორგანიზაციას მეთაურობდა და თვით გვარის უხუცესის აზრსაც ითვალისწინებდა. აქ მაინც, პირველ ადგილზე წინაპრის კულტის საკითხი იდგა, რომელიც მიცვალებული წინაპრისადმი თაყვანისცემაში გამოიხატებოდა. პატრონიმული ორგანიზაციის ხელმძღვანელის სული გარდაცვალებისთანავე სხვა წინაპართა სულებს უერთდებოდა და ძღვევამოსილი ხდებოდა. ისინი ყველანი ერთად საკუთარი პატრონიმული ორგანიზაციის წევრების კეთილდღეობის სამსახურში დგებოდნენ და მათი მფარველებიც ხდებოდნენ. ცოცხლადდარჩენილებს, ზვარაკის და კვერების შეწირვასთან ერთად, მათ სულებზე უნდა ელოცათ და ამით, მათ მიმართ ზრუნვა გამოეხატათ.

წინაპრის კულტს უკავშირდებოდა ქორწილის დროს პატარძლის კერიას გარშემოტარება და მასთან ამრიგად ზიარების პროცესი, გარდაცვალების შემდეგ კი, მიცვალებულისათვის კერიაზე გაკეთებული საკვებით შინაურების გამოკვება, ან სტუმრების, რაც თავისთავად მიცვალებულთა გამოკვების ტოლფასი იყო⁴. ამავე დროს, ამ კულტს უკავშირდებოდა შურისძიების აქტის ჩატარება, სისხლ-მესისხლეობის შემთხვევაში. მოსახლეობის თვალსაზრისით ცოცხლადდარჩენილებისაგან მოკლული ნათესავი არა მარტო საკვებსა და ტანსაცმელს, არამედ შურისძიებას, სისხლის აღებასაც ავალდებულებდა, რადგან მოკლული სამოთხეში ვერ მოხვდებოდა, თუ მას შურისძიებით, სისხლით არ დააკმაყოფილებდნენ.

გარდა ზემოთქმულისა, პატრონიმული ორგანიზაციის სოლიდარული ურთიერთობა, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებულ დღეობა-დღესასწაულებში ერთობლივ მონაწი-

¹ Магомедов А.Х., dasax. naSromi, gv. 431-444; Чиковани Г.Д., dasax. naSromi, gv. 88-99.

² Штакельберг Р., Главные черты в народной религии осетин, Юбилейный сборник посвященный Миллеру Н.Ф. (Москва, 1900), с. 20.

³ Магомедов А.Х., dasax. naSromi, gv. 469-470.

⁴ Меликишвили Л.Ш., Некоторые стороны осетинского свадебного ритуала, Кавказский Этнографический Сборник, V-2 (Тбилиси, 1979), с. 180; Магомедов А.Х., dasax. naSromi, gv. 476.

ღეობასაც აძლიერებდა. მფარველი „ძუარების“ (სალოცავები, ჯვარი) და წინაპრებისადმი მიძღვნილი ლოცვა-ღეობები ოსეთის ოთხივე ხეობისათვის იყო დამახასიათებელი. რესპოდენტების სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ „საგვარო სალოცავი“, ანუ პატრონიმული სალოცავი ჰქონდათ. როგორც ჩანს, პატრონიმიის წარმოშობის ერთიანობის, თავისი ერთობლიობის ფუნქცია თავის თავზე გაუყოფელმა საოჯახო კოშკმა აიღო. შინა ომების დროს კოშკი მთელი პატრონიმიის თავდაცვას ემსახურებოდა, ხოლო თანდათანობით თავისი მნიშვნელობის შეცვლასთან ერთად პატრონიმიის იდეოლოგიური ერთობლიობის სიმბოლოდ – „ძუარ მასივ“-ად გადაიქცა. მაგრამ შემდგომი განვითარების შედეგად, პატრონიმული ორგანიზაციის რღვევისა და სოფლის ფორმირების შემდეგ, თანდათან იგი სოფლის მფარველად იქცა, ე.ი. ოჯახის, სახლის მფარველი ღვთაება ჯერ პატრონიმულ და მოგვიანებით, სოფლის ღვთაების რანგში მოგვევლინა, რაც იმის მიზეზი იყო, რომ დასახლების პატრონიმული ფორმის რღვევამ, შორ მანძილზე გადასახლებაში, მიგრაციამ, პატრონიმული ერთიანობაც დაარღვია. აქედან გამომდინარე, პატრონიმულმა სიწმინდემ, ღვთაებამ, კოშკმა ახალი მნიშვნელობა შეიძინა. ნათესაურიდან, არანათესაური, ტერიტორიული მნიშვნელობა მიიღო¹.

გარდაცვლილი წინაპრებისადმი მიძღვნილი და პატრონიმული ღვთაება – დღესასწაულების დროს აუცილებელი იყო მსხვერპლშეწირვის რიტუალის ჩატარება, რომელიც პატრონიმული ორგანიზაციის ერთდროულ მონაწილეობას მოითხოვდა. პატრონიმიის წევრები რეგულარულად იკრიბებოდნენ სალოცავ კოშკში და ღვთაებების სახელზე დღესასწაულებს აწყობდნენ. ამ შემთხვევაში კულტის მსახურის – „ძუარილაგ“ – როლს, პატრონიმიის მეთაური ირგებდა. ისინი საერთო ძალებით ხარშავდნენ სარიტუალო ღუდს, რომელიც მხოლოდ ამ დღესასწაულზე მოიხმარებოდა.

ერთ-ერთი გამოსატყულება პატრონიმული ორგანიზაციის იდეოლოგიური ერთობლიობის აკლდამა იყო. ვისაც აკლდამა არ ჰქონდა, თავის მიცვალებულს „საგვარო“ ე.ი. პატრონიმულ სასაფლაოზე (კუთვნილ მიწაზე) ან სოფლის საერთო სასაფლაოზე კრძალავდა. ამ საერთო სასოფლო სასაფლაოზე ყველა პატრონიმიას თავისი ნაკვეთი ჰქონდა გამოყოფილი. ოსი მოსახლეობა მიცვალებულებს დახმარებისთვის ხშირად მიმართავდა, რადგან, მათი აზრით, ისინი გარდაცვალების შემდეგაც განაგრძობდნენ ახლობლებზე ზრუნვას და საოჯახო დოვლათსაც იცავდნენ. ოსეთის ხეობებში დღესაც შემორჩენილია აკლდამები, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „მკვდარ უბანს“ უწოდებდა. მაგალითად, ასეთი „მკვდარი უბანი“ დიგორიაში, გალიათის ხეობაში, სოფელ დარგავსში და სხვ. არის შემორჩენილი. ამ „მკვდარ უბნებზე“ უწესრიგოდ გაფანტულია ქვისაგან ნაშენი აკლდამები, რომლებსაც ერთი კარი, ერთი პატარა ფანჯარა და სახურავი წაწვეტებული, მაღალი აქვთ. გარეგნულად ისინი მცირე ზომის პირამიდებს მოგვაგონებენ. ნაგებობაში, რომელსაც ჭერი არა აქვს, მიცვალებულის გამომშრალი გვამების ნარჩენებია, რომელთაც ტანზე უკვე ძონძები აცვიათ. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში პატრონიმული ორგანიზაციის მახასიათებლებიდან ოსეთში ყველაზე მყარი, სწორედ იდეოლოგიური ერთობლიობა იყო².

ამრიგად, მამისეულ საცხოვრებელ ნაგებობაში ხაძარი თავისი წმინდა კერით ე.ი. წინაპრის კულტით, სალოცავი კოშკით და აკლდამითა თუ სასაფლაოთი, ოსებში პატრონიმიის იდეოლოგიური ერთობლიობის სიმბოლოდ უნდა ჩაითვალოს.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ოსები ინდივიდუალურ ოჯახებად სახლდებოდნენ. ამის თქმის უფლებას მრავალი ინფორმატორისაგან ჩაწერილი გადმოცემები, ეთნოლოგიური ლიტერატურა იძლევა. გადმოცემები XX საუკუნის 60-იან წლებში ოსურ მოსახლეობაში ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი. როგორც ჩანს, პირველმოსახლეების სახელები დიდხანს შემორჩა მათ მახსოვრობას, რადგან იგი არა მარტო მეორეულ (ექვსი, ხუთი თაობის) დიდ ოჯახებს, არამედ პატრონიმულ ორგანიზაციებსაც ედებოდა საფუძვლად. ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე მათ დაახლოებით მსგავსი ტერიტორიული თუ მეურნეობრივი გარემოპირობები დახვდათ. ამდენად პატრონიმულ ორგანიზაციებს იქ გარკვეული დროის მანძილზე, როგორც ტერიტორიული, ისე მეურნეობრივი და იდეოლოგიური ერთობლიობა შეუნარჩუნდათ. იდეოლოგიური ერთობლიობის ცენტრს აქაც, თავდაცვის კოშკი წარმოადგენდა. ასე მაგალითად, სოფ. ზარამაგში, მხოლოდ პირველმოსახლეებულთ – მაკაევის, თეკაევის და ძოწიევის პატრონიმიებს ჰქონდათ თავდაცვითი კოშკები და მასთან ერთად სალოცავიც.

დიდი ოჯახების შემდგომი ზრდისა და ინდივიდუალურ ოჯახებად დაშლის შემდეგ, მოსახლეობამ, თანდათან მთიდან ბარის მიმართულებით დაიწყო მიგრაცია. ამდენად, თუ ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე მათი პატრონიმიები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ პატრონიმულ სხვა-

¹ Робакидзе А.И., Гегечкори Г.Г., dasax. naSromi, gv. 83-95.

² Магометов А.Х., dasax. naSromi, gv. 378.

დასხვა ხასიათის ერთობლიობას, ამ შემთხვევაში, მხოლოდ იდეოლოგიური ერთობლიობა შემორჩა, ისიც დროებით. პატრონიმიული დღეობა-დღესასწაულისათვის ხარჯის გაწევა და ორგანიზაცია ინდივიდუალურ ოჯახებს რიგის მიხედვით ევალებოდათ, ხოლო, პატრონიმიის მეთაური ყოველთვის რიტუალების შემსრულებელი და ხატის მთავარი მსახურის (ძუარი ლოაგ = ჯვარის კაცი) მოვალეობას ასრულებდა. საზვარაკე პირუტყვსაც იგი კლავდა. საზვარაკე პირუტყვი დღესასწაულებზე აუცილებელი ატრიბუტი იყო, განაყარი ოჯახები ან რიგის მიხედვით, ან (მოგვიანებით) შეგროვილი საერთო თანხით იძენდნენ. ასეთ დღესასწაულებზე დასწრების უფლება მხოლოდ პატრონიმიის წევრებს ჰქონდათ.

ჩამოსახლებულთა შორის ისტორიულ დვალეთში ოსებს პატრონიმიულ აკლდამებში დაკრძალვის ტრადიცია არ ჩამოუტანიათ, საქართველოში ისინი მთლიანად დაკრძალვის ინჰუმაციურ წესს იყენებდნენ. ამიტომ, ისინი ან პატრონიმიულ სასაფლაოებს იმკვიდრებდნენ ან, საერთო სასოფლო სასაფლაოზე მათი პატრონიმიებისათვის ნაკვეთები ცალკე ჰქონდათ გამოყოფილი.

შემოხიზნულმა ოსურმა მოსახლეობამ, რომელიც ქართული მოსახლეობის გვერდი-გვერდ ცხოვრობდა და დვალეთში ქართველური მოსახლეობის გარკვეული ნაწილის გაოსებაც მოახერხა, ქართული კულტურისა და ტრადიციის ძლიერი გავლენა ყოფის ყველა სფეროში განიცადა, მათ შორის რელიგიურიც. ეს გავლენა გარკვეულ თავისებურებებში გამოვლინდა. ქრისტიანული რელიგიის დრამა შეჭრის შედეგად, თანდათან ოსების პატრონიმიული ღვთაებები ქრისტიანულ წმინდანებს შეერწყნენ: საქორწინო წყვილთა კეთილდღეობისა და ნაყოფიერების ღვთაება – წმ. მარიამს (მადეირამს), მამაკაცებისა და ოჯახის მფარველი ღვთაება – წმ. გიორგის (ვასტერჯის), ჭექა-ქუხილის, წვიმისა და ყველა წყლის ღვთაება – წმ. ელიას (უაცილას), ასევე მეურნეობაში ნაყოფიერების ნიშნით დაჯილდოებული წარმართული ღვთაება – წმ. მიქელგაბრიელს (მიქალგართას) და სხვ. ამავე დროს, მათი დღესასწაულებიც თანდათან დროში ქრისტიანულს ემთხვეოდა. სათავეში ამ პანთეონს ხუიცაუი ძუარ ე.ი. წმინდა ღმერთი (წმინდა ჯუარი) უნდა ჩასდგომოდა. წმინდა ჯვრები ე.ი. ძუარები თანდათან პატრონიმიულიდან საზოგადოებრივი, ჯერ სოფლის და შემდეგ ხეობის იდეოლოგიური ცენტრიც ხდებოდნენ. ასეთი იყო მაგალითად – ხუიცაუი ძუარი, რომელსაც მატერიალური გამოსახულებაც სხვაგვარი ჩამოუყალიბდა. მან უკარ-ფანჯრო, ყრუ ქვის ნაგებობის, გარეგნულად ქრისტიანული სამლოცველოს ფორმა მიიღო. იგი სიმბოლურად კოშკის მსგავსად, ზემოთ ნაწილში ვიწროვდებოდა და ორფერდა სახურავით მთავრდებოდა. ამ ძუარის წარმართული ღვთაება მამაკაცთა მემკვიდრეების გამრავლების სასწაულმოქმედი ღვთაება იყო, რომელიც მთავარ, წმინდა ღმერთს შეერწყა. თუმცა, ნაწილობრივ კვლავ წარმართული დარჩა. ამ წმინდანს გათხოვილი ქალები ვაჟის დაბადებას სთხოვდნენ. რამდენი ვაჟიც არ უნდა გასჩენოდა ქალს, მისი ოჯახი ამ სალოცავს ზვარაკს შესწირავდა და საკლავს იქვე დაკლავდა¹. ქორწილის დროსაც პატარძალი თავდაპირველად ამ სალოცავთან მიჰყავდათ და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა მისი ხაძარში კერძისთან ზიარება. ვ. მილერიც, ქართლის მთიანეთში და კერძოდ, ისტორიულ დვალეთში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების გაანალიზების შედეგად, „ხუიცაუი ძუარს“ სწორედ გვარში მემკვიდრე ვაჟების გამრავლებას უკავშირებდა. ამ მთავარ ძუარს ქართული ეკლესიების მსგავსად სახნავი მიწაც ჰქონია, რომელსაც ახალგაზრდა, „სუფთა“, ყმაწვილი ბიჭები ხნავდნენ. მოწეული მოსავალი კი, მხოლოდ სარიტუალო სასმელის ღუდის მოხარშვას ხმარდებოდა².

ამრიგად, საქართველოში ჩამოსახლების შემდეგ ოსურმა პატრონიმიის სალოცავმა ხატმა, ნაგებობამ და თვით რიტუალმაც ქართული ქრისტიანული რელიგიის გავლენა განიცადა. თუმცა, სტრუქტურითა და ფუნქციით ისინი მფარველი ღვთაებების სახით ერთი და იმავე მიზანს – პატრონიმიის იდეოლოგიურ ერთობლიობას ემსახურებოდნენ.

¹ Магометов А.Х., *iqve*, gv. 480-484.

² Миллер В.Ф., *Осетинские этюды*, ч. II (Москва, 1882), с. 251.

1. b. gamyrelize, *centraluri kavkasiis mtielTa alpuri mesaqonleoba* (Tbilisi, 1982).
2. Бердзенов Н., Кровная месть у осетин, *Кавказ*, №67 (1852).
3. Гаглоева З.Д., Осетинский "Рвалдата", доклад на VII международном конгрессе антропологических и этнографических наук (Москва, 1964).
4. Гаглойти З.Д., *Очерки по этнографии осетин* (Тбилиси, 1974).
5. Калоев Б.А., *Осетины (историко-этнографическое исследование)* (Москва, 1967).
6. Кантария М.В., Некоторые вопросы земледельческого быта в Горной Осетии, *Кавказский Этнографический Сборник*, V-3 (Тбилиси, 1980).
7. Ковалевский М., *Современный обычай и древний закон, в двух томах, репринтное воспроизведение* (Владикавказ, 1995).
8. Косвен М.О., Из истории родового строя в Юго-Осетии, *Советская этнография*, №2, 1936.
9. Косвен М.О., *Семейная община и патронимия* (Москва, 1963).
10. Магомедов А.Х., *Культура и быт осетинского народа* (Орджоникидзе, 1968).
11. Меликишвили Л.Ш., Некоторые стороны осетинского свадебного ритуала, *Кавказский Этнографический Сборник*, V-2 (Тбилиси, 1979).
12. Миллер В.Ф., *Осетинские этюды*, ч. II (Москва, 1882).
13. Пфаф В.Б., Этнологическое исследование об осетинах, *Сборник сведений о Кавказе*, вып. II (Москва, 1872).
14. Робакидзе А.И., Гегечкори Г.Г., Формы жилища и структура поселения горной Осетии, *Кавказский Этнографический Сборник*, V-1 (Тбилиси, 1975).
15. Робакидзе А.И., Особенности патронимической организации у народов горного Кавказа, *Советская этнография*, №5 (1968).
16. Хетагуров К., *Быт горных осетин* (Сталинир, 1939).
17. Чиковани Г.Д., Осетинский ныхас, *Кавказский Этнографический Сборник*, V-2 (Тбилиси, 1979).
18. Штакельберг Р., Главные черты в народной религии осетин, *Юбилейный сборник посвященный Миллеру Н.Ф.* (Москва, 1900).

SALOME BAKHIA-OKRUASHVILI

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

TO THE PROBLEM OF SOCIAL RELATIONS IN OSSETIANS

The close kindred link between the individual Ossetian families segmented from one large family is confirmed by the following descriptive terms: "yu fd frt" (children of one father) and "yu artai baiuarga" (divided from one focus, from one hearth). Such a social institute in scientific literature is called a Patronymic organization. In old days, such an organization had certain functions in social, economic and religious life. Ossetian Patronymy had a complex and peculiar structure. Among its peculiarities were – strict exogamy throughout seven generation; existence of the norms of certain rights and obligations of males according to the categories of relatives in ascending line; territorial integrity; collective labor organization; the forms of mutual material and moral support; the practice of joint celebration of traditional ceremonies. Apart from males, there were their sisters and daughters considered to be the members of the Ossetian Patronymic organization. Although after marriage they had to leave the family, they were considered to be the members of the Patronymic organization of their fathers and brothers throughout their life.

„ბატონები“ და ბატონებთან დაკავშირებული ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სამკურნალო ტრადიციები, რომლებიც სათავეს საუკუნეების მიღმა იღებს, წესჩვეულებებში გადახლართული ემპირიული გამოცდილების გარდა, რელიგიურ ფესვებზეც იყო აღმოდგენილი. ეს ცოდნა და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები, კოდირებული იყო შესატყვის ტერმინოლოგიაში, საკრალურ სიმბოლოებში, სამკურნალო ხასიათის შელოცვებში, რაც რიტუალიზებულ, მაგიურ თუ მისტიკურ ქცევებში პოულობდა გამოხატულებას. სამკურნალო ჩვეულებების ამსახველი ლექსიკა ტრადიციულობით გამოირჩეოდა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით, საყმაწვილო სნეულებები და მათი აღმნიშვნელი სახელწოდებანი უნდა გამოიყოს. საყმაწვილო სნეულებათა აღმნიშვნელი ტერმინოლოგია, როგორც სპეციალური გამოკვლევებითაც დადგინდა, ძველქართულ სამკურნალო ლიტერატურაში სათანადო ასახავს პოულობდა. მაგალითად: ასეთია, **მატავრა, სამარტვილო, უქმური, ფუთხი...** მათგან ერთი ნაწილი, მაგალითად, **კოკოცა** და **დაბუჯა** ზანური ენის საფუძველზე იხსნება, ხოლო მეორე ნაწილი – **კოწიწა, დიკა, შრატა** ქართული ენის აჭარული დიალექტისათვის იყო დამახასიათებელი. ნ. ნოღაიდელის მასალებით, გამოვლენილ ტერმინთა ერთი ნაწილი მთლიანი დიალექტისთვისაა ნიშანდობლივი, ნაწილი კი ლოკალური – სახეობო ხასიათისაა, ვთქვათ ისეთები, როგორებიცაა **კოკოცა, კოწიწა, კოკიწა, შრატა, ჩუთყავილა, ყვავილწყალა, დაბუჯა, ყაყვირა...**¹. დასახელებულ სნეულებათა აღმნიშვნელი სახელწოდებების დიდი ნაწილი იმ ღვთაებათა სახელები იყო, რომლებიც იერარქიულ სისტემაში ხოთნურ ღვთაებათა რიგს განეკუთვნებოდნენ. ისინი მაშინ რისხდებოდნენ, როცა მათ კონკრეტულად ეხებოდნენ. ღვთაებებს შეეძლოთ ადამიანს „შეყროდნენ“. სნეულების სახელწოდება, შესაბამისად, ღვთაების სახელის მატარებელი გახდა. დასაშვებია, ამის გამოც იყო სნეულების გამოსახატავად მოსახლეობა ისეთ ცნებებს რომ იყენებდა, რომლებიც სულიერი არსების მოქმედებებს გადმოგვცემდა. ასეთი ცნებებია: **შეყრა** („უქმური შეყვარა“-ო), **მოხდა** („ბატონები მოიხდა“-ო), **დაბრძანება** („ბატონები დაუბრძანდა“-ო)... დასავლეთ საქართველოში ბატონებისადმი, როგორც ღვთაებრივი არსებებისადმი დამოკიდებულება სხვა არანაკლებ საინტერესო საგალობლებშიც მკაფიოდაა ასახული. მაგალითად: „ბატონებო, ბატონებო, ლამაზო და მშვენიერო, როგორც ტკბილად მობრძანდი, ისე ტკბილად წაბრძანდი, დაუტკბე და დაუშაქრე, ჩვენს პატარას“. თ. სახოკია 1904 წლის 16 აპრილის პარიზის ანთროპოლოგთა საზოგადოების სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში – „ყვავილ-ბატონები საქართველოში (ერთი გვერდი სახალხო ექიმობისა)“ – აღნიშნავდა, რომ „გადამდები სენი, როგორც ყვავილი, წითელა, ქურმუშა, შავი ჭირი, ხორელა ქართველებს მიანდათ სულეზად, ადამინთა მსგავსად. ამ სულელებს შეუძლიათ სიარულით გადაინაცვლონ ადგილი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათთვის არ არსებობს უგზობა, თავისუფლად გადაეშვებიან ხოლმე მაღალი მთების მწვერვალებზე, არაფრად უჩანთ გასცურონ ზღვები და ოკეანეები“². აღნიშნულ ღვთაებათა სულიერება ნათლადაა გადმოცემული გურიაში, ოზურგეთში 1941 წელს გ. ჩხიკვაძის მიერ ჩაწერილ „ბატონებისადმი“ მიძღვნილ ერთ-ერთ საგალობელში: „ბატონებო მოუოხეთ, მოუოხეთ ბატონებო, ლამაზი ბატონებია, ია და ვარდი ფენია, თეთრი ტანისამოსებით, მობრძანდებიან ბიჭები, ლამაზი ბატონებია, ია და ვარდი ფენია. ბატონებს ეხვეწებიან, ეხვეწებიან ბატონებს, შემოგწირავ იას და ვარდს და დაგინთებ წმინდა ბაზმას. თეთრი ცხვარის და თხის ჯოგი მირბის, თიკანმა იხტუნა, გაუხარდა ბატონებსა და უცბად პირი იბრუნა“. აღნიშნული საგალობლის ანალიზის საფუძველზე გ. ჩხიკვაძე ასკვნიდა, რომ მიუხედავად ავადმყოფობის განსახიერებისა, ბატონები კეთილ სულეზად იყო წარმოდგენილი, რადგან მათ ადამიანის განკურნებაც შეეძლოთ. ამიტომაც, მოსახლეობა მიიჩნევდა, რომ ბატონების წინაშე წინდაუხედავად არ უნდა მოქცეულიყავი, დარდი არ უნდა შეგემჩნია და მის მობრძანებას სიმღერა-დაკვრით და ცეკვა-თამაშით უნდა შეხვედროდი³.

ბატონების ტიპის სნეულებათა სახელებს ტრადიციულ საზოგადოებებში მოკრძალებით ახსენებდნენ, რაც მათ ღვთაებრივ ბუნებაზე მიანიშნებდა. სპეციალურ ლიტერატურაში ბატონე-

¹ ნ. ნოღაიდელი, ხალხური მედიცინის ლექსიკიდან (აჭარული მასალა), *რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები* (თბილისი, 1988), გვ. 53.
² თ. სახოკია, *ეთნოგრაფიული ნაწერები* (თბილისი, 1956), გვ. 23.
³ გ. ჩხიკვაძე, *ქართველი ხალხის უძველესი სამუსიკო კულტურა* (თბილისი, 1948), გვ. 24-25.

ბისადმი ფრთხილი დამოკიდებულების არსი უკვე განსაზღვრულია. სამკურნალო საგალობლებს – იანანა (იანანო), ბატონების ნანინა, საბატონო, საბოდიშო, ბატონების ნანინა, რომელთაც ინფექციური ავადმყოფობით (წითელა, ყვავილი, ქუნთუშა...) დაავადებულთ უმღეროდნენ, გარკვეული ფუნქციები გააჩნდათ და ოჯახზე განრისხებულ ღვთაებათა გულის მოგებაზე იყო გათვალისწინებული. თვით სახელწოდებებიც, გ. ჩხიკვაძის აზრით, სიმღერის დანიშნულებასთან იყო მჭიდრო კავშირში. მაგალითად, სიმღერა „ბატონებო“ ბატონებისადმი მიმართვას აღნიშნავდა. სიმღერა განრისხებული ბატონებისათვის ბოდიშის მოხდის მიზნით სრულდებოდა. „იანანას“ საგალობელიც ბატონების ციკლშია გაერთიანებული. დადგენილია, რომ იგი უმეტესად აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად ქართლსა და კახეთში იყო გავრცელებული, თუმცა რაჭაშიც გვხვდებოდა, ხოლო „ბატონებსა“ და „საბოდიშოს“ მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით, იმერეთსა და გურიაში მღეროდნენ¹. „იანანას“ საგალობლებიდან სანიმუშოდ შეგვიძლია ტიპური მაგალითი დავასახელოთ: „იავ ნანო“² – „იავ ნანო, ვარდო ნანო, იავ ნანინაო, აქ ბატონები მობრძანდნენ, იავ ნანინაო, ბატონებო მხიარულნო, იავ ნანინაო, თქვენსა გზასა ია-ვარდო, იავ ნანინაო, თქვენ წაბრძანდით, ჩვენ დაგვეტოვეთ, იავ ნანინაო, თქვენი გზა დაილოცება, იავ ნანინაო, იავ ნანო, ვარდო ნანო, იავ ნანინაო“. ნათლად ჩანს, რომ „იანანა“ და „ბატონები“, იგივე, „საბოდიშო“, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა სახელწოდებებით აღინიშნებოდნენ, ტექსტუალურად საერთო შინაარსისა და დანიშნულების მატარებელი იყვნენ, თუმცა, როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, ერთმანეთისაგან მუსიკალურად საკმაოდ განსხვავდებოდნენ³. ბავშვთა ინფექციური დაავადებებიდან განსაკუთრებით საყურადღებო ჯგუფს „ბატონები“ რომ ქმნის – აქ მკაფიოდ ჩანს. ბატონების სამკურნალოდ არა მარტო ისტორიულად ჩამოყალიბებული პრაქტიკული ცოდნა, არამედ ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების საფუძველზე განხორციელებული საკრალური რიტუალებიც გამოიყენებოდა. ბატონები მრავლობით რიცხვში მდგარი ტერმინია და შემკრებლობითი შინაარსისაა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ქართულ მითოლოგიაში იგი იმ სულების ერთობლიობას აღნიშნავდა, რომელთაც ინფექციური დაავადებანი მოჰქონდათ. ასეთი იყო წითელა, ხველა ბატონები, დიდი ბატონები... აჭარაშიც ბატონების ციკლიდან რამდენიმე ინფექციური დაავადება გამოიყოფოდა: ხველა ბატონები (კოწიწა/კოკიწა/კოტიტა/კოკოცა)⁴, წითელა ბატონები, ყბაყურა (დაბუჯა), ყვავილი, წყლის ყვავილი (მღრ. ყვავილწყალას)... აჭარაში, ბატონების ციკლში შემავალი საყმაწვილო ინფექციური დაავადებებიდან ყველაზე გავრცელებული იყო წითელა (წითელა ბატონები), დიდა ბატონები, გოჯა-წმინდანი, ხველა (ხველა ბატონები)... იმერეთში ძირითადად ცნობილი იყო ხველა, ფუნთრუშა, წითელა, ყბაყურა, ყელჭირვება, ხოლო ქართლში – ყბაყურა, ყალა-თმები, ქუნთრუშა, წითურა (წითელა-ბატონები), ყვავილი, ყიანხველა...⁵.

ხველა ბატონების (კოწიწას) დამახასიათებელი სიბტომი გამოკვეთილი ხველება იყო, რასაც, თვითმხილველთა გადმოცემით, ბავშვის დახრჩობაც კი ძალუძდა. კოწიწათი დაავადებულს ცხვირიდან სისხლის დენა ეწყებოდა. ასეთი ავადმყოფის საპნით დაბანა არ შეიძლებოდა. დასაბანად კვერცხს იყენებდნენ. აჭარაში, მოსახლეობის დაკვირვებით, კოწიწათი დაავადებულნი 40 დღის მანძილზე გაძლიერებულად ახველებდა, სივდებოდა და ხრჩობის იმიტაციასაც ქმნიდა. ორმოცი დღის შემდეგ ხველა კლებულობდა და თანდათანობით ქრებოდა. ამ ავადმყოფობის ხანგრძლივობის ვადა ორმოცი დღე იყო.

წითელა ბატონების შეყრისას ბავშვს ტანზე და სახეზე წითლად გამოაფენდა. წითელა როგორც საყმაწვილო ინფექციური დაავადება, სამი დღის განმავლობაში „მატულობდა“, ხოლო მომდევნო სამ დღეში – „კლებულობდა“. ეს ავადმყოფობა წითელ ფერს ეგუებოდა. ამიტომ, ოთახს, სადაც წითელათი დაავადებული ბავშვი იწვა, ახლობლები წითელი ნაჭრებით რთავდნენ, ავადმყოფსაც წითლებს აცმევდნენ. ბავშვს საწოლში ჭრელ ქსოვილებს, ტანსაცმელს – ეგრეთ წოდებულ **ურბას** აყრიდნენ. ტრადიციული რწმენით, წითელა ბატონს წითელი ფერი სიამოვნებდა, წითელ ფერთა გარემოში ხარობდა. იგი წითელ ნაჭრებს ეთამაშებოდა და ამით ერთობოდა. ავადმყოფობის პერიოდში ბავშვისათვის ყველა თხოვნა უნდა აგესრულებინა და მის გაღიზიანებას უნდა მორიდებოდა. საწინააღმდეგო შემთხვევაში, შესაძლოა, უნებურად წითელა ბატონის განრისხება გამოგეწვია. იქ, სადაც ბავშვი იწვა ცეცხლის დანთებას ერიდებოდნენ. გარდა ამისა, ოთახში არათუ საჭმლის ხარშვა, წყლის დუღილიც კი იკრძალებოდა. კარგი მოვლით წითელა სამ-ოთხ დღეში ცხრებოდა. ანალოგიურ სურათს საქართველოს სხვა კუთხეებ-

¹ გ. ჩხიკვაძე, იქვე, გვ. 22-23.
² ან. ბენაშვილი, *ქართული ხმები – ხალხური სიმღერები* (ტფილისი, 1885), გვ. 40.
³ გ. ჩხიკვაძე, *ქართველი ხალხის უძველესი...*, გვ. 24.
⁴ ხველა ბატონებს აჭარისწყლის ხეობაში **კოწიწას**, ხოლო კინტრიშის ხეობაში – **კოკოცას** ეძახიან.
⁵ ნ. მგელაძე, *საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, ქართლი* (1990), ავტორის პირადი არქივი.

შიც ვაწყდებით. მაგალითად, სოფელ მარანში (აბაშის რაიონი) გამოვლენილი ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, წითელა ბატონების დაბრძანების დროს, თუ მშობლები სახლში ბატონების დაბრძანებას დროზე ვერ მიხვდებოდნენ და ბავშვს წამლობას დაუწყებდნენ, მაშინ, შესაძლოა, ისინი გაბრაზებულიყვნენ, რის გამოც ბავშვი ცუდად შეიქმნებოდა. ასეთ ვითარებაში ოჯახის გამოცდილი ახლობელი ბავშვის ავადმყოფობის მიზეზს ჩაწვდებოდა და მობოდიშების მიზნით სხვადასხვა ჩვეულებას მიმართავდა. თავდაპირველად, თუ ზამთარი იყო, **ია-იას** მონახავდნენ, უმეტესად, ღობის ძირში დაკრეფდნენ, დანაყავდნენ და მის წვეს ჭიშკრიდან ავადმყოფის საწოლამდე მოაპკურებდნენ, დაჩოქილი გაბრაზებისათვის ბატონებს ბოდიშს მოუხდიდნენ, შემდეგ, სადაც ბატონები იყო დაბრძანებული, იმ ოთახში შევიდოდნენ, იქაც, ასევე, იის წვეს მოასხამდნენ, ბავშვის მშობლებს თოკით ხელ-ფეხს შეუკრავდნენ და ავადმყოფის საწოლქვეშ შეყრიდნენ. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ბავშვს დაეკითხებოდნენ, გამოეყვანათ თუ არა ქვემოდან დასჯილი მშობლები. პატიების შემთხვევაში მშობლები საწოლის ქვემოდან გამოყავდათ. თეთრ წიწილს წითელ ბანტს გაუკეთებდნენ და ბავშვის საწოლთან დასვამდნენ. ყოველივე ამის შემდეგ ბავშვს წითლად გამოაფენდა, რაც ბატონების დაბრძანებას გვამცნობდა.

ყვავილით დაავადებულს კანზე „ტკუაფი ადგებოდა“, წყალი უდგებოდა. მორჩენის შემდეგ იგი სკდებოდა და სახესა და ტანს „დაჩხუბავდა“. ამის გამო ყვავილის შეყრა უკვალოდ არ ჩაივლიდა და მისი ჩაცხრობის შემდეგ ავადმყოფს სახეზე ნაყვავილარი რჩებოდა. ყვავილით დაავადებისას რაიმე განსაკუთრებულ სამკურნალო ხერხებს არ მიმართავდნენ. სამკურნალო ტრადიციები დაავადებულის ტანის დაბანასაც კრძალავდა. გამონაყარი ბუნებრივად უნდა ჩამოცხრალიყო.

წყლის ყვავილმა გამოყრა წითლად იცოდა. ესეც 3-3 დღიანი ციკლის ავადმყოფობა იყო.

უბაყურა (დაბუჯა), რომელსაც გურიაში **ყვავიერას** უწოდებდნენ, ძალზე საშიში დაავადება იყო. მას, დასაშვებია, ბავშვის დახრჩობაც გამოეწვია. ავადმყოფს ყელზე ტილოს აფენდნენ და ცხელ სითხეს ასმევდნენ, ზოგჯერ, გაურეცხავ მატყლს აცხელებდნენ და ბავშვს ყურებზე ადებდნენ.

არსებობს სახადის ტიპის სხვა დაავადებებიც, მაგრამ მოსახლეობაში პოპულარობით **ბატონები** განსაკუთრებით გამოირჩეოდა. იგი საკრალური ბუნების იყო და რიტუალების თანხლებით ინკურნებოდა. ბატონების სახით დემონთა სამყაროს ამ პერსონაჟთა ფუნქციური კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების ღრმად შესასწავლად.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში **ყვავილ-ბატონების** მიმართ ოჯახები ზედმიწევნით სიფრთხილეს იჩენდნენ. როცა მესხურ იჯახში ყვავილი ჩნდებოდა, ბატონების გულის მოგების მიზნით სახლეულის წვევრები უქმობდნენ. ისინი ამით ბატონების გაჯავრებას თავიდან იცილებდნენ ს. მაკალათიას მასალებით, ავადმყოფის დედა კერაზე ცეცხლს არ დაანთებდა და, ბუნებრივია, არც საქმეს მიუჯდებოდა. ავტორის დაკვირვებით, ყვავილიან ავადმყოფს არ წამლობდნენ. მას მხოლოდ უტკებობდნენ, საკრავების დაკვრით ართობდნენ, იანანას უმღეროდნენ. ს. მაკალათიას მიერ სამცხე-ჯავახეთში გამოვლენილი საველე ეთნოგრაფიული წყაროების მიხედვით, ავადმყოფს **ტაბლას** შეუკრავდნენ, რომელზედაც ტკბილელს, დამტკბარ წყალს და შედებილ კვერცხებს ალაგებდნენ. ავადმყოფობის გართულების შემთხვევაში კაკლის ბაზმას ანთებდნენ და ბავშვს მუხლის მოყრით ირგვლივ სამჯერ შემოუვლიდნენ. როცა ავადმყოფი მორჩენას დაიწყებდა, ბატონების გასაცილებლად კოკრებს გამოაცხობდნენ და ბოძზე ჩამოკიდებდნენ – ბატონები ოჯახიდან გაბრძანდნენ¹. გურიაში შეკრებილი საველე მასალებით ა. ნადარია დაადგინა ბატონებთან დაკავშირებული სიუჟეტური სურათის ზოგიერთი ასპექტი. ირკვევა, რომ ბატონები ღამით დაიარებოდნენ და განათება შეეძლოთ. ოჯახის წევრები ასეთ ნათებას თუ შენიშნავდნენ, ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ მეორე დღეს ბავშვს ბატონები დაუბრძანდებოდა. ბატონებს სიტყვლევ სიამოვნებდათ. მეგრელის წარმოდგენით ბატონები ტიტვლები ცეკვავდნენ. ამიტომ მათთვის უკანა ტანი ტიტველი უნდა გეჩვენებინა². **ბატონების ხონჩაში** და **თოლიშ ხვამაში** ათ ცალამდე ყველიანი კვერი შედიოდა, რომელიც იხარშებოდა და თითო სულს ორ-ორი ხვდებოდა. ამ პროცესს თან უფროსი კაცის ლოცვა-კურთხევა ახლდა. ეთნოგრაფიული წყაროებით, საბატონო კვერები მიწისაგან კეთდებოდა. ა. ნადარიას მონაცემებით, ბატონების ხონჩას გზაჯვარედინზე, „სამპოტიკა“ გზაზე დებდნენ. აქვე მიწას აიღებდნენ, პატარა ზომის, სამზე მეტ ბურთივით კვერს გააკეთებდნენ და შვიდ სოფელს შეეფინებოდნენ... – „კაციც არ დაგვიწვინია, ჩიტიც არ აგვიფრენია“³. ა. ნადარია ბატონებისაგან

¹ ს. მაკალათია, *მესხეთ-ჯავახეთი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა)* (თბილისი, 1938), გვ. 111.

² ა. ნადარია, დემონოლოგიის საკითხისათვის საქართველოში, *მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის* (თბილისი, 1980), გვ. 194-195, 197.

³ იქვე, გვ. 197-198.

თავის დახსნის სამ ფაზას გამოყოფს: 1. მსუბუქ ფორმებში გამოვლენილი ბატონებისაგან თავის დასაცავად საკმარისი იყო ფაქიზი მოვლა, იის წყალი, წითელი ფერი და განსაკუთრებით მორიდება; 2. გართულების შემთხვევაში წინა პლანზე მისტიკური ქცევები იწყებდა გამოსვლას, რაც გამოსატყუელი „მობოდიშებაში“ იყო. 3. ბოლო სტადია მაგიურ ხასიათს ატარებდა და **ბატონების გადალოცვად** იწოდებოდა. ა. ნადარიამ გურიაში შეკრიბა მეტად საყურადღებო მასალა, რომელთა აქ მოტანა, ვფიქრობთ, არ იქნებოდა ინტერესმოკლებული. ავტორის მიხედვით, ბავშვს შავად გადააფენდა და ოჯახის წევრები მიხვდებოდნენ ბატონები გაჯავრებულაო. აქ, ტერმინ **მობოდიშებაში** წითლებში ჩაცმული და წითლებით მორთული ცხრა სხვადასხვა გვარის ქალის საბოდიშო ვედრება-გართობა, ფორთხვა იგულისხმებოდა. როცა ავადმყოფს ბატონები დაუბრძანდებოდა, სუფრას გააწყობდნენ – ტკბილეულს ალაგებდნენ, წითლად შეღებილ ცოცხალ ჭუჭყულს გადააბრძანებდნენ¹. თ. სახოკიას თანახმად, ამ ტიპის სულები ადამიანებს ჩამოგავდნენ, საჭმლის მონელების ორგანოები ქონდათ, ტანსაცმელი სჭირდებოდათ, უყვარდათ ადამიანის, მაგრამ არ უყვარდათ ღორის ხორცი. მათ წითელი, თეთრი და ლურჯი ფერები მოსწონდათ და შავი სამოსი სძულდათ. ბატონებშიყვრილის ოჯახის წევრები ცდილობდნენ ბატონების ჟინიანობას სიტყვაშეუბრუნებლად დამორჩილებოდნენ. საწინააღმდეგო შემთხვევაში, მათი წარმოდგენით, ისინი ავები ხდებოდნენ, ცოფდებოდნენ. ძღვენითა და ფერება-აღერსით ბატონების გულის მოგება შეიძლებოდა. თ. სახოკია საკუთარი მონაცემების ანალიზის საფუძველზე ბატონებს მათი იერარქიული უპირატესობითა და ძლიერების მიხედვით ორ, ერთმანეთისგან განსხვავებულ კატეგორიად ყოფდა. პირველ კატეგორიაში ავტორი „დიდ ბატონებს“ – შავ ჭირს, ხორველას, ყვავილბატონს, ხოლო მეორეში – წითელას, ქუნთრუშას, ყელჭირებას, ყივანა ხველას აქცევდა. თ. სახოკია განსაკუთრებით *ბატონებს (ყვავილს)* გამოყოფდა. იგი სამეგრელოში შეკრიბილი მასალების საფუძველზე ბატონების უმთავრეს მახასიათებლებს გადმოგვცემდა. მისი დაკვირვებით, ყვავილი ბატონები ადამიანის მსგავსად, ჯორებზე შემსხდარნი უპრობლემოდ აქეთ-იქეთ დადიოდნენ. მათში გულ-კეთილები და ავებიც ვრია. ბატონების პირველი ჯგუფი კოხტად და გემოვნებით თეთრად შემოსილი და მშვენიერი თმებით თეთრ ჯორებზე შემსხდარნი ქალების სახით წარმოგვიდგებოდნენ. ავგულა ბატონები კი – გრძელწვერებიანი, შავები და შავტანისამოსიანები იყვნენ. ისინი, ზოგჯერ, მღვდლის ანაფორასაც კი ატარებდნენ და სახედნადაც შავი ჯორები ჰყავდათ². თ. სახოკიას მონაცემებით, ამა თუ იმ სოფელში ყვავილის შემოსვლას წინდაწინ იგებდნენ იმით, რომ ავად გასახდომნი, უმეტესად, ავადმყოფის მახლობელი სიზმარში ნახავდნენ – ყვავილი მობრძანდება ჩვენთანო! თუ სიზმარში ნახეს ლამაზი ქალები, მოცეკვავენი, მხიარულნი, სახის კეთილგამომეტყველებიანი და ტკბილად მომღიმარნი, თეთრ, ბრჭყვიალა კაბებიანი, მაშინ ეს კარგის ნიშანი იქნებოდა. ამ შემთხვევაში იმედი ჰქონდათ, რომ ავადმყოფობა მშვიდობიანად ჩაივლიდა და ავადმყოფის სახეს მსუბუქ კვალს დაამჩნევდა. თუ სიზმრად ნახავდნენ შავ ბატონებს, მაშინ დარწმუნებული იყვნენ, რომ ამა თუ იმ ოჯახს სიკვდილი კარებზე უეჭველად დაუკაკუნებდა. სამეგრელოში თ. სახოკიას ჩაუწერია სიზმარი, რომლის თანახმადაც, მეზობლებს თითქოს სოფლისკენ მიმავალი შავი დიდწვერა, შავტანისამოსიანი და შავ ჯორზე შემჯდარი კაცი უხილავთ. შავი ბატონებისაგან გარდაცვლილის მეზობელს, დაკრძალვის შემდეგ, სიზმრის შესახებ განუცხადებია. ავტორის მიხედვით, ყვავილის ეპიდემიის გაჩენა სამეგრელოს სოფლებში მოსახლეობას თავზარს სცემდა და თუ ეკონომიკური მდგომარეობა საშუალებას აძლევდა, ცდილობდნენ თავი შორეულ სოფლებში მცხოვრები ნაცნობ-ნათესავეების ოჯახებში შეეფარებინათ. ამ დროს, ხმამაღლა საუბარს კრძალავდნენ და ჩურჩულზე გადადიოდნენ. ეპიდემიის პერიოდში, მეზობლებიც ერთმანეთში მისვლა-მოსვლას წვეტდნენ. მოსახლეობა ასრულებდა იმას, რაც ბატონებს ჰქონდათ ნათქვამი: „სანამ კამეჩის ტყავის ქალამნები, ფეხებზე, რომ გაცვიათ, სიარულისაგან არ დავიცვდებით, ეცადეთ, ჩვენმა თვალებმა არ დაგინახოთ, არ დაგვენახოთ, თორემ ვაი თქვენს შავ დღეს!“-ო. ასევე, მეგრულ ოჯახში შეჭრილი ბატონებით დაავადებულს კისერზე გახვრეტილ ქვას დაადებდნენ, რაც თ. სახოკიას მიხედვით, მობრძანებული ბატონების მიმართ მორჩილების გამოსატყულებას წარმოადგენდა. ავტორის ვარაუდით, ყელზე ქვის დაკიდება იმ შორეული დროიდან მომდინარეობს, როცა მტრისგან დამარცხებული ქართველები მორჩილების ნიშნად ყელზე ქვებს იკიდებდნენ. ამით გამარჯვებულს უფლება ეძლეოდა დამარცხებულის სიცოცხლეს ისე მოქცეოდა, როგორც მას სურდა. იქვე, თ. სახოკია მსჯელობას ავრძელებს და აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც ავადმყოფს კისერზე გახვრეტილ ქვას დაადებდნენ, ამ ქვას ავადმყოფის საწოლის ქვეშ დადებდნენ, სახლს დიდი გულმოდგინებით მორთავდნენ, ავადმყოფს სუფთა და ახალ ლეიბზე დააწვენდნენ, აბრეშუმის საბანს გადააფარებდნენ, კერაზე ცეცხლს

¹ იქვე, გვ. 199-200.

² თ. სახოკია, *ეთნოგრაფიული ნაწერები*, გვ. 24, 27.

ჩააქრობდნენ და სახლში საჭმლის ხარშვას აკრძალავდნენ. ავადმყოფის ოჯახის წევრთათვის საჭმელები მეზობლებს გამზადებული მიჰქონდათ, მისვლისას კი – ქვით სახლის ღობეზე ოდნავ გასაგონი ხმით დააკაკუნებდნენ, რათა ბატონები ხმამაღალ დაძახებასა და ხმაურს არ შეეწუხებინათ. ბატონებისა და სულელებისათვის მირთმეული საჩუქრებში, რაც იმავდროულად, ფაქტობრივად, მეზობლების მხრიდან ავადმყოფის ოჯახისათვის გამოხატულ დახმარებასაც წარმოადგენდა, ვარიები, პატარა ციკნები, ისეთი ფრინველები ჭარბობდა, რომლებსაც ნისკარტი და ფეხის ფრჩხილები წითლად ჰქონდათ შეღებილი¹. თ. სახოკიას ცნობითა და სხვა მრავალი საველე მონაცემით დადგენილია, რომ ქართველ ტომებში ბარბალესათვის შესაწირავი ფრინველი ქათმის დედლისა და მამლის სახით იყო წარმოდგენილი. მაგალითად, ქართლ-კახეთში ბარბალეს მსხვერპლს თვალის ტკივილის საწინააღმდეგოდ და სახადით დასნეულებულის განკურნებისთვის სწირავდნენ. ღვთაებას მამლის შეწირვას აღუთქვამდნენ და ცოცხალ მამლებს მისი სახელობის ეკლესიებთან უშვებდნენ². მ. საგინაძეს ფრინველთა შეწირვასთან დაკავშირებით მსგავსი ფაქტები იმერეთშიც დაუშოვნებია, სადაც სახადით დაავადებულს თავზე მამალს შემოავლებდნენ, შემდეგ მამალს თავს, ფრთებსა და ფეხებს წითლად შეუღებავდნენ და ბარბალეს შეიღებად მიჩნეულ ბატონების სახელზე უშვებდნენ. ვ. ბარდაველიძე ღვთაება ბარბალესადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში შეწირვის აღნიშნულ წესს იმერეთის გარდა რაჭაშიც ადასტურებდა, სადაც, აგრეთვე, წითელათი დასნეულებულს ქათმის დედალს მიუყვანდნენ, რომელსაც წინასწარ წითლად შეღებავდნენ და წითელი ნაჭრებით შეამკობდნენ. ამ ნაჭრებს ქათამს კისერზე, ფრთებზე, გულზე და ფეხებზე აბამდნენ³. სხვათაშორის, სამეცნიერო ლიტერატურაში, იმავე ავტორის მიერ უკვე დადგენილია, რომ ნაირ-ნაირი შესაწირავები, მათ შორის, შესაწირავი ცხოველები და ფრინველები, ქართველი ხალხის უდიდესი ღვთაების დიდი დედის **ნანას** კულტის საპატივცემულოდ გამართულ რიტუალებშიც მოწმდებოდა⁴. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ქართველებში წინააზიურ-კავკასიური ღვთაება **ნანა** ბატონების დედას განასახიერებდა. ამიტომაცაა, რომ მისი სახელი ხშირად გვეხვება ბატონების საგალობლებში (მაგალითად, „იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო“...). სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით **ნანა** სანდომს, საამოს ნიშნავს⁵, თუმცა ცალკეული ავტორი ლექსიკოგრაფს **ნანას** მეორე განმარტებასაც მიაწერს – **დანანას** სახით⁶. **დანანა** „ქართლის ცხოვრებაშია“ მოხსენიებული და ქართული წარმართული ღვთაების სახელი იყო. ყვავილები – **ია** და **ვარდი** ხალხის მახსოვრობაში უძველესი ქართული მითოსიდან შესულ სახე-ცნებებად შემოინახა. ყვავილთა ეს ორი ნაირ-სახეობა ქვესკნელთან იყო გაიგივებული და არაა გამორიცხული, როგორც ამას ფოლკლორისტები ვარაუდობდნენ, რომ მათში მიწისქვეშეთის ღვთაებები იგულისხმებოდეს (ვახუშტი კოტეტიშვილი). რატომ იყო უფროსები ჩვილს „იავ-ნანას“ დაძინების წინ რომ უძღვოდნენ? ესეც შემთხვევითი ფაქტი არ ჩანს. ძილში ხდება გამოცხადება, კავშირი ღვთაებრივ და მაგიურ ძალებთან. ასევე, ძილი ადამიანის განსაკუთრებულ მდგომარეობაში ყოფნას გულისხმობს. ძილის მდგომარეობას მოსახლეობა, მაგალითად, აჭარის მთიანეთში – ღორჯომის ხეობაში ადამიანის მკვდარ მგომარეობაში ყოფნას ადარებდა: „ძილი და კდარი ერთია“-ო⁷. სწორედ დაძინების პროცესში „იავ-ნანას“ მისამღერით ღვთაება ნანას – დიდი დედას იებისა და ვარდების საუფლოში პატარების მფარველობას შესთხოვდნენ. როგორც ჩანს, ქალაქ ფაზისში, ძვ. წ. II საუკუნეში აღმართული ქალღმერთის ქანდაკება მზის ღვთაებას განასახიერებდა. ეს შეხედულება კიდევ უფრო მეარი გახდება თუ გავითვალისწინებთ ღვთაება ნანას საკრალურ კავშირს მზის სიმბოლოებთან და თავად მზესთან. ბერძნების აზრით, ფაზისის ქალღმერთის ქანდაკება ყველაზე მეტად ქალღმერთ *კუბელას* ემსგავსებოდა და მცირე აზიის მთავარ ქალღმერთს წარმოადგენდა. მას აგრეთვე **დიდი დედა (დედოფალი, ღვთისმშობელი)** ეწოდებოდა⁸. ნანა დიდი დედის – მფარველი ღვთაების ფუნქციას ასრულებდა. მას არა მარტო ავადმყოფობის გამოწვევა, არამედ განკურნებაც შესძლებია. ღვთაება ნანას ავადმყოფთა გადარჩენას და გარდა ამისა, ბატონთა სამეფოში – იებისა და ვარდების საუფლოში პატარების მფარველობას შესთხოვდნენ. ეს მას შეეძლო, რადგან ბატონები მის შვილებად ითვლებოდნენ. საქართველოს ცალკეულ კუთხეში,

¹ იქვე, გვ. 27-29.

² ვ. ბარდაველიძე, *ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები* (თბილისი, 1953), გვ. 39; შდრ.: ვ. ბარდაველიძე, *ქართველთა უძველესი ხარჭუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ)* (თბილისი, 1941).

³ ვ. ბარდაველიძე, *ქართული (სვანური) საწესო...* (თბილისი, 1953), გვ. 39.

⁴ ვ. ბარდაველიძე, იქვე, გვ. 124.

⁵ სულხან-საბა ორბელიანი, *სიტყვის კონა* (თბილისი, 1949), გვ. 252.

⁶ დაწვრილებით იხ.: გ. ალიბეგაშვილი, *ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები* (თბილისი, 1992), გვ. 242-245.

⁷ თ. ტუნაძე, საველე-ეთნოგრაფიული მასალები, პირადი არქივი, მოხრობელი ნაზი ტუნაძე, 72 წლის, ჩაქვი, 2000.

⁸ დაწვრილებით იხ.: ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, *საქართველოს ისტორია* (თბილისი, 1943), გვ. 8. შდრ.: გ. ჩხიკვაძე, *ქართველი ხალხის უძველესი...*, გვ. 6.

მაგალითად, ქართლში კახეთში, სამცხესა და ჯავახეთში ღვთაება ნანას ფუნქციურად უშუალოდ **ბარბალე** ემსგავსებოდა. ბარბალეს კავშირი მზესთან, შესაძლებელია, ტერმინ *ვარვარში*¹ შემოინახა. ბარბალეც სახადთა დედად მიიჩნეოდა და მისი შვილები – ყვავილი, წითელა, ქუნთრუშა, ყივანახველა იყო. ყველას ერთად საერთო სახელწოდება – **ბატონები** ერქვათ². მ. საგინაძის მიხედვით, იმერეთშიც ბატონები ბარბალეს შვილებად ითვლებოდნენ ისე, როგორც ს. მაკალათიას მონაცემებით, სამცხე-ჯავახეთში წმინდა ბარბალე ბატონების დედად მიიჩნეოდა. როცა სახადით დაავადებული განსაკუთრებით ცუდად შეიქმნებოდა, მაშინ ბატონების დედას წმინდა სახელს შეუთქვამდნენ და მას იაენანას უმღეროდნენ³. ნანას პროტოტიპს ქართველებში „ბატონების დედა“ უნდა წარმოადგენდეს, თუმცა ვ. ბარდაველიძე ბარბალეს დამატებით შინაური ფრინველების გამამრავლებელ ღვთაებადაც თვლიდა. მისი აზრით, ბარბალობის მეკვლეობა არა მხოლოდ გურულებში, არამედ იმერელ, რაჭველ და ქართლელ მოსახლეობაშიც ამ რწმენის საფუძველზე უნდა ყოფილიყო აღმოცენებულიყო. ავტორის თანახმად, ამას უნდა მოწმობდეს ისიც, რომ **ბარბალობა** საქართველოს სხვადასხვა მოსახლეობაში, გურულთა „ქათმის ფერხვის“ მსგავსს მეკვლეობას შეიცავდა⁴. შესაძლებელია ღვთაება ბარბალეს ბატონების დედის, შინაური ფრინველების მფარველისა და გამამრავლებელის ფუნქცია შედარებით გვიან შეეძინა. ასევე, გამორიცხული არაა ნანასა და ბარბალეს იგივეობა და განსხვავებულობას საფუძველად არა ქრონოლოგიური, არამედ ტერიტორიული პრინციპი ედო. წინა აზიაში იგი ღვთაება ნანა იყო, რომელიც გვიან საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიაშიც გავრცელდა, ხოლო ქართულ-კავკასიურ ქრიატიანულ პერიოდებში რომელიც ადრე – წარმართულ ეპოქაში არსებული სახელწოდების მატარებელი ღვთაებიდან ბატონების დედის ფუნქციები ბარბალეს ჩანაცვლებოდა. ასევე, სავსებით დასაშვებია, მას ქართველებში ადრეც არა ნანა თუ ბარბალე, არამედ **ბატონების დედა** ეწოდებოდა ისე, როგორც ეს დღეს მოწმდება. ვ. ბარდაველიძის გამოკვლევით დგინდება, რომ ღვთაება ნანას და ღვთაება ბარბალეს სხვა მრავალ ფუნქციასთან ერთად სახადის გაჩენა და სახადისაგან დაცვა მიეწერებოდა. რადგან სახადი (ყვავილი, წითელა,...) მოსახლეობისთვის იდუმალი და უკუჩვენებელი იყო, ამდენად, ნანას კულტი და ბატონების სახელწოდებით ნანას შვილებად წარმოდგენილი თვით სახადთა კულტებიც, ამ სწეულებებთან დაკავშირებით შემოინახა⁵. ინტერესს არ იქნება მოკლებული თუ აღვნიშნავთ, რომ ღვთაება ნანას სახელწოდება ნათესაობის გამომხატველ ტერმინოლოგიაშიცაა ასახული და არა მარტო დედის, არამედ დიდების ცნებასაც გადმოგვცემს. მაგალითად, ასეთია, დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა მხარეში, მათ შორის, აჭარაში **ნანა, ნენე, დიდნენე**... ამ სიტყვათა მსგავსი ტერმინები კავკასიის ხალხთა ლექსიკასა და ინდოევროპულ ენებშიც ფართოდაა წარმოდგენილი.

ბატონებს მოკვდავ სამყაროში თავისი რჩეულები ჰყავდათ. ჩვეულებრივ ასეთი ადამიანები საზოგადოების წევრები იყვნენ და ლოცვებსა თუ ბატონებთან დაკავშირებულ მაგიურ რიტუალებში, ხშირად, *მამიდის* სახელით ფიგურირებდნენ. სოფლის საზოგადოებაში რომელიმე ხანდაზმული ქალბატონი – **მამიდა** – ბატონების მსახურებას ჩემულობდა, რომელიც სულებთან კავშირის საფუძველზე, ავადმყოფის ოჯახის წევრებს ბატონების სურვილებს ამცნობდა. აჭარაში, კერძოდ, კინტრიშის ხეობაში, ასეთ ქალბატონს **ბატონების დედას** ეძახდნენ. ვფიქრობთ, იგი მამა ღვთაების – მამა დმერთის დის, ღვთაება ნანას ტრანსფორმირებულ ხატს უნდა წარმოადგენდეს. ნანას თვისებების ტარებასა და მისი ფუნქციების იმიტაციას მოკვდავთა წრიდან წარმოდგენილი ქალბატონი ცდილობდა. ტრადიციულად, ბატონების დედამ სიმღერა კარგად იცოდა, სასიამოვნო ხმა ჰქონდა, ჩონგურსა და ფანდურზე უკრავდა. მას მუდამ იმ ოჯახში იწვევდნენ, სადაც ბავშვს „ბატონები დაუბრძანებოდა“. ამა თუ იმ ოჯახში დაბრძანებას ბატონების დედა თავისით გეზულობდა, ავადმყოფის ოჯახში შეუტყობინებლად მიემართებოდა და ბატონების საგალობელს მისვლისთანავე მღეროდა. კინტრიშის ხეობაში გამოვლენილი ეს მასალა დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეთა ხეობებში დადასტურებულ დემონოლოგიურ რწმენა-წარმოდგენებთან უშუალო კავშირში იყო. მაგალითად, მეგრელთა რწმენით, ბატონებს ადამიანთა წრიდან მსახურები ჰყავდათ, რომლებიც იმ ოთახში ტრიალებდნენ, სადაც ბატონები იყვნენ დაბინავებულნი. თ. სახოკიას მასალებით, მსახური ბატონებს ართობდა და როცა მათ

¹ შდრ.: „მზის ვარვარს“, ასევე, ტერმინ *ბორბალს* – მზის დისკოსა და თვალის, როგორც ბატონებისათვის დამახასიათებელი ნიშნების, იმიტაციას...

² ვ. ბარდაველიძე, *ქართული (სვანური) საწესო...*, გვ. 52-54.

³ ს. მაკალათია, *მესხეთ-ჯავახეთი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა)* (თბილისი, 1938), გვ. 111.

⁴ ვ. ბარდაველიძე, *ქართული (სვანური) საწესო...*, გვ. 39, 124. შდრ.: ვ. ბარდაველიძე, *ქართველთა უძველესი სარწმუნოების...*, გვ. 29, 39, 52-54, 124.

⁵ ვ. ბარდაველიძე, *ქართული (სვანური) საწესო...*, გვ. 124. შდრ.: ვ. ბარდაველიძე, *ქართველთა უძველესი სარწმუნოების...*, გვ. 29, 39, 52-54, 124.

მოტანილ ძღვენს მიართმევდა, ავადმყოფის წინაშე დაინოქებდა და თავმდაბლად მიმართავდა: „ბატონებო ძვირფასო მარგალიტებო, საყვარელო, უძვირფასესო სამკაულნო, ყველა ყვავილზე ულამაზესნო, ტკბილნო, ია-ვარდი გიფენიათ, როცა გაიაროთ! როგორც კი გაიგეს თქვენის უდიდებულესობის მობრძანება ამ საცოდავ ქოხში, ყველანი საჩქაროდ გამოეშურნენ, რომ თქვენთვის მოერთმიათ ეს მცირედი ძღვენი, რათა მომრთმევთ გადააფართოთ თქვენი მოწყალების კალთა, მიაბოთ სურნელება თქვენი გულკეთილებისა. ნება უბოძეთ თქვენთა ფეხთა მტვერს, თქვენს მონა-მორჩილ და უღირს მსახურს, რომელიც ბედნიერებადა თვლის ამ სახელის ტარებას მოგართვათ ძღვენი“¹. სამეგრელოში, მეგრელის წარმოდგენით, ბატონების სული კაცს კი არ კლავდა, არამედ თავის სამეფოში ყმად და მონად მიჰყავდა, რაც ა. ნადარიას დაკვირვებით, რომაული ღარების კულტში მონების საკითხს უნდა უკავშირდებოდეს². ეს სამეფო **საიქიო – სულეთია**³. ავტორის დაკვირვებით, ამ სახის სიკვდილის მნიშვნელობა ჩანს იქიდანაც, რომ ბატონებით გარდაცვლილზე „მოკვდაო“ კი არ იტყოდნენ – „ბატონებმა მიიღო“⁴. ყვავილისაგან გარდაცვლილი უკუბოდ იმარხებოდა. თ. სახოკიას თქმით, მეგრელს უფლება არ ჰქონდა ყვავილისაგან გარდაცვლილები მკვდრად მიეჩნია, პირიქით, ცოცხლად უნდა ჩაეთვალა. ასევე, უფლება არა ჰქონდა ისე დაესაფლავებინა, როგორც ამას დასაფლავების დადგენილი წესები მოითხოვდა. კუბოს ჩვენებით ბატონები რომ არ გაეჯავრებინა, მიცვალებულს პირდაპირ საკაცეზე დაასვენებდნენ და მიწას შიშველ სხეულს მიაბარებდნენ. ბატონებისაგან გარდაცვლილს მხოლოდ სამი-ოთხი თვის შემდეგ დაიბრუნებდნენ იმ რწმენით, რომ ოჯახიდან „ტყველ“ წაყვანილი ბატონებს მივიწყებული ჰყავდათ⁵.

ბატონები ზღვიდან მოდიოდნენ. მათი სამყოფი ზღვის იქეთ – საიქიოში იყო, რაზეც თ. სახოკიას მიერ სამეგრელოში ჩაწერილი ერთი გადმოცემაც თვალნათლივ მოწმობს. ამ გადმოცემის თანახმად, ჩაძინებული მეთევზე ნემსკავზე წამოგებულ თევზს ზღვაში თბილი ქვეყნებისკენ გაუტაცნია. მეორე დღეს, შავ ზღვაში გამოღვიძებული და თავზარდაცემული მეთევზე კუნძულს მისდგომია, სადაც თავლის მდინარენი და რძის ნაკადულები სდიოდნენ. კუნძულის ნაპირებს ღურჯი ზღვა ჰკოცნიდა და ზედ მზის ოქროთ დაფენილი დაუსრულებელი ბრჭყვიალა სხივები ეფრქვეოდა. ყოველივე ეს მეტად მხიარული და სასიამოვნო სანახავი იყო. ამ შუქმფენარე მზის ქვეშ გადაშლილი იყო საოცნებო საყურებელი ბაღები, იშვიათი სამოთხე, რომელიც ადამიანის თვალისათვის ჯერ უხილავ ყვავილთა სამყოფს გავდა. აქვე საუცხოო სასახლეები იყო. ბედმა „კაცს ამ სააქაო სამოთხეში დაანახა თავის თვალებით სხვადასხვა ჯურის და სხვადასხვა ხარისხის **ბატონები**...“. მეთევზე მყოფთა შორის წინა წლებში გარდაცვლილებს და ბატონების ყმებად წამოყვანილებს – თავის მეზობლებს ხედავდა. გაჯავრებულმა ბატონებმა მოისმინეს მეთევზის თავგადასავალი, შეიცოდეს, შეიწყალეს და სტუმართმოყვრულადაც მოექცნენ. მეორე წელს, თევზთა მიგრაციის ახალ ეტაპზე, მეთევზე იმავე თევზის მეშვეობით თავის სამშობლოში გაისტუმრნენ⁶. სხვათაშორის, ამ ტიპის გადმოცემები სხვადასხვა ვარიაციებით საქართველოს არაერთ მხარეში დასტურდება. მაგალითად, ფშავში, თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი ვარიანტის მიხედვით, ზღვაში თევზის მიერ გატაცებული კაცის ნავს ტალღები ერთ განმარტოებულ კუნძულზე გარიყავს, სადაც სამი სახლი იდგა. ერთიდან – თეთრი ბოლი ამოდიოდა (ღ. რაზიკაშვილი). აღნიშნულ გადმოცემას ბ. ნიჟარაძის მიერ სვანეთში დაფიქსირებული თქმულებაც ჩამოგავს, თუმცა ბ. ნიჟარაძისეული ვარიანტი სიუჟეტური მრავალფეროვნებით გამოირჩევა და შედარებით სრულყოფილი შინაარსის მატარებელია. ბ. ნიჟარაძის მიერ სვანეთში ჩაწერილი ვერსიის მიხედვით ირკვევა, რომ **ყვაილი** და **წითელა** ძმები იყვნენ, რომელთაც დედა ცოცხალი ჰყავდათ და ზღვის პირად მიუდგომელ და მაღალი კლდის თავზე ცხოვრობდნენ. გადმოცემის თანახმად, ერთი ოჯახი ზღვაში მოგზაურობის დროს დაღუპულა, ხოლო გადაცვლილი მამაკაცი ზღვის ტალღას კლდის ძირას მიუგდია. კაცს კლდის თავზე გაშლილი მინდორი დახვედრია, სადაც მოზრდილი და ანკარა წყარო გამოდიოდა. წყაროზე ტიტველი ქალები იდგნენ და სარეცხს რეცხავდნენ. ერთი ქალი თოვლივით თეთრი იყო. ძუძუები უკან, ბეჭებზედა ჰქონდა გადაგდებული. მიეპარა ეს კაცი და ძუძუზე კბილი დაადგა. ამით იდედა. ქალი შეკრთა, გაუკვირდა და კაცს შეეკითხა: აქ რამ მოგიყვანაო, შენთან ჩემი შვილები გამოგზავნე, ხომ იყვნენო. კაცმა მას თავისი აქ მოსვლის ამბავი უამბო და სთხოვა: შენი სახლი მანგენო. ქალმა ეს კაცი სახლში მიიყვანა. სახლის შუა გულში სვეტი იდგა და იგი კაცის თვალებით

¹ თ. სახოკია, *ეთნოგრაფიული ნაწერები*, გვ. 32.

² შდრ.: Е. М. Штасман, *Из истории фамильного культа в древнем Риме* (Москва, 1964).

³ შდრ.: ხევსურის წარმოდგენებს **სულეთი**’ს შესახებ.

⁴ ა. ნადარია, დემონოლოგიის საკითხისათვის საქართველოში...

⁵ თ. სახოკია, *ეთნოგრაფიული ნაწერები*, გვ. 132.

⁶ იქვე, გვ. 25-26.

იყო მოჭედელი. მათი საუბრიდან გაირკვა, რომ რამდენ ადამიანსაც ამ ქალის შვილი – ყვავილი თვალს გაუფუჭებდა, ყველა აქ მოჰქონდა და სვეტზე აჭედებდა. ქალის ნაამბობის მიხედვით, მისი შვილი ადამიანს თვალს მაშინ უფუჭებდა, როცა ყვავილით ავადმყოფობის დროს სახლს ამტკერებდნენ და ცეცხლზე ცხელ წყალს ასხამდნენ. ამასობაში, ყვავილი და წითელაც დაბრუნდნენ. დედამ სთხოვა ყვავილს ამ კაცის შინ მშვიდობით დაბრუნება. ყვავილმა უპასუხა: ეს-ეს არის ეხლა ღმერთთან ვიყავი. ხვალ ამ კაცის მეზობლისას ჟამსა ჰგზავნის და ამ კაცსაც იმას გაგატანო. იქ, სადაც ყვავილი, წითელა და მათი დედა ბინადრობდა, კლდის ყვავილსა და წითელას გარდა, სხვა სნეულებათაც ჰქონდათ ბინა. მიწიდან რამდენიმე ადგილას ალი და კვამლი ამოდიოდა. **ჟამი** იმ ადგილას ცხოვრობდა, საიდანაც შავი კვამლი ამოდიოდა. აქ მარტო სურდოს არ ჰქონია სამუდამოდ ბინა მიჩენილი – აღუნიშნავს ყვავილისა და წითელას დედას. ღამით ეს კაცი ჟამს ჩააბარეს და ჟამსაც მეორე დღეს იგი შინ მშვიდობით მიუყვანია (ბ. ნიჟარაძე)¹. მოცემულ თქმულებაში ზღვისა და კლდის სიმბოლური სახე, ფერთა საკრალური ბუნება მკაფიოდ გაამოკვეთილი, სადაც თეთრ, წითელ და შავ ფერებთან კონტექსტირებული ღვთაებებია წარმოდგენილი. ყურადღებას ბატონების დედის სიტყვლე იქცევს და, რაც განსაკუთრებით ინტერესშემცველია, აქ ძუძუსე კბილის დადგმისა და ამით დედა-შვილობის დამყარების კავკასიაში კარგად ცნობილი ტრადიციის ზოგიერთი მნიშვნელოვანი შტრიხიც იკვეთება. ამ უკანასკნელ ჩვეულებაში ასახული ცალკეული თემატური დეტალი საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობის, განსაკუთრებით, აჭარულ ზღაპრებში არსებულ სიუჟეტურ დეტალებს პირდაპირ ემსგავსება, თუმცა აჭარულ ზღაპრებში ბატონების დედის ნაცვლად დევების დედაბერი დედა ფიგურირებს.

მოტანილი ტექსტებიდან კარგად ჩანს, რომ ბატონების დედა შვილებთან ერთად ბინადრობდა. კუნძული დემონთა სამყოფი იყო, ზოგი დემონი სატანას ემსახურებოდა, მაგალითად **ჟამი**. წითელ-ცისფერი დემონები კი – ალიონის, ამომავალი და ჩამავალი წითელი მზის ღვთაებათა რიგს განეკუთვნებოდნენ. წითელი ფერი, როგორც ვხედავთ, თავს ბატონებთან დაკავშირებით არაერთხელ იჩენს, რაც ბატონებდამბრძანებელი ბავშვის ოთახის წითელი ნაჭრებით მორთვაში, ფრინველის წითლად შეღებვაში იყო გამოხატული და მზესთან კავშირზეც უშუალოდ მიუთითებდა. თუ **ნანა** და **ბარბალე**, როგორც ბატონების დედა, მზის სიმბოლოების იმიტაციას წარმოადგენდა, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ბატონების მზისშვილობაზეც ვისაუბროთ. წითელი ფერი არა მხოლოდ ბატონებთან მიმართებაში, არამედ სამეურნეო და სოციალური ხასიათის რიტუალებშიც ფიგურირებდა, თუმცა აქაც მათ ავი თვალის – დემონური ძალის საწინააღმდეგოდ იყენებდნენ. აჭარაში, როცა მიწის სამუშაოებისათვის წინასწარი სამზადისის შემდეგ უშუალოდ ხვნა-თესვასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების შესრულება იწყებოდა და როცა მინდორში ხარი პირველად გაყავდათ, მას უღელში წითელი ვაშლის, ტყემლის, სხმარტლის, შესაძლოა, ასკილის ტაბიკებს (აპურებს) უმაგრებდნენ². წითელნაყოფიან ხეს სპეციალურად არჩევდნენ, რადგან მოსახლეობაში წითელი ფერის მაგიური ძალის შესახებ რწმენა არსებობდა: წითელი – სისხლის, სიცოცხლის ფერი იყო. მოსახლეობა მას ავი თვალისაგან დაცვის მიზნით უღელში აბამდა³. სპეციალური ლიტერატურიდან სისხლის, როგორც სიწითლის, სიმბოლოს მანაყოფიერებელი ფუნქცია კარგადაა ცნობილი. აჭარის მთიანეთში შეწირული ცხოველის სისხლს ნაყოფიერებისა და სათანადო ამინდის გამოწვევის მიზნით ხეებს უსვამდნენ⁴. სისხლს მიცვალებულების მკედრებით აღდგომაც შეეძლო. აჭარულ ქორწილში პატარძლისადმი საჩუქრად მირთმეული მსხვერპლის – პირუტყვის სისხლს გზაზე ავი სულეებისაგან თავდაცვის უნარი ჰქონებია⁵. ეს და სხვა ფაქტებიც, სისხლისა და წითელი ფერის საიქიოს – მიცვალებულთა სამყაროს ფერთა სიმბოლიკასთან კავშირის კიდევ ერთ დადასტურებად შეიძლება მივიჩნიოთ. ზოგიერთი ფოლკლორისტი ვარაუდობს, რომ მიწიერი, ამქვეყნიური სამყარო, სამყაროს სამი სკნელის სახით წარმოდგენის პირობებში, წითელი ფერის სიმბოლიკით გადმოიცემოდა. აღნიშნულის დასასაბუთებლად საგაზაფხულო დღეობათა ციკლის რიტუალებს და მასთან დაკავშირებულ სიტყვიერ შემოქმედებას ასახელებენ, რაც ნათელს ხდის, რომ აქ წითელი ფერის სიმბოლიკა ჩვეულებრივი მოვლენა იყო და რომ იგი ბუნების გაცოცხლებისა და აღორძინების გამოსახვის ერთ-ერთ ორგანულ ფორმას წარმოადგენდა. ეს კი მის დუალურ –

¹ ბ. ნიჟარაძე, *ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები*, I (თბილისი, 1962), გვ. 147-148.

² ჯ. ნოლაიდელი, *ნარკვევები და ჩანაწერები*, I (ბათუმი, 1971).

³ თ. ლომთათიძე, სოლარული სიმბოლიკა „ცხემლის ჭრის“ რიტუალში, *ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, IV (ბათუმი, 2002).

⁴ ნ. მგელაძე, ერთი წარმართული რიტუალის შესახებ ღორჯომის ხეობაში, *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება*, VII (თბილისი, 1984).

⁵ ვლ. მგელაძე, ქორწინება და საქორწინო წესჩვეულებანი აჭარაში, *კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი* (ბათუმი, 1996), გვ. 232.

ორმაგ ბუნებაზე მიუთითებდა¹. არაა გამორიცხული ტერმინი **სკნელი** „სკვნასთან“ ყოფილიყო დაკავშირებული, რის საარგუმენტოდ, დასაშვებია, კინტრიშის ხეობაში დამოწმებული „შეჭრეტილის ლოცვა“ გამოდგეს: „ადამ დეიბადა, სამი დეიბახა, სამი წყაროს წყალი ერთად შეიყარა, ერთი სკნიდა, მეორე ხსნიდა, მსნელი მსკნელს უსწრებდა“. ტექსტს სამჯერ გაიმეორებდნენ². ბუნებრივია, სკნელის მხოლოდ წითელი ფერის სიმბოლოთი გამოსახვა სამყაროს კოსმოგონიური მოდელისა და სკნელის კომპოზიციის სრულ სურათს ვერ ასახავს, რადგან სკნელი, უმთავრესად, სამი ძირითადი ფერით – თეთრით, წითელითა და შავით გადმოცემოდა: თეთრი და წითელი ამქვეყნიურ, ხოლო შავი იმქვეყნიურ სამყაროს გამოხატავდა, უფრო ზუსტად, სკნელის ფერთა სიმბოლიკაში წითელი ფერი დასაშვებია სამხეოსა და შავეთს – სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის არსებულ შუალედურ ფერად გაგიაზროთ. ამის საფუძველს სულეთის დიფერენცირებულად, საფეხურებრივად წარმოდგენა გვაძლევს. ი. გაგულაშვილის თანახმად, სულეთს მზე ანათებდა და სულთა დიფერენცირებული განლაგება სწორედ მზის სინათლის გავრცელების ინტენსივობით იყო წამოდგენილი³. ბ. ნიჟარაძის დაკვირვებით, სვანებში არსებული შეხედულებებით, სკნელში მყოფი სულელები ვერც ქრისტეს (მდრ. **სამოელის**), ვერც მის ნათელს ვერ ხედავდნენ⁴. სულეთის მეუფესთან სინათლის წყარო არსებობდა, ან, შესაძლოა, ამ წყაროს თავადაც იგი წარმოადგენდა⁵. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობაშიც ქვეყნის შუაგულში არსებული საიქიო ასევე იყო წარმოდგენილი. ფშავლების გაგებით, შავეთში მართალინ მკრთალ ნათელში იმყოფებოდნენ, ცოდვილნი კი – ბნელში. ნათელი გააზრებული იყო როგორც ჩასული მზის სხივი, მთის წვერზე ახლად გამქრალი მზის შუქი. მთის წვერებს ამ დროს წითელი ფერი დაჰკრავდათ. ეს იყო ე. წ. „მკვდართა მზე“ (მდრ. „მწუხრის მზე“ და „მწუხრის ჟამს“). ჩვენ ი. გაგულაშვილის ნაშრომში მოტანილი მასალა ასე ვრცლად იმ მოტივით წარმოვაჩინეთ, რათა წითელი ფერის მიცვალებულთა სამყაროსთან და, შესაბამისად, ბატონებთან კავშირურთიერთობა უფრო მკაფიოდ გვეჩვენებინა. ი. გაგულაშვილი ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ანალიზის საფუძველზე უშვებდა ვარაუდს იმის თაობაზე, რომ სიკვდილის სიმბოლოს არა მარტო მწუხრის ჟამს შეწითლებული ცის კიდური და მზე წარმოშობდა, არამედ დილით, მზის ამოსვლის დროს არსებული ანალოგიური დაწითლება, რაც, მოსახლეობის რწმენით, მნათობთა სიკვდილთან იყო დაკავშირებული⁷. აქ უპრიანია გავიხსენოთ ბატონების დედისადმი მიძღვნილი ფრინველების, განსაკუთრებით, წითელი მამლის შეწირვის ფაქტი, რაც, ასევე, შემთხვევით მოვლენად არ გამოიყურება. მამლის ყვილი **ალიონის** (მდრ. **ალიის, დილას...**) დადგომის, სამზეოზე გამოსვლისა და ღამისეულ ღვთაებათა თუ დემონთა გრძნეულების ჟამის დასრულების მაუწყებელი იყო. სხვათაშორის, აჭარაში, კინტრიშის ხეობაში – მახინჯაურიდან სოფელ გვარაში გათხოვილი მთხრობელისაგან ჩაწერილია ლოცვის ტექსტი, რომელიც „წმინდანთან“ და წითელ ფერთან მიმართებაში მწუხრისა და ალიონის ანუ კვდომა-აღორძინების თემატიკას ასახავს: „ღმერთმა დაკლა წითელი ფური, მეიწვია ყოველი სული, წმინდანმა უთხრა: მე რატომ არ მომიწვიეო? შენ იმიტომ არ მოგიწვიე, ჩახვალ ბაღანაის ტანში, ფერის ასართმევეად, ბაღნის საწვალელებად, გაგიწყრა ღმერთი, დილას გითხარ, სადამოს კარგად ყოფნისა, სადამოს გითხარ, დილას კარგად ყოფნისა, დაიცვა ჩემი, რგება ღვთისა!“⁸. ამას სამჯერ იმეორებდნენ⁸. სამყაროს მოდელირებული კომპოზიციური სტრუქტურისათვის დამახასიათებელი ფერთა სიმბოლიკის აღნიშნული თანმიმდევრობა მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებების იმ საკრალურ ბუნებას ითვალისწინებდა, რაც დღე-ღამესთან მიმართებაში მათი დემონური ძალების ქრობა-აღმავლობაში გამოიხატებოდა. ფერთა სიმბოლიკის დასახელებულ განლაგებაში განსაკუთრებული ადგილი თეთრ ფერს ეკავა. საქართველოს სხვადასხვა კუთხის, მათ შორის, აჭარის მოსახლეობის ზღაპრებში, თქმულებებში, გადმოცემებსა თუ ჩვეულებებში თეთრი, წითელი და შავი ფერები წარმოდგენილი იყო სამყაროს (სკნელის) კოსმოგონიური წარმოსახვის არა მხოლოდ ვერტიკალურ (ქვესკნელი, შუასკნელი, ზესკნელი), არამედ ჰორიზონ-

¹ ი. გაგულაშვილი, ფერთა სიმბოლიკის საკითხისათვის ქართულ შელოცვებში, *მაცნე*, ენისა და ლიტერატურის სერია, I (თბილისი, 1979), გვ. 50.
² ნ. მეგლაძე, საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, აჭარა, კინტრიშის ხეობა (1995), ავტორის პირადი არქივი.
³ ი. გაგულაშვილი, ფერთა სიმბოლიკის საკითხისათვის..., გვ. 51. ასევე, ფერთა სიმბოლიკაზე იხ.: ი. გაგულაშვილი, ფერთა სიმბოლიკის ზოგიერთი საკითხისათვის ქართულ ფოლკლორში, ნაწილი მეორე, *ქუთაისის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები*, II (თბილისი, 1985). შდრ.: ი. გაგულაშვილი, *ქართული მაგიური პოეზია* (თბილისი, 1986).
⁴ ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, გვ. 144.
⁵ ი. გაგულაშვილი, ფერთა სიმბოლიკის საკითხისათვის..., გვ. 51.
⁶ ვაჟა-ფშაველა, *პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები*, V (თბილისი, 1961), გვ. 15; ვაჟა-ფშაველა, *პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები*, IX (თბილისი, 1961), გვ. 1-7.
⁷ ი. გაგულაშვილი, ფერთა სიმბოლიკის საკითხისათვის..., გვ. 54.
⁸ ნ. მეგლაძე, საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, აჭარა, კინტრიშის ხეობა (1995), ავტორის პირადი არქივი.

ტალურ განზომილებაშიც, სადაც ამ განზომილებათა კონფიგურაცია ჯვარს გამოხატავდა და მთლიანობაში მხესთან, როგორც მარადიული ყოფისა და წრიული მოძრაობის სიმბოლოსთან იყო დაკავშირებული. **ხესკნელი** სამზეო იყო და მცხუნვარე მზის გარემოს წარმოადგენდა თეთრი ფერითა და ნათელით, **შუასკნელი** – ჩამავალი და ამომავალი წითელი მზის სხივებით იყო მოფენილი და ბატონების ციკლის ღვთაებათა საუფლოდ ითვლებოდა, ხოლო **ქვესკნელი** ჩასვენებული – უსხივო ადგილსამყოფელი იყო და შავეთად – ჯოჯოხეთად გაიაზრებოდა. არაა გამორიცხული სკნელის კომპოზიციაში წარმართულ ღვთაებათა იერარქიული განლაგების პრინციპებიც ყოფილიყო გადმოცემული.

ჩვენ უკვე მივანიშნეთ იმის თაობაზე, რომ მირთმეულ ძღვენს შორის ხშირად ფიგურირებდა წითელნიკარტიანი და წითელბრჩხილებიანი ფრინველები. ამ ფრინველებს კისერზე ჩამოკიდული ჰქონდათ მძივები და ყვავილები. ამასთან, ბატონების სადიდებელ და საგალობელ თითქმის ყველა ტექსტში ია და ვარდი იხსენიებოდა, რაც, ასევე, შემთხვევით მოვლენად არ გამოიყურება.

ბატონების ამოსავალი ნიშანი – **ყვაილი** – დიდი ბატონების ისეთ სახელწოდებაში იყო ასახული, როგორცაა **ყვაილბატონები**. საკუთრივ საგალობლის სახელწოდება „იაგ-ნანა“ იმით ჩანდა განპირობებული, რომ „ფუძის ანგელოზსა“ და ბატონებს სიმღერა-გართობის გარდა ვარდ-ყვაილები უყვარდათ, რის გამოც ავადმყოფის ოთახს ყვაილებითა და ია-ვარდებით ამკობდნენ და სიმღერასაც მათი ხსენებით იწყებდნენ: „იაგ-ნანა, ვარდოვ-ნანა, იაგ-ნანინაო“. იაცა და ვარდიც, ხშირად, შუა ტექსტში ან სტრიქონების დაბოლოებებში მეორდებოდა¹. ყვაილის სიმბოლური ხასიათი ბატონების ტიპოლოგიურმა მახასიათებლებმაც განსაზღვრა, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი ბატონების ბუნების აღდგენასა და აღორძინებასთან კავშირი იყო. ბატონები გაზაფხულზე „მოდიოდა“, როცა ბუნება იღვიძებდა – კვირტები იფურჩქნებოდა, მდელოს ყვაილები ეფინებოდა. ეს ფაქტიც მიანიშნებს, რომ ბატონები დემონური ძალების მატარებელი აღდგენადი (მკვდრებით აღდგენადი) და მოკვდავი ხოთნური ღვთაებები იყო, რითაც ისინი მიწისქვეშეთთან, ქვესკნელთან, ღამისეულ სამყაროსთან, მიცვალებულთა საუფლოსთან და საიქიოსთან იყვნენ დაკავშირებული. გურიში მიიხნეოდნენ, რომ ბატონები „არ ამობრძანდება და არ ჩაბრძანდება“ – თუ არ მოუბოდიშე. ყვაილის თაიგული თუ არ მიაართვი, ის ვერ „ამოიფოთლება“². თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ ყვაილები – ია და ვარდი – ქვესკნელის სამეფოს ინსიგნიები იყო, მაშინ ნათელი გახდება მიცვალებულის წითელი ყვაილებით შემკობისა და წითელი ყვაილებით მისი იმქვეყნად გაცილების საკრალური ბუნებაც. საქართველოს სხვადასხვა მხარეში, მათ შორის, აჭარაში, **წითელათი** დაავადებულის იის წვეწვინში დაბანის წესი ფართოდ იყო გავრცელებული. იქ, სადაც ბატონები იყო დაბრძანებული, იის წვეტებს ასხურებდნენ.

მწუხრის გამომხატველ სიმბოლოებთან იისა და ვარდის უშუალო კავშირი არა მარტო საკულტო-მაგიურ ტექსტებსა და რიტუალებში, არამედ ხალხურ პოეზიასა და კლასიკურ ლიტერატურაშიც აისახა³. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ბატონების საგალობლებში გვეხვით – „რა კარგი ბატონებია, ია და ვარდი ფენია“⁴ ან „იაგ-ნანა, ვარდო-ნანო, იაგ-ნანინაო“... ია და ვარდის ურთიერთკავშირი და მათი მითოლოგიური სიმბოლიკის დემონური ასპექტები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშიც“ უნდა იყოს ასახული. მასში, და არა მარტო ამ ნაწარმოებში, ია და ვარდი მუდამ ურთიერთკონტრასტში მოიხსენიებიან. როგორც ჩანს, განვითარებულ შუასაუკუნეებში, შოთა რუსთაველი ჩვენი ხალხის ყოფით რეალობებს, ტრადიციულ რწმენა-წარმოდგენებს ღრმად იცნობდა და, რაც მთავარია, იმდროინდელ თეოლოგიურ ცოდნას უადრესად ზედმიწევნით ფლობდა. შოთა რუსთაველის შეხედულებებში არა მარტო ქრისტიანული განათლება, არამედ სხვადასხვა ხალხის, უძველესი ცივილიზაციებისა თუ კულტურების მითოლოგიური მოდელებისა და რელიგიური პლასტების საფუძვლიანი ცოდნა, ამ ცოდნის პოეტურ ფორმებში, ხშირად, გადატანითი მნიშვნელობით გამოყენების უადრესად ფაქიზი ხელოვნება გამოსჭვივის. „ვეფხისტყაოსანში“ **ყვაილი, ია და ვარდი** მწუხარებისა და ცრემლის გამომხატველებია. ეს ფაქტი სპეციალურ ლიტერატურაში უკვე შენიშნულია, სადაც მითითებულია, რომ აღნიშნულ პოემაში ია სილამაზის სიმბოლოა, ზოგჯერ კი – მწუხარების ნიშანი⁵. როცა ადამიანი ტირის, თვალები იისფერი უხდება. ერთის მხრივ,

¹ გ. ჩხიკვაძე, *ქართველი ხალხის უძველესი...*, გვ. 22-23.

² ა. ნადარია, დემონოლოგიის საკითხისათვის საქართველოში...

³ გ. ნადირაძე, ვარდის სიმბოლიკა „ვეფხისტყაოსანში“, *ლიტერატურული გაზეთი*, 1 აპრილი (თბილისი, 1955).

⁴ ნ. მგელაძე, ავტორის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, დასავლეთ საქართველო (1994), ავტორის პირადი არქივი.

⁵ რ. შამელაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები (თბილისი, 1977), გვ. 72-76.

მწუხარება და ცრემლი, ხოლო, მეორეს მხრივ, ია და ვარდი, გარდაცვლილთა სამყაროს თან-მხლები სიმბოლოები იყო, რაც ბატონების ტიპის ღვთაებებთან, როგორც მიწისქვეშეთის დემონურ ძალებთან ლოგიკურ კავშირზე მიუთითებს. ამიტომაც, შემთხვევითი არ იყო, როცა შოთა რუსთაველი იისა და ვარდის სიმბოლოებს შინაარსობრივად სამწუხარო, საწყენ და ცრემლდასაღვრელ ამბებთან კონტექსტში გადმოგვცემდა. მაგალითად: „რა ვარდმან მისი ყვავილი, გაახმოს, დაამტკნაროსა, იგი წავა დასხვა მოვა, ტურფასა საბადნაროსა“. აქ ვარდი სიბერეზე, გარდაცვალების მოახლოებაზე მიგვანიშნებს და სიკვდილის სიმბოლოდ, გარდაცვალების მაუწყებლად წარმოჩნდება. ვეზირებთან როსტევან მეფე ამის გამო ჩივის, სიკვდილის მოახლოებას ნაღვლობს, ვეზირები კი მას ანუგეშებენ, მის სიბერეს უარყოფენ და ეუბნებიან, რომ მას ვარდი ჯერ არ დასტკნობია, ე. ი. არ მოხუცებულია და გარდაცვალება არ მოახლოვდება. რაც შეეხება გამოთქმას: „ტურფასა საბადნაროსა“, ვფიქრობთ, ეს სწორე იმ ბაღის – სამოთხის ანალოგიური ამქვეყნიური ბაღია, რომელიც მეგრულ გადმოცემებზე დაყრდნობით – თ. სახოკიას, სვანურზე – ბ. ნიჟარაძეს, ხოლო ფშაურზე – თ. რაზიკაშვილს ჰქონდა აღწერილი. თევზის მიერ ბატონების საუფლოში გატაცებული მეთევზე საოცნებო ბაღსა და სამოთხეში მოხვდება, სადაც გარდაცვლილი ბატონებს ყმებად ედგნენ. ისინი ბატონებს თავიანთ საუფლოში სწორედ ამ მიზნით ჰყავდათ წაყვანილნი. შოთა რუსთაველთან ასეთ სტროფსაც ვხვდებით: „აქვს მიჯნურობა ამისა, ვითა ბუღბულსა ვარდისა“. მართალია, მითითებულ კონტექსტში ბუღბული და ვარდი მიჯნურობის ტოლფას ცნებათა ფონს ქმნის და ამ კეთილშობილური გრძნობის გადმოსაცემად გამოიყენება, მაგრამ წარსულ კულტურათა მითოლოგიაში **ბუღბული** ტრაგიკულ საწყისებთანაც იყო დაკავშირებული. ერთ-ერთი ელინური მითის თანახმად, რომელიც ფილომელასა და პროკნას ტრაგიკულ ბედს აღწერს, დახასიათებულია საკუთარი პირმშოს მკვლელობით თუ როგორ იძიებს შურს პროკნა თავისი ულამაზესი ენამოჭრილი დის, ფილომელას გამაუბედურებელ ქმარზე – ტერევეზე. ამის გამო ღმერთმა ტერევეი – ოფოვად, ფილომელა – მერცხლად, ხოლო პირმშოს მკვლელი პროკნა – ბუღბულად აქცია¹. დანაშაულის ნიშნად, რომელიც მეფე პანდიონის ქალიშვილებმა ჩაიდინეს, ბუღბულსა და მერცხალს ფრთები დღესაც სისხლისფრად აქვთ შეღებილი. ამ ფრინველებს შორის მუდამ დაუცხრომელი შუღლია (ბ. მაცაბერიძე). საქართველოში ოფოვს დღესაც სიკვდილთან აიგივებენ. თუ ოფოვი სახლის ეზოში დაჯდებოდა, მიიჩნევდნენ რომ ეს ცუდის ნიშანი იყო. იგი ოჯახის რომელიმე წევრის სიკვდილს მოასწავებდა. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ იასთან, ვარდთან, ცრემლთან დაკავშირებული არაერთი სტროფია, სადაც სიტყვათა უმეტესობას შინაარსობრივად საკრალური დატვირთვა აქვს. ცრემლი და ვარდი მწუხარებისა და გარდაცვალების გამომხატველია, თუმცა პოემაში ამაზე ყოველთვის ყურადღება აქცენტირებული არ არის – „კოკობი და დაუფრჭენელი ვარდი დაგხვდე დაუშხნარი“, ან: „ვარდი ჩემი არ დაჭნების, შუქი შენი იეფადა“. ამავე დროს, ია და ვარდი იმედია, იმედის აყვავებაა: „გულსა გარე საიმედო ია მორგე, ვარდი ყარე, მერმე მოდი, ლომო, მზესა შეგაყრები, შემეყარე“².

იისა და ვარდის ხოთნურ სამყაროსთან დაკავშირების სასარგებლოდ აჭარული „ჯიქურაც“ მეტყველებს³, რომელიც ბაღადა „ია მთაზედას“ ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს. მ. ჩიქოვანის მიხედვით, „ია მთაზედა“ დალის ბაღადების ციკლს განეკუთვნებოდა: „ია მთაზედა თოვლიანზედა, ია დავთესე, ვარდი მოსულა...“⁴ ან „ია გაშლილა, ვარდი გაზრდილა, ია კოჭამდის ვარდი მუხლამდის. ია მთაზედა, თოვლიანზედა. ია დავთესე, ვარდი მოსულა“. მ. ჩიქოვანი ყურადღებას იმ ფაქტს აქცევდა, რომ მოქმედება აქ მაღალ მთაზე, სანადირო ზონებში მიმდინარეობდა, ხშირად მთის კონკრეტული სახელწოდების მითითებით, მაგალითად, „აბულის მთაზედა“. ნადირობისათვის ხელსაყრელ მაღალ თოვლიან მთას, რომელიც მდიდარი იყო გარეული, მაგრამ წმინდა ცხოველებით, მეთვალყურე და მფარველი ჰყავდა. ავტორის თანახმად, ეს ერთი ნადირობის მწვერული, ქალღვთაება, ტყის დედოფალი იყო, რომელიც მიუვალ კლდეებში ცხოვრობდა. ამ

¹ *Мифологический словарь* (Москва, 1991), с. 51-61.

² სხვათა შორის, შოთა რუსთაველის პოემაში ვარდთან, დაწვთან, ცრემლთან, ტირილთან, ალვის ხესთან დაკავშირებული სიუჟეტები საკმაოდ ხშირად გვხვდება, რაც, ასევე, გვაფიქრებინებს რომ ყველაფერი ეს შემთხვევითი არაა და მათზე აპელირებით პოეტი და მოაზროვნე მითოლოგიური სამყაროს მახასიათებლებს ფილოსოფიურად გადმოგვცემდა – „ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მღვდლად ანატირსა“; „არცა დაავდო ტირილი, არცა რა გაიგონა მან, არცა გახლინა ბაგეთათ თავი ვარდისა კონამან“; „უხარის შეყრა ვარდისა, არ ერთგან შეყურელისა“; „ბროლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს, ტანსა მჭევერსა ათროლოვდა“; „თქვა მზეო, ვარდსა სიშორე შენი დამაჩნდეს ეს აღრე“; „ცრემლსა ვითსა მარგალიტსა ჰყრის ვარდისა დასანახად“; „ცრემლი ცხელი ასოვლებდის ნარგისთაგან ვარდსა ზრულსა“; „მე ნუთომცა შემოვბრუნდი, ალვა ჩემი არ დაჭნა ხე“; „ყოვლთა მზეებერ მოგვეინოს, ვარდს არ ზრვიდეს, არ აჭნობდეს, შემცოდესა ყველაკასა ვითა ცვილსა დაადნობდეს“...

³ *აჭარული ხალხური პოეზია*, I (თბილისი, 1969), გვ. 41.

⁴ აჭარულ ვარიანტში ეს ასე იკითხება: „აბა ია დავთესეო, ია ვარდით მოვიდაო“ (შდრ.: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“: „გულსა გარე საიმედო ია მორგე, ვარდი ყარე...“).

დენად, მოქმედების არეალი მისტიკურად და მოთოლოგიურად გამოიყურება, დამახასიათებელი სიმბოლოებით, რაც, თუნდაც იქიდანაც ჩანს, რომ თოვლიან მთაზე არც იის დათესვა შეიძლება და იქ არც ვარდი ამოიყრის. მთის ზეგანზე კი კოჭამდე მოყრილი იებითა და მუხლამდე გაზრდილი ვარდებით დაფარული ბაღი იყო შეფენილი. მონადირენი ნაღვლობდნენ ნადირთ მიერ გათელილი იებისა და ვარდების ბედს და, ერთგავარად, ამ ვარდების დამცველებად გვევლინებოდნენ. მ. ჩიქოვანი ფიქრობდა, რომ ამ ბაღადაში ია და ვარდი სატრფიალო-სასიყვარულო გარემოს ატრიბუტებს წარმოადგენდა. ია ქალის, ხოლო ვარდი, უმთავრესად, ვაჟის სიმბოლო იყო, ე. ი. ვარდში ვაჟის სახე იყო გადმოცემული. მოქმედებები გაზაფხულზე, ბუნების გამოღვიძებისა და აღორძინების პერიოდში ვითარდებოდა, რაც ბაღადის სასიყვარულო ფონს სავსებით ესადაგებოდა, მაგრამ ამ ყვავილებში იმედის, აღდგომისა თუ აღორძინების გარდა, ნაღველიცა და ჭკნობა-კვდომის იდეაც იყო ჩაქსოვილი. სწორედ ამდაგვარი ფაქტების გათვალისწინებით შენიშნავდა მ. ჩიქოვანი, რომ უხსოვარი დროიდან მიცვალებულს ვარდწუნელებით აცილებდნენ და სამარესაც ვარდით უმკობდნენ¹, რაც, მაგალითად, ძველ რომაელებში ვარდის სახელიდან ნაწარმოები სიტყვით „როზალიათი“ („როსალიათი“) აღინიშნებოდა². აქედან გამომდინარე, მიხეილ ჩიქოვანი ასკვნიდა, რომ ვარდი სიკვდილის სიმბოლო იყო. ასეთივე ფუნქციის მატარებელი ჩანს ვარდი ბატონების საუფლოში, რაც მითოლოგიური ზღვის და მთის ბაღებს შორის ტიპოლოგიური ურთიერთკავშირის საკითხს კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის. ხოლო ღვთაებათა სამყოფად მიუვალი ადგილები, მთა, კლდე, ტყე, ზღვის მიღმა („ზღვის იქეთა ქვეყანა“) ადგილები შემთხვევით არ სახელდება.

საქართველოში ზაფხულის ერთ-ერთი თვე მაისი – *ვარდობისთვის* სახელს ატარებდა. იგი წარმართული ეპოქისად მიიჩნევა³. ასევე, ავტორთა ერთი ნაწილი თვლის, რომ სიტყვა **ვარდი** შეიძლება ურარტული ენის საფუძველზე აიხსნას⁴. ყვავილები და, განსაკუთრებით, ვარდი ამა თუ იმ ხალხის რიტუალში თავს ხშირად იჩენდა ხოლმე. მაგალითად, ადრე, მხედართმთავრებს ჩვეულებად ჰქონდათ გზა ვარდებით მოეფინათ. იცოდნენ ყვავილების დღესასწაულის მოწყობა. ულამაზეს ქალიშვილებს თავზე ვარდის გვირგვინს უკეთებდნენ. პატარძალი საქმროს სახლში შესვლისას თავზე ვარდის გვირგვინს იკეთებდა...

ჩვენ უკვე მივუთითეთ აჭარაში ისე, როგორც საქართველოს სხვა მხარეში, ხოლო ღვთაებათა სამყოფად მიუვალი ადგილები რომ სახელდება: მთა, კლდე, ტყე, ზღვის მიღმა (იქეთა) სამყარო. ქართველი ხალხის წარმართულ-მითოლოგიური შეხედულებების შესწავლით უკვე გარკვეულია, რომ სულეთსა და ხილულ ქვეყანას შორის წყალი – ზღვა, მდინარე ძვეს, რომელიც, უმეტესად, ქვესკნელის მნიშვნელობით მოიაზრება⁵. კლდე, ზღვა და მიუვალი ადგილები სხვადასხვა ფერებთან (შავი, წითელი...) მიმართებაში აჭარულ, ისე როგორც, ზოგადად, ქართულ ზღაპრებსა და ლოცვებში ხშირად ფიგურირებს. მაგალითად: „გასკდა შავი კლდე, გამევიდა შავი კაცი, შავი ცხენით, შავი იარაღით, წავიდა შავსა ზღვასა“... ამდაგვარი ტექსტები ცნობილი იყო თეთრ და წითელ ფერებთან დაკავშირებითაც, სადაც ისინი შავ ფერს ენაცვლებიან – სიტყვა „შავის“ ნაცვლად ჩასმულია „თეთრი“ და „წითელი“ ფერი. საერთოდ, მსოფლიოს ხალხთა რწმენა-წარმოდგენებში სამყაროს არქიტექტონიკის არაამქვეყნიურ განზომილებაში წარმოსახვის ტრადიციები არსებობდა. ამ მხრივ გამონაკლისი არც ქართველი ხალხი იყო, რომელიც სამყაროს ვერტიკალური კოსმოგონიური მოდელის პარალელურად, მას ჰორიზონტალურ დაგეგმარებაშიც გაიაზრებდა. ქართულ ზღაპრებში საკრალური ციფრი სამისგან შემდგარი გზების გადაკვეთა – სამტოტიანი გზა – ზესკნელის, შუასკნელისა და ქვესკნელისაკენ მიმავალ გზებად უნდა იქნეს გაგებული. ფერთა სიმბოლიკასთან დაკავშირებით ამ ფაქტზე ი. გაგულაშვილმაც მიუთითა და აღნიშნა, რომ გზაჯვარედინზე – ქვაზე დახვედრილ წარწერაში, სადაც ერთი გზა მშვიდობით დაბრუნებაზე, მეორე ცოტა ხიფათზე, ხოლო მესამე არდაბრუნებაზე გვაუწყებს, სამ გზასთან დაკავშირებული სიცოცხლის სხვადასხვა ხარისხზე მიანიშნებს, რაც თეთრი, წითელი და შავი ფერების სიმბოლიკის შესაბამის გაგებას ძალზე უახლოვდება. ავტორის დაკვირვებით, არდაბრუნების გზა შინაარსობრივად პირდაპირ აჩვენებს ეს უკანასკნელი საიქიოს – სულეთისაკენ მიმავალი გზა რომ არის. ამდენად, სამი გზის არსებობის მოტივი, ჰორიზონტალური დაგეგმარების პირობებში, სამყაროს სკნელებად დაყოფის

¹ მ. ჩიქოვანი, *ხალხური შემოქმედების ისტორიისა და თეორიის საკითხები* (თბილისი, 1986), გვ. 70-75.

² А. Веселовский, *Избранные статьи* (Ленинград, 1938), стр. 134.

³ გ. ნადირაძე, *რუსთაველის ესთეტიკა* (თბილისი, 1959), გვ. 349.

⁴ თ. სამხარაძე-მერკვილაშვილი, *ვარდი აჭარის შავი ზღვის სანაპიროზე* (თბილისი, 1964), გვ. 3-8.

⁵ ი. გაგულაშვილი, *ფერთა სიმბოლიკის საკითხისათვის...*, გვ. 53.

შესახებ არსებულ წარმოდგენებთანაა დაკავშირებული¹. ციფრი სამი საკრალური ბუნებისაა. ამიტომ, გადმოცემებსა და რიტუალებშიც, სამტოტიანი გზების თუ სკნელის სამგანზომილებიანი დაგეგმარების კვეთა, სამსხვერპლო ფრინველის თავზე სამჯერ შემოვლება და სამსხვერპლო პირუტყვის საკულტო ნაგებობის ირგვლივ სამჯერ შემოტარება იდენტური მნიშვნელობებით უნდა გავიაზროთ. ეს ციფრი ისე, როგორც შვიდი და ცხრა საყმაწვილო ინფექციურ დაავადებებთან ყოველთვის არ იყო დაკავშირებული, მაგრამ ისინი ბატონების ტიპის ღვთაებათა სარიტუალო ციკლშიც ძმირად იხნდა ხოლმე თავს. იგი წრიულობის წარმოსახვის ჩარჩოებში თავსდებოდა. წრე სულეთის მისტიკური არეალი იყო და, ამდენად, შესაწირავთა შემოტარების სახით წრიულობის იმიტაცია, რიტუალის მნიშვნელოვანი კომპონენტი გახლდათ. ამას გვიდასტურებს დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ჩვეულებაც, რომელიც დაკლულ, მაგრამ ჯერ კიდევ მოფართხალე ქათმის ირგვლივ წრის შემოვლებით ფრინველის სწრაფად მოკვდინებას ითვალისწინებდა. ტრადიციული რწმენით, მოფართხალე ქათამი წრეს ვერ გადალახავდა და სულს ადგილზე უმოკლეს დროში დაღუვდა. გურიში, როცა ბავშვი ხიდან ჩამოვარდებოდა, იმ ადგილზე წრეს შემოსახავდნენ, წრეში მიწას აიღებდნენ, ქსოვილში (*ჭინჭში*) გამოკრავდნენ. შემდეგ ამ მიწას გაძრავდნენ და ბავშვს კოვზით დააღვეინებდნენ, დარჩენილი მიწის ნაწილს კი – თავზე სამჯერ შემოატარებდნენ. სამეგრელოში **ქაჯი** (ტყის კაცი) ადგილობრივი მოსახლეობის წარმოდგენით ადამიანს ერჩოდა და შესაძლოა ავადაც გაეხადა. ასეთ შემთხვევაში ადამიანს შეაცივებდა, სიცხეს მისცემდა. ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად შელოცვა უებარ საშუალებად მიიჩნეოდა. მეგრული მლოცველი ჭიქაში წყალს ათავსებდა და ლოცვის დროს დაავადებულს თავზე წრიულად შემოატარებდა. წყლის ნაწილს ავადმყოფი სვამდა, ნაწილს კი ძაღლს ან კატას გადაასხამდნენ. თუ კატასა და ძაღლს ვერ მოიხელთებდნენ, მაშინ წყალს მინდორში აქცევდნენ. წრიულობის წესი სამეგრელოში სხვა შემთხვევაშიც იყო დაცული. მაგალითად, გველის ნაკბენით დაავადებულის განსაკურნავად მაგიური ჩვეულება შემდეგი სახით სრულდებოდა. ჭიქაში ჩასხმულ წყალში ბალახისაგან შემზადებული წამალი იხსმებოდა. ჭიქაში „ჩაფუფხულ“ წამლისათვის განკუთვნილ ბალახს ჯერ ზედა სამ წვერს მოწყვეტდნენ, გარეცხავდნენ და შემდეგ სავსე ჭიქაში ხელით დასრესილს გაატარებდნენ. აიღებდნენ ჭიქას, ლოცვის ტექსტს („სეფე, სოფო, სატანი“) სამჯერ გაიმეორებდნენ და ავადმყოფს შეასმევდნენ, ნარჩენს კი – ნატკენზე წაუსვამდნენ. როცა ავადმყოფს წამალს დააღვეინებდნენ, საბოლოოდ ერთ „მოთქმას“ კიდევ შეასმევდნენ და მორჩენილ წამალს ჯერ ერთი ბეჭის უკან გადააქცევდნენ, ხოლო მომდევნო „მოთქმაზე“ – მეორე ბეჭის მიღმა. ბოლოს ჭიქას მარჯვენა ხელით ავადმყოფს მარცხნიდან თავზე წრიულად შემოავლებდნენ და ჭიქაში ჩარჩენილ წამალს თავის შუა ნაწილის უკანა მხარეს გადააქცევდნენ. ტერმინები **წრე**, **წერა** (შდრ. **წერაჭვი**, **ბედისწერა...**), **მწერალი...** საერთო წარმომავლობის სიტყვათა რიგს განეკუთვნებიან და ძველ საქართველოში საკრალურ-მაგიური დატვირთვით გამოიყენებოდნენ. ნიშანდობლივია, რომ ავტორთა გარკვეული ნაწილი, კარსტის თეორიიდან გამომდინარე, აღნიშნულ სიტყვათა ფუძის კავკასიურ (პ. აჭარია-ნი), კერძოდ, სომხურ წარმომავლობას არ უარყოფდა (შდრ. ქართული **წრეწირი**), თუმცა, მეორე მხრივ, ისინი **წირს** ცის შუმერულ სახელ **გირთან** აკავშირებდნენ, ხოლო **წირს** და **წრეს** საერთო -**კიმ** ფუძიდან მომდინარედ მიიჩნევდნენ, რაც ცას აღნიშნავდა. ამ უკანასკნელთან უნდა იყოს დაკავშირებული სვანური **ჭერიც** (ნ. მარი. შდრ. გ. არნოლდი). მოცემულ ცნებებთან დაკავშირებული მისტიკურ-მაგიური, კოსმოგონიური და, საერთოდ, რელიგიური მნიშვნელობები, რომლებიც ორნამენტის სხვადასხვა ფორმებში, ზღაპრებსა და მოთოლოგიურ გადმოცემებში შემოინახა, ირ. სურგულაძის მონოგრაფიაში – „ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა“ – დაწერილებითაა მიმოხილული და გაანალიზებული². მონოგრაფია, ზოგადად, ქართულ დეკორატიულ ხელოვნებას, ხოლო, კონკრეტულად, ჩუქურთმებში ასახული სიმბოლური აზროვნების კვლევას ეხება, სადაც, ჩვენთვის საინტერესო საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. ამიტომ, ამ თემაზე ყურადღებას აღარ გავამახვილებთ.

ყვავილ-ბატონები, ასევე, თვალთან მისტიკურადაა დაკავშირებული. ამ კავშირის საკრალური ბუნება, შესაძლებელია, ნაწილობრივ იმითაც ყოფილიყო განპირობებული, რომ წითელა ბატონებს სახადით დაავადებული ბავშვის დაბრმავება შეეძლო. ამ მხრივ, ნიშანდობლივია თვალის ბატონების საუფლოში მდებარე საცხოვრებელი ნაგებობის სვეტზეც რომ ფიგურირებს. სვეტი სახადით გარდაცვლილთა თვალებით იყო მოჭედილი. თვალისა და გათვალვის არსის

¹ თ. ქურდოვანიძე, *ქართული ხალხური ჯადოსნური ზღაპარი* (თბილისი, 1983). შდრ.: ი. გაგულაშვილი, ფერთა სიმბოლიკის საკითხისათვის..., გვ. 60; ი. გაგულაშვილი, *ქართული ფოლკლორის მითოური სახეები და ძირითადი მოტივები* (თბილისი, 1990), გვ. 78.

² მოცემული საკითხის შესახებ მოსახრებები და შესაბამისი ლიტერატურა იხ.: ი. სურგულაძე, *ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა* (თბილისი, 1986), გვ. 24-34.

განსაზღვრა დემონოლოგიური პრობლემატიკის საკვანძო საკითხთა სფეროს განეკუთვნება. იგი დემონურ ღვთაებებთან, მათ შორის, სატანისეული სამყაროს პერსონაჟებთან უშუალოდ იყო დაკავშირებული. ყოფაში შემონახული ცალკეული მაგიური ქცევა არაპერსონიფიცირებულ ჩვეულებათა კომპლექსის ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც ზოგადად დემონურ სულთა წინააღმდეგ იყო მიმართული. ამგვარი ზოგადობა და აბსტრაქტულობა პირდაპირ იყო ჩაქსოვილი ტერმინში – **თვალი**. აჭარაში ისე, როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, თვალის კავშირი დემონებთან სხვადასხვა ტერმინოლოგიური და სიუჟეტური ფორმითაც იყო გამოხატული, კუდიანთა სამყაროსთან კი მის კავშირს დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ტერმინი **გატურვა** (შდრ. **ტურა ქალის** მნიშვნელობას) გადმოგვცემდა.

ამრიგად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არსებული ხალხური წარმოდგენების შესწავლით დგინდება ბატონების, როგორც ინფექციური დაავადების გამომწვევ ღვთაებათა საწყისები, მათი ფუნქციები, ადგილი და როლი ზოგადად დემონურ ღვთაებათა პანთეონში.

ბიბლიოგრაფია

1. გ. ალიბეგაშვილი, *ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები* (თბილისი, 1992).
2. *აჭარული ხალხური პოეზია*, I (თბილისი, 1969).
3. ვ. ბარდაველიძე, *ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ)* (თბილისი, 1941).
4. ვ. ბარდაველიძე, *ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები* (თბილისი, 1953).
5. ან. ბენაშვილი, *ქართული ხმები – ხალხური სიმღერები* (ტფილისი, 1885).
6. ი. გაგულაშვილი, ფერთა სიმბოლიკის საკითხისათვის ქართულ შელოცვებში, *მაცნე*, ენისა და ლიტერატურის სერია, I (თბილისი, 1979).
7. ი. გაგულაშვილი, ფერთა სიმბოლიკის ზოგიერთი საკითხისათვის ქართულ ფოლკლორში, ნაწილი მეორე, *ქუთაისის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები*, II (თბილისი, 1985).
8. ი. გაგულაშვილი, *ქართული მაგიური პოეზია* (თბილისი, 1986).
9. გაგულაშვილი ილ., *ქართული ფოლკლორის მითოსური სახეები და ძირითადი მოტივები* (თბილისი, 1990).
10. ვაჟა-ფშაველა, პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები, V (თბილისი, 1961).
11. ვაჟა-ფშაველა, პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები, IX (თბილისი, 1961).
12. თ. ლომთათიძე, სოლარული სიმბოლიკა „ცხემლის ჭრის“ რიტუალში, *ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, IV (ბათუმი, 2002).
13. ს. მაკალათია, *მესხეთ-ჯავახეთი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა)* (თბილისი, 1938).
14. ვლ. მგელაძე, ქორწინება და საქორწინო წესჩვეულებანი აჭარაში, *კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი* (ბათუმი, 1996).
15. ნ. მგელაძე, ერთი წარმართული რიტუალის შესახებ ღორჯომის ხეობაში, *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება*, VII (თბილისი, 1984).
16. ნ. მგელაძე, საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, ქართლი (1990), ავტორის პირადი არქივი.
17. ნ. მგელაძე, ავტორის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, დასავლეთ საქართველო (1994), ავტორის პირადი არქივი.
18. ნ. მგელაძე, საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, აჭარა, კინტრიშის ხეობა (1995), ავტორის პირადი არქივი.
19. ა. ნადარია, დემონოლოგიის საკითხისათვის საქართველოში, *მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის* (თბილისი, 1980).
20. გ. ნადირაძე, *რუსთაველის ესთეტიკა* (თბილისი, 1959).
21. გ. ნადირაძე, ვარდის სიმბოლიკა „ვეფხისტყაოსანში“, *ლიტერატურული გაზეთი*, 1 აპრილი (თბილისი, 1955).
22. ბ. ნიჟარაძე, *ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები*, I (თბილისი, 1962).
23. ჯ. ნოღაიძე, *ნარკვევები და ჩანაწერები*, 1 (ბათუმი, 1971).
24. ნ. ნოღაიძე, ხალხური მედიცინის ლექსიკიდან (აჭარული მასალა), *რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები* (თბილისი, 1988).
25. სულხან-საბა ორბელიანი, *სიტყვის კონა* (თბილისი, 1949).

26. თ. სამხარაძე-მერკვილაშვილი, *ვარდი აჭარის შავი ზღვის სანაპიროზე* (თბილისი, 1964).
27. თ. სახოკია, *ეთნოგრაფიული ნაწერები* (თბილისი, 1956).
28. ი. სურგულაძე, *ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა* (თბილისი, 1986).
29. თ. ტუნაძე, *საველე-ეთნოგრაფიული მასალები, პირადი არქივი, მოხრობელი ნ. ტუნაძე, 72 წლის, ჩაქვი, 2000.*
30. თ. ქურდოვანიძე, *ქართული ხალხური ჯადოსნური ზღაპარი* (თბილისი, 1983).
31. რ. შამელაშვილი, *„ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები* (თბილისი, 1977).
32. მ. ჩიქოვანი, *ხალხური შემოქმედების ისტორიისა და თეორიის საკითხები* (თბილისი, 1986).
33. გ. ჩხიკვაძე, *ქართველი ხალხის უძველესი სამუსიკო კულტურა* (თბილისი, 1948).
34. ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, *საქართველოს ისტორია* (თბილისი, 1943).
35. А. Веселовский, *Избранные статьи* (Ленинград, 1938).
36. *Мифологический словарь* (Москва, 1991).
37. Е. М. Штасман, *Из истории фамильного культа в древнем Риме* (Москва, 1964).

NUGZAR MGELADZE

Shota Rustaveli Batumi State University

“BATONEBI” - TRADITIONS AND BELIEFS CONNECTED TO IT IN THE SOUTH-WESTERN GEORGIA

The healing traditions in the south-western Georgia that trace back in the past centuries, apart from the empirical experience, were established on the religious roots. That knowledge together with the beliefs connected to it, were codified in the corresponding terminology, sacred symbols, healing spells, which were expressed in ritual, magic and mystical behaviors.

Study of the folklore of the south-western Georgia revealed that in general the place and role of batonebi as an infectious disease are in the demonic pantheon.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

**მომთაბარეობიდან ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის
ძირითადი მიზეზები პირველყოფილ საზოგადოებაში**

მომთაბარეების და ნახევრადმომთაბარეების ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა განეკუთვნება სოციოლოგიურ პრობლემას. მომთაბარეობის დაძლევა კაცობრიობას დღესაც უხდება, მაგრამ განვითარების ძალზედ ხანგრძლივი დროის მანძილზე, რომელიც ათასწლეულებს მოითვლის, კაცობრიობამ შეძლო მისი გარკვეულ ნორმებში მოქცევა, რაც განვითარების გზაზე ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენა იყო; ეს კი პროგრესის წინაპირობას იძლეოდა. ჩვენთვის ამის დაძლევის გზების ძიება დღესაც აქტუალური პრობლემაა, რომელი საკითხის კვლევისას ჯერ კიდევ ბევრი რამ ნათელი არ არის. მომთაბარე საზოგადოებები ეს არის არადიფერენცირებული ორგანიზმები, რომლებიც სრულებით არ ჰგვანან ბინადარ და მიწათმოქმედ საზოგადოებებს.

მომთაბარეული საზოგადოებები არ განეკუთვნება დღეს ჩვენთვის ცნობილ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებს. ჩვენ ისინი უნდა მოვაქციოთ პირველყოფილ თემურ და კლასობრივ საზოგადოებებს შორის, რომელსაც შესაძლოა წინაკლასობრივიც დავარქვათ¹. მომთაბარეული მეურნეობა ექსტენსიური მეურნეობის გარემო პირობებთან შეუგუებლობის გამო ხშირად მალევე ეცემოდა და მომთაბარეული ეკონომიკა შესაბამისად სტაბილური არ იყო².

მომთაბარეობიდან ბინადრობისაკენ გადასვლა დიდი კულტურული პროგრესის და ცივილიზაციის დასაწყისის პირველი ყველაზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო. სამართლიანადაა შენიშნული, რომ ქალს უფრო ხშირად შეეძლო ბავშვის დაბადება, ვიდრე ეს მომთაბარეობის დროს ხდებოდა. ასევე მიწათმოქმედთა მუდმივ დემოგრაფიულ ექსპანსიას მათი ფორმირების საწყის ეტაპზე თან სდევდა მცირე სამეზობლო კოლექტივების თავის ორბიტაში მოქცევა, რაც იწვევდა მათ გამსხვილებას, ენისა და კულტურის ჰომოგენიზაციას. ეს პროცესი შემდგომში იწვევდა მათ დიფერენცირებასაც, ცალკეული თემების გამოყოფას, სპეციფიკური დიალექტების, კულტურისა და ენების წარმოქმნას³.

თანამედროვე ცოდნიდან გამომდინარე, შეუძლებელია დავასახელოთ ის ერთი ფაქტორი, რომელმაც მიგვიყვანა ახალი ბუნებრივი რესურსების ათვისებამდე და მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლამდე. ასევე ადამიანის ბინადარ ცხოვრების წესზე გადასვლასთან დაკავშირებითაც. ამის განსაზღვრა უნდა მოხდეს ადამიანის ცხოვრების, შემოქმედების, საქმიანობის და იდეოლოგიური ცხოვრების ყველა ნიუანსის გათვალისწინებით. წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში ჩვენ დღეს არ გვაქნება საუბარი გვიანდელ მომთაბარეობაზე, რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულში უნდა წარმოქმნილიყო⁴, არამედ ყურადღებას გავამახვილებთ პირველყოფილ საზოგადოებაში ე. წ. „ნეოლითურ რევოლუციამდე“ მიმდინარე პროცესებზე. საკითხზე ვრცელი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები არსებობს, ამდენად, წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში ჩვენ ვერ შევძლებთ მათ ვრცლად მოშველიებას, თუმცა შევეცდებით თეორიულ ჭრილში ვაჩვენოთ მომთაბარეობიდან ბინადარი ცხოვრების წესზე გადასვლის ძირითადი მიზეზები პირველყოფილ და გვაროვნულ საზოგადოებაში.

¹ Семенов Ю. И., Кочевничество и некоторые общие проблемы теории хозяйства и общества, *Советская этнография*, 1 (Москва, 1973), с. 54.

² Першиц А. И., некоторые особенности классовобразования и раннеклассовых отношений у кочевников-скотоводов, *Становление классов и государства* (Москва, 1976), с. 288.

³ Арутюнов С. А., Народы и культуры, *Развитие и взаимодействие* (Москва, 1989), с. 66.

⁴ კაცობრიობის დანარჩენი ნაწილიდან მომთაბარე ხალხების გამოყოფის და შესაბამისად, მეურნეობის ახალი მიმდინარეობის შესახებ, რომელთა აღვირახსნილი შემოსევები დიდი საფრთხე იყო მიწათმოქმედი ხალხისათვის, ჩვენ ცნობები არც ერთ ძველ წერილობით წყაროში არ გვაქვს. „წმინდა“ მესაქონლეობისადმი მომთაბარეობის მიკუთვნება არასწორი მიდგომაა. მომთაბარეული ეტაპის დაწყებას ჩვეულებისამებრ მიაწერენ II ათასწლეულის დასასრულს და I ათასწლეულის დასაწყისს, ადრე რეინის ხანას, როდესაც შუა აზიის და ყაზახეთის, ასევე შესაძლოა წინა და ცენტრალური აზიის მთა-სტეპების ზონაში ქრება ბინადარი მოსახლეობა. დაკრძალვის რიტუალი სულ უფრო იძენს ცხოვრების მოძრავი წესის ნიშნებს. მომთაბარეული მეურნეობის გაჩენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო ბუნებრივი გარემო და მისი ცვლილებები განსაკუთრებით იმ საზოგადოებისათვის რომელთაც საწარმოო ძალები სუსტად ჰქონდათ განვითარებული (იხ. Марков Г. Е., Кочевники Азии (Москва 1976), с. 8-9). ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულს და I ათასწლეულის დასაწყისში ევრაზიის მთელ რეგიონში ბინადარი მიწათმოქმედების ბაზაზე, ზოგიერთ მთა-სტეპების რაიონში, მოხდა მომთაბარეულ მესაქონლეობაზე გადასვლა მისი ცალკეული ფორმებით (იხ. Батнасан Г., Некоторые особенности перехода к оседлому образу жизни в монгольской народной республике, *Советская этнография*, 2 (Москва, 1977), с. 68-69).

საკმაოდ ვრცელი ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალები მიუთითებენ, რომ მსოფლიოს სხვადასხვა, გეოგრაფიულად ძალზედ დაშორებულ კუთხეებშიც კი, ადამიანის, როგორც შრომის და სოციალური ორგანიზაციის ფორმები, ასევე, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები თითქმის ერთნაირი ფორმებით და პრინციპებით ვითარდება. ეს ყოველივე უმრავლეს შემთხვევებში ხდება დამოუკიდებლად. ამ დამოუკიდებლობის მიზეზები ბუნებრივი და გეოგრაფიული გარემოს გავლენის შედეგად თვით ადამიანის შინაგანი აზროვნების ერთგვაროვნებაზე მეტყველებს. როგორც აღნიშნულია, ფსიქოლოგიური ახსნა (ფსიქოლოგიური პარალელი) გამომდინარეობს ადამიანის ცხოვრების საერთო ნათესაობიდან და დაშვებულია, რომ პარალელური მოვლენები უმეტესწილად განვითარდნენ სრულიად დამოუკიდებლად, რამდენადაც ჩვენ აქაც და იქაც აუცილებლობიდან გამომდინარე უნდა მივსულიყავით მსგავს იდეებამდე (თვითდაბადებამდე, თვითნასახვამდე)¹. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიღწევათა უმეტეს ნაწილს დიდი დრო ჰქონდა იმისათვის, რომ ისინი ურთიერთისგან შეეთვისებინათ². თუმცა მიწათმოქმედებაზე და განვითარების მაღალ დონეზე ბუნებრივი გარემოს როლი ზოგჯერ უკუ შედეგსაც იძლევა. შენიშნულია, რომ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები სრულაც არ არის ხელსაყრელი აქ დასახლებული ხალხებისთვის (მაგალითად ავსტრალიის კონტინენტზე, სადაც ხე ბუნია ადგილობრივთა გამოსაკვებად მუდმივად იძლევა ნაყოფს და მათ არ უხდებოდათ ამისთვის დიდი შრომის დახარჯვა და წარმოების იარაღის განვითარება) თუნდაც იმიტომ, რომ იგი განვითარების ნაკლებ სტიმულს აძლევდა. ამ აზრით, ბევრად უკეთესი იყო უფრო ნაკლებ „გულუხვი“ ბუნება³. მაგრამ მეორე მხრივ ნაკლებად „გულუხვი“ ბუნების პირობებშიც განვითარების დონე სხვადასხვა ხალხში ერთნაირი ტემპებით და მიმართულებებით არ ხდებოდა. ამ მიდგომას ცალკეულ შემთხვევებში აქვს არსებობის უფლება, თუმცა, ჩვენი აზრით, ეს მაინც ვერ ჩაითვლება განვითარებისთვის სტიმულის მიძღვმ მთავარ ფაქტორად.

მაგალითად ავსტრალიის აბორიგენები იცნობდნენ მიწის დამუშავებას, დათესვას და მცენარეთა დარგვას, მაგრამ რამაც ხელი შეუშალა მათთან „ნეოლითურ რევოლუციას“ ეს იყო ეფექტური მარცვლეული სახეობების არარსებობა. ამერიკის კონტინენტზე კი განვითარება მოხდა ცენტრალურ უტყეო ნაწილში, სადაც ველურ მდგომარეობაში ნახეს სიმინდი⁴.

გორდონ ჩაილდის თეორიამ მიწათმოქმედებასთან ერთად ბინადრობაზე მყარად გადასვლის შესახებ, საბჭოთა ავტორები (რომლებიც ეკონომიკურ ფაქტორებს მიიჩნევდნენ უპირატესად), ერთფეროვან დასკვნებამდე მიიყვანეს.

ენგელსის თეორია „შრომამ შექმნა ადამიანი“ საბჭოთა ეთნოგრაფების და ანთროპოლოგებისათვის, საკითხის კვლევის მთავარი თეორიული ქვაკუთხედი იყო. აქედან გადახვევა რბილად რომ ვთქვათ დიდ „შეცდომად“ ითვლებოდა. ადამიანის ყველა საქმიანობა შრომას გულისხმობს, მაგრამ შრომას ჩვენ მაინც ვუწოდებთ მწარმოებლურ მეურნეობაზე და ბინადარი ცხოვრების წესით მცხოვრები ადამიანების ჯგუფის საქმიანობას. თუმცა ბინადარი ცხოვრების წესი ყოველთვის არ ნიშნავდა მწარმოებლური მეურნეობის განვითარების სტადიაზე მყოფ საზოგადოებას, ანუ მიწათმოქმედ საზოგადოებას.

დედამიწის უამრავმა ხალხმა, განსაკუთრებით იმათ, ვინც ოიკუმენის გარეთ არახელსაყრელ ბუნებრივ გარემოში ცხოვრობდნენ, მიწათმოქმედებაზე გადასვლა ვერ შეძლო და შეინარჩუნა სამონადირეო და შემგროვებლობითი მეურნეობა (მაგ. ავსტრალიის აბორიგენები)⁵. ეს მაგალითი მიუთითებს იმაზე, რომ ბინადარ ცხოვრების წესზე გადასვლა მიწათმოქმედებაზე გადასვლასთან არ არის კავშირში. ჩვენი აზრით, იმის გადაჭრით თქმა, რომ მარტო მიწათმოქმედებისთვის ხელსაყრელი ბუნებრივი გარემო საზღვრავს ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლას, მისი დიდი როლის მიუხედავად, მართებულად არ მიგვაჩნია. მაგალითად, ჩრდილო ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს ინდიელებმა, ალუუტებმა და კადიაკის ესკიმოსებმა მაღალგანვითარებული ნადირობის ან მეთევზეობის ხარჯზე შესძლეს ბინადარი ცხოვრების წესი ჰქონოდათ⁶.

დღეს ტერმინი „ნეოლითი“ აღნიშნავს ცივილიზაციის იმ სტადიას, როდესაც მეურნეობა ძირითადად ეფუძნება მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას, ხოლო ლითონი ჯერ კიდევ არ გამოიყენება შრომის და საბრძოლო იარაღების დასამზადებლად. ნეოლითი ყველგან ერთი და იმავე დროს არ წარმოქმნილა. დასავლეთ აზიაში ის 12 ათასი წლის წინათ დაიწყო. ევროპაში

¹ შურც გ., *История первобытной культуры* (Санкт-Петербург, 1896), с. 48.

² იქვე, გვ. 53.

³ გ. ყორანაშვილი, *გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების ჩამოყალიბებაში* (თბილისი, 1975), გვ. 67

⁴ იქვე, გვ. 72-73.

⁵ Файнберг Л. А., *Возникновение и развитие родового строя, Первобытное общество* (Москва, 1975), с. 76.

⁶ იქვე, გვ. 81.

პირველი სამიწათმოქმედო თემები სამი ათასი წლის წინ გაჩნდნენ. ხუთი ათასი წლის წინ ბევრი რეგიონის მოსახლეობა ჯერ კიდევ აგრძელებდა ნადირობას და შემგროვებლობას¹.

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში შენიშნული „ნეოლითური რევოლუცია“ აღნიშნავდა მიწათმოქმედების მეტ-ნაკლებად ერთდროულად ათვისებას და ცხოველთა მოშინაურებას. შემდგომ კი კერამიკის და გაპრიანებული ქვის იარაღების და ცალკეული კულტურების ინდივიდუალური მიღწევების განვითარებას. მწარმოებლური მეურნეობის ფართო განვითარება აღნიშნავდა ახალი, ადრე ათვისებული სივრცის მეტ ათვისებას, დასახლების საზოვან-მარშრუტული სქემიდან, უფრო ხელსაყრელი ბუნებრივი საზღვრებისკენ მოედნის ირგვლივ ჭადრაკულწერტილოვანი დასახლების შექმნას. მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა ხელს უწყობდა საკვების რაოდენობის ზრდას, რომელიც ერთიანი ტერიტორიის შედეგად მიიღება².

მსგავსი თეორიული მიდგომა საკვების რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით, დაუსაბუთებლად გვეჩვენება. გვაროვნულ კოლექტივს თუ თემს საკვების ნაკლები პრობლემა ექნებოდა მიმთვისებლური მეურნეობის, ანუ თევზჭერის, შემგროვებლობის და ნადირობის პირობებში, რამდენადაც მწარმოებლური მეურნეობისგან პროდუქციის მიღება მეტ ძალისხმევას და გამოცდილებას, შრომის ორგანიზაციის დახვეწილ ფორმებს, ამავე დროს შესაბამის კლიმატურ გარემოს მოითხოვს.

გამოთქმული მოსაზრებით, შუა პალეოლითის ადამიანებში მუდმივი დასახლებების შენარჩუნება მუდმივი და ეფექტური სამონადირეო მეურნეობის არსებობის პირობებში ხდებოდა³. ეს მოსაზრება, ვფიქრობთ, ბოლომდე მართებული არ არის, რამდენადაც სამონადირეო სივრცე ვერ იქნებოდა მუდმივი და საცხოვრებლის ხშირ ცვლილებას გამოიწვევდა, თუმცა შესაძლოა სხვა პროცესებისთვისაც მიეცა ბიძგი და მიწათმოქმედების განვითარებისთვისაც შეეწყო ხელი. ისიც აღსანიშნავია, რომ მიწის დამუშავებაზე გადასვლა მაინც არ იყო ის ძირითადი მიზეზი, რასაც ხელი უნდა შეეწყო ბინადარი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაზე. ეს პროცესი, ანუ მიწის დამუშავება, როგორც ზემოთ აღინიშნა, ძალზედ დიდ ძალისხმევას, შრომის ორგანიზაციის და იარაღების საკმაოდ მრავალფეროვან ფორმების არსებობას მოითხოვდა. ამის არარსებობის პირობებში წარმოებული პროდუქციით ძალზედ რთული იქნებოდა გარკვეული ვიწრო თუ მსხვილი კოლექტივების გამოკვება. ამდენად, ძალზედ რთულია იმის წარმოდგენა, რომ ადამიანს უპირატესობა არ მიენიჭებინა თავის გამოსაკვებად უფრო იოლ და ძირითად ხერხებზე – თევზჭერაზე, შემგროვებლობასა და ნადირობაზე და გადასულიყო უფრო რთული ცხოვრების წესზე, ანუ მიწის დამუშავებაზე, რაც სავსებით არაბუნებრივი იყო მისთვის. ამის ბუნებრივ-ეკოლოგიური აუცილებლობა რესურსების თვალსაზრისით იმ დროს არ იყო. ამავე დროს, არანაირ დემოგრაფიულ აფეთქებაზე არც მუსტიეს და არც შემდგომ ადრე ნეოლითში საუბარი არ შეიძლება. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ბინადრობაზე გადასვლა მიწათმოქმედებას განვითარებასთან არ არის კავშირში.

მუსტიეს დროს უკვე ნავარაუდევია ტომის არსებობა⁴. გამოთქმული მოსაზრებით, ტომის წარმოქმნა არ არის დაკავშირებული მიწათმოქმედების ან მესაქონლეობის განვითარებასთან, ან კიდევ მაღალგანვითარებულ მეთევზეობის და სამონადირეო მეურნეობასთან⁵. შუა პალეოლითში წარმოქმნილი ტომი და გვარი ყველგან არ წარმოადგენდა სოციალური ორგანიზაციის ფორმას და ის არსებობდა მხოლოდ ბინადარი ცხოვრების წესის მიმდევარ ხალხებში⁶. თუმცა ლ. ფაინბერგი, ბინადარი ცხოვრების წესზე დაბრუნებას, რომელიც მისივე აღნიშვნით, დაკარგული იყო სამონადირეო ფაუნის განადგურების შემდგომ, თოხის მიწათმოქმედებაზე გადასვლას მიაწერს⁷. ავტორისავე აზრით, ნადირობის იარაღების სრულყოფამ, რომელიც ინტენსიურად მიმდინარეობდა ზედა პალეოლითის ბოლოს, გამოიწვია ფაუნის გადარბევა და მასთან ერთად მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდამ მოითხოვა მიმთვისებლური მეურნეობიდან მწარმოებლურზე გადასვლა, რომელიც ნეოლითის დასაწყისში, თოხის მიწათმოქმედების გაჩენასთან ერთად მოხდა. ამის შედეგი იყო თემის ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა, ვიწრო ნათესაური ჯგუფების გაერთიანება ერთ დასახლებაში და გვაროვნული კავშირების განმტკიცება⁸.

ვ. მასონი, „ნეოლითური რევოლუციის“ წინამძღვარ ფაქტორებად თვლიდა: ტექნიკის საკმაოდ მაღალ საფეხურს, პოზიტიური ცოდნის დაგროვებას, მიმთვისებლური ტიპის მაღალგანვითარებას.

¹ Ян Де Лаат З., От начала производства пищи до первых государств: общий обзор, *История человечества, I, доисторические времена и начало цивилизаций* (Москва, 2013), с. 394.

² Арутюнов С. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 64-65.

³ Файнберг Л. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

⁴ იქვე, გვ. 54.

⁵ იქვე.

⁶ იქვე, გვ. 57.

⁷ იქვე, გვ. 75.

⁸ იქვე, გვ. 80.

რებულ ეკონომიკას, მოსახლეობის დაწოლას არსებულ საარსებო რესურსებზე¹. ამ ფაქტორებს, გ. ყორანაშვილის აზრით, ემატება შედარებით მკვიდრი ბინადრობა, ზედმეტი პროდუქციის გაჩენა, რის წყალობითაც შესაძლებელი გახდებოდა მუშახელის შენახვა მცენარეთა ვეგეტაციის პერიოდში, ორგანიზაციის უნარი და სხვა².

ვფიქრობთ, მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდას, პირიქით, ხელი უნდა შეეწყოს ბინადარ ცხოვრების წესის იმპულსების გაძლიერებისათვის და არა გაეფანტა ისინი, ანუ საცხოვრისიდან შორს არ უნდა ექებნათ გამოკვებისათვის აუცილებელი საშუალება. თუმცა ეს მიიღწევა მხოლოდ იმ საზოგადოებაში, სადაც შრომის იარაღები გარკვეულ სრულყოფას აღწევს.

მ. კოსვენის აზრით, მტკიცება იმისა, რომ თითქოს თავდაპირველად ან საერთოდ პირველყოფილ ეპოქაში ადამიანი ეწეოდა მაწანწალა ცხოვრების წესს, არასწორი იქნებოდა. მაწანწალური ცხოვრების წესი შესაძლოა მხოლოდ ყველაზე ადრეულ სტადიაზე არსებულიყო და ამ დროსაც ადამიანები ამას საჭიროების გამო აკეთებდნენ. მეურნეობის განვითარებასა და გვაროვნული წყობის წარმოქმნასთან ერთად ადამიანი სულ უფრო მეტად გახდა დაკავშირებული გარკვეულ ტერიტორიასთან, რომელიც მისთვის ჩვეულებრივ გამოსაკვებ მხარეს წარმოადგენდა³. ავტორისავე მსჯელობით, პრიმიტიული ნადირობა აუცილებლობით არის დაკავშირებული მომთაბარეობასთან, თუმცა აქაც ცალკეული ჯგუფების გადაადგილებები შეზღუდულია განსაზღვრული ტერიტორიით და მოკლებულია რეგულარულობას ცხოველის ცხოვრების წესის დამოკიდებულების მიხედვით. უკვე მეტ-ნაკლებად განვითარებული თევზჭერა დაკავშირებულია შედარებითი ბინადრობის დასაწყისთან. საბოლოოდ მხოლოდ გუთნური მიწათმოქმედების განვითარებით, ადამიანი საბოლოოდ უარს ამბობს მომთაბარეობაზე, ანუ ნომადიზმზე და გადადის მტკიცე ბინადრობაზე⁴.

მსგავსი მიდგომა არასწორად გვეჩვენება, რამდენადაც ავტორი შეგნებულად თუ შეუგნებლად აკინებს ადამიანი ფსიქოლოგიურ მიდგომარეობას გარემოსთან დამოკიდებულებაში, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში ერთი და იმავე გარემოსთან ურთიერთობიდან გამომდინარე ყალიბდებოდა გენეტიკური კოდის ფორმით. ჩვენი აზრით, აქ უმთავრესი როლი ენიჭებოდა წინაპრის კულტს და საფლავებს, რომელსაც ის ვერ ტოვებდა ესე ადვილად. კოსვენის მიერ ამ ძირძველი საცხოვრისი ადგილის, ანუ იმ გარემოს სადაც ის გაიზარდა, წარმოჩენა ადამიანისთვის როგორც „ჩვეულებრივ გამოსაკვები ადგილის“ მნიშვნელობით, არ გვაძლევს იდეოლოგიური და კულტუროლოგიური საკითხების გაშუქების მართებულ მიმართულებას. ამავე დროს ვერ გავიზიარებთ ბინადრობაზე გადასვლასთან დაკავშირებით სხვა ავტორთა მოსაზრებებსაც, რამდენადაც არც თევზჭერას, არც ნადირობას არ შეეძლო ადამიანი დაეკავებინა ერთ ადგილას, ხოლო მიწათმოქმედების, ანუ მწარმოებლური მეურნეობის გაჩენის აუცილებლობა ამ დროს არ იყო, ის სწორედ სხვა მიზეზით, უკვე მყარ ბინადრობაზე გადასულ ადამიანთა მიერ იყო ათვისებული. მსგავსი ეკონომიკური ფაქტორებით ბინადრობაზე გადასვლის ახსნა არა მარტო საბჭოთა ეთნოგრაფთა, არამედ ბოლოდროინდელ უცხოელ ეთნოლოგთა და არქეოლოგთა შრომებში მეტ-ნაკლები დოზებით უმთავრეს მიზეზთა შორის სახელდება და მიზანშეწონილად ვთვლით უფრო ვრცლად შემოგთავაზოთ მსგავსი მასალები.

ავტორთა მიერ აღნიშნულია, რომ ადამიანთა ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა პირველ ეტაპზე შემგროვებლობამ, ხოლო შემდგომ მიწათმოქმედების განვითარებამ გამოიწვია⁵. მწარმოებლურ, ანუ მაღალსპეციალიზირებულ მიმთვისებლურ მეურნეობაზე გადასვლა ხდებოდა იქ, სადაც განვითარების წინა საფეხურზე მიღწეულ იქნა გარკვეული ხასიათის ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა, რასაც განამტკიცებდა მეურნეობის ფორმების განვითარება⁶. ხოლო მომთაბარეობის წარმოქმნა მისი კლასიკური გაგებით, ე. მარკოვის აზრით, მწარმოებლური მეურნეობის გაჩენასთან ერთად ე. წ. „ნეოლითური რევოლუციის“ დროს ხდება⁷.

ი. სემიონოვის აზრით, თავდაპირველი დედამთავრულ გვაროვნული ორგანიზაცია დუალურ-ჯგუფური დისლოკალური და დისოკონომიკური ქორწინებით წარმოიქმნა ქვედა და ზედა პალეოლითის მიჯნაზე, რომელსაც ხელს უწყობდა ბინადარი ცხოვრების წესი. ის დამახასიათებელი იყო ზედა პალეოლითის დროინდელი საზოგადოებისათვის. ზედა პალეოლითის დასასრულს ჩნდებიან ჯგუფები, რომლებიც მაწანწალა ტაურების წესს ეწევიან, ეს წესი უპირატესია მეხოლითშიც. მეხოლითში კი მიწათმოქმედების ჩასახვასთან ერთად კაცობრიობის უმეტესი

¹ Массон В. М., Проблема неолитической революции в свете новых данных археологий, *Вопросы истории*, 6 (Москва, 1970), с. 82.

² გ. ყორანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

³ Косвен М. О., Очерки истории первобытной культуры (Москва, 1957), с. 93.

⁴ იქვე, გვ. 94.

⁵ ი. პერშიცი, ა. ლ. მონგაიტი, ვ. პ. ალექსევი, პირველყოფილი საზოგადოების ისტორია (თბილისი, 1988), გვ. 190.

⁶ Алексеев В. П., Першиц А. И., *История первобытного общества* (Москва, 1990), с. 224.

⁷ Марков Г. Е., Некоторые проблемы возникновения и ранних этапов кочевничества, *Советская этнография*, 1 (Москва, 1973), с. 102.

ნაწილი ისევ გადადის ბინადრობისკენ. მთლიანობაში კი ბინადრობას მივყავართ მატრილინეური კავშირების განმტკიცებისაკენ, ხოლო მომთაბარულ ცხოვრების წესს პატრილინეურისკენ¹.

ა. ხაზანოვის აზრით, ევროპაში, ზედა პალეოლითის დროს პრივალირებადი ბინადარი ცხოვრების წესი მუსტიეზე გვიან არ ჩანს დამკვიდრებული. სხვადასხვა მიზეზთა შორის ეს განპირობებული იყო შემგროვებლობასთან შედარებით ძუძუმწოვრებზე კოლექტიური ნადირობის უპირატესობით. მეზოლითში ასეთი ნადირობის მნიშვნელობა ეცემა და იზრდება ინდივიდუალური ნადირობის და შემგროვებლობის როლი, რამაც საბოლოოდ კოლექტივები სულ უფრო მოძრავი გახადა².

ის გარემოება, რომ მიწათმოქმედების პროდუქტიულობა ადამიანის შრომის ერთეულის გათვალისწინებით უფრო მაღალია, ვიდრე ნადირობისა, საცხებით მართებული მოსაზრებაა³. თუმცა იმ საზოგადოებებში, სადაც მიწათმოქმედება მეორეხარისხოვან როლს ასრულებს ნადირობასა და შემგროვებლობასთან შედარებით (ამერიკელი ინდიელების მაგალითზე), მიწათმოქმედებაზე გადასვლა ვერ იქნებოდა ის მთავარი წამქეზებელი გარემოება, როგორც ეს რ. კორნიერომ აღნიშნა, რომელმაც ისინი ბინადარი ცხოვრების წესზე გადაიყვანა⁴. ამავე დროს ავტორი აღნიშნავს, რომ მიწათმოქმედებისა და მეთევზეობის დიდი როლი ნამდვილად ხელს უწყობს ბინადარ ცხოვრებას იმ დროს, როდესაც ნადირობისა და შემგროვებლობის დიდი როლი ხელს უშლის მას. მნიშვნელოვანი როლი ბინადრობაზე შეიძლება ომებმაც შეასრულოს⁵, რაც მეურნეობის ფორმების ცვლილებას იწვევს და ნადირობის მნიშვნელობას წინ წევს. ასევე მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიულ გარემოს, რომლის ძალითაც დიდი მდინარეების ირგვლივ მცხოვრებნი მისდევენ უმთავრესად თევზჭერას და მიწათმოქმედებას, ხოლო მდინარეთაგან მოშორებით მაცხოვრებლებში უფრო გაძლიერებულია ნადირობისა და შემგროვებლობის როლი⁶. ავტორისავე აზრით, ბინადარი ცხოვრების წესი არაერთმნიშვნელოვანი მოვლენაა. მისი გაზომვა შეუძლებელია მისი ყველაზე ნათელი კომპონენტის – დროის მიხედვით, რომლის განმავლობაში დასახლება რჩება ერთ კონკრეტულ ადგილას. ბინადარი ცხოვრების წესი განისაზღვრება დასახლების ზომებითაც. ბინადრობის უფრო მაღალი დონე ჩანს, როდესაც სოფელი 500 მცხოვრებით რჩება ერთ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში, ვიდრე 50 სულიანი სოფელი რჩება ერთ ადგილას ათი წლის მანძილზე. ამდენად ბინადრობის დროის მცნება არის შემადგენლობითი გაგება. სხვანაირად რომ ვთქვათ რაც უფრო მსხვილია დასახლება (სოფელი) და რაც უფრო დიდ ხანს რჩება ის ერთ ადგილას, მით უფრო ბინადარია მისი მაჩვენებელი⁷.

მეურნეობის შერეული ფორმების გაჩენას, რომელიც ერთიანებს მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას, უკავშირებს გ. შურცი სრულ ბინადრობაზე გადასვლას⁸.

შ. ბეკენი მიიჩნევს, რომ ადამიანთა ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა გამოიწვია ცხოველთა მოშინაურებამ, თუ, პირიქით, ეს იყო მისი შედეგი – ამ ორი ჰიპოტეზის ერთმანეთისაგან გამორიცხვა შეუძლებელია⁹. მაგრამ თვით ავტორის მიერ მოშველიებული მასალებით ეს არ მტკიცდება, რადგან პირველად ცხოველთა მოშინაურება და ისიც გარკვეული სახეობების, ხდება ძვ. წ. XI ათასწლეულიდან¹⁰, ხოლო ბინადარი ცხოვრების ნიშნები გვაქვს ბევრად ადრეული ეპოქებიდან, ანუ შუა პალეოლითის იმ საზოგადოებებში, რომლებიც შემგროვებლობას და ნადირობას მისდევდნენ.

ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ მეზოლითის დროინდელი მკვეთრი ეკოლოგიური ცვლილებების შედეგად მოხდა მეურნეობის და ცხოვრების მთელი წესის გადალაგება უკვე ნახევრად მომთაბარე მონადირეებსა და შემგროვებლებში. საბოლოოდ კი ამან გამოიწვია სამონადირეო მეურნეობის კრიზისი, რომელმაც შემდგომში განაპირობა მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა¹¹. გარკვეული აზრით, ბინადარი ცხოვრება არ წარმოადგენს მწარმოებლური მეურნეობის აუცილებელ წინაპირობას, თუმცა აადვილებს მისკენ გადასვლას¹². თუმცა იქვე შენიშნულია,

¹ Семенов Ю. И., Проблема перехода от материнского рода к отцовскому (Опыт теоретического анализа), *Советская этнография*, 5 (Москва, 1970), с. 61-65.

² Хазанов А. М., Природно-хозяйственные различия в каменном веке и проблема первобытности материнского рода, *Советская этнография*, 1 (Москва, 1973), с. 114.

³ Карнеиро Р. Л., Переход от охоты к земледелию, *Советская этнография*, 5 (Москва, 1969), с. 68.

⁴ იქვე, გვ. 69-70.

⁵ იქვე, გვ. 75.

⁶ იქვე, გვ. 76.

⁷ იქვე, გვ. 72.

⁸ Шурц Г., დასახ. ნაშრომი, გვ. 243.

⁹ Бекени Ш., Одомашнивание животных от начала производства пищи до 5000 лет назад: общий обзор, *История человечества, I, доисторические времена и начало цивилизаций* (Москва, 2013), გვ. 417.

¹⁰ იქვე, გვ. 419.

¹¹ Марков Г. Е., Кочевники Азии (Москва, 1976), с. 241.

¹² იქვე, გვ. 236.

რომ ადრეულ ნეოლითში ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის გაძლიერება დაკავშირებული იყო თევზჭერის განვითარებასთან. თევზჭერა იყო მუდმივი საკვების წყარო და უფრო ნაკლებად იყო დამოკიდებული სეზონურობაზე, ვიდრე ნადირობა და შემგროვებლობა¹. მაგალითად, სამხრეთ ამერიკის ამაზონის ინდიელები, რომლებიც დიდი მდინარეების სანაპიროზე შედარებით ბინადრად ცხოვრობდნენ, ძირითადად თევზჭერით ირჩენდნენ თავს. სწორედ ამგვარი ბინადარი ცხოვრების წესი განაპირობებს მათში მიწათმოქმედების განვითარებას².

ჩრდილოეთ აფრიკის ადრეპალეოლითურ არქეოლოგიურ მონაპოვარში ტერა ამატაში, რომელიც 450 000 წლით თარიღდება, იქ მცხოვრები მონადირეები, რომლებიც ერთ ჯგუფს განეკუთვნებოდნენ, წელიწადის ერთი და იმავე დროს ნადირობიდან თავიანთ ძირითად სადგომში ბრუნდებოდნენ. ისინი ძირითად დასახლებებში ქალებს და ბავშვებს ტოვებდნენ. მათ ჰქონდათ საცხოვრებელი სახლები, სადაც გამართული იყო კერა. მათთვის საბაზისო იყო გენეტიკური, სამეურნეო და კულტურული კავშირები, რომელიც აახლოებდა პრატიკის ჯგუფებს. ამგვარი ბევრი მაგალითების მოტანაა შესაძლებელი³.

სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთის ტერიტორიაზე მუსტიეს დროს არსებული ჯგუფებიც ცხოვრობდნენ ტყე-ტუნდრის ცხოველებით მდიდარ ადგილებში, რომლებიც სულ უფრო და უფრო მიდრეკილნი იყვნენ ბინადარი ცხოვრებისაკენ⁴.

ბ. ანდრიანოვის აზრითაც, პალეოლითში სამეურნეო საქმიანობის განვითარებამ (ნადირობა მსხვილ ცხოველებზე და სხვ.) შეაკავშირა ადამიანთა ჯგუფები⁵.

ხემათ წარმოდგენილი მასალა ნათელი ილუსტრაციაა იმისა, რომ ბინადარი ცხოვრების წესზე გადასვლა მაინცადამაინც მიწათმოქმედებაზე, ანუ მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლასთან არ არის კავშირში, მაგრამ ბინადრობისადმი „მიდრეკილებას“ გ. მარკოვი ძირითადად ეკონომიკურ ფაქტორებს უკავშირებს, რითაც ვფიქრობთ, მოპოვებულ მასალებს არასწორ ინტერპრეტაციას აძლევს. აქვე აღვნიშნავთ, რომ როდესაც დამიანების ჯგუფმა მიაგნო საკვების პრობლემის გადაწყვეტის გზებს (ნადირობით იქნებოდა ეს თუ შემგროვებლობით და თევზჭერით), ამით ვერ განმტკიცდებოდა შემდგომი მათი ერთიანობა. ერთიანობის განმტკიცება საარსებო საშუალებების მოპოვებამდე უნდა მომხდარიყო სადაც წინ უნდა წამოწეულიყო იდეოლოგიური სფერო, რომელიც მდგომარეობდა წინაპრის და მიცვალებულისადმი პატივისცემის გრძნობის ჩასახვაში. სწორედ ეს განამტკიცებდა მათ როგორც საწყის, ისე შემდგომ ერთიანობას.

როგორც აღნიშნულია, ხშირად გეთავაზობენ იმ აზრს, რომ საკვების წარმოებაზე და ადამიანის განვითარებაზე უდიდესი წვლილი მიუძღვის სოფლის მეურნეობას, რომელიც ითხოვდა ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლას, სიმდიდრის და მუდმივი სახლების გაჩენას. თუმცა აფრიკის არქეოლოგიური მასალა ამის საპირისპიროს ამტკიცებს. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი აფრიკის თემები ბინადარნი იყვნენ საუკუნეებით ადრე, ვიდრე წარმოიქმნებოდა მწარმოებლური მეურნეობის რაიმე ფორმები. მათი მეურნეობა ძირითადად დაამყარებული იყო არა ნადირობასა და შემგროვებლობაზე, არამედ თევზჭერაზე⁶.

განსახდვრულ პირობებში ნეოლითური რევოლუციის შედეგების გავლენით ბინადარი დასახლებები წარმოიქმნენ იქაც, სადაც მიწათმოქმედება შეუძლებელი იყო. ეს არის ზღვის ცხოველებზე მონადირე ან თევზჭერაში დახელოვებული ადამიანების დასახლებები, რომლებიც თავისი სოციალური ეკოლოგიით შესაბამისობაში არიან ადრეულ მიწათმოქმედთა დასახლებებთან⁷.

ახალ გვინეაში დასახლებათა უწყვეტობა არსებობს მხოლოდ და მხოლოდ საკმაოდ წმინდად გამოყოფილ ლინგვისტურ ჯგუფებს შიგნით და არა მთელი კუნძულის ჩარჩოში. სწორედ ასეთი ჯგუფები და დასახლებები შეესაბამებიან „კონეოს“ ტიპის ეთნიკურ ერთობებს⁸.

ბინადარი ცხოვრების წესი, როგორც ამას არქეოლოგიური მასალების მიმოხილვა ადასტურებს, ჯერ კიდევ მონადირე არქანტროპების დროს იყო ცნობილი. ისინი ნადირობდნენ არა მთლიანი კოლექტივის სახით, არამედ მხოლოდ მამაკაცები. ნანადირევე ხორცს ადგილზე კი არ მიირთმევდნენ, არამედ მისი უდიდესი ნაწილი სადგომში მიჰქონდათ⁹. თუმცა იმდროინდელი „მუდმივი“ სადგომებიც დროებით ხასიათს ატარებდა, რამდენადაც მის ირგვლივ მდებარე სივ-

¹ Марков Г. Е., История хозяйства и материальной культуры в первобытном и раннеклассовом обществе (Москва, 1979), с. 55.

² Марков Г. Е., *Кочевники...* с. 244.

³ იქვე, გვ. 208-213.

⁴ იქვე, გვ. 215.

⁵ Андрианов Б. В., Неоседлое население мира (*историко-этнографическое исследование*) (Москва, 1985), с. 5.

⁶ Филлипсон Ф. У., Африка (кроме Египта) от начала производства пищи до 5000 лет назад, *История человечества, I, доисторические времена и начало цивилизаций* (Москва, 2013), с. 441.

⁷ Арутюнов С. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

⁸ იქვე, გვ. 68.

⁹ Семенов Ю. И., Становление человеческого общества, *История первобытного общества, Общие вопросы, Проблемы антропосоциогенеза* (Москва, 1983), с. 351-352.

რცე ვერ მისცემდა მათ მუდმივად გამოკვების შესაძლებლობას. მარტო ნადირობით ამგვარი სტატუსს კვოს შენარჩუნება ძალიან რთული იქნებოდა. ადამიანი ნადირობის შედეგად არა მარტო ანადგურებდა ცხოველებს, არამედ თვით ცხოველებიც ეცლებოდნენ ამგვარ საშიშ ადგილებს და მოშორებით ინაცვლებდნენ. თუმცა რესურსი ძალზედ დიდხანს მაინც არ უნდა ამოწურულიყო. ბინადარი ცხოვრების წესზე გადასვლისათვის არ იყო აუცილებელი მიწათმოქმედებისთვის მიეყოთ ხელი და უფრო დიდი შრომის შედეგად მოეპოვებინათ საარსებო საშუალებები. პირველყოფილ საზოგადოებაში ასევე წარმოუდგენელია დემოგრაფიულ აფეთქებაზე და ამით გამოწვეული მიმთვისებლური მეურნეობის შედეგად საკვების ამოწურვაზე ვიფიქროთ, რამდენადაც, როგორც ვარაუდობენ, პალეოლითის ეპოქაში პლანეტის მოსახლეობა ორ მილიონს შეადგენდა, ხოლო ნეოლითის დასასრულს ათ მილიონს, ხოლო ცალკეულ რეგიონებში მილიონამდეც აღწევდა¹.

ვიფიქრობთ, ბინადრობაზე გადასვლა გარემო პირობების შესაბამისობაში, რომელსაც მეურნეობის გარკვეული ფორმები უწყობდნენ ხელს, სულ სხვა ფაქტორთან იყო დაკავშირებული, კერძოდ მიცვალებულის და წინაპრის კულტთან, წინაპრის საფლავის პატივისცემასთან, რაც ამა თუ იმ საზოგადოებისთვის უფრო ძირითადი იყო, ვიდრე „მუდმივი საკვები“, რომლის მოპოვება ადამიანმა უკვე ისედაც ისწავლა. ეს იყო ადამიანის პირველ რიგში როგორც სულიერი არსების გონებრივი წვდომის შედეგი, რომელი რწმენის გარეშეც თვით საკვების მოპოვებაც კი შეუძლებლად მიიჩნეოდა. მაგალითად ამერიკელი ინდიელი და ავსტრალიელი ძალზედ ადვილად ტოვებს თავის საცხოვრებელს და მას იქ არაფერს აკავებს იმის გარდა, რომლის გადატანაც ადვილად შეიძლება². ხოლო თავის ქალების გადატანა ადვილად შეიძლებოდა, რომლის მიმართ რწმენა შესაძლოა ჯერ კიდევ ნახევრად მომთაბარე ცხოვრების წესზე მიუთითებდეს. მისი, ანუ რწმენის მთავარი ობიექტის სხვა სადგომში გადატანა ადვილად შეიძლებოდა, ხოლო როდესაც ბინადრობაზე გადავიდნენ, მან მუდმივი რწმენის ობიექტის სახე მიიღო და ტრადიციადაც ჩამოყალიბდა.

მიცვალებულისადმი პატივისცემა იმდენად საყოველთაოა და იმდენად დიდი მასალა არსებობს ამ საკითხზე, რომ მისი სულ მცირე ნაწილის მოყვანაც კი, აქ პრაქტიკულად შეუძლებელია. გ. შურცის დახასიათებაც კმარა იმაზე, რომ მაღალგანვითარებულ ხალხებშიც კი მოცემული ტომის მიცვალებულები ითხოვენ და იღებენ იმდენად მსხვილ შესაწირავებს, შრომას და საკვებ საშუალებებს, რომ ცოცხლები მათ გამო უარს ამბობენ უმნიშვნელოვანეს ცხოვრებისეულ მოთხოვნებზე³.

არქეოლოგიური მონაცემები მოწმობენ, რომ ადამიანის შეგნებულად დაფლვა, სადაც მიცვალებულისათვის ცხოველთა ძვლებია ჩატანებული და საფლავზე ყვავილების ნაშთია აღმოჩენილი, ჯერ კიდევ 60 ათასი წლით თარიღდება (ნეანდერტალელი ადამიანი – შანი-დარა IV). ევროპის და აზიის ტერიტორიაზე მსგავსი რიტუალური დაკრძალვის წესები უამრავ ადგილას არის ცნობილი და ამ უძველეს სამარხებში აღმოჩენილია ისეთებიც, სადაც თავის ქალის ირგვლივ ქვების წრეა შემოვლებული (გამოქვაბული მონტე ჩირჩეი)⁴. მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, ისინი წარმოადგენდნენ გამიზნულად მოწყობილ სამარხებს⁵.

ბოლოდროინდელ აღმოჩენებზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ ნეანდერტალელების⁶ სულიერი ცხოვრების ერთ-ერთ ძირითად მახვენებელს წარმოადგენს სამარხები, რომლებიც შუა პალეოლითის ბოლოს ჩნდება. ისინი მოწმობენ საკმაოდ განვითარებულ რიტუალზე და ცერემონიებზე, რომლითაც განისაზღვრებოდა მიცვალებულისადმი დამოკიდებულების პროცედურები. დაკრძალვის ცერემონიების არსებობა მიუთითებს სოციალურ კავშირებზე ადამიანთა შიგნით არსებულ გარკვეულ ჯგუფებს შორის, ასევე საერთო წარმოდგენებზე სიკვდილის შესახებ⁷.

¹ Алексеев В. П., Демографическая и этническая ситуация, *История первобытного общества, Эпоха класообразования* (Москва, 1988), с. 47.

² Шурц Г., დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

³ იქვე, გვ. 231.

⁴ Семенов Ю. И., Становление человеческого общества..., с. 383-384.

⁵ ა. ი. პერშიცი, ა. ლ. მონგაიტი, ვ. პ. ალექსეევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 111-112.

⁶ ითვლება, რომ ნეანდერტალელების პერიოდი დაიწყო დაახლოებით 250 000 წლის წინ და გაგრძელდა 25 000 წლამდე. გეოგრაფიულად ნეანდერტალელი ადამიანები ცხოვრობდნენ დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე, ცენტრალურ აზიაში და ხმელთაშუაზღვისპირეთის ორივე მხარეს მდებარე ტერიტორიაზე. აღმოსავლეთ აზიის და საპარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ტერიტორიაზე მოსახლე ადამიანები ნეანდერტალელებისგან განსხვავდება გარკვეული მორფოლოგიური ნიშნებით, მათ დღეს უწოდებენ „გონიერი ადამიანის“ ძველ წარმომადგენლებს. მათი არქეოლოგიური კულტურა შეესაბამება შუა პალეოლითს (იხ. Рунак В., Ланпо И., Китай в период *Homo sapiens neandertbalensis* (человек разумный неандертальский) и его современники, *История человечества, I, доисторические времена и начало цивилизаций* (Москва, 2013), с. 187).

⁷ Валох К., В период *Homo sapiens neandertbalensis* (человек разумный неандертальский) и его современники, *История человечества, I, доисторические времена и начало цивилизаций* (Москва, 2013), с. 162.

მიცვალებულის დაკრძალვის წესის არსებობა უცხო ადრეული პალეოლითის ეპოქისათვის, ხოლო შუა პალეოლითში მისი გამოჩენა მოწმობს ადამიანის ინტელექტუალურ განვითარებას¹.

ცხოველების მსხვილ ჯოგზე ნადირობა მოითხოვდა ადამიანების ჯგუფებად გაერთიანებას, რომელთა წევრების რაოდენობა ოჯახის წევრების რაოდენობაზე ბევრად დიდი უნდა ყოფილიყო, ამდენად ის უნდა შემდგარიყო რამოდენიმე ოჯახთა გაერთიანებისაგან. როგორც ყველა ცხოველი, ასევე ადამიანებიც ცხოვრობდნენ ჯოგებად. თუმცა ადამიანმა გამოავლინა ტერიტორიის და იერარქიის ინსტიქტი. ყოველ ჯგუფს ჰქონდა საკუთარი სანადირო ტერიტორია და ჰყავდა საკუთარი „ბელადი“ (ან ეთნოლოგიური ტერმინით: „დომინირებადი მამრი“), რომელიც ალბათ ნადირობის ძალით იყო გამორჩეული. ბელადის გარდა იყო ერთობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წევრი „ჯადოქარი“, ან „შამანი“, რომელიც ითვლებოდა სულებთან და უზენაეს ძალებთან დაკავშირებულ ადამიანად და ის უზრუნველყოფდა ნაყოფიერ ნადირობას და ნანადირევის ხარისხიანობას. შამანის როლი შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ბელადისა. საერთო რწმენით გაერთიანებული ადამიანები ერთმანეთთან შეკავშირებულნი იყვნენ სისხლისმიერი კავშირებით (ან ტოტემიზმით) და ეკზოგამიის წესს იცავდნენ².

ხედა პალეოლითში უკვე ჩნდება საცხოვრებელი ნაგებობებიც, რაც არ ნიშნავს ჯერ კიდევ ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლას. ზოგიერთი ჯგუფები კი, შესაძლოა დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ ერთ ადგილას და შესაძლოა არც არასდროს დაუტოვებიათ ის. როგორც ჩანს, ხედა პალეოლითიდან უკვე დაიწყო ამა თუ იმ ადგილის შეჩვენა და „საკუთარი სახლის“ მიმართ გარკვეული გრძნობა, რაც ერთგვარი წინაპირობა იყო ნეოლითის მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასასვლელად³. მაგრამ სახლი ეს ის პირველი „ტაძარი“, სადაც ინახავენ თავიანთ მიცვალებულს და რომლის მიტოვებაც ის ყოველთვის ერიდება მისდამი პატივისცემის და რწმენიდან გამომდინარე, რომელზეც უამრავი ფაქტობრივი მასალები მიუთითებენ.

ევროპის ტერიტორიაზე ძვ. წ. XVIII-X ათასწლეულების მიჯნაზე იქმნება გარკვეული ბინადარი და ნახევრად ბინადარი დასახლებები, რომელსაც არქეოლოგიურ კულტურებს უწოდებენ. ეს ხდება მაშინ, როდესაც მიწათმოქმედება და მწარმოებლური მეურნეობა ჯერ კიდევ ჩანასახის დონეზე არ არის⁴. ხოლო გვიან მეზოლითში, რომელიც იწყება 8-7 ათასი წლის წინათ, ფორმირდება ახალი ერის დასაწყისის პირველი ნიშნები სამხრეთ და ცენტრალურ ევროპაში. ხმელთაშუაზღვისპირეთში ჩნდება შინაური ცხოველების პირველი სახეობები (ცხვარი, თხა), ხოლო დასახლება ბინადარი ცხოვრების წესს შეესაბამება. ატლანტის ოკეანის სანაპიროებზე (ხოელიკი, ტევიეკი) იქმნება ნამდვილი სოფლები, ხოლო სამარხები დაჯგუფებულია ნეკროპოლის სახით. ერთობლივად დაკრძალული თავის ქალების კულტი, როგორც ოფნეტეში (ბავარია), ისე ნაფუტის კულტურაში (დასავლეთ აზია) მიანიშნებს იმაზე, რომ დასახლებას აქვს მუდმივი ხასიათი და რაც ასევე ხაზგასმია იმისა, რომ გარკვეული ჯგუფები მიწას მემკვიდრეობით ფლობენ. მუდმივი და მკვიდრი დასახლებების ორგანიზაცია კიდევ უფრო კარგადაა გამოხატული სკანდინავიაში, სადაც სანაპიროს სოფლები მიესადაგნენ ნარევი ტიპის მეურნეობას, რომელიც ზღვის და ტყის რესურსების გამოყენებაში მდგომარეობდა. სერბეთში, დუნაის სანაპიროზე შეიქმნა სოფელი ბინადარი ცხოვრებით. დასახლებაში გამოვლენილ ერთ-ერთ სახლში, რომელსაც ტრაპეციულფერდოიანი ფორმა და ქვის საძირკველი ჰქონდა, გარშემოტყეპული იყო საფლავეებით. აქვე აღმოჩენილია სხვადასხვა სახის გეომეტრიული ფიგურები⁵.

პალესტინის ნაფუტის კულტურა, რომლის წარმოშობა 12,8-12,5 ათასი წლის წინ, ხოლო დასასრული 10,5-10,3 ათასი წლის წინ ივარაუდება, ადრინდელ პერიოდში ხასიათდება საცხოვრებელ ნაგებობათა სიჭარბით, ასევე, ინდივიდუალური და კოლექტიური სამარხებით⁶. ეს წარმოადგენდა უდიდეს ბინადარ დასახლებას, რომლის წარმომადგენლებიც ცხოვრობდნენ ნადირობით, თევზჭერით და შემგროვებლობით. ნაფუტის ძირითად დასახლებულ ზონებში ხშირად გვხვდება სამარხები; ეს კი იმას ნიშნავს, რომ იქ მცხოვრებნი გარკვეულ განსაზღვრულ ტერიტორიებს ფლობდნენ, რომლებიც მდებარეობდნენ, როგორც დასახლებაში, ისე მის მიმდებარედ⁷. ამ პერიოდში მიცვალებულის გვამს კი არ აგდებდნენ, არამედ ინახავდნენ ცოცხლების გარემო-

¹ Елинек Артур Дж., Западная Азия в эпоху среднего палеолита, *История человечества, I, доисторические времена и начало цивилизаций* (Москва, 2013), с. 174.

² Ян Де Лаат З., დასახ. ნაშრომი, გვ. 395.

³ Клима Б., Период человека разумного современного вида до начала производства пищи (производящего хозяйства), *История человечества, I, доисторические времена и начало цивилизаций* (Москва, 2013), с. 205.

⁴ Отт М., Европа в период верхнего палеолита и мезолита, *История человечества, I, доисторические времена и начало цивилизаций* (Москва, 2013), с. 240-246.

⁵ იქვე, გვ. 246-247.

⁶ Вар-Йосеф О., Западная Азия в конце среднего палеолита до начала производства пищи, *История человечества, I, доисторические времена и начало цивилизаций* (Москва, 2013), с. 274.

⁷ იქვე, გვ. 276.

ში, საცხოვრებელში¹. აქ უკვე ნათელია, რომ ცოცხლების მიერ მიცვალებულისადმი ზრუნვა ვერ იქნებოდა გამოწვეული იმის გარეშე, რომ კოლექტივის წევრებს სიცოცხლეშიც არ ჰქონოდათ ერთმანეთზე ზრუნვის შეგრძნება. მიცვალებული ითვლებოდა კოლექტივის წევრად². ნაფუტიის კულტურაში მარცვლეული აღმოჩენილი არ არის, თუმცა ნაპოვნია მისი ჩასაყრელი ორმოები. აღრეულ ეპოქაში ნაფუტიელები საკვებად იყენებდნენ ველურ მარცვლეულს და იცოდნენ მისი დამუშავების ტექნოლოგიები. ნაფუტიის კულტურაში მუდმივი დიდი დასახლებები და არც მიცვალებულთა სამარხები თითქმის არ არის აღმოჩენილი. ჯ. მელარტი ფიქრობს, რომ იმათ ვინც სახლიდან შორს კვდებოდნენ ადგილზე ტოვებდნენ, ან დროებით მარხავდნენ, ხოლო შემდგომ კი გადააქონდათ მუდმივ სამარხებში თავიანთ ნათესავეებთან ძირითად დასახლებაში. ამდენად აქ იყო დაკრძალვის ორგვარი სახეობა: პირველადი და მეორადი, ხშირად არასრული. ნახევრად ბინადარი ნაფუტიელები მიცვალებულს სახლის შიგნით მარხავდნენ, როგორც ჩანს „სახლის იღვა“ ძალზედ ძლიერი იყო³.

ლევანტის კერამიკულ კულტურაში (დაახლოებით 11 000 – 10 500 // 10 250 წწ.), რომელიც – მომდინარეობს ნაფუტიის კულტურიდან და სადაც მიცვალებულის კულტი ერთ-ერთი წამყვანია (ოსრის გამოყენება, მოკრუნხულ მდგომარეობაში დაკრძალვა, თავის ქალების შენახვა და სხვ.) ნადირობა წარმოდგენდა ძირითად გამოსაკვებ საშუალებას⁴. ესეც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა მიწათმოქმედების განვითარებასთან კავშირში არ არის.

გ. ჩაილდის აღნიშვნით, ნეოლითის და ადრეინდოაოს ხანის საზოგადოებებისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო მოკრუნხულად დაკრძალვა. შემდგომში მათ ადგილი დაუთმეს გაჭიმულ მდგომარეობაში დაკრძალვას⁵. ავტორი ყურადღებას აქცევს იმას, რომ რაც უფრო მეტი დრო გადის მოკრუნხული მდგომარეობა სულ უფრო თანდათან ქრება, რომელიც უფრო სამხრეთში, ძველ აღმოსავლეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში იყო გავრცელებული, ხოლო დაჭიმულ მდგომარეობაში დაკრძალვა მხოლოდ ჩრდილოეთის რიტუალად ითვლება. მისივე აზრით, მოკრუნხულად დაკრძალვისაგან უარის თქმა არც რელიგიურ და არც რასობრივ ცვლილებებთან არ იყო დაკავშირებული, არამედ მისი გაჭიმულად შეცვლა სიმდიდრის ზრდასთან და შრომის უკეთესი იარაღების გამოჩენასთან არის კავშირში, რომელიც ადამიანებს საშუალებას აძლევდა ჰქონოდათ უფრო თბილი საბანი და ეს ადამიანებს შესაძლებლობას აძლევდა უფრო დიდი ზომის საფლავეები გაეთხარათ⁶. ავტორისავე აზრით, მოკრუნხულად დაკრძალვის წესი მიუთითებს ბინადარ ცხოვრებაზე⁷.

გ. გოლმსტენი ბინადარი მწყემსების ცხოვრების შეცვლას მომთაბარე მესაქონლეობით (სკვითები) მოკრუნხულობის გაქრობას და გაჭიმულ მდგომარეობის შემოსვლას უკავშირებს. საზოგადოების ეს ტრანსფორმაცია სავსებით ბუნებრივად დაემთხვა გვაროვნული ურთიერთობების მკვეთრ ცვლილებებს და ოჯახის ფორმების შეცვლას, კერძო საკუთრების გამოყოფას და ა. შ. სწორედ განვითარების ამ სტადიაზე ჩნდება მიცვალებულთა სახეების გამოსახვა ფიგურების სახით. კლასობრივი საზოგადოების რელიგიებში ეს წარმოდგენები ისევე სხვა ფორმებს იღებს და გადააქვთ მიცვალებულის „სულზე“, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში იმყოფება სახლში და რომელსაც მიეწერება სრულიად მატერიალური ნიშნები: ის იბანს, ჭამს, სვამს და ა. შ.⁸

მაშასადამე, დაკრძალვის წესის წარმოქმნას ჩვენ შეიძლება უწოდოთ ერთგვარი ტაბუ, რომელიც მისი ერთ-ერთი, ვფიქრობთ, მისაღები განმარტებიდან გამომდინარე წარმოიქმნა, როგორც ცხოველური ინსტიქტის დათრგუნვის საშუალება⁹. ამდენად, სწორია ის მოსაზრებაც, რომ დაკრძალვის წარმოშობის ახსნა ჰიგიენური მოსაზრებებით გამართლებული არ არის, რამდენადაც მუსტიეს ეპოქაში მიცვალებულის პოზა სამყაროს მხარეებს გამიზნულად უკავშირდება¹⁰.

¹ მსგავსი აღმოჩენები გვაქვს საქართველოშიც, კერძოდ, ცუცხვათის გამქვავებულში, იხ. მარუაშვილი ლ. ი., Цуцхватская пещерная система и культовое помещение обитавших в ней мустьерцев, *Труды зоологического института АН СССР*, 93 (Москва, 1980).

² Семенов Ю. И., Становление человеческого общества..., с. 385.

³ Мелларт Дж., Западная Азия в период неолита и халколита (около 1200-5000 лет назад), *История человечества, I, доисторические времена и начало цивилизаций* (Москва, 2013), с. 452.

⁴ იქვე, გვ. 453.

⁵ Чайлд Г., *Прогресс и археология* (Москва, 1949), с. 143.

⁶ იქვე, გვ. 144.

⁷ Чайлд Г., *У истоков европейской цивилизации* (Москва, 1952), с. 172.

⁸ Гольмстен В. В., О происхождении скорченности костяков в погребениях родового общества, *Проблемы истории докапиталистических обществ*, №5-6 (Ленинград, 1935), с. 41.

⁹ Семенов Ю. И., Становление человеческого общества..., с. 316.

¹⁰ Алексеев В. П., Возникновение человека и общества, *Первобытное общество* (Москва, 1975), с. 38-39.

წინა სტატიებში დავსვით საკითხი ადამიანთა პირველადი რელიგიური რწმენის ჩასახვის და სოციალური ორგანიზაციის პირველადი, საწყისი ფორმის განმსაზღვრელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად ცეცხლისა და კერის მნიშვნელობაზე. სწორედ ცეცხლს და კერას უნდა განესაზღვრა ამა თუ იმ ჯგუფისადმი კუთვნილება. ის იყო პირველი ამფიქტიონის მსგავსი ცენტრი, რომლის ირგვლივაც იკრიბებოდა ადამიანთა გარკვეული ჯგუფი (რომლებმაც შემდგომ ნათესავად შეიცნეს თავი) და თავყვანს სცემდნენ მას, როგორც მათ მცველ და მფარველ ძალას. სწორედ კერის და წინაპრის, ასევე მიცვალებულის კულტი წარმოადგენდა სოციალური ორგანიზაციის განმსაზღვრელ ერთ-ერთ უმთავრეს და უნივერსალურ ფაქტორს და ის უცვლელია ყველა ეპოქისათვის არქაულ საზოგადოებიდან დაწყებული დღემდე¹.

ავტორიტეტულ ავტორთა უმრავლესობა რელიგიის პირველწყაროდ და ჭეშმარიტების სათავედ წინაპართა თავყვანისცემას და მიცვალებულთა კულტს ასახელებდა².

ზემოთ წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ზემოაღნიშნულ საზოგადოებებში, რომლებიც განვითარების სხვადასხვა საფეხურზე დგანან, ყველგან ერთნაირად მჭიდრო კავშირშია კერა და მიცვალებული, რომელიც წინაპრის კულტის თავყვანისცემასთან არის დაკავშირებული და ის საზოგადოების, ანუ სოციალური ორგანიზაციის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია. განსაკუთრებული დამოკიდებულება უფროსებისადმი, ოჯახში თავის ქალის შენახვა, სხვადასხვა სახის ზომორფული და ანთროპომორფული ქანდაკებები, როგორც ოჯახის მფარველების, საოჯახო და კერის მფარველი სულების, როგორც ოჯახის წინაპრის სულებად გაგება, მიცვალებულის იატაკის ქვეშ საცხოვრებელში (ან ცალკე სადგომში) დაკრძალვა, მისი სახლში შენახვა სპეციალურ ყუთში და ა. შ. ყოველივე ეს მიუთითებს წინაპრის კულტის უდიდეს როლზე ადამიანთა საზოგადოების, მისი როგორც ერთობად, გარკვეულ ჯგუფად ჩამოყალიბების საქმეში; საზოგადოების მჭიდრო კავშირებს და ერთიანობას უზრუნველყოფს კულტი, ამ შემთხვევაში და საერთოდ წინაპრის და მასთან კავშირში მყოფი მიცვალებულის კულტი, რომელიც უნივერსალური მოვლენაა. კერა იყო ადამიანთა საზოგადოების პირველი გამაერთიანებელი ცენტრი, ხოლო მისი წევრის გარდაცვალების აღქმის შემდგომ, ადამიანთა ჯგუფმა, სწორედ ამ ცენტრს (კერას) მიანდო, მასთან, ანუ „ტამარში“ დაკრძალა თავისი მიცვალებული, მასში ჩაისახა თვით მიცვალებულის კულტი და მისი აღდგომის იდეაც. გარკვეული ერთიანობის არქონის დროს ადამიანი ვერ შეიცნობოდა მიცვალებულს, ანუ მას ჯერ უნდა შეეცნო თავისი ნათესავი, წინაპარი, ერთ კერასთან გვერდით მსხდომი ადამიანი თავის ახლობლად, ხოლო შემდგომ თავისი თანამოძმე მისი დაკარგვით, ანუ გარდაცვალებით მიღებული მისთვის ჯერ შეუცნობადი ფაქტიდან გამომდინარე წმინდანად³. პირველყოფილი საზოგადოება ყოველთვის მჭიდროდ არის დაკავშირებული იდეოლოგიასთან. სწორედ მიცვალებულისადმი დამოკიდებულებას უნდა წარმოექმნა პირველი ბინადრობის ნიშნები. ადამიანი თავისი ჯგუფის წევრი მიცვალებულისადმი რწმენის ძალით ძნელად ტოვებდა თავის საცხოვრის გარემოს, ის საუკუნეებით რჩებოდა მათი საფლავების წინაპრის ერთგული და სწორედ ამის შემდგომ შესძლო არსებობის ისეთი საშუალებებისთვის ადგილზე მიეგნო, როგორც არის მიწათმოქმედება და ცხოვეთა მოშინაურება, ანუ მწარმოებლური მეურნეობის ძირითადი სახეობები. თუ როგორ შესძლო ადამიანმა მიწის დამუშავების წესების მიგნება, ეს კიდევ ცალკე კვლევის საკითხია, მაგრამ ჩვენი აზრით, იმ გარემოებამ, რომ ის ადვილად ვერ ტოვებდა თავისი მიცვალებულის საფლავებს, შექმნა პირველი ბინადარი დასახლებები.

ამდენად, ზემოთ წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ე. წ. „ნეოლითურ რევოლუციამდე“ მცხოვრები ადამიანები ქმნიან მუდმივ დასახლებებს (დაახლოებით შუა პალეოლითიდან მოყოლებული) დომესტიკაციის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელი ადამიანისათვის, რომელიც ნადირობით, თევზჭერით და შემგროვებლობით ირჩენს თავს და მისთვის გარემო პირობებიდან გამომდინარე სრულიად არ არის ხელსაყრელი ერთ ადგილზე ცხოვრება, ანუ საკვების მოსაპოვებლად მას დროთა განმავლობაში რესურსის ამოწურვის გამო სულ უფრო შორს უწევს „მოგზაურობა“, ის მაინც არ ტოვებს თავის ძირითად ბა-

¹ დ. ჭითანავა, სოციალური ორგანიზაციის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორის შესახებ არქაულ საზოგადოებაში (საკითხის დასმის მიზნით), *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი*, ტ. IX (თბილისი, 2007), გვ. 104-124; მისივე, რელიგიური რწმენის წარმოშობის სათავეებთან (საკითხის დასმის მიზნით), *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი*, ტ. IX (თბილისი, 2007), გვ. 125-128; მისივე, სოციალური ორგანიზაციის განმსაზღვრელი კიდევ ერთი ფაქტორის შესახებ არქაულ საზოგადოებაში (კერის, წინაპრის და მიცვალებულის კულტთან კავშირში), *თეიმურაზ მიბჩუანი - 70* (თბილისი, 2008-2010), გვ. 270-298.

² სპენსერ გ., *Социальная Статика* (Санкт-Петербург, 1906); Фюстель де-Куланж, *Гражданская община древнего мира* (Санкт-Петербург, 1906), с. 19-20. Штернберг Л. Я., *Первобытная религия в свете этнографии* (Ленинград, 1936), с. 344-346. Осборн Г. Ф., *Человек древнего каменного века* (Ленинград, 1924), с. 236.

³ დ. ჭითანავა, სოციალური ორგანიზაციის განმსაზღვრელი კიდევ ერთი ფაქტორის შესახებ, გვ. 270-298. იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

ნაკს, რომლის მიზეზიც თავიანთი გარდაცვლილი წინაპრების საფლავებია. მიცვალებულის მიმართ რწმენა კულტურის და ცივილიზაციის სხვადასხვა დონეზე მყოფ საზოგადოებებს მთელი ისტორიის მანძილზე წითელი ზოლივით გასდევს და დღესაც ინარჩუნებს გარკვეულ სახეს.

ბიბლიოგრაფია

1. ი. პერშიცი, ა. ლ. მონგაიტი, ვ. პ. ალექსეევი, პირველყოფილი საზოგადოების ისტორია (თბილისი, 1988).
2. გ. ყორანაშვილი, გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების ჩამოყალიბებაში (თბილისი, 1975).
3. დ. ჭითანავა, რელიგიური რწმენის წარმოშობის სათავეებთან (საკითხის დასმის მიზნით), *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი*, ტ. IX (თბილისი, 2007).
4. დ. ჭითანავა, სოციალური ორგანიზაციის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორის შესახებ არქაულ საზოგადოებაში (საკითხის დასმის მიზნით), *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი*, ტ. IX (თბილისი, 2007).
5. დ. ჭითანავა, სოციალური ორგანიზაციის განმსაზღვრელი კიდევ ერთი ფაქტორის შესახებ არქაულ საზოგადოებაში (კერის, წინაპრის და მიცვალებულის კულტთან კავშირში), *თეიმურაზ მიძინაძე – 70* (თბილისი, 2008-2010).
6. Алексеев В. П., Возникновение человека и общества, *Первобытное общество* (Москва, 1975).
7. Алексеев В. П., Демографическая и этническая ситуация, *История первобытного общества, Эпоха классового образования* (Москва, 1988).
8. Алексеев В. П., Першиц А. И., *История первобытного общества* (Москва, 1990).
9. Андрианов Б. В., Неоседлое население мира (*историко-этнографическое исследование*) (Москва, 1985).
10. Арутюнов С. А., Народы и культуры, *Развитие и взаимодействие* (Москва, 1989).
11. Батнасан Г., Некоторые особенности перехода к оседлому образу жизни в монгольской народной республике, *Советская этнография*, 2 (Москва, 1977).
12. Бекени Ш., Одомашнивание животных от начала производства пищи до 5000 лет назад: общий обзор, *История человечества, I, доисторические времена и начало цивилизаций* (Москва, 2013).
13. Валох К., В период *Homo sapiens neandertbalensis* (человек разумный неандертальский) и его современники, *История человечества, I, доисторические времена и начало цивилизаций* (Москва, 2013).
14. Вар-Йосеф О., Западная Азия в конце среднего палеолита до начала производства пищи, *История человечества, I, доисторические времена и начало цивилизаций* (Москва, 2013).
15. Гольмстен В. В., О происхождении скорченности костяков в погребениях родового общества, *Проблемы истории докапиталистических обществ*, №5-6 (Ленинград, 1935).
16. Елинек Артур Дж., Западная Азия в эпоху среднего палеолита, *История человечества, I, доисторические времена и начало цивилизаций* (Москва, 2013).
17. Карнеиро Р. Л., Переход от охоты к земледелию, *Советская этнография*, 5 (Москва, 1969).
18. Клима Б., Период человека разумного современного вида до начала производства пищи (производящего хозяйства), *История человечества, I, доисторические времена и начало цивилизаций* (Москва, 2013).
19. Косвен М. О., Очерки истории первобытной культуры (Москва, 1957).
20. Марков Г. Е., История хозяйства и материальной культуры в первобытном и раннеклассовом обществе (Москва, 1979).
21. Марков Г. Е., Кочевники Азии (Москва, 1976).
22. Марков Г. Е., Некоторые проблемы возникновения и ранних этапов кочевничества, *Советская этнография*, 1 (Москва, 1973).
23. Маруашвили Л. И., Цуцхватская пещерная система и культовое помещение обитавших в ней мустерцев, *Труды зоологического института АН СССР*, 93 (Москва, 1980).
24. Массон В. М., Проблема неолитической революции в свете новых данных археологий, *Вопросы истории*, 6 (Москва, 1970).
25. Мелларт Дж., Западная Азия в период неолита и халколита (около 1200-5000 лет назад), *История человечества, I, доисторические времена и начало цивилизаций* (Москва, 2013).
26. Осборн Г. Ф., *Человек древнего каменного века* (Ленинград, 1924).
27. Отт М., Европа в период верхнего палеолита и мезолита, *История человечества, I, доисторические времена и начало цивилизаций* (Москва, 2013).

28. Першиц А. И., некоторые особенности классовообразования и раннеклассовых отношений у кочевников-скотоводов, *Становление классов и государства* (Москва, 1976).
29. Рунак В., Ланпо И., Китай в период *Homo sapiens neanderthalensis* (человек разумный неандертальский) и его современники, *История человечества, I, доисторические времена и начало цивилизаций* (Москва, 2013).
30. Семенов Ю. И., Кочевничество и некоторые общие проблемы теории хозяйства и общества, *Советская этнография*, 1 (Москва, 1973).
31. Семенов Ю. И., Проблема перехода от материнского рода к отцовскому (Опыт теоретического анализа), *Советская этнография*, 5 (Москва, 1970).
32. Семенов Ю. И., Становление человеческого общества, *История первобытного общества, Общие вопросы, Проблемы антропосоциогенеза* (Москва, 1983).
33. Спенсер Г., *Социальная Статика* (Санкт-Петербург, 1906).
34. Файнберг Л. А., Возникновение и развитие родового строя, *Первобытное общество* (Москва, 1975).
35. Филлипсон Ф. У., Африка (кроме Египта) от начала производства пищи до 5000 лет назад, *История человечества, I, доисторические времена и начало цивилизаций* (Москва, 2013).
36. Фюстель де-Куланж, Гражданская община древнего мира (Санкт-Петербург, 1906).
37. Хазанов А. М., Природно-хозяйственные различия в каменном веке и проблема первобытности материнского рода, *Советская этнография*, 1 (Москва, 1973).
38. Чайлд Г., *Прогресс и археология* (Москва, 1949).
39. Чайлд Г., *У истоков европейской цивилизации* (Москва, 1952).
40. Штернберг Л. Я., *Первобытная религия в свете этнографии* (Ленинград, 1936).
41. Шурц Г., *История первобытной культуры* (Санкт-Петербург, 1896).
42. Ян Де Лаат З., От начала производства пищи до первых государств: общий обзор, *История человечества, I, доисторические времена и начало цивилизаций* (Москва, 2013).

DAVID CHITANAVA

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

THE MAIN REASONS FOR THE TRANSITION FROM WANDERING LIFESTYLE TO THE NOMADIC LIFE IN PRIMITIVE SOCIETY

The paper deals with the root causes of the transition from wandering to nomadic residence in primitive and tribal societies before so-called „Neolithic Revolution“. Current opinions are discarded, according to which the main sign of transition to nomadic residence was considered to be the transition to the agricultural production.

Intentional bury of the dead humans together with animal bones and flower remnants on the grave are found, dated as early as 60 thousand years.

The tombs represent one of the main indicator of spiritual life of the Neanderthals, which emerge in the end of the middle Paleolithic. Attitude towards dead determine evidence of quite developed ritual and ceremonies.

In ancient societies, which stand at different stages of development, everywhere alike hearth and dead are closely linked, which are related to the cult of ancestor worship and is one of the main determining factors of the society's social organization.

The paper points out that the attitude towards the dead had to produce the first signs of the residence.

People hardly left their houses and the environment due to the virtue of faith, he remained faithful to their ancestor's graves for centuries and was subsequently able to spot the existence of such outlets tracked, such as agriculture and domestication of animals, the main types of agriculture. People living before the so-called “Neolithic Revolution” make permanent settlements (from about Middle Palaeolithic and onwards) without domestication.

Although the people of that time, who earn a living with hunting, fishing and collecting - it is not favorable to live in one place due to the environmental conditions, i.e. he has to go further “travelling” to gather food due to the exhaustion of resources over time, he still does not leave his main camp, and the reason is the tombs of their deceased ancestors.

ლიბიტრი არაყიშვილის ერთი უცნობი ნაშრომის შესახებ¹

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში ხელნაწერის სახით ინახება ქართული მუსიკალური ფოლკლორისტიკის ფუძემდებლის – ლიბიტრი არაყიშვილის გამოკვლევა „აჭარული ხალხური სიმღერების შესახებ“. ქართველ ეთნომუსიკოლოგთათვის ნაკლებად ცნობილი ნაშრომი, ამ გამოუქვეყნებელ ნაშრომს მე შემთხვევით, თამარ მამალაძის საარქივო მასალებზე მუშაობისას წავაწყდი. რუსულ ენოვანი ნაშრომი სამოცამდე გვერდს მოიცავს. სამწუხაროდ, ხელნაწერი არ არის დათარიღებული. როგორც ცნობილია, ლიბიტრი არაყიშვილი 1952 წელს თამარ მამალაძესთან ერთად იმყოფებოდა აჭარის ექსპედიციაში, თუმცა, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, მალევე უკან დაბრუნებულა.

ხელნაწერი ნაშრომის ვრცელი შესავალი აჭარელთა ისტორიისა და ყოფის საკითხებს ეთმობა. როგორც ჩანს, აჭარა, დანარჩენი საქართველოსაგან გარკვეული იზოლირების გამო, ლიბიტრი არაყიშვილის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. ვრცელი ისტორიული ხასიათის შესავლით ავტორს იმის დადასტურება სურს, რომ ეს კუთხე ოდითგანვე საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო და სხვადასხვა დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის გამთლიანებასა და კულტურულ ცხოვრებაში. ლიბიტრი არაყიშვილის აზრით, თურქთა 250-წლიანი ბატონობისა და აჭარელთა მხრიდან სარწმუნოების შეცვლის მიუხედავად, აჭარამ მაინც შეინარჩუნა ეროვნული თვითმყოფადობა.

აჭარული მუსიკალური ფოლკლორის ანალიზისას მეცნიერი ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის (ამჟამად საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის) არქივის მასალებს ეყრდნობა. აჭარული მუსიკის ნიმუშებს მკვლევარი ვოკალურ და ინსტრუმენტულ სფეროებად, სიმღერებს კი – ერთ, ორ და სამხმიანად ყოფს; ფორმის მხრივ – ვარიაციულ, კუპლეტურ და სხვა ფორმებად აჯგუფებს. უცნაურია, რომ მეცნიერი საერთოდ არ ახსენებს ოთხხმიანობას, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ნოღაიდელის ცნობებს ქობულეთის რაიონში ოთხხმიანი ნადური სიმღერების არსებობის შესახებ ივანე ჯავახიშვილის 1938 წლის ნაშრომში („ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“) უკვე ვხვდებით. საგარაუდოდ, მეცნიერი ამ ინფორმაციას ან არ იცნობდა, ან აუდიო თუ სანოტო ნიმუშების უქონლობის გამო, მათზე მსჯელობა არ ჩათვალა მიზანშეწონილად. არც ისაა გამორიცხული, რომ ქობულეთური ნადური სიმღერები მეცნიერმა გურული მუსიკალური დიალექტის კუთვნილებად ჩათვალა და აჭარულ მუსიკაზე საუბრისას შეგნებულად არ ახსენა.

სიმღერების კლასიფიკაციისას ლიბიტრი არაყიშვილი საყოფაცხოვრებო, ისტორიულ, საგმირო, სატრფიალო და სამონადირეო ჟანრებს განიხილავს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს უკანასკნელი – სამონადირეო – აჭარაში საერთოდ არაა ფიქსირებული.

აჭარული ერთხმიანი სიმღერებიდან ლიბიტრი არაყიშვილი ნანებსა და ჭიბონზე დასამღერებელ შაირებს ასახელებს. ნანები საინტერესო ნიმუშებად მიაჩნია მათი მელოდიურობისა და ოპტიმისტური ხასიათის გამო.

ლიბიტრი არაყიშვილის შეხედულებით, აჭარული ორხმიანი სიმღერები ზოგადქართულის ანალოგიურია. აქ ყველაფერი მსგავსია: მელოდიური სვლები, რიტმიკა, ტექსტის მნიშვნელობა; ბანი, თავისი ლაკონურობითა და პოლიფონიურობით, მოგვაგონებს გურულ-მეგრული სიმღერების ბანს. ორხმიან ერთგუნდოვან აჭარულ სიმღერებში წამყვანი პირველი ხმაა, რომელსაც „დამწყებს“, „მოქმელს“ უწოდებენ; მეორე ხმა – გუნდი, საქართველოს სხვა დიალექტების მსგავსად, დაბალი ხმის პარტიას ასრულებს და „ბანად“ იწოდება. იგი, მეტწილად, გაბმულია ან ოსტინატურ მიმოქცევებს ასრულებს. რიტმული მრავალფეროვნება ზედა ხმას ახასიათებს. ანტიფონურ სიმღერებში მეორე სოლისტს „მიმღერი“, „გადამცემი“ ეწოდება.

¹ მოხსენება წაკითხულ იქნა ლიბიტრი არაყიშვილისადმი მიძღვნილ ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა კონფერენციაზე (თბილისი, ვსარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, 2013 წ.).

საყურადღებოა, რომ დიმიტრი არაყიშვილს აჭარული ორხმიანობა მიაჩნია არა დაკარგული სამხმიანობის ნაშთად, არამედ ქართული მუსიკალური ფოლკლორის უძველეს შრედ. მისი აზრით, ამ რეგიონის სხვადასხვა ჟანრის სიმღერებში შემონახული ორხმიანობა საქართველოს სხვა კუთხეთა სიმღერების განვითარების ეტაპებზე მსჯელობის საშუალებას იძლევა. ორხმიანობა წინ უსწრებდა სამხმიანობის ჩამოყალიბებას და ეს ეტაპი საქართველოს სხვა კუთხეების სიმღერებმაც გაიარეს. დიმიტრი არაყიშვილს მიაჩნია, რომ აჭარა ამ მხრივაც გამორჩეულია. ის ერთადერთი კუთხეა, რომელმაც ორხმიანი ნიმუშები არა ცალკეული გამონაკლისების სახით, არამედ საკმაოდ დიდი რაოდენობით შემოინახა. ორხმიანი სიმღერების ანალიზის შემდეგ მკვლევარი დაასკვნის, რომ ამ სიმღერების მუსიკალური მახასიათებლები – სტრუქტურა, კილოები, კადანსები და სხვა – მთლიანად ქართულია. თურქული მუსიკის გავლენა კი თავს საკრავიერ მუსიკაში, კერძოდ – არაქართული სახელწოდებების მქონე ცეკვებში იჩენს. ესენია: „ყოლსარმა“, „ყარაბალი“, „ქურთბარი“. სამწუხაროდ, მათ მუსიკალურ კანონზომიერებებს მეცნიერი არ განიხილავს.

დიმიტრი არაყიშვილი საგანგებოდ მსჯელობს ე.წ. „აშულურ სიმღერაზე“: „აშულური სიმღერა სოლო სიმღერაა, გავრცელებულია ზემო აჭარაში და თავისი განსაკუთრებული კოლორიტი აქვს. ესაა ე.წ. აღმოსავლური სიმღერა „ბაიათი“, მუსიკალური ორნამენტებით დახუნძლული, სრულდება სიმებიანი ინსტრუმენტის აკომპანემენტით. მას არაფერი აქვს საერთო აჭარულ საგუნდო სიმღერებთან და შესაბამისად, არც შეეძლო მათზე რაიმე გავლენის მოხდენა. თუმცა აშულურ სიმღერებს თავისი სპეციალისტები და პროპაგანდისტები აჭარაში ჰყავდა“ (თარგმანი ჩვენია – ს.კ.)¹.

საყურადღებოა დიმიტრი არაყიშვილის პოზიცია კულტურათა ურთიერთ გავლენასთან დაკავშირებით: მეცნიერის აზრით, ნაკლებად განვითარებულ მუსიკალურ კულტურას არ შეეძლო გავლენა მოეხდინა უფრო მეტად განვითარებულზე (როგორც ჩანს, განვითარებულობაში იგი მრავალხმიანობას გულისხმობს – ს. კ.). მართლაც ფაქტია, რომ მრავალხმიანი მღერის ტრადიცია აჭარაში ბევრად უფრო ძლიერი აღმოჩნდა და ერთხმიანობამ იგი ვერ ჩაანაცვლა.

ვოკალურთან შედარებით საკრავიერი მუსიკის წილი დიმიტრი არაყიშვილის ნაშრომში ბევრად ნაკლებია. მკვლევარი ასახელებს ისეთ სახელგანთქმულ ინსტრუმენტალისტებს, როგორებიც იყვნენ ბაჯელიძე და ედუკემ სურმანიძე – იგივე ქონახელა, თუმცა თვითონ დასაკრავების მუსიკალურ ანალიზს არ გვთავაზობს.

აჭარულ სამხმიანობაზე საუბარს მკვლევარი ჯემალ ნოღაიდელის ეთნოგრაფიული ცნობებით იწყებს. მაგალითად, აქ ჩვენ ვხვდებით მაყრული სიმღერის აღწერას თავისი ცერემონიით. მთელი საქორწილო რიტუალი ვოკალური და ინსტრუმენტული მუსიკის თანხლებით მიმდინარეობს.

საყურადღებოა დიმიტრი არაყიშვილისეული პოზიცია „ვოსასთან“ და „დედოფლის სიმღერასთან“ დაკავშირებით: „აღსანიშნავია სიმღერათა ერთი ჯგუფი, რომელიც ზოგადქართულ ნიშნებთან ერთად, ადგილობრივი თავისებურებებითაც გამოირჩევა. ამის მაგალითია სიმღერათა ჯგუფი „ვოსას“ სახელწოდებით, რომელთა წარმოშობის შესახებაც არაფერია ცნობილი. ისინი იმდენად პოპულარულია, რომ მათ თითქმის ყველა სოფელში თავ-თავიანთ ჰანგზე მღერიან“².

ადგილობრივ – აჭარულად განიხილავს დიმიტრი არაყიშვილი „დედოფლის სიმღერებსაც“. საქართველოს სხვა კუთხეებში არსებობის შემთხვევაში მეცნიერს ისინი აჭარიდან გადასულად მიაჩნია. აჭარის სოფლებში „დედოფლის სიმღერები“ განსხვავებულ ტექსტებზე სრულდება. მაგალითად, არსებობს ისეთი ტექსტებიც, რომლებშიც პატარძალზე არაფერია ნათქვამი, თუმცა სიმღერას „დედოფლის სიმღერა“ ჰქვია. ვხვდებით ასევე ნიმუშებს, რომლებიც დღეს მნიშვნელობადაკარგულ სიმღერისებზე (აბარერა, ოსარერა, ოდელია, ვოდელია და ა.შ.) არის აგებული.

უცნაურია, რომ დიმიტრი არაყიშვილი სამხმიანად განიხილავს ისეთ ნაღურ სიმღერებს, როგორებიცაა თუნდაც „საჯავახურა“, „გორდელა“, „სასადილო“ და ა.შ. როგორც ცნობილია, ისინი ქობულეთის რაიონშია გავრცელებული. სამწუხაროდ, მკვლევარი სანოტო მაგალითებს არ იმოწმებს. სავარაუდოდ, ამ შემთხვევაში მეცნიერი ეყრდნობა ჯემალ ნოღაიდელის მონაცემებს, რომელიც სიმღერების მუსიკალურ მხარეზე არ საუბრობს.

დიმიტრი არაყიშვილს ყურადღების მიღმა არც აჭარული „ხელხვავი“ რჩება. მეცნიერის აზრით, ამ სიმღერას გურული წარმოშობისად მიიჩნევდნენ, თუმცა ის სრულდება იმერეთშიც, სამეგრელოშიც და შეიძლება, ზოგადად, დასავლურქართულ ნიმუშად მივიჩნიოთ.

დიმიტრი არაყიშვილის ყურადღებას ამინდის მართვის რიტუალებიც იქცევის: „აჭარლებს აქვთ ასევე ერთი ჩვეულება „ქამატობის“ სახელწოდებით. მას ჩვენ საქართველოს სხვა კუთხე-

¹ Д. Аракишвили, *О народной песне Adjарии*, 1952 წ., ხელნაწერი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, გვ. 33.

² იქვე, გვ.38.

ებშიც ვხვდებით: ქართლში – „გონჯას“ და კახეთში – „ლაზარეს“ სახელწოდებით (სინამდვილეში პირიქითაა – ს.კ.). ეს წესი მიმართულია ამინდის ღვთაებისადმი: „დათესილი ყანა ნიაღვარმა რომ არ გააფუჭოს, ავდრის წინააღმდეგ აჭარლები „ქაშატობას“ ასრულებენ. ეს რიტუალი აპრილის პირველ შაბათს სრულდება. ქაშატობა დღეს რკინეულს: თოსს, ცუღს, სახნისს, ჯილღას და სხვა სახნავს მიწაზე არ გაატარებენ, დაბუჭილ ხარებსაც კი არ გაიყვანენ, რათა ნიაღვარმა ყანები არ წაღეკოს. მაგრამ თუ გვალვა დაიჭირა, წვიმის მოსაყვანად აჭარლები „ლაზარიას“ აწყობენ, ამისათვის სოფლის გოგო-ბიჭები დედოფალას აკეთებენ და ცეკვა-თამაშით სოფელს დაუვლიან და თან ლაზარიას მღერაინ¹. დიმიტრი არაყიშვილი დანაწევრებით დასძენს, რომ ამ რიტუალის თანმხლები მუსიკალური ნიმუში არ გააჩნია.

მეცნიერი „ჩაღმა ჩაყრილო ვენახოსაც“ ეხება. ამ სიმღერის ტექსტი თურქების მიერ აჭარის დაპყრობის პერიოდს (XVI-XVII სს.) უკავშირდება. ისლამი კრძალავდა ღვინის სმას, ამიტომ აჭარაში გავრცელებული ვენახი თურქებმა გაანადგურეს – აჩეხეს. მიუხედავად ამისა, აჭარის სოფლებში შემორჩა ყურძენი, რომელსაც „ჩხავერი“ ჰქვია. დიმიტრი არაყიშვილისა და თამარ მამალაძის ექსპედიციას „ჩაღმა ჩაყრილო ვენახოს“ სამი ვარიანტი ჩაუწერია. დიმიტრი არაყიშვილის აზრით, სამივე მათგანი ქართლ-კახურ „იავნანას“ მოგვაგონებს, რაც ამ კუთხეების აჭარულ სიმღერებთან კავშირზე მიუთითებს.

დიმიტრი არაყიშვილის ინტერესს აჭარული „ალიფაშა“ და „ხასანბეგურაც“ იწვევს. მეკლეერის აზრით, ამ სიმღერების პირველადი ორხმიანი ფორმა აჭარულია, ხოლო გურიაში შემდეგ გავრცელდა. ნაშრომის დასკვნაში მეცნიერი მოკლედ აჯამებს კვლევის შედეგებს. მისი აზრით, აჭარულ სიმღერას თავისი კოლორიტი აქვს, თუმცა ამავედროულად აჭარაში ვხვდებით სიმღერებსაც, რომლებიც აღმოსავლურქართული სტილისაა. ასეთებია: „კურდღელმა თქვა“, „ხინწკალა“, „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო“ და ა. შ. მოიპოვება, ასევე, „შაბლონური ტერციების“ მქონე ნიმუშები უცხო (სავარაუდოდ, ევროპულს გულისხმობს – ს.კ.) კულტურის გავლენით. ცალკეული მუსიკალური პარამეტრების განხილვის შემდეგ მეცნიერი დაასკვნის, რომ აჭარული ხალხური მუსიკა უდავოდ ზოგადქართული მუსიკალური ფოლკლორის განუყოფელი ნაწილია.

დიმიტრი არაყიშვილის ნაშრომის ერთ-ერთ ღირსებად აჭარული ხალხური ნიმუშების დაწვრილებითი მუსიკალური ანალიზი მიმაჩნია, თუმცა სტატიის ფორმატიდან გამომდინარე, ყველა საკითხზე სრულყოფილად ვერ შევჩერდები.

დიმიტრი არაყიშვილის ეს ხელნაწერი საგანგებოდ აჭარული ხალხური მუსიკისადმი მიძღვნილი ქრონოლოგიურად პირველი სამეცნიერო ნაშრომია. ვფიქრობ, განსაკუთრებული ისტორიული ღირებულების გამო, აუცილებელია მისი თარგმნა და გამოცემა.

ქართული მუსიკალური ფოლკლორისტიკის ფუძემდებლის დიმიტრი არაყიშვილის გამოკვლევა „აჭარული ხალხური სიმღერების შესახებ“ ქართული ტრადიციული მუსიკის შესწავლის მნიშვნელოვანი ეტაპია.

ბიბლიოგრაფია

1. ჯ. ნოღაიდელი, *ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან* (ტფილისი, 1935).
2. Д. Аракишвили, *О народной песне Аджарии*, 1952 წ., ხელნაწერი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი.

¹ დედანში დიმიტრი არაყიშვილი ჯამალ ნოღაიდელის ციტატის მისეულ თარგმანს გვთავაზობს. ამ შემთხვევაში ციტატა ორიგინალიდანაა დამოწმებული. ჯ. ნოღაიდელი, *ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან* (ტფილისი, 1935), გვ. 49-50.

ON ONE UNKNOWN WORK OF DIMITRI ARAKISHVILI

At the archive of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology Dimitri Arakishvili's unpublished and less known work *On Acharian Folk Music* is preserved. As it is well known Dimitri Arakishvili is the founder of Georgian musical folkloristics. On the mentioned manuscript the date is not indicated. However, it is known that in 1952 the scholar was in Achara for field work together with Tamar Mamaladze, but soon had to return back to Tbilisi.

The extensive introduction of the work is dedicated to the history of Ajhara and the Ajharians' daily life. Arakishvili divides Ajharian folk music into vocal and instrumental groups and songs – into single, two and three-part examples. It is strange that the scholar makes no mention of four-part singing, regardless of the fact, that in his work published in 1938 Javakhishvili had included Jemal Noghaidei's information that four-part work songs exist in Kobuleti region. Supposedly, Arakishvili was either unaware of this information or he did not consider it expedient to talk about these due to the absence of audio or transcribed examples.

Out of Acharian single-part songs the author mostly mentions lullabies and *shairebi* (comic verses) to be sung with *Chiboni* accompaniment. The author attributes more importance to Acharian two-part songs, believing that it is not the remnant of the lost three-part singing, but the ancient layer of Georgian folk music. Arakishvili considers, that two-part singing in various genres throughout Achara allows us to speak about the stages of development of the songs from other parts of Georgia: two-part singing preceded the formation of three-part singing and the songs from other parts of the country also passed this stage of development. The scholar believes that Achara is distinguished in this respect too – it is the only province where two-part examples are preserved not as exceptions, but in large amount. After the analysis of two-part songs the researcher concludes, that their musical structure, models, cadences, etc. are entirely Georgian; the influence of Turkish music is observed only in instrumental music, namely, in the dances with non-Georgian names, such as *Qolsarma*, *Qarabaghi*, *Kurtbari*. Sadly, the scholar did not speak about their musical regularities.

Noteworthy is Arakishvili's attitude to intercultural influences. In his opinion the lesser developed musical culture could not have affected the more developed one (under the term "developed" Arakishvili obviously implies polyphony). Indeed, polyphonic tradition turned out to be stronger and monophony could not replace it. The scholar considers Acharian folk music as an inseparable part of Georgia's cultural heritage in general.

In Arakishvili's opinion original Acharian folk music is no less noteworthy than the music from other parts of Georgia. Here we encounter the songs of East Georgian type and examples with template thirds of later origin. From the songs of local, Acharian origin he especially distinguishes *Vosa* and *Dedoplis Simghera*.

The lesser known to Georgian ethnomusicologists Arakishvili's handwritten work is the very first study of Acharian folk music, which has scientific and special historical value.

**ქართული პოლიტიკური ფოლკლორი და ფოლკლორული პოლიტიკა:
ფოლკლორული მუსიკისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართება
საქართველოში**

მუსიკისა და პოლიტიკის გადაკვეთის წერტილები საკმაოდ ხშირია, რაც არა მხოლოდ ქართული, არამედ ნებისმიერი ქვეყნის კულტურის მახასიათებელს წარმოადგენს. რაც შეეხება ამ ორი სფეროს ურთიერთხეგავლენის საკითხს, ეს რა თქმა უნდა, მკვეთრად ინდივიდუალური მოვლენაა. წინამდებარე ნაშრომი სწორედ პოლიტიკისა და მუსიკის სფეროებს შორის ორმხრივი მიმართების გაანალიზების მცდელობაა. ჩემი მიზანია, დავადგინო, თუ როგორ ხდება პოლიტიკის სფეროში ფოლკლორის გამოყენება და პირიქით, რა სახითაა გამოვლენილი ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში პოლიტიკის როლი; რამდენად დიდია ამ ორი სფეროს ურთიერთხემოქმედება და რა რეალურ შედეგებამდე მივყავართ ამ საუკუნოვან პროცესს. განვიხილავ რამდენიმე ტიპის მიმართებას, რომლებიც სხვადასხვა მონაკვეთებადაა წარმოდგენილი:

ა) ქვეყნის პოლიტიკური ვითარება და ფოლკლორი.

ქართველი ერის პოლიტიკური ცხოვრება ყოველთვის იყო ქართულ ფოლკლორში მომხდარი ძირეული ცვლილებების ერთგვარი სტიმული. ჩვენს ისტორიულ წარსულში, დამპყრობელ ხალხებთან ურთიერთობისას, ქართულ ფოლკლორში ორგანულად დამკვიდრდა ზოგიერთი არა-ქართული საკრავი¹ თუ საცეკვაო მელოდია. საქართველოში პოლიტიკური მიზნებით მოსული უცხო კულტურების გავლენამ ტრადიციული, სოფლური მუსიკის ვოკალურ ჟანრებშიც შეაღწია. ეთნომუსიკოლოგ ნინო ციციშვილის მოსაზრებით, ქართლ-კახური დიალექტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი, შესრულების მელიზმატური მანერა, რომელიც ოდითგანვე ახლოაღმოსავლური და ცენტრალური აზიის მთავარ ატრიბუტს წარმოადგენდა, შესაძლებელია, სწორედ ამ მონოდიური კულტურებიდან იყოს შემოსული ქართულ სოფლურ მუსიკაში². ცალკე უნდა აღვნიშნოთ ქალაქური მუსიკა, რომლის აღმოსავლური შტო სპარსული გავლენების შედეგია, ხოლო დასავლური – ევროპული თუ რუსული კლასიკური მუსიკისა³.

დღეს, ინტერნეტრესურსების საყოველთაო მოხმარების პირობებში, არაქართული მუსიკის გავლენის წყაროები საგრძნობლად გაიზარდა. თუმცა, ქვეყნის პოლიტიკური გეზი რამდენადმე მაინც განსაზღვრავს შიდა მუსიკალურ პროცესებს. ამის ნათელი მაგალითია რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ გაცემული მითითება, რესტორნებში რუსული ესტრადის ნიმუშების აკრძალვის შესახებ⁴. მიუხედავად იმისა, რომ აკრძალვა სიტყვიერი იყო და კანონის სახე არ მისცემია, მან გარკვეული პერიოდის მანძილზე მაინც, საგრძნობლად შეასუსტა რესტორნებში რუსული ესტრადის ნიმუშების შესრულების ათეულობით წლის ტრადიცია და ბუნებრივად მიმართა შემსრულებელთა ყურადღება ინგლისურენოვან სიმღერებზე.

პოლიტიკა ფოლკლორის სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებების კატალიზატორი შეიძლება იყოს. ეს არა მხოლოდ ქართული რეალობის მახასიათებელი, არამედ ინტერნაციონალური მასშტაბის პროცესია. ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის მიერ ჩატარებულ მეექვსე სიმპოზიუმზე პორტუგალიელმა მკვლევარმა მარია კორტე-რეალმა წაიკითხა მოხსენება პორტუგალიური ფადოს შესახებ, სადა ისაუბრა პოლიტიკური მოძრაობის გავლენით საყოფაცხოვრებო ჟანრიდან ფადოს რევოლუციურ სიმღერად გარდაქმნის შესახებ⁵. რევილუციური სიმღერები, როგორც პოლიტიკური შეხედულებების დამკვიდრებისთვის ერთგვარი

¹ მ. შილაკაძე, *ქართული ხალხური მუსიკალური ტრადიციები და თანამედროვეობა* (თბილისი, 1988), გვ. 30.
² ნ. ციციშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მრავალხმიანი სასიმღერო სტილის შედარებითი და დარგთაშორისი შესწავლა ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის მონოდიური მუსიკის კონტექსტში, *ტრადიციული მრავალხმიანობის მეხუთე საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებების კრებული* (თბილისი, 2010), გვ. 48.
³ რ. წურწუშია, მუსიკალური თბილისი: წარსული და თანამედროვეობა, *ისტორიული თბილისი-კულტურული ასპექტები*, მოხსენებათა კრებული (თბილისი, 2013), გვ. 84.
⁴ თ. ჩხეიძე, „კოსმეტიკური დესოვიეტიზაცია“ – რესტორნები რუსული მუსიკის გარეშე, *Netgazeti.ge* (თბილისი, 2011), <http://www.netgazeti.ge/GE/45/Life/4432/>
⁵ მ. კორტე-რეალი, პორტუგალიური ფადოს ისტორიული ჩანაწერების პოლიფონია და ევოლუცია, *ტრადიციული მრავალხმიანობის მეექვსე საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებების კრებული* (თბილისი, 2014), გვ. 203.

პროპაგანდისტული იარაღი, საქართველოშიც აქტიურად ჟღერდა. ქართველი ფოლკლორისტის გრიგოლ ჩხიკვაძის ერთ-ერთ ნაშრომში განხილულია XX საუკუნის დასაწყისში შექმნილი საპროტესტო განწყობის ამსახველი ნიმუშები: როგორც სოფლურ და ქალაქურ კილოებზე აგებული რევოლუციური ტექსტების მქონე სიმღერები¹, ისე პროფესიული საგუნდო ნაწარმოები „ძირს იმპერიალიზმი“, რომლის ავტორი ქართული საგუნდო მუსიკის კლასიკოსი ნიკო სულხანიშვილია. თურმე, ეს სიმღერა კახეთში ისე გავრცელებულა, რომ მისთვის „მარსელიზას“ მიბაძვით „თელავიეზა“ დაურქმევიათ².

საბჭოთა პერიოდში ქართული მუსიკალური ფოლკლორი გაცილებით დიდ პოლიტიკურ ზეგავლენას განიცდის. ხალხური მუსიკის ნაკადში ადმინისტრაციული ჩარევის მაქსიმუმი სწორედ ამ პერიოდში შეინიშნება. „ხალხის მთავრობა“ ხალხური შემოქმედების წარმართვის ინიციატივას მთლიანად თავის თავზე იღებს, ამკვიდრებს „თვითმოქმედების“ კულტურას, რომლის ქართულ ვერსიაშიც განვითარების ორი ვექტორი თანაარსებობს: ა) ტრადიციულის, როგორც არსებული ხალხური სიმღერის ელიტარული მუსიკის ფონზე წინწამოწევისა და ბ) ახლის დამკვიდრებისა, როგორც მისი „გამდიდრებისა“³. საბჭოთა დაკვეთამ და ამ ეპოქაში გაჩენილმა ტენდენციებმა ქართულ ფოლკლორში ისეთი არაორგანული ტრადიციები დაამკვიდრა, როგორცაა მასიური გუნდები⁴, რომელთა მეშვეობითაც ქართულ ფოლკლორში შემოიტრა ღირიჟორის ინსტიტუტი, გაორმაგებული ზედა ხმებით მღერა, ფოლკლორული ნიმუშების გაოთხსმიალების ტენდენცია, ხალხურ საკრავთა ორკესტრები და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ამათგან, ღირიჟორის ინსტიტუტი და გაორმაგებული ზედა ხმებით მღერის პროცესი ჯერ კიდევ „ქართული ხოროს“ მოღვაწეობისას, XIX საუკუნის ბოლოს გაჩნდა⁵, ეს მაინც ერთეული შემთხვევები იყო, რაც ჯერ კიდევ რთული კომუნიკაციის პირობებში დიდ ზეგავლენას ვერ მოახდენდა ზოგად მდგომარეობაზე. საბჭოთა პერიოდში ამ პროცესმა საყოველთაო, მასობრივი ხასიათი მიიღო და სულ უფრო მზარდ ტენდენციად იქცა. ყოველივე ამან ფოლკლორის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებლის, იმპროვიზაციულობის ხარისხი მინიმუმამდე დაიყვანა და ვარიანტული ერთგვაროვნების საფრთხის წინაშე დააყენა ქართული ფოლკლორი.

არანაკლებ საზიანო აღმოჩნდა ის კულტურული პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ცნობილი ლობტარები არა მათივე მშობლიური კუთხის, არამედ სრულიად განსხვავებული მუსიკალური ტრადიციების მქონე რეგიონის გუნდებს ხელმძღვანელობდნენ. შესაბამისად, თავისთვის ახლობელ, მაგრამ კონკრეტული კუთხის მომღერალთათვის არაორგანულ რეპერტუარსა თუ შესრულების მანერას ამკვიდრებდნენ⁶. რუსუდან წურწუშია ამ პროცესში კიდევ უფრო დიდ საფრთხეს ხედავს და აღნიშნავს: „ჩემი აზრით, ყველაზე „არაფოლკლორული“ იყო სარეპერტუარო პოლიტიკა, როცა არა მარტო ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი, არამედ საქალაქო, რაიონულ და სასოფლო გუნდებიც კი მღეროდნენ ყველა კუთხის სიმღერებს. ასე მონაწილეობდა კახელი, გურული, სვანი მომღერალი „ფოლკლორიზმში“, როცა მას იმერული, მეგრული ან რაჭული სიმღერის შესრულება უხდებოდა, ასე იქცეოდა ჩვეულებრივი ხალხური მომღერალი ფოლკლორის „მზა სახით მიმღებად“ ანუ სხვა ლოკალური ტრადიციის „მომხმარებლად“. სწორედ ეს ტენდენცია უქმნიდა ყველაზე დიდ საფრთხეს ქართული სიმღერის დიალექტური მრავალფეროვნების შენარჩუნებას“⁷.

ზემოაღნიშნული პროცესი, გარკვეული თვალსაზრისით, დღესაც გრძელდება, როცა სახელმწიფო ანსამბლის (და შესაბამისად, ერთგვარი სტანდარტის დამამკვიდრებლის) სტატუსს ატარებს ზოგიერთი არააუთენტური მანერით შემსრულებელი კოლექტივი. ეს საკმაო საფრთხის შემცველია იმ პირობებში, როდესაც ფოლკლორის გავრცელების უკუპროცესი კიდევ უფრო აქტიურად მიმდინარეობს. სოფელს სხვადასხვა მედია საშუალებებით სწორედ ქალაქიდან მიეწოდება მუსიკალური ფოლკლორი და შესაბამისად, ავტორიტეტული ანსამბლების (ავტორიტეტს კი ხშირად სტატუსიც განაპირობებს) რეპერტუარი თუ შესრულების მანერა მესხიერებაში ამ სახით ილექება.

¹ გ. ჩხიკვაძე, *ქართული ხალხური საბრძოლო სიმღერები და ქართული საბოჭთა მუსიკალური ფოლკლორი*. I ნაწილი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის წლიური ნაშრომი (თბილისი, 1970-1971), გვ.13.

² იქვე, გვ. 27.

³ თ. გაბისონია, *ქართული ტრადიციული მუსიკის შემსრულებლობა, თანამედროვე რაკურსი*, I ნაწილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სალექციო კურსი (თბილისი, 2014), გვ. 15.

⁴ ე. გარაყანიძე, *ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობა* (თბილისი, 2007), გვ. 97.

⁵ იქვე, გვ. 89.

⁶ იქვე, გვ.93.

⁷ Tsurtsumia R., *Georgian Multipart Singing and National Identity, Echoes from Georgia (Seventeen Arguments of Georgian Polyphony)*, Collected article (New York, 2010), p. 261.

ბ) ქართული მუსიკალური ფოლკლორი საერთაშორისო პოლიტიკურ შეხვედრებსა თუ საზღვარგარეთ გამართულ ქართული კულტურის დღეებზე.

ამ შემთხვევაში, მას დიპლომატიური ეტიკეტის უბრალო ატრიბუტის გარდა, საქართველოს, როგორც მაღალმხატვრული კულტურის მქონე ქვეყნის ერთგვარი პრეზენტაციის და ამით უცხოელ კოლეგებზე შთაბეჭდილების მოხდენის ფუნქცია აკისრია. მსგავს სადამოებზე, ძირითადად, ეფექტური ფოლკლორული ნიმუშები ჟღერს, ამიტომ აუთენტური შესრულების საკითხს ამ დროს დიდი ყურადღება არ ეთმობა.

განსაკუთრებული გრანდიოზულობით ხასიათდებოდა მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს უცხოური პოლიტიკური დელეგაციების საქართველოში ვიზიტისას ჩატარებული ღონისძიებები. ამ მხრივ, განსაკუთრებული ფერადოვნებითა და პომპეზურობით გამოირჩეოდა 2005 წელს ჯორჯ ბუშის ვიზიტისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელშიც დიდი როლი ეკავა ქართული გლეხური თუ ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშებს და მათზე აგებულ საესტრადო სიმღერებს.

როგორც აღმოჩნდა, კონცერტზე, ერთი მხრივ, ვაჟკაცური შემართების მქონე ხალხური სიმღერები ჟღერდა, რომლებშიც ეფექტურობის მისაღწევ საშუალებას ჟღერადობის სიძლიერე წარმოადგენდა. მეორე მხრივ კი – ლირიკული ნიმუშები, რომლებიც მსმენელში გულითადობის შეგრძნებას იწვევდა. როგორც ჩანს, კონცერტის ერთიან თეატრალურ წარმოდგენად გააზრებისას გარკვეულწილად უგულებელყოფილი იყო მასში შემაჯავალი ელემენტების ხარისხის საკითხი. თუმცა თუ გავითვალისწიებთ ამ კონცერტის მიზანს, რაც არა ბუშის განწყობის შექმნა, არამედ, პირველ რიგში, ამერიკული დელეგაციის წინაშე ქართული კულტურის პრეზენტაცია იყო, პარადოქსულადაც კი მოგვეჩვენება, რომ მასში არ ჟღერდა ქართული ფოლკლორის ძველი შრის ნიმუშები. არამატერიალური მსოფლიო კულტურული ძეგლის სტატუსის მატარებელი მარგალიტების ნაცვლად მასში საესტრადო ჟანრში გარდაქმნილი ლირიკული სიმღერების ვარიანტები თუ თანამედროვე საავტორო რეპერტუარი იყო თავმოყრილი.

არსებობს გაცილებით მძაფრი მაგალითებიც იმისა, თუ როგორ შეიძლება იქცეს სრულიად შეუსაბამო ნიმუში ქართული კულტურის სახედ. ვგულისხმობ, ბრიუსელში გამართულ ევროკავშირის სამიტზე მომხდარ შემთხვევას, როცა ევროკავშირსა და საქართველოს შორის შეთანხმების ხელისმოწერამ „სულიკოსა“ და „შალახოს“ ფონზე ჩაიარა¹.

ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა მსგავს სიტუაციებში, ღონისძიებების სამხატვრო ხელმძღვანელებს თუ სახელმწიფოს, რომელშიც ქართული კულტურული ფასეულობების შესახებ არავითარი ერთიანი სტანდარტი არ არსებობს?! ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ძნელია.

ქართული მუსიკალური ფოლკლორის უცხოეთში პროპაგანდა ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ძალზე ეფექტური საშუალებაა, რასაც მეტნაკლები აქტიობით ახორციელებს ქვეყნის მმართველი პოლიტიკური ძალა – კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ქართული კულტურის პოპულარიზაციის სამმართველო ფუნქციონირებს. ქართული კულტურის დღეებზე აქედრებული ფოლკლორი ერთგვარ სარეკლამო საშუალებასაც წარმოადგენს უცხოელების მოსაზიდად. მაგალითად, მადრიდელი მსმენელი ანსამბლ „ბასიანის“ კონცერტის შემდეგ აღნიშნავს: „მსგავსი არაფერი მომისმენია. თბილისში ჩამოვალ, რომ უფრო უკეთ გაგიცნოთ, ეს საუკეთესო დასაწყისია“².

ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესასწავლად ჩამოსული უცხოელები ხშირად აღნიშნავენ, რომ სწორედ უცხოეთში გამართული მსგავსი ღონისძიებები თუ ქართული ანსამბლების კონცერტები გახდა მათი ქართული კულტურით დაინტერესების მიზეზი³.

გ) ქართული ფოლკლორი პოლიტიკურ დემონსტრაციებში.

არანაკლებ დიდია ქართული ფოლკლორის როლი პოლიტიკური დემონსტრაციებისა თუ საომარი მოქმედებების პროცესში. ამ დროს საგმირო თემატიკის ნიმუშების მოსმენა-მღერა ადამიანებში პატრიოტულ სულისკვეთებას ერთიორად ზრდის და კიდევ უფრო აძლიერებს ერთიანობის შეგრძნებას. გარდა ამისა, დიდი როლი ენიჭება რიტმს. მას ერთგვარი გამაერთიანებელი, ინდივიდების ერთ ჯგუფად გარდამქმნელი ფუნქცია აკისრია. ამ მხრივ, საინტერესოა გერმანე-

¹ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი დასრულებულია, *ტელეგადაცემა მოამბე* (თბილისი, 2013), <http://1tv.ge/news-view/59481>

² რეპორტაჟი ანსამბლ *ბასიანის* მიერ მადრიდში გამართული კონცერტის შესახებ, *ტელეგადაცემა მზერა* (თბილისი, 2008), <http://www.youtube.com/watch?v=hLFW1595FfM>

³ პირადი საუბრები ამერიკელ ეთნომუსიკოლოგებთან – ნათან შეინსა და მეთიუ ნაითთან.

ლი ნევროლოგის, დოქტორ სტეფან კოლშის თვალსაზრისი: „ჩემი აზრით, ემოციური მიმართება მუსიკასთან არაა მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ უფრო თანმიმდევრულია და ის ასოციაცია, რასაც ესა თუ ის მუსიკა იწვევს ადამიანებში, უფრო გლობალურია, ვიდრე წარმოგვიდგენია. ყოველ შემთხვევაში, ერთი და იმავე კულტურული ჯგუფის წარმომადგენლებში“¹.

საქართველოში პოლიტიკური დემონსტრაციები და აქტიური საპროტესტო გამოსვლები ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდიდან დღემდე საკმაოდ ხშირი მოვლენაა. დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ტალღა გარკვეულ ეტაპზე სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარების ტალღამ ჩაანაცვლა. ასე რომ, ქართველისთვის პოლიტიკური დემონსტრაციები თითქოს ბუნებრივ სოციალურ მდგომარეობადაც კი იქცა. ამ დროს დიდი დატვირთვა აქვს ქართულ ფოლკლორს და მისი შესრულება, როგორც წესი, საზოგადოებაში პატრიოტიზმის განცდის გაძლიერებას ემსახურება.

პოლიტიკური დემონსტრაციების შესახებ ინტერნეტსივრცეში არსებული ვიდეომასალის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ 1989 და 1991 წლების 9 აპრილის აქციებზე შემდეგი ნიმუშები უდერდა: მეორეული ფოლკლორული ანსამბლების მიერ ნამღერი „მრავალჯამიერი“, „შავლეგო“, „ქართველო ხელი ხმაღს იკარ“ და უსინათლო მომღერლის, ლელა ვეფხვაძის მიერ ფანდურის თანხლებით შესრულებული გვიანდელი წარმოშობის ნიმუში – „დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს“. ამას ენაცვლებოდა დოლ-გარმონსა თუ სალამურზე შესრულებული ცეკვა ქართულის, მთიულურის, კინტაურისა და ხორუმის ჰანგები. პატრიოტული ემოციის გამომწვევი მელიოდიები აქტიური, მასტიმულირებელი რიტმის მქონე ნიმუშებთან თანაარსებობდა.

ამ მხრივ, განსხვავებული მდგომარეობა იყო 2003 წლის ვარდების რევოლუციის აქციებზე, სადაც ხალხის შინაგანი აქტივობის გაზრდისა და პატრიოტული სულისკვეთების გამოწვევის მისია ერთობლიობაში იყო მოცემული. კერძოდ, უდერდა სვანური სიმღერა „შინა ვორგილი“, რომელიც ელექტრო გიტარებისა და დრამის თანხლებით იყო წარმოდგენილი. ასევე, თანამედროვე რიტმებითა და ტემპრებით იყო გაჯერებული დათო ხუჯაძის მიერ შესრულებული ე.წ. „ფსევდომთიულური“ სიმღერა „ზოგი ისეთი ქალია“.

რაც შეეხება 2012 წლის ოქტომბრის აქციებს, მასში, ერთი მხრივ, ფოლკლორული (მრავალჯამიერები) ან ტრადიციული საესტრადო სიმღერები უდერდა, მეორე მხრივ კი თანამედროვე რეპერი ბერა ასრულებდა საკუთარ რეპერტუარს. ყველა აღნიშნულ სიმღერას პატრიოტული თემატიკა აერთიანებდა, მუსიკალურ-სტილური ეკლექტიზმი კი აქციებში მონაწილეების განსხვავებული ასაკობრივი კატეგორიით იყო განპირობებული. დემონსტრაციების ბოლო დღეს, არჩევნებში პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ გამარჯვებისას, უდერდა ფოლკლორული სიმღერა „ქართველო, ხელი ხმაღს იკარ“.

როგორც ვხედავთ, პოლიტიკური დემონსტრაციებისას გამოყენებული ფოლკლორული ნიმუშები კონკრეტულ მიზანს ემსახურება და ამ პროცესში მათი აუთენტურობისა თუ ესთეტიკური ღირებულების საკითხი სრულიად უმნიშვნელო ხდება.

რა თქმა უნდა, არსებობს გარკვეული გამონაკლისებიც, როგორც გახლდათ 2014 წლის 10 ნოემბერს რუსეთის „მცოცავი ოკუპაციის“ წინააღმდეგ ჩატარებული მგალობელ-მომღერლთა აქცია-კონცერტი (რომელშიც თავადაც ვმონაწილეობდი). სოფელ ერგნეთის ქართულ საგუნდაგოსთან შეკრებილმა შემსრულებლებმა სწორედ ტრადიციული ფოლკლორული ნიმუშები შეასრულეს. განსაკუთრებით ჭარბობდა პატრიოტული თემატიკისა და პათოსის შემცველი სიმღერები.

დ) ქართული ფოლკლორი საომარი მოქმედებების პროცესში.

საქართველოს ისტორია დატვირთულია საშინაო თუ საგარეო ომებით და ნამდვილად არაა გადაჭარბებული მრავალჯერ გაუდერებელი გამოთქმა, რომ ქართული მიწის ყოველი გოჯი სისხლითაა გაუღენთილი. საქართველოს უახლოეს თუ შორეულ წარსულში ძნელია მოიძებნოს ისეთი პერიოდები, როცა ქვეყანა მშვიდობიანად ცხოვრობდა და რომელიმე დამპყრობლის წინააღმდეგ ბრძოლაში არ სწირავდა რჩეულ ვაჟაკებს. მაშინ, როცა ფოლკლორი ადამიანების ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, ბუნებრივია, რომ ტრადიციულ მუსიკას ბრძოლის პროცესშიც დიდი ადგილი ეჭირა. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ. V-IV საუკუნეების ნაშრომში, „ანაბასისი“, ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე აღწერს ქართველური ტომის, მოსინიკების „განსაკუთრებული ყაიდის“ საბრძოლო ცეკვა-სიმღერებს, რომლებსაც მოსინიკები მტრის მოჭრილი თავების გარშემო ასრულებდნენ². ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ქართული პოლიტიკისა და ფოლკლორის ურთიერთმიმართების

¹ ა. წულუკიძე, *მუსიკა და ადამიანი*, ინტერნეტ ბლოგი (2012), http://anatsutskiridze.blogspot.com/2012_06_01_archive.html

² ლ. დონაძე, *ქართული მუსიკის ისტორია* (თბილისი, 1990), გვ. 8.

საკითხის კვლევისას გვერდს ვერ ავუვლიდით საბრძოლო პროცესში მისი ადგილისა და როლის განსაზღვრას.

საუკუნეების განმავლობაში ლაშქრული სიმღერები ქართველთა ომებში მუდამ უდვოდა. ისინი ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში, საერთოდ, ცალკე უანრს ქმნიან. რაც შეეხება ჩვენს უახლეს ისტორიას, ძალზე საინტერესოა 1924 წლის სახალხო ამბოხების შესახებ დაწერილი ელიზბარ მაყაშვილის მოგონება, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ მღეროდნენ სიკვდილით დასჯის მოლოდინში მყოფი ტყვეები სიმღერას „ქართველო, ხელი ხმაღს იკარ“, რითაც თავს იმხნეებდნენ და ცდილობდნენ უტეხი ეროვნული თვითშეგნება არ შესუსტებოდათ; მათი პატრიოტული გრძნობები შიშს არ დაეხრდილა¹.

არსებობს ცნობები, თუ როგორ მღეროდნენ აფხაზეთის ომში „შავლეგოს“: „არ შემძლია არ გავისხენო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტები, რომლებიც ალყაში მოაქცია ბევრად მრავალრცხოვანმა მტერმა... ბოლომდე იბრძოდნენ და ტყვია-წამალი რომ უთავდებოდათ, ერთს უთქვამს, ბიჭებო, მაინც ვერ გავალთ აქედან და ვიმღეროთო... мы их из пулемётов косили а они всё равно пели – წერდნენ თვითონ აფხაზეთი მოგვიანებით... შავლეგო იმღერეს და ბოლო, ვინც დარჩა ცოცხალი, მარტო მღეროდა, აქეთ-იქით დარბოდა, მეგობრების მჭიდებს იღებდა, ისროდა და მღეროდა“².

„შავლეგოს“ მღერის ფაქტზე სხვა მსგავსი ცნობაც არსებობს: „(ვირო) მერაბ მინდიაშვილი, ერთ-ერთი ყველაზე უშიშარი მებრძოლი, რომელიც ოსებმა ხეზე მიაბეს და დაწვეს, შავლეგოს მღეროდა ცეცხლმოკიდებული“³.

ბატონი იოსებ ჟორდანიას ცნობით, მისი ბიძა, მწერალი მიხო მორჩილაძე, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში მონაწილეობდა, მასთან საუბარში იხსენებდა, თუ როგორ „ბლოდნენ“ ქართველი მეომრები „შავლეგოს“ ბრძოლის წინ⁴.

როგორც ჩანს, ფოლკლორული ნიმუშების სემანტიკური დატვირთვა (უძლეველობის, გმირულობის, პატრიოტულობის იდეა) იმდენად დრმადაა დაღეკილი ქართველი ადამიანის ცნობიერებაში, რომ ექსტრემალურ სიტუაციებში ქვეცნობიერი თავისთავად მიმართავს უკვე გამზადებულ ფორმულებს შიშის დასაძლევ საშუალებად.

ბრძოლის პროცესში მღერა, გარდა პატრიოტული სულისკვეთების გაღვიძებისა ან გამხნეებისა, სხვა დანიშნულებსაც შეიძლება იყოს. ბრიუს ჯონსონისა და მარტინ კლუნენის წიგნში „მუსიკის ბნელი მხარე: მუსიკა და ძალადობა“ აღნიშნულია, რომ ომში მყოფი მებრძოლები ხშირად მღეროდნენ ნოსტალგიურ სიმღერებს, რაც მათ საკუთარ სახლს ახსენებდა და წამიერად ფიქრებით მაინც გადაყავდა მშვიდობიან მშობლიურ გარემოში. ასევე, აღნიშნულია, ომის დროს ერთ-ერთი მებრძოლი, ტყვიამფრქვევის დამიზნებისას მთელი ხმითა და დიდი თეატრალურობით როგორ მღეროდა „ავსტრალია იქნება აქ“ და ამით ხელს უშლიდა მტერს, მისთვის დაემიზნებინათ ტყვიამფრქვევი⁵.

ავღანეთში მებრძოლი შოთა სხირტლაძე საომარ ვითარებაში მღერის შესახებ აღნიშნავს: „მე სამშობლო რომ მენატრება, გულში „ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტო“-ს ვლიდინებ, მეხმარება მაგრად და საბრძოლო მოქმედების დროს კი „ხორუმი“ ჩამესმის ყურებში. რამდენიმე ჯარისკაცმაც დამიდასტურა – ჩვენცო. მე მგონი, ყველა ქართველს ჩაესმის რთულ სიტუაციებში ხორუმი“⁶.

როგორც აღმოჩნდა, მუსიკალური ფოლკლორი ქართულ საომარ პროცესებში სხვადასხვა მიზანს ემსახურება. ყველაზე მოტორული ნიმუშის, ხორუმის გახსენება მებრძოლებში აგრესიას კი არ ზრდის, არამედ სიძლიერისა და ერთობის შეგრძნებას აღვივებს. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? – მართებული არ ვიქნები თუ ვიტყვი, რომ ეს უბრალოდ ქართველების ჰუმანური ბუნების გამოსატყულებაა. მიზეზი ალბათ ისაა, რომ ისტორიული გამოცდილების შედეგად, ქართველში არა დამპყრობლური ბუნება, არამედ თავდაცვითი ინსტიქტი უფრო განვითარდა. მისთვის ყველაზე ძვირფასი საკუთრების, სამშობლოს დაცვა, ქართველი ერის ფსიქიკაში ერთგვარ ცხოვრებისეულ მისიად ჩამოყალიბდა. დღეს, თითქოს „პატრიოტიზმი ერთგვარ საღანძღავ სიტყვად იქცა“ და გლობალიზაციის პროცესის გავლენით ადამიანის ფასეულებათა სისტემაში თანდათან უკანა პლანზე გადაინაცვლა. მაგრამ ის, ქართულ ფოლკლორში

¹ გ. შარაძე, *ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია*, ტომი I (თბილისი, 2001), გვ. 480.

² აფხაზეთის ომი, უცნობი გმირები, *თბილისის ინტერნეტჯორჯოში* (თბილისი, 2013), <http://forum.ge/?f=29&showtopic=34603243&st=120>

³ ნ. ხაჩიძე, *რატომ გადაიღეს და გამოაქვეყნეს ოსმა სამხედროებმა ტყვედ ჩავარდნილი ქართველი სამხედროების წამებით მკვლელობის ამსახველი კადრები* (თბილისი, 2010), http://www.tbiliselebi.ge/index.php?mas_id=3890&rubr

⁴ პირადი საუბარი იოსებ ჟორდანიასთან.

⁵ Johnson B., M. Cloonan, *Dark Side of the Tune: Popular Music and Violence* (Farnham, 2009), p. 3.

⁶ პირადი საუბარი შოთა სხირტლაძესთან.

ერთგვარი გენეტიკური კოდის სახითაა ჩადებული და მისი მოსმენა თუ მღერა ხშირად იწვევს მიძინებული სამშობლოს სიყვარულისა და, შესაბამისად, მისი დაცვის ინსტიქტის გამოღვიძლებას. სწორედ ამ გენეტიკურ კოდს გულისხმობს ქართველი ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი, როცა წერს: „მე ქართველი ვარ, რადგან როგორც სულიერად, ისე მორალურად, მე ქართული მრავალხმიანი სტუქტურის პროდუქტი ვარ... ზოგიერთი ჩემი სულიერი შესაძლებლობის ბედი ქართულმა მუსიკამ განსაზღვრა... ამ მუსიკამ მე მშობა. მე ვგულისხმობ ჩემი პიროვნულის იმ შემადგენელს, რასაც ეთნიკური ან ეროვნული ქვია... ამიტომ, როცა ქართველი მღერის ან უსმენს სიმღერას, მასში ყოველ ჯერზე ხელახლა იბადება ქართველი“¹.

ზემოაღნიშნულ მსჯელობას თუ განვაზოგადებთ, შეიძლება ითქვას, რომ ქართული პოლიტიკა საზოგადოებაზე ზემოქმედებისათვის აქტიურად მიმართავს ტრადიციულ მუსიკას, თუმცა მისი პიარტექნოლოგიაში გამოყენების ფორმების შერჩევაში, როგორც წესი, მხატვრული კრიტერიუმები არ მონაწილეობს.

საინტერესოა, თურა როლი აკისრია საკუთრივ პოლიტიკას ქართული ფოლკლორის ფორმირებასა თუ ფოლკლორული პროცესების წარმართვაში. კვლევისას პოლიტიკასა და ფოლკლორს შორის ამ ტიპის მიმართების შემდეგი სახე გამოვლინდა:

ე) პოლიტიკური პერსონებისადმი მიძღვნილი ფოლკლორი.

ფოლკლორულ სიმღერებში ხშირად ფიგურირებს ესა თუ ის პოლიტიკური პერსონა. რიგ შემთხვევაში, ეს ხელისუფლების ინტერესების გაველენით ხდება, ზოგჯერ კი ერთადერთი ინიციატორი ხალხია. ნაშრომში ამ პროცესს ერთგვარ ისტორიულ პერსპექტივაში წარმოვადგენ.

ყველაზე ძველი შრის კუთვნილებაა მეფეების სადიდებელი ნიმუშები. მეფეებთან დაკავშირებული სიმღერები შემდეგი მონარქებისადმი მიძღვნილი: თამარ მეფე, ვახტანგ გორგასალი, სოლომონ პირველი, ერეკლე მეორე და დავით აღმაშენებელი. ზეპირსიტყვიერი ნიმუშები სოლომონ მეორესა და რუსუდანთან დაკავშირებული სიმღერების წარსულში არსებობაზე მეტყველებს². აღნიშნული სიმღერებისთვის სადიდებელი, ჰიმნური ბუნებაა დამახასიათებელი.

დიდი რაოდენობით მოგვეპოვება კომუნისტური ბელადებისადმი მიძღვნილი ნიმუშები. მათი ერთი ნაწილი ქართული ფოლკლორის დიალექტური თავისებურებების დაცვითაა დაწერილი, მეორე კი ტიპურ საბჭოურ სტილშია წარმოდგენილი. ბელადების შესახებ გამოთქმული სიმღერების ერთგვარ ქრონოლოგიურ რიგს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ნიმუშებში თანდათანობით იზრდება საბჭოთა ეპოქის საერთო მუსიკალური ტენდენციების გავლენა, რაც, ტრადიციული ფოლკლორული მუსიკალური მახასიათებლების შესუსტების ფონზე ხორციელდება. ვხვდებით როგორც საკრავით თანხლებულ ერთხმიან ნიმუშებს, აგრეთვე სამხმიან სიმღერებს. მათში წამყვანი გმირული პათეტიკით გაჟღენთილი ტექსტია, მუსიკალური მხარე კი ტექსტის ფონზე საგრძობლად იზრდება³.

რაც შეეხება ჩვენს თანამედროვეობას, ყოფაში დაფიქსირებულია პოლიტიკურ ლიდერებზე გამოთქმული შაირები, მათ შორის საქართველოს ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და მის მეუღლე სანდრა რულოვსზე⁴. თუმცა მუსიკალური თვალსაზრისით ეს ნიმუშები ქართულ ფოლკლორში რაიმე სიახლის შემომტანი არაა, ისინი ტრადიციულ საშაირო მოტივებზეა დამდგარები. არცთუისე დიდი ხნის წინ ინტერნეტით გავრცელდა მიხეილ სააკაშვილისადმი მიძღვნილი სიმღერა „რა დროშა მოგვცა მიშამა“ და ისეთი პოპულარობა მოიპოვა, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე იუმორისტული გადაცემებისა თუ სკეტჩების უცვლელ თემად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ შემსრულებელი მხოლოდ ორიოდ ფრაზას მღერის, მასში აშკარად შეინიშნება საბჭოთა სიმღერებისათვის დამახასიათებელი პათეტიკა და ხალხურ ელემენტებთან შერწყმული საბჭოური მუსიკალური სტილი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ფოლკლორული ქმნილება ხალხის მსოფლმხედველობისა და ნააზრვეის შემოქმედებითი საშუალებებით რეალიზაციას წარმოადგენს, დავინახავთ, რომ უწინ პოლიტიკური პერსონები განდიდებისა და ერთგვარი კულტივირების ობიექტებს წარმოადგენდნენ, დღევანდელ ყოფაში კი, ხალხში მათი მნიშვნელობების დაკნინებისა თუ სიტყვის თავისუფლების პირობებში, მათ სრულიად თამამად იხსენიებენ ირონიით ან სულაც სატირით და ამისთვის უკვე არსებულ შესაბამის ფოლკლორულ ჟანრს არჩევენ.

¹ მამარდაშვილი მ., *Мой опыт не типичен* (Санкт-Петербург, 2000), с. 292-293.
² ნ. ჩიტაძე, *ქართველი მეფეები ხალხურ მუსიკაში*, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია (თბილისი, 2012), გვ. 83.
³ გ. ჩხიკვაძე, *ქართული საბჭოთა მუსიკალური ფოლკლორი სამოცი წლის მანძილზე* (არსებული სალიტერატურო და სასიმღერო მასალების საფუძველზე), თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის წლიური ნაშრომი (თბილისი), გვ. 33.
⁴ სიმღერა „პატარძალ სანდრას“, სოფ. ჭიორა, ნატალია ზუმბაძის ექსპედიცია რაჭაში, *საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივი*.

როგორც ვხედავთ, ქართული ფოლკლორისა და პოლიტიკის ურთიერთზეგავლენა საკმაოდ დიდია. თვითმყოფად ქართულ ფოლკლორს ქვეყნის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის წარმართვაში გარკვეული როლი ნამდვილად აკისრია. თავის მხრივ, პოლიტიკური გადაწყვეტილებები ამ სფეროსთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე (განსაკუთრებით, მისი კურირების საკითხზე), ქართული ფოლკლორის შემდგომი განვითარების ამა თუ იმ კურსს უდაოდ განსაზღვრავს.

ბიბლიოგრაფია

1. აფხაზეთის ომი, უცნობი გმირები, *თბილისის ინტერნეტფორუმი* (თბილისი, 2013), <http://forum.ge/?f=29&showtopic=34603243&st=120>
2. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი დასრულებულია, *ტელეგადაცემა მოამბე* (თბილისი, 2013), <http://1tv.ge/news-view/59481>
3. თ. გაბისონია, *ქართული ტრადიციული მუსიკის შემსრულებლობა, თანამედროვე რაკურსი*, I ნაწილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სალექციო კურსი (თბილისი, 2014).
4. ე. გარაყანიძე, *ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობა* (თბილისი, 2007).
5. ლ. დონაძე, *ქართული მუსიკის ისტორია* (თბილისი, 1990).
6. ნ. ზუმბაძის ექსპედიცია რაჭაში, *საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივი*.
7. მ. კორტე-რეალი, პორტუგალიური ფადოს ისტორიული ჩანაწერების პოლიფონია და ევოლუცია, *ტრადიციული მრავალხმიანობის მეექვსე საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებების კრებული* (თბილისი, 2014).
8. რეპორტაჟი ანსამბლ *ბასიანის* მიერ მადრიდში გამართული კონცერტის შესახებ, *ტელეგადაცემა მზერა* (თბილისი, 2008), <http://www.youtube.com/watch?v=hLFW1595FfM>
9. გ. შარაძე, *ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია*, ტომი I (თბილისი, 2001).
10. მ. შილაკაძე, *ქართული ხალხური მუსიკალური ტრადიციები და თანამედროვეობა* (თბილისი, 1988).
11. ნ. ჩიტაძე, *ქართველი მეფეები ხალხურ მუსიკაში*, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია (თბილისი, 2012).
12. თ. ჩხეიძე, „კოსმეტიკური დესოვიეტიზაცია“ – რესტორნები რუსული მუსიკის გარეშე, *Netgazeti.ge* (თბილისი, 2011), <http://www.netgazeti.ge/GE/45/Life/4432/>
13. გ. ჩხიკვაძე, ქართული საბჭოთა მუსიკალური ფოლკლორი სამოცი წლის მანძილზე (არსებული სალიტერატურო და სასიმღერო მასალების საფუძველზე), თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის წლიური ნაშრომი (თბილისი).
14. გ. ჩხიკვაძე, *ქართული ხალხური საბრძოლო სიმღერები და ქართული საბოჭთა მუსიკალური ფოლკლორი*. I ნაწილი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის წლიური ნაშრომი (თბილისი, 1970-1971).
15. ნ. ციციშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მრავალხმიანი სასიმღერო სტილის შედარებითი და დარგთაშორისი შესწავლა ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის მონოდიური მუსიკის კონტექსტში, *ტრადიციული მრავალხმიანობის მეხუთე საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებების კრებული* (თბილისი, 2010).
16. ა. წულუკიძე, *მუსიკა და ადამიანი*, ინტერნეტ ბლოგი (2012), http://anatsutskiridze.blogspot.com/2012_06_01_archive.html
17. რ. წურწუშია, მუსიკალური თბილისი: წარსული და თანამედროვეობა, *ისტორიული თბილისი-კულტურული ასპექტები*, მოხსენებათა კრებული (თბილისი, 2013).
18. ნ. ხაჩიძე, *რატომ გადაიღეს და გამოაქვეყნეს ოსმა სამხედროებმა ტყვედ ჩავარდნილი ქართველი სამხედროების წამებით მკვლელობის ამსახველი კადრები* (თბილისი, 2010), http://www.tbilisebi.ge/index.php?mas_id=3890&rubr
19. Мамардашвили М., *Мой опыт нетипичен* (Санкт-Петербург, 2000).
20. Johnson B., M. Cloonan, *Dark Side of the Tune: Popular Music and Violence* (Farnham, 2009).
21. Tsurtssumia R., *Georgian Multipart Singing and National Identity, Echoes from Georgia (Seventeen Arguments of Georgian Polyphony)*, Collected article (New York, 2010).

GEORGIAN POLITICAL FOLK AND FOLKLORIC POLITICS: THE RELATIONSHIP BETWEEN FOLK MUSIC AND POLITICS IN GEORGIA

In the present work we will discuss the issue of the relationship between Georgian folklore and music. My goal is to find out how the folklore is used in politics and, vice versa, how the role of politics is revealed in the Georgian musical folklore. How big is the reciprocal influence of these two fields, and to what real consequences this centuries-old process leads?

The existed relation between folklore and politics in the report is discussed separately and the following issues are allocated:

Georgian folk music often sounds in the international political meetings and in the Georgian cultural days abroad. In this case, in addition to a simple attribute of diplomatic etiquette, it has a function to present Georgia, as a country of a high artistic culture, and thus impress foreign colleagues. In such occasions, basically, efficient folklore pieces sound, so to the issue of authentic performance is not paid a great attention. The propaganda of Georgian folk music in the foreign countries is very effective instrument for the tourism development, which is more or less actively carried out by the country's ruling political power.

The role of Georgian folk music has no less importance during political demonstrations and military operations. At this situations listening and singing the pieces based on heroic themes intensifies growth of the people's patriotic spirit and further enhances the feeling of unity. In addition, rhythm plays a significant role there. It has a certain function of unification that transforms the individuals into one group. The study of footages related to the political demonstrations, that are available in the internet space, revealed that folk samples, used during the political demonstrations serve to the specific purpose and in this process the issues of their authentic nature or their aesthetic value become totally insignificant.

As for the role of the folk during the military operations, it is known, that as early as in the V-IV centuries BC, in his work "Anabasis" the Greek historian Xenophon describes the "special kind" of combat songs and dances that Kartvelian tribes, Mosiniks performed around cut off heads of their enemies. For the centuries the combat songs always sounded during the wars. In general they form a separate genre in the body of Georgian folk music. As for our recent history, there is a statement of how often "Shavlego" was sung during the recent wars (Abkhazeti, Samachablo, Russian-Georgian wars).

As for the role of politics in the Georgian folklore, it is revealed in several forms there. A certain political person is often appeared in the folk songs. In this paper I'll represent this process in a certain historical perspective: the oldest layer belongs to the samples that praise the kings, hymn nature of songs dedicated to the kings. There are many of samples dedicated to the Communist leaders that are written in a typical Soviet- style. The text is impregnated with heroic pathetic, and the music side on the text background is significantly shadowed. As for our modernity, the existence of comical verses "Shairebi" about political leaders, including Mikhail Saakashvili and Sandra Roelofs, are fixed. However, these samples in terms of musical folklore are not proposing any new items; they are sung on the traditional "Shairi" motives.

If we will foresee that the folkloric piece is the creative implementation of people's ideology and thought-outs, we can realize that once the political persons were objects of praising and kind of cultivation, but in the present life through the declining of their public images or in the conditions of freedom of speech, they are boldly mentioned with irony or even satire and for this purpose already existing folk genres are chosen.

Policy became one of the stimulating factors of these crucial changes that took place in Georgian folk. During the relationships with the foreign invaders some Eastern instruments organically established its place in Georgian folklore; Nino Tsitsishvili considers that the melismatic manner of execution which today is considered as the typical features for the Kartl-Kakheti region dialect, had always been the main attribute of the Middle Eastern and Central Asian monodic cultures. Here should also be noted the urban music, the Eastern branch of which has Persian influences, while the Western one - European and Russian classical music.

The country's political order has the major influence on the conditions of folklore. A clear examples of this are the massive Soviet-era choruses, which resulted the incursion of the conductor's institute into the Georgian folklore, singing with the doubled upper voices, the trend of four-parting of the folk samples, creation of folk instrumental orchestras and etc. The mentioned process, in some extent, is still continuing, when the bearers of the state ensembles status (and who therefore, inculcate a sort of standard) are some collectives that have non authentic performing manner.

As we can see, the reciprocal influence of Georgian folklore and politics is quite big. The original Georgian folklore has a significant role in the country's foreign and domestic policy. On the other hand the political solutions that are in relations with the various issues of this sphere (in particular, the question of its monitoring), determines the course of further development of the Georgian folklore.

საპაწმინდო და პაწმინდა სამუსიკო საკრავები საქართველოში¹

გუძღვნი მანანა შილაკაძის ხსენებას

ქართველთა სულიერ ღირებულებებს შორის მუსიკალურ ფოლკლორს გამორჩეული ადგილი უჭირავს. სხვა ხალხთა მსგავსად, მუსიკა ახლდა ჩვენი ყოფა-ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მოვლენას. ბავშვთა აღზრდის ტრადიციულ ქართულ სისტემაში დიდი ყურადღება ეთმობოდა მუსიკალური უნარების გამომუშავება-განვითარებას. მომღერალ-მგალობელი, საკრავზე დამკვრელი, საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა. ხალხური მუსიკა ქართველებისათვის დღესაც ეროვნული თვითშეგნების გამონატვისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების მძლავრი საშუალებაა.

ქართული მუსიკალური კულტურის ძირითადი მახასიათებელი ვოკალური მრავალხმიანობაა. 2001 წლის მაისში იუნესკომ ქართული მრავალხმიანი სიმღერა მსოფლიოს არამატერიალური კულტურის შედეგად აღიარა. ასეთი მაღალგანვითარებული სასიმღერო მრავალხმიანობის ფონზე საკრავიერი მუსიკა მოკრძალებულად გამოიყურება და საკრავიც ეროვნული მუსიკალური აზროვნების ვოკალურ კანონზომიერებებს ემორჩილება. მართალია, უძველესი კულტურების მსგავსად, ჩვენში ინსტრუმენტთა ყოფითი ფუნქცია არაერთგვაროვანია, მაგრამ საქართველოში საკრავს უმთავრესად შებანების (დაბალი ხმის შეწყობის), ცეკვა-სიმღერის თანხლების დანიშნულება აქვს. უნდა ითქვას, რომ ქართველები საკრავების დამზადებისას მკაცრად იცავდნენ მუსიკალური ესთეტიკის ტრადიციულ მოთხოვნებს. რკინის დამუშავების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მიუხედავად, საკრავთა უმეტესობა ბუნებრივი მასალით – ხის საგანგებო ჯიშებითა და შინაური ცხოველების ტყავით მზადდებოდა.

ქართულ ორგანოლოგიაში ნაკლებად არის შესწავლილი ბავშვთა საკრავები. მიუხედავად იმისა, რომ გამოთქმულია ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება², აღნიშნული საკითხი საგანგებო კვლევის საგნად არ ქცეულა. საზოგადოდ, ბავშვთა საკრავებად მიჩნეულია ის საკრავები, რომლებსაც ბავშვები თავად ამზადებენ³. თუმცა, როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოში ისინი უკრავენ უფროსების (ძირითადად, მამაკაცების) მიერ ბავშვებისათვის დამზადებულ საკრავებზეც. აგრეთვე, სასწავლო მიზნით მათთვის საგანგებოდ დაპატარავებულ საკრავებზე და არც თუ იშვიათად, უფროსების საკრავებზეც. ყურადღებას იქცევს ბავშვებისათვის გაკეთებული სხვადასხვა სათამაშო, რომელიც ხმას გამოსცემს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადრეულ ასაკში მათი ემოციების, სმენითი შთაბეჭდილებებისა და მუსიკალური აღქმის ჩამოყალიბებაში.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, თავი მოუყაროს ბავშვთა და საბავშვო (ბავშვებისათვის განკუთვნილ) საკრავებთან დაკავშირებულ ქართულ მასალას, გაამახვილოს მათზე ფოლკლორის შემკრებთა ყურადღება და მუსიკალური აღზრდის სისტემაში შექმნილი პრობლემების ფონზე⁴, ახალგაზრდა მშობლებსა თუ პედაგოგებს გარკვეული წარმოდგენა შეუქმნას ტრადიციულ ყოფაში არსებული საკრავების ამ ნაწილზე. კვლევა ემყარება სისტემურ-ეთნოფონურ მეთოდს, რომელიც ისტორიულ-მორფოლოგიური, მუსიკალურ-სტილური და სრუქტურულ-ტიპოლოგიური მეთოდების კომპლექსურ გამოყენებას გულისხმობს⁵.

აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრში – მცხეთაში 1938 წელს წარმოებული გათხრების დროს ერთ-ერთ საფლავში აღმოჩნდა გედის წვივის ძვლისაგან გაკეთებული უენო სალამური, რომელიც ქ. წ.-მდე XV-XIV საუკუნეებით თარიღდება. 199 მმ-ის სიგრძის საკრავი ბოლოში ოდნავ მოღუნულია, აქვს სამი თვალი. ბეგრატრივი დიატონური ტეტრაქორდია. ჩვენთვის საგულისხმო ისაა, რომ სამარხი, რომელშიც ეს სალამური იყო, პატარა

¹ სტატია ტრადიციული მუსიკის საერთაშორისო საბჭოს (ICTM) ხალხური საკრავების შემსწავლელი ჯგუფის XIX სიმპოზიუმზე (ბამბერგი, 2013) წაკითხული მოხსენების შევსებული ვერსიაა.

² აღწერილია აჭარელ ბავშვთა ჩასაბერი საკრავები – ჭყვიზინა, შტვირი, საშტვინელი, ჭიპონი (ა. მსხალაძე, *ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკის ისტორიიდან* (თბილისი, 1969), გვ. 14-16).

³ Emsheimer E., Gedanken zur Welt der Kinderinstrumente und ihrer Beziehung zur Erwachsenen kultur, *Studia Ethnomusicologica Eurasiatica*, II (Stockholm, 1991). ნაშრომის მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით პროფესორ ულრის მორგენშტერნს.

⁴ პოსტსაბჭოურ პერიოდში სპეციალური სამუსიკო სკოლებისა და სასწავლებლების დახურვამ სერიოზული დარტყმა მიიყენა მუსიკალურ განათლებას, რაც პირდაპირ აისახა საზოგადოების მუსიკალურ გემოვნებაზე.

⁵ Мациевский И., Формирование системно-этнофонического метода в органологии, *Методы изучения фольклора* (Ленинград, 1983).

ბიჭისაა. იქვე ხარის თავის ქალა აღმოჩნდა, რის გამოც ამ სამარხს ქართველი მეცნიერები „პატარა მწყემსის“ ძეგლად მოიხსენიებენ (სურ. 1). ქართული ეთნომუსიკოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის გრიგოლ ჩხიკვაძის აზრით, ეს სალამური ან მწყემსისათვის ჩატანებული განუყრელი ნივთია, ან ხარის კულტთან დაკავშირებული საკულტო საგანი, რომელზეც მსხვერპლშეწირვის დროს უკრავდნენ.

ამავე მკვლევარმა XII საუკუნის ქართულ მინიატურულ მხატვრობაშიც შეამჩნია სალამურზე დამკვრელი ყმაწვილი და საკუთარი საექსპედიციო მასალების გათვალისწინებით, საქართველოში ამ საკრავის განვითარების უწყვეტი ტრადიცია დაადასტურა (სურ. 2)¹. ინდაურის ძვლი-საგან საბავშვო საკრავის დამზადების ფაქტს აჭარაში დღესაც ადასტურებენ².

2006 წელს ეთნომუსიკოლოგის მალხაზ ერქვანიძის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტით აღმოჩნდა, რომ მცხეთაში ნაპოვნი სალამურის დახრილობის კუთხის შეცვლით რამდენიმე, სხვადასხვა სიმაღლიდან დაწყებული ბგერათრივი ფიქსირდება. მათგან ერთი მინორულ, დანარჩენი კი მაჟორულ მიხრილობასთან მიახლოებული ტეტრაქორდებია.

ბავშვთა საკრავებზე შესრულებელი ჰანგების სემანტიკასთან დაკავშირებით საინტერესო მასალას გვაწვდის ცნობილი ქართული ზღაპარი „წიქარა“. სხვადასხვა სალამურზე პატარა მწყემსი საღვინო და საჭირვარამო დასაკრავებს აუღერებს და საყვარელ ხარს კარგად ყოფნას ან საფრთხეს ატყობინებს³. აქ წარმოდგენილი დიფერენციაცია, ფაქტობრივად, მუსიკის ჟანრული დაყოფის ერთ-ერთ პირველ ცდად უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოში ხის სალამურის წარმოშობასთან დაკავშირებით რამდენიმე ლეგენდა არსებობს. ერთ-ერთის მიხედვით, ობლის საფლავზე ამოსულა პირველი ლერწამი, რომელიც ქარს გულსაკლავ ხმაზე აუუღერებია⁴. ხისგან დამზადებული უენო და ენიანი სალამურები დღეს, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოს კუთხეებშია გავრცელებული. ლაზეთში (დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში) ბავშვებისათვის დამზადებულ უენო სალამურს კავალს ეძახიან. ზოგიერთი ცნობით, იგი ხაპის ღეროსაგან მზადდება⁵. ნოდარ კაკაბაძე კი მას ბამბუკის (ლერწამის ჯიშის), ან დიდგულას ხისაგან აკეთებს (სურ. 3)⁶.

საინტერესოა, რომ ღორების მწყემსი ბავშვებისათვის სალამური თიხისაგან მზადდებოდა⁷. როგორც ჩანს, ეს ცხოველები ხისა და ძვლის სალამურის ბგერებს ვერ აღიქვამენ.

ქართველი ქალები ახალშობილი ბავშვის საწოლზე ბოროტი ძალებისაგან დაცვის მიზნით, ამაგრებდნენ ქვებიან, მძივებისგან, ნიჟარებისგან ასხმულ ჩანჩხურებს, საჩხაკუნებლებს, რომლებიც აღმოსავლეთის მთაში „სათირებლებს“ სახელით მოიხსენიება. *დათირება* ფშავში, ხევში ბავშვის გაჩუმებას, დამშვიდებას, დაწყნარებას ნიშნავს⁸. გარკვეული დროის შემდეგ ეს ნივთები ბავშვის ხელში გადადიოდა და ჩხაკუნი სმენისა და მოძრაობის კოორდინირების, რიტმის გრძნობის განვითარების უმარტივეს საშუალებად იქცეოდა. ამასვე უწყობდა ხელს დედის მიერ ნამღერი გასაღვიძებელ-გამოსაფხიზლებელი, ფეხის ადგმის, თავშესაქცევ-გასართობი ნიმუშები. ყველა მათგანს უმარტივესი დასარტყამი საკრავი – ტაში ახლდა. ბავშვები თვითონაც აყოლებდნენ ტაშს ყინულზე დასაბზრიალებლად გამოთლილი სათამაშოს – შუკოს და ძაფის დასართავი მოწყობილობის – თითისტარის ხმას. სამწყემსურში ყოფნისას მოზარდები ნაპოვნ გატეხილ ჭურჭელზე, ტაშტებზე უკრავდნენ⁹. დასავლეთ საქართველოში ბავშვებისათვის საჩხაკუნოები ე. წ. „მწარე ხაპისაგან“ მზადდებოდა¹⁰. გურიაში 12-13 წლის ბავშვები გაზეთს გარმონის საბერველივით კეცავდნენ, ცომით აწებებდნენ და შიგ დაჭერილ ბუხებს, ბზიკებს სვამდნენ. მათი ბზუილი საკრავზე დაკერის იმიტაციას ქმნიდა¹¹. თბილისელი ბავშვებისაგან მოპოვებული

¹ Чхиквадзе Г., Доисторическая грузинская костяная саламури – флейта, *Congressus ethnographikus in Hungaria* (Budapest, 1965), გვ. 455.

² ს. კორტიკაძე, ინტერვიუ მ. თავართქილაძესთან, სოფელი კოკოტაური, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის 2013 წლის ექსპედიციის მასალები.

³ ქართული ხალხური ზღაპრები, შემდგენელი ალ. დლონტი (თბილისი, 1984).

⁴ დ. ალაიძე, ქართული და საქართველოში გავრცელებული ხალხური მუსიკალური საკრავები (თბილისი, 1978), გვ. 50.

⁵ გ. ჩხიკვაძე, ლაზეთი და თანამედროვე ლაზეთი სიმღერა, თბილისი, 1980, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორის ლაბორატორიის არქივი, №3320.

⁶ გ. კრავიშვილი, ლაზეთი ხალხური მუსიკის ეთნოგრაფიული და მუსიკალურ-თეორიული ასპექტები, თბილისი, 2011, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორის ლაბორატორიის არქივი, სადიპლომო ნაშრომების ფონდი, გვ. 120.

⁷ ნ. მახარაძე, ინტერვიუ ქ. ბაიაშვილთან, თბილისი, 2011.

⁸ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. დლონტი (თბილისი, 1984), გვ. 173.

⁹ ნ. მახარაძე, ინტერვიუ ქ. ბაიაშვილთან, თბილისი, 2012.

¹⁰ ნ. მახარაძე, ინტერვიუ ქ. გოგოლაძესთან, ბათუმი, 2012.

¹¹ ნ. მახარაძე, ინტერვიუ ქ. გოგოლაძესთან, ბათუმი, 2013.

ინფორმაციით, იმერეთის სოფლებში საშობაო „ალილოხე“ კარდაკარ ჩამოვლის რიტუალში ბავშვები მემბრანოფონს – დოლს იყენებდნენ¹.

XIX საუკუნის პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული ეთნოგრაფიული წერილებიდან ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ახალშობილისათვის პირველად მოჭრილ ფრჩხილებს ჩონგურში სდებდნენ – გაიზრდება და კარგი დაკვრა ეცოდინებაო². არსებობს ცნობები ბავშვებისათვის პატარა ზომის ქორდოფონების (ფანდურის და ჭიანურის) დამზადების შესახებ³. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში და ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში დაცული პატარა ზომის საკრავები ამ ფაქტების დამადასტურებელია. მათ შორისაა მემბრანოფონები – დოლი, დიპლიპიტო, მრავალღერძიანი სალამური – ლარჭემი, ოთხსიმინი ჩონგური, პატარა გარმონი – წიკო-წიკო (ქართლში), ბუზიკა (რაჭაში) (სურ. 4 და სურ. 5). ივანე ქავთარაძის ცნობით, ხევში ბავშვის სათამაშო პატარა გარმონს დაღვუდალა ერქვა⁴.

განსაკუთრებული მრავალღერძოვნება ბავშვთა აეროფონების ჯგუფში გვაქვს. დღეისათვის ჩემს ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მონაცემების, ზეპირსიტყვიერი მასალის, ბოლო წლების საექსპედიციო ჩანაწერების შეჯერების საფუძველზე შესაძლებელი ხდება მათი ფუნქციის, დამზადების, აგებულების, წყობისა და რეპერტუარის ზოგიერთ საკითხზე მსჯელობა.

საქართველოში ჩასაბერ საკრავებზე ძირითადად ბიჭები უკრავდნენ. აღმოსავლეთ საქართველოს მთის სალოცავებში რელიგიურ დღესასწაულებზე შეწირული მამლების ფრჩხილები, ბატკნების რქები ბავშვებს სახლში მოჰქონდათ და სასტვენად იყენებდნენ⁵. სასტვენები მათთვის ზოგჯერ პურის ცომისგან, თიხისგან, ხის ქერქისგან უფროსების მიერაც მზადდებოდა. ხშირად ასეთ საკრავს ფრინველების, ცხოველების ფორმას აძლევდნენ. მათზე სტვენით ბავშვები ნადირობისას ჩიტებს ბაძავდნენ, მახეში იტყუებდნენ და იჭერდნენ (სურ. 6 და სურ. 7).

ხისგან დამზადებული სასტვენები სეზონურად – გაზაფხულზე მზადდება, როცა ხეში წყალი დგება და კანი ადვილად ძვრება. ლაზეთში ერთბგერიანი ოსტვინალეს დასამზადებლად თუთას, მთხაკაკალს (გარეული კაკალი), თხილს ან თხემლის ხეს იყენებენ. ის მწყემსებად წასული ბავშვების საკრავი იყო და ძროხების მწყემსები ამ საკრავით ერთმანეთს გადასძახებდნენ ხოლმე. ზოგჯერ სასტვენს ხაპის ღეროსგანაც აკეთებდნენ. „დიდ ღეროს მსხვილი ხმა ჰქონდა“⁶.

შავშეთში პატარა ერთბგერიანი სასტვენები Dūdük-ის სახელწოდებით მოიხსენიება. მათ კამპარასაგან ან ეკლისაგან ამზადებდნენ⁷.

ჰერეთში სასტვენს ვიტიტის, სვიტინას, ტუტეს ეძახიან⁸. იგი თუთის, თხილის, ლედვის ან და კაკლის ნორჩი ყლორტისაგან მზადდება. ზედა მხარეს ნასვრეტი ირიბადაა აჭრილი. საკრავის ოდნავ ქვევით დაწვეით, დაბოლოების კუთხის შეცვლით, დაბალი ბგერების მიღებაც არის შესაძლებელი.

გაზაფხულზე ეს ბავშვების გასართობი საკრავია. „როცა ბუნება იღვიძებს და უფროსები ბაღებში სამუშაოდ გადიან, ბავშვებმა მათ ხელი რომ არ შეუშალონ და გაერთონ, ამისთვის უკეთებენ. მას გამაყრუებელი ხმა აქვს“. ცოტა მოზრდილი ბავშვები საკრავს თვითონაც ამზადებენ და ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო უკეთ „ააკენესებს“ (სურ. 8 და სურ. 9)⁹.

სეზონურია ბუკის ტიპის საკრავი ბოლუზანი (ბოლუზანა). მას გაზაფხულზე გარეული კაკალისაგან ამზადებდნენ. კანს, რომელიც ძალიან ადვილად ძვრება, კონუსისებურად ახვევდნენ – წინ ვიწროდ, ბოლოში კი თანდათან აფართოვებდნენ. საკრავი გრძელია, ნასვრეტები არა აქვს და მხოლოდ ერთ ბგერას გამოსცემს. ბოლუზანას თავში უკეთდება წიპილი. „ძველად ციხის ქონგურებზე დადებოდა ერთი დარაჯი. დიდი გრძელი საკრავი ჰქონდა – ოჭანდინონი (მოსახლობი). ამ საკრავით ხალხს უხმობდნენ ომში, ქორწილში, თავშეყრაში. ჩაბერავდი და ძლიერ ხმას გამოსცემდა, შორს ისმოდა, ეს მტრის მოახლოების ნიშანი იყო. ხალხი მიატოვებდა ყველაფერს და ამ ციხე-გალავანში შედიოდა, რომ თავი გადაერჩინა. ბავშვებისათვის, ან ბავშვების მიერ გაკეთებული ბოლუზანა ამ საკრავის მსგავსი იყო, თუმცა გაცილებით პატარა“. ნოდარ კაკაბაძის თქმით, ბოლუზანა და ოჭანდინონი ერთი და იგივეა,

¹ ნ. მახარაძე, შეკრებილი მასალა, თბილისი, 2007.

² ნ. ჯანაშია, აფხაზეთი, *მოამბე*, №11 (თბილისი, 1897).

³ თ. მესხი, თ. გაბისონია, *ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება* (თბილისი, 2005), გვ. 47.

⁴ ი. ქავთარაძე, *ქართული ენის მოხეური დიალექტი* (თბილისი, 1985), გვ. 219.

⁵ ნ. მახარაძე, ინტერვიუ ქ. ბაიაშვილთან, თბილისი, 2013.

⁶ გ. კრავიშვილი, საექსპედიციო მასალები, სარფი, კვარიათი, 2012.

⁷ გ. კრავიშვილი, ინტერვიუ ი. ალთუნთან, 2013.

⁸ რ. დამბაშიძე, *ქართული ენის ინვილოური კილოს ლექსიკონი* (თბილისი, 1988), გვ. 206.

⁹ მ. ტარტარაშვილი, გ. კრავიშვილი, საექსპედიციო მასალები, კახი, კახის რაიონის სოფლები: ალათემური, ალიბეგლო, მეშაბაში, ქოთოქლო, ზაქათალის რაიონის სოფლები: ალიაბადი, მოსული, ბელაქნის რაიონის სოფელი ითითალა, 2011-2012.

მხოლოდ ზომებშია სხვაობა¹. ჰერეთში მსგავს საკრავს ბოროზანს ეძახიან. იგი კაკლის ხის კანისაგან მზადდებოდა, მილივით ახვევდნენ და „ბუუ“-ს ჩაჰყვირებდნენ. ისიც ერთ ბგერას გამოსცემდა². მოხვევები ბავშვების სათამაშო პატარა ზომის საყვირს დუც-დიკლაის ეძახიან³.

ხორბლის ან ქერის ღეროსაგან, ლელისაგან, ასკილისაგან მზადდებოდა საბავშვო სტვირი⁴. აღსანიშნავია, რომ სტვირის მსგავს ბგერებს ქართველი ბავშვები ფოთლებით, ყვავილებით, ჩალით, მწვანე ხახვით, სავარცხლითაც გამოსცემენ.

სტვირის ჯგუფს ეკუთვნის აჭარული გუდასტვირის – ჭიბონის უშუალო წინაპარი *ჭყიპინა/ჭიპონი*. იგი დუღგულის, ხაპის (კვანის) ღეროსაგან მზადდება და ერთ ბგერას გამოსცემს. ბავშვობაში მასზე დაკვრა საფუძველს უმზადებს შემდგომში გუდასტვირის ათვისებას. „ჭიბონის დაკვრა ბავშვობიდან ვისწავლე, საქონელს რო ვწყემსავდი. ჭიბონის სწავლა ხაპი ღერწმიდან იწყება, ბაღნები შევიყრებოდი და ისე ვსწავლობდი“⁵. ცნობილი მეჭიბონე – მურად თავართქილაძე აჭარულ საბავშვო საკრავს პილილად მოიხსენიებს⁶.

ქართულ ზღაპარში („სამი და“) დამოწმებულია სტვირის დამზადების უმარტივესი წესი. საკრავის წარმოშობის წინაპირობა აქ შვილის დაკარგვით გამოწვეული სევდაა. სტვირი ჯადოსნური ძალისაა, იგი ადამიანის ხმით მეტყველებს. მოვიტან ვრცელ ციტატას: „დედა ვაშლზე რომ დარჩა, იმდენი იტირა, იმდენი იტირა, რომ ცრემლებად და სისხლად ჩამოიღვარა მიწაზე. სადაც იმისი სისხლი და ცრემლი მოხვდა, ისეთი ღერწამი მოვიდა, როგორც ტყე. ათასნაირი ყვავილი და ბალახი გაიშალა. ერთხელ ბიჭმა წაიყვანა ძროხა და იმ ვაშლთან მივიდა. მოსტეხა ერთი ღერწამი. ფრხილით გააკეთა სტვირი და დაუკრა. სტვირი უკრავდა და თან იძახდა – სტვირო, სტვირო, რასა სტირო? მე დედაშენი ვმავდები, შენ ჩემი შვილი ბრძანდები. სტვირი სულ ამას იძახდა. ვაჟმაც ჩაიკრა გულში და აღარ იშორებდა. შინ რომ მივიდა, მოიტანა, დაუკრა და სტვირმაც ისევ ის სიტყვები დაიძახა. ქალს გულზე ცეცხლი წაეკიდა. წაართვა სტვირი ბავშვს და დაუმტვრია, მაგრამ ნატეხი სტვირი ისევ უკრავდა და იძახოდა... ქალმა გაიგონა კიდევ, წაართვა ნამტვრევებიც ბავშვსა და თონეში ჩაყარა. ნამტვრევები რომ დაიწვა, ნაცრისაგან ქალის სახე გამოსახა და მიესვენა თონეზე. ბავშვიც იქვე იჯდა და მისტიროდა“⁷.

2003 წელს თბილისში გავიცანი საბავშვო სტვირების გამყიდველი – ელგუჯა მუხიგულაშვილი. შემდეგ მისგან კასპის რაიონის სოფელ თელათგორში გადავიღეთ სტვირის დამზადების ტექნოლოგია და მასზე დასაკრავი ჰანგები. მასალად გამოყენებულია ლელის (*Phragmites Communis Trin*) გამხმარი ღერო. სტვირის სიგრძე, დაახლოებით, 20-21 სმ-ია, დიამეტრი – 0,7-1 სმ., აქვს ათლილი ენა და ექვსი თვალი. ორ-სამთველიან ასკილის სტვირს ბავშვებისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთაშიც (ფასანაური, სოფ. წითლიანა) ამზადებენ⁸. ელგუჯა მუხიგულაშვილს სტვირზე დაკვრა ბავშვობაში მეზობელი სოფლის მწყემსისაგან უსწავლია. თვითონ ამ საკრავს სოფელში ამზადებს და ქალაქში ყიდის. ქუნაში მას სასიგნალოდ, მყიდველების მოსაზიდად იყენებს. ასრულებს საჭიდაოს, საცეკვაოს, ნაცნობი სასიმღერო ნიმუშების საკრავიერ ვერსიებს. მისგან შექმნილ ლელის სტვირებს ბავშვები სასტვენად (საფეხბურთო შეჯიბრისას) და გასართობ სათამაშოდ იყენებენ (სურ. 10).

მუხიგულაშვილის სტვირის წყობა არაა ფიქსირებული, ის უფრო შემოსავლისათვის დამზადებული სათამაშოა. მაგრამ საგულისხმოა, რომ ზოგჯერ ოსტატები სტვირს მრავალხმიანი – ორმაგი საკრავის სახით იყენებს: ძირითად, თვლებიან, ღეროსთან ერთად, ჩაბერავს მეორე, ენიან, შედარებით მოკლე – უთვლებო ღეროს, რის შედეგადაც ბურღონული ტიპის მარტივი ორხმიანი დასაკრავი ყალიბდება. რაც მთავარია, ოსტატმა მომაწოდა მეტად მნიშვნელოვანი ცნობა ჩასაბერ საკრავებზე დაკვრის სამკურნალო ფუნქციის შესახებ. გადამოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ცოდნა ქართველი ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაში დღემდე არსებობს. ჩაბერვა განსაკუთრებით საჭირო ყოფილა ფილტვებით დაავადებული ბავშვებისათვის (დღევანდელი ექიმები მათ საჭაერო ბუშტების ხშირად გაბერვას სთავაზობენ). ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის – რევაზ კოტრიკაძის ცნობით, კურორტ ბახმაროზე, სა-

¹ გ. კრავიშვილი, საქსპედიციო მასალები, სარფი, კვარიათი, 2011-2012.

² გ. კრავიშვილი, ინტერვიუ რ. ახმედოვთან, თბილისი 2012.

³ ი. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 231.

⁴ კ. როსებაშვილი, *ქართული ხალხური საკრავები (გუდასტვირი)*, თბილისი, 1984, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორის ლაბორატორიის არქივი, №4846, გვ. 10.

⁵ კ. როსებაშვილი, *ქართული ხალხური მუსიკის აჭარული დიალექტი*, თბილისი, 1983, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორის ლაბორატორიის არქივი, №4707, გვ. 23-24.

⁶ ს. კოტრიკაძე, ინტერვიუ მ. თავართქილაძესთან, სოფელი კოკოტაური, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ექსპედიციის მასალები, 2013.

⁷ *ქართული ზღაპრები*, შეადგინა ე. ვირსალაძემ, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ფ. ზანდუკელმა (თბილისი, 1986), გვ. 35.

⁸ ნ. მახარაძე, ინტერვიუ ო. კაპანაძესთან, თბილისი, 2012.

დაც ასეთი ბავშვები საგანგებოდ დაჰყავთ აპრილის ბოლოს და მაისში (ეს პერიოდი ემთხვევა წიწვოვანი მცენარეების ყვავილობის პერიოდს), იგი ხშირად შეხვედრია იხვის ნისკარტის ფორმის საყიყინო საკრავების, სასტვენებისა და სალამურების გამყიდველებს¹.

საკრავებზე დაკერისა და ზოგადად, მუსიკის მნიშვნელობა აღზრდის პროცესში უძველესი დროიდანაა ცნობილი. თანამედროვე კვლევების შედეგებითაც დასტურდება, რომ მომღერალი და საკრავებზე დამკვრელი ბავშვები ინტელექტუალური, სოციალური და ფსიქომოტორული განვითარებით მნიშვნელოვნად უსწრებენ სხვა თანატოლებს. მათ აღქმისა და ყურადღების კონცენტრირების განსაკუთრებული უნარი აქვთ. ვფიქრობ, ეს ინფორმაცია სასარგებლო იქნება ახალგაზრდა მშობლებისა და პედაგოგებისათვის. მუსიკალურ სათამაშოებსა და მარტივ საკრავებს მუსიკის სამყაროში შეჰყავთ ბავშვები. სასურველია, რომ მათი მიწოდება ასაკობრივი და რეგიონალური თავისებურებების გათვალისწინებით მოხდეს.

ქართული მასალების მიხედვით სრულიად აშკარაა ბავშვთა და საბავშვო საკრავების ფუნქციის მაგიური, სასიგნალო, ბუნების სამყაროსთან კომუნიკაციის, სამონადირეო, სამკურნალო, რელიგიურ-საკრალური, შემეცნებითი, სათამაშო-გასართობი და ესთეტიკური დონე. საბავშვო საკრავების სახელწოდებები საქართველოში ძირითადად ონომატოპეტიურია, რაც მათ სიძველეზე მიგვანიშნებს.

ბიბლიოგრაფია

1. დ. ალავეიძე, *ქართული და საქართველოში გავრცელებული ხალხური მუსიკალური საკრავები* (თბილისი, 1978).
2. ს. კოტრიკაძე, ინტერვიუ მ. თავართქილაძესთან, სოფელი კოკოტაური, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ექსპედიციის მასალები, 2013.
3. გ. კრავეიშვილი, ინტერვიუ ი. ალთუნთან, 2013.
4. გ. კრავეიშვილი, ინტერვიუ რ. ახმედოვთან, თბილისი 2012.
5. გ. კრავეიშვილი, *ლახური ხალხური მუსიკის ეთნოგრაფიული და მუსიკალურ-თეორიული ასპექტები*, თბილისი, 2011, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორის ლაბორატორიის არქივი, სადიპლომო ნაშრომების ფონდი.
6. გ. კრავეიშვილი, საექსპედიციო მასალები, სარფი, კვარიათი, 2012.
7. გ. კრავეიშვილი, საექსპედიციო მასალები, სარფი, კვარიათი, 2011-2012.
8. ნ. მახარაძე, ინტერვიუ ო. კაპანაძესთან, თბილისი, 2012.
9. ნ. მახარაძე, ინტერვიუ რ. კოტრიკაძესთან, თბილისი, 2005.
10. ნ. მახარაძე, ინტერვიუ ქ. ბაიაშვილთან, თბილისი, 2011.
11. ნ. მახარაძე, ინტერვიუ ქ. ბაიაშვილთან, თბილისი, 2012.
12. ნ. მახარაძე, ინტერვიუ ქ. ბაიაშვილთან, თბილისი, 2013.
13. ნ. მახარაძე, ინტერვიუ ქ. გოგოლაძესთან, ბათუმი, 2012.
14. ნ. მახარაძე, ინტერვიუ ქ. გოგოლაძესთან, ბათუმი, 2013.
15. ნ. მახარაძე, შეკრებილი მასალა, თბილისი, 2007.
16. თ. მესხი, თ. გაბისონია, *ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება* (თბილისი, 2005).
17. ა. მსხალაძე, *ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკის ისტორიიდან* (თბილისი, 1969).
18. კ. როსებაშვილი, *ქართული ხალხური მუსიკის აჭარული დიალექტი*, თბილისი, 1983, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორის ლაბორატორიის არქივი, №4707.
19. კ. როსებაშვილი, *ქართული ხალხური საკრავები (გუდასტვირი)*, თბილისი, 1984, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორის ლაბორატორიის არქივი, №4846.
20. მ. ტარტარაშვილი, გ. კრავეიშვილი, საექსპედიციო მასალები, კახი, კახის რაიონის სოფლები: ალათემური, ალიბეგლო, მეშაბაში, ქოთოქლო, ზაქათალის რაიონის სოფლები: ალიაბადი, მოსული, ბელაქნის რაიონის სოფელი ითითალა, 2011-2012.
21. ი. ქავთარაძე, *ქართული ენის მოხეური დიალექტი* (თბილისი, 1985).

¹ ნ. მახარაძე, ინტერვიუ რ. კოტრიკაძესთან, თბილისი, 2005.

- 22.რ. ღამბაშიძე, *ქართული ენის ინვილოური კილოს ლექსიკონი* (თბილისი, 1988).
23. *ქართული ზღაპრები*, შეადგინა ე. ვირსალაძემ, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ფ. ზანდუკელმა (თბილისი, 1986).
24. *ქართული ხალხური ზღაპრები*, შემდგენელი ალ. ღლონტი (თბილისი, 1984).
25. *ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა*, შემდგენელი ალ. ღლონტი (თბილისი, 1984).
- 26.გ. ჩხიკვაძე, *ღაზეთი და თანამედროვე ღაზური სიმღერა*, თბილისი, 1980, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორის ლაბორატორიის არქივი, №3320.
- 27.ბ. ჯანაშია, აფხაზეთი, *მომბე*, №11 (თბილისი, 1897).
28. Мациевский И., Формирование системно-этнофонического метода в органологии, *Методы изучения фольклора* (Ленинград, 1983).
29. Чхиквадзе Г., Доисторическая грузинская костяная саламури – флейта, *Congressus ethnographikus in Hungaria* (Budapest, 1965).
30. Emsheimer E., Gedanken zur Welt der Kinderinstrumente und ihrer Beziehung zur Erwachsenen kultur, *Studia Ethnomusicologica Eurasiatica*, II (Stockholm, 1991).

NINO MAKHARADZE
Iliia State University

CHILDREN’S MUSICAL INSTRUMENTS IN GEORGIA


Hardly any research has been done about the Children’s musical instruments by Georgian specialists. Both, the simple design and everyday function of these instruments are very important and worthy of study to help determine the genesis of instrumental music.

Based on archeological, folklore-ethnographical and finally on the materials from the latest expeditions, the paper focused on the functions, structure and repertoire of children’s instrument; the characteristics of the polyphonic musical thinkin, the healing nature of children’s wind instruments.

The paper offers the suggestions how to use musical instrument actively in modern education.



სურ. 1. პატარა მწვემის საღამური საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციიდან. გიორგი მახარაძის ფოტო (2013 წ.)



სურ. 2. გაზაფხული, მინიატურა XIII საუკუნის დასაწყისში გადაწერილი გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებულიდან (A-109), კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექცია. ქეთევან მათიაშვილის ფოტო (2012 წ.)



სურ. 3. ნოდარ კაკაბაძე შვილიშვილს უმზადებს კავალს. გიორგი კრავეიშვილის ფოტო (2011 წ.).



სურ. 4. ღარჭემები საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციიდან. გიორგი მახარაძის ფოტო (2013 წ.)



სურ. 5. დოლები საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციიდან. გიორგი მახარაძის ფოტო (2013 წ.)



სურ. 6. სასტვენები საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციიდან. გიორგი მახარაძის ფოტო (2013 წ.)



სურ. 7. სასტვენები საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციიდან. გიორგი მახარაძის ფოტო (2013 წ.)



სურ. 8. ილია ოთარაშვილის ვიტიტი. გიორგი კრავეიშვილის ფოტო (2012 წ.)



სურ. 9. შვენი ოთარაშვილი უკრავს ვიტიტიზე. გიორგი კრავეიშვილის ფოტო (2012 წ.)



სურ. 10. ელგუჯა მუხიგულაშვილის სტვირები. ქეთევან მათიაშვილის ფოტო (2004 წ.)

„მოღერნიუხული ფოლკლორის“ შესახებ (ქართული ავთენტური მუსიკალური ფოლკლორის თანამედროვე მოვლენების ზოგადი მიმოხილვა)

საქართველოს ეთნომუსიკალურ სივრცეში, კომუნიკაციის სახეების განვითარების კვალდაკვალ, ფუნქციონირებს ფოლკლორული მოტივების შემცველი მრავალსახოვანი მუსიკალური კულტურა. თითქმის ყველა ეს მიმდინარეობა, ერთიანად, მრავალთა და მათ შორის, ამავე მიმდინარეობების ნიმუშთა ავტორების მიერაც, „ფოლკლორად“ იწოდება. შემსრულებელთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, აღნიშნული პროცესები და მიმართება, ჩვენში, როგორც მომავალ კულტურის მენეჯერსა და ეთნომუსიკოლოგში, ინტერესთან ერთად, გარკვეული პროტესტის გრძნობას იწვევს, რადგანაც არაადეკვატური სახელწოდება უამრავ კითხვასა და არამართებულ მოსაზრებას ბადებს ავთენტური ფოლკლორის მიმართ, რომელიც ობიექტურად სულაც არ ასოცირდება აღნიშნულ „ფოლკლორად“ წოდებულ თანამედროვე მიმართულებებთან. ამ მოვლენის ფოლკლორულად მოხსენიება არაკორექტულად მიგვაჩნია და ვფიქრობთ, რომ მისი საზოგადოებაში ამ სახით გაგრძელება ქართული ხალხური მრავალსაუკუნოვანი ტრადიციისა და გარკვეულწილად ქართველი ხალხის სიამაყის საგნის სახელის დაკნინებას ემსახურება. საჭიროდ მიგვაჩნია, მოხდეს ზუსტი იდენტიფიკაცია ამ მოვლენისა, რაც შექმნის იმის წინაპირობებს, რომ აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის სხვადასხვა გზა მოიძებნოს.

მიზეზები და ისტორია.

თანამედროვე ამგვარი ვითომდა „ფოლკლორული“ მიმართულებები, ძირითადად, საავტორო სიმღერებს მოიცავს, რომლებიც ფართო მასებზე გათვლილი პრეზენტაციის შემდეგ ხდება პოპულარული და ამით იწყება მათი „გახალხურება“. მსგავსი მოვლენები მსოფლიო საქართველოში არ შეინიშნება. როგორც ანა პიოტროვსკა აღნიშნავს: „...მსმენელის მოლოდინის გასამართლებლად, მუსიკოსები სულ უფრო და უფრო იხრებიან მუსიკის იმგვარი განვითარებისკენ, რომელშიც სულ ნაკლებად გვხვდება ნამდვილი იდენტურობა“¹. ასევე, სერგეი ნეკლუდოვის თქმით, „მე-19-20-ე საუკუნის მიჯნიდან ტრადიციული ხალხური კულტურის სულ უფრო მეტი ტექსტი და არტეფაქტი გადადის სამუზეუმო ექსპონატის ხარისხში, რომელიც განიდევნება „მესამე კულტურის“ მიერ, რომელიც დისტანცირებულია როგორც „მაღალი“, ოფიციალურად მიღებული, ასევე – „ტრადიციულ-ფოლკლორული“ კულტურის მიერ“².

უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი „ნოვატორობა“, ხშირ შემთხვევაში, საავტორო უფლებების შესახებ დავასაც იწვევს ხოლმე. აქა-იქ ჩნდება უკმაყოფილო გამოსვლები, თუ როგორ „მოიპარა“ მაგანმა მაგანის მელოდია. ავთენტურ ფოლკლორში კი, ცხადია, საავტორო უფლებაზე არაფერია საუბრობს. დღეს ამ დავას საავტორო უფლების შესახებ მხარს უმაგრებს დაფიქსირების საშუალებები – ჩანაწერები, საავტორო უფლებათა სააგენტოს დიპლომი (გავისხენოთ ვანო მჭედლი-შვილის ნათესავების პროტესტი „წინწაროსა“ და „კალოსპირულზე“, როგორც არახალხურ ნაწარმოებზე). ნამდვილი ფოლკლორული ავტორისთვის კი სულ სხვა ღირებულებები იყო მნიშვნელოვანი – მყისიერი ღირებული ნიმუშის შექმნა (ვარიანტულობის, იმპროვიზაციის ძალდაუტანებელი ამოქმედებით).

„სიმღერის სიყვარულის, პატრიოტული მოსაზრებების გვერდით, ნელ-ნელა თავს იჩენს და ძლიერდება მატერიალური გამორჩენის მოტივი. ეს მოტივი ბოლო ათწლეულებში უცხოეთის ქვეყნებში საგასტროლო მოგზაურობითა და ამის საფუძველზე, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებით რეალიზდება“, – აღნიშნავდა ცნობილი ეთნომუსიკოლოგი ედიშერ გარაყანიძე. დღესაც ანალოგიურ ვითარებას არც თუ იშვიათად შევხვდებით³.

¹ ა. პიოტროვსკა, მსოფლიო მუსიკა და ტრადიციული მუსიკა – ავთენტურობის პრობლემა, *ტრადიციული მრავალსახიანობის მე-4 საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები* (თბილისი, 2009), გვ. 576.

² Неклюдов С. Ю., Фольклор: типологический и коммуникативный аспекты, *Традиционная культура*, №3(7) (2002), с. 5, <http://www.ruthenia.ru/folklore/neckludov67.htm>

³ ე. გარაყანიძე, *ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობა* (თბილისი, 2007), გვ. 150.

ზოგადი დახასიათება.

ქართულ მუსიკალურ სფეროში ფოლკლორიზმის რაკურსით, ჩვენი აზრით, აუცილებელია, გამოიყოს ორი ძირითადი მიმართულება, რომლებიც, ძირითადად, შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება:

I. ფოლკლორთან მიახლოებული შესრულება.

ა) ბუნებრივი ხმოვანება (რომლის დროსაც შესრულებაში არ იგრძნობა ვინმესადმი მიბაძვის მცდელობა, მღერიან ჟანრის შესაბამისი განწყობით, არაფორსირებული მუსიკალური ბგერით).

ბ) მრავალხმიანობა.

გ) ზედა ხმების ტერციული პარალელიზმი ბურდონული ბანის ფონზე.

დ) ზოგჯერ დუეტში მღერა, ბანის გარეშე (იმიტომ, რომ აქ ხშირად ბანი და დასაკრავი, თანხლების მხრივ, ტოლი მნიშვნელობისაა).

ე) მხოლოდ „ცოცხალი“ (ჩანაწერის გარეშე) აკომპანემენტი.

ასეთი შემსრულებლებია, მაგალითად, „დები გოგოჭურები“, „დები ზვიადურები“, „დები ნაყურები“, „დები წიკლაურები“, ანსამბლი „პოპური“, ანსამბლი „გორდელა“ (თსუ) და სხვ.

II. ფოლკლორისაგან დაშორებული შესრულება.

ა) აქ ხშირად ფონოგრამას ვუსმენთ, იშვიათ შემთხვევაშია „ცოცხალი“ აკომპანემენტი – თანხლების ეფექტურ ჟღერადობაზე ხაზგასმა. ეს შეიძლება იყოს ფონოგრამაც და ცოცხალი შესრულებაც, ოღონდ ბგერი ინსტრუმენტითა და ვირტუოზულობაზე ხაზგასმით).

ბ) უმეტესად, სოლო შემსრულებლობა.

გ) უმთავრესად, ვოკალური „ღირსებების“ ხაზგასმა.

ასეთი შემსრულებლები არიან: მარიამ ელიეშვილი, ანი ჭინჭარაული, ანა მაღაზონია, დათო კენჭიაშვილი, გიორგი დათიაშვილი და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებს ასევე გააჩნიათ საერთო ნიშნებიც:

1. ინსტრუმენტის შერჩევისას შედარებითი განურჩევლობა შემსრულებლის ან ხელმძღვანელის გემოვნებით (უცხოური, ელექტრო ან გათანამედროვეებული და ა. შ. საკრავები).

2. ფსევდო თუშურ-ქისტური მოტივები.

3. ხანგრძლივი ინსტრუმენტული ჩანართები // ინსტრუმენტული ვირტუოზულობისადმი მისწრაფება.

რეგლამენტი.

„თანამედროვე ფოლკლორს“ თითქმის თანაბარი რაოდენობით ასრულებენ კაცები და ქალები, ზოგიერთ შემთხვევაში კი, არის დაფიქსირებული შერეული შესრულებაც. უმეტესად, ქალთა ანსამბლები ჭარბობს. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავი და საგულისხმოა დების გუნდები. რატომღაც დების ფაქტორი ამდენად წინწამოწეული? ძნელია, ითქვას, იქნებ ეს დები გოგოჭურების პოპულარობის ერთგვარი ინერციაა? თუმცა, საქართველოში დების ერთად მღერას ისედაც დიდი ტრადიცია აქვს. საინტერესოა, რომ ავთენტიკური მუსიკალური ფოლკლორის სივრცეში, პირიქით, მამაკაცთა ანსამბლები უფრო მრავლადაა.

თანამედროვე მიმდინარეობებს, ძირითადად, ახალგაზრდები მისდევენ. ღონისძიებების მხრივ, ისინი უფრო მეტად საქველმოქმედო სახის ღონისძიებებზე ჩნდებიან. ასეთი შემოქმედებითი საღამოები ხშირად იმართება და მასში ამ ტიპის შემსრულებლები კრებითად მონაწილეობენ.

მუსიკალური ენა.

მიუხედავად იმისა, რომ შემსრულებლობის რეგლამენტის წყარო შემსრულებელი, გარემო და რეპერტუარია, ქართულ ეთნომუსიკალურ საზოგადოებაში ავთენტიკასთან სიახლოვის შესახებ საუბარი, ძირითადად, შესრულების ფორმაზე და მანერაზე მსჯელობას ეთმობა. თავის მხრივ, ეს მსჯელობა გამოსახვის ავთენტიკურობის შესახებ, ძირითადად, „ფოლკლორიზმის“ სფეროსადმი¹, ანუ „სასცენო ფოლკლორისადმი“ მიმართული².

ცხადია, ქრომატიული საკრავების მოზღვაგების და ზოგადად, ევროპული ტემპერაციის საფუძველზე დამყარებული მუსიკალური განათლების გამო, განსახილველი სიმღერების წყობა საკმაოდ შორდება ავთენტიკურ ხალხურს და ხდება ევროპული ტემპერირებული.

აქვე, აღსანიშნავია სხვა შეუსაბამო ელემენტებიც. მხედველობაში გვაქვს კახური ჩახვევები თუშურ მელოდიაში, რაც ეკლექტიკურად და უადგილოდ ისმინება. ასევე გრძელდება სიმღე-

¹ Земцовский И., Социалистическая культура и фольклор, Народная музыка СССР и современность (Ленинград, 1982), с. 10.

² თ. გაბისონია, ქართული ტრადიციული მუსიკის შემსრულებლობა – თანამედროვე რაკურსი (საჯარო ლექცია) <https://www.facebook.com/notes/tamaz-gabisonia/ქართული-ტრადიციული-მუსიკის-შემსრულებლობა-თანამედროვე-რაკურსი>.

რების გადაბმის ტრადიცია. ამ მიმდინარეობების დამახასიათებელი სხვა მუსიკალური ენის თავისებურებებია:

1. დაღმავალი სეკვენცია, რაც ამ მოვლენას თუშურ სიმღერასთან კიდევ ერთხელ ამისამართებს.

2. სიმღერის დასაწყისში და ბოლო ნაწილში კვარტიდან კვინტაზე გადასვლა (ასევე თუშური სიმღერისთვის დამახასიათებელი).

3. ვოკალურ მელოდიაში, შიგადაშიგ, დასარტყამ საკრავზე დამახასიათებელი სინკოპირებული რიტმი.

4. ზედა ხმებში პარალელური ტერციებით სვლები, რაც ასევე თუშური სიმღერის გამრავალხმიანების ერთ-ერთი მეთოდია.

ამ მხრივ, გვახსენდება ედიშერ გარაყანიძის შემდეგი სიტყვები: „ორი ხმის მელოდიური და რიტმული ნახაზის ამგვარი დამსგავსება საგრძნობლად აკნინებს სასიმღერო ფოლკლორის ნიმუშში პოლიფონიურ საწყისს და ხმებს შორის კონტრაპუნქტირული დამოკიდებულების ნაცვლად ე.წ. „გამსხვილებულ მელოდიას“ ამკვიდრებს“¹.

საკრავები.

სასცენო ფოლკლორის დამახასიათებელმა თვისებამ – ევროპეიზაციისადმი ღტოლვამ, შვახალხურ საკრავთა ორკესტრები, რომლებიც ქართული სოფლური ყოფისათვის სრულიად უცხოა. მათმა შექმნამ განაპირობა ახალი ყაიდის, ტემპერირებული საკრავების დამკვიდრება².

ელექტრონული საკრავები, რომლებიც დღეისათვის ქართული გათანამედროვეებული, ერთგვარი გადაამუშავებული ფოლკლორის შესრულებისას ჭარბობს ახალგაზრდებში და არამხოლოდ ახალგაზრდა თაობებში, უფრო და უფრო მისაღები ხდება საზოგადოების უმრავლესობისათვის, ასევე – უცხოელი მსმენელისთვის, რადგანაც მსგავსი ინტეგრაცია და პოპულარიზაციის პროცესი მსოფლიო მასშტაბითაც არაა უცხო. ამ შემთხვევაში, არაქართულ საკრავებში, უმთავრესად, იგულისხმება XX-XXI საუკუნეების თანამედროვე და პოპულარული ელექტრო საკრავები (ტამბაში, ჯემბე, გიტარა, სინთეზატორი, დრამი და ა. შ.). ქართველისათვის აღნიშნული საკრავები ქართულ ხალხურ მოტივებთან მიმართებაში გამოიყენება სხვადასხვა საჭიროებიდან გამომდინარე, მაგალითად, ტემბრის ფერადოვნების მიმატების მიზნით, ხმოვანების სიძლიერის, დინამიური მუხტისა და ხმოვანების ეფექტის გაზრდისათვის.

რაც შეეხება მოდერნიზირებულ ქართულ საკრავებს, მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ფანდური. მოდერნიზება კი, რამდენიმე სახით არის წარმოდგენილი. პირველ შემთხვევაში, აღსანიშნავია არატრადიციული, ლითონის სიმები, რომელიც სრულიად აკარგვინებს ინსტრუმენტს ქართულ ხმოვანებას და ხელოვნურ უღერადობას ანიჭებს. გათანამედროვეებული მოქლონებიც ისე გამოიყურება, როგორც გიტარის მოქლონები. ჩემი აზრით, ვიზუალური მხარეც უნდა იყოს შენარჩუნებული. საკრავები ჩვენი კულტურის ისეთივე ელჩია, როგორც სიმღერა. მათ საქართველოს ფარგლებს გარეთაც უნდა შექმნან როგორც ხმიერი, ასევე ვიზუალური მართებული წარმოდგენა ქართული კულტურის შესახებ.

ამასთან, მოდერნიზების სახეა ფანდურის შიდა ან გარე მხარეს დამაგრებული ხმის გამაძლიერებელი სისტემა, მიკროფონი, რომელიც ელექტრო საკრავად აქცევს ინსტრუმენტს. რაც მთავარია, ფანდურის თანამედროვე სახეს განსაზღვრავს ფარდების ევროპული ტემპერაციული წყობა. შემსრულებლებსაც ევროპული ტემპერაციისაკენ სწრაფვა აქვთ, რაც განპირობებულია იმით, რომ ხალხურ ფანდურთან შედარებით, ამგვარ ინსტრუმენტს, აკორდული ხმოვანების მრავალსახოვნების მხრივ, მეტი შესაძლებლობა აქვს. იგივე მიზანს ემსახურება ბას-ფანდური, ფარდებიანი ჩონგური, ქრომატული სალამური და ა.შ. ამგვარი მრავალფეროვნებით ვებმებით გლობალიზაციური ერთობლივი კულტურის საერთო ფერხულში და ვკარგავთ ჩვენს ორიგინალურ, დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს.

ფოლკლორის კრიტერიუმებთან შეფარდება.

მუსიკალური ფოლკლორის კრიტერიუმთა შესაბამისობა თანამედროვე ფოლკლორულ მიმდინარეობებთან შემდეგია:

I. ზეპირი გადაცემა. გათანამედროვეებული სახის ფოლკლორი, შეიძლება ითქვას, მართლაც ზეპირად გადაიცემა, რადგან მედიის საშუალებით ხალხი მას უშუალოდ უსმენს და ზოგჯერ მის დამახსოვრებას განსაკუთრებული ძალისხმევა არ ჭირდება. მაგრამ თავად ზეპირი

¹ ე. გარაყანიძე, *ქართული ხალხური სიმღერის...*, გვ. 150.

² ე. გარაყანიძე, *რჩეული წერილები* (თბილისი, 2007), გვ. 80.

გადაცემა გულისხმობს ცოცხალ შემსრულებლობასაც. შესაძლებელია კი, რომ ჩაითვალოს ზეპირ გადაცემად ტირაჟირებული ჩანაწერები?

II. კოლექტიური შესრულებისა და პოპულარობის თვალსაზრისით, იქნებ შესაძლებელიცაა, რომ ფოლკლორის დამახასიათებელ კრიტერიუმებს შევესაბამოთ აღნიშნული მიმართულების თანამედროვე ფსევდოფოლკლორი. საზოგადოებაში, თუნდაც განსაზღვრულ სეგმენტში, დღეს საკმაო პოპულარობით სარგებლობს ეს მიმდინარეობა.

III. ანონიმურობა. ეს კრიტერიუმი დარღვეულია, რადგან როგორც აღვნიშნეთ, დღეს საავტორო უფლებების დაცვის ფაქტორი დომინირებს ავტორობის ხსოვნა-არხსოვნაზე.

ედიშერ გარაყანიძე უშვებს შესაძლებლობას აუთენტიკურად აღიქმებოდეს ცნობილი მომღერლის მიერ შექმნილი სიმღერა, რომელშიც ინოვაციური სტილისტური ელემენტებია გამოყენებული¹. მაგრამ ხშირად ფოლკლორულად, თუნდაც პერსპექტივაში, *apriori*, არ მიიხსენიება ახლად შექმნილი ნაწარმოები. ეს შესაძლოა, მართებული არ არის, მაგრამ ხალხური შემოქმედებისთვის მთავარი მექანიზმი მაინც გარდაქმნაა და არა ქმნა².

IV. იმპროვიზაციულობისა და ვარიანტულობის კრიტერიუმი. არ არის გამორიცხული, რომ თანამედროვე ფოლკლორის შემსრულებლებმა გადაიშვაებული ნიმუშიც შემოგვთავაზონ, რომელიც, ერთი მხრივ, იმპროვიზირებულად და სხვა ვარიანტად აღიქმება, მაგრამ შემდგომში, ისინი უკვე ამ, ვითომდა ახალი სიმღერის მიმართ თავის საავტორო უფლებებს დაიცავენ.

V. მდგრადი ინტერესის ფაქტორი. დროთა განმავლობაში გაირკვევა, დარჩება თუ არა დღევანდელი „შლაგერი“ ზვალინდელი მსმენელის ინტერესის სფეროში. თუმცა უკვე დღეს ვხედავთ, როგორ თმობენ პოზიციებს ზოგიერთი ადრე პოპულარული ამგავრი ნიმუშები. მაგალითად, ვფიქრობ, რომ ერთ-ერთმა თანამედროვე „ფოლკლორის“ ნიმუშმა: „წყაროზე ჩაგიყვანს“ უკვე დაკარგა პირვანდელი პოპულარობა.

VI. ხალხური სტილი. სწორედ ესაა ის „ნახევრადტყუილი“, რომელიც ხშირად მთელ ტყუილზე უფრო მაცდურია. ფოლკლორული მოტივები თანამედროვე ფოლკლორის პრეტენზიის მქონე ნიმუშებში გაზავებულია არაფოლკლორულით. ამასთან, აშკარაა მოჭარბებული ლირიზმი. „მაგალითად, მნიშვნელოვნად იცვლება შესრულების მანერა, რომელშიც იჭრება „ფაქიზი ლირიკის“ ნაკადი“³. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული საკვლევი ობიექტი ნაწილობრივ ეხმიანება ფოლკლორის კრიტერიუმებს, მაგრამ არცთუ ისე დიდი დამთხვევით ვიდრე, თუნდაც, სხვა სასცენო, საესტრადო ჟანრები. ამ შემთხვევაში, სხვაობა მხოლოდ ხალხურ სტილშია.

ინტერვიუ „გოგოჭურბთან“.

ზემოთ მოტანილი მსჯელობის საილუსტრაციოდ მიმოვიხილავთ ანსამბლ „დები გოგოჭურბის“ ერთ-ერთ ლიდერთან – ქეთევან გოგოჭურბთან ინტერვიუს, რომელიც გამოხატავს ანსამბლის აზრს. კითხვების დაზუსტების თვალსაზრისით ინტერვიუ ორ ეტაპად ჩატარდა.

ვფიქრობთ, დებს აქვთ კარგი ტრადიცია: საკუთარ სოლო კონცერტებზე ორი განყოფილებით გადიან. გამოყოფენ ძველ ტრადიციულ ნიმუშებსა და ახალ, მათსავე შექმნილ სიმღერებს. კარგი იქნება, თუ, ამ მხრივ, მათ სხვა შემსრულებლებიც მიბაძავენ. დები გოგოჭურბები მსმენელის სეგმენტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ხშირად ცდილობენ მოერგონ მსმენელის მოლოდინს. ეს იმიტომ, რომ ამ დარგის სპეციალისტები და უბრალოდ მსმენელები ერთნაირად ვერ შეაფასებენ მათ შემოქმედებას. გაიხსენეს, რომ შეუსრულებიათ ავთენტიკური ხევსურული საქორწილო ნიმუში, თუმცა მსმენელს სატირალ სიმღერად აღუქვამს.

ქეთევან გოგოჭური ადასტურებს, რომ არ უყვართ, როდესაც ფოლკლორული ანსამბლის სახელით მოიხსენიებენ, თუმცა, კონკრეტულად არ აფიქსირებენ, თავად რას უწოდებენ საკუთარ თავს, იმ ფონზე, რომ ავთენტიკურ ფოლკლორსაც ასრულებენ და „ფოლკლორის პრეტენზიის მქონესაც“. ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აქ შეიძლება საქმე გვქონდეს ზედმეტი კრიტიკისაგან თავის არიდების შემთხვევასთან. აღნიშნავენ, რომ მათთვის უფრო მნიშვნელოვანი ავთენტიკური ფოლკლორია, და ვფიქრობთ, ამიტომაც გამოყოფენ სხვა ნიმუშებისაგან. ამიტომ არ მოსწონთ, როდესაც მსმენელები მათ „ფოლკლორულად“ მოიხსენიებენ.

გოგოჭურბები მიიჩნევენ, რომ „თანამედროვე მიმდინარეობა ყველა ნამდვილად არ არის ქართულ ფოლკლორულ მოტივებზე. უმეტესწილად, კავკასიური, კერძოდ, ჩეჩნური, ინგუშური, ლეკური და ოსური მელოდიებიდან შექმნილი ახალი მელოდიებია“. აქ, ერთგვარად, არაქართული მოტივების მნიშვნელობის ზედმეტად შეფასებასთანაც გვაქვს საქმე. აქვე, ქეთევან გოგო-

¹ იქვე, გვ. 34-35.

² Земцовский И., დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

³ ე. გარაყანიძე, *რჩეული წერილები...*, გვ. 80.

ჭური დასძენს, რომ, სასურველია, მალე მოხდეს სპეციალისტების მიერ იმ მიმდინარეობის სახელდება, რომელსაც თვითონ წარმოადგენენ. ეს მოსახრება საკითხის ზოგად, მომწიფებულ გადაწყვეტაზე მეტყველებს.

„ფოლკლორი ისე უნდა შეასრულო, როგორც გემღერება. ხევესურეთში აქცენტი ძირითადად ტექსტებზე იყო გაკეთებული და იქ ვოკალს ნამდვილად არავინ უყურებდა. მთავარია, იმ ემოციით იმღერო, რასაც ტექსტი გადმოსცემს. ის, რასაც სცენაზე ვცეკვაოთ, ჩვენი ვისწავლეთ. სიმღერაზე როგორც გვეცეკვაოთ, ისე ვცეკვაოთ. წინასწარ არასდროს ვდგამთ ცეკვას (მხოლოდ ერთხელ გვექონდა ასეთი შემთხვევა სოლო კონცერტზე). ცეკვაც ისევე, როგორც სიმღერა, გულიდან უნდა მოდიოდეს. ზედაპირულად ხელფეხის ქნევა იგივეა ფონოგრამაზე მხოლოდ პირი გააღო და ამას სიმღერა დაარქვა“ – უნდა აღინიშნოს ამ პოზიციის პრინციპული მართებულობა, რადგანაც ხალხური შემსრულებლისთვის, მართლაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სიტყვიერი ტექსტის შინაარსის ზედმიწევნით გადმოცემას. მით უფრო, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთათვის.

ძველი და ახალი სიმღერების შესახებ ქეთევან გოგოჭურის შეხედულება ასეთია: „ჩვენ ნამდვილად ვერ გავჩერდებით ძველზე. გამოდის, რომ მხოლოდ 14 სიმღერა უნდა გვექონოდა, რომელიც აღვადგინეთ და მეტი გასაქანი არ არსებობს?“. აქ ჩვენ რესპოდენტს ვეთანხმებით ფოლკლორული ანსამბლების რეპერტუარის გაზრდის საჭიროებაზე, მხოლოდ – სწორი მიმართულებით.

საინტერესოა, რომ დებს ძველ სტილში ახლის დამღერებაც უცდიათ, მაგრამ მხოლოდ სახლში. აღნიშნავენ, რომ გარეთ ასეთ ნიმუშებს არასდროს ასრულებენ, არც ეს იქნება ფოლკლორიო: „ვერც ფოლკლორის მოყვარულებს წარუდგენთ და ვერც სხვა მსმენელს, რომელთა ყური უკვე სხვა ჟანრის სიმღერებზეა მიჩვეული. გამოდის, რომ არავისთვის და არაფრისთვის ქმნი სიმღერას. როცა მომღერლის ან შემსრულებლის შემოქმედებას შესაბამისად არ აფასებენ, მაშინ განვითარების სურვილიც გიქრება. ალბათ ამანაც განაპირობა, რომ დღეს ფოლკლორს ნაკლებად ვასრულებთ სცენაზე“.

ჩვენ შეიძლება არ დავეთანხმით ამგვარ მიდგომას. მეტი სითამამის წყალობით, შეიძლება, ეს აღნიშნული ნიმუშები სწორედ იმ გზას მიანიშნებდეს, რომლისკენაც ამ ანსამბლის შემოქმედება ბუნებრივად განვითარდება.

კომუნიკაციის როლი.

თანამედროვე საკომუნიკაციო არხები, ცხადია, ხელს უწყობს ფართო მასშტაბით ინფორმაციის მყისიერად გაგრძელებას, რის გამოც თანამედროვე ფოლკლორული ნიმუშები ძალიან მალე გახდა საკმაოდ პოპულარული. ამის მიზეზი სცენაც არის, რომელიც ადრე აქტუალური არ იყო – ძირითადად, საკარო წარმოდგენებისა და მოხეტიალე მუსიკოსების პრაქტიკის სახით არსებობდა. სასცენო ფოლკლორი გაჩნდა XIX საუკუნის II ნახევარში – ფილიმონ ქორიძის, ლადო აღნიაშვილის, მელიტონ ბალანჩივაძისა და მიხეილ კავსაძის გუნდები. სცენამ მასობრიობა მოითხოვა და მსმენელიც მეტად მომთხოვნი გახდა. „სცენას თავისი კანონები აქვს – სცენა მეტ რაციონალურობასა და კომპაქტურობას მოითხოვს“¹. სტუდიურად დამუშავებული ხმები მეტად მისაღები ხდება ხალხისთვის. ამ ყველაფერმა ინტენსიური სახე მიიღო, თუმცა საკითხავი ის არის, თუ რამდენად ადეკვატურია ასეთი „ფოლკლორის“ ნიმუში მის სახელწოდებასთან.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ამ პრობლემის გაბათილებას არათუ ხელს უწყობს, არამედ ართულებს კიდევ. შესაბამისი იდენტიფიკაციის პრობლემა, შეიძლება ითქვას, დღემდე მუსიკისმცოდნეთა და ფოლკლორულ ინსტიტუციათა ყურადღების მიღმაა, რაც ხშირად იწვევს გაუგებრობას ქართული ხალხური მუსიკით დაინტერესებულთა (ახალგაზრდათა, უცხოელთა) შორის, ვინაიდან, ძირითადად, ვიდეო-საიტებსა და სოციალურ ქსელებში ფოლკლორის სახელწოდებით გათანამედროვეებული ფოლკლორის ინტეგრაცია ხდება. ასევე, აღსანიშნავია ზოგიერთი ქართული ტელევიზიაც, მაგალითად, ტელეარხ „კვირიკეზე“ სწორედ ასეთ ნიმუშებს წარმოგვიდგენენ, როგორც ფოლკლორს. რადიო მაუწყებლები: „არ დაიდარდო“, „დარდიმანდი“, „აფხაზეთის ხმა“ და სხვ. ფოლკლორის მოდერნიზებული სტილის სიმღერების აქტიურ პროპაგანდას ეწევიან. თანამედროვეობაში ადამიანს რადიოს მოსმენა კი, თითქმის ნებისმიერ ადგილზე უწევს, უნდა ეს თუ არა, რაც შესაბამისად აისახება მსმენელზე. ამ მხრივ, მაგალითის სახით ფრიად საინტერესოა დათო კენჭიაშვილის საქმიანობა. რამდენიმე თვის წინ იგი დააჯილდოვეს ფოლკლორის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილის გამო. საინტერესოა, მანაც წვლილი შეიტანა ფოლკლორის განვითარებაში და ავთენტური ფოლკლორის შემსრულებლებმაც?! აღნიშნული განსაზღვრებები არასწორად მიგვაჩნია.

¹ე. გარაყანიძე, *ქართული ხალხური სიმღერის...*, გვ. 23.

სახელდება.

ფოლკლორის პრეტენზიის მქონე მსგავსი სტილი დღეს, ცხადია, მხოლოდ პირობითად შეიძლება იწოდოს „ფოლკლორად“, ვინაიდან „ფოლკლორულის“ ხვედრითი წილი მასში ძალზედ მცირეა. ეს მიმდინარეობა, ცხადია, განსხვავდება ედიშერ გარაყანიძისა და სხვათა მიერ წოდებული „მეორეული ფოლკლორისაგან“, იგივე „ფოლკლორიზმისაგან“¹, რომელიც ფოლკლორული ნიმუშის ძირითადი ნიშნების შენარჩუნებით ახერხებს სცენაზე ასვლას.

რა ახასიათებს აღნიშნულ მოვლენას? ძირითადად, აღმოსავლეთის მთის მოტივები, ქრომატიული საკრავები (განსაკუთრებით, ფანდური). ეს არის ფოლკლორის მეზობლად აღმოცენებული მიმართულება, მისგან ამოზრდილი, გადამუშავებული, ტრანსფორმირებული, უფრო კი მოდერნიზებული, თანამედროვე მოთხოვნას მისადაგებული. ზოგადად ახასიათებს ასევე მოდერნიზებული (მათ შორის, ელექტრო) საკრავები, ხმოვანება, თვით ჩაცმულობის სტილიც კი და ა.შ. ამ და სხვა ობიექტური მიზეზების გამო, მიუხედავად სხვა თანმდევი თავისებურებების გათვალისწინებისა, აღნიშნულ მოვლენას, ზოგადად, შეგვიძლია „მოდერნიზებული ფოლკლორი“ ვუწოდოთ. იგი გათანამედროვეებულ, ახალი სააზროვნო ფორმებისა და ტექნოლოგიების დამკვიდრების თანმდევ პერმანენტულ პროცესს, ფოლკლორისაგან შესაძლოა არამიზანმიმართულად, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავებულ შესრულებას აღნიშნავს. თამაზ გაბისონია თავის ბოლოდროინდელ ნაშრომში, რომელიც მან მცირე ხნის წინ ლექციის სახით გადმოგვცა, ამ მოვლენას „პარაფოლკლორს“ (ფოლკლორის გვერდითა მოვლენას) უწოდებს. სხვადასხვა წყაროებში ამ მოვლენას „ფსევდო ფოლკლორსაც“ უწოდებენ, რაც, ასევე, ადეკვატურად მიგვაჩნია, მაგრამ ჩვენეულ დასახელებაში ხაზი გვინდა გავუსვათ სწორედ ფოლკლორული მოტივების გადამუშავების, ახალი სახით წარმოდგენის პრაქტიკას, რაც ამ მიმდინარეობას ახასიათებს, როგორც „მოდერნიზებულ ფოლკლორს“ და რითაც იგი „ფოლკლორულობის“ პრეტენზიას აცხადებს.

მსმენელი.

საზოგადოების გარკვეული სეგმენტი მოდერნიზებულ ფოლკლორს ძალიან მალე ითვისებს და იტაცებს, რადგანაც ამ მიმართულებაში ძირითადად სახალისო, საცეკვაო, სასიყვარულო, ლირიული მოტივები სჭარბობს და ქართველი, ასე ვთქვათ, დარდიმანდი ადამიანისათვის მალევე ხდება მისაღები და ფავორიტულიც კი.

ქართული მუსიკალური ფოლკლორი ყოფის განუყოფელი ნაწილი იყო. „მუსიკალურ-ეთნოგრაფიული მასალიდან მკაფიოდ ჩანს საყოფაცხოვრებო ტრადიციის არსებითი როლი ქართული ხალხური მუსიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. იგი გარკვეული შინაარსის შემცველია და ყოფის ცალკეული მხარეების ამსახველი“². მაგრამ, ქართულ ეთნოსივრცეში ტრადიციების რღვევის კვალდაკვალ იცვლება ხალხის დამოკიდებულებაც სიმღერისადმი. თუკი თავდაპირველად საზოგადოებრივი აზრი გარკვეულ გავლენას ახდენდა მეორეული შემსრულებლობის იერსახეზე, დღეს უკვე თვით მეორეული შემსრულებლები და საშემსრულებლო კოლექტივები აყალიბებენ აუდიტორიის გემოვნებას.

ეს ყოველივე გლობალიზაციის შეუქცევად პროცესზე მიგვანიშნებს და თუ ამ პროცესის შეჩერება არავის შეუძლია, არც ფოლკლორში მიმდინარე ცვლილებების, მაგალითად, არაქართული საკრავების აკრძალვა იქნება პროდუქტიული. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ არა აკრძალვა, არამედ იდენტიფიკაციაა აუცილებელი და დაზუსტება იმისა, რომ ეს ყოველივე არა ფოლკლორი, არამედ ფოლკლორის ტრანსფორმაციის შედეგად მიღებული ცალკე ჩამოყალიბებული მიმდინარეობაა. „მოდერნიზებულ ფოლკლორად“ სახელდების შემდეგ მისთვის „ფოლკლორის“ სახელის დარქმევის შემთხვევები უფრო შემცირდება.

არის თუ არა „მოდერნიზებული ფოლკლორი“ მდარე მუსიკა?

ამგვარი ნიმუშების შემსრულებელთათვის მეტად მტკივნეულია მოდერნიზებული ფოლკლორისტთა საზოგადოების მხრიდან „უგემოვნოდ“ ხშირი მოხსენიება. მართლაც, მუსიკის-მცოდნეებისა და მუსიკის სფეროში მოღვაწეები, უმეტესად, არ აღიარებენ და არ უსმენენ ასეთ შემოქმედებას. თუმცა, არის ფოლკლორისტთა ის ფრთაც, რომელიც ამ მოვლენას ბუნებრივად და მხატვრული ღირსებების მხრივ, ხშირ შემთხვევაში, წარმატებულად მიიჩნევს. მართლაც, არ შეიძლება იმ პლასტში, რომელსაც ხალხის მრავალი წარმომადგენელი ქმნის, ნიჭიერების შემცველი ნიმუშებიც არ გამოერიოს. ამ ფრთის წარმომადგენელთა მიხედვით³, ფოლკლორისტებს

¹ Земцовский И., დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

² ნ. მაისურაძე, *ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები* (თბილისი, 1989), გვ. 47.

³ თ. გაბისონია, დასახ. ნაშრომი.

მოდერნიზებული ფოლკლორის გარე რეგლამენტი უფრო აღიზიანებთ, ვიდრე მუსიკალური შინაარსი. ბევრია შაბლონური, ბუღვარული მოტივებიც, მაგრამ ამ მოვლენისადმი ყურადღების მიპყრობა და ჯანსაღი კრიტიკა (და არა მხოლოდ უარყოფა) ამ მხატვრულ დონესაც გამოასწორებს. დანდესის თქმით, „ფოლკლორს ძალუძს აღორძინდეს, მსგავსად ფენიქსისა. შესაძლებელია, აიგოს მოდელი, რომლის მიხედვითაც ფოლკლორი, სინამდვილეში, დროთა განმავლობაში განვითარდება“¹. ამ დაბრკოლებათა გამო „მოდერნიზებული ფოლკლორი“ დროთა განმავლობაში სუბ-კულტურად ჩამოყალიბდა, რომელსაც ერთგვარი მარგინალური დატვირთვა აქვს. ეს კი იმიტომ, რომ ეს რაკურსი ხელშეუხებელ თემად არის დარჩენილი დღემდე. ამ ხალხს აკლია სპეციალისტების ხელი, ხედვა, შენიშვნები, რომელთაც შეეძლებათ, სხვადასხვა ასპექტში ნიჭიერი შემოქმედებითი ენერჯის მართებულად მიმართვა (კრიტიკერიუმები, სეგმენტები, მიმართულება და ა.შ.).

პერსპექტივა დირექტიული ორგანოების ჩარევა-არჩარევის მხრივ.

დირექტიული ორგანოების (კულტურის სამინისტრო, ფოლკლორის ცენტრი, მერია, კონსერვატორია და სხვ.) არჩარევის შემთხვევაში, დღევანდელ ფოლკლორისტთა უმრავლესობის უარყოფითი დამოკიდებულება მათ მიმართ, შესაძლოა, მომავალში სერიოზულ პრობლემად ჩამოყალიბდეს. რაც მეტი დრო გავა უმოქმედობაში, მით უფრო მეტი ადამიანი შეეგუება და ყურიც მიეჩვენება განსხვავებულ, ხშირად უგემოვნო ხმოვანებას, შესაბამისად, არასწორი დამოკიდებულებების აღმოფხვრა მით უფრო რთული იქნება დროთა განმავლობაში.

ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუ დროულად მოხერხდება აქტიური კომუნიკაცია ფოლკლორის ცენტრისა და სხვა სპეციალისტებისა ამ „ფსევდოფოლკლორული“ მიმდინარეობების წარმომადგენლებთან. არადა, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, წმინდა ფოლკლორულ ღონისძიებებზე, მოდერნიზებული ფოლკლორის შემსრულებლები ზოგჯერ „იდევნიებიან“, მათ, უმეტესწილად, არ აქვთ ცალკე ნომინაცია, ხოლო საერთო კონკურსში იჩაგრებიან სწორედ „არაავთენტურობის“ გამო. მაგრამ, უნდა ვადიაროთ, რომ ეს სტილი შეუქცევადია და არ შეიძლება მათი არსებობა აღიარების გარეშე დავტოვოთ.

ამგვარი აღიარება და თანამშრომლობა, ვფიქრობთ, დადებითად აისახება მათი განვითარების შემდგომ ეტაპებზე, რადგან შესაძლებელი გახდება სპეციალისტების მხრიდან მათთვის მეტი რჩევა-დარიგების მიცემა. ამ კუთხით გამოჩენილი ყურადღება კიდევ მეტ სტიმულს მისცემს მათ. ისინიც ალბათ შეეცდებიან რჩევების გათვალისწინებას, ხარვეზების გამოსწორებას.

ვფიქრობთ, საჭიროა, ამ მიმდინარეობის მკაფიო სახელდება და მისთვის სხვადასხვა მუსიკალურ ღონისძიებებზე ცალკე ნომინაციის მინიჭება, რათა „ფსევდოფოლკლორელებმა“ შეძლონ საკუთარ გზაზე განვითარება აკრძალვების გარეშე, ცხადია, რეკომენდაციებითა და თანამშრომლობით.

ჩვენი აზრით, მენეჯერული თვალსაზრისიდან გამომდინარე, უპირველესყოფლისა, საჭიროა, კულტურული პოლიტიკის სწორი მიმართულებით წარმართვა. საერთაშორისო სარბიელზე ქვეყნის კულტურის პოლიტიკის ვალდებულებაა, არმოხდეს თვითმყოფადობის დაკარგვა და ფასეულობების იზოლაცია. სწორედ ამიტომ ვალდებულნი ვართ, რომ საფუძვლიანად შევისწავლოთ კულტურის სფეროში, კერძოდ, ფოლკლორის ყველა მიმართულებაში მიმდინარე პროცესები, მათი განვითარება, წამოვწიოთ პრობლემები, თუნდაც, ფინანსური და ვიფიქროთ მათი გადაჭრის გზებზე.

„სწორი, კულტურის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა დაფუძნებულია კულტუროლოგიურ ექსპერტიზაზე, ანალიტიკურ პროექტირებაზე და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე. კულტურის პოლიტიკაში დირექტიული ორგანოების დადგენილებების მიღებას წინ უნდა უძღოდეს სპეციალისტების არანაჩქარევი კომპეტენტური დასკვნები, ე.წ. ექსპერტიზა“². შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე წერილი სწორედ ასეთი ექსპერტიზის აუცილებლობაზე დაფიქრებას ისახავს მიზნად.

მოგესხენებათ, კულტურის სხვადასხვა სახეობების განვითარების სტიმულის თვალსაზრისით, უამრავი საშუალება არსებობს (კონცერტები, მხატვრული საღამოები, კონკურსები, ფესტივალი, მასობრივი ღონისძიებები და ა.შ.). ამ ეტაპზე, ვფიქრობთ, საზოგადოების ცნობიერება იმდენად არის „მოდერნიზებული ფოლკლორის“ არაადეკვატურ აღქმას შეგუებული, რომ ერთჯერადად ჩატარებული კონცერტით და სწორი ინფორმაციის მიწოდების მცდელობით მდგომარეობის გამოსწორება ძნელი იქნება. საჭიროა, მსმენელისათვის სათანადო ინფორმაციის რეგულარულად მიწოდებისა და დირექტიულ ორგანოების „მოდერნიზებული ფოლკლორის“ წარმომადგენლებთან სხვადასხვა პროექტების ფარგლებში თანამშრომლობის პრაქტიკის დანერგვა. ამ პრობ-

¹ Дандес А., Фольклор, Семиотика и-или психоанализ, *Исследования по фольклору и мифологии востока* (Москва, 2003), с. 70.

² მ. დრაგინჯინი-შეშინი, ბ. სტოიკოვინი, *კულტურა, მენეჯმენტი, ანბაცია, მარკეტინგი* (თბილისი, 2007).

ლემათა აღმოფხვრის ეფექტური საშუალება იქნებოდა როგორც ფესტივალებისა და მასობრივი ღონისძიებების გამოყენება, ასევე მრგვალი მაგიდების, კონფერენციების, მუსიკალური კრიტიკის მოცულობის გაზრდა და ა.შ.

პირველ რიგში კი, აუცილებელია სპეციალისტთა მიერ სწორი ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისათვის ამ მიმდინარეობების შესახებ თუნდაც ტელეგადაცემათა ან რადიოგადაცემათა ციკლის მეშვეობით (ვთქვათ, გია ბაღაშვილის გადაცემა „ჩაკრულო“ საზოგადოებრივ მაუწყებელზე), რათა აღარ მოხდეს ამ პრაქტიკის ფოლკლორის სახელით შეფუთვა. აღნიშნული ქმედებები შესაძლოა, განხორციელდეს ასევე საჯარო პრეზენტაციების სახით (განსაკუთრებით უნივერსიტეტებში). ვფიქრობთ, რომ ეს ყოველივე ზემოთხსენებულ პრობლემებს აღმოფხვრის და შედარებით ნაკლებად ინფორმირებული ადამიანების ცნობიერებასაც გაზრდის (ასეთი ადამიანები საქართველოში მრავლად არიან), მათთვის ნათელი გახდება, თუ რა არის ფოლკლორი და რა არ არის ფოლკლორი.

ბიბლიოგრაფია

1. თ. გაბისონია, *ქართული ტრადიციული მუსიკის შემსრულებლობა – თანამედროვე რაკურსი*, <https://www.facebook.com/notes/tamaz-gabisonia/ქართული-ტრადიციული-მუსიკის-შემსრულებლობა-თანამედროვე-რაკურსი>.
2. ე. გარაყანიძე, *რჩეული წერილები* (თბილისი, 2007).
3. ე. გარაყანიძე, *ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობა* (თბილისი, 2007).
4. მ. დრაგიჩევიჩ-შეშინი, ბ. სტოიკოვიჩი, *კულტურა, მენეჯმენტი, ანიმაცია, მარკეტინგი* (თბილისი, 2007).
5. ნ. მაისურაძე, *ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები* (თბილისი, 1989).
6. ა. პიოტროვსკა, *მსოფლიო მუსიკა და ტრადიციული მუსიკა – ავთენტიკურობის პრობლემა, ტრადიციული მრავალხმიანობის მე-4 საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები* (თბილისი, 2009).
7. Дандес А., Фольклор, Семиотика и-или психоанализ, *Исследования по фольклору и мифологии востока* (Москва, 2003).
8. Земцовский И., Социалистическая культура и фольклор, *Народная музыка СССР и современность* (Ленинград, 1982).
9. Неклюдов С. Ю., Фольклор: типологический и коммуникативный аспекты, *Традиционная культура*, №3 (7) (2002), <http://www.ruthenia.ru/folklore/neckludov67.htm>.

MALKHAZ RAZMADZE
Master of Culture Management

“MODERNIZED FOLKLORE” AND OTHER ACCOMPANYING OCCURRENCES OF GEORGIAN AUTHENTIC FOLKLORE MUSIC

Various musical culture, based on folk motives in the musical space of Georgia is formed in accordance with the development of communication means. Different directions are called “folklore” by the many as well as by the authors of the examples. These processes and the society’s attitude to them, provoke central interest and protest in me as in future ethnomusicologist and manager of culture.

Means of mass communication (media, social network) make these processes more complicated and provide the youth and foreigners interested in Georgian folk music with the incorrect information. The identification problem, left beyond the attention of musicologists and scholars of folk music, often causes misunderstanding.

In the paper we try to explain the prerequisites and peculiarities in the creation of the examples based on folk motives, and present our vision for solving the problem.

What is characteristic of the afore-mentioned phenomenon? With the consideration of the motives mainly of East Georgian mountain songs, chromatic musical instruments (particularly panduri) and modernized musical instruments (including electric ones), in general we think it is possible to introduce the term “modernized folklore”.

Modernized folklore basically implies author’s songs, which after the presentation to the masses, become popular and are folklorized. It should be mentioned, that being the author of such an example often leads to the arguments on copyright.

In the paper we compare the peculiarities of modernized folklore with the acknowledged criteria of folklore. As an example we use the repertoire of the Gogochuri Sisters. We believe that the interview with them exposes the essence of the ongoing processes.

We consider, that modernized folklore demands:

1. To be accepted as a term (desirably agreed with all sides).
2. More attention from the institutions and scholars with corresponding competence (sound criticism instead of rejection).

Thanks to these the artistic level of the examples of the afore-mentioned direction will raise, otherwise they will exist, but will permanently remain in embryonic, undeveloped state.

სანთური

ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმში ინახება ერთი მეტად ორიგინალური და უძველესი საკრავი – სანთური, რომელიც მუდმივად იპყრობს დამთვალიერებელთა გამორჩეულ ყურადღებას.

კვლევის პირველი ეტაპის მიზანია, სხვადასხვა კულტურაში სანთურის არსებობის ისტორიისა, საკრავის ეტიმოლოგიისა და ფუნქციის დადგენა.

როგორც ცნობილია, საკრავები ასახმიანებელ საშუალებათა მიხედვით, დაყოფილია ჯგუფებად. სანთური სიმებიანი საკრავია, რომლის ხმის გამოცემაც რამდენიმე ხერხით ხდება: სათითურებით, პლექტრითა და სიმებზე სპეციალური ხის ჯოხების (ჩაქუჩების) დარტყმით. უკრავენ, როგორც დამჯდარ მდგომარეობაში, ასევე, სიარულის დროსაც. საკრავის ასმიანება, უმთავრესად, უკანასკნელი ხერხით (დარტყმით) ხორციელდება. ამიტომ, სანთური დასარტყამ-სიმებიან ანუ ძალთსაცემელ საკრავთა ჯგუფს მიეკუთვნება.

საუკუნეთა განმავლობაში მრავალი სხვადასხვა საკრავი ჩანს ქართველთა ყოველდღიურ ყოფაში. მათგან ზოგი ადგილობრივია, ზოგი კი უცხო ქვეყნებიდან ძველ დროშივე ანდა შემდეგ შეთვისებული. სამწუხაროდ, ბევრი მათგანის ან მხოლოდ სახელია ჩვენამდე მოღწეული, ანდა საკმაოდ მწირი ცნობები.

მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება სანთურის შესახებაც. მიუხედავად საკრავის მრავალ-საუკუნოვანი ისტორიისა და ყოფაში მისი აქტიური თანაარსებობისა, გარკვეული დეტალები კვლავაც ბუნდოვანია, მოპოვებული მასალა კი ზოგიერთი საკითხის გაშუქებისას მხოლოდ საფარაულო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

საკმაოდ ფართოა სანთურის გავრცელების არეალი. მსგავსი ტიპის საკრავს – მცირე-ოდენი განსხვავებებითა და იმავე, ან სხვა სახელწოდებებით – მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ვხვდებით.

არსებობს რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება საკრავის შექმნის ისტორიის და სახელწოდების ეტიმოლოგიის თაობაზე.

ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, საკრავის სახელი *სანთური* ბიზანტიური *ფსალტირ*-ის (ბერძნ. ფსალტირიონის) სახეცვლილი ფორმაა: *ფსალტირ* – *სანტ(თ)ირ* – *სანტ(თ)ურ*¹.

ზოგიერთი მონაცემით, სანთური ინდოეთის უძველესი საკრავი იყო. თუმცა საკრავს თავდაპირველად სხვა სახელი – *შატა-ტანტრი ვინა* ეწოდებოდა. ძველად ტერმინი *ვინა* სხვადასხვა სახეობის სიმებიან საკრავს აღნიშნავდა, *შატა-ტანტრი* კი, სანსკრიტულ ენაზე – ასძალს². ამავე წყაროს თანახმად, საკრავის შემდგომი სახელი *სანთური*, რომელიც სპარსულად ასევე ასძალს ნიშნავს (სანტარ – 100 ძალი), ინდოეთში სპარსული ენის გავლენით უნდა დამკვიდრებულიყო.

სხვა ცნობით, ინდური სანთური ძველი ჯამუს და კაშმირის მშობლიური საკრავია სპარსული წარმოშობით. საკრავის წინაპარი მესოპოტამიაში (სპარსეთის ასირიულ ნაწილში) შეიქმნა (ჩვ. წ. აღ.-მდე 1600-911 წწ.) და აქედან იმოგზაურა აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში. მოგვიანებით კი, გარკვეული სახეცვლილებებით, თითქმის მთელ მსოფლიოში ჩანს. თუმცა, არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც, სპარსელებმა სანთური დატყვევებული ხალხისაგან შეითვისეს, ისევე, როგორც სხვა მრავალი საკრავი.

ინდოელი მუსიკოლოგები და მკვლევრებიც სანთურის სპარსული წარმომავლობის ისტორიას არ ეთანხმებიან და ამტკიცებენ, რომ საკრავი მათთან, ინდოეთშია შექმნილი და სხვა ქვეყნებში აქედან გავრცელდა. ამ ვერსიის საფუძვლად უძველეს სანსკრიტულ ხელნაწერებს იმოწმებენ.

რაც შეეხება საქართველოში სანთურის არსებობის ისტორიას, იგი არც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში და არც სხვა რომელიმე ქართულ ძეგლში გვხვდება. სანთურის მოხსენიების პირველწყაროდ დიდი მეცნიერი, ივანე ჯავახიშვილი სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებს „მოგზაურობა ევროპაში“ ასახელებს, სადაც ავტორი ევროპაში ერთგან ნანახ საკრავთა მწყობრის შემადგენლობაზე საუბრისას ამბობს: „ერთი სანთურს უკრევდით“³. ივანე

¹ Dimitris B., Kofteros, Santouri of Lesbos, *Historical Evolution* (Greece, 1997).

² Pandit Shiv Kumar Sharma, *Santoor History*. www.santoor.com/

³ ს. ს. ორბელიანი, *მოგზაურობა ევროპაში* (თბილისი, 1940), გვ. 51.

ჯავახიშვილი მოხმობილ წყაროზე დაყრდნობით, ვარაუდობს, რომ საკრავი XVII საუკუნის II ნახევარში ქართველთათვის უკვე ცნობილი უნდა ყოფილიყო¹.

ცნობილი ქართველი მკვლევარი ოთარ ჩიჯავაძე თავის ნაშრომში „საკრავები ძველ საქართველოში“, ჩამოთვლის ავტორებს, რომელთა შემოქმედებაშიც მოიხსენიება სანთური². დასახელებულ ნაწარმოებთაგან ყველა XVII-XVIII საუკუნეების ლიტერატურული ძეგლია.

მისივე თქმით, სანთური პირველად სხვეტიცხოვლის ტაძრის ფრესკაზე გვხვდება – „ტრაპეციის მოყვანილობის ყუთით, ორ ათეულზე მეტი სიმიით“³. მეცნიერი გულისხმობს ტაძრის სამხრეთ კედელზე 148-ე და 150-ე ფსალმუნების თემაზე შექმნილ კომპოზიციას „ყოველი სული აქებდით უფალსა“, სადაც სანთურთან ერთად, მრავალი სხვა საკრავიცაა წარმოდგენილი. ტაძრის მოხატულობის ისტორიიდან ვიგებთ, რომ როგორც ამ კედლის, ასევე, მთლიანად ტაძრის მოხატულობაც, ძირითადად, XVII საუკუნეშია შესრულებული⁴.

მოხმობილი ცნობები ცხადყოფს ამ პერიოდის საქართველოში სანთურის არსებობის სინამდვილეს, თუმცა გამოსარკვევია, იყო თუ არა იგი მანამდე.

არაერთი წყაროს მიხედვით, სანთური საბერძნეთში *ფსალტერიონ*-ს სახელწოდებით ყოფილა გავრცელებული. მისი სახელი, როგორც უკვე ითქვა, ბიზანტიური *ფსალტერიონი* უნდა მომდინარეობდეს. ხოლო *სანთური*, საკრავის მოგვიანებითი სახელი ყოფილა.

ფსალტერი იგივე *სანთური*, ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, ქართულად *საფსალმუნედ* ითარგმნება⁵.

აი, რას წერს წმ. გრიგოლ ნოსელი საფსალმუნეზე ფსალმუნთა განმარტებისას: „ფსალმუნი“ ესაა ღვთისადმი მიძღვნილი მუსიკალური სიტყვა და ჰიმნი. ასე იწოდება იგი იმ საკრავის გამო, რომელსაც „საფსალმუნე“ ჰქვია. ამიტომაც, რომ სხვა წერილნი, რომლებიც საკრავზე არ იგალობებიან, არ იწოდებიან ფსალმუნებად“⁶.

წმ. ათანასე ალექსანდრიელი (296-373 წწ.) საკრავის აღწერისას აღნიშნავს: „საფსალმუნე ესაა ათსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტი“⁷.

საკრავის ათსიმიანობა ფსალმუნშიც დასტურდება: „ათძალითა საფსალმუნისათა უგალობდით უფალსა“ (ფს. 32. 2).

ივანე ჯავახიშვილთან *ათძალიანი საფსალმუნე* იგივეა, რაც ბერძნული *ენ ფსალტერიონ დეკაქორდო* და ლათინური *inpsalterio decem chordarum*. მისი განმარტებით, „ათძალი, ანუ დეკაქორდი ებრაელთა საკრავად იგულისხმება“⁸. ჩანს, აქ მეცნიერი საკრავის წარმოშობას გულისხმობს და არა სახელს, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკრავის სახელწოდება *დეკაქორდო* ბერძნულია. მაშ, რა სახელით მოიხსენიებდნენ ამ საკრავს ებრაელები?

ივანე ჯავახიშვილი მოგვიანებით *საფსალმუნეს* ებრაულ სახელწოდებასაც გვამცნობს, რომელსაც მისი თქმით *ნობელ*, ანუ *ნებელ* (ზოგან *ნეპელ*) ჰრქმევიან⁹.

ამავე სახელწოდებას ადასტურებს ნინო მიქიაშვილიც ფსალმუნთა შესახებ დაბეჭდილ წერილში: „ფსალო“ – ნიშნავს სიმღერას, სიმებიანი მუსიკალური საკრავის თანხლებით. საკრავს ებრაულად ეწოდა „ნეპელ“, ბერძნულად – „ფსალტერიონ“, ქართულად – საფსალმუნე“¹⁰.

ვფიქრობ, წარმოდგენილ ცნობათაგან ნათლად იკვეთება ერთი საკრავი, რომელიც სხვადასხვა ერში განსხვავებული სახელითაა წარმოდგენილი. ეს საკრავია *სანთური*, იგივე ბიზანტიური *ფსალტერი* ანდა ბერძნული *ფსალტერიონი*, იგივე ებრაული *ნობელ* ანუ *ნებელ*, ანდა ქართული *საფსალმუნე*.

იქნებ XVII საუკუნემდე *სანთური* საქართველოში სწორედ *საფსალმუნეს* სახელით იყო ცნობილი? თუ *საფსალმუნე* მხოლოდ ბერძნული *ფსალტერიონის* ქართული შესატყვისი იყო და რეალურად საკრავი ამ სახელით არ არსებობდა?

¹ ივ. ჯავახიშვილი, *ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები* (თბილისი, 1938), გვ. 150.

² ო. ჩიჯავაძე, *საკრავები ძველ საქართველოში* (თბილისი, 2009), გვ.18.

³ იქვე.

⁴ ნ. ჩიხლაძე, *სხვეტიცხოვლის მოხატულობანი* (თბილისი, 2010), გვ.237-259.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 138.

⁶ განმარტებათა ნაკრები ფსალმუნთა წიგნზე, შედგენილი სხვადასხვა წმინდა მამისა და მოძღვრისაგან პერაკლიის უსამღვდელოესი მიტროპოლიტის, უფალ ნიკიტას მიერ, ბერძნულიდან თარგმნა ელიშერ ჭელიძემ, *გული გონიერი (საშობაო გამოცემა)* (თბილისი, 2011),

http://library.church.ge/index.php%3Foption%3Dcom_content%26view%3Darticle%26id%3D309

⁷ იქვე.

⁸ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

⁹ იქვე, გვ. 138.

¹⁰ ნ. მიქიაშვილი, ფსალმუნნი თანამედროვე ქართულით გამოიცა, *ამბიონი*, 24 მაისი (თბილისი, 2010),

<http://www.ambioni.ge/fsalmunni-tanamedrove-qartulit-gamoica>

ოთარ ჩიჯავაძის ნაშრომში *საფსალმუნის* შესახებ მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მას ათი ძალი ჰქონია და ღვთისმსახურებას უკავშირდებოდა¹, მაგრამ იყო თუ არა ათძალად წოდებული საკრავი საქართველოში გავრცელებული, მასთან არაფერია ნათქვამი. ივანე ჯავახიშვილი კი ამტკიცებს, „დანამდვილებით ვიცით, რომ არამცთუ ათძალიანი, არამედ ცამეტძალიანი საკრავიც იყო საქართველოში, მაგრამ მას სხვა სახელი ერქვა“².

მეცნიერი ამ საკითხის გასაშუქებლად დაბადების თარგმანის ორ ქართულ რედაქციას იშველიებს, სადაც დავითის საკრავი ფსალტერიონი, იგივე საფსალმუნე, სხვა რედაქციაში ქნარად არის გადმოთარგმნილი: „ქნარი ბერძნულს ნაბლა-ს, ანუ ნაულა-ს, ლათინურ psalterium-ს და სომხურ სრინგ-ს უდრის, რომლის შესატყვისადაც ბაქარისეულ ხელთნაწერში ჩვეულებრივ საფსალმუნე-ა ხოლმე. საქ. მუხ. №51 A-ში კი აქაც ქნარად არის გადმოთარგმნილი“³.

როგორც ჩანს, *სანთურის* სინონიმებში კიდევ ერთი ახალი სახელი – *ქნარი* გამოჩნდა. ეს მონაცემი ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებების საიუბილეო გამოცემისათვის დართულ ლექსიკონშიც დასტურდება: „სანთური – ქნარი“⁴.

ნიკო ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ კი მათ რიცხვს კიდევ ორი საკრავის სახელიც ემატება: „სანთური – ებანი, ქნარი ანუ ჩანგი“⁵.

სანთურსა და *ებანს* ერთ საკრავად მოიაზრებს დიმიტრი არაყიშვილიც ნაშრომში „ხალხური სამუსიკო საკრავების აღწერა და გაზომვა“, სადაც იგი სამი ტიპის *სანთურის* აღწერისას ერთ-ერთს ასე წარმოგვიდგენს: „იმგვარივე სანთური – ებანის სახელწოდებით“⁶.

საკრავთა ერთგვარობას მანანა შილაკაძეც ადასტურებს. მისი თქმით, ებანი „ქნარისა და ჩანგის სინონიმებადაც გვევლინება“⁷.

ამასვე მოწმობს ივანე ჯავახიშვილის აზრიც: „გარკვეულ ხანაში ებანი და ქნარი სინონიმები ყოფილა“⁸.

თუ გადავხედავთ ამ საკრავთა შესახებ არსებულ ცნობებს, როგორც ნათარგმნ, ასევე ორიგინალურ ქართულ ძეგლებში, მოსაზრება მათი ერთგვარობის შესახებ არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული.

ამის კიდევ ერთი უტყუარი დასტურია, ივანე ჯავახიშვილისავე ნაშრომში, დაბადების თარგმანის ორი ქართული რედაქციიდან მოხმობილი ციტატები: „მიიღებდა დავით და ჰკვირიდა ჭვლითა თუსითა ებანსა“⁹, „მიიღის დავით ქნარი იგი და გალობნ მის წინაშე“¹⁰.

ივანე ჯავახიშვილი ებანისა და ქნარის კიდევ რამდენიმე მსგავს ტერმინს გვაწვდის: „ებანი და ქნარი უდრის ებრაულს ქინნორს, ბერძნულ კინურა-ს, ლათინურ cithara-სა და სომხურ ქნარ-ს, ანდა ბერძნულ ჰე კითარა-ს... ებანი და ქნარი ლათინურს lyra-ს ეთანასწორება“¹¹.

მსგავსი მაგალითები, რომლებიც ამ საკრავთა იდენტობას ადასტურებს, მრავლადაა. თუმცა, თარგმანის ეს ორი ვარიანტიც ნათელჰყოფს არა მარტო *ებანისა* და *ქნარის* სინონიმურობას, არამედ მათ უტყუარ მჭიდრო კავშირს დავითის *საფსალმუნესთან*.

სულხან-საბა ორბელიანის გადმოცემით, XVII საუკუნეში ეს ტერმინები (გულისხმობს *ებანსა* და *ქნარს*) თანამედროვე ქართველისათვის უკვე გაუგებარი ყოფილა¹². მეცნიერები ამ საკრავებზე საუბრისას, მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამენ მათი სადაურობის, დანიშნულების, აღნაგობის და სხვა სახასიათო დეტალის თაობაზე.

მანანა შილაკაძის გამოკვლევით, „ებანი, ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, სიმებიანი საკრავია, მაგრამ მისი აღნაგობა ცნობილი არ არის. ქართულ სახელს – „ებანს“ მსგავსი, მხოლოდ ეგვიპტურ საკრავ „ტებუნ“-ში მოეძებნება“¹³.

ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, *ებანის* ებრაულ *ქინნორ*-ის ქართულ შესატყვისობად მიჩნევა გვაფიქრებინებს, რომ ესეც გალობა-სიმღერის შებანებისათვის განკუთვნილი საკრავი

1 ო. ჩიჯავაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

2 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

3 იქვე, გვ. 136.

4 ნიკო ბარათაშვილის საიუბილეო გამოცემაზე დართული ლექსიკონი, *ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი*, I, 21. X (1945).

5 <http://meskhi.net/lexicon/>

6 დ. არაყიშვილი, *ხალხური სამუსიკო საკრავების აღწერა და გაზომვა* (თბილისი, 1940), გვ. 54.

7მ. შილაკაძე, *ტრადიციული სამუსიკო საკრავები და ქართულ-ჩრდილოკავკასიური ეთნოკულტურული ურთიერთობანი* (თბილისი, 2007), გვ. 194.

8 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

9 იქვე.

10 იქვე.

11 იქვე, გვ. 136.

12 იქვე.

13 მ. შილაკაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 194.

უნდა ყოფილიყო¹. თუმცა, საკრავიც ქართული იყო თუ არა თავდაპირველად, გამოსარკვევია. ებანი XII-XIII საუკუნეებშიც ჯერ კიდევ კარგად ცნობილი ყოფილა.

დაახლოებით, ასეთივე დანიშნულება ჰქონია *ქნარსაც*, რომელიც პირველად V საუკუნეში „შუშანიკის წამებაში“ გვხვდება: „განაბრწყინა და განაშუენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მით ქნართა“².

რაც შეეხება *ჩანგს*, ოთარ ჩიჯავაძის თანახმად, იგი „უძველესი საკრავია, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ცნობილი“³. მისივე ცნობით, ჩანგი ორგვარი უნდა ყოფილიყო – დიდი, დამკვრელის წინ დასადგმელი და პატარა, ხელში დასაჭერი⁴. სავარაუდოდ, ალბათ სანთურის სინონიმად სწორედ ამგვარი – დამკვრელის წინ დასადგმელი, ძალთსაცემელი ჩანგი იყო მიხნეული.

ამ საკრავთა შესახებ არსებულ მწირ ცნობებზე დაყრდნობით, გადაჭრით რაიმეს მტკიცება შეუძლებელია. თუმცა, გარკვეული დეტალები ნამდვილად იძლევა საფუძველს იმისას, რომ ისინი სინონიმ საკრავებად მივიჩნიოთ. აქედან გამომდინარე, თუკი ყველა დასახელებული ტერმინი ერთსა და იმავე საკრავს წარმოადგენს, მაშინ რაღა საჭიროა ამდენი სახელი? განა საკრავის ერთი სახელით წარმოჩენა საკმარისი არ იქნებოდა?

საპასუხოდ, კვლავ ოთარ ჩიჯავაძეს დავუხმობ. მისი განმარტებით, „ქნარი და ჩანგი უცხოური სიტყვებია. ქნარი ებრაულ ქინორს და სომხურ ქნარს, ჩანგი კი სპარსულ ჩანკს შეესაბამება“⁵.

მისივე ცნობით, ქნარი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისთანავე, უფრო სწორად, წმინდა წიგნების თარგმნისთანავე უნდა გამხდარიყო ცნობილი. ჩანგის სპარსული ეტიმოლოგიის დამკვიდრება ქართულ ლიტერატურასა და ყოფაში კი ირანული მწერლობის თარგმანთა გავლენით შეიძლება აიხსნას.

რაც შეეხება სანთურს, როგორც თავშიც ითქვა, საკრავის ეტიმოლოგიის ყველა მოცემული ვერსიით, უცხო ტერმინია, რომელიც საქართველოში მხოლოდ XVII საუკუნიდან ხდება ცნობილი.

გამოდის, რომ საქართველოში გავრცელებული მსგავსი ტიპის საკრავის სახელთაგან მისი ქართული შესატყვისი მხოლოდ ებანი და საფსალმუნე ყოფილა. ტერმინები – სანთური, ქნარი და ჩანგი კი, როგორც უკვე განვმარტეთ, ჩვენში უცხოური ლიტერატურის თარგმანსთან ერთად უნდა შემოსულიყო და დამკვიდრებულიყო.

რა როლი ეკავა სანთურს ქართველთა ცხოვრებაში და ჰქონდა თუ არა საერთო სხვა ქვეყნებში ამავე სახელწოდების მქონე საკრავებთან?

მრავალ ქვეყანაში, როგორცაა: ირანი (სპარსეთი), საბერძნეთი, ინდოეთი, ერაყი, არაბული ქვეყნები და სხვა, *სანთური* დღესაც ტრადიციული და საკმაოდ პოპულარული საკრავია. საქართველოში კი დაკარგულია არა თუ მასზე დაკვრის ტრადიცია, არამედ მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც *ქართული სანთურის* უფრო ახლოს გაცნობაში გვიშლის ხელს.

წარმოვიდგინოთ *სანთურის* როლს სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციასა და ყოფაში.

ირანული (სპარსული) სანთური, როგორც საანსამბლო, ასევე, სოლო, საშემსრულებლო საკრავია. მასზე უკრავდნენ მაღალი წრის საზოგადოების თავშეყრის დროს. ძველად სპარსეთში სანთური გამოიყენებოდა, როგორც ერთგვარი სამკურნალო საშუალება. ექიმები ცხელებით დაავადებულებს ურჩევდნენ ესმინათ სანთურისთვის, რომელიც სიმშვიდეს მიჰგვრიდა მათ და განკურნავდა სნეულებისაგან.

როგორც დაბადების თარგმანიდანაც ცნობილი, დავითმა სიმღვეგეში მყოფი, გონდაკარგული მეფე საული, სწორედ იდენტურ საკრავზე დაკვრითა და გალობით განკურნა⁶.

ინდოეთში *სანთური* კაშმირის ფოლკლორული მუსიკის სათანხლებო საკრავად მოიაზრება. მასზე სრულდებოდა ასევე სუფიური მუსიკა (“Sufiana Mausiqi”) – რელიგიური, მისტიკური ფილოსოფიური სარიტუალო ჰიმნები⁷.

ანტიკურ საბერძნეთში *სანთურს* სხვა საკრავებთან ერთად, მწყობრში უკრავდნენ, ან რიგ შემთხვევებში, იგი სათანხლებო ფუნქციასაც ასრულებდა. ასევე, ფიქსირდება მისი აქტიური მონაწილეობა სახალხო დღესასწაულებსა და ქორწილებშიც, როდესაც მაყრიონი პატარძლის წამოსაყვანად მიდიოდა.

¹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 138.

² ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტომი I (თბილისი, 1964), გვ. 40.

³ ო. ჩიჯავაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

⁴ იქვე, გვ. 14.

⁵ იქვე, გვ. 15.

⁶ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

⁷ www.santoor.com/

მუზეუმში არსებული მასალის თანახმად, დასტურდება ქართული სანთურის ბრძოლის ველზე გამოყენების შემთხვევები, სადაც მისი ფუნქცია დადლილ მებრძოლთათვის საბრძოლო სულისკვეთების გაღვივება და გამხსნევა იყო.

მუსიკოს იაკარგარეთელის ცნობით, სანთური ქართლშიც გავრცელებული ყოფილა. აქ საკრავს რეზიტატიულ სიმღერას ააყოლებდნენ ხოლმე, როგორც რაჭულ სტვირს¹.

ასევე ცნობილია, რომ ძველი აღთქმის ღვთისმსახურებაში ფსალმუნთ-გალობა დავით მეფის *საფსალმუნეს (სანთურის)* თანხლებით სრულდებოდა. ნაწილი მკვლევრებისა ვარაუდობს, რომ საკრავმა ახალი აღთქმის ეკლესიაშიც გადმონაცვლა ჩვ. წ. აღ-ის პირველ საუკუნეებში.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, საკრავი გალობა-შებანებისთვის ქრისტეს შემდგომ, დაბადების ქართულად გადმოთარგმნის დრომდე უნდა არსებულიყო².

ამავე მოსაზრებას იზიარებს ვაჟა გვახარიაც, რომელიც ეყრდნობა „შუშანიკის მარტილობას“ და თვლის, რომ VI საუკუნემდე ფსალმოდის დროს სიმებიანი საკრავის თანხლება იყო დაშვებული³.

კორნელი კეკელიძის გამოკვლევით, ქართულ ღვთისმსახურებაში VII საუკუნემდე ჯერ კიდევ ფსალმუნების გალობა სჭარბობდა.

მკვლევართა მეორე ნაწილი კი ახალი აღთქმის ეკლესიაში არათუ სანთურის (ან მისი მონათესავე საკრავების), არამედ ნებისმიერი საკრავის არსებობასაც გამორიცხავს.

სპირიდონ ანტონოსის მიხედვით, „საკრავიერი მუსიკა განიღვენა ღვთისმსახურებიდან მოციქულთა ანალოგიური გადაწყვეტილებებით“⁴.

წარმოგიდგინებ წმიდა მამათა მოსაზრებებს სანთურის (საფსალმუნეს) აღნაგობის, მისი განსაკუთრებულობისა და ადამიანის ორგანულ აგებულებასთან სიახლოვის შესახებ.

წმ. ბასილი დიდი საფსალმუნის ათსიმანიობას იგავურად ადამიანის სხეულს უკავშირებს, რომელსაც ხუთი გრძნობა და სულის ხუთი მოქმედება აქვს. მისი გადმოცემით, უფალმა დავითი იმიტომ აამღერა, რომ უწყოდა რა ადამიანის ზარმაცი ბუნება და ასევე, სიამოვნებისაკენ მიდრეკილება, განიზრახა წინასწარმეტყველება მელოდიასთან შეეზავებინა, რომ ღოცვის დროს დაქანცულობა არ ეგრძნოთ და ამავდროულად ისინი გარყვნილი სიმღერების შემოტანისაგან დაეცვა. აქედან გამომდინარე, ფსალმუნნი ერთდროულად სიამის მომცემიცაა და სარგებლობისაც: „თუმცა მრავალი მუსიკალური საკრავი არსებობდა, ფსალმუნთა წიგნი, მე ვფიქრობ, სწორედ ამ ეგრეთ წოდებულ საფსალმუნეს შეუწყო წინასწარმეტყველმა, რითაც თავის თავში ზემოდან სულიწმიდის მიერ შთაბერილი მადლი წარმოაჩინა, რადგან მუსიკალური ინსტრუმენტებიდან მხოლოდ ამ საკრავს აქვს ბგერათა რიგი ზემოდან“⁵.

წმ. გრიგოლ ნოსელის აზრით, ადამიანის აგებულება სამუსიკო ხელოვნებისთვის არის შექმნილი. რადგან ადამიანი მცირე კოსმოსია და მუსიკალური სიმწყობრე და ჰარმონია ასახავს, როგორც ყველაფერში, მასშიც ჰპოვებს. იგი *საფსალმუნეს* ადამიანის აგებულებას ადარებს: „შეხედე არტერიის მილაკს, სასის თაღს, აგრეთვე ენის, ყბებისა და პირის, როგორც კითარის სიმების გალობას... რადგან მტკიცდება, რომ მუსიკა ბუნებითა ჩვენთვის, სწორედ ამის გამო უნდა ყოფილიყო, რომ დიდმა დავითმა სათნოებათა შესახებ ფილოსოფია მელოდიით შეაზავა“⁶.

ნემესიოს ემესელიც „ბუნებისათვის კაცისას“ თარგმანში, ადამიანის ხორხს მეტყველების დროს დასარტყამ-სიმებიან საკრავთან აიგივებს: „ენასა და კორჯსა ძალთსაცემლისა უპყრიეს ადგილი“⁷.

ამ ცნობების მიხედვით, გადაჭრით რაიმეს დამტკიცება შეუძლებელია, რადგან ეს მოსაზრებანი, მოცემულ პერიოდში საკრავის არსებობას არც გამორიცხავს და არც ადასტურებს. თუმცა, არც დიდი ხნის წინ არსებულ, მივიწყებულად წარმოგიდგინებ მას.

¹ დ. არაყიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

² ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 138.

³ ვ. გვახარია, მასალები ქართული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების შეკრების შესახებ, *საბჭოთა ხელოვნება*, №7 (თბილისი, 1980), გვ. 61.

⁴ სპირიდონ ანტონიუ, მართლმადიდებლური აღმოსავლეთის საეკლესიო მუსიკა, *მართლმადიდებლობის ისტორია*, ქ. ბაიაშვილის თარგმანი, ტომი 3 (ათენი, 2006), გვ. 436-463.

⁵ http://library.church.ge/index.php%3Foption%3Dcom_content%26view%3Darticle%26id%3D309

⁶ იქვე.

⁷ ნემესიოს ემესელი, *ბუნებისათვის კაცისა* (ტფილისი, 1914), გვ. 93.

ბიბლიოგრაფია

1. დ. არაყიშვილი, *ხალხური სამუსიკო საკრავების აღწერა და გაზომვა* (თბილისი, 1940).
2. განმარტებათა ნაკრები ფსალმუნთა წიგნზე, შედგენილი სხვადასხვა წმინდა მამისა და მოძღვრისაგან ჰერაკლიის უსამღვდელოესი მიტროპოლიტის, უფალ ნიკიტას მიერ, ბერძნულიდან თარგმნა ედიშერ ჭელიძემ, *გული გონიერი (საშობაო გამოცემა)* (თბილისი, 2011).
3. http://library.church.ge/index.php%3Foption%3Dcom_content%26view%3Darticle%26id%3D309
4. ვ. გვახარია, მასალები ქართული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების შეკრების შესახებ, *საბჭოთა ხელოვნება*, №7 (თბილისი, 1980).
5. ნ. მიქიაშვილი, ფსალმუნნი თანამედროვე ქართულით გამოიცა, *ამბიონი*, 24 მაისი (თბილისი, 2010). <http://www.ambioni.ge/fsalmunni-tanamedrove-qartulit-gamoica>
6. ნემესიოს ემესელი, *ბუნებისათვის კაცისა* (ტფილისი, 1914).
7. ნიკო ბარათაშვილის საიუბილეო გამოცემაზე დართული ლექსიკონი, *ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი*, I, 21. X (1945).
8. ს. ს. ორბელიანი, *მოგზაურობა ევროპაში* (თბილისი, 1940).
9. სპირიდონ ანტონიუ, მართლმადიდებლური აღმოსავლეთის საეკლესიო მუსიკა, *მართლმადიდებლობის ისტორია*, ქ. ბაიაშვილის თარგმანი, 3 (ათენი, 2006).
10. მ. შილაკაძე, *ტრადიციული სამუსიკო საკრავები და ქართულ-ჩრდილოკავკასიური ეთნოკულტურული ურთიერთობანი* (თბილისი, 2007).
11. ნ. ჩიხლაძე, *სეპტიცხოვლის მოხატულობანი* (თბილისი, 2010).
12. ო. ჩიჯავაძე, *საკრავები ძველ საქართველოში* (თბილისი, 2009).
13. ნ. ჩუბინაშვილი, *ქართულ-რუსული ლექსიკონი* (თბილისი, 1961).
14. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტომი I (თბილისი, 1964).
15. ივ. ჯავახიშვილი, *ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები* (თბილისი, 1938).
16. Dimitris B. Kofteros, Santouri of Lesbos, *Historical Evolution (Greece, 1997)*.
17. Pandit Shiv Kumar Sharma, *Santoor History*. www.santoor.com/
18. <http://meskhi.net/lexicon/>

EKATERINE SHOSHIASHVILI

State Museum of Georgian Folk Songs and Musical Instruments

SANTURI, THE MUSICAL INSTRUMENT

In the Museum of Georgian Folk Song and Instruments *Santuri*, one of the old and interesting instruments, stands out and attracts a special attention of visitors of the museum.

Santuri is a multi-string musical instrument and its etymology comes from Persian word *Santari*, which means “hundred strings”.

Santuri is a widespread instrument (Arabia, India, Persia, Greece, Rumania, Armenia). The historical records about existence of *Santuri* in Georgia are very few because there is no notice of the instrument with this name until the seventeenth century. However, quite a few historical and literature accounts reveal the fact of wide use of the similar instrument in Georgians’ life although with different names such as: *Ebani*, *Knari*, *Changi*, *Sapsalmune*.

There are proofs that they would play *Santuri* in wars and that it also was related to sacred (Church) music.

According to Byzantine historical sources, early Christians used to sing psalms under the accompaniment of the instrument. Various records prove that the *Santuri* instrument, like the one at the museum, basically has triangular shape. There are several ways of playing *Santuri* : with the help of a thimble or a plectrum or special kind of wooden sticks (hammers). While playing, one can sit or walk. Also, it used to be played during folk festivals and wedding ceremonies (Greece, Romania).

It is especially significant that in Georgia strings for *Santuri* was made of silk or a horse hair whereas everywhere else the instrument has metal strings. This makes the timbre of Georgian *Santuri* of special (different) quality.

**ბარეჯის უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთი
ეგვტერის (სადიაკვნის) მოხატულობის „არქაული ჯგუფის“
სიუჟეტთა ახლებური გააზრება**

წინამდებარე გამოკვლევა გარეჯის უდაბნოს ქვაბოვანი მონასტრის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მთავარი საკრებულო ეკლესიის ჩრდილოეთი ეგვტერის მოხატულობის პროგრამის შინაარსის დადგენას ემსახურება. როგორც ეგვტერის კედელზე საღებავით შესრულებული წარწერიდან ირკვევა, შუა საუკუნეებში ის სადიაკვნედ იყო სახელდებული. ტრადიციულად, სადიაკვნე საკურთხევლის სამხრეთით, სამკვეთლო კი ჩრდილოეთით მდებარეობს. თუმცა უდაბნოს მონასტერში ეკლესიის სადიაკვნეს ჩრდილოეთით მდებარეობა გამონაკლისი არ არის: წერილობითი ცნობა ამგვარი რამის შესაძლებლობის შესახებ უკვე VI საუკუნიდან მოგვეპოვება. ამ დროს დაიწერა ჰაგიოგრაფიული თხზულება „ცხოვრება ნატარისა მამისა ჩუენისა საბაძის“, რომელშიც ქვაბოვანი ეკლესიის ჩრდილოეთი სათავსი სწორედ სადიაკვნეს სახელით მოიხსენიება: „და პოვა მუნ (წმიდად საბამ – ლ.მ.) ქუაბი დიდი და საკრველი, რომელსა აქუნდა სახს ეკლესიისა ღმრთისაჲ. აღმოსავალით იყო კონქი ღმრთით შსნებული. ჩრდილოდთ პოვა სახლი დიდი, რომელსა აქუნდ სახს სადიაკონისაჲ“¹. ზემორეს გათვალისწინებით, შემდგომ ტექსტში, ჩრდილოეთ ეგვტერს სადიაკვნეს სახელით მოვიხსენიებ.

უდაბნოს მონასტრის ფუნქციონირების გარკვეულ ეტაპზე, მთავარი ეკლესიის სადიაკვნეს პირვანდელი მოხატულობა კირის თხელი ფენით გადაულესავთ და ამგვარად განახლებული ზედაპირი ხელახლა მოუხატავთ. კირის თხელი ფენის შეჭიდება მოხატული კედლის ზედაპირთან სუსტი აღმოჩნდა და დროთა განმავლობაში ჩამოცვივდა, რამაც პირვანდელი მხატვრობა კვლავ ხილული გახადა.

შალვა ამირანაშვილი სადიაკვნეს მოხატულობაში სამ, სხვადასხვა დროს შესრულებულ ფენას გამოჰყოფდა²: უძველეს, პირველ ფენას იგი მიაკუთვნებდა საკურთხეველში გამოსახულ ვედრებას, ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში შესრულებულ წმ. ელიას ამალეებას³ და ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლებზე გამოსახულ, მკვლევრის აზრით, წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების ციკლს. შ. ამირანაშვილი მოხატულობის მეორე ფენად ჭერსა და კედლებზე, წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების სცენების ზემოდან დადებული კირის ფენაზე შესრულებულ მოხატულობას მიაზრებდა. მკვლევარი მოხატულობის მესამე ფენას სამხრეთ კედელზე გამოჰყოფდა⁴. შ. ამირანაშვილმა მის მიერ გამოყოფილი მოხატულობის ფენები, შესაბამისად, IX, XIII და XIV საუკუნეებით დაათარიდა. ბოლო ხანს, გაზიარებულია მოსაზრება, რომ სადიაკვნეში მოხატულობის X და XIII საუკუნეების ორი ფენა⁵. რაც შეეხება ეკლესიის ნავის მოხატულობას, შ. ამირანაშვილი მას „X და XI საუკუნეების მიჯნაზე“ შექმნილად მიიხსენივდა⁶. ნავის მოხატულობა თინათინ ვირსალაძემაც „X საუკუნის მიწურულით - XI საუკუნის დასაწყისით“ დაათარიდა⁷. მ. ბულიას, ა. ვოლსკაისა და დ. თუმანიშვილის თანაავტორობით გამოქვეყნებული აღ-

¹ მამათა ცხოვრებანი (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვ. იმნაიშვილმა (თბილისი, 1975), გვ. 66.

² ამირანაშვილი შ., *История грузинской монументальной живописи*, т. 1 (Тбилиси, 1957), с. 44.

³ გ. აბრამიშვილის აზრითაც, წმ. ელიას ამალეების სიუჟეტი მოხატულობის პირველ ფენას მიკუთვნება. იხ.: გ. აბრამიშვილი, *დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში* (თბილისი, 1972), გვ. 22. განსხვავებული მოსაზრება გააჩნიათ ზ. სხირტლაძესა და ე. ისტმონდს, სტატიის თანაავტორებს: ისინი ამ კომპოზიციას მოხატულობის მეორე, გვიანდელ ფენასთან აიგივებენ (ზ. სხირტლაძე, ე. ისტმონდი, წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების ციკლი უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნეს მოხატულობაში: ახალი მონაცემები და დაკვირვებები, *საქართველოს სიძველენი*, 2 (თბილისი, 2002), გვ. 30). თუმცა, ამგვარი შეხედულების შემამაგრებელი არგუმენტები ერთობლივ სტატიაში მოყვანილი არ არის.

⁴ ამირანაშვილი შ., დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

⁵ *დავითგარეჯის მონასტრები: ლავრა, უდაბნო*, გამოსაცემად მოამზადეს მ. ბულიამ და დ. თუმანიშვილმა (თბილისი, 2008), გვ. 63, 64, 67-ზე დაბეჭდილი ფოტოების განმარტებითი წარწერები.

⁶ ამირანაშვილი შ., დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

⁷ Вирсаладзе Т., К вопросу о датировке первоначальной росписи северного придела главного храма монастыря Удабно в Давид-Гаредже, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე*, №6 (1968), გვ. 227.

ბომის ტექსტში, გარეჯის უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის ნავის მოხატულობის თარიღად XI საუკუნის დასაწყისია მითითებული¹.

შ. ამირანაშვილი იყო პირველი, ვინც უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნეს დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლების პირველი ფენის მოხატულობის სიუჟეტები წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების ციკლთან გააიგივა² (ამ ციკლის გამოსახულებებს, შემდგომ ტექსტში, „არქაულ ჯგუფად“ მოვიხსენიებ). მკვლევარმა ეს მოსაზრება არა ვარაუდის, არამედ მტკიცებულების სახით გამოთქვა. მისი ამგვარი კატეგორიულობა, როგორც ჩანს, ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ ნაწილში მდებარე პირველი სიუჟეტის ფონზე შესრულებულ, ნახევრადგადასულ ასომთავრულ წარწერაში „ლუკიანე ესე“-ს ამოკითხვამ განაპირობა³. თუმცა, მოგვიანებით, როცა ამ წარწერის უკეთ გამოსავლენად ტექნიკური მეთოდი გამოიყენეს, ამგვარი წაკითხვა არ დადასტურდა: წარწერის ულტრაიისფერი სხივებით განათებისას, შეუიარაღებელი თვალით უხილავმა გრაფემებმა ლუმიწისცენტური ნათება დაიწყო და წარწერის ტექსტი ერთიანად ხილული გახდა. აღმოჩნდა, რომ ეს იყო არა განმარტებითი წარწერა ლუკიანეს ხსენებით, როგორც მანამდე შ. ამირანაშვილს მიანდა, არამედ ტექსტი, რომელშიც სათავსის (წარწერის თანახმად – „სადიაკონეს“) მოხატვის ფაქტი იყო აღნიშნული⁴.

მიუხედავად იმისა, რომ „არქაული ჯგუფის“ გამოსახულებების კავშირი წმ. დავით გარეჯელის ცხოვრებასთან მეტად არამყარია, განსახილველ მოხატულობაზე მომუშავე ხელოვნებათმცოდნეებს შ. ამირანაშვილის მოსაზრების სისწორის შემოწმება აზრადაც კი არ გაუვლიათ და მისეული ინტერპრეტაცია *a priori* უტყუარ ფაქტად მიიჩნიეს. მკვლევრები მსჯელობდნენ მხოლოდ იმაზე, თუ სად იწყებოდა და მთავრდებოდა, ან რომელი მიმართულებით ვითარდებოდა წმ. დავითის ცხოვრების ფრესკულ ციკლში ასახული ამბავი. მეცნიერთა უმრავლესობა შ. ამირანაშვილის მოსაზრებას ემხრობოდა და სიუჟეტის განვითარებას საათის ისრის მოძრაობის მიმართულების შესაბამისად ხედავდა: მათი აზრით, წმ. დავითის ცხოვრების ამბის აღწერა ჩრდილოეთი სადიაკვნეს დასავლეთ კედელზე იწყება და ჩრდილოეთ კედელზე, დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით გრძელდება⁵. შ. ამირანაშვილი მთავარი ტაძრის ნავის ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულ, წმ. დავითის ცხოვრების სამ სცენას სადიაკვნეში არსებული ციკლის დამასრულებელ სიუჟეტებად აღიქვამდა⁶. თინათინ ვირსალაძეს განსხვავებული ხედვა ჰქონდა. მისი აზრით, წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების ციკლი მთავარი ტაძრის ნავის ჩრდილოეთ კედელზე იწყებოდა და სავარაუდოდ, იმ დროისთვის უკვე ჩამოქცეულ სამხრეთ კედელზე გრძელდებოდა⁷. თ. ვირსალაძის აზრით, ამბის თხრობა მხოლოდ ამის შემდეგ გადაინაცვლებდა ჩრდილოეთ სათავსში, სადაც თხრობის განვრცობა საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით ხდებოდა⁸. თ. ვირსალაძის ეს მოსაზრება სხვა მკვლევრებმა არ გაიზიარეს.

ხელოვნებათმცოდნეები კამათობდნენ იმაზეც, თუ წმ. დავითის ცხოვრების კონკრეტულად რომელი ეპიზოდი იყო ასახული ამა თუ იმ სიუჟეტში. თ. ვირსალაძეს ამ კუთხითაც განსხვავებული ხედვა ჰქონდა: მისი აზრით, ჩრდილოეთი სადიაკვნეს „არქაული ჯგუფის“ მოხატულობაში წმ. დავითის ღვთისმშობლის მშენებლობის ისტორია იყო ასახული⁹. მკვლევრები კამათობდნენ მოხატულობის დათარიღებასთან დაკავშირებითაც, მაგრამ ჩრდილოეთი სადიაკვნეს მოხატულობაში შ. ამირანაშვილის მიერ წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების ციკლის დანახვის სისწორეს ეჭვქვეშ არ აყენებდნენ. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, „არქაული ჯგუფის“ გამოსახულებების კავშირი წმ. დავითის ცხოვრებასთან მეტად არამყარია. არსებულ შეუსაბამობათა ასახსნელად ხელოვნებათმცოდნე გ. აბრამიშვილმა ის მოსაზრებაც კი გამოთქვა, რომ უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთ სადიაკვნეში გამოსახული სიუჟეტები წმ. დავით გარეჯელის ცხოვ-

¹ დავითგარეჯის მონასტრები, დასახ. ნაშრომი, გვ. 69, 70, 73, 74, 77, 78-ზე დაბეჭდილი ფოტოების განმარტებითი წარწერები.

² Амيرانашвили Ш., დასახ. ნაშრომი, გვ. 44, 46.

³ იქვე, გვ. 46.

⁴ Гильгендорф И., *Фреска открывает тайну* (Тбилиси, 1982), გვ. 11 და გვ. 27-ზე დაბეჭდილი ფოტო.

⁵ გ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 23; ზ. სხირტლაძე, ე. ისტმონდი, დასახ. ნაშრომი, გვ. 33-45; დავითგარეჯის მონასტრები..., გვ. 13.

⁶ ეკლესიის ნავის ჩრდილოეთ კედელზე, მართლაც, წმ. დავითის ცხოვრებიდან აღებული სიუჟეტებია მოცემული: პავლიკოვას მიერ მოთხრობილი ამბავი მათში ზედმიწევნითი სიზუსტით არის ასახული. ამ გამოსახულებათა თანმხლები განმარტებითი წარწერები პავლიკოვას მიერ თხრობაში მოხმობილ ტექსტს მიჰყვება.

⁷ გარეჯის უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის ნავის სამხრეთ, ამჟამად ჩამოქცეულ კედელზე წმ. დავითის ცხოვრების სცენების არსებობის შესაძლებლობის ვერსიას იზიარებს ავტორთა ჯგუფიც მ. ბულიას, ა. ვოლსკაისა და დ. თუმანიშვილის შემადგენლობით. იხ.: დავითგარეჯის მონასტრები..., გვ. 13.

⁸ Вирсаладзе Т., დასახ. ნაშრომი, გვ. 234-235.

⁹ იქვე, გვ. 235-236.

რების ადრეული, ამჟამად დაკარგული თხზულებიდან იყო აღებული, რომელშიც სასწაულები საერთოდ არ იყო შეტანილი: გ. აბრამიშვილის აზრით, ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა გამდიდრება წმიდათა სასწაულებით, თითქოს, მხოლოდ IX-X საუკუნიდან დაიწყო¹.

დამოკიდებულება „არქაული ჯგუფის“ მოხატულობის შ. ამირანაშვილისეული ინტერპრეტაციის მიმართ მაშინაც არ შეცვლილა, როცა ზემოთ ნახსენები, თითქოსდა ლუკიანეს სახელის შემცველი „განმარტებით“ წარწერის ულტრაიისფერი სხივებით განათებისას გადაღებულ ფოტოზე „ლუკიანე ესე“-ს ადგილზე მთელი სიმკვეთრით გამოჩნდა სრულიად სხვა ფრაზა – „სადიაკონე ესე“².

გარეჯის მონასტრების ქვაბოვანი ეკლესიების მოხატულობათა პროგრამების თეოლოგიური შინაარსის საკითხების კვლევისას, უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთი სადიაკონეს მოხატულობის „არქაული ჯგუფის“ სიუჟეტების წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების სცენებთან გაიგივებასთან დაკავშირებით, გარკვეული, ვფიქრობ, სრულიად სამართლიანი კითხვები გამოჩნდა:

1. იმის გათვალისწინებით, რომ „არქაული ჯგუფის“ სიუჟეტების წმ. დავითის ცხოვრებასთან დაკავშირების მცდელობას ბიძგი „განმარტებით წარწერაში“ ლუკიანეს სახელის ამოკითხვამ მისცა, რატომ უნდა დარჩენილიყო შ. ამირანაშვილისეული ინტერპრეტაცია სანდო მას შემდეგ, რაც ამ წარწერის ტექნიკური მეთოდის გამოყენებით ამოკითხვის შემდეგ, სახელი „ლუკიანე“ ტექსტში საერთოდ არ აღმოჩნდა? ვფიქრობ, წარწერის ახალმა წაკითხვამ და ჰაგიოგრაფიული თხზულების ტექსტსა და გამოსახულებებს შორის მტკიცე სიუჟეტობრივი კავშირის უქონლობამ, „არქაული ჯგუფის“ სიუჟეტებსა და წმ. დავითის ცხოვრების სცენებს შორის რაიმე ბმის არსებობა ეჭვქვეშ დააყენა.

2. რატომ უნდა შეეთეთრებინათ მონასტრის დამაარსებლისა და მისი მთავარი მფარველის, წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების სცენები და ზემოდან სხვა, ისეთი სცენებით გადაეფარათ, რომელთა სიუჟეტები წმ. დავითის ცხოვრებასთან არანაირ კავშირში არ იქნებოდა? ეს მით უფრო საეჭვოა, რომ იმავე უდაბნოს მონასტერში არაერთი მრავალჯერადად გაცხოველებულ-გადახატული ფრესკა გვხვდება, რომლებშიც საწყისი სიუჟეტი შენარჩუნებულია. როგორც ცნობილია, ეკლესიაში კედლის მოხატულობის შემადგენელი სიუჟეტების არსებითი ცვლილება მხოლოდ ლიტურგიული ცვლილებების შემთხვევაში ხდებოდა. მაგალითად, ხატმებრძოლეობის დასრულების შემდეგ, წმიდათა ცხოვრებათა ციკლებს ეკლესიის კედლებზე იშვიათად გამოსახავდნენ: ისინი ქრისტოლოგიური შინაარსის გამოსახულებებმა ჩაანაცვლა³. ამის გათვალისწინებით, უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკონეში წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების ციკლი რომ ყოფილიყო გამოსახული, საჭიროების შემთხვევაში მას მთლიანად ქრისტოლოგიური სცენებით ჩაანაცვლებდნენ (დასავლეთ კედელზე მხოლოდ სამი ქრისტოლოგიური სიუჟეტია გამოსახული, ჩრდილოეთ კედელზე კი არცერთი) და არა სხვა, თუნდაც სრულიად გამორჩეული წმინდანის, ქართლის განმანათლებლის, წმ. ნინოს ცხოვრების სცენებითა და ზოგადად, წმინდათა გამოსახულებებით.

3. რატომ არის მოხატულობაში ისეთი სიუჟეტები, რომლებიც წმ. დავითის ცხოვრებაში აღწერილ ამბებს არ ასახავს? (მაგალითად, მისადგმელ კიბეზე ამავალი ბერი ზურგზე მოკიდებული კალათით, რომელშიც მეორე ბერი ზის⁴, ან მთავარი ეკლესიის გამოსაკვეთად (თ. ვირსალაძის ინტერპრეტაციით) წერაქვის ნაცვლად ბარის გამოყენება, მით უფრო ბერების მიერ, იმ დროს, როცა „ცხოვრებაში“ გარკვევით წერია, რომ ბუბაქარმა ეკლესია საგანგებოდ მიყვანილ მუშებს გამოაკვეთინა: „თანა მიატანნა სათხარნი და მუშაკნი და შეუქმნა ეკლესიად სალოცველად ძმათა“⁵).

4. თუ სწორია მკვლევართა ის მოსაზრება, რომ სადიაკონესა და ნავის გამოსახულებები წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების ერთიანი ფრესკული ციკლის შემადგენელი ნაწილებია, მაშინ რამ განაპირობა სადიაკონეს მოხატულობის პირველი ფენის სცენებში წმ. დავითისა და წმ. ლუკიანეს უშარავანდოდ გამოსახვა იმ დროს, როცა ეკლესიის ნავის ჩრდილოეთ კედელზე მოცემულ სიუჟეტებში მათ შარავანდები ადგათ?

¹ გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის რელიეფი (დავით გარეჯელის ცხოვრების სიუჟეტი), *საბჭოთა ხელოვნება*, 9 (თბილისი, 1965), გვ. 67-68. გ. აბრამიშვილის ამ მოსაზრების კრიტიკისთვის იხ. Т. Вирсаладзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 230-231.

² მთლიანად ტექსტი შემდეგი შინაარსისაა: „მოიხატა სადი[აკ]ონ[ე] ესე ს[ა]კურთხეველითურთ“ (Гильгендорф И., დასახ. ნაშრომი, გვ. 11 და გვ. 27-ზე დაბეჭდილი ფოტო). საყურადღებოა ისიც, რომ ეს წარწერა მიეკუთვნება მოხატულობის არა პირველ, არამედ მეორე ფენას. იხ.: გ. აბრამიშვილი, *დავით გარეჯელის ციკლი...*, გვ. 47, სქოლიო 75.

³ Akyürek E., Fourth to Eleventh Centuries Byzantine Cappadocia, In: *Cappadocia*, edited by Metin Sözen (Istanbul, 1998), p. 329.

⁴ ზ. სხირტლაძე, ე. ისტმონდი, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

⁵ *ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისა*, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (თბილისი, 1963), გვ. 236.

5. ჩვენამდე მოღწეულ ყველა ფრესკულ გამოსახულებასა თუ მინიატურაზე წმ. დავითს საკმაოდ გრძელი, სამკუთხა მოყვანილობის წვერი აქვს, რომელიც წელზე შემორტყმულ სარტყელამდე ეშვება. თუ უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთი სადიაკვნეს სიუჟეტებში წმ. დავითიც მონაწილეობს, მაშინ რატომ აქვს ამ სცენებში გამოსახულ ყველა ბერს მოკლე წვერი?

6. რატომ განსხვავდება ერთმანეთისაგან ასე რადიკალურად წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების ეპიზოდების რიგის გაშლის მიმართულებები მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთ სადიაკვნესა და ნავში? (პირველ შემთხვევაში – საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ხოლო მეორე შემთხვევაში – საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ).

ზემორე მრავალრიცხოვანმა შეუსაბამობამ გამიჩინა ეჭვი, რომ უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთი სადიაკვნე წმ. დავითის „ცხოვრების“ სიუჟეტებით არ უნდა ყოფილიყო მოხატული. ეს ეჭვი კიდევ უფრო განმამტკიცდა მას შემდეგ, როცა სადიაკვნეს ჩრდილოეთ კედელზე გამოსახული, დასავლეთიდან პირველი კომპოზიცია დეტალურად შევისწავლე (სურ. 1). ჩემამდე ყველა მკვლევარი ამ კონკრეტულ სცენას წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების ერთ-ერთი ეპიზოდის ასახვად მიიჩნევდა. კერძოდ, შ. ამირანაშვილის, გ. აბრამიშვილისა და ზ. სხირტლაძე - ე. ისტმონდის აზრით, ნახსენები კომპოზიცია წმ. დავითის მიერ წყაროს „აღმოცენებას“ ასახავს¹, ხოლო თ. ვირსალაძის ვარაუდით, დავითგარეჯში ეკლესიის მშენებლობის ილუსტრაციაა². განსახილველ კომპოზიციაზე *in situ* დაკვირვებამ, აგრეთვე გამოსახულების გადიდებული ციფრული ფოტოს ანალიზმა მჩვენა, რომ ბარის პირთან დატანილი კლაკნილი ხაზები არა წყლის ნაკადის დინებას, არამედ კონკრეტული ფორმის საგნის კონტურებს, კერძოდ დერგის წრიულ პირსა და მორკალულ სახელურს გადმოსცემს³ (სურ. 2 და 3). ამ მონახაზების რაობა საცნაური გახდება, თუ განსახილველ სიუჟეტს დიონისიუს ლექციონარში შეტანილ, წმ. იოანე ნათლისმცემლის პატიოსანი თავის მესამედ პოვნის მინიატურას შევადარებთ (1059 წ.) (სურ. 4). ამ მინიატურაზე გამოსახული ორი მუშა მიწიდან დერგს თხრის, რომელშიც წმ. იოანე ნათლისმცემლის თავია მოთავსებული. მინიატურისა და უდაბნოს გამოსახულების ერთმანეთთან შედარება ცხადყოფს, რომ მსგავსება ჭურჭლის ტიპებს შორის აშკარაა: ორივე ჭურჭელს განიერი პირი და მსგავსი მოყვანილობის სახელურები აქვს. მხოლოდ დერგის ამოთხრელი პერსონაჟებია განსხვავებული: თუ უდაბნოს ფრესკის შემთხვევაში ისინი ბერები არიან, ათონურ მინიატურაში საერო პირებია გამოსახული. ამ სხვაობას მინიატურასა და ფრესკაზე წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის პოვნის სხვადასხვა შემთხვევების ასახვა განაპირობებს: ათონური მინიატურა პატიოსანი თავის მესამედ პოვნას ასახავს, უდაბნოს ფრესკაზე კი წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის მეორედ პოვნის ამბავია გადმოცემული (ამაზე ოდნავ ქვემოთ). წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის პოვნის სრულყოფილად გააზრებული იკონოგრაფიული სქემა უკვე 979-989 წლებისთვის არსებობდა (ამის მაგალითია მინიატურა ბასილი II-ის მენოლოგიიდან). თუ სტროგანოვის ნუსხით ცნობილ ხატწერის ნიმუშების კრებულს ჩავხედავთ, მასში შეტანილი იოანე ნათლისმცემლის წმიდა თავის პირველად და მეორედ პოვნის სიუჟეტის სქემა (ორივე ამბავი ერთი გამოსახულებითაა წარმოდგენილი)⁴, აგრეთვე თავის მესამედ პოვნის იკონოგრაფიული მონახაზი ერთმანეთის მსგავსია: მთხრელებად ორივეგან ბერები გვევლინებიან (სურ. 5 და 6). ბიზანტიურ წყაროებში ბერების მიერ წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის პოვნის რამდენიმე შემთხვევაა აღწერილი. ერთი ვერსიით, ბერმა ინოკენტიმ მის მიერ ზეთისხილის ბაღში დაარსებულ მონასტერში ეკლესიის საძირკვლის გაჭრისას წმიდა თავს სრულიად შემთხვევით მიაგნო. ამას პატიოსანი თავის პირველად პოვნას უწოდებენ. მეორე ამბავი მოგვითხრობს, რომ კონსტანტინე დიდის ზეობისას (306-337 წწ.), იერუსალიმში უფლის საფლავის მოსალოცად მყოფ ორ ბერს წმ. იოანე ნათლისმცემელი გამოეცხადა და მისი თავის დაფვლის ადგილი გაუჩ-

¹ Амиранашвили Ш., დასახ. ნაშრომი, გვ. 46; გ. აბრამიშვილი, დავით გარეჯელის ციკლი..., გვ. 48; ზ. სხირტლაძე, ე. ისტმონდი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

² Вирсаладзе Т., დასახ. ნაშრომი, გვ. 235.

³ ბარის პირის მიმდებარე არეში დახატული კლაკნილი ხაზები თანავეტორებმა ზ. სხირტლაძემ და ე. ისტმონდმა, სხვა მკვლევარების მსგავსად, წყლის ნაკადთან გააიგივეს, თუმცა ერთ შეუსაბამობას კი მიაქციეს ყურადღება: „წყლის ტალღები ძველი და ახალი აღთქმის სცენებში, როგორც წესი, სხვაგვარად (სხვა ფერებით, სხვა ფონით) აღინიშნება“, განსახილველ სიუჟეტში კი ტალღები, რატომღაც, შავი ფერითაა დატანილი (ზ. სხირტლაძე, ე. ისტმონდი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40). ფუნჯის მონასში შავი ფერის იმიტომაც არის, რომ მისი მეშვეობით გადმოცემულია თიხის ჭურჭლის წრიული პირისა და მორკალული სახელურის კონტურები და არა წყლის ნაკადის დინების ხაზი, რომელიც, როგორც ნახსენებმა ავტორებმა სამართლიანად აღნიშნეს, ქრისტიანული ხელოვნების ნიმუშებში ყოველთვის შავისგან განსხვავებული ფერით გადმოიცემა.

⁴ წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის პირველად და მეორედ პოვნა ერთ დღეს, 24 თებერვალს, ხოლო მესამედ პოვნა 25 მაისს აღინიშნება.

ხილა. ბერებმა თავი ამოთხარეს, აბგაში მოათავსეს და გზას გაუდგინენ. მოწესებმა უპირობოდ სი ტვირთის ტარება დამგზავრებულ „მეკეცეს“ (ანუ მეთუნეს) მიანდეს, რის შემდგომ ამ უკანასკნელს წმ. იოანე ნათლისმცემელი გამოეცხადა და აბგიანად ბერებისაგან გაქცევა ურჩია. მეთუნე რჩევისამებრ მოიქცა და წმიდა თავი ქალაქ „ემეწეში“ (ანუ ემესაში) ჩაიტანა¹. თუ გავითვალისწინებთ, რომ უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთი სადიაკვნეს განსახილველ სიუჟეტში სამი ბერი მონაწილეობს, რომელთაგან ერთ-ერთს ხელში სახარება უჭირავს (გ. აბრამიშვილი მას წმ. დავით გარეჯელთან აიგივებს), რაც ამ პირის მაღალ სასულიერო ხარისხზე მიანიშნებს, თანაც, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ წმ. იოანე ნათლისმცემლის თავი დერგშია მოთავსებული, ვვარაუდობ, რომ უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნეში არსებული ეს გამოსახულება წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის პოვნის იმ შემთხვევას აღწერს, რომელიც 452 წელს, იმპერატორ მარკიანეს ზეობისას მოხდა: ერთ-ერთი მონასტრის იღუმენმა, არქიმანდრიტმა მარკელმა, გამოცხადების საფუძველზე, სხვა ბერებთან ერთად, წმ. იოანე ნათლისმცემლის თავი იპოვა. თავი „სარქუანსა შინა“, ანუ დერგში იყო მოთავსებული (რიგი წყაროების მიხედვით, ეს ამბავი თავის მეორედ პოვნად იწოდება). ემესის ეპისკოპოსმა ურანიუსმა ნაპოვნი სიწმიდე ადგილობრივი მონასტრის ეკლესიაში გადაიტანა.² ამ მონასტრის სახელი – სპელაიონი (Σπυλαίου, ქართულად გამოქვაბული) ნახსენები აქვს თეოფანე აღმსარებელს თავის „ხრონოგრაფში“³. წმ. იოანეს თავი სპელაიონში 759-760 წლამდე იყო დაბრძანებული, რის შემდეგ ჯერ სპეციალურად მისთვის, ემესაშივე აგებულ ეკლესიაში, მოგვიანებით კი კონსტანტინოპოლში გადააბრძანეს.

ჩემი ვარაუდით, სადიაკვნეს განსახილველი სიუჟეტი წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის პოვნის სწორედ ამ ამბავს გადმოსცემს. ფრესკაზე გამოსახული, ფეხზე მდგომი ბერი, სახარებით ხელში, არქიმანდრიტი მარკელია, დანარჩენი ორი ბერი კი მონასტრის რიგითი მოწესეა.

ამ კომპოზიციას მარჯვენა მხრიდან საინტერესო სიუჟეტი მოსდევს, რომელიც შ. ამირანაშვილისა და გ. აბრამიშვილისთვის უცნობი იყო, რადგან მხოლოდ 2001 წლის ოქტომბერში, გარეჯის უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნეს ფრესკულ გამოსახულებათა ახალი გრაფიკული ასლების გადმოღების შემდეგ გახდა საცნაური: ის ასახავს დიაკონალურად დახრილ, მისადგმელ კიბეზე ამავალ ბერს ზურგზე მოკიდებული კალათით ან რაიმე სხვა ჭურჭლით, რომლიდანაც ადამიანის თავი ჩანს. ეს სიუჟეტი ზ. სხირტლაძე – ე. ისტმონდის ერთობლივ სტატიაში განმარტებულია, როგორც ბერის მიერ, ზურგზე მოკიდებული კალათით მოწესის გადაყვანა⁴, თუმცა შეუძლებელია, რომ ამ მოკრძალებული ზომის კალათში ზრდასრული მამაკაცი ისე ჩატეულიყო, რომ ხილული მხოლოდ მისი თავი დარჩენილიყო. საყურადღებოა, რომ განსახილველი სიუჟეტი „წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის პოვნის“ მიჯრით, შუალედის გარეშე გამოსახული, რაც ამ ორ კომპოზიციაში ასახული ამბების ურთიერთკავშირზე უნდა მიუთითებდეს. ჩემი აზრით, განსახილველი სიუჟეტი წინა სიუჟეტით დაწყებულ თხრობას აგრძელებს და ბერების მიერ ნაპოვნი სიწმიდის სპელაიონის მონასტერში გადაბრძანების ამბავს ასახავს. როგორც უკვე აღვნიშნე, Σπυλαίου ქართულად გამოქვაბულს ნიშნავს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ემესის სავანე ქვაბოვანი მონასტერი იყო. ამ ტიპის მონასტრებში კი, ბერების დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით, ქვაბები ხშირად მიუდგომელია და მათში ასახველად კიბის ან ბაგირის გამოყენებაა საჭირო. ჩემი ვერსიით, სიუჟეტში გამოსახულ ბერს ზურგზე არქიმანდრიტ მარკელის მიერ ნაპოვნი „სარქუანი“ აქვს მოკიდებული, რომელშიც წმ. იოანე ნათლისმცემლის თავია დაბრძანებული. ის, რომ მოკვეთილ თავს თვალები გახელილი აქვს, ჩემ ვერსიას არ ეწინააღმდეგება, რადგან ქრისტიანული ხელოვნების ნიმუშებში წმ. იოანე ნათლისმცემლის მოკვეთილი თავი ხან თვალდახუჭული, ნახევრად თვალდახუჭული, ხანაც თვალგახელილი გამოისახებოდა⁵. IV საუკუნის ეგვიპტელი ეპისკოპოსის, სერაპიონის აპოკრიფული თხზულების „იოანე ნათლისმცემლის ცხოვრების“ თანახმად, წმ. იოანეს მოკვეთილი თავი თვალგახელილი იყო:

¹ 2003 წლის საქართველოს საეკლესიო კალენდარი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წმ. მეფე დავით აღმაშენებლის ტაძრის გამოცემა, *გიორგი მთაწმინდელი, 24 თებერვლის საკითხავი* (თბილისი, 2003), გვ. 44; *Жития Святых, изложенные по руководству Четырех-Миней Святого Димитрия Ростовского с дополнениями, объяснительными примечаниями и изображениями святых*, Месяц февраль, Переиздание с изд. 1904 г. (1997).

² *Acta Sanctorum*, Editio novissima, edited by Joanne Carnandet, vol. IV, (Paris 1863), pp. 724-728.

³ *Theophanis Chronographia (Greek text)*, ed. by Carolus de Boor, vol. I, (New York, 1883), p. 431; *The Chronicle of Theophanes Confessor: Byzantine and Near Eastern History, AD 284-813*, Translated with introduction and commentary by Cyril Mango and Roger Scott, with the assistance of Geoffrey Greatrex (New York, 1997), p. 596.

⁴ ზ. სხირტლაძე, ე. ისტმონდი, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

⁵ *Decapitation and Sacrifice: Saint John's Head in Interdisciplinary Perspectives*. Edited by S. Rochmes and B. Baert. Peeters (Leuven, 2017).

„როცა მისი თავი ჰეროდის მიუტანეს, წმიდა იოანეს თვალები გახელილი ჰქონდა და მის ყურებს ისევე კარგად ესმოდათ, როგორც იმ დროს, როცა იგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო“¹.

ხ. სხირტლაძე თავის ახალ ნაშრომში მომდევნო სიუჟეტს, გ. აბრამიშვილის მსგავსად, წმ. დავით გარეჯელის მიერ იერუსალიმის მოლოცვის სცენად მოიაზრებს, ერთი განსხვავებით: თუ გ. აბრამიშვილი ეკლესიის ნაგებობის მარჯვნივ მდგომ ორ პირს იერუსალიმის პატრიარქ ელიას მიერ წმ. დავითისთვის დადევნებულ მალემსრობებად აღიქვამს², ხ. სხირტლაძისთვის ამ ორიდან ერთი თავად პატრიარქი ელიაა³. ხ. სხირტლაძის ინტერპრეტაციას ვერ გავიზიარებ, რადგან „ცხოვრების“ თანხმად, წმ. დავით გარეჯელი პატრიარქ ელიას საერთოდ არ შეხვედრია. როცა პატრიარქ ელიას მიერ წმ. დავითისთვის დადევნებულმა მალემსრობებმა ამ უკანასკნელს ამცნეს, რომ პატრიარქი მას იერუსალიმში იხმობდა, წმ. დავითმა წმიდა ქალაქში შესვლაზე კვლავ უარი თქვა: „ხოლო კაცთა მათ მალემსრობლთა აიძულეს წმიდასა დავითს უკუნქცევად იურუსალჴმს, ვითარცა ემცნო პატრიარქსა. ხოლო იგი არა ერჩდა მათ, და ანბორუყვეს და განუტევეს იგი.“⁴ ამ რეალობასთან წინააღმდეგობაში მოდის ის, რასაც ხ. სხირტლაძე განსახილველ სიუჟეტში ხედავს: მისი აზრით, კვერთხიანი სამღვდლო პირი, რომელიც მკვეთრი მოძრაობით წმ. დავით გარეჯელისკენ მიემართება (წმ. დავითის მადლის მთიდან აღებული სამი ქვა, ზურგზე მოკიდებული მახალაკით ევლოლიად მიაქვს), იერუსალიმის პატრიარქი ელიაა. წმ. დავით გარეჯელის „ცხოვრებიდან“ აღებული ტექსტის ზემორე ფრაგმენტის გათვალისწინებით, ხ. სხირტლაძის ინტერპრეტაცია საფუძველს მოკლებულია.

ჩემი აზრით, განსახილველი სიუჟეტი წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის კონსტანტინოპოლში გადატანის ამბავს ასახავს. თავი მახალაკში დევს, რომელიც კონსტანტინოპოლის (საიმპერატორო ქალაქი განსახილველ სიუჟეტში, პირობითად, ეკლესიის ნაგებობის სახითაა გადმოცემული) კარიბჭესთან მდგომ სამღვდლო პირს ზურგზე აქვს მოკიდებული. კონსტანტინოპოლის სამღვდლოება სიხარულით ეგებება ამ დიდი სიწმიდის ქალაქში შებრძანებას.

როგორია წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის პოვნის ამბის ამსახველი გამოსახულებისა და სადიაკვნეს დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლების „არქაული ჯგუფის“ სხვა გამოსახულებათა ურთიერთმიმართება? ზოგადად, მონუმენტურ მხატვრობაში წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის პოვნის სიუჟეტი გვხვდება როგორც დამოუკიდებლად, თავის პოვნის დღესასწაულის ილუსტრაციის სახით, რომელიც კედლის კალენდარშია ჩართული (მაგალითად, სტარო ნაგორინანეს წმ. გიორგის (მაკედონია; მოხატვა 1317-1318 წწ-ში დასრულდა), გრაჩანიცას (სერბეთი, 1321-1322 წწ.), დეჩანის პანტოკრატორის (კოსოვო; მოხატვა 1350 წელს დასრულდა) და კოზიას (რუმინეთი; მოხატვა 1390-1391 წწ-ში) ეკლესიები), ისე წმიდანის ცხოვრების ციკლის სხვა სცენებთან ერთად, როგორც „თხრობის“ დამასრულებელი ამბავი (დიდი ნოველორდის წმ. ანტონის მონასტრის ღვთისმშობლის შობის ტაძრის სადიაკვნეს პირვანდელი მოხატულობა (1125 წ.), ვოლოგდის კრემლის წმ. სოფიის ტაძრის სადიაკვნესა (1568-1570 წწ.), იაროსლავის წმ. იოანე ნათლისმცემლის ტაძრის (1694-1695 წწ.) მოხატულობები და სხვ.).

არ არის აუცილებელი, რათა უდაბნოს მთავარი ეკლესიის სადიაკვნეში გამოსახული ყველა სიუჟეტი მაინცდამაინც ერთი ამბის თხრობის შემადგენელი ნაწილი იყოს, მით უფრო, რომ თავის პოვნისა და სხვა კომპოზიციებში გამოსახულ ცენტრალურ ფიგურებს განსხვავებული თავსაბურავები ჰხურავთ და კაბები აცვიათ. ამ განსხვავებების არსებობას გ. აბრამიშვილიც აღნიშნავდა, თუმცა მიუხედავად ამისა მაინც მიაჩნდა, რომ ყველა სიუჟეტში წმ. დავითი იყო გამოსახული: ერთში – ყოველდღიურ შესამოსელში გამოწყობილი, სხვაში – სამოგზაურო, საღარიბო ჩოხაში შემოსილი⁵. რაც შეეხება ამ სიუჟეტების ერთმანეთისაგან ჩარჩოთი გაუმიჯნაობას, ეს, ჩემი აზრით, შესაბამისი ეპოქის ფერწერული ხერხია, რისი მაგალითები გარეჯის მრავალმთის რიგი ეკლესიებისა და სამლოცველოების მოხატულობაში გვხვდება⁶. სადიაკვნეს

¹ Slavomir Čeplo, The Life of John the Baptist by Serapion. In: *New Testament Apocrypha*, v.1. Edited by Tony Burke and Brent Landau (Michigan, 2016), pp. 268-292.

² გ. აბრამიშვილი, *დავით გარეჯელის ციკლი...*, გვ. 57.

³ Z. Skhirtladze, The Stone of Grace in the Gareja Desert, Georgia. In: *Natural Materials of the Holy Land and the Visual Translation of Place, 500-1500*. Edited by R. Bartal, N. Bodner and B. Kühnel. Routledge (Abingdon, 2017), p. 98. ხ. სხირტლაძე თავისი ამ მოსაზრების შესამაგრებლად შემდეგს წერს: „ფიგურის თავის გასწვრივ, კომპოზიციის მარჯვენა კიდის მახლობლად გამავალი მაღალი კედლის ზედა ნაწილში, ძველი ქართული ასომთავრულით შესრულებული ერთსტრიქონიანი წარწერის ფრაგმენტი. გრაფიკების ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტები იმის ვარაუდის შესაძლებლობას იძლევა, რომ აქ ელია წერია.“

⁴ *ცხოვრება...*, დასახ. ნაშრომი, გვ. 239.

⁵ გ. აბრამიშვილი, *დავით გარეჯელის ციკლი...*, გვ. 53.

⁶ მაგალითისთვის იხ. ლ. მირიანაშვილი, გარეჯის ადრეული მონასტრიზმი და ჩინიტიურის ზოსიმე-პიმენის კერძო სამლოცველოს მოხატულობა, როგორც ბერული ცხოვრების არსის ანარეკლი, *Analecta Iberica (ისტორიის, რელიგიისა*

დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებზე მოცემული „არქაული ჯგუფის“ დანარჩენი სიუჟეტების რაობისა და ურთიერთმიმართების დადგენა სამომავლო კვლევის ამოცანაა. ერთი რამ კი უნდა აღინიშნოს: ბიზანტიურ ხელოვნებაში, თავდაპირველად, კერძოდ X-XI სს-ში, წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის მესამედ პოვნის იკონოგრაფია ჩამოყალიბდა (როცა სიწმიდეს ორი საერო პირი თხრის). ჩვენამდე მოღწეული ნიმუშებიდან ერთ-ერთი უძველესია მინიატურა ბასილი II-ის მენოლოგიიდან. როგორც ცნობილია, ამ ხელნაწერს გალექსილი ანდერძი-მიძღვნა ახლავს, რომელიც ხელნაწერს 979-989 წლებით ათარიღებს. XI საუკუნეში, არსებული სქემის საფუძველზე, წმ. იოანეს თავის პირველად და მეორედ პოვნის იკონოგრაფია განვითარდა¹. ამ ნიშნით, უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთი სადიაკვნეს „არქაული ჯგუფის“ გამოსახულებები არაუადრეს XI საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს შესრულებული. ამგვარი დათარიღებით მოიხსენება ის ალოგიკურობა, რომლის მიხედვით უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის ნავი მხოლოდ მას შემდეგ მოხატეს (XI საუკუნის დასაწყისში), როცა ამავე ეკლესიის ჩრდილოეთი სადიაკვნეს მოხატვა დაასრულეს (დღეისათვის არსებული მოსაზრებით – X საუკუნეში). სავარაუდოა, რომ სადიაკვნეცა და ნავიც, მცირე შუალედით, XI საუკუნის დასაწყისშია მოხატული.

დასკვნის სახით შემიძლია აღვნიშნო, რომ წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების ამსახველი ფრესკული ციკლის არსებობა უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნეში არ დასტურდება. სიუჟეტები წმ. დავითის „ცხოვრებიდან“, იმთავითვე, მხოლოდ ამ ეკლესიის ნავში, ისიც მხოლოდ ჩრდილოეთ კედელზე გამოსახეს. მთავარ ეკლესიაში განსათავსებლად წმ. დავითის ცხოვრების სამი ისეთი სიუჟეტი შეარჩიეს, რომლებიც წმ. დავითის მიერ მოხდენილ სასწაულებს ასახავს. სამივე გამოსახულებამ ჩვენამდე მოაღწია. წმ. დავითის მიერ აღვლენილი სასწაულია გამოსახული ე.წ. უდაბნოს ორმოც მოწამეთა ეკლესიასა და ლავრის წმ. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის შემორჩენილ კედელზე. გარეჯის მონასტრებში წმ. დავითის „ცხოვრებიდან“ ნახესხები სულ ოთხი სიუჟეტი გვხვდება, რომლებიდანაც ერთი („ირმების წველა“) სამჯერ მეორდება. ეს გამოსახულებებია: ბუბაქარის ხელის განხმობის სასწაული (ორმოცი მოწამის ეკლესია-სამარტვილეში, XI ს.), გარეული ირმების წველა, ირმების ჩივილი და ვეშაპის განდევნა (უდაბნოს მონასტრის მთავარ ეკლესიაში, XI ს-ის დასაწყისი), ირმების წველა (ბერთუბნის მონასტრის სატრაპეზოში, XIII ს-ის დასაწყისი) და კვლავ, ირმების წველა (წმ. დავითის ლავრის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიაში, XVII ს.).

უდაბნოს მონასტერში წმ. დავითის კიდევ სამი გამოსახულება იხილვება, ოღონდ ისინი სასწაულის აღვლენას არ უკავშირდება: ორი – სატრაპეზოში და ერთიც – ე.წ. ბატისთავებიანი ქვაბთა ჯგუფის სამხრეთი ქვაბის ჩრდილოეთ კედელზე. სამივე გამოსახულებას წმიდანის ხატის ფუნქცია აკისრია.

ეჭვგარეშეა, რომ წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის პოვნის, ისევე როგორც წმ. ელია წინასწარმეტყველის ამადლების სიუჟეტების ჩართვას უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნეს მოხატულობის პროგრამაში გარკვეული მიზანი ჰქონდა. ზოგადად, ცნობილია ბერ-მონაზონთა განსაკუთრებული მოწიწება ამ ორი კონკრეტული წმიდანის მიმართ. მონასტრის მოწვევებისათვის წმ. ელია წინასწარმეტყველისა და წმ. იოანე ნათლისმცემლის ასკეტური ცხოვრების წესი სამაგალითო და მისაბაძი იყო. ამასთან ერთად, კვლევები აჩვენებს, რომ შუა ბიზანტიურ პერიოდში (843-1261 წწ.) არსებობდა სადიაკვნეების წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელზე კურთხევისა და ამ წმიდანის ცხოვრების სიუჟეტებით შემკობის ტრადიცია, რასაც სტუდიის მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნეში წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის დაბრძანებას უკავშირებენ²: წმიდა თავი ნახსენებ სადიაკვნეში IX საუკუნეში, პატიოსანი თავის მესამედ პოვნის შემდეგ დააბრძანეს. მხედველობაშია მისაღები, რომ წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის პოვნისადმი მიძღვნილი ჰომილიების ავტორები (მაგალითად, თეოდორე სტუდიელი) ამ მოვლენასა და ქრისტეს აღდგომას შორის პარალელს ავლებდნენ³. ყოველივე ამასთან ერთად, ჩემი აზრით, უდაბნოს მონასტრის მთავარ ეკლესიაში წმ. იოანესა და წმ. ელიას გამოსახულებების მოხმობა, პირველ რიგში, ჩრდილოეთი სადიაკვნეს დანიშნულებასთან უნდა იყოს კავშირში. ამ კონკრეტულ სივრცეში სამი ადრეული სიუჟეტია გამოსახული: ვედრება (საკურთხეველის

და კულტურის საკითხები), ტ. I: აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის კლდის ძეგლები, თ. ჯოჯუასა და ლ. მირიანაშვილის რედაქციით (თბილისი, 2001), გვ. 234.

¹ Православная энциклопедия, т. 24, *Иоанн Предтеча*, стр. 528-577. <http://www.pravenc.ru/text/471450.html> (ნანახია 2014 წლის 24 თებერვალს).

² Walter Ch., *Art and ritual of the Byzantine Church* (London, 1982), p. 183.

³ Khalek N., *Damascus after the Muslim Conquest: Text and Image in Early Islam* (New York, 2011), p. 109.

აფსიდში), წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის პოვნა და წმ. ელიას ამადლება¹. საყოველთაოდ არის მიღებული, რომ ვედრება ესქატოლოგიური მოლოდინის მატარებელი სიუჟეტია. ესქატოლოგიურ ჭრილში განიხილება დანარჩენი ორი გამოსახულებაც: ძველი აღთქმის წიგნების თანახმად, იოანე ნათლისმცემელი და ელია წინასწარმეტყველი იქნებიან მაცხოვრის მეორედ მოსვლის მაუწყებელი და მისი წინამორბედი. წმ. იოანე ნათლისმცემლის ეს მისია ესაიას წინასწარმეტყველებაშია განსაზღვრული: „ხმაა მდალადებისა უდაბნოში: გაამზადეთ უფლის გზა, მოასწორეთ ტრამაღზე სავალი ჩვენი ღვთისათვის“ (ესაია 40:3). წმ. იოანეს წინამორბედობაზე თავად ქრისტეც საუბრობს: „ეს არის იგი, ვისთვისაც დაიწერა: აჰა, მე ვგზავნი ჩემს ანგელოს შენს წინაშე, რომელიც განამზადებს შენს გზას შენსავე წინაშე. რადგანაც გუჟუნებით თქვენ: დედისაგან შობილი არც ერთი წინასწარმეტყველი არ აღმატებია იოანეს; ხოლო ღმრთის სასუფეველში უმცირესიც მასზე უმეტესია“ (ლუკა 7:27-28). წმ. ელიას მისიაზე მალაქიას წინასწარმეტყველებაშია საუბარი: „აჰა, მოგივლენთ ელია წინასწარმეტყველს უფლის დღის, დიდის და საშინელის დადგომამდე. ის შეარიგებს მამების გულს შვილების გულთან და შვილების გულს მამების გულთან, რომ ჩემი მოსვლისას ქვეყანა შეჩვენებით არ შევმუსრო“ (მალაქია 3:23-24). წმ. ელიას წინამორბედობაზეა საუბარი სახარებაშიც: „და ჰკითხეს მას: რატომ ამბობენ მწიგნობარნი, პირველად ელია უნდა მოვიდესო? ხოლო მან [ქრისტემ] პასუხად თქვა: მართალია, პირველად ელია უნდა მოვიდეს და აღადგინოს ყოველი“ (მარკოზი 9:11-12). ჩრდილოეთი სადიაკნეს ესქატოლოგიურ ჭრილში გააზრებული ფუნქცია მოხატულობის განახლების შემდეგ არა მხოლოდ შენარჩუნდა, არამედ უფრო მეტად გამოკვეთილიც კი გახდა. კერძოდ, ვედრებას ტეტრამორფები დაემატა; გაჩნდა ახალი სიმბოლოები: „საყდარი განმზადებული“ – სადიაკნეს ჭერის აღმოსავლეთ ნაწილში („ხოლო უფალი იარსებებს უკუნისამდე. მან მოამზადა სამართლისთვის თავისი ტახტი“ (ფსალმ. 9:8); „და, აჰა, იდგა ტახტი ცაში“ (გამოცხადება 4:2), ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ფონზე გამოსახული ჯვრის ამადლება, მის ირგვლივ ოთხი მახარებლის ნახევარფიგურები და წარწერა: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს [უფალი საბათო]“ (გამოცხადება 4:8) – ჭერის დასავლეთ ნაწილში, და ფერისცვალება – სამხრეთ კედელზე. ეკლესიის მამები, კერძოდ იოანე დამასკელი და იოანე ოქროპირი, ფერისცვალებას ქრისტეს მეორედ მოსვლის ნიშნად მიიჩნევდნენ².

ხემორეს გათვალისწინებით ვვარაუდობ, რომ უდაბნოს მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთ სადიაკნეს, ისევე როგორც გარეჯის მრავალმთის სხვა მონასტრების მთავარი ეკლესიების ჩრდილოეთ სათავსებს, მემორიალური დანიშნულება ჰქონდა. ანალოგიურ დასკვნამდე ჩემს ერთ-ერთ ადრეულ გამოკვლევაშიც მივედი, ოღონდ სრულიად განსხვავებული მსჯელობის საფუძველზე³.

საყურადღებოა, რომ ჩრდილოეთი სადიაკნეს მოხატულობის პირველი ფენის აპოკალიფსური შინაარსის მატარებელი სიუჟეტებისა და ეკლესიის ნაგის მოხატულობის (განკითხვის დღე დასავლეთ კედელზე) შესრულების დრო პირველი და მეორე ათასწლეულების გასაყარს ემთხვევა, რაც ქრისტიანულ სამყაროში მეორედ მოსვლის მოლოდინს უკავშირდებოდა. ამგვარი მოლოდინი იოანეს გამოცხადებაში რიცხვი ათასის ხსენებამ განაპირობა: „და შეიპყრო [ანგელოზმა] ურჩხული, გველი დასაბამისა, რომელიც არის ეშმაკი და სატანა, და შეკრა იგი ათასი წლით. და ჩააგდო იგი უფსკრულში, და დახშა კარი, რათა ვეღარ აცთუნებდეს ხალხებს, ვიდრე არ გასრულდება ათასი წელი; ხოლო შემდგომ ამისა თავს დაიხსნის მცირედი ხნით“ (გამოცხადება 20, 2-3). „ცხონდნენ და სუფევდნენ ქრისტესთან ერთად ათას წელს. ხოლო დანარჩენი მკვდარნი არა ცხონდნენ, ვიდრე ათასი წლის გასრულებამდე; ეს არის აღდგომა პირველი“ (გამოცხადება 20, 4-5). X საუკუნის ბოლოს – XI საუკუნის დასაწყისში მეორედ მოსვლის მოლოდინი ყველაზე მეტად ევროპაში იყო გამძაფრებული. ამაზე ჩვენამდე მოღწეული ეპისტოლარული მემკვიდრეობა მიგვანიშნებს⁴. სავარაუდოა, რომ აპოკალიფსური მოვლენების მოლოდინისგან განზე არც საქართველო დარჩენილა. ეს მოლოდინი არა მხოლოდ გარეჯის მრავალმთის მონასტრების ეკლესიათა მოხატულობებში აისახა, არამედ, ჩემი აზრით, მან გავლენა ქართველ სასულიერო მოღვაწეთა ნააზრევზეც მოახდინა: შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ სწორედ X საუკუნის მოღვაწემ, იოანე-ზოსიმემ შექმნა „ქება და ღიღება ქართულისა ენისა“, რომელშიც ყურადღება გაამახვილა უფლის მეორედ მოსვლის მოლოდინსა და იმ მისიაზე, რომელიც ქართულ ენას განკითხვის დღეს დაეკისრება.

¹ შ. ამირანაშვილისა და გ. აბრამიშვილის აზრით, წმ. ელიას ამადლების გამოსახულება სადიაკნეს მოხატულობის პირველ ფენას მიეკუთვნება. იხ. Amiranashvili Sh., დასახ. ნაშრომი, გვ. 45; გ. აბრამიშვილი, *დავით გარეჯელის ციკლი...*, გვ. 22.


² Ross L., *Medieval Art: A Topical Dictionary* (Westport, 1996), p.248.

³ ლ. მირიანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 186.


⁴ Landes R., Gow A., David C. Van Meter, *The Apocalyptic Year 1000: Religious Expectation and Social Change, 950-1050* (New York, 2003).

ბიბლიოგრაფია


1. გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის რელიეფი (დავით გარეჯელის ცხოვრების სიუჟეტი), *საბჭოთა ხელოვნება*, 9 (თბილისი, 1965).
2. გ. აბრამიშვილი, *დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში* (თბილისი, 1972).
3. *დავითგარეჯის მონასტრები: ლავრა, უდაბნო, გამოსაცემად მოამზადეს მ. ბულიამ და დ. თუმანიშვილმა* (თბილისი, 2008).
4. *მამათა ცხორებანი (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა)*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვ. იმნაიშვილმა (თბილისი, 1975).
5. ლ. მირიანაშვილი, გარეჯის ადრეული მონასტიციზმი და ჩიხიტიურის ზოსიმე-პიმენის კერძო სამლოცველოს მოხატულობა, როგორც ბერული ცხოვრების არსის ანარეკლი, *Analecta Iberica (ისტორიის, რელიგიისა და კულტურის საკითხები)*, ტ. I: *აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის კედლის ძეგლები*, თ. ჯოჯუასა და ლ. მირიანაშვილის რედაქციით (თბილისი, 2001).
6. *2003 წლის საქართველოს საეკლესიო კალენდარი*, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წმ. მეფე დავით აღმაშენებლის ტაძრის გამოცემა (თბილისი, 2003).
7. ხ. სხირტლაძე, ე. ისტომონდი, წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების ციკლი უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნეს მოხატულობაში: ახალი მონაცემები და დაკვირვებები, *საქართველოს სიძველენი*, 2 (თბილისი, 2002).
8. ცხორება და მოქალაქეობა წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისაჲ, *ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წიგნი I (თბილისი, 1963).
9. Амиранашвили Ш., *История грузинской монументальной живописи*, т. 1 (Тбилиси, 1957).
10. Вирсаладзе Т., К вопросу о датировке первоначальной росписи северного придела главного храма монастыря Удабно в Давид-Гаредже, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე* № 6 (1968).
11. Гильгендорф И., *Фреска открывает тайну* (Тбилиси, 1982).
12. *Жития Святых, изложенные по руководству Четырех-Миней Святителя Димитрия Ростовского с дополнениями, объяснительными примечаниями и изображениями святых*, Месяц февраль, Переиздание с изд. 1904 г. (1997).
13. Православная энциклопедия, *Иоанн Предтеча*, <http://www.pravenc.ru/text/471450.html>
14. *Acta Sanctorum*, Editio novissima, edited by Joanne Carnandet, vol. IV, (Paris, 1863), pp. 724-728.
15. Akyürek E., Fourth to Eleventh Centuries Byzantine Cappadocia, In: *Cappadocia*, edited by Metin Sözen (Istanbul, 1998).
16. Cépłó S., The Life of John the Baptist by Serapion. In: *New Testament Apocrypha*, v.1. Edited by Tony Burke and Brent Landau (Michigan, 2016),
17. Khalek N., *Damascus after the Muslim Conquest: Text and Image in Early Islam* (New York, 2011).
18. Landes R., Gow A., David C. Van Meter, *The Apocalyptic Year 1000: Religious Expectation and Social Change, 950-1050* (New York, 2003).
19. Rochmes S. and Baert B. (Editors), *Decapitation and Sacrifice: Saint John's Head in Interdisciplinary Perspectives* (Leuven, 2017).
20. Ross L., *Medieval Art: A Topical Dictionary* (Westport, 1996).
21. Skhirtladze Z., The Stone of Grace in the Gareja Desert, Georgia. In: *Natural Materials of the Holy Land and the Visual Translation of Place, 500-1500*. Edited by R. Bartał, N. Bodner and B. Kühnel (Abingdon, 2017).
22. *Theophanis Chronographia* (Greek text), ed. by Carolus de Boor, vol. I, (New York, 1883).
23. *The Chronicle of Theophanes Confessor: Byzantine and Near Eastern History, AD 284-813*, Translated with introduction and commentary by Cyril Mango and Roger Scott, with the assistance of Geoffrey Greatrex (New York, 1997).
24. Walter Ch., *Art and ritual of the Byzantine Church* (London, 1982).



სურ. 1. გარეჯის უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთი სადიაკვნეს ფრესკის გრაფიკული მონახაზი. გ. აბრამიშვილის მიხედვით




სურ. 2. ფრესკის დეტალის ფოტო



სურ. 3. ფრესკის დეტალის გრაფიკული მონახაზი



სურ. 4. იოანე ნათლისმცემლის თავის მესამედ პოვნა. დიონისიუს ლექციონარი, ათონი, 1059 წ., Cod. 587 (740), გვ. 148



სურ. 5 და 6. იოანე ნათლისმცემლის თავის პირველად და მეორედ (მარცხნივ) და მესამედ (მარჯვნივ) პოვნა. სტროგანოვსკის ხატუწერის ნიმუშების ალბომის მიხედვით (XVI ს-ის პოლო - XVII ს-ის დასაწყისი)

SCENES OF AN “ARCHAIC GROUP” OF MURALS IN THE NORTH CHAPEL OF THE MAIN CHURCH OF UDABNO MONASTERY IN GAREJI RECONSIDERED

The article deals with the “archaic group” of the palimpsest wall paintings in the north chapel of the main cave church of Udabno Monastery in Gareji. In the inscription found on the west wall of the chapel, which narrates that the walls were overpainted, the chapel proper is mentioned as a diaconicon. The “archaic” murals reappeared after a thin coat of plaster on top of them had extensively chipped off. The first layer murals on the west and north walls were considered to be the earliest narrative program in monumental painting depicting the life of St. Davit of Gareji (X c.).

The program under consideration does not show correlation with the corresponding hagiographic text. To mend the problem, it was even suggested that there existed an extended, lost version of the “Life of St. Davit”, used as a model for the wall paintings. Apart from that, there are some other reasons to doubt correspondence between the mural narrative and the Life of St. Davit; e.g. a figure identified with St. Davit in the “archaic group” of paintings has a short beard, whereas according to the traditional iconography of the saint he must be depicted with a long and pointed beard; It is considered that the Vita program starts in the north chapel and continues in the nave, though correctness of this is questioned due to inconsistent use of the symbol of holiness in these two spaces: figures identified with Sts. Davit and Lucian in the north chapel are nimbleless, whereas figures of the same saints in the nave are depicted with nimbs, etc.

A close examination of one of the murals with the digging monks, which prior to me was identified as “Sts. Davit and Lucian striking water from the rock”, has revealed contours of a pot at the blade of a spade (My predecessors perceived these lines as water ripples). The pot is identical to the one depicted in the miniature from the Dionysiou Lectionary (cod. 587 (740), folio 148). The mural was identified by me as the Second Finding of the Head of St. John the Baptist by Archimandrite Marcellus of the monastery in Emesa. The next scene showing a monk carrying the pot with head of St. John on his back was identified as taking the holy head to Spelaion (Σπηλαίου) Monastery, the account mentioned in the Chronicle of Theophanes Confessor, and the last one – transferring the holy head to Constantinople.

Based on the above-mentioned considerations and a new finding, existence of the scenes from the life narrative of St. Davit in the north chapel has been rejected.

Three scenes from the first-layer murals, namely Deesis in the apse, Second Finding of the Head of St. John the Baptist, and Ascension of St. Elijah, both on the north wall, point to an eschatological expectation of the Second Coming: apart from the fact that the Deesis has an eschatological content, St. Elijah and St. John the Baptist are considered the precursors of Christ's Second Coming. The second layer paintings on the ceiling (Hetoimasia and Exaltation of the Cross, surrounded by roundels of the four Evangelists against the background of the starry sky, and inscribed with a phrase from the Revelation 4:8: Holy, holy, holy, Lord God of Sabaoth”) enhance the eschatological context. Thanks to this feature I drew conclusion that the funerary overtone may have been important in the function of the north chapel of the main church of Udabno Monastery (as well as in other monasteries of Gareji). Most probably, commemorative rituals for the deceased were performed in the north chapel.

**გარლამ დონდუასადმი მიძღვნილი
სამეცნიერო კონფერენციის მასალები**

შალვა გლოველი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ხელნაწერები პროფესორ გარლამ დონდუას არქივიდან

2006 წელს უკვე ვმუშაობდი ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, როდესაც პარალელურად დავიწყე მუშაობა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშიც (დღეს - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი). ამასთან დაკავშირებით, ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა გაიხსენეს, თუ როგორ აგროვებდა ხელნაწერებს ხელნაწერთა ინსტიტუტის დამაარსებელი და მისი პირველი დირექტორი ილია აბულაძე, როგორ დადიოდა ის ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, თავად ეძებდა წიგნად ფონდებში ხელნაწერებს და მიჰქონდა ისინი ხელნაწერთა ინსტიტუტში. ამ საკითხით თავიდანვე დაინტერესდი და ხელნაწერთა ინსტიტუტში მუშაობის დაწყების შემდეგ სხვადასხვა ინსტიტუტებიდან ხელნაწერთა ინსტიტუტისათვის გადაცემული ხელნაწერების შესახებ გარკვეული კვლევაც კი ჩავატარე. 2012 წლის ნოემბერში ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ჩატარდა ილია აბულაძისადმი მიძღვნილი II სამეცნიერო კონფერენცია. ჩემი მოხსენება „ილია აბულაძე და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ახალი (Q) კოლექცია“ ეხებოდა სწორედ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერი კოლექციების შევსებაში ილია აბულაძის წვლილს¹. მოხსენების დროს, ბუნებრივია, ვისაუბრე ისტორიის ინსტიტუტიდან ხელნაწერთა ინსტიტუტში გადატანილი ხელნაწერების, მათ შორის პროფესორ ვარლამ დონდუას კუთვნილი ერთეულების შესახებაც (ამ ფაქტთან დაკავშირებით მასალა მოვიძიე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში).

კონფერენციის დასრულებისთანავე პროფესორმა თემო ჯოჯუამ მომაწოდა ინფორმაცია, რომ 1971 წელს პროფესორმა თინათინ ენუქიძემ გამოაქვეყნა სტატია „პროფესორ ვარლამ დონდუას არქივში დაცული ძველი ქართული ხელნაწერები და საბუთები“². რამდენიმე დღის

¹ შ. გლოველი, *ილია აბულაძე და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ახალი (Q) კოლექცია*, მოხსენება წაკითხული ილია აბულაძისადმი მიძღვნილ II სამეცნიერო კონფერენციაზე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 26-27 ნოემბერი, 2012 წ.

² თ. ენუქიძე, პროფესორ ვარლამ დონდუას არქივში დაცული ძველი ქართული ხელნაწერები და საბუთები, *მაცნე*, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1 (თბილისი, 1971); აქვე აღსანიშნავია, რომ ისტორიის ინსტიტუტის შენობა 1981-2016 წლებში მდებარეობდა ქალაქ თბილისში, მედიკიშვილის ქუჩა №10-ში. ამ შენობაში 2006 წლამდე ფუნქციონირებდა ვარლამ დონდუას სახელობის კაბინეტი (2006 წლიდან კაბინეტი ასრულებდა სამკითხველო დარბაზის ფუნქციას). აქვე ინახებოდა მისი სახელობის წიგნადი ფონდი (ბიბლიოთეკა), რომელიც თავად ვარლამ დონდუას სურვილით, გარდაცვალების შემდეგ, გადაეცა ისტორიის ინსტიტუტს. ვარლამ დონდუას არქივის შესახებ ინსტიტუტში არაფერი არ იყო ცნობილი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საბუთებში როდესაც ამოვიკითხე, რომ რამდენიმე ხელნაწერი გადაეცა ხელნაწერთა ინსტიტუტს ისტორიის ინსტიტუტის ვარლამ დონდუას არქივიდან, ჩაეთვაღე, რომ ვარლამ დონდუას ბიბლიოთეკაზე იყო საუბარი და ეს ფონდი იყო ვარლამ დონდუას არქივად მიჩნეული; ვივარაუდე, რომ ამ წიგნად ფონდში ინახებოდა ხელნაწერი ერთეულებიც და აქედან გადაეცა ისინი ხელნაწერთა ინსტიტუტს (როდესაც ამ თემაზე ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში პროფესორ ვარლამ დონდუასადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე „საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხები – უახლესი კვლევები, უახლესი შედეგები“ წაკითხე მოხსენება, ის ამიტომაც დავასათაურე შემდეგნაირად: „ხელნაწერები პროფესორ ვარლამ დონდუას საბიბლიოთეკო ფონდიდან“ და არა „...ვარლამ დონდუას არქივიდან“). როდესაც გავეცანი თინათინ ენუქიძის აღნიშნულ ნაშრომს, რომელშიც ავტორი ფაქტობრივად აღწერს პროფესორ ვარლამ დონდუას არქივს, დავრწმუნდი, რომ აღნიშნული არქივი მართლაც არსებობდა ისტორიის ინსტიტუტში, მაგრამ მაინც გაურკვეველი რჩებოდა, დაიკარგა თუ შეუერთდა რომელიმე სხვა არქივს. 2016 წლის ზაფხულში, როცა ისტორიის ინსტიტუტი გადადიოდა ახალ შენობაში (უნივერსიტეტის ქუჩაზე), დაიცავდა ვარლამ დონდუას სახელობის ყოფილი კაბინეტიც. ამ პროცესში, სრულიად შემთხვევით, გაიღო კაბინეტიდან მეორე ოთახში გასასვლელი კარი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იყო ჩალურსმული და გაუქმებული. თავიდან რომელ ოთახშიც გადიოდა ეს კარი, იმ ოთახში კარის ადგილი იყო ამოშენებული და კედელი შეღესილი. აქამდე უმოქმედო კარის გაღების შემდეგ სწორედ ამ კედელსა და კარს შორის ნიშაში აღმოჩნდა ვიწრო თაროები და სწორედ ამ თაროებზე იყო მოთავსებული პროფესორ ვარლამ დონდუას საარქივო მასალები. როგორც ჩანს, ვარლამ დონდუას სახლიდან წიგნებთან ერთად ინსტიტუტში გადმოიტანეს მისი არქივიც და განათავსეს მისივე სახელობის კაბინეტში. არქივი იყო დაუმუშავებელი და დამუშავებამდე მოთავსეს უკვე დამხმარე სათავსო-კარადად ქცეულ ნიშაში. დროთა განმავლობაში კარი ჩაიჭედა, უფუნქციო გახდა და

შემდეგ თემო ჯოჯუამ მომაწოდა აღნიშნული სტატიის ქსეროასლიც. მან ასევე მიმითითა, რომ თინათინ ენუქიძე სტატიის შესავალ ნაწილში წერს, რომ ვარლამ დონდუას არქივში, საბუთებთან ერთად, დაცული ყოფილა 9 ხელნაწერი, მაგრამ გამოქვეყნებულ კატალოგში აღწერს მხოლოდ 8 ერთეულს. აქვე, მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო თემო ჯოჯუას მოწოდებული ინფორმაციისთვის და აღვნიშნო, რომ სწორედ ამ მე-9 ხელნაწერის მოძიება გახდა წინამდებარე სტატიის დაწერის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

გავეცანი თინათინ ენუქიძის სტატიას და დავიწყე მონაცემების გადამოწმება. მე, როგორც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ხელი მიმიწვდებოდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შემოსულ კოლექციებთან დაკავშირებულ ოფიციალურ საბუთებზე (აქტები, ოქმები, საინვენტარო და შემოსულობათა წიგნები და სხვ.). ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარ შემოსულობათა წიგნში არის რამდენიმე ჩანაწერი, რომელიც ეხება ისტორიის ინსტიტუტიდან გადმოცემულ მასალებს. აქედან, 2 ჩანაწერი გვამცნობს, რომ ხელნაწერთა გარკვეული რაოდენობა გადმოცემულია კონკრეტულად ისტორიის ინსტიტუტის ვარლამ დონდუას არქივიდან¹. აქვეა მითითებული ის შიფრები, რომლებიც ამ ერთეულებს მიენიჭა ხელნაწერთა ინსტიტუტში: Q 1444-1449, Fr 216-218, Qd 10577-10586, Armd 196-197. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ლიტერი ღაღინაშნავს ქართულ ხელნაწერ წიგნთა ახალ კოლექციას, ლიტერი Fr – ქართულ ხელნაწერთა ფრაგმენტების კოლექციას, Qd – ქართული ხელნაწერი საბუთების ახალ კოლექციას, Armd – სომხური ხელნაწერი საბუთების კოლექციას. მაშასადამე, როგორც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის შემოსულობათა საქმეებიდან ირკვევა, 1972 წელს ხელნაწერთა ინსტიტუტს ისტორიის ინსტიტუტის ვ. დონდუას არქივიდან გადაეცა 9 ხელნაწერი წიგნი (აქედან, ხელნაწერი წიგნის 3 ფრაგმენტი), 10 ქართული და 2 სომხური საისტორიო საბუთი, ე.ი. ჯამში სულ – 21 ერთეული. თინათინ ენუქიძის გამოქვეყნებულ კატალოგში სწორედ ამ ხელნაწერებზეა საუბარი, მაგრამ 9 ხელნაწერი წიგნის მაგივრად, მოცემულია 8 ხელნაწერის აღწერილობა. როგორც აღვნიშნეთ, შესავალ წერილში ის წერს, რომ ვარლამ დონდუას არქივში იყო 9 ხელნაწერი, მაგრამ კატალოგში მე-9 ხელნაწერი არ არის შეტანილი.

სამწუხაროდ, ისტორიის ინსტიტუტში არ არის დაცული იმ ხელნაწერების ნუსხა, რომლებიც გადაეცა ხელნაწერთა ინსტიტუტს. უნდა აღინიშნოს, რომ ვარლამ დონდუას არქივიდან გადაცემული ერთეულების გარდა, ისტორიის ინსტიტუტიდან ხელნაწერთა ინსტიტუტში, სხვადასხვა დროს, კიდევ არაერთი ერთეულია გადასული (ამას მოწმობს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საფონდო მასალები). როდესაც ჩვენ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მოვიძიეთ ისტორიის ინსტიტუტიდან სხვადასხვა დროს გადაცემული ხელნაწერები, ვნახეთ, რომ ამ ხელნაწერებს უზის ისტორიის ინსტიტუტის ან ამ ინსტიტუტის წინარე იმ ინსტიტუტების ბეჭდები, რომელთა სამართალმემკვიდრეც გახდა შემდეგ ისტორიის ინსტიტუტი (მაგ. „კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი“, „კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტი“, „აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის“ (ენიმიკი)...). რაც შეეხება ვარლამ დონდუას არქივიდან გადაცემულ ერთეულებს, მათზე ასეთი ბეჭდები საერთოდ არ აღინიშნება. სავარაუდოდ, ისტორიის ინსტიტუტში ვარლამ დონდუას არქივის შესვლისთანავე გამოიყო აღნიშნული ხელნაწერები და თავიდანვე გადაწვდა მათი ხელნაწერთა ინსტიტუტისთვის გადაცემა. მართალია, ხელნაწერთა ინსტიტუტის შემოსულობათა საქმეებში ჩაწერილია, რომ აღნიშნული ერთეულები ხელნაწერთა ინსტიტუტს ისტორიის ინსტიტუტის ვარლამ დონდუას არქივიდან გადაეცა, მაგრამ ეს ერთეულები, როგორც ჩანს, ისტორიის ინსტიტუტის კოლექციების ნაწილი ოფიციალურად არც არასდროს გამხდარა (წინააღმდეგ შემთხვევაში ერთეულებზე დასმული იქნებოდა კოლექციის აღმნიშვნელი ბეჭდები, ნომრები, შიფრები და სხვა). როგორც ჩანს, თინათინ ენუქიძემ აღნიშნული ხელნაწერები აღწერა ამ ერთეულების ხელნაწერთა ინსტიტუტისთვის გადაცემამდე და ამიტომ კატალოგში არ არის მითითებული არც ის მოქმედი შიფრები, რომლებიც მათ მიანიჭა ხელნაწერთა ინსტიტუტმა (წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ალბათობით, თინათინ ენუქიძე დაურთავდა ამ შიფრებსაც, რის გარეშეც შეუძლებელია კატალოგში შეტანილი ერთეულების იდენტიფიკაცია). ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ თინათინ ენუქიძემ ვარლამ დონდუას კუთვნილი ხელნაწერების კატალოგი გამოაქვეყნა ჯერ კიდევ 1971 წელს, მაშინ როცა ხელნაწერთა ინსტიტუტში აღნიშნული ხელნაწერები შევიდა 1972 წლის 8 სექტემბერს. აქვე, აღსანიშნავია, რომ თინათინ ენუქიძე შესავალ წერილში წერს, რომ ხელნაწერები,

ამასთანავე, დაიკარგა იქ არქივის არსებობის შესახებ ინფორმაციაც. 2016 წელს, არქივის ხელახლა „აღმოჩენის“ შემდეგ ის დასამუშავებლად გადაეცა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივს.
¹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარ შემოსულობათა წიგნი, ჩანაწერის №№387-388, ჩანაწერის თარიღი: 1972 წლის 8 სექტემბერი.

ვარლამ დონდუას სურვილის შესაბამისად, გადაეცა ხელნაწერთა ინსტიტუტს¹, მაგრამ რეალურად, როგორც აღვნიშნეთ, ამ წერილის გამოქვეყნებიდან საკმაოდ გვიან გადაეცა აღნიშნული ხელნაწერები იმდროინდელ ხელნაწერთა ინსტიტუტს და, რაც მთავარია, ხელნაწერთა ინსტიტუტის საადრიცხვო საბუთებში წერია, რომ ეს ერთეულები ხელნაწერთა ინსტიტუტში ისტორიის ინსტიტუტის ვარლამ დონდუას არქივიდანაა შესული.


ამჯერად შევეცდებით ვარლამ დონდუას არქივიდან ხელნაწერთა ინსტიტუტში გადატანილი ერთეულების, განსაკუთრებით თინათინ ენუქიძის კატალოგში გამოტოვებული მე-9 ხელნაწერი წიგნის იდენტიფიკაციას. ამ მიზნით ერთმანეთთან შევაჯერებთ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული შემოსულობების მონაცემებს (ამჯერად ვგულისხმობთ ერთეულებისთვის ხელნაწერთა ინსტიტუტში მინიჭებულ შიფრებს) და თინათინ ენუქიძის მიერ შედგენილი აღწერილობითი კატალოგის მონაცემებს (ამჯერად მოგვაქვს მხოლოდ რაობები, დეტალური აღწერილობების გარეშე):

1972 წ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ისტორიის ინსტიტუტის ვარლამ დონდუას არქივიდან გადმოცემული ერთეულების შიფრები (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საფონდო მასალების მიხედვით)	პროფესორ ვარლამ დონდუას არქივში დაცული ხელნაწერების კატალოგის მონაცემები (შემდგენელი თინათინ ენუქიძე)
Q 1444	ამონაწერები სხვადასხვა სასულიერო თხზულებებიდან. 1878-1890 წწ.
Q 1445	კრებული. 1822 წ.
Q 1446	აპოკრიფმატა. XIX ს.
Q 1447	კრებული. XIX ს.
Q 1448	–
Q 1449	ავგაროზი. XIX ს.
Qd 10577	ყმების წყალობის წიგნი, მიცემული სოლომონ II-ის (არჩილ მეფის ძის) მიერ გოგია წერეთლისათვის. 17 აპრილი, 1791 წ.
Qd10578	ნუსხა სამეფო მამულების გამოსაღებისა. XVIII ს.
Qd10579	არზა კაცია ფავლენიშვილისა ერეკლე მეფისადმი ქაიხოსრო აბაშიძის მიერ ყმების მიტაცების შესახებ, ერეკლე მეფის ოქმით (პირი). 6 თებერვალი, 1793 წ.
Qd10580	ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ბარძიმ მანაბელის მიერ ყარამან ფავლენიშვილის ქვრივის ნინოსადმი. 17 ოქტომბერი, 1838 წ.
Qd10581	მოწმობა რუსეთში ორი წლის ვადით გამგზავრების შესახებ, მიცემული გიორგი მეფის ასულ სოფიოს მიერ ლევან გუმცაძისათვის და შუამდგომლობა მისთვის პასპორტის მიცემის შესახებ. 27 მაისი, 1838 წ.
Qd10582	ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული გრიგოლ მანაბლის მიერ ანა ფალავანდიშვილისათვის. სექტემბერი, 1850 წ.
Qd10583	თხოვნა ტყვიანოვლი ყარამან ფავლენოვისა მაიორ ტიტოვისადმი შანშე ერისთავის მიერ მიტაცებული ყმების მისთვის დაბრუნების შესახებ. 23 სექტემბერი, 1821 წ.
Qd10584	მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული გარსევან და ეფემია მამუხევებისაგან მოსე მიხეილის ძე მამუხევისათვის (პირი). 26 თებერვალი, 1869 წ.
Qd10585	მიწის ნასყიდობის წიგნი, მიცემული სარიდან იოსების ძე ტატიევისა ნატალია მესხიევისათვის (პირი). 1 ოქტომბერი, 1866 წ.
Qd10586	თხოვნა რაჭის უეზდის მცხოვრებლების მდდელ იაკობ ჭიჭინაძისა და სახაზინო აზნაურის ალექსი ჭიჭინაძისა ქუთაისის გუბერნიის

¹ თ. ენუქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

	სასამართლოსადმი, ნასყიდობის წიგნის დამტკიცების შესახებ. 30 ნოემბერი, 1854 წ.
Fr216	კრებული. XIII-XIV სს.
Fr217	ოთხთავი. XII ს.
Fr218	ლოცვანი. XVI ს.
Armd 196	მიწერილობა ფამბაკისა და შირაკისა მთავარ პრისტავის მარტიროს მელიქოვისა გიუმრიდან ფამბაკის ოლქის სოფელ ყიშლადის მამასახლისის მკრტჩ ღამბარიანისადმი. 26 მარტი, 1834 წ.
Armd 197	Armd 196-ის შინაარსის საბუთი. 29 აპრილი, 1834 წ.

როგორც ვხედავთ, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის შემოსულობათა საბუთების მიხედვით, გაირკვა, რომ ის 1 ერთეული, რომელიც გამორჩენილია თინათინ ენუქიძის აღწერილობით კატალოგში, არის ქართული ხელნაწერი წიგნი შიფრით – Q-1448. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა ახალი – კოლექციის კატალოგის მიხედვით, ამ ერთეულის რაობაა: კრებული. XV-XVI სს.¹



ხეც. Q-1448, კრებული. XV-XVI სს.

ჩვენ ვნახეთ, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს კოლექციების და მათი შემადგენელი კონკრეტული ერთეულების მოძრაობის აღრიცხვის სიზუსტეს, შემოსულობათა საქმეების ზუსტ და სწორად წარმოებას, ზოგადად – ფონდების მართვის ეფექტურ სისტემას და საფონდო საქმისწარმოებას, ზუსტ ჩანაწერებს, შესაბამისი აქტების მაღალი სიზუსტით შედგენას; ასევე, ერთეულის წარმომავლობის და მისი კუთვნილების დადგენა-შესწავლის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია საფონდო აღმნიშვნელების – ბეჭდების, ლიტერების, შიფრების, ასევე, მინაწერების, ავტოგრაფების შესწავლა. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, რომ არ ყოფილიყო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის შემოსულობათა წიგნში შეტანილი ზუსტი ინფორმაცია, ჩვენ ვეღარ დავადგენდით იმ ერთეულის რაობას, რომელიც ეკუთვნოდა პროფესორ ვარლამ დონდუას და რომელიც, გამორჩენილია თავდაპირველ კატალოგში. ასევე, რომ არა სააღრიცხვო ზუსტი ჩანაწერები (ლიტერები და შიფრები), დღეს გაგვიჭირდებოდა თინათინ ენუქიძის მიერ გამოქვეყნებულ კატალოგში ჩამოთვლილი ხელნაწერების (წიგნების, საბუთების) ზუსტი იდენტიფიკაცია და ამგვარად დაიკარგებოდა ინფორმაცია ვარლამ დონდუას კუთვნილი ხელნაწერი კოლექციის დღევანდელი მდგომარეობისა და ადგილმდებარეობის შესახებ.

¹ ამჯერად ჩვენი მიზანი არ არის, გამოცემულ თუ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ კატალოგებში შეტანილი ერთეულების რაობების გადამოწმება. ამ ეტაპზე ჩვენ მთლიანად ვყვრდებით კატალოგის მონაცემებს და გვაქვს მცდელობა, მოვახდინოთ პროფესორ ვარლამ დონდუას კუთვნილი ხელნაწერების ზუსტი იდენტიფიკაცია.

ბიბლიოგრაფია

1. შ. გლოველი, *ილია აბულაძე და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ახალი (Q) კოლექცია*, მოხსენება წაკითხულია ილია აბულაძისადმი მიძღვნილ II სამეცნიერო კონფერენციაზე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 26-27 ნოემბერი, 2012 წ.
2. შ. გლოველი, *ხელნაწერები პროფესორ ვარლამ დონდუას საბიბლიოთეკო ფონდიდან*, მოხსენება წაკითხულია პროფ. ვარლამ დონდუასადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე - საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხები - უახლესი კვლევები, უახლესი შედეგები“, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, 29 მაისი, 2014 წ.
3. თ. ენუქიძე, პროფესორ ვარლამ დონდუას არქივში დაცული ძველი ქართული ხელნაწერები და საბუთები, *მაცნე*, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1 (თბილისი, 1971).

SHALVA GLOVELI

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

MANUSCRIPTS FROM THE ARCHIVE OF PROFESSOR VARLAM DONDUA

The work refers to the manuscripts kept in the archives of the Georgian historian, Professor Varlam Dondua. The archive was transferred to the Institute of History and Ethnology. The manuscripts were transferred to the Institute of Manuscripts (today - the National Center for Manuscripts of Georgia).

The catalog of manuscripts was published in 1971 by historian Tinatin Enukidze. The catalog does not include one manuscript, which was also kept in the archives of Varlam Dondua. It was necessary to find this manuscript.

In addition, it was necessary to identify the manuscripts mentioned in the catalog compiled by Tinatin Enukidze, and to find out where this material is kept today.

The manuscripts were identified. An unknown manuscript was identified - Q-1448, Collection, XV-XVI centuries.

**ლარბვისის მონასტრის დიაკონის ბრიგოლ ბანდაისკის მიერ ლომისის მონასტრის
დეკანოზის შვილის ძენეზორე ბურღულის დაკვეთით
ბაღაშვილი 1410-იანი წლების კუთხეზანის ფრაგმენტი (Fr.216)
პროფესორ ვარლამ დონდუას პირადი კოლექციიდან¹**

შესანიშნავი ისტორიკოსი და წყაროთმცოდნე, პროფესორი ვარლამ დონდუა საყოველ-
თაოდ ცნობილი ბიბლიოფილი იყო და უმდიდრეს ბიბლიოთეკას ფლობდა. მასვე ეკუთვნოდა
ძალზედ საინტერესო არქივი, რომელშიც, სხვა მრავალფეროვან მასალასთან ერთად, სხვადა-
სხვა დროს სხვადასხვა გზით შექმნილი XII-XIX საუკუნეების რამდენიმე ქართული ხელნაწერი
წიგნი და ფრაგმენტიც ინახებოდა.

1969 წელს ვარლამ დონდუა გარდაიცვალა, რის შემდეგაც მისი კუთვნილი ხელნაწერები,
მკვლევრის ანდერძის თანახმად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის
სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტს, ამჟამინდელ კორნელი კეკელიძის
სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადაეცა. დაახლოებით, იმავე პერიოდში თინათინ
ენუქიძემ შეადგინა ვარლამ დონდუას კუთვნილი ხელნაწერების „აღწერილობა“, რომელიც 1971
წელს ჟურნალ „მაცნეს“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის
სერიის 1-ელ ტომში გამოქვეყნდა. „აღწერილობის“ დასაწყისში აღნიშნულია, რომ ვარლამ
დონდუას კოლექციიდან ხელნაწერთა ინსტიტუტს ცხრა ხელნაწერი გადაეცა², თუმცა კი
პუბლიკაციის მომდევნო ნაწილში, რატომღაც, მხოლოდ რვა ხელნაწერის აღწერილობაა
მოტანილი³. მოვიტან ამ რვა ხელნაწერის ჩამონათვალს, მათი ფურცლების რაოდენობის,
ზომების, საწერი მასალის, ნაკლებობა-ფრაგმენტულობისა და თარიღის მითითებით:

- კურთხევანი; 10 ფურც.; 17X13 სმ.; ეტრატი; ნაკლები; XIII-XIV სს.
- ოთხთავი; 1 ფურც.; 13X19,5 სმ.; ეტრატი; ფრაგმენტი; XII ს.
- ლოცვანი; 1 ფურც.; 10,5X8 სმ.; ეტრატი; ფრაგმენტი; XVI ს.
- კრებული; 186 ფურც.; 21,5X16,5 სმ.; ქაღალდი; 1822 წ.
- ამონაწერები სხვადასხვა სასულიერო თხზულებებიდან; 160 ფურც.; 21X17 სმ.; ქაღალ-
დი; 1878-1890 წწ.
- აპოკრიფები; 119 ფურც. + VII გვ.; 17X11 სმ.; ქაღალდი; XIX ს.
- კრებული; 108 ფურც.; 21,5X17 სმ.; ქაღალდი; XIX ს.
- აგვაროზი; გრაგნილი; 253,5X10 სმ.; ქაღალდი; XIX ს.⁴

ვარლამ დონდუას კუთვნილი ხელნაწერების საკითხი სულ ცოტა ხნის შეისწავლა შალ-
ვა გლოველმა, რომელმაც, პირველ რიგში, დაადგინა, რომ ვარლამ დონდუას კოლექციიდან
ხელნაწერთა ინსტიტუტს ნამდვილად ცხრა ხელნაწერი გადაეცა. მკვლევრის დასკვნით, ამ ხელ-
ნაწერთა რიცხვში, თინათინ ენუქიძის მიერ აღწერილი რვა ხელნაწერის გარდა, კიდევ ერთი
ხელნაწერი – XV-XVI საუკუნის კრებულიც შედიოდა. გარდა ამისა, შალვა გლოველმა გაარ-
კვია, რომ ხსენებული ცხრა ხელნაწერი ხელნაწერთა ინსტიტუტის საკუთრებაში გადასვლის
შემდეგ ორ ნაწილად გაყვეს. აქედან, ხელნაწერთა ერთი ნაწილი ანუ სამი ერთეული ქართულ
ხელნაწერთა ფონდის ფრაგმენტების (Fr) კოლექციას, ხოლო მეორე ნაწილი ანუ ექვსი ერთეული
ქართულ ხელნაწერთა ფონდის Q კოლექციას მიაკუთვნეს. მკვლევრისავე ცნობით, დღეისათვის ეს
ცხრა ხელნაწერი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შემდეგი ნომრებით არის დაცული:

- კურთხევანი (XIII-XIV სს.) – Fr.216.
- ოთხთავი (XII ს.) – Fr.217.
- ლოცვანი (XVI ს.) – Fr.218.

¹ წინამდებარე ნაშრომი მოხსენების სახით წავიკითხე 2014 წლის 29 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილი-
სის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში გამართულ, პრო-
ფესორ ვარლამ დონდუასადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე „საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიისა
და წყაროთმცოდნეობის საკითხები – უახლესი კვლევები, უახლესი შედეგები“.

² თ. ენუქიძე, პროფესორ ვარლამ დონდუას არქივში დაცული ძველი ქართული ხელნაწერები და საბუთები, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 1 (თბილისი, 1971 წ.), გვ. 133.

³ იქვე, გვ. 135-138.

⁴ იქვე, გვ. 133-138.

- კრებული (1822 წ.) – Q-1445.
- ამონაწერები სხვადასხვა სასულიერო თხზულებებიდან (1878-1890 წწ.) – Q-1444.
- აპოკრიფი (XIX ს.) – Q-1446.
- კრებული (XIX ს.) – Q-1447.
- ავგაროზი (XIX ს.) – Q-1449.
- კრებული (XV-XVI სს.) – Q-1448¹.

ვარლამ დონდუას კუთვნილ ხელნაწერებს შორის, როგორც საისტორიო, ისე ფილოლოგიური თვალსაზრისით, სრულებით გამორჩეულია ეტრატზე დაწერილი კურთხევანის ათფურცლიანი ფრაგმენტი, რომელიც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა ფონდის ფრაგმენტების (Fr) კოლექციაში 216-ე ნომრით არის დაცული. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ ფრაგმენტის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით და კოდიკოლოგიურ შესწავლას ისახავს მიზნად.

I. კურთხევანის ფრაგმენტის (Fr.216) ტიქნიკური აღწერილობა და შედგენილობა

კურთხევანის ფრაგმენტის ტექნიკური მონაცემები და შედგენილობა ფართო სამეცნიერო საზოგადოებას პირველად თავად ვარლამ დონდუამ გააცნო. მკვლევარი ხელნაწერსა და მის შედგენილობაში წარმოდგენილ ერთ-ერთ ტექსტთან დაკავშირებულ საკითხებს საგანგებოდ შეესო მოხსენებაში “Культурные связи Византии и Грузии”, რომელიც მან 1958 წლის 27 ნოემბერს ქალაქ ლენინგრადში გამართულ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ბიზანტიოლოგიურ სესიაზე წაიკითხა და რომელიც, მისი გარდაცვალების შემდეგ, 1973 წელს, მისივე სამეცნიერო შრომების კრებულის „საისტორიო ძეგლის“ II ტომში დაიბეჭდა².

ვარლამ დონდუამ მოხსენებაში საკმაოდ მოკლედ დაახასიათა კურთხევანის ფრაგმენტის ტექნიკური მონაცემები: “...Мы нашли своевременным предложить Вашему вниманию грузинскую пергаментную рукопись... Пергаментная рукопись (13X17 см), без переплета, сохранившая образец строчного хуцури..., в наличном виде содержит 10 лл, сплошь исписанных”³.

მოხსენების მომდევნო ნაწილში ვარლამ დონდუამ კურთხევანის ფრაგმენტის შედგენილობიდან საგანგებოდ გამოყო ერთ-ერთი ტექსტი – ექვთიმე მთაწმიდელის მიერ ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნი თხზულება „განგებაჲ მსოფლიოთა მღდელობათჳს“ და მოკლედ მიმოიხილა ამ ტექსტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები⁴.

გარდა ამისა, ვარლამ დონდუა მოხსენებაში გაკვირვებით შეესო კურთხევანის ფრაგმენტის მასთან მოხვედრის საკითხსაც. მკვლევარმა აღნიშნა, რომ ხელნაწერი, რომელიც მანამდე, დაუდგენელ ვითარებაში, საქართველოდან შუა აზიაში იყო გატანილი, 1941 წელს კერძო პირისაგან შეიძინა: “Рукопись, в неизвестных нам условиях совершившая путешествие из Грузии в Среднюю Азию и обратно, нами была приобретено из частных рук в 1941 г.”⁵.

განხილული მოხსენების წაკითხვის შემდეგ ვარლამ დონდუამ კურთხევანის ფრაგმენტის შესწავლა, როგორც ჩანს, გეგმაზომიერად განაგრძო და საბოლოოდ, ხელნაწერსა და მის შედგენილობაში წარმოდგენილ ზემოთ ნახსენებ ტექსტს „განგებაჲ მსოფლიოთა მღდელობათჳს“ სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა. სამწუხაროდ, ამ ნაშრომის გამოქვეყნება მკვლევრის სიცოცხლეში ვერ მოხერხდა და ის, 1958 წელს წაკითხული მოხსენების მსგავსად, ვარლამ დონდუას გარდაცვალების შემდეგ, 1973 წელს, მისი სამეცნიერო შრომების კრებულის „საისტორიო ძეგლის“ II ტომში დაიბეჭდა⁶.

ვარლამ დონდუამ ნაშრომის დასაწყისში, 1958 წლის მოხსენებასთან შედარებით, ცოტა უფრო დეტალურად დაახასიათა კურთხევანის ფრაგმენტის ტექნიკური მონაცემები: „ეტრატზე ნუსხახუცურით შესრულებული ხელნაწერი... (13X17 სმ), აწ დეფექტიანი და უყდო, სულ 10 ფურცლის

¹ შ. გლოველი, ილია აბულაძე და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ახალი (Q) კოლექცია, მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ, ილია აბულაძისადმი მიძღვნილ II სამეცნიერო კონფერენციაზე, თბილისი (საქართველო), 26-27 ნოემბერი, 2012 წ. შალვა გლოველის მიერ აღნიშნული მიმართულებით წარმოებული კვლევა-ძიების შედეგები თავმოყრილი და შეჯამებულია მის ნაშრომში, რომელიც წინამდებარე კრებულში იბეჭდება.

² В. Дондуа, Культурные связи Византии и Грузии, *ვ. დონდუა, საისტორიო ძეგლის*, II (თბილისი, 1973), გვ. 56-61.

³ იქვე, გვ. 56, 60.

⁴ იქვე, გვ. 60-61.

⁵ იქვე, გვ. 60.

⁶ ვ. დონდუა, განგებაჲ მსოფლიოთა მღდელობათჳს, *ვ. დონდუა, საისტორიო ძეგლის*, II (თბილისი, 1973), გვ. 45-55.

შემცველი... თითოეული გვერდი შეიცავს თექვსმეტს პწკარს, რომლის ჩვეულებრივი სიგრძეა 8 სმ. გამონაკლისს წარმოადგენს 14-პწკარიანი ფ. 1ბ და 17-პწკარიანი ფ. 10ა. ნაწერი, დაქარაგმებული და მკაფიო ხელით შესრულებული, კარგად იკითხვის. სათაურები სინგურითაა გამოყვანილი, აგრეთვე უმეტესი ნაწილი სახენაო ასომთავრულებითაც. ერთს შემთხვევაში გამოყენებულია ფერადოვანი ხატულობა გეომეტრიული ნახაზით (ფ. 1ა) და მეორე შემთხვევაში – ასეთივე ხასიათის დანაკეთული სახენაო ასო „გ“. თუ ამრიგად, ხელნაწერს თავი აკლია, სამაგიეროდ ბოლო დაცულად ნანს, რაკი ტექსტი დაგვირგვინებულია ტრადიციული ანდერძებით (ფ. 10). პირველ ანდერძში ხელნაწერის შინაარსი აღნიშნულია „კურთხევანი“-ს სახელით. იქ ნათქვამია: „სრულ იქმნეს წმიდანი კურთხევანი“ ამა და ამ მწერლის ხელითო. მომდევნო ანდერძშიც – აგრეთვე: „მოვიგენ და დავაწერინენ წმიდანი ესე კურთხევანი“ მე, ამა და ამ პირმაო“¹.

ნაშრომის მომდევნო და ძირითადი ნაწილი ვარლამ დონდუამ კურთხევანის ფრაგმენტში წარმოდგენილ, ზემოთ უკვე არაერთგზის ნახსენებ ტექსტს „განგებად მსოფლიოთა მდღელთათჳს“ დაუთმო. ამასთან, მკვლევარმა არამხოლოდ დაწვრილებით განიხილა ამ ძეგლთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, არამედ პირველმა გამოაქვეყნა მისი საკმაოდ დიდი მოცულობის ტექსტი².

დასასრულ, ვარლამ დონდუამ ნაშრომში კიდევ უფრო დააკონკრეტა კურთხევანის ფრაგმენტის მასთან მოხვედრის დეტალები და აღნიშნა, რომ ხელნაწერი პროფესორმა მიხეილ ნიკოლოზის ძე კუფაევმა, რამდენიმე არაბულ ხელნაწერთან ერთად, შუა აზიაში, ქალაქ სამარყანდში იყიდა, თავად მან კი კურთხევანის ფრაგმენტი მიხეილ კუფაევისაგან 1941 წლის ზაფხულში ქალაქ ლენინგრადში შეიძინა: „...ხელნაწერი... ჩვენ მიერ შეძენილია ლენინგრადს (1941 წ. ზაფხულს) პროფ. მიხეილ ნიკოლოზის ძე კუფაევისაგან, რომელსაც იგი, თავის მხრივ, უყიდა თურმე შუა აზიაში, სამარყანდს“³.

ვარლამ დონდუას შემდეგ კურთხევანის ფრაგმენტის ტექნიკურ მონაცემებსა და შედგენილობას თინათინ ენუქიძე შეეხო. მკვლევარმა აღნიშნული საკითხები მის მიერ 1971 წელს გამოქვეყნებულ, ზემოთ უკვე ნახსენებ სტატიაში განიხილა⁴.

თინათინ ენუქიძემ სტატიაში, ერთი მხრივ, სრულად გაიმეორა კურთხევანის ფრაგმენტის ტექნიკური პარამეტრების ვარლამ დონდუას დახასიათება, ხოლო, მეორე მხრივ, დამატებითი მონაცემებით შეავსო ეს ინფორმაცია: „არქივში (იგულისხმება ვარლამ დონდუას პირადი არქივი – თ. ჯ.) დაცულია ეტრატის 10 ფურცლისგან შემდგარი პატარა ზომის ხელნაწერი... ხელნაწერის აქვს რვეულებრივი პაგინაცია. ამ ათი ფურცლიდან პირველი ოთხი ფურცელი მეთვრამეტე რვეულს ეკუთვნის (იხ. ხელნაწერის მე-4 ფ. ვერსო), ხოლო ექვსი ფურცელი – მეცხრამეტე რვეულს (იხ. ხელნაწერის მე-5 ფ. რეცტო). მეცხრამეტე რვეულის ბოლო ფურცელზე მოთავსებულია ანდერძი, რაც ხელნაწერის დამთავრებაზე მეტყველებს. ცნობილია, რომ რვეული რვა ფურცლისაგან შედგება. ამდენად, სავარაუდოა, რომ ეს ხელნაწერი ფრაგმენტია დიდი ნუსხისა, რომელიც ცხრამეტი რვეულის ანუ 152 ფურცლისაგან შედგებოდა. ანდერძის მიხედვით იგი კურთხევანია... აქვე ვათავსებთ პროფ. ვარლამ დონდუას არქივში დაცულ ხელნაწერებისა და საბუთების აღწერილობას. კრებული... 10 ფ; 17X13 სმ; ეტრატი, ნაკლული; ნუსხური... აქვს თავსამკაული და საზედაო ასოები: 1v, 2r, 7v“⁵.

თინათინ ენუქიძემ სტატიაში მოკლედ დაახასიათა კურთხევანის ფრაგმენტის შედგენილობა და აღნიშნა, რომ კურთხევანის ფრაგმენტში ვარლამ დონდუას მიერ გამოყოფილი „განგებად მსოფლიოთა მდღელთათჳს“ ვარდა, სხვა ტექსტებიც არის წარმოდგენილი: „...ხელნაწერის დასაწყისში მოთავსებულია: „ლოცვაი შესლვასა ახლისა სახლისად, კურთხევაი“ და „ლოცვაი ბადეთა ზედა თევზისათჳს“. კურთხევანის ამ ხელნაწერს ერთვის ტექსტი უნიკალური კანონიკური ძეგლისა, ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ბერძნულიდან ქართულად თარგმნილი „განგებად მსოფლიოთა მდღელთათჳს“... აქვე ვათავსებთ პროფ. ვარლამ დონდუას არქივში დაცულ ხელნაწერებისა და საბუთების აღწერილობას. კრებული... 1. [კურთხევანი] „...თუ თვისსა ნაშრომისა

¹ იქვე, გვ. 45.

² იქვე, გვ. 45-54.

³ იქვე, გვ. 45.

⁴ თ. ენუქიძე, პროფესორ ვარლამ დონდუას..., გვ. 133-135. აქვე, საზგასმით აღნიშნავ იმ ფაქტს, რომ, მართალია, თინათინ ენუქიძის 1971 წლის სტატია ვარლამ დონდუას 1973 წელს გამოქვეყნებულ მოხსენებასა და ნაშრომზე უფრო ადრე დაიბეჭდა, მაგრამ, რეალური ვითარება სრულებით საპირისპირო ხასიათისა იყო: თინათინ ენუქიძე თავის სტატიაზე მუშაობისას არამხოლოდ კარგად იცნობდა, არამედ, უამრავ საკითხთან დაკავშირებით, მთლიანად ეყრდნობოდა ვარლამ დონდუას ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ მოხსენებასა და ნაშრომს, რომლებიც იმ დროისათვის, ცხადია, უკვე დასრულებული იყო, მკვლევრის არქივში ხელნაწერისა თუ მანქანაზე ნაბეჭდი ვარიანტების სახით ინახებოდა და შესაბამისად, ხელთ ჰქონდა თინათინ ენუქიძეს, რომელიც ვარლამ დონდუას არქივში დაცული ხელნაწერი წიგნებისა და დოკუმენტების აღწერილობის შედგენაზე მუშაობდა.


⁵ იქვე, გვ. 134-135.

მიერ სათნო იყავ. განსუწმნებად ამისი და გრძელსა სიბერესა მიწვენულად ვიდრე შვილისშვილ-
თამდე...“ 1r-v. შენიშვნა: კურთხევანი შეიცავს თავებს: „ლოცვაჲ შესლვასა ახლისა სახლისად.
კურთხევაჲ“ და „ლოცვაჲ ბადეთა ზედა თევზისათჳს“. 2. „განგებაჲ მსოფლიოთა მღუდელთათჳს,
რომელი გამოსცა ბერძულისაგან ქართულად ნეტარმან მამამან ეფთჳმე. – გამცნებ შენ პირვე-
ლად მღდელო დამარხვასა სარწმუნოებისსა შიშსა ღმრთისსა, სიწმიდესა ჳორცთასა და შეკ-
რძალვასა...“ 1v-10r¹.


დასასრულ, თინათინ ენუქიძემ სტატიაში, პრაქტიკულად, უცვლელი სახით გაიმეორა
ვარლამ დონდუას მონათხრობი კურთხევანის ფრაგმენტის მასთან მოხვედრის თაობაზე: „ხელ-
ნაწერი პროფ. ვარლამ დონდუას 1941 წლის ზაფხულში უყიდია ქალაქ ლენინგრადში პროფ. მი-
ხეილ ნიკოლოზის ძე კუფავეისაგან, რომელსაც თავის მხრივ, იგი სხვა, არაბულ ხელნაწერებ-
თან ერთად ქ. სამარყანდში შეუძენია“².

კურთხევანის ფრაგმენტის ვარლამ დონდუასა და თინათინ ენუქიძის ნაშრომებში წარ-
მოდგენილი ტექნიკური მონაცემები, არსებითად, სწორი და მისაღებია, თუმცა კი, მეორე მხრივ,
ეს მონაცემები საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა და მეტ დეტალიზაციასა თუ დაზუსტებას საჭირო-
ებს. ქვემოთ შევეცდები, აღნიშნული ხარვეზი შეძლებისდაგვარად დავძლიო და კურთხევანის
ტექნიკური პარამეტრები კიდევ უფრო დეტალიზებული თუ დაზუსტებული სახით მოვიტანო.

კურთხევანი ეტრატის ხელნაწერია, რომლის ფურცლებიც საკმაოდ სქელი, თეთრი,
ოღნავ მოყვითალო ფერის ტყავისაგან არის გამოჭრილი (სურ. 1 და სურ. 2). ფურცლები დაზი-
ანებული არ არის. კურთხევანის პირველი და ბოლო გვერდები, შესაბამისად, 1r და 10v, აგრეთვე,
ზოგიერთი ფურცლის კიდებები, ნესტისაგან დაღაქავებული და დასვრილია. ფურცლების არში-
ები შემოჭრილია, რის გამოც მათი თავდაპირველი ზომის დადგენა ვერ ხერხდება. დღეისათვის
ფურცლების საშუალო ზომა 16,6X12,9 სმ-ია (მაგ.: 10rv). კურთხევანს გვიანდელი რესტავრაცია-
კონსერვაციის კვალი არ ემჩნევა, თუ, ცხადია, ასეთად არ მივიჩნევთ იმ ფაქტს, რომ ვინმე და-
უდგენელ პირს ხელნაწერის ათივე ფურცელი ერთად აქვს აკინძული. კურთხევანს ყდა არ აქვს.



სურ. 1
კურთხევანი (კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,
ქართულ ხელნაწერთა ფონდის ფრაგმენტების (Fr)
კოლექცია, №216, 1r)




სურ. 2
კურთხევანი (კორნელი კეკელიძის
სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა
ფონდის ფრაგმენტების (Fr) კოლექცია, №216, 10v)

¹ იქვე.
² იქვე.

ხელნაწერის ფურცლებზე ტექსტი თითო სვეტად არის დაწერილი. სვეტების საშუალო ზომა, საზედაო ასოების ზომების გარეშე, 11X8,8 სმ-ია (მაგ.: 9r). ფურცლის არშიების ამჟამინდელი საშუალო ზომებია: ზედა არშია – 2 სმ., მარცხენა არშია – 2 სმ., მარჯვენა არშია – 2 სმ., ხოლო ქვედა არშია – 3,6 სმ. (მაგ.: 9r). თითოეულ სვეტში თექვსმეტი სტრიქონია. გამონაკლისს წარმოადგენს 1v, რომლის თოთხმეტი სტრიქონი ტექსტს, დანარჩენი ორი სტრიქონის ადგილი კი თავსამკაულს უჭირავს და 10r, რომლის უმეტესი ნაწილიც ხელნაწერის ერთ-ერთ ანდერძს უჭირავს და რომელზეც თვრამეტი სტრიქონია წარმოდგენილი და არა ჩვიდმეტი სტრიქონი, როგორც ეს ვარლამ დონდუას ზემოთ განხილულ ნაშრომშია აღნიშნული. სტრიქონებს შორის მანძილი 0,1 სმ-ია (მაგ.: 9r). კურთხევანის ძირითადი ტექსტი ნუსხურით, ხოლო საზედაო ასოები ასომთავრულით არის შესრულებული. ნუსხური გრაფემების ზომებია: ყველაზე მაღალი გრაფემის **q**-ს (**ქ**) სიმაღლე – 0,5 სმ., ხოლო ყველაზე დაბალი გრაფემის **i**-ს (**ი**) სიმაღლე – 0,2 სმ. სტრიქონში სიტყვებს შორის საშუალო მანძილი 0,1-0,4 სმ-ია (მაგ.: 9r). კურთხევანის ძირითადი ტექსტი და საზედაო ასოების ერთი ნაწილი ყავისფერი მელნით, ცალკეული ტექსტების სათაურები და საზედაო ასოების მეორე ნაწილი კი წითელი ფერის საწერ-სადებავით არის დაწერილი. ტექსტში განკვეთილობის ნიშნებად წერტილი, ორწერტილი, ორწერტილი და ხაზი და სამი წერტილია გამოყენებული. ქარაგმის ნიშანი პატარა განივი კლაკნილი ხაზია.

კურთხევანს დეკორატიული მორთულობის ელემენტები, პრაქტიკულად, არ ახლავს. ხელნაწერში მხოლოდ ერთგან, 1v-ზე, გვხვდება კონკრეტული ტექსტის – „განგებად მსოფლიოთა მდღელთათჳს“ დასაწყისში გამოყვანილი თავსამკაული, რომელიც ყავისფერი, წითელი და ღურჯი საწერ-სადებავებითაა შესრულებული და რომელიც, გეომეტრიული ელემენტებითაა გამშვენებული (სურ. 3). რაც შეეხება ტექსტში დადასტურებულ საზედაო ასოებს, ისინი რაიმე მხატვრული გამომსახველობით არ გამოირჩევა და ე.წ. გრაფიკული მოხაზულობისაა. ამ მხრივ, ერთადერთი გამონაკლისია 2r-ს მარცხენა არშიაზე შესრულებული დიდი ზომის საზედაო ასო **ღ** (**გ**), რომელიც, თავსამკაულის მსგავსად, ყავისფერი, წითელი და ღურჯი საწერ-სადებავებითაა შესრულებული და სხვა საზედაო ასოებთან შედარებით, ცოტა უფრო მეტად არის სტილიზებული.



სურ. 3

კურთხევანის თავსამკაული და საზედაო ასო (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის ფრაგმენტების (Fr) კოლექცია, №216, 1v-2r)

კურთხევანს ორმაგი – რვეულებრივი და ფურცლობრივი პაგინაცია ახლავს. აქედან, პირველი, რვეულებრივი პაგინაცია ხელნაწერის გადამწერის მიერ არის შესრულებული და ტრადიციული სახე აქვს: რვეულის დასაწყისის აღმნიშვნელი ასომთავრული გრაფემები შესაბამისი რვეულის პირველი ფურცლის recto-ს ზედა არშიის შუა არეზე, დასასრულის აღმნიშვნელი ასომთავრული გრაფემები კი შესაბამისი რვეულის ბოლო ფურცლის verso-ს ქვედა არშიის ცენტრშია შესრულებული. ამასთან, რვეულის დასაწყისისა და დასასრულის აღმნიშვნელი ასომთავრული გრაფემები მათ გარშემო გამოყვანილი სწორი პარალელური ხაზებითაა გამშვენებული. რაც შეეხება კურთხევანის ფურცლობრივ პაგინაციას, ის, სავარაუდოდ, XX საუკუნეში, ან ვარლამ დონდუას ან კიდევ, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლების მიერ არის შესრულებული. ეს პაგინაცია, რვეულებრივი პაგინაციის მსგავსად, ტრადიციული სახისაა: ხელნაწერის ყოველი ფურცლის recto-ს ქვედა მარჯვენა კუთხეში შავი ფერის ფანქრით არაბული რიცხვებია გამოყვანილი.

კურთხევანის ათი ფურცლიდან რვეულებრივი პაგინაციის აღმნიშვნელი ასომთავრული გრაფემები მხოლოდ ორ ფურცელს ახლავს: 4v-ზე შესრულებულია გრაფემები 08 (18), ხოლო 5r-ზე – გრაფემები 00 (19). აღნიშნულ გარემოებაზე დაყრდნობით, თინათინ ენუქიძემ 1971 წლის სტატიაში, როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ, რამდენიმე მნიშვნელოვანი მოსაზრება გამოთქვა: ა) კურთხევანის 4rv ხელნაწერის თავდაპირველი შედგენილობის XVIII რვეულის ბოლო, ხოლო 5rv XIX რვეულის პირველ ფურცელს წარმოადგენს; ბ) კურთხევანის პირველი ოთხი ფურცელი (1rv-4rv) ხელნაწერის თავდაპირველი შედგენილობის XVIII რვეულს, ხოლო ბოლო ექვსი ფურცელი (5rv-10rv) XIX რვეულს მიეკუთვნება; გ) XIX რვეულის „ბოლო ფურცელზე“ გადამწერის ანდერძია შესრულებული, რაც მიუთითებს, რომ ხელნაწერი აქ მთავრდებოდა; დ) კურთხევანი თავდაპირველად ცხრამეტ რვეულს ანუ ას ორმოცდათორმეტ ფურცელს (19X8=152) შეიცავდა; და ე) კურთხევანის ამჟამინდელ შედგენილობაში წარმოდგენილი ათი ფურცელი ამ ხელნაწერის თავდაპირველი, ასორმოცდათორმეტფურცლიანი შედგენილობის მცირე ფრაგმენტს წარმოადგენს.

თინათინ ენუქიძის მიერ გამოთქმული ეს მოსაზრებები სავსებით სწორი და მისაღებია, თუმცა, ორი დეტალი მაინც საჭიროებს დაზუსტებას: 1. კურთხევანის ამჟამინდელი შედგენილობის პირველი ოთხი ფურცელი (1rv-4rv) ხელნაწერის თავდაპირველი შედგენილობის XVIII რვეულის V-VIII ფურცლებს, ხოლო კურთხევანის ამჟამინდელი შედგენილობის ბოლო ექვსი ფურცელი (5rv-10rv) ხელნაწერის თავდაპირველი შედგენილობის XIX რვეულის I-VI ფურცლებს წარმოადგენს. შესაბამისად, ირკვევა, რომ დღეისათვის XVIII რვეულს I-IV ფურცლები, ხოლო XIX რვეულს VII-VIII ფურცლები აკლია; და 2. კურთხევანის ამჟამინდელი შედგენილობის 10rv, რომელზეც გადამწერის ანდერძია დაწერილი, ხელნაწერის უკანასკნელი, XIX რვეულის ბოლოდან მესამე ანუ VI ფურცელს წარმოადგენს და არა „ბოლო“ ანუ VIII ფურცელს, როგორც ამას თინათინ ენუქიძე ფიქრობდა. შესაბამისად, დგინდება, რომ კურთხევანი, თინათინ ენუქიძის მოსაზრების საპირისპიროდ, ხელნაწერის ამჟამინდელი შედგენილობის 10rv-ზე არ მთავრდებოდა და ამ, გადამწერის ანდერძის შემცველ ფურცელს კიდევ ორი სხვა ფურცელი მოსდევდა, რომლებიც დღეისათვის დაკარგულია და რომლებიც, სავარაუდოდ, დაუწერლად იყო დატოვებული.

ამით კურთხევანის ტექნიკურ აღწერილობაზე საუბარს ვამთავრებ და მისი შედგენილობის დახასიათებაზე გადავდივარ. თინათინ ენუქიძის 1971 წლის სტატიის თანახმად, კურთხევანის ამჟამინდელ შედგენილობაში წარმოდგენილია ორი ნაკვეთი: 1. საკუთრივ კურთხევანი, რომელსაც ხელნაწერის 1rv უჭირავს და რომელშიც, ორი თავი გამოიყოფა: „ლოცვაა შესლვასა ახლისა სახლისა. კურთხევაა“ და „ლოცვაა ბადეთა ზედა თევზისათჳს“; და 2. „განგება მსოფლიოთა მღუდელთათჳს“, რომელიც ხელნაწერის 1v-ზე იწყება და 10r-ზე მთავრდება.

თინათინ ენუქიძის მიერ კურთხევანის შედგენილობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები, არსებითად, სწორია, თუმცა კი ეს მოსაზრებები, მკვლევრის მიერ ხელნაწერის ტექნიკური პარამეტრების შესახებ გამოთქმული მოსაზრებების მსგავსად, საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა და უფრო მეტად დეტალიზებასა თუ დაზუსტებას საჭიროებს.

დავიწყებ იმით, რომ კურთხევანის ამჟამინდელ შედგენილობაში ოთხი სხვადასხვა ტექსტია წარმოდგენილი. აქედან, №1 ტექსტს სათაური და დასაწყისი ნაწილი აკლია, თუმცა მის შემორჩენილ ნაწილზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ეს არის ლიტურგიკული ხასიათის წეს-გან-

გება „ლოცვა აღშენებასა სახლისასა“¹. ამ თავნაკლულ ტექსტს, რომლის შესახებაც თინათინ ენუქიძეს არაფერი აქვს ნათქვამი, ხელნაწერის 1r-ს I-IX სტრიქონები უჭირავს.

კურთხევანის მომდევნო ორი ანუ №2 და №3 ტექსტების რაობა თინათინ ენუქიძეს სწორად აქვს განსაზღვრული. ესენია ლიტურგიკული ხასიათის წეს-განგებები: №2. „ლოცვა შესლვასა ახლისა სახლისად, კურთხევად“² და №3. „ლოცვა ბადეთა ზედა თევზისათჳს“³. აქვე, აღვნიშნავ, რომ დასახელებულ ორ ტექსტს შორის, №2 ტექსტს „ლოცვა შესლვასა ახლისა სახლისად, კურთხევად“ კურთხევანის 1r-ს X-XVI და 1v-ს I-IV სტრიქონები, ხოლო №3 ტექსტს „ლოცვა ბადეთა ზედა თევზისათჳს“ ხელნაწერის 1v-ს V-XIII სტრიქონები უჭირავს.

რაც შეეხება კურთხევანის შედგენილობაში წარმოდგენილ ბოლო ანუ №4 ტექსტს, მისი რაობა ვარლამ დონდუამ ჯერ კიდევ 1958 წლის მოხსენებაში გარკვევა. ეს არის კანონიკური ჟანრის თხზულება „განგება მსოფლიოთა მდღელთათჳს“, რომელსაც ხელნაწერის უდიდესი ნაწილი – 1v-ს XVI სტრიქონი, 2rv-9rv მთლიანად და 10r-ს I-VI სტრიქონები უჭირავს და რომლის დასაწყისიც, სავარაუდოდ, ტექსტის გამორჩეული მნიშვნელობის ხაზგასმის მიზნით, 1v-ს XIV-XV სტრიქონების ადგილას შესრულებული თავსამკაულით არის გამშვენებული.

ამგვარად, დგინდება, რომ კურთხევანის ამჟამინდელ შედგენილობაში წარმოდგენილია შემდეგი ტექსტები:

1. „ლოცვა აღშენებასა სახლისასა“ (1r).
2. „ლოცვა შესლვასა ახლისა ს(ა)ხლის(ა)დ, კ(ურთ)ხ(ე)ვ(ა)დ“ (1rv).
3. „ლოცვა ბადეთა ზ(ედ)ა თევზისათ(ჳ)ს“ (1v).
4. „გ(ა)ნგ(ებ)ა მსოფლიოთა მდღ(ე)ლთათ(ჳ)ს, 1v||2r რ(ომე)ლი გამოსცა ბერძულის(ა)გ(ა)ნ ქართულ(ა)დ ნ(ე)ტ(არ)მ(ან) მ(ა)მ(ამ)ან ეფთჳმე“ (1v-10r).

კურთხევანის შედგენილობაში წარმოდგენილი ოთხი ტექსტიდან პირველი სამი ტექსტი: №1. „ლოცვა აღშენებასა სახლისასა“, №2. „ლოცვა შესლვასა ახლისა სახლისად, კურთხევად“ და №3. „ლოცვა ბადეთა ზედა თევზისათჳს“ სამეცნიერო საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი. ეს ტექსტები შეტანილია ქართული კურთხევანის ყველაზე უფრო გავრცელებულ რედაქციაში – გიორგი მთაწმიდელის მიერ ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნ დიდ კურთხევანში, რომელმაც ჩვენამდე საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნუსხებით მოაღწია⁴.

სრულებით განსხვავებული სურათი გვაქვს კურთხევანის შედგენილობაში წარმოდგენილ ბოლო ანუ №4 ტექსტთან დაკავშირებით, რომელიც, მისივე სათაურის თანახმად, ბერძნულიდან ქართულად X-XI საუკუნეების სახელოვანმა ქართველმა მწიგნობარმა ექვთიმე მთაწმიდელმა თარგმნა: „განგება მსოფლიოთა მდღელთათჳს, რომელი გამოსცა ბერძულისაგან ქართულად ნეტარმან მამამან ეფთჳმე“. აღნიშნული ტექსტი შუა საუკუნეების ქართული ნათარგმნი სასულიერო ლიტერატურის უაღრესად საინტერესო ძეგლს წარმოადგენს, რომლის არსებობაც მხოლოდ ორი ხელნაწერით არის ცნობილი. ამასთან, დასახელებული ორი ხელნაწერიდან ერთი ხელნაწერი – ვინმე თეოდორეს მიერ XI-XII საუკუნეებსა თუ XIII საუკუნეში გადაწერილი მცირე ზომის ეტრატის კანონიკური კრებული, რომელიც პალიმფსესტს წარმოადგენდა, დღეისათვის უკვალოდ არის დაკარგული⁵. შესაბამისად, გამოდის, რომ ექვთიმე მთაწმიდელის მიერ ნათარგმნმა უნიკალურმა კანონიკურმა თხზულებამ ჩვენამდე მხოლოდ ერთ ხელნაწერში – ვარ-

¹ დიდი კურთხევანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სქოლიოები დაურთო ე. ჭელიძემ (თბილისი, 2002), გვ. 388-389; ექ. კოჭლამაზაშვილი, დიდი სინური კურთხევანის რედაქციული თავისებურებანი (თბილისი, 2002), გვ. 57.

² დიდი კურთხევანი, გვ. 390; ექ. კოჭლამაზაშვილი, დიდი სინური კურთხევანის..., გვ. 57.

³ დიდი კურთხევანი, გვ. 398-399; ექ. კოჭლამაზაშვილი, დიდი სინური კურთხევანის..., გვ. 60.

⁴ დიდი კურთხევანი, გვ. 75, 388-390, 398-399; ექ. კოჭლამაზაშვილი, დიდი სინური კურთხევანის..., გვ. 16-17, 57, 60.

⁵ ისტორია საქართველოსი (უძველესის დროდამ მე-X საუკუნის დასასრულამდე), თხზულება დ. ბაქრაძისა (ტფილისი, 1889), გვ. 258-259; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწესებული და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი მეორე (1213 წლიდამ 1700 წლამდე) (ტფილისი, 1897), გვ. 83; ვ. დონდუა, განგება მსოფლიოთა მდღელთათჳს..., გვ. 46-47; კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტომი პირველი, მესამე, გადამუშავებული და შეკვებული გამოცემა (თბილისი, 1951), გვ. 188; თ. ენუქიძე, პროფესორ ვარლამ დონდუას..., გვ. 135; კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი პირველი (თბილისი, 1980), გვ. 212. აღნიშნული კანონიკური კრებულის შესახებ პირველ ცნობებს გვაწვდის დიმიტრი ბაქრაძე, რომელმაც ხელნაწერზე 1889 წლის წინარე ხანებში იმუშავა (ისტორია საქართველოსი..., გვ. 258-259). ცოტა უფრო მოგვიანებით, 1898 წლის წინარე ხანებში, ვინმე ბ. ი. ჭირაქაძემ კანონიკური კრებული იმერეთიდან თბილისში ჩამოიტანა და თედო ჟორდანიას გადასცა (ქრონიკები და სხვა მასალა..., გვ. 83). ამის შემდეგ ხელნაწერის შესახებ ცნობები ქრება და მისი შემდგომი ბედისა თუ ამჟამინდელი დაცულობის ადგილის შესახებ არანაირი ინფორმაცია აღარ მოგვეპოვება.

ლამ დონდუას კუთვნილ კურთხევანში შეტანილი ნუსხის სახით მოაღწია, რაც, რასაკვირველია, განუზომლად ზრდის ამ ხელნაწერის სამეცნიერო მნიშვნელობას¹.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ სრული სახით წარმოვადგენ კურთხევანის ფრაგმენტის შედგენილობაში წარმოდგენილ ოთხივე ტექსტს, რომელთაგან პირველი სამი ტექსტის – „ლოცვა აღშენებასა სახლისასა“, „ლოცვა შესლვასა ახლისა სახლისად, კურთხევად“ და „ლოცვა ბადეთა ზედა თევზისათჳს“ ჩვენებები ამ წეს-განგებათა შემცველი ლიტურგიკული კრებულის – გიორგი მთაწმიდელის დიდი კურთხევანის აკადემიურად დადგენილი ტექსტის ედიშერ ჭელიძის მიერ მომზადებულ 2002 წლის გამოცემაში გათვალისწინებული არ არის, ხოლო მეოთხე ტექსტი – „განგებად მსოფლიოთა მდღელთათჳს“ ვარლამ დონდუას შრომების კრებულის „საისტორიო ძიებანის“ 1973 წელს დაბეჭდილ II ტომში მცირე ხარვეზებით არის წარმოდგენილი. აქვე, აღვნიშნავ იმასაც, რომ „განგებად მსოფლიოთა მდღელთათჳს“ ტექსტის წინამდებარე პუბლიკაციაში არამხოლოდ გასწორებულია ამ თხზულების 1973 წლის გამოცემაში გამოვლენილი მცირე ხარვეზები, რომლებიც, ძირითადად, ზოგიერთი სიტყვის გამოტოვებასა თუ არასწორად წაკითხვას, აგრეთვე, პუნქტუაციის გაუმართაობას უკავშირდება, არამედ, დამატებით, სპეციალური ტექნიკური ნიშნების დახმარებით, ნაჩვენებია ყოველი გვერდისა თუ სტრიქონის დასაწყისი და დასასრული, გახსნილი ქარაგმები, გამოტოვებული თუ დაზიანებული ადგილების აღდგენები და სხვ. გარდა ამისა, „განგებად მსოფლიოთა მდღელთათჳს“ წინამდებარე პუბლიკაციაში ტექსტი მუხლებად დაყოფილია ზუსტად თხზულების დედნის შესაბამისად, რომელშიც, თავის მხრივ, თითოეული მუხლის დასაწყისი ყავისფერი ან წითელი საწერ-საღებავით შესრულებული საზედაო ასოს დახმარებით არის გამოყოფილი.

1. „ლოცვა აღშენებასა სახლისასა“.

[...] ||_რ და თ(ჯ)ისისა ნაშრომისა მ(ი)ერ სათნო-იყავ გ(ა)ნსუზნებად ამისი და | გრძელსა სიბერესა მიწვენულად, ვ(ი)დრე შვილისშვილთამდე | გამოაჩინე და ვისიცა ჯერ-იხინოს | მიცემად დამკვდრებად ყ(ოვლ)ად ბრძენმ(ა)ნ [-][[-] მეცნიერმ(ა)ნ შ(ე)ნმ(ა)ნ, ჰელ/მწიფებად ამისი მიკმადლე, | რ(ამეთუ) შ(ენი არს ს(უ)ფ(ე)ვაჲ, ძ(ა)ლი და დ(იდებ(ა)ჲ მ^ჲჲ².

2. „ლოცვა შესლვასა ახლისა ს(ა)ხლის(ა)ჲ, კ(ურთ)ხ(ე)ვ(ა)ჲ |

ღ(მერ)თ[ო] [ხ]უენო, რ(ომე)ლი მ(ა)დ(ა)ლთა შ(ინ)ა დამკვდ[რ]ებულ ხ(ა)რ და ყ(ოვე)ლსავე გ(ა)ნიცლი, რ(ომე)ლსა-ევე არარ(ა)ჲ დაგეფარვის, გ(ა)რდამოავლინე კ(ურთ)ხ(ე)ვ(ა)ჲ | შ(ენი ს(ა)ხლსა ამ(ა)ს ზ(ე)და და ამ(ა)ს შ(ინ)ა დასამკვდრენ და წ(მ)იდა ყვენ ესენი, ||_რ||_ვ მცნებათა შ(ენ)თა დამარხვად ღირს-ყვენ | და გ(ა)ნამრ(ა)ვლე ნაყოფი სიმ(ა)რთლისა მ(ა)თის(ა)ჲ | მ(ა)დლითა და წყ(ა)ლობითა და კ(ა)ცთმ(ო)ყ(უ)არ(ე)ბითა | მხ(ო)ლოდშობილისა ძისა შ(ენ)ისაჲთა, რ(ომლი)სა³.

3. „ლოცვა ბადეთა ზ(ე)და თევზისათ(ჯ)ს. |

რ(ომელ)მან ხუთითა პურითა და ორითა თევზითა ხუთ ათასნი გ(ა)ნადღენ და ნეშტისა მ(ა)თისა სიმრ(ა)ვლე გ(ა)ნამრ(ა)ვლე, შ(ენ), | მ(ე)უფ(ე)ო ყ(ოვლ)ადღე(ი)ერო, წინამდებარე ესე | ბადე აკ(ურთ)ხე მ(ე)ოხ(ე)ბითა წ(მ)იდა და ყ(ოვლ)ადქებულისა პ(ეტრ)ესითა, რ(ა)თა ამის(ა)გ(ა)ნ რ(ომე)ლნი მიიღებდენ თევზსა, წ(მ)იდა იყვენ, | რ(ამეთუ) შ(ენ ხ(ა)რ მომცემელი ყ(ოველ)თა კ(ე)თ(ი)ლთაჲ და შ(ენ)და დ(იდებ)ქასა⁴.

4. „გ(ა)ნგ(ე)ბ(ა)ჲ მსოფლიოთა მდღ(ე)ლთათ(ჯ)ს, ||_რ||_ვ რ(ომე)ლი გამოსცა ბერძულის(ა)გ(ა)ნ ქართულ(ა)დ ნ(ე)ტ(ა)რმ(ა)ნ მ(ა)მ(ა)მან ეფთჳმე. |

გამცნებ შ(ენ) პ(ირ)უელად, მდღელო, დამარხვასა ს(ა)რწმ(უ)ნ(ოე)ბის(ა)სა, შიშსა ღ(მრ)თის(ა)სა, | სიწმიდესა კორცთასა და შეკრძაღვასა.

¹ აქვე, აღვნიშნავ, რომ ექვთიმე მთაწმიდელის მიერ ბერძნულიდან ნათარგმნი ამ კანონიკური ტექსტის შესახებ, რატომღაც, არანაირი ინფორმაცია არ არის შეტანილი ენრიკო გაბიძაშვილის უაღრესად მნიშვნელოვანი წიგნის „ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლების ბიბლიოგრაფიის“ 2012 წელს დაბეჭდილ მე-6 ტომში, რომელიც მთლიანად კანონიკური, დოგმატიკური და პოლემიკური ჟანრის ნათარგმნი წერილობით ძეგლებს ეთმობა (ე. გაბიძაშვილი, *ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები*, ბიბლიოგრაფია, კანონიკა, დოგმატიკა-პოლემიკა (თბილისი, 2012)).

² კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, ფრაგმენტების კოლექცია, ფრაგმენტი №216, Ir. შდრ.: *დიდნი კურთხევანი*, გვ. 398.

³ კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, ფრაგმენტების კოლექცია, ფრაგმენტი №216, Irv. შდრ.: *დიდნი კურთხევანი*, გვ. 390.

⁴ კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, ფრაგმენტების კოლექცია, ფრაგმენტი №216, Iv. შდრ.: *დიდნი კურთხევანი*, გვ. 398.

უკ(უე)თუ ასოთა შ(ენ)ითა ღირსებით იქცეოდე, აღირაცხო / გუნდსა თ(ან)ა ზეცის(ა)სა და მიიღო პ(ა)ტივი / ღირსად შრომისა შ(ენ)ისათ(უ)ს.

უკ(უე)თუ / უღირსად და უკრძალველ(ა)დ შესწირვიდე მსხუშრპლსა მ(ა)ს საშინელსა, / უწყოდე, რ(ამეთუ) ქ(რისტეს) მკლველთა პურიათა თ(ან)ა დაძსაჯო.

უწყოდე, საყუარელო, რ(ამეთუ) მღველი მსიძავი ჭ(ე)შმარიტ(ა)დ უძკრეს იუდაისსა არს, რ(ამეთუ) იუდა ერთგვის / გ(ან)ციდა ო(ცვა)ლთა, ხ(ოლო) მღვ(ე)ლი მსიძავი მ(ა)რ(ა)დის 2რ₂₃ გან-ჰყიდის და უარ-ჰყოფს ქ(რისტეს)ა.

ჰ, საშინელი ესე ს(ა)ქმე, რ(ა)ჟ(ამ)ს წარდგეს მღვ(ე)ლი / არა-ღირსი შეწირვად წ(მიდა)სა მ(ა)ს წ(მიდა)თ(ა)სა, / რ(ომე)ლსა ანგ(ე)ლ(ო)ზნი თ(უ)აღთ-შედგმ(ა)დ ვერ-მეა(დ)რე არიან.

გერძ(ა)კლე თ(ა)გსა შ(ენ)სა და / მს(ა)ხურ(ე)ბ(ა)დ ეგე, რ(ომე)ლ მიიღე, ღირსად აღ(ა)სრულე, რ(ამეთუ) ზ(ე)ცისად არს.

უკ(უე)თუ ვის(თ)ც(ს)მე გ(უ)ლი გიწყებოდეს, ჟ(ამს)ა ნუ სწირავ, ა(რამე)დ მიუტვეე ყ(ო-ვ)ლითა გ(უ)ლითა / შ(ენ)ითა, რ(ა)თა ო(ცვა)ლმან შ(ენ)ცა მოგიტვენეს ყ(ოველ)ნი / ც(ო)დვ(ა)ნი შ(ენ)ი<ი>ნი.

ჟ(ამის)ა წირვის(ა)სა ნუ უბნობ, ნუ იხედავ იქი-აქა, ნუ ისწრაფი ფს(ა)ლმუნთა და ლ(ო)-ცვ(ა)თა წართქმასა, / ა(რამე)დ შემოკრებულთა გ(უ)ლითა და / გონებითა ილოცვედი.

სეფისკუშრ(ი)ქ თქ(ი)ლითა წელითა მოხილე, მარილი 2ვ₃₁ და საფუარი ურთე, ქუშ დაღეე / რ(ა)თა გაფუ(ვ)ნეს და ეგრეთ გ(ა)მოაცხ(ე)ვ. /

და ჯ(ე)დაკ(ა)ცის(ა)გ(ა)ნ სეფისკუშრისა გამოცხ(ი)ობად არა ჯერ-არს, თუ დედ(ა)თა / წეს-საცა გარდასრულ იყოს და / ს(რული)ად სოფლით გ(ა)ნშორებული იყოს. /

ტკბილითა და ძმრითა ჟ(ამს)ა ნუ სწირავ. შეშისა ლახურითა ნუ ამოჰკუვთ.

ბარძიმსა შ(ინ)ა ზედაშესა წყ(ა)ლი ურთე. უწყლოდ ნუ სწირავ. წყლისა წილ თოვლსა ნუ / ჩაურთავ.

რ(ომ)ლისად უწყოდე / და ს(ა)დ(მ)რთოდ კ(ა)ნონი წირვის(ა)გ(ა)ნ გ(ა)ნაყენებდეს, მ(ა)ს თ(ა-ნ)ა ჟ(ამს)ა ნუ სწირავ. /

რ(ომე)ლმან ერთითა შ(ა)თასაცმელითა ჟ(ამი) / წიროს, შეწუნებულ იყავნ. 31₃₁

სიწმიდესა და მიპრონსა ერისკ(ა)ცსა / ნუ მისცემ.

რ(ომე)ლსა ს(ა)ხლსა წილოვანი დედაკ(ა)ცი იყოს და ანუ მეძავი, მ(ა)ს / ს(ა)ხლსა შ(ინ)ა სიწმიდესა და მიპრონსა / ნუ დასდგამ.

სნეულისა ზიარებ(ა)დ / ერისგ(ა)ნისაგ(ა)ნ არ ეგების, არამედ მღვ(ე)ლთა და დ(ი)კ(ო)ნ-თ(ა)გ(ა)ნ ჯერ-არს ზიარებ(ა)დ. /

ხ(ოლო) ოდეს აზიარებდეს, ფილონი შეიმოსოს, / ს(ა)ნთელი ადანთოს, საკმეველი / აკ-მიოს, ილოცოს ფ(რია)დ და ყ(ოვე)ლთა წ(მიდა)თა / შეავედროს და ეგრეთ აზიაროს, შიშით / და კრძალვით.

ხ(ოლო) ოდეს აზიაროს, / უკ(უე)თუ მ(ა)ს ჟ(ამს)ა არა მოკუდეს და ოცი / დღე ანუ ორ-მეოცი ანუ სამეოცი / და ოთხმეოცი დღე გამოკდეს და კ(უ)აღად / არღარა ეზიაროს და ეგრეთ მოკვ₄₁ურდეს, არავე კლებად იქმნების / ზიარებისად, ვინ(ა)თვ(ა)ნ მ(ა)შინ სასიკუდინოდ ეზიარა.

ხ(ოლო) უკ(უე)თუ აღ(ა)სარებ(ა)დ არა გითხრას და არცა / ზიარებისა წადიერებ(ა)დ არა აქუნდეს, მ(ა)ს ნუ აზიარებ, მო-ცა-ჰკლვიდეს.

რ(ამეთუ) უმჯობეს არს, რ(ა)თა / შ(ენ)ი სისხლი ქ(რისტეს)თ(უ)ს დასთხივო, ვ(ი)დრე / კორცი და სისხლი ქ(რისტეს)ი მიცემად არა-ღირსთა.

ნუცა დ(ი)დებ(უ)ლთა და ჰელ(ა)მწიფეთა შეუშინდები, ა(რამე)დ გეშინოდენ დ(მ)რთისა.

ნაწილისა დაწვად / არ იკადრების, ა(რამე)დ ღრმად დამა(რ)ხვად ჯერ არს.

ყრმასა ნუ მოჰქრისტნავ, ს(რული)ად მონათლე. რ(ა)დ ვით(ხ)რან, მსწრაფლ დაავდე, რასაცა 41₄₁ შრუშბოდე, წარემართე და მონათლე. / თუ მოკუდებოდეს მ(ა)სვეცა დღესა, რ(ომე)ლ(ს)ა იშ-ვას, მსწრაფლ მონათლე. თუ / დარჩებოდეს, შუდ დღედმდი, შ(ენ) ნუ ჰპა(ტ)იჯობ მონათლვასა და შუდ დღითგ(ა)ნ / ჰპა(ტ)იჯობდი, რ(ა)თა მონათლონ.

უკ(უე)თუ / უნათლავი მოკუდეს, მკ(უ)დ(ა)რთა თ(ან)ა / დაჰმარხე და ჟ(ამს)ა ნუ უწირავ. /

უკ(უე)თუ მიზეზი შ(ენ)გ(ა)ნ იყოს, მიედ და გაავ(ო)ნე მოძ(უ)არსა და თუ მიზეზი დედა-მამის(ა)გ(ა)ნ იყოს, იგი ვავ ზავნენ. /

უკ(უე)თუ ყრმად ნათლვასა შ(ინ)ა მოკუდეს / და ემბახსა არ ჩავედვას, უნ(ა)თლავი არს, დაავდე და თუ ჩავედვას, მონათლე, ქ(რისტეს)ანე არს. /

გამცნებ შ(ენ), შვილო, ნათესავთა 41₄₁ ხუთ მ(ა)მამდის ნუ ამძახებ / და სუუნდიკნობთა შუდ მ(ა)მამდის ნუ ასუუნდიკნობებ. /

თუ სომეხსა მკუდარსა ზ(ე)და მიხვდე, / ვ(ი)თარცა ერისკ(ა)ცმ(ა)ნ იტირე, ნუცა რას / წაუკითხავ, ნუცა ჯ(უ)არსა დასწერ / და თუ სომეხი შ(ენ)სა დაჰხუდეს, ეკრეთვე მ(ა)ნ ყოს.

მარხვ(ა)ტა შ(ინ)ა ქორწილისა ვარდაჲდა არა ჯერ არს, / თჳნიერ ხარ(ე)ბისა და ბზო-
ბისა.

მოც(ა)ცებით და მეძ(ა)კობით შეყოფილნი / იგივე მეძ(ა)ენი იქმნებიან.

ნუცა / მესამეთა გვრგვინთა აკ(ურთ)ხ(ე)ვ, რ(ამეთუ) ჰ(ირუ)ელი / მეუღლებ(ა)დ წესიერი
არს, მეორე – შ(ე)ნ/დობითი, ხ(ოლო) მესამე – ყ(ოვლა)დ უწესოდ და / მეძ(ა)ენა თ(ან)ა ყოფასა
მცირედლა *sv||sv* უმჯობეს არს.

უკ(უ)ეთუ / ვინმე უნებლიეთ სიკ(უ)დ(ი)ლისა/ც(ა)ნ დიდისა დაემართოს მესამე ქორწინებად,
იგი ეკლესიით გ(ა)ნიც(ა)დების. / უკ(უ)ეთუ მოძღ(უ)რისა ბრძ(ა)ნებითა იქმნას და შიშით და
კრძ(ა)ლვით იქცეოდეს და მერმე სინანულსა და სიწმიდესა შეუდგენ, ესენი იზიარებიან. /

სომეხთა მზახობასა და სუინდიკონოზობასა ეკრძ(ა)ლე.

მწვალებელსა / ჯ(უარს)ა ნუ დასწერ, ნუცა სეფისკუშრსა / მისცემქ.

ეკლესიას ერისა ხდილობად / შეყრად არა ჯერ-არს.

ვინცა ეკლესიას მღერად იკადროს, ვითამცა კერ(ა)ჯ(ა)ტა ბომონად შესცვალებს ეკლე-
სიასა, ესრეთ შეერაცხების. რ(ამეთუ) არცა ცუდი *sv||sr* საუბარი იკადრების ეკლესიას.

უკ(უ)ეთუ / სადა ვინ მდ(ე)ლმ(ა)ნ იმღეროს, მღდელობის(ა)გ(ა)ნ აღიკოცოს.

მღდელი მომღერალი, მაგინებელი, მომთრეველე, მონადირე და მპარავი მღდელობის(ა)-
გ(ა)ნ აღიკ(ო)ცების და უკ(უ)ეთუ არა / დააცადოს, ვ(ითარცა) იუდა დაძახების. /

რ(ომე)ლსა პირსა ვინებად გამოვ(ა)ლს, მ(ა)ს / პირსა ს(უ)ელი წ(მიდა)დ არა შევაღს. /

უკ(უ)ეთუ მღდელისა ცოლი და ანუ დიაკონისა დაეცეს სიძვითა და შეაცნას / მდ(ე)ლ-
მ(ა)ნ და ანუ დ(ია)კ(ონ)მ(ა)ნ, მ(ა)სვე უ(ამს)ა თუ გ(ა)ნ/უტეოს, აქუნდეს მღდელობ(ა)დ შეუცვალე-
ბელ(ა)დ და სხვსა ცოლისა შერთვად არა ჳელ-ეწიფების.

ხ(ოლო) უკ(უ)ეთუ / მ(ა)ს თ(ან)ა ყოფად ინებოსლა, ვითარმცა *sv||sv* მეძ(ა)კესა თ(ან)ა მყოფ
არს. იჯმნას უკ(უ)მ / მღდელობის(ა)გ(ა)ნ.

უკ(უ)ეთუ მღდ(ე)ლი დაეცეს / სიძვითა, მ(იე)რითგ(ა)ნ მღდელობად არა / ჳელ-ეწიფების
და უკ(უ)ეთუ დ(ია)კ(ონ)ი დაეცეს, მღდ(ე)ლობ(ა)დ ვერღარა მოვ(ა)ლს და / არცა დ(ია)კ(ონ)(ო)-
ბ(ა)დ ჳ(ე)ლ-ეწიფების და უკ(უ)ეთუ / წიგნის მკითხველი დაეცეს, დ(ია)კ(ონ)(ო)ბ(ა)დ ვერღარა
მოვ(ა)ლს.

რ(ომელ)მ(ა)ნ მღდ(ე)ლისა ცოლი / აცთინოს, კ(ა)ცის კლვისა კანონი დაესაჯოს /

და ხუთი წილი სხ(უ)ად კ(ა)ცის მკლველთ(ა)გ(ა)ნ უმეტესი და ესევე კ(ა)ნონი მღდელის
ცოლსა / მსიძავსა, რ(ამეთუ) მეუღლეთცა მ(ა)თათა მკლველ ექმნებიან, რ(ამეთუ) მიერთგ(ა)ნ
მღდ(ე)ლ(ო)ბ(ა)დ / არღარა ჳ(ე)ლ-ეწიფების.

რ(ომელ)ი ხუმრობდეს / და სხ(უ)ათაცა აცინებდეს, სამ დღე უზიარებელი იყოს.

¹ „განგებად მსოფლიოთა მღდელთათჳს“ ამ მუხლთან დაკავშირებით, შეუძლებელია, არ გაგახსენდეს 1205/1206-1210 წლებში საქართველოს მეფის თამარის (1184-1210 წწ.) კარზე მომხდარი ცნობილი ისტორიული ფაქტი, როდესაც ქართლის კათალიკოსმა იოანე VIII-მ (1205/6-1210 წწ.) და მისმა თანამხლებმა მღვდლებმა ქვეყნის ერთ-ერთი უმაღლესი სახელმწიფო მოხელის, მონოფიზიტი ამირსპასალარის ზაქარია მხარგრძელის საზიარებელი სეფისკვერის მიცემაზე კატეგორიული უარი განცხადეს. ეს ამბავი მეფე თამარის I ისტორიკოსის მიერ XIII საუკუნის დასაწყისში შედგენილ თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ შემდეგი სახით არის მოთხრობილი: „მოვიდეს მძანი ორნი მეფეს წინაშე მსახურებად, ძენი სარგის ამირსპასალარისანი, რომელნი მას ჟამსა დიდად განდიდებულნი იყვნეს მეფისა მიერ: ზაქარია ამირსპასალარი და ივანე მსახურთ-უხუცესი. ყოველნი მკურნალებს მეფის წინაშე იყვნეს: კათალიკოსი იოანე, სულმობერული, კაცი ანგელოზთა მოხარვე, და მცირენი ეპისკოპოსნი, და სხუანიცა საქართველოს წარჩინებულნი შეკრებულ იყვნეს. ვითარ კათალიკოსი იოანე უსისხლოსა მსხუერპლსა მღდელმოქმედებდა, მოიღო და შესწირა მან ჟამი. აღსრულებისა ყოველნი ღირსნი მოუჯდებოდეს ჳამად სეფისკუერისა. ინება ზაქარია ამირსპასალარმან შეხებად და აღებად სეფისკუერისა. ხოლო მღდელთა არა მისცეს, რამეთუ იყო სარწმუნოებით სომეხი, შეწუენებულთაგანი; და სირცხვლითა იკადრა ზაქარია აღტაცებად სეფისკუერისა და შეჳმად. რომლისათჳს კათალიკოსი, ცეცხლებრ აღტყინებული, ძლიერად ამხილებდა და ეტყოდა: „ნეფსით არავინ მართლმადიდებელთაგანი იკადრებს მღდელმოქმედებასა სეფისკუერს თჳუნ, შუდგზის წყუელთა სომეხთა, მოცემად, მომტაცებელი ძალიცა თუ იბოს“. რომლისათჳსცა სირცხვლელუი წარვიდა ზაქარია კარვად თჳსად“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II (თბილისი, 1959), გვ. 81-82. შდრ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გ. კარტოზიამ და ც. კიკვიძემ, ქართლის ცხოვრება (თბილისი, 2008), გვ. 452). მოთხრობილი ამბიდან, პირველ რიგში, აღსანიშნავია კათალიკოსი იოანე VIII-ის მიერ მოხმობილი არგუმენტი, რომლის დახმარებითაც მან თავისი და მისი თანამხლები მღვდლების საქციელი ახსნა: „ნეფსით არავინ მართლმადიდებელთაგანი იკადრებს მღდელმოქმედებასა სეფისკუერს... შუდგზის წყუელთა სომეხთა“. ვფიქრობ, სრულებით აშკარაა, რომ კათალიკოსი იოანე VIII-ის ეს არგუმენტი სრულ შესაბამისობაში მოდის „განგებად მსოფლიოთა მღდელთათჳს“ ზემოთ მოტანილი მუხლის II ნაწილთან: „მწვალებელსა... ნუცა სეფისკუშრსა მისცემქ“, რომლის ძალითაც საქართველოს ეკლესიის უდიდესი ავტორიტეტი ექვთიმე მთაწმიდელი საერო მღვდლებს, შესაბამისად კი, კიდევ უფრო მკაცრად, ლიტურგიული მსახურების უფლების მქონე მონაზვნებს, მათ შორის, კათალიკოსებსა და ეპისკოპოსებსაც, პირდაპირ ავადლებულებს, რომ „მწვალებლებს“, რომელთა შორის, ცხადია, სომეხი მონოფიზიტებიც იგულისხმებიან, საზიარებელი სეფისკვერი არ მისცენ.

მღვდელის(ა)გ(ა)ნ არა ჯერ-არს $\text{sv}||\text{r}$ მომღერ(ა)ლთა და მომთრევა(ა)ლთა თ(ან)ა / აღრევა. ქორწილისა პურსა / ჯ(უარი) დაუწერე, პური ჭამე და წა<დ>დი. / ვაჟთა მღერასა და ხუმრობასა / ნუ დაჰხუდები. ნუცა ჰომსა / შეხ(უ)ხალ და ნუცა ალაფისა აღეხასა დაჰხუდები¹.

ნუცა რას მოაქნევ საკრავად, რ(ამეთუ) დაყენებულ / არს მ(ა)რჯუშნე მღვდელისა მფოთისა და მტერობის(ა)გ(ა)ნ.

ხ(ოლო) ჯერ-არს / მღ(ე)ლის(ა)გ(ა)ნ თ(უ)სთა სამწესოთა წურთად და ურჩთა და მაცილობელთა წინა აღდგომად, ვ(იდრე) სიკ(უ)დილ(ა)მდის და ვ(ითარცა) იტყვს მ(ა)ცხ(ოვა)რი: „მწყემსმ(ა)ნ კ(ე)თილმ(ა)ნ ს(უ)ლი თ(უ)სი დადვის ცხოვართა თ(უ)სთათ(უ)ს“.

შვილო, მრემლთა $\text{rv}||\text{v}$ შ(ე)ნთა მარხვასა და ლ(ო)ცვ(ა)სა და სიწმიდესა ზედად-ზ(ე)და ასწავებდი. თ(ა)ვი შ(ე)ნი / სახედ მიეც სათნ(ო)ებითა, რ(ად)თა შ(ე)ნ გბაძვიდენ და შ(ე)ნ მ(ი)ერ ძ(ა)ლი ღ(მრთისა)დ იდიდოს. უკ(უ)ეთუ / უღაიჭრსად იქცეოდე, სამწესოდ შ(ე)ნი შ(ე)ნ გბაძვიდეს და შ(ე)ნგ(ა)ნ ძ(ა)ლი ღ(მრთისა)დ იგმობვის. /

რ(ამეთუ) ყ(ოვე)ლი კ(ა)ცი თ(ა)ვისა ც(ო)დვ(ა)თათ(უ)ს გ(ა)ნიკითხვის, / ხ(ოლო) მღვდელი ერისათ(უ)ს, რ(ომე)ლი მისდა რწმუნებულ იყოს.

წირვასა მეტსა ნუ შეჰვარდები, რ(ად)თა იცი, რავდენ დღე ცოცხალ ხ(ა)რ. /

კვრიაკესა და საუფლოთა დღეს(ა)სწ(ა)ულთა / და კ(ა)ქოლოდიკეთა მ(ა)რხვ(ა)თა შ(ინ)ა სიწმიდით დაა(ც)ვე თ(ა)ვი შ(ე)ნი მეუღლესა თ(ან)ა და ოდეს წირვ(ა)დ / გვეულებოდეს, ხუთნი ოდენ დღე-ღამენი / მეუქლესა თ(ან)ა წმიდად დაა(ც)ვენ.

ძილსა / შ(ინ)ა დაცემული ს(ა)კ(ურთ)ხ(ე)ვლ(ა)დ ნუ აღხუალ, $\text{rv}||\text{sr}$ ხ(ა)ტთა ნუ ემთხუვნი, კ(ა)ნონი ესე / თქუ: „წ(მიდა)ო ღ(მერთ)ო“-დ – ბ (3); „მ(ა)მ(ა)ო ჩ(უენ)ო“-დ – ბ (3); / „ღ(მერთ)ო, მიღხინე“ – ორმოცი; ასი – კ(ირი)ელეის(ო)ნი“; მუქლთ-მოდრეკად – ორმოცდაათი. /

ენუკევს ღ(მერთ)ი მ(ა)მ(ა)თა და დედ(ა)თა, ბერთა / და ყრმ(ა)თა, ძალისაებრ, მარხვასა / მცირედსა ხანსა მოცალონ და ღ(მერთ)ი / მოაღსენონ. თუ იცოდეს, „მ(ა)მ(ა)ო ჩ(უენ)ო“-დ / თქ(უ)ას და თუ არა იცოდეს, სამგ ზის / დავარდეს და ღ(მერთ)სა ევედროს.

გამცნებ შ(ე)ნ, შვილო, შიშითა უფლისა(თ)ა იყავ ყ(ოველ)სა / ქ(ამ)სა წ(მიდ)ისა ეკლესიისათ(უ)ს, მ(არა)დის ჰკითხვედი / თ(უ)სსა ებისკოპოსსა.

და მოძღ(უ)რ(ი)კ(ა)სამცა ქუშშე ხ(ა)რ ყ(ოველ)სა ქ(ამ)სა, რ(ა)დცა რ(ა)დ შეგემთხვოს მძინარესა ანუ მღვდარესა, ყ(ოველ)სა / დაუფარავად აღუარებდი მოძღ(უ)არსა. $\text{sr}||\text{sv}$

ნაწილსა ორისა ანუ სამისა თვს(ა)გ(ა)ნ / უფრო ნუ შეინახავ, რ(ა)ითჲ არა დაობდეს და გემოდ გამოუვიდეს. კ(უ)ალად გამო(ს)ცვალედი და ახ(ა)ლსა შეინახვიდი და / ძუღლსა მ(ა)ს წ(მიდა)სა ადგილსა ეკლესიისა / კუთხ(ე)სა ჩასდებდი.

ნაწილისა დაწვ(ა)ი / არ იკადრების, ღრმად დამარხვ(ა)დ ჯერ-(ა)რს. /

მიჰრონი თუ დაგელიოს, შიგა ნურას / ჩაურთავ. კ(უ)ალად ს(ხ)უად სთხოვე ებისკოპოსსა.

უკ(უ)ეთუ ყრმად ნათლვასა შ(ინ)ა მოკუდეს, წინადვე მიჰრონსა ნუ სცხებ. /

სახლსა შ(ინ)ა არცა ნათლვად ეგების / და არცა გვრგვნთა კ(ურთ)ხ(ე)ვ(ა)დ.


მთ(ა)ვ(ა)რ(ა)დ(ი)კ(ო)ნის(ა)გ(ა)ნ არცა ნ(ა)თლვად ეგების და / არცა გვრგვნთა კ(ურთ)ხ(ე)ვ(ა)დ, ხ(ოლო) მკუდარსა / დაჰმარხავს, თუ მღ(ე)ლი არა იყოს. $\text{sv}||\text{pr}$

¹ „განგებამ მსოფლიოთა მღვდელთათვის“ ამ მუხლთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს 1195 წელს ქართველებსა და ირანის ახერბაიჯანის ათაბაგს აბუ ბაქრს (1191-1210 წწ.) შორის ქალაქ შამქორთან გამართული ბრძოლის შემდეგ მომხდარი ერთი ისტორიული ფაქტი, როდესაც საქართველოს სახელმწიფოს უპირველესმა მოხელემ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესმა ანტონ გლონისთავისძემ, იმის გამო, რომ მონაზონი იყო, ბრძოლაში უშუალო მონაწილეობა არ მიიღო, თუმცა კი, დამარცხებული და ბრძოლის ველიდან გაქცეული ათაბაგ აბუ ბაქრის მიტოვებული ბანაკიდან, ალაფის სახით, არამხოლოდ „ღარი და საჭურჭლე“ წამოიღო, არამედ, სამი „ყრმის“ დახმარებით, სამასი ჯორი და აქლემიც წამოასხა. აღნიშნულ ამბავს მეფე თამარის I ისტორიკოსი თავის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ შემდეგ სახით გადმოგვცემს: „...[მტრის] დევნისაგან შემოიქცა მეფე (მეფე თამარის თანამეცხედრე, მეფე დავით სოსლანი (1187/89-1205 წწ.) – თ. ჯ.) და მიეგება ანტონი ვაზირი კვლეაპურობით მაღიდებელი ღმრთისა და თუთ ავსილი ღარითა და საჭურჭლითა ათაბაგისათა, რომელმან რიდობითა მონაზონობისათა არა იჭადა მახული და მისრულმან სამითა ყრმითა შემოაქცია სამასი ჯორი და აქლემი“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, გვ. 72. შდრ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ტექსტი გამოსაცემად... გვ. 442). ვფიქრობ, სრულებით აშკარაა, რომ თავისი დროის ერთ-ერთი უდიდესი საერო და საეკლესიო მოღვაწის, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ანტონ გლონისთავისძის აღნიშნული საქციელი, ერთი მხრივ, სრულად შეესაბამება „განგებამ მსოფლიოთა მღვდელთათვის“ ზემოთ მოტანილი მუხლის I ნაწილს: „ნუცა ჰომსა შეხუალ“, თუმცა კი, მეორე მხრივ, ცალსახად ეწინააღმდეგება და არღვევს ამავე მუხლის II ნაწილს: „ნუცა ალაფისა აღეხასა დაჰხუდები“, რომლის ძალითაც ექვთიმე მთაწმიდელი საერო მღვდლებს, მათზე უფრო მკაცრად კი, ცხადია, მონაზვნებს, ღიად ავაღდებულებს, რომ ალაფის განაწილებასა თუ წამოდებაში მონაწილეობა არ მიიღონ.

ოდიკსა თუ ფერჯი გამოვიწყდეს / და ანუ თავუშ(ა)ნ გაჭურითოს, / მ(ა)ს ზ(ე)და ჟ(ამ)სა ნულარა სწირავ და ნუცა წირულსა ზ(ე)და მეორედ სწირავ. /

ესეცა უწყოდე, რ(ამეთუ) ყ(ოველთა) ოთხშ(ა)ბ(ა)თ-პარასკევთა, ვითარცა დიდთა / მ(ა)რ-ხვ(ა)თად, ჯერ-არს მ(ა)რხვ(ა)დ, რ(ამეთუ) დღენი / არიან ო(ველ)ისა ჩ(უენ)ისა ვნებისანი, რ(ამე-თუ) / ოთხშ(ა)ბ(ა)თსა გ(ა)ნიძრახეს ურიათა / მოკლე(ა)დ ქ(რისტე)სი, ხ(ოლო) პარასკევსა სრ(ულ-ვეს. ხ(ოლო) ესე უწყოდე, ოთხშ(ა)ბ(ა)თ-ქ(ა)კრ(ა)ქ(ა)სკევენი ესრეთ ვ(ა)ნიკსნებთან: უკ(უ)ქეთუ დაემ-თხვოქსქ ფერისცვ(ა)ლებ(ა)დ და / ანუ მარიაძობად, ვ(ა)ნკ(ა)ნის და აღ(ა)ვსებისა კ(ა)რ(ია)კეი, ს(ა)ქელისა წ(მიდ)ისა მოსლვისად, ქ(რისტე)შ(ო)ბისა კ(ა)რ(ია)კეი, იბ (12) დღე და აღ(ა)ვს(ა)ურთა კ(ა)რ(ია)კე და ყველიერისა / კ(ა)რ(ია)კე. ესე შუდელუნ[ი] კსნილნი / არიან ოთხშ(ა)ბ(ა)თ-პარასკევთა და / რ(ამეთუ)ლთაცა მ(ო)წ(ა)მეთა საცისკროდ სახ(ა)რ(ებ)დ(ა)დ / აქ(უ)ქს, მ(ა)თისა ტაძარსა შ(ინ)ა მ(ა)თ / წ(ინა)შე / შექ(ა)მოკრებულთა მედღეს(ა)სწ(ა)ლეთათ(ა)ს / შემდღებელ არიან ვ(ა)ნკ(ა)ნად. /


სეკდენბერსა იმ (14), ჯ(უ)არის ამ(ა)ღლ(ებ)დ(ა)დ, თუ / კ(ა)რ(ია)კესაცა მიჰხუდეს, მარხვ(ა)დ არს / და ოდეს ვ(ა)ნცხადებისა ათორმეტნი გარდადკდებოდენ, იგიცა მ(ა)რხვ(ა)დ / არს. ხ(ოლო) სხ(უ)ად ყ(ოველ)ი – ვ(ითარცა) ვის ძაღედვას / და ვ(ითარცა) მოძლ(უ)არმ(ა)ნ ვ(ა)ნუწესოს. დი-დსა / პარასკევსა არავის კვლეწიფების არცა პურისა ჭამქად და არცა / წყლისა ს(უ)მად. ხ(ო-ლო) უკ(უ)ქეთუ ვინმე სნეული ვიღოს, მხისა დასლვისა ჟ(ამ)სა მიიღოს / პური და წყ(ა)ლი. ვ(იდრ)ე ორი ჟ(ამ)ი ღამისქად / გამოვიდეს და შ(ა)ბ(ა)თსა მწ(უ)ხრი-ჟ(ამ)ის-წირვად და მივიღებთ მცირესა ვ(ა)ნატეხსა და ორ-ორსა ჩირსა და თუთუ ს(ა)სმელსა / ღვინოსა⁴ (სურ. 4, სურ. 5, სურ. 6, სურ. 7, სურ. 8, სურ. 9, სურ. 10, სურ. 11 და სურ. 12)



სურ. 4


„ლოცვად შესლვასა ახლისა სახლისად, კურთხევად“ (დასასრული ფრაგმენტი), „ლოცვად ბაღეთა ზედა თევზისათუს“ და „განგებად მსოფლიოთა მდღელთათუს“ (დასაწყისი ფრაგმენტი) (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის ფრაგმენტების (Fr) კოლექცია, №216, 1v-2r)

¹ კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, ფრაგმენტების კოლექცია, ფრაგმენტი №216, 1v-10r. შტრ.: ვ. დონდუა, განგებად მსოფლიოთა მდღელთათუს, გვ. 50-54.




სურ. 5

„განგებად მსოფლიოთა მღვდელთათვის“ (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის ფრაგმენტების (Fr) კოლექცია, №216, 2v-3r)




სურ. 6

„განგებად მსოფლიოთა მღვდელთათვის“ (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის ფრაგმენტების (Fr) კოლექცია, №216, 3v-4r)




სურ. 7

„განგებად მსოფლიოთა მღვდელთათჳს“ (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის ფრაგმენტების (Fr) კოლექცია, №216, 4v-5r)




სურ. 8

„განგებად მსოფლიოთა მღვდელთათჳს“ (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის ფრაგმენტების (Fr) კოლექცია, №216, 5v-6r)




სურ. 9

„განგებად მსოფლიოთა მღდელთათჳს“ (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის ფრაგმენტების (Fr) კოლექცია, №216, 6v-7r)




სურ. 10

„განგებად მსოფლიოთა მღდელთათჳს“ (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის ფრაგმენტების (Fr) კოლექცია, №216, 7v-8r)



სურ. 11

„განგებად მსოფლიოთა მღვდელთათჳს“ (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის ფრაგმენტების (Fr) კოლექცია, №216, 8v-9r)



სურ. 12

„განგებად მსოფლიოთა მღვდელთათჳს“ (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის ფრაგმენტების (Fr) კოლექცია, №216, 9v-10r)

II. კურთხევის ურთიერთობის (Fr.216) ანდერძ-მინაწერები

კურთხევანის ანდერძების საკითხით პირველად ვარლამ დონდუა დაინტერესდა. მკვლევარმა თავის ნაშრომში „განგებად მსოფლიოთა მდღელთათჳს“ გამოთქვა მოსაზრება, რომ კურთხევანს დართული აქვს სამი ანდერძი, რომელთაგან პირველი ორი ანდერძი კურთხევანის დედანს ეკუთვნის და დედნიდან კურთხევანში მექანიკურად („ბუნებრივად“) არის გადატანილი. ვარლამ დონდუას ცნობით, ამ ორი ანდერძიდან პირველ ანდერძში კურთხევანის დედნის გადამწერი – დიაკონი გრიგოლ ბანდაისძე, ხოლო მეორე ანდერძში იმავე კურთხევანის დედნის მომგებელი – დეკანოზის შვილი ქსენეფორე ბურდულია მოხსენიებული. რაც შეეხება მესამე ანდერძს, ის, მკვლევრის დაკვირვებით, თავად კურთხევანის გადამწერს ეკუთვნის, რომელიც კოლოფონში საკუთარ ვინაობას არ უთითებს და მხოლოდ კურთხევანის დედნის გადამწერისა და მომგებლისადმი მიძღვნილი სავედრებელი ტექსტები მოაქვს: „ხელნაწერის ბოლოს დართულ სამ ანდერძთაგან უკანასკნელი ეკუთვნის ამ ხელნაწერის შემსრულებელ კალიგრაფს, რომელიც თავის ვინაობას არ აცხადებს. ამ ანდერძში იგი შენდობას უთვლის, კერძოდ, იმ ორ პირს, რომელთა სახელებით ყოფილა აღნიშნული მის მიერ დედნად გამოყენებული ნუსხა. ამ ორი პირის ვინაობას გვაუწყებს ჩვენი ხელნაწერის ორი პირველი ანდერძი, რომელნიც ამ ხელნაწერში ბუნებრივად გადმოტანილია მისი დედნიდან. თვით ამ ანდერძთაგან პირველი გვაუწყებს, სახელდობრ, რომ სათანადო ნუსხის გადამწერი ყოფილა დიაკონი გრიგოლ ბანდაისძე, ხოლო მის მიმდევრო ანდერძში ქსენეფორე ბურდული, რომელიც მისივე ჩვენებით, ყოფილა დეკანოზის შვილი...“¹.

ვარლამ დონდუას შემდეგ კურთხევანის ანდერძების საკითხს თინათინ ენუქიძე შეეხო. მკვლევარმა თავის 1971 წლის სტატიაში სრულად გაიზიარა ვარლამ დონდუას მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ კურთხევანის პირველი და მეორე ანდერძები კურთხევანის დედანს ეკუთვნის და კურთხევანში მისი დედნიდან არის გადასული, ხოლო მესამე ანდერძში იმავე კურთხევანის დედნის გადამწერი და მომგებელი არიან მოხსენიებულნი. გარდა ამისა, თინათინ ენუქიძემ, ვარლამ დონდუასგან განსხვავებით, აღნიშნა, რომ კურთხევანს, სხვენებული სამი ანდერძის გარდა, სამი მინაწერიც აქვს დართული, რომელთაგან პირველი, ნუსხური მინაწერი ხელნაწერის გადამწერის ხელით არის შესრულებული, დანარჩენი ორი, მხედრული მინაწერი კი უფრო მოგვიანო ხანას მიეკუთვნება².

კურთხევანის ანდერძ-მინაწერების შინაარსობრივი და პალეოგრაფიული ანალიზი აჩვენებს, რომ ვარლამ დონდუასა და თინათინ ენუქიძის მიერ ამ კოლოფონების შესახებ გამოთქმული მოსაზრებები, ძირითადად, მართებული არ არის. დავიწყებ იმით, რომ კურთხევანს დართული აქვს მისი გადამწერის ხელით შესრულებული ოთხი ანდერძი და არა სამი ანდერძი, როგორც ამას ვარლამ დონდუა და თინათინ ენუქიძე ფიქრობდნენ. ამგვარი დასკვნისკენ, პირველ რიგში, კოლოფონების შინაარსზე დაკვირვება მიბიძგებს: №1 ანდერძი დიაკონ გრიგოლ ბანდაისძის, ხოლო №2 ანდერძი დეკანოზის შვილის ქსენეფორე ბურდულის სახელით არის შედგენილი და შესაბამისად, ორ სხვადასხვა კოლოფონს წარმოადგენს. რაც შეეხება კურთხევანის გადამწერის ხელით დაწერილ დანარჩენ ორ კოლოფონს ანუ ჩემი ნუმერაციით, №3 და №4 ანდერძებს, მათ ვარლამ დონდუა და თინათინ ენუქიძე, შეცდომით, ერთ კოლოფონად მიიხსენებდნენ. არადა, ეს კოლოფონები, შინაარსის თვალსაზრისით, სრულებით სხვადასხვა ანდერძებია, რომელთაგან პირველი კოლოფონი ანუ №3 ანდერძი ქსენეფორე ბურდულისა და მისი ოჯახის წევრების (დედ-მამის), ხოლო მეორე კოლოფონი ანუ №4 ანდერძი გრიგოლ ბანდაისძისა და მისი ოჯახის წევრთა (მშობლების) სავედრებლებს წარმოადგენს. ჩემს მიერ გამოთქმული იმ მოსაზრების მართებულობას, რომ კურთხევანს მისი გადამწერის ხელით შესრულებული არა სამი, არამედ ოთხი ანდერძი აქვს დართული, კოლოფონების შინაარსის გარდა, მათი ვიზუალური გაფორმებაც ადასტურებს: ჩემს მიერ გამოყოფილი ოთხივე ანდერძის დასაწყისში წითელი ფერის საწერ-საღებავით გამოყვანილი თითო სახედაო ასოა შესრულებული

ცალკე მსჯელობის საგანია ვარლამ დონდუასა და თინათინ ენუქიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმადაც კურთხევანის ანდერძებში არა უშუალოდ ამ ხელნაწერის, არამედ მისი დედნის გადამწერი და მომგებელი არიან მოხსენიებული. მკვლევრებს საკუთარი მოსაზრების დასასაბუთებლად მოხმობილი აქვთ მხოლოდ ერთი კონკრეტული არგუმენტი, რომელიც, თავის მხრივ, ვარლამ დონდუას ეკუთვნის, თინათინ ენუქიძე კი, როგორც ჩანს, მთლიანად იზიარებს მას. აღნიშნული არგუმენტის თანახმად, კურთხევანის „უკანასკნელ“ კოლოფონში ანუ, ჩემი ნუმერაციით, №3 და №4 ანდერძებში, ხელნაწერის გადამწერი „შენდობას უთვლის“

¹ იქვე, გვ. 47.

² თ. ენუქიძე. პროფესორ ვარლამ დონდუას..., გვ. 135.

პირველ ორ კოლოფონში ანუ, ჩემი ნუმერაციით, №1 და №2 ანდერძებში გადამწერად და მომგებლად მოხსენიებულ გრიგოლ ბანდაისძესა და ქსენეფორე ბურდულს, რაც, თავის მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ „უკანასკნელი“ კოლოფონის შესრულებისას, შესაბამისად კი, მთლიანად კურთხევანის გადაწერის დროს, გრიგოლ ბანდაისძე და ქსენეფორე ბურდული უკვე გარდაცვლილები იყვნენ, ანონიმი მწიგნობრის ხელიდან გამოსული კურთხევანი კი მათ მიერ გადაწერილ-მოგებული ხელნაწერის პირს წარმოადგენდა: „სამწუხაროდ, ხელთნაწერის ანდერძები უშუალოდ არ იძლევა მისი გადაწერის თარიღს. იქ ჩანს მხოლოდ, რომ ჩვენი ნუსხა გადაწერილი ყოფილა ბანდაისძისა და ბურდულის გარდაცვალების შემდეგ. ამ ნუსხის უშუალო გადამწერელი მესამე, უკანასკნელ ანდერძში შენდობას უთვლის ორთავეს. ეს გადამწერელი, ჩვენთვის უცნობად დარჩენილი, მაშასადამე, ყოფილა ბანდაისძის მიერ გაკეთებული ხელთნაწერიდან მხოლოდ პირის გადმომღებელი. აი ამ პირს წარმოადგენს ჩვენი ნუსხა...“¹.

როგორც ვხედავთ, ვარლამ დონდუას მიერ მოხმობილი არგუმენტი შემდეგი სახისაა: კურთხევანის „უკანასკნელ“ კოლოფონში გრიგოლ ბანდაისძესა და ქსენეფორე ბურდულს „შენდობას უთვლიან“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული კოლოფონის შესრულების დროს ისინი უკვე გარდაცვლილები იყვნენ. აქვე, აღნიშნავ იმასაც, რომ ვარლამ დონდუას „შენდობას შეთვლაზე“ საუბრისას მხედველობაში აქვს №3 და №4 ანდერძებში დადასტურებული შემდეგი ფრაზები: №3 ანდერძი – „ს(უ)ლსა ქსენეფორესსა... შე(უ)ნდვენს ღ(მერთმა)ნ, ა(მენ)“²; და №4 ანდერძი – „მწერ(ა)ლსა გრ(ი)გ(ო)ლს... შე(უ)ნდვენს ღ(მერთმა)ნ. | ნაწერი დაშთა, ხ(ოლო) მწერ(ა)ლი მიწა იქმნა“³.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, მე განსხვავებული პოზიცია მაქვს და ვფიქრობ, რომ ვარლამ დონდუას მიერ მოხმობილი არგუმენტი მართებული არ არის, ვინაიდან ამა თუ იმ კოლოფონში ამა თუ იმ პირის სულისათვის შენდობის თქმა ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ კოლოფონის შესრულების დროს ეს პირი უეჭველად გარდაცვლილი იყო. აღნიშნული საკითხი საგანგებოდ შევისწავლე 2011-2012 წლებში კრებული „ქართული წყაროთმცოდნეობა“ XIII-XIV ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „XVI საუკუნის I ნახევარში ალასტინის ჭალთა წმ. გიორგის მონასტერში გადაწერილი მეტაფრასი (A-613/S-5226) და მისი ანდერძ-მინაწერები (მასალები ჯავახეთის სამწიგნობრო კერების ისტორიისათვის)“, რომელშიც, ცხრა კონკრეტული ანდერძის ანალიზის საფუძველზე, ვაჩვენე, რომ სავედრებელი ხასიათის ანდერძ-მინაწერებში შენდობით შეიძლება მოხსენიებული იყვნენ, როგორც გარდაცვლილი, ისე ცოცხალ პირთა სულები⁴. შესაბამისად, ის გარემოება, რომ კურთხევანის №3 და №4 ანდერძებში გრიგოლ ბანდაისძესა და ქსენეფორე ბურდულს „შენდობას უთვლიან“, ვარლამ დონდუას მოსაზრების საპირისპიროდ, სულაც არ გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ ამ ანდერძების შესრულების დროს ისინი უკვე გარდაცვლილები იყვნენ. პირიქით, აღნიშნულ გარემოებაზე დაყრდნობით, ზუსტად ასეთივე წარმატებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ანდერძების შესრულების დროს გრიგოლ ბანდაისძე და ქსენეფორე ბურდული ცოცხლები იყვნენ.

ჩემს მიერ აქ წარმოდგენილ მსჯელობასთან დაკავშირებით, ჰიპოთეტურად, შეიძლება გაჩნდეს აზრი, რომ ამ მსჯელობასთან წინააღმდეგობაში მოდის ზემოთ ციტირებული №4 ანდერძის ბოლო ფრაზა „ნაწერი დაშთა, ხოლო მწერალი მიწა იქმნა“, საიდანაც, თითქოს, გამომდინარეობს, რომ ანდერძის შესრულების დროს მის ტექსტში მოხსენიებული გრიგოლი უკვე გარდაცვლილი იყო („მწერალი მიწა იქმნა“). საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ ამგვარი შესაძლო, ჰიპოთეტური მოსაზრება საფუძველშივე მცდარია: ზუსტად ანალოგიური ან მეტნაკლებად მსგავსი შინაარსის ფრაზები შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნების ანდერძებში არაერთგზის გვხვდება და თითქმის ყველა ეს ფრაზა ხელნაწერის გადამწერის მიერ, უშუალოდ ხელნაწერზე მუშაობის პროცესში ანუ გადამწერის სიცოცხლეშია შესრულებული. შესაბამისად, №4 ანდერძის განსახილველი ფრაზა არათუ იმაზე არ მიუთითებს, რომ მისი შესრულების დროს გრიგოლ ბანდაისძე გარდაცვლილი იყო, არამედ, ვარლამ დონდუას მოსაზრების საპირისპიროდ, უფრო იმ აზრისაკენ გვიბიძგებს, რომ №4 ანდერძის შესრულებისას გრიგოლ ბანდაისძე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ირკვევა, რომ ვარლამ დონდუასა და თინათინ ენუქიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმადაც კურთხევანის

¹ ვ. დონდუა, განგება მსოფლიოთა მღვდელთაუს, გვ. 47.

² კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, ფრაგმენტების კოლექცია, ფრაგმენტი №216, 10v.

³ იქვე.

⁴ თ. ჯოჯუა, XVI საუკუნის I ნახევარში ალასტინის ჭალთა წმ. გიორგის მონასტერში გადაწერილი მეტაფრასი (A-613/S-5226) და მისი ანდერძ-მინაწერები (მასალები ჯავახეთის სამწიგნობრო კერების ისტორიისათვის), *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XIII-XIV (თბილისი, 2011/2012), გვ. 132.

გადაწერის დროს მის ანდერძებში მოხსენიებული გრიგოლ ბანდაისძე და ქსენეფორე ბურდული უკვე გარდაცვლილები იყვნენ, მართებული არ არის. შესაბამისად, იმ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად, თუ, სახელდობრ, რომელი ხელნაწერის გადამწერი და მომგებელი იყვნენ გრიგოლ ბანდაისძე და ქსენეფორე ბურდული – საკუთრივ კურთხევანისა თუ მისი დედნისა, თავად ანდერძების დეტალური შესწავლაა საჭირო.

კურთხევანს, როგორც უკვე აღვნიშნე ზემოთ, დართული აქვს ერთმანეთის მიყოლებით დაწერილი ოთხი ანდერძი: №1. გადამწერის, დიაკონ გრიგოლ ბანდაისძის სახელით შედგენილი ანდერძი; №2. მომგებლის, დეკანოზის შვილი ქსენეფორე ბურდულის სახელით შედგენილი ანდერძი; №3. მომგებლის, ქსენეფორე ბურდულისა და მისი ოჯახის წევრების (დედ-მამის) სავედრებელი ანდერძი; და №4. გადამწერის, დიაკონ გრიგოლ ბანდაისძისა და მისი ოჯახის წევრთა (მშობლების) სავედრებელი ანდერძი. სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ მაინცადამაინც ასეთი შინაარსის მქონე, მაინცადამაინც ამგვარი თანამიმდევრობით დალაგებული ოთხი ანდერძისაგან შემდგარი კოლოფონების სისტემა შუა საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში ძალზედ იშვიათად გვხვდება და უაღრესად საინტერესო მოვლენას წარმოადგენს (ამის შესახებ ვრცლად იხ.: ქვემოთ). თუმცა, მეორე მხრივ, ცალსახად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ანდერძებში არ გვხვდება არც ერთი პირდაპირი ცნობა თუ ირიბი მითითება, რომელიც, თუნდაც, პიპოტეტურად გვაფიქრებინებს, რომ ეს კოლოფონები არა საკუთრივ კურთხევანს, არამედ მის დედანს ეკუთვნის.

მართლაც, იმისათვის, რათა დავასკვანთ, რომ ამა თუ იმ ხელნაწერისათვის დართულ რამდენიმე ანდერძს შორის, ზოგიერთი ანდერძი საკუთრივ ამ ხელნაწერს ეკუთვნის, ხოლო ზოგიერთი ანდერძი ხელნაწერში მისი დედნიდან არის გადატანილი, აუცილებელია, ანდერძებში დადასტურებული იყოს შემდეგი სამი ძირითადი ნიშანი ან ამ სამი ნიშნიდან ერთ-ერთი მაინც: 1. ხელნაწერის კუთვნილ და ამ ხელნაწერში დედნიდან გადატანილ ანდერძებში გადამწერად და/ან მომგებლად სხვადასხვა პირები არიან დასახელებული; 2. ხელნაწერის კუთვნილ და ამ ხელნაწერში დედნიდან გადატანილ ანდერძებში გადამწერის დროის და/ან ადგილის შესახებ განსხვავებული მონაცემებია მოტანილი; და 3. ხელნაწერის კუთვნილი და ამ ხელნაწერში დედნიდან გადატანილი ანდერძების ზოგადი შინაარსი ან ცალკეული აზრობრივი დეტალები ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათისაა.

კურთხევანის ანდერძების შესწავლა აჩვენებს, რომ ამ კოლოფონებში ზემოთ ჩამოთვლილი სამი ნიშნიდან არც ერთი ნიშანი არ დასტურდება და ოთხივე ანდერძის ტექსტი ერთმანეთთან სრულ შესაბამისობაშია. ამგვარად, დგინდება, რომ ვარლამ დონდუასა და თინათინ ენუქიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება მართებული არ არის, კურთხევანისათვის დართული ოთხივე ანდერძი უშუალოდ ამ ხელნაწერს ეკუთვნის და მის ანდერძებში საკუთრივ კურთხევანთან დაკავშირებული პირები – გადამწერი გრიგოლ ბანდაისძე, მომგებელი ქსენეფორე ბურდული და მათი ოჯახის წევრები არიან მოხსენიებული.


ცოტა უფრო განსხვავებული სურათი გვაქვს კურთხევანის მინაწერებთან დაკავშირებით. ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერისათვის დართული ერთ-ერთი, ნუსხური მინაწერი ანუ ჩემი ნუმერაციით, №1 მინაწერი, რომელსაც თინათინ ენუქიძე კურთხევანის გადამწერის ხელით შესრულებულ მინაწერად მიიხევედა და რომელშიც, ხელნაწერის მომგებელი – ქსენეფორე ბურდულია მოხსენიებული, სინამდვილეში, კურთხევანის ტექსტის მსგავსი, ოღონდ, აშკარად სხვა ხელით არის დაწერილი. როგორც ჩანს, ეს კოლოფონი ხელნაწერის გადამწერის დასრულებიდან მცირე ხნის შემდეგ, სავარაუდოდ, თავად კურთხევანის მომგებლის მიერ იყო შესრულებული.

რაც შეეხება დანარჩენ ორ, მხედრულ კოლოფონს ანუ, ჩემი ნუმერაციით, №2 და №3 მინაწერებს, მათ შესახებ თინათინ ენუქიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება სავსებით მართებულია: ეს მხედრული კოლოფონები, კურთხევანის ოთხ ანდერძთან და ნუსხურ მინაწერთან შედარებით, უფრო მოგვიანო პერიოდშია დაწერილი (მათი დათარიღების შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ). ამგვარად, ირკვევა, რომ კურთხევანს მისი გადამწერის ოთხი ანდერძის გარდა, განსხვავებული ხელით დაწერილი კიდევ სამი მინაწერი აქვს დართული და არა ორი მინაწერი, როგორც ამას თინათინ ენუქიძე ფიქრობდა.

ქვემოთ აკადემიური სახით მოვიტან კურთხევანის უკლებლივ ყველა ანდერძ-მინაწერის ტექსტს. თავდაპირველად წარმოვადგენ ხელნაწერის ოთხივე ანდერძის ტექნიკურ აღწერილობას, მათი ტექსტების გადმონაწერებს დედნის შრიფტის დაცვით და ამ ტექსტების ჩემეულ წაკითხვებს.

1. ანდერძი შესრულებულია 10r-ს VII-XVIII სტრიქონებზე, თორმეტი სტრიქონი. კოლოფონის ზომა (საზედაო ასოს ზომის გარეშე) – 8 X 8,9 სმ. ნუსხური. I სტრიქონის პირველი გრაფემა, საზედაო ასო Ծ (დ) – ასომთავრულით.

ყავისფერი მეღანი. სახედაო ასო – წითელი ფერის საწერ-სადებავით. განკვეთილობის ნიშნები: წერტილი ერთგან. XVIII სტრიქონის წინ (!) დასმულია ხაზი და ორწერტილი. ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკნილი ხაზი. I სტრიქონის პირველი სიტყვის მეორე-მესამე გრაფემები b (ბ) და Y (ა) ამავე სიტყვის პირველი გრაფემის, შედარებით დიდი ზომის სახედაო ასო ო (ო) მუცელშია შეწიაღებული. XVIII სტრიქონის ბოლო სიტყვა cdvI Ta (ცდვლთა) სტრიქონის მარჯვენა მონაკვეთის ქვემოთ არის შესრულებული და იქვე, წერტილებით მინიშნებულია XVIII სტრიქონის ადგილი, სადაც ამ სიტყვის აღდგენა ნაგულისხმევი. ანდერძი გამოცემულია ორჯერ: პირველად – 1971 წელს, თინათინ ენუქიძის მიერ¹, ხოლო მეორედ – 1973 წელს, ვარლამ დონდუას წაკითხვით² (სურ. 13).



სურ. 13
კურხევანის №1 ანდერძი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის ფრაგმენტების (Fr) კოლექცია, №216,10r)


1. ო~bY R~a sr ul myof el sa y~isa kT~l issa
2. sr ul iqmnnes w~ni kx~v ni Pel iTa
3. mwar ed c~dv il isa s~sbiTa oden q~e
4. anisa x~ s~qmiTa y~d ar a msgv sisa
5. saxiTa oden diakonisa gr~gl bn~ds
6. ZisaYTa. uwyis R~n r~i Cm~isa umec
7. r ebisg~n egeboda dia mamiWir v eb
8. ia da kar gad qnasa ar ~Y mr Cev ia
9. uc~bd Cxibv sT~s Semindev iT da
10. l ~cv sa gev edr ebi nu damakl ebT
11. r~a T~qn m~r iTa l ~cv iTa v iPsne Rr Weni
12. -:sg~n kbil TaYsa r~i miel is C~mbr cdvI Ta

¹ „დიდება ღმერთსა სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისა სრულ იქმნეს წმიდანი კურხევანი კელითა მწარედ ცოდვილისა სასოებითა ოდენ ქრისტეანისა, ხოლო საქითა ყოვლად არა მსგ[ა]ქსისა სახითა ოდენ დიაკონისა გრიგოლ ბანდასძისადა. უწყის ღმერთმან, რომელი ღმერთისა უმეცრებისაგან ეგებოდა და მამიჭირებია და კარგად ქნასა არა მრჩევი. უცბად ხსობვიქსათუს შემინდევით და ლოცვასა გვეედრები ნუ დამაკლებ, რაათა თქვენ მიერთა ლოცვითა ვიკსნე დრჭენისაგან კბილთადა, რომელი მიელის ღმერთ ცოდვილთა“ (თ. ენუქიძე, პროფესორ ვარლამ დონდუას..., გვ. 135).

² „დიდება ღმერთსა სრულ-მყოფელსა ყოვლისა კეთილისა! სრულ იქმნეს წმიდანი კურხევანი კელითა მწარედ ცოდვილისა, სასოებითა ოდენ ქრისტეანისა, ხოლო საქითა ყოვლად არამსგ[ა]ქსისა, სახითა ოდენ დიაკონისა გრიგოლ ბანდასძისადა. უწყის ღმერთმან, რომელი ღმერთისა უმეცრებისაგან ეგებოდა, და მამიჭირებია და კარგად ქნასა არა მრჩევი. უცბად ხსობვისათუს შემინდევით და ლოცვასა, გვეედრები, ნუ დამაკლებ, რაათა თქვენ-მიერთა ლოცვითა ვიკსნე დრჭენისაგან კბილთადა, რომელი მელის ღმერთ ცოდვილთა“ (ვ. დონდუა, განგება მსოფლიოთა მღვდელთათუს, გვ. 55).

„დ(იდებ(ა)დ ღ(მერთს)ა სრულმყოფელსა ყ(ოვლ)ისა კ(ე)თ(ი)ლის(ა)სა. / სრულ იქმნეს წ(მიდა)ნი კ(ურთ)ხ(ე)ვ(ა)ნი ჳელითა / მწარედ ც(ო)დვილისა, ს(ა)ს(ო)ებითა ოდენ ქ(რისტ)ესანისა, ხ(ოლო) ს(ა)ქმითა ყ(ოვლა)დ არამსგ(ა)ჟისისა, / სახითა ოდენ დიაკონისა გრ(ი)გ(ო)ლ ბ(ა)ნ-დ(ა)ისქისადათა. უწყის ღ(მერთმა)ნ, რ(ომელი) ჩ(ე)მისა უმეცრების(ა)გ(ა)ნ ეგებოდა, ღია მამიჭირ-გებია და კარგად ქნასა არ(ა)დ მიქრჩევიან. / უც(ე)ბ(ა)დ ჩხიბვ(ი)ს(ა)თ(ე)ს შემინდევით და / ლ(ო)ცვ(ა)სა, გვედრები, ნუ დამაკლებთ, / რ(აითა) თქ(უ)ენმ(ი)ერითა ლ(ო)ცვითა ვიკსნე ღრჭე-ნი(ს)აგ(ა)ნ კბილთადასა, რ(ომელი) მიელის ჩ(ე)მ(ე)ბრ ც(ო)დვ(ი)ლთა“.

2. ანდერძი შესრულებულია 10v-ს I-XII სტრიქონებზე. თორმეტი სტრიქონი. კოლოფონის ზომა (საზედაო ასოების ზომების გარეშე) – 8,2 X 9,6 სმ. ნუსხური. I სტრიქონის პირველი ორი გრაფემა, საზედაო ასოები ს (ს) და Ⴀ (ა) – ასომთავრულით. ყავისფერი მელანი. პირველი საზედაო ასო – წითელი ფერის საწერ-სადებავით. განკვეთილობის ნიშნები: ორწერტილი ალაგ-ალაგ. ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკნილი ხაზი. რამდენიმე ადგილას მელანია გადასული ან ფურცელია გაჭუჭყიანებული და ტექსტი გაჭირვებით იკითხება. IX სტრიქონის მეორე სიტყვის [-]vedr ebi [-]ვედრები) პირველი ორი გრაფემა, ფურცლის გაჭუჭყიანების გამო, აღარ განირჩევა. ეს გრაფემები კონტექსტის მიხედვით მაქვს აღდგენილი ([გვედრები). ანდერძი გამოცემულია ორჯერ: პირველად – 1971 წელს, თინათინ ენუქიძის მიერ¹, ხოლო მეორედ – 1973 წელს, ვარლამ დონდუას წაკითხვით² (სურ. 14).



სურ. 14

კურხევანის №2 ანდერძი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის ფრაგმენტების (Fr) კოლექცია, №216, 10v)


¹ „სახელითა ღმრთისადათა და შეწევნითა წმიდისა გიორგი ღომისისაითა მოვიგენ და დავაწერინენ წმიდანი ესე კურთხევანი მე, ბურდულმან დეკანოზისა შვილმან ქსენეფორე საკმრად ჩემდა და მომავალთა ჩემთათჳს და სალოცველად სულისა ჩემისათჳს. აწ ვინცა მიემთხვენეთ წმიდანო მამანო წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა შენდობასა გვედრები ნუ დაგუაკლებთ რაათა თქუენ მიერთითა ლოცვითა ჩუენ. გჳკსნნეს ღმერთმან საუკუნეთა სატანჯველთაითგან და თქუენ მოგცეს სასუფეველი მისი“ (თ. ენუქიძე, პროფესორ ვარლამ დონდუას..., გვ. 135).

² „სახელითა ღმრთისადათა და შეწევნითა წმიდისა გიორგი ღომისისაითა მოვიგენ და დავაწერინენ წმიდანი ესე კურთხევანი მე, ბურდულმან, დეკანოზისა შვილმან ქსენეფორე საკმრად ჩემდა და მომავალთა ჩემთათჳს და სალოცველად სულისა ჩემისათჳს. აწ ვინც მიემთხვენეთ, წმიდანო მამანო, წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა, შენდობასა, გვედრები, ნუ დაგუაკლებთ, რაათა თქუენ-მიერთითა ლოცვითა ჩუენ გჳკსნნეს ღმერთმან საუკუნეთა სატანჯველთაითგან და თქუენ მოგცეს სასუფეველი მისი“ (ვ. დონდუა, განგებამ მსოფლიოთა მღვდელთათჳს, გვ. 55).

1. ႁCxel iTa R`YTa da Sewev niTa w`isa
2. g`i l omisisaYTa mov igen da dav a
3. wer inen wmidani ese k`xv ni me bur
4. dul m`n dekanozisa Sv il m`n qsenef
5. or e saPmr ad C`mda da momav`l Ta
6. C`mTaT`s da s`l ocv el d s`l isa C`mi
7. saT`s: aw v inca miemTxKv neT
8. w`no m`mno w`Ta S`a l oc`v Ta Tq`nTa
9. S`ndobasa [-]v edr ebi nu dagua
10. kl ebT r`a T`qn mier iTa l ocv i
11. Ta C`n: gKPsnes R`n saukuneTa
12. s`tj v l TaTgn da T`qn: mg`ces: ssf`v l i misi

„სახელითა ღ(მერთისა)ითა და შეწვენითა წ(მიდ)ისა / გ(იორგ)ი ლომისისაითა. მოვიგენ და დავაწერიენ წმიდანი ესე კ(ურთ)ხ(ე)ვ(ა)ნი მე, ბურღულმ(ა)ნ, დეკანოზისა შვილმ(ა)ნ ქსენეფორე სამრად ჩ(ე)მლა და მომავ(ა)ლთა / ჩ(ე)მთათ(კ)ს და ს(ა)ლოცველ(ა)დ ს(უ)ლისა ჩ(ე)მისათ(კ)ს. აწ, ვინცა მიემთხვენეთ, / წ(მიდ)ანო მ(ა)მ(ა)ნო, წ(მიდ)ათა შ(ინ)ა ლოცვ(ა)თა თქ(უ)ენთა / შენდობასა [გვედრები, ნუ დაგუაკლებთ, რ(ა)ითა თქ(უ)ენმიერთთა ლოცვითა ჩ(უ)ენ გვკსნენს ღ(მერთმა)ნ საუკუნეთა / ს(ა)ტ(ან)ჯვ(ე)ლთათ(ა)გ(ა)ნ და თქ(უ)ენ მ(ო)გცეს ს(ა)ს(უ)ფ(ე)ვ(ე)ლი მისი“.

3. ანდერძი შესრულებულია 10v-ს XIII-XIV სტრიქონებზე. ორი სტრიქონი. კოლოფონის ზომა (საზედაო ასოს ზომის გარეშე) – 1,2 X 8,1 სმ. ნუსხური. I სტრიქონის პირველი გრაფემა, საზედაო ასო ს (ს) – ასომთავრულით. ყავისფერი მელანი. საზედაო ასო – წითელი ფერის საწერ-საღებავით. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი. ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკნილი ხაზი. რამდენიმე ადგილას მელანია გადასული ან ფურცელია გაჭუჭყიანებული და ტექსტი გაჭირვებით იკითხება. ანდერძი გამოცემულია ორჯერ, პირველად – 1971 წელს, თინათინ ენუქიძის მიერ¹, ხოლო მეორედ 1973 წელს, ვარლამ დონდუას წაკითხვით² (სურ. 15).



სურ. 15

კურხევანის №3 ანდერძი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის ფრაგმენტების (Fr) კოლექცია, №216, 10v)


1. ႁl sa qsenef or essa da misTa dedoY
2. mm`Tasa S`ndv nes R`n a`n:-

„ს(უ)ლსა ქსენეფორესსა და მისთა დედა-მამათასა შეუნდენეს ღ(მერთმა)ნ, ა(მ)ენ“.

¹ „სულსა ქსენეფორესსა და მისთა დედა-მამათასა შეუნდენეს ღმერთმან, ამენ“ (თ. ენუქიძე, პროფესორ ვარლამ დონდუას..., გვ. 135). აქვე, აღვნიშნავ, რომ ეს ანუ №3 და მომდევნო ანუ №4 ანდერძები თინათინ ენუქიძეს თავის გამოცემაში ერთ კოლოფონად აქვს გაერთიანებული.

² „სულსა ქსენეფორესსა და მისთა დედა-მამათასა შეუნდენეს ღმერთმან, ამენ!“ (ვ. დონდუა, განგებად მსოფლიოთა მდღელთათვის, გვ. 55). აქვე, შევნიშნავ, რომ ეს ანუ №3 და მომდევნო ანუ №4 ანდერძები ვარლამ დონდუას ერთ კოლოფონად აქვს გაერთიანებული.

4. ანდერძი შესრულებულია 10v-ს XV-XVI სტრიქონებზე. ორი სტრიქონი. კოლოფონის ზომა (სახედაო ასოების ზომების გარეშე) – 1,5 X 9,6 სმ. ნუსხური. I და II სტრიქონების პირველი გრაფემები, სახედაო ასოები **ჟ** (მ) და **ნ** (6) – ასომთავრულით. ყავისფერი მელანი. პირველი სახედაო ასო – წითელი ფერის საწერ-საღებავით. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი. ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკნილი ხაზი. რამდენიმე ადგილას მელანია გადასული ან ფურცელია გაჭუჭყიანებული და ტექსტი გაჭირვებით იკითხება. ანდერძი გამოცემულია ორჯერ, პირველად – 1971 წელს, თინათინ ენუქიძის მიერ¹, ხოლო მეორედ – 1973 წელს, ვარლამ დონდუას წაკითხვით² (სურ. 16).



სურ. 16


კურხევანის №4 ანდერძი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის ფრაგმენტების (Fr) კოლექცია, №216, 10v)

1. ჰwer l sa gr ~gl s da mSobl Ta misTa S~n R~n
2. fawer i daSTa x~ mwer ~l i miwa iqmna:-

„მწერალსა გრიგოლს და მშობელთა მისთა შეუნდვენ ღმერთმან. / ნაწერი დაშთა, ხოლო მწერალი მიწა იქმნა“.

კურთხევანის გადამწერის ხელით შესრულებული ოთხი ანდერძის შემდეგ წარმოვადგენ ხელნაწერისათვის დართულ მოგვიანო ხანის სამივე მინაწერს. მოვიტან ამ მინაწერების ტექნიკურ აღწერილობას, მათი ტექსტების გადმონაწერებს დედნის შრიფტის დაცვით და ამ ტექსტების ჩემეულ წაკითხვებს.

1. მინაწერი შესრულებულია 9v-ს ქვედა აშიაზე. ერთი სტრიქონი. კოლოფონის ზომა (სახედაო ასოს ზომის ჩათვლით) – 7 X 0,7 სმ. ნუსხური. პირველი გრაფემა, სახედაო ასო **ჟ** (მ) – ასომთავრულით. ყავისფერი მელანი. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ტექსტის ბოლოს დასმულია სამი წერტილი. მინაწერის პირველი სიტყვა, მელნის გადახვლის გამო, შეუიარაღებელი თვალთ აღარ განირჩევა. ამ სიტყვის ამოკითხვა მხოლოდ ულტრაიისფერსხივებიანი ნათურებით აღჭურვილი აპარატის დახმარებით მოვახერხე. მინაწერი გამოცემულია ერთხელ, თინათინ ენუქიძის მიერ, 1971 წელს³ (სურ. 17).



სურ. 17

კურხევანის №1 მინაწერი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდის ფრაგმენტების (Fr) კოლექცია, №216, 9v)

¹ „მწერალსა გრიგოლს და მშობელთა მისთა შეუნდვენ ღმერთმან. ნაწერი დაშთა, ხოლო მწერალი მიწა იქმნა“ (თ. ენუქიძე, პროფესორ ვარლამ დონდუას..., გვ. 135). როგორც უკვე აღვნიშნე, ეს ანუ №4 და წინა ანუ №3 ანდერძები თინათინ ენუქიძეს თავის გამოცემაში ერთ კოლოფონად აქვს გაერთიანებული.

² „მწერალსა გრიგოლს და მშობელთა მისთა შეუნდვენ ღმერთმან! ნაწერი დაშთა, ხოლო მწერალი მიწა იქმნა“ (ვ. დონდუა, განგებაი მსოფლიოთა მღდეულთაგან, გვ. 55). როგორც უკვე აღვნიშნე, ეს ანუ №4 და წინა ანუ №3 ანდერძები ვარლამ დონდუას ერთ კოლოფონად აქვს გაერთიანებული.

³ „... და ქსენეფორეს შეუნდვენ ღმერთმან, ამენ“ (თ. ენუქიძე, პროფესორ ვარლამ დონდუას..., გვ. 135).

ჟღერს და ცხენფორს სწრაფად.

„მ(ა)თეს და ქსენეფორეს შეუნდებენ ღმერთმა, ა(მე)ნ“.

2. მინაწერი შესრულებულია 1r-ს მარჯვენა არშიაზე, გვერდულად, ქვემოდან ზემოთ. ერთი სტრიქონი. კოლოფონის ზომა – 9,7 X 1,8 სმ. მხედრული. ყავისფერი მელანი. განკვეთილობის ნიშნები: წერტილი ალაგ-ალაგ. ქარაგმის ნიშნები არ ახლავს. მინაწერი გამოცემულია ერთხელ, თინათინ ენუქიძის მიერ, 1971 წელს¹.

მოსესი ვარ. ნურავინ მოიპარავთ

„მოსესი ვარ. ნურავინ მოიპარავთ“.

3. მინაწერი შესრულებულია 3v-ს ქვედა არშიაზე. ორი სტრიქონი. კოლოფონის ზომა – 8 X 1,7 სმ. მხედრული. ყავისფერი მელანი. განკვეთილობის ნიშნები: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; თითოეული სტრიქონის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი; ქარაგმად გამოყენებულია მცირე ზომის მარყუჟი. მინაწერი მიემართება ხელნაწერის ძირითადი ტექსტის შესაბამის ნაწილს. კოლოფონი გამოცემულია ერთხელ, თინათინ ენუქიძის მიერ, 1971 წელს².

1. გვამიაც: რაია: რ(ო)მე: ბაზიარ(ო):-
2. ბიჯ(ო): ღ(ო):-

„გვამიაც რაია, რომე გაზიარო, / გიჯობ, ღმერთო“.

III. კურთხევის (Fr.216) ბალამწერი

კურთხევანის გადამწერის ვინაობასთან დაკავშირებული საკითხებით პირველად ვარლამ დონდუა დაინტერესდა და თავის ნაშრომში „განგებად მსოფლიოთა მდღელთათუს“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სამი მოსაზრება გამოთქვა: 1. კურთხევანის გადამწერის ვინაობა უცნობია; 2. კურთხევანის დედანი გრიგოლ ბანდაისძის მიერ არის გადაწერილი; და 3. კურთხევანის ანდერძებში მოხსენიებული გრიგოლ ბანდაისძე სახელოვანი ქართველი კალიგრაფი აგვაროზ ბანდაისძის ვაჟი იყო: „ხელნაწერის ბოლოს დართულ სამ ანდერძთაგან უკანასკნელი ეკუთვნის ამ ხელნაწერის შემსრულებელ კალიგრაფს, რომელიც თავის ვინაობას არ აცხადებს. ამ ანდერძში იგი შენდობას უთვლის, კერძოდ, იმ ორ პირს, რომელთა სახელებით ყოფილა აღნიშნული მის მიერ დედნად გამოყენებული ნუსხა. ამ ორი პირის ვინაობას გვაუწყებს ჩვენი ხელნაწერის ორი პირველი ანდერძი, რომელნიც ამ ხელნაწერში ბუნებრივად გადმოტანილია მისი დედნიდან. თვით ამ ანდერძთაგან პირველი გვაუწყებს, რომ, სახელდობრ, სათანადო ნუსხის გადამწერი ყოფილა დიაკონი გრიგოლ ბანდაისძე... საყურადღებოა, რომ მწერალი გრიგოლი ყოფილა, მაშასადამე, ნათესავი ან მოგვარე ქართული კალიგრაფიის და მეწიგნეობის ცნობილი წარმომადგენლის აგვაროზ ბანდაისძისა...“ (*...გრიგოლ ბანდაისძე იყო... აგვაროზ ბანდაისძის შვილი...)³.

კურთხევანის გადამწერის ვინაობასთან დაკავშირებულ საკითხებს ვარლამ დონდუას შემდეგ თინათინ ენუქიძეც შეეხო. მკვლევარმა თავის 1971 წლის სტატიაში ვარლამ დონდუას მიერ გამოთქმული პირველი ორი მოსაზრება სრულად გაიზიარა, თუმცა კი მკვლევრის მესამე მოსაზრების მიმართ საკუთარი პოზიციის გამოხატვისაგან თავი შეიკავა და გრიგოლ ბანდაისძის ვინაობისა და მამისშვილობის საკითხს დუმილით აუარა გვერდი⁴.

ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ ვარლამ დონდუას მიერ კურთხევანის გადამწერის ვინაობის შესახებ გამოთქმული პირველი ორი მოსაზრება, რომელთა თანახმადაც კურთხევანის გადამწერის ვინაობა უცნობია, ხოლო მისი დედანი გრიგოლ ბანდაისძის მიერ არის გადაწერილი, მართებული არ არის. გარდა ამისა, ზემოთ გავარკვიეთ ისიც, რომ კურთხევანის №1 და №4 ანდერძები, რომლებშიც ხელნაწერის გადამწერად გრიგოლ ბანდაისძეა დასახელებული, არა კურთხევანის დედანს, არამედ საკუთრივ კურთხევანს ეკუთვნის. შესაბამისად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კურთხევანი მის №1 და №4 ანდერძებში მოხსენიებული გრიგოლ ბანდაისძის მიერ არის გადაწერილი: №1 ანდერძი – „სრულ იქმნეს წმიდანი კურთხევანი კვლითა... დიაკონ“.

¹ „მოსესი ვარ ნურავინ მოიპარავდ(!)“ (იქვე). თინათინ ენუქიძე მინაწერს XVII საუკუნით ათარიღებს (იქვე).
² მინაწერი გამოცემულია ერთხელ, თინათინ ენუქიძის მიერ, 1971 წელს: „გვამიაც რაია რომე გაზიარო გიჯობ ღმერთო“ (იქვე). მკვლევარი მინაწერს XIV-XV საუკუნეებით ათარიღებს (იქვე).
³ ვ. დონდუა, განგებად მსოფლიოთა მდღელთათუს, გვ. 47.
⁴ თ. ენუქიძე, პროფესორ ვარლამ დონდუას..., გვ. 135.

ნისა გრიგოლ ბანდაისძისათა. უწყის ღმერთმან, რომელი ჩემისა უმეცრებისაგან ეგებოდა, დია მამიჭირვება და კარგად ქნასა არაჲ მირჩევია. უცებად ჩხიბვისათჳს შემინდევით...“ (ხაზი, აქაც და ქვემოთაც, ჩემია – თ. ჯ.); და №4 ანდერძი – „მწერალსა გრიგოლს... შეუნდგნენ ღმერთმან. ნაწერი დაშთა, ხოლო მწერალი მიწა იქმნა“.

სრულებით სხვა სურათი გვაქვს ვარლამ დონდუას მიერ გამოთქმულ მესამე მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც კურთხევანის ანდერძებში მოხსენიებული გრიგოლ ბანდაისძე ცნობილი ქართველი მწიგნობრის ავგაროზ ბანდაისძის ვაჟი იყო. დღეისათვის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორია სახელი – გრიგოლისა და გვარი – ბანდაისძის მატარებელ მხოლოდ ერთ პირს – გრიგოლ ავგაროზის ძე ბანდაისძეს იცნობს და ამიტომ კურთხევანის ანდერძებში მოხსენიებული გრიგოლ ბანდაისძეც სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა ვარლამ დონდუას მიერ დასახელებული ისტორიული პირი. შესაბამისად, ირკვევა, რომ ვარლამ დონდუას მიერ გამოთქმული მესამე მოსაზრება სწორია და კურთხევანის ანდერძებში მოხსენიებული გრიგოლ ბანდაისძე ნამდვილად ავგაროზ ბანდაისძის ვაჟია.

გრიგოლ ბანდაისძის ცხოვრება-მოდგაწეობის ცალკეული საკითხები შოთა მესხიას, ლევან მენაბდის, ვახტანგ ბერიძის, საურმაგ კაკაბაძის, ვაჟა კიკნაძის, გონელი არახამიასა და სხვათა ნაშრომებში სხვადასხვა კუთხითა და სიღრმით არის განხილული¹.

დღეისათვის ჩემს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, გრიგოლ ბანდაისძე ორ ქართულ წერილობით ძეგლშია მოხსენიებული². აქედან, პირველი ტექსტი XIV საუკუნის ცნობილი ქართველი მწიგნობრისა და მხატვარ-კალიგრაფის ავგაროზ ბანდაისძის მიერ არის შესრულებული (ავგაროზის შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ), ხოლო მეორე ტექსტი თავად გრიგოლ ბანდაისძის ხელითაა დაწერილი. ეს წერილობითი ძეგლებია:

1. 1348-1365 წლების პარაკლიტონის (A-575) №4 ანდერძი, რომელიც ავგაროზ ბანდაისძის საოჯახო მოსახსენებელს წარმოადგენს.

2. იმავე პარაკლიტონის (A-575) საისტორიო-ბიოგრაფიული შინაარსის მინაწერი, რომელიც დღეისათვის დაკარგულია.

¹ ძველი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო შ. მესხიამ, *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ. 30 (თბილისი, 1954), გვ. 319-320; ლ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, ტ. I, ნაკვეთი პირველი (თბილისი, 1961), გვ. 219, 221; ვ. ბერიძე, *ძველი ქართული ისტატიები* (თბილისი, 1967), გვ. 16-17; С. Какабадзе, Хроника ксанских эриставов начала XV века, *Письменные памятники Востока*, Историко-филологические исследования, Ежегодник, 1968 (Москва, 1970), стр. 106; *Памятник Эриставов*, Перевод, исследование и примечания С. Какабадзе (Тбилиси, 1979), 12-13; ვ. კიკნაძე, ვახტანგის სეინაქსარი და მისი მნიშვნელობა „ძველი ერისთავთა“-ს დათარიღებისათვის (XV ს.), *ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები* (თბილისი, 1982), გვ. 54-56; ვ. არახამია, *ძველი ქართული საგვარეულო მატიანეები (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა)* (თბილისი, 1988), გვ. 36-39; ვლ. ლუნაშვილი, *ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან*, I, პუბლიკაციები (თბილისი, 1997), გვ. 14-15, 105; ვლ. ლუნაშვილი, *ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია* (თბილისი, 2005), გვ. 13-14, 103; და სხვ.

² აღნიშნული ორი წერილობითი ძეგლის გარდა, ამჟამად ცნობილია კიდევ ორი წერილობითი ძეგლი, რომლებშიც, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, გრიგოლ ბანდაისძე უნდა იყოს მოხსენიებული. ეს წერილობითი ძეგლებია: 1. XII საუკუნის პარაკლიტონის (A-576) 3რ-ზე შესრულებული №1 მინაწერი, რომელშიც ხელნაწერის „მაცხოვრებელი გრიგოლი“ იხსენიება (*Описание рукописей Тифлисского Церковного Музея Карталино-Кახетинского духовенства*, Составленное Ф. Жордания, II (Тифлис, 1902), стр. 95; *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევი* (თბილისი, 1951), გვ. 123; ლ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის...*, გვ. 221; შდრ.: *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა*, II, შეადგინეს და დასაბუჯდად მოამზადეს: ჯ. ბრეგაძემ, ვ. კახაბრიშვილმა, ჯ. ელ. მეტრეველმა, მ. ქავთარიაძემ, ჯ. ც. ჭანკიევმა, ჯ. ელ. მეტრეველის რედაქციით (თბილისი, 2004), გვ. 201); და 2. XIV საუკუნის ოთხთავის (A-585) 181v-ზე შესრულებული №3 მინაწერი, რომელშიც „გრიგოლი“ იხსენიება (*Описание рукописей Тифлисского...*, стр. 99; *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, (A), II..., გვ. 218). წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას პირველი წერილობითი ძეგლი ანუ XII საუკუნის პარაკლიტონის №1 მინაწერი საფუძვლიანად შევისწავლე. კვლევამ აჩვენა, რომ ამ კოლოფონში მოხსენიებული გრიგოლი, რომელიც XII საუკუნის პარაკლიტონის „მაცხოვრებელად“ გვევლინება და ჩვენთვის საინტერესო გრიგოლ ბანდაისძე სხვადასხვა პირები არიან (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ქვემოთ). რაც შეეხება მეორე წერილობით ძეგლს ანუ XIV საუკუნის ოთხთავის №3 მინაწერს, მის ტექსტში ნამდვილად იხსენიება ვინმე გრიგოლი, თუმცა იგი კოლოფონში მხოლოდ სახელით, გვარისა თუ მამისშვილობის მითითების გარეშეა მოხსენიებული: „წმიდანო ოთხნო თ(ა)ენო / მახარებელნო, მეოს / ექმნენით გრიგოლს / წ(ინა)შე ღ(მ)რთისა, ა(მ)ენ“ (კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, A კოლექცია, ხელნაწერი №585, 181v. შდრ.: *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა*, II, გვ. 218). როგორც ვხედავთ, ციტირებულ კოლოფონში წარმოდგენილი არ არის რაიმე პირდაპირი ცნობა თუ ირიბი მითითება, რომელზე დაყრდნობითაც, შეგვიძლია, დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ აქ მოხსენიებული გრიგოლი და ჩვენთვის საინტერესო გრიგოლ ბანდაისძე ერთი და იგივე პირია. ჩემი დაკვირვებით, ამგვარი იდენტიფიკაციისათვის დეტალური კოდოლოგიურ-პალეოგრაფიული და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევა-ძიების ჩატარება საჭიროა, რისი გააკეთებაც წინამდებარე ნაშრომის ინტერესების სფეროს მნიშვნელოვნად სცილდება. შესაბამისად, საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე, XIV საუკუნის ოთხთავის №3 მინაწერში მოხსენიებული გრიგოლის გრიგოლ ბანდაისძესთან გაიგივებისაგან თავს შევიკავებ და ამ საკითხს მომავალში, ჩემი ერთ-ერთი სხვა ნაშრომის ფარგლებში შევხები.

მოვიტან დასახელებული წერილობითი ძეგლების ტექსტებს.

1. ავეაროზ ბანდაისძის 1365 წლის საოჯახო მოსახსენებელი¹:

„ს(უ)ლსა ავე(ა)რ(ო)ზისსა შ(ეუნდვ)ნ(ე)ს ღ(მერთმ)ან, ს(უ)ლსა მისისა მეუღლისა თათუ-
აბს(ა)სა შ(ეუნდვ)ნ(ე)ს ღ(მერთმ)ან, / ს(უ)ლსა შვილთა მქათთა გრიგოლ და გიორგისა შ(ეუნ-
დვ)ნ(ე)ს ღ(მერთმ)ან, / ს(უ)ლსა ივანესსა და ცხ(ო)რ(ე)ბ(ა)ძისსა შ(ეუნდვ)ნ(ე)ს ღ(მერთმ)ან, ს(უ)ლ-
სა ბაკურის და გოვიაძისსა შ(ეუნდვ)ნ(ე)ს ღ(მერთმ)ან, ს(უ)ლსა რ(ა)ბთაძა ვინ შემეწია ამისსა
დაწერასა, შ(ეუნდვ)ნ(ე)ს ღ(მერთმ)ან“².

2. გრიგოლ ბანდაისძის 1400 წლის შემდგომი პერიოდის საისტორიო-ბიოგრაფიული მინა-
წერი³:

ა) მინაწერის I, მარი ბროსესეული გამოცემა⁴: „მეფობასა შინა მეფეთ მეფისა გიორგი,
ბაგრატის ძისასა, და ერისთაობასა შინა ერის-თავთა ერის-თვისა ქვენიფნეველისა ვირშელისა-
სა, ოდეს-იგი დიდთა ომთა-გან გამარჯვებული აღნჯით მოვიდეს, მოქცევასა იდ. ქკს. პმ, მაისს
ზ, მოვიდა თემურ-ბეგ სულტანი სამარყანელი, და გამოიტანნა ყაანნი სინიხარასა, ჩინეთისაჲ,
ქომანეთისაჲ, ხვარაზმისაჲ, ქამანისაჲ, ნაპროეთისაჲ, სიყაღბისაჲ, ჩაღანისაჲ, ალაბისაჲ, სინდუ-
ეთისაჲ, ხატავეთისაჲ, ურაყისა, თურქისტანისაჲ, და სიმრავლისა მათისა არ იყო რიცხვ. და
მოვლეს ყოველი ქვეყანაჲ და წარტყვენეს, და დაატყვივნეს საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი,
და აღიხუნეს ყოველნი ციხენი და მოასხეს, ტყვე პყვეს, და მოაოხრეს ყოველი ქვეყანაჲ დასაუ-
ღეთამდის: მას ჟამსა შინა ღამიცვა ღმერთ-მან ხელთა-გან მათთა, და შემდგომ მცირედისა
ჟამისაჲ დაერჩი ობოლი ხუთთა ძმათა-გან და ვსტიროდი თავსა ჩემსა მე, გრიგოლ შინდას-ძესა
ავეაროზის შვილი, დაწესა-გან მოოკრებული აღვაშენე ხუთი სახლი:

ამისსა შემდგომად, იხილა ღმერთ-მან სიმრავლე ცოდვათა ჩემთა და მიმიხვნა ექვსნი
შვილნი, სამნი ვაჟნი და სამნი ქაღნი, დედით მათითურთ. მაშინ უღირს-მან შევიმოსე სახე მონა-
ზონებისაჲ და საფლავსა ჩემსა ზედა აღვაშენე კარის ბჭე. და დავხატე ხელითა ჩემითა, დაე-
კიდე კანდელნი ვეცხლისაჲ და ორი საცეცხლური. შესამოსელი და სიწმიდისა სამსახური ღა-
რისაჲ. შიგნით ეკლესიაჲ მოვხატე და შევამკვე ყოველი მოშლილი ხატები, და განვაახლე, და
შევმატე ხატი მოჭედილი, სავსე ნაწილითა, და დავსხენ წიგნნი: პარაკლიტონი, სამოციქულოჲ,
გულაჲ, ავეაროზი, და ავაგე მარანი და ჩავდგი ოცი ჭური, ავაგე ზედა სამყოფი სახლი, ბელე-
ლი, საწოლი, დეიფანი, სამრეკლო და ბოსელი, და დავბურე ყოველი სიბითა:

წმიდანო მამანო, მეფეთა და პატრონთა სამსახურისა-გან ესე ოდენ შევიძლე და შენდო-
ბით მომიკსენეთ. სულსა შინდას-ძისა ავეაროზისა შეუნდვნეს ღმერთ-მან: სულსა შვილისა მა-
თისა ბერისა გრიგოლისასა შეუნდვნეს ღმერთ-მან: მოძღვარსა თეოდორეს შეუნდვნეს ღმერთ-
მან: ამინ“⁵.

¹ ანდერძი ავეაროზის, გიორგი თაბაურისა და ორი სხვა ანონიმი კალიგრაფის მიერ გადაწერილი 1348-1365 წლებს
პარაკლიტონის (A-575) 155r-ზე, ავეაროზ ბანდაისძის ხელით არის დაწერილი. ანდერძს თარიღი არ უზის, თუმცა
იმის გათვალისწინებით, რომ მისი ტექსტი ავეაროზის ხელით, ამ უკანასკნელის მიერ ხელნაწერის გადაწერის დას-
რულების აღსანიშნავად შესრულებული 1365 წლის ანდერძის მომდევნო ფურცელზეა დაწერილი, ამ კოლოფონის
ქრონოლოგიას 1365 წლით განესაზღვრავ.

² კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, A კო-
ლექცია, ხელნაწერი №575, 155r. შტრ.: *Описание рукописей Тифлисскаго...*, стр. 94; ძეგლი ერისთავთა..., გვ. 319-320; *ქარ-
თულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა*, II, გვ. 190.

³ კოლოფონი ავეაროზ ბანდაისძის, გიორგი თაბაურისა და ორი სხვა ანონიმი კალიგრაფის მიერ გადაწერილი 1348-
1365 წლების პარაკლიტონის (A-575) ერთ-ერთ ფურცელზე გრიგოლ ბანდაისძის ხელით იყო დაწერილი. მინაწერს
თარიღი არ ახლდა, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მის ტექსტში ცნობილი ისტორიული მოვლენის – მონ-
ღოლი სარდლის თემურლენგის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილი 1400 წლის ლაშქრობის პერიოდებში
იყო გადმოცემული, ამ კოლოფონს, წინასწარულად, 1400 წლის შემდგომი პერიოდით ვათარიღებ (მინაწერის კიდევ
უფრო ზუსტი ქრონოლოგიის შესახებ ვერცხლად იხ.: ქვემოთ). სამწუხაროდ, ეს უპირობო კოლოფონი დღე-
სათვის უკვალოდ არის დაკარგული. მინაწერის დაკარგვის ზუსტი დრო და ვითარება უცნობია, თუმცა კი ცნო-
ბილია, რომ 1902 წელს, როდესაც თედო ჟორდანიამ თბილისის საეკლესიო მუზეუმის ქართული ხელნაწერი წიგ-
ნების (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა ფონდის A კოლექციის) რუსულენოვანი
„აღწერილობის“ II ტომი გამოაქვეყნა, კოლოფონი პარაკლიტონიდან უკვე დაკარგული იყო (*Описание рукописей Тиф-
лисскаго...*, стр. 95). მინაწერის ტექსტმა ჩვენამდე მოაღწია ორი, ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავებული გამოცემის
სახით, რომელთაგან პირველი, 1851 წლის გამოცემა მარი ბროსეს, ხოლო მეორე, 1897 წლის გამოცემა თედო ჟორ-
დანის ეკუთვნის.

⁴ გამოცემა დამუშავებულია კოლოფონის დედანზე, რომელიც 1348-1365 წლების პარაკლიტონის (A-575) ერთ-ერთ ფურ-
ცელზე მხედრულად იყო დაწერილი და რომელიც, მარი ბროსემ 1848 წლის 21 ივნისს, ლარგვისის მონასტერში
ყოფნის დროს მოიხილა (*Rapports sur un Voyage Archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, Exécute en 1847-1848, par
Marie-Felicite Brosset, Membre de l'Académie Impériale des Sciences, Avec un Atlas de 45 planches lithographiées, Sixième Rapport
(Sankt-Petersbourg, 1851), pp. 73, 77-79; ქრონიკები და სხვა მასალა...*, გვ. 204).

⁵ *Rapports sur un Voyage Archéologique...*, pp. 77-78.

ბ) მინაწერის II, თედო ჟორდანიასეული გამოცემა¹: „მეფობასა შა მეფეთ მეფისა გიორგი ბავრატის ძისასა და ერისთაობასა შინა ერისთავისა ქვენიფნეველისა ვირშელისა, ოდეს იგი დიდთა ომთაგინ გამარჯვებული აღინჯით მოვიდა (მოვიდეს) მოქცევასა: იდ: ქკს: პწ: მაისს: ზ: მოვიდა თემურ ბე (თემურ-ბეგ) სულტანი სამარყანელი და მოიტანნა ყაინნი (ყაინნი) სინჩისა (სინჩარასა), ჩინეთისა, ქომავეთისა, (ქომანეთისა), ხუარაზმისა, (ქამანისა), ნაროეტისა, (ნაპროეთისა) საყალბისა (სიყალბისა), ჩაღანისა, სინდეთისა, ალაბისა (ალაბისა), ხატაეთისა (ხატავეთისა), ერაყისა, თურქეთისა (თურქისტანისა), და სიმრავლისა მათისა არა იყო რიცხვი და მოვლეს ყოველი ქუჩყანა და წარტყუშნეს და დააქცივნეს (დააქცინეს) საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი და აღიხუნეს ყოველნი ცხენი და მოსრეს (მოსახეს), ტყუშ ქმნეს (ყვეს) და მოაოკრეს ყოველი ქუჩყანა დასავლეთამდის. მას ჟამსა შინა დამიცვა ღმერთმან ჳელთაგან მათთა და შემდგომ მცირედისა ჟამისა დავრჩი ობოლი ხუთთა ძმათაგან და ესტიროდი თავსა ჩემსა მე, გრიგოლ შინდაძე (შინდაძესა)² ავგაროზიშვილი. დაწვისაგან მოოკრებული აღვაშენე ხუთი სახლი. მისსა (ამისსა) შემდგომად იხილა ღმერთმან სიმრავლე ცოდვათა ჩემთა და მიმიხუნა ექუსნი შვილნი, სამნი ვაჟნი და სამნი ქაღნი დედით მათითურთ. მაშინ უღირსმან შევიმოსე სახე მონაზონებისა და საფლავსა ზედა ჩემსა აღვაშენე კარიბჭე და დაეხატე ჳელითა ჩემითა, დაგვიდე კანდელი ვეცხლისა და ორი საცეცხლური, შესამოსელი და სიწმინდისა სამსახური ღარისა, შიგნით ეკლესია მოვხატე და შევაძვეე ყოველი მოშლილი ხატები და განვაახლე და შევმატე ხატი მოჭედილი, საესე ნაწილითა, და დაესხენ წიგნნი: პარაკლიტონი, სამოციქულო, გულა, ავგაროზი, და ავაგე მარანი და ჩავდგი ორი (ოცი) ჳური; ავაგე ზედა სამყოფი სახლი; ბეღელი, საწოლი, დერეფანი (დეიფანი), სამრეკლო და ბოსელი და დაებურე ყოველი სიპითა. – წმიდანო მამანო, მეფეთა და პატრონთა სამსახურისაგან ეს-ოდენ შევიძელ და შენდობით მომიჳსენეთ: სულსა შინდაძისა ავგაროზისასა შეუნდვენ ღმერთმან. სულსა შვილისა მათისა ბერისა გრიგოლისასა შნ ღნ [მოძღვარსა თეოდორეს შნ ღნ]³.

გრიგოლ ბანდაისძის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, ზემოთ ციტირებული ორი წერილობითი ძეგლის გარდა, კიდევ ერთი წერილობითი ძეგლი გვაწვდის ცნობებს. მხედველობაში მაქვს შუა საუკუნეების ქართული ორიგინალური საერო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო ნაწარმოები, XV საუკუნის დასაწყისით დათარიღებული „ძეგლი ერისთავთა“, რომელიც ცხრაზმის (ქსნის) ერისთავების – ქვენიფნეველების ფეოდალური სახლის საგვარეულო მატიანეს წარმოადგენს და რომელიც, სწორედ გრიგოლ ბანდაისძის მიერ არის შედგენილი (თხზულების შესახებ დაწვრილებით იხ.: ქვემოთ).

მართალია, „ძეგლი ერისთავთა“ ტექსტში, რომელმაც ჩვენამდე თავსა და ბოლოში ნაკლული სახით მოაღწია, გრიგოლ ბანდაისძის ბიოგრაფიის შესახებ რაიმე პირდაპირი ცნობა დაცული არ არის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თხზულებას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს გრიგოლის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლისათვის: გრიგოლ ბანდაისძე „ძეგლი ერისთავთა“ ტექსტის მეორე ნაწილში აღწერილი ამბების მომსწრე და უშუალო თვითმხილველია და ამიტომ ამ ამბებისათვის თვალის გადევნება გრიგოლის ცხოვრების დროის, მოღვაწეობის გეოგრაფიული არეალის, ცხრაზმის ერისთავთა ფეოდალურ სახლთან კავშირ-ურთიერთობისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის.

ამგვარად, ირკვევა, რომ ზემოთ ციტირებული ორი კოლოფონისა და „ძეგლი ერისთავთა“ ტექსტები გრიგოლ ბანდაისძის შესახებ არაერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის. ქვემოთ, ამ ცნობებზე დაყრდნობით, გრიგოლ ბანდაისძის ცხოვრება-მოღვაწეობის ცალკეულ საკითხებს შეძლებისდაგვარად სრული სახით მიმოვიხილავ.

1. გრიგოლ ბანდაისძის მშობლები.

გრიგოლ ბანდაისძის მშობლების შესახებ ცნობებს ავგაროზ ბანდაისძის საოჯახო მოსახსენებელი და თავად გრიგოლის საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერი გვაწვდის: ავგაროზ

¹ გამოცემა დამყარებულია პირზე, რომელიც, თავის მხრივ, ვინმე უცნობი პირის მიერ კოლოფონის დენიდან არის გადმოწერილი. გამოცემაში, რამდენიმე ადგილას, ჩართულია ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები, რომლებიც მინაწერის პირში დადასტურებული შესაბამისი სიტყვების მარი ბროსეს კითხვა-სხვაობებს წარმოადგენს: „ჩემს ისტორიულს კრებულში იპოვება ღარგვისის ტყავის პარაკლიტონიდამ უცნობ პირისაგან გადმოწერილი წარწერა სათაურით: „ღარგვისის პარაკლიტონზე სწურია მხედრულის ასოებით“. ეს პარაკლიტონი ბროსესსაც უნახავს, და მისგან წაკითხულს შეგუსწორებთ ამ წაკითხულს და რაც ბროსესს წაკითხულში მეტ-ნაკლებობა აღმოჩნდება, იმას ჩვენ ფრჩხილებში ვსხამთ“ (ქრონიკები და სხვა მასალა..., გვ. 204).

² მოგვიანებით, თედო ჟორდანიამ ავგაროზის გვარის მისეული მცდარი წაკითხვა („შინდაძე“) დააზუსტა და 1902 წლის რუსულენოვან პუბლიკაციაში ეს გვარი უკვე მართებულად, „ბანდაისძის“ ფორმით წაკითხა (Описание рукописей Туфлусскаго..., стр. 93).

³ ქრონიკები და სხვა მასალა..., გვ. 204-205.

ბანდაისძის საოჯახო მოსახსენებელი: „სულსა ავეაროხისსა შეუნდვნეს ღმერთმან, სულსა მი-
სისა მეუღლისა თათუაისსა შეუნდვნეს ღმერთმან, სულსა შვილთა მათთა გრიგოლ და... შეუნ-
დვნეს ღმერთმან...“; და გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერი: „...და ვსტი-
როდი თავსა ჩემსა მე, გრიგოლ [ბანდაისძე] ავეაროხიშვილი... სულსა [ბანდაისძისა] ავეაროხი-
სასა შეუნდვენ ღმერთმან. სულსა შვილისა მათისა... გრიგოლისასა შნ ღნ...“.

როგორც ვხედავთ, ციტირებული წერილობითი ძეგლებიდან ირკვევა, რომ გრიგოლ ბან-
დაისძეს ჰყავდა მამა – ავეაროხ ბანდაისძე და დედა – თათუა!

გრიგოლ ბანდაისძის მამა ავეაროხ ბანდაისძე, როგორც უკვე აღვნიშნე ზემოთ, XIV
საუკუნეში მოღვაწე ცნობილი მწიგნობარი და მხატვარ-კალიგრაფი იყო. ავეაროხის ცხოვრება-
მოღვაწეობისა და სამწიგნობრე საქმიანობის საკითხები XIX-XXI საუკუნეების არაერთი ქართვე-
ლი და უცხოელი მკვლევრის ნაშრომებშია განხილული, თუმცა, მათ შორის, განსაკუთრებული
აღნიშვნის ღირსია შოთა მესხიას, ვახტანგ ბერიძის, საურმაგ კაკაბაძისა და გონელი არახამიას
პუბლიკაციები, რომლებშიც ავეაროხ ბანდაისძის ცხოვრება-მოღვაწეობისა და სამწიგნობრე
საქმიანობის ცალკეული საკითხები საფუძვლიანად არის შესწავლილი. ქვემოთ დაწვრილებით
მიმოვიხილავ დასახელებულ ოთხი მკვლევრის ნაშრომებს.

შოთა მესხიამ ავეაროხ ბანდაისძის ცხოვრება-მოღვაწეობისა და სამწიგნობრე საქმიანო-
ბის საკითხები „ძეგლი ერისთავთას“ შედგენის დროისა და ავტორის ვინაობის გარკვევის მიზ-
ნით შეისწავლა. მკვლევარმა 1954 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ძეგლი ერისთავთა (ქსნის
ერისთავთა საგვარეულო მატეანე)“ ავეაროხის მხატვარ-კალიგრაფიული საქმიანობის ამსახველ
თითქმის ყველა ცნობას მოუყარა თავი და ამ ცნობებზე დაყრდნობით, მისი ბიოგრაფია შეძლე-
ბისდგვარად სრული სახით დაადგინა: „ჩვენ უკვე ვიცით, რომ „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი
ვირშელ III-ის (ცხრაზმის ერისთავის ვირშელ ქვენიფნეველის (დაახლ. 1390-1410-იანი წწ.) – თ. ჯ.)
თანამედროვეა, რომ იგი ქსნის ერისთავთა საგვარეულო მონასტერში (ლარგვისის მონასტერში
– თ. ჯ.) მოღვაწეობს. ლარგვისის მონასტერში XIV ს. მეორე ნახევრის ცნობილ მოღვაწეთაგან
ვინ შეიძლება იყოს „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი? ამ დროისათვის ლარგვისის მონასტრის
მოღვაწეთაგან ცნობილნი არიან ავეაროხ ბანდაისძე, გიორგი თაბაური და გრიგოლ ავეარო-
ხისძე ბანდაისძე; მათ შორის თავისი მწიგნობრობით განსაკუთრებით ცნობილი იყო ავეაროხ
ბანდაისძე. მან სწორედ ლარგვისის მონასტერში გადაწერა „პარაკლიტონი“ (ზემოთ უკვე რამ-
დენიმეჯის ნახსენები A-575 ხელნაწერი – თ. ჯ.). ერთ-ერთ მინაწერში იგი გვამცნობს: „სახე-
ლითა ღმრთისადთა და მოხმობითა ყოველთა წმიდათადათა და თანა შეწვევითა წმიდისა თედორე
ლარგვისისადთა, ღირს ვიქმენ მე არა ღირსი მწერალი ავეაროხ ბანდაისძე აღწერად წმიდისა
ამის წიგნისა სულთა განმანათლებელისა“². მაგრამ, ავეაროხ ბანდაისძე იყო თავისი დროის

¹ გრიგოლ ბანდაისძის მშობლების ვინაობა ავეაროხ ბანდაისძის საოჯახო მოსახსენებელსა (მამა – ავეაროხი, დედა – თათუა) და გრიგოლის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში (მამა – ავეაროხ ბანდაისძე) პირდაპირ არის მითი-
ტებული. შესაბამისად, ირკვევა, რომ გრიგოლ ბანდაისძის მამის ვინაობა სამეცნიერო საზოგადოებას პირველად
გრიგოლის საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერის პირველგამომცემელმა მარი ბროსემ (*Rapports sur un Voyage
Archéologique...*, pp. 77-78), ხოლო დედის ვინაობა ავეაროხ ბანდაისძის საოჯახო მოსახსენებლის პირველი
პუბლიკაციის ავტორმა თედო ჟორდანიამ (*Описание рукописей Тифлискаго...*, стр. 94) გააცნო. აქვე, შევნიშნავ, რომ
შოთა მესხიას დაკვირვებით, თედო ჟორდანიამ 1902 წელს, 1348-1365 წლების პარაკლიტონის ანდერძ-მინაწერების
გამოცემისას, ავეაროხ ბანდაისძის საოჯახო მოსახსენებელი, რატომღაც, არ გამოაქვეყნა: „ეს მინაწერი რატომღაც
არ გადმოუღია თ. ჟორდანიას“ (ძეგლი ერისთავთა..., გვ. 320). საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ შოთა მესხიას ეს
დაკვირვება მართებული არ არის, 1902 წელს თედო ჟორდანიამ ავეაროხ ბანდაისძის საოჯახო მოსახსენებელი ნამ-
დვილად გამოაქვეყნა და თანაც, ამ კოლოფონის ტექსტი იმაზე უფრო სრული სახით გამოსცა, ვიდრე ამას შოთა
მესხიას 1954 წლის პუბლიკაციაში ვხედავთ: თედო ჟორდანიას – „სულსა ავეაროხისა შნ ღნ... მისისა მეუღლისა
თათუაისსა... შვილთა მათთა გრიგოლ და გიორგისა შნს ღნ. სულსა ბაკურის და გოგიანისა შნს ღნ. სულსა
რაათაცა ვინ შემეწია ამისსა დაწერასა, შნს ღნ“ (*Описание рукописей Тифлискаго...*, стр. 94); და შოთა მესხია –
„სულსა ავეაროხისა შეუნდოს ღმერთმან, სულსა მისისა თათუაისსა შეუნდოს ღმერთმან. სულთა შვილთა მათთა
გრიგოლ და გიორგისა შეუნდოს ღმერთმან... სულსა რათაცა ვინ შემეწია ამისსა დაწერასა შეუნდოს ღმერთმან“
(ძეგლი ერისთავთა..., გვ. 319-320).

² მოვიტან ამ ანდერძის სრულ ტექსტს: „ს(ა)ხ(ე)ლითა ღ(მრთისა)თა და მ(ე)ლ(ე)ბითა ყ(ოველ)თა წ(მიდა)თადათა და
თ(ანა) შეწვევითა / წ(მიდა)თა თ(ედორე) ლარგვის(ისა)თა, ღირს ვიქმენ მე, არაღირსი მწერალი ავე(არ)ოხ ბანდაის-
ძე, აღწერად წ(მიდა)თა ამის წიგნისა / ს(ულ)თა გ(ან)მ(ან)ს(თ)ლემ(ე)ლისა და ეკლესიათა სამკაულისა, რ(ამეთუ) იწ-
ყლა ს(ულ)ლი ჩ(ე)მი სიყ(უ)არულითა ამის წიგნის(ა)თა და კვლევავ / და ვიწყე წერად დიდსა სიგლახაკესა და ეტრა-
ცისა სიძქრესა და შფოთსა და უცალობ(ა)სა შ(ინ)ა, წელსა მ(ა)ს, რ(ომე)ლსა იყო / დიდი სიკ(უ)დილობ(ა)ე, ქრონი-
კონი იყო ლვ (36+1312=1348 წ.). სრულ იქმნეს პ(ირუ)ელნი კმ(ანი) მისითა ო(ფა)ლო დ(ა)დ(ა)დ(ა)ვითა, დ(იდ)ებ(ა)ე
სტიქ(ა)რონითა, ოხითა, იბ(ა)კო-იკოსითა, წ(ა)კრდგომ(ა)დესავლითა, გ(ა)ქლობებითა, აქ(ე)ბდით(ა)დღევსენითა, მო-
მიწესებითა, გამოავლინითა და ს(ა)ცისკროთა ს(ა)ნ(ა)რ(ე)მ(ი)თა, ვგრეთვე, ს(ა)ცისკროთა გამოავლინ(ი)დ(ი)დ(ი)ებითა, ვგ-
რეთვე, დიდისა ანდრიაეს დ(ა)დ(ა)დ(ა)დ(ა)ვ(ა)ლობითა, ვგრეთვე, კ(ე)რ(ი)აკესა და საუფლოთა დღეთა დამისთევისა წე-
სითა და დასდებლითა, დიდითა შეგწყ(ა)ლენითა / და კ(უ)ერ(ე)ქსითა, ამით ყვლდათა სრული. აწ, ვინცა მიეგ-
თხვენეთ, მკითხველნო და მსმენელნო, წ(მიდა)თა შ(ინ)ა ლოცვ(ა)თა თქ(უ)ენთა / შენდობა ჰყოფდით ჩ(ე)მთ(ვ)ს და
ჩ(ე)მთა დედა-მ(ა)მ(ა)თა, ძმ(ა)თა, შვილთა / და მომ(ა)ვ(ა)ლთა ჩ(ე)მთათ(ვ)ს, რ(ა)თა თქ(უ)ენმ(ი)ერითა ლოცვითა

არა მარტო კარგი კალიგრაფი, ცნობილი გადამწერი, არამედ კარგი მწიგნობარიცა და მხატვარიც. იმავე „პარაკლიტონის“ სხვა მინაწერში იგი აღნიშნავდა: „წყალობითა ღმრთისათა მომეცა... თუნიერ მოძღურისა, ჳელოვნებად ესევითარი. პირველად ჳელი სწავად ხუცობისად, ჳელი მეორე მწიგნობრობისად, ჳელი მესამე წერად ხუცურისად... ჳელი მეექუსე მხატვარობისად“¹... ყურადღების ღირსია, რომ ავგაროზ ბანდაისძე თავის უპირველეს ხელობად მოძღვრობასა და მწიგნობრობას მიიჩნევს. მწიგნობრობა, ამ შემთხვევაში, წიგნის გადაწერის ცოდნას კი არ ნიშნავს (ამ ხელობის ცოდნა მას ხომ ცალკე აქვს მოხსენებული – „წერად ხუცურისად“), არამედ თვით ორიგინალური თხზულების შექმნას; ავგაროზ ბანდაისძემ კარგად იცოდა აგრეთვე მხატვრობაც. ესეც მისი ცალკე ხელობა იყო. ასე რომ, ავგაროზ ბანდაისძეს არა მარტო თხზულების შექმნა შეეძლო, არამედ საჭიროების შემთხვევაში მისი მოხატვაც. იგი იქნებ არა მარტო „ძეგლი ერისთავთას“ ტექსტის ავტორია, არამედ ვირშელ III-ის პორტრეტისაც (მკვლევარს მხედველობაში აქვს ერისთავ ვირშელის მინიატურული პორტრეტი, რომელიც „ძეგლი ერისთავთას“ ტექსტის ჩვენამდე მოღწეულ უძველეს, სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცულ XV საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ ნუსხას აქვს დართული – თ. ჯ.). ნიშანდობლივია შემდეგი გარემოებაც. „ერისთავთა ძეგლში“ თითქმის არსად, გარდა ერთი შემთხვევისა, მოხსენიებული არ არის ლარგვისის მონასტრის რომელიმე მოღვაწე. მხოლოდ ერთგან ავტორი საგანგებოდ ჩერდება ბანდაისძე იოვანეზე. ტექსტში ნათქვამია: „და წარჰყვა თანა (იერუსალიმს მიმავალ პიპას...) ბანდას ძე დეკანოზი იოვანე“... ძეგლის ავტორს იოვანე ბანდაისძეზე (იგივე ბანდაისძე) სხვა უფრო დეტალური ცნობებიც მოეპოვება: „და დეკანოზი იოვანე აკურთხეს მოძღუართ-მოძღურად და მოუწერეს სამთავნელსა და ერისთავსა ვირშელსა და ყოველსა ერსა ცხრა ზმისჴევისასა, რომელ მოძღურობად ნუვის ჳელეწიფების თუნიერ ამისსა“... ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს და იმის მაჩვენებელია, თუ როგორ კარგად იცნობდა ძეგლის ავტორი იოვანე ბანდაისძის მოღვაწეობას; იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამს, თუ როგორ დაემკვიდრა იოვანე ბანდაისძეს მოძღვართ-მოძღვრობა; შემთხვევითი არ არის ისიც, რომ იოვანე ბანდაისძის შთამომავლობას, ამ შემთხვევაში, ავგაროზ ბანდაისძეს, უპირველეს ხელობად აგრეთვე მოძღვრობა ჰქონია. ზემოთქმული ერთხელ კიდევ გვაფიქრებინებს, რომ „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი, რომელიც ასე საგანგებოდ ჩერდება ბანდაისძეზე, იქნებ იყო იმ საგვარეულოდან, რომელსაც დეკანოზი და მოძღვართ-მოძღვარი იოვანე ბანდაისძე ეკუთვნოდა. ავგაროზ ბანდაისძის მოღვაწეობის წლების განსაზღვრა კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ჩვენს ვარაუდს. ავგაროზი რომ ვირშელ III-ის თანამედროვე იყო, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ლარგვისის მონასტრის XIV ს. ოთხთავს (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექციის №2122/№2125 ხელნაწერს – თ. ჯ.) ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „ერისთავთ-ერისთავსა ვირშელსა გაუმარჯოს და ცოდვანი შეუნდნეს ღმერთმან. სულსა დედისა მათისა მნათობისასა შეუნდოს ღმერთმან“²... ხელნაწერი გადაწერილია გიორგი თაბაურის მიერ: „ამისსა

ნ(უენ) ვიჴსნნეთ ს(აუ)კ(უ)ნეთა ს(ა)ტ(ა)ნჯ(ე)ლთავ(ან) და თქ(უ)ენ მოვანიჴოს ს(ა)ს(უ)ფ(ე)ველი მისი, რ(ამეთუ) ფ(რია)დ შეძლებ(ე)დ არს ლოცვა მ(ა)რთლის(ა)დ შეწევნ(ა)დ, / რ(ამეთუ) ნაშრომი ჰვიეს და მშრომელი წარჴაქლს. უწყის დ(მერთმან)ნ, ოდეს / ვიწყე წერად, ყრმა ვიყავ და აქა მიმჴცოვნებულმ(ან) / სრულ ვყავ, ქრონიკონსა მიშ (53+1312=1365 წ.), წე(ა)ლ(ო)ბითა დ(მრთისა)თა“ (კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, A კოლექცია, ხელნაწერი №575, 154v. შდრ.: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, II, გვ. 189-190).

¹ მოვიტან ამ კოლოფონის სრულ ტექსტს: „წე(ა)ლობითა დ(მრთისა)თა მომეცა თუნიერ მოძღ(უ)რისა ჳელოვნებ(ა)დ ესევე(თა)რი: პ(ირუელა)დ, / ა (1). ჳელი – სწავად ხუცობისად; / ბ (2). ჳელი მეორე – მწიგნობრობისად; / გ (3). ჳელი მესამე – წერად ხუცურისად. / დ (4). ჳელი მეოთხე – შექნად ეტრატის(ა)დ; / ე (5). ჳელი მეხუთე – შეერვად წიგნის(ა)დ; / ვ (6). ჳელი მეექუსე – მხატვარობის(ა)დ; / ზ (7). ჳელი მეშუდე – მეერველობის(ა)დ; / ლ (8). ჳელი მერვე – ტყავის კერვის(ა)დ; / ო (9). ჳელი მეცხრე – ხუროვნობის(ა)დ; / ი (10). ჳელი მეათე – ყოვლისავე მსოფლიოსა მუშაობის(ა)დ. შენდობა ყავთ“ (კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, A კოლექცია, ხელნაწერი №575, 155r. შდრ.: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, II, გვ. 190).

² მოვიტან ამ კოლოფონის სრულ ტექსტს: „ე(რისთავთ)ერისთავსა ვირშ(ე)ლსა / გაუმ(ა)რჯოს და ც(ო)დვ(ა)ნი / შე(უ)ნდ(ე)ნ(ე)ს დ(მერთმან)ნ. / ს(უ)ლსა დედისა მ(ა)თისა მნათობისასა შე(უ)ნდ(ე)ნ(ე)ს დ(მერთმან)ნ. ს(უ)ლსა / ერისთავისა მამიდისა რიფსიმესს შე(უ)ნდ(ე)ნ(ე)ს დ(მერთმან)ნ“ (კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, H კოლექცია, ხელნაწერი №2122/2125, 45v. შდრ.: ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H), V, შედგენილია და დასაბუჴლად მომზადებული ლ. მეფარიშვილის მიერ, აღ. ბარამიძის რედაქციით (თბილისი, 1949), გვ. 79). აქვე, საზგასმით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ ციტირებული კოლოფონი, შოთა მესხიას მოსაზრების საპირისპიროდ, არა ხელნაწერის გადამწერის, არამედ მისგან განსხვავებული ხელით არის შესრულებული და შესაბამისად, არა ოთხთავის (H-2122/2125) ანდერძს, არამედ მისთვის მოგვიანო ხანაში დართულ მინაწერს წარმოადგენს (ზუსტად იგივე სურათი გვაქვს ოთხთავის (H-2122/2125) ფურცლებზე წარმოდგენილ რამდენიმე სხვა მინაწერთან დაკავშირებითაც, რომლებიც ციტირებული კოლოფონის ხელით არის დაწერილი). დასასრულ, შევნიშნავ იმასაც, რომ კოლოფონის სამივე წინადადება ერთი და იმავე ხელით, ოღონდ ორი სხვადასხვა მელნითაა დაწერი-

მწერალსა თაბაურსა გიორგის შეუნდეს ღწ¹. გიორგი თაბაურის მიერ გადაწერილი ოთხთავი მოხატულია: გაკეთებული აქვს კამარანი და დახატულია ოთხივე მახარობელი... მათი მხატვარი აგვაროზ ბანდაისძე იყო: „ესე ოთხნი მახარობელნი და ზემოდთ კამარანი დაიხატნეს კელითა აგვაროზ ბანდაისძისაჲთა, შენდობა ყავთ“². როგორც ვხედავთ, გიორგი თაბაურის მიერ ვირშელ III-ის სიცოცხლეში გადაწერილი ოთხთავი აგვაროზ ბანდაისძეს მოუხატავს. გიორგი თაბაური და აგვაროზ ბანდაისძე რომ ერთსა და იმავე დროს ლარგვისის მონასტერში მოღვაწეობდნენ, ამას, ზემოთქმულს გარდა, აგვაროზის მიერ 1365 წ. გადაწერილ „პარაკლიტონში“ (A-575 ხელნაწერში – თ. ჯ.) მისივე ხელით გაკეთებული მინაწერიც გვიდასტურებს: „ობლობასა შინა ჩემსა, თაბაურმა გიორგი დაწერა ოთხი დღისა საგალობელი, სულისა მისისა სალოცავად“³. ამრიგად, ზემომოტანილი საბუთებიდან უდავოდ ირკვევა, რომ როგორც გიორგი თაბაური, ასევე მისი დროის მოღვაწე აგვაროზ ბანდაისძეც ვირშელ ერისთავ-ერისთავის თანამედროვენი არიან; ოღონდ, აგვაროზ ბანდაისძე ვირშელ III-ის უფროსი თანამედროვეა. ვირშელ III... 1376 წელს დაბადებულა, აგვაროზ ბანდაისძე კი 1348 წ. უკვე ყრმა იყო; 1365 წ., ე.ი. 17 წლის შემდეგ, კი იგი თავის თავს „მიმცოვნებულს“ უწოდებს: „ველყავ და ვიწყე წერად დიდსა სიგლახაკესა და ეტრატისა სიძვირესა და შფოთსა და უცალობასა შინა, წელსა მას, რომელსა იყო დიდი სიკუდილობად, ქრონიკონი იყო ღვ (=1348), ...უწყის ღმერთმან, ოდეს ვიწყე წერად ყრმა ვიყავ და აქა მიმცოვნებულმან სრულ-ყვავ ქრონიკონსა მიგ (=1365)“⁴. აღსანიშნავია შემდეგიც, „პარაკლიტონის“ გადაწერის დამთავრების დროისათვის, ე.ი. 1365 წ., აგვაროზ ბანდაისძეს, როგორც მისივე მინაწერიდან ჩანს, მხოლოდ ორი შვილი – გრიგოლი და გიორგი ჰყოლია: „სულსა აგვაროზისა შეუნდოს ღმერთმან, სულსა მისისა თათუაჲსა შეუნდოს ღმერთმან. სულთა შვილთა მათთა გრიგოლ და გიორგისა შეუნდოს ღმერთმან... სულსა რადთაცა ვინ შემეწია ამისსა დაწერასა შეუნდოს ღმერთმან“. ხოლო აგვაროზის უფროსი შვილის, გრიგოლის მიერ 1400 წლის ახლო დროს გაკეთებული ერთი მინაწერიდან ვგებულობთ, რომ მას არა ერთი, არამედ ხუთი ძმა ჰყავდა: „მას ჟამსა შინა (თემურის მომსრველი ლაშქრობის დროს, 1400 წ....) დამიცვა ღმერთმან ხელთაგან მათთა და შემდგომად მცირედისა ჟამისაჲ, დავრჩი ობოლი ხუთთა ძმთაგან და ვსტიროდი თავსა ჩემსა მე, გრიგოლ ბანდაისძე აგვაროზის შვილი“. როგორც ჩანს, აგვაროზ ბანდაისძეს ოთხი ვაჟიშვილი 1365 წლის შემდეგ შესძენია, ე.ი. იგი იმ დროისათვის არცთუ ისე „მიმცოვნებული“ ყოფილა, როგორც თვით წერდა. ასეთს პირს კი თავისუფლად შეეძლო მოსწრებოდა არათუ XIV საუკუნის დასასრულის, არამედ XV ს. პირველი წლების ამბებსაც. გრიგოლ ბანდაისძის, აგვაროზის შვილის, ზემომოტანილი მინაწერიდან შეიძლება გვეფიქრა, რომ 1400 წლის „შემდგომად მცირედისა ჟამისა“ მისი მამა აგვაროზი უკვე ცოცხალი არ უნდა იყოს. გრიგოლ ბანდაისძე მამისა და ძმების ქონების ერთადერთ მემკვიდრედ ჩანს: 1400 წლის „შემდგომად მცირედისა ჟამისა... დაწვისაგან მოოკრებული აღვაშენე ხუთი სახლი. ამისსა შემდგომად იხილა ღმერთმან სიმრავლე ცოდვათა ჩემთა და მიმიხუნა ექუსნი შვილნი სამნი ვაჟნი და სამნი ქალნი დედით მათითურთ. მაშინ უღირსმან შევიმოსე სახე მონაზონებისაჲ“. ეს გარემოებაც, რომ ძეგლის ავტორი 1400 წლისათვის, თუ მის „შემდგომად მცირედისა ჟამისა“ უკვე ცოცხალი აღარ იყო, ერთხელ კიდევ ადასტურებს ზემოთქმულს – „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი ვირშელ III-ის მოღვაწეობის ბოლო წლებს არ მოსწრებია და რომ ტექსტის თხრობაც დაახლოებით იქ წყდებოდა, სადაც იგი ამჟამად არის შეწყვეტილი. თუმცა ხელის მსგავსების

ლი: პირველი წინადადება – შავი ფერის, ხოლო ბოლო ორი წინადადება – ყავისფერი საწერ-საღებავით. როგორც ჩანს, მინაწერის ტექსტის ეს ორი ნაწილი ერთი და იმავე პირის მიერ სხვადასხვა დროს არის შესრულებული.

¹ მოვიტან ამ კოლოფონის ტექსტს: „ამისსა მწერალსა / თაბაურსა გ(იორგ)ის / შეუნდ(ე)ნეს ღ(მერთ)მან“ (კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, H კოლექცია, ხელნაწერი №2122/2125, 81r. შდრ.: *ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H)*, V, გვ. 79).

² მოვიტან ამ ანდერძის სრულ ტექსტს: „ესე ოთხნი მ(ა)ხ(ა)რებელნი და ზემოდთ კამარანი დაიხატნეს კ(ე)ლითა / აგვაროზ ბანდაისძის(ა)თ(ა), შენდობა(ა) ყავთ“ (კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, H კოლექცია, ხელნაწერი №2122/2125, 3v. შდრ.: *ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H)*, V, გვ. 75).

³ მოვიტან ამ კოლოფონის სრულ ტექსტს: „ობლობასა შ(ი)ნა ჩ(ე)მსა თაბაურმ(ა)ნ გ(იორგ)ი დაწერა ოთ(ხ)ისა დღისა ს(ა)გ(ა)ლობელი ს(უ)ლისა მისისა სალოც(ა)ვად. / ს(უ)ლსა თაბაურისა გ(იორგ)ისსა შ(ე)უნდ(ე)ნ, ო(კვ)ალთა ღ(მერთ)ო, ა(მე)ნ“ (კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, A კოლექცია, ხელნაწერი №575, 186r. შდრ.: *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა*, II, გვ. 190). აქვე, ერთგვარი დაზუსტების სახით, აღვნიშნავ, რომ ციტირებული კოლოფონი არა მის ტექსტში მოხსენიებული გიორგი თაბაურის, არამედ პარაკლიტონის (A-575) გადაწერის აგვაროზ ბანდაისძის მიერ არის შესრულებული. ამგვარი დასკვნისაკენ ავტომატურად მიბიძგებს ის გარემოება, რომ ციტირებული კოლოფონი და პარაკლიტონის (A-575) გადაწერის ანდერძები ერთი და იმავე ხელითაა დაწერილი.

მიხედვით მსჯელობა ძნელია, მაგრამ ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული ისიც, რომ „ძველი ერისთავთა“ დაწერილობა ძლიერ მოგვაგონებს ავგაროზ ბანდაისძის მიერ XIV ს. მეორე ნახევარში გადაწერილი „პარაკლიტონის“ დაწერილობას, ხელს... დასასრულ, საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება გაავამახვილოთ შემდეგზეც: „ძველი ერისთავთა“ მსგავსი, ჩვენთვის ცნობილი საგვარეულო მატრიანები, ჩვეულებრივ, დასურათებული არ არის. „ძველი ერისთავთა“ კი... ვირშელ III-ის ფერებით შესრულებული სურათი ახლავს. რა თქმა უნდა, სურათიც ლარგვისის მონასტრის მოღვაწეს, ერისთავის თანამედროვე მხატვარს უნდა ეკუთვნოდეს. ასეც კი ამ დროისათვის ისევე ავგაროზ ბანდაისძე ჩანს, რომელსაც მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, ჰქონდა „ველი მხატვრობისა“. ავგაროზს რომ, მართლაც, ამგვარი ხელობაც ჰქონდა, ჩვენ დაგვარწმუნა მის მიერ მოხატულმა „ოთხთავმა“ და ზემომოტანილმა მინაწერმაც – „ესე ოთხნი მახარობელნი და ზემოდთ კამარანი დაიხატნეს ველითა ავგაროზ ბანდაისძისათა“. როგორც ირკვევა, ავგაროზ ბანდაისძე ლარგვისის მონასტრის XIV ს. მეორე ნახევრის მოღვაწეთა შორის ერთადერთია, რომელსაც, გადაწერასა და მწიგნობრობასთან ერთად, მხატვრობაც შეეძლო. მის მიერაა დასურათებული ლარგვისის სხვა გამაწერთა მიერ შესრულებული ხელნაწერი. მით უფრო მოხატავდა იგი საკუთარს. ყოველივე ამით აიხსენება ალბათ ის, რომ საგვარეულო მატრიანის ერთი გვერდი – თუმცა ამგვარი ძეგლების დასურათების ტრადიცია არ იყო – ერისთავთ-ერისთავის ფერებით შესრულებულ სურათს დაეთმო. ასე რომ, დაუეჭვებლად შეიძლება ვთქვათ – ვირშელ III-ის პორტრეტი ავგაროზ ბანდაისძეს ეკუთვნის. ამრიგად, „ძველი ერისთავთა“ დაწერილია ქსნის ერისთავთ-ერისთავის ვირშელ III-ის სიცოცხლეში, 1348-1400 წლებს შორის, ამ დროის ცნობილი ლარგველი მოღვაწის, მწიგნობრისა და მხატვრის ავგაროზ ბანდაისძის მიერ¹.

შოთა მესხიას მიერ ავგაროზ ბანდაისძის ცხოვრება-მოღვაწეობისა და სამწიგნობრე საქმიანობის შესახებ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება მნიშვნელოვნად დაახუსტა და ახალი დაკვირვებებით გაამდიდრა ვახტანგ ბერიძემ, რომელმაც ეს საკითხები 1967 წელს გამოცემულ წიგნში „ძველი ქართველი ოსტატები“ განიხილა: „ავგაროზ ბანდაისძე – მწიგნობარი, კალიგრაფი და მხატვარი. ცხოვრობდა XIV ს-ში. დაიბადა, ვარაუდით, ოცდაათიანი წლების დასაწყისში, გარდაიცვალა 1400 წელზე ადრე. როგორც ჩანს, ქსნის ერისთავების მწვერალი იყო. მისი გადაწერილია ლარგვისის მონასტრიდან ჩამოტანილი პარაკლიტონი (ხელნაწ. ინსტ. A 575), რომელსაც საყოფაცხოვრებო ცნობების შემცველი ბევრი საინტერესო მინაწერი აქვს. 310-ე ფურცელზე წერია: „სახელითა ღვთისათა და თანაშეწევნითა წმიდის თევდორე ლარგვისისათა ღირს ვიქმენ არა ღირსი მწვერალი ავგაროზ ბანდაისძე აღწერად წმიდისა ამის წიგნისა... კვლევავ და ვიწყე წერად ღიღსა სიგლახაკესა და ეტრატისა სიძურესა და შფოთსა და უცალობასა შინა წელსა მას, რომელსა იყო ღიღი სიკუდილობა. ქორონიკონი იყო ღვ [1348 წ.]... ოდეს ვიწყე წერად, ყმა ვიყავ და აქა მიმკვოვნებულმან სრულვყავ ქორონიკონსა მივ [1365 წ.]“. ამგვარად, წიგნის გადაწერას ავგაროზი 17 წელიწადს მოუნდა, ახალგაზრდამ დაიწყო (ამისდამიხედვით ვვარაუდობთ მისი დაბადების თარიღს) და ჭაღარაშერეულმა დაამთავრა. უეჭველია, იგი ინტერვალებით იმუშავებდა, მით უფრო, ისეთ მძიმე დროს, როცა საერთოდაც ღიღი გაჭირვება და ეპიდემია ყოფილა და მასალის შოვნაც ჭირდა. მეორე ადგილას (გვ. 311) ავგაროზი საკმაოდ თავმომწონედ მოგვითხრობს, რომ მან უმასწავლებლოდ შეითვისა ათი ხელობა (ამ ტექსტს ნახევარი გვერდი უჭირავს და განსაკუთრებული მონდომებით, ეფექტურადაა გადაწერილი: ყოველი სტრიქონი სინგურით მოხაზული ერთნაირი მთავრული ასოთი იწყება): „წყალობითა ღთისათა მომეცა თვნიერ მოძღურისა კვლოვნება ესე ვითარი: პირველად ველი სწავადა ხუცობისა. ველი მეორე მწიგნობრობისა. ველი მესამე წერად ხუცურისა. ველი მეოთხე შექმნად ეტრატისა. ველი მეხუთე შეკრავად წიგნისა. ველი მეექვსე მხატვრობად. ველი მეშვიდე მკერვალობად. ველი მერვე ტყავის კერვისა. ველი მეცხრე ხუროვნებისა. ველი მეათე მსოფლიო მუშაობისა“. როგორც ვხედავთ, ავგაროზს მარტო შეეძლო მთელი წიგნის შესრულება სხვა ხელოსანთა გარეშე – დაწყებული ეტრატის მომზადებითა და დამთავრებული წიგნის აკინძვით. იმავე დროს, მხატვარი და მშენებელიც ყოფილა და სხვა საერისკაცო, უფრო ზუსტად, სასოფლო-სამეურნეო საქმეც ემარჯვებოდა („მსოფლიო“ აქა ამას უნდა ნიშნავდეს). მის მიერ გადაწერილი

¹ ძველი ერისთავთა..., გვ. 317-321. შდრ.: შ. მესხია, ხელოსნობა ძველ საქართველოში (V-XII სს.), *შ. მესხია, საისტორიო ძიებანი*, I (თბილისი, 1982), გვ. 25, 130, 132, 135. აქ ხაზგასმით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ მოსაზრება, რომლის თანახმადაც „ძველი ერისთავთა“ ავგაროზ ბანდაისძის მიერ იყო შედგენილი, პირველად არა შოთა მესხიამ, არამედ ნიკო ბერძენიშვილმა გამოთქვა. ეს ფაქტი შოთა მესხიას პირდაპირ აქვს აღნიშნული: „ჩვენ მიერ „ძველი ერისთავთა“ შესახებ წაკითხული წინასწარი მოსხვენების (1949 წ. 4 ოქტომბერს) ირგვლივ გამოთქმულ შენიშვნაში აკად. ნ. ბერძენიშვილმა ჩვენი ყურადღება გაამახვილა ავგაროზ ბანდაისძეზე, რომელიც შეიძლებოდა ამ ძეგლის ავტორად გვევარაუდნა“ (ძველი ერისთავთა..., გვ. 317). მაშასადამე, ირკვევა, რომ ხსენებული მოსაზრება ნიკო ბერძენიშვილს ეკუთვნოდა, შოთა მესხიამ კი ეს მოსაზრება განავითარა და სათანადო არგუმენტაციით გაამყარა (გ. არახაძია, *ძველი ქართული საგვარეულო...*, გვ. 38).

პარაკლიტონი მოწმობს, რომ ავგაროზი რიგიანი კალიგრაფი იყო და რომ, საერთოდ, იმ დროს (XIV ს.) ეს ხელობა კვლავ სათანადო დონეზე მდგარა. ნაწერი ნუსხურია, ყავისფერი მელნით, ერთ სვეტად, ტექსტშივე ჩართული სინგურით გამოყვანილი მთავრული ასოებით. გადაწერილია ღამაზად, გამოცდილი და დაჯერებული ხელით. არშეებზე გატანილი სინგურის ინიციალები შემკული არაა, მხოლოდ ოდნავ ორნამენტირებულია. ტექსტის დასაწყისში მოთავსებული თავსამკაული – კიდებზამოკეცილი სწორკუთხა ზოლი ხაზოვანი ხლართით, მცენარეული ელემენტებითა და, მგონი, გველის თავებითაც, პრიმიტიულია (მარტო ყავისფერითაა მოხაზული). ავგაროზის წიგნს ერთგვარი „ქანრული“ მინაწერებიც აქვს: მაგ., „აქა თევდორე ერთი ლიტრა ბანბად მიბოძა, შეუნდვენ ღმერთმან“ (274-ე გვერდის ქვემო არშიაზე); „აქა თევდორე ღვინითა ფლავი მომიტანა“ („აქა“ ნიშნავს: როცა ამ ადგილას ვწერდი, მაშინ მომიტანაო). ეს თევდორე სხვაგან იხსენიება, როგორც ავგაროზის ძმა, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ამ წიგნის შექმნას. მოხსენებული არიან აგრეთვე ავგაროზის მეუღლე თათუთა, ვაჟები გრიგოლი და გიორგი. ავგაროზის სახელი გვხვდება ქსნის ერისთავ ვირშელისათვის გიორგი თაბაურის... მიერ გადაწერილ სახარებაშიაც (ხელნაწ. ინსტ. H 2122, 2125): მას შეუსრულებია ამ წიგნის კამარები და მახარებელთა სურათები: მე-3 ფურცელზე, მათე მახარებლის სურათის ქვემოთ, მიწერილია: „ესე ოთხნი მახარებელნი და ზემოდთ კამარანი დაიხატნეს კვლითა ავგაროზ ბანდადისისათა, შენდობა ყავთ“. კამარებიცა და მინიატურებიც, რომლებშიაც ყვითელი, სინგური და მორუხო-მოციხფრო ფერები სჭარბობს, მხატვრულად მდარეა, ხელოსნურ დონეს არ სცილდება. აღარც ნახატია რიგიანი, აღარც ფერთა შეხამება; ყურადღებას იპყრობს ზოგი საყოფაცხოვრებო დეტალი, მაგ., მწერლის იარაღის გამოსახულება. შოთა მესხიამ გამოთქვა მოსაზრება – ჩემი აზრით, საესებით დასაბუთებული, რომ ავგაროზ ბანდადისის შედგენილი უნდა იყოს ქსნის საერისთაოს ცნობილი მატიაზე „ძეგლი ერისთავთა“. მესხიას აზრით, ბროსეს არქივში აღმოჩენილი ორიგინალი მისი დაწერილია, მისივე შესრულებულია ქსნის ერისთავის ვირშელ III-ის პორტრეტიც ამ ხელნაწერში... უეჭველია, ავგაროზის... წინაპარია მოხსენიებული XIV ს-ის დასაწყისის ამბებთან დაკავშირებით „ძეგლი ერისთავთაში“. იქ ნაამბობია, რომ გიორგი ბრწყინვალემ სპარსელებისაგან იერუსალიმის კლიტის გამოსახსნელად შალვა ქსნის ერისთავის ძე პიპა გაგზავნა, მას თან გაჰყვა დეკანოზი იოანე ბანდას (თუ ბადანდას) ძეო. იქ ეს იოანე ქრისტეს საფლავის მოძღვართ-მოძღვრად უკურთხებიან. ბანდას (ბანდაის) ძეთა გვარი, ეტყობა, ქსნის საერისთაოში კულტურის მოღვაწეთა დინასტიას წარმოადგენდა¹.

ავგაროზ ბანდადისძის სამწიგნობრე საქმიანობასთან დაკავშირებულ ორი კონკრეტული საკითხის – „ძეგლი ერისთავთა“ შედგენის დროისა და ავტორის ვინაობის საკითხებისადმი ნიკო ბერძენიშვილის, შოთა მესხიასა და ვახტანგ ბერიძისაგან განსხვავებული პოზიცია ჰქონდა სარგის კაკაბაძეს, რომელიც, მისი ვაჟის საურმაგ კაკაბაძის ცნობით, მიიჩნევდა, რომ „ძეგლი ერისთავთა“ არა ავგაროზ ბანდადისძის, არამედ მისი ვაჟის გრიგოლ ბანდადისძის მიერ 1405 წლის ახლოხანებში იყო შედგენილი: “С. Н. Какабадзе считал его (იგულისხმება „ძეგლი ერისთავთა“ – თ. ჯ.) написанным около 1405 г. Григолом Бандас-дзе”².

ავგაროზ ბანდადისძის სამწიგნობრე საქმიანობასთან დაკავშირებულ აღნიშნულ ორ საკითხს, ნიკო ბერძენიშვილის, შოთა მესხიას, ვახტანგ ბერიძისა და სარგის კაკაბაძის შემდეგ საურმაგ კაკაბაძეც შეეხო. მეკვლევარმა 1970 წელს დაბეჭდილ წელიწდეულში “Письменные памятники востока” გამოქვეყნებულ რუსულენოვან სტატიაში “Хроника ксанских эриставов начала XV века” გამოთქვა მოსაზრება, რომ „ძეგლი ერისთავთა“ 1405/1406-1410 წლებში იყო შედგენილი და არა 1348-1400 წლებში, როგორც ამას შოთა მესხია ფიქრობდა. გარდა ამისა, საურმაგ კაკაბაძემ დაასკვნა, რომ ნიკო ბერძენიშვილის მიერ გამოთქმული და შოთა მესხიას მიერ შესაბამისი არგუმენტაციით შემაგრებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც „ძეგლი ერისთავთა“ ავტორად ავგაროზ ბანდადისძე იყო მიჩნეული, მართებული არ იყო და საპირისპიროდ ამისა, ერთი მხრივ, სრულად გაიზიარა, ხოლო, მეორე მხრივ, სათანადო არგუმენტებით გაამყარა სარგის კაკაბაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ „ძეგლი ერისთავთა“, სინამდვილეში, ავგაროზ ბანდადისძის ვაჟის, გრიგოლ ბანდადისძის მიერ იყო შედგენილი: “Время составления и автор ПЭ (იგულისხმება „ძეგლი ერისთავთა“ – თ. ჯ.) определяются некоторыми косвенными данными. Как было отмечено, в ПЭ описаны походы Тимура в Грузию и, в частности, его поход в Арагвское ущелье в 1400 г. и в Западную Грузию, когда им был взят Кутаиси... Этот поход окончился в декабре 1403 г. В конце сообщается о походах грузин из Ксанского ущелья против двалов после возвращения царя Георгия из Имерети в Картли, что имело место в 1404 г. Исходя из общего характера повествования здесь описаны события того же 1404 или, скорее, следующего 1405 г. На этом ПЭ обрывается. Вместе с тем ПЭ составлен, как видно из припис-

¹ ვ. ბერიძე, *ძეგლი ქართველი ოსტატები*, გვ. 14-16.

² С. Какабадзе, *Хроника ксанских эриставов...*, стр. 106. შტრ.: *Памятник Эриставов*, стр. 12.

კი კ პორტრეტუ ერისთავა ვირშელა, პრი ეგო ჯიჟნი. ვირშელ ჯე როდილსა, ვეროჟნი, ვ 70-ხ გოდაჟი XIV ვ., ა ნა პორტრეტე ონი იზობრაჟენ ვი ვოჟრასე 30-35 ლეტ. ნაკონეჟ, პორტრეტ ვიჟოლნენ, ოვედიდნი, ვო ვრემია სოსთავლენიჟი ხრონიკი. პო ვსემ ეტიმ დანნიმ, პეჟ სოსთავლენ ნე რანეე 1405-1406 გგ. ი ნე პოჟდნეე 1410 გ. ვო ვთორი პოლვინე XIV ი ვი ნაჩალე XV ვ. ვი ლარგვისსკომ მონასტერე იზვესთნი ტრი კნიჟნიკა: გეორგიჟი ტაბაური, ავგაროზ ბანდას-დზე ი ეგო სინი გრიგოლ ბანდას-დზე, იზ კოტორიჟი ტაბაური ი ავგაროზ ბილნი სოვერენნიკამი. "პამიათნიკი ერისთავოვ" სოსთავლენ, ოვედიდნი, ოდნიმ იზ ნაჟვანნიჟი ბანდას-დზე, ტაკ კაკ ნა ლ. 4ა პოდჩერკნუთი ჯასლუგი ოდნოგო ბანდას-დზე – პროთიერეჟი, ა ჯათემ ნასთავლენი ლარგვისსკოგო მონასტერეჟი იოანე, ჟო ნე მოჟეტ ბიჟ სლუჟაიჟნიმ. ვთორი ჯე იზ ნაჟვანნიჟი ბანდას-დზე, გრიგოლ, ვი ოდნი ვი სოვეი ჯაჟისი ოტმეჟაჟ: ვო ვრემია ნაშესთვიჟი ტიმურა ვ 1400 გ. "ჯაჟიჟთილ მენია გოსპოდჟი ოტ რუკი (ვრაჟესკიჟი), ა სპუსთა ნემნოგო ვრემიი ოსთალსა ი, გრიგოლ ბანდას-დზე, სინი ავგაროზა, იზ პიათი ბრატჟევ სიროთი ი ოპლაკივალ სეჟი. პოსტროილ ი პიათი დომოვ, ოპუსთაშენნიჟი (რანეე) პოჟარომ. პოსლე ეტოგო... ბოგ... ვიჟლ სესტერეჟი (მოიჟი) დეტეი, ტრეჟ სინოვეი ი ტრეჟ დოჩერეი, ს მატერეი იჟი. ტოგდა ობლაცილსა ი, ნედოსთიჟნი, ვი ლიკ მონასტერეჟი სოვეი პოსტროილ ვრათა ი რაჟრისოვალ (იჟი) რუკოჟი მოეი". ტაკიმ ობროჟომ, ავგაროზ ომერ ნე პოჟდნეე 1400 გ., ი, სლედოვატელნი, ონი ნე მოგ ბიჟი სოსთავლენი პეჟი. პოჟტომუ სოსთავლენი ხრონიკი, ოვედიდნი, სლედუჟი პრიჟაჟნი ეგო სინი გრიგოლა"¹.

სარგის კაკაბადის მიერ გამოთქმული და საურმაგ კაკაბადის დასაბუთებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც „ძველი ერისთავთა“ ტექსტი არა ავგაროზ ბანდაისძის, არამედ მისი ვაჟის გრიგოლ ბანდაისძის მიერ იყო შედგენილი, სრულად გაიზიარა გონელი არახამიამ, რომელმაც 1988 წელს დაბეჭდილ წიგნში „ძველი ქართული საგვარეულო მატრიანეები (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა)“ ხსენებული მოსაზრება ახალი, დამატებითი არგუმენტით შეამაგრა: „ვფიქრობთ, გრიგოლ ბანდაისძის ავტორობის სასარგებლოდ შეიძლება მეტყველებდეს ძველისა და ლარგვისის ზემოსხენებული პარაკლიტონის (1348-1365 წლების პარაკლიტონის – თ. ჯ.) გრიგოლ ბანდაისძისეული მინაწერის ერთი და იმავე ამბის – თემურ-ლენგის საქართველოში 1400 წ. შემოსევის ამსახველი ადგილების შედარება: „ძველი ერისთავთა“[.] „მოვიდა თემურ სამანგნელი ყოვლითა სპითა ჩაღანელ-ქაშანელ-სიყაღბელ-ნაპრომელ-ინდუსტანელითა და ყოვლითა სპარსეთისა და აღმოსავლისა ლაშქრითა“... ლარგვისის პარაკლიტონის მინაწერი[.] „მოვიდა თემურბეგ სამარყანელი და გამოიტანნა ყანი სინაჩარისაჲ, ჩინეთისაჲ, ქომანეთისაჲ, ხვარაზმისაჲ, ქამანისაჲ, ნაპროეთისაჲ, ალაბისაჲ, სინდეთისაჲ, ხატავეთისაჲ... და სიმრავლისა მათისა რა იყო რიცხუ“... ძველისა და ლარგვისის პარაკლიტონის მინაწერიდან მოტანილი ამონაწერების ტექსტობრივი მსგავსება-სიახლოვე შეიძლება მათი ერთი და იგივე ავტორობადმი კუთვნილებაზე მიუთითებდეს. ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ ორიენტირებს, რომელთა მიხედვით ძველი დაიწერა ლარგვისში XV ს. დასაწყისში (1404 წლის შემდგომ, არა უგვიანეს 20-იანი წლების დამდეგისა) ლარგვისის მონასტრის სასულიერო პირის მიერ, რომელიც ცხოვრობდა XIV ს. მეორე ნახევრსა და XV ს. დასაწყისში, მაშინ ვარაუდი, რომ „ძველი ერისთავთა“ ავტორად უნდა მიჩნეულ იქნეს გრიგოლ ბანდაისძე, უფრო მართებული ჩანს“².

ვფიქრობ, ზემოთ მოტანილი ვრცელი მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, რომ შოთა მესხიას, ვახტანგ ბერიძის, საურმაგ კაკაბადისა და გონელი არახამიას მიერ ავგაროზ ბანდაისძის ცხოვრება-მოღვაწეობისა და სამწიგნობრე საქმიანობის მთელი რიგი საკითხები ამომწურავად არის შესწავლილი. ამ მკვლევართა მიერ გამოთქმული თუ დაზუსტებული მოსაზრებები დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში თითქმის სრულადაა გაზიარებული. აღნიშნულ მოსაზრებებს, საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე, მეც მთლიანად ვიზიარებ და ამიტომ წინამდებარე ნაშრომში ავგაროზ ბანდაისძის ცხოვრება-მოღვაწეობისა და სამწიგნობრე საქმიანობის შესახებ, დამატებით, არაფერს ვიტყვი.

გრიგოლ ბანდაისძის დედის თათუას ბიოგრაფიის შესახებ, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, თითქმის არაფერი ვიცით. ამ ეტაპზე, თათუას ცხოვრება-მოღვაწეობის თაობაზე მხოლოდ ორი რამის თქმა შემიძლია: 1. თათუა, მისი თანამეცხედრის ავგაროზ ბანდაისძის დაბადების (1330-იანი წწ-ის დასაწ.) მიახლოებითი დროის გათვალისწინებით, 1330-იანი წლების შემდგომ ახლო ხანებში ანუ, დაახლოებით, იმავე 1330-იან წლებში იყო დაბადებული³; და 2. თათუა 1400 წლის წინარე ხანებში იყო გარდაცვლილი. ამ ფაქტზე ირიბად მიუთითებს გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერი, საიდანაც ლოგიკურად გამომდინარეობს აზრი,

¹ С. Какабадзе, Хроника ксанских эриставов..., стр. 106. შდრ.: *Памятник Эриставов*, стр. 11-13. აქვე, აღვნიშნავ, რომ სარგის კაკაბადის მიერ გამოთქმული და საურმაგ კაკაბადის მიერ დასაბუთებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც „ძველი ერისთავთა“ გრიგოლ ბანდაისძის მიერ 1405/1406-1410 წლებშია შედგენილი, კიდევ უფრო დააზუსტა ვაჟა კიკნაძემ, რომელმაც, „ძველი ერისთავთა“ შედგენის ზედა ქრონოლოგიური მიჯნა 1422 წლით განსაზღვრა (ვ. კიკნაძე, ყანჩაეთის სვინაქსარი..., გვ. 54-56).

² გ არახამია, *ძველი ქართული საგვარეულო...*, გვ. 38-39.

³ მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ავგაროზ ბანდაისძე 1330-იანი წლების დასაწყისში იყო დაბადებული, ვახტანგ ბერიძეს ეკუთვნის (ვ. ბერიძე, *ძველი ქართველი ოსტატები*, გვ. 14). რაც შეეხება თათუას დაბადების ქრონოლოგიას, ამ საკითხის შესახებ საკუთარი მოსაზრება დღემდე არავის გამოუთქვამს.

რომ გრიგოლი „ძმათაგან“ 1400 წლის შემდგომ პერიოდში „დაობლდა“, „მშობელთაგან“ კი უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1400 წლის წინარე ხანებში იყო „დაობლებული“: „მას ჟამსა (1400 წ. – თ. ჯ.) შინა დამიცვა ღმერთმან... და შემდგომ მცირეებისა ჟამისად დავრჩი ობოლი ხუთთა ძმათაგან და ესტიროდი თავსა ჩემსა მე, გრიგოლ [ბანდაისძე] ავგაროზიშვილი...“¹.

მაშასადამე, ირკვევა, რომ გრიგოლ ბანდაისძეს ჰყავდა მამა – XIV საუკუნის ცნობილი მწიგნობარი და მხატვარ-კალიგრაფი ავგაროზ ბანდაისძე და დედა – თათუა, რომლებიც, დაახლოებით, 1330-იან წლებში იყვნენ დაბადებული და 1400 წლის წინარე ხანებში იყვნენ გარდაცვლილი.

2. გრიგოლ ბანდაისძის ბიძები.

გრიგოლ ბანდაისძის ბიძების შესახებ ცნობებს ავგაროზ ბანდაისძის მიერ 1348-1365 წლების პარაკლიტონისათვის დართულ №1 და №3 ანდერძებში, №3 და №4 მინაწერებში, აგრეთვე, გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში ვაწყდებით: პარაკლიტონის №1, 1365 წლის ანდერძი: „...ღირს ვიქმენ მე... მწერალი ავგაროზ ბანდაისძე, აღწერად წმიდისა ამის წიგნისა... აწ, ვინცა მიემთხვენთ... წმიდათა შინა ღოცვათა თქუნთა შენდობა ჰყოფდით ჩემთვის და... ძმათა... ჩემთათვის...“; პარაკლიტონის №3 ანდერძი: „...ღიდად მოიჭირვა ძმამ(ან) ხ(ე)მ(მა)ნ თ(ეოდორ)ე წიგნისა ამის დაწერასა. შეუნდვენეს | ღ(მერთმა)ნ ს(აუ)კ(უ)ნესა და ამა ცხ(ო)რ(ე)ბ(ა)სა შ(ინ)ა. აკმაროს მშველობით და უმფოთვე(ე)ლ(ა)დ, ა(მე)ნ“²; პარაკლიტონის №3 მინაწერი: „აქა თ(ეოდორ)ე ერთი ღიბრად ბ(ა)ნბად მიბობა, შეუნდვენეს ღ(მერთმა)ნ“³; პარაკლიტონის №4 მინაწერი: „აქა თ(ეოდორ)ე ღვინთა ფლასკი მომიტანა, შეუნდვენეს ღ(მერთმა)ნ“⁴; და გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერი: „სულსა [ბანდაისძისა] ავგაროზისასა შეუნდვენეს ღმერთმან. სულსა შვილისა მათისა ბერისა გრიგოლისასა შეუნდვენეს ღ(მერთმა)ნ. მოძღვარსა თეოდორეს შეუნდვენეს ღ(მერთმა)ნ“⁵.

როგორც ვხედავთ, ავგაროზ ბანდაისძე 1348-1365 წლების პარაკლიტონის №1 ანდერძში პირდაპირ აღნიშნავს, რომ მას „ძმები“ ანუ, სულ მცირე, ორი ძმა მაინც ჰყავდა: „...წმიდათა შინა ღოცვათა თქუნთა შენდობა ჰყოფდით... ძმათა... ჩემთათვის...“; ხოლო იმავე პარაკლიტონის №3 ანდერძში კიდევ უფრო მეტად აზუსტებს ამ ცნობას და გვაუწყებს, რომ მის ერთ-ერთ ძმას სახელად თეოდორე ერქვა: „ღიდად მოიჭირვა ძმამან ჩემმან თეოდორე წიგნისა ამის დაწერასა“. სამწუხაროდ, ავგაროზ ბანდაისძის ძმების ზუსტი რაოდენობა და სახელები, აგრეთვე, მათი ცხოვრება-მოღვაწეობის დეტალები, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, ჯერჯერობით, უცნობია. ამ მხრივ, ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ავგაროზ ბანდაისძის ძმა თეოდორე ბანდაისძე, რომლის შესახებაც ზემოთ ციტირებულ წერილობით ძეგლებში საკმაოდ საინტერესო ცნობებია დაცული.

თეოდორე ბანდაისძის დაბადებისა და გარდაცვალების ზუსტი დრო უცნობია. თუმცა კი, მისი ძმის ავგაროზ ბანდაისძის დაბადებისა (1330-იანი წწ.) და გარდაცვალების (1400 წ-ის წინარე ხანები) ქრონოლოგიის გათვალისწინებით, საფიქრებელია, რომ თეოდორე ბანდაისძე, ძმის

¹ ის მოსაზრება, რომ ავგაროზ ბანდაისძე 1400 წლის წინარე ხანებში გარდაიცვალა, პირველად საურმაგ კაკაბაძემ გამოთქვა (С. Какабадзе, Хроника ксанских эриставов..., стр. 106; Памятник Эриставов, стр. 12-13). რაც შეეხება თათუას გარდაცვალების დროს, ამ საკითხის შესახებ აქამდე რაიმე მოსაზრება გამოთქმული არ ყოფილა.

² კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, A კოლექცია, ხელნაწერი №575, 155r. შტრ.: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, II, გვ. 190.

³ კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, A კოლექცია, ხელნაწერი №575, 136v. შტრ.: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, II, გვ. 191.

⁴ კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, A კოლექცია, ხელნაწერი №575, 141r. შტრ.: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, II, გვ. 191.

⁵ მართალია, გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში პირდაპირ არ არის ნათქვამი, რომ მოძღვარი თეოდორე გრიგოლის ბიძა იყო, მაგრამ ამგვარი დასკვნისაკენ ლოგიკურად მიბიძგებს შემდეგი გარემოება: გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერის II ნაწილში, რომელიც მთლიანად გრიგოლის ცხოვრება-მოღვაწეობის ამბებს ეთმობა, ამ უკანასკნელის გარდა, კიდევ თოთხმეტი პირია მოხსენიებული. ამ თოთხმეტი პირიდან ცამეტი პირი გრიგოლ ბანდაისძის უახლოესი ნათესავი და ოჯახის წევრია. ესენი არიან: გრიგოლის მამა ავგაროზ ბანდაისძე, გრიგოლის ხუთი ძმა, გრიგოლის მეუღლე და გრიგოლისავე ექვსი შვილი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობ, სრულებით ცხადია, რომ მინაწერის II ნაწილში მოხსენიებული მეთოთხმეტე პირი ანუ მოძღვარი თეოდორე, კოლოფონის ამავე ნაწილში დასახელებული დანარჩენი ცამეტი პირის მსგავსად, აგრეთვე, გრიგოლ ბანდაისძის უახლოესი ნათესავი და ოჯახის წევრია. ხოლო ვინაიდან, გრიგოლ ბანდაისძის ოჯახში ცნობილია სახელი თეოდორეს მატარებელი მხოლოდ ერთი პირი – 1348-1365 წლების პარაკლიტონის №3 ანდერძში ავგაროზ ბანდაისძის ძმად მოხსენიებული თეოდორე, საბოლოოდ დგინდება ისიც, რომ გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში მოხსენიებული მოძღვარი თეოდორე სწორედ გრიგოლის ბიძა (მამის ძმა) იყო.

მსგავსად, დაახლოებით, იმავე პერიოდში ანუ 1330-იანი წლების ახლოსანებში იყო დაბადებული და 1400 წლის ახლოსანებში იყო გარდაცვლილი.

თეოდორე ბანდაისძე სასულიერო პირი იყო და მოძღვრის მაღალ საეკლესიო წოდებას ფლობდა. ეს ფაქტი პირდაპირ არის აღნიშნული გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში, სადაც თეოდორე ბანდაისძე სწორედ მოძღვრის წოდებითაა მოხსენიებული: „მოძღვარსა თეოდორეს შეუწოდებენ ღმერთმან“: თავად საეკლესიო წოდება „მოძღვარი“ შუა საუკუნეების ქართულ წერილობით ძეგლებში საკმაოდ ხშირად გვხვდება. როგორც ირკვევა, მოძღვარი იყო, ერთგვარი, მეცნიერი ბერი, სჯულის მოძღვარი და მასწავლებელი, რომელიც მონასტერში, ძირითადად, მოწესეთა ზნეობრივი აღზრდისა და სწავლა-განათლების საქმეს ხელმძღვანელობდა. მოძღვარი მონასტრის ე. წ. „თავადი ძმების“ რიცხვს მიეკუთვნებოდა და ქართული მონასტრების ორგანიზაციულ იერარქიაში, როგორც წესი, წინამძღვრის შემდეგ, მეორე საფეხურს იკავებდა, ხოლო ზოგიერთი მონასტრის ორგანიზაციულ იერარქიაში წინამძღვარზე წინა კი იდგა და პირველი საფეხური ეკავა.

თეოდორე ბანდაისძის სასულიერო პირად გახდომის, ბერად აღკვეცისა თუ მოძღვრად დადგენის ზუსტი დროისა და ვითარების შესახებ რაიმე ცნობები არ მოგვეპოვება. თუმცა კი, საფიქრებელია, რომ თეოდორე ბანდაისძე სასულიერო პირი 1365 წლის წინარე ხანებში გახდა, მოძღვრის წოდება კი, დაახლოებით, 1370-1390-იან წლებში მიიღო. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისას ორ ძირითად არგუმენტს ვემყარებ: 1. 1348-1365 წლების პარაკლიტონის №3 ანდერძში ხელნაწერის გადამწერი ავგაროზ ბანდაისძე პირდაპირ გვაუწყებს, რომ ახლადგადაწერილი პარაკლიტონი თეოდორეს „მოსაჯმარებლად“ იყო განკუთვნილი და შესაბამისად, მის საკუთრებას წარმოადგენდა: „დიდად მოიჭირვა ძმამან ჩემ(მან) თ(ეოდორ)ე წიგნისა ამის დაწერასა... აკმაროს მშჯდობით და უშფოთველად, ამენ“. იმავედროულად, ცნობილია, რომ პარაკლიტონი „რვა ხმაზე გაწყობილ, სადაგი დღეების (ორშაბათ-შაბათი) საგალობელთა კრებულს“ წარმოადგენდა¹ და მას, როგორც ლიტურგიული მსახურებისათვის განკუთვნილ ხელნაწერ წიგნს, ძირითადად, სასულიერო პირები იყენებდნენ. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობ, სრულეებით ცხადია, რომ თეოდორე ბანდაისძე, ვის „მოსაჯმარებლადაც“ იყო განკუთვნილი 1348-1365 წლების პარაკლიტონი და ვის საკუთრებასაც წარმოადგენდა ეს ხელნაწერი წიგნი, პარაკლიტონის გადაწერის დასრულების დროისათვის ანუ 1365 წელს უკვე ნამდვილად სასულიერო პირი იყო; და 2. ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ თეოდორე ბანდაისძე 1348-1365 წლების პარაკლიტონის სამ კოლოფონშია დასახელებული და არც ერთ ამ კოლოფონში მოძღვრის წოდებით არ არის მოხსენიებული: №3 ანდერძი – „დიდად მოიჭირვა ძმამან ჩემ(მან) თეოდორე წიგნისა ამის დაწერასა“; №3 მინაწერი – „აქა თეოდორე ერთი ლიტრად ბანბად მიბოძა“; და №4 მინაწერი – „აქა თეოდორე ღვნითა ფლასკი მომიტანა“. მეორე მხრივ, მე ზემოთ უკვე ვახვენი, რომ თეოდორე ბანდაისძე 1400 წლის ახლოსანებში იყო გარდაცვლილი. შესაბამისად, ამ ორი ფაქტოლოგიურ-ქრონოლოგიური მონაცემის ერთმანეთთან შეპირისპირების საფუძველზე, საბოლოოდ ირკვევა, რომ თეოდორე ბანდაისძეს მოძღვრის წოდება 1348-1365 წლის პარაკლიტონის გადაწერის დასრულების (1365 წ.) შემდგომ პერიოდსა და გარდაცვალების (1400 წ-ის ახლოსანები) წინარე ხანებში, ანუ, დაახლოებით, 1370-1390-იან წლებში ჰქონდა მიღებული.

თეოდორე ბანდაისძე, მისი ძმის ავგაროზ ბანდაისძის მსგავსად, განათლებული და წიგნიერებისაკენ მიდრეკილი სასულიერო პირი იყო. ამ ფაქტზე, პირველ რიგში, ის გარემოება მიუთითებს, რომ თეოდორე ბანდაისძე მოძღვრის წოდებას ფლობდა, რაც, თავის მხრივ, აუცილებელი პირობის სახით, მოითხოვდა, რომ თეოდორე განსწავლული და ზნეკეთილი სასულიერო პირი ყოფილიყო. სხვა შემთხვევაში, იგი მოძღვრის წოდებას, ცხადია, ვერ მიიღებდა. დაახლოებით, ანალოგიური დასკვნისაკენ გვიბიძგებს 1348-1365 წლების პარაკლიტონის ანდერძ-მინაწერებიც, რომელთა ტექსტებშიც, ერთი მხრივ, ზოგადად არის აღნიშნული, რომ თეოდორე ბანდაისძემ ამ ხელნაწერი წიგნის გადაწერისათვის „დიდად მოიჭირვა“ ანუ დიდი ძალისხმევა გასწია: №3 ანდერძი. „დიდად მოიჭირვა ძმამან ჩემ(მან) თეოდორე წიგნისა ამის დაწერასა“; ხოლო, მეორე მხრივ, კონკრეტულადაც არის დასახელებული ორი შემთხვევა, როცა თეოდორემ პარაკლიტონის გადაწერაზე მომუშავე ავგაროზ ბანდაისძეს გარკვეული მატერიალური დახმარება გაუწია. კერძოდ, პირველ შემთხვევაში თეოდორემ ავგაროზს ერთი „ლიტრა“ ანუ, დაახლოებით, ნახევარი კილოგრამი ბამბა გადასცა: №3 მინაწერი. „აქა თეოდორე ერთი ლიტრად ბანბად მიბოძა“; ხოლო, მეორე შემთხვევაში, „ფლასკით“ ანუ ხის საღვინე ჭურჭლით ღვინო მიუტანა: №4 მინაწერი. „აქა თეოდორე ღვნითა ფლასკი მომიტანა“.

¹ პარაკლიტონი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტორ-შემდგენელი: ე. გაბიძაშვილი (ხელმძღვანელი), მ. მამაცაშვილი, ა. ლამბაშიძე (თბილისი, 2007), გვ. 719.

მოძღვარ თეოდორე ბანდაისძის სახელთან დაკავშირებულ წერილობით ძეგლებში მისი სამოღვაწეო საგანის შესახებ ცნობები დაცული არ არის. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ თეოდორე ბანდაისძე, მისი ძმის ავგაროზ ბანდაისძის მსგავსად, ლარგვისის მონასტერში მოღვაწეობდა. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისას, ძირითადად, ვემყარები სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც არამხოლოდ ავგაროზ ბანდაისძე, არამედ ბანდაისძეთა გვარის სხვა წარმომადგენლებიც სწორედ ლარგვისის მონასტერში მოსაზრებობდნენ. ასე, რომ თუ ჩემი მოსაზრება სწორია და თეოდორე ბანდაისძე ნამდვილად ლარგვისის მონასტერში მოღვაწეობდა, მაშინ საბოლოოდ ირკვევა ისიც, რომ იგი არა ზოგადად მოძღვრის, არამედ კონკრეტულად ლარგვისის მონასტრის მოძღვრის წოდებას ფლობდა.

მაშასადამე, ირკვევა, რომ გრიგოლ ბანდაისძეს ჰყავდა რამდენიმე ბიძა (მამის ძმა), რომელთაგან ერთ-ერთი – ლარგვისის მონასტრის მოძღვარი და ავგაროზ ბანდაისძის მიერ გადაწერილი 1348-1365 წლების პარაკლიტონის (A-575) მფლობელი თეოდორე ბანდაისძე 1330-იანი წლების ახლოხანებში იყო დაბადებული და 1400 წლის ახლოხანებში იყო გარდაცვლილი.

3. გრიგოლ ბანდაისძის ძმები.

გრიგოლ ბანდაისძის ძმების შესახებ ცნობებს ავგაროზ ბანდაისძის 1365 წლის ანდერძი და მისი საოჯახო მოსახსენებელი, აგრეთვე, გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერი გვაწვდის: ავგაროზ ბანდაისძის 1365 წლის ანდერძი: „...ღირს ვიქმენ მე... მწერალი ავგაროზ ბანდაისძე, აღწერად წმიდისა ამის წიგნისა... აწ, ვინცა მიემთხვევით... წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა შენდობა ჰყოფდით ჩემთვის და... შეიღთა... ჩემთათვის...“; იმავე ავგაროზის საოჯახო მოსახსენებელი: „სულსა ავგაროზისსა შეუნდვნეს ღმერთმან, სულსა მისისა მეუღლისა თათუაისასა შეუნდვნეს ღმერთმან, სულსა შეიღთა მათთა გრიგოლ და გიორგისა შეუნდვნეს ღმერთმან, სულსა ივანესსა და ცხოვრებაისსა შეუნდვნეს ღმერთმან, სულსა ბაკურის და გოგაისსა შეუნდვნეს ღმერთმან...“; და გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერი „...და შემდგომ მცირედისა ჟამისაჲ დაერჩი ობოლი ხუთთა ძმათაგან და ვსტიროდი თავსა ჩემსა მე, გრიგოლ [ბანდაისძე] ავგაროზიშვილი...“.

როგორც ვხედავთ, ციტირებული წერილობითი ძეგლები გვამცნობს, რომ გრიგოლ ბანდაისძეს ჰყავდა ხუთი ძმა – გიორგი, ივანე, ცხოვრება, ბაკურ და გოგია ბანდაისძეები¹.

გრიგოლ ბანდაისძის ძმების ბიოგრაფიის შესახებ, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, თითქმის არაფერი ვიცით. ამ ეტაპზე, მათი ცხოვრება-მოღვაწეობის თაობაზე მხოლოდ სამი რამის თქმა შეიძლება: 1. გრიგოლ ბანდაისძის ძმები, დაახლოებით, 1350-იან წლებსა და 1360-იანი წლების I ნახევარში იყვნენ დაბადებული. ამაზე მიუთითებს ორი გარემოება: ა) ავგაროზ ბანდაისძე და მისი თანამეცხედრე თათუა, დაახლოებით, 1330-იან წლებში იყვნენ დაბადებული და შესაბამისად, მათ ქორწინებასაც, ყველაზე ადრე, დაახლოებით, 1340-1350-იანი წლების მიჯნაზე შეიძლება ჰქონოდა ადგილი. აქედან, ირკვევა, რომ გრიგოლ ბანდაისძის ძმები, დაახლოებით, 1340-1350-იანი წლების მიჯნის შემდგომ პერიოდში იყვნენ დაბადებული; და ბ) ავგაროზ ბანდაისძის 1365 წლის საოჯახო მოხსენებელში მისი ექვსივე ვაჟია დასახელებული. შესაბამი-

¹ გრიგოლ ბანდაისძის ხუთივე ძმის სახელი ავგაროზ ბანდაისძის საოჯახო მოსახსენებელში პირდაპირ არის მითითებული. მიუხედავად ამისა, მოსახსენებლის პირველგამოცემელმა თედო ჟორდანიამ 1902 წელს კოლოფონის ტექსტი არასრული სახით გამოაქვეყნა და ამ შემოკლებულ ტექსტში მხოლოდ გრიგოლ ბანდაისძისა და მისი სამი ძმის – გიორგის, ბაკურისა და გოგიას სახელები შეიტანა: – „სულსა ავგაროზისა შნ ღწ... მისისა მეუღლისა თათუაისასა... შეიღთა მათთა გრიგოლ და გიორგისა შნ ღწ. სულსა ბაკურის და გოგაისსა შნ ღწ. სულსა რაითაცა ვინ შემეწია ამისსა დაწერასა, შნ ღწ“ (Описание рукописей Тифлисского..., стр. 94). მოგვიანებით, 1954 წელს ავგაროზ ბანდაისძის საოჯახო მოსახსენებელი შოთა მესხიამაც გამოსცა, თუმცა მკვლევარმა კოლოფონი კიდევ უფრო შემოკლებული სახით გამოაქვეყნა და ამ ტექსტში მხოლოდ გრიგოლ ბანდაისძისა და მისი მომდევნო ძმის – გიორგის სახელები შეიტანა: „სულსა ავგაროზისა შეუნდოს ღმერთმან, სულსა მისისა თათუაისასა შეუნდოს ღმერთმან. სულთა შეიღთა მათთა გრიგოლ და გიორგისა შეუნდოს ღმერთმან... სულსა რაითაცა ვინ შემეწია ამისსა დაწერასა შეუნდოს ღმერთმან“ (ძეგლი ერისთავთა..., გვ. 319-320). სულ ბოლოს, 2004 წელს, ავგაროზ ბანდაისძის საოჯახო მოსახსენებელი ცაცა ჭანკიევმა გამოაქვეყნა. ამ პუბლიკაციაში კოლოფონი უკვე სრული სახით არის მოტანილი და მის ტექსტში გრიგოლ ბანდაისძის ხუთივე ძმის სახელია მითითებული: „სულსა ავგაროზისსა შეუნდვნეს ღმერთმან, სულსა მისისა მეუღლისა თათუაისასა შეუნდვნეს ღმერთმან, სულსა შეიღთა მათთა გრიგოლ და გიორგისა შეუნდვნეს ღმერთმან, სულსა ივანესსა და ცხოვრებაისსა შეუნდვნეს ღმერთმან, სულსა ბაკურის და გოგაისსა შეუნდვნეს ღმერთმან, სულსა რაითაცა ვინ შემეწია ამისსა დაწერასა, შეუნდვნეს ღმერთმან“ (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, II, გვ. 190). ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რომ გრიგოლ ბანდაისძის სამი ძმის – გიორგის, ბაკურისა და გოგიას შესახებ ინფორმაცია სამეცნიერო საზოგადოებას პირველად ავგაროზ ბანდაისძის საოჯახო მოსახსენებლის პირველგამოცემელმა თედო ჟორდანიამ, ხოლო დანარჩენი ორი ძმის – ივანესა და ცხოვრებას შესახებ ცნობები იმავე მოსახსენებლის ბოლო პუბლიკაციის ავტორმა ცაცა ჭანკიევმა მიაწოდეს.

სად, ირკვევა, რომ გრიგოლ ბანდაისძის ძმები 1365 წლის წინარე ხანებში იყვნენ დაბადებული¹; 2. გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერის ცნობით, გრიგოლის ძმები – გიორგი, ივანე, ცხოვრება, ბაკურ და გოგია ბანდაისძეები 1400 წლის შემდგომ ახლო პერიოდში ანუ, დაახლოებით, 1400-იან წლებში იყვნენ გარდაცვლილი: „მას ჟამსა (1400 წ. – თ. ჯ.) შინა დამიცვა ღმერთმან... და შემდგომ მცირედისა ჟამისად დაგრჩი ობოლი ხუთთა ძმათაგან და ვსტიროდი თავსა ჩემსა მე, გრიგოლ [ბანდაისძე] ავგაროზიშვილი...“²; და 3. გრიგოლ ბანდაისძესა და მის ხუთ ძმას შორის შემდეგი ასაკობრივი თანამიმდევრობა იყო: გრიგოლი, გიორგი, ივანე, ცხოვრება, ბაკური და გოგია. ამ ფაქტზე პირდაპირ მიუთითებს ავგაროზ ბანდაისძის საოჯახო მოსახსენებელი, რომელშიც ავგაროზის ვაჟები სწორედ აღნიშნული თანამიმდევრობის დაცვით არიან ჩამოთვლილი: „...სულსა შვილთა მათთა გრიგოლ და გიორგისა შეუნდვნეს ღმერთმან, სულსა ივანესსა და ცხოვრებასსა შეუნდვნეს ღმერთმან, სულსა ბაკურის და გოგიადსსა შეუნდვნეს ღმერთმან...“³.

მაშასადამე, ირკვევა, რომ გრიგოლ ბანდაისძეს ჰყავდა ხუთი უმცროსი ძმა – გიორგი, ივანე, ცხოვრება, ბაკურ და გოგია ბანდაისძეები, რომლებიც, დაახლოებით, 1350-იან წლებსა და 1360-იანი წლების I ნახევარში იყვნენ დაბადებული და დაახლოებით, 1400-იან წლებში იყვნენ გარდაცვლილი.

4. გრიგოლ ბანდაისძის დაბადებისა და გარდაცვალების დრო.

გრიგოლ ბანდაისძის დაბადების ზუსტი დროის შესახებ რაიმე ცნობები არ მოგვეპოვება. რაც შეეხება გრიგოლის დაბადების მიახლოებით ქრონოლოგიას, მე უკვე აღვნიშნე ზემოთ, რომ გრიგოლის ძმები – გიორგი, ივანე, ცხოვრება, ბაკურ და გოგია ბანდაისძეები, მათი მამის ავგაროზ ბანდაისძის დაბადების მიახლოებითი დროის გათვალისწინებით, დაახლოებით, 1350-იან წლებსა და 1360-იანი წლების I ნახევარში იყვნენ დაბადებული. შესაბამისად, ავტომატურად ირკვევა ისიც, რომ გრიგოლ ბანდაისძეც, ძმების მსგავსად, აგრეთვე, დაახლოებით, 1350-იან წლებსა და 1360-იანი წლების I ნახევარში იყო დაბადებული.

გრიგოლ ბანდაისძის დაბადების ამ თხუთმეტწლიან ქრონოლოგიურ მონაკვეთს კიდევ უფრო მეტად აზუსტებს ავგაროზ ბანდაისძის 1365 წლის ანდერძი და მისი საოჯახო მოსახსენებელი, რომელიც იმავე 1365 წელს არის დაწერილი. ამ ორი კოლოფონიდან პირველი კოლოფონის – 1365 წლის ანდერძის მეორე ნაწილში ავგაროზი პარაკლიტონის მკითხველებსა და მსმენელებს მისი შვილებისათვის შენდობის თქმას ევედრება, ხოლო მეორე კოლოფონში – იმავე 1365 წლის საოჯახო მოსახსენებელში გვაუწყებს, რომ კოლოფონის შესრულების დროისათვის მისი ექვსივე შვილი უკვე დაბადებული იყო და იქვე, მათ სახელებს ჩამოთვლის კიდევ: 1365 წლის ანდერძი – „...ღირს ვიქმენ მე... მწერალი ავგაროზ ბანდაისძე, აღწერად წმიდისა ამის წიგნისა... აწ, ვინცა მიემთხვენეთ... წმიდათა შინა ლოცვათა თქუნთა შენდობა ჰყოფდით ჩემთვის და... შვილთა... ჩემთათვის...“⁴; და 1365 წლის საოჯახო მოსახსენებელი: „სულსა ავგაროზისსა... სულსა მისისა მეუღლისა თათუაისასა შეუნდვნეს ღმერთმან, სულსა შვილთა მათთა გრიგოლ და გიორგისა შეუნდვნეს ღმერთმან, სულსა ივანესსა და ცხოვრებასსა შეუნდვნეს ღმერთმან, სულსა ბაკურის და გოგიადსსა შეუნდვნეს ღმერთმან...“.

ჩემი დაკვირვებით, ის გარემოება, რომ 1365 წლისათვის ავგაროზ ბანდაისძის ექვსივე ვაჟი უკვე დაბადებული იყო, ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ამ ექვსი ვაჟიდან უფროსი ვაჟი – გრიგოლი 1365 წლამდე ხუთიოდე წლით უფრო ადრე მაინც უნდა ყოფილიყო დაბადებული. შესაბამისად, ირკვევა, რომ გრიგოლ ბანდაისძე, დაახლოებით, 1350-იან წლებში იყო დაბადებული⁴.

გრიგოლ ბანდაისძის გარდაცვალების ზუსტი დროის შესახებ, მისი დაბადების ზუსტი დროის მსგავსად, რაიმე ცნობები არ მოგვეპოვება. ამ ხარვეზს ერთგვარად ავსებს თავად გრიგოლის მიერ შედგენილი „ძეგლი ერისთავთას“ ბოლო ფრაგმენტი და მისივე საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერი, რომელიც ზემოთ უკვე მქონდა ციტირებული:

1. „ძეგლი ერისთავთა“: „მაშინ მოვიდა თემურ სამანგნელი ყოვლითა სპითა ჩაღანელ-ქაშანელ-სიყალბელი-ნაპრომელ-ინდუსტანელითა და ყოვლითა სპარსეთისა და აღმოსავლისა ლაშ-“

¹ გრიგოლ ბანდაისძის ძმების დაბადების ქრონოლოგიის შესახებ საკუთარი მოსაზრება დღემდე არავის გამოუთქვამს.

² ის ფაქტი, რომ გრიგოლ ბანდაისძის ძმები 1400 წლის შემდეგ გარდაიცვალნენ, გრიგოლის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში პირდაპირ არის აღნიშნული. შესაბამისად, ირკვევა, რომ ეს ფაქტი სამეცნიერო საზოგადოებას პირველად ამ მინაწერის პირველგამომცემელმა მარი ბროსემ გააცნო (*Rapports sur un Voyage Archéologique...*, pp. 77-78).

³ გრიგოლ ბანდაისძის ძმების ასაკობრივი თანამიმდევრობის შესახებ აქამდე რაიმე მოსაზრება გამოთქმული არ ყოფილა.

⁴ გრიგოლ ბანდაისძის დაბადების ქრონოლოგიის შესახებ საკუთარი მოსაზრება დღემდე არავის გამოუთქვამს.

ქრითა, დიდითა რისხვითა და გულის წყრომითა. ხოლო ვიორგი მეფე წარვიდა ღიხთიმურით. მაშინ ერისთავი ვირშელი უკუდგა ციხესა ბეხუშისასა დედა-წულთა და ჯოვითა, და თანა-ჰყვა კათალიკოზი ელიაზ ყოვლით საყდრისშვილთურთ და ხიზნითა დიდითა და ჯოვითა და ცხურითა. მოვიდა თემურ და წარმოუძღუა წინა ბურდიას-შვილი ვირშელი და შემუსრა ყოველნი ციხენი და დააქცივნა ყოველნი საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი და დაფარ[ნ]ა ლაშქარმან მათმან ყოველნი მინდორნი მთანი და ტყენი, კლდენი და კვენი, და ვითარცა ზღუამან დაფარა ყოველი ესე ქუეყანა. და მიეწია ლაშქარი მათი ქუთათის[ს], ლეკეთს და დარიალსა და მოწუეს და მოაოჯრეს ყოველი საქართველო დაყარეს მძორი მეუდრისაჲ, ვითარცა მჭელი თივისაჲ. მაშინ ვირშელმან უკუაყენა ხიზანი და დედაწულნი ქნოლოს და თვთ დადგა ბეხუშეს ვარეშე ციხესა. და მოვიდა მარბეველი ლაშქარი და მიაგება წინა მშვილდოსანნი და იწყეს სროლად და გამოსხნეს... და მოირთეს ძალი და კუალად შემოვიდეს უმრავლესნი და მოვიდეს ციხეს, და ჩამოეგებნეს აზნაურისშვილები და იწყეს სროლად ისრითა და დაუკოცეს ცხენები და დაკოდეს მრავალი ისრითა და გამოასხნეს ჰომითა და კუალად გამოვიდეს და ჰკრეს ქოსსა და შეკრბეს სიმრავლითა დიდითა და წარმოემართნეს კვეთა, ტყეთა, კლდეთა და მოჰმართეს ციხესა ბეხუშისასა. მაშინ დადგა ერისთავი ზემოდთ ციხესა, მოვიდა ლაშქარი ვითარ დაიტევდა სივიწრე კვეისაჲ, დაქუეითდეს და ჩამოეგებნეს წინა ვირშელი და მოახლენი მისნი და იწყეს სროლად, მერმე ამოიწუადეს კრმლები და ვერ მოეცეოდა ლაშქარი მრავალი და მიბრუნდეს წინანი მბრძოლნი, რამეთუ მრავალი მოკუდა მათგანი და წამოვიდა ყოველი სპაჲ.

მაშინ ერისთავი განმარჯუებული მოვიდა ქნოლოს ხილვად დედა-წულთა. ხოლო კაცმან ქნოელმან, რომელსა ერქუა ხარება, აუწყა ყოველთა დვალთა, ვითარმედ მტერი თქუენ ყოველთაჲ სახლსა შინა ჩემსა არს, აწ მოვიდით და მოვეკლათ ესე, რამეთუ ჰვლთა შინა ჩუენთა არს. მაშინ შეკრბეს ყოველნი დვალნი სიხარულითა და წარმოვიდეს; ხოლო უფალმან არა მისცა მონაჲ თვისი სიკუდილად ჰვლთა მათ, არამედ აუწყა კაცმან კეთილმან განზრახვად მათი და წარმოვდა ვირშელ[ლი] ყოველითურთ. ხოლო ხარება დიდად იხარკა არა წარსვლად მათი, არამედ ერისთავ[მან] შეჰმოსა სამოსლითა თვისითა და დადგომად არა უსმინა, წარმოვიდეს. მაშინ მოქეწივა ხარება და ზოვი რადმე საღაროდ წარქულო. ხოლო ვირშელი წარმოვიდა და მას დამესა მოვიდა ყოველი ლაშქარი დვალთაჲ, ხოლო ხარება დიდად მწუხარე აბრალებდა გამოშუებასა მათსა.

მაშინ თემურ ვითარცა მოაოჯრა ყოველი და ტყუენ[ა], წარვიდა შამს, ხოლო ტყუეს და ალაფი ყოველი ვაგ ზავნა სამარყანს. და დარჩეს ერისთავსა ზემოდთ თავადი ციხე ქუენიფნებს და სახლები: ი (10) და ციხე ქოლოთისაჲ, ციხენი ისროლისანი, ციხე ბეხუშისაჲ, ციხენი უკანუბნისანი, სახლი ნაკაფოვნისაჲ და სახლი წინუბნისაჲ, და სხუად ყოველი ალაოჯრეს. მაშინ დააქცივეს ეკლესიად ესე აღშენებული ერისთავისა იოვანესგან.

ხოლო ვირშელმან შეკრიბა ლაშქარი, რომელი დაჰრჩომოდა, მივიდა ქნოლოს. ხოლო ხარება და მიმდგომნი მისნი შეაწყუდივნა ციხესა შინა და დაკოცნა ყოველნივე და დააქცივნა ციხენი მათნი, დაწუა ქუეყანად მათი და ადავნა ლაშქარნი ალაფითა და განუტევა შვილი ხარებაჲსი სამისა წლისა ყრმაჲ და მისცა დედასა მისსა და ერთი ძმაჲ ხარებაჲსი და დიდად შური იგო მათ ზედა. მოუკდეს დვალნი ბრძოლად, არამედ ვერ შეუძლეს. ხოლო ვირშელმან უბრძანა: უკუეთუ გნებავს ხილვად ჩემი, მე მოვალ ქუეყანად თქუენდა და თქუენ რადცა გნებავს იგი მიყავთ და უკუეთუ უფალმან ყოს სამართალი, ესრეთვე შური ვიგო თქუენ ზედაცა. და წარმოვიდა შინა უვნებლად. ამას ჟამსა მიეცა მათ ყრმა წული და განიხარეს სიხარულითა დიდითა, რამეთუ შემდგომად ესეოდენთა ბოროტთა ესრეთ წყალობით მოხედვა-ყო ღმერთმან. და ნათელსცა მას წმიდამან მღვდელთმთავარმან ქართლისამან და უწოდეს ქუენიფნეველი. ამას ჟამსა ინება წმიდამან ვიორგი ქაშოეთისმან მოსლვად მეუდრობად სახლსა ვირშელისასა, რომლისა სასწაულნი, რომელთა იქმოდა, აურაცხელ არიან, ვითარცა ვარსკულავნი ცისანი და ქვშად ზღვსაჲ. ამას ზედა ფრიად განიხარა ერისთავმან და შეამკო ჯუარი და კუბოდ მისი და მოჭედა ვეცხლითა და ოქროითა და იწყო შენებად ეკლესიისა სახელსა ზედა მოწამისასა, საზღვარსა ვარნისასა, ადვილსა შუენიერსა ყოვლით კერძო.

მაშინ მოვიდა მეფე ვიორგი ღიხთიმურით და ესმა დვალთავან დალატი ერისთავისაჲ. განრისხნა და განილაშქრა მათ ზედა და შემოვიდა გზასა აჩაბეთისასა და იწყო ტყუენვად და ოჯრებაჲ მათი. ხოლო ვირშელი განილაშქრა ზემოსა მკარსა და ჩავიდა სოსხოს და აიღო მას დღესა რვაჲ ციხე და სოფელი და ყოველი მოწუა და მოაოჯრა თვნიერ კაცთა მათ, რომელთა აუწყეს დალატი დვალთავან, მათი ყოველი უვნებლად დაიცვა. და მეორესა დღესა მივიდეს ყარას და დაწუეს ციხე და სოფელი ხუთი, და ხიზანი მათი შეეყენა დღესა მთისასა, ადვილსა მაღალსა, ნაპრალსა კლდეთასა შეუვალსა ყოველითურთ. შეუჭდა ლაშქარი სიტყვით დაუჯერებელსა მას სიმაგრესა და აიღეს ყოველი ალაფი მათი. მაშინ მთეულნი არავცსა ზედაზნით დარიალამდისნი ყოველნი [ერთად შეკრებით იყუნეს] და უძლოდა მათ ერისთავი მათი სურამელი.

ესე ყოველნი ბრძოლილ იყუნეს კლდესა ხოჯისასა ორ დღე, და დაჰკლებოდა ხუთი კაცი სა-
ხინოდ და მოეკლა გამზრდელი ერისთავისა მათისა და ვერა ევნო მის სოფლისა დვალთათჳს.
მაშინ მიეგ ზაენა მოციქული, ვითარმედ დიდი კეთილი იქმნა მოსლვაჲ ჩუენი თქუენთჳს, რამეთუ
უკუეთუმცა აქა არა ყოფილ ვიყვენით, მოვიდოდა ვირშელი და ყოველი ლაშქარი მისი და ცუდ
იქმნებოდა სიმაგრე თქუენი, ვითარცა-იგი ცუდ ქმნილ არს უმჯობესი სხუათაჲ სიმაგრე წინაშე
მათსა, დააქცევდეს ციხეთა თქუენთა, დასწვიდეს სოფელსა თქუენსა, წავიდებდის ყოველსა მო-
ნაგებსა თქუენსა, დაგვკოცდეს მამათა ყოველთა და ცოლთა და შეიღთა თქუენთა ტყუედ წა-
რიყვანებდეს, არამედ მოსლვითა ჩუენითა ესე გარე-აგვკდა, აწ დაევიწყოთ სისხლი კაცთა, რო-
მელნი მოჰკლენით და მომეციოთ რადმე პირუტყვ, რადთა იხილონ ლაშქართა მათთა, რამეთუ
მრცხუენის მათგან დაუქცევა ციხეები და აქუს ყოველი პირ...ვის უტკივნებია მათთჳს ა[...]
ხოლო [ჩუენ] არარაჲ გუაქუს, გარნა კაცნი ესე, რომელ მოჰკლენით, და დაკოდილი ფრიად. მაშინ
დვალთა მოსცნეს კაცნი, მას პომსა შიგან შეპყრობილნი, და ზროხანი ოთხნი.

აიყარნეს ორნივე ერისთავნი და ჩაიარეს მადრან-დვალეთი. მივიდა ვირშელი და დადგა
როკას, რამეთუ ვერ ეძლო სლვად ლაშქარსა სიმძიმისაგან ალაფისა და ქუემთა მთიულთა
მიჰმართეს კარად მეფისა. ხოლო ადგილსა მას ლაშქართა ვირშელისათა შეიპყრეს კაცი ი ვ (16)
და მათ ასწავლეს დაფლული მრავალი განძი, რომელი ლაშქართა მეფისათა ვერა ეპოვნა. და
მეორეს დღესა მივიდა ვირშელი წინაშე მეფისა, ხოლო მეფემან განიხარა და მიუგ ზაენა ალაფი-
საგან ვ (6) საკიდი ჭურჭელი ვერცხლისა და ოქროსაჲ 8 (8-8) საკიდი ლარი, ს (200) ზრო-
ხაჲ, ლ (30) ცხენი, ფ (500) ცხუარი, კ ივ (36) ქუაბი დიდ-დიდი. ხოლო მეფემან მრავალი მად-
ლი წარმოთქუა და უბოძა ორი [...], პირუტყვსაჲ და ვეცხლი, ოქროჲ სხუად...¹.

2. გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერის მარი ბროსეს გამოცემა:
„მეფობასა შინა მეფეთ მეფისა ვიორგი, ბავრატის ძისასა, და ერისთავობასა შინა ერის-თავთა
ერის-თვისა ქვენიფნეველისა ვირშელისასა, ოდეს-იგი დიდთა ომთა-გან გამარჯვებული აღნჯით
მოვიდეს, მოქცევასა იდ (14). ქკს. პშ (88+1312=1400 წ.), მაისს ზ (7), მოვიდა თემურ-ბეგ სულტანი
სამარყანელი, და გამოიტანნა ყაანნი სინიხარასა, ჩინეთისაჲ, ქომანეთისაჲ, ხვარაზმისაჲ, ქამანი-
საჲ, ნაჰროეთისაჲ, სიყაღბისაჲ, ჩაღანისაჲ, ალაბისაჲ, სინდეთისაჲ, ხატავეთისაჲ, ერავისა, თურ-
ქისტანისაჲ, და სიმრავლისა მათისა არ იყო რიცხუ. და მოვლეს ყოველი ქვეყანაჲ და წარტყვე-
ნეს, და დააქცივნეს საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი, და აღიხუნეს ყოველნი ციხენი და
მოასხეს, ტყვე ჰყვეს, და მოაოხრეს ყოველი ქვეყანაჲ დასავლეთამდის: მას ჟამსა შინა დამიცვა
ღმერთ-მან ხელთა-გან მათთა, და შემდგომ მცირედისა ჟამისაჲ დაერჩი ობოლი ხუთთა ძმათა-
გან და ვსტიროლი თავსა ჩემსა მე, გრიგოლ... ავგაროზის შვილი, დაწესა-გან მოოკრებული ადვა-
შენე ხუთი სახლი: ამისსა შემდგომად, იხილა ღმერთ-მან სიმრავლე ცოდვათა ჩემთა და მიმიხ-
ვნა ექვსნი შვილი, სამნი ვაჟნი და სამნი ქალი, დედით მათითურთ. მაშინ უღირს-მან შევიძოსე
სახე მონაზონებისაჲ და საფლავსა ჩემსა ზედა ადვაშენე კარის ბჭე. და დავხატე ხელითა ჩემი-
თა, დავეკიდე კანდელნი ვეცხლისაჲ და ორი საცეცხლური. შესამოსელი და სიწმიდისა სამსა-
ხური ლარისაჲ. შიგნით ეკლესიაჲ მოვხატე და შევამკვე ყოველი მოშლილი ხატები, და განვა-
ახლე, და შევმატე ხატი მოჭედილი, სავსე ნაწილითა, და დავსხენ წიგნნი: პარაკლიტონი, სამო-
ციქულო, გულაჲ, ავგაროზი, და ავაგე მარანი და ჩავდგი ოცი ჭური, ავაგე ზედა სამყოფი სახ-
ლი, ბეღელი, საწოლი, დეიფანი, სამრეკლო და ბოსელი, და დავბურე ყოველი სიპითა“.

როგორც ვხედავთ, ციტირებული ტექსტები გვაუწყებს, რომ გრიგოლ ბანდაისძე მონღო-
ლი სარდლის თემურლენგის მიერ საქართველოში მოწყობილი 1400 წლის გამანადგურებელი
ლაშქრობის მომსწრე და უშუალო თვითმხილველი იყო. გარდა ამისა, ციტირებული ტექსტები-
დან აშკარად ჩანს ისიც, რომ გრიგოლმა თემურლენგის 1400 წლის ლაშქრობის შემდეგ გარ-
კვეული დროის განმავლობაში კიდევ იცოცხლა: ამ „გარკვეული“ დროის მანძილზე მან ხუთი
ძმა, მეუღლე და ექვსი შვილი დაკარგა, რის შემდეგაც საერო ცხოვრებაზე უარი თქვა, ბერად
ადიკვეცა და სასულიერო პირი გახდა. ამავე „გარკვეული“ დროის განმავლობაში გრიგოლმა მი-
სი სამოდვაწეო სავანის მიმართ დიდი ქტიტორული დვაწლი გასწია (ამ ქტიტორული დვაწლის
შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ). გარდა ამისა, გრიგოლ ბანდაისძემ ამ „გარკვეული“ დროის მან-
ძილზე შეადგინა ვრცელი ორიგინალური თხზულება „ძეგლი ერისთავთა“, რომელშიც თემურ-
ლენგის 1400 წლის ლაშქრობის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მომხდარი
სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები აღწერა. ჩემი დაკვირვებით, გრიგოლ ბანდაისძესთან დაკავ-
შირებული ამ ამბების საერთო ხანგრძლივობა, დაახლოებით, 10 წელი მაინც უნდა ყოფილიყო,
ეს კი, თავის მხრივ, ავტომატურად მიბიძგებს იმ დასკვნისაკენ, რომ გრიგოლის გარდაცვალების
ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს, დაახლოებით, 1410-იანი წლების დასაწყისი წარმოადგენდა.

¹ ძეგლი ერისთავთა..., გვ. 358-362.

გრიგოლ ბანდაისძის გარდაცვალების ქვედა ქრონოლოგიური მიჯნის 1410-იანი წლების დასაწყისით განსაზღვრის შემდეგ იმავე მოვლენის მიახლოებითი ზედა ქრონოლოგიური ზღვრის დადგენა საკმაოდ იოლ ამოცანას წარმოადგენს. მე უკვე გავარკვეე ზემოთ, რომ გრიგოლი, დაახლოებით, 1350-იან წლებში იყო დაბადებული. შესაბამისად, 1410-იანი წლების დასაწყისისათვის იგი, დაახლოებით, 50-60 წლისა უნდა ყოფილიყო. აღნიშნული დროითი მონაცემის გათვალისწინებით, ვფიქრობ, არ შეეცდები, თუკი გრიგოლ ბანდაისძის გარდაცვალების მიახლოებით ზედა ქრონოლოგიურ მიჯნას 1410-იანი წლების მიწურულით, ხოლო თავად გარდაცვალების ფაქტს, დაახლოებით, 1410-იანი წლებით განვსაზღვრავ; ამ შემთხვევაში, გამოვა, რომ გრიგოლი, დაახლოებით, 60-70 წლის ასაკში იყო გარდაცვლილი, რაც, შუა საუკუნეებში ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის საკმაოდ დაბალი საშუალო მაჩვენებლის გათვალისწინებით, სავსებით რეალური და სარწმუნო ჩანს.

მაშასადამე, ირკვევა, რომ გრიგოლ ბანდაისძე, დაახლოებით, 1350-იან წლებში იყო დაბადებული და დაახლოებით, 1410-იან წლებში იყო გარდაცვლილი¹.

5. გრიგოლ ბანდაისძის თანამეცხედრე და შვილები.

გრიგოლ ბანდაისძის თანამეცხედრისა და შვილების შესახებ ცნობებს გრიგოლისავე საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში ვაწვდებით: „...მისსა (ამისსა) შემდგომად იხილა ღმერთმან სიმრავლე ცოდვათა ჩემთა და მიმიხუნა ექუსნი შვილნი, სამნი ვაჟნი და სამნი ქალნი დეღით მათითურთ“.

როგორც ვხედავთ, ციტირებული მინაწერი გვაუწყებს, რომ გრიგოლ ბანდაისძეს ჰყავდა მეუღლე, რომლის სახელიც კოლოფონიდან არ ჩანს და ექვსი შვილი – სამი ვაჟი და სამი ქალი, რომელთა სახელები, ტექსტში, აგრეთვე, არ არის მითითებული².

გრიგოლ ბანდაისძის თანამეცხედრისა და შვილების ბიოგრაფიის შესახებ, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, ძალზედ ცოტა რამ ვიცით. დღეისათვის მათ ცხოვრება-მოღვაწეობასთან დაკავშირებული მხოლოდ სამი საკითხის გარკვევა ხერხდება: 1. გრიგოლის მეუღლე, თავად გრიგოლის დაბადების მიახლოებითი დროის (1350-იანი წწ.) გათვალისწინებით, დაახლოებით, 1350-1360-იან წლებში იყო დაბადებული³; 2. გრიგოლ ბანდაისძის სამი ვაჟი და სამი ქალი, გრიგოლისა და მისი თანამეცხედრის დაბადების მიახლოებითი დროის (1350-1360-იანი წწ.) გათვალისწინებით, დაახლოებით, 1370-1390-იან წლებში იყო დაბადებული⁴; და 3. გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერის ცნობით, მისი მეუღლე და ექვსივე შვილი 1400 წლის ახლო შემდგომ ხანებში ანუ 1400-იან წლებში იყვნენ გარდაცვლილი: „მას ჟამსა (1400 წ. – თ. ჯ.) შინა დამიცვა ღმერთმან... და შემდგომ მცირედისა ჟამისად დავრჩი ობოლი ხუთთა ძმათაგან და... მისსა (ამისსა) შემდგომად იხილა ღმერთმან სიმრავლე ცოდვათა ჩემთა და მიმიხუნა ექუსნი შვილნი, სამნი ვაჟნი და სამნი ქალნი დეღით მათითურთ“⁵.

მაშასადამე, ირკვევა, რომ გრიგოლ ბანდაისძეს ჰყავდა თანამეცხედრე, რომელიც, დაახლოებით, 1350-1360-იან წლებში იყო დაბადებული და დაახლოებით, 1400-იან წლებში იყო გარდაცვლილი, აგრეთვე, ექვსი შვილი – სამი ვაჟი და სამი ქალი, რომლებიც, დაახლოებით, 1370-1390-იან წლებში იყვნენ დაბადებული და დაახლოებით, 1400-იან წლებში იყვნენ გარდაცვლილი.

6. გრიგოლ ბანდაისძის შემონაზუნება.

გრიგოლ ბანდაისძის ბერად აღკვეცის შესახებ ცნობებს მისი საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერი გვაწვდის: „მას ჟამსა (1400 წ. – თ. ჯ.) შინა დამიცვა ღმერთმან... და შემდგომ მცირედისა ჟამისად დავრჩი ობოლი ხუთთა ძმათაგან და ვსტიროდი თავსა ჩემსა მე. გრიგოლ [ბანდაისძე] ავგაროხი შვილი... მისსა (ამისსა) შემდგომად იხილა ღმერთმან სიმრავლე ცოდვათა ჩემთა

¹ გრიგოლ ბანდაისძის გარდაცვალების ქრონოლოგიის შესახებ, მისი დაბადების დროის მსგავსად, აქამდე რაიმე მოსაზრება გამოთქმული არ ყოფილა.

² გრიგოლ ბანდაისძის მეუღლე და მათი ექვსი შვილი – სამი ვაჟი და სამი ქალი გრიგოლის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში პირდაპირ, ოღონდ, სახელების მითითების გარეშე არიან მოხსენიებული. შესაბამისად, გამოდის, რომ ამ შვიდი პირის შესახებ ინფორმაცია სამეცნიერო საზოგადოებას პირველად გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერის ტექსტის პირველგამომცემელმა მარი ბროსემ მიაწოდა (*Rapports sur un Voyage Archéologique...*, pp. 77-78).

³ გრიგოლ ბანდაისძის თანამეცხედრის დაბადების ქრონოლოგიის შესახებ საკუთარი მოსაზრება დღემდე არავის გამოუთქვამს.

⁴ გრიგოლ ბანდაისძის შვილების დაბადების ქრონოლოგიის შესახებ, გრიგოლის მეუღლის დაბადების დროის მსგავსად, აქამდე რაიმე მოსაზრება გამოთქმული არ ყოფილა.

⁵ ის ფაქტი, რომ გრიგოლ ბანდაისძის თანამეცხედრე და შვილები ძმები 1400 წლის შემდეგ გარდაიცვალნენ, გრიგოლის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში პირდაპირ არის აღნიშნული. შესაბამისად, ირკვევა, რომ აღნიშნული ფაქტი სამეცნიერო საზოგადოებას პირველად ამ მინაწერის პირველგამომცემელმა მარი ბროსემ გააცნო (იქვე).

და მიმიხუნა ექუსნი შვილნი, სამნი ვაჟნი და სამნი ქაღნი დედით მათითურთ. მაშინ უღირსმან შევიმოსე სახე მონაზონებისად... სულსა [ბანდაისძისა] ავგაროზისასა შეუნდვენ ღმერთმან. სულსა შვილისა მათისა ბერისა გრიგოლისასა შ"ნ დ"ნ“:

როგორც ვხედავთ, ციტირებული კოლოფონი არამხოლოდ გრიგოლ ბანდაისძის შემონახვების ფაქტს გვაუწყებს, არამედ ამ მოვლენის მიახლოებით ქრონოლოგიასაც გვთავაზობს და იქვე, დამატებით, გვამცნობს, თუ, სახელდობრ, რა მიზეზებმა განაპირობა გრიგოლის ბერად აღკვეცა. მინაწერის თანახმად, 1400 წლის შემდგომ ახლო ხანებში გრიგოლ ბანდაისძემ, ჯერ-ჯერობით, დაუდგენელი მიზეზისა (ეპიდემიის?) თუ მიზეზების გამო, ოჯახის თორმეტი (!) წევრი – ხუთი ძმა, მეუღლე, სამი ვაჟი და სამი ქალი დაკარგა. გრიგოლმა ეს უდიდესი ტრაგედია უფლის მიერ მისი შეცოდებების გამო მოვლენილ სასჯელად აღიქვა, დაახლოებით, 1400-იან წლებში საერო ცხოვრებაზე უარი თქვა, შემონახვდა და სასულიერო ცხოვრებას შეუდგა¹.

შემონახვებულ გრიგოლ ბანდაისძის სამოღვაწეო სავანის შესახებ რაიმე პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება. თუმცა კი, საფიქრებელია, რომ იგი სასულიერო მოღვაწეობას, ბანდაისძეთა გვარის წინა თაობათა წარმომადგენლების – მოძღვართმოდვარ იოანეს, ავგაროზისა და მოძღვარ თეოდორეს მსგავსად, ლარგვისის წმ. თევდორეს მონასტერში ეწეოდა².

მაშასადამე, ირკვევა, რომ გრიგოლ ბანდაისძე, დაახლოებით, 1400-იან წლებში შემონახვდა და ლარგვისის მონასტერში დამკვიდრდა.

7. ბერი გრიგოლ ბანდაისძის საადმშენებლო და ქტიტორული საქმიანობა.

შემონახვებულ გრიგოლ ბანდაისძის საადმშენებლო და ქტიტორული საქმიანობის შესახებ ცნობებს მის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში ვაწყდებით: „*მაშინ უღირსმან შევიმოსე სახე მონაზონებისად და საფლავსა ზედა ჩემსა აღვაშენე კარიბჭე და დავხატე კელითა ჩემითა, დავკიდე კანდელი ვეცხლისად და ორი საცეცხლური, შესამოსელი და სიწმინდისა სამსახური ღარისად, შიგნით ეკლესიად მოვხატე და შევაძვეე ყოველი მოშლილი ხატები და განვაახლე და შევმატე ხატი მოჭედილი, სავსე ნაწილითა, და დავსხენ წიგნნი: პარაკლიტონი, სამოციქულო, გულად, ავგაროზი, და ავაგე მარანი და ჩავდვი ორი (ოცი) ჭური; ავაგე ზედა სამყოფი სახლი; ბელელი, საწოლი, დერეფანი (დეიფანი), სამრეკლო და ბოსელი და დავბურე ყოველი სიპითა“.*

როგორც ვხედავთ, ციტირებული მინაწერი არამხოლოდ იმას გვაუწყებს, რომ გრიგოლ ბანდაისძე მისი ბერად აღკვეციდან (1400-იანი წწ.) გარდაცვალებამდე (1410-იანი წწ.) პერიოდში ანუ, დაახლოებით, 1400-1410-იან წლებში აქტიურ საადმშენებლო და ქტიტორულ საქმიანობას ეწეოდა, არამედ ამ საქმიანობას, იქვე, დაწვრილებით აღწერს კიდევ³. კოლოფონიდან ირკვევა შემდეგი:

ა) ბერად აღკვეცილმა გრიგოლმა საკუთარ „საფლავზე“ ანუ ლარგვისის მონასტერში მის დასაკრძალავად გამოყოფილ წინასწარ შემზადებულ ადგილას „კარიბჭე“ ანუ მცირე ზომის სამლოცველო ააგო და ეს საძვალე-კარიბჭე თავისი ხელით მოხატა. გარდა ამისა, გრიგოლმა ახლადაგებულ საძვალე-კარიბჭეს შესწირა რამდენიმე საეკლესიო ნივთი: ვერცხლის კანდელი, ორი საცეცხლური, „ღარისაგან“ ანუ ძვირფასი ქსოვილისაგან შეკერილი სამღვდელო შესამოსელი და „სიწმიდის სამსახურებლები“ ანუ ოდიკი და დაფარნა: „...და საფლავსა ზედა ჩემსა აღვაშენე კარიბჭე და დავხატე კელითა ჩემითა, დავკიდე კანდელი ვეცხლისად და ორი საცეცხლური, შესამოსელი და სიწმინდისა სამსახური ღარისად...“.

ბ) ბერმა გრიგოლმა ლარგვისის მონასტრის მთავარი ტაძარი – წმ. თევდორეს ეკლესია მოხატა და ამ ტაძრის დაზიანებული ხატები განაახლა. გარდა ამისა, გრიგოლმა წმ. თევდორეს ეკლესიას შესწირა ჭედური ხატი, რომელშიც წმიდა ნაწილები იყო ჩაბრძანებული და საეკლესიო ხასიათის ოთხი ხელნაწერი წიგნი – პარაკლიტონი, სამოციქულო, გულანი და ავგაროზი: „...შიგნით ეკლესიად მოვხატე და შევაძვეე ყოველი მოშლილი ხატები და განვაახლე და შევმატე ხატი მოჭედილი, სავსე ნაწილითა, და დავსხენ წიგნნი: პარაკლიტონი, სამოციქულო, გულად, ავგაროზი...“.

გ) შემონახვებულმა გრიგოლმა ლარგვისის მონასტერში ააშენა და „სიპით“ ანუ ნატეხი ქვის ფილებით გადახურა რამდენიმე საეკლესიო, საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების

¹ 1400 წლის შემდგომ პერიოდში გრიგოლ ბანდაისძის ბერად აღკვეცის ამბავი მის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში პირდაპირ არის ნათქვამი. შესაბამისად, გამოდის, რომ ამ ამბის შესახებ ცნობა სამეცნიერო წრეებს პირველად ამ მინაწერის პირველგამომცემელმა მარი ბროსემ მიაწოდა (იქვე).

² მოსაზრება, რომლის თანახმადაც, გრიგოლ ბანდაისძე ლარგვისის მონასტრის მოღვაწე იყო, შოთა მესხიას ეკუთვნის (ძველი ერისთავთა..., გვ. 317).

³ გრიგოლ ბანდაისძის საადმშენებლო და ქტიტორული საქმიანობა მის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში დეტალურად არის აღწერილი. შესაბამისად, ირკვევა, რომ ეს საქმიანობა სამეცნიერო საზოგადოებას პირველად ამ მინაწერის პირველგამომცემელმა მარი ბროსემ გააცნო (*Rapports sur un Voyage Archéologique...*, pp. 77-78).

ნაგებობა: სამრეკლო, „საწოლი“ ანუ დასაძინებელი სახლი, „დერეფანი“ ანუ გვერდებლია სახლი, მარანი, რომელშიც ორი თუ ოცი ქვევრი იყო ჩადგმული, მარანზე დაშენებული საცხოვრებელი „სახლი“ ანუ ოთახი, ბეღელი და ბოსელი „...და ავაგე მარანი და ჩავდგი ორი (ოცი) ჭური; ავაგე ზედა სამყოფი სახლი; ბეღელი, საწოლი, დერეფანი (დერეფანი), სამრეკლო და ბოსელი და დავბურე ყოველი სიბითა“.

სამწუხაროდ, გრიგოლ ბანდაისძის მიერ 1400-1410-იან წლებში ლარგვისის მონასტერში აშენებულმა თუ მოხატულმა საეკლესიო, საცხოვრებელმა და სამეურნეო ნაგებობებმა ჩვენამდე არ მოაღწია. დღემდე ვერ ხერხდება მის მიერ წმ. თევდორეს ეკლესიისა და საძვალე-კარიბჭისათვის შეწირული თუ განახლებული ხატების, საეკლესიო ნივთებისა და ხელნაწერი წიგნების იდენტიფიცირებაც.

მაშასადამე, ირკვევა, რომ ბერი გრიგოლ ბანდაისძე 1400-1410-იან წლებში ლარგვისის მონასტერში მასშტაბურ სააღმშენებლო და ქტიტორულ საქმიანობას ეწეოდა.

8. ბერი გრიგოლ ბანდაისძის სამხატვრო საქმიანობა.

შემონაზვნებული გრიგოლ ბანდაისძის სამხატვრო საქმიანობის შესახებ ცნობებს მისი საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერი გვაწვდის: „მაშინ უღირსმან შევიმოსე სახე მონაზონებისა და საფლავსა ზედა ჩემსა აღვაშენე კარიბჭე და დავხატე კელითა ჩემითა... შიგნით ეკლესია მთხატე...“.

როგორც ვხედავთ, ციტირებული კოლოფონი გვაუწყებს, რომ ბერად აღკვეცილმა გრიგოლ ბანდაისძემ საკუთარი ხელით მოხატა მისი საძვალე-კარიბჭე და სავარაუდოდ, თავისავე ხელით შეასრულა „შიგნით ეკლესიის“ ანუ ლარგვისის მონასტრის წმ. თევდორეს ტაძრის ინტერიერის მოხატულობა¹.

სამწუხაროდ, ბერი გრიგოლ ბანდაისძის მიერ აგებულმა და მოხატულმა საძვალე-კარიბჭემ, აგრეთვე, ლარგვისის მონასტრის წმ. თევდორეს იმ ეკლესიამ, რომელიც გრიგოლმა მოხატა, ჩვენამდე ვერ მოაღწია². შესაბამისად გრიგოლ ბანდაისძის სამხატვრო ხელოვნების შესახებ, ჯერჯერობით, არაფრის თქმა არ შემძლება, თუმცა კი, ვითვალისწინებ იმ გარემოებას, რომ გრიგოლის მიერ მოხატული წმ. თევდორეს ეკლესია ქსნის ხეობის უპირველესი სასულიერო ცენტრისა და ქვენიფნეველთა ფეოდალური სახლის საგვარეულო საძვალის – ლარგვისის მონასტრის მთავარ ტაძარს წარმოადგენდა და გამოეთქვამ მოსაზრებას, რომ ბერი გრიგოლ ბანდაისძე დახელოვნებული მხატვარი იყო. საწინააღმდეგო შემთხვევაში, წარმოუდგენელია, რომ მისთვის ასეთი მნიშვნელოვანი ეკლესიის მოხატვის საქმე მიენდოთ.

გრიგოლ ბანდაისძის სამხატვრო საქმიანობაზე საუბრისას აუცილებლად უნდა შევეხებოთ ძალზედ საინტერესო საკითხს. ვახტანგ ბერიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ გრიგოლ ბანდაისძეს, მისი საძვალე-კარიბჭისა და ლარგვისის წმ. თევდორეს ეკლესიის გარდა, შესაძლოა, კიდევ ერთი ტაძარი – „ქაშოეთიც“ მოეხატა. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისას მკვლევარი მთლიანად ემყარებოდა 1348-1365 წლების პარაკლიტონისათვის დართულ ერთ მოგვიანო კოლოფონს, რომელიც თავნაკლულ მინაწერ საბუთს წარმოადგენს³: პარაკლიტონის „311-ე გვერდზე, იმ ტექსტის ზემოთ, რომელშიაც ავგაროზი თავის ამბავს ყვება, სხვა ხელით ჩაწერილია საბუთი (პირველი სტრიქონები გადაშლილია), საიდანაც ჩანს, რომ გრიგოლისა და მისი შვილებისათვის ერისთავს სხვადასხვა ქონება უბოძებია „ქაშოეთის დახატვისათვის“. ეს ავგაროზის

¹ გრიგოლ ბანდაისძის სამხატვრო საქმიანობის ფაქტი მის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში პირდაპირ არის მითითებული. შესაბამისად, გამოდის, რომ ამ ფაქტის შესახებ ცნობა სამეცნიერო წრეებს პირველად ამ მინაწერის პირველგამოცემელმა მარი ბროსემ მიაწოდა (იქვე).

² ვ. ბერიძე, *ძველი ქართველი ოსტატები*, გვ. 16-17.

³ ეს მინაწერი საბუთი თედო ჟორდანიასა და ცაცა ჭანკიევის შემდეგი სახით აქვთ გამოცემული: თედო ჟორდანიას – „*ესე[ავე] ვაზი და გრიგოლ შვილთა შერთა...თა ჩნთა... მოგუშც შენისა სულისა საკსენებელად მეჯულის კვეს (sic) ლომსაურს საახალშენე მიწა კოტა[ური] შენთვს ერისთავსა ქაშოეთისა დახატვისათვს ებოძა და შუშლიეთს მიწა აფხაზთეული მამის შენის ბირისეული კულავე ავგაროზს ეყიდა ხუთისა დღისა და ჩუშნ ვავიხინეთ თევდორობისა მეორესა დღესა ხატთა თავყანისცემასა ორ-ორსა მდღელსა შენისა სულისათვს ვაწირვებდეთ და სადამდის ჩუშნისა სახლის კაცი იყოს და ვინც დაგაკლოს... განიკითხვის წუე ღთისა...“ (*Описание рукописей Тифлисского...*, стр. 94); და ცაცა ჭანკიევი – „*ესე... ვაზ... და გრიგოლ შვილთა... ჩუენთა... მოგუშც შენისა სულისა საკსენებელად მეჯულის კვეს, ლომსაურს საახალშენე მიწა კოტა შენთვს, ერისთავსა ქაშოეთისა დახატვისათვს, ებოძა და შუშლიეთს მიწა აფხაზთეული, მამის შენის ბირისეული, კულავე ავგაროზს ეყიდა, ხუთისა დღისა და ჩუენ ვავიხინეთ – თევდორობისა მეორესა დღესა, ხატთა თავყანისცემასა ორ-ორსა მდღელსა შენისა სულისათვს ვაწირვებდეთ და სადამდის ჩუენისა სახლისა კაცი იყოს. და ვინცა დაგაკლოს, შენთამცა ცოდვათათვს იგი განიკითხვის წინაშე ღმრთისა დღესა მას დიდსა“ (*ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა*, II, გვ. 189).**

ძე გრიგოლია, თუ მისი შთამომავალი, ძნელი სათქმელია, მაგრამ უეჭველია, აქაც ამავე გვარის პირებთან გვაქვს საქმე“¹.

ვახტანგ ბერიძის ციტირებულ მოსაზრებას, საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე, ვერც გავიზიარებ და ვერც უარყოფ: აღნიშნული მოსაზრების მიმართ საბოლოო პოზიციის ჩამოსაყალიბებლად ხსენებული მინაწერი საბუთის ნაკლული ტექსტის მაქსიმალური სისრულით ამოკითხვა და მასში ასახული რეაქციების ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კუთხით შესწავლა საჭიროა, ამ რთული და სპეციფიკური კვლევა-ძიების წარმოება კი წინამდებარე ნაშრომის ინტერესების ფარგლებს აშკარად სცდება.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, 1348-1365 წლების პარაკლიტონის მინაწერ საბუთში მოხსენიებული „ქაშოეთის დამხატავი“ გრიგოლისა და გრიგოლ ბანდაისძის იდენტიფიკაციის საკითხს, ჯერჯერობით, ღიად ვტოვებ და ამ უკანასკნელის სამხატვრო საქმიანობაზე მსჯელობისას წინამდებარე ნაშრომში მხოლოდ მის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერს ვეყრდნობი.

მაშასადამე, ირკვევა, რომ ბერმა გრიგოლ ბანდაისძემ, რომელიც საკმაოდ დახელოვნებული მხატვარი იყო, 1400-1410-იან წლებში ლარგვისის მონასტრის ორი ნაგებობა – წმ. თევდორეს მთავარი ეკლესიის ინტერიერი და საკუთარი საძვალე-კარიბჭე მოხატა.

9. ბერი გრიგოლ ბანდაისძის ურთიერთობები საქართველოს სამეფო კარსა და ცხრაზმის ერისთავ ქვენიფნეველთა ფეოდალურ სახლთან.

შემონაზვნებული გრიგოლ ბანდაისძის საქართველოს მეფეებთან და ცხრაზმის ერისთავ ქვენიფნეველთა ფეოდალურ სახლთან ურთიერთობების შესახებ ცნობებს გრიგოლის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში ვაწყდებით: „მაშინ უღირსმან შევიმოსე სახე მონაზონებისაჲ და საფლავსა ზედა ჩემსა აღვაშენე კარიბჭე და დაეხატე კელითა ჩემითა, დაკვიდე კანდელი ვეცხლისაჲ და ორი საცეცხლური, შესამოსელი და სიწმინდისა სამსახური ღარისაჲ, შიგნით ეკლესიაჲ მოეხატე და შევაძკვე ყოველი მოშლილი ხატები და განვაახლე და შევმატე ხატი მოჭედითი, საესე ნაწილითა, და დაეხსენ წიგნნი: პარაკლიტონი, სამოციქულოჲ, გულაჲ, აგეაროზი, და ავავე მარანი და ჩავღვი ორი (ოცი) ჭური; ავავე ზედა სამყოფი სახლი; ბედელი, საწოლი, დერეფანი (დეიფანი), სამრეკლოჲ და ბოსელი და დაეზურე ყოველი სიპითა. – წმიდანო მამანო, მეფეთა და პატრონთა სამსახურისაგან ეს-ოდენ შევიძელ და შენდობით მომიკსენეთ“.

როგორც ვხედავთ, ციტირებული მინაწერი გვაუწყებს, რომ 1400-1410-იან წლებში ბერი გრიგოლ ბანდაისძე „მეფეებისა“ და „პატრონების“ მიმართ გარკვეულ „სამსახურს“ ასრულებდა².

გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში მრავლობით რიცხვში მოხსენიებული იმ „მეფეების“ ვინაობა, რომლებსაც შემონაზვნებული გრიგოლი გარკვეულ „სამსახურს“ უწევდა, დაკონკრეტებული არ არის. მიუხედავად ამისა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გრიგოლ ბანდაისძეს საქართველოს სამი მეფე – გიორგი VII (1387-1407 წწ.), კონსტანტინე I (1407-1412 წწ.) და ალექსანდრე I დიდი (1412-1442 წწ.) ჰყავს მხედველობაში: დღეისათვის საქართველოს ისტორიიდან 1400-1410-იან წლებში მოღვაწე მხოლოდ ეს სამი ქართველი მეფეა ცნობილი და შესაბამისად, განსახილველ კოლოფონშიც უეჭველად ისინი უნდა იყვნენ ნაგულისხმევი³.

ცალკე მსჯელობის საგანია გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში მოხსენიებულ იმ „პატრონთა“ ვინაობა, რომელთა მიმართაც შემონაზვნებული გრიგოლი გარკვეულ „სამსახურს“ ასრულებდა. ჩემი დაკვირვებით, ეს „პატრონები“ სხვა არავინ შეიძლება ყოფილიყვნენ, თუ არა ცხრაზმის ერისთავ ქვენიფნეველთა ფეოდალური სახლის წევრები. ამგვარი დასკვნისაკენ, პირველ რიგში, შემდეგი გარემოება მიბიძგებს: 1400-1410-იან წლებში ბერმა გრიგოლ ბანდაისძემ თავისი მასშტაბური სააღმშენებლო თუ ქტიტორული სამუშაოები ქვენიფნეველთა კუთვნილ ლარგვისის მონასტერში ჩაატარა. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ვფიქრობ, სავსებით ნათელია, რომ გრიგოლ ბანდაისძე ცხრაზმის ერისთავთა ფეოდალური სახლის ვასალი იყო, ქვენიფნეველები კი, პირიქით, გრიგოლის სუზერენები ანუ „პატრონები“ იყვნენ. სხვა შემთხვევაში, ცხრაზმის ერისთავთა სახლის წევრები გრიგოლ ბანდაისძეს მათ კუთვნილ ლარგვისის მონასტერში, რომელიც, იმავდროულად, ქვენიფნეველთა საგვარეულო საძვა-

¹ ვ. ბერიძე, *ძველი ქართველი ოსტატები* (თბილისი, 1967), გვ. 17.

² ის ფაქტი, რომ გრიგოლ ბანდაისძე „მეფეებსა“ და „პატრონებს“ გარკვეულ „სამსახურს“ უწევდა, მის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში პირდაპირ არის აღნიშნული. შესაბამისად, ირკვევა, რომ ხსენებული ფაქტი სამეცნიერო საზოგადოებას პირველად ამ მინაწერის პირველგამომცემელმა მარი ბროსემ გააცნო (*Rapports sur un Voyage Archéologique...*, pp. 77-78).

³ გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში მოხსენიებული „მეფეების“ ვინაობის შესახებ აქამდე რაიმე მოსაზრება გამოთქმული არ ყოფილა.

ლესაც წარმოადგენდა, რაიმე სააღმშენებლო თუ კტიტორული სამუშაოების ჩატარების უფლებას, ცხადია, არ მისცემდნენ.

ამგვარად, დგინდება, რომ ბერი გრიგოლ ბანდაისძე ცხრაზმის ერისთავთა ფეოდალური სახლის ვასალი იყო და მის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერშიც „პატრონებად“ სწორედ ქვენიფნეველები, უფრო ზუსტად კი, ცხრაზმის იმდროინდელი ერისთავი ვირშელ ქვენიფნეველი და მისი ოჯახის წევრები იყვნენ მოხსენიებული.

სამწუხაროდ, გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში დაკონკრეტებული არ არის, თუ, სახელდობრ, რა სამსახურს ასრულებდა ბერი გრიგოლი საქართველოს სამეფო კარისა და ცხრაზმის ერისთავთა სახლის მიმართ. მიუხედავად ამისა, საფიქრებელია, რომ გრიგოლ ბანდაისძე საქართველოს მეფეებსა და ქვენიფნეველთა საგვარეულოს, ძირითადად, მდივან-მწიგნობრულ სამსახურს უწევდა. ამგვარი დასკვნისაკენ, პირველ რიგში, ის გარემოება მიბიძგებს, რომ გრიგოლი თავის დროის სახელოვანი კალიგრაფის ავგაროზ ბანდაისძის მემკვიდრე იყო და თავადაც შესანიშნავ მწიგნობარად ითვლებოდა.

თუ ჩემი ეს დაკვირვება სწორია და ბერი გრიგოლ ბანდაისძე საქართველოს სამეფო კარისა და ცხრაზმის ერისთავთა სახლის მიმართ მართლაც მდივან-მწიგნობრულ სამსახურს ასრულებდა, მაშინ სავსებით ნათელია, თუ რა მატერიალური სახსრებით აწარმოებდა იგი მასშტაბურ სააღმშენებლო და კტიტორულ სამუშაოებს ლარგვისის მონასტერში 1400-1410-იან წლებში: როგორც ჩანს, გრიგოლი ამ საქმიანობისათვის, ძირითადად, საქართველოს მეფეებისა და ქვენიფნეველთა საგვარეულოსათვის გაწეული მდივან-მწიგნობრული სამსახურის გასამრჯელოდ მიღებულ ფინანსებსა და სხვა მატერიალურ საშუალებებს (მიწა, გლეხი და სხვ.) იყენებდა¹.

გარდა ამისა, არ არის გამორიცხული, რომ გრიგოლ ბანდაისძე საქართველოს სამეფო კარისა და ცხრაზმის ერისთავთა სახლის მიმართ არამხოლოდ მდივან-მწიგნობრულ სამსახურს, არამედ რაიმე სხვა სახის, მაგალითად, დიპლომატიურ სამსახურსაც ასრულებდა და გარკვეულ ფინანსებსა და სხვა მატერიალურ საშუალებებს (მიწა, გლეხი და სხვ.) სხვადასხვა დიპლომატიურ მისიებში მონაწილეობის გასამრჯელოდაც იღებდა. ჩემს ამ ბოლო მოსაზრებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს 1316-1317 წლებში მომხდარი ცნობილი ისტორიული ფაქტი, როცა აღმოსავლეთ საქართველოს მეფემ გიორგი VI მცირემ (1308, 1314-1318 წწ.) ეგვიპტის სასულთნოში დიპლომატიური მისია გაგზავნა და მუსლიმთა მიერ იერუსალიმში მიტაცებული მაცხოვრის საფლავის ქართველებისათვის დაბრუნება ითხოვა. ამ დიპლომატიურ მისიაში, „ძეგლი ერისთავთა“ ცნობით, ცხრაზმის ერისთავის შალვა ქვენიფნეველის (XIII-XIV სს-ის მიჯნა) ვაჟის პიპა ქვენიფნეველის გარდა, მონაწილეობდა დეკანოზი იოანე ბანდაისძეც, რომელიც სწორედ ჩვენთვის საინტერესო ბერი გრიგოლ ბანდაისძის წინაპარი, სავარაუდოდ, მისი პაპის ძმა იყო: „*მას ჟამსა მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალჴმისამინი სპარსთა დაიპყრესო. და დიდად შეწუხნა მეფე გიორგი. მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისა, რომელსა ერქუა პიპა, ვხასა ჴმელთასა მრავლითა ძღუენითა წინაშე ნისრელისა, და წარჴყვა თანა ბანდასძე დეკანოზი იოვანე და მივიდა პიპა წინაშე ნისრელისა; ხოლო მან სიხარულით შეიწენარა ძღუენი იგი და მისცნა კლიტენი იერუსალჴმისანი. მივიდა პიპა ჴედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხვა, ჟამი აწირვა, ეზიარა და დეკანოზი იოვანე აკურთხეს მოძღუართ-მოძღურად*“².

ამგვარად, მოხმობილი ისტორიული ფაქტის გათვალისწინებით, სავსებით რეალურია, ვიფიქროთ, რომ ბერი გრიგოლ ბანდაისძე, მისი წინაპრის დეკანოზ იოანე ბანდაისძის მსგავსად, საქართველოს სამეფო კარისა და ცხრაზმის ერისთავთა სახლის დავალებით, აგრეთვე, მონაწილეობდა დიპლომატიურ მისიებში და 1400-1410-იან წლებში ლარგვისის მონასტერში ჩატარებული მასშტაბური სააღმშენებლო და კტიტორული სამუშაოებისათვის საჭირო მატერიალური სახსრების ნაწილიც საქართველოს მეფეებისა და ცხრაზმის ერისთავებისათვის გაწეული დიპლომატიური სამსახურის გასამრჯელოდ ჰქონდა მიღებული.

დასასრულ, აღვნიშნავ იმასაც, რომ არ არის გამორიცხული, ბერ გრიგოლ ბანდაისძეს 1400-1410-იან წლებში ლარგვისის მონასტერში ჩატარებული მასშტაბური სააღმშენებლო და კტიტორული სამუშაოებისათვის საჭირო სახსრები არამხოლოდ უშუალოდ მის მიერ შეძენილი მატერიალური საშუალებებიდან, არამედ მამის ავგაროზ ბანდაისძისაგან მემკვიდრეობით მიღებული ქონებიდანაც გაეხარჯა: მართალია, ბანდაისძეთა გვარის კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონე-

¹ სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ მოსაზრება, რომლის თანახმადაც გრიგოლ ბანდაისძემ თავის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში აღწერილი სააღმშენებლო სამუშაოები ცხრაზმის ერისთავის ვირშელ ქვენიფნეველისაგან მწიგნობრული საქმიანობის გასამრჯელოდ მიღებული სახსრებით ჩატარა, პირველად ვლადიმერ ღუნაშვილმა გამოთქვა თავის 1997 წელს დაბეჭდილი წიგნის „ნარკვევები ქსნის ხეობის ისტორიიდან“ I ტომში (ვლ. ღუნაშვილი, *ნარკვევები ქსნის ხეობის...*, გვ. 105).

² ძეგლი ერისთავთა..., გვ. 350.

ბის შესახებ რაიმე ცნობები, ჯერჯერობით, არ მოგვეპოვება, მაგრამ, ვფიქრობ, აშკარაა, რომ ავგაროზ ბანდაისძის ოჯახი, მატერიალური თვალსაზრისით, საკმაოდ შეძლებული სახლი იყო და შესაბამისად, ბერ გრიგოლ ბანდაისძესაც, რომელიც 1400-1410-იანი წლებისათვის ავგაროზ ბანდაისძის ოჯახის ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი წევრი იყო, მემკვიდრეობით, საკმაოდ დიდი ქონება უნდა მიეღო.

მაშასადამე, ირკვევა, რომ ბერი გრიგოლ ბანდაისძე, რომელიც ცხრაზმის ერისთავ ქვენიფნეველთა ფეოდალური სახლის ვასალი იყო, 1400-1410-იან წლებში საქართველოს მეფეებს – გიორგი VII-ეს, კონსტანტინე I-სა და ალექსანდრე I-ს, აგრეთვე, ცხრაზმის ერისთავს ვირშელ ქვენიფნეველსა და მისი ოჯახის წევრებს მდივან-მწიგნობრულ და სავარაუდოდ, დიპლომატიურ სამსახურს უწევდა¹.

10. გრიგოლ ბანდაისძის სამწიგნობრე საქმიანობა.

გრიგოლ ბანდაისძის სამწიგნობრე საქმიანობის თაობაზე წარმოდგენას მის მიერ შედგენილი „ძველი ერისთავთა“ და საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერი გვიქმნის.

გრიგოლ ბანდაისძის „ძველი ერისთავთა“ და საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერი XIX-XX საუკუნეების არაერთი ქართველი და უცხოელი მეცნიერის – მიერ არის შესწავლილი. ამ ხანგრძლივი კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები გონელი არახამიას მიერ 1988 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ძველი ქართული საგვარეულო მატრიანები“ არის შეჯამებული². წინამდებარე ნაშრომში გრიგოლ ბანდაისძის „ძველი ერისთავთა“ და საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერის ლიტერატურული თუ ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ღირსებების დახასიათებას აღარ შევუდგები და წინამორბედ მკვლევართა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე დაყრდნობით, მხოლოდ შემდეგს აღვნიშნავ: „ძველი ერისთავთა“ და საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერი შუა საუკუნეების ქართული საგვარეულო მატრიანებისა და ქართული ხელნაწერი წიგნების ისტორიული შინაარსის ანდერძ-მინაწერების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს, მათი შემდგენელი – გრიგოლ ბანდაისძე კი ჩინებულ მწერლად და განსწავლულ მემატრიანედ გვევლინება.

არანაკლებ საინტერესოა გრიგოლ ბანდაისძის, როგორც გადამწერისა თუ კალიგრაფის საქმიანობის განხილვა, თუმცა ამ საკითხზე მსჯელობას იმთავითვე შეუძლებელს ხდის ის გარემოება, რომ გრიგოლის სახელთან დაკავშირებულ წერილობით ძეგლებში მისი, როგორც გადამწერისა თუ კალიგრაფის საქმიანობის შესახებ რაიმე პირდაპირი თუ ირიბი ცნობა დაცული არ არის. ამას ემატება ისიც, რომ გრიგოლ ბანდაისძის მიერ შედგენილი, დღეისათვის ცნობილი ორი წერილობითი ძეგლიდან პირველი ძეგლის – „ძველი ერისთავთა“ ავტოგრაფული ნუსხის იდენტიფიკაციის საკითხი, ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არ არის (ამის შესახებ ვრცლად იხ.: ქვემოთ), ხოლო მეორე ძეგლის – საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერის ავტოგრაფული ნუსხა უკვალოდაა დაკარგული.

შესაბამისად, საკითხის შესწავლის მოცემულ ეტაპზე, შემძლია, მხოლოდ ვივარაუდო, რომ გრიგოლ ბანდაისძე გაწაფული კალიგრაფი და დახელოვნებული მდივან-მწიგნობარი იყო. ამასთან, აღნიშნული ვარაუდის გამოთქმისას ვემყარები არა რაიმე პირდაპირ ცნობას, არამედ იმ ირიბ გარემოებას, რომ გრიგოლი თავისი დროის სახელოვანი კალიგრაფის ავგაროზ ბანდაისძის მემკვიდრეს წარმოადგენდა და თავადაც შესანიშნავ მწიგნობარად ითვლებოდა.

გრიგოლ ბანდაისძის სამწიგნობრე საქმიანობაზე საუბრისას აუცილებლად უნდა შევეხო ერთ საინტერესო საკითხს. თედო ჟორდანიამ თბილისის საეკლესიო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა რუსულენოვანი „აღწერილობის“ 1902 წელს გამოქვეყნებულ II წიგნში გამოთქვა მოსაზრება, რომ XII საუკუნეში გადაწერილი პარაკლიტონი, ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა ფონდის A კოლექციის №576 ხელნაწერი, XV საუკუნეში გრიგოლ ბანდაისძის მიერ იყო განახლებული. თედო ჟორდანიას დაკვირვებით, ამ ფაქტზე დასახელებუ-

¹ აქვე, აღვნიშნავ, რომ თუკი 1400-1410-იან წლებში საქართველოს სამეფო კარისა და ცხრაზმის ერისთავთა ფეოდალური სახლის მიმართ მდივან-მწიგნობრულ სამსახურს ცხრაზმაში მოსახლე ბანდაისძეთა საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენელი – ბერი გრიგოლ ბანდაისძე ასრულებდა, 1460-ანი წლებისათვის სურათი რადიკალურად შეიცვალა და მწიგნობარ ბანდაისძეთა სახლის ადგილი ქსნის ხეობაში მცხოვრებ მწიგნობართა მეორე საგვარეულომ – ჟურულთა სახლმა დაიკავა: სწორედ ამ საგვარეულოს წარმომადგენლის გიორგი ჟურულის მიერ არის დაწერილი საქართველოს მეფის გიორგი VIII-ის (1446-1466 წწ.) მიერ მღვდელმონაზონ იოვანე ორალელისძე-კუიტასშვილისათვის მიცემული 1463 წლის სასისხლო სიგელი (*ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი*, III, ქართული ისტორიული საბუთები, XV საუკუნის მეორე ნახევარი, შეადგინეს: თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ. გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ (თბილისი, 2014), გვ. 132-134). ჩემი დაკვირვებით, აღნიშნული მოვლენის ძირითად მიზეზს ბანდაისძეთა სახლის ამოვარდნა წარმოადგენდა: როგორც ჩანს, ბერი გრიგოლ ბანდაისძე თავისი გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო და 1410-იან წლებში, მის გარდაცვალებასთან ერთად, მწიგნობარ ბანდაისძეთა სახელოვანმა გვარმა არსებობა საერთოდ შეწყვიტა.

² გ. არახამია, *ძველი ქართული საგვარეულო...*, გვ. 3-12, 34-135.

ლი ხელნაწერის მე-5 გვერდზე შესრულებული კოლოფონი მიუთითებს: “№576. Рукопись на пергаменте... Переписана красивым письмом хуцури XII в. ... по местам письмо обновлено в XV в. (Григорием Балдаидзе (стр. 5))”¹.

მოგვიანებით ლილი ქუთათელაძემ და ნადია კასრაძემ 1951 წელს დაბეჭდილ „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევი“ არამხოლოდ უცვლელი სახით გაიმეორეს თედო ჟორდანიას მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ხსენებული პარაკლიტონი გრიგოლ ბანდაისძის მიერ არის განახლებული, არამედ „გზამკვლევი“², დამატებით, პარაკლიტონის იმ კოლოფონის ტექსტიც შეიტანეს, რომელიც, მათი დაკვირვებით, აღნიშნული მოსაზრების მართებულობას ადასტურებს: „ოქტოხოსი (რვა ხმაზე დაწერილი კვირეული საგალობლები), XII საუკუნის კალიგრაფიული ნუსხურით, ეტრატზე. ალაგ-ალაგ ნაწერი გაცხოველებულია გრიგოლ ბანდაისძის მიერ: „ამისა მაცხოველებელს გრიგოლს ბანდაისძეს შეუნდგნეს ღმერთმან...“ (№ 576-A)”³.

როგორც ვხედავთ, ლილი ქუთათელაძემ და ნადია კასრაძემ 1951 წლის „გზამკვლევი“ საერთოდ არ მიუთითეს, თუ პარაკლიტონის, სახელდობრ, რომელ ფურცელზეა მათ მიერ გამოქვეყნებული მინაწერი შესრულებული. მიუხედავად ამისა, ყოველგვარ ეჭვსგარეშეა, რომ მკვლევრებს ნამდვილად თედო ჟორდანიას მიერ ნახსენები, პარაკლიტონის „მე-5 გვერდზე“ დაწერილი კოლოფონი აქვთ მხედველობაში, ვინაიდან პარაკლიტონის ფურცლებზე მეტნაკლებად მსგავსი შინაარსის რაიმე სხვა მინაწერი შესრულებული არ არის.

თედო ჟორდანიას მიერ გამოთქმული მოსაზრება დღეისათვის მკვლევართა მიერ, ლილი ქუთათელაძისა და ნადია კასრაძის მსგავსად, სრულად არის გაზიარებული. შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია აზრი, რომ XII საუკუნის პარაკლიტონი (A-576) XV საუკუნეში სწორედ გრიგოლ ბანდაისძის მიერ იყო განახლებული⁴.

ვინაიდან, XII საუკუნის პარაკლიტონის განახლების ფაქტს გრიგოლ ბანდაისძის სამწიგნობრე საქმიანობის შესწავლისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, ამ ხელნაწერს საგანგებოდ გავეცანი. აღმოჩნდა, რომ პარაკლიტონის თედო ჟორდანიას მიერ მითითებულ მე-5 გვერდზე ანუ ამჟამინდელი პაგინაციით, 3რ-ზე, ნამდვილად არის შესრულებული ნუსხური მინაწერი, რომელიც შემდეგი სახით იკითხება: „ამისა მაცხოველებელს გრიგ(ო)ლსა შეუნდგენ [ღ(მერთმან)]. / ვ შ ა ნ ა ა ნ ა ა ზ ყ (?) ი ს ჯ ქ ს ა“⁵.

პარაკლიტონის ციტირებულ მინაწერზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ამ კოლოფონში, უფრო ზუსტად კი, მის პირველ ნაწილში, რომლის შინაარსიც, მინაწერის მეორე, კრიპტოგრაფიული ნაწილის შინაარსისაგან განსხვავებით, სავსებით ნათელია, ხელნაწერის „მაცხოველებლად“ ანუ განმახლებლად ნამდვილად ვინმე გრიგოლია დასახელებული, თუმცა, კოლოფონში, თედო ჟორდანიას მიერ გამოთქმული მოსაზრებისა და რაც განსაკუთრებით საინტერესო და მოულოდნელია, ლილი ქუთათელაძისა და ნადია კასრაძის მიერ გამოქვეყნებული კოლოფონის ტექსტის ჩვენების საპირისპიროდ, გრიგოლის არც გვარი და არც მამისშვილობა მითითებული არ არის⁶.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ლოგიკურად დაისმის კითხვა: რამდენად მართებულია თედო ჟორდანიას მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ პარაკლიტონის 3რ-ზე შესრულებულ მინაწერში მოხსენიებული, ხელნაწერის განმაცხოველებელი გრიგოლი მაინცადამაინც გრიგოლ ბანდაისძეა?

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით, პარაკლიტონის მინაწერები დეტალურად შევისწავლე. კვლევამ აჩვენა, რომ ხელნაწერის 228რ-ზე დაწერილია პარაკლიტონის განმახლებელი გრიგოლის ხელით შესრულებული კიდევ ერთი მინაწერი, რომელშიც ორი პირი – 1. „პატრონი, ერისთავთერისთავი შალვა“ ანუ ცხრაზმის ერისთავი შალვა ქვენიფხველი და 2. „წიგნის შემკაზმავი დიაკონი“ ანუ ხელნაწერის განმახლებელი დიაკონი გრიგოლი არიან მოხსენიებული: „პატრონი ჩ(უენი) ერისთავთერისთავი შალვა / მრავალჟამიერ ყავ, ღ(მერთ)თ. / წიგნისა“

¹ *Описание рукописей Тифлисского...*, стр. 95.

² საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა..., გვ. 123.

³ ლ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის...*, გვ. 221; *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა*, II, გვ. 201.

⁴ კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, A კოლექცია, ხელნაწერი №576, 3რ. შდრ.: *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა*, II, გვ. 201.

⁵ პარაკლიტონის მინაწერის მეორე, კრიპტოგრაფიული ნაწილის წაკითხვა საკმაოდ რთული საქმე აღმოჩნდა. დღეისათვის კრიპტოგრაფიაზე მუშაობა ჯერ კიდევ არ მაქვს დასრულებული, თუმცა კი, ვვარაუდობ, რომ მისი ტექსტის ბოლო ფრაგმენტში, შესაძლოა, იკითხებოდეს შერეული, ანჩინური და ჩვეულებრივი დამწერლობის სისტემებით გაცემული თარიღი – რპმ (128) ქრონიკონი ანუ ქრისტეშობიდან 1440 (1312+128) წელი: „ოს ჯ [რპმ] ქ(რონიკონ)სა“.

ამის პატივით მკმარებელი / მშჯლობით დაიცვენ, ღ(მერთ)ო. / შემკე<ე>{ა}ზმავსა დი(ა)კ(ო)ნსა შ(ეუნდენ)ეს ღ(მერთ)ან, ა(მენ)⁴.

აქ ციტირებულ მინაწერს პარაკლიტონის განმაახლებელი გრიგოლისა და გრიგოლ ბანდაისძის იდენტიფიკაციის საკითხის საბოლოოდ გარკვევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მართლაც, ამ მინაწერიდან საგვებით ნათლად ჩანს, რომ პარაკლიტონის განმაცხოველებელი და შემკაზმავი დიაკონი გრიგოლი ცხრაზმის ერისთავის შალვას თანამედროვე იყო, სახელი შალვას მატარებელი ცხრაზმის ერისთავი კი დღეისათვის მხოლოდ ორია ცნობილი: 1. ერისთავი შალვა I ქვენიფენველი, რომელიც XIII საუკუნის მიწურულსა და XIV საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა; და 2. ერისთავი შალვა II ქვენიფენველი, რომელიც 1440-1470-იანი წლების მოღვაწე იყო².

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, დგინდება, რომ პარაკლიტონის განმაახლებელი დიაკონი გრიგოლი ან ერისთავი შალვა I ქვენიფენველის მმართველობის ხანაში ანუ XIII საუკუნისა ბოლოსა და XIV საუკუნის დასაწყისში ან კიდევ, ერისთავი შალვა II ქვენიფენველის განმგებლობის პერიოდში ანუ XV საუკუნის შუახანებზე და II ნახევარში მოღვაწეობდა, რაც, თავის მხრივ, აპრიორი, გამორიცხავს მის გრიგოლ ბანდაისძესთან გაიგივების შესაძლებლობას, ვინაიდან ეს უკანასკნელი, როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ, XIV საუკუნის II ნახევრისა და XV საუკუნის I მეხუთედის მოღვაწე იყო.

ამგვარად, ვფიქრობ, არ შეეცდები, თუკი დავასკვნი, რომ თედო ჟორდანიას მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმადაც XII საუკუნის პარაკლიტონის (A-576) განმაახლებელი დიაკონი გრიგოლი და გრიგოლ ბანდაისძე ერთი და იგივე პირი იყო, მართებული არ არის და ისინი, რეალურად, სულ სხვადასხვა პირები იყვნენ.

მაშასადამე, ირკვევა, რომ გრიგოლ ბანდაისძე თავისი დროის შესანიშნავი მწიგნობარი – დახელოვნებული მწერალი და განსწავლული მემკვიდრე იყო: მის მიერ შედგენილი „ძეგლი ერისთავთა“ და საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერი შუა საუკუნეების ქართული საგვარეულო მატრიანეებისა და ქართული ხელნაწერი წიგნების ისტორიული შინაარსის ანდერძ-მინაწერების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს.

11. ბერი გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერის დათარიღება.

გრიგოლ ბანდაისძის ცხოვრება-მოღვაწეობის ცალკეული საკითხების მიმოხილვის შემდეგ აუცილებლად უნდა შევეხო კიდევ ერთ საინტერესო საკითხს – მის მიერ შედგენილი საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერის დათარიღების პრობლემას.

მე ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ გრიგოლ ბანდაისძის სახელს დღეისათვის ცნობილი სამი წერილობითი ძეგლი უკავშირდება. ესენია: 1. ავგაროზ ბანდაისძის საოჯახო მოსახსენებელი; 2. გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერი; და 3. გრიგოლ ბანდაისძისავე „ძეგლი ერისთავთა“. დასახელებული წერილობითი ძეგლებიდან თარიღი არც ერთს არ უზის. ხსენებული მიზეზის გამო, ამ ძეგლების ქრონოლოგიის განსაზღვრა მხოლოდ მათი შემცველი ხელნაწერი ნუსხებისა და თავად ძეგლებში დაცული ცნობების კოდიკოლოგიური და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზის გზით არის შესაძლებელი.

გრიგოლ ბანდაისძის სახელთან დაკავშირებული სამი წერილობითი ძეგლიდან პირველი წერილობითი ძეგლის – ავგაროზ ბანდაისძის საოჯახო მოსახსენებლის დათარიღების საკითხს, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, აქამდე, საგანგებოდ, არც ერთი მკვლევარი არ შეხებია. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ზემოთ, ამ ძეგლის ტექსტის პირველად ციტირებისას, მის ქრონოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები იქვე, სქოლიოში, დაწვრილებით განვიხილე და სათანადო არგუმენტაციაზე დაყრდნობით, დავადგინე, რომ ავგაროზ ბანდაისძის საოჯახო მოსახსენებელი – 1365 წელს არის შედგენილი.

საკმაოდ განსხვავებულ სურათს ვხედავთ გრიგოლ ბანდაისძის სახელთან დაკავშირებული მესამე წერილობითი ძეგლის – მის მიერ შედგენილი „ძეგლი ერისთავთა“ შემთხვევაში. ამ თხზულების ქრონოლოგიის საკითხები მკვლევართა მიერ საფუძვლიანადაა შესწავლილი. აღნიშნული კვლევის შედეგად, „ძეგლი ერისთავთა“ დათარიღების საკითხებისადმი მიძღვნილ უკანასკნელ სამეცნიერო პუბლიკაციათა ავტორების – საურმაგ კაკაბაძის, ვაჟა კიკნაძისა და

¹ კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, A კოლექცია, ხელნაწერი №576, 228რ. შტრ.: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, II, გვ. 201.

² ქრონიკები და სხვა მასალა..., გვ. 26-30; მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში (თბილისი, 2003), გვ. 203.

გონელი არახამიას მიერ, სათანადო არგუმენტაციის საფუძველზე, გარკვეულია, რომ ეს თხზულება XV საუკუნის დასაწყისში, უფრო ზუსტად კი, 1403/1404-1422 წლებშია შედგენილი¹.

ჩემი აზრით, აღნიშნული დათარიღება, არსებითად, სწორია და დაზუსტებას მხოლოდ „ძეგლი ერისთავთა“ შედგენის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი – 1422 წელი საჭიროებს. მე უკვე გავარკვეე ზემოთ, რომ გრიგოლ ბანდაისძე 1410-იან წლებში იყო გარდაცვლილი. შესაბამისად, სავსებით ცხადია ისიც, რომ გრიგოლ ბანდაისძის მიერ შედგენილი თხზულების შექმნის ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს იგივე 1410-იანი წლები წარმოადგენს, თავად „ძეგლი ერისთავთა“ კი 1403/1404-1410-იანი წლებით თარიღდება.

ცალკე საუბრის თემაა გრიგოლ ბანდაისძის სახელთან დაკავშირებული მეორე წერილობითი ძეგლი – მის მიერ შედგენილი საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერი. მართალია, ამ კოლოფონს შედგენის თარიღი არ უზის, მაგრამ მისი ტექსტის დასაწყისში მითითებულია კონკრეტული ქრონოლოგიური მონაცემი – XIV მოქცევის 88-ე ქრონიკონის 7 მაისი ანუ ქრისტეშობიდან 1400 წლის 7 მაისი, რომელიც მინაწერში გადმოცემული ერთ-ერთი ისტორიული მოვლენის – მონღოლი სარდლის თემურლენგის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილი ლაშქრობის თარიღს წარმოადგენს: „...მოქცევასა *OL* (XIV), *ქ(რონი)კ(ონ)ს* *პწ* (88+1312=1400 წ.), *მაისს* *ზ* (7), *მოვიდა თემურ-ბეგეჲ სულტანი, სამარყანელი...*“.

გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში წარმოდგენილ ამ ქრონოლოგიურ მონაცემს ჯერ კიდევ კოლოფონის ტექსტის მეორე გადმოცემულმა თედო ჟორდანიამ მიაქცია ყურადღება და მასზე დაყრდნობით, მინაწერი 1400 წლით დაათარიღა². მოგვიანო ხანის მკვლევართა ერთმა ნაწილმა თედო ჟორდანიას მიერ შემოთავაზებული თარიღი სრულად გაიზიარა³, მეორე ნაწილმა კი ეს თარიღი მცირედ დააზუსტა და გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერის ქრონოლოგია არა კონკრეტულად 1400 წლით, არამედ 1400 წლის ახლოხანებითა⁴ თუ 1401-1402 წლებით⁵ განსაზღვრა. დაახლოებით, მკვლევართა მეორე ნაწილის მსგავსი გადაწყვეტილება მივიღე მეც, როცა ზემოთ, ხსენებული კოლოფონის ტექსტის პირველად ციტირებისას, მისი შედგენის თარიღად 1400 წლის შემდგომი ხანები მივუთითე.

ამჯერად, კიდევ ერთხელ ვუბრუნდები გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერის ქრონოლოგიის საკითხს და შევეცდები, წინამდებარე ნაშრომში მიღებულ ახალ დასკვნებზე დაყრდნობით, კიდევ უფრო ზუსტად განვსაზღვრო ამ კოლოფონის შედგენის თარიღი.

მე უკვე აღვნიშნე ზემოთ, რომ გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში გადმოცემულია 1400 წლის შემდგომ მომხდარი მთელი რიგი ამბები: გრიგოლის ოჯახის თორმეტი წევრის – ხუთი ძმის, მეუღლისა და ექვსი შვილის გარდაცვალება; გრიგოლისავე ბერად აღკვეცა და მისი ლარგვისის მონასტერში დამკვიდრება; იმავე გრიგოლის მიერ ლარგვისის მონასტერში ფართო სააღმშენებლო-ქტიტორული სამუშაოების ჩატარება – საკუთარი საძვალე-კარიბჭის აგება, მოხატვა და მისთვის სხვადასხვა საეკლესიო ნივთების შეწირვა; წმ. თევდორეს ეკლესიის მოხატვა, მისი დაზიანებული ხატების განახლება და ტაძრისთვის ოთხი ხელნაწერი წიგნის შეწირვა; მონასტერში რამდენიმე საეკლესიო, საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობის აგება და გადახურვა. გარდა ამისა, ზემოთ აღვნიშნე ისიც, რომ ჩამოთვლილი ამბების საერთო ხანგრძლივობა, დაახლოებით, ათი წელი მაინც უნდა ყოფილიყო.

თუ ჩემი ეს დაკვირვებები სწორია, მაშინ ავტომატურად დგინდება, რომ გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერი შედგენილი იყო მისი ტექსტის დასაწყისში მითითებული 1400 წლიდან, სულ მცირე, ათი წლის შემდეგ მაინც ანუ 1410-იან წლებში და არა 1400 წელს, 1400 წლის ახლოხანებსა თუ 1402-1403 წლებში, როგორც ამას ცალკეული მკვლევრები ფიქრობდნენ.

მაშასადამე, ირკვევა, რომ ბერი გრიგოლ ბანდაისძის მიერ 1348-1365 წლების პარაკლიტონისათვის (A-575) დართული საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერი 1410-იან წლებში იყო შესრულებული.

ამით გრიგოლ ბანდაისძის ცხოვრება-მოღვაწეობის ცალკეული საკითხების მიმოხილვას ვამთავრებ და ვარლამ დონდუას კუთვნილ კურთხევანს (Fr.216) ვუბრუნდები. ქვემოთ, ამ ხელნაწერ წიგნსა და მის კოლოფონებს, პირველ რიგში, გრიგოლ ბანდაისძის ცხოვრება-მოღვაწეობასთან დაკავშირებული საკითხების კონტექსტში შევისწავლი და მიღებულ შედეგებს ცალკე წარმოვადგენ.

¹ С. Какабадзе, Хроника ксанских эриставов..., стр. 106; Памятник Эриставов, стр. 11-12; ვ. კიკნაძე, ყანჩათის სვინაქსარი..., გვ. 54-56; ვ. არახამია, ძეგლი ქართული საგვარეულო..., გვ. 35-36.

² ქრონიკები და სხვა მასალა..., გვ. 204.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მესამე, ნაწილი პირველი (XIII-XIV სს.), ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, III (თბილისი, 1982), გვ. 202.

⁴ ძეგლი ერისთავთა..., გვ. 320.

⁵ С. Какабадзе, Хроника ксанских эриставов..., стр. 106; Памятник Эриставов, стр. 13.

1. გრიგოლ ბანდაისძის მიერ კურთხევანის გადაწერა.

მე უკვე აღვნიშნე ზემოთ, რომ დღეისათვის ცნობილია გრიგოლ ბანდაისძის მიერ შედგენილი ორი წერილობითი ძეგლი – „ძეგლი ერისთავთა“ და საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერი, რომლებზე დაკვირვებაც აჩვენებს, რომ გრიგოლი ჩინებული მწერალი და განსწავლული მემატრიანე იყო.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ქართველი და უცხოელი მკვლევრები, როგორც ჩანს, იმთავითვე ვარაუდობდნენ, რომ ლარგვისის მონასტერში მოღვაწე გრიგოლ ბანდაისძეს, შუა საუკუნეების სხვა მონასტრებში მოსაგრე ქართველი მწიგნობრების უმრავლესობის მსგავსად, სასულიერო ჟანრის ხელნაწერი წიგნების გადაწერაზეც უნდა ემუშავა. თუმცა, ამ ლოგიკური დაშვების დამადასტურებელი რაიმე წერილებითი ძეგლი – გრიგოლის მიერ გადაწერილი ხელნაწერი წიგნი ან მსგავსი ხელნაწერი წიგნის არსებობის შესახებ რაიმე ცნობა გამოვლენილი არ იყო და შესაბამისად, ეს საკითხიც ღიად იყო დატოვებული.

ვარლამ დონდუას კუთვნილი კურთხევანისა და მისი ანდერძების შესწავლის შემდეგ დაბეჭდვით შემოიძლია ვთქვა, რომ აღნიშნული ხარვეზი საბოლოოდ არის დაძლეული: კვლევამ აჩვენა, რომ ეს, ლიტურგიკული დანიშნულების მქონე ეტრატის ხელნაწერი წიგნი, რომელიც თავდაპირველად ას ორმოცდათორმეტ ფურცელს შეიცავდა, სწორედ გრიგოლ ბანდაისძის მიერ იყო გადაწერილი. შესაბამისად, კურთხევანზე დაყრდნობით, უკვე დოკუმენტურად მტკიცდება ის ფაქტი, რომ გრიგოლ ბანდაისძე, არამხოლოდ მწერალი და მემატრიანე, არამედ კალიგრაფიც იყო და მას ვრცელი ნუსხური ტექსტების შემცველი სასულიერო ჟანრის ხელნაწერი წიგნებიც ჰქონდა გადაწერილი.

გრიგოლ ბანდაისძის მიერ გადაწერილი კურთხევანის გამოვლენის შემდეგ შესაძლებელია, მხოლოდ ფაქტის სახით კი არ ვთქვათ, რომ გრიგოლი ხელნაწერი წიგნების გადაწერაზე მომუშავე კალიგრაფი იყო, არამედ რეალური წარმოდგენა შევიქმნათ მისი სამწიგნობრო კალიგრაფიული ოსტატობის თაობაზეც, რომლის შესახებ აქამდე მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა იყო შესაძლებელი.

კურთხევანზე დაკვირვება აჩვენებს, რომ გრიგოლ ბანდაისძე ჩინებული გადამწერი და დახელოვნებული კალიგრაფი იყო: ხელნაწერის ძირითადი ტექსტი თანაბარი ზომის, გაშლილად ნაწერი, მარჯვნივ გადახრილი, საკმაოდ ღამაზი, იოლად წასაკითხი ნუსხახუცური გრაფემებით არის დაწერილი, ძირითად ტექსტში ჩართული სახედაო ასოები კი სადა, გეომეტრიული მოხაზულობის მქონე ასომთავრული გრაფემებითაა გადმოცემული.

გარდა ამისა, კურთხევანზე დაკვირვება აჩვენებს იმასაც, რომ გრიგოლ ბანდაისძე მინიატურულ მხატვრობაში მაინცაღამაინც გაწაფული ოსტატი არ იყო: ხელნაწერის ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტში შემკულობის ელემენტები მხოლოდ 1v-ზე წარმოდგენილ თავსართსა და 2r-ზე შესრულებულ ასომთავრულ სახედაო ასო L-ს (ვ) ახლავს, რომლებიც ყავისფერი, წითელი და ღურჯი ფერის საწერ-საღებავებით არის შესრულებული და ფერადი განივი ხაზებითა თუ ხვეული ნასკვებითაა გამშვენებული.

გრიგოლ ბანდაისძეზე, როგორც კურთხევანის გადამწერზე, საუბრისას განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ხელნაწერის №1 ანდერძი, რომლის არცთუ ვრცელ ტექსტში გრიგოლი უჩვეულოდ მრავალრიცხოვანი დამამდაბლებელი ეპითეტებით არის მოხსენიებული. იგი საკუთარ თავს „მწარედ ცოდვილს“, „სასოებით ოდენ ქრისტიანს“, „საქმით ყოვლად არამსგავსს“, „სახით ოდენ დიაკონს“, „უმეცარს“, „უცებად მხიბავს“, „კბილთა ღრჭენისათვის“ განწირულსა და „ცოდვილს“ უწოდებს: „სრულ იქმნეს წმიდანი კურთხევანი კელითა მწარედ ცოდვილისა, სასოებითა ოდენ ქრისტიანისა, ხოლო საქმითა ყოვლად არამსგავსისა, სახითა ოდენ დიაკონისა გრიგოლ ბანდაისძისათა. უწყის ღმერთმან, რომელი ხემისა უმეცრებისაგან ეგებოდა, ღია მამიჭირვებია და კარგად ქნასა არაჲ მირჩევია. უცებად ჩხიბვისათჳს შემინდევით და ლოცვასა, გვედრები, ნუ დამაკლებთ, რადთა თქვენმიერთთა ლოცვითა ვიჴსნე ღრჭენისაგან კბილთაღსა, რომელი მიელის ხემებრ ცოდვილთა“.

დასასრულ, გრიგოლ ბანდაისძეზე, როგორც კურთხევანის გადამწერზე საუბრის ბოლოს, აღვნიშნავ იმასაც, რომ გრიგოლი ხელნაწერის IV ანდერძის ტექსტს ამთავრებს ფრაზით, რომელიც ქართული ხელნაწერი წიგნების ანდერძ-მინაწერებისათვის, პრაქტიკულად, ტრაფარეტულ ფორმულას წარმოადგენს და რომელიც, შუა საუკუნეების ათეულობით კოლოფონში გვხვდება: „ნაწერი დაშთა, ხოლო მწერალი მიწა იქმნა“.

მაშასადამე, ირკვევა, რომ გრიგოლ ბანდაისძე არამხოლოდ ჩინებული მწერალი და განსწავლული მემატრიანე, არამედ დახელოვნებული კალიგრაფიც იყო და სასულიერო ჟანრის ხელნაწერი წიგნების გადაწერაზე წარმატებით მუშაობდა.

2. „ძეგლი ერისთავთას“ უძველესი ნუსხის გადამწერის ვინაობა.

„ძეგლი ერისთავთას“ ტექსტმა ჩვენამდე ორი ხელნაწერი ნუსხის სახით მოაღწია. ესენია:

1. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში K 28 ნომრით დაცული, ეტრატზე დაწერილი ნუსხა, იგივე 28 ხელნაწერი (ყოფილი H 78 ხელნაწერი)¹.

2. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა ფონდის კოლექციაში 2496-ე ნომრით დაცული, ქალაქზე დაწერილი ნუსხა, იგივე H-2496 ხელნაწერი, რომელიც დავით ქსნის ერისთავმა 1828 წლის 5 მარტს K 28 ხელნაწერიდან გადაწერა².

„ძეგლი ერისთავთას“ დასახელებულ ორ ნუსხას შორის, განსაკუთრებულ ყურადღებას, ცხადია, პირველი ანუ უძველესი ნუსხა – K 28 ხელნაწერი იპყრობს. ამ ნუსხის გადამწერის ვინაობის საკითხი საგანგებოდ შეისწავლა შოთა მესხიამ, რომელმაც თავის 1954 წელს გამოქვეყნებულ, ზემოთ უკვე არაერთგზის ნახსენებ ნაშრომში გამოთქვა მოსაზრება, რომ 28 ხელნაწერი ავგაროზ ბანდაისძის მიერ შედგენილი „ძეგლი ერისთავთას“ დედანს წარმოადგენს და იმავე ავგაროზის მიერ არის გადაწერილი. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისას შოთა მესხია სამ ძირითად არგუმენტს დაეყრდნო: 1. K 28 ხელნაწერი, მისი პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, XIV საუკუნის მიწურულითა და XV საუკუნის დასაწყისით თარიღდება; 2. ავგაროზ ბანდაისძის მიერ „ძეგლი ერისთავთას“ შედგენის დრო (1348-1400 წწ.) და K 28 ხელნაწერის გადაწერის ქრონოლოგია (XIV-XV სს-ის მიჯნა) ერთმანეთს ემთხვევა; და 3. K 28 ხელნაწერი 1348-1365 წლების პარაკლიტონის ავგაროზ ბანდაისძის მიერ გადაწერილი ტექსტის მსგავსი ხელით არის გადაწერილი³.

შოთა მესხიას შემდეგ K 28 ხელნაწერის გადამწერის ვინაობის საკითხს არც ერთი მეცნიერი აღარ შეხებია. არადა, მოგვიანო ხანის პუბლიკაციების, პირველ რიგში კი, საურმაგ კაკაბაძის მიერ 1970 წელს გამოქვეყნებული რუსულენოვანი სტატიის გათვალისწინებით, რომელშიც არგუმენტირებულად არის გარკვეული, რომ „ძეგლი ერისთავთას“ არა ავგაროზ ბანდაისძის, არამედ მისი ვაჟის გრიგოლ ბანდაისძის მიერაა შედგენილი, სრულებით ცხადი იყო, რომ შოთა მესხიას მიერ გამოთქმული მოსაზრება სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა და საფუძვლიან გადახედვას საჭიროებდა. ქვემოთ, შევეცდები, ეს ხარვეზი დავძლიო, აღნიშნული საკითხი კიდევ ერთხელ განვიხილო და K 28 ხელნაწერის გადამწერის ვინაობის პრობლემა საბოლოოდ გადავჭრა.

თავდაპირველად, დაწერილებით განვიხილავ შოთა მესხიას მიერ მოხმობილ იმ სამ არგუმენტს, რომლებზე დაყრდნობითაც მკვლევარმა გამოთქვა მოსაზრება, რომ K 28 ხელნაწერი ავგაროზ ბანდაისძის მიერ შედგენილი „ძეგლი ერისთავთას“ დედანს წარმოადგენს. დავიწყებ შოთა მესხიას პირველი არგუმენტი. მკვლევრის ამ არგუმენტის თანახმად, K 28 ხელნაწერი, მისი პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით, XIV საუკუნის მიწურულითა და XV საუკუნის დასაწყისით თარიღდება.

ჩემი დაკვირვებით, შოთა მესხიას ეს არგუმენტი სავსებით მართებულია და K 28 ხელნაწერის ტექსტი, მისი პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, ნამდვილად XIV საუკუნის მიწურულსა და XV საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს გადაწერილი.

¹ ძეგლი ერისთავთას..., გვ. 308-309, 325-330; С. Какабадзе, Хроника ксанских эриставов..., стр. 103-104; Памятник Эриставов, стр. 7. K 28 ხელნაწერი 1848 წელს ჯერ კიდევ საქართველოში ინახებოდა, იმავე 1848 წლის 28 დეკემბრის წინარე ხანებში კი ქართველმა სიძველეთმცოდნემ დიმიტრი მეღვინეთხუციშვილმა ხელნაწერი მარი-ფელისიტე ბროსეს რუსეთში გაუგზავნა (ძეგლი ერისთავთას..., გვ. 308-309). აქედან მოყოლებული, K 28 ხელნაწერი რუსეთში ინახება.

² ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H), V, გვ. 318; ძეგლი ერისთავთას..., გვ. 321-322. „ძეგლი ერისთავთას“ დასახელებული ორი ნუსხის გარდა, სამეცნიერო ლიტერატურიდან ამ თხზულების კიდევ ორი ნუსხაა ცნობილი. ესენია: 1. „ძეგლი ერისთავთას“ 1828 წლის ნუსხა, რომელიც შალვა ქსნის ერისთავმა 1828 წლის 25 თებერვალს სოფელ კარალეთში K 28 ხელნაწერიდან გადაწერა (ქრონიკები და სხვა მასალა..., გვ. 1, 19; ძეგლი ერისთავთას..., გვ. 321-322, 324-325); და 2. თხზულების 1830 წლის ნუსხა, რომელიც ნიკოლოზ ქსნის ერისთავმა 1830 წლის 14 მაისს სოფელ ქვეში „ძეგლი ერისთავთას“ ახლახანს ნახსენები 1828 წლის ნუსხიდან გადაწერა (ქრონიკები და სხვა მასალა..., გვ. 1, 19; ძეგლი ერისთავთას..., გვ. 321, 324-325). დღეისათვის „ძეგლი ერისთავთას“ 1828 და 1830 წლების ნუსხების დაცულობის ადგილი დაუდგენელია (იქვე, გვ. 321-322). აქვე აღვნიშნავ, რომ „ძეგლი ერისთავთას“ სხვადასხვა ფრაგმენტები „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტის შემცველ ხუთ ხელნაწერ ნუსხაშია შეტანილია. ეს ხელნაწერებია: 1. XVIII საუკუნის შუახანების დადიანისეული ნუსხა; 2. XVIII საუკუნის შუახანებისავე ფალავანდიშვილისეული ნუსხა; 3. 1761 წლის ბარათაშვილისეული ნუსხა; 4. XVIII საუკუნის სხვიტორული ნუსხა; და 5. 1839 წლის ბროსესეული ნუსხა (ქრონიკები და სხვა მასალა..., გვ. 1-2; ძეგლი ერისთავთას..., გვ. 322-323; ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II (თბილისი, 1959), გვ. 037-038, 080).

³ ძეგლი ერისთავთას..., გვ. 308-310, 317-321.

საკმაოდ განსხვავებული სურათი გვაქვს შოთა მესხიას მეორე არგუმენტთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც ავგაროზ ბანდაისძის მიერ „ძეგლი ერისთავთას“ შედგენის დრო (1348-1400 წწ.) და K 28 ხელნაწერის გადაწერის ქრონოლოგია (XIV-XV სს-ის მიჯნა) ერთმანეთს ემთხვევა. აღნიშნული არგუმენტის პირველი ნაწილი, უფრო ზუსტად კი, ის დებულება, რომ „ძეგლი ერისთავთას“ ავგაროზ ბანდაისძის მიერ 1348-1400 წლებშია შედგენილი, ცალსახად მცდარია: დღეისათვის საურმაგ კაკაბაძის მიერ არგუმენტირებულად არის გარკვეული, რომ ავგაროზ ბანდაისძემ „ძეგლი ერისთავთას“ შედგენის დროისათვის უკვე გარდაცვლილი იყო და ეს თხზულება არა მან, არამედ მისმა ვაჟმა გრიგოლ ბანდაისძემ XV საუკუნის დასაწყისში შეადგინა. რაც შეეხება, განსახილველი არგუმენტის მეორე ნაწილს, რომლის თანახმადაც „ძეგლი ერისთავთას“ შედგენის დრო და K 28 ხელნაწერის გადაწერის ქრონოლოგია ერთმანეთს ემთხვევა, ეს დებულება, არსებითად, სწორია, ოღონდ, ცხადია, იმის გათვალისწინებით, რომ K 28 ხელნაწერის გადაწერის ქრონოლოგიას ანუ XIV საუკუნის მიწურულსა და XV საუკუნის დასაწყისს სრულად ემთხვევა არა „ძეგლი ერისთავთას“ შედგენის შოთა მესხიას მიერ შემოთავაზებული დრო ანუ 1348-1400 წლები, არამედ ამ თხზულების შექმნის საურმაგ კაკაბაძის მიერ განსაზღვრული პერიოდი ანუ XV საუკუნის დასაწყისი.

ამგვარად, დგინდება, რომ შოთა მესხიას მეორე არგუმენტი, მისი ერთ-ერთი ძირითადი დებულების მცდარობის მიუხედავად, არსებითად, სწორია და „ძეგლი ერისთავთას“ შედგენის დრო მართლაც ემთხვევა K 28 ხელნაწერის გადაწერის ქრონოლოგიას.

ცალკე მსჯელობის საგანია შოთა მესხიას მესამე არგუმენტი, რომლის თანახმადაც K 28 ხელნაწერი 1348-1365 წლების პარაკლიტონის ავგაროზ ბანდაისძის მიერ გადაწერილი ტექსტის მსგავსი ხელით არის გადაწერილი. ვიდრე აღნიშნული არგუმენტის განხილვაზე გადავიდოდეთ, ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ეს არგუმენტი მხოლოდ K 28 ხელნაწერის გადამწერის ვინაობის გარკვევისათვის არ არის საინტერესო და მას, პირველ რიგში, თავად „ძეგლი ერისთავთას“ ავტორის იდენტიფიკაციის საკითხისათვის აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მართლაც, თუკი დადგინდა, რომ შოთა მესხიას ეს არგუმენტი სწორია და K 28 ხელნაწერი ნამდვილად ავგაროზ ბანდაისძის მიერ არის გადაწერილი, მაშინ ყოველგვარი საფუძველი ეცლება სარგის კაკაბაძის მიერ გამოთქმულ, საურმაგ კაკაბაძის მიერ დასაბუთებულ და დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში მყარად დამკვიდრებულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც „ძეგლი ერისთავთას“ გრიგოლ ბანდაისძის მიერ მამის, ავგაროზ ბანდაისძის გარდაცვალების შემდგომ პერიოდშია შედგენილი.

შოთა მესხიას მესამე არგუმენტის მართებულობა-მცდარობის საკითხის საბოლოოდ გარკვევის მიზნით, 1348-1365 წლების პარაკლიტონის ავგაროზ ბანდაისძის მიერ გადაწერილი ნაწილის ფურცლებსა და K 28 ხელნაწერის შოთა მესხიას მიერ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ გვერდზე წარმოდგენილი ტექსტები, პალეოგრაფიული თვალსაზრისით, დეტალურად შევისწავლე. კვლევამ აჩვენა, რომ ეს ტექსტები, მართალია, მსგავსი, თუმცა აშკარად ორი სხვადასხვა ხელით არის დაწერილი.

მას შემდეგ, რაც გავარკვიე, რომ K 28 ხელნაწერი და 1348-1365 წლების პარაკლიტონის ავგაროზ ბანდაისძის მიერ გადაწერილი ტექსტი ორი სხვადასხვა ხელით არის დაწერილი, ჩემი ყურადღება ბუნებრივად მიიპყრო შოთა მესხიას მესამე არგუმენტთან დაკავშირებულმა ერთმა საინტერესო გარემოებამ: მეკვლევარი თავის ნაშრომში პირდაპირ კი არ ამბობს, რომ K 28 ხელნაწერი და 1348-1365 წლების პარაკლიტონის ავგაროზ ბანდაისძის მიერ გადაწერილი ტექსტი ერთი და იმავე ხელით არის დაწერილი, არამედ ჯერ ფრთხილად შენიშნავს, რომ K 28 ხელნაწერისა და 1348-1365 წლების პარაკლიტონის გადამწერის იგივეობაზე საუბარი „ხელის მსგავსების მიხედვით“ რთულია, ამის შემდეგ კი საკმაოდ ორაზროვნად აღნიშნავს, რომ K 28 ხელნაწერის „დაწერილობა ძლიერ მოგვაგონებს“ 1348-1365 წლების პარაკლიტონის „დაწერილობას“: „თუმცა ხელის მსგავსების მიხედვით მსჯელობა ძნელია, მაგრამ ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული ისიც, რომ „ძეგლი ერისთავთას“ დაწერილობა ძლიერ მოგვაგონებს ავგაროზ ბანდაისძის მიერ... გადაწერილი „პარაკლიტონის“ დაწერილობას, ხელს“¹.

ჩემი დაკვირვებით, ეს უცნაური გარემოება შემთხვევითი მოვლენა სულაც არ არის და მას თავისი ლოგიკური მიზეზი გააჩნია: როგორც ჩანს, შოთა მესხია ბოლომდე არ იყო დარწმუნებული იმაში, რომ K 28 ხელნაწერი და 1348-1365 წლების პარაკლიტონის ავგაროზ ბანდაისძის მიერ გადაწერილი ტექსტი ნამდვილად ერთი და იმავე ხელით არის დაწერილი და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რაიმე მკაფიო, კატეგორიული პოზიციის გამოხატვის საგანაც თავი სწორედ ამ მიზეზის გამო შეიკავა.

¹ იქვე, გვ. 320.

ამგვარად, დგინდება, რომ შოთა მესხიას მესამე არგუმენტი, ფორმოზობლივად, სწორია და K 28 ხელნაწერი ნამდვილად 1348-1365 წლების პარაკლიტონის ავგაროზ ბანდაისძის მიერ გადაწერილი ტექსტის მსგავსი ხელით არის დაწერილი. თუმცა, ამ არგუმენტის იმ სახით გააზრება, თითქოსდა K 28 ხელნაწერი და 1348-1365 წლების პარაკლიტონის შესაბამისი ტექსტი ერთი და იმავე ხელით არის გადაწერილი, მართებული არ არის: აღნიშნული ტექსტების პალეოგრაფიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ K 28 ხელნაწერი და 1348-1365 წლების პარაკლიტონის ავგაროზ ბანდაისძის მიერ გადაწერილი ნაწილი მსგავსი, მაგრამ ორი სხვადასხვა ხელით არის დაწერილი.

გარდა ამისა, ამ ბოლო დასკვნის გათვალისწინებით, ავტომატურად ირკვევა ისიც, რომ შოთა მესხიას მესამე არგუმენტი არანაირ საფუძველს არ იძლევა იმისათვის, რათა ეჭვი შევიტანოთ სარგის კაკაბაძის მიერ გამოთქმულ, საურმაგ კაკაბაძის მიერ დასაბუთებულ და დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში მყარად დამკვიდრებული იმ მოსაზრების მართებულობაში, რომლის თანახმადაც „ძეგლი ერისთავთა“ გრიგოლ ბანდაისძის მიერ მამის, ავგაროზ ბანდაისძის გარდაცვალების შემდგომ პერიოდშია შედგენილი.

ამით, შოთა მესხიას მიერ შემოთავაზებული სამი არგუმენტის ანალიზს საბოლოოდ ვამთავრებ. ამ ანალიზის შედეგების გათვალისწინებით, ვფიქრობ, არ შეეცდები, თუკი დავასკვნე, რომ შოთა მესხიას მიერ განხილულ არგუმენტებზე დაყრდნობით გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმადაც K 28 ხელნაწერი „ძეგლი ერისთავთა“ ავტორის ავგაროზ ბანდაისძის მიერ არის გადაწერილი, მცდარია: ამ მოსაზრების მცდარობაზე, პირველ რიგში, ის ფაქტი მიუთითებს, რომ K 28 ხელნაწერი და 1348-1365 წლების პარაკლიტონის ავგაროზ ბანდაისძის მიერ გადაწერილი ნაწილი ორი სხვადასხვა ხელით არის დაწერილი, რაც, ცხადია, საფუძველშივე გამორიცხვას იმის შესაძლებლობას, რომ K 28 ხელნაწერის გადამწერად ავგაროზ ბანდაისძე მივიჩნიოთ. გარდა ამისა, აღნიშნული მოსაზრების მცდარობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ სარგის კაკაბაძის მიერ გამოთქმული, საურმაგ კაკაბაძის მიერ დასაბუთებული და სამეცნიერო ლიტერატურაში მყარად დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, „ძეგლი ერისთავთა“ ავგაროზ ბანდაისძის გარდაცვალების შემდგომ პერიოდშია შედგენილი და შესაბამისად, ეს უკანასკნელი ამ თხზულების დედნის გადაწერას ვერანაირად ვერ შეძლებდა.

მიღებული დასკვნის შემდეგ ბუნებრივად დაისმის კითხვა: თუ „ძეგლი ერისთავთა“ უძველესი ნუსხა ანუ K 28 ხელნაწერი ავგაროზ ბანდაისძის მიერ არ არის გადაწერილი, მაშინ ვინ არის ამ ხელნაწერის გადამწერი?

დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, საჭიროა, გავითვალისწინოთ სამი ძირითადი ფაქტოლოგიურ-ქრონოლოგიური მონაცემი: 1. საურმაგ კაკაბაძის არგუმენტირებული მოსაზრებით, „ძეგლი ერისთავთა“ გრიგოლ ბანდაისძის მიერ XV საუკუნის დასაწყისშია შედგენილი; 2. შოთა მესხიას მართებული დაკვირვებით, „ძეგლი ერისთავთა“ უძველესი ნუსხა ანუ K 28 ხელნაწერი, მისი პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, XIV საუკუნის მიწურულითა და XV საუკუნის დასაწყისით თარიღდება; და 3. ჩემი კვლევის თანახმად, K 28 ხელნაწერი და 1348-1365 წლების პარაკლიტონის ავგაროზ ბანდაისძის მიერ გადაწერილი ნაწილი ორი სხვადასხვა, მაგრამ მსგავსი ხელით არის დაწერილი.

აღნიშნული სამი ფაქტოლოგიურ-ქრონოლოგიური მონაცემის ერთმანეთთან შეპირისპირება, ვფიქრობ, ლოგიკურად გვიბიძგებს იმ დასკვნისაკენ, რომ „ძეგლი ერისთავთა“ უძველესი ნუსხა ანუ K 28 ხელნაწერი ავგაროზ ბანდაისძის ვაჟისა და მისი კალიგრაფიული ტრადიციების გამგრძელებლის, „ძეგლი ერისთავთა“ ავტორის – გრიგოლ ბანდაისძის მიერ არის გადაწერილი.

მიუხედავად იმისა, რომ ეს დასკვნა, ერთი შეხედვით, სავსებით სარწმუნო და დამაჯერებელი ჩანს, მისი უპირობოდ გაზიარება მაინც შეუძლებელია: ზემოთ დასახელებულ სამ ფაქტოლოგიურ-ქრონოლოგიურ მონაცემზე დაყრდნობით, თანაბარი წარმატებით შეგვიძლია ვამტკიცოთ არამხოლოდ ის, რომ K 28 ხელნაწერი „ძეგლი ერისთავთა“ დედანს წარმოადგენს და ამ თხზულების ავტორის გრიგოლ ბანდაისძის ხელით არის დაწერილი, არამედ ისიც, რომ ეს ხელნაწერი „ძეგლი ერისთავთა“ დედნიდან გადაწერილ ერთ-ერთ ადრეულ ნუსხას წარმოადგენს და ავგაროზ ბანდაისძის მოწაფისა თუ მისი სამწიგნობრე ტრადიციების მატარებელი ვინმე უცნობი მწიგნობრის მიერ XV საუკუნის დასაწყისშია შექმნილი.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ვფიქრობ, სრულებით ცხადია, რომ K 28 ხელნაწერის გადამწერის ვინაობის დასადგენად, უფრო ზუსტად კი, იმ საკითხის გასარკვევად, ეს ხელნაწერი ნამდვილად გრიგოლ ბანდაისძის მიერ არის გადაწერილი თუ არა, მხოლოდ ზემოთ მოტანილი სამი ფაქტოლოგიურ-ქრონოლოგიური მონაცემი საკმარისი არ არის და ამ პრობლემის საბოლოოდ გადასაჭრელად აუცილებელია, K 28 ხელნაწერის ტექსტი უშუალოდ გრიგოლის მიერ გადაწერილ რომელიმე ტექსტს შევადაროთ.

ვიდრე K 28 ხელნაწერისა და გრიგოლ ბანდაისძის მიერ გადაწერილი ტექსტების შედარებაზე გადავიდოდე, ხაზგასმით უნდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ამ ტექსტების ერთმანეთისათვის შედარება აქამდე ვერანაირად ვერ მოხერხებოდა: ქართულ ისტორიოგრაფიას დღემდე ხელთ არ ჰქონდა გრიგოლ ბანდაისძის არც ერთი ავტოგრაფული ტექსტი. ეს დაბრკოლება ამჟამად მთლიანად არის დაძლეული: მე უკვე გავარკვიე ზემოთ, რომ ვარლამ დონდუას კუთვნილი კურთხევანი და მისი ანდერძები გრიგოლ ბანდაისძის ხელით არის დაწერილი და შესაბამისად, სრული უფლება მაქვს, K 28 ხელნაწერის გადამწერის საკითხის გადასაწყვეტად სწორედ კურთხევანი და მისი კოლოფონები ანუ გრიგოლ ბანდაისძის ახლადგამოვლენილი ავტოგრაფული ტექსტები გამოვიყენო.

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას, ცხადია, ვისარგებლე იმით, რომ ჩემს განკარგულებაში გრიგოლ ბანდაისძის მიერ გადაწერილი კურთხევანი და მისი ოთხი ანდერძი ანუ, საერთო ჯამში, ხუთი ავტოგრაფული ტექსტი იყო და ეს ტექსტები K 28 ხელნაწერის შოთა მესხიას მიერ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ გვერდზე წარმოდგენილ ტექსტს, პალეოგრაფიული თვალსაზრისით, დეტალურად შევუდარე. კვლევა უაღრესად შედეგიანი გამოდგა: აღმოჩნდა, რომ K 28 ხელნაწერი და კურთხევანი, თავის ანდერძებთან ერთად, ერთი და იმავე ხელით არის გადაწერილი.

ამგვარად, K 28 ხელნაწერის, ვარლამ დონდუას კუთვნილი კურთხევანისა და მისი ანდერძების ტექსტების ერთმანეთთან შედარება საბოლოოდ აზუსტებს ზემოთ წარმოდგენილ სამ ფაქტოლოგიურ-ქრონოლოგიურ მონაცემზე დამყარებულ დასკვნას და თვალნათლივ აჩვენებს, რომ K 28 ხელნაწერი ავგაროზ ბანდაისძის მოწაფისა თუ მისი სამწიგნობრე ტრადიციების მატარებელი ვინმე უცნობი მწიგნობრის მიერ XV საუკუნის დასაწყისში „ძეგლი ერისთავთას“ დედნიდან გადაწერილ ერთ-ერთ ადრეულ ნუსხას კი არ წარმოადგენს, არამედ ის „ძეგლი ერისთავთას“ ავტორის გრიგოლ ბანდაისძის ხელიდან გამოსული ავტოგრაფული ტექსტია.

მაშასადამე, ირკვევა, რომ „ძეგლი ერისთავთას“ უძველესი ნუსხა ანუ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული K 28 ხელნაწერი „ძეგლი ერისთავთას“ ავტორის გრიგოლ ბანდაისძის ხელით არის გადაწერილი და ამ თხზულების დედანს წარმოადგენს.

3. გრიგოლ ბანდაისძის სახელთან დაკავშირებული წერილობითი ძეგლებისა და მისი ავტოგრაფული ტექსტების რაოდენობა.

მე უკვე აღვნიშნე ზემოთ, რომ დღეისათვის სამეცნიერო საზოგადოება გრიგოლ ბანდაისძის სახელთან დაკავშირებულ მხოლოდ სამ წერილობით ძეგლს იცნობს. ესენია:

1. ავგაროზ ბანდაისძის საოჯახო მოსახსენებელი.
2. გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერი.
3. გრიგოლ ბანდაისძისავე „ძეგლი ერისთავთას“.

მას შემდეგ, რაც წინამდებარე ნაშრომში გავარკვიე, რომ ვარლამ დონდუას კუთვნილი კურთხევანის ტექსტი და მისთვის დართული ოთხივე ანდერძი გრიგოლ ბანდაისძის მიერ არის დაწერილი, ამ უკანასკნელის სახელთან დაკავშირებული წერილობითი ძეგლების რიცხვი ხუთი ერთეულით გაიზარდა და შესაბამისად, ამ წერილობითი ძეგლების საერთო რაოდენობამაც რვა ერთეულს მიაღწია. მოვიტან სხენებული ხუთი წერილობითი ძეგლის ჩამონათვალს:

4. გრიგოლ ბანდაისძის მიერ გადაწერილი კურთხევანის ფრაგმენტი (Fr.216).
5. კურთხევანის (Fr.216) №1 ანდერძი, რომელიც ხელნაწერის გადამწერის, დიაკონ გრიგოლ ბანდაისძის სახელით არის შედგენილი.
6. კურთხევანის (Fr.216) №2 ანდერძი, რომელიც ხელნაწერის მომგებლის, დეკანოზის შვილი ქსენეფორე ბურდულის სახელითაა შედგენილი.
7. კურთხევანის (Fr.216) №3 ანდერძი, რომელიც ხელნაწერის მომგებლის, ქსენეფორე ბურდულის ოჯახის წევრების (დედ-მამის) სავედრებელს წარმოადგენს.

8. კურთხევანის (Fr.216) №4 ანდერძი, რომელიც ხელნაწერის გადამწერის, გრიგოლ ბანდაისძის ოჯახის წევრთა (მშობლების) სავედრებელს წარმოადგენს.

ჩამოთვლილი ხუთი წერილობითი ძეგლის გადამწერის ვინაობის გარკვევა მხოლოდ გრიგოლ ბანდაისძის სახელთან დაკავშირებული წერილობითი ძეგლების რაოდენობის დადგენისთვის არ არის საყურადღებო და მას გრიგოლის ხელიდან გამოსული ავტოგრაფული ტექსტების შესწავლისათვისაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მართლაც, ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ გრიგოლ ბანდაისძის სახელთან დაკავშირებული, აქამდე ცნობილი სამი წერილობითი ძეგლიდან პირველი ძეგლი – ავგაროზ ბანდაისძის საოჯახო მოსახსენებელი თავად ავგაროზის ხელით არის დაწერილი, მეორე ძეგლი – გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიული მინა-

წერი, რომელიც, ცხადია, გრიგოლის ავტოგრაფულ ტექსტს წარმოადგენდა, უკვალაოდა დაკარგული, ხოლო მესამე ძეგლის – იმავე გრიგოლის მიერ შედგენილი „ძეგლი ერისთავთას“ ავტოგრაფული ნუსხის იდენტიფიკაციის საკითხი, აქამდე გადაწყვეტილი არ იყო და შესაბამისად, მკვლევართა განკარგულებაშიც გრიგოლ ბანდაისძის ხელიდან გამოსული არც ერთი ავტოგრაფული ტექსტი არ რჩებოდა.

კურთხევანისა და მისი ოთხი ანდერძის გადამწერის ვინაობის დადგენის შემდეგ ხენებული ხარვეზი მთლიანად არის დაძლეული: ხსენებული ხუთივე წერილობითი ძეგლი გრიგოლ ბანდაისძის მიერაა გადაწერილი და შესაბამისად, ჩვენ ხელთ გვაქვს გრიგოლის ხელიდან გამოსული ხუთი ავტოგრაფული ტექსტი რომლის საერთო მოცულობა ათ ფურცელს შეადგენს.

გარდა ამისა, ზემოთ, კურთხევანსა და მის ანდერძებზე დაყრდნობით, უკვე გავარკვიეთ ისიც, რომ გრიგოლ ბანდაისძის მიერ შედგენილი „ძეგლი ერისთავთას“ უძველესი ნუსხა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული K 28 ხელნაწერი, რომელიც, ათი ფურცლისაგან შედგება, თავად გრიგოლის ხელით არის გადაწერილი.

ამგვარად, დღეიდან მკვლევართა განკარგულებაში თავს იყრის გრიგოლ ბანდაისძის ხელიდან გამოსული ექვსი ავტოგრაფული ტექსტი, რომლის საერთო მოცულობაც ოც ფურცელს შეადგენს. მოვიტან ამ ავტოგრაფული ტექსტების ჩამონათვალს:

1. კურთხევანის ათფურცლიანი ფრაგმენტი (Fr.216).
2. კურთხევანის (Fr.216) №1 ანდერძი.
3. კურთხევანის (Fr.216) №2 ანდერძი.
4. კურთხევანის (Fr.216) №3 ანდერძი.
5. კურთხევანის (Fr.216) №4 ანდერძი.
6. „ძეგლი ერისთავთას“ უძველესი ნუსხა (K 28).

მაშასადამე, ირკვევა, რომ კურთხევანი (Fr.216), მისთვის დართული ოთხი ანდერძი და „ძეგლი ერისთავთას“ უძველესი ნუსხა (K 28) გრიგოლ ბანდაისძის სახელთან დაკავშირებული წერილობითი ძეგლებისა თუ მისი ხელიდან გამოსული ავტოგრაფული ტექსტების რიცხვს მნიშვნელოვნად ზრდის და ამით, გრიგოლის ცხოვრება-მოღვაწეობისა და სამწიგნობრე ხელოვნების შესწავლისათვის საჭირო წყაროთმცოდნეობით-პალეოგრაფიულ ბაზას განუზომლად აფართოებს.

4. ბერი გრიგოლ ბანდაისძის დიაკონად ხელდასხმა.

ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ, დაახლოებით, 1400-იან წლებში გრიგოლ ბანდაისძე ბერად აღიკვეცა და ლარგვისის მონასტერში დაემკვიდრა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ვარლამ დონდუას კუთვნილი კურთხევანის №1 ანდერძის ერთი ფრაგმენტი, რომელშიც გრიგოლ ბანდაისძე დიაკონად არის მოხსენიებული: „სრულ იქმნეს წმიდანი კურთხევანი კელითა მწარედ ცოდვილისა... სახითა ოდენ დიაკონისა გრიგოლ ბანდაისძისათა“.

კურთხევანის №1 ანდერძის ციტირების შემდეგ, ვფიქრობ, ბუნებრივად დაისმის კითხვა: როდის მოხდა გრიგოლ ბანდაისძის დიაკონად ხელდასხმა – მისი შემონახვების წინარე ხანებში თუ მისი ბერად აღკვეცის შემდგომ პერიოდში?

დასმულ კითხვაზე რაიმე არგუმენტირებული პასუხის გასაცემად, საჭიროა, პირველ რიგში, გავარკვიოთ, გრიგოლ ბანდაისძემ დიაკონის საეკლესიო ხარისხი მის მიერ საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერის შედგენამდე მიიღო თუ მინაწერის შედგენის შემდეგ. აღნიშნული საკითხის გასარკვევად კიდევ ერთხელ გავეცნოთ გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერის ტექსტს, რომელშიც გრიგოლის ცხოვრება-მოღვაწეობის ბოლო პერიოდის, დაახლოებით, 1400-1410-იანი წლების ამბები დაწვრილებით არის მოთხრობილი: „...და შემდგომ მცირედისა კამისა და ვერხი თბოლი ხუთთა ძმათაგან და ვსტიროდი თავსა ჩემსა მე, გრიგოლ [ბანდაისძე] ავგაროზიშვილი. დაწვისაგან მოოკრებული აღვაშენე ხუთი სახლი. მისსა (ამისსა) შემდგომად იხილა ღმერთმან სიმრავლე ცოდვათა ჩემთა და მიმიხუნა ექუსნი შვილნი, სამნი ვაჟნი და სამნი ქალნი დედით მათითურთ. მაშინ უღირსმან შევიმოსე სახე მონაზონებისად და საფლავსა ზედა ჩემსა აღვაშენე კარიბჭე და დავხატე კელითა ჩემითა, დავკიდე კანდელი ვეცხლისად და ორი საცეცხლური, შესამოსელი და სიწმინდისა სამსახური ღარისად, შიგნით ეკლესიად მოვხატე და შევამკვე ყოველი მოშლილი ხატები და განვაახლე და შევმატე ხატი მოჭედილი, სავსე ნაწილითა, და დავსხენ წიგნნი: პარაკლიტონი, სამოციქულოდ, გულად, ავგაროზი, და ავაგე მარანი და ჩავდვი ორი (ოცი) ჭური; ავაგე ზედა სამყოფი სახლი; ბეღელი, საწოლი, დერეფანი (დეიფანი), სამრეკლოდ და ბოსელი და დავბურე ყოველი სიპითა“.

როგორც ვხედავთ, ციტირებულ მინაწერში გრიგოლ ბანდაისძის ცხოვრება-მოდვაწეობის ბოლო პერიოდის ამბები მართლაც დაწვრილებითაა მოთხრობილი. ამასთან, ტექსტში, გრიგოლის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი ამბების გადმოცემისას, მისი დიაკონად ხელდასხმის ფაქტი არც პირდაპირ და არც ირიბად არ არის ნახსენები.

აღნიშნული გარემოება, ვფიქრობ, ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ გრიგოლ ბანდაისძეს მისი საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერის შედგენის დროს დიაკონის ხარისხი ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული. საწინააღმდეგო შემთხვევაში, ამ ვრცელ კოლოფონში, რომელშიც გრიგოლის ცხოვრება-მოდვაწეობის ბოლო პერიოდის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ამბავია მოთხრობილი, მისი დიაკონად ხელდასხმის ფაქტიც აუცილებლად იქნებოდა აღნიშნული.

ჩემს მიერ გამოთქმული იმ მოსაზრების მართებულობას, რომ გრიგოლ ბანდაისძის დიაკონად ხელდასხმის ფაქტს მისი საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერის შედგენის შემდეგ ჰქონდა აღვილი, მთლიანად ადასტურებს კიდევ ერთი გარემოება: გრიგოლ ბანდაისძე თავის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში სულ ორგზის არის მოხსენიებული. აქედან, პირველ შემთხვევაში, გრიგოლი საკუთარ თავს მხოლოდ სახელით, გვართა და მამისშვილობით, ხოლო, მეორე შემთხვევაში, სახელით, გვართ, მამისშვილობითა და დამატებით, ბერის წოდებით იხსენიებს: 1. „...და ვსტიროდი თავსა ჩემსა მე, გრიგოლ [ბანდაისძე] ავგაროხიშვილი“; და 2. „სულსა [ბანდაისძისა] ავგაროხისასა შეუნდვენ ღმერთმან. სულსა შვილისა მათისა ბერისა გრიგოლისასა შნ ღწ“.

ჩემი დაკვირვებით, ის ფაქტი, რომ გრიგოლ ბანდაისძე თავის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში საკუთარ თავს მხოლოდ ბერის წოდებით მოიხსენიებს და იქვე, საერთოდ არ აღნიშნავს, რომ იგი დიაკონის ხარისხსაც ფლობდა, ლოგიკურად მიბიძგებს იმ დასკვნისაკენ, რომ გრიგოლი მისი საისტორიო-ბიოგრაფიული კოლოფონის შედგენის დროს ჯერ კიდევ არ იყო დიაკონად ხელდასხმული.

თუ ჩემს მიერ ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა სწორია და გრიგოლ ბანდაისძე მისი საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერის შედგენის დროს დიაკონის ხარისხს ჯერ კიდევ არ ფლობდა, მაშინ ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა და გრიგოლ ბანდაისძის დიაკონად ხელდასხმის ქრონოლოგიის განსაზღვრა არანაირ სირთულეს აღარ წარმოადგენს. მართლაც, მე ზემოთ უკვე გავარკვიე გრიგოლის ცხოვრება-მოდვაწეობის ბოლო პერიოდთან დაკავშირებული სამი კონკრეტული საკითხი: 1. გრიგოლ ბანდაისძე, დაახლოებით, 1400-იან წლებში იყო შემონაზუნებული; 2. გრიგოლის საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერი, რომელშიც მისი ბერად აღკვეცის ამბავია მოთხრობილი, დაახლოებით, 1410-იან წლებში იყო შედგენილი; და 3. ბერი გრიგოლ ბანდაისძე, დაახლოებით, 1410-იან წლებში იყო გარდაცვლილი. გარდა ამისა, ახლახანს გავარკვიე ისიც, რომ გრიგოლ ბანდაისძის დიაკონად ხელდასხმას მის მიერ საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერის შედგენის შემდგომ პერიოდში ჰქონდა აღვილი. შესაბამისად, ამ ოთხი ფაქტოლოგიურ-ქრონოლოგიური მონაცემის ერთმანეთთან შეპირისპირება აჩვენებს, რომ გრიგოლ ბანდაისძემ დიაკონის ხარისხი 1410-იანი წლებით დათარიღებულ ორ ამბავს – მის მიერ საისტორიო-ბიოგრაფიული მინაწერის შედგენასა და მისსავე გარდაცვალებას შორის მოქცეულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში ანუ იმავე 1410-იან წლებში მიიღო.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვუბრუნდები ზემოთ დასმულ კითხვას და მის საპასუხოდ, აღვნიშნავ, რომ გრიგოლ ბანდაისძის დიაკონად ხელდასხმის ფაქტს მისი შემონაზუნების შემდგომ პერიოდში, უფრო ზუსტად კი, 1410-იან წლებში ჰქონდა აღვილი.

მაშასადამე, ირკვევა, რომ გრიგოლ ბანდაისძის მიერ გადაწერილი კურთხევანის №1 ანდერძი გრიგოლის ცხოვრება-მოდვაწეობის შესახებ სრულებით ახალ ცნობას გვაწვდის და გვაუწყებს, რომ 1410-იან წლებში ბერი გრიგოლ ბანდაისძე დიაკონად იყო ხელდასხმული.

ამით კურთხევანის გადამწერის შესახებ საუბარს საბოლოოდ ვამთავრებ და ხელნაწერის გადამწერის დროსთან, ადგილთან და მომკვებელთან დაკავშირებული საკითხების განხილვაზე გადავდივარ.

IV. კურთხევანის (Fr.216) ბაღაწერის ღრ()

კურთხევანის გადამწერის დროის საკითხს პირველად ვარლამ დონდუა შეეხო. მკვლევარმა თავის 1958 წელს წაკითხულ რუსულენოვან მოხსენებასა და ქართულ ენაზე შედგენილ ნაშრომში „განგებად მსოფლიოთა მდღელთათვის“ გამოთქვა მოსაზრება, რომ ხელნაწერი XIV-XV საუკუნეებში, უფრო ზუსტად კი, 1348-1365 წლების პარაკლიტონის ანდერძში მოხსენიებული ავგაროხ ბანდაისძის ვაჟის, გრიგოლ ბანდაისძის გარდაცვალების შემდეგ იყო გადაწერილი. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისას მკვლევარი ემყარებოდა ორ არგუმენტს: 1. კურთხევანი XIV-XV საუკუნეების ნუსხურით არის დაწერილი: “Пергаментная рукопись (13X17 см), без переп-

лета, сохранившая образец строчного хуцури XIV-XV в., в наличном виде содержит 10 лл, сплошь исписанных”¹; და 2. კურთხევანი ანონიმი მწიგნობრის მიერ გადაწერილია დედნიდან, რომელიც, თავის მხრივ, 1348-1365 წლების ერთი ხელნაწერის გადამწერის ავგაროზ ბანდაისძის ვაჟის, გრიგოლ ბანდაისძის მიერ იყო გადაწერილი: „ხელნაწერის ბოლოს დართულ სამ ანდერძთაგან უკანასკნელი ეკუთვნის ამ ხელნაწერის შემსრულებელ კალიგრაფს, რომელიც თავის ვინაობას არ აცხადებს. ამ ანდერძში იგი შენდობას უთვლის, კერძოდ, იმ ორ პირს, რომელთა სახელებით ყოფილა აღნიშნული მის მიერ დედნად გამოყენებული ნუსხა. ამ ორი პირის ვინაობას გვაუწყებს ჩვენი ხელნაწერის ორი პირველი ანდერძი, რომელნიც ამ ხელნაწერში ბუნებრივად გადმოტანილია მისი დედნიდან. თვით ამ ანდერძთაგან პირველი გვაუწყებს, სახელდობრ, რომ სათანადო ნუსხის გადამწერი ყოფილა დიაკონი გრიგოლ ბანდაისძე... საყურადღებოა, რომ მწერალი გრიგოლი ყოფილა, მაშასადამე, ნათესავი ან მოგვარე ქართული კალიგრაფიის და მწიგნუბის ცნობილი წარმომადგენლის ავგაროზ ბანდაისძისა, რომლისაგან დარჩენილია, სხვათა შორის, ერთი ანდერძი 1348-1365 წლებისა* (*...გრიგოლ ბანდაისძე იყო, როგორც მისი ერთი ანდერძიდან ჩანს... ავგაროზ ბანდაისძის შვილი...). სამწუხაროდ, ხელნაწერის ანდერძები უშუალოდ არ იძლევა მისი გადაწერის თარიღს. იქ ჩანს მხოლოდ, რომ ჩვენი ნუსხა გადაწერილი ყოფილა ბანდაისძისა და ბურდულის გარდაცვალების შემდეგ. ამ ნუსხის უშუალო გადამწერელი, მესამე, უკანასკნელ ანდერძში შენდობას უთვლის ორთავეს. ეს გადამწერელი, ჩვენთვის უცნობად დარჩენილი, მაშასადამე, ყოფილა ბანდაისძის მიერ გაკეთებული ხელნაწერიდან მხოლოდ პირის გადმომღებელი. აი ამ პირს წარმოადგენს ჩვენი ნუსხა და იქნებ განეკუთვნებოდეს XIV-XV სს.“².

კურთხევანის გადაწერის დროის შესახებ ვარლამ დონდუასაგან განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა თინათინ ენუქიძემ, რომელმაც თავის 1971 წლის სტატიაში ხელნაწერი, მისი პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, XIII-XIV საუკუნეების მიჯნით დაათარიდა: „პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით იგი XIV საუკუნეს არ გადმოსცდება. უფრო ზუსტად, XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს გადაწერილი“³.

საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ თინათინ ენუქიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება ცალსახად მცდარია: კურთხევანის №1 და №4 ანდერძებში მოხსენიებულია გრიგოლ ბანდაისძე, რომელიც, როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ, დაახლოებით, 1350-იან წლებში იყო დაბადებული და დაახლოებით, 1410-იან წლებში იყო გარდაცვლილი. შესაბამისად, სრულებით ცხადია ისიც, რომ XIV საუკუნის II ნახევარსა და XV საუკუნის დასაწყისში მოღვაწე პირი XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე ხელნაწერს ვერანაირად ვერ გადაწერდა.

საკმაოდ განსხვავებული სურათი გვაქვს ვარლამ დონდუას მიერ გამოთქმულ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც კურთხევანი XIV-XV საუკუნეებშია გადაწერილი. მართალია, მკვლევარი, ერთი მხრივ, სავსებით მართებულად ფიქრობს, რომ ხელნაწერის №1 და №4 ანდერძებში მოხსენიებული გრიგოლ ბანდაისძე XIV საუკუნეში მოღვაწე ავგაროზ ბანდაისძის ვაჟია, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი შეცდომით მიიჩნევს, რომ გრიგოლ ბანდაისძე არა საკუთრივ კურთხევანის, არამედ მისი დედნის გადამწერია, შესაბამისად, გრიგოლის მოღვაწეობის პერიოდსა და კურთხევანის გადაწერის ქრონოლოგიას შეცდომით აცალკევებს ერთმანეთისაგან და საბოლოოდ, კურთხევანის გადაწერის დროსაც შეცდომით განსაზღვრავს გრიგოლ ბანდაისძის გარდაცვალების შემდგომი პერიოდით, მისივე თქმით, XIV-XV საუკუნეებით ანუ ძალზედ ვრცელი, ას წელზე უფრო მეტი ხნის მომცველი ქრონოლოგიური მონაკვეთით.

ჩემი დაკვირვებით, კურთხევანის გადაწერის მეტნაკლებად ზუსტი დროის განსაზღვრა მაინცადამაინც რთულ ამოცანას არ წარმოადგენს: ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ კურთხევანის გადამწერმა ბერმა გრიგოლ ბანდაისძემ დიაკონის საეკლესიო ხარისხი 1410-იან წლებში მიიღო და ამ ამბიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, იმავე 1410-იან წლებში გარდაიცვალა. შესაბამისად, სრულებით ცხადია ისიც, რომ კურთხევანი, რომლის №1 ანდერძშიც გრიგოლ ბანდაისძე დიაკონის ხარისხით არის მოხსენიებული 1410-იან წლებში იყო გადაწერილი და არა, ზოგადად, XIV-XV საუკუნეებსა თუ XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე, როგორც ამას ვარლამ დონდუა და თინათინ ენუქიძე ფიქრობდნენ.

მაშასადამე, ირკვევა, რომ ბერ-დიაკონმა გრიგოლ ბანდაისძემ კურთხევანი 1410-იან წლებში გადაწერა.

¹ В. Дондуа, Культурные связи Византии..., გვ. 60.

² ვ. დონდუა, განგება მსოფლიოთა მღვდელთათვის, გვ. 47-48.

³ თ. ენუქიძე, პროფესორ ვარლამ დონდუას..., გვ. 134.

V. კუროხევის ადგილის (Fr.216) ბაღაშვილის აღბილი

კუროხევის ადგილის შესახებ აქამდე რაიმე მოსაზრება გამოთქმული არ ყოფილა. ამ მხრივ, ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს ვარლამ დონდუა, რომელმაც თავის ნაშრომში „განგებად მსოფლიოთა მღვდელთათვის“, ერთი მხრივ, გამოთქვა მოსაზრება, რომ კუროხევის №1 და №2 ანდერძები არა უშუალოდ კუროხევის, არამედ მის დედანს ეკუთვნის, მეორე მხრივ, ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ №2 ანდერძში „წმიდა გიორგი ლომისისა“-ა მოხსენიებული და საბოლოოდ, დაასკვნა, რომ კუროხევის დედანი ლომისის წმ. გიორგის „კულტის გავრცელებულობის რაიონში“ იყო გადაწერილი: „ხელნაწერის ბოლოს დართულ სამ ანდერძთაგან უკანასკნელი ეკუთვნის ამ ხელნაწერის შემსრულებელ კალიგრაფს, რომელიც თავის ვინაობას არ აცხადებს. ამ ანდერძში იგი შენდობას უთვლის, კერძოდ, იმ ორ პირს, რომელთა სახელებით ყოფილა აღნიშნული მის მიერ დედნად გამოყენებული ნუსხა. ამ ორი პირის ვინაობას გვაუწყებს ჩვენი ხელნაწერის ორი პირველი ანდერძი, რომელნიც ამ ხელნაწერში ბუნებრივად გადმოტანილია მისი დედნიდან... ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ, ხელნაწერის შემქმნ-შემკვეთელი („მოვიგენ და დავაწერინენ“), ქსენეფორე ბურდული თავის სამლოცველოდ აცხადებს ლომისის წმ. გიორგის („შეწვევითა წმიდისა გიორგი ლომისისადათა“). მაშასადამე, ჩვენი ნუსხის დედანი, ვით მანუსკრიპტი, თავისი წარმოშობით, განეკუთვნებოდა სათანადო კულტის გავრცელებულობის რაიონს“¹.

საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ ვარლამ დონდუას მიერ გამოთქმულ მოსაზრებაში ორი არსებითი ხასიათის უზუსტობაა დაშვებული, რის გამოც ამ, უდავოდ საინტერესო მოსაზრების გაზიარება, უბრალოდ, შეუძლებელია: 1. კუროხევის №2 ანდერძი არა მის დედანს, არამედ თავად კუროხევის ეკუთვნის და შესაბამისად, ამ კოლოფონში ასახულ რეალიებზე დაყრდნობითაც არა კუროხევის დედნის, არამედ საკუთრივ კუროხევის შესახებ უნდა ვიმსჯელოთ; და 2. №2 ანდერძი არა კუროხევის გადამწერის, არამედ მისი მომგებლის სახელით არის შედგენილი და შესაბამისად, ამ კოლოფონში მოხსენიებული ლომისის წმ. გიორგის „კულტის გავრცელებულობის რაიონში“ ექცეოდა არა ის სავანე, სადაც კუროხევი იყო გადაწერილი, არამედ ის სავანე, სადაც მისი მომგებელი მოღვაწეობდა.

ჩემი დაკვირვებით, კუროხევის ადგილის დადგენა ძალზედ იოლ ამოცანას წარმოადგენს: ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ გრიგოლ ბანდაისძემ დიაკონის საეკლესიო ხარისხი შემონახულებისა და ლარგვისის მონასტერში დამკვიდრების შემდეგ მიიღო. შესაბამისად, სრულებით ცხადია ისიც, რომ კუროხევი, რომლის №1 ანდერძშიც გრიგოლ ბანდაისძე დიაკონის ხარისხით არის მოხსენიებული, ამ უკანასკნელის სამოღვაწეო სავანეში ანუ ლარგვისის მონასტერში იყო გადაწერილი.

მაშასადამე, ირკვევა, რომ ბერ-დიაკონმა გრიგოლ ბანდაისძემ კუროხევი ლარგვისის მონასტერში გადაწერა.

VI. კუროხევის (Fr.216) მომგებელი

კუროხევის მომგებლის ვინაობის შესახებ, ხელნაწერის გადაწერის ადგილის მსგავსად, აქამდე რაიმე მოსაზრება გამოთქმული არ ყოფილა. ამ მხრივ, ისევე როგორც კუროხევის გადაწერის ადგილის შემთხვევაში, ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს ვარლამ დონდუა, რომელმაც თავის ნაშრომში „განგებად მსოფლიოთა მღვდელთათვის“ თავდაპირველად გამოთქვა მოსაზრება, რომ კუროხევის №1 და №2 ანდერძები არა უშუალოდ კუროხევის, არამედ მის დედანს ეკუთვნის, ამის შემდეგ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ №2 ანდერძში ხელნაწერის „შემქმნ-შემკვეთელად“ დეკანოზის შვილი ქსენეფორე ბურდულია მოხსენიებული, საბოლოოდ კი, დაასკვნა, რომ კუროხევის დედანი გადაწერილია ქსენეფორე ბურდულის დაკვეთით, რომელიც საკუთრივ კუროხევის გადაწერის დროს უკვე გარდაცვლილი იყო: „ხელნაწერის ბოლოს დართულ სამ ანდერძთაგან უკანასკნელი ეკუთვნის ამ ხელნაწერის შემსრულებელ კალიგრაფს, რომელიც თავის ვინაობას არ აცხადებს. ამ ანდერძში იგი შენდობას უთვლის, კერძოდ, იმ ორ პირს, რომელთა სახელებით ყოფილა აღნიშნული მის მიერ დედნად გამოყენებული ნუსხა. ამ ორი პირის ვინაობას გვაუწყებს ჩვენი ხელნაწერის ორი პირველი ანდერძი, რომელნიც ამ ხელნაწერში ბუნებრივად გადმოტანილია მისი დედნიდან. თვით ამ ანდერძთაგან პირველი გვაუწყებს, სახელდობრ, რომ სათანადო ნუსხის გადამწერი ყოფილა დიაკონი გრიგოლ ბანდაისძე, ხოლო მის მომდევნო ანდერძში ქსენეფორე ბურდული, რომელიც მისივე ჩვენებით, ყოფილა დეკანოზის შვილი, აცხადებს, სხვათა შორის შემდეგს: „მოვიგენ და

¹ ვ. დონდუა, განგებად მსოფლიოთა მღვდელთათვის, გვ. 47.

დავაწერინენ წმიდანი ესე კურთხევანი“-ო... სამწუხაროდ, ხელთნაწერის ანდერძები უშუალოდ არ იძლევა მისი გადაწერის თარიღს. იქ ჩანს მხოლოდ, რომ ჩვენი ნუსხა გადაწერილი ყოფილა ბანდაისძისა და ბურდულის გარდაცვალების შემდეგ. ამ ნუსხის უშუალო გამამწერელი, მესამე, უკანასკნელ ანდერძში შენდობას უთვლის ორთავეს¹.

საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ ვარლამ დონდუას მიერ გამოთქმულ ამ მოსაზრებაში, ძველვერის მიერ კურთხევანის გადაწერის ადგილის შესახებ გამოთქმული მოსაზრების მსგავსად, ერთი არსებითი ხასიათის უზუსტობაა დაშვებული, რაც ამ მოსაზრების გაზიარების შესაძლებლობას საფუძველშივე გამორიცხავს: კურთხევანის №2 ანდერძი არა მის დედანს, არამედ თავად კურთხევანს ეკუთვნის და შესაბამისად, ამ კოლოფონში ასახული რეალიებიც არა კურთხევანის დედნთან, არამედ საკუთრივ კურთხევანთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ვფიქრობ, სრულებით ცხადია, რომ კურთხევანის №2 ანდერძში მოხსენიებული ქსენეფორე ბურდული, ვარლამ დონდუას მოსაზრების საპირისპიროდ, არა კურთხევანის დედნის, არამედ საკუთრივ კურთხევანის მომგებელი იყო: *„მოვიგენ და დავაწერინენ წმიდანი ესე კურთხევანი მე. ბურდულმან... ქსენეფორე საკმრად ჩემდა და მომავალთა ჩემთათჳს და სალოცველად სულისა ჩემისათჳს“*.

აქვე, აღვნიშნავ, რომ ქსენეფორე ბურდული, ციტირებული ანდერძის გარდა, კურთხევანის №3 ანდერძსა და №1 მინაწერშიც იხსენიება, ოღონდ, ამ კოლოფონებში, №2 ანდერძისაგან განსხვავებით, აღნიშნული არ არის, რომ იგი ხელნაწერის მომგებელი იყო: №3 ანდერძი – *„სულსა ქსენეფორესსა... შეუნდვნენ ღმერთმან, ამენ“*; და №1 მინაწერი – *„...ქსენეფორეს შეუნდვნენ ღმერთმან, ამენ“*.

ქსენეფორე ბურდული ჩემთვის ცნობილ სხვა წერილობით ძეგლებში მოხსენიებული არ არის, რის გამოც, იძულებული ვარ, მასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობისას მთლიანად კურთხევანის ანდერძ-მინაწერებს დავეყრდნობ.

1. კურთხევანის მომგებლის ცხოვრება-მოღვაწეობის დრო.

კურთხევანის ანდერძებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ ქსენეფორე ბურდული და მისი დაკვეთით შექმნილი ხელნაწერის გამამწერი ბერ-დიაკონი გრიგოლ ბანდაისძე, რომელიც, როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ, XIV საუკუნის II ნახევარსა და XV საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა, თანამედროვეები იყვნენ.

იმავდროულად, კურთხევანის №2 ანდერძში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ქსენეფორე ბურდული „დეკანოზის შვილი“ იყო. ეს გარემოება ლოგიკურად მიბიძგებს იმ დასკვნისაკენ, რომ ქსენეფორე ბურდული ხელნაწერის გადაწერის დროისათვის ანუ 1410-იან წლებში ბერ-დიაკონ გრიგოლ ბანდაისძეზე ბევრად უფრო ახალგაზრდა კაცი იყო და შესაბამის სოციალურ სივრცეში დამკვიდრების პროცესი მცირე ხნის დაწყებული ჰქონდა. საპირისპირო შემთხვევაში, ქსენეფორე ბურდული კურთხევანის მკითხველს არა მამის საეკლესიო წოდებაზე მითითებით, არამედ საკუთარი სოციალური სტატუსითა თუ სამოხელეო წოდებით გაეცნობოდა.

თუ ჩემს მიერ წარმოდგენილი მსჯელობა სწორია, მაშინ ირკვევა, რომ ქსენეფორე ბურდული ბერ-დიაკონი გრიგოლ ბანდაისძის უმცროსი თანამედროვე იყო და ამ უკანასკნელის დაბადების დროს (1350-იანი წწ.) გათვალისწინებით, XIV საუკუნის IV მეოთხედში იყო დაბადებული.

მასასადამე, ირკვევა, რომ ქსენეფორე ბურდული XIV საუკუნის IV მეოთხედსა და XV საუკუნის I ნახევარში მოღვაწეობდა.

2. კურთხევანის მომგებლის სახელი, საგვარეულო კუთვნილება და კუთხური წარმომავლობა.

კურთხევანის მომგებელზე საუბრისას, ყურადღებას, პირველ რიგში, მისი სახელი – ქსენეფორე იპყრობს: №2 ანდერძი – *„მოვიგენ და დავაწერინენ წმიდანი ესე კურთხევანი მე... ქსენეფორე...“*; №3 ანდერძი – *„სულსა ქსენეფორესსა... შეუნდვნენ ღმერთმან, ამენ“*; და №1 მინაწერი – *„...ქსენეფორეს შეუნდვნენ ღმერთმან, ამენ“*.

მამაკაცის საკუთარი სახელი „ქსენეფორე“//„ქსენოფორე“ შუა საუკუნეების ქართულ ანთროპონიმიკაში ძალზედ იშვიათად გვხვდება. ამ ეტაპზე, შემიძლია დავასახელო მხოლოდ ერთი წერილობითი ძეგლი, რომლის ტექსტშიც ეს ანთროპონიმი დასტურდება. მხედველობაში მაქვს გარეჯის მრავალმთის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის სატრაპეზოს წინ, კლდეში ამოკვეთილ რეზერვუარში მიკვლეულ სპილენძის თევზზე ამოღარული XVII-XVIII საუკუნეებით

¹ იქვე.

დათარიღებული მხედრული წარწერა, რომელშიც ვინმე ქსენეფორე თუმანიშვილია მოხსენიებული: „ქ: თუმანი: შვილი: ქსენეფორესია“¹.

ამგვარად, ღვინდება, რომ კურთხევანის მომგებლის სახელი – ქსენეფორე შუა საუკუნეების ქართული ანთროპონიმიკის საკმაოდ იშვიათ და საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს.

ქსენეფორე ბურდულთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას მისი გვარი – ბურდული იპყრობს: №2 ანდერძი – „მოვიგენ და დავაწერინენ წმიდანი ესე კურთხევანი მე, ბურდულმან... ქსენეფორე“.

ბურდულთა საგვარეულო საქართველოს ისტორიიდან კარგად არის ცნობილი. ამ ძველი და პატივდებული გვარის თავგადასავალი საინტერესოდაა მოთხრობილი ალექსანდრე ნაზღაიძის წიგნში „ბურდულები“, რომელიც 1994 წელს გამოქვეყნდა. ავტორი ბურდულთა გვარის წარმომავლობისა და განსახლების გეოგრაფიის შესახებ შემდეგს გვაუწყებს: „ბურდულთა გვარმოდენილობა, ბუდე-ხევსურეთის, წყალსიქითის თემის სოფელ დელისვაკიდან მომდინარეობს. „ბურდული“ – ეპონიმიური ტიპის გვარსახელია. ძველ საქართველოში ცნობილი იყო საკუთარი სახელები: ბურდი, ბურდა, ბურდალა, ბურდია, ბურდუ, ბურდულა და სხვა. ხევსური ბურდულები თავისი გვარის ფუძეში ერთ-ერთი წინაპრის სახელს, ბერდიას გულისხმობენ. ხევსურეთში ხუთი სოფელი, ბურდულების გვარით იყო დასახლებული: დელისვაკე, დელე, ქმოსტი, იღლია და საბერწე. ხევსურეთიდან დაიწყო ბურდულების გვარის განსახლება მთელ საქართველოში. ერთი შტო ბურდულებისა, უკანა ფშავში გადასახლდა, ჭიხოს თემში. მეორე შტო მთიულეთში დამკვიდრდა, ხადას თემში².

როგორც ვხედავთ, შუა საუკუნეებში ბურდულთა საგვარეულოს წარმომადგენლები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სამ მხარეში – ხევსურეთში, ფშავსა და მთიულეთში სახლობდნენ. მართალია, კურთხევანის ანდერძ-მინაწერებში პირდაპირ მითითებული არ არის, თუ მათ ტექსტებში მოხსენიებული ქსენეფორე ბურდული ბურდულების გვარის რომელ განშტოებას ეკუთვნოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, სავსებით ცხადია, რომ ქსენეფორე მთიული ბურდულების საგვარეულოდან იყო გამოსული. ამგვარი დასკვნისაკენ, პირველ რიგში, მიბიძგებს კურთხევანის №2 ანდერძი, რომელიც ქსენეფორე ბურდულის სახელით არის შედგენილი და რომლის მოკლე, საღმრთისმეტყველო შინაარსის მქონე შესავალ ნაწილშიც, შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნების ანდერძ-მინაწერებისათვის ტრაფარეტული ფორმულის – „ღმერთის“ ანუ ყოვლადწმიდა სამების მოხსენიების შემდეგ, ერთადერთი სიწმიდე – „ლომისის წმიდა გიორგი“ ანუ ლომისის მონასტერში დაბრძანებული წმ. გიორგის ხატია დასახელებული: „სახელითა ღმრთისაჲთა და შეწეებითა წმიდისა გიორგის ლომისისაჲთა“.

ჩემი დაკვირვებით, ის გარემოება, რომ ქსენეფორე ბურდულის სახელით შედგენილ კოლოფონში, „ღმერთის“ გარდა, მხოლოდ ერთი სიწმიდე – ლომისის წმ. გიორგის ხატია მოხსენიებული, ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ქსენეფორეს განსაკუთრებული სიყვარული და სასოება კონკრეტულად ამ ხატისადმი ჰქონდა. ხოლო თუ აქ იმასაც გაავითვალისწინებთ, რომ ლომისის წმ. გიორგის ხატი არა ხევსურეთისა თუ ფშავის, არამედ მთიულეთის უპირველეს სიწმიდესა და სალოცავს წარმოადგენდა, მაშინ სავსებით ნათელი გახდება ისიც, რომ ამ ხატისადმი განსაკუთრებული სიყვარულისა და სასოების მქონე ქსენეფორე ბურდული სწორედ მთიულეთის მკვიდრი იყო და მთიულეთში მოსახლე ბურდულთა საგვარეულოს ეკუთვნოდა.

თუ ჩემი ეს დაკვირვება სწორია და ქსენეფორე ბურდული ნამდვილად მთიული ბურდულების გვარს ეკუთვნოდა, მაშინ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას ისიც, რომ ქსენეფორე ხადის თემის, უფრო ზუსტად კი, სოფელ მღეთის მკვიდრი იყო. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისას მთლიანად ვემყარები ორ გარემოებას: 1. მე უკვე გავარკვიე ზემოთ, რომ ვარლამ დონდუას კუთვნილი კურთხევანი, დაახლოებით, 1410-იან წლებში იყო გადაწერილი. შესაბამისად, სრულებით ცხადია ისიც, რომ კურთხევანის მომგებელი ქსენეფორე ბურდული XIV საუკუნის მიწურულსა და XV საუკუნის I ნახევარში მოღვაწეობდა; და 2. დღეისათვის ალექსანდრე ნაზღაიძის მიერ დოკუმენტურად არის დადგენილი, რომ მთიული ბურდულები XVII საუკუნის მიწურულამდე მხოლოდ სოფელ მღეთაში ცხოვრობდნენ, ხადის თემის სხვა სოფლებში, პირველ რიგში კი, სოფელ არახვეთში, განსახლება მხოლოდ 1690-იანი წლებიდან დაიწყო: „ხევსურეთიდან დაიწყო ბურდულების გვარის განსახლება მთელ საქართველოში. ერთი შტო ბურდულებისა, უკანა ფშავში გადასახლდა, ჭიხოს თემში. მეორე შტო მთიულეთში დამკვიდრდა, ხადას თემში... მთიული ბურდულების კომოპებია, ს. ქვემო მღეთაში: პოვლიანი, შიუკიანი, ჭაბუკიანი, ხოსრიანი, ვარდანიანი, ჭიჭოლიანი, ვაჟიკიანი, თადუღიანი, ლეგიანი, აფთიანი, მჭედლიანი, ბე-

¹ ზ. თვალჭრელიძე, ზ. სხირტლაძე, ლითონის ახლადგამოვლენილი ნივთები გარეჯის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრიდან, *კავკასიის მაცნე*, №9 (თბილისი, 2004), გვ. 87-88, 90.

² ალ. ნაზღაიძე, *ბურდულები* (თბილისი, 1994), გვ. 3-4. შტო: ს. მაკალათია, *მთიულეთი* (ტფილისი, 1930), გვ. 78, 80.

ჟანიანი, ქურთავლიანი, როდომიანი, ზალაანი, კოკოლიანი, ბურდულიანი და ხუციანი. ს. არახვეთში: ემანიანი, ჩიტიანი, ნადირიანი, პაპიანი, ელოზიანი, ჯეჯიანი, ხახიანი, ბედნიანი, ბეჟანიანი, გივიანი, ლახარიანი, მგელიანი და მოხელიანი... 1690-იანი წლები. ზურაბ ერისთვის შვილი ბურდულ პატარას უწყალობებს ნადირ ბუქურის მამულს. იმავე წლებში, მეორე სიგელით, თეიმურაზ არაგვის ერისთავი უმტკიცებს ესტატე და ხოსიტა ბურდულს, უკვე ნაწყალობე ნადირ ბუქურის მამულს... როგორც ჩანს ამ სიგელებში საუბარი ეხება მთიულეთში, სოფელ არახვეთში, ბურდულების მიერ ბუქურების ადგილ-მამულის დაკავების ფაქტს. ეთნოგრაფიული მონაცემებით ცნობილია, რომ არახვეთელი ბურდულების წინაპარი, მღეთიდან გამოსული, სწორედ ბუქურების მამულში დასახლებულა და დამხვედურებზე მეტად გამრავლებულა. ამ ფაქტს უკავშირდება მთიულეთში გავრცელებული გამოთქმა: „გაიწი ბუქურო, მოვიდა ბურდული“¹.

მაშასადამე, ირკვევა, რომ ქსენეფორე ბურდული საკმაოდ იშვიათ სახელს ატარებდა, ბურდულთა საგვარეულოს მთიულეთის განშტოებას ეკუთვნოდა და კუთხური წარმომავლობით, მთიულეთის მხარის ხადის თემის სოფელ მღეთიდან იყო.

3. ქსენეფორე ბურდულის სასულიერო ფენისადმი კუთვნილება და მისი სამოღვაწეო საგანგ.

ქსენეფორე ბურდულთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კურთხევანის №2 ანდერძი, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ქსენეფორემ ხელნაწერი პირადი მოხმარებისათვის გადააწერინა: „მოვიგენ და დავაწერინენ წმიდანი ესე კურთხევანი მე, ბურდულმან... ქსენეფორე საჭმრად ხემდა...“.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ვფიქრობ, ლოგიკურად დაისმის კითხვა – რაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ქსენეფორე ბურდულმა პირადი მოხმარებისათვის გადააწერინა კურთხევანი, რომელიც ლიტურგიკული ჟანრის კრებულს წარმოადგენდა და არა საერო საზოგადოების, არამედ ქრისტიანული ეკლესიის ღმრთისმსახურთათვის იყო განკუთვნილი?

ჩემი დაკვირვებით, დასმულ კითხვას ერთადერთი პასუხი შეიძლება ჰქონდეს: როგორც ჩანს, ქსენეფორე ბურდული სასულიერო პირი იყო და კურთხევანიც სწორედ საკუთარი საეკლესიო საქმიანობისათვის სჭირდებოდა.

აღნიშნული დასკვნის მართებულობას ირიბად ადასტურებს კურთხევანის №1 მინაწერი, რომელიც ხელნაწერის ერთ-ერთი ფურცლის არშიაზე მისი გადაწერის დასრულებიდან მცირე ხნის შემდეგ, საგარაუდოდ, თავად ქსენეფორეს მიერაა შესრულებული. ეს კოლოფონი გვაუწყებს, რომ კურთხევანი მისი გადაწერის შემდგომაც ქსენეფორე ბურდულის ხელში იყო და ეს უკანასკნელი ამ საეკლესიო დანიშნულების წიგნს არამხოლოდ საკუთარი საჭიროებისამებრ იყენებდა, არამედ, სურვილის შემთხვევაში, მის არშიებზე სავედრებელი შინაარსის მინაწერებსაც ასრულებდა: „...ქსენეფორეს შეუნდვნენ ღმერთმან, ამენ“.

ამგვარად, დგინდება, რომ ქსენეფორე ბურდული სასულიერო პირი იყო და მან კურთხევანი საკუთარი საეკლესიო საქმიანობისათვის გადააწერინა.

მიღებული დასკვნის შემდეგ ქსენეფორე ბურდულთან დაკავშირებით, ლოგიკურად დაისმის ორი კითხვა: 1. რომელ საეკლესიო ხარისხსა თუ წოდებას ფლობდა ქსენეფორე კურთხევანის გადაწერის დროს? და 2. კონკრეტულად, რომელ ეკლესიასა თუ მონასტერში მოღვაწეობდა იგი?

აქ დასმული პირველი კითხვისათვის პასუხის გაცემა საკმაოდ იოლ ამოცანას წარმოადგენს. ქსენეფორე ბურდული კურთხევანის სამ ანდერძ-მინაწერშია ნახსენები და სამივე ამ კოლოფონში საეკლესიო ხარისხისა თუ წოდების გარეშე, მხოლოდ სახელით, გვარითა და მამისშვილობით არის მოხსენიებული, რაც, თავის მხრივ, მაფიქრებინებს, რომ ქსენეფორე ხელნაწერის გადაწერის დროს რაიმე საეკლესიო ხარისხსა თუ წოდებას არ ფლობდა და რიგითი მოწესე იყო: №2 ანდერძი. „მოვიგენ და დავაწერინენ წმიდანი ესე კურთხევანი მე, ბურდულმან, დეკანოზისა შვილმან ქსენეფორე...“; №3 ანდერძი. „სულსა ქსენეფორესსა... შეუნდვნენ ღმერთმან, ამენ“; და №1 მინაწერი. „...ქსენეფორეს შეუნდვნენ ღმერთმან, ამენ“.

რაც შეეხება მეორე კითხვას, მასთან დაკავშირებით, ძალზედ საინტერესო მითითებას გვაწვდის კურთხევანის №2 ანდერძის მოკლე, საღმრთისმეტყველო შინაარსის მქონე შესავალი ნაწილი: „სახელითა ღმრთისათა და შეწვენითა წმიდისა გიორგი ღომისისათა“: მე ზემოთ საგანგებოდ განვიხილე ციტირებული კოლოფონის ფრაგმენტი, ყურადღება მივაქციე იმ გარემოებას, რომ ამ ტექსტში შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნების ანდერძ-მინაწერებისათვის ტრაფარეტული ფორმულის – „ღმერთის“ ანუ ყოვლადწმიდა სამების მოხსენიების შემ-

¹ აღ. ნაზლაიძე, *ბურდულელები*, გვ. 3-4, 6-7.

დეგ ერთადერთი სიწმიდე – „ლომისის წმიდა გიორგი“ ანუ ლომისის მონასტერში დაბრძანებული წმ. გიორგის ხატია დასახელებული და დავასკეპენი, რომ განსახილველი ფრაგმენტის მიხედვით, ქსენეფორე ბურდულს განსაკუთრებული სიყვარული და სასოება ლომისის წმ. გიორგის ხატისადმი ჰქონდა.

ახლა ერთგვარად გავაგრძელებ ადნიშნულ მსჯელობას და დამატებით, გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ კურთხევანის №2 ანდერძის საღმრთისმეტყველო შინაარსის მქონე შესავალი ნაწილი, არამხოლოდ ქსენეფორე ბურდულის კუთხური წარმომავლობის, არამედ მისი სამოღვაწეო ეკლესიისა თუ მონასტრის შესახებაც გვაწვდის მნიშვნელოვან მითითებას: კოლოფონის განხილული ფრაგმენტი გვაუწყებს, რომ ქსენეფორე ბურდული ლომისის მონასტერში ანუ იმ სავანეში მოღვაწეობდა, რომელშიც ლომისის წმ. გიორგის ხატი იყო დაბრძანებული და შესაბამისად, განსაკუთრებული სიყვარული და სასოებაც სწორედ ამ ხატისადმი ჰქონდა.

ჩემი დაკვირვებით, ადნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რაიმე სხვა მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა, პრაქტიკულად, გამორიცხებულია: ყოველად წარმოუდგენელია, ქსენეფორე ბურდული რომელიმე სხვა სავანის, მაგალითად, ბოდორნის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მონასტრის ან კიდევ, გერგეტის ყოვლადწმიდა სამების მონასტრის მოწესე ყოფილიყო, კურთხევანის №2 ანდერძის საღმრთისმეტყველო შინაარსის მქონე შესავალ ნაწილში ამ მონასტრების უპირველესი სიწმინდეები – ბოდორნის ღმრთისმშობლისა თუ გერგეტის სამების ხატები საერთოდ არ მოეხსენიებინა და ნაცვალად ამისა, კოლოფონში რომელიმე სხვა სავანის, ამ შემთხვევაში, ლომისის მონასტრის უმთავრესი სიწმიდე – ლომისის წმ. გიორგის ხატი დაესახელებინა.

ქსენეფორე ბურდულის სამოღვაწეო ადგილთან დაკავშირებული საკითხებზე მსჯელობის ბოლოს ხაზგასმით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ ქსენეფორეს მიერ სამოღვაწეო სავანედ მაინცაღამაინც ლომისის მონასტრის შერჩევა შემთხვევითი მოვლენა არ იყო და მას ამგვარი არჩევანის გაკეთებისაკენ, სავარაუდოდ, ორი გარემოება უბიძგებდა: 1. ლომისის მონასტერი ქსენეფორე ბურდულის ოჯახის საცხოვრისის, ხადის თემის სოფელ მღეთის მახლობლად, მისგან სულ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა და სრულებით ცხადია, რომ ქსენეფორე ამ სავანეს სიყრმის ასაკიდანვე კარგად იცნობდა; და 2. ლომისის მონასტერი მთიული ბურდულების მთავარ საგვარეულო სალოცავს წარმოადგენდა (ამის შესახებ იხ. ქვემოთ) და შესაბამისად, ქსენეფორე ბურდულის მიერ სამოღვაწეოდ ამ სავანის შერჩევა, მისი საგვარეულო კუთვნილების გათვალისწინებით, სავსებით ლოგიკური და მოსალოდნელი იყო.

მაშასადამე, ირკვევა, რომ ქსენეფორე ბურდული სასულიერო პირი, უფრო ზუსტად კი, მონაზონი იყო, ლომისის წმ. გიორგის მონასტერში მოღვაწეობდა და 1410-იანი წლებისათვის რაიმე საეკლესიო ხარისხსა თუ წოდებას ჯერ კიდევ არ ფლობდა.

4. ქსენეფორე ბურდულის მამის ცხოვრება-მოღვაწეობის დრო, სასულიერო ფენისადმი კუთვნილება, საეკლესიო წოდება და სამოღვაწეო სავანე.

ქსენეფორე ბურდულთან დაკავშირებული საკითხების განხილვის შემდეგ აუცილებლად უნდა შევეხო კურთხევანის №2 ანდერძის იმ ფრაგმენტს, რომელშიც ქსენეფორე „დეკანოზის შვილად“ არის მოხსენიებული: „*მოვიგენ და დავაწერინენ წმიდანი ესე კურთხევანი მე, ბურდულმან, დეკანოზისა შვილმან ქსენეფორე*“.

როგორც ვხედავთ, კურთხევანის №2 ანდერძის ციტირებულ ფრაგმენტში ქსენეფორე ბურდულის მამის სახელი მითითებული არ არის. სამწუხაროდ, ქსენეფორეს მამის სახელის შესახებ რაიმე მითითებას ვერც კურთხევანის სხვა ანდერძ-მინაწერებში ვაწყდებით. მართალია, №1 მინაწერში, ქსენეფორე ბურდულთან ერთად, უფრო ზუსტად კი, ქსენეფორეზე წინ, მოხსენიებულია ვინმე მათე: „*მათეს და ქსენეფორეს შეუნდვნენ ღმერთმან, ამენ*“, მაგრამ ამ კოლოფონის ტექსტი არ იძლევა იმის შესაძლებლობას, გადაჭრით ვთქვათ, ვინ არის ეს მათე – ქსენეფორე ბურდულის მამა, ქსენეფორეს თანამოსაგრე რომელიმე მონაზონი თუ ვინმე სხვა პირი. შესაბამისად, ამ საკმარის საინტერესო საკითხს, ჯერჯერობით, ღიად ვტოვებ.

კურთხევანის №2 ანდერძში ქსენეფორე ბურდულის მამის ცხოვრება-მოღვაწეობის დროის შესახებ რაიმე პირდაპირი ცნობა თუ ირიბი მითითება მოტანილი არ არის. მიუხედავად ამისა, ადნიშნული საკითხის გარკვევა საკმაოდ იოლ ამოცანას წარმოადგენს. მე უკვე ვახვეწე ზემოთ, რომ ქსენეფორე ბურდული XIV საუკუნის IV მეოთხედსა და XV საუკუნის I ნახევარში მოღვაწეობდა. შესაბამისად, სავსებით ცხადია ისიც, რომ ქსენეფორე ბურდულის მამა, მისი ვაჟის ცხოვრება-მოღვაწეობის ქრონოლოგიის გათვალისწინებით, XIV საუკუნის II ნახევრისა და XV საუკუნის I მეოთხედის მოღვაწე იყო.

კურთხევანის №2 ანდერძში ქსენეფორე ბურდულის მამა დეკანოზად არის მოხსენიებული, რაც ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ იგი სასულიერო პირი იყო, მღვდლის

საეკლესიო ხარისხს ფლობდა და ერთ-ერთი მაღალი რანგის სასულიერო მოხელის – დეკანოზის წოდებას ატარებდა¹.

აღნიშნულის შემდეგ, ვფიქრობ, ბუნებრივად დაისმის კითხვა: კონკრეტულად, რომელი ეკლესიისა თუ მონასტრის დეკანოზი იყო ქსენეფორე ბურდულის მამა?

ჩემი დაკვირვებით, დასმულ კითხვაზე რაიმე არგუმენტირებული პასუხის გაცემისათვის ორი ძირითადი გარემოების გათვალისწინებაა საჭირო: 1. ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ კურთხევანის №2 ანდერძში სახელის გარეშე მოხსენიებული დეკანოზის ვაჟი ქსენეფორე ბურდული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის უპირველეს სასულიერო ცენტრში, ლომისის მონასტერში მოღვაწეობდა; და 2. სამეცნიერო ლიტერატურაში, წერილობით ძეგლებსა და ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით, მყარად არის დადგენილი, რომ ლომისის მონასტერი საუკუნეების მანძილზე მთიული ბურდულების მთავარ საგვარეულო სალოცავს წარმოადგენდა და ლომისის წმ. გიორგის ხატის დეკანოზის სახელოსაც, ტრადიციულად, მთიული ბურდულების გვარიდან გამოსული პირები ფლობდნენ².

აღნიშნული ორი გარემოების გათვალისწინებით, ვფიქრობ, არ შევცდები, თუკი დავასკენი, რომ კურთხევანის №2 ანდერძში სახელის გარეშე მოხსენიებული დეკანოზი, თავის ვაჟთან, ქსენეფორე ბურდულთან ერთად, ლომისის მონასტერში მოღვაწეობდა და მთიული ბურდულების გვარიდან გამოსული სხვა პირების მსგავსად, აგრეთვე, ლომისის მონასტრის „დეკანოზობას“ ფლობდა.

აქვე, ხაზგასმით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ XIV-XV საუკუნეებში მოღვაწე ქსენეფორე ბურდულის მამის „დეკანოზობა“ არსებითად განსხვავდებოდა მოგვიანო ხანაში მცხოვრები ბურდულების „დეკანოზობისაგან“: ქსენეფორე ბურდულის მამის მოღვაწეობის დროს ანუ XIV საუკუნის II ნახევარსა და XV საუკუნის დასაწყისში ლომისის სავანე მოქმედი მონასტერი იყო და შესაბამისად, მისი „დეკანოზობაც“ ცალსახად საეკლესიო წოდებას წარმოადგენდა. რაც შეეხება მოგვიანო ხანას, ამ დროს ლომისის სავანეში სამონასტრო ცხოვრება უკვე შეწყვეტილი იყო, სავანე ხალხურ ხატ-სალოცავად იყო ქცეული და ბურდულთა „დეკანოზობაც“ ხატის მსახურის წოდებად გვევლინებოდა³.

მაშასადამე, ირკვევა, რომ კურთხევანის მომგებლის ქსენეფორე ბურდულის მამა XIV საუკუნის II ნახევარსა და XV საუკუნის I მეოთხედში ცხოვრობდა, სასულიერო პირი იყო, მღვდლის საეკლესიო ხარისხს ფლობდა, ლომისის მონასტერში მოღვაწეობდა და ამ სავანის ერთ-ერთი მაღალი რანგის სასულიერო მოხელის – დეკანოზის წოდებას ატარებდა.

VII. კურთხევანის (Fr.216) ანდერძ-მინაწერები და ბურდულთა საბვარეულოს ისტორიის საკითხები

კურთხევანის ანდერძ-მინაწერების შესწავლა აჩვენებს, რომ ამ კოლოფონებს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადად, საქართველოსა და კონკრეტულად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის შუა საუკუნეების ისტორიის ზოგიერთი სადავო თუ ბუნდოვანი საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის. ქვემოთ ამ რიგის რამდენიმე საკითხს დაწვრილებით განვიხილავ. თავდაპირველად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და პატივდებულ გვართან, ზემოთ უკვე არაერთგზის ნახსენებ ბურდულთა საგვარეულოსთან დაკავშირებულ საკითხებს შევხებით.

ბურდულთა საგვარეულოს შესახებ ძალზედ საინტერესო ცნობებია დაცული ხალხურ ზეპირგადმოცემებში, რომლებმაც ჩვენამდე როგორც თქმულებების, ისე ლექსების სახით მოაღწიეს. ამ ზეპირგადმოცემებს შორის არის ერთი თქმულება, რომელიც შემდეგ ამბავს მოგვითხრობს: საქართველოს „თათრები“ შემოესივნენ და მთიულეთის მთელი ახალგაზრდობა „ახათ-ხაზანის ომში“ გაიწვიეს⁴. ამ „ომში“, სხვა მთიულების მსგავსად, გარსევან ბურდულის ექვსი

¹ „დეკანოზი (ბერძ. პროტოპრესვიტერი)... მთავარი მღვდელი ეკლესიაში, ეკლესიარქი. დიდ ეკლესიებში დეკანოზს ზოგჯერ ცალკე სამრევლო – „სადეკანოზო“ ებარა. ქართულ მონასტრებში – მღვდელმონაზონთა და მგალობელთა უფროსი, მეორე პირი მონასტრის წინამძღვრის შემდეგ და მისი თანაშემწე ღვთისმსახურების დროს“ (დეკანოზი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტორ-შემდგენელი: ე. გაბიაშვილი (ხელმძღვანელი), მ. მამაცაშვილი, ა. ღამბაშიძე (თბილისი, 2007), გვ. 249-250).

² ს. მაკალათია, *მთიულეთი*, გვ. 174; ალ. ნაზლაძე, *ბურდულები*, გვ. 5, 13.

³ „აღმოსავლეთ საქართველოს მთაში „დეკანოზი“ ეწოდება ხატის მსახურს, რომელიც სახატო რიტუალს (დროშებისა და ხატების გამოსვენების, დალოცვასა და მსხვერპლის შეწირვის წესს) ასრულებდა და ხატის ქონებას განაგებდა“ (დეკანოზი, გვ. 250).

⁴ მართალია, თქმულებაში „ახათხაზანის ომის“ ზუსტი დრო მითითებული არ არის, მაგრამ, ვფიქრობ, სრულებით ცხადია, რომ აქ იგულისხმება კახეთის მეფე ერეკლე II-სა (1744-1764 წწ.) და ირანის შაჰის ტახტის მადიებელ

ვაჟიც წავიდა. დაახლოებით, იმავე დროს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დვალ-ოსები შემოიჭრნენ¹. მათ წინააღმდეგ სასწრაფოდ დაიძრა შინ დარჩენილ მთიულთა მცირერიცხოვანი რაზმი, რომლის ერთ-ერთი მეთაური აზატ-ხანის წინააღმდეგ წასული ექვსი ძმის მამა, გარსევან ბურდული იყო. მთიულებსა და დვალ-ოსებს შორის სისხლისმღვრელი ბრძოლა დარიალთან გაიმართა. ამ ბრძოლის დროს გარსევან ბურდულმა და სხვა მთიულებმა საარაკო გმირობა გამოიჩინეს, თუმცა მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგის დამარცხება ვერ შეძლეს და თითქმის ყველანი ბრძოლის ველზე დაიხოცნენ. გამარჯვებულმა დვალ-ოსებმა ბრძოლაში დატყვევებული ორი მთიული შინ გაგზავნეს და მათი პირით, მთიულებს შეურაცხყოფელი პირობა შეუთვალეს: დვალ-ოსები მთიულეთში გაგზავნიდნენ თორმეტ კაცს, რომლებსაც მთიულები ლომა-ხარს დაუკლავდნენ, ჯიხვით ღვინოს მიართმევდნენ და ბოლოს, დროის გასატარებლად, საკუთარ ქალებსაც მიჰგვრიდნენ. მცირე ხნის შემდეგ თორმეტი დვალ-ოსი მღვთაში ჩავიდა და გარსევან ბურდულის სახლს მიაღწა. ამ დროისათვის გარსევანის ექვსივე ვაჟი შინ იყო დაბრუნებული. მათ დვალ-ოსებს ლომა-ხარი დაუკლეს და ჯიხვით ღვინო მიართვეს, ხოლო როცა მომხდურებმა ძმებს მათი დის მოყვანა მოსთხოვეს, დამალული ხმლები მოიმარჯვეს და თორმეტივეს თავები დააყრვეინეს. როცა დვალ-ოსებმა მომხდარის შესახებ შეიტყვეს, შვიდიათასიანი ჯარი შეკრიბეს და ცნობილი მოლაშქრის საღმისი სარდლობით, მთიულეთში შეიჭრნენ. გადამწყვეტი ბრძოლა სოფელ სეთურებთან გაიმართა, სადაც მთიულებმა მარგილჩასობილი და ტოტებით შენიღბული ორმოები წინასწარ მოამზადეს. საბრძოლო ხერხმა გაჭრა, ცხენოსანი დვალ-ოსების ერთი ნაწილი ორმოებში ჩაცვივდა და მარგილებზე წამოეგო, მეორე ნაწილი კი, მათ შორის, საღმიც, ექვსმა ძმა ბურდულმა და სხვა მთიულებმა დაუნდობლად გაჟლიტეს. სიკვდილს გადაურჩა მხოლოდ ასი დვალ-ოსი, რომლებმაც გაქცევით უშველეს თავს. ამ ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისათვის მთიულებმა ბურდულები ჯეროვნად დაასაჩუქრეს და „ჯილდოდ“ უბოძეს: 1. ხადის თემის თავკაცობა („წინამძღოლობა თემისა“); 2. ლომისის საყდარი („დიდი ლომისის ტაძარი, გასაღებლები კარისა“); 3. „ქალი უთხოვარი“ („რომელიც მოეწონება, ცოლად წაყვანა ქალისა“); და 4. „სუფრა უწევარი“².

განხილული თქმულების გარდა, არსებობს სხვა თქმულებაც, რომელიც ბურდულთა საგვარეულოს შესახებ კიდევ ერთ საინტერესო ამბავს მოგვითხრობს. ამ თქმულების მიხედვით, „მთიულეთის ერისთობის“ მოსურნე ჯიმშერმა დიდძალი ჯარი შეკრიბა და ხევისაკენ „ყალანის“ ასაკრფად გაემართა³. მთიულები მიხვდნენ, რომ ჯიმშერის მთავარ მიზანს მთიულეთ-ხევის დამორჩილება წარმოადგენდა და შეშფოთებულები სოფელ მღვთაში, ლომისის წმ. გიორგის ხატთან შეიკრიბნენ. აქ მთიულებმა ჯიმშერის მოკვლის გადაწყვეტილება მიიღეს და იმ კაცს, ვინც ჯიმშერის მოკვლას თავს იღებდა, ყოველ წელს „ლომისის ჯვრით დამწყალობნება“ აღუთქვეს. საბოლოოდ, ეს საქმე იკისრა ხუცა ბურდულმა, რომელიც სოფელ მღვთასთან ჩასაფრდა და ჯიმშერი მოულოდნელად მოკლა. მეთაურის გარეშე დარჩენილი ჯიმშერის ლაშქარი უკან გაბრუნდა და მთიულეთს გაეცალა. მადლიერმა მთიულებმა ხუცა ბურდულს, პირობისამებრ, ყოველ წელს „ლომისის ჯვრით დამწყალობნება“ განუწესეს⁴.

ხალხური ზეპირგადმოცემების გარდა, ბურდულთა საგვარეულოს შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული წერილობით ძეგლებშიც, რომელთა უდიდესი ნაწილი XVII საუკუნის მიწურულითა და XVIII-XIX საუკუნეებით თარიღდება⁵.

რაც შეეხება უფრო ადრეული პერიოდის ანუ XVII საუკუნის მიწურულის წინარე ხანების იმ წერილობით ძეგლებს, რომლებშიც ბურდულთა გვარის შესახებ რაიმე ცნობებია

აედანვე სარდალს აზატ-ხანს შორის ქალაქ ერევნის მიდამოებში, სოფელ ყირხბულადთან გამართული ბრძოლა, რომელსაც 1751 წელს ჰქონდა ადგილი.

¹ თქმულება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემოჭრილ მტერს ხან „დვალეზად“ მოიხსენიებს, ხან კიდევ „ოსებს“ უწოდებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მათ აღსანიშნავად წინამდებარე ნაშრომში პირობით ტერმინს „დვალ-ოსებს“ გამოვიყენებ.

² ლ. კაიშაური, *მთიულური ტექსტები*, გვ. 114-119. შტრ.: *ქართველ მთიულთა ზეპირსიტყვიერება, მთიულეთ-გუდამაყარი*, ტექსტების მომზადება, რედაქცია, გამოკვლევა და შენიშვნები ელ. ვირსალაძისა (თბილისი, 1958), გვ. 301-305. ცნობილია ამ თქმულების კიდევ ერთი, საკმაოდ განსხვავებული ვერსიაც (ლ. კაიშაური, *მთიულური ტექსტები*, გვ. 119-120).

³ აქ ცხადია, იგულისხმება ცნობილი ისტორიული პირი ჯიმშერ ჩოლოყაშვილი, რომელიც 1743 წლიდან არაგვის საერისთავოს გამგებლად იყო დანიშნული.

⁴ ს. მაკალათია, *მთიულეთი*, გვ. 29-30. მართალია, ამ თქმულებაში ხუცა ბურდულის მიერ ჯიმშერის მოკვლის დრო მითითებული არ არის, მაგრამ ქართული წერილობითი ძეგლებიდან კარგად არის ცნობილი, რომ ჯიმშერ ჩოლოყაშვილის მოკვლის ფაქტს 1756 წელს ჰქონდა ადგილი. დასასრულ, აღნიშნავ იმასაც, რომ არსებობს ამ თქმულების მეორე, საკმაოდ განსხვავებული ვერსიაც (ლ. კაიშაური, *მთიულური ტექსტები*, გვ. 70-71).

⁵ ს. მაკალათია, *მთიულეთი*, გვ. 35-37; *პირთა ანოტირებული ლექსიკონი*, XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, I, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ელ. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა (თბილისი, 1991), გვ. 569; ალ. ნაზლაძე, *ბურდულები*, გვ. 6-12.

დაცული, მათი რაოდენობა საკმაოდ მცირეა და სულ ოთხ ერთეულს აღწევს. ეს წერილობითი ძეგლებია:

1. სოფელ ქვემო მღეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დაბრძანებული ვერცხლის დიდი საწინამძღვრო ჯვრის ზურგზე, მის მარცხენა და ქვედა მკლავებზე ამოჭედილი ორნაწილიანი ასომთავრული წარწერა, რომელიც, ჩემი დაკვირვებით, XV-XVI საუკუნეებით თარიღდება: „დიდქებქაჲ წმიდაქსაჲ გიორგი ლომიქსა მთორმოწქამესა. // დიდი მოიჭირქვა ვქარდქან, შქუნდვენენ ღმერთმან ბ(უ)რდულსა“¹.

2. XV საუკუნის დასაწყისში შედგენილი გერგეტის ყოვლადწმიდა სამების მონასტრის სულთა მატეანის, იგივე გერგეტის სულთა მატეანის 8r-ს I-V სტრიქონებზე შავი ფერის მელნით დაწერილი ნუსხური სავედრებელი, რომელიც ქრისტიანე შარაშიძის დაკვირვებით, XV-XVI საუკუნეებს მიეკუთვნება: „სქულსა მიდელაურისა ყარაბულასასაჲ | შქუნდვენენ ღმერთმან. მისქსა მეულღესა შუენიერს შქუნდვენენ ღმერთმან. | სქულსა ბურდულისა მიქიასასაჲ | შქუნდვენენ ღმერთმან. მისქსა მეულღესა ჯარმელიქს შქუნდვენენ ღმერთმან, ო(უფალო), ღმერთო“².

3. გერგეტის სულთა მატეანის 16r-ს I-V სტრიქონებზე დაწერილი ნუსხური სავედრებელი, რომელიც, ჩემი დაკვირვებით, იმავე ხელითა და მელნით არის შესრულებული, რომლითაც 8r-ს I-V სტრიქონებზე წარმოდგენილი, ზემოთ ციტირებული სავედრებელია დაწერილი და შესაბამისად, იმავე დროით ანუ XV-XVI საუკუნეებით თარიღდება: „სქულსა ბურდულისა ფქაროდისასაჲ შქუნდვენენ ღმერთმან, ა(მენ). | მისქსა მეულღესა ნუსხარიგულ-ყოფილსა ნინოს შქუნდვენენ ღმერთმან, ა(მენ), ო(უფალო). მქათსა შვილსა შაბურქსქაჲ, | სქულითა საწყალობელსა, ფაშქვიდისა, შქუნდვენენ ღმერთმან. მისქსა მეულღესა შქუნდვენენ ღმერთმან. ორთავე ა(მენ), ო(უფალო) ღმერთო“³.

4. სოფელ ქვემო მღეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დაბრძანებული ვერცხლის მცირე საწინამძღვრო ჯვრის ზურგზე, მის ზედა, ქვედა და მარცხენა მკლავებზე მწიგნობრობაში გაუწაფავი პირის მიერ ამოჭედილი ნუსხური წარწერა, რომელიც, ჩემი დაკვირვებით, XVI-XVII საუკუნეებს მიეკუთვნება: „ქ. სქახელითქა ღმერთისქადქათქა, ესე | სქატი ჩქუნენ შვექაქქ-ქმქნევინეთ, ბურდულმქაჲ მ(?)ქაქსქარებელმქაჲ, ს(?)უხიაქმ, | ჭრელქამ (?), | ნუგ ზქარ | ერის-თქვის ქქამშვიგანქ | გქატეხილიქ ლომის მთქავქარმოწქამე. | ქმე, ლომმ<ი>ქაჲ, | ჩემის სიქმრთქელის | გულისთქვს, | ჩქემის ქაქლქაქლის | [სქქაქონლ(?)<ს>ქით] // მქოქვქედქ ესე | სქატი. წმიდაქო | გიორგი, | შეიწყქაქლე (?) | ა(?)მქათნ(?)ქი მქომქავქაქლნქი, მქაქუდქართქაჲ | შქუნდვენენ ღმერთმან“⁴.

როგორც ვხედავთ, ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ძეგლები ბურდულთა საგვარეულოს XVII საუკუნის მიწურულის წინარე ხანების ისტორიის შესახებ საკმაოდ მწირ ცნობებს გვაწვდის. ამ ხარვეზს მეტნაკლებად ავსებს კურთხევანის ანდერძ-მინაწერები, უფრო ზუსტად კი, მისი №2 და №3 ანდერძები, აგრეთვე, №1 მინაწერი, რომლებიც, რაოდენობრივი თვალსაზრისით, საგრძნობლად ამდიდრებს ბურდულების გვარის ისტორიის შესწავლისათვის საჭირო წყაროთმცოდნეობით ბაზას: ეს კოლოფონები ბურდულთა საგვარეულოსთან დაკავშირებული XVII საუკუნის მიწურულის წინარე ხანების დღეისათვის ცნობილი წერილობითი ძეგლების რიცხვს სამი ერთეულით ზრდის, რის შემდეგაც ამ ძეგლების საერთო რაოდენობა შვიდ ერთეულს აღწევს. მოვიტან ამ შვიდივე წერილობითი ძეგლის საერთო ჩამონათვალს:

¹ შდრ.: თ. ხოსროშვილი, ლომისის საგანძური, საქართველოს სიძველენი, 15, საიუბილეო კრებული, ეძღვნება მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის დაბადებიდან 80 წლისთავს (თბილისი, 2012), გვ. 402-403. თავდაპირველად ვფიქრობდი, რომ საწინამძღვრო ჯვრის ზურგზე წარმოდგენილი წარწერის ორი ნაწილი სხვადასხვა ხელით და სხვადასხვა დროს იყო შესრულებული (იქვე), თუმცა მოგვიანებით, წარწერის დეტალური ანალიზის შედეგად, იმ დასკვნამდე მივედი, რომ წარწერის ორივე ნაწილი, როგორც პალეოგრაფიული, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით, ერთი და იმავე ხელით არის ამოჭედილი.

² კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, A კოლექცია, ხელნაწერი №1085, 8r. შდრ.: ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები..., გვ. 273.

³ კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, A კოლექცია, ხელნაწერი №1085, 16r. შდრ.: ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები..., გვ. 285. აქვე, დამატებით, აღვნიშნავ, რომ ჩემი დაკვირვებით, გერგეტის სულთა მატეანის ციტირებული ორივე საოჯახო სავედრებელი მეორე სავედრებელის ტექსტში „სულით საწყალობლად“ და „ფაშვიდად“ მოხსენიებული შაბურ ბურდულის მიერ უნდა იყოს დაწერილი.

⁴ შდრ.: ო. სანებლიძე, სოფელ მღეთში დაცული ლომისას საგანძური, ძეგლის მეგობარი, კრებული მეცხრამეტე (თბილისი, 1969), გვ. 27-28; ალ. ნაზლაიძე, ბურდულები, გვ. 6.

1. ქვემო მღეთის წმ. გიორგის ეკლესიის დიდი საწინამძღვრო ჯვრის XV-XVI საუკუნეების წარწერა, რომელიც ჯვრის შექმნისა თუ განახლების ინიციატორის ვარდან ბურდულის სავედრებელს წარმოადგენს.

2. გერგეტის სულთა მატიანის XV-XVI საუკუნეების I სავედრებელი, რომელშიც მიქია ბურდული და მისი თანამეცხედრე ჯარმელიქი, აგრეთვე, ვინმე ყარაბულა მიდელაური და მისი მეუღლე მშვენიერი არიან მოხსენიებული.

3. გერგეტის სულთა მატიანის XV-XVI საუკუნეების II სავედრებელი რომელშიც ფაროდი ბურდული, მისი თანამეცხედრე, ნინოს სახელით შემონაზვნებული ნუსსარიგული, მათი ვაჟი, გერგეტის სულთა მატიანის I და II სავედრებლების დამწერი შაბურ ბურდული და მისი მეუღლე არიან მოხსენიებული.

4. ქვემო მღეთის წმ. გიორგის ეკლესიის მცირე საწინამძღვრო ჯვრის XVI-XVII საუკუნეების წარწერა, რომელშიც ჯვრის შექმნის ინიციატორები – მახარებელ (?), სუხია (?) და ჭრელა (?) ბურდულები, აგრეთვე, ჯვრის მომჭედი ვინმე ლომა არიან მოხსენიებული.

5. კურთხევანის 1410-იანი წლების №2 ანდერძი, რომელიც ხელნაწერის მომგებლის, დეკანოზის შვილი ქსენეფორე ბურდულის სახელით არის შედგენილი.

6. კურთხევანის 1410-იანი წლების №3 ანდერძი, რომელიც ხელნაწერის მომგებლის ქსენეფორე ბურდულისა და მისი დედ-მამის სავედრებელს წარმოადგენს.

7. კურთხევანის 1410-იანი წლების შემდგომი ახლოსანების №1 მინაწერი, რომელიც, სავარაუდოდ, ხელნაწერის მომგებლისა და მფლობელის ქსენეფორე ბურდულის მიერ არის დაწერილი და რომელიც, თავად ქსენეფორესა და ვინმე მათეს სავედრებელს წარმოადგენს.

აქვე, საზგასმით, აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ კურთხევანის ანდერძ-მინაწერები ბურდულთა საგვარეულოს ისტორიის წყაროთმცოდნეობით ბაზას მხოლოდ რაოდენობრივი თვალსაზრით კი არ ამდიდრებს, არამედ ამ ბაზას ქრონოლოგიური კუთხითაც მნიშვნელოვნად აფართოებს: კურთხევანის 1410-იანი წლების №2 და №3 ანდერძები, აგრეთვე, 1410-იანი წლების შემდგომ ახლოსანებში შესრულებული №1 მინაწერი, ერთი მხრივ, წარმოადგენს დღეისათვის ცნობილ ყველაზე ადრეული პერიოდის წერილობით ძეგლებს, რომლებიც ბურდულების გვართან არის დაკავშირებული, ხოლო, მეორე მხრივ, გვევლინება წერილობითი ძეგლების იმ ერთადერთ ჯგუფად, რომელიც ბურდულთა საგვარეულოს XV საუკუნის წინარე ხანების ისტორიის შესახებ რაიმე მითითებას გვაწვდის.

კურთხევანის ანდერძ-მინაწერების შესწავლა აჩვენებს, რომ ამ კოლოფონებს უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს ბურდულთა საგვარეულოს ისტორიის რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრისათვის, რომელთაგანაც წინამდებარე ნაშრომში მხოლოდ ორ კონკრეტულ საკითხს გამოვყოფ.

1. ბურდულთა საგვარეულოს მთიულეთში დამკვიდრების დრო.

როგორც უკვე აღვნიშნე ზემოთ, დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში, ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით, არგუმენტირებულად არის დადგენილი, რომ ბურდულთა საგვარეულო თავდაპირველად ხევსურეთში, უფრო ზუსტად კი, ხევსურეთის ხუთ სოფელში – დელისვაკეში, დელეში, ქმოსტში, ილღიასა და საბერწეში ცხოვრობდა. მოგვიანებით ბურდულების გვარის ერთ-ერთი შტო უკანა ფშავის ჭიხოს თემში გადასახლდა, მეორე შტო კი მთიულეთში გადავიდა და ხადის თემის სოფელ მღეთაში დამკვიდრდა¹. სამწუხაროდ, იმავე სამეცნიერო ლიტერატურაში, პრაქტიკულად, არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ, სახელდობრ, როდის, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რომელ პერიოდში დამკვიდრდა ბურდულთა საგვარეულო მთიულეთში. ქვემოთ, შევეცდები, შეძლებისდაგვარად არგუმენტირებულად გვარკვიო ეს ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხი.

საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ ბურდულთა საგვარეულოს მთიულეთში დამკვიდრების დროის შესახებ ჩვენამდე მოღწეულ წერილობით ძეგლებსა და ხალხურ ზეპირგადმოცემებში საკმაოდ საინტერესო ცნობებია დაცული. მოვიტან ამ ცნობებს:

ა) სოფელ ქვემო მღეთის წმ. გიორგის ეკლესიის დიდი და მცირე საწინამძღვრო ჯვრების XV-XVI და XVI-XVII საუკუნეების წარწერებში აღნიშნულია, რომ ეს ჯვრები, რომელთაგან პირველი ჯვარი ლომისის „მთორმოწამე წმიდა გიორგის“ სახელობისა იყო, ხოლო მეორე ჯვარი ლომისის „მთავარმოწამის ხატს“ წარმოადგენდა, ვარდან, მახარებელ (?), სუხია (?), ჭრელა (?) და ლომა (?) ბურდულებმა „მოიჭირვეს“, „შეაქმნვეინეს“ და „მოჭედეს“: 1. დიდი საწინამძღვრო ჯვრის XV-XVI საუკუნეების წარწერა – „დიდებაა წმიდასა გიორგი ლომისა მთორმოწამესა. დიდი მოიჭირვა ვარდან, შეუნდვნენ ღმერთმან ბურდულსა“; და 2. მცირე

¹ აღ. ნაზლაიძე, *ბურდულები*, გვ. 3-4. შდრ.: ს. მაკალათია, *მთიულეთი*, გვ. 78, 80.

საწინამძღვრო ჯვრის XVI-XVII საუკუნეების წარწერა: „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა, ესე ხატი ჩუენ შევაქმნევინეთ, ბურდულმა მახარებელმა (?), სუხიამ (?), ჭრელამ (?), ნუგ ზარ ერისთვის ეამშიგან გატეხილი ლომის მთავარმოწამე. {მე}, ლომმა, ჩემის სიმრთელის გულისთვის, ჩემის ალაღის საქონლით მოგვკდე ესე ხატი. წმიდაო გიორგი, შეიწყალე (?) ამათნი მომავალნი, მკუდართა შეუნდვნენ ღმერთმან“.

ბ) გერგეტის სულთა მატეანის XV-XVI საუკუნეების I სავედრებელში მიქია ბურდულისა და მისი თანამეცხედრის ჯარმელიქის გვერდით, მოხსენიებულია ყარაბუღა მიდელაური, რომელიც, მისი გვარის ისტორიისა თუ განსახლების გეოგრაფიის გათვალისწინებით, მთიულეთის მკვიდრი იყო და მეუღლესთან, სავედრებელში ნახსენებ შუენიერთან ერთად, ხადის თემში, ქორდოს სახელოვანი ტაძრის მახლობლად მდებარე სოფელ მიდელაურებში ცხოვრობდა: „სულსა მიდელაურისა ყარაბუღასასა შეუნდვნენ ღმერთმან. მისსა მეუღლესა შუენიერს შეუნდვნენ ღმერთმან. სულსა ბურდულისა მიქიასასა შეუნდვნენ ღმერთმან. მისსა მეუღლესა ჯარმელიქს შეუნდვნენ ღმერთმან, ოჯახლო, ღმერთო“.

გ) ბურდულთა საგვარეულოსთან დაკავშირებული, ზემოთ მოტანილი პირველი ზეპირგადმოცემა მოგვითხრობს, რომ „აზათხაზანის ომის“ უამს ანუ 1751 წელს მეფე ერეკლე II-სა და აზატ-ხანს შორის გამართული ყირხბულაღის ბრძოლის დროს გარსევან ბურდული, მისი ექვსი ვაჟი და ასული, მთიულეთში, სოფელ მღეთაში ცხოვრობდნენ, ხოლო მეორე ზეპირგადმოცემა გვაუწყებს, რომ არაგვის ხეობის გამგებლის ჯიმშერ ჩოლოყაშვილის მოკვლის პერიოდში ანუ 1756 წელს ჯიმშერის მკვლელი ხუცა ბურდული, გარსევან ბურდულის ოჯახის მსგავსად, აგრეთვე, მთიულეთის მკვიდრი იყო და დიდი ალბათობით, მღეთაში ანუ იმ სოფელში ცხოვრობდა, სადაც იგი ჯიმშერ ჩოლოყაშვილს ჩაუსაფრდა.

როგორც ვხედავთ, განხილული წერილობითი ძეგლები და ხალხური ზეპირგადმოცემები ბურდულთა საგვარეულოს მთიულეთში დასახლების დროს შესახებ მართლაც საინტერესო ცნობებს გვაწვდის. კერძოდ, ამ ძეგლებიდან და ზეპირგადმოცემებიდან ირკვევა, რომ მათ ტექსტებში მოთხრობილი ამბების დროს ანუ XV-XVIII საუკუნეებში ხევსურეთიდან გადმოსული ბურდულების გვარის ერთ-ერთი შტო უკვე მთიულეთში იყო დამკვიდრებული: აღნიშნულ პერიოდში ბურდულთა საგვარეულოს სხვადასხვა წარმომადგენლები ხადის თემის სოფელ მღეთაში ცხოვრობდნენ, მათი საგვარეულო სალოცავის – ლომისის ტაძრის კუთვნილი ხატ-ჯვრების შექმნა-განახლების საქმეს დიდ ძალისხმევას ახმარდნენ და იმავე ხადის თემის სხვა სოფლებში მცხოვრებ გვარებთან ახლო მეზობლური თუ ნათესაური ურთიერთობები ჰქონდათ.

აღნიშნულ დასკვნას, ერთი მხრივ, მთლიანად ადასტურებს, ხოლო, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად აზუსტებს კურთხევანის ანდერძ-მინაწერების ტექსტები: ამ კოლოფონების ანალიზის შედეგად, ზემოთ უკვე გავარკვიე, რომ მათი შესრულების დროს ანუ 1410-იან წლებსა და 1410-იანი წლების შემდგომ ახლოხანებში ბურდულთა საგვარეულოს ორი თაობის ორი წარმომადგენელი – ქსენეფორე ბურდულის მამა და თავად ქსენეფორე ლომისის მონასტერში მოღვაწეობდა, მათი ოჯახი კი იქვე, სოფელ მღეთაში ცხოვრობდა. შესაბამისად, სრულებით ცხადია ისიც, რომ ბურდულების გვარის მთიულეთში დამკვიდრების ფაქტს არა XV-XVIII საუკუნეებში, არამედ გაცილებით უფრო ადრე, 1410-იანი წლების წინარე ხანებში, სულ გვიან, ქსენეფორე ბურდულის მამის ცხოვრება-მოღვაწეობის პირველ პერიოდში ანუ XIV საუკუნის II ნახევარში მაინც ჰქონდა ადგილი.

მაშასადამე, ირკვევა, რომ ბურდულთა საგვარეულო მთიულეთში 1410-იანი წლების წინარე ხანებში, ყველაზე გვიან, XIV საუკუნის II ნახევარში, იყო დამკვიდრებული.

2. ბურდულთა საგვარეულო და „ლომისის დეკანოზის“ სახელო.

დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში, ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით, დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ „ლომისის დეკანოზის“ ანუ ლომისის ხატის მთავარი მსახურის სახელოს, ტრადიციულად, ბურდულთა საგვარეულო, უფრო ზუსტად კი, ბურდულების გვარიდან გამოსული რომელიმე პირი ფლობდა¹. სამწუხაროდ, იმავე სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეული არ არის, თუ როდის და რატომ მიიღო ბურდულთა საგვარეულომ „ლომისის დეკანოზის“ სახელო.

აღნიშნულ ხარვეზს, ერთი შეხედვით, თითქოს მთლიანად აგსებს ბურდულთა საგვარეულოსთან დაკავშირებული ზემოთ მოტანილი პირველი თქმულება, რომელიც გვაუწყებს, რომ მთიულელებმა ლომისის საყდარი ანუ „დიდი ლომისის ტაძარი“ და მისი კარის „გასაღებლები“ „ჯილდოდ“ გადასცეს გარსევან ბურდულის ექვს ვაჟს, რომლებმაც მთიულეთი დვალ-ოსთა დაპყრობისა და ძალადობისაგან იხსნეს. თუ ამ თქმულებაში ისტორიული მოვლენები სწორად

¹ ს. მაკალათია, *მთიულეთი*, გვ. 174; ალ. ნაზლაძე, *ბურდულები*, გვ. 5; და სხვ.

არის გადმოცემული და იმავდროულად, მართებულია ჩემს მიერ ზემოთ გამოთქმული მოსაზრება, რომ ამ თქმულებაში მოხსენიებულ „აზათხაზანის ომში“ მეფე ერეკლე II-სა და აზატ-ხანს შორის 1751 წელს გამართული ყირხბუღადის ბრძოლა იგულისხმება, მაშინ გამოდის, რომ „აზათხაზანის ომიდან“ დაბრუნებული გარსევან ბურდულის ვაჟებისა და სხვა მთიულების მიერ სოფელ სეთურებთან დვალ-ოსთა ლაშქრის დამარცხების ამბავს 1751 წლის შემდგომ ახლოხანებში ანუ, დაახლოებით, 1750-იანი წლების I ნახევარში ჰქონდა ადგილი. შესაბამისად, ავტობიოგრაფიულად დგინდება ისიც, რომ გარსევან ბურდულის ვაჟებმა, მათი სახით კი, ბურდულთა მთელმა საგვარეულომ, ლომისის საყდრის მიმართ განსაკუთრებული უფლებები 1750-იანი წლების I ნახევარში მიიღო და ამ უფლებებთან ერთად, „ლომისის დეკანოზის“ ანუ ლომისის ხატის მთავარი მსახურის სახელოც მათ ხელში სწორედ ამ დროს აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი მსჯელობა და დასკვნა, ერთი შეხედვით, ლოგიკური და დამაჯერებელი ჩანს, არსებობს რამდენიმე წერილობითი ძეგლი, რომლებიც აჩვენებს, რომ არც ეს მსჯელობა და არც ეს დასკვნა მართებული არ არის.

აქ, პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს სოფელ ქვემო მღეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დაცული, ზემოთ უკვე არაერთგზის ნახსენები ორი საწინამძღვრო ჯვარი – ლომისის „მთორმოწამე წმიდა გიორგის“ სახელობის დიდი ჯვარი და ლომისის „მთავარმოწამის ხატის“ სახელით ცნობილი მცირე ჯვარი, რომელთა XV-XVI და XVI-XVII საუკუნეების წარწერებშიც პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ეს ჯვრები ბურდულთა საგვარეულოს წარმომადგენლების – ვარდან, მახარებელ (?), სუხია (?), ჭრელა (?) და ლომა (?) ბურდულების მიერ იყო „მოჭირვებული“, „შექმნილი“ და „მოჭედილი“: 1. დიდი საწინამძღვრო ჯვრის XV-XVI საუკუნეების წარწერა – „დიდება წმიდასა გიორგი ლომისა მთორმოწამესა. დიდი მოჭირვა ვარდან, შეუნდვნენ ღმერთმან ბურდულსა“; და 2. მცირე საწინამძღვრო ჯვრის XVI-XVII საუკუნეების წარწერა: „ქ. სახელითა ღმრთისაიათა, ესე ხატი ჩუენ შევაქმნევინეთ, ბურდულმა მახარებელმა (?), სუხიამ (?), ჭრელამ (?), ნუგზარ ერისთვის ჟამშივან გატეხილი ლომის მთავარმოწამე. {მე}, ლომმა, ჩემის სიმრთელის გულისთვს, ჩემის ალაღის საქონლით მოვჭედე ესე ხატი. წმიდაო გიორგი, შეიწყალე (?) ამათნი მომავალნი, მკუდართა შეუნდვნენ ღმერთმან“.

ჩემი დაკვირვებით, ის გარემოება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის უპირველესი სასულიერო ცენტრის – ლომისის მონასტრის კუთვნილი ჯვარ-ხატები არა არავისა თუ ქსნის ხეობებში მოსახლე ასეულობით სხვა რომელიმე გვარის, არამედ მაინცაღამაინც ბურდულთა საგვარეულოს წარმომადგენელთა „მოჭირვებით“ იყო „შექმნილი“ და „მოჭედილი“, ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ამ ჯვარ-ხატების წარწერების შესრულების დროს ანუ XV-XVIII საუკუნეებში ლომისის მონასტრის საეკლესიო თუ სამეურნეო ყოფა-ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს სწორედ ბურდულების გვარი თამაშობდა.

აღნიშნულ დაკვირვებას, ერთი მხრივ, მთლიანად ადასტურებს, ხოლო, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად აზუსტებს კურთხევანის №2 და №3 ანდერძები, აგრეთვე, №1 მინაწერი, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ზემოთ უკვე გავარკვიე, რომ XIV საუკუნის II ნახევარსა და XV საუკუნის I ნახევარში ბურდულთა საგვარეულოს ორი თაობის ორი წარმომადგენელი ლომისის მონასტერში მოღვაწეობდა, ხოლო ერთ-ერთი მათგანი, კურთხევანის მომგებლის ქსენეფორე ბურდულის მამა სულაც ამ სავანის მაღალი რანგის სასულიერო მოხელე იყო და ლომისის მონასტრის დეკანოზის საეკლესიო წოდებას ფლობდა.

ამგვარად, ვფიქრობ, არ შეეცდები, თუკი დავასკვნი, რომ ბურდულთა საგვარეულოს ლომისის მონასტერთან განსაკუთრებული კავშირ-ურთიერთობები 1750-იან წლებამდე, სულ მცირე, სამი-ოთხი საუკუნით ადრე მაინც ჰქონდა, ამ გვარის ცალკეული წარმომადგენლები კი ლომისის მონასტრის დეკანოზის საეკლესიო წოდებას ჯერ კიდევ XIV-XV საუკუნეებში ფლობდნენ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობ, ლოგიკურად დაისმის კითხვა: რა მიზეზი განაპირობებდა, ერთი მხრივ, იმ გარემოებას, რომ საუკუნეების განმავლობაში ლომისის მონასტერთან განსაკუთრებული კავშირ-ურთიერთობები მაინცაღამაინც ბურდულთა საგვარეულოს ჰქონდა, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ფაქტს, რომ ასწლეულების მანძილზე „ლომისის დეკანოზის“, როგორც საეკლესიო მოხელისა თუ ხატის მსახურის წოდებას, სწორედ ბურდულების გვარის წარმომადგენლები ატარებდნენ?

სამწუხაროდ, დასმული კითხვისათვის რაიმე კატეგორიული პასუხის გაცემა, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, ჯერჯერობით, არ შემძლია. თუმცა კი, გამოვთქვამ ვარაუდს, რომ იმ პერიოდში, როცა ლომისის მონასტერი ჯერ კიდევ მოქმედი საეკლესიო სავანე იყო, ბურდულები მისი ყმა-მსახურები ანუ ლომისის საყდრის შვილები იყვნენ და შესაბამისად, მათ ლომისის მონასტერთან ზუსტად ისეთივე განსაკუთრებული კავშირ-ურთიერთობები ჰქონდათ, როგორც განსაკუთრებული კავშირ-ურთიერთობებიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მეორე დიდ სასულიერო ცენტრს, გერგეტის მონასტერსა და მის ყმა-მსახურებს ანუ გერგეტის

საყდრის შვილებს შორის არსებობდა¹. სავარაუდოდ, სწორედ ამ მიზეზით იყო განპირობებული ის ფაქტიც, რომ იმ პერიოდში, როცა ლომისის საგანე ჯერ კიდევ მოქმედი მონასტერი იყო, მის საეკლესიო-ორგანიზაციულ იერარქიაში მაღალი რანგის სამოხელეო თანამდებობებს მისივე საყდრის შვილების წრიდან გამოსული პირები იკავებდნენ, როგორც ამას, მაგალითად, ქსენეფორე ბურდულის მამის მიერ ლომისის მონასტრის დეკანოზის საეკლესიო სახელოს მიღების შემთხვევაში ვხედავთ.

ჩემი ვარაუდით, ლომისის მონასტერსა და ბურდულთა საგვარეულოს შორის არსებული ძველი, საყდრის შვილობის პრინციპზე დაფუძნებული კავშირ-ურთიერთობები მნიშვნელოვნად შეიცვალა მოგვიანო ხანაში, უფრო ზუსტად კი, მას შემდეგ, რაც ლომისის საგანეში სამონასტრო ცხოვრება შეწყდა და ეს ძველი საეკლესიო ცენტრი ხალხურ ხატ-სალოცავად გადაიქცა. სავარაუდებელია, რომ ამ პერიოდში ბურდულთა საგვარეულომ, ერთი მხრივ, შეინარჩუნა ლომისის მონასტრის ძველი საყდრის შვილის სოციალური სტატუსი, რომელიც, გარკვეული ტრანსფორმაციის შემდეგ, „ლომისის ყმის“ სტატუსის სახით ჩამოყალიბდა, ხოლო, მეორე მხრივ, ლომისის მოშლილი მონასტრისა და მისი უმეურვეოდ დარჩენილი უძრავ-მოძრავი ქონებისა თუ საეკლესიო განძეულის, მათ შორის, ჯვარ-ხატების, მთავარ მცველად და გამგებლად გადაიქცა. როგორც ჩანს, სწორედ ამ პერიოდში დამკვიდრდა „ლომისის დეკანოზის“, როგორც ხატის მსახურის სახელო ბურდულთა საგვარეულოში და სავარაუდოდ, ამავე პერიოდში გაჩნდა ხალხური ტრადიცია, რომლის თანახმადაც „დიდი ლომისის ტაძრისა“ და მისი „კარის გასაღებლების“ ერთადერთი კანონიერი მფლობელი ბურდულების გვარი იყო.

მაშასადამე, ირკვევა, რომ ბურდულთა საგვარეულოს წარმომადგენლები „ლომისის დეკანოზის“ სახელოს, როგორც საეკლესიო თანამდებობას, ჯერ კიდევ კურთხევანის მოძგებლის ქსენეფორე ბურდულის მამის მოღვაწეობის დროს ანუ XIV საუკუნის II ნახევარსა და XV საუკუნის I მეოთხედში ფლობდნენ. ამასთან, ვვარაუდობ, რომ იმ პერიოდში, როცა ლომისის მონასტერი მოქმედი საეკლესიო საგანე იყო, ბურდულები მისი ყმა-მსახურები ანუ ლომისის საყდრის შვილები იყვნენ და მონასტრის საეკლესიო-ორგანიზაციულ იერარქიაშიც, ტრადიციულად, მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ. ჩემი ვარაუდით, მოგვიანო პერიოდში, როცა ლომისის მონასტერში საეკლესიო ცხოვრება მოიშალა, ბურდულების გვარი მისი უძრავ-მოძრავი ქონებისა და საეკლესიო განძეულის მთავარი მცველი თუ გამგებელი გახდა და შესაბამისად, „ლომისის დეკანოზის“, როგორც ხატის მსახურის სახელოც, სწორედ ბურდულების გვარში დამკვიდრდა.

VIII. კუროხევეანის (Fr.216) ანდერძების ცნობები ლარგვისისა და ლომისის მონასტრების სამწიგნობრო ურთიერთობების შესახებ

კურთხევანის №1, №2, №3 და №4 ანდერძები, აგრეთვე, მისი №1 მინაწერი საინტერესო ცნობებს გვაწვდის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის უპირველესი სასულიერო ცენტრების – ქსნის ხეობაში მდებარე ლარგვისისა და ქსან-არაგვის ხეობათა წყალგამყოფ ქედზე აღმართული ლომისის მონასტრების სამწიგნობრო ურთიერთობების შესახებ. აქ მხედველობაში მაქვს ხსენებულ ხუთ კოლოფონში მოთხრობილი ერთი კონკრეტული ამბავი: 1410-იან წლებში ლომისის მონასტრის დეკანოზის შვილმა ქსენეფორე ბურდულმა ლარგვისის მონასტრის დიაკონს გრიგოლ ბანდაისძეს ლიტურგიკული ხასიათის კრებულის – კურთხევანის გადაწერა დაუკვეთა. დიაკონმა გრიგოლ ბანდაისძემ დაკვეთა შეასრულა და ახლადგადაწერილი წიგნი ქსენეფორე ბურდულს გადასცა. კურთხევანი თავდაპირველად ანუ, დაახლოებით, XV საუკუნის I ნახევარში ქსენეფორე ბურდულთან ინახებოდა, მოგვიანებით კი, სავარაუდოდ, ქსენეფორე ბურდულის გარდაცვალების შემდეგ ანუ დაახლოებით, XV საუკუნის შუახანებში, როგორც ჩანს, მისი მფლობელის სამოღვაწეო საგანეს გადაეცა და ლომისის მონასტრის საკუთრება გახდა.

კურთხევანის ანდერძ-მინაწერებში მოთხრობილ ამ კონკრეტულ ამბავს სამეცნიერო თვალსაზრისით უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს: ეს არის დღეისათვის ცნობილი ერთადერთი ისტორიული ფაქტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ლარგვისისა და ლომისის მონასტრების სამწიგნობრო ურთიერთობების შესახებ რაიმე წარმოდგენა შევიქმნათ.

კურთხევანის ანდერძ-მინაწერებში დაცული ცნობები მხოლოდ ლარგვისისა და ლომისის მონასტრების სამწიგნობრო ურთიერთობების შესწავლისათვის არ არის მნიშვნელოვანი და ისინი ამ მონასტრების სამწიგნობრო ყოფის შესახებაც საყურადღებო მითითებებს გვაწვდის. მართლაც, ის ფაქტი, რომ 1410-იან წლებში ლომისის მონასტრის მოწესმ ქსენეფორე ბურ-

¹ გერგეტის საყდრის შვილების შესახებ იხ.: ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები..., გვ. 273; ე. ხოშტარია-ბროსე, „საყდრის შვილობის“ ინსტიტუტის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოს მთაში, *საქართველო და აღმოსავლეთი*, ეძღვნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის შ. მესხიას ხსოვნას (თბილისი, 1984), გვ. 147-150, 154-160; და სხვ.

დულმა მისთვის სასურველი ხელნაწერი წიგნის გადაწერა მაინცადამაინც ლარგვისის მონასტრის დიაკონს გრიგოლ ბანდაისძეს დაუკვეთა, მექანიკურად გვიბიძგებს იმ დასკვნისაკენ, რომ XV საუკუნის დასაწყისისათვის ლარგვისის მონასტერი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და დაწინაურებულ სამწიგნობრე ცენტრს წარმოადგენდა, ლომისის მონასტერში კი სამწიგნობრე საქმე, როგორც ჩანს, მაინცადამაინც განვითარებული არ იყო და ამ ნიშნით, ის ლარგვისის მონასტერს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა.

მაშასადამე, ირკვევა, რომ XV საუკუნის დასაწყისისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის უპირველეს სასულიერო ცენტრებს – ლარგვისისა და ლომისის მონასტრებს საკმაოდ ახლო ურთიერთობები ჰქონდათ და ამ სავანეებში მოღვაწე მოწესეები, საჭიროების შემთხვევაში, ერთმანეთს წიგნების გადაწერასაც უკვეთავდნენ.

IX. კურთხევისა (Fr.216) და ლომისის წმ. გიორგის მონასტრის 1480-1490-იანი წლების სვინაქსრის (H-1367) ანდერძების ურთიერთმიმართების საკითხი

მე ხემოთ, კურთხევანის ანდერძებზე საუბრისას, აღვნიშნე, რომ ხელნაწერს ბოლოში დართული აქვს ერთმანეთის მიყოლებით დაწერილი ოთხი ანდერძი:

№1. ხელნაწერის გადამწერის, დიაკონ გრიგოლ ბანდაისძის სახელით შედგენილი ანდერძი.

№2. კურთხევანის მომგებლის, დეკანოზის შვილი ქსენეფორე ბურდულის სახელით შედგენილი ანდერძი.

№3. ხელნაწერის მომგებლის, ქსენეფორე ბურდულისა და მისი ოჯახის წევრების (დედამამის) სავედრებელი ანდერძი.

№4. კურთხევანის გადამწერის, დიაკონ გრიგოლ ბანდაისძისა და მისი ოჯახის წევრთა (მშობლების) სავედრებელი ანდერძი.

გარდა ამისა, მე ხემოთ ხაზგასმით აღვნიშნე ისიც, რომ მაინცადამაინც ასეთი შინაარსის მქონე, მაინცადამაინც ამგვარი თანამიმდევრობით დალაგებული ოთხი ანდერძისაგან შემდგარი კოლოფონების სისტემა შუა საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში ძალზედ იშვიათად გვხვდება და უაღრესად საინტერესო მოვლენას წარმოადგენს.

კურთხევანისათვის დართული ოთხანდერძიანი კოლოფონების სისტემასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექციაში 1367-ე ნომრით დაცული ეტრატის სვინაქსარი (H-1367), რომლის აკადემიური აღწერილობაც H კოლექციის ხელნაწერთა „აღწერილობის“ 1948 წელს დაბეჭდილ III ტომშია გამოქვეყნებული¹.

სხენებული სვინაქსრით პირველად რამდენიმე წლის წინ დავინტერესდი და ხელნაწერი როგორც კოდიკოლოგიური, ისე ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კუთხით შევისწავლე. აღნიშნული კვლევის შედეგები ერთგვარად შევაჯამე მოხსენებაში „არაგვის უცნობი ერისთავის ვარამ II შაბურისძისა (1480-1490-იანი წწ.) და მისი თანამეცხედრის სევალოზ-ყოფილი სენაოზ ჭარმაულის ანდერძ-მოსახსენებლები ლომისის წმ. გიორგის მონასტრის სვინაქსარსა (H-1367) და „გერგეტის სულთა მატიანეში“ (A-1085)“, რომელიც 2013 წლის 30-31 მაისს გამართულ, რევაზ კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე „წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები“ წავიკითხე².

სვინაქსარს, რომელიც, ჩემი კვლევის თანახმად, უფრო ზუსტად კი, მის ანდერძებში მოხსენიებული არაგვის ერისთავის ვარამ II შაბურისძის მოღვაწეობის ქრონოლოგიის გათვალისწინებით, 1480-1490-იან წლებშია გადაწერილი, ბოლოში ერთმანეთის მიყოლებით დაწერილი ოთხი ანდერძი აქვს დართული. მოვიტან ამ ანდერძების ტექსტებს:

1. „სახელითა დ(მრ)თისაჲთა, მ(ა)მისა, ძის(ა)ჲთა / და ს(უ)ლისა წ(მიდ)ის(ა)თა, მეოხებითა ყ(ოვლა)დ(წ)მისა დედუფლისა ჩ(უენისა, დ(მრ)თისმ(შ)ობ(ე)ლისა, მ(არა)დის ქ(ალ)წ(უ)ლისა მ(ა)კრიაძისითა / და შეწევნითა წ(მიდ)ისა გ(იორგ)ი ლომისის(ა)ჲთა და წ(მიდ)ისა ი(ოვან)ე ნ(ა)თლისმცემელის(ა)ჲთა. სრულ იქმნა წ(მიდა)ჲ ესე სვინაქსარი გ(ა)კანმათლებ(ე)კელი ეკლესია(თ)ა და წინამძღუარი და მოძღუარი ყ(ოვ)ლისა სოფლის(ა)ჲ ბრძ(ა)ნე(ბ)ითა ჭარმაულისა ასულისა, სჯ(უ)ლკარვისა და დ(მრ)თისა და მღდელ(თ)ა და წ(ი)გნთ მოყუარისა, პატრ(ა)ლ(ო)ნი[სა] სევალო-

¹ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, III, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ქრ. შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით (თბილისი, 1948), გვ. 326-327.

² თ. ჯოჯუა, არაგვის უცნობი ერისთავის ვარამ II შაბურისძისა (1480-1490-იანი წწ.) და მისი თანამეცხედრის სევალოზ-ყოფილი სენაოზ ჭარმაულის ანდერძ-მოსახსენებლები ლომისის წმ. გიორგის მონასტრის სვინაქსარსა (H-1367) და „გერგეტის სულთა მატიანეში“ (A-1085), წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები, რ. კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 2013 წლის 30-31 მაისი, თბილისი, საქართველო, მოხსენებათა თეზისები (თბილისი, 2013), გვ. 83-85.

ზისითა, კვლითა / თაბ[ა]ურ-ყოფილისა, სევრდასშვილ[ი]ქ[-]სა, მღვდელის[ა] ფილიპეს[ი]თა. / ძმ(ა)ნ<ა>ო ჯდა მ(ა)მ(ა)ნო, ვინც[ა] იკითხვიდეთ / წ(მიდა)სა ამ[ა]ს სვნაქსა[რს]სა, ლოცვა-კურ-თხევით მ[ო]გვ[ა]კ[ა]სე[ნ]ებდით, რ(ათ)ა / თქ(უ)ნმ(ი)ერთითა ლოცვ[ი]თა ვიკსნ[ა]ქ[ნ]ი[თ] სატ[ა]ხ[ა]ნ[ა]ველ-თ[ა]გ[ა]ს[ა]ნ [ს(ა)უ]კ[ა]ნ(ო)თა დ[ა] თქ[ა]უნცა მოგ[ა]ნიტოს ქ(რისტე)მან დ(მერთ)მან ს(ა)ს(უ)ფ(ე)ვ(ე)-ლი / დაუსრულებ[ა]ვლი უკ(უნით)ი უკ(უნისა)დმდე, ა(მე)ნ⁴.

2. „დ(იდე)ბ(ა)დ დ(მერთ)სა სრულმოფ[ა]ვლსა [ყ(ოვ)ლ]ისა კეთილი[ა]სა და მომნი-ჭებ[ა]ვლსა ს[ა]ქრ[ა]ფ[ა]შენაობით მავ<ა>ედრებ[ა]ვლ[თ]ს ვედრებისა მათის[ა]სა. ღირს მყო წყ(ა)-ლობ(ა)მ(ა)ნ დ(მრ)თის(ა)მ(ა)ნ და მადლმ(ა)ნ ს(უ)ლისა წ(მიდ)ისამ(ა)ნ უნდ<ა>ოჲ და არა ღირსი ესე, სევდაოზ / სამლოცველოდ და ცოდვილისა ს(უ)ლისა ჩ(უ)ენისა საშენდობლოდ და ბატონი-სა ვარამის საგამარჯუშობოდ. / წ(მიდ)ან<ა>ო დ(მრ)თის(ა)ნო, ვინცა მიემ[ო]ტ[ხ]ვენეთ წ(მი)დ(ა)სა ამ[ა]ს სვნაქს[ა]სა, შ(ენ)დ<ა>ობით მოგ[ა]კ[ა]სე[ნ]ენით².

3. „ს(უ)ლსა ერისთავისა [კ]ბრაშისა / და მათისა მეუღლისს [სევდაო]ზისა [შ(ე)უნდვენ]ენ დ(მერთ)მან] [—] [მო]კ[ა]მარო[ს] (?) [—] / და მო[—] / სივრ[ა]ქსა (?) [ჯამთასა] (?) [—]³.

4. „ს(უ)ლსა [თაბა]ურ-ყ(ო)ფ(ი)ლისა ფილიპესა, / [მ]ის[ა] დედა-მამასა [შ(ე)უნდვენ]ენ [დ(მერთ)მან] [და] / [მ]ისსა მეუღლესა [—] [სა] [შ(ე)უნდვენ]ენ [დ(მერთ)მან]. / მ(ა)მ(ა)ნო და ძმ(ა)ნო, [უწყო]დეთ [ყ(ოვე)ლთა], / რო[მე] [ამა] [წ(ი)გნსა] [ზ(ე)და] [ფ(რ)ია]დი [შ(რ)ო]მად / მოგვ[ა]კ[ა]სე[ნ]ივია, დ(მერთ)მან უწყის. [—] / [—]ხლად[—] / [—]ცად წი[—] / [—]ს ძ[—]ლდ დ[—]ქსიბ[—] / ბა[—]ქმ დ[—]რდ[—]მი[—]რი⁴.

როგორც ვხედავთ, სვინაქსრის ციტირებული ოთხი ანდერძი შემდეგი შინაარსისაა და შემდეგი თანამიმდევრობით არის დალაგებული:

№1. ხელნაწერის გადამწერის, მღვდელი თაბაურ-ყოფილი ფილიპე სევრდასშვილის სახელით შედგენილი ანდერძი.

№2. სვინაქსრის მომგებლის, სევდაოზ ჭარმაულის სახელით შედგენილი ანდერძი.

№3. ხელნაწერის მომგებლის, სევდაოზ ჭარმაულისა და მისი ოჯახის წევრის (მეუღლის, ერისთავ ვარამის) სავედრებელი ანდერძი.

№4. სვინაქსრის გადამწერის, მღვდელი თაბაურ-ყოფილი ფილიპე სევრდასშვილისა და მისი ოჯახის წევრთა (დედ-მამისა და მეუღლის) სავედრებელი ანდერძი.

სვინაქსრისათვის ბოლოში დართული ამ ოთხი ანდერძის ჩვენთვის საინტერესო კურთხე-ვანის ბოლოში წარმოდგენილ ოთხი ანდერძთან შედარება აჩვენებს, რომ ორივე ხელნაწერის კო-ლოფონები ოთხ-ოთხანდერძიან სისტემებს ქმნის და სტრუქტურის თვალსაზრისით, ზედმიწევნით ზუსტად მისდევს ერთმანეთს. აღნიშნულის საილუსტრაციოდ, წარმოვადგენ შესაბამის ცხრილს:

კურთხევანი (Fr.216)	სვინაქსარი (H-1367)
№1. კურთხევანის გადამწერის, დიაკონ გრიგოლ ბანდაისძის სახელით შედგენილი ანდერძი.	№1. სვინაქსრის გადამწერის, მღვდელი თაბაურ-ყოფილი ფილიპე სევრდასშვილის სახელით შედგენილი ანდერძი.
№2. კურთხევანის მომგებლის, დეკანოზის შვილი ქსენეფორე ბურდულის სახელით შედგენილი ანდერძი.	№2. სვინაქსრის მომგებლის, სევდაოზ ჭარმაულის სახელით შედგენილი ანდერძი.
№3. ხელნაწერის მომგებლის, ქსენეფორე ბურდულისა და მისი ოჯახის წევრების (დედ-მამის) სავედრებელი ანდერძი.	№3. ხელნაწერის მომგებლის, სევდაოზ ჭარმაულისა და მისი ოჯახის წევრის (მეუღლის, ერისთავ ვარამის) სავედრებელი ანდერძი.
№4. კურთხევანის გადამწერის, დიაკონ გრიგოლ ბანდაისძისა და მისი ოჯახის წევრთა (მშობლების) სავედრებელი ანდერძი.	№4. კურთხევანის გადამწერის, მღვდელი თაბაურ-ყოფილი ფილიპე სევრდასშვილისა და მისი ოჯახის წევრთა (დედ-მამისა და მეუღლის) სავედრებელი ანდერძი.

¹ კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, H კოლექცია, ხელნაწერი №1367, 227v. შტრ.: ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), III, გვ. 326-327.

² კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, H კოლექცია, ხელნაწერი №1367, 227v. შტრ.: ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), III, გვ. 327.

³ კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, H კოლექცია, ხელნაწერი №1367, 227v.

⁴ იქვე.

გარდა ამისა, სვინაქსრისათვის ბოლოში დართული ოთხი ანდერძის კურთხევანის ბოლოში წარმოდგენილ ოთხ ანდერძთან შედარება თვალნათლივ აჩვენებს, რომ ეს ოთხანდერძიანი კოლოფონების სისტემები არამხოლოდ სტრუქტურის თვალსაზრისით არის იდენტური, არამედ იმასაც, რომ ამ სისტემებში შემავალი ცალკეული ანდერძების მთელი რიგი ადგილები, ფრაზეოლოგიური თვალსაზრისით, პრაქტიკულად, სიტყვა-სიტყვით იმეორებს ერთმანეთს. აღნიშნული დაკვირვების დასასაბუთებლად წარმოვადგენ კიდევ ერთ ცხრილს.

კურთხევანი (Fr.216)	სვინაქსარი (H-1367)
№1 ანდერძი: „დიდებად ღმერთსა სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა“.	№2 ანდერძი: „დიდებად ღმერთსა სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა...“.
№1 ანდერძი: „სრულ იქმნეს წმიდანი კურთხევანი ჭვლითა... დიაკონისა გრიგოლ ბანდაისძისაჲთა“.	№1 ანდერძი: „სრულ იქმნა წმიდაჲ... სვინაქსარი... ჭვლითა... სვერდასშვილისა, მღვდელისა ფილიპესითა“.
№1 ანდერძი: „უწყის ღმერთმან... ღია მამიჭირვება...“.	№4 ანდერძი: „...ფრიადი შრომაჲ მოგვჭირვია, ღმერთმან უწყის“.
№2 ანდერძი: „სახელითა ღმრთისაჲთა და შეწვენითა წმიდისა გიორგი ლომისისაჲთა“.	№1 ანდერძი: „სახელითა ღმრთისაჲთა... და შეწვენითა წმიდისა გიორგი ლომისისაჲთა...“.
№2 ანდერძი: „...ვინცა მიემთხვენეთ, წმიდანო მამანო... შენდობასა გვედრები“.	№2 ანდერძი: „წმიდანო ღმრთისანო, ვინცა მიემთხვენეთ... შენდობით მოგვკსენებით“.
№2 ანდერძი: „...წმიდანო მამანო, წმიდათა შინა ლოცვათა თქუნთა შენდობასა გვედრები... რაჲთა თქუნმიერთთა ლოცვითა ჩუენ გვკსნნეს ღმერთმან საუკუნეთა სატანჯველთათაგან და თქუნ მოგცეს სასუფეველი მისი“.	№1 ანდერძი: „მანო და მამანო... ლოცვა-კურთხევით მოგვკსენებდით, რაჲთა თქუნმიერთთა ლოცვითა ვიკსნებით სატანჯველთაგან საუკუნოთა და თქუნცა მოგანიჭოს ქრისტემან ღმერთმან სასუფეველი...“.
№3 ანდერძი: „სულსა ქსენეფორესსა და მისთა დედო-მამათასა შეუნდვნეს ღმერთმან...“.	№4 ანდერძი: „სულსა თაბაურ-ყოფილისა ფილიპესა, მისსა დედა-მამასა შეუნდვნეს ღმერთმან...“.
№4 ანდერძი: „...გრიგოლს და მშობელთა მისთა შეუნდვნეს ღმერთმან...“.	№3 ანდერძი: „სულსა ერისთვისა ვარამისა და მათისა მეუღლისა სედაოხისა შეუნდვნეს ღმერთმან“.

ყოველივე ზემოთქმულის შენდევ, ვფიქრობ, ლოგიკურად დაისმის კითხვა: რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 1410-იანი წლების კურთხევანისა და 1480-1490-იანი წლების სვინაქსრისათვის ბოლოში დართული ოთხანდერძიანი კოლოფონების სისტემები, სტრუქტურისა და ფრაზეოლოგიის თვალსაზრისით, პრაქტიკულად, უცვლელი სახით იმეორებს ერთმანეთს?

ჩემი დაკვირვებით, დასმულ კითხვას ერთადერთი ლოგიკური პასუხი აქვს: 1480-1490-იანი წლებში გადაწერილი სვინაქსრისათვის დართული ოთხანდერძიანი კოლოფონების სისტემა, დაახლოებით, ერთი საუკუნით ადრე, 1410-იან წლებში გადაწერილი კურთხევანიდან არის ნასესხები. როგორც ჩანს, სვინაქსრის გადაწერს მღვდელ ფილიპე სვერდასშვილს ხელნაწერზე მუშაობისას ხელთ ჰქონდა გრიგოლ ბანდაისძის მიერ გადაწერილი კურთხევანი, რომელსაც ბოლოში ოთხანდერძიანი კოლოფონების სისტემა ერთვოდა. საფიქრებელია, რომ ფილიპე სვერდასშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ოთხანდერძიანი კოლოფონების სისტემა შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნებისათვის, პრაქტიკულად, უცხო იყო და გადაწყვიტა საკუთარი ხელნაწერისათვისაც ზუსტად ანალოგიური, ოთხანდერძიანი კოლოფონების სისტემა დაერთო. ამ მიზნით, ფილიპე სვერდასშვილმა კურთხევანიდან ოთხანდერძიანი კოლოფონების სისტემა მისი სტრუქტურის დაურღვევლად აიღო, ცალკეულ ანდერძებში ძველი ფაქტოლოგიური მონაცემები, მაგალითად, გადაწერისა და მომგებლის გვარ-სახელები, ახალი ფაქტოლოგიური მონაცემებით შეცვალა, ანდერძების ტექსტებში მცირე აზრობრივი, სინტაქსური თუ ფრაზეოლოგიური კორექტივები შეიტანა და ამგვარად სახეცვლილ-გადამუშავებული ოთხანდერძიანი კოლოფონების სისტემა საკუთარ ხელნაწერს ბოლოში დაურთო.

ჩემს მიერ გამოთქმული ამ მოსაზრების მართებულობას მთლიანად ადასტურებს კურთხევანისა და სვინაქსრის ისტორიაზე დაკვირვება: ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ კურთხევანი გადაწერილი იყო ლომისის მონასტრის დეკანოზის შვილის ქსენეფორე ბურდულისათვის, რომელიც, მამის მსგავსად, ლომისის მონასტერში მოღვაწეობდა. გარდა ამისა, ზემოთ ვნახეთ

ისიც, რომ თავდაპირველად, ანუ, დაახლოებით, XV საუკუნის I ნახევარში, კურთხევანი მის მფლობელთან ქსენეფორე ბურდულთან ინახებოდა, მოგვიანებით კი, სავარაუდოდ, ქსენეფორეს გარდაცვალების შემდეგ, ანუ, დაახლოებით, XV საუკუნის შუახანებში, ხელნაწერი, როგორც ჩანს, მისი მფლობელის სამოღვაწეო სავანეს გადაეცა და ლომისის მონასტრის საკუთრება გახდა. მეორე მხრივ, სვინაქსრისადმი მიძღვნილ, ზემოთ ნახსენებ მოხსენებაში, სათანადო არგუმენტაციასე დაყრდნობით, გავარკვევ, რომ ამ ხელნაწერის გადაწერილი მღვდელი თაბაურ-ყოფილი ფილიპე სვერდასშვილი ლომისის მონასტრის მოღვაწეობდა და მან სვინაქსარი 1480-1490-იან წლებში იმავე ლომისის მონასტერში გადაწერა¹.

როგორც ვხედავთ, კურთხევანისა და სვინაქსრის ისტორიაზე დაკვირვება თვალნათლივ აჩვენებს, რომ მღვდელი ფილიპე სვერდასშვილი სვინაქსრის გადაწერაზე მუშაობდა ზუსტად იმ დროს ანუ 1480-1490-იან წლებში და ზუსტად იმ სავანეში ანუ ლომისის მონასტერში, რომელ დროსაც და რომელ სავანეშიც გრიგოლ ბანდაისძის გადაწერილი კურთხევანი ინახებოდა. შესაბამისად, ვფიქრობ, არ შეეცდები, თუკი დავასკვნი, რომ განსახილველი ორი ხელნაწერი წიგნის ისტორია, მათ ანდერძებს შორის გამოვლენილ სტრუქტურულ და ფრაზეოლოგიურ მსგავსებასთან ერთად, მართლაც მთლიანად ადასტურებს ჩემს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ 1480-1490-იანი წლებში გადაწერილი სვინაქსრის ოთხანდერძიანი კოლოფონების სისტემა 1410-იანი წლების კურთხევანიდან არის ნასესხები.

მაშასადამე, ირკვევა, რომ ლომისის მონასტრის მღვდელმონაზონმა თაბაურ-ყოფილმა ფილიპე სვერდასშვილმა 1480-1490-იან წლებში სვინაქსრის (H-1367) გადაწერაზე მუშაობისას, დედნად გამოყენებული, ჯერჯერობით, დაუდგენელი სვინაქსრის გარდა, იმხანად იმავე ლომისის მონასტრის წიგნთსაცავში დაცული, გრიგოლ ბანდაისძის მიერ გადაწერილი 1410-იანი წლების კურთხევანითაც (Fr.216) ისარგებლა და ამ ხელნაწერიდან ნასესხები ოთხანდერძიანი კოლოფონების სისტემა, მასში მცირე აზრობრივი, სინტაქსური და ფრაზეოლოგიური ცვლილებების შეტანის შემდეგ, საკუთარ ხელნაწერს დაურთო.

X. კურთხევანი (Fr.216) და თემურლენგის მიერ საქართველოდან შუა აზიაში ბატონიშვილი ხელნაწერი წიგნების საპრობო

ვარლამ დონდუას ცნობით, კურთხევანი მისმა ძველმა მფლობელმა პროფესორმა მიხეილ კუფაევმა, რამდენიმე არაბულ ხელნაწერთან ერთად, შუა აზიაში, ქალაქ სამარყანდში შეიძინა: „[კურთხევანი] ჩვენ მიერ შეძენილია ლენინგრადს (1941 წ. ზაფხულს) პროფ. მიხეილ ნიკოლოზის ძე კუფაევისაგან, რომელსაც იგი, თავის მხრივ, სხვა რამდენიმე არაბულ ხელნაწერთან ერთად, უყიდა თურმე შუა აზიაში, სამარყანდს“².

მართალია, ვარლამ დონდუა არ უთითებს, მიხეილ კუფაევმა ზუსტად როდის შეიძინა კურთხევანი შუა აზიაში, მაგრამ ამ ფაქტის მიხედვით დათარიღება საკმაოდ იოლ ამოცანას წარმოადგენს: მიხეილ კუფაევი, რომელიც ცნობილი ბიბლიოფილი იყო, 1888 წელს დაიბადა. შესაბამისად, იგი ქალაქ სამარყანდში ჩასვლასა და კურთხევანის შეძენას, 1910-იან წლების წინარე ხანებში, დიდი ალბათობით, ვერ შეძლებდა. მეორე მხრივ, 1941 წლისთვის კურთხევანი უკვე ნამდვილად მიხეილ კუფაევის საკუთრებას წარმოადგენდა და მასთან, ქალაქ ლენინგრადში ინახებოდა. ამის შესახებ პირდაპირ გვამცნობს ვარლამ დონდუა, რომელიც აღნიშნავს, რომ მან ხელნაწერი მიხეილ კუფაევისაგან 1941 წლის ზაფხულში, ქალაქ ლენინგრადში იყიდა. ამგვარად, დგინდება, რომ მიხეილ კუფაევმა კურთხევანი შუა აზიაში, უფრო ზუსტად კი, ქალაქ სამარყანდში 1910-1930-იან წლებში შეიძინა.

მიხეილ კუფაევის მიერ კურთხევანის შუა აზიაში შეძენის ფაქტთან დაკავშირებით, ყურადღებას აგვტოვებდა იპყრობს XVIII-XIX საუკუნეების ქართველი მწიგნობრისა და მეცნიერის იოანე ბატონიშვილის მიერ 1813-1828 წლებში შედგენილ ენციკლოპედიური ხასიათის თხზულებაში „კალმასობაში“ დაცული ერთი ცნობა, რომელიც გვაუწყებს, რომ მონღოლმა სარდალმა, ემირმა თემურლენგმა (1370-1405 წწ.) 1386-1403 წლებში საქართველოში მოწყობილი ლაშქრობების დროს ხელში ჩაიგდო საეკლესიო და სხვა ხასიათის ხელნაწერი წიგნები, რომლებიც „თურქისტანში“ ანუ შუა აზიაში წაიღო, იქ საგანგებოდ ამ ხელნაწერების შესანახად „დიდი სახლი“ ააშენა და ახლადაგებულ წიგნთსაცავს „დასლო წყველა“, რომელიც მიმართული იყო ყველა იმ პირის მიმართ, ვინც ხელნაწერების ადგილიდან დაძვრას გაბედავდა. იოანე ბატონიშვილის ცნობით, „კალმასობის“ შედგენის დროისათვის ანუ XIX საუკუნის დასაწყისში თემურლენგის წყველით შეკრული წიგნთსაცავი კვლავინდებურად დალუქული იყო:

¹ თ. ჯოჯუა, არაგვის უცნობი ერისთავის..., გვ. 83-85.

² ვ. დონდუა, განგება მსოფლიოთა მღვდელთათვის, გვ. 45. შტრ.: თ. ენუქიძე, პროფესორ ვარლამ დონდუას..., გვ. 134-135.

„მეისტორიები და მოგზაურნი კაცნი იტყვიან და მსმენიეს მე თვით, რომელ ლანგთემურმან, რადცა საღმრთო ანუ სხვანი წერილნი წარიღო საქართველოდამ თურქისტანსა შინა, გააკეთებინა ქვიტკირისა დიდი სახლი და რკინისა ფანჯარანი და კარნი შეასხა, და მას შინა დასდო ყოველივე წერილნი და წიგნი, და დასდო წყევად, რომელ არავინ განიღოს მუნიდგან იგი წერილნი, და არს აწცა ისევ ისე დაკრძალულ“¹.

იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ ციტირებული ფრაგმენტის გათვალისწინებით, ვფიქრობ, ბუნებრივად დაისმის კითხვა: ხომ არ მიეკუთვნება მიხეილ კუფავეის მიერ შუა აზიაში შექმნილი კურთხევანი იმ ქართული ხელნაწერი წიგნების რიცხვს, რომლებიც თემურლენგმა საქართველოდან შუა აზიაში წაიღო და რომლებიც, საუკუნეების მანძილზე მონღოლი სარდლის მიერ აგებულ წიგნთსაცავში ინახებოდა?

ერთი შეხედვით, თითქოს სრული უფლება გვაქვს, დადებითი პასუხი გავცეთ დასმულ კითხვას და გამოვთქვათ მოსაზრება, რომ მიხეილ კუფავეის მიერ შუა აზიაში შექმნილი კურთხევანი თემურლენგის მიერ საქართველოდან შუა აზიაში გატანილი ქართული ხელნაწერი წიგნების რიცხვს მიეკუთვნება², თუმცა, საკითხის დეტალური შესწავლა აჩვენებს, რომ არსებობს ორი კონკრეტული გარემოება, რომლებიც საფუძველშივე გამორიცხავს ამგვარ შესაძლებლობას და პირიქით, გვიბიძგებს იმ დასკვნისაკენ, რომ კურთხევანს თემურლენგის მიერ შუა აზიაში წაღებულ ქართულ ხელნაწერებთან არანაირი შეხება არ აქვს:

1. თემურლენგს საქართველოდან ხელნაწერი წიგნების გატანა შეეძლო, ყველაზე გვიან, 1403-1405 წლებში ანუ მის მიერ საქართველოში მოწყობილი უკანასკნელი, 1403 წლის ლაშქრობიდან მისსავე გარდაცვალებამდე ანუ 1405 წლამდე პერიოდში. მეორე მხრივ, ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ კურთხევანი გადაწერილია 1410-იან წლებში ანუ თემურლენგის გარდაცვალებიდან, სულ მცირე, 5-6 წლის შემდეგ. შესაბამისად, სრულებით ცხადია ისიც, რომ 1405 წელს გარდაცვლილი თემურლენგი 1410-იან წლებში გადაწერილ კურთხევანს საქართველოდან ვერანაირად ვერ გაიტანდა.

2. მე უკვე აღვნიშნე ზემოთ, რომ კურთხევანს მისი ოთხი ანდერძისა და ქსენეფორე ბურდულის მიერ შესრულებული №1 მინაწერის გარდა, დართული აქვს კიდევ ორი კოლოფონი – №2 და №3 მინაწერები: კიდევ ერთხელ მოვიტან ამ კოლოფონების ტექსტებს: №2. „*მოსეხი ვარ. ნურავინ მოიპარავთ*“; და №3. „*გვამიც რაი, რომე გაზიარო, ვიჯობ, ღმერთო*“. თინათინ ენუქიდის აზრით, ეს მინაწერები, მათი პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, შესაბამისად, XVII და XIV-XV საუკუნეებშია შესრულებული³. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მე თინათინ ენუქიდისაგან მცირედ განსხვავებული მოსაზრება მაქვს და ვფიქრობ, რომ №2 მინაწერი, მისი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, XVII-XVIII საუკუნეებს მიეკუთვნება, ხოლო №3 მინაწერი, მისი პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, XV-XVI საუკუნეებით თარიღდება. ჩემი დაკვირვებით, ის გარემოება, რომ კურთხევანის ფურცლებზე XV-XVIII საუკუნეების ქართულენოვანი მინაწერებია შესრულებული, ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ამ მინაწერების შესრულების პერიოდში ხელნაწერი ჯერ კიდევ ქართულენოვან გარემოში ინახებოდა. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია №2 მინაწერი, რომლის დამწერიც – ვინმე მოსე პირდაპირ გვაუწყებს, რომ კოლოფონის შესრულების დროს ანუ XVII-XVIII საუკუნეებში კურთხევანი მის პირად საკუთრებას წარმოადგენდა: „*მოსეხი ვარ. ნურავინ მოიპარავთ*“. ამგვარად, კურთხევანის №2 და №3 მინაწერების შესწავლა, ერთი მხრივ, თვალნათლივ აჩვენებს, რომ ამ კოლოფონების შესრულების დროს ანუ XV-XVIII საუკუნეებში კურთხევანი შუა აზიაში კი არ იყო გატანილი, არამედ საქართველოში ინახებოდა და ამ წიგნის მფლობელები თუ უბრალოდ, მკითხველები, სურვილის შემთხვევაში, ხელნაწერის ფურცლებზე სხვადასხვა შინაარსის ქართულენოვან მინაწერებს ასრულებდნენ.

თუ ჩემს მიერ აქ წარმოდგენილი მსჯელობა სწორია, მაშინ ავტომატურად დაისმის კიდევ ერთი კითხვა: როდის ან რა ვითარებაში მოხვდა კურთხევანი შუა აზიაში, უფრო ზუსტად კი, ქალაქ სამარყანდში, სადაც ის 1910-1930-იან წლებში მიხეილ კუფიევმა შეიძინა?

სამწუხაროდ, დასმულ კითხვაზე რაიმე დამაჯერებელი პასუხის გაცემა, შესაბამისი მასალის არქონის გამო, ჯერჯერობით, არ შემიძლია. თუმცა კი, ვფიქრობ, რომ კურთხევანი შუა აზიაში მისი XVII-XVIII საუკუნეებით დათარიღებული №2 მინაწერის შესრულების შემდომ

¹ იოანე ბატონიშვილი, *კალმასობა*, ტომი მეორე, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით (თბილისი, 1948), გვ. 131. შტრ.: კ. კეკელიძე, *ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი ლიტერატურა*, II (თბილისი, 1958), გვ. 166-167; ლ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის...*, 42-43; და სხვ.

² სხვათა შორის, ჩემთან პირად საუბარში ზუსტად ეს მოსაზრება გამოთქვა იოსებ ბიჭიკაშვილმა, რომელიც ფიქრობდა, რომ კურთხევანი თემურლენგის მიერ საქართველოდან შუა აზიაში გატანილი ერთ-ერთი ხელნაწერი უნდა ყოფილიყო.

³ თ. ენუქიძე, პროფესორ ვარლამ დონდუას..., გვ. 135.

პერიოდში – ან იმავე XVII-XVIII საუკუნეებში ან კიდევ, უფრო მოგვიანებით, XIX საუკუნესა თუ XX საუკუნის დასაწყისში უნდა მოხვედრილიყო.

ჩემს მიერ გამოთქმული ამ ბოლო მოსაზრების გასამყარებლად და იმის საჩვენებლად, რომ საქართველოდან გატაცებული ხელნაწერი წიგნები შუა აზიაში არამხოლოდ თემურლენგის ლაშქრობების დროს, არამედ, მოგვიანებითაც გაჰქონდათ, საგანგებოდ მოვიხმობ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა ფონდის A კოლექციაში 49-ე და 507-ე ნომრებით დაცულ 1557-1578 წლების გულანს, რომელიც აფხაზეთის კათოლიკოსის ევდემონ I ჩხეტიძის (1541, 1557-1578 წწ.) დაკვეთით, ცნობილი მწიგნობრების – ზებედეა და იოანე ქობინაშვილის მიერ არის გადაწერილი. ამ ხელნაწერის I ნაწილის (A-49) 16r-სა და 77r-ზე შესრულებულია ერთი და იმავე ხელით დაწერილი ორი ნუსხური მინაწერი, რომელთა ტექსტებიც, სრული სახით, სამეცნიერო საზოგადოებას პირველად 2013 წელს გავაცანი¹.

დასახელებული მინაწერებიდან ირკვევა, რომ XVI საუკუნის დასაწყისში გულანი კახეთში ინახებოდა. 1614-1617 წლებში ირანის შაჰის აბას I-ის (1587-1629 წწ.) მიერ კახეთის სამეფოში მოწყობილი ლაშქრობების დროს ირანელებმა გულანი გაიტაცეს და შუა აზიის ერთ-ერთ სამხრეთ ოლქში – ხორასანში წაიღეს. 1614/1617-1625 წლებში მროველი ეპისკოპოსი დომენტი ავალიშვილი ირანში, შაჰ აბას I-თან დიპლომატიური მისიით გაემგზავრა. ამ დიპლომატიური ვიზიტის დროს დომენტი ავალიშვილი ხორასნის ოლქში მოხვდა და აქ, ქალაქ სიდრანში, კახეთიდან გატაცებულ გულანს წააწვდა. მროველმა ეპისკოპოსმა ხელნაწერი გამოისყიდა, საქართველოში ჩამოიტანა და მცხეთის სვეტიცხოვლის საყდარს შესწირა:

1. „ს(ა)ხ(ე)ლითა ს(ა)ხ(ი)ერისა, არსებ(ა)ც<დ>აუბად(ე)ბ(ე)ლისა, დ(მრთის)ა მ(ა)მისა, | ძისა და ს(უ)ლისა წ(მიდ)ისა, მ(ე)ლ(ე)ბითა ყ(ოვლ)ადწ(მიდ)ისა დ(ელო)ფლისა, დ(მრთ)ისწმ(ო)ბ(ე)ლისა და მ(ა)რ(ა)დის ქ(ალ)წ(უ)ლისა მ(ა)რ(ი)ამისითა, მ(ე)ლ(ე)ბითა პ(ა)ტ(ი)ონ(ი)სა და ცხ(ო)ვ(ე)ლსმყოფ(ე)ლისა ჯ(უ)არის(ი)თა. ამათითა შეწეუნ(ი)თა | და მ(ე)ლ(ე)ბითა, მე, ავალიშვილი, მრ(ო)ვ(ე)ლ ევისკოპოზ[მან] | დომენტი, წიგნი ესე ს(უ)ლთა გ(ა)ნმ(ა)ნ(ა)თლ(ე)ბ(ე)ლი და დასაბ[ამი] | ქრისტიანობისა, დატყვევებულნი, ოდეს მ(ა)ს ყ(ამს)ა შაჰაბ[აზ] | ყანმა კახეთი აოკრა და წ(ა)რმოსტყ<ს>უევნა, ვიქო[ვენე] | ხუარასანს, ქ(ა)ლ(ა)ქსა, რ(ომე)ლ არს სიდრანი და ვიყიდე ჩ(ე)მ[ი]თა აღ(ა)ლით<დ>აქ საფასითა. მაწინ შაჰაბაზ ყანთან ვიქყავ და შემოვწირე შ(ენ), სუშტსა ცხ(ო)ვ(ე)ლსა, კუარ[თსა] | საუფლოსა და მირონსა წმიდასა, რ(ადთ)ა მ(ე)ლ(ე)მქო[დეთ] | დღესა მ(ა)ს დიდსა გ(ა)ნკითხვის(ა)სა და [სა]კსრ(ა)დ ს(უ)ლი[სა] | ჩ(ე)მისა და ძმისა ჩ(ე)მისა ავალი[სა]. და ვინცა და [რ(ომე)ლ(მან)ცა] | მონათესავე(მ)ან კ(ა)ცმ(ა)ნ ამოვწიროს ესე ჩ(უ)ენი ნა[სყიდ]ევი და ესე ჩ(უ)ენი ს(ა)ვედრ(ე)ბ(ე)ლი, [გ(ა)მ(ო)ხ(უ)ებ(უ)ლ იქმნ(ე)ს ს(ა)ს(უ)ფ(ე)ვლის(ა)გ(ა)ნ მ(ა)რთ(ა)ლთ(ა)სა, მამხსენ(ე)ბ(ე)ლნი დ(მერთმ)ან აკ(ურთ)ხნეს“².

2. „ნებითა დ(მრთ)ისათა, მე, ავ(ა)ლისშულმ(ა)ნ დომენტი სპარსეთს, ქ(ა)ლ(ა)ქსა, რ(ომე)ლსა სიდრანი ეწოდების, იქ ვიყიდე ეს წიგნი [-----] | [...]“³.

ვფიქრობ, გულანის ციტირებული მინაწერები მართლაც თვალნათლივ აჩვენებს, რომ საქართველოდან გატაცებული ხელნაწერი წიგნები შუა აზიაში არამხოლოდ თემურლენგის ლაშქრობების დროს, არამედ უფრო მოგვიანო პერიოდშიც ხვდებოდა და სავარაუდოდ, სწორედ ერთ-ერთი ასეთი ხელნაწერი წიგნი იყო ჩვენთვის საინტერესო კურთხევანიც.

მაშასადამე, ირკვევა, რომ კურთხევანი საქართველოდან შუა აზიის ქალაქ სამარყანდში XVII-XIX საუკუნეებსა თუ XX საუკუნის დასაწყისში იყო გატანილი და ის არ მიეკუთვნება იმ ქართული ხელნაწერი წიგნების რიცხვს, რომლებიც მონღოლმა სარდალმა თემურლენგმა საქართველოში მოწყობილი ლაშქრობების დროს (1386-1403 წწ.) შუა აზიაში წაიღო.

¹ თ. ჯოჯუა, 1614/1617-1629 წლებში ირანის შაჰის აბას I-ის კარზე ჩასული მროველი ეპისკოპოსის დომენტი ავალიშვილის მიერ ხორასანში, ქალაქ სიდრანში „ტყუებიდან“ გამოსყიდული „გულანის“ (A-49/A-507) ანდერძ-მინაწერები (1614-1617 წლებში ირანელების მიერ კახეთიდან გატაცებული ხელნაწერი წიგნების კვლევა), მოხსენება, წაკითხული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში გამართულ, აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე, თბილისი (საქართველო), 24-26 ივნისი, 2013 წ.

² კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, A კოლექცია, ხელნაწერი №49, 16r.

³ იქვე, 77r.

XI. ბერი ბრიგოლ ბანდაისძე და გულანის, როგორც
ლიტურგიკული ხელნაწერი კრეშუმის წარმოქმნის დრო

წინამდებარე ნაშრომის ბოლოს აუცილებლად უნდა შევეხო კიდევ ერთ საინტერესო საკითხს, რომელიც კურთხევანის გადამწერის ბერი გრიგოლ ბანდაისძის სახელს უკავშირდება. ბერი გრიგოლი აგვაროზ ბანდაისძის, გიორგი თაბაურისა და ორი სხვა ანონიმი კალიგრაფის მიერ გადაწერილი 1348-1365 წლების პარაკლიტონისათვის (A-575) დართულ, ზემოთ უკვე არაერთგზის ნახსენებ 1410-იან წლების საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში აღნიშნავს, რომ მან 1400 წლის შემდგომ პერიოდში ლარგვისის მონასტრის მთავარ ტაძარს ანუ წმ. თეოდორეს ეკლესიას შესწირა ოთხი ხელნაწერი წიგნი: 1. პარაკლიტონი ანუ სადაგი დღეებისათვის (ორშაბათი-პარასკევი) განკუთვნილი, რვა ხმაზე გაწყობილი საგალობლების კრებული; 2. სამოციქულო ანუ „საქმე მოციქულთა“, შვიდი კათოლიკე ეპისტოლესა და პავლე მოციქულის თოთხმეტი ეპისტოლეს შემცველი ხელნაწერი; 3. აგვაროზი ანუ, სავარაუდოდ, ცნობილი აპოკრიფული ტექსტის „ეპიტოლე აგვაროზ მეფისა, რომელი მიუწერა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესსა“ შემცველი წიგნი; და 4. „გულა“: „*მაშინ უღირსმან შევიმოსე სახე მონაზონებისა და... შიგნით ეკლესიაჲ მოვხატე... და დავსხენ წიგნნი: პარაკლიტონი, სამოციქულო, გულაჲ, აგვაროზი...*“.

ბერი გრიგოლ ბანდაისძის მიერ ლარგვისის წმ. თეოდორეს ეკლესიისათვის შეწირული ოთხი ხელნაწერი წიგნიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „გულა“, რომელიც, მისი სახელწოდების გათვალისწინებით, სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა ლიტურგიკული ჟანრის ხელნაწერი წიგნი, რომელიც შუა საუკუნეების ქართულ თუ უცხოურ წერილობით ძეგლებსა და XIX-XXI საუკუნეების სამეცნიერო პუბლიკაციებში გულანის სახელით არის ცნობილი.

თავად გულანი „სადვთისმსახურო წიგნთა კრებულნი[ა], რომელიც მხოლოდ ქართულ ეკლესიას ჰქონდა. მასში შედის სახარება, საქმე მოციქულთა, მოციქულთა ეპისტოლენი, თვენი (12 თვის საგალობენი), მარხვანი და ზატიკი, საწინასწარმეტყველო, ფსალმუნი, ჟამნი, სვინაქსარი, ტიპიკონი და სხვ. გულანები, საერთოდ, უზარმაზარი მოცულობისანი არიან. ზოგი მათგანი რამდენიმე ათეულ კოლოგრამს იწონდა“¹.

ამჟამად ცნობილია გულანის ორმოცზე მეტი ხელნაწერი ნუსხა, რომლებმაც ჩვენამდე სრული ან ფრაგმენტული სახით მოაღწია. მოვიტან ამ ნუსხების ჩამონათვალს, მათი ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვით:

1. გულანი (ქუთ.596) – 1541 წელი².
2. გელათის მონასტრის წმ. გიორგის ეკლესიის გულანი (ქუთ.38) – 1580-1590-იანი წლები³.
3. გიორგი გურიელის გულანი (A-1526) – XVI საუკუნე⁴.
4. მოქვის გულანის სახელით ცნობილი ხელნაწერი (A-743//A-744//A-745//A-746//A-747) – XVI საუკუნე⁵.

¹ გულანი, *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი*, ავტორ-შემდგენელი: ე. გაბიძაშვილი (ხელმძღვანელი), მ. მამაცაშვილი, ა. ღამბაშიძე (თბილისი, 2007), გვ. 226. შდრ.: კ. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტურჯურის...*, გვ. 585-586; ივ. ლოლაშვილი, *გულანი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, 3, გარიგბავეჯე (თბილისი, 1978), გვ. 298; ექ. კოჭლამაზაშვილი, *გულანი, ლიტურჯურული ძიებანი*, XXII (თბილისი, 2001), გვ. 92-95; ე. გაბიძაშვილი, *ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები*, ბიბლიოგრაფია, 5, ლიტურჯიკა, პიმნოგრაფია (თბილისი, 2011), გვ. 29; მ. ქავთარია, *გულანი, საქართველო, ენციკლოპედია*, 2, გიმნაზია-ენდრო (თბილისი, 2012), გვ. 191-192.

² *ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა*, II, შედგენილია და დასაბუჯდად მომზადებული მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლის ევ. ნიკოლაძის მიერ, რედაქტორი: მ. ნიკოლეიშვილი (თბილისი, 1964), გვ. 225-227; ე. გაბიძაშვილი, *ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები*, ბიბლიოგრაფია, 5, გვ. 99.

³ *ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა*, I, შედგენილია და დასაბუჯდად მომზადებული მუზეუმის მეცნიერი მუშაკის ევ. ნიკოლაძის მიერ, რედაქტორი: კ. კეკელიძე (თბილისი, 1953), გვ. 148-154; ე. გაბიძაშვილი, *ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები*, ბიბლიოგრაფია, 5, გვ. 99; გვ. 99; ო. ჯიქური, *გელათის მონასტრის წმ. გიორგის ეკლესიის გულანის (K-38) ანდერძები (ტექსტების პუბლიკაცია, კოდიკოლოგიური და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, XII-XIII, ეძღვნება თ. ბერაძის დაბადებიდან 75 წლის იუბილეს (თბილისი, 2012/2013), გვ. 188-233.

⁴ *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია)*, აღ. ბარამიძის რედაქციით, V, შეადგინა ლ. ქუთათელაძემ (თბილისი, 1955), გვ. 63; ექ. კოჭლამაზაშვილი, *გულანი*, გვ. 93; ე. გაბიძაშვილი, *ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები*, ბიბლიოგრაფია, 5, გვ. 99.

⁵ *Описание рукописей Тифлисского...*, стр. 204-208; ექ. კოჭლამაზაშვილი, *გულანი*, გვ. 92; ე. გაბიძაშვილი, *ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები*, ბიბლიოგრაფია, 5, გვ. 99; ო. ჯიქური, *მოქვის გულანის სახელით ცნობილი (A-743-747) ხელნაწერის ანდერძები (ტექსტების პუბლიკაცია), ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომები*, II (თბილისი, 2013), გვ. 29-44.

5. გულანის ფრაგმენტი (A-197) – XVI საუკუნე¹.
6. გულანის ფრაგმენტი (A-521) – XVI საუკუნე².
7. მარტვილის გულანი (Q-87) – 1578-1605 წლები³.
8. ჭალის გულანი (H-936) – XVI-XVII საუკუნეები⁴.
9. გულანი (A-1619) – XVI-XVII საუკუნეები⁵.
10. ანჩისხატის, იგივე სვეტიცხოვლის გულანი (A-30//A-31//A-32) – 1681 წელი⁶.
11. მცხეთის, იგივე სვეტიცხოვლის გულანი (S-1277) – XVII საუკუნის მიწურული⁷.
12. ამბროსი ხელაიას გულანი (A-1023) – XVII საუკუნე⁸.
13. გულანი (არქ.241) – XVII საუკუნე⁹.
14. გულანი (ქუთ.83) – XVII საუკუნე¹⁰.
15. გელათის I გულანი (ქუთ.449) – XVII საუკუნე¹¹.
16. გულანი (ქუთ.115) – XVII საუკუნე¹².
17. გულანის ფრაგმენტი (A-21) – XVII საუკუნე¹³.
18. წილკნის გულანი (Q-662) – XVII საუკუნე¹⁴.
19. გულანის ფრაგმენტი (S-1355) – XVII საუკუნე¹⁵.
20. ბედიის გულანი (A-187) – XVII-XVIII საუკუნეები¹⁶.
21. დავითგარეჯის, იგივე გელათის გულანი (A-186) – XVII-XVIII საუკუნეები¹⁷.

¹ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I, შეადგინეს და დასაბუქლად მოამზადეს: თ. ბრეგვაძემ, ც. კახაბრიშვილმა, თ. მაგალობლიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჯღამაიამ, ელ. მეტრეველის რედაქციით (თბილისი, 1976), გვ. 338; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 93.

² ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, II, გვ. 47-85; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 93, 105.

³ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, I, შედგენილი ელ. მეტრეველისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ი. აბულაძის რედაქციით (თბილისი, 1957), გვ. 99-102; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 92.

⁴ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), II, შედგენილია და დასაბუქლად მოამზადებული ლ. ქუთათელაძის მიერ, ი. აბულაძის რედაქციით (თბილისი, 1951), გვ. 309-311; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 92; ე. გაბიძაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 5, გვ. 99.

⁵ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), V, გვ. 131-132; ე. გაბიძაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 5, გვ. 99.

⁶ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I, შეადგინეს და დასაბუქლად მოამზადეს: თ. ბრეგვაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედაქციით (თბილისი, 1973), გვ. 97-102; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 92; ე. გაბიძაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 5, გვ. 99.

⁷ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, II, შედგენილია და დასაბუქლად მოამზადებული: ა. ბაქრაძის, თ. ბრეგვაძის, ელ. მეტრეველისა და მ. შანიძის მიერ, ელ. მეტრეველის რედაქციით (თბილისი, 1961), გვ. 142-143; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 92.

⁸ Описание рукописей Тифлискаго..., стр. 283; ექვთიმე კოჭლამაზაშვილი, გულანი. კრებ.: ლიტერატურული ძიებანი. XXII. გამომცემლობა „მერანი“. თბილისი. 2001 წ. გვ. 93; ე. გაბიძაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 5, გვ. 99.

⁹ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, I, გვ. 212; ე. გაბიძაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 5, გვ. 99.

¹⁰ [ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის] ხელნაწერთა აღწერილობა, I, გვ. 223; ე. გაბიძაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 5, გვ. 99.

¹¹ [ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის] ხელნაწერთა აღწერილობა, II, გვ. 225-227; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 93; ე. გაბიძაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 5, გვ. 99.

¹² [ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის] ხელნაწერთა აღწერილობა, I, გვ. 277; ე. გაბიძაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 5, გვ. 99.

¹³ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I, გვ. 76-78; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 93; ე. გაბიძაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 5, გვ. 99.

¹⁴ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექციისა, II, შედგენილია და დასაბუქლად მოამზადებული თ. ბრეგვაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ელ. მეტრეველის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ი. აბულაძის რედაქციით (თბილისი, 1958), გვ. 134-140; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 93.

¹⁵ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, II, გვ. 163; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 93.

¹⁶ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I, გვ. 316-321; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 93; ე. გაბიძაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 5, გვ. 99.

¹⁷ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I, გვ. 302-316; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 93; ე. გაბიძაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 5, გვ. 99.

22. გულანი (A-1582) – XVII-XVIII საუკუნეები¹.
23. ნათლისმცემლის მონასტრის I გულანი (A-104//A-125) – XVII-XVIII საუკუნეები².
24. გულანი (არქ.242) – 1706 წელი³.
25. ვახტანგ VI-ის გულანი (A-629) – 1706 წელი⁴.
26. ურბნისის გულანი (A-856) – 1707 წელი⁵.
27. გულანი (არქ.244) – 1714 წელი⁶.
28. ალავერდის გულანი (A-366//A-379//A-380//A-383//A-384) – 1714-1716 წლები⁷.
29. კაცხის I გულანი (Q-631) – 1723 წელი⁸.
30. ეფთვიმე თბილელის გულანი (A-515) – 1733 წელი⁹.
31. სოტევის გულანი (Q-56) – 1736 წელი¹⁰.
32. ვახუშტი აბაშიძის გულანი (A-1454) – 1746 წელი¹¹.
33. შემოქმედის გულანი (Q-103) – 1749 წელი¹².
34. ციხის, იგივე გურიანთის გულანი (Q-104ა//Q-104ბ) – XVIII საუკუნე¹³.
35. ნათლისმცემლის მონასტრის II გულანი (A-111) – XVIII საუკუნე¹⁴.
36. იოვანე ჯაყელის გულანი (S-1348ა//S-1348ბ) – XVIII საუკუნე¹⁵.
37. გულანის ფრაგმენტი (A-932) – 1804 წლამდე¹⁶.
38. ექვთიმე კოჭლამაზაშვილის გულანი (Q-1536) – 1824 წელი¹⁷.
39. კაცხის II გულანი (Q-632) – XVIII საუკუნე¹⁸.
40. შოშიტა ერისთავის გულანი (A-1582) – XVII-XVIII საუკუნეები¹⁹.
41. ჩხარის გულანი (Q-105ა//Q-105ბ) – XVIII საუკუნე²⁰; და სხვ²¹.

¹ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), V, გვ. 113-116; ე. გაბიაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 5, გვ. 99.

² ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I₂, გვ. 12-23, 109-117; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 93.

³ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, I, გვ. 212-213; ე. გაბიაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 5, გვ. 99.

⁴ Описание рукописей Тифлисского..., стр. 120; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 93.

⁵ Описание рукописей Тифлисского..., стр. 82-83; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 92; ე. გაბიაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 5, გვ. 99.

⁶ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, I, გვ. 213-214; ე. გაბიაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 5, გვ. 99.

⁷ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I₄, შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს: თ. ბრეგვაძემ, მ. ქავთარიამ, ღ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედაქციით (თბილისი, 1985), გვ. 94-97, 104-108, 133-138; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 92.

⁸ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექციისა, II, გვ. 84-86; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 92.

⁹ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, II₂, გვ. 47-85; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 93.

¹⁰ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, I, გვ. 75-78; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 93; ე. გაბიაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 5, გვ. 99.

¹¹ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), V, გვ. 3-4; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 93.

¹² საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, გვ. 115-122; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 92.

¹³ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, I, გვ. 122-126; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 92; ე. გაბიაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 5, გვ. 99.

¹⁴ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I₂, გვ. 44-54; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 93.

¹⁵ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, II, გვ. 157-158; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 93.

¹⁶ Описание рукописей Тифлисского..., стр. 204-205; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 93.

¹⁷ ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 93, 99.

¹⁸ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექციისა, II, გვ. 86-87; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 92.

¹⁹ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), V, გვ. 113-116; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 93.

²⁰ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, I, გვ. 127-129; ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 93.

²¹ ამჟამად უკვალოდ არის დაკარგული გულანის რამდენიმე ხელნაწერი ნუსხა, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში ერკეთის, ცაიშისა და ხობის გულანების სახელით არის ცნობილი (ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი,

დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში მყარად არის დამკვიდრებული მოსაზრება, რომ გულანი, როგორც ლიტურგიკული ხელნაწერი კრებული საქართველოს ეკლესიის წიაღში XVI საუკუნეშია შექმნილი¹.

აღნიშნულ მოსაზრებაში არსებითი ხასიათის კორექტივი შეაქვს ბერი გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერის ზემოთ ციტირებულ ნაწყვეტს, რომლიდანაც ნათლად ჩანს, რომ „გულადს“ ანუ გულანის სახელით ცნობილი ხელნაწერი წიგნი არა XVI საუკუნეში, არამედ, ბევრად უფრო ადრე იყო შექმნილი და ამ სახელწოდების ხელნაწერი წიგნი ბერი გრიგოლის განსახილველი კოლოფონის შესრულების დროს ანუ 1410-იან წლებში უკვე კარგად იყო ცნობილი.

უფრო მეტიც, ბერი გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ბერმა გრიგოლმა „გულად“ 1400-1410-იან წლებში კი არ გადაწერა, არამედ მან ამ პერიოდში ხელნაწერი მხოლოდ შესწირა ლარგვისის ტაძარს: „*მაშინ უღირსმან შევიძოსე სახე მონაზონებისად და... შიგნით ეკლესიად მოვხატე... და დავსხენ წიგნნი: პარაკლიტონი, სამოციქულო, გულად, ავგაროზი...*“². აღნიშნული ფაქტიდან, ვფიქრობ, ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ბერი გრიგოლ ბანდაისძის კოლოფონში მოხსენიებული „გულად“ არა 1400-1410-იან წლებში, არამედ 1400-1410-იანი წლების წინარე ხანებში იყო გადაწერილი. შესაბამისად, საბოლოოდ დგინდება ისიც, რომ „გულადს“ ანუ გულანის სახელით ცნობილი ხელნაწერი წიგნი საქართველოს ეკლესიის წიაღში, ყველაზე გვიან, XIV საუკუნეში იყო შექმნილი და არა XVI საუკუნეში, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს არის მიღებული².

ჩემს მიერ ბერი გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერზე დაყრდნობით გამოთქმულ იმ მოსაზრებას, რომ გულანი არა XVI საუკუნეში, არამედ ბევრად უფრო ადრე იყო შექმნილი, მთლიანად ადასტურებს კიდევ ერთი წერილობითი ძეგლი, 1503 წლით დათარიღებული დოკუმენტი – ეცერს ზემოთ მოსახლე სვანების მიერ სარგის, აბესალამ და ვამიყ ჯაფარიძეებისათვის მიცემული სასისხლოს გადახდის წიგნი, რომლის ტექსტის უკანასკნელი, 1986 წლის აკადემიური გამოცემაც ვალერი სილოგავას ეკუთვნის. აღნიშნული დოკუმენტი მოგვითხრობს, რომ სვანებმა ჯაფარიძეებს, თორმეტი წლის წინ მოკლული ჯაფარიძეების სისხლის სანაცვლოდ, უზარმაზარი ტერიტორია, ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ აზნაურთა და გლეხთა ასეულობით ოჯახი, მრავალრიცხოვანი სოფლები, ციხეები, მონასტრები და ეკლესიები, დიდძალი საეკლესიო განძეული, ხელნაწერი წიგნები და პირუტყვი გადასცეს. დოკუმენტში, სვანების მიერ ჯაფარიძეებისათვის გადაცემულ სხვა ეკლესია-მონასტრების გვერდით, დასახელებულია ხიდურას მთავარანგელოზთა მონასტერი, რომელიც მდინარე ცხენისწყლის სათავეებთან, ამჟამინდელ ლენტეხის მუნიციპალიტეტში შემავალ ნასოფლარ ხიდურასთან მდებარეობდა. დოკუმენტში ნათქვამია, რომ სვანებმა ჯაფარიძეებს გადასცეს არამხოლოდ ხიდურას მთავარანგელოზთა მონასტერი, არამედ ამ მონასტრის კუთვნილი ცხრა ხელნაწერი წიგნი, რომელთა ჩამონათვალშიც, პირველ ადგილას, „დიდი გულანია“ დასახელებული: „*ამას გარეთ მოვეცით ოსეთის პირად მთიულეთს ხიდურას... ერთი დიდი გუმბათიანი მთავარანგელოზთა მონასტერი... მისით სამონასტრო წიგნებითა – დიდით გულანითა, ოთხთავითა, სამოციქულოთა, საწინასწარმეტყულოთა, მარხუანითა, მეტაფრასითა, დავითითა, დავითის თარგმანითა, ოთხთავის თარგმანითა...*“³.

როგორც ვხედავთ, ციტირებული დოკუმენტის ფრაგმენტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ დოკუმენტის გაცემის დროს ანუ 1503 წელს ხიდურას მთავარანგელოზთა მონასტერში, სხვა ხელნაწერი წიგნების გვერდით, „დიდი გულანიც“ ინახებოდა. მართალია, განსახილველ დოკუმენტში მითითებული არ არის, თუ სახელდობრ, როდის იყო „დიდი გულანი“ გადაწერილი, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ 1503 წელს ეს ხელნაწერი წიგნი უკვე არსებობდა, მაფიქრებინებს, რომ „დიდი გულანი“ 1503 წლის წინარე ხანებში, ყველაზე გვიან, XV საუკუნეში იყო გადაწერილი.

ამგვარად, დგინდება, რომ ეცერს ზემოთ მოსახლე სვანების მიერ სარგის, აბესალამ და ვამიყ ჯაფარიძეებისათვის მიცემული 1503 წლის სასისხლოს გადახდის წიგნი, ერთი მხრივ, მთლიანად ადასტურებს გრიგოლ ბანდაისძის 1410-იანი წლების საისტორიო-ბიოგრაფიული

გვ. 93; ო. ჯიქური, ერკეთის გულანი (ვაიშის I გულანი) და მისი ანდერძ-მინაწერები, [ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის] შრომები, VII (თბილისი, 2013), გვ. 140-154).

¹ ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 101; გულანი, გვ. 226; ე. გაბიაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 5, გვ. 29. შდრ.: მ. ქავთარია, გულანი, გვ. 191-192.

² სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ბერი გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერში „გულადს“ მოხსენიების ფაქტს ექვთიმე კოჭლამაზაშვილმაც მიაქცია ყურადღება თავის 2001 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „გულანი“, თუმცა, მკვლევარმა ამავე სტატიის ინგლისურენოვან რეზიუმეში გულანის შექმნა-ფორმირების ქრონოლოგია მაინც XVI-XVIII საუკუნეებით განსაზღვრა (ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, გვ. 100-101).

³ სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, ისტორიული საბუთები და სულთა მატინაგები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპრატი დაურთო ვ. სილოგავამ (თბილისი, 1986), გვ. 114.

მინაწერის ცნობას, რომ XV საუკუნეში გულანის სახელით ცნობილი ხელნაწერი წიგნები ეკლესია-მონასტრებში უკვე ჩვეულებრივ გამოიყენებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ გულანის შექმნის დროის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრება მართებული არ არის და ეს ხელნაწერი არა XVI საუკუნეში, არამედ ბევრად უფრო ადრე იყო შექმნილი.

სამწუხაროდ, გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერსა და 1503 წლის სასისხლოს გადახდის წიგნში „გულადას“ და „დიდი გულანის“ სტრუქტურისა თუ მათ შედგენილობაში წარმოდგენილი ტექსტების შესახებ რაიმე ინფორმაცია მოტანილი არ არის. აღნიშნული გარემოება, ცხადია, საფუძველშივე გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ, ყველაზე გვიან, XIV-XV საუკუნეებში გადაწერილი და დღეისათვის დაკარგული „გულადა“ და „დიდი გულანი“ XVI-XIX საუკუნეებში გადაწერილ და ჩვენამდე მოღწეულ ორმოცზე მეტ გულანს შევადართო და ამ გზით, გულანის ადრეული პერიოდის ანუ XIV-XV საუკუნეებისა და მოგვიანო ხანის ანუ XVI-XIX საუკუნეების ნუსხებს შორის არსებულ მსგავსებებსა თუ განსხვავებებს დავაკვირდეთ. შესაბამისად, სავსებით ნათელია ისიც, რომ გრიგოლ ბანდაისძის საისტორიო-ბიოგრაფიულ მინაწერი და 1503 წლის სასისხლოს გადახდის წიგნი გულანის გენეზისისა და მისი საბოლოო სახით ფორმირების პროცესის შესახებ რაიმე მითითებას არ გვთავაზობს და მხოლოდ ამ ხელნაწერი წიგნის შექმნის ზედა ქრონოლოგიური ზღვრის შესახებ გვაწვდის ცნობებს¹.

მაშასადამე, ირკვევა, რომ გულანი, როგორც ლიტურგიკული ჟანრის ხელნაწერი კრებული, საქართველოს ეკლესიის წიაღში, ყველაზე გვიან, XIV საუკუნეში იყო შექმნილი და არა XVI საუკუნეში, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს არის მიღებული.

ბიბლიოგრაფია

1. გ. არახამია, *ძველი ქართული საგვარეულო მატრიანები (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა)* (თბილისი, 1988).
2. მ. ბახტაძე, *ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში* (თბილისი, 2003).
3. ვ. ბერიძე, *ძველი ქართველი ოსტატები* (თბილისი, 1967).
4. ე. გაბიძაშვილი, *ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, კანონიკა, დოგმატიკა-პოლემიკა* (თბილისი, 2012).
5. ე. გაბიძაშვილი, *ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 5, ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია* (თბილისი, 2011).
6. შ. გლოველი, ილია აბულაძე და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ახალი (Q) კოლექცია, მოხსენება წაკითხული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ, ი. აბულაძისადმი მიძღვნილ II სამეცნიერო კონფერენციაზე, თბილისი (საქართველო), 26-27 ნოემბერი, 2012.
7. გულანი, *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი*, ავტორ-შემდგენელი: ე. გაბიძაშვილი (ხელმძღვანელი), მ. მამაცაშვილი, ა. ღამბაშიძე (თბილისი, 2007).
8. დეკანოზი, *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი*, ავტორ-შემდგენელი: ე. გაბიძაშვილი (ხელმძღვანელი), მ. მამაცაშვილი, ა. ღამბაშიძე (თბილისი, 2007).
9. *დიდნი კურთხევანი*, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სქოლიოები დაურთო ე. ჭელიძემ (თბილისი, 2002).
10. ვ. დონდუა, განგებად მსოფლიოთა მღვდელთათუს, *ვ. დონდუა, საისტორიო ძიებანი*, II (თბილისი, 1973).
11. თ. ენუქიძე, პროფესორ ვარლამ დონდუას არქივში დაცული ძველი ქართული ხელნაწერები და საბუთები, *მაცნე*, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1 (თბილისი, 1971).

¹ აქვე, აღნიშნავ, რომ აქამად გულანის XVI საუკუნეების ნუსხებთან დაკავშირებულ საკითხებს კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით იკვლევს ახალგაზრდა მეცნიერი ოქროპირ ჯიქური, რომელიც, აღნიშნული საკითხების შესახებ, დარეჯან თვალთვადისა და ჩემი თანახელმძღვანელობით, სადოქტორო დისერტაციას ამზადებს. იმედი მაქვს, დოქტორანტი დასახულ ამოცანას თავს წარმატებით გაართმევს, წინამორბედი მკვლევრების მიერ წამოწყებულ საქმეს ჯეროვნად გააგრძელებს და გულანის გენეზისისა თუ მისი საბოლოო სახით ფორმირების პროცესის შესახებ სამეცნიერო საზოგადოებას ახალ მოსაზრებებს შესთავაზებს.

12. ზ. თვალჭრელიძე, ზ. სხირტლაძე, ლითონის ახლადგამოვლენილი ნივთები გარეჯის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრიდან, *კავკასიის მაცნე*, №9 (თბილისი, 2004).
13. იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტომი მეორე, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით (თბილისი, 1948)
14. *ისტორია საქართველოსი (უძველესის დროდამ მე-X საუკუნის დასასრულამდე)*, თხზულება დ. ბაქრაძისა (ტფილისი, 1889).
15. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გ. კარტოზიამ და ც. კიკვიძემ, *ქართლის ცხოვრება* (თბილისი, 2008).
16. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II (თბილისი, 1959).
17. ლ. კაიშაური, *მთიულური ტექსტები* (თბილისი, 1978).
18. კ. კეკელიძე, *ქართული ლიტერატურის ისტორია*, ძველი ლიტერატურა, II (თბილისი, 1958).
19. კ. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტომი პირველი (თბილისი, 1980).
20. კ. კეკელიძე, *ძველი ქართული მწერლობის ისტორია*, ტომი პირველი, მესამე, გადამუშავებული და შევსებული გამოცემა (თბილისი, 1951).
21. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, A კოლექცია, ხელნაწერი №49.
22. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ქართულ ხელნაწერთა ფონდი, A კოლექცია, ხელნაწერი №575.
23. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, A კოლექცია, ხელნაწერი №576.
24. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, A კოლექცია, ხელნაწერი №585.
25. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, A კოლექცია, ხელნაწერი №1085.
26. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, H კოლექცია, ხელნაწერი №1367.
27. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, H კოლექცია, ხელნაწერი №2122//2125.
28. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, ფრაგმენტების კოლექცია, ფრაგმენტი №216.
29. ვ. კიკნაძე, ყანაყათის სვინაქსარი და მისი მნიშვნელობა „ძველი ერისთავთა“-ს დათარიღებისათვის (XV ს.), *ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები* (თბილისი, 1982).
30. ექ. კოჭლამაზაშვილი, გულანი, *ლიტერატურული ძიებანი*, XXII (თბილისი, 2001).
31. ექ. კოჭლამაზაშვილი, *დიდი სინური კურთხევანის რედაქციული თავისებურებანი* (თბილისი, 2002).
32. ივ. ლოლაშვილი, გულანი, *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, 3, გარიგება-ეგე (თბილისი, 1978).
33. ს. მაკალათია, მთიულეთი (ტფილისი, 1930).
34. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, ნაკვეთი პირველი (თბილისი, 1961).
35. შ. მესხია, ხელოსნობა ძველ საქართველოში (V-XII სს.), *შ. მესხია, საისტორიო ძიებანი*, I (თბილისი, 1982).
36. ალ. ნაზღაიძე, *ბურღულები* (თბილისი, 1994).
37. პარაკლიტონი, *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი*, ავტორ-შემდგენელი: ე. გაბიაშვილი (ხელმძღვანელი), მ. მამაცაშვილი, ა. ღამბაშიძე (თბილისი, 2007).
38. *პირთა ანტირეზული ლექსიკონი*, XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, I, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ელ. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა (თბილისი, 1991).
39. ო. სანებლიძე, სოფელ მღეთში დაცული ღომისას საგანძური, ძველის მეგობარი, კრებული მეცხრამეტე (თბილისი, 1969).
40. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია)*. ალ. ბარამიძის რედაქციით, V, შეადგინა ლ. ქუთათელაძემ (თბილისი, 1955).
41. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია*, I, შედგენილი ელ. მეტრეველისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ი. აბულაძის რედაქციით (თბილისი, 1957).

42. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), II, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ლ. ქუთათელაძის მიერ, ი. აბულაძის რედაქციით (თბილისი, 1951).
43. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევი (თბილისი, 1951).
44. სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, ისტორიული საბუთები და სულთა მატინანეები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ (თბილისი, 1986).
45. მ. ქავთარია, გულანი, საქართველო, ენციკლოპედია, 2, გიმნაზია-ენდრო (თბილისი, 2012).
46. ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, მთიულეთ-გუდამაყარი, ტექსტების მომზადება, რედაქცია, გამოკვლევა და შენიშვნები ელ. ვირსალაძისა (თბილისი, 1958).
47. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II (თბილისი, 1959).
48. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექციისა, II, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ელ. მეტრეველის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ი. აბულაძის რედაქციით (თბილისი, 1958).
49. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I₁, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედაქციით (თბილისი, 1973).
50. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I₂, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, თ. მგალობლიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჯღამაიამ, ელ. მეტრეველის რედაქციით (თბილისი, 1976).
51. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I₄, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედაქციით (თბილისი, 1985).
52. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, II₂, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: † თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, † ელ. მეტრეველმა, მ. ქავთარიამ, † ც. ჭანკიევმა. † ელ. მეტრეველის რედაქციით (თბილისი, 2004).
53. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, II, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: ა. ბაქრაძის, თ. ბრეგაძის, ელ. მეტრეველისა და მ. შანიძის მიერ, ელ. მეტრეველის რედაქციით (თბილისი, 1961).
54. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, III, ქართული ისტორიული საბუთები, XV საუკუნის მეორე ნახევარი, შეადგინეს: თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ (თბილისი, 2014).
55. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი მეორე (1213 წლიდან 1700 წლამდე) (ტფილისი, 1897).
56. [ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის] ხელნაწერთა აღწერილობა, I, შედგენილია და დასაბეჭდად მოამზადებული მუზეუმის მეცნიერი მუშაკის ევ. ნიკოლაძის მიერ, რედაქტორი: კ. კეკელიძე (თბილისი, 1953).
57. [ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის] ხელნაწერთა აღწერილობა, II, შედგენილია და დასაბეჭდად მოამზადებული მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლის ევ. ნიკოლაძის მიერ, რედაქტორი: მ. ნიკოლეიშვილი (თბილისი, 1964).
58. ვლ. ღუნაშვილი, ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან, I, პუბლიკაციები (თბილისი, 1997).
59. ვლ. ღუნაშვილი, ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია (თბილისი, 2005).
60. ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.), გამოკვლევა და ტექსტები, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 30 (თბილისი, 1954).
61. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, I, შედგენილია პროფესორ ს. კაკაბაძისა და პ. გაგოშიძის მიერ, აკადემიკოს კ. კეკელიძის რედაქციით (თბილისი, 1949).
62. ძველი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატინანე), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო შ. მესხიამ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 30 (თბილისი, 1954).

63. ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, III, შედგენილია და დასაბუჟდად დამზადებული ქრ. შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით (თბილისი, 1948).
64. ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H), V, შედგენილია და დასაბუჟდად მომზადებული ლ. მეფარიშვილის მიერ, აღ. ბარამიძის რედაქციით (თბილისი, 1949).
65. თ. ხოსროშვილი, ლომისის საგანძური, საქართველოს სიძველენი, 15, საიუბილეო კრებული, ეძღვნება მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთათბილისის მთავარეპისკოპოსისა და აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის დაბადებიდან 80 წლისთავს (თბილისი, 2012).
66. ე. ხოშტარია-ბროსე, „საყდრისშვილობის“ ინსტიტუტის საკითხისათვის ფოთდალურ საქართველოს მთაში, საქართველო და აღმოსავლეთი, ეძღვნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის შ. მესხიას ხსოვნას (თბილისი, 1984).
67. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მესამე, ნაწილი პირველი (XIII-XIV სს.), ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, III (თბილისი, 1982).
68. ო. ჯიქური, გელათის მონასტრის წმ. გიორგის ეკლესიის გულანის (K-38) ანდერძები (ტექსტების პუბლიკაცია, კოდიკოლოგიური და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, XII-XIII, ეძღვნება თ. ბერაძის დაბადებიდან 75 წლის იუბილეს (თბილისი, 2012/2013).
69. ო. ჯიქური, ერკეთის გულანი (ცაიშის I გულანი) და მისი ანდერძ-მინაწერები, [ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის] შრომები, VII (თბილისი, 2013).
70. ო. ჯიქური, მოქვის გულანის სახელით ცნობილი (A-743-747) ხელნაწერის ანდერძები (ტექსტების პუბლიკაცია), ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომები, II (თბილისი, 2013).
71. თ. ჯოჯუა, 1614/1617-1629 წლებში ირანის შაჰის აბას I-ის კარზე ჩასული მროველი ეპისკოპოსის დომენტი ავალიშვილის მიერ ხორასანში, ქალაქ სიდრანში „ტყუეობიდან“ გამოსყიდული „გულანის“ (A-49/A-507) ანდერძ-მინაწერები (1614-1617 წლებში ირანელების მიერ კახეთიდან გატაცებული ხელნაწერი წიგნების კვალდაკვალ), მოხსენება, წაკითხული ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში გამართულ, აკადემიკოს ექ. თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე, თბილისი (საქართველო), 24-26 ივნისი, 2013 წ.
72. თ. ჯოჯუა, არაგვის უცნობი ერისთავის ვარამ II შაბურისძისა (1480-1490-იანი წწ.) და მისი თანამეცხედრის სევდაოზ-ყოფილი სენაოზ ჭარმაულის ანდერძ-მოსახსენებლები ლომისის წმ. გიორგის მონასტრის სვინაქსარსა (H-1367) და „გერგეტის სულთა მატთანეში“ (A-1085), წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები, რ. კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 2013 წლის 30-31 მაისი, თბილისი, საქართველო, მოხსენებათა თეზისები (თბილისი, 2013).
73. თ. ჯოჯუა, XVI საუკუნის I ნახევარში ალასტნის ჭალთა წმ. გიორგის მონასტერში გადაწერილი მეტაფრასი (A-613/S-5226) და მისი ანდერძ-მინაწერები (მასალები ჯავახეთის სამწიგნობრო კერების ისტორიისათვის), ქართული წყაროთმცოდნეობა, XIII-XIV (თბილისი, 2011/2012).
74. *Rapports sur un Voyage Archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, Exécute en 1847-1848*, par M.-F. Brosset, Membre de l'Académie Impériale des Sciences, Avec un Atlas de 45 planches lithographiées, Sixième Rapport (Sankt-Petersbourg, 1851).
75. В. Дондуа, Культурные связи Византии и Грузии, *ვ. დონდუა, საისტორიო ძეგლები*, II (თბილისი, 1973).
76. С. Какабадзе, Хроника ксанских эриставов начала XV века, *Письменные памятники Востока*, Историко-филологические исследования, Ежегодник, 1968 (Москва, 1970).
77. *Памятник Эриставов*, Перевод, исследование и примечания С. Какабадзе (Тбилиси, 1979).
78. *Описание рукописей Тифлисского Церковного Музея Карталино-Кახетинского духовенства*, Составленное Ф. Жордания, II (Тифлис, 1902).

**A FRAGMENT OF THE BREVIARY (FR.216) COPIED BY GRIGOL BANDAISDZE,
THE DEACON OF THE LARGVISI MONASTERY, COMMISSIONED
BY KSENJEFORE BURDULI, SON OF THE ARCHPRIEST OF LOMISI
MONASTERY, DATED TO THE 1410s, FROM THE PERSONAL
COLLECTION OF PROFESSOR VARLAM DONDUA**

- The present work examines the Georgian manuscript – the 10-page fragment of the Breviary written on parchment (Fr.216), from the standpoint of history and Source studies. This document which once belonged to Professor Valram Dondua († 1969), is currently kept in the Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts.

- It has been determined that the Breviary commissioned by the son of the Lomisi Monastery Archpriest Ksenjefore Burduli was copied in the 1410s in the Largvisi Monastery by Deacon Bandasidze, a famous Georgian scribe. The life and activities of Grigol Bandasidze, Ksenjefore Burduli and their family members, as well as ancestral history of the Bandaisdzes and Burdulis, have been thoroughly studied in the proposed work.

- The study has elucidated that by the end of the 15th century the Breviary was kept in the Lomisi Monastery. This manuscript was well known to the priest of the Lomisi monastery, Philippe (secular name – Tabaur) Sevrdashvili, who added a colophone system consisting of four Testaments, borrowed from Grigol Bandaisdze's Breviary into the synaxarium copied by him in the 1480s-1490s (H-1367).

- A unique work compiled by Eptvime Mtatsmideli is preserved in the Breviary –“A Parish Priest’s Manual”. It contains disciplinary instructions for priests of the parish churches. The Manual is the only manuscript that has reached us.

- It has been established that the oldest manuscript K 28 – “Dzegli Eristavta”, the ancestry chronicle of the Eristavs of Tskhradzma was written personally by Grigol Bandaisidze in the 1403/1404-1410s and is an original copy. It is currently kept at the department of manuscripts of the Institute of Oriental Manuscripts of the Russian Academy of Sciences.

- It has been clarified that Professor Varlam Dondua bought the Breviary from Professor Mikhail Kufaev in 1941, who in turn bought the manuscript in Central Asia, in Samarkand. Given this reality, there is a doubt that the Breviary could be attributed to the number of Georgian manuscripts which according to Ioane Batonishvili's “Kalmasoba” were taken to Central Asia by Amir Timur, the Mongol commander after his invasions in Georgia (1386-1403). The study shows that these doubts are unfounded: the Breviary was copied after Timur’s invasions; it was kept in Georgia in the 15th-16th centuries and was taken to Central Asia later on – in the mid 17th -19th cc. or the early 20th century.

- There is an opinion in scientific literature that the large liturgical books known as Gulani, which are found only in the Georgian Churches, were created in the 16th century. It was found out that this opinion is wrong: in the 15th century Gulanis were already used in Georgian churches. Accordingly, this unique collection was created much earlier than in the 16th century.

კიდევ ერთხელ ვაველის მუზარადის შესახებ*

პოლონეთში, ქალაქ კრაკოვში, ვაველის სასახლის მუზეუმში დაცულია XIV საუკუნის ცნობილი მუზარადი, რომელიც დიდი ხანია იპყრობს აღმოსავლური იარაღით დაინტერესებულთა ყურადღებას და რომელიც, აქამდე ირანული იარაღის ნიმუშად იყო მიჩნეული (სურ. 1)¹. ამ არტეფაქტის შესახებ 2010 წელს გამოვაქვეყნე სტატია სათაურით „ვაველის მუზეუმში დაცული მუზარადი და მისი ადგილი აღმოსავლური ზუნების ევოლუციის პროცესში“². ერთი წლის შემდეგ იგივე კვლევა ინგლისურ ენაზეც დაიბეჭდა³. ამ წერილებით ჩვენი საზოგადოება გაეცნო მისთვის სრულიად უცნობ და უნიკალურ მუზარადს, რომელსაც საქართველოსთან ჰქონდა მჭიდრო კავშირი, უცხოეთის სამეცნიერო წრეები კი – მოსაზრებას მისი ქართული წარმოშობის შესახებ.

ჩემს გამოკვლევაში შევეცადე ახლებურად გამეზრებინა ვაველის მუზარადის წარმომავლობა და მისი ადგილი აღმოსავლური საჭურველის რიგში, ასევე, ზოგადად ქართული მუზარადის განვითარების გარკვეული ეტაპები. კვლევის ფარგლებში მოხდა მსოფლიოს სხვადასხვა (ვაველის, ერმიტაჟის, სტამბოლის, საქართველოს) მუზეუმებში დაცული ექსპონატების მონაცემების მოპოვება და შედარება, ჩატარდა პალეოგრაფიული კვლევა (მუზარადის როზეტის წარწერისა და მისი ასაკის დადგენა), ისტორიული გამოკვლევა (სხვადასხვა დროს მუზარადის სხვადასხვა პატრონის დადგენა, რისთვისაც საჭირო გახდა ქართული და პოლონური საისტორიო მონაცემების შეჯერება), დაბოლოს, ხელოვნების ნიმუშების – ჭედური ხატების (XI-XII სს.), ქართული მინიატურების (XII, XIV და XVII სს.), უცხოელ მოგზაურთა ჩანახატების (XVII და XIX სს.) შესწავლა. შედეგად მივიღეთ აქამდე საყოველთაოდ ირანულ ნიმუშად აღიარებული მუზარადის ხელახალი რეატრიბუცია და მისი ქართული წარმომავლობის დადგენა.

კვლევის პროცესში ამოკითხულ იქნა ვაველის მუზარადის როზეტზე დატანილი ქართული წარწერა, რომელსაც ადრე სომხურადაც კი თვლიდნენ⁴. გაირკვა, რომ XVII საუკუნეში მუზარადი ეკუთვნოდა იმერეთის ძლიერი ფეოდალური გვარის წარმომადგენელ სახვერელ ჩიჯავაძეს. შედეგად დადგინდა, რომ XIV საუკუნეში გამოტყედილი ზუჩი, პოლონეთში მოხვედრამდე, საქართველოში სამ საუკუნეზე მეტ ხანს იმყოფებოდა.

XI საუკუნის მეორე ნახევრის შემოქმედის ხატის, XII საუკუნის ჯრუჭის მეორე ოთხთავის მინიატურების, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ე.წ. „ჯალალ ად-დინის მუზარადის“ და ერმიტაჟში დაცული ვაველის ტიპის მუზარადის, ასევე, ე.წ. „ბაყათარის მუზარადის“ (ოსური სალოცავი რეკომიდან), XIV საუკუნის მეორე ნახევრის H-1665 დავითნის და XVII საუკუნის მამუკა თავაქარაშვილისა და დონ კრისტოფორო დე კასტელის გამოსახულებების ანალიზის

* ნაშრომი რედაქციაში შემოვიდა 2015 წელს.
1 ვაველის მუზარადის შესახებ იხ. Robinson H. R., *Oriental Armour* (New York, 1967), p. 27-28, Fig. 16A; Zygulski Z., *Islamic Weapons in Polish Collections and Their Provenance*, *Islamic Arms and Armour*, Ed. by R. Elgood (London, 1979), p. 231, Fig. 240, 241; მისივე, *Stara Bron w Polskich Zbiorach* (Warszawa, 1982), p. 219; მისივე, *Bron Wschodnia* (Warszawa, 1986), p. 62; Nicolle D., *Arms & Armour of the Crusading Era, 1050-1350: Islam, Eastern Europe and Asia* (London, 1999), p. 240; Chodynski A. R., *The Sun and the Lion – Sketches on Persian Militaria, Persian and Indo-Persian Arms and Armour of 16th-19th Century from Polish Collection*, Catalogue exhibition ed. by A. R. Chodynski (Malbork, 2000), p. 30-32; Kobylinski L., *Persian and Indo-Persian Arms, Persian and Indo-Persian Arms and Armour of 16th-19th Century from Polish Collection*, Catalogue exhibition ed. by A. R. Chodynski (Malbork, 2000), p. 69; Горелик М. В., Монголо-татарское оборонительное вооружение второй половины XIV – начала XV в., *Куликовская битва в истории и культуре нашей Родины* (Москва, 1983), с. 263.
2 მ. წურჭუბია, ვაველის მუზეუმში დაცული მუზარადი და მისი ადგილი აღმოსავლური ზუნების ევოლუციის პროცესში, *ქართველოლოგია*, 5 (თბილისი, 2010), გვ. 29-57.
3 Tsursumia M., The Helmet from the Wawel Royal Castle Museum and its Place in the Evolution of Oriental Helmet, *Acta Militaria Mediaevalia*, 7, (2011), p. 79-103.
4 აი რას წერდა წარწერის შესახებ ცნობილი მკვლევარი მ. გორელიკი: „კრაკოვის მუზარადს თავზე გრძელი წარწერა აქვს. ზოგიერთი მისი ნიშანი სომხური ალფაბეტის ასოებს მოგვაგონებს, ზოგიც – არაბულ გრაფიკას, მაგრამ მთლიანობაში წარწერა საერთოდ არ იკითხება. შესაძლოა, წარწერა XVII საუკუნეში დაიტანა ლვოველმა სომეხმა, ვისგანაც ის შეიძინა თავადმა კრასინსკიმ, რომლის კოლექციაშიც იმყოფებოდა მუზარადი. „ძველი აღმოსავლური“ წარწერა ნივთისთვის მეტი ღირებულების შესაძენად უნდა გაკეთებულიყო. წარწერის ასეთი ხასიათი შეიძლება აისხნას იმით, რომ ლვოველი სომხები ძირითადად ყირიმიდან იყვნენ, ყიფაღურად ლაპარაკობდნენ და ლათინურად წერდნენ. ასე რომ, გამყიდველმა დაიტანა ნიშნები, რომლებიც მას ძველ სომხურ წიგნებში შეეძლო ენახა, მაგრამ კარგად არ ესმოდა და არ ახსოვდა სომხური ასოების დაწერა“ (Горелик М. В., Монголо-татарское оборонительное..., с. 265).

შედგება, შევეცადე, მეჩვენებინა, რომ ვაველის მუზარადი იყო არა ირანული წარმოშობის და საქართველოში შემთხვევით მოხვედრილი, არამედ ის წარმოადგენდა ლოგიკურ საფეხურს ქართული მუზარადის ევოლუციის პროცესში.

კვლევისას განვიხილე ჰ. რ. რობინსონის და მ. გორელიკის მიერ შემოთავაზებული აღმოსავლური მუზარადის განვითარების სქემები, სადაც ვაველის მუზარადს კუთვნილი ადგილი ეკავა, თუმცა კი ირანულად იყო მიჩნეული. ეს სქემები, გაერთიანებული და ევოლუციის აღმავალი ხაზის მიხედვით წარმოდგენილი, ასეთი სახისაა: სტამბოლის მუზარადები – ბაყათარის მუზარადი – ვაველის და ერმიტაჟის მუზარადები – ჩალმისებური მუზარადი¹. ვცადე, გარკვეული კორექტივები შემეტანა ევოლუციის ამ პროცესში, ერთმანეთისაგან გავმიჯნე ვაველის ტიპის მუზარადისა და ჩალმისებრი მუზარადის განვითარების გზები და ვაჩვენე, რომ ვაველის მუზარადი ჩალმისებრი მუზარადის პარალელურად ვითარდებოდა. ადრეული ჩალმისებრი მუზარადების უმრავლესობა შირვანს უკავშირდება. როგორც ჩანს, თავად მუზარადი წარმოიშვა XIV საუკუნეში აღმოსავლეთ ანატოლიასა და კავკასიაში, XV საუკუნეში კი ფართოდ გავრცელდა მომიჯნავე რეგიონებში. ვივარაუდებ, რომ მანამდე, XIII საუკუნის დამლევს, ამიერკავკასიაში ჯალალ ად-დინის ტიპის მუზარადმა ორი მიმართულებით განიცადა შემდგომი ევოლუცია – საქართველოში განვითარდა ე.წ. ვაველის ხაზი და ჯალალ ად-დინის მუზარადი გადაიზარდა ბაყათარისა და ვაველის (ერმიტაჟის) მუზარადებში, შირვანსა და აზერბაიჯანში კი განვითარდა ჩალმისებური მუზარადი. იდეებისა და ტექნიკური გადაწყვეტილებების აქტიური მიმოცვლა ხელს შეუწყობდა ამ პროცესების განვითარებას, რომლებიც ერთ რეგიონში ლოკალიზდება, ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ამიერკავკასია საჭურველის წარმოების მსხვილი ცენტრი იყო.

კვლევისას ყურადღება გავამახვილე ისეთ გარემოებებზე, რომ ვაველის მუზარადს არ ეტყობა ისლამური ხელობისათვის დამახასიათებელი მდიდრული ორნამენტაცია და სპარსულ-არაბული წარწერები; რომ მუზარადის მსგავსი მთლიანჭედილი გუმბათი მრავალგზისაა დადასტურებული ჯრუჭის მეორე ოთხთავისა და H-1665 დავითნის მინიატურებში; რომ შემდგომ ეპოქაშიც, XVII საუკუნეში ვაველის ტიპის მოდიფიცირებული მუზარადები გვხვდება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ორ წყაროში – თავაქარაშვილის „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურებში და კრისტოფორო კასტელის ალბომში, რაც საქართველოში ასეთი ფორმის ზუზუნის წარმოების მყარ ტრადიციაზე მიუთითებს; რომ ვაველის მუზარადის დამამშვენებელი შროშანის (სამყურა) ორნამენტი ფართოდ იყო გამოყენებული ქართულ ხელოვნებასა (არქიტექტურულ ძეგლებზე, ხატებსა და მინიატურებზე) თუ სამხედრო აღკაზმულობაში და თავაქარაშვილ-კასტელის ნახატებში ქართულ მუზარადებზე გამოსახული სამყურა ორნამენტი იმეორებდა ვაველის მუზარადის ორნამენტს; ჯალალ ად-დინის, ბაყათარის, ვაველის და თავაქარაშვილ-კასტელის მუზარადების მაგალითზე ვაჩვენე ევოლუციის ხაზი, რომლის ყველა კომპონენტიც საქართველოსთან იყო დაკავშირებული. შედეგად, დავაყენე საკითხი ვაველის მუზარადის ქართული წარმომავლობის შესახებ, აგრეთვე, მოსაზრება ევოლუციის უწყვეტ პროცესზე, რომელიც ამ ტიპის მუზარადმა განიცადა საქართველოში XI-XVII საუკუნეებში; დასასრულ, გავარკვიე პოლონეთში მუზარადის მოხვედრის მიზეზიც, რაც XVII საუკუნის პოლონეთის კავკასიური (ქართული, ჩერქეზული) მოდით გატაცებითა და პოლონური სამოსისა და შეიარაღების ორიენტაციით აიხსნება.

როგორც ვხედავთ, მოსაზრებები, რომლებიც სამეცნიერო საზოგადოებას შევთავაზე, რიგი ახალი მონაცემების გარდა, დამყარებული იყო ქართული მასალის შეჯერებაზე საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებულ ინფორმაციასთან, რამაც საშუალება მომცა ახალი კუთხით დამენახა ადრე არსებული მოცემულობა. ამავე დროს, ფაქტია, რომ ნებისმიერი თეორია, რაც არ უნდა ლოგიკურად ჯდებოდეს ის, ზოგადად ისევ თეორიისა და მოსაზრების დონეზე რჩება, სანამ დადასტურებას არ ჰპოვებს ახალ გარემოებათა თუ მტკიცებულებათა აღმოჩენის შედეგად.

სწორედ ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემ მიერ წარმოდგენილმა მოსაზრებებმა და საკითხის სრულიად ახლებურმა გადაწყვეტამ, რომელიც ვაველის მუზარადს არ აკუთვნებდა ირანისა თუ ისლამური აღმოსავლეთის ტრადიციულ და ცნობილ ცენტრებს და მის ქართულ წარმოშობას ამტკიცებდა, იმთავითვე მიიპყრო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება, ამასთანავე, სპეციალისტთა ადვილად გასაგები სიფრთხილაც გამოიწვია. ამის უმთავრესი მიზეზი კი შუა საუკუნეების საქართველოს საიარაღო ცენტრების ნაკლები ცნობადობა გახდავთ. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ დეიან რაბოვიანოვის რეცენზია ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიურ კრებულში, სადაც ის წერს: „აღმოსავლური იარაღის მკვლევართა დამსახურებულ ინტერესს იწვევს მ. წურწუმიას კვლევა „ვაველის მუზეუმში“ დაცული მუზარადი და მისი ადგილი აღმოსავლური ზუზუნის ევოლუციის პროცესში“. ავტორისეულ დასკვნებს, რომ ამ ტიპის მუზარადი განსხვავდება ჩალმისებური მუზარადისაგან და მისი ჩამოყალიბება იწყება სამ-

¹ Robinson H. R., დასახ. ნაშრომი, გვ. 27-28, 60-61; Горелик М. В., Монголо-татарское оборонительное..., с. 261-265.

ხრეთ კავკასიაში ჯერ კიდევ XII საუკუნეში, მხარს უჭერს მნიშვნელოვანი გამოქვაბულებითი მასალა. კიდევ უფრო დამაჯერებლადაა ნაჩვენები მუხარადის კავშირი XIV-XVII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ ალჭურვილობასთან¹. ამავე დროს, დ. რაბოვიანოვი, სტატიის დადებითად შეფასებასთან ერთად, აღნიშნავს, რომ „ზედმეტად რადიკალურად ეჩვენება ამ ტიპის მუხარადების მხოლოდ საქართველოში კეთებისა და გავრცელების მტკიცება და დასავლეთ ირანის მსხვილ საიარაღო ცენტრებთან მის კავშირზე უარის თქმა“².

ამ ფონზე ადვილი წარმოსადგენია ჩემი გაცემა და, თუ გნებავთ, აღტაცებაც, როდესაც ვაველის ტიპის მუხარადებზე ახალი ინფორმაცია შევიტყვე. საქართველოში აღმოჩნდა ვაველის ტიპის კიდევ ერთი მუხარადი, რომელიც პოლონეთში დაცული ეგზემპლარის ლამის ტყუპის-ცალს წარმოადგენს (სურ. 2). ეს გახლავთ ლითონის მუხარადი, რომელიც დასავლეთ საქართველოს მთიან კუთხეში, ლენხუმში, ცაგერის ისტორიულ მუზეუმში ინახება. ის 1947 წელს 350 მანეთად შეიძინა მუზეუმმა სოფელ ღუხვანოში მცხოვრებ გრ. საღინაძისგან³.

ცაგერის მუხარადი ლითონის ერთი ნაჭრისაგან გაკეთებულ მთლიანჭედილ მუხარადს წარმოადგენს. მას ამშვენებს დაბალი გვირგვინი შროშანის (სამყურა) ორნამენტით, ფორმითაც და განლაგებითაც ზუსტად ისეთივე, როგორც ვაველის მუხარადზეა: თუკი ერმიტაჟის მუხარადზე შროშანების ორნამენტი ქვემოდანაც და ზემოდანაც ერთგვარი რკალებითაა მოსაზღვრული, ცაგერის მუხარადის ორნამენტის წყობა იმეორებს ვაველისას და მასავით მხოლოდ ქვემოდანაა მოსაზღვრული. მუხარადს ქვედა კიდეზე აქვს თვალის ჭრილები, რომელთა ზემოთ დეკორატიული წარბების სამაგრი მოქლონები და მათი ნახვრეტებია შემორჩენილი; თავად წარბები დაკარგულია. სათვალის ჭრილებს შორის დამაგრებულია საცხვირის ბუდე, რომელიც ვაველის მუხარადისაგან განსხვავებით, უფრო ვიწროა და განიერის ნაცვლად, ლითონის ვიწრო ფირფიტის სახითაა წარმოდგენილი. საცხვირის ეს ვიწრო ბუდე, რომელიც მხოლოდ ორი ნახვრეტითაა დამაგრებული გუმბათზე, გვიანდელი დანამატი უნდა იყოს (ასეთი ვიწრო ბუდე აქვს საცხვირეს XV საუკუნის ჩალმისებურ მუხარადებზე); ამას მოწმობს ორი ქვედა ნახვრეტი, რომლებშიც ძველი განიერი ბუდე მაგრდებოდა, როგორცაა ეს ვაველის და ერმიტაჟის მუხარადებზე. მოძრავი საცხვირე, რომელსაც ბრტყელი ფორმა უნდა ჰქონოდა, დაკარგულია. ზუჩის გუმბათის ქვედა კიდეზე მოქლონით დამაგრებული ზარადის საკიდი კავებია. კავებში გაყრილ ლითონის წნელზე ზარადის ჯაჭვის ზედა რგოლები იყო დამაგრებული⁴. ჯაჭვის ზარადი ამჟამად დაკარგულია. მუხარადის გუმბათი დაზიანებულია და მას დაკარგული აქვს როზეტი, რომლის კვალი ჯერ კიდევ ეტყობა გუმბათის ზედაპირს. ზუჩის წონა 1145 გრამია, სიმაღლე – 20,5 სმ, დიამეტრი კი 21,5 სმ.⁵ ცაგერის მუხარადის ზომები ზუსტად ემთხვევა ვაველის მუხარადის ზომებს, რომლის სიმაღლაც 20 სმ-ია, დიამეტრი კი 21,5 სმ. მცირედი განსხვავებაა მხოლოდ წონაში – ვაველის მუხარადი ცოტათი მსუბუქია და 985 გრამს იწონის⁶.

ცხადია, ამ ორი მუხარადის როგორც ფორმის, ასევე ზომების ასეთი ზედმიწევნითი დამთხვევა მხოლოდ ერთი გარემოებით შეიძლება აიხსნას: ვაველის მუხარადიც და ცაგერის მუხარადიც არათუ ერთ ქვეყანაში, რეგიონსა და მხარეშია დამზადებული, არამედ ისინი ერთ სახელოსნოსაც კი უნდა ეკუთვნოდეს. შესაბამისად, ვაველის მსგავსად, ცაგერის მუხარადის დამზადებაც XIV საუკუნით უნდა მოხდეს. ამაზევე მეტყველებს ცაგერის მუხარადის გადაკეთებული საცხვირის ბუდეც, სადაც XV საუკუნეში გავრცელებულმა ვიწრო ბუდემ უკვე არსებული, XIV საუკუნის განიერი ბუდე ჩაანაცვლა.

ისიც საყურადღებოა, რომ ეს მუხარადი სწორედ დასავლეთ საქართველოში აღმოჩნდა. თავის დროზე, იმის საფუძველზე, რომ ვაველის მუხარადს დასავლეთქართველი ფეოდალი ფლობდა და კასტელისა და თავაქარაშვილის მუხარადებიც დასავლეთ საქართველოს რეალებს გადმოცემდნენ, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ვაველის ტიპის მუხარადი ყველაზე უფრო გავ-

¹ Рабовянов Д., Acta Militaria Mediaevalia, 7, Kraków-Rzeszów-Sanok, 2011, 252 s., *Археология*, 1 (2012), p. 125.

² იქვე.

³ ცაგერის მუზეუმში დაცული მუხარადი პირველად 2012 წელს გამოქვეყნდა მუზეუმის კატალოგში, 2014 წელს კი სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ი. ბაქრაძემ (ვარლამ მახარობლიძის სახელობის ცაგერის ისტორიული მუზეუმი (თბილისი, 2012), გვ. 48; ი. ბაქრაძე, ვაველის ტიპის მუხარადი ცაგერის ისტორიულ მუზეუმში, *ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომები*, I (2014), გვ. 134-150).

⁴ აღსანიშნავია, რომ ცაგერის, ვაველისა და ერმიტაჟის მუხარადებში გამოყენებულია ზარადის საკიდი კავების დამაგრების ერთნაირი ტექნოლოგია: ისინი სათითაოდ არიან მოქლონით მიმაგრებული გუმბათს. მათ საერთო აქვთ ჯაჭვის რგოლების დამაგრების პრინციპიც – კავებში გაყრილი ლითონის წნელით.

⁵ შდრ. ი. ბაქრაძე, ვაველის ტიპის მუხარადი..., გვ. 134. აქვე ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას მოვასხენებ ცაგერის ვ. მახარობლიძის სახელობის ისტორიული მუზეუმის დირექტორს ბ-ნ ნუგზარ კოპალიანს მუშაობაში ყოველგვარი ხელშეწყობისათვის.

⁶ მ. წურჭუბია, ვაველის მუზეუმში დაცული..., გვ. 35; Tsurtsunia M., The Helmet from the Wawel Royal..., p. 84.

რცელეული დასავლეთ საქართველოში იყო¹. ვაველის ტიპის კიდევ ერთი მუზარადის ცაგერში აღმოჩენა ამ მოსაზრების მართებულობაზეც მიუთითებს.

ცაგერის მუზარადის არსებობა საბოლოოდ ამტკიცებს, რომ ვაველის მუზარადის როზეტის წარწერა შემთხვევით არ არის ქართული, რომ ის შემთხვევით არ ეკუთვნოდა ქართველ ფეოდალს და რომ ვაველის მუზარადი ნამდვილად საქართველოში არის დამზადებული. ამასთანავე, ცაგერის მუზარადი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ქართული მუზარადის ევოლუციის ის სქემა, რომელიც მე წარმოვადგინე და რომლის საფუძველზეც ვაველის მუზარადის ქართული წარმომავლობა ვივარაუდე, ახლოს უნდა იყოს ჭეშმარიტებასთან.

სასიამოვნოა იმის აღნიშვნაც, რომ ზემოთ ხსენებული კვლევების გამოქვეყნების შემდეგ აშკარაა ინტერესის ზრდა ვაველის ტიპის მუზარადების მიმართ. ამას ადასტურებს პუბლიკაციაც ცაგერში დაცული მუზარადის შესახებ და 2014 წლის დამლევს ერმიტაჟის მიერ მოწყობილი ექსპოზიცია „ახლო აღმოსავლეთის საიარაღო ხელოვნება XV-XIX საუკუნეებში“ (“Оружейное искусство Ближнего Востока XV-XIX веков”), სადაც მუზეუმის ფონდებში მყოფი, აქამდე სრულიად უცნობი ვაველის ტიპის მუზარადი გამოფინეს ერმიტაჟის უკვე ცნობილ მუზარადთან ერთად (სურ. 3).

ერმიტაჟიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, საშუალება გვქვდა, პირველად აღვწეროთ ეს მუზარადი და შემოვიტანოთ ის სამეცნიერო მიმოქცევაში (სურ. 4)². ერმიტაჟის მეორე მუზარადი (ინვენტარის ნომერი B.O.-1238) მთლიანტყედილია. ვაველისა და ცაგერის მუზარადების მსგავსად, მისი შროშანის ორნამენტიც მხოლოდ ქვემოდანაა მოსახდვრული. მუზარადს აქვს თვალის ჭრილები, რომელთა ზემოთ დეკორატიული წარბების სამაგრი მოქლონების ნახვრეტებია შემორჩენილი. სათვალის ჭრილებს შორის საცხვირის განიერი ბუდის კვალია. მუზარადს აკლია დეკორატიული წარბები, მოძრავი საცხვირე, მისი ზედა სამაგრი და ბუდე, ზარადის საკიდი კავები, რომელთა ნაცვლად მათი სამაგრი ნახვრეტებია დარჩენილი. არ ჩანს ჯაჭვის ზარადიც. დაზიანებულია მუზარადის გუმბათიც, რომელიც უკანა მხრიდან ორიოდ აღვიდასაა გახვრეტილი. გუმბათის თავზე, ნახვრეტის გარშემო არსებული კვალი, თითქოსდა დარტყმის შედეგი უნდა იყოს, თუმცა, არც როზეტის არსებობაა გამორიცხული. ზუჩის წონა 1036 გრამია, სიმაღლე – 19,8 სმ, დიამეტრი კი 20 სმ. ისევე როგორც ერმიტაჟის პირველი მუზარადი, ეს ზუჩიც მუზეუმში ცარსკოე სელოს არსენალიდან არის შემოსული. თავად არსენალში მუზარადის მოხვედრის გზები უცნობია; მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ცარსკოე სელოს არსენალის კოლექციაში მრავლად იყო თავმოყრილი ნადავლი იარაღი, მათ შორის, ახლო აღმოსავლეთიდან, შუა აზიიდან და კავკასიიდან. მუზარადი 1840 წელს გამოცემულ პირველივე კატალოგში იხსენიება³.

ერმიტაჟის ეს მუზარადიც XIV საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. ერმიტაჟის პირველი მუზარადისაგან განსხვავებით, მისი გუმბათის ფორმა უფრო ჰგავს ვაველის და, განსაკუთრებით ცაგერის ზუჩებს. ამავე დროს, ორნამენტული შროშანები (ისევე როგორც ერმიტაჟის პირველი მუზარადის შროშანები) ნაკლებად დახვეწილია ამავე ტიპის სხვა მუზარადებთან შედარებით (შდრ. ერმიტაჟის მეორე მუზარადის შროშანები ვაველისა და ცაგერის ორნამენტს, სურ. 5). ის ან ნაკლებად გაწაფული ოსტატის მიერ არის დამზადებული ან ქართული მუზარადის მინაბაძს წარმოადგენს.

ერმიტაჟის მუზარადი ვაველის ტიპის უკვე მეოთხე ზუჩია. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენამდე მოღწეული ერთი ტიპის ამდენი მსგავსი ზუჩი შუა საუკუნეებში ვაველის მუზარადის უადრეს პოპულარობაზე მეტყველებს. ამასთანავე, ორი მათგანი (ვაველის და ცაგერის) საქართველოსთანაა დაკავშირებული, რაც პირდაპირ უნდა უთითებდეს ვაველის ტიპის მუზარადების სამშობლოზე.

ამ ბედნიერ ნოტაზე შეგვეძლო დაგვესრულებინა ეს წერილი და ცაგერის მუზარადის პუბლიკატორ ი. ბაქრაძისათვის მართლაც გულწრფელი მადლობა მექნებოდა გადასახდელი, რომ არა ერთი გარემოება: ეს გახლავთ თავად ი. ბაქრაძის მიერ არჩეული წერილის სტილი და ის ფორმა, რომლითაც მან საზოგადოებას ცაგერის მუზარადის შესახებ ამცნო – მთელი სტატიის მანძილზე ის ყოველნაირად ცდილობს ჩემი მოსაზრებების დაკნინებას და ყოველგვარი წუნის პოვნას იქაც კი, სადაც, ერთი შეხედვით, ამის მოძებნის სურვილი არ უნდა გასჩენოდა.

¹ მ. წურწუშია, ვაველის მუზეუმში დაცული..., გვ. 46, 52; Tsurtsunia M., The Helmet from the Wavel Royal..., p. 94-95, 99.

² მუზარადის ფოტო იბეჭდება პირველად, რის გამოც მადლობას მოვახსენებ ერმიტაჟის მუზეუმის თანამშრომლებს, რომელთაც სრულიად უსასყიდლოდ მოგვცეს მისი გამოქვეყნების უფლება.

³ მუზარადი კატალოგში შეტანილია, როგორც “русский железный шишак” (Седжер К. И., *Каталог редкого, старинного и восточного оружия, хранящегося в Собственном Его Императорского Величества Арсенале в Царском Селе*, 1 (Санкт-Петербург, 1840), с. 166, N170), რაც, ცხადია, შეცდომაა.

მართლაც უცნაურია, სხვის აღმოჩენაზე წერდნენ, მისივე თეორიის მამტიკიცებელი მასალა შენვე მოგყავდეს და, ამავე დროს, ძალას და ენერჯიას არ იშურებდნენ ამ აღმოჩენის განსაკუთრებლად. სწორედ ამ გარემოების გამო, იძულებული ვარ უფრო ვრცლად შევჩერდე ი. ბაქრაძის სტატიის მიხედვით.

უნდა ვაღიაროთ, ი. ბაქრაძე თავიდანვე რთული (მე ვიტყვოდი, შეუძლებელიც) ამოცანის წინაშე იდგა – მას უნდა მოეხერხებინა და გამოემუშაურებინა არტეფაქტი, რომელიც სწორედ ჩემი თეორიის სასარგებლოდ მეტყველებდა და, ამავე დროს, როგორმე ამ თეორიის უარყოფაც უნდა ეცადა. ვერ ვიტყვი, რომ ამოცანას წარმატებით გაართვა თავი, მაგრამ, ფაქტია, ცდა და მონდომება არ დაუკლია.

თავიდან ყველაზე პრინციპულ საკითხზე შევჩერდები, რომელიც, სხვასთან ერთად, საკითხის მეთოდოლოგიასაც ეხება და ოპონენტის მეტად დამახასიათებელ შენიშვნებს მოიცავს: „უნდა ითქვას, ავტორი თავის დათარიღებაში საკმაოდ კატეგორიულია: ერმიტაჟის მუზარადის დათარიღება XV ს-ით მისთვის მიუღებელია [წურწუშია მ. 2010: 50, სქ. 17]; სტამბოლის მუზარადების თარიღს (XIII ს-ის დამლევი – XIV ს-ის დამლევი) ავტორი „XIII ს-ის მეორე ნახევრით“ „ზრდის“; რეკომის მუზარადის დათარიღება XIV ს. შუა ხანებითა ან მეორე ნახევრით“ მას ხელსაყრად ეჩვენება“ და იგი თარიღს XIII-XIV სს-ის მიჯნაზე სწევს [წურწუშია მ. 2010: 62-63]. თარიღების ასეთი „კორექტირება“ გაუგებარია, როდესაც ჩამოთვლილ მუზარადთაგან არცერთს არ გააჩნია რაიმე საიმედო არგუმენტი, რაც ასეთი კონკრეტული დათარიღების საშუალებას მოგვცემდა. ნაკლებად დამაჯერებელია აგრეთვე მ. წურწუშიას სტატიაში წარმოდგენილი „სფეროკონუსური მუზარადის განვითარების საკუთრივ ქართული გზა“ [წურწუშია მ. 2010: 74, სურ. 21], სადაც მთელი XI-XVII სს-ის ქართული მუზარადის ევოლუციის ხაზი ეყრდნობა რეალურად არსებულ მხოლოდ 3 მუზარადს: ჯალალ ად-დინის (მრავალძაღის), ოს-ბაყათარისა (რეკომის) და ვაველის¹.

მეთოდოლოგიურ საკითხებზე გადასვლამდე, მოკლედ მიმოვიხილავე მუზარადების დათარიღების საკითხებს, რაც უფრო ვრცლად თავდაპირველ სტატიებშია განმარტებული: ერმიტაჟის მუზარადი ვაველის მონათესავეა და იმდენად ჰგავს მას, რომ ორივე ერთ რეგიონში და ეპოქაში უნდა იყოს დამზადებული. ბუნებრივია, ვაველის მუზარადის მსგავსად, ისიც XIV საუკუნით დათარიღდება. ამავე აზრის იყო მ. გორელიცი². დ. ნიკოლმა სტამბოლის მუზარადი, გვიანდელი გადაკეთების გამო, XIII საუკუნის დამლევი – XIV საუკუნის დამლევი დაათარიღა³. იმის გათვალისწინებით, რომ თვალის ჭრილები, საცხვირე და წარბები გვიანდელი დანამატია და ასახავს ახალი ტენდენციებს შეიარაღებაში, მუზარადის შექმნის თარიღად XIII საუკუნის მეორე ნახევარიც ანუ პერიოდი, სანამ ეს ტენდენციები დამკვიდრდებოდა, სავსებით მისაღებად მიმაჩნია. რეკომის მუზარადი XIII-XIV საუკუნეების მიჯნით დათარიღებულია⁴ მისთვის დამახასიათებელი ნიშნების ერთობლიობის (საერთო ფორმა, გვირგვინი, მეჩხერი შროშანისებური ორნამენტი, სახის დამფარავი ჯაჭვის ზარადი, თვალის ჭრილი, საცხვირე)⁵ და იმ ტრადიციის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ის ეკუთვნოდა ცნობილ ისტორიულ პიროვნებას, 1306/7 წელს გარდაცვლილ ოსების მთავარ ბაყათარს. აღსანიშნავია, რომ რეკომის მუზარადს პრაქტიკულად იმავე პერიოდით, კერძოდ, XIII საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებს ისეთი ავტორიტეტი, როგორცაა ა. კირპიჩნიკოვი, რომელთანაც ამ მუზარადის თაობაზე საგანგებო კონსულტაცია გაიარა ჩრდილოეთ კავკასიის მკვლევარმა ვ. კუზნეცოვმა⁶.

თუმცა, ეს ყველაფერი წვრილმანებია და საქმე ვინმეს შეხედულების უბრალო დაწუნება-მოწონებაზე კი არ არის, არამედ უფრო სერიოზულადაა და ეხება კვლევის დროს გამოყენებულ მეთოდებს. ი. ბაქრაძის აზრით, რადგან „ქართული მუზარადის ევოლუციის ხაზი ეყრდნობა რეალურად არსებულ მხოლოდ 3 მუზარადს“, ეს „ნაკლებად დამაჯერებელია“. როგორც ვხედავთ, ი. ბაქრაძე კვლევისას მხოლოდ რეალურად არსებულ არტეფაქტებს „ცნობს“ და ეჭვის თვალით უყურებს მომიჯნავე გამომსახველობითი მასალის აქტიურად გამოყენებას. აქედან გამომდინარე, გასაკვირიც არ არის, რომ მისთვის „გაუგებარია“ ჩემ მიერ მოყვანილი მსჯელობა, რომელიც

¹ ი. ბაქრაძე, ვაველის ტიპის მუზარადი..., გვ. 135.

² Горелик М. В., Монголо-татарское оборонительное..., с. 263-265.

³ Nicolle D., დასახ. ნაშრომი, გვ. 216.

⁴ ამას ბოლომდე ი. ბაქრაძეც ვერ უარყოფს, მაგრამ მაინც აღნიშნავს: „ამრიგად, ის ვარაუდი, რომ რეკომის მუზარადი მართლაც XIII-XIV სს. მიჯნით დათარიღდება, რომ იგი ოს-ბაყათარის კუთვნილი უნდა იყოს და რომ მისი იარაღი ქართული წარმომავლობისაა [მ. წურწუშია, ვანისა და ზურტაკეტის სამარხები როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის, *საისტორიო კრებული*, 3 (თბილისი, 2013), გვ. 63. სქ. 75], მეტ არგუმენტაციას საჭიროებს“ (ი. ბაქრაძე, ვაველის ტიპის მუზარადი..., გვ. 138).

⁵ ი. ბაქრაძე მართალია, როდესაც, დარწმუნებულად დაყრდნობით, აღნიშნავს ბაყათარის მუზარადის წარბების ვიწრო ფორმას (იქვე, გვ. 138), რაც ადვილად შეიძლება გვიანდელი (XV ს.) გადაკეთების კვალი იყოს, როგორც ამას თავად უთითებს ჯანიბეკის მუზარადის მაგალითზე.

⁶ Кузнецов В.А., *Реком, Нузал и Царазонта* (Владикавказ, 1990), с. 39.

განსახილველი საკითხის ირგვლივ უკვე არსებულ ცოდნას და დამატებითი სახვითი მონაცემების გამოყენებას ეყრდნობა.

ი. ბაქრაძის „ბრძოლაზე“ ჩემ მიერ მოყვანილ გამომსახველობით მასალასთან ვრცლად ქვემოთ შევხერდები, აქ კი მხოლოდ აღჭურვილობის ცნობილი მკვლევრის ან ბრუნ ჰოფმაიერის დებულებას შევასხენებ, რომ „მწირი არქეოლოგიური მასალის გამო, მკვლევარი მეტად უნდა დაეყრდნოს ხელოვნების ნიმუშების გამოსახულებებსა და წერილობით წყაროებს“¹. ი. ბაქრაძეს ასევე გაეუზიარებ თანამედროვე ბულგარელი არქეოლოგის ვ. იოტოვის ერთ მეტად მნიშვნელოვან და სხარტ ფორმულირებას, რომლის მიხედვითაც არქეოლოგიური მასალისა და სხვადასხვა გამოსახულების შეჯერების დროს ძალზე მნიშვნელოვანია „გვახსოვდეს, რომ ყველაფერი, რისი გამოსახულებაც გვაქვს, არ არის ნაპოვნი არქეოლოგიურად, მაგრამ ყველაფერი რაც ნაპოვნია, უკვე წარმოდგენილია გამოსახულებებში“².

ის, რომ რეალურად არსებული მასალის გარდა, მკვლევარი უნდა იცნობდეს ეპოქას, წერილობით წყაროებს, იკონოგრაფიული გამოსახვის თავისებურებებს მოცემულ პერიოდში, შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას, რაც დიდად აადვილებს კვლევას და მხოლოდ მცირერიცხოვანი არტეფაქტების იმედად არ რჩები, წესით, ი. ბაქრაძისთვისაც ნათელი უნდა იყოს, მითუმეტეს რომ, აქ არაფერი ახალი არ არის ანაც ჩემი მოგონილი – ამ მეტოდებს ჩემამდეც ბევრი მკვლევარი იყენებდა და ჩემს შემდეგაც ბევრი გამოიყენებს; სამწუხაროა, რომ ი. ბაქრაძე ამ მეტოდებს სრულად არ იყენებს, კმაყოფილდება მის ხელთ არსებული მწირი მასალით და სრულიად ბუნებრივია, რომ ვერ ახდენს მასალის გაანალიზებას და განზოგადებას, შესაფერის კონტექსტში ჩასმას და შესაბამისი დასკვნების გამოტანას და არაფრისმომცემი შენიშვნების კონსტატირების იქით ვერ მიდის.

ჩემი კრიტიკის სურვილით გატაცებულმა ი. ბაქრაძემ ვერც კი შენიშნა, რომ საბოლოოდ არა მარტო მ. წურწუმიას, არამედ საერთოდ დამკვიდრებული სამეცნიერო აზრის წინააღმდეგ გაილაშქრა, როდესაც უარყო ევოლუცია სეგმენტური მუხარადიდან მთლიანტყედილზე – მისი აზრით, ცალკეული ნიშნების გარდა, სტამბოლ-გოლიციონის მუხარადები მკვეთრად განსხვავდება ვაველის ჯგუფის მუხარადებისაგან და მათი „სეგმენტური თუ ცრუსეგმენტური სტრუქტურა, რაც უთუოდ ნომადურ ტრადიციებზე მიანიშნებს... შესაძლოა მეტყველებდეს იმაზე, რომ მუხარადები დამზადებულია სხვადასხვა ეპოქაში ან, უფრო სავარაუდოა, სხვადასხვა რეგიონში. ამდენად, მათი ერთ ევოლუციურ ჯაჭვში განხილვა მართებული არ უნდა იყოს“³.

ი. ბაქრაძეს შევასხენებ, რომ მუხარადის ევოლუციის ეს სქემა სულაც არ გახლავთ ჩემი გამოგონილი და მას ორი ისეთი ავტორიტეტი იზიარებდა, როგორცაა ჰ. რ. რობინსონი და მ. გორელიკი. ორივე მათგანის მთლიანტყედილი მუხარადის განვითარების სქემაში, სადაც ვაველის ზუზიც იყო გათვალისწინებული, სტამბოლის სეგმენტურ მუხარადს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი⁴. როგორც ადრე აღვნიშნე, მუხარადის ევოლუციის მათეულ სქემას, ცალკეული დაზუსტებების შეტანით, მეც ვეთანხმები⁵. თუკი ი. ბაქრაძეს ყველასაგან განსხვავებული აზრი აქვს, კეთილი ინებოს და დაასაბუთოს კიდევ.

ი. ბაქრაძის ამ რემარკაში სხვა შეცდომაც მოიძებნება: სეგმენტური სტრუქტურა სულაც არ მიანიშნებს აუცილებლად ნომადურ ტრადიციებზე, როგორც ეს ავტორს ჰგონია. მითუმეტეს, მცდარია ეს მოსაზრება XIII საუკუნისათვის, როდესაც სეგმენტური მუხარადის გავრცელების არეალი უზარმაზარ სივრცეებს მოიცავს და ის მყარადაა დამკვიდრებული სხვადასხვა ცივილიზაციებში.

სეგმენტური მუხარადი არც ნომადების შექმნილია და არც მხოლოდ მათ მიეკუთვნება. ჩვეულებრივ ითვლება, რომ შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული სეგმენტური მუხარადის პროტოტიპის სამშობლო ირანი ან კავკასიაა⁶. უადრესი, ძვ.წ. VI საუკუნის რკინის სეგმენტური მუხარადი კი ანატოლიაში, სარდშია ნაპოვნი⁷. ადრე შუასაუკუნეებიდანვე სეგმენტური მუხარა-

¹ Hoffmeyer A. B., *Military Equipment in the Byzantine Manuscript of Scylitzes, Gladius*, V (1966), p. 31.

² Yotov V., *A New Byzantine Type of Swords (7th-11th Centuries), Niš and Byzantium, IX (2011)*, p. 116.

³ ი. ბაქრაძე, ვაველის ტიპის მუხარადი..., გვ. 136.

⁴ იხ. მათი შრომები: Robinson H. R., დასახ. ნაშრომი, p. 27-28, 60-61; Горелик М. В., Монголо-татарское оборонительное..., с. 261-265. სხვათა შორის, მთლიანტყედილი მუხარადის სეგმენტურიდან განვითარებას ცრუსეგმენტურობაც მიუთითებს. ერთი ნაჭრისაგან გამოტყედილ მუხარადზე ძველი მუხარადების ვერტიკალური სექტორების იმიტაციაზე საგანგებოდ უთითებდა გორელიკი (Горелик М. В., Ранний монгольский доспех (IX – первая половина XIV в.), *Археология, этнография и антропология Монголии* (Новосибирск, 1987), с. 189-191).

⁵ მ. წურწუმი, ვაველის მუხეუმში დაცული..., გვ. 32; Tsursumia M., *The Helmet from the Wavel Royal...*, p. 82.

⁶ Greenewalt C. H., Heywood Jr., and A. M., *A Helmet of the Sixth Century B. C. from Sardis, Bulletin of the American Schools of Oriental Research*, 285 (1992), p. 13.

⁷ Nickel H., *The Mutual Influence of Europe and Asia in the Field of Arms and Armour, A Companion to Medieval Arms and Armour*, Ed. by D. Nicolle (Woodbridge, 2002), p. 113; Greenewalt C. H., დასახ. ნაშრომი, გვ. 1-31.

დი ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთსა თუ აღმოსავლეთ ევროპაში, ისლამურ სახელმწიფოებსა (მანამდე კი – პართულ და სასანურ ირანში) და ბიზანტიის იმპერიაში¹. შორს რომ არ წავიდეთ, XII საუკუნის ქართულ სინამდვილეშიც, როგორცაა თუნდაც ჯრუჭის II ოთხთავის მინიატურები და ფაენისის ფრესკები², საკმარისზე მეტი სეგმენტური მუზარადი მოიპოვება და მხოლოდ ნომადურ ტრადიციებზე აპელირება აშკარად არ არის სწორი.

ორში ერთია – ი. ბაქრაძე ან არ იცნობს სეგმენტური მუზარადის ისტორიას ანდა მისთვის ოპონენტის კრიტიკის სურვილი ჭეშმარიტებაზე უფრო მიმზიდველი აღმოჩნდა.

ი. ბაქრაძე ცდილობს გააკრიტიკოს ჩემი ის ვარაუდიც, როდესაც ინგუშეთში, ზემო ალკუნის სამარხში ნაპოვნ სფეროკონუსურ მუზარადზე, მისი ფორმისა და ბურთულოვანი დაბოლოების, ასევე, იმავე სამარხში ნაპოვნი ასომთავრულწარწერიანი კერამიკის საფუძველზე, ქართული გავლენის კვალი დავინახე. ამ გავლენას ოპონენტი კატეგორიულად უარყოფს – „მუზარადზე... არავითარი ქართული კვალი არ შეიმჩნევა“ და ავტორიტეტულად აცხადებს: „სფეროკონუსური ფორმა ბურთულით დამახასიათებელი ნომადური ნიშანია“³. თავისი განცხადების შესამაგრებლად ის იმეორებს ცნობილ რუს იარაღმცოდნეს ა. კირპინიკოვს⁴ და ალკუნის მუზარადის პუბლიკატორებს – დ. ჩახკიევსა და ე. ნაროჟნის.

აქ შეიძლება ჩემი ოპონენტის მიერ სამეცნიერო ლიტერატურის დამოწმების მეტად ნიშნდობლივ პრაქტიკაზეც შევჩერებულიყავი, მაგრამ მოკლედ ვიტყვი: არათუ 27-28-ე გვერდებზე, როგორც ამას უთითებს ი. ბაქრაძე, არამედ არსად, თავისი ნაშრომის არც ერთ ფურცელზე ა. კირპინიკოვი არ წერს იმის შესახებ, რომ სფეროკონუსური მუზარადი ბურთულით მომთაბარეებისთვის იყო დამახასიათებელი!

რაც შეეხება დ. ჩახკიევსა და ე. ნაროჟნის, ისინი მართლაც თვლიან, რომ ალკუნის სფეროკონუსური მუზარადი ბურთულოვანი დაბოლოებით წარმომავლობით ოქროს ურდოს მიეკუთვნება, მაგრამ ამას აკეთებენ მ. გორელიკის შრომებზე დაყრდნობით⁵. ი. ბაქრაძე კი ივიწყებს, რომ მ. გორელიკის ეს მოსაზრება, რომელიც მუზარადის ბურთულოვან დაბოლოებას მონდოლოურად თვლიდა⁶, თავის დროზე გავაკრიტიკე და მრავალმხრივი მასალის გამოყენებით ვაჩვენე, რომ სფეროკონუსური მუზარადი ბურთულოვანი დაბოლოებით სულაც არ არის მხოლოდ ნომადური (და მონდოლოური) ექსკლუზივი და რომ ასეთი მუზარადები საუკუნეთა განმავლობაში არსებობდა საქართველოში; რომ ბურთულოვანი დაბოლოება აქვთ ფაენისის XII საუკუნის ფრესკაზე მეომართა მუზარადებს⁷, XII საუკუნის ჯრუჭის მეორე ოთხთავის 186v, 231r და 236r მინიატურებზე გამოსახულ მებრძოლებს⁸, მუზარადებს XIV საუკუნის მეორე ნახევრის H-1665 დავითნის მინიატურებზე და ა.შ.⁹ ყოველივე ეს, მუზარადის ფორმისა და ქართულენოვანი კერამიკის არსებობის ფონზე, საერთოისტორიული კონტექსტისა და ჩრდილო კავკასიაზე (განსაკუთრებით, ინგუშეთზე) ქართული გავლენის გათვალისწინებით, სულ მცირე, ვარაუდის გამოთქმის უფლებას მაინც მაძლევდა.

ისე კი ადამიანი, რომელიც ინგუშეთში აღმოჩენილ მუზარადზე ყოველგვარ ქართულ გავლენას გამორიცხავს, ერთი გვერდის შემდეგ ჩრდილოკავკასიურ მუზარადებზე მსჯელობისას თავადვე გვაუწყებს, რომ „ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე, ჩეჩენ-ინგუშეთსა და ოსეთში (ნოვოტერსკოე, კელიის სამაროვანი, რეკომი)... საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გავლენა XIII-XIV სს.-ში უადრესად დიდი იყო“¹⁰.

როგორც ვხვდები, ჩრდილოეთ კავკასიაზე ქართული გავლენის შესახებ წერა მე მეკრძალება და ეს მხოლოდ ი. ბაქრაძისთვისაა ნებადართული!

მთელი სტატიის მანძილზე ი. ბაქრაძე თავგამოდებით ცდილობს უარყოს ვაველის მუზარადის კავშირი ნებისმიერ ქართულ გამოსახულებასთან. ის უარყოფს ვაველის მუზარადის მსგავ-

¹ VII საუკუნისათვის სეგმენტურ მუზარადს გაბატონებული მდგომარეობა უკავია ბიზანტიის არმიაში, სადაც ის მოგვიანებითაც რჩება მუზარადის ძირითად ტიპად (Haldon J., *Some Aspects of Early Byzantine Arms and Armour, A Companion to Medieval Arms and Armour*, Ed. by D. Nicolle (Woodbridge, 2002), p. 71.

² Привалова Е. Л., *Павлиси* (Тбилиси, 1977), Таб. VI-2, XVII-1.

³ ი. ბაქრაძე, ვაველის ტიპის მუზარადი..., გვ. 140.

⁴ Кирпичников А. Н., *Древнерусское оружие, Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв., Археология СССР* (Ленинград, 1971), с. 27-28.

⁵ Чакхийев Д. Ю., Нарожный Е. И., *Погребение знатного горского воина начала 15 в. из селения Верхний Алкун (Чечено-Ингушетия), Военное дело древнего и средневекового населения Северной и Центральной Азии* (Новосибирск, 1990), с. 134.

⁶ Горелик М. В., *Монголо-татарское оборонительное...*, с. 260-261; მისივე, *Ранний монгольский доспех...*, с. 188-189.

⁷ Привалова Е. Л., *დასახ. ნაშრომი*, Таб. VI-2.

⁸ 186v მინიატურაზე 27 ზუფიდან 26-ს ბურთულა ამშვენებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ზუფის გაფორმების ეს ტრადიცია საქართველოში მონდოლოების გამოჩენამდე არსებობდა.

⁹ მ. წურჭუმი, ვაველის მუზეუმში დაცული..., გვ. 35; Tsurtsumia M., *The Helmet from the Wavel Royal...*, p. 84-85.

¹⁰ ი. ბაქრაძე, ვაველის ტიპის მუზარადი..., გვ. 141.

სებას H-1665 დავითნის მინიატურებთანაც: „ფსალმუნის მინიატურებზე ვერ ვხედავთ ვაველის მუხარადისათვის დამახასიათებელ სათვალეს, დეკორატიულ წარბებს, მოძრავ საცხვირეს, შროშანისებურ ორნამენტს... არც იმის სამტიციცებლად არის საკმარისი არგუმენტი, რომ ვაველის ტიპის მუხარადი ბოლოვდებოდა ბურთულით, როგორც დავითნის მინიატურებზე ვხედავთ [წურწუშია მ. 2013: 58];¹ ვაველის ტიპის ერთადერთი მუხარადი, რომელსაც წვერი შემონახული აქვს (ერმიტაჟი) დაბალი კონუსური წვერით ბოლოვდება და არა ბურთულით“².

აქედანვე უნდა აღინიშნოს, რომ ი. ბაქრაძე არარეალურად მაღალ სტანდარტებს აწესებს დახატული მუხარადების მიმართ და ყოველივე პირობითობის გარეშე მათგან ისეთივე დეტალიზებას მოითხოვს, როგორც ეს რეალურ ნივთს შეეფერება. ცხადია, ასეთი მოთხოვნის წაყენება გამოსახულების მიმართ, რომელიც ექვს საუკუნეს მაინც მოითვლის, ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული.

სხვათა შორის, საცხვირის გამოსახვის პრობლემაზე დავითნში პირველად სწორედ მე მივუთითე და მევე თვალნათლივ ვაჩვენე მისი არსებობა დავითნის მინიატურაზე³; მუხარადების გუმბათის და საერთო ფორმის მსგავსებას ი. ბაქრაძე თავადვე აღიარებს („დავითნში გამოსახული მუხარადების ფორმა მართლაც ჰგავს ვაველის ზუჩის გუმბათს“)⁴; დავითნის მუხარადები ვაველისას ჰგავს გუმბათის მთლიანჭედურობით, გვირგვინითა და თავზე დამაგრებული როზეტით; მეტიც, დავითნის მინიატურებზე წარმოდგენილ მუხარადებს აქვთ ბურთულისებური დაბოლოებაც, როგორც ეს უნდა ჰქონოდა ვაველის მუხარადს და კონუსურიც, როგორც ეს აქვს ერმიტაჟის მუხარადს (სურ. 6).

ასევე, დავითნის მუხარადების გვირგვინს გააჩნია ორნამენტიც, მხოლოდ შროშანის ფორმა გამარტივებული სახით არის გადმოცემული (სურ. 7), როგორც ეს აქვს მოგვიანებით გაკეთებული იმავე ტიპის მუხარადებზე მამუკა თავაქარაშივლს; თავაქარაშივლის მიერ დახატული მუხარადების გამოსახულების დაზუსტებაში გვეხმარება კასტელის ალბომი, რომლის მუხარადებზე ორნამენტი მეტადაა დეტალიზებული და მასზე შროშანი იკითხება. ასეთივე ვითარებასთან უნდა გვეკონდეს საქმე დავითნის მუხარადების შემთხვევაშიც.

რაც შეეხება თვალის ჭრილებს და დეკორატიულ წარბებს, ერთეული ბედნიერი გამონაკლისის გარდა, ქართულ ხელოვნებაში ისინი, პრაქტიკულად, არც გამოისახება, რაც, რა თქმა უნდა, სულაც არ მეტყველებს იმაზე, რომ ეს ნიშნები ქართულ მუხარადებს საერთოდ არ გააჩნდა. ცხადია, აქაც საქმე გვაქვს რეალობის ასახვაზე იმ პირობით ჩარჩოებში, რასაც იმდროინდელი სახვითი ტრადიცია კარნახობდა მხატვარს.

ი. ბაქრაძე ასევე ცდილობს უარყოს კავშირი ვაველისა და XVII საუკუნის ქართულ მუხარადებს შორის, თუმცა მათი აშკარა მსგავსების გამო იძულებულია აღიაროს, რომ კასტელისა და თავაქარაშივლის მიერ დახატული „მუხარადები ცალკეული ნიშნებით (ოვალური გუმბათი, როზეტი, ორნამენტი) მართლაც ჰგავს ვაველის ტიპს [წურწუშია მ. 2013: 70, 78], რაც გარკვეულ მემკვიდრეობითობაზე მიანიშნებს. თუმცა, არ შეიძლება ისეთი მნიშვნელოვანი განსხვავებების უგულებელყოფა, როგორცაა: საცხვირეს არარსებობა (რასაც კასტელის შემთხვევაში იკონოგრაფიული ტრადიციით ვერ აიხსნება); კისრის [წურწუშია მ. 2013: 70] ან რაც უფრო სავარაუდოა ყურის დამცავი ფირფიტის არსებობა; დეკორატიული წარბებისა და სათვალეს არარსებობა... ამდენად ვაველის ტიპის მუხარადის დამახასიათებელი ტიპოლოგიური ნიშნების

¹ ჯერ იმას დავაზუსტებ, რომ ჩემი ნაშრომის 58-ე გვერდზე არათუ რაიმე მსგავსს ვამტიციცებდი, არამედ საერთოდ არაფერს ვწერდი ამის შესახებ; 54-ე გვერდზე კი არც ვამტიციცებდი და არც დავითნის მინიატურებს ვადარებდი, არამედ მხოლოდ ვვარაუდობდი და სიტყვასიტყვით ასე ვწერდი: „მუხარადის თავზე სამყურა ორნამენტით შედგენილი როზეტია ქართული წარწერით და პატარა ნახვრეტით, რომელშიც ალბათ, ბურთულა მაგრდებოდა [თუკი ვიმსჯელებთ ნახვრეტის ზომით და გარკვეული ანალოგიებით]“ და რომ, ქართულ მასალის მონაცემების გათვალისწინებით და თავად ნახვრეტის ხასიათიდან გამომდინარე, ამ ვარაუდის სრული უფლება მქონდა.

² ი. ბაქრაძე, ვაველის ტიპის მუხარადი..., გვ. 139. დამახასიათებელია, რომ ი. ბაქრაძე მუხარადების შედარებისას მხოლოდ ცალკეული ტიპოლოგიური ნიშნების (სათვალე, საცხვირე, წარბები), დეკორის თუ განსხვავებული ტექნოლოგიის მიხედვით მსჯელობს (იქვე, გვ. 136) და ნაკლებ ყურადღებას აქცევს გუმბათის ფორმას, რომელიც ყველაზე მეტად განაპირობებს მუხარადის კუთვნილებას ამა თუ იმ ტიპისადმი. უნდა გვახსოვდეს, რომ კლასიფიკაციის დროს მუხარადის (თუ სხვა ობიექტის) გეომეტრია პირველი რიგის და უმთავრესი ტაქსონომიური ნიშანია, რომელთან შედარებით მეორეხარისხოვანია კონსტრუქციაც და ტექნოლოგიაც; კიდევ უფრო დაბალი ტაქსონომიური მნიშვნელობა აქვს ორნამენტს თუ სხვა მორალ ტიპოლოგიურ განსხვავებებს. შემთხვევითი არ არის, რომ ი. ბაქრაძე ყოველთვის აღიარებს ჩემ მიერ მოყვანილი მუხარადების ფორმის მსგავსებას ვაველის ტიპთან, მაგრამ ცდილობს მეორეხარისხოვანი ნიშნების მოხმობით „გააბათილოს“ პირველი რიგის მსგავსებებს.

³ მ. წურწუშია, ვაველის მუხეუმში დაცული..., გვ. 43-44, სურ. 12; Tsurtsumia M., The Helmet from the Wavel Royal..., pp. 91-92, fig. 13.

⁴ ი. ბაქრაძე, ვაველის ტიპის მუხარადი..., გვ. 139.

დიდ ნაწილს კასტელთან და თავაქარაშვილთან ვერ ვხედავთ. შესაბამისად ტერმინი „ვაველის ტიპი“ ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, გამართლებული არ არის¹.

როგორც ვხედავთ, ი. ბაქრაძეც აღიარებს ამ მუზარადებს შორის მსგავსებასა და „გარკვეულ მემკვიდრეობითობას“, მაგრამ იქვე ჩამოთვლის განსხვავებებს, რომლებიც მას საფუძველს აძლევს ხელაღებით უარყოფს ვაველისა და თავაქარაშვილ-კასტელის მუზარადების ერთ ევოლუციურ რიგში ყოფნა. მისი თქმით, ეს განსხვავებებია თავაქარაშვილ-კასტელის მუზარადებზე ყურის დამცავი ფირფიტის არსებობა და, ამავე დროს, საცხვირის, დეკორატიული წარბებისა და სათვალეს არარსებობა.

ზემოთ უკვე მივუთითეთ ი. ბაქრაძის არარეალურ მოთხოვნებზე მხატვრული გამოსახულებების მიმართ, მაგრამ მაინც მივყვეთ მის ჩამონათვალს და ვნახოთ რამდენად ობიექტურია ეს ყოველივე.

ყველაზე ადვილი მისი კრიტიკის იმ ნაწილში გაბათილებაა, სადაც ის დეკორატიული წარბებისა და სათვალის არარსებობაზე აპელირებს: თუ დავაკვირდებით თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურაზე უნაგირზე დაკიდებულ ავთანდილის მუზარადს, დაინახავთ რომ სათვალეების ზემოთ, ზუჩის ლითონზე გარკვევით არის გამოსატყული ორივე დეკორატიული წარბი, რაც იმას ნიშნავს, რომ მუზარადს თვალის ჭრილებიც ექნებოდა (სურ. 8). აქ სამსჯელოც აღარაფერია გარდა ერთისა – დღესავით ნათელია, რომ ი. ბაქრაძე ისე შორს არის წასული ვაველისა და XVII საუკუნის ქართული მუზარადების მსგავსების უარყოფის საქმეში, რომ მზადაა ცხადზეც კი თვალი დახუჭოს და არარსებული განსხვავებები გამოიხსრიოს!

ახლა განვიხილოთ საცხვირისა და, ზოგადად, დაბურული სახის გამოსახვის პრობლემა ხელოვნებაში. როდესაც ი. ბაქრაძე მომმართავს – „საცხვირეს არარსებობა (რასაც კასტელის შემთხვევაში იკონოგრაფიული ტრადიციით ვერ აიხსნება)“ და ამით ამტკიცებს, თითქოს მე მხოლოდ მართლმადიდებლური მხატვრული ტრადიციის პრობლემებით ვცდილობდი დაფარული სახის გამოსახვის პრობლემის ახსნას, ის ცდება (ან ცდილობს სხვა შეიყვანოს შეცდომაში)². პირიქით, მართლმადიდებლური იკონოგრაფიის პრობლემებზე მსჯელობის შემდეგ, მე საგანგებოდ შევჩერდი სწორედ საერო პირთა მიერ შესრულებულ ნახატებზე და ვაჩვენე, რომ ამ შემთხვევაშიც კი ორივე ოსტატი, ქართველიცა და ევროპელიც, ერიდებოდა პერსონაჟის სახის დაფარულად გამოსახვას, თუნდაც ეს რეალობის საწინააღმდეგო ყოფილიყო. თვალსაჩინოებისათვის, მოვიხმობ ჩემს მსჯელობას, სადაც კასტელის მიერ დაშვებული მხატვრული პირობითობაც არის ახსნილი: „ეს ნამუშევრები ერთი იკონოგრაფიული პრობლემის გადაწყვეტაშიც გვეხმარება. მართლმადიდებლურ ხელოვნებაში დაფარული სახის გამოსახვის პრობლემებზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურები უნიკალურ შესაძლებლობას გვაძლევს დავრწმუნდეთ, რომ სრული ზარადიანი ზუჩით აღჭურვილ მებრძოლებს, იკონოგრაფიული წესებისა და ტრადიციის გამო, მაინც დაუფარავი სახით გამოსახავდნენ. თავაქარაშვილის მინიატურებზე ზუჩდახურულ გმირებს სახე ყოველთვის უჩანთ და მათი ზარადი მხოლოდ ყელს და კისერს ფარავს. ამავე დროს, 255-ე მინიატურაზე უნაგირზე დაკიდებული ავთანდილის ისეთივე მუზარადი წარმოდგენილია სრული ზარადით, რომელსაც მხოლოდ თვალის ჭრილები უჩანს. ასევე, მუზარადდახურულ ტარიელს ყველგან სახე უჩანს, მაგრამ ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ, 429-ე მინიატურაზე, მისი მოხდილი მუზარადი უკვე სრული, სახის დამფარავი ზარადითაა ნაჩვენები. მსგავს მხატვრულ ხერხს ვხვდებით კასტელის ალბომშიც. იგი სახედაუბურავს ხატავს ქართველ ისტორიულ პირებს, რომელთაც ვაველის ტიპის მუზარადი ხურავთ. ამავე დროს, ასეთივე მუზარადს, რომელიც საბახტარ ავალიშვილის უნაგირის ტახტაზეა დაკიდებული, კარგად უჩანს ჯაჭვის ზარადი, რომელიც თვალის გარდა მთელ სახეს ფარავს. ეს კი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ მხატვრები ერიდებოდნენ სახის დაფარვას და შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს ასე დახატულმა ზუჩმა: იგივე მუზარადი, მხოლოდ მოხდილი, სრული ზარადით არის ხოლმე გამოსახული“³. როგორც ვხედავთ, ამ მონაკვეთში სწორედ კასტელის მიერ დახატული საბახტარ ავალიშვილის მუზარადის მაგალითზე მაქვს ნაჩვენები, რომ ევროპელი მხატვარიც ერიდება დაფარული სახის გამოსახვას და რომ ამის მიზეზი არა მხოლოდ იკონოგრაფიული, არამედ ზოგადად სახითი ტრადიციაც არის ანუ სწორედ ის მაქვს ახსნილი, რისი აუხსნელობაც შემდგომში მევე დამაბრალა. აღსანიშნავია, რომ დაფარული სახის გამოსახვის პრობლემა არსებობდა ისლამურ ხელოვნებაშიც. ბერლინში დაცულ ე.წ. „დიცის ალბომის“ XIV საუკუნის მინიატურაზე შაჰ-ნამეს ერთ-ერთ სცენაში ორი ერთნაირი მუზარადი სხვადასხვაგა-

¹ იქვე, გვ. 139-140.

² ეს შეთოვლი, ოპონენტისათვის იმის დაბრალება, რასაც ის არც ამტკიცებდა და შემდეგ მისი „გამოჭერა“, როგორც ჩანს, ი. ბაქრაძის „საფორმო ხერხია“, რაზეც ზემოთ უკვე ვწერდი და ქვემოთაც, კიდევ ერთ მაგალითზე, დავრწმუნდებით.

³ მ. წურწუშია, ვაველის მუზეუმში დაცული..., გვ. 47; Tsurtsunia M., The Helmet from the Wawel Royal..., p. 95-97.

რადღა დახატული: თავზე დახურული ზუჩი ღია ზარადითაა გამოსახული და ის სახეს არ ფარავს, ასეთივე, ოღონდ მოხდილ, ზუჩზე კი უკვე დახურულ ზარადს ვხედავთ (სურ. 9). ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ისლამურ სახვით ტრადიციაშიც ერიდებოდნენ სახის დაფარვას. რაც შეეხება საცხვირის გამოუსახველობას ნახატ მუზარადებზე, კი არ უნდა მივიჩნიოთ, რომ ის სინამდვილეშიც არ არსებობდა, არამედ უნდა ჩავთვალოთ, რომ მხატვრული გამოსახვის თავისებურებების გამო, სახის დამფარავი ჯაჭვის ზარადის მსგავსად, საცხვირის ადგილიც უბრალოდ არ მოიძებნა მხატვრულ კომპოზიციაში; მეტსაც ვიტყვი, ამ პერიოდში საცხვირის საყოველთაო გავრცელების გამო, გასაკვირი ის უფრო იქნებოდა, რეალურ მუზარადს (და არა ნახატს) საცხვირე მართლა რომ არ ჰქონოდა.

ჩამოთვლილი ოთხი განსხვავებიდან ორი (დეკორატიული წარბები და, შესაბამისად, თვალის ჭრილები) XVII საუკუნის ქართულ მუზარადებს გააჩნიათ, საცხვირის (როგორც ზარადის) არარსებობა ადვილად აიხსნება მხატვრის სურვილით აჩვენოს დაუბურავი სახე, ხოლო რაც შეეხება მუზარადის ჩამოგრძელებულ დამცავ ფირფიტას, ის სრულიად ლოგიკური ევოლუციის შედეგი უნდა იყოს, როგორც ეს მოხდა ევროპული ბასცინეტის შემთხვევაში, რომელიც დაგრძელებული და დაფარა ყურები და კისერი¹.

გამოდის, XVII საუკუნის ზუჩები ვაველის მუზარადს ჰგავს როგორც საერთო მოყვანილობითა და გუმბათის ფორმით, ასევე ცალკეული დეტალებითაც – გვირგვინით, შროშანისებური ორნამენტით, როზეტით, ჯაჭვის ზარადით, დეკორატიული წარბებითა და თვალის ჭრილებით და მათი ადგილი კვლავინდებურად ქართული მუზარადის ევოლუციის იმ რიგშია, სადაც ადრე მიუჭინე.

მას შემდეგ, რაც ასე ერთი ხელის მოსმით „გააქარწყლა“ კავშირი ვაველისა და თავაქარაშვილ-კასტელის მუზარადებს შორის, ი. ბაქრაძე ამასაც არ დასჯერდა და იქვე თავისი მოსაზრება შემოგვთავაზა: „აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: კასტელთან და თავაქარაშვილთან გამოსახული ზუჩები დიდ მსგავსებას იჩენს ევროპულ ბაცინეტთან და განვითარებული შუა საუკუნეების ოსმალურ მუზარადთან (ტაბ. V, სურ. 13), რასაც, ვფიქრობ სამომავლოდ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს“².

ამ „მსჯელობიდან“ ერთი რამ არის მეტად საინტერესო: საცხვირის არარსებობის გამო ი. ბაქრაძე უარს ამბობს დაინახოს მსგავსება თავაქარაშვილ-კასტელისა და ვაველის მუზარადებს შორის, მაგრამ ამავე დროს ხედავს მსგავსებას ოსმალურ შიშაკთან, რომელსაც საცხვირე გააჩნია! თუ ვინმე აქ ლოგიკას დაინახავს და მეც სიტყვას შემაწვეს, დიდად მადლობელი დავრჩები. და საერთოდ, რა აქვს მსგავსი თავაქარაშვილ-კასტელის მუზარადებს თურქულ შიშაკთან, რომელსაც კისრის და ყურის დამცავი ფირფიტები ცალ-ცალკე ემაგრება და რომელსაც ისეთი დამახასიათებელი ნიშანი გააჩნია, როგორიცაა წინაფრა, ალბათ, მხოლოდ ი. ბაქრაძემ იცის³. ანკი, როგორ ახერხებს ის საერთო იპოვოს ორ ისეთ განსხვავებულ მუზარადს შორის, როგორიცაა ევროპული ბაცინეტი და თურქული შიშაკი? ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ი. ბაქრაძე მზადაა XVII საუკუნის ქართული მუზარადების შესატყვისები ყველგან ეძებოს – XIII-XV საუკუნეების ევროპულ ბაცინეტში⁴ და XVI-XVII საუკუნეების ოსმალურ შიშაკშიც, ოღონდ კი მუზარადის ევოლუციის საკუთრივ ქართული გზა არ დაინახოს: აქამდე მიიყვანა ის სხვისი შეხედულების მიუღებლობამ და ჩემთან კამათის დაუოკებელმა სურვილმა.

ცოდევა გამხედილი სჯობს და უნდა ითქვას, რომ ძალიან დამღლეულია ი. ბაქრაძისეული „კრიტიკის“ ყოველი გამოვლინების ჩხრეკა და მათზე პასუხის გაცემა, მაგრამ ერთ მათგანზე, როგორც მეტად ტიპურზე, მაინც უნდა შევჩერდე. თავაქარაშვილი-კასტელის მუზარადების ჩამოგრძელებულ ნაწილზე მსჯელობისას ის ასეთი ფორმით იმოწმებს ჩემს ნაშრომს: „კისრის [წურწუშია მ. 2013: 70] ან რაც უფრო სავარაუდოა ყურის დამცავი ფირფიტის არსებობა“⁵. რაღა თქმა უნდა, ამის შემდეგ მკითხველს შთაბეჭდილება დარჩება, თითქოს მ. წურწუშია თავისი ნაშრომის 70-ე გვერდზე წერს ფირფიტაზე, რომელიც მხოლოდ კისერს იცავს, ხოლო ი. ბაქრაძე კი მას უსწორებს და უთითებს, რომ ეს ფირფიტა უფრო ყურს იცავდა. ხომ მართლაც არაფრის მთქმელი და არავითარი მნიშვნელობისაა ეს „შესწორება“, რომლის უგულებელყოფაც თავისუფლად შეიძლებოდა, მაგრამ მოდით მაინც ვნახოთ რასთან გვაქვს საქმე და მოვიყვან ციტატას ჩემი ნაშრომის 70-ე გვერდიდან, რომელსაც ი. ბაქრაძე „ასწორებს“: „მცირედი მოდიფიკა-

¹ Blair C., *European Armour: circa 1066 to circa 1700* (London, 1958), p. 67.
² ი. ბაქრაძე, ვაველის ტიპის მუზარადი..., გვ. 140.
³ სხვათა შორის, ქართულ მუზარადებთან შედარებით, თუ რამდენად განსხვავებულად ხატავს ოსმალურ შიშაკს თავად კასტელი, ბაქრაძეს შეუძლია იხილოს მის ალბომში (დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ (თბილისი, 1976), სურ. 235).
⁴ XVI საუკუნეში ბაცინეტს იშვიათად თუ ახსენებენ.
⁵ ი. ბაქრაძე, ვაველის ტიპის მუზარადი..., გვ. 139.

ცია შეეხო ზუჩის უკანა მხარეს, რომლის ლითონის ნაწილიც ჩამოგრძელებულია და მთლიანად ფარავს კეფას, კისრის ზედა ნაწილს და ყურებს“. როგორც ხედავთ, პირველად სწორედ მე ვწერდი ფირფიტაზე, რომელიც კისერთან ერთად ყურებსაც იცავდა და არაფერი შესასწორებელი (ამ შემთხვევაში მაინც) ამ წინადადებას არა აქვს. რა ჰქვია ი. ბაქრაძის ამ საქციელს, თუ არა სამეცნიერო ეთიკით დაუშვებელი ეშმაკობა და მკითხველის შეცდომაში შეყვანის ცდა?!

ამის შემდეგ მეგონა ვერაფერი გამაკვირვებდა, მაგრამ მთავარი სიურპრიზი თურმე წერილის ბოლოს მელოდა – როდესაც უკვე ვიფიქრე, რომ ჩემი საშველი აღარ იყო და ჩემი თეორიიდანაც ქვა-ქვაზე აღარ იყო დარჩენილი, ჰოი საოცრებაჲ, თავისივე კრიტიკამ ავტორი სწორედ ასეთ დასკვნამდე მიიყვანა: „მ. წურწუშია ვაველის მუხარადის „ქართული წარმომშობის“ საკითხს აყენებს. მეტიც, ავტორის მტკიცებით, „ვაველის ტიპის მუხარადი საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მას მცირედი სახეცვლილებით სამი-ოთხი საუკუნის განმავლობაში, პრაქტიკულად ფეოდალური ეპოქის დასასრულამდე, იყენებდნენ [წურწუშია მ. 2013: 69]. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ზემოთ ითქვა, ვერ გავიზიარებ ავტორის მოსაზრებას, თითქოს ქართულ ხელნაწერებსა თუ კასტელის ალბომში ვაველის ტიპის, თუნდაც „მცირედ შეცვლილი“ ან „მოდიფიცირებული“ მუხარადი იყოს გამოსახული, ვფიქრობ ვერსია მუხარადის ქართული წარმომავლობის შესახებ უსაფუძვლო არ არის“¹. შევბისაგან ვერაფერს ვამბობ, ვაღიარებ მხოლოდ, რომ განსაკუთრებული მღვდვარებით ი. ბაქრაძის ბოლო დასკვნა წავიკითხე: „ვაველის ტიპის მუხარადის ქართული წარმომავლობა საკვებით დასაშვებია. ამდენად ამ მიმართულებით კვლევა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს“². ახლა კი, ხუმრობა იქით იყოს და მკითხველმა თავი ჩემს ადგილზე წარმოიდგინოს: როგორია, როდესაც ადამიანი შენს აღმოჩენას უტრიალებს, ერთი სიტყვითაც არ აღნიშნავს მის მნიშვნელობას და მთელ დროს მის კრიტიკას უთმობს, ლამის ყოველ სქოლიოში შენს სტატიას ან შენ მიერ გამოყენებულ ლიტერატურას იმოწმებს, თან ცდილობს ყოველ სიტყვაზე გეკამათოს და მაინც შენი დასკვნის იქით ვერ მიდის და იძულებულია, მთავარში დაგეთანხმოს?!

საერთო ჯამში, ი. ბაქრაძის ტაქტიკა ზედმიწევნით ცხადია, ის ცდილობს მთლიანად უარყოს რაიმე კავშირი ჩემ მიერ მოხმობილ ქართულ გამომსახველობით მასალასა და ვაველის მუხარადს შორის, ამ ხერხით დაარღვიოს ლოგიკური კავშირი ქართულ და ვაველის მუხარადებს შორის და არ აღიაროს მათ შორის მემკვიდრეობითობა. ამ დროს ის ერთხელაც არ დაფიქრებულა, რომ მუხარადთა ფორმისა და ცალკეული დეტალების ეს მუდმივობა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ახასიათებდა საქართველოს, შემთხვევითი არ არის და ერთმანეთთანაა დაკავშირებული; ერთხელაც არ დაუსვია კითხვა, რომ თუკი ცაგერისა და ვაველის მუხარადები საქართველოშია დამზადებული, როგორ შეიძლება ისინი არცერთხელ არ ასახულიყო ქართულ ხელოვნებაში?! როგორ შეიძლება დაუშვა, რომ ქართული მინიატურები სრულიად სხვა რეალობას და სხვა მუხარადებს აღწერს, ვაველის და ცაგერის მუხარადები კი სხვა რეალობაა, რომლებიც ერთხელაც კი ვერ მოხვდნენ მხატვრის თვალსაწიერში?! მოკლედ, იმას, რაც უცხოელისთვისაც კი ფრიად საჩინოა³, ჯიუტად არ აღიარებს ი. ბაქრაძე.

ისე კი საინტერესოა, თუ როგორ წარმოუდგენია ი. ბაქრაძეს ვაველის მუხარადის დონის დახვეწილი იარაღის ნიმუშის გაჩენა? ნუთუ ფიქრობს, რომ ის ცარიელ ადგილზე აღმოცენდა? არც წინამორბედი ჰყავდა და თავადაც უკვალოდ გაქრა? ანკი, თუ ვაველის მუხარადის დამზადებას საქართველოში ისიც აღიარებს (აღბათ ამ „დათმობაზე“ საგანგებო მადლობა ეკუთვნის და არა მარტო ჩემგან), მართლა ფიქრობს რომ თავაქარაშვილ-კასტელის სურათებზე ასახულ მუხარადებს მასთან არავითარი კავშირი არ აქვს და ისინიც ცარიელ ნიადაგზე იშვა? თუმცა, ის ხომ „დიდ მსგავსებას“ ხედავს თავაქარაშვილ-კასტელის მუხარადებსა და ოსმალურ შიშაკს შორის! სწორედ ამაზეა ნათქვამი – თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასო!

ახლა ვნახოთ, თუ საბოლოოდ რა შედეგამდე მიგვიყვანს ი. ბაქრაძის მსჯელობა⁴: ერთი მხრივ, ის უარყოფს ქართული მუხარადის ევოლუციური რიგის არსებობას და მასში ვაველის მუხარადის ადგილს, უარყოფს ვაველის მუხარადის კავშირს ქართულ გამოსახულებებთან, მეორე მხრივ კი ამტკიცებს, რომ ვაველის ზუჩი უკვე „ჩამოყალიბებული მუხარადის ტიპია“⁵. აქედან, ლოგიკურად გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ ვაველის მუხარადი ქართულ ნიადაგზე კი არ არის შექმნილი, არამედ მისი მზა თარგი გარედანაა იმპორტირებული და მხოლოდ კარგი ხარისხით აქ გამოჭედილ ნივთს წარმოადგენს.

¹ იქვე, გვ. 141.

² იქვე.

³ იხ. დ. რაბოვიანოვის მიერ ვაველის მუხარადისა და ქართულ გამოსახულებებს შორის არსებული კავშირის შეფასება: Рабовянов Д., დასახ. ნაშრომი, გვ. 125.

⁴ მიხდა ვიფიქრო, რომ მეტნაკლებად ღრმად ეს არც აქვს გააზრებული, თორემ შესაძლო შედეგზე მეტად რომ დაფიქრებულიყო, შეიძლება თავადვე აელო ხელი ამ ფორმით სტატიის გამოქვეყნებაზე.

⁵ ი. ბაქრაძე, ვაველის ტიპის მუხარადი..., გვ. 134.

თუკი თავაქარაშვილ-კასტელის მუზარადები ვაველის მუზარადის განვითარებას არ წარმოადგენს, თუკი, თავის მხრივ, ვაველის მუზარადს წინ არ უძღოდა ქართული მუზარადების მთელი წყება, რომელთა ეტაპობრივი ევოლუცია ნაჩვენებია მაქვს ჩემს ნაშრომში, გამოდის, ვაველის მუზარადში მხოლოდ წარწერაა ქართული; გამოდის, საქართველოში მუზარადი არ ვითარდებოდა, აქ მხოლოდ მზა ნიმუშები და თარგები შემოდიოდა და ასე პირდაპირ და უეცრად, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე საქართველოში ხან ვაველის მუზარადს ჭედდნენ, ხან კი ოსმალურ შიშაკს. რაღა შუა საუკუნეების საქართველო და რაღა ერთი ცნობილი ქვეყნის საამქროები, სადაც მხოლოდ უცხოურ კლონებს შტამპავენ!

ვაველის მუზარადის ქართულობაზე უმთავრესად მისი გვიანდელი ქართული წარწერა კი არ მეტყველებს, როგორც ეს ჰგონია ი. ბაქრაძეს¹, არამედ სწორედ ქართული მუზარადის ევოლუციის ის სქემა, რომელიც მე წარმოვადგინე და რომლის ფონზეც ის ცარიელ ადგილზე აღმოცენებულს ან სხვათა თარგისგან გადმომღერებულს კი არ ჰგავს, არამედ ლოგიკური ადგილი უკავია საუკუნეების მანძილზე ჩვენს ქვეყანასა და რეგიონში მიმდინარე მუზარადის ევოლუციის პროცესში.

ნორმალურ ვითარებაში ამაზე საუბარი ალბათ არც ღირდა, მაგრამ ი. ბაქრაძის ამ ოპუსს თავისი წინაისტორია აქვს. აქამდე სამეცნიერო საზოგადოება ი. ბაქრაძეს იმ სტატიით იცნობდა, რომელიც მრავალი შეცდომითა და მცდარი მეთოდოლოგიით გამოირჩევა² (ჯერ ის რად ღირს, მომთაბარეთა ორი სამარხი ქართულად რომ მიიჩნია და ჩათვალა, რომ XI-XII საუკუნეებში ქართველები გარდაცვლილს წარმართული რიტუალით მარხავდნენ და, სხვადასხვა ნივთებთან ერთად, ცხენსა და იარაღსაც თან ატანდნენ ან ზურტაკეტის მასალის პუბლიკაციისას კონსტანტინე X დუკას მონეტის ნაცვლად რომანოს IV-ის ექვსთავიანი მონეტის სამუხეუმო მულაჟი რომ გამოაქვეყნა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ზურტაკეტის სამარხთან) და რომლებზეც, მომიჯნავე საკითხებზე წერისას, სხვადასხვა დროს საკმაოდ დელიკატურად, მხოლოდ სქოლიოების დონეზე ვუთითებდი³. იმის ნაცვლად, რომ საკუთარ შეცდომებზე დაფიქრებულიყო, ახალგაზრდა კაცმა სხვა გზა აირჩია და, თავისი აზრით, სამაგიეროს მიზღვა მოინდომა. როგორც ჩანს, ყველა არ იმსახურებს ასეთ გაფრთხილებას და აქედან ჩემი გაკვეთილი მე უკვე გამოვიტანე, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ი. ბაქრაძეს, რომელიც ახლა იწყებს პირველი ნაბიჯების გადადგმას სამეცნიერო ასპარეზზე, გულწრფელად მინდა ვურჩიო, დაუკვირდეს თავისი მომავალი წერილების როგორც ფორმას, ისე შინაარსს; პირველ რიგში, დაიცვას სამეცნიერო ეთიკა, გაითვალისწინოს, რომ უხერხულია, როდესაც ნაშრომი ფაქტობრივად არა საკითხს, არამედ სხვას (მითუმეტეს, მის კრიტიკას) „ეძღვნება“; ახსოვდეს, რომ კამათის დროს მიღებულია ოპონენტის ნაშრომში დადებითი აღნიშვნაც და საკითხის შესწავლაში მისი წვლილის აღიარებაც; სხვის კრიტიკაზე მეტად იზრუნოს ცოდნის გაღრმავებასა და მეთოდოლოგიის დახვეწაზე; იყოს დაკვირვებული და ნაკლებად დაუშვას ფაქტობრივი თუ კორექტურული შეცდომები, რადგან ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, მისი როგორც მკვლევრის კულტურაზე მეტყველებს⁴.

ბოლოს და ბოლოს, ჩვენს პოლემიკაში ის კი არ არის უფრო მნიშვნელოვანი, რომელი ჯაჭვის რგოლი რომელ მუზარადს ჰქონდა რომელ საუკუნეში მიმაგრებული, არამედ მნიშვნელოვანია სწორედ საკითხის გააზრება, არსებული მასალის სინთეზურად წარმოდგენა, ამის საფუძველზე საკუთარი თეორიისა თუ მოსაზრების ჩამოყალიბება, დაბოლოს, ამ მოსაზრების მართებულობა, რომლის დადგენასაც, ჩვეულებრივ, საკმაოდ დრო და ახალი მასალა სჭირდება ხოლმე. ჩემს შემთხვევაში, ამაზე უკეთეს საჩუქარს ჩემი „კრიტიკოსისგან“ ვერც ვინატრებდი: მისი ყოველმხრივი ცდების მიუხედავად, დაჩრდილა ქართული მუზარადის ევოლუციის ჩემეული თეორია, ის ვერსად წაუვიდა თავად ფაქტს და ცაგერის მუზარადის გამოქვეყნებით თავადვე დაადასტურა ის, რის უარყოფასაც ასე თავგამოდებული ცდილობდა.

¹ იქვე, გვ. 141.
² ი. ბაქრაძე, X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის (არქეოლოგიური მონაცემებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით), *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, IV (თბილისი, 2011), გვ. 59-99.
³ იხ. მ. წურჭუბია, ვანისა და ზურტაკეტის სამარხები როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის, *საისტორიო კრებული*, 3 (თბილისი, 2013), გვ. 164, 172, 178; მისივე, XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები ნიკორწმიდელის დაწერილის მიხედვით), *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, 8 (თბილისი, 2013-2014), გვ. 126-127.
⁴ ავიღოთ, თუნდაც, XV საუკუნის ცნობილი კასტილიელი მოგზაურის მაგალითი, რომელსაც ი. ბაქრაძე იმეორებს (ი. ბაქრაძე, ვაველის ტიპის მუზარადი..., გვ. 137) და რომელიც, *რუი გონსალეს დე კლავიხო* კი არ არის, არამედ *რუი გონსალეს დე კლავიხო*; ჩანს, ბაქრაძემ რუსულიდან ისე „თარგმნა“ მოგზაურის გვარი, რომ არც მისი მართლწერით (*Ruy González de Clavijo*) დაინტერესებულა და არც ქართულ ენაზე უკვე არსებული გამოცემით (იხ. *რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ*, ესპანურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალისევილმა (თბილისი, 1992), გვ. 1-48).

1. ი. ბაქრაძე, ვაველის ტიპის მუზარადი ცაგერის ისტორიულ მუზეუმში, *ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომები*, I (2014).
2. ი. ბაქრაძე, X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის (არქეოლოგიური მონაცემებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით), *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, IV (თბილისი, 2011).
3. დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ*, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ (თბილისი, 1976).
4. ვარლამ მახარობლიძის სახელობის ცაგერის ისტორიული მუზეუმი (თბილისი, 2012).
5. *რუი გონსალეს დე კლავისოს ცნობები საქართველოს შესახებ*, ესპანურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა (თბილისი, 1992).
6. მ. წურწუშია, ვაველის მუზეუმში დაცული მუზარადი და მისი ადგილი აღმოსავლური ზუნების ევოლუციის პროცესში, *ქართველოლოგია*, 5 (თბილისი, 2010).
7. მ. წურწუშია, ვანისა და ზურტაკეტის სამარხები როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის, *საისტორიო კრებული*, 3 (თბილისი, 2013).
8. მ. წურწუშია, XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები ნიკორშიდელის დაწერილის მიხედვით), *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, 8 (თბილისი, 2013-2014).
9. Горелик М. В., Монголо-татарское оборонительное вооружение второй половины XIV – начала XV в., *Куликовская битва в истории и культуре нашей Родины* (Москва, 1983).
10. Горелик М. В., Ранний монгольский доспех (IX – первая половина XIV в.), *Археология, этнография и антропология Монголии* (Новосибирск, 1987).
11. Кирпичников А. Н., Древнерусское оружие, Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв., *Археология СССР* (Ленинград, 1971).
12. Кузнецов В.А., *Реком, Нузал и Царазонта* (Владикавказ, 1990).
13. Привалова Е. Л., *Павниси* (Тбилиси, 1977).
14. Рабовянов Д., *Acta Militaria Mediaevalia*, 7, Kraków-Rzeszów-Sanok, 2011, 252 s., *Археология*, 1 (2012).
15. Седжер К. И., *Каталог редкого, старинного и восточного оружия, хранящегося в Собственном Его Императорского Величества Арсенале в Царском Селе*, 1 (Санкт-Петербург, 1840).
16. Чахкиев Д. Ю., Нарожный Е. И., Погребение знатного горского воина начала 15 в. из селения Верхний Алкун (Чечено-Ингушетия), *Военное дело древнего и средневекового населения Северной и Центральной Азии* (Новосибирск, 1990).
17. Blair C., *European Armour: circa 1066 to circa 1700* (London, 1958).
18. Chodynski A. R., The Sun and the Lion – Sketches on Persian Militaria, *Persian and Indo-Persian Arms and Armour of 16th-19th Century from Polish Collection*, Catalogue exhibition ed. by A. R. Chodynski (Malbork, 2000).
19. Greenewalt C. H., Heywood Jr. and A. M., A Helmet of the Sixth Century B. C. from Sardis, *Bulletin of the American Schools of Oriental Research*, 285 (1992).
20. Haldon J., Some Aspects of Early Byzantine Arms and Armour, *A Companion to Medieval Arms and Armour*, Ed. by D. Nicolle (Woodbridge, 2002).
21. Hoffmeyer A. B., Military Equipment in the Byzantine Manuscript of Scylitzes, *Gladius*, V (1966).
22. Kobylinski L., Persian and Indo-Persian Arms, *Persian and Indo-Persian Arms and Armour of 16th-19th Century from Polish Collection*, Catalogue exhibition ed. by A. R. Chodynski (Malbork, 2000).
23. Nickel H., The Mutual Influence of Europe and Asia in the Field of Arms and Armour, *A Companion to Medieval Arms and Armour*, Ed. by D. Nicolle (Woodbridge, 2002).
24. Nicolle D., *Arms & Armour of the Crusading Era, 1050-1350: Islam, Eastern Europe and Asia* (London, 1999).
25. Robinson H. R., *Oriental Armour* (New York, 1967).
26. Tsurtsunia M., The Helmet from the Wawel Royal Castle Museum and its Place in the Evolution of Oriental Helmet, *Acta Militaria Mediaevalia*, 7, (2011).
27. Yotov V., A New Byzantine Type of Swords (7th-11th Centuries), *Niš and Byzantium*, IX (2011).
28. Zygulski Z., *Bron Wschodnia* (Warszawa, 1986).
29. Zygulski Z., Islamic Weapons in Polish Collections and Their Provenance, *Islamic Arms and Armour*, Ed. by R. Elgood (London, 1979).
30. Zygulski Z., *Stara Bron w Polskich Zbiorach* (Warszawa, 1982).



სურ. 1. მუზარადი ვაველის მუზეუმიდან.



სურ. 2. ცაგერის მუზეუმში დაცული მუზარადი: წინხელი, გვერდხელი, ზედახელი (ავტორის ფოტო).



სურ. 3. ერმიტაჟის მუდმივმოქმედი ექსპოზიცია „ახლო აღმოსავლეთის საიარაღო ხელოვნება XV-XIX საუკუნეებში“. ვიტრინას, სხვადასხვა იარაღთან ერთად, ვაველის ტიპის ორი მუზარადი ამჟღავნებს: მარცხენა ქვედა მხარეს ჩემ მიერ აღრე გამოქვეყნებული ერმიტაჟის მუზარადია ცარსკოე სელოს არსენალიდან, მარჯვენა ქვედა მხარეს კი – წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი ერმიტაჟის მეორე მუზარადი.



სურ. 4. ერმიტაჟში დაცული ვაველის ტიპის მეორე მუხარადი. ინვენტარის ნომერი B.O.-1238, ერმიტაჟი, სანკტ-პეტერბურგი. მ. პეცუროვას ფოტო



სურ. 5. ორნამენტული შროშანები ერმიტაჟის მეორე ვაველისა და ცაგერის მუხარადებზე



სურ. 6. მუხარადების კონუსური (წინა პლანზე) და ბურთულოვანი (უკანა პლანზე) დაბოლოებები H-1665 დავითნის მინიატურაზე. გვ. 199v, ფრაგმენტი. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

სურ. 7. ორნამენტი H-1665 დავითნის მუხარადებზე. ფრაგმენტები გვერდებიდან 194r, 198r, 199v, 204r, 229r. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.





სურ. 8. დეკორატიული წარბები ავთანდილის მუზარადზე.
„ვეფხისტყაოსნის“ თავაქარაშვილისეული ნუსხა, H-599 ხელნაწერი,
გვ. 255, ფრაგმენტი. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.



სურ. 9. ღია და დახურული
ზარადებით გამოსახული ერთნაირი
ზუნები. დიციის ალბომი, ბერლინის
სახელმწიფო ბიბლიოთეკა
(Diez A fol. 71, S. 42, Nr. 2).

ONCE MORE ABOUT THE WAWEL HELMET

In Cracow, Poland, in the Wawel Royal Castle Museum a well-known helmet of the 14th century is kept which attracts the attention of those interested in Oriental weapon. This helmet was considered to be of Persian provenance until 2010 when a research paper, authored by me, was published in which the origin of the Wavel helmet and its place among the Oriental armament as well as certain stages in the development of the Georgian helmet were reconsidered. Within the scope of this research it was also made possible to find and compare the exhibits of helmets kept at various museums all over the world (Wawel, Hermitage, Istanbul and Georgia). As well as this, paleographical research was conducted, the inscription on the helmet rosette was explored and its age was stated. A historical study was conducted during which the owners of the helmet at different stages were identified. For this purpose the relevant Georgian and Polish data were compared. The research was crowned by the study of the arts samples – hammered icons (11-12th centuries), Georgian miniatures (12th, 14th, and 17th centuries) and sketches made by foreign travellers (17th and 19th centuries). During the research a Georgian inscription on the rosette of the helmet, which was even considered to be of Armenian origin, was found and deciphered. It was revealed that in the 17th century the helmet belonged to a representative of a powerful feudal household of Imereti Sazvereli Chijavadze. It was stated that the Wavel helmet was not of Persian origin and did not appear in Georgia by chance but it presented a logical stage in the evolution of the Georgian helmet.

This article discusses two new helmets of the Wavel type discovered quite recently. One of them was discovered in Georgia and is kept in the Tsageri History Museum whereas the other is preserved in the Hermitage, St. Petersburg.

The helmet kept in Tsageri is an almost identical copy of the Wavel Helmet. These two helmets closely resemble each other not only in their general shape and ornaments but coincide exactly in size as well. Such a close resemblance can be explained by just one circumstance: both the Wavel helmet and the Tsageri helmet were made not only in one and the same country or region, but presumably in one and the same workshop.

As for the Hermitage helmet, it has become an object of a scholarly discussion for the first time in this article. The Hermitage helmet is the fourth helmet of the Wavel type which has reached us and which points to its extreme popularity in the Middle Ages. At the same time, the fact that two of them (the Wavel and Tsageri helmets) are connected to Georgia must be pointing to the country of origin of the Wavel type helmets.

**რეცენზია წიგნზე: მამუკა წურჭუშია. შუა საუკუნეების ქართული
ლაშქარი (900-1700): ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება.
თბილისი: 2016. 782 გვ. ISBN 978 9941 0 9688 4**

შუა საუკუნეების საქართველოს სამხედრო ისტორიისა და შეიარაღების მკვლევარმა მამუკა წურჭუშიამ, რომლის სახელი ქართველი და დასავლეთ ევროპის სამეცნიერო საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი, გამოსცა ფუნდამენტური, პირველხარისხოვანი, კაპიტალური სამეცნიერო ნაშრომი „შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700): ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება“. იმის გათვალისწინებით, რომ დღემდე ამ მიმართულებით წარმოებულ კვლევებს ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა და ყოვლისმომცველი არ იყო, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მ. წურჭუშია თავისი ახალი მონოგრაფიით საქართველოს სამხედრო ისტორიის სისტემატიზებულ, მეცნიერულ-კრიტიკულ შესწავლას მნიშვნელოვან მუხტს შემატებს და წინ წასწევს. თავისი ნაშრომის შესაქმნელად მკვლევარმა საკმაოდ რთული, თუმცა ყველაზე სწორი გზა აირჩია: მან გაკვაღული ბილიკით სიარულსა და წინამორბედ მკვლევართა ნაშრომებში შესული დასკვნების ბრმად მოხმობაზე უარი თქვა და საისტორიო წერილობით წყაროებში, ეპიკურ და ნარატიულ ლიტერატურაში დაცულ ცნობებზე დაყრდნობით, აგრეთვე, არქეოლოგიური მასალის გამოყენებით ისინი კრიტიკულად გაანალიზა. ავტორმა თავის კვლევაში უხვად გამოიყენა კედლის მოხატულობებსა და ხატწერის ნიმუშებში ასახული სამხედრო აღჭურვილობის ელემენტების ანალიზიც. ამან თავისი შედეგი გამოიღო და მ. წურჭუშიამ დღემდე ფართოდ გავრცელებული არაერთი მოსაზრება თუ კატეგორიული დასკვნა არათუ ეჭვქვეშ დააყენა, არამედ საკითხების სიღრმისეულად შესწავლის საფუძველზე საკუთარი დასკვნები დაუპირისპირა და ახლებურად წარმოაჩინა. მ. წურჭუშიას დასკვნები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოს სამხედრო ისტორიის ახლებურად წარმოჩენისთვის, არამედ ზოგადად ფეოდალური საქართველოს ისტორიის რიგი საკითხების განსხვავებულად გააზრებისთვის. სამხედრო საქმესთან დაკავშირებული ყველა საკითხი მონოგრაფიაში დეტალურადაა განხილული, იქნება ეს ქართული ლაშქრის მოწყობის წესი, ბრძოლის სტილი და მისი დროში ცვალებადობა, საბრძოლო თავდაცვითი საჭურველი თუ შეტევითი შეიარაღების სახეები და ა.შ.

წიგნი ათი თავისგან შედგება. პირველი თავი შუა საუკუნეების საქართველოს სამხედრო ორგანიზების საკითხებს ეძღვნება. ავტორი აღნიშნავს, რომ ფეოდალური ელიტის მთავარ და ძირითად მოვალეობას სამხედრო სამსახური წარმოადგენდა. თავდაპირველად, ელიტას აზნაურები წარმოადგენდნენ. ისინი საბრძოლო მოქმედებებისთვის სათანადოდ იყვნენ აღჭურვილნი. XV საუკუნეში, თავადთა წოდების ჩამოყალიბებასთან ერთად, აზნაურთა ფენა დაემცრო, თუმცა, თავადების მსგავსად, ქართული შეიარაღებული ლაშქრის ელიტად კვლავინდებურად რჩებოდნენ. ზემორეს წყალობით, ქართული ლაშქარში პროფესიონალ მეომრებზე დაფუძნებული სტრუქტურა იყო. ქართულ ლაშქარში აზნაურებთან ერთად მათი მსახურებიც იბრძოდნენ, რომლებიც ცხენზე ამხედრებულნი ახლდნენ თავიანთ ბატონს. მსახურთა აღჭურვილობა ხარისხითა და სისრულით აზნაურისას ჩამოუვარდებოდა. მ. წურჭუშია არ იზიარებს ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ მოსაზრებას, რომ ქართული ფეოდალური ლაშქრის ძირითად და ყველაზე მრავალრიცხოვან ნაწილს მდაბიოთავან გამოსული მოლაშქრენი (მდაბიორ-მოლაშქრენი) შეადგენდნენ. ავტორი თავის მოსაზრებას სავსებით სამართლიანად ამაგრებს იმ მოსაზრებით, რომ ამ კატეგორიის მეომრებს არ გააჩნდათ არანაირი მატერიალური სახსარი, რათა საკმაოდ ძვირად ღირებული სამხედრო აღჭურვილობა და ცხენი შეეძინათ, რამდენადაც მოლაშქრეობა ცხენზე ამხედრებულად ბრძოლას ნიშნავდა. როგორც ავტორს აქვს დადგენილი, XI-XII სს-ში მძიმედ შეიარაღებული ქართველი მოყმის აღჭურვილობა, დაახლოებით, 37-44 ოქრო ღირდა, რაც იმავე რაოდენობის ძროხის ღირებულებას შეესაბამებოდა. მეორე მხრივ, არსებობდა მსახურთა ფენა, რომელიც მოლაშქრეობდა. მსახურთა მოლაშქრეობის უზრუნველსაყოფად, ის ბატონს უნდა აღჭურვა და მუდმივ კმაყოფაზე ჰყოლოდა, ან მოლაშქრეს პატრონისაგან, მიწის ნაკვეთის სახით, მუდმივი შემოსავლის წყარო უნდა ჰქონოდა. XV საუკუნიდან, მსახურთა ფენამ დაქვეითება განიცადა და ზოგიერთი ავტორის აზრით, მსახურთა წოდება საერთოდ გაქრა. წიგნის ავტორი ამ ბოლო მოსაზრებას არ იზიარებს და არგუმენტად რამდენიმე ისტორიული საბუთი მოჰყავს.

ლაშქრის ფეხოსნებს (ქვეითებს) დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები – წერილი ერობა და გლეხობა შეადგენდნენ. მათ არასრულ საბრძოლო აღჭურვილობასთან ერთად, დაბალი საბრძოლო მომზადება ჰქონდათ, ამიტომ, ომებში მათი მონაწილეობა საკმაოდ შეზღუდული იყო. ამას ისიც განაპირობებდა, რომ გლეხების სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისაგან სისტემატური მოწყვეტის შემთხვევაში, ფეოდალისა და შესაბამისად მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდებოდა. მოგვიანებით, ზემორე მიდგომა შეიცვალა: თუ ადრეულ და განვითარებულ შუა საუკუნეებში სამხედრო საქმიანობაში გლეხობის მხოლოდ მცირე ნაწილი იყო ჩართული, XVII-XVIII სს-ის დაქუცმაცებულ საქართველოში გლეხების რესურსი უფრო ფართოდ გამოიყენებოდა.

საბრძოლო მოქმედებების ანალიზისთვის ზემორე საკითხების დაზუსტება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ბრძოლაში გამარჯვებას თუ დამარცხებას, გამოყენებული შეიარაღების ტექნიკურ მახასიათებლებისა და ლაშქრის რიცხოვნობასთან ერთად, ლაშქრის სოციალური სტრუქტურაც განსაზღვრავდა.

მ. წურწუშია შენიშნავს, რომ ქართული ჯარის სოციალური მდგომარეობის პრინციპზე მოწყოლა საბუთებშიც აისახა: მათში ძირითადად მხოლოდ მოლაშქრეები არიან მოხსენიებულნი, რის გამოც იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს, ლაშქარში ქვეითები არც კი მსახურობდნენ.

საქართველოს მთიანეთის ლაშქრის მიწყობას ავტორი ცალკე განიხილავს და აღნიშნავს, რომ მთაში ფეოდალიზმის არასრულად შეღწევის გამო, მთიელთა ლაშქარი „სამხედრო დემოკრატიის“ პრინციპებზე იყო აგებული.

წიგნის მეორე თავში ქართული ლაშქრის წვრთნისა და დისციპლინის საკითხებია განხილული. მ. წურწუშია აღნიშნავს, რომ გიორგი III-ის ზეობისას, მოლაშქრე ჩადენილი დანაშაულისთვის ძალიან მკაცრად – ჩამოხრჩობით ისჯებოდა. ავტორი შენიშნავს, რომ ჩამოყალიბებული სამხედრო სამართლის კოდექსი შუა საუკუნეების საქართველოში არ არსებობდა, ამიტომ ლაშქრად მყოფ მებრძოლთა სამართლებრივი ურთიერთობის დარეგულირებას სამართლის წიგნში გარკვეული ნორმების შეტანით ცდილობდნენ. ავტორი დაწვრილებით განიხილავს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის იმ მუხლებს, რომლებიც არეგულირებდნენ ნაალაფარი იარაღისა და საჭურვლის განაწილების წესს ლაშქარსა და სახელმწიფო ხაზინას შორის. სამართლის წიგნში შეტანილია მოკლეულის სამოსელისგან სრულად განძარცვის აღმკვეთი მუხლიც, რაც ქართველ მოლაშქრეთა შორის ზნეობის მაღალი დონის შენარჩუნებას ემსახურებოდა. ნახსენებ თავში მიმოხილულია მოლაშქრეობისთვის ბავშვების (5 წლის ასაკიდან) წვრთნისა და ბრძოლის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების წესები, მეაბჯრეობის ინსტიტუტი და აღლუმების, ნადირობისა და სხვადასხვა ასპარეზობათა როლი მოლაშქრეთა წვრთნაში. საინტერესოა ავტორის დაკვირვება, რომ ევროპული რაინდული ტურნირების მსგავსი ორთაბრძოლები საქართველოშიც იმართებოდა, თუმცა, მათ ისეთი კლასიკური სახე ვერ მიიღეს როგორც ევროპაში. აღნიშნულის მიზეზად ავტორს ის ესახება, რომ XIII ს-დან მოყოლებული, მუდმივად ბრძოლებში ჩართულ თავადაზნაურობას „გასართობი“ ტურნირებისთვის აღარ ეცალა. ამავე საუკუნის შუა ხანიდან, ქართველი რაინდის აღჭურვილობაში მშვილდმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, რის გამოც ყაბახი უფრო პოპულარული გახდა.

მეორე თავის ცალკე ნაკვეთი ხმლის სამართლის ანუ სასამართლო ორთაბრძოლის საკითხებს ეძღვნება.

მესამე თავი მთლიანად ქართული ცხენოსანი და ქვეითი ლაშქრის სამხედრო ტაქტიკას მიმოიხილავს. ავტორი, ცხენოსანი ჯარის ტაქტიკის ფარგლებში, წავრძელებული შუბით ბრძოლის წესებს განიხილავს. მ. წურწუშიას აზრით, ქართველები ბრძოლის ამ მეთოდს ბიზანტიელებისგან X საუკუნეში უნდა გასცნობოდნენ, თუ უფრო ადრე არა. იგი შუბით ბრძოლის წესისა და ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკის საბოლოო დანერგვას, სავარაუდოდ, XII საუკუნეს – დავით აღმაშენებლის ზეობის ხანას უკავშირებს. ქართველი მოლაშქრეები შუბით ბრძოლის ხერხს გვიან შუა საუკუნეებამდე იყენებდნენ. ავტორი, საისტორიო წყაროებისა და იკონოგრაფიული მასალის მოხმობით, ამგვარი ბრძოლის წარმართვის დეტალებს აღადგენს.

მეოთხე თავი ქართული ლაშქრის ჩაცმულობა-აღჭურვის გარეგნულ მხარეს, ჯარის მართვისა და კომუნიკაციის საშუალებებს, საბრძოლო დროშების სახეობებსა და მათი დაცვის წესებს, ლაშქრობის დროს შტანდარტისა და ძელი ცხოველის გამოყენებას ეხება. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, მას მოჰყავს ცნობა ხელმწიფის კარის გარიგებიდან, რომლის თანახმად, ლაშქრობისას ძელი ცხოველისთვის ცალკე კარავი იყო გამოყოფილი. ავტორი სამხედრო ბანაკის გუშაგთა სტრუქტურას აღადგენს. ამავე თავში განხილულია საბრძოლო კარვის ფორმები, ლაშქრის სატრანსპორტო ქარავნის შედგენილობა და სხვა ლოგისტიკური საკითხები, მათ შორის პირუტყვის გამოსაკვებად თან წადებული მარაგები და საძოვრების რესურსი. ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ იმდროინდელი შეზღუდული ადამიანური რესურსები, ნაკლებად განვითარებული

სოფლის მეურნეობა, განუვითარებელი საგზაო ინფრასტრუქტურა და მომარაგების სირთულეები შუა საუკუნეების არმიის მცირერიცხოვნობას განაპირობებდა. ანალოგიური დასკვნები აქვთ მიღებული უცხოელ მკვლევარებსაც, რაც ქართველების მიერ გადახდილ ზოგიერთ ცნობილ ბრძოლაში მტრის რიცხოვნობის არარეალურად გაზრდილი მნიშვნელობების გადახედვის საფუძველს იძლევა.

მესუთე თავში საჭურვლისა და საბრძოლო იარაღის დასამზადებლად აუცილებელი რკინის მოპოვებაზე, ფოლადის გამოდნობისა და წრთობის მეთოდებზეა საუბარი. განხილულია საჭურვლის თავისებურებები, ღირებულება და მათი სალოცავებისადმი შეწირვის ტრადიცია.

წიგნის მეექვსე თავი საქართველოში გავრცელებული თავდაცვითი აღჭურვილობის მიმოხილვას ეთმობა. ავტორი აღნიშნავს, რომ ქართული მუზარადი, ევროპული დახურული მუზარადისგან განსხვავებით, სატარებლად უფრო მოხერხებული და პრაქტიკული, თუმცა, შედარებით ნაკლებად დაცული იყო. ხმლის მოქნევისას დარტყმის ძალის შესარბილებლად მუზარადს შიგნიდან ქეჩის საფენი ჰქონდა ამოკრული. ქართული ხელნაწერების მინიატურებზე დაყრდნობით ავტორი შენიშნავს, რომ მუზარადის ზუჩის გუმბათის თავი ბურთულით ბოლოვდებოდა, რომელშიც თასმა იყო გაყრილი და გაკვანძული, ან ტყავის წყვილი „ენა“ იყო დაკიდებული. მონღოლების დროს შემოსული წვეტიანი მუზარადის ზუჩის გუმბათის თავი პატარა სამკუთხა აღმით ბოლოვდებოდა (XI-XII სს.). განხილულია სეგმენტური მუზარადის ტიპი, აგრეთვე მთლიანჭედილი კონუსური (X ს.) და XI საუკუნიდან გავრცელებული სფეროკონუსური (XI-XII სს.) მუზარადები. ეს უკანასკნელი XIV საუკუნეში ვაველის ტიპის მუზარადად ტრანსფორმირდა, რა ტიპიც კრაკოვში, ვაველის სასახლის მუზეუმში დაცულ მუზარადს გულისხმობს. ამ მუზარადის როზეტზე ქართული წარწერაა შესრულებული, რომელშიც საზვერელ ჩიჯავაძე იხსენიება. მ. წურწუმიას აზრით, ვაველის მუზარადი ყველაზე ფართოდ დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული. ავტორი, მხედველობაში იღებს რა „ვეფხისტყაოსნის“ მამუკა თავაქარაშილისეულ მინიატურებსა და კასტელის ჩანახატებში ასახულ ვაველის ტიპის მუზარადებს და ითვალისწინებს, რომ დასავლეთ საქართველოს (სწორედ აქ არის შესრულებული ორივე პირის ნახატები) მონღოლური-ირანული ზეგავლენა არ განუცდია, დიდი ალბათობით დასაშვებად მიიჩნევს მოსახრებას ვაველის მუზარადის ქართული წარმოშობისა და ადგილზე უწყვეტი ევოლუციის შესახებ, ვიდრე ამ ტიპის ჩამოყალიბებაზე მონღოლური-ირანული გავლენის ვერსიას.

XII საუკუნეში მოოქრული, ტალღოვანი მუზარადის გამოჩენას საქართველოში ავტორი ყივჩაღური გავლენით ხსნის და საქართველოში მათი ჩამოსახლების ისტორიულ ფაქტს უკავშირებს, თუმცა, ჯერ გაურკვეველია ამგვარი მუზარადები ჩვენში ადგილზეც მზადდებოდა თუ არა. მ. წურწუმიას აღნიშნავს, რომ საქართველოში ხმარებაში იყო ჩრდილოეთი და სამხრეთი ქვეყნებიდან გავრცელებული მუზარადის ტიპები. მათ რიგში მოიხსენიებს ირანულ კულახულს, რომელიც საქართველოში XVII-XVIII სს-ში გამოიყენებოდა.

ავტორი დაწვრილებით მიმოიხილავს საბრძოლო თავსარქმელების სხვადასხვა ტიპებს, მათ შორის ჯაჭვის ჩაბალახს, ჩაჩქანსა და რკინის ფარფლებიან ქუდს.

წიგნში ცალკე ნაკვეთი აქვს დათმობილი სხეულის აბჯრის ქერცლოვან, ლამერალურ (დამოქლონებული და „ამობრუნებული“ ქვეტიპებით) და ლამინარულ სახეობებს. ავტორი უკუაგდებს ტ. დოუსონის მოსაზრებას, რომლის თანახმად საქართველოში არსებობდა ქერცლოვანი აბჯრის განსაკუთრებული სახეობა, რომლის წვრილ ფირფიტებს ცენტრის მიდამოში ორი ღრმული ჰქონდა და ახუსტებს, რომ ტ. დოუსონის მიერ დამოწმებულ აბჯარს, სინამდვილეში, არა ღრმული, არამედ მოქლონები გააჩნდა, თანაც ისინი არა ფირფიტის ცენტრში, არამედ მის კიდეებზე იყო განლაგებული. ჩატარებული კვლევის საფუძველზე ავტორი გამოთქვამს საინტერესო ვარაუდს, რომ ფირფიტოვანი აბჯრის წარმოებისა და ინოვაციის ერთ-ერთ მსხვილ ცენტრად საქართველო ჩანს და რომ ბიზანტიის იმპერიაში გავრცელებული აბჯრის ტიპებიდან ზოგიერთი შესაძლოა სწორედ აქ იღებდეს დასაბამს. მ. წურწუმიას მიმოხილული აქვს ჯაჭვის აბჯრის ტიპები, ადგილობრივი თავისებურებები და აბჯრის გაძლიერების ხერხები. ცალკე ქვეთავი ქსოვილის აბჯარს, აბჯარქვეშა საცმელსა და აბჯარზედა ჩასაცმელს, აგრეთვე კიდურების დაცვით საშუალებებს ეძღვნება. უნდა შევნიშნო, რომ მ. წურწუმიას პირველი ავტორია, რომელმაც ქართული სამხედრო აღჭურვილობის ისტორიაში დღემდე არსებული ხარვეზი შეავსო და ქართული ტიპის სამკლავეები შეისწავლა. მათთან დაკავშირებით, ავტორი გამოჰყოფს ადგილობრივი წარმოშობის ელემენტს – გარეთ გამოტანილი ანჯამით გადაბმულ ფირფიტებს. განხილულია ხელთათმანებისა და ფარების ტიპები. დეტალურად არის მიმოხილული ხევისურული ფარები და უბის ფარები.

წიგნის მეშვიდე თავი შეტევითი იარაღისადმი მიძღვნილი. განხილულია პოროლი, შუბი, გმური, გეონი, ხიშტი და კინენი, ხოლო სატყორცნ-სამკერებელი იარაღიდან – სათხედი და ზუფანი. მეტად საინტერესოა მკვეთელი იარაღისადმი (ხმალი, მახვილი) მიძღვნილი ნაკვეთი. ავ-

ტორი ქართული მახვილის განვითარების სამ ეტაპს გამოჰყოფს (X-XII სს.) და აღნიშნავს, რომ XIII საუკუნეში, მონღოლთა გავლენით, მახვილი თანდათანობით მოხრილი ხმლით ჩანაცვლდა. ავტორს ცალკე აქვს განხილული ცალპირა სწორი ხმალი (პალაში), რომელიც ყველაზე ფართოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რეგიონებში იყო გავრცელებული. მ. წურწუშია ეხება საქართველოსა და ზოგადად კავკასიაში პოპულარულ იარაღს – ორღესულ ხანჯალს და სხვა ავტორებისგან განსხვავებით, მის კავშირს რომაულ მოკლე მახვილთან ვერ ხედავს. ავტორი საგანგებოდ ეხება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულ, ასომთავრულ წარწერიან ხანჯალს, რომელიც ბაგრატ III-ის კუთვნილ იარაღად მიიჩნეოდა. ხანჯლისა და მასზე შესრულებული წარწერის შესწავლის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ ნახსენები იარაღი აშკარად გვიანდელია – დამზადებულია 1820 წლის შემდეგ. ამასთან, მ. წურწუშია არ გამოორიცხავს, რომ ქართული ტიპის ხანჯალი XVIII საუკუნეზე უფრო ადრე იყოს შექმნილი.

მეტად საინტერესოა ხმლის ტარების წესისადმი მიძღვნილი ნაკვეთი. ცალკე არის განხილული საბრძოლო ცული და დასარტყმელი იარაღის სახეები (ლახტი და გურზი) და მათი ტარების ხერხი. ეყრდნობა რა წერილობით წყაროებს, იკონოგრაფიულ მასალასა და სამუხეუმო ექსპონატებს, ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოში საბრძოლო ლახტის მრავალფეროვანი ნიმუშები გამოიყენებოდა: მათი ნაწილი ადგილობრივ იყო დამზადებული, ნაწილი უცხოური მიწიდან იყო, ზოგიც ბიზანტიურ-მონღოლური თუ ირანულ-ოსმალური წარმოშობის. ქართულ მშვიდლთან დაკავშირებით ავტორი ვარაუდობს, რომ მასზე სასანური მშვიდლის ფორმას უნდა მოეხდინა გავლენა, რომლისგან ერთ-ერთი ნიშანი – სწორი (რიგიდული) ბოლოები დიდხანს შეინარჩუნა. XIII ს-ის შუა ხანიდან, მონღოლთა გავლენით, საქართველოში მონღოლური ტიპის მშვიდლი დამკვიდრდა. ისრების ტიპების განხილვისას, ავტორი ყურადღებას ჭვირულად დეკორირებულ ნიმუშებზე ამახვილებს და მათ საკულტო, ცერემონიულ დანიშნულებაზე მიუთითებს.

მერვე თავში ცხენის აღკაზმულობა და მორთულობა განხილულია. ავტორი მიმოიხილავს უნაგირის, უხანგებისა და დეზების საქართველოში გავრცელებულ სახეობებს. იკონოგრაფიულ გამოსახულებათა ანალიზის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ უხანგს საქართველოში უკვე VIII ს-ში იყენებდნენ, თუმცა შესაძლებლად თვლის, რომ ის VII ს-შიც შემოეტანათ. საქართველოში უხანგის ხმარების VII ს-ში დაწყება ზედმეტად ვარაუდოდ მიმაჩნია და აი რატომ: როგორც ცნობილია, უხანგი ჩინეთში, ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში გამოიგონეს. ის დიდი ხნის განმავლობაში უცნობი იყო ძველი ახლო აღმოსავლეთის ხალხებისთვის, აგრეთვე ბერძნებისა და რომაელებისთვის. უხანგის ხმარება ირანში 694 წლის შემდეგ დაიწყო¹. რაც შეეხება დასავლეთ სამყაროს: წერილობით წყაროებში უხანგის ხსენებას პირველად „სტრატეგიკონში“ (სამხედრო ხელოვნების შესახებ დაწერილ ტრაქტატში) ვხვდებით. თავდაპირველად, „სტრატეგიკონის“ შექმნა ბიზანტიის იმპერატორ მავრიკიუსს მიეწერებოდა და, შესაბამისად, მისი ზეობის პერიოდით – 539-602 წწ-ით თარიღდებოდა. შემდგომში, ეს თარიღი გადაიხედა და 575-628 წწ-მდე გადაიწია², ფილოლოგებმა კი, რომლებმაც ტექსტის ენობრივ-გრამატიკული თავისებურებები შეისწავლეს, ეს თარიღიც ეჭვქვეშ დააყენეს და „სტრატეგიკონი“ არაუადრეს VIII ან IX საუკუნის თხზულებად მიიჩნიეს³. სხვათა შორის, ბოლო დროს გადაათარიღეს „სტრატეგიკონის“ თანადროულ თხზულებად მიჩნეული, უცნობი ავტორის ტრაქტატი „სტრატეგიის შესახებ“, რომელიც მოგვიანებით სირიანუსის ნაშრომის ერთ-ერთი თავი აღმოჩნდა და ის, ამ ავტორის თხზულების დანარჩენ ორ თავთან ერთად, რომლებიც მანამდე ცალკე-ცალკე ნაშრომებად ითვლებოდა, VI ს-ის ნაცვლად, IX ს-ით (შუა ხანი ან ბოლო) დაათარიღეს⁴. იმის გათვალისწინებით, რომ ტრაქტატების შექმნის დროსთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, შუა საუკუნეების ლაშქრის მოწყობის საკითხებზე მუშაობისას, ზემორე, უფრო გვიანდელი თარიღებიც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული. ქართულ მაგალითს რომ მივუბრუნდეთ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ქართველებს უხანგები ირანელებსა და ბიზანტიელებზე ადრე გამოეყენებინათ. თავისთავად ის ფაქტი, რომ საქართველოში უხანგების ხმარება VIII საუკუნეში დაიწყო, მრავლისმეტყველია და გარე სამეზობლოსთან ჩვენი ქვეყნის აქტიურ კავშირებზე მიანიშნებს.

მერვე თავის ცალკე ნაკვეთი ცხენის აბჯარს ეძღვნება. ავტორი მას, ძირითადად, წერილობით წყაროებზე დაყრდნობით მიმოიხილავს: ჩვენამდე ადგილობრივად დამზადებული ცხენის აბჯრის მხოლოდ ერთმა გამოსახულებამ მოაღწია ბოდლის ბიბლიოთეკაში დაცული ვეფხის-

¹ White L., Jr., *Medieval Technology and Social Change*, (Oxford, 1964), p. 19.

² Dennis G. T., *Maurice's Strategikon: a Handbook of Byzantine Military Strategy* (Pennsylvania, 1984), p. XVI.

³ White L., Jr., *Medieval Technology and Social Change*, p.20-21, 144.

⁴ Cosentino S., *The Syrianos's "Strategikon": a 9th-Century Source?*, *Bizantinistica* 2, (2000), p. 243-280; Ph. Rance, *The Date of the Military Compendium of Syrianus Magister (Formerly the Sixth-Century Anonymus Byzantinus)*, *Byzantinische Zeitschrift*, 100 (2007), p. 701-737.

ტყაოსნის მინიატურის სახით. ადრე გავრცელებული მოსაზრებისგან განსხვავებით, ჩატარებული კვლევის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ ცხენის აბჯრის გამოყენებას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს. მ. წურწუმიას საინტერესო დაკვირვება აქვს იმ მსგავსებასთან დაკავშირებით, რაც ქართულ ტერმინ თორსა (ჯავშანი) და თორნეს შორის არსებობს. ავტორი ანალოგიურ ტერმინოლოგიური მსგავსების არსებობას რომაულ და სპარსულ ენებშიც აღნიშნავს.

წიგნის მეცხრე თავი სააღყო ხელოვნებას ეძღვნება. განხილულია სააღყო ტექნიკის სახეები და თავდაცვითი ნაგებობების აღების ხერხები. ავტორი საგანგებოდ განიხილავს მოაღყის მიერ სახელდახელო საფორტიფიკაციო ნაგებობის, ე.წ. შურის ციხის აგების ხერხს, რასაც იმ შემთხვევაში მიმართავდნენ, როცა ციხის სრულ აღყაში მოქცევა და აღება შეუძლებელი ან მიზანშეუწონელი იყო.

ავტორი მეათე თავში ქართული შეიარაღების კომპლექსს განიხილავს. ის არ იზიარებს მოსაზრებას, თითქოსდა, საქართველოში შუა საუკუნეების განმავლობაში სამხედრო აღჭურვილობა უცვლელი რჩებოდა. მისი აზრით, არ იცვლებოდა მხოლოდ ბრძოლის სტილი, ხოლო აღჭურვილობა მუდმივად ვითარდებოდა და სხვადასხვა გავლენებსაც განიცდიდა.

ავტორი ქრონოლოგიურად ოთხ პერიოდს გამოყოფს, რომელთა ფარგლებში ქართული შეიარაღებისა და შეტევის სახეების ცვლილების ანალიზია მოცემული. პირველ პერიოდში (X ს. – XIII ს-ის I მესამედი) მიმდებარე შეჭურვილი ცხენოსნის შეიარაღების კომპლექსი იყო გავრცელებული. ავტორი შენიშნავს, რომ ამ პერიოდში ქართველები იცნობდნენ ბანაკად ყოფნის იმ წესებს, რომლებიც თანადროულ ბიზანტიურ ტრაქტატებში – *Peri strategias*-ა და *Praecepta militaria*-შია გაწერილი. მ. წურწუმიამ ამ პერიოდში ქართული ლაშქრის აღჭურვილობისათვის სახასიათო მრავალფეროვნებასა და მოწინავე ტექნოლოგიების არსებობას უკავშირებს საქართველოს მუდმივ კონტაქტებს ნომადურ ჩრდილოეთთან და ირანულ-არაბულ-ბიზანტიურ სამყაროსთან. XI ს-ის ბოლოდან და XII ს-ში ბრძოლის ქართულ წესზე გავლენა უკვე დასავლეთევროპულმა სამხედრო ხელოვნებამ მოახდინა, რაც ფრანკი მოქირავნებისა და ჯვაროსნების დამსახურება იყო. მეორე პერიოდის დროს (XIII ს-ის II მესამედი – XIV ს-ის I ნახევარი) ქართველები, შოკური შეტევის პარალელურად, ფართოდ იყენებდნენ მშვილდ-ისრით ბრძოლის ხერხს. ავტორის აზრით, ქართველი მეომრები მონღოლურისაგან განსხვავებულ, ე.წ. „ისრის წვიმის“ ტაქტიკას მიმართავდნენ, რა დროსაც ისრებს მოწინააღმდეგის მიმართულებით მასიურად, პირდაპირ დამიზნების გარეშე ისროდნენ. მესამე პერიოდში (XIV ს-ის II ნახევარი – XVI ს-ის I ნახევარი) ქართველებმა თავდაცვითი აღჭურვილობის გაძლიერება დაიწყეს, რა დროსაც ხმარებაში სამუხლე, საწვივე და სამკლავე შემოვიდა. ქართველთა მხედრობამ, შოკური შეტევისა და წაგრძელებული შუბით ბრძოლის ტაქტიკის გამოყენებასთან ერთად, ნომადური ბრძოლის ელემენტები შეიძინა. მეოთხე პერიოდის მანძილზე (XVI ს-ის II ნახევარი – XVII ს.) ქართულ შეიარაღებაზე ირანისა და ოსმალეთის სამხედრო საქმემ მოახდინა გავლენა. XVI ს-ის II ნახევრიდან ცეცხლსასროლმა იარაღმა მოიკიდა ფეხი, თუმცა მისი როლი მცირე იყო, რადგან XVII ს-ის ბოლომდე საქართველოში ბრძოლისთვის მოუხერხებელი პატრუქიანი თოფი იყო გავრცელებული. ამგვარი ტექნოლოგიური ჩამორჩენა ქვეყნის დასუსტებისა და დაქუცმაცებულობის შედეგი იყო.

წიგნს ბოლოში დართული აქვს შეიარაღების ძველქართული დასახელებებისა და საბრძოლო ტერმინების ლექსიკონი, ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმე და ბიბლიოგრაფია, ისტორიულ პირთა სახელების, გეოგრაფიული და ეთნიკური სახელებისა და ტერმინების საძიებლები.

მ. წურწუმიას მონოგრაფია შუა საუკუნეების ქართული ლაშქრისა და შეიარაღებისადმი მიძღვნილი მაღალი დონის სამეცნიერო ნაშრომია, რომელიც უზარმაზარი შრომის ფასად არის შექმნილი. ფაქტიურად, ეს არის ნახსენებ თემაზე გამოცემული პირველი ქართული მონოგრაფია-ენციკლოპედია, რომელიც მხოლოდ ქართული მაგალითებით არ შემოიფარგლება: მონოგრაფიაში უხვად არის მოხმობილი სამხედრო საქმეში მსოფლიო გამოცდილების მაგალითები, რის გარეშეც ქართული ლაშქრის მოწყობისა და აღჭურვის საკითხებზე სიღრმისეული მსჯელობა შეუძლებელი იქნებოდა. მ. წურწუმიას მონოგრაფიის ყოვლისმომცველობისა და საკითხების განხილვის სიღრმისეულობის გათვალისწინებით, დარწმუნებული ვარ, რომ ის ისტორიკოსებისა და ნებისმიერი რიგითი მკითხველის სამაგიდო წიგნი გახდება. მონოგრაფიის არსებული ტირაჟი – 150 ცალი, ვერანაირად ვერ დააკმაყოფილებს ქართული საზოგადოების ინტერესს და ვფიქრობ, რომ მოკლე ხანში მისი ხელმეორედ გამოცემის საჭიროება დადგება. აუცილებლად მიმანინია მ. წურწუმიას მონოგრაფიის ინგლისურ ენაზე თარგმნა და გამოცემა, რადგან წიგნის ბოლოში დართული ვრცელი რეზიუმე სრულყოფილად ვერ წარმოაჩენს მონოგრაფიაში უხვად გაბნეულ მნიშვნელოვან დასკვნებს, რომლებსაც არსებითი წვლილი შეაქვს არა მხოლოდ შუა საუკუნეების საქართველოს, არამედ ზოგადად მსოფლიო სამხედრო ისტორიის გააზრებაში.

წიგნი მათხრობა – „მზე შინა და მზე გარეთა“

ცნობილია, რომ შეხედულებები ქვეყნიერების აგებულების შესახებ ემყარება ემპირიულ პრაქტიკაში ისტორიულად შემუშავებულ ცოდნას. ეს განსაკუთრებით იგრძნობა სივრცის ორგანიზაციის შესახებ არსებულ წარმოდგენებში, რომელთა მოქმედება ძირითადად რელიგიურ-მითოლოგიურ შეხედულებებში ვლინდება. სივრცის გააზრების ერთ-ერთი თეორია სამყაროს ცენტრში აყენებს ინდივიდუმს, რომელიც სოციალურ ჯგუფთან მთლიანობაში უნდა განიხილებოდეს. მას გარს არტყია შეცნობილი, მოწესრიგებული გარემო, ხოლო ამ უკანასკნელს კი, შეუცნობადი, შეუღწევადი სივრცე. „შინა“ მოწესრიგებული, სოციალური ერთეულის თვალსაწიერზე განლაგებული ტერიტორიაა, რომელიც ჰორიზონტის სახით ესაზღვრება „გარეს“, ქაოსს, სტიქიათა არაორგანიზებულად გამოვლენის ასპარეზს. მისი მოწესრიგების, კრეაციის პროცესი მითოსურ დროში მიმდინარეობს. ამ პროცესს ღვთაებები ახორციელებენ. მოწესრიგებელი, არასოციალური სივრცის ქცევა სოციალურად, ანუ კულტურის დადგენა ბუნებაში, საკრალური აქციაა, რომელიც მოასწავებს ქაოსიდან ახალი, თვისებრივად განსხვავებული გარემოს შექმნას, რის შედეგად ქაოსი იქცევა კოსმოსად, უხილავი ხილულად. ქაოსის კოსმოსად ქცევა, ე. ი. არაორგანიზებული მატერიის სივრცეში მოწესრიგება, ქვეყნიერების შექმნის მითოსურ საწყისს წარმოგვიდგენს. „შინა“ სოციალური ჯგუფისა და ინდივიდის საარსებო, მოწესრიგებული სივრცეა, რომელიც ისევე უპირისპირდება „გარეს“, როგორც კოსმოსი ქაოსს. „გარეს“ გააზრებაში შენარჩუნებულია „ქაოსური“ ბუნება და ამიტომ თუ „შინა“ საკრალური და წმინდაა, „გარე“ შეიძლება უწმინდური და მავნე იყოს. ამიტომ ამ ორ სამყაროს შორის გარდაუვალი ურთიერთობა გარკვეული წესით ხორციელდება, რაც გამოიხატება საგანგებო რიტუალური მოქმედებით. ამ რიტუალებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმიტაციას, განწმენდას და ა. შ., რომელთა მიზანია უცხო ნიშანთა ნიველირება, ე. ი. კონფლიქტური სიტუაციის მოსპობა (ი. სურგულაძე). ამგვარ რიტუალთა შორის საყურადღებოა „მზე შინა და მზე გარეთა“, რომელიც უძველესი დროიდან მომდინარე საწესო-საფერხულო სიმღერაა. მასში დაღეჭილია რწმენა-წარმოდგენების მრავალი შრე, რომელსაც კავშირი აქვს არქაულ კოსმოგონიასთან და რელიგიასთან.

საკითხთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იწვევს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ეთნოლოგის ნინო ღამბაშიძის ნაშრომი „მზე შინა და მზე გარეთა“, რომელიც სიმღერის ეთნოლოგიური ასპექტით კვლევის სამაგალითო ნიმუშია. განსაკუთრებით საყურადღებოა საკითხისადმი დიფერენცირებული მიდგომა: თანამიმდევრულად არის განხილული ხალხური ზეპირსიტყვიერების, მუსიკალურ-ფოლკლორული, ეთნოგრაფიული და ეთნომუსიკოლოგიური მონაცემები. გარკვეულია, რომ „მზე შინა“ არა მხოლოდ ბავშვის დაბადებასთან, ძეობასთან დაკავშირებული რიტუალია, არამედ საწესო-საფერხულო სიმღერის სახით რელიგიური დღესასწაულების მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც მელოდიურ-ინტონაციური და ჰარმონიული აზროვნების განვითარების ერთ-ერთი უძველესი ეტაპია. ნინო ღამბაშიძის ყურადღების ცენტრში მოექცა სიმღერის სიტყვიერ ტექსტებში არსებული ტერმინები „შინ“ და „გარე“ („მზე შინა და მზე გარეთა, მზევე შინ შემოდის...“). კერძოდ, ლექსის მთქმელი მზეს გარედან შინ შემოსვლას შესთხოვს, რადგან მზე სინათლის, სითბოს და სიცოცხლის ენერჯის მიმნიჭებელია. მკვლევრის აზრით ტერმინები „შინ“ და „გარე“ ამ შემთხვევაში, სემანტიკურად კოსმოსის და ქაოსის გამომხატველია. მისი გაგებით „შინა“ კოსმოსია, მოწესრიგებული და კულტურული გარემო, მას „სამხეოსაც“ უწოდებენ. მზე კი არის ის, რაც კოსმოსს ქაოსისაგან გამოჰყოფს. ინტერესს იწვევს ავტორის მიერ მიკვლეული ლექსის ერთ-ერთი ვარიანტი, რომლის შინაარსი შემდეგია: ჩამავალი მზე ფრინველივით ჯდება ბუდეში და მთვარის ამოსვლის ჟამს ოქროს კვერცხს დებს („მზე ჩაღმა ჩამავალია, // ჩავა ჩაჯდება ბუდესა, // ოქროსი კვერცხი დაუდევს...“). ლექსის ამ ვარიანტის შემქმნელის მითო-პოეტურმა აზროვნებამ მოციმციმე მზე ფრინველად წარმოიდგინა, რომელიც მანათობელ ასტრალურ ღვთაებად უნდა იქცეს. ავტორი პარალელს ავლებს მითიურ იხვთან, იგივე გედთან, რომელიც მზის ფრინველი და მისი სიმბოლოა. აქედან გამომდინარე, იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ქართულმა მსოფლმხედველობამ შემოინახა მითი კოსმიური კვერცხის შესახებ, რომელიც მრავალი ხალხის მითოსში შობს სამყაროს, შემოქმედს და კულტურულ გმირს – დემიურგს ან კაცობრიობას. ამგვარად, ნინო ღამბაშიძემ სამყაროს შექმნის ქართული ვერსიის არსებობა დაადგინა.

რა კავშირი აქვს „მზე შინაოს“ მზის ქალღვთაების, დიდი დედა ნანას კულტთან? „მზე შინაოს“ მუსიკალური ტექსტები დიდი დედა ნანასადმი მიძღვნილი საწესო საფერხულო საგალობლის „იავნანას“ ინტონაციურ არეში შედის და გენეტიკურად საერთო-ქართველურ მუსიკალურ

ფუძე-ენას უკავშირდება. ღვთაება ნანასთან დაკავშირებული რიტუალები შემუშავებული უნდა ყოფილიყო ასტრალური კულტების არსებობის ხანაში, პოლითეიზმის იმ საფეხურზე, როდესაც ქართველთა რელიგიის ისტორიაში, მცენარეულის და მზის თაყვანისცემის საფუძველზე აღმოცენებული დიდი დედის, ღვთაებრივი დედის კულტი უაღრესად განვითარებული იყო. რიტუალში, რომელიც სრულდება ავადმყოფთან, ნინო ღამბაშიძე ხედავს ღვთაება ნანასთან დაკავშირებული მითოლოგიური გადმოცემების სარკისებურ ასახვას. ავტორის აზრით, რიტუალსა და სიტყვიერ ტექსტის ვარიანტებში მზის ქალღვთაება დიდი დედა ნანა წარმოჩენილია როგორც სიცოცხლის, ნაყოფიერების და აღორძინების ღვთაება, რაც აგრეთვე გამოსჭვივის „მზე შინაოს“ მელოდიის თანმხლებ სიტყვიერ ტექსტებში. აქვე შევნიშნავ, რომ გამოვლენილია ტექსტები, სადაც საუბარია ალვის ხეზე ახვეულ მაღლარ ვახზე ანუ სიცოცხლის ხეზე, რომლის ნაყოფი უკვდავების მიმნიჭებელია.

„მზე შინაოს“ და „იავნანას“ შედარებითი ანალიზის საფუძველზე მკვლევარი განამტკიცებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „მითის ენა საზოგადოების მეხსიერებაა“. ეს არის გზა, რომლითაც ღვთაებრივი რეალურ სამყაროში შემოდის, რაც აჩენს და აფუძნებს სოფელს, ადამიანურ ისტორიას აძლევს საზრისს, აკავშირებს წარსულს, აწმყოს და მომავალს. ავტორი ასაბუთებს, რომ ქართულში არსებული კოსმოგონიური მითი „მზე შინაოს“ და მზესთან დაკავშირებულ ფოლკლორულ ტექსტებშია მოცემული. მან შეძლო სისტემაში მოეყვანა სიმღერების თანმხლებ სიტყვიერ ტექსტებში ასახული რწმენა-წარმოდგენები სამყაროს შესახებ.

საყურადღებოა ნინო ღამბაშიძის ვარაუდი, რომ „მზე შინაოს“, როგორც უძველესი დროიდან მომდინარე წრიული საწესო საფერხულო სიმღერა, თავდაპირველად წლის დასაწყისის, მზის დაბადების, ახალწლის დღესასწაულის რიტუალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი უნდა ყოფილიყო. ნიშანდობლივია, რომ ახალწელს სრულდებოდა რიტუალი, რომლის დროსაც კოსმოგონიური აქტი აქტუალური ხდებოდა; ფერხულით, რომელიც მზის სიმბოლური გამოხატულება იყო, ახლდებოდა პრაიმორდიალური დრო, მტკიცდებოდა მიწის და ცის კავშირი, მათ შორის მყარდებოდა ჰარმონია. ავტორის ეს მოსაზრებები დასაბუთებულია უხვი ეთნოგრაფიული მასალით. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მაგალითად, სამეგრელოში, „ჭვენიერობის“ დღესასწაულზე, „კირილეისონთან“ ერთად, „მზე შინაოს“ შესრულების წესი. მკვლევრის განმარტებით „ჭვენიერობა“, თავის მხრივ, „კაპუნობის“ დღესასწაულთან იყო დაკავშირებული. „კაპუნობა“ უზენაეს წარმართულ ღვთაებას ეძღვნებოდა. იგი ახალწლის დღესასწაული უნდა ყოფილიყო, რომლის დროსაც მზე/ღვთაებას შინ დაბრუნებას შესთხოვდნენ.

ავტორის ფართო ერუდიციამ და პროფესიონალიზმმა განაპირობა ისეთი საინტერესო და ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენების ამსახველი ნაშრომის შექმნა, როგორიც არის „მზე შინა და მზე გარეთა“. სიმღერის მრავალმხრივი შესწავლის საფუძველზე, მან გვიჩვენა შორეული წარსულიდან მომდინარე საზოგადოების სოციალური და კულტურული განვითარების დონე, ქართველური ტომების მსოფლმხედველობა, შეხედულებები სამყაროზე. ეთნოგრაფიული, მითოლოგიური და ენობრივი მონაცემების შეჯერებით მკვლევარმა შეძლო წარმართული ხანიდან მომდინარე რიტუალების და წეს-ჩვეულებების ერთ-ერთი უძველესი პლასტის რეკონსტრუქცია. აქვე დავძენ, რომ ნინო ღამბაშიძე ავტორია არაერთი საყურადღებო ნაშრომის, მათ შორის – უკანასკნელ ხანს გამოცემული წიგნის „ქართული ხალხური საეკლესიო და ხალხური დღესასწაულები (თბილისი, 2010), სადაც აშკარად მოჩანს ხალხური და ქრისტიანული ღვთისმსახურების ურთიერთშედევნის პროცესი.

ნინო ღამბაშიძე ერთ-ერთი გამორჩეული ეთნოლოგი და ქართველი ხალხის რელიგიის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარია. ამჟამად იგი სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, აგრეთვე წარმატებით კითხულობს ლექციებს ეთნოლოგიაში, საქართველოს ეთნოლოგიასა და ქართულ მითოლოგიაში თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკალური ფოლკლორის კათედრაზე.